ევროპის ლექსიკონი

ყამქრალი და თანამედროვე
სახელმწიფოები 1789 წლიდან დღემდე

ივ ტისიე
ლექსიკოგრაფი და ისტორიკოსი

ალექსანდრე დიუმას სახელობის
ფრანგული კულტურის ცენტრის
ძ ღ ვ ე ნ ი

სამეცნიერო რედაქტორი: ისტორიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, ოთარ ჯანელიძე

რედაქტორი: მანანა მექვაბიშვილი
კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ლია მოსეშვილი
ვაჟა ბარამიძე

ყველა უფლება დაცულია
Tous droits resérvés
ტირაჟი 1000ც.

© Vuibert, Paris, 2008
© გამომცემლობა ჯიისიაი 2008
© მარინა ბალავაძე, ნანა ცქიტიშვილი, 2008
ISBN 978-99940-17-85-0

წიგნი გამოიცა მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომ-
ცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში საფრანგეთის
საგარეო და ევროპულ საქმეთა სამინისტროს, საქართველოში
საფრანგეთის საელჩოს, თბილისის ალექსანდრე დიუმას სახე-
ლობის ფრანგული კულტურის ცენტრის, ბანკ რესპუბლიკის
და შუმანის ფონდის ხელშეწყობით.

Ouvrage réalisé dans le cadre du Plan d'Aide à la publication
Mérab Mamardachvili avec le soutien du Ministère Français
des Affaires Etrangères, de l'Ambassade de France en Géorgie,
du Centre Culturel français Alexandre Dumas de Tbilissi, de la
BANK REPUBLIC et de la Fondation Schuman.

Liberté • Egalité • Fraternité
RÉPUBLIQUE FRANÇAISE

centre culturel français

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
SOCIETE GENERALE GROUP

FONDATION ROBERT
SCHUMAN

შესავალი

ამ ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე, რომლის მიზანიც გაერთიანების გზაზე დამდგარი ევროპის ისეთ კონტინენტად გადაქცევაა, სადაც მშვიდობა და თანხმობა იქნება გამეფებული, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა გვერდი აგვეცლო სამშვიდობო დემარშებისთვის და ის გარდასული მოვლენები გაგვეხსენებინა, რომლებიც ომებისა და რევოლუციების ფონზე ევროპის სახელმწიფოების თანდათანობით ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. ჩემი აზრით, ეს ორი მიზეზის გამო არის აუცილებელი.

ჯერ ერთი, ევროპელები მართალია ერთიანობისკენ ისწრაფვიან, მაგრამ არანაკლებ არიან მიჯაჭვულნი მრავალფეროვნებას (რომელიც ხშირად ადგილობრივ თავისებურებებში გამოიხატება), რაც პირველ რიგში სახელმწიფოებში აისახება და შემდეგ მათში შემავალ რეგიონებში. ასეთი დამოკიდებულება ყოველთვის არსებობდა (რამაც ბალკანელები გადაჭარბებულ ნაციონალიზმამდეც კი მიიყვანა) და ძლიერდებოდა კულტურისა და ციეილიზაციის გარკვეული რეალობებით, რომელიც საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა და აწრთობდა ერებს.

ამგვარი რეალობა საუკუნეების მანძილზე არსებობდა, რადგან ძველი სამყარო *nolens volens* არ იყო ახალივით მოწოდებული ის გზაჯვარედინი გამხდარიყო, სადაც ერების თვითმყოფობის შერწყმა მოხდებოდა; გარდა ამისა, ამ რეალობიდან ისტორიული ფაქტები გამომდინარეობს და გეოგრაფიულ ჩარჩოში ჯდება.

სახელმწიფოების ტერიტორიების ევოლუციის შესწავლა, რასაც ადრე "ისტორიულ გეოგრაფიას" უწოდებდნენ, დღევანდელი მსოფლიოს გეოპოლიტიკური მონაცემების გაშუქების საშუალებას იძლევა. თუკი დღეს, გარკვეული პერიოდიდან მოყოლებული ყურადღების ცენტრშია გეოპოლიტიკა (თუმცა ამ სფეროზე ადრე ტაბუ იყო დადებული), იგივეს ვერ ვიტყვით ისტორიულ გეოგრაფიაზე. დიდი ხნის განმავლობაში ის აღიარებული დისციპლინა იყო და მას ბევრი ნაშრომი და პუბლიკაცია ეძღვნება. საფრანგეთში კი ის უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც დაუმსახურებლად მიივიწყეს.

აქედან გამომდინარე შემცირდა ამ დისციპლინასთან დაკავშირებული ნაშრომების რაოდენობა და შესაბამისად საზოგადოება არ იცნობს იმ ისტორიულ წინაპირობებს, რომლებიც ევროპის სახელმწიფოების ჩამოყალიბებას უსწრებდა წინ. ეს ლექსიკონი მიზნად ისახავს არსებული სიცარიელის ამოვსებას თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, თუმცა ნაკლოვანებებისგან დაზღვეული არ არის.

შუა საუკუნეებში, როგორც ცნობილია, სიმდიდრის ძირითად წყაროდ მიწა ითვლებოდა. იმ ეპოქაში, როდესაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გლეხობას წარმოადგენდა, სადაც პოლიტიკური ჩაკეტილობა სუფევდა, გადაადგილების ტემპი არ იყო სწრაფი, ხოლო მათი დაუცველობა კი აფერხებდა კაპიტალის მიმოქცევას, მიწის მფლობელობა სიმდიდრისა და ძალაუფლების გარანტია იყო, რომელიც იქმნებოდა მიწის, ხე-ტყის და საბადოების დამუშავებით, იქ დასაქმებული ადამიანების შრომის გამოყენებით და ასევე გადასახადების აკრეფით.

თუ მიწა ძალაუფლების მოპოვების საშუალება იყო, ბუნებრივია, ახალი მიწების შემატება ამ ძალაუფლებას გაზრდიდა. სწორედ ამიტომ, ნებისმიერი დიდგვაროვანი მუდმივად იმის მცდელობაში იყო სხვადასხვა გზით გაეფართოებინა თავისი სამფლობელოები: ომებით, ქორწინებებით, მემკვიდრეობების მიღებით, შესყიდვებით და ა. შ. მიწა და მასზე მცხოვრები ადამიანები მემკვიდრეობით ქონებად ითვლებოდა, რისი სრული ბატონ-პატრონიც მიწის მფლობელი იყო და მას საკუთარი ნების მიხედვით განკარგავდა ნებისმიერი სხვა ქონების მსგავსად.

XIX საუკუნეში სამრეწველო რევოლუციასთან ერთად, გავრცელება დაიწყო იმ აზრმა, რომ გამდიდრება მინის მფლობელობის გარეშეც იყო შესაძლებელი, მაგ., მრეწველობის განვითარებითა და ვაჭრობით. პარალელურად, საფრანგეთის რევოლუციით გავრცელებულ ამ ახალ იდეებს ხალხის ნელი გამოღვიძება მოჰყვა, რომელიც უკვე სურვილს გამოთქვამდა ჩამოყალიბებულიყო შეგნებულ ერებად, საჭიროების შემთხვევაში განთავისუფლებულიყო უცხოელი ბატონისაგან, გამოჰყოფოდა იმავე პირობებში მყოფ უცხო ხალხებს და შეერთებოდა იგივე ხალხის სხვა ნაწილს ე.წ. "დაშორებულ ძმებს". მთელი ამ საუკუნის განმავლობაში, მთელს ევროპაში ნაციონალისტური სულისკვეთება იკვეთებოდა, ხოლო მისი ტრიუმფი შემდეგი საუკუნიდან ინყება.

ამ ორი საუკუნის მანძილზე ადგილი ჰქონდა რადიკალურ გარდაქმნებს. წარსულის მემკვიდრეობის კონცეფცია, ძალიან გავრცელებული XVIII საუკუნეში, XX საუკუნის დასაწყისში შესუსტდა და ადგილი დაუთმო ეროვნულ კონცეფციას, რომელიც თავის მხრივ, ამავე საუკუნის მეორე ნახევარში უკანა პლანზე გადავიდა და ნამოიწია ევროპის ხალხებს შორის ურთიერთგაგების დამყარების პრინციპმა.

აზროვნების ამგვარი განვითარება იმ პროგრესს ერწყმის, რომელიც მართვისა და ადმინისტრირების ახალმა მეთოდებმა, შეიარაღებული ძალების გაზრდამ და იმ შესაძლებლობების ერთობლიობამ მოიტანა, რომელსაც მმართველები იყენებენ ევროპაში თანამედროვე ტიპის სახელმწიფოების ჩამოყალიბების ხელის შეწყობად.

ამგვარად, XIX საუკუნეში მომხდარი ტერიტორიული გამარტივებით, რის შემდეგაც აღარ არსებობს ანკლავები, ჰიბრიდები და ა. შ., ნათლად გამოიკვეთა და დაცული იქნა საზღვრები, რასაც ადამიანების მიმოსვლის და კაპიტალბრუნვის შეზღუდვა, ტერიტორიების დაპყრობასა და დაცვასთან დაკავშირებული სამხედრო მიზნების გაძლიერება და ეკონომიკური და ფისკალური ბარიერების გაჩენა მოჰყვა.

ამავე დროს, განხორციელდა თითოეული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ადმინისტრაციული სტრუქტურების გაერთმნიშვნელიანება. მოხდა ტერიტორიული გამარტივება, როგორც მთლიანად ევროპის კონტინენტზე, ასევე თითოეულ სახელმწიფოში.

ბოლოს, თანამედროვე იდეების გავრცელებასთან ერთად, ევროპაში თანდათან გაქრა ფეოდალური ცნებები სიუზერენისა და ვასალის თაობაზე; თითოეულ სახელმწიფოს ამიერიდან სურს იყოს დამოუკიდებელი და სუვერენული de jure, ხანდახან კი de facto დათმოს ეს დამოუკიდებლობა პოლიტიკური ან ეკონომიკური ალიანსების სასარგებლოდ.

ეს ნაშრომი ევროპის სახელმწიფოების იმ ტერიტორიულ ცვლილებებს განიხილავს, რომლებიც 1789 წლიდან დღემდე მიმდინარეობს. ამ თარიღის არჩევა განაპირობა საფრანგეთის რევოლუციის გავლენამ სახელმწიფოებრიობის კონცეფციის გაგებაზე.

ევროპის გეოგრაფიული საზღვრებიდან გამომდინარე, თურქეთი და რუსეთი ამ ნაშრომში მხოლოდ მათი ევროპული ნაწილების გამოა განხილული.

ნაშრომი ოთხი არათანაბარი ნაწილისგან შედგება:

– პირველ ნაწილში მოცემულია ევროპის ტერიტორიის ისტორიის ქრონოლოგია მთელი ამ პერიოდის განმავლობაში; აღწერილია ის დიდი პოლიტიკური მოვლენები, რომლებმაც ცვლილებები გამოიწვია სახელმწიფოებში, მათ შემადგენლობასა და საზღვრებში;

– მეორე ნაწილში ანბანის მიხედვით განხილულია ევროპის 46 სუვერენული სახელმწიფო;

– მესამე ნაწილში, ასევე ანბანის მიხედვით ჩამოთვლილია ის 300 სუვერენული სახელმწიფო, რომლებიც დღეს აღარ არსებობს, მაგრამ გარკვეული დროის მონაკვეთში არსებობდა(1789-2002); ზოგიერთი მათგანის შესახებ მოცემულია მათი ისტორიის მოკლე მიმოხილვა, სხვებზე წიგნის ის ნაწილია მითითებული, რომელშიც მათი ისტორიაა აღწერილი;

– და ბოლოს, მეოთხე ნაწილში მოცემულია ძირითად თემებთან დაკავშირებული სხვადასხვა შენიშვნა, კონკრეტული ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიული საკითხები, ასევე გეოგრაფიული სახელების შეთანხმებული სია, ბიბლიოგრაფია და ა. შ.

მეორე ნაწილში განხილული თითოეული სახელმწიფოსადმი მიძღვნილი თავი მისი ტერიტორიის ისტორიის მიმოხილვით იწყება 1789 წლამდე, შემდეგ აღწერილია ამ სახელმწიფოს მდგომარეობა 1789 წელს და ბოლოს, 1789 წლიდან დღემდე მომხდარი ტერიტორიული ცვლილებებია განხილული. გამოკვლეულია არა მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიული შემადგენლობა, არამედ მისი ინსტიტუციური რეჟიმების განვითარება და შიდა ადმინისტრაციული დაყოფა.

ტერიტორიული განვითარების პროცესების გაგების გასაიოლებლად, ამ ტექსტებს ისტორიული რუკების რვა სერია ემატება. ეს სერიები ორ ტიპად შეიძლება დაიყოს:

– ექვსი ერთ ქვეყანას, ან ქვეყანათა ერთ ჯგუფს ეხება და შერჩეულია იმ პრინციპით, რომ ის სპეციალურად ფრანკოფონ მკითხველს დააინტერესებს, ან იმიტომ, რომ ამ ქვეყნების ჩამოყალიბების რთული პროცესი რუკებზე უფრო ფართოდ ასახვას მოითხოვს; ეს სერიები ეხება საფრანგეთს, ბენელუქსს, შვეიცარიას, გერმანიას, იტალიას, საბერძნეთს;

– ორი სერია უფრო ზოგადია: ერთი მთლიანად ევროპას ეხება, მეორე ცენტრალურ ევროპას და ბალკანეთის ქვეყნებს.

ნაწილი I

ევროპის ტერიტორიული ცვლილებების ქრონოლოგია

(1789 წლიდან დღემდე)

ევროპის ტერიტორიული შემადგენლობა 1789 წლიდან დღემდე გამუდმებით იცვლება. ძალიან მცირეა ისეთი ქვეყნები, რომელთაც მთელი ამ პერიოდის მანძილზე ტერიტორიული ცვლილებები არ განუცდია, ესენია: ანდორა, ლიხტენშტაინი, სან-მარინო. ამ იშვიათი გამონაკლისის გარდა ევროპა ძირეულად შეიცვალა

ზოგიერთი ქვეყანა დაიშალა (თურქეთი, ავსტრია-უნგრეთი), ზოგი შეიქმნა (იტალია, ბალკანეთის სახელმწიფოები), ზოგის არსებობა პერიოდულად ნყდებოდა (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია), ზოგი რადიკალურად შეიცვალა (გერმანია საღვთო რომის იმპერიიდან დღევანდელ ფედერაციულ რესპუბლიკამდე); თვით ძველმა სტაბილურმა ქვეყნებმაც გარკვეულ პერიოდში თავიდან ვერ აიცილეს ტერიტორიული ცვლილებები (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, ესპანეთი, პორტუგალია).

ამ ცვლილებებს სხვადასხვა მიზეზი აქვს: კონფლიქტში გამარჯვებული ქვეყნების გადანყვეტილება, გარკვეულ ეტაპზე გაძლიერებული პიროვნების კეთილნება, ძლიერ სახელმწიფოთა არბიტრაჟი, სახალხო აჯანყება, მემკვიდრეობები და დინასტიების გაქრობა. ეს მიზეზები უმნიშვნელო როდია, რადგან ტერიტორიული ცვლილებების გარდა მოიცავს ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და განსაკუთრებით პიროვნულ ცვლილებებს; მმართველების შეცვლით მოსახლეობა ცხოვრების წესს, სამომავლო პერსპექტივებს, ხანდახან ენასაც იცვლიდა.

თუ ზოგიერთი ლოკალური ან რეგიონული ცვლილება ისტორიული მოვლენიდან გამომდინარეობს (პოლონეთის დაყოფა, ბელგიის შექმნა და ა. შ.), ტერიტორიული ცვლილებები ძირითადად ძლიერი პილიტკური ძვრების შედეგია, რომელიც ხან მთელს ევროპას ეხებოდა, ხან მის მნიშვნელოვან ნანილს.

ამიტომაც, სანამ ამ ლექსიკონში ევროპის თითოეული ქვეყნის ტერიტორიის ისტორიას შეეხებოდეთ, მნიშვნელოვანია გავაკეთოთ ზოგადი ისტორიული მიმოხილვა ტერიტორიულ ასპექტში 1789 წლიდან დღემდე და დაყოთ ევროპის ისტორიის შესაბამის შვიდ ქრონოლოგიურ საფეხურად.

1789-1791– ტრადიციული ევროპა

ევროპის 1789 ნლის პოლიტიკური რუკის შესწავლისას იკვეთება დიდი კონტრასტი დასავლეთის, ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის კომპაქტურ დასახლებასა და კონტინენტის სამხრეთსა და ცენტრალურ ნანილში დაჯგუფებული საშუალო, მცირე ან ძალიან მცირე ტერიტორიების სიმრავლეს შორის.

თუკი ესპანეთის, პორტუგალიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, დანიისა და ნორვეგიის, შვედეთისა თუ პოლონეთის, რუსეთისა და თურქეთის იმპერიების, ასევე ავსტრიის შემადგენელი სამეფოების კონტურები კარგად არის გამოკვეთილი, შედარებით რთულია ცენტრალური ევროპის ნანილებზე დაკვირვება, სადაც ჯერ კიდევ თვალსაჩინო სახელმწიფოების გვერდით, როგორიცაა პრუსია (დანაწევრებული), ბავარია, ჰანოვერი, შეერთებული პროვინციები, შვეიცარია, ვენეცია, პაპის ოლქი, სარდინიისა და ორივე სიცილიის სამეფოები, იკვეთება მცირე, ასე ვთქვათ, ჯუჯა სახელმწიფოების მთელი ნყება, რომლებიც საკუთარი სუვერენულობის დაცვას ცდილობდა.

ასეთი კონტრასტის მიზეზი კარგად არის ცნობილი. შუა საუკუნეებში დაწყებული დაქუცმაცება მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი ევროპის რეგიონებში, მონარქიული სახელმწიფოების ნელი და თანმიმდევრული გაძლიერება, საშუალებას იძლეოდა თითქმის ყველგან შექმნილიყო პოლიტიკური გაერთიანებები, ხოლო სამხრეთ-დასავლეთში ესპანეთის გაძლიერებამ და ოსმალეთის დამკვიდრებამ სამხრეთ-აღმოსავლეთში დაასრულა ტერიტორიული გაერთიანებების ეს სქემა.

ამ მოძრაობის მიღმა, შუა ევროპაში მხოლოდ იტალიის და გერმანიის სამფლობელოები დარჩა, იტალია, როგორც ევროპის დიდი სახელმწიფოების მეტოქეობის ველზე არსებული დახურული სივრცე, გერმანია კი, იმიტომ რომ, საღვთო რომის იმპერიაში არსებული ფედერაციული კავშირების მიუხედავად, აფერხებდა იმპე-

რატორების გაერთიანებისკენ სწრაფვას: XVI საუკუნის რელიგიური დაყოფა (რეფორმის ოფიციალურად აღიარება) და საფრანგეთის დიპლომატიის მუდმივი ძალისხმევა, დაეშალა გერმანია (ვესტფალიის ზავის დადებამდეც და მერეც).

მონარქიების მოზაიკა

1789 წლის ევროპა უპირველეს ყოვლისა მონარქიულია; იქ მეფობდა პაპი, სამი იმპერატორი, ათამდე მეფე, რომ აღარ ჩამოვთვალოთ ჰერცოგები, მთავრები, სუვერენი გრაფები გერმანიასა და იტალიაში.

საღვთო რომის იმპერია მდებარეობდა ევროპის ცენტრში (660 000 კმ², 28 მილიონი კაცი), რომელიც ბალტიის ზღვიდან ადრიატიკის ზღვამდე, ჩრდილოეთის ზღვიდან უნგრეთის დაბლობამდე იყო გადაჭიმული. იმპერატორის პრეტენზია უნივერსალობაზე ვერ განხორციელდა და საღვთო რომის იმპერიაში მხოლოდ მოჩვენებითი ერთიანობა იყო. საქმე ეხებოდა ძალიან სუსტ კონფედერაციას, რომლის უსუსურობაც კარგად ჩანდა რეგენსბურგის დიეტში, სადაც მეტად რთული სისტემით წარმოდგენილი იყო 300-ზე მეტი სხვადასხვა სუვერენი: მეფეები, ჰერცოგები, მთავრები, გრაფები, ეპისკოპოსები, აბატები, პრევოები, თავისუფალი ქალაქები.

ამ ერთიანობაში რეალური ძალაუფლება ოთხი განსხვავებულ სახელმწიფოს ხელში იყო, რომლებიც იმპერიის ტერიტორიისა და მოსახლეობის ორ მესამედს შეადგენდნენ: ავსტრიის (220 000კმ², 10,5 მილიონი კაცი), პრუსიის (116 000კმ², 4 მილიონი კაცი), ბავარია-პფალცის (56 000კმ², 2 მილიონი კაცი), საქსონიის საკურფიურსტოს (40 000კმ², 2,5 მილიონი კაცი).

საღვთო რომის იმპერიაში შედიოდნენ გერმანული ძირების მქონე გერმანელები, არ შედიოდნენ შვეიცარიაში, საფრანგეთის ალზასში, შეერთებულ პროვინციებში, აღმოსავლეთ ევროპაში მიმოფანტულ გერმანულ კოლონიებში მცხოვრები გერმანელები. აგრეთვე მასში გაერთიანებული იყვნენ ფრანგები (ავსტრიის ნიდერლანდი, ლიეჟის, ბაზელის საეპისკოპოსოები, მონბელიარდის სამთავრო), იტალიელები (ტრიესტი, ტრენტინი, ფრიული), სლავები (კრაინა, კარინთია, შტირია, ჩეხია-მორავია, ლაუზიცი, სილეზია).

საფრანგეთი ევროპის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო იყო, რომელსაც 530 000კმ² ეკავა 27 მილიონი მცხოვრებით. ის საკმაოდ ჰომოგენური ქვეყანა იყო ბოლო ანექსიების შემდეგაც (ლოთარინგია 1766 და კორსიკა 1768); მას თავისი მოსახლეობის რაოდენობით, ეკონომიკის განვითარებით, ენის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ბრწყინვალებით წამყვანი ადგილი ეკავა ევროპაში; ამასთანავე ნინა საუკუნის პოლიტიკური ჰეგემონია შეიცვალა სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებული უფრო ზომიერი პოლიტიკით.

ესპანეთს (500 000კმ², 9 მილიონი მცხოვრები) და პორტუგალიას (90 000 კმ², 2,7 მილიონი მცხოვრები) აღარ ჰქონდათ გარდასულ საუკუნეთა დიდება, ისინი ჩაიკეტნენ თავის იბერიის ნახევარკუნძულზე და მოგებას მათი კოლონიური იმპერიიდან იღებდნენ.

დიდი ბრიტანეთის, ირლანდიის გაერთიანებული სამეფო (315 000 კმ², 14 მილიონი მცხოვრები), რომელიც ბრიტანეთის კუნძულებზე მდებარეობდა, მხოლოდ საშუალო სიძლიერის ქვეყანა იქნებოდა, რომ არა საკუთარი უნარი XVIII საუკუნეში მოეხდინა ნამდვილი სამრეწველო რევოლუცია, რომელიც ფინანსურ, საზღვაო ძლიერებას და დიდ კოლონიურ იმპერიას ემყარებოდა.

დანიისა და ნორვეგიის სამეფო (დანია 55 000კმ², 800 000 მცხოვრები; ნორვეგია 32 000კმ², 700 000 მცხოვრები), ასევე შვედეთის სამეფო (შვეცია 450 000კმ², 2 მილიონი კაცი, ფინეთი 360 000კმ², 500 000 კაცი) დიდი ქვეყნები იყვნენ, თუმცა სუსტი გავლენა ჰქონდათ, რაც გამოწვეული იყო მოსახლეობის მცირე რაოდენობით. დანიის მეფე ჰოლშტაინიდან და შვედეთის მეფე შვეციის პომერანიიდან საღვთო რომის იმპერიის წევრები იყვნენ.

რუსეთის იმპერია ესაზღვრებოდა შვედეთის ფინეთს, პოლონეთის ლიტვას და თურქეთის პროვინციებს, რომლებიც შავ ზღვას ემიჯნებოდა და მას გასასვლელს

არ აძლევდა ევროპის ზღვებზე, თუ არ ჩავთვლით ესტონეთისა და ლივონიის ფასადს ბალტიის ზღვაზე. ის ნანილობრივ ევროპული ქვეყანა იყო, რომელსაც ევროპის სცენაზე ნონა მისი მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე ემატებოდა (ევროპის რუსეთი 4 მილიონი კმ², 20 მილიონი კაცი).

პოლონეთისა და თურქეთის შესუსტება

პოლონეთის სამეფო (520 000კმ², 10 მილიონი კაცი), არ იყო ისეთივე დიდი, როგორც 1772 წელს მისი პირველი დაყოფის წელს, როდესაც მან რუსეთის, პრუსიის და ავსტრიის სასარგებლოდ დაკარგა თავისი ფართობისა და მოსახლეობის მესამედი. მართალია ის დიდ ქვეყნად რჩებოდა, მაგრამ პოლიტიკური უძლურების გამო, მასზე თვალი ეჭირა პრუსიასა და რუსეთს, რომელთა ერთობლივი მოქმედების შედეგად თვით ამ სამეფოს არსებობა იდგა ეჭვქვეშ.

სამ კონტინენტზე გაძლიერებული ოსმალეთის იმპერია ბოლო საუკუნის განმავლობაში ევროპაში თანდათან სუსტდებოდა ავსტრიის დაპყრობითი ქმედებების გამო. მიუხედავად ამისა, ის მაინც ინარჩუნებდა იქ ძლიერ პოზიციებს და მას კონტინენტის მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნანილი ეკავა ბოსნიის, სერბიის, ვლახეთის, მოლდოვეთის, ყირიმის მოსაზღვრე პროვინციების გაყოლებაზე.

ავსტრია ანუ ავსტრიაში შემავალი სახელმნიფოები (ავსტრიის იმპერიის ოფიციალური სახელნოდება მხოლოდ 1804 წელს გაჩნდა) ერთ დიდ მთელს შეადგენდა, რომელიც გერმანიის იმპერატორისთვის (ყოფილი ჰაბსბურგი) ძირითადი ძალაუფლების გარანტი იყო. ის მთელ ცენტრალურ ევროპაზე იყო გაშლილი, ნანილობრივ საევთო რომის იმპერიის ტერიტორიაზე, ნანილობრივ მის ფარგლებს გარეთ, ძალიან ჰომოგენური იყო აღმოსავლეთით, ხოლო ცენტრში და დასავლეთით შედარებით დანაწევრებული. ავსტრია ევროპის ძლიერი სახელმნიფო იყო და პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენა ჰქონდა იტალიაზე.

პრუსიის სამეფოც ავსტრიის მსგავს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ნანილობრივ იმპერიის ტერიტორიაზე (ბრანდებურგი, პომერანია, სილეზია, მაგდებურგი, ელბის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიები: 116 000კმ², 4 მილიონი მცხოვრები) და ნანილობრივ მის გარეთ (პრუსია, პოლონეთის მიწები, ნევშატელი: 74 000კმ², 1,7 მილიონი მცხოვრები), ეს ქვეყანა ძალიან კომპაქტური იყო აღმოსავლეთით და ძალიან დანაწევრებული დასავლეთით. უფრო მეტიც, 1791 წელს პრუსიის მეფემ შეიძინა ანსბახის და ბაიროითის სამარკგრაფოები ბოლო მარკგრაფისგან, რომელიც ჰოენცოლერნის უმცროსი ხაზის წარმომადგენელი იყო და არ ჰყავდა მემკვიდრე. პრუსია აღმავლობის გზაზე მდგარი სახელმნიფო იყო და უკვე მთელი საუკუნის განმავლობაში ანგარიშგასაწევ ქვეყნად ითვლებოდა.

იტალიის ნახევარკუნძული ჩვიდმეტ პოლიტიკურ ერთეულად იყო დაყოფილი, რომელთაგან ევროპაში გავლენა ჰქონდა ორივე სიცილიის სამეფოს (ნეაპოლი და სიცილია: 130 000კმ², 6 მილიონი კაცი) და სარდინიის სამეფოს (სავოია, ნიცა, პიემონტი და სარდინია: 70 000 კმ², 3,3 მილიონი კაცი), რომელთაც შეიძლება დაემატოს პაპის ოლქი ცენტრალურ იტალიაში, სადაც პაპს 2,5 მილიონი ადამიანი ექვემდებარებოდა.

მართვის რესპუბლიკური ფორმა ევროპის სახელმწიფოების მხოლოდ მცირე რაოდენობას ჰქონდა და ყველას მეორეხარისხოვანი როლი ენიჭებოდა. ყველაზე აღსანიშნავი მათ შორის შეერთებული პროვინციები იყო (34 000 კმ², 1,8 მილიონი კაცი), მეტად აქტიური იმ პერიოდში, რადგან კომერციულ საქმიანობაში მნიშვნელოვან კონკურენციას უწევდა ინგლისელებს, ასევე ჰელვეციის კონფედერაცია და მისი მოკავშირეები (42 000 კმ², 1,8 მილიონი კაცი), ვენეციის და გენუის რესპუბლიკები; ყველა არისტოკრატიული რესპუბლიკა მდიდარი, მაგრამ არაგავლენიანი იყო. დანარჩენი სახელმწიფოები უმნიშვნელო იყო.

1789 წელს ევროპაში არსებული ნონასწორობა სტაბილური არ იყო. იქ ხუთი სახელმნიფო დომინირებდა: საფრანგეთი და ავსტრია, შედარებით შესუსტებული რუსეთი, პრუსია და აღმავლობის გზაზე მდგარი დიდი ბრიტანეთი. შვიდნლიანი ომის დასრულების შემდეგ (1763), პირველი ორი სახელმნიფო იძულებული გახდა

ტერიტორიები დაეთმო. საფრანგეთმა უარი თქვა კანადასა და ლუიზიანაზე, ავსტრიამ სილეზიაზე. დადგა მშვიდობიანი პერიოდი და ძლიერი სახელმწიფოები ორი "ავადმყოფი" სახელმწიფოთი პოლონეთით და თურქეთით დაკავდნენ: მათზე თვალი მეზობლებს ეჭირათ, პრუსიასა და რუსეთს პოლონეთზე, ხოლო ავსტრიასა და რუსეთს თურქეთზე.

რაც შეეხება თურქეთს, ის 1768 წელს წარუმატებელ ომს აწარმოებდა რუსეთთან, რომლის შედეგებზე გავლენაც პოლონეთში განვითარებულმა მოვლენებმა იქონია: თურქეთი იძულებული გახდა რუსეთისთვის დაეთმო შავი ზღვის სანაპიროები, ავსტრიისთვის კი ბუკოვინა. მეორე წარუმატებელი ომი 1787 წელს დაიწყო, რამაც 1791/1792 წლებში ახალი ტერიტორიული დანაკარგები გამოიწვია; აქაც გარკვეული შეზღუდვები არსებობდა, რადგან ავსტრიამ და რუსეთმა ყურადღება საფრანგეთისა და პოლონეთის მოვლენებზე გადაიტანეს.

რუსეთის შავ ზღვაზე გაძლიერებით შეშფოთებულმა პრუსიამ და ავსტრიამ, გადაწყვიტეს პოლონეთის სამფლობელოებიდან აღებული წილიდან ტერიტორიული კომპენსაცია მოეთხოვათ. ეკატერინე II იძულებული გახდა განეხორციელებინა პოლონეთის პირველი დაყოფა სამ სახელმწიფოს შორის (1792), რის შედეგადაც პოლონეთმა მოსახლეობის მესამედი დაკარგა (5 მილიონი კაცი). ქვეყნის დაკარგვით შეწუხებულმა პოლონელებმა გადაწყვიტეს მოვლენების განვითარებისთვის რეფორმების გატარებით შეეშალათ ხელი; 1791 წელს "დიდმა დიეტმა" კენჭი უყარა ახალ კონსტიტუციას, რომელმაც გააუქმა *liberum veto* და მონარქია მემკვიდრეობითი გახდა. ეს მეტისმეტი აღმოჩნდა რუსეთისთვის, რომელიც შეიარაღებულ შეტევაზე გადავიდა და პრუსიისთვისაც, რომელმაც რუსეთს ინტერვენციის ნება დრთო.

1791-1799 – ევროპა და საფრანგეთის რევოლუცია

საფრანგეთში განვითარებულ მოვლენებს ევროპა თავიდან მშვიდად შეხვდა, მით უმეტეს, რომ რევოლუციური საფრანგეთის განცხადებით, ის არ აპირებდა თავისი იდეების იარაღის ძალით გავრცელებას. თუმცა საფრანგეთის მიერ ავიხიოხისა და კომტა-ვეხესენის ახალქირებამ ცხადყო, რომ მოსალოდნელი იყო პრინციპების შეცვლა. ევროპა თანდათან აცნობიერებდა, რომ საფრანგეთის რევოლუციური იდეები საფრთხეს უქმნიდა არსებულ წესრიგს. ბელგიასა და პოლონეთში მომხდარი ძვრები, საფრანგეთის რელიგიური საქმეები, ლუი XVI-ზე მეურვეობის დანესება, აღზასის მთავრებისთვის მინების ჩამორთმევა, საკმარისზე მეტი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ევროპა საფრანგეთის წინააღმდეგ ამხედრებულიყო.

საფრანგეთის რევოლუციის პირველი გამარჯვებები

1792 წელს საფრანგეთმა საომარი მოქმედებები დაიწყო ავსტრიასთან, პრუსიასთან, სარდინიასთან და ბაზელის საეპისკოპოსთან. ეს წელი აღინიშნა ლუი XVI-ის მარცხით, რესპუბლიკის დამყარებით (სექტემბერი), ვალმთან პრუსიაზე გამარჯვებით, ჟემაპესთან ავსტრიაზე გამარჯვებით, სამხრეთი ნიდერლანდის, რაინის მარცხენა სანაპიროს, ბაზელის საეპისკოპოსოს, სავოიასა და ნიცის დაკავებით.

საფრანგეთის გამარჯვებებს ანექსიების პირველი ტალღა მოჰყვა: სავოია, ნიცის საგრაფო, მონაკო, რაინის მარცხენა სანაპიროს ნაწილი, სალმი და საარვერდენი ლოთარინგიაში, ავსტრიის ნიდერლანდი, ლიეჟის საეპისკოპოსო, მაინცის რესპუბლიკა.

მთელი ამ დროის განმავლობაში, პრუსიისა და რუსეთის მიერ დაკავებულმა პოლონეთმა ტერიტორიები კვლავ მათ სასარგებლოდ დაკარგა მეორე დაყოფის შედეგად. ნიდერლანდში შეჩერებულმა ავსტრიამ ვერაფერი მიიღო.

ნიდერლანდის დაკავებამ და ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯამ შეაშფოთა აქამდე ნეიტრალური დიდი ბრიტანეთი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ანტიფრანგულ კოალიციას და 1793 წლის გაზაფხულზე, ომში ჩართული ქვეყნების გარდა მასში გააერთიანა ესპანეთი, ორივე სიცილია, ტოსკანა, საღვთო რომის იმპერია. ნეერვინდენთან ავსტრიის მიერ დამარცხებული საფრანგეთი (1793 წლის მარტი) იძულებული გახდა დაეტოვებინა ნიდერლანდი და რაინის მარცხენა სანაპირო. ის უკვე თავის საზღვრებთან იბრძოდა თუმცა მაინც მოახდინა მონბელიარდის სამთავროს ანექსირება, რომელიც ვიურტემბერგის ჰერცოგს ეკუთვნოდა.

1794 წლის ივნისში ფლერუსთან გამარჯვებამ საფრანგეთს საშუალება მისცა ხელახლა დაეკავებინა ნიდერლანდი და რაინის მარცხენა სანაპირო, ამჯერად შეერთებული პროვინციების საზღვრებამდე, რომელიც ფრანგული მოდელის მიხედვით რეორგანიზებული ბატავიის რესპუბლიკა გახდა.

იმავე პერიოდში გათამაშდა პოლონეთის ტრაგედიის ბოლო აქტი. 1793 ნელს ტერიტორიების ჩამოჭრამ აღაშფოთა პოლონელები და 1794 ნელს ისინი კოსტიუშკოს მეთაურობით აჯანყდნენ. ეს აჯანყება პრუსიამ და რუსეთმა ჩაახშვეს. პოლონეთის მესამე დანაწილების დროს ის რუსეთს, ავსტრიასა და პრუსიას შორის გაიყო.

1795 ნელს საფრანგეთსა და რამდენიმე ქვეყანას შორის მშვიდობა აღდგა. აპრილში პრუსიამ ხელი მოაწერა ბაზელის ხელშეკრულებას, იმისთვის რომ პოლონეთში მოქმედების თავისუფლება ჰქონოდა. პრუსია დათანხმდა სრული სიმშვიდის აღდგენამდე საფრანგეთის მიერ მისი ტერიტორიების დაკავებას რაინის მარცხენა სანაპიროზე (კლევე, გელდრენი). ვესტფალიის რამდენიმე გერმანულმა სახელმწიფომ მის მაგალითს მიბაძა. ბოლოს, ივლისში ესპანეთმა ხელი მოაწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას ევროპაში ტერიტორიების ანექსირების შესახებ.

1795 ნელს საფრანგეთმა გადაწყვიტა ბელგიის ტერიტორიების ანექსირება (რომლებიც ადრე ავსტრიას და ლიეჟს ეკუთვნოდა). ამგვარად, მან ერთბაშად ცხრა დეპარტამენტი მიიმატა. რაინის გერმანული მარცხენა სანაპირო დროებითი ადმინისტრაციის ქვეშ დარჩა.

ბონაპარტის სცენაზე გამოსვლა

1796 ნლის გაზაფხულზე დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, საღვთო რომის იმპერია, იტალიის სახელმწიფოები განაგრძობდნენ საფრანგეთთან სამარ მოქმედებებს. გენერალმა ბონაპარტმა დაარწმუნა დირექტორია, რომ ძალები იტალიაში საომრად გადაესროლათ და მთავარსარდლად იგი დაენიშნათ. ბონაპარტის ოპერაციები იტალიაში წარმატებით წარიმართა; სარდინიელები და ავსტრიელები დამარცხდნენ. ფრანგებმა ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი დაიკავეს და იქ რევოლუციური იდეების გავრცელება დაიწყეს. სარდინიამ ხელი მოაწერა პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულებას (მაისი) და უარი თქვა ნიცასა და სავოიაზე.

ივლისში ბონაპარტმა მილანისა და მანტუის საგრაფოებში ლომბარდიის მთავარი ადმინისტრაცია განათავსა. გარდა ამისა ივნისში ბოლონიის მოსახლეობამ პაპის ხელისუფლების წარმომადგენლები გააძევა და ბოლონიის რესპუბლიკა გამოაცხადა, რაც იტალიაში პირველი მომმე რესპუბლიკის მაგალითი იყო. ოქტომბრის დასაწყისში მოდენის და რეჯიოს ეფემერულმა რესპუბლიკამ ჰერცოგის ძველი რეჟიმი შეცვალა; ოქტომბრის დასასრულს ის ბოლონიას და ფერარეს შეუერთდა იმისთვის, რომ ცისპადანური რესპუბლიკა შექმნილიყო.

1797 ნელი დაიწყო ტოლენტინოს ზავით, რომელიც საფრანგეთსა და პაპის ოლქს შორის დაიდო; პაპმა სცნო საფრანგეთისთვის ავინიონისა და კომტა-ვენესენის, ცისპადანური რესპუბლიკისთვის ფერარეს და ბოლონიის ლეგაციების მიერთება. მარტში ქალაქები ბერგამო, ბრეშია და კრემონე აჯანყდნენ ვენეციის წინააღმდეგ და მიაღწიეს ბერამასკოს, ბრესციანის კრემონას შეერთებას.

ამასობაში ბონაპარტმა ავსტრიელებს შეუტია, რომლებიც ალპებს იქით უკუაგდო და ვენას დაემუქრა; მან იმპერატორი აიძულა მშვიდობა მოეთხოვა; ზავი

ლეობენში გაფორმდა: ავსტრიამ უარი თქვა ნიდერლანდზე და მილანის საგრაფოზე, საიდუმლო შეთანხმება კი ვენეციის ნანილობრივ დაშლას ითვალისწინებდა.

ავსტრიაზე გამარჯვებამ ნაპოლეონს საშუალება მისცა იტალიაში ცვლილებები გაეტარებინა დირექტორიის აზრის გაუთვალისწინებლად. მან გენუის რესპუბლიკას მისი კონსტიტუციის დემოკრატიზაცია მოსთხოვა (ნოემბერში ის ლიგურიის რესპუბლიკა გახდა), ცისპადანიას ჩამოაშორა მოდენა და რეჯიო და ისინი ტრანსპადანიას მიუერთა, ასევე უმნიშვნელო საბაბით დაიკავა ვენეციის ტერიტორია და ქალაქი ვენეცია (15 მაისი).

ივნისში ანკონეს მოსახლეობა პაპის ლეგატს აუჯანყდა და ანკონეს რესპუბლიკა გამოაცხადა. ივლისში ბონაპარტმა თავის მხრივ ციზალპური რესპუბლიკა გამოაცხადა, რომელშიც ცისპადანია და ტრანსპადანია გააერთიანა. ოქტომბერში მან ციზალპურ რესპუბლიკას მიუერთა კიავენა, ვალტელონა და ბორმიო.

1797 წლის ოქტომბერში ბონაპარტმა კამპო-ფორმიოში ავსტრიასთან სამშვიდობო ხელშეკრულებას მოანერა ხელი. ავსტრიამ საფრანგეთს დაუთმო ნიდერლანდი, ფალკენშტაინის პატარა საგრაფო და მილანის საგრაფო, ციზალპურ რესპუბლიკას დაუთმო მანტუა, ბრისგაუ და ტყის ოთხი ქალაქი რაინზე მოდენის ჰერცოგს, მან კი თავის მხრივ, ციზალპური რესპუბლიკის სასარგებლოდ უარი თქვა თავის საპერცოგოზე. იმპერატორმა აღიარა საფრანგეთის მფლობელობა რაინის მარცხენა სანაპიროზე, ხოლო მშვიდობის აღსადგენად საფრანგეთსა და იმპერიას შორის რაიშტადტში კონგრესი უნდა გამართულიყო.

საკომპენსაციოდ ავსტრია ღებულობდა ვენეციას და ხმელეთზე მის სამფლობელოებს ადიჯემდე, ასევე ისტრიას, დალმაციას, კოტორის ყურეს, სულ 3 მილიონ სულს, რაც მის მიერ დათმობილი ტერიტორიების ეკვივალენტი იყო. ვენეციის სამფლობელოები ადიჯეს დასავლეთით ციზალპურ რესპუბლიკას მიეკუთვნა, იონიის კუნძულები და ოთხი სახმელეთო პუნქტი საფრანგეთს.

ავსტრიასთან დადებული კამპო-ფორმიოს ზავის თანახმად საფრანგეთმა 1797 წლის ნოემბერში დაიკავა რაინის მარცხენა სანაპირო, რომელიც ოთხ დეპარტამენტად დაიყო. ამგვარად, საფრანგეთმა თავის "ბუნებრივ საზღვრებს" მიაღწია (რაინი, ალპები, პირენეები), რასაც ანექსიის მომხრეები ითხოვდნენ პარიზში.

ამიერიდან, იტალიაში გასატარებელი პოლიტიკის კურსს ბონაპარტი კარნახობდა დირექტორიას; ფინანსური და სტატეგიული მიზნებიდან გამომდინარე მან რებელი შვეიცარიის დაკავების აუცილებლობაში დაარწმუნა. ამ გადაწყვეტილებას შვეიცარიელი პატრიოტები მიემხრნენ, რომლებიც არისტოკრატიული ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდნენ. 1797 წლის დასასრულს ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო საფრანგეთის მიერ ბაზელის საეპისკოპოსოს ჰელვეციური ნანილის დაკავება.

რევოლუციის აპოგეა და უკან დახევა ევროპაში

1798 წლის დასაწყისიდან საფრანგეთმა შვეიცარიის ტერიტორიების ანექსირება დაიწყო: მიულუზი (იანვარი), ბიენი (თებერვალი), ჟენევა (აპრილი). ამას გარდა, ვოდის საბაიო თავის ხელისუფლებას აუმხედრდა და ლემანის ეფემერული რესპუბლიკა გამოაცხადა. თებერვალში საფრანგეთის ჯარებმა შვეიცარია დაიკავეს, თუმცა გარკვეული წინააღმდეგობის შემდეგ, აპრილში გამოცხადდა ერთი და განუყოფელი ჰელვეციის რესპუბლიკა, რაც ამ ქვეყნის განსაკუთრებულ ტრადიციებს ენინააღმდეგებოდა. მასში შედიოდა კონფედერაციის ყველა ყოფილი ტერიტორია, გარდა საფრანგეთის და ციზალპური რესპუბლიკის მიერ ანექსირებული ტერიტორიებისა, ასევე ნეშატელის სამთავროს გამოკლებით, რომელიც პრუსიის მეფეს დარჩა.

იმავე პერიოდში არეულობები დაიწყო რომში, სადაც მოკლეს გენერალი დიუფო, რამაც 1798 წლის თებერვალში პაპის ოლქის დაკავება და რომის რესპუბლიკის გამოცხადება გამოიწვია, რომელიც მაშინათვე შეუერთდა ანკონეს რესპუბლიკას. ფრანგებმა პაპი ფლორენციაში გადაიყვანეს.

ბონაპარტს ორმაგი მიზანი ამოძრავებდა: მას სურდა დაესუსტებინა პორტა და ინგლისელებისთვის მოეჭრა ინდოეთის გზა, ამიტომაც მან დირექტორიას თავი ეგვიპტის ექსპედიციის ხელმძღვანელად დაანიშნინა, რასაც დირექტორია დიდი სიხარულით დათანხმდა, რადგან საშუალება ეძლეოდა მეტად გავლენიანი გენერალი პარიზისთვის მოეშორებინა. პარიზიდან ექსპედიცია 1798 წლის აპრილში გაემგზავრა და იენისში დაიკავა მალტის არქიპელაგი, რომელიც წმინდა იოანეს ჰოსპიტალიერებს ეკუთვნოდა. შემდეგ ექსპედიციამ ეგვიპტისკენ გააგრძელა გზა.

საფრანგეთს ეგვიპტეში სირთულეები შეექმნა, რამაც თურქეთს გადააწყვეტინა რუსეთთან შეკავშირება, რომელიც უკმაყოფილო იყო მალტის აღებით. 1798 წლის ნოემბერში და 1799 წლის მარტში რუსეთ-თურქეთის ექსპედიციამ იონიის კუნძულები დაიკავა. მათ ორივე სიცილიის მეფეც შეაგულიანეს, რომელსაც პაპის დაბრუნება სურდა და მან რომის რესპუბლიკას შეუტია (1798 წლის ნოემბერი). ის დამარცხდა, მისი სამეფო დაკავებულ იქნა, სადაც რესპუბლიკა გამოცხადდა (1799 წლის იანვარი), ხოლო მეფემ თავი პალერმოს შეაფარა.

მეორე მხრივ, სარდინიის მეფემ კვლავ გააბა ინტრიგები ავსტრიასა და რუსეთთან, რის შემდეგაც მისი სამეფო დაიკავა საფრანგეთმა (1798 წლის დეკემბერი), მეფემ კი დატოვა სარდინია. დირექტორიამ გადაწყვიტა, რომ პიემონტის მოსახლეობას არჩევანი უნდა გაეკეთებინა დამოუკიდებლობასა და საფრანგეთთან შეერთებას შორის. პლებისციტით საფრანგეთთან შეერთება გადაწყდა (1799 წლის თებერვალი).

ბოლოს, იმის გამო, რომ ავსტრიამ თავის ტერიტორიაზე საფრანგეთის წინააღმდეგ წასული რუსეთის არმია გაატარა, საფრანგეთმა მას და ტოსკანას ომი გამოუცხადა. დიდი ჰერცოგი ვენაში გაიქცა, ხოლო ფრანგებმა დაიკავეს ტოსკანა და იქ დროებითი მოაერობა დანიშნეს.

1799 წლის მარტში საფრანგეთის მფლობელობაში იყო იტალია, ავსტრიის ვენეცია, სან-მარინო, პიემბინოს სიცილიისა და სარდინიის კუნძულების გარდა. ბელგიის, ჰოლანდიის, რაინის, შვეიცარიის, იტალიის და ეგვიპტის დაკავებით საფრანგეთმა რევოლუციის პრინციპებს უღალატა უფრო კლასიკური პრინციპების გამო. მისი პრესტიჟი ხალხში ნულზე დაეცა და მას ზურგი აქციეს.

1799 წლის მაისიდან ავსტრია-რუსეთის კოალიციის შეტევების შემდეგ, საფრანგეთი იძულებული გახდა თანდათან დაეტოვებინა იტალია, მაგრამ ციურიხთან რუსების დამარცხების წყალობით შეინარჩუნა შვეიცარია. იტალიაში ძველი რეჟიმების აღდგენას ცამეტი თვე დასჭირდა (1799 წლის მაისიდან 1800 წლის ივნისამდე), ხოლო "პატრიოტები" განდევნილი იქნენ სახელმწიფოდან.

ბონაპარტი სასწრაფოდ დაბრუნდა ეგვიპტიდან (ოქტომბერში), მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება (ნოემბერში) და პირველი კონსული გახდა (1799 წლის დეკემბერში). ჩაიგდო რა ხელში მთელი ძალაუფლება, იგი შეუდგა საფრანგეთის გაძლიერებას და თხუთმეტი წლის მანძილზე განაგებდა სამშობლოს ბედს.

1800-1815 – ევროპა ნაპოლეონის ეპოქაში

პირველი, რაც ბონაპარტმა გააკეთა ახალი რეჟიმის დამყარება იყო, თუმცა შეინარჩუნა რესპუბლიკის გარკვეული ფორმები. შემდეგ, 1800 წლის გაზაფხულიდან პირველმა კონსულმა ბონაპარტმა განაახლა საბრძოლო მოქმედებები იტალიაში, ავსტრიის და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ: მან თვითონ იკისრა არმიის მეთაურობა იმისთვის, რომ 1799 წელს დაკარგული ტერიტორიები დაებრუნებინა და იქიდან ავსტრიის ჯარები განედევნა. მარენგოსთან გამარჯვების შემდეგ მან დაიკავა პიემონტი, რომელსაც ახალი დროებითი ადმინისტრაცია დაუნიშნა. ამას გარდა აღდგენილი იქნა ციზალპური რესპუბლიკა.

ბონაპარტმა მდგომარეობა გამოასწორა

მარენგოსთან გამარჯვებას საფრანგეთსა და ავსტრიას შორის საომარი მოქმედებების შეწყვეტა მოჰყვა. 1801 წლის თებერვალში ლუნევილის ზავით ორ ქვეყანას შორის მშვიდობა დამყარდა, რაც კამპო-ფორმიოს ზავით განმტკიცდა.

ამ ხელშეკრულებით შესაძლებელი გახდა გერმანიის საკითხის მოგვარება; საღვთო რომის იმპერიის სახელით იმპერატორმა საფრანგეთს დაუთმო რაინის მარცხენა სანაპირო და ვალდებულება აიღო მიწებდაკარგული მთავრებისთვის ზარალი აენაზღაურებინა მარჯვენა სანაპიროზე სამფლობელოების დარიგებით, საეკლესიო მიწებისა და თავისუფალი ქალაქების ხარჯზე.

ავსტრიასთან ზავის დადებას სხვა მეომარ ქვეყნებთან მშვიდობის აღდგენა მოჰყვა. ბონაპარტმა თავისი გემოვნებით შეცვალა იტალია. ბუნებრივი საზღვრების თეორიის უგულებელყოფით, მან პიემონტი საფრანგეთს შეუერთა, რითაც გააძლიერა თავისი გავლენა ამ ქვეყანაზე. ტოსკანა ეტრურის სამეფო გახდა პარმის ბურბონების სახლის სასარგებლოდ, რომელსაც პარმა საფრანგეთისთვის უნდა დაეთმო. ტოსკანის ყოფილი დიდი ჰერცოგი, იმპერატორის ძმა ზალცბურგში გადავიდა, ხოლო მოდენის ჰერცოგი ბრისგაუში, პაპმა ხელი მოაწერა საფრანგეთთან კონკორდატს და რომში დაბრუნდა, სიცილიის ბურბონები კი ნეაპოლსა და პალერმოში.

ცხრა წლის ომის შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა ხელი მოაწერა ამიენში სამშვიდობო ხელშეკრულებას (1802 წლის მარტი): ის ვალდებულებას იღებდა ჰოსპიტალიერებისთვის კუნძული მალტა დაებრუნებინა, რომელიც 1800 წლიდან ჰქონდა დაკავებული.

მშვიდობიანი პერიოდი გამოყენებული იქნა საღვთო რომის იმპერიაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების დასაზუსტებლად, სადაც საფრანგეთისთვის რაინის მარცხენა სანაპიროს გადაცემის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. საფრანგეთსა და გერმანიის ზოგიერთ დიდ სახელმწიფოს შორის რამდენიმე ხელშეკრულება გაფორმდა, რის საფუძველზეც ისინი ბონაპარტის მოკავშირეები გახდნენ. ყველაფერი ერთად 1803 წლის თებერვლის საიმპერატორო ოქმით დამტკიცდა.

იმპერიის თითქმის ყველა საეკლესიო სახელმწიფო და თავისუფალი ქალაქები გაქრა; დიდ სახელმწიფოებს: პრუსია, ჰანოვერი, ბავარია, ვიურტემბერგი, ბადენი, ჰესენი და ა. შ. (ბუნებრივია ავსტრიის გამოკლებით), რომელთაც მარცხენა სანაპიროზე მიწები ჰქონდათ დაკარგული, გულუხვად დაურიგდათ ტერიტორიები მარჯვენა სანაპიროზე; მარცხენა სანაპიროზე მცირე სამფლობელოების მქონე მთავრებს ზარალი შედარებით ძუნწად აუნაზღაურდათ ასევე რაინის მარჯვენა სანაპიროზე. 1803 წლის საიმპერიო დადგენილება იმ თანმიმდევრული ეტაპების პირველი ეტაპია, რომელთაც სულ მცირე ათი წლით გაამარტივეს გერმანიის პოლიტიკური სურათი.

იმავე პერიოდში ბონაპარტმა თავისი დიპლომატიური მოღვაწეობა შვეიცარიის საქმეებში ჩარევით დაასრულა, სადაც მან კონფედერაციული რეჟიმი დაამყარა (ჰელვეციის ტრადიციასთან შესაბამისი), დაასუსტა ქვეყანა ვალეს გამოყოფით, რომელიც რესპუბლიკად აქცია; უფრო მეტიც, მან თავი ახალი კონფედერაციის მედიატორად დაანიშნინა, რაც უფლებას აძლევდა ქვეყნის საქმეებში ჩარეულიყო.

1803 წლის მაისიდან განახლდა საომარი მოქმედებები დიდ ბრიტანეთთან. ბონაპარტმა სასწრაფოდ დაიკავა ჰანოვერი, რომელიც კონტინენტზე ინგლისის მეფის სამფლობელო იყო. პირველი კონსული, რომელიც 1804 წლის მაისში იმპერატორი ნაპოლეონ I გახდა, დიდ ბრიტანეთში შეჭრას ჩქარობდა და ბულონის ბანაკში ამზადებდა ჯარებს და იმარაგებდა საბრძოლო აღჭურვილობას, მაგრამ ტრაფალგარის საზღვაო ბრძოლამ, რომელშიც ნელსონის ფლოტმა გაანადგურა საფრანგეთ-ესპანეთის ფლოტი, დაამსხვრია საფრანგეთის ოცნებები დიდ ბრიტანეთში გადასვლაზე.

მაგრამ 1805 წელს კონტინენტზე დიპლომატიური სიტუაცია გამწვავდა, ევროპის სამეფო ოჯახები ამრეზით უყურებდნენ ნაპოლეონს და მისი ამბიციები

უკვე მათ შეშფოთებას იწვევდა, რასაც იტალიაში განვითარებული მოვლენები ამყარებდა: ყოფილი რესპუბლიკა ნაპოლეონმა თავისი სურვილით სამეფოდ გადააკეთა (მარტში), თავის დას ელიზას ლუკა და პიომბინო ჩააბარა და ლიგურიის რესპუბლიკა საფრანგეთს შეუერთა (ივნისში).

როდესაც რუსეთმა და ავსტრიამ განაახლეს ანტიფრანგული კოალიცია, ნაპოლეონმა სასწრაფოდ დატოვა ბულონი და ვენისკენ გაემართა. 1805 წლის დეკემბერში მან აუსტერლიცთან გაანადგურა ავსტრია-რუსეთის ჯარები და აიძულა ავსტრია ზავი მოეთხოვა.

პრესბურგის ზავი (1805 წლის დეკემბერი) მკაცრი აღმოჩნდა ავსტრიისთვის, რომელიც იძულებული გახდა იტალიის სამეფოსთვის დაეთმო ვენეციის სამფლობელოები, ბავარიისთვის ტიროლი და ფორარლბერგი, ვიურტემბერგისთვის და ბადენისთვის თავისი სამფლობელოები შვაბიაში. ტოსკანის ყოფილი დიდი ჰერცოგი ზალცბურგიდან ვიურცბურგში გადავიდა, ბრისგაუს მეორადი მფლობელობა გაუქმდა. ბავარია, ვიურტემბერგი და ბადენი ნაპოლეონს ფავორში ჰყავდა, მას მათი დაახლოება სურდა ტიტულებისა და სამფლობელოების ბოძებით, ასევე საქორწინო კავშირებით.

ნაპოლეონის სისტემის დამყარება

1806 წლიდან 1811 წლამდე ნაპოლეონმა თანდათან გააძლიერა თავისი გავლენა ევროპაში. ამ მიზნით მან:

– გაზარდა საფრანგეთის იმპერიის ტერიტორია, რომელიც გასცდა "ბუნებრივ საზღვრებს" (რაინი, ალპები, პირენეები); სხვა მიზეზებთან ერთად მას უნდოდა გაემკაცრებინა კონტინენტის ბლოკადა დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, რომელსაც მოკავშირე სახელმწიფოები ძალიან დუნედ, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ახორციელებდნენ;

– ზოგიერთი სახელმწიფოს მეთაურად მან ოჯახის წევრები ან მასთან ძალიან დაახლოებული პირები დანიშნა; ადმინისტრაციის ხელმძღვანელებად ფრანგები ინიშნებოდნენ და ხშირად იქ საფრანგეთის ჯარებიც იდგნენ;

– სხვა სახელმწიფოების ერთგულების მოპოვებას იგი მჭიდრო კავშირებით ცდილობდა, რაც გაიოლებული იყო იმ ფაქტით, რომ გამარჯვებულთა ბანაკში ისინი თავს კარგად გრძნობდნენ.

ამგვარად, მან ბატავიის რესპუბლიკა ჰოლანდიის სამეფოდ გადააკეთა მისი ძმის ლუის სასარგებლოდ. გერმანიაში მან დააარსა ახალი სახელმწიფო, ბერგის დიდი საჰერცოგო, მისი სიძის მიურატის სასარგებლოდ; 1808 წელს ამ სახელმწიფოს ფართობი შეადგენდა 17 000 $км^2$-ს, მოსახლეობა დაახლოებით ერთ მილიონ კაცს. გარდა ამისა, ნაპოლეონმა შექმნა ახალი პოლიტიკური სტრუქტურა რაინის კონფედერაცია (1806 წლის ივლისში), რომელშიც შუა გერმანიის 16 სახელმწიფო გაერთიანდა (1808 წელს მათი რაოდენობა 39 უდრიდა) და რომლიდანაც ავსტრია, პრუსია და სხვა სახელმწიფოები გაირიცხნენ მის მიმართ მტრული დამოკიდებულების გამო.

კონფედერაციის საპატიო თავმჯდომარე მაინცის არქიეპისკოპოსი დალბერგი იყო და მასში გაერთიანებილი იყო ბერგი, ბავარია, ვიურტემბერგი, ბადენი, ჰესენ-დარმშტადტი, ნასაუ და ა. შ. ცენტრალური გერმანიის ის სახელმწიფოები, რომლებიც კონფედერაციაში არ გაერთიანდნენ და მედიაციის შედეგად გაქრნენ, ამან კი გერმანიის პოლიტიკური სურათის კიდევ უფრო გამარტივება გამოიწვია. კონფედერაციის წევრმა ქვეყნებმა გამოაცხადეს, რომ კავშირს წყვეტდნენ საღვთო რომის იმპერიასთან, იმპერატორმა ფრანც II-მ 1804 წელს თავი ავსტრიის იმპერატორად გამოაცხადა და ეს ტიტული მემკვიდრეობითი გახადა, აგვისტოს თვეში საღვთო რომის იმპერია დაიშალა, რომელიც დაახლოებით ათას წელს არსებობდა.

1806 წლის ოქტომბერში ნაპოლეონმა დაამარცხა პრუსია იენასთან და აუერშტადტთან. მან მის მიმართ მტრულად განწყობილი მთავრების სამთავროები გააუქმა (ორან-ნასაუ, ბრაუნშვაიგი, ჰესენ-კასელი) და ტილზიტის ზავით (1807

წლის ივლისი) პრუსიას თავისი ტერიტორიების ნახევარი ჩამოაჭრა, კერძოდ ელბის დასავლეთით მდებარე პროვინციები და ადრე პოლონეთის კუთვნილი ტერიტორიები. 1807 წელს ნაპოლეონმა ჩამორთმეული ტერიტორიები სამ ნაწილად დაყო:

– ვესტფალიის სამეფოდ, რომელიც შედგებოდა ჰესენ-კასელის მიწებისგან (უმეტესი ნაწილი), ბრაუნშვაიგის და ელბის დასავლეთით მდებარე პრუსიის ტერიტორიების სამხრეთი ნაწილისაგან; საფრანგეთის მეურვეობის ქვეშ მყოფი ეს ახალი სახელმწიფო მან თავის ძმა ჟერომს ჩააბარა; მისი ფართობი შეადგენდა 1810 წელს, აპოგეის პერიოდში 63 000კმ²-ს და 2,7 მილიონ მცხოვრებს;

– სხადასხვა "სარეზერვო ქვეყნიდან", რომელთა შორის იყო "ჰანოვერი", რომელიც მოიცავდა ორან-ნასაუს მიწებს, ჰესენ-კასელის ოლქს და პრუსიისთვის ჩამორთმეული პროვინციების ჩრდილოეთ ნაწილს; ეს პროვინციები ნაპოლეონმა დროებით დაიტოვა საჭირო შემთხვევაში გამოსაყენებლად;

– ვარშავის დიდი საჰერცოგო, რომელიც ადრე ნაპოლეონის კუთვნილი ტერიტორიებისაგან შედგებოდა და რომლებიც პრუსიას ჩამოერთვა; ეს ახალი სახელმწიფო "პატარა პოლონეთი" ნაპოლეონმა საქსონიის კურფიურსტს ჩააბარა, რადგან პოლიტიკური გათვლებით მას სურდა ყოფილი მტრისგან ერთგული მოკავშირე შეეძინა პრუსიასთან დასაპირისპირებლად; სამფლობელოების ჩამორთმევის ნაცვლად ნაპოლეონმა მას მიწები მიუმატა და იგი საქსონიის მეფის და ვარშავის დიდი ჰერცოგის რანგში აამაღლა; 1809 წელს თავისი აპოგეის პერიოდში, დიდი საჰერცოგოს ფართობი 157 000კმ² იყო, მოსახლეობა უდრიდა 4 მილიონ კაცს.

ტილზიტის ზავით მშვიდობა აღდგა საფრანგეთსა და რუსეთს შორისაც, რომელიც დამარცხდა ეილაუსთან და ფრიდლანდთან (1807 წლის გაზაფხულზე). ნაპოლეონმა რუსეთის იმპერატორი ამ შემთხვევაშიც პოლიტიკური გათვლებით დაინდო, რომელმაც მხოლოდ სიმბოლური და შორეული ტერიტორიები დათმო (ბიალისტოკი, იეფერი, იონიის კუნძულები, კოტორის ყურე).

იტალიაში ნაპოლეონმა ბურბონები გააძევა ნეაპოლიდან, მისი ძმის ჟოზეფის სასარგებლოდ (1806 წლის მარტი), რომელიც მოგვიანებით მიურატმა შეცვალა. ეტრურიის დედოფლის და პაპის დამოკიდებულებით უკმაყოფილო ნაპოლეონმა მათ ნელ-ნელა ჩამოართვა ტერიტორიები. ეტრურია, რომელიც გულთბილად ღებულობდა იტალიელ პატრიოტებს და ინგლისურ კონტრაბანდას, იმპერიას შეუერთდა (1808 წლის მაისი). პაპის სახელმწიფოების ჩაყლაპვა ორ პერიოდად განხორციელდა: 1808 წლის აპრილში მარკე შეუერთდა იტალიის სამეფოს; 1809 წლის მაისში რომი, ლაციო და ომბრონე საფრანგეთის იმპერიას შეუერთდა.

ამ პერიოდში იტალიის ნახევარკუნძული მთლიანად, ორი დიდი კუნძულის გამოკლებით (სარდინია, სიცილია), რომლებიც თავის სუვერენს შეუნარჩუნდა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ნაპოლეონს ექვემდებარებოდა.

ნაპოლეონის აპოგეა და მარცხი ევროპაში

სირთულეები ნაპოლეონს იბერიის ნახევარკუნძულიდან შეექმნა. 1807 წელს კონტინენტური ბლოკადის გაუთვალისწინებელი შედეგების გამო განხორციელდა საფრანგეთის ინტერვენცია პორტუგალიაში (საფრანგეთმა ვერ მოახერხა იქ პოზიციების შენარჩუნება) და არაპირდაპირ ესპანეთში. ამ ინტერვენციამ გააძლიერა დაპირისპირება ესპანეთში კარლოს IV-სა და მის ვაჟს ფერდინანდს შორის. ნაპოლეონმა ისინი აიძულა გადამდგარიყვნენ (1808 წლის მაისი) და ესპანეთის მეფედ თავისი ძმა ჟოზეფი დანიშნა. მას ქვეყნის მართვა გაუჭირდა და ძალაუფლებას მხოლოდ საფრანგეთის ჯარებზე დაყრდნობით ინარჩუნებდა. დაიწყო პერმანენტული პარტიზანული ომი. 1812 წელს რუსეთში დაწყებული კამპანიის გამო ნაპოლეონი იძულებული გახდა ესპანეთიდან ჯარები გაეყვანა.

იმპერატორის უძლეველობაში შეტანილმა ამ ბზარმა მისი მტრები გამოაცოცხლა. 1809 წელს ავსტრიამ საომარი მოქმედებები განაახლა. ის ნაპოლეონმა ვაგრამთან დაამარცხა და იძულებული გახადა ხელი მოეწერა შენბრუნის ზავის-

თვის, რომლის მიხედვითაც ავსტრია საფრანგეთს უთმობდა გორიციას, ისტრიას, კრაინას, კარინთიის ნახევარს, ბავარიის ზალცბურგს, ინფიერტალს, ვარშავის დიდი საჰერცოგოს (დასავლეთი გალიცია).

ნაპოლეონმა იტალიის სამეფოს ჩამოაშორა ვენეციის რამდენიმე ყოფილი პროვინცია (ისტრია, დალმაცია, კოტორი), ასევე 1808 წელს ანექსირებული დუბროვნიკი და ისინი ავსტრიისგან მიღებულ პროვინციებს შეუერთა, რის შემდეგაც შექმნა საფრანგეთის ილირიული პროვინციები, რომლებიც იმპერიის იზოლირებული ნაწილი იყო და ცენტრალურ ევროპაში ინგლისური კონტრაბანდის შეღწევისთვის ხელის შესაშლელად იყო გამიზნული.

1810 წელს ნაპოლეონმა დაასრულა ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროების მიტაცება, მან საფრანგეთის სამეფოს შეუერთა ჰოლანდიის სამეფო და ვეზელ-ლუნებურგ-ლიუბეკის ზოლის ჩრდილოეთით მდებარე გერმანიის ნაწილი, კერძოდ, ოლდენბურგი, ჰანზის ქალაქები, არენბერგი, სალმი, ბერგის ნაწილი და რეზერვში დატოვებული ჰანოვერი. სამ წელიწადში საფრანგეთის ფართობი საგრძნობლად გაიზარდა: ის ფლობდა 130 დეპარტამენტს და 7 ილირიულ საინტენდანტოს, 800 000კმ^2-ს და 44 მილიონ მცხოვრებს.

ამგვარმა ექსპანსიამ შეაშფოთა ევროპა, მით უმეტეს, რომ ნაპოლეონმა გააძლიერა თავისი პოზიცია გერმანიაში და მის ცენტრში შექმნა მესამე დიდი სახელმწიფო ფრანკფურტის დიდი საჰერცოგო (4 500კმ^2 და 300 000 სული), რომელშიც შედიოდა დალბერგის მაინცის სახელმწიფო, ჰესენ-კასელისთვის და ორანნასაუსთვის ჩამორთმეული რეზერვში დატოვებული ქვეყნები (ჰანაუ და ფიულდე).

საფრანგეთის ამგვარი გაძლიერება დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, განსაკუთრებით კი რუსეთის იმპერატორისა, რომელსაც არ მოსწონდა მისი ბიძის ოლდენბურგის დიდი ჰერცოგის სამფლობელოების გაქრობა. რუსეთმა მშვიდობიანი პერიოდი თავის სასარგებლოდ გამოიყენა და შეედეთსა და ფინეთს ტერიტორიები წაართვა (1809), თურქეთს წაართვა ბესარაბია (1812), განყვიტა კავშირი საფრანგეთთან, რასაც მოჰყვა ნაპოლეონის კამპანია რუსეთში, რომელიც მოსკოვის აღების მიუხედავად, მისი მარცხით და დიდი ადამიანური მსხვერპლით დასრულდა.

1813 წელი საფრანგეთის მნიშვნელოვანი დასუსტებით აღინიშნა: ძლიერი არმიის ნარჩენების უკან დახევა, მოკავშირეების ღალატი, რაინის კონფედერაციის გაქრობა, საომარი მოწოდებების განახლება ავსტრიის მხრიდან, კოალიციური ჯარების მიერ ლაიპციგთან ნაპოლეონის დამარცხება (ოქტომბერში), ფრანგი სამოქალაქო მოხელეების მიერ დაკავებული პოსტების მიტოვება გერმანიაში, იტალიაში, ილირიულ პროვინციებში და ა. შ. საფრანგეთის დამარცხების შემდეგ მთელმა რიგმა ქვეყნებმა მასთან კავშირი განყვიტეს და ავსტრიას, პრუსიასა და რუსეთს მიუბრუნდნენ. 1813 წლის დეკემბერში ისტორიას ჩაბარდა საფრანგეთის ოცწლიანი ბატონობის პერიოდი.

1814 წლის გაზაფხულზე კოალიციური ჯარები საფრანგეთში შეიჭრნენ და საბოლოოდ დაამარცხეს ის; აპრილში იმპერატორი გადადგა, იგი კუნძულ ელბაზე გაემგზავრა გადასახლებაში, რომელიც მას შეუნარჩუნეს სუვერენული სამთავროს სტატუსით; მეფე ლუი XVIII პარიზში დაბრუნდა წინაპართა ტახტის დასაკავებლად, ხოლო ვენაში გაიმართა ევროპის სახელმწიფოთა კონგრესი, რომლის მიზანიც იყო საფრანგეთის რევოლუციითა და ნაპოლეონის ეპოქით გამონვეული ოცწლიანი მშფოთვარე პერიოდის შემდეგ ევროპის გარდაქმნა სასურველი მიმართულებით.

1815-1871 – ნაციონალისტური ევროპა

ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ევროპის სახელმწიფოები კონტინენტზე ძველი რეჟიმის აღდგენას შეუდგნენ, მაგრამ ნაპოლეონის პერიოდში მიღებული წყალობანი შეინარჩუნეს. მრავალი გარიგების შემდეგ, რაც ხშირად მწვავე დაპირისპირების საბაბი ხდებოდა და რომელთა დადებაც დააჩქარა ასდღიანმა

პერიოდმა, ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით (1815 წლის ივნისი), ყველა დებულება შეჩერდა.

ევროპის ძველი რეჟიმის ნაწილობრივ აღდგენა

საფრანგეთი თავის 1792 წელს არსებულ საზღვრებს დაუბრუნდა, მაგრამ შეინარჩუნა რამდენიმე ანკლავი (ავინიონი, კომტა-ვენესანი, მიულუზი, მონბელიარდი, სალმი, საარვერდენი და ა. შ.).

ესპანეთსა და პორტუგალიაში აღდგა ძველი დინასტიები. ასევე იტალიაში საკუთარი სახელმწიფოები დაიბრუნეს სარდინიის, ორიეე სიცილიის მეფეებმა, ტოსკანიის დიდმა ჰერცოგმა, მოდენის ჰერცოგმა, თავისი სამფლობელოები დაიბრუნა რომის პაპმაც (ავინიონის და კომტა-ვენესანის გამოკლებით). იმის გამო, რომ პარმის საჰერცოგოს მარი-ლუიზას დაჰპირდნენ, რომელიც ნაპოლეონის მეორე ცოლი და ავსტრიის იმპერატორის ასული იყო, პარმის ბურბონებს თხოვეს ემართათ ლუკა. პარმა მათ მხოლოდ 1847 ნელს, მარი-ლუიზას გარდაცვალების შემდეგ დაიბრუნეს.

გენუისა და ვენეციის რესპუბლიკები არ აღდგენილა, პირველი სარდინიას შეუერთდა, მეორე მილანის საგრაფოს და მანტუას, ლომბარდია-ვენეციის სამეფოს შემადგენლობაში; ეს იყო ახალი სახელმწიფო, რომლის სუვერენიც ავსტრიის იმპერატორი იყო. თავისი პირდაპირი თუ არაპირდაპირი სუვერენიტეტით, სხვა სახელმწიფოებთან დადებული ალიანსებით ავსტრია თითქმის მთელ იტალიას იყო დაპატრონებული.

ყოფილი შეერთებული პროვინციები სამეფოდ გადაკეთდა ორან-ნასაუს სახლის სასარგებლოდ; ისინი იქ 1795 წლამდე შტატჰალტერები იყვნენ. ახალ სამეფოში შედიოდა ასევე ყოფილი ავსტრიის ნიდერლანდი და ლიეჟის საეპისკოპოსო. ლუქსემბურგი ნიდერლანდის მეფეს გადაეცა, როგორც გერმანიის კონფედერაციაში შემავალი მისი პირადი მფლობელობა. ახალი სამეფოს ფართობი მოიცავდა 65 000კმ²-ს, მოსახლეობა კი 6 მილიონ კაცს.

ჰელვეციის კონფედერაციამ თავისი საბოლოო ფორმა მას შემდეგ მიიღო, რაც ბაზელის საეპისკოპოსო, ნეშატელი, ჟენევა და ვალე შეიერთა.

გერმანიაში გაქრა ვესტფალია, ბერგის და ფრანკფურტის საერცჰერცოგოები. ჰანოვერის სამეფო დიდ ბრიტანეთთან პირადული უნიით დაკავშირებული სამეფო გახდა, აღდგენილი იქნა ჰესენ-კასელი და ბრაუნშვაიგი. საქსონიის სამეფო რომლის სრული ანექსირებაც პრუსიას სურდა საფრანგეთის ჩარევის შემდეგ ნანილობრივ გადარჩა, თუმცა მას თავისი ტერიტორიების ნახევარი პრუსიისთვის უნდა დაეთმო.

ტერიტორიული ცვლილებების შემდეგ პრუსია მეტად მოგებული დარჩა. საქსონიისა და პოლონეთის ნანილზე უარის სანაცვლოდ კონგრესმა მას მნიშვნელოვანი ტერიტორიები გადასცა დასავლეთ გერმანიაში, ვესტფალიაში, პფალცში, რაინის მარცხენა სანაპიროზე, იულიხში, კლევესი და ბერგში; ეს ტერიტორიები დანარჩენი პრუსიისაგან ჰანოვერით იყო გამოყოფილი. უფრო მეტიც, მან მიიერთა შვედეთის პომერანია და ნეშატელი, რომელიც ჰელვეციის კონფედერაციის ნანილი იყო. პრუსიის ტერიტორია შეადგენდა 278 000კმ²-ს, მოსახლეობა 10 მილიონ კაცს და გერმანიის ყველაზე დიდი ქვეყანა იყო, რომელიც როგორც არასდროს ისე იყო მოწადინებული ავსტრიისთვის პირველობა წაერთმია.

ავსტრიას რჩებოდა თავისი მემკვიდრეობითი სამფლობელოები, რასაც ემატებოდა ზალცბურგი, ისტრია, ვენეციის დალმაცია, მაგრამ უარს ამბობდა ნინა ავსტრიის ტერიტორიებზე (ბრისგაუ, ორტენაუ, ბურგაუ, ჰოჰენბერგი, ნელემბურგი და ა. შ.), რომლებიც ვიურტემბერგის და ბადენის მფლობელობაში დარჩა. ავსტრიის იმპერატორი გერმანიის კონფედერაციის მემკვიდრეობითი თავმჯდომარე გახდა; ეს ახალი პოლიტიკური წარმონაქმნი იყო გამიზნული საღვთო რომის იმპერიის შესაცვლელად, რომელიც არ აღდგენილა; იმისთვის, რომ გვერდი აეცლოთ ყოფილი საეკლესიო სახელმწიფოების მთავრების, მცირე საერო სამთავ-

როების და თავისუფალი ქალაქების მოთხოვნებისთვის, რომელთა მედიაციაც უკვე დამტკიცებული იყო კონგრესის მიერ.

სკანდინავიის ნახევარკუნძულზე ფინეთის დაკარგვის სანაცვლოდ შვეციას ნორვეგია გადაეცა; მან ის დანიისგან მიიღო პომერანიის მაგივრად. მაგრამ ეს უკანასკნელი დანიამ მაშინათვე გადასცა პრუსიას, მან კი ლუნებურგი დაუთმო.

ასევე გაქრა ვარშავის დიდი საჰერცოგო, რომელიც პრუსიამ და რუსეთმა დაინაწილეს. მხოლოდ კრაკოვის მცირე რესპუბლიკა გადარჩა, რომელზეც თვალი სამ ძლიერ, მეზობელ სახელმწიფოს ეჭირა.

და ბოლოს, დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც მხოლოდ ჰანოვერს ითხოვდა, მალტა და იონიის კუნძულებიც მიიღო საფრანგეთის საზიანოდ.

ნაციონალიზმის გაღვივება

ვენის კონგრესზე ევროპის ბედს მეფეები წყვეტდნენ და სულაც არ ფიქრობდნენ ხალხზე, თითქოსდა შესაძლებელი იყო ძველი რეჟიმის სრულად აღდგენა. მაგრამ საფრანგეთის რევოლუციის მიერ გავრცელებული რევოლუციური იდეები აძლიერებდა სახალხო მოძრაობას, რომელიც ხშირად საფრანგეთის წინააღმდეგაც იყო მიმართული, როდესაც აშკარა ხდებოდა, რომ მისი მიზანი დამორჩილება და არა განთავისუფლება იყო. მართალია ნაპოლეონმა შეძლო პოლონური ნაციონალიზმის გაღვივება, მაგრამ გერმანული და იტალიური ნაციონალიზმი მის სანინააღმდეგოდ შეტრიალდა. მოავრებმა ის წარმატებით გამოიყენეს უზურპატორის დასამხობად, თუმცა ერთხელ გაღვივებული იდეების გაკონტროლება ვეღარ გახდა შესაძლებელი. XIX საუკუნე ევროპაში ნაციონალიზმის გაღვივების პერიოდია.

მისი ნიშნები კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთით გამოიკვეთა ოსმალეთის იმპერიის საზიანოდ, რომელიც ჩრდილში რჩებოდა მღელვარე პერიოდის დასრულებამდე.

1806 წლის პირველ აჯანყებას სერბებით დასახლებულ რეგიონში სერბიის მცირე სამთავროს წარმოქმნა მოჰყვა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ; ის 1813 წელს გაუქმდა. ახალ აჯანყებას სერბიის ახალი სამთავრო მოჰყვა, რომელიც 1830 წელს აღიარეს როგორც პორტაზე დაქვემდებარებული. ამ ახალ მართლმადიდებლურ სახელმწიფოს 37 000 კმ² ეკავა, მისი მოსახლეობა შეადგენდა 700 000 კაცს; ამ საზღვრებში მან 1878 წლამდე იარსება.

საბერძნეთის აჯანყება 1821 წელს მოხდა (პელოპონესში), რის შემდეგაც პირველი სახელმწიფო წარმოიქმნა (1822), რომელიც ფაშა მეჰმედ ალიმ გააცამტვერა (1826). 1827 წლიდან საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი ცდილობდნენ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შექმნილიყო საბერძნეთის ავტონომიური სახელმწიფო. 1830 წელს შეიქმნა საბერძნეთის სამეფო, რომელიც 1832 წლამდე პორტაზე დამოკიდებული იყო (49 000 კმ², 800 000 მცხოვრები).

იმავე პერიოდში (1830) ნიდერლანდის სამეფოს სამხრეთით მოხდა ნაწილობრივ კათოლიკური და ნაწილობრივ ფრანკოფონული სახალხო აჯანყება ჩრდილოეთის პროტესტანტული და ჰოლანდიურენოვანი დომინაციის წინააღმდეგ. ძლიერი სახელმწიფოების მხარდაჭერით ახალი სახელმწიფო – ბელგიის სამეფო შეიქმნა (1831), რომელშიც მთლიანად შეეიდა სამხრეთი პროვინციები ლიმბურგის და ლუქსემბურგის გამოკლებით; ისინი თითოეული ორ ნაწილად გაიყო, მათი დასავლეთი ნაწილი ბელგიური გახდა, აღმოსავლეთი ნაწილი ნიდერლანდს დარჩა. ახალი სამეფოს ფართობი შეადგენდა 30 000 კმ²-ს 4 მილიონი მცხოვრებით.

საფრანგეთის 1830 წლის იელისის რევოლუციის გარდა, რომელიც რეჟიმის შეცვლით დამთავრდა, მოხდა აგრეთვე აჯანყებები მოლდავეთსა და ვლახეთში (1821), ესპანეთში (1822), ნეაპოლში (1822), რუსეთში (1825), პოლონეთსა და ლიტვაში (1831), ბოსნიაში (1830), გალიციაში – რასაც მოჰყვა ავსტრიის მიერ კრაკოვის ანექსირება (1846), ალბანეთში (1847). ყველა ეს ამბოხება ჩაახშეს.

1848 წელს საფრანგეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რომელსაც კიდევ ერთხელ მოჰყვა რეჟიმის შეცვლა, ევროპის სხვადასხვა კუთხეში რევოლუციებმა

იფეთქა: იტალიაში (ვენეცია, მილანი, პარმა, მოდენა, რომი), გერმანიაში (ვენა, პრაღა, მიუნხენი, დრეზდენი და ა.შ.) გაერთიანების მიზნით, ნეკშატელსა და უნგრეთში იმიტომ, რომ მოეშორებინათ უცხოელი მეურვე.

ორი სუვერენი სარდინიისა და პრუსიის მეფეები ცდილობდნენ ეს არეულობები პირადი ინტერესებისთვის გამოეყენებინათ.

იტალიაში სარდინიის მეფემ კარლო-ალბერტომ გადანყვიტა რევოლუციებით ესარგებლა, გაეერთიანებინა იტალია და გაეძევებინა ავსტრიელები. ის დამარცხდა ნოვარასთან (1849 წლის მარტში) რადეცკის მიერ და იძულებული გახდა გადამდგარიყო.

გერმანიაში, ფრანკფურტში შეკრებილმა პარლამენტმა მოითხოვა გერმანიის ერთიანობა ავსტრიის გარეშე და ფრიდრიხ- ვილჰელმ IV-ს ახალი ერთიანი სახელმწიფოს გვირგვინი შესთავაზა, რომელმაც თავიდან თანხმობა განაცხადა, მაგრამ შემდეგ ავსტრიასთან ომის შიშით 1850 წლის ნოემბერში უარი თქვა.

1848 წელს დაწყებული რევოლუციები ორი წლის შემდეგ ყველგან მარცხით დასრულდა გარდა საფრანგეთისა, მაგრამ ძველი მდგომარეობა აღარსად აღდგენილა.

დუნაიზე მდებარე სამთავროები მოლდავეთი და ვლახეთი, დამოკიდებული თურქეთზე ოთხი საუკუნის მანძილზე, 1829 წლიდან რუსეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდნენ. 1858 წლიდან მათ მიაღწიეს ჯერ იმას, რომ ევროპის სახელმწიფოებს ეღიარებინათ მათი გაერთიანება (1858) და შემდეგ რუმინეთის სამთავროში ძესელას (1861) კვლავ თურქეთის სიუზერეხობის ქვეშ.

იტალიისა და გერმანის გამთლიანება

იტალიაში სარდინიის ახალმა მეფემ ვიქტორ-ემანუილემ თავისი ქვეყნის მთავრობა გრაფ კავურის ჩაბარა, რომელმაც იმპერატორ ნაპოლეონ III-ის დახმარებით გაერთიანა ნახევარკუნძული. 1859 წელს საფრანგეთ-სარდინიის ჯარებმა სოლფერინოსთან დამარცხეს ავსტრიელები (იენისი) და ციურიხის ხელშეკრულებით სარდინიამ ლომბარდია მიიღო (ავსტრიის ლომბარდია-ვენეციის დასავლეთის ნახევარი).

პარმაში, მოდენაში, ბოლონიაში, ფლორენციაში ადგილი ჰქონდა აჯანყებებს. 1860 წლის მარტში ემილია და ტოსკანა სარდინიის სამეფოს შეუერთდა, რომელმაც საფრანგეთს დაუთმო ნიცა და სავოია. 1860 წლის ოქტომბერში გარიბალდის მიერ დამარცხებული ორივე სიცილიის სამეფო, ომბრია და მარკე სარდინიის სამეფის შეუერთდა. 1861 წლის მარტში იტალიის ახალ სამეფოში თითქმის მთელი ნახევარკუნძული შედიოდა, ლაციუმის გამოკლებით, რომელიც პაპს დარჩა საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ, ვენეციის გარდა, რომელიც ავსტრიის მფლობელობაში რჩებოდა და ტრენტესა და ტრიესტის გარეშე, რომლებიც ასევე ავსტრიას ეკუთვნოდა.

1866 წელს ახალი ომის შემდეგ იტალიამ ავსტრიისგან მიიღო ვენეცია, 1870 წელს კი მან საფრანგეთის ჯარების დახმარებით რომი და ლაციუმი შეიერთა. ნახევარკუნძული გაერთიანდა და სამეფო, რომლის ფართობიც შეადგენდა 287 000კმ^2-ს, მოსახლეობა კი 27 მილიონ კაცს, ევროპაში ანგარიშგასაწევ ქვეყანად იქცა.

გერმანიის გაერთიანება პრუსიის კანცლერმა ბისმარკმა განახორციელა, რომელმაც ავსტრიელებიც გააძევა და პრუსიის გარშემო გააერთიანა გერმანიის დარჩენილი სახელმწიფოები. ამის საბაბი "დანიური" საპერკოგოები გახდა.

ეს საპერკოგოები შლეზვიგი, ჰოლშტაინი და ლაუენბურგი დანიის მეფეს ეკუთვნოდა, მაგრამ აქ იყო სამი გარემოება; სამივე საპერკოგო განსხვავებული იყო დანიისაგან; თან ითვლებოდა, რომ შლეზვიგი და ჰოლშთაინი განუყოფელნი იყვნენ, და ამასთან ერთად შლეზვიგი არ შედიოდა გერმანიის კონფედერაციაში, ხოლო ჰოლშთაინი და ლაუენბერგი მისი ნაწილი იყო.

1863 წელს დანიის მეფის შეცვლის შემდეგ, იმის გამო, რომ სამივე საპერკოგოში სალიკური კანონი მოქმედებდა, კონფედერაციამ საფუძვლიანად ჩათვალა

მეფის ბიძაშვილის ჰერცოგ აუგუსტენბურგის უფლებები ამ საჰერცოგოების მართვაზე. ამას მოჰყვა ომი დანიასა და პრუსია-ავსტრიას შორის, რომლებიც კონფედერაციისთვის იბრძოდნენ. დანია იძულებული გახდა სამიეე საჰერცოგო პრუსიისა და ავსტრიის კონდომინიუმისთვის დაეთმო, რომლებმაც ამის შემდეგ უგულებელყვეს ჰერცოგის უფლებები.

ბისმარკმა დაინყო ავსტრიასთან ურთიერთობების გამწვავება და მალე ორ ქვეყანას შორის ომი გაჩაღდა, რომლის დროსაც გერმანიის სახელმწიფოები ზოგი ავსტრიის, ზოგი პრუსიის ბანაკს უერთდებოდა. სადოვასთან დამარცხების შემდეგ (1866 ნლის ივლისი) ავსტრია დათანხმდა გერმანიის კონფედერაციის დაშლას და გერმანიის საკითხებისთვის მის ჩამოშორებას პრუსიის სასარგებლოდ. პრუსიას უკვე მოქმედების თავისუფლება ჰქონდა და ის თავისი სურვილებისამებრ შეუდგა გერმანიის რეორგანიზაციას.

პრუსიამ, რომელსაც 1849 წლიდან შეერთებული ჰქონდა ჰოენცოლერნის ორი სამთავრო შვაბიაში, მიიერთა დანიის სამი საჰერცოგო, ჰანოვერის სამეფო, ჰესენ-კასელი, ნასაუს საჰერცოგო და ქალაქი მაინის ფრანკფურტი. ის დიდი ქვეყანა გახდა, რომლის ფართობიც შეადგენდა 352 000 კმ^2 23,5 მილიონი მცხოვრებით.

უფრო მეტიც, პრუსიამ შექმნა ჩრდილოეთი გერმანიის კონფედერაცია, რომლის თავმჯდომარე იყო ამ ქვეყნის მეფე და მასში მაინის ჩრდილოეთით მდებარე გერმანიის სახელმწიფოები გააერთიანა; კონფედერაციაში არ შეევიდა ავსტრია, ლიხტენშტაინი, ბავარია, ვიურტემბერგი, ბადენი და ჰესენ-დარმშტადტი

1870ნელს გერმანიის სახელმნიფოები, ავსტრიის გამოკლებით საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჩაებნენ. გერმანიის გამარჯვებამ დაასრულა მისი გაერთიანების პროცესი, ბავარია, ვიურტემბერგი, ბადენი და ჰესენ-დარმშტადტი კონფედერაციაში გაერთიანდნენ, რომელიც 1871 ნელს გერმანიის იმპერია გახდა და საფრანგეთს წაართვა ალზასი და ლოთარინგიის ნაწილი.

გარდა ამისა, 1863 ნელს რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებული პოლონელი და ლიტველი ხალხი კიდევ ერთხელ დამარცხდა; რუსეთმა დაიწყო ამ მხარეების სრული რუსიფიკაცია. პრუსია კი თავის მხრივ ცდილობდა მის მფლობელობაში მყოფი პოლონური მიწების გერმანულაად გადაქცევას, მხოლოდ ავსტრიის სუვერენიტეტის ქვეშ მყოფმა გალიციამ შეძლო პოლონური ტრადიციებისა და კულტურის შენარჩუნება, რაც მომდინარეობდა ჰაბსბურგების პოლიტიკიდან პატივი ეცათ იმპერიაში შემავალი თითოეული ხალხის თვითმყოფობისთვის.

გერმანული სივრციდან გაძევებულმა ავსტრიამ დაიწყო თავისი საგარეო პოლიტიკის ძირითადი ხაზის განსაზღვრა, მან თავისი ძალისხმევა დუნაის სივრცისკენ მიმართა. ამ მიზნით ვენას უნგრეთთან ურთიერთობის მოგვარება სჭირდებოდა, რომელიც 1848 ნელს აჯანყდა. 1867 ნლის ივნისში ავსტრიამ უნგრეთთან დადო ავსტრია-უნგრეთის კომპრომისი, რომლის შედეგადაც ავსტრიის იმპერია ორ ნაწილად გაიყო:

– უნგრეთის სამეფო – ტრანსლაიტანია, რომელშიც შედიოდა ტრანსილვანია და ხორვატია-სლავონია, ნახევრად დამოუკიდებელი სახელმნიფო გახდა, ის ავსტრიას პირადული უნიით უკავშირდებოდა, ავსტრიის იმპერატორი უნგრეთის მეფეც იყო და მათ სამი საერთო სამინისტრო ჰქონდათ (საგარეო საქმეთა, სამხედრო და ფინანსთა სამინისტროები);

–ავსტრია-ცისლაიტანია, რომელშიც ერთიანდებოდა ჰაბსბურგების ყველა სამფლობელო (ავსტრია, ჩეხია, გალიცია, ბუკოვინა, ტიროლი, ზალცბურგი, შტირია, კარინთია, ტრიესტი და ა.შ.)

ახალი ორმაგი მონარქია, რომელსაც ავსტრია-უნგრეთი ეწოდა, ახლა ბალკანეთზე ახდენდა ძალების კონცენტრირებას და პრუსიასთან მეტოქეობიდან აქცენტი რუსეთთან მეტოქეობაზე გადაიტანა.

1871-1920 – ძლიერ სახელმწიფოთა ევროპა

1871 წელს პოლიტიკური მდგომარეობა ევროპაში წინა პერიოდთან შედარებით გამარტივებული იყო. იტალიისა და გერმანიის გაერთიანებას ორი ახალი ძლიერი სახელმწიფოს – იტალიის სამეფოსა და გერმანიის იმპერიის შექმნა მოჰყვა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ძველი ძლიერი სახელმწიფოების გვერდით(საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ავსტრია).

ევროპაში ჯერ კიდევ რჩებოდა მოსაგვარებელი ტერიტორიული საკითხები (ალზას-ლოთარინგია, ტრენტენი და იტალიის სხვა მხარეები), ასევე ბევრი ელოდა უცხოური დომინაციისაგან განთავისუფლებას (პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები, ჩეხიის, კრაინის, ხორვატიის და ბალკანეთის სლავები, ტრანსილვანიის რუმინელები, ირლანდიელები და ა.შ.). გარდა ამისა, ევროპის ქვეყნების ეკონომიკის ინტენსიურმა ზრდამ, გააძლიერა თითოეული ქვეყნის ამბიცია და ხელი შეუწყო შეიარაღების ზრდას, რაც XX საუკუნის დასაწყისში საფრთხეს უქმნიდა კონტინენტზე არსებულ მშვიდობას.

ბალკანეთის კონფლიქტები

საუკუნის დასასრულს "აღმოსავლეთის საკითხი" მნიშვნელოვან პრობლემად რჩებოდა. თურქეთის იმპერია სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა და ვეღარ აკავებდა ბალკანეთის ხალხის თავისუფლებისკენ სწრაფვას, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდააპირ მისი გავლენის ქვეშ იყო. მისი დასუსტება აძლიერებდა კონკურენტი რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ამბიციებს; პირველი ეძებდა "თბილ ზღვებზე" გასასვლელს და ეთნიკური (სლავიზმი) და რელიგიური (მართლმადიდებლობა) ერთიანობიდან გამომდინარე, თავს ბალკანელი ხალხის მფარველად აცხადებდა, მეორე კი "აღმოსავლეთისაკენ სვლით" ახალ ბაზარს ეძებდა იმპერიის სოფლის მეურნეობისა თუ სამრეწველო პროდუქციისთვის.

1876 წელს ბულგარელი ხალხი აჯანყდა, რასაც მოჰყვა რუსეთის შეიარაღებული ინტერვენცია თურქეთის წინააღმდეგ. 1878 წელს რუსეთის გამარჯვების შემდეგ, სან-სტეფანინში ხელი მოეწერა თურქეთთან პირველ ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებდა დიდი ბულგარეთის შექმნას, რომელშიც ბულგარეთთან ერთად შეეიდოდა თრაკიის ნაწილი და თითქმის მთელი მაკედონია, და რომელსაც მეურვეობას რუსეთი გაუწევდა.

ამ ზავის დადებას დიდი ბრიტანეთის და ავსტრია-უნგრეთის პროტესტი მოჰყვა, რადგან რუსეთმა არ შეასრულა მისთვის ბოსნია-ჰერცეგოვინას გადაცემის პირობა. ამის გამო სან-სტეფანის ზავის გადახედვის მიზნით, კანცლერი ბისმარკი გამოვიდა ბერლინში კონგრესის გამართვის ინიციატივით, რომელიც 1878 წლის იელისში ახალი ხელშეკრულების დადებით დასრულდა.

ეს ხელშეკრულება სერიოზულად ზღუდავდა რუსეთის ამბიციებს. ბულგარეთის სივრცე ორ ნაწილად გაიყო: ჩრდილოეთი ნაწილი გახდა ბულგარეთის სამთავრო, პორტაზე დამოკიდებული ახალი ქვეყანა, რომლის მმართველიც უნდა ყოფილიყო ქრისტიანი მთავარი (63000კმ და 2,1 მილიონი მცხოვრები).

სამხრეთი ნაწილი, აღმოსავლეთი რუმელია თურქეთის პროვინციად რჩებოდა, მას ენიჭებოდა ავტონომია და ასევე ქრისტიანი მმართველი ენიშნებოდა. გარდა ამისა, ბოსნია-ჰერცეგოვინის ადმინისტრაცია, სამოქალაქოც და სამხედროც ავსტრია-უნგრეთში გადადიოდა, თუმცა იურიდიულად ის თურქეთზე დამოკიდებული რჩებოდა.

სან-სტეფანის ზავით თურქეთი სერიოზულ დანაკარგებს განიცდიდა, ის კარგავდა 237000კმ²-ს 8 მილიონი მცხოვრებით.

ოსმალეთის ძლიერების შესუსტება ამით არ დამთავრებულა. 1881 წელს ევროპის სახელმწიფოებმა თურქეთი აიძულეს საბერძნეთისთვის დაეთმო თესალია; საბერძნეთი, რომელსაც 1864 წელს შეეძატა იონიის კუნძულების არქიპელაგი,

თანდათან ძლიერდებოდა. მისი ფართობი უკვე შეადგენდა 65000კმ²-ს, მოსახლეობა 2 მილიონ კაცს.

1885 წელს ბულგარეთის მთავარმა ალექსანდრემ გამოაცხადა აღმოსავლეთი რუმელიის ბულგარეთთან შეერთება, რაც პორტას მიერ იყო სანქცირებული 1886 წელს. 1908 წელს ავსტრია-უნგრეთმა ცალმხრივად მოახდინა ბოსნია-ჰერცეგოვინას ანექსირება, ხოლო მთავარმა ფერდინანდმა თავი ბულგარეთის მეფედ გამოაცხადა და შეწყვიტა ყოველგვარი ვასალური ურთიერთობა პორტასთან.

იმავე პერიოდში, უფრო ზუსტად 1905 წელს ევროპის მეორე მხარეს, ნორვეგია გამოეყო შვეციას, რომელსაც 1814 წელს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ შეუერთდა პირადული უნიით და ახალი დამოუკიდებელი სამეფო გახდა, რომლის ტახტზეც დანიის მეფის უმცროსი ვაჟი ავიდა.

ბალკანეთში მოვლენების განვითარება დაჩქარდა. 1912 წელს იტალიამ დაიკავა დოდეკანესის კუნძულები. თურქეთმა იგრძნო, რომ ბალკანეთზე ახალი ომი მწიფდებოდა, მოსახლეობის სურვილის წინააღმდეგ დაუთმო იტალიას არქიპელაგის დროებითი მფლობელობა, რომელსაც საბერძნეთთან შეერთება სურდა. იმავე პერიოდში კუნძულმა სამოსმა ისარგებლა თურქეთის დაბნეულობით და განცხადება გააკეთა საბერძნეთთან შეერთების შესახებ.

ბალკანეთის მეორე ომი 1912 წელს დაიწყო და ორ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე, საბერძნეთმა, ბულგარეთმა, სერბიამ, ჩერნოგორიამ დაამარცხეს თურქეთი, რომელმაც საბერძნეთს დაუთმო კუნძული კრეტა და უარი თქვა ეგეეოსის ზღვის კუნძულებზე. მაგრამ გამარჯვებული ქვეყნები ვერ შეთანხმდნენ ტერიტორიების განაწილებისას, ბულგარეთი, რომელმაც ამ ომში დიდი ძალები ჩართო თავს დაჩაგრულად თვლიდა.

მეორე ეტაპზე, ბულგარეთმა ყველას გასაოცრად შეუტია თავის მოკავშირეებს, მაგრამ 1913 წლის გაზაფხულზე დამარცხდა. კონფლიქტი გადავიდა ბუქარესტში (აგვისტო) კონტინენტის პროვინციების გამო და კონსტანტინოპოლში (სექტემბერი) კუნძულების გამო.

თურქეთმა შეინარჩუნა დაბრუნებული ანდრინოპოლი და აღმოსავლეთი თრაკია, ევროპაში მისი ტერიტორია შეადგენდა 22000კმ²-ს, მოსახლეობა 1,3 მილიონ კაცს.

ბულგარეთი დასავლეთ თრაკიით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რომელიც მას გასასვლელს აძლევდა ეგეოსის ზღვაზე. მისი ფართობი გახდა 11180000კმ², მოსახლეობა 5 მილიონი კაცი.

სერბიამ მიიღო ჩრდილოეთი და ცენტრალური მაკედონია, კოსოვო და მეტოხიის ნაწილი, მეორე ნაწილი ჩერნოგორიას გადაეცა. მისი ფართობი გაორმაგდა (86000კმ²), მოსახლეობა შეადგენდა 3 მილიონ კაცს.

საბერძნეთს შეემატა სამხრეთი მაკედონია, ეპირი, თურქეთის კუნძულების უმეტესი ნაწილი ეგეოსის ზღვაში. მისი ფართობი გაორმაგდა (115000კმ²) მოსახლეობა უდრიდა 5 მილიონ კაცს.

ბოლოს შეიქმნა ახალი სახელმწიფო ალბანეთი (28000კმ² და 800000 მცხოვრები), რომლის გაურკვეველი ბედიც ავსტრიის მეურვეობის ქვეშ უნდა გადაეწყვიტა გერმანელ მთავარს ვილჰელმ ვიდს.

ბალკანეთის მეორე ომი იმ კონფლიქტის გენერალური რეპეტიცია იყო, რომლის მოახლოებასაც მთელი ევროპა გრძნობდა. ევროპის სახელმწიფოები ნელნელა გადანაწილდნენ ორ ანტაგონისტურ ბანაკში,

ანტანტაში (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი) ერთი მხრივ და სამთა კავშირში მეორე მხრივ (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია).

ამ ომმა საშუალება მისცა ორ ბანაკს გამოეცადა თავისი შეიარაღება, იქედან გამომდინარე, რომ ისინი მეომარ სახელმწიფოებს ამარაგებდნენ. მეორე მხრივ, გაძლიერდა რეგიონული დაპირისპირება: საფრანგეთი და რუსეთი მხარს უჭერდნენ სერბიას, რომელსაც ალბანეთის შექმნის შემდეგ ავსტრია-უნგრეთი კიდევ ერთხელ უკეტავდა გასასვლელს ზღვაზე; აქედან გამომდინარე, ვენისთვის

მტერი ბელგრადში იყო და არა კონსტანტინოპოლში; საბოლოოდ დამარცხებული თურქეთი მხარდაჭერას ბერლინიდან ღებულობდა.

პირველი მსოფლიო ომი

1914 წლის ივნისში, სარაევოში ბოსნიელის მიერ ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის მკვლელობა ომის დაწყების საბაბი გახდა სერბიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის. ომში ერთ თვეში თითქმის მთელი ევროპა აღმოჩნდა ჩათრეული. 1914 წლის აგვისტოდან საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, სერბია, ჩერნოგორია იბრძოდნენ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ იტალია სამთა კავშირის ნევრი იყო, ის ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა. ანტანტის ბანაკი 1915 წლის მაისში გაძლიერდა იტალიით, 1916 წლის აგვისტოში რუმინეთით, 1917 წლის აპრილში აშშ-თი და 1917 წლის ივნისში საბერძნეთით, მაგრამ 1917 წლის დასასრულს რუსეთი ომს გამოეთიშა რევოლუციის გამო. სამთა კავშირი 1914 წლის ოქტომბერში გაძლიერდა თურქეთით, 1915 წლის ოქტომბერში ბულგარეთით.

ომი ხანგრძლივი აღმოჩნდა. ის ოთხ წელს გაგრძელდა, ძალიან დიდი იყო ადამიანთა მსხვერპლი და დიდი ხნის მანძილზე არ იკვეთებოდა უპირატესობა ორივე ბანაკის ძალების თანასწორობის გამო. 1918 წელს შეერთებული შტატების მხარდაჭერის შემდეგ ანტანტამ გაიმარჯვა, მაგრამ ამ ომმა გამარჯვებული და დაამარცხებული მხარე ერთნაირად დააუძლურა. დამარცხებული სახელმწიფოების სუვერენებმა დაკარგეს სამეფო ტახტები, ხოლო მათ ქვეყნებში რევოლუციებმა იფეთქა, რაც შეეხება ავსტრია-უნგრეთს, სეპარატისტულმა მოძრაობამ ეჭვქვეშ დააყენა მისი არსებობა.

სამშვიდობო მოლაპარაკებები პარიზში მიმდინარეობდა, რომელშიც მხოლოდ გამარჯვებული სახელმწიფოები მონაწილეობდნენ. ამერიკის პრეზიდენტი ვუდროუ უილსონი, რომელმაც განახლებულ ევროპაზე თავისი ხედვა ჩამოაყალიბა სიტყვაში *„თოთხმეტი პუნქტი“*, პირადად ჩავიდა პარიზში, მოლაპარაკებებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

ეს მოლაპარაკებები ხუთი ხელშეკრულების მიღებით დასრულდა, რომლებიც 1919 წლის ივნისიდან 1920 წლის აგვისტომდე დაიდო და ხუთ დამარცხებულ ქვეყანას ეხებოდა: ვერსალის ხელშეკრულება გერმანიას, სენ-ჟერმენის ავსტრიას, ტრიანონის უნგრეთს (ამ პერიოდში ორი ქვეყანა უკვე დაცილებული იყო ერთმანეთს), ნეილის ბულგარეთს და სევრის თურქეთს.

გერმანია რესპუბლიკა გახდა და შენარჩუნებული იქნა, როგორც სახელმწიფო, ზოგიერთის სურვილის მიუხედავად, საერთოდ გაეუქმებინათ ის. მას საფრანგეთისთვის უნდა დაეთმო ალზას-ლოთარინგია, ბელგიისთვის ეიპენი და მალმედი, დანიისთვის ჩრდილოეთი შლეზვიგი, ახალი ჩეხოსლოვაკიისთვის ჰულცინი, აღდგენილი პოლონეთისთვის პოზნანი, დასავლეთი პრუსია და ზემო სილეზიის მეოთხედი, ერთა ლიგის სასარგებლოდ უარი უნდა ეთქვა საარზე და დანციგზე (გდანსკი), ასევე მემელის (კლაიპედა) ტერიტორიაზე, რომელიც მოგვიანებით ლიტვას შეუერთდა. ყოველივე ამის მიუხედავად ის ევროპის დიდ ქვეყანად დარჩა, მისი ფართობი შეადგენდა 469 000კმ^2-ს, მოსახლეობა 62 მილიონ კაცს.

ავსტრია-უნგრეთი დანანილდა. ის სამმა სახელმწიფომ შეცვალა, ხოლო ზოგიერთი მისი ტერიტორია სხვა მოსაზღვრე სახელმწიფოებს შეუერთდა.

ავსტრიის რესპუბლიკაში (84 000კმ^2, 6 მილიონი მცხოვრები) მხოლოდ იმპერიის გერმანული ქვეყნები შედიოდა: ავსტრია, შტირია, კარინთია, ზალცბურგი, ტიროლი (მას მისი სამხრეთი ნანილი ჩამოეჭრა იტალიის სასარგებლოდ), ფორარლბერგი.

უნგრეთის სამეფოში (93 000კმ^2, 8 მილიონი მცხოვრები) მხოლოდ ყოფილი სამეფოს ცენტრალური ნანილი შევიდა ჰომოგენურად დასახლებული უნგრელებით; მას ჩამოეჭრა შერეულად დასახლებული რეგიონები.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა (140 000კმ^2, 14 მილიონი მცხოვრები) ჩეხებით და სლოვაკებით დასახლებული რეგიონებისგან შედგებოდა: ბოჰემია, მორავია,

სილეზია, უნგრეთისთვის ჩამორთმეული ზემო უნგრეთი, რუთენია (იმიერკარპატების ოლქი).

გარდა ამისა, ავსტრია-უნგრეთმა პოლონეთს დაუთმო გალიცია, რუმინეთს ბუკოვინა, ტრანსილვანია, უნგრეთის ნაწილი და ბანატის ორი მესამედი, სერბია-ხორვატია-სლოვენიის ახალ სამეფოს ბანატის დარჩენილი მესამედი, უნგრეთის ნაწილი (ბაჩკა), ხორვატია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, დალმაცია, კრაინის ორი მესამედი და შტირიის მესამედი, იტალიას ტრენტე, სამხრეთი ტიროლი, კრაინის დარჩენილი მესამედი, ტრიესტი და ისტრია.

ბულგარეთს რამდენიმე ტერიტორია უნდა დაეთმო რუმინეთისთვის, სერბია-ხორვატია-სლოვენიის სამეფოსათვის და საბერძნეთისთვის, რის შემდეგაც ის ხელახლა კარგავდა სამხრეთ თრაკიას, ეგეოსის ზღვაზე გასასვლელს.

აზიაში დაშლილ თურქეთს ევროპაში საბერძნეთისთვის უნდა დაეთმო აღმოსავლეთი თრაკია, იტალიისთვის დოდეკანესის კუნძულები საბოლოოდ, ხოლო დიდი ბრიტანეთისთვის კვიპროსი.

მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთმა ამ კონფლიქტში დიდად ვერ გამოიჩინა თავი, მაინც დასაჩუქრდა დიდი სახელმწიფოების მიერ. მისი ფართობი გაორმაგდა (300 000კმ^2, 15 მილიონი კაცი); მან რუსეთისგან მიიღო ბესარაბია, ავსტრია-უნგრეთისგან ბუკოვინა, ტრანსილვანია, საკუთრივ უნგრეთის ნაწილი და ბანატის ორი მესამედი. ამიერიდან მის შემადგენლობაში შედიოდა რუმინელებით დასახლებული ყველა ტერიტორია.

სერბიამ განახორციელა თავისი ოცნება სამხრეთი სლავების გაერთიანების თაობაზე. ის სერბია-ხორვატია-სლოვენიის სამეფო გახდა (1929 წლოდან იუგოსლავია), რომლის ფართობიც უდრიდა 249 000კმ^2-ს, მოსახლეობა 12 მილიონ კაცს; მასში შედიოდა სერბია, ჩერნოგორია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია, დალმაცია, კრაინის ორი მესამედი, ავსტრიის შტირიის ერთი მესამედი და უნგრეთის ბაჩკა.

ევროპის ჩრდილო-აღმოსავლეთით პოლონეთი აღდგა რესპუბლიკის ფორმით (388 000 კმ^2, 27 მილიონი კაცი), რომელიც შედგებოდა ყოფილი პოლონეთისგან, ბელორუსიის მესამედისგან, პოზნანისგან და აღმოსავლეთი პრუსიისგან, რომელიც გერმანიამ დათმო და გალიციისგან, რომელიც ავსტრიამ დათმო.

გარდა ამისა, რევოლუციის ქარცეცხლში გახვეული რუსეთი, სადაც სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, დასავლეთის საზღვარზე ტერიტორიულად შემცირდა. ის იძულებული გახდა დათანხმებოდა შემდეგი სახელმწიფოების შექმნას:

– ფინეთის (388 000კმ^2, 3 მილიონი კაცი), რომლის ფართობიც ოდნავ აღემატებოდა ყოფილ დიდ საჰერცოგოს;

– ესტონეთის (45 000კმ^2, 1 მილიონი კაცი), რომლის ფართობიც შეესაბამებოდა ამავე სახელწოდების რუსეთის ყოფილ პროვინციას, რასაც ჩრდილოეთი ლივონიის ნახევარი ემატებოდა;

– ლიტვის (56 000კმ^2, 2,2 მილიონი კაცი), სადაც მხოლოდ ყოფილი დიდი საჰერცოგო შევიდა ვილნიუსის გამოკლებით, რომელიც პოლონეთმა წაიღო;

– ბელორუსიის (125 000კმ^2, 5 მილიონი კაცი, 1924-1926 წლებში რუსეთის მიერ ტერიტორიების გადაცემის შემდეგ), რომელმაც დაკარგა თავისი დასავლეთი მხარის მესამედი, რომელიც პოლონეთს გადაეცა;

– უკრაინის (450 000კმ^2, 30 მილიონი კაცი), რომელშიც უკრაინელებით დასახლებული ტერიტორიების მხოლოდ ნანილი შევიდა, რადგან აღმოსავლეთი გალიცია პოლონეთის კუთვნილება გახდა, იმიერკარპატების ოლქი ჩეხოსლოვაკიის და ბუკოვინა რუმინეთის კუთვნილება.

ამგვარად, რუსეთის ფართობმა ევროპაში 3,8 მილიონი კმ^2 შეადგინა, მოსახლეობამ 65 მილიონი კაცი.

საბერძნეთი გაიზარდა სამხრეთი თრაკიით, რომელიც ბულგარეთმა დათმო. იტალია ყოფილი ავსტრია-უნგრეთის საზიანოდ გაიზარდა ტრენტეთი და სამხრეთი ტიროლით, ტრიესტით და გორიციით, ისტრიით და კრაინის მესამედით. საფრანგეთმა დაიბრუნა 1871 წელს დაკარგული ალზას-ლოთარინგია, ბელგიამ ეიპენი და მალმედი, რომლებიც 1815 წელს დათმო, დანიამ ჩრდილოეთი შლეზვიგი,

მაგრამ ვალდებული იყო ისლანდიისთვის მიენიჭებინა დამოუკიდებელი სამეფოს სტატუსი პირადული უნიით.

1920-1945 – ევროპა ტოტალიტარიზმის პირისპირ

ომის შემდგომი ევროპის სურათი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ომამდელი ევროპისაგან. სახელმწიფოებს შორის ტერიტორიების განანილებამ ძლიერ შეცვალა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა: ავსტრია-უნგრეთი გაქრა, ხელახლა შეიქმნა სახელმწიფოები (პოლონეთი) ან ეთნიკურ ბაზაზე წარმოიქმნა ისტორიული წარსულის უგულებელყოფით (ჩეხოსოვაკია, იუგოსლავია); ეროვნულობის პრინციის მკაცრი გამოყენებით კონფლიქტამდე არსებული გეოპოლიტიკური წონასწორობა უწონასწორობით შეიცვალა გერმანიასა და დარჩენილ ევროპაში განხორციელებული დანანილების შემდეგ წარმოქმნილ მცირე და სუსტ სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც კიდევ უფრო ასუსტებდა სცენიდან გერმანიის საპირნონე რუსეთის დროებითი გაქრობა.

ამას ისიც უსვამდა ხაზს, რომ ამ ქვეყნების უმრავლესობაში ეროვნული უმცირესობანი ცხოვრობდნენ (გერმანელები, უნგრელები ჩეხოსლოვაკიაში; უნგრელები, უკრაინელები და ბულგარელები რუმინეთში; გერმანელები, უნგრელები და იტალიელები იუგოსლავიაში; გერმანელები და სლოვენები იტალიაში და ა. შ.), რომლებიც პრინციპში დაცული იყვნენ საერთაშორისო გარანტიებით, თუმცა გამუდმებით იყო მათი ასიმილირების მცდელობა, რის გამოც იქმნებოდა სეპარატისტული კერები მუდმივად ფეთქებად მდგომარეობაში.

გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში განსხვავებული ძირების მქონე ხალხებს შორის ძალიან მალე წარმოიშვა დაძაბულობის კერები, თუმცა პარიზში ჩათვალეს, რომ ისინი ერთი ერის წარმომადგენლები იყვნენ: ჩეხები და სლოვაკები ჩეხოსლოვაკიაში, სერბები, ხორვატები, სლოვენები, ბოსნიელები იუგოსლავიაში.

ამასთანავე, ასეთმა ხანგრძლივმა და დამანგრეველმა ომმა ბევრ ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვია, რადგან ისინი უნდა გამკლავებოდნენ პოლიტიკურ სირთულეებს (რევოლუციები, რეჟიმის შეცვლა), ეკონომიკურ და სოციალურ სიძნელეებს, ასევე მორალურ პრობლემებსაც (უსამართლობის გრძნობა დამარცხებულ ხალხებში, მომავლის რწმენის დაკარგვა).

მთლიანობაში, ევროპის ჰეგემონიამ სერიუზული დარტყმა მიიღო, იქ თავი იჩინა შეერთებულ შტატებთან შეტოქეობამ, დარჩენილ სამყაროში კი განმტკიცდა აზრი თეთრკანიანი რასის უპირატესობაზე, რომლის მისიაც იყო კოლონიზაცია.

მყიფე წონასწორობა

1920-იანი წლების დასაწყისში ის ბოლო ტერიტორიული საკითხები მოგვარდა, რომლებიც პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულებებით ვერ გადაიჭრა.

დიდ ბრიტანეთში ირლანდიის შიდა ავტონომიის საკითხი, რომელსაც კენჭი 1914 ნელს ეყარა, ომის დამთავრებისთანავე შეჩერდა. მისი ძალაში შესვლის დასაჩქარებლად ირლანდიელები აჯანყდნენ და 1918 ნელს დამოუკიდებელი დეპუტატები აირჩიეს; კონფლიქტი 1921 ნელს გადაიჭრა ირლანდიის ორ ნანილად გაყოფით: ოლსტერის ექვსიდან ოთხი საგრაფო გაერთიანებულ სამეფოში დარჩა, კუნძულის დარჩენილი ნანილი გახდა ახალი, ირლანდიის დამოუკიდებელი სახელმწიფო (70 000კმ^2, 3 მილიონი მცხოვრები), რომელიც ბრიტანეთის იმპერიის დომინიონი იყო.

1922 ნლის ბოლოს ბოლშევიკურმა რუსეთმა საბოლოოდ დაამარცხა რა კონტრრევოლუციური ძალები, ნანილობრივ აღიდგინა ყოფილი იმპერიული რუსეთის სამფლობელოები ევროპაში. მართალია მან დაკარგა პოლონეთი, ვოლინია, ბესარაბია, ბალტიის სახელმწიფოები და ფინეთი, მაგრამ ისარგებლა მოსაზღვრე ქვეყნებში არსებული მონათესავე იდეოლოგიით და ახალი პოლიტიკური ერთეული საბჭოთა კავშირი შექმნა, რომელშიც შეიყვანა ბელორუსია,

უკრაინა, აზიაში ამიერკავკასია, სადაც გარეგნული ფასადის შენარჩუნების მიუხედავად, რუსეთის აბსოლუტური ძალაუფლება დამყარდა.

თავიდან საბჭოთა კავშირს ეკავა 19 750 000კმ^2, აქედან 4 350 000 ევროპაში, რომლის მოსახლეობაც შეადგენდა 100 მილიონ კაცს (ევროპაში).

თურქეთში უცხოთის ჯარების შეჭრის შემდეგ, გენერალი მუსტაფა ქემალი აჯანყდა სულთნის წინააღმდეგ. 1922 წელს მან მოახერხა მცირე აზიიდან და აღმოსავლეთი თრაკიიდან ბერძნების გაძევება, შემდეგ ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და ლოზანის ხელშეკრულებით (1923 წლის ივლისი), რომლითაც სევრის ხელშეკრულება გაუქმდა, მოიპოვა საბერძნეთში აღმოსავლეთი თრაკია, ქალაქ ანდრიანოპოლთან (ედირნე) ერთად.

ბოლოს, ერთა ლიგის საზიანოდ ეჭვქვეშ დადგა ხელშეკრულებების ორი პაკეტი. 1924 წლიდან აღარ არსებობდა მეურვეობის ქვეშ მყოფი ორი თავისუფალი ტერიტორია: კლაიპედა, რომელიც ლიტვამ შეიერთა და რიეკა, რომელიც იტალიასა და სერბია-ხორვატია-სლოვენიის სამეფოს შორის გადანაწილდა.

ასე გადანაწილებული ევროპა თხუთმეტი წლის მანძილზე მშვიდობიანად არსებობდა, თუმცა უხდებოდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური დაბრკოლებების გადალახვა, რამაც მეტად გაართულა კონტინენტის მომავალი.

დემოკრატია ცოცხლობდა იმ სიძნელეებს შორის, რომლებიც ქვეყნების მიხედვით იცვლებოდა. საბჭოთა კავშირის მცდელობამ საერთაშორისო ასპარეზზე გაეტანა და გაეჩაღებინა რევოლუციის კერა, სოციალისტური პარტიების რაოდენობის ზრდა გამოიწვია, გაძლიერდნენ კომუნისტური პარტიები, რასაც ბევრი ქვეყანა დემოკრატიის საფრთხედ აღიქვამდა.

ამას გარკვეული პოლიტიკური ძვრები მოჰყვა, რომლებიც 1930-იანი წლების დიდმა ეკონომიკურმა კრიზისმა გაამწვავა, რამაც გამოიწვია ავტორიტარული, უფრო მეტიც, ტოტალიტარული რეჟიმების დამყარება იტალიაში (1922), ესპანეთში (1923), ალბანეთში (1925), პოლონეთსა და ლიტვაში (1926), გერმანიასა და პორტუგალიაში (1933), ბულგარეთში (1934), ხოლო საბერძნეთსა (1924) და ესპანეთში (1931) მონარქიებმა ადგილი დაუთმეს რესპუბლიკურ რეჟიმებს.

ჰიტლერის ექსპანსიონიზმი

ამ ცვლილებებმა ევროპაში არსებულ მშვიდობას ყველაზე სერიოზული მუქარა 1933 წელს ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ შეუქმნა, რადგან გარდა იმისა, რომ მას ქვეყნის შიდა მონყობასთან დაკავშირებით ტოტალიტარული მიზნები ამოძრავებდა და განზრახული ჰქონდა ყველა მტრის მოსპობა (კომუნისტების, ებრაელების და ა.შ.), ცდილობდა გაეუქმებინა ვერსალის ხელშეკრულების პირობები, თავი მოეყარა რაიხის ფარგლებს გარეთ მცხოვრები გერმანელებისთვის, რაც დამპყრობლური პოლიტიკის მომასწავებელი იყო.

თავდაპირველად, 1935 წელს ერთა ლიგის მეურვეობის ქვეშ მყოფმა საარის მხარემ პლებისციტში ხმა მისცა გერმანიის შემადგენლობაში დაბრუნებას. შემდეგ ჰიტლერმა ცალმხრივად გადაწყვიტა გერმანიის რაინის რემილიტარიზაცია, რითაც ხელშეკრულების პირობები დაარღვია, თუმცა ამას არ მოჰყოლია არც საფრანგეთის და არც დიდი ბრიტანეთის მძაფრი რეაქცია.

იმავე წელს, ესპანეთში რესპუბლიკური რეჟიმის წინააღმდეგ მომხდარ სამხედრო აჯანყებას სამოქალაქო ომის დაწყება მოჰყვა, რომელიც სამ წელიწადს გაგრძელდა. 1939 წელს გენერალმა ფრანკომ თავი სახელმწიფოს მეთაურად გამოაცხადა და ქვეყანაში სამხედრო დიქტატურა დაამყარა

ამასობაში ავსტრიაში, რომელსაც 1919 წელს გამარჯვებულმა ქვეყნებმა გერმანიასთან შეერთება აუკრძალეს, ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლისთანავე ადგილობრივი ნაცისტური პარტიის გამოსვლები დაიწყო ახალი კავშირის მოთხოვნით (Anschluss). ჰიტლერი ხელს უწყობდა ამგვარ მოძრაობას და საბოლოოდ ეს გერმანიის მოთხოვნა გახდა. თავიდან მუსოლინი შეეწინააღმდეგა ჰიტლერს,

მაგრამ შემდეგ დასავლეთზე გაბრაზებული მიემხრო მას (1936). 1938 წლის მარტში ჰიტლერი ევროპაში შეიჭრა და ავსტრიის ანექსია განახორციელა; დასავლეთს არც ამჯერად ჰქონია მწვავე რეაქცია.

პირველი წარმატებებით ფრთაშესხმულმა ჰიტლერმა მაშინვე გადაწყვიტა რაიხისთვის "სუდეტების გერმანელები" შეერთებინა, რომლებიც ექვსი საუკუნის მანძილზე ჩეხია-მორავიაში ცხოვრობდნენ საქსონიის, ბავარიის და ავსტრიის მეზობლად და რომლებიც 1919 წლიდან ჩეხოსლოვაკიის სლავურ მთავრობას ექვემდებარებოდნენ.

1938 წლის სექტემბერში მუსოლინის ჩარევის შემდეგ, მიუნხენში ოთხთა კონფერენცია გაიმართა (გერმანია, იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი), რომელზეც გერმანიისთვის მის მიერ მოთხოვნილი სუდეტების მხარის დაუყოვნებლივ გადაცემა გადაწყდა.

ამით პოლონეთმა ისარგებლა და ჩეხოსლოვაკიას წაართვა 1920 წელს შენარჩუნებული სილეზიის ნაწილი.

ერთი თვის შემდეგ ნოემბერში, ჩეხოსლოვაკია იძულებული გახდა უნგრეთისთვის დაებრუნებინა დაბლობის საკმაოდ ფართო ზოლი (ძირითადად უნგრელებით დასახლებული). ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად პოლონეთი ან უნგრეთი (მოგვიანებით სხვებიც) ჰიტლერის მიერ გამოწვეულ არეულობებს თავის სასარგებლოდ იყენებდა და ომის შემდეგ დადგენილ საზღვრებს ცვლიდა.

მიუნხენში აღებული ვალდებულებების (სიტყვიერი) დარღვევის შემდეგ, 1939 წლის მარტში ჰიტლერმა აიძულა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ჰაშა დაეშალა ჩეხოსლოვაკია, ბოჰემია-მორავიის ოლქი გერმანიის რაიხში შესულიყო, სლოვაკია დამოუკიდებლად გამოცხადებულიყო, ოღონდ ჰიტლერის პატრონაჟის ქვეშ (37 000კმ^2, 2,5 მილიონი მცხოვრები).

პარალელურად, ჰიტლერმა დაიპყრო კლაიპედა, რომელიც ადრე პრუსიას ეკუთვნოდა, ხოლო 1924 წლიდან ლიტვას გადაეცა.

იმავე პერიოდში მუსოლინიმ, რომელსაც ჰიტლერის წარმატებები შეშურდა დაიკავა 1926 წლიდან მასზე ეკონომიკურად დამოკიდებული ალბანეთი და 1939 წელს ის იტალიას შეუერთა ასოცირებული სამეფოს ფორმით, იტალიის მეფე ალბანეთის მეფეც გახდა.

ამგვარად, მეორე მსოფლიო ომის წინ, ცენტრალურმა ევროპამ კიდევ ერთხელ შეიცვალა სახე: ჰიტლერის გერმანია ავსტრიით და ბოჰემია-მორავიით გაიზარდა, სლოვაკია მისი თანამგზავრი სახელმწიფო გახდა სამხრეთ-აღმოსავლეთით; მუსოლინის იტალიას თავისი პლაცდარმი ჰქონდა ბალკანეთში, ეს იყო ალბანეთი, რომლის სრული დაპყრობისთვისაც უკვე მზად იყო.

მეორე მსოფლიო ომი

ჰიტლერის ამბიციები ამით სულაც არ დაკმაყოფილებულა: მას ვერსალში დაკარგული ტერიტორიების ძალით დაბრუნება ჰქონდა გადაწყვეტილი. ამ მიზნით, 1939 წელის აგვისტოში ის სტალინთან ალიანსში შევიდა, რის შემდეგაც იგი თავს დაესხა პოლონეთსა და დასავლეთს საბჭოთა კავშირის პროტესტის გარეშე, სტალინს კი დრო მისცა იმ დაპირისპირებისთვის მომზადებულიყო, რომელიც გარდაუვალი ჩანდა. ეს საიდუმლო ალიანსი ამ ორ ქვეყანას შორის პოლონეთის მეხუთე გადანაწილებას ითვალისწინებდა.

1939 წლის 1 სექტმბერს ჰიტლერმა ომი გამოუცხადა პოლონეთს, დაიკავა ქალაქი დანციგი (გდანსკი), რომელიც იმავე დროს შეუერთა გერმანიას. საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი გერმანიის წინაღმდეგ ომში ჩაებნენ, ვინაიდან პოლონეთისთვის უსაფრთხოების გარანტიები ჰქონდათ მიცემული, თუმცა თავდასხმითი ოპერაციები არ განუხორციელებიათ.

1939 წლის პირველი ორი კვირის მანძილზე გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა უპრობლემოდ დაამარცხეს პოლონეთის არმია და გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტით გათვალისწნებული გაელენის ზონები დაიკავეს. ოქტომბერში პოლონეთი ხელახლა გადანაწილდა: დანციგი, პომერელია, პოზნანი, ცენტრალური პოლონე-

თის ნაწილი და პოლონეთის სილეზია გერმანიას შეუერთდა; პოლონეთის კუთვნილი ბელორუსიის მესამედი, ვოლინია და აღმოსავლეთი გალიცია საბჭოთა კავშირს (ბელორუსიასა და უკრაინას); დარჩენილ პოლონეთს ეწოდა პოლონეთის დიდი გუბერნია და მას ადმინისტრირებას რაიხი უწევდა.

სტალინმა, რომელსაც პოლონეთის ტერიტორიების მიერთებამ მადა გაუხსნა, ფინეთს შეუტია, რომელიც მას გმირულად ეწინააღმდეგებოდა; 1940 წლის მარტში სტალინმა მოიპოვა სამხრეთი კარელია და სხვადასხვა მოსაზღვრე ტერიტორია.

ჰიტლერმა ამასობაში, 1940 წლის გაზაფხულზე თავისი არმია დასავლეთის ნინააღმდეგ მიმართა და სწრაფად დაამარცხა ბელგიის, საფრანგეთ-ბრიტანეთის ჯარები, დაიკავა ნიდერლანდი, ბელგია, ლუქსემბურგი და საფრანგეთი. 1940 წლის მაისიდან ნოემბრამდე ჰიტლერმა ცალმხრივად შეუერთა გერმანიას ეიპენი და მალმედი, ლუქსემბურგი და ალზას-ლოთარინგია, ხოლო საფრანგეთის დარჩენილი ნანილი ვიშის რეჟიმის ქვეშ ჩრდილოეთის ოკუპირებულ ზონად და სამხრეთის თავისუფალ ზონად დაიყო.

სტალინმა ისარგებლა 1940 წელს დასავლეთის ფრონტის მარცხით და ხელახლა შეიერთა ბალტიის სახელმწიფოები, რომლებიც საბჭოთა კავშირში შემავალ სოციალისტურ რესპუბლიკებად აქცია; რუმინეთს დაათმობინა ბესარაბია და ჩრდილოეთი ბუკოვინა; აგვისტოში მან ბესარაბია მოლდავეთის ახალ საბჭოთა რესპუბლიკად გადააკეთა, ჩრდილოეთი ბუკოვინა უკრაინას შეუერთა.

ჰიტლერი რუმინეთზე ზეწოლას ახორციელებდა იმისთვის, რომ მას ტერიტორიული საკითხები მოეგვარებინა უნგრეთთან და ბულგარეთთან. 1940 წლის აგვისტოში რუმინეთს უნგრეთისთვის უნდა გადაეცა ტრანსილვანიის 1920 წელს ანექსირებული ჩრდილოეთი ნანილი და საკუთრივ უნგრეთის ნანილი. სექტემბერში რუმინეთი იძულებული გახდა ბულგარეთისთვის დაეთმო სამხრეთი დობრუჯის ოთხკუთედი. რუმინეთის მეფე თავისი ვაჟის სასარგებლოდ გადადგა, მაგრამ რეალური ძალაუფლება გენერალ ანტონესკუს ხელში იყო, რომელმაც რუმინეთში ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა და ქვეყანა გერმანიის ორბიტაში შეიყვანა.

1940 წლის ოქტომბერში იტალიამ ალბანეთის ტერიტორიებიდან საბერძნეთს შეუტია, მაგრამ დამარცხდა და 1941 წლის გაზაფხულზე მუსოლინიმ საშველად მოკავშირეებს უხმო. ჰიტლერმა დახმარება იუგოსლავიაში შეჭრით დაიწყო. 1941 წლის აპრილიდან ჰიტლერი და მუსოლინი ამ ქვეყნის დაშლას შეუდგნენ, რომელიც შემდეგნაირად დაყვეს:

– იუგოსლავიის სლოვენია გერმანიასა და იტალიას შორის გადანაწილდა; გერმანიამ ჩრდილოეთი ნანილი შეიერთა, იტალიამ – სამხრეთი;

– შეიქმნა ხორვატიის სამეფო (99 $კმ^2$, მოსახლეობა 6,3 მილიონი კაცი), რომელშიც შევიდა ხორვატიის ისტორიული ნანილი, ბოსნია-ჰერცეგოვინა და დალმაციის სამხრეთის ნახევარი, რომლის მართვაც მიანდეს უსაჩების დიქტატორულ პარტიას;

– ჩრდილოეთი დალმაცია და კოტორის ყურე იტალიას შეუერთდა;

– ჩერნოგორია აღდგა იტალიის პროტექტორატის ქვეშ;

– მეტოხია და კოსოვო იტალიის ალბანეთს შეუერთდა;

– სერბია თავის 1878 წლის საზღვრებს დაუბრუნდა (51 000 $კმ^2$, მოსახლეობა 3,8 მილიონი კაცი) და ოკუპანტი არმიის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა;

– სერბიის ბანატი თეორიულად სერბიას შეუერთდა, სინამდვილეში კი მას ადმინისტრირებას გერმანელი კოლონისტები "ბანატელი შვაბები" უწევდნენ;

– უნგრეთმა ხელახლა მიიერთა ბაჩკა და 1921 ნელს დაკარგული სხვა ტერიტორიები ბანატის გამოკლებით;

– ბულგარეთმა შეიერთა აღმოსავლეთი მორავია და ადრე იუგოსლავიის კუთვნილი მაკედონია.

დასავლეთსა და აღმოსავლეთში ერთნაირად გამარჯვებული ჰიტლერი ძველებურად მტრულად იყო განწყობილი კომუნიზმისა და სლავური სამყაროს მიმართ, რომლის სიმბოლოც საბჭოთა კავშირი იყო, ამიტომაც მან თავისი არმია აღმოსავლეთისკენ წაიყვანა. 1941 წლის ივნისში გერმანიამ ფართომასშტაბიანი

შეტევა განახორციელა საბჭოთა კავშირზე; მისი ჯარები სწრაფად მიიწევდნენ წინ ბელორუსიასა და უკრაინაში.

1941 წლის აგვისტოში ჰიტლერმა პოლონეთის საგენერალგუბერნატოროს შეუერთა აღმოსავლეთი გალიცია, რომელიც 1939 წლიდან უკრაინას ეკუთვნოდა. მეორე მხრივ, მან გერმანიას შეუერთა ბიალისტოკ-გროდნო-ლომზას ოლქი, რომელიც 1939 წლიდან ბელორუსიის ნაწილი იყო.

გერმანიის "დიდი რაიხი" (მოიცავდა ჩეხია-მორავიის პროტექტორატს, პოლონეთის მთავარ გუბერნიას) ამ პერიოდში მაქსიმალურად გაიზარდა, მისი ფართობი 881 000კმ^2, მოსახლეობა 115 მილიონ კაცს უდრიდა. მუსოლინისთან კავშირში მყოფი ჰიტლერი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ევროპის უმეტეს ნაწილს ფლობდა. მისი თანამგზავრი ქვეყნები იყვნენ: ფინეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, სერბია, რუმინეთი, ბულგარეთი, ხორვატია და ჩერნოგორია, ოკუპირებული იყო: ნორვეგია, დანია, ნიდერლანდი, ბელგია, საფრანგეთი, სერბია და საბერძნეთი, ოკუპაციას გადაურჩნენ: შვეიცია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, შვეიცარია, ლიხტენშტაინი, პორტუგალია, ესპანეთი, ვატიკანი, მალტა, კვიპროსი და თურქეთი.

ელვისებური გეგმა რომლის განხორციელებასაც ჰიტლერი აპირებდა წარმატებით ვერ დასრულდა, რადგან საბჭოთა კავშირში იგი წაანყდა თვალუწვდენელ სივრცეებს, მოუხელთებელ მტერს, რომელიც ბრძოლის ველს კარგად იცნობდა, დიდ მანძილზე გადაჭიმულ ფრონტს (ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე) და მოულოდნელად დიდ წინააღმდეგობას, რის გამოც ჰიტლერი და მისი მოკავშირე ფინელები, უნგრელები, სლოვაკები, რუმინელები და იტალიელები შეჩერდნენ ლენინგრადთან, მოსკოვთან და ვოლგაზე (სტალინგრადის ალყა).

1942 წელი გარდატეხის წელი იყო გერმანია-საბჭოთა კავშირის ომში. 1943 წლიდან გერმანია და მისი მოკავშირეები უკან იხევდნენ აღმოსავლეთის ფრონტზე, კონფლიქტში ჩაება შეერთებული შტატები, 1944 წლის დასაწყისში დიდი ბრიტანეთი ამოქმედდა კონტინენტის სამხრეთით და დასავლეთით.

1943 წლის ივლისში ანგლო-ამერიკული ჯარები სიცილიაზე გადასხდნენ, რამაც რომში მუსოლინის დამხობა გამოიწვია, ხოლო 1943 წლის სექტემბერში იტალიის ჯარების კაპიტულაცია. ჰიტლერი მაშინვე შეიჭრა ჩრდილოეთ იტალიაში, გააქცია დაპატიმრებული მუსოლინი, რომელმაც ჩრდილოეთ იტალიაში შექმნა იტალიის სოციალური რესპუბლიკა.

პარალელურად ჰიტლერმა "სამხედრო თვალსაზრისით" გერმანიის რაიხს შეუერთა ტრენტე, სამხრეთი ტიროლი, ბელუნის პროვინცია, ოქტომბერში კი იტალიური პროვინციები გორიცია, ტრიესტი, პოლა, რიეკა და ლუბლიანა.

გარდა ამისა, ჰიტლერმა იტალიას ჩამოაშორა ჩრდილოეთი დალმაცია, რომელიც ხორვატიას გადასცა, და კოტორის ყურე, რომელიც ჩერნოგორიას გადასცა.

1944 ნელს საბჭოთა ჯარებმა მთელი აღმოსავლეთი ევროპა დაიკავეს და 1945 წლის გაზაფხულზე გერმანიაში შეიჭრნენ. 1944 წლის შუა პერიოდიდან მას შემდეგ, რაც საფრანგეთ-ინგლის-ამერიკის ჯარები ჯერ ნორმანდიაში, შემდეგ კი პროვანსში გადასხდნენ, გერმანელებმა დასავლეთის და სამხრეთის ფრონტებზეც დაიწყეს უკან დახევა.

ევროპის ქვეყნების თანმიმდევრულ განთავისუფლებას 1938 წლიდან განხორციელებული ტერიტორიული ცვლილებების *de facto* გაუქმება მოჰყვა, მათ შორის დიპლომატიური შეთანხმებებისაც, რაც მხოლოდ იურიდიულ დამტკიცებას ითხოვდა. სახელმწიფოები ომამდელ მდგომარეობას უბრუნდებოდნენ, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებებით, რაც სტალინის ამბიციებს უკავშირდებოდა, რომელსაც სურდა ესარგებლა გამარჯვებულის სტატუსით. 1945 წლის გაზაფხულზე გერმანია დამარცხდა და იმავე წლის მაისში გერმანიის კაპიტულაციას მოაწერა ხელი.

1945 წლიდან დღემდე – დანაწილებული და კვლავ გაერთიანებული ევროპა

ევროპის პოლიტიკური ბედი ომის დამთავრებამდე გადაწყდა ორი კონფერენციის მსვლელობისას, რომელშიც აშშ, დიდი ბრიტანეთი და საბჭოთა კავშირი მონაწილეობდნენ. ერთი თეირანში გაიმართა 1943 წლის ნოემბერში, მეორე იალტაში 1945 წლის თებერვალში. პოტსდამში 1945 წლის აგვისტოში გამართულმა მესამე კონფერენციამ მხოლოდ დეტალები დააზუსტა. სტალინმა ამ მოლაპარაკებებზე მიაღწია 1939-1940 წლებში განხორციელებული ანექსიების დამტკიცებას მისი მოკავშირეების მხრიდან და მისი გავლენის სფეროს შექმნას განთავისუფლებულ აღმოსავლეთ ევროპაში; ამგვარად, მოხდა ევროპის დაყოფა დასავლეთსა (ძირითადად შეერთებული შტატები) და საბჭოთა კავშირს შორის. გერმანიისა და ავსტრიის ბედი დროებით მოგვარდა: ისინი ოთხმხრივ ოკუპაციასა და ადმინისტრირებას დაექვემდებარნენ.

1947 წელს პარიზში ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას დამარცხებულ ქვეყნებთან: ბულგარეთთან, ფინეთთან, უნგრეთთან, იტალიასთან, რუმინეთთან. ავსტრიასთან ხელშეკრულებას მხოლოდ 1955 წელს გაფორმდა (ბელვედერის ხელშეკრულება), გერმანიასთან 1990 წელს.

გერმანიამ დაკარგა 1938 წლიდან ანექსირებული ტერიტორიები, კერძოდ: აღმოსავლეთი პრუსია (გაყოფილი საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის), პოლონეთისთვის დათმობილი წინა პომერანია, აღმოსავლეთი ბრანდებურგი და სილეზია, ასევე საარის ტერიტორია, რომელიც 1920 წლის მსგავსად დროებით ჩამოშორდა გერმანიას და გაეროს დაექვემდებარა, ამასთანავე საფრანგეთის ეკონომიკურ სივრცეში ჩაერთო.

გერმანია მოექცა შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის და საბჭოთა კავშირის სამხედრო ოკუპაციისა და ადმინისტრაციის ქვეშ, ბერლინი ამ ოთხმა ქვეყანამ გაიყო. ძალიან მალე გამოიკვთა ცივი ომის ნიშნები და 1949 წელს გერმანია ორად გაიყო: აღმოსავლეთით შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (გდრ-ი), კომუნისტური ქვეყანა, რომელიც საბჭოთა ოკუპაციის ზონას შეესაბამებოდა და სადაც შევიდა მეკლენბურგი, გერმანიის პომერანია, ბრანდებურგი, საქსენ-ანჰალტი, საქსონია და თიურინგია (108 000კმ^2, 18 მილიონი მცხოვრები); დასავლეთით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (გფრ-ი), დემოკრატიული ქვეყანა, რომელიც შეესაბამებოდა სამი დანარჩენი ქვეყნის საოკუპაციო ზონას და სადაც გერმანიის დარჩენილი ნაწილი შევიდა (248 000კმ^2, 55 მილიონი მცხოვრები); სამოქალაქო და პოლიტიკური ადმინისტრაცია იქ გერმანელებს მიანდეს, გამარჯვებულები მხოლოდ სამხედრო ოკუპაციით შემოიფარგლნენ; ბერლინმა შეინარჩუნა თავისი სტატუსი.

გერმანიის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ გერმანელებს ომის გამჩაღებლებად მიიჩნევდნენ და ამიტომაც ისინი გაძევებულ იქნენ ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპიდან (სილეზია, პრუსია, პოზნანი, ჩეხია-მორავია, ტრანსილვანია, ბანატი და ა. შ.), ისინი გფრ-მა მიიღო თავის ტერიტორიაზე.

ავსტრია აღდგა თავის 1938 წლის საზღვრებში, მაგრამ ისიც ოთხმხრივი ოკუპაციის ქვეშ მოექცა; ვენაც ბერლინის მსგავსად ოთხ სექტორად დაიყო. ეს სტატუსი 1955 წლამდე შენარჩუნდა, რის შემდეგაც ავსტრია ყოველგვარი უცხოური ოკუპაციისგან განთავისუფლდა, მაგრამ იძულებული გახდა დათანხმებოდა ნეიტრალიტეტის დაცვას ორივე ბლოკის მიმართ.

ფინეთმა შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა, მაგრამ საბოლოოდ თქვა უარი სამხრეთ კარელიაზე და მანაც ნეიტრალური პოლიტიკა აირჩია.

უნგრეთი თავის 1920 წლის საზღვრებს დაუბრუნდა. ჩეხოსლოვაკია აღდგა, მაგრამ იძულებული გახდა საბჭოთა კავშირისთვის იმიერკარპატების ოლქი დაეთმო.

ასევე აღდგა პოლონეთი, მაგრამ ომამდელი საზღვრებისგან განსხვავებულ ფარგლებში. საბჭოთა კავშირმა მისგან წაიღო პოლონეთის ბელორუსია, ვოლინია და აღმოსავლეთი გალიცია. სანაცვლოდ, მან გერმანიისგან შეიერთა ნინა პომერანია, იქეთა პომერანია (ოდრის ყურე), აღმოსავლეთი ბრანდებურგი და სილეზია, ასევე აღმოსავლეთი პრუსიის სამხრეთის ნახევარი, ყველა ეს ტერიტორია ოდრა-ნაისას აღმოსავლეთით მდებარეობდა (313 000კმ², 25 მილიონი მცხოვრები).

რუმინეთმა უარი თქვა ბესარაბიაზე და ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილის ნახევარზე საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ, მაგრამ მიიღო ტრანსილვანიის და საკუთრივ უნგრეთის ტერიტორიები, რომლებიც 1920 წელს უნგრეთს დაუთმო.

ბულგარეთი ომამდელ საზღვრებს დაუბრუნდა, გაიზარდა სამხრეთი დობრუჯით. ალბანეთი დამოუკიდებელი გახდა და დაუბრუნდა 1939 წლის საზღვრებს.

იუგოსლავია ფედერაციული ფორმით აღდგა და მასში გაერთიანებული იყო ექვსი რესპუბლიკა; მან ომამდელი საზღვრები დაიბრუნა, ამავე დროს გაიზარდა იტალიისგან მიღებული შემდეგი ტერიტორიებით: გორიციის ყოფილი სამთავროთი, დასავლეთი კრაინა და ისტრიით; ტრიესტი და მისი შემოგარენი თავისუფალი ტერიტორია გახდა გაერო-ს კონტროლის ქვეშ 1954 წლამდე; ამ წელინადს კი ეს ტერიტორია იტალიასა და იუგოსლავიას შორის გადანაწილდა.

ორ ბლოკს შორის დაყოფა

ზემოთ ნახსენები ყველა რესპუბლიკა უნგრეთიდან იუგოსლავიამდე კომუნისტური გახდა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ერთად საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში მოექცა; მას ამ რესპუბლიკებში თავისი ჯარები ჰყავდა განლაგებული იუგოსლავიის გამოკლებით, რომელმაც მოსკოვთან კავშირი 1948 წელს გაწყვიტა. ამ ქვეყნებსა და დანარჩენ ევროპას შორის "რკინის ფარდა" დაეშვა, ამას ერთმანეთისგან გათიშვა მოჰყვა და ეს მდგომარეობა ორმოც წელინადს გაგრძელდა.

საბჭოთა კავშირი გარდა იმისა, რომ სატელიტი სახელმწიფოების ქსელი შეიქმნა, კონფლიქტიდან შემატებული ტერიტორიებით გამოვიდა. მას დაემატა ფინეთისგან მიღებული სამხრეთი კარელია, გერმანიისგან მიღებული აღმოსავლეთი პრუსიის ჩრდილოეთის ნახევარი (კალინინგრადის ოლქი/კენიგსბერგი), ბალტიის სამი სახელმწიფო (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა), რომლებიც აღარ იყვნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები და საბჭოთა რესპუბლიკები გახდნენ, პოლონეთის ბელორუსია, ვოლინია, აღმოსავლეთი გალიცია მიღებული პოლონეთისგან, იმიერკარპატების ოლქი მიღებული ჩეხოსლოვაკიისგან, ჩრდილოეთი ბუკოვინა და ბესარაბია მიღებული რუმინეთისგან. ამის შემდეგ მისი ფართობი ევროპაში 5 570 000კმ² გახდა.

საბერძნეთმა დაიბრუნა თავისი ომამდელი სამფლობელო გაზრდილი დოდეკანესის არქიპელაგით, რომელიც იტალიამ დათმო. მან გარდა ამისა იუგოსლავიის სასარგებლოდ უარი თქვა ისტრიაზე, დასავლეთ კრაინაზე და გორიციის ყოფილ საგრაფოზე.

ნეიტრალური სახელმწიფოების ფინეთის, შვეციის, ირლანდიის, შვეიცარიის და ავსტრიის გარდა, ის ქვეყნები, რომლებიც საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში არ მოექცნენ, ნორვეგიიდან თურქეთის ჩათვლით, ჩრდილოეთ ატლანტიკურ ალიანსში გაერთიანდნენ (1949), ეს პოლიტიკური და სამხედრო ალიანსია შეერთებული შტატების ჯარებისა და ბირთვული ფარის დაცვის ქვეშ, შექმნილი საბჭოთა კავშირის მუქარის საპირისპიროდ.

საბჭოთა კავშირმა ამას ვარშავის პაქტით უპასუხა (1955), რომელიც სამხედრო ალიანსი იყო და აერთიანებდა მის ვასალებს აღმოსავლეთ ევროპაში. ამგვარად დაინყო კონფრონტაციის პროცესი შეიარაღებული კონფლიქტის გარეშე (ევროპაში), ცივი ომი, რომელიც ბირთვული "წონასწორობის ტერორს" ეყრდნო-

ბოდა და რომელმაც პარადოქსულად ორმოცი წლის მანძილზე შეინარჩუნა კონტინენტზე მშვიდობა.

აქედან გამომდინარე, გეოპოლიტიკური პირობების რადიკალურად შეცვლის მიუხედავად ევროპის ტერიტორიული მდგომარეობა ამ ორმოცი წლის განმავლობაში გაიყინა და იქ ძალიან მცირე ცვლილებები მოხდა.

1944 წლის ივნისში ისლანდია რესპუბლიკა გახდა და საბოლოოდ გამოეყო დანიას. 1949 წლის აპრილში სამხრეთი ირლანდია თანამეგობრობას გამოეყო.

1954 წლის ოქტომბერში ტრიესტის თავისუფალი ტერიტორია იტალიამ და იუგოსლავიამ გაიყვეს.

1957 წლის იანვარში ზაარის თავისუფალი ტერიტორია გერმანიას დაუბრუნდა და მისი ერთ-ერთი მიწა გახდა.

1960 წლის აგვისტოში კუნძული კვიპროსი დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა, რომელმაც იქ მხოლოდ ორი ბაზა შეინარჩუნა. 1974 წელს ის *de facto* ორ ნაწილად გაიხლიჩა; ჩრდილოეთი ნაწილი თურქეთის ახალი სატელიტი სახელმწიფო გახდა.

1964 წლის სექტემბერში კუნძული მალტა დამოუკიდებელი გახდა, მაგრამ მის სუვერენად ინგლისის დედოფალი დარჩა. 1974 წლის დეკემბერში ის რესპუბლიკა გახდა და საბოლოოდ გამოეყო დიდ ბრიტანეთს.

ევროპის გაერთიანების კენ

ფართო მასშტაბიანი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, რომელმაც ორჯერ გახვია ცეცხლის ალში ევროპა, კონტინენტის ქვეყნებს შორის თანამშრომლობა დაიწყო.

1957 წლის მარტში ხელი მოეწერა რომის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (ეეთ) და ატომური ენერგიის ევროპის თანამეგობრობა (EURATOM) შეიქმნა; ამ ორ ორგანიზაციაში ექვსი ქვეყანა გაერთიანდა: საფრანგეთი, გფრ-ი, ბელგია, ნიდერლანდი, ლუქსემბურგი და იტალია.

1960 წელს *ეეთ*-სთან დასაპირისპირებლად ევროპის თავისუფალი გაცვლის ასოციაცია (ეთგა) შეიქმნა, რომელშიც გაერთიანდნენ ავსტრია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, პორტუგალია, შვეცია და შვეიცარია. მაგრამ *ეეთ*-სგან განსხვავებით *ეთგა* ვერ გაძლიერდა.

1973 წელს *ეეთ*-ს წევრები ცხრამდე გაიზარდა დანიის, დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის გაწევრიანების შემდეგ. 1981 წელს მის წევრებს საბერძნეთი შეემატა. 1986 წელს მისი წევრების რაოდენობამ თორმეტს მიაღწია ესპანეთისა და პორტუგალიის გაერთიანების შემდეგ.

მაასტრიხტის ხელშეკრულების დადების შემდეგ (1992 წლის თებერვალი), *ეეთ* ევროპის კავშირად გადაკეთდა, რომელსაც კონფედერაციის ხასიათი ჰქონდა და ცდილობდა უფრო მჭიდრო, ფედერალური კავშირი გამხდარიყო.

1995 წელს ევროპის კავშირის წევრები თხუთმეტამდე გაიზარდა, მას შემდეგ რაც იქ ავსტრია, შვეცია და ფინეთი გაერთიანდნენ. მისმა ფართობმა შეადგინა 3 230 000კმ^2, მოსახლეობამ 370 მილიონი კაცი.

1989-1991 წლებში ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის კომუნისტური რეჟიმები და საბჭოთა კავშირი ერთმანეთის მიყოლებით დაემხო და მეტნაკლებად დემოკრატიული რეჟიმებით შეიცვალა, დამკვიდრდა პარტიების პრულარიზმი.

1990 წლის ნოემბრიდან არსებობა შეწყვიტა გდრ-მა და გფრ-ს შეუერთდა; მისი ფართობი გახდა 357 000კმ^2, მოსახლეობა 79 მილიონი კაცი.

1990 ნელს საბჭოთა კავშირის არსებობამ აზრი დაკარგა, რადგან მისი შემადგენლობა დატოვეს ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, მოლდოვეთმა, უკრაინამ, ბელორუსიამ, ასევე კავშირის აზიის ქვეყნებმაც. საბჭოთა კავშირი 1991 წლის დეკემბერში დაიშალა; ის ძალიან არაეფექტურმა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა

თანამეგობრობამ შეცვალა (*დსთ*), სადაც მხოლოდ რუსეთი, უკრაინა და ბელორუსია გაერთიანდნენ.

1991 წელს იუგოსლავიის შემადგენლობიდან გავიდნენ სლოვენია, მაკედონია, ხორვატია და ბოსნია-ჰერცეგოვინა, იქ მხოლოდ სერბია და ჩერნოგორია დარჩნენ; ბოსნია-ჰერცეგოვინაში სამი წელი მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი, რომლის დამთავრების შემდეგაც ის კონფედერაციული სახელმწიფო გახდა (სერბების მხარე და ხორვატ-მუსლიმების მხარე).

1993 წლის იანვარში ჩეხოსლოვაკია ორ სახელმწიფოდ დაიშალა; ჩეხეთი და სლოვაკეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ.

ნაწილი II

დღეს არსებული სახელმწიფოები

ავსტრია

ზოგადი მონაცემები

რესპუბლიკური სახელმწიფო: ავსტრიის რესპუბლიკა, ფედერაციული სახელმწიფო.
პრეზიდენტი: ეინც ფიშერი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ორი პალატა, ეროვნული საბჭო (Nationalrat), რომლის წევრები მთელი ავსტრიის წარმომადგენლები არიან და ფედერალური საბჭო (Bundesrat), რომლის წევრებიც არჩეულნი არიან მინების პარლამენტების (ლანდტაგების) მიერ.
დედაქალაქი: ვენა
პოლიტიკური და ადმინისტრაციული დაყოფა: 9 ფედერალური მინა (Bundesländer): ვენა-დედაქალაქი, ქვემო ავსტრია (სანკტ-პიოლტენი), ზემო ავსტრია (ლინცი), ზალცბურგი (ზალცბურგი), ფორარლბერგი (ბრეგენცი), ტიროლი (ინსბრუკი), კანინთია (კლაგენფურტი), შტირია (გრაცი), ბურგენლანდი (აიზენშტადტი).
ფართობი: 83 860 კმ^2; მოსახლეობა; 8 მილიონ კაცი;
სიმჭიდროვე: 95 კაცი 1კმ^2-ზე.
ენა: გერმანული.
რელიგია: კათოლიკური.
ფულულის ერთეული: შილინგი; 2002 ნლიდან ევრო.

შენიშვნები

*1804 წლამდე (თარიღი, როდესაც გერმანიის იმპერატორმა ფრანც II-მ დაიმატა ფრანც I ავსტრიელის ტიტული), **ავსტრიის იმპერია** არ არსებობდა; არსებობდა მხოლოდ ავსტრიული სახლის (ჰაბსბურგების) სამფლობელოების კონგლომერატი, რომელიც დანაწილებული იყო უნგრეთის, ბოჰემიის, პოლონეთის სამეფოებსა (1772 წლიდან) და მემკვიდრეობით სახელმწიფოებს შორის, რომელთა შორისაც ავსტრიის საერცჰერცოგო მხოლოდ ერთ-ერთი პროვინცია იყო და მას ეკუთვნოდა ვენა.*

ავსტრიის სახლი საუკუნეების მანძილზე განაგებდა ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილს – თანაც იმგვარად, რომ საღთო რომის იმპერიის სახელმწიფოებისათვის არ სჭირდებოდა ძალაუფლების დემონსტრირება – თუმცა დროთა განმავლობაში მისი ძალაუფლება იმგვარად შესუსტდა, რომ XVIII საუკუნის ბოლოსათვის ეს ქვეყნები, განსაკუთრებით გერმანიის დიდი მიწები თითქმის დამოუკიდებლები გახდნენ.

მემკვიდრეობით სახელმწიფოებთან დაკავშირებით ჰაბსბურგები თავის ძალაუფლებას და გავლენას აძლიერებდნენ მცირე სახელმწიფოების ნელი გაერთიანების ხარჯზე, რომელთაც საერთო სახელის ქვეშ "ავსტრია" აჯგუფებდნენ და რომელიც მათი პოლიტიკური ძალაუფლების ხერხემალი იყო.

ამ თავში მხოლოდ ეს სახელმწიფოები იქნება განხილული.

ამას სხვა შედარებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოები ემატება, რომლებსაც ჰქონდათ მიღებული მემკვიდრეობა, მაგრამ მათი პოზიცია მეტ-ნაკლებად სადავო იყო: ბოჰემიის სამეფო, უნგრეთის სამეფო, ტოსკანა, პოლონეთის ნაწილი, ნიდერლანდი, ლომბარდია-ვენეცია. მათ აქ იმ როლის გამო განვიხილავთ, რომელიც ავსტრიის სახლის პოლიტიკურ ევოლუციაში შეასრულეს, მაგრამ უფრო დაწვრილებით ისინი სხვა თავებში იქნება განხილული (ჩეხეთი, უნგრეთი, იტალია, ბელგია, ნიდერლანდი, პოლონეთი და ა.შ.)

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ავსტრიის მოკლე ისტორიული ნარკვევი

ერთიანი ავსტრიის შექმნა ხანგრძლივი პროცესია, რაშიც დიდი წვლილი ჰაბსბურგეების სახლს, მათ სიმტკიცეს, ნარმატებებსა და პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას მიუძღვის.

1. ჰაბსბურგების დინასტიის გაძლიერება დუნაიზე (1282 წელი)

დუნაის ზემო დინების მიმდებარე რეგიონები ოდითგანვე კელტებით იყო დასახლებული. ჩვ. წთ. აღ-ის დასაწყისში რომაელებმა დუნაიზე თავისი იმპერიის მტკიცე ზღუდე აღმართეს და იქ სამი პროვინცია დააარსეს: **რეცია, ნორიკი და პანონია.**

მოგვიანებით დაიწყო შემოსევების პერიოდი. 791 წელს მდინარეებს ენსს და რაბს შორის მდებარე ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ, კარლოს დიდმა 811 წელს ის თავის იმპერიას მიუერთა ავარული (იგივე აღმოსავლეთის) მარკის სახელნოდებით. 900 წელს ამ ტერიტორიას უნგრელები შეესივნენ, რომელიც 955 წელს იმპერატორმა ოტო I-მა გაათავისუფლა. 976 წელს ოტო II-ემ იმ სამარკგრაფოს მმართველად, რომელიც 996 წლის დოკუმენტით პირველად არის მოხსენიებული ავსტრიად, გრაფი ლეოპოლდ ბაბენბერგი დანიშნა. (Oesterreich).

ბაბენბერგები იქ სამი საუკუნის მანძილზე მეფობდნენ და ტერიტორიების გაფართოებით გზას უმზადებდნენ ჰაბსბურგების დინასტიას: მათ მიიერთეს ზემო ავსტრია (1156 წელს) და მიღებულ ერთეულს ავსტრიის საჰერცოგო უწოდეს. 1192 წელს ბაბენბერგების ხელში გადავიდა შტირია, 1233 წელს კრაინა, ხოლო 1246 წელს მათი მმართველობა დასრულდა. ქვეყანას ხანმოკლე ვადით მართავდა ბოჰემიის მეფე ოტოკარი, რომელმაც სამფლობელოები კარინთიით (1269), ისტრიითა და ფრიულიით გააფართოვა, 1282 წელს კი საჰერცოგოები იმპერატორ როდოლფ დე ჰაბსბურგის ვაჟს გადაეცა.

2. 1282 წლიდან ჩეხეთისა და უნგრეთის მემკვიდრეობამდე (1526 წელი)

ჰაბსბურგების სახლი ამ პერიოდში მყარად არის ფეხმოკიდებული ალზასში, შვეიცარიაში, შვაბეთში. **ჰაბსბურგის** საგრაფოს მან ძალიან მალე მიუმატა **ზუნდგაუს** საგრაფო (ალზასში) შემდეგ **ზემო ალზასის** სალანდგრაფო, **ლენცბურგის** საგრაფო (შვეიცარია), სამფლობელოები არგაუში და ციურიხის რეგიონში, ასევე ლუცერნის ტბის სანაპიროები. 1264 წელს რუდოლფ დე ჰაბსბურგმა, რომელიც 1273 წელს იმპერატორი გახდა, მიიღო კიბურგების მემკვიდრეობა: **სამფლობელოები ბრისგაუში, დასავლეთ შვეიცარიაში** (ფრაიბურგის, ბერნის, ზოლატურნის რეგიონები), **კიბურგის საგრაფო, ტურგაუს სალანდგრაფო.**

ავსტრიის სამფლობელოების გაფართოება, იმ პერიოდიდან მიმართული ბაბენბერგების მემკვიდრეობისკენ, სახელდობრ კი ვენისკენ, რომელიც მოგვიანებით მისი დედაქალაქი გახდა, უფრო მეტად ქორწინებებისა და შესყიდვების ხარჯზე ხდებოდა, ვიდრე ძალის გამოყენებით, როგორც ამას ცნობილი მათიას კორვინი ამბობდა:

Bella gerant alii; tu, felix Austria, nube;
Nam quae Mars aliis, dat tibi regna Venus.

(სხვები ომობენ, შენ კი ბედნიერო ავსტრიავ, შენ ქორწინდები და თუ სხვებს სამეფოებს მარსი აძლევს, შენ მათ ვენერა გჩუქნის).

ასეთ აღმასვლას ხშირად მარცხი ახლავს; მაგალითად 1286 წელს **კარინთიის** საჰერცოგო დაიკარგა გრაფ მაინჰარდ დე გორეცის სასარგებლოდ, რომელიც ჰაბსბურგებს დაეხმარა ბოჰემიის მეფე ოტოკარის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუდოლფის უფროსმა ვაჟმა ალბერტ დე ჰაბსბურგმა, რომელიც უფრო მეტად თავისი იმპერიული ამბიციებით იყო დაკავებული, საგვარეულო სამფლობელოები მხოლოდ ზემო დუნაიზე გააფართოვა **ბურგაუს სამარკგრაფოთი** (1301 წელს)

შემდგომში ავსტრიის სახლმა ძალიან იოლად მიიღო გოერც-ტიროლის ოჯახის მემკვიდრეობა: 1335 წელს **კარინთია**, ხოლო 1369 წელს – **ტიროლი**, ჰაბსბურგების მფლობელობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც ერთი მხრიდან მდინარე ინის და ადიჯეს ზემო ველს მოიცავდა და მეორე მხრიდან ალპების უღელტეხილს.

ამ მნიშვნელოვანი შენაძენების პარალელურად ჰაბსბურგის ხელში გადავიდა **ფერეტის საგრაფო** ალზასში (1324) და **ფელდკირხი** ფორარლბერგში (1365), **ბრისგაუს** სალანდგრაფო შვაბიაში (1367), **ბლუდენცის საგრაფოები** ფორალბეგში (1376) და **ჰოენბერგი** შვაბიაში (1381), ქალაქი **ტრიესტი** (1382), **ზეკინგენის** საგრაფოები ბრისგაუში (1401) **ბრეგენცის** ფორარლბერგში (1451), **სილია** კრაინაში (1456), **ნელემბურგის** სალანდგრაფო შვაბიაში (1465), **გორიციის და ფუშტერტალის** საგრაფოები ფრიულიში და **მიტერბურგი** ისტრიაში (1500), **ბრეგენცის სამთავროს** დარჩენილი ნაწილი და **ჰოენეკის სამთავრო** ფორარლბერგში (1523).

აქედან მოყოლებული ჰაბსბურგები ხანგრძლივად მართავდნენ საკმაოდ ჰომოგენურ გერმანულ სამფლობელოს ალზასიდან უნგრეთის დაბლობამდე და დუნაიდან ადრიატიკის ზღვამდე.

იმ მიზნით, რომ ხაზი გაესვათ იმპერიაში მათი სახლის უპირატესობისათვის, ჰაბსბურგებმა 1453 წელს საბოლოოდ დაამკვიდრეს სახელწოდება **ავსტრიის საერცჰერცოგო**, რომელიც პირველად 1156 წელს იქნა შემოღებული *privilegium majus*-ით (სავარაუდოდ ყალბი) და ხელახლა გამოცხადებული 1359 წელს, ოქროს ბულას სანინააღმდეგოდ (1356) რომლის მიხედვითაც მათი სახლი რომის საღვთო იმპერიის საარჩევნო კოლეგიის მიღმა დარჩა.

მართალია **XIV და XV საუკუნეებში ჰელვეციის სამფლობელოები დაიკარგა** (თავდაპირველად ჰაბსბურგების) რეცუნის და ფრიქტალის გამოკლებით, მაგრამ 1477 წელი მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისია ავსტრიისთვის, რადგან შარლ გულადის (Charles le Téméraire) სიკვდილის შემდეგ, მისი ქალიშვილი მარია ბურგუნდიელი ცოლად გაჰყვა ავსტრიის მემკვიდრე მაქსიმილიანს, რამაც **ავსტრიის სახლს შესაძლებლობა მისცა მიეღო ბურგუნდიული სამემკვიდრეოს უმეტესი ნაწილი** (ნიდერლანდი, ფრანშ-კომტე), ოღონდ მისი მნიშვნელოვანი ნაწილის – ბურგუნდიის საჰერცოგოს გამოკლებით.

3. 1526 წლიდან 1789 წლამდე

ავსტრიის გაფართოების მნიშვნელოვან თარიღად მაინც 1526 წელი ითვლება მოჰაჩის ბრძოლის გამო, რომელშიც უნგრეთის და ბოჰემიის მეფე ლაიოშ II დაიღუპა და მისი სამფლობელოები მისი სიძის ფერდინანდ I ავსტრიელის, კარლ V-ის ძმის ხელში გადავიდა. აქ საჭიროა 1496 წლის გახსენება, როდესაც მაქსიმილიანის შვილმა ფილიპე ლამაზმა იმპერატორად გახდომის შემდეგ ცოლად შეირთო ესპანეთის „კათოლიკე მეფეთა" ქალიშვილი შეშლილი ხუანა (Jeanne la folle). ეს ქორწინება გაძლიერდა მისი დის მარგარიტას ინფანტ ხუანთან ქორწინებით, რომელიც ესპანეთის ტახტის მემკვიდრე იყო, მაგრამ ნაადრევად გარდაიცვალა და **ესპანეთის მემკვიდრეობა** ფილიპესა და ჟანას უფროსი ვაჟის **კარლოსის** ხელში გადავიდა (1516); შემდგომში იგი იმპერატორი კარლ V გახდა (1519) და **ავსტრიის სამფლობელო** თავის მომდევნო ძმას, **ფერდინანდს** დაუტოვა; ამგვარად სამფლობელოები *de facto* გაიყო ორ ნაწილად – ესპანურ და ავსტრიულ ნაწილებად, რაც 1556 წელს დამტკიცდა.

ერცჰერცოგმა ფერდინანდმა, რომელიც 1558 წელს იმპერატორი გახდა, ცოლად შეირთო ლაიოშ II-ის და ანა, ხოლო მისი და მარია კი ლაიოშ II-ს გაჰყვა ცოლად (1521). ლაიოშ II-ის სიკვდილის შემდეგ ფერდინანდმა თავი გამოაცხადა **ბოჰემიის** (ბოჰემია, მორავია, სილეზია, ლაუზიცი) და **უნგრეთის** (უნგრეთი, ხორვატია-სლავონია, ტრანსილვანია) მეფედ. თუმცა უნგრეთში მან მალევე დაკარგა

ტრანსილვანია, რომელიც მის მონინააღმდეგეს, იან ზაპოლის შეუნარჩუნდა თურქეთის მხარდაჭერით, ასევე სლავონია, და უნგრეთის სამხრეთის ნახევარი, რომელიც სულთანმა სულეიმან კანუნიმ (დიდებულმა) დაიკავა (1549).

ერთი საუკუნის მანძილზე ავსტრიის სახლის ტერიტორიული მდგომარეობა არ შეცვლილა. მისი ძალისხმევა შეძენილი ტერიტორიების შენარჩუნებისკენ და იმ წინააღმდეგობების დაძლევისკენ იყო მიმართული, რომელსაც გარედან ოსმალეთის ზენოლის, შიგნიდან კი რეფორმაციას გამო განიცდიდა.

რელიგიური მიზეზებით ნარმოებულმა ოცდაათნლიანმა ომმა (1618-1648) შეარყია ავსტრიის სახლის სიმტკიცე, როგორც მის საკუთარ სამფლობელოში, ისე საღვთო რომის იმპერიაშიც.

ამ ხანგრძლივმა კონფლიქტმა, რომელიც გამწვავებული იყო დანიის, შვედეთის, საფრანგეთის და ესპანეთის ჩარევებით, ავსტრიას **თანდათანობით დააკარგვინა ლაუზიცი** (1635) **და ალზასის სამფლობელოები** – ზემო და ქვემო ალზასის სალანდგრაფოები, ქალაქი ბრაიზახი, ფერეტის საგრაფო.

ავსტრიის სახლის გავლენა კიდევ უფრო შეასუსტა საღვთო რომის იმპერიის საქმეებში საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოების მუდმივმა ჩარევებმა.

სამაგიეროდ, XVIII საუკუნეში ავსტრიამ გააფართოვა თავისი ტერიტორიები ნიდერლანდში, უნგრეთში და იტალიაში.

თურქეთის ბოლო მცდელობას – თავისი ექსპანსია ცენტრალურ ევროპაში გაეშალა (1683 წლის ვენის მეორე ალყა), მოჰყვა იოგენე სავოიელის საპასუხო შეტევები, რამაც საშუალება მისცა ავსტრიას 1699 წელს დაებრუნებინა **ტრანსილვანია, თურქეთის უნგრეთი, სლავონიის დიდი ნაწილი,** შემდეგ, 1718 წელს **ბანატი, სირმია, სერბიის ნაწილი და 1718 წელს მცირე ვლახეთი**; თუმცა 1739 წელს სამი პროვინცია – სირმია, სერბია და ელახეთი კვლავ დაიკარგა.

ამ ბრძოლებს თურქეთის საზღვრის გაყოლებაზე სამხედრო კონფლიქტების განახლება მოჰყვა.

ნიდერლანდისა და იტალიის ხარჯზე ავსტრიის სახლის გაფართოება უპირველეს ყოვლისა ესპანეთის მემკვიდრეობის გამო ნარმოებული ომის შედეგი იყო. ჰაბსბურგების უკანასკნელი ნარმომადგენელი ესპანეთში 1700 წელს გარდაიცვალა და თავისი უზარმაზარი სამფლობელოები საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ის შვილიშვილს, ფილიპე ანჟუელს დაუტოვა, რასაც ხანგრძლივი ომი მოჰყვა, რადგან ავსტრიის სახლის ნარმომადგენელი ერცჰერცოგი კარლი ამ მემკვიდრეობისთვის იბრძოდა, ვინაიდან თვლიდა, რომ კანონიერი მფლობელი თვითონ იყო.

ათწლიანი კონფლიქტის დასრულების შემდეგ, ავსტრია უარს ამბობს ესპანეთის ტახტზე და **ღებულობს მანტუის საპერცოგოს** (1708), **მილანის საპერცოგოს, ესპანეთის ნიდერლანდს, ნეაპოლისა და სარდინიის სამეფოებს** (1714), თუმცა ეს უკანასკნელი 1720 წელს სიცილიაზე გაიცვალა.

პოლონეთის მემკვიდრეობისათვის ნარმოებული ომის შედეგად (1735/1738) **ავსტრიამ სარდინიის მეფეს დაუთმო ნოვარა და ტორტონე, ესპანეთის ბურბონებს ორივე სიცილიის სამეფო** (ნეაპოლი და სიცილია), სანაცვლოდ კი **პარმის საპერცოგო** მიიღო, ხოლო ჰერცოგმა ფრანც-სტეფან ლოთარინგიელმა, ერცჰერცოგ მარია ტერეზიას მომავალმა მეუღლემ, დათმო თავისი საპერცოგო (1735), შემდეგ **ტოსკანიის დიდი საპერცოგო** (1737), რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ ავსტრიის სახლის მეორად მფლობელობაში გადავიდა.

შემდგომში **ავსტრია იძულებული გახდა** 1742 **წელს პრუსიისთვის დაეთმო გლაცის საპერცოგო და სილეზიის დიდი ნაწილი,** ხოლო 1748 **წელს სარდინიისათვის ვიჯევანო, ესპანეთის ბურბონებისათვის კი პარმის საპერცოგო.**

ავსტრიამ ეს მნიშვნელოვანი დანაკარგები ვერ აინაზღაურა ვერც ფორარლბერგის ჰოენემსის საპერცოგოს მიერთებით, ვერც პფალცის ფალკენშტაინის პანაწინა საპერცოგოსა და ტოსკანის საპერცოგოს მიერთებით (1765), რაც განხორციელდა მეორადი მფლობელობის უფლებით იმპერატორ ფრანც I-ის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც მარია-ტერეზიას მეუღლე და ამ ქვეყნის ერცჰერცოგი იყო.

1771 წელს მოდენის პერცოგმა ერკიულ III, რომელსაც ვაჟი მემკვიდრე არ ჰყავდა, გადაწყვიტა თავისი საჰერცოგო ავსტრიისთვის გადაეცა მეორად მფლობელობაში.

1772 წელს პრუსიის მეფემ ფრიდრიხ II-მ დაარწმუნა რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II მონაწილეობა მიეღო იმ პირველ გადანაწილებაში, რომელიც პოლონეთის მესამედს ეხებოდა და რომელშიც ავსტრიაც მონაწილეობდა. ამის შედეგად **ავსტრიამ პოლონეთისაგან მიიღო:**

– **სპიშსკას მედიეს ცამეტი საქსონური ქალაქი,** რომელიც 1412 წელს გადაეცა პოლონეთს;

– **მცირე პოლონეთის სამხრეთი ნაწილი** (ვისლას მარჯვენა სანაპირო), ოსვენციმისა და ზატორის საგრაფოები, **წითელი რუსეთის (La Russie rouge) უმეტესი ნაწილი,** ეს ტერიტორიები გაერთიანდა **გალიციისა და ლოდომერიის ახალ სამეფოში,** რომლის დედაქალაქი იყო ლვოვი.

1775 წელს **ავსტრიამ** მომრიგებლის იმ როლის საფასურად, რომელიც 1768 წელს შეასრულა რუსეთ-თურქეთის კონფლიქტის შენყვეტაში, **მიიღო ბუკოვინა პორტასგან** (მოლდავეთის ჩრდილოეთი ნაწილი), რომელიც მოლდავეთის სიუზერენის სახელით მოქმედებდა.

1777 წელს ბუკოვინა შეუერთდა გალიციას, ავსტრიის ჯარების მიერ განხორციელებული ადმინისტრირების შემდეგ.

ბავარიის კურფიურსტის მაქსიმილიან-იოზეფის გარდაცვალების შემდეგ (1777ნლის დეკემბერი), მისი სამფლობელოები პფალცის კურფიურსტ-კარლ-თეოდორს გადაეცა.

იმპერატორი იოზეფ II, გარდაცვლილი კურფიურსტის სიძე ცდილობდა თავისი ავსტრიული სამფლობელოების გაფართოებას; მან კურფიურსტი კარლ თეოდორი აიძულა 1778 წლის იანვარში, მის სასარგებლოდ დაეთმო აღმოსავლეთი ბავარიის ნახევარი და ასევე მის სასარგებლოდ საკუთარი მემკვიდრე, ცვაიბრიუკენ-ბირკენფელდის ჰერცოგი მემკვიდრეობის გარეშე დაეტოვებინა.

ცვაიბრუკენის ჰერცოგმა, რომელსაც მხარს პრუსიის მეფე ფრედერიკი უჭერდა, საჩივარი შეიტანა რეგენსბურგის დიეტში. ამას პრუსიასა და ავსტრიას შორის ომი მოჰყვა, რომელშიც საბოლოო მომრიგებლის როლი საფრანგეთმა და რუსეთმა შეასრულეს.

1779 წლის მაისში ცეშინში მოხდა დაზავება; **ბავარიამ ავსტრიას დაუთმო ინის მონაკვეთი (ინფიერტალი),** რომელიც მდებარეობდა ინსა და ძველ საზღვარს შორის. ინფიერტალი ადმინისტრაციულად ზემო ავსტრიის მმართველობას მიეკუთვნა.

1780 წელს მონფორტის ბოლო გრაფის გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრე არ ჰყავდა, **ავსტრიამ მიიღო შვაბიის სამფლობელოები ტეტნანგი და ლანგენხაგენი,** გარდაცვლილი გრაფის ბოლო საკუთრება.

1781 წელს იოზეფ II ისარგებლა დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ პროვინციებს შორის ომით და ავსტრიის ნიდერლანდის რვა პუნქტიდან განდევნა ნიდერლანდის გარნიზონები.

იმპერატორი შეეცადა გაერღვია ნიდერლანდის ბლოკადა ანტვერპენზე, რასაც კინაღამ ომის დაწყება მოჰყვა. საფრანგეთის ჩარევით ხელი მოეწერა ფონტენებლოს ზავს (1785 წლის ნოემბერი), რითაც ყველა ბარიერი მოიხსნა და **ავსტრიის ნიდერლანდს გადაეცა ლილო და ლიფენსბუკი** მდინარე შელდაზე.

საგანმანათლებლო იდეებით სავსე იმპერატორი იოზეფ II თხუთმეტი წლის მანძილზე (1765-1780) დედასთან, მარია-ტერეზიასთან ერთად მართავდა ავსტრიას. მარია-ტერეზიას გარდაცვალების შემდეგ (1780) იგი ერთპიროვნული მმართველი გახდა და მთელი რიგი ადმინისტრაციული რეფორმა გაატარა, რაც სხვადასხვა პროვინციების სტატუსების გაერთვგაროვნებაში გამოიხატა და რასაც თითოეული მათგანის ასამბლეის გაუქმება ახლდა თან.

1780 წლიდან 1790 წლამდე ავსტრიის სამფლობელოები თანდათან გადანაწილდა 13 ერთეულად, რომლებიც თავის მხრივ ოლქებად იყოფოდა: გალიცია,

ბოჰემია, მორავია და სილეზია, ქვემო ავსტრია, შიდა ავსტრია (შტირია, კარინთია, კრაინა), ტიროლი, გარე ავსტრია (შვაბეთის და ბრისგაუს სამფლობელოები), ტრანსილვანია, უნგრეთი, ხორვატია, ლომბარდია, გორიცია- გრადისკა და ტრიესტი, ნიდერლანდი.

ეს რეფორმა, რომელიც მეტად არაპოპულარული იყო, 1790 ნელის მარტში გაუქმდა, მისი ძმის ლეოპოლდII-ის იმპერატორად გახდომისთანავე.

II. ავსტრია 1789 ნელს. ევროპის მნიშვნელოვანი სახელმწიფო

ევროპის სცენაზე ავსტრია თავისი სამფლობელოებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა იყო. იგულისხმება მეტად ნინააღმდეგობრივი ტერიტორიული მთლიანობა, 640 000 კმ², ფართობი და 24,5 მილიონი კაცი ცენტრალურ ევროპაში, ნანილობრივ საღვთო რომის იმპერიაში (ბოჰემიის სამეფო, მემკვიდრეობითი სახელმნიფოები, ნიდერლანდი: 220000 კმ², 10,5 მილიონი კაცი), ნანილობრივ მის ფარგლებს გარეთ (უნგრეთის სამეფო, გალიცია, ლომბარდიის სამფლობელოები: 420000კმ², 14 მილიონი კაცი).

ასეთი მნიშვნელოვანი ერთიანობა გერმანელ იმპერატორს (რომლის არჩევაც რეგულარულად ავსტრიაში ხდებოდა) რეალურ ძალაუფლებას ანიჭებდა, რაც მას საშუალებას აძლევდა ხელში ჩაეგდო საღვთო რომის იმპერიის სხვა სახელმწიფოები, ისევე როგორც იტალიის ტერიტორიები და მთელ ევროპაში წამყვანი როლი შეესრულებინა. ასეთ *imperium*-ს ბუნებრივია მას პრუსიის მეფე ეცილებოდა, რომელიც იმედოვნებდა რომ ამაში მხარს რუსეთის იმპერატორი დაუჭერდა, თუმცა იმპერიაში და იტალიაში არსებული ღრმა კავშირების გამო ავსტრიის პოზიცია ურყევი რჩებოდა. 1755 ნლის ინგლისის ღალატი კომპენსირებული იყო 1756 ნელს „სამოკავშირეო ურთიერთობების შეცვლით", რამაც ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთმანეთთან დააკავშირა საფრანგეთი და ავსტრია, რომლებიც მანამდე საუკუნეების განმავლობაში ურთიერთდაპირისპირებულები იყვნენ.

მართალია ავსტრიას აღარ ჰქონდა მსოფლიო ბატონობის ამბიცია და მისი ქედმაღლური დევიზი A.E.I.O.U. [*Austria Est Imperare Orbi Universo; Austris Erit In Orbe Ultima, Aquila Electa Juste Omnia Vincit; Alles Erdreich Ist OEsterreich Unterthan*] მხოლოდ ამაო ილუზიაღა იყო. მაგრამ მისი დინასტია, გერმანიასა და იტალიაში თავისი მუდმივი გავლენით, მომრიგებლის როლს ინარჩუნებდა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ავსტრია ძირითადად განფენილი იყო დუნაის ზემო და შუა აუზზე („დუნაის მონარქია"), უნგრეთის დაბლობზე, ბოჰემიის ოთკუთხედზე (ელბის ზემო აუზი), ცენტრალურ და აღმოსავლეთ ალპებზე, პოლონეთის დაბლობებიდან ადრიატიკის ზღვამდე, კონსტანციის ტბიდან კარპატების სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხემდე. ამ კომპაქტური ბლოკის დასავლეთით ის ერთმანეთისგან იზოლირებულ და ევროპაში მიმოფანტულ ტერიტორიებს ფლობდა: ავსტრიის ნიდერლანდი, შვაბიის სამფლობელოები, ლომბარდიის სამფლობელოები.

ბოჰემია, უნგრეთი, გალიცია, ნიდერლანდი და ლომბარდია იმ თავებშია აღნერილი, რომლებიც უშუალოდ მათ ეხება (ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, სლოვენია, ხორვატია, ბელგია, ნიდერლანდი, იტალია).

ავსტრიის ცენტრალური ბირთვი მემკვიდრეობითი სახელმწიფოები, აღმოსავლეთ ალპებში იყრიდა თავს, რასაც მთლიანობაში მთიანი, დანანევრებული სახე ჰქონდა და ერთმანეთისაგან ჰყოფდა სხვადასხვა პროვინციას, რომლებიც თავის თვითმყოფობას ინარჩუნებდნენ; ეს ძირითადად გერმანულენოვანი სახელმწიფოები იყო, მაგრამ იქ არსებობდა როგორც იტალიური მოსახლეობის (ტრენტინი, ტრიესტი) ასევე სლავი მოსახლეობის ზონები (კრაინა). ენის გარდა ამ სახელმწიფოებს საერთო ჰქონდათ კათოლიკური რელიგია და ავსტრიის სახლის ერთგულება.

ამ პროვინციებში სოფლის მეურნეობა მხოლოდ დაბლობ რაიონებში იყო განვითარებული, ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ, ფართოდ იყო გაშლილი მეტყეველობა, მაღაროების სამუშაოები (მარილის, მადნის), დამაკავშირებელ ქალაქებში კარგად იყო განვითარებული ვაჭრობა, რაც მათ კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენდა (ვენა, ლინცი, გრაცი, ლეიბახი, ინსბრუკი). „ავსტრიული" ბლოკი ავსტრიის სახლის სამფლობელოების ცენტრში მდებარეობდა, დედაქალაქი იყო ვენა, რომელიც ევროპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი გახდა (დაახლოებით 200 000 კაცი).

1789 წელს მარია ტერეზიას ხანგრძლივი და კარგი მმართველობის შემდეგ, რომელიც მეტად გონიერი პოლიტიკოსი იყო, დაახლოებით ათი წლის მანძილზე ავსტრიას მართავდა მისი ვაჟი იოზეფ II „განათლებული აბსოლუტიზმის" იდეებით გამსჭვალული იმპერატორი. ამ პერიოდის ავსტრიის სახლის მეტად მრავალფეროვანი სამფლობელოები შეიძლება შემდეგნაირად დანაწილდეს:

1. საღვთო რომის იმპერიის ქვეყნები

ა) ბოჰემიის **სამეფოს** ქვეყნები

– ბოჰემიის სამეფო, დედაქალაქი პრაღა
– მორავიის სამარკგრაფო, დედაქალაქი ბრნო
– სილეზიის საჰერცოგო, დედაქალაქი ტროპაუ

ბ) ავსტრიის **სახლის** მემკვიდრეობითი სახელმწიფოები

1) ქვემო ავსტრია

ავსტრიის საერცჰერცოგო დაყოფილი:
– ენსის ქვემოთ მდებარე ავსტრია (ქვემო ავსტრია), დედაქალაქი ვენა
– ენსის ზემოთ მდებარე ავსტრია (ზემო ავსტრია), დედაქალაქი ლინცი

2) შიდა ავსტრია

– შტირიის საჰერცოგო, დედაქალაქი გრაცი
– კარინთიის საჰერცოგო, დედაქალაქი კლაგენფურტი
– კრაინის საჰერცოგო, დედაქალაქი ლეიბახი (ლიუბლანა); მას მიუერთდა ისტრიის სამარკგრაფო, დედაქალაქი მიტერბურგი
– სანაპირო ზოლი (Littoral): გორიციისა და გრადისკას საგრაფოები, ისტრიის მიწები, ფლიჩისა და ტოლმინის ოლქები, თავისუფალი ქალაქი ტრიესტი.

3) ზემო ავსტრია

– ტიროლიის საგრაფო, დედაქალაქი ინსბრუკი; მას უშუალოდ მიუერთდა ტრიესტისა და ბრიქსენის საეპისკოპოსოები
– ფორარლბერგის შვიდი სამფლობელო: ჰოენეკი, ბრეგენცი, ზონენბერგი, მონფორტი, დორნბირნი, ფელდკირხი, ბლუდენცი. მათ მიუერთდა ჰოენების საგრაფო (რაინის გაყოლებაზე) და რეცუნის ბარონის სამფლობელო (ზემო რაინზე, გრაუბიუნდენის ლიგის წევრი)

4) გარე ავსტრია

– ბრისგაუს სალანდგრაფო: ბურგაუს სამარკგრაფო (ბურგაუ, გიუნცბურგი, ეჰინგენი-დუნაიზე), ხუთი ქალაქი დუნაიზე (მუნდერკინგენი, რიდლინგენი, მენგენი, ზაულგაუ, ვალდზეე), რავენსბურგი, ქალაქი კონსტანცა, ნეღემბურგის სალანდგრაფო (სტოკაჩი), ჰოენბერგის საგრაფო (როტენბურგი, ეჰინგენი ნეკარზე), ორტენაუ (აახენი), რომელზეც მიერთებული იყო ფალკენშტაინის პატარა საგრაფო(პფალცში), ლოთარინგიის საჰერცოგოს უკანასკნელი ნარჩენი.

გ) ავსტრიის ნიდერლანდი

– გენერალურ გუბერნატორს დაქვემდებარებული ცხრა პროვინცია, რომლის რეზიდენციაც ბრიუსელში მდებარეობდა: ბრაბანტი, ლიმბურგი, ლუქსემბურგი, ნამიური, ანტვერპენი, ფლანდრია, ენო, მეხელენი, ავსტრიის გელდრენი (რურემონდი).

2. ქვეყნები, რომლებიც საღვთო რომის იმპერიაში არ შედიოდნენ

ა) უნგრეთის სამეფოს ქვეყნები

- უნგრეთის სამეფო, დედაქალაქი პრესბურგი (ახლანდელი ბრატისლავა)
- ხორვატია-სლავონიის სამეფო, დედაქალაქი ზაგრები
- ტრანსილვანიის დიდი საჰერცოგო, დედაქალაქი კლაუზენბურგი

ბ) გალიციისა და ლოდომერიის სამეფო, დედაქალაქი ლვოვი

გ) ავსტრიის იტალია

- მილანის საჰერცოგო
- მანტუის საჰერცოგო

3. ტოსკანიის მეორადი მფლობელობა

ტოსკანიის დიდი საჰერცოგო, დედაქალაქი ფლორენცია, ავსტრიის სახლის კუთვნილებაში მყოფი მეორადი სამფლობელო იყო, რომელიც უნდა გადასულიყო ამ სახლის წარმომადგენელ სხვა წევრის ხელში.

საღვთო რომის იმპერიაში ავსტრიელ სიუზერენს წამყვანი როლი ეკისრებოდა. ტრადიციულად საუკუნეების მანძილზე იმპერატორად იგი ირჩეოდა, გამონაკლისი იმპერატორი კარლ VII-ის ხანმოკლე მმართველობა იყო, რომელიც ბავარიის სიუზრენი იყო (1742-1745); აქედან გამომდინარე, საიმპერატორო მონარქია *de jure* არჩევითი იყო, *de facto* კი ავსტრიის სახლის მემკვიდრეობას წარმოადგენდა.

უფრო მეტიც, ავსტრიის სიუზერენს როგორც ბოჰემიის მეფეს, დიეტის კურფიურსტთა კოლეგიაში დამატებითი ხმა ჰქონდა, რომლის უმრავლესობა კათოლიკე იყო, რაც ჰაბსბურგების რეგულარულ არჩევას უწყობდა ხელს.

გარდა ამისა, ავსტრიის სახლს ორი ადგილი ჰქონდა რეგენსბურგის საიმპერატორო დიეტის კოლეგიაში, ერთი, როგორც ავსტრიის საერცჰერცოგოს წარმომადგენელს, მეორე, როგორც ბურგუნდიის საჰერცოგოს წარმომადგენელს.

და ბოლოს, ავსტრიის სახლი საღვთო რომის იმპერიის სხვადასხვა ოლქებშიც იყო წარმოდგენილი:

- ბურგუნდიის ოლქი (ნიდერლანდი);
- ავსტრიის ოლქი, სადაც ერთი ხმა ჰქონდა (ავსტრია);
- შვაბეთის ოლქი, სადაც ერთი ხმა ჰქონდა (ჰოენემი);
- ზემო რაინის ოლქი, სადაც ერთი ხმა ჰქონდა (ლოთარინგიის ნომენის სახელწოდებით) საერო მთავრების ფრთაში და ერთი ხმა (ფალკენშტეინი) გრაფებისა და სენიორების ფრთაში.

III. 1789 წლიდან ავსტრიის იმპერიის გამოცხადებამდე (1804)

1. 1789 წლიდან საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმამდე (1792)

საფრანგეთის რევოლუციის დაწყებისთანავე, 1789 წლის ივლისში ავსტრიის ნიდერლანდში მოხდა აჯანყება. 1790 წლის 10 იანვარს, ბრიუსელში შეკრებილმა კონგრესმა ბელგიის გაერთიანებული სახელმწიფოების რესპუბლიკა გამოაცხადა. 1790 წლის დეკემბრიდან ავსტრიამ ხელახლა დაიკავა ნიდერლანდი.

1788 წელს ოსმალეთის წინააღმდეგ ომს, რომელსაც ავსტრია და რუსეთი აწარმოებდნენ, მოსალოდნელი შედეგი არ მოჰყოლია თურქეთის გააფთრებული წინააღმდეგობიდან გამომდინარე. ევროპაში განვითარებული მოვლენების გამო ავსტრიას სურდა მოქმედების თავისუფლება ჰქონოდა, ამიტომაც 1791 წლის 4 აგვისტოს მან თურქეთთან ხელი მოაწერა სისტოვას ზავს. **თურქეთმა ავსტრიას დაუთმო ქალაქი ძველი ორშოვა** დუნაიზე და ბოსნიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე **უნას ოლქი.**

2. 1792 წლიდან კამპო-ფორმიოს ზავამდე (1797)

1792 წლის აპრილში საფრანგეთმა ავსტრიას ომი გამოუცხადა, რომელშიც პრუსიაც ჩაება. 1792 წლის 20 სექტემბერს ვალმში პრუსიელებზე მოპოვებულმა გამარჯვებამ საფრანგეთს ავსტრიის ნიდერლანდისაკენ და გერმანიის რაინის მარცხენა სანაპიროსკენ გაუხსნა გზა.

1792 წლის 6 ნოემბერს ჟემაპეში, შარლ დიუმურიეს მეთაურობით ავსტრიელების დამარცხების შემდეგ, ფრანგებმა ერთ თვეში დაიკავეს ნიდერლანდი.

1793 წლის 1 მარტიდან 30 მარტამდე მიღებული იქნა 15 დეკრეტი, რომელთა მიხედვით საფრანგეთი იკავებდა ავსტრიის ნიდერლანდს და ლიეჟის საეპისკოპოსოს.

ამავე დროს, ავსტრიელებმა განაახლეს შეტევა და ნეერვინდენში გამარჯვება მოიპოვეს (18 მარტი), რითაც აიძულეს ფრანგები ბელგია დაეტოვებინათ. ნიდერლანდში ძველი პოლიტიკური მდგომარეობა აღდგა.

ფრანგების ახალი შეტევა ფლერუსში გამარჯვებით დაგვირგვინდა (1794 წლის 26 ივნისი), მომდევნო ნელს კი საფრანგეთმა ხელახლა დაიკავა ავსტრიის ნიდერლანდი. 1795 წლის 1 ოქტომბერს, კონვენტმა კენჭი უყარა ოფიციალურ დეკრეტს **საფრანგეთისთვის ავსტრიის ნიდერლანდის მიერთების შესახებ**.

გარდა ამისა, პოლონელებმა, რომლებიც შეურაცხყოფილნი იყვნენ 1793 წლის იანვარში მათი ქვეყნის მეორედ გადანაწილების გამო, კოსტიუშკოს მეთაურობით 1794 წლის მაისში წამოიწყეს აჯანყება, რომელიც რუსეთმა და პრუსიამ ჩაახშეს.

1795 წლის 24 ოქტომბერს, სანკტ-პეტერბურგის ხელშეკრულებით **პოლონეთი** აღარ არსებობდა, რადგან ავსტრიას, პრუსიასა და რუსეთს შორის გადანაწილდა.

ავსტრიამ მიიერთა 47000 კმ^2 და 1 100 000 კაცი:

– **მცირე პოლონეთის ჩრდილოეთი ნაწილი** (ვისლას მარცხენა სანაპირო), კრაკოვის ოლქის ჩრდილოეთის ნახევარი (ვისლას ჩრდილოეთით), სანდომარის ჩრდილოეთ ნაწილის ორი მესამედი (ვისლას ჩრდილოეთით);

– **წითელი რუსეთის ჩრდილოეთი ნაწილი**, კერძოდ ლუბლენის პფალცი და ქოლმის დასავლეთის ნახევარი;

მდინარე ბურის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მასოვიის, პოდლასის და ბრესტ-ლიტოვსკის პფალცების ნაწილები,.

ყველაფერი ეს გაერთიანდა **დასავლეთი გალიციის** სახელწოდებით (სინამდვილეში ჩრდილოეთი), ეს იყო ავსტრიის ახალი პროვინცია, რომელშიც შედიოდა ქალაქები კრაკოვი (ადმინისტრაციული ცენტრი) და ლუბლენი.

1796 წლის გაზაფხულზე საფრანგეთმა განაახლა შეტევა ავსტრიაზე, რომელშიც გერმანია და იტალიაც ჩაებნენ, იტალიის ჯარს გენერალი ბონაპარტი ხელმძღვანელობდა. ორნლიანი კამპანიის შემდეგ მან დაამარცხა ავსტრიელები; მშვიდობა 1797 წლის 18 ოქტომბერს აღდგა კამპო-ფორმიოს ზავით.

ამასობაში ბონაპარტმა დაამარცხა ვენეციის რესპუბლიკა (1797 წლის მაისი), რომელიც ავსტრიას ემხრობოდა. ბონაპარტის პერსონალური "იტალიური" პოლიტიკა სრულად არ ემთხვეოდა დირექტორიის სურვილებს, რომელსაც ნაკლები დაპყრობები ერჩია იტალიასა და აღმოსავლეთში და უპირატესობას რაინის მარცხენა სანაპიროს ფორმალურ გადაცემას ანიჭებდა. მაგრამ გამარჯვებული გენერლის წინაშე პარიზის ხელისუფლებამ უკან დაიხია და დაამტკიცა ხელშეკრულების დებულებები. **ავსტრიამ დათმო**:

– **საფრანგეთის სასარგებლოდ ავსტრიის ნიდერლანდი**;

– **ალპებს მიღმა რესპუბლიკის სასარგებლოდ მილანისა და მანტუას საჰერცოგოები**;

– **მოდენის ჰერცოგის სასარგებლოდ ბრისგაუს სალანდგრაფო და რაინის ოთხი სატყეო ქალაქი** (რაინფელდენი, ზეკინგენი, ლაუფენბურგი და ვალდსუტი), რომლებიც მეორადი მფლობელობის პრინციპით, მისი გარდაცვალების შემდეგ ავსტრიას უნდა დაბრუნებოდა.

საიდუმლო მუხლების თანახმად, **ავსტრია საფრანგეთის სასარგებლოდ უარს ამბობდა ფალკენშტაინის საგრაფოზე** და სცნობდა საფრანგეთის უფლებას დაეკავებინა გერმანიის რაინის მარცხენა სანაპირო იმ პირობით, რომ ამას დაამტკიცებდა კონგრესი, რომელიც დააჯგუფებდა გერმანიის სახელმწიფოებს.

სამაგიეროდ, **ავსტრია იკავებდა ქალაქ ვენეციას, ვენეციის სახმელეთო ოლქს ადიჯეს აღმოსავლეთით, მონფალკონეს პატარა საგრაფოს, ვენეციის ისტრიას, დალმაციას და მის კუნძულებს და კოტორის ყურეს.**

სამომავლო მიზნებიდან გამომდინარე, ბონაპარტი ავსტრიასთან გარიგებაზე ნავიდა, რის შედეგად მიღებული სარგებელი (40000 კმ² და 3 მილიონი კაცი) თითქმის ანონასნორებდა მის დანაკარგებს.

3. 1797 წლიდან ავსტრიის იმპერიის გამოცხადებამდე (1804)

კამპო-ფორმიოს ზავი მხოლოდ შესვენება იყო. საფრანგეთთან ომი 1799 წლიდან განახლდა, ავსტრია-რუსეთის კოალიციურმა ძალებმა დაიკავეს იტალიის ნახევარკუნძული, რომელიც აქამდე საფრანგეთს ექვემდებარებოდა. საფრანგეთის წინააღმდეგობამ შეეიცარიაში (1799 წლის სექტემბერი), ბონაპარტის მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდებამ (1799 წლის ნოემბერი), მისმა კამპანიამ იტალიაში 1800 წელს და ჰოენლინდენთან გამარჯვებამ (1800 წლის დეკემბერი), საფრანგეთს საშუალება მისცა დაკარგული ტერიტორიები დაებრუნებინა.

1801 წლის 9 თებერვალს საფრანგეთსა და ავსტრიას შორის ლუნევილში მოხდა დაზავება, რომლის მიხედვითაც ავსტრია:

– **საფრანგეთს ოფიციალურად უთმობდა ფალკენშტაინის საგრაფოს** პფალცში;

– **საფრანგეთს უთმობდა ჰელვეციის რესპუბლიკისთვის შემდგომი დაბრუნების პრინციპით ფრიქტალის ტერიტორიას** რაინის მარცხენა სანაპიროზე და ასევე **მარცხენა სანაპიროს ტყის ორ ქალაქს** (ლაუფენბურგსა და რაინფელდენს), ეს ტერიტორიები აღებული იქნა ბრაისგაუს სამომავლო მეორადი მფლობელობიდან, რომელიც იმ პერიოდში მოდენის ჰერცოგს ეკუთვნოდა;

– **ალპებს მიღმა რესპუბლიკას დაუთმო ვერონა და მისი მიმდებარე ტერიტორიები ადიჯეს მარცხენა სანაპიროზე** და პოლეზინი, ვენეციის ყოფილი რეგიონი, რომელიც ადიჯესა და პოს ქვემო დინებებზე მდებარეობდა.

– **უარი თქვა ტოსკანიის საერცჰერცოგოს მეორად მფლობელობაზე ბურბონ-პარმის სახლის სასარგებლოდ** და დადგინდა, რომ გერმანიაში ძმეიდობის დამყარების შემდეგ ერცჰერცოგი ფერდინანდ III (იმპერატორის ძმა) კომპენსაციის მიზნით მიიღებდა ზალცბურგს და იმავე პირობებით **უარს იტყოდა კუნძულ ელბას დასავლეთი ნაწილის ორ მესამედზე,** რომელიც მან პრინც პიომბინოს ნაართვა, ტოსკანიის ამ დომენის ვასალს.

იმპერატორი, რომელიც ვალდებული იყო ყოფილიყო საღვთო რომის იმპერიის ერთიანობის გარანტი, ნავიდა იმ საიდუმლო გარიგებაზე, რომლის მიხედვით საფრანგეთს გადაეცემოდა რაინის მარცხენა სანაპირო. ამით მან დასაბამი მისცა არეულობას, რადგან მემკვიდრე პრინცებს თავიანთი დანაკარგები რაინის მარჯვენა სანაპიროს ხარჯზე უნდა ანაზღაურებოდათ.

აქედან მოყოლებული, სახელმწიფო კანცელარიის ძალისხმევა იმ ფართომასშტაბიანი გარდაქმნისაკენ იყო მიმართული, რომელიც გერმანიაში შექმნილი ახალი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარეობდა.

საფრანგეთსა და ავსტრიას შორის დადებული შეთანხმებით (პარიზი, 1802 წლის 26 დეკემბერი), მოგვარდა ავსტრიასთან დაკავშირებული ტერიტორიული ცვლილებების საკითხი. მისი რატიფიცირება მოხდა მთავარი საიმპერატორო ოქმით (1803 წლის 25 თებერვალი), რომელმაც დაასრულა გერმანიის რეორგანიზაცია; მას საფრანგეთის სასარგებლოდ ჩამოეჭრა რაინის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიები.

თავისი მარცხებითა და საფრანგეთის მიერ გერმანიაში წარმოებული ინტრიგების შედეგად დასუსტებულმა ავსტრიამ ყველაზე ნაკლები სარგებელი მიიღო განხორციელებული ტერიტორიული ცვლილებების შედეგად.

ფრიქტალის იძულებითი გადაცემის სანაცვლოდ **მოდენის ჰერცოგმა**, ბრისგაუს ლანდგრაფმა ავსტრიისაგან მიიღო **ორტენაუ და ჰოენბერგის საგრაფოს დასავლეთი ანკლავი** (ობერნდორფი). სამაგიეროდ, **ავსტრიამ** მოახდინა შემდეგი საეკლესიო ტერიტორიების **ანექსირება**:

– **ტრენტის საეპისკოპოსო**, რომელიც ტიროლის საგრაფოს მიუერთა;

– **ბრიქსენის საეპისკოპოსო**, რომელიც ასევე ტიროლის საგრაფოს მიუერთა ფელდეს (ბლედი) ანკლავის გამოკლებით, რომელიც კრაინის საჰერცოგოს მიუერთა;

– **ვაინდჰოფენის, ინიჰენის და ლაკის ანკლავები**, რომლებიც ქვემო ავსტრიას, ტიროლსა და კრაინას მიუერთა;

– ზალცბურგის **ანკლავები შტალი, ზაქსენბურგი და ფრიზახი**, რომლებიც კარინთიის საჰერცოგოს მიუერთა.

გარდა ამისა, ზალცბურგის კურფიურსტობა შემოღებული იქნა იმპერატორის ძმის, ერცჰერცოგ ფერდინანდ III-ის სასარგებლოდ, ავსტრიის სახლის მეორადი მფლობელობის სტატუსით.

და ბოლოს, ერცჰერცოგი კარლი დარჩა ტევტონური ორდენის მეთაურად, რომელიც სამიდან ერთი დამოუკიდებელი საეკლესიო მმართველობა იყო (მაინცის საარქიეპისკოპოსოსა და ბალტის ორდენთან ერთად) და რომელიც გერმანიაში იმპერატორის გადაწყვეტილებით იქნა შენარჩუნებული.

იმპერატორი იმედგაცრუებული იყო, რადგან ვერ მოახერხა სამი საეკლესიო მმართველობის (მაინცი, კიოლნი, ტრირი) და მისი ტრადიციული მოკავშირეების გადარჩენა, რომლებიც კათოლიკური აღმსარებლობის იყვნენ და ტრადიციულად უზრუნველყოფდნენ ავსტრიის სახლს იმპერიის საარჩევნო კოლეგიაზე რელიგიური უმრავლესობით. მათგან მხოლოდ მაინცი იქნა შენარჩუნებული და კოლეგიის ელექტორატის უმრავლესობა პროტესტანტი გახდა, რაც საეჭვოს ხდიდა ჰაბსბურგების წარმომადგენლის იმპერატორად გახდომას.

ბოლოს, რეგენსბურგის დიეტის კოლეგიის ხმების რაოდენობა 100-დან 131-მდე გაიზარდა, გაუქმდა 18 ძველი და დაემატა 49 ახალი ხმა. ავსტრიის სახლის ხმები ორიდან შვიდამდე გაიზარდა, რადგან გაუქმდა ბურგუნდიის ხმა, დაემატა ტრენტესა და ბრიქსენის ორი საეკლესიო ხმა და შევიდა ოთხი ახალი ხმა (ტიროლის, შტირიის, კარინთიის, კრაინის).

1803 წელს ჰერცოგ ერკიულ III ესტეს გარდაცვალების შემდეგ მისმა ქალიშვილმა მარია-ბეატრისმა და შვილიშვილმა ფრანც IV ესტემ ბრისგაუს და ორტენაუს მფლობელობა გადაიბარეს, რომლებიც ავსტრიის სახლის ახალი მეორადი მფლობელობა გახდა.

იმპერატორი ფრანც II აქტიურად ცდილობდა გერმანიის სამხრეთით თავისი სამფლობელოების გაფართოებას. ამით მას სურდა გარე ავსტრიის კონსოლიდაცია მოსალოდნელი არეულობების გათვალისწინებით. ამ ჩარჩოში 1804 წელს **ავსტრიამ**:

– **შეიძინა ორან-ნასაუს მთავრისგან სენ-გეროლდის საპრევო** და შეუერთა ფორარლბერგს, სადაც ის ანკლავირებული იყო;

–**დიტრიხშთაინის მთავრისაგან შეიძინა ნოი-რავენსბურგი;**

–**შთენბერგის გრაფისაგან შეიძინა ვაისენაუს საგრაფო;**

– **მათი მფლობელებისგან შეიძინა კენიგსეგ-როტენფელი**;.

– **ბრეტცენჰაიმის მთავარს** ბოჰემიის არასუვერენულ სამფლობელოებში **გაუცვალა ლინდაუს სამთავრო;**

სენ-გეროლდის საპრევოს გამოკლებით ეს შენაძენები გარე ავსტრიას მიუერთდა.

1804 წლის 11 აგვისტოს გერმანიის იმპერატორმა ფრანც II-მ თავი **ავსტრიის იმპერატორ ფრანც I-ად**, მემკვიდრეობით სუვერენად გამოაცხადა.

ასეთი გადაწყვეტილება ორი მთავარი მიზეზით იყო მოტივირებული:

– იგი შიშობდა, რომ საარჩევნო კოლეგიაში უმრავლესობის დაკარგვის გამო ჰაბსბურგების ოჯახი ვეღარ შეძლებდა გერმანიის იმპერატორის გვირგვინის შენარჩუნებას (6 პროტესტანული ხმა 4 კათოლიკური ხმის წინააღმდეგ);

– საერთაშორისო არენაზე გამოჩნდნენ ძლიერი კონკურენტი სახელმწიფოები, სადაც იმპერატორის ტიტული მემკვიდრეობით გადადიოდა: რუსეთი XVIII საუკუნის ბოლოდან და საფრანგეთი ბოლო სამი თვის მანძილზე (18 მაისიდან, ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევის შემდეგ).

მართალია, ავსტრიის სახლის სხვადასხვა სამფლობელოს შემადგენლობას და მათ იმპერიის კუთვნილებაში დარჩენას საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ ავსტრიის ახალი იმპერიის გამოცხადება იმის პირველი ოფიციალური დემონსტრირება იყო, რომ ისინი ერთ მთელს — ავსტრიას ეკუთვნოდნენ, რაც აქამდე მხოლოდ არაოფიციალურ ხასიათს ატარებდა.

ავსტრიის ახალმა იმპერატორმა ყოველი შემთხვევისთვის შეინარჩუნა საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის ტიტული.

IV. 1804 წლიდან ავსტრიის აპოგეამდე (1815)

1. 1804 წლიდან საღვთო რომის იმპერიის დასასრულამდე (1806)

1805 წლის აგვისტოდან ავსტრიამ დიდ ბრიტანეთთან და რუსეთთან ერთად მესამე ანტიფრანგული კოალიცია შექმნა.

ავსტრია-რუსეთის ჯარების აუსტერლიცთან დამარცხების შემდეგ (1805 წლის 2 დეკემბერი) ავსტრია იძულებული გახდა მშვიდობა მოეთხოვა. 26 დეკემბერს პრესბურგში დაიდო ზავი, რომლის პირობებიც ავსტრიისათვის არახელსაყრელი იყო.

ავსტრიამ დაუთმო:

– იტალიის სამეფოს კამპო-ფორმიო და ლუნევილი, ვენეცია ადიჯეს აღმოსავლეთით, ვენეციის ისტრია, დალმაცია და მისი კუნძულები და კოტორის ყურე;

– ბავარიას:

– ტიროლი მთლიანად, ტრენტესა და ბრიქსენის ძველი საპერცოგოები და ზალცბურგის ცილერთალი, მხოლოდ ვინდიშ-მარტეის დაბლობის გამოკლებით (რომელიც ავსტრიამ შეინარჩუნა);

– ფორარლბერგი მთლიანად, კერძოდ, ფორარლბერგის შვიდი სამფლობელო (მონფორტი, ფელდკირხე, ბლუდენცი, ზონენბერგი, ბრეგენცი, პოენეკი, დორნბირნი), ჰოენემის საგრაფო და სენ-გეროლდის ძველი საპრეკო; შენარჩუნდა მხოლოდ რეცენის საბარონო;

– ავსტრიის შვაბიის ნაწილი, ბურგაუს სამარკგრაფო და მასზე დამოკიდებული ტერიტორიები (ეპინგენი დუნაიზე გამოკლებით), კიონიგსეგ-როტენფელი, ტეტნანგი და ლანგენარგენი, ასევე ლანდაუს სამთავრო;

– ვიურტემბერგს:

– „ხუთი ქალაქი დუნაიზე" (მუნდერკინგენი, რიდლინგენი, მენგენი, ზოლგაუ, ვალდსეე) და ბურგაუს სამარკგრაფოს დასავლეთი ნაწილი;

– ალტდორფი, იგივე "რავენსბურგი" (ქალაქ კონსტანცას გამოკლებით) და ნოი-რავენსბურგის სამფლობელო;

– ვაისენაუს საგრაფო;

– ჰოენბერგის საგრაფო და ნელემბურგის სალანდგრაფო;

– ბადენში ქალაქი კონსტანცა.

სანაცვლოდ, ავსტრიამ მიიღო ზალცბურგის საკურსფიურსტოს დიდი ნაწილი: ზალცბურგი, ბერჰტესგადენი ტიროლის ვინდიშ-მარტეის დაბლობი; ეს ტერიტორიები იმპერიის ახალ პროვინციაში, ზალცბურგის საგრაფოში შედიოდა.

მიუხედავად ყველაფრისა, ავსტრიამ დაკარგა 65000 კმ² და 3 მილიონი კაცი.

გარდა ამისა, ზალცბურგის კურფიურსტი (ტოსკანიის ყოფილი ერცჰერცოგი ფერდინანდ III) გადავიდა ვიურცბურგში, ბავარიამ მას დაუთმო საკურ-ფიურსტოდ გადაქცეული ყოფილი საეპისკოპოსო, რომელიც ავსტრიის სახლის **მეორადი მფლობელობა** გახდა.

ბრისგაუს მეორადი მფლობელობა გაქრა, რადგან გადანაწილდა ბადენის საერცჰერცოგოსა და ვიურტემბერგს შორის.

და ბოლოს, ერცჰერცოგი ანტუანი გახდა ტევტონური ორდენის და მისი ტერიტორიების მფლობელი.

ავსტრიის მარცხმა საშუალება მისცა იმპერატორ ნაპოლეონს იმგვარად მოეხ-დინა შუა გერმანიის რეორგანიზაცია, რომ მასზე აღარ ჰქონოდათ გავლენა ავსტრიასა და პრუსიას. ამ მიზნით მან შექმნა მასზე დაქვემდებარებული რაინის კონფედერაცია, სადაც გერმანიის 16 სახელმწიფო იყო გაერთიანებული (1806 წლის 12 ივლისი), რომლებმაც 1 აგვისტოს განაცხადეს რეგენსბურგის დიეტში, რომ აღარ სცნობდნენ საღვთო რომის იმპერიას.

აქედან გამომდინარე, იმპერატორმა ფრანც II-მ განაცხადა, რომ იხსნიდა ყვე-ლა ვალდებულებას და **საღვთო რომის იმპერია დაშლილად გამოაცხადა.** ავსტრიის ახალი იმპერია ამ ფაქტიდან გამომდინარე მთლიანად სუვერენული აღმოჩნდა.

2. 1806 წლიდან შენბრუნის ზავამდე (1809)

ტრიესტი, რომელიც პრესბურგის ზავით ავსტრიას დარჩა, ართულებდა ვენეციისა და ისტრიის სახმელეთო კავშირს.

1807 წლის 10 ოქტომბერს ფონტენბლოს შეთანხმებით **ავსტრიამ იტალიის სამეფოს დაუთმო მდინარე იზონცოს მარჯვენა სანაპირო** (გორიციისა და გრადისკას საგრაფოები) მონფალკონეს მცირე საგრაფოს სანაცვლოდ, რის შედეგადაც ტრიესტთან არსებული სიცარიელე ივსებოდა.

ავსტრია შეეცადა ესარგებლა საფრანგეთის პრობლემებით ესპანეთში და 1809 წლის დასაწყისში განაახლა საომარი მოქმედებები საფრანგეთის წინააღმდეგ.

ეკმულთან მოპოვებული გამარჯვების მეორე დღეს (1809 წლის 22 აპრილი), ნაპოლეონი ხელს აწერს რეგენსბურგის დეკრეტს, რომლის მიხედვით აუქმებდა ტევტონური ორდენის დამოუკიდებლობას რაინის კონფედერაციაში. ორდენის ქონება გადანაწილდა კონფედერაციის სხვადასხვა წევრებს შორის.

ვაგრამთან გამარჯვების შემდეგ (6 ივლისი) ნაპოლეონმა ავსტრიას 1809 წლის 14 ოქტომბრის შენბრუნის ზავით მეტად არასახარბიელო მშვიდობის პირობები წაუყენა. **ავსტრია თმობდა:**

– **საფრანგეთის სასარგებლოდ გორიციის საგრაფოს, მონფალკონეს საგრაფოს, ტრიესტს, ისტრიის სამარკგრაფოს, კრაინის, კარინთიის დასავლე-თის ნახევარს და ხორვატიის სამეფოში მდინარე სავას მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიებს.** ეს პროვინციები „მეზობელი დალმაციის“ ტერიტორიებთან ერ-თად (ისტრია, დალმაცია, რაგუზა, კოტორი) მაშინვე გამოცხადდა საფრანგეთის იმპერიის ილირიულ პროვინციებად;

– **საფრანგეთის სასარგებლოდ, ოღონდ მომავალში ბავარიისათვის გადა-საცემად ინის** (ინფირტელი) **და ჰაუსრუკფირტელის დასავლეთის ნახევარს, ასევე ზალცბურგის საჰერცოგოს** (ზალცბურგი, ბერხტესგადენი ვინდიშ-მარტეი);

– **ნაპოლეონის სასარგებლოდ** რეზერვის ქვეყნების სახელით **რეცუნის საბარონოს;**

– **ვარშავის საერცჰერცოგოს სასარგებლოდ მისი დასავლეთი გალიციის პროვინციას** (უფრო ჩრდილოეთს), რომელიც მიღებული ჰქონდა 1795 წელს და **ზამოსცის ოლქს,** რომელიც 1772 წელს გალიციის ანექსირების შემდეგ ეკუთ-ვნოდა.

გარდა ამისა, ავსტრია აღიარებდა ტევტონური ორდენის გაუქმებას და პირობას დებდა რუსეთისათვის გადაეცა ტერიტორია 400 000 სულით, ომში მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად.

3. 1809 წლიდან ავსტრიის ძლიერების აღდგენამდე (1815)

შენბრუნში დადებული პირობის შესრულების მიზნით, 1810 წლის 19 მარტის ლვოვის შეთანხმების მიხედვით, **ავსტრიამ რუსეთს დაუთმო ტერნოპოლის ოლქი და რამდენიმე მიმდებარე რაიონი**, რომელიც თავისი გალიციისა და ლოდომერიის სამეფოსგან აიღო.

მთლიანად ავსტრიამ დაკარგა 110 000 კმ² და 3,5 მილიონი კაცი. იმ პერიოდში მისი ფართობი უდრიდა 512 000 კმ²-ს 21 მილიონი კაცით. მან დაკარგა თავისი ზღვის ფასადი.

1809 წლის დამარცხების შემდეგ ავსტრია საფრანგეთს დაუზავდა (ნაპოლეონის ქორწინება ერცჰერცოგ მარი-ლუიზაზე). საფრანგეთის მარცხმა რუსეთში ავსტრიას უბიძგა თანდათან დაახლოვებოდა ნაპოლეონის მტრებს.

1813 წლის 27 ივნისს რუსეთი, პრუსია და ავსტრია საიდუმლო შეთანხმებას დებენ (რაიხენბახის შეთანხმება) ერთობლივი მოქმედების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ნარუმატბელი იქნებოდა ავსტრიის ოფიციალური მოლაპარაკება მეომარ მხარეებთან. პრაღის კონგრესის მარცხის შემდეგ, 1813 წლის 12 აგვისტოს ავსტრიამ განაახლა საფრანგეთთან საომარი მოქმედება. ავსტრიას მოკავშირეები ჰპირდებოდნენ, რომ მისი ტერიტორიის მოცულობა დაახლოებით 1805 წლის მდგომარეობის მიხედვით აღდგებოდა.

1814 წლის აპრილში საფრანგეთის იმპერატორის დამარცხების შემდეგ, საფრანგეთი დაუბრუნდა იმ საზღვრებს, რომლებიც 1792 წელს ჰქონდა 30 მაისის პარიზის ხელშეკრულების მიხედვით.

მნიშვნელოვანი გახდა ხანგრძლივი ვადით ევროპის გარდაქმნა, გამარჯვებულებს სურდათ დარწმუნებული ყოფილიყვნენ თავიანთი პოზიციების სიმყარეში, თუმცა გარკვეულ ზომებს ღებულობდნენ იმ სუვერენების ისტორიული უფლებების აღსადგენად, რომელთაც თავიანთი ძალაუფლება საფრანგეთის რევოლუციის დროს ან იმპერიის გამო დაკარგეს, მაგრამ მაინც არ მიდიოდნენ იმაზე, რომ ბოლომდე აღედგინათ გერმანიის ძველი, დაქუცმაცებული ტერიტორიული მდგომარეობა.

თავის მხრივ, ავსტრია ცდილობდა ესარგებლა გარემოებებით და უფრო ჰომოგენური გაეხადა თავისი ტერიტორიის შემადგენლობა და თან თავისი გავლენა შეენარჩუნებინა როგორც გერმანიაზე, ასევე იტალიაზე. იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც ადრე მას ეკუთვნოდა და იძულებული გახდა საფრანგეთისათვის დაეთმო, ავსტრია უარს ამბობდა იმპერიისაგან მეტად დაშორებულ და იზოლირებულ ავსტრიის ნიდერლანდზე, რუსეთს რჩებოდა დასავლეთი გალიცია. სამაგიეროდ, მის მფლობელობაში გადადიოდა ვენეციის ოლქი (ვენეცია, ისტრია, დალმაცია, კოტორი) და რაგუზის ოლქი, რაც მას ზღვაზე გასასვლელს აძლევდა, ეს კი ტრიესტისა და ფიუმეს სანაპიროებზე უფრო მნიშვნელოვანი იყო; თანაც პირდაპირი გასასვლელი იყო იტალიაზე, სადაც ავსტრია მილანისა და მანტუის დაბრუნებას ითხოვდა.

იძულებით დათმობილი მემკვიდრეობითი სახელმწიფოები (კრაინა, კარინთია, ტიროლი, ფორარლბერგი) ხელახლა იყო მოთხოვნილი გარე ავსტრიის სახელმწიფოების გამოკლებით, რომლებიც ბავარიას, ვიურტემბერგს და ბადენს გადაეცა. ბრისგაუ განსაკუთრებული შემთხვევა იყო, მისი მოსახლეობა ძალიან კეთილგანწყობილი იყო ავსტრიის მიმართ და ითხოვდა მის შემადგენლობაში დაბრუნებას, რასაც პოლიტიკოსებიც უწყობდნენ ხელს (მეტერნიხი), რადგან ისინი ამ მიბრუნებაში ხედავდნენ ავსტრიის შუა გერმანიის გულში დარჩენის შესაძლებლობას; მაგრამ სამხედროებმა, რომლებიც თვლიდნენ, რომ კონფლიქტის შემთხვევაში ბრისგაუ დაუცველი იქნებოდა, აზრი შეაცვლევინეს იმპერატორს; ეს პროვინცია ზალცბურგს მიუერთდა.

მომავალი ტერიტორიული გადანაწილების სანაცვლოდ, პარიზის ხელშეკრულების მეორე დღეს, 1814 წლის 31 მაისს, **ავსტრიამ მიიღო რაინის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიები მოზელის სამხრეთით** (ჩრდილოეთი ნაწილი მოზელის ჩრდილოეთით დროებით პრუსიას გადაეცა), **ასევე აიზემბურგ-ბირშთაინის და ლეიენის სამთავროები, ფრანკფურტის ძველი საერცჰერცოგოს ზოგიერთი ნაწილი** (აშაფენბურგი, ვეცლარი).

1814 წლის 3 ივნისის პარიზის ზავით ავსტრიასა და ბავარიას შორის შემდეგი დებულებები იქნა მიღებული:

– **ბავარია დაუყოვნებლივ უთმობდა ავსტრიას ბავარიის ტიროლს და ფორარლბერგს, ჰოენეკის სამთავროს გარდა,** რომელიც ბავარიისათვის ლინდაუსა და კონსტანცას ტბაზე გასასვლელი იყო; სანაცვლოდ **ავსტრია ბავარიას დაუყოვნებლივ უთმობდა ვიურცბურგის საერცჰერცოგოს** (რომელიც მისმა ერცჰერცოგმა მიატოვა და ტოსკანის სამართავად დაბრუნდა) **და აშაფენბურგის სამთავროს** (რომელიც დაშლილი ფრანკფურტის საერცჰერცოგოს ნაწილი იყო, უფრო ადრე კი მაინცის ოლქისა) ორბის გამოკლებით, რომელიც ადრე აშაფენბურგს ეკუთვნოდა და ანაუს ანკლავი იყო და რომლის ბედიც გადაუწყვეტელი რჩებოდა;

– ზალცბურგის, ბერხტესგადენისა და სხვა ქალაქების დათმობის საკითხი ვენის კონგრესს გადაეგზავნა განსახილველად იმ იმედით, რომ ბავარიას მიაკუთვნებდნენ.

ვენის კონგრესმა 1815 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით ავსტრიას დაუტოვა ჩრდილო-აღმოსავლეთი იტალია; ავსტრიის იმპერატორმა თავის პროვინციებს მიუერთა ტესინი, ტრიესტი, გორიცია და გრადიშკა, ისტრიის სამარკგრაფო, ხოლო დარჩენილი ოლქები (მილანი, მანტუა, ვალტელინა, ლომბარდია, ვენეცია, მდინარე პოს ჩრდილოეთით მდებარე ლეგაციების ნახილი) **ლომბარდია-ვენეციის სამეფოში** გააერთიანა დედაქალაქით მილანი, და მისი სიუზერენი გახდა.

1815 წლის 3 მაისს ვენაში რუსეთსა და ავსტრიას შორის დაიდო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც **ავსტრიამ მიიღო გალიციის რამდენიმე ოლქი და ტერნოპოლი,** რომელიც 1810 წლის მარტში დათმო. მან უარი თქვა დასავლეთ გალიციაზე.

1815 წლის 8 ივნისს ფედერალური აქტით შეიქმნა **გერმანული კონფედერაცია** დაშლილი საღვთო რომის იმპერიის სანაცვლოდ, რომლის მმართველობაც ავსტრიის იმპერატორს დაეკისრა. ავსტრია იქ წარმოდგენილი იყო თავისი "იმპერიის" პროვინციებით: ავსტრია, ზალცბურგი, ტიროლი, ფორარლბერგი, შტირია, კარინთია, კრაინა, გორიცია, ტრიესტი, ავსტრიის ისტრია. ბოჰემია, მორავია და ავსტრიის სილეზია. ფრანკფურტის დიეტის პლენარულ სხდომებზე ავსტრია 4 ხმით იქნებოდა წარმოდგენილი; დახურულ სხდომებზე კი (17 ხმა) ერთი ხმით.

გარდა ამისა, ტერიტორიული თვალსაზრისით, ვენის კონგრესის საბოლოო ოქმით, რომელიც 1815 წლის 9 ივნისს გაფორმდა, **ავსტრია:**

– **იბრუნებდა** დაკარგული მემკვიდრეობითი სახელმწიფოების უმეტეს ნაწილს: **გორიციისა და გრადიშკას საგრაფოებს, ტრიესტს, ისტრიის სამარკგრაფოს, კრაინას, კარინტიის დასავლეთის ნახევარს, ხორვატიის სამეფოში მდინარე სავას მარჯვენა სანაპიროს ნაწილს, მილანს, მანტუას;** მან საბოლოოდ უარი თქვა გარე ავსტრიაზე (ბრისგაუ, ორტენაუ, ბურგაუ და ა.შ.), და ავსტრიის ნიდერლანდზე.

– **ღებულობდა იტალიის ტიროლს** (ტრენტესა და ბოლცანოს); **შვეიცარიას** უთმობდა რეცუნს;

– **ღებულობდა ვენეციის მემკვიდრეობას** (ვენეცია, მონფალკონე, ვენეციის ისტრია, დალმაცია, კოტორი), იონიის და რაგუზას კუნძულების გამოკლებით;

– **დროებით მფლობელობაში ღებულობდა** შემდეგ თავისუფალ ტერიტორიებს: **შპაიერს, ცვაიბრიუკენს და კაიზერსლაუტერნს, ალცაის ოლქის კანტონს კირჰაიმ-ბოლანდენს, ვალდენორის და ბლისკასტელის კანტონებს**

ოტვაილერის ოლქში, კერსელის კანტონს ბირკენფელდის ოლქში, იზემბერგ-ბირშტაინის და ლეიენის სამთავროებს (ჰოენგეროლდსეკი).

სამაგიეროდ, ზალცბურგის, ბერხტესგადენის, ინფიერტალის და ჰაუსრუკ-ფიერტალის დათმობის საკითხი გადაუწყვეტელი რჩებოდა მანამდე, სანამ ბავარია არ მიიღებდა კომპენსაციას.

1815 წლის 10 ივნისის შეთანხმებით, რომელიც ჰესენ-დარმშტადტთან დაიდო, ავსტრიამ დათმო აიზემბურგ-ბირშთაინის სამთავროს სამხრეთი ნაწილი (ოფენბახი) და ჩრდილოეთ ნაწილის ნახევარი (ბუდინგენი).

გარდა ამისა, ავსტრიამ ჰესენ-კასელს დაუთმო აიზემბურგ-ბირშთაინის ჩრდილოეთი ნაწილი.

V. 1815 წლიდან ავსტრია-უნგრეთად გახდომამდე (1867)

1. 815 წლიდან 1848 წლის რევოლუციებამდე

1816-1819 წლების პერიოდში ავსტრია აგვარებს ვენის კონგრესზე გადაუჭრელ ტერიტორიულ საკითხებს. ამ მიზნით ავსტრიამ 1816 წლის 14 აპრილს მიუნხენში ხელი მოაწერა ბავარიასთან შეთანხმებას, რომლის მიხედვით:

– ავსტრია ბავარიას უთმობდა რაინის მარცხენა სანაპიროს თავისუფალ ტერიტორიებს, ზალცბურგის, ბერხტესგადენის, ინფიერტალის და ჰაუსრუკ-ფიერტალის ოლქებს, ინფიერტალის ოლქის ნაწილს (ბოლცანო), ტრენტე), როვერედო (როვერედო), ფორარლბერგი (ბრეგენცი)

4) შტირია (5 ოლქი): გრაცი, მარბურგი, სილი, იუდენბურგი, ბრუკი. ილირიის სამეფო (2 გუბერნია)

ილირიის სამეფო (2 გუბერნია)

5) ლეიბახი (5 ოლქი): ლეიბახი, ადელსბერგი, ნოიშტადტი, ვილაკი, კლაგენფურტი.

6) ტრიესტი (3 ოლქი): ტრიესტი, გორიცია, ისტრია (მიტენბურგი).

ბოჰემიის გვირგვინი (2 გუბერნია) (დეტალურად იხ. ჩეხეთში)

7) ჩეხეთის სამეფო (17 ოლქი)

8) მორავია - და — სილეზია (8 ოლქი)

II. ქვეყნები, რომლებიც არ შევიდნენ გერმანიის კონფედერაციაში (7 გუბერნია)

9) **გალიციის სამეფო** (19 ოლქი) (დეტალურად იხ. „პოლონეთი")

10) **უნგრეთის სამეფო** (4 ოლქი + ხორვატია — სლავონიის სამეფო) (დეტალურად იხ. „უნგრეთი")

11) **ტრანსილვანია** (3 ქვეყანა) (დეტალურად იხ. „უნგრეთი")

12) **სამხედრო საზღვრები** (6 საგენერალო) (დეტალურად იხ. „უნგრეთი")

13) **დალმაციის სამეფო** (4 ოლქი) (დეტალურად იხ. „დალმაცია", თავი „ხორვატია");

ლომბარდია-ვენეციის სამეფო (2 გუბერნია) (დეტალუარდ იხ. „იტალია")

14) **მილანი** (9 ადმინისტრაციული პუნქტი)

15) **ვენეცია** (8 ადმინისტრაციული პუნქტი)

მთლიანად ავსტრიის ფართობი მოიცავდა 668000 კმ²-ს, სადაც 28 მილიონი კაცი ცხოვრობდა.

1818 წლის 6 აპრილს, საიმპერატორო ოქმით ავსტრიამ გალიციის სამეფოდან გერმანიის კონფედერაციაში შეიყვანა პოლონეთის საჰერცოგოები — ოსვენციმი და ზატორი.

1819 წლის 20 ივლისის ფრანკფურტის გენერალური საიმპერატორო ოქმის თანახმად საბოლოოდ გადაწყდა ავსტრიის ტერიტორიული საკითხი.

ავსტრიამ

– ბადენს დაუთმო ჰოენგეროლდსეკი და მისგან მიიღო შტაინფელდის საბაიო

– ბავარიას დაუთმო შტაინფელდის საბაიო ბოჰემიის რედვიცის ანკლავი ფრანკონიაში.

– **პრუსიას დაუთმო ქალაქი ვეცლარი.**

1815-1848 წლების პერიოდი ევროპაში ავსტრიის ჰეგემონიის ბოლო პერიოდია. როგორც გერმანიის კონფედერაციის თავმჯდომარე, ავსტრია მართავს დანანევრებულ გერმანიას, სადაც ნაპოლეონის ეპოქის კრახის შემდეგ მხოლოდ პრუსია დადგა ფეხზე და იძულებულია დროებით მოთოკოს თავისი ამბიციები. იტალიაში ლომბარდია ვენეციაზე თავისი გავლენით, არაპირდაპირი გავლენით პარმაზე, მოდენაზე, ტოსკანიაზე, თავისი კავშირებით ბურბონებთან და პაპთან, ავსტრია ჯერ ისევ პატრონის როლშია. ევროპაში ის აქტიურად მონაწილეობდა საღვთო კავშირში, რომელიც ნებისმიერი ევოლუციის მონინააღმდეგე სახელმწიფოებს აერთიანებდა და ეფექტურად რეაგირებდა ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერი ეროვნული ან პატრიოტული სულისკვეთების გამომჟღავნების ჩასახშობად.

1815 წელს, პოლონეთის მეოთხე დაყოფის დროს, დანანილება არ შეხებია მხოლოდ კრაკოვის ოლქსა და მის შემოგარენს, ის კრაკოვის რესპუბლიკის რანგში აიყვანეს ძლიერი ქვეყნების პროტექტორატის ქვეშ.

გალიციაში მომხდარი არეულობების შემდეგ, სხვა მფარველ სახელმწიფოებთან შეთანხმებით (პრუსია, რუსეთი), 1846 წლის 6 ნოემბერს ავსტრიამ მოახდინა **კრაკოვის რესპუბლიკის ანექსირება** და გალიციის თავის გუბერნიაში გააერთიანა.

2. 1848 წლიდან 1867 წლის კომპრომისამდე

1848 წლის მარტიდან მაისამდე ავსტრიის გვირგვინის ქვეშ გაერთიანებულ ქვეყნებში მომხდარი სახალხო გამოსვლები (ავსტრია, ჩეხეთი, უნგრეთი, ლომბარდია-ვენეცია) საფრანგეთში განვითარებული მოვლენების გამოძახილი იყო, რომლებიც ხელისუფლებამ ჩაახშო.

1849 წლის 4 მარტის კონსტიტუცია, რომელიც პრინც შვარცენბერგმა შეიმუშავა ერთიანი ავსტრიის იმპერიისათვის, ამყარებდა ადმინისტრაციულ ცენტრალიზაციას ("ბახის სისტემა"), რომელიც სამეფოს 21 ქვეყანაზე ერთნაირად ვრცელდებოდა. ამ რეფორმის შედეგად დამარცხებული უნგრეთი კარგავდა თავის

სამფლობელოებს, ზოგიერთი ერთგული პროვინცია კი ერთგულებისთვის ჯილდოს ღებულობდა (ზალცბურგი, ბუკოვინა, ხორვატია, ბანატი).

ეს 21 ქვეყანა იყო: ენსის ქვევით მდებარე ავსტრია (ვენა), ენსის ზევით მდებარე ავსტრია (ლინცი), ზალცბურგი, შტირია (გრაცი), კარინთია (კლაგენ-ფურტი), კრაინა (ლიუბლიანა), ლითორალი (ტრიესტი), ტიროლი-და-ფორარ-ლბერგი (ინსბრუკი), ბოჰემია (პრაღა), მორავია (ბრნო), სილეზია (ოპავა), ხორვატია-სლავონია (ზაგრები), ტიმიშოარის სერბეთ-ბანატის საეოვევოდო (კარლოვცი), ტრანსილვანია (კლუჟი), გალიცია (ლვოვი), ბუკოვინა (ჩერნოვცი), დალმაცია (ზადარი), უნგრეთი (ბუდა), სამხედრო ოლქები (კარლშტადტი), ლომ-ბარდია (მილანი), ვენეცია (ვენეცია).

1859 ნლის დასაწყისში, სარდინიის მეფემ საფრანგეთის მხარდაჭერით მოინდომა იტალიის გააერთიანება; ამას ავსტრიასთან ომი მოჰყვა. ფრანკო-სარდინიულ გამარჯვებებს მაჯენტასა და სოლფერინოში (1859 ნლის ივნისი), ციურიხის ზავს (1859 ნლის 10 ნოემბერი) მოჰყვა **ავსტრიის მხრიდან სარდი-ნიისათვის ლომბარდიის გადაცემა**, საზღვარი დაფიქსირდა მინჩოზე.

ლომბარდია-ვენეციის სამეფო ამიერიდან მხოლოდ ვენეციით შემოიფარ-გლებოდა. აქედან გამომდინარე, ავსტრიამ დაკარგა 20000 კმ² დაახლოებით 2,5 მილიონი მცხოვრებით.

ვენის მიერ განხორციელებული ახალი შიდა დეცენტრალიზაციით, 1860 ნლის ოქტომბერში იმპერატორმა ფრანც-იოზეფმა აღადგინა თავისი პროვინციების ძველი კონსტიტუციები.

აქედან გამომდინარე, ტიმიშოარის სერბეთ-ბანატის საეოვევოდო დაიშალა და უნგრეთსა და ხორვატია-სლავონიაში გადანაწილდა.

გერმანიის ჩრდილო-დასავლეთით შლეზვიგის, ჰოლშთაინის და ლაუენბურგის საპერცოგოები დანიის მეფეს ეკუთვნოდა, თუმცა თავისი სპეციალური სტატუ-სით ისინი გამორჩეულნი იყვნენ სამეფოდან; ითვლებოდა, რომ შლეზვიგი და ჰოლშთაინი განუყოფელნი იყვნენ; გარდა ამისა, ჰოლშთაინი და ლაუენბურგი გერმანიის კონფედერაციაში შეღიოდნენ. (იხ. თავი "ლანია")

1863 ნლის ნოემბერში, ფრიდრიხ VII-ის გარდაცვალების შემდეგ, ახალი მეფე კრისტიან IX გლუკსბურგი ღებულობს დანიას, მაგრამ გერმანიის კონფედერაციამ სამი საპერცოგო სალიკური კანონის შესაბამისად, აუგუსტენბურგის ჰერცოგს გადასცა.

1864 ნლის თებერვალში პრუსიამ და ავსტრიამ დაიკავეს ეს საპერცოგოები და დანიის არმია დაამარცხეს.

1864 ნლის 30 ოქტომბერს ვენის შეთანხმებით **დანიამ პრუსიისა და ავსტრიის კონდომინიუმს დაუთმო სამი საპერცოგო — შლეზვიგი, ჰოლშთაინი და ლაუენბურგი.**

1865 ნლის 14 აგვისტოს გაშთაინის შეთანხმებით ავსტრიამ და პრუსიამ თავიანთი კონდომინიუმის ადმინისტრაცია გაიყვეს. ფინანსური კომპენსაციის მიღების შემდეგ **ავსტრიამ პრუსიას დაუთმო ლაუენბურგის საპერცოგო. დანარჩენი ორი საპერცოგო კი კონდომინიუმს ექვემდებარებოდა**, პრუსია მართავდა შლეზვიგს, ავსტრია ჰოლშთაინს.

მას შემდეგ, რაც საპერცოგოებთან დაკავშირებით ავსტრიასა და პრუსიას შორის ურთიერთობა დაიძაბა, 1866 ნლის 7 ივნისს დაიწყო ომი, ერთი მხრივ ავსტრიის, მეორე მხრივ კი პრუსიისა და იტალიის მხრიდან, რომელშიც ავსტრია დამარცხდა სადოვასთან (3 ივლისი).

1866 ნლის 23 აგვისტოს პრაღაში ხელი მოენერა სამშვიდობო ხელშეკრულებას ავსტრიასა და პრუსიას შორის. ამ შეთანხმებით **ავსტრია:**

– თანხმდებოდა გერმანიის კონფედერაციის დაშლას და მის პოლიტიკურ გაძევებას გერმანული სამყაროდან;

– მთლიანად უთმობდა პრუსიას შლეზვიგისა და ჰოლშთაინის საპერ-ცოგოებს;

– იტალიას უთმობდა ვენეციას, ლომბარდია-ვენეციის მორჩენილ ნანილს. ვენეციის დაკარგვით ავსტრიის ტერიტორია მცირდებოდა 25000 კმ² და 2,5

მილიონი კაცით. ავსტრიის ფართობი უტოლდებოდა 624000 კმ², მოსახლეობა 36 მილიონ კაცს.

უფრო მეტიც, ბისმარკის პრუსიამ ავსტრია უხეშად ჩამოაშორა გერმანიის პოლიტიკურ მმართველობას. მას აღარ ჰქონდა ის როლი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ასრულებდა, ამიერიდან ის უნდა შეგუებოდა იმ აზრს, რომ ისეთივე სახელმწიფო იყო, როგორიც სხვა დანარჩენი და ყურადღება გადაიტანა აღმოსავლეთ ევროპაზე.

1861 წლის თებერვლის იმპერატორის ბრძანებულებით ვენაში ფედერალური პარლამენტი დაარსდა, რომელშიც თავისი დეპუტატების წარგზავნაზე უარს ამბობდა უნგრეთი (ბოჰემიის მსგავსად), რითაც ამ ასამბლეის წარმომადგენლობას ასუსტებდა. 1866 წლის მოვლენებმა, რომლებმაც ავსტრია ჩამოაშორა გერმანიას, აიძულა ავსტრიის ხელისუფლება კონცენტრირებულიყო დუნაის სივრცეზე და ხანგრძლივი დროით გარიგებოდა უნგრეთს.

ამ პერსპექტივაში **ავსტრია-უნგრეთის 1867 წლის ივნისის კომპრომისი** მნიშვნელოვანი შეთანხმება იყო ავსტრიის სახლსა და უნგრეთს შორის.

უნგრეთის სამეფო ტრანსილვანიისა და ხორვატია-სლავინიის თავისი სამფლობელოებით **ნახევრად დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა**, ავსტრიის იმპერატორი უნგრეთის მეფე იყო და მათ სამი საერთო სამინისტრო ჰქონდათ (საგარეო საქმეთა, თავდაცვის და ფინანსთა სამინისტრო).

ამ ფაქტიდან გამომდინარე, ავსტრიის (ცისლაიტანია) ფართობი დავიდა 300 000 კმ²-ს 20,4 მილიონი მცხოვრებით. იგი 14 ქვეყნისგან შედგებოდა, რომლებიც „წარმოდგენილი იყვნენ ვენის პარლამენტში": ქვემო ავსტრია (ვენა), ზემო ავსტრია (ლინცი), ზალცბურგი, შტირია (გრაცი), კარინთია (კლაგენფურტი), კრაინა (ლიუბლიანა), ლითორალი (ტრიესტი), ტიროლი (ინსბრუკი), ბოჰემია (პრაღა), მორავია (ბრნო), სილეზია (ოპავა), გალიცია (ლვოვი), ბუკოვინა (ჩერნოვიცი), დალმაცია (ზადარი).

VI. 1867 წლიდან ავსტრია უნგრეთის დაშლამდე (1918/1919)

1. 1867 წლიდან ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსირებამდე (1908)

ავსტრია-უნგრეთი ცდილობდა თავისი ძალაუფლება ბალკანეთის ქვეყნებზე გაევრცელებინა, მას განსაკუთრებით ბოსნია-ჰერცეგოვინა ხიბლავდა, რადგან მისი ხელში ჩაგდებით მას სალონიკისაკენ ეხსნებოდა გზა და თანაც ეს ხელს შეუშლიდა სერბეთისა და ჩერნოგორიის გაერთიანებას. რაიხშტადტში შეხვედრისას (1876 წლის ივლისი), ავსტრიისა და რუსეთის იმპერატორები ბალკანეთის გაყოფაზე შეთანხმდნენ, რომლის თანახმადაც ავსტრიას უნდა მიეღო ბოსნია-ჰერცოგოვინა.

თურქეთსა და სერბეთს შორის ომმა რუსეთის წარმატებული ჩარევა გამოიწვია (1877 წლის დეკემბერი). ამ უკანასკნელმა (1878 წლის 3 მარტი) თურქეთს თავს მოახვია სან.სტეფანოს ზავი და შექმნა დიდი ბულგარეთი, რომელიც რუსეთის გავლენის სფერო იყო, რაც შეეხება ბოსნია-ჰერცეგოვინას, მასზე საუბარი არ ყოფილა.

ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი თვლიდნენ, რომ სან-სტეფანოს ზავით ბალკანეთზე წონასწორობა ირღვეოდა, ამიტომ ბისმარკმა ბერლინში მოიწვია კონგრესი, რომელზეც 13 ივლისს ახალი შეთანხმება დაიდო. ბერლინის ამ შეთანხმების მიხედვით **ავსტრია**:

– **თურქეთისაგან ღებულობდა პორტ შპიზზას** ადრიატიკის ზღვაზე, რომელიც მან თავის დალმაციის პროვინციას მიუერთა;

– უფლებამოსილი ხდებოდა ჯარები ნოვი პაზარის სანჯაყში განელაგებინა;

– ღებულობდა **ბოსნია-ჰერცეგოვინის როგორც სამოქალაქო მართვის, ასევე სამხედრო ოკუპაციის** უფლებას, თუმცა იურიდიულად ის თურქეთის მფლობელობაში რჩებოდა.

ვენის გარკვეული წრეები სურვილს გამოთქვამდნენ საბოლოოდ მიეერთებინათ ავსტრია-უნგრეთის იმპერიისათვის ბოსნია-ჰერცეგოვინა, მაგრამ ვერ ბედავდნენ ორბენოვიჩთან — სერბეთის მეფესთან დაპირისპირებას, რომელიც, მართალია, ავსტრიისკენ იხრებოდა, მაგრამ მიიჩნევდა, რომ ბოსნია სერბეთისათვის ძალიან ახლობელი იყო.

1903 წელს მისი უეცარი შეცვლა ყარაგეორგიევიჩის დინასტიით, რომელიც რუსეთს უჭერდა მხარს, ყველა უხერხულობას ხსნიდა. უფრო მეტიც, ბოსნია-ჰერცეგოვინის ანექსირება ითვლებოდა, რომ გარკვეული კომპენსაცია იქნებოდა სერბეთში გაელენის დაკარგვის გამო და ეს შესაძლებლობას მისცემდა ავსტრიას, გაეყვანა სარკინიგზო გზა სალონიკისაკენ და განთავისუფლებულიყო სერბეთის ქსელისაგან.

1908 წლის ზაფხულში დაწყებული ახალგაზრდა თურქთა რევოლუცია მიზნად ისახავდა სტამბოლში თურქეთის პარლამენტის მონვევას, სადაც ბოსნიელებიც იქნებოდნენ მინვეულნი; ამ მოვლენამ კვანძის გახსნა დააჩქარა.

5 ოქტომბრის მეორე დღეს, როდესაც პრინცმა ფერდინანდმა გამოაცხადა ბულგარეთის დამოუკიდებლობა, ავსტრია-უნგრეთის მთავრობამ 1908 წლის 6 ოქტომბერს გამოსცა დეკრეტი:

– **ავსტრია-უნგრეთი ახდენდა ბოსნია-ჰერცეგოვინას ანექსირებას** და თურქეთს ფინანსურ კომპენსაციას უხდიდა;

– თურქეთს უბრუნებდა ნოვი პაზარის სანჯაყს.

ბოსნია-ჰერცეგოვინა ავსტრია-უნგრეთის კონდომინიუმი გახდა; მას თავისი ადმინისტრაცია ჰქონდა, ამ ორი ქვეყნის ადმინისტრაციისაგან განსხვავებული. თუმცა ამ ანექსიამ ბოსნიელების თავმოყვარეობა შელახა; ისინი, როგორც სლავები, თავს უფრო კარგად გრძნობდნენ სერბებთან, ვიდრე ახალ პატრონებთან — ავსტრიელებთან და უნგრელებთან.

2. 1908 წლიდან ავსტრია-უნგრეთის დაშლამდე (1919)

1914 წლის 28 ივნისს სერბეთის მიერ დაქირავებულმა ბოსნიელმა სარაევოში მოკლა ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი და მისი მეუღლე, რომლებიც ბოსნია-ჰერცეგოვინაში იმყოფებოდნენ ოფიციალური ვიზიტით. ამ მკვლელობას პირველი მსოფლიო ომის დაწყება მოჰყვა.

ამ ომში ავსტრია-უნგრეთმა გერმანიის მხარე დაიკავა, რომელთაც მალე თურქეთი, შემდეგ ბულგარეთი შეუერთდა. მას ორ ფრონტზე უნდა ებრძოლა, რუსეთის წინააღმდეგ და ბალკანეთში, მოგვიანებით 1915 წელს კი მესამე ფრონტი გაიხსნა იტალიის წინააღმდეგ.

ზოგადად, ორმაგ მონარქიაში გაერთიანებული ერები, რომლებიც მის ჯარშიც მსახურობდნენ, ერთგულად იბრძოდნენ ავსტრიის მხარეს. მაგრამ კონფლიქტის ხანგრძლივობამ, ცხოვრების მძიმე პირობებმა, სასტიკმა ბრძოლებმა გააძლიერა ქვეყნიდან გამოსვლის სურვილი.

ახალგაზრდა იმპერატორი კარლ I, რომელმაც შეცვალა ფრანც-იოზეფი სამოცდარვანლიანი მეფობის შემდეგ, 1916 წელს ამაოდ ცდილობდა ენარმოებინა მოლაპარაკებები თავისი ქვეყნის კონფლიქტიდან გამოყვანის თაობაზე. დამარცხებულმა ავსტრია-უნგრეთმა იარაღი 1918 წლის 3 ნოემბერს დაყარა პადუაში. ამავე პერიოდში ავსტრიის უმცირესობა გრძნობდა რა იმპერიის დასასრულის მოახლოებას, დაინყო მოძრაობა თვითგამორკვევისათვის.

18 ოქტომბერს ვაშინგტონში, 28 ოქტომბერს კი პრაღაში, ტომაშ მასარიკმა გამოაცხადა ახალი სახელმწიფოს — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დაბადება.

21 ოქტომბერს, ზაგრების ეროვნულმა კონგრესმა, რომელსაც სლოვენი აბატი კოროსეჩი თავმჯდომარეობდა, გააკეთა განცხადება, რომ იმპერიის სამხრეთით მდებარე სლავური ტერიტორიები ავსტრია-უნგრეთიდან გამოყოფას აპირებდნენ, სამხრეთის სლავების მომავალ სამეფოში გაერთიანების მიზნით.

11 ნოემბერს, იმპერატორმა კარლ I-მა განაცხადა, რომ უარს ამბობდა სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობაზე.

12 ნოემბერს, ავსტრიის დროებითმა ეროვნულმა ასამბლეამ გამოაცხადა **ავსტრიის გერმანული რესპუბლიკა** (Deutschoestcrreich).

22 ნოემბერს, ამ ასამბლეამ გამოაცხადა, რომ ყოფილი ცისლაიტანიის კომპაქტური გერმანოფონული ტერიტორიები გერმანულ ავსტრიაში შედიოდა, რომელიც თვითონ გერმანული რაიხის შემადგენელი ნაწილი იყო; ეს შემდეგი ტერიტორიები იყო: თავად ავსტრია, ტიროლი, ფორარლბერგი, კარინთია, შთირია, სუდეტების მხარე.

მაგრამ მოკავშირეებმა განაცხადეს ავსტრია-უნგრეთის დასასრული და გადაწყვიტეს მთელი სიმკაცრით აემუშავებინათ ეროვნულობის პრინციპი. ავსტრია — ისევე როგორც უნგრეთი – უნდა გამხდარიყო ტერიტორიულად შეზღუდული ჰომოგენური სახელმწიფო და მათ არა მხოლოდ აშკარად ალოგენური რეგიონები, არამედ შერეული რეგიონებიც უნდა ჩამოშორებოდა; უფრო მეტიც, იტალიის დასაკმაყოფილებლად მოკავშირეებმა მას მიაკუთვნეს ბრენერის საზღვარი და ეროვნულობის პრინციპის უგულებელყოფით იტალიის შემადგენლობაში შევიდა სამხრეთი ტიროლი, მკვეთრად გამოხატული გერმანული ხასიათით.

1919 წლის 10 სექტემბერს სენ-ჟერმენის შეთანხმებით, ყოფილი ცისლაიტანიას სახელით **ავსტრიამ დაუთმო**:

– **რუმინეთს ბუკოვინა**, ჩრდილოეთის საზღვარზე ტერიტორიის მცირე ნაწილის გამოკლებით;

– **პოლონეთს დასავლეთ გალიცია**;

– **ჩეხოსლოვაკიას ბოჰემია, მორავია და ავსტრიის სილეზიის დასავლეთის ნახევარი** (ოპავა), ასევე **ქვემო ავსტრიის ორი ფრაგმენტი**, ერთი ზიოიმოს სამხრეთით, მეორე გმუნდის დასავლეთით სარკინიგზო ქსელის გათვალისწინებით;

– **იტალიას ტრენტე და სამხრეთი ტიროლი**, ბრენერის საზღვრამდე და ტოლბახამდე, ინიხენამდე (სან კანდიდო) ზემო დრავაზე, **კარინთიის კალანტალი, კრაინის ფრაგმენტი, ტრიესტი, გორიციისა და გრადიშკას საგრაფოები**);

– **სერბეთის ხორვატიისა და სლოვენიის სამეფოს** (ს.ხ.ს.) **სამხრეთი შტირიის მესამედი** (მარბურგის ჩათვლით და რადკესბურგის გამოკლებით), **კარინთიის ორი ნაწილი, კრაინა დასავლეთი ნაწილის გარეშე, სამხრეთი დალმაცია და მისი კუნძულები.**

უფრო მეტიც, **ავსტრიამ უარი თქვა**:

– **აღმოსავლეთ გალიციაზე**, რომლის თაობაზეც პოლონეთი და უკრაინა დავობდნენ და რომელსაც დაემატა ბუკოვინის მცირე ნაწილი მის ჩრდილოეთის საზღვარზე, რათა იქ კოლომია-ზალეშჩიკის რკინიგზა შესულიყო;

– **ავსტრიის სილეზიის აღმოსავლეთის ნახევარზე** (ჩესკი-ტეშენი), რომლის თაობაზეც პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია დავობდნენ;

– **ისტრიაზე, კრაინის დასავლეთ ნაწილზე და ჩრდილოეთ დალმაციაზე**, რომელიც დავის საგანი იყო იტალიასა და სხს-ს სამეფოს შორის.

გარდა ამისა, ავსტრიამ დროებით შეინარჩუნა კლაგენფურტის აუზი (კარინთიის სამხრეთ-აღმოსავლეთის მეოთხედი). თუმცა 1920 წელს მისი ბედის გასარკვევად იქ უნდა გამართულიყო პლებისციტი, რადგან მასზე პრეტენზიას ავსტრია და სხს აცხადებდნენ.

და ბოლოს, უნგრეთსა და მის მოკავშირეებს შორის მომავალი შეთანხმების დამტკიცების საფუძველზე, **ავსტრია უნგრეთისაგან ღებულობდა "ბურგენლანდს"** ანუ დასავლეთ ნაწილს, რომელიც ძირითადად გერმანელებით იყო დასახლებული.

გერმანიასთან მიერთება (Anschluss), ჩაწერილი ავსტრიის კონსტიტუციაში აკრძალეს მოკავშირე სახელმწიფოებმა და ავსტრია იძულებული გახდა უარი ეთქვა სახელწოდებაზე გერმანული ავსტრია. ამიტომაც მას ეწოდა **ავსტრიის რესპუბლიკა**.

ამგვარად, ავსტრიის ფართობმა შეადგინა დაახლოებით 84 000 კმ², მოსახლეობამ დაახლოებით 6 მილიონი კაცი.

VII. თანამედროვე ავსტრია (1919 წლიდან დღემდე)

1. ავსტრიის პირველი რესპუბლიკა (1919-1938)

ტრიანონის ხელშეკრულებით, რომელიც 1920 წლის 4 ივნისს დაიდო უნგრეთსა და გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის, ბურგენლანდი ავსტრიას გადაეცა.

1920 წლის 1 ოქტომბრის კონსტიტუციით ავსტრია ფედერაციულ რესპუბლიკად გამოცხადდა, რომელიც 9 მხარისაგან შედგებოდა: ვენა, ქვემო ავსტრია (სენ-პოელტენი), ზემო ავსტრია (ლინცი), ზალცბურგი, ტიროლი (ინსბრუკი), ფორარლბერგი (ბრეგენცი), კარინთია (კლაგენფურტი), შტირია (გრაცი), ბურგენლანდი (აიზენშტადტი).

მოკავშირეების მხრიდან სამხრეთ ტიროლთან დაკავშირებული პოზიციის გამო თავისი პროტესტის გამოსახატავად ავსტრიამ გადაწყვიტა შეენერჩუნებინა ადმინისტრაცია ტიროლში, ლიენცის აუზში (აღმოსავლეთი ტიროლი), რომელიც მის მფლობელობაში რჩებოდა, თუმცა უკვე გამოყოფილი იყო ჩრდილოეთი ტიროლისაგან.

1920 წლის 10 ოქტომბერს კარინთიის ორი განსაზღვრული ზონიდან ერთერთში ჩატარდა პლებისციტი. უმრავლესობამ ავსტრიის შემადგენლობაში დარჩენის სურვილი გამოთქვა. აქედან გამომდინარე, **კლაგენფურტის აუზი ავსტრიის შემადგენლობაში დარჩა.**

ტრიანონის შეთანხმების შემდეგ, ავსტრიის მფლობელობაში გადავიდა ბურგენლანდი. როდესაც ჯარი შოპრონში შევიდა, მას მოსახლეობა დაუპირისპირდა, რადგან უნგრეთის შემადგენლობაში დარჩენის მომხრე იყო. 1921 წლის 3 ოქტომბერს ავსტრია-უნგრეთის შეთანხმების მიხედვით გადაწყდა პლებისციტამდე, რომელიც 14-15 დეკემბერს უნდა ჩატარებულიყო, ქალაქი და მისი მისადგომები მოკავშირე სახელმწიფოებისთვის გადაეცათ.

1921 წლის დეკემბერში გათვალისწინებული პლებისციტი 1922 წლის იანვარში გაიმართა, **რომლის მიხედვითაც ქალაქი ედენბურგი (შოპრონი) და მიმდებარე 8 კომუნა ბურგენლანდს ჩამოშორდა და უნგრეთს დაუბრუნდა.**

2. ავსტრიის შეყვანა გერმანულ რაიხში (1938-1945)

ავსტრიელების გარკვეულ ნანილში ძლიერი იყო იმის შეგრძნება, რომ გერმანულ ერს ეკუთვნოდა. ის მიზეზები, რომელთა გამოც 1866 ნელს ავსტრია გაირიცხა გერმანული სამყაროდან აღარ არსებობდა: მეტოქეობა ჰაბსბურგებისა და ჰოენცოლერნების დინასტიებს შორის, ავსტრიის მრავალეროვნულობა. ანშლუსის იდეა, რომელსაც ავსტრიის უმრავლესობა ემხრობოდა, თავიდან გერმანიისა და ავსტრიის სოციალისტებმა აიტაცეს, შემდეგ კი გერმანელმა ნაციონალ-სოციალისტებმა, რომლებიც ამაში რაიხის აღდგენის შესაძლებლობას ხედავდნენ.

გერმანიის ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ (1933) ავსტრიის ხელისუფლება და პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა ანტინაციისტური შეხედულებების გამო ნინ აღუდგნენ ანშლუსის იდეას. კანცლერი დოლფუსი, რომელიც ერთდროულად მემარცხენე პარტიებსაც ეწინააღმდეგებოდა და ავსტრიის ნაცისტურ პარტიასაც, 1934 წლის ივლისში მოკლეს.

1938 ნელს კანცლერი შუშნიგი ჰიტლერისათვის წინააღმდეგობის გასაწევად შეეცადა 13 მარტისათვის რეფერენდუმის მოწყობას და ავსტრიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას, მაგრამ 12 მარტს ღამით ჰიტლერი ავსტრიაში შეიჭრა, 13 მარტს კი ავსტრიის გერმანიასთან შეერთება გამოაცხადა, რაც 10 აპრილის პლებისციტმა დაამტკიცა, რომელსაც ნაცისტები აკონტროლებდნენ.

ავსტრია ოსტმარკად (აღმოსავლეთის მარკად) გადაიქცა და მისი მხარეების რაოდენობა შვიდამდე დაიყვანეს:

- ვენის ლანდი მნიშვნელოვნად გაიზარდა;
- ზემო ავსტრია და ქვემო ავსტრია ზემო დუნაისა და ქვემო დუნაის ლანდები გახდა;
- ბურგენლანდი გაუქმეს და ქვემო დუნაისა და შტირიას შორის გადაანანილეს;
- კარინთია აღმოსავლეთ ტიროლის ხარჯზე (ლიენცი) გაიზარდა;

– ტიროლი ფორარლბერგის ხარჯზე გაფართოვდა, რომელიც აღარ არსებობდა, როგორც ლანდი;

– ზალცბურგი უცვლელი დარჩა.

1938 წლის სექტემბერში, გერმანიის რაიხის მიერ სუდეტების ტერიტორიის ანექსირების შედეგად, ზემო და ქვემო დუნაის ლანდებმა გაზარდეს სუდეტების ტერიტორია სამხრეთით.

გერმანიის რაიხს მიერთებული ავსტრია ჩათრეულ იქნა მეორე მსოფლიო ომში.

3. ავსტრიის მეორე რესპუბლიკა (1945 წლიდან დღემდე)

1945 წლის აპრილში **ავსტრიის რესპუბლიკა** თავის 1921 წლის საზღვრებში აღდგა.

პოტსდამის კონფერენციაზე, სადაც გერმანიაზე გამარჯვებული ქვეყნები შეიკრიბნენ, გადაწყდა გერმანიისა და ავსტრიის საოკუპაციო ზონებად დაყოფა.

ავსტრიას აღუდგინეს თავისი 9 მხარე 1922-1938 წლების საზღვრებში. ის გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა შემდეგნაირად დაინაწილეს:

– საფრანგეთმა დაიკავა ტიროლი და ფორარლბერგი;

– ინგლისმა დაიკავა შტირია, კარინთია და აღმოსავლეთ ტიროლი;

– ამერიკამ დაიკავა ზალცბურგი და ზემო ავსტრიის ნაწილი დუნაის ჩრდილოეთით (მარჯვენა სანაპირო);

– საბჭოთა კავშირმა ღაიკავა ქვემო ავსტრია, ბურგენლანდი და დუნაის ჩრდილოეთით (მარცხენა სანაპირო) ზემო ავსტრიის ნაწილი.

ვენის ლანდი ისევე, როგორც ბერლინი, ოთხმა გამარჯვებულმა მხარემ დაინაწილა.

ავსტრია, რომელიც აცხადებდა, რომ ნაციზმის მსხვერპლი გახდა, იმედოვნებდა, რომ დამარცხებული იტალიისაგან მიიღებდა სამხრეთ ტიროლს. გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა მას ამ თხოვნაზე უარი უთხრეს და ამ საკითხთან დაკავშირებით იტალიასთან მოლაპარაკება შესთავაზეს.

1946 წლის 5 სექტემბერს პარიზში მიღწეული შეთანხმებით (გრუბერსა და დე გასპერის შორის) **ავსტრიამ მიიღო სამხრეთი ტიროლის საქმეებში ჩარევის უფლება,** რომელიც იტალიის შემადგენლობაში დარჩა ავტონომიის სტატუსით.

1954 წელს ვენის ლანდს დაუბრუნდა ის საზღვრები, რომლებიც 1938 წლამდე ჰქონდა.

1955 წლის 15 მაისს მოკავშირეებმა ავსტრიას აღუდგინეს სუვერენულობა და დატოვეს ქვეყანა. ავსტრიამ ნეიტრალიტეტის დაცვის ვალდებულება აიღო. აქედან მოყოლებული იწყება ავსტრიის განვითარება პოლიტიკური სტაბილურობის და სოციალური მშვიდობის პირობებში.

1989 წლის ივლისში ის ევროპის თანამეგობრობის წევრობის კანდიდატია.

1995 წლის 1 იანვარს ავსტრია ევროკავშირის წევრი გახდა.

ავსტრია-უნგრეთის ეროვნებები და რელიგიები
1869 წლის აღწერის მიხედვით

ეროვნებები	ავსტრია	უნგრეთი	არმია	მთლიანად
გერმანელები	7 230 000	1 810 000	140 000	9 180 000
უნგრელები	18 000	5 413 000	75 000	5 506 000
სლავები	11 556 000	4 663 000	225 000	16 444 000
რუმინელები, ალბანელები, ბერძნები	214 000	2 648 000	41 000	2 903 000
იტალიელები, ფრიულიელები	592 000	2 000	6 000	600 000
სხვადასხვა (ებრაელები ...)	742 000	612 000	13 000	1 367 000
მთლიანად	20 352 000	15 148 000	500 000	36 000 000

1869 წლის აღწერას ყველა ეროვნება არ გაუთვალისწინებია; ეს მაჩვენებლები განზოგადოებული მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომლებიც ზუსტად ითვლება და დაჯამდა 1869 წელს, 1850 წლის აღწერის ბაზაზე.

ავსტრიაში გერმანელებს (35,5%) მნიშვნელოვნად უსწრებენ სლავები (56,8%), მაგრამ გერმანელები ქმნიან კომპაქტურ ჯგუფს და კონცენტრირებულნი არიან ძველ მემკვიდრეობით სახელმწიფოებში მაშინ, როცა სლავები გაფანტული არიან ჩეხეთსა და მორავიაში ჩრდილო დასავლეთით, გალიციასა და ბუკოვინაში ჩრდილო-აღმოსავლეთით, შტირიასა, კრაინასა და დალმაციაში სამხრეთით. რუმინელები (1%) არიან ბუკოვინაში, იტალიელები (3%) ავსტრიის სანაპიროზე და დალმაციაში. უნგრელები (0,1%) თითქმის არც არიან.

უნგრეთში უნგრელები (35%) ცოტათი აჭარბებენ სლავებს (30,8%), მაგრამ აქაც ისინი ქმნიან კომპაქტურ ჯგუფს, მაშინ როცა სლავები გაფანტულნი არიან ზემო უნგრეთში ჩრდილოეთით, ხორვატიაში და სამხედრო საზღვრებზე (ხორვატია, სერბეთი). გერმანელები (12%) ანგარიშგასაწევი ძალაა დასავლეთ ტრანსილვანიასა და ბანატში. რუმინელები (17,5%) ძირითადად ტრანსილვანიასა და ბანატში არიან. არმიის მონაცემები ცალკე აღწერეს.

ავსტრია-უნგრეთში რაოდენობის მხრივ სლავები (45,7%) პირველი ეთნიკური ჯგუფია, მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან გერმანელები (25,5%), უნგრელები (15,3%), რუმინელები (8%) და იტალიელები (1,7%). სლავების რაოდენობა ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსირების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა, რამაც ხელი შეუწყო იმ უსამართლო დამოკიდებულების ახსნას, რომელიც ორმაგი მონარქიის შექმნის შემდეგ არსებობდა.

რელიგიები	ავსტრია	უნგრეთი	მთლიანად
კათოლიკურ-რომანული	16 397 000	7 559 000	23 956 000
კათოლიკურ ბერძნული	2 347 000	1 606 000	3 953 000
პროტესტანტული	365 000	3 200 000	3 565 000
მართლმადიდებლური	465 000	2 590 000	3 055 000
ებრაული	822 000	554 000	1 376 000
სულ	20 396 000	15 509 000	35 905 000

ეს მონაცემები 1869 წლის აღრიცხვას ეყრდნობა და საერთო რაოდენობა ცოტათი განსხვავდება წინა ცხრილისაგან.

ავსტრიაში რომანული კათოლიკები 80%-იანი მაჩვენებლით მოსახლეობის ძირითად ბირთვს წარმოადგენს. მეორე დიდ ჯგუფს ბერძენი კათოლიკები (11,5%) წარმოადგენენ, რომლებიც ძირითადად ბუკოვინასა და გალიციაში ცხოვრობენ.

უნგრეთში (ტრანსილვანიაში) 48,7%-ით კათოლიკები ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფია, თუმცა არა ისეთი დომინანტური, როგორც ავსტრიაში (20,6%), ისინი ძირითადად უნგრეთსა და ტრანსილვანიაში არიან, მართლმადიდებლები (16,7%) არიან ტრანსილვანიასა და ბანატში (რუმინელები, სერბები) და ბერძენი კათოლიკები (10,3%) არიან ზემო უნგრეთში.

ავსტრია-უნგრეთში სახელმწიფო რელიგიის განმსაზღვრელი კათოლიკების რაოდენობაა (66,7%), რასაც ისიც ამყარებს, რომ სუვერენები კათოლიკები არიან.

უფრო მეტიც, უნიატები (11%), რომლებიც ინარჩუნებენ თავის რიტუალებს, მაგრამ დაკავშირებულნი არიან რომთან, ზრდიან კათოლიკების რაოდენობას, რომელიც 77,7%-ს აღწევს.

პროტესტანტები (10%) და მართლმადიდებლები (8,5%) უმცირესობაში არიან.

ებრაელები (3,8%) თითქმის მთელ იმპერიაში არიან გაფანტულნი, განსაკუთრებით კი გალიციასა და ბუკოვინაში, ასევე ორ დედაქალაქში – ვენასა და ბუდაპეშტში. აქ მათ უკეთ ექცევიან, ვიდრე ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებში.

კარლ I-ის ტიტულები

კარლ I
უფლის წყალობით
ავსტრიის იმპერატორი,
უნგრეთის სამოციქულო მეფე
ჩეხეთის, დალმაციის, ხორვატიის, სლავონიის,
გალიციის, ლოდომერიის და ილირიის მეფე;
იერუსალიმის მეფე;
ავსტრიის ერცჰერცოგი;
ტოსკანიისა და კრაკოვის დიდი ჰერცოგი;
ლოთარინგიის, ზალცბურგის, შტირიის,
კარინთიის, კრაინის, ბუკოვინის ჰერცოგი;
ტრანსილვანიის დიდი მთავარი;
მორავიის მარკგრაფი;

ზემო და ქვემო სილეზიის, მოდენის,
პარმის, პიაჩენცას და გუასტალას, ოსვენციმის,
ზატორის, ტეშენის და ფრიულიის,
რაგუზასა და ზარას ჰერცოგი;
ჰაბსბურგის და ტიროლის, კიბურგის,
გორიციისა და გრადიშკას გრაფი;
ტრენტესა და ბრიქსენის პრინცი;
ზემო და ქვემო ლუფიცას და ისტრიის მარკგრაფი;
ჰოენემის, ფელდკირხეს, ბრეგენცის, ზონენბერგის
გრაფი;
ტრიესტისა და კოტორის სენიორი;
სერბეთის ვოევოდის დიდი ვოევოდა;
და ა.შ., ა.შ.

ტიროლი

ტიროლი მთიანი რეგიონია, რომელიც ცენტრალური ალპების ორივე მხარესაა გადაჭიმული დაახლოებით 27000 კმ²-ზე და იყოფა სამ განსხვავებულ ნაწილად:

– ჩრდილოეთი ტიროლი: ლეხის ზემო აუზი და ინის ქვემო აუზი (ფინსტერმუნციდან კუფშტაინამდე), გადასული ბავარიის დაბლობზე და ზემო დუნაისაკენ; ადმინისტრაციული ცენტრი ინსბრუკი;

– აღმოსავლეთი ტიროლი: დრავას ზემო აუზი, შუა დუნაის შესართავი; ადმინისტრაციული ცენტრი ლიენცი;

– სამხრეთი ტიროლი: ადიჯეს ზემო აუზი, დაშვებული ლომბარდიის დაბლობამდე და მდინარე პომდე; ადმინისტრაციული ცენტრი ბოლცანო.

ტიროლში განვითარებულია მესაქონლეობა; მარცვლეული კულტურა იქ ძნელად ხარობს, დაბლობი რეგიონების გარდა, სამაგიეროდ მდიდარია მაღაროებით. მასზე გადის მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები (რაიხენი, ბრენერი), რომლებიც გერმანიასა და იტალიას აკავშირებს. სამხრეთი ტიროლის სამხრეთი ნაწილი იტალიურენოვანი მოსახლეობითაა დასახლებული მაშინ, როცა ამ რეგიონის აღმოსავლეთით მოსახლეობა ლადინურ ენაზე ლაპარაკობს (რეტორომანულის სახეობა). ტიროლის დანარჩენი ნაწილი გერმანულენოვანია.

ავსტრიის სახლი ტიროლის უმეტეს ნაწილს ფლობდა, რომლის მიერთებაც თანდათანობით დაიწყო 1363 წლიდან. ტიროლის მთავარი საგრაფო, რომელიც სამხრეთით გარდას ტბის ჩრდილოეთამდე აღწევდა, საეპისკოპო ტერიტორიებით იყო დაყოფილი, რომლებიც ტრენტეს, ბრიქსენის და ფრაიზინგის მთავარეპისკოპოსებს ეკუთვნოდათ, ასევე ცილერტალის და ვინდიშმარტეის ეელებით, რომლებიც ზალცბურგის არქიეპისკოპოსს ეკუთვნის. ტიროლი საღვთო რომის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც ავსტრიის ოლქს ეკუთვნოდა.

საიმპერატორო ოქმით (1803 წლის 25 თებერვალი), ავსტრიამ ტრენტესა და ბრიქსენის საეპისკოპოსოების მიწები მიიერთა, რითაც გააერთიანა ტიროლი ცილერტალის და ვინდიშ მარტეის მიწების გამოკლებით. რეგენსბურგის დიეტის კოლეგიაზე ავსტრიამ ტიროლის წყალობით სამი დამატებითი ხმა მიიღო: ორი ძველი ხმა საეროდ გადაქცეული საეპისკოპოსოებიდან (ტრენტე, ბრიქსენი) და 1803 წელს ტიროლის ახლად მიღებული ერთი ხმა.

აუსტერლიცთან გამარჯვების შემდეგ, პრესბურგის ზავით (1805 წლის 26 დეკემბერი), ავსტრიამ ბავარიას მთელი ტიროლი დაუთმო ტრენტეს, ბრიქსენის და ზალცბურგის ცილერტალის ჩათვლით, მაგრამ ვინდიშ-მარტეის გამოკლებით, რომელიც ავსტრიამ შეინარჩუნა.

ნაპოლეონმა ბავარიის ამომრჩევლებისადმი მიმართვის წერილში არაორაზროვნად შეიკავა თავი "იტალიური" ტიროლის სამხრეთი ნაწილის საკითხის გადაჭრისაგან, რომელიც მაშინვე მიუერთდა ბავარიას, იტალიის სამეფოსთან შესაძლებელი მიერთების პერსპექტივით. 1806 წლის 25 მაისის მიუნხენის შეთანხმებით, ნაპოლეონმა ეს ტერიტორია საბოლოოდ ბავარიას მიაკუთვნა, რომელმაც ის თავის ტიროლის პროვინციას მიუერთა.

1809-1810 წლებში მეფუნდუკე ანდრე ჰოფერმა, ავსტრიის რჩევით ააჯანყა ტიროლი ბავარიის წინააღმდეგ. საფრანგეთი ბავარიას აჯანყების ჩახშობაში დაეხმარა.

ეაგრამთან საფრანგეთის კიდევ ერთი გამარჯვების შემდეგ, საფრანგეთმა და ბავარიამ 1810 წლის 28 თებერვალს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ბავარიამ მიიღო ტერიტორიები, მათ შორის ზალცბურგი. ვინდიშ-მარტეი, აღმოსავლეთ ტიროლის ნახევრად ანკლავი, რომელიც ზალცბურგს ექვემდებარებოდა ბავარიის შემადგენლობაში არ გადასულა, ის საფრანგეთს დარჩა.

სანაცვლოდ ბავარიამ შემდეგი ტერიტორიები დაუთმო:

– იტალიის სამეფოს იტალიის ტიროლი (ტრენტენი) და გერმანიის ტიროლის სამხრეთის ნაწილი, გარდას ტბიდან ბოლცანოს ჩრდილოეთით გამავალ აღმოსავლეთ-დასავლეთ ზოლამდე, რომელიც ლადინების ხეობასაც მოიცავდა.

– საფრანგეთს აღმოსავლეთ ტიროლი ტოლბახის საზღვრის აღმოსავლეთით; საფრანგეთმა ეს უკანასკნელი ვინდიშ-მარტელის ტერიტორიას შეუერთა და ყველაფერი ერთად ვილაკის ოლქში შევიდა, რაც საფრანგეთის იმპერიის ილირიული პროვინციების ჩრდილოეთ ნაწილს შეადგენდა.

1814 წლის 3 ივნისის პარიზის შეთანხმებით, რომელიც ავსტრიასა და ბავარიას შორის დაიდო, ბავარია ერთბაშად უთმობდა ავსტრიას ბავარიის ტიროლს. გარდა ამისა, ავსტრია ხელახალ ახდენდა ტიროლის ილირიული (აღმოსავლეთ ტიროლი) და იტალიური (იტალიის ტიროლი) ნაწილის ანექსირებას და ტიროლს ხელახლა აერთიანებდა.

1867 წლის 28 ივნისის კომპრომისით, რომლითაც უნგრეთი და ავსტრია შორდებოდნენ ერთმანეთს, ტიროლის მართვა, ბუნებრივია, ორმაგი იმპერიის ავსტრიულ ნაწილს (ცისლაიტანია) გადაეცა.

1918 წლის ნოემბერში, გერმანული ავსტრიის რესპუბლიკა, რომელიც იმპერიის მემკვიდრე იყო, თვლიდა, რომ არ ჰქონდა პოლიტიკური სიახლოვე იმპერიულ რეჟიმთან და ითხოვდა ჩათვლილიყო მემკვიდრე სახელმწიფოდ და

შეენარჩუნებინა იმპერიის გერმანული ტერიტორიები, მათ შორის ტიროლიც ტრენტეს გამოკლებით.

პრეზიდენტი უილსონი თავის "თოთხმეტ პუნქტში" (1918 წლის იანვარი) აცხადებდა, რომ სამშვიდობო კონფერენციებზე ეროვნულობის პრინციპის განსაზღვრა ტერიტორიული მოწყობის საფუძველი იქნებოდა. ამ პერსპექტივაში იტალიას უნდა მიეღო ტრენტე, ავსტრიას შეენარჩუნებინა გერმანული სამხრეთი ტიროლი, ხოლო ლადინების ხეობები შვეიცარიის გრაუბიუნდენს მიერთებოდა.

ამ პრინციპის უგულებელყოფით და სამხრეთი ტიროლის გერმანელი მოსახლეობის პროტესტის მიუხედავად, სენ-ჟერმენის შეთანხმებით (1919 წლის 10 სექტემბერი), მთელი სამხრეთი ტიროლი გარდას ტბიდან ბრენერამდე იტალიას დარჩა, რომელიც წყალგამყოფს სტრატეგიული მიზნებით ითხოვდა; ავსტრიელები, თავის მხრივ არა უმიზეზოდ თელიდნენ, რომ შალურნ-ის გასასვლელი უკეთესი გასაჩერებელი პუნქტი იყო, ვიდრე რაიხენის, ბრენერისა და ტოლბახის იოლად გადასასვლელი უღელტეხილები. მოკავშირეებმა იცოდნენ რა, რომ არ დააკმაყოფილებდნენ იტალიის პრეტენზიებს იუგოსლავიის ახალი სამეფოს მიმართ, გადაწყვიტეს წინასწარ მიეცათ მისთვის კომპენსაცია ჩრდილოეთით.

ამის გაკეთებით მოკავშირე სახელმწიფოებმა ტიროლი სამ ნაწილად დაყვეს: ჩრდილოეთი ტიროლი (ბრენერის ჩრდილოეთით) ავსტრიას დარჩა, სამხრეთი ტიროლი (ბრენერის სამხრეთით და ტოლბახის დასავლეთით) იტალიას, აღმოსავლეთი ტიროლი (ტოლბახის აღმოსავლეთით) ავსტრიას მიაკუთვნეს, თუნცა ის გეოგრაფიულად გამოყოფილი იყო ჩრდილოეთი ტიროლისაგან სამხრეთი ტიროლით, რომელიც ამიერიდან იტალიას ეკუთვნოდა.

ავსტრიელებმა იმისთვის, რომ ხაზი გაესვათ ამ უსამართლო სიტუაციისთვის, შეინარჩუნეს აღმოსავლეთ ტიროლში იგივე მმართველობა, რაც ჩრდილოეთ ტიროლში იყო (ტიროლის ლანდი), რომელიც უკვე დაყვანილი იყო 12 600 კმ²-მდე. სამხრეთი ტიროლი და ტრენტე ორ იტალიურ პროვინციას ბოლცანოსა და ტრენტეს შეადგენდნენ.

1919 წლის 12 დეკემბერს სენ-ჟერმენის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, ავსტრიის მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, ტიროლის ლანდტადმა მის ბავარიასთან ეკონომიკურ მიერთებას მისცა ხმა. 1921 წლის 24 აპრილის პლებისციტმა დიდი უმრავლესობით (99%) ოფიციალურად დაადასტურა ტიროლელების სურვილი მიერთებოდნენ ბავარიას. მოკავშირეები კვლავ ნიხააღმდეგნი წავიდნენ.

1938 წლის მარტში, ანშლუსის შემდეგ, ფორარლბერგი ჩრდილოეთ ტიროლს მიუერთდა, იმისთვის, რომ შექმნილიყო ტიროლის გერმანული სახელმწიფო (ინსბრუკი). აღმოსავლეთი ტიროლი შეუერთდა კარინთიას.

1943 წლის 8 სექტემბრის დაზავების შემდეგ, იტალიის სამეფომ შეწყვიტა საომარი მოქმედებები და მუსოლინის პროტესტის მიუხედავად, ჰიტლერმა ტრენტე, სამხრეთი ტიროლი და ბელუნოს იტალიური პროვინცია რაიხს მიუერთა ალპებში სამხედრო ზონის შესაქმნელად.

1945 წლის აგვისტოში პოტსდამის კონფერენციაზე გამარჯვებული სახელმწიფოების შეკრებისას გადაწყდა გერმანია და ავსტრია საოკუპაციო ზონებად დაყოფილიყო. ჩრდილოეთი ტიროლი და ფორარლბერგი საფრანგეთმა დაიკავა, ბრიტანეთმა კი აღმოსავლეთი ტიროლი კარინთიასთან ერთად. იტალიელებმა ხელახლა დაიკავეს სამხრეთ ტიროლი.

როდესაც სამშვიდობო კონფერენცია ტიროლის საკითხს იხილავდა (1946 წლის მაისი), დამარცხებული ავსტრია 1919 წლისგან განსხვავებით, მეორე დამმარცხებული სახელმწიფოს, იტალიის პირისპირ აღმოჩნდა. მან სამხრეთ ტიროლთან დაკავშირებით პლებისციტის ჩატარება მოითხოვა, რაზეც უარი ეთქვა.

მაშინ ავსტრიამ სამხრეთი ტიროლის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრის გადასინჯვა მოისურვა, რომელსაც ბრიქსენთან ერთად იზარკოს ხეობის

ჩრდილოეთს, და რიენცას ხელობას უთმობდა, ბრენერ-ფრანცენფესტ-ტოლბახის სარკინიგზო ხაზის გასაამტკიცებლად, რომელიც ინსბრუკს ლიენცთან დააკავშირებდა. გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა უარყვეს ეს წინადადება, რომლის წინააღმდეგნიც თვით ტიროლელები იყვნენ, რადგან არ სურდათ ახალი დაყოფა.

მოკავშირე სახელმწიფოებმა შესთავაზეს ავსტრიას და იტალიას სამხრეთი ტიროლი ავტონომიის სტატუსზე შეთანხმება, რომელიც იტალიის დაქვემდებარებაში დარჩებოდა.

1946 წლის 5 დეკემბრის შეთანხმებით (გრუბერისა და დე-გასპერის შეთანხმება), ავსტრიამ ამბარეთ ტიროლზე კონტროლის უფლება მიიღო, რომელმაც ერთდროულად აილო გერმანული სახელნოდება Tiroler Etschland (ტიროლის ადიჯეს ნაპირე) და იტალიური Alto-Adige (ზემო ადიჯე). სამხრეთი ტიროლი ორენოვანი ავტონომიური რეგიონი გახდა. მატარებლები, რომლებიც კონტროლია გარეშე კვეთდნენ იტალიის ტერიტორიას, პირდაპირ აკავშირებდნენ ერთმანეთთან ლიენცსა და ინსბრუკს.

1947 წლის თებერვალში, პარიზის შეთანხმების მიუხედავად, იტალია არ დაეთანხმა იმას, რომ ავტონომია მხოლოდ ტიროლს ჰქონოდა და მას ტრენტე დაუმატა, რითაც შექმნა ავტონომიური რეგიონი ტრენტე-ზემო-ადიჯე. შედეგად ტიროლის გერმანელი უმრავლესობა განეიტრალდა ერთად აღებული იტალიური უმრავლესობით.

ბელვედერის შეთანხმებით (1955 წლის 15 მაისი), მოკავშირეებმა ავსტრიას არულად აღუდგინეს სუვერენიტეტი. ფორარლბერგი ჩრდილოეთ ტიროლისაგან განსხვავებული ლანდი გახდა, რომელმაც დაიბრუნა კარინთიას ხელახლა ჩამოშორებული აღმოსავლეთი ტიროლი.

1972 წლის იანვარში ავსტრიის მრავალი მოთხოვნის შედეგად, რომელსაც იგი იტალიის მხრიდან 1946 წლის შეთანხმების დარღვევით ასაბუთებდა, დაიდო ახალი შეთანხმება, რომლის თანახმადაც ტრენტე-ზემო-ადიჯეს უნარჩუნდებოდა ავტონომიური რეგიონის სტატუსი და მის შიგნით იქმნებოდა ორი პროვინცია ტრენტე და ზემო-ადიჯე, ეს უკანასკნელი სიმბოლურად იბრუნებდა გერმანულ სახელნოდებას – სამხრეთი ტიროლი. ორივე პროვინცია განსაკუთრებული უფლებებით ისარგებლებდა, რაც რეალურ ავტონომიას მიანიჭებდა გერმანულენოვან თუ ლადინურენოვან სამხრეთ ტიროლს.

ალბანეთი

ზოგადი მონაცემები

რესპუბლიკური სახელმწიფო: ალბანეთის რესპუბლიკა
პრეზიდენტი: ბამირ ტოპი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი.
დედაქალაქი: ტირანა.
ადმინისტრაციული დაყოფა: 5 პროვინცია, დაყოფილი 26 ოლქად:
- შკოდერი (სკადარი): შკოდერი, ლიაჩი, პუკე, კუკესი, ტროპია;
- ტირანა-დურესი: დურესი, ტირანა, კრუია, მატი, მირდიტა, დიბერი;
- ელბასან-ბერატი: ლიბრაჟდი, ელბასანი, ლუშნია, ფიერი, ბერატი, სკრაპარი, გრამში;
- ვლორა: ვლორა, სარანდა, გიროკასტრა, ტეპელენა, პერმეტი;
- კორჩა: კორჩა, კოლენია, პოგრადეცი.

ფართობი: 28 750კმ^2; მოსახლეობა: 3,3 მილიონი კაცი; სიმჭიდროვე: 115 კაცი ერთ კმ^2-ზე.
ენა: ალბანური, ინდო-ევროპული ენა, წარმოშობილი ძველი ილირიულიდან, ორი დიალექტის სინთეზი: ჩრდილოეთით ბალკანურ-ილირიული და სამხრეთით ეტრუსკული (ტოსკანური). უმცირესობა ლაპარაკობს ბერძნულად.
რელიგია: 70% მუსლიმი, 18% მართლმადიდებელი, 12% კათოლიკე.
ფულის ერთეული: ლეკი.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ალბანეთის მოკლე ისტორიული ნარკვევი

1. დაპყრობილი მიწა

დღევანდელი ალბანეთის ტერიტორია თავიდან ილირიელებით იყო დასახლებული და სუსტი კავშირი ჰქონდა ეპირისა და მაკედონიის სამეფოებთან. ჩვ. წ.აღ.-მდე II საუკუნეში ორი ილირიული ომის შემდეგ, ეს ტერიტორია რომმა დაიპყრო რათა ბოლო მოეღო ილირიელების მეკობრეობისათვის, რის შედეგადაც რეგიონი ჩრდილოეთით **ილირიის** და სამხრეთით **მაკედონიის** პროვინციებად დაიყო. ჩვ. წ.აღ.-ით IV საუკუნიდან ალბანეთი შედიოდა რომის იმპერიაში და ლათინთა და ბერძენთა სასაზღვრო ზონას წარმოადგენდა. შემდგომში ის ხან ბულგარეთის (IX-XI.ს.ს.), ხან ბიზანტიის (XIII ს.), ხან სერბიის (XIVს.), ხან კი ოსმალეთის (XIVს. ბოლო) ხელში იყო. XV საუკუნის შუა პერიოდში სკანდერბერგის მეთაურობით ის **დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა.** 1478 წელს ალბანეთი **კვლავ ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოექცა** და ეს მდგომარეობა 1789 წელსაც გრძელდებოდა.

ალბანელებით დასახლებული ფაშალიქები (შკოდერი, პრიზრენი, ოჰრიდა, ელბასანი, იანინა) რუმელიის შემადგენლობაში შედიოდა, რომლის ადმინისტრაციული ცენტრიც სოფია ან მონასტირი იყო.

ამავე დროს, კონსტანტინოპოლთან სიშორე ოსმალო ჩინოსნების ამბიციებს აძლიერებდა და ისინი ცდილობდნენ პორტასგან დამოუკიდებლები გამხდარიყვნენ: მაგალითად, მეჰმედ ბუჩატიმ 1757 წელს მიიერთა შკოდერის, ოჰრიდას, დუკაჯინის და ელბასანის ფაშალიკები.

ცოტა მოგვიანებით, ალი ტეპელენმა, რომელიც 1785 ნლიდან ტრიკალას (თესალია) სანჯაყის მმართველი იყო, 1788 წელს დაიპყრო იანინა და მიაღწია, რომ პორტას იანინას ფაშად ელიარებინა, მისმა ვაჟმა კი იგი ტრიკალაში შეცვალა.

2. ალბანეთი 1789 წელს

ამ პერიოდში ალბანეთი თურქეთის ევროპული ტერიტორიის შემადგენლობაშია. ის ადრიატიკის ზღვის გაყოლებაზე მდებარეობს ჩრდილოეთით ჩერნოგორიას, აღმოსავლეთით მაკედონიას და სამხრეთ-აღმოსავლეთით თესალიას შორის.

ლაპარაკია ძალიან მთიან რეგიონზე, მკაცრი კლიმატური პირობებით და მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობით. ქვეყანა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ოსმალეთის იმპერიის იანიჩრებით მომარაგებაში. ალბანეთის ძირითადად მუსლიმი მოსახლეობა კეთილგანწყობილი იყო პორტას მიმართ, რომელიც თავის მხრივ მათ გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდა, თანაც ოსმალეთის ტერიტორიული სიშორის გამო ძალაუფლება ადგილობრივ ძლიერ ფეოდალებსა და ფაშებს ეპყრათ.

სამხრეთიდან ჩრდილოეთის გაყოლებით ალბანეთში შეიძლება გამოიყოს:

– ქვემო ალბანეთი იგივე სამხრეთი ალბანეთი, ყოფილი ეპირი, რომელიც იანინას ფაშალიკს შეესაბამება, იურიდიულად თურქეთს დაქვემდებარებული, მაგრამ ფაქტობრივად ალი ტეპელენის ხელში მყოფი; ქვემო ალბანეთში ცხოვრობდნენ სულიოტები და ქიმარიოტები, ორი ქრისტიანული დამოუკიდებელი ტომი, რომლებმაც ოსმალეთის სიუზერენობის ქვეშ თავი გამოაცხადეს რესპუბლიკად. გარდა ამისა, ქვემო ალბანეთს ესაზღვრებოდა ვენეციის ოთხი სახმელეთო პუნქტი მატერიკზე (ბუტრინტო, პარგა, პრეეზა, ვონიცა), რომლებიც ადმინისტრაციულად დაკავშირებული იყო ვენეციის საზღვაო პროვინციასთან ლევანთან (ადმინისტრაციული ცენტრი კორფუ).

– შუა ალბანეთი, ელბასანის სანჯაყი, მცირე რეგიონებად დაყოფილი მთიანი მხარე (მკუმბი, სემენი, ვოიუცა) ზღვაზე გამავალი რამდენიმე ბუნებრივი აუზით (დურაცო, ვლორა);

– ზემო ალბანეთი ან ჩრდილოეთი ალბანეთი, შკოდერის ფაშალიქი, რომელიც დრინის ფართო აუზისგან შედგებოდა, აღწევდა ოჰრიდის და სკადარის ტბებს. ზემო ალბანეთში ცხოვრობდა კათოლიკური ტომი მირდიტე, რომელმაც ასევე ოსმალეთის სიუზერენობის ქვეშ თავი გამოაცხადა რესპუბლიკად.

შუა და ზემო ალბანეთი 1789 წელს ფაქტობრივად ფაშა ქარა მაჰმუდის, მეპმედ ბუტაჩის ვაჟის ხელში იყო.

კოტორის სრუტესთან მდებარე რეგიონი, რომელსაც ვენეციის ალბანეთსაც უწოდებდნენ და Serenissime რესპუბლიკის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა და სახელნოდების მიუხედავად, არაფერი ჰქონდა საერთო თურქეთის ალბანეთთან, ამიტომაც ამ ნაშრომში ის განხილულია იუგოსლავიისადმი მიძღვნილ თავში.

ილირიელების შთამომავალი ალბანელები ძირითადად ზემოთ აღნერილ რეგიონებში ცხოვრობდნენ, მაგრამ გაფანტული იყვნენ თურქეთის ევროპული ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში, მეტოხიასა და კოსოვოში, სადაც ისინი 1690 ნლიდან დასახლდნენ იმ სიცარიელის შესავსებად, რომელიც სერბების ჩრდილოეთისკენ მიგრაციამ გამოიწვია.

II. ალბანეთის თვითმყოფობის დადგენის სირთულეები (1789 წლიდან დღემდე)

1. 1789 წლიდან ალბანეთის ჩამოყალიბებამდე (1912)

1796 წლის სექტემბერში ქარა მაჰმუდის გარდაცვალების შემდეგ, ზემო ალბანეთი პორტას პირდაპირ მმართველობაში გადავიდა.

1797 წლის ოქტომბერში კამპო-ფორმიოს ზავით ვენეციის რესპუბლიკამ დათმო თავისი მფლობელობა და საფრანგეთმა მიიერთა ალბანეთის ოთხი პუნქტი (ბუტრინტი, პარგა, პრეეზა, ვონიცა).

მაგრამ 1798 წლის ოქტომბრიდან 1799 წლის მარტამდე, მალტასა და ეგვიპტეში ბონაპარტის ექსპედიციის საპასუხოდ, რუსეთ-თურქეთის საზღვაო ექსპედიციამ მიიტაცა იონიის კუნძულები და ალბანეთის ოთხი სახმელეთო პუნქტი.

1800 წლის მარტში ერთწლიანი დაკის შემდეგ, რუსეთ-თურქეთის შეთანხმებით გადაწყდა, რომ გამოცხადდებოდა შვიდი გაერთიანებული კუნძულის რესპუბლიკა, **ხოლო ალბანეთის ოთხი სახმელეთო საყრდენი** (ბუტრინტი, პარგა, პრეევზა, ვონიცა) **თურქეთის ალბანეთს მიუერთდებოდა.**

ალი ფაშა ტეპელენელი, რომელიც აგრძელებდა თავის ექსპანსიის პოლიტიკას, ცდილობდა სულიოტების რეგიონის გაკონტროლებას. 1803 წელს მათი სასტიკად დამარცხების შემდეგ **მან გააუქმა სულიოტების რესპუბლიკა.**

1807 წლის ივლისში დადებული ტილზიტის ხელშეკრულებით, საფრანგეთმა **დაიბრუნა** იონიის კუნძულები **და ალბანეთის ოთხი სახმელეთო პუნქტი,** მაგრამ რეალურად მხოლოდ პარგას (Parga) აკონტროლებდა.

1811 წელს ალი ფაშა ტეპელენელის "ფაშალიკის" ექსპანსია ზენიტს აღწევს. მან მიიერთა თესალია, ქვემო ალბანეთი და შუა ალბანეთი. იგი თითქმის დამოუკიდებელი იყო პორტასგან.

1814 წელს საფრანგეთმა საბოლოოდ დაკარგა **პარგა,** რომელიც **თურქეთის ალბანეთს მიუერთდა.**

1822 წელს ალი ფაშა ტეპელენელის მოკვლის შემდეგ ოსმალეთის ჯარებმა საბოლოოდ დააბრუნეს ალბანეთი ოსმალეთის იმპერიის ჩვეულებრივ რეჟიმში.

1840 წელს ოსმალეთის იმპერიამ დაიწყო პოლიტიკური რეფორმების გატარება (თანზიმატი), იმპერია დაიყო 36 ვილაიეთად, აქედან 15 ევროპის იყო. ამიერიდან ალბანეთი გადახასლებულია იანინას, ბოსატირის და შკოდერის ვილაიეთებში.

ალბანეთის რეგიონების ხელში ჩაგდების შემდეგ, სადაც თურქეთმა თურქი მმართველები დანიშნა, რასაც 1847 წელს აჯანყების მცდელობა მოჰყვა.

1877 წელს ჩრდილოეთ მაკედონიაში შეიქმნა კოსოვოს ვილაიეთი (ადმინისტრაციული ცენტრი პრიშტინა), სადაც ბევრი ალბანელი ცხოვრობდა.

1877 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, სან-სტეფანოს ზავით (1878 წლის მარტი) ალბანეთის ინტერესების გაუთვალისწინებლად, მისი მიწები გაიყო თურქეთსა და ბულგარეთს შორის, ხოლო გარკვეული ნაწილი სერბიასა და ჩერნოგორიას ხვდა წილად.

ალბანელები, რომლებსაც არ აწუხებდათ თურქეთის შორიდან მართვა, არ აპირებდნენ დამორჩილებოდნენ ქრისტიანებს; 10 ივნისს მათ პრიზრენში შეკრიბეს ოთხი ვილაიეთის წარმომადგენლები და ალბანელი ხალხის ინტერესების დასაცავად გადაწყვიტეს შეექმნათ პრიზრენის ლიგა.

მიუხედავად ამისა, ბერლინის კონგრესმა (1878 წლის ივლისი) არ აღიარა ალბანელების თვითმყოფობა; ალბანეთის დიდი ნაწილი თურქეთის დაქვემდებარებაში დარჩა, **ალბანური ტერიტორიები მან ჩერნოგორიას გადასცა,** ხოლო **საბერძნეთს აღუთქვა** თესალიისა **და ეპირის** საზღვრების გადახედვა.

პრიზრენის ლიგის ალბანური კომიტეტი პორტას ხელშეწყობით წინ აღუდგა ბერლინის გადაწყვეტილებებს; საჭირო გახდა ევროპის ძლიერი სახელმწიფოების საზღვაო ჩარევა იმისთვის, რომ **ულცინი ჩერნოგორიეს გადასცემოდა** და დიპლომატიური ჩარევა იმისათვის, რომ 1881 წლის მაისში **საბერძნეთს გადასცემოდა** თესალია და **ეპირის** მხოლოდ **ნაწილი** (არტა), ბერძნების პრეტენზიებს იანინაზე და ეპირის დარჩენილ ნაწილზე ალბანელები შეეწინააღმდეგნენ.

1881 წლის დეკემბერში პრიზრენის ლიგამ აირჩია ალბანეთის დროებითი მთავრობა; აჯანყების ჩასახშობად პორტას ჯარების გამოგზავნა დასჭირდა. ამგვარად, დამოუკიდებელი ალბანეთისათვის წარმოებული ეროვნული ბრძოლა რამდენიმე წელიწადში ჩაახშვეს, თუმცა 1905 წელს მონასტირში ფარულად დაარსდა ალბანეთის განმათავისუფლებელი კომიტეტი.

1912 წლის აპრილიდან ალბანელები ხელახლა აჯანყდნენ თურქეთის წინააღმდეგ. ამავე წლის შემოდგომით გაჩაღებული ბალკანეთის კონფლიქტი ამ რეგიონის ქრისტიანი მოსახლეობის ინიციატივა იყო, რომელიც ალბანეთის ტერიტორიების ოკუპაციით დასრულდა. ჩრდილოეთი დაიკავა სერბიამ, სამხრეთი კი საბერძნეთმა.

1912 ნლის 28 ნოემბერს ავსტრიის მხარდაჭერით, **ეროვნულმა კრებამ** ვლორაში **გამოაცხადა ალბანეთის დამოუკიდებლობა.**

დროებითი მთავრობის მეთაური ისმაილ ქემალი ლონდონში ჩავიდა იმ მიზნით, რომ მიეღნია თავისი სახელმწიფოს აღიარებისათვის, რომელიც იმ პერიოდში სერბებისა და ბერძნებისგან თავისუფალ მცირე ტერიტორიას მოიცავდა (დურაცო).

2. ალბანეთის სამთავრო (1913-1924)

ძლიერი სახელმწიფოების აზრი ალბანეთთან დაკავშირებით ორად გაიყო. ერთ მხარეს იდგნენ ავსტრია-უნგრეთი და იტალია, რომლებიც ალბანეთის დამოუკიდებლობას ემხრობოდნენ, მეორე მხარეს საფრანგეთი და რუსეთი, რომლებსაც სურდათ სერბიისთვის მიეცათ გასასვლელი ადრიატიკის ზღვაზე. 1913 წლის მაისის ხელშეკრულებით **თურქეთი აიძულეს უარი ეთქვა თავის ევროპულ ტერიტორიებზე, მათ შორის ალბანეთზეც.**

1913 წლის 29 ივლისს გადაწყდა შექმნილიყო **ალბანეთის სუვერენული სამთავრო**, რომელიც მემკვიდრეობითი და ნეიტრალური იქნებოდა, მაგრამ იქნებოდა ავსტრია-უნგრეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, რუსეთისა და საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ.

1913 წლის 17 დეკემბერს ფლორენციის ოქმით დაზუსტდა ახალი სამთავროს საზღვრები, რაც, რაღა თქმა უნდა, არ მოიცავდა მთელ ალბანეთს, რადგან სერბიას მიაკუთვნეს კოსოვო და ჩრდილოეთი მაკედონია, ჩერნოგორიას მეტოხიის ნაწილი, საბერძნეთს კი ეპირი (ქვემო ალბანეთი).

ალბანეთის სამთავროს ფართობი დაყვანილი იქნა 28000 კმ^2-მდე და მოიცავდა ჩრდილოეთით შკოდერს ბუტრინტამდე და კორიცას სამხრეთით, აღნეედა პრიზრენს და აღმოსავლეთით ოპრიდის ტბას. იქ 1 500 000 ალბანელიდან მხოლოდ 800 000 ცხოვრობდა.

სამთავროს მთავრად გერმანელი თავადი ვილჰელმ ვიდი დაინიშნა, რომელიც რუმინეთის დედოფალ ელისაბედის (კარმენ სილვა) ძმისწული იყო.

1914 წლის 7 მარტს ვილჰელმი, რომელსაც იტალია და ავსტრია-უნგრეთი უჭერდა მხარს, დურესში ჩავიდა, რომელიც ალბანეთის დედაქალაქად გამოცხადდა. მისი ძალაუფლების განმტკიცებას ორი აჯანყების ჩახშობა დასჭირდა. ერთი ქვეყნის ცენტრში იყო ინსპირირებული თურქეთის მიერ, მეორე სამხრეთში საბერძნეთის მიერ.

ბერძნები ჩრდილოეთ ეპირს ითხოვდნენ (კორიცა და გუიროკასტრო) და ჩამოაყალიბეს ჩრდილოეთი ეპირის ეფემერული ავტონომიური მთავრობა.

1914 წლის 7 მაისს კორფუში მიღებული გადაწყვეტილებით ალბანეთის მთავრობამ ჩრდილოეთ ეპირს ნაწილობრივი ავტონომია მიანიჭა ბერძნული ენის გამოყენების უფლებით.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე (1914 წლის ზაფხული) ალბანეთის მთავარმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა კონფლიქტში ნეიტრალიტეტს დაიცავდა. ამის გამო ავსტრია-უნგრეთმა მას ფინანსური დახმარება შეუწყვიტა, რომლითაც იგი პოზიციებს იმყარებდა.

1914 წლის 3 სექტემბერს ვილჰელმმა ალბანეთი დატოვა, შეიქმნა დროებითი მთავრობა და ალბანეთი ანარქიამ მოიცვა; დაიწყო შემოსევები: საბერძნეთი ჩრდილოეთ ეპირში შეიჭრა, სერბია ცენტრალურ ალბანეთში, ჩერნოგორია შკოდერში, იტალია ვლორაში და კუნძულ საზანიზე.

ლონდონის საიდუმლო შეთანხმებით (1915 წლის აპრილი) იტალია ანტანტას მიემხრო და პირობა მიიღო, რომ შუა ალბანეთზე მისი პროტექტორატი განხორციელდებოდა (ჩრდილოეთი ნაწილი სერბებისათვის იყო განკუთვნილი, სამხრეთი კი ბერძნებისათვის).

1916 წლიდან ალბანეთის ტერიტორიის ნაწილი მოკავშირეებმა დაიკავეს.

1918 წლის დეკემბერში, ვლორაში გამართულ პირველ კონგრესზე (იტალიის ზონა) ჩამოყალიბდა დროებითი მთავრობა, რომელსაც ალბანეთის ინტერესების დაცვა დაევალა პარიზის სამშვიდობო კონგრესზე. იტალია ალბანეთზე პროტექტორატს ითხოვდა, საბერძნეთი ჩრდილოეთ ეპირს, რომელიც ძალის გამოყენებით მოიპოვა კიდეც 1919 წლის ივლისში.

ალბანეთზე განხორციელებულმა იტალიისა და საბერძნეთის ზეწოლამ ალბანელებს თავისი ერთიანობის აღდგენისაკენ უბიძგა. 1920 წლის იანვარში, ლუშნიაში ახალი კონგრესი შედგა, რომელზეც ალბანეთის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, დედაქალაქად დასახელდა ტირანა.

ალბანელებთან დაპირისპირების შემდეგ იტალიამ თავისი ჯარები გაიყვანა და 1920 წლის 2 აგვისტოს ხელი მოაწერა შეთანხმებას, რითაც უარს ამბობდა თავის ტერიტორიულ პრეტენზიებზე და მხოლოდ კუნძულ საზანის ინარჩუნებდა, რომელიც ვლორას ყურეში შემავალი სანაოსნო ბაზა იყო.

მოსაგვარებელი რჩებოდა ტერიტორიული უთანხმოება საბერძნეთთან, რომელიც 1922 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოგვარდა ელჩთა კონფერენციაზე:

– საბერძნეთს მეორედ ეთქვა უარი ეპირზე, რომელიც ალბანეთს მიაკუთვნეს;

– ოჰრიდისა და პრესპას ტბებს შორის მდებარე **სენ-ნაომის მონასტერი** გადაეცა **სერბეთის, ხორვატიისა და სლოვენიის სამეფოს;**

– **მირდიტეს რეგიონიც** ამავე **სხს-ს სამეფოს გადასცეს.**

ალბანეთს ათი ოლქი დარჩა: ტირანა, დურესი, კუკესი, შკოდერი, პეშკუპია, ელბასანი, ბერატი, ვლორა, არგირო-კასტრო, კორჩა.

ქვეყნის შიგნით კი, 1921 წელს ჩატარებული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა აჰმედ ზოგუ, რომელიც „ავტორიტარული" მართვის გამო გააძევეს და 1924 წლის გაზაფხულზე „დემოკრატი" ეპისკოპოსი ფან ნოლით შეცვალეს.

თუმცა, 1924 წლის დეკემბერში ზოგუ ხელისუფლებაში დაბრუნდა. 1925 წლის იანვარში მან პარლამენტს გამოაცხადებინა **ალბანეთის რესპუბლიკა** და შვიდი წლით თავი აარჩევინა პრეზიდენტად.

3. ალბანეთის რესპუბლიკა, მოგვიანებით კი ზოგუს სამეფო (1925-1939)

აჰმედ ზოგუ, რომელმაც სრული ძალაუფლება მოიპოვა, ცდილობდა როგორმე წინ წამოეწია თავისი ქვეყანა, რომელიც ძალიან ჩამორჩენილი იყო ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით.

საკმარისი ფინანსების უქონლობის გამო იგი მუსოლინის იტალიას დაუკავშირდა, რომელმაც მატერიალური მხარდაჭერა აღმოუჩინა: განახორციელა კაპიტალდაბანდებები, დააარსა ეროვნული ბანკი, რომელსაც იტალიის ბანკი კურირებდა.

ეკონომიკური მხარდაჭერა პოლიტიკური მხარდაჭერით გაძლიერდა და ალბანეთი ნელ-ნელა მთლიანად დაექვემდებარა იტალიას.

მხარდაჭერით გათამამებულმა ზოგუმ გადაწყვიტა ძალაუფლება მუდმივად ჩაეგდო ხელში და 1928 წლის 1 სექტემბერს საკონსტიტუციო ასამბლეამ ზოგუ ალბანეთის მეფედ გამოაცხადა, ხოლო **ალბანეთი გახდა** საპარლამენტო და მემკვიდრეობითი **სამეფო.**

ახალი მეფე, ალბანეთის სრული ბატონ-პატრონი, სულ უფრო დამოკიდებული ხდებოდა იტალიაზე. იტალიაში კი ნელ-ნელა მწიფდებოდა აზრი ალბანეთის დაპატრონებაზე, რაც პატარა ტერიტორიისა და მცირერიცხოვანი მოსახლეობის მიუხედავად მუსოლინის პატივმოყვარეობას დააკმაყოფილებდა, რომელიც თავს დაჩაგრულად გრძნობდა ჰიტლერთან შედარებით. მან ხომ ოცდაათიან წლებში მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი ტერიტორიები.

4. ანექსირებული ალბანეთი (1939-1945)

1939 წლის დასაწყისში მუსოლინიმ ალბანეთის ანექსირება გადაწყვიტა. 1939 წლის 25 მარტს წაყენებული ულტიმატუმის შემდეგ, 7 აპრილს იტალია შეიჭრა ალბანეთში და ხუთ დღეში დაიკავა. ზოგუმ თავი საბერძნეთს შეაფარა.

11 აპრილს ზოგუსთან დაპირისპირებულმა გავლენიანმა ძალებმა მოიწვიეს ეროვნული კრება და ხმა მისცეს იტალიასთან კავშირს. **ამგვარად, ალბანეთი იტალიას შეუერთდა.** იტალიის მეფემ ვიქტორ-ემანუილ III-ემ ალბანეთის მეფის ტიტულიც შეითავსა და ქვეყანაში ფაშისტური ინსტიტუტები გააძლიერა.

იმისათვის, რომ ალბანელები ახალ რეჟიმს მიმხრობოდნენ, იტალია მათ შეპირდა „დიდი ალბანეთის" შექმნას, სადაც თავს მოიყრიდნენ საბერძნეთის ეპირსა და იუგოსლავიის კოსოვო-მეტოხიაში გაფანტული ალბანელები. იტალიელებისათვის ალბანეთი ხელსაყრელი ბაზა იყო საბერძნეთზე თავდასხმის დასაწყებად.

მაგრამ 1940 წელს საბერძნეთზე განხორციელებული შეტევა მარცხით დამთავრდა და ბერძნებმა კორჩა და არგირო კასტრო დაიკავეს.

1941 წლის აპრილში გერმანიის, იტალიის და ბულგარეთის ჯარების მიერ იუგოსლავიის დაკავების შემდეგ ჰიტლერმა და მუსოლინიმ დაანაწევრეს ეს ქვეყანა. გარდა ამისა, გერმანია-იტალიის ჯარებმა დაიკავეს საბერძნეთი. ამ მოვლენებმა შეპირებული დიდი ალბანეთის შექმნა გამოიწვია.

1941 წლის აპრილში იტალიის ალბანეთმა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე განახორციელა საპორტო ქალაქ ულცინის, გუსინესა და კოსოვოს ტერიტორიების (პრიშტინა, ურუშევაცი), მეტოხიის (პეჩი, დიაკოვა, პრიზრენი), დასავლეთი მაკედონიის (ტეტოვო), და პრესპას ტბის შემოგარენის ანექსირება.

1941 წლის ივლისში საბერძნეთმა ალბანეთს დაუთმო თესპროთია პარგას ჩათვლით (ეპირის ჩრდილო-დასავლეთის რეგიონი).

მაგრამ 1943 წლის სექტემბრიდან, მოკავშირეებსა და იტალიის სამეფოს შორის დადებული ზავის შემდეგ, გერმანელებმა დაიკავეს იტალიის ალბანეთი და გამოაცხადეს ალბანეთის ახალი რესპუბლიკა თავისი პროტექტორატის ქვეშ.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში იატაკქვეშეთში ყალიბდებოდა ნინა-ალმდეგობის მოძრაობა, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტში გაერთიანდა, კომუნისტი ენვერ ხოჯას ხელმძღვანელობით.

1944 წლის ოქტომბერში ენვერ ხოჯამ თავისი ანტიფაშისტური კომიტეტი გარდაქმნა ალბანეთის დემოკრატიულ მთავრობად, ძველი მმართველი საბჭო გადადგა. 1944 წლის ნოემბერში ქვეყანა განთავისუფლდა.

5. კომუნისტური ალბანეთი (1946-1992)

1945 წლის არჩევნებში კომუნისტებმა გაიმარჯვეს, მეფე ზოგუ I გადააყენეს (1946 წლის 2 იანვარი) და ალბანეთი კომუნისტური რესპუბლიკა გახდა (11 იანვარი).

1947 წლის თებერვალში პარიზში ხელმონერილი ხელშეკრულების მიხედვით იტალიამ ოფიციალურად გახაცხადა უარი ალბანეთზე, რომელიც დამოუკიდებელი გახდა.

იტალიამ ასევე უარი თქვა:

– ალბანეთის სასარგებლოდ კუნძულ საზანიზე;

– იუგოსლავიის სასარგებლოდ ულცინისა და გუსინეს ტერიტორიებზე, კოსოვოზე, მეტოხიაზე, დასავლეთ მაკედონიასა და პრესპას ტბის შემოგარენზე;

– საბერძნეთის სასარგებლოდ თესპროთიაზე.

ამგვარად, ალბანეთმა აღიდგინა თავისი ტერიტორიები 1939 წელს არსებულ საზღვრებში, კუნძულ საზანის დამატებით.

ამიერიდან ის დაყოფილია შვიდ პროვინციად: შკოდერი, ტირანა, დურესი, ელბასანი, ბერატი, ვლორა, კორჩა.

ალბანეთს მეტად „ორთოდოქსული" კომუნისტური რეჟიმი მართავდა, რის გამოც მან 1948 წელს ურთიერთობა გაწყვიტა იუგოსლავიასთან, 1961 წელს საბჭოთა კავშირთან, 1977 წელს ჩინეთთან და სულ უფრო და უფრო ჩაკეტილი ქვეყანა ხდებოდა, რითაც ძალიან დაშორდა ევროპას როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად.

6. თანამედროვე ალბანეთი (1992 წლიდან დღემდე)

1989 წელს მომხდარი ძვრების შემდეგ, რეჟიმი დასრულდა და 1992 წლის მარტში დაინიშნა პლურალისტური არჩევნები, რომელშიც ოპოზიციურმა პარტიებმა გაიმარჯვეს. აპრილში, რამიზ ალია, 1982 წლიდან ენვერ ხოჯას შემცვლელი, გადადგა და პრეზიდენტად დემოკრატი სალი ბერიშა აირჩიეს. ალბანეთის რესპუბლიკა დემოკრატიული სახელმწიფო გახდა.

თუმცა ქვეყანაში გამეფებული ეკონომიკური სიდუხჭირე და ანარქია შეუძლებელს ხდის ნამდვილი დემოკრატიული რეჟიმის დამყარებას.

ანდორა

ზოგადი მონაცემები

მონარქიული სახელმწიფო: ანდორის სამთავრო
სუვერენები: ორი თანამთავრის — ურხელის ეპისკოპოსის, ენრიკ ვივ სისილიას და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის პროტექტორატი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი გენერალური საბჭო;
დედაქალაქი: ანდორა ლა ვიეხა; 7 თემი: კანილიო, ენკამპი, ლა მასანა, ორდინო, ანდორა ლა ვიეხა, სან ხულია დე ლორია, ესკალდესი.
ფართობი: 470 კმ^2; მოსახლეობა 70 000 კაცი; სიმჭიდროვე: 149 კაცი 1 კმ^2-ზე;
ენა: კატალონური; ასევე ესპანური, ფრანგული.
რელიგია: კათოლიკური;
ფულის ერთეული: ფრანგული ფრანკი და ესპანური პესეტა; 2002 წლიდან ევრო.

შენიშვნა: 1789 წლიდან დღემდე ანდორის სამთავრო ერთ-ერთია ევროპის იმ სამ სახელმწიფოს შორის, ლიხტენშტაინსა და სენ-მარინოსნთან ერთად, რომელსაც არც ტერიტორიული და არც პოლიტიკური წყობის თვალსაზრისით ცვლილება არ განუცდია.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ანდორის მოკლე ისტორიული ნარკვევი

პირენეს მთებში, საფრანგეთის არიეჟსა და ესპანეთის კატალონიას შორის მდებარე ანდორის სამთავრო ფეოდალური გადმონაშთია, სადაც მცირე მიწები გარკვეულ ავტონომიას ფლობენ, თუმცა ერთ ან რამდენიმე სიუზერენს ექვემდებარებიან. მისი შიდა მმართველობის რესპუბლიკური ფორმის გამო მას ხშირად ანდორის რესპუბლიკას უწოდებენ.

მართალია ლეგენდის მიხედვით კარლოს დიდმა მისცა ანდორელებს მათი უფლებების განმსაზღვრელი ქარტია, მაგრამ დაახლოებით 1000 წელს მისი სიუზერენი ურხელის ეპისკოპოსი გახდა, რომელმაც ეს უფლებები გადაინანილა მეზობელ სენიორ ვიკონტ დე კაბოეტთან, მათი უკეთ დაეცვის საბაბით. ამ უკანასკნელის უფლებები დროთა განმავლობაში და ქორწინებების შედეგად ფუას გრაფებს გადაეცა.

II. ანდორა საფრანგეთსა და ესპანეთს შორის (1790 წლიდან დღემდე)

1790 წელს რევოლუციური საფრანგეთი უარს ამბობს ანდორაში თავის სუვერენობაზე, მაგრამ 1806 წელს ანდორელების მოთხოვნით, ნაპოლეონი დათანხმდა მის განახლებაზე და მმართველობის ძველი ფორმა აღადგინა. 1812 წლიდან 1813 წლამდე მან ანდორის სამთავრო ადმინისტრაციულად სეგრის ფრანგულ დეპარტამენტს დაუქვემდებარა კატალონიაში.

აქედან მოყოლებული საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურები – მეფე, იმპერატორი თუ პრეზიდენტი ამ მოვალეობას ასრულებენ. 1993 წლიდან მართვას ახორციელებს ორი მთავარი თავიანთი მუდმივი წარმომადგენლის მეშვეობით: საფრანგეთის მხრიდან აღმოსავლეთ პირენეის პრეფექტი, რომელიც ქვეყნის

საგარეო საქმეებს განაგებს და ურხელის ეპარქიის ეპისკოპოსის ნაცვალი, რომელიც რელიგიურ საკითხებს ნყვეტს. თითოეულ მთავარს თავისი წარმომადგენელი ჰყავს სამხედრო და სამართლის დარგში.

1993 ნლის 4 მაისს მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომელმაც სამთავროს მმართველობის მრავალსაუკუნოვანი მექანიზმი შეცვალა. ახალი კონსტიტუციის მიხედვით დამყარდა „საპარლამენტო თანამმართველობა", გენერალური საბჭო გახდა საკანონმდებლო ორგანო, რომლის წინაშეც პასუხისმგებელია ანდორის მთავრობა. მიუხედავად იმისა, რომ ანდორა კვლავ თანამმართველობაში რჩება, ის სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც 1993 ნლიდან გაეროს ნევრია.

ბელგია

ზოგადი მონაცემები

მონაქიული სახელმწიფო: ფედერაციული ტიპის ბელგიის სამეფო.
სუვერენი: მეფე ალბერტ II, საქსენ-კობურგ-გოთას სახლიდან.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ორი პალატა, ნარმომადგენლობითი პალატა და სენატი.
ფედერალური დედაქალაქი: ბრიუსელი
ადმინისტრაციული დაყოფა: 3 რეგიონი და 10 პროვინცია:

- **ფლანდრია,** დედაქალაქი ბრიუსელი: დასავლეთი ფლანდრია (ბრიუგე), აღმოსავლეთი ფლანდრია (გენტი), ანტვერპენი (ანტვერპენი), ფლამანდიური ბრაბანტი (ლუვენი), ლიმბურგი (ჰასელტი);
- **ვალონია,** დედაქალაქი ნამიური: ენო (მონსი), ბრაბანტ-ვალონი (ვავრი), ნამიური, ლიეჟი (ლიეჟი), ლუქსემბურგი (არლონი);
- **ბრიუსელი, დედაქალაქი:** 19 კომუნა.

ფართობი: 30500 კმ² (ფლანდრია 13500, ვალონია 16850, ბრიუსელი 150); მოსახლეობა: 10,1 მილიონი კაცი (ფლანდრია 5,8; ვალონია 3,3; ბრიუსელი 1); სიმჭიდროვე: 330 კაცი კმ²-ზე (ფლანდრია 430, ვალონია 200, ბრიუსელი 6670).
კულტურულ-ლინგვისტური დაყოფა: სამი თემი და ოთხი ენობრივი რეგიონი:

- ფლამანდიური თემი: ფლანდრიის რეგიონი, დედაქალაქ ბრიუსელის რეგიონის 15%;
- ბელგიის ფრანგული თემი: ვალონიის რეგიონი, ეიპენის და სენ-ვითის კანტონების გამოკლებით (ლიეჟის პროვინცია), დედაქალაქ ბრიუსელის 85%;
- გერმანოფონული თემი: ეიპენის და სენ-ვითის კანტონი (ლიეჟის პროვინცია).

ენები: ნიდერლანდური (ფლამანდიური) 59%; ფრანგული 40%; გერმანული 1%.
რელიგია: 80% კათოლიკები.
ფულის ერთეული: ბელგიური ფრანკი; 2002 წლიდან ევრო.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ბელგიური პროვინციების მოკლე ისტორია

1. რომიდან ბურგუნდების სახლამდე (I-XV საუკუნეები)

რომის იმპერიის ჩრდილოეთით, სენასა და რაინს შორის მდებარე ბელგიის ტერიტორია ძირითადად დაყოფილი იყო ბელგიის I პროვინციად (ტრირი), ბელგიის II პროვინციად (რემსი) და ქვემო გერმანიად (კიოლნი), სადაც გალიის სხვადასხვა ტომები ცხოვრობდნენ: ებურონები, ნერვინები, ატრებადები, მორენები, მენაპიენები, ტონგრინები, ტრევერები.

შემდეგ, V საუკუნეში გამოჩნდნენ ფრანკები, რომელთაც ეს ტერიტორიები დაიპყრეს. მალე ეს ყველაფერი კარლოს დიდის იმპერიაში აღმოჩნდა. ვერდენის ზავის შემდეგ (843) შელდას დასავლეთით მდებარე დასავლეთი ნანილი (ფლანდრია) საფრანგეთის შემადგენლობაში შევიდა კარლოს მელოტის მმართველობის ქვეშ; დარჩენილი ნანილი ლოთარინგიის სამეფოში გაერთიანდა, მოგვიანებით კი გერმანიის სამეფოს მიუერთდა.

IX და X საუკუნეებში ნორმანდების შემოსევებმა გაანადგურა ქვეყანა და გამოინვია მისი დაქუცმაცება, ამან კი გზა გაუხსნა ფეოდალური სისტემის განმტკიცებას. სნორედ ამის მერე გაჩნდა ქვეყანაში სხვადასხვა სამფლობელო.

– ფლანდრიის საგრაფო, რომელიც მდებარეობდა პიკარდიის, ჩრდილოეთის ზღვისა და შელდას შორის და რომელიც IX საუკუნეში წარმოიქმნა; ეს იყო ძლიერ განვითარებული რეგიონი, მდიდარი სოფლის მეურნეობით, დიდი სამრეწველო ქალაქებით, სადაც ვაჭრობაც აღმავლობას განიცდიდა: ბრიუგე, გენტი, კორტრიეკი, იპრი; ფლანდრიის საგრაფოს მალევე შეუერთდა არტუას საგრაფო;

– ენოს საგრაფო, შელდასა და სამბრას, ბრაბანტსა და ვერმანდუას შორის, რომლის დედაქალაქიც იყო მონსი; 1299 წელს ის ჰოლანდიის საგრაფოს შეუერთდა;

– ბრაბანტის საპერცოგო, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა: ბრიუსელი, თავისი მდიდარი სოფლის მეურნეობითა და ძლიერი ქალაქების ქსელით;

– ნამიურის სამარკიზო, რომლის ცენტრიც ამავე სახელწოდების ქალაქი იყო;

– კამბრეს საეპისკოპოსო ზემო შელდას შემოგარენის მცირე ტერიტორია;

– ლიეჟის საეპისკოპოსო მეზის (მაასის) შუა წელის გაყოლებაზე;

– სტავლოსა და შალმედის საეაბატოები არდენების ზეგანზე;

– ლიმბურგის საპერცოგო, მეზის აღმოსავლეთით, რომელიც ბრაბანტსა და ლუქსემბურგს შორის დავის საგანი იყო;

– ბოლოს, ლუქსემბურგის საპერცოგო, (იხ. თავი ლუქსემბურგი).

ყველა ეს საერო თუ საეკლესიო სახელმწიფო იმპერიის ნაწილი იყო, ფლანდრიის საპერცოგოების გამოკლებით, რომელიც საფრანგეთის შემადგენლობაში შედიოდა.

2. ბურგუნდიული დაპყრობის პერიოდი (XV საუკუნე)

სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო ამ მხარეში, როდესაც იქ ბურგუნდიის სახლი დამკვიდრდა. ამ სახლის პირველმა ჰერცოგმა, ფილიპე გაბედულმა შეირთო მარგარიტა ფლანდრიელი (1369) და მემკვიდრეობით მიიღო ფლანდრია და არტუა (1384).

1404 წელს, ბრაბანტი ანტუან დე ბურგუნდიელს გადაეცა, რომელიც ახალი ჰერცოგის, იოანე უშიშარის უმცროსი ძმა იყო; 1430 წელს, მესამე ჰერცოგმა ფილიპე კეთილმა, ძალის გამოყენებით ის თაეის დომენებს მიუერთა და ბოლოს, 1433 წელს, ჰერცოგმა ენო და ჰოლანდია მათ ბოლო მემკვიდრესთან, ჟაკლინ ბავარიელთან გააფთრებული ბრძოლის ბემდეგ მიიერთა.

ჰერცოგ ფილიპე კეთილს ამ რეგიონში ბევრი პროვინცია ეკუთვნოდა, განსაკუთრებით სამხრეთით, შედარებით ნაკლები ჩრდილოეთით (დღეევანდელი ნიდერლანდი), სადაც მხოლოდ ჰოლანდიას და ზელანდიას ფლობდა. მისი სამფლობელოები ორ გეოგრაფიულ ერთეულად იყო დაყოფილი: "აქეთა მხარე" (ბურგუნდია, ფრანშკომტე) და „იქითა მხარე" (ფლანდრია, ბრაბანტი, ენო, არტუა, პიკარდია, ლუქსემბურგი, ლიმბურგი, ჰოლანდია).

მისმა ვაჟმა, შარლ გულადმა, ბურგუნდიის სამფლობელოები მხოლოდ გელდრენის საპერცოგოთი და მასზე დამოკიდებული ტერიტორიებით გაზარდა (1473 ნ.)

3. ნიდერლანდის გაერთიანებიდან ჩრდილოეთი ნაწილის გამოყოფამდე (XVI საუკუნე)

შარლ გულადის ქალიშვილმა მარია ბურგუნდიელმა მემკვიდრეობით მთელი ქონება მიიღო, მაგრამ დაკარგა აჯანყებული გელდრენი (ჰელდერ ლანდი). იმპერატორის ვაჟზე, მაქსიმილიან ავსტრიელზე თავისი ქორწინებით მარიამ დარჩენილი ტერიტორიები შეინარჩუნა, რეგიონი ავსტრიის სახლის გავლენის სფეროში მოექცა.

მარიას შვილიშვილმა კარლ V-ემ მოახერხა ფრისლანდიის (1523), უტრეხტის და ოვერეისეს (1528), გრონინგენის და დრენთეს (1536), გელდრენის საპერცოგოების დაპყრობა (1543).

აქედან მოყოლებული ნიდერლანდის ჩვიდმეტი პროვინცია (ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ) ქმნიდა საკმაოდ ჰომოგენურ ტერიტორიას, რომელიც 1548 წელს გაერთიანდა ბურგუნდიის ოლქში რომის საღვთო იმპერიის ათი ოლქიდან ერთ-ერთში. 1549 წელს, კარლ მეხუთემ ისინი ერთ სამემკვიდრეო კანონს დაუქვემდებარა და იქ საერთო ინსტიტუტები დააარსა. კარლ მეხუთეს თითოეულ პროვინციაში თავისი წარმომადგენელი ჰყავდა. მაგრამ რეფორმამ ქვეყნის ერთიანობა საფრთხის ქვეშ დააყენა. კარლ მეხუთე ამას წინ აღუდგა ნიდერლანდში. 1555 წელს მან ნიდერლანდი თავის ვაჟს ფილიპ II-ს გადასცა.

მან რეფორმას ძალა დაუპირისპირა და ასამბლეების გაუქმებას შეეცადა. ამას დიდგვაროვანთა წინააღმდეგობა მოჰყვა (ვილჰელმ I), შემდეგ კი აჯანყება რამდენიმე ეტაპად. 1579 წელს მისმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ფარნეზმა მოახერხა სამხრეთის ათი კათოლიკური პროვინციის გამოყოფა ჩრდილოეთის შვიდი პროვინციისაგან, სადაც ბრძოლა გრძელდებოდა. არასის კავშირს სამხრეთით მაშინვე მოჰყვა უტრეხტის კავშირი ჩრდილოეთით, რომელიც გამოეყო ფილიპ II-ს (1581); შვიდი პროვინცია გაერთიანდა (1593) და შეიქმნა ახალი სახელმწიფო — შეერთებული პროვინციები, რომელიც ჯერ ძლიერმა სახელმწიფოებმა აღიარეს, 1609 წელს კი ესპანეთმაც (თორმეტწლიანი ზავი).

4. ესპანეთის სამხრეთი ნიდერლანდი (XVII საუკუნე)

ამის შემდეგ ჰაბსბურგები მხოლოდ სამხრეთის პროვინციებს მართავდნენ: ბრაბანტის, ლიმბურგის, ლუქსემბურგის საპერეგოგოებს, ნამიურის და ანტვერპენის სამარკიზოებს, ფლანდრიის, ენოს, არტუას საგრაფოებს, მეჰელენის სამფლობელოებს. მთლიანობაში ეს სამხრეთ ნიდერლანდს, იგივე ესპანეთის ნიდერლანდს შეადგენდა.

ამ პროვინციებს ესპანეთის მმართველობის გარდა კათოლიკური რელიგიაც აერთიანებდა. რეფორმის წინააღმდეგ ბრძოლა იქ ძლიერი იყო. სამხრეთელი პროტესტანტები შეერთებულ პროვინციებში გადავიდნენ. განხვავებულმა პოლიტიკურმა და რელიგიურმა ხაზმა ხანგრძლივად დაასვა დაღი ძველი ნიდერლანდის მოსახლეობის მენტალიტეტს.

შეერთებული პროვინციების მტრული განწყობა ესპანეთის მიმართ სამხრეთელებთან ხშირი ომებით გამოიხატა, ისინი კი თავისი ესპანელი პატრონების მსგავსად ნიდერლანდს თავიანთ დაუძინებელ მტრად თვლიდნენ. უფრო მეტიც, ჩრდილოეთისკენ გაქცევას შელდას ყურის დაკეტვა დაემატა, რამაც ანტვერპენის საზღვაო კავშირების პარალიზება და ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია.

1595 წელს ესპანეთმა ენოს **კამბრეს** პატარა საეპისკოპოსო მიუერთა. 1598 წელს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ფილიპ II-მ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: მან **ნიდერლანდი ნახევრად-დამოუკიდებელი** გახადა თავისი ქალიშვილის იზაბელ-კლერ-ეუენისა და მისი ქმრის, ერცჰერცოგ ალბერტის (რომელიც იმპერატორ მაქსიმილიან II-ის ვაჟი იყო) სუვერენობის ქვეშ, თუმცა ესპანეთის ჯარები ადგილზე რჩებოდნენ. ეს ავტონომია 1621 წელს დასრულდა, ალბერტის გარდაცვალების შემდეგ.

უფრო ადრე, ხანგრძლივი ომის შემდეგ, ხელი მოეწერა თორმეტწლიან ზავს (1609-1621) შეერთებულ პროვინციებთან. მისი ვადის ამოწურვას კონფლიქტის განახლება მოჰყვა, რომელიც 1648 წელს მიუნსტერის ზავით დასრულდა: შეერთებული პროვინციები ესპანეთის სასარგებლოდ კარგავდა **ზემო გელდრენს** ქალაქ გელდრენთან და ვენლოს ციხე-სიმაგრესთან ერთად; სამაგიეროდ ესპანეთი თმობდა **ფლანდრიის ჩრდილოეთ საზღვარს**, შელდას მარცხენა სანაპიროზე, **ბრაბანტის ჩრდილოეთის ნახევარს** (ბრედასა და ჰერტოგენბოსთან ერთად), და **ანკლავს ლიმბურგში**, მდინარე მეზთან, რომელიც შედგებოდა მაასტრიხტისაგან მარცხენა სანაპიროზე და ფოკმონისგან (ფალკენბურგი) მარჯვენა სანაპიროზე.

პარალელურად, 1598 წელს საფრანგეთთან შენყვეტილი ომი 1635 წელს განახლდა. ის 1659 წელს დასრულდა პირენეის ზავით: ესპანეთს რუსილიონის და

სერდანის ნაწილის გარდა საფრანგეთისათვის უნდა დაეთმო **არტუას დიდი ნაწილი** (არასი, ბაპომი, ლანსი, ბეტუნი, სენპოლი, ტერუანი) ერისა და **სენტ-ომერის** გამოკლებით, აგრეთვე **გრავლინი** და **ბურბური** ფლანდრიაში, **კენუა, ავენი, ფილიპვილი** და **მარიემბურგი** ენოში, **მონმედი** და **ტიონვილი** ლუქსემბურგში.

1678/1679 წლებში, დევოლუციური და ჰოლანდიური ომების შემდეგ ესპანეთმა ფრანშ-კონტეს გარდა საფრანგეთს დაუთმო **არტუას დარჩენილი ნაწილი, ფლანდრიის სხვადასხვა ქალაქი** (ბერგი, იპრი, პოპერინგი, ტურნე, ბაიელი, ლილი, დუე), ენო (კამბრე, მობეჟი). შემდგომში, ლუი XIV-ის მიერ განხორციელებული მშვიდობიანი გაერთიანებები რისვიკის ზავით განახლდა (1697).

5. ავსტრიის სამხრეთი ნიდერლანდი (XVIII საუკუნე)

ესპანეთის მემკვიდრეობაისთვის ნარმოებული ომის დამთავრების შემდეგ, უტრეხტისა (1713) და რაშტატის (1714) ზავების მიხედვით, ესპანეთის ნიდერლანდი ბურბონების ესპანეთს ჩამოშორდა და იმპერატორ კარლ VI-ს, ჰაბსბურგების ავსტრიული შტოს წარმომადგენელს გადაეცა და ავსტრიის ნიდერლანდი გახდა. უფრო მეტიც, შეერთებული პროვინციების სასარგებლოდ მან დაკარგა მონფორტი და ვენლოს ციხე-სიმაგრე – მეზის მარჯვენა სანაპიროს ანკლავები, - ხოლო პრუსიის სასარგებლოდ – ზემო გელდრენის დიდი ნანილი, ქალაქ გელდრენით და მხოლოდ მისი მცირე ნაწილი შეინარჩუნა (რურმონდი); საკომპენსაციოდ მან მიიღო ვერნე, იპრი, პოპერინგი, ვარნტონი და ტურნე.

გარდა ამისა, ანტვერპენში 1715 წელს ხელმოწერილი ზავის მიხედვით, შეერთებულმა პროვინციებმა გარნიზონების განლაგების უფლება მიიღო ავსტრიის ნიდერლანდის რვა პუნქტში: ნამიურში, ტურნეში, მენინში, ვარნტონში, იპრში, ენოკეში, ვერნეში და ტერმონდში.

გარეშე ზენოლით გამოწვეული ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად (სირთულეები საბაჟოზე, ნიდერლანდის მიერ საზღვაო ვაჭრობის შეზუდვა), ავსტრიელი ჰაბსბურგები ცდილობდნენ თავიანთ ნიდერლანდში ფართოდ გაეშალათ ეკონომიკური მოღვაწეობა, რასაც თითქმის ერთსაუკუნოვანი მშვიდობიანი პერიოდი უწყობდა ხელს.

ლიეჟის საეპისკოპო, რომელიც ყოველთვის გამორჩეული იყო ავსტრიის ნიდერლანდში და რომელზეც არ ერცელდებოდა მსგავსი შეზღუდვები, ამ პერიოდში აღმავლობას განიცდიდა. იქ განვითარება დაიწყო მრეწველობამ (მაღაროები, მეტალურგია, იარაღის ნარმოება), რომელიც შემდგომ საუკუნეებში კიდეე უფრო გაიზარდა.

1781 წელს იმპერატორმა იოზეფ II-მ ისარგებლა ინგლისსა და შეერთებულ პროვინციებს შორის ომით და ნიდერლანდის რვა გარნიზონი გააუქმა. იმპერატორი შეეცადა ანტვერპენის ბლოკადის გარღვევას, რასაც კინაღამ ომის დაწყება მოჰყვა. საფრანგეთის შუამავლობით ხელი მოენერა ფონტენუოს ზავს (1785 ნლის 8 ნოემბერი), რომლითაც აფიციალურად გაუქმდა ბარიერები და ავსტრიის ნიდერლანდს გადაეცა ორი ფორტი ლილო და ლიფენსბუკი შელდაზე. მაგრამ ნავსადგურები ჩაკეტილი დარჩა.

გარდა ამისა, განმანათლებლური იდეებით აღსავსე იმპერატორმა იოზეფ II-მ თავის სახელმწიფოებში რეფორმების გატარება დაიწყო. ადმინისტრაციული თვალსაზრისით იგი მათ გაერთიანებას და ცამეტი ოლქის შექმნას შეეცადა, რომელთაც მსგავსი ინსტიტუტები ექნებოდათ: ნიდერლანდი ცამეტიდან ერთ-ერთი ოლქი უნდა ყოფილიყო.

1787 ნლის 1 იანვარს იმპერატორმა გამოსცა ედიქტი, რომლითაც ადმინისტრაციული გარდაქმნა ხორციელდებოდა და ავსტრიის ნიდერლანდის ტრადიციული ინსტიტუტები უქმდებოდა.

იოზეფ II-ის რეფორმებმა ორი დაპირისპირებული პოლიტიკური მიმდინარეობა ნარმოქმნა, ფონკისტების, რომლებიც უფრო რადიკალურ პოლიტიკურ რეფორმებს ემხრობოდნენ და სტატისტების, (შედარებით მრავალრიცხოვანი), რომლებიც ძველ სისტემასთან მიბრუნების მომხრენი იყვნენ.

II. ბელგიის სივრცე 1789 წელს

1789 წელს დღევანდელ ბელგიად წოდებული ტერიტორია შემდეგ სახელმწიფოებს მოიცავდა: ავსტრიის ნიდერლანდი, ლიეჟის საეპისკოპოსო, სტავლოსა და მალმედის სააბატოები, ბუიონის საჰერცოგო.

საფრანგეთს, შეერთებულ პროვინციებსა და რაინსაქეთა გერმანიას შორის მოქცეული ეს რეგიონი, ძირითადად დაბლობი ტერიტორია, აღმოსავლეთი ნანილის გამოკლებით, დასერილი მდინარეებით (შელდა, მეზი და ა.შ.), ეკონომიკურად საკმაოდ განვითარებული იყო. ფლობდა მდიდარ სოფლის მეურნეობას, ძლიერ მრენველობას (საფეიქრო), ქალაქების ძალიან აქტიურ ქსელს (ანტვერპენი, ბრიუსელი, გენტი); მხოლოდ საზღვაო მიმოსვლა იყო მეტად შეზღუდული 1648 წლიდან ანტვერპენისა და გენტის ნავსადგურების დაკეტვის გამო, რასაც შეერთებული პროვინციები აკონტროლებდა.

1. ავსტრიის ნიდერლანდი

1789 წელს ავსტრიის ნიდერლანდი ცხრა პროვინციისაგან შედგებოდა: ბრაბანტი, ლიმბურგი, ლუქსემბურგი, ნამიური, ანტვერპენი, ფლანდრია, ენო, მეპელენი, ავსტრიული გელდრენი (რურმონდი). 1787 წლამდე თითოეულ პროვინციას თავისი ინსტიტუტები ჰქონდა; იმპერატორი წარმოდგენილი იყო ბრიუსელში ნიდერლანდის გენერალური გუბერნატორით.

ნიდერლანდს ორ ბლოკად ჰყოფდა ლიეჟის საეპისკოპოსო: აღმოსავლეთით იყო ლუქსემბურგი და ლიმბურგი რურმონდის ანკლავით, დასავლეთით სხვა პროვინციები. მთლიანად ეს ტერიტორია მოიცავდა 26000 კმ^2-ს ორი მილიონი მცხოვრებით.

ნიდერლანდი საღვთო რომის იმპერიის ბურგუნდიული ოლქი იყო და იმპერატორს უზრუნველყოფდა ერთი ხმით (ბურგუნდია) რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგიის საერო ფრთაში.

2. ლიეჟის საეპისკოპოსო

ლიეჟის ეპისკოპოსმა VIII საუკუნიდან დაიწყო თავისი ძალაუფლების გავრცელება ტერიტორიაზე, რომელიც თანდათან იმატებდა მეზის შუა წელს — ჟიეე და შარლერუადან ჰასელტამდე. ეს სამფლობელო დაიყო შვიდ მხარედ: კამპინი, ჰესბაი, ლოოზისა და ორნის საგრაფოები, ფრანშიმონის სამარკიზო, კონდროზი და სტავლო. მთლიანად ამ ტერიტორიის მოსახლეობა 200 000 კაცს შეადგენდა.

მართალია, ლიეჟის საეპისკოპოსო ავსტრიის ნიდერლანდის შუაგულში მდებარეობდა, მაგრამ შედიოდა ვესტფალიის ოლქში, სადაც ეპისკოპოსს ერთი ხმა ჰქონდა, ხოლო რეგენსბურგის დიეტის მთავრების კოლეგიაში ერთი საეკლესიო ადგილი.

3. სტავლოსა და მალმედის სააბატოები

ძალიან ძველი (VIII საუკუნე) სააბატოები სტავლო და მალმედი ერთად საეკლესიო ტერიტორიას ქმნიდნენ, რომელიც ავსტრიის ლუქსემბურგსა და ლიეჟის საეპისკოპოსოს შორის მდებარეობდა. ეს ტერიტორია ვესტფალიის ოლქს ექვემდებარებოდა, სადაც სტავლო-მალმედის აბატს ერთი ხმა და ასევე ერთი საეკლესიო ადგილი ჰქონდა რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგიაში.

4. ბუიონის საჰერცოგო

საფრანგეთის სამეფოსა და ლუქსემბურგის საჰერცოგოს შორის მდებარე ეს პატარა საჰერცოგო 1678 წლიდან ტურენის მარშლის შთამომავლებს ეკუთვნოდა, საფრანგეთის მეფის სიუზერენობის ქვეშ.

III. 1789 წლიდან ბელგიის სამეფოს ჩამოყალიბებამდე (1830)

1. ავსტრიის ნიდერლანდის დასასრული (1789-1795)

საფრანგეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ნიდერლანდის მოსახლეობა აღსდგა ავსტრიის წინააღმდეგ (1789 წლის ივლისი). თითოეულმა პროვინციამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. გაძევებულმა ავსტრიელებმა ერთადერთ კეთილად განწყობილ პროვინციაში, ლუქსემბურგში მოიყარეს თავი.

ლიეჟში მსგავსი რევოლუცია განხორციელდა ეპისკოპოსის წინააღმდეგ (1789 წლის აგვისტო).

აჯანყებული პროვინციების მომავლის განსაზღვრის მიზნით (ლუქსემბურგის გამოკლებით) ბრიუსელში კონგრესი გაიმართა.

1790 წლის 10 იანვარს, დეპუტატებმა გამოაცხადეს **ბელგიის გაერთიანებული სახელმწიფოების რესპუბლიკა,** რომელიც ამერიკული მოდელის მსგავსად ფედერაციული უნდა ყოფილიყო, სადაც ავსტრიის პროვინციები გაერთიანდებოდა, ლუქსემბურგის გამოკლებით.

სახელნოდება ბელგია, რომელიც რომაული პერიოდით თარიღდება, ხელახლა ამოტივტივდა.

1790 წლის ნოემბერ-დეკემბერში ავსტრიამ ძალები მოიკრიბა და ხელახლა დაიკავა ბელგია, ლიეჟის საეპისკოპოსო და ძველი პოლიტიკური სიტუაცია აღადგინა.

1792 წლის აპრილში საფრანგეთმა ავსტრიას ომი გამოუცხადა, ამ ომში პრუსიამ ავსტრიის მხარე დაიჭირა. ვალმში პრუსიელებზე გამარჯვებამ (1792 წლის 20 სექტემბერი) გზა გაუხსნა ფრანგებს ავსტრიის ნიდერლანდისა და გერმანიის რაინის მარცხენა სანაპიროსკენ.

დიუმურიეს მეთაურობით ჟემაპეში ავსტრიელებზე გამარჯვებიდან (1792 წლის ნოემბერი) ერთ თვეში ფრანგებმა ნიდერლანდი დაიკავეს; მისი ბოლო პუნქტის ნამიურის კაპიტულაცია 2 დეკემბერს მოხდა.

დიუმურიეს სურვილს - ბელგია ცალკე სახელმწიფო ყოფილიყო, მას კი საკუთარი სამთავრო ჰქონოდა, ბელგიელი პატრიოტების სურვილს – შეექმნათ რესპუბლიკა, კონვენტმა ევროპაში ექსპანსიის პოლიტიკა დაუპირისპირა, რაც ბელგიის პროვინციების ანექსირების გადაწყვეტილებაში გამოიხატა.

Bბუნებრივია ასეთი პოლიტიკა ხალხის აზრს არ ითვალისწინებდა და მთელი ბელგია (ნიდერლანდი, ლიეჟი, სტავლო-მალმედი, ბუიონი) ნაწილ-ნაწილ იქნა ანექსირებული საფრანგეთის მიერ ყოველგვარი პლებისციტის გარეშე, 1793 წლის 1 მარტიდან 30 მარტამდე მიღებული თხუთმეტი დეკრეტის საფუძველზე.

პარალელურად, ნეერვინდენთან საფრანგეთზე ავსტრიის გამარჯვების შემდეგ (1793 წლის 18 მარტი), ფრანგები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ბელგია. ძველი პოლიტიკური მდგომარეობა აღდგენილი იქნა.

ფრანგების ხელახალი შეტევა ფლერუსთან მათი გამარჯვებით დასრულდა (1794 წლის 26 ივნისი), რამაც კვლავ მისცა საფრანგეთს ბელგიის დაკავების საშუალება. მისი ხელახალი ანექსირება კონვენტს მაშინვე არ მოუხდენია, მან იქ დროებითი რეჟიმი შემოიღო.

2. საფრანგეთთან მიერთება (1795-1814)

ბელგიაში შეჭრის შემდეგ, საფრანგეთის არმიამ გააგრძელა შეტევა შეერთებულ პროვინციებზე; 1795 წელს შეერთებულმა პროვინციებმა კაპიტულაცია გამოაცხადა და მათ ნაცვლად ჰოლანდიის რესპუბლიკა გამოცხადდა.

ჰააგის ხელშეკრულების მიხედვით (1795 წლის 16 მაისი), **საფრანგეთმა აიძულა ჰოლანდიის რესპუბლიკა მისთვის გადაეცა ნიდერლანდის ფლანდრია (შელბას მარცხენა სანაპირო) და მაასტრიჰტის, ვენლოს და ნიდერლანდის** ლიმბურგის (მონფორტი) ანკლავები, ფლესინგში გარნიზონის განლაგების უფლებით. ყველაფერი ერთად ბელგიის პროვინციებს მიუერთდა, სადაც ჯერ ისევ დროებითი რეჟიმი იყო.

1795 წლის 31 აგვისტოს ოფიციალური ანექსიის გამოცხადების გარეშე, კონვენტმა გადაწყვიტა ბელგია ცხრა დეპარტამენტად დაეყო:
– ლისი: ბრიუგე, კუსტრე, ვერნე, იპრი;
– შელდა: გენტი, აუდენარდე, სლიუსი, დენდერმონდე;
– ჟემაპე: მონსი, შარლერუა, ტურნე;
– დე-ნეთი: ანტვერპენი, მეჰელენი, ტიურნჰაუტი;
– დილი: ბრიუსელი, ლუვენი, ნიველი;
– ქვემო მეზი: მაასტრიჰტი, ჰასელტი, როურმონდი;
– ურტი: ლიეჟი, ჰუი, მალმედი;
– სამბრა-ე-მეზი: ნამიური, დინანი, მარკა, სენტ-ჰიუბერტი;
– ფორე: ლუქსემბურგი, ბიტბურგი, დილირპი, ნეშატო.

ფლანდრიამ ლის და შელდას დეპარტამენტები შედგინა, ენომ ჟემაპესი, ბრაბანტმა დილის და დე-ნეთის, ლუქსემბურგმა ფორესი. ნამიურმა, ლიეჟის მხარემ, დასავლეთ და ჩრდილოეთ ლუქსემბურგმა, ლიმბურგმა, მაასტრიხტმა, როურმონდმა, ვენლომ ქვემო-მეზის, ურტეს და სამბრა-ე-მეზის დეპარტამენტები.

1795 წლის 1 ოქტომბერს კონვენტმა ხმა მისცა **საფრანგეთისთვის ავსტრიის ნიდერლანდის, ლიეჟის სამთავროს, სტავლოსა და მალმედის სააბატოების მიერთებას.**

26 ოქტომბერს საფრანგეთს თავის მხრივ ბუიონის საჰერცოგოც მიუერთდა და არდენის, ფორეს და სამბრა-ე-მეზის დეპარტამენტებს შორის გადანაწილდა. ბელგიის პროვინციები დაახლოებით ოცი წლის მანძილზე საფრანგეთთან იყო შეერთებული. ამ ქვეყანაში გაერთიანებას ძველი ეკონომიკური სიძნელეების დაძლევა და აღმავლობის პერიოდი მოჰყვა, რამაც დასაწყისში საფრანგეთის დომინაცია სასურველიც კი გახადა. დამოკიდებულება მხოლოდ მაშინ შეიცვალა, როდესაც საფრანგეთის იმპერიამ დაშლა დაიწყო და როდესაც კონტინენტის ბლოკადა უფრო საგრძნობი გახდა.

1807 წლის 11 ნოემბრის ფონტენბლოს შეთანხმებით, საფრანგეთის მხრიდან მიღებული პროვინციების სანაცვლოდ **ჰოლანდიის სამეფომ საფრანგეთს დაუთმო ქალაქი ფლისინგენი.** 1808 წლის 21 იანვარს ფლისინგენი შელდას დეპარტამენტს მიუერთდა.

1810 წლის 16 მარტის პარიზის ხელშეკრულებით საფრანგეთმა ჰოლანდია აიძულა საზღვარი ვაალის ხაზზე დაფიქსირებინა, რის შედეგადაც **ჰოლანდია საფრანგეთს უთმობდა მთელ ზელანდიას, ჰოლანდიის ბრაბანტს და ვაალის მარცხენა სანაპიროს — გელდრენს.**

24 აპრილს, ყოფილი ჰოლანდიური ზელანდია და ბრაბანტი დე-ნეთის დეპარტამენტს მიუერთდა (მიდელბურგის და ბრედას ახალი ოლქები), ხოლო ბრაბანტის მეორე მხარე და ვაალის მარცხენა სანაპიროს გელდრენი გაერთიანდა და ბუშ-დიუ-რაინის დეპარტამენტი შეადგინა (ჰერტოგენბოსი, ეინდჰოვენი, ნიუმეგენი).

15 მარტს, ზელანდია ჩამოშორდა დე-ნეთის დეპარტამენტს და ახალი დეპარტამენტი შექმნა ბუშ-დე-შელდას სახელწოდებით (მიდელბურგი, გიოსი, ზიერიკზეე).

3. ნიდერლანდის სამეფოსთან შეერთება (1814-1830)

ნაპოლეონის ერის დასრულების შემდეგ, 1814 წლის 30 მაისს პარიზის პირველი ხელშეკრულებით, რომელიც საფრანგეთსა და მოკავშირე სახელმწიფოებს შორის დაიდო, საფრანგეთი თავის 1792 წლის 1 იანვარს დაფიქსირებულ საზღვრებს დაუბრუნდა, მის სასარგებლოდ განხორციელებული რამდენიმე შესწორებით, რომელიც ენოსა და ნამიურის რამდენიმე კანტონს ეხებოდა.

ავსტრია, რომელმაც სხვა ტერიტორიები მიიღო, დიდად აღარ ზრუნავდა ავსტრიის ნიდერლანდის დაბრუნებაზე; მეორე მხრივ, მოკავშირე სახელმწიფოებმა უარი თქვეს საეკლესიო სახელმწიფოების აღდგენაზე. ნაპოლეონზე გამარჯვებულმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ სამხრეთი ნიდერლანდის საფრანგეთისაგან

დასაცავად საუკეთესო საშუალება იქნებოდა მისი ვილჰელმ I-სთვის გადაცემა, რომელიც ჩრდილოეთი ნიდერლანდის სუვერენის ვილჰელმ V-ს შვილი იყო (ყოფილი შეერთებული პროვინციები).

ცალკე მიღებული საიდუმლო მუხლების მიხედვით, რომელიც მხოლოდ მოკავშირე სახელმწიფოებს შორის დაიდო, ის ქვეყნები, რომლებიც მდებარეობდა ზღვის, საფრანგეთისა და მეზის საზღვრებს შორის, ამ მთავარს გადაეცემოდა; მეზის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ქვეყნები კი, მასსა და მეზობელ ქვეყნებს შორის შეთანხმების საგანი გახდებოდა. ვილჰელმ I ამ პირობებს 1814 წლის 21 ივლისს დათანხმდა.

1815 წლის 31 მაისს ვენის ხელშეკრულებით, რომელიც ნიდერლანდის ახალ მეფეს, ვილჰელმ I-სა და ოთხ სახელმწიფოს შორის დაიდო (დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, პრუსია, რუსეთი) გადაწყდა, რომ **გაერთიანებული ნიდერლანდის ახალი სამეფო** შემდეგი ძველი სახელმწიფოებისაგან იქნებოდა შედგენილი: **შეერთებული პროვინციები, ავსტრიის ნიდერლანდი, ლიეჟის საეპისკოპო, სტავლოსა და მალმედის საეპატოები,** პრუსიის ყოფილი გელდრენის დასავლეთის ნახევარი (მეზის მარცხენა სანაპიროზე).

მაგრამ მათ ჩამოეჭრა:

– **ნამიურის და ენოს რამდენიმე კანტონი**: დური, მერბ-ლე-შატო, ბომონი, შიმეი (ენო), ვალკური, ფლორენი, ბორენი, ჟედინი (ნამიური), **გადაცემული საფრანგეთისათვის 1814 წლის მაისში** ფილიპვილის და მარიებერგის საზღვრების გასადიდებლად;

– **ბიტბურგის** ოლქი და **სენ-ვითის** კანტონი (ავსტრიის ლუქსემბურგი), **ეიპენის, როლდიუკის, და ობელის კანტონები** (ავსტრიის ლიმბურგი), **მალმედის კანტონი** (სტავლო-მალმედი). ეს ყველაფერი **პრუსიის სასარგებლოდ** (ქვემო რაინის პროვინცია).

შემდგომში, საზღვრების დადგენისას დაშვებული უზუსტობების გამო, მორესნეს კომუნა (ობელის კანტონი), ერთდროულად პრუსიამაც მოითხოვა და ნიდერლანდმაც (მაღაროების გამო).

გარდა ამისა, ვენის კონგრესმა აღიარა **ბუიონის** ბოლო ჰერცოგის უფლება დაბრუნებოდა თავისი საჰერცოგო, რის შემდეგაც მან ის მაშინვე მიჰყიდა ნიდერლანდის მეფეს.

და ბოლოს, გადაწყდა, რომ **ლუქსემბურგის** ძველი საჰერცოგო, ყოფილი ავსტრიის ნიდერლანდის ერთადერთი ელემენტი, პირად მფლობელობაში გადაეცემოდა ნიდერლანდის მეფეს იმ უარის საკომპენსაციოდ, რომლის საფუძველზეც პრუსიამ თავისი გერმანული ტერიტორიები მიიღო (ორან-ნასაუ).

ასდღიანი პერიოდის შემდეგ მოკავშირე სახელმწიფოებმა პარიზის მეორე ხელშეკრულებით (1815 წლის 20 ნოემბერი), საფრანგეთს პირველზე უარესი პირობები მოახვიეს თავს, რითაც მან სხვადასხვა ტერიტორია დაკარგა. ამ ჩარჩოში **საფრანგეთი გაერთიანებულ ნიდერლანდს უთმობდა:**

– ფილიპვილისა და მარიებერგის ყოფილ ანკლავებს, რომლებიც რევოლუციამდე საფრანგეთს ეკუთვნოდა;

– **ენოსა** და **ნამიურის** კანტონებს;

საფრანგეთი უარს ამბობდა ბუიონის საჰერცოგოს სიუზერენობაზე.

გაერთიანებული ნიდერლანდის სამეფო 18 პროვინციად დაიყო:

– ჩრდილოეთის ცხრა პროვინცია ისტორიულ საზღვრებს დაუბრუნდა და ძველ შეერთებულ პროვინციებს შეესაბამებოდა;

– სამხრეთის ცხრა პროვინციამ შეინარჩუნა ფრანგული დეპარტამენტების დაყოფა და შეესაბამებოდა **ბელგიას**: დასავლეთი ფლანდრია (ლისი), ადმინისტრაციული ცენტრი ბრიუგე; აღმოსავლეთ ფლანდრია (შელდა), ადმინისტრაციული ცენტრი გენტი; ანტვერპენი (დე-ნეთი); სამხრეთი ბრაბანტი (დილი), ადმინისტრაციული ცენტრი ბრიუსელი; ენო (ჟემაპე), ადმინისტრაციული ცენტრი მონსი; ნამიური (სამბრ-ე-მეზი); ლიეჟი (ურტე); ლიმბურგი (ქვემო მეზი), ადმინისტრაციული ცენტრი მაასტრიხტი; ლუქსემბურგი (ფორე).

1816 წელს, პრუსიასა და ნიდერლანდს შორის დადებული შეთანხმებით გადაწყდა სადავო **მორესნეს** კომუნის ბედი; ის სამ ნაწილად დაიყო: ნიდერლანდის მორესნე, პრუსიის მორესნე და ნეიტრალური მორესნე, რომელიც საერთო მფლობელობაში იქნებოდა და მის ადმინისტრირებას საზოგადოება "ვიეი მონტანი" მოახდენდა, რომელიც მაღაროების სამუშაოებს ხელმძღვანელობდა.

განსხვავებული წარსულის მქონე პროვინციების ახალი კავშირი კონსტიტუციასთან შესაბამისობას მოითხოვდა. კონსტიტუციაში ხაზგასმული იყო ჩრდილოეთისა და სამხრეთის პროვინციებს შორის სრული თანასწორობა. სამეფოს ექნებოდა ორი დედაქალაქი - ჰაგა და ბრიუსელი.

მაგრამ სამხრეთის ცხრა პროვინციის ძირითადად კათოლიკე და ფრანკოფონი მოსახლეობა, დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია ჩრდილოეთის პროვინციებთან შეერთებას, რადგან იქ ძირითადად ნიდერლანდური ენა და პროტესტანტული რელიგია იყო. თვით ფლამანდებიც უკმაყოფილონი იყვნენ რელიგიურ საკითხებში ხელისუფლების ასეთი პოლიტიკით, თუმცა მეფე იმედოვნებდა, რომ ენობრივი სიახლოვის გამო მათთან პრობლემა არ ექნებოდა.

IV. ბელგიის სამეფო (1830 წლიდან დღემდე)

1. ბელგიის დაბადება (1830-1839)

1830 წლის 25 აგვისტოს, ბელგიელები აჯანყდნენ ნიდერლანდის ნინააღმდეგ და დროებითი მთავრობა აირჩიეს, რომელმაც (ოქტომბერში), ლუქსემბურგი ბელგიის ნაწილად გამოაცხადა და მომავალი ბელგიისათვის (ნოემბერი) კონსტიტუციური მონარქიის რეჟიმი აირჩია.

1830 წლის ნოემბერში, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ინიციატივით გამართულ ლონდონის შეხვედრაზე შეკრებილმა სახელმწიფოებმა დაამტკიცეს გაერთიანებული ნიდერლანდის სამეფოს დაშლა და 1831 ნლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით ეს ორი ნაწილი შემდეგნაირად გამიჯნეს:

– **ნიდერლანდის სამეფო** შედგენილი იქნებოდა ყოფილი შეერთებული პროვინციებისაგან 1790 ნელს არსებული საზღვრების ფარგლებში, რასაც ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო დაემატებოდა (რომელიც გერმანიის კონფედერაციის წევრად რჩებოდა);

– **ბელგიის ახალი სამეფო** ყოფილი შეერთებული ნიდერლანდის სამეფოს დარჩენილი ნაწილისაგან იქნებოდა შედგენილი.

შეხვედრის ოქმში ასევე გათვალისწინებული იყო ბელგიის საერთაშორისო ნეიტრალიტეტის დაცვის საკითხი, რომლის გარანტიც ხელმონერილი სახელმწიფოები იქნებოდნენ. ტახტის მიღების საკითხის გადასაწყვეტად ბელგიაში სპეციალური კონგრესი გაიმართა, რომელსაც ორ კანდიდატს შორის უნდა გაეკეთებინა არჩევანი: ლეხტენბერგის ჰერცოგსა და ნემურის ჰერცოგს, მეფე ლუი-ფილიპეს ვაჟს შორის. 1831 წლის სამ თებერვალს მეფედ აირჩიეს ნემურის ჰერცოგი, მაგრამ ინგლისის ჩარევის შემდეგ, 17 თებერვალს, მეფე ლუი-ფილიპემ ეს არჩევანი არ დაამტკიცა.

ბელგიის კონგრესმა, რომელშიც ლიმბურგის და ლუქსემბურგის დეპუტატები მონაწილეობდნენ (არ ესწრებოდნენ მაასტრიხტისა და ლუქსემბურგის დეპუტატები, რომლებიც გარნიზონმა არ გამოუშვა), უარი თქვა 20 იანვრის პროტოკოლის რატიფიცირებაზე იმ იმედით, რომ ლიმბურგისა და ლუქსემბურგის შენარჩუნებას შეძლებდნენ.

1831 წლის 4 ივნისს კონგრესმა ახალი სუვერენი აირჩია, ინგლისის მიერ წარდგენილი კანდიდატი საქსონია- კობურგის მთავარი ლეოპოლდი, რაც ლუი-ფილიპთანაც იყო შეთანხმებული, რომლის უფროსი ქალიშვილიც მას უნდა შეერთო.

26 ივნისს ბელგიის მეფემ ლეოპოლდ I-მა ხელი მოაწერა თვრამეტი მუხლისგან შედგენილ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ლუქსემბურგი ბელგიის მფლობელობაში გადადიოდა, ხოლო ლიმბურგი გათვალისწინებული იყო როგორც

კომპენსაცია ბელგიასა და ნიდერლანდს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე.

ნიდერლანდის მეფემ უარყო თვრამეტმუხლიანი ხელშეკრულება, შეიჭრა ბელგიაში და აიღო ანტვერპენი, ბელგია იძულებული გახდა საშველად საფრანგეთისთვის მოეხმო, რომელიც თავის მხრივ კონფლიქტში ჩაერია.

კონფლიქტი ახალი შეთანხმებით (1831 წლის 20 ოქტომბერი), ოცდაოთხმუხლიანი ხელშეკრულებით დასრულდა, რომლის მიხედვითაც ლიმბურგიც და ლუქსემბურგიც ორ ნაწილად იყოფოდა:

– **ლიმბურგის დასავლეთი ნაწილი** (მეზის მარცხენა სანაპირო) ლიმბურგის ბელგიური პროვინცია ხდებოდა, ადმინისტრაციული ცენტრი - ჰასელტი;

– **ლუქსემბურგის დასავლეთი ნაწილი** (ფრანკოფონული მხარე) ლუქსემბურგის ბელგიური პროვინცია ხდებოდა, ადმინისტრაციული ცენტრი – არლონი;

– **ლიმბურგის აღმოსავლეთი ნაწილი** (მეზის მარჯვენა სანაპირო, რომელიც მარცხენა სანაპიროთი მაასტრიხტზე გადიოდა), ლიმბურგის ნიდერლანდული პროვინცია ხდებოდა, ადმინისტრაციული ცენტრი — მაასტრიხტი;

– **ლუქსემბურგის აღმოსავლეთი ნაწილი** (გერმანულენოვანი მხარე) ლუქსემბურგის დიდ საპერცოგოდ, ნიდერლანდურ პროვინციად რჩებოდა – ადმინისტრაციული ცენტრი - ლუქსემბურგი:

ბელგიის ლუქსემბურგი გერმანული კონფედერაციის შემადგენლობიდან გამოვიდა, ნიდერლანდის ლიმბურგი კი იქ კომპენსაციის ნიშნად შევიდა.

მაგრამ ნიდერლანდის მეფემ უარი თქვა ახალი შეთანხმების დამტკიცებაზე და ბელგიამ დროებით შეინარჩუნა თითქმის მთელი ლიმბურგი და ლუქსემბურგი (ორი ქალაქის, მაასტრიხტისა და ლუქსემბურგის გარდა).

საბოლოოდ, 1838 წლის მარტში, ნიდერლანდის მეფე ოცდაოთხმუხლიანი ხელშეკრულების მიღებას დათანხმდა და 1839 წლის აპრილში შეთანხმებული მუხლების მიხედვით განხორციელდა განაწილება.

ბელგიის ლუქსემბურგი და **ბელგიის ლიმბურგი** საბოლოოდ გახდნენ ბელგიის სამეფოს პროვინციები, რომელიც აქედან მოყოლებული ცხრა პროვინციისაგან შედგებოდა: დასავლეთი ფლანდრია (ბრიუგე), აღმოსავლეთი ფლანდრია (გენტი), სამხრეთ ბრაბანტი (ბრიუსელი), ანტვერპენი, ანო (მონსი), ნამიური, ლიეჟი, ლიმბურგი (ჰასელტი), ლუქსემბურგი (არლონი).

ასევე უნდა აღინიშნოს პატარა ბელგიური ანკლავის, ბაარლე-დიუკის არსებობა ნიდერლანდის ჩრდილოეთ ბრაბანტში, სადაც ის ნიდერლანდურ ქალაქს ბაარლე-ხასაუს ესაზღვრებოდა; ბაარლე-დიუკი ბელგიის ანტვერპენის პროვინციას ექვემდებარებოდა.

ბელგიის სამეფოს 29500 კმ² ეკავა, სადაც 4 მილიონი კაცი ცხოვრობდა.

2. ბელგია თანამედროვე პერიოდში (1839 წლიდან დღემდე)

დამოუკიდებელი და ნეიტრალური ბელგია პირველ მსოფლიო ომამდე სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, რაც იმ სამრეწველო რევოლუციასთან იყო დაკავშირებული, რომელიც დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას შეეხო: მაღაროების დამუშავება, მძიმე მრეწველობა, ვაჭრობა, ზღვაოსნობა (ანტვერპენი), კაპიტალიზმის განვითარება.

ფრანგული ენა, რომელიც სამეფოს ჩამოყალიბებისას ოფიციალური ენა გახდა, ავინროებდა ფლამანდიურს, განსაკუთრებით მაღალ ფენებში, რამაც ქვეყნის ფლამანდიური მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია. 1898 წელს ფლამანდიური მეორე ოფიციალურ ენად გამოცხადდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, გერმანიის იმპერატორმა 1831 წლის ხელშეკრულების მიუხედავად ("ფარატინა ქაღალდი"), 1914 წელს დაარღვია ბელგიის ნეიტრალიტეტი და არ გაითვალისწინა მისი წინაპრის, პრუსიის მეფის მიერ მიცემული გარანტია. ომის განმავლობაში ბელგიის ტერიტორია თითქმის მთლიანად დაკავებული იყო ბაარლ-დიუკის ანკლავისა და სამეფოს უკიდურესი

დასავლეთით მდებარე მცირე ტერიტორიის გარდა, სადაც კონფლიქტის პერიოდში მეფე-რაინდი ალბერტ I იმყოფებოდა.

გამარჯვების შემდეგ ბელგიამ მოთხოვნები წააყენა ფლანდრიასა და ნიდერლანდის ლიმბურგზე, პრუსიის მიერ 1815 წელს მიტაცებულ კანტონებზე და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოზე.

მოლაპარაკებების პერიოდში, რომლის დროსაც უკუგდებული იქნა ბელგიის პრეტენზიები ნიდერლანდის მიწებზე, 1919 წლის 28 ივნისს მიღებული ვერსალის ხელშეკრულებით, გერმანიამ ბელგიას დაუთმო ეიპენის, მალმედის და სენ-ვითის კანტონები. მორესნე ხელახლა შევიდა ბელგიის შემადგენლობაში (ლიეჟი).

1919 წლის 28 სექტემბრის პლებისციტით, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა დამოუკიდებლობას, რაც შემდგომში აღარ დამდგარა ეჭვის ქვეშ. ის მხოლოდ 1922 წელს გაერთიანდა ბელგიასთან ეკონომიკურ კავშირში.

1920 წლის 23 იანვრიდან 23 ივლისამდე ეიპენში, მალმედიში და სენ-ვითში მიმდინარეობდა ხელმოწერების შეგროვება გამოყოფასთან დაკავშირებით. შეგროვდა მხოლოდ 271 ხმა. ამან საბოლოოდ გადაწყვიტა ეიპენის, მალმედისა და სენ-ვითის ბელგიასთან შეერთება.

როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, ბელგიამ ხელახლა გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, რომელიც 1914 წლის მსგავსად დაცული არ ყოფილა.

1941 წლის 10 მაისიდან გერმანიის ჯარების საფრანგეთისაკენ სვლის დროს, ჰიტლერმა გზად ხელახლა დაიკავა ეიპენის, მალმედისა და სენ-ვითის კანტონები, რომლებიც 1920 წელს დაკარგა. ამას მან მიუმატა ძველი ბელგიის რამდენიმე გერმანულენოვანი კომუნა, რომლებიც ეიპენისა და ნიდერლანდის საზღვარს შორის მდებარეობდა.

1940 წლის 2 აგვისტოს, ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოსთან ერთად გერმანიამ რამდენიმე გერმანულენოვანი კომუნის ანექსირება მოახდინა ბელგიის ლუქსემბურგში, არლონსა და ათუს შორის.

1944 წლის სექტემბერში ბელგიამ დაიბრუნა ანექსირებული ტერიტორიები. მისი ტერიტორიული საზღვრები დღემდე აღარ შეცვლილა. მან საბოლოოდ უარი თქვა ნეიტრალიტეტზე (რადგან ამის გამო მხოლოდ ზარალდებოდა) და NATO-ში გაწევრიანდა, რის შემდეგაც ევროპის თანამეგობრობაში გაერთიანებაზე გამოთქვა სურვილი: 1948 წელს შეიქმნა ეკონომიკური კავშირი ბელგიას, ნიდერლანდსა და ლუქსემბურგს შორის (Benelux); 1957 წელს, ბელგია ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის დამფუძნებელი წევრი ქვეყანა გახდა. ის აქტიურად მონაწილეობს ევროპის ინსტიტუტების განვითარებაში და ბრიუსელი თანამეგობრობის ადმინისტრაციული რეზიდენციაა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფლამანდიელებსა და ვალონიის მცხოვრებლებს შორის კულტურული დაპირისპირება გაღრმავდა და ბელგიის მთავრობამ გადაწყვიტა რამდენიმე ცვლილება შეეტანა პროვინციების დაყოფაში, რათა თითოეული პროვინცია ენობრივი თვალსაზრისით უფრო ჰომოგენური ყოფილიყო (1963 წლის 22 ნოემბერი). ამ ჩარჩოში პროვინცია გამოიცვალა ათმა ტერიტორიამ:

– კომონ-ვარნტონი დასავლეთი ფლანდრიიდან ენოში გადავიდა;
– მუსკრონ-დოტინი დასავლეთი ფლანდრიიდან ენოში გადავიდა;
– რუსინი-ორენი აღმოსავლეთი ფლანდრიიდან ენოში გადავიდა;
– ევერბეკი ენოდან აღმოსავლეთ ფლანდრიაში გადავიდა;
– სენ-პიერ-კაპელი ენოდან ბრაბანტში გადავიდა;
– ლანდენი (14 კომუნა) ლიეჟიდან ბრაბანტში გადავიდა;
– კორსვარენი, ოტრანჟი, ებენ-ემაელი ლიმბურგიდან ლიეჟში გადავიდა;
– ფურონის 5 კომუნა ლიეჟიდან ლიმბურგში (ანკლავი) გადავიდა.

ფურონის გერმანულენოვანი მოსახლეობა, რომელიც ვალონური კულტურის მატარებელია, პროტესტს გამოთქვამდა ფლამანდიურენოვან პროვინციაში გაერთიანების გამო (პლებისციტის გარეშე), რომელთანაც არანაირი მსგავსება არ ჰქონდა.

შემდგომში, 1966 წლის 18 ივლისის კანონით შეიქმნა ენობრივი თვალსაზრისით დაყოფილი ოთხი რეგიონი:

– ნიდერლანდური: ორი ფლანდრია, ანტვერპენი, ლიმბურგი და ბრაბანტის ჩრდილოეთის ორი მესამედი, ბრიუსელის გამოკლებით;

– ფრანგული: ენო, ნამიური, ლიეჟი (ეიპენის, სენ-ვითის და მალმედის გარშემო მდებარე რამდენიმე კომუნის გარდა), ბელგიის ლუქსემბურგი და ბრაბანტის სამხრეთის მესამედი;

– გერმანული: ეიპენი, სენ-ვითი და მალმედის გარშემო მდებარე რამდენიმე კომუნა;

– შერეული: ბრიუსელი და 19 კომუნა.

აქედან გამომდინარე, ბრაბანტის ძველი პროვინცია ორ პროვინციად დაიყო: ფლამანდიური ბრაბანტი, ადმინისტრაციული ცენტრი ბრიუსელი, და ვალონის ბრაბანტი, ადმინისტრაციული ცენტრი ვავრი. ამის შემდეგ ბელგიაში ათი პროვინციაა.

1970 წლის 24 დეკემბერს ბელგია რეგიონული სახელმწიფო გახდა, სადაც ენობრივი თვალსაზრისით დაყოფილი ოთხი პროვინცია, სამი კულტურული თემი (ფლამნდიური, ვალონური, გერმანული) და სამი ადმინისტრაციული რეგიონია (ბრიუსელი, ფლანდრია, ვალონი).

ბრიუსელში, ნამიურსა და მეპელენში რეგიონალური პარლამენტები მუშაობს.

ბელორუსი

ზოგადი მიონაცემები:

რესპუბლიკური სახელმწიფო: **ბელორუსიის რესპუბლიკა.**
პრეზიდენტი: ალექსანდრ ლუკაშენკო.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: **ერთი პალატა, უმაღლესი საბჭო.**
დედაქალაქი: **მინსკი.**
ადმინისტრაციული დაყოფა: **ექვსი პროვინცია – მინსკი, ვიტებსკი, ბრესტი, გროდნო, მოგილევი, გომელი.**
ფართობი: **207600 კმ²; მოსახლეობა: 10,3 მილიონი კაცი; სიმჭიდროვე: 50 მცხოვრები კმ²-ზე.**
ენები: **ბელორუსული და რუსული; ლაპარაკობენ ასევე ლიტვურსად და უკრაინულად.**
რელიგია: **მართლმადიდებლობა, უმცირესობას წარმოადგენენ კათოლიკეები და უნიატები.**
ფულის ერთეული: **ბელორუსული რუბლი.**

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. თეთრი რუსეთის მოკლე ისტორია

1. თეთრი რუსეთი ლიტვის გავლენის ქვეშ (XIII-XVIII საუკუნეები)

ბელარუსის დღევანდელი ტერიტორია პირველ ათასწლეულში სლავებით იყო დასახლებული და ჩვ. წელთაღრიცხვით IX საუკუნიდან კიევის რუსეთის დიდ იმპერიაში შედიოდა. XII საუკუნეში ეს იმპერია რამდენიმე ნაწილად დაიშალა: მცირე და დიდ რუსეთად, წითელ და თეთრ რუსეთად. ეს უკანასკნელი რუსეთის დასავლეთით მდებარეობდა, შეესაბამებოდა სახელწოდებას ბელარუსი და გეოგრაფიულად დღეევნდელი ბელარუსის ნაწილს წარმოადგენდა.

XIII საუკუნიდან თეთრი რუსეთი ლიტვის დიდ საჰერცოგოში შედიოდა. ლიტველი რუსები (ბელარუსები) ხუთი საუკუნის მანძილზე იზიარებდნენ ამ დიდი საჰერცოგოს ბედს, ჰარმონიულად ცხოვრობდნენ ლიტველების გვერდით და ინარჩუნებდნენ რელიგიურ და კულტურულ თავისებურებას, მიუხედავად იმისა, რომ XVI საუკუნეში მოსახლეობის ერთ ნაწილზე არსებობდა კათოლიციზმის გავლენა უნიატური ეკლესიის სახით, რომელიც ბიზანტიურ რიტუალებს ინარჩუნებდა.

ჯერ 1386 წელს, შემდეგ კი უფრო გამოკვეთილად 1569 წლიდან (ლიუბლენის უნიით), ბელარუსები ლიტველებთან ერთად შედიოდნენ პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებაში; აქ ისინი წარმოდგენილი იყვნენ ჰფალცებში (სავოევოდოები), რომლებიც ლიტვის დიდი საჰერცოგოს თითქმის მთელ აღმოსავლეთ ნაწილს მოიცავდა: **პოლოცკში, ვიტებსკში, მსტისლავში, ვილნოში (ვილნიუსი), მინსკში, ნოვოგროდეკში, ბრესტ-ლიტოვსკში** (იხ. თავი "ლიტვა").

1772 წელს ავსტრიამ, პრუსიამ და რუსეთმა განახორციელეს პოლონეთისა და ლიტვის პირველი დაყოფა. რუსეთმა მიიერთა ბელორუსებით დასახლებული შემდეგი რეგიონები:

– პოლოცკის სავოევოდოს ჩრდილოეთის ნახევარი;
– ვიტებსკის სავოევოდო თითქმის მთლიანად;
– მსტისლავის სავოევოდო;
– მინსკის სავოევოდოს აღმოსავლეთის მეხუთედი ნაწილი (დნეპრის აღმოსავლეთით).

2. ბელორუსული სივრცე 1789 წელს

1789 წელს ტერმინი ბელარუსი ჯერ არ არსებობდა. ეს პოლიტიკური ტერმინი XX საუკუნის დასაწყისით თარიღდება. არსებობდა მხოლოდ თეთრი რუსეთის ბუნდოვანი დასახელების ტერიტორია, რომელიც 1772 წელს რუსეთსა და ლიტვას შორის იყო გაყოფილი და ძლივს ფარავდა ლიტვის ძველ საკოეოდოებს პოლოცკს, ვიტებსკს და მსტისლავს.

სამაგიეროდ, არსებობდა ბელარუსი ხალხის ერთობლიობა, რომელიც რუსეთისა და ლიტვის დიდი საპერეოგოს გამყოფი საზღვრის ორივე მხარეს ცხოვრობდა, ზემოთ აღნიშნული გეოგრაფიული რეგიონის დასავლეთით, რომელიც XX საუკუნეში ბელორუსიად წოდებულ ერთეულად ჩამოყალიბდა.

ეს რეგიონი აღმოსავლეთ ევროპის ჩრდილოეთის ერცელ დაბლობს ფარავდა და გადაჭიმული იყო დნეპრის, ბუგის, ნიემენის, დვინას ზემო აუზებზე. ის შედგებოდა ტბებითა და ტყეებით დაფარული მინებისაგან, სადაც სუსტად იყო განვითარებული სოფლის მეურნეობა და ამ ნაკლებად დასახლებული რეგიონის მნიშვნელოვანი ქალაქებიც (მინსკი, ვიტებსკი, ვილნო) არ იყო ძლიერი. ლიტვის დიდ საპერეოგოში მცხოვრები ბელარუსები შემდეგ საკოეოდოებში იყვნენ გადანაწილებულნი: პოლოცკში, ვიტებსკში, ვილნოში (ან ვილნიუსში), მინსკში, ნოეოგროდეკში, ბრესტ-ლიტოვსკში.

რუსეთის იმპერიაში შემავალი საკოეოდოები გადანაწილებული იყო ვიტებსკის და მოგილევის გუბერნიებში.

II. რუსეთის მიერ დაპყრობა (XIX-XX საუკუნეები)

1. 1789 წლიდან ბელარუსის შექმნამდე (1919 წელი)

1793 წელს პრუსიამ და რუსეთმა მოახდინეს პოლონეთისა და ლიტვის მეორე გაყოფა. რუსეთმა მიიერთა ბელარუსებით დასახლებული რეგიონების თითქმის მთელი დარჩენილი ნაწილი, კერძოდ:

– პოლოცკის საკოეოდოს სამხრეთის ნახევარი;
– ვიტებსკის საკოეოდოს დარჩენილი ნაწილი;
– მინსკის საკოეოდოს დასავლეთის ოთხი მეხუთედი (დნეპრის დასავლეთით);
– ნოეოგროდეკის საკოეოდოს აღმოსავლეთის მესამედი;
– ბრესტ-ლიტოვსკის საკოეოდოს აღმოსავლეთის მესამედი.

1795 წელს ავსტრიამ, პრუსიამ და რუსეთმა მესამედ გაიყვეს პოლონეთი და ლიტვა. რუსეთმა მიიერთა ბელარუსებით დასახლებული რეგიონების ბოლო დარჩენილი ნაწილი – ვილნოს საკოეოდო.

1793 და 1795 წლებში ანექსირებულმა ტერიტორიებმა შეადგინა რუსეთის ორი ახალი გუბერნია – მინსკი და ვილნა.

აქედან მოყოლებული მთელი ბელარუსები რუსეთის იმპერიაში ცხოვრობდნენ და მის ბედს იზიარებდნენ პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე. (იხ. თავი "რუსეთი").

რუსეთი ბელარუსებს ჩვეულებრივ რუსებად თვლიდა და ეთნიკური თვალსაზრისით ეს ასეც არის. უნიატური ეკლესია (რომთან დაკავშირებული), რომლის წევრიც იყო ბელარუსების ერთი ნაწილი, მართლმადიდებლურ ეკლესიას შეუერთდა.

XIX საუკუნეში ხელისუფლების სურვილის მიუხედავად, მთლიანად გაერუსებინა რეგიონი, შენარჩუნებული იქნა ბელარუსული ენობრივი და კულტურული თვითმყოფობა.

ბელარუსები პირველ მსოფლიო ომში რუსეთის არმიასთან ერთად ჩაებნენ. 1915 ნლიდან ქვეყანა გერმანელებმა დაიკავეს. როდესაც 1917 ნლის თებერვლის პირველი რევოლუცია მოხდა, გარკვეულმა ბელარუსმა ნრეებმა მიიჩნიეს, რომ დადგა საკუთარი თვითმყოფობის დამტკიცების დრო.

1918 ნლის 25 მარტს მინსკში შეიკრიბა ბელარუსების ეროვნული კონგრესი და ბელარუსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. თუმცა გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, გამოცხადებულ დამოუკიდებლობას მომავალი არ ჰქონდა.

1917 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მეორე რევოლუციით დამოუკიდებლობის მომხრეთა შანსები გაიზარდა, თანაც ბოლშევიკების განცხადებით, ისინი პატივს სცემდნენ სხვა ეროვნებების ინტერესებს.

1919 წლის 1 იანვარს გამოცხადდა ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკა. განვითარებული მოვლენების გამო (რუსეთ-პოლონეთის შეტაკებები), მისი ტერიტორია არ მოიცავდა ბელარუსთა ერთობლიობას. ის დაახლოებით შემოიფარგლებოდა მინსკის რეგიონით, რომელიც ქვეყნის ახალი დედაქალაქი იყო და ბობრუისკით, მაგრამ არსებობდა ბელარუსებით დასახლებული დარჩენილი ტერიტორიების მიერთების მოთხოვნები.

2. ბელორუსია (1919 წლიდან დღემდე)

რუსეთ-პოლონეთის კონფლიქტი, რომლის ერთ-ერთი მიზანი ბელარუსის მინების დაპატრონება იყო, 1920 წელს დასრულდა და მისი შედეგები ბელარუსისთვის სახარბიელო არ ყოფილა.

1921 წლის 18 მარტს რიგის შეთანხმებით, პოლონეთმა მიიერთა თეთრი რუსეთის დასავლეთის მესამედი ქალაქებით ბრესტ-ლიტოვსკი, გროდნო და პინსკი.

ორ ომს შორის პერიოდში ბელარუსები გაყოფილნი იყვნენ პოლონეთსა და საბჭოთა ბელორუსიას შორის.

სწორედ ასეთი შემცირებული ბელარუსი ჩაება ომისშემდგომი სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა ნყობით დაჯილდოებულ ბელორუსიას, როგორც მოსკოვის უფროს დას, უნდა მოეხერხებინა სახელმწიფოდ ჩამოყალიბება და ორი ომის შედეგად აოხრებული ქვეყნის ფეხზე ნამოყენება.

1922 წლის 30 დეკემბერს, რუსეთის, უკრაინისა და ამიერკავკასიის გვერდით ბელარუსი იყო საბჭოთა კავშირის შემქმნელი მეოთხე რესპუბლიკა. ამგვარად, მან უარი თქვა თავის დამოუკიდებლობაზე.

მართალია, საბჭოთა კავშირში შეყვანით ბელარუსმა დაკარგა თავისი სუვერენულობა, მაგრამ სანაცვლოდ მას თავისი ტერიტორიები დაუბრუნდა.

1924 და 1926 წლებს შორის, მის აღმოსავლეთ საზღვარზე ბელორუსიამ მიიღო რუსეთის მიერ დათმობილი ტერიტორიები ქალაქების პოლოცკის, ვიტებსკის, მოგილევისა და გომელის გარშემო. ამგვარად, მისმა ფართობმა შეადგინა 125000 კმ^2, დაახლოებით 5 მილიონი მცხოვრებით.

ახალი სახელმწიფოს ჩარჩოში, საბჭოთა კავშირის ზედამხედველობის მიუხედავად, მაინც გახდა შესაძლებელი გარკვეული ბელარუსული თვითმყოფობის გამოცოცხლება: ერთ-ერთი დიალექტი ქვეყნის სახელმწიფო ენად გამოცხადდა.

სამაგიეროდ, პოლონეთში მცხოვრები ბელარუსები დიდ სიძნელეებს განიცდიდნენ პოლონეთის ხელისუფლების მხრიდან ეროვნულობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

ამასთანავე, ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ჰიტლერის ამბიციები სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა პოლონეთის არსებობას. 1939 წლის 23 აგვისტოს გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტში იყო საიდუმლო მუხლი ორ ქვეყანას შორის პოლონეთის გადანაწილების შესახებ.

სექტემბრის ელვისებური ომის შემდეგ, როდესაც პოლონეთის ჯარები დამარცხდნენ, 1939 წლის 12 ოქტომბერს გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ჩაატარეს პოლონეთის მეხუთე დაყოფა.

ამ ჩარჩოში, საბჭოთა კავშირმა მიიღო პოლონეთის აღმოსავლეთის მესამედი. საბჭოთა კავშირის მიერ ანექსირებული ტერიტორიებიდან ბელარუსს მიუერთდა:

– ბიალისტოკი, ნოვოგროდეკი და პოლეზია (ბრესტ-ლიტოვსკი);

– ვილნიუსის პფალცის აღმოსავლეთის ორი მესამედი (ქალაქის გარეშე).

ვილნიუსის პფალცის დასავლეთის მესამედი, ქალაქთან ერთად, საბჭოთა კავშირმა ჯერ კიდევ დამოუკიდებელ ლიტვის რესპუბლიკას დაუთმო.

პოლონეთისათვის ასეთი გამანადგურებელი დაშლა, ბელორუსისათვის ტერიტორიული გაერთიანების საშუალება აღმოჩნდა. ბელორუსიის აზრით, ამან ბოლო მოუღო თითქმის ოცწლიან უსამართლობას.

ჰიტლერისა და სტალინის ურთიერთგაგება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1941 წლის 22 ივნისს გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ, გერმანიის ჯარები ღრმად შეიჭრნენ ბელორუსიასა და უკრაინაში.

ჰიტლერმა სხვა ტერიტორიებთან ერთად გერმანიის რაიხს მიუერთა ბიალისტოკ-გროდნო-ლომჟას ოლქი.

1942 წელს, გერმანიამ შექმნა ოსტლანდის გენერალური კომისარიატი, რომლის დედაქალაქი იყო რიგა და დაყო ოთხ ძირითად ოლქად: ესტონეთი (ტალინი), ლატვია (რიგა), ლიტვა (კაუნასი), თეორი რუსეთი (მინსკი). ბელორუსია ადმინისტრაციულად მიუერთდა საოკუპაციო ჯარების ამ სტრუქტურას.

ბელორუსია ომისაგან განსაკუთრებულად დაზარალდა, ჯარებმა მასზე გავლისას 1941 წელს, შემდეგ კი 1944 წელს, გაანადგურეს ქვეყანა.

თეირანის კონფერენციის შემდეგ (1943 წლის ნოემბერი), საბჭოთა კავშირმა თავის მოკავშირეებს აღიარებინა გურძონის ხაზზე გამავალი პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარი, რომელიც 1920-1921 წლებში არ უღიარებიათ. 1945 წლის თებერვალში, იალტის შეთანხმებაზე, ეს ხაზი საბჭოთა კავშირის საზღვრად დაფიქსირდა.

1945 წლის 16 აგვისტოს, მოსკოვში პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების შემდეგ, ახალი საზღვარი ამ ორ ქვეყანას შორის, თითქმის გურძონის ხაზზე დაფიქსირდა. ამგვარად, საბჭოთა კავშირმა ოფიციალურად ჩამოაჭრა პოლონეთს ვილნიუსის, პოლეზიის, ნოვოგრროდეკის, ვოლინის და აღმოსავლეთ გალიციის ოლქები.

აქედან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ ბელორუსიას დაემატა ვილნიუსის ოლქი (ქალაქის გარეშე), პოლეზია, ნოვოგროდეკის ოლქი ქალაქებით გროდნო, ბრესტ-ლიტოვსკი და პინსკი.

ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკა, დედაქალაქი მინსკი, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გადაჭიმული იყო 208000 კმ^2-ზე.

ის დაიყო ექვს პროვინციად, რომლებიც თავიანთი ადმინისტრაციული ცენტრების სახელებს ატარებდა: მინსკი, ვიტებსკი, ბრესტ-ლიტოვსკი, გროდნო, მოგილევი, გომელი.

1945 წლიდან, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ნევრი იყო, ის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნევრი გახდა.

1945 წლიდან 1990 წლამდე ის საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან ერთად ქვეყნის საერთო ბედს იზიარებდა და მთელი ამ პერიოდის მანძილზე განიცდიდა რუსიფიკაციის პოლიტიკას, რომლის მიზანიც იყო ნაეშალა ბელორუსიის კულტურული თვითმყოფობა.

მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ხელი შეუნყო ცენტრისტული ძალების გამოჩენას. აუნყო რა ფეხი რუსეთს, რომელმაც 1990 წლის ივნისში ხმა მისცა თავის გამოსვლას საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, ბელორუსიამ 1990 წლის 27 ივლისს განაცხადა საბჭოთა კავშირიდან თავისი გამოყოფის შესახებ.

შემდგომში, როცა გაგრძელდა საბჭოთა კავშირის რღვევა, 1991 წლის 25 აგვისტოს, ბელარუსის რესპუბლიკამ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა.

1991 წლის 8 დეკემბერს, მინსკში, რუსეთის, ბელორუსიის და უკრაინის პრეზიდენტებმა გააკეთეს განცხადება საბჭოთა კავშირის დაშლისა და მისი ახალი კონფედერაციით ჩანაცვლების შესახებ. ეს იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დ.ს.თ.).

1991 წლის 21 დეკემბერს ბელორუსი ოფიციალურად განევრიანდა დსთ-ში. ძალიან მალე, ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკა დიდ სიძნელეებს ნააწყდა ეკონომიკურ სფეროში, რაც საბაზრო ეკონომიკაზე სწრაფი გადასვლით და რუსეთის ფედერაციასთან ძველი და მჭიდრო ეკონომიკური კავშირების განყვეტით იყო გამოწვეული.

ამით აიხსნება ის პოლიტიკური ვითარება, რომელიც 1994 წლიდან განვითარდა, როდესაც რუსეთთან ახლო ურთიერთობის მონინააღმდეგე ძველი პრეზიდენტი შუშკევიჩი უეცრად შეცვალა ალექსანდრე ლუკაშენკომ, რომელმაც 1995 წლის მაისში ხმა მიაცემინა რუსეთთან ეკონომიკურ და კულტურულ დაახლოებას (რუსული სახელმწიფო ენა გახდა) და 1997 წლის 2 აპრილს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას რუსეთთან სამომავლო გაერთიანების შესახებ.

ბოსნია-ჰერცეგოვინა

ზოგადი მონაცემები

რესპუბლიკური სახელმწიფო: ბოსნია-ჰერცეგოვინას რესპუბლიკა, ორი ნაწილისაგან შემდგარი კონფედერაცია.
კოლეგიური მმართველობა: სულეიმან ტიხიჩი (მუსლიმი), ბორისლავ პარავაჩი (სერბი), მირო ივო ჟოვიჩი (ხორვატი).
კონფედერაციის დედაქალაქი: სარაევო
პოლიტიკური და ადმინისტრაციული დაყოფა: ორი ავტონომიური ერთეული: ბოსნია-ჰერცეგოვინის ხორვატიულ-მუსლიმური ფედერაცია, დედაქალაქი სარაევო და ბოსნიის სერბეთის რესპუბლიკა, დედაქალაქი ბანია ლუკა.
ფართობი: 51100 კმ^2, აქედან 51% ეკუთვნის ხორვატიულ-მუსლიმურ ფედერაციას და 49% (დაყოფილი ორ ტერიტორიად) სერბეთის რესპუბლიკას; მოსახლეობა: 3,7 მილიონი კაცი (სამოქალაქო ომამდე 4,5 მილიონი); სიმჭიდროვე: 72 კაცი კმ^2-ზე.
ენა: სერბულ-ხორვატიული, რომელსაც უნოდებენ ბოსნიურს, სერბულს ან ხორვატიულს, იმის მიხედვით, თუ ეინ იყენებს.
რელიგია: 43% მუსლიმი, 17% კათოლიკე (ხორვატები), 31% მართლმადიდებელი (სერბები), სამოქალაქო ომის დაწყებამდე არსებული მონაცემებით.
ფულის ერთეული: კონვერტირებადი გერმანული მარკა.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ბოსნია-ჰერცეგოვინას მოკლე ისტორია

1. სათავეებიდან ოსმალების ბატონობამდე (1463 - 1482)

თავიდან იაპიგებით დასახლებული ბოსნია და ჰერცეგოვინა ჩვ.წ.აღ.-მდე 27 წელს რომმა დაიპყრო და მას შემდეგ ისინი ილირიის რომაულ პროვინციაში იყვნენ გაერთიანებული, შემდეგ მათ ბევრი სხვა ხალხის შემოსევა გადაიტანეს. ბოლოს VII საუკუნეში, ესენი სლავები იყვნენ (ხორვატები და სერბები).

თავიდან ბიზანტიის იმპერიაზე დამოკიდებული ბოსნია, შემდგომში ხორვატიის, უნგრეთის, სერბეთის თანმიმდევრულ დაპყრობებსა და ბოგომილობის გავლენას განიცდის XII, XIV საუკუნეებში. XIV საუკუნის დასასრულს მას უკვე თავისი დინასტია – კოტომანიჩები ჰყავდა, რომლებიც ბოსნიის ეფემერულ სამეფოს განაგებდნენ; თუმცა ამ სამეფოს მალე ოსმალეთი დაეპატრონა. 1436 წლიდან მუდმივად დამოკიდებული ბოსნია თურქებმა საბოლოოდ 1463 წელს დაიპყრეს.

1391 წლიდან ჰერცეგოვინას ხორვატი ჰერცოგები მართავდნენ ვუკჩიჩების სახლიდან; ის 1448 წელს გამოეყო ბოსნიას და შექმნა "სენ სავას საჰერცოგო", რომელიც ასევე თურქეთმა დაიპყრო 1482 წელს.

2. ოსმალეთის ბატონობა (1463/1482-1789)

1628 წლიდან, გაერთიანებული ბოსნია და ჰერცეგოვინა ოსმალეთის ვილაიეთს წარმოადგენდა.

მართალია, დაპყრობის შემდეგ სულთანმა მეჰმედ II-მ ქრისტიანებს შეუნარჩუნა თავიანთი რელიგია, მაგრამ ბოსნიელ ფეოდალებს (ბეი) პრივილეგიებით სარგებლობა სურდათ და ამიტომ ისლამი აღიარეს, რომელიც მოსახლეობის ნანილმაც მიიღო. სნორედ ეს არის დღემდე არსებული რელიგიური მრავალფე-

როვნების მიზეზი. აქედან გამომდინარე ვილაიეთის ფეოდალურ სტრუქტურებში ბეის მაღალი თანამდებობა ეკავა, რომელიც იყოფოდა არა სანჯაყებად – დადგენილი წესის მიხედვით – არამედ სამხედრო ლენებად, რომელსაც მაღალი ნრის წარმომადგენლები თავის საკუთრებად თვლიდნენ.

1697 წელს მთავარ იოგენის მიერ ბოსნა სერაიში (ახლანდელი სარაევო) მონყობილი ხანძრის შემდეგ, ფაშამ რეზიდენცია ტრავნიკში გადაიტანა. ის თანახმა იყო სულთანის წარმომადგენელი და ზემოთ აღნიშნული დიდგვაროვნების სიუზერენი ყოფილიყო.

1718 წელს პოჟარევაცის ზავით, ვენეციისაგან თავდასაცავად, **რაგოზის (დუბროვნიკი) რესპუბლიკამ თურქეთის ჰერცეგოვინას დაუთმო ორი საზღვაო „ფანჯარა" – კლეკი და სუტორინო,** რაც ამ უკანასკნელს ადრიატიკის ზღვაზე გასასვლელს აძლევდა. 1718 ნლიდან 1739 ნლამდე **ბოსნიის ჩრდილოეთი ნაწილი დროებით ჩამოშორდა ოსმალეთის იმპერიას** და მიუერთდა სლავონიის ავსტრიულ სამხედრო საზღვრებს. 1739 ნლიდან ბელგრადის ზავით, პროვინციის ისტორიული მთლიანობა აღდგა, მას შემდეგ რაც ავსტრიელებმა უკან დაიხიეს.

II. ბოსნია-ჰერცეგოვინა 1789 ნელს

ბოსნია და ჰერცეგოვინა ერთად ოსმალეთის იმპერიის ვილაიეთს ნარმოადგენდა, რომელიც ეროპაში თურქეთის ტერიტორიის **უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთით** მდებარეობდა. 39 სამხედრო ლენად დაყოფილი ეს ვილაიეთი მოიცავდა 65000 კმ²-ს დაახლოებით მილიონი მცხოვრებით.

ლაპარაკია მთიან რეგიონზე, რომელშიც შედიოდა ბოსნიის ოთხი რეგიონი (სარაევო), თურქეთის ხორვატია (ბანია ლუკა), რაშკა (ნოვი პაზარი) და ჰერცეგოვინა (მოსტარი); ეს ერთიანობა ქმნიდა სამკუთხედს, რომლის ერთი მხარე ჩრდილოეთით მიუყვებოდა მდინარე სავას დინებას, და გრძელდებოდა უნაზე (ხორვატია-სლავონიისაგან გამყოფი), მეორე, აღმოსავლეთით მიჰყვებოდა დრინას დინებას (სერბიისაგან გამყოფი), და მესამე მხარე, სამხრეთ-დასავლეთით დინარის ალპებზე გადიოდა (ხორვატიისა და დალმაციის გამყოფი).

ბოსნია, სადაც მიედინება სავას რამდენიმე შენაერთი (უნა, ვირბა, ბოსნა, დრინა), თავისი რელიეფითა და მკაცრი კონტინენტური კლიმატით, ტყეებსა და საძოვრებთან შერწყმული მთიანი პეიზაჟით გამოირჩეოდა ჰერცეგოვინისაგან, რომლის კლიმატი უფრო თბილი და მშრალია, მცენარეული საფარი კი ხმელთაშუაზღვისპირეთის. ეს ძალინ ღარიბი ქვეყანა ფეოდალურ რეჟიმში ცხოვრობდა, რომლის ნარჩინებული წრეებიც ჯერ ბოგომილობის გაელენას განიცდიდნენ, შემდეგ კი ისლამზე მოექცნენ.

III. თურქეთის ბოსნია-ჰერცეგოვინა (1789-1878)

1. 1789 ნლიდან სამხედრო ლენური სისტემის გაუქმებამდე (1837)

ოსმალეთის ნინააღმდეგ 1788 ნელს დანყებულ ავსტრია-რუსეთის ომს თურქეთის ნინააღმდეგობის გამო სათანადო შედეგი არ მოჰყოლია. ევროპაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ავსტრიას სურდა მოქმედების თავისუფლება ჰქონოდა და ამიტომ 1791 ნლის 4 აგვისტოს სისტოვაში ხელი მოაწერა თურქეთთან ზავს. თურქეთმა ავსტრიას დუნაიზე მდებარე ქალაქ ძველორშოვასთან ერთად დაუთმო უნას ოლქი, რომელიც თურქეთის ხორვატიის უკიდურესი დასავლეთით მდებარეობდა (ბოსნია). ავსტრიამ ის ხორვატიის სამხედრო საზღვრებს მიუერთა.

ბოსნია-ჰერცეგოვინაში მტრულად შეხვდნენ სულთან მაპმუდ II-ის მიერ 1831 ნელს დაწყებულ რეფორმებს, რომლებიც ოსმალეთის იმპერიის ინსტიტუტების მოდერნიზაციას ისახავდა მიზნად. იქაური ფეოდალები კმაყოფილნი იყვნენ არსებული რეჟიმით, რომელიც სამ საუკუნეზე მეტ ხანს უზრუნველყოფდა მათ პრივილეგიებს და გაილაშქრეს თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ

არეულობის საპასუხოდ, 1837 წელს თურქეთმა გააუქმა არსებული 39 სამხედრო ლენი და ისინი შვიდი სანჯაყით შეცვალა: ბოსნა სერაი, ტრავნიკი, ბანია ლუკა, ბინაჩი, ზვორნიკი, მოსტარი, ნოვი პაზარი.

2. 1837 წლიდან ავსტრია-უნგრეთის ჩარევამდე (1878)

არეულობები ცალკეულ შემთხვევებში მაინც გრძელდებოდა და 1850 წელს თურქეთის მთავრობამ ბოსნიის მართვა ენერგიულ ომარ-ფაშას დააკისრა. მმართველმა თავისი რეზიდენცია 1851 წელს ტრავნიკიდან სარაევოში გადაიტანა, რომელიც უფრო დაშორებული იყო არეულობის ზონას და ძალის გამოყენებით დაამყარა ოსმალეთის ბატონობა, რომელიც აქედან მოყოლებული პირდაპირ ვრცელდებოდა მთელ ქვეყანაზე.

1875 წლიდან დაიწყო გლეხთა აჯანყება ჰერცეგოვინაში, რომელიც შემდეგ გადავიდა ბოსნიის აღმოსავლეთით; ყოველივე ამას მხარს უჭერდა სერბია და ჩერნოგორია, რომლებიც იარაღით ამარაგებდნენ აჯანყებულებს. 1876 წლის ივლისში ამ ორმა ქვეყანამ თურქეთს შეუტია, მაგრამ დამარცხდა.

პარალელურად, ავსტრია-უნგრეთი ცდილობდა თავისი გავლენა გაეძლიერებინა ბალკანეთზე და ხელში ჩაეგდო ბოსნია-ჰერცეგოვინა, რომელიც მას სალონიკისაკენ გაუხსნიდა გზას და ამავე დროს სერბეთისა და ჩერნოგორიას გაერთიანებასაც შეუშლიდა ხელს.

რაიხშტადტის შეხვედრაზე (1876 წლის ივლისი), ავსტრიისა და რუსეთის იმპერატორებმა მოილაპარაკეს ბალკანეთის გაყოფაზე, რის შემდეგაც, ავსტრია ბოსნია-ჰერცეგოვინას ღებულობდა.

1876 წლის დეკემბერში სტამბოლში შედგა ძლიერი სახელმწიფოების შეხვედრა, რათა ერთი ხელის მოსმით გადაეჭრათ ეს საკითხი, რამაც რუსეთის ომში ჩართვა გამოიწვია (1877 წლის აპრილი); ავსტრია-უნგრეთი საიდუმლო გარიგების მიხედვით ნეიტრალურ პოზიციაზე დარჩა (1877 წლის 15 იანვარი), სანაცვლოდ მას ბოსნია-ჰერცეგოვინა უნდა მიეღო. პლევნაში თურქეთის ციხე-სიმაგრის დაცემის შემდეგ (1877 წლის დეკემბერი), რუსეთის ჯარს გზა გაეხსნა სტამბოლისკენ.

რუსეთსა და თურქეთს შორის საბოლოო ზავს ხელი სან-სტეფანოში, 1878 წლის 3 მარტს მოეწერა. რუსეთმა თავისი მოგებული წილის გაზრდა დიდი ბულგარეთის შექმნით მოინდომა, სადაც სერბეთისა და ჩერნოგორიას ტერიტორიებიც იყო გათვალისწინებული, ხოლო კონფლიქტის მიზეზზე — ბოსნია-ჰერცეგოვინაზე ლაპარაკი არ ყოფილა.

დიდი ბრიტანეთი და ავსტრია-უნგრეთი თვლიდნენ, რომ სან-სტეფანოს ზავით ბალკანეთზე წონასწორობა ირღვეოდა, ამიტომ კანცლერმა ბისმარკმა ხელახლა მოიწვია სახელმწიფოები ბერლინში შეხვედრაზე და 1878 წლის 13 ივლისს ახალი შეთანხმება დაიდო.

დიდი ბულგარეთი დანაწევრდა და ავსტრია-უნგრეთის პრეტენზიები ბოსნიასთან დაკავშირებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გადაწყდა, რომ:

– **ჰერცეგოვინის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიის დიდი ნაწილი,** დაახლოებით 4000 კმ^2, ქალაქ ნიკშიჩთან ერთად გადაეცემოდა ჩერნოგორიას;

– **ბოსნია-ჰერცეგოვინის დარჩენილი ნაწილი, ნოვი პაზარის სანჯაყის გამოკლებით,** სულთანის ნომინალური სიუზერენობის ქვეშ დარჩა, მისი ადმინისტრირება კი **ავსტრია-უნგრეთს დაეკისრა,** რომელმაც ასევე სამხედრო ოკუპაციის უფლება მიიღო; მისი ფართობი უდრიდა დაახლოებით 50 000 კმ^2-ს 1 200 000 მცხოვრებით;

– **ნოვი პაზარის სანჯაყი** (დაახლოებით 10 000კმ^2 150 000 მცხოვრებით) დარჩა თურქეთის სიუზერენობისა და ადმინისტრაციის ქვეშ, მაგრამ **ავსტრია-უნგრეთმა** იქ სამხედრო ოკუპაციის უფლება მიიღო.

IV. ავსტრია-უნგრეთი ბოსნია-ჰერცეგოვინაში (1878-1919)

1. ბოსნია-ჰერცეგოვინა ავსტრია-უნგრეთის ადმინისტრაციის დროს (1878-1908)

გარკვეული წინააღმდეგობის შემდეგ ავსტრია-უნგრეთმა ქვეყანა დაიკავა (1878 წლის აგვისტო) და ბოსნია-ჰერცეგოვინაში სამხედრო ადმინისტრაცია დაანესა, რომელსაც შეიარაღებული ძალების მეთაური ახორციელებდა და იმპერატორის ნარმომადგენელიც იყო. ეს ახალი სახელმწიფო თურქეთმა ოფიციალურად 1879 წლის 21 აპრილს აღიარა.

1882 ნელს, ბოსნია-ჰერცეგოვინაში სამოქალაქო ადმინისტრაცია შემოიღეს; ავსტრიას, უნგრეთსა და ხორვატიას შორის არჩევანის თავიდან ასაცილებლად, ადმინისტრაცია უშუალოდ ფინანსთა სამინისტროს გადაეცა (1876 წლის კომპრომისით გათვალისწინებული სამი საერთო სამინისტროდან ერთ-ერთს), რომელმაც სარაევოში თავისი სრულუფლებიანი ნარმომადგენელი დანიშნა.

ძალაუფლების აღსრულება სულთანის სახელით ხორციელდებოდა და ყოველ პარასკევს, სიმბოლურად აღიმართებოდა მისი დროშა.

შენარჩუნებული იქნა სანჯაყებად დაყოფა, ოღონდ ნოვი პაზარის ჩამოშორების გამო მათი რიცხვი ექვსამდე შემცირდა და მათ ოლქები ენოდება: სარაევო, ტრავნიკი, ბინაჩი, ბანია ლუკა, დალნია ტუზლა და მოსტარი.

ავსტრია-უნგრეთი ხელს უწყობდა მოდერნიზაციას ქვეყნის ყველა სფეროში: გაფართოდა ადმინისტრაცია (შესაბამისად გაიზარდა გადასახადები), აშენდა სახელმწიფო დანესებულებები, გაყვანილი იქნა გზები და რკინიგზები, ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგი.

ბოსნია-ჰერცეგოვინას კათოლიკე მოსახლეობა აღარ განიცდიდა ჩაგვრას და ახალი ხელისუფლება ხელს უწყობდა მათი რაოდენობის გაზრდას.

ამგვარი ქმედებები ბოსნიელ სერბებს არ მოსწონდათ და ისინი სერბიის ახალი დამოუკიდებელი სამეფოსაკენ მიილტვოდნენ, რომელიც ბოსნიის გამო იმედგაცრუებული, მათ უჭერდა მხარს.

სერბების ამ ირედანტიზმის ჩასაკლავად, ავსტრიის ხელისუფლება შეეცადა ხელი შეენყო ბოსნიური ერის ჩამოყალიბებისათვის, რომელშიც მხოლოდ ბოსნიელი მუსლიმები გაერთიანდნენ და სწორედ აქედან იღებს სათავეს ქვეყნის სამ ერად დაყოფა, რამაც ერთი საუკუნის შემდეგ თავისი მძიმე როლი შეასრულა მის დაქუცმაცებაში.

2. ავსტრია-უნგრეთთან მიერთებული ბოსნია-ჰერცეგოვინა (1908-1919)

ვენის გარკვეულ ნრეებში დიდი იყო სურვილი ავსტრია-უნგრეთის იმპერიისათვის საბოლოოდ მიერთებინათ ბოსნია-ჰერცეგოვინა, მაგრამ ვერ ბედავდნენ სერბიის მეფე ორბინოვიჩთან დაპირისპირებას, რომელიც ბოსნიას მოძმე ქვეყნად მიიჩნევდა, თუმცა ამავე დროს ავსტროფილურ პოლიტიკას ატარებდა.

1903 ნელს ყარაგეორგევიჩებით მისი უეცარი შეცვლა, რომლებიც უფრო რუსეთისკენ იხრებოდნენ, ამ მხრივ ხელსაყრელი გამოდგა. უფრო მეტიც, ბოსნია-ჰერცეგოვინას ანექსირება განიხილებოდა როგორც სერბიაში გავლენის დაკარგვის გამო მიღებული კომპენსაცია, რაც ავსტრია-უნგრეთს საშუალებას აძლევდა რკინიგზა გაეყვანა სალონიკის მიმართულებით და შეერთებოდა სერბიის ქსელს.

1908 ნლის ზაფხულში მომხდარი ახალგაზრდა თურქების რევოლუცია მიზნად ისახავდა სტამბოლში თურქეთის პარლამენტის მოწვევას, რომლის მუშაობაში ბოსნიელებიც მიიღებდნენ მონაწილეობას (ასევე ბულგარეთის და რუმელიის ნარმომადგენლებიც); ამ მოვლენამ დაჩქარა კვანძის გახსნა.

პრინც ფერდინანდის მიერ (რომელსაც მხარს უჭერდა ავსტრია-უნგრეთი) 5 ოქტომბერს ბულგარეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა 1908 ნლის 6 ოქტომბრის დეკრეტი, რომლის მიხედვით:

– **ავსტრია-უნგრეთი ახდენდა ბოსნია-ჰერცეგოვინას ანექსირებას**, თურქეთი კი ფულად კომპენსაციას ღებულობდა;

– **ყოვალგვარი სამხედრო ოკუპაციის გარეშე ნოვი პაზარის სანჯაყი უბრუნდებოდა თურქეთს.**

ბოსნია-ჰერცეგოვინა ავსტრიისა და უნგრეთის კონდომინიუმი ხდებოდა, რომელსაც ორმაგი მონარქიის ორივე წევრისაგან განსხვავებული საკუთარი ადმინისტრაცია ექნებოდა.

1909 წლის აპრილში თურქეთმა ფულადი კომპენსაციისა და ნოვი პაზარის სანჯაყის სანაცვლოდ აღიარა ბოსნია-ჰერცეგოვინას ანექსია.

მაგრამ სერბები, რომლებიც შეურაცხყოფილნი იყვნენ ამ ფაქტით და არ გააჩნდათ საკმარისი ძალა წინააღმდეგობის გასაწევად, აქტიურად უჭერდნენ მხარს ბოსნიის ირედანტიზმს, რომელიც სულ უფრო ძლიერდებოდა, საფრთხეს უქმნიდა ავსტრია-უნგრეთთან იძულებით მიერთებას და სერბიასთან დაახლოებას ქადაგებდა. აქედან მოყოლებული, ბოსნია-ჰერცეგოვინა მუდმივი დაძაბულობის კერად იქცა, რომელსაც სერბიის გარკვეული წრეები აღვივებდნენ (შავი ხელის საიდუმლო საზოგადოება).

1914 წლის 28 ივნისს, ავსტრიის ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი, ტახტის მემკვიდრე და მისი მეუღლე ბოსნია-ჰერცეგოვინაში ოფიციალური ვიზიტისას სერბიის მიერ წაქეზებულმა ბოსნიელმა მოკლა სარაევოში. ამ მკვლელობას პირველი მსოფლიო ომის დაწყება მოჰყვა.

კოფლიქტის დროს ბოსნია-ჰერცეგოვინა ავსტრია-უნგრეთის ჯარების ბაზა გახდა, რაც მათ სერბიისა და ჩერნოგორიას დამარცხება-დაკავებაში დაეხმარა (1916 წელი).

1918 წელს, ავსტრია-უნგრეთის დამხობამ დააახლოვა სერბები, ხორვატები და სლოვენები, რომლებმაც გამარჯვებული ქვეყნების დახმარებით შეძლეს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება, რაც 1918 წლის 1 დეკემბერს გამოცხადდა და მას ეწოდა სერბეთ-ხორვატია-სლოვენიის სამეფო (სხს). ყარაგეორგევიჩის მმართველობის ქვეშ, ახალი სახელმწიფო ცდილობდა ევროპის სამხრეთით მცხოვრები სლავი ხალხი გაეერთიანებინა სერბიის, ხორვატიის, სლოვენიის და ბოსნია-ჰერცეგოვინის ბაზაზე.

V. იუგოსლავიის ბოსნია-ჰერცეგოვინა (1919-1991)

1. პირველი იუგოსლავური პერიოდი (1919-1941)

1919 წლის 10 სექტემბრის სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით, ყოფილი ცისლაიტანიის სახელით **ავსტრიამ სხს-ს სამეფოს დაუთმო ავსტრია-უნგრეთის კონდომნიუმის თავისი წილი ბოსნია-ჰერცეგოვინაში.**

1920 წლის 4 ივნისის ტრიანონის ხელშეკრულებით, ყოფილი ტრანსლაიტანიის სახელით, **უნგრეთმა სხს-ს დაუთმო ავსტრია-უნგრეთის კონდომნიუმის თავისი წილი ბოსნია-ჰერცეგოვინაში.**

ამგვარად, ბოსნია-ჰერცეგოვინა გახდა სერბეთ-ხორვატია-სლოვენიის სამეფოს ახალი პროვინცია.

ამიერიდან მას მონაწილეობა უნდა მიეღო იქ წამოჭრილი ყველა პრობლემის გადაჭრაში, რამაც ძალიან მალე იჩინა თავი სერბებსა და ხორვატებს შორის. სერბებს ცენტრალიზაციის გატარება სურდათ თავის სასარგებლოდ, ხორვატები ახალი სამეფოს დეცენტრალიზაციის მომხრენი იყვნენ. რამდენიმე ეთნიკურ თემში გადანაწილებულმა ბოსნიელებმა ძალიან მალე იგრძნეს ამ განხეთქილების სიმწვავე.

"ვიდოვდანის" კონსტიტუცია (1921 წლის 28 ივნისი), გამსჭვალული სერბების ცენტრალიზაციის გატარების სურვილით, თეორიულად ინარჩუნებდა სამეფოს პროვინციებს, თუმცა მათ მთლიანად ართმევდა ადმინისტრირების უფლებას ახლადშექმნილი 33 ახალი რეგიონის სასარგებლოდ.

1929 წელს სერბებისა და ხორვატების სერიოზული დაპირისპირების შემდეგ, მეფე ალექსანდრე I-მა შეაჩერა 1921 წლის კონსტიტუციის მოქმედება და აქცენტი

ქვეყნის ცენტრალიზაციაზე გადაიტანა, რომელიც იუგოსლავიის სამეფო გახდა. 1931 წელს მან შეიმუშავა ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც უქმდებოდა ძველი პროვინციები, მათ შორის ბოსნია-ჰერცეგოვინაც და ახალი ცხრა ადმინისტრაციული ერთეული იქმნებოდა.

ძველი ბოსნია-ჰერცეგოვინა გადანაწილდა დრინას (სარაევო), ზეტას (ცეტინე), სანაპირო მხარის (სპლიტი) და ვრბას (ბანია-ლუკა) ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის.

1939 წლის აგვისტოში მეფე პეტრე II-მ, რომელსაც სურდა დაგვიანებით დაეკმაყოფილებინა ხორვატების მოთხოვნა ქვეყნის ერთიანობასთან დაკავშირებით, გარედან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, შექმნა ხორვატიის დიდი ავტონომიური ოლქი, რომელსაც თავისი პარლამენტი ეყოლებოდა ზაგრებში, გააერთიანა ხორვატებით დასახლებული ყველა მხარე, რითაც გადაფარა ძველი ადმინისტრაციული ერთეულები.

ხორვატიის ამ ახალ ოლქში შედიოდა სავას მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ძველი ბოსნიის ნანილი (იაიცე) ნერეტვასა და ვრბას ზემო დინებაზე.

2. ხორვატიული პერიოდი (1941-1945)

გერმანიის, იტალიისა და ბულგარეთის ჯარების იუგოსლავიაში ნარმატებით შეჭრის შემდეგ, ჰიტლერმა 1941 ნლის 22 აპრილს, ცალმხრივად გასცა ამ ქვეყნის დანაწილების ბრძანება.

ამ ფარგლებში, ბოსნია-ჰერცეგოვინა მთლიანად მიაკუთვნეს ხორვატიის სამეფოს (ან ხორვატიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს), რომელიც 1941 ნლის 10 აპრილს შეიქმნა და მოიცავდა ყოფილ ხორვატია-სლავონიას, დალმაციის სამხრეთის ნახევარს და ბოსნია-ჰერცეგოვინას.

ბოსნიის და ჰერცეგოვინის ხორვატების შეყვანა მის შემადგენლობაში უპრობლემოდ მოხდა. სამაგიეროდ, ხორვატიის ახალ სახელმწიფოში ხორვატიის ხელისუფლება მუსლიმებსაც "ხორვატებად" ნათლავდა იმ მიზნით, რომ მნიშვნელოვნად შემცირებულიყო ბოსნიელი სერბების რაოდენობა, რაც მათ უკმაყოფილებას იწვევდა.

გერმანიის მიერ დაკავებულ ქვეყანაში უფლებად არეულობა სუფევდა და გამიზნულად ხორციელდებოდა მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა.

3. მეორე იუგოსლავიური პერიოდი (1945-1991)

1943 ნლის ნოემბერში, იაიცეში ფარულად მოხდა ფედერალური ფორმით იუგოსლავიის აღდგენა, რაც ეროვნული განთავისუფლების კომიტეტმა განახორციელა ტიტოს კომუნისტური ძალების მხარდაჭერით.

იმისათვის, რომ მომავალ იუგოსლავიაში ერთდროულად სერბების გავლენა შემცირებულიყო და თავიდან აეცილებინათ ბოსნიის სერბებსა და ხორვატებს შორის ძალიან რთული გაყოფა, გადაწყდა, რომ გამონაკლისის სახით ერთ-ერთი ფედერალური რესპუბლიკის სტატუსი მხოლოდ ბოსნია-ჰერცეგოვინისთვის მიენიჭებინათ 1908-1918 ნლების ტერიტორიულ საზღვრებში, სადაც ერთი ეროვნების ნაცვლად საერთო მინაზე იცხოვრებდნენ სერბები, ხორვატები და "მუსლიმები".

1945 ნლის 29 ოქტომბერს ტიტომ გააუქმა მონარქია და იუგოსლავიის რესპუბლიკა გამოაცხადა.

1946 ნლის 31 იანვრის კონსტიტუციამ დაამტკიცა ეს არჩევანი **და ბოსნია-ჰერცეგოვინა ახალ ფედერალურ იუგოსლავიაში შემავალი ექვსიდან ერთ-ერთი რესპუბლიკა გახდა.** მან დაიბრუნა თავისი 1908-1918 ნლებში არსებული საზღვრები (კონდომინიუმის პერიოდი), გარდა **სუტორინას (Sutorina) ზღვაზე გამავალი ფანჯრისა, რომელიც ჩერნოგორიას დაუთმო;** სულ მისი ფართობი შეადგენდა 51 000 კმ^2-ს; ქალაქი სარაევო ახალი რესპუბლიკის დედაქალაქი გახდა.

ხუთასი ნლის მანძილზე პირველად, ბოსნია-ჰერცეგოვინა სახელმწიფო გახდა, თუმცა ფედერაციაში ჩართული, რომელსაც მარშალ ტიტოს რკინის ხელი მართავდა კომუნისტური რეჟიმის ქვეშ.

აქედან მოყოლებული, ბოსნია-ჰერცეგოვინა სარგებლობდა თითოეული რესპუბლიკისათვის მინიჭებული ავტონომიით და დიდ ყურადღებას უთმობდა ეკონომიკურ განვითარებას, ასევე მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებული თავისი პოლიტიკური რეალობა. გარდა ამისა, კომუნისტური პარტიის ყოვლისშემძლე პოლიტიკური ძალაუფლება ქვეყნის სხვადასხვა თემში წამოჭრილ უთანხმოებებს მაშინვე ახშობდა.

VI. დამოუკიდებელი ბოსნია-ჰერცეგოვინა (1991 წლიდან დღემდე)

ტიტოს სიკვდილის შემდეგ (1980 წლის მაისი) და ევროპაში კომუნისტური რეჟიმის დანგრევით (1989-1990), ზოგიერთ სახელმწიფოს საშუალება მიეცა, მოეთხოვა თავისი დამოუკიდებლობა.

1991 წლის დეკემბერში, სარაევოს პარლამენტმა გააკეთა განცხადება იუგოსლავიიდან გამოყოფისა და ბოსნია-ჰერცეგოვინას დამოუკიდებლობის შესახებ.

1992 წლის 29 თებერვალს, რეფერენდუმმა, რომელსაც ბოსნიელმა სერბებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, დაამტკიცა დამოუკიდებლობა. მაგრამ ქვეყანაში მცხოვრებმა სერბებმა და ხორვატებმა, რომლებსაც სურდათ თავიანთი ზონები სერბიისა და ხორვატიის მეზობელი რესპუბლიკებისათვის მიეერთებინათ, უარყვეს ეს დამოუკიდებლობა და წამოიწყეს ომი ბოსნიის მუსლიმი ხელისუფლების წინააღმდეგ.

1992 წლის 28 მარტს, ბოსნიის სერბებმა გამოაცხადეს ბოსნიის სერბიის რესპუბლიკა, რომელშიც შედიოდა მათ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები, დედაქალაქად დაასახელეს პალე. 5 აპრილს დაიწყო სარაევოს ალყა, რომელიც სამწელიწადნახევარს გაგრძელდა.

იმავე წლის ნოემბერში, ხორვატებმა გამოაცხადეს თავიანთი ავტონომიური რესპუბლიკა ჰერცეგ-ბოსნა, დედაქალაქად კი მოსტარი აირჩიეს.

1995 წლის ნოემბერში, სამოქალაქო ომის დაწყებიდან სამი წლის შემდეგ, შეერთებულ შტატებში მოლაპარაკებისას დაიდო დაიტონის შეთანხმება, რომელიც 1995 წლის 14 დეკემბერს პარიზში დამტკიცდა.

ამ შეთანხმების მიხედვით, ბოსნია-ჰერცეგოვინა კონფედერაცია გახდა, რომელშიც ორი ავტონომიური ოლქი ერთიანდებოდა:

– ბოსნია-ჰერცეგოვინის ხორვატიულ-მუსლიური ფედერაცია, დედაქალაქი სარაევო, შემდგარი ქვეყნის ტერიტორიის 51 %-საგან, სადაც შევიდა ბოსნიის ცენტრალური ნაწილი, ყოფილი „თურქეთის ხორვატია" (ქვეყნის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი) და ჰერცეგოვინას დასავლეთის ნახევარი, ქალაქებით მოსტარი, ტრავნიკი, ზენიცა, ტუზლა;

– ბოსნიის სერბიის რესპუბლიკა, დედაქალაქი ბანია ლუკა, შემდგარი ტერიტორიის 49 %-საგან, დაყოფილი ორ ნაწილად: ბოსნიის ჩრდილოეთი, ქალაქით ბანია ლუკა, ბოსნიის სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჰერცეგოვინის აღმოსავლეთის ნახევარი, ქალაქით პალე.

კონფედერაციულ სახელმწიფოს კოლეგიური მმართველობა აქვს, სადაც სამივე თემია წარმოდგენილი და მუშაობს საერთო პარლამენტი.

ბულგარეთი

ზოგადი მონაცემები

რესპუბლიკური სახელმწიფო: ბულგარეთის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: გეორგი პარვანოვი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთი პალატა, ეროვნული ასამბლეა.
დედაქალაქი: სოფია.
ადმინისტრაციული დაყოფა: 9 რეგიონი (ოლქი): სოფია — დედაქალაქი, სოფია (სოფია), მიხაილოვგრადი (მიხაილოვგრადი), ლოვეჩი (პლევენი), რაზგრადი (რუსე), ვარნა, (ვარნა), ბურგასი (ბურგასი), ხასკოვო (სტარა ზაგორა), პლოვდივი (პლოვდივი).
ფართობი: 111000კმ^2; **მოსახლეობა:** 8,5 მილიონი კაცი; **სიმჭიდროვე:** 77 მცხოვრები კმ^2-ზე.
ენა: ბულგარული, სლავური ენა.
რელიგიები: მართლმადიდებლური; ისლამი თურქი უმცირესობისათვის (8-10%) და პომაკებისათვის, შუა საუკუნეებში ისლამიზებული ბულგარელებისათვის.
ფულის ერთეული: ლევი.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ბულგარეთის მოკლე ისტორია

1. სათავეებიდან ბიზანტიის დაპყრობამდე (1018)

დღევანდელი ბულგარეთის რეგიონები ჯერ რომის იმპერიაში შედიოდა (ქვემო მეზია – ბალკანეთის ჩრდილოეთით, თრაკია – სამხრეთით), VII საუკუნეში კი დაიპყრეს თურქ-მონღოლებმა – **ბულგარებმა**, რომლებიც V საუკუნეში ღასახლებულ სლავ მოსახლეობასთან აღრევის შემდეგ სლავები გახდნენ; ორი ხალხის შერწყმას მალევე მოჰყვა პირველი **ბულგარული სამეფოს** შექმნა (681), რომლის დედაქალაქი გახდა პლისკა.

ეს სამეფო 864 წლიდან მართლმადიდებლური იყო (მეფე ბორის I-ის დროს) თავისი ავტონომიური ეკლესიით, სადაც ცოტა მოგვიანებით საეკლესიო მსახურება ძველ სლავურ ენაზე ნარიმართა. ამ სამეფოს განსაკუთრებული აღმავლობა X საუკუნის დასაწყისში ჰქონდა (მეფე სიმონ I დროს), როდესაც გადაჭიმული იყო იონიის ზღვიდან დუნაის ყურემდე.

შემდგომში ქვეყანა დასუსტდა, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის შიგნით ბოგომილობის გაძლიერებით და გარეშე შემოტევებით, ჩრდილოეთიდან უნგრელების, დასავლეთიდან სერბების და სამხრეთიდან ბიზანტიელების.

მეფე სამუელის (980-1014) ბოლო მცდელობის მიუხედავად – წინააღმდეგობა გაეწია ამ დამანგრეველი ქმედებებისთვის (და ამ მიზნით მან დედაქალაქი დასავლეთით, ოჰრიდაში გადაიტანა), 1018 წელს **ბულგარეთმა** არსებობა შეწყვიტა მას შემდეგ, რაც **ბიზანტიის იმპერატორმა** ბასილი II "ბულგართმმუსვრელმა" დაიპყრო.

2. ბიზანტიის ბატონობიდან ოსმალეთის ბატონობამდე (1018-1789)

XII-ე საუკუნეში ბულგარეთი ბიზანტიის ბატონობას განიცდიდა. ეს ბატონობა ბულგარელების აჯანყებით დამთავრდა (1185წ.), რასაც 1187 წელს ბულგარეთის სამეფოს აღდგენა მოჰყვა, რომლის დედაქალაქი გახდა ტირნოვო.

ამ აღდგენით ბულგარელი ხალხისთვის მეორე ბრწყინვალე პერიოდი დაიწყო როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისით. თუმცა XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გლეხების აჯანყებებმა და დინასტიების დაპირისპირებებმა ხელახლა დაასუსტა ქვეყანა.

XIV საუკუნის მეორე ნახევარში ბულგარეთი ორ სამეფოდ გაიყო: ტირნოვოს და ვიდინის სამეფოებად. სწორედ ასეთ დასუსტებულ და დანაწევრებულ ბულგარეთს მოუხდა თურქეთთან დაპირისპირება, რომელმაც დაიკავა სოფია (1382წ.), დაამარცხა ბულგარელები კოსოვოში 1389 წელს და მოახდინა **ბულგარეთის ანექსირება** (1383 წელს ტირნოვოსი, 1396 წელს ვიდინის).

ამის მერე, ბულგარეთი ოსმალეთის იმპერიის პროვინცია გახდა. ბულგარეთის დიდგვაროვნებმა ისლამი მიიღეს, გლეხობა მართლმადიდებლებად დარჩა, პომაკების გამოკლებით, რომლებიც გამაჰამდიანებული გლეხების უმცირესობას წარმოადგენდნენ. ქვეყანში რეგულარულად ეწყობოდა ოსმალეთის ნინააღმდეგ სახალხო აჯანყებები და ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა; განსაკუთრებით დიდ წინააღმდეგობას თურქეთის მთავრობას ჰაიდუკები უწევდნენ, რომლებიც თავს მთებს აფარებდნენ. იმის შეგნება, რომ ბულგარელ ერს ეკუთვნოდნენ, ნელ-ნელა შესუსტდა და ეროვნული სულისკვეთების გამოღვიძება მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აღინიშნა, სახელდობრ პაისი ხილენდარელის ნაშრომების შემდეგ, რომელიც ათონის მთაზე მოღვაწე ბულგარელი ბერი იყო.

1767 წელს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან მიერთებას მოჰყვა ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და ძველ სლავურ ენაზე ღვთისმსახურების ბერძნულით შეცვლა. ეს მოვლენა საფუძვლად დაედო ეკლესიის წინააღმდეგობის მოძრაობას, რომელიც მალე გადაიზარდა ბულგარეთის ეროვნულ მოძრაობაში.

II. ბულგარეთი 1789 წელს

1789 წელს ბულგარეთი, ე.ი. ბულგარელებით დასახლებული რეგიონები მოიცავდა საკუთრივ ბულგარეთს და აღმოსავლეთ რუმელიას; ბულგარელების მცირე ნაწილი ასევე ცხოვრობდა ჩრდილოეთ მაკედონიაში (სკოპიე, მონასტირი, ოჰრიდა), თრაკიაში და ოსმალეთის იმპერიის რუმინულ პროვინციებში.

ამ პერიოდში ბულგარეთი ოსმალეთის რეგიონი იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მოქცეული ჩრდილოეთით ქვემო დუნაის, აღმოსავლეთით შავი ზღვის, სამხრეთით მთავარ უღელტეხილსა და დასავლეთით ტიმოკს შორის.

ბულგარეთს ასევე უნდა დავუმატოთ აღმოსავლეთი რუმელია, რომელიც ბულგარეთის სამხრეთით მდებარეობდა და მისგან გამოყოფილი იყო სტარა პლანინათი და მარიცას ზემო აუზამდე აღწევდა.

აქ ერთმანეთს ენაცლებოდა დაბლობი რეგიონები განვითარებული მარცვლეული კულტურით და მთიანი რეგიონები განვითარებული მესაქონლეობით. მნიშვნელოვანი ქალაქები იყო: დუანიზე – სილისტრა, რუსე, ნიკოპოლისი, ვიდინი, ზემო ისკირზე – სოფია, მარიცაზე – პლოვდივი, ზღვის სანაპიროზე – ვარნა, ბურგასი.

აღმოსავლეთი რუმელია შედიოდა რუმელიის დიდ ვილაიეთში და წარმოადგენდა ედირნეს და პლოვდივის სანჯაყებს; საკუთრივ ბულგარეთი სილისტრიის ვილაიეთს შეადგენდა, რომელიც შედგებოდა ვიდინის, ნიკოპოლისის და სილისტრიის სანჯაყებისაგან. და ბოლოს, ჩრდილოეთი მაკედონია (სკოპიე), რომელიც ბულგარელების მნიშვნელოვან რაოდენობას ითვლიდა.

ბულგარელების ძირითადი გამაერთიანებელი იყო დამოუკიდებელი მართლმადიდებლური ეკლესია ძველ სლავურზე წარმოებული ღვთისმსახურებით, მაგრამ 1767 წელს, ბულგარეთის ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა და ის ბერძნულ ეკუმენურ საპატრიარქოს მიუერთდა, რომელამც აკრძალა მსახურების დროს ძველი სლავურის გამოყენება.

III. 1789 წლიდან ბულგარეთის სამეფოს დაარსებამდე (1908)

1. 1789 წლიდან ბულგარეთის სამთავროს ჩამოყალიბებამდე (1878)

დასავლეთ ევროპის რევოლუციურ კერებს საკმაოდ დაშორებულ ბულგარეთს რევოლუციური და ნაპოლეონის ეპოქის ძვრები არ შეხებია.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ბულგარეთი კვლავ აღმავლობას განიცდიდა, რასაც ახლად ჩამოყალიბებული ბურჟუაზია უწყობდა ხელს, იგი ხსნიდა ბულგარულ სკოლებს, სადაც ბულგარული ენა ისწავლებოდა და რაშიც ეკლესიაც მონაწილეობდა, რომელიც ცდილობდა წირვისას ნელ-ნელა გამოეყენებინა ბულგარული ენა.

1840-1860 წლებში, ოსმალეთის იმპერიის მიერ გატარებული რეფორმების ფარგლებში (თანზიმატი), თურქეთის სამფლობელოები 36 ვილაიეთად დაიყო.

ბულგარეთი გადანაწილდა სილისტრიის, ვიდინის, ნიშის და სოფიის ახალ ვილაიეთებში, აღმოსავლეთი რუმელია კი ედირნეს ვილაიეთზე დამოკიდებული გახდა.

1870 წლის მარტში, რუსეთის მხარდაჭერით ბულგარეთის ეკლესიამ სულთანისაგან მიიღო ავტოკეფალია, რასაც ეწინააღმდეგებოდა კონსტანტინოპოლის ბერძენი პატრიარქი; ეკლესიის მეთაურის რეზიდენცია კონსტანტინოპოლში უნდა ყოფილიყო, საიდანაც იგი იმპერიის ყველა ბულგარელს დამოძღვრავდა.

1876 წლის აპრილში, ისარგებლეს რა ბოსნიელების ამბოხით, ბულგარელები აჯანყდნენ თურქეთის წინააღმდეგ. მაგრამ თურქებმა და მათმა მხარდამჭერებმა ბაში-ბუზუკებმა აჯანყება სისხლში ჩაახშეს. ასეთმა რეპრესიამ შეცვალა ევროპის საზოგადოებრივი აზრი.

1876 წლის დეკემბერში, კონსტანტინოპოლში ამ საკითხთან დაკავშირებით მონვეულმა კონფერენციამ უეცრად სულ სხვა ფორმა მიიღო. რუსეთმა, რომელიც სლავების დამცველად გამოდიოდა, 1877 წლის აპრილში ომი გამოუცხადა თურქეთს და დაამარცხა კიდეც ის 1878 წლის იანვარში.

1878 წლის 3 მარტს, სან სტეფანოში, რუსეთსა და თურქეთს შორის მშვიდობა აღდგა. **თურქეთმა მთელ რიგ ტერიტორიებზე თქვა უარი**, რომლებმაც შეადგინა დიდი ბულგარეთი, მართალია თურქეთზე დამოკიდებული, მაგრამ უფრო რუსეთის მომხრე, რომელსაც მისი დახმარებით ბალკანეთზე გაძლიერება სურდა. ამ დიდ ბულგარეთში შედიოდა:

– **სამხრეთი დობრუჯა**, რომელიც ჩრდილოეთით თითქმის კონსტანცამდე აღნევდა და მოიცავდა მანგალიას, ბალჩიკს, პაზარჯიკს და სილისტრიას, ჩრდილოეთი დობრუჯა, რომელიც რუმინეთამდე აღწევდა;

– **საკუთრივ ბულგარეთი**, დუნაის, ბალკანეთის მთებს, ტიმოკსა და შავ ზღვას შორის;

– **აღმოსავლეთი რუმელია**;

– **აღმოსავლეთი თრაკიის ჩრდილოეთი ნაწილი**

– **თოთქმის მთელი მაკედონია**, სკოპიე, ოჰრიდა, კასტორია, კავალა და კუნძული თასოსი; არ შედიოდა მხოლოდ ქალაქი სალონიკი და ქალკიდიკეს ნახევარკუნძული.

რუსეთს ბულგარეთი ორი წლის მანძილზე ეკავა; ეს იყო ახალი ადმინისტრაციის დასამყარებლად მიჩნეული საჭირო დრო.

სან-სტეფანოს ზავის შედეგებმა დიდი ბრიტანეთის და ავსტრია-უნგრეთის უკმაყოფილება გამოინვია; რუსეთმა დაარღვია ავსტრია-უნგრეთისათვის მიცემული პირობა ბოსნია-ჰერცეგოვინასთან დაკავშირებით.

13 ივნისს შეკრებილ ბერლინის კონგრესს წინ უსწრებდა 1 ივნისს ინგლისსა და რუსეთს შორის და 6 ივნისს ავსტრიასა და რუსეთს შორის დადებული შეთანხმებები. ბერლინის კონგრესი 13 ივლისს დასრულდა შეთანხმებით, რომელიც სხვა მიღებულ გადაწყვეტილებებთან ერთად ოთხ ნაწილად ჰყოფდა **სან-სტეფანოს ზავის შედეგად შექმნილ დიდ ბულგარეთს**:

– **სამხრეთი დობრუჯას ჩრდილოეთი ნაწილი** (მანგალია), ჩრდილოეთ დობრუჯასთან ერთად მიეკუთვნა რუმინეთს; **ბულგარეთმა მხოლოდ სამხრეთი დობრუჯას სამხრეთი ნაწილი შეინარჩუნა** სილისტრია, პაზარჯიკთან და ბალჩიკთან ერთად;

– **საკუთრივ ბულგარეთი** (63000 კმ², 2100000 მცხოვრებით), სოფიას სანჯაყის ჩათვლით და ოთხმხრივი დობრუჯათი გადაიქცა თურქეთზე დამოკიდებულ

ბულგარეთის სამთავროდ, რომლის მმართველიც კონგრესში მონაწილე სახელმწიფოების მიერ არჩეული ქრისტიანი მთავარი იქნებოდა;

– **აღმოსავლეთი რუმელია** (33 000კმ², 900 000 მცხოვრებით) შემცირდა აღმოსავლეთით მარიცას ზემო აუზიდან შავ ზღვამდე და თურქეთის ავტონომიური პროვინცია გახდა, რომელსაც ქრისტიანი მმართველი ეყოლებოდა;

– **აღმოსავლეთი თრაკიის ჩრდილოეთი ნაწილი** (კირკლარელი), **მაკედონია** და **კუნძული თასოსი** თურქეთს მიუერთდა.

რუსეთის მიერ ბულგარეთის სამთავროს სამხედრო ოკუპაციის ვადა ორი წლიდან ცხრა თვემდე შემცირდა.

2. დამოკიდებელი სამთავროდან ბულგარეთის დამოუკიდებელ სამეფომდე (1878-1908)

1789 წლის აპრილში, ტირნოვოში შეკრებილ წარჩინებულთა ასამბლეაზე კენჭი ეყარა ძალიან ლიბერალურ კონსტიტუციას და მთავრად არჩეული იქნა ალექსანდრე ბატენბერგი, რუსეთის დედოფლის ძმისწული და რუსეთ-გერმანიის საერთო კანდიდატი.

ამის შემდეგ, 1879 წლის 13 ივლისს მთავარი საზეიმოდ შევიდა პატარა ქალაქ სოფიაში, რომელიც ახალი სამთავროს დედაქალაქად აირჩიეს.

გარდა ამისა, ძლიერი სახელმწიფოები კომპრომისზე წავიდნენ აღმოსავლეთი რუმელიის ახალ პროვინციასთან (ვილაეთთან) დაკავშირებით; ის თავისუფლდებოდა თურქული სამხედრო გარნიზონებისაგან და ეყოლებოდა ქრისტიანი მთავრობა, არჩეული ასამბლეა და ყოველწლიურ ხარკს გადაუხდიდა სულთანს.

ბულგარეთის სამთავრო იყოფოდა 17 დეპარტამენტად, რომლებიც მათი ადმინისტრაციული ცენტრების სახელებს ატარებდა: სოფია, ვიდინი, ტირნოვო, ვარნა, რიუსე, რაზგრადი, ქულმა, კიუსტენდილი, ტრინი, სილისტრია, ლომ პალანკა, რაჰოვა, ვრაცა, პლევენი, ლოვეჩი, სევლიევო, სისტოვი.

თავის მხრივ აღმოსავლეთი რუმელია შედგებოდა 6 დეპარტამენტისაგან: ფილიპოპოლისი, ხასკოვო, თათარ პაზარჯიკი, სტარა ზაგორა, სლივონო, ბურგასი.

ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებების მიუხედავად, ბულგარეთსა და აღმოსავლეთ რუმელიაში არ ცხრებოდა გაერთიანების სურვილი. ამას მხარს უჭერდა მთავარი ალექსანდრე I; 1885 წლის 18 სექტემბერს, რუმელიაში მოხდა აჯანყება; თურქი მმართველი უკან გააბრუნეს და რუმელიის მოსახლეობამ მოუხმო მთავარ ალექსანდრეს, რომელიც ფილიპოპოლისში (პლოვდი) ტრიუმფით შევიდა და 21 სექტემბერს გამოაცხადა **ბულგარეთისა და აღმოსავლეთი რუმელიის გაერთიანება.**

მაგრამ მეზობელმა სახელმწიფოებმა არ მოიწონეს ბერლინის ხელშეკრულებასთან ამგვარი დაპირისპირება და ბულგარეთიც ძალიან დასუსტდა მთავარ ალექსანდრესა და მის ყოფილ მფარველ იმპერატორ ალექსანდრე III-ს შორის წამოჭრილი უთანხმოების შედეგად.

1885 წლის ნოემბერში, მაშინ როცა ძლიერი სახელმწიფოების წარმომადგენლები კონსტანტინოპოლში ეძებდნენ გამოსავალს, ავსტრია-უნგრეთის მიერ შეგულიანებულმა სერბეთმა ომი გამოუცხადა ბულგარეთს.

ბულგარელების გამარჯვების შემდეგ, 1886 წლის 8 მარტს დადებული ზავით, სერბეთსა და ბულგარეთს შორის აღდგა *statu quo ante bellum*.

1886 წლის 5 აპრილს, ძლიერმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც თურქეთის სასარგებლოდ შეტანილი რამდენიმე სასაზღვრო შესწორების შემდეგ, აღიარებდა ბულგარეთისა და აღმოსავლეთ რუმელიის გაერთიანებას; რუმელიის მმართველი მთავარი ალექსანდრე გახდა.

იურიდიულად რუმელიისა და ბულგარეთის სტატუსები არ შეცვლილა, ბულგარეთი პორტაზე დამოკიდებულ სამთავროდ რჩებოდა, რუმელია კი ოსმალეთის იმპერიის ავტონომიურ პროვინციად, რომელსაც ქრისტიანი მმართველი ეყოლებოდა. რეალურად, ორი ნაწილი სულ უფრო და უფრო ერწყმოდა

ერთმანეთს და თავს ერთ ქვეყანად თვლიდა. მათი ადმინისტრაცია, არმია, ეკონომიკური ინფრასტრუქტურა თანდათან ერთიანდებოდა.

1886 წლის 7 სექტემბერს, რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ოფიცრების შეთქმულების შედეგად ჩამოგდებული მთავარი ალექსანდრე შეცვალა რეგენტმა სტამბულოვმა.

ძალიან ანტირუსულად განწყობილი სტამბულოვის ზეწოლა ასამბლეაზე იმით დასრულდა, რომ არჩეული იქნა ახლი მმართველი, ავსტრია-უნგრეთის კანდიდატი, საქსენ-კობურგის მთავარი ფერდინანდი.

1908 წლის ივლისში, ახალგაზრდა თურქების მიერ მონყობოლი რევოლუციის შედეგად აღსდგა ოსმალეთის იმპერიის კონსტიტუცია (მიღებული 1876 წელს, რომელიც არასოდეს ყოფილა ძალაში). ოსმალეთის მთავრობა ითვალისწინებდა ასამბლეის არჩევას, სადაც მონვეული იქნებოდნენ ბოსნია-ჰერცეგოვინას და რუმელიის დეპუტატები (იურიდიულად თურქული პროვინციების).

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იზვოლსკის დახმარებით ავსტრია-უნგრეთი გეგმავდა ბოსნია-ჰერცეგოვინას ანექსიას, რუსეთი კი საპასუხოდ ღებულობდა თანხმობას გაეხსნა სრუტეები თავისი სამხედრო გემებისათვის. ბულგარეთის მთავარ ფერდინანდს ეს დიდი ხნის მანძილზე სურდა და ამაში ხედავდა პორტასთან ვასალური დამოკიდებულების განყვეტის საშუალებას. ამ საკითხში მას ავსტრიისა და რუსეთის მხარდაჭერა ჰქონდა.

საბაბად ფერდინანდმა 1908 წლის 12 სექტემბერს მომხდარი "ფლავის" ისტორია გამოიყენა: დიდმა ვეზირმა ელჩების მიღებაზე არ დაპატიჟა ბულგარეთის წარმომადგენელი იმ მიზეზით, რომ ეს სამთავრო თურქეთისთვის უცხო არ იყო; ამ უკანასკნელმა კონსტანტინოპოლი დატოვა.

22 სექტემბერს, ფერდინანდმა **ბულგარეთის დამოუკიდებლობა** გამოაცხადა.

5 ოქტომბერს, ტირნოვოში მან **აღმოსავლეთ რუმელიის დამოუკიდებლობა** და მისი **ბულგარეთთან შეერთება** გამოაცხადა, მან თავი ბულგარეთის მეფედ დაასახელა და თრაკიელ და მაკედონიელ ბულგარელებზე სუვერენიტეტი მოითხოვა.

IV. დამოუკიდებელი ბულგარეთი (1908 წლიდან დღემდე)

1. 1908 წლიდან მეორე ბალკანური ომის დარეგულირებამდე (1913 წ)

ბულგარეთის ახალ სამეფოში 96 000 კმ²-ზე 3 მილიონი კაცი ცხოვრობდა; ეს იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულის მნიშვნელოვანი სახელმწიფო. დიდი ხნის მანძილზე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის გამო, ქვეყანა ეკონომიკური თვალსაზრისით ძალიან ჩამორჩენილი იყო: წამყვან დარგს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა, ქალაქების ქსელი სუსტად იყო განვითარებული, კაპიტალდაბანდებების რაოდენობა უმნიშვნელო იყო და ა. შ.

1909 წლის 20 აპრილს, ფულადი კომპენსაციის მიღების შემდეგ, თურქეთმა აღიარა ბულგარეთისა და აღმოსავლეთი რუმელიის დამოუკიდებლობა და გაერთიანება.

თურქეთის დასუსტებას რეგიონის სახელმწიფოების პრეტენზიების გაზრდა მოჰყვა და საბერძნეთმა, ბულგარეთმა, სერბეთმა და ჩერნოგორიამ ბალკანეთის ლიგა შექმნეს, რომლის მიზანიც იყო სამხედრო ნადავლის გაყოფა (1912 წლის მარტი-ოქტომბერი).

1912 წლის 8 ოქტომბერს, თურქეთის წინააღმდეგ გალაშქრება მისთვის დამანგრეველი გამოდგა. ბულგარეთის ჯარებმა თრაკიასა და მაკედონიაში დაამარცხეს თურქები. 9 ნოემბერს სალონიკში საბერძნეთის არმიის შესვლის მეორე დღეს, ქალაქში ბულგარეთის სამხედრო კონტინგენტიც შევიდა.

1913 წლის 30 მაისის ლონდონის შეთანხმებით, თურქეთი იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის ევროპულ ტერიტორიებზე (აღმოსავლეთ თრაკია) და ევროპაში მხოლოდ სტამბოლსა და სრუტეების მოსაზღვრე რეგიონს ინარჩუნებდა.

30 ივნისს, ბულგარეთი, რომელიც ომში გაღებული წვლილის საფასურად ამაოდ ითხოვდა მთელ მაკედონიას, მოულოდნელად დაუპირისპირდა თავის მოკავშირეებს. სერბებმა, ბერძნებმა და თურქებმა ხელახლა დაიკავეს ედირნე და 31 ივლისს დაამარცხეს ბულგარეთი.

1913 წლის 10 აგვისტოს, ბუქარესტში ხელი მოენერა ზავს. თავის ძველ მოთხოვნებთან შედარებით ბულგარეთმა ძალიან შეზღუდული ტერიტორიები მიიღო. **მას მიეკუთვნა:**

– ჩრდილოეთ მაკედონიის აღმოსავლეთი ნაწილი, სტრუმას შუა დაბლობი, პეტრიჩის ნაწილი, სტრუმიტას რკალი;

– დასავლეთი თრაკია, მესტადან მარიცამდე, შეთანხმებული თურქეთთან;

სანაცვლოდ, სილისტრიასთან, პაზარჯიკთან და ბალჩიკთან ერთად **ბულგარეთს რუმინეთისათვის უნდა დაეთმო სამხრეთ დობრუჯას თავის წილი,.**

1913 წლის 29 სექტემბერს სტამბოლში მიღწეული შეთანხმების შედეგად **ბულგარეთი თურქეთისაგან ღებულობდა დასავლეთ თრაკიას** მესტასა და მარიცას შორის, სანაპირო ზოლს (ქსანტი, გუმურჯინა, პორტოლაგო, დედეაღაჩი), რომელიც მას ეგეოსის ზღვაზე გასასვლელით უზრუნველყოფდა, ასევე **აღმოსავლეთი თრაკიის** ფრაგმენტს შავი ზღვის გაყოლებაზე, კირკლარელის ჩრდილოეთით.

მაგრამ ქალაქების ედირნე და მარიცას მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიის დიდი ნაწილი სვილენგრადიდან დიდიმოტიხონამდე თურქეთს დარჩა, რითაც იჭრებოდა რკინიგზა (აღმოსავლეთის ექსპრესი), რომელიც პლოვდივზე გადიოდა დედეაღაჩსა და კონსტანტინოპოლამდე.

ამგვარად, ბულგარეთის ფართობი შეადგენდა 118 000 კმ^2 დაახლოებით 5 მილიონი მცხოვრებით.

2. 1913 წლიდან პირველ მსოფლიო ომის შედეგებამდე (1919)

თურქეთი 1914 წლის აგვისტოდანვე ცენტრალური იმპერიების გვერდით დადგა; ბულგარეთთან ალიანსი ორივე მხარეს სურდა, ის კი დროის გაყვანას ცდილობდა, მაგრამ დარდანელთან ანტანტის მარცხის შემდეგ, 1915 წლის სექტემბერში მეფე ფერდინანდი ცენტრალურ იმპერიებს მიემხრო.

მის დასათანხმებლად კი შემდეგი დებულებები იქნა მიღებული:

1) 6 სექტემბერს სოფიაში ბულგარეთსა და თურქეთს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად, **თურქეთი,** დაუყოვნებლივ **უთმობდა ბულგარეთს:**

– მარიცას მარჯვენა სანაპიროს თურქულ ტერიტორიას ყარაგაჩთან და დიდიმოტიხონთან ერთად, რის შედეგადაც ბულგარეთის ტერიტორიაზე გრძელდებოდა სარკინიგზო ხაზი პლოვდივი–დედეაღაჩი;

– ქვემო მარიცას მარცხენა სანაპიროს ვიწრო ზოლს ქალაქ ენეზით;

– მარიცას მარცხენა სანაპიროზე ედირნეს ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიის ნაწილს;

2) იმავე დღეს ბულგარეთსა და სამ იმპერიას შორის დადებული საიდუმლო გარიგებით გამარჯვების შემთხვევაში ეს უკანასკნელნი ბულგარეთს ჰპირდებოდნენ:

– სერბიის მაკედონიას (სკოპიე, ოჰრიდა, მონასტირი);

– იმ შემთხვევაში, თუ საბერძნეთი მათ წინააღმდეგ იომებდა, საბერძნეთის მაკედონიას (სალონიკისა და ქალკიდიკეს გამოკლებით);

თუ მათ წინააღმდეგ ომში რუმინეთი ჩაებმებოდა, ბულგარეთის მიერ 1913 წელს დათმობილ ოთხმხრივ დობრუჯას.

14 ოქტომბერს ბულგარეთმა სერბიას ომი გამოუცხადა.

რუმინეთი, რომელიც ბულგარეთზე მეტად აყოვნებდა პასუხს, 1916 წლის 27 აგვისტოს ანტანტას მიემხრო. ბულგარეთმა მას 1 სექტემბერს ომი გამოუცხადა. დამარცხებული რუმინეთი, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციის გამო რუსეთის მხარდაჭერაც აღარ ჰქონდა, იძულებული გახდა გამარჯვებულ მხარესთან დათმობებზე წასულიყო.

1918 წლის 7 მაისს ბუქარესტის ზავი ბევრ სხვა მუხლთან ერთად ითვალისწინებდა, რომ:

– რუმინეთი სამხრეთ დობრუჯასთან ერთად, ბულგარეთს სამხრეთ დობრუჯას ჩრდილოეთ ნაწილსაც უთმობდა (მანგალია), რომელიც ბულგარეთს 1878 წლის მარტში მიეკუთვნა (სან სტეფანო) და რუმინეთს 1878 წლის ივლისში (ბერლინი) გადაეცა;

– რუმინეთი უარს ამბობდა ჩრდილოეთ დობრუჯაზე, დუნაის ყურემდე, რომელიც **გერმანულ-ავსტრიულ-ბულგარული კონდომინიუმი ხდებოდა;** ამგვარად, რუმინეთი თავისი სანაპირო ზოლის მნიშვნელოვან ნაწილს კარგავდა და ინარჩუნებდა მხოლოდ ეკონომიკურ ბაზარს კონსტანცაში.

დამარცხებული ბულგარეთი იძულებული გახდა 1918 წლის 29 სექტემბერს იარაღი დაეყარა სალონიკში. მეფე ფერდინანდი 4 ოქტომბერს გადადგა თავის ეაჟის ბორის III-ს სასარგებლოდ.

პარიზში გამართულ გამარჯვებული ქვეყნების შეკრებაზე გადაწყდა, რომ ბულგარეთს ბევრ ტერიტორიაზე უარის თქმა მოუწევდა. 1919 წლის 27 ნოემბრის ნეილის ხელშეკრულებით **ბულგარეთს უნდა დაეთმო:**

– რუმინეთისათვის 1918 წელს ანქსირებული **მთელი სამხრეთი დობრუჯა:**

– სერბია-ხორვატია სლოვენიის სამეფოსთვის ტიმოკი, ვასილევგრადი (ზემო სტრუმა) **და სტრუმიცას რკალი;**

– საბერძნეთისთვის დასავლეთი თრაკიის სამხრეთი ნაწილი, კერძოდ 1913 წლის სექტემბერსა და 1915 წლის სექტემბერში თრაკიაში ანექსირებული ტერიტორიები, გარდა როდოპის ჩრდილოეთი მხარისა და არდას დაბლობისა; ბულგარეთი ასევე კარგავდა ეგეოსის ზღვაზე გასასვლელს.

ამგვარად ბულგარეთის ტერიტორია დაახლოებით 103 000 კმ²-მდე შემცირდა.

3. 1919 წლიდან მეორე მსოფლიო ომის შედეგებამდე (1947)

როგორც ყველა დამარცხებულ ქვეყანაში, Bბულგარეთშიც საბოლოო შედეგით გამოწვეულმა დამცირებამ ნარმოშვა რევანშის გრძნობა და პოლიტიკური არასტაბილურობა: სტამბოლიისკის ავტორიტარული მმართველობა (1920-1923), კომუნისტური ამბოხი (1923), ზომიერი მმართველობა (1923-1934), სამხედრო დიქტატურა (1934), შემდეგ ბორის III-ს დიქტატურა (1935-1940).

1934 წლის 29 მაისს სამეფო დეკრეტით მოხდა ბულგარეთის რეორგანიზაცია და შეიქმნა შვიდი ადმინისტრაციული რეგიონი, რომლებიც თავისი ადმინისტრაციული ცენტრების სახელებს ატარებდა: ქუმლა, პლევენი, ვრაცა, სოფია, სტარა ზაგორა, პლოვდივი, ბურგასი.

გაჩაღდა მეორე მსოფლიო ომი. დასვლეთში საფრანგეთ-ინგლისის მარცხის შედეგად დასუსტებული რუმინეთი, დათმობაზე მიდის საბჭოთა კავშირთან და უნგრეთთან, რომლებიც მისგან მნიშვნელოვან ტერიტორიებს მოითხოვდნენ; ბულგარეთი, რომელიც ჰიტლერულ გერმანიას დაუახლოვდა, სამხრეთი დობრუჯას გადაცემას ითხოვდა.

1940 წლის 7 სექტემბრის კრაიოვას შეთანხმებით, **რუმინეთმა ბულგარეთს დაუთმო ოთხმხრივი სამხრეთი დობრუჯა.**

1941 წლის 1 მარტს, ბულგარეთი სამმხრივ პაქტს მიუერთდა (იტალია, გერმანია, იაპონია) და 6 აპრილს მონაწილეობა მიიღო იუგოსლავიაში შეჭრაში. 17 აპრილს, იუგოსლავიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. გამარჯვებულებმა საბერძნეთს შეუტიეს, რომელიც თვის ბოლოს დამარცხდა.

1941 წლის 22 აპრილს, ჰიტლერმა იუგოსლავიის დაშლის გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც უნდა გაეანაწილებინათ გერმანიას, იტალიას, ხორვატიას, ბულგარეთს და უნგრეთს.

ამ ფარგლებში, ბულგარეთის ფართობი 28 000 კმ²-ით იზრდებოდა, მას ემატებოდა 1 250 000 კაცი და შემდეგნაირად იყოფოდა:

– **ტიმოკის ტერიტორია,** დაკარგული 1919 წელს;

– **აღმოსავლეთი მორავია** (პიროტი, ვრანიე);

– **მაკედონიის უმეტესი ნაწილი** (მანამდე იუგოსლავიის მფლობელობაში, სკოპიეთი, მონასტირით), ოჰრიდის ტბამდე.

1941 წლის ივლისში დამარცხების შემდეგ **საბერძნეთმა** თავის მხრივ **ბულგარეთს დაუთმო:**

– **ფლორინას ტერიტორია;**

– **დასავლეთი თრაკიის სანაპირო მხარე,** მარიცას გამყოლი ზოლის გამოკლებით;

– **საბერძნეთის აღმოსავლეთი მაკედონია,** სტრუმას აღმოსავლეთით;

– **კუნძულები თასოსი და სამოთრაკი.**

მარიცას მარჯვენა სანაპიროს სასაზღვრო ზოლი, სვილენგრადიდან დიდიმოტიხონამდე და დედეაღაჩამდე, რომელიც თეორიულად საბერძნეთს ეკუთვნოდა, სამხედრო თვალსაზრისით კი გერმანიას ეკავა.

1944 წლის შემოდგომიდან, ბულგარეთმა, რომელმაც საბჭოთა კავშირის ზენოლით ბანაკი შეიცვალა, საბერძნეთსა და იუგოსლავიას *de facto* გადასცა 1941 წელს ანექსირებული ტერიტორიები. სოფიაში კომუნისტური ხელისუფლება დამყარდა.

1946 წლის 8 სექტემბერს გამართული რეფერენდუმის შედეგად **გაუქმდა მონარქია.** 15 სექტემბერს გამოცხადდა **ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა** (კომუნისტური).

1946 წელს წარმოებული სამშვიდობო მოლაპარაკებები, სამშვიდობო ხელშეკრულებებით დასრულდა, რომელთაც ხელი მოენერათ პარიზში, 1947 წლის 10 თებერვალს, გამარჯვებულ ქვეყნებსა და იტალია, უნგრეთს, ბულგარეთსა და რუმინეთს შორის. სამშვიდობო ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც **ბულგარეთი:**

– **იუგოსლავიის სასარგებლოდ ოფიციალურად ამბობდა უარს** 1941 წლის აპრილში ანექსირებულ ტერიტორიებზე, კერძოდ, ტიმოკზე, **აღმოსავლეთ მორავიაზე** (პიროტი, ვრანიე) **და ჩრდილოეთ მაკედონიაზე;**

– **საბერძნეთის სასარგებლოდ ოფიციალურად ამბობდა უარს** 1941 წლის ივლისში ანექსირებულ ტერიტორიებზე, კერძოდ **ფლორინას ტერიტორიაზე, აღმოსავლეთ მაკედონიაზე, დასავლეთი თრაკიის სანაპირო მხარეზე, კუნძულებზე თასოსზე და სამოთრაკზე;**

– საბჭოთა კავშირის წყალობით **ინარჩუნებდა ოთხმხრივ სამხრეთ დობრუჯას,** რომელიც 1940 წლის სექტემბერში ნაართვა რუმინეთს.

4. თანამედროვე ბულგარეთი (1947 წლიდან დღემდე)

ბულგარეთის ფართობი კვლავ 111 000 კმ² გახდა, დაახლოებით 7 მილიონი მცხოვრებით.

ის 28 დეპარტამენტად დაიყო: ვიდინი, ლომი (მოგვიანებით მიხაილოვგრადი), ვრაცა, დიდი სოფია, სოფიის რეგიონი, პერნიკი, კიუსტენდილი, ბლაგოევგრადი, პლევენი, ლოვეჩი, პაზარჯიკი, პლოვდივი, სმოლიანი, ტირნოვო, გაბროვო, სტარაზაგორა, ხასკოვო, კირჯალი, რუსე, სილისტრია, რაზგრადი, ტირგოვიშტე, ტოლბუხინი, ვარნა, ქუმლა, ბურგასი, იამბოლი.

ორმოც წელზე მეტ ხანს ბულგარეთში კომუნისტური რეჟიმი იყო გამეფებული, რომელსაც მკაცრად ზედამხედველობდა საბჭოთა კავშირი. ის სოციალისტური ბანაკის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (Comecon) წევრი გახდა (1949 წ.) და ვარშავის ხელშეკრულებას მიუერთდა. აქედან გამომდინარე ბულგარეთში მრეწველობის პროცესი გაიზარდა. ის საბჭოთა კავშირის ყველაზე ერთგული მოკავშირე გახდა, იმდენად, რომ ერთხანს მე-16-ე რესპუბლიკადაც უნდოდა საბჭოთა კავშირში გაერთიანება (1979 წ.).

1987 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით ბულგარეთი ცხრა რეგიონად დაიყო და თითოეულ რეგიონში ერთი ან რამდენიმე ყოფილი დეპარტამენტი გაერთიანდა:

– სოფია: სოფიის დეპარტამენტი;

– სოფიის რეგიონი: ოთხი დეპარტამენტი-ბლაგოევგრადი, კიუსტენდილი, პერნიკი და სოფიის რეგიონი;

– მიხაილოვგრადი: სამი დეპარტამენტი-ვიდინი, მიხაილოვგრადი, ვრაცა;

– ლოვეჩი: ოთხი დეპარტამენტი-ლოვეჩი, პლევენი, გაბროვი, ტირნოვო;

– პლოვდივი: სამი დეპარტამენტი-პაზარჯიკი, პლოვდილი, სმოლიანი;
– ხასკოვი: სამი დეპარტამენტი-სტარა ზაგორა, ხასკოვი, კირჯალი;
– რაზგრადი: ოთხი დეპარტამენტი-სილისტრია, რუსე, რაზგრადია, ტირგოვიშტე;
– ვარნა: სამი დეპარტამენტი-ტოლბუხინი, ვარნა, ქუმლა;
– ბურგასი: სამი დეპარტამენტი-ბურგასი, სლივენი, იამბოლი.

1990 წლის 15 იანვარს ბულგარეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში პლურალიზმი დაინყო, რითაც კომუნისტური პარტიის როლი შესუსტდა.

1990 წლის 1 აგვისტოს, აირჩიეს არა კომუნისტი პრეზიდენტი (ჟელევი), რაც ბულგარეთის დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლის ნიშანი იყო.

აქედან მოყოლებული ბულგარეთი ეძებს ახალ ევროპაში ინტეგრაციის გზებს და ევროკავშირში და NATO-ში განევრიანების კანდიდატია.

2001 წლის 17 ივნისს, საკანონმდებლო არჩევნებში ხმების უმრავლესობა ყოფილმა მეფემ სიმონ II-მ მიიღო, რომელიც ბავშვობის ასაკში მეფობდა 1943-დან 1946 წლამდე; ამ გამარჯვებით გზა გაეხსნა ქვეყანაში შესაძლებელ ინსტიტუციურ ცვლილებებს, რასაც შესაძლოას მონარქიის აღდგენა მოჰყვეს.

2002 წლის 12 დეკემბერს, ევროკავშირმა თანხმობა განაცხადა თავის შემადგენლობაში ბულგარეთის ვადაზე ადრე მიღებაზე, თუმცა ეს 2007 წლამდე არ მოხდება.

გერმანია

ზოგადი მონაცემები

რესპუბლიკური სახელმწიფო: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ფედერაციული სახელმწიფო.
პრეზიდენტი: ჰორსტ კიოლერი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ორი პალატა, ბუნდესტაგი, რომლის წევრებიც მთელ გერმანიას წარმოადგენენ და ფედერალური საბჭო-ბუნდესრატი, რომლის წევრებიც არჩეულნი არიან მინების პარლამენტების მიერ.
დედაქალაქი: ბერლინი
პოლიტიკური და ადმინისტრაციული დაყოფა: 16 ფედერალური მინა:

- ბადენ-ვიურტემბერგი, დედაქალაქი შტუტგარტი, დაყოფილია ოთხ ოლქად: ფრაიბურგი, კარლსრუე, შტუდგარტი, ტიუბინგენი;
- ქვემო საქსონია, დედაქალაქი ჰანოვერი, დაყოფილია ოთხ ოლქად: ბრაუნშვაიგი, ჰანოვერი, ლუნებურგი, ოლდენბურგი.
- ბავარია, დედაქალაქი მიუნხენი, დაყოფილია შვიდ ოლქად: ზემო ბავარია (მიუნხენი), ქვემო ბავარია(ლანდსხუტი), ზემო პფალცი (რეგენსბურგი), ზემო ფრანკონია (ბაიროითი), შუა ფრანკონია (ანსბახი), ქვემო ფრანკონია (ვიურცბურგი), შვაბია (აუგსბურგი);
- ბერლინი, დედაქალაქი-სახელმწიფო;
- ბრანდებურგი, ქალაქი პოტსდამი;
- ბრემენი, ქალაქი-სახელმწიფო;
- ჰამბურგი, ქალაქი-სასელმწიფო;
- ჰესენი, დედაქალაქი ვისბადენი, დაყოფილია სამ ოლქად: დარმშტადტი, გისენი, კასელი;
- მეკლენბურგ-ფორპომერნი, დედაქალაქი შვერინი;
- ჩრდილო რაინი-ვესტფალია, დედაქალაქი დიუსელდორფი, დაყოფილია სამ ოლქად: არნსბერგი, კიოლნი, დეტმოლდი, დიუსელდორფი, მიუნსტერი;
- რაინლანდ-პფალცი, დედაქალაქი მაინცი, დაყოფილია სამ ოლქად: კობლენცი, ტრირი, ჰესენ-რაინლანდ პფალცი (მაინცი);
- ზაარლანდი, დედაქალაქი ზაარბრიუკენი;
- საქსონოა, დედაქალაქი დრეზდენი; დაყოფილია სამ ოლქად: დრეზდენი, ხემნიცი, ლაიპციგი;
- საქსენ-ანჰალტი, დედაქალაქი მაგდებურგი, დაყოფილია სამ ოლქად; ჰალე, ვიტენბერგი, დესაუ;
- შლეზვიგ-ჰოლშტაინი, დედაქალაქი კილი;
- თიურინგია, დედაქალაქი ერფურტი.

ფართობი: 357 000კმ^2, აქედან 248 000 ყოფილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, 107 700 ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და 90 ბერლინის. მოსახლეობა: 82 მილიონი კაცი; სიმჭიდროვე: 230 კაცი ერთ კმ^2-ზე;
ენა: გერმანული;
რელიგია: კათოლიკური, ლუთერანული, კალვინისტური.
ფულის ერთეული: გერმანული მარკა; 2002 წლიდან ევრო.

შენიშვნები
1789 წლის გერმანია არ წარმოადგენდა სახელმწიფოს, ეს იყო ევროპის შუაგულში მდებარე დიდი რეგიონი. თუმცა არსებობდა პოლიტიკური

ერთიული – გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია, რომელიც ძალიან სუსტად აერთიანებდა იმ პერიოდში გერმანული სახელმწიფოების ნაწილს. ასეთი სახელმწიფოებრივი დაფრაგმენტულობა, თუმცა ნაკლებად გამოხატული ფორმით, XIX საუკუნის შუა პერიოდამდე გაგრძელდა და ზოგიერთ ასპექტში დღესაც არსებობს.

გერმანიის გაერთიანების გადამწყვეტი ეტაპი 1866 – 1871 წლებში დაიწყო. მაგრამ ქვეყნის ტერიტორიული ევოლუციის აღწერა მხოლოდ ამ პერიოდიდან როდია შესაძლებელი. აუცილებელია თითოეული მისი სახელმწიფოს ისტორიის მიმოხილვა 1866 წლამდე. (იხ. თავები ავსტრია, ბელგია, ლიხტენშტაინი, ჩეხეთი).

1789 წელს გერმანიის ე.წ. სუვერენულ სახელმწიფოთა დიდი რაოდენობა (მათი რიცხვი 1200-დან 1300-მდე მერყეობდა) არ იძლევა თითოეული მათგანის ამ თავში განხილვის საშუალებას. აქ იმ სახელმწიფოებს განვიხილავთ, რომლებიც 1789 წლის რეგენსბურგის დიეტში, ან იმპერიის ათიდან ერთ-ერთი ოლქის დიეტში მაინც მონაწილეობდნენ (დაახლოებით 300 სახელმწიფო). ზოგი შეტანილია ამ ნაშრომის ნაწილში – "გამქრალი სახელმწიფოები". რაც შეეხება პატარა სახელმწიფოებს, მათი ჩამოთვლაც კი შეუძლებელი იყო, როგორი დასანანიც არ უნდა იყოს ეს!

ასევე ეს თავი ძალიან დიდი რომ არ გამოსულიყო, თემები: საღვთო რომის იმპერია, რაინის კონფედერაცია, გერმანიის კონფედერაცია, ჩრდილოეთი გერმანიის კონფედერაცია, გადატანილია დანართში, სადაც მკითხველს მათი გაცნობის საშუალება ეძლევა.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. გერმანიის მოკლე ისტორია

ა) გერმანიის ზოგადი ისტორია

1. სათავეებიდან გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის დაარსებამდე (962 წელი)

როდესაც ჩვენი ნელთაღრიცხვის დასაწყისში რომაელებმა მათი იმპერია ჩრდილოეთით გააფართოვეს, დღევანდელი გერმანიის ტერიტორია გერმანული ტომებით იყო დასახლებული, რომლებიც იქ რამდენიმე საუკუნით ადრე, სავარაუდოდ სკანდინავიიდან მოვიდნენ და რომლებმაც თანდათან შეავიწროეს კელტები დასავლეთისაკენ.

რაინის აღმოსავლეთით მდებარე მინების ხანგრძლივი ვადით დაკავების რამდენიმე ამაო მცდელობის შემდეგ, რომაელებმა გადაწყვიტეს რაინისა და დუნაისაგან ჩრდილოეთით და ჩრდილო დასავლეთით შეექმნათ თავიანთი იმპერიის ზღუდე; იმპერიაში მხოლოდ ის კუთხე შედიოდა, რომელსაც ეს ორი მდინარე ქმნიდა, იქვე მის დასაცავად გადიოდა სახმელეთო საზღვარი რეგენსბურგიდან კობლენცამდე.

რომის კანონებს მხოლოდ ამ სახმელეთო და მდინარის საზღვრებს მიღმა მდებარე რეგიონები ექვემდებარებოდა: ორი გერმანია, რეცია, ნორიკი, პანონია. სწორედ ამ მდინარეების გაყოლებაზე შეიქმნა ქალაქები, რომელთაც მოგვიანებით, გერმანიის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს: კიოლნი, კობლენცი, მაინცი, ვორმსი, შპაიერი, სტრასბურგი, რეგენსბურგი, პასაუ, ვენა. დამოუკიდებელ გერმანიაში მდებარე რეგიონებს, რომლებიც უცვლელად ინარჩუნებდნენ თავიანთ ადათ-წესებს, რომი ბარბაროსულად მიიჩნევდა.

ჩვ. წ. აღ-ით III საუკუნიდან ალემანების შემოსევების შედეგად ორ მდინარეს შორის არსებული ზღუდე თანდათან შევიწროდა. V საუკუნეში გერმანელები იმპერიაში შეიჭრნენ და სასაზღვრო პროვინციებში დამკვიდრნენ: ბავარები ნორიკსა და რეციაში, ალემანები ჰელვეციაში, ფრანკები და საქსონები კი რაინის მარცხენა სანაპიროზე, ხოლო დასავლეთი რომის იმპერია 476 წელს გაქრა. VI-ე საუკუნეში გერმანიის აღმოსავლეთ ნანილს ზაალის აღმოსავლეთით სლავები შეესივნენ.

VIII-ე საუკუნეში გალიაში მმართველობა კაროლინგების შტომ აიღო ხელში. კარლოს დიდმა, რომელიც 800 წელს აკურთხეს იმპერატორად, მიიერთა გერმანიის რეგიონები მდინარეების ელბის, საალის და დუნაის საზღვრებამდე: ფრისლანდია, საქსონია, თიურინგია, ვესტფალია, ჰესენი, ალემანია, ბავარია, აღმოსავლეთი მარკა (მომავალი ავსტრია), კარინტია და ფრიული.

კარლოს დიდის იმპერია კარლოსის გარდაცვალებისთანავე დაიშალა მის მემკვიდრეებს შორის წამოჭრილი დავისა და გარე შემოსევების გამო (ნორმანდები, უნგრელები). IX საუკუნეში რამდენიმე გადანაწილების შემდეგ, რომელთაგან ყველაზე ცნობილია ვერდენის ზავი (843წელი), **აღმოსავლეთი ფრანკების სამეფო** რაინის აღმოსავლეთით გამოეყო დასავლეთ ფრანკიას, რითაც დასაბამი მიეცა ორი განსხვავებული და მეტოქე ერის ფრანგებისა და გერმანელების ჩამოყალიბებას. აღმოსავლეთ ფრანკიას მაშინვე ეწოდა **გერმანია**.

X საუკუნეში საქსონიიდან დასაბამს იღებს ოტონების დინასტია. 919 წელს საქსონელი ჰერცოგი ჰაინრიხ I, თავისი პერების მიერ არჩეული იქნა გერმანიის მეფედ; მან მოახდინა ლოთარინგიის ანექსია და დაიქვემდებარა ბურგუნდია. მისი ვაჟი ოტო I დიდი 936 წელს გერმანიის მეფე გახდა, 951 წელს კი ჩრდილოეთი იტალიის მეფე. 962 წელს რომის პაპს თავი იმპერატორად აკურთხებინა და **დააარსა გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია.**

2. 962 წლიდან დიდი უმეფობის ხანის დასრულებამდე (1273)

ოტონების დინასტია გერმანიაში 919-1020 წლებში მეფობდა, შემდეგ ის ფრანკონიიდან ნამოსული სალიინების დინასტიით (1024-1125) და შვაბიიდან ნამოსული შტაუფენების დინასტიით შეიცვალა (1152-1250).

საღვთო რომის იმპერია ამ პერიოდში მოიცავდა გერმანიის და იტალიის სამეფოებს, ხოლო 1032 წლიდან ბურგუნდიას. გერმანიის სამეფო ამ პერიოდში ოთხი დიდი გერმანული საჰერცოგოსგან შედგებოდა (საქსონია, ფრანკონია, შვაბია, ბავარია) რომელთაც შეიძლება დაემატოს თიურინგიის სალანდგრაფო და ნაწილობრივ ალოგენური მხარეები – დასავლეთით ლოთარინგია, ვასალურ მდგომარეობაში მყოფი ჩეხია და აღმოსავლეთით მარკები.

ჩრდილოეთით მდებარე **საქსონია** გადაჭიმული იყო რაინიდან ელბამდე, იუტლანდიდან თიურინგიამდე. მინა, რომელიც ოტონების დინასტიას ეკუთვნოდა, XII საუკუნის დასაწყისში ველფების დინასტიის ხელში გადავიდა, რომელიც შემდგომში 1180 წელს ფრიდრიხ ბარბაროსამ დაანაწევრა და ველფების წარმომადგენელს ჰაინრიხ ლომს მხოლოდ ქვემო საქსონია დაუტოვა (მომავალი ბრაუნშვაიგი და ჰანოვერი), ხოლო დანარჩენი ნაწილი – ზემო საქსონია ასკანიების დინასტიას გადაეცა.

ცენტრში, **ფრანკონია** მოიცავდა რაინის და მაინის შუა აუზებს. ოტო დიდის დროებითი მეფობის შემდეგ ქვეყანა ნელ-ნელა დანაწევრდა. მინა, რომელიც თავიდან სლავებს ეკუთვნოდა დაქუცმაცდა და წარმოიშვა რაინის პფალცი სხვა პფალცებთან ერთად, რომელიც 1215 წელს ვიტელსბახებს გადაეცა,

სამხრეთ-დასავლეთით **შვაბია** მოიცავდა რაინისა და დუნაის შუა აუზებს. ძველი ალემანების ეს სამფლობელო სხვადასხვა ჰერცოგს ეკუთვნოდა, სანამ 1080-1268 წლების პერიოდში შტაუფენების ხელში არ გადავიდა. მოგვიანებით კი დანაწევრდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთით დუნაის აუზზე ჩეხეთის მთებსა და ალპებს შორის გადაჭიმული იყო **ბავარია**. ველფები იქ 1070-1180 წლებში მეფობდნენ. შემდეგ ჰაინრიხ ლომმა ის დაკარგა პფალცის გრაფის, ოტო ვიტელსბახის სასარგებლოდ, რომლის შთამომავლებიც მას 1918 წლამდე მართავდნენ. მართალია, ბავარიის ტერიტორია თავიდან შედარებით მცირე იყო, მაგრამ ის ერთადერთია ოთხი თავდაპირველი საჰერცოგოდან, რომელიც საუკუნეებს გადაურჩა.

აღმოსავლეთისკენ **თიურინგია**, ძველი მარკა, XI საუკუნის დასაწყისში ვინმე ლუდვიგ წვეროსანის, ლუდოვინგების დინასტიის დამაარსებლის ნაწილობრივ მფლობელობაში იყო, რომლის შვილიშვილიც ლუდვიგ I თიურინგიის ლანდგრაფი

გახდა. დინასტია, რომელსაც მინები ჰესენშიც ჰქონდა, 1247 წლამდე მართავდა. ეს არის თარიღი, როდესაც უკანასკნელი ლანდგრაფი ჰენრიხ რასპონი (უნგრეთის დედოფლის წმინდა ელისაბედის მაზლი) მემკვიდრის გარეშე გარდაიცვალა. მისი ორი და ერთმანეთს ეცილებოდა მემკვიდრეობას და საბოლოოდ თიურინგია გადავიდა იუდიტის ვაჟის მაისენის მარკგრაფის ხელში, ხოლო ჰესენის მინები ჰაინრიხს გადაეცა, რომელიც ბრაბანტის ჰერცოგის სოფიას ვაჟი იყო. მან დასაბამი მისცა ჰესენის სალანდგრაფოს.

შედარებით აღმოსავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე **მარკები** გერმანიას სლავებისგან იცავდა. **ბრანდებურგის** მარკა XII საუკუნის შუა პერიოდში შექმნა ალბერტ დათვმა, ასკანიის გრაფმა, ჩრდილოეთი მარკის (ძველი მარკის), რომელიც იმპერატორ ლოთერისაგან ჰქონდა მიღებული 1133 წელს და ლაუზიცის მარკის ბაზაზე, რომელიც 1142 წელს მიიღო. მისი შთამომავლები ასკანიები იქ 1320 წლამდე მეფობდნენ; 1180 წელს მათ ზემო საქსონიაც მიიერთეს.

მაისენის მარკა ელბაზე, ლაუზიცის სამხრეთით 980 წელს დაარსდა, შემდეგ 1127 წელს ვეტინების სახლს გადაეცა. მისგან იღებს სათავეს საქსონიის საკურფიურსტო.

მაისენის სამხრეთით მდებარეობდა ჩეხეთის სამეფო, სლავური სახელმწიფო, სადაც პრემისლიდები მეფობდნენ, რომლებიც X საუკუნიდან მოყოლებული გერმანელი მეფეების ვასალები იყვნენ. უფრო სამხრეთით, აღმოსავლეთის მარკა, იგივე **ავსტრია** ბაბენბერგების ხელში იყო, რომლებმაც ის შტირიის, კრაინის და კარინტიის ხარჯზე გაზარდეს (იხ. თავი ავსტრია).

საპერცოგოების დასავლეთით მდებარე **ლოთარინგიის** ძველი სამეფო 959 წლიდან დაყოფილი იყო ქვემო ლოთარინგიის საპერცოგოდ, იგივე ლოთერი, რომელიც მოგვიანებით თვითონაც დანაწილდა პატარა სახელმწიფოებად (ბრაბანტი, ენო, ლუქსემბურგი, ლიმბურგი, ჰოლანდია, გელდრენი, ფრიზია და ა.შ) და ზემო ლოთარინგიის საპერცოგოდ, იგივე ლორენი, რომელიც 1048 წელს გადაეცა ეერარ ალზასელს, რომლის შთამომავლებიც ლორენში 1737 წლამდე მეფობდნენ.

პირველი სამი დინასტიის იმპერატორები დიდ ძალისხმევას ხარჯავდნენ ერთიანი მონარქიის შესაქმნელად, რაც მათ პაპებთან დაუსრულებელ კონფლიქტებში ითრევდა ეკლესიის ინვესტიტურასთან დაკავშირებულ საკითხების და ევროპაში, კერძოდ კი იტალიაში პირველობის მოსაპოვებლად. გამოიმდინარე იქიდან, რომ იმპერატორები იტალიას მეტისმეტ ყურადღებას უთმობდნენ და გერმანიის საქმეებს გულგრილად ეკიდებოდნენ, მათი ვასალები ცდილობდნენ მათი ბატონობისაგან განთავისუფლებას. ამასთან ერთად, დაიწყო აღმოსავლეთის სლავებისგან გამიჯვნის პოლიტიკა. მეათასე წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა უნგრეთისა და პოლონეთის ქრისტიანული სამეფოები, რაც სტაბილიზაციის ფაქტორი გახდა. ამას მოჰყვა პოლონეთსა და ბრანდებურგს შორის არსებული სივრცის გერმანიზაცია სამი ფორმით: გერმანული კოლონების განლაგება, საღვთო რომის იმპერიაში შემავალი **მეკლენბურგისა** და **პომერანიის** მმართველი სახლების გერმანიზაცია, **სილეზიის** დაქვემდებარება, რომლებიც XI საუკუნიდან პოლონეთისაგან გამოყოფილი იყო.

ფრიდრიხ II შტაუფენის გარდაცვალების შემდეგ იწყება დიდი უმეფობის ხანა (1250-1273). ეს ძალიან არეული პერიოდი იყო, რომლის დასრულების შემდეგ იმპერატორად არჩეული იქნა ჰაბსბურგების სახლის პირველი წარმომადგენელი რუდოლფ I.

3. 1273 წლიდან ვესტფალიის ზავამდე (1648)

კურფიურსტებმა ისარგებლეს ხანგრძლივი უმეფობის პერიოდით და თავის სასარგებლოდ საბოლოოდ მოიპოვეს იმპერატორის არჩევნების მონოპოლია, რითაც იმპერატორები დაავალდებულეს; 1356 წელს ოქროს ბულით კურფიურსტების რიცხვი შვიდით განისაზღვრა და ეს შემადგენლობა თითქმის სამი საუკუნის მანძილზე არ შეცვლილა. (იხ. დამატება საღვთო რომის იმპერიაზე)

1438 წლამდე საკურფიურსტოები იმპერატორს მონაცვლეობით ირჩევდნენ სამი საიმპერატორო სახლიდან: ჰაბსბურგების, ვიტელსბახების, ლუქსემბურგე-

ბის. 1438 წლიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე იმპერატორები თითქმის შეუცვლელად ჰაბსბურგები ხდებოდნენ.

იმპერატორები, რომლებმაც თითქმის უარი თქვეს ერთიანი მონარქიის შექმნის პრეტენზიაზე, რადგან შევინროებას განიცდიდნენ მათი იმპერიის როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით გაძლიერებული სამეფოებისაგან და აღარ ერეოდნენ აშკარად იტალიის საქმეებში (თუმცა 1860 წლამდე მათი არაპირდაპირი გავლენა იქ მაინც იგრძნობოდა). ისინი მეტ დროს გერმანიის საქმეებს უთმობდნენ, მაგრამ მათი გავლენა თანდათან სუსტდებოდა ახალი გერმანული სახელმწიფოების რაოდენობის ზრდასთან ერთად, რომელთა ავტონომიის შეზღუდვაც ვეღარასდროს შესძლეს.

მართლაც, იმ პერიოდში, რომელიც დიდი უმეფობის ხანიდან ვესტფალიის ზავამდე გრძელდებოდა გერმანიაში თანდათან წარმოიშვა და შემდეგ კი გაძლიერდა დიდი სახელმწიფოების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც 1789 წლამდე არსებობდნენ და თავისი ძლიერებით ხელს უშლიდნენ იმპერიულ ზრახვებს: ერთი მთავრის გარშემო კონსოლიდირებული საერო სახელმწიფოები, იმპერატორების მიერ შუა საუკუნეებში გულუხვად დაჯილდოებული საეკლესიო სახელმწიფოები (საეპისკოპოსოები, სააბატოები), სიუზერენისაგან განთავისუფლებული თავისუფალი ქალაქები, რომლებიც იმპერატორთან უშუალო კავშირით სარგებლობდნენ. საბოლოო ჯამში იქმნებოდა სიმბოლურად გაერთიანებული დიდი თუ მცირე სუვენერული ერთეულების მოზაიკა, რომელიც ძალიან სუსტად აკავშირებდა იმპერიის ინსტიტუტებს. (იხ. დამატება საღვთო რომის იმპერია).

ამასთანავე, მაშინ როცა ჰაბსბურგების მამულები დროთა განმავლობაში ახალი "მამკვიდრეობითი" დომენების მიღებით იზრდებოდა, როცა XVI საუკუნის დასაწყისში კარლ V-მ იმპერიას ესპანეთი და ახალი სამყარო მიუმატა, მათ ძალაუფლების მწვერვალის მიღწევის იმედი გაუჩნდათ, რაც ჰაბსბურგებს საშუალებას მისცემდა გერმანია დიდ, მოლიან ერთეულად ექციათ, მაგრამ ორმა მოვლენამ: რეფორმაციამ და ოცდაათწლიანმა ომმა სულ ცოტა ასი წლით მაინც დაანგრია ეს იმედები და გერმანიის ხანგრძლივი დაყოფა გამოიწვია.

ლუთერის რეფორმამ გერმანია ორ ბანაკად გაყო და კარლ V, რომელიც ამაოდ ცდილობდა იარაღის ძალით გერმანიის რელიგიური ერთიანობის აღდგენას, იძულებული გახდა ხელი მოეწერა აუგსბურგის ზავისათვის (1555); ამ ზავმა ხანგრძლივი ვადით გაყინა გერმანიის რელიგიური მდგომარეობა პრინციპით cufus regio, cgus religio – რაც ნიშნავდა, რომ თითოეული სახელმწიფოს ხალხს ის რელიგია უნდა მიეღო, რომელსაც მათი მთავარი აირჩევდა.

თუკი საერო სახელმწიფოებში მდგომარეობა გარკვეული იყო, საეკლესიო სახელმწიფოებში იქ, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ლუთერანულ რელიგიაზე გადავიდა (გერმანიის ჩრდილოეთი) საქმე გართულდა; გადაწყდა, რომ მთავრები სიცოცხლის ბოლომდე დარჩებოდნენ მმართველებად, მაგრამ შემდეგ ძალაუფლება პროტესტანტული ადმინისტრაციის ხელში გადავიდოდა. ამის შედეგად საეკლესიო სამთავროები საეროდ გადაიქცა და მთავრებისათვის სახარბიელო ლუკმად იქცა.

დაპირისპირება XVII საუკუნის დასაწყისში დაიწყო, როდესაც ჩეხეთში 1618 წელს იმპერატორის წინააღმდეგ დიდგვაროვან პროტესტანტთა ამბოხი საშინელ ომში გადაიზარდა, რომელმაც გაანადგურა გერმანია; ეს იყო ოცდაათწლიანი ომი. იმპერატორი, რომელსაც კათოლიკური სახელმწიფოების გარკვეული რაოდენობა უჭერდა მხარს, პროტესტანტულ სახელმწიფოებს დაუპირისპირდა; ომში თანდათან ჩაებნენ დანია, შემდეგ შვედეთი და საფრანგეთი პროტესტანტული მხრიდან და ესპანეთი კათოლიკური მხრიდან.

კონფლიქტი 1648 წელს დასრულდა დაპირისპირებული მხარეების დაუძლურების გამო ორი ზავით, მიუნსტერისა და ოსნაბრუკის ზავებით (ვესტფალიის ზავები).

1273 წლიდან 1648 წლამდე პერიოდი საღვთო რომის იმპერიის ტერიტორიების თანდათანობითი შემცირებით ხასიათდება. ბურგუნდიის სამეფო ნელ-ნელა დაიშალა; XIV საუკუნეში საფრანგეთმა მიიერთა ბარუას, ლიონეს, ვიუარეს და დოფი-

ნეს მხარეები, XV საუკუნეში – პროვანსი; 1499 წლის მოვლენების შედეგად შვეიცარია დამოუკიდებელი გახდა; იმპერიაში დარჩა მხოლოდ ფრანშ-კონტე და სიმბოლურად სავოია.

XVI საუკუნეში საფრანგეთმა მიიერთა სამი საეპისკოპოსო დასავლეთით, ხოლო 1581 წელს ჩრდილოეთი ნიდერლანდი განთავისუფლდა ესპანეთის მეფისაგან და შესაბამისად იმპერიის შემადგენლობიდანაც გავიდა.

სამხრეთით, ვენეციის მხრიდან ხმელეთის მიტაცებამ, რაც რატიფიცირებული იყო 1454 წელს, შეავიწროვა საღვთო რომის იმპერიის საზღვრები და მისი გავლენა იტალიაში დღითიდღე უფრო თეორიული ხდებოდა.

4. ვესტფალიის ზავი და მისი შედეგები (1648-1789)

ვესტფალიის ზავს გერმანიის და კერძოდ იმპერიისათვის მძიმე შედეგები ჰქონდა. მან ოფიციალურად დაამტკიცა შეერთებული პროვინციების, შვეიცარიის და სამი საეპისკოპოსოს იმპერიიდან გასვლა; ამას დაემატა ალზასის ნაწილის დაკარგვა, რომელიც საფრანგეთმა დაიპყრო. შვედეთმა მიიერთა პომერანიის ნაწილი და ბრემენისა და ვერდენის ძველი საეპისკოპოსოები, თუმცა ეს პროვინციები საღვთო რომის იმპერიის შემადგენლობაში დარჩა.

ამის შემდეგ, აუგსბურგის ზავის პირობების თანახმად საეროდ გამოცხადებული ძველი საეკლესიო სახელმწიფოების გარკვეული რაოდენობა ანექსირებული იქნა დიდი მემკვიდრეობითი სახელმწიფოების მიერ, რითაც ამ სახელმწიფოებმა იმპერიაში თავიანთი პოზიციები გაიმყარეს. რომის საღვთო იმპერიაში მესამე ოფიციალურ რელიგიად კალვინიზმი გამოცხადდა.

იმპერიაში შემავალმა სახელმწიფოებმა დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების იურიდიული უფლება მიიღეს (ომები, უცხოეთთან კავშირები), ოღონდ იმ პირობით, რომ არ იმოქმედებდნენ იმპერიის წინააღმდეგ. ამით ისინი ნამდვილ სუვერენულ სახელმწიფოებად იქცნენ და ძალაუფლება მხოლოდ იმ უმნიშვნელო საკითხებში ეზღუდებოდათ, რომლებსაც ჯერ ისევ იმპერატორი ნყვეტდა.

თანაც საფრანგეთმა, რომელიც არ შედიოდა იმპერიაში, ამ საკითხებზე გარკვეული ზედამხედველობის პერმანენტული უფლება მოიპოვა. მას რეგენსბურგში თავისი მუდმივი წარმომადგენელი ჰყავდა (სადაც უწყვეტად მუშაობდა დიეტი) და ბევრი სახელმწიფო მიიმხრო იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ისინი მასში ავსტრიის სახლის საპირწონეს ხედავდნენ.

გარდა ამისა, ერთნახევარი საუკუნის მანძილზე, რომელიც 1789 წელს გავიდა, რომის საღვთო იმპერია პარალიზებული მისი ინსტიტუტების არაქმედითობით, თანდათან სუსტდებოდა. ამ ინსტიტუტების არანაირი პოლიტიკური ნება აღარ ხორციელდებოდა.

საფრანგეთი განაგრძობდა თავის ძირგამომთხრელ საქმიანობას და ფლანდრიისა და ლუქსემბურგის ნაწილი მიიერთა, მოახდინა ფრანშ-კომტეს ანექსირება, თავისი დომენი გააფართოვა ალზასში და 1766 წელს ლორენი მიიმატა. ავსტრიის სახლის სასონარკვეთილი გერმანელი იმპერატორები, უპირველეს ყოელისა თავისი ტერიტორიებით იყვნენ დაკავებულნი და მზერა აღმოსავლეთისაკენ ჰქონდათ მიპყრობილი (თურქეთი, პოლონეთი), ამასთანავე, შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ შეეერებინათ გერმანიაში პრუსიის თანდათანობით გაძლიერება.

იმპერიაში ავსტრიის გვერდით მხოლოდ ის რამდენიმე სახელმწიფო იყო ანგარიშგასაწევი ძალა, რომლებმაც ტერიტორიების გაფართოება მოახერხეს: ეს იყო, პირველ რიგში პრუსია, ბავარია, რომელსაც სამი წლით თავისი იმპერატორიც ჰყავდა 1742 წლიდან 1745 წლამდე (ფრიდრიხ VII), საქსონია, რომელიც პოლონეთის და ჰანოვერი, რომელიც ინგლისის გვირგვინს ექვემდებარებოდა.

სხვა სახელმწიფოები არ ფლობდნენ აქტიური პოლიტიკის გატარებისთვის საკმარის რესურსებს (ცოცხალ ძალას და ფინანსებს). ისინი მოჩვენებითი სუვერენულობით კმაყოფილდებოდნენ იმ სამყაროში, სადაც იმპერიის ინსტიტუტები თითქოსდა სამუდამოდ უუნარონი გახდნენ.

ბ. გერმანიის სახელმწიფოების ისტორია

1. ავსტრია. იხ. თავი ავსტრია

2. პრუსია

პრუსიის სამეფოს შექმნა მისი დინასტიის გონიერული და მომთმენი პოლიტიკის შედეგია. ეს დინასტია შვაბიიდან იღებს სათავეს, მას შემდეგ, რაც კონრადმა, რუდოლფ დე ცოლერნის უმცროსმა ვაჟმა 1191 წელს მემკვიდრეობით ნიურბერგის საბურგრაფო მიიღო. ამის მერე კონრადმა ცოლერნის საგრაფო დატოვა, რომელიც შვაბიის უფროს შტოს გადაეცა და მის მფლობელობაში 1789 წელსაც რჩებოდა. კონრადმა საფუძველი ჩაუყარა ფრანკონიის უმცროს შტოს. ნიურბერგის საბურგრაფოს გარდა, რომლის ნევრები მხოლოდ იმპერატორის წარმომადგენლები იყვნენ, ფრანკონიის ხაზმა XIII და XIV საუკუნეებში ანსბახის, ბაიროითის და კულმბახის ახლოს მდებარე მამულები მიიღო.

მაგრამ ამ ხაზის მთავარი სიმდიდრე 1417 წელს იქნა მიღებული, ერთსაუკუნოვანი ანარქიის დასრულების შემდეგ, რაც გამოწვეული იყო მარკგრაფ ალბერტ დათვის ასკანური შთამომავლობის შენყვეტით, რის შემდეგაც იმპერატორმა სიგიზმუნდმა ბრანდებურგის საკურფიურსტო ნიურბერგის ბურგრაფს ფრიდრიხ VI-ს დაუქვემდებარა. ახალი კურფიურსტი ფრიდრიხ I ბრანდერბურგელი ასკანური მემკვიდრეობის მხოლოდ ნანილის მფლობელი გახდა (ძველი მარკა, შუა მარკა, და სხვ), დანარჩენ ნაწილს კი ანარქიული საუკუნის ნყალობით სხვა მთავრები დაეპატრონენ. იგი და მისი მემკვიდრეები დაკარგულის დაბრუნებას შეუდგნენ და 1445 წელს აიღეს კოტბუსი, 1455 წელს ახალი მარკა, 1462 წელს ლაუზიცი.

1473 წელს კურფიურსტმა ალბერტ აქილემ მიიღო *disposition achillea*, კანონი მემკვიდრეობაზე, რომლის მიხედვითაც ბრანდებურგის საკურფიურსტო, ფრანკონიის სამთავროების გამოკლებით, ცხადდებოდა განუყოფელად და პირველშობილი ვაჟის მფლობელობაში გადადიოდა. ამ კანონმა ბრანდებურგს თავიდან ააცილა ტრადიციული დაქუცმაცება, რაც ვერ აიცილეს შუა საუკუნეების გერმანიის სხვა დიდმა სახელმწიფოებმა. აქედან გამომდინარე, ალბერტ აქილეს უმცროსი ძმები ფრანკონიაში, ბაიროითსა და ანსბახში დამკვიდრდნენ, სადაც მათ ბრანდებურგ-ჰოენცოლერნების ფრანკონიის შტოებს მისცეს დასაბამი.

ამ სახლის ახალი აღმავლობა 1511 წელს დაიწყო ალბერტ ბრანდერბურგელ-ანსბახის დანიშვნით ტევტონური ორდენის ხელმძღვანელად; ამ უკანასკნელმა მიიღო ლუთერანობა, 1525 ნელს თავის სასარგებლოდ საეროდ გამოაცხადა აღმოსავლეთი პრუსია – ამ ორდენის ბოლო მფლობელობა პრუსიაში; პრუსიის ეს ახალი საჰერცოგო პოლონეთის სუზერენობის ქვეშ დარჩა.

ბრანდებურგის საკურფიურსტოს შტო თავად დაექვემდებარა რეფორმას 1539 წელს და 1598 წელს საერო გახადა ბრანდებურგის, ჰაფელბერგის და ლებუსის საეპისკოპოსოები. 1603 წელს არსებობა შენყვიტა ფრანკონიის უმცროსმა შტომ, მაგრამ მისი სამფლობელოები კურფიურსტ იოაკიმ-ფრიდრიხის ორი უმცროსი ძმის მფლობელობაში რჩებოდა, რომელთა შთამომავლები ფრანკონიაში XVIII საუკუნემდე იყვნენ (იხ. ქვემოთ ბაიროითი და ანსბახი).

1618 წელს პრუსიული ხაზის შენყვეტის შემდეგ პრუსიის საჰერცოგო ბრანდებურგის მარკას შეუერთდა, თუმცა საალვთო იმპერიის მიღმა რჩებოდა და კვლავ პოლონეთის ვასალი იყო (1657 წლამდე); ამით კურფიურსტის სამფლობელოები გაორმაგდა.

იმავე პერიოდში, როდესაც ხუთი ნლის განმავლობაში მიმდინარეობდა "იულიხების მემკვიდრეობის საქმე" კურფიურსტმა იოან-სიგიზმუნდ ბრანდებურგელმა მიიღო მემკვიდრეობის ნახევარი (კლევე, მარკა, რავენსბერგი), მაშინ როცა მეორე ნახევარი (ბერგი, იულიხი, რავენშტაინი) ნოიბურგის პფალცის გრაფს გადაეცა; ამგვარად ბრანდებურგის კურფიურსტმა პირველი ნაბიჯი გადადგა დასავლეთ გერმანიისკენ.

კურფიურსტი ასევე იყო პომერანიის საჰერცოგოს მემკვიდრე, რომლის ბოლო სუვერენი ვენდე 1637 წელს გარდაიცვალა. მაგრამ შვედებს ქვეყანა 1630 წლიდან

ეკავათ. ეს მათი ინტერვენციის თარიღია ოცდაათნლიანი ომის დროს. ვესტფალიის ზავის შესაბამისად (1648 წელი) ბრანდებურგის კურფიურსტს შვედეთისთვის მისი დასავლეთის ნახევარი უნდა დაეთმო (აქეთა პომერანია) და თავის მფლობელობაში დაეტოვებინა აღმოსავლეთის ნახევარი (იქეთა პომერანია). კომპენსაციის მიზნით კურფიურსტი საეროდ გადაქცეულ სამ საეპისკოპოსოს ღებულობდა: მინდენს, ჰალბერშტადტს, კამინს და შეპირებულ მაგდებურგის საარქიეპისკოპოსოს (რეალურად მიღებული 1680 წელს, ოთხი საქსონური საბაიოს გარდა: კერფურტი, დამე, იუტერბოგი და ბურგი, რომელთა რიცხვიც სამამდე შემცირდა 1687 წელს ბურგის ანექსირების შემდეგ).

ბრანდებურგი კიდევ უფრო გაიზარდა 1657 წელს პოლონეთის მფლობელობაში მყოფი სამფლობელოებით: ლაუენბურგი, ბუტროვი, დრაჰაიმი, 1686 წელს შვიბუსის ოლქით, 1691 წელს ტაუროგენით (სამოჟიტიე) და სერეით (ლიტვა), 1697 წელს პეტერსბერგით, 1699 წელს ჰოენშტაინის საგრაფოს ნაწილით.

1700 წელს ესპანეთის მემკვიდრეობის საქმეში ავსტრიისთვის მხარდაჭერის სანაცვლოდ კურფიურსტ ფრიდრიხ III-მ იმპერატორისგან პრუსიის სამეფო გვირგვინი მიიღო (იმპერიის ფარგლებს გარეთ) და 1701 წლის იანვარში თავი პრუსიის მეფედ გამოაცხადა.

1702 წელს ვილჰელმ ორან-ნასაუს უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ, ინგლისის მეფემ და შეერთებული პროვინციების შტატგალტერმა მეფე ფრიდრიხ I-მა მოიპოვა მისი ვესტფალიის საგრაფოები პრუსიაში ლინგენი და მერსი.

1707 წელს პრუსიამ მიიღო ტეკლემბურგის საგრაფო და ნეშატელის სამთავრო, 1713 წელს ზემო-გელდრენის უმეტესი ნაწილი (მანამდე ესპანეთის მფლობელობა) და 1720 წელს აქეთა პომერანიის სამხრეთის ნახევარი (შეტინი), რომელიც შვედეთმა დათმო.

ბოლოს, ფრიდრიხ II დიდის მეფობის დროს (1740-1786) პრუსიას მიემატა გლაცის საგრაფო (1741) და სილეზიის უმეტესი ნაწილი (1742), რომელიც ბოჰემიის სამეფოს წაართვა ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ომის დროს, ასევე ოსტფრიზის სამთავრო (1744) მისი შმართველი ხაზის შეწყვეტის შემდეგ. სწორედ ამ პერიოდში იმპერატორმა კარლ VII (ვიტელსბახების საგვარეულოდან) ფრიდრიხს პრუსიის მეფის ტიტული უბოძა.

1772 წელს მეფე ფრიდრიხ II-ძ რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II და მარია ტერეზია დაითანხმა პოლონეთის მესამედის პირველ განანილებაზე, რომლის თაობაზე შეთანხმებაც სანკტ-პეტერბურგში გაფორმდა სამ სამეფოს შორის.

პრუსიამ მიიღო პოლონეთის 33 000 კმ² და 700 000 კაცი:

– პოლონური, იგივე სამეფო პრუსია: ვარმის საეპისკოპოსო, სამი სავოევოდო – პომერელია, კულმი და მარიენბურგი, ქალაქების თორნისა და გდანსკის გამოკლებით;

– დიდი პოლონეთის ჩრდილოეთი ნაწილის ოლქები; პოზნანისა და გნეზენის სავოევოდოების ჩრდილოეთის ნახევარი, ინოვროცლავის დასავლეთის ნახევარი.

ანექსირებული სამეფო პრუსია დასავლეთი პრუსიის ახალი პროვინცია გახდა (ელბინგი) ვარმის საეპისკოპოსოს გამოკლებით; დასავლეთ პრუსიაში გაერთიანდნენ ლაუენბურგი, ბუტროვი, დრაჰაიმი; რაც შეეხება ვარმის საეპისკოპოსოს, რომელიც ყოფილ პრუსიის საჰერცოგოში იყო ანკლავირებული, მიუერთდა მას და მათ ერთიანობას ახალი სახელი აღმოსავლეთი პრუსია ენოდა (კენიგსბერგი). დიდი პოლონეთისა და კუიავიის ჩრდილოეთ ოლქებმა შექმნეს პრუსიის ახალი ოლქი ნეტცე (ბიდგოშცი).

1780 წელს მანსფელდის საგრაფო სახლის სამემკვიდრეო ხაზის შეწყვეტის შემდეგ მისმა ორმა სუზერენმა (პრუსიამ და საქსონიის საკურფიურსტმა) საგრაფო გაინაწილა.

პრუსიის მეფემ ორჯერ დაუჭირა მხარი ცვაიბრუკენის ჰერცოგს (1778 და 1785) ბავარიის მემკვიდრეობის საქმეში იმპერატორ იოზეფ II-ის პრეტენზიების მიუხედავად. 1778 წელს მის მიერ ნარმოებული ომი ავსტრიის წინააღმდეგ დასრულდა ტეშენის ზავით (1779). რაც შეეხება ფრიდრიხ I-ს, საკომპენსაციოდ პრუსიას ბრანდებურგის სამარკგრაფოები ბაიროითი და ანსბახი გადაეცა.

3. ბავარია-პფალცი

ბავარია და პფალცი ძალიან ძველი გერმანული დინასტიის ვიტელსბახების სახლის მფლობელობა იყო. ბავარიის საჰერცოგო 1810 წელს გადასცა ამ სახლს იმპერატორმა ფრი.დრიხ I ბარბაროსამ. 1215 წელს პფალცი თავის მხრივ ლუდვიგ ბავარიელს გადაეცა იმპერატორ ფრიდრიხ II-ის მიერ.

1294 წელს ორი სამფლობელო ჰერცოგ ლუდვიგ II მკაცრის ორ ვაჟს შორის განაწილდა: უფროსმა რუდოლფმა პფალცი მიიღო, დაფუძნდა ჰაიდელბერგში და დასაბამი მისცა უფროს შტოს (პფალცის ანუ რუდოლფის ხაზს); უმცროსმა ლუდვიგმა ბავარიის საჰერცოგო მიიღო, მიუნჰენში დამკვიდრდა და მისგან დაინყო უმცროსი შტო (საჰერცოგოს ანუ ლუდვიგის ხაზი). პავის ხელშეკრულების უგულებელყოფით (1329), რომელიც საკურფიურსტოს მონაცვლეობით მართვას ითვალისწინებდა, 1356 წლის ოქროს ბულით მმართველობა პფალცის ხაზს დაუმტკიცდა.

ა) პფალცის ანუ რუდოლფის ხაზი

პფალცის ხაზმა, რომელიც XVI საუკუნეში კალვინიზმზე გადავიდა დასაბამი მისცა შვიდ შტოს: ჰაიდელბერგის, ზიმერმანის, ნოიბურგის, ზულცბახის, ცვაიბრიუკენის, ბირკენფელდის, ფელდენცის.

ჰაიდელბერგის უფროსი შტო 1559 წელს შეწყდა და საკურფიურსტოს მმართველობა ზიმერმანის შტოზე გადავიდა. ამ უკანასკნელმა გააერთიანა ზიმერმანის საგრაფო და ზემო პფალცი. ოცდაათწლიანი ომის დროს მისი წარმომადგენელი ფრიდრიხ V, ბოჰემიის „ზამთრის მეფე" (1619) დამარცხდა (1620), დაკარგა პფალცი (1621) და შემდეგ კურფიურსტის ტიტული თავისი ბავარიელი ბიძაშვილის სასარგებლოდ. ვესტფალიის ზავით (1648) მისმა ვაჟმა კარლ-ლუდვიგმა დაიბრუნა კურფიურსტის ტიტული და ქვემო პფალცი. კარლ-ლუდვიგის ვაჟის, კარლის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების (1685), პფალცის ბრძოლის ეპიზოდის შემდეგ (პფალცის მმართველის ასული, ლუი XIV-ის რძალი, კარლ-ლუდვიგის და იყო) რაინის პფალცი ნოიბურგის შტოს გადაეცა.

ნოიბურგის შტოს თავის საკუთრებაში ჰქონდა ნოიბურგის საგრაფო, რომელიც განაწილებული იყო დუნაიზე (ნოიბურგის და რეგენსბურგის გარშემო). იულიხის ჰერცოგის გარდაცვალების შემდეგ, „იულიხის მემკვიდრეობის" საკითხმა იმპერატორ რუდოლფ II-ს დაუპირისპირა მემკვიდრეობის ორი ძირითადი კანდიდატი ბრანდენბურგის კურფიურსტი და ნოიბურგის გრაფი, ორივეს საფრანგეთის მეფე ჰენრი IV უჭერდა მხარს; ომის სიმულაციის შემდეგ მემკვიდრეობა გაიყო და ნოიბურგის გრაფი ხელახლა კათოლიკე გახდა, მან გააერთიანა ბერგი და იულიხი, ასევე ბრაბანსონის და რავენშტაინის სამთავროები.

1685 წელს პფალცის მიღების შემდეგ ნოიბურგის გრაფმა მისგან კათოლიკური საკურფიურსტო შექმნა და ის საკუთარ სამფლობელოებს შეუერთა. 1708 წლიდან 1714 წლამდე მას იმპერატორ იოზეფ I-სგან დროებით გადაეცა ზემო პფალცი რომელმაც ის ბავარიის კურფიურსტს ჩამოართვა საფრანგეთის ბანაკში გადასვლის გამო ესპანეთის მემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებით. 1742 წელს ნოიბურგის შტომ არსებობა შეწყვიტა და მისი სამფლობელოები ზულცბახის შტოს გადაეცა, რომელმაც ისინი თავის ზულცბახის მიწებს შეუერთა (ჩრდილოეთი ფრანკონია), მდგომარეობა უცვლელი იყო 1789 წელსაც კურფიურსტ კარლ-თეოდორის დროს, რომელსაც თავადაც არ ჰყავდა მემკვიდრე.

ცვაიბრუკენის შტო, რომელმაც 1694 წელს ველდენცის შტოს მემკვიდრეობა მიიღო და შვედეთს მისცა მეფეები კარლ X-დან XII-მდე, 1789 წლამდე მართავდა ცვაიბრუკენს და ბირკენფელდს და არ კარგავდა პფალცის მიღების იმედს.

ბ) ჰერცოგის ანუ ლუდვიგის ხაზი

ჰერცოგის ხაზი პფალცის ხაზის საპირისპიროდ ყოველთვის კათოლიკური ეკლესიის ერთგული იყო, რის წყალობითაც მან ოცდაათწლიანი ომის დროს, 1623 წელს კურფიურსტის წოდება მიიღო და 1628 წელს პფალცის ხაზს ჩამომორებული

პფალცი გადაეცა მფლობელობაში. 1648 წლის ვესტფალიის ზავის პირობების შესაბამისად ჰერცოგმა მაქსიმილიან I-მა პფალცის ხაზს ქვემო პფალცი და კურფიურსტის ნოდება დაუბრუნა, თვითონ დაიტოვა ფრანკონიის ზემო პფალცი და მერვე კურფიურსტის ტიტულის შემოღებით თვითონაც შეინარჩუნა ეს ნოდება, თუმცა აღნიშნული იყო, რომ ორი შტოს გაერთიანების შემთხვევაში ეს ტიტული გაუქმდებოდა.

1708 წელს ბავარიის ჰერცოგს, რომელიც ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში მხარს უჭერდა საფრანგეთს, იმპერატორმა იოზეფმა ჩამოართვა სამფლობელოები ზემო პფალცთან ერთად და ის პფალცის ხაზს დაუბრუნა. 1714 წელს რაშტადტის შეთანხმებით ჰერცოგმა თავისი ტერიტორიები დაიბრუნა ზემო პფალცის ჩათვლით, რასაც ლაუხტენბერგის სალანდგრაფოც დაემატა.

ბოლოს უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კიოლნის საარქიეპისკოპოსოში თითქმის სისტემატურად იყვნენ ჰერცოგის ხაზის წარმომადგენლები.

1777 წლის 30 დეკემბერში ბავარიის კურფიურსტ მაქსიმილიან-იოზეფის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ, მთელი სამფლობელოები პფალცის კურფიურსტ კარლ-თეოდორს გადაეცა.

იმპერატორ იოზეფ II-მ, გარდაცვლილი კურფიურსტის სიძემ, რომელიც ცდილობდა თავისი დომენების გაზრდას იმ მიზნით, რომ პრუსიისა და რუსეთის გაძლიერება გაეწონასწორებინა, დაარწმუნა კურფიურსტი კარლ-თეოდორი, რომ მისთვის აღმოსავლეთ ბავარიის ნახევარი დაეთმო და მის სასარგებლოდ მემკვიდრეობის გარეშე დაეტოვებინა საკუთარი მემკვიდრე ცვაიბრიუკენ-ბირკენფილდის ჰერცოგი, რაც განხორციელდა კიდეც 1778 წლის 3 იანვრის ხელშეკრულებით.

ცვაიბრიუკენის ჰერცოგმა, რომელსაც მხარს პრუსიის მეფე ფრიდრიხ II უჭერდა ამ ფაქტის გამო 1778 წლის მარტში რეგენსბურგის დიეტში საჩივარი შეიტანა.

1778 წლის ივლისში მორიგების ნარუმატებელი მცდელობის შემდეგ პრუსიის მეფე ავსტრიის ნინააღმდეგ ომში ჩაება: ომი ძალიან დუნედ წარიმართა („კარტოფილის ომი"), რის გამოც საფრანგეთმა და რუსეთმა მომრიგებლის ინიციატივა ადვილად მოიპოვეს.

ზაეი ტეშენში გაფორმდა 1779 წელს. ბავარიამ ავსტრიას დაუთმო ინფიერტალი, ინსა და ძველ საზღვარს შორის მდებარე ტერიტორია.. იმპერატორ იოზეფ II-მ უარი თქვა ბავარიულ მემკვიდრეობაზე, რომელიც კარლ-თეოდორის გარდაცვალების (უმემკვიდრეოდ) შემდეგ ცვაიბრიუკენის ჰერცოგს გადაეცა.

პფალცის კურფიურსტი კარლ-თეოდორი ამიერიდან ფლობდა ბავარია-პფალცს მთლიანად. ვიტელსბახების სამფლობელოებიდან მას მხოლოდ ცვაიბრიუკენის ჰერცოგის სამფლობელო აკლდა.

ვესტფალიის ზავის პირობების შესაბამისად ბავარიის კურფიურსტის ხმა გაუქმდა.

4. ვიურტემბერგი

ვიურტემბერგის საგრაფოები თანდათან ქმნიდნენ თავიანთ სამფლობელოს ნეკარის ზემო დაბლობზე შვაბიაში XII საუკუნიდან XV საუკუნემდე. 1320 წელს მათ თავის დედაქალაქად შტუტგარტი დაასახელეს, შვაბიის გარდა მათ XIV საუკუნეში მიიღეს სამფლობელო ალზასში და მონბელიარდის საგრაფო 1417 წელს. 1495 წელს გრაფი ულრიხ V იმპერატორ მაქსიმილიან I-მა ჰერცოგ ულრიხ I-ად გახადა. XVII საუკუნის დასასრულს ვიურტემბერგის უმცროსმა შტომ ელსის საჰერცოგო მიიღო სილეზიაში ბოჰემიის გვირგვინის სუზერენობის ქვეშ.

საღვთო რომის იმპერიაში შეიქმნა სიტუაცია, როცა ჰერცოგის ძალაუფლება იზღუდებოდა ორი სახელმწიფო ასამბლეით; უფრო მეტიც სუვერენი იყო კათოლიკე, ხოლო მისი ქვეშევრდომები პროტესტანტები.

5. ბადენი

ბადენის მარკგრაფები, რომლებიც რაინის შუანელზე მდებარე სამფლობელოებს მართავდნენ შვაბეთში, ზეპრინგენების ცნობილი სახლის შთამომავლები

იყვნენ და 1052 წლიდან უმცროს შტოს ქმნიდნენ; ბადენის მარკგრაფის ტიტული 1130 წელს გაჩნდა. სხვადასხვა გაყოფის შემდეგ მინები ხელახლა გაერთიანდა მარკგრაფ კრისტოფერ I-ის მმართველობის ქვეშ.

მისი გარდაცვალების შემდეგ, 1527 წელს მამულები ხელახლა გაიყო მის უფროს ვაჟ ბერნარს (ბადენ-ბადენის ხაზის წინაპარი) და უმცროს ვაჟ ერნესტს შორის. ორი შტო ცალ-ცალკე 1771 წლამდე მართავდა. ამ წელს უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა მარკგრაფი ავგუსტ-გეორგ ბადენ-ბადენი.

მის სიკვდილს კვლავ ერთ სამარკგრაფოდ გაერთიანება მოჰყვა, მმართველი მარკგრაფი კარლ-ფრიდრიხი გახდა, რომელმაც მართვა კარლსრუეში გააგრძელა 1789 წელს.

6. ჰოენცოლერნი

ჰოენცოლერნი ზემო ნეკარისა და ზემო დუნაის შესართავებთან მდებარეობდა და ეს გვარმიც აქედან იღებს დასაბამს შუასაუკუნეებში. 1191 წელს გრაფი ღუდოლფ II ცოლერნი (ან ჰოენცოლერნი) ნიურნბერგის ბურგრაფი გახდა მას შემდეგ, რაც ბურგრაფის ერთადერთ ქალიშვილზე იქორწინა. მისი გარდაცვალების შემდეგ (1201), მისმა ორმა ვაჟმა ფრიდრიხ IV-მ და კონრადმა 1227 წელს მამულები გაიყვეს. უმცროსმა ვაჟმა, კონრადმა ნიურნბერგის საბურგრაფო მიიღო და ფრანკონიის უმცროსი შტო სწორედ მისგან იღებს სათავეს, რომელიც შემდგომში განაგებდა ბრანდებურგს და პრუსიას.

უფროსმა, ფრიდრიხ IV-მ ცოლერნის საგრაფო მიიღო შვაბეთის უფროსი ხაზის წინაპარი გახდა. 1529 წელს გრაფმა კარლ I-მა ზიგმარინგენის და ფეპრინგენის საგრაფოები მიიღო მემკვიდრეობით და მამულები მალევე გაუნაწილა თავის ორ ვაჟს ეატენ-ფრიდრიხ IV-ს, ჰოენცოლერნ-ეჰრინგენის სახლის დამაარსებელს და კარლ II-ს ჰოენცოლერნ-ზიგმარინგენის სახლის წინაპარს. ამ ორი სახლის მმართველობა 1789 წელსაც გრძელდებოდა.

7. ფიურსტენბერგი

ფიურსტენბერგის სამთავროს ოჯახის წინაპრები გრაფ ურახები იყვნენ. ფიურსტენბერგებმა საგვარეულო ციხე-სიმაგრე XIII საუკუნეში დააარსეს დუნაის ზემო აუზზე. მათი სხვადასხვა განშტოება პირველად 1559 წელს ფრიდრიხ III-ის პიროვნებაში გართიანდა. მისგან ორი შტო წამოვიდა – კინგინგერტალების და ჰაილიგენბერგების, რომელიც 1716 წელს შენყდა და მთავრის ტიტული (მიღებული 1644 წელს) პირველ შტოს გადაეცა, რომელიც 1789 წელსაც მართავდა

8. თურნ – უნდ - ტაქსისი

თორნ - უნდ – ტაქსის სახლი დასაბამს ლომბარდიაში ბერგამოდან იღებს, XV საუკუნეში მისი წარმომადგენლები ნიდერლანდში დამკვიდრდნენ, სადაც მათ საფოსტო სამსხური დააარსეს. 1615 წელს იმპერატორმა მათიასმა ამ სახლს საფოსტო სამსახურის რომის საღვთო იმპერიაში დაარსება შესთავაზა და მას გრაფის ტიტული უბოძა. მისი წარმომადგენლები იმპერიის საფოსტო მმართველობას მემკვიდრეობით გადაიბარებდნენ. 1754 წელს იმპერატორმა გრაფი რეგენსბურგის დიეტში შეიყვანა.

1785 წელს თორნ – უნდ – ტაქსის გრაფმა ტრუშე-ვალდბურგის საგრაფო, შეერის და ფრიდბერგის სამფლობელოები შეიძინა და იმპერიის სხვა მთავრების მსგავსად, მიწათმფლობელი მთავარი გახდა. მისი ახალი სამთავრო, რომლის დედაქალიქი იყო შეერი დუნაიზე, პოლიტიკურად დანაწევრებულ შვაბიის რეგიონში ჩაჯდა.

9. ბაიროითი და ანსბახი

XIII საუკუნიდან ჰოენცოლერნის მფობელობაში შემავალი ბაიროითის და ანსბახის სამარკგრაფოები ფრანკონიაში მდებარეობდა და ჰოენცოლერნის ფრანკონიის შტოს ეკუთვნოდა, რომელმაც არსებობა 1603 წელს შენყვიტა. ისინი

კურფიურსტ იოაკიმ-ფრიდრიხს გადაეცა და მათ მისი ორი უმცროსი ვაჟი დაეპატრონა. ბაიროითის ხაზის მოსალოდნელი შეწყვეტის პერსპექტივაში პრუსიის მეფე ფრიდრიხ-ვილგელმ I-მა 1723 წელს უარი თქვა ბაიროითის მემკვიდრეობაზე ანსბახის ხაზის სასარგებლოდ. როდესაც 1769 წელს ბაიროითის ბოლო მარკგრაფი გარდაიცვალა, მისი სამფლობელო იმავე წელს ანსბახის სამარკგრაფოს შეუერთდა.

10. საქსონიის საკურფიურსტო

ვეტინების სახლი მაისენის სამარკგრაფოს 1090 წლიდან მართავდა, 1246 წლიდან პლაისს და 1263 წლიდან თიურინგიას; 1423 წელს მან მიიღო საქსონიის საჰერცოგო (ზემო საქსონია) და ასკანური სახლის გაქრობის შემდეგ კურფიურსტის ტიტული. 1485 წელს საქსონიის სამფლობელოები ჰერცოგ ფრიდრიხ კეთილის ვაჟებმა გაიყვეს (გარდაიცვალა 1464 წელს): უფროსმა ერნესტმა მიიღო კურფიურსტის ტიტული და თიურინგია, უმცროსმა ალბერტმა კი მაისენი.

1547 წელს თითქმის მთელი მინა-წყალი ჰერცოგმა მორიც საქსონელმა გააერთიანა (ალბერტენის ხაზი). აქედან მოყოლებული ერნესტის ხაზს მხოლოდ თიურინგიის რამდენიმე სამფლობელო დარჩა, რომლებიც ნელ-ნელა ჩამოყალიბდა საქსონიის საჰერცოგოებად.

უმცროსმა, იგივე ალბერტენის ხაზმა კურფიურსტობა მოიპოვა, ის თანდათან ზრდიდა თავის სამფლობელოებს. მან საეროდ გადააქცია შემდეგი საეპისკოპოსოები: მესებურგი (1561), ნაუმბურგ-ცაიტცი (1564), მაისენი (1581). 1635 წელს მან იმპერატორ ფერდინანდ III-გან ზემო და ქვემო ლაუზიცი მიიღო კერფურტის სამთავროსთან ერთად, რომელიც მაგდებურგს ჩამოეჭრა.

1652 წლს კურფიურსტმა იოან-გეორგ I-მა მამულები თავის სამ ვაჟს გაუნაწილა, მათ საფუძველი ჩაუყარეს სამ შტოს ვაინსელფესის, მერსებურგის და ზაიტცის, რომლებმაც არსებობა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში შეწყვიტეს, რითაც შესაძლებელი გახდა საკურფიურსტოს ხელახალი გაერთიანება.

1659 წელს საქსონიამ მიიღო ბარბის საგრაფო. 1660 წელს მან მიიღო ჰენებერგის საგრაფოს მემკვიდრეობის ნაწილი (შლოიზინგენი, ზული). 1697 წელს კურფიურსტმა ფრიდრიხ-ავგუსტ I-მა კათოლიკობა მიიღო იმისთვის, რომ პოლონეთის მეფე გამხდარიყო და ვალდებულება აიღო არ შეხებოდა საქსონიის საეკლესიო ტერიტორიებს და საიმპერეტორო დიეტში შეენარჩუნებინა პროტესტანტული პარტია (*corpus evangelicorum*).

1780 წელს გრაფ მანსფელდების ხაზის შეწყვეტის შემდეგ პრუსიამ და საქსონიამ გაინაწილეს საგრაფო. საქსონიამ შეიერთა მანსფელდის საგრაფოს დასავლეთის ნახევარი (აისლებენი).

11. თიურინგია

მას შემდეგ, რაც შუა საუკუნეებში თიურინგია პოლიტიკურად გამთლიანდა, ის 1547 წლიდან ნელ-ნელა დანაწილდა სხვადასხვა სახლის სუვერენს შორის. მისი დანაწევრება პირველშობილობის პრინციპით მამულების გადაცემის დაგვიანებით შემოღების შედეგი იყო (ხშირად მხოლოდ XVIII საუკუნეში).

საქსონიის საჰერცოგოს მრავალი დაყოფის შემდეგ, რასაც სხვადასხვა შტოს არსებობის შეწყვეტა და კვლავ გაერთიანება მოჰყვა, 1660 წელს მაინინგენის საჰერცოგის შემატების შემდეგ, საქსონიის ერნესტის ხაზის სამფლობელოების მდგომარეობა სტაბილური გახდა 1710 წელს ხუთ საჰერცოგოდ გადანაწილების შედეგად: საქსენ-ვაიმარ-აიზენახი, საქსენ-გოთა-ალტენბურგი, საქსენ-ჰილდბურგ-ჰაუზენი, საქსენ-კობურგ-ზაალფელდი, საქენ-მაინინგენი.

შვარცბურგების სახლი XI საუკუნიდან ფლობდა სამფლობელოებს, რომლებიც გეოგრაფიულად დანაწილებული იყო ზემო (ზალეს და ილმის ზემო აუზები) და ქვემო (ინშრუტის და ვიპერის აუზები) სამფლობელოებად, რომლებიც თიურინგიის სხვა მიწებისგან გამოყოფილი იყო თიურინგიის საქსონური ოლქით. ამ ორი სამფლობელოდან თითოეული ფაქტობრივად 1552 წლიდან განაწილებული იყო

შვარცბურგის სახლის ორ დარჩენილ შტოს შორის: ზონდერსჰაუზენის და რუდოლშტადტის.

როისების სახლი ასევე XI საუკუნიდან ფლობდა იმ სამფლობელოებს, რომლებიც 1535 წლიდან მოყოლებული ხშირად გადადიოდა უფროსიდან შუათანა და უმცროს ხაზებზე. როდესაც 1616 წელს მეორე ხაზმა არსებობა შეწყვიტა, სამფობელოები ორ შტოს შორის ნაწილდებოდა. უფროსი 1763 წელს ერთ საგრაფოდ გაერთიანდა, რომელიც 1778 წელს როის-გრაიცის სამთავროს რანგში ამაღლდა; უმცროსი, როის-გერა 1789 წელს კვლავაც ოთხ საგრაფოდ იყო განაწილებული: გერა, შლაიცი, ებერსდორფი, ლობენშტაინი.

12. ანჰალტი

ანჰალტების სახლი ასკანური დინასტიის ერთი შტოს წარმოადგენდა, რომელიც საქსონიასა და ბრანდებურგს მართავდა. ცენტრისგან მოშორებული სამფლობელოების გარდა (იეფერი, ჰოლეცაპელი, შაუმბურგი), ანჰალტის ძირითადი ტერიტორია (ბალენშტედტი, ბერნბურგი, კოეტენი, დესაუ, ცერბსტი) განფენილი ელბის, ზალეს, მულდეს დინებებზე XVI საუკუნიდან უცვლელი რჩებოდა, მაგრამ რეგულარულად ნაწილდებოდა შიდა მფლობელებს შორის მემკვიდრეობის შეცვლის მიხედვით.

XVI საუკუნეში სამფლობელოები ერთი მთავრის იოაკიმ-ერნესტის მმართველობის ქვეშ მოექცა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ (1586) სამთავრო ოთხ შტოდ გაიყო: ცერბსტი, დესაუ, კოეტენი, ბერნბურგი. ის 1789 წელსაც დანაწილებული იყო. ბოლოს, 1667 წელს გრაფ ოლდენბურგების უფროსი ხაზის შეწყვეტის შემდეგ, მთავარი ანჰალტ-ცერბსტი შორეულ იეფერის სამფლობელოს დაეპატრონა.

13. შვედეთის პომერანია

პომერანია, „ზღვასთან მდებარე ქვეყანა" ბალტიის ზღვის გაყოლებაზე, ოდერის შესართავის ორივე მხარეს მდებარეობდა. 1062 წლიდან 1637 წლამდე ამ სლავურ საჰერცოგოს ბოგუსლავიდების დინასტია მართავდა, რომელიც XII საუკუნეში გაქრისტიანდა და 1181 წელს იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, 1227 წელს კი მარკგრაფ ბრანდებურგის სუზერენობის ქვეშ მოექცა. 1637 წელს ბოგუსლავ XIV-ის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ საჰერცოგო ბრანდებურგს უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ 1630 წლიდან ის შვედეთის ჯარმა დაიკავა (ოცდაათწლიანი ომი).

ვესტფალიის ზავით (1648), კურფიურსტის პროტესტის მიუხედავად მას მხოლოდ აღმოსავლეთი, აქეთა პომერანია ერგო; დასავლეთი ნაწილი, იქეთა პომერანია გაზრდილი შეტენით და კუნძულ რუგენით შვედეთს ხვდა წილად. 1720 წელს სტოკჰოლმის ზავით შვედეთი იძულებული გახდა ბრანდებურგისთვის იქეთა პომერანიის სამხრეთის ნახევარი დაეთმო.

14. მეკლენბურგი

მეკლენბურგის სახლი, რომელიც ევროპაში უძველესად ითვლებოდა ვენდების დინასტიას ეკუთვნოდა, რომელიც IV საუკუნიდან იღებს დასაბამს. ეს არის პერიოდი, როდესაც ქვეყანას ვანდალები მართავდნენ. ეს დინასტია და მისი ხალხი საუკუნეების მანძილზე ნელ-ნელა გერმანელი გახდა. XV საუკუნეში საბოლოოდ გაერთიანებული შემდგომში მრავალ შიდა დაყოფას განიცდიდა. 1523 წელს გამოცხადდა ერთიანობის პრინციპი; არავითარი დაყოფა აღარ უნდა მომხდარიყო და მეკლენბურგი ერთ მთელად განიხილებოდა. 1555 წლიდან 1695 წლამდე ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო: მეკლენბუგ-შვერინი და მეკლენბურგ-გუსტროვი.

ოცდაათწლიანი ომის დასრულების შემდეგ (1648) შვედეთმა ორივე ჰერცოგი თავის მმართველობაში აღადგინა და პირველს (შვერინს) შვერინისა და რატცებურგის საეროდ გადაქცეული საეპისკოპოსოები გადასცა, მეორეს (გუსტროვს) მიროვისა და ნემეროვის საბაიოები. სანაცვლოდ მათ უნდა დაეთმოთ ვისმარი, ნოიკლოსტერი და კუნძული პელი.

გუსტროვის ხაზის შეწყვეტის შემდეგ (1695) მისი წილი შვერინს შეუერთდა, რომელმაც საკუთარ შტრელიცის უმცროს შტოს საკომპენსაციოდ გადასცა აღმოსავლეთით შტარგარდის სამფლობელო მიროვთან და ნემეროვთან ერთად, დასავლეთით რატცებურგის სამთავრო (ყოფილი საეპისკოპოსო).

15. ჰოლშთაინი იხ. ქვემოთ ოლდენბურგი და თავი დანია

16. ოლდენბურგი

ოლდენბურგის გრაფების სახლი, რომლის მმართველობაც XI I საუკუნიდან იწყება, XV საუკუნეში გაიყო და მისი უმცროსი ხაზი მართავდა შლეზვიგ-ჰოლშტაინს და დანიას, XVI I I საუკუნეში შვედეთს და რუსეთს. უფროსი ხაზის არსებობა 1667 წელს შეწყდა და ოლდენბურგის გრაფები და დენმეჰორსტები 1675 წლიდან დანიის სახლის მფლობელები გახდნენ (უმცროსი ხაზი, იგივე ჰოლშთაინ-გლუკშტადტები).

იეფერის სამფლობელო 1667 წლიდან მთავარ ანჰალტ-ცერბსტს ეკუთვნოდა, რომელსაც ის უფროსი ხაზის ბოლო გრაფ ოლდენბურგის გარდაცვალების შემდეგ გადაეცა.

კნიპჰაუზენის სამფლობელო 1754 წლიდან ბენტინკის გრაფების სახლს ეკუთვნოდა, რომელიც ამავე დროს ფარელის სამლობელოს ფლობდა.

1544 წლიდან ოლდენბურგის სახლის უმცროსი შტო გაიყო ჰოლშთაინ-გლუკშტადტის სამეფო ხაზად, რომელიც დანიაში და შლეზვიგის ნახევარსა და ჰოლშტაინის ნახევარში მეფობდა და ჰოლშთაინ-გოტროპის საჰერცოგო ხაზად, რომელიც შლეზვიგის და ჰოლშთაინის დარჩენილ ნახევრებს განაგებდა. 1720 წელს დანიის მეფემ შლეზვიგში გოტროპების ნანილი მიიერთა. 1762 წელს რუსეთის ტახტზე ასულმა ჰოლშთაინ-გოტროპის ჰერცოგმა (პეტრე I I I) ნართმეული შლეზვიგის დაბრუნება მოითხოვა, მაგრამ იგი სიცოცხლეს გამოასალმეს; მიუხედავად ამისა, ტერიტორიის მოთხოვნა გააგრძელა მისმა ვაჟმა ერცჰერცოგმა პავლემ, რომელიც ეკატერინე I I -ის ვაჟიც იყო, რაც კოპენჰაგენის ხელშეკრულებით (1767) და ცარსკოე-სელოს შეთანხმებით დაგვირგვინდა.

ერცჰერცოგმა პავლემ მიიღო ოლდენბურგის და დელმენჰორსტის საგრაფოები ჰოლშთაინ-გოტროპის საჰერცოგოს სანაცვლოდ და ეს საგრაფოები ჰოლშთაინ-გლუკშტადსა და შლეზვიგ-გლუკშტადტს შეუერთდა; დანიის მეფის უმემკვიდრეობის შემთხვევაში ორივე საჰერცოგო ჰოლშთაინ-გოტროპის სახლს უნდა დაბრუნებოდა.

1773 წლის 14 იულისს ერცჰერცოგმა პავლემ ოლდენბურგის და დელმენ-ჰორსტის საგრაფოები ლუბეკის ეპისკოპოსს (პროტესტანტი) გადასცა, რომელიც გოტროპ-ოიტინის უმცროსი ხაზის წარმომადგენელი და შვედეთის მეფის ბიძა იყო.

1777 წელს იმპერატორ იოზეფ I I-მ ორი საგრაფო ოლდენბურგი და დელმენ-ჰორსტი ერთ ოლდენბურგის საჰერცოგოდ გააერთიანა, რომლის ჰერცოგიც გაბდა ლუბეკის ეპისკოპოსი მემკვირეობის უფლებით.

17. ჰანოვერი

ველფების ანტიკური სახლი, რომელიც საქსონიის საერცჰერცოგოს განაგებდა, 1180 წლიდან მხოლოდ მის ნანილს ინარჩუნებდა ჰანოვერის, ლუნებურგის და ბრაუნშვაიგის გარშემო, რომელსაც აქედან მოყოლებული უწოდებდნენ ქვემო საქსონიას, მოგვიანებით კი ბრაუნშვაიგისა და ლუნებურგის საჰერცოგოებს.

მრავალი გაყოფისა და გაერთიანების შემდეგ, 1569 წელს ამ სახლმა თავისი სამფლობელოები ორ ხაზს შორის გაანანილა: უფროსი ხაზი (პენრი დე დანებერგი) ცნობილი გახდა ბრაუნშვაიგ-ვოლფენბიუტელის სახელით და ამავე სახელწოდების საჰერცოგოს მართავდა (იხ. ქვემოთ); უმცროსი ხაზი (ვილგელმ დე სელი) ბრაუნშვაიგ-ლუნებურგის სახელით იყო ცნობილი და მართავდა იმ ტერიტორიებს, რომლებმაც XVI საუკუნის ბოლოს ჰანოვერის საკურფიურსტო შეადგინა.

XVII საუკუნის დასაწყისში ბრაუნშვაიგ-ლუნებურგის სამფლობელოები შემოიფარგლებოდა ჰანოვერით, სელით, ლუნებურგით და ჰოიასა და დიფოლცის საგრაფოების უმეტესი ნაწილით. XVII საუკუნის განმავლობაში ლუნებურგის ხაზმა გაზარდა თავისი მამულები მემკვიდრეობით მიღებული გრუბენჰაგენით (1616), გეტინგითა და კალენბერგით (1634), ჰარბურგით (1642) და დანებერგით (1671), რომელიც უფროსმა ხაზმა დათმო. 1680 წელს გამოცხადდა პირველშობილობის პრინციპი და 1698 წლიდან ჰერცოგი გეორგ-ლუდვიგი ლუნებურგის ხაზის სამფლობელოების ერთადერთი სუვერენი იყო.

გარდა ამისა, ვესტფალიის ზავით (1648) ოსნაბრიუკის საეპისკოპოსოს მონაცვლეობით უნდა ჰყოლოდა კათოლიკე და პროტესტანტი ეპისკოპოსები და პროტესტანტი ეპისკოპოსი ბრაუნშვაიგ-ლუნებურგის სახლიდან უნდა ყოფილიყო არჩეული. 1689 წელს საქსენ-ლუნებურგის ჰერცოგების ხაზის შენყვეტის შემდეგ, ბრაუნშვაიგ-ლუნებურგის ჰერცოგმა ლუნებურგის საჰერცოგო და რატცებურგის პატარა საგრაფო მიიერთა (ქალაქთან ერთად).

1692 წელს ბრაუნშვაიგ-ლუნებურგის ჰერცოგმა იმპერატორ ლეოპოლდისგან კურფიურსტის ტიტული იყიდა. 1708 წელს კურფიურსტი გეორგ-ლუდვიგი იმპერიის ხაზინადარი გახდა. 1714 წელს კურფიურსტი გეორგ-ლუდვიგი ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის მეფე გეორგ I გახდა; აქედან მოყოლებული, სუვერენის გარეშე დარჩენილი ჰანოვერი ნელ-ნელა ხდებოდა დიდი ბრიტანეთის დანამატი კონტინენტზე, თუმცა ოფიციალურად ცალკე ერთეულად რჩებოდა (პირადული უნია).

1719 წელს სტოკჰოლმის ზავით ჰანოვერმა შვედეთისგან მიიღო ბრემენის საჰერცოგო (ვილდესჰაუზენის სალანდგრაფოსთან ერთად) და ვერდენის სამთავრო, ორივე ყოფილი საეპისკოპოსო გადაქცეული საეროდ 1648 წელს. 1731 წელს კურფიურსტმა მიიღო ჰადელნი, ლაუენბურგის ყოფილი ანკლავი ბრემენის საჰერცოგოში.

1753 წელს ბენტჰაიმის გრაფმა ფინანსური სირთულეების გამო ჰანოვერის კურფიურსტს ოცდაათი წლით მიაგირავა თავისი საგრაფო. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბენტჰაიმის გრაფმა ვერ დაკმაყოფილა ფინანსური ვალდებულებები და მისი საგრაფო ჰანოვერის საკურფიურსტოს შეუერთდა.

18. ბრაუნშვაიგ-ვოლფენბიუტელი

ბრაუნშვაიგ-ვოლფენბიუტელის საჰერცოგო მაშინ შეიქმნა, როდესაც ველფების სახლმა თავისი სახლი 1569 წელს ორ ხაზს შორის განაწილა: უფროსმა (ჰენრი დანებერგი) მიიღო ეს საჰერცოგო, უმცროსმა (ვილგელმ სელი), რომელიც ცნობილი იყო ბრაუნშვაიგ-ლუნებურგის სახელით მიიღო სამფლობელოები, რომლებმაც მოგვიანებით შეადგინა ჰანოვერი. 1671 წელს უფროსმა ხაზმა უმცროსს დაუთმო დანებერგი და აქედან მოყოლებული ბრაუნშვაიგ-ვოლფენბიუტელმა თავისი საბოლოო ფორმა მიიღო.

19. ლიპე

XIII საუკუნიდან ლიპეს საგრაფოს, რომელიც ვეზერის შუა აუზში მდებარეობდა, ამავე სახელწოდების გრაფების ოჯახი მართავდა. 1720 წელს ის სამთავრო გახდა. 1640 წელს არსებობა შეწყვიტა შომბურგის სახლმა და მისი საგრაფო, რომელიც ლიპეს მეზობლად მდებარეობდა, 1647 წელს გადანაწილდა ჰესენ-კასელის ლანდგრაფსა და ლიპეს უმცროს ხაზს შორის. საგრაფო ჰესენ-კასელის ლანდგრაფის სუზერენობის ქვეშ მოექცა.

20. ვალდეკი

ვალდეკის გრაფები XII საუკუნიდან სამ საგრაფოს ფლობდნენ: ვალდეკის, შვალენბერგის და პირმონტის. როდესაც XIV საუკუნეში მათ საბოლოოდ დაკარგეს შვალენბერგი, XV საუკუნეში დროებით პირმონტი, ისინი იძულებული გახდნენ 1438 წელს ელიარებინათ ჰესენის სალანდგრაფოების სუზერენობა ვალდეკზე,

მაგრამ 1623 წელს პირმონტი დაიბრუნეს. ვალდეკის საგრაფო 1682 წელს სამთავროს რანგში ამაღლდა.

21. ჰესენი

მას მერე რაც ჰესენი ფრანკონიის საჰერცოგოს ნაწილი იყო, შემდეგ თიურინგიის სალანდგრაფოების სამფლობელო, 1263 წელს ის ჰერცოგ სოფია ბრაბანტელის ვაჟს ჰენრი I-ს გადაეცა, რომელმაც ის მისი უმემკვიდრეოდ გარდაცვლილი ძმის, ბოლო ლანდგრაფის ჰენრი რაპსონის მინების განაწილებისას მიიღო. ჰენრიმ ლანდგრაფ ჰენრი I-ის ტიტული მიიღო და ჰესენის სახლი დააარსა.

ჰესენის სახლის სამფლობელოები 1458 წელს გაყოფილი ქვემო ჰესენად და ზემო ჰესენად, XVI საუკუნეში ისევ გაერთიანდა ფილიპე დიდებულის მიერ. 1567 ნელს მისი გარდაცვალების შემდეგ მამულები მისმა ვაჟებმა გაიყვეს, რომელთაც ოთხ ხაზს მისცეს დასაბამი: კასელის (ქვემო-ჰესენი, ზიგენჰაინი), მარბურგის (ზემო ჰესენი, ნიდა), რაინფელსის (ქვემო კატცენელენბონგენი), დარმშტადტის (ზემო კატცენელენბონგენი).

რაინფელსის ხაზმა 1583 წელს შეწყვიტა არსებობა, მარბურგის ხაზმა 1604 ნელს და მათი სამფლობელოები დარჩენილ ორ ხაზს შორის გადანაწილდა. XVI საუკუნის დასასრულიდან ჰესენ-კასელის ლანდგრაფმა ჰოიას (1582) და დიფოლ-ცის (1584) საგრაფოების ნაწილი მიიღო. მას მემკვიდრეობით გადაეცა შმალკალ-დეს სამფლობელო (1583) მას მერე, რაც ჰენებერგის გრაფების ხაზმა არსებობა შეწყვიტა. 1622 წელს ჰესეჰ-დარმშტადტის ლანდგრაფმა თავის უმცროს ძმას ჰომბურგის სამფლობელო დაუთმო, რომელიც ჰესენ-ჰომბურგის სალანდგრაფოს რანგში ამაღლდა.

1640 წელს შაუმბურგის სახლის არსებობის შეწყვეტის შემდეგ ჰესენ-კასელის ლანდგრაფმა შაუმბურგის საგრაფოს ნახევარი მიიღო და აიძულა ლიპეს გრაფი იმ მეორე ნახევრის სუზერენად ელიარებინა, რომელიც მას შეხვდა. 1648 ნელს ვესტფალიის ზავის მიხედვით ჰესენ-კასელის ლანდგრაფმა ჰერსფელდის სააბატო და მიუნსტერის საეპისკოპოსოს რამდენიმე საბაიო მიიღო.

1736 ნელს მემკვიდრის გარეშე გარდაიცვალა ჰანაუს ბოლო გრაფი, რომელიც ჰანაუ-მიუცენბერგის და ჰანაუ-ლიხტენებერგის (გაერთიანებული 1642 ნელს) მინებს მართავდა. 1642 ნლიდან ჰესენ-კასელმა მიიღო ჰანაუს საგრაფოს მიღების გარანტია ამ ხაზის შეწყვეტის შემთხვევაში; მეორე მხრივ, ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფმა ლუდვიგ V-მ ბოლო გრაფის ქალიშვილი შეირთო. ჰანაუს სამფლო-ბელოები ორ ხაზს შორის განაწილდა: ჰესენ-კასელმა ჰანაუ-მიუცენბერგი (ჰანაუ) მიიღო და ჰესენ-დარმშტადტმა ჰანაუ-ლიხტენბერგი (ლიცტენბერგი, პირმაზენი, ვიდშტეტ-ორტენაუ). 1746 ნელს ჰესენ-კასელმა თავისუფალი ქალაქი გელნჰაუ-ზენი მიიღო.

22. ნასაუ

ნასაუს სახლი X საუკუნიდან იღებს დასაბამს. მისი სამფლობელოები ძირი-თადად ცენტრალურ გერმანიაში, ჰესენის რეგიონში მდებარეობდა. ის 1255 წელს დანაწილდა გრაფ ჰენრი მდიდრის გარდაცვალების შემდეგ მის ორ ვაჟს ვალრამსა და ოტონს შორის. ეს ორი ხაზი 1789 წელსაც მართავდა.

ა) უფროსი ან ვალრამის ხაზი

ამ ხაზის მფლობელობას (ვისბადენი, ვაილბურგი, იდშტაინი) დაემატა XIV საუ-კუნეში ზარებრუკი, XV საუკუნეში უზინგენი და ზარვერდენი. ვალრამის შთამო-მავლები საერთო მამულებს იყოფდნენ, რომლებიც 1605 ნელს გაერთიანდა, შემ-დეგ ხელახლა დაიყო ზარებრუკის, იდშტაინის და ვაილბურგის შტოებს შორის. ნასაუ-ზარებრუკის ხაზი თვითონაც სამ შტოდ გაიყო 1640 ნელს: უზინგენი, ზარებრუკი და ოტვაილერი. 1721 ნელს იდშტაინისა და ოტვაილერის შტოებმა არსებობა შეწყვიტეს.

ბ) უმცროსი, ოტონის ხაზი

ოტონის შთამომავლებს საერთო მფლობელობაში ჰქონდათ დილენბურგი, დიცი, ზიგენი, ჰადამარი, ბუტშტაინი, ნასაუ და ემსი. 1544 წელს ოტონის ხაზმა რონაზე მდებარე ორანის სამთავრო მიიღო. ტერიტორიები ერთი მმართველის ვილჰელმ მოხუცის ხელში გაერთიანდა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ ის კვლავ გადანაწილდა მის ვაჟებს ვილჰელმ ახალგაზრდასა (ჩუმი) და იოანეს შორის. ვილჰელმმა მიიღო ორანის სამთავრო, რასაც მიემატა ნიდერლანდის, ფრანშ-კომტეს ქონება და ვესტფალიის საგრაფოები ლინგენი და მერსი, იოანემ ნასაუს მიწები.

1702 წელს ვილჰელმ III-ის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ, (რომელიც ვილჰელმ ჩუმის შთამომავალი და ინგლისის მეფე იყო), პრუსიის მეფე ფრიდრიხ I-მა მიიერთა ლინგენი და მერსი, ხოლო ლუი XIV-მ ორანის სამთავრო და ფრანშ-კომტეს მიწები. ნასაუს მემკვიდრეს იოან-ვილჰელმ ნასაუელ-დიცს მხოლოდ ბატავიის სამფლობელოები და ორანის მთავრის ტიტული შეხვდა.

იოანეს შთამომავლების მიერ შექმნილი შტოები ნელ-ნელა გაქრა: ჰადამარი 1711 წელს, დილენბურგი 1739 წელს, ზიგენი 1743 წელს; ამ პერიოდში ერთადერთმა გადარჩენილმა ნასაუ-დიცის შტომ კიდევ ერთხელ გააერთიანა ოტონის ხაზის გერმანული და ბატავური მიწები. 1747 წელს მისი ნარმომადგენელი ვილჰელმ IV შეერთებული პროვინციების შტატჰალტერი გახდა. ამ ნახევრად სამეფო წოდებამ ოტონის ხაზი სულ უფრო ნაკლებად გერმანული და სულ უფრო მეტად ბატავური გახადა.

23. არენბერგი

არენბერგის ყოფილი ბურგრაფები XV საუკუნეში მარკის გრაფებმა შეცვალეს, შემდეგ 1547 წელს ბარბანსონ-ლიგნეს მფლობელებმა, რომლებიც 1576 წელს იმპერიის მთავრები გახდნენ. 1644 წელს სამთავრო არენბერგის საჰერცოგოს რანგში ამაღლდა.

24. სალმი

სალმის გრაფების უძველესი ოჯახი XI საუკუნეში ორ შტოდ გაიყო.

უფროსი ხაზი სალმის ზემო საგრაფოს ფლობდა ვოგეზებში, უმცროსი ხაზი ქვემო საგრაფოს ლუქსემბურგის საგრაფოში.

საუკუნეების განმავლობაში უმცროსი ხაზი ოთხ შტოდ გაიყო:

– სალმ-რაიფერშიდტ-ბედბური, რომელიც ფლობდა რაიფერშიდტის საგრა-ფოს კელნის არქიეპისკოპოსის სუზერენობის ქვეშ და ბედბურის სამფლობელოს;

– სალმ-რაიფერშიდტი, რომელიც სალმის საგრაფოს ფლობდა ლუქსემბურგში;

– სალმ-რაიფერშიდტ დიკი, რომელიც დიკის სამფლობელოს ფლობდა;

– სალმ-რაიფერშიდტ-ჰაისბახი, რომელიც ჰაისბახის სამფლობელოს ფლობდა ჩეხიაში.

უფროსმა ხაზმა XVI საუკუნეში არსებობა შეწყვიტა. სალმის ზემო საგრაფო (ვოგესებში) ორ მემკვიდრეს შორის განაწილდა. ერთმა თავისი წილი ლოთა-რინგიის სახლს შეუერთა, მეორემ ვილდის რაინსაგრაფოს.

ვილდის რაინგრაფები რაინის ორი ძალიან ძველი სახლის წარმომადგენლები იყვნენ, ვიდგრავების სახლმა არსებობა XV საუკუნეში შეწყვიტა; რაინგრაფებმა, რომლებიც შემდგომში ვილდ-რაინგრაფები გახდნენ, თანამემკვიდრეობის შემდეგ სალმის ვილდ-რაინგრაფები გახდნენ.

ეს ოჯახი შემდგომში ოთხ შტოდ დაიყო: სალმ-სალმი, სალმ-კირბურგი, გრუმბახის ვილდ-რაინგრაფები და რაინგრაფენშტაინის ვილდ-რაინგრაფები. ამ ოჯახის ძირითადი მფლობელობა შემდეგი იყო: სალმის სამთავრო ვოგეზებში; კირბურგის საბაიო ნაეზე; რაინგრაფენშტაინის საგრაფო ნაეზე; გრუმბახის საბაიო გლანზე; სხვადასვა საბაიო ჰუნდსრუკში; ანჰოლტის საგრაფო ვესტ-ფალიაში (რაინის მარჯვენა სანაპიროზე).

25. მაინცი

ეს ძველი რომაული ქალაქი 742 წელს არქიეპისკოპოსის რეზიდენცია გახდა მას შემდეგ, რაც წმინდა ბონიფაცი არქიეპისკოპოსი გახდა. ის გუტენბერგის სამშობლო იყო, ჰქონდა უნივერსიტეტი და ყოველთვის მნიშნელოვან როლს ასრულებდა გერმანიის ისტორიაში. მაინცის არქიეპისკოპოსი რანგით პირველი იყო კურფიურსტებს შორის, ასრულებდა იმპერატორის ნაცვალის როლს იმპერატორის დასვენების პერიოდში და აკურთხებდა იმპერატორებს, იყო ასევე გერმანიის არქიკანცლერი.

26. კიოლნი

ძველი რომაული ქალაქი, ქვემო-გერმანიის ადმინისტრაციული ცენტრი კიოლნი 785 წელს არქიეპისკოპოსის რეზიდენცია გახდა. 957 წლიდან იმპერიის ქალაქი, ის XIV საუკუნეში სრულად განთავისუფლდა თავისი არქიეპისკოპოსის მეურვეობისგან, რომელმაც დატოვა ქალაქი და 1357 წელს შეიქმნა საკურფიურსტო-სამთავრო. კიოლნის არქიეპისკოპოსი კურფიურსტი იტალიის არქიკანცლერი იყო.

27. ტრირი

ძველი რომაული ქალაქი ტრირი პირველი ბელგიის ადმინისტრაციული ცენტრი იყო, შემდეგ გალების დიოცეზი, დიოკლეტიანეს დანაწილების შემდეგ ტრირი არქიეპისკოპოსის რეზიდენცია გახდა VIII საუკუნეში, საკურფიურსტო 870 წელს. ატრირის არქიეპისკოპოს-კურფიურსტი გალიის არქიკანცლერი იყო.

28. ზალცბურგი და ბერხტესგადენი

ყოფილი რომაული კოლონია, ზალცბურგის საეპისკოპოსო VIII საუკუნის ბოლოდან საარქიეპისკოპოსოს რანგში ამაღლდა. 1278 წელს არქიეპისკოპოსი საღვთო რომის იმპერიის მთავარი გახდა; მას რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგიის საეკლესიო ლოჟაში პირველ რიგში ჰქონდა ადგილი. ბერხტესგადენის საპრეფოს დაარსება XIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

29. ვიურცბურგი

ვიურცბურგის საეპისკოპოსოს რანგში აყვანა 741 წელს წმინდა ბონიფაცის დამსახურებაა. მნიშვნელოვანი უნივერსიტეტი იქ 1582 წელს დაარსდა.

30. ჰანზის ქალაქები

ჰანზის ქალაქების რიგში ასახელებენ სამ თავისუფალ ქალაქს: ლუბეკს, ჰამბურგს და ბრემენს. ჩრდილოეთი გერმანიის ეს საპორტო ქალაქები XVIII საუკუნეში შუასაუკუნეების ცნობილი ჰანზის ლიგის ბოლო ნარჩენები იყო.

ეს სავაჭრო ლიგა XIII საუკუნეში ლუბეკსა და ჰამბურგს შორის 1241 წელს დადებული ხელშეკრულების შედეგად შეიქმნა, რომელსაც 1400 წლისთვის ოთხმოცზე მეტი ქალაქი მიუერთდა და ოთხ ნაწილად იყოფოდა: დასავლეთის, იგივე რაინის (ადმინისტრაციული ცენტრი კიოლნი), საქსონიის (ადმინისტრაციული ცენტრი ბრაუნშვაიგი), ვენდეს (ადმინისტრაციული ცენტრი ლუბეკი), აღმოსავლეთის (ადმინისტრაციული ცენტრი დანციგი). მთავარი ადმინისტრაციული ცენტრი ლუბეკი იყო, სადაც ყველაზე ხშირად იკრიბებოდა ლიგის დიეტი.

ჰანზის ლიგა, რომელიც ჩრდილოეთი ევროპის ვაჭრობას აკონტროლებდა, მრავალ პუნქტში ფლობდა თავის წარმომადგენლობას: ლონდონში, ბრუგეში, ბერგენში თუ ნოვგოროდში. სხვადასხვა ქვეყნის გაძლიერებამ და მათმა მცდელობამ მოეშორებინათ ამ ლიგის კომერციული კონტროლი, ის თანდათან დაასუსტა და 1630 წელს ლიგა ბევრმა მისმა ნევრმა ქვეყანამ დატოვა.

სწორედ ამის შემდეგ შექმნა სამმა ქალაქმა ცალკე ლიგა, რომელიც 1789 წელსაც არსებობდა; მაგრამ ჩვეულების მიხედვით მათ ჰანზის ქალაქებად მოიხსენიებდნენ.

31. სხვა სახელმწიფოები

გერმანიაში ბევრი სხვა სახელმწიფო იყო, რომლებიც აქ ჩამოთვლილი არ არის, რადგან ისინი, რომლებიც 1789 წელს ჯერ ისევ არსებობდნენ, თითქმის ყველა გაქრა 1803 წლიდან 1809 წლამდე და მნიშვნელოვანი როლი არ შეუსრულებიათ გერმანიის ისტორიაში 1789 წლიდან დღემდე: მკითხველი მათ ნახავს ამ ნაშრომის ნაწილში „გამქრალი სახელმწიფოები" და სიას მათ შესახებ დამატებაში „საღვთო რომის იმპერია".

II. გერმანია 1789 წელს. სხვადასხვა სახელმწიფოს მდგომარეობა

1. ავსტრია. იხ. თავი ავსტრია

2. პრუსია

XVIII საუკუნის ბოლოსათვის პრუსიის სამეფო იმდენად გაძლიერდა, რომ მთელს ევროპაში ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. პრუსიის მეფე თავისი არმიის სიძლიერით, პრაგმატული გონებით და მოპოვებული ტერიტორიების სიდიდის წყალობით წარმატებით ერეოდა ევროპის, სახელდობრ საღვთო რომის იმპერიის საქმეებში, სადაც ის პირველობას ავსტრიას ეცილებოდა.

თავისი ძალაუფლების გაძლიერებაში პრუსიას დიდი ამბიციები ჰქონდა. ის კონტრასტულ სამფლობელოებს განაგებდა, სადაც, როგორც გერმანელი, ასევე სხვა ერები ერთიანდებოდნენ. მისი პოლიტიკური სტრუქტურაც რთული იყო, იმპერიის პროვინციების გვერდით ის პროვინციები იყო დაჯგუფებული, რომლებიც მასში არ შედიოდა.

პრუსიის მეფე ჰომოგენური სახელმწიფოს შექმნას ცდილობდა, სადაც თანამედროვე ადმინისტრაცია და რელიგიის თავისუფლება იქნებოდა; რაც შეეხება გერმანულ პოლიტიკას, იქ სადაც ავსტრია ტერიტორიების შენარჩუნებას ცდილობდა, პრუსია დაპრობას აწარმოებდა.

ტერიტორიების მიტაცებისადმი პრუსიის ასეთი სწრაფვა იმ პერიოდის დამკვირვებლებს არ გამოჰპარვიათ; ზოგიერთი მათგანი (მაბლი) მას ფილიპეს მაკედონიას ადარებდა, რომელმაც საბერძნეთი დაიპყრო, მაგრამ განათლებული ევროპის სხვა წარმომადგენლები მას სხვაგვარად განიხილავდნენ; თავისი რელიგიური ტოლერანტობით, დევნილი ემიგრანტების თბილი მიღებით, თანამედროვე ინსტიტუტების ჩამოყალიბების მცდელობით, ფილოსოფოსებისადმი მისი კეთილგანწყობით, პრუსია სიკეთის განსახიერებად მიიჩნეოდა. ამასთანავე, მისი სუვერენის ფრიდრიხ II დიდის განსაკუთრებული და ამავე დროს გაორებული პიროვნება (გარდაიცვალა 1786 წელს), რომელიც აბსოლუტური მონარქი, სოციალურ საკითხებში კონსერვატორი, მაგრამ ხელოვნებისა და კულტურის დიდი მოყვარული იყო, წარმოადგენდა განათლებული დესპოტის მაგალითს, რაც დიდად უნყობდა ხელს იმ პერიოდში პრუსიის მიმართ დადებით განწყობას.

პრუსიის სამეფო ძირითადად დაბლობზე იყო გადაჭიმული, ელბისა და მემელის (კლაიპედა) აუზებზე; ქვეყნის მხოლოდ მცირე ნაწილი ესაზღვრებოდა მთიან რეგიონებს: სილეზიისა და ჰარცის მთებს ჰალბერშტადტში. ქვეყანაში ძირითადად განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა ტრადიციულ სოციალურ ჩარჩოში (იუნკრების სკოლა). ქალაქი ბერლინი და რაინის რეგიონის პრუსიული ტერიტორიები (კლევე, გელდრენი) კომერციისა და მრეწველობის მნიშვნელოვანი კერები იყო.

1789 წელს მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ II 190 000კმ² ტერიტორიაზე მეფობდა, სადაც 5 700 000 კაცი ცხოვრობდა, რომელიც შემდეგნაირად იყო გადანაწილებული:

საღვთო რომის იმპერიის ტერიტორია (116 000კმ², 4 მილიონი სულით):

ა) *ძირითადი ბლოკის ქვეყნები:*

– ბრანდერბურგის საკურფიურსტოს მარკა (ბერლინი), დაყოფილი ძველ მარკად (შტენდორფი), აქეთა მარკად, იგივე პრიგნიცი (პერლებერგი), შუა მარკად (ბერლინი), უკერანიის მარკა (პრენცლაუ), ახალი მარკა (კუსტრინი);

– პომერანიის საჰერცოგო (შეცინი) დაყოფილი აქეთა პომერანიად (შეცინი) და იქეთა პომერანიად (შტარგარდი);

– კამინის სამთავრო;

– სილეზიის საჰერცოგო (ბრესლაუ), დაყოფილი ქვემო სილეზიად (ბრესლაუ) და ზემო სილეზიად (რატიბორი);

– მაგდებურგის საჰერცოგო, ყოფილი საეროდ გადაქცეული საერცჰერცოგო;

– ჰალბერშტადტის სამთავრო, ყოფილი საეროდ გადაქცეული საერჰერცოგო; ასევე ნაწილობრივ გამოყოფილი მხარეები:

– კოტბუსის და საალის ოლქები;

– მანსფელდის საგრაფოს აღმოსავლეთის ნახევარი ქალაქთან ერთად;

– ჰოენშტაინის საგრაფოს პრუსიული ნაწილი.

გარდა ამისა, მეფე იყო სილეზიის რამდენიმე საჰერცოგოს სიუზერენი, მათ შორის ელსის საჰერცოგოსიც, რომელიც ვიურტემბერგის უმცროს შტოს ეკუთვნოდა; ის ასევე ვერნიგეროდეს საგრაფოს სიუზერენი იყო.

ბ) *დასავლეთ გერმანიაში გაფანტული ქვეყნები:*

– ვეზერის აუზში: მინდენის სამთავრო (ყოფილი საეპისკოპოსო) და ვენსბერგის საგრაფო;

– ემსის აუზში: ოსტფრიზის სამთავრო (ავსტრია), ლინგენის და ტეკლემბურგის საგრაფოები;

– რაინის აუზში: კლევეს და გელდრენის საჰერცოგოები; მერსის სამთავრო, მარკის საგრაფო (ჰამი) ლიპშტადტთან თანამმართველობით (გაყოფილი ლიპედეტმოლდის მთავართან ერთად).

რომის საღვთო იმპერიიდან განცალკევებული ქვეყნები (74000კმ² 1,7 მილიონი სულით).

მთავართან).

გ) საღვთო რომის იმპერიის საზღვრებს გარეთ მდებარე ქვეყნები (74 000კმ, 1,7 მილიონი სული)

– დასავლეთი პრუსიის საჰერცოგო (ელბინგენი);

– აღმოსავლეთი პრუსიის საჰერცოგო (კენიგსბერგი);

– ნეტცეს ოლქი (ბიდგოშცი);

– ტაუროგენის სამფლობელო სამოჟიტიეში და სერეის სამფლობელო ლიტვაში;

– ნევშატელის სამთავრო, რომლისთვისაც პრუსიის მეფე დაუკავშირდა ჰელვეციის კონფედერაციას.

კურფიურსტის ტიტულის გარდა პრუსიის მეფე ექვს ხმას ფლობდა რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგიის საერო ფრთაში (მაგდებურგის, ჰალბერშტადტის, აქეთა პომერანიის, მინდენის, კამინის, ოსტფრიზის). მას ორი ხმა ჰქონდა ქვემო საქსონიის ოლქში (მაგდებურგი, ჰალბერშტადტი), ოთხი ხმა ვესტფალიის ოლქში (მინდენი, ოსტფრიზი, მერსი, ტეკლემბურგი), ორი ხმა ზემო საქსონიის ლოქში (იქეთა პომერანია, კამინი) და იყოფდა ჰოენშტაინის ხმას.

3. ბავარია-პფალცი და ცვაიბრიუკენი

1777 წლიდან ბავარია პფალცის საკურფიურსტო ყოფილი ორი გაერთიანებული საკურფიურსტოსგან შედგებოდა: ბავარიისა და პფალცის საკურფიურსტოებისგან და მისი ფართობი შეადგენდა 56 000კმ²-ს, დაახლოებით 2 100 000 მცხოვრებით.

ამას ცვაიბრიუკენ-ბირკენფელდის პატარა საჰერცოგო ემატებოდა, რომელსაც პფალცის უმცროსი ხაზი მართავდა და 3 000კმ²-ს მოიცავდა დაახლოებით

140 000 მცხოვრებით, რომელიც პფალცის მთიან მასივში, სარესა და ნაეს შორის მდებარეობდა.

ბავარია სამხრეთი გერმანიის მნიშვნელოვანი სახელმწიფო იყო, ის დუნაის ზემო აუზში მდებარეობდა, სადაც მას დიდი ფართობი ეკავა. სამხრეთით მთიანი და ჩრდილოეთით ტყიანი ბავარია ზომიერი ჰავით, ხელსაყრელ პირობებს ფლობდა სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის, ის ასევე მდიდარი იყო საბადოებით. ბავარია, რომელიც კათოლიციზმის ბასტიონად ითვლებოდა შუა საუკუნეებიდან მოყოლებული მთავარ როლს ასრულებდა გერმანიის ისტორიაში.

ძალიან დაქუცმაცებული რაინის პფალცი (იგივე ქვემო პფალცი) რაინის აუზში, ალზასისა და ლოთარინგიის ჩრდილოეთით მდებარეობდა. ამ რეგიონში განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა და მევენახეობა, აქვე იყო მნიშვნელოვანი კომერციული ღერძები, გადასატვირთავი პუნქტები (მანჰაიმი) და მაღალი კულტურის ქალაქები (ჰაიდელბერგი).

მთლიანად ბავარია-პფალცი და ცვაიბრიუკენის ტერიტორია მოიცავდა:

ა) პფალცს

რაინის პფალცს (მანჰაინი, ჰაიდელბერგი), ლაუტერნის, ზიმერმანის და ველდენცის სამთავროებს, სპონჰაიმის და ერბახის საგრაფოების ნაწილს, იულიხისა და ბერგის საჰერცოგოების, რავენშტაინის ვინენდალის სენ-მიშელ-გესტელის, ბერგენ-ოპ-ზუმის, შტაუფენერენფელსის, რიბოპიერის, პეტიტ პიერის სამფლობელოებს, ნოიბურგისა და ზულცბახის სამთავროებს ფრანკონიაში.

ბ) ბავარიას

ზემო ბავარიას (მიუნხენი), ქვემო ბავარიას (ლანდსჰუტი), ზემო პფალცს (ამბერგი), ლოიხტენბერგის სალანდგრაფოს, ჰააგის, ვიზენშტაიგის (ანკლავირებული ვიურტემბერგში), მინდელჰაიმის (ანკლავირებული აუგსბურგში), ჰოენვალდეკის, ბრაიტენეკის, ობერზულცბურგის და ა.შ. სამთავროებს.

გ) ცვაიბრიუკენ-ბირკენფელდს

ცვაიბრიუკიენის და ბირკენფელდის საჰერცოგოს, ბიშვილერის და ლაუკერეკის სამთავროებს, სპონჰაიმის საგრაფოს ნაწილს.

მთავართა კოლეგიაში ბავარიის კურფიურსტს ექვსი ხმა ჰქონდა (ლაუტერნი, ზიმერმანი, ველდენცი, ნოიბურგი, ბავარია, ლოიხტენბერგი), ცვაიბრიუკენის ჰერცოგს ორი (ცვაიბრიუკენი, ლაუტერეკი).

ბავარიის ოლქის საერო ფრთაში კურფიურსტს ცხრა ხმა ჰქონდა (ნოიბურგი, ზულცბახი, შტაუფენერენფელსი, ბავარია, ლოიხტენბერგი, ჰააგი, ობერზულცბურგი, ჰოენვალდეკი, ბრაიტენეკი).

ზემო რაინის ოლქის მთავრების საერო ფრთაში კურფიურსტს ორი ხმა ჰქონდა (ზიმერმანი, ლაუტერეკი).

ვესტფალის ოლქში პფალცის კურფიურსტს ერთი ხმა ჰქონდა (იულიხი), ქვემო რაინის ოლქშიც ერთი ხმა (პფალცის საკურფიურსტო).

ვინაიდან კურფიურსტ კარლ-თეოდორს მემკვიდრე არ ჰყავდა, მისი გარდაცვალების შემდეგ ბავარია-პფალცი ცვაიბრიუკენის ჰერცოგს მაქსიმილიან-იოზეფს უნდა გადასცემოდა.

4. ვიურტემბერგი

ვიურტემბრგის საჰერცოგო საღეთო რომის იმპერიის ერთ-ერთი საშუალო სიდიდის სახელმწიფო იყო. შვაბიის რეგიონში კი ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლებოდა. ის გადაჭიმული იყო ზემო ნეკარის აუზზე. ამ მთიან ქვეყანას ესაზღვრებოდა შვარცვალდი და რაინისა და დუნაის გამყოფი ზეგნები, სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა იქ მეტად განვითარებული იყო; არანაკლებ აღმავლობას განიცდიდა ხელოსნობა, საბადოების დამუშავება და ვაჭრობა; საჰერცოგოში დაარსებული იყო ტუბინგენის უნივერსიტეტი.

1789 წელს დაახლოებით სამი საუკუნის მანძილზე უცვლელი ვიურტემბერგის ფართობი, მოიცავდა 10 500კმ²-ს, მოსახლეობა უდრიდა დაახლოებით 600 000 კაცს. ის შემდეგნაირად იყოფოდა:

– ვიურტემბერგის საჰერცოგო (9 500კმ² და 560 000 კაცი) თითქმის დაუნაწევრებელი (შტუტგარტი, ლუდვიგსბურგი, ტიუბინგენი, ურახი, კალვი, ფროდენშტადტი), მხოლოდ რამდენიმე ანკლავით: ჰორნბერგი (ბრისგაუში), ჰაიდენჰაიმი (ულმს, ნოიბურგს და ეტინგენს შორის), ალბშტადტი (ჰოენცოლერნსა და ჰოენბერგს შორის) და ა. შ.

– საჰერცოგოს ანექსირებული ჰქონდა (1000კმ² და 40 000 სუბიექტი):

– მონბელიარდის სამთავრო, საღვთო რომის იმპერიის ტერიტორია ზემო დუნაიზე, ფრანშ-კონტესა და საფრანგეთის ალზასს შორის მდებარე ანკლავი;

– ოთხი საგრაფო: ბლამონტი, კლემონი, ჰერიკურტი და შატელო, რომელთა გამოც ჰერცოგი საფრანგეთის მეფის ვასალი იყო.

ბოლოს, ელსის საჰერცოგო სილეზიაში (1 800კმ² და 50 000 კაცი), რომელიც ვიურტემბერგების სახლის უმცროს შტოს ეკუთვნოდა, პრუსიის მეფის სიუზერენობის ქვეშ.

ვიურტემბრგის ჰერცოგი ორ ხმას ფლობდა რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგიის საერო ფრთაში (ვიურტემბერგი, მონბელიარდი), ასევე ორი ხმა ჰქონდა შვაბიის ოლქში (ვიურტემბერგი, იუშტინგენი) და ერთი ხმა ფრანკონიის ოლქში (ველცჰაიმი).

5. ბადენი

ბადენის სამარკგრაფო საღვთო რომის იმპრიის სახელმწიფო იყო, შედიოდა შვაბიის ოლქში, რომელიც რაინსა და შვარცვალდს შორის მდებარეობდა: ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა შპაიერის საეპისკოპოსო, აღმოსავლეთით და სამხრეთით ვიურტემბერგის საჰერცოგო. იქ კარგად იყო განვითარებული სოფლის მეურნეობა (რაინის დაბლობზე), კერძოდ მევენახეობა, მთებში იყო მდიდარი საძოვრები და ტყეები და ის ასევე ცნობილი იყო ნყლის უხვი რესურსებით; ბადენში კარგად იყო განვითარებული ხელოსნობა (შვარცვალდის საათები და ხის ნაკეთობანი). სამარკგრაფოს ფართობი შეადგენდა 3 600კმ²-ს, 200 000 მცხოვრებით.

ტერიტორიული თვალსაზრისით ბადენის სამარკგრაფო ასე იყო დანანილებული:

ა) ბადენ-ბადენის სამარკგრაფო:

– შუა, ანუ ბადენის სამარკგრაფო: ბადენი, რაშტადტი (ყოფილი მარკგრაფის რეზიდენცია), შტაინბახი, გერნსბახი;

– კელის და მალბერგის ანკლავები;

– სპონჰაიმის საგრაფოს ნახევარი (ბირკენფელდი, კირხბერგი) ზემო რაინის ოლქში;

– გრაფენშტაინის სამფლობელო პფალცში;

– ლუქსემბურგის სამფლობელო (როდემახენი, ჰესპრინგენი) და ალზასის სამფლობელო (ბენჰაიმი) ზემო რაინის ოლქში.

ბ) ბადენ-დიურლახის სამარკგრაფო:

– ქვემო, ანუ დიურლიხის სამარკგრაფო: დიულრიხი, კარლსრუე (მარკგრაფის რეზიდენცია), პფორცჰაიმი;

– ზემო, ანუ ჰოხბერგის სამარკგრაფო გაყოფილი ორ ნაწილად: საკუთრივ ჰოხბერგი (ემენდინგენი) და როტელნის სამფლობელო (მიულჰაიმი, ლერახი, ბადენვაილერი).

საიმპერატორო დიეტის მთავართა კოლეგიის საერო ფრთაში ბადენის მარკგრაფს სამი ხმა ჰქონდა (ბადენი, დიურლახი, ჰოხბერგი). ზემო რაინის ამ ოლქში მას ერთი ხმა ჰქონდა (სპონჰაიმი) საერო მთავრების ფრთაში. შვაბიის ოლქში მას სამი ხმა ჰქონდა (ბადენი, დიურლახი, ჰოხბერგი) საერო მთავრების ფრთაში და ერთი ხმა (ებერშტაინი) გრაფებისა და სენიორების ფრთაში.

6. ჰოენცოლერნი

ჰოენცოლერნის სამთავროები ორი პატარა სახელმწიფო იყო სამხრეთ გერმანიაში შვაბიის ოლქში, ნეკარისა და დუნაის ზემო აუზებში. ესენი მთიანი და ტყიანი რეგიონები იყო სოფლის მეურნეობისთვის ნაკლებად ხელსაყრელი პირობებით, საკმაოდ დაშორებული საკომუნიკაციო გზებს; მხოლოდ დუნაიზე მდებარე ქალაქ ზიგმარინგენში იყო შედარებით განვითარებული ვაჭრობა და ხელოსნობა.

1789 წელს ორი სახლი, რომლებმაც ფრანკონიის უმცროსი ხაზისგან განსხვავებით შეინარჩუნეს კათოლიკობა, ამგვარად დაყოფილ დომენებს მართავდა:

– ჰოენცოლერნ-ჰეხინგენი: ჰეხინგენის საგრაფო შტარცელის დაბლობზე ჰოენცოლერნების საგვარეულო ციხე-სიმაგრით; ჰეხინგენის მთავარს უფლებები ჰქონდა ლიეჟზე;

– ჰოენცოლერნ-ზიგმარინგენის სამთავრო: ზიგმარინგენის და ფეპრინგენის საგრაფოები ლაუხარტზე, დუნაის ზემო შენაკადთან; ჰაიგელროხის საგრაფო და გლაცის სამფლობელო ზემო ნეკარის შენაკადების ეიახის და გლაცის დაბლობებზე; ამგვარად, ზიგმარინგენის სამთავრო ჰეხინგენით გაყოფილი ორი ბლოკისაგან შედგებოდა; ზიგმარინგენის მთავარი ფლობდა მიწებს ბურგუნდიის ოლქში.

ჰოენცოლერნის ორი მთავარი (თითოეული ცალ-ცალკე) შვაბიის ოლქის საერო მთავრების ფრაქციაში თითო ადგილს ფლობდა; რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგიის საერო ფრაქციაში ერთ საერთო ხმას იყოფდნენ

7. ფიურსტენბერგი

ფიურსტენბერგის სამთავრო სამხრეთი გერმანიის შვაბიის ოლქის მრავალი პატარა სახელმწიფოდან ერთ-ერთი იყო; ის ძირითადად დუნაის ზემო აუზში მდებარეობდა და მთიან და ტყიან რეგიონებში დაქუცმაცებულ ტერიტორიებს აერთიანებდა, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის არახელსაყრელი იყო; ის ასევე დაშორებული იყო საკომუხიკაციო გზებიდან; მხოლოდ დედაქალაქი დონაუეხინგენი, სადაც მთაურების რეზიდენცია იყო, ფლობდა კარგად განვითარებულ სავაჭრო ქსელს და ხელოსნობაც ყვაოდა. სამთავროს მოსახლეობა უდრიდა 70 000 კაცს; ის შემდეგნაირად იყოფოდა:

– ბაარის სალანდგრაფო ზემო დუნაიზე ფიურსტენბერგის საგვარეულო ციხე-სიმაგრით, რომლის დედაქალაქიც იყო დონაუეხინგენი; იქვე მდებარეობდა ბრაუენლინგენის ანკლავი;

– შთიუჰლინგენის სალანდგრაფო, რომელიც რაინის შენაკადის ვიუტახის მარჯვენა სანაპიროს ესაზღვრებოდა;

– ჰეგენის სამფლობელო, მისი ადმინისტრაციული ცენტრი იყო ენგენი, რომელიც ავსტრიის სალანდგრაფოს ნელემბურგს ესაზღვრებოდა;

– ჰაილიგენბერგის საგრაფო, კონსტანცის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით;

– მესკირხის სამფლობელო დუნაის მარჯვენა სანაპიროზე;

– იუნგენაუს, ტროხტელფინგენის და ნოიფრას სამფლობელოები, ასევე გიუნდელფინგენის საბარონო, ყველა დუნაის მარცხენა სანაპიროზე;

– ჰაუზენის სამფლობელო, ადმინისტრაციული ცენტრი ვოლფახი, მდინარე კინციგზე, რაინის მარჯვენა შესართავზე.

ფიურსტემბერგის მთავარი ასევე ფლობდა მიწებს ჩეხიაში. მას ერთი ადგილი ჰქონდა რეგენსბურგის საიმპერატორო დიეტის მთავართა კოლეგიის საერო ფრთაში, ასევე ერთი ხმა შვაბიის გრაფთა ფრაქციაში, როგორც ჰაილიგენბერგის წარმომადგენელს.

შვაბიის ოლქში მას ერთი ადგილი ჰქონდა საერო მთავართა ფრთაში (ჰაილიგენბერგი) და ორი ადგილი გრაფებისა და სენიორების ფრაქციაში (შტუჰლინგენი, გიუნდელფინგენი).

8. თურნ – უნდ- ტაქსისი

თურნ – უნდ- ტაქსის მთავარი თავისი მემკვიდრეობითი პოსტის გარდა (იმპერიის ფოსტების მმართველი), შეერის საგრაფოს ფლობდა ზემო დუნაიზე,

რომელიც შეერის, ფრაიდბერგის, დურმენთინგენის სამფლობელოებისგან შედგებოდა და ეგლინგენის, დიხინგენის, ბალმერსჰოფენის სამფლობელოებს დილინგენის ჩრდილოეთით (ნოიბურგის რეგიონი).

მთავარს ერთი ხმა ჰქონდა საიმპერატორო დიეტის მთავართა კოლეგიის საერო ფრთაში და ერთი ხმა შვაბიის ოლქის საერო მთავართა ფრაქციაში.

9. ბაიროითი და ანსბახი

1769 წლიდან გაერთიანებული ბრანდებურგ-ანსბახის და ბრანდებურგ-ბაიროითის სამარკგრაფოები, საღვთო რომის იმპერიის საშუალო სახელმწიფოს ქმნიდნენ დაახლოებით 7 000 კმ²-ის ფართობით და 400 000 მცხოვრებით.

ეს სახელმწიფო ფრანკონიის რეგიონში მდებარეობდა ცენტრალურ გერმანიაში, მთიან და ტყიან რეგიონში, ზომიერი ჰავით.

1789 წელს ანსბახ-ბაიროითის მარკგრაფის სამფლობელოებში შედიოდა:

– ბაიროითის სამარკგრაფო, რომლის ძირითადი ნაწილი (ბაიროითი, კულმბახი, ჰოფი) საქსონიის საკურფიურსტოს, ჩეხიის, ბავარიის, ბამბერგის და როისს შორის მდებარეობდა, მეორე ნაწილი კი (ნოიშტადტი აიხზე) ანსბახის სამარკგრაფოს ჩრდილოეთით, ნოიშტადტის, ერლანგენის, ლაუერშტაინის და კაულსდორფის ანკლავების უფრო ჩრდილოეთით და თიურინგიისგან ძალიან იზოლირებულად მდებარეობდა; სამარკგრაფოსა და ვალსარენის ბავარიულ ტერიტორიას შორის მდებარეობდა ავსტრიის პატარა ანკლავი რედვიცი;

– ანსბახის სამარკგრაფო, რომელიც შედგებოდა თავისუფალ ქალაქებს ნიურნბერგსა და როტენბურგს შორის მდებარე ძირითადი ნაწილისაგან (ანსბახი, ფურთი, შვაბახი), საეპისკოპოსოების აიხშტადტისა და ბამბერგისგან და საგრაფოების ლიმპურგისა და ეტინგენისგან და უფენჰაიმის ანკლავისგან როტენბურგის ჩრდილოეთით;

– სამარკგრაფოებისგან ძლიერ დაშორებული სეინ-ალტერკირხენის საგრაფო, რაინის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა ნასაუს, ვიდის, ბერგსა და კიოლნს შორის; ლაპარაკია სეინის ყოფილი საგრაფოს ნაწილზე, რომელიც გაყოფილი იყო კირხბერგის სახლთან.

ორივე სამარკგრაფო ფრანკონიის ოლქში შედიოდა, სადაც მარკგრაფს ორი ხმა ჰქონდა საერო მთავრების ფრაქციაში (კულმბახ-ბაიროითი, ანსბახი), ხოლო სეინის საგრაფო შედიოდა ვესტფალიის ოლქში, სადაც მარკგრაფს ერთი ხმა ჰქონდა. რეგენსბურგის დიეტში მარკგრაფს ორი ხმა ჰქონდა, როგორც საერო მთავარს მთავართა კოლეგიაში; ის აგრეთვე ვესტფალიის გრაფების საეკლესიო ხმით იყო წარმოდგენილი.

10. საქსონიის საკურფიურსტო

საქსონიის საკურფიურსტო საღვთო რომის იმპერიის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო იყო, რომელიც გერმანიის ჩრდილოეთით მდებარეობდა. მისი ფართობი შეადგენდა 40 000 კმ²-ს, მოსახლეობა დაახლოებით 2 500 000 კაცს. ის ერცებირგეს მთიანეთით ესაზღვრებოდა ჩეხიას, აღმოსავლეთით სილეზიას, დასავლეთით თიურინგიას, რომელშიც საქსონიის საკურფიურსტო ღრმად იჭრებოდა. ის ასევე მოიცავდა ელბის შუაწელს.

ამ ქვეყანაში ძალიან ხელსაყრელი პირობები იყო სოფლის მეურნეობისათვის, ის მდიდარი იყო საბადოებით ერცებირგეში და ცნობილი სხვადასხვა ნანარმით (წიგნები, ფაიფური). ძირითადი ქალაქები, მაგალითად ლაიპციგი, დრეზდენი, კომერციულ ცენტრებს წარმოადგენდა, უფრო მეტიც, ლაიპციგში უნივერსიტეტიც არსებობდა.

1789 წელს საქსონიის ტერიტორიული დაყოფა შემდეგნაირი იყო:

ა) ზემო საქსონიის ოლქში:

– მემკვიდრეობითი სახელმწიფოები: საქსონიის საპერცოგო, მისნიის სამარკგრაფო, თიურინგიის სალანდგრაფოს ჩრდილოეთი ნანილი, ფოიგტლანდი,

ბარბის საგრაფო, კერფურტის სამთავრო,; მათი მოსახლეობა მთლიანად 1 500 000 კაცს შეადგენდა. ეს ქვეყნები შვიდ ოლქად იყოფოდა: საკურფიურსტოს ოლქი (ბარბი, ვიტენბერგი, კერფურტი, დამე), თიურინგიის (ვაისენფელსი, ზანგერჰაუზენი, ლანგელზალცა), მისნიის (დრეზდენი, მაისენი, ტორგაუ), ლაიპციგის (ლაიპციგი), ერცგებირგეს (ფრაიბერგი, ხემნიცი, ანაბერგი, ცვიკაუ), ფოიგტლანდის (პლაუენი) და ნოიშტადტის (ნოიშტადტი, ვაიდა);

– ყოფილი საეპისკოპოსოები მერსაბურგი და ნაუმბურგ-ცაიტცი, რომელთა მოსახლეობაც დაახლოებით 500 000 კაცს უდრიდა;

– მანსფელდის საგრაფოს დასავლეთის ნახევარი;

გარდა ამისა, საქსონიის კურფიურსტი შოინბურგის და შტოლბერგის საგრაფოების სიუზერენი იყო (შტოლბერგის საგრაფო შტოლბერგ-ვერნიგეროდეს გრაფს ეკუთნოდა, ვერნიგეროდე პრუსიის სიუზერენობის ქვეში იმყოფებოდა);

ბ) ფრანკონიის ოლქში: ჰენებერგის საგრაფოს ალბერტინების შტოს ნაწილი (შლოიზინგენი, ზული), რომლის მოსახლეობაც 20 000 კაცს შეადგენდა;

გ) ოლქების საზღვრებს გარეთ, ჩეხური ძირებიდან გამომდინარე შედიოდა: ზემო ლაუზიცის სამარკგრაფო (ბაუცენი, ლებაუ, ციტაუ, გერლიცი) და ქვემო ლაუზიცის სამარკგრაფო (ლუკაუ, გიუბენი), რომელთა მოსახლეობაც დაახლოებით 430 000 კაცს უდრიდა.

საქსონიის კურფიურსტს სამი ხმა ჰქონდა ზემო საქსონიის ოლქში (საქსონია, კერფურტი, ბარბი) და ერთი ხმა (ჰენებერგი) ფრანკონიის ოლქში. რეგენსბურგის დიეტში კურფიურსტის ტიტულის გარდა ის ერთ ხმას ინანილებდა მთავართა კოლეგიაში ჰენებერგის დანარჩენ მემკვიდრეებთან ერთად (ჰესენ-კასელი და საქსენ-მაინინგენი).

11. თიურინგია

თიურინგია ცენტრალური გერმანიის მთიანი რეგიონია, რომელიც ვერას, ონშტრუტის, ზალეს და თეთრი ელსტერის აუზებზე მდებარეობს, ელბასა და მაინის აუზებს შორის.

ის, რასაც თიურინგიის სახელმწიფოს უწოდებდნენ თორმეტ სახელმწიფოს შეადგენდა, რომელთაც სამი სახლი მართავდა: საქსონიის საჰერცოგო, როისი და შვარცბურგი. ამას სხვადასხვა ტერიტორია ემატებოდა, რომლებიც თიურინგიის საზღვრებს გარეთ მდებარე გერმანულ სახელმწიფოებს ეკუთვნოდა. ყველა ეს სახელმწიფო თუ ტერიტორია საღვთო რომის იმპერიაში შედიოდა.

ლაპარაკია ტერიტორიულად ძალიან დანაწევრებულ რეგიონზე, რომელიც მას შემდეგ, რაც XIX საუკუნის პოლიტიკური არეულობების ზონებს დაშორდა, XX საუკუნის დასაწყისამდე დაქუცმაცებული დარჩა.

ა) საქსონიის ჰერცოგის (იგივე ერნესტინის) სახლი

ის ხუთ საჰერცოგოს ითვლიდა, რომელთა სუვერენები ვეტინების სახლის ჰერცოგის შტოს წევრები იყვნენ (უფროსი ანუ ერნესტინის შტო), ამ სახლის კურფიურსტების შტო (უმცროსი ანუ ალბერტინის შტო) დრეზდენიდან მართავდა საქსონიის საკურფიურსტოს. მთლიანად საქსონიის საჰერცოგოს ტერიტორია 8000კმ²-ს შეადგენდა 400 000 მცხოვრებით, რომელიც შემდეგნაირად იყო გადანაწილებული:

– საქსენ-ვაიმარ-აიზენახის საჰერცოგო, რომელიც ვაიმარის და აიზენახის საჰერცოგოებისგან, ალშტედტის, ილმენაუს, ოდისლებენის, ოშჰაიმის და ცილბახის ანკლავებისგან შედგებოდა;

–საქსენ-გოთა-ალტენბურგის საჰერცოგო შედგებოდა გოთასა და ალტენბურგის საჰერცოგოებისგან, როდასა და კამბურგის საბაიოებისგან, კერნერის, ნაცას, ნოიკირხენის, როშუტცის და ზემო კრაინიფელდის ანკლავებისგან;

– საქსენ-ჰილდბურგჰაუზენის საჰერცოგო შედგებოდა ჰილდბურგჰაუზენის საჰერცოგოსგან, ზაალფელდის და თემარის საბაიოებისგან და კენიგსბერგის ანკლავისგან;

– საქსენ-მაინინგენის საპერცოგო, რომელიც შედგებოდა მაინინგენის საპერცოგოსგან და ზონებერგისა და რემპილდსის საბაიოებისგან.

ეს ხუთი საპერცოგო ზემო საქსონიის ოლქში შედიოდა, სადაც მათ ხუთი ხმა ჰქონდათ (ვაიმარი, აიზენახი, კობურგი, გოთა, ალტენბურგი), ასევე ხუთი ხმა რეგენსბურგის დიეტში; გამონაკლისს მაინინგენის საპერცოგო წარმოადგენდა, რომელიც ფრანკონიის ოლქში შედიოდა, სადაც ჰერცოგს ერთი ხმა ჰქონდა; რეგენსბურგის დიეტში ის ერთ ხმას იყოფდა საქსონიის კურფიურსტთან და ჰესენ-კასელის ლანდგრაფთან

ბ) შვარცბურგის სახლი

ამ სახლის სახელმწიფოები გეოგრაფიულად ზემო და ქვემო სამფლობელოებად იყოფოდა, რომლებიც თიურინგიის სხვა სახელმწიფოებისაგან გამოყოფილი იყო თიურინგიის საქსონური ოლქით. თითოეული მათგანი გადანაწილებული იყო შვარცბურგის სახლის ორ შტოს შორის, რომელიც 1552 წელს გაიყო:

– შვარცბურგ-ზონდერჰაუზენის სამთავრო შედგებოდა ზონდერჰაუზენის საგრაფოსაგან, მაინცის აიხსფელდსა და პრუსიის ჰონშტაინს შორის მდებარე ორი ანკლავისაგან ქვემო სამფლობელოში და არნშტადტის, გეპრენისა და გეშვენდას ანკლავებისაგან ზემო სამფლობელოში;

– შვარცბურგ-რუდოლშტადტის სამთავრო შედგებოდა რუდოლშტადტის საგრაფოსაგან ზემო სამფლობელოში, ფრანკენჰაუზენის საბაიოსაგან და იმენროდასა და ბლოთის ანკლავებისაგან ქვემო სამფლობელოში.

ორივე სამფლობელო ზემო საქსონიის ოლქში შედიოდა, სადაც თითოეულს ერთი ხმა ჰქონდა; რეგენსბურგის დიეტში მათ ერთი საერთო ხმა ჰქონდათ.

გ) როისის სახლი

ამ სახლის ხუთი სახელმწიფო უფროს და უმცროს შტოდ დაიყო:

– უფროსი შტო: როის-გრაიცის სამთავრო, რომელიც გრაიცის საგრაფოსა და ბურგკის ოლქისაგან შედგებოდა;

– უმცროსი შტო ოთხ საგრაფოდ იყოფოდა: როის-გერა, როის-შლაიცი, რომელიც შლაიცის საგრაფოსა და ტრიბეს ანკლავისაგან შედგებოდა, როის-ებერსდორფი, როის-ლობენშტაინი.

ბოლოს, როისის ხუთი სახელმწიფო ზემო საქსონიის ოლქში შედიოდა, სადაც მათ ერთი საერთო ხმა ჰქონდათ; რეგენსბურგის დიეტში ისინი ვეტერავის გრაფების ერთი საერთო ხმით იყვნენ წარმოდგენილნი.

დ) თიურინგიის სხვა მიწები

თიურინგიის სახელმწიფოებში ანკლავირებული ან ნახევრად ანკლავირებული ტერიტორიებიდან, რომლებიც აქედან გამომდინარე გეოგრაფიულად თიურინგიის ნანილი იყო საჭიროა დასახელდეს:

– ნოიშტადტი და ზულის საბაიო თიურინგიის ოლქში, რომლებიც საქსონიის საკურფიურსტოს ეკუთვნოდა;

– შმალკალდეს ოლქი (ჰენებერგი), რომელიც ჰესენ-კასელს ეკუთვნოდა;

– ერფურტის ოლქი და ბლანკენჰაიმის, ქვემო კრანიხფელდის და მიულბერგის ანკლავები, რომლებიც მაინცის საარქიეპისკოპოსოს ეკუთვნოდა;

–კაულსდორფის ანკლავი, ზაალფელდენთან ახლოს, რომელიც ბაიროითის მარკგრაფს ეკუთვნოდა.

12. ანჰალტი

ანჰალტის ოთხი სამთავრო, რომლებიც ერთი სახლის სხვადასხვა შტოს ეკუთვნოდა, მოიცავდა 2 600კმ²-ს და 100 000 კაცს და საღეთო რომის იმპერიის ზემო საქსონიის ოლქში შედიოდა. მათ ესაზღვრებოდა საქსონიის საკურფიურსტო, მაგდებურგის პრუსიული პროვინციები, ჰალბერშტადტი და მანსფელდის საგრაფო.

ანჰალტზე გაედინებოდა მდინარეები ელბა, მულდე, ზალე და მისი ტერიტორია ორ ძირითად ნანილად იყოფოდა: ქვემო სამთავრო აღმოსავლეთით და ზემო

სამთავრო დასავლეთით, ჰარცის მთის ძირში. ამას ემატებოდა ორი ანკლავი ელბას გაყოლებაზე პრუსიის მაგდებურგში, ერთი ანკლავი პრუსიის ჰალბერშტადტში ოლდენბურგის ჩრდილოეთით, ფრისლანდიის ეიფერის სასენიორო, ჰოლცაპელის საგრაფო და სამფლობელო შოუმბურგი- ლენზე.

პოლიტიკური თვალსაზრისით ეს ოთხი სამთავრო იყო:

–ანჰალტ-ცერბსტის სამთავრო, რომელიც ძირითადი ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარეობდა ელბას მარჯვენა სანაპიროზე; მისი მთავარი იყო რუსეთის იმპერატორის ეკატერინე II-ს ძმა;

–ანჰალტ-დესაუს სამთავრო, რომელიც ძირითადი ტერიტორიის აღმოსავლეთით მდებარეობდა; მასზე გაედინებოდა ელბა და მულდე;

–ანჰალტ-კიოტენის სამთავრო, რომელიც ძირითადი ტერიტორიის ცენტრში მდებარეობდა;

–ანჰალტ-ბერნბურგის სამთავრო, რომელიც ძირითადი ტერიტორიის დასავლეთით მდებარეობდა, ჰარცის მთის ძირში; ამ შტოს უმცროსი ხაზი ბერნბურგ-შაუმბურგი ჰოლცჰაპელის საგრაფოს და ლენის-შოუმბურგის სამფლობელოს ფლობდა.

ოთხივე მთავარს ერთი საერთო ხმა ჰქონდა ზემო საქსონიის ოლქში, ასევე ერთი საერო ხმა რეგენსბურგის საიმპერატორო დიეტის მთავართა კოლეგიაში.

13. შვედეთის პომერანია

შვედეთის პომერანია, დედაქალაქი შტრალზუნდი, შედგებოდა წინა პომერანიის ჩრდილოეთის ნახევარი ნაწილისაგან მდინარე პენეს ჩრდილოეთით და კუნძულ რიუგენისგან; მასვე ეკუთვნოდა კუნძული პელი და ანკლავები ვისმარი და ნოიკლოსტერი (მეკლენბურგში); მოსახლეობა დაახლოებით 100 000 კაცს შეადგენდა.

შვედეთის მეფე პომერანიის სახელით ერთ ხმას ფლობდა ქვემო საქსონიის ოლქში და ასევე ერთ ხმას რეგენსბურგის საიმპერატორო დიეტის მთავართა კოლეგიაში.

14. მეკლენბურგი

მეკლენბურგი დაბლობი ქვეყანა იყო გერმანიის ჩრდილოეთით, რომელსაც ესაზღვრებოდა ბალტიის ზღვა, აღმოსავლეთით შვედეთის პომერანია, სამხრეთით პრუსიის ბრანდენბურგი, ხოლო დასავლეთით ჰანოვერის ლაუენბურგი და ქალაქი ლიუბეკი.

ნიადაგი აქ ქვიშიანი და ტბებით მდიდარი იყო, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მესაქონლეობისათვის, თუმცა ნაკლებად ვარგისი იყო კულტურების მოსაყვანად. ნავსადგური როსტოკი, ყოფილი ჰანზაში შემავალი ქალაქი, თავის კომერციულ და საზღვაო კავშირებს ინარჩუნებდა.

იმპერიაში შემავალი მეკლენბურგი პოლიტიკურად ორად იყო გაყოფილი და ერთი სახლის ორ შტოს ეკუთვნოდა.

– მეკლენბურგ-შვერინის საჰერცოგო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა შვერინის და გუსტროვის საჰერცოგოები, ასევე როსტოკის სასენიორო; მასვე ექვემდებარებოდა სამხრეთით ორი პატარა ანკლავი - ნეტცებანდი და შენბერგი; თვითონ საჰერცოგოშიც სამი შვედური ანკლავი იყო, რომლებიც ვისმარის სასენიოროს შეადგენდა (ვისმარი, ნოიკლოსტერი, კუნძული პელი);

– მეკლენბურგ-შტრელიცის საჰერცოგო, რომელიც მეკლენბურგ-შვერინით გაყოფილი ორი ნაწილისგან შედგებოდა: აღმოსავლეთით შტარგარდის სასენიორო (ნოიშტრელიცი) და მიროვის და ნემეროვის ოლქები; დასავლეთით რატცებურგის სამთავრო (შენბერგი), ქალაქ რატცებურგის გარეშე, რომელიც მიერთებული იყო ლაუენბურგთან.

ორივე საჰერცოგოს ჰქონდა საერთო ასამბლეა, უზენაესი სასამართლო და როსტოკის უნივერსიტეტი. ისინი ქვემო საქსონიის ოლქის ორი შემადგენელი ნაწილი იყო, სადაც მეკლენბურგ-შვერინის ჰერცოგს ორი ხმა ჰქონდა (შვერინი, გუსტროვი), მეკლენბურგ-შტრელიცის ჰერცოგს კი ერთი ხმა (რატცებურგი). ეს

სამი ხმა ერთად იყრიდა თავს რეგენსბურგის საიმპერატორო დიეტის მთავართა კოლეგიის საერო ფრთაში.

საერთო ფართი შეადგენდა 15 000კმ²-ს დაახლოებით 350 000 მცხოვრებით (12 000კმ² და 300 000 კაცი მეკლენბურგ-შვერინში, 3 000კმ² და 50 000 კაცი მეკლენბურგ-შტრელიცში).

15. ჰოლშთაინი იხ. თავი დანია

16. ოლდენბურგი

ის რასაც ოლდენბურგს უწოდებენ 1789 წელს შემდეგნაირად იყო დანაწილებული:

– ოლდენბურგის საპერცოგო, ლუბეკის ეპისკოპოსის მემკვიდრეობითი სამფლობელო, რომლის ფართობიც შეადგენდა 2500კმ²-ს, დაახლოებით 90 000 მცხოვრებით;

– ეფერის სასენიორო, რომელიც საპერცოგოს ჩრდილოეთით მდებარეობდა და ანჰალტ-ცერბსტის მთავრის სამფლობელო იყო;

– ენიპჰაუზენის სასენიორო, იეფერის ანკლავი, ბენტინკის გრაფის სამფლობელო.

მთლიანობაში ის ვესტფალიის ოლქს ექვემდებარებოდა, სადაც ოლდენბურგს ერთი ხმა ჰქონდა.

ეს იყო ლანდებით და ჭაობებით დაფარული დაბლობი რეგიონი, რომელიც ჩრდილოეთის ზღვაზე გადიოდა (იადებუზენის ყურით) და მოქცეული იყო დასავლეთით პრუსიის ოსტფრიზსა და აღმოსავლეთით ვეზერს შორის.

17. ჰანოვერი

ჩრდილოეთით მდებარე ჰანოვერის საკურფიურსტო გერმანიის მნიშვნელოვანი სახელმწიფო იყო. მისი ტერიტორია მოიცავდა ვეზერის და ელბის ქვემო აუზებს და ჩრდილოეთის ზღვიდან ჰარცის მთამდე აღნევდა. ამ მხარეში კარგი პირობები იყო სოფლის მეურნეობისა და მესაქონლეობისათვის; აქ ასევე კარგად იყო განვითარებული საფეიქრო მრეწველობა, ხოლო დედაქალაქი ჰანოვერი მნიშვნელოვან კომერციულ ცენტრს ნარმოადგენდა.

სუვერენების მიერ ნელ-ნელა მიტოვებული ჰანოვერის საკურფიურსტო 1789 წელს მხოლოდ ინგლისის სასარგებლოდ დაგროვილი ქონებისა და ჯარისკაცების თაემოყრის ადგილი იყო. ერთი მხრივ, ის მისი საყრდენი იყო კონტინენტზე ევროპის საქმეებში ჩარევისას, მეორე მხრივ, კონფლიქტის შემთხვევაში ჰანოვერი სასურველი ლუკმა იყო.

საკურფიურსტოს ფართობი 30 000კმ²-ს შეადგენდა დაახლოებით 800 000 მცხოვრებით. ის შედგებოდა:

– ვესტფალიის ოლქში: ვერდენის სამთავროსაგან, ჰოიას, დიფოლცის, ბენტჰაიმის საგრაფოებისაგან;

– ზემო საქსონიის ოლქში: ჰოენშტაინის საგრაფოს ნაწილისაგან;

– ქვემო საქსონიის ოლქში: ლუნებურგის საპერცოგოსაგან (ლუნებურგი, სელე, ჰარბურგი, დანებერგი, გიფორნი, კლეტცეს ანკლავები), გრუბენჰაგენის საპერცოგოსაგან(გრუბენჰაგენი, ოსტეროდე, კლაუშთალი) ელბინგეროდეს ნახევარ-ანკლავებით, კალენბერგის საპერცოგოსაგან(კალენბერგი, გეტინგე, ჰანოვერი, ჰამელნი) გახლეჩილი ორად ბრაუნშვაიგის საპერცოგოთი, ბრემენის საპერცოგოსაგან(შტადე, ვილდესჰაუზენის ანკლავი), ჰადელნის მხარე (ოტერნდორფი) და ლაუენბურგის საპერცოგოებისგან(ლაუენბურგი, რატცებურგი).

ჰანოვერის კურფიურსტი(და დიდი ბრიტანეთის მეფე), გარდა კურფიურსტობისა ექვს ადგილს ფლობდა რეგენსბურგის დიეტის მთავართა საერო კოლეგიაში (ბრემენი, სელე, გრუბენჰაგენი, კალენბერგი, ლაუენბურგი, ვერდენი). ასევე მას ხუთი ადგილი ჰქონდა ქვემო საქსონიის ოლქში (ბრემენი, სელე, გრუბენჰაგენი, კალენბერგი, ლაუენბურგი) და ხუთი ადგილი ვესტფალიის ოლქში (ვერდენი, ბენტჰაიმი, ჰოია, დიფოლცი, შპიგელბერგი).

18. ბრაუნშვაიგი

ბრაუნშვაიგის საჰერცოგო ჩრდილოეთით მდებარე გერმანიის სახელმწიფო იყო, ნაწილობრივ ჰარცის მასივზე განფენილი, უფრო ჩრდილოეთით კი დაბლობზე.

ამ რეგიონში კარგად იყო განვითარებული სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა, მთებში ეწეოდნენ ხე-ტყის დამუშავებას; თვითონ ქალაქი ბრაუნშვაიგი მნიშვნელოვანი კომერციული ცენტრი იყო, ხოლო პატარა ქალაქი ვოლფენბიუტელი ჰერცოგის რეზიდენცია და ამასთან ერთად კულტურის ცენტრი იყო (ლესინგის ბიბლიოთეკა), ქალაქი ჰელმშტედტი კი თავისი უნივერსიტეტით იყო ცნობილი.

ბრაუნშვაიგ-ვოლფენბიუტელის საჰერცოგოს ფართობი მოიცავდა 4 500კმ²-ს, მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 180 000 კაცს. ის შემდეგნაირად იყოფოდა:

– ქვემო საქსონიის ოლქში: ვოლფენბიუტელის საჰერცოგო და ბლანკენბურგის სამთავრო;

– ზემო საქსონიის ოლქში: ყოფილი სააბატოს ვოლკენრიდის ტერიტორიას, რომელიც 1648 წლიდან საერო იყო;

– ვესტფალიის ოლქში: თედინგჰაუზენის ოლქი, შექმნილი ჰოიას ძველი საგრაფოს განაწილების შედეგად.

ტერიტორიული თვალსაზრისით ბრაუნშვაიგის საჰერცოგო სამ დიდ ტერიტორიას და ორ ანკლავს მოიცავდა:

– ორი ტერიტორია, ერთი ბრაუნშვაიგის ჰელმშტედტის და ვოლფენბიუტელის გარშემო დაბლობზე მდებარეობდა, მეორე ჰოლცმინდენის ჰარცის მთებში, გოსლარში (მისი გამოკლებით). ისინი ბრაუნშვაიგის საჰერცოგოს შეადგენდნენ; მათ ყოფდა ჰილდესჰაიმის საეპისკოპო;

– ტერიტორია ჰარცში, სადაც თავს იყრიდა ბლანკენბურგის სამთავრო და ვალკენრიდის ყოფილი სააბატო;

– კალვერდეს ანკლავი ქალაქებს ძველ-მარშსა და ბრანდერბურგს შორის, რომელიც ვოლფენბიუტელის საჰერცოგოს მიუერთდა;

– თედინგჰაუზენის ანკლავი ქვემო ვეზერზე ბრემენთან ახლოს;

ბრაუნშვაიგ-ვოლფენბიუტელის ჰერცოგი რეგენსბურგის დიეტში საერო მთავრების კოლეგიაში ერთ ადგილს ფლობდა; ასევე ორი ადგილი ჰქონდა (ვოლფენბუტელი, ბლანკენბურგი) ქვემო საქსონიის ოლქში და ერთი ადგილი (ვალკენრიდი) ზემო საქსონიის ოლქში.

19. ლიპე

ლიპეს სახლი ჩრდილოეთ გერმანიის ორ პროვინციას მართავდა:

– ლიპე-დეტმოლდის სამთავროს, რომლის დედაქალაქი იყო დეტმოლდი, მისი ფართობი შეადგენდა 1100კმ²-ს ტოტენბურგის მასივზე, მდინარე ლიპეს სათავეებთან; ეს სამთავრო პრუსიასთან ერთად იყოფდა ქალაქ ლიფშტადტის სუვერენობას, რომელიც მიუნსტერსა და პადერბორნს შორის მდებარე ანკლავი იყო;

– შაუმბურგ-ლიპეს საგრაფოს, რომლის დედაქალაქი იყო ბუკებურგი, ფართობი შეადგენდა 500 კმ²-ს, მდებარეობდა ვეზერის მიერ შექმნილი კუღხის ჩრდილოეთით და ესაზღვრებოდა ჰესენის შაუმბურგის საგრაფო, ჰანოვერის კალენბერგი და პრუსიის მინდენი.

ამ პროვინციებში მთები და დაბლობები ერთმანეთს ენაცვლებოდა და ძირითადად სოფლის მეურნეობა იყო განვითარებული (მესაქონლეობა). ლიპეს თითოეულ პროვინციას ერთი ადგილი ჰქონდა ვესტფალიის ოლქში და რუგენსბურგის დიეტში ერთი საეკლესიო ხმით იყო წარმოდგენილი ვესტფალიის გრაფთა კოლეგიაში.

20. ვალდეკი

ვალდეკის სამთავრო შუა გერმანიის პატარა პროვინცია იყო, რომლის ფართობი დაახლოებით 1200კმ²-ს შეადგენდა. ის ქალაქ კასელის დასავლეთით

მდებარეობდა და მასზე გაედინებოდა ვეზერის შესართავები დიმელი და ედერი. მას ესაზღვრებოდა ჰესენ-კასელი და პადერბორნის საეპისკოპოსო.

ის ორი ნაწილისგან შედგებოდა: ვალდეკის სამთავროსაგან, რომელიც ზემო რაინის ოლქში მდებარეობდა; მისი დედაქალაქი იყო კორბახი, ხოლო ქალაქი არროლსენი მთავრის რეზიდენცია იყო, ასევე პირმონტის საგრაფოსაგან, რომელიც ვესტფალიის ოლქში მდებარეობდა.

ჰესენ-კასელის ლანდგრაფი ვალდეკის სიუზერენადაც ითვლებოდა და გამუდმებით უშლიდა ხელს თავის გრაფებს მონაწილეობა მიეღოთ რეგენსბურგის დიეტში; პირმონტის გრაფების სახელით მათ მხოლოდ ერთი ადგილი ჰქონდათ ვესტფალიის ოლქში, ხოლო რეგენსბურგის დიეტში წარმოდგენილნი იყვნენ ვესტფალიის გრაფთა კოლეგიის ერთი საეკლესიო ხმით.

21. ჰესენი

ჰესენი ცენტრალური გერმანიის რეგიონია; ეს მთებით დაფარული ვრცელი ზეგანია, რომელიც ვეზერსა და მაინს შორის მდებარეობს. კლიმატი აქ მკაცრია და რეგიონიც ღარიბი, ნაკლებად ხელსაყრელი იყო ეკონომიკური თვალსაზრისით. ჰესენის მრავალი მცხოვრები იძულებული იყო საარსებო საშუალება სხვაგან ეძებათ.

პოლიტიკურად ის რამდენიმე საერო და საეკლესიო პროვინციად იყო დაყოფილი, რომელთაგან სამი ისევ ატარებდა იმ სახლის სახელს, რომელიც ადრე მთელ ტერიტორიას მართავდა. ესენი იყო: ჰესენ-კასელის, ჰესენ-დარმშტადტის და ჰესენ-ჰომბურგის სალანდგრაფოები. 1789 ნელს ამ სამი სალანდგრაფოს ტერიტორიული მდგომარეობა შემდეგნაირი იყო:

ჰესენ-კასელის სალანდგრაფო

ფართობი შეადგენდა 8600 კმ²-ს მოსახლეობა 20 000 კაცს.

ა) ზემო რაინის ოლქში:

– ქვემო ჰესენის და ჰერსფელდის სამთავროები, ზიგენჰაინის საგრაფო (კასელი, როტენბურგი, ფილიპსტალი, ეშვეგე, ჰერსფელდი, ზიგენჰაინი), რომელსაც ექვემდებარებოდა პლესის სასენიორო, ჰანოვერის კალენბერგის ანკლავი;

– ზემო ჰესენის სამთავროს ნაწილი (მარბურგი);

– ქვემო კატცენელენბონგენის საგრაფოს დიდი ნაწილი (კატცე, რაინფელსი, სენგორი, ლანგენსშვალბახი);

ბ) ფრანკონიის ოლქში:

– შმალკალდეს სასენიორო (ჰენებერგის ნაწილი).

გ) ვესტფალიის ოლქში:

– შაუმბურგის საგრაფოს ნახევარი (რითაილნი);

– ჰოიას საგრაფოს ორი ნაწილი (უხტე, ფროიდენბერგი);

– დიფოლცის საგრაფოს ნაწილი (აუბურგი).

რეგენსბურგის დიეტის საგრაფოს საერო მთავართა კოლეგიაში ჰესენ-კასელის ლანდგრაფს ორი ხმა ჰქონდა (კასელი, ჰერსფელდი) და საქსონიის კურფიურსტთან და საქსენ-მენინგენის ჰერცოგთან ერთ ხმას ინაწილებდა (ჰენებერგი).

ზემო რაინის ოლქში ლანდგრაფს ორი ხმა ჰქონდა მთავართა კოლეგიაში (კასელი, ჰერსფელდი) და ერთი ხმა გრაფებისა და სენიორების კოლეგიაში (ჰანაომიუცენბერგი). ფრანკონიის ოლქში მას ერთი ხმა ჰქონდა (ჰენებერგი). ვესტფალიის ოლქშიც ერთი ხმა (შაუნბურგი).

ბოლოს, ლანდგრაფს პრეტენზია ჰქონდა ყოფილიყო ვალდეკის სამთავროსა და რიტბერგის და ლიპე-ბუტებურგის საგრაფოების სუზერენი.

ჰესენ-დარმშტადტის სალანდგრაფო

მთლიანი ფართობი შეადგენდა 5400 კმ ²-ს და 270 000 მცხოვრებს

ა) ზემო რაინის ოლქში

– ზემო კატცენელენბონგენის საგრაფო (დარმშტადტი, ცვინგენბერგი);
– ქვემო კატცენელენბონგენის საგრაფოს ნაწილი (ბრაუბახი, ნასაუს და ემსის თანამფლობელობა);
– ეპშტაინის სამფლობელო;
– ზემო ჰესენის სამთავროს ნაწილი (გისენი, ნიდა);
– ზემო ლიხტენბერგის საგრაფოს რამდენიმე საბაიო: პირმაზენსი, ვილდშტეტ-ენ-ორტენაუ (რაინის მარჯვენა სანაპირო), ფილიპსბურგი (საფრანგეთის ალზასის ანკლავი).

ბ) საფრანგეთის ალზასში, საფრანგეთის მეფის სიუზერენობის ქვეშ:

– ჰანაუ-ლიხტენბერგის საგრაფოს დარჩენილი ნაწილი (ბუქსვილერი, პფაფენჰოფენი, ინგვაილერი, ვერთი, ჰატენი, ბრუმათი).

რეგენსბურგის დიეტის მთავართა საერო კოლეგიაში ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფს ერთი ხმა ჰქონდა (დარმშტადტი). ზემო რაინის ოლქში ერთი ხმა ჰქონდა (დარმშტადტი) მთავართა კოლეგიაში და ერთიც (ჰანაუ-ლიხტენბერგი) გრაფთა და სენიორთა კოლეგიაში.

ჰესენ-ჰომბურგის სალანდგრაფო

ეს პატარა პროვინცია (2000 კმ², 10 000 ნაკლები მცხოვრები) მდებარეობდა ზემო რაინის ოლქში და მხოლოდ ჰომბურგის სამფლობელოსგან შედგებოდა.

22. ნასაუ

ნასაუს სხვადასხვა პროვინცია ძირითადად ცენტრალური გერმანიის ჰესენის რეგიონში მდებარეობდა, უფრო კონკრეტულად კი ზიგის და ლანის ზემო აუზებში. ეს ძირითადად მთიანი და ტყიანი ტერიტორიები იყო, საკომუნიკაციო გზებისგან მოშორებული; მხოლოდ ქალაქი ვისბადენი იყო შედარებით განვითარებული. ნასაუს მთავრებს თავის მფლობელობაში ასევე გერმანიის სხვა მხარეების ტერიტორიები ჰქონდათ.

ნასაუს სახელმწიფოები განაწილებული იყო ამ სახლის ოთხ მთავარს შორის: ორან – ნასაუელის (უმცროსი ხაზი), ნასაუ – ვაილბურგის, ნასაუ – უზინგენის, ნასაუ – ზაარბრიუკენის (უფროსი ხაზის სამი შტო).

უფროსი ანუ ვალრამის ხაზი

ვალრამის ხაზის მთავარი მიწები 1789 წელს 2000 კმ²-ს მოიცავდა, ხოლო მოსახლეობა შეადგენდა 100 000 კაცს; ყველა ტერიტორია ზემო რაინის ოლქში იყო გაერთიანებული:

– ნასაუ-უზინგენის მთავარი ფლობდა:
  – ჰესენში: უზინგენის საგრაფოს, იდშტაინის და ვისბადენის სასენიოროებს:
– ნასაუ ზაარბრიუკენის მთავარი ფლობდა:
  – ლოთარინგიაში: ზაარბრიუკენის საგრაფოს, ოტვაილერის სასენიოროს;
  – ორტენაუში: ლარის სასენიოროს.
– ნასაუ-ვაილბურგის მთავარი ფლობდა:
  – ჰესენში; ვაილბურგის საგრაფოს;
  – პფალცში: კირხაიმ – ბოლანდენის სასენიოროს;
  – ლოთარინგიაში: ზარევერდენის საგრაფოს ანკლავს საფრანგეთში.

ვალრამის ხაზის მთავრებს ხუთი ხმა ჰქონდათ ზემო რაინის ოლქის საერო მთავართა ფრთაში (უზინგენი, ვაილბურგი, იდშთაინი, ზაარბრიუკენი, ოტვა-ილერი).

უმცროსი, იგივე ოტოს ხაზი (ან ურანის ხაზი)

გაერთიანებული პროვინციების არასუვერენული სამფლობელოების გარდა, ორან-ნასაუს გერმანული დომენი მოიცავდა 2000 კმ²-ს, დაახლოებით 50 000 მცხოვრებით. ის შემდეგნაირად იყოფოდა:

– ვესტფალიის ოლქში: დილენბურგის, დიცის, ზიგენის და ჰადამარის სამთავროები, ბურბახის სასენიორო;

– ქვემო რაინის ოლქში: ბაილშტაინის სასენიორო;

– ზემო რაინის ოლქში: ნასაუს და ემსის თანამფლობელობა გაყოფილი ჰესენდარმშტადტის ლანდგრაფთან, ჰაგენაუს სასენიორო.

ორან-ნასაუს მთავარს ორი ხმა ჰქონდა (ჰადამარი, დილენბურგი) ვესტფალიის ოლქში, ასევე რეგენსბურგის დიეტის საერო მთავართა კოლეგიაშიც ორი ხმა.

23. არენბერგი

არენბერგის საჰერცოგო წარმოადგენდა რაინის მარცხენა სანაპიროზე გაფანტული პატარა სამფლობელოების ერთიანობას. მათი საერთო მაკავშირებელი მხოლოდ ის იყო, რომ ისინი არენბერგის ჰერცოგს ეკუთვნოდა.

ლაპარაკია სოფლის სამფლობელოებზე, ნახევრად დაბლობ, ნახევრად მთიან რეგიონზე, რომელსაც მნიშვნელოვანი ქალაქები არ გააჩნდა. ის იყოფოდა:

– თვითონ არენბერგის საჰერცოგო, რომელიც კობლენცის ჩრდილო დასავლეთით აიფელში მდებარეობდა და ძირითადი ტერიტორია იყო, სადაც ანტიკური ხანის არენბერგის ციხე-სიმაგრე იდგა; მისი დედაქალაქი იყო ადენაუ;

– კერპენის საგრაფო;

– კასელბურგის საგრაფო ერფტზე;

– ნოიკირხენის საბაიოს თანამფლობელობა ტრირის კურფიურსტთან;

– გილენფელდის და ფლორინგენის სასენიოროები;

– კომერნის საბარონო, არცჰაიმის სასენიოროსთან და მეხერნიხის სასენიოროს ნახევართან ერთად (იულიხში);

– ზასენბურგის სასენიორო აიფელში;

– შლაიდენის სასენიორო მურინგენის სასენიოროსთან ერთად აიფელში.

ამ უშუალო სამფლობელოებს, სადაც 15 000 კაცი ცხოვრობდა, ემატებოდა ნიდერლანდის ავსტრიული გამუალებული მიწები, მათ შორის არშოტის საჰერცოგო. არენბურგის ჰერცოგს ერთი ხმა ეკუთვნოდა რეგენსბურგის საიმპერატორო დიეტის საერო მთავართა კოლეგიაში. მას სამ ხმაზე მეტი ჰქონდა (შლაიდენი, კერპენი, ზასენბურგი) ვესტფალიის გრაფთა კოლეგიაში, თვითონ წარმოდგენილი იყო ერთი საეკლესიო ხმით საიმპერატორო დიეტის მთავართა საერო კოლეგიაში და ბოლოს, ჰერცოგს ერთი ადგილი ჰქონდა (არენბერგი) ქვემო რაინის ოლქში და ორი ადგილი (კერპენი, შლაიდენი) ვესტფალიის ოლქში.

24. სალმი

სალმის სახლის მთავრები რამდენიმე ოჯახის შთამომავლები იყვნენ; თითოეულმა მათგანმა ხელი შეუწყო იმ მემკვიდრეობის შექმნას, რომელსაც 1789 წელს ეს სახლი ფლობდა და რომელიც რამდენიმე ნაწილად იყო დაშლილი რაინის მარცხენა სანაპიროზე, ნიდერლანდის ვოგეზებში.

უმცროსი შტო (სალმის გრაფები) ოთხ განშტოებად იყოფოდა:

– სალმ-რაიფერშიდტ-ბედბური, რომელიც ფლობდა რაიფერშიდტის საგრაფოს კიოლნის არქიეპისკოპოსის სიუზერენობის ქვეშ და ბედბურის სასენიოროს პირდაპირ მფლობელობაში.

– სალმ-რაირერშიდტი, რომელიც ფლობდა სალმის საგრაფოს ლუქსემბურგში;

– სალმ-რაიფერშიდტ-დიკი, რომელიც ფლობდა დიკის სამფლობელოს პირდაპირ მფლობელობაში;

– სალმ-რაიფერშიდტ-ჰაინსპახი, რომელიც ფლობდა ჰაინსპახის სასენიროს ჩეხეთში.

უფროსი შტოს მემკვიდრეები ვილდები და რაინგრაფები ასევე ოთხ განშტოებად იყოფოდნენ:

– სალმ-სალმის მთავრები, რომლებიც სალმის სამთავროს ფლობდნენ ვოგეზებში და რომელთაც ექვემდებარებოდა ორი სასენიორო-დელინგენის და დიმერინგენის, მიერთებული სარეერდენის საგრაფოსთან და ანჰოლტის საგრაფოსთან ვესტფალიაში (რაინის მარჯვენა სანაპიროზე);

– სალმ-კირბურგის მთავრები, რომლებიც ფლობდნენ კირბურგის საბაიოს ნაეზე;

– რაინგრაფენშტაინის ვილდები და რაინგრაფები, რომლებიც ამავე სახელწოდების საგრაფოს ფლობდნენ ნაეზე, ასევე გრიუმბახის საბაიოს გლანზე და ჰუნდსრუკის სხვადასხვა ოლქებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სალმის სამთავრო, რომელიც 1789 წელს საფრანგეთის ვოგეზებში შეჭრილი ნამდვილი პატარა სახელმწიფო იყო. სალმის ზემო საგრაფო განუყოფელი იყო ლორენის სახლისგან (სადაც მას სალმის საგრაფოს უწოდებდნენ). მისი მთავარი ქალაქები იყო ბადონვილერი, სენონე, რომლის გავლენიან სააბატოს 1571 წელს "სახელმწიფო გადატრიალების" შემდეგ სალმის გრაფებმა სუვერენულობა ჩამოართვეს.

როდესაც ლოთარინგია პოლონეთის მეფეს სტანისლას ლეშჩინსკის გადაეცა იმ პირობით, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ კელავ საფრანგეთს დაუბრუნდებოდა, შეთანხმდნენ, რომ მოხდებოდა დაყოფა და 1751 წლის დეკემბერში პარიზის ხელშეკრულებით ეს მხარე დაიყო "დაბლობ" ნაწილად (ბადონვილერი) და სრულ მფლობელობაში გადაეცა ლოთარინგიის ჰერცოგს და "მთიან" ნაწილად (რადობოს ველი, სენონე), რომელიც დამოუკიდებელი სამთავრო გახდა 1766 წლიდან, სადაც სალმ-სალმის მთავრებმა დააარსეს თავიანთი რეზიდენცია, რითაც სენონე პატარა სუვერენული სახელმწიფოს დედაქალაქად აქციეს და რომელსაც კომერციული კავშირები ჰქონდა ლოთარინგიასთან, შემდეგ კი 1751 წელს დადებული ხელშეკრულების მიხედვით საფრანგეთთან, რომელიც ამის მერე რეგულარულად ახლდებოდა.

სალმ-სალმის მთავარს ერთი ნომინალური ადგილი ჰქონდა რეგენსბურგის დიეტის საერო მთავართა კოლეგიაში, ხოლო ვილდ-რაინგრაფები ერთ ხმას იყოფდნენ ვეტერავის გრაფთა საბჭოში (ანჰოლტის საგრაფო).

ზემო რაინის ოლქში სალმ-სალმის მთავარს ერთი ადგილი ჰქონდა საერო მთავართა კოლეგიაში, ვილდ-რაინგრაფებს კი გრაფთა და სენიორთა კოლეგიაში. ვესტფალიის ოლქში სალმ-სალმის მთავარი იყო წარმოდგენილი.

25. მაინცი

მაინცის საარქიეპისკოპოსო-საკურფიურსტო პირველი საეკლესიო სახელმწიფო იყო გერმანული საღვთო რომის იმპერიაში.

მაინცს მნიშვნელოვანი პოზიცია ეკავა რაინისა და მაინის შესართავთან, რომელიც მას მნიშვნელობას ანიჭებდა; რაინის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ქალაქი ხიდით უკავშირდებოდა ქალაქ კასტელს მარჯვენა სანაპიროზე. საეკლესიო და კომერციული მოღვაწეობის გარდა მაინცის ნაყოფიერი მინები რაინის გაყოლებაზე და ქვემო მაინზე ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის განვითარებას (მევენახეობა).

მაინცის საკურფიურსტო, სადაც დაახლოებით 350 000 კაცი ცხოვრობდა (აქედან 25 000 ქალაქ მაინცში), რამდენიმე ტერიტორიისგან შედგებოდა, რომლებიც შემდეგნაირად შეიძლება დაიყოს:

– საკურფიურსტო, რომელიც მოიცავდა რაინის ორივე სანაპიროს ქალაქის გარშემო ოპენჰაიმიდან სენ-გოარამდე და მაინის ქვემო დინებას; რაინის მარჯვენა სანაპიროზე ბენსაიმის საბაიოს, რომელიც ჰესენ-დარმშტადტსა და პფალცს შორის მდებარე ანკლავი იყო; ზევით, მარჯვენა სანაპიროზე ობერლანშთაინის ანკლავს;

– აშაფენბურგის სამთავრო, რომელიც ჩვეულებრივ არქიეპისკოპოსის რეზიდენცია იყო და მდებარეობდა მაინის შუა წელზე, მასში შედიოდა ალცენაუ,

ამორბახი, მილტენბერგი, ზელიგენშტადტი და შტენჰაიმი; მას ექვემდებარებოდა ანკლავები ორბი, დიბურგი და შენთალი;

– ნოიშტადტის ანკლავი და ამენებურგი, რომელიც ჰესენში მდებარეობდა ჰესენ-კასელისა და ჰესენ- დარმშტადტის მიწებს შორის;

– ნაუმბურგის და ფრიტცლარის ანკლავები, ჩრდილოეთით ჰესენ-კასელსა და ვალდეკს შორის;

– ქვემო და ზემო აიხსფელდი, თიურინგიის საზღვართან, მდინარე ლაინის სათავეებთან;

– ერფურტის საბაიო, თავისი ანკლავებით ბლანკენჰაინი, ქვემო კრანიხფელდი და მიულბერგი თიურინგიის შუაგულში.

26. კიოლნი

კიოლნის საარქიეპისკოპოსო-საკურფიურსტოს ფართობი შეადგენდა 900კმ²-ს რაინის მარცხენა სანაპიროზე, მოსახლეობა შეადგენდა 150 000 კაცს; მისი დედაქალაქი იყო ბონი; ის სამი განსხვავებული ნაწილისგან შედგებოდა:

– საკუთრივ საკურფიურსტო, რომელსაც ესაზღვრებოდა ორი საჰერცოგო იულიხი და ბერგი და მდებარეობდა რაინის მარცხენა სანაპიროზე. ის იწყებოდა რაინბერგის ანკლავით პრუსიის სამფლობელოებში, გრძელდებოდა კემპენამდე და უერდინგენამდე და რაინბახსა და გოდესბერგს აღწევდა, შემდეგ მარცხენა სანაპიროზე ემატებოდა ორი ანკლავი ანდერნახი და ნერზე, მარჯვენა სანაპიროზე ჰქონდა სამი ანკლავი (დოიცი, კენიგსვინტერი და ლინც/ინტელ/ალტენვილდე); თავისუფალი ქალაქი კიოლნი არ შედიოდა საკურფიურსტოს შემადგენლობაში;

–ვესტფალიის საჰერცოგო, დედაქალაქი არენსბერგი მდინარე რურზე მდებარეობდა და ჰქონდა თავისი ანკლავი ფოლკსმარსენი;

– რეკლინგსჰაუზენის საგრაფო, ლიპეს ქვემო დინების გაყოლებაზე.

27. ტრირი

ტრირის საარქიეპისკოპოსო-საკურფიურსტო მოიცავდა 2 100კმ²-ს 220 000 მცხოვრებით. ტრირი დედაქალაქი იყო, ხოლო კობლენცი კურფიურსტის რეზიდენცია. ის გაშლილი იყო ზაარის, მოზელის, რაინისა და ლანის გაყოლებაზე; მასვე ეკუთვნოდა პრუმის სააბატო არდენებში, ასევე შედარებით იზოლირებული ანკლავი სენ-ვენდელი.

28. ზალცბურგი და ბერხტესგადენი

ზალცბურგის საარქიეპისკოპოსო და ბერხტესგადენის საპრევო ორი საეკლესიო სახელმწიფო იყო, რომლებიც ბავარიასა და ავსტრიას შორის მდებარეობდა. მათ ზალცახის ზემო აუზი და მისი შენაკადის ზალახის აუზი ეკავათ; ზალცბურგის ტერიტორია მოიცავდა ტაუერნის ზეგანს ცენტრალურ ალპებში; ბერხტესგადენს ახეს მცირე აუზი ეკავა.

მთიანი მხარეები, რომელთა მთავარი სიმდიდრეც მარილის საბადოები იყო, საკმაოდ განვითარებულ რეგიონებს წარმოადგენდა და XVIII საუკუნის გერმანიის საეკლესიო სამთავროებს შორის საპატიო ადგილი ეკავათ; "ალპების რომი" ასე უწოდებდნენ მაშინ ზალცბურგს, რომელიც ბაროკოს სტილის საუკეთესო ნიმუშია და სადაც მოცარტი ცხოვრობდა.

ბერხტესგადენი პატარა, ჰომოგენური ტერიტორია იყო, ხოლო ზალცბურგი 8 000კმ²-ს მოიცავდა 200 000 მცხოვრებით და შედგებოდა:

– საკუთრივ ზალცბურგის ტერიტორიისაგან ზალცახისა და ზალახის ველებზე;

– მიულდორფის ანკლავისაგან ბავარიაში, მდინარე ინზე;

– ცილერტალის და ვინდიშ-მარტაის ტერიტორიებისგან ტიროლში;

– შტალის და ზახსენბურგის ტერიტორიებისგან, ასევე კარინტიაში მდებარე ანკლავ ფრიზახისაგან.

ზალცბურგის საარქიეპისკოპოსო წარმოდგენილი იყო რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგიის საეკლესიო ფრთაში და ასევე ბავარიის ოლქის საეკლესიო ფრთაში. ბერხტესგადენის პრევოს რეზიდენციას ერთი ხმა ჰქონდა რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგიის საეკლესიო ფრთაში და ბავარიის ოლქის დიეტში.

29. ვიურცბურგი

ვიურცბურგის საეპისკოპოსო ფრანკონიის ოლქში მდებარეობდა. საეკლესიო სახელმწიფოებიდან ვიურცბურგი მაინცის შემდეგ მეორე იყო სიდიდითა და მისახლეობის რაოდენობით, რომელიც 300 000 კაცს უდრიდა. დასავლეთით მას ესაზღვრებოდა ფიულდესა და მაინცის საეპისკოპოსოები, სამხრეთით ბაიროითისა და ანსბახის სამარკგრაფოები, აღმოსავლეთით ბამბერგის საეპისკოპოსო, ჩრდილოეთით თიურინგიის სახელმწიფოები. იქ ბევრი ანკლავი იყო: ქალაქი შვაინფურტი, თიურინგიის ანკლავები ოსტჰაიმი და კენიგსბერგი, ბრანდენბურგის ანკლავი სპეკფელდი, კასტელის საგრაფო და შვარცენბერგის სამთავრო და ა.შ..

ეს მთიანი და ტყიანი მხარე იყო, ცნობილი თავისი ღვინოებით. მისი დედაქალაქი ბაროკოს ხელოვნების კერა იყო, რომელიც არ ჩამოუვარდებოდა ზალცბურგს.

ვიურცბურგის საეპისკოპოსოს ერთი ადგილი ჰქონდა ფრანკონიის ოლქის საეკლესიო ფრთაში და ერთი ადგილი რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგიის საეკლესიო ფრთაში.

30. ჰანზის ქალაქები

ჰამბურგის რესპუბლიკა (400კმ², 100 000 მცხოვრები) ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჰანზის სამ ქალაქს შორის. მასში შედიოდა ქალაქი და მისი შემოგარენი ელბის მარჯვენა სანაპიროზე, მაგრამ გადადიოდა მარცხენა სანაპიროზე ჰანოვერის ქალაქ ჰამბურგამდე. ჰამბურგი ეაჭრობდა ატლანტიკის ოკეანის პორტებთან, სახელდობრ ინგლისთან; ლონდონისა და ლივერპულის შემდეგ ის მესამე კომერციული პორტი იყო ევროპაში.

ბრემენის რესპუბლიკა (200კმ², 40 000 მცხოვრები) მდებარეობდა მდინარე ვეზერზე, ჰანოვერსა და ოლდენბურგს შორის. მასში შედიოდა ქალაქი ბრემენი, მისი შემოგარენი, ნავსადგური ფეგესაკი, რომელიც ჩრდილოეთით მდებარეობდა. ბრემენის პორტიც კომერციულ საქმიანობას ეწეოდა ატლანტიკის ოკეანეზე, თუმცა ჰამბურგზე მცირე მასშტაბით.

ლიუბეკის რესპუბლიკა (250კმ², 30 000 მცხოვრები) მდინარე ტრავეზე მდებარეობდა. მისი ძირითადი ტერიტორია მიუყვებოდა ტრავეს, პორტ ტრავემუნდამდე და ჰანოვერის საჰერცოგოში მდებარე ორ ანკლავამდე (სენ-გეორგსბერგი, ნუსე). ლიუბეკის სავაჭრო ქსელი ბალტიის ზღვაზე გადიოდა.

ბერგედორფის ოლქი თავისი გეშტახტის ანკლავით ელბას მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა და ორი რესპუბლიკის ჰამბურგისა და ლიუბეკის საერთო საკუთრება იყო.

სამივე ქალაქს თავისი ადგილი ჰქონდა ქვემო საქსონიის ოლქში, ასევე რაინის თავისუფალი ქალაქების კოლეგიაში რეგენსბურგის საიმპერატორო დიეტში.

31. სხვა სახელმწიფოები

ბევრი სხვა საერო და საეკლესიო სახელმწიფო, ასევე თავისუფალი ქალაქი ამ თავში ჩამოთვლილი არ არის, ისინი აღწერილია თავში "გამქრალი სახელმწიფოები" და საღვთო რომის იმპერიის დანართში. ძირითადად საქმე ეხება:

– მრავალ საგრაფოსა თუ სასენიოროს, რომლებიც იმპერიის ინსტიტუტებში წარმოდგენილი იყვნენ პერსონალურად ან უფრო ზოგადად საეკლესიო ხაზით (კოლექტიურად);

– მხედართა ორდენის მიწებს, რომლებიც წარმოადგენდნენ უმცირეს სახელმწიფოებს, ხშირად ერთ თუ ორ სოფელს; მათი დიდი რაოდენობის გამო ამ ნაშრომში მათი განხილვა ვერ მოხერხდა;

– საეკლესიო სამთავროებს, ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვანს, მაგრამ გამქრალს 1803 წლის არეულობების დროს; მათი ეპისკოპოსები, აბატები, პრევოები საღვთო რომის იმპერიის მთავრები იყვნენ და იმპერიის ინსტიტუტებში იყვნენ წარმოდგენილნი;

– 48 თავისუფალი ქალაქი, ჰანზის 3 ქალაქის გამოკლებით, რომელთაგან ორმოცდახუთი 1803 წელს, დანარჩენი სამი კი 1806 წელს გაქრა.

III. გერმანია რევოლუციურ ორომტრიალში (1789-1815) სხვადასხვა სახელმწიფოს ევოლუცია

საფრანგეთის რევოლუციის დაწყებამ საერთო განცვიფრება გამოიწვია. ახალმა რევოლუციურმა იდეებმა გამოძახილი ჰპოვა მოსახლეობის ერთ ნაწილში, რადგან გარკვეულ სახელმწიფოებში "განათლებული დესპოტების" მიერ გატარებული რეფორმების შემდეგ, ხალხი მეტნაკლებად მზად იყო ეკონომიკური და სოციალური ძვრებისათვის. საფრანგეთში განვითარებულმა მოვლენებმა შეაშფოთა გერმანული სახელმწიფოების მთავრობები, რომლებიც ნებისმიერი ძალით ცდილობდნენ გადამდები აზრების გავრცელება შეეზღუდათ, თუმცა ამ მოვლენებთან მიმართებაში თავიდან გარკვეულ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდნენ. მაგრამ მალე, ალზასის მთავრების უფლებების დაცვის გამო იმპერია და საფრანგეთი ერთმანეთს დაუპირისპირდა.

1792 წელს საფრანგეთის სამეფო ოჯახის დელიკატურმა მდგომარეობამ და ახალი, უფრო მებრძოლი იმპერატორის ფრანც II-ის მოსვლამ ომის დაწყება გამოიწვია, რომელმაც ერთმანეთს რევოლუციური საფრანგეთი, ავსტრია და პრუსია დაუპირისპირა. საფრანგეთმა ამ ომში გაიმარჯვა და 1794-1795 წლებში რაინის მარცხენა სანაპირო დაიკავა, ხოლო ავსტრიის წინააღმდეგ წარმოებული წარმატებული კამპანიის დროს (1796-1797) გერმანია აიძულა მისთვის რაინის მარცხენა სანაპიროს მიმდებარე გერმანული ტერიტორიები დაეთმო.

მარცხენა სანაპიროს ტერიტორიებჩამორთმეულ გერმანელ მთავრებს კომპენსაცია მარჯვენა სანაპიროზე უნდა მიეღოთ; ამისათვის მოლაპარაკებების ხანგრძლივი პროცესი გაიმართა (რაშტადტის კონგრესი), რომელიც ახალი კონფლიქტის გამო შეწყდა (1799-1800) და გერმანიის ფართომასშტაბიანი გადანაწილებით დასრულდა; შეთანხმების მუხლები საბოლოოდ 1803 წელს დამტკიცდა საიმპერატორო დეკრეტით: რაინის მარცხენა სანაპიროს თითქმის ყველა სახელმწიფო საფრანგეთის მიერ იყო ანექსირებული და მარჯვენა სანაპიროს თითქმის ყველა საეკლესიო სახელმწიფო და თავისუფალი ქალაქი უქმდებოდა ზარალის ანაზღაურების მიზნით. მართალია, საღვთო რომის იმპერია დარჩა, მაგრამ ის იმგვარად შეიცვალა, რომ იქ დამყარებული სუსტი წონასწორობა დროთა განმავლობაში ერთი ხელის მოსმით დაირღვა. მნიშვნელოვნად დაზარალებულ ავსტრიას საამმრჩევლო კოლეგიაში აღარ ჰყავდა სააღმსარებლო უმრავლესობა თავის სასარგებლოდ, რაც მის პოზიციებს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა იმპერიაში; უფრო მეტიც, თითქმის ყველა საეკლესიო სახელმწიფოს საეროდ გადაქცევით, მან ჰაბსბურგების ტრადიციულად ერთგული მხარდამჭერები დაკარგა. სამაგიეროდ, პრუსიისა და სხვა დიდი სახელმწიფოების პოზიციები გაძლიერდა.

პირველი კონსულის ბონაპარტის ამბიციებმა, რომელმაც თავი იმპერატორად გამოაცხადა, შეაშფოთა პრუსია და ავსტრია, რომლებიც გამუდმებით გერმანიაში გაბატონებაზე ოცნებობდნენ; გულგრილი არც რუსეთი დარჩენილა. ამ სამი სახელმწიფოს მიერ ახალი კოალიციის შექმნამ ომი გააღვივა და ამ ომში საფრანგეთმა ავსტრია და რუსეთი დაამარცხა აუსტერლიცთან (1805), პრუსია იენასთან (1806) და რუსეთი ხელახლა ფრიდლანდთან (1807).

ამგვარად, ნაპოლეონმა აიძულა ავსტრია ხელი მოეწერა პრესბურგის ზავზე (1805), პრუსია და რუსეთი ტილზიტის ზავზე (1807). გერმანიის ხელისუფლების შეცვლა მან სამი მიმართულებით დაინყო, რითაც იქ თავისი გავლენა გააძლიერა:

– მან თავის ახლობლებს გადასცა სახელმწიფოები, სადაც ფრანგული სულისკვეთება და საფრანგეთის ინსტიტუტები უნდა გაძლიერებულიყო: 1806 წელს მან ბერგი მიურატს ჩააბარა; 1807 წელს კი ვესტფალია თავის ძმა ჟერომს;

– განსაკუთრებით მტრულად განწყობილი გერმანული სახელმწიფოების მიმართ მკაცრი ზომები განხორციელდა, შეიკვეცა ავსტრიის, უფრო მეტად კი პრუსიის ტერიტორიები; პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე დამარცხებული რუსეთი შედარებით დაზოგეს; გაუქმდა ის სახელმწიფოები, რომელთა სუვერენებიც საფრანგეთის შეურიგებელი მტრები იყვნენ (ჰანოვერი, ბრაუნშვაიგი, ჰესენ-კასელი, ორან-ნასაუ).

– ტერიტორიების ბოძების შემდეგ გაიზარდა შუა გერმანიის სახელმწიფოები (ბავარია, ვიურტენბერგი, ბადენი, ჰესენ-დარმშტადტი და ა.შ.), ხოლო მათ სუვერენებს ნაპოლეონმა ღირსებები და წოდებები მიანიჭა, მან ისინი საქორწინო კავშირებით მიიზიდა და ახალ ინსტიტუტში, რაინის კონფედერაციაში გააერთიანა (1806 წლის ივლისი), რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. ამგვარმა ცვლილებებმა 1806 წლის აგვისტოში საღვთო რომის იმპერიის დაშლა გამოინვია.

საფრანგეთსა და ავსტრიას შორის ომი 1809 წელს განახლდა. ეს უკანასკნელი, ვაგრამთან დამრცხების შედეგ იძულებული გახდა ბავარიისათვის (ზალცბურგი) და საფრანგეთისათვის (ილირიული პროვინციები) ხელახლა დაეთმო ტერიტორიები, რამაც გამოიწვია ცვლილებები ტერიტორიულ მოწყობაში და ნაპოლეონის მიერ საფრანგეთის ერთგული მესამე სახელმწიფოს, ფრანკფურტის დიდი საჰერცოგოს შექმნა, რომელიც თავის ერთგულ ადამიანს, დილბერგს ჩააბარა (1810).

რუსეთში ნაპოლეონისა და მისი მოკავშირეების დამარცხებით (1812) გერმანიაში საფრანგეთის უკან დახევა იწყება; ამას რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის ახალი კოალიციის შექმნა მოჰყვა, საფრანგეთის მოკავშირეების ღალატი, ლაიპციგთან წაგებული ბრძოლის შემდეგ მისი უკან დახევა (1813), კოალიციის წევრების საფრანგეთში შეჭრა (1814), ნაპოლეონის პირველი გადადგომა, ევროპაში მშვიდობის დამყარების მიზნით ვენაში კონგრესის შეკრება, ნაპოლეონის დაბრუნება, შემდეგ მისი მეორედ გადადგომა ვატერლოოსთან მარცხის შემდეგ (1815), ევროპაში ახალი წესრიგის დამყარება, რომელმაც ოც წელზე მეტი ხნით მაინც ბოლო მოუღო არეულობებს გერმანიაში.

1. ავსტრია იხ. თავი "ავსტრია"

2. პრუსია

საფრანგეთის რევოლუციას პრუსიის განათლებული წრეები თავიდან სიმპათიით შეხვდნენ, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ საფრანგეთის გარდაქმნა იგივე ზომების მიღებით მოხდებოდა, რომლებიც პრუსიაში განათლებულმა სუვერენებმა გაატარეს უკვე მინურულ საუკუნეში.

1791 ნლის დეკემბერში, ვაჟი მემკვიდრის არყოლის გამო, მარკგრაფმა ფრიდრიხ - კრისტიანმა **პრუსიის მეფეს თავისი ორი სამარკგრაფო – ანსბახი და ბაიროითი მიჰყიდა,** რითაც პრუსიის ტერიტორია 7000 კმ²-ით და 400 000-ზე მეტი სუბიექტით გაიზარდა. მარკგრაფმა შეინარჩუნა **საიენ-ალტერკირხენის საგრაფო,** რომელიც საბოლოოდ 1803 წელს **ნასაუ-უზინგენის მთავარს დაუთმო** სამუდამო რენტის სანაცვლოდ.

პრუსია კონფლიქტში

პრუსიამ, რომელიც თავიდან ნეიტრალური ან შეიძლება კეთილგანწყობილიც იყო საფრანგეთის რევოლუციის მიმართ, პოლიტიკა შეცვალა (პილნიცის განცხადება 1791 ნლის აგვისტოში) და 1792 ნელს საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჩაება. ვალმთან დამარცხების შემდეგ (1792 ნლის სექტემბერი), მან დასავლეთის ფრონტი მიატოვა, რათა მხოლოდ პოლონეთით დაკავებულიყო.

1791 ნელს პოლონეთში ახალი კონსტიტუციის მიღებას ეკატერინე II-ის პროტესტი და სამხედრო ჩარევა მოჰყვა. პოლონეთსა და პრუსიას შორის არსებული

ფორმალური კავშირის მიუხედავად, ეს უკანასკნელი დანციგის (გდანსკის) აღების შემდეგ განზე გადგა და პოლონელები მარცხისთვის განირა. პოლონეთის ახალი განანილებისას, რომელშიც ნიდერლანდით დაკავებული ავსტრია არ მიუწვევიათ, პრუსიამ თავისი ნილი მიიღო.

1793 ნლის 23 იანვრის შეთანხმებით, **პრუსიამ 50 000 კმ²-ის ანექსირება მოახდინა,** სადაც 1 500 000 კაცი ცხოვრობდა:

– ქალაქები და **თორნისა** და **დანციგის** ტერიტორიები მან მაშინვე მიუერთა დასავლეთ პრუსიის პროვინციას (ადმინისტრაციული ცენტრი დანციგი);

– **კუჟავიე, ვიელიკო პოლსკო** თითქმის მთლიანად და **მაზოვიესა და მალო პოლსკოს** ნანილები: პოზნანის პფალცის ნანილი, პლოკი, რავა, ლეშჩიკა, კალიში, კრაკოვის ჩრდილო-დასავლეთი; ყველაფერი ამისგან ახალი პროვინცია **სამხრეთი პრუსია** შეიქმნა (ადმინისტრაციული ცენტრი პოზნანი).

პრუსიამ რუსეთს დაუთმო ტაუროგენის სამფლობელო.

საფრანგეთი თავის მხრივ ორჯერ გადავიდა რაინის მარცხენა სანაპიროზე (1792 და 1794 ნელს) და ამ მდინარეზე მდებარე პრუსიის მეფის სამფლობელოები დაიკავა (გელდრენი, მერსი და კლევეს საპერცოგოს ნახევარი).

1795 ნლის 5 აპრილს სანკტ-პეტერბურგის ხელშეკრულებით, პოლონეთთან საქმეების საბოლოო მოგვარებით დაკავებულმა პრუსიამ საფრანგეთთან ბაზელის ზავს მოაწერა ხელი. პრუსიამ აღიარა საფრანგეთის მიერ რაინის მარცხენა სანაპიროზე მისი პროვინციების დაკავების უფლება. სანაცვლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკებების პერიოდში, საფრანგეთმა მარჯვენა სანაპიროზე პრუსიისათვის ზარალის ანაზღაურება ივალდებულა.

თავისი მდგომარეობით შეურაცხყოფილი პოლონელები 1794 ნლის მაისში კოსტიუშკოს მეთაურობით აჯანყდნენ; ეს აჯანყება რუსეთმა და პრუსიამ ჩაახშეს.

1795 ნლის 24 ოქტომბრის ხელშეკრულებით, ავსტრიას, პრუსიასა და რუსეთს შორის გადანანილებული პოლონეთი გაქრა. პრუსიამ თავისი ნილის სახით 50 000კმ² მიიღო მილიონი მცხოვრებით:

– **სიეერსკის საპერცოგო** (კრაკოვის სავოეოდოს ჩრდილოეთის მეოთხედი), რომელიც პრუსიის სილეზიას მიუერთდა სახელწოდებით ახალი სილეზია;

– **მაზოვიეცის ნანილი** და **პოდლასის ჩრდილოეთის ნახევარი** (ბურგის ჩრდილოეთით);

– ლიტვის დიდი საპერცოგოდან (პოლონეთის): **სამოჟიტიეს ნანილი** ნიემენის ჩრდილოეთით და **ტროკის** სავოეოდოს **დასავლეთის ნახევარი** (ნიემენის დასავლეთით) – სუვალკი და ბიალისტოკი.

ამ ბოლო ორის ერთობლიობამ 1793 ნელს ანექსირებული პლოცკის სავოეოდოსთან ერთად შეადგინა ახალი პროვინცია სახელწოდებით **ახალი აღმოსავლეთი პრუსია** (ადმინისტრაციული ცენტრი ვარშავა).

1796 ნელს ჰარდენბერგის მთავარი, **ბაიროითისა** და **ანსბახის** მმართველი აქტიურ მომრიგებლურ პოლიტიკას ატარებდა; მან სამარკგრაფოებს **რომაელ კავალერისტთა ორდენის ტერიტორიების ანკლავები** და თავისუფალი ქალაქის **ნიურბერგის** მინების ნანილი მიუერთა.

1800 ნლის ნოემბერში პრუსიამ დაასნრო რუსეთსა და საფრანგეთს, სავარაუდოდ დიდი ბრიტანეთის ფარული მხარდაჭერით და ჰანოვერი დაიკავა.

1801 ნელს პრუსიამ თავისუფალი ქალაქის ნიურნბერგის ტერიტორიის ცენტრალური ნანილი დაიკავა.

პრუსიის პირველი სარგებელი ევროპაში

მეორე კოალიციის პერიპეტიებმა შეცვალა ავსტრიისა და პრუსიის მიმართ პირველი კონსულის, ბონაპარტის დამოკიდებულება; იგი მხოლოდ ავსტრიის დაკნინებაზე ფიქრობდა და ამ მიზნით ხელს უწყობდა პრუსიასა და ცენტრალური და სამხრეთი გერმანიის საშუალო სახელმნიფოებს და ცალკე აფორმებდა მათთან ხელშეკრულებებს.

1802 ნლის 30 მაისის პარიზის ხელშეკრულებით, რომელიც საფრანგეთსა და პრუსიას შორის დაიდო, შემდეგი დებულებები იქნა მიღებული:

პრუსია საფრანგეთს უთმობდა გელდრენის საპერეოგოს (ზემო გელდრენი), **მერსის სამთავროს და კლევეს საპერეოგოს დასავლეთის ნახევარს** (რაინის მარცხენა სანაპიროზე), რაც 2750 კმ^2-ს და 125000 მცხოვრებს უდრიდა.

სანაცვლოდ, **პრუსიას უფლება ჰქონდა მიეერთებინა:**

– **ჰილდესჰაიმის** (დასელის ანკლავით), **პადენბორნის საეპისკოპოსოები და მიუნსტერის საეპისკოპოსოს ნაწილი** (სამხრეთ-აღმოსავლეთის მესამედი ქალაქით);

– **მაინცის საარქიეპისკოპოსოს** მიერ დათმობილი ტერიტორიები: **ზემო და ქვემო აიხსფელდი, ერფურტის საბაიო თავისი ანკლავებით – ბლანკენჰაინი, ქვემო კრანიხფელდი და მიულბერგი;**

– **ელტენის, ესენის, ვერდენის, ჰერფორდის და კედლინბურგის საობატოები, კაპენბერგის საპრევეო;**

– **თავისუფალი ქალაქები გოსლარი, ნორდჰაუზენი და მიულჰაუზენი.**

ამ ანექსიებმა, რომლებმაც 12000 კმ^2 შეადგინა 500000 მცხოვრებით, პრუსიის მნიშვნელობა გაზარდა ჩრდილოეთ და დასავლეთ გერმანიაში და შეამცირა ვესტფალიის მის პროვინციებსა და სამეფოს ცენტრალურ ბლოკს შორის არსებული სიცარიელე. 1802 წლის აგვისტოდან პრუსიის მეფე თავის ახალ პროვინციებს დაეუფლა.

1803 წლის 25 თებერვალს საიმპერატორო დეკრეტით პრუსიას პარიზის 1802 წლის ხელშეკრულების დებულებები დაუკანონდა.

ანსბახსა და ბაიროითს პრუსიამ **ვიურცბურგის და ბამბერგის საეპისკოპოსოები** მიუმატა, რათა ეს სამარკგრაფოები გაფართოებულიყო, მაგრამ **იძულებული გახდა უარი ეთქვა ქალაქ ნიურბერგზე** სამი ანკლავით, რომელიც თავისუფალი ქალაქი გახდა.

რეგენსბურგის დიეტის მთავრების კოლეგიაში პრუსიას 13 ხმა გაუხდა; ძველ რვა ხმას დაემატა სამი გადაცემული (ჰილდესჰაიმი, პადენბორნი, ნიუნსტერი) და ორი ახალი ხმა (აიხსფელდი, ერფურტი).

1803 წლის 30 ივნისის შეთანხმებით, რომელიც პრუსიასა და ბავარიას შორის შედგა, **ბავარიამ პრუსიას დაუთმო** თავისუფალი ქალაქები **ვინდსჰაიმი** (მიერთებული ბაიროითთან), **ვისემბურგ-ენ-ნორდგაუ** და **დინკელსბული** (მიერთებული ანსბახთან). სანაცვლოდ **პრუსიამ ბავარიას გადასცა ლაუენშტაინის ანკლავი ბაიროითში.**

1805 წლის შემოდგომაზე იმპერატორი ნაპოლეონი ამაოდ სთავაზობდა ალიანსს პრუსიას (დიუროკის მისია ბერლინში), რისი საფასურიც საფრანგეთის მიერ 1803 წლიდან დაკავებული ჰანოვერი იქნებოდა. პრუსია რუსეთს დაუახლოვდა და ნაპოლეონის შესახვედრად გრაფი ჰაუგვიცი გააგზავნა, რომელსაც საფრანგეთისათვის პრუსიის მუქარა უნდა გადაეცა.

ეს უკანასკნელი ვენაში მაშინ ჩავიდა, როდესაც აუსტერლიცთან ბრძოლა საფრანგეთის გამარჯვებით დამთავრდა, რამაც იგი აიძულა პოზიცია შეეცვალა. 1805 წლის 15 დეკემბერს მიღებული მითითებების საპირისპიროდ მან ხელი შენბრუნის ზავს მოაწერა.

ამ ზავის პირობების მიხედვით პრუსია **იმპერატორ ნაპოლეონს უთმობდა ნევშატელის სამთავროს,** რომელიც შემდგომში მის მიერ აარჩეულ მთავარს გადაეცემოდა, **ანსბახის სამარკგრაფოს** და **კლევეს საპერეოგოს** ნაწილს.

სამაგიეროდ **ნაპოლეონი პრუსიას უბრუნებდა ჰანოვერს მთლიანად.** ეს მოწამლული საჩუქარი იყო, გამიზნული პრუსიისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობების გასაფუჭებლად და შესაბამისად გერმანიაში ნაპოლეონის პოზიციების გასაძლიერებლად.

პრუსიის მეფე ხელშეკრულების რატიფიცირებას აყოვნებდა და დებულებების შესაცვლელად პარიზში გრაფი ჰაუგვიცი გაგზავნა. ნაპოლეონის ულტიმატუმის შემდეგ, რომელიც ბაიროითის სამარკგრაფოს მიერთებითაც იმუქრებოდა, გრაფმა 1806 წლის 14 თებერვალს ხელი მოაწერა პარიზის ხელშეკრულებას, რომელიც შენბრუნის ზავს ამტკიცებდა ერთი პუნქტის დამატებით: **უფენჰაიმის ანკლავი ანსბახში,** რომელიც 1805 წლის დეკემბერში პრუსიას დარჩა, 1806 წელს გადაცემულ ტერიტორიათა სიაში შეეიდა.

6000 კმ²-ის და 200 000 კაცის დაკრგვის სანაცვლოდ, პრუსია ღებულობდა 31 500 კმ²-ს 950000 მცხოვრებით.

1806 ნლის მარტის თვის ბოლოს იოაკიმ მიურატმა, რომელიც ნაპოლეონმა ბერგის და კლევეს ჰერცოგი გახადა, მიიერთა ელტენის, ესენის და ვერდენის პრუსიული სააბატოები, რომელთა გადაცემაც 1805 ნელს არ მომხდარა; მიზეზად იგი იმას ასახელებდა, რომ ისინი კლევეს საჰერცოგოს ექვემდებარებოდა. ნაპოლეონმა მას უარი უთხრა და მათი მიერთება აუკრძალა.

1806 ნლის ივლისიდან ნაპოლეონის თხოვნის მიუხედავად (პრუსია სათავეში ჩადგომოდა ჩრდილოეთ გერმანიის ლიგას) ის საიდუმლო გარიგებით დაუკავშირდა რუსეთს. 8 ოქტომბერს პრუსიამ ნაპოლეონს ულტიმატუმი ნაუყენა მისთვის სამი სააბატოს დაბრუნების და გერმანიის დატოვების თაობაზე. 1806 ნლის 14 ოქტომბერს პრუსიელები სასტიკად დამარცხდნენ იენასთან და აუერშტადტთან.

1806 ნლისს ნოემბერში ნაპოლეონმა, რომელიც აღარ ინდობდა დამარცხებულ პრუსიას, უფლება მისცა მიურატს ბერგის დიდი საჰერცოგოსათვის ელტენის, ესენის და ვერდენის სააბატოები მიეერთებინა.

დამარცხებული და შემცირებული პრუსია

რადგან ეილაუსთან და ფრიდლანდთან პრუსიასთან ერთად რუსეთიც დამარცხდა, 1807 ნლის ივლისში იმპერატორმა ნაპოლეონმა ტილზიტში ორივე ქვეყანასთან გააფორმა ზავი.

ხელშეკრულებები ჰესენის საკიურფიურსტოს, მასთან ერთად ბრაუნშვაიგის საჰერცოგოს და ორან-ნასაუს სახლის სამფლობელოების გაუქმებას და ორი ახალი სახელმწიფოს – ვესტფალიის სამეფოსა და ვარშავის დიდი საჰერცოგოს შექმნას ითვალისწინებდა.

7 ივლისს რუსეთთან ზავის დადების დროს, ნაპოლეონმა ზომიერი მოთხოვნები ნამოაყენა, რადგან მეფე ალექსანდრე I-ის სახით მოკავშირის შეძენა სურდა.

სამაგიეროდ როდესაც 9 ივლისის ზავს ანერდა ხელს იგი ძალიან მკაცრი იყო პრუსიასთან,. მან პრუსიის გაუქმებაზე უარი მხოლოდ რუსეთის მეფის პატივისცემის ნიშნად თქვა, თუმცა იმ ტერიტორიების ნახევარი წაართვა, რომლებიც ელბის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა. 340 000 კმ²-დან და 10 მილიონი სულიდან პრუსიას 160 000 კმ² და 5 მილიონი მცხოვრები რჩებოდა.

პრუსიამ დაუთმო:

– **რუსეთს ბიალისტოკის ოლქი**, რომელიც ჩამოაჭრა აღმოსავლეთი პრუსიის თავის ახალ პროვინციას;

– მომავალში ვარშავის დიდი საჰერცოგოს შექმნის გათვალისწინებით **იმპერატორ ნაპოლეონს ახალი აღმოსავლეთი პრუსია** (ბიალისტოკის ოლქის გამოკლებით), **სამხრეთი პრუსია, ნეტცეს ოლქის სამხრეთის ანხევარი, ახალი სილეზია, თორნისა და კულმის სავოევოდოების ტერიტორია** (ჩამოჭრილი დასავლეთი პრუსიიდან);

– **იმპერატორ ნაპოლეონს** დანციგის ტერიტორია ცალკე რესპუბლიკის შესაქმნელად;

– **იმპერატორ ნაპოლეონს კოტბუსის ოლქი**, რომელიც 22 ივლისს საქსონიის სამეფოს გადაეცა;

– **იმპერატორ ნაპოლეონს** მომავალი ვესტფალიის სამეფოს შესაქმნელად შემდეგი პრუსიული ტერიტორიები:

– **ძველი მარკა, მაგდებურგის საჰერცოგოს ნაწილი**, რომელიც ელბის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა, **მანსველდის და ჰოენშტაინის საგრაფოები, ზაალეს ოლქი, ჰალბერშტადტის და მინდენის სამთავროები, რავენსბერგის საგრაფო;**

– **ჰილდესჰაიმის და პადერბორნის სამთავროები, ჰერფორდის, კედლინბურგის, აიხსფელდის** ძველი სააბატოები, ქალაქები **გოსლარი, ნორდჰაუზენი და მიულჰაუზენი;**

– 1805 ნელს მიღებული შემდეგი ტერიტორიები: **გრიუბენჰაგენის** საჰერცოგო თავისი ელბინგეროდეს ანკლავით, ჰანოვერის **ჰოენშტაინი, კალენბერგის** საჰერცოგოს **სამხრეთის ნაწილი;**

– **იმპერატორ ნაპოლეონს** რეზერვის სახით:

– **ოსნაბრუკის** სამთავრო ვიდენბრუკის ანკლავით, რომელიც 1805 წელს ჰანოვერისაგან იყო მიღებული და რომელიც 1807 წლის ნოემბერში ვესტფალიისათვის იქნა დათმობილი;

– **ოსტფრიზის** სამთავრო, რომელიც 1807 წლის ნოემბერში ჰოლანდიისთვის იქნა დათმობილი;

– **ლინგენის და ტეკლემბურგის** საგრაფოები, **მარკის** საგრაფო, **მიუნსტერის** სამთავრო და **კაპენბერგი**, რომლებიც 1808 წლის იანვარში ვესტფალიის სამეფოს გადაეცა;

– **ბაროროთის** სამარკგრაფო, თავისი კაულსდორფის ანკლავით, რომელიც 1810 წლის თებერვალში ბავარიას გადაეცა;

– **ლაუენბურგის** საჰერცოგო და **ერფურტის** ოლქი თავისი სამი ანკლავით, რომლებიც იმპერატორმა 1813 წლამდე შეინარჩუნა.

ამის მერე პრუსია მხოლოდ ბრანდენბურგისგან (ძველი მარკის გამოკლებით), პომერანიისაგან, სილეზიისაგან, დასავლეთი და აღმოსავლეთი პრუსიისაგან (თორნისა და დანციგის გარდა) და ელბის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე მაგდებურგის საჰერცოგოს ნაწილისაგან შედგებოდა.

1808 წლის 8 სექტემბერს პრუსიის დატოვების თაობაზე დადებული კონვენციის შედეგად **პრუსიამ საფრანგეთს** დაუთმო 1807 წელს გამორჩენილი **მაგდებურგის ციტადელი**, რადგან ელბის ცენტრალური განშტოების მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა. ნაპოლეონმა ის საფრანგეთისა და ვესტფალიის ორმაგი სუვერენიტეტის ქვეშ მოაქცია.

1806 წლის მარცხის შემდეგ პრუსიამ ძალების მოკრება დაიწყო ეკონომიკური, სამხედრო და მორალური ძლიერების აღსადგენად: ეკონომიკურ აღდგენას ბარონ შტაინის სამრეწველო რეფორმებით ცდილობდა, სამხედროს – შარნპორსტისა და გნეიზენაუს მიერ განხორციელებული რეორგანიზაციით, მორალურს – პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებით, დედოფალ ლუიზას და ფილოსოფოს ფიხტეს მონოდებების დახმარებით ("შიმართვა გერმანელი ერისადმი ").

პრუსია იძულებული გახდა რუსეთის წინააღმდეგ კამპანიაში საფრანგეთის მხარეს მდგარიყო, მაგრამ მან საფრანგეთის უკანდახევით ისარგებლა და 1813 წლის 28 თებერვალს კალიშში რუსეთთან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი; ეს ახალი სამხედრო ალიანსი იყო, რომელიც რუსეთისათვის პოლონეთის დიდი ნაწილის დათმობის სანაცვლოდ მას საშუალებას მისცემდა ის გეოგრაფიული და დემოგრაფიული მდგომარეობა აღედგინა, რომელიც 1806 წლის ომამდე ჰქონდა; ასევე მიეღო ჩრდილოეთი გერმანიის ტერიტორიები ჰანოვერის მიწების გამოკლებით.

ეს ვალდებულებები დაამტკიცეს დიდმა ბრიტანეთმა რაიხენბახში (14 ივნისი) და ავსტრიამ ტეპლიცეში (1813 წლის 9 სექტემბერი).

1813 წლის მარტიდან ბარონ შტაინმა ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების ცენტრალური ბიურო დააარსა, რომელსაც რაინის კონფედერაციის განთავისუფლებული ტერიტორიების მოვლა და გერმანიის გაერთიანებაზე ზრუნვა ევალებოდა.

ლაიპციგთან გამართული ბრძოლა (1813 წლის ოქტომბერი) მოკავშირეებმა მოიგეს და ფრანგებმა გერმანია დატოვეს. მაგრამ პრუსიის მიზნების საპირისპიროდ რუსეთსა და ავსტრიას გადაწყვეტილი ჰქონდათ ბრაუნშვაიგის, ჰესენ-კასელის, ოლდენბურგის, ჰანოვერის და ორან-სასაუს სახელმწიფოები აღედგინათ და ისინი იმ გერმანელი მთავრებისათვის გადაეცათ, რომლებიც საფრანგეთის საწინააღმდეგო კოალიციაში გაერთიანდებოდნენ.

ცენტრალური ადმინისტრაციის ბიურო უნდა დაკმაყოფილებულიყო აღმოსავლეთი საქსონიის, ბერგის და ფრანკფურტის დიდი საჰერცოგოების, არენბერგის საჰერცოგოს, იზემბურგის, სალმის და ლეიენის სამთავროების ტერიტორიების და რაინის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ტერიტორიების მართვით.

პრუსიამ სასწრაფოდ დაიბრუნა 1807 წელს დათმობილი გერმანიის ყველა სამფლობელო ჰანოვერის გარდა, რომელიც ინგლისის მეფეს დაუბრუნდა და ბაროროთის სამარკგრაფოს გამოკლებით, რომელიც ბავარიას დაუტოვა, ასევე

კოტბუსის ოლქის გარეშე, რომელიც ცენტრალური ადმინისტრაციის ბიუროს ექვემდებარებოდა.

1813 წლის დეკემბერში ფრანგებმა ავსტრიის ჯარების ზეწოლის შედეგად ნეუშტატელის სამთავრო დატოვეს, რომელიც პრუსიამ მაშინვე დაიბრუნა.

3. ბავარია პფალცი და ცვაიბრიუკენი, მოგვიანებით ბავარია

1792 წლის სექტემბერსა და 1794 წლის ოქტომბერს შორის პერიოდში, რაინის მარცხენა სანაპიროზე მდებარე გერმანული სახელმწიფოები ფრანგებმა დაიკავეს.

ბონაპარტმა, რომელმაც კამპო-ფორმიოში (1797 წლის ოქტომბერი) იმპერატორისაგან რაინის მარცხენა სანაპიროს სამფლობელოები და ასევე პირობა მიიღო, რომ შემდგომ სამშვიდობო კონგრესზე იგი სხვა სუვერენებსაც დაარწმუნებდა იგივე გაეკეთებინათ, 1797 წლის ნოემბერში რაინის მარცხენა სანაპიროს გერმანული სახელმწიფოები და მათ შორის პფალცის მიწებიც დაიკავა.

რადშტადტის კონგრესის მარცხმა, რომელზეც გერმანიის რეორგანიზაცია უნდა მომხდარიყო, საფრანგეთსა და ყოფილ მოკავშირეებს შორის **დაპირისპირება განაახლა**. 1799 წლის იანვარში სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, კურფიურსტმა კარლ-თეოდორმა გადაწყვიტა კონფლიქტში ჩართულიყო და მიმხრობოდა საფრანგეთის მტრების ბანაკს მიმხრობოდა.

1799 წლის თებერვალში იგი უმემკვიდროდ გარდაიცვალა. ტეშენის ზავის დებულებების მიხედვით, ის პფალცსა და ბავარიაში ცვაიბრიუკენის ჰერცოგმა მაქსიმილიან-იოზეფმა შეცვალა.

ამ პერიოდიდან ეს სახელმწიფოები ექვს პროვინციად იყოფოდა: ბავარია (მიუნხენი), ზემო პფალცი (ამბერგი), ნოიბურგი, ზულცბახი, რაინის პფალცი (მანჰაიმი), ბერგი (დიუსელდორფი).

1799 წლის ოქტომბერში ზულცბახის პროვინცია ზემო პფალცის პროვინციას მიუერთდა და საკიურფურსტოს პროვინციების რაოდენობა ხუთამდე დავიდა.

საფრანგეთის წყალობანი

ახალი პირველი კონსულის ბონაპარტის მორენგოში გამარჯვებამ (1800 წლის ივნისი), ასევე გენერალ მოროს ჰოენლინდენში გამარჯვებამ (1800 წლის დეკემბერი), იმპერატორი აიძულა თავისი და სალეთო რომის იმპერიის სახელით ხელი მოეწერა ზავისათვის ლუნევილში (1801 წლის თებერვალი). ამ შეთანხმებაში კამპო-ფორმიოში მიღებული დებულებები დასტურდებოდა და გერმანია რაინის მარცხენა სანაპიროს საფრანგეთს უთმობდა იმ პირობით, რომ მარცხენა სანაპიროს დაზარალებული მთავრები კომპენსაციას მარჯვენა სანაპიროზე, საეკლესიო სახელმწიფოების ხარჯზე მიიღებდნენ.

მთავარი შეთანხმების დაუცდელად, ბონაპარტმა ცალკე ხელშეკრულებებს მოაწერა ხელი გერმანიის იმ მნიშვნელოვან მთავრებთან, რომელთა დაცვაც უნდოდა. ამ ფონზე, იმისათვის, რომ ავსტრია დაეზარალებინა, მან ხელი შეუწყო პრუსიასა და ცენტრალური და სამხრეთ გერმანიის საშუალო სახელმწიფოებს. ბონაპარტის ასეთი ტრადიციული პოლიტიკის მიხედვით, მთავარი როლი ბავარიას უნდა შეესრულებინა.

1801 წლის 24 აგვისტოს, საფრანგეთმა და ბავარიამ ხელი მოაწერეს პარიზის ხელშეკრულებას, რომლის დებულებებიც 1803 წლის 25 თებერვლის მთავარი საიმპერატორო დეკრეტით დამტკიცდა.

ბავარია უთმობდა:

– ბადენის მარკგრაფს: ბრეტენის, ჰაიდელბერგის, ლადებურგის და მანჰაიმის საბაიოებს;

– ნასაუ-უზინგენის მთავარს: პფალცის **კაუბის** საბაიოს;

– ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფს: ლინდენფელსის, **ოტცბურგის** და **უმშტადტის** საბაიოებს პფალცში;

– ლინანგის მთავარს: **ბოესბერგის** და **მოსბახის** საბაიოებს პფალცში,

– ბატავიის რესპუბლიკას: **რავენშტაინს, ბერგენ-ოპ-ზომს, ვინენდალს, სენ-მიშელ-გესტელს;**

– **საფრანგეთს: რაინის მარცხენა სანაპიროს პფალცს, იულიხს, ზიმერმანს, ველდენცს, ლაუტერეკს, ლაუტერნს, ცვაიბრიუკენს, ბირკენფილდს, სპონ-ჰაიმს, ბიშვილერს, რიბოპიერს, ლა პეტიტ-პიერს.**

კომპენსაციის ნიშნად ბავარია ღებულობდა 17 000 კმ²-ს 900 000 სულს

– *შემდეგი საეპისკოპოსოების საეროდ გადაქცევით და მედიაციით:*

– **ვიურცბურგს** თითქმის მთლიანად, ანსბახის ფრაგმენტების გამოკლებით;
– **ბამბერგს** თითქმის მთლიანად ანსბახისთვის დატოვებული რამდენიმე ფრაგმენტის გამოკლებით;
– **აუგსბურგს** მთლიანად (თავისუფალი ქალაქი);
– **ფრიზინგს** თითქმის მთლიანად, ტიროლში და კრაინაში არსებული ანკლავების გამოკლებით, რომლებიც ავსტრიას დარჩა;
– **პასაუს ნაწილს,** კერძოდ, ილცის ნაწილს დასავლეთით ქალაქთან ერთად და ობერნდორფის ანკლავს, დანარჩენი ზალცბურგის კურფიურსტს გადაეცა;
– **რეგენსბურგს ნაწილობრივ,** კერძოდ, აღმოსავლეთ ფრაგმენტებს და ჰოენბურგის ანკლავს, დანარჩენი ქალაქთან ერთად მაინცის საარქიეპისკოპოსოს გადაეცა;
– **აიხშტედტს** ნაწილობრივ, კერძოდ, ერიდენის და არბერგის ანკლავებს, დანარჩენი ქალაქთან ერთად ზალცბურგის კურფიურსტს გადაეცა;
– **ზალცბურგის ნაწილს:** მიულბერგის ანკლავს მდინარე ინზე;

– *შემდეგი საეპატოების საეროდ გადაქცევით და მედიაციით:*

– **კემპტენს, ელჰინგენს, ირსეს, კაიზერჰაიმს, როგენბურგს, ვეტენჰაუ-ზენს, ზეფლინგენს, ოტობერენს, ერბახს, ვენგენს ულმში, სენტ-ულრიხს და აფრას აუგსბურგში;**

– *შემდეგი თხუთმეტი თავისუფალი ქალაქის მედიაციით:*

– **ულმს, ნერდლინგენს, როტენბურგს ტაუბერზე, მემინგენს, კემპტენს, დინკელსბურს, რავენსბურგს, შვაინფურტს, ვინდსჰაიმს, კაუფბოირენს, ვანგენს, ლოიტკირხს, ვისემბურგ-ენ-ნორდგაუს, ბუხჰორნს, ბოპფინგენს;**

– *იმპერიის შემდეგი სოფლების მედიაციით:*

– **გოშჰაიმს, ზენფელდს** და **ლოიტკირხ-ჰაიდეს** (39 თავისუფალი სოფლის ლიგა, რომელთაც ბალი მართავდა).

კურფიურსტ მაქს-იოზეფს, ვიტელსბახის სამფლობელოებით რვა ხმა უნდა ჰქონოდა საიმპერატორო დიეტის მთავართა კოლეგიაში. რაინის მარცხენა სანაპიროს მიწების გადაცემით მან ხუთი ხმა დაკარგა (ლაუტერნი, ზიმერნი, ცვაიბრიუკენი, ველდენცი, ლაუტერეკი). საეროდ გადაქცევის შემდეგ კი ექვსი ხმა დაემატა (ბამბერგი, ვიურცბურგი, აუგსბურგი, ფრიზინგი, პასაუ, კემპტენი).

მთავართა კოლეგიაში ბავარიამ ოთხი ახალი ხმა მიიღო (ქვემო ბავარია, ბერგი, ზულცბახი, მინდელჰაიმი). ახლა მას უკვე 13 ხმა, ანუ კოლეგიის ხმათა მეათედი ჰქონდა.

1803 წლის 30 ივნისის ხელშეკრულებით, რომელიც პრუსიასა და ბავარიას შორის დაიდო, **ბავარია პრუსიას უთმობდა ვინდსჰაიმს და დინკენსლბულს, ასევე ვისემბურგ-ენ-ნორდგაუს.** სანაცვლოდ, **პრუსია ბავარიას უთმობდა ბაიროითის ანკლავს ლაუენშტაინს.**

ბოლო ტერიტორიული ცვლილებების შემდეგ მიღებული სამფლობელოების რიცხვი, რომლებიც კურფიურსტ მაქს-იოზეფს ეკუთვნოდა შეადგენდა 38 ტერიტორიას. გარკვეული აგვისტოში ისინი შვიდ პროვინციად დაჯგუფდა: ბავარია (მიუნხენი), ზემო პფალცი (ამბერგი), ნოიბურგი, ვიურცბურგი, ბამბერგი, შვაბეთი (ულმი), ბერგი (დიუსელდორფი).

1805 წლის ივნისში **ბავარიის კურფიურსტმა ტეუტონური ორდენის თავ-მჯდომარისაგან გამოისყიდა ბავარიაში ანკლავირებული თავისი სამფლო-ბელოების უმეტესი ნაწილი.**

მან მიიღო **ორტენბურგის საგრაფო**, რომელიც ლენში გაცვალა.

ამის გამო, რომ კონტინენტზე ომი მნიფდებოდა, ნაპოლეონი ცდილობდა ბავარია საფრანგეთის მხარეს გადაებირებინა. მან ის დაარწმუნა სამხედრო ალიანსში შესულიყო და ბოგენჰაუზენის ხელშეკრულებით (1805 წლის 24 აგვისტო) სამეფო გვირგვინს და ტერიტორიების გაზრდას ჰპირდებოდა. ავსტრიის მიერ ბავარიაში შეჭრით (7 სექტემბერი) დაიწყო კონფლიქტი, რომელიც აუსტერლიცთან დასრულდა.

აუსტერლიცთან საფრანგეთის გამარჯვებიდან ცოტა ხნის შემდეგ (2 დეკემბერი), საფრანგეთმა და ბავარიამ ხელი მოაწერეს ბრუნის ხელშეკრულებას (1805 წლის 10 დეკემბერი), რომელიც ითვალისწინებდა ზავის დადების შემდეგ ბავარიისათვის სამეფო გვირგვინის, ფორარლბეგის, ქალაქ აუგსბურგის, ბურგაუს სამარკგრაფოს, ეიხშტედტის და პასაუს ყოფილი საეპისკოპოსოების ზალცბურგული ნაწილის გადაცემას.

16 დეკემბერს შენბრუნის საიდუმლო შეთანხმებით საფრანგეთი ბავარიას უთმობდა ანსბახის სამარკგრაფოს, რომელიც წინა დღით პრუსიისგან მიიღო. სანაცვლოდ ბავარია ნაპოლეონს უთმობდა ბერგის საჰერცოგოს, რომელსაც იგი მის მიერ არჩეულ მთავარს გადასცემდა.

19 დეკემბრიდან საფრანგეთის ჯარების დახმარებით, ბავარიის კურფიურსტმა რეალურად მოიპოვა მის ტერიტორიაზე ანკლავირებული იმპერიის რაინდთა სამფლობელოები.

1805 წლის 26 დეკემბერს პრესბურგში ხელი მოწერა ზავს, რომელიც ბოლოს უღებდა ერთი მხრივ ავსტრიასა და მეორე მხრივ საფრანგეთსა და მის მოკავშირეებს შორის დაპირისპირებას. ეს ზავი ითვალისწინებდა ტერიტორიულ ცვლილებებს ავსტრიის საზიანოდ, ამათგან ბავარიას შეეხო შემდეგი:

– **ავსტრია ბავარიას უთმობდა ტიროლს მთლიანად** ტრენტესა და ბრიქსენის ჩათვლით; საპასუხოდ, **ბავარია ზალცბურგის კურფიურსტს უთმობდა ვიურცბურგის ყოფილ საეპისკოპოსოს**, რომელიც აღნიშნული კურფიურსტის სასარგებლოდ საკურფიურსტო ხდებოდა.

– გარდა ამისა, **ავსტრია ბავარიას უთმობდა:**

– **ბურგაუს სამარკგრაფოს და მასზე დამოკიდებულ ტერიტორიებს** (ბურგაუს, გიუნცბურგეს და ა.შ.), ეპინგენი დუნაიზე ამათ შორის არ შედიოდა, ის ვიურტემბერგს დაეთმო;

– **ფორარლბერგის შვიდ სასენიოროს**: მონფორტს, ფელდკირხეს, ბლუდენს, ზონენბერგს, ბრეგენცს, ჰოენეკს, დორნბირნს;

– **ჰოენემის საგრაფოს და სენ-გეროლდის ყოფილ საპრევოს**, რომლებიც ფორარლბერგში იყო ანკლავირებული;

– **კიონიგსეგ-როტენფელსის საგრაფოს;**

– **ტეტნანგის და ლანგენარგენის სასენიოროებს;**

– **ლინდაუს სამთავროს** (ყოფილი თავისუფალი ქალაქი და სააბატო), მიღებულს 1804 წელს ბრეტენცენჰაიმის მთავრისაგან;

– **ზალცბურგის კურფიურსტი ბავარიას უთმობდა აიხშტეედტის და პასაუს ყოფილი საეპისკოპოსოების ზალცბურგულ ნილს**, ასევე **ცილერტალს**, რომელიც ბავარიამ ტიროლს მიუერთა;

– **ბავარია იერთებდა თავისუფალ ქალაქ აუგსბურგს და რომის მხედართა მინებს.**

პრესბურგის ზავმა ბავარიას შემატა დაახლოებით 28 000 კმ² და 600 000 მცხოვრები.

იმპერატორმა ფრანც II ბავარიის კურფიურსტს უბოძა ბავარიის მეფის ტიტული და საღვთო იმპერიისაგან სრული დამოუკიდებლობა.

და ბოლოს, ნაპოლეონმა ბავარიის კურფიურსტისადმი მიწერილ წერილში 1805 წლის 27 დეკემბერს განზრახ დატოვა გაურკვეველი "იტალიის" ტიროლის სამხრეთი ნაწილის ბედი (ტრენტენი), რომელიც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (ბავარია თუ იტალია) დროებითი ადმინისტრაციის ქვეშ რჩებოდა.

ბავარია სამეფო გახდა

1806 წლის 1 იანვარს მიუნხენში საზეიმო ვითარებაში საკურფიურსტო **ბავარიის სამეფოდ** გამოცხადდა.

13 იანვარს იტალიის მეფისნაცვალმა იოგენ ბოარნემ ბავარიის მეფის უფროსი ქალიშვილი ავგუსტა-ამელი შეირთო, რითაც ფრანკო-ბავარიული ალიანსი განამტკიცა, სამხრეთ გერმანიაში იმპერატორ ნაპოლეონის პოლიტიკის ქვაკუთხედი.

1806 წლის 14 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, **პრუსიამ ბავარიას დაუთმო** ანსბახის სამარკგრაფო და ანკლავი **უფენჰაიმი**.

1806 წლის აპრილში უკანასკნელი ტერიტორიული ცვლილებების შედეგად ბავარიის სამეფო, რომელმაც დაკარგა ორი პროვინცია (ვიურცბურგი და ბერგი) და შეიძინა ორი (ტიროლი და ანსბახი), იყოფოდა შემდეგ შვიდ პროვინციად: ბავარია (მიუნხენი), ზემო პფალცი (ამბერგი), შვაბეთი (ულმი), ბამბერგი, ნოიბურგი, ანსბახი და ტიროლი (ინსბრუკი).

ფორარლბერგი და აუგსბურგი შვაბეთს, პასაუ ბავარიას, აიხშტედტი კი ნოიბურგს შეუერთდა.

1806 წლის 25 მაისის მიუნხენის შეთანხმებით, იმპერატორმა ნაპოლეონმა ბავარიას გადასცა იტალიის ტიროლის სამხრეთის შემონახული ნაწილი (ტრენტენი), რომელიც ბავარიამ თავის ტიროლის პროვინციას მიუერთა.

იმისათვის, რომ შუა გერმანიის რეორგანიზაცია უფრო სრულყოფილი ყოფილიყო და ის ავსტრიისა და პრუსიის ყოველგვარი გავლენისაგან განთავისუფლებულიყო, 1806 წლის 12 ივლისს ნაპოლეონმა თავისი პროტექტორატის ქვეშ რაინის კონფედერაცია დააარსა.

რაინის კონფედერაციის დამაარსებელ სახელმწიფოებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ბავარია იყო. მისი მეფე ფრანკფურტის დიეტის მეფეთა კოლეგიის წევრი ხდებოდა.

კონფედერაციის წევრ-ქვეყნებს ერთმანეთში ტერიტორიული და საერო მთავრების დაქვემდებარების საკითხები უნდა გაერკვიათ.

ამ ფარგლებში, **ბავარია ვიურტემბერგს უთმობდა ვიზენშტაიგის სასენიოროს**, სამაგიეროდ **ბავარიის დაქვემდებარებაში** შედიოდა შემდეგი ქვეყნები.

– **თავისუფალი ქალაქი ნიურბერგი;**

– ბურგაუს სამარკგრაფოში ანკლავირებული **ტევტონური ორდენის** სამფლობელოები **როჰრი** და **ვალდშტეტენი;**

– **შვარცენბერგის** სამთავრო, **კასტელის** საგრაფო, **სპეკფელდი** და **ვიზენშტაიდი** (შენბორნში), **შტერნშტაინის** და **ედელშტეტენის** საგრაფოები, **ვინტერიდენის** საბურგრაფო, **ტორნ-უნდ-ტაქსის** სამთავროს ნაწილი ნოიბურგის ჩრდილოეთით, **შილინგსფურსტის** და **კირხბურგის** ანკლავები (ანსბახში), **ფუგერის** მთავრის და გრაფების სამფლობელოების **უმეტესი ნაწილი**, **ეტინგენ-სპილბერგის** და **ეტინგენ-ვალერშტაინის** სამთავროები, **პაპენჰაიმის** საგრაფო, **ბუქსჰაიმის** და **თანჰაუზენის** სასენიოროები.

– საერთო მოგება შეადგენდა დაახლოებით 200 000 სულს.

– ავსტრიელები 1805 წლიდან ითხოვდნენ ცირელტალს, როგორც ზალცბურგის საჰერცოგოს ნაწილს. მათ ის 1807 წლის 21 მაისს დაიკავეს. საპასუხოდ ნაპოლეონმა გამოსცა დეკრეტი, რომლითაც ოფიციალურად

– **აერთიანებდა ცერელტალსა და ტიროლს**, ეს გაერთიანება 1809 წელს, ზალცბურგის გადაცემისას დამტკიცდა.

1805 წლის პრესბურგის ზავით ზალცბურგის კურფიურსტს, რომელიც ვიურცბურგს დაექვემდებარა, მხოლოდ ძველი საეპისკოპოსოს ტერიტორია ერგო შვაინფიურტის ანკლავებისა და და რომის მხედართა მინების გარეშე, რომლებიც ბავარიამ 1803 და 1805 წლებში დაიქვემდებარა.

1807 წლის 12 ივნისის შეთანხმებით, **ბავარია ვიურცბურგის საერცჰერცოგოს იმპერიის რაინდთა ტერიტორიებს უთმობდა**, **რომლებიც საერცჰერცოგოს ანკლავები** იყო. **ბავარია** შვაინფიურტის ანკლავს ინარჩუნებდა და

სარგებლობაში ღებულობდა სამხედრო გზას, რომელიც ამ ქალაქს ბავარიის ტერიტორიებთან აკავშირებდა.

პრუსიის წინააღმდეგ ომში ბავარია საფრანგეთის მხარეს იბრძოდა. 1807 წლის იელისში მან ბაიროითის სამარკგრაფო დაიკავა. მაგრამ დიდად გაუცრუდა იმედი, როდესაც ნაპოლეონმა სამარკგრაფო, რომელიც მას პრუსიამ 9 ივლისს ტილზიტის ზავით დაუთმო, რეზერვში დაიტოვა. 1808 წლის 21 იანვისის ედიქტით ბავარია მთლიანად გადაკეთდა „à la fransaise" და 15 ოლქად დაიყო, რომლებიც მდინარეების სახელებს ატარებდნენ და თითოეულს პრეფექტი მართავდა: მაინი (ბამბერგი), პეგნიცი (ნიურნბერგი), ნაბი (ამბერგი), რეგნიცი (ანსბახი), ალტმიული (აიხშტედტი), ზემო-დუნაი (ულმი), ლეხი (აუგსბურგი), რეგენი (შტრაუბინგი), ქვემო დუნაი (პასაუ), იზარი (მიუნხენი), ზალცახი (ბურგჰაუზერი), ილერი (კემპტენი), ინი (ინსბრუკი), აიზახი (ბრიქსენი), ადიჯე (ტრენტე).

1808 წლის 8 სექტემბერს ბავარიამ საერო გახადა **მალტის ორდენის მინები, რომლებიც მის ტერიტორიაზე მდებარეობდა.**

1809 წლის 24 აპრილს რეგენსბურგის დეკრეტით, ნაპოლეონმა გადაწყვიტა ტევტონური ორდენის იმ მინების საეროდ გადაქცევა, რომლებიც რაინის კონფედერაციაში იყო მოქცეული. ბავარიამაც საეროდ აქცია თავის ტერიტორიაზე მდებარე ამ ორდენის მინები, რომლებიც ჯერ მის საკუთრებაში არ იყო.

ბოლო ტერიტორიული შენამატები

1809 წელს საფრანგეთსა და ავსტრიას შორის ომი განახლდა, ავსტრია ვაგრამთან დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა ნაპოლეონისთვის ტერიტორიების დიდი ნაწილი დაეთმო, რომელთა შორის იყო ზალცბურგი, ბერხტესგადენი, ინფირტელი და ჰაუზრუკვირტელის ნახევარი.

1810 წლის გაზაფხულზე ნაპოლეონის ქორწინება ერცჰერცოგ მარი-ლუიზაზე, სუვერენების პარიზში შეკრებისა და ინტენსიური დიპლომატიური მოღვაწეობის საბაბი გახდა. იმპერატორმა თავისი მართვის პერიოდში ბოლო ტერიტორიული ცვლილებები განახორციელა.

ბავარიის მეფე შიშობდა, რომ მისი ქალიშვილი ავგუსტა იტალიაში ვერ იმეფებდა თუ ერთ მშვენიერ დღეს, ნაპოლეონის შთამომავალი გვირგვინის მიღებას მოინდომებდა. მისი შიშის გასაქარწყლებლად ნაპოლეონმა ახლად საეროდ გადაქცეული მაინცის საარქიეპისკოპოსო, რიშელიც ფრანკფურტის საერცჰერცოგოს რანგში აიყვანა, იოგენსა და ავგუსტას ამ საჰერცოგოს მემკვიდრეებს გადასცა, რომლებიც მას ერცჰერცოგ დალბერგის გარდაცვალების შემდეგ მიიღებდნენ. ამ უკანასკნელმა კი სხვადასხვა ტერიტორიის მიმატების სანაცვლოდ, 16 თებერვალს ნაპოლეონს ბავარიაში ანკლავირებული თავისი რეგენსბურგის სამთავრო დაუთმო (ქალაქი და ყოფილი საეპისკოპოსო).

1810 წლის 28 თებერვალს პარიზში საფრანგეთსა და ბავარიას შორის დაიდო ხელშეკრულება და ბავარიამ მნიშვნელოვანი ტერიტორიები მიიმატა. **ბავარიამ საფრანგეთისაგან მიიღო:**

– **რეგენსბურგის საამთავრო**, რომელიც ფრანკფურტის ერცჰერცოგმა დათმო;

– **ბაიროითის სამარკგრაფო**, რომელიც პრუსიამ 1807 წელს დათმო და მოიცავდა ორ ძირითად ტერიტორიას (ბაიროითსა და ნოიშტადტს), რასაც კაულსდორფის ანკლავი თიურინგიაში ემატებოდა;

– **ზალცბურგის საჰერცოგო ბერხტესგადენთან, ინფირტელთან** (ბავარიის ტერიტორია 1779 წლამდე) **და ჰაუზრუკვირტელის, დასავლეთის ნახევართან** ერთად (ავსტრიის ყოფილი ტერიტორია), რომელიც 1809 წლის ოქტომბერში ავსტრიამ დათმო; საფრანგეთმა ყოველი შემთხვევისთვის ვინდიშ მარტეის ტერიტორია ზალცბურგის საჰერცოგო დაიტოვა, რომელიც ავსტრიის მიერ დათმობილ დასავლეთ კარინტიას მიუერთა.

საერთო მოგება დაახლოებით 700 000 სულს შეადგენდა.

სანაცვლოდ **ავსტრია უთმობდა:**

– **იტალიის სამეფოს იტალიის ტიროლს** (ტრენტენი) **და გერმანიის ტიროლის ერთ ნაწილს,** ბოლცანოს ჩრდილოეთამდე.

– **საფრანგეთს** მისი კარინტიის ილირიული პროვინციისათვის **აღმოსავლეთ ტიროლს,** ტოლბახის საზღვრის აღმოსავლეთით

– **ვიურცბურგის დიდ საპერცოგოს ქალაქ** ანკლავს **შვაინფიურტს.**

1810 წლის 18 მაისის პარიზის ხელშეკრულებით, რომელიც ბავარიასა და ვიურტემბერგს შორის დაიდო, **ბავარია ვიურტემბერგს უთმობდა ულმის, რავენსბურგის, ფუგერს,** ასევე **ვანგენს, ლოიტკირხენს, ბუქპორნს** და **ბოპფინ-გენს, ლოიტკირხერ ჰაიდეს, ტეტნანგს** და **ლანგენარგენს** და **ანსბახის ფრაგმენტებს** (კრეგლინგენს, კრაილსჰაიმს).

საერთო ჯამში დანაკარგი დაახლოებით 500 000 სულს შეადგენდა, მოგება 200 000 სულს, რითაც ბავარიის მოსახლეობა 3 200 000 სუბიექტამდე იზრდებოდა 96 000 კმ^2-ზე. ყველაფრის მიუხედავად, ბავარიის მეფე კმაყოფილი არ იყო, რადგან ნაპოლეონი იმის გამო საყვედურობდა, რომ ტიროლში ნესრიგი ვერ დაამყარა (ჰოფერის ამბოხი), რასაც საფრანგეთ-ბავარიის ურთიერთობაში ბზარის გაჩენა მოჰყვა.

1810 წლის ოქტომბერში ტერიტორიები ცხრა ოლქად გადანაწილდა, რაც უფრო შეესაბამებოდა ბავარიულ ტრადიციებს: იზარი (მიუნხენი), ქვემო-დუნაი (პასაუ), რეგენი (რეგენსბურგი), მაინი (ბაიროითი), ზემო დუნაი (აიხშტედტი), ილერი (კემპტენი), ტიროლი (ინსბრუკი), ზალცახი (ზალცბურგი); ქალაქებს აუგსბურგს და ნიურბერგის საკუთარი მმართველობა ჰქონდა.

საფრანგეთის დამარცხებებმა ბავარიას პოზიცია შეაცვლევინა, რაც 1813 წლის 8 ოქტომბერს რიდში ავსტრიასთან დადებული ხელშეკრულებით გამოიხატა. ბავარიამ რაინის კონფედერაცია დატოვა და ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდა. ავსტრიამ მას გვირგვინის და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების გარანტია მისცა, ხოლო ტერიტორიების ავსტრიისთვის გადაცემის შემთხვევაში ზარალის სრულ ანაზღაურებას ჰპირდებოდა.

საფრანგეთის კამპანიის დასრულებისა და ნაპოლეონის გადადგომის შემდეგ, ავსტრია და ბავარია არ დაელოდნენ კონგრესის გადაწყვეტილებებს, რომელსაც ევროპის რეორგანიზაცია უნდა მოეხდინა და 1814 წლის 3 ივნისის პარიზის შეთანხმებით შემდეგი დებულებები მიიღეს:

– **ბავარია** დაუყოვნებლივ **უთმობდა ავსტრიას ბავარიის ტიროლს და ფორარლბეგს,** ამ უკანასკნელს აკლდებოდა ჰოენეკი, რომელიც ბავარიას ლინდაუზე და კონსტანცის ტბაზე გასასვლელით უზრუნველყოფდა;

– სანაცვლოდ **ავსტრია** დაუყოვნებლივ **უთმობდა** ბავარიას **ვიურცბურგის საერცჰერცოგოს** და **აშაფენბურგის სამთავროს,** ორბის ოლქის გამოკლებით, რომლის ბედიც გაურკველი დარჩა;

– ზალცბურგის, ბერხტესგადენის, ინფირტელის, ჰაუზრუკფირტელის გადაცემის საკითხი გადასაწყვეტად ვენის კონგრესს გადაეგზავნა, რიდის ხელშეკრულების თანახმად მისაღები კომპენსაციის მოლოდინში.

4. ვიურტემბერგი

1792 წელს ვიურტემბერგის უმცროსი შტოს კუთვნილი **ელსის საპერცოგო, ბრაუნშვარგ–ოლფენბუტელის ჰერცოგმა** მიიღო პრუსიის მეფის სიუზერენობის ქვეშ.

1793 წლის 11 ოქტომბერს საფრანგეთის არმიამ, გენერალ კუსტინის მეთაურობით მონბელიარდი დაიკავა; დადებული შეთანხმებით **მონბელიარდის სამეფო საფრანგეთს მიუერთდა.**

ვიურტემბერგის ჰერცოგი ანტიფრანგული კოალიციის წევრი იყო, მაგრამ 1796 წლის 7 აგვისტოს პარიზის შეთანხმებით საფრანგეთმა და ვიურტემბერგმა ნერტილი დაუსვეს მტრულ დამოკიდებულებას. **ვიურტემბერგის ჰერცოგმა საფრანგეთს თავისი სამფლობელოები ალზასი და ბურგუნდია დაუთმო, მონბელიარდის ჩათვლით.** საკომპენსაციოდ მას, რაინის მარჯვენა სანაპიროზე

უნდა მიეღო ტერიტორიები, საფრანგეთსა და საღვთო რომის იმპერიის ქვეყნებს შორის მშვიდობის დამყარების შემდეგ.

საფრანგეთის წყალობანი

საფრანგეთის სანინააღმდეგო კოალიციაში გაერთიანებულ ვიურტემბერგთან ზავი 1802 წლის 20 მაისს აღდგა. ვიურტემბერგის ჰერცოგი იმით სარგებლობდა, რომ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბიძა იყო, მასთან ერთად პირველი კონსული ბონაპარტი საღვთო რომის იმპერიის რეორგანიზაციას ცდილობდა.

გარდა ამისა, ბონაპარტს სურდა ბავარიისა და ბადენის მსგავსად ვიურტემბერგი გაეძლიერებინა და ამ ტრიადისაგან ავსტრიის საპირწონე შეექმნა, რითაც მის გავლენას შეასუსტებდა სამხრეთ გერმანიაში. ის არ დაელოდა მოლაპარაკებების ძირითად გადაწყვეტილებას და 1802 წლის 20 მაისს, სპეციალური ხელშეკრულებით წინასწარ დაასაჩუქრა ვიურტემბერგი.

ამ ხელშეკრულების თანახმად, ვიურტემბერგის გრაფი საფრანგეთს უდასტურებდა 1796 წელს მიღებულ გადაწყვეტილებას რაინის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიების გადაცემის თაობაზე. ამის საკომპენსაციოდ, კურფიურსტის ტიტულის გარდა, ვიურტემბერგის ჰერცოგი ღებულობდა:

– ელვანგენის საპრევოს და ხუთ სააბატოს: ცვაიფალტენს, მარიაბერგს, მარგრეტჰაუზენს, როტენმიუნსტერს და კომბურგს;

– ცხრა თავისუფალ ქალაქს: როტვაილს, ვაილ დერ შტადტს, ესლინგენს, ჰალს, როიტლინგენს, აალენს, გმუნდს, ჰაილბორნს, გიენგენს;

– მის სამფლობელოებში ანკლავირებულ იმპერიის რაინდთა ორდენის რამდენიმე მიწას.

1803 წლის 25 თებერვლის საიმპერატორო დეკრეტით მტკიცდებოდა 1802 წლის მაისის ხელშეკრულების დებულებები, სახელდობრ ვიურტემბერგის საჰერცოგოს საკურფიურსტროს რანგში აყვანა.

დიეტის მთავართა კოლეგიაში, ვიურტემბერგის კურფიურსტი ერთ ხმას კარგავდა (მონბელიარდი), მაგრამ ერთ ყოფილ ხმას იბრუნებდა (ელავანგენი) და სამ ახალ ხმას ღებულობდა (ტეკი, ტიუბინგენი, ცვაიფალტენი); კურფიურსტის ტიტულის გარდა, მას უკვე ხუთი ხმა ჰქონდა.

ერთი მხრივ საფრანგეთისა და მეორე მხრივ ავსტრიასა და რუსეთს შორის მოსალოდნელ ომში, ნათესაური კავშირებით გამონვეული გარკვეული ყოყმანის შემდეგ, ვიურტემბერგის კურფიურსტი, 1805 წლის 5 ოქტომბრის ხელშეკრულების თანახმად საფრანგეთის გვერდით დადგა. ნაპოლეონი მას გამარჯვების შემდეგ ტერიტორიების გაზრდას დაპპირდა.

1805 წლის 12 დეკემბერს ავსტრია-რუსეთის არმიაზე თავისი გამარჯვების შემდეგ, რომელიც აუსტერლიცთან მოიპოვა, საფრანგეთმა და ვიურტემბერგმა ხელი მოანერეს ბრუნის ხელშეკრულებას.

იმპერატორმა ნაპოლეონმა ვიურტემბერგის კურფიურსტს მეფის ტიტული უბოძა და წინასწარ გადასცა ის ტერიტორიები, რომელსაც ავსტრიას დაათმობინებდა, ვიურტემბერგის ტერიტორიაზე ანკლავირებული რომის მხედართა ორდენის და მალტის ორდენის მინებთან ერთად.

19 დეკემბრიდან საფრანგეთის ჯარების დახმარებით, ვიურტემბერგის მეფე რეალურად დაეპატრონა რომის მხედართა ორდენის მიწებს.

1805 წლის 26 დეკემბერს პრესბურგში ხელი მოენერა ზავს, რომელიც ნერტილს უსვამდა ერთი მხრივ ავსტრიასა და მეორე მხრივ საფრანგეთსა და მის მოკავშირეებს შორის დაპირისპირებას. ამ ზავში გათვალისწინებული იყო რამდენიმე ტერიტორიული ცვლილება ავსტრიის საზიანოდ და ვიურტემბერგის სასარგებლოდ, რადგან ის ღებულობდა:

– ავსტრიისაგან:

– "ხუთ ქალაქს დუნაიზე": მუნდერკინგენს, რიდლინგენს, მენგენს, ზაულგაუს, ვალდზეეს;

– ბურგაუს სამარკგრაფოს დასავლეთ ნაწილს (ეპინგენს დუნაიზე);

– **ალტდორფს,** ან "რავენსბურგს" ქალაქ კონსტანცის გამოკლებით;
– **ჰოენბერგის საგრაფოს** (როტენბურგი), **რომელიც ორი ტერიტორიისაგან** შედგებოდა;
– **ნელემბურგის სალანდგრაფოს;**
– **ვაისენაუს საგრაფოს,** რომელიც 1804 ნელს შტერნბერგის გრაფისაგან იყო შესყიდული და რომელიც მას 1803 ნელს ჰქონდა მიღებული;

– მოდენ – ბრისგაუს საპერცოგოდან:

– **ობერნდორფის, ვილინგენის და ბრაუენლინგენის** ანკლავებს;

– მალტის ორდენისაგან:

– **ბონდორფის საგრაფოს,** რომელიც 1803 ნელს საერთოდ გადაკეთებული სენ–ბლეზის სააბატოს ნანილი იყო.

მთელი ამ შენამატის მოსახლეობა 160 000 კაცს შეადგენდა.

ვიურტემბერგი სამეფო გახდა

1806 ნლის 1 იანვარს შტუტგარდში საზეიმოდ გამოცხადდა **ვიურტემბურგის** საკურფიურსტოს **სამეფოს** რანგში ამაღლება.

შუა გერმანიის რეორგანიზაციის უკეთ განსახორციელებლად და მისი ავსტრიისა და პრუსიის გავლენისგან გასათავისუფლებად 1806 ნლის 12 ივლისს ნაპოლეონმა თავისი პროტექტორატის ქვეშ რაინის კონფედერაცია დააარსა (იხ. დამატება რაინის კონფედერაცია).

ვიურტემბერგი რაინის კონფედერაციის დამფუძნებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმნიფო იყო. მისი მეფე ფრანკფურტის ღიეტის მეფეთა კოლეგიის ნევრი იყო.

კონფედერაციის ნევრ ქვეყნებს შესთავაზეს ტერიტორიული საკითხები ერთმანეთში მოეგვარებინათ და მათი სამფლობელოების მთავრების მედიაცია მოეხდინათ. ამ ფარგლებში **ვიურტემბერგი ღებულობდა:**

– **ორან-ნასაუს მთავრისგან** ნაპოლეონის მიერ ჩამორთმეულ **ვაინგარტენის** სააბატოს და **ჰოფენს,** რომლის მედიაციაც 1803 ნელს მოხდა;
– **ბავარიისაგან ვაიზენშტაიგის** სამფლობელოს;
– **ბადენისაგან** ყოფილ თავისუფალ ქალაქ **ბიბერახს,** რომლის მედიაციაც 1803 ნელს მოხდა;
– **ტევტონური ორდენისაგან ალსხაუზენის საგრაფოს.**

ვიურტემბერგმა ბადენის დიდ საპერცოგოს დაუთმო ბონდორფის საგრაფო და ანკლავები **ვილინგენი** და **ბრაუენლინგენი,** რომლებიც 1805 ნელს მალტის ორდენისაგან და ბრისგაუსაგან ჰქონდა მიღებული.

და ბოლოს, **ვიურტემბერგმა** მოახდინა შემდეგი **მედიაცია:**

გიუნდელფინგენისა და ნოიფრასი (ფიურსტენბერგში), **ჰოენდლოეს მთავრის სამფლობელოების, თორნ-უნდ-ტაქსის მთავრების ქონების** (ჩრდილოეთით ნოიბურგის და შტრასბერგისა და ოსტრახის გარდა), **ვალდბურგის** საგრაფოსი, ფიუგერის საგრაფოების ნანილის, **ლიმბურგ-გაილდორფის** საგრაფოსი, საგრაფოების: **ბენდტის, ეგლოფის, გიუტენცელის, როთის, ჰეგბახის, ისნის, კენიგსეგ-აულენდორფის, ოხსენჰაუზენის, შუსენრიდის, მიტინგენის და ზუჰლნინგენის სამფლობელოების, ტანჰაიმის, ნოირავენსბურგის, ლევენშთაინის, ვარჰაუზენის და კრაუტჰაიმის სამთავროს სამხრეთი ნანილის ნახევრის.**

საფრანგეთსა და ვიურტენბერგს შორის კავშირების განსამტკიცებლად, ნაპოლეონის უმცროსი ძმა ჟერომი, რომელიც ახალი დანიშნული იყო ვესტფალიის მეფედ, 1807 ნლის 23 აგვისტოს ვიუტემბერგის მეფის ფრიდრიხ I-ის ასულ ეკატერინეზე დაქორწინდა.

ბოლო ტერიტორიული შენაძენი

1809 ნლის 24 აპრილის რეგენსბურგის დეკრეტით, ნაპოლეონმა რაინის კონფედერაციაში გააერთიანა და საერო გახადა ტევტონური ორდენის მიწები.

ვიურტენბერგმა მიიღო სამთავრო მერგენპაიმი-ტაუბერზე, რომელიც ორდენის ცენტრი და ორდენის ხელმძღვანელის რეზიდენცია იყო.

ვაგრამთან საფრანგეთის გამარჯვების შემდეგ, იმპერატორმა ნაპოლეონმა შენბრუნის ზავის თანახმად (1809 წლის ოქტომბერი) ავსტრიას კიდევ ერთხელ წაართვა ტერიტორიები,. ეს ხელშეკრულება სამხრეთ გერმანიაში მომხდარი ბოლო ტერიტორიული ცვლილებების საფუძველი გახდა. მოლაპარაკებები პარიზში მიმდინარეობდა იმპერატორისა და ერცჰერცოგ მარი-ლუიზას საქორწინო სამზადისის გამო.

1810 წლის 18 მაისს პარიზის ხელშეკრულების მიხედვით, რომელსაც ხელი ვიურტენბერგმა და ბავარიამ მოაწერეს, **ბავარია ვიურტენბერგს უთმობდა** დაახლოებით 138 000 სულს, ქალაქებს **ულმს, რავენსბურგს, ფუგერს, ვანგენს, ლოიტკირხენს, ბუხორნს, ბოპფინგენს, ლოიტკირხენ ჰაიდეს, ტეტნანგს და ლარგენარგენს,** ასევე **ანსბახის ფრაგმენტებს.**

1810 წლის 2 ოქტომბრის პარიზის ხელშეკრულების თანახმად, რომელსაც ვიურტენბერგმა და ბადენმა მოაწერეს ხელი, **ვიურტენბერგი ბადენს უთმობდა** დაახლოებით 45 000 სულს, **ნელემბურგის** სალანდგრაფოს **და კინციგის** ზემო დაბლობს.

ამის შემდეგ ვიურტენბერგის ფართობი უდრიდა 19 500 კმ^2-ს, მოსახლეობა კი 1 350 000 კაცს. ის მოიცავდა ნეკარის აუზს და ზემო დუნაის აუზს.

დაახლოებით 140 წლის მანძილზე იქ ტერიტორიული ცვლილებები აღარ განხორციელებულა.

ვიურტენბერგი „ფრანგულ ყაიდაზე" 12 ოლქად დაიყო, რომელთაც თითოეულს პრეფექტის შესაბამისი თავისი მმართველი ჰყავდა,: ზემო ნეკარი (როტვაილი), შუა ნეკარი (როტენბურგი), შვარცვალდი (კალვი), როტენბურგი (შტუტგარდი), ენცი (ლუდვიგდბურგი), ქვემო ნეკარი (ჰაილბორნი), იაგსტი (ეჰრინგენი), კორხერი (ელვანგენი), ფილეგ-ე-რემსი (გეპინგენი), ალპე (ურახი), დუნაი (ულმი), კონსტანცის ტბა (ვაინგარტენი).

ლაიპციგთან საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, საფრანგეთმა გერმანია დატოვა. 1813 წლის 2 ნოემბერს ფულდეს ხელშეკრულებით, რომელიც ავსტრიასთან გააფორმა ვიურტენბერგმა, ის ტოვებდა რაინის კონფედერაციას და ანტიფრანგულ კოალიციას უერთდებოდა. ავსტრია მას სამეფო ტიტულის შენარჩუნებასა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას დაპპირდა.

5. ბადენი

1789 წლის 4 აგვისტოს ღამით საფრანგეთის დამფუძნებელმა კრებამ კეთილშობილთა პრივილეგიები გააუქმა, **ალზასში მდებარე ბენპაიმის სასენიორო, რომელიც ბადენს ეკუთვნოდა საფრანგეთის მიერ იქნა ანექსირებული.**

რაინის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ბადენის მარკგრაფის სამფლობელოები, 1792 წელს, შემდეგ კი 1794 წელს საფრანგეთის არმიამ დაიკავა.

ამ პერიოდში ბადენის მარკგრაფი საფრანგეთის წინააღმდეგ ომში იყო ჩაბმული, 1796 წლის 22 აგვისტოს დადებული ზავით ბადენსა და საფრანგეთს შორის მშვიდობა დამყარდა. **ბადენის მარკგრაფმა საფრანგეთს მთლიანად დაუთმო თავისი სამფლობელოები რაინის მარცხენა სანაპიროზე.** საკომპენსაციოდ მას რაინის მარჯვენა სანაპიროზე უნდა მიეღო ტერიტორიები ზავის საბოლოო გაფორმების შემდეგ.

საფრანგეთის წყალობანი

ბადენის მარკგრაფმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა მეორე კოალიციაში. ბადენის მარკგრაფი პატივით სარგებლობდა იმ სამშვიდობო მოლაპარაკებებზე, რომლებიც გერმანიის საქმეების მოგვარებას უსწრებდა წინ, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I-ის მეუღლის ბაბუა იყო. რუსეთის მეფე საღეთო რომის იმპერიის რეორგანიზაციის საკითხებში პირველი კონსულის ოფიციალური პარტნიორი იყო.

გარდა ამისა, ბონაპარტს სურდა ბავარიისა და ვიურტემბერგის მსგავსად გაეძლიერებინა ბადენი, რადგან ამ სამეულისაგან ავსტრიის საპირონეუ შექმნა და სამხრეთ გერმანიაში მისი გავლენის შესუსტება უნდოდა. 1803 წლის 25 თებერვლის მთავარი საიმპერატორო დეკრეტშიც უფრო კონკრეტულად იყო მითითებული ბადენთან დაკავშირებული ტერიტორიული ცვლილებები.

ბადენის მარკგრაფი ადასტურებდა, რომ საფრანგეთს თავის სამფლობელოებს უთმობდა ალზასში, ლუქსემბურგსა და პფალცში. სანაცვლოდ, იგი კურფიურსტის ტიტულის გარდა ღებულობდა:

– **კონსტანცის საეპისკოპოსოს** (მეერსბურგსა და რაიხენაუს);

– რაინის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე შპაიერის საეპისკოპოსოს ნაწილს (**ბრუხშალს**);

– რაინის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სტრასბურგის საეპისკოპოსოს ნაწილს (**ობერკირხს, ოპენაუს, ეტენჰაიმს**);

– რაინის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ბაზელის საეპისკოპოსოს ნაწილს (**შლინგენი, იდშტაინი**);

– ათ სააბატოს: **სალმანშვაილერს, პეტერსჰაუზენს, გენგენბახს, რაიხენაუს, ეჰნინგენს, ალერჰაილინგენს, შვარცახს, ფრაუენალბს, ლიხტენთალს, ეტენჰაიმს, მიუნსტერს; ასევე ოდენჰაიმის** სააბატოს **და ბრუხშალს;**

– შვიდ თავისუფალ ქალაქს: **ოფენბურგს, ვიმპფენს, გენგენბახს, ცელს, ბიბერანს, ჰფულენდორფს და უბერლინგენს;**

– რაინის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე რაინის პფალცის ნაწილს (**ბრეტენს, ლადენბურგს, ჰაიდელბერგს**), რომელიც ბავარიის კურფიურსტმა დათმო;

– **ლარის სამფლობელოს** ორტენაუშეი რომლიც ნასაუ-უზინგენის მთავარმა დათმო;

– ჰანაუ-ლიხტენბერგის საგრაფოს ნანილს **ვილდშტეტ-ენ-ორტენაუს** საბაიოს, რომელიც ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფმა დათმო, თავისუფალი ქალაქ ვინპფენის სანაცვლოდ.

450 კმ^2-სა და 25 000 მცხოვრების დაკარგვის სანაცვლოდ, ბადენის ახალმა კონფიურსტმა მიიღო 3 350 კმ^2 და დაახლოებით 240 000 სუბიექტი, სულ 2 900 კმ^2. ამ შენამატით ბადენის ფართობი 6 500 კმ^2 გახდა. დეკრეტის მიხედვით ბადენი გერმანიის ქვეყნებიდან ერთ-ერთი ქვეყანა იყო, რომელსაც პროპორციულად აუნაზღაურდა დანაკარგი. რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგიაში, საეპისკოპოსო ხმების მიღების შემდეგ, ბადენის კონფიურსტს ექვსი ხმა გაუხდა (ბაღენის, ფულახის, ჰოხბერგის, ბრუხშალ-შპაიერის, ეტენჰაიმ-სტრასბურგის, კონსტანცის).

ავსტრიასა და რუსეთთან საფრანგეთის ომის განახლების წინა დღეს ბადენის კონფიურსტმა 1805 წლის 5 სექტემბრის ხელშეკრულებით საფრანგეთთან ალიანს მოაწერა ხელი; სანაცვლოდ გამარჯვების შემთხვევაში საფრანგეთი ბადენს ტერიტორიების მიმატებას ჰპირდებოდა.

ბადენი საერცჰერცოგო გახდა.

ავსტრია-რუსეთის ჯარების აუსტერლიცთან დამარცხების შემდეგ, იმპერატორმა ნაპოლეონმა ბრნოში ხელი მოაწერა შეთანხმებას (12 დეკემბერი) ბადენის კორფიურსტთან. ნაპოლეონმა კორფიურსტს ერცჰერცოგის წოდება მიანიჭა და წინასწარ გადასცა ავსტრიისა და ბრისგაუს ის ტერიტორიები, რომლის ჩამორთმევასაც აპირებდა, ამას მის ტერიტორიაზე შეჭრილი რაინდთა ორდენის მიწები ემატებოდა.

19 დეკემბერს საფრანგეთის ჯარების დახმარებით, ერცჰერცოგმა რომის მხედართა მიწები მიიერთა.

1805 წლის 20 დეკემბერის ახალი ხელშეკრულებით, **ბადენის ერცჰერცოგმა საფრანგეთს ქალაქი კელი დაუთმო.**

ბოლოს, 26 დეკემბერს ხელი მოაწერა პრესბურგის ზავს, რითაც შეწყდა საომარი დაპირისპირება ერთი მხრივ ავსტრიასა და მეორე მხრივ საფრანგეთსა და

მის მოკავშირეებს შორის. ეს ზავი ავსტრიის საზიანოდ მთელ რიგ ტერიტორიულ ცვლილებებს ითვალისწინებდა. **ბადენის საერცჰერცოგო ღებულობდა:**

– **ავსტრიისაგან ქალაქ კონსტანცას;**

– **მოდენ-ბრისგაუსაგან ორტენაუს, ბრისგაუს უმეტეს ნაწილს,** მისი სამი ანკლავის ობერნდორფის, ფილინგენის და ბრაუენლინგენის გარდა, რომელიც ვიურტემბერგს დარჩა.

საერთო მოგება 160 000 სულს შეადგენდა. ავსტრიამ აღიარა ბადენის საერცჰერცოგო და საღეთო რომის იმპერიისგან მისი სრული დამოუკიდებლობა; მან დათმო რაინდთა ორდენის მინები.

ამიერიდან საერცჰერცოგო სამი პროვინციისაგან შედგებოდა: ქვემო რაინის (მანჰაიმი), შუა რაინის (კარლსრუე), ზემო რაინის (ფრიბურგი).

საფრანგეთსა და ბადენს შორის კავშირის განსამტკიცებლად, ჟოზეფინას დისწული და ნაპოლეონის შვილობილი პრინცესა სტეფანია ბოარნე 1806 წლის 7 აპრილს ცოლად გაჰყვა მემკვიდრე პრინც კარლს, რომელიც ერცჰერცოგის კარლ ფრიდრიხის შვილშვილი იყო.

1806 წლის 12 აპრილს ბადენის საერცჰერცოგო ერთ-ერთი იყო იმ დიდ სახელმწიფოთაგან, რომელთაც რაინის კონფედერაცია დააარსეს. ბადენის ერცჰერცოგი მონაწილეობდა ფრანკფურტის ფედერალური დიეტის სამეფო კოლეგიაში. ნაპოლეონმა წევრ სახელმწიფოებს შესთავაზა ტერიტორიული საკითხები ერთმანეთში მოეგვარებინათ და მოეხდინათ იმ სამფლობელოების მედიაცია, რომელთა მთავრებიც კონფედერაციის წევრებად არ ითვლებოდნენ.

ამ ფარგლებში **ბადენის საერცჰერცოგო ვიურტემბურგს უთმობდა** ყოფილ თაეისუფალ ქალაქს **ბიბერახს და მისგან ღებულობდა** ბრისგაუს ანკლავებს **ვილინგენს და ბრაუენლინგენს,** აგრეთვე **ბონდორფის საგრაფოს** (რომელიც მალტამ დათმო 1805 წელს).

ბადენის საერცჰერცოგომ საეროდ გადააქცია **და მიიერთა ჰაიტერსჰაიმის სამთავრო** ბრისგაუში, რომელიც მალტის ორდენის ხელმძღვანელის რეზიდენცია იყო. ასევე მიიერთა ორდენის ის მინები, რომლებიც მის სამფლობელოებში მდებარეობდა.

ბოლოს, **ბადენის საერცჰერცოგომ** შემდეგი ტერიტორიების **მედიაცია** მოახდინა:

– **ფიურსტემბერგის სამთავროსი** (74 000 სული), დედაქალაქი დონაუეხინ-გენი, ეს არ შეეხო გიუნდელფინგენს და ნოიფრას (რომლებიც ვიურტემბერგს დარჩა), ასევე ტროხტელფინგენს, იუნგენაუს და მესკირხის ნაწილს (რომლებიც ჰოენცოლერნ-ზიგმარინგენს დარჩა);

– **კლეტგაუს სალანდგრეფოსი,** რომელიც შვარცენბერგებს ეკუთვნოდა;

– **ლინანგის სამთავროსი,** დედაქალაქი ვალდურნი, 1803 წელს საეროდ გადაქცეული აშაფენბურგის სამთავროს ნახევარი:

– **ბილიგჰაიმის და ნაიდენაუსი,** რომლებიც 1803 ნლიდან ლინანგის გრაფს ეკუთვნოდა;

– **ტენგენის საგრაფოსი** ჰეგაუში, რომელიც აუერშპერგს ეკუთვნოდა;

– **ვერტჰაიმის საგრაფოსი,** რომელიც ლოვენშთაინ-ვერტჰაიმებს ეკუთვნოდა, მაინის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ნაწილის და შემდეგი სამფლობელოების გარდა: ჰოობახის, ბრაუბერგის და ჰაბიტცჰაიმის, რომლებიც ჰესენ-დარმშტადტს დარჩა;

– **ჰაგენაუს სამფლობელოსი,** რომელიც ორან-ნასაუს მთავარს ჩამოერთვა;

– **კრაუტჰაიმის სამფლობელოს ჩრდილოეთის ნახევრის** და სალმ-რაიფერშიდტის გრაფების სხვა მინების.

საერთო ჯამში მატება 270 000 სუბიექტს შეადგენდა.

ბოლო შენამატები

ვაგრამთან საფრანგეთის გამარჯვების შემდეგ ავსტრიას შენბრუნის ზავის (1809) პირობების მიხედვით ხელახლა ჩამოერთვა ტერიტორიები. ამ ზავს სამხრეთ გერმანიაში ბოლო ტერიტორიული ცვლილებები მოჰყვა. მოლაპარაკებები

პარიზში მიმდინარეობდა იმპერატორის ქორწილის გამო, რომელიც ერცჰერცოგ ქალბატონ მარი-ლუიზაზე ქორწინდებოდა.

1810 წლის 8 სექტემბერის პარიზის ხელშეკრულების მიხედვით, რომელსაც ხელი ბადენმა და ჰესენ-დარმშტადტმა მოაწერეს, **ბადენის ერცჰერცოგი ჰესენ-დარმშტადტს უთმობდა** დაახლოებით 15 000 სულს, მაინცის ყოფილ ოლქებს **მილტენბერგს და ამორბახს**, რომლებიც 1806 წელს ანექსირებულ ლინანგის სამთავროში შედიოდა.

ვიურტემბერგსა და ბადენს შორის დადებული პარიზის 2 ოქტომბრის ხელშეკრულებით, **ბადენის საერცჰერცოგო ვიურტემბერგისაგან ღებულობდა** დაახლოებით 45 000 სულს, **ნელემბურგის სალანდგრაფოს და კინციგის** ზემო ნანილს.

ბადენის საერცჰერცოგოს ფართობი ამ პერიოდში უდრიდა 15 000 კმ^2-ს, მოსახლეობა კი 1000 000 კაცს. ის ჰომოგენური ტერიტორია იყო კონსტანციდან ვერტჰაიმამდე, საკმაოდ გრძელი და მიხვეულ-მოხვეული ფორმით. მის ტერიტორიაზე არსებული ერთადერთი ანკლავი იყო ჰოენგეროლდსეკის საგრაფო, რომელიც ლეიენის მთავარს, რაინის კონფედერაციის წევრს ეკუთვნოდა.

1811 წელს ბადენის საერცჰერცოგო „ფრანგულ ყაიდაზე" გადაკეთდა და ექვს ოლქად დაიყო, თითოეულს თავისი მმართველი ჰყავდა, იგივე პრეფექტი. ეს იყო შემდეგი ოლქები სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ: ტბა-და-დუნაი (კონსტანცა), დრაიზამი (ფრიბურგი), კინციგი (ოფენბურგი), მურგი-და-პფინცი (კარლსრუე), ნეკარი (მანჰაიმი), მაინი-და-ტაუბერი (ვერტჰაიმი).

საფრანგეთის ლაიპციგთან დამარცხებას, გერმანიიდან ფრანგების ევაკუაცია მოჰყვა, რამაც ბადენის საერცჰერცოგოში, რომელიც მანამდე ნაპოლეონის ყველაზე ერთგული მოკავშირე იყო, პოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია,.

1813 წლის 20 ნოემბერის ხელშეკრულებით, რომელსაც ფრანკფურტში მოეწერა ხელი, ბადენის ერცჰერცოგი ანტიფრანგულ კოალიციაში გაერთიანდა და ერცჰერცოგის ტიტული და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების გარანტია მიიღო, ხოლო გერმანიის რეორგანიზაციის შემთხვევაში სრული კომპენსაციის პირობა. რაინის კონფედერაცია დაიშალა.

1814 წლის 30 მაისს პარიზში გაფორმებული ხელშკრულებით, **საფრანგეთი ბადენის საერცჰერცოგოს ქალაქ კელს უბრუნებდა.**

6. ჰოენცოლერნი

მას შემდეგ, რაც საფრანგეთს საბოლოოდ გადაეცა რაინის გერმანული მარცხენა სანაპირო, 1803 წლის 25 თებერვალს საიმპერატორო დეკრეტით იმ საკომპენსაციო მიწების სია დამტკიცდა, რომელიც მემკვიდრეობით მთავრებს უნდა მიეღოთ რაინის მარჯვენა სანაპიროზე. ზარალის ანაზღაურება საეკლესიო მიწების ხარჯზე უნდა მომხდარიყო.

დაკარგა რა თავისი უფლებები ლიეუში, **მთავარმა ჰოენცოლერნ-ჰეხრინგმა მიიღო მონასტრები იზინგსჰოფენი, ჰოლცჰაიმი და ბოირონი.**

რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგია 100 ხმიდან 131 ხმამდე გაიზარდა. ზიგმარინგენის სამთავრომ ამ ხმებიდან ერთი მიიღო, რის შემდეგაც ჰოენცოლერნებს ორი ხმა გაუხდათ.

როდესაც 1806 წლის 12 ივლისს ნაპოლეონმა რაინის კონფედერაცია შექმნა, მას მხოლოდ რამდენიმე დიდი სახელმწიფოს შენარჩუნება უნდოდა, იმისათვის, რომ ავსტრიისა და პრუსიის საპირისპირო ძალა ჰყოლოდა. პატარა სახელმწიფოები და რაინდთა ორდენის მიწები, რომლებიც ავსტრიის მომხრეებად ითვლებოდა, გასაქრობად იყო განწირული.

ჰოენცოლერნების ორი პატარა სამთავრო, თავისი სიმცირის გამო მედიაციის საგანი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ამ ფაქტს ორი მიზეზის გამო გადაურჩა:

– რადგან მთავრები პრუსიელი ჰოენცოლერნების ბიძაშვილები იყვნენ, ნაპოლეონის აზრით, ისინი დაზღვეულნი იყვნენ ავსტრიაზე დაქვემდებარებისგან;

– დადებითი როლი ითამაშა აგრეთვე მათმა კარგმა დამოკიდებულებამ ნაპოლეონის ახლობლებთან: ჰოენცოლერნ-ზიგმარინგენის პრინცესა, იმპერატორ

ნაპოლეონის მიუღლე ჟოზეფინას პირველი ქმრის მეგობარი, ჟოზეფინასთან ძალიან თბილ ურთიერთობას ინარჩუნებდა; ჰოენცოლერნ-ჰეხინგენის მემკვიდრე პრინცესა მიურატის დისწულზე დასაქორწინებლად ემზადებოდა.

ამგვარად ეს ორი სამთავრო შენარჩუნდა და მათი მთავრები რაინის კონფედერაციას როგორც დამფუძნებლები მიუერთდნენ,; ისინი ფრანკფურტის დიეტის მთავართა კოლეგიის ნევრები იყვნენ. კონფედერაციის წევრ სახელმწიფოებს ნაპოლეონმა შესთავაზა მიეერთებინათ და დაექვემდებარებინათ ის სამფლობელოები, რომლებიც მათ ტერიტორიაზე ან საზღვარზე მდებარეობდა და რომელთა მთავრებიც არ შედიოდნენ კონფედერაციაში; აქედან გამომდინარე, ჰოენცოლერნ-ზიგმარინგენმა დაიქვემდებარა:

– ტროხტელფინგენის და იაუნგაუს სამფლობელოები და მესკირხის ნაწილი (დუნაის მარცხენა სანაპიროზე);

– შტრასბერგი და ოსტრახი, რომლებიც თორნ-უნდ-ტაქსის სახლის სამფლობელოები იყო.

– რომის მხედართა ორდენის მინები.

ამ ორი სამთავროს ფართობმა მიაღწია 400 კმ^2-ს, მოსახლეობამ კი 14 000 კაცს ჰეხინგენში და 800 კმ^2-ს და 39 000 კაცს ზიგმარინგენში.

დამარცხების შემდეგ, 1813 წლის ნოემბერში ფრანგებმა გერმანია დატოვეს. რაინის კონფედერაცია დაიშალა.

7. ფიურსტენბერგი

1806 წლის 12 ივლისის რაინის კონფედერაციის დამფუძნებელ აქტში ხაზგასმით იყო აღნიშნული ის ტერიტორიები, რომელთა მედიაციაც უნდა მომხდარიყო და მათ რიცხვში შედიოდა ფიურსტენბერგი, რომელსაც ნაპოლეონი ავსტრიის მომხრედ თვლიდა. ამიტომაც ფიურსტენბერგის სამთავრო შემდეგნაირად დაიყო:

– ბადენის საერცჰერცოგოს გადაეცა: ბაარის და შტუჰლინგენის სალანდგრაფოები, ჰეევნის სამფლობელო და მესკირხის უმეტესი ნაწილი, რომელიც დუნაის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა, ჰაილინენბერგის საგრაფო და ჰაუზენი;

– ვიურტემბერგის სამეფოს: ნოიფრა და გიუნდელფინგენის საბარონო;

– ჰოენცოლერნ-ზიგმარინგენის სამთავროს: მესკირხენის მცირე ნაწილი, რომელიც დუნაის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა, იუნგენაუ და ტრიხტელფინგენი.

ფიურსტენბერგის მთავარი, რომელსაც უშუალო სუვერენობა ჩამოერთეა, თავის მინებს ინარჩუნებდა სპეციალური უფლებებით, რომლებიც სამმა მემკვიდრე სახელმწიფომ სცნო.

8. თორნ- უნდ-ტაქსი

საფრანგეთის მიერ რაინის მარცხენა სანაპიროს დაკავებამ თორნ-უნდ-ტაქსის მთავარს მნიშვნელოვანი დანაკარგები მოუტანა, საფრანგეთმა გააუქმა საფოსტო სამსახური რაინის მარცხენა სანაპიროზე.

რადგან საქმე იმპერიის სამფლობელოს ეხებოდა, 1803 წლის 25 თებერვლის საიმპერატორო დეკრეტით გადაწყდა, რომ თორნ-უნდ-ტაქსის მთავარი შემდეგ კომპენსაციებს მიიღებდა:

– ბუხაუს სააბატოს, ფედერის ტბის სანაპიროზე;

– შტრასბერგის საბაიოს, რომელიც ამ სააბატოზე იყო დამოკიდებული;

– იმპერიის თავისუფალ ქალაქს ბუხაუს;

– ობერმარქტალის სააბატოს, რომელიც დუნაიდან ფედერის ტბამდე ტერიტორიას მოიცავდა;

– ოსტრახის საბაიოს, ჰაილიგენბერგის საგრაფოს ჩრდილოეთით, რომელიც ზალმანშვაილერის სააბატოს ექვემდებარებოდა;

– შემერბერგის სამფლობელოს მდინარე რისზე;

– **ნერეშაიმის** სააბატოს, რომელიც მის ტერიტორიებს ესაზღვრებოდა ნოიბურგის რეგიონში.

რაინის კონფედერაციის შექმნის პერიოდში, 1806 წლის 12 ივლისს გადაწყდა თორნ-უნდ-ტაქსის მთავრის, როგორც ავსტრიასთან დაახლოებული პირის სამფლობელოების მედიაცია. **თორნ-უნდ-ტაქსის სამთავრო შემდეგნაირად დაიყო:**

– **ბავარიის სამეფოს გადაეცა:** ნოიბურგის რეგიონში მდებარე ტერიტორიები, კერძოდ, ეგლინგენი, **დიხინგენი, ბალმერსპოფენი, ნერესპაიმი;**

– **ვიურტემბერგის სამეფოს:** სამთაეროს უმეტესი ნაწილი, კერძოდ: **შეერი, ფრიდბერგი, დურმენტინგენი, ბუსი, ბუხაუ, ობერმარხტალი და შემერბერგი;**

– **ჰოენცოლერნ-ზიგმარინგენის სამთავროს: შტრასბერგის და ოსტრახის** საბაიოები.

თორნ-უნდ-ტაქსის მთავარმა, რომელსაც სუვერენობა ჩამოართვეს, შეინარჩუნა თავისი მინების არაპირდაპირი მფლობელობა და სპეციალური უფლებები, რომელსაც სამი მემკვიდრე სახელმწიფო აღიარებდა.

9. ბაიროითი და ანსბახი იხ. პრუსია

10. საქსონიის საკურფიურსტო

საფრანგეთისაგან საკმაოდ დაცილებულ საქსონიის საკურფიურსტოს 1803 წლის თებერვლის საიმპერატორო დეკრეტით არც დაუკარგავს და არც მიუღია ტერიტორიები. მას მხოლოდ ხმები მოემატა საიმპერატორო დიეტის მთავართა კოლეგიაში. საქსონიის კურფიურსტს სამ საკუთარ ხმასთან ერთად, ემატებოდა ძველი ხმა, რომელსაც ჰენებერგთან იყოფდა და ერთი ახალი ხმა (თიურინგია), რომელსაც ერნესტინის ტოს ჰერცოგებთან იყოფდა.

1806 წლის საფრანგეთ-პრუსიის კონფლიქტში საქსონიამ პრუსიის მხარე დაიჭირა. სენასთან გამარჯვების შემდეგ, ნაპოლეონმა პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე საქსონიის კორფიურსტის მიმართ გულმონყალება გამოიჩინა.

მას საქსონიის გაძლიერება იმისათვის სურდა, რომ პრუსიის დასაპირისპირებელი სანინააღმდეგო ძალა ჰყოლოდა და ამიტომაც ის წყალობით აავსო (სასწრაფოდ გაათავისუფლა საქსონიის ტყვეები), აამაღლა სამეფო რანგში, დაჰპირდა პოლონეთის გვირგვინს და პოზნანის ზავით (1806 წლის 11 დეკემბერი) საფრანგეთის ბანაკში გადაიყვანა, რომლის მიხედვითაც საქსონია რაინის კონფედერაციაში გაწევრიანდა. საქსონიის მეფე მეფეთა კოლეგიაში მონაწილეობდა.

და ბოლოს, **საქსონიის მეფემ მოახდინა შენბურგის და შტოლბერგის საგრაფოების მედიაცია.**

ტილზიტის ორი ხელშეკრულებით (1807 წლის 7 და 9 ივლისი), რომლებსაც ხელი საფრანგეთმა და რუსეთმა, და საფრანგეთმა და პრუსიამ მოაწერეს, პოლონელ ხალხს თავისი სახელმწიფო დაუბრუნდა ვარშავის დიდი საჰერცოგოს სახით, რომელიც პოლონეთის სამი გაყოფის შედეგად მიღებულ პრუსიის წილზე შეიქმნა.

საქსონიის მეფე ვარშავის ერცჰერცოგი გახდა, მაგრამ გაერთიანება მხოლოდ პიროვნული იყო. ვარშავის საერცჰერცოგო არ შედიოდა რაინის კონფედერაციაში და საქსონიისაგან გამოყოფილი იყო პრუსიის სილეზიით, რომელზეც გამავალი სამხედრო გზა აერთებდა მეფისა და ერცჰერცოგის ფრიდრიხ-ავგუსტის ორ სამფლობელოს.

ვარშავის საერცჰერცოგოს ისტორია არა ამ თავში, არამედ პოლონეთისათვის მიძღვნილ თავშია განხილული.

1807 წლის 22 ივლისის შეთანხმებით, რომელიც საქსონიასა და საფრანგეთს შორის დაიდო **საქსონიამ საფრანგეთისაგან მიიღო კოტბუსის ოლქი,** რომელიც მას პრუსიამ დაუთმო ტილზიტში, **სანაცვლოდ კი მას გადასცა ბარბის საგრაფო, ვამერნი, ზანგერჰაუზენი და საქსონიის მანსფელდის ნაწილი.**

1807 წლის 1 სექტემბრის დეკრეტით, ნაპოლეონმა ვესტფალიის სამეფოს საზღვრები განსაზღვრა. საქსონიის მიერ 22 ივლისს დათმობილი ტერიტორიები იქ შევიდა. **შტოლბერგის საგრაფო ვესტალიის სამეფოს მიუერთდა.**

1808 წლის 19 მარტის ხელშეკრულებით **საქსონიამ ვესტფალიას დაუთმო მანსფელდის ნაწილი და სანაცვლოდ მიიღო ზანგერჰაუზენი.**

1813 წლის გაზაფხულზე საქსონიის მეფემ დაკარგა ვარშავის საერცჰერცოგო. თავისი გერმანელი კოლეგების უმრავლესობისგან განსხვავებით, საქსონიის მეფე საფრანგეთთან ალიანსის ერთგული დარჩა.

საფრანგეთის ლაიპციგთან დამარცხების შემდეგ (1813 წლის 16/19 ივნისი), რომლის დროსაც საქსონიის ჯარმა ბანაკი შეიცვალა, კოალიციის წევრებმა საქსონიის მეფე დააკავეს. მის ქვეყანას დროებით პრუსია მართავდა.

11. თიურინგია

1790 წელს როისის სახლის უმცროსი ხაზის ოთხი შტო (გერა, შლაიცი, ებერსდორფი, ლობენშტაინი) მთავრების რანგში ამაღლდა.

1802 წელს **შენყდა გერას ხაზი და მისი სამფლობელოები ლობენშტაინის ხაზს გადაეცა.**

1803 წლის საიმპერატორო დეკრეტით **ერფურტის საბაიო და ბლანკენჰაინის, ქვემო-კრანიხფელდის და მიულბერგის** ანკლავები, რომლებიც ადრე მაინცს ეკუთვნოდა **პრუსიას გადაეცა.** საქსონიის თიურინგიას ერთი ახალი ხმა მიენიჭა და ერთიც როის-გრაიცის მთავარს მიემატა.

1806 წლის აგვისტოში საღეთო რომის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1806 წლის 15 დეკემბერს საქსონიის ხუთი ჰერცოგი რაინის კონფედერაციაში გაერთიანდა, სადაც ისინი მთავართა კოლეგიაში მონაწილეობდნენ.

შვარცბურგის და როისის მთავრები თავის მხრივ რაინის კონფედერაციას 1807 წლის 18 აპრილს შეუერთდნენ და მთავართა კოლეგიაში გაწევრიანდნენ.

1807 წლის ივლისში ტილზიტის ზავის შესაბამისად განხორციელებულ გერმანიის რეორგანიზაციას, ნაპოლეონის გამარჯვების შემდეგ ჰესენ-კასელის დაშლა და პრუსიისათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების ჩამოჭრა მოჰყვა. ამ ჩარჩოში:

– ადრე ჰესენის **საბაიო შშალკალდე ვესტფალიის ახალ სამეფოს გადაეცა;**

– **პრუსიის** საბაიო **ერფურტი და მისი ანკლავები,** კაულსდორფის ანკლავთან ერთად, რომელიც ბაიროითის დანამატი იყო **ნაპოლეონმა რეზერვში დაიტოვა.**

1810 წლის თებერვალში **საფრანგეთმა ბავარიას დაუთმო კაულსდორფის ანკლავი,** როგორც ბავარიისათვის დათმობილი ბაიროითის სამარკგრაფოს დანამატი.

1813 წლის ნოემბერში როდესაც ფრანგებმა გერმანია დატოვეს, რაინის კონფედერაცია დაიშალა. თიურინგიის ყველა სახელმწიფო ანტიფრანგულ კოალიციას მიუერთდა.

12. ანჰალტი

1793 წელს ანჰალტ-ცერბსტის მთავრის უმემკვიდროდ გარდაცვალების შემდეგ, **ანჰალტ-ცერბსტის სამთავრო ანჰალტის სამ დანარჩენ მთავარს შორის გადანაწილდა.** სამაგიეროდ, **იეფერის სამფლობელო რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ს, გარდაცვლილი მთავრის დას გადაეცა.**

1806 წლის ივლისში რაინის კონფედერაციაში შესვლისა და ნაპოლეონის მოწოდების შემდეგ, **ნასაუს მთავრებმა ჰოლლაპელის საგრაფოსა და ლანის შაუმბურგის სამფლობელოს მედიაცია მოახდინეს,** რომელიც ანჰალტ-ბერნბურგ-შაუმბერგის უმცროს შტოს ჩამოერთვა.

გარდა ამისა, იმპერატორმა ფრანც I-მ ანჰალტ-ბერნბურგის მთავარი ჰერცოგის რანგში აამაღლა.

1807 წლის 18 აპრილს ანჰალტის სამი საჰერცოგოს რაინის კონფედერაციაში გაერთიანების შემდეგ, იმპერატორმა ნაპოლეონმა ანჰალტ-დესაუსა და ანჰალტ-კეტენის ორ მთავარს ჰერცოგობა უბოძა; სამი ჰერცოგი მთავართა საბჭოს წევრი გახდა.

1813 წლის მარტში ანჰალტის სამივე ჰერცოგმა რაინის კონფედერაცია დატოვა და ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდა.

13. შვედეთის პომერანია

1803 წლის 26 ივნისს **შვედეთმა მეკლემბურგ-შვერინის საპერცოგოს დაუბრუნა თავისი ანკლავები ვისმარი, ნოიკლოსტერი და კუნძული პელი,** ოლონდ გათვალისწინებული იყო მუხლი 1903 ან 2003 წლებში შესაძლებელი გამოსყიდვის შესახებ.

საფრანგეთის გერმანიის საქმეებში ჩარევის შემდეგ, შვედეთსა და საფრანგეთს შორის ტრადიციულად კარგი ურთიერთობა გაფუჭდა. 1805 წლის 31 ოქტომბერს შვედეთი ავსტრია-რუსეთის კოალიციაში შევიდა და ომი გამოუცხადა საფრანგეთს. მან კი გამარჯვების შემდეგ, 1807 წლის დასაწყისში შვედეთის პომერანია დაიკავა.

1810 წლის 6 იანვარს პარიზის ხელშეკრულებით საფრანგეთსა და შვედეთს შორის მშვიდობა დამყარდა. საფრანგეთმა შვედეთს მთლიანად დაუბრუნა პომერანია;

შვედეთის ორმაგი თამაშის გამო, რომელიც ოფიციალურად საფრანგეთის მოკავშირე იყო და ინგლისის წინააღმდეგ იბრძოდა, გეტებორგსა (შვეცია) და შტრალზუნდში (პომერანია) კი კონტრაბანდას უწყობდა ხელს, საფრანგეთმა ხელახლა დაიკავა პომერანია 1812 წელს. ამის შემდეგ შვედეთმა ბანაკი შეიცვალა და ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდა.

ამის შემდეგ, 1813 წელს შვედეთი თავს დაესხა დანიას, რომელიც საფრანგეთის მოკავშირე იყო და დაამარცხა. 1814 წლის 14 იანვარის კილის შეთანხმებით, დანიამ შვედეთს დაუთმო ნორვეგიის სამეფო, **შვედეთმა კი დანიას შვედეთის პომერანია გადასცა.**

ამგვარად, შვედეთმა საბოლოოდ თქვა უარი გერმანიაში ტერიტორიებზე და მხოლოდ თავის ტერიტორიებს დასჯერდა სკანდინავიის ნახევარკუნძულზე.

14. მეკლენბურგი

პოლიტიკურად მღელვარე რეგიონებს მოშორებული მეკლენბურგის საპერცოგოების ტერიტორიები არ შეცვლილა 1803 წლის საიმპერატორო დეკრეტით.

მთავართა კოლეგიას მეკლენბურგის სასარგებლოდ ორი ახალი ხმა დაემატა: შტარგარდის სამფლობელოსა და შვერინის სამთავროს ხმები; აქედან მოყოლებული მეკლენბურგ-შტრელიცს ორი ხმა ჰქონდა, მეკლენბურგ-შვერინს კი სამი ხმა.

1803 წლის 26 ივნისს **შვედეთმა მეკლენბურგ-შვერინის საპერცოგოს დაუბრუნა ანკლავები ვისმარი, ნოიკლოსტერი, კუნძული პელი** შესაძლებელი გამოსყიდვის პირობით 1903 და 2003 წლებში.

მეკლენბურგის ჰერცოგებმა 1806 წლის კონფლიქტში პრუსიის მხარე დაიჭირეს, მხოლოდ რუსეთის იმპერატორთან ნათესაობამ იხსნა ისინი ნაპოლეონის რისხვისაგან. ტილზიტის ზავების თანახმად საჰერცოგოები რაინის კონფედერაციაში გაერთიანდნენ – 1808 წლის 18 თებერვალს მეკლენბურგ-შტრელიცი, 22 მარტს მეკლენბურგ-შვერინი. ისინი მთავართა საბჭოს წევრები გახდნენ.

1813 წლის მარტში ორივე საპერცოგომ დატოვა რაინის კონფედერაცია და ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდა.

15. ჰოლშთაინი იხ. თავი დანია

16. ოლდენბურგი

1793 წელს ანჰალტ-ცერბსტის მთავრის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ იეფერის სამფლობელო რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ს ხელში გადავიდა, რომელიც გარდაცვლილი მთავრის და იყო.

1803 წლის თებერვლის საიმპერატორო დეკრეტით, რომელმაც გერმანიის რეორგანიზაცია მოახდინა ლიუბეკის **საეპისკოპოსო საერო გახდა და მისმა ეპისკოპოსმა ის თავის ოლდენბურგის საპერცოგოს შეუერთა.**

ოლდენბურგის საპერცოგო კიდევ უფრო გაიზარდა ვილდესჰაუზენის სამფლობელოთი, რომელიც ჰანოვერის კურფიურსტმა დათმო, და **კლოპენბურგისა** და ვეხტას საბაიოებით.

ამგვარად მისი ფართობი გაორმაგდა (5 000 კმ²) და მოსახლეობაც 150 000 კაცს აღწევდა.

ტილზიტის ზავით (1807 წლის 7 ივლისი) ბოლო მოეღო საფრანგეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირებას, **რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ნაპოლეონ I-ს იეფერი დაუთმო.**

ფონტენებლოს ზავით (1807 წლის 11 ნოემბერი) **ნაპოლეონმა ჰოლანდიის სამეფოს კნიპჰაუზენით გაზრდილი იეფერის სამფლობელო გადასცა, ოსტფრიზთან ერთად.**

ერფურტის ხელშეკრულებით (1808 წლის 14 ოქტომბერი), ოლდენბურგის საჰერცოგო 39-ე და ბოლო სახელმწიფო იყო, რომელიც რაინის კონფედერაციას შეუერთდა.

დიდი ბრიტანეთის საწინააღმდეგო ბლოკის გასაძლიერებლად, 1810 წლის 13 დეკემბერს ნაპოლეონმა საფრანგეთს გერმანიის ჩრდილო-დასავლეთით ვეზერ-ლუნებურგის ხაზზე მდებარე ტერიტორიები მიუერთა.

ამგვარად, **ოლდენბურგის საჰერცოგო** ოიტინის და რატეკაუს ნაწილის **გამოკლებით საფრანგეთის იმპერიას მიუერთდა;** ის ბუშ-დუ-ვეზერის დეპარტა-მენტის ოლქი გახდა; რატეკაუს ანექსირებული ნაწილი ბუშ-დე-ელბს შეუერთდა. კნიპჰაუზენმა და იეფერმა ალმოსავლეთი ემსის დეპარტამენტის ოლქი შეადგინეს.

ნაპოლეონი ამაოდ სთხოვდა ოლდენბურგის ჰერცოგს მისთვის ერფურტის დათმობას. რადგან ჰერცოგი რუსეთის იმპერატორის ბიძა იყო, იგი არ შეეგუა საჰერცოგოს დაკარგვას და ეს რუსეთსა და საფრანგეთს შორის ომის განახლების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

1813 წლის ნოემბერში დამარცხების შემდეგ, ფრანგებმა გერმანია დატოვეს. რაინის კონფედერაცია დაიშალა. ოლდენბურგის ჰერცოგი თავის საჰერცოგოში დაბრუნდა. რუსებმა იეფერი და კნიპჰაუზენი დაიბრუნეს.

17. ჰანოვერი

მართალია ჰანოვერის სუვერენი საფრანგეთს ეომებოდა, მაგრამ პირველი კოა-ლიციის საბრძოლო კამპანიაში უშუალოდ არ ჩარეულა. ამიენის ზავმა (1802 წლის მარტი) დროებით შეარიგა საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, ხოლო ჰანოვერი დაშვებული იქნა იმ ტერიტორიულ ცვლილებებში მონაწილეობის მისაღებად, რომელსაც 1803 წლის თებერვლის საიმპერატორო დეკრეტი ითვალსინინებდა.

ჰანოვერმა ოლდენბურგის ჰერცოგს დაუთმო ვილდეს-ჰაუზენის სალანდგრაფო და მიიღო ოსნაბურიურკის საეროდ გადაქცეული საეპის-კოპოსო, ვიდენბრიუკისა და ტვიშრინგენის ანკლავების ჩათვლით.

გარდა ამისა, **ჰანოვერს ჩამოშორდა ბენტჰაიმის საგრაფო** და ყოფილ მფლო-ბელს დაუბრუნდა.

1803 წლის მარტში საფრანგეთსა და ინგლისს შორის დაპირისპირების განახლებისთანავე, პირველმა კონსულმა ბონაპარტმა ჰანოვერი დაიკავა.

1805 წლის 15 დეკემბერს შენბრუნის ზავის თანახმად **პრუსიამ იმპერა-ტორისაგან მიიღო ჰანოვერი.** ამით ნაპოლეონს სურდა ჰანოვერი პრუსიასა და დიდ ბრიტანეთს შორის დაპირისპირების მიზეზად ექცია, რითაც საფრანგეთის პოზიცია გაძლიერდებოდა ევროპაში. გარკვეული ყოყმანის შემდეგ, 1806 წლის 14 თებერვალს პრუსია ამ შხამიანი საჩუქრის მიღებას დათანხმდა.

1806 წლის ივლისში პრუსია რუსეთთან საიდუმლო ალიანსში შევიდა, ამას მოჰყვა ომი საფრანგეთსა და პრუსიას შორის და პრუსიის დამარცხება იენასთან და აუსტერლიცთან (1806 წლის ოქტომბერი).

კონფლიქტი ტილზიტის ზავით დასრულდა (1807 წლის 9 ივლისი), რომლის თანახმადაც პრუსია თავისი ტერიტორიების ნახევარს კარგავდა, **პრუსია ნაპო-ლეონს უთმობდა** თავის ყველა სამფლობელოს ელბის დასავლეთით, რომელთა შორის იყო ახლად მიღებული **ჰანოვერი მთლიანად.**

ტილზიტის ზავით გათვალისწინებული პირობების მიხედვით, 1807 წლის 18 აგვისტოს ნაპოლეონმა ვესტფალიის სამეფო შექმნა, რომლის ტერიტორიაც

ყოველგვარი ისტორიული საფუძვლების გარეშე შედგებოდა ომში დამარცხებული პროვინციებისაგან. აქედან გამომდინარე **ჰანოვერი ორ ნაწილად გაიყო:**

– **გრუბენჰაგენის** საპერცოგო თავისი ელბინგეროდეს ანკლავით, **ჰოენშთაინის** საგრაფოს **ჰანოვერის წილი** და **კალენბერგის** საპერცოგოს სამხრეთი ნაწილი **ვესტფალის სამეფოს მიეკუთვნა;**

– **ლუნებურგის, ლაუენბურგის, ბრემენის** საპერცოგოები, საგრაფოები **ჰოია** და **დიფოლცი, ვერდენის** სამთავრო, **ოსნაბრიუკის** ყოფილი საეპისკოპოსო და **კალენბერგის** საპერცოგოს **ჩრდილოეთი ნაწილი ნაპოლეონმა დაიტოვა;** მათ შეადგინეს **ჰანოვერის სარეზერვო მხარე.**

1807 წლის 15 ნოემბერს **ოსნაბრიუკის** ყოფილი საეპისკოპოსო თავის ანკლავთან ერთად (ვიდენბრიუკი) **ნაპოლეონმა ვესტფალიის სამეფოს დაუთმო.**

1810 წლის 14 იანვარს პარიზის ხელშეკრულებით **ნაპოლეონმა ვესტფალიის სამეფოს დაუთმო ჰანოვერის სარეზერვო მხარე** იმ პირობით, რომ შემდგომში ჩამოაჭრიდა ტერიტორიის ნაწილს 15 000 მცხოვრებით. ჰანოვერის რეალურად გადაცემისას ნაპოლეონმა რეზერვზში დაიტოვა ლაუენბურგის საპერცოგო (33 000 სული) ნოიჰაუს ანკლავით ელბის მარჯვენა სანაპიროზე.

ცოტა ხნის შემდეგ, დიდი ბრიტანეთის ბლოკადის გასაძლიერებლად, 1810 წლის 13 დეკემბერს ნაპოლეონმა საფრანგეთის იმპერიას ოლდენბურგი, ჰანზის ქალაქები, ლაუენბურგი და ჩრდილოეთის ზღვასა და ვეზელ-მინდენ-ლუნებურგის ხაზს შორის მდებარე ტერიტორიები მიუერთა.

1811 წლის 22 იანვარს იმპერატორის დეკრეტით დაზუსტდა თუ რა გადაეცა ვესტფალიიდან საფრანგეთს. ნაპოლეონმა გააუქმა 1810 წლის იანვარში ვესტფალიისათვის ჩრდილოეთ ჰანოვერის გადაცემა.

ამის საფუძველზე, **საფრანგეთმა ვესტფალიისაგან წაიღო ოსნაბრიუკის** საეპისკოპოსო **და მინდენის** სამთავროს **უმეტესი ნაწილი,** ასევე **რავენსბურგის** საგრაფო **და ვესტფალიას** „კომპენსაციის ნიშნად დაუთმო" **კალენბერგის** საპერცოგოს **ჩრდილოეთი ნაწილი და ლუნებურგის** საპერცოგოს **ოთხი მეხუთედი.**

ყოფილი ჰანოვერი ორ ნაწილად გაიყო:

– ვესტფალიის სამეფოს ერგო: 1807 წელს დათმობილი ჰოენშტაინის საგრაფო და გრიუბენჰაგენის საპერცოგო, 1807 წელს დათმობილი კალენბერგის საპერცოგო (სამხრეთი ნაწილი) და 1810 წელს დათმობილი ლუნებურგის საპერცოგოს ოთხი მეხუთედი (ჩრდილოეთო ნაწილი);

– საფრანგეთის იმპერიაში შევიდა: ოსნაბრიუკის ყოფილი საეპისკოპოსო, ჰოაიასა და დიფოლცის საგრაფოები, ვერდენის სამთავრო, ბრემენის საპერცოგო, ლუნებურგის საპერცოგოს მეხუთედი (ჩრდილო-დასავლეთი), ლაუენბურგის საპერცოგო.

ლაიპციგთან დამარცხების შემდეგ, 1813 წლის ნოემბერში საფრანგეთმა მთლიანად დატოვა გერმანია; **გაუქმდა ვესტფალიის სამეფო** და საფრანგეთის იმპერიის მფლობელობა ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში.

ჰანოვერი დაუყოვნებლივ აღდგა იმ სახით, რომელიც 1803 წლის საიმპერატორო დეკრეტის მიხედვით ჰქონდა მიღებული და დიდი ბრიტანეთის მეფეს დაუბრუნდა.

18. ბრაუნშვაიგი

1792 წელს ვიურტემბერგის უმცროსი შტოს მთავარმა **ბრაუნშვაიგის პერცოგს დაუთმო ელსის საპერცოგო** სილეზიაში. ბრაუნშვაიგი იყო სახელმწიფო 1 800 კმ²-ის ფართობით და 50 000 მცხოვრებით, რომლის სიუზერენიც პრუსიის მეფე იყო.

1803 წლის 25 თებერვლის საიმპერატორო დეკრეტით **ბრაუნშვაიგს გადაეცა განდერსჰაიმის** საეროდ გადაქცეული ააბატო.

მთავართა კოლეგიაში ბრაუნშვაიგს ერთი ახალი ხმა დაემატა (ბლანკენბურგის) და მისი ხმების რაოდენობა ორამდე გაიზარდა.

1806 წელს ბრაუნშვაიგის ჰერცოგმა, რომელიც 1792 წლის საფრანგეთის სანინააღმდეგო „მანიფესტის" ავტორი იყო, პრუსია-საფრანგეთის კონფლიქტში პრუ-

სიის მხარე დაიკავა. პრუსიის დამარცხების შემდეგ ნაპოლეონმა, ჩრდილოეთ გერმანიის მფლობელმა, დიდი ცვლილებები დაგეგმა და ვესტფალიის სამეფო შექმნა.

ამ მიზნით, **ნაპოლეონმა გამოსცა დეკრეტი ბრაუნშვაიგის საპერცოგოს გაუქმების თაობაზე**, რომელიც, 1807 წლის 18 აგვისტოს **მთლიანად შევიდა ვესტფალიის სამეფოს შემადგენლობაში**, ტრედინგსპაუზენის საბაიოს გამოკლებით, რომელიც ელსის საპერცოგოსთან ერთად ჰანოვერის სარეზერვო მხარეს მიუერთდა.

1813 წლის ნოემბერში ვესტფალიის სამეფო გაუქმდა, **ბრაუნშვაიგის საპერცოგო მთლიანად აღდგა** და თავის კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა.

19. ლიპე და ვალდეკი

პოლიტიკური მღელვარების ზონებს დაშორებულ ორ სახელმწიფოს ლიპესა და ვალდეკს საიმპერატორო დეკრეტი არ შეხებია; ვალდეკის სამთავროს კიდევ ერთი ხმა დაემატა რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგიაში.

ნაპოლეონის პრუსიაზე გამარჯვებამ გაზარდა საფრანგეთის გავლენა გერმანიაში და ლიპე და ვალდეკი 1807 წლის 18 აპრილს რაინის კონფედერაციაში გაერთიანდნენ, სადაც მონაწილეობას იღებდნენ მთავართა საბჭოში. აქედან გამომდინარე, შაუმბურგ-ლიპეს საგრაფო სამთავროს რანგში ამაღლდა.

რაინის კონფედერაციის დაშლის შემდეგ, რაც საფრანგეთის დამარცხებას მოჰყვა, ლიპესა და ვალდეკის სამთავროები 1813 წელს დამოუკიდებელი გახდა.

20. ჰესენი

1789 წლის 4 აგვისტოს, როცა საფრანგეთის დანფუძნებელმა კრებამ გააუქმა კეთილშობილთა პრივილეგიები, **ალზასის ჰანაუ-ლიხტენბერგის სამფლობელოები საფრანგეთმა მიიერთა**. ამ საგრაფოს ნაწილი ჰესენ-დარმშტადტის მფლობელობაში დარჩა.

1792 წელს და შემდეგ 1794 წელს ჰესენის სალანდგრაფოები, რომლებიც საღეთო რომის იმპერიაში, რაინის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა, საფრანგეთის არმიამ დაიკავა.

ჰესენ-კასელის ლანდგრაფი ანტიფრანგულ კოალიციას მიუერთდა. 1795 წლის 28 აგვისტოს ხელშეკრულებით, საფრანგეთსა და ჰესენ-კასელს შორის მშვიდობა დამყარდა. **ლანდგრაფმა საფრანგეთს დაუთმო თავისი სამფლობელოები რაინის მარცხენა სანაპიროზე**. კომპენსაციები კი მარჯვენა სანაპიროზე უნდა მიეღო, საფრანგეთსა და საღეთო რომის იმპერიის შეთანხმების საფუძველზე.

საიმშვიდობო მოლაპარაკებებისას, რომლებიც წინ უძღოდა გერმანიის საკითხის საბოლოოდ გადაჭრას გადაწყდა, რომ ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფები, რაინის მარცხენა სანაპიროზე ჩამორთმეული სამფლობელოებისთვის კომპენსაციას მარჯვენა სანაპიროზე მიიღებდნენ. ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფს ხელს უწყობდა მისი ნათესაობა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველთან, რომელიც პირველი კონსულის ბონაპარტის ოფიციალური მოკავშირე იყო იმპერიის რეორგანიზაციის საკითხებში. გარდა ამისა, ბონაპარტს სალანდგრაფოების გაძლიერება ცენტრალურ გერმანიაში ავსტრიის და პრუსიის გავლენის შესასუსტებლად სურდა. ჰესენის ორ სალანდგრაფოს მიმართ მისი დამოკიდებულება 1803 წლის 25 თებერვლის საიმპერატორო დეკრეტის გადაწყვეტილებებში აისახა.

ჰესენ-კასელის ლანდგრაფი საფრანგეთს უთმობდა რაინის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ქვემო კატცენელენბონგენის საგრაფოს ნაწილს, 4 კმ^2-ს და 3000 სუბიექტს. **სანაცვლოდ ლანდგრაფი** კორფიურსტის წოდების გარდა **ღებულობდა:**

– **მაინცის არქიეპისკოპოსის მიერ დათმობილ საბაიოებს, ნაუმბურგს, ფრიტცლარს, ნოიშტადტს და ამენოიბურგს;**

– ყოფილ თავისუფალ ქალაქს **გელპაუზენს;**

– თავისუფალ ქალაქ **ჰოლცჰაუზენს.**

მთლიანი მოგება შეადგენდა 25 კმ^2-ს და 13 000 სუბიექტს.

თავის მხრივ, ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფი უთმობდა:

– **საფრანგეთს** ჰანაუ-ლიხტენბერგის საგრაფოს ნაწილს რაინის მარცხენა სანაპიროზე, კერძოდ პირმაზენს, პლოვდივს და ალზასის სამფლობელოებს;

– **ბადენის კურფიურსტს** ვილდშტეტ-ენ-ორტენაუს, **რომელიც ქალაქ ვიმფენში** გაიცვალა;

– **ნასაუ-უზინგენის მთავარს** ეპშტაინის სამფლობელოს და ქვემო კოტცენელენბონგენის ფრაგმენტებს (**ბრაუბახი, ნასაუსა და ემსის თანამფლობელობა**).

საერთო ჯამში დანაკარგი შეადგენდა 1 400 კმ^2-ს და 60 000 სუბიექტს.

სანაცვლოდ, **ლანდგრაფი ღებულობდა:**

– **ვესტფალიის საპერცოგოს, კიოლნის საეროდ გადაქცეული საარქიეპისკოპოსოს საბაიო** ფოლკსმარსენთან ერთად;

– **ბენსპაიმის, დიბურგის, შტაინპაიმის და ალცენაუს** საბაიოებს, რომლებიც მაინცის საარქიეპისკოპოსოს ეკუთვნოდა.

– **ლინდენფელსის, ოცბურგის და უმშტადტის** საბაიოებს, **მიღებულს რაინის პფალციისაგან;**

– **ვორმსის საეპისკოპოსოს ნაწილს მარჯვენა სანაპიროზე;**

– **სელიგენშტადტის** საბაბატოს **და ვიმპფენის** საპრევოს;

– თავისუფალ ქალაქ **ვიმპფენს**, რომელიც ბადენის კორფიურსტს მიაკუთვნეს, მან კი ვილდშტეტის საბაიოში გაცვალა;

– თავისუფალ ქალაქ **ფრიდბერგს.**

საერთო მოგება შეადგენდა 5 000 კმ^2-ს და 150 000 სუბიექტს.

რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგიაში, ჰესენ-კასელის კორფიურსტს ოთხი ხმა გაუხდა, ორი ძველი (კასელი, ჰერსფელდი) და ორი ახალი (ჰანაუ, ფრიტცლარი). ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფს სამი ხმა ჰქონდა, ერთი ძველი (დარმშტადტი) და ორი ახალი (ვესტფალია, შტარკენბურგი).

1805 წელს საფრანგეთსა და ავსტრიას შორის დაპირისპირების განახლების შემდეგ, ჰესენ-დარმშტადტი თავიდან ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, მაგრამ 1806 წლის იანვარში საფრანგეთის მხარე დაიკავა. რაც შეეხება ჰესენ-კასელის ლანდგრაფს, იგი ორმაგ თამაშს თამაშობდა პარიზსა და ბერლინს შორის.

ამგვარი საქციელის გამო იმპერატორმა ნაპოლეონმა ჰესენ-კასელს 1806 წლის ივლისში უარი უთხრა რაინის კონფედერაციაში გაერთიანებაზე, ჰესენ-დარმშტადტი კი ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა, ხოლო მისმა ლანდგრაფმა ერცჰერცოგის წოდება მიიღო.

ნაპოლეონის მიერ ნაბრძანები ტერიტორიული გამარტივების თვალსაზრისით **ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფმა მიიერთა:**

– **ფრიდბერგის საბურგრაფო;**

– **ერბახის საგრაფო;**

– **ჰოიბახის, ბრაუბერგის, ჰაბიტცჰაიმის სამფლობელოები,** რომლებიც ლევენშტაინ-ვერტჰაიმებს ეკუთვნოდა;

– **ილბენშტადტის სამფლობელო;**

– **კენიგშტაინის საგრაფო,** რომელიც შტოლბერგ-გელდერნს ეკუთვნოდა;

– **ჰესენ-ჰომბურგის სალანდგრაფო;**

– **ლაუტერბახის, შტოკჰაუზენის, მოოსის და ფრაინშტაინაუს სამფლობელოები,** რომლებიც რიდეზელს ეკუთვნოდა;

– **ვიტგენშტაინის და ბერლებურგის საგრაფოები,** რომლებიც გრაფებს საინ-ვიტგენშტაინებს ეკუთვნოდა;

– **სოლმსის მთავრებისა და გრაფების მიწების აღმოსავლეთის ნახევარი** (ჰუნგენი, გრიუნინგენი, ლიხი, ლაუბახი), დასავლეთი ნაწილის ნახევარი ნასაუს მთავრებს ეკუთვნოდა;

– **იმპერიის რაინდთა ორდენის მიწები.**

საერთო მოგება შეადგენდა 2 300 კმ^2-ს.

ახალი კონფედერაციის დედაქალაქ ფრანკფურტში, სადაც ფედერალური დიეტი მუშაობდა, ჰესენ-დარმშტადტის ერცჰერცოგი მეფეთა კოლეგიაში მონაწილეობდა.

1806 წლის საფრანგეთ-პრუსიის კონფლიქტში ჰესენ-კასელის კურფიურსტმა პრუსიის მხარე დაიკავა; იენასთან გამარჯვების შემდეგ, იმპერატორმა ნაპოლეონმა მას მმართველობა ჩამოართვა; 1806 წლის 31 ოქტომბერს კურფიურსტი დანიაში გაიქცა, მისი სამფლობელოები კი საფრანგეთმა დაიკავა. 1806 წლის 4 ნოემბერს ნაპოლეონმა გამოსცა დეკრეტი **ჰესენ-კასელის საკურფიურსტოს გაუქმების შესახებ.**

ტილზიტის ზავში (1807 წლის ივლისი) შევიდა მუხლი ჰესენ-კასელის შესახებ და ვესტფალიის ახალი სამეფოს შექმნის გადაწყვეტილება (1807 წლის 1 სექტემბერი). **ჰესენ-კასელის ყოფილი საკურფიურსტო შემდეგნაირად გადანაწილდა:**

– ჰანაუს საგრაფო, შმალკალდეს სამფლობელო, ქვემო კატცენელებონგენის საგრაფო ნაპოლეონმა რეზერვში დაიტოვა.

გარდა ამისა, **ჰესენ-დარმშტადტის ერცჰერცოგმა ვესტფალიის სამეფოს ვოლკსმარსენის საბაიო დაუთმო,** რომელიც ვესტფალიის ჰესენის საჰერცოგოზე იყო დამოკიდებული.

1807 წლის ნოემბერში ნაპოლეონმა ვესტფალიის სამეფოს **შმალკალდეს სამფლობელო** დაუთმო, რომელიც ივლისში რეზერვში დაიტოვა და ადრე ჰესენ-კასელს ეკუთვნოდა.

ვაგრამთან გამარჯვების შემდეგ, საფრანგეთმა შენბრუნის ზავით (1809 წლის ოქტომბერი) კვლავ ნაართვა ტერიტორიები ავსტრიას. აქედან გამომდინარე ნაპოლეონის გერმანელი მოკავშირეების სამფლობელოები გაიზარდა.

ამ ფარგლებში, 1810 წლის 11 მაისის პარიზის ხელშეკრულებით, **საფრანგეთმა ჰესენ-დარმშტადტს დაუთმო** ჰანაუს საგრაფოს ანკლავირებული ნაწილები **(ბობენჰაუზენი, დორჰაიმი, ჰენკელსჰაიმი, მიუნცენბერგი, ორტენბერგი, როდჰაიმი) და ჰერბშტაინის** ანკლავი, რომელიც ფულდეს სამთავროს ჩამოეჭრა; ამ ორი ქვეყნის რეზერვში დატოვებული ძირითადი ნაწილები ფრანკფურტის საერცჰერცოგოს გადაეცა. ჰესენ-დარმშტადტის მოგება შეადგენდა 250 კმ²-ს და 1500 სულს.

1810 წლის 8 სექტემბრის პარიზის ხელშეკრულებით, **ბადენის საერცჰერცოგო ჰესენ-დარმშტადტს უთმობდა** მაინცის ყოფილ საბაიოებს **მილტენბერგს** და ამორბახს, სულ 250 კმ²-ს და 15 000 სულს.

საერცჰერცოგოს ფართობი 11 800 კმ²-მდე გაიზარდა, მოსახლეობის რაოდენობა 570 000 კაცს აღწევდა; მისი ტერიტორია სამ პროვინციად იყოფოდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ: ვესტფალია (არენსბერგი), ზემო ჰესენი (გისენი), შტარკენბურგი (დარმშტადტი).

ვესტფალიის და ზემო ჰესენის პროვინციები ერთმანეთს ძალიან ვიწრო დერეფნით უკავშირდებოდა, ზემო ჰესენისა და შტარკენბურგის პროვინციები კი გამიჯნული იყო ფრანკფურტის საერცჰერცოგოს ტერიტორიით. შტარკენბურგის პროვინციაზე მიერთებული იყო რამდენიმე ანკლავი სამხრეთით, რომელთა შორის იყო ქალაქი ვიმპფენი ნეკარზე.

ლაიპციგთან საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ფრანგებმა დატოვეს გერმანია; 1813 წლის 26 ოქტომბერს ვესტფალიის მეფე ჟერომმა დატოვა კასელი, სადაც 21 ნოემბერს კურფიურსტი დაბრუნდა.

1813 წლის 23 ნოემბერს ფრანკფურტის ხელშეკრულებით ჰესენ-დარმშტადტის ერცჰერცოგი ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდა. რაინის კონფედერაცია დაშალა.

2 დეკემბრის ფრანკფურტის ხელშეკრულებით, **სასწრაფოდ აღდგა ჰესენ-კასელი** თავისი ყოფილი სამფლობელოების ბაზაზე, რომლებიც ვესტფალიის სამეფოსგან და ფრანკფურტის დიდი საჰერცოგოსაგან დაიბრუნა ქვემო კატცენელენბონგენთან ერთად.

21. ნასაუ

1792 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე ფრანგებმა დაიკავეს გერმანიის რაინის მარცხენა სანაპირო ბინგენამდე; ოქტომბერში კაპიტულაცია გამოაცხადა

მაინცმა. ვალრამის შტოს მიწები ზაარვერდენი, ზაარბრიუკენი, ოტვაილერი და კირხაიმ-ბოლანდენი ოკუპირებული აღმოჩნდა.

1793 წლის 30 მარტს მაინცის ეფემერული რესპუბლიკის გაუქმების შემდეგ, საფრანგეთმა დაიკავა რაინის მარხცენა სანაპიროს გერმანული რეგიონი. ზაარვერდენის და ზაარბრიუკენის საგრაფოები, ოტვაილერისა და კირხაიმ-ბოლანდენის სამფლობელოები **საფრანგეთს მიუერთდა.** მაგრამ 1793 წლის ივლისში ავსტრიელების მიერ მაინცის დაკავებას ფრანგების უკან დახევა მოჰყვა, რომლებმაც დატოვეს ტერიტორიები ლანდაუდან ბინგენამდე. ნასაუს სამფლობელოებიდან **საფრანგეთმა მხოლოდ ზაარვერდენის საგრაფო შეინარჩუნა.**

1794 წლის დეკემბერში ფრანგებმა ხელახლა დაიკავეს რაინის მარცხენა სანაპირო, ამჯერად შეერთებული პროვინციების საზღვრამდე. ამ მხარეში დროებითი მმართველობა დამყარდა.

1795 წლის იანვარში საფრანგეთის არმიამ დაიკავა შეერთებული პროვინციები და მისი მმართველი ვილჰელ V გააძევა.

1797 წელს ნასაუ-ზაარბრიუკენის შტოს შენყვეტის შემდეგ, ვალრამის ხაზი ორ შტომდე დავიდა (უზინგენის და ვაილბურგის). ზაარბრიუკენის საგრაფო, ოტვაილერის სამფლობელო, ასევე ლარის სამფლობელო ორტენაუში, ნასაუ-უზინგენის მთავრმა გააერთიანა. 1797 წლის ნოემბერში საფრანგეთმა შეიერთა რაინის მარცხენა სანაპიროს გერმანული ტერიტორიები. ამგვარად, ნასაუს მთავრებმა საბოლოდ დაიკავეს თავისი მარცხენა სანაპიროს სამფლობელოები: ზაარბრიუკენი, ოტვაილერი და კირხაიმ-ბოლანდენი.

1799 წელს ბოლო ბურგრაფის კირხებერგის გარდაცვალების შემდეგ, გარდაცვლილის დის მეუღლემ, **ნასაუ-ვაილბურგის მთავარმა მემკვიდრეობით** მიიღო **საინ-ახენბურგის საგრაფო.**

1802 წლის 24 მაისს მთავარმა ვილჰელმ ორან-ნასაუელმა საფრანგეთთან პარიზის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და უარი თქვა ბატავიის სამფლობელოებზე. იმის გამო, რომ პრუსიის სახლს ენათესავებოდა, მან მნიშვნელოვანი კომპენსაცია მიიღო გერმანიაში. **ორან-ნასაუს მთავარმა მიიღო:**

– **ფულდეს და კორვეის** საეროდ გადაქცეული საეპისკოპოსოები;

– თავისუფალი ქალაქი **დორტმუნდი;**

– **სენ-გეროლდის** (ფორარლბერგი), **მაინგარტენის** (ზემო შვაბია), **ჰოფენის** (კონსტანცის ტბასთან), **ვანდერნის** (ზემო რაინი) **და დიტოფენის** (ნასაუში) საეროდ გადაქცეული ააბატოები.

მთლიანად ტერიტორიების ფართობი 2600 კმ^2-ს შეადგენდა.

1803 წლის თებერვლის საიმპერატორი დეკრეტით 1802 წლის 24 მაისის პარიზის ხელშეკრულებით მიღებული გადაწყვეტილებები დამტკიცდა. დეკრეტით ვალრამის ხაზის მთავრებისათვის შემდეგი დებულებები იყო გათვალისწინებული:

ნასაუ-უზინგენის მთავარი უარს ამბობდა ზაარბრიუკენის საგრაფოზე და ოტვაილერის სამფლობელოზე საფრანგეთის სასარგებლოდ; ის ბადენის კურფიურსტს უთმობდა ლარის სამფლობელოს ორტენაუში. სანაცვლოდ **იგი** ღებულობდა:

– **ჰეხსტის, ჰოხაიმის, კასტელის, რუდესჰაიმის და ობერლანშტაინის** ოლქებს **მაინცის საარქიეპისკოპოსოსგან;**

– ქალაქებს **დოიცს და კენიგსვინტერს კიოლნის საარქიეპისკოპოსოსგან;**

– **კაუბის** საბაიოს პფალცში, **რომელიც ბავარიის კურფიურსტმა დათმო;**

– **ეპშტაინის** სამფლობელოს და ქვემო კატცენელენბონგენის ფრაგმენტებს (**ბრაუბახს, ნასაუსა და ემსის თანამფლობელობას), რომელიც ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფმა დათმო;**

– **საინე-ალტერკირხენის** საგრაფოს, რომელიც ანსბახისა და ბაიროითის მარკგრაფისგან მიიღო.

ნასაუ-ვაილბურგის მთავარმა უარი თქვა ზაარვერდენის საგრაფოზე და კირხაიმ-ბოლანდენის სამფლობელოზე საფრანგეთის სასარგებლოდ. სამაგიეროდ **მან** მიიღო:

– ტრირის საარქიეპისკოპოსოს ნანილი რაინის მარჯვენა სანაპიროზე (ლიმბურგი, მონტაბაური);

– ამშტაინის, შენაუს, მარიენშტადტის საეროდ გადაქცეული სააბატოები.

რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგიაში ვალრამის ხაზის ორ მთავარს ორი ახალი ხმა ჰქონდათ (უზინგენის და ვაილბურგის), ხოლო ორან-ნასაუს მთავარს ოთხი ხმა გაუხდა, რასაც ორი ახალი საეკლესიო ხმა დაემატა.

1804 ნელს ორან-ნასაუს მთავრმა ავსტრიას მიჰყიდა სენ-გეროლდი ფორარლბერგში.

1806 ნლის 12 მარტს ნასაუ-უზინგენის მთავარმა საფრანგეთს დაუთმო ქალაქი კასტელი, რაინის მარჯვენა სანაპიროზე მაინცის პირდაპირ.

ავსტრიაზე გამარჯვების შემდეგ, იმპერატორმა ნაპოლეონმა შუა გერმანიის რეორგანიზაცია მოახდინა და 1806 ნლის 12 ივლის შექმნა რაინის კონფედერაცია.

ორან-ნასაუს მთავარმა პრუსიისადმი ერთგულების გამო უარი თქვა რაინის კონფედერაციაში გაერთიანებაზე. დასჯის მიზნით ნაპოლეონმა მას მიწების დიდი ნანილი ჩამოაჭრა. აქედან გამომდინარე ორან-ნასაუს მთავარმა დაკარგა:

– ზიგენის, დილენბურგის, ჰადამარის სამთავროები, ბაილშტაინის სამფლობელო ბერგის ერცჰერცოგის სასარგებლოდ;

– დიცის სამთავრო, ბურბახის სამფლობელო და ნასაუსა და ემსის თანამფლობელობა ნასაუს საჰერცოგოს სასარგებლოდ;

– ჰაგენაუს სამფლობელო ბადენის დიდი ჰერცოგის სასარგებლოდ;

– ვაინგარტენის სააბატო ჰოფენი, ვიურტემბერგის სასარგებლოდ.

მას მხოლოდ დორტმუნდი, კორვეი, ფულდე დარჩა.

რაც შეეხება ნასაუ-უზინგენისა და ნასაუ-ვაილბურგის მთავრებს, ისინი თავიდანვე გაერთიანდნენ რაინის კონფედერაციაში, სადაც მთავართა კოლეგიის ნევრები გახდნენ. იმისათვის, რომ ნასაუ-უზინგენის მთავარი დაეჯილდოებინა ნაპოლეონმა მას ჰერცოგის ნოდება უბოძა და მთავართა კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშნა.

ნასაუ-უზინგენის ჰერცოგს მემკვიდრე არ ჰყავდა და 1806 ნლის აგვისტოში ოჯახური გარიგება შედგა. უზინგენის და ვაილბურგის ორი შტო ნასაუს ერთ საჰერცოგოდ გაერთიანდა. ნასაუს საჰერცოგომ შეინარჩუნა ორი სუვერენი, მაგრამ ერთი სახელმწიფო გახდა 5 700 კმ^2-ის ფართობით და 300 000 მცხოვრებით.

ნაპოლეონის ნაბრძანები ტერიტორიული გამარტივების მიზნით, ნასაუ-უზინგენის ჰერცოგმა ბერგის დიდ ჰერცოგს დაუთმო ქალაქები დოიცი და კენიგსვინტერი. სანაცვლოდ, ნასაუს საჰერცოგომ დაიქვემდებარა:

– დიცის სამთავრო, ბურბახის სამფლობელო, ნასაუსა და ემსის თანამფლობელობა, რომლებიც ორან-ნასაუს მთავარს ჩამოერთვა;

– ჰოლცაპელის საგრაფო და შაუმბურგის სამფლობელო ლანზე, რომლებიც ანჰალტ-ბერნბურგ-შაუმბურგებს ეკუთვნოდა;

– სოლმსის მთავრებისა და გრაფების მიწების დასავლეთის ნახევარი (ბრაუნფელსი, ჰოენსოლმსი, გრაიფაინშტაინი), აღმოსავლეთის ნახევარი ჰესენ-დარმშტადტზე გადავიდა;

– ვიდის მთავრების თითქმის მთელი მიწები: ნოივიდი, ალტენვიდი, დირდორფი, ნოინბურგი, ქვემო-იზემბურგი, რუნკელის ნახევარი ლანის მარცხენა სანაპიროზე, მარჯვენა სანაპიროს ნახევარი ბერგის დიდ საჰერცოგოს გადაეცა.

1806 ნელს ორან-ნასაუს მთავარმა საფრანგეთ-პრუსიის კონფლიქტში პრუსიის მხარე დაიკავა. იენასთან გამარჯვების შემდეგ, 1806 ნლის 23 ოქტომბრის დეკრეტით ნაპოლეონმა ორან-ნასაუს ბოლო სამფლობელოებიც ჩამოართვა (დორტმუნდი, კორვეი, ფულდე) და თვითონ მიიკუთვნა. 1807 ნელს კორვეი ვესტფალიის სამეფოს გადაეცა, 1808 ნელს დორტმუნდი ბერგის საერცჰერცოგოს და 1810 ნელს ფულდე ფრანკფურტის საერცჰერცოგოს.

ფრანგების მიერ გერმანიის დატოვების შემდეგ, 1813 ნლის 23 ნოემბერის ფრანკფურტის ხელშეკრულებით, ნასაუს ჰერცოგმა და მთავარმა დატოვეს რაინის კონფედერაცია და ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდნენ. მათ თავისი

ბიძაშვილის, ორან-ნასაუს მთავრისთვის მისი სამფლობელოების დაბრუნება (დიცი, ბურბახი) ითავეს.

ამავე პერიოდში, ორან-ნასაუს მთავარი გადავიდა ჰოლანდიაში, რომელიც ფრანგებს უკვე დატოვებული ჰქონდათ და იქ სამეფო ღირსების მოპოვებას შეეცადა.

22. არენბერგი

რაინის მარცხენა სანაპიროზე მდებარე არენბერგის ჰერცოგის სამფლობელოები საფრანგეთმა სამ ეტაპად დაიკავა ცალმხრივად (1792, 1793, 1797).

1803 წლის 25 თებერვლის საიმპერატორო დეკრეტით დადგენილი კომპენსაციების საკითხის მიხედვით **არენბერგის ჰერცოგს საბოლოოდ უნდა ეთქვა უარი თავის სამფლობელოებზე. სანაცვლოდ ეძლეოდა მეპენის საბაიო** ქვემო ემსზე, ბატავიის რესპუბლიკის მეზობლად, **რომელიც მიუნსტერის საეპისკოპოსოს** ეკუთვნოდა და 24 000 მცხოვრებს ორ ქალაქს მეპენსა და პაპენბურგს ითვლიდა. ამას **რეკლინგსჰაუზენის საგრაფო** ემატებოდა, **რომელიც კიოლნის საარქიეპისკოპოსო-საკურფიურსტოს ეკუთვნოდა,** ითვლიდა 18 000 მცხოვრებს და ქვემო ლიპეს მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა, რაინის შესართავთან ახლოს. ჰერცოგმა დედაქალაქად მეპენი აირჩია.

როდესაც 1806 წლის 12 ივლისს ნაპოლეონმა რაინის კონფედერაცია შექმნა, მას მხოლოდ დიდი სახელმწიფოების შენარჩუნება ჰქონდა გადაწყვეტილი ავსტრიასა და პრუსიასთან დასაპირისპირებდად. არენბერგის საპერცოგოს არც თუ დიდი მნიშვნელობა, შესაძლებელი იყო მისი მედიაციის საბაბი გამხდარიყო, მაგრამ ვინაიდან ჰერცოგი ფრანკოფილი იყო და დიდხანს ემსახურებოდა საფრანგეთს, არენბერგის საჰარცოგო შენარჩუნებული იქნა.

არენბერგის საჰერცოგო რაინის კონფედერაციის დამფუძნებელი გახდა; ფრანკფურტის დიეტში ჰერცოგი მთავართა კოლეგიის წევრი იყო.

ნაპოლეონის მიერ ნაბრძანები ტერიტორიული გამარტივების ფარგლებში **არენბერგის ჰერცოგმა მიიერთა დულმენის საგრაფო** ლიპეს მარჯვენა სანაპიროზე, რეკლინგსჰაუზენის საგრაფოს პირდაპირ, რომელიც კროი-სოლრეს ჰერცოგს ეკუთვნოდა (10 000 მცხოვრები).

1810 წლის 13 დეკემბერს ინგლისის სანინააღმდეგო ბლოკადის გასაძლიერებლად საფრანგეთმა გერმანიის ის ტერიტორიები მიიერთა, რომლებიც ვეზელ-ლუნებურგის ხაზის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა.

აქედან გამომდინარე, **არენბერგის საჰერცოგოს დიდი ნაწილი,** კერძოდ მეპენის და დულმენის საგრაფოები **საფრანგეთის შემადგენლობაში შევიდა.** ანექსიას დროებით მხოლოდ ლიპეს სამხრეთით მდებარე რეკლინგსჰაუზენის საგრაფო გადაურჩა.

1811 წლის 22 იანვარის დეკრეტით, **რეკლინგსჰაუზენის საგრაფო,** არენბერგის ჰერცოგის ბოლო სამფლობელო, **ბერგის საერცჰერცოგოს შეუერთდა.**

ამგვარად, არენბერგის ჰერცოგი მთლიანად გაძარცული აღმოჩნდა.

23. სალმი

1789 წლის 4 აგვისტოს საფრანგეთის დამფუძნებელმა კრებამ კეთილშობილთა პრივილეგიები გააუქმა, რის შედეგადაც სალმის მთავრებმა თავიანთ მიწებზე უფლებები დაკარგეს. მათ მხოლოდ სალმის სამთავრო შეინარჩუნეს.

ორ თამნიმდევრულ ეტაპად (1792 და 1794 წლებში) სალმის სახლის წევრების მიწების დიდი ნაწილი რაინის მარცხენა სანაპიროზე საფრანგეთის არმიამ დაიკავა ავსტრიისა და პრუსიის წინააღმდეგ ომის დროს.

1792 წლის დეკემბერში ომის მდგომარეობაში მყოფმა საფრანგეთმა გამოსცა დეკრეტი ანკლავირებულ ქვეყნებში მარცელეულით ვაჭრობის აკრძალვაზე. სალმის სამთავროს წარმომადგენლებმა ეოგესებში ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა ამ აკრძალას და მოსახლეობამ იძულებით მოითხოვა საფრანგეთთან შეერთება.

1793 წლის 2 მარტის დეკრეტით, **საფრანგეთმა სალმის სამთავრო მიიერთა** და ეოგესების დეპარტამენტს შეუერთა.

1797 წლის დეკემბერში საფრანგეთმა რაინის მარცხენა სანაპიროს გერმანული ტერიტორიები მიიერთა, რომელთა შორის იყო სალმის მთავართა მინების უმეტესი ნაწილი; მათ მფლობელობაში მხოლოდ ანჰოლტის საგრაფო დარჩა რაინის მარჯვენა სანაპიროზე.

1803 წლის 25 თებერვლის საიმპერატორო დეკრეტით სალმის სახლის სუვერენმა მთავრებმა კომპენსაციები მიიღეს.

სალმ-სალმის და სალმ-კირბურგის მთავრებმა **ვოგეზებში სალმის** სამთავროს, **კირბურგის** საბაიოს და ჰუნდსრუკის სხვადასხვა საბაიოს დაკარგვის სანაცვლოდ **აპაუს და ბოხოლტის საბაიოები** მიიღეს, რომლებიც მიუნსტერის საეპისკოპოსოს ეკუთვნოდა. შეთანხმების მიხედვით, მათი გაყოფა შემდეგნაირად მოხდებოდა: ორი მესამედი შეხვდებოდა სალმ-სალმის მთავარს და ერთი მესამედი სალმ-კირბურგის მთავარს. ამგვარ გაყოფას ადგილი არ ჰქონია, რადგან ორივე მთავარი ერთად განაგებდა ახალ სამფლობელოს, სალმ-სალმის მთავარმა რეზიდენციად ანჰოლტი აირჩია, სალმ-კირბურგის მთავრმა აპაუსი.

ორმა ვილდმა **რაინგრაფმა გრიუმბახისა და რაინგრაფენშტაინის დანაკარგის სანაცვლოდ მიიღო ჰორშტმარის** საბაიოს **ნაწილი,** რომელიც პრუსიას არ მიკუთვნებია.

სალმ-რაიფერშიდტ-ბედბურის **რაიფერშიდტის** საგრაფოს **და ბედბურის** სამფლობელოს **დაკარგვის** სანაცვლოდ **მიიღო კრაუტჰაიმის** საბაიო იაგსტზე, რომელიც მაინცის საეპისკოპოსოს ეკუთვნოდა;

სალმ-რაიფერშიდტის **გრაფებმა** ლუქსემბურგში **სალმის** საგრაფოს **დაკარგვის** სანაცვლოდ **მიიღეს** **რენტა.**

რეგენსბურგის დიეტის მთავართა საბჭოში სალმ-სალმის მთავარმა შეინარჩუნა თავისი ხმა, ხოლო სალმ-კირბურგის მთავრისთვის ახალი ხმა დანესდა.

1804 წელს იმპერატორის ბრძანებით სალმ-რაიფერშიდტ-ბედბურის გრაფის სამფლობელოები კრაუტჰაიმის სამთავროდ გადაკეთდა.

1805 წლის აპრილში **კრაუტჰაიმის** **მთავარმა** ლინანგის **მთავარს** **დაუთმო** სოფელი **დიმტელჰაუზენი, მან კი** სამაგიეროდ **დაუთმო** სოფელი **ბოპენჰაუზენი.**

1806 წლის 12 ივლისს რაინის კონფედერაციის შექმნისას, იმპერატორ ნაპოლეონს მხოლოდ რამდენიმე დიდი სახელმწიფოს შენარჩუნება უნდოდა. სალმის სამთავრო არ იყო მნიშვნელოვანი, ამიტომაც მას მედიაციის საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ მისი ორივე მთავარი ფრანკოფილი იყო და დიდხანს ემსახურებოდა საფრანგეთს.

ამგვარად, სალმის სამთავრო შენარჩუნებული იქნა და ორივე მთავარი რაინის კონფედერაციის დამფუძნებელი გახდა; ფრანკფურტის დიეტში ისინი მთავართა კოლეგიაში მონანილეობდნენ. ნაპოლეონის მიერ ნაბრძანები ტერიტორიული გამარტივების ჩარჩოში **სალმ-კირბურგის** **მთავარმა** **თავის** **სასარგებლოდ** **მიიერთა** **გეპმენის** **სამფლობელო,** რომელიც ბარონ ბემელბურგს ეკუთვნოდა.

ჰორშტმარის **საგრაფო,** რომელიც ვილდ-რაინგრაფებს ეკუთვნოდა **მედიაციას** **დაექვემდებარა** **ბერგის** **ერცჰერცოგის** **მხრიდან,** ასევე **მოხდა** **კრაუტჰაიმის** **სამთავროს** **მედიაცია,** რომელიც შემდეგნაირად დაიყო:

– ჩრდილოეთის ნახევარი (იაგსტის ჩრდილოეთი) **ერგო ბადენის დიდ ჰერცოგს;**

– სამხრეთის ნახევარი (იაგსტის სამხრეთი) **ერგო ვიურტემბერგის მეფეს.**

1810 წლის 13 დეკემბერს ინგლისის ბლოკადის გასაძლიერებლად, საფრანგეთმა ვეზელ-ლუნებუტგის ზოლის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე გერმანული სახელმწიფობი მიიერთა.

აქედან გამომდინარე, **სალმ-სალმის** **და** **სალმ-კირბურგის** **მთავრების** **სამფლობელო** **საფრანგეთის** **შემადგენლობაში** **შევიდა** და საფრანგეთის ზემო ემსის დეპარტამენტს მიუერთდა.

24. მაინცი, მოგვიანებით ფრანკფურტის დიდი საჰერცოგო

1792 წელს საფრანგეთის ჯარებმა გენერალ კუსტინის მეთაურობით რაინის მარცხენა სანაპირო დაიკავეს ლანდაუდან ბინგენამდე, მაინცის საკურფიურსტოს

ჩათვლით. ამას მოჰყვა მაინცის რესპუბლიკის გამოცხადება (1792), საფრანგეთთან მიერთება (1793), შემდეგ დატოვება (1793 წლის ივლისი), ფრანგების დაბრუნება (1794), რაინს აქეთა რესპუბლიკა (1797 წლის სექტემბერი), საფრანგეთთან მეორედ მიერთება 1797 წლის დეკემბერში.

ამგვარად, არქიეპისკოპოს-კურფიურსტმა დაკარგა თავისი ქალაქი და სამფლობელოები მარცხენა სანაპიროზე. მას მხოლოდ მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სამფლობელოები დარჩა, რაც არცთუ პატარა ტერიტორია იყო.

1803 წლის თებერვლის საიმპერატორო დეკრეტით, მაინცის საარქიეპისკოპოსო-საკურფიურსტო ერთადერთი საეკლესიო სახელმწიფო აღმოჩნდა ტევტონურ ორდენთან და მალტის ორდენთან ერთად, რომელიც არც საეროდ გადაკეთებულა და არც მისი მედიაცია მომხდარა. ოფიციალურად ეს წყალობა ავსტრიისთვის გაღებული კონცესია იყო, რომელსაც ტრირის და კიოლნის საკურფიურსტოების შენარჩუნება სურდა იმისათვის, რომ საკურფიურსტოს კოლეგიაში კათოლიკური უმრავლესობა დარჩენილიყო. მაგრამ ეს მისი მმართველის კარლ-თეოდორ დე დალბერგის დამსახურებაც იყო, რომელშიც პირველმა კონსულმა ბონაპარტმა თავიდანვე დაინახა სასარგებლო მოკავშირე გერმანიის მომავალი რეორგანიზაციის პერსპექტივაში.

მაინცის გადარჩენილ საკურფიურსტოში ძირეული ცვლილებები არ მომხდარა. **მაინცის საკურფიურსტომ დაუთმო:**

– საფრანგეთს რაინის მარცხენა სანაპიროს საამომრჩევლო საბაიოები და საბაიოები, ქალაქ მაინცის ჩათვლით;

– ნასაუ-უზინგენის სამთავროს რაინის მარჯვენა სანაპიროს საამომრჩევლო საბაიოები (ჰეხსტი, ჰოხჰაიმი, კასტელი, რუდესჰაიმი, ობერლანშტაინი);

– ჰესენ-დარმშტადტის სალანდგრაფოს ბენსჰაიმის, დიბურგის, შტენჰაიმის და ალცენაუს საბაიოები;

– ლინანგის მთავარს აშაფენბურგის სამთავროს **სამხრეთის ნახევარი** (მაინის სამხრეთით), შენტალის ორი ანკლავის გამოკლებით;

– ლინანგ-ვესტერბურგის გრაფს ბილიგჰაიმის **და ნაიდენაუს** საბაიოები;

– ჰესენ-კასელის სალანდგრაფოს ნოიშტადტის, ამენებურგის, ნაუმბურგის, ფრიტცლარის ანკლავები;

– პრუსიას ზემო და ქვემო აიხსფელდი და ასევე ერფურტის საბაიო თავისი სამი ანკლავით.

სანაცვლოდ, **მაინცის საკურფიურსტოს მიეკუთვნა ქალაქი რეგენსბურგი და ამავე სახელწოდების საეპისკოპოსოს დასავლეთის ნახევარი და ქალაქი ვეცლარი.**

განხორციელებული ცვლილებების შემდეგ მაინცის საკურფიურსტო მხოლოდ რეგენსბურგის სამთავროსაგან, აშაფენბურგის სამთავროს ჩრდილოეთის ნახევარისაგან, შენტალის ორი ანკლავის ორბისა და ვეცლარისაგან შედგებოდა.

კურფიურსტ-არქიკანცლერმა თავისი ხელისუფლების ქვეშ იმპერიის ორი ინსტიტუტი გააერთიანა: რეგენსბურგის დიეტი და ვეცლარის საიმპერატორო პალატა. არქიეპისკოპოსმა დალბერგმა მაინცის კურფიურსტის ტიტული შეინარჩუნა და არქიეპისკოპოსის რეზიდენცია რეგენსბურგში გადაიტანა.

რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგიაში მაინცის არქიეპისკოპოს-კურფიურსტს ორი ხმა ჰქონდა: ძველი (რეგენსბურგი) და ახალი (აშაფენბურგი).

1806 წლის 12 ივლისს მაინცის საკურფიურსტო რაინის კონფედერაციის დამფუძნებელი 16 სახელმწიფოდან ერთ-ერთი იყო. არქიეპისკოპოსმა დალბერგმა დაკარგა კურფიურსტობა და იმპერიის არქიკანცლერობა, მაგრამ ნაპოლეონმა იგი კონფედერაციის მთავარი-არქიეპისკოპოსი გახადა. ფრანკფურტის კონფედერაციის დიეტში ის მეფეთა კოლეგიის თავმჯდომარე იყო, ასევე თავმჯდომარეობდა პლენარულ სხდომებს. კონფედერაციაში გათვალისწინებული ტერიტორიული გამარტივების ფარგლებში მაინცის საარქიეპისკოპოსომ **დაუთმო:**

– ბადენის ერცჰერცოგს შენტალის თავისი ორი ანკლავი;

– მოახდინა რინეკის საგრაფოს მედიაცია, რომელიც ნოსტიცებს ეკუთვნოდა;

– მოახდინა ვერტჰაიმის საგრაფოს ნაწილის მედიაცია მაინის მარჯვენა სანაპიროზე, რომელიც ლოვენშტაინ-ვერტჰაიმებს ეკუთვნოდა;

– შეიერთა ფრანკფურტი, ყოფილი თავისუფალი ქალაქი, რომელიც რაინის კონფედერაციის დედაქალაქი გახდა. მთავარი-არქიეპისკოპოსი იქ გადავიდა.

გერმანიაში თავისი დომინაციის გასაძლიერებლად, 1810 წელს ნაპოლეონმა გადანყვიტა ბერგისა და ვესტფალიის შემდეგ ფრანგული მოდელის მსგავსი სახელმწიფო შეექმნა გერმანიის ცენტრში. 1810 წლის 16 თებერვალის პარიზის ხელშეკრულებით, რომელიც იმპერატორისა და მთავარ-პრიმატს შორის დაიდო, მაინცის საარქიეპისკოპოსო საერო გახდა და ამაღლდა ფრანკფურტის საერცჰერცოგოს რანგში მთავარ-პრიმატის სასარგებლოდ.

ფრანკფურტის საერცჰერცოგომ ბავარიას დაუთმო რეგენსბურგი და ნაპოლეონისაგან ორი „რეზერვის ქვეყანა" მიიღო.

– ჰანაუს საგრაფო, რომელიც 1807 წელს ჰესენ-კასელის დაშლის შემდეგ დარჩა, ჰესენ-დარმშტადტისთვის გადაცემული რამდენიმე ფრაგმენტის გამოკლებით;

– ფულდეს სამთავრო, რომელიც იმავე პერიოდში ჩამოართვეს ორან-ნასაუს, ჰერბშტაინის ანკლავის გამოკლებით, რომელიც ჰესენ-დარმშტადს გადაეცა.

ფრანკფურტის საერცჰერცოგოს ფართობი ამის შემდეგ შეადგენდა 4 500 კმ²-ს და 300 000 სულს.

ბავარიის მეფის დასამშვიდებლად, რომელიც შიშობდა, რომ ნაპოლეონის ქორწინება ერცჰერცოგ მარი-ლუიზაზე ხელს შეუშლიდა მისი ქალიშვილის ავგუსტას ტახტზე ასვლას, ნაპოლეონმა 1810 წლის 1 მარტს გამოსცა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც იოგენე და ავგუსტა ფრანკფურტის საერცჰერცოგოს მიიღებდნენ ერცჰერცოგის გარდაცვალების შემდეგ.

1810 წლის 16 აგვისტოს დეკრეტით, საერცჰერცოგო დეპარტამენტებად დაიყო. მან შეადგინა ოთხი დეპარტამენტი, რომლებიც ოლქებად დაიყო და ადმინისტრაციული ცენტრების სახელებს ატარებდა: ფრანკფურტი, ჰანაუ, აშაფენბურგი, ფულდე.

ვეცლარის ანკლავი ფრანკფურტის დეპარტამენტს შეუერთდა.

ლაიპციგთან დამარცხების შემდეგ (1813 წლის ოქტომბერი), ფრანგებმა ვერმანია დატოვეს. რაინის კონფედერაცია დაიშალა (ნოემბერი) და ფრანკფურტის საერცჰერცოგო გაუქმდა. 1813 წლის 2 დეკემბერის ფრანკფურტის ხელშეკრულებით აღდგა ჰესენ-კასელი და ჰანაუს საგრაფო შეუერთდა. ორბის ოლქის ბედი ჰანაუში გადაუწყვეტელი დარჩა.

1814 წლის ივნისში საიდუმლო შეთანხმებით ავსტრიამ აღიარა ბავარიის მფლობელობა აშაფენბურგზე, ასევე ვიურცბურგზე, რომელიც მისმა ერცჰერცოგმა მიატოვა და ტოსკანაში დაბრუნდა.

25. კიოლნი და ტრირი

1803 წლის თებერვლის საიმპერატორო დეკრეტით კიოლნისა და ტრირის საარქიეპისკოპოსოები გაინირა.

კიოლნის საარქიეპისკოპოსო-საკურფიურსტო შემდეგნაირად დაიყო:

– საფრანგეთს ერგო უმეტესი ნაწილი რაინის მარცხენა სანაპიროზე;

– ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფს ვესტფალიის საჰერცოგო და ფოლკსმარსენი;

– არენბერგის ჰერცოგს რეკლინგსჰაუზენის საგრაფო;

– ნასაუ-უზინგენის მთავრს საკურფიურსტოს ანკლავები მარჯვენა სანაპიროზე (დოიცი, კენიგსვინტერი, ვილახი);

– ვიდ-რუნკელის მთავარს ალტვიდის და ნოირბურგის საბაიოები ტრირის საარქიეპისკოპოსო-საკურფიურსტო შემდეგნაირად დაიყო:

– საფრანგეთს ერგო უმეტესი ნაწილი რაინის მარჯვენა სანაპიროზე;

– ნასაუ-ვაილბურგის მთავარს მარჯვენა სანაპიროს ნაწილი: ერენბრაიტშტაინის, ბერგის საბაიოები, ქვემო-იზემბურგის საგრაფოს უმეტესი ნაწილი, ჰამერშტაინის, ველმიხის, მონტაბურის და ლიმბურგის საბაიოები, კამბერგის, ვერპაიმის, ფალენდარის და მუნგფელდენის ნაწილი.

26. ზალცბურგი და ბერხტესგადენი

საფრანგეთსა და ავსტრიას შორის პარიზში მიღწეული შეთანხმებით (1802 წლის 26 დეკემბერი) ავსტრიასთან დაკავშირებული ტერიტორიული საკითხები მოგვარდა. შეთანხმების რატიფიცირება მთავარი საიმპერატორო დეკრეტით მოხდა (1803 წლის 25 თებერვალი). ამ შეთანხმების თანახმად ზალცბურგის საარქიეპისკოპოსოს და ბერხტესგადენის საპრევოს ჩამოერთვა თავისი სამფლობელოები, რომლებიც შემდეგნაირად განაწილდა:

– ბერხტესგადენი ტოსკანიის ერცჰერცოგს მიეკუთვნა;

– ზალცბურგის საარქიეპისკოპოსო და ცილერტალისა და ვინდიშ-მარტაის ტერიტორიები ტოსკანიის ერცჰერცოგს მიეკუთვნა;

– მიულდორფის ანკლავი ნილად ხვდა ბავარიის კურფიურსტს;

– შტალის, ზახსენბურგის და ფრიზახის ანკლავები ავსტრიას გადაეცა.

ტოსკანიის ერცჰერცოგი ფერდინანდი ზალცბურგის კურფიურსტი გახდა, რომელსაც იმპერიაში შექმნილი ოთხი ახალი საკურფიურსტოდან ერთ-ერთი მიეკუთვნა. მას სამი ხმა ჰქონდა (ზალცბურგი, ბერხტესგადენი, აიხშტედტი) იმპერიის დიეტის მთავართა კოლეგიაში. ზალცბურგის საკურფიურსტო ავსტრიის სახლის მეორადი მფლობელობაც იყო.

ზალცბურგის ახალი საკურფიურსტო შედგებოდა:

– არქიეპისკოპოსის მიერ დათმობილი ზალცბურგისგან, ცილერტალისაგან და ვინდიშ მარტაისაგან;

– ბერხტესგადენისაგან;

– პასაუს საეპისკოპოსოს უმეტესი ნაწილისაგან;

– აიხშტედტის საეპისკოპოსოს უმეტესი ნაწილისაგან.

პრესბურგის ზავი (1805 წლის 26 დეკემბერი) შემდეგ პუნქტებს ითვალისწინებდა:

– ზალცბურგის კურფიურსტი ავსტრიას უთმობდა თავისი საკურფიურსტოს მთავარ ნაწილს: ზალცბურგს, ბერხტესგადენს, ვინდიშ მარტაის;

ყველაფერი ერთად ზალცბურგის საჰერცოგოს რანგში იყო აყვანილი;

– ზალცბურგის კურფიურსტი ბავარიას უთმობდა პასაუს, აიხშტედტს, ცირელტალს;

– ბავარია ზალცბურგის კურფიურსტს უთმობდა ვიურცბურგის ყოფილ საეპისკოპოსოს (რომელიც 1803 წელს ჰქონდა მიღებული), **ის ვიურცბურგის საკურფიურსტო ხდებოდა,** ზალცბურგის ყოფილი კურფიურსტის სასარგებლოდ.

27. ვიურცბურგი

1803 წლის 25 თებერვლის საიმპერატორო დეკრეტით, **ვიურცბურგის საეპისკოპოსო გაუქმდა და შემდეგნაირად გადანაწილდა:**

– უმეტესი ნაწილი ნილად ხვდა ბავარია პფალცის კურფიურსტს;

– როტენფელსის, ჰომბურგის საბაიოები ლოვენშტაინ-ვერტჰაიმის მთავარს;

– ფროიდენბერგის საბაიო ლოვენშტაინ-ვერტჰაიმის გრაფს;

– ჰალტენბერგშეტენის, ლაუტენბახის, იაქსტებერგის და ბრაუნსბახის საბაიოები, **რასაც ემატებოდა სოფელ ნოინკირხენის ვიურცბურგული ნაწილი ჰოენლოე-ბარტენშტაინის მთავარს ერგო;**

– გრიუნსფელდის, ლაუდას, არტჰაიმის და რიტბერგის საბაიოები **ლინანგის მთავარს;**

– აურახის საბაიო **მაინცის კურფიურსტს.**

ვიურცბურგის საეპისკოპოსო ერთ-ერთი იყო იმ სამი ახალი პროვინციიდან, რომელიც ბავარიამ მიიღო (შვაბია, ვიურცბურგი, ბამბერგი).

1805 წლის 26 დეკემბერს პრესბურგის ზავის შესაბამისად, **ბავარიამ ზალცბურგის კურფიურსტს ვიურცბურგის** ყოფილი საეპისკოპოსოს ტერიტორია **დაუთმო,** რომელიც მისთვის ვიურცბურგის საკურფიურსტოდ იყო გადაქცეული. საკურფიურსტო ავსტრიის სახლის მეორადი მფლობელობა იყო.

ის მხოლოდ საეპისკოპოსოს ყოფილ ტერიტორიას მოიცავდა. მასში აღარ შედიოდა თიურინგიის ანკლავები ოსტჰაიმი და კენიგსბერგი, ქალაქი შვაინფურტი და ბავარიის მიერ დაქვემდებარებული რომის მხედართა ორდენის მიწები.

ავსტრიის იმპერატორთან თავისი ნათესაობის მიუხედავად (მისი ძმა იყო), 1806 წლის სექტემბერში ვიურცბურგის კურფიურსტი რაინის კონფედერაციაში გაერთიანდა. ამისათვის კურფიუსტს ერცჰერცოგის ტიტული უბოძეს. ფრანკფურტის დიეტში ის მეფეთა კოლეგიის წევრი გახდა.

1807 წლის 12 ივნისის შეთანხმებით ბავარიამ ვიურცბურგის საერცჰერცოგოს დაუთმო რომის მხედართა ორდენის მიწები, მაგრამ შეინარჩუნა ქალაქი-ანკლავი შვაინფურტი და მიიღო სამხედრო გზა, რომელიც ამ ქალაქს ბავარიის ტერიტორიასთან აკავშირებდა.

1810 წლის 28 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, ბავარიას ნაპოლეონმა ბოლოჯერ გადასცა სხვადასხვა ტერიტორია, ოლონდ მასაც უნდა დაეთმო ვიურცბურგის საერცჰერცოგოსათვის ქალაქი-ანკლავი შვაინფურტი.

1813 წლის ოქტომბერში ლაიპციგთან ფრანგების დამარცხების შემდეგ, ვიურცბურგის ერცჰერცოგი ერთ-ერთი ბოლო სუვერენი იყო, რომელმაც რაინის კონფედერაცია დატოვა.

ნაპოლეონის სისტემის დანგრევის შემდეგ, ვიურცბურგის ერცჰერცოგი ტოსკანიაში დაბრუნდა, მან ავსტრიას საერცჰერცოგო დაუბრუნა. 1814 წლის 3 ივნისის ხელშეკრულებით, რომელსაც ხელი მოაწერეს ავსტრიამ და ბავარიამ, ბავარიის ტიროლის და ფორარლბერგის სანაცვლოდ ავსტრიამ ბავარიას დაუთმო ვიურცბურგის სამთავროები და აშაფენბურგი.

28. ჰანზის ქალაქები

1803 წლის 25 თებერვლის საიმპერატორო დეკრეტით, ჰანზის ქალაქები ჰამბურგი, ბრემენი და ლიუბეკი, აუგსბურგთან, ფრანკფურტთან და ნიურნბერგთან ერთად ის ექვსი თავისუფალი ქალაქი იყო, რომლებიც დეკრეტის გადაწყვეტილებით შენარჩუნდა.

1806 წელს იენასთან გამარჯვების შემდეგ, საფრანგეთის ჯარებმა დაარღვია ნეიტრალიტეტი ჰანზის სამ ქალაქთან. საფრანგეთმა ისინი დაიკავა, ჩართო იმ საბაჟო ზოლში, რომელიც ინგლისის წინააღმდეგ იყო მიმართული და დაუნიშნა „ჰანზის ქალქების გუბერნატორი", რომელიც იქ იმპერატორის ნების გამტარებელი უნდა ყოფილიყო.

1810 წლის 13 დეკემბერს ნაპოლეონმა საფრანგეთის იმპერიას შეუერთა ჩრდილოეთის ზღვასა და ვეზურ-მინდენ-ლაუენბურგის ზოლს შორის მდებარე ტერიტორია, სადაც ჰანზის სამი ქალაქი მდებარეობდა.

1811 წლის 22 იანვარის დეკრეტით, ჰამბურგის და ლიუბეკის ყოფილი რესპუბლიკები ფრანგულ დეპარტამენტ ბუშ-დე-ლელბში შეიყვანეს (ჰამბურგი, ლიუბეკი, ლუნებურგი, შტადე), ხოლო ბრემენის ყოფილი რესპუბლიკა ბუშ-დე-ვეზერის დეპარტამენტში გააერთიანეს (ბრემენი, ბრემენლეე, ნიენბურგი, ოლდენბურგი).

ფრანგების ლაიპციგთან დამარცხებას მათ მიერ გერმანიის დატოვება მოჰყვა (1813 წლის ნოემბერი). ქალაქებმა ბრემენმა და ლიუბეკმა თავისუფალი ქალაქის სტატუსი დაიბრუნეს. მარშალი დავუ ჰამბურგში ჩაიკეტა და იქ 1814 წლამდე იყო გამაგრებული. იგი მხოლოდ მეფე ლუი XVIII-ს ბრძანებას დაემორჩილა. ამის შემდეგ თავისუფალი ქალაქის სტატუსი ჰამბურგმაც დაიბრუნა.

29. სხვა სახელმწიფოები

ბევრი სხვა საერო თუ საეკლესიო სახელმწიფო, თავისუფალი ქალაქი, რომლებიც 1789 წელს არსებობდა, აღწერილია ნანილში „გამქრალი სახელმწიფოები" და ჩამოთვლილია დამატებაში საღეთო რომის იმპერია. ისინი ყველანი 1803 წლიდან 1807 წლამდე გაქრნენ, სამი სამთაოროს გამოკლებით, რომლებიც რაინის კონფედერაციაში იქნა შეყვანილი: ლიხტენშტეინი (იხ. თავი ლიხტენშტეინი), იზემბურგ-ბირშტაინი და ლეიენი (იხ. ნანილი „გამქრალი სახელმწიფოები").

ამ პერიოდში ნაპოლეონმა შექმნა: 1806 წელს ბერგის საერცჰერცოგო და 1807 წელს ვესტფალიის სამეფო.

30. ბერგი

1805 წლის 15 დეკემბერს **პრუსიამ ნაპოლეონს დაუთმო კლევეს საჰერცოგო** (მარჯვენა სანაპირო), რომელიც ნაპოლეონის მიერ არჩეულ მთავარს უნდა გადასცემოდა.

1805 წლის 16 დეკემბერს **ბავარიამ ნაპოლეონს დაუთმო ბერგის საჰერ-ცოგო**, რომლის ბედსაც ნაპოლეონი მის მიერ არჩეულ „საღვთო რომის იმპერიის რომელიმე მთავარს" მიანდობდა.

1806 წლის 15 მარტს **ბერგისა და კლევეს ჰერცოგად** ნაპოლეონმა თავისი სიძე, იოაკიმ მიურატი დანიშნა. მიურატი დიუსელდორფში 24 მარტს შევიდა. მისი დანიშვნა 31 მარტის საიმპერატორო დეკრეტით იქნა რატიფიცირებული; ის განაგებდა 300 000 სუბიექტს და ტერიტორიას რაინის გაყოლებაზე ბატავიის საზღვრამდე, რომელიც ნახევრად პროტესტანტული, ნახევრად კათოლიკური იყო. ბერგისა და კლევეს მთავრობები გაერთიანდა (აპრილში), ხოლო მიურატი საღვთო რომის იმპერიის მთავარი გახდა.

ნაპოლეონს განზრახული ჰქონდა საფრანგეთს უშუალოდ დაქვემდებარებული ეს ახალი სახელმწიფო ბუფერულ ზონად ექცია საფრანგეთსა და პრუსიას შორის და იმავდროულად ის საფრანგეთის ინსტიტუტების „სარკე" გამხდარიყო შუა გერმანიისათვის, რომლის პრუსიისა და ავსტრიისაგან გამოცალკეევებასაც ნაპოლეონი აპირებდა.

28 მარტს ნაპოლეონის ბრძანებით, **მიურატმა სამი სამფლობელოს მედიაცია მოახდინა: ჟიმბრონის, ვილდენბურგის და ჰომბურგის, რამაც** მას შემატა 20 000 სული.

სამაგიეროდ ნაპოლეონმა მიურატს არ მიაერთებინა პრუსიის ტერიტორიები ესენი, ვერდენი და ელტენი, რომლებიც არ შედიოდა შენბურნის შეთანხმებაში იმ საბაბით, რომ ისინი კლევეს საჰერცოგოზე იყვნენ დამოკიდებული. მიურატმა ისინი პრუსიას დაუბრუნა.

1806 წლის 12 ივლისს, ბერგის საჰერცოგო და კლევე **ბერგის საერცჰერცოგო** გახდა. ის იმ თექვსმეტი სახელმწიფოდან ერთ-ერთი იყო, რომლებმაც რაინის კონფედერაცია დააარსა. ბერგის ერცჰერცოგი მეფეთა კოლეგიის ნევრი გახდა (ექვსი ნევრი) ბავარიისა და ვიურტემბერგის მეფეებთან, ბადენისა და ჰესენ-დარმშტადტის ერცჰერცოგებთან და კონფედერაციის მთავარ-პრიმატთან ერთად. **ერგის ერცჰერცოგმა:**

– მიიერთა ზიგენის, ფილნბურგის, ჰადამარის საგრაფოები, ბაილშტაინის სამფლობელო, რომელიც ნაპოლეონმა ორან-ნასაუს მთავარს ჩამოართვა, რათა დაესაჯა რაინის კონფედერაციაში გაერთიანებაზე უარის თქმის გამო;

– ნასაუ-უზინგენის ჰერცოგისაგან მიიღო ქალაქი დოიცი და კენიგსვინტე-რისა და ვილიხის საბაიოები;

– სალმის ვილდ-რაინგრაფებისაგან მიიღო ჰორტსმარის საბაიო;

– დაიქვემდებარა ბენტჰაიმისა და შტაინფურტის საგრაფოები (ბენტჰაიმის გრაფის სამფლობელოები), **რაინა-ვოლბეკის საბაიო, ვესტერბურგის და შადეკის სამფლობელოები, რუნკელის** საბაიოს **ნახევარი** (ვიდ-რანკელის მთავრის სამფლობელოები).

ანექსირებული ტერიტორიების მთლიანობამ შეადგინა 180 000 სულის შენამატი, ბერგის ერცჰერცოგს სარგებლობაში გადაეცა გზა, რომელიც სალმის მთავართა ტერიტორიაზე გადიოდა და ბენტჰაიმსა და ჰორტსმარს დიდ საჰერცოგოს დარჩენილ ტერიტორიაებთან აკავშირებდა.

1806 წლის აგვისტოში ბერგის ტერიტორია 8 ოლქად დაიყო, აქედან 4 ყოფილი ბერგის ტერიტორიას მოიცავდა (ზიგბურგი, მულჰაიმი, ელდერფელდი და დიუსელდორფი), 2 კლევეს ყოფილ ტერიტორიას (დიუსბურგი და ვეზელი), 1 ჩრდილოეთით ანექსირებულ ტერიტორიებს (შტაინფურტი) და 1 სამხრეთით

ანექსირებულ ტერიტორიებს (დილენბურგი). თითოეულ ოლქს მართავდა რეგიონული მრჩეველი.

1806 წლის ნოემბერში ბერგის საერცჰერცოგომ შეიერთა პრუსიის ტერიტორიები ესენი, ვერდენი და ელტენი, სულ 20 000 სუბიექტი.

პარიზის ხელშეკრულებით (1808 წლის 21 იანვარი), რომელიც საფრანგეთსა და საერცჰერცოგოს შორის დაიდო ნაპოლეონმა ბერგის საერცჰერცოგოს შეუერთა:

– პრუსიის მიერ ტილზიტის ზავის თანახმად დათმობილი ტერიტორიები: ლინგენის და ტეკლემბურგის საგრაფოები, მარკის საგრაფო; მიუნსტერის სამთავრო კაპენბერგის საეპატოსთან ერთად;

– ლიმბურგ-შტირუმის საგრაფო და რედას სამფლობელო;

– ქალაქი დორტმუნდი, რომელიც ორან-ნასაუს მთავარს ჩამოერთვა.

სანაცვლოდ, ბერგის საერცჰერცოგომ საფრანგეთს დაუთმო ქალაქი ვეზელი.

ამჯერად საერცჰერცოგოს მიემატა 350 000 მცხოვრები. მისი ფართობი შეადგენდა 17 000 კმ^2-ს მოსახლეობა 875 000 კაცს.

1808 წლის 15 ივლისს ბერგის ერცჰერცოგმა იოაკიმმა დატოვა საჰერცოგო და ნეაპოლში გადავიდა. ბერგის ერცჰერცოგი დროებით ნაპოლეონი გახდა. ბერგის მცხოვრებნი საფრანგეთთან შეერთებას მოითხოვდნენ, რაზეც ნაპოლეონმა უარი განაცხადა.

1808 წლის 14 ნოემბრის დეკრეტით ბერგის საერცჰერცოგოში შემოღებული იქნა საფრანგეთის დეპარტამენტების სისტემა და ის ოთხ დეპარტამენტად დაიყო: რაინის, ზიგის, რურის და ემსის.

რაინის დეპარტამენტში (დიუსელდორფი. მულჰაიმი, ელბერფელდი, ესენი) შედიოდა ბერგის ჩრდილო და დასავლეთი ნაწილი, კლევეს საჰერცოგო, ესენის, ვერდენის და ელტენის სამფლობელოები.

ზიგის დეპარტამენტში (დილენბურგი, ზიგენი) შედიოდა ბერგის სამხრეთ-აღმოსავლეთი, გიმბორნ-ნოიშტადტის, ჰომბურგის, ვილდენბურგის, ვესტერბურგის, შადეკის, რუნკელის, ზიგენის, დილენბურგის და ჰადამარის ტერიტორიები.

რურის დეპარტამენტში (დორტმუნდი, ჰაგენი, ჰამი) შედიოდა მარკის საგრაფო, ლიპშტადტი, მიუნსტერის სამხრეთი ნაწილი, დორტმუნდი, ლიმბურგი და რედა.

ემსის დეპარტამენტში (მიუნსტერი, კესფელდი, ლინგენი) შედიოდა მიუნსტერის ჩრდილოეთი ნაწილი, ლინგენი და ტეკლემბურგი, რაინა-ვოლბეკი, ჰორტსმარი, შტაინფურტი და ბენტჰაიმი.

1809 წლის 3 მარტს ნაპოლეონმა პრინცი ნაპოლეონ-ლუი ბერგის ერცჰერცოგად დანიშნა. ეს უკანასკნელი, ჰოლანდიის მეფის უფროსი ვაჟი, მხოლოდ სამი წლის იყო. აქედან გამომდინარე ნაპოლეონმა შეინარჩუნა ბერგის საერცჰერცოგოს რეგენტობა, ხოლო ადგილზე ადმინისტრირება ფრანგ კომისარ ბენოს მიანდეს.

1810 წლის 13 დეკემბერს ნაპოლეონმა იმპერიას შეუერთა ჩრდილოეთის ზღვასა და ვეზერ-ლუნებურგის ზოლს შორის მდებარე ტერიტორიები. ბერგის საერცჰერცოგოს ჩამოეჭრა საფრანგეთის სასარგებლოდ ემსის დეპარტამენტი მთლიანად და რაინის დეპარტამენტის ნაწილი, რომელიც ლიპეს ჩრდილოეთით მდებარეობდა. მთლიანად დანაკარგმა 213 000 სული შეადგინა.

1811 წლის იანვარში დანაკარგის საკომპენსაციოდ, ბერგის საერცჰერცოგომ რეკლინგსჰაუზენის საგრაფო და კროი-დულმენის საჰერცოგო მიიღო, ოღონდ დროებით. ამ ორ სახელმწიფოს სპეციალური, საერცჰერცოგოსაგან განსხვავებული ადმინისტრაცია ჰქონდა.

1811 წლის დეკემბერში რეკლინგსჰაუზენი და დულმენი შეუერთეს საერცჰერცოგოს ადმინისტრაციას, რეკლინგსჰაუზენის საგრაფო რაინის დეპარტამენტს, დულმენის საჰერცოგო რურის დეპარტამენტს.

1813 წლის ნოემბერში ფრანგებმა საერცჰერცოგო დატოვეს, რომელიც მოკავშირეთა ძალებმა დაიკავეს. პრუსიამ მაშინათვე შეიერთა კლევეს საჰერცოგო, ხოლო ბერგის საჰერცოგო დროებით მოკავშირეთა ცენტრალურ ადმინისტრაციას შეუერთეს.

31. ვესტფალია

ტილზიტის ზავით (1807 წლის ივლისი) პრუსიამ ელბის დასავლეთით მდებარე თავისი სამფლობელოები დაკარგა, რადგან იმ პერიოდში ჩრდილოეთ გერმანიაში საფრანგეთი დომინირებდა. ვინაიდან ნაპოლეონს სამხრეთში არ ყაედა ავსტრიის წინააღმდეგ საყრდენი სახელმწიფო, მან გადაწყვიტა *ex nihilo* შეექმნა სამეფო, რომელიც „ფრანგულ სტილზე დამყარებული გერმანული სახელმწიფო" იქნებოდა, დაუპირისპირდებოდა პრუსიას და ფრანგული ადმინისტრაციის თვალსაჩინო მაგალითი გახდებოდა; ეს როლი ვესტფალიის სამეფოს დაეკისრა. 8 ივლისით დათარიღებულ წერილში ნაპოლეონი თავის ძმა ჟერომს ატყობინებდა, რომ ის სუვერენი უნდა გამხდარიყო.

1807 წლის 18 აგვისტოს ტუილრის დეკრეტით ნაპოლეონმა დააარსა **ვესტფალიის სამეფო**; მისი შექმნა 1 სექტემბერის დეკრეტით დაფიქსირდა. ვესტფალიის სამეფო შედგებოდა:

– **ბრაუნშვაიგის** ჰერცოგის თითქმის მთელი სამფლობელოებისაგან, კერძოდ: **ვოლფენბიუტელის** საჰერცოგოსაგან, **ბლანკენბურგის და ვალკენრიდის** სამფლობელოებისაგან;

– **ჰესენ-კასელის** საკურფიურსტოს უმეტესი ნაწილისაგან, კერძოდ: **ჰერსფელდისაგან, ქვემო-ჰესენისაგან, ზიგენჰაინისაგან, ზემო ჰესენისაგან, შაუმბურგისგან, ჰოიასა და დიფოლცის ჰესენის წილისაგან,** ჰანაუს საგრაფოს შმალკალდეს და ქვემო კატცენელენბონგენის საგრაფოს გამოკლებით, რომლებიც ნაპოლეონმა რეზერვში დაიტოვა;

– **ფოლკსმარსენის** საბაიოსაგან, რომელიც ჰესენ-დარმშტადტის საერცჰერცოგოს ვესტფალიის პროვინციამ დაუთმო;

– პრუსიის შემდეგი ყოფილი ტერიტორიებისგან: **ძველი მარკა და მაგდებურგის საჰერცოგოს ნაწილი,** რომელიც ელბის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა, პრუსიის საგრაფოები **ჰოენშტაინი** და **მანსფელდი, ზაალეს** ოლქი, **ჰალბერშტადტისა** და **მინდენის** სამთავროები, **რავენსბერგის** საგრაფო;

– 1803 წელს მედიაციას დაექვემდებარებული პრუსიის შემდეგი ტერიტორიებისაგან: **ჰილდესჰაიმის** და **პადერბორნის** სამთავროები, **ჰერფორდის** და **კედლინბურგის** ყოფილი სააბატოები, მაინცის ყოფილი **ასხაფელდი** ტრეფურტთან ერთად, ყოფილი თავისუფალი ქალაქები **გოსლარი, ნორდჰაუზენი, მიულჰაუზენი;**

– ჰანოვერისგან 1805 წელს მიღებული შემდეგი პრუსიული ტერიტორიებისაგან: **გრიუბენჰაგენის** საჰერცოგო, თავისი ელბინგეროდეს ანკლავით, ჰანოვერის საგრაფო **ჰოენშტაინი, კალენბერგის** საჰერცოგოს **სამხრეთი ნაწილი;**

– 22 ივლისს საქსონიის სამეფოს მიერ დათმობილი შემდეგი საქსონური ტერიტორიებისგან: **ბარბის** საგრაფო, **გამერნის** და **ზანგერსჰაუზენის** საბაიოები საქსონიის **მანსფელდის ნაწილი;**

– **რიტბერგის** საგრაფოსგან;

– **შტოლბერგის** და **ვერნიგეროდეს** საგრაფოებისაგან.

ვესტფალიის სამეფო შექმნისთანავე რანინის კონფედერაციაში გაერთიანდა; ფრანკფურტის ფედერალურ საბჭოში ვესტფალიის მეფე მონაწილეობდა მეფეთა კოლეგიაში.

1807 წლის 15 ნოემბერს მიიღეს სამეფოს კონსტიტუცია. ამის შედეგად **ვესტფალიის სამეფო გაიზარდა** შემდეგი ტერიტორიებით:

– **ოსნაბრიუკის** სამთავროთი, რომელსაც ემატებოდა პრუსიის ჰანოვერის ვიდენბრიუკის ანკლავი;

– **კორვეის** სამთავროთი (ყოფილი საეპისკოპოსო), რომელიც 1806 წლის ოქტომბერში ჩამოერთვა ორან-ნასაუს მთავარს;

– **შმალკალდეს** სამფლობელოთი, რომელიც 1806 წლის ნოემბერში ჩამოერთვა ჰესენ-კასელის კურფიურსტს.

„ფრანგული" სამეფო გერმანიის გულში

ვესტფალიის სამეფოს ფართობი უდრიდა 41 000 კმ²-ს, მოსახლეობა კი 1900 000 კაცს. მას საკმაოდ უსწორმასწორო ფორმა ჰქონდა და ოთხი მდინარის

აუზზე იყო გადაჭიმული: ელბის, ვეზერის, ემსის და რაინის. ამგვარად ის მნიშვნელოვნად აღემატებოდა გეოგრაფიული ვესტფალიის ფართობს.

სამეფოს დედაქალაქად არჩეული იქნა კასელი, ჰესენის კურფიურსტის ყოფილი რეზიდენცია; ვესტფალიის მეფედ დანიშნული ჟერომი დეკემბრის შუა რიცხვებიდან მეფობას შეუდგა და ვილჰელმსჰოეს სასახლეში განთავსდა, რომელსაც სახელი გადაარქვეს და ნაპოლეონსჰოე უწოდეს.

ვესტფალიის სამეფო თავისი ტერიტორიული სირთულეებიდან გამომდინარე სულმთლად ახალი ტიპის სახელმწიფო იყო და ვერ აიღებდა ვერც ერთი ადრე არსებული სახელმწიფოს ტრადიციებს. კასელის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ყველაფერი თავიდან დაენყო და ქვეყანა ახალი ინსტიტუტების საშუალებით გააერთიანებინა, რომელთა მოდელსაც საფრანგეთიდან აიღებდნენ (ნაპოლეონის კოდექსი 1808 წლის 1 იანვარს იქნა შემოღებული).

ადმინისტრაციული თვალსაზრისით სამეფო დაიყო რვა დეპარტამენტად; თითოეულ დეპარტამენტში დაახლოებით 250 000 მცხოვრები იყო; თითოეულ დეპარტამენტს მართავდა პრეფექტი და ეს დეპარტამენტიც თავის მხრივ იყოფოდა ოლქებად. ფრანგული ყაიდის მსგავსად დეპარტამენტები მდინარის ან მთის სახელებს ატარებდა; ესენი იყო:

– ელბა (ელბის გაყოლებაზე): მაგდებურგი, სტენდალი, ზალცვედელი, ნოიალდენსლებენი; აქ შედიოდა ყოფილი მაგდებურგი და ჰალბერშტადტი;

– ზალე: ჰალბერშტადტი, ბლანკენბურგი, ჰალე; აქ შედიოდა ყოფილი ჰალბერშტადტი, ზალეს ოლქი და ბრაუნშვაიგი;

– ოკერი (ლაინსა და ალერს შორის): ბრაუნშვაიგი, ჰელმშტედტი, ჰილდესჰაიმი, გოსლარი; აქ შედიოდა ყოფილი ბრაუნშვაიგი და ჰილდესჰაიმი;

– ლაინი (ცენტრში, ლაინსა და ვეზერს შორის): გეტინგი, რინტელნი, აინბეკი; აქ შედიოდა ყოფილი გეტინგი და გრუბენჰაგენი;

– ჰარცი (ვერადან გოსლარამდე): ჰაილიგენშტადტი, დუდერშადტი, ნორდჰაუზენი, ოსტეროდე; აქ შედიოდა ყოფილი აიხსფელდი და გრუბენჰაგენი;

– ვერა (დასავლეთით, ვერსა, ფულდას და ლანის ზემო აუზებში): მარბურგი, ჰერფელდი, ჰეშვეგე; აქ შედიოდა ყოფილი პადერბორნი და ჰესენ-კასელი;

– ვეზერი (ჩრდილოეთით, ქვემო ვეზერზე): ოსნაბრიუკი, მინდენი, ბილეფელდი; აქ შედიოდა ყოფილი ოსნაბრიუკი, მანდენი, რავენსბერგი.

1808 წლის 19 მარტის ხელშეკრულებით, ვესტფალიის სამეფომ საქსონიის სამეფოს დაუთმო ქალაქი ზანგერსჰაუზენი და სანაცვლოდ მიიღო მანსფელდის საქსონიური საგრაფოს ნაწილი.

1808 წლის 8 სექტემბერის შეთანხმებით პრუსიამ საფრანგეთს დაუთმო მაგდებურგის ციტადელი. ციტადელი, რომელშიც გარნიზონის 12 500 წევრი იყო საფრანგეთისა და ვესტფალიის ორმაგი სუვერენიტეტის ქვეშ მოექცა.

1810 წლის 14 იანვარს პარიზის ხელშეკრულებით, ნაპოლეონმა ვესტფალიის სამეფოს დაუთმო მაგდებურგის ციტადელის ექსკლუზიური სუვერენობა და რეზერვში მყოფი ჰანოვერი. როდესაც ჰანოვერი რეალურად გადაეცა ვესტფალიას, ნაპოლეონმა დაიტოვა ტერიტორია 33 000 მცხოვრებით, უფრო ზუსტად ლაუენბურგის საპერცოგო თავისი ანკლავით (ნოიჰაუსი) ელბის მარჯვენა სანაპიროზე.

ამგვარად, ვესტფალია გაიზარდა ლუნებურგის და ბრემენის საპერცოგოებით, ჰოიასა და დიფოლცის საგრაფოებით, ვერდენის სამთავროთი და კალენბერგის საპერცოგოს ჩრდილოეთი ნაწილით. ის აღწევდა ჩრდილოეთის ზღვამდე ელბისა და ვეზერის შესართავებს შორის. ახალმა ტერიტორიებმა სამი ახალი დეპარტამენტი შეადგინა:

– ალერი (ჰანოვერი), რომელშიც შედიოდა კალენბერგის საპერცოგოს ჩრდილოეთი ნაწილი, ლუნებურგის საპერცოგოს სამხრეთი ნაწილი და საგრაფოები ჰოია და დიფოლცი;

– ქვემო ელბა (ლუნებურგი), რომელშიც შედიოდა ლუნებურგის საპერცოგო და ძველი მარკის ფრაგმენტი (ზალცვედელი), რომელიც ელბის დეპარტამენტს ჩამოეჭრა;

– ნორდი (შტადე), რომელშიც შედიოდა ბრემენის საპერცოგო და ვერდენის სამთავრო.

აქედან მოყოლებული ვესტფალიაში თერთმეტი დეპარტამენტი იყო, ფართობი შეადგენდა 63 000 კმ²-ს, მოსახლეობა 2700 000 კაცს.

1810 წლის 13 დეკემბერს ნაპოლეონმა იმპერიას შეუერთა ის მხარეები, რომლებიც ჩრდილოეთის ზღვასა და ვეზელ-ლუნებურგის ზოლს შორის მდებარეობდა. 1811 წლის 22 იანვრის საიმპერატორო დეკრეტით დაზუსტდა ის გადასაცემი ტერიტორიები, რომლებიც საფრანგეთს ვესტფალიისაგან უნდა მიეღო. ამასთან დაკავშირებით ნაპოელეონმა არაპრაქტიკულად ჩათვალა და გააუქმა 1810 წლის იანვარში ვესტფალიისათვის ჩრდილოეთ ჰანოვერის გადაცემა.

საფრანგეთმა ვესტფალიისაგან წაიღო ოსნაბრიუკის სამთავრო, რავენსბერგის საგრაფო და მინდენის სამთავროს უმეტესი ნაწილი, მთლიანად 224 000 სული.

ნაპოლეონმა „საკომპენსაციოდ" ვესტფალიას დაუთმო 332 000 სული, **კალენბერგის საპერცოგოს ჩრდილოეთი ნაწილი და ლუნებურგის საპერცოგოს ოთხი მეხუთედი.**

საერთო ჯამში, საფრანგეთმა ვესტფალიის სამეფოს ჩამოართვა 530 000 სული, კერძოდ, ბრემენის საპერცოგო, ვერდენის სამთავრო, ლუნებურგის საპერცოგოს მეხუთედი, საგრაფოები ჰოი და დიფოლცი, 1810 წელს მიღებული ყველა ტერიტორია, ოსნაბრიუკის სამთავრო, რავენსბერგის საგრაფო და მინდენის სამთავროს უმეტესი ნაწილი.

ვესტფალიის სამთავრომ დაკარგა ნორის დეპარტამენტი მთლიანად, თითქმის მთლიანად ვეზერი (ვეზერის მარცხენა სანაპირო), ვეზერის ოლქი, რომელიც მიერთებული იყო ფულდეს დეპარტამენტთან; ქვემო ელბამ დაკარგა თავისი ტერიტორიის მესამედი ადმინისტრაციულ ცენტრს ლუნებურგთან ერთად, ზალცვედელისთვის გადაცემული პრეფექტურა.

ვესტფალიას გაუხდა ცხრა დეპარტამენტი, მოსახლეობა შეადგენდა 2 200 000 კაცს.

ლაიპციგთან დამარცხების შემდეგ საფრანგეთმა გერმანია დატოვა. 1813 წლის 26 ოქტომბერს მეფე ჟერომმა საბოლოოდ დატოვა კასელი. რაინის კონფედერაცია დაიშალა, მისი წევრების უმრავლესობა ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდა. მაგრამ **მოკავშირე სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს ვესტფალიის სამეფოს გაუქმება.**

ჰესენ-კასელის კურფიურსტი დედაქალაქში 21 ნოემბერს დაბრუნდა და 23 ნოემბერის კოალიციას შეუერთდა. 1813 წლის 2 დეკემბრის ფრანკფურტის ხელშეკრულებით **მან მთლიანად დაიბრუნა თავისი სამფლობელოები.**

გარდა ამისა ბრაუნშვაიგის ჰერცოგი, ჰანოვერის კურფიურსტი, პრუსიის მეფე 1813 წლის ნოემბერში თავიანთ სამფლობელოებში დაბრუნდნენ.

IV. გერმანია, გერმანული კონფედერაციის არსებობის პერიოდში. (1815-1866) სხვადასხვა სახელმწიფოს ევოლუცია

ვენის კონგრესმა (1814-1815) გერმანიას საღვთო რომის იმპერიის დროს არსებული მდგომარეობა დაუბრუნა, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთ ასპექტში. გარკვეული წრეები ცდილობდნენ ბოლო მოეღოთ რევოლუციური საფრანგეთის და შემდეგ ნაპოლეონის მიერ გატარებული პოლიტიკისათვის და ერთიანი გერმანია შეექმნათ; მათ სანინააღმდეგოდ დიდი სახელმწიფოების სუვერენები დამოუკიდებლობის და 1803 წელს საეკლესიო სახელმწიფოებისა და თავისუფალი ქალაქების ხარჯზე შეძენილი ტერიტორიების შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ.

მათი სურვილების გათვალისწინებით მედიაციის პროცესი ეჭვქვეშ არ დამდგარა. ნაპოლეონის მიერ შექმნილი ბერგის, ვესტფალიის და ფრანკფურტის გამოკლებით გაქრა ის პატარა სახელმწიფოები, რომლებიც 1814 წელსაც არსებობდა (ლიხტენშტაინის გარდა), აღარ აღდგენილა 1810 წელს რუკიდან გამქრალი არენბერგი და ორი სალმი.

გერმანიის შენარჩუნებული ან აღდგენილი სახელმწიფოები არცთუ ისე ძლიერ გერმანიის კონფედერაციაში დაჯგუფდნენ; მათი კონტურები ძალიან მჭიდროდ ესაზღვრებოდა ძველი საღვთო რომის იმპერიის საზღვრებს და ორად ჰყოფდა დანიის შლეზვიგ-ჰოლშთაინს, ასევე ავსტრიის ისტრიას (იხ. გერმანიის კონფედერაცია).

გერმანია ფაქტობრივად მეტერნიხის ავსტრიას ემორჩილებოდა, რომლის პრესტიჟიც ვენის კონგრესმა აამაღლა; მისი იმპერატორი გერმანიის კონფედერაციას ჩაუდგა სათავეში. პრუსია, რომელიც განცდილი მარცხის შემდეგ გაძლიერებას ცდილობდა, კვლავ ოცნებობდა გაბატონებაზე. 1828 წლიდან ის ამ ოცნების განხორციელებას შეუდგა ეკონომიკური კავშირის, "ცოლვერაინის" გვერდის ავლით, რაც მრენველობისა და ვაჭრობის გაფურჩქვნის ამ ეპოქაში ავსტრიის დაჯაბნის ეფექტური საშუალება აღმოჩნდა.

1815 წლიდან 1848 წლამდე „საღვთო კავშირის " ევროპა გერმანიაში, ისევე როგორც სხვაგან, ლიბერალიზაციის უმნიშვნელო მცდელობის ჩახშობას მიმართავდა. 1848 წელს გერმანიაში მთელი ევროპის მსგავსად რევოლუციებმა იფეთქა. ფრანკფურტში, კონფედერაციის ფარგლებში გერმანიის გასაერთიანებლად პარლამენტი შეიკრიბა. სხდომაზე უნიტარული თუ ფედერაციული რეჟიმის დამყარების საკითხთან ერთად, მომავალი სახელმწიფოს საზღვრების საკითხიც იდგა. საბოლოოდ „მცირე გერმანიის" მომხრეებმა (პრუსიის მეფის მიერ მართული ცენტრალიზებული სახელმწიფო) გაიმარჯვეს და ტახტი ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-ს შესთავაზეს. მაგრამ სხვა სუვერენები, განსაკუთრებით ავსტრიის იმპერატორი, მდგომარეობის გამოსწორებას რუსეთის დახმარებით შეეცადნენ და პრუსიის მეფე იძულებული გახდა 1850 წლის ნოემბერში გადამდგარიყო იმის გამო, რომ შეიარაღებული კონფლიქტის საშიშროება წამოიჭრა.

აქედან მოყოლებული, პრუსია მხოლოდ შურისძიებაზე ფიქრობდა და ყველაფრისთვის მზად იყო, ოღონდ ავსტრიისთვის პირველობა წაერთმია. მოვლენები 1862 წელს კანცლერად ბისმარკის მოსვლამ დააჩქარა და 1864 წლიდან დანიის საპერეოგოებთან დაკავშირებული აქტუალური საკითხი, 1866 წელს პრუსიის მიზნის მიღწევის საშუალება გახდა:

1. **ავსტრია.** თავი ავსტრია

2. **პრუსია**

ვენის კონგრესზე მოლაპარაკებების დაწყებისთანავე (1814 წლის სექტემბერი) პრუსიამ თავისი მიზნები გააცხადა. მან ბავარიის სასარგებლოდ უარი თქვა ბაიროითსა და ანსბახზე, ბავარიას კი მისთვის უნდა დაეთმო ბერგი და იულიხი; პრუსიამ ასევე საქსონიის სამეფოს მთლიანი ანექსირება მოითხოვა, რუსეთისათვის დათმობილი პოლონეთის მინების სანაცვლო კომპენსაციის მისაღებად. მისი წინადადებით საქსონიის მეფე რაინის რეგიონში უნდა გადასულიყო. ტალეირანი, რომელიც საფრანგეთს წარმოადგენდა საქსონიის სრულ მიტაცებას წინ აღუდგა.

1815 წლის 3 იანვრის საიდუმლო ხელშეკრულებით საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ავსტრია შეკავშირდნენ იმ მიზნით, რომ პრუსიისა და რუსეთის დიდი ამბიციებისათვის ხელი შეეშალათ.

8 თებერვალს პრუსია საქსონიის სამეფოს დაყოფას დათანხმდა, მოსახლეობის ორი მეხუთედი, დაახლოებით 850 000 სული პრუსიას მიეკუთვნა, დანარჩენი დრეზდენთან და ლაიპციგთან ერთად საქსონიის მეფეს დარჩა.

1815 წლის 18 მაისის პრუსბურგის ხელშეკრულებით, **საქსონიის სამეფომ პრუსიას დაუბრუნა კეტბუსის ოლქი** და დაუთმო მთლიანი ქვემო ლაუზიცი, ზემო ლუჟიცის აღმოსავლეთ ნაწილი, **საამომრჩევლო ოლქი** (ვიტენბურგი) **ბარბის** საგრაფოსთან ერთად, **კერფურტის** სამთავრო, **თიურინგიის** და **ნოიშტადტის** ოლქები, ლაიპციგისა და მისნიის (ტორგაუ) რამდენიმე ოლქი, **მერსებურგისა** და **ნაუმბერგ-ცაიტცის** საეპისკოპოსოების დიდი ნაწილი, **მანსფელდი** და **ჰენებურგი.**

1815 წლის 31 მაისის ვენის ხელშეკრულებით, რომელსაც ხელი ევროპის მოკავშირე სახელმწიფოებმა მოაწერეს ნასაუს ორ სახლთან ერთად:

– ნიდერლანდის ახალი მეფე **ორან-ნასაუს მთავარი** ვილჰელმი, **პრუსიისგან პრუსიის გელდრენის საჰერცოგოს დასავლეთის ნახევარს** (მეზის მარცხენა სანაპირო) **და ავსტრიის ლუქსემბურგის საჰერცოგოს ღებულობდა,** რომელიც მისთვის საერცჰერცოგოდ ამაღლდა (მომავალი გერმანიის კონფედერაციის წევრი);

– **ორან-ნასაუს მთავარი პრუსიას უთმობდა დიცის, დილენბურგის, ჰადამარის და ზიგენის სამთავროებს, ბურიბახის და ბაილშთაინის სასენიოროებს;**

– **პრუსია ნასაუს საჰერცოგოს (ვალრამის ხაზი) უბრუნებდა დიცის, დილენბურგის, ჰადამარის და ზიგენის სამთავროებს და ბურბახისა და ბაილშთაინის სასენიოროებს;**

– **ნასაუს საჰერცოგო უთმობდა პრუსიას სოლმსის ძველი საგრაფოს თავის ნილს (ბრაუენფელსი, ჰოენსოლმსი, გრაიფენშთაინი), ასევე ლინცის, ალტენვიდის, ნოვიდის, ვალენდარის, ეპრენბრაიტშთაინის, ალტენკირხენის ოლქებს.**

გარდა ამისა, **პრუსია ღებულობდა** ავსტრიის ლუქსემბურგისთვის ჩამოჭრილ **ბიტბურგის ოლქს, ეიპენის, როლდიუკის და ობელის** კანტონებს, რომელიც ავსტრიის ლიმბურგის ნაწილი იყო, **მალმედის კანტონს** (ყოფილი სააბატო) **და შლაიდენის** (ყოფილი არენბერგი) კანტონს.

შემდგომში საზღვრების განსაზღვრისას დაშვებული უზუსტობების გამო მორესნეს კომუნა (ობელის კანტონი) პრუსიასა და ნიდერლანდს შორის დავის საგანი გახდა (საბადოების გამო).

ვენის კონგრესის საბოლოო სხდომაზე, 1815 წლის 9 ივნისს პრუსიასთან დაკავშირებით შემდეგი ტერიტორიული დებულებები განისაზღვრა:

– პრუსიას დაუმტკიცდა ის სამფლობელოები, რომლებიც 1805/1807 წლების გადაცემამდე ჰქონდა, მისი წილის სამი მეოთხედის გამოკლებით იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც 1793 წელს პოლონეთის გადანაწილებიდან მიიღო და 1795 წელს რუსეთს დაუთმო (ახალი სილეზია, ახალი აღმოსავლეთი პრუსია და სამხრეთი პრუსიის უმეტესი ნაწილი), ასევე ანსბახისა და ბაიროითის სამარკგრაფოების გამოკლებით, რომლებიც ბავარიას დაუთმო; ნეშატელის სამთავრო განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდა; ის კანტონი გახდა და ჰელვეციის კონფედერაციაში გაერთიანდა, თუმცა სუვენერად პრუსიის მეფე ჰყავდა;

– პრუსიას 18 მარტს საქსონიის მეფის მიერ გადაცემული ტერიტორიები და 31 მაისს ნასაუს ორ სახლთან განხორციელებული გაცვლები დაუმტკიცდა;

– **პრუსიას ვესტფალიის სამეფოს თავისუფალი ტერიტორიები და ბერგის დიდი საჰერცოგო მიეკუთვნა, ასევე რაინის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიები, რომლებიც ადრე საფრანგეთს ეკუთვნოდა,** გარდა მისი სამხრეთი ნაწილისა, რომელიც დროებით ავსტრიას გადაეცა (ზაარის დეპარტამენტის სამხრეთი ნაწილი და მონ-ტონერის დეპარტამენტი, მაინცის ოლქის გამოკლებით, რომელიც პრუსიას გადაეცა);

– თავისი ქონებისათვის, პრუსიას უნდა გამოეკლო და საქსონია-ვაიმარ-აიზენახის ერცჰერცოგისთვის გადაეცა 77 000 სული, 20 000 სული საქსონია-კობურგ-ზაალფელდის ჰერცოგისთვის, 10 000 მეკლენბურგ-სტრელიცის ერცჰერცოგისთვის, 25 000 ოლდენბურგის ერცჰერცოგისთვის, 10 000 ჰესენ-ჰომბურგის ლანდგრაფისთვის, 9 000 პაპენჰაიმის გრაფისათვის;

– პრუსია შვარცბურგ-ზონდერსჰაუზენის სამთავროსგან ზონდერსჰაუზენის საგრაფოზე დამოკიდებულ ორ ანკლავს ღებულობდა; შვარცბურგ-რუდოლიშტადტის სამთავროსგან კი მისი ფრანკენჰაუზენის საბაიოს ჩრდილოეთ ნაწილს.

ამის შემდეგ, პრუსია შემდეგი ათი პროვინციისგან შედგებოდა: აღმოსავლეთი პრუსია (კენიგსბერგი), დასავლეთი პრუსია (დანციგი); პოზნანის საერცჰერცოგო, ბრანდერბურგი (ბერლინი და პოტსდამი), რომელშიც შედიოდა ბრანდერბურგი და ქვემო ლუჟიცა, პომერანია (შეცინი), სილეზია (ბრესლაუ), რომელშიც შედიოდა სილეზია და ზემო ლუჟიცა, პრუსიის საქსონია (მაგდებურგი), რომელშიც შედიოდა

ძველი მარკა, მაგდებურგი და საქსონიის სამეფოსგან მიღებული სხვა ტერიტორიები, ვესტფალია (მიუნსტერი), კლევებერგი (კიოლნი) და ქვემო რაინი (აახენი). ამას ემატებოდა განსაკუთრებული სტატუსის მქონე ნეშატელის სამთავრო, რომელიც არ იყო მიერთებული სამეფოსთან.

პრუსიის მეფე გერმანიის კონფედერაციაში გაერთიანდა. ფრანკფურტის დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა), პრუსიის მეფეს ოთხი ხმა; დახურულ სხდომებზე (17 ხმა) – ერთი ხმა. თანაც, პრუსიამ გერმანიის კონფედერაციაში მხოლოდ თავისი გერმანული სამფლობელოები შეიყვანა. (ყოფილი საღვთო რომის იმპერია). დასავლეთი პრუსიის, აღმოსავლეთი პრუსიის, პოზნანის პროვინციები და ნეშატელის სამთავრო კონფედერაციის მიღმა დარჩა.

1815 წლის 22 სექტემბრის პარიზის ხელშეკრულებით, რომელსაც ხელი პრუსიამ და საქსონია-ვაიმარ-აიზენაჰმა მოაწერეს, **პრუსია საქსონია-ვაიმარის ერცჰერცოგს თიურინგიაში უთმობდა თავის ანკლავებს ქვემო კრანიხფელდს და ბლანკენჰაინს,** ასევე საქსონიის ყოფილი ოლქის **ნოიშტადტის სამ მეოთხედს.**

პარიზის 23 სექტემბრის ხელშეკრულებით, რომელსაც ხელი პრუსიამ და ჰანოვერმა მოაწერეს:

– **პრუსია ჰანოვერს უთმობდა ოსტფრიზის** სამთავროს, **ლინგენის** საგარაფოს **ჩრდილოეთ ნაწილს,** ქალაქ **გოსლარს, ჰილდესჰაიმის** სამთავროს **და აიხსფელდის** რამდენიმე ოლქს;

– **ჰანოვერი პრუსიას უთმობდა ვიდენბრუკის** ანკლავს **და ლაუენბურგის** საჰერცოგოს ელბის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიული ზოლის და ნოიჰაუზის ანკლავის გამოკლებით მარჯვენა სანაპიროს ზემოთ.

უფრო მეტიც, ჰანოვერის მეფეს ოლდენბურგის ერცჰერცოგისთვის უნდა დაეთმო 5 000 სული, რითაც პრუსიის ვალი ამ უკანასკნელის მიმართ 20 000 სულზე დადიოდა.

პარიზის შეთანხმებით, რომელიც იმავე თარიღით გაფორმდა პრუსიასა და დანიას შორის, **პრუსია დანიას უთმობდა** ლაუენბურგის საჰერცოგოს; სანაცვლოდ **დანია პრუსიას უთმობდა შვედეთის ყოფილ პომერანიას.**

1815 წლის 16 ოქტომბრის კასელის შეთანხმებით, რომელიც ჰესენ-კასელსა და პრუსიას შორის შედგა, სხვა ტერიტორიულ გაცვლებთან ერთად **პრუსია ჰესენ-კასელს უთმობდა ფოლკსმარსენის** ოლქს, ხოლო **ჰესენ-კასელი პრუსიას უთმობდა ქვემო კატცენელენბონგენის** საგრაფოს.

ასდღიანი პერიოდის შემდეგ, მოკავშირე სახელმწიფოებმა საფრანგეთს თავს მოახვიეს პარიზის მეორე ხელშეკრულება (1815 წლის 20 ნოემბერი), რომელიც პირველზე უფრო მძიმე იყო. მისი მოთხოვნით **საფრანგეთი პრუსიას უთმობდა ზაარლუის და ზაარბრიუკენის** კანტონებს. უფრო მეტიც, **პრუსიამ ავსტრიას დაათმობინა** რამდენიმე ფრაგმენტი (**მერციგი, თოლეი, ოტვაილერი**), რომლებიც ზაარლუის და ზაარბრიუკენის გაგრძელება იყო.

1816 წლის მაისში, პრუსიასა და ნიდერლანდს შორის დადებულმა შეთანხმებამ მორესნეს ბედი გადაწყვიტა. ის სამ ნაწილად გაიყო: ნიდერლანდის მორესნე, პრუსიის მორესნე და ნეიტრალური მორესნე, ეს უკანასკნელი საერთო მფლობელობაში იყო და მას ადმინისტრირებას საზოგადოება „ვიეი მონტანი" უნევდა, რომელიც მაღაროებში წარმოებულ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა.

1816 წლის 30 ივნისის ფრანკფურტის შეთანხმებით, რომელიც პრუსიასა და ჰესენ-დარმშტადტს შორის დაიდო;

– **ჰესენ-დარმშტადტი პრუსიას უთმობდა ვესტფალის** ყოფილ საჰერცოგოს **და ვიტგენშთაინის** ყოფილ საგრაფოს;

– **პრუსია ჰესენ-დარმშტადტს** უთმობდა რაინსა და ნაეს შორის მდებარე მთელ ტერიტორიას (**მაინცი, ვორმსი, ოპენჰაიმი, ალცაი, ბინგენი**) რაინის პფალცის საზღვრამდე (რომელიც აპრილში ავსტრიამ ბავარიას დაუთმო).

1816 წლის 9 სექტემბერის შეთანხმებით, **პრუსია ჰესენ-ჰომბერგის სალანდგრაფოს უთმობდა მაიზენჰაიმის** სამთავროს ნაეს მარჯვენა სანაპიროზე.

1816 წლის 18 სექტემბრის ფრანკფურტის შეთანხმებით, **პრუსია მეკლენბურგ-სტრელიციის** საერცჰერცოგოს უთმობდა **შლაიდენს, რაიფერშიდტს და კრონენბერგს** აიფელის მასივში

1816 წლის ოქტომბერში, ნასაუს ჰერცოგთან დადებული ახალი შეთანხმების მიხედვით, **პრუსია ნასაუს საჰერცოგოს უთმობდა ქვემო კატცენელენბონგენის** საგარაფოს და სანაცვლოდ **ბურბახსა და აცბახს** ღებულობდა.

1817 წლის 9 აპრილის შეთანხმებით, რომელიც ფრანკფურტში დაიდო პრუსიასა და ოლდენბურგს შორის, **პრუსია ოლდენბურგის ერცჰერცოგს** უთმობდა პფალცში ნაეს მარცხენა სანაპიროზე მდებარე **ბირკენფელდის** სამთავროს.

1819 წლის 21 მაისს ბერლინში დადებული ხელშეკრულების მიხედვით **მეკლენბურგ-სტრელიცს ხელახლა უნდა მიეყიდა პრუსიისთვის** ქალაქები **შლაიდენი, რაიფერშიდტი და კრონენბურგი.**

1819 წლის ივლისში ფრანკფურტის გადაწყვეტილებით, რომელიც საბოლოოდ აგვარებდა ვენის კონგრესის შედეგად ნამოჭრილ სადავო საკითხებს, **პრუსიამ მიიღო ქალაქი ვეცლარი** და **საქსონია-კლუბურ-ზაალფელდის ჰერცოგს** დაუთმო **ლიხტენბერგის სამთავრო**, რომელიც პფალცში მდებარეობდა ნაეს მარცხენა სანაპიროზე. გრაფმა პაპენჰაიმმა უარი განაცხადა თავის სამფლობელოზე პფალცში და სანაცვლოდ სამფლობელოები პრუსიის სამეფოში მიიღო.

ოცწლიანი კონფლიქტებიდან პრუსია შემატებული ტერიტორიებით გამოვიდა.

ამ პერიოდში პრუსია 278 000 კმ²-ს ფლობდა 10 მილიონი მცხოვრებით და ორი ნაწილისაგან შედგებოდა:

ა) აღმოსავლეთით, ძველი პრუსია (231 000 კმ²), რომელშიც შედიოდა:

– გერმანიის კონფედერაციის ფარგლებს გარეთ (92 000 კმ²), აღმოსავლეთი პრუსია, დასავლეთი პრუსია და პოზნანის სამი პროვინცია;

– გერმანიის კონფედერაციაში (139 000 კმ²) პომერანია, ბრანდებურგი, პრუსიის საქსონია და სილეზიის ოთხი პროვინცია; ზულის, მიულბერგის და რიანის ანკლავები, რომლებიც პრუსიის საქსონიაზე იყვნენ დამოკიდებული;

ბ) დასავლეთით, ახალი პრუსია (47 000 კმ²), გერმანიის კონფედერაციაში: ვესტფალია, კლევე-ბერგი და ქვემო-რაინის სამი პროვინცია; ვეცლარ-სოლმის ანკლავი, რომელიც ქვემო რიანის პროვინციაზე იყო დამოკიდებული. ამას ემატებოდა სამეფოს ფარგლებს გარეთ ნეშატელის სამთავრო.

1824 წელს გატარებული ადმინისტრაციული რეორგანიზაციის შემდეგ, პრუსიაში იყო რვა პროვინცია და 25 ოლქი; აღმოსავლეთი და დასავლეთი პრუსია გაერთიანდა; ასევე გაერთიანდნენ კლევე-ბერგის და ქვემო-რაინის პროვინციები, რომლებმაც შექმნეს რაინის პროვინცია.

თუ არ ჩავთვლით ნეშატელის სამთავროს, რომელიც არ შედიოდა სამეფოში, პრუსია შემდეგნაირად იყოფოდა:

– ბრანდერბურგი (პოტსდამი და ბერლინი, ოდერის ფრანკფურტი);
– პომერანია (შეცინი, შტრალზუნდი, გესლინი);
– სილეზია (ბრესლაუ, ლიგნიცი, ოპელნი);
– პოზნანი (პოზნანი, ბიდგოშცი);
– საკუთრივ პრუსია (კენიგსბერგი, გუმბინენი, დანციგი, მარიენვერდენი);
– საქსონია (მაგდებურგი, მერსებურგი, ერფურტი);
– ვესტფალია (მიუნსტერი, მინდენი, არენსბერგი);
– რაინი (კობლენცი, დიუსელდორფი, კიოლნი, აახენი, ტრირი);

ბერლინს, როგორც დედაქალაქს საკუთარი ოლქი ჰქონდა.

1834 წლის 31 მაისს საქსონია-კუბურგ-გოთას ჰერცოგმა პრუსიას ხელახლა მიჰყიდა ლიხტენბერგის სამთავრო, ნაეს მარჯვენა სანაპიროზე. ძველი სამთავრო (500 კმ²) სენ-ვენდელის ოლქი გახდა პრუსიის რაინის პროვინციაში.

1848 წლის 1 მარტს საფრანგეთში განვითარებული მოვლენების გავლენით, ნეშატელის რესპუბლიკის მომხრეებმა განაცხადეს, რომ ნეშატელი ყოველგვარ კავშირს წყვეტდა პრუსიის მეფესთან და აღდგენილად ცხადდებოდა რესპუბლიკა.

ეს გადაწყვეტილება სიხარულით მიღებული შვეიცარიის მიერ უარყო პრუსიის მეფემ.

1849 წლის 7 დეკემბრის შეთანხმებით **ჰოენცოლერნ ჰეხინგენის** და **ჰოენცოლერნ-ზიგმარინგენის** მთავრები ერთდროულად გადადგნენ პრუსიის მეფის სასარგებლოდ. ორივე სამთავრო პრუსიამ მიიერთა, რომლებიც მან ერთ სამთავროდ გააერთიანა სახელწოდებით **ჰოენცოლერნი** (ადმინისტრაციული ცენტრი ზიგმარინგენი).

1854 წელს ოლდენბურგის **დიდმა ჰაერცოგმა პრუსიას** ორი პატარა ტერიტორია **მიჰყიდა** იადებუზენის ყურის შესასავლელის ორივე მხარეს (12 კმ², 2000 სული) იმისათვის, რომ პრუსიას გასასვლელი ჰქონდა ჩრდილოეთის ზღვაზე, რომელმაც იქ საომარი პორტი დააარსა (მოგვიანებით ვილჰელმსჰაფენი).

1856 წლის სექტემბერში, ნეშატელის მონარქიის მსურველებმა რესპუბლიკის დამხობა მოინდომეს, მაგრამ ისინი დააპატიმრეს. პრუსიის მეფე იმუქრებოდა, რომ ძალით დაიბრუნებდა თავის სამთავროს. შვეიცარიამ ჯარების მობილიზება დაიწყო. მომრიგებლის როლში იმპერატორი ნაპოლეონ III გამოვიდა და 1857 წლის 26 მაისს პარიზში დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც პატიმრების განთავისუფლების სანაცვლოდ, **პრუსიის მეფე უარს ამბობდა ნეშატელის სუვერენობაზე**, რომელიც შვეიცარიის სხვა 21 კანტონის მსგავსად რესპუბლიკა გახდა.

შლეზვიგის, ჰოლშთაინის და ლაუენბურგის საჰერცოგოები დანიის მეფეს ეკუთვნოდა, მაგრამ მათ სპეციალური სტატუსი ჰქონდათ; შლეზვიგი და ჰოლშთაინი განუყოფელად ითვლებოდა; ჰოლშთაინი და ლაუენბურგი გერმანიის კონფედერაციაში შედიოდა.

1863 წლის ნოემბერში მეფე ფრიდრიხ VII-ს გარდაცვალების შემდეგ, ახალმა მეფემ კრისტიან IX გლუკსბურგმა დანიისაგან მემკვიდრეობა მიიღო, მაგრამ სამი საჰერცოგო სალიკური კანონის მიხედვით გერმანიის კონფედერაციამ აუგუსტენბურგის ჰერცოგს მიაკუთვნა.

1864 წლის თებერვალში პრუსიამ და ავსტრიამ დაამარცხეს დანიის არმია. 1864 წლის 30 ოქტომბრის ვენის ზავით **დანიამ პრუსიისა და ავსტრიის კონდომინიუმს** დაუთმო **შლეზვიგის, ჰოლშთაინის** და **ლაუენბურგის** სამი საჰერცოგო.

1865 წლის 14 აგვისტოს გაშთაინის შეთანხმებით ავსტრიამ და პრუსიამ თავიანთი კონდომინიუმის ადმინისტრაცია გაიანაწილეს.

პირველ რიგში, ავსტრიისათვის გადახდილი ფინანსური კომპენსაციის სანაცვლოდ პრუსიამ მთლიანად **მიიერთა ლაუენბურგის** საჰერცოგო, რომელიც პრუსიის პროვინცია გახდა (ადმინისტრაციული ცენტრი რატცებურგი). დარჩენილი ორი საჰერცოგო კონდომინიუმის ქვეშ დარჩა, პრუსია მართავდა შლეზვიგს და ნავსადგურ კილს, ავსტრია კი ჰოლშთაინს.

იმის გამო, რომ პრუსიას პრეტენზიები გაუჩნდა ავსტრიის მიერ ჰოლშთაინის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, ასევე პრუსიის მოთხოვნების გამო კონფედერაციის რეფორმირებასთან დაკავშირებით, ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტი დაიწყო, რომელშიც თითოეულ მხარეს თავისი მომხრეები ჰყავდა. მეკლენბურგი, ოლდენბურგი, ბრაუნშვაიგი, ორივე ლიპე, ანჰალტი, თიურინგის სახელმწიფოები, ჰანზის ქალაქები, იტალია, პრუსიას უჭერდა მხარს; ჰანოვერი, ორივე ჰესენი, ნასაუ, ფრანკფურტი, ბადენი, ვიურტემბერგი, ბავარია, საქსონიის სამეფო ავსტრიას უჭერდა მხარს.

პრუსიის ჯარები ჰოლშთაინში შეიჭრნენ (1866 წლის 7 ივნისი), ჰანოვერი ლანგენზალცასთან დამარცხდა (27 ივნისი), ხოლო ავსტრია სადოვასთან (3 ივლისი); ავსტრიასა და პრუსიას შორის ზავს ხელი პრაღაში მოეწერა (1866 წლის 23 აგვისტო).

პრუსია გერმანიის არბიტრი

22 აგვისტოს ბერლინის ხელშეკრულებით **ბავარიამ პრუსიას** დაუთმო 600 კმ² 33 000 მცხოვრებით, კერძოდ: **ორბის** ოლქის სამი მეოთხედი, **გერსფელდის** ოლქი და **კაულსდორფის** ანკლავი თიურინგიაში.

23 აგვისტოს პრაღის შეთანხმებით ავსტრიამ აღიარა პრუსიის მიერ გამოცხადებული გერმანიის კონფედერაციის დაშლა. რადგან ავსტრიის ტერიტორიები ხელუხლებელი დარჩა გერმანიაში (მან დაკარგა ვენეცია იტალიაში), მან უფლება მისცა პრუსიას ის ტერიტორიები მიეერთებინა, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევდა.

ბოლოს, **შლეზვინგის და ჰოლშთაინის საჰერცოგოები** მაშინვე **მიიერთა პრუსიამ**, რომლებიც შლეზვიგ-ჰოლშთაინის ერთ, ახალ პროვინციად გააერთიანა (ადმინისტრაციული ცენტრი შლეზვიგი). დაზუსტდა ის გარემოებაც, რომ თუ პლებისციტის ჩატარების შემდეგ ჩრდილოეთი შლეზვიგის დანიელი მოსახლეობა მოისურვებდა, მას დანიაში დაბრუნება შეეძლო; თუმცა მოგვიანებით პრუსიამ შეთანხმების ეს მუხლი დაარღვია.

1866 წლის სექტემბერში ავსტრიისაგან მიღებული მოქმედების თავისუფლების შემდეგ, **პრუსიამ** მთლიანად **შეიერთა: ჰესენის საკურფიურსტო, ნასაუს საჰერცოგო და თავისუფალი ქალაქი ფრანკფურტი.**

იმპერატორ ნაპოლეონ III-ის ჩარევის შედეგად საქსონიის მეფემ თავისი ტახტი გადაარჩინა, ასევე არ დაზარალებულან ვიურტემბერგის მეფე და ბადენის დიდი ჰერცოგი.

რუსეთის დედოფლის ძმობის წყალობით, ჰესენ-დარმშტადტის დიდმა ჰერცოგმა ლუდვიგ III-მ თავისი ტერიტორიები შეინარჩუნა. 1866 წლის 3 სექტემბრის ბერლინის შეთანხმებით **ჰესენ-დარმშტადტს** მაინც უნდა **დაეთმო პრუსიისთვის** შემდეგი ტერიტორიები:

– 1866 წლის მარტში მემკვიდრეობით მიღებული **ჰესენ-ჰომბურგის სალანდგრაფო;**

– ჰესენ-კასელსა და ნასაუს შორის მდებარე **ბიდენკოპფის** და **ფელის** ოლქები;

– პრუსიის ტერიტორიაზე მდებარე რამდენიმე ანკლავი.

სანაცვლოდ, **პრუსია ჰესენ-დარმშტადტს უთმობდა ნაუჰაიმის** და **რიუმპენჰაიმის** სიმაგრეებს; ეს შეადგენდა 1 000 კმ²-ს და 64 000 სულს.

ჰესენ-კასელი, ნასაუ, ფრანკფურტი, ჰომბურგი, ორბი, გერსფელდი, ჰესენ-დარმშტადტის დათმობილი ოლქები პრუსიამ ჰესენ-ნასაუს ახალ პროვინციაში დააჯგუფა (კასელი, ვისდბადენი). მაისენჰაიმის (ყოფილი ჰესენ–ჰომბურგი) სამთავრო პრუსიის რაინის პროვინციას მიუერთდა.

საჰერცოგოების მემკვიდრეობის საკითხის მოგვარების პერსპექტივით რუსეთმა 1864 წლის ივნისში ოლდენბურგის დიდ ჰერცოგს დაუთმო გოტორპების უფლებები მემკვიდრეობაზე (რომელიც 1773 წლით თარიღდებოდა). **პრუსიამ ოლდენბურგის ერცჰერცოგს** დაუთმო **არენსბურგის** საბაიო და აღმოსავლეთი ჰოლშთაინის რამდენიმე მცირე ნაწილი, შერჩეული ოლდენბურგის ლიუბეკის სამთავროს ორი ნაწილის შესაერთებლად.

1866 წლის ოქტომბერში **პრუსიამ ჰანოვერის სამეფოს ანექსირება მოახდინა,** რომელიც ყოველგვარი შიდა ცვლილებების გარეშე პრუსიის ჰანოვერის პროვინცია გახდა.

სექტემბერ - ოქტომბერში განხორციელებული ანექსიების შედეგად „ გერმანიის ეროვნული რეორგანიზაციისთვის უფრო ფართო და სოლიდური ბაზა უნდა შექმნილიყო " (ვილჰელმ I). ამან მართლაც მისცა პრუსიას საშუალება თავისი დომენები გაეფართოებინა.

ორ წელიწადში პრუსიამ მიიმატა 73 000 კმ² 4300 000 მცხოვრებით და მისი ტერიტორია 279 000 კმ²-დან 19 200 000 მცხოვრებით გაიზარდა 352 000 კმ²-მდე 23 500 000 მცხოვრებით.

მას თორმეტი პროვინცია ჰქონდა; 1824 წელს არსებული რვა პროვინციას შემდეგი ოთხი დაემატა:

– ჰანოვერი (ჰანოვერი, ჰილდესჰაიმი, ლუნებურგი, შტადე, ოსნაბრიუკი, აურიხი);

– ჰესენ-ნასაუ (კასელი, ვისბადენი) შომბურგის და შმალკალდეს (ჰენებერგი) ანკლავებით.

– შლეზვინგ-ჰოლშთაინი (შდეზვიგი, კილი);

– ლაუენბურგი (რატცებურგი).

1849 წელს შექმნილი ჰოენცოლერნის პროვინცია სპეციალური ოლქი გახდა, რომელიც რაინის პროვინციას მიუერთდა.

3. ბავარია

1815 წლის ივნისში ბავარია გერმანიის კონფედერაციაში გაერთიანდა. ფრანკფურტის ფედერალური დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა) ბავარიის მეფეს ოთხი ხმა ჰქონდა; დახურულ სხდომებზე (1762) მას ერთი ხმა ჰქონდა.

ვენის კონგრესმა ვერ შეძლო ბავარიისათვის გადასაცემი კომპენსაციის საკითხის გადაჭრა, რადგან ტერიტორიების გადაცემას ბადენი, ვიურტემბერგი, ნასაუ და ჰესენ-დარმშტადტი ენინააღმდეგებოდნენ, რომლებიც ნინ ტერიტორიული მთლიანობის საკითხს აყენებდნენ, რაც ხელშეკრულებაშიც იყო აღნიშნული.

მიუნხენის ხელშეკრულებით (1816 წლის 14 აპრილი), რომელიც ავსტრიასა და ბავარიას შორის დაიდო:

– **ავსტრია ბავარიას უთმობდა** რაინის მარცხენა სანაპიროს თავისუფალ ტერიტორიებს, რომლებიც მას დროებით მფლობელობაში ჰქონდა. კერძოდ, **რაინის პფალცს**, რომელიც საფრანგეთის საზღვარს, ბინგენ-ზაარბრიუკენის ზოლსა და ჰესენ-დარმშტადტს შორის მდებარეობდა; ის მარჯვენა სანაპიროზე ჰესენ-დარმშტადტის და ბადენის ხარჯზე ბავარიის ტერიტორიის გაზრდის ვალდებულებას იღებდა, რაც ბავარიას რაინზე გასასვლელით უზრუნველყოფდა;

– **ბავარია ავსტრიას ინფირტელის და ჰაუზრუკფირტელის** მხარეს უთმობდა, ასევე ზალცბურგის საპერცოგოს ფლახგაუს გამოკლებით; რადგან ბერხტესგადენი არ შედიოდა იმ ტერიტორიების ჩამონათვალში, რომელსაც ბავარია 1814 წლის ივნისის შეთანხმებით თმობდა, მან ისარგებლა ამ გარემოებით და ბერხტესგადენი შეინარჩუნა.

მაგრამ ბადენის საერცჰერცოგომ თავისი ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად საომარი ჰზადება დაინყო, რითაც ავსტრია აიძულა უარი ეთქვა მისთვის ტერიტორიების ნართმევაზე.

1816 წლის ივნისში ფულდეს სამთავროს აღმოსავლეთი ნანილი (**ჰამელბურგი, ბრუკენაუ**), რომელიც ადრე ფრანკფურტის საერცჰერცოგოს ეკუთვნოდა **ბავარიას გადაეცა**, ხოლო დიდი ნანილი ჰესენ-კასელს.

1817 წელს ბოლო ტერიტორიული ცვლილებების შედეგად ბავარია რვა ოლქად დაიყო: იზარი (მიუნჰენი), ქვემო-დუნაი (პასაუ), რეგენი (რეგენსბურგი), ზემო მაინი (ბაიროითი), ქვემო მაინი (ვიურცბურგი), რეზა (ანსბახი), ზემო დუნაი (აუგსბურგი), რაინი (შპაიერი).

1819 წლის 20 ივლისის ფრანკფურტის მთავარი დეკრეტის მიხედვით, დასრულდა ნაპოლეონის შემდგომი პერიოდის ტერიტორიული რეორგანიზაციებით გამონვეული დავა, **ბავარიამ** ყველა სასურველი ტერიტორია ვერ მიიღო. მას მხოლოდ შემდეგი ტერიტორიები **შეემატა**:

– მაინის ყოფილი ოლქები **ალცენაუ, მილტენბერგი, ამორბახი**, რომლებიც ჰესენ-დარმშტადტმა დათმო;

– მაინის ყოფილი **ორბის** ოლქი, რომელიც ფრანკფურტის დიდ საჰერცოგოს ეკუთვნოდა და ენოს ნახევრად ანკლავი იყო;

– **შტენფელდის** ოლქი, რომელიც ვერცჰაიმის ყოფილ საგრაფოს ეკუთვნოდა **და ავსტრიამ დათმო**, რომელმაც ის ბადენისაგან მიიღო ჰოენგეროლდსეკის სანაცვლოდ;

– ჩეხეთის ანკლავი **რედვიცი ფრანკონიაში, რომელიც ავსტრიამ დათმო.**

1819 წელს ბავარიის ფართობი შეადგენდა 76 500 კმ^2-ს, აქედან 70 500 ძირითადი იყო, ხოლო 6 000 რაინის ოლქი, მოსახლეობის დაახლოებით 3 400 000 კაცს შეადგენდა.

1837 წელს შიდა საზღვრების შეცვლის გარეშე ბავარიის რვა ოლქის სახელწოდებები უფრო ტრადიციული სახელებით შეიცვალა,: ზემო ბავარია, ყოფილი იზარი (მიუნხენი); ქვემო ბავარია, ყოფილი ქვემო დუნაი (პასაუ); ზემო პფალცი, ყოფილი რეგენი (რეგენსბურგი); ზემო-ფრანკონია, ყოფილი ზემო მაინი

(ბაიროითი); ქვემო ფრანკონია, ყოფილი ქვემო მაინი (ვიურცბურგი); შუა ფრანკონია, ყოფილი რეცატი; შვაბია, ყოფილი ზემო დუნაი (აუგსბურგი); პფალცი, ყოფილი რაინი (შპაიერი).

1866 წლის ავსტრია-პრუსიის კონფლიქტში ბავარია ავსტრიელების მხარეს იბრძოდა პრუსიელების წინააღმდეგ. გამარჯვებულმა პრუსიამ ბავარია აიძულა ხელი მოეწერა ბერლინის ზავისათვის (1866 წლის 22 აგვისტო), რომლის მიხედვითაც **ბავარია პრუსიას უთმობდა ორბის ოლქის სამ მეოთხედს, გერსფელდის ოლქს და კაულსდორფის ანკლავს** თიურინგიაში.

ამგვარად ბავარია 600 კმ^2-ს და 33 000 სულს კარგავდა; მისი ფართობი შეადგენდა 69 900 კმ^2-ს, რომელსაც პფალცის 6 000 კმ^2 ემატებოდა.

4. ვიურტემბერგი

ვენის კონგრესზე (1814-1815) ვიურტემბერგის სამეფოს მთლიანობა დამტკიცდა და აუცილებელი იქნა მისი გერმანიის კონფედერაციაში განევრიანების საკითხი. მისი პოზიციის მიუხედავად, 1 სექტემბერს ვიურტემბერგი გერმანიის კონფედერაციას შეუერთდა. ფრანკფურტის ფედერალური დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა) ვიურტემბერგს ოთხი ხმა ჰქონდა, შეზღუდულ სხდომებზე (17 ხმა) ერთი ხმა.

ვიურტემბერგი ოთხ ოლქად დაიყო, თითეულს მართავდა პრეეო (Landvogt), რაც ქვეყნის მართვის ტრადიციას უფრო შეესაბამებოდა: ნეკარი (ლუდვიგსბურგი), შვარცვალდი (როიტლინგენი), იაგსტი (ელვანგენი), დუნაი (ულმი). ამას ემატებოდა დედაქალაქ შტუტგარტის მმართველობა.

1822 წელს შტუტგარტის მთავრობა გაუქმდა, ვიურტემბერგის დედაქალაქი ადმინისტრაციულად ნეკარის ოლქს (ლუდვიგსბურგი) შეუერთდა.

1966 წლის ავსტრია-პრუსიის კონფლიქტში ვიურტემბერგმა ავსტრიის მხარე დაიკავა; გამარჯვებული პრუსია იმით დაკმაყოფილდა, რომ ვიურტემბერგს ფინანსური კონტრიბუცია დააკისრა, ისე, რომ მის ტერიტორიას არ შეხებია.

5. ბადენი

ვენის კონგრესზე მოკავშირე მხარეებმა ბავარიისათვის მისაცემი კომპენსაციის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მას ავსტრიისთვის დათმობილი ტერიტორიების სანაცვლოდ უნდა მიეღო (ზალცბურგი, ინფიერტელი) გადაწყვეტილება მიიღეს ბავარიისათვის გადაეცათ ბადენის ოლქი მაინი-დატაუბერი და ნეკარის ოლქის ნაწილი. ერცჰერცოგის პროტესტის შემდეგ, გადაწყდა ეს პუნქტი არ შესულიყო კონგრესის საბოლოო ოლქში და სადავო საკითხი ფრანკფურტის ტერიტორიული საკითხების კომისიას გადაეგზავნა.

1815 წლის ივნისში, ბადენის საერცჰერცოგო გერმანიის კონფედერაციას შეუერთდა. ფრანკფურტის დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა), ერცჰერცოგს სამი ხმა ჰქონდა, დახურულ სხდომებზე (17 ხმა) ერთი ხმა.

1816 წლის 14 აპრილს ავსტრიამ ბავარიასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ერცჰერცოგ კარლის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ, ავსტრიას ბავარიისთვის უნდა გადაეცა ბადენის ოლქი მაინი-ტაუბერი და ნეკარის ოლქი. ასეთი გადაწყვეტილების გამო ერცჰერცოგმა საომარი მზადება დაიწყო. ავსტრიამ ამ მუხლის შესრულებაზე უარი თქვა.

1817 წლის 4 ოქტომბრის რწმუნების სიგელით, ერცჰერცოგმა კარლმა თავისი ტერიტორიები ერთიანად და განუყოფლად გამოაცხადა და მემკვიდრობა თავის ბიძას, გრაფ პოხბერგს შესთავაზა (მემკვიდრეობა მას 1818 წლის დეკემბერში გადაეცა, კარლის გარადაცვალების შემდეგ).

ტერიტორიული დავა საბოლოოდ 1819 წლის 10 ივლისის შეთანხმებით მოგვარდა, რომელიც ავსტრიასა და ბადენს შორის დაიდო და 20 ივლისის ფრანკფურტის გენერალური დეკრეტით დამტკიცდა. **ავსტრია ბადენის ერცჰერცოგს ჰოენგეროლდსეკის საგარაფოს უთმობდა,** პატარა ანკლავს ბადენში. სანაცვლოდ, ბადენის ერცჰერცოგი ავსტრიას შტაინფელდის ოლქს უთმობდა.

ამგვარად, ბადენის საერცჰერცოგოს ფართობი 15 100 კმ²-ს შეადგენდა, რომელიც დაახლოებით 130 წლის მანძილზე არ შეცვლილა.

1832 წელს საერცჰერცოგო ადმინისტრაციულად ოთხ ოლქად დაიყო: ტბა (კონსტანცი), ზემო რაინი (ფრიბურგი), შუა რაინი (კარლსრუე), ქვემო რაინი (მანჰაიმი).

1866 წლის ავსტრია-პრუსიის კონფლიქტში ბადენის საერცჰერცოგომ ავსტრიის მხარე დაიკავა. გამარჯვებული პრუსია იმით დაკმაყოფილდა, რომ მას ფინანსური კონტრიბუცია დააკისრა, ხოლო მის ტერიტორიებს არ შეხებია.

6. ჰოენცოლერნი

ჰოენცოლერნის ორივე მთავარი გერმანიის კონფედერაციაში გაერთიანდა. ფრანკფურტის დიეტის ძირითად სხდომებზე (70 ხმა) თითოეულ მთავარს ერთი ხმა ჰქონდა; დახურულ სხდომებზე (17 ხმა), ისინი ერთ საეკლესიო ხმას იყოფდნენ ლიხტენშტაინთან, ვალდეკთან, ორ ლიპესთან, როისთან და ჰესენ-ჰომბურგთან ერთად.

1822 წელს ოჯახური პაქტით შვაბიის უფროსი ხაზის ორ შტოსა და ფრანკონიის უმცროს ხაზსს შორის მემკვიდრეობის საკითხი მოგვარდა.

1848 ნელს რევოლუციური ძვრების შემდეგ, მთავარი კარლ ჰოენცოლერნ-ზიგმარინგენი გადადგა თავის ვაჟის კარლ-ანტუანის სასარგებლოდ. 1849 წლის 7 დეკემბერს პრუსიასთან ხელმონერილი შეთანხმების შემდეგ და 1822 ჭლის საოჯახო პაქტის შესაბამისად ჰოენცოლერნის ორი მთავარი ფრიდრიხ-ვილჰელმი ჰეიინგენი და კარლ-ანტუან ზიგმარინგერი ერთდროულად გადადგნენ პრუსიის მეფის სასარგებლოდ.

ამგვარად ჰოენცოლერნის ორი სამთავრო პრუსიას შეუერთდა, რომელმაც ისინი პრუსიის ერთ ახალ პროვინციად, ჰოენცოლერნად გააერთიანა, რომლის ადმინისტრაციულ ცენტრად ზიგმარინგერი გამოცხადდა.

ჰეხინგენის შტომ სნრაფად შეწყვიტა არსებობა, ხოლო მთავარ კარლ-აატუან ზიგმარინგენის ორმა ვაუმა ისტორიაში მნიშვნელოვნი როლი შეასრულა; უფროსი ვაჟის ლეოპოლდის კანდიდატურის დასახელება ესპანეთის ტახტის დასაკავებ-ლად 1870 ნლის ფრანკო-გერმანული კონფლიქტის მიზეზად იქცა, უმცროსი კარლი ჯერ რუმინეთის მთავარი გახდა (1866), შემდეგ კი მეფე (1881) და ახალ დინასტიას ჩაუყარა საფუძველი.

7. საქსონიის სამეფო

ვენის კონგრესზე მოლაპარაკებების დაწყებისთანავე პრუსიამ საქსონიის სამეფოს მთლიანი ანექსირება მოითხოვა, რუსეთი ვარშავის დიდი საჰერცოგოს ანექსიას ითხოვდა. პრუსია ნინადადებით შეავიდა საქსონიის მეფე რაინის რეგიონ-ში გადასულიყო. ტალეირანი საფრანგეთის სახელით წინ აღუდგა საქსონიის მეფის სრულ გაძარცვას.

1815 წლის 3 იანვრის საიდუმლო ხელშეკრულებით საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია გაერთიანდნენ, რათა წინ აღდგომოდნენ პრუსიისა და რუსე-თის მეტისმეტად დიდ ამბიციებს.

8 თებერვალს პრუსია საქსონიის სამეფოს დაყოფას დათანხმდა. მოსახლეობის ორი მეხუთედი, დაახლოებით 850 000 კაცი პრუსიას მიაკუთვნეს, დანარჩენი დრეზდენთან და ლაიპციგთან ერთად საქსონიის მეფეს შეუნარჩუნდა.

1815 ნლის 18 მაისის პრესბურგის ზავით **საქსონიის სამეფომ პრუსიას კოტბუსის ოლქი დაუბრუნა და ასევე გადასცა: ქვემო ლუჟიცა** მთლიანად, **ზემო ლუჟიცის აღმოსავლეთი ნანილი**, საარჩევნო ოლქი **ბარბის** საგრაფოსთან ერთად, **კერფურტის** სამთავრო, **თიურინგიის** და **ნოიშტადტის** ოლქები, ლაიპციგისა და მისნიის (**ტორგაუ**) რამდენიმე ოლქი, **მერსებურგისა** და **ნაუმბურგ-ცაიტცის** საეპისკოპოსოების უმეტესი ნანილი, ალბერტინის ხაზის **მანსფელდი** და **ჰენებერგი**.

ამგვარად, საქსონიის სამეფოს ფართობი 15 000 კმ²-მდე შემცირდა 1 200 000 მოსახლეობით. ქალაქი ლაიპციგი შენარჩუნდა; საქსონიის ოლქების რაოდენობა

ხუთამდე დავიდა: ერცგებერგე (ფრაიბერგი), მისნია (დრეზდენი), ლაიპციგი, ფოიგტლანდი (პლაუენი), ზემო ლუჟიცა (ბაუტცენი).

1815 წლის ივნისში საქსონიის სამეფო გერმანიის კონფედერაციაში გაერთიანდა. ფრანკფურტის ფედერალური დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა) საქსონიის მეფეს ოთხი ხმა ჰქონდა, დახურულ სხდომებზე (17 ხმა) ერთი.

1833 წელს საქსონიის სამეფო კოლეერაინს (საბაჟო კავშირს) შეუერთდა.

1835 წელს საქსონიის სამეფო შიდა ადმინისტრაციული მონყობის შედეგად ოთხ ოლქად გადაკეთდა და თითოეული მათგანი თავისი ადმინისტრაციული ცენტრის სახელს ატარებდა: დრეზდენი, ლაიპციგი, ცვიკაუ, ბაუტცენი.

1866 წელს ავსტრიისა და პრუსიის კონფლიქტში საქსონიამ ავსტრიის მხარე დაიკავა, რის გამოც საქსონია პრუსიამ დაამარცხა. იმპერატორ ნაპოლეონ III-ს ჩარევის შემდეგ საქსონიის ტერიტორიული მთლიანობა შენარჩუნებული იქნა პრაღის ხელშეკრულებით (1866 წლის 23 აგვისტო), რითაც კონფლიქტს ბოლო მოეღო. გერმანიის კონფედერაცია დაიშალა.

8. თიურინგია

ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით თიურინგიამ ძალიან მცირე ცვლილებები განიცადა:

– საქსენ-ვაიმარ-აიზენახის ჰერცოგი ერცჰერცოგი ვახდა; მას ფულდეს ყოფილი საეპისკოპოსოს რამდენიმე ფრაგმენტი გადაეცა და პრუსიისგან 77 000 სული მიიღო;

– საქსენ-კობურგ-ზაალფელდის ჰერცოგმა პრუსიისგან 20 000 სული მიიღო;

– შვარცბურგ-ზონდერსჰაუზენის მთავარმა პრუსიას დაუთმო ზონდერსჰაუზენზე დამოკიდებული თავისი ორი ანკლავი;

– შვარცბურგ-რუდოლშტადტის მთავარმა პრუსიას ნორდჰაუზენსა და ზონდერს ჰაუზენს შორის მდებარე თავისი ფრანკენჰაუზენის საბაჟოს ჩრდილოეთი ნანილი დაუთმო, რომელიც პრუსიის საქსონიის პროვინციას მიუერთდა;

– შმალკალდეს საბაჟო ჰესენ-კასელს დაუბრუნდა;

– ერფურტის საბაჟო და მისი ანკლავები პრუსიას დაუბრუნდა;

– საქსონიის სამეფომ პრუსიას სხვა ტერიტორიებთან ერთად თიურინგიისა და ნოიშტადტის ოლქები და ზულის საბაჟო (საქსონიის ჰენებერგი) დაუთმო; ეს ყველაფერი პსუსიის საქსონიის პროვინციას შეუერთდა.

თიურინგიის ყველა სამთავრო გერმანიის კონფედერაციას შეუერთდა. საქსონიის საჰერცოგოს ხუთი სამთავრო, ორი შვარცბურგი და როისის ორი შტო, თითოეული თითო ხმას ფლობდა ფრანკფურტის დიეტის პლენარულ სხდომებზე; დახურულ სხდომებზე (17 ხმა), საქსონიის საჰერცოგოს ხუთ სამთავროს ერთი საერთო ხმა ჰქონდა, ორი შვარცბურგი ოლდენბურგთან და სამ ანჰალტთან ერთ ხმას იყოფდა, როისის ორი შტო ჰოენცოლერნთან, ლიხტენშტეინთან, ვალდეკთან, ორ ლიპესთან და ჰესენ-ჰომბურგთან იყოფდა ერთ ხმას.

1815 წლის სექტემბერში ვენასა და პარიზში მიღწეული შეთანხმებებით, **პრუსია საქსენ-ვაიმარ-აიზენახის დიდ საჰერცოგოს ქვემო კრანიხფელდის და ბლანკენჰაინის** ანკლავებს და **ნოიშტადტის სამ მეოთხედს** უთმობდა, ბოლო მეოთხედი საქსონიას დარჩა.

ფრანკფურტის დეკრეტით (1819 წლის 20 ივლისი) **პრუსიამ საქსენ-კობურგ-ზაალფელდის საჰერცოგოს ლიხტენბურგის** სამთავრო (სენ-ვენდელი) დაუთმო, რომელიც პფალცში ნაეს მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა.

1825 წელს ლობენშტაინის შტოს შეწყვეტის შემდეგ, რომელიც როისის უმცროსი ხაზისგან მოდიოდა, ლობენშტაინის სამთავრო ებერსდორფის სამთავროს შეუერთდა, რომელიც როის-ებერსდორფ-ლოვენშტაინის სამთავრო გახდა.

საქსენ-გოთა-ალტენბურგის ხაზის შეწყვეტის შემდეგ (1825 წლის თებერვალი), საქსონიის საჰერცოგოებში დიდი ტერიტორიული ცვლილებები დაიწყო; ეს ცვლილებები მხოლოდ საქსენ-ვაიმარის დიდ საჰერცოგოს არ შეეხო.

საქსენ-გოთა-ალტენბურგის საჰერცოგო სამ ნანილად დაიყო:

– პირველი ნაწილი შედგებოდა გოთას საჰერცოგოსაგან და კერნერი, ნაზა და ნოიკირხენის ანკლავებისგან:

– მეორე ნაწილი შედგებოდა ალტენბურგის საჰერცოგოსაგან, როდას საბაიოსგან და როშუტცის ანკლავისაგან:

– მესამე ნაწილი შედგებოდა კამბურგის ოლქისაგან და ზემო კრანიხფელდის ანკლავისგან.

საქსენ-ჰილდბურგჰაუზენის ჰერცოგმა თავისი საჰერცოგო საქსენ-მაინინგენის ჰერცოგს დაუთმო, ანკლავი ზონეფელდი საქსენ-კუბურგის ჰერცოგს გადასცა და მემეკვიდრეობის მეორე ნაწილი მიიღო.

საქსენ-ალტენბურგის ახალი **საჰერცოგო** ალტენბურგის საჰერცოგოსგან, როდას საბაიოსგან და როშუტცის ანკლავისგან შედგებოდა.

საქსენ-მაინინგენის საჰერცოგომ, რომელიც შეიცავდა მაინინგენის საჰერ-ცოგოს და ზონებერგის და რემჰილდის საბაიოებს, ჰილდბურგჰაუზენის ჰერცო-გისგან მისი საჰერცოგო მიიღო, საქსენ-კობურგის ჰერცოგისაგან ზაალფელდის და ტემარის საბაიოები და გოთას მემკვიდრეობის მესამე ნაწილი.

საქსენ-მაინინგენ-ჰილდბურგჰაუზენის ახალი საჰერცოგო მაინინგენისა და ჰილდბურგჰაუზენის საჰერცოგოებისაგან, კამბურგის ზონებრგის, ზაალფელდის, რემილდის და ტემარის ოლქებისაგან და ანკლავ ზემო კრანიხფელდისაგან შედგებოდა.

საქსენ-კობურგის საჰერცოგომ, რომელიც კობურგის საჰერცოგოსაგან, ლიხტენჰერგის სამოავროსგან, ზაალფელდის და ტემარის საბაიოებისგან, ნასახის და კენიგსბერგის ანკლავებისგან შედგებოდა, ზაალფელდის და ტემარის საბაიოები საქსენ-მაინინგენის ჰერცოგს დაუთმო; საქსენ-ჰილდბურგჰაუზენის ჰერცოგისაგან მიიღო ზონეფელდის ანკლავი, გოთას მემკვიდრეობის პირველი ნაწილი, კერძოდ გოთას საჰერცოგო და ანკლავები კერნერი, ნაზა და ნოიკირხენი.

საქსენ-კობურგ-გოთას ახალი საჰერცოგო კობურგის და გოთას საჰერცოგოებისაგან, ლიხტენბერგის სამთავროსგან და ზონეფელდის, ნასახის, კენიგსბერგის, კერნერის, ნაზას და ნოიკირხენის ანკლავებისგან შედგებოდა.

1833 წელს თიურინგიის სამთავროები ცოლვერაინში გაერთიანდნენ (საბაჟო კავშირი).

1834 წლის 31 მაისს **საქსენ-კობურგ-გოთას საჰერცოგომ პრუსიას მიყიდა ლიხტენბერგის სამთავრო,** რომელიც 1819 წელს ჰქონდა მიღებული.

1853 წელს როისის უმცროსი ხაზის ებერსდორფ-ლობენშტაინის შტოს შეწყვეტის შემდეგ, როის-ებერსდორფ-ლობენშტაინის სამთავრო როის-შლაიცის სამთავროს შეუერთდა, რომელიც როის-გერას სამთავრო გახდა და ამგვარად უმცროსი შტო მიიერთა.

9. ანჰალტი

ვენის კონგრესზე ანჰალტის საჰერცოგოების ტერიტორიული ცვლილებების საკითხი არ განხილულა. 1815 წლის ივნისში ისინი გერმანიის კონფედერაციას შეუერთდნენ. ფრანკფურტის ფედერალური დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა) თითოეულ მათგანს ერთი ხმა ჰქონდა; დახურულ სხდომებზე (17 ხმა) ისინი ერთ ხმას იყოფდნენ ოლდენბურგის დიდ საჰერცოგოსთან და შვარცბურგის ორ მთავართან.

1826 წელს ანჰალტის სამი საჰერცოგო საბაჟო კავშირს შეუერთდა.

1847 წელს ანჰალტ-კეტენის შტოს შეწყვეტის შემდეგ, ანჰალტ-კეტენის საჰერცოგოს მართვა ანჰალტ-დესაუს საჰერცოგომ აიღო თავის თავზე. 1853 წელს ორი საჰერცოგო ანჰალტ-დესაუ და ანჰალტ-კეტენი ერთ საჰერცოგოდ გაერთიანდა, რომელსაც ანჰალტ-დესაუ-კეტენი ეწოდა.

1863 წელს ანჰალტ-ბერნბურგის შტოს შეწყვეტის შემდეგ ანჰალტ-ბერნ-ბურგის საჰერცოგო ანჰალტ-დესაუ-კეტენის საჰერცოგოს შეუერთდა, რომელიც ანჰალტის საჰერცოგო გახდა.

10. მეკლენბურგი

ვენის კონგრესზე მეკლენბურგის ორ ჰერცოგს **მეკლენბურგის ერცჰერცოგების** ტიტული უბოძეს. ისინი გერმანიის კონფედერაციას შეუერთდნენ. ფრანკფურტის ფედერალური დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა) მეკლენბურგ-შვერინის ერცჰერცოგს ორი ხმა ჰქონდა, მეკლენბურგ-შტრელიცისას ერთი ხმა; დახურულ სხდომებზე (17 ხმა) მათ ერთი საერთო საეკლესიო ხმა ჰქონდა.

და ბოლოს, მეკლენბურგ-შტრელიცის ერცჰერცოგს პრუსიისგან უნდა მიეღო ზაარის ყოფილ დეპარტამენტში მცხოვრები 10 000 სული.

ფრანკფურტის ხელშეკრულებით (1816 წლის 18 სექტემბერი) **პრუსიამ მეკლენბურგ-შტრელიცის ერცჰერცოგს დაუთმო ქალაქები შლაიდენი, რაიფერსშიდტი და კრონენბურგი** აიფელის მასივში. 1819 წლის 21 მაისის შეთანხმებით **მეკლენბურგ-შტრელიცის ჰერცოგმა ისინი პრუსიას მიჰყიდა.**

11. ჰოლშტაინი *იხ. ზემოთ* პრუსია და თავები დანია, ავსტრია.

12. ოლდენბურგი

ვენის კონგრესზე ოლდენბურგის ჰერცოგი ოფიციალურად აღადგინეს თავის უფლებებში. **საპერცოგო ოლდებურგის საერცჰერცოგო** გახდა, მას პრუსიისგან 25 000 სული უნდა გადასცემოდა. ის გერმანიის კონფედერაციას შეუერთდა. ფრანკფურტის დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა) ოლდებურგის ერცჰერცოგს ერთი ხმა ჰქონდა; დახურულ სხდომებზე (17 ხმა) ის ერთ ხმას იყოფდა ანჰალტის სამ ჰერცოგთან და შვარცბურგის ორ მთავართან.

იეფერის სამფლობელო, რომელიც იურიდიულად ხელახლა რუსეთის გახდა ფაქტობრივად საერცჰერცოგოს შეუერთდა. კნიპჰაუზენის სამფლობელო არ აღდგენილა, მაგრამ ოლდებურგის საერცჰერცოგოს შეუერთდა, ბენტინკის გრაფის პროტესტის მიუხედავად.

ბრემენის შეთანხმებით (1817 წლის 4 თებერვალი) **ოლდებურგის საერჰერცოგომ ჰანოვერის სამეფოსგან მიიღო ქალაქი ბრაკე** და **დედერსდორფის** ტერიტორია ვეზერის მარჯვენა სანაპიროზე (5 000 სული).

ფრანკფურტის შეთანხმებით (1817 წლის 9 აპრილი) **მან პრუსიისგან მიიღო ბირკენფელდის სამთავრო** (500 კმ², 20 000 სული) ნაეს მარცხენა სანაპიროზე პფალცში, რომელიც ადრე ცვაიბრიუკენის ყოფილ საპერცოგოს ეკუთვნოდა.

ვარშავის ხელშეკრულებით (1818 წლის 18 აპრილი) **იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ოფიციალურად დაუთმო იეფერის სამფლობელო ოლდებურგის საერცჰერცოგოს.**

ბერლინის შეთანხმებით (1825 წლის 8 ივნისი), რომელიც გერმანიის დიეტის გადაწყვეტილებით დამტკიცდა (1826 წლის 9 მარტი), დაკმაყოფილდა ბენტინკის გრაფის პრეტენზიები და **კნიპჰაუზენის სამფლობელო** (40 კმ², 3 000 სული) **აღდგა** როგორც გერმანიის კონფედერაციის წევრი სუვენერული სახელმწიფო. მაგრამ, კნიპჰაუზენის მთავარს არ მიენიჭა ხმა დიეტის ასამბლეებზე, ის იქ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ოლდებურგის ერცჰერცოგის მიერ, რომელმაც კნიპჰაუზენის სუვერენიტეტი ასეთი ფორმით შეზღუდა.

1854 წელს ოლდებურგის საერცჰერცოგო საბაჟო კავშირს შეუერთდა. **მან დაიქვემდებარა კნიპჰაუზენი და პრუსიას ორი პატარა ტერიტორია** (12 კმ², 2 000 სული) **მიჰყიდა** იმ მიზნით, რომ პრუსია იქ სამხედრო პორტს დააარსებდა (მომავალი **ვილჰელმსჰაფენი**).

დანიური საპერცოგოების საკითხი (შლეზვიგი, პოლშტაინი) ხელახლა გააქტიურდა მას შემდეგ, რაც დანიამ შლეზვიგის შეერთების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება (1863), რაც გერმანიის კონფედერაციამ გააპროტესტა; მემკვიდრეობაზე თავისი უფლებები რამდენიმე კანდიდატმა წამოაყენა. რუსეთმა ოლდებურგის საერცჰერცოგოს დაუთმო (1864 წლის 19 ივნისი) გოტროპების ხაზიდან მიღებული უფლებები შლეზვიგზე და ჰოლშტაინზე, რომლებიც 1773 წლით თარიღდებოდა.

ავსტრია-პრუსიის კონფლიქტში ოლდენბურგის საერცჰერცოგომ პრუსიის მხარე დაიკავა. სადოვასთან ავსტრიის დამარცხების შემდეგ, პრუსიამ გერმანიის კონფედერაცია დაშალა და შლეზვიგისა და ჰოლშტაინის საჰერცოგოები შეიერთა. ორ საჰერცოგოზე დაკარგული უფლებების საკომპენსაციოდ **პრუსიამ ოლდენბურგს არენსბეკის საბაიო** და აღმოსავლეთ ჰოლშტაინის რამდენიმე ფრაგმენტი დაუთმო, რომლებიც ისე იყო არჩეული, რომ ლიუბეკის ყოფილი სამთავროს ორი ნაწილი ერთმანეთთან დაეკავშირებინა და ოიტენის სამთავრო შექმნა 500 კმ^2-ის ფართობით.

13. ჰანოვერი

ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით ჰანოვერის სამეფოში მნიშვნელოვანი ტერიტორიული ცვლილებები განხორციელდა. **ჰანოვერმა პრუსიას დაუთმო:**

– ვიდენბრუკის ანკლავი, რომელიც ადრე ოსნაბრუკზე იყო დამოკიდებული;

– **ლაუენბურგის** საჰერცოგო, იმ ტერიტორიული ზოლის გამოკლებით, რომელიც ელბის მარცხენა სანაპიროს მიუყვებოდა და ნოიჰაუზის ანკლავი მარჯვენა სანაპიროზე.

სანაცვლოდ **ჰანოვერმა მიიღო:**

– **პრუსიისგან: ოსტფრიზის** სამთავრო, **ლინგენის** საგრაფოს **ჩრდილოეთი ნაწილი,** ქალაქი **გოსლარი, ჰილდესჰაიმის** ყოფილი საეპისკოპოსო (თავისი დასელის ანკლავით) და აიხსფელდის რამდენიმე ოლქი;

– **ჰესენ-კასელისგან:** ჰოიას საგრაფოების ანკლავები (უხტე და ფროიდენ-ბერგი) და **დიფოლცის** ანკლავი (აუბურგი), ასევე **პლესის** სამფლობელო;

– **ბენტჰაიმის საგრაფო;**

– **მიუნსტერის** ყოფილი საეპისკოპოსოს **ჩრდილოეთ ნაწილის დასავლეთის ნახევარი.**

ამის შემდეგ ჰანოვერის სამეფოს ფართობი დაახლოებით 38 000 კმ^2-ს შეადგენდა, ის მთლიანად გარს ერტყა ოლდენბურგის დიდ საჰერცოგოს; სამაგიეროდ ბრაუნშვაიგთან ერთად ის ქმნიდა ტერიტორიულ ბლოკს, რომელიც რაინისა და ვესტფალიის პროვინციებს პრუსიის სამეფოს დარჩენილი ნაწილისაგან ყოფდა.

ჰანოვერის სამეფო გერმანიის კონფედერაციას შეუერთდა. ფრანკფურტის დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა) ჰანოვერის მეფეს ოთხი ხმა ჰქონდა, ხოლო დახურულ სხდომებზე (17 ხმა) ერთი ხმა.

1817 წლის 4 თებერვლის ბრემენის შეთანხმებით, **ჰანოვერმა** დათმო პრუსიის ანგარიშზე **ოლდენბურგის საერცჰერცოგოს** ტერიტორია 5 000 მცხოვრებით, რომელიც ვეზერის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა: ქალაქი **ბრაკე** და **დედერსდორფის** ტერიტორია.

1823 წელს ჰანოვერის სამეფო ადმინისტრაციულად ექვს გუბერნიად (landrostrein) გადაკეთდა:

– ჰანოვერი: კალენბერგი, ჰოია და დიფოლცი;
– ჰილდესჰაიმი: ჰილდესჰაიმი, გეტინგენი, გრუბენჰაგენი და ჰოენშტაინი;
– ლუნებურგი: ლუნებურგი და ლუნებურგის ოლქები;
– შტადე: ბრემენი, ვერდენი და ჰადელნი;
– ოსნაბრუკი: ოსნაბრუკი, ლინგენი, არენბერგი და ბენტჰაიმი;
– აურიხი: ოსტფრიზი.

1827 წელს **ჰანოვერმა** ჰანზის ქალაქ **ბრემენს ბრემერჰფენის** ტერიტორია მიჰყიდა იმისთვის, რომ ვეზერის შესართავთან პორტი შექმნილიყო.

1837 წლის ივლისში დიდი ბრიტანეთისა და ჰანოვერის მეფის ვილჰელმ IV-ს უმემკვიდროდ გარდაცვალების შემდეგ, ინგლისის ტახტზე ის მისმა ძმისწულმა ვიქტორიამ შეცვალა. ჰანოვერში კი, სადაც სალიკური კანონი მოქმედებდა მისი ძმა ერნესტ-ავგუსტი გამეფდა. ამგვარად, **დიდი ბრიტანეთისა და ჰანოვერის გვირგვინები კვლავ გაიყო.**

1854 წელს ჰანოვერის სამეფო საბაჟო კავშირს შეუერთდა.

გერმანიის კონფედერაციის ერთგულებით, 1866 წლის ავსტრია-პრუსიის კონფლიქტში ჰანოვერმა ავსტრიის მხარე დაიკავა; მისი ჯარები პრუსიამ ლანგელზალცასთან დაამარცხა (ივნისი). კანცლერმა ბისმარკმა პრუსიის ტერიტორიის გაფართოების საშუალება დაინახა ჰანოვერის იმ სამფლობელოების მიერთებაში, რომლებიც პრუსიის სამეფოს ორ ნაწილად ყოფდა.

პრაღის ხელშეკრულებით (1866 წლის აგვისტო), რომელიც ბისმარკს მოქმედების თავისუფლებას აძლევდა, 1866 წლის ოქტომბერში პრუსიამ მიიერთა **ჰანოვერის სამეფო მთლიანად,** რომელიც ყოველგვარი შიდა ცვლილებების გარეშე პრუსიის პროვინცია გახდა.

14. ბრაუნშვაიგი, ლიპე და ვალდეკი

ვენის კონგრესზე ბრაუნშვაიგის საჰერცოგოს აღდგენის საკითხი გადაწყდა, რომელიც გერმანიის კონფედერაციას შეუერთდა. ფრანკფურტის დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა) ბრაუნშვაიგის ჰერცოგს ერთი ხმა ჰქონდა; დახურულ სხდომებზე (17 ხმა) ის ერთ საეკლესიო ხმას იყოფდა ნასაუს ჰერცოგთან.

1842 წელს ბრაუნშვაიგის საჰერცოგო საბაჟო კავშირს შეუერთდა.

ლიპეს ორი სამთავრო გერმანიის კონფედერაციას შეუერთდა. ფრანკფურტის დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა) ლიპეს თითოეულ სამთავროს თითო ხმა ჰქონდა; დახურულ სხდომებზე (17 ხმა) ისინი ერთ საეკლესიო ხმას იყოფდნენ ორ ჰოენცოლერნთან, ლიხტენშტაინთან, ვალდეკთან, როისთან და ჰესენ-ჰომბურგთან.

1842 წელს ლიპეს ორი სამთავრო საბაჟო კავშირს შეუერთდა.

1851 წელს ლიპე-დეტმოლდის სამთავრომ პრუსიას ლიპშტადტზე თავისი თანასუფლენობის წილი მიჰყიდა.

ვალდეკის სამთავრო შეყვანილი იქნა გერმანიის კონფედერაციაში. ფრანკფურტის დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა) მას ერთი ხმა ჰქონდა; დახურულ სხდომებზე (17 ხმა) ვალდეკი ერთ საეკლესიო ხმას იყოფდა ორ ჰოენცოლერნთან, ორ ლიპესთან, როისებთან, ჰესენ-ჰომბურგთან და ლიხტენშტაინთან.

1838 წელს ვალდეკის სამთავრო საბაჟო კავშირს შეუერთდა.

15. ჰესენი

ჰესენ-კასელის კურფიურსტს მეფის ტიტული სურდა, მაგრამ მოლაპარაკებები წარუმატებელი აღმოჩნდა და 28 აპრილს მან კონგრესზე განაცხადა, რომ კურფიურსტობას ინარჩუნებდა და არ სურდა ერცჰერცოგი გამხდარიყო, რადგან არჩევნების გარეშე მომავალ გერმანიაში ეს ტიტული აზრს კარგავდა.

1815 წლის ივნისში ორივე ჰესენი გერმანიის კონფედერაციაში გაერთიანდა. ფრანკფურტის ფედერალური დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა) ჰესენ-კასელის კურფიურსტს და ჰესენ-დარმშტადტის ერცჰერცოგს, თითოეულს სამი ხმა ჰქონდა; დახურულ სხომებზე (17 ხმა) თითეული ერთ ხმას ფლობდა.

ჰესენის სამფლობელოებში მომხდარი ტერიტორიული ცვლილებები ძალიან სერიოზული მოლაპარაკებებისა და იმ რეგიონის სხვადასხვა სახელმწიფოს წინააღმდეგობრივი მოთხოვნების საბაბი გახდა.

ყველაფერი პრუსიასა და ჰესენ-კასელს შორის დადებული კასელის ხელშეკრულებით, ორ ჰესენს შორის ფრანკფურტში ხელმონერილი ხელშეკრულებით და კვლავ ფრანკფურტში პრუსიასა და ჰესენ-დარმშტადტს შორის დადებული ხელშეკრულებით დარეგულირდა (1815 წლის ოქტომბერი – 1816 წლის ივნისი). **ჰესენ-კასელმა დაუთმო:**

– **ქვემო კატცენელენბონგენის საგრაფო პრუსიას** მომავალში ნასაუსთვის გადაცემის პირობით;

– **ჰესენ-დარმშტადტს** რამდენიმე **საბაიო;**

– **საქსენ-ვაიმარის საერცჰერცოგოს** საბაიო **ფახი;**

– ჰესენის ანკლავები ჰოია და დიფოლცი, ასევე **პლესის** სამფლობელო **ჰანოვერის სამეფოს.**

ჰესენ-კასელმა მიიღო:

– იზემბურგის სამთავროს ჩრდილოეთის ნახევარი (ბირშტაინი, ვეხტერსბა-ხი, მერპოლცი);

– ფულდეს სამთავრო თითქმის მთლიანად ბავარიისათვის დათმობილი საბაიოების გამოკლებით: ჰამელბურგი, ბრუკენაუ;

– ფოლკსმარსენის ყოფილი საბაიო, რომელიც 1803 წელს ჰესენ-დარმშტადტს ეკუთვნოდა, 1807 წელს კი ვესტფალიას გადაეცა.

ჰესენ-კასელის საკურფიურსტოს ფართობი 9 600 კმ^2-ს შეადგენდა. ის ოთხ პროვინციად იყოფოდა: ქვემო ჰესენი და შომბურგი (კასელი), ზემო ჰესენი (მარბურგი), ფულდე და შმალკალდე (ფულდე), ჰანაუ.

ჰესენ-დარმშტადტმა დაუთმო:

– პრუსიას ვესტფალიის ყოფილი საპერეოგო და ვიტგენშტაინის ყოფილი საგრაფო;

– ჰესენ-კასელს ფოლკსმარსენის საბაიო;

– ჰესენ-ჰომბურგის სალანდგრაფო თავის ყოფილ მფლობელს, რომელიც თავის უფლებებში კონგრესმა აღადგინა.

ჰესენ-დამშტადტმა მიიღო:

– იზემბურგის სამთავროს სამხრეთი ნაწილი (**ოფენბახი**) **და** ჩრდილოეთის ნახევარი (**ბუდინგენი**);

– ჰესენ-კასელის რამდენიმე საბაიო;

– ნაესა და **რაინს** შორის მდებარე ტერიტორია მთლიანად (**მაინცი, ვორმსი, ოპენჰაიმი, ალცაი, ბინგენი**), **რომელიც** პრუსიამ დათმო დროებითი მფლობელობის შემდეგ; მას თავიდან ვორმსის სამთავრო ეწოდა, შემდეგ ჰესენ-რაინი.

მაინცის ციხე-სიმაგრე ფედერალურ ციხე-სიმაგრედ გამოცხადდა, სადაც პრუსიის, ავსტრიის და ჰესენის გარნიზონები უნდა მდგარიყო.

ჰესენ-დარმშტადტის საერეკპერეოგოს ფართობი 8 400 კმ^2 გახდა და სამ პროვინციად იყოფოდა: ზემო ჰესენი (გისენი), შტარკენბურგი (დარმშტადტი), ჰესენ-რაინი (მაინცი). ზემო ჰესენი ორი დანარჩენი პროვინციისგან გამოყოფილი იყო ქალაქ ფრანკფურტით და ჰანაუს საგრაფოთი. ჰესენ-დარმშტადტს ასევე არათანაბარი მნიშვნელობის 18 ანკლავი ჰქონდა სხვადასხვა მოსაზღვრე სახელმწიფოში ვალდეკიდან ნეკარამდე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქალაქი ვიმპფენი.

ჰესენ-ჰომბურგის აღდგენილი **სალანდგრაფო შედგებოდა:**

– ჰომბურგის სალანდგრაფოსგან, რომელიც ჰესენ-დარმშტადტმა დააბრუნა;

– მაიზენჰაიმის სამთავროსგან, პფალცის ყოფილი ტერიტორია, **რომელიც** პრუსიამ დათმო.

ეს იყო პატარა სახელმწიფო, რომლის ფართობი შეადგენდა 300 კმ^2-ს მოსახლეობა 20 000 კაცს. 1817 წელს ის გერმანიის კონფედერაციაში გაერთიანდა და ერთი ხმა ჰქონდა ფრანკფურტის დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა) და ერთ ხმას იყოფდა დახურულ სხდომებზე (17 ხმა) ორ ჰოენცოლერნთან, ლიხტენშტაინთან, ვალდეკთან, ორ ლიპესთან და როისებთან.

1819 წლის 20 ივლისის ფრანკფურტის დეკრეტით, რომლითაც გერმანიაში ტერიტორიული დავები დასრულდა, **ჰესენ-დარმშტადტმა ბავარიას დაუთმო** მაინცის ყოფილი ოლქები **ალცენაუ, მილტენბერგი, ამორბახი.**

ჰესენ-დარმშტადტი 1829 წელს შეუერთდა საბაიო კავშირს, ჰესენ-კასელი კი 1831 წელს.

როდესაც 1866 წლის 24 მარტს ლანდგრაფი ფერდინანდი ვაჟი მემკვიდრის გარეშე გარდაიცვალა, ჰესენ-ჰომბურგის სალანდგრაფო ჰესენ-დარმშტადტის დიდ საპერეოგოს შეუერთდა.

1866 წლის ავსტრია-პრუსიის კონფლიქტში ორივე ჰესენმა ავსტრიის მხარე დაიკავა. ჰესენ-დარმშტადტის ერეკპერეოგმა თავისი სამფლობელო იმით გადაარჩინა, რომ რუსეთის დედოფლის ძმა იყო. 1866 წლის 3 სექტემბრის ბერლინის ხელშეკრულებით **ჰესენ-დარმშტადტმა პრუსიას დაუთმო შემდეგი ტერიტორიები:**

– **ჰესენ-ჰომბურგის სალანდგრაფო;**

– **ბიდენკოპფის** და **ფელის** ოლქები, რომლებიც ჰესენის საკურფიურსტოსა და ნასაუს შორის მდებარეობდა;

– პრუსიის ტერიტორიებში შეჭრილი რამდენიმე ანკლავი.

მთლიანად გადაცემული ტერიტორიები შეადგენდა 1 100 კმ^2-ს და 75 000 მცხოვრებს, რასაც უნდა გამოაკლდეს 100 კმ^2 და 11 000 მცხოვრები, რაც პრუსიის მიერ ჰესენისთვის გადაცმულ **ნაუჰაიმისა** და **რუმპენჰაიმის** ფართობს შეესაბამებოდა.

ამგვარად, დიდი საჰერცოგოს ფართობი გახდა 7 700 კმ^2 და მოსახლეობა კი 820 000 კაცი, აქედან 3 300 კმ^2 და 255 000 კაცი ეკუთვნოდა ზემო ჰესენს მაინის ჩრდილოეთით და 4 400 კმ^2 და 565 000 კაცი ჰესენ-რაინს და შტარკენბურგს მაინის სამხრეთით.

ჰესენ-კასელის საკურფიურსტო პრუსიამ შეიერთა. ის ჰესენ-ნასაუს ახალი პროვინციის მთავარი შემადგენელი ნაწილი გახდა, რომელშიც შედიოდა: ჰესენ-კასელი შომბურგისა და შმალკალდეს ანკლავებით, ნასაუ, ფრანკფურტი, ჰესენ-ჰომბურგი, ჰესენ დარმშტადტის მიერ დათმობილი ოლქები, ბავარიის მიერ დათმობილი ორბის ოლქი და გერსფელდი.

16. ნასაუ

1815 წლის 31 მაისს ვენის ხელშეკრულებით **ნიდერლანდის მეფემ ვილჰემმა** (ორან-ნასაუს მთავარი) **პრუსიის სასარგებლოდ უარი თქვა თავის სამფლობელოებზე გერმანიაში,** რომელმაც სანაცვლოდ მას ლუქსემბურგი დაუთმო, რომელიც მისთვის საერცჰერცოგო გახადეს.

ნასაუს საჰერცოგომ პრუსიისგან მიიღო ორანის ყოფილი სამთავროები **დიცი, ჰადამარი, დილენბურგი** და სამფლობელოები **ბაილშტაინი** და **ბურბახი.**

სანაცვლოდ, **ნასაუს საჰერცოგომ პრუსიას დაუთმო** სოლმსის ყოფილი საგრაფოს თავისი წილი (**ბრაუნფელსი, ჰოენსოლმსი, გრაიფენშტაინი**) და **ლინცის, ალტენვიდის, ნოვიდის, ფალენდარის, ერენბრაინშტაინის** და **ალტენკირხენის** საბაიოები (რაინის მარჯვენა სანაპიროზე).

1815 წლის ივნისში ნასაუს საჰერცოგო გერმანიის კონფედერაციაში გაერთიანდა. ფრანკფურტის ფედერალური დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა) ნასაუს საჰერცოგოს ორი ხმა ჰქონდა; დახურულ სხდომებზე (17 ხმა), ის ერთ ხმას იყოფდა ბრაუნშვაიგის საჰერცოგოსთან.

1816 წლის 24 მარტს ნასაუ-უზინგენის ჰერცოგის გარდაცვალების შემდეგ, მთავარი ვილჰელმ ნასაუელ-ვაილბურგი **ნასაუს ჰერცოგი** გახდა.

1816 წლის ოქტომბერში **ნასაუს საჰერცოგომ** ბოლო გაცვლა გააკეთა პრუსიასთან, **მან პრუსიისგან მიიღო ქვემო კატცენლენბონგენის** საგრაფო (რომელიც 1815 წელს, ოქტომბერში ჰესენ-კასელმა დათმო) და **მას დაუთმო ბურბახის** სამთავრო და **ატცბახის** საბაიო.

ნასაუს საჰერცოგო, რომლის დედაქალაქიც იყო ვისბადენი, საბოლოო ფორმის მიღების შემდეგ მოიცავდა 4 700 კმ^2-ს.

1836 წელს, ნასაუს საჰერცოგო საბაჟო კავშირს შეუერთდა.

1866 წლის ავსტრია-პრუსიის კონფლიქტში, ნასაუს საჰერცოგომ ავსტრიის მხარე დაიკავა. პრუსიამ გადაწყვიტა **ნასაუს საჰერცოგოს გაუქმება,** რომელიც პრუსიის სამეფოს შეუერთდა. პრუსიამ ნასაუ სხვა ანექსირებულ ქვეყნებს შეუერთა (ჰესენ-კასელი, ფრანკფურტი, ჰომბურგი, ჰესენ-დარმშტადტის ოლქები, ორბის და გერსფელდის ოლქები) და შექმნა ახალი პროვინცია ჰესენ-ნასაუ.

17. ჰანზის ქალაქები და თავისუფალი ქალაქი ფრანკფურტი

ვენის კონგრესზე თავისი სტატუსი ყოფილი საღვთო რომის იმპერიის თავისუფალი ქალაქებიდან მხოლოდ ჰანზის სამმა ქალაქმა და მაინის ფრანკფურტმა შეინარჩუნა.

ჰანზის სამმა ქალაქმა ის ტერიტორიული მდგომარეობა დაიბრუნა, რომელიც ნაპოლეონის ეპოქაში ჰქონდა, საერთო საბაიოს ბერგედორფის ჩათვლით და

გერმანიის კონფედერაციაში შევიდა. ფრანკფურტის ფედერალური დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა) თითეულ ქალაქს ერთი ხმა ჰქონდა, დახურულ სხდომებზე (17 ხმა) სამივე ქალაქი ერთ საერთო საეკლესიო ხმას ფლობდა;

1827 წელს ქალაქმა **ბრემენმა ჰანოვერის სამეფოსგან** ვეზერის შესართავთან მდებარე **ბრემერჰაფენის ტერიტორია** იყიდა, რათა ახალი პორტი შეექმნა, ვინაიდან ფეგესაკი უკვე არასაკმარისი იყო.

ქალაქი ფრანკფურტი გერმანიის კონფედერაციის დედაქალაქად იქნა არჩეული. კონფედერაციის დიეტის სხდომები იქ იმართებოდა. თავის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა) ქალაქ ფრანკფურტს ერთი ხმა ჰქონდა; დახურულ სხდომებზე (17 ხმა) ის ერთ საეკლესიო ხმას იყოფდა სამ თავისუფალ ქალაქთან.

1848 წლის მაისიდან ერთი წლის განმავლობაში ფრანკფურტში ლიბერალური პარლამენტი მუშაობდა, რომელიც სარგებლობდა რა ევროპის რევოლუციებით, ნარუმატებლად ცდილობდა გერმანელი ერის გაერთიანებას.

1866 წლის ავსტრია-პრუსიის კონფლიქტში, ფრანკფურტმა ავსტრიის მხარე დაიკავა. გამარჯვებულმა პრუსიამ დაშალა გერმანიის კონფედერაცია. 1866 წლის აგვისტოში **პრუსიამ მოახდინა ქალაქ ფრანკფურტის ანექსირება** და ის თავის ჰესენ-ნასაუს პროვინციას შეუერთა.

V. პრუსიის გერმანია (1866-1918). გერმანული ერის დაბადება

1. ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციიდან გერმანიის იმპერიამდე (1866-1917)

1867 წლის თებერვალში გერმანიის კონფედერაციის დაშლისა და გერმანიის სცენიდან ავსტრიელების განდევნის შემდეგ, პრუსიამ შექმნა **ჩრდილოეთი გერმანიის კონფედერაცია**, რომლის კანონიერი თავმჯდომარეც პრუსიის მეფე გახდა. ამ კონფედერაციაში მაინის ჩრდილოეთით მდებარე სახელმწიფოები გაერთიანდნენ, რომლებიც პრუსიამ თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია.

პრუსიამ იქ ზოგიერთი თავისი ტერიტორია გააერთიანა, რომელთა შორის არაგერმანული სამფლობელოებიც იყო, მაგალითად შლეზვიგი, პრუსიისა და პოზნანის პოლონური პროვინციები, რამაც მას კონფედერაციის ინსტიტუტების მართვა შეაძლებინა. კონფედერაციის ფედერალურ საბჭოზე (43 ხმა) პრუსიის მეფეს 17 ხმა ჰქონდა: ოთხი ყოფილი სამეფოდან, ოთხი ჰანოვერის, სამი ჰესენ-კასელის, სამი ჰოლშთაინის, ორი ნასაუსი და ერთი ფრანკფურტის.

ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციაში ადრინდელისაგან განსხვავებული მდგომარეობა იყო, რაც საერთო ინსტიტუტების შექმნამ განაპირობა; ის მიზნად ისახავდა გერმანია ფედერალური სახელმწიფო გამხდარიყო: თავმჯდომარის მიერ მიღებულ აქტებს ფედერალური კანცლერი ანერდა ხელს, კონფედერაციის ქვეყნების ეროვნება საერთო გახდა, ასევე საერთო იყო საზღვარგარეთ წარმომადგენლობა, კანონმდებლობა ფედერალური, ხოლო არმია და საზღვაო ფლოტი საერთო იყო.

უფრო მეტიც, ტრადიციული ფედერალური საბჭო (ბუნდესრატი), სადაც სუვერენები იყვნენ წარმოდგენილნი, პარლამენტით ჩანაცვლდა (რაიხსტაგი), რომლის არჩევაც საყოველთაო არჩევნებით ხდებოდა და რომელსაც თავისი დემოგრაფიული წონიდან გამომდინარე პრუსია აკონტროლებდა.

კონფედერაციაში პრუსიის გარდა 1867 წელს არსებული ყველა გერმანული სახელმწიფო შედიოდა, ავსტრია, ლიხტენშტაინი, ბავარია, ვიურტემბერგი, ბადენი და ჰესენ-დარმშტადტი თავისი ორი მესამედის გამოკლებით.

პრაღის ხელშეკრულების მიხედვით მაინის სამხრეთით მდებარე ქვეყნებს შეეძლოთ სამხრეთი გერმანიის კონფედერაციის შექმნა, მაგრამ ამის განხორციელებას ბავარიამ შეუშალა ხელი.

1867 წლის ივლისში ეკონომიკური მოსაზრებების გამო შეიქმნა, ფედერალური საბჭო და საბაჟო პარლამენტი, სადაც როგორც ფედერაციის ნევრი ქვეყნები, ასევე მაინის სამხრეთით მდებარე ქვეყნები შედიოდნენ.

1870 წლის ივლისში მაინის სამხრეთის სამი სახელმწიფო საიდუმლო ალიანსში შევიდა კონფედერაციასთან და საფრანგეთის წინააღმდეგ ომში მიიღო მონაწილეობა.

პრუსიასთან ხელმოწერილი შეთანხმებით, რომელიც 1870 წლის 15-25 ნოემბერს გაფორმდა ვერსალსა და ბერლინში, **ბავარიისა და ვიურტემბერგის სამეფოები, ბადენის და ჰესენ-დარმშტადტის საერცჰერცოგოები ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციაში გაერთიანდნენ ტერიტორიული მთლიანობის გამო.**

ბავარიის მეფე ლუი II ბავარიელი არ თმობდა ბოლომდე თავის სუვერენიტეტს და ბისმარკი იძულებული გახდა მისთვის მეტი პრივილეგიები მიენიჭებინა: ვიტელსბახები მემკვიდრეობით მიიღებდნენ თავჯდომარეობას (შემდეგ იმპერატორის გვირგვინს) ჰოენცოლერნების ხაზის შეწყვეტის შემთხვევაში; მას ეყოლებოდა სპეციალური წარმომადგენლობა საზღვარგარეთ და უცხოელი მინისტრების აკრედიტაცია მოხდებოდა მიუნხენში, ფედერალურ საბჭოში ექნებოდა დამატებითი ხმები (ექვსი ოთხის ნაცვლად), იმისთვის რომ ბავარია მეორე პოზიციაზე ყოფილიყო; აგრეთვე ფედერალურ არმიაში ბავარიის სამხედრო კორპუსი დამოუკიდებელი იქნებოდა.

პრუსიის საფრანგეთზე გამარჯვების შემდეგ, 1871 წლის 18 იანვარს **ვერსალში გამოცხადდა გერმანიის იმპერია,** პრუსიის მეფე გერმანიის იმპერატორი გახდა მემკვიდრეობის უფლებით და ამასთანავე პრუსიის მეფის ტიტულიც შეინარჩუნა.

მართალია იმპერია თეორიულად კონფედერაციად რჩებოდა, მაგრამ ფაქტობრივად ფედერალური ხდებოდა პრუსიის მზარდი ჰეგემონიით ყველა სფეროში. სხვა სახელმწიფოები გარეგნულად სუვერენულები რჩებოდნენ, მაგრამ სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდნენ პროვინციებს. გერმანია ერთიანი სახელმწიფოს ფორმას იღებდა და თავის ადგილს იკავებდა ევროპის ძლიერ სახელმწიფოებს შორის.

1871 წლის 10 მაისის ფრანკფურტის შეთანხმებით დამტკიცდა **საფრანგეთის მიერ გერმანიისათვის ალზასის (ბელფორტის გამოკლებით) და ლოთარინგიის ჩრდილო-აღმოსავლეთის გადაცემის ფაქტი.**

დათმობილი ტერიტორია, რომელსაც ალზას-ლოთარინგია ეწოდა, არ გადასცემია გერმანიის არც ერთ სახელმწიფოს, არამედ მან იმპერიის საერთო მიწა (Reichsland) შეადგინა, იმპერატორის პირდაპირი ადმინისტრაციის ქვეშ. ის წარმოდგენილი არ იყო ფედერალურ საბჭოში:1874 წლიდან მას ნება დაერთო 15 დეპუტატი გაეგზავნა ბერლინის პარლამენტში.

1871 წელს გერმანიის იმპერიას 540 000 კმ^2 ეკავა 43 მილიონი მცხოვრებით. მისი შემადგენლობა შემდეგნაირი იყო:

– პრუსიის სამეფო (ბერლინი). 347 500 კმ^2, 26 მილიონი მცხოვრებით 12 სარეგენტო;
  – ბრანდერბურგი (პოტსდამი და ბერლინი, ოდერის ფრანკფურტი);
  – პომერანია (შტეტინი, შტრალზუნდი, გესლანი);
  – სილეზია (ბრესლაუ, ლიგნიცი, ოპილნი);
  – პოზნანი (პოზნანი, ბიდგოშცი);
  – საკუთვრივ პრუსია (კენიგსბერგი, გუმბინენი, დანციგი, კვიძინი);
  – საქსონია (მაგდებურგი, მერსებურგი, ერფურტი);
  – ვესტფალია (მიუნსტერი, მინდენი, არენსბერგი);
  – რაინი (კობლენცი, დიუსელდორფი, კიოლნი, აახენი, ტრირი, ჰოენცოლერნი);
  – ჰანოვერი (ჰანოვერი, ჰილდესჰაიმი, ლუნებურგი, შტადე, ოსნაბრიუკი, აურიხი);
  – ჰესენ-ნასაუ (კასელი, ვისბადენი), შაუმბურგის და შმალკადეს ანკლავი;
  – შლეზვიგ-ჰოლშტაინი (შლეზვიგი, კილი);
  – ლაუენბურგი (რატცებურგი);
– ბავარიის სამეფო (მიუნხენი), 76 000 კმ^2, 5 მილიონი მცხოვრებით, 8 ოლქი;

– ზემო ბავარია (მიუნხენი); ქვემო-ბავარია (პასაუ); ზემო პფალცი (ამბერგი); ზემო ფრანკონია (ბაიროითი); ქვემო ფრანკონია (ვიურცბურგი); ფრანკონია-მაიენი (ანსბახი); შვაბია (აუგსბურგი); პფალცი (შპაიერი);
– საქსონიის სამეფო (დრეზდენი), 15 000 კმ², 2,8 მილიონი მცხოვრები, 4 ოლქი;
– დრეზდენი, ლაიპციგი, ცვიკაუ, ბაუტცენი;
– ვიურტემბერგის სამეფო (შტუტგარტი), 19 500 კმ², 2 მილიონი მცხოვრები, 4 ოლქი:
– ნეკარი (ლუდვიგსბურგი), შვარცვალდი (როიტლინგენი), იაგსტი (ულვანგენი), დუნაი (ულმი) ;
– ბადენის საერცჰერცოგო (კარლსრუე), 15 000კმ2, 1,5 მილიონი კაცი, 4 ოლქი :
– ლაკი (კონსტანცი), ზემო რაინი (ფრიბურგი), შუა რაინი (კარლსრუე), ქვემო რაინი (მანჰაიმი);
– ჰესენ-დარმშტადტის საერცჰერცოგო (დარმშტადტი), 7 7000 კმ², 900 000 მცხოვრები, 3 ოლქი;
– ზემო-ჰესენი (გისენი), შტარკენბურგი (დარმშტადტი), ჰესენ-რაინი (მაინცი);
– მეკლენბურგ-შვერინის საერცჰერცოგო (შვერინი), 13 300 კმ², 60 000 მცხოვრები;
– მეკლენბურგ-შტრელიცის საერცჰერცოგო (ნოიშტრელიცი) 3000 კმ², 100 000 მცხოვრები;
– საქსენ-ვაიმარის საერცჰერცოგო (ვაიმარი), 3 500 კმ², 300 000 მცხოვრები;
– ოლდენბურგის საერცჰერცოგო (ოლდენბურგი), 6 400 კმ², 320 000 მცხოვრები;
– ბრაუნშვაიგის საჰერცოგო (ბრაუნშვაიგი), 3700 კმ², 330 000 მცხოვრები;
– საქსენ-მაინინგენ-ჰილდბურგჰაუზენის საჰერცოგო (მაინინგენი), 2500 კმ², 200 000 მცხოვრები;
– საქსენ-ალტენბურგის საჰერცოგო (ალტენბურგი), 1 300 კმ², 150 000 მცხოვრები;
– საქსენ-კობურგ-გოთას საჰერცოგო (გოთა), 2 000 კმ², 180 000 მცხოვრები;
– ანჰალტის საჰერცოგო (დესაუ), 2 400 კმ², 210 000 მცხოვრები;
– შვარცბურგ-რუდოლშტადტის სამთავრო (რუდოლშტადტი), 1 000 კმ², 77 000 მცხოვრები;
– შვარცბურგ-ზონდერსჰაუზენის სამთავრო (ზონდერსჰაუზენი), 900 კმ², 67 000 მცხოვრები;
– ვალდეკის სამთავრო (აროლსენი), 1 100 კმ², 55 000 მცხოვრები;
– როის-გრაიცის სამთავრო (გრაიცი), 300 კმ², 50 000 მცხოვრები;
– როის-გერას სამთავრო (გერა), 800 კმ², 92 000 მცხოვრები;
– ლიპე-დეტმოლდის სამთავრო (დეტმოლდი), 1 200 კმ², 110 000 მცხოვრები;
– შაუმბურგ-ლიპეს სამთავრო (ბუკებურგი), 400 კმ², 33 000 მცხოვრები;
– თავისუფალი ქალაქი ლიუბეკი, 300 კმ², 57 000 მცხოვრები;
– თავისუფალი ქალაქი ბრემენი, 250 კმ², 142 000 მცხოვრები;
– თავისუფალი ქალაქი ჰამბურგი, 400 კმ², 390 000 მცხოვრები;
– იმპერიის ალზას-ლოთარინგიის ტერიტორია (სტრასბურგი), 14 500 კმ², 1,5 მილიონი მცხოვრები, 3 ოლქი:
– ზემო ალზასი (კოლმარი), ქვემო ალზასი (სტრასბურგი), ლოთარინგია (მეტცი).

2. გერმანიის იმპერია (1871-1918)

ახალი გერმანია, რომელსაც ბისმარკის მტკიცე ხელი მართავდა (იგი კანცლერი 1890 ნლამდე იყო), სერიოზულად ატარებდა უნიფიკაციის პოლიტიკას, რასაც ახლდა ქვეყნის მოდერნიზაცია მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებით. ის თავის ეკონომიკას ყველა მიმართულებით ავითარებდა, სახელდობრ

მაღაროებში და მძიმე მრეწველობაში (მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, მექანიკა, გემთმშენებლობა).

ასეთმა ეკონომიკურმა წინსვლამ გერმანია XX-ე საუკუნის დასაწყისში, ევროპაში ყველაზე ძლიერ სამრეწველო სახელმწიფოდ აქცია, მსოფლიოში კი, ის მეორე ადგილზე იყო შეერთებული შტატების შემდეგ. პარალელურად ბისმარკის ინიციატივით ხდებოდა სოციალური კანონების მიღება, რის შედეგადაც გერმანია წინ უსწრებდა ევროპის სხვა სახელმწიფოებს ამ სფეროში. მრეწველობის სწრაფ ზრდას მუშათა კლასისა და რაიხსტაგის სოციალისტური პარტიის გაძლიერება მოჰყვა.

ბისმარკის გადაყენების შემდეგ, ახალმა იმპერატორმა ვილჰელმ II-მ გადაწყვიტა თავისი ოცნებების განხორციელება ძლიერი სახელმწიფოს თაობაზე სამხედრო და სავაჭრო სანაოსნოს განვითარებით დაენყო, რამაც ურთიერთობა გაამწვავა დიდ ბრიტანეთთან, რომელიც თვლიდა, რომ საფრთხე დაემუქრა. მან ასევე გაშალა კოლონიური პოლიტიკა, რაზეც ბისმარკი ყოველთვის უარს ამბობდა. ამგვარ ექსპანსიას საბოლოოდ მოჰყვა ევროპის სახელმწიფოებს შორის ძალთა თანაფარდობის დარღვევა და 1914 წლის დაპირისპირება გარდაუვალი აღმოჩნდა.

ტერიტორიული თვალსაზრისით გერმანიაში მდგომარეობა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში მიმდინარე არეულობების შემდეგ სტაბილური გახდა და 1919 წლამდე იქ ცვლილებები თითქმის არ მომხდარა.

1867 წლის 18 იულის ვალდეკის სამთავროს თავისი ადმინისტრაცია ათი წლის ვადით პრუსიის მთავრობას გადასცა.

1867 წლის აგვისტოს ქალაქ ჰამბურგმა ლიუბეკისაგან ბერგედორფზე სუვერენიტეტის თავისი წილი იყიდა, რომელიც ჰამბურგის ტერიტორიას მიუერთდა.

1876 წელს გაუქმდა ლაუნებურგის პრუსიული პროვინცია. მისი ტერიტორია მთლიანად მიუერთდა შლეზვიგ-ჰოლშტაინს.

1878 წელს პრუსიის პროვინცია ხელახლა გაიყო ორ პროვინციად, დასავლეთ პრუსიად (დანციგი, კვიძინი) და აღმოსავლეთ პრუსიად (კენიგსბერგი, გუმბინენი).

1884 წელს ბრაუნშვაიგის უფროსი ხაზის ჰერცოგის გარდაცვალების შემდეგ, რომელსაც ვაჟი მემკვიდრე არ ჰყავდა:

– ელსის სილეზიური საჰერცოგო დაუბრუნდა პრუსიის გვირგვინს ყოფილი სამფლობელოს სახელით;

– კუმბერლანდის ჰერცოგმა, მეფე გეორგ V ჰანოვერის ვაჟმა, პრუსიის მიერ 1866 წელს ჩამორთმეული ჰერცოგოობა მიიღო; მაგრამ ამას კანცლერი ბისმარკი შეეწინააღმდეგა პოლიტიკური მოსაზრებების გამო და საჰერცოგოს რეგენტად პრუსიის პრინცი ალბერტი დაინიშნა.

1890 წელს ინდოეთის ოკეანის კუნძულ ზანზიბარის სანაცვლოდ დიდმა ბრიტანეთმა **გერმანიას დაუთმო კუნძული ჰელიგოლანდი.**

1905 წელს შეცვლილი პოლიტიკური გარემოებების შედეგად კუმბერლანდის ჰერცოგის ვაჟი პრუსიის მეფის ქალიშვილზე დაქორწინდა და ბრაუნშვაიგის ჰერცოგი გახდა.

1914 წლის ივლისში ავსტრია-უნგრეთთან თავისი ალიანსის თამაშით გერმანია პირველ მსოფლიო ომში ჩართული აღმოჩნდა. მას ორ ფრონტზე მოუხდა ბრძოლა, დასავლეთით საფრანგეთ-ბრიტანეთის ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც 1917 წელს ამერიკელებმა გააძლიერეს და აღმოსავლეთით რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. ომი დამანგრეველი აღმოჩნდა გერმანიისათვის. გერმანული ექსპანსიის პერიოდის შემდეგ, 1914 წლის შემოდგომიდან ფრონტებზე მდგომარეობა უფრო სტაბილური გახდა.

1917 წლის რუსეთის რევოლუციამ გერმანიას საშუალება მისცა გამარჯვების მოსაპოვებლად მთელი ძალები დასავლეთით გადაესროლა. 1918 წლის 3 მარტს იმის გამო, რომ ლენინის მთავრობა იძულებული გახდა შეწყვიტა ომი შიდა მიზეზების გამო, ხელი მოაწერა გერმანიასთან ბრესტ-ლიტოვსკის ზავს. რუსეთმა უარი თქვა უკრაინაზე, პოლონეთზე, ლიტვაზე, კურლანდიაზე, ლივონიაზე, ესტონეთზე, ფინეთზე.

1918 წლის 13 აპრილს ესტონეთისა და ლივონიის გერმანელების ინიციატივით მონვეულ ეროვნულ კონგრესზე გადაწყდა შექმნილიყო **ბალტიკუმის საპერ-ცოგო**, სადაც ეს ორი ქვეყანა და კურილანდია გაერთიანდებოდა და რომელიც პრუსიის მეფეს დაექვემდებარებოდა.

მაგრამ ბერლინის ხელისუფლებამ **„ბალტიის სახელმწიფოების"** რანგში მხოლოდ ესტონეთი და ლივონია (ამ უკანასკნელს ჩამოაჭრეს რიგის ოლქი) აიყვანა. **კურლანდია და რიგის ოლქი დროებით გერმანიას მიუერთდა.**

დასავლეთის ფრონტზე გერმანიის ჯარების კონცენტრაციის მიუხედავად, ამერიკის დახმარების შედეგად 1918 წლის შემოდგომაზე მოკავშირეებმა შეძლეს გერმანელების დამარცხება. 11 ნოემბერს რეტონდში ხელი მოეწერა საფრანგეთსა და გერმანიას შორის ზავს.

გერმანიის დამარცხებამ გერმანიაში დიდი სოციალური ძვრები გამოიწვია, **ასევე დაემხო იმპერიის ყველა მონარქია**, პირველ რიგში პრუსიის სამეფო, 28 ნოემბერს იმპერატორი ვილჰელმ II ნიდერლანდში გაიქცა. 1918 წლის 6 ნოემბერს ბერლინში სოციალისტ ფრიდრიხ ებერტმა რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა.

1919 წლის იანვარში ხელისუფლების მიტაცების მცდელობა კომუნისტი რევოლუციონერების მხრიდან (კარლ ლიბკნეხტი, როზა ლუქსენბურგი) მარცხით დამთავრდა, რასაც ხელი სოციალისტი ნოსკეს შეიარაღებულმა ძალებმა შეუშალა.

მიუხედავად ძალაუფლება კომუნისტმა კურტ აიზნერმა მოიპოვა და რევოლუციური რეჟიმი დაამყარა. კურტ აიზნერის სიკვდილის შემდეგ (1919 წლის 21 თებერვალი), 4 აპრილს რევოლუციონერებმა გამოაცხადეს ეფემერული **ბავარიის სოციალისტური რესპუბლიკა**, რომელიც 1919 წლის 1 მაისს დაემხო ფედერალური ჯარების მიერ. ქვეყანამ **ბავარიის თავისუფალი სახელმწიფოს** სახელწოდება აიღო და გერმანიის ახალი ფედერალური რესპუბლიკის წევრი გახდა.

ასევე გაუქმდა ბრემენში არსებული დამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკაც (1919 წლის იანვარი).

VI. გერმანია ორ ომს შორის პერიოდში (1919-1939). ეკონომიკური კრიზისიდან იდეოლოგიურ კრიზისამდე

1. ე.წ. ვაიმარის საპარლამენტო რესპუბლიკა (1919-1933)

1919 წლის 19 იანვარს შედგა საკონსტიტუციო ასამბლეა, რომლის შეკრებებიც ვაიმარში თებერვლის თვიდან დაიწყო. 31 ივლისს მან ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომელმაც გერმანიას თავისი ფედერალური სახელმწიფო შეუნარჩუნა.

სამშვიდობო ხელშეკრულებებით განსაზღვრული მომავალი ტერიტორიული დანანილების გათვალისწინებით, რომლებიც ძირითადად პრუსიის ხარჯზე უნდა მომხდარიყო, კონსტიტუციამ შეინარჩუნა გერმანიის შიდა სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, ისეთი, როგორიც ან უკვე დაშლილი იმპერიის დროს არსებობდა; გამონაკლისს შეადგენდა თიურინგია, რომლის ბედიც შემდეგნაირად გადაწყდა:

– რვა პატარა სახელმწიფო, კობურგის საპერცოგოს, კობურგის ანკლავების კენიგსბერგისა და ნასახის, ასევე ვაიმარის ანკლავის ოსტჰაიმის გამოკლებით 1920 წელს უნდა გაერთიანებულიყო ერთ გერმანულ რესპუბლიკაში, **თიურინგიაში**, რომლის დედაქალაქიც იქნებოდა ვაიმარი, ხოლო ფართობი გაუტოლდებოდა 11 800 კმ^2; პრუსია შეინარჩუნებდა თავის ანკლავებს ჰენებერგს, რანისს, კაულსდორფს, ასევე ნახევრად ანკლავს ერფურტს.

– კობურგის ყოფილი საპერცოგო და თიურინგიის ანკლავები (კენიგსბერგი, ნასახი, ოსტჰაიმი), 1920 წლის 1 ივლისს გამართული პლებისციტის შედეგად ჩამოეჭრა თიურინგიას და მიუერთდა ბავარიას, ზემო ფრანკონიის ოლქს, რითაც მისი ტერიტორია 600 კმ^2-ით გაიზარდა.

ამასობაში, რაინის ოლქში, ფრანგი სამხედროები სტრატეგიული მოსაზრებებიდან გამომდინარე ითბოვდნენ მხარი დაეჭირათ რაინის დამოუკიდებლობის მოძრაობისათვის. ინგლისელები და ამერიკელები შეეწინააღმდეგნენ ამ მოთხოვნას; ისინი რაინის ოლქის გერმანიის შემადგენლობაში დარჩენას ემხრობოდნენ,

ხოლო საფრანგეთს დროებით გადაეცა ეკონომიკური ტერიტორია (ზაარი), ომის დროს მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად.

1919 წლის 1 ივნისს დორთენმა გამოაცხადა **რაინის რესპუბლიკა** აახენის, მაინცის, ვისბადენის და შპაიერის შემადგენლობით; ამავე რესპუბლიკაში რომლის დედაქალაქიც იყო კობლენცი, შევიდოდა პფალცი, ჰესენ-რაინი, ნასაუ, რაინის პრუსია. ამ რესპუბლიკას ძალიან სუსტი მხარდაჭერა ჰქონდა კიოლნის ბურგომისტრის კონრად ადენაუერისაგან, რაც ბუნებრივია საქმეს ვერ შველოდა და ის მაშინათვე დაიშალა.

1919 წლის 28 ივნისს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, გერმანიის წარმომადგენლებს, რომლებიც დისკუსიებზე დაშვებულნი არ იყვნენ თავს მოახვიეს ვერსალის ზავი.

გერმანია იძულებული იყო დაეთმო:

– **საფრანგეთისათვის ალზას-ლოთარინგია** (14 500 კმ², 1.7 მილიონი მცხოვრებით);

– **ბელგიისათვის ეიპენის, მალმედის, სენ-ვითის** კანტონები (1 000 კმ², 60 000 მცხოვრებით).

– **ახალი ჩეხოსლოვაკიისათვის ჰულცინი** (300 კმ², 48 000 მცხოვრებით), რომელიც სილეზიას ჩამოეჭრა და შეესაბამებოდა ტროპაუს სამთავროს ჩრდილოეთის ნილს, რომლის ანექსირებაც 1742 წელს მოახდინა პრუსიამ;

– აღდგენილი **პოლონეთისათვის პოზნანის** პროვინციები გარდა დასავლეთი ნაწილისა და **დასავლეთი პრუსია** თავისი ყველაზე დასავლეთი ნაწილის (Schneidemulh), აღმოსავლეთ ნაწილის (კვიძინი) და დანციგის ტერიტორიის გამოკლებით, ასევე **აღმოსავლეთი პრუსიის ფრაგმენტი** (ზოლდაუს ტერიტორია); მთლიანად 46 000 კმ² 3900 000 მცხოვრებით;

– **მოკავშირეებისთვის მემელის** (კლაიპედა) ტერიტორია (2700 კმ², 140 000 მცხოვრებით), ე.ი. აღმოსავლეთი პრუსიის ნაწილი, რომელიც ნიემენის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა; მისი ანექსირება ლიტვამ 1923\1924 წლებში მოახდინა;

– **ერთა ლიგისთვის** თავისუფალი ქალაქის დასაარსებლად **დანციგის** ტერიტორია (1900 კმ², 330 000 მცხოვრებით);

– **ერთა ლიგისთვის ზაარის** ტერიტორია, რომლის ადმინისტრირებასაც ის თხუთმეტი წლის მანძილზე ახდენდა (2000 კმ², 770 000 მცხოვრებით), რომლის პრუსიული ნაწილი (1500 კმ², 670 000 მცხოვრებით) ჩამოეჭრა რაინის პროვინციას (ზაარბრიუკენი, ზაარლუი, მერციგი, თოლეი, სენ-ვენდელი, ოტვაილერი), დარჩენილი ნაწილი (500 კმ², 100 000 მცხოვრებით) ჩამოეჭრა ბავარიის პფალცს (ჰომბურგი, ბლისკასტელი, სენტ-ინგბერტი); ზაარის ადმინისტრირებას, რომლის ადმინისტრაციული ცენტრიც ზაარბრიუკენია, ერთა ლიგის სამთავრობო კომისია ანარმოებდა; ამ ტერიტორიას საბაჟო კონტროლი საფრანგეთთან ერთად ხორციელდებოდა, რომელიც მაღაროებს მთლიანად აკონტროლებდა; თხუთმეტი ნლის შემდეგ პლებისციტს სტატუსის შენარჩუნების საკითხი უნდა გადაეწყვიტა, უნდა გაკეთებულიყო არჩევანი გერმანიაში დაბრუნებასა და საფრანგეთთან მიერთებას შორის.

და ბოლოს, მოსახლეობის ნების განსაზღვრისათვის პლებისციტები უნდა ჩატარებულიყო გერმანიისათვის დროებით ჩამოჭრილ ტერიტორიებზე:

– შლეზვიგში, სადაც არჩევანი უნდა გაკეთებულიყო გერმანიასა და დანიას შორის.

– ალენშტაინის ტერიტორიებზე (აღმოსავლეთი პრუსიის სამხრეთის ნახევარი), კვიძინში (დასავლეთი პრუსიის უკიდურესი აღმოსავლეთი) და ზემო სილეზიაში, აქ არჩევანი პრუსიასა და პოლონეთს შორის უნდა გაკეთებულიყო.

რაინის მარცხენა სანაპირო და მარჯვენა სანაპიროს 30 კილომეტრიანი რადიუსი კიოლნთან, კობლენცთან და მაინცთან ბელგიის, ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს ხუთიდან თხუთმეტი ნლის ვადით.

1920 წლის ივლისში **ეიპენის, მალმედის** და **სენ-ვითის** კანტონები, ასევე გაერთიანებული **მორესნეც საბოლოოდ შეუერთდა ბელგიას.**

რაც შეეხება შლეზვიგს, პარიზის სამშვიდობო კონფერენციის დანიის საკითხების კომიტეტმა პლებისციტის მოწყობის მიზნით ის სამ ზონად დაყო: პირველი ზონა პრაღის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ჩრდილოეთ შლეზვიგს შეესაბამებოდა, მეორე ზონა პირველი ზონის მოსაზღვრე ოლქებზე გადიოდა, მესამე ზონა (ცოტა ხნის შემდეგ მიტოვებული) შლეზვიგის დარჩენილ ნაწილს მოიცავდა.

1920 წლის 20 თებერვალს პირველ ზონაში ჩატარდა პლებისციტი (75% მიემხრო დანიასთან მიერთებას). 14 მარტს მეორე ზონაში ჩატარებულმა პლებისციტმა უჩვენა, რომ გამოკითხულთა 25% დანიასთან მიერთების მომხრე იყო.

1920 წლის 15 ივნისს **გერმანიამ დანიას დაუთმო შლეზვიგის ჩრდილოეთი** (4000 კმ², 200 000 მცხოვრებით).

აღმოსავლეთ პრუსიაში გათვალისწინებული პლებისციტი 1920 წლის 17 ივნისს შედგა ალენშტაინის ტერიტორიაზე (98% პრუსიასთან დარჩენის მომხრე იყო). 1920 წლის 11 ივლისს პრუსიამ საბოლოოდ შეინარჩუნა ალენშტაინი და კვიძინი.

არეულობების გამო პლებისციტის რამდენჯერმე გადადების მიუხედავად, ის მაინც ჩატარდა ზემო სილეზიაში 1921 წლის 20 მარტს, ხმების 60% პრუსიაში დარჩენის მომხრე იყო. შედეგი არ დაემთხვა მოკავშირე ქვეყნების იმედებს და მათ გადაწყვიტეს ეს ტერიტორია პრუსიისა და პოლონეთს შორის გაენაწილებინათ. ახალი დაპირისპირებების საფუძველით ერთა ლიგამ ისარგებლა და **საზღვარი პოლონეთზე გაატარა**, სადაც შევიდა **ზემო სილეზიის** ტერიტორიის მეოთხედი და მოსახლეობას ორი მეხუთედი აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით (**ლუბლინიცი, კატოვიცი, რიბნიკი, პლესი**). ეს საზღვარი საბოლოოდ 1921 წლის 19 ოქტომბერს ელჩთა კონფერენციაზე დამტკიცდა. ამ ცვლილებების დასრულების შემდეგ, გერმანიის ფართობი დავიდა 468 750 კმ²-მდე, ხოლო მოსახლეობა შეადგენდა 62 მილიონ კაცს.

ახალ გერმანიაში მალე იჩინა თავი დიდმა სიძნელეებმა, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკური ბრძოლებით და ფინანსური კრიზისით; 1923 წლის შემოდგომაზე ძლიერი ინფლაცია დაფიქსირდა.

გერმანელები თავს დამცირებულად გრძნობდნენ იმის გამო, რომ მათ ომის გამჩაღებლებად მიიჩნევდნენ, თანაც ვერსალის „დიქტატი" ძალიან ძძიმედ აწვათ, რისთვისაც პასუხისმგებლობა ვაიმარის რესპუბლიკას დააკისრეს, სადაც სამთავრობო არასტაბილურობა გაღრმავდა. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გერმანიასაც შეეხო, 1930 წლიდან იქ გაიზარდა უმუშევრობა, რამაც პოლიტიკური და სოციალური კლიმატი შეარყია.

ამ პერიოდის განმავლობაში გერმანიაში რამდენიმე შიდა ტერიტორიული ცვლილება განხორციელდა.

1922 წელს პრუსიამ პიემონტის ყოფილი საგრაფო, ანკლავი, რომელიც მანამდე ვალდეკის სახელმწიფოს ექვემდებარებოდა, თავის ჰანოვერის პროვინციას მიუერთა.

1922 წლის 22 ივლისს, დასავლეთი პრუსიის და პოზნანის ტერიტორიები, პოლონეთის დერეფნის დასავლეთით, გაერთიანდა „პოზნან-დასავლეთი პრუსიის სასაზღვრო მარკად" (*Grenzmark Posen-Westpreussen*).

ზემო სილეზიაში, 1922 წლის 3 სექტემბერს გამართული პლებისციტით გადაწყდა, რომ მისი პრუსიაში დარჩენა პროვინციის სახით მოხდებოდა (ოპელნი).

ამიერიდან პრუსიაში თორმეტი პროვინცია იყო: ბრანდენბურგი (პოტსდამი და ბერლინი), პომერანია (შტეტინი), ქვემო სილეზია (ბრესლაუ), ზემო სილეზია (ოპელნი), პოზნან-დასავლეთი პრუსიის სასაზღვრო მარკა (Schneidemuhl), აღმოსავლეთი პრუსია (კენიგსბერგი), პრუსიის საქსონია (მაგდებურგი), ჰანოვერი (ჰანოვერი), შლეზვიგ-ჰოლშთაინი (კილი), ვესტფალი (მიუნსტერი), ჰესენ-ნასაუ (კასელი), რაინი (კობლენცი), რასაც ემატებოდა ჰოენცოლერნის განსაკუთრებული ოლქი.

1929 წელს პრუსიამ მიიერთა ვალდეკი, რომლიც ჰესენ-ნასაუს შეუერთა:

1933 წელს ვეცლერ-სოლმსის ანკლავი, დამოკიდებელი პრუსიის რაინის პროვინციაზე, პრუსიის ჰესენ-ნასაუს პროვინციას მიუერთდა.

1933 ნელს მეკლენბურგის ორი სახელმწიფო გაერთიანდა.

2. ჰიტლერის გერმანია მეორე მსოფლიო ომის წინ (1933-1939)

1933 წლის 30 იანვარს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მარშალმა ჰინდენბურგმა ხელისუფლებაში ჰიტლერი მოიყვანა. ახალი კანცლერი სწრაფად მოქმედებდა, ავინროებდა რა პოლიტიკურ ოპონენტებს, უგულებელყოფდა დემოკრატიას და მთელი ძალაუფლების კონცენტრაციას ახდენდა. 1934 წლის 2 აგვისტოდან ჰინდენბურგის გარდაცვალების შემდეგ, ჰიტლერმა სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციების შესრულებაც ითავა და ბრძანა, რომ რაიხის ფიურერად მოეხსენებინათ.

გერმანია ტოტალიტარული სახელმწიფო გახდა, III-ე რაიხი, სადაც გაუქმდა დემოკრატიული ინსტიტუტები, სადაც ერთადერთი პოლიტიკური ფორმირება იყო ნაცისტური პარტია (NSDAP), ხოლო ყველგან მყოფი პოლიტიკური პოლიცია ახშობდა საზოგადოების თავისუფლებას: პირად ცხოვრებაში ჩარევა, ებრაელების დასჯა და ა.შ.

რაც შეეხება ურთიერთობებს, არსებული რეჟიმი ცდილობდა გაეუქმებინა ვერსალის საზავო ხელშეკრულების პირობები და ხელი შეენყოთ გერმანიაში ყველა შორეული „გერმანელის" თაემოყრისთვის. ავსტრიელები, სუდეტის ოლქის გერმანელები, ალზას–ლოთარინგიელები და ა.შ.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, შიდა სახელმწიფოები შენარჩუნდა, მაგრამ მათ ყოველგვარი ავტონომია ჩამოერთვა და იმართებოდნენ ნაცისტური პარტიის მიერ, გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური დემოკრატიული პარტიის (NSDAP) უჯრედით (gauc), რომელსაც ყოელისშემძლე ხელმძღვანელი (gauleiter), ჰიტლერის ნდობით აღჭურვილი პირი ჰყავდა.

ამგვარად, გერმანია 32 ოლქად იყოფოდა, რომლებიც აღარ შეესაბამებოდა ტრადიციულად არსებულ სახელმწიფოს: ბერლინი, საკურფიურსტოს მარკა, იგივე ბრანდებურგი (ფრანკფურტი ოდერზე), აღმოსავლეთი პრუსია (რიგსბურგი), პომერანია (შჩეცინი), მეკლენბურგი (შვერინი), შლეზვინგ-ჰოლშთაინი (ქილი), ჰამბურგი, აღმოსავლეთი ჰანოვერი (ლუნებურგი), სამხრეთი ჰანოვერი (ჰანოვერი), ვეზერ-ემსი (ოლდენბურგი), ჩრდილოეთი ვესტფალია (მიუნსტერი), სამხრეთი ვესტფალია (ბოხუმი), ესენი, დიუსელდორფი, კიოლნი (კიოლნი), კობლენც-ტრირი (კობლენცი), ზაარ-პფალცი (ზაარბრიუკენი), ჰესენ-ნასაუ (ფრანკფურტი მაინზე), ჰესენის საკურფიურსტო (კასელი), მაგდებურგ-ანჰალტი (მაგდებურგი), ჰალე-მერსებურგი (ჰალე), თიურინგია (ვაიმარი), საქსონია (დრეზდენი), ქვემო სილეზია (ბრესლაუ), ზემო სილეზია (ოპელნი), მაინის ფრანკონია (ვიურცბურგი), ფრანკონია (ნიურნბერგი), აღმოსავლეთი ბავარიის მარკა (ბაიროითი), ზემო ბავარია (მიუნხენი), შვაბია (აუგსბურგი), ვიურტემბერგ–ჰოენცოლერნი (შტუტგარტი), ბადენი (კარლსრუე).

ერთა ლიგის მმართველობის 15 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ **ზაარში** გათვალისწინებული პლებისციტი, 1935 წლის 13 იანვარს ჩატარდა და 91%-მა ხმა მისცა **გერმანიაში დაბრუნებას**. ტერიტორია აღარ განაწილებულა პრუსიასა და ბავარიას შორის, არამედ განსხვავებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა გერმანიაში.

ტერიტორიული მოწყობის გარამტივების მიზნით გერმანიაში რამდენიმე ახალი ცვლილება ჩატარდა.

1937 წელს პრუსიამ მიიერთა ჰანზის ქალაქი ლიუბეკი და ოლდენბურგის ანკლავი ოტინი, რომელიც თავის შლეზვიგ-ჰოლშთაინის პროვინციას მიუერთა, ჰამბურგის ანკლავი კუკსჰაფენი თავის ჰანოვერის პროვინციას მიუერთა, ოლდენბურგის ბირკენფილდი კი რაინის პროვინციას.

პრუსიამ ოლდენბურგს გადასცა ვილჰელმსჰაფენი, ხოლო თავისუფალ ქალაქ ჰამბურგს ალტონასა და ჰარბურგის შემოგარენი.

მეკლენბურგმა პრუსიის პროვინცია ბრანდერბურგს დაუთმო თავისი ორი ანკლავით ნეტცებადი და შენბერგი.

1938 წელს პოზნან-დასავლეთი პრუსიის სასაზღვრო მარკა გაუქმდა და გადანაწილდა ბრანდებურგსა და პომერანიას შორის.

1939 წელს პრუსიამ მიიერთა ბრემენის ანკლავი ბრემერჰაფენი და თავის პრუსიულ დაძმობილებულ ქალაქებს გეშთემუნდესა და ლეეს შეუერთა და დააარსა ქალაქი ვეზერმუნდე.

ჰიტლერი, რომელიც წარმოშობით ავსტრიელი იყო, ყოველთვის თვლიდა, რომ ავსტრიელი გერმანელები დაშორებული ძმები იყვნენ და მათი რაიხთან შეერთება იყო საჭირო.

1938 წელს ჰიტლერი სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდა; ავსტრიის კანცლერი შუშნიგი მისთვის წინააღმდეგობის გასანევად შეეცადა 13 მარტს მოენყო რეფერენდუმი ავსტრიის დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად. ჰიტლერი 12 მარტს ავსტრიაში შეიჭრა და 1938 წლის 13 მარტს გამოაცხადა **ავსტრიისა და გერმანიის კავშირი** (Anschluss). ეს კავშირი 10 აპრილს პლებისციტით დამტკიცდა, რომელიც ნაცისტთა კონტროლის ქვეშ ჩატარდა. ავსტრია გახდა **ოსტმარკა** (აღმოსავლეთის მარკა) და იქ შემდეგი ადმინისტრაციული ცვლილებები განხორციელდა:

– ვენის ლანდი მნიშვნელოვნად გაიზარდა;
– ზემო ავსტრიასა და ქვემო ავსტრიას ეწოდა ზემო დუნაი და ქვემო დუნაი;
– ბურგენლანდი გაუქმდა და გადანაწილდა ქვემო დუნაისა და შტირიას შორის;
– კარინტია გაიზარდა აღმოსავლეთი ტიროლით (ლიენცი);
– ტიროლი გაიზარდა ფორარლბერგით, რომელიც ლანდი აღარ იყო;
– ზალცბურგი უცვლელი დარჩა;

იმ ფაქტმა, რომ ანშლუსის შექმნამ არ გამოიწვია დასავლეთის მძაფრი რეაქცია, გააღვივა ჰიტლერის სურვილი რაიხის გარეთ მცხოვრები გერმანელების გაერთიანების თაობაზე.

ანშლუსის შექმნის შემდეგ ბოჰემია-მორავიის დიდი ნაწილი გარშემორტყმული აღმოჩნდა რაიხის ტერიტორიით;

ბოჰემია-მორავიაში მხცოვრებმა გერმანელებმა „სუდეტებმა" რაიხთან მიერთება მოითხოვეს.

1938 წლის 29 სექტემბერს ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანიიდან მოსალოდნელი საფრთხის გამო, მიუნხენში მოეწყო კონფერენცია, რომელშიც ოთხი ქვეყანა მონაწილეობდა (გერმანია, იტალია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) და არ ესწრებოდა ჩეხოსლოვაკია.

ამ კონფერენციამ ჩეხოსლოვაკიას დააკისრა გერმანიისთვის გადაეცა „სუდეტის" ტერიტორია (29 000 კმ^2).

1939 წლის 15 მარტს ჰიტლერმა დაარღვია მიუნხენის კონფერენციის პირობები და ისტორიული და გეოპოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს მოსთხოვა **ჩეხოსლოვაკიის** დაშლა, სლოვაკიის დამოუკიდებლობა და **ბოჰემია-მორავიის ოლქის გერმანიის რაიხთან მიერთება** პროტექტორატის ფორმით.

1939 წლის 22 მარტს ჰიტლერის მიერ წამოყენებული ულტიმატუმის შემდეგ, **ლიტვამ გერმანიას გადასცა მემელის ტერიტორია** (23 მარტი), რომელიც მან აღმოსავლეთ პრუსიას შეუერთა.

VII. გერმანია და მეორე მსოფლიო ომი (1939-1945). III რაიხის დროებითი მონაპოვარი

1. ექსპანსია (1939-1942)

თავისი მიზნების განსახორციელებლად, ჰიტლერმა გადაწყვიტა 1919 წელს დაკარგული აღმოსავლეთი პროვინციები დაებრუნებინა, კერძოდ ისინი, სადაც გერმანელი მოსახლეობა იყო; თავისუფალ ქალაქ დანციგის გარდა საქმე ეხებოდა პოლონეთში პოზნანს და დასავლეთ პრუსიას, რომლებიც აღმოსავლეთ პრუსიას რაიხის დარჩენილი ტერიტორიისაგან ჰყოფდა.

1939 წლის 23 აგვისტოს მოსკოვში გაფორმებული გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტი საიდუმლო მუხლით პოლონეთის ორ ქვეყანას შორის გადანაწილებას ითვალისწინებდა. გამყოფ ხაზს უნდა გაევლო ნარევზე, ვისლასა და სანზე.

1939 წლის პირველ სექტემბერს ჰერცოგმა პოლონეთისაგან გამყოფი „კორიდორი" გადალახა, დაიკავა თავისუფალი ქალაქი დანციგი, რომელიც იმავე

დღეს მიუერთა გერმანიას. საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, რომლებიც პოლონეთს დაცვას პპირდებოდნენ, გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩაებნენ.

1939 წლის სექტემბრის პირველი ორი კვირის მანძილზე გერმანელებმა იოლად დაამარცხეს პოლონეთის არმია, დაიკავეს გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტით გათვალისწინებული ზონა და უფრო წინაც ნაინიეს, საბჭოთა კავშირმაც თავის მხრივ იგივე გააკეთა „რადგან უნდა დაეცვა უკრაინელები და ბელორუსები".

1939 წლის 12 ოქტომბერს გერმანია-საბჭოთა კავშირმა განახორციელეს პოლონეთის მეხუთე დაყოფა. ის სამ ნაწილად დაიყო, პირველი ორი წილი გერმანიას ერგო (188 000 კმ^2, 21 მილიონი მცხოვრებით), მესამე ნაწილი შეხვდა საბჭოთა კავშირს (201 500 კმ^2, 14 მილიონი მცხოვრებით).

დასავლეთით, **პოლონეთის პირველი ნაწილი გერმანიას მიუერთდა**: ლაპარაკია შემდეგ ტერიტორიებზე:

– **ზოლდაუს რეგიონი და სუვალკის ტერიტორია**, რომელიც აღმოსავლეთ პრუსიას მიუერთა;

– **პომერელია** (იგივე პომორიე), რომელიც დანციგთან და ელბინგისა და კვიძინის ტერიტორიებთან ერთად დანციგ-დასავლეთი პრუსიის პროვინციაში გაერთიანდა;

– **აღმოსავლეთ პრუსიასა და ვისლას შორის მდებარე რეგიონი** სამხრეთი პრუსიის პროვინცია გახდა;

– **პოზნანი და ლოძის რეგიონი** ვარტელანდის პროვინცია გახდა;

– **პოლონეთის სილეზია** მიუერთდა ზემო სილეზიის პროვინციას;

ცენტრალურ ნაწილში, პოლონეთის მეორე ნაწილი მისი მთავარი გუბერნია გახდა, რაიხის ერთგული თანამგზავრი, რომლის დედაქალაქიც კრაკოვი იყო და შემდეგი ყოფილი სავოევდიდოებისგან შედგებოდა: **კრაკოვი, სამხრეთი ვარშავის ნახევარი, კელცე, ლუბლენი, ლვოვის დასავლეთის ნახევარი.** მთავარი გუბერნია თავადაც ოთხ ოლქად იყოფოდა: კრაკოვის, რადომის, ვარშავის, ლუბლენის.

აღმოსავლეთში გამარჯვების შემდეგ, 1940 წლის გაზაფხულზე გერმანიის ჯარები დასავლეთისაკენ შეტრიალდნენ და ჯერ ბელგიის, შემდეგ კი საფრანგეთისა და ბრიტანეთის ჯარები დაამარცხეს.

1940 წლის 10 მაისს გერმანიამ ხელახლა მიიერთა **ბელგიის კანტონები ეიპენი, მალმედი და სენ-ვითი,** რომლებიც 1920 წელს დაიკარგა, შემდეგ რამდენიმე გერმანულენოვანი კომუნაც მიიერთა, ყველაფერი ერთად კი პრუსიის სახელმწიფოს შეუერთდა.

1940 წლის 7 ივლისს, ჰიტლერმა ხელახლა მოახდინა **საფრანგეთის დეპარტამენტების ქვემო რაინისა და ზემო რაინის (ალზასი)** ანექსირება. ალზასი ბადენს მიუერთდა და ეწოდა ალზას-ბადენი.

1940 წლის 2 აგვისტოს **ლუქსემბურგი შეუერთდა გერმანიას**, რომელსაც ბელგიის ლუქსემბურგი, რამდენიმე გერმანულენოვანი კომუნა დაემატა. ის კობლენც-ტრირს მიუერთდა, რომელსაც 1941 წელს მოზელის მხარე ეწოდა.

1940 წლის 30 ნოემბერს **მოზელის დეპარტამენტი გერმანიას შეუერთდა** და მიუერთდა სარ-პფალცს, რასაც დასავლეთის მარკა ეწოდა.

1941 წელს პრუსიის პროვინცია ზემო სილეზია გახდა დიდი ზემო სილეზია და მას ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიებიც დაემატა (სუდეტების პროვინცია), და პოლონეთის მთავარი გუბერნიის პროვინციებიც (ყოფილი გალიციის ნაწილი). ადმინისტრაციული ცენტრი ოპელნიდან კატოვიცეში გადავიდა.

1940 წლის ოქტომბერში განხორციელებული იტალიის თავდასხმა საბერძნეთზე, საბერძნეთის ჯარებმა მოიგერიეს. იტალიელებს რომ დახმარებოდა, ამისათვის ჰიტლერს ჯერ იუგოსლავია უნდა დაეპყრო, რაც 1941 წლის აპრილში განახორციელა. გერმანიის, იტალიის და ბულგარეთის ჯარების მიერ იუგოსლავიის არმიის დამარცხების შემდეგ, 1941 წლის 22 აპრილს ჰიტლერმა იუგოსლავიის დაქუცმაცება გადაწყვიტა.

დრავის ოლქი (სლოვენია) ოთხ ნაწილად გაიყო:

– სამხრეთი ნაწილი, რომელიც ლიუბლიანის ჩრდილოეთით გამავალი ხაზის სამხრეთით მდებარეობდა, იტალიას მიუერთდა და ლიუბლიანის იტალიური პროვინცია შეადგინა;

– ზემოთ აღნიშნული ხაზის **ჩრდილოეთი ნაწილი გერმანიას შეუერთდა,** რომელმაც შეუერთა:

– შტირიის ოლქს შტირიის ყოფილი ტერიტორია (მარბურგი, სილი) ქვემო შტირიის, იგივე სამხრეთი შტირიის სახელწოდებით.

– კარინტიის ოლქს ყოფილი კრაინის უმეტესი ნაწილი (ასლინგი, კრაინ-ბურგი), ზემო კრაინის, იგივე სამხრეთი კრაინის სახელწოდებით.

დასავლეთსა და სამხრეთში გამარჯვების შემდეგ, ჰიტლერმა, რომელიც ვერ იტანდა კომუნიზმს და სლავების სამყაროს, რისი სიმბოლოც საბჭოთა კავშირი იყო, ბალკანეთის დაპყრობის შემდეგ თავისი ჯარები აღმოსავლეთისაკენ გააგზავნა. 1941 წლის 22 ივნისს გერმანიამ ფართო მასშტაბიანი ოპერაციები განახორციელა საბჭოთა კავშირის წინაღმდეგ და სწრაფად მიიწევდა წინ ბელორუსიასა და უკრაინაში.

1941 წლის 1 აგვისტოს ჰიტლერმა **პოლონეთის მთავარ გუბერნიას აღმოსავლეთი** გალიცია **მიუერთა,** რომელიც 1939 წლიდან უკრაინის შემადგენლობაში იყო.

მეორე მხრივ, ჰიტლერმა იმავე პერიოდში **გერმანიას ბიალისტოკ-გრონდოლომზას ოლქი შეუერთა,** რომელიც 1939 წლიდან ბელორუსიას ეკუთვნოდა.

გერმანიის „დიდი რაიხი" მაქსიმალურად გაიზარდა, ამ პერიოდში მისი ფართობი 881 300 კმ^2-ს უდრიდა საიდანაც, 690 300 საკუთრივ გერმანიას ეკუთვნოდა, 48 900 ბოჰემია-მორავიის პროტექტორატს, 142 100 პოლონეთის მთავარ გუბერნიას. მისი მოსახლეობის რაოდენობა 115 მილიონ კაცს აღწევდა, აქედან 91 მილიონი გერმანიაზე მოდიოდა, 7 მილიონი ბოჰემია-მორავიის პროტექტორატზე, 17 მილიონი პოლონეთის მთავარ გუბერნიაზე.

1942 წელს საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ წილზე, რომელიც ფრონტის უკანა ხაზზე მდებარეობდა გერმანიამ შექმნა:

– **ოსტლანდის გენერალური კომისარიატი,** დედაქალაქი რიგა, რომელიც ოთხ ოლქად იყოფოდა: ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ბელორუსია;

– **უკრაინის გენერალური კომისარიატი,** დედაქალაქი როვნო, რომელიც ათ ოლქად იყოფოდა: ვოლინი, ზიტომირი, კიევი, ნიკოლაევი, დნეპროპეტროვსკი, ყირიმი (ამავე სახელწოდების ნახევარკუნძული აქ არ შედიოდა).

ჰიტლერს იმედი ჰქონდა, რომ მალე დაასრულებდა თავის ელვისებური თავდასხმის გეგმას, მაგრამ ისიც იგივე სირთულეებს წააწყდა, რასაც ნაპოლეონი 1812 წელს: უზარმაზარი ტერიტორია, მოუხელთებელი მტერი, რომელიც კარგად იცნობდა გარემოს, ამას დაემატა დიდ მანძილზე გაჭიმული ფრონტი (ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე) და ის მოულოდნელი წინააღმდეგობა, რომელსაც გერმანია და მისი მოკავშირეები ლენინგრადთან, მოსკოვთან და ვოლგაზე (სტალინგრადის ალყა) წაანყდნენ.

2. დამარცხებიდან კაპიტულაციამდე (1942-1945)

1942 წელი შემობრუნების თარიღია გერმანია-საბჭოთა კავშირის ომში. 1943 წლიდან გერმანია და მისი მოკავშირეები აღმოსავლეთის ფრონტზე ახდენენ კონცენტრაციას.

იტალიაში მუსოლინის ჩამოგდების შემდეგ, იტალიის ჯარებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს, რომელთაც ბრძოლა 1943 წლის სექტემბრიდან შეწყვიტეს. **ჰიტლერმა „სამხედრო თვალსაზრისით" გერმანიის რაიხს მიუერთა ტრენტე, სამხრეთი ტიროლი, ბელუნის პროვინცია** როგორც **ალპენფორლანდის** სამხედრო ზონა, **ოქტომბერში კი იტალიის პროვინციები** გორიცია, **ტრიესტი, პოლა,** ფიუმე, **ლუბიანა** როგორც სამხედრო ზონა **ადრიატიკის კუშტენლანდი** (ადრიატიკის სანაპირო).

1944 წელს საბჭოთა ჯარებმა მთელი აღმოსავლეთი ევროპა დაიპყრეს და 1945 წლის დასაწყისში გერმანიაში შეიჭრნენ. 1944 წლის შუა პერიოდიდან საფრანგეთ-ინგლის-ამერიკის მოკავშირე ძალების ომში ჩართვის შემდეგ, გერმანელებმა და-

სავლეთის ფრონტზე უკან დაიხიეს. გერმანია 1945 წლის გაზაფხულზე დაემხო, 1 მაისს ჰიტლერმა თავი მოიკლა, ხოლო 1945 წლის 8 მაისს გერმანიამ კაპიტულაციას მოაწერა ხელი.

VIII. თანამედროვე გერმანია (1945 წლიდან დღემდე). დაყოფიდან გაერთიანებამდე

1. ომის შედეგები გერმანიაში (1945-1949)

მას შემდეგ, რაც განთავისუფლების პერიოდი დაიწყო, 1938 წლიდან **გერმანიის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ანექსია *de facto* გაუქმდა.** გერმანია გამარჯვებულმა ქვეყნებმა დაიკავეს და მთელი რიგი ზომები განხორციელდა იმისათვის, რომ ნაცისტების მიერ ჩადენილი წარმოუდგენელი სისასტიკე აღარ განმეორებულიყო.

სამხედრო და ეკონომიკური ზომების გარდა (შეიარაღებული ძალების შეზღუდვა, საწარმოების დაშლა), გაუქმდა გერმანიის საზღვრებს გარეთ არსებული გერმანელებით დასახლებული კერები: სილეზიის გერმანელების, პოლონეთის გერმანელების, ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქის გერმანელების, ბანატის შვაბების, ტრანსილვანიის საქსების, ვოლგისპირა გერმანელების და ა.შ.

პოტსდამის კონფერენციაზე (1945 წლის აგვისტო), გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა **გერმანიას გერლიცის ოდერ-ნაისეს აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიები** "დროებით" **ჩამოაჭრეს,** კერძოდ აღმოსავლეთი პრუსია, დასავლეთი პრუსიის ფრაგმენტები და პოზნანი, აღმოსავლეთი პომერანია (ოდერის მარჯვენა სანაპირო), ოდერის მარჯვენა სახაპიროზე მდებარე ბრანდებურგის ნაწილი, თითქმის მთელი სილეზია და საქსონიის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი.

ეს რეგიონები პოლონეთის აღმინისტრაციის ქვეშ მოექცა, აღმოსავლეთი პრუსიის ჩრდილოეთ ნაწილს ნახევრის გამოკლებით (საბჭოთა ადმინისტრაცია). მიუხედავად დროებითი ხასიათისა ამ ტერიტორიული ჩამონაჭრების უკან დაბრუნების საკითხი აღარ დამდგარა, თუმცა გერმანელები კანონიერად მოითხოვდნენ ამას.

გარდა ამისა, 1945 წლის შემოდგომაზე ოთხმა გამარჯვებულმა ქვეყანამ საბჭოთა კავშირმა, შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა დარჩენილი გერმანია საოკუპაციო ზონებად გაინაწილა და იქ შექმნა *მიწები*, რომლებიც თანამედროვე პერიოდშიც არსებობს.

მართალია ბერლინი საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს, მაგრამ ის ოთხივე გამარჯვებულმა ქვეყანამ დაიკავა. იმისათვის, რომ ბრიტანეთს ბერლინი შეხვედროდა, მან საკომპენსაციოდ საბჭოთა კავშირს დაუთმო მეკლენბურგი, იგივე გააკეთეს ამერიკელებმა თიურინგიასთან დაკავშირებით.

პრუსიის ის ნაწილი, რომელიც გერმანიას არ ჩამოაჭრეს, თავისი სიდიდის გამო ასევე ზონებად დაიყო პროვინციების მიხედვით:

– საბჭოთა ზონას ეკუთვნოდა დასავლეთი პომერანია, ბრანდებურგი, სილეზია, პრუსიის საქსონია, ჰესენ-ნასაუს შმალკალდეს ანკლავი, ასევე ჰანოვერის ჰოენშტაინის ანკლავი;

– ბრიტანეთის ზონას ეკუთვნოდა შლეზვიგ-ჰოლშთაინი, ჰანოვერი (ჰოენშთაინის ანკლავის გამოკლებით), ვესტფალია, რაინის პროვინციის ჩრდილოეთის ნახევარი, ჰესენ-ნასაუს შაუმბურგის ანკლავი;

– ამერიკის ზონას ჰესენ-ნასაუს უმეტესი ნაწილი;

– საფრანგეთის ზონას ნასაუს ყოფილი საჰერცოგოს დასავლეთი ნანილი, რაინის პროვინციის სამხრეთის ნახევარი და ჰოენცოლერნი;

– დიდ ბერლინს ოთხივე მხარე აკონტროლებდა.

ბავარია ამერიკის ზონაში შედიოდა, ლინდაუს პატარა ოლქის გამოკლებით, რომელიც საფრანგეთს ეკავა ვიურტემბერგთან ერთად. ბავარიის პფალცი საფრანგეთის საოკუპაციო ზონაში იყო ჩართული.

ვიურტემბერგის ჩრდილოეთი ნაწილი პფორცჰაიმ-ულმის ხაზამდე ამერიკელებს ეკავათ, სამხრეთი ნაწილი ფრანგებს.

საქსონია, თიურინგია, ანჰალტი, მეკლენბურგი საბჭოთა საოკუპაციო ზონაში შედიოდა.

ბრაუნშვაიგში კალვერდეს ანკლავი და ბლანკენბურგის ტერიტორიის აღმოსავლეთის ნახევარი საბჭოთა ჯარებს ეკავა, ბლანკენბურგის დასავლეთის ნახევარი და ბრაუნშვაიგის დარჩენილი ნაწილი ბრიტანეთის ჯარებს.

ოლდენბურგი, ორი ლიპე და ჰამბურგი ბრიტანეთის ზონაში შედიოდა, მაშინ როცა, ბრემენი ამერიკის საოკუპაციო ზონაში შევიდა.

ჰესენ-დარმშტადტი თავისი ჰესენ-რაინის პროვინციის გამოკლებით ამერიკელებს ეკავათ; ჰესენ-რაინი ფრანგებს.

საბჭოთა ზონა შედგებოდა: აღმოსავლეთი ბერლინის ნახევრისაგან, ოდერის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ბრანდერბურგისაგან, ნაისეს მარცხენა სანაპიროზე მდებარე სილეზიის ოლქისაგან, დასავლეთი პომერანიისაგან, მეკლემბურგისაგან, პრუსიის საქსონიისაგან, ჰესენ-ნასაუს შმალკალდეს ანკლავისაგან, ჰანოვერის ჰოენშტაინის ანკლავისაგან, თიურინგიისაგან, საქსონიისაგან.

ამერიკის ზონა შედგებოდა: ბერლინის მეექვსედი ნაწილისაგან (სამხრეთ–დასავლეთ), ბრემენისაგან, ბავარიისაგან (ბავარიის პფალცისა და ლინდაუს ოლქის გარდა), ჰესენ-ნასაუს უმეტესი ნაწილისაგან. ჰესენ-დარმშტადტისაგან, ბადენის ჩრდილოეთი ნაწილისაგან, ვიურტემბერგის ჩრდილოეთი ნაწილისაგან.

ბრიტანეთის ზონა შედგებოდა ბერლინის მეექვსედი ნაწილისაგან (ცენტრალური ნაწილი და დასავლეთი), შლეზვიგ-ჰოლშთაინისგან, ჰამბურგისაგან, ჰანოვერისაგან (ჰოენშთაინის ანკლავის გამოკლებით), ვესტფალიისაგან, პრუსიის რაინის პროვინციის ჩრდილოეთი ნაწილის ნახევარისაგან, ჰესენ-ნასაუს შაუმბურგის ანკლავისაგან.

საფრანგეთის ზონა შედგებოდა: ბერლინის მეექვსედი ნაწილისაგან (ჩრდილო-დასავლეთი), პრუსიის რაინის პროვინციის სამხრეთი ნაწილის ნახევრისაგან, ნასაუს ყოფილი საპერცოგოს დასავლეთი ნაწილისაგან, ჰესენ-რაინისაგან, ზაარისაგან, ბავარიის პფალიცისაგან, ლინდაუს ბავარიული ოლქისაგან, ბადენის სამხრეთი ხაწილისაგან, ვიურტემბერგის სამხრეთი ნაწილისაგან, ჰოენცოლერნისაგან.

1946 ნლიდან 1949 ნლამდე, საოკუპაციო ზონებში თანდათანობით ყალიბდებოდა გერმანიის მინები (laendcr), რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ომამდელი სახელმწიფოებისაგან განსხვავდებოდნენ.

1947 ნლის 25 თებერვალს მოკავშირე სახელმწიფოებმა გამოსცეს დეკრეტი **პრუსიის დაშლის** თაობაზე. 1949 წელს მისი ტერიტორია საბოლოოდ ასე განანილდა:

–ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკაზე (სსრკ): **მემელის** ტერიტორია (ნიემანის მარჯვენა სანაპირო);

– **რუსეთის** საბჭოთა რესპუბლიკაზე (სსრკ): **აღმოსავლეთი პრუსიის ჩრდილოეთის ნახევარი** (კენიგსბერგი, ტილზიტი, ინშერბურგი).

– **პოლონეთზე, აღმოსავლეთი პრუსიის სამხრეთის ნაწილი, დასავლეთი პრუსიისა და პოზნანის** ფრაგმენტები, **აღმოსავლეთი პომერანია, დასავლეთი პომერანიის ნაწილი** (იმისთვის რომ პოლონეთს დარჩენოდა შეცინი და ოდერის ყურეები), **აღმოსავლეთი ბრანდერბურგი, სილეზია** და **საქსონიის ნაწილი;**

– **საქსონიის** მინაზე (გდრ): **სილეზიის დასავლეთის ნაწილი** (ნაისეს მარცხენა სანაპირო);

– **ბრანდებურგის** მინაზე (გდრ): **დასავლეთი ბრანდებურგი** (ოდერის მარცხენა სანაპირო), დიდი ბერლინის გამოკლებით;

– **ოთხ მოკავშირეზე: დიდი ბერლინი**, რომელიც ოთხი საოკუპაციო სექტორის ადმინისტრაციის ქვეშ იყო;

– **მეკლენბურგის** მინაზე (გდრ): დასავლეთი პომერანია პოლონეთის მიერ მიღებული ნაწილის გამოკლებით;

– **საქსენ-ანჰალტის** მინაზე: **პრუსიის საქსონია**, ერფურტის ტერიტორიის, მიულჰაუზენის, ჰაილიგენშტადტის, ნორდჰაუზენის და ზულის, რანის, კაულსტორფის ანკლავების გამოკლებით;

– **თიურინგიის მინაზე** (გდრ): **ერფურტის, მიულჰაუზენის, ჰაილიგენშტადტის, ნორდჰაუზენის** ტერიტორიები, ანკლავები **ზული, რანისი, კაულსდორფის** ანკლავები, **ჰოენშთაინის** ანკლავი (ჰანოვერის), **შმალკალდეს** ანკლავი (ჰესენ-ნასაუ);

– **შლეზვიგ-ჰოლშტაინის** მინაზე (გფრ): **შლეზვიგ-ჰოლშტაინი** და **ჰამბურგის** ანკლავები;

– **ბრემენის** მინაზე (გფრ): **ქალაქი ვეზერმუნდე**, **რომელმაც** დაიბრუნა ძველი სახელი ბრემერჰაფენი;

– **ქვემო საქსონიის მინაზე** (გფრ): **ჰანოვერი**, ჰოლშტაინის ანკლავის გამოკლებით და **შაუმბურგის** ანკლავი (ჰესენ-ნასაუდან);

– **ჩრდილო რაინ - ვესტფალიის** მინაზე (გფრ): **ვესტფალია** და **რაინის** პროვინციის **ჩრდილოეთის ნახევარი**;

– **რაინ-პფალცის** მინაზე (გფრ): **ნასაუს** ყოფილი საპერცოგოს **ჩრდილოეთი ნაწილი** და **რაინის** პროვინციის სამხრეთის ნახევარი;

– **ჰესენის** მინაზე (გფრ): **ჰესენ-ნასაუ**, ნასაუს ყოფილი საპერცოგოს დასავლეთ ნაწილის და **შაუმბურგის** ანკლავის გამოკლებით;

ვიურტემბერგ-ჰონცოლერნის მინაზე (გფრ): ჰოენცოლერნი.

საბჭოთა ზონა

ახალი მინა **ბრანდენბურგი**, **რომლის** დედაქალაქიც იყო პოტსდამი შეიქმნა ოდერის მარცხენა სანაპიროზე მდებარე პრუსიის ბრანდენბურგისგან, დიდი ბერლინის გამოკლებით.

მეკლენბურგი ახალი მინა, **რომლის** დედაქალაქიც იყო შვერინი, **შეღგებოდა** მეკლენბურგის ყოფილი სახელმწიფოსაგან პრუსიის პროვინციის პომერანიის დასავლეთი ნაწილის მესამედისაგან.

საქსონიის ახალი მინა, დედაქალაქი დრეზდენი, **შედგებოდა** ყოფილი საქსონიისაგან, **რომელიც** გაიზარდა ნაისეს დასავლეთით მდებარე პრუსიის სილეზიის ნაწილისაგან.

თიურინგიის ახალი მინა, დედაქალაქი ერფურტი **შედგებოდა** იმ ფართობისაგან, **რომელიც** 1920 წელს ეკავა, ოღონდ **შემცირებული** იყო ზონდერჰაუზენის და ალშტედტის ანკლავებით, სამაგიეროდ დაემატა პრუსიის ანკლავები ჰენებურგი, **რანისი** და **კაულსდორფი**, **პრუსიის ტერიტორიები** ერფურტი, მიულჰაუზენი, ჰაილიგენშტადტი, ნორდჰაუზენი, **შმალკალდე** (ჰესენ-ნასაუ) **და** ჰოენშტაინი (ჰანოვერი).

საქსენ-ანჰალტის ახალი მინა, დედაქალაქი მაგდებურგი, **შეიცავდა** ანჰალტს, **პრუსიის** საქსონიის **პროვინციას** (ერფურტის, **მიულჰაუზენის**, **ჰაილიგენშტადტის**, ნორდჰაუზენის **და** ანკლავების: ჰენებრგის, **რანის**, **კაულდორფის** **გამოკლებით**), ბრაუნშვაიგის ანკლავებს აღმოსავლეთ ბლანკენბურგს **და** კალვერდეს, ასევე თიურინგიის ანკლავებს ზონდერჰაუზენს **და** ალშტედტს.

ბრიტანეთის ზონა

შლეზვინგ-ჰოლშთაინის ახალი მინა, დედაქალაქი კილი, **შეესაბამებოდა** ყოფილ შლეზვიგ-ჰოლშთაინს, **რომელმაც** მიიერთა **ჰამბურგის** ანკლავები შოლშტაინში **და** ლაუენბურგში, ხოლო **ჰამბურგის** ლანდი ოდნავ **გაიზარდა** ჰოლშთაინის ხარჯზე.

ჰამბურგის ახალი მინა **შეესაბამებოდა** ყოფილ ქალაქ სახელმწიფოს, **რომელიც**, **როგორც** აღინიშნა **უმნიშვნელოდ** **შეიცვალა**.

ქვემო საქსონიის ახალი მინა, **დედაქალაქი** ჰანოვერი, **შეიქმნა** 1946 **წლის** 1 **თებერვლიდან** **და** **შედგებოდა** **პრუსიის** **პროვინცია** ჰანოვერისაგან, **ქალაქ** **ვეზერმუნდესა** **და** ანკლავების ჰოენშთაინის, ბრაუნშვაიგის, ოლდენბურგის, **შაუმბურგ-ლიპეს** **გამოკლებით**.

ახალი მინა ჩრდილო რაინი-ვესტფალია, დედაქალაქი დიუსელდორფი, შეიქმნა 1946 წლის 23 აგვისტოს ბრძანებულებით; ის შედგებოდა ლიპე-დეტმოლდისაგან, პრუსიის ყოფილი პროვინცია ვესტფალიისაგან და რაინის პროვინციის ჩრდილო ნაწილისაგან (რეგიონები დიუსელდორფი, კიოლნი და აახენი). ახალი მინა შედგებოდა ექვსი ოლქისაგან: მიუნსტერი, დეტმოლდი, არენსბერგი, დიუსელდორფი, კიოლნი, აახენი.

ამერიკის ზონა

ბრემენის ახალი მინა შეიცავდა ყოფილ ქალაქ-სახელმწიფოს და ქალაქ ვეზერმუნდს, რომელიც ქვემო-საქსონიის მიწის ანკლავი იყო; მას ბრემერჰაფენი ეწოდა.

ჰესენი ახალი მიწა, დედაქალაქი ვისბადენი, 1946 წელს ჩამოყალიბდა; ის შედგებოდა პრუსიის ყოფილი პროვინცია ჰესენ-ნასაუსაგან და ზემო ჰესენისა და შტარკენბურგის ყოფილი პროვინციებისაგან. ის სამ ოლქად იყოფოდა: გისენი, კასელი, დარმშტადტი.

ბავარიის ახალი მიწა, დედაქალაქი მიუნხენი, შეესაბამებოდა ყოფილ ბავარიას, ბავარიის პფალცის გამოკლებით. ის შვიდ ოლქად იყოფოდა: ზემო ბავარია (მიუნხენი), ქვემო ბავარია (ლანდსჰუტი), ზემო პფალცი (რეგენსბურგი), ზემო ფრანკონია (ბაიროითი), შუა ფრაკონია (ანსბახი), ქვემო ფრანკონია (ვიურცბურგი), შვაბია (აუგსბურგი). ბავარიის პატარა ოლქის ლინდაუს ბედი, რომელიც ფრანგებს ეკავათ გადაუწყვეტელი დარჩა.

ვიურტემბერგ-ბადენის ახალი მინა, დედაქალაქი შტუდგარტი, 1945 წელს შეიქმნა და შედგებოდა ჩრდილოეთი ვიურტემბერგისა და ჩრდილოეთ ბადენისაგან.

საფრანგეთის ზონა

რაინ-პფალცის ახალი მიწა, დედაქალაქი მაინცი, შეიქმნა 1946 წლის 30 აგვისტოს ბრძანებულებით, შეიცავდა ყოფილ ბავარიის პფალცს, ყოფილ ჰესენ-რაინს (ჰესენ-დარმშტადტი), ნასაუს ყოფილი საპერცოგოს დასავლეთ ნაწილს (ჰესენ-ნასაუ) და პრუსიის ყოფილი რაინის პროვინციის სამხრეთ ნაწილს (ტრირის და კობლენცის რეგიონები). ის ხუთი ოლქისგან შედგებოდა: ჰესენ-რაინი (მაინცი), პფალცი (სპირი), ტრირი, კობლენცი, მონტაბაური (ეს უკანასკნელი რაინის მარჯვენა სანაპიროზე).

ბადენის ახალი მინა, დედაქალაქი ფრაიბურგი შედგებოდა მხოლოდ სამხრეთი ბადენისაგან.

ახალი მინა ვიურტემბერგ-ჰოენცოლერნი, დედაქალაქი ზიგმარინგერი, შედგებოდა სამხრეთი ვიურტემბერგისაგან და პრუსიის ჰოენცოლერნისაგან.

დიდი ბერლინი ოთხმხრივ საოკუპაციო ზონად დარჩა.

1948 წლის 1 იანვარს, ზაარის ტერიტორია (2600 კმ^2), უმნიშვნელოდ გაიზარდა ჩრდილოეთით 1920 წელთან შედარებით, ჩამოშორდა გერმანიას და მიენიჭა ადმინისტრაციული და პოლიტიკური ავტონომია გაერო-ს კონტროლის ქვეშ; ეკონომიკური გაძლიერების მიზნით ის ჩართული იყო საფრანგეთის ეკონომიკურ და საბაჟო სივრცეში,.

2. ბლოკებს შორის განაწილებული გერმანია (1949-1990)

ომის შედეგად გაჩანაგებულ გერმანიაში, რომელიც ცდილობდა ფეხზე წამოდგომას, ძალიან მალე მოკავშირეების ურთიერთგაგება შეიცვალა მეტოქეობით და გერმანიის ტერიტორიაზე, რომელიც საბჭოთა კავშირისა და მისი ყოფილი მოკავშირეების ბრძოლის ველად იქცა, ცივი ომის პირველი ნიშნები გამოჩნდა.

საბჭოთა ზონაში კომუნისტებმა ხელში ჩაიგდეს სხვადასხვა მიწების ხელისუფლება და თანდათან ამყარებდნენ კომუნისტურ რეჟიმს. დასავლეთის ზონებში გერმანია ნელ-ნელა დამარცხებული მტრიდან სასურველ პარტნიორად იქცა, რომელსაც შეეძლო კომუნისტური ექსპანსიის შეჩერება და ამ მიზნით საჭირო იყო მისი ფეხზე ნამოყენება და ეკონომიკურად გაძლიერება (მარშალის გეგმა). 1947 წლის 1 იანვარს ამერიკელებმა და ბრიტანელებმა თავიანთ ზონებში გააერთიანეს ეკონომიკური სივრცე. 1948 წელს მათ საფრანგეთის ზონაც შეუერთდა. ფულის

რეფორმის გატარებას საბჭოთა კავშირის მხრიდან ბერლინის ბლოკადა მოჰყვა (1948 წლის ივლისი 1949 წლის მაისი), რაც საბოლოო გათიშვით დასრულდა.

გერმანიის რეორგანიზაციის შედეგად 1949 წლის მაისში ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის საოკუპაციო ზონებში შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (პროდასავლური გფრ-ი). 1949 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირის საოკუპაციო ზონაში შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (კომუნისტური გდრ-ი), ბერლინმა სპეციალური სტატუსი შეინარჩუნა. 1949 წლის 17 აგვისტოს ხელშეკრულებით პოლონეთმა და საბჭოთა კავშირმა ყოფილი აღმოსავლეთი პრუსია გაიყვეს, პოლონეთმა 1945 წლის აგვისტოში „დროებით" მიღებული პრუსიული ტერიტორიებიც შეინარჩუნა.

დასავლეთი გერმანია (გფრ)

1949 წლის 23 მაისს გფრ-ში მიიღეს ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), რომელიც დემოკრატიული ხასიათის იყო და აარსებდა ახალ ფედერაციულ რესპუბლიკას, რომელიც 11 მიწისაგან იქნებოდა შემდგარი. დედაქალაქად არჩეული იქნა ქალაქი ბონი.

გერმანიის ახალი ფედერაციული რესპუბლიკა, ფრანკო-ინგლისურ-ამერიკული საოკუპაციო ჯარების მფარველობის ქვეშ ძალიან მჭიდროდ მიუერთდა დასავლეთის ბანაკს: 1955 წელს ის NATO-ში გაერთიანდა. 1957 წელს დამფუძნებლების სტატუსით ხელი მოაწერა რომის ხელშეკრულებას ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნის თაობაზე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ეკონომიკურად ძალიან სწრაფად ვითარდებოდა, იმდენად, რომ სამოციან წლებში, მსოფლიო ბაზარზე ის უკვე ანგარიშგასაწევი ძალა გახდა.

ტერიტორიული თვალსაზრისით, ორმოცდაათიან წლებში რამდენიმე ცვლილება მოხდა.

სამ მიწაზე, ბადენში, ბადენ-ვიურტემბერგში და ვიურტემბერგ-ჰოენცოლერნში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა არსებული დაყოფის გამო და უფრო ტრადიციული დაყოფის მომხრე იყო. ამის შედეგად წამოიჭრა ამ სამი მიწის გაერთიანების საკითხი, რაც დადგა კიდეც კენჭისყრაზე.

ჰოენცოლერნის და სამხრეთი ბადენის კათოლიკე მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, ამ სამი მიწის მოსახლეობის უმრავლესობამ 1950 წელს ხმა მისცა გაერთიანებას, რაც 1951 წლის დეკემბერში დამტკიცდა.

ახალი მიწის დედაქალაქი იყო შტუტგარტი. მას ჯერ სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის მიწა ეწოდებოდა, შემდეგ 1951 წელს ვიურტემბერგ-ბადენი და ბოლოს ბადენ-ვიურტემბერგი. ის ოთხ ოლქად იყოფა: ჩრდილოეთი ვიურტემბერგი, ჩრდილოეთი ბადენი, სამხრეთი ბადენი, სამხრეთი ვიურტემბერგ-ჰოენცოლერნი. იმის საკომპენსაციოდ, რომ კარლსრუემ დაკარგა დედაქალაქის სტატუსი, იქ გერმანიის ფედერალური სასამართლო მუშაობს.

1956 წელს ბავარიის პატარა ოლქი ლინდაუ განთავისუფლდა საფრანგეთის სამხედრო ოკუპაციისაგან და მთლიანად მიუერთდა ბავარიას.

1957 წლის 1 იანვარს ზაარის ტერიტორია გერმანიას დაუბრუნდა, რაც 1955 წლის 23 ოქტომბერს გამართული პლებისციტის შედეგი იყო. ამიერიდან ის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეათე მიწა იყო, რომლის დედაქალაქადაც ზაარბრიუკენი დასახელდა.

ამ ცვლილებების შემდეგ, გფრ-ის ფართობი შეადგენდა 248 400 კმ^2-ს., მოსახლეობა კი 55 მილიონ კაცს. ძირითად კანონში აღნიშნულია, რომ გერმანიის ყველა ყოფილ სახელმწიფოს შეუძლია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან შეერთება.

აღმოსავლეთი გერმანია (გდრ)

1949 წლიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კომუნისტური სახელმწიფო იყო და 5 მიწისაგან შედგებოდა. დედაქალაქად მან პანკოვი (აღმოსავლეთ ბერლინი) აირჩია.

გდრ-ის ფართობი უდრიდა 107 700 კმ²-ს, მოსახლეობა დაახლოებით 18 მილიონ კაცს.

ახალი დემოკარტიული რესპუბლიკა საბჭოთა ჯარების ოკუპაციის ქვეშ მჭიდროდ დაუკავშირდა აღმოსავლეთის ბანაკს: 1955 წელს ის შეუერთდა ვარშავის ხელშეკრულებას.

კოლექტივიზაციის შემდეგ გდრ ეკონომიკურად ძალიან ნელა ვითარდებოდა. 1953 წელს აღმოსავლეთ ბერლინში ადგილი ჰქონდა სერიოზულ არეულობებს, რომელიც სისხლში ჩაახშეს. ეკონომიკური ჩამორჩენილობა და თავისუფლების შეზღუდვა აღმოსავლეთ გერმანიაში მუდმივად ინვევდა ბერლინის გავლით, რომელიც ორივე მხარისთვის ღია იყო, დასავლეთ გერმანიაში ემიგრაციის სურვილს, რამაც საბოლოოდ 1961 წლის აგვისტოში ბერლინის კედლის აგება გამოიწვია. ეს ფაქტი ხალხის აღმოსავლეთით დამწყვდევის სიმბოლოდ იქცა.

ტერიტორიული თვალსაზრისით ხუთი მიწა, ისე როგორც ნაცისტების დროს, მოკლებული იყო პოლიტიკურ ავტონომიას კომუნისტური პარტიის მიერ განხორციელებული ცენტრალიზმის შედეგად.

1952 წლის ივლისში იმისათვის, რომ ადმინისტრაციული სტრუქტურები მართლაც ცენტრალიზებული ყოფილიყო, გდრ დეპარტამენტებად დაიყო; ხუთმა მიწამ ადგილი დაუთმო 14 დეპარტამენტს, პანკოვის ოლქის დამატებით: პოტსდამი, ნოიბრანდენბურგი, როსტოკი, შვერინი, მაგდებურგი, ჰალე, ერფურტი, ზული, გერა, ლაიპციგი, ხემნიცი, დრეზდენი, კოტბუსი, ოდერის ფრანკფურტი.

ბრანდენბურგის ყოფილი მიწა პოტსდამის, ოდერის ფრანკფურტის კოტბუსის და შვერინის ოლქებზე გადანაწილდა.

მეკლენბურგის ყოფილი მიწა გადანაწილდა სამ ოლქზე: შვერინზე, როსტოკზე და ნოიბრანდენბურგზე.

საქსენ-ანჰალტის ყოფილი მიწა გადანაწილდა მაგდებურგისა და ჰალეს ოლქებზე, მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე შეუერთდა კოტბუსის და ლაიპციგის ოლქებს.

თიურინგიის ყოფილი მიწა გადანაწილდა ერფურტის, ზულის და გერას ოლქებზე, მინის უკიდურესი აღმოსავლეთი (ალტენბურგი) ლაიპციგის ოლქს შეუერთდა.

საქსონიის ყოფილი მიწა გადანაწილდა დრეზდენის, ხემნიცის (რომელიც კარლ-მარქს-შტადტი გახდა), ლაიპციგის და კოტბუსის ოლქებზე.

მოსახლეობა ძალიან მძიმედ იტანდა კომუნისტურ რეჟიმს, ამიტომაც საბჭოთა კავშირის რეჟიმის ლიბერალიზაციამ აღმოსავლეთ გერმანიაში, ისევე როგორც აღმოსავლეთის ბლოკის სხვა ქვეყნებში ცვლილებები გამოიწვია, რაც საზღვრების გახსნით გამოიხატა. 1989 წლის ნოემბერში დაინგრა ბერლინის კედელი; 1990 წლის მარტში გდრ-ში ჩატარებული პირველი თავისუფალი არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში დემოკრატების უმრავლესობა მოვიდა, რის შედეგადაც აპრილში შეიქმნა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია, გდრ-ამ გააუქმა ყველა კომუნისტური პუნქტი კონსტიტუციაში და დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა.

ამასთანავე ორივე გერმანიაში დიდი იყო გაერთიანების სურვილი და დასავლეთ გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა იმ ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად, რაც შეიძლება გაერთიანებას მოჰყოლოდა, დაიწყო დიპლომატიური სირთულეების დაძლევა.

1990 წლის 1 ივლისს გფრ-სა და გდრ-ში ერთი ფულის ერთეული დაწესდა.

1990 წლის 22 ივლისს მომავალი გაერთიანების მოლოდინში გდრ-ის ახალმა ხელისუფლებამ კენჭი უყარა კანონს ყოფილი ხუთი მიწის აღდგენაზე 1952 წლის ფარგლებში.

1990 წლის 30 ოქტომბერს ხუთი მიწა: ბრანდენბურგი, მეკლენბურგ-ფორპომერნი, საქსენ-ანჰალტი, თიურინგია და საქსონია გფრ-ს შეუერთდა, რითაც რეალური გახდა გერმანიის გაერთიანება.

იმავე დღეს, საოკუპაციო ჯარების მიერ დატოვებული ბერლინი გაერთიანდა და გერმანიას დაუბრუნდა; მან შეადგინა ბერლინის მიწა (900 კმ²); ქალაქი გაერთიანებული გერმანიის დედაქალაქი გახდა.

3. გაერთიანებული გერმანია (1990 წლიდან დღემდე)

გაერთიანებული გფრ-ის ფართობი 357 000 კმ²-ს უდრის, მოსახლეობა კი 79 მილიონ კაცს. თავისი მოსახლეობითა და ეკონომიკური ძლიერებით ის ახალი ევროპის წამყვანი სახელმწიფოა.

გაერთიანების შემდეგ გფრ 16 არათანაბარი სიდიდის მიწისაგან შედგება (ბერლინის და ბრანდებურგის მიწების გაერთიანების პროექტი აქამდე არ დაკონკრეტებულა); ისტორიული ტრადიციების შესაბამისად, გერმანია ფედერალურ სტრუქტურას ინარჩუნებს და ისეთ ქვეყნად რჩება, სადაც მკვეთრად არის გამოხატული რეგიონული თავისებურებები, რადგან ხანგრძლივი ვადით არ განუცდია ცენტრალიზაციის მომხრე ერებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური და კულტურული გაერთმნიშვნელიანება.

1990 წლის ნოემბერში თავისი აღმოსავლეთელი მეზობლის დასამშვიდებლად გერმანიამ პოლონეთთან ერთად ხელი მოაწერა შეთანხმებას ოდერ-ნაისეს საზღვრის ხელშეუხებლობის შესახებ. ასევე, 1991 წლის ოქტომბერში ხელი მოაწერა ჩეხოსლოვაკიასთან თანამშრომლობის ხელშეკრულებას და უარი თქვა თავის ძველ პრეტენზიებზე სუდეტის ოლქის ტერიტორიასთან დაკავშირებით. პარალელურად, ცვლილებები შეიტანა თავის ძირითად კანონში, გააუქმა მუხლი "გერმანიის ყოფილ სახელმწიფოებზე", რითაც უარი თქვა ქვეყნის შემდგომ ტერიტორიულ ზრდაზე.

1991 წლის ივნისში კენჭი ეყარა გადაწყვეტილებას დედაქალაქის ბერლინში გადატანაზე, რომელიც 2000 წელს დასრულდა პარლამენტის პალატების, სამინისტროების და მთავრობის გადასვლით.

1993 წლის 1 იანვარს მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც 1992 წლის 7 თებერვალს გაფორმდა, გერმანია ახალი **ევროპის კავშირის** მეთორმეტე წევრი გახდა; ეს ორგანიზაცია პოლიტიკური კონფედერაციის სახეს ატარებს და მის ქმედითუნარიანობაში გერმანიას სხვა წევრების მსგავსად დიდი წვლილი მიუძღვის.

დანია

ზოგადი მონაცემები

მონარქიული სახელმწიფო: დანიის სამეფო
სუვერენი: დედოფალი მარგარეტ I I, შლეზვიგ-ჰოლშტაინ-სონდერბურგ-გლუკსბურგის სახლიდან.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი ფოლკეტინგი.
დედაქალაქი: კოპენჰაგენი.
ადმინისტრაციული დაყოფა: 14 ოლქი (ამტი)

- ზელანდია: კოპენჰაგენი, ფრიდრიკსბორგი (ჰილეროდი), როსკილე, დასავლეთი ზელანდია (სორე);
- ბორნჰოლმი: ბორნჰოლმი (რიონე)
- ლოლანდ-ფალსტერი: სტორტსტრიომი (ნიუკებინგ ფალსტერი)
- ფიუნი: ფიუნი (ოდენსე)
- იუტლანდია: სამხრეთი იუტლანდია (ობერნო), რიბე, ვაილე, რიინგ-კებინგი, ორჰუსი, ვიბორგი, ჩრდილოეთი იუტლანდია (ოლბორგი).

ამას ემატება ფრედერიკსბერგი და კოპენჰაგენის კომუნა განსაკუთრებული სტატუსით, ფარერის კუნძულები ავტონომიური სტატუსით.
ფართობი: 43000 კმ^2, მოსახლეობა; 5.2 მლნ კაცი, სიმჭიდროვე 120 კაცი 1კმ^2-ზე.
ენა: დანიური
რელიგია: პროტესტანტული (ლუთერანული), დაახლოებით 80%.
ფულის ერთეული: დანიის კრონა.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. დანიის მოკლე ისტორია

1. სათავეებიდან ოლდენბურგის დინასტიის მოსვლამდე (1448)

ვიკინგებით დასახლებული და მცირე სახელმწიფოებად დაქუცმაცებული დანია IX საუკუნეში გაერთიანდა. შემდეგ დანიამ, რომელიც 950 წელს ევროპის ყველაზე ძველი სახელმწიფო გახდა, ჰორმის მეფობის დროს ქრისტიანობა მიიღო. დანიელი ხალხი დამპყრობელი იყო: X საუკუნის დასასყისში როლონის მეთაურობით მათ დაიპყრეს ნორმანდია, XI საუკუნეში დანიამ დროებით დაიპყრო ნორვეგია და ინგლისი.

XI საუკუნის შუა პერიოდიდან, ესტრიტიდების დინასტიის მმართველობის პერიოდში დანიამ დაიპყრო ბალტიის ზღვის სამხრეთი სანაპიროები, შემდეგ ისინი თანდათან დაიკარგა, ხოლო ამ დინასტიის მამრობითი ხაზი 1376 წელს შეწყდა, მაგრამ მისმა ბოლო შთამომავალმა მარგრეტე და ვალდემარმა ნორვეგიის მეფის ქვრივმა, 1937 წელს დადო **კალმარის უნია**, რითაც გააერთიანა დანია, ნორვეგია (ისლანდიასთან ერთად) და შვეცია. უნია განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო დანიისათვის, რადგან ეს მას დანარჩენ ორ სამეფოზე დომინირების საშუალებას აძლევდა, რითაც საფუძველი ჩაეყარა დანიის ხანგრძლივი აყვავების ხანას.

2. ოლდენბურგების მეფობა 1789 წლამდე

1448 წლიდან სამეფო ტახტი ოლდენბურგის გრაფების უმცროსი შტოს წარმომადგენელზე, კრისტიან I-ზე გადავიდა. მან ჩაიბარა სამეფო, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა იუტლანდია, კუნძულები და სკანდინავიის ნახევარკუნძულის სამხრეთი რეგიონები (სკონე), სამხრეთი-დასავლეთი (ჰოლანდია),

რომლებიც შვეციის სამეფოს ესაზღვრებოდა, ასევე კუნძულები **გოტლანდი** და **საარემაა** ბალტიის ზღვაში.

კალმარის უნიის ფარგლებში კრისტიან-I 1450 წელს ნორვეგიის მეფე გახდა, 1457 წელს კი შვეციის.

1460 წელს მან დედისაგან მემკვიდრეობით მიიღო **შლეზვიგის** საჰერცოგო და **ჰოლშტაინის** საგრაფო (საჰერცოგო 1474 წლიდან) და ისინი პირადული უნიით თავის სამფლობელოებს შეუერთა. მაგრამ თუ შლეზვიგის მოსახლეობას უმეტესად დანიელები შეადგენდნენ, ჰოლშტაინი (საღვთო რომის იმპერიის ნანილი) ძირითადად გერმანელებით იყო დასახლებული, რაც შემდგომში გართულებების წყარო გახდა.

მისი მემკვიდრეები ძლიეს უმკლავდებოდნენ შვედების დამოუკიდებლობისკენ ლტოლვას, რაც საბოლოოდ აჯანყებით დამთავრდა, რომელსაც სათავეში გუსტავ ვაზა ჩაუდგა. 1523 წელს შვეცია უნიას გამოეყო, რომელშიც მხოლოდ დანია და ნორვეგია დარჩა. 1536 წელს რელიგიად ლუთერანიზმი გამოცხადდა.

1544 წელს ოლდენბურგის შტო, რომელიც კოპენჰაგენში მეფობდა ორად გაიყო: ჰოლშტაინ-გლუკშტადტის სამეფო ხაზად, რომლის მფლობელობაშიც იყო დანია, შლეზვიგის ნახევარი და ჰოლშტაინის ნახევარი და ჰოლშტაინ-გოტორპის საჰერცოგო ხაზად, რომლის მფლობელობაში იყო შლეზვიგის მეორე ნახევარი და ჰოლშტაინის მეორე ნახევარი.

მაგრამ უნიის დაშლის შემდეგ შვეცია დანიისათვის მეტოქე სახელმწიფოდ იქცა და მათ შორის მუდმივი კოხფლიქტები დაიწყო. XVII საუკუნის შუა პერიოდში შვეციის მიერ ორჯერ დამარცხებული დანიის მეფე კრისტიან IV იძულებული გახდა 1645 წელს შვეციისთვის დაეთმო კუნძულები **გოლტლანდი** და **საარემაა**, ხოლო 1658 წელს მეფე ფრიდრიხ III-მ მას დაუთმო **სკონე** და **ჰოლანდია**.

სამაგიეროდ, 1674 წელს ოლდენბურგის სახლის უფროსი ხაზის შენყვეტის შემდეგ, მეფე კრისტიან V-მ შეიერთა საგრაფოები ოლდენბურგი და **დელმენ-ჰორსტი**.

1720 წელს დანიის მეფემ გაერთიანების მიზნით შეიერთა **შლეზვიგის გოტორპების ნილი**. 1762 წელს, რუსეთის ტახტზე ასვლის შემდეგ (პეტრე III-ის სახელით), ჰერცოგმა კარლ-პიერ ჰოლშტაინ-გოტორპმა შლეზვიგის თავისი ნილი მოითხოვა, მაგრამ იგი მოკლეს. მოთხოვნა მისმა შვილმა დიდმა ჰერცოგმა პავლემ გააგრძელა (ეკატერინე II-ის ვაჟი).

კოპენჰაგენის ხელშეკრულებით (1767 წელს), შემდეგ ცარსკოე-სელოს ხელშეკრულებით (1773), ჰოლშტაინის ორ შტოს შორის დავა მოგვარდა.

დიდმა ჰერცოგმა პავლემ **დანიის მეფისგან მიიღო ოლდენბურგის და დელმენჰორსტის საგრაფოები**, რომლებიც მაშინვე ლიუბეკის ეპისკოპოს-მთავარს გადაეცა.

დანიის მეფემ დიდი ჰერცოგის პავლესაგან მიიღო ჰოლშტაინ-გოტორპი და მისი უარი **შლეზვიგ-გოტორპის** უფლებებზე.

ორი საჰერცოგო **შლეზვიგი** და **ჰოლშტაინი**, თითოეული თავის მხრივ, დანიის მეფის მფარველობის ქვეშ გაერთიანდა, საიდანაც წამოვიდა მათი შემდგომი სახელწოდება "დანიის საჰერცოგოები"

II. დანია 1789 წელს

დანიის სამეფო ყველაზე სამხრეთით მდებარეობს სკანდინავიის იმ სამი სამეფოდან, რომლებიც ჩრდილოეთ ევროპას ეკუთვნის. მისი ფართობი (ნორვეგიის გამოკლებით) 56000კმ^2-ს შეადგენდა, მოსახლეობა 800 000 კაცს. ის მოიცავდა ძირითადად იუტლანდიის ნახევარკუნძულს და ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელ სრუტეებში მდებარე კუნძულებს.

დანიის სამეფო დაბლობი და ნაყოფიერი ქვეყანა იყო კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობით, განსაკუთრებით მესაქონლეობით. მას კარგად განვითარებული ქალაქების ქსელი ჰქონდა, დედაქალაქი კოპენჰაგენი მნიშვნელოვანი პორტი იყო.

XVII საუკუნიდან გაიზარდა ეკონომიკური აქტივობა, ხოლო სრუტეებში გამავალი საზღვაო ტვირთებიდან მიღებული საბაჟო გადასახადები ქვეყნის გაძლიერებასა და გამდიდრებას უწყობდა ხელს.

1789 წელს დანიას შემდეგი სამფლობელოები ეკუთვნოდა:

1. დანიის სამეფო:

ა) თვითონ დანია, დედაქალაქი კოპენჰაგენი, რომელიც სამ დიდ ოლქად იყოფოდა:

– ზელანდიის ოლქი (კოპენჰაგენი), რომელიც ასევე სამ ოლქს შეიცავდა, ზელანდიას, ბორნჰოლმს და ომაგერ-მენ-სამსეს.

– ფიონიის ოლქი (ოდენსე), რომელიც სამ ოლქს შეიცავდა: ფიონიას, ლოლანდ-ლანგელანდს და ფალსტერს.

– იუტლანდიის ოლქი (ოლბორგი), რომელიც ოთხ ოლქს შეიცავდა: ოლბორგს, ვიბორგს, ორჰუსს და რიბეს.

ბ) ფარერის კუნძულების განსაკუთრებული ოლქი (თორსავენი);

გ) ისლანდიის დიდი ოლქი (რეიკიავიკი); (იხ. თავი ისლანდია).

დ) ნორვეგიის სამეფო დაყოფილი ოთხ დიდ ოლქად: აკერსჰუსი, კრისტიანსანი, ბერგენი, ტრონიუმი; (იხ. თავი ისლანდია).

2. შლეზვიგიის საჰერცოგო (ფლენსბურგი) არ ითვლებოდა დანიურად; შლეზვიგში არსებობდა დანიური ანკლავები (მიერთებული სამეფოსთან): რიბე, მიოგელტონდერნი, კუნძულების რიომის, სილტის და ფიერის ნახევარი.

3. ჰოლშტაინის საჰერცოგო (კილი), არ ითვლებოდა დანიურად; ჰოლშტაინ-გლუკშტადტის საჰერცოგო დამოკიდებული იყო ჰელიგოლანდის კუნძულზე; ორ ჰოლშტაინს შორის მდებარეობდა ლიუბეკის საეპისკოპოსოს ორი ნაწილი: ოიტენი და რატეკაუ; ჰოლშტაინის საჰერცოგო შედიოდა საღვთო რომის იმპერიაში, ქვემო საქსონიის ოლქში; აქედან გამომდინარე ჰოლშტაინის ჰერცოგს (დანიის მეფეს) ერთი ადგილი ჰქონდა ქვემო საქსონიის ოლქში და ერთი ადგილი რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგიის საერთო ფრთაში.

ამას ემატებოდა ევროპის ფარგლებს გარეთ მდებარე გრენლანდია.

III. 1789 წლიდან ნორვეგიის დაკარგვამდე (1814/1815)

დიდი ხნის მანძილზე რევოლიციურ ძვრებს დაშორებულ დანიას არ შეხებია ევროპაში მომხდარი ცვლილებები, ის შეძლებისდაგვარად დიდხანს იცავდა ნეიტრალიტეტს.

ნაპოლეონის ომების დაწყებისთანავე დანია რუსეთის მიერ დაარსებული ნეიტრალური ქვეყნების ლიგას შეუერთდა, იმისთვის რომ დაცული ყოფილიყო მისი საზღვაო ვაჭრობა. ტილზიტის შეხვედრის შემდეგ ის ორმხრივ ზენოლას განიცდიდა საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მხრიდან იმ მოთხოვნით, რომ რომელიმე მათგანის მხარე დაეკავებინა (1807 წლის აგვისტო).

მას შემდეგ, რაც იმავე წელს ინგლისელებმა კოპენჰაგენი დაბომბეს და დაიკავეს კუნძული ჰელგოლანდი, დანია საფრანგეთის ბანაკს შეუერთდა 1807 წლის 30 ოქტომბერს ფონტენებლოში დადებული ხელშეკრულებით. მაგრამ ნორვეგია უკვე იზოლირებული იყო დანიისაგან ინგლისის ფლოტის მირ.

გარდა ამისა, ისარგებლა რა საზღვაო მიმოსვლებზე არეულობით, დანიელმა ავანტიურისტმა, ვინმე გეორგ ურგენსონმა დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით 1809 წლის აგვისტოში ხელში ჩაიგდო ისლანდია და თავი მის სუვერენად გამოაცხადა.

1812 წელს შვედეთმა, რომელიც დანიის მსგავსად საფრანგეთის ბანაკში შედიოდა, შეიცვალა პოზიცია იმის მიუხედავად, რომ მოკავშირეები ნორვეგიას ჰპირდებოდნენ; 1813 წელს ის თავს დაესხა დანიას და დაამარცხა.

საფრანგეთის უკან დახევის გამო, დანიამ მისი მხარდაჭერა დაკარგა და იძულებული გახდა კილის ხელშეკრულებით, რომელიც 1814 წლის 14 იანვარს დაიდო დაეთმო:

– **დიდი ბრიტანეთისათვის კუნძული ჰელიგოლანდი**, რომელიც მან 1807 წელს დაიკავა.

– **შვედეთისთვის ნორვეგიის სამეფო.**

– **სანაცვლოდ, მან შვედეთისგან მიიღო შვედეთის პომერანია,** წინა პომერანიის ჩრდილოეთის ნახევარი.

1815 წელს ზღვებზე თავისუფალი მიმოსვლების აღდგენის შემდეგ, დანიამ დაიბრუნა სუვერენიტეტი **ისლანდიაზე.**

ამავე დროს შვედეთის პომერანია, რომელიც 1814 წელს დანიას ეკუთვნოდა პრუსიისათვის სასურველი ტერიტორია იყო დიდი ხნის განმავლობაში.

1815 წლის 23 სექტემბრის პარიზის შეთანხმებით, **დანია** იძულებული გახდა **პრუსიისთვის დათმო შვედეთის ყოფილი პომერანია** და სანაცვლოდ **პრუსიისგან მიიღო ლაუენბურგის საჰერცოგო** (ელბის მარცხენა სანაპირო ზოლის გამოკლებით), რომელიც მას ჰანოვერისგან ჰქონდა მიღებული.

IV. 1815 წლიდან შლეზვიგ-ჰოლშტაიდის დაკარგვამდე (1864)

1814-1815 წლებში განხორციელებული ტერიტორიული ცვლილებების შემდეგ დანიის ფართობი შეადგენდა 56000 კმ²-ს. მის მფლობელობაში შედიოდა ფარერის კუნძულები და ისლანდია, ამას ემატებოდა პირადული უნიით მიღებული შლეზვიგის, ჰოლშტაინის, ლაუენბერგის საჰერცოგოები, ამათგან ბოლო ორი გერმანიის კონფედერაციაში შედიოდა, რომელიც 1815 წლის ივნისში შეიქმნა გერმანიაში.

ამ პერიოდიდან დანია 19 ოლქად იყოფოდა:

– ზელანდია (კოპენჰაგენი): ხუთი ოლქი–კოპენჰაგენი, ჰოლბეკი, ფრედერიკსბორგი, სორე, პრესტო;

– ფიონია (ოდენსე): ორი ოლქი-ოდენსე და სვენდბორგი.

– ლოლანდი და ფალსტერი: მარიბოს ოლქი;

– ბორნჰოლმი: ბორნჰოლმის ოლქი:

– იუტლანდია: ათი ოლქი – ჰიერინგი, ოლბორგი, თისტედი, ვიბორგი, რანდერსი, ორჰუსი, სკანდერბორგი, ვეილე, რინგკიობინგი, რიბე.

ამას ემატებოდა ფარერის კუნძულები, ისლანდია და მოშორებით გრენლანდია.

სამი „დანიური საჰერცოგო" (შლეზვიგი, ჰოლშტაინი, ლაუნბერგი) პირადული უნიით დანიასთან განსაკუთრებულ სტატუსს ფლობდა: თითოეულ საჰერცოგოს მართავდა მეფის წარმომადგენელი, ჰქონდა ასამბლეა, რომელიც სამივეს დედაქალაქში მუშაობდა: შლეზვიგის ფლენსბურგში, ჰოლშტაინის გლუკსდადტში, ლაუენბურგის რატცებურგში.

ჰოლშტაინისა და ლაუენბურგის სახელით დანიის მეფე გერმანიის კონფედერაციის წევრი იყო. ფრანკფურტის ფედერალური დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა), დანიის მეფეს სამი ხმა ჰქონდა; დახურულ სხდომებზე (17 ხმა) ერთი ხმა.

1. ომის პირველი ნიშნები (1839-1863)

1839 წელს დანიის ტახტზე მეფე კრისტიან VIII ავიდა, რომლის ორ ვაჟსაც მემკვიდრეები არ ჰყავდათ, ეს კი მემკვიდრეობის საკითხის გართულებას მოასწავებდა. დასაშვები იყო რომ დანიის მემკვიდრეობა ქალს მიეღო, მაგრამ შლეზვიგი და ჰოლშტაინი სალიკურ კანონს იცავდნენ. აქედან გამომდინარე, აუგუსტენბურგის ჰერცოგი ოლდენბურგის სახლიდან, პრეტენზიას აცხადებდა საჰერცოგოებზე.

ეს დაპირისპირება მემკვიდრეობასთან დაკავშირებით დანიისა და გერმანიის დაპირისპირების შემდეგ გამწვავდა: დანიელებს სურდათ საბოლოოდ მიეერთებინათ შლეზვიგი, ჩამოეშორებინათ პრუსია სრუტეებისათვის და ნავსადგურ კილისთვის, გერმანელებს კი სურდათ შლეზვიგის ჩართვა გერმანიის კონფედერაციაში.

1846 წლის ივლისში მეფე კრისტიან VIII-მ გამოსცა წყალობის სიგელი, სადაც აცხადებდა დანიის მემკვიდრეობით უფლებას შლეზვიგზე და ჰოლშტაინში გლუკშტადტების ყოფილ ნილზე, გოტორპების ყოფილი ნილი უნიაში არ შედიოდა. ჰერცოგმა აუგუსტენბურგმა და ამ საჰერცოგოების გერმანელმა მოსახლეობამ ეს გადაწყვეტილება გააპროტესტა.

1848 წელს იმისთვის რომ დაპირისპირებოდნენ მეფე ფრედერიკ VII-ს, რომელმაც იანვარში ერთიანი კონსტიტუცია გამოსცა, შლეზვიგ-ჰოლშტაინში გამოცხადდა დროებითი მთავრობა (24 მარტს კილში), რომელსაც თავმჯდომარეობდა აუგუსტენბურგის ჰერცოგი.

დანიამ დაიკავა შლეზვიგი, ხოლო პრუსიამ თავისი ჯარები გააგზავნა, ამის შემდეგ საკითხი საერთაშორისო კონფერენციაზე გადაიგზავნა განსახილველად.

კონფერენციამ, რომელიც ლონდონში 1852 ნლის მაისში გაიმართა და რომელშიც ევროპის ძლიერი სახელმწიფოები მონაწილეობდნენ, გადაწყვიტა რომ მეფე ფრედერიკ VII-ს გარდაცვალების შემდეგ ორი საჰერცოგო გადაეცემოდა მის მემკვიდრეს კრისტიან დე გლუკსბურგს, მაგრამ არ გაერთიანდებოდა სამეფოში. ეს გადაწყვეტილება რატიფიცირებული ავსტრიისა და პრუსიის მიერ გერმანიის კონფერაციას არ დაუმტკიცებია.

2. საჰერცოგოების ომი (1863-1864)

მეფე ფრედერიკ VII-ს გარდაცვალების შემდეგ, ახალი მეფე კრისტიან IX შლეზვიგ-ჰოლშტაინ-სონდერბურგ-გლუკსბურგების სახლიდან დანიის ტახტზე ავიდა. ლონდონში მიღწეული შეთანხმების მიუხედავად მან მაშინვე მიუერთა შლეზვიგი დანიის სამეფოს და გადაწყვიტა შეეცვალა ჰოლშტაინისა და ლაუნბერგის სტატუსები.

ამის პასუხად, გერმანიის კონფედერაციამ საჰერცოგოების კანონიერ მემკვიდრედ ფრიდრიხ აუგუსტენბურგი გამოაცხადა, ჰერცოგ აუგუსტენბურგის ძმა, რომელმაც შლეზვიგ-ჰოლშტაინის ჰერცოგის ტიტული მიიღო. გერმანიის კონფედერაციის მიერ ნაქეზებულმა ჰანოვერისა და საქსონიის ჯარებმა ჰოლშტაინი დაიკავეს. პრუსიამ და ავსტრიამ, რომელთაც 1852 ნელს ლონდონში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, განაცხადეს, რომ არ დაუჭერდნენ მხარს აუგუსტენბურგის მთავარს, და მხოლოდ საჰერცოგოს გერმანელი მოსახლეობის ინტერესებს დაიცვდნენ.

1864 ნლის თებერვალში, პრუსიამ და ავსტრიამ დაიკავეს საჰერცოგოები, და ხანმოკლე ნინააღმდეგობის შემდეგ დაამარცხეს დანიის არმია.

ვენაში გაფორმებული ზავის მიხედვით (1864 ნლის 30 ოქტომბერი) **დანიამ შლეზვიგი, ჰოლშტაინი და ლაუენბურგი პრუსიისა და ავსტრიის კონდომინიუმს დაუთმო**, რომელიც მათ ადმინისტრაციას საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე განახორციელებდა.

რაც შეეხება შლეზვიგს, დანიამ შეინარჩუნა ნამდვილი დანიური ტერიტორია რიბე, რომელიც სამეფოს ესაზღვრებოდა და დათმო მეგელტონდერნი, რიომი, სილტი და ფიორი. სამაგიეროდ მან შეინარჩუნა შლეზვიგის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე, რომელიც სამეფოს შეუერთა.

V. 1864 ნლიდან დღემდე

1. საჰერცოგოების დაკარგვიდან ჩრდილოეთი შლეზვიგის დაბრუნებამდე (1864-1920)

დანიამ (ისლანდიისა და ფაერერის კუნძულების გამოკლებით) დაკარგა 17 000 კმ² და 800 000 სული. მისი ფართობი 39000 კმ²-ზე, მოსახლეობა კი 1700 000 კაცამდე შემცირდა.

ტერიტორიების დაკარგვას დანიისთვის ხელი არ შეუშლია ეკონომიკური მოღვაწეობის გაზრდაში, რაც მნიშვნელოვანი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთი ევროპისთვის. პოლიტიკური თვალსაზრისით 1849 ნლის კონსტიტუცია კონსერვატიული იყო, რომელიც დაამტკიცა შეზღუდული საარჩევნო უფლებით არჩეულმა ზედა პალატამ (ლანდსტინგმა).

გარდა ამისა, 1904 ნელს ისლანდიას შიდა ავტონომიის სტატუსი მიენიჭა. დანიამ თავი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადა და პირველ მსოფლიო ომში არ ჩარეულა. ისლანდიასთან კავშირების შესუსტება, რაც გამონვეული იყო

საზღვაო მიმოსვლის გართულებით, მისი სრული ავტონომიის საფუძველი გახდა. 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით **ისლანდია სამეფოდ** გამოცხადდა, რომელიც დამოუკიდებელი იყო, დანიასთან დაკავშირებული იყო პირადული უნიით.

და ბოლოს, პირველმა მსოფლიო ომმა შესაძლებელი გახადა საბოლოოდ მოგვარებულიყო საჰერცოგოების საკითხი.

როდესაც პრუსია პრაღის ხელშეკრულებით (1866 წლის აგვისტო) შლეზვიგიისა და ჰოლშტაინის ერთადერთი მფლობელი გახდა, მას დაევალა შლეზვიგის საჰერცოგოს ჩრდილოეთ ნაწილში პლებისციტი ჩაეტარებინა, რომლის მოსახლეობის უმეტესობას დანიელები წარმოადგენდნენ, მაგრამ მან ეს პირობა არ შეასრულა.

დანიამ ისარგებლა გერმანიის დამარცხებით და ამ საკითხის გადაჭრა მოითხოვა. 1918 წლის 23 ოქტომბერს პარლამენტის გადაწყვეტილებას კენჭი ეყარა.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მონაწილე ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ პლებისციტი ორ ზონაში ჩატარებულიყო: პირველი ზონა შეესაბამებოდა პრაღის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტერიტორიას, მეორე ზონა შედგებოდა პირველი ზონის მოსაზღვრე შლეზვიგის ოლქებისაგან.

1920 წლის 20 თებერვალს პირველ ზონაში პლებისციტი ჩატარდა: მოსახლეობის 75%-მა ხმა მისცა დანიასთან შეერთებას. 14 მარტს მეორე ზონაში ჩატარებული პლებისციტის შედეგების მიხედვით მხოლოდ 25%-ი იყო დანიასთან შეერთების მომხრე.

1920 წლის 15 ივნისს გერმანიამ და დანიამ მოახდინეს პლებისტიტის შედეგების რატიფიცირება, **გერმანიამ დანიას დაუბრუნა ჩრდილოეთი შლეზვიგი.** ეს ტერიტორია პირველად შევიდა სამეფოს შემადგენლობაში და ის სამხრეთი იუტლანდიის ოლქი გახდა. მისი ადმინისტრაციული ცენტრია ობერნო.

შლეზვიგის დარჩენილი ნაწილი ჰოლშტაინსთან და ლაუენბურგთან ერთად პრუსიის და გერმანიის შემადგენლობაში დარჩა.

2. თანამედროვე პერიოდი (1920 წლიდან დღემდე)

ჩრდილოეთ შლეზვიგის შემოერთების შემდეგ დანიის ფართობი 4000 კმ^2-ით, მოსახლეობა კი 200 000 კაცით გაიზარდა.

თავისი ნეიტრალიტეტის მიუხედავად დანია ვერ გადაურჩა მეორე მსოფლიო ომს. 1940 წლის აპრილში ის გერმანელებმა დაიკავეს და 1945 წლამდე ოკუპირებული იყო.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩრდილოეთი შლეზვიგი ევროპის ერთადერთი ტერიტორია იყო, რომელიც გერმანიაში იყო ანკლავირებული 1919-1920 წლებში და რომელიც არ შეუერთეს ჰიტლერის რაიხს; შეიძლება ეს იმის გამოც მოხდა, რომ 1919 წელს დანიას მეტად თავშეკავებული მოთხოვნები ჰქონდა.

1940 წლიდან ბრიტანელების მიერ ოკუპირებული ისლანდია დიდი ხნით იყო ჩამოშორებული დანიას, რაც ხელს უწყობდა დამოუკიდებლობის მოძრაობის გაძლიერებას.

1944 წლის 25 მაისს, იქ რეფერენდუმი ჩატარდა და უმრავლესობა გამოყოფას მიემხრო. 17 ივნისს გამოცხადდა **ისლანდიის რესპუბლიკა, რომელიც დანიისაგან დამოუკიდებელი გახდა.**

დანიის ფართობმა შეადგინა 43 000 კმ^2, ის შემოიფარგლებოდა სრუტეში არსებული კუნძულებით, იუტლანდიით, კუნძულ ბორნჰოლმით, ფარერის კუნძულებით, რომელთა ფართობიც 1400კმ^2-ია.

მან შეინარჩუნა გრენლანდია.

1953 წელს გაუქმდა 1866 წელს შემოღებული ზედა პალატა. განხორციელებული შიდა ცვლილებების შემდეგ ოლქების რაოდენობა 14-მდე შემცირდა.

1973 წლის 1 იანვარს დანია ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში გაერთიანდა.

დიდი ბრიტანეთი

და ჩრდილოეთი ირლანდია

ზოგადი მონაცემები

მონარქიული სახელმწიფო: დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო და ჩრდილოეთი ირლანდია.
სუვერენი: დედოფალი ელისაბედ II უინძორების სახლის წარმომადგენელი, რომელიც ადრე საქსენ-კობურგებს ეკუთვნოდა; მანის კუნძულზე დედოფალი მეფობს *მანის* ლორდის ტიტულით; ანგლო-ნორმანდიულ კუნძულებზე ნორმანდიის ჰერცოგის ტიტულით.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ორი პალატა, ლორდთა პალატა (მემკვიდრეობითი ან სამუდამო), თემთა პალატა (დეპუტატების). შოტლანდიის და უელსის პარლამენტები ცოტა ხნის ნინ იქნა შემოღებული.
დედაქალაქი: ლონდონი
ადმინისტრაციული დაყოფა რეგიონებად და საგრაფოებად:
– ინგლისი (ლონდონი), დაყოფილია 45 საგრაფოდ, რასაც ემატება დიდი ლონდონი (Greater London):

- ჩრდილოეთის რეგიონი (3 საგრაფო): კლივლენდი (მიდლსბრო), კამბრია (კარლაილი), დარემი, ნორთუმბერლენდი (ნიუკასლი), თაინ ენდ ვეარი (ნიუკასლი).
- იორკშირის და ჰამბერსაიდის რეგიონი (4 საგრაფო): ჰამბერსაიდი (ქინგსტონ აპონ ჰალი), ჩრდილოეთი იორკშირი (ნორთოლტონი), სამხრეთი იორკშირი (ბარნსლი), დასავლეთი იორკშირი (უეიკფილდი);
- ისთმიდლენდის რეგიონი (5 საგრაფო): დერბიშირი (მეთლოკი), ლესტერშირი (ლესთერი), ლინკოლნშირი (ლინკოლნი), ნორთჰემპთონშირი (ნორთჰემპთონი), ნოთინგემშირი (ნოთინგემი);
- აღმოსავლეთი ინგლისის რეგიონი (3 საგრაფო): კემბრიჯშირი (კემბრიჯი), ნორფოლკი (ნორიჯი), სუფოლკი (იპსვიჩი);
- სამხრეთ აღმოსავლეთი რეგიონი (12 საგარფო და დიდი ლონდონი): ბედფორდშირი (ბედფორდი), ბერკშირი (რედინგი), ბაკინგემშირი (ეილსბერი), ისტასასექსი (ლივზი), ესექსი (ჩელმსფორდი), ჰემპშირი (უინჩესტერი), ჰარტფორდშირი (ჰარტფორდი), აილ ოფ ვაითი (ნიუპოსთი), კენტი (მეიდსთონი), ოქსფორდშირი (ოქსფორდი), სურეი (კინგსტონ-აპონ-თემსი), ვესტ სასექსი (ჩიჩესტერი);
- სამხრეთ დასავლეთი რეგიონი (7 საგრაფო): ეივონი (ბრისტოლი), კორნუოლი (ტრურო), დევონი (ექსეტერი), დორსეტი (დორჩესტერი), გლოსტერშირი (გლოსტერი), სომერსეტი (თაუტონი), უილთშირი (თროუბრიჯი);
- ვესტ - მიდლენდის რეგიონი (5 საგრაფო): ჰერფორდ ენდ ვუსთერი (ვუსთერი), შროპშირი (შრუსბერი), სთაფორდშირი (სთაფორდი), უორკშირი (უორკი), ვესტ მიდლენდი (ბირმინგემი);
- ჩრდილო-დასავლეთის რეგიონი (4 საგრაფო): ჩეშირი (ჩესტერი), დიდი მანჩესტერი, ლანკაშირი (პრესტონი), მერსეი (ლივერპული).

– შოტლანდია (ედინბურგი), იყოფა 9 რეგიონად: ბორდერსი (ნიუტონ სენბოსველი), სენტრალი (სტერლინგი), დამფრისი და კოლოუეი (დამფრისი), ფაიფი (გლენროთი), გრამპიანი (აბერდინი), ჰაილენდი (ინვერნესი), ლოთიანი (ედინბურგი), სთრეთკლაიდი (გლაზგო), თეისაიდი (დანდი); ამას ემატება სპეციალურ სტატუსიანი კუნძულები: ორკნის (კერკუოლი),

შეტლანდის (ლერუიკი), ვესტერნ აილი ან ჰებრიდიზ ექსტერიერი (სტორნოვეი).
– უელსი (კარდიფი) დაყოფილია 8 საგრაფოდ: კლაიდი (მოლდი), დავიდი (კარმარტენი), გვენთი (ნიუპორტი), გვინეზი (კარნარვონი), მიდგლამორგანი (კარდიფი), ფაუსი (ლენდრინდოდ უელზი), სამხრეთი გლამორგანი (კარდიფი), დასავლეთი გლამორგანი (სუონსი).
ამ ტერიტორიულ დაყოფას თანდათან დაემატა ადმინისტაციული ერთეულები (*unitary authorities*).
– ჩრდილოეთი ირლანდია (ბელფასტი), დაყოფილია 6 საგრაფოდ: ანთრიმი (ბელფასტი), არმა, დაუნი (დაუნპატრიკი), ფერმანია (ენისკილენი), ლონდონდერი, თირონი (აუმა).
ევროპაზე დამოკიდებული ტერიტორიები, რომლებიც არ შედის გაერთიანებულ სამეფოში:
– მანის კუნძული (დუგლასი); ექვემდებარება დიდ ბრიტანეთს;
– ანგლო-ნორმანდიული კუნძულები: ჯერსი (სენტ-ჰელია), გერნსი (სენტ-პეტერ-პორტი) მასზე დამოკიდებული ტერიტორიებით: ორნინი (სენტ-ანა) და სერკი; ექვემდებარება დიდ ბრიტანეთს;
– გიბრალტარის ნახევარკუნძული; დიდი ბრიტანეთის კოლონია;
– სამხედრო ბაზები კვიპროსზე დეკელია და აკროტირი.
ფართობი: 244 100 კმ^2 (ინგლისი: 130 400; უელსი: 20 800; შოტლანდია: 78 800; ჩრდილოეთი ირლანდია: 14 100); მანის კუნძული: 600, ანგლო-ნორმანდიული კუნძულები: 200; გიბრალტარი: 6; ბაზები კვიპროსზე: 250; მოსახლეობა: 57 მილიონი მცხოვრები; სიმჭიდროვე: 450 კაცი ერთ კმ^2-ზე.
ენა: ინგლისური; შოტლანდიაში ლაპარაკობდნენ გაელურად, უელსში უელსურად, ჩრდილოეთ ირლანდიაში ირლანდიურად, ანგლო-ნორმანდიის კუნძულებზე ფრანგულად, გიბრალტარში ესპანურად.
რელიგია: ანგლიკანური, პროტესტანტული, კათოლიკური; ისტორიულად დომინანტური რელიგიებია ანგლიკანური ინგლისში და პროტესტანტული შოტლანდიაში.
ფულის ერთეული: ფუნტი სტერლინგი.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. დიდი ბრიტანეთის მოკლე ისტორია

1. სათავეებიდან უილიამ ნორმანდიელის მიერ ინგლისის დაპყრობამდე (1066)

თავდაპირველად კელტებით დასახლებული ინგლისი ჩვ. წ. აღ-ით 43 წელს რომაელებმა დაიპყრეს და ის თავისი იმპერიის პროვინციად აქციეს, რომელსაც **ბრეტანი** უწოდეს. თავისი დომინაციის პერიოდში ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი თავდასხმებისაგან (შოტლანდია) თავის დასაცავად **რომაელებმა** ორი კედელი ააგეს, ჯერ ადრიანის (130 წელს), შემდეგ კი უფრო ჩრდილოეთით, ანტონინის (138 წელი).

მართალია ქვეყანაში რომაული ცივილიზაცია დომინირებდა, მაგრამ შენარჩუნებული იქნა კულტურული ადათ-წესები. იქ განვითარდა ქალაქების პირველი ქსელი (ლონდონი, იორკი, უინჩესტერი), IV საუკუნეში კი ქვეყანაში ქრისტიანული რელიგია გავრცელდა.

V საუკუნეში რომაელების წასვლის შემდეგ (დაახლოებით 410 წელს), ქვეყანა გერმანელების, ანგლების, იუტების, საქსების შემოსევებს განიცდიდა, რის შედეგადაც კელტები ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთისაკენ (შოტლანდიის სამხრეთ-დასავლეთი), ასევე დასავლეთისაკენ (უელსი) და სამხრეთისაკენ (კორნუელი) შევიწროვდნენ.

VI საუკუნეში საქსებმა და ანგლებმა დღევანდელი ინგლისის ტერიტორიაზე დააარსეს შვიდი სამეფო: **კენტი, ესექსი, სასექსი, უესექსი, აღმოსავლეთი**

ინგლისი, მერსია, ნორთუმბერლენდი. ეს სამეფოები, თავის მხრივ VII საუკუნეში გაქრისტიანდა: 597 წელს კენტბერიში დაარსდა ეპისკოპოსის რეზიდენცია (წმინდა ავგუსტინეს მიერ), 634 წელს კი იორკში.

IX საუკუნის დასაწყისში, უესექსის მეფე ეკბერტ დიდმა დროებით გააერთიანა ჰეპტარქია (825 წელი). მაგრამ 865 წლიდან, დანიელების შემოსევების შედეგად ქვეყანა კვლავ დანანევრდა. დანიელებს წინააღმდეგობას მხოლოდ უესექსი უწევდა. 880 წელს ქვეყანა გადანაწილდა დანიას და უესექსს შორის, დანიელებს ერგოთ ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი, ხოლო უესექსის მეფე ალფრედ დიდმს **ანგლებისა და საქსების მეფის** ტიტული მიენიჭა.

X საუკუნეში ანგლო-საქსებმა თანდათან დაიკავეს დანიის სამეფო და ქვეყნის ერთიანობა მათ სასარგებლოდ აღდგა, დანიის მეფის კნუდ დიდის ხანმოკლე დომონაციის მიუხედავად (1016-1035). ამგვარად შეიქმნა **ინგლისი.** 1042 წელს კნუდი ალფრედის მემკვიდრე ედუარდმა შეცვალა. იგი თავის მემკვიდრეობას შორეულ ბიძაშვილს, ნორმანდიის ჰერცოგ უილიამს დაჰპირდა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტი ხელში მისმა ნათესავმა ჰაროლდმა ჩაიგდო (1066 წლის იანვარი). იულიამი ინგლისში ჩავიდა, დაამარცხა ჰაროლდი, რომელიც ჰასტინგის ბრძოლაში დაიღუპა (1066 წლის ოქტომბერი) და ტახტზე ავიდა (დეკემბერი).

უელსში მცხოვრები კელტები, რომლებიც იქ V საუკუნიდან დაფუძნდნენ, შევიწროებულნი იყვნენ ვიკინგების მხრიდან, ამიტომაც იძულებულნი გახდნენ მფარველობა ანგლოსაქსებისათვის ეთხოვათ, რომლებიც XI საუკუნიდან უელსის სამეფოს სიუზერენები გახდნენ.

რაც შეეხება **შოტლანდიას,** რომელიც თავიდანვე კელტებით იყო დასახლებული, იქ რომაელების ბატონობა ყოველთვის ნანილობრივი, დროებითი და ზედაპირული იყო. რომაელების წასვლის შემდეგ, ქვეყანაში გახშირდა სკოტების (ირლანდიელების) შემოსევები დასავლეთიდან, ინგლისელების სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ბრიტების სამხრეთ-დასავლეთიდან, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას ჩრდილოეთისკენ ავიწროებდნენ.

VI საუკუნეში შოტლანდიაში ქრისტიანობა გავრცელდა. IX საუკუნის დასაწყისში ვიკინგებმა დაიკავეს კუნძულები და სკოტები მათი მოძმე ირლანდიელებისაგან იზოლაციაში მოაქციეს. 844 წელს სკოტების მეფემ კენეტ მაკელპინმა თავის სასარგებლოდ დაამყარა უნია პიკტებსა და სკოტებს შორის. 1034 წელს ალბას სამეფომ შეიერთა სთერთკლაიდის სამეფო და შოტლანდიის სამეფო შექმნა.

2. 1066 წლიდან ტიუდორების მოსვლამდე (1485 წელი)

უილიამ დამყრობლის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამ რადიკალურად შეცვალა ინგლისის პოლიტიკური მდგომარეობა. მეფე, რომელიც **ნორმანდიის** ჰერცოგიც იყო, საფრანგეთის მეფეს ექვემდებარებოდა; მან ჰაროლდის ერთგულ ნარჩინებულებს სამფლობელოები ჩამოართვა და ისინი ნორმანდიელ ბარონებს დაურიგა, უმეტესი ნანილი კი პირად მფლობელობაში დაიტოვა. სამეფო კარზე ძირითადი ენა ფრანგული გახდა და ქვეყნის პოლიტიკაც ხანგრძლივად საფრანგეთისაკენ იყო მიმართული, რასაც მოგვიანებით კონტინენტის მიმართ უილიამის მემკვიდრეების პრეტენზიები მოყვა.

გარდა ამისა, უელსი თანდათან ორ რეგიონად გაიყო: ჩრდილოეთით იყვნენ ვასალი უელსელი მთავრები, სამხრეთით და აღმოსავლეთით დიდი ძალაუფლებით აღჭურვილი ნორმანდიელი ბარონები. ბოლოს, 1072 წელს უილიამმა შოტლანდიის მეფის აღიარებაც მიიღო.

უილიამის გარდაცვალების შემდეგ (1087 წელი), ნორმანდია და ინგლისი გაიყო, მაგრამ 1106 წელს კვლავ გაერთიანდა უილიამის მესამე ვაჟის ჰენრი I-ის ძალისხმევით. ამ უკანასკნელმა მემკვიდრედ თავისი შვილიშვილი ჰენრი დაასახელა, რომელიც ანჟუს პერცოგის (ჟოფრუა პლანტაგენეტი) ვაჟი იყო. ჰენრი I-ის გარდაცვალების, ნორმანდიელი ბარონების მიერ მემკვიდრეობაზე ნამონყებული ომის დასრულების შემდეგ, **ინგლისის** მეფე გახდა (1154) ჰენრი II პლანტაგენეტი, **ნორმანდიის** ჰერცოგი 1150 წლიდან, **ანჟუს, მენის და ტურინგის** გრაფი 1151 წლიდან.

1152 წელს ჰენრი II-მ საფრანგეთის მეფე ლუი VII-ს მიერ უარყოფილი ელეონორა აქვიტანელი შეირთო, რომელსაც მზითვში მოყვა საფრანგეთის მინები ოკეანის საზღვარზე, მდინარე ლუარადან პირენეიმდე (**პუატუ, ანგუმუა, სენტონჟი, გიენი, გასკონი, მარში, ლიმუზინი**). უფრო მეტიც, 1171 წელს ჰენრი II **ირლანდიის** სიუზერენიც გახდა, რომელიც მისმა ვასალმა ანგლო-ნორმანებმა დაიპყრეს.

კონტინენტის ეს ფართო ტერიტორია, რომელიც საფარნგეთის მეფის პირველობასაც ემუქრებოდა, ძალიან მალე დაკარგეს ჰენრი II-ს მემკვიდრეებმა: 1204-1206 წლებში **ტურინი, ანჟუ, მენი, სენტონჟი**, 1208 წელს კი **ნორმანდია**, ანგლო-ნორმანდიული კუნძულების გამოკლებით. ინგლისელების ხელში მხოლოდ აქვიტანია და მასზე დამოკიდებული ტერიტორიები დარჩა.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისმა თანდათან შეიერთა უელსის ის ტერიტორიები, რომლებიც უელსელი მთავრების ხელში იყო. გუაინედის მთავრის ლაველინის მმართველობის შემდეგ, ინგლისელებმა ისარგებლეს მის მემკვიდრეებს შორის ატეხილი დავით და სამთავროს ტერიტორიები დაიპყრეს. 1301 წელს მეფე ედუარდ I მთლიანად ფლობდა **უელსს** და ის თავის უფროს ვაჟს გადასცა.

სამაგიეროდ შოტლანდიამ, რომლის მეფეებიც აღიარებდნენ ინგლისის მეფის სიუზერენობას, მოახერხა დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ედუარდ I-ს მცდელობის მიუხედავად. შოტლანდიამ, რომელმაც 1266 წელს ვიკინგებს შოტლანდიური კუნძულები გამოსტაცა, დიდი წინააღმდეგობა გაუწია ინგლისელებს (უილიამ უელსელის პერიოდი) და მეფე რობერტ ბრიუსმა ინგლისელები დაამარცხა, რომლებმაც 1328 წელს **შოტლანდიის დამოუკიდებლობა** აღიარეს. შოტლანდიაში, რომელსაც XIV საუკუნის შუა პერიოდში ხანგრძლივი ალიანსი ჰქონდა საფრანგეთთან (Auld Alliance), სტიუარტები მეფობდნენ, რომელთა მეფობაც რობერტ II-სგან, რობერტ I-ის შვილიშვილისა და უოლტერ სტიუარტის შვილსგან დაიწყო (1371-1390).

ამ პერიოდში ინგლისმა კიდევ ერთხელ ისარგებლა მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დაპირისპირებით (ვალუებმა შეცვალეს კაპეტინგები) და საფრანგეთის საშინაო საქმეებში ჩაერია, რაც ასწლიანი ომის დაწყების მიზეზი გახდა. 1348 წელს ინგლისის მოსახლეობის მესამედი შავმა ჭირმა გაანადგურა და მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ, 1420 წელს მიაღწია ინგლისმა იმას, რომ ინგლისის მომავალი მეფე ჰენრი VI – ჰენრი V-ის ვაჟი (ლანკასტერი) და ამავე დროს საფრანგეთის მეფის შარლ VI-ს შვილიშვილი, დედამისს ეკატერინე ვალუას საფრანგეთის ტახტის მემკვიდრედ აღიარებინა დოფინი შარლის ნაცვლად.

მაგრამ ბოლო ძალისხმევით (ჟანა დარკის პერიოდი) უპირატესობა დოფინმა მოიპოვა, რომელიც მეფე შარლ VII გახდა, ხოლო 1453 წელს ინგლისელები გაძევებული იქნენ საფრანგეთიდან, სადაც საბოლოოდ დაკარგეს **აქვიტანია** და მხოლოდ **კალე** შეინარჩუნეს (აღებული 1347 წელს). ამას სასტიკი ომი მოჰყვა მემკვიდრეობასთან დაკავშირებით (ვარდების ომი) ლანკასტელებსა და იორკებს შორის. გაიმარჯვა უმცროსმა შტომ და 1485 წლამდე მეფობდა, ამ წელს კი ძალაუფლება უელსელმა მთავარმა ჰენრი ტიუდორმა ჩაიგდო ხელში, რომელიც ტახტზე ჰენრი VII-ს სახელით ავიდა.

3. 1485 წლიდან გაერთიანებული სამეფოს ჩამოყალიბებამდე (1707)

XVI საუკუნე ინგლისში ტიუდორების საუკუნედ ითვლება, რომელთა შორისაც აღსანიშნავია სამი მეტად ძლიერი სუვერენი: ჰენრი VIII და მისი ორი ქალიშვილი მარია ტიუდორი და ელისაბედ I. ჰენრი VIII-მ მემკვიდრეობის საკითხზე წამოჭრილი უთანხმოების გამო კავშირი გაწყვიტა რომის პაპთან, რომელიც არ აუქმებდა მის პირველ ქორწინებას ეკატერინე არაგონელთან, კარლ V-ს შვილთან. მან ანგლიკანურ ეკლესიას მისცა დასაბამი და ინგლისი კათოლიკურ სამყაროს დააშორა. მისი პირველი ქალიშვილი, ეკატერინე არაგონელის შვილი, კათოლიკური ეკლესიის ერთგული დარჩა და ცდილობდა სამეფოში კათოლიკობა დაებრუნებინა, თანაც ცოლად ესპანეთის მეფე ფილიპე II-ს გაყვა. მისმა მეორე ქალიშვილმა ელისაბედმა ხანგრძლივად დაუკავშირა ინგლისი ანგლიკანურ ეკლესიას.

ინგლისისათვის ეს გაძლიერების პერიოდი იყო და ზღვაზე ბატონობის იდეაც სნორედ ამ პერიოდში გაჩნდა, რაც მომავალში განხორციელდა კიდეც. ინგლისმა ყურადღება კონტინენტიდან ზღვაზე გადაიტანა, განსაკუთრებით ელისაბედის მეფობის პერიოდში და ცდილობდა ზღვის იქითა ტერიტორიების დაპყრობით მეტოქეობა გაეწია ესპანეთისათვის. მისი პირველი სამიზნე ესპანეთის და პორტუგალიის მიწები იყო. ინგლისის ევროპულ სამფლობელოებში ამ პერიოდის განმავლობაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით 1558 წელს კალეს დაკარგვას, რომელიც საფრანგეთმა დაიბრუნა.

გარდა ამისა, ელისაბედის მეფობის პერიოდი ოქროს ხანას წარმოადგენდა ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის, რაც განსაკუთრებით თეატრის აღორძინებაში გამოიხატა (შექსპირი, მარლოუ, ბენ ჯონსონი და ა.შ.)

ამასობაში უელსი, რომელმაც ანგლიკანიზმი მიიღო სულ უფრო და უფრო ინტეგრირებული ხდებოდა ინგლისთან თითქმის ყველა სფეროში და თანდათან კარგავდა თავის კელტურ თვითმყოფობას. რაც შეეხება შოტლანდიას, რომელიც საუკუნის დასაწყისში საფრანგეთთან თავისი ალიანსის ერთგული დარჩა, პროტესტანტიზმზე გადავიდა, რომელიც პრესვიტერიანული რელიგია იყო, გამსჭვალული კლავინისტური სულისკვეთებით და რომელსაც რეფორმატორი ჯონ ნოქსი ხელმძღვანელობდა; მარიამ სტიუარტის მეფობის პერიოდში ის (1542-1567) კათოლიკურად რჩებოდა. მისი ვაჟი, იაკობ VI პროტესტანტი იყო და ინგლისს დაუახლოვდა. 1603 წელს ელისაბედის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ, ის ინგლისის მეფე გახდა იაკობ I-ის სახელით.

ერთი საუკუნის განმავლობაში ორ სამეფოს შორის არსებობდა პირადული უნია. იურიდიულად შოტლანდია დამოუკიდებელი იყო ინგლისისგან რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა უელსი და ირლანდია.

რელიგიურმა დაპირისპირებამ (ინგლისი ცდილობდა შოტლანდიაში ანგლიკანიზმის გავრცელებას) მონარქიის დროებითი დამხობა (1649-1660) და ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯა გამოინვია, ხოლო კრომველმა შემოიღო კომონუელსი, ლორდი პროტექტორი გახდა და საერთო პარლამენტით მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან ინგლისი, შოტლანდია და ირლანდია. 1660 წელს მისი სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ, მონარქია აღდგა და ტახტზე ჩარლზ I-ის ვაჟი ჩარლზ II ავიდა.

1685 წელს იგი მისმა ძმამ, იაკობ II-მ შეცვალა; ახალი მეფე, რომელიც 1672 წლიდან კათოლიკე იყო, ლუი XIV-ის აქტიური მხარდაჭერით ხელს უწყობდა ინგლისმი კათოლიციზმის გაერცელებას. ამან აჯანყება გამოინვია, რომელსაც მსარს იაკობ II-ის სიძე, ჰოლანდიის შტატჰალტერი ვილჰელმ ნასაუელი უჭერდა,.

1688 წელს ვილჰელმმა განდევნა იაკობ II და თავი უილიამ III-დ გამოაცხადა და მეუღლესთან იაკობ II-ის ქალიშვილ მარია II-სთან ერთად მეფობდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ 1694 წლიდან მან მარტო განაგრძო მეფობა და ინგლისისა და შეერთებული პროვინციების გაერთიანებული ძალებით ლუი XIV-ის ყველაზე აქტიური მეტოქე გახდა ევროპის კონტინენტზე. მისი გარდაცვალების შემდეგ გამეფდა ანა, მარია II-ის და, რომელიც უშვილო იყო და შიშობდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ შოტლანდიას გამოყოფის მცდელობა გაუჩნდებოდა და გამეფდებოდა ტახტზე პრეტენზიის მქონე იაკობ III სტიუარტი, იაკობ II-ის ვაჟი.

ამის თავიდან ასაცილებლად მან 1707 წელს გამოსცა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც **ინგლისი და შოტლანდია ერთ სამეფოდ ერთიანდებოდა დიდი ბრიტანეთის სახელწოდებით,** რომლის საერთო პარლამენტიც ლონდონში იმუშავებდა. აქედან მოყოლებული დღემდე დიდი ბრიტანეთი ერთ პოლიტიკურ ხელისუფლებას ექვემდებარება.

4. დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო (1707-1789)

ესპანეთის მემკვიდრეობის გამო წამონყებულ ომში დიდი ბრიტანეთი აქტიურად მონაწილეობდა და 1713 წელს მან გიბრალტარის ნახევარკუნძული მოიპოვა, ბალეარის ერთ-ერთ კუნძულ მენორკასთან ერთად.

დედოფალ ანას გარდაცვალების შემდეგ (1714), ტახტზე ავიდა მისი შორეული ბიძაშვილი, ჰანოვერის კურფიურსტი ჯორჯ-ლუდვიგი, რომლის შთამომავლებიც დღემდე მეფობენ დიდ ბრიტანეთში. მის გამეფებას მოჰყვა **პირადული უნია გაერთიანებულ სამეფოსა და ჰანოვერის საკურფიურსტოს შორის,** რომელიც გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის მნიშვნელოვანი სახელმწიფო იყო.

ჰანოვერის დინასტიის პირველი მეფეები ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ ინგლისის პოლიტიკის მიმართ (ჯორჯ I-ს ინგლისური არ ესმოდა). ამ ფაქტიდან გამომდინარე ძალაუფლება მთავრობის ხელში გადავიდა, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობისგან იყო შემდგარი.

XVIII საუკუნეში ევროპის ასპარეზზე დიდ ბრიტანეთს მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავა (შეიდწლიან ომში წარმატებული მონანილეობა), რაც დღემდე არ დაუკარგავს. მას ერთნაირად ძლიერი სამხედრო და სავაჭრო ფლოტი ჰყავდა, რაც საშუალებას აძლევდა კიდევ უფრო გაეძლიერებინა თავისი პოზიციები ზღვის იქითა ტერიტორიაზე და გაეზარდა მიმოსვლა თავის ამერიკულ კოლონიებთან.

გარდა ამისა, საუკუნის შუახანებში ინგლისი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც სხვა სახელმწიფოებზე ნახევარი საუკუნით ადრე განახორციელა სამრეწველო რევოლუცია: მაღაროების განვითარება, ქვანახშირის გამოყენება, სანარმოების შექმნა და ა.შ.

საუკუნის ბოლოს, დიდი ბრიტანეთისათვის უსიამოვნო მოვლენად იქცა ამერიკული დიდი კოლონიის დაკარგვა; ეს დანაკარგი ყურსაღლის ზავმაც დააფიქსირა 1783 წლის 3 სექტემბერს, რითაც კონფლიქტიც დასრულდა. ამ ზავის მიხედვით **დიდი ბრიტანეთი ესპანეთს უთმობდა კუნძულ მენორკას** (და ფლორიდას), სამაგიეროდ ინარჩუნებდა გიბრალტარს, რომლის დაბრუნების იმედიც ესპანეთს ჰქონდა.

II. დიდი ბრიტანეთი 1789 წელს

დიდი ბრიტანეთი თავისი მოცულობით ყველაზე დიდია ბრიტანული კუნძულებიდან. მისი ფართობი 230 000 კმ^2-ს უდრის, მოსახლეობა 10 მილიონ კაცს. ეს ძირითადად სნორი ზედაპირის მქონე კუნძულია, ნაკლებმთიანი ინგლისში, სადაც პენინის მთებია, უფრო მაღალი უელსში, სადაც კემბრიის მთებია და განსაკუთრებით მთიანი შოტლანდიაში, აქ გვხვდება გრამპიანის ქედი, სამხრეთ შოტლანდიის მაღლობი. რამდენიმე მდინარე ფართო აუზებს ქმნის: ტემზა, სევერნი, უზი, მერსი, ტვიდი, ტრენტი. ჰავა რბილია და ტენიანი.

მისი ეკონომიკა ძლიერ იყო განვითარებული. ასევე კარგი პირობები არსებობდა სოფლის მეურნეობისთვის, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდა მარცვლეული კულტურები და თევზსაშენები. ისეთ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობა არასოდეს არის მოშორებული ზღვას, ბუნებრივია, ნამყვანი დარგი თევზჭერაა. ასევე განვითარებული იყო მესაქონლეობაც, განსაკუთრებით მეცხვარეობა, შალის წარმოების გასაძლიერებლად. XVII საუკუნეში დიდ ბრიტანეთში ნამდვილი სამრეწველო რევოლუცია მოხდა, რაც გამოიხატა საბადოების ათვისებაში (ქვანახშირი, რკინა), მეტალურგიული და მსუბუქი მრეწველობის ქარხნების აშენებაში, საკომუნიკაციო ქსელების განვითარებაში (გზები, არხები, კაბოტაჟური ნაოსნობა); გაიზარდა საქონელბრუნვა კოლონიებთან, წარმოიქმნა ნამდვილი ფინანსური მაგნატები. აქედან გამომდინარე, დიდი ბრიტანეთის საქალაქო ქსელი, კერძოდ ინგლისში ყველაზე განვითარებული იყო ევროპის ქვეყნებს შორის. დედაქალაქ ლონდონის გვერდით, სადაც დაახლოებით 700 000 კაცი ცხოვრობდა, სხვა ქალაქებიც სარგებლობდნენ სამრეწველო რევოლუციის სიკეთით (მანჩესტერი, ბირმინგემი, ლიდსი, შეფილდი).

ამგვარმა ეკონომიკურმა ძლიერებამ დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური როლი გაზარდა და XVIII საუკუნეში ის ისეთ ძლიერ ქვეყნებს უნევდა მეტოქეობას, როგორებიც იყო საფრანგეთი, პრუსია, ავსტრია. მისი პოლიტიკა ევროპაში წონას-

ნორობის შენარჩუნებისა და ნებისმიერი იმ ქვეყნის დამარცხებისაკენ იყო მიმართული, რომელიც მის დასუსტებას შეეცდებოდა.

1789 ნელს დიდი ბრიტანეთის სამფლობელოები ადმინისტრაციული თვალსაზრისით ევროპაში შემდეგნაირად იყოფოდა:

1) დიდი ბრიტანეთის სამეფო (85 საგრაფო)

ა) **ინგლისის სამეფო, დედაქალაქი** ლონდონი (40 საგრაფო): ბედფორდი, ბერკი (რედინგი), ბუკინგემი, კემბრიჯი, ჩესტერი, კორნუელი (ლონსტონი), კამბერლენდი (კარლაილი), ჰემპშირი (უინჩესტერი), დერბი, დევონი (ექსეტერი), დორსეტი (დორჩესტერი), დარემი, ესექსი (ჩელმს-ფორდი), გლოსტერი, ჰერეფორდი, ჰარტფორდი, ჰანთინგდონი, კენტი (კენტერბერი), ლანკასტერი, ლესთერი, ლინკოლნი, მიდლსექსი (ლონდონი), მონმუთი, ნორფოლკი (ნორიჯი), ნორთჰემპთონი, ნორთუმბერლენდი (ნიუკასთლი), ნოთინგემი, ოქსფორდი, რათლენდ (ეუქემი), შროპშირი (შრუსბერი), სომერსეტი (ბათი), სთაფორდი, სუფოლკი (იპსვიჩი), სურეი (გილფოდი), სასექსი (ჩიჩესტერი), უორკი, უესმელენდი (ეფლბი), უილტი (სოლსბერი), ვუსთერი, იორკი.

ბ) **უელსის სამთავრო, დედაქალაქი** კარდიფი (12 საგრაფო): ფლინტი, დენბი, კარნარვონი, ანგლსი (ბაუმერისი), მერიონეთი (ბალა), მონტგომერი, რადნორი, კარდიგანი, პემბრუკი, კარმარტენი, ბრეკნოკი, გლამორგანი (კადრიფი);

გ) **შოტლანდიის სამეფო, დედაქალაქი** ედინბურგი (33 საგრაფო):

– ჩრდილოეთი (6 საგრაფო): ორკნეი (კერკუოლი), კეიტნესი (უიკი), სათერლენდი (სთრეთეი), როსი (ტენი), კრომატი, ინვერნესი;

– შუა ნაწილი (14 საგრაფო): არგაილი (ინვერერი), ბიუთი (როთსეი), ნევინი, მურეი (ელგინი), ბანფი, აბერდინი, მერნი (სტოუნჰეივნი), ანგუსი (ფორფარი), პერთი, ფაიფი (სენტენდრიუ), კინროსი, კლაკმანანი, სტერლინგი, დუმბარტონი;

– სამხრეთი (13 საგრაფო): მიდლოთიანი (ედინბურგი), უესტლოთიანი (ლინსლინგოუ), ისტლოთიანი (ჰადინგთონი), ბერიკი (გრინლოუ), რენფრუ, ერი, უიგტონი, ლანარკი, პიბლსი, სელკერკი, როქსბრო (ჯედბორო), დამფრისი, კერკუბრი;

დ) ინგლისზე დამოკიდებული ტერიტორიები:

– სორლინგის კუნძულები (ნიუტონი);

– მანის კუნძული (კასტლთოუნი), სადაც მეფე არის მანის ლორდი;

– ანგლო-ნორმანდიული კუნძულები, სადაც მეფეს ნორმანდიის ჰერცოგის ტიტული აქვს;

– ჯერსის ოლქი (სენტ-ჰელიარი);

– გერნსის ოლქი: გერნსი (პორტ-სენტ-პიერი); ორინი (სენტ-ანა), სერკი;

– გიბრალტარის ნახევარკუნძული.

2) **ირლანდიის სამეფო,** რომელსაც პირადული უნია ჰქონდა დიდ ბრიტანეთთან შედგებოდა ოთხ პროვინციად გადანაწილებული 32 საგრაფოსგან (იხ. თავი ირლანდია).

3) **ჰანოვერის საკურფიურსტო,** რომელსაც პირადული უნია ჰქონდა დიდ ბრიტანეთთან, შედიოდა საღვთო რომის იმპერიაში და შედგებოდა ქვემო საქსონიის, ზემო საქსონიის და ვესტფალიის ოლქებისაგან (იხ. თავი გერმანია).

III. 1789 წლიდან ჰანოვერის დაკარგვამდე (1837)

1. 1789 წლიდან ვენის კონგრესის შედეგებამდე (1815)

1789 ნლის საფრანგეთის რევოლუციას და მის შემდგომ ნაპოლეონის ეპოქას დიდ ბრიტანეთზე დიდი მტერი არ ჰყოლია, რომელიც გამომდინარე იქიდან, რომ კუნძული იყო და შესაბამისად სხვებზე მეტად დაცული, ყველა ღონეს ხმარობდა საფრანგეთის დასაზარალებლად.

ოც ნელზე მეტ ხანს (1793-1815), მხოლოდ ერთწლიანი პაუზის გამოკლებით (1802-1803), დიდი ბრიტანეთი საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა საფრანგეთ-

თან. ვინაიდან კუნძული იყო, ის დაცული იყო საფრანგეთის არმიის შემოსევისაგან, თუმცა იგივე გარემოება ვერ იცავდა მის ტერიტორიებს კონტინენტზე, კერძოდ კი ჰანოვერს. გარდა ამისა, ომის გაგო იხგლისის საზღვაო ვაჭრობა ევროპასთან და შესაბამისად მისი ეკონომიკური აღმავლობა ხანგრძლივად იყო პარალიზებული.

1793 წელს დიდი ბრიტანეთი აღაშფოთა ომის იმ შედეგებმა, რომელსაც რევოლუციური საფრანგეთი ახვევდა თავს ევროპას, ამას დაემატა მეფე ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯა და მან საფრანგეთს ომი გამოუცხადა. ძირითადი აქცენტი მან ზღვაზე საომარ მოქმედებებზე გადაიტანა, საფრანგეთისა და მისი მოკავშირე ესპანეთის კოლონიებზე. 1798 წელს დიდმა ბრიტანეთმა ესპანეთის კუნძული მენორკა დაიკავა.

გარდა ამისა, 1796 წელს საფრანგეთის წაქეზებით აჯანყდნენ კათოლიკი ირლანდიელები. საფრანგეთის საზღვაო მხარდაჭერა მარ[illegible] დაითავრდა და დიდმა ბრიტანეთმა ირლანდიელი ერის თვითმყოფობის წაძლა გადანყვიტა.

1800 წლის 7 ივნისის უნიის აქტით, დუბლინის პარლამენტი გაუქმდა და ლონდონის მთავრობამ და პარლამენტმა ძალაუფლება აიღო ირლანდიაზე, **რომელიც გაერთიანებულ სამეფოში შეიყვანა,** ამ გაერთიანებას ეწოდა **დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო** და ირლანდია.

თავისი ზღვის სამფლობელოების გარდა, გაერთიანებულ სამეფოში (314 000 კმ²) შედიოდა 117 საგრაფო: 40 ინგლისის, 12 უელსის, 33 შოტლანდიის და 32 ირლანდიის.

ხმელთაშუა ზღვაში დიდი ბრიტანეთი ფინანსურ და საზღვაო დახმარებას უწევდა იმ სახელმნიფოებს, რომელთაც რევოლუციური საფრანგეთის არმია საფრთხეს უქმნიდა. ასე მაგალითად, 1799 წელს თავისი ფლოტით ის იცავდ[illegible] სარდინიის მეფეს (გამოძევებულს პიემონტიდან) სარდინიის კუნძულზე და ორივე სიციდიის მეფეს (გამოძევებულს ნეაპოლიდან) [illegible] კუნძულ სიცილ[illegible].

ამასობაში, ბონაპარტმა 1798 წლის ივნისში ეგვიპტ[illegible] [illegible] საფრანგეთს ორდენის მფლობელობაში მყოფი მალტის არქიპელაგ[illegible] 1798 წლის სექტემბერში, ინგლისის ფლოტმა არქიპელაგის უმეტესი ხა[illegible] დაიკავა, ლა ვალეტას გამაგრებული ქალაქების გამოკლებით.

ორწლიანი ალყის შემდეგ, 1800 წლის სექტემბერში საფრანგეთის გარნიზონი დანებდა და დიდმა ბრიტანეთმა ოფიციალურად „ორივე სიცილის მეფის სახელით" (არქიპელაგის ყოფილი სიუზერენი) მალტა დაიკავა.

1800 წლის დეკემბერში მას შემდეგ, რაც ორივე სიცილია დაუახლოვდა საფრანგეთს, **დიდმა ბრიტანეთმა თავისი პროტექტორატი მოახვია მალტის არქიპელაგს.**

1802 წლის 25 მარტს ამიანის ზავით, რომელიც საფრანგეთთან დაიდ[illegible] **ბრიტანეთმა ესპანეთს კუნძული მენორკა დაუბრუნა.**

ის აპირებდა მალტის არქიპელაგი წმინდა იოანეს პოსპიტალირებისათვის დაებრუნებინა, მაგრამ რამდენიმე გადავადების შემდეგ უარი თქვა დაბრუნებაზე.

1803 წლის მაისში საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის საომარი მოქმედებების განახლებისთანავე პირველმა კონსულმა ბონაპარტ[illegible] ჰანოვერი დაიკავა.

1805 წელს იმპერატორმა ნაპოლეონმა ბულონის ბანაკ[illegible] [illegible] თავდასხმის მიზნით შეკრიბა დიდი არმია. მაგრამ ამ განზრახვაზე სწრაფადვე თქვა უარი და თავისი ჯარები ავსტრიისკენ წაიყვანა იმისათვის, რომ რუსეთისა და ავსტრიის შეკავშირებულ ჯარებს დაპირისპირებოდა.

აუსტერლიცთან გამარჯვების შემდეგ, 1805 წლის 15 დეკემბერს შენბურუნის ზავით, რომელიც პრუსიასთან გააფორმა, იმპერატორმა ნაპოლეონმა **პრუსიას ჰანოვერი გადასცა,** სხვა ტერიტორიების სანაცვლოდ (კლევე, ანსბახი, ნოიენბურგი). პრუსიის მეფე აყოვნებდა ამ ზავის რატიფიცირებას, რადგან იცოდა, რომ ამას დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობის გაფუჭება მოჰყვებოდა, მაგრამ ნაპოლეონმა იგი აიძულა 1806 წლის ულტიმატუმით ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე.

ამგვარად, დიდი ბრიტანეთის მეფემ დაკარგა ჰანოვერის საკურფიურსტო. 1806 წლის 21 ნოემბერს ბერლინის დეკრეტით, ნაპოლეონმა დიდ ბრიტანეთს

კონტინენტური ბლოკადა გამოუცხადა, რაც ამ უკანასკნელის საფრანგეთის იმპერიის წინააღმდეგ მიმართული საზღვაო ბლოკადის პასუხი იყო.

ტილზიტში შემდგარი საფრანგეთისა და რუსეთის შეხვედრის შემდეგ (1807 წლის ივლისი), დიდი ბრიტანეთი ცდილობდა დანია თავის მხარეს გადაებირებინა. ინგლისის ფლოტმა კოპენჰაგენი დაბომბა (1807 წლის სექტემბერი) და შეიერთა ჰოლშტაინის კუნძული ჰელიგოლანდი.

1808 წლის აგვისტოში ბრიტანული კორპუსი პორტუგალიაში გადავიდა და აიძულა საფრანგეთის არმია დაეტოვებინა ქვეყანა. მან **პორტუგალიას ხანგრძლივად მოახვია თავს დიდი ბრიტანეთის პროტექტორატი,** ხოლო პორტუგალიის მეფე ბრაზილიაში გადასახლდა.

ტილზიტის ზავით (1807 წლის ივლისი) ნაპოლეონს იონიის კუნძულების არქიპელაგი გადაეცა, რომელიც საფრანგეთმა მაშინვე დაიკავა. 1809 წლის ოქტომბრიდან 1810 წლის აპრილამდე დიდმა ბრიტანეთმა ხელში ჩაიგდო იონიის ყველა კუნძული, კორფუს (იგივე კერკირა) გარდა, რომელიც მხოლოდ 1814 წლის ივნისში დანებდა.

1813 წლის ოქტომბრიდან ლაიპციგთან საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, დაიწყო საფრანგეთის მიერ გერმანიის დატოვება, გაუქმდა ვესტფალიის სამეფო, ასევე ბოლო მოეღო საფრანგეთის იმპერიის ექსპანსიას გერმანიაში. **ჰანოვერი დაუყოვნებლივ აღდგა** 1803 წლის ოქმით განსაზღვრულ ფარგლებში **და დიდი ბრიტანეთის მეფეს დაუბრუნდა.**

1814 წლის 14 იანვარს დადებული კილის შეთანხმებით, ნაპოლეონის საფრანგეთის უკან დახევის შემდეგ რთულ მდგომარეობაში მყოფი **დანია იძულებული გახდა დიდი ბრიტანეთისათვის დაეთმო კუნძული ჰელიგოლანდი,** რომელიც 1807 წლიდან ინგლისელებს ჰქონდათ ოკუპირებული.

სამშვიდობო მოლაპარაკებებზე, რომელიც ნაპოლეონის სისტემის დამხობის შემდეგ ევროპის რეორგანიზაციის მიზნით დაინყო, დიდი ბრიტანეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ჰანოვერის საკითხის გარდა ის უარს ამბობდა ევროპის კონტინენტზე ყოველგვარ ტერიტორიულ ამბიციაზე.

ევროპაში დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის მთავარი ხაზი იყო წონასწორობის დაცვა კონტინენტის ძლიერ სახელმწიფოებს შორის, რათა არც ერთი მათგანი არ გაძლიერებულიყო და მუდმივად ყოფილიყო ხელსაყრელი პოლიტიკური პირობები მისი ეაჭრობის გასაფართოებლად ევროპაში.

1814 წლის 30 მაისს პარიზის პირველი შეთანხმებით, ევროპის სახელმწიფოებმა სრულ მფლობელობაში **გადასცეს დიდ ბრიტანეთს მალტის არქიპელაგი.**

1814 წლის 26 ოქტომბერს, ევროპის სახელმწიფოები **ვენაში შეიკრიბნენ და ჰანოვერის ყოფილი საკურფიურსტო სამეფოდ გადააკეთეს,** რომელიც ხელახლა დაუკავშირდა დიდ ბრიტანეთს პირადული უნიით.

1815 წლის 5 ნოემბრის პარიზის ხელშკრულებით, ევროპის სახელმწიფოებმა **დიდ ბრიტანეთს მიანიჭეს პროტექტორატი იონიის კუნძულების გაერთიანებული სახელმწიფოების რესპუბლიკაზე,** რომელიც თავის საკუთარ ინსტიტუტებს ინარჩუნებდა.

2. 1815 წლიდან ჰანოვერის დაკარგვამდე (1837)

1815 წლიდან დიდი ბრიტანეთის პოზიცია ძალიან მყარი იყო ევროპის ქვეყნების გუნდში. ამ პერიოდიდან მის მფლობელობაშია ბრიტანეთის კუნძულები მთლიანად, 1800 წლიდან ირლანდიის სრული მიერთების და ევროპის ზღვებში კუნძულების მიღების შემდეგ (ჰელიგოლანდი, მალტა, იონიის კუნძულები), მისი მზერა უფრო შორეული ჰორიზონტებისაკენ იყო მიმართული, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა ქვეყნის საგარეო ეაჭრობის პოზიციებს ზღვაზე. მისი მეფე ჰანოვერის მეფეც იყო და კანონიერი უფლებები ჰქონდა გერმანიის კონფედერაციაში, რაც გერმანიის საქმეში ჩარევის საშუალებას იძლეოდა. აქედან მოყოლებული, საუკუნე-ნახევრის განმავლობაში დიდი ბრიტანეთი წამყვან როლს ასრულებდა ევროპასთან დაკავშირებულ ყველა დიპლომატიური აქტის მიღების დროს.

1820 წლის აგვისტოში **პორტუგალიაში** აჯანყებამ იფეთქა, რამაც **ბოლო მოუღო დიდ ბრიტანეთის პროტექტორატს** და უკან დააბრუნა მეფე, თუმცა დიდი ბრიტანეთი ამ ქვეყნის პრივილეგირებულ ეკონომიკურ პარტნიორად დარჩა.

1837 წლის ივლისში დიდი ბრიტანეთისა და ჰანოვერის მეფის ვილჰელმ IV-ის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ, ბრიტანეთის ტახტზე მისი ძმისშვილი ვიქტორია ავიდა. ჰანოვერი სალიკურ კანონს იცავდა და იქ კიმბერლანდის ჰერცოგი ერნესტ-ოგიუსტი, გარდაცვლილი მეფის ძმა გამეფდა.

დიდი ბრიტანეთისა და ჰანოვერის ტახტები ამიერიდან სამუდამოდ დაშორდა ერთმანეთს.

IV. 1837 წლიდან ირლანდიის გამოყოფამდე (1921)

1. 1837 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე (1914)

კონტინენტზე თავისი საყრდენის დაკარგვის შემდეგ (ჰანოვერის სახით), დიდმა ბრიტანეთმა ევროპის სხვა სახელმწიფოებზე ერთი საუკუნით ადრე გაიაზრა, რომ ქვეყნის ძლიერება ეკონომიკური და კომერციული პოტენციალის ზრდით განისაზღვრება და არა ტერიტორიული სამფლობელოების გაფართოებით.

ის ღრმად იყო ჩართული ევროპის საქმეებში და კონტინენტზე მომხდარ ყველა პოლიტიკურ ცვლილებაში მონაწილეობდა: ბელგიისა და საბერძნეთის შექმნაში, ბალკანეთის სახელმწიფოების თანდათანობით გაერთიანებაში.

დიდმა ბრიტანეთმა საფრანგეთთან ერთად აქტიური როლი შეასრულა საბერძნეთის სამეფოს ჩამოყალიბებაში (1830). თავიდან, ამ ახალი ქვეყნის ტახტი ბავარიის მეფის ყაყს ერგო. მაგრამ რევოლუციის დროს იგი ქვეყნიდან გააძევეს და ევროპის სახელმწიფოებმა საბერძნეთისათვის ახალი მეფის შერჩევა დაიწყეს. მის კანდიდატადდასახელდა დანიის მეფის უმცროსი ვაჟი, ვილჰემი, რომელიც გეორგ I-ის სახელით გამეფდა.

საბერძნეთის ტახტზე მეფე გეორგ I-ის ასვლის გასაიოლებლად, რადგან ეს უკანასკნელი მას sine qua non პირობით ღებულობდა, 1863 წლის 14 ნოემბერის ლონდონის შეთანხმებით, რომელსაც ხელი ევროპის ძლიერმა სახელმწიფოებმა მოანერეს, **დიდმა ბრიტანეთმა საბერძნეთს დაუთმო იონიის კუნძულები**, რაც 5 ოქტომბერს იონიის პარლამენტის მიერ გამოხატულ ნებას დაემთხვა. გადაცემა 1864 წლის 28 მაისს შედგა.

1878 წლის 4 ივნისის ხელშეკრულებით, ბალკანეთის პირველ ომში შეტანილი დადებითი წვლილის საფასურად **დიდმა ბრიტანეთმა თურქეთისაგან მიიღო კუნძული კვიპროსი**. იურიდიულად კუნძული თურქეთის მფლობელობაში რჩებოდა, მაგარამ ადმინისტრირების უფლება დიდ ბრიტანეთს გადაეცემოდა, რომელიც პორტას წლიურ საფასურს გადაუხდიდა.

1890 წელს, კუნძულ ზანზიბარის სანაცვლოდ, **დიდმა ბრიტანეთმა გერმანიას დაუთმო კუნძული ჰელიგოლანდი**, რომელმაც ის პრუსიას 1891 წელს გადასცა.

2. 1914 წლიდან ირლანდიის გამოყოფამდე (1921)

XIX საუკუნის დასასრულს ევროპაში თავი იჩინა ზოგიერთი სახელმწიფოს ანტაგონისტურმა ამბიციებმა. დაინახა რა, რომ ევროპის წონასწორობას ამჟამად არღვევდა არა საფრანგეთი, რომელიც 1870 წლის ომით დასუსტებული იყო, არამედ ახალი, იმპერიალისტური გერმანია, დიდმა ბრიტანეთმა გერმანია-ავსტრია-იტალიის დაახლოების საპასუხოდ (სამთა კავშირი), გადაწყვიტა საფრანგეთთან და რუსეთთან შეკავშირება (ანტანტა). სწორედ ამ კავშირის დროს აღებული ვალდებულებების გამო აღმოჩნდა ის პირველ მსოფლიო ომში ჩართული (1914 წლის ივლისი). თურქეთთან ომის გამო, 1914 წლის 5 ნოემბერს **დიდმა ბრიტანეთმა განახორციელა კუნძულ კვიპროსის ანექსირება**.

ეს ანექსია ომის შემდეგ დამტკიცდა სევრის (1920) და ლოზანის (1923) ხელშეკრულებებით.

ომმა თავისი მასშტაბებით, ხანგრძლივობით, ადამიანების დიდი დანაკარგებით ომში ჩაბმული ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად დაასუსტა დიდი ბრიტანეთი და სერიოზულად შეარყია ის ნამყვანი როლი, რომელიც მას მთელ მსოფლიოში ეკავა.

1914 წლის 18 სექტემბერს დიდმა ბრიტანეთმა ირლანდიას Home Rule (ავტონომია) მიანიჭა, რომელიც ომის მიზეზით შეჩერდა (იხ. თავი ირლანდია).

1916 წლის აპრილის ნაციონალისტური აჯანყება დუბლინში სისხლში ჩაახშეს. 1918 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში სეპარატისტი დეპუტატები მოვიდნენ.

დიდმა ბრიტანეთმა მოვლენების ამგვარი განვითარების შედეგად სათანადო დასკვნები გააკეთა და 1921 წლის 6 დეკემბრის ლონდონის ხელშეკრულებით ორ ნაწილად გაყო ირლანდია:

– **ჩრდილოეთი ირლანდია** (ოლსტერი) გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში დარჩა: მისი ფართობია 14 100 კმ², ის შედგება ექვსი საგარფოსგან (ყოფილ ოლსტერის პროვინციაში იყო ცხრა), კერძოდ, ანტრიმი, არმა, დაუნი, ტირონი, ფერმანა, ლონდონდერი; დედაქალაქია ბელფასტი, მოსახლეობის უმრავლესობა პროტესტანტია, მაგრამ ტირონის და ფერმანას მოსახლეობის უმეტესობა კათოლიკეა;

– **სამხრეთი ირლანდია**, რომელიც **ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო** გახდა, ბრიტანეთის იმპერიის დომინიონი იყო: მისი ფართობია 70 300 კმ²; ეს ახალი სახელმწიფო შედგება ოლსტერის სამი სხვა პროვინციისაგან, მთლიანად 26 საგრაფოსაგან; დედაქალაქია დუბლინი, მოსახლეობა ძირითადად კათოლიკეა.

სამხრეთი ირლანდია, როგორც ყველა ზღვის იქითა დომინიონი დიდ ბრიტანეთთან დაკავშირებული იყო **პირადული უნიით**, დიდი ბრიტანეთის მეფე ამ ახალი სახელმწიფოს სუვერენად რჩებოდა.

V. თანამედროვე დიდი ბრიტანეთი (1921 წლიდან დღემდე)

ამგვარად, გაერთიანებულმა სამეფომ დაკარგა 70 300 კმ² და 26 საგრაფო; მისი ფართობი გახდა 244 100 კმ², 91 საგრაფოთი: 40 ინგლისის, 12 უელსის, 33 შოტლანდიის, 6 ირლანდიის.

იმდროინდელი ტერიტორიული კონფიგურაცია დღესაც არ შეცვლილა. შეიცვალა მისი ოფიციალური სახელწოდება, რომელიც ასე ჟღერს **დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო და ჩრდილოეთი ირლანდია.**

ინგლისის საგრაფოების რაოდენობა 40-დან 50-მდე გაიზარდა:

– შეიქმნა ლონდონის საგრაფო;

– გაორმაგდა კემბრიჯის საგრაფო (კემბრიჯი და აილ ოფ ილი), სუფოლკის საგრაფო დაიყო ისთ და უესთ სუფოლკად, სასექსის საგრაფო ისთ და უესთ სასექსად, ჰემპშირად და აილ ოფ ვაითად, ნორთჰემპთონის საგრაფო ნორთჰემპთონად და სოუკოფ პითურბოროდ;

– ლინკოლნის საგრაფო სამად გაიყო (ჰოლანდი, ქესტივენი, ლინდსი) ისევე როგორც იორკის საგრაფო (ისთ, ნორთ და უესთ რაიდინგი).

ევროპის ყველა ინდუსტრიული სახელმწიფოს მსგავსად 1930-იანი წლების ეკონომიკური კრიზისი დიდ ბრიტანეთსაც შეეხო. თუმცა მრეწველობის, ვაჭრობის და ფინანსურ სფეროში კვლავ ინარჩუნებდა პირველ ადგილს მთელ მსოფლიოში.

1937 წლის ივლისში ისარგებლა რა დიდ ბრიტანეთში შექმნილი დროებითი სირთულით (ტახტის მემკვიდრეობის კრიზისი ედუარდ VIII-ის გადადგომის გამო), დუბლინის მთავრობამ კენჭი უყარა პარლამენტში **რესპუბლიკურ კონსტიტუციას** და პრეზიდენტის პოსტს; ირლანდია **ეირე** გახდა, თუმცა თანამეგობრობის (Commonwealth) წევრად დარჩა. კონსტიტუციაში გაკვრით არის ნახსენები კუნძულის სამომავლო გაერთიანება.

1939 წელს დიდი ბრიტანეთი მეორე მსოფლიო კონფლიქტში ჩაება კვლავ საფრანგეთის გვერდით. თუ არ ჩავთვლით ანგლო-ნორმანდიულ კუნძულებს, რომლებიც გერმანელებმა დაიკავეს, ინგლისმა ისევ ისარგებლა იმით, რომ

კუნძული იყო და თავიდან აიცილა გერმანელების ოკუპაცია. თუმცა 1940 წელს საფრანგეთის დაცემის შემდეგ მას ხანგრძლივი საჰაერო თავდასხმების მოგერიება მოუხდა გერმანელების მხრიდან და მთელი კონფლიქტის მანძილზე საზღვაო ბრძოლების გადატანა ევროპის გარშემო. ის გერმანელების შეურიგებელი მტერი იყო და ამიტომაც დაამთავრა ომი გამარჯვებულთა ბანაკში.

ამჯერადაც დიდი ბრიტანეთი კონფლიქტიდან დასუსტებული გამოვიდა და ოც წელინადში თავისი იმპერიის ნახევარი დაკარგა, მან იქ მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა შეინარჩუნა.

1949 წლის 18 აპრილს სამხრეთ ირლანდიამ ოფიციალურად გამოაცხადა **ირლანდიის რესპუბლიკა**, დატოვა თანამეგობრობა და ბოლო კავშირები განყვიტა ბრიტანეთის გვირგვინთან.

1959 წლის თებერვალში, დიდმა ბრიტანეთმა, საბერძნეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს ციურიხის შეთანხმებას, სადაც გადაწყდა **კვიპროსის რესპუბლიკის შექმნა,** რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფო და თანამეგობრობის ნევრი იქნებოდა; კვიპროსზე **დიდმა ბრიტანეთმა შეინარჩუნა ორი სამხედრო ბაზა დეკელია და აკროტირი** (250 კმ^2). 1960 წლის 16 აგვისტოს კუნძული კვიპროსის რესპუბლიკა გახდა.

1964 წლის თებერვალში, ინგლისის საგრაფოების რაოდენობა 50-დან 46-მდე შემცირდა, რასაც ემატებოდა დიდი ლონდონი:

– ორი საგრაფო კემბრიჯი და აილ ოფ ილი კემბრიჯის ერთ საგრაფოდ გაერთიანდა; ასევე გაერთიანდა ჰანთინგდონი და პიტერბორო;

– გაუქმდა ლონდონის და მიდლსექსის საგრაფოები, რომლებიც დიდ ლონდონს შეუერთდა ესექსის, კენტის, სურეის და ჰერთფორდის ფრაგმენტებთან ერთად.

Mმალტაზე საკანონმდებლო არჩევნებში ენდეპანდანტისტების გამარჯვების შემდეგ, 1964 წლის 21 სექტემბერს **დიდმა ბრიტანეთმა მალტის არქიპელაგს დამოუკიდებლობა მიანიჭა,** რომელიც დომინიონი გახდა და მის სუვენერად დედოფალი დარჩა (**პირადული უნია**).

ამ პერიოდში, ბრიტანეთის კუნძულების არქიპელაგის გარდა, დიდი ბრიტანეთის მფლობელობაში დარჩა ანგლო-ნორმანდიული კუნძულები, გიბრალტარი ესპანეთის სამრეთით და ორი სამხედრო ბაზა კვიპროსზე. ეს მდგომარეობა დღესაც უცვლელია.

1968 ნელს ინგლისთან მიერთებული მონმუთის საგრაფო, რომელსაც უელსი ითხოვდა დიდი ხნის მანძილზე მას გადაეცა. ინგლისის საგრაფოების რიცხვი 46-დან 45-მდე შემცირდა, ხოლო უელსის საგრაფოების რაოდენობა 12-დან 13-მდე გაიზარდა.

1974 წლის 13 დეკემბერს მალტა – **მალტის რესპუბლიკა გახდა;** ის თანამეგობრობის ნევრად დარჩა, მაგრამ პირადული უნია გაუქმდა.

1975 წელს შოტლანდიაში ადმინისტრაციული რეორგანიზაცია მოხდა და ის 8 რეგიონად დაიყო: ლოთიანი (ედინბურგი), სთრეთკლაიდი (გლაზგო), ბორდერსი, დამფრისი და კოლოუეი, სენტრალი, თეისაიდი, გრამპაინი, ჰაილენდი.

უელსიც რვა საგრაფოდ დაიყო: კლაიდი, დავიდი, ფაუსი, გვენთი, მიდგლამორგანი, სამხრეთი და დასავლეთი გლამორგანი, გვინეზი.

ზღვის იქითა იმპერიის დაკარგვის შემდეგ დიდი ბრიტანეთი ევროპაში გაერთიანებას ცდილობდა. მისი კანდიდატურა ორჯერ უარყვეს ევროპის თანამეგობრობაში მიღების თაობაზე, გენერალ დე გოლის ვეტოს გამო (1963 და 1967 წლებში), თუმცა განევრიანება 1973 წლის 1 იანვარს მაინც განხორციელდა.

1996 წლიდან ფართომასშტაბიანი ადმინისტრაციული რეფორმა ჩატარდა, რომელიც ჯერაც არ დასრულებულა და მიზნად ისახავს ისტორიული დაყოფის გვერდით ახალი ადმინისტრაციული ერთეულების შექმნას.

ესპანეთი

ზოგადი მონაცემები

მონარქიული სახელმწიფო: ესპანეთის სამეფო
სუვერენი: მეფე ხუან კარლოს I (ხუან კარლოსი) ბურბონების დინასტიიდან
საპარლამენტო წარმომადგენლობა: გენერალური კორტესები, შედგება ორი პალატისაგან – დეპუტატთა პალატა და სენატი
დედაქალაქი: მადრიდი
ადმინისტრაციული დაყოფა: 17 ავტონომიური ოლქი და 50 პროვინცია:

- ანდალუსია, დედაქალაქი სევილია, შედგება რვა პროვინციისაგან: ალმერია, კადისი, კორდოვა, გრანადა, უელვა, ხაენი, მალაგა, სევილია;
- არაგონი, დედაქალაქი სარაგოსი, შედგება სამი პროვინციისაგან: უესკა, სარაგოსი, ტერუელი;
- ასტურია, დედაქალაქი ოვიედო, შედგება ერთი პროვინციისაგან: ოვიდეო
- ბალეარესი, დედაქალაქი პალმა, შედგება ერთი პროვინციისაგან: პალმა;
- ბასკების ქვეყანა, დედაქალაქი ვიტორია, შედგება სამი პროვინციისაგან: ალავა, ბისკაია, გიპუსკია;
- კანარის კუნძულები, დედაქალაქი ლას პალმასი, შედგება ორი პროვინციისაგან: ლას პალმასი, სანტა კრუს დე ტენერიფე;
- კანტაბრი, დედაქალაქი სანტანდერი, შედგება ერთი პროვინციისაგან: სანტანდერი;
- კასტილია და ლეონე, დედაქალაქი ვალიადოლიდი, შედგება ცხრა პროვინციისაგან: ბურგოსი, ავილა, სეგოვია, სორია, ლეონე, პალენსია, სალამანკა, ვალადოლიდი, სამორა;
- კასტილია ლა მანჩა, დედაქალაქი ტოლედო, შედგება ხუთი პროვინციისაგან: სიუდად რეალი, კუენკა, გვადალახარა, ტოლედო, ალბასეტე;
- კატალონია, დედაქალაქი ბარსელონა, შედგება ოთხი პროვინციისაგან: ბარსელონა, ხერონე, ლერიდა, ტარაგონე;
- ესტრემადურა, დედაქალაქი კასერესი, შედგება ოთხი პროვინციისაგან: კასერესი, ბადახოსი;
- გალისია, დედაქალაქი ლა კორუნია, შედგება ოთხი პროვინციისაგან: ლა კორუნია, ლუგი, ორენსე, პინტევედრა;
- მადრიდი, დედაქალაქი მადრიდი, შედგება ერთი პროვინციისაგან: მადრიდი;
- მურსია, დედაქალაქი მურსია, შედგება ერთი პროვინციისაგან: მურსია;
- ნავარა, დედაქალაქი პამპლონა, შედგება ერთი პროვინციისაგან: ნავარა;
- რიოხა, დედაქალაქი ლოგრონიო, შედგება ერთი პროვინციისაგან: ლოგრონიო;
- ვალენსია, დედაქალაქი ვალენსია, შედგება სამი პროვინციისაგან: ვალენსია, კასტელონ დე ლა პლანა, ალიკანტე.

ამას ემატება კუნძულები:

- სეუტა, რომელიც მიერთებულია კადისის პროვინციასთან (ანდალუსია);
- მელილია, რომელიც მიერთებულია მალაგას პროვინციასთან (ანდალუსია);

ფართობი: 504 800 $კმ^2$; **მოსახლეობა:** 39 მილიონი კაცი; **სიმჭიდროვე:** 77 კაცი ერთ $კმ^2$-ზე.
ენა: ესპანური; რეგიონებში ლაპარაკობენ გალისიურად, ბასკურად, კატალონიურად.
რელიგია: კათოლიკური.
ფულის ერთეული: პესეტა; 2002 წლიდან ევრო.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ესპანეთის მოკლე ისტორია

1. სათავეებიდან არაბების ბატონობამდე (711 წელი)

იბერიის ნახევარკუნძული ანტიკური პერიოდიდან დასახლებული იყო კელტური და იბერიული ტომებით, ჩვ.წ.აღ-მდე X საუკუნიდან იქ ფინიკიელები გამოჩნდნენ, V საუკუნიდან კი ამ ტერიტორიაზე კართაგენი ბატონობდა; ძველი წ.აღ-ით III საუკუნეში ისინი რომაელებმა განდევნეს და თანდათან დაიპყრეს მთელი ნახევარკუნძული.

ამის შემდეგ, რომაელები ნახევარკუნძულზე თითქმის ექვსი საუკუნის განმავლობაში ბატონობდნენ; ისინი სამ პროვინციაში იყვნენ გადანაწილებული: **ლუზიტანიაში, ტარაკონეზში** და **ბეტიკში**, რომლებიც რომის იმპერიის ძლიერი კოლონიები იყო და რომის სამი იმპერატორი ტრაიანე, ადრიანე და მარკუს ავრელიუსი წარმოშობით ამ პროვინციებიდან იყვნენ.

ჩვ.წ.აღ-ით V საუკუნეში ვანდალების, ალანების, სვებების და ვესტგუთების შემოსევები დაიწყო. ვესტგუთებმა ესპანეთში, ტოლედოს გარშემო, რომელიც დედაქალაქი იყო თავიანთი სამეფო დააარსეს. ისინი თავიდან არიანელები იყვნენ, შემდეგ კი თანდათან კათოლიკობაზე გადავიდნენ; მეფეები რომის ეკლესიას ეყრდნობოდნენ და რომაელები და ვესტგუთები ერთ ხალხად გაერთიანდნენ, **ვესტგუთების სამეფო** სტაბილურ პოლიტიკურ ერთეულად ითვლებოდა, როდესაც 711 წელს არაბებმა ტარიკის მეთაურობით ვადმოლახეს გიბრალტარის სრუტე (ჯიბერ ალ-ტარიკი) და რამდენიმე წელინადში თითქმის მთელი ტერიტორია დაიპყრეს.

2. 711 წლიდან რეკონკისტას დასრულებამდე (1492)

მავრები იბერიის ნახევარკუნძულზე ხანგრძლივი დროით დარჩნენ; ჯერ ერთიანი **კორდოვის სახალიფო** ჰქონდათ, XI საუკუნიდან კი მრავალ სამეფოდ დაიყვნენ. XII საუკუნიდან მეფობდა **ალმორავიდების** დინასტია, რომელიც მაროკოდან მოსულმა **ალმოჰადებმა** განდევნეს. მათ ბრწყინვალე ცივილიზაცია შექმნეს ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების სფეროში.

არაბების დომინაციის პერიოდში, მათ ბატონობას ასტურიის მხოლოდ რამდენიმე რეგიონი გადაურჩა. ქრისტიანების მიერ ტერიტორიების დაბრუნება თითქმის მაშინვე დაიწყო (722). მათ ჯერ ჩრდილო-დასავლეთი დაიბრუნეს, რომელიც X საუკუნის დასაწყისში **ლეონეს სამეფო** გახდა, ხოლო საუკუნის დასასრულს მავრები მდ. ტახოს გაყოლებაზე შეავინროვეს. წარმოიქმნა სხვადასხვა ქრისტიანული სამეფო, რომლებმაც ნახევარკუნძული გადაინაწილეს, ესენი იყვნენ: **პორტუგალია, კასტილია** და **ლეონე, ნავარა, არაგონი**.

რეკონკისტა XIII საუკუნემდე გაგრძელდა და თითქმის მთელი ნახევარკუნძული მოიცვა **გრანადის სამეფოს** გამოკლებით. ამ ქრისტიანული სამეფოების კონფიგურაცია დიდი ხნის მანძილზე არ შეცვლილა: პორტუგალიის სამეფო სამხრეთისაკენ გაიშალა ატლანტიკის სანაპიროს გაყოლებაზე; კასტილია და ლეონეს სამეფო სამხრეთისაკენ იყო გადაჭიმული, ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში და თანდათან იერთებდა **ანდალუსიას**. არაგონის სამეფომ **ბარსელონას საგრაფო** და **ვალენსიის სამეფო** მიიმატა, გაერთიანების შემდეგ დაინტერესდა ხმელთაშუა ზღვით და საბოლოოდ ფრანგებს წაართვა **მილანის საგრაფო, ნეაპოლი** და **სიცილია**.

გრანადის მავრიტანული სამეფო XV საუკუნის ბოლომდე შენარჩუნდა, იქიდან გამომდინარე, რომ პორტუგალიის, კასტილიის და არაგონის სამეფოებს ყურადღება ახალი ჰორიზონტებისაკენ ჰქონდათ მიპყრობილი: მიმდინარეობდა შიდა ომები, ხდებოდა ხმელთაშუა ზღვის აუზის მინების დაპყრობა, ოკეანეების ათვისება.

ბოლოს, ისაბელ კასტილიელისა და ფერდინანდ არაგონელის ქორწინების შემდეგ (1469), რასაც თითოეულის გამეფება მოჰყვა საკუთარ სამეფოში, ქრისტიანული ძალები გაერთიანდნენ და 1492 წელს გრანადა დაამარცხეს, რის შედეგადაც ნახევარკუნძული (პორტუგალიის გამოკლებით) საერთო გვირგვინის ქვეშ გაერთიანდა, რომელსაც ესპანეთი ეწოდა.

3. 1492 წლიდან ბურბონების გამეფებამდე (1700)

XVI საუკუნიდან ესპანეთისათვის ოქროს ხანა დაიწყო, მან დაიპყრო ახალი სამყარო, მოიპოვა ბურგუნდიული მემკვიდრეობა, შეკავშირდა ავსტრიის სახლთან, განაგებდა „იმპერიას, სადაც მზე არასოდეს ჩადიოდა" (კარლ V) და თავისი არმიის მთელი სიმძიმით ერეოდა ევროპის საქმეებში.

იმპერატორ მაქსიმილიან ავსტრიელის და მარია ბურგუნდიელის (კარლ გულადის ერთადერთი ქალიშვილი) ორ შვილის (მარგარიტა ავსტრიელისა და ფილიპე I ლამაზის) ესპანეთის ორ მემკვიდრეზე (ხუან ესპანელი და ხუანა შეშლილი) დაქორწინების შემდეგ, კათოლიკე მეფეებმა დასაბამი მისცეს ისეთ პოლიტიკურ კავშირს, რომელიც მათი შვილიშვილის კარლ V-ის მეფობიდან მოყოლებული (კარლ I ესპანეთში) მუდმივად ემუქრებოდა საფრანგეთის სამეფოს.

მართლაც, რომ არ ვისაუბროთ გერმანიისა და ესპანეთის ურყევ კავშირზე კარლ V-ის მეფობის პერიოდში (1516-1556), რომელიც 1519 წლიდან 1556 წლამდე იმპერატორი იყო, ბურგუნდიულმა მემკვიდრეობამ ესპანეთს ევროპაში შეუდარებელი ძალაუფლება მიანიჭა, მას გადაეცა ნიდერლანდი, ფრანშ-კონტე, რასაც დაემატა მილანე, სარდინია და ორივე სიცილია.

მართალია ნიდერლანდის ჩრდილოეთი პროვინციები 1581 წელს დაიკარგა, მაგრამ იმავე წელს ესპანეთმა მიიმატა პორტუგალია და მისი საზღვაო იმპერია, რომელზეც ესპანელი მეფეები პირადული უნიით სამოცი წლის მანძილზე მეფობდნენ (1580-1640) და საიდანაც მხოლოდ სეუტას კოლონია შენარჩუნდა.

ესპანეთი ამ პერიოდში ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებშიც ბრწყინავდა; ახალი სამყაროს ოქრო არა მხოლოდ არმიას, არამედ არქიტექტურული ძეგლების აგებასა და ხელოვნების ნიმუშების შექმნასაც აფინანსებდა.

მისი ეს ბრწყინვალება XVII საუკუნეში გაფერმკრთალდა, საფრანგეთი კი გამდიდრებული და გაძლიერებული იყო და მას 1659 წელს ესპანეთმა დაუთმო რუსილიონი და სერდანის ნანილი; ესპანელების ჰაბსბურგთა შტოს წარმომადგენელი ბოლო ესპანელი მეფის გარდაცვალება (1700), ბურბონებისა და ავსტრიის მეტოქეობის მიზეზი გახდა (ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომები), რის შემდეგაც ბურბონებმა დაინარჩუნეს ესპანეთი (გიბრალტარისა და კუნძულ მენორკას გარდა) ხოლო ახალი სამყარო, **ნიდერლანდი, მილანის საგრაფო, ნეაპოლი, სარდინია ავსტრიის ხელში გადავიდა.**

4. ბურბონების ესპანეთი (1700-1789)

უტრეხტის (1713) და რაშტადტის (1714) ზავებით, რომელთა შედეგადაც ზემოთ ნახსენები გაყოფა დასრულდა, ახალ მეფე ფილიპე V-ს ლუი XIV-ის შვილიშვილს, შესაძლებლობა მიეცა ესპანეთში ბურბონების დინასტია გაემყარებინა.

ფილიპე V-ის მეორე ცოლის, ელისაბედ ფარნეზეს ამბიციური პოლიტიკის შედეგად, ასევე იმპერატორ კარლ VI-ის მიერ იტალიაში განხორციელებული ტერიტორიული დათმობების შემდეგ, რომელიც იმაზე ზრუნავდა, რომ მის ქალიშვილს მარია-ტერეზიას უმტკვნეულოდ მიეღო მემკვიდრეობა, ბურბონებისათვის შესაძლებელი გახდა ფეხი მოეკიდებინათ იტალიაში და ხანგრძლივად დამკვიდრებულიყვნენ ორივე **სიცილიასა და პარმაში**, სადაც 1789 წელს ამ სახლის ორი უმცროსი შტო მეფობდა. 1761 წლიდან, ესპანეთის მონარქიის პოლიტიკა საოჯახო პაქტით საფრანგეთის პოლიტიკას დაუკავშირდა.

საუკუნის მეორე ნახევარში, კარლოს III-ის მეფობის პერიოდში, რომელიც ფილიპე V-ის შვილი იყო მეორე ქორწინებიდან და თავიდან ნეაპოლსა და სიცილიაში მეფობდა მარკიზ ტანუჩის გონიერი რჩევების წყალობით, განათლებული აბსოლუტიზმის პოლიტიკა ტარდებოდა; რეფორმების გატარებაში მას ორი ღირსშესანიშნავი პიროვნება არანდა და ფლორინდა-ბლანკა ეხმარებოდა, რომლებიც მასთან ერთად ცდილობდნენ გამოეყვანათ ესპანეთი პოლიტიკური და ეკონომიკური უძრაობისგან. 1783 წელს, ესპანეთმა კუნძული მენორკა დაიბრუნა.

II. ესპანეთი 1789 წელს

იბერიის ნახევარკუნძულის ორი სამეფოდან ესპანეთი გაცილებით დიდი იყო. მისი ფართობი 500 000კმ^2-ს, მოსახლეობა 9 მილიონ კაცს უდრიდა; წინა საუკუნეში დაწყებული შესუსტების მიუხედავად ესპანეთი ევროპაში მნიშვნელოვან ძალად რჩებოდა.

ესპანეთი მთებით დასერილი ფართო ზეგანია: საფრანგეთსა და არაგონს შორის პირენეს მთები მდებარეობს, ბისკაის ყურესა და ძველ კასტილიას შორის კანტაბრიის მთებია, ძველ და ახალ კასტილიას შორის სიერა დე გვადარამა, ახალ კასტილიასა და ანდალუსიას შორის სიერა მორენა, ანდალუსიასა და ხმელთაშუა ზღვას შორის სიერა ნევადა. მნიშვნელოვანი მდინარეებია: არაგონში ებრო, ძველ კასტილიაში დუერო, ახალ კასტილიაში ტახო და გვადიანა, ანდალუსიაში გვადალკევირი.

ესპანეთის ეკონომიკა, რომელიც ადრე ყვაოდა, იმ პერიოდში დასუსტებული იყო, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე რეგიონს, სადაც უხვი წყლები და არაბებისგან შემორჩენილი ირიგაციიის ტექნიკა ხელს უნყობდა სხვადასხვა კულტურის გაშენებას. დანარჩენ ტერიტორიაზე მწირი ნიადაგი, მკაცრი კლიმატი და სამუშაო ხელის ნაკლებობა აფერხებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას; არაბებისა და ებრაელების განდევნის შემდეგ ქალაქებში ადრე წარმატებული ხელოსნობა ჩაკვდა, რასაც ისიც უწყობდა ხელს, რომ ადვილობრივი ნანარმი ჩანაცვლებული იყო ახალი სამყაროს ოქროთი ნაყიდი უცხოური საქონლით. აქედან გამომდინარე, ქალაქებში ყურადღება გადატანილი იქნა რელიგიურ, ადმინისტრაციულ და ზოგიერო ქალაქში (სალამანკა) საუნივერსიტეტო მოღვაწეობაზე.

1789 წელს ესპანეთის სამეფოს ტერიტორიული დაყოფა შემდეგნაირი იყო:

– ახალი კასტილია: მადრიდის, გვადალახარას, კუენკას, ტოლედოს, ლა მანჩას (სიუდად რეალი) პროვინციები;

– ძველი კასტილია: ბურგოსის, სორიას, სეგოვიას, ავილას პროვინციები;

– ანდალუსია: კორდოვას, სევილიას, ხაენის და გრანადას პროვინციები;

– ესტრემადურას სამეფო: ესტრემადურას პროვინცია (ბადახოსი);

– მურსიას სამეფო: მურსიას პროვინცია;

– არაგონის და ვალენსიის სამეფო: არაგონის (სარაგოსა), ვალენსიის და კატალონიის (ბარსელონა) პროვინციები;

– ნავარას სამეფო: ნავარას პროვინცია (პამპლონა);

– ბასკების პროვინცია: ბისკაის (ბილბაო), გიპუსკოას (სან სებასტიანი), ავალას პროვინციები;

– ლეონეს სამეფო: ასტურის (ოვიედო), ლეონეს, პალენსიას, სალამანკას, ვალადოლიდის, სამორას პროვინციები;

– გალისიის სამეფო: გალისიის პროვინცია (სენ-ჟაკ-დე-კომპოსტელე);

– მაიორკის სამეფო: კუნძულების პროვინცია (პალმა).

იბერიის ნახევარკუნძულზე ამგვარად შედგენილი ესპანეთის სამეფო არ მოიცავდა მხოლოდ პორტუგალიას, ანდორის სამეფოს, გიბრალტარს (ინგლისური საზღვაო ბაზა 1713 წელიდან) და ასევე ბალეარის კუნძულებს. ევროპის ტერიტორიების გარდა მას ეკუთვნოდა კანარის კუნძულები და რამდენიმე საყრდენი პუნქტი აფრიკაში.

ასევე უნდა აღინიშნოს საფრანგეთის საზღვართან არსებული რამდენიმე თავისებურება (პირენეებთან):

– მდინარე ბიდასოაზე მდებარე კუნძული (ile des Faisans), სადაც 1659 წელს ხელი მოეწერა პირენეს ზავს, საფრანგეთისა და ესპანეთის საერთო მფლობელობაში იყო;

– საზღვარი ძირითადად ქედს მიყვებოდა, არანის ველის გამოკლებით;

III. 1789 წლიდან საფრანგეთის ჩარევის დასრულებამდე (1813)

1. 1789 წლიდან ესპანეთის ტახტზე ჟოზეფ ბონაპარტეს ასვლამდე (1808)

1790 წელს მას შემდეგ, რაც მინისძვრამ ქალაქი ორანი დაანგრია, ესპანეთმა საბოლოოდ დატოვა ეს საყრდენი პუნქტი, რომელიც სამი საუკუნის მანძილზე ეკავა.

ახალი მეფე კარლოს IV (1788-1808) ძალიან მალე აღმოჩნდა იმ დელიკატური პრობლემის პირისპირ, რომელიც საფრანგეთის რევოლუციისადმი პოზიციის შერჩევაში გამოიხატება.

თავიდან მან მომლოდინე პოლიტიკა აირჩია, 1793 წელს კი, მას შემდეგ, რაც ფრანგმა რევოლუციონერებმა მისი ბიძაშვილი ლუი XVI სიკვდილით დასაჯეს, საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჩაება. დამარცხებული ესპანეთი იძულებული გახდა დაზავება მოეთხოვა. 1795 წლის 22 ივლისს ბაზელის ზავით მშვიდობა აღდგა და ესპანეთმა საფრანგეთ-დიდი ბრიტანეთის კონფლიქტში არჩია საფრანგეთის მხარის დაჭერა არჩია.

საფრანგეთმა და ესპანეთმა პორტუგალიაზე თავდასხმა და ამით ინგლისის იტერესებისთვის ზიანის მიყენება გადაწყვიტეს. 1798 წელს დიდმა ბრიტანეთმა ხელახლა დაიკავა კუნძული მენორკა. 1801 წლის გაზაფხულზე ესპანეთმა პორტუგალიაზე გაიმარჯვა.

1801 წლის 6 ივნისს ხელმოწერილი ბადახოსის ზავით პორტუგალია ესპანეთს უთმობდა ოლიენესას ოლქს გვადიანას მარცხენა სანაპიროზე.

1802 წლის მარტში ამიენის ხელშეკრულებით, რომლის წყალობითაც საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის მშვიდობა აღდგა, კუნძული მენორკა ესპანეთს დაუბრუნდა.

1807 წელს ინგლისის წინააღმდეგ მიმართულ კონტინენტურ ბლოკადას მოჰყვა საფრანგეთის უშუალო ინტერვენცია პორტუგალიაში და არაპირდაპირი ესპანეთში. ამ შეჭრამ დაპირისპირების გამწვავება გამოინვია მეფე კარლოს IV-სა და მის ვაჟ ფერდინანდს შორის. ნაპოლეონმა ისინი ბაიონში შეკრიბა და აიძულა გადამდგარიყვნენ (1808 წლის მაისი) და დაეტოვებინათ ქვეყანა.

1808 წლის 6 ივნისს, ნაპოლეონმა მეფედ თავისი ძმა ჟოზეფი დანიშნა, რომელიც აქამდე ნეაპოლის მეფე იყო, მაგრამ ესპახეთიდან ბურბონების ხასვლას რევოლუციის დაწყება მოჰყვა.

2. 1808 წლიდან ბურბონების მეფობის აღდგენამდე (1813)

1808 წლის 2 მაისს ფრანგების წინააღმდეგ დაწყებული ამბოხი რეპრესიებით გაგრძელდა, რის შედეგადაც არეულობები მთელ ქვეყანას მოედო. ახალი მეფე ჟოზეფ პირველი მხოლოდ საფრანგეთის ჯარების წყალობით ინარჩუნებდა ტახტს. გაიშალა პარტიზანული მოძრაობა "გერილია", რომელსაც კორტესების პოზიციაც უწყობდა ხელს; გენერალური კორტესები 1812 წელს კადისში შეიკრიბა ფრანგების ინტერვენციისთვის წინ აღსადგომად და ქვეყნის მომავალზე საზრუნად (ლიბერალური კონსტიტუციის მიღება). ამან ქვეყანაში ფრანგების დამატებითი კონტიგენტის შეყვანა გამოიწვია. ნაპოლეონს სრულ გამარჯვებამდე აღარაფერი აკლდა, როცა რუსეთთან ომის გამო იძულებული გახდა ჯარები გაეყვანა. ამის გარდა, მეფის შეცვლამ ზღვის იქითა კოლონიების უმეტესი ნაწილის დაკარგვა გამოიწვია, ისინი ბურბონების ერთგულების გამო უარს ამბობდენენ ახალი რეჟიმის აღიარებაზე და დამოუკიდებლობის გზას დაადგნენ.

1810 წლის 8 თებერვლის დეკრეტით, კატალონიის პროვინცია ადმინისტრაციულ და სამხედრო საკითხებში ესპანეთის სამეფოს გამოეყო, თუმცა იურიდიულად მის შემადგენელ ნაწილად რჩებოდა და ფრანგულ სამხედრო ადმინისტრაციაზე იყო დამოკიდებული. დედაქალაქად დასახელდა ხერონე.

1812 წლის 26 იანვრის დეკრეტით, კატალონია საფრანგეთთან *de jure* მიერთების გარეშე გამოეყო ესპანეთს და *de facto* მეურთდა საფრანგეთის იმპერიას. სამოქალაქო რეჟიმზე გადასვლის შემდეგ ის ორ საინტენდანტოდ და ოთხ დეპარტამენტად დაიყო.

– ქვემო კატალონია, ადმინისტარციული ცენტრი ბარსელონა: მონსერსა (ბარსელონა) და ებრის შესართავის (ლერიდა) დეპარტამენტები;

– ზემო კატალონია, ადმინისტრაციული ცენტრი ხერონე: ტერის (ხერონე) და სეგრეს (პუიგსერდას) დეპარტამენტები; ამ ბოლო დეპარტამენტებს შეუერთდა ანდორის სამთავრო.

არანის ველი საფრანგეთს, კერძოდ ზემო გარონის დეპარტამენტს შეუერთდა, მაგრამ ესპანეთში სამხედრო არეულობებისა და კატალონიაში გამეფებული განუკითხაობის გამო, 1813 წლის 15 მარტს ქვემო კატალონიაში და 24 მაისს ზემო კატალონიაში კატალონიური დეპარტამენტი გაუქმდა და სამხედრო ადმინისტრაცია ორივე საინტენდანტოში აღდგა.

1813 წლის 11 დეკემბერს ვალანსეის ხელშეკრულებით, მეფე ფერდინანდ VII ესპანეთის ტახტზე დააბრუნეს, რომელიც ჟოზეფმა დატოვა. კატალონია, (სადაც საფრანგეთის რეჟიმი გაუქმდა) და არანის ველი ესპანეთს დაუბრუნდა, ანდორის სამთავრომ თავისი ტრადიციული სტატუსი აღიდგინა. იმ პერიოდის ესპანეთის ტრადიციული მოწყობა დღესაც შენარჩუნებულია.

IV. 1813 წლიდან მეორე რესპუბლიკის შექმნამდე (1931)

1. 1813 წლიდან ბურბონების მეორე გადადგომამდე (1868)

სამოც წელზე მეტხანს ესპანეთში მღელვარე პოლიტიკური ცხოვრება იყო. ჯერ მეფე ფერდინანდ VI-ს მოუხდა 1820 წელს გამკლავებოდა სამხედრო გადატრიალებას ; სამხედროებს სურდათ იგი დაერწმუნებინათ იმ კონსტიტუციის მიღების აუცილებლობაში, რომელსაც 1812 წელს კადისში ეყარა კენჭი. მეფემ საშველად ევროპის სახელმწიფოებს მოუხმო. მათ 1822 წელს ვერონაში გამართულ კონგრესზე ხმა მისცეს საფრანგეთის ინტერვენციას, რომელმაც 1823 წელს წესრიგი დაამყარა. რადგან ფერდინანდ VII-ს არ ჰყავდა ვაჟი მემკვიდრე, მან გააუქმა სალიკური კანონი, რომელიც მისი წინაპრის ფილიპე V-ის მიერ იყო შემოღებული და საშუალება მისცა თავის ქალიშვილს ისაბელს ტახტზე ასულიყო. მამის გარდაცვალების შემდეგ იგი გამეფდა ისაბელ II-ის სახელით, დედამისი კი რეგენტი გახდა. მაგრამ ფერდინანდის უმცროსმა ძმა კარლოსმა, დაგმო ამ კანონის გაუქმება და თავი მეფედ გამოაცხადა (კარლოს V), მისი მომხრეები ითხოვდნენ ტრადიციების შესაბამის მმართველობას. ამას პირველი კარლისტური ომი მოჰყვა (1833-1833), რომელიც "ლიბერალების", ისაბელ II-ის მომხრეების გამარჯვებით დამთავრდა.

რაც შეეხება შიგა დაყოფას, 1833 წლის 30 ნოემბერის დეკრეტით ესპანეთის სამეფოში სამხედრო რეორგანიზაცია განხორციელდა და ის 12 ოლქად დანაწილდა. ადმინისტრაციული თვალსაზრისით კი ის 48 საინტენდანტოდ (პროვინციად) დაიყო. სამხედრო ოლქებს მთავრობის წარგზავნილები (პრეფექტები) მართავდნენ. ეს ოლქები იყო:

– ახალი კასტილია : ხუთი საინტენდანტო — მადრიდი, გვადალახარა, ტოლედო, სიუდად რეალი ;

– ძველი კასტილია და ლეონე: თორმეტი საინტენდანტო - ბურგოსი, ლოგრონო, სანტანდერი, ოვიედო, სორია, სეგოვია, ავილა, ლეონე, პალენსია, ვალადოლიდი, სალამნკა, სამორა;

– გალისია: ოთხი საინტენდანტო — ლა კორუნია, ლუგო, ორენსე, პონტევედრა;

– ესტრემადურა: ორი საინტენდანტო — ბადახოსი, კასერესი;

– ანდლუსია: ხუთი საინტენდანტო – სველია, უელვა, კადისი, კორდოვა, ხაენი;

– ვალენსია და მურსია: ხუთი საინტენდანტო – ვალენსია, ალიკანტე, კასტელიონ დე ლა პლანა, მურსია, ალბასეტე.

– კატალონია: ოთხი საინტენდანტო – ბარსელონა, ტარაგონე, ლერიდა, ხერონე;

– არაგონი: სამი საინტენდანტო – სარაგოსი, უესკა, ტერუელი;

– ნავარა: პამპლონას საინტენდანტო:
– გიპუსკოა: სამი საინტენდანტო; – ვიტორია, ბილბაო, სენ-სებასტიანი;
– ბალერო: პალმას საინტენდანტო

ამათ უნდა დამატოს ევროპის ფარგლებს გარეთ მდებარე კანარის საინტენდანტო.

1854 წლამდე ძალაუფლება მონაცვლეობით იყო რეგენტ მარია-კრისტინას (ისაბელ II-ის დედა) ან სხვადასხვა გენერლის ხელში, რომლებიც ყველანი მეორე კარლისტურ ომში მონაწილეობდნენ (1846-1849). 1854 წლიდან ძალაუფლება პირადად ისაბელ II-ის ხელში გადავიდა, რომელსაც მხარს ლიბერალები უჭერდნენ, მაგრამ 1868 წლის რევოლუციის შემდეგ, რომელსაც გენერალი პრიმი ედგა სათავეში, ისაბელ II იძულებული გახდა გადამდგარიყო, თავისი ვაჟის ალონსო XII-ის სასარგებლოდ. თუმცა აჯანყებულებმა იგი არ აღიარეს და მან თავი უცხოეთს შეაფარა.

2. 1868 წლიდან ბურბონების მონარქიის მეორედ აღდგენამდე (1874)

1869 წლის კონსტიტუციით საპარლამენტო მონარქია დამყარდა. ამ პერიოდიდან იწყება ახალი მეფის ძებნა. თავდაპირველად ტახტი ლეოპოლდ ჰოენცოლერნ-ზიგმარინგენს შესთავაზეს (შვაბიის კათოლიკური შტო), რომელიც ამავე სამთავროს ბოლო მთავრის შვილი და 1866 წლის რუმინეთში არჩეული მეფე კარლოს უფროსის ძმა იყო.

მაგრამ ლეოპოლდი გენერალად მსახურობდა პრუსიის ჯარში და საფრანგეთმა მიიჩნია, რომ მისი მისვლით კარლV-ის იმპერია აღდგებოდა. პრუსიის მეფის ჩარევის შემდეგ მთავარმა შეთავაზება უარყო და როგორც ცნობილია ამ უარის სავალალო შედეგები 1870 წლის საფრანგეთ-პრუსიის ომით გამოიხატა.

მაშინ კორტესებმა არჩევანი (1870 წლის ნოემბერი) მთავარ ამადეო სავოიელ ზე შეაჩერა, რომელიც იტალიის მეფის ვიქტორ ემანუელის მეორე ვაჟი იყო და რომელიც ამადე I-ის სახელით გამეფდა.

იგი 1869 წლის კონსტიტუციის ფარგლებში აპირებდა მეფობას, მაგრამ მალე ბასკეთის პროვინციებში მესამე კარლისტური ომი დაიწყო (1872-1876), რომლის დროსაც კვლავ წინა პლანზე გადმოვიდა დინასტიური დავა. ამადე I-მა ვერ მოახერხა სამოქალაქო ნესრიგისა და მშვიდობის დამყარება, ბევრნი მას უცხოდ თვლიდნენ. მას არ გააჩნდა ქვეყანაში რეალური მხარდაჭერა და ამიტომაც 1873 წლის თებერვალში იგი გადადგა, ხოლო კორტესებმა **ესპანეთი რესპუბლიკად გამოაცხადეს**, მაგრამ რესპუბლიკურ რეჟიმს ანარქია მოჰყვა და კორტესებმა 1874 წლის დეკემბერში **მონარქია აღადგინეს** ისაბელის ვაჟის ალფონსო XII-ის სასარგებლოდ.

3. 1874 წლიდან მეორე რესპუბლიკის დამყარებამდე(1931)

ალფონსისტებსა და კარლისტებს შორის ომი 1876 წლამდე გაგრძელდა. ამ წელს კი კარლისტები დამარცხდნენ. ბასკურ პროვინციებში გაუქმდა არსებული პრივილეგიები (los fueros).

1876 წელს ახალ კონსტიტუციას ეყარა კენჭი და 1923 წლამდე სახელმწიფოს რიგრიგობით მართავდნენ კონსერვატიული და ლიბერალური პარტიები. 1885 წელს გარდაიცვალა მეფე ალფონსო XII, ხოლო მისი ვაჟი 1886 წელს დაიბადა, რომელიც მეფე ალფონსო XIII გახდა. ხანგრძლივი რეგენტობა 1902 წლამდე გაგრძელდა.

კუბაზე და ფილიპინებზე მომხდარი არეულობების შემდეგ, რომლის მოგვარებას ამაოდ ცდილობდა ესპანეთი, 1898 წელს მას შეერთებულმა შტატებმა ომი გამოუცხადა, რის შედეგადაც ესპანეთმა ბოლო კოლონიები დაკარგა: კუბა, პუერტო რიკო, ფილიპინები. ამ დანაკარგების კომპენსაცია მაროკოს ჩრდილოეთით რიფის დაპყრობით მოხდა. საუკუნის დასაწყისი აღინიშნა სამეფოს ორ პერიფერიულ რეგიონში კატალონიას და ბასკების ქვეყანაში მრენველობის განვითარებით, რის მერეც გამოიკვეთა მათი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უპირატესობა ქვეყნის სხვა რეგიონებთან მიმართებაში.

მართალია ესპანეთი პირველ მსოფლიო ომში არ ჩარეულა, მაგრამ კონფლიქტის დასასრულს ქვეყანაში პოლიტიკური არეულობები დაიწყო, რაც ერ-რიფში არსებული წინააღმდეგობით გამწვავდა. 1923 წელს ძალაუფლება ხელში გენერალმა პრიმო დე რივერამ აიღო მეფე ალფონსო XIII-ის თანხმობით. მან ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა, მაგრამ ვერ შეძლო აღებული ვალდებულებების შესრულება. 1930 წელს მეფემ იგი დაითხოვა.

1931 წლის აპრილში მუნიციპალურ არჩევნებში რესპუბლიკური პარტიების მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ, მეფე ალფონსო XII-მ ესპანეთი დატოვა (გადადგომის გარეშე) და მეორედ იქნა **გამოცხადებული რესპუბლიკა.**

V. თანამედროვე ესპანეთი (1931წლიდან დღემდე)

1. მეორე რესპუბლიკა (1931-1936)

რესპუბლიკური პერიოდი პოლიტიკურ ძალების მონაცვლეობით აღინიშნა: 1931 წელს უმრავლესობა მემარცხენეებს ჰქონდათ, 1933 წელს მემარჯვენეებს, შემდეგ 1936 წელს კვლავ მემარცხენეებს. აქედან გამომდინარე ხელისუფლებას არ ჰყოფნიდა დრო მნიშვნელოვანი რეფორმების გასატარებლად, კერძოდ პროვინციებისათვის ავტონომიის მისანიჭებლად. ავტონომიური სატატუსი (რომელიც 1939 წლიდან გაუქმდა), მხოლოდ კატალონიას ჰქონდა 1932 წლიდან.

1934 ხელს ასტურიაში (ამჟამად ოვიედო) გენერალ ფრანკოს მეთაურობით დიდი გაფიცვა ჩაახშეს. პოლიტიკური კურსის ცვალებადობის და რეფორმების ნელი ტემპის გამო ამბოხებულ დაჯგუფებებს შორის განხეთქილება ღრმავდებოდა. მთელს ქვეყანაში დაუცველობა გამეფდა.

1936 წლის 18 ივლისს რესპუბლიკური რეჟიმის წინააღმდეგ სამხედრო ამბოხი დაიწყო, რომელსაც გენერალი სან-ხორხიო ედგა სათავეში, ორი დღის შემდეგ იგი დაიღუპა და მისი ადგილი გენერალმა ფრანკომ დაიკავა, რომელიც იმავე წლის 1 ოქტომბერს სახელმწიფოს მეთური გახდა.

2. სამოქალაქო ომი და ფრანკისტული სახელმწიფო (1936-1947)

ფრანკოს მომხრეებსა და რესპუბლიკელებს შორის განსაკუთრებულად სასტიკი სამოქალაქო ომი გაჩაღდა; ის სამ წელიწადს გაგრძელდა და ამ დროის განმავლობაში ფრანკისტები სულ უფრო და უფრო დიდ წარმატებებს აღნევდნენ. საბოლოოდ ომი ნაციონალისტური ძალების სრული გამარჯვებით დამთავრდა. კონფლიქტის პერიოდში ორი რეჟიმი თანაარსებობდა: რესპუბლიკური და ფრანკოს მიერ დაარსებული გარდამავალი სახელმწიფო.

კონფლიქტის დასრულების შემდეგ (1939 წლის აპრილი), ფრანკომ თავი სახელმწიფოს მუდმივ მეთაურად გამოაცხადა. ესპანეთი, რომელიც სამოქალაქო ომის შემდგომ ჭრილობებს იშუშებდა მეორე მსოფლიო ომში არ ჩარეულა.

3. სამეფო მეფის გარეშე (1947-1975)

1947 წლის 26 ივლისის რეფერენდუმით დამტკიცდა კანონი მემკვიდრეობაზე, რომლის მიხედვითაც გენერალი ფრანკოს შემდეგ ესპანეთის მეფე ბურბონთა დინასტიიდან უნდა ყოფილიყო არჩეული.

ესპანეთი სამეფო გახდა, რომლის რეგენტი გარდაცვალებამდე ფრანკო იყო. იმის გამო, რომ ესპანეთი მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ ნაცისტებს და ფაშისტურ გერმანიას ეხმარებოდა, გამარჯვებულმა ქვეყნებმა ფრანკისტული ესპანეთი მკაცრ პოლიტიკურ იზოლაციაში მოაქციეს. მაგრამ, ცივი ომის დაწყებისათანავე, 1950-იანი წლების დასაწყისში სტრატეგიული მოსაზრებებიდან გამომდინარე პოზიცია შეიცვალა და 1953 წელს შეერთებულმა შტატებმა ესპანეთთან სამხედრო პაქტი გააფორმა, რომელიც ეკონომიკურ დახმარებასაც ითვალისწინებდა და რომლის წყალობითაც ესპანეთი კვლავ ევროპის ქვეყნების გუნდში გაერთიანდა (1955 წელს გაეროს წევრი გახადა)

ფრანკოს გარდაცვალებამდე, 1975 წლამდე გენერალ ფრანკოს ძალიან ავტორიტარული რეჟიმი ჰქონდა; არსებობდა მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტია, ესპანეთის ფალანდა. პარალელურად ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერდებოდა და ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ორი საუკუნის ჩამორჩენილობა დაძლეულიყო.

1969 წლის ივლისში ესპანეთის ტახტის მემკვიდრედ დასახელდა ხუან-კარლოსი, ასტურიის მთავარი და ალფონსო XIII-ის შვილიშვილი, რომელმაც განათლება ესპანეთში მიიღო. ეს მამამისის, ბარსელონის გრაფისა და გენერალ ფრანკოს შეთანხმებით მოხდა, რაც კორტესებმა დაამტკიცა. იგი ფრანკოს სიკვდილის შემდეგ უნდა გამეფებულიყო.

4. ბურბონების დაბრუნება (1975 წლიდან დღემდე)

1975 წლის ნოემბერში ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ, ესპანეთის სამეფომ ხუან-კარლოს I-ის სახით ახალი მეფე იპოვა. ის ალფონსო XII-ის შვილიშვილი იყო, რომლის სასარგებლოდაც მამამისი, ბარსელონის გრაფი გადადგა.

მოსვლის დღიდანვე ახალი მეფე ლიბერალური რეჟიმის დამყარებას და ქვეყნისთვის დემოკრატიული კონსტიტუციის მზადებას შეუდგა. მან გამოსცა კანონი პოლიტიკური რეფორმის შესახებ, რაც მრავალპარტიულობას ითვალისწინებდა, ნებადართული გახდა პოლიტიკური მოღვაწეობა, აღდგა კატალონიის ჟენერალიტატი (ავტონომია)

ახალი კონსტიტუცია 1978 წლის 6 დეკემბერის რეფერენდუმით მიიღეს, რომელიც 29 დეკემბერს დამტკიცდა. კონსტიტუცია ესპანეთის ერთიან სამეფოში რეგიონების ავტონომიას ითვალისწინებს.

48 პროვინციამ (რომელთაც კანარის 2 პროვინცია ემატება) შეინარჩუნა 1833 წელს არსებული სიტუაცია. ისინი 16 ოლქში დაჯგუფდა (ერთიც კანარის) და ბევრს (მაგრამ არა ყველას) ძველი ისტორიული საზღვრები დაუბრუნდა; თითოეულ ოლქს, ავტონომიის მიღებისთანავე არჩეული რეგიონალური მთავრობა ჰყავს. მათ ავტონომია ასეთი რიგით მიიღეს:

- 1979 წლის დეკემბერში: კატალონიამ და ბასკების ქვეყანამ;
- 1981 წლის აპრილში: გალისიამ;
- 1981 წლის დეკემბერში: ანდალუსიამ, არაგონმა, ასტურიამ, კანტაბრიმ;
- 1982 წლის ივნისში: მურსიამ;
- 1982 წლის ივლისში: ვალენსიამ;
- 1982 წლის აგვისტოში: კასტილია-ლა მანჩამ, ნავარამ, რიოხამ;
- 1983 წლის თებერვალში: ბალეარის კუნძულებმა, კასტილია და ლეონემ, ესტრემადურამ, მადრიდმა.

თითოეულ ავტონომიურ ოლქს თავისი ადმინისტრაციული აქტების მიღებისას უფლება აქვს საკუთარი რეგიონალური ენა გამოიყენოს.

საპარლამენტო მონარქიის რეჟიმი კიდევ უფრო გამყარდა პოლკოვნიკ ტენეროს ნარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ (1981 წლის თებერვალი), რომელიც პირადად მეფემ შეაჩერა. ამის მერე, ესპანეთი საბოლოოდ გახდა დემოკრატიული ევროპის შემადგენელი ნაწილი და 1986 წლის 1 იანვარს ის ევროპის თანამეგობრობაში გაწევრიანდა.

ესტონეთი

ზოგადი მონაცემები

რესპუბლიკური სახელმწიფო: ესტონეთის რესპუბლიკა
პრეზიდენტი: თომას ჰენდრიკ ილვესი
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთი პალატა
დედაქალაქი: ტალინი; 15 ოლქი
ფართობი: 45 100 $км^2$; **მოსახლეობა:** 1,6 მილიონი კაცი; **სიმჭიდროვე:** 35 კაცი ერთ $км^2$-ზე.
ენა: ესტონური (ფინურის მონათესავე); მოსახლეობის 30% რუსულენოვანი
რელიგია: ლუთერანული
ფულის ერთეული: ესტონური კრონა

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ესტონეთის მოკლე ისტორია

1. ტევტონური ორდენიდან პეტრე დიდამდე

ესტები და **ლივები** ეს ფინურ-უნგრული ტომები, ესტონეთსა და ლივონიაში ჩვ. წ. აღ-მდე I I საუკუნეში ცხოვრობდნენ, ისინი XI I I საუკუნეში გააქრისტიანეს **დანიელებმა**, (რომლებმაც 1219 წელს დააარსეს ქალაქი ტალინი, "დანიელების" ქალაქი) და **მახვილოსანთა ორდენის** წევრებმა, რომელიც გერმანელ მხედართა ორდენი იყო და რიგის სამხრეთით იყო დაფუძნებული.

1347 წელს **დანიელებმა ტევტონურ ორდენს** (რომელიც მახვილოსანთა ორ-დენთან გაერთიანდა) **მიჰყიდეს ესტონეთის ნაწილი** (ჩრდილოეთით); ტევტონური ორდენი ესტონეთის ერთადერთი მფლობელი გახდა.

XVI საუკუნის დასაწყისში, ლუთერანულ რეფორმაციას არეულობები მოჰყვა; ტევტონური ორდენის წევრები საერო ცხოვრებას დაუბრუნდნენ და ბალტიის ქვეყნებში შეიძინეს მამულები. ამ არეულობებს მეზობელთა ინტერესების გაძლიე-რება მოჰყვა. ივანე მრისხანის რუსეთმა ხელში ჩაიგდო აღმოსავლეთით ტარტუ და ნარვა, **შვედეთმა ესტონეთი და კუნძული ჰიიუმაა, ხოლო დანიამ დაიპყრო კუნძული საარემაა.**

შემდეგ, 1629 წელს **შვედებმა დაიპყრეს** მეზობელი ლივონია და **კუნძული საარემაა** და იქ ხანგრძლივი ვადით შემოიღეს ლუთერანობა, მაგრამ წარჩინებულ ფენად გერმანელები რჩებოდნენ (ბალტიელი ბარონები). 1632 წელს, შვედეთის მეფე გუსტავ II ადოლფმა დააარსა ტარტუს გერმანული უნივერსიტეტი.

ეს სიტუაცია ნოიშტადტის ზავამდე გაგრძელდა (1721 წელი), რომელმაც ბოლო მოუღო შვეციასა და რუსეთს შორის ომს; ამ ზავის პირობების მიხედვით შვეციის მეფე კარლ XI I **რუსეთს უთმობდა ესტონეთსა** და ლივონიას. ესტონეთი ორი საუკუნის მანძილზე რუსეთზე მიჯაჭვული აღმოჩნდა.

2. ესტონეთი 1789 წელს

რუსეთის პროვინცია ესტონეთი, ბალტიის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა, დასავლეთით შემოსაზღვრული იყო ბალტიის ზღვით და ორი დიდი კუნძულით, ჰიიუმა და საარემაათი, ჩრდილოეთით ფინეთის ყურეთი, აღმოსავ-ლეთით საკუთრივ რუსეთით, ხოლო სამხრეთით ლივონიით.

მისი ფართობი დღევანდელი ესტონეთის ნახევარს უდრიდა და ეს იყო ტყეებით დაფარული დაბლობი რეგიონი; ნიადაგი არ იყო ძალიან ნაყოფიერი; აღმო-სავლეთით ჩუდ-ფსკოვის ტბას მდინარე ნარვა ზღვასთან აკავშირებდა. მნიშვნე-

ლოვანი ქალაქები მხოლოდ ორი იყო, დედაქალაქი ტალინი და ტარტუ, რომლებიც ადრე ჰანზის ქალაქებში შედიოდა.

ეს პროვინცია ბალტიისპირეთს მხოლოდ გეოგრაფიული თვალსაზრისით შეიძლება მიეკუთვნოს, ლინგვისტური თვალსაზრისით, მოსახლეობა ფინურის მონათესავე დიალექტზე ლაპარაკობდა, ნარჩინებული ფენა, ადრე ტევტონური ორდენის ნევრები, გერმანულ ენაზე საუბრობდა. ესტონეთის სუვერენი, ისევე როგორც მეზობელი ლივონიისა, რუსეთი იყო, მაგრამ მთელი ძალაუფლება ბალტიელი ბარონების ხელში იყო, რომლებიც რუსეთის არმიასა და ადმინისტრაციაში მსახურობდნენ.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მეზობელი ლივონიის ჩრდილოეთი, რომელიც ფართობით უთანაბრდებოდა ესტონეთის პროვინციას, ასევე ესტონელებით იყო დასახლებული.

II. რთული გზა დამოუკიდებლობისაკენ (1789 წლიდან დღემდე)

1. 1789 წლიდან დამოუკიდებლობამდე (1918/1920)

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ესტონურ ენაზე ლიტერატურისა და პრესის განვითარების შემდეგ, გაძლიერდა გერმანელი ნარჩინებული ფენისაგან სრულიად განსხვავებული ესტონელი ერის თვითმყოფობის შეგნება. მაგრამ საუკუნის დასასრულს, იმპერიის ყველა სხვა არარუსული პროვინციის მსგავსად, ესტონეთი გარუსების მკაცრი პოლიტიკის ობიექტი გახდა. რუსული სავალდებულო გახდა ადმინისტრაციაში და ტარტუს უნივერსიტეტში მან გერმანული ენა შეცვალა.

როგორც მთელი რუსეთის იმპერია, ესტონეთიც 1914 წელს ჩათრეული იქნა პირველ მსოფლიო ომში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რუსეთის დროებითმა მთავრობამ 1917 წლის აპრილში ესტონეთს ავტონომია მიანიჭა, ქვეყნის ფართობიც გაიზარდა ლივონიის ჩრდილოეთის ნახევრით და მას ეროვნული კონგრესის არჩევის უფლება მიეცა, რომელსაც ესტონეთი დამოუკიდებლობამდე უნდა მიეყვანა.

ოქტომბრის რევოლუციამ ყველაფერი შეცვალა და 1917 წლის ნოემბერში საბჭოთა მთავრობა ესტონეთში დამკვიდრდა. რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, 1918 წლის 3 მარტს გერმანიასთან ხელი მოაწერა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს, რომლის მიხედვითაც **რუსეთი გერმანიის სასარგებლოდ უარს ამბობდა** ბალტიის ქვეყნებზე **ესტონეთის** ჩათვლით, ფინეთზე, რუსეთის პოლონეთზე და ა. შ.

1918 წლის 13 აპრილს, ეროვნულმა საბჭომ, რომლის უმრავლესობაც გერმანელი იყო და რომელიც ესტონეთისა და ლივონიის გერმანელების ინიციატივით იქნა მოწვეული, მოითხოვა **ბალტიის საპერეგოს** შექმნა, რომელიც ამ ორ ქვეყანას კურლანდიასთან ერთად პრუსიის მეფის ძალაუფლებას დაუქვემდებარებდა.

მაგრამ ბერლინის ხელისუფლებამ გადაწყვიტა **"ბალტიის სახელმწიფოებში"** მხოლოდ ესტონეთი და ლივონია (რიგის ოლქის გამოკლებით) შეეყვანა. კურლანდია და რიგის ოლქი დროებით გერმანიას შეუერთდა.

1918 წლის ნოემბერში, გერმანიის დამარცხების შემდეგ, ესტონელებს შესაძლებლობა მიეცათ თვითონ გადაეწყვიტათ თავისი ბედი. 12 ნოემბერს ესტონეთის ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა **ესტონეთის დამოუკიდებლობა** დამყარებული ეთნიკურ საფუძვლებზე, ანუ ესტონეთს ემატებოდა ესტონელებით დასახლებული ლივონიის ჩრდილოეთის ნახევარი.

მაგრამ 13 ნოემბერს, საბჭოთა რუსეთმა უარყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავი და ის ესტონეთში შეიჭრა.

ესტონელების გმირული წინააღმდეგობისა და ფინელი ვოლონტიორების დახმარების შედეგად, რუსეთსა და ესტონეთს შორის ხელი მოეწერა ტარტუს ზავს 1920 წლის 2 თებერვალს.

რუსეთმა სცნო ესტონეთის დამოუკიდებლობა 1918 წლის ნოემბერს არსებულ ტერიტორიულ ფარგლებში და მას დაუთმო ორი პატარა ტერიტორია თავის აღმოსავლეთის საზღვარზე: **ნარვას მარჯვენა სანაპირო და იზბორსკის ოლქი.**

2. 1920 წლიდან დღემდე

დამოუკიდებელმა ესტონეთმა 1920 წელს მიიღო ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუცია. ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყანამ მთლიანად შეცვალა თავისი აგრარული რეჟიმი (გააუქმა მიწისმფლობელობა) და შეუდგა სამრეწველო პოტენციალის გაძლიერებას, რომელსაც ომმა დიდი ზიანი მოუტანა.

ეკონომიკური კრიზისისა და მისგან გამომდინარე მძიმე შედეგების გამო, 1934 წელს ავტორიტარული რეჟიმი დამყარდა.

გერმანიისა და სსრკ-ს მუქარის ქვეშ მყოფი ესტონეთი დანარჩენ ორ ბალტიის სახელმწიფოსთან ერთად, რომლებთანაც თავდაცვის შეთანხმება აკავშირებდა, ცდილობდა ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას. თუმცა 1939 წლის გერმანია- საბჭოთა კავშირის პაქტში არსებობდა საიდუმლო მუხლი ესტონეთთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ის სსრკ-ს გავლენის სფეროში ექცეოდა.

1939 წლის 28 სექტემბერს, პოლონეთის დამარცხების შემდეგ, საბჭოთა კავშირმა ესტონეთს დაათმობინა სამხედრო ბაზები ბალტიისკში და კუნძულებზე ჰიიუმაასა და საარემაზე.

შემდეგ, 1940 წლის 15 და 17 ივნისს, საბჭოთა ჯარები ესტონეთში შეიჭრნენ, ისევე როგორც ორ დანარჩენ ბალტიის ქვეყანაში. 21 ივლისს, მთლიანად კომუნისტურმა ასამბლეამ გამოაცხადა **ესტონეთის სოციალისტური რესპუბლიკა და მოითხოვა მისი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეყვანა.**

6 აგვისტოს, მოსკოვმა დაამტკიცა ეს ანექსია. ამის შემდეგ განსორციელდა მიწინააღმდეგეთა მასიური დაპატიმრებები და გადასახლება.

ესტონეთის ახალმა საბჭოთა რესპუბლიკამ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას დაუბრუნა 1920 წელს მიერთებული ტერიტორიები.

1941 წელს ესტონეთი გერმანიის არმიამ დაიკავა და 1942 წელს დააარსა **ოსტლანდის გენერალური კომისარიატი,** დედაქალაქად დასახელდა რიგა და დაიყო ოთხ ძირითად ოლქად: ესტონეთის (ტალინი), ლატვიის (რიგა), ლიტვის (კაუნასი), თეთრი რუსეთის (მინსკი) ოლქებად.

1944 წლის ნოემბერში, საბჭოთა კავშირმა ხელახლა მოიპოვა ესტონეთი და **აღადგინა ესტონეთის საბჭოთა რესპუბლიკა.**

45 წლის განმავლობაში ესტონეთი იძულებით იყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ის ექვემდებარებოდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას, ხოლო რუსები მასიურად სახლდებოდნენ ესტონეთში და მისი მოსახლეობის 30% შეადგინეს. მიუხედავად ამისა, დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი ერთი წუთითაც არ განელებულა.

საბჭოთა რეჟიმის დამხობის შემდეგ, 1990 წლის 5 მაისს, ესტონეთის საბჭოთა რესპუბლიკა გადაკეთდა **ესტონეთის რესპუბლიკად** და აღდგა მრავალპარტიულობა.

1991 წლის 3 მარტს გამართულ რეფერენდუმზე დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა ქვეყნის დამოუკიდებლობას. 1991 წლის 20 აგვისტოს, **ესტონეთი დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა.**

1992 წლის ივნისში მიიღეს ახალი კონსტიტუცია. აქედან მოყოლებული ესტონეთი ორიენტირებულია დასავლეთთან დაახლოებისკენ, მჭიდრო კავშირები აქვს გეოგრაფიულად და კულტურულად ასე ახლობელ ფინეთთან და დააყენა თავისი კანდიდატურა ევროპის კავშირში გაერთიანებაზე.

ვატიკანი

ზოგადი ცნობები

მონარქიული სახელმწიფო: ქალაქი-სახელმწიფო ვატიკანი (არჩევითი მონარქია).
სუვერენი: პაპი ბენედიქტ XVI.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: არ არსებობს; პაპი არის აბსოლუტური სუვერენი, რომელიც თავის სახელმწიფოს მის მიერ დანიშნული გუბერნატორის მეშვეობით მართავს; ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანის საკანონმდებლო ხელისუფლება დელეგირებული აქვს კარდინალებისგან შემდგარ პაპის კომისიას.
დედაქალაქი: ვატიკანი, ქალაქ რომში მდებარეობს; შენობები: რომში, სანტა-მარია მაჯორეს, სან-ჯოვანი ინ ლატერანოსა და წმინდა პავლეს""კედლების მიღმა" ბაზილიკები და ასევე სხვა შენობები; რომაულ სოფელში, კასტელ განდოლფოს სასახლე.
ფართობი: 0, 44კმ; **მოსახლეობა:** 750 კაცი;
ენა: იტალიური; ლათინური **რელიგიური** საკითხებისთვის; ფრანგული დიპლომატიურ სფეროში.
რელიგია: კათოლიკობა; კათოლიციზმი სახელმწიფო რელიგიაა.
ფულის ერთეული: ვატიკანის ლირა იტალიურ ლირასთან ერთად; ევრო 2002 წლიდან.

შენიშვნები

პაპი ერთსა და იმავე დროს არის მსოფლიო (კათოლიკური) ეკლესიისა და საერო ხელისუფლების მეთაური.

არის რა რომის ეპისკოპოსი და წმინდა პეტრეს მემკვიდრე (რომელის სახელზეც იესო ქრისტემ თავისი ეკლესიის აგება გადაწყვიტა), იგი მსოფლიო ეკლესიის მეთაურია და რელიგიურ იერარქიას რომიდან განაგებს, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში არსებული კათოლიკური ეკლესიის ადმინისტრაციულ სამსახურებს.

როგორც საერო სახელმწიფოს სუვერენი (როგორი პატარაც არ უნდა იყოს ის დღეისათვის), მას დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაურის ყველა პოლიტიკური პრეროგატივა გააჩნია. წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ მეორე ასპექტს განვიხილავთ.

მსოფლიო კათოლიკური ეკლესიის ადგილსამყოფელად რომის არჩევა ორი განსხვავებული ფაქტორის შერწყმიდან მომდინარეობს:

– რელიგიური და ისტორიული ფაქტორი: პაპი არის რომში ტანჯვით გარდაცვლილი წმინდა პეტრეს მემკვიდრე, რომელიც ამ ქალაქის პირველი ეპისკოპოსი იყო;

– პოლიტიკური ფაქტორი: ქრისტიანობის დამკვიდრების პირველ ხანებში რომი ძლიერი იმპერიის დედაქალაქი იყო, რომელსაც ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურად მიღების შემდეგ ხელი უნდა შეეწყო მისი გავრცელებისათვის; მიუხედავად იმპერიის გაქრობისა, პაპის რეზიდენცია რომში დარჩა და დღესაც იმავე ადგილზეა.

ქალაქი-სახელმწიფო ვატიკანი მხოლოდ 1929 წელს დაარსდა, მაგრამ ის რომის სახელმწიფოთა მემკვიდრეა, რომელთაც სხვაგვარად ეკლესიის ან პაპის ოლქს უწოდებდნენ. ის გვიანი შუა საუკუნეებიდან 1870 წლამდე არსებობდა. მართებული იქნებოდა პაპის ოლქში შემავალი ტერიტორიების ისტორიის განხილვა, რომელიც ათას წელზე მეტ ხანს პაპობის საერო ხელისუფლების სამფლობელოს წარმოადგენდა.

I. საფუძვლებიდან 1789 წლამდე. პაპის ოლქის მოკლე ისტორია

1. სათავეებიდან პაპის ოლქის შექმნამდე (756წ.)

ქრისტიანული ხანის დასაწყისიდან პაპებს მხოლოდ წმინდა რელიგიური ძალაუფლება გააჩნდათ, რომელიც განსაკუთრებით რომის ქრისტიანულ თემზე ვრცელდებოდა. მიუხედავად დევნისა, ქრისტიანობა მთელს რომის იმპერიაში გავრცელდა და რომის მაღალი საზოგადოების წრეებშიც შეაღწია. ამგვარად, უკვე IV საუკუნის დასაწყისში მილანის ედიქტით, ქრისტიანული კულტი ნებადართული იქნა. ამავე საუკუნის მიწურულს, თეოდოსის მმართველობის დროს, ის იმპერიის ერთადერთი რელიგია გახდა.

313 წელს პაპობის ხელში პირველი სამფლობელოები (ლატერანო) გადავიდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ კერძო საკუთრება.

იმპერიის დედაქალაქის კონსტანტინოპოლში გადატანამ (330წ.), დასავლეთის იმპერიის უკანასკნელ იმპერატორთა სისუსტემ, რომლებმაც რეზიდენციად რავენა გაიხადეს, შემდეგ კი იმპერიის დაცემამ (476წ.) და ცვლილებებმა, რომელიც მოჰყვა იტალიის დაპყრობას ოსტგუთების (493წ.), ბიზანტიელების (554წ.), შემდეგ კი ლანგობარდების მიერ (რომლებმაც მაშინვე არ დაიპყრეს რავენა, რომი, ნეაპოლი, სიცილია და სარდინია, რომელიც კვლავ ბიზანტიის ხელში იყო) შექმნა ისეთი გარემო, რომ პაპებმა თანდათან რომის რეგიონის დამცველთა მორალურ გავლენას მიაღწიეს, თუმცა არსებობდა რავენის ეგზარქოსზე დამოკიდებული ბიზანტიის გუბერნატორი (პერცოგი).

730 წელს ლონგობარდების შემოსევის პირისპირ, ბიზანტიის უუნარობისგან დაღლილმა რომაელებმა იმპერიის უღელი შეაყიეს და პაპ გრეგორი I-ს მიენდნენ, რომელიც მათ რომის ჰერცოგი გახადეს. რომის საჰერცოგოში (Patrimonium Petri ან "წმინდა პეტრეს სამმობლო") თავდაპირველად ლაციუმი, საბინა, ეტრურიის ნაწილი და უმბრიის პატარა ნაწილი (პერუჯის შემოგარენი) შედიოდა. მაგრამ აღნიშნულ საჰერცოგოს პაპები ბიზანტიის სიუზერენობის (თუმცა ნომინალური) ქვეშ განაგებდნენ.

756 წელს პაპმა საშველად ფრანკებს მოუხმო. პიპინ მოკლემ ლომბარდები დაამარცხა და იმ პროვინციების ბრძანებელი გახდა, რომელიც მან ბიზანტიას ჩამოართვა: **რავენის საეგზარქოსო** და **იტალიის პენტაპოლისი** (რიმინი, პეზარო, ფანო, სენიგალია, ანკონა, ასევე ურბინო, გუბიო და სხვ.). აღნიშნული ტერიტორიები პიპინ მოკლემ პაპს საჩუქრად გადასცა. ამ დროიდან პაპის ოლქი ტირენისა და ადრიატიკის ზღვებს შორის გადაიჭიმა და ამგვარად, პაპმა ბიზანტიის უღლისგან განთავისუფლება შესძლო პიპინ მოკლეს დახმარებით.

2. 756 წლიდან პაპების ავინიონში დამკვიდრებამდე (1308წ.)

პაპების ზემოაღნიშნული პირველი დომენი თანდათან იზრდებოდა წარჩინებულ პიროვნებათა შეწირულობების მეოხებით. იმპერატორმა კარლოს დიდმა კიდევ უფრო გაზარდა მისი მამის მიერ პაპებისთვის ნაბოძები ტერიტორიები (**ფერარა, ბოლონია, გროსეტო, ორვიეტო**). აპულიისა და კალაბრიის ჰერცოგმა რობერტო გისკარდიმ, მას შემდეგ რაც თავისი სამხრეთ იტალიის სამფლობელოების (1052წ.) ვასალობა დაიდასტურა, 1077 წელს პაპებს ქალაქი ბენევენტო უბოძა. იმავე წელს ტოსკანის მბრძანებელმა გრაფმა მატილდამ პაპებს ზოგიერთი თავისი სამფლობელო უბოძა (**ტოსკანის მისადგომები, პოს ქვედა აუზი**), მაგრამ ეს საჩუქარი დიდი ხნის მანძილზე დავის საგანი გახდა იმპერატორთა მხრიდან.

ზემოაღნიშნული ტერიტორიული შეწირულობანი მათი დაკარგვითაც სრულდებოდა (ზოგჯერ ეს დროებით ხასიათს ატარებდა, ზოგჯერ კი ხანგრძლივ პერიოდს მოიცავდა, მაგ, ფერარა). ამას გარდა, თავისი სისუსტის გამო, პაპები ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ ძალაუფლება რესპუბლიკებისთვის (ბოლონია, პერუჯა, ანკონა, სან-მარინო) ან მთავრებისთვის (მონტეფელტრებისთვის ურბინოში, მალატესტებისთვის რიმინიში და სხვ.) გადაეცათ.

იტალიისგან მოშორებით, რონის ქვედა აუზში, ალბიგოელთა ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგად, პაპებმა ორჯერ მიიღეს ვენესენის საგრაფო: პირველად 1229 წელს ის ტულუზის გრაფმა რაიმონდმა დათმო (მაგრამ მისი გადაცემა იმპერატორმა შეაჩერა), მეორედ კი 1274 წელს ის საფრანგეთის მეფის მიერ იქნა გადაცემული.

1308 წელს პაპმა კლიმენტ V-მ იტალიაში, განსაკუთრებით კი ქალაქ რომში დაძაბული პოლიტიკური ვითარებისგან თავის არიდების მიზნით, რეზიდენციის გადატანა ვენესენის საგრაფოს თავის პროვანსალურ სამფლობელოში გადაწყვიტა. მაგრამ ამ ადგილის არახელსაყრელმა მდებარეობამ მას ავინიონში დამკვიდრება გადაწყვეტინა, რომელიც პროვანსის გრაფთა საკუთრება იყო.

3. 1308 წლიდან 1789 წლამდე

1308 წლიდან 1377 წლამდე ავინიონი პაპების რეზიდენციად იქცა. 1348 წელს პაპმა პროვანსის გრაფს, დედოფალ ჟანასაგან **ავინიონის საგრაფო** (ქალაქი და მისი შემოგარენი) შეიძინა.

1337 წელს პაპი გრეგორი XI კვლავ რომში გაემგზავრა.

მოგვიანებით მოხდა დასავლეთის დიდი განხეთქილება. პაპის მოწინააღმდეგეები, რომელთაც მხარს საფრანგეთი უჭერდა, ავინიონში დამკვიდრნენ. განხეთქილების განმავლობაში (1378-1409წწ.) ქრისტიანობა მორჩილთა ორ ნაწილად გაიყო. აღნიშნული პაპის ოლქსაც შეეხო, რომელიც დროებით დე ფაქტო განაწილებული იქნა ავინიონის პაპის მოწინააღმდეგეებსა (ავინიონი და ვენესენის საგრაფო) და რომის პაპებს (იტალიური სამფლობელოები) შორის.

XVI და XVII საუკუნეებში პაპებმა, რომლებიც ფუფუნების მოყვარულ სუვერენებად იქცნენ, თანდათან შესძლეს მათ ოლქში შემავალ სხვადასხვა ნაწილზე პირდაპირი მმართველობის განხორციელება: რომანია (1504წ.), პერუჯა და ბოლონია (1506წ.), მარკე (1545წ.), ფერარა (1598წ.), ურბინო (1631წ.), კასტრო (1649წ.).

II პაპის ოლქი 1789 წელს

პაპის ოლქი პაპთა საერო სახელმწიფოს წარმოადგენდა. ეს ქვეყანა გადაშლილი იყო ცენტრალურ იტალიაზე და აპენინების მხრიდან, როგორც ხმელთაშუა (ლაციუმი), ასევე ადრიატიკის ზღვებს (მარკე, რომანია) ემიჯნებოდა. მისი დედაქალაქი რომი იყო.

ქვეყანა, რომლის მოსახლეობაც დაახლოებით 2 500 000 კაცს შეადგენდა, 400 000 კაცი თავად რომში ცხოვრობდა, ევროპაში ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა. განათლებული ადამიანები სამღვდელოების ყოვლისშემძლეობაში პაპის ოლქში არსებულ მართვის ხარვეზებს ხედავდნენ: პოლიტიკური უძრაობა, თავისუფლების არარსებობა, ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა, სამეწარმეო საქმიანობის განუვითარებლობა. ამგვარი ხედვა გადაჭარბებული იყო, რადგან პაპობა, ბევრი საერო მთავრის მსგავსად, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებას ცდილობდა. მაგრამ ქვეყნის სიღარიბემ პაპის ტახტი ეკლესიის მიერ დადგენილი მაღალი გადასახადების მომხმარებელი გახადა, რამაც პაპობა კათოლიკური ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულებაში მოაქცია.

1789 წელს რომაული სახელმწიფოები ამგვარად იქნა დაყოფილი:

1. პაპის ოლქის იტალიური ტერიტორიები

– ხუთი ტერიტორია: წმინდა პეტრეს სამშობლო, ორვიეტო, პერუჯა, საბინა, რომის სოფელი; ამ უკანასკნელში ორივე სიცილიის სამეფოს საზღვართან მდებარე პონტე-კორვოს ანკლავიც შედიოდა;

– ტიტულიანი ქვეყნები: ბენევენტოს საპერცოგო, რომელიც პატარა ანკლავი იყო ორივე სიცილიის სამეფოში, კასტროს საპერცოგო, სპოლეტოს საპერცოგო, ანკონის მარკა;

– პაპის ლეგატის მიერ მართული ოთხი პროვინცია: ურბინო და პეზარო, რომანია, ფერარა და ბოლონია;

– სიტა-დი კასტელოს მმართველობა.

2. **პაპის ოლქის** პროვანსალური ტერიტორიები

– ავინიონის საგრაფოს პროვინცია;
– **ვენესენის საგრაფოს ვიცე-პროვინსია, დედაქალაქი კარპენრტასი.**

III.1789 წლიდან პაპის ოლქის დასასრულამდე (1870ნ.)

1. 1789 წლიდან რომის რესპუბლიკის გამოცხადებამდე (1789ნ.)

1789 წლიდან საფრანგეთში განვითარებულმა რევოლუციურმა მოვლენებმა პაპის ოლქის პროვანსის მოსახლეობაშიც ჰპოვა თავისი ასახვა. 1790 წლის ივნისიდან ავინიონელებმა საფრანგეთთან შეერთების სურვილი გამოთქვეს, რასაც ვენესენის საგრაფოში ხანმოკლე კონფლიქტი მოჰყვა კონტრრევოლუციური გამოხტომებით. 1791 წლის სექტემბერში საფრანგეთის დამფუძნებელმა კრებამ საფრანგეთის მიერ **ავინიონისა და ვენესენის საგრაფოს** ანექსია გადაწყვიტა. პაპმა ამ ანექსიის აღიარებაზე უარი განაცხადა.

საფრანგეთში სამღვდელოების ბედით (სამოქალაქო კონსტიტუცია) შეწუხებული პაპი, რომელიც მისი ოლქის პროვანსალური ტერიტორიების მიტაცების მსხვერპლი გახდა, ასევე შეძრწუნებული იყო ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯით, რის გამოც იგი 1793 წელს ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდა. 1796 წლის ივნისში იტალიაში ბონაპარტის წარმატებულმა კამპანიამ, პაპი იძულებული გახადა ბოლონიაში დაზავებისთვის მოეწერა ხელი, რასაც საფრანგეთის ჯარების მიერ პაპის ლეგატზე დაქვემდებარებული ფერარისა და ბოლონიის პროვინციების ოკუპაცია მოჰყვა.

ბოლონიამ თავი მაშინვე რესპუბლიკად გამოაცხადა, რომლის კონსტიტუცია ფრანგული კონსტიტუციის ასლს წარმოადგენდა. რესპუბლიკური ეპოქიდან შემორჩენილმა ქალაქის სენატმა ხუნტა დანიშნა, რომელსაც კონსტიტუციის შემუშავება დაეკალა. აღნიშნული კონსტიტუცია მხოლოდ სექტემბერში იქნა მიღებული და ის არასოდეს ამუშავებულა.

რეჯოში "პატრიოტთა" ამბოხებამ (1796წლის აგვისტო) ბონაპარტს მოდენის საპერცოგოს ოკუპაციის საშუალება მისცა და იგი **მოდენისა და რეჯოს რესპუბლიკების** გამოცხადებას დათანხმდა. 1796 წლის ოქტომბრის მიწურულს ბონაპარტმა ბოლონიაში კონგრესი მოიწვია და **ციზპადანის რესპუბლიკის** შექმნა გამოცხადდა, რომელშიც გაერთიანებული იყო პაპის ლეგატზე დაქვემდებარებული ბოლონიისა და ფერარას პროვინციები და მოდენის საპერცოგო.

1796 წლის დეკემბერში რეჯოში ხელახლა მოწვეულ კონგრესზე გადაწყდა, რომ ციზპადანის რესპუბლიკა იტალიის გაერთიანების კერა უნდა გამხდარიყო. კონგრესზე მიიღეს სამფეროვანი დროშა (მწვანე-თეთრი-წითელი) და ძალაში შევიდა კონსტიტუცია. ბოლონიას საკუთარი კონსტიტუციის შემოტანა სურდა, მაგრამ წამოჭრილი უთანხმოებების გამო ბონაპარტი იძულებული გახდა კონგრესი მოდენაში გადაეტანა (1797 წლის იანვარი). კონსტიტუციაზე მუშაობა მარტის თვეში დასრულდა და ის ქვეყნის ათ პატარა დეპარტამენტად დაყოფას ითვალისწინებდა.

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, პაპის ოლქმა ტოლენტოში (1797წლის 19 თებერვალი) საფრანგეთთან სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და რატიფიცირება გაუკეთა **ავინიონის, ვენესენის საგრაფოსა** და ლეგატზე დაქვემდებარებული **ბოლონიისა და ფერარას** პროვინციების დაკარგვას. მიუხედავად პაპის თავშეკავებისა, ბონაპარტმა მოითხოვა და მიაღწია **ციზპადანის** რესპუბლიკისთვის დამატებით **რომანიის** გადაცემას.

1797 წლის ივნისში ანკონის მოსახლეობა აჯანყდა და პაპის ლეგატი გააძევა. ანკონის მარკა **ანკონის რესპუბლიკად** გამოცხადდა.

1797 წლის დეკემბერში ფრანგების (ბასალი) ნაქეზებით რომში აჯანყებამ იფეთქა. საფრანგეთის სამხედრო ინტერვენციის საბაბი გენერალ დიუფოს

მოულოდნელი გარდაცვალება გახდა, რასაც 1798 წლის თებერვალში რომის (იგივე ტიბერიის) რესპუბლიკის გამოცხადება მოჰყვა. ამ უკანასკნელს მაშინვე ანკონის რესპუბლიკაც შეუერთდა. პაპმა ფლორენციას შეაფარა თავი.

ამგვარად, რომის რესპუბლიკის ტერიტორია პაპის ოლქიდან ტირენის ფერდობამდე შემცირდა, სპოლეტოსა და ანკონის მარკის ჩათვლით. მისი კონსტიტუციის მიხედვით (ფრანგული მოდელი) ის რვა დეპარტამენტად დაიყო. თითოეულ დეპარტამენტს კონსულის პრეფექტი ედგა სათავეში.

2. 1789 წლიდან საფრანგეთის მიერ რომის ანექსიამდე (1809წ.)

1798 წლის ივნისში რომის რესპუბლიკამ ბენევენტო და პონტე-კორვო ორივე სიცილიის სამეფოს მიჰყიდა.

ე.წ. "ცამეტი თვის" (1799 წლის მაისიდან 1800 წლის ივნისამდე) პერიოდში ავსტრია-რუსეთის კონტრშეტევას რომის რესპუბლიკის დაცემა და საფრანგეთის ჯარების უკან დახევა მოჰყვა. პაპის ძალაუფლება აღდგენილი იქნა, საფრანგეთში დაპატიმრებული პაპი პიუს VI ვალენციაში დაბრუნდა და იქ გარდაიცვალა (1799 წლის ნოემბერი). ყოველივეს ბონაპარტის სამხედრო გადატრიალება (რომელიც პირველი კონსული გახდა) და ვენეციაში დაბრუნებული პიუს VII-ს არჩევა მოჰყვა. მარენგოში (1800წლის ივნისი) გამარჯვების შემდეგ, ბონაპარტმა ოფიციალურად აღადგინა პაპის ოლქი ტოლენტოში დადგენილ საზღვრებში.

1801 წლის ივლისში საფრანგეთსა და პაპის ტახტს შორის კონკორდატის ხელმოწერით, საბოლოოდ მოწესრიგდა საფრანგეთში არსებული ბევრი გაურკვეველი რელიგიური საკითხი, რასაც შედეგად ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა საგრძნობი გაუმჯობესება მოჰყვა.

1802 წლის ივნისში **ორივე სიცილიის სამეფომ პაპის ოლქს ბენევენტოსა და პონტე-კორვოს ანკლავები** დაუბრუნა.

საფრანგეთთან კარგი ურთიერთობების აღდგენამ, პაპს პარიზში ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევაზე გამგზავრება ვადაანყვეტინა. მაგრამ 1806 წლის მარტიდან ურთიერთობები კვლავ დაიძაბა, რადგან პაპმა ნეაპოლის მეფედ ჟოზეფ ბონაპარტის კურთხევაზე უარი თქვა და საბაბად წინასწარი ცერემონიის ("ფიხარი ცხენი") აუცილებლობა გამოიყენა, რაც პაპის ტახტის წინაშე ნეაპოლის ვასალიტეტის სიმბოლოს ნარმოადგენდა.

ნაპოლეონმა უარი თქვა ამგვარ პრეტენზიებზე და 1806 წლის ივნისში პაპის ოლქს **ბენევენტოსა და პონტე-კორვოს ანკლავები** ჩამოართვა. ეს ანკლავები მან სუვერენულ სამთავროებად გადააქცია ტალეირანისა (ბენევენტო) და ბერნადოტის (პონტე-კორვო) სასარგებლოდ.

ნეაპოლის სამეფოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება (აჯანყებები, სიცილიის დაპყრობის მცდელობები) საფრანგეთის ჯარების მუდმივ ჩარევას მოითხოვდა. იტალიისა და ნეაპოლის სამეფოებს შორის მუდმივი სახმელეთო კავშირის უზრუნველსაყოფად, 1807 წლის ოქტომბერში ნაპოლეონმა პაპის ოლქში შემავალი მარკეს (პაპის ლეგატზე დაქვემდებარებული ურბინოს პროვინცია და ანკონის მარკა) ოკუპაცია გადაწყვიტა.

1808 წლის თებერვალში ინგლისური კონტრაბანდის ნინააღმდეგ ბრძოლისთვის, საფრანგეთის ჯარებმა რომი და ჩივიტავეკია დაიკავეს.

1808 წლის 12 აპრილს სენ-კლუში მიღებული საიმპერიო დეკრეტით **პაპის ოლქში შემავალი მარკე იტალიის სამეფოს** შეუერთდა, რომლისგანაც სამი დეპარტამენტი ჩამოყალიბდა: მეტორო (ანკონა), მეზონე (მაჩერატა) და ტრონტო (ფერმო).

აღნიშნული დროიდან, საფრანგეთსა და პაპის ტახტს შორის ურთიერთობები ისევ გაუარესდა. იმპერატორი პაპისგან მის გვერდზე დგომას მოითხოვდა, პაპი კი უშედეგოდ აპროტესტებდა მისი სუვერენიტეტის გამუდმებულ ხელყოფას. შექმნილი ვითარების დასასრულებლად ნაპოლეონმა შენბრუნის დეკრეტით (1809 წლის 17მაისი) **საფრანგეთის მიერ პაპის ოლქის** ანექსია გადაწყვიტა. პიუს VII-მ ნაპოლეონი ეკლესიიდან განკვეთა, ამ უკანასკნელმა კი იგი სავონაში (ივლისი) გადაასახლა.

3. 1809 წლიდან იტალიის სამეფოს მიერ რომის ანექსიამდე (1870)

1810 წლის 17 თებერვლის სენატუს-კონსულტის გადაწყვეტილებით, მოხდა საფრანგეთის იმპერიაში შემავალი ყოფილი პაპის ოლქი ორ დეპარტამენტად დაიყო:

– რომი ან ტიბრი: რომი, ფროზინონე, რიესი, ტივოლი, ველეტრი, ვიტერბო;

– ტრაზიმენი: სპოლეტო, ფოლინიო, პერუჯა, ტოდი.

რომი იმპერიის მეორე ქალაქად გამოცხადდა, იმპერატორის მემკვიდრეს კი რომის მეფის ტიტული უნდა ეტარებინა. გადაწყდა, რომ დიდ კანცლერ კამბასარესს იქ ოფიციალური რეზიდენცია უნდა ჰქონოდა.

ამავე დროს, ფრანგების რომში ყოფნა ხანმოკლე აღმოჩნდა. ნაპოლეონისეული ევროპის დანგრევას ნახევარკუნძულზე ბევრი სახელმწიფოს აღდგენა მოჰყვა. ვენის კონგრესზე (1814-1815წწ.) **პაპის ოლქი 1796 წლამდე არსებულ ფარგლებში იქნა აღდგენილი,** პოს ჩრდილოეთით მდებარე პაპის ლეგატზე დაქვემდებარებული პროვინციების გარდა, მაგრამ ბენევენტოსა და პონტე-კორვოს ჩათვლით. მიუხედავად პაპის წინააღმდეგობისა, **ავინიონი და ვენესენის საგრაფო** საფრანგეთს შეუნარჩუნდა. ძალაში შევიდა ასევე 1789 წლის ტრადიციული ადმინისტრაციული დაყოფა.

1832 წელს პაპის ოლქის ადმინისტრაციული მოწყობა ექვს პაპის ლეგატზე დაქვემდებარებულ პროვინციად, თოთხმეტ პაპის ვიცე-ლეგატზე დაქვემდებარებულ პროვინციად და ერთ კომარკად გადანაწილდა: რომის კომარკი; პაპის ვიცე-ლეგატზე დაქვემდებარებული ფროზინონეს პროვინცია (რომელშიც პონტე-კორვოც შედიოდა), ბენევენტო (შეჭრილი ტერიტორია), ჩივიტავეკია, ვიტერბო, ორვიეტო, ანკონა, რიესი, სპოლეტო, კამერინო, მაჩერატა, პერუჯა, ფერმო, ასკოლი, ანკონა, ლორეტო; პაპის ლეგატზე დაქვემდებარებული ველეტრის, ურბინოსა და პეზაროს, ფორლის, რავენას, ბოლონიისა და ფერარას პროვინციები.

1848 წელს ახლად არჩეული პაპის, პიუს IX-ის მიერ რეფორმების გატარების მცდელობის მიუხედავად, რომის მოსახლეობა ევროპაში მომხდარი რევოლუციების გავლენის ქვეშ მოექცა. 1849 წლის თებერვალში **რომის რესპუბლიკა** გამოცხადდა. პაპმა ნეაპოლს შეაფარა თავი და 1850 წელს რომში საფრანგეთის ჯარების დახმარებით დაბრუნდა. პაპის ოლქი აღდგენილ იქნა.

1859 წელს საფრანგეთ-სარდინიის ჯარებთან ავსტრიის დამარცხების შემდეგ, ავსტრიამ თავისი ჯარები გაიყვანა ცენტრალური იტალიიდან. რომანიამ და პაპის ლეგატებზე დაქვემდებარებულმა პროვინციებმა თავიდან მოიშორეს პაპის მმართველობა და სარდინიასთან შეერთება გამოაცხადეს.

1860 ნლის მარტში აჯანყებულ ქვეყნებში გამართული პლებისციტით, დამტკიცდა **სარდინიის სამეფოსთან რომანიისა და პაპის ლეგატებზე დაქვემდებარებული პროვინციების** (ანუ ფერარას, ბოლონიის, რავენასა და ფორლოს პროვინციები) მიერთება.

1860 ნლის ოქტომბერში ახალი პლებისციტით, დამტკიცდა სარდინიის სამეფოსთან უმბრიისა და პაპის ოლქში შემავალი მარკეს მიერთება, რომელშიც შედიოდა: პაპის ლეგატზე დაქვემდებარებული ურბინოსა და პეზაროს პროვინცია; პაპის ვიცე-ლეგატის დაქვემდებარებაში მყოფი ანკონის, ლორეტოს, ასკოლის, ფერმოს, მაჩერატას, კამერინოს, პერუჯას, სპოლეტოს, ორვიეტოს, რიესის, ბენევენტოსა და ასევე პონტე-კორვოს ანკლავი (რომელიც ფროზინონეს დაქვემდებარებაში იყო).

პაპის ოლქი რომის კომარკამდე, პაპის ლეგატზე დაქვემდებარებულ ველეტრის პროვინციამდე და პაპის ვიცე-ლეგატზე დაქვემდებარებულ ჩივიტავეკიისა და ფროზინონეს (ჩამოერთვა პონტე-კორვო) პროვინციებამდე იქნა დაყვანილი, რაც საფრანგეთის დიპლომატიური და სამხედრო ხელშენყობით განხორციელდა. 1861 ნლის მარტში სარდინიის სამეფო იტალიის სამეფო გახდა და მის დედაქალაქად რომი იქნა არჩეული, მაგრამ მეფე და მთავრობა დროებით ტურინში დარჩნენ საკითხის საბოლოო გადაჭრის მოლოდინში.

1864 ნლის სექტემბერში ტურინის საფრანგეთ-იტალიის შეთანხმების თანახმად, იტალიის სამეფომ თავისი დედაქალაქი ფლორენციაში გადაიტანა და ვალდებულება აიღო პატივი ეცა პაპის ტახტის სარეზიდენციო ტერიტორიის ხელშეუხებლობისთვის.

ნაპოლეონ III-მ (1870 წლის აგვისტო) პაპის ოლქში განლაგებულ საფრანგეთის ჯარებს მოუხმო საფრანგეთ-პრუსიის ომის გამო. 1870 წლის სექტემბერში იტალიის არმიამ რომი დაიკავა. 1870 წლის ოქტომბერში **რომაელებმა ხმა მისცეს იტალიის გაერთიანებას.** დეკემბერში, სამეფოს დედაქალაქი რომში იქნა გადატანილი, პაპმა კი თავი ვატიკანის სასახლეს შეაფარა.

IV. 1870 წლიდან დღემდე

1. 1870 წლიდან ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანის შექმნამდე (1929წ.)

პაპის ოლქში შემავალი ტერიტორიები პროვინციების სახით იტალიაში იქნა ინტეგრირებული.

განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები: პაპის ვიცე-ლეგატზე დაქვემდებარებული ასკოლისა და ფერმოს პროვინციები ერთ ასკოლის პროვინციად გადაკეთდა; პაპის ლეგატზე დაქვემდებარებულ ურბინოსა და პეზაროს პროვინციას პეზაროს პროვინცია ეწოდა; პაპის ვიცე-ლეგატზე დაქვემდებარებული პერუჯის, სპოლეტოს, რიესისა და ორვიეტოს პროვინციები პერუჯის პროვინციაში გაერთიანდა; რომის კომარკა, პაპის ლეგატზე დაქვემდებარებული ვილეტრის პროვინცია, პაპის ვიცე-ლეგატზე დაქვემდებარებული ვიტერბოს, ჩივიტავეკიასა და ფროზინონეს პროვინციები (პონტე-კორვოს გარეშე) რომის პროვინციაში გაერთიანდა; პონტე-კორვოს ანკლავი კაპუის პროვინციას მიუერთდა, პაპის ვიცე-ლეგატზე დაქვემდებარებულ ბენევენტოს ხეაპოლის იქითა ძველი სამთავროს ნაწილი დაემატა და ის ბენევენტოს პროვინცია გახდა.

1871 წლის 13 მაისს იტალიის სამეფოში კენჭი ეყარა გარანტიათა შესახებ კანონს, რომელიც პაპს სუვერენიტეტის აღიარების გარეშე იტალიური სასამართლოების წინაშე ხელშეუხებლობას, ხოლო მისი წარმომადგენლების დიპლომატიური იმუნიტეტით აღჭურვას ითვალისწინებდა.

თუმცა ნახევარი საუკუნის განმავლობაში ვატიკანის მომდევნო პაპები უარს აცხადებდნენ იმ ახალი პოლიტიკური ვითარების აღიარებაზე, რომელმაც მათ საკუთარი ოლქი ჩამოართვა. ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ რომში უცხო ქვეყნების სუვერენთა ვიზიტებს. დიდი ხნის მანძილზე რომის საზოგადოება გაყოფილი იყო შავ (პაპის მომხრეები) და თეთრ (მეფის მომხრეები) პარტიებად.

2. ქალაქი-სახელმწიფო ვატიკანი (1929 წლიდან დღემდე)

მუსოლინის მთავრობამ, რომელსაც ეკლესიის მხარდაჭერა ესაჭიროებოდა, პაპთან კომპრომისი გამონახა.

ლატერანოს შეთანხმებით (1929 წლის 12 თებერვალი), იტალიის სამეფომ სრული სუვერენიტეტი მისცა ქალაქ ვატიკანის პაპის ტახტს. ის გახდა პატარა სახელმწიფო, რომელშიც პაპს საერო სუვერენის პრეროგატივები მიენიჭა.

ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანის მოსახლეობა 750 კაცს შეადგენს, 0,44 ჰექტარი ფართობით. მასში შედის:

– ვატიკანის სასახლე და ბაღები, სადგურითა და ფოსტით;

– ვატიკანის ნმინდა პეტრეს, სანტა-მარია-მაჯორეს, სან-ჯოვანი ინ ლატერანოსა და წმინდა პავლეს "კედლებს მიღმა" ბაზილიკები;

– სხვადასხვა შენობები ქალაქ რომში;

– კასტელ-განდოლფოს სასახლე რომაულ სოფელში.

ახალი სახელმწიფო ყველა ქვეყანამ აღიარა. მას ჰყავს მცირერიცხოვანი ჯარი (დღეისათვის დაყვანილია შვეიცარიულ გვარდიამდე). რომის ოკუპაციის დროს (1943-1944წწ.) გერმანიის ჯარები მის ნეიტრალიტეტს აღიარებდნენ.

დღეისათვის ქალაქი-სახელმწიფო ვატიკანი ის ტერიტორიაა, რომელიც პაპობას შესაძლებლობას აძლევს თავისი ადგილი დაიკავოს საერთაშორისო დიპლომატიურ ასპარეზზე.

თურქეთი

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: თურქეთის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: აბდულა გიული.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი, თურქეთის დიდი ეროვნული კრება.
დედაქალაქი: ანკარა
ადმინისტრაციული დაყოფა, 8 რეგიონი (დაყოფილი 79 ვილაიეთად): თრაკია, მარმარილოსა და ეგეოსის ზღვების სანაპიროები, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო, შავი ზღვის სანაპირო, დასავლეთი ანატოლია, ცენტრალური ანატოლია, აღმოსავლეთი ანატოლია, თრაკიის ხუთი ვილაიეთი (ევროპაში მდებარე ერთადერთი რეგიონი): სტამბოლი, ხანკალე, ედირნე, კირკარელი, თეგირდაგი; ბოსფორის სრუტის ორივე მხარეზე მდებარე სტამბოლის (კონსტანტინოპოლის) ქალაქი-აგლომერაცია თრაკიისა და მარმარილოსა და ეგეოსის ზღვების ორი ვილაიეთისგან შედგება.
ფართობი: 779 500კმ², საიდანაც 23 800კმ² ევროპაში მდებარეობს; მოსახლეობა: დაახლოებით 66 მილიონი კაცი, 8 მილიონი კაცი ევროპაში; სიმჭიდროვე: 85 კაცი ერთ კმ²-ზე (335 კაცი ევროპულ ნაწილში).
ენა: ურალო-ალტაის ჯგუფის ენა, ლათინური დამწერლობა 1928 წლიდან; ეროვნული უმცირესობები ლაპარაკობენ ქურთულ, ბერძნულ და სომბურ ენებზე.
რელიგია: ისლამი.
ფულის ერთეული: თურქული ლირა.

შენიშვნები

თანამედროვე თურქეთის უდიდესი ნაწილი გეოგრაფიულად აზიაში მდებარეობს. სწორედ ამ კონტინენტს უკავშირდება თურქი ხალხი თავისი კულტურით, ენით, წეს-ჩვეულებებითა და რელიგიით. თუმცა, ამ ქვეყნის ევროპულ ნაწილში არის რეგიონი, აღმოსავლეთი თრაკია და დიდი ქალაქი ისტამბოლი (კონსტანტინოპოლი), სადაც იმ ეპოქის ნაშთებია განლაგებული, როდესაც თურქეთი ბალკანეთის ევროპულ ნაწილზე ბატონობდა.

ამიტომაც, აღნიშნულ ნაშრომში ადგილი დავუთმეთ თურქეთს, იმ დროს, როდესაც ათათურქის მიერ დაწყებული ევროპიზაციის ხანგრძლივი პროცესი (ზოგიერთ სფეროში) ამ ქვეყანას ბევრი სირთულის მიუხედავად, დაუდგენელ მომავალში ევროკავშირში შესვლის უფლებას მიანიჭებს.

ამ თავში მხოლოდ ევროპული ნაწილის თურქეთის ისტორია იქნება განხილული, ხოლო ამ ქვეყნის ძველ და თანამედროვე ისტორიას აზიასა და აფრიკაში, შეგნებულად ავუვლით გვერდს.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. თურქეთის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. სათავეებიდან თურქეთის მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე (1453წ.)

ძვ. წ. აღ. II ათასწლეულში იმ დროს, როდესაც ცენტრალურ ანატოლიაში ხეთების იმპერიის ცივილიზაციამ უდიდეს აყვავებას მიაღწია, ცენტრალური აზიიდან ნამოსული თრაკიელი ხალხები ხანგრძლივი პერიოდით დამკვიდრნენ ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში და ამ ტერიტორიას თავისი სახელი დაარქვეს. შემდგომ-

ში "ზღვის ხალხები", პრეტო-ილირიელები მცირე აზიის მთელ დასავლეთ ნაწილში დასახლდნენ (ბოსფორისა და დარდანელის ხალხთა ჯგუფი, ტროადა, ფრიგია, ლიდია, მიზია) და ძვ. წ. აღ. დაახლოებით 1250 წელს ხეთები დაამარცხეს.

ათასწლეულის მიწურულს, იმ ეპოქაში, როდესაც მცირე აზია ბერძნების მიერ იყო დაპყრობილი (ტროას აღება, ზუსტი თარიღი სადავოა), თრაკია დიდი ხნის მანძილზე საბერძნეთის გავლენისგან მოშორებით არსებობდა, რასაც მისი ცივილიზაციის საკუთარი განვითარება მოჰყვა. 513 წელს ის სპარსელებმა დაიპყრეს, მიდიური ომების შემდეგ კი ათენის ჰეგემონიის ქვეშ მოექცა, ვიდრე დაპყრობილი არ იქნა მაკედონიის მეფის, ფილიპე II-ის მიერ (340წ.). ელინურ ეპოქაში თრაკიის დაპყრობას ალექსანდრე მაკედონელის სხვადასხვა მემკვიდრე ცდილობდა, მაგრამ ძვ. წ. აღ. 168 წელს ის რომმა დაიპყრო და თრაკიის პროვინცია გახდა. ამავე დროს, მცირე აზია თანდათან რომის გავლენის სფეროში ექცეოდა.

ჩვ. წ. აღ. 395 წლიდან ზემოაღნიშნული რეგიონები (ძლიერი ელინური გავლენის ქვეშ მყოფი), აღმოსავლეთ რომის, შემდეგ კი ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ, ამ უკანასკნელის დედაქალაქი 330 წელს ბოსფორის სრუტეზე დაარსებული კონსტანტინოპოლი გახდა. იმ დროს, როდესაც ბიზანტიელი ბერძნები კონსტანტინოპოლში ცხოვრობდნენ, თრაკია გაუთავებელი თავდასხმების ადგილად იქცა, რომელთა შორის ყველაზე ხანგრძლივი VII საუკუნეში ბულგარელთა შემოსევა იყო.

ცენტრალური აზიიდან წამოსულმა **ოსმალმა თურქებმა** თავდაპირველად, XIV საუკუნის დასაწყისში მცირე აზიაში შეაღწიეს, შემდეგ კი იმავე საუკუნის შუა ხანებში ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები გადალახეს და სერბეთისა (1389წ.) და ბულგარეთის (1396წ.) იმპერიები დაიმორჩილეს. XV საუკუნის შუა წლებში თურქებმა ბიზანტიელთა დედაქალაქის, კონსტანტინოპოლის აღებით (1453წ.) თავისი ბატონობა განამტკიცეს.

2. ოსმალთა იმპერია ევროპაში (1453-1789წწ.)

კონსტანტინოპოლის აღებას, რომელმაც საბოლოო წერტილი დაუსვა ბიზანტიელთა ბატონობას, ძალიან მალე ოსმალთა მიერ **საბერძნეთის ნახევარკუნძულის დაპყრობა** მოჰყვა. ამას გარდა, მათ ერთ საუკუნეში (1462-1571წწ.) თითქმის ყველა **ბერძნული კუნძული** დაიპყრეს: ლესბოსი 1462 წელს, ნეგრეპონტი 1470 წელს, როდოსი 1522 წელს, ხიოსი 1566 წელს, კვიპროსი 1571 წელს. ვენეციის კრეტა თურქებს 1669 წლამდე უწევდა წინააღმდეგობას, მაგრამ მან მხოლოდ იონიის კუნძულების (კერკირა და სერიფოსი) შენარჩუნება შეძლო.

XVI საუკუნის პირველ ნახევარში თურქებმა თავისი უპირატესობით ისარგებლეს და შავ ზღვაზე გასასვლელი გზის ანექსირება მოახდინეს, **დობრუჯა, ბუჯაკი** (ქვედა ბესარაბია) და **ხერსონი (თურქ. იედიზანი)** (მცირე თათრეთი), რომელიც სახმელეთო კავშირს უზრუნველყოფდა 1475 წლიდან დამორჩილებულ **ყირიმის სახანოსთან.** შემდგომში მათ **ვლახეთის, მოლდოვას და ტრანსილვანიის სამთავროები** დაიმორჩილეს და უნგრეთის ტერიტორიის ნახევარს დაეპატრონენ (1526წ.).

ვენის ალყაში მოქცევის ორმა მცდელობამ (1529წ., 1683წ.) ოსმალთა ექსპანსიის საზღვრები გამოააშკარავა. მეორე მცდელობის მარცხით დასრულებამ თურქეთი დაკნინების გზაზე მყოფ სახელმწიფოდ ნარმოაჩინა, რომელიც თავდაცვით მდგომარეობაში აღმოჩნდა, რასაც თანდათან მისი ყველა ევროპული გამარჯვებების დაკარგვა მოჰყვა. XVII საუკუნის მიწურულს ავსტრიის კონტრშეტევამ **თურქეთს უნგრეთი და ტრანსილვანიაზე სიუზერენობა** დააკარგვინა (1699წ.). შემდგომში თურქეთმა დათმო **ბანატი, სერბეთი და მცირე ვლახეთი** (1718წ.). თუმცა თურქეთმა შეძლო ამ ორი უკანასკნელი პროვინციის ხელახლა ხელში ჩაგდება 1739 წელს. ამ დროიდან ავსტრიასა და თურქეთს შორის საზღვარი დიდი ხნით იქნა გაელებული სავისა და დუნაის ზოლზე, ბელგრადის ციხე-სიმაგრე ოსმალთა თავდაცვის ადგილად იქცა.

თურქეთი, რომელიც ქრისტიანული ევროპისთვის დიდი ხნის მანძილზე საფრთხეს წარმოადგენდა, XVIII საუკუნეში ავსტრიისა და რუსეთის სასურველ ნადავლად იქცა, რომელსაც სხვა ძლიერი სახელმწიფოებიც უწევდნენ წინააღმდეგობას პოლიტიკური წონასწორობის დარღვევის შიშით. ამგვარად, თურქეთის დაღმასვლამ საუკუნე-ნახევარს გასტანა და მან თანმიმდევრულად თავისი ყველა ევროპული პროვინცია დაკარგა.

1768 წელს დაწყებული რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, საიდანაც თურქეთი დამარცხებული გამოვიდა, მან 1774 წელს რუსეთს დაუთმო **კიმბურნის** (დნეპრის შესართავთან), **აზოვის** (დონის შესართავთან), **ქერჩისა** და **იენი-კალეს** (ყირიმში) **პორტები** და **ზაპოროჟიეს** სანაპიროს ტერიტორია (ბუგსა და დნეპრს შორის მდებარე კუთხე). მან ასევე უარი თქვა **ყირიმის სახანოს სიუზერენობაზე** და აღიარა რუსეთის უფლება დუნაის სამთავროების (მოლდოვა და ვლახეთი) გაკონტროლების თაობაზე, ისევე როგორც ოსმალეთის იმპერიაში შემავალ ქრისტიანთა მფარველობის უფლება. შემდგომში რუსეთი დაეყრდნო ხელშეკრულების ამ მუხლს თურქეთის საქმეებში ჩასართველად.

რუსეთსა და თურქეთს შორის მშვიდობის საკითხის მოგვარების სანაცვლოდ, 1775 წელს ავსტრიამ პორტას ბუკოვინა (მოლდოვას სამთავროს ჩრდილოეთი რეგიონი) დაათმობინა. სულთანი იქ როგორც ერთ-ერთი პროვინცია ჩამორთმეული სამთავროს სიუზერენი მოქმედებდა, მიუხედავად ამ სამთავროს გოსპოდარის პროტესტისა.

II. თურქეთი 1789 წელს

თურქეთი (ან ოსმალთა იმპერია) სამ კონტინენტზე (ევროპა, აზია, აფრიკა) ამხედრებული პოლიტიკურ ერთობლიობას წარმოადგენდა. თავად ევროპული თურქეთი ან რუმელია, ვრცელი ქვე-ტერიტორია იყო, რომელიც ევროპის ნახევარკუნძულის (ბალკანეთის რეგიონი) სამხრეთ-აღმოსავლეთს მოიცავდა, კერძოდ: საბერძნეთსა და მის კუნძულებს, მაკედონიას, ალბანეთს, საკუთრივ რუმელიას, ბულგარეთს, სერბეთს, ბოსნიას, ჰერცეგოვინას, შავი ზღვის სანაპიროებს და ასევე მოხარკე სახელმწიფოებს, მოლდოვას, ვლახეთსა და ჩერნოგორიას (ჩერნოგორიელები არ ცნობდნენ ვასალიტეტს), ისევე როგორც რაგუზის (დუბროვნიკი) რესპუბლიკას.

ბოსფორის სრუტეზე მდებარე დედაქალაქი კონსტანტინოპოლი ევროპული და აზიური თურქეთის შესაყარზე იყო განლაგებული.

ევროპული თურქეთი, რომლითაც წინამდებარე თავი შემოიფარგლება გეოგრაფიული თვალსაზრისით, ძალზე განსხვავებულ რეგიონებს მოიცავდა: დინარიული ალპების მთიანი მასივები, პინდების, როდოპებისა და ბალკანეთის მთები და ასევე კარპატების მთები, რომელსაც ქვემო დუნაის, სერეტის, მარიცის, ვარდარისა და დრინის აუზები ემიჯნებოდა.

აღნიშნულ ნაწილში კლიმატს დიდი კონტრასტულობა ახასიათებდა: ალბანეთისა და საბერძნეთის სანაპიროდან ხმელთაშუა ზღვის ჰავა, მთიანი მასივების (ბოსნია) მკაცრი ჰავა, ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონების (ბულგარეთის პლატო, დუნაის რეგიონი) კონტინენტური ჰავა. ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მრავალფეროვნება: ჩრდილო-აღმოსავლეთის დიდ დაბლობებზე გავრცელებული მარცვლეული კულტურები მეტად განსხვავდებოდა საბერძნეთის ნახევარკუნძულის ხმელთაშუა ზღვის სასოფლო სამეურნეო პროდუქციისგან (ზეთისხილი, მევენახეობა, თევზჭერა). საქალაქო ქსელი საქმაოდ იყო განვითარებული, რაც ამ მხარეში ადამიანთა ძველ დასახლებაზე მიუთითებდა: კონსტანტინოპოლი, ანდრიანოპოლი (ედირნე), სოფია, სალონიკი, მონასტირი (დღეს ბიტოლა, მაკედონია), ლარისა, ათენი, რაგუზა (დუბროვნიკი), ბელგრადი, ბუქარესტი, იასი მის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

ისტორიული მემკვიდრეობიდან გამომდინარე, აღნიშნული რეგიონის მოსახლეობა ძალზე ჭრელი იყო: ბერძნები საბერძნეთის ნახევარკუნძულზე და კუნძუ-

ლებზე, ალბანელები, სერბები ჩრდილო-დასავლეთით (სერბეთი, ბოსნია), ბულგარელები, მოლდაველები და ვლახები, რომლებმაც პრაქტიკულად ყველამ ქრისტიანული სარწმუნოება შეინარჩუნა (ალბანელებისა და სერბების ნაწილის გარდა) პორტის მიერ გატარებული რელიგიური შემწყნარებლობის პოლიტიკის გატარების წყალობით. კონსტანტინოპოლის გარეუბნების გარდა, თურქები ყველგან უმცირესობაში იყვნენ. ისინი ქალაქებში ცხოვრებას არჩევდნენ, სადაც ადმინისტრაციული და სამხედრო ფუნქციები ჰქონდათ დაკისრებული.

1789 წელს ევროპული ნაწილის თურქეთი (ან რუმელია), რომელსაც ბიტოლიდან (თურქ. მონასტირი) ან სოფიიდან რუმელიის ბეილერბეები მართავდნენ, ძირითადად სხვადასხვა ვილაიეთად იყო დაყოფილი, რომელსაც სათავეში ფაშები ედგნენ. თავად ვილაიეთები სანჯაყებად იყო დაყოფილი.

– რუმელიის ვილაიეთში, ადმინისტრაციული ცენტრი ბიტოლა ან სოფია, შედიოდა საკუთრივ რუმელია, თრაკია, მაკედონია, ალბანეთი, თესალია და კონტინენტური საბერძნეთი კავალას, სალონიკის, ტრიკალას, იანინას, ვლორას, დელვინას, ელბასანის, ალბანეთის სკუტარის, პრიზრენის, ოხრიდის, უსკიუპის (სკოპიე), კიუსტენდილისა და კრუშევაცის სანჯაყებით.

– პელოპონესის ვილაიეთი, ადმინისტრაციული ცენტრი ტრიპოლისი;

– კუნძულების ან ჯეზაირის ვილაიეთი, ადმინისტრაციული ცენტრი გალიპოლი, რომელიც მოიცავდა კრეტასა და კვიპროსის არქიპელაგის კუნძულებს (ეგეოსის ზღვა) და რამდენიმე სანაპირო რეგიონს (დარდანელის სრუტე, აკარნანია) ევროპასა და აზიაში;

– ბოსნიის ვილაიეთი, ადმინისტრაციული ცენტრი ტრავნიკი, რომელიც 31 ფეოდალურ საკაპიტნოდ იყო დაყოფილი;

– სერბეთის ვილაიეთი, ადმინისტრაციული ცენტრი ბელგრადი;

– სილისტრიის ვილაიეთი, ადმინისტრაციული ცენტრი სილისტრია, რომელშიც შედიოდა ბულგარეთი, დობრუჯა, ბუჯაკი (ბესარაბია), ხერსონი (თურქ. იედიზანი) (მცირე თათრეთი).

ზემოაღნიშნულ სახელმწიფოებს სხვა მოხარკე სახელმწიფოები ემატებოდა:

– ვლახეთისა (დედაქალაქი ბუქარესტი) და მოლდოვას (დედაქალაქი იასი) სამთავროები, რომელსაც პორტას მიერ დანიშნული გოსპოდარები მართავდნენ; (იხ. რუმინეთი)

– ადრიატიკის ზღვაზე მდებარე რაგუზის (დუბროვნიკის) რესპუბლიკა (ვაჭრობას მისდევდა), რომელსაც ვენეციის მსგავსი მმართველობის სისტემა ჰქონდა; (იხ. "გამქრალი სახელმწიფოები")

– და ბოლოს, თურქეთთან ძალზე ახლოს მდებარე ჩერნოგორიის სამთავრო, რომელიც არ ცნობდა პორტასთან ვასალურ კავშირს. ამ სამთავროს ეპისკოპოსი-მთავარი განაგებდა, რომლის რეზიდენცია ცეტინეში იყო განლაგებული.

ოსმალთა იმპერიაში ცალკეული პოლიტიკური ერთეულები არსებობდა, რომლებიც ფართო ავტონომიით სარგებლობდნენ: ათოსის მთის სამონასტრო რესპუბლიკა ხალკიდიკზე, მირდიტების ქვეყანა ზემო ალბანეთში, სულიოტები სამხრეთ ალბანეთში, მაინოტები პელოპონესზე. ამავე დროს, ზოგიერთ პროვინციაში თურქული ადმინისტრაციის გაუმართავმა მუშაობამ და კონსტანტინოპოლისგან მოშორებით ყოფნამ, ხელი შეუწყო ფუნქციონერ ოსმალთა ამბიციების გაღვივებას, რომლებიც პორტისგან თითქმის დამოუკიდებლები იყვნენ და ფეოდალურ სახელმწიფოებს ქმნიდნენ (დიდი ფაშალიკები): ფარშვან ოღლი ვიდინში, ბუჩატი ალბანეთის შკოდერში, მოგვიანებით, ალი ტებელენელი იანინაში.

III. 1789 წლიდან ბერლინის კონგრესამდე (1878წ.)

1. 1789 წლიდან ბესარაბიის დაკარგვამდე (1812წ.)

იმპერატორმა ეკატერინე II-მ "ყირიმში მოგზაურობისას", რომლის დროსაც სევასტოპოლი სტამბოლის (კონსტანტინოპოლი) კარიბჭედ იყო მიჩნეული, ინტერესი გამოიჩინა ოსმალეთის იმპერიის განანილების გეგმის მიმართ (ჩაფიქრებული

ავსტრიასთან ერთად 1782 წელს). 1787 წლის სექტემბერში დაინყო სამხედრო მოქმედებანი თურქეთსა და რუსეთს შორის. 1788 წლის თებერვალში რუსეთს ავსტრიაც შეუერთდა.

თურქეთზე მძიმე გამარჯვების შემდეგ, ავსტრიამ შიდა სირთულეებისა (სიუზერენის შეცვლა, ლეოპოლდ II-ის ტახტზე ასვლა) და საფრანგეთსა და პოლონეთში განვითარებული მოვლენებით შეშფოთების გამო, 1791 წლის 4 აგვისტოს თურქეთთან ხელი მოანერა სისტოვის სამშვიდობო ხელშეკრულებას.

1789 წლის ოქტომბერში ავსტრიამ ბელგრადი დაიბრუნა და **თურქეთს ძველი-ორშოვა დაათმობინა** დუნაიზე და ასევე თურქეთის ხორვატიის (ბოსნია) უკიდურესი დასავლეთით მდებარე **უნის ოლქი.**

ავსტრიის მიერ მიტოვებულმა ეკატერინე II-მ ყურადღება კვლავ პოლონეთს მიაპყრო. იგი იძულებული გახდა უარი ეთქვა ოსმალეთის იმპერიის განანილების გეგმებზე.

1791 წლის დეკემბრის იასის სამშვიდობო ხელშეკრულებით, რუსეთი მცირედით დაკმაყოფილდა. მან **შემოიერთა ხერსონი** (მცირე თათრეთი) ოჩაკოვის პორტთან ერთად (სულ მალე, 1794 წელს ოდესა). ამგვარად, რუსეთ-თურქეთის საზღვარი ბუგიდან დნესტრამდე იქნა მიყვანილი.

1797 წლის ოქტომბერში კამპო-ფორმიოს ხელშეკრულებით, საფრანგეთმა გამქრალი ვენეციის რესპუბლიკის თავისი ნაწილი მიიღო, ვენეციური ლევანტოს პროვინციის სახით, რომელშიც იონიის შვიდი კუნძული და ალბანეთში მდებარე ოთხი სახმელეთო პუნქტი შედიოდა.

ბონაპარტმა, მალტის აღებით (1798 წლის ივნისი), რომელიც რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა, შემდეგ კი ოსმალთა სამფლობელოს ეგვიპტის დაპყრობით, ერთდროულად რუსეთისა და თურქეთის უკმაყოფილება გამოინვია. 1798 წლის ოქტომბერსა და 1799 წლის მარტს შორის არსებულ პერიოდში ხსენებულმა ქვეყნებმა (რომლებიც მოკავშირეები გახდნენ) ფრანგებს იონიის კუნძულები და ალბანეთში მდებარე ოთხი სახმელეთო პუნქტი ჩამოართვეს.

თურქეთ-რუსეთის (1800 წლის მარტი) შეთანხმებით, ყოფილი ვენეციის ლევანტო ამგვარად იქნა განანილებული:

– **იონიის კუნძულები პორტის მოხარკე ფედერალური სახელმწიფო და შვიდი გაერთიანებული კუნძულის რესპუბლიკა გახდა,** მაგრამ რუსული გარნიზონითა და რუსეთის მეთვალყურეობის უფლებით;

– **ოთხი სახმელეთო პუნქტი ალბანეთში** (ბუტრინტი, პარგა, პრეევზა, ვონიცა) თურქეთის მიერ იქნა ანექსირებული ავტონომიის მინიჭების დაპირებით.

1802 წლის ივნისში თურქეთი ამიენის სამშვიდობო ხელშეკრულებას შეუერთდა და უარი თქვა შვიდი გაერთიანებული კუნძულის სიუზერენობაზე, რომელიც თეორიულად დამოუკიდებელი გახდა, ფაქტობრივად კი რუსეთის პროტექტორატს დაექვემდებარა.

1804 წელს სერბები იანიჩართა ჩაგერის წინააღმდეგ აჯანყდნენ. 1806 წლის 30 ნოემბერს ყარაგიორგის მეთაურობით ბელგრადის აღება შეიარაღებული აჯანყების წარმატებით დასრულდა. ამ უკანასკნელმა **სერბეთის დამოუკიდებლობა** გამოაცხადა და მისი მთავარი გახდა.

1807 წლის ივლისში ყარაგიორგიმ რუსეთთან შეთანხმებას მოანერა ხელი, რომლის თანახმად, სერბეთი რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მოექცა. ამ პროტექტორატის ტერიტორია ბელგრადის ვილაიეთსა და ნოვი-პაზარის, კრუშევაცისა და ვიდინის სანჯაყების ექვსი ოლქისგან შედგებოდა.

ტილზიტის ხელშეკრულების (1807 წლის 7 ივლისი) ფარული დამატებით, **რუსეთმა ნაპოლეონს ნება დართო თავის მფლობელობაში დაებრუნებინა იონიის კუნძულები და ოთხი სახმელეთო პუნქტი ალბანეთში.** ფრანგებმა ხელახლა დაიკავეს კუნძულები, მაგრამ კონტინენტზე მათ მხოლოდ პარგაში შეძლეს დაფუძნება.

1808 წლის 30 იანვარს საფრანგეთმა რაგუზის (დუბროვნიკი) რესპუბლიკა გააუქმა და ის იტალიის სამეფოს მიუერთა. ამგვარად, **თურქეთმა ერთ-ერთი მოხარკე სახელმწიფო** დაკარგა.

1806 წელს თურქეთმა საფრანგეთის ინიციატივით მოხსნა ზედმეტად რუსოფილად მიჩნეული მოლდოვისა და ვლახეთის მთავრები. ამის საპასუხოდ, 1806 წლის ნოემბერში რუსეთმა პორტას ომი გამოუცხადა და სამთავროები დაიკავა. ნაპოლეონი ტილზიტში, შემდეგ კი ერფურტში რუსეთის ხელმწიფეს საფრანგეთის ნეიტრალიტეტს დაპირდა ბალკანეთის საქმეებში. მაგრამ 1811 წელს საფრანგეთის პოლიტიკის ცვლილებით შეშფოთებულმა ალექსანდრემ, თურქეთთან კონფლიქტის დასრულება გადაწყვიტა. 1812 წლის 28 მაისს ბუქარესტში ხელი მოენერა სამშვიდობო ხელშეკრულებას ორ ქვეყანას შორის.

რუსეთმა დატოვა დუნაის სამთავროები და სერბეთისთვის ამნისტიისა და ავტონომიის დაპირების საპირისპიროდ, უარი უთხრა ყარაგიორგის მხარდაჭერაზე, რასაც შედეგად სერბეთის ციხე-სიმაგრეების რეოკუპაცია მოჰყვა თურქული გარნიზონების მიერ.

თურქეთმა რუსეთს მთლიანად დაუთმო ბესარაბია (პრუტსა და დნესტრს შორის მდებარე რეგიონი), კერძოდ:

– **თურქული ნაწილი** (ბუჯაკი), რომელიც ოსმალთა იმპერიის პირდაპირ დაქვემდებარებაში იყო;

– **მოლდოვური ნაწილი**, რომელსაც პორტა კვლავ განაგებდა, როგორც მოლდოვას სიუზერენი. აღნიშნულთან დაკავშირებით, რუსეთმა მოლდოვას ზარალი ფინანსურად აუნაზღაურა.

ამგვარად, რუსეთ-თურქეთის საზღვარი პრუტამდე და დუნაის შესართავის ჩრდილოეთ განშტოებამდე (კილია) იქნა მიყვანილი.

2. 1812 წლიდან მცირე საბერძნეთის დაკარგვამდე (1830წ.)

1813 წლიდან რუსეთის მიერ სერბეთის დატოვების შემდეგ, თურქეთმა ამ უკანასკნელზე კონტროლი დაიბრუნა და ის კვლავ ოსმალეთის იმპერიის პროვინცია გახდა.

1814 წელს საფრანგეთმა საბოლოოდ დაკარგა **ქალაქი პარგა** (ქვემო ალბანეთი), რომელიც ხელახლა იქნა მიერთებული თურქეთთან.

1815 წლის აპრილში ბელგრადის ფაშის მიერ მონყობილი ახალი ხოცვა-ულეტის შემდეგ, სერბეთში კვლავ აჯანყებამ იფეთქა, რომელსაც სათავეში მილოშ ობრენოვიჩი ჩაუდგა.

1815 წლის ნოემბერში ბელგრადის ფაშამ მილოშ ობრენოვიჩი **სერბების უმაღლეს მთავრად აღიარა** (თეორიულად ფაშის მოადგილე), რომლის ძალაუფლება მხოლოდ ბელგრადის ფაშილაკით შემოიფარგლებოდა.

იანინის ფაშამ, ალი ტებელენელმა 1811 წელს შეძლო ოსმალთა იმპერიაში ავტონომიური დომენის შექმნა, რომელიც თესალიის ქვემო ალბანეთსა და შუა ალბანეთს მოიცავდა.

ოსმალთა ჯარების მიერ ფაშას მკვლელობის შემდეგ (1822წ.), ალბანეთი და თესალია ოსმალეთის იმპერიის ჩვეულ რეჟიმში მოექცა.

1821 წლის აპრილიდან პელოპონესზე და კრეტაზე თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო, რომელიც შემდგომში ხიოსსა და სამოსსაც მოედო. 1822 წლიდან მცირე საბერძნეთმა ეპიდავრში **დამოუკიდებლობა გამოაცხადა**, იმ დროს როდესაც ხიოსზე ხოცვა-ულეტა გრძელდებოდა, სულთანმა კი ეგვიპტის ფაშას, მეჰმედ-ალის მოუხმო კრეტაზე და პელოპონესზე წესრიგის აღსადგენად.

1814 წლის 16 ივნისის განკარგულებით, სულთანმა მეჰმედ-ალის პელოპონესისა და კრეტის ფაშილაკები დაუთმო.

1821 წელს დუნაის სამთავროებში ორ აჯანყებას ჰქონდა ადგილი. რუსეთის მხარდაჭერის არქონის გამო თურქეთმა ორივე აჯანყება სამ თვეში ჩაახშო.

ისარგებლა რა ოსმალეთის ხელისუფლების წინაშე ნამოჭრილი პრობლემებით საბერძნეთში, რუსეთმა თურქეთს აკერმანის (ბელგოროდი) (1816 წლის ოქტომ-

ბერი) შეთანხმებაზე ხელის მონერა აიძულა. ამ შეთანხმების თანახმად, თურქეთმა დუნაის სამთავროები დატოვა და რუსეთთან ერთად მათზე პროტექტორატის განანილებას დასთანხმდა. რუსეთმა თურქეთისგან ასევე მიიღო სერბეთის ახალი სამთავროს გაკონტროლების უფლება.

ამავე დროს, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი საბერძნეთის დასახმარებლად გაეშურნენ, რომლის ხელში ჩაგდებასაც მეჰმედ-ალი ცდილობდა. ნავარენის საზღვაო ბრძოლას (1827 წლის ოქტომბერი) პორტასთან ურთიერთობების გაწყვეტა მოჰყვა. 1828 წლის აპრილში რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს.

1829 წელს რუსეთმა საბოლოოდ ხელთ იგდო ანდრიანოპოლი (ედირნე) და იმავე წლის 14 სექტემბერს თურქეთი აიძულა ხელი მოენერა ანდრიანოპოლის ხელშეკრულებაზე. ამ ხელშეკრულებით, **თურქეთმა** შემდეგი ტერიტორიები დათმო:

– **რუსეთს დუნაის შესართავი დაუთმო,** ორ ქვეყანას შორის საზღვარი დუნაის შესართავის სამხრეთ განშტოებამდე (ნმინდა-გიოგრი) იქნა დაყვანილი;

– დასთანხმდა მოლდოვასა და ვლახეთის მთავართა არჩევას უვადოდ და თურქეთის იურისდიქციაში მყოფი სამთავროების **რუსეთის მფარველობის ქვეშ მოქცევაზე;**

– **აღიარა საბერძნეთის სამთავროს შექმნა** (პორტის მოხარკე) დაუზუსტებელი საზღვრებით, რომელშიც ამასთანავე შედიოდა პელოპონესი, ლევადია და რამდენიმე კუნძული ეგეოსის ზღვაზე;

– **აღიარა სერბეთის ავტონომია,** რომლის სტატუსი დასადგენი რჩებოდა.

1830 წლის 3 თებერვლის ლონდონის ხელშეკრულებით, ძლიერმა სახელმწიფოებმა **საბერძნეთის სამეფო** შექმნეს, რომელიც კვლავ პორტის მოხარკედ რჩებოდა. აღნიშნული ტერიტორია გამოყოფილი იქნა ოსმალთა იმპერიისაგან და ის შემდეგნაირად განანილდა: **პელოპონესი, ლევადია** (ატიკა, ბეოტია, ეტოლია, აკარნანია) **არტა-ვოლოსის ზოლამდე, ნეგრეპონტის** კუნძული (ევბეა), **კიკლადებისა და სპორადების** არქიპელაგები.

3. 1830 წლიდან ბერლინის კონგრესამდე (1878წ.)

1830 წლის 12 დეკემბერს სულთანმა მილოშ ობრენოვიჩი ოფიციალურად ცნო სერბეთის შემკვიდრე მთავრად. **სერბეთი პორტის მოხარკე სამთავრო გახდა.** ბელგრადის ფაშა, რომელიც ძალაუფლებას ინარჩუნებდა შვიდ ციხე-სიმაგრეში განლაგებულ თურქულ გარნიზონებზე (მათ შორის ბელგრადიც), აღარ უნდა ჩარეულიყო სამთავროს შიდა საქმეებში. ამ უკანასკნელის ტერიტორია დროებით ბელგრადის ფაშილაკით შემოიფარგლა, მაგრამ სულთანი დაპირდა შემდგომში მის გაზრდას ექვს ოლქამდე, რომელიც ყარაგიორგის დროს მის შემადგენელ ნანილად ითვლებოდა.

1832 წლის გაზაფხულზე, 1824 წელს გადაწყვეტილი პრინციპის დასადასტურებლად, საიმპერატორო ფირმანით, კრეტის კუნძული კუნძულების ვილაიეთს გამოეყო და ის ეგვიპტის ვილაიეთთან იქნა მიერთებული.

1832 ივლისში ზარალის ანაზღაურების სანაცვლოდ, პორტამ **საბერძნეთის სამეფოს დამოუკიდებლობა მისცა,** რომელიც ამგვარად საბოლოოდ იქნა გამოყვანილი ოსმალეთის იმპერიის საზღვრებიდან. ოსმალთა ხელისუფლების წინააღმდეგ ათი წლის მანძილზე აჯანყებულმა სამოსელებმა უარი მიიღეს საბერძნეთის სამეფოსთან მიერთებაზე. აღნიშნულის სანაცვლოდ, 1832 წლის 11 დეკემბერს სამოსელებმა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში კუნძულ სამოსის მოხარკე სამთავროდ გარდაქმნას მიაღწიეს, რომლის მთავარი პორტას მიერ დანიშნული ქრისტიანი უნდა ყოფილიყო და მას საკუთარი საპარლამენტო წარმომადგენლობა უნდა ჰქონოდა საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის გარანტიის ქვეშ.

სერბეთის მთავარმა ბელგრადის ძველი ფაშალიკის გარეთ მდებარე ექვსი ოლქი დაიკავა. 1833 წლის მაისში პორტამ სერბეთის მიერ ამ ოლქების მიერთება აღიარა, რომელიც ამგვარად გამოყვანილი იქნა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობიდან.

ოსმალთა იმპერიაში 1831 წელს გატარებული რეფორმები ბოსნია-ჰერცეგოვინაში ბეების (ბოსნიელი ფეოდალი მთავრები) არაკეთილგანწყობას შეეჯახა. ამის საპასუხოდ, პორტამ 1837 წელს 39 საკაპიტნო გააუქმა და ისინი 7 სანჯაყით შეცვალა, რომელიც იმპერიის ჩვეული რეჟიმით იმართებოდა.

1840 წელს ოტომანთა იმპერიაში დანყებული რეფორმების პოლიტიკის ფარგლებში (ტანზიმატი), ის ტერიტორიულად 36 ვილაიეთად იქნა რეორგანიზებული, რომელთაგან 15 ევროპულ ნანილში (რუმელია) მდებარეობდა, სტამბოლის განსაკუთრებული ოლქის დამატებით, რომელიც ევროპასა და აზიაზე იყო "ამხედრებული:"

– ანდრიანოპოლი (თრაკია);
– სილისტრია (ქვემო ბულგარეთი, დობრუჯა);
– ბოგდანი (მოლდოვას სამთავრო);
– ეფლაკი (ვლახეთის სამთავრო);
– ვიდინი (ზემო ბულგარეთი);
– ნისა (ზემო ბულგარეთი);
– უსკიუპი (სკოპიე) (მაკედონია);
– სპიშსკა (სერბეთის სამთავრო);
– ბელგრადი (თურქეთის სერბეთის შვიდი გარნიზონი);
– ბოსნა სერაი (ბოსნია-ჰერცეგოვინა);
– რუმელია (ალბანეთი, ჩერნოგორიის სამთავრო, მაკედონიის ნაწილი);
– იახნა (ეპირი);
– სალონიკი (მაკედონია, თესალია);
– ჯეზაირი (არქიპელაგის კუნძულები, როდოსი, კვიპროსი);
– კრეტა (ეგვიპტის ფაშის მმართველობის ქვეშ მყოფი).

1841 ნლის 1 ივნისს ფაშა, მეჰმედ-ალი ეგვიპტის **მუდმივი ფაშა** გახდა პორტის სიუზერენიტეტის ქვეშ, მაგრამ იგი იძულებული გახდა უარი ეთქვა სირიაზე და **თურქეთს კრეტის კუნძული** დაუბრუნა, რომელიც კუნძულების ვილაიეთს (ჯეზაირის) ცალკე ვილაიეთად გამოეყო.

საფრანგეთ-რუსეთის დავა წმინდა ადგილების მფარველობასთან დაკავშირებით, ვერ იქნა მოგვარებული მოლაპარაკებებით. 1853 ნლის ივნისში რუსეთმა მოლდოვა დაიპყრო. ოქტომბრის თვეში პორტას, რომელმაც რუსეთს ომი გამოუცხადა, მალე საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთიც შეუერთდნენ (1854 ნლის მარტი). ყირიმის ომი, საიდანაც რუსეთი დამარცხებული გამოვიდა, 1856 ნლის 30 მარტის პარიზის ხელშეკრულების დადებით დასრულდა.

ამ ხელშეკრულებით დასრულდა რუსეთის პროტექტორატი დუნაის სამთავროებზე, რომელიც იურიდიულად კვლავ პორტის მოხარკედ რჩებოდა. ამას გარდა, **რუსეთს ასევე უნდა დაეთმო:**

– **თურქეთისთვის დუნაის შესართავი,** რომელიც სილისტრიის ვილაიეთთან იქნა მიერთებული;

– მოლდოვას სამთავროსთვის ბესარაბიის სამხრეთი ნაწილი, ფართო ზოლი ქვემო პრუტისა და დუნაის კილიის განშტოების გაყოლებაზე.

მოლდოვასა და ვლახეთის სამთავროებმა გვერდი აუარეს ძლიერ სახელმწიფოთა აკრძალვას გაერთიანების თაობაზე. 1859 ნლის იანვარში ამ სამთავროებმა ერთი მმართველი მთავარი, ალექსანდრე კუზა აირჩიეს. 1861 ნლის ნოემბერში პორტამ ორი სამთავროს გაერთიანება დაუშვა, მაგრამ მხოლოდ ამ მთავრის მმართველობის მანძილზე. 1861 ნლის დეკემბერში ორივე სამთავროს კრებებმა **რუმინეთის სამთავროს** სახელით გაერთიანება გამოაცხადეს.

1866 ნელს მთავარი, ალექსანდრე კუზა ტახტიდან გადადგა, მაისში იგი ტახტზე კარლ ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენმა შეცვალა. 11 ოქტომბერს თურქეთმა თანხმობა მისცა ახალი კონსტიტუციის მიღებას, რომლის თანახმად, ოფიციალურად იქნა აღიარებული ორი სამთავროს რუმინეთის ერთ სამთავროდ გაერთიანება.

1867 წლის აპრილში მომხდარი ინციდენტისა და ძლიერ სახელმწიფოთა ჩარევის შემდეგ, თურქეთმა სერბეთის შვიდი ციხე-სიმაგრე დატოვა, ასევე გაუქმდა ბელგრადის თურქული ვილაიეთი.

1877 წელს აღმოსავლეთ მაკედონიაში კოსოვოს ვილაიეთი შეიქმნა ადმინისტრაციული ცენტრით პრიზტინაში.

ბულგარეთის აჯანყების სასტიკმა ჩახშობამ (1876 წლის აპრილი) რუსეთსა და თურქეთს შორის ომი გამოიწვია. რუმინეთი რუსეთის მხარეზე ჩაება ომში პორტასგან დამოუკიდებლობის მიღწევის მიზნით. პლევნაში (1878 წლის იანვარი) დამარცხებულმა თურქეთმა, 13 მარტს სან-სტეფანოს ხელშეკრულებას მოანერა ხელი, რომლის თანახმად, **თურქეთმა:**

– **რუმინეთს დაუთმო დუნაის შესართავი და ჩრდილოეთი დობრუჯა** (ტულჩა, კონსტანცა), კონსტანცას სამხრეთით 10კმ-ზე გადასული ზოლი; ამის სანაცვლოდ, რუმინეთმა რუსეთს გადასცა 1856 წელს მიღებული სამხრეთი ბესარაბია;

– **სერბეთს ნიშის ტერიტორია დაუთმო;**

– **ჩერნოგორიას დაუთმო ჰერცეგოვინას** (ნიკშიცი) **პროვინციებიდან გამოყოფილი ნოვი პაზარისა და ზემო ალბანეთის ტერიტორიები** (ამას გარდა, სპიშისა და ბარის პორტები);

– **უარი თქვა** იმ ტერიტორიებზე, რომლის საფუძველზე შემდგომში დიდი ბულგარეთი შეიქმნა (ეს უკანასკნელი პორტას მოხარკე იყო), მაგრამ ის ფაქტობრივად რუსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა (რუსეთს ათი წლის მანძილზე ოკუპირებული ჰქონდა ეს ტერიტორია);

– **სამხრეთი დობრუჯა,** რომელიც ჩრდილოეთით კონსტანცის სამხრეთით 10კმ-ით გადასული ზოლით შემოიფარგლებოდა და მანგალიას, ბაზარჯიკსა და სილისტრიას მოიცავდა;

– **საკუთრივ ბულგარეთი** დუნაისა და ბალკანეთს და ტიმაკსა და შავ ზღვას შორის;

– **აღმოსავლეთი რუმელია** ფილიპოპოლისი (პლოვდივი);

– **აღმოსავლეთი თრაკიის ჩრდილოეთი ნაწილი** (კირკ-კილისი);

– **თითქმის** მთელი **მაკედონია** (უსკიუპი (სკოპიე), ოხრიდი, კასტორია, კავალა და ტასოსის კუნძული), მასში არ შედიოდა მხოლოდ ქალაქი სალონიკი და ხალკიდიკის ნახევარკუნძული.

1878 წლის 4 ივნისს კრიზისის მოგვარებაში შეტანილი წვლილისთვის, თურქეთმა დიდ ბრიტანეთს იჯარით კვიპროსის კუნძული დაუთმო. იურიდიულად კუნძული თურქეთის ხელში იყო, მაგრამ ის დიდი ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ უნდა გადასულიყო, ყოველწლიური საიჯარო გადასახადის საფუძველზე.

IV. 1878 წლიდან თანამედროვე თურქეთის ჩამოყალიბებამდე (1923წ.)

1. 1878 წლიდან ბულგარეთისა და ბოსნია-ჰერცეგოვინას დაკარგვამდე (1908წ.)

სან-სტეფანოს ხელშეკრულებამ დიდი ბრიტანეთისა (თურქეთის ერთიანობაში დაინტერესებული) და ავსტრია-უნგრეთის (რომლის მიმართაც რუსეთის მიერ ადრე მიცემული დაპირებები არ იქნა შესრულებული) პროტესტი გამოიწვია.

ბისმარკის წინადადებით, 13 ივნისს შეკრებილი ბერლინის კონგრესი, რომელსაც წინ უძღოდა 1 ივნისის რუსეთ-ინგლისისა და 6 ივნისის ავსტრია-რუსეთის შეთანხმებები, 1878 წლის 13 ივლისის ბერლინის ხელშეკრულების ხელმონერით დასრულდა. ამ ხელშეკრულებამ შეცვალა სან-სტეფანოში მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც თურქეთისთვის ნაკლებად გამანადგურებელი აღმოჩნდა. თურქეთს ბულგარეთისა და ჩერნოგორიის ნაწილი შეუმცირდა, მაგრამ სერბეთისა და რუმინეთის ტერიტორიები დაემატა. ამ ხელშეკრულების თანახმად, **თურქეთმა:**

– **რუმინეთს დაუთმო დუნაის შესართავი, ჩრდილოეთი დობრუჯა და სამხრეთ დობრუჯის ჩრდილოეთი ნაწილი (მანგალია);**

– **სერბეთს დაუთმო პიროტის, ნიშის, ტოპლიცისა და ვრანეს ოლქები;**

– **ჩერნოგორიას დაუთმო ჩრდილო-დასავლეთის ვიწრო ზოლი (გამოყოფილი ნოვი პაზარის სანჯაყიდან) და რამდენიმე ტერიტორია სამხრეთ-აღმოსავლეთით (გამოყოფილი თურქული ალბანეთიდან) ადრიატიკის ზღვაზე მდებარე ბარის პორტთან ერთად;**

– **ავსტრიას დაუთმო ადრიატიკის ზღვაზე მდებარე სპიშის პორტი;**

– **უარი თქვა სამხრეთ დობრუჯის სამხრეთ ნახევარზე ("ოთხკუთხედი") და საკუთრივ ბულგარეთზე სოფიის სანჯაყთან ერთად, რომელიც პორტის მოხარკე ბულგარეთის სამთავრო გახდა.** ეს უკანასკნელი ქრისტიანი მთავრის მმართველობით უნდა გადასულიყო რუსეთის ცხრათვიანი სამხედრო ოკუპაციის ქვეშ;

– **აღმოსავლეთი რუმელიის პროვინციას ავტონომიის სტატუსი მიენიჭა.** მისი ტერიტორია მარიცის ზემო აუზამდე იქნა შემცირებული და აღმოსავლეთით შავ ზღვამდე იქნა გაგრძელებული;

– **დასთანხმდა რუმინეთის, სერბეთისა და ჩერნოგორიის სამი სამთავროსთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას;**

– **ავსტრია-რუსეთს დაუთმო ბოსნია-ჰერცეგოვინის ნოვი პაზარის სამხედრო ოკუპაციის უფლება;**

– **ავსტრია-რუსეთს გადასცა ბოსნია ჰერცეგოვინის სამოქალაქო ადმინისტრაცია და მისი სამხედრო ოკოპაციის უფლება,** რომელიც იურიდიულად კვლავ თურქეთის ხელში რჩებოდა;

– **საბერძნეთს დასთანხმდა საზღვრის დაზუსტების პრინციპზე თესალიისა და ეპირეს თურქულ-ბერძნულ საზღვართან საბერძნეთის სასარგებლოდ,** რაც მომავალი მოლაპარაკებების საგანი უნდა გამხდარიყო.

და ბოლის, დუნაის შუა ნაწილში მდებარე პატარა კუნძული (ორშოვას ფორტი) რკინის კარიბჭესთან სერბეთსა და რუმინეთს შორის, რომელიც თურქული გარნიზონის მიერ იყო ოკუპირებული, არც ერთ ამ ორ სამთავროს არ გადაეცა. ბერლინის ხელშეკრილებაში გამორჩენილი ორშოვის ფორტი თურქეთს შეუნარჩუნდა, თუმცა აღნიშნული დროიდან ის ძალიან შორის იყო განლაგებული ოსმალთა იმპერიისგან.

დაკარგა რა 237 000კმ² და 8 მილიონზე მეტი მცხოვრები, თურქეთის ტერიტორიის ფართობი ევროპულ ნაწილში დაახლოებით 326 000კმ²-მდე იქნა დაყვანილი, საიდანაც 170 000 უმეტესად ევროპული სამფლობელოები იყო, 50 000 ბოსნია-ჰერცეგოვინა, 10 000 ნოვი პაზარის სანჯაყი, 63 000 ბულგარეთი და 33 000 აღმოსავლეთი რუმელია. მისმა მოსახლეობამ ევროპაში დაახლოებით 9,3 მილიონ კაცს მიაღწია, რომლიდანაც 5 მილიონი უმეტესად თურქეთის ევროპულ სამფლობელოებში ცხოვრობდა: 1,2 მილიონი ბოსნია-ჰერცეგოვინაში, 0,15 მილიონი ნოვი პაზარის სანჯაყში, 2,1 მილიონი ბულგარეთში და 0,9 მილიონი აღმოსავლეთ რუმელიაში.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, თურქეთის ევროპული კონტინენტური ნაწილი (უშუალო მფლობელობაში) რვა ვილაიეთად იყო დაყოფილი: სტამბოლი, ანდრიანოპოლი, სალონიკი, ბიტოლა, კოსოვო, ალბანეთის შკოდერი, იანინა, სელფიდი (დღეს საბერძნეთის სერვია); აღნიშნულს ემატებოდა ავსტრია-უნგრეთის სამხედრო ოკუპაციის ქვეშ მყოფი ნოვი პაზარის სანჯაყი. ბოსნია-ჰერცეგოვინის, ბულგარეთისა და აღმოსავლეთი რუმელიის ოლქებად დაყოფა აღწერილია თაეებში ბოსნია-ჰერცეგოვინა და ბულგარეთი.

ზემოაღნიშნულს ემატებოდა კუნძულის თურქეთის ორი ვილაიეთი: კუნძულეების ან ჯეზაირის ვილაიეთი (ადმინისტრაციული ცენტრი როდოსი, ტასოსით, სამოტრაკით, ლემნოსით, იმროზით, ლესბოსით, ბოზჯაადით, ხიოსით, იკარიითა და დოდეკანესით), კრეტის ვილაიეთი (ადმინისტრაციული ცენტრი ხანია); ასევე სამოსისა და კვიპროსის თურქეთის მოხარკე სამთავრო, რომელიც თურქეთს ეკუთვნოდა, მაგრამ იჯარით დიდი ბრიტანეთის ხელში იმყოფებოდა.

თურქთმა ჩერნოგორიისთვის ალბანური ტერიტორიების დაბრუნების საკითხში პროცესის გაჭიანურების საშუალებებს მიმართა და ალბანელებს წინააღმდეგობის გაწევისკენ უბიძგებდა. ძლიერმა სახელმწიფოებმა საზღვაო ძალების ერთობლივი დემონსტრაცია მოახდინეს ულცინის პორტასთან, რის შემდეგაც, 1880 წლის ნოემბრის შეთანხმებით, თურქეთმა **ჩერნოგორიას ოფიციალურად დაუთმო ულცინი,** ბერლინის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ალბანური ტერიტორიების სანაცვლოდ, რომელიც მას საბოლოოდ შეუნარჩუნდა.

ბერძნები პორტას არაკეთილგანწყობასა და ალბანელთა წინააღმდეგობას წაანყდნენ ეპირში (არტა), 1881 წლის მაისში ძლიერმა სახელმწიფოებმა **თურქეთი** აიძულეს საბერძნეთისთვის გადაეცა **თესალიის პროვინცია და სამხრეთი ეპირის** (არტა) **ფრაგმენტი.**

1885 წლის 18 სექტემბერს აღმოსავლეთ რუმელიაში აჯანყებამ იფეთქა ოსმალთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ბულგარეთთან გაერთიანების მიზეზით; 21 სექტემბერს ბულგარეთის მთავარმა ალექსანდრემ ფილიპოპოლისში (პლოვდივი) **ბულგარეთთან აღმოსავლეთი რუმელიის გაერთიანება** გამოაცხადა.

ძლიერმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს ბერლინის ხელშეკრულების ამ დარღვევაზე. 1886 წლის 5 აპრილს ტოპ-ჰანეს შეთანხმებით, კომპრომისი გამოინახა, რომლის თანახმად, საზღვრის მცირე შესწორებები იქნა შეტანილი თურქეთის სასარგებლოდ. პორტამ ცნო პირადი უნია ბულგარეთსა და აღმოსავლეთ რუმელიას შორის. ეს უკანასკნელი იურიდიულად თურქეთის ხელში რჩებოდა მთავარ ალექსანდრეს მმართველობის ქვეშ.

1895 წელს კრეტაზე აჯანყების შემდეგ, საბერძნეთმა აჯანყებულებს დახმარება გაუწია, რასაც საბერძნეთსა და თურქეთს შორის კონფლიქტი მოჰყვა (1897 წლის აპრილი), რომლიდანაც საბერძნეთი დამარცხებული გამოვიდა.

ძლიერ სახელმწიფოთა ჩარევის ძედეგად, 1897 წლის 4 დეკემბერს ხელი მოეწერა სტამბოლის ხელშეკრულებას, რომელიც **თურქეთისთვის რამდენიმე მცირე ტერიტორიულ დათმობას ითვალისწინებდა საბერძნეთის მხრიდან** თესალიისა და მაკედონიის საზღვართან.

აღნიშნულის სანაცვლოდ, თურქეთი კრეტის კუნძულისთვის ავტონომიის მინიჭებას დასთანხმდა ძლიერ სახელმწიფოთა თავდებით. იურიდიულად კვლავ თურქეთის ხელში მყოფი კრეტა, ქრისტიანი უმაღლესი კომისრის მმართველობის ქვეშ მოექცა, რომელსაც ასამბლეა უწევდა დახმარებას. უმაღლეს კომისრად არჩეული იქნა ბერძენთა მეფის მეორე ვაჟი, უფლისწული გიორგი.

ბალკანეთში ოსმალთა იმპერიის მხრიდან ზემოაღნიშნულმა დათმობებმა თურქებში იმედგაცრუება გამოინვია, რომელთაც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნიზაცია სურდათ სხვა ევროპულ სახელმწიფოთა მსგავსად და ამ უკანასკნელთა ზრახვებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. 1876 წლის დეკემბერში თუქეთის შიდა საქმეებში ძლიერ სახელმწიფოთა ჩარევის წინააღმდეგ, მიღებული იქნა კონსტიტუცია, მაგრამ ის ფარატინა ქაღალდად დარჩა.

ბალკანეთში განლაგებულმა თურქ ოფიცერთა ჯგუფმა, რომელთა შორის იყვნენ ენვერ ფაშა და ქემალ ფაშა, საიდუმლო ორგანიზაცია "თავისუფლების საზოგადოება" დაარსა, რომელიც 1876 წლის კონსტიტუციის ძალით ამოქმედებას ითვალისწინებდა. ეს ორგანიზაცია პარიზში დაარსებულ ახალგაზრდა თურქთა მოძრაობას ეყრდნობოდა, რომელსაც იგივე მიზნები ამოძრავებდა.

1903 წლის ივლისში "ახალგაზრდა თურქთა" მოძრაობის წარმომადგენლებმა რევოლუციის შედეგად, ხელთ იგდეს ძალაუფლება სტამბოლში და 1876 წლის კონსტიტუცია აღადგინეს (ამ დრომდე არ ამოქმედებულა). აღნიშნულიდან გამომდინარე, ოსმალთა მთავრობამ კრების არჩევა გადაწყვიტა, რომელშიც ბოსნია-ჰერცეგოვინასა და აღმოსავლეთ რუმელიის (იურიდიულად თურქული პროვინციები) დეპუტატებსაც უნდა დაეკავებინათ ადგილები.

ავსტრია-უნგრეთმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, იზვოლსკის ხელშეწყობით, რომელიც თვითნებურად მოქმედებდა, ბოსნია-ჰერცეგოვინას ანექსია განიზრახა. ამის სანაცვლოდ, რუსეთს თავისი სამხედრო ფლოტისთვის ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე გასასვლელი უნდა მიეღო. ისარგებლა რა აღ-

ნიშნული ვითარებით, ბულგარეთის მთავარმა, ფერდინანდმა პორტასათან თავისი სამთავროს ვასალური კავშირის განყვეტა გადაწყვიტა, რაშიც მან ავსტრიისა და რუსეთის მხარდაჭერა მიიღო.

1908 წლის 22 სექტემბერს **ფერდინანდმა ბულგარეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.** 5 ოქტომბერს მან ასევე **აღმოსავლეთი რუმელიის დამოუკიდებლობა და მისი ბულგარეთთან გაერთიანება გამოაცხადა,** თავად კი ბულგარელთა მეფის ტიტული მიიღო.

1908 წლის 6 ოქტომბერს ავსტრია-უნგრეთის მიერ დაკანონებული იქნა:

– ბოსნია-ჰერცეგოვინას ანექსია თავად ავსტრია-უნგრეთის მიერ პორტასთვის ფინანსური კომპენსაციის სანაცვლოდ;

– თურქეთისთვის ნოვი პაზარის სანჯაყის დაბრუნება.

თურქეთის ევროპული ნაწილის ფართობი დაახლოებით 180 000კმ²-მდე იქნა დაყვანილი (კუნძულების გარდა), მისმა მოსახლეობამ კი დაახლოებით 6 მილიონი კაცი შეადგინა.

2. 1908 წლიდან ბალკანეთის მეორე ომის დასასრულამდე (1913წ.)

1909 წლის აპრილში ფინანსური კომპენსაციის სანაცვლოდ, თურქეთმა ცნო ბოსნია-ჰერცეგოვინას, ბულგარეთისა და აღმოსავლეთ რუმელიის ოსმალთა იმპერიიდან საბოლოო გამოყოფა.

იტალიას ლიბიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე თურქული პროვინციის (ტრიპოლი) ხელში ჩაგდება სურდა. იტალიელებმა ტრიპოლი და ბენღაზი დაიკავეს, მაგრამ თურქების წინააღმდეგობას წააწყდნენ, რომელთაც არ სურდათ ქვეყნის დარჩენილი ნაწილის დათმობა. ამის საპასუხოდ, იტალიელებმა დარდანელის სრუტის მიმართულებით საზღვაო ძალის დემონსტრაცია მოაწყვეს და 1912 წელს დოდეკანესის კუნძულის ოკუპაცია მოახდინეს.

ბალკანეთზე მოახლოებული კრიზისის გათვალისწინებით, თურქეთს არ სურდა შებოჭილი ხელები ჰქონოდა და ამიტომაც, მშვიდობა აღდგენილ იქნა 1912 წლის 18 ოქტომბრის ლოზანის ხელშეკრულებით.

ტრიპოლისა და ბენღაზის პროვინციების გარდა, თურქეთმა **იტალიას დროებით დოდეკანესის კუნძულიც დაუთმო.** როდესაც იტალია ზემოაღნიშნულ პროვინციებს მთლიანად დაეპატრონებოდა, მას თურქეთისთვის დოდეკანესი უნდა დაებრუნებინა.

ისარგებლა რა თურქეთის რთული მდგომარეობით ბალკანეთში, 1912 წლის 24 ნოემბერს სამოსის კრებამ **საბერძნეთთან სამოსის სამთავროს გაერთიანება გამოაცხადა.**

1912 წლის 28 ნოემბერს დურესში შეკრებილმა ალბანეთის ეროვნულმა კრებამ ასევე **ალბანეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.**

1913 წლის 15 მარტს საბერძნეთმა თავისი ჯარები სამოსზე გადმოსხა და თავად სამოსის სამთავროს საბერძნეთთან გაერთიანება დაადგინა.

თურქეთის განუწყვეტელი დასუსტება მის მეზობლებში მისი ტერიტორიების ხელში ჩაგდების სურვილს ინვეედა. თურქეთის ევროპული ნადაელის გასანაწილებლად ბალკანეთის ლიგა (1912 წლის მარტი-ოქტომბერი) შეიქმნა, რომელშიც საბერძნეთი, ბულგარეთი, სერბეთი და ჩერნოგორია შედიოდნენ.

ზემოაღნიშნულ ქვეყნებსა და თურქეთს შორის 1912 წლის 8 ოქტომბერს დაწყებული ამ უკანასკნელისთვის კონფლიქტი სავალალო აღმოჩნდა. 1913 წლის 30 მაისის ლონდონის ხელშეკრულებით, **თურქეთმა:**

– საბერძნეთს კრეტის კუნძული დაუთმო;

– უარი თქვა ეგეოსის ზღვაზე მდებარე კუნძულებზე და ენოს-მიდიას (აღმოსავლეთი თრაკია) ზოლის დასავლეთით მდებარე ევროპულ კონტინენტურ პროვინციებზე. შემდგომში ამ ტერიტორიების საკითხი ძლიერ სახელმწიფოთა მიერ იქნა მოგვარებული.

1913 წლის 10 აგვისტოს ბულგარეთი, რომელიც ამაოდ ითხოვდა ჩრდილოეთი მაკედონიის გადაცემას ომში თავისი ძალისხმევის სანაცვლოდ, მოულოდნელად

თავს დაესხა თავის მოკავშირეებს. შეტევაზე გადმოსულმა ბერძნებმა, სერბებმა და თურქებმა ხელთ იგდეს ანდრიანოპოლი, 31 ივლისს ბულგარეთი დამარცხდა.

1913 წლის 10 აგვისტოს ხელი მოენერა ბუქარესტის ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, თურქეთის ყოფილი ევროპული კონტინენტური პროვინციები გადანაწილდა. 1913 წლის 29 სექტემბრის სტამბოლის ხელშეკრულებით, ეგეოსის ზღვაზე მდებარე კუნძულები გადანაწილდა. ამ ხელშეკრულებებით:

– თურქეთმა შეინარჩუნა სტამბოლის მისადგომები, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები, აღმოსავლეთი თრაკიის უდიდესი ნაწილი (ბულგარეთისთვის გადაცემული ჩრდილოეთი ფრაგმენტის გარდა), ასევე ქალაქი ედირნე, მარიცას მარჯვენა ნაპირზე მდებარე ტერიტორიის დიდი ნაწილი სვილენგრადიდან დიმოტიკამდე და იმროზისა და ბოზჯაადის კუნძულები;

– ბულგარეთმა მიიღო ჩრდილოეთი მაკედონიის აღმოსავლეთით მდებარე მცირე ტერიტორია ("პირინის" მაკედონია), დასავლეთი თრაკია მესტასა და მარიცას შორის, ეგეოსის ზღვის სანაპირო ზოლით. აღმოსავლეთი თრაკიის ფრაგმენტი შავი ზღვის გასნვრივ;

– საბერძნეთმა მიიღო სამხრეთი მაკედონია, არტა, თასოსის კუნძულები, სამოტრაკი, ლემნოსი, ლესბოსი, ხიოსი, სამოსი და იკარია;

– ალბანეთის სამთავრომ (რომლის შექმნა გადაწყდა 29 ივლისს ძლიერ სახელმწიფოთა მიერ) მიიღო ალბანეთის ცენტრალური ნაწილი, შკოდერიდან ბუტრინტიმდე და კორნიცამდე;

– ჩერნოგორიამ მიიღო ნოვი პაზარის სანჯაყის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, პეჩის ნაწილი (პრიზრენი) და გუსინეს ტერიტორია;

– სერბეთმა მიიღო ჩრდილოეთი და ცენტრალური მაკედონია, კოსოვო (პრიშტინა), პრიზრენის ნაწილი, ნოვი პაზარის სანჯაყის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნახევარი.

თურქეთის ევროპული ნაწილის ტერიტორია ერთბაშად 22 000კმ²-მდე იქნა დაყვანილი, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 1 300 000 კაცს შეადგენდა. პორტამ ევროპაში მხოლოდ ძალზე მცირე ტერიტორიის შენარჩუნება შეძლო. ამავე დროს, მას დედაქალაქი სტამბოლი დარჩა.

3. 1913 წლიდან ლოზანის ხელშეკრულების დადებამდე (1923წ.)

1914 წლის აგვისტოში გერმანიასთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების შემდეგ, თურქეთი მასზე ახლახან გამარჯვებულებზე რევანშის მიზნით, იმავე წლის ოქტომბერში კონფლიქტში შევიდა ცენტრალური სახელმწიფოების მხარეზე.

გამართა რა ომი თურქეთთან, **დიდმა ბრიტანეთმა** 1914 წლის 5 ნოემბერს **ცალმხრივად მოახდინა კვიპროსის ანექსია.**

1915 წლის გაზაფხულზე თურქეთმა ძლევამოსილი წინააღმდეგობა დაუპირისპირა საბერძნეთისა და ბრიტანეთის ჯარებს, რომლებმაც დარდანელებზე შეტევა დაიწყეს და მათ სალონიკამდე დახევა აიძულა.

იმისათვის, რომ ბულგარეთს ცენტრალური სახელმწიფოების მხარეზე მიეღო მონაწილეობა ომში, **თურქეთმა ბულგარეთს დაუთმო;**

– მარიცას მარჯვენა ნაპირზე მდებარე თურქული ტერიტორია, ყარაღაჯი (ანდრინოპოლის სადგური) და დიმოტიკა;

– ქვემო მარიცას აუზის მარცხენა ნაპირზე მდებარე მცირე ტერიტორიული ზოლი, ქალაქ ენოსთან ერთად;

– ანდრინოპოლის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიის ფრაგმენტი, მარიცას მარცხენა ნაპირზე.

1918 წლის სექტემბერში ბულგარეთის დამარცხებამ თურქეთი აიძულა 13 ოქტომბერს მუდროსის სამშვიდობო ხელშეკრულებისათვის მოენერა ხელი. გამარჯვებულთა მიერ დასავლეთი თურქეთის აზიური ნაწილის ოკუპაციის შემდეგ (კერძოდ, ბერძნების იზმირში გადმოსხდომის შემდეგ), გენერალი მუსტაფა ქემალი იმპერიის ხელისუფლებას დაუპირისპირდა და ანკარაში "ჩრდილოეანი ხელისუფლება" შექმნა.

ამავე დროს, 1920 წლის 10 აგვისტოს სწორედ სტამბოლის მთავრობასთან ხელი მოენერა სევრის ხელშეკრულებას, რომელიც მაშინვე ღალატად იქნა მიჩნეული თურქი ნაციონალისტების მიერ. ამ ხელშეკრულების თანახმად, **თურქეთმა:**

– **საბერძნეთს დაუთმო აღმოსავლეთი თრაკია, მარიცადან შავ ზღვამდე,** (სტამბოლის, მისი უშუალო მისადგომებისა და დარდანელის სრუტისა და მარმარილოს ზღვის გასწვრივ გამავალი ტერიტორიული ზოლის გარდა), **იმროზისა და ბოზჯაადის კუნძულები,** ისევე როგორც იზმირის ვილაიეთი მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე

– **იტალიას საბოლოოდ გადასცა დოდეკანესი;**

– **დიდ ბრიტანეთს საბოლოოდ გადასცა კვიპროსის კუნძული.**

1920-1921 წლებში გადანყვიტეს რა მცირე აზიის საოკუპაციო სივრცის გაუაზრებელი გაფართოება სტამბოლის მიმართულებით, საბერძნეთის ჯარები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ მუსტაფა ქემალის კონტრშეტევის პირისპირ. მათ დატოვეს იზმირი (1922 წლის სექტემბერი), რომელიც ხანძარმა მოიცვა და აღმოსავლეთი თრაკია (ოქტომბერი).

1922 წლის 2 ნოემბერს მუსტაფა ქემალმა ანკარის კრება აიძულა კენჭი ეყარა სულთანატის გაუქმებისთვის. რეჟიმი დროებითი სტატუტის ქვეშ მოექცა, ყოფილი სულთანი მეჰმედ VI კი კვლავ ტახტზე დარჩა.

მუსტაფა ქემალის გამარჯვებების პირისპირ, გამარჯვებული სახელმწიფოები იძულებული გახდნენ თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების პირობებისთვის გადაეხედათ.

1923 წლის 24 ივლისის ლოზანის ხელშეკრულებით, რომელმაც სევრის ხელშეკრულება შეცვალა, **საბერძნეთს თურქეთისთვის უნდა დაებრუნებინ**

– **აღმოსავლეთი თრაკია მარიცას საზღვრამდე** და ამ მდინარის იქით მდებარე ტერიტორია ანდრიანოპოლამდე, ასევე ყარაღაჯის გარეუბანი (სადგურის უბანი);

– **იმროზისა და ბოსჯაადის კუნძულები;**

– იზმირის ვილაიეთი.

დამტკიცებული იქნა სევრის ხელშეკრულების სხვა მუხლებიც. საბოლოოდ, სამართლებრივად მოგვარდა ბერლინის (1878წ.), ბუქარესტისა (1913წ.) და სევრის (1920წ.) ხელშეკრულებებით გამორჩენილი, დუნაიზე მდებარე პატარა კუნძულის, ადა-კალეს ბედი, რომელიც **თურქეთმა რუმინეთს დაუთმო.**

აღნიშნული დროიდან, კვლავ მცირე აზიაზე კონცენტრირებულმა თურქეთმა თავის საბოლოო საზღვრებს მიაღწია ევროპაში. ის დაყვანილ იქნა სტამბოლსა და აღმოსავლეთ თრაკიამდე, რომელიც ანდრინოპოლის (ედირნე), კირკლარელისა და თეგირდაგის სამ ვილაიეთად დაიყო.

V. თანამედროვე თურქეთი (1923 წლიდან დღემდე)

1923 წლის 29 ოქტომბერს **თურქეთის რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა,** რომლის დედაქალაქი სიმბოლურად ანკარაში იქნა გადატანილი. რესპუბლიკის პრეზიდენტი მუსტაფა ქემალი გახდა და მას ათათურქი ეწოდა (ყველა თურქის მამა). მან იძულების წესით დაინყო ქვეყანაში დასავლური ცხოვრების წესის დანერგვა და ქვეყნის სეკულარიზაცია მოახდინა.

1924 წლის 13 მარტს გაუქმდა ოსმალთა იმპერიის ბოლო გადმონაშთი, ხალიფატი. გატარდა შემდეგი ზომები:

– 1924 წელს გაუქმდა შარიათის წესზე დამყარებული სკოლები და სასამართლოები;

– 1924 წლის აპრილში ახალი კონსტიტუცია იქნა მიღებული;

– 1925 წელს სავალდებულოდ გამოცხადდა ქუდის ტარება და აიკრძალა ფესის ტარება;

– 1925 წელს აიკრძალა რელიგიური საზოგადოებების არსებობა;

– 1926 წელს შემოღებული იქნა გრიგორიანული კალენდარი, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კოდექსი (დასავლეთის მიბაძვით);
– 1928 წელს გაუქმდა ისლამის, როგორც სახელმწიფო რელიგიის სტატუსი;
– 1928 წელს ლათინური ანბანი იქნა შემოღებული;
– და სხვ.

აღნიშნული დროიდან თურქეთი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს ნეიტრალიტეტის შენარჩუნება შეძლო, მიუხედავად რესპუბლიკის დამაარსებლის გარდაცვალებისა (1938წ.), ცდილობდა რევოლუციური "მონაპოვრის" შენარჩუნებას დასავლეთთან ეკონომიკური კავშირის განვითარებით (1962 წელს ის ნატოს წევრი გახდა). ამავე დროს, მის პოლიტიკურ ცხოვრებაში ხშირად ხდებოდა ცვლილებები, პლურალისტური დემოკრატიის პერიოდს სამხედრო დიქტატურა ენაცვლებოდა.

1974 წლის ივლისში კვიპროსზე მცხოვრები თურქების დასახმარებლად, რომელთაც თურქეთის აზრით, საშიშროება ემუქრებოდათ ბერძენ სამხედროთა მიერ კუნძულზე განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, მან კუნძულის ჩრდილოეთი მესამედი დაიკავა და დროებით მიიერთა კვიპროსის თურქეთის ფედერაციული სახელმწიფოს სახელით (1975-1983წწ.), მისგან სატელიტი სახელმწიფოს, "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკის" შექმნამდე. აღნიშნული სახელმწიფო მხოლოდ თურქეთმა აღიარა.

კვიპროსზე განვითარებულ სიტუაციას თურქეთის დასავლეთ ევროპასთან დაახლოების პროცესის შენელება მოჰყვა, საბერძნეთის წინააღმდეგობის შედეგად, რომელიც თავად არის ევროკავშირის წევრი. კვიპროსის კრიზისის მოგვარება თურქეთისთვის წინასწარი პირობაა ევროპასთან დაახლოების ახალი მცდელობისთვის.

ირლანდია

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: ირლანდიის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: მერი მაკალიზი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ორპალატიანი პარლამენტი, დეპუტატთა პალატა და სენატი.
დედაქალაქი: დუბლინი
ადმინისტრაციული დაყოფა: 4 პროვინცია და 26 საგრაფო.
– ოლსტერის პროვინცია (3 საგრაფო): დანიგოლი (ლიფორდი), კევანი, მონაჰანი;
– კონაჰტის პროვინცია (5 საგრაფო): სლაიგო, როსკომენი, მეიო (კესტელბერი);
– ლენსტრის პროვინცია (12 საგრაფო): ვექსფორდი, კილკენი, უიკლოუ, ნეისი, პორტ-ლეიშე, ტალიმორი, მალინგარი, ლონგფორდი, მითი (ტრიმი), დუბლინი, ლოუტი (დანდოლკი);
– მანსტერის პროვინცია (6 საგრაფო): კლერი (ენისი), ლიმერიკი, კერი (ტრალი), კორკი, უოტერფორდი, ტიპერერი (კლონმელი).
ფართობი: 70 300კმ²; **მოსახლეობა:** 3,7 მილიონი კაცი; **სიმჭიდროვე:** 53 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენა: ირლანდიული (ირლანდიის გელური) და ინგლისური.
რელიგია: კათოლიკობა.
ფულის ერთეული: ირლანდიური გირვანქა; ევრო 2002 წლიდან.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ირლანდიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. შიდა უთანხმოებებიდან ინგლისის ბატონობამდე (1171 წ.)

ძვ. წ. აღ. IV საუკუნეში კელტურმა ტომებმა ირლანდიის კოლონიზაცია მოახდინეს. I საუკუნეში კუნძული შვიდ სამეფოდ დაიყო. ირლანდიას არ შეხებია რომაული კოლონიზაცია. ჩვ. წ. აღ. V საუკუნეში წმინდა პატრიკმა ირლანდიაში ქრისტიანობა გაავრცელა. აღნიშნული დროიდან ქვეყანა ქრისტიანობის კერა გახდა. მას წმინდანთა კუნძულსაც კი უწოდებდნენ მის ტერიტორიაზე განლაგებული მრავალრიცხოვანი მონასტრების გამო, საიდანაც მისიონერები ევროპაში იგზავნებოდნენ.

გვიან შუა საუკუნეებში ირლანდია ბევრ პატარა სამეფოდ იყო დანაწევრებული, მაგრამ თანდათან კუნძულის ოთხ ტრადიციულ პროვინციად დაყოფის პროცესი დაიწყო: ოლსტერი, კონაჰტი, ლენსტერი და მანსტერი.

1002 წელს ირლანდიის ერთ-ერთმა მეფემ, ბრაიანმა ხანმოკლე პერიოდით კუნძულის გაერთიანება მოახერხა თავისი ძალაუფლების ქვეშ. მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ (1014 წ.) ქვეყანა შიდა უთანხმოებების მსხვერპლი გახდა, რამაც 1171 წელს ინგლისის მეფეს ჰენრი II-ს მისი დამორჩილების შესაძლებლობა მისცა. მეფის ანგლო-ნორმანდიელმა თანამოაზრეებმა ხელთ იგდეს დიდი ფეოდალური სამფლობელოები და ქვეყანაში გაბატონდნენ.

აღნიშნული დროიდან ირლანდია ინგლისის მფლობელობაში გადავიდა, მისი ტერიტორია კი ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ ამბოხებათა გაუთავებელ ნყებად იქცა. ყოველივეს თან ახლდა ირლანდიელ მეამბოხეთა მიწების კონფის-

კაცია. ინგლისში რეფორმის შესახებ ბილის მიღების დროიდან ირლანდიელთა ჩაგვრა გაორმაგდა. ამაეე დროს, ირლანდია კათოლიციზმის ბასტიონად რჩებოდა. XVII საუკუნიდან ოფიციალური სეგრეგაცია ხორციელდებოდა ინგლისელ კოლონისტებს შორის. ადგილობრივი ირლანდიელებისგან განსხვავებით, რომელნიც მეორეხარისხოვანი სტატუსით სარგებლობდნენ, კოლონისტებს ყველა საჯარო და კერძო უფლებები გააჩნდათ. ამ პერიოდში დაინყო ემიგრაციის დიდი ტალღა ამერიკაში.

1719 წლის ოფიციალური აქტის თანახმად, ლონდონში მიღებული კანონები მაშინვე ძალაში უნდა შესულიყო ირლანდიაში და ეს უკანასკნელი როგორც ინგლისის კოლონია იმართებოდა.

დუბლინის პარლამენტი მხოლოდ ქვეყნის პროტესტანტული უმცირესობით იყო ნარმოდგენილი (მოსახლეობის 30%, რომელიც მიწების 85%-ს ფლობდა) და ის ყოველგვარ რეალურ ძალაუფლებას იყო მოკლებული.

საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა ინგლისელთა მიერ მიწების მითვისების პროცესი, მაგრამ ჩრდილოეთ ამერიკაში დამოუკიდებლობისთვის წარმოებულმა ომმა ინგლისელ კოლონისტებს კუნძულის ავტონომიის სასარგებლოდ დათმობაზე წასვლა აიძულა.

ინგლისის მთავრობა ჩრდილოეთ ამერიკის მსგავსი მოძრაობის შიშით, კომპრომისზე წავიდა. 1782 წელს დონაგანის შეთანხმების თანახმად, 1719 წლის ოფიციალური აქტი გაუქმდა და ირლანდია "თავისუფალი პროტესტანტული ერი" გახდა. მისი პარლამენტი, რომელიც კვლავ ნაკლებად ნარმომადგენლობითი იყო, დამოუკიდებელი გახდა ლონდონის პარლამენტის პირისპირ.

2. ირლანდია 1789 წელს

ირლანდია სიდიდით მეორე კუნძული იყო ბრიტანეთის კუნძულებს შორის. მისი ფართობი 84 000 კმ²-ს შეადგენდა, მოსახლეობა კი დაახლოებით 4 მილიონ კაცს აღწევდა. მთიანი რელიეფი მცირედ ამაღლებულ კუნძულს ოთხ წყალსადინარ აუზად ყოფდა: ჩრდილოეთით ფოილის, დასავლეთით ერნისა და შენონის, სამხრეთით ლის, სიურისა და ბარეის, აღმოსავლეთით კი ლიფრესა და ბოინის აუზებად.

ქვეყნის მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. მისი ნიადაგი ხელს უნყობდა სოფლის მეურნეობისა და მესაქონლეობის განვითარებას. მეზობელი ინგლისისგან განსხვავებით, ირლანდიაში მრეწველობა ნაკლებად განვითარებული და შესაბამისად ქალაქის მოსახლეობაც მცირე იყო. აღნიშნული ბრიტანეთის ხელისუფლების პოლიტიკის შედეგი იყო, რომლის მიზანსაც ინგლისისგან ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულება წარმოადგენდა.

ირლანდიის სამეფო (დედაქალაქი დუბლინი), დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა (ინგლისი და შოტლანდია) პირადი უნიის საფუძველზე. მეფე დუბლინში ვიცე-მეფით იყო წარმოდგენილი, რომელიც ლორდ-ლეიტენანტის ტიტულს ატარებდა. ირლანდიის სამეფო ოთხ პროვინციად დაიყო, რომელიც 32 საგრაფოსგან შედგებოდა:

– ოლსტერის პროვინცია (9 საგრაფო): ანტრიმი (ბელფასტი), არმა, დაუნი (დაუნპატრიკი), ტირონი (ომა), ლონდონდერი, ფერმანა (ენისკილენი), დონეგალი, კევანი, მონაჰანი;

– კონაჰტის პროვინცია (5 საგრაფო): სლაიგო, როსკომონი, მეიო (კესტელბერი), გოლუეი, ლიტრიმი (კარიკ-ონ-შენონი);

– ლენსტერის პროვინცია (12 საგრაფო): ვიქფორდი, კილკენი, კარლოუ, უიკლოუ, კილდერი, ქვინზ ქაუნთი, ქინგ ქაუნთი (ტალამორი), დასავლეთი მითი (მალინგარი), ლონგფორდი, აღმოსავლეთი მითი (ტრიმი), დუბლინი, ლოუტი (დანდოლკი);

– მანსტერის პროვინცია (6 საგრაფო): კლერი (ენისი), ლიმერიკი, კერი (ტრალი), კორკი, უიტერფორდი, ტიპერერი (კლონმელი).

II. თანამედროვე ირლანდია (1789 წლიდან დღემდე)

1. 1789 წლიდან ირლანდიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე (1921წ.)

1791 წელს ირლანდიელი კათოლიკები კვლავ აჯანყდნენ. რევოლუციური საფრანგეთის მხარდაჭერის მარცხის შემდეგ, დიდმა ბრიტანეთმა ირლანდიელი ერის თვითმყოფადობის მოსპობა გადაწყვიტა.

1800 წლის 7 ივნისის "უნიის შესახებ აქტით" დუბლინის პარლამენტი გაუქმდა. ლონდონის მთავრობამ და პარლამენტმა ხელთ იგდეს მთელი ძალაუფლება ირლანდიაზე, **რომელიც დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის** შემადგენლობაში იქნა შეყვანილი.

1832 წელს ირლანდიელმა ნაციონალისტმა დანიელ ო'კონელმა კათოლიკური ასოციაცია დაარსა. 1828 წელს იგი ლონდონის პარლამენტში დეპუტატად იქნა არჩეული მიუხედავად იმ კანონისა, რომელიც პარლამენტში კათოლიკეთა არჩევას კრძალავდა. 1829 წელს სახალხო გამოსვლების შიშით, ლონდონის პარლამენტმა განთავისუფლების აქტს უყარა კენჭი, რომლის თანახმად, კათოლიკეებს სამოქალაქო უფლებები უნდა დაბრუნებოდათ.

მიუხედავად ამისა, მთელი XIX საუკუნის მანძილზე ინგლისის კოლონიზაციის გაძლიერებას, ირლანდიელი გლეხობის ცხოვრების მძიმე პირობებს, შიმშილს (1845-1849წწ. დიდი შიმშილი) და ემიგრაციას, მოსახლეობის დიდი დანაკარგი მოჰყვა. თუკი 1845 წელს ქვეყანაში დაახლოებით 9 მილიონი კაცი ცხოვრობდა, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე მისი რაოდენობა 4 მილიონ კაცამდე შემცირდა.

ზოგიერთი განათლებული ინგლისელი (გლადსტონი) შექმნილ ვითარებას განიცდიდა და ერთი მხრივ, ფართო აგრარული რეფორმის გატარებასა და მეორე მხრივ, ჰოუმრულზე მსჯელობდა. 1903 წელს აგრარულ რეფორმას ეყარა კენჭი, რომელიც ირლანდიელი გლეხობისთვის მიწების მასობრივად გადაცემას ითვალისწინებდა. თემთა პალატაში კონსერვატორთა ოპოზიციის გამო ჰოუმ რულისათვის პოზიტიური კენჭისყრა მხოლოდ 1919 წლის აპრილში მოხერხდა (პირველი კენჭისყრის დროს ლორდებმა ის უარყვეს).

1914 წლის სექტემბერში პოუმრულს გეორგ V-მ მოაწერა ხელი, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ მისი ამოქმედება შეაჩერა.

1916 წლის აპრილში დუბლინში ახალი აჯანყებამ იფეთქა, რასაც შინ ფეინის მიერ (დამოუკიდებლობისთვის მოძრაობა) რესპუბლიკის გამოცხადება მოჰყვა. აჯანყება სისხლში იქნა ჩახშობილი.

1918 წელს ლონდონის პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებამ შინ ფეინის დეპუტატებს ირლანდიაში უმრავლესობა მოაპოვებინა (ოლსტერის რამდენიმე საგრაფოს გარდა). ახლად არჩეულმა დეპუტატებმა უარი განაცხადეს ლონდონში პარლამენტის სხდომების დასწრებაზე. მათ დუბლინში სეპარატიული პარლამენტი შექმნეს, ამ დროს კი კუნძულზე ფარული ომი დაიწყო.

შექმნილი მდგომარეობის პირისპირ, ლონდონის პარლამენტმა 1929 წლის 23 დეკემბერს "ირლანდიის მთავრობის შესახებ აქტს" უყარა კენჭი, რომლის თანახმად კუნძული ორ, ჩრდილოეთ და სამხრეთ ტერიტორიულ ერთეულად გაიყო. თითოეულ მათგანს კონფედერაციული ხელისუფლების კონტროლქვეშ შიდა ავტონომია მიენიჭა. ჩრდილოეთის ტერიტორიულ ერთეულში შევიდა ექვსი საგრაფო პროტესტანტული უმრავლესობით, სამხრეთში კი ოცდაექვსი საგრაფო კათოლიკური უმრავლესობით.

1921 წელს ჩატარებულმა არჩევნებმა უმრავლესობა უნიონისტებს მოუტანა, სამხრეთში კი მხოლოდ შინ ფეინის დეპუტატები იყვნენ წარმოდგენილნი. ახლად არჩეული დეპუტატები კვლავ იკრიბებოდნენ დუბლინის სეპარატიულ პარლამენტში. ლონდონის მთავრობამ შინ ფეინთან მოლაპარაკებები დაიწყო.

1921 წლის 6 დეკემბერს ლონდონის ხელშეკრულების თანახმად, დიდმა ბრიტანეთმა კუნძული ორ ნაწილად გაყო:

– **ჩრდილოეთი ირლანდია** (ოლსტერი) გაერთიანებული სამეფოს შემადგენელ ნაწილად დარჩა ავტონომიის სტატუსით; მისი ფართობი 14 000კმ²-ს შეადგენდა. ის

ყოფილი ოლსტერის პროვინციის ცხრიდან ექვსი საგრაფოსგან შედგებოდა: ანტრიმი, არნა, დაუნი, ტაირონი, ფერმანა და ლონდონდერი. ამ საგრაფოების დედაქალაქი ბელფასტი გახდა, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა პროტესტანტი იყო. ტაირონისა და ფერმანის მოსახლეობის უმრავლესობა კათოლიკეები იყვნენ.

– **სამხრეთი ირლანდია**, რომელიც ირლანდიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, ბრიტანეთის იმპერიის დომინიონი გახდა. მისი ფართობი 70 300კმ²-ს შეადგენდა. ახალი სახელმწიფო ოლსტერის სამი საგრაფოსა (დონეგალი, კევანი, მონაჰანი) და ირლანდიის სამი პროვინციისგან შედგებოდა. მთლიანობაში ის 26 საგრაფოს მოიცავდა. მისი დედაქალაქი დუბლინი გახდა, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა კათოლიკე იყო.

2. თანამედროვე ირლანდია (1921 წლიდან დღემდე)

ირლანდიელთა კათოლიკური უმცირესობა (შინ ფეინის ნანილი, ირა, ირლანდიის რესპუბლიკური არმია) კუნძულის გაყოფის წინააღმდეგ გამოვიდა და ახალ სამოქალაქო ომში ჩაება, რომელიც 1923 წელს სამთავრობო ძალების გამარჯვებით დასრულდა.

1937 წლის ივლისში დუბლინის მთავრობამ დიდ ბრიტანეთში წარმოშობილი სირთულეებით ისარგებლა (ედუარდ VIII-ს ინგლისის სამეფო გვირგვინზე უარის თქმის გამო). მთავრობამ, რომელსაც დე ვალერა ედგა სათავეში, პარლამენტის მეშვეობით რესპუბლიკურ კონსტიტუციას უყარა კენჭი პრეზიდენტით სათავეში. ირლანდიას "ეირე" ეწოდა. ამასთანავე, ის ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრად დარჩა. ქვეყნის კონსტიტუცია ნათლად მიუთითებდა კუნძულის მომავალ გაერთიანებაზე.

აღნიშნული დროის განმავლობაში ჩრდილოეთ ირლანდიაში ავტონომიური ხელისუფლება პროტესტანტული უმრავლესობის მიერ იყო მონოპოლიზებული, რომელსაც აგრეთვე ეკონომიკური ძალაუფლებაც ჰქონდა (მრეწველობა და მსხვილი ჯერძო მიწები). კათოლიკური უმცირესობა მეტწილად სამრეწველო ქალაქების (ბელფასტი) მუშებით ან სოფლის პროლეტარიატით იყო წარმოდგენილი.

1939 წლის მეორე მსოფლიო ომის დროს, ირლანდიის დამოუკიდებელმა სახელმწიფომ კონფლიქტში ნეიტრალიტეტის პოზიციის დაკავება არჩია. ის იყო ერთადერთი დომინიონი, რომელიც გაერთიანებულ სამეფოსთან ერთად ომში არ ჩაება.

1949 წლის 18 აპრილს სამხრეთი ირლანდია ოფიციალურად ირლანდიის რესპუბლიკად გამოცხადდა და ქვეყანამ ბრიტანეთის თანამეგობრობა დატოვა.

ამ დროიდან, რესპუბლიკური ირლანდია დიდ ბრიტანეთს პოლიტიკურად გამოეყო, თუმცა ამ უკანასკნელთან ინტენსიური ეკონომიკური კავშირები დარჩა. 1973 წლის 1 იანვარს ის ევროპის ეკონომიკური კავშირის წევრი გახდა.

აღნიშნულ პერიოდში ჩრდილოეთი ირლანდია სირთულეებს განიცდიდა გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში. ჩრდილოეთ ირლანდიაში ძლიერი კათოლიკური უმცირესობა არსებობდა (დაახლოებით ერთი მესამედი), რომელიც უმრავლესობაში იყო ლონდონის დასავლეთში, არნის სამხრეთში, ტაირონსა და ფერმანში. 1968 წლიდან ქვეყანაში ტერორისტული აქტები დაიწყო (ირა) ირლანდიის რესპუბლიკასთან გაერთიანების მიზნით.

1972 წლის მარტში მთავრობამ ჩრდილოეთ ირლანდიისთვის მინიჭებული ავტონომიის სტატუსი შეაჩერა და პროვინციის მართვა თავად აიღო ხელში.

1973 წლის 8 აპრილს ჩრდილოეთ ირლანდიის მომავალთან დაკავშირებით რეფერენდუმი მოეწყო. მოსახლეობის უმრავლესობამ სამხრეთ ირლანდიასთან გაერთიანება უარყო.

თუმცა ოცი წლის განმავლობაში ჩრდილოეთ ირლანდიაში საომარი განწყობილება (ტერორისტული თავდასხმები, ბრიტანული ჯარის გამოყენება წესრიგის აღსადგენად) არ წყდებოდა, რასაც საბოლოოდ ლონდონისა და დუბლინის მთავრობების ერთობლივი დეკლარაცია მოჰყვა (1993წ.), რომელიც მხარეებს ახალი მოლაპარაკებისკენ მოუწოდებდა. აღნიშნულს თან ახლდა ბრძოლის შეწყვეტა, რაც 1998 წლის 10 აპრილს სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერით დასრულდა. ეს შეთანხმება ჩრდილოეთ ირლანდიისთვის ავტონომიის აღდგენასა და ახალი პარლამენტის არჩევას ითვალისწინებდა, სადაც პროტესტანტები და კათოლიკები თანაბრად იქნებოდნენ წარმოდგენილნი.

ისლანდია

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: ისლანდიის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ოლაფურ რაგნარ გრიმსონი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი, ალთინგი.
დედაქალაქი: რეიკიავიკი.
ადმინისტრაციული დაყოფა, 8 რეგიონი: რეიკიავიკი-დედაქალაქი, სამხრეთ-დასავლეთის კუნძული (კებლავიკი), დასავლეთის კუნძული (ბორგარნესი), ჩრდილო-დასავლეთის კუნძული (სეიდარკროკური), ჩრდილო-აღმოსავლეთის კუნძული (აკურეირი), აღმოსავლეთის კუნძული (ეილსტადირი), სამხრეთის კუნძული (სელფოსი).
ფართობი: 103 000კმ^2; მოსახლეობა: 260 000 კაცი, სიმჭიდროვე: 2,5 კაცი ერთ კმ^2-ზე.
ენა: ისლანდიური.
რელიგია: ლუთერანობა.ფულის ერთეული: ისლანდიური კრონა.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ისლანდიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. ნორვეგიასა და დანიას შორის (1264-1356ნნ.)

ისლანდია VIII საუკუნეში იქნა აღმოჩენილი ირლანდიელი ბერების მიერ. IX საუკუნეში ვიკინგებმა ისლანდიის კოლონიზაცია მოახდინეს და **არისტოკრატიული რესპუბლიკა** დააფუძნეს, რომელიც პარლამენტით (ალთინგი) აღჭურვეს. ეს უკანასკნელი მსოფლიოში უძველეს პარლამენტად არის მიჩნეული (930ნ.). XIII საუკუნეში ცენტრალური ხელისუფლების არარსებობამ უთანხმოებები წარმოშვა.

სწორედ ამ პერიოდში, ნორვეგიის მეფემ 1264 წლის "ძველი პაქტით" ისლანდია თავისი **მეურვეობის** ქვეშ მოაქცია და ამავე დროს, ალთინგს გარკვეული უფლებამოსილება დაუტოვა.

1397 წელს ნორვეგიის გადაუწყვეტელობის მიზეზით, ისლანდია "კალმარის უნიას" შეუერთდა და ამგვარად, დანიის გავლენის სფეროში მოექცა. "კალმარის უნიასთან" კავშირის გაწყვეტის შემდეგ, 1536 წელს ისლანდია **დანიის მმართველობის** პირდაპირ დაქვემდებარებაში აღმოჩნდა, რომელიც ორი საუკუნის განმავლობაში კუნძულზე ვაჭრობის მონოპოლიით სარგებლობდა.

1787 წელს ისლანდიასთან ვაჭრობა კვლავ თავისუფალი გახდა დანიის მოქალაქეებისთვის. 1800 წელს ალთინგი, რომლის პოლიტიკური როლი დაკნინებული იყო, გაუქმდა.

2. ისლანდია 1789 წელს

ისლანდია ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთით მდებარე დიდ დანიურ კუნძულს წარმოადგენდა, რომლის ფართობი 103 000კმ^2-ს შეადგენდა, მისი მოსახლეობა კი დაახლოებით 40 000 კაცს აღწევდა. მას ნორვეგიისგან 1000კმ, შოტლანდიისგან 800კმ და გრენლანდიიდან 300კმ აშორებდა. ევროპასა და ამერიკას შორის მდებარე კუნძული თავისი ისტორიითა და კულტურით ევროპასთან იყო დაკავშირებული.

კუნძული, რომელიც მთებით, ვულკანებითა და გეიზერებით დაფარულ ფართო პლატოს წარმოადგენდა, ზღვის დინებების წყალობით თავისი განედისთვის ზომიერი კლიმატით სარგებლობდა, რაც სოფლის მეურნეობისა და მესაქონლეობის განვითარების საშუალებას იძლეოდა, თუმცა ქვეყნის ეკონომიკის საფუძველი თევზჭერა იყო. ადმინისტრაციულად ისლანდია დანიის სამეფოს დიდ საბაიოს შეადგენდა, რომელიც სამ საბაიოდ იყო დაყოფილი: სუდურ-ამტელი (სამხრეთი საბაიო), ადმინისტრაციული ცენტრი რეიკიავიკი; ვესტურ-ამტელი (დასავლეთი საბაიო), ადმინისტრაციული ცენტრი სტაპენი; ნურდურ ოგ ეისტურ ამტელი (ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის საბაიო), ადმინისტრაციული ცენტრი მადრუვალი.

II. თანამედროვე ისლანდია (1789 წლიდან დღემდე)

1. 1789 წლიდან ისლანდიის სამეფოს შექმნამდე

1809 წლის აგვისტოში დანიელმა ავანტიურისტმა, გეორგ იურგენსონმა (რომელსაც დიდი ბრიტანეთი უჭერდა მხარს) მეტროპოლიასთან კომუნიკაციების შეწყვეტით ისარგებლა, რაც დიდ ბრიტანეთთან საომარი მდგომარეობით იყო გამონვეული, დაიპყრო ისლანდია და თავი სიუზერენად გამოაცხადა.

1815 წელს **დანიამ** კვლავ აღადგინა თავისი სიუზერენიტეტი **ისლანდიაზე.**

1843 წელს ალთინგმა მუშაობა განაახლა საკონსულტაციო ორგანოს სახით. 1874 წლის ახალი კონსტიტუციით, ალთინგმა საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილება კვლავ მოიპოვა, ხოლო 1904 წელს, როდესაც ისლანდიას ავტონომია მიენიჭა, ის კვლავ საპარლამენტო პალატა გახდა.

1854 წლიდან ისლანდიასთან ვაჭრობა უცხოელებისთვის ღიად გამოცხადდა. 1918 წლის 30 ნოემბრის უნიის შესახებ აქტის თანახმად, კუნძული ისლანდიის სამეფო გახდა. **ისლანდია დანიასთან ასოციირებული დამოუკიდებელი სამეფო გახდა.**

2. უნიიდან დამოუკიდებლობამდე (1944წ.)

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, 1940 წლის აპრილში ისლანდია ცოტა ხნით გერმანელების, ხოლო 1940 წლის მაისში ინგლისელების მიერ იქნა ოკუპირებული. შემდგომში, 1944 წლის ივნისში ინგლისელებს ამერიკელები ჩაენაცვლნენ. დანიისგან ხანგრძლივი დროით ჩამოშორებულ (გერმანელების მიერ ოკუპირებულ) ისლანდიაში სამეფოს რეგენტი დაიხიმხა. აღხიმხულმა გამოცალკევებამ დამოუკიდებლობისთვის მოძრაობას შეუნყო ხელი.

1944 წლის 25 მაისს ჩატარებულ რეფერენდუმში, მოსახლეობის უმრავლესობამ დანიისგან გამოყოფის სასარგებლოდ მისცა ხმა.

17 ივნისს **ისლანდიის რესპუბლიკის** შექმნა გამოცხადდა, რომელიც ახალი კონსტიტუციით აღიჭურვა. სვენ ბიორსონი პირველი პრეზიდენტი გახდა.

იტალია

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: იტალიის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ჯორჯიო ნაპოლიტანო.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ორპალატიანი პარლამენტი, რესპუბლიკის დეპუტატთა პალატა და სენატი.
ადმინისტრაციული დაყოფა, 20 რეგიონი: 15 ოლქი, 5 ოლქი ავტონომიის სტატუსით და 103 პროვინცია:

- პიემონტის რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი ტურინი (8 პროვინცია): ალესანდრია, ასტი, ბიელა, კუნეო, ნოვარა, ტურინი, ვერბანო-კუზიო-ოსოლა (ვერბანია), ვერჩელი;
- ვალე დ' აოსტას ავტონომიური რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი აოსტა (1 პროვინცია): აოსტა;
- ლომბარდიის რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი მილანი (11 პროვინცია): ბერგამო, ბრეშია, კომო, კრემონა, ლეკო, მანტუა, მილანი, პავია, სონდრიო, ვარესე;
- ტრენტინო-ალტო-ადიჯეს ავტონომიური რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი ტრენტო (2 პროვინცია): ტრენტო, ბოლცანო;
- ვენეციის რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი ვენეცია (7 პროვინცია): ბელუნო, პადუა, როვიგო, ტრევიზო, ვენეცია, ვერონა, ვიჩენცა;
- ფრიული-ვენეცია-ჯულიას ავტონომიური რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი ტრიესტი (4 პროვინცია): გორიცია, პორდენონე, ტრიესტი, უდინე;
- ლიგურიის რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი გენუა (4 პროვინცია): გენუა, იმპერია, სპეცია, სავონა;
- ემილია-რომანიას რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი ბოლონია (9 პროვინცია): ბოლონია, ფერარა, ფორლი, მოდენა, პიაჩენცა, რავენა, რეჯო-ნელ-ემილია, რიმინი;
- ტოსკანის რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი ფლორენცია (10 პროვინცია); არეცო, ფლორენცია, გროსეტო, ლივორნო, ლუკა, მასა-კარარა, პიზა, პისტოია, პრატო, სიენა;
- უმბრიის რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი პერუჯა (2 პროვინცია): პერუჯა, ტერნი;
- მარკეს რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი ანკონა (4 პროვინცია): ანკონა, ასკოლი პიჩენო, მაცერატე, პეზარო-ე-ურბინო (პეზარო);
- ლაციოს რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი რომი (5 პროვინცია): ფროზინონე, ლატინა, რიეტი, რომი, ვიტერბო;
- აბრუცის რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი ლ'აკუილეა (4 პროვინცია): ლ'აკუილეა, ჩიეტი, პესკარა, ტერამო;
- მოლიზეს რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი კამპობასო (2 პროვინცია): კამპობასო, იზერნია;
- აპულიის ოლქი, ადმინისტრაციული ცენტრი ბარი (5 პროვინცია): ბარი, ბრინდიზი, ფოჯა, ლეჩე, ტარანტო;
- ბაზილიკატას რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი პოტენცა (2 პროვინცია): მატერა, პოტენცა;
- კალაბრიის რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი კატანძარო (5 პროვინცია): კატანძარო, კოზენცა, კროტონე, რეჯიო-დი-კალაბრია, ვიბო-ვალენცია;

- სიცილიის ავტონომიური რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი პალერმო (9 პროვინცია): აგრიჯენტო, კალტანისეტა, კატანია, ენა, მესინა, რაგუზა, სირაკუზა, ტრაპანი;
- სარდინიის ავტონომიური რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი კალიარი (4 პროვინცია): კალიარი, ნუორო, ორისტანო, სასარი.

ფართობი: 301 300კმ²; **მოსახლეობა:** 57,5 მილიონი კაცი: **სიმჭიდროვე:** 191 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენა: იტალიური; ლაპარაკობენ (მეტ-ნაკლებად) აგრეთვე ფრანგულად აოსტას დაბლობში, გერმანულად ალტო ადიჯეში (სამხრეთი ტიროლი), ლადინიურად ალტო ადიჯესა და დოლომიტურ ალპებში, სარდინიულად სარდინიაში, ფრიულურად უდინეში, სლოვენურად ტრიესტისა და გორიციის ოლქებში, ალბანურად სამხრეთ იტალიაში.
რელიგია: კათოლიკობა.
ფულის ერთეული: ლირა, ევრო 2002 წლიდან.

შენიშვნები

კანცლერ მეტერნიხის აზრით, 1789 წლის იატალია "გეოგრაფიულ ცნებას" წარმოადგენდა. საუკუნეების მანძილზე ეს ქვეყანა ევროპული ქვეყნების ინტერესთა შეჯახების ასპარეზი იყო. მის ტერიტორიაზე რესპუბლიკები აყვავდნენ, სამთავროები გაფართოვდნენ, უცხოელთა დინასტიებმა ხანგრძლივი დროით მოიკიდეს ფეხი. აღნიშნულ პერიოდში ვერც პაპობამ და ვერც ერთმა იტალიელმა მთავარმა, გაუთავებელი ტერიტორიული დაყოფის გამო, პოლიტიკურად დასუსტებული ერის გამთლიანება ვერ მოახერხა. ამავე დროს, მისი ცივილიზაცია მთელ ევროპას აღაფრთოვანებდა.

მხოლოდ 1860 წელს მოხერხდა გადამწყვეტი ეტაპის გადალახვა იტალიის გაერთიანების მიმართულებით. სწორედ ამ დროიდან შესაძლებელია მთლიანობაში ამ ქვეყნის ტერიტორიული განვითარების აღწერა. აუცილებელია იმ ქვეყნების ისტორიის შესწავლა, რომლებიც 1860 წლამდე იტალიის შემადგენლობაში შედიოდნენ.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. იტალიის მოკლე ისტორიული ნარკვევი

1. სათავეებიდან დასავლეთ რომის იმპერიის დაცემამდე (476წ.)

ძვ. წ. აღ. II ათასწლეულში იტალიის ნახევარკუნძული ვენედებმა, ოსკებმა, იაპიგებმა, ლათინებმა და სხვ. ინდოევროპული წარმოშობის ხალხებმა დაიპყრეს, რომლებიც უფრო ძველ ხალხებს (ლიგურები) შეუერთდნენ. VIII საუკუნეში ამ ტერიტორიის ჩრდილოეთით კელტები (მომავალში ციზალპური გალეია) დამკვიდრნენ, სამხრეთით, დიდ საბერძნეთსა და სიცილიაზე ბერძნები. ამავე დროს, ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში ეტრუსკების ცივილიზაცია გაბრწყინდა, რომელმაც სამი საუკუნე იარსება და დიდი გავლენა იქონია პირველ რომზე. ძვ. წ. აღ. 753 წელს ქალაქი რომი დაარსდა. თავდაპირველად ქალაქი მეფის ძალაუფლებას ემორჩილებოდა, შემდეგ კი ის რესპუბლიკად ჩამოყალიბდა (509წ.) მან შეძლო ეტრუსკების მეურვეობისგან თავის დაღწევა და მთელი იტალიის დაპყრობა (338-270წწ.) რუბიკონიდან სიცილიამდე; შემდგომში ხელთ იგდო სიცილია (241წ.), სარდინია და კორსიკა (237წ.), საბოლოოდ კი ციზალპური გალეია (222წ.). ამ დროიდან, რომის ძალაუფლებას მთელი იტალიის ნახევარკუნძული დაექვემდებარა ალპებამდე.

რომის ძალაუფლება იზრდებოდა და ორი საუკუნის განმავლობაში მან ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების დაპყრობა შესძლო.

რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, რომის იტალია ქალაქებად დაყოფის ძველ სტრუქტურას ინარჩუნებდა. თითოეული ქალაქი რომის მეურვეობას ექვემ-

დებარებოდა. როდესაც ავგუსტუსმა (ძვ. წ. აღ. 27 წელსა და ჩვ. წ. აღ. 14 წელს) საიმპერატორო რეჟიმი დაამყარა, მან იმპერიის მთლიანი რეორგანიზაცია მოახდინა, კერძოდ კი იტალიის.

აღნიშნული დროიდან, ეს უკანასკნელი საკუთრივ იტალიისა და ციზალპური გალეიისგან შედგებოდა. რომის იმპერიის დანარჩენი ტერიტორიებისგან განსხვავებით, რომელიც პროვინციებად იქნა დაყოფილი, ის 11 რეგიონად დაიყო: I ლაციუმი და კამპანია, II შიდა კამპანია, აპულია და კალაბრია, III ლუკანია და ბრუტიუმი, IV სამნიუმი და საბინა, V პიცენიუმი, VI უმბრია, VII ეტრურია, VIII ციზპადანური გალია, IX ლიგურია, X ვენეცია და ისტრია, XI ტრანსპადანური გალეია. აღნიშნულ ოლქებს გეოგრაფიული მნიშვნელობით კუნძულის ორი პროვინცია დაემატა: ერთი მხრივ, კორსიკა და სარდინია, მეორე მხრივ, კი სიცილია.

ჩვ. წ. აღ. დაახლოებით 300 წელს (დიოკლეტიანეს მმართველობა), იმპერია დიოცეზებად დაიყო, რომლებიც თავის მხრივ პროვინციებად იქნა დაყოფილი: იტალიის დიოცეზი 12 პროვინციისგან შედგებოდა: კორსიკა, სარდინია, სიცილია, ლუკანია-ბრუტიუმი, აპულია-კალაბრია, კამპანია-სამნიუმი, ტუსკანია-უმბრია, ფლამინია, ლიგურია-ემილია, კოტური ალპები, ვენეცია-ისტრია, რეცია (ეს უკანასკნელი ნახევარკუნძულის გარეთ). აღნიშნულს თავად რომის დიოცეზი დაემატა.

იმპერატორ ფეოდოსის გარდაცვალების შემდეგ, ჩვ. წ. აღ. 395 წელს, იტალია დასავლეთის იმპერიის ნაწილი გახდა, რომელშიც პრეფექტურას წარმოადგენდა. პრეფექტურა ორ დიოცეზად იყო დაყოფილი:

– ქალაქ რომის დიოცეზი (10 პროვინცია და ქალაქი რომი): ტუსკანია-უმბრია (ფლორენცია), შვიდ საეპისკოპოსოსთან (რომის მიმდებარე) დაკავშირებული პიცენუმი, ვალერია (რიეტი), სამნიუმი (ბენევენტო), აპულია-კალაბრია (ტარანტო), კამპანია (კაპუა), ლუკანია-ბრუტიუმი (რეჯო), კორსიკა (ალერია), სარდინია (კალიარი), სიცილია (სირაკუზა);

– იტალიის დიოცეზი (7 პროვინცია): I რეცია (კური), II რეცია (აუგსბურგი), ვენეცია-ისტრია (აკუილეია), კოტური ალპები (სუზა), ლიგურია (მილანი), ემილია (პიაჩენცა), ფლამონია –პიცენიუმი (რავენა).

რომის იმპერიის ისტორია (რომელსაც აქ არ განვიხილავთ) ორი ეტაპისგან შედგება: ექსპანსიის ეტაპი, ანტონიანთა დინასტიის მმართველობამდე და დაღმასვლის ეტაპი, რომელიც იმპერიის ცოცხალ ძალთა დაშლასა და ბარბაროსთა ზეწოლას მოჰყვა.

მთელ მსოფლიოში განთქმული რომის ბრწყინვალე იმპერია დასაბამს იტალიიდან იღებს. თავისი მრავალრიცხოვანი ძეგლებით რომი ულამაზეს ქალაქს წარმოადგენდა. ის განუწყვეტლივ იზრდებოდა და ეკონომიკურად ძლიერდებოდა. მისი დაღმასვლა 330 წლიდან დაიწყო, როდესაც კონსტანტინოპოლმა მასთან მეტოქეობა გადაწყვიტა, განსაკუთრებით კი V საუკუნეში, მაშინ როდესაც დასავლეთის იმპერატორებმა რავენა თავის რეზიდენციად აქციეს.

აღსანიშნავია, რომ ნმინდა პეტრე თავისი მიმდევრებით და პაპები სწორედ რომში მოღვაწეობდნენ. ძალიან მალე ქალაქი ქრისტიანული ეკლესიის სასიცოცხლო ცენტრად იქცა. თავდაპირველად ქრისტიანობა რომის იმპერიაში გავრცელდა, მოგვიანებით კი მთელ ევროპაში.

იტალიის დანარჩენი ნაწილი, რომელიც რომის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, რომისგან განსხვავებით, ნაკლებად იყო განვითარებული და V საუკუნემდე მშვიდი პროვინციული ცხოვრებით ცხოვრობდა. აღნიშნულ ეპოქაში დასავლეთ რომის პროვინციებს ბარბაროსები შეესივნენ. იტალია ვესტგუთებმა და ვანდალებმა დაარბიეს, მოგვიანებით კი სკირებმა, რომელთა მეთაურმა ოდოაკრმა იტალია დაიპყრო და 476 წელს საბოლოოდ დაამხო დასავლეთ რომის იმპერია.

2. 476 წლიდან ახალი იტალიის სახელმწიფოთა აღმოცენებამდე (XIVს.)

თავდაპირველად, აღმოსავლეთის იმპერატორის სიუზერენობისგან შორს მყოფმა რავენაში დამკვიდრებულმა ოდოაკრმა იტალიის ერთიანობის შენარჩუ-

ნება მოახერხა, მაგრამ მალე ქვეყანა ოსტგუთებმა დაიპყრეს. ოდოაკრის მოკვლის შემდეგ, ოსტგუთების მეთაურმა თეოდორიხმა თავი მეფედ გამოაცხადა. მან სამეფოს დედაქალაქი პავიაში გადაიტანა.

თუმცა თეოდორიხისა და მისი მემკვიდრეების ბატონობამ მხოლოდ ნახევარი საუკუნე გასტანა. აღმოსავლეთის იმპერატორმა იუსტინიანემ ძველი რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილის დაბრუნება გადაწყვიტა. ამ მიზნის მისაღწევად იტალიაში მას ოცი წელი დასჭირდა (534-554წწ.). იტალია ბიზანტიის იმპერატორის პროვინცია გახდა, რომელსაც რავენაში მყოფი იმპერატორის წარმომადგენელი, ეგზარქოსი განაგებდა.

სულ მალე ბიზანტია ახალი დამპყრობლების, ლანგობარდების პირისპირ აღმოჩნდა, რომლებიც იტალიაში 568 წელს შეიჭრნენ და ცოტა ხანში პოს დაბლობი, ტუსკანია და იტალიის ცენტრალური და სამხრეთი ნაწილები დაიპყრეს, რომელიც სპოლეტოსა და ბენევენტოს ორ ლანგობარდულ საჰერცოგოდ გადაიქცა. ორივე საჰერცოგო ლანგობარდიის ვასალი იყო.

VII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიელებმა მხოლოდ ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე რავენის ოლქი (საეგზარქოსო, რომელსაც შემდგომში რომანია, "რომაელთა ქვეყანა" ეწოდა), ვენეციის, ლიგურიის სანაპიროები (რომელიც VIII საუკუნეში დაკარგეს), რომის მიმდებარე ოლქი (რომის საჰერცოგო, რომელშიც ლაციუმი, საბინა და უმბრიისა და ეტრურიის ნაწილები შედიოდა), ნეაპოლი, აპულია, კალაბრია, სიცილია, სარდინია და კორსიკა შეინარჩუნეს.

რვა საუკუნე-ნახევრის მანძილზე გაერთიანებული იტალია ორ, ლომბარდიულ და ბიზანტიურ ბლოკად დაიყო. პოლიტიკურმა დაქუცმაცებამ, რომელიც დროთა განმავლობაში მატულობდა, დაახლოებით ცამეტი საუკუნე გასტანა და იტალია მხოლოდ გეოგრაფიულ და კულტურულ ტერმინად აქცია.

ამგვარი ვითარება VIII საუკუნის შუა წლებამდე გაგრძელდა; ლანგობარდებმა, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე წინააღმდეგობას უწევდნენ რომაულ გავლენას, VIII საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობა მიიღეს და რომაული წეს-ჩვეულებები შეისისხლხორცეს. 730 წელს რომაელებმა ბიზანტიის მეურვეობის შერყევა შეძლეს და თავიანთი პაპი რომის ჰერცოგი გახადეს, რომელიც თეორიულად იმპერატორის ვასალად რჩებოდა.

751 წელს, როდესაც ლანგობარდებმა რავენა დაიპყრეს, პაპმა საშველად ფრანკებს მოუხმო. 756 წელს ლანგობარდების დამარცხების შემდეგ, ფრანკების წინამძღოლმა პიპინ მოკლემ დაპყრობილი სამფლობელოები დაიბრუნა (რავენას საეგზარქოსო და იტალიის პენტაპოლისი) და ისინი პაპს გადასცა. პიპინ მოკლეს დახმარებით, პაპი რომისა და რავენის მბრძანებელი გახდა და ბიზანტიის მეურვეობისგან განთავისუფლდა.

774 წელს პიპინ მოკლეს ვაჟმა, კარლოს დიდმა ლანგობარდები დაამარცხა და მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორია თავის იმპერიას შეუერთა. იტალია სამ სუვერენს შორის იქნა დაყოფილი:

– კარლოს დიდის მფლობელობაში ლომბარდია და სპოლეტოს საჰერცოგო გადავიდა, რომლებიც ამიერიდან **იტალიის სამეფოდ** ჩამოყალიბდა. მისი სიუზერენობა ასევე ბენევენტოს ლომბარდიულ საჰერცოგოზეც ვრცელდებოდა;

– პაპს რომის საჰერცოგო, რავენა და პენტაპოლისი გადაეცა და ასევე კარლოს დიდის მიერ ნაბოძები მიწები (ფერარა, ბოლონია, გროსეტო, ორვიეტო);

– ბიზანტიის იმპერატორის მფლობელობაში ვენეციის, ნეაპოლისა და ასევე ლანგობარდიის (აპულია), კალაბრიის, სიცილიისა და სარდინიის პროვინციები შევიდა.

იტალიის სამ ნაწილად დაყოფამ საუკუნეები გასტანა: ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილი, რომელთაც პაპის ოლქი ყოფდა, სხვადასხვაგვარად განვითარდა.

ა) ჩრდილოეთი იტალია

ვერდენის შეთანხმების თანახმად, იტალიის სამეფო იმპერატორ ლოთარისთვის მიკუთვნებულ ნაწილში შევიდა, შემდგომში კი გერმანიის სამეფოს დაქვემ-

დებარებაში გადავიდა. ამასთანავე, ქვეყანაში ფეოდალური დაქუცმაცების პროცესი დაიწყო.

აღნიშნულ ეპოქაში გერმანიაში ოტოანთა ახალი დინასტია დამკვიდრდა. 951 წელს ოტონ I იტალიის მეფე გახდა, ანუ ნახევარკუნძულის ყოფილი კაროლინგების დინასტიის ნაწილისა, პაპის ოლქის სამხრეთი სამფლობელოების (კვლავ ლომბარდიისა თუ ბიზანტიის მფლობელობაში მყოფი) და არაბთა მიერ დაპყრობილი სიცილიის გამოკლებით. 962 წელს ოტონ I იმპერატორად აკურთხეს რომში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში იგი გერმანიასა და ჩრდილოეთ იტალიაზე ბატონობდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი "საღვთო რომის იმპერიის" ფარგლებში.

ამასთანავე, იტალიისაგან შორს მყოფი იმპერატორების ბატონობა ხშირად თეორიულ ხასიათს ატარებდა, რამაც შემდგომ საუკუნეებში ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი ქალაქების ავტონომიას შეუწყო ხელი. პაპობა ხშირად უჭერდა მხარს ქალაქების ბრძოლას იმპერატორთა ბატონობის წინააღმდეგ. იტალიის ჩრდილოეთში დამკვიდრებული პაპები იმპერატორთა მეტოქეებად გამოდიოდნენ, რისი მიზეზიც მათ შორის არსებული ხანგრძლივი კონფლიქტი იყო ქრისტიანულ სამყაროზე პირველობასთან დაკავშირებით.

– იმპერატორები, რომლებიც თავს კარლოს დიდის მემკვიდრეებად თვლიდნენ, აღიარებდნენ პაპობის სულიერ უზენაესობას, მაგრამ მიიჩნევდნენ, რომ უპირატესობა ჰქონდათ ქრისტიანულ მიწებზე, პაპობისთვის კანონიერად გადაცემული მიწების ჩათვლითაც.

– პაპებს, ქრისტიანთა წინამძღოლების სახელით, მიაჩნდათ, რომ ყველა საერო სიუზერენს, მათ შორის იმპერატორებსაც, ძალაუფლება ღმერთისგან ჰქონდათ ნაბოძები და ამიტომაც, ისინი პაპობას უნდა დამორჩილებოდნენ.

აღნიშნულ დროს პირველი ავტონომიური საზღვაო ქალაქები დაფუძნდა: ვენეცია და ამალფი, პიზა და გენუა. XII საუკუნის შუა წლებში ამალფიმ პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა, მოგვიანებით კი (XIII ს.) იგივე ბედი პიზას ენია, ვიდრე 1406 წელს მას ფლორენცია დაამარცხებდა. სამაგიეროდ, გენუასა და ვენეციას ბრნყინვალე მომავალი ელოდა.

IX საუკუნის დასაწყისში ლაგუნის კუნძულებზე მდებარე ვენეცია 912 წელს ბიზანტიის ბატონობისგან გათავისუფლდა, შემდგომში კი, დაახლოებით 1000 წელს მან დასავლეთის იმპერიის უღელიც მოიშორა. XI საუკუნეში ვენეციამ ხმელთაშუა ზღვაზე საზღვაო იმპერია შექმნა (დალმაციის კუნძულები და ისტრიის სანაპირო) აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მყარი სავაჭრო საფუძვლის შესაქმნელად. დროთა განმავლობაში იქ ისეთი ინსტიტუტები ჩამოყალიბდა, რომლებიც მის რესპუბლიკად გადაქცევას უწყობდა ხელს (დოჟი, დიდი საბჭო, ათთა საბჭო). IV ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგად ვენეციამ ზადარი, რაგუზა (სლოვ. კრაინა), კორფუ, სეფალონია და ზანტე, მოდონი და კორონი, კრეტოსი (ჰერაკლიონი), ევბეა (ნეგრეპონტი), ნაქსოსის საჰერცოგო (კიკლადები), ლემნოსი, გალიპოლი და კონსტანტინოპოლის "ერთი მეოთხედი და ნახევარი" დაიპყრო. მიუხედავად ტერიტორიების დაკარგვისა, რაც კონსტანტინოპოლის ლათინური იმპერიის დაცემას მოჰყვა შედეგად, ვენეცია თავისი პირველხარისხოვანი სამხედრო და სავაჭრო ფლოტით დიდი ხნის მანძილზე მყარ პოზიციებს ინარჩუნებდა და ანგარიშგასაწევი სახელმწიფო იყო ხმელთაშუა ზღვის რეგიონში.

ვენეციაზე მოგვიანებით, XI საუკუნის მიწურულს გენუა, რომელიც იტალიის სამეფოს ნაწილად რჩებოდა, კომუნად ჩამოყალიბდა. მომდევნო საუკუნეში მან ლიგურიის სანაპირო დაიპყრო (რომელიც ათი საუკუნის მანძილზე შეინარჩუნა) და პიზასთან ერთად კორსიკასა და სარდინიაზე ბატონობდა, ვიდრე XIII საუკუნის მიწურულს პიზა არ ჩამოიშორა. გენუა, რომელიც ვენეციის მეტოქედ ითვლებოდა და IV ჯვაროსნული ომის შედეგად პოზიციები შერყეული ჰქონდა, კვლავ გაძლიერდა ბერძნების კონსტანტინოპოლში დაბრუნების შედეგად, რომელთა მოკავშირედაც ის ითვლებოდა. 1297-1320 წლებში გენუამ არაგონი სარდინიას დაუთმო და საბოლოოდ ვერ დაამარცხა ვენეცია ჩიოჯას ომის დროს (1378-138166.), რასაც შემდგომში, მისი დაღმასვლა მოჰყვა.

იტალიის სამეფოსა და პაპის ოლქში, ვენეციისა და გენუის გამოკლებით, იმპერატორისა (იტალიის მეფე) და მსხვილ ფეოდალთა მეურვეობისგან განთავისუფლების პროცესი დაიწყო. ამ უკანასკნელებმა ხელთ იგდეს დიდი სამფლობელოები (ივრეის, სუზას, სალუციოს, მონფერატოს, ვერონის მარკიზები, სპოლეტოს ჰერცოგი). XI საუკუნის შუა წლებში ბენევენტოს საჰერცოგო ნორმანდიელებმა დაიპყრეს.

1052 წელს პაპების მიერ აღზრდილი (იგი ექვსი წლის იყო) გრაფი მატილდა, ტოსკანის უკანასკნელი მარკიზი გახდა. დროთა განმავლობაში ტოსკანა გაიზარდა და მას კრემონა, მანტუა, ფერარა, მოდენა და რეჯო შეუერთდა. 1077 წელს მატილდამ პაპი თავის მემკვიდრედ გამოაცხადა, მაგრამ იმპერატორებმა სადავო გახადეს ეს ანდერძი, რასაც მარკიზას გარდაცვალების შემდეგ (1115წ.), შედეგად ტოსკანისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი მიწების გათავისუფლება მოჰყვა.

XII საუკუნის დასაწყისში ბევრმა ქალაქმა კომუნის სტატუსი მოიპოვა: მილანი, კომო, პავია, ტურინი, ბრეშია, ლოდი, კრემა, კრემონა, პიაჩენცა, ვერონა, პადუა, ბოლონია, ლუკა, პიზა, ფლორენცია, ანკონა, პერუჯა, ორვიეტო, ვიტერბო და რომი.

დროთა განმავლობაში ამ კომუნებმა ფეოდალური ძალაუფლების საზიანოდ, მათ გარშემო მდებარე სოფლები შემოიერთეს. მდიდარი სამრეწველო კორპორაციების მქონე კომუნები ოლიგარქიული ინსტიტუტებითა და ჯარითაც კი აღიჭურვნენ, რაც მათ ერთმანეთის წინააღმდეგ ომის ნარმოების საშუალებას აძლევდა. ქალაქ-კომუნების არსებობა პაპსა და იმპერატორს შორის განსაკუთრებულ მეტოქეობას ინვევდა და ხშირად, ეს კომუნების მხრიდან ერთის ან მეორის მხარდაჭერით სრულდებოდა: XII საუკუნეში, ზოგიერთმა პაპის მომხრე ქალაქ-კომუნამ თავი გველფებად (მილანი, გენუა, ფლორენცია), იმპერატორის მომხრეებმა კი გიბელინებად (პიზა, სიენა) გამოაცხადეს.

XI საუკუნის მიწურულს საეოიის გრაფთა სახლმა მემკვიდრეობის პრეტენზიით, იტალიაში მოიკიდა ფეხი. მან პიემონტის ნაწილი დაიპყრო, რომელიც საბოლოოდ მხოლოდ XV საუკუნეში იქნა შემოერთებული.

ბ) იტალიის სამხრეთი

აღნიშნულ დროს ნახევარკუნძულს არაბები დაესხნენ თავს და X საუკუნის დასაწყისში სიცილია დაიპყრეს. XI საუკუნეში ნორმანდიელი დაქირავებული ჯარისკაცები იტალიის სამხრეთში ლანგობარდებისა (ბენევენტო) და ბიზანტიელების სამსახურში დადგნენ პაპობის დახმარებით, რომლის ვასალობა მათ აღიარეს. ნორმანდიელებმა კამპანია, ბენევენტო, აპულია და კალაბრია დაიპყრეს. 1077 წელს ნორმანებმა პაპებს ქალაქი ბენევენტო გადასცეს, რომელიც ამიერიდან პაპის ანკლავს წარმოადგენდა მათ სამფლობელოში.

საუკუნის მიწურულს სიცილია არაბებისგან განთავისუფლდა. XIII საუკუნის დასაწყისში მთელი ტერიტორია კვლავ გაერთიანდა **სიცილიის სამეფოს სახელით**, რომლის დედაქალაქიც პალერმო გახდა. ამ სამეფოს შემადგენლობაში სიცილია, კალაბრია, აპულია და კამპანია (ნეაპოლი) შევიდა. 1130 წელს მისი ახალი მეფე როჯერო II ტახტზე ავიდა პალერმოში. პაპის ვასალი აღნიშნული სამეფო "საღვთო რომის იმპერიის" შემადგენლობაში არ შედიოდა.

XII საუკუნის შუა ხანებში სპოლეტოს საჰერცოგო (აბრუცები), იტალიის სამეფოს უკანასკნელი მცირე ტერიტორია იყო, რომელიც პაპის ოლქის სამხრეთით მდებარეობდა და აგრეთვე სიცილიის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. შეიდი საუკუნის განმავლობაში ეს სამეფო მტკიცე გაერთიანებად ჩამოყალიბდა, რომელიც ამასთანავე, გარკვეული შუალედებით იყოფოდა და ერთიანდებოდა თავის კონტინენტურ და კუნძულის ნაწილებს შორის.

1194 წელს იმპერატორი ჰენრიხ VI, რომელმაც როჯერო II-ის ქალიშვილი მოიყვანა ცოლად, სიცილიის მეფე გახდა. სამეფო ჰოჰენშტაუფენთა გერმანული სახლის ხელში გადავიდა, იმპერატორ ფრიდრიხ II-ის გარდაცვალებამდე (1250წ.). 1258 წელს სამეფო გვირგვინს ფრიდრიხ II-ის უკანონო ვაჟი, მანფრედი დაეპატრონა, მაგრამ პაპმა 1265 წელს სამეფო საფრანგეთის მეფის, წმინდა ლუის ძმას, შარლ ანჟუელს გადასცა. 1265 წელს შარლ I-მა (ანჟუს) მანფრედი დაამარცხა

და მისი სამეფო იგდო ხელთ, რომლის დედაქალაქიც ნეაპოლში გადაიტანა. 1282 წელს ფრანგები განადგურებულ იქნენ პალერმოში ("სიცილიის მწუხრი") და სიცილიამ სამეფო გვირგვინი მანფრედის სიძესა და არაგონის მეფის ვაჟს, პედრო I-ს გადასცა. ეს გახდა ხანგრძლივი ბრძოლის დასაწყისი. პირველ ხანებში, ანჟუელები კონტინენტურ ნაწილს ინარჩუნებდნენ, არაგონელები კი კუნძულისას.

1297 წელს პაპმა, არაგონელთა მიერ სიცილიის დატოვების იმედით, ამ უკანასკნელთ გენუის მფლობელობაში მყოფი სარდინია გადასცა. მაგრამ არაგონელებმა ჩაშალეს ეს ზრახვები, შეინარჩუნეს სიცილია და 1320 წელს სარდინიასაც დაეპატრონენ.

3. პრინციპატების ხანა (XIV-XVსს.)

XIV საუკუნე იტალიისთვის ახალი ხანის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს. გერმანელმა იმპერატორებმა ნახევარკუნძულის მიმართ ინტერესი დაკარგეს, შესუსტდა ავინიონში გადასახლებული პაპების გავლენა. ჩრდილოეთ იტალიის ბევრი ქალაქი თავისი ფინანსური (ბანკები) სიმდიდრით, ხელოსნობის განვითარებითა და ხელოვნების დარგში მოპოვებული მიღწევებით უდავო გავლენას ახდენდა ევროპის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე.

ა) იტალიის ჩრდილოეთი

ჩრდილოეთ იტალიის ქალაქების ეკონომიკურ განვითარებას თან ახლდა მათი პოლიტიკური აქტიურობაც. მათ ხელში იყო ინსტიტუტები და ჯარი, რაც ქალაქებს ნამდვილ პატარა სახელმწიფოებად, არისტოკრატიულ რესპუბლიკებად აქცევდა. რეალურად მთელი ძალაუფლება რამდენიმე პატრიციული ოჯახის ხელში იყო თავმოყრილი. ისინი ტოლს არ უდებდნენ უკანასკნელ სენიორულ სახელმწიფოებს (საოია, სალუცო, მონფერატო, აკუილეას საპატრიარქო, ტრენტოს საეპისკოპოსო და სხვ.) და საკუთარი ამბიციები ჰქონდათ. ზოგიერთი მათგანი ექსპანსიონისტურ პოლიტიკასაც კი ატარებდა.

XIV საუკუნეში თითოეული ქალაქის შიგნით არსებული მძაფრი მეტოქეობა ზოგიერთ რესპუბლიკაში ერთი ოჯახის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებით დასრულდა, რომელიც ქალაქის ინსტიტუტებს აკონტროლებდა. ამ რეჟიმს "სენიორიის" რეჟიმი ენოდა.

ამგვარად, ვერონაში სკალიარებმა, პადუაში კარარებმა, ფერარაში, მოდენასა და რეჯოში ესტებმა, ბოლონიაში ბენტივოლიოებმა, მანტუაში გონზაგებმა, გუასტალაში ტორელებმა, მირანდოლაში პიკებმა, პარმაში კორეჯოებმა, მონაკოში გრიმალდებმა, რავენაში და პოლენტებმა, ფლორენციაში მანფრედებმა, ფორლიში ორდელაფიებმა, ურბინოში მონტეფელტრებმა, რიმინიში მალატესტებმა, არეცოში ტარლატებმა, პერუჯაში ბალიონებმა, პიომბინოში აპიანებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება.

მოგვიანებით, "სენიორია" ყიდვის ან ბოძების საფუძველზე მემკვიდრეობითი სამთავრო გახდა.

ამის საპირისპიროდ, სხვა ქალაქები არსებობას პლურალისტული მმართველობის ქვეშ აგრძელებდნენ. სენიორიის რეჟიმი მხოლოდ მოგვიანებით გაჩნდა (მილანი, ფლორენცია), ზოგან კი არასოდეს დამკვიდრებულა (ვენეცია, გენუა, ლუკა).

მილანი

ოდესღაც გველფების პარტიის ბასტიონად ცნობილი ქალაქი (XIსს. მინურულს იქ ლომბარდიის ლიგა შეიქმნა და ფრიდრიხ ბარბაროსას წინააღმდეგ იარაღი აიღო ხელში), რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გახლეჩილი იყო გველფებსა (დელა ტორები) და გიბელინებს (ვისკონტები) შორის არსებული მეტოქეობით, 1311 წელს ვისკონტების საგვარეულოს ხელში გადავიდა.

ეს უკანასკნელნი დაპყრობით პოლიტიკას ატარებდნენ, რამაც ისინი ერთი საუკუნის განმავლობაში ჩრდილოეთ იტალიის შთამბეჭდავი ტერიტორიების მფლობელები გახადა: ნავარა, ვერჩელი, ასტი, ტორტონა, ბობიო, პიაჩენცა, პარმა, კრემონა, კრემა და გარკვეული დროიით ბერგამო, ბრეშია, ვიჩენცა, ვერონა,

პადუა, ფელტრე აღმოსავლეთით, სამხრეთით კი ლუკა, პიზა და სიენა. 1395 წელს იოანე გალეას ვისკონტიმ, იმპერატორ ვიანსესლას IV-გან მილანის ჰერცოგის მემკვიდრეობითი ტიტული შეიძინა.

ქალაქის სწრაფმა ზრდამ ვენეციისა და ფლორენციის შეშფოთება გამოიწვია. ვენეციამ კონტინენტური ომების შედეგად, მილანს ბერგამოსა და ფელტრეს დაპყრობილი ტერიტორიები დააკარგინა (1404-1428წწ.), ფლორენციას კი პიზა (1406წ.) ამ უკანასკნელის ახლიდან შეძენით. ამავე დროს, ლუკამ და სიენამ კვლავ დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი მოიპოვეს.

1405 წელს ძალაუფება ფრანჩესკო სფორცას, ვისკონტების სახლის უკანასკნელი ჰერცოგის სიძის (რომელმაც 1454 წელს ლოდის სამშვიდობო ხელშეკრულებას მოანერა ხელი), შემდეგ კი მისი შთამომავლების ხელში გადავიდა. მიუხედავად ტერიტორიების შემცირებისა, მილანის საჰერცოგო ჩრდილოეთ იტალიის ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ რჩებოდა და საუკუნის დასასრულამდე მშვიდობიანად არსებობდა, ვიდრე მის ტერიტორიაზე საფრანგეთის ჯარები არ შემოიჭრნენ.

ვენეცია

"ბრწყინვალე რესპუბლიკის" პოზიციები იერუსალიმის ფრანკთა სამეფოს საბოლოო დაცემის შემდეგ (1291წ.) შესუსტდა, მაგრამ შემდგომში ის კვლავ გაძლიერდა და გენუასთან მეტოქეობდა, რომელსაც თავად ძლიერი პოზიციები ჰქონდა ბიზანტიის იმპერიაში. ამაკენ დროის, ის აფართოებდა თავის ზღვის იქითა სამფლობელოებს. რაგუზის (დუბროვნიკი) დაკარგვის შემდეგ, რომელიც 1358 წელს უნგრეთის სიუზერენობის ქვეშ მოექცა, მან დურესი დაიპყრო და ერთ ხანს დაკარგული კერკირა დაიბრუნა. ამგვარად, ის მთელი დალმაციის სანაპიროს მბრძანებელი გახდა და თავისი პოზიციები კიკლადებზე (ტინოსი და მიკონოსი) გაამყარა.

ვენეციის არსებობას ჩოჯიას ომი (1378-1381წწ.) დაემუქრა, რომელმაც ის გენუას დაუპირისპირა, მაგრამ ამ ომიდან ის გამარჯვებული გამოვიდა. XV საუკუნის დასაწყისში ვისკონტების ამბიციების საპასუხოდ, ის მილანთან ხანგრძლივ ომში ჩაება და ვისკონტებისგან ფელტრე, ბელუნო, ვიჩენცა, ვერონა და პადუა დაიბრუნა (1404-1405წწ.), შემდგომში ბერგამო და ბრეშია (1428წ.) და ბოლოს კრემა 1454 წელს. ამავე წლის "ლოდის სამშვიდობო ხელშეკრულებამ" ის ძლიერ კონტინენტურ რესპუბლიკად აქცია, რაც დიდ კონტრასტს ქმნიდა მისი, როგორც მრავალსაუკუნოვანი საზღვაო ქალაქის მოწოდებასთან.

ვენეციამ აგრეთვე აკუილეია (1421წ.) და რავენა (1441წ.) დაიპყრო, დაკარგა ნეგრეპონტი (1470წ.), მაგრამ ხელთ იგდო კვიპროსი, რომელიც მას 1485 წელს ვენეციური წარმომავლობის დედოფლმა კატერინა კორნარომ უანდერძა.

გენუა

გენუის რესპუბლიკამ, რომელმაც ბერძნების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, აღმოსავლეთში კვლავ გაიმაგრა პოზიციები, გააძლიერა საზღვაო ვაჭრობა და ხიოსზე, სამოსზე, გალატაზე (კონსტანტინოპოლის უბანი) და ყირიმის სანაპიროზე დამკვიდრდა. მან ვენეციის დამარცხება გადაწყვიტა და ამ უკანასკნელთან დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღა, რასაც კინაღამ ვენეციის განადგურება მოჰყვა ჩოჯიას ომის დროს. ვენეციის საბოლოო გამარჯვებამ, შემდგომში კი თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ (1453წ.), გენუის პოზიციები ძალზე შეარყია და მისი დაღმასვლა გამოიწვია.

ფლორენცია

მდინარე არნოს ნაპირზე მდებარე ქალაქი, რომლის რესპუბლიკური ინსტიტუტები XII საუკუნით თარიღდება და რომელმაც აგრეთვე ძალიან ადრე გაითქვა სახელი ლიტერატურასა და ხელოვნებაში, დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვა ფრაქციების შეჯახების ადგილი იყო: თავდაპირველად, გიბელინები და გველფები, ეს უკანასკნელნი გიბელინებს ხშირად ამარცხებდნენ, შემდგომში კი ბურჟუაზია და ხალხი (1378 წლის ჩომპების აჯანყება) და ბოლოს, თავად ბურჟუაზიის ნრეშიც, რამაც ძალაუფლების ერთი საგვარეულოს ხელში გადასვლას შეუწყო ხელი,

თავდაპირველად ალბიძები, შემდეგ კი დიდი ხნის მანძილზე (1434 წლიდან) მედიჩები, რომელთა ბატონობის შენაცვლება მხოლოდ ორჯერ მოხდა: 1494-1512 წლებსა (სავონაროლა) და 1527-1530 წლებში.

XIV და XV საუკუნეებში ფლორენციამ თავისი ტერიტორია საგრძნობლად გააფართოვა და ტოსკანაში დომინანტური სახელმწიფო გახდა: პისტოია (1329წ.), ვოლტერა (1361წ.), არეცო (1384წ.), პიზა (1406წ.), რომელიც ვისკონტებს ჩამოართვა, კორტონა (1411წ.), ლივორნო (1421წ.), რომელიც გენუისგან შეიძინა.

სავოია

XIV საუკუნეში სავოიის გრაფთა სახლმა პიემონტის უდიდესი ნაწილი დაიპყრო (სალუცოსა და მონფერეტოს სამარკიზოების გარდა), მაგრამ 1418 წლის ხელახლა გაერთიანებამდე, პიემონტის სამთავრო საგვარეულოს უმცროს შთამომავალს ხვდა წილად. ამავე დროს, 1338 წელს ნიცის საგრაფო სავოიის გრაფს ამედე VII-ს გადაეცა. 1416 წელს ამ უკანასკნელის ვაჟი ამედე VIII ჰერცოგი გახდა და სავოია, პიემონტი და ნიცა შემოიერთა. მან აგრეთვე საფრანგეთის მხარისგან ჟენევის საგრაფო შეიძინა და ვერჩელის ანექსია მოახდინა (1427წ.).

თუმცა XV საუკუნის შუა წლებიდან მისი ამბიციური ზრახვები საფრანგეთისა და შვეიცარიის ინტერესებს შეეჯახა, რამაც მას იტალიისკენ შემობრუნება გადაწყვეტინა.

სხვა სახელმწიფოები

ზემოაღნიშნული მზარდი სახელმწიფოების გვერდით ჩრდილოეთ იტალიაში სხვა, უფრო მოკრძალებული ტერიტორიის მქონე სახელმწიფოებიც არსებობდა:

– მონაკოს სამთავრო (იხ. ამ სახელნოდების თავი);

– სალუცოს სამარკიზო (დოფინეს ვასალი), პიემონტის ალპების იტალიურ ფერდობზე;

– მონფერატოს სამარკიზო, დედაქალაქი კაზალი (პიემონტში), რომელიც 1305 წლიდან ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკ პალეოლოგის ვაჟის, თეოდორ პალეოლოგისა და მისი შთამომავლების მფლობელობაში იყო;

– ასტის საგრაფო, რომელიც თავდაპირველად პატარა ქალაქი-რესპუბლიკა იყო. XIV საუკუნეში ის ვისკონტებმა დაიპყრეს, შემდეგ კი ლუი ორლეანელის შეუღლეს ვალენტინას გაატანეს მზითვად. ლუი ორლეანელი საფრანგეთის მეფის შარლ VI-ის ძმა იყო და ამ დროიდან, ეს საგრაფო საფრანგეთის მთავრების მფლობელობაში გადავიდა;

– ფერარასა და მოდენას სენიორიები, სადაც XIII საუკუნიდან ესტეს საგვარეულო სახლი ბატონობდა. 1471 წელს ფერარა საჰერცოგო გახდა, 1453 წელს კი მოდენა;

– მანტუის სენიორია, რომელიც 1308 წელს ბანაკოლზებმა იგდეს ხელთ, 1328 წელს კი მათ გონზაგები შეენაცვლნენ, რომლებიც თავდაპირველად ამ სენიორიას, როგორც მემკვიდრეობითი გენერალური კაპიტნები, ხოლო 1432 წლიდან, როგორც მარკიზები მართავდნენ;

– პიზის რესპუბლიკა, რომელმაც 1284 წლიდან თავისი ძველი საზღვაო პოზიციები დაკარგა, სწრაფად იწყო დაღმასვლა, ვიდრე 1399 წელს ვისკონტების ხელში გადავიდოდა. 1406 წელს ის ხელახლა მიჰყიდეს ფლორენციას და ამ დროიდან, ის მისი შემადგენელი ნაწილი გახდა;

– ლუკას რესპუბლიკა, რომელიც 1335 წლიდან 1370 წლამდე სხვადასხვა მმართველის (დელა სკალა, ფლორენცია, პიზა) ხელში იყო. შემდგომში, 1370 წელს მან თავისუფლება იმპერატორ კარლ IV-გან შეიძინა და კვლავ რესპუბლიკური მმართველობა აღადგინა ოთხი საუკუნის მანძილზე.

– სიენის რესპუბლიკა დიდი ხნის მანძილზე ფლორენციის მეტოქე იყო და 1355 წლამდე ის ოლიგარქიულ ხელისუფლებას ემორჩილებოდა, ვიდრე არასტაბილურობის პერიოდს გაივლიდა, რომელიც 1487 წელს პეტრუჩების საგვარეულოს მიერ ძალუფლების კონფისკაციით დასრულდა;

– მირანდოლას პატარა საგრაფოს, რომელიც ფერარას, ბოლონიას, მოდენასა და მანტუას შორის მდებარეობდა პიკების სახლი მართავდა, რომლის ერთ-ერთმა გრაფმა XIV საუკუნეში სახელი გაითქვა, როგორც ცნობილმა ჰუმანისტმა;

– მაცასა და კარარას სამარკიზო, რომელიც მალასპინას ოჯახის კუთვნილება იყო;

– პიომბინოს სენიორია ელბის კუნძულით, რომელიც თავდაპირველად პიზის რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, 1399 წლიდან კი პიზის უკანასკნელ ბატონებს აპიანებს ეკუთვნოდა, ვიდრე ის ვისკონტებს არ დაუთმეს. აპიანებმა თავისთვის პიომბინო და ელბის კუნძული დაიტოვეს.

ბ) იტალიის სამხრეთი

აღნიშნულ პერიოდში იტალიის სამხრეთში ანჟუელებსა და არაგონელებს შორის ბრძოლა გრძელდებოდა. ეს უკანასკნელნი სიცილიას განაგებდნენ და 1320 წელს სარდინია დაიპყრეს. არაგონელებს აჯანყებების ჩახშობა მოუხდათ, როგორც სარდინიაზე, ასევე სიცილიაზე, მაგრამ XV საუკუნის დასაწყისში მათ ორივე კუნძულის გაკონტროლება შეძლეს.

რაც შეეხება კონტინენტს, ანჟუელები კვლავ ბატონობდნენ ნეაპოლში. დედოფალ ჟანას (1343-1382წწ.) სამეფო გვირგვინი ბევრისთვის სასურველი გახდა, რასაც დიდი პერიპეტია მოჰვა, ვიდრე არაგონისა და სიცილიის მეფემ ალფონსო IV დიდმა 1442 წელს ნეაპოლიტანური ნაწილი არ დაიპყრო. მან ორივე ნაწილი გააერთიანა (ნეაპოლი და სიცილია), რომელსაც ორივე სიცილიის სამეფო ეწოდა. 1495 წელს, შემდეგ კი 1501 წელს ანჟუელთა უფლებების განმტკიცებით, საფრანგეთის მეფე შარლ VIII-მ, შემდეგ კი ლუი XII-მ, გარკვეული დროით ორჯერ დაიპყრეს ნეაპოლის სამეფო. მაგრამ 1504 წელს ნეაპოლი და სიცილია საბოლოოდ ჩამოცილდა არაგონს და სამი საუკუნის მანძილზე ესპანეთის გავლენის სფეროში მოექცა.

4. ესპანეთის ბატონობა იტალიაში (XVI-XVII სს.)

XVI საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის მეფეები კიდევ ერთხელ შეეცადნენ იტალიის ზოგიერთი ნაწილზე საკუთარი უფლებები წარდგენათ. ესპანეთმა, რომელიც ინტერესთა ამ შეჯახებიდან გამარჯვებული გამოვიდა, თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში პირველობა დაიმკვიდრა იტალიის ნახევარკუნძულზე. ის პირდაპირ მართავდა ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილს (1535 წლიდან მილანის საგრაფოსაც). გამომდინარე იქიდან, რომ ესპანეთს პირველობა ჰქონდა ევროპის საქმეების გადაწყვეტაში, ის ჩრდილოეთ იტალიის სახელმწიფოებზეც ახდენდა გავლენას, მით უფრო, რომ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ამ სახელმწიფოებს ესპანეთთან მეტოქეობა არ შეეძლოთ.

ა) მილანი

მილანის საპერცოგოს შემადგენლობაში, რომელიც ლომბარდიის ცენტრალურ ნაწილზე იყო გადაშლილი პარმა, პიაჩენცა, ტორტონა, ტეჩინო და ვალტელინა შედიოდა. იქ განუყოფლად ბატონობდა სფორცების საგვარეულო, ვიდრე 1499 წელს ის ნეაპოლის სამეფოს დასალაშქრად წასულმა საფრანგეთის მეფემ, ლუი XII-მ არ დაიპყრო. მას ამ საპერცოგოზე პრეტენზიები ჰქონდა, როგორც ვალენტინა ვისკონტის შვილიშვილს.

თოთხმეტი წლის ასაკში მეფე მილანის ჰერცოგი გახდა (1499 წლიდან 1501 წლამდე), რასაც შვეიცარიელებისა და იტალიის სხვადასხვა სახელმწიფოთა მხრიდან მის წინააღმდეგ კოალიციის შექმნა მოჰყვა. 1513 წელს შვეიცარიელებმა იგი მილანიდან განდევნეს და მაქსიმილიან სფორცა აღადგინეს. 1515 წელს საფრანგეთის ახალმა მეფემ, ფრანსუა I-მა შვეიცარიელები მარინიანთან დაამარცხა და მილანის საპერცოგო დაიბრუნა, რაც პავიის დაცემამდე (1525წ.) გაგრძელდა, სადაც იგი დამარცხებული იქნა და კარლ მეხუთის ტყვეობაში მოექცა. ფრანსუა I-მა საბოლოოდ დაკარგა საპერცოგო და ის სფორცებს დაუბრუნდა.

ამავე დროს, მილანის საპერცოგო საგრძნობლად დასუსტდა. 1512-1513 წლებში საფრანგეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფმა შვეიცარიელებმა ტიჩინო

და ვალე-ოცოლა, ხოლო გრაუბიუნდენმა (კანტონი) ჩიავენა, ბორმიო და ვალტელინა დაიპყრეს. შემდგომში, 1530 წელს კარლ მეხუთემ პაპის ოლქის მმართველობა პარმაზე და პიაჩენცაზე აღადგინა. აღნიშნული ქალაქები პაპის ოლქს პირველად 1511 წელს გადაეცა, მაგრამ 1515 წელს ფრანჩესკო I-მა ორივე უკან დაიბრუნა.

1535 წელს სფორცების საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი, ფრანჩესკო II მემკვიდრის გარეშე გარდაიცვალა და საჰერცოგოს კარლ მეხუთე დაეპატრონა, რომელიც მისი სიუზერენი იყო, როგორც იმპერატორი და 1540 წელს ის თავის ვაჟიშვილს, ფილიპეს გადასცა. 1539 წელს მილანის საჰერცოგოს დაქვემდებარებაში მყოფი გუასტალას პატარა საგრაფო მანტუის ჰერცოგებმა შეიძინეს. ორი საუკუნის მანძილზე მილანის საჰერცოგო ესპანეთის ხელში იმყოფებოდა, რამაც მას პოზიციები გაუმყარა ჩრდილოეთი იტალიის ცენტრალურ ნაწილში.

ბ) სავოია

ალპური ქედის ორივე მხარეს მდებარე სავოიის სახლის სახელმწიფოები (მის ჰერცოგებს "ალპების კარისკაცებს" უნოდებდნენ), როგორც დასავლეთით, ასევე ჩრდილოეთით საფრანგეთისა და შვეიცარიის ექსპანსიონისტურ ზრახვებს შეეჯახა. მან დათმო ქვემო ვალე (1475წ.), ჟენევა (1524წ.), აღმოსავლეთი შაბლე (1564წ.), ბრესი, ბუჟეი, ვალრომეი, გექსი და შატო-დოფინი (1601წ.). სამაგიეროდ, მან დაიპყრო ასტის საგრაფოს აღმოსავლეთი ფერდობი (1529წ.), სალუცოს სამარკიზო (1588წ., დამტკიცებული იქნა 1601წ.), მონფერეტოს საჰერცოგოს ჩრდილოეთი ნაწილი (1631წ.) და ხელახლა ხელთ იგდო პინეროლი (1696წ.), რომელიც 1631 წელს მან საფრანგეთს დაუთმო.

სავოიის სახლის სახელმწიფოთა მიზიდულობის ცენტრი ყოველთვის იტალიისკენ იხრებოდა, სადაც მისი ჰერცოგების თვალთახედვით (მომავალმა ეს დაადასტურა) ექსპანსიის საუკეთესო შანსები არსებობდა. ამის გარდა, თავად სავოია მონყვლადი ტერიტორია იყო, რომლის დაპყრობაც საფრანგეთის მეფეებს (რასაც აკეთებდნენ კიდეც) ყოველთვის შეეძლოთ. სნორედ აქედან გამომდინარე, ჰერცოგებმა საზეიმოდ გადაიტანეს დედაქალაქი შამბერიდან ტურინში (გარდამოხსნა, სავოიის სახლის კარი და ცენტრალური ორგანოები).

ჰერცოგები, რომლებიც იტალიური კულტურის გავლენის ქვეშ ექცეოდნენ, ამავე დროს, ფრანგული კულტურის დიდ გავლენასაც განიცდიდნენ. სამი საუკუნის მანძილზე ისინი საფრანგეთსა და ესპანეთს შორის განონასწორების პოლიტიკას ატარებდნენ, რაც მათთვის განსაკუთრებით მომგებიანი აღმოჩნდა.

გ) ვენეცია და გენუა

1492 წლიდან ახალი მსოფლიოს აღმოჩენამ ხანგრძლივი დროით გეზი შეუცვალა საზღვაო ვაჭრობის ძირითად მიმართულებებს, რასაც ვენეციის კეთილდღეობის დაღმასვლა მოჰყვა. ამასთანავე, ის მაინც ზღვისიქითა ძლიერ იმპერიად რჩებოდა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ისტრია, დალმაცია, ვენეციის ალბანეთი (კოტორი), იონიის კუნძულები მიუხედავად იმისა, რომ თურქებმა მოდონი და კორონი იგდეს ხელთ ("ვენეციის გუგები"). ვენეციის მფლობელობაში ასევე გადავიდა ნავარენი (1500წ), ნოფლი და მალვუაზი (1540წ), ნაქსოსის საჰერცოგო (1566წ.), კვიპროსი (1571წ.) და ჰერაკლიონი (კრეტა) (1669წ.). ავსტრიის მოკავშირე ვენეციამ 1699 წელს მორეს (პელოპონესი) დაპყრობაც კი შეძლო, რომელიც 1685 წლიდან იყო ოკუპირებული და ის 1715-1718 წლებამდე შეინარჩუნა.

იტალიის ნახევარკუნძულზე ვენეციის რესპუბლიკა ჩრდილოეთის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო იყო და პოზიციები ეკავა ადადან იზონცომდე, რავენის გამოკლებით, რომელიც 1530 წელს მან პაპის ოლქს გადასცა. ვენეციამ, რომელიც იტალიის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა, თავისი ძლიერებითა და საფრანგეთის მხარდაჭერით, შედარებითი დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეძლო ესპანეთისა და პაპის ოლქის პირისპირ.

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, გენუის რესპუბლიკამ, რომელმაც კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილზე თავისი ოდესღაც ძლიერი პოზიციების დაბრუნების ყოველგვარი იმედი დაკარგა, ესპანეთის პოლიტიკის ბეჯით გამტარებლად იქცა და მას თავისი ბანკების დახმარება შესათავაზა (ამ დროიდან გენუამ ფინანსურ სფეროში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა) და თავისი პორტითაც ესპანეთის მილანის საგრაფოს ეხმარებოდა. მას შემდეგ, რაც გენუამ XV საუკუნის მეორე ნახევარში ყირიმში და კონსტანტინოპოლში თავისი პოზიციები დათმო, 1566 წელს მან ხიოსი თურქებს დაუთმო და ზღვისიქითა ტერიტორიებიდან მხოლოდ კორსიკა და კაპრაიას პატარა კუნძული შემორჩა.

დ) ფლორენცია და სიენა

XVI საუკუნის დასაწყისში ფლორენციამ, რომელმაც 1494 წელს სავანაროლის წაქეზებით მედიჩები განდევნა, რესპუბლიკური რეჟიმი აღადგინა და მეზობელი მილანის საგრაფოს ბრძანებლის, საფრანგეთის მოკავშირე გახდა. მაგრამ 1512 წელს წმინდა ლიგა, რომელსაც პაპი იულიუს II უწყობდა ხელს, ფრანგების წინააღმდეგ გამოვიდა და ფლორენციაში ძალაუფლება მედიჩებს გადასცა. 1527 წლის რევოლუციის დროს მედიჩები მეორედ განდევნეს ფლორენციიდან, მაგრამ 1530 წელს კარლ მეხუთემ კვლავ აღადგინა მათი მმართველობა. მედიჩების ძალაუფლების უკვდავსაყოფად, კარლ მეხუთემ 1531 წელს რესპუბლიკა ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ ფლორენციის საჰერცოგოდ აქცია. ამ საჰერცოგოს მედიჩები ორი საუკუნე მართავდნენ, თავდაპირველად, როგორც ფლორენციის ჰერცოგები, 1569 წლიდან კი, როგორც ტოსკანის დიდი ჰერცოგები. მათ ტოსკანა ეკონომიკურად მდიდარ (ბანკები) და აყვავებულ სახელმწიფოდ აქციეს, რომლის კულტურულმა აღმავლობამ ძთელი XVII საუკუნე გასტახა.

თავდაპირველად სიენის რესპუბლიკას პეტრუჩების საგვარეულო განაგებდა. ამ უკანასკნელთაგან თავის დასაღნევად, 1524 წელს სიენის მცხოვრებლებმა კარლ მეხუთეს დახმარებისთვის მიმართეს, მოგვიანებით კი ისინი მის წინააღმდეგაც აჯანყდნენ და დახმარება ფრანგებს სთხოვეს. 1555 წელს კარლ მეხუთემ სიენა დაიბრუნა და ის საბოლოოდ ფლორენციის საჰერცოგოს მიუერთა, რომელიც დიდი ხნით ნეაპოლის სამეფოსთან გაერთიანდა. ამავე დროს, მან ესპანეთს წინასწარ "ტოსკანის ციხე-სიმაგრეები" გადასცა (ხუთი ფორტი და მათი შემოგარენი ორბეტელოს გარშემო). ამ გაფართოებით, ტოსკანა ჩრდილოეთ იტალიის ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ იქცა.

ე) ჩრდილოეთ იტალიის სხვა სახელმწიფოები

სალუცო

სალუცოს სამარკიზო, რომელიც საფრანგეთის ვასალი გახდა ამ უკანასკნელის მიერ დოფინეს მითვისებით, 1564 წელს საფრანგეთს მიუერთდა. 1588 წელს ის სავოიის მიერ იქნა ანექსირებული, 1601 წელს კი საფრანგეთმა ის სავოიას დაუთმო, რომელიც საბოლოოდ პიემონტთან გაერთიანდა.

ასტი

ასტის საგრაფო 1529 წლის დამის სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, საფრანგეთმა სავოიას დაუთმო და ის სავოიის პიემონტის ნაწილი გახდა.

მონფერატო

მონფერატოს სამარკიზო, რომელსაც პალეოლოგის დინასტია განაგებდა, 1533 წელს ქორწინების საფუძველზე, მანტუის ჰერცოგების ხელში გადავიდა, რომელთა სასარგებლოდაც 1573 წელს ის საჰერცოგო გახდა. 1631 წელს მანტუის მემკვიდრეობისთვის წარმოებული ომის დასასრულს, მისი ჩრდილოეთი ნაწილი (კაზალით) სავოიის ჰერცოგების ხელში გადავიდა, სამხრეთი ნაწილი (ალბა) კი გონზაგ-ნეველების ახალმა სახლმა იგდო ხელთ.

მანტუა

მანტუის სამარკიზო, რომელსაც გონზაგები განაგებდნენ, 1530 წელს კარლ მეხუთემ საჰერცოგოდ აქცია. 1533 წელს ახალმა ჰერცოგებმა მონფერეტო მემკვიდრეობით მიიღეს. 1539 წელს მათ მილანისგან გუასტალას პატარა საგრაფო შეიძინეს, რომელიც 1557 წელს უმცროს შტოს გადასცეს, 1621 წელს გუასტალა საჰერცოგო გახდა. 1627 წელს მმართველი შტოს უკანასკნელი ჰერცოგის გარდაცვალების შემდეგ, მანტუის საჰერცოგო გონზაგ-ნეველრების ახალგაზრდა შტოს უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ იმპერატორმა საჰერცოგო მოშალა. საჰერცოგოში რიშელიეს ჯარები შეიჭრნენ და მანტუის მემკვიდრეობისთვის ნარმოებული ომის შემდეგ, გონზაგ-ნეველრებმა მასზე თავისი უფლებები დაიმტკიცეს, მაგრამ 1631 წელს იძულებულნი გახდნენ სავოიისთვის მონფერატოს ჩრდილოეთი ნაწილი გადაეცათ.

ფერარა და მოდენა

მთელი XVI საუკუნის განმავლობაში ესტეს სახლი ფერარასა (სადაც მისი რეზიდენცია იყო განლაგებული) და მოდენას განაგებდა. მაგრამ 1597 წელს ესტეს სახლის ბრძანებელი ალფონსო II კანონიერი მემკვიდრის გარეშე გარდაიცვალა. პაპმა კლიმენტი VIII-მ, როგორც სუზერენმა ფერარას საგრაფო დაიპყრო და ის პაპის ოლქის მმართველობაში მოაქცია. მან საჰერცოგოდან განდევნა ალფონსო II-ის უკანონო ვაჟი ცეზარი და მას მოდენის საჰერცოგო დაუტოვა. ცეზარი მოდენაში დასაბლდა, რომელსაც ორი საუკუნის მანძილზე მისი მემკვიდრეები განაგებდნენ.

პარმა და პიაჩენცა

მილანის საჰერცოგოში შემავალი პარმა და პიაჩენცა 1511 წელს პაპმა, იულიუს II-მ პაპის ოლქს მიუერთა. 1545 წელს პაპმა პავლე III ფარნეზემ ისინი პარმისა და პიაჩენცის საჰერცოგოდ აქცია თავისი უკანონო ვაჟიშვილის პიეტრო ლუიჯის სასარგებლოდ. ამ უკანასკნელის შთამომავლები ამ საგრაფოებს თითქმის ორი საუკუნის მანძილზე მართავდნენ.

მასა და კარარა

მასა და კარარას სამარკიზო 1548 წელს ქორნინების საფუძველზე ჩიბოს სახლს გადაეცა და 1664 წელს ის საჰერცოგო გახდა.

პიომბინო

პიომბინო, განსაკუთრებით კი ელბის კუნძული, ფლორენციის შურის საგანი იყო. აპიანებმა პიომბინოს შესანარჩუნებლად კარლ მეხუთეს სთხოვეს დახმარება და ამგვარად, ნეაპოლის ვასალებად ქცეულნი, იძულებულნი გახდნენ ელბის კუნძულზე ფლორენციის სიუზერენობას დასთანხმებოდნენ, სადაც ამ უკანასკნელმა პორტო-ფერაიოში ციხე-სიმაგრე აღმართა.

1603 წელს ესპანეთისა და ნეაპოლის მეფე ფილიპე III-მ, თავის მხრივ, კუნძულის აღმოსავლეთით პორტო-ლონგონეში ციხე-სიმაგრე აღმართა. ამგვარად, იგი ელბის კუნძულის სამხრეთი ნაწილის ერთი მესამედის მფლობელი გახდა და ის აპიანებსა და ფლორენციას ჩამოართვა.

1635 წელს აპიანების მმართველობის მინურულს, პიომბინოს სამთავრო ელბის კუნძულის დასავლეთი ორი მესამედით, 1701 წელს ლუდოვიჩების ხელში გადავიდა.

სხვა სახელმწიფოები

ლუკასა და მირანდოლას საგრაფო (საჰერცოგო გახდა) ორი საუკუნის მანძილზე უშფოთველად ცხოვრობდა.

ვ) ნეაპოლი, სიცილია და სარდინია

1504 წლიდან ფერდინანდ არაგონელმა ფრანგები საბოლოოდ განდევნა ნეაპოლიდან და ნეაპოლის, სიცილიისა და სარდინიის სამ სამეფოში გამეფდა. ამ

სამეფოების მმართველობა მან ვიცე-მეფეებს გადასცა, რომელთაც რეზიდენციად ნეაპოლი, პალერმო და კალიარი გაიხადეს. ესპანელთა ბატონობამ უნყვეტლივ ორი საუკუნე გასტანა და ესპანეთის მსგავსად, სამი სამეფოს მიწები, რომელიც ესპანელი თუ ადგილობრივი მინათმფლობელი არისტოკრატიის ხელში იყო, სამ დიდ დომენად გაიყო.

5. იტალია ავსტრიასა და ესპანეთს შორის (XVIIIს.)

XVIII საუკუნე ესპანეთის მემკვიდრეობის საქმით დაიწყო. ესპანეთის ჰაბსბურგების სახლის უკანასკნელი მეფე მემკვიდრის გარეშე გარდაიცვალა და მან თავისი ტახტი და უზარმაზარი სამფლობელოები ლუი XIV-ის შვილიშვილს, ფილიპე ანჟუელს გადასცა მემკვიდრეობით. ეს უკანასკნელი ტახტზე ფილიპე V-ის სახელით ავიდა. მისი მეფობის დროს ულმობელი ომი დაიწყო საფრანგეთსა და კოალიციას შორის, რომელშიც ინგლისი, ჩრდილოეთ ნიდერლანდი და ავსტრია შედიოდა. ამ კოალიციაში ასევე გერმანელი მთავრებიც იღებდნენ მონაწილეობას. მოგვიანებით მას პორტუგალია და სავოია შეუერთდა. ხსენებულმა კოალიციამ ესპანეთის მემკვიდრეობაზე ლეოპოლდ I-ის პრეტენზიებს დაუჭირა მხარი, რომელიც მას თავისი მეორე ვაჟიშვილისთვის, ერცჰერცოგ კარლისთვის უნდოდა გადაეცა.

ომი ხანგრძლივი აღმოჩნდა, რომელშიც საფრანგეთმა ბევრი წარუმატებლობა განიცადა, მაგრამ საბოლოოდ 1709 წელს შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. 1711 წელს იმპერატორი იოსებ I, რომელმაც 1705 წელს ტახტზე თავისი მამა ლეოპოლდი შეცვალა, მემკვიდრის გარეშე გარდაიცვალა. ამ უკანასკნელის ძმას, ერჰერცოგ კარლოსს, რომლის სახელითაც კოალიცია იბრძოდა, ჰაბსბურგების სამფლობელოების განმგებლად მოუხმეს და იგი იმპერატორად უნდა ეკურთხებინათ. ინგლისმა კოალიციის რიგები მოულოდნელად დატოვა, რის შემდეგაც მოლაპარაკებები გაიმართა და მშვიდობა აღდგენილ იქნა უტრეხტისა (1713წ.) და რასტადტის (1714წ.) ხელშეკრულებათა საფუძველზე. ამ ხელშეკრულებების თანახმად, ფილიპე V და მისი შთამომავლები (ესპანეთის ბურბონები) ესპანეთის ტახტზე დამკვიდრნენ. ამავე დროს, ფილიპე V-ს იმპერატორ კარლ VI-თვის კომპენსაციად მნიშვნელოვანი ტერიტორიები უნდა გადაეცა ნიდერლანდსა და იტალიაში, ისევე როგორც დიდი სამფლობელოები საოიის ჰერცოგისთვის.

რაც შეეხება იტალიას, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით, ბურბონთა ესპანეთს მთელი სამფლობელოები ჩამოერთვა, რომელიც შემდეგნაირად გადანაწილდა:

– იმპერატორმა კარლ მეხუთემ მილანის საგრაფო, ნეაპოლის სამეფო, ტოსკანის ციხე-სიმაგრეები და სარდინიის სამეფო მიიღო და ასევე ჩამორთმეული მანტუის საჰერცოგო;

– საოიის ჰერცოგმა სიცილიის სამეფო (ამ სამეფო გვირგვინზე ჰერცოგები დიდი ხნის მანძილზე ოცნებობდნენ) მიიღო, რასაც ასევე გონზაგებისთვის ჩამორთმეული სამხრეთი მონფერატო დაემატა.

აღნიშნული საუკუნე (1720წ.) სარდინიასა და სიცილიას შორის ტერიტორიების გადანაცვლებითაც აღინიშნა. შემდგომში ესპანეთი კვლავ გამოჩნდა იტალიის ასპარეზზე, რისი საშუალებაც მას მკვიდრი სახლების (ფარნეზე და მედიჩი) მმართველობის დასასრულმა და ჰაბსბურგების მხრიდან იტალიური სამფლობელოების დათმობამ მისცა იმ ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებმაც პოლონეთის მემკვიდრეობისათვის ომები (1735-1738წწ.) დაასრულეს, საიდანაც ჰაბსბურგები დამარცხებულები გამოვიდნენ. ავსტრიის (1748წ.) იმპერატორი მარია-ტერეზა კი მხოლოდ გერმანიაში თავისი პოზიციების შენარჩუნებით იყო დაკავებული.

ა) მილანი და მანტუა

დაახლოებით ორი საუკუნის განმავლობაში ესპანეთის მფლობელობაში მყოფი მილანის საჰერცოგო 1713-1714 წლებში კარლ VI-თვის მიცემული კომპენსაციის ნაწილს შეადგენდა. ზემოაღნიშნულ პერიოდში ის ავსტრიის ბატონობის ქვეშ

გადავიდა და "საღვთო რომის იმპერიის" საზღვრებს გარეთ რჩებოდა. საჰერცოგოს გამოეყო ქალაქი ალესანდრია, ლომელინო და ვალე დი სეზია, რომელიც სავოიას 1703 წელს მიცემული დაპირებების საფუძველზე გადაეცა.

1707 წელს მანტუის საჰერცოგო იმპერატორმა ჰერცოგ ფერდინანდ-კარლოს IV გონზაგას დასჯის მიზნით ჩამოართვა, რომელმაც ესპანეთის მემკვიდრეობისთვის ომში ფრანგებს დაუჭირა მხარი. ჰერცოგის გარდაცვალების შემდეგ, 1708 წელს ეს საჰერცოგო ავსტრიის სახელმწიფოებს მიუერთეს. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ის მილანის საჰერცოგოსგან გამოყოფილი იყო, 1714 წელს მან ამ უკანასკნელთან ჩრდილოეთ იტალიის ცენტრალურ ნაწილში ტერიტორიული ბლოკი შექმნა, რამაც ავსტრიას ნამყვანი პოზიცია მისცა იტალიის საქმეებში ჩასარევად.

1703 წლის ხელშეკრულების შეთანხმებათა თანახმად, სავოიამ, რომელიც აქამდე საფრანგეთის მოკავშირე იყო, ბანაკი შეიცვალა და ჰაბსბურგების მოკავშირე გახდა. მონფერატოს საჰერცოგოს სამხრეთი ნაწილი, რომელიც 1631 წელს გონზაგების საგვარეულოს ხელში იყო, ასევე ჩამორთმეული იქნა იმპერატორის მიერ და სავოიის ჰერცოგს გადაეცა, რომელმაც 1714 წელს ის სავოიის პიემონტის შემადგენლობაში ჩართო.

აღნიშნული დროიდან გონზაგების საგვარეულოს საკუთრებაში მხოლოდ გუასტალის პატარა საჰერცოგო დარჩა, სადაც მათი უმცროსი შტო ბატონობდა, რომლის ხელშიც ეს საჰერცოგო 1557 წელს გადავიდა.

ამავე საუკუნის მანძილზე ავსტრიის მილანის საგრაფო ორჯერ იქნა ჩამორთმეული: პირველად 1735-1738 წლებში პოლონეთის მემკვიდრეობისთვის ომის მინურულს, როდესაც ის იძულებული გახდა სარდინიის პიემონტისთვის ნავარა (პროვინცია) და ტორტონა დაეთმო, მეორედ კი 1748 წელს, ავსტრიის მემკვიდრეობისთვის ომის დასასრულს, მან კვლავ პიემონტს დაუთმო ვეჯეევანასკი და ბობიო.

1746 წელს დასრულდა გონზაგების საგვარეულოს უმცროსი შტოს მმართველობა გუასტალის პატარა საჰერცოგოზე. საჰერცოგო იმპერატორმა იგდო ხელთ და პარმისა და პიაჩენცის საჰერცოგოს მიუერთა (ავსტრიის მფლობელობაში 1735 წლიდან), რაც 1806 წლამდე გაგრძელდა.

1714 წელს თითქმის განახევრებულ ავსტრიის მილანის საგრაფოსა და მანტუას ცვლილებები არ განუცდია 1797 წლამდე.

ბ) ნეაპოლი და სიცილია

ნეაპოლის, სიცილიისა და სარდინიის სამივე სამეფო ასევე გახდა 1713-1714 წლების კომპენსაციის ნაწილი. ესპანეთისთვის ჩამორთმეული ტერიტორია შემდეგნაირად გადანაწილდა:

– ნეაპოლი და სარდინია კარლ VI-ს გადაეცა ტოსკანის ციხე-სიმაგრეებითა და ელბის კუნძულის აღმოსავლეთი მესამედით, რომელიც ნეაპოლის დაქვემდებარებაში იყო;

– სიცილია სავოიის ჰერცოგს ვიტორიო-ამედეოს გადაეცა, რომელმაც ამგვარად, სიცილიის მეფის ტიტული მიიღო.

აღნიშნულმა დაყოფამ კარლ VI არ დააკმაყოფილა, რადგან ის სიცილიას აძლევდა უპირატესობას სარდინიასთან მიმართებაში. მეორე მხრივ, ესპანეთის მეფე ფილიპე V, რომელმაც მეორე ქორწინებით პარმის ჰერცოგის ქალიშვილი, ელისაბედ ფარნეზე მოიყვანა ცოლად, გაჭირვებით დასთანხმდა თავისი იტალიური სამფლობელოების დაკარგვას. 1717 წელს თავისი ამბიციური მეუღლის მიერ ნაქეზებულმა ფილიპე V-მ სარდინია დაიკავა და სიცილიაზე გადასხდომა სცადა.

ზემოაღნიშნულით კარლ VI-მ ისარგებლა და 1718 წელს ახალი ტერიტორიული ცვლილებები განახორციელა:

– პარმისა და ტოსკანის მმართველთა ბატონობის მინურულს (ფარნეზე და მედიჩი) ფილიპე V-ისა და ელისაბედის უმცროს ვაჟიშვილს კარლოს (დონ კარლოსი), აღნიშნული ტერიტორიების გადაცემას დაპირდნენ;

– კარლ VI-მ სიცილია მიიღო, რომლის მეფეს (სავოიის ჰერცოგი) კომპენსაციად პიემონტთან უფრო ახლოს მდებარე სარდინია გადაეცა, რითაც მეფის წოდება შეინარჩუნა. ეს გაცელა 1720 წელს მოხდა.

ნეაპოლისა და სიცილიის სამეფოები კვლავ წარსულის მსგავსად, ერთი სიუზერენის ხელში იმყოფებოდა, რომელიც იმპერატორი გახდა. მაგრამ ეს მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1733 წლიდან პოლონეთის მემკვიდრეობისთვის ომში, კარლ VI საფრანგეთსა და ესპანეთს შეეჯახა. ამ უკანასკნელმა 1734 წელს ნეაპოლი და სიცილია დაიკავა. ომის მიწურულს, 1735-1738 წლებში ახალი ტერიტორიული გადანაცელება მოხდა:

– კარლ VI-მ ნეაპოლი და სიცილია დონ კარლოსს დაუთმო, რომელიც 1731 წელს პარმის ჰერცოგი გახდა ფარნეზეს საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენლის მმართველობის მიწურულს, რომელმაც უარი თქვა პარმასა და ტოსკანაზე;

– კარლVI-მ სანაცვლოდ პარმა მიიღო;

– იმპერატორის სიძემ, ფრანცისკ ლოთარინგიელმა პოლონეთის დამარცხებულ მეფეს სტანისლასს ლოთარინგია დაუტოვა და თავად ტოსკანა მიიღო.

ნეაპოლისა და სიცილიის სამეფოები ორივე სიცილიის სახელით ახალი მეფის, კარლოს VII-ის (დონ კარლოსი) სკიპტრის ქვეშ გაერთიანდა, რომელმაც ესპანეთის ბურბონთა უმცროსი შტო, სიცილიის ბურბონთა სახლი დააფუძნა.

ახალი სამეფო, რომელშიც ნეაპოლი, სიცილია (სამეფოები), ტოსკანის ციხესიმაგრეები და ელბის კუნძულის სამხრეთი ნაწილი შედიოდა, ძძიმე სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ ტოსკანის მინისტრი ტანუჩი, რომელიც პარმის მეფის სამსახურში იყო, მდგომარეობის გამოსწორებას "განათლებული დესპოტიზმის" საშუალებით, შეეცადა. 1759 წელს მეფე კარლოსი მადრიდში მიიხმეს და იგი ესპანეთის ტახტზე კარლოს III-ის სახელით ავიდა. მან ორივე სიცილიის სამეფო თავის უმცროს ვაჟიშვილს მცირეწლოვან ფერდინანდ IV-ს ღაუტოვა ტანუჩის მეურვეობის ქვეშ. ეს უკანასკნელი 1776 წლამდე განაგებდა სამეფოს საქმეებს იქამდე, ვიდრე დედოფალმა მარია-კაროლინამ იგი არ აითვალწუნა. მარია-ტერეზა ავსტრიელის ქალიშვილს ძალაუფლების ხელში ჩაგდება მხოლოდ იმისათვის სჭირდებოდა, რომ ის თავისი ფავორიტის, აკტონისათვის გადაეცა, რომელმაც სამეფო ინგლისის გაელენის ქვეშ მოაქცია.

გ) პარმა

XVIII საუკუნის დასაწყისში პარმისა და პიაჩენცის საპერცოგოს ფარნეზების საგვარეულო განაგებდა, რომელიც იქ 1545 წლიდან ბატონობდა. მაგრამ 1718 წელს აღნიშნული საგვარეულოს მმართველობა დასასრულისკენ მიდიოდა და იმპერატორმა კარლ VI-მ ესპანეთის სულსწრაფობის ჩასაცხრობად (რომელსაც იტალიაში ფეხის მოკიდება სურდა პარმის ჰერცოგის ქალიშვილის, დედოფალ ელისაბედ ფარნეზესა და მისი მინისტრის, კარდინალ ალბერონის მეშვეობით) ფილიპე V-ისა და ელისაბედის უმცროს ვაჟს, დონ კარლოსს პარმას (და ასევე ტოსკანას) დაპირდა.

მართლაც, 1731 წელს ფარნეზეს საგვარეულოს უკანასკნელი შთამომავალი ჰერცოგი ანტონიო მემკვიდრის გარეშე გარდაიცვალა და ამგვარად, დონ კარლოსი პარმის ჰერცოგი გახდა, რითაც იტალიაში ესპანეთის ბურბონები დაბრუნდნენ.

ვენის წინასწარი მოლაპარაკებების (1735წ.) შემდეგ, რომლის თანახმად, დასრულდა პოლონეთის მემკვიდრეობისათვის ომი, დონ კარლოსმა თავისი საპერცოგო ნეაპოლსა და სიცილიაზე გაცვალა, რომელიც იმპერატორმა კარლ VI-მ დათმო. ამგვარად, პარმის საპერცოგო ავსტრიის სახლის მემკვიდრეობითი სახელმწიფოების შემადგენლობაში იქნა შეყვანილი. 1746 წელს გონზაგების საგვარეულოს უკანასკნელი შტოს მმართველობის მიწურულს, რომელიც გუასტალას პატარა საპერცოგოს განაგებდა, იმპერატორმა ის პარმას მიუერთა, რომელიც პარმის, პიაჩენცისა და გუასტალას საპერცოგო გახდა.

1748 წლიდან აახენის (ფრ. ექს-ლა-შაპელი) სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, რომელმაც ბოლო მოუღო ომს ავსტრიის მემკვიდრეობისთვის, მარია-

ტერეზამ პარმა ბურბონებს დაუბრუნა, რომლებმაც იქ ფილიპე V-ის მეორე ვაჟი და ლუი XV-ის სიძე, ინფანტი დონ ფილიპე დასვეს. 1765 წლიდან პარმას ფილიპე V-ის ვაჟი, ფერდინანდი განაგებდა, მაგრამ სინამდვილეში 1749 წლიდან მას ტილოს მარკიზი მართავდა, რომელიც ჭეშმარიტად "განათლებული დესპოტი" იყო. მან ხელი შეუწყო, როგორც სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის, ასევე ახალი იდეების გავრცელებას.

დ) სავოია, მოგვიანებით სარდინია

ესპანეთის მემკვიდრეობისთვის ომის დასაწყისში სავოიის ჰერცოგი ვიტორიო-ამედე II საფრანგეთის ბანაკს შეუერთდა, მაგრამ კვლავ მისი სახლისთვის დამახასიათებელი მერყეობა გამოავლინა და 1703 წელს საპირისპირო ბანაკში გადავიდა. იმპერატორი მას ჰერცოგების მიერ დიდი ხნის ნანატრი ტერიტორიების გაფართოებას დაპირდა მილანის საგრაფოში. 1713-1714 წლებში სავოიის ხელში გადავიდა:

– ქალაქი ალესანდრია და მისი შემოგარენი, ლომელინო და ვალე დი სეზია, რომელიც მილანის საგრაფოს ჩამოერთვა;

– სამხრეთ მონფერეტოს ნახევარი, რომელიც 1631 წელს გონზაგების საგვარეულოს ხელში იყო, მაგრამ 1707 წელს იმპერატორის მიერ იქნა ჩამორთმეული;

– სიცილიის სამეფო (ნეაპოლისა და სარდინიის გარეშე), რამაც სავოიის ჰერცოგს მეფის ნანატრი წოდება მიანიჭა.

1720 წელს სავოიის ჰერცოგი (სიცილიის მეფე) წინააღმდეგი იყო სიცილიის სანაცვლოდ სარდინიის მიღებისა, მაგრამ ეს უკანასკნელიც სამეფო იყო და იგი კვლავ მეფედ (ამჯერად სარდინიის) რჩებოდა. მეფედ გახდომის შემდეგ, მის სამფლობელოში შემავალ ყველა სახელმწიფოს ამ დროიდან, სარდინიის სახელმწიფოები ან სარდინიის სამეფო ეწოდებოდა.

1735-1738 წლებში პოლონეთის მემკვიდრეობისთვის ომის დასასრულს, სარდინიის მეფემ, როგორც საფრანგეთის მოკავშირემ (რომელიც მას ავსტრიის მილანის საგრაფოს დაპირდა), მხოლოდ პიემონტი და ტორტონა მიიღო. მაგრამ 1748 წელს ავსტრიის მემკვიდრეობისთვის ომის მიწურულს მან ასევე მილანი, ვიჯევანასკი და ბობიო მიიღო.

აღხიმხულ პერიოდში სარდინიის სამეფომ იმ ტერიტორიულ ფართობს მიაღწია, რომელიც 1792 წლამდე შეინარჩუნა. სამეფოს პიემონტის ნაწილში, მილანის საგრაფოსთან მიერთებული ტერიტორიებითა და მანტუით, გარკვეულწილად ეკონომიკური აღმავლობა შეინიშნებოდა. იქ ასევე გამოძახილი ჰპოვა განმანათლებელთა ახალმა იდეებმაც.

ე) ტოსკანა

XVIII საუკუნის დასაწყისში ტოსკანის დიდი საჰერცოგო კვლავ მედიჩების საგვარეულოს სამფლობელო იყო, რომელიც მას XV საუკუნიდან განაგებდა. მაგრამ 1718 წელს პარმის მსგავსად, ეს საგვარეულო მმართველობის დასასრულს უახლოვდებოდა. იმპერატორი კარლ VI ესპანეთის ამბიციების ჩასაცხრობად, ფილიპე V-სა და ელისაბედის უმცროს ვაჟს, დონ კარლოს ტოსკანის საჰერცოგოს დაპირდა (და ასევე პარმის საჰერცოგოს).

ამავე დროს, 1735 წელს პოლონეთის მემკვიდრეობისთვის ომის დასასრულს გადაწყდა, რომ დონ კარლოსი, რომელიც 1731 წლიდან პარმას განაგებდა, ნეაპოლზე გაბატონდებოდა და პრეტენზია აღარ ექნებოდა პარმასა და ტოსკანაზე. აღნიშნულმა დათმობებმა შესაძლებელი გახადა ტოსკანის გადაცემა იმპერატორის სიძის, ფრანც-ჰენრიხისთვის (ლოთარინგიელი), რომელმაც თავის მხრივ, სტანისლას ლესჩინსკის ლოთარინგიისა და ბარის საჰერცოგოები გადასცა.

1737 წელს უკანასკნელი მედიჩი, დიდი გრაფი ჯოვანი გარდაიცვალა და ფრანც-ჰენრიხი ფრანცისკ II-ის სახელით გამეფდა. დიდი საჰერცოგო ავსტრიის გავლენის სფეროში გადავიდა მომდევნო მემეკვიდრეების მმართველობის ფორმით, ანუ ფრანცისკ II-ის მეფობის შემდეგ იქ მხოლოდ ამ სახლის უმცროს

შტოს უნდა ებატონა და მემკვიდრეობითი სახელმწიფოებისთვის ტოსკანის მიერთება არ შეიძლებოდა.

1765 წელს ფრანცისკ I-ის გარდაცვალების შემდეგ (რომელიც იმპერატორი ფრანცისკ I გახდა, მაგრამ ავსტრიის სახელმწიფოებს თავად არ განაგებდა, რომელთა მართვაც ნილად ხედა მის მეუღლეს, მარია-ტერეზას), მისი უფროსი ვაჟი იოსებ II იმპერატორი გახდა, ხოლო მისმა უმცროსმა ვაჟმა ფლორენცია მემკვიდრეობით მიიღო და მას ლეოპოლდ I-ის სახელით მართავდა. განათლებული დესპოტის მეფობის ხანაში ტოსკანა აყვავებულ სახელმწიფოდ იქცა, რომლის მმართველობა "პროგრესულად" გამოიყურებოდა ნახევარკუნძულის ბევრ სახელმწიფოსთან შედარებით.

ვ) მოდენა, მირანდოლა, მასა და კარარა

XVIII საუკუნეში მოდენის საჰერცოგოს კვლავ ესტეს საგვარეულო განაგებდა. 1598 წელს ფერარასგან გამოყოფის დროიდან, საჰერცოგოს ტერიტორია უცვლელი რჩებოდა, მაგრამ აღნიშნული საუკუნის პირველ ნახევარში მან ორჯერ შეძლო ტერიტორიის გაფართოება: 1718 წელს მან მირანდოლა, 1743 წელს კი მასა და კარარა შემოიერთა.

მირანდოლის საჰერცოგო, რომელიც ყოველთვის პიკების საგვარეულოს მფლობელობაში იყო, 1710 წელს იმპერატორის მიერ იქნა ჩამორთმეული. მირანდოლის ჰერცოგმა ესპანეთის მემკვიდრეობის საკითხში საფრანგეთს დაუჭირა მხარი. რაშტადტის სამშვიდობო ხელშეკრულების (1714წ.) თანახმად, მირანდოლა ავსტრიას გადაეცა, რომელიც ამ უკანასკნელმა 1718 წელს მოდენის ჰერცოგს მიჰყიდა.

რაც შეეხება მასა და კარარას საჰერცოგოს, ის ჩიბოს საგვარეულოს მუდმივ მფლობელობაში იმყოფებოდა, მაგრამ მისი უკანასკნელი ჰერცოგი ალდერანო 1731 წელს მამრობითი სქესის მემკვიდრის გარეშე გარდაიცვალა. მისმა ქალიშვილმა მარია-ტერეზა ფრანჩესკამ, რომელიც მოდენის ჰერცოგის ერკულე III-ის მეუღლე გახდა, მას მზითევად თავისი საჰერცოგო გადასცა, რომელიც ამ დროიდან მოდენის საჰერცოგოს შეუერთდა. ამ შენაძენით მოდენის საჰერცოგოს ხმელთაშუა ზღვაზე პატარა "ფანჯარა" გაეხსნა.

ამავე დროს, ზემოაღნიშნული წყვილის ქორწინებიდან მამრობითი სქესის მემკვიდრე არ დაბადებულა. მათ მხოლოდ ერთი ქალიშვილი, მარია-ბეატრიჩე ჰყავდათ. 1771 წელს ჰერცოგმა ერკულე III-მ თავისი ქალიშვილი ავსტრიის ერცჰერცოგ ფერდინანდს მიათხოვა (მარია-ტერეზას უმცროსი ვაჟი). ამგვარად, ავსტრიის ხელში მოდენა გადადიოდა, მაგრამ ერცჰერცოგი მხოლოდ *პრინცი-კონსორტი* იყო, მარია-ბეატრიჩესა და მის შთამომავლებს კი ამ საჰერცოგოზე ბატონობის უფლება ჰქონდათ.

ზ) ვენეცია

ვენეციის რესპუბლიკის იტალიური დომენი უცვლელი რჩებოდა 1530 წლიდან. ზღვის იქითა ტერიტორიაზე, წინა საუკუნის მინურულის აგრესიის აფეთქება (ავსტრიის მიბაძვით) ხანმოკლე აღმოჩნდა. პაჟაროვეცის სამშვიდობო ხელშეკრულების (1718წ.) თანახმად, ვენეციამ თურქეთს დაუბრუნა მორე (პელოპონესი), კრეტისა (სუდა, სპინალონგა) და ეგინის ფორპოსტები, რომელიც კვლავ მის მფლობელობაში რჩებოდა.

ამ დროიდან, ვენეციამ უარი თქვა ზღვის იქითა ამბიციებზე და ნახევარკუნძულზე მდებარე თავისი სამფლობელოების მოწესრიგებას შეუდგა. ამასთანავე, ის არ წყვეტდა ზღვაზე გარკვეულ აქტიურობას, მაგრამ გასულ საუკუნესთან შედარებით, ეს აშკარა დაღმასვლა იყო.

თ) გენუა

გენუის დასუსტება ვენეციაზე უფრო თვალშისაცემი იყო. მან დიდი ხნის წინ დაკარგა თავისი საზღვაო იმპერია. მიუხედავად აქაური ბანკების აქტიურობისა, მათ უწინდელი მნიშვნელობა დაკარგეს. მხოლოდ გენუის პორტი, რომელიც მნიშ-

ვნელოვან სავაჭრო გადაზიდვებს აწარმოებდა, კეთილდღეობის ძირითად წყაროდ რჩებოდა.

1729 წელს ზღვის იქითა ტერიტორიების ერთადერთი გადმონაშთი, კორსიკის კუნძული, გენუის წინააღმდეგ აჯანყდა. კუნძულზე ორმოცწლიანი ომი გაჩაღდა. გენუამ დახმარებისთვის იმპერატორ კარლ VI-ს მიმართა, რომელმაც აჯანყება ჩაახშო (1732წ.). რამდენიმე ხნის შემდეგ, 1734 წელს მღელვარებამ კვლავ იჩინა თავი. 1736 წელს გერმანელი ავანტიურისტი ბარონი თეოდორ ნეუჰოფი, რომელიც ფლორენციაში იმპერატორის წარმომადგენელი იყო, კუნძულზე გადავიდა და თავი მეფედ (თეოდორ I) გამოაცხადა. მისმა მეფობამ შვიდ თვეს გასტანა.

გენუამ საშველად საფრანგეთს მოუხმო, რომელმაც კუნძულის სანაპიროზე თავისი ექსპედიცია გადასხა (1748-1753წწ.), მაგრამ კუნძულის მოსახლეობამ ფრანგებს წინააღმდეგობა გაუწია და 1755 წელს კორსიკელებმა მთავარსარდლად პასკალე პაოლი აირჩიეს, რომელმაც რეგიონის ადმინისტრაციული მოწყობა განახორციელა ნამდვილი სახელმწიფოსთვის შესაფერისი დემოკრატიული ინსტიტუტებით (დედაქალაქი კორტე).

მრავალი ექსპედიციის შემდეგ, საფრანგეთმა ვერსალის ხელშეკრულების (1768წ.) თანახმად, გენუას დროებით კუნძული დაათმობინა საფრანგეთისთვის ექსპედიციის ხარჯების ანაზღაურებამდე. ნაპოლეონ ბონაპარტის დაბადების წელს (1769წ.), მეამბოხეები საბოლოოდ დამარცხდნენ და კუნძული საფრანგეთის ხელში გადავიდა, თუმცა მისი საბოლოო ანექსია მხოლოდ 1789 წელს გახდა შესაძლებელი.

1768 წლიდან გენუას ზღვის იქითა ტერიტორიებიდან მხოლოდ კორსიკის კონცხსა და ელბის კუნძულს შორის მდებარე კაპრაიას პატარა კუნძული შემორჩა.

ი) სხვა სახელმწიფოები

ლუკას, ისევე როგორც სან-მარინოს პატარა რესპუბლიკების არსებობა არაფრით იყო გამორჩეული.

XVI საუკუნიდან პაპის ოლქს (იხ. ვატიკანი) ტერიტორიული ცვლილება არ განუცდია და ის აღარ ასრულებდა იმ პოლიტიკურ როლს, რომელიც ოდესღაც გააჩნდა.

პიომბინოს სამთავრო, რომელიც 1735 წლის ალიანსის შედეგად ბუონკომპანის საგვარეულოს ხვდა წილად, ორმაგი ვასალიტეტის მდგომარეობაში აღმოჩნდა: ნეაპოლის სიუზერენობა პიომბინოზე და ტოსკანის სიუზერენობა ელბის კუნძულის დასავლეთი ნაწილის ორ მესამედზე.

II. იტალია 1789 წელს

1789 წელს იტალია პოლიტიკურად დანაწევრებული რჩებოდა. ავსტრიის პირდაპირ გავლენას მილანსა და მანტუაზე, რომელიც ასევე არაპირდაპირად ტოსკანაზე და მოდენაზე ვრცელდებოდა, ისევე როგორც ძველ საზღვაო რესპუბლიკებზე, ესპანეთი ანონასწორებდა, რომელიც ნახევარკუნძულზე გაბატონებული თავისი ორი უმცროსი შტოს მეშვეობით მოქმედებდა: სიცილიის ბურბონები და პარმის ბურბონები. მხოლოდ პაპმა და სარდინიის მეფემ გარკვეულწილად, მიაღწიეს ამ ორმაგი ჰეგემონიიდან თავის დაღწევას, პირველმა თავისი მორალური უპირატესობით, მეორემ კი დიპლომატიური მოქნილობით.

იტალიის შემადგენლობაში შემავალი სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებული ყოფით ცხოვრობდა, მათი მკვიდრი თუ უცხოელი სიუზერენები კი იტალიის დანაწევრებით კმაყოფილდებოდნენ. აღნიშნულ ეპოქაში მხოლოდ "განათლებულთა" გარკვეულ წრეებში ოცნებობდნენ ნახევარკუნძულის პოლიტიკურ გაერთიანებაზე, მაგრამ ისინი უმცირესობაში იყვნენ და ამ მიზნის მისაღწევად არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნდათ.

თუკი იმ გეოგრაფიულ, ფიზიკურ და ეკონომიკურ ფარგლებს განვიხილავთ, რომელშიც იტალიელი ხალხი ცხოვრობდა, 1789 წელს 17 პოლიტიკური ერთეული

არსებობდა, რომელზეც შესაძლებელია ითქვას, რომ ის იტალიურ ერს მიეკუთვნებოდა: ექვსი მათგანი, პირდაპირ თუ ირიბად, უცხო სახელმწიფოებზე იყო დამოკიდებული, დანარჩენ თერთმეტში კი იტალიური დომინანტობა იგრძნობოდა.

ზემოაღნიშნული ექვსი ტერიტორიული ერთეული, რომელიც უცხოეთის სახელმწიფოებისგან იყო დამოკიდებული შემდეგი ტერიტორიებისგან შედგებოდა:

– საფრანგეთის დაქვემდებარებაში მყოფი **კორსიკის** კუნძული (იხ. საფრანგეთი)

– **მონაკოს** სამთავრო, საფრანგეთის ვასალი (იხ. მონაკო);

– **შვეიცარიის კონფედერაციის** იტალიური და გრაუბიუნდენის კანტონის მოკავშირე ტერიტორიები: ტეჩინის ოთხი საბაიო (ლოკარნო, ლუგანო, ვალ მაჯა, მენდრიზიო), საერთო თორმეტი შვეიცარიული კანტონისთვის (ყველა აპენცელის გარდა): ბელინცონის, რივიერისა და ბლენიოს საბაიო, საერთო სამი ტყის კანტონისთვის (ური, შვიცი და ნიდვალდი); მეზოკო, პოჩიავო, ბორმიო, ვალტელინა და ჩიავენა, გრაუბიუნდენის ლიგის დომენები;

– ავსტრიის სახლის იტალიური ტერიტორიები "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) გარეთ, რომელიც საკუთრივ ორი იტალიური საპერცოგოსგან შედგებოდა: **მილანისა** და **მანტუის** საპერცოგოები;

– "საღვთო რომის იმპერიაში" (გერმანელი ერის) შემავალი **ავსტრიის** სახლის იტალიური ტერიტორიები: მთლიანი სიუზერენიტეტის ქვეშ მყოფი ქვემო ტრენტინის ორი პატარა ნაწილი, რომელსაც ემატებოდა ტრენტოს საეპისკოპოსო და ტრიესტი, რომელიც ნანილობრივ იტალიური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა (იხ. ავსტრია); – სამხრეთი ტიროლი, სალურნის ხეობასა და ალპების ქედებს შორის მდებარე ტერიტორია. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით (XXს.) ის იტალიასთან გაერთიანდა, არ შეიძლება მისი განხილვა, როგორც იტალიის შემადგენელი ნანილისა, რადგან მის მოსახლეობას ძირითადად გერმანელები შეადგენდნენ;

– იტალიელებით დასახლებული **ტრენტის** საეპისკოპოსო, რომელიც 'საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) ნევრი იყო და საეკლესიო სამთავროს წარმოადგენდა. ავსტრიის სახლს იქ თავისი ეპარქია ჰქონდა; სამხრეთ ტიროლთან მჭიდროდ დაკავშირებული ბრიქსენის ეპარქია ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ასეეე არ შეიძლება იტალიის ნანილად იყოს განხილული.

წმინდა იტალიური წარმომაელობის თერთმეტი სახელმწიფო:

– **სარდინიის** სამეფო, რომელიც სარდინიის კუნძულის, იტალიური პიემონტისა (ალპების ქედიდან ტიჩინომდე, ვალეღან აპენინის ქედამდე ზღვაზე პატარა "ფანჯრით" ონეილში და ლოანოს პატარა ანკლავი ლიგურიაში) და ნიცის საგრაფოს მოიცავდა; იტალიის გარეთ, სარდინიის სამეფოს მფლობელობაში კვლავ სავოია რჩებოდა;

– **ვენეციის** რესპუბლიკა, რომელიც ვენეციის ანტიკური საპერცოგოსა (ქალაქი და შემოგარენი) და მისი ხმელეთის სამფლობელოებისგან შედგებოდა, გადაჭიმული იყო მდინარე ადადან ფრიულიმდე, და მდინარე პოდან ტრენტომდე; იტალიის გარეთ მის საზღვაო პროვინციებში შედიოდა: ისტრია, დალმაცია და კუნძულები, კოტორი, იონიის კუნძულები და ხმელეთზე მდებარე ტერიტორიები ალბანეთში;

– **გენუის** რესპუბლიკა, რომელიც ლიგურიის სანაპიროს გაყოლებით (ვენტიმილიადან სპეციამდე) მდებარეობდა. მის მფლობელობაში იყო კუნძული კაპრაია;

– **პარმის,** პიაჩენცისა და გუასტალის საპერცოგო, რომელიც პოს სამხრეთით, ქალაქების პიაჩენცისა და პარმის გარშემო იყო გადაშლილი, გუასტალის საპერცოგო მოდენისა და მანტუის საპერცოგოებს შორის მდებარე ანკლავს წარმოადგენდა;

– **მოდენის** საპერცოგო, რომელიც პოს სამხრეთითა და პარმის საპერცოგოს აღმოსავლეთით მდებარეობდა. 1743 წელს მასა– კარარას ანექსიის დროიდან, მას გასასვლელი ჰქონდა ხმელთაშუა ზღვაზე;

– **ტოსკანის** დიდი საპერცოგო, რომელშიც ფლორენციის, პიზისა და სიენის ძველი ტერიტორიები შედიოდა და აგრეთვე ორი ანკლავი: პარმისა და მოდენის

საპერცოგოებს შორის მდებარე ლუნიჯიანა (პონტრემოლი და ფივიციანო) და ლუკას რესპუბლიკის ტერიტორიაში შეჭრილი პიეტრასანტა;

– ლუკას რესპუბლიკა, რომელიც ამავე სახელწოდების ქალაქის გარშემო მდინარე არნოს ქვემო აუზზე მდებარეობდა;

– პიომბინოს სამთავრო, რომელიც ტოსკანის ტერიტორიაში შეჭრილ პიომბინოს გარშემო არსებული მიწებისა და ელბის კუნძულის ორი მესამედისგან შედგებოდა;

– პაპის ოლქი, რომელიც პაპის ტახტს ეკუთვნოდა აპენინის ქედის ორივე მხარეს იყო განლაგებული: ლაციუმი, უმბრია, რომანია, პაპის ლეგატზე დაქვემდებარებული ფერარისა და ბოლონიის ტერიტორიები (იხ. ვატიკანი);

– რიმინისთან ახლომდებარე სან-მარინოს პატარა რესპუბლიკა, რომლის ტერიტორიაც პაპის ოლქში იყო შეჭრილი;

– ორივე სიცილიის სამეფო, რომელიც ნეაპოლისა და სიცილიის სამეფოებისგან შედგებოდა; ამას გარდა, მის მფლობელობაში იყო ელბის კუნძულის აღმოსავლეთ მესამედი და ხმელეთზე ტოსკანის ციხე-სიმაგრეთა ანკლავი.

სან-მარინოსა და პაპის ოლქის გარდა, რომელიც ცალკე თავებშია განხილული, აღნიშნულ თავში განვიხილავთ წმინდა იტალიური წარმომავლობის ცხრა სახელმწიფოს, ასევე მილანსა და მანტუას, და ავსტრიის სახლის იტალიურ სახელმწიფოებს, რომელიც "საღვთო რომის იმპერიაში" (გერმანელი ერის) არ შედიოდა.

1. სარდინიის სამეფო

სარდინიის სამეფო, რომელიც სავოიის სახლის მფლობელობაში იყო, 1789 წელს განსხვავებული რეგიონებისგან შემდგარ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მისი ტერიტორია მოიცავდა სარდინიის ხმელთაშუა ზღვის კუნძულს, ალპების ქედში შეჭრილ ხმელეთის ტერიტორიას, რომელიც გადაშლილი იყო ლემანის ტბიდან ჩრდილოეთ აპენინების ქედამდე და ნიციდან ლაგო მაჯორეს ტბის ნაპირებამდე. გენუის რესპუბლიკა მას ხმელთაშუა ზღვას აშორებდა, რომელთანაც ამ სამეფოს მხოლოდ სამი შეხების წერტილი ჰქონდა: ნიცისა და ონეილის გასასვლელი ფანჯარა ზღვაზე (ორივე პიემონტის ტერიტორიასთან გაერთიანებული) და ლიანოს ანკლავი გენუის ყურეში.

სამეფო ოთხი ძალიან კონტრასტული რეგიონისგან შედგებოდა: პიემონტის სამთავრო, სადაც სალაპარაკო ენა იტალიური იყო. მის ვრცელ დაბლობზე იტალიის ყველაზე მდიდარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები იყო გადაშლილი, რომლის ცენტრშიც დედაქალაქი ტურინი მდებარეობდა; ღარიბი და ფეოდალური სტრუქტურების მქონე სარდინიის კუნძული, სადაც სარდინიულ ენაზე ლაპარაკობდნენ (ძალზე განსხვავებული დიალექტი); იტალიური წარმომავლობის ნიცის საგრაფო, სადაც ნისარდულ ენაზე ლაპარაკობდნენ. ამ უკანასკნელს პიემონტისგან ალპების ქედი ყოფდა, რომელიც მას დანარჩენი სამეფოსგან ყოფდა; და ბოლოს, იტალიის გარეთ, სავოიის ფრანგულენოვანი ღარიბი და მთიანი საპერცოგო.

სარდინიის მეფეები ქვეყნის მოდერნიზაციასა (ამისათვის მათ გენერალური საინტენდანტოები შექმნეს: ტურინი, კონი, ალესანდრია, ნავარა, აოსტა, სავოია, კალიარი, სასარი) და ეკონომიკური რეფორმების შემოღებას ცდილობდნენ, მაგრამ მონარქია პოლიტიკურად ძალზე კონსერვატიული რჩებოდა და განმანათლებელთა იდეებს ეწინააღმდეგებოდა, თუმცა მათი გავრცელება მაინც მოხდა სამეფოს მოსახლეობის გარკვეულ წრეებში. სარდინიის სახელმწიფოებში დაახლოებით 300 000 კაცი ცხოვრობდა, რომელთაგან 2 800 000 ხმელეთზე, 450 000 კი კუნძულზე. დედაქალაქ ტურინში 75 000 მცხოვრები იყო.

2. მილანისა და მანტუის საპერცოგოები

მილანისა და მანტუის საპერცოგოები ლომბარდიის შუაგულში მდებარეობდა, რომელიც თავის მხრივ, ალპებსა და მდინარე პოს შორის განლაგებულ ჩრდილოეთი იტალიის დაბლობების ცენტრალურ რეგიონს წარმოადგენდა. ჩრდილოეთით

ისინი შვეიცარიას ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთით ვენეციის სამფლობელოებს, სამხრეთით ემილიას, დასავლეთით კი პიემონტს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საპერცოგოები ავსტრიის სახლის მფლობელობაში იყო, ისინი "საღვთო რომის იმპერიაში" (გერმანიის ერი) არ შედიოდნენ.

1789 წელს მილანისა და მანტუის საპერცოგოები აყვავებულ, მდიდარ სასოფლო-სამეურნეო და საკაჭრო ტერიტორიას წარმოადგენდა. ამ ტერიტორიაზე დაახლოებით 1 200 000 კაცი ცხოვრობდა, რომელთაგანაც 120 000 კაცი თავად მილანში. ამ ქალაქში განათლებული და პატრიოტული სულისკვეთების მქონე ბურჟუაზია ცხოვრობდა, რომელიც გულგრილი არ იყო განმანათლებელთა იდეების მიმართ.

1781 წელს იმპერატორ იოსებ II -ის მიერ დაწყებული ადმინისტრაციული რეფორმის ფარგლებში, რომელიც სხვადასხვა ავსტრიულ სახელმწიფოთა უნიფორმიზაციას ისახავდა მიზნად, ისინი 13 გუბერნიად დაიყო. 1786 ნლიდან მილანისა და მანტუის საპერცოგოები ლომბარდიის მმართველობასთან გაერთიანდა. ქალაქის თავისუფლების ანტიკური სიმბოლო, მილანის სენატი გაუქმდა და მისი ადგილი ადმინისტრაციულმა საბჭომ დაიკავა. 1790 წელს ავსტრიაში, აღნიშნული რეფორმის არაპოპულარობის გამო, ახალმა იმპერატორმა ლეოპოლდ I I-მ მისი გაუქმება დაჩქარა, რის შემდეგაც მილანისა და მანტუის საპერცოგოებმა თავისი ტრადიციული სტრუქტურები დაიბრუნეს.

3. ვენეციის რესპუბლიკა

ვენეციის უძველეს რესპუბლიკას თავისი ძველი გავლენიდან მხოლოდ მოგონება დარჩა. 1789 ნლისთვის ეს რესპუბლიკა შეუქცევად დეკადანს განიცდიდა: პოლიტიკური უძრაობა, საზღვაო ვაჭრობის ნაკლებობა, სამხედრო ფლოტის სერიოზული დაკნინება, სიამოვნებებისკენ მიმართული სოციალური ცხოვრება. პაჟაროეეცის ხელშეკრულების (1718წ.) დადების დროიდან, რომლის თანახმად, მას თურქეთისთვის პელოპონესი უნდა დაებრუნებინა, უბრწყინვალესმა რესპუბლიკამ საბოლოოდ თქვა უარი თავის ამბიციებზე ხმელთაშუა ზღვაზე. ამგვარად, ვენეციის პოლიტიკური ბატონობა ხმელეთზე სახელმწიფოს ეკონომიკური რესურსების ამარად დარჩა, რაც მეტად მძიმე ასატანი იყო და ამგვარმა ანტაგონიზმმა რესპუბლიკის დაცემა გააიოლა.

XVI I I საუკუნეში ვენეციის პასიურობამ ქვეყანა უმოქმედო გახადა ავსტრიის ამბიციების პირისპირ, რომლის გავლენასაც ის დაექვემდებარა ისე, რომ არ უცდია წარსულის მსგავსად, საჭირო კავშირები დაეყარებინა მის ზურგს უკან.

ტერიტორიული თვალსაზრისით, რესპუბლიკა სამ ნაწილად დაყოფილი 14 პროვინციისგან შედგებოდა:

– ვენეციის საპერცოგო (დოგადო), რომელიც ქალაქ ვენეციისგან, ლაგუნის ტერიტორიისა და ხმელეთის რამდენიმე პუნქტისგან შედგებოდა (ჩიოჯია). დოგადოს პროვინცია დანარჩენ ცამეტზე პოლიტიკურად დომინირებდა;

– ხმელეთის სამფლობელოები გადაშლილი იყო ადადან იზონცოს ხეობამდე და პოდან ალპების ქედამდე. კრემის რეგიონში შედიოდა პატარა ანკლავი მილანის საპერცოგოში და მონფალკონეს საგრაფოს პატარა ანკლავი ავსტრიის ზღვისპირა ზოლში. ეს ტერიტორიები ცხრა პროვინციად იყო დაყოფილი: პადუა (პადუა, ბასანო, ესტე), პოლეზინე (როვიგო), ვერონა (დიდი ხნის მანძილზე დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ვერონა, კარპი, პეჩოლი), ვიჩენცა (ვიჩენცა, აზიაგო), ბრეშია (ბრეშია, სალო, ლონატო, ჩიარი), ბერგამო (ბერგამო, კრემონა), კრემა (კრემა), ტრევიზოს მარში (ტრევიზო, ფელტრე, ბელუნო, კადორე), ფრიული (უდინე, სასელო, პორდენონე);

– ადრიატიკის ზღვისა და იონიის კუნძულების ზღვის სამფლობელოები: დასავლეთ ისტრიის ორი მესამედი, კოპერიდან პოლამდე და ალბონამდე (ნახევარკუნძულის დასავლეთი და სამხრეთი); კონტინენტური დალმაცია, ზადარიდან ნარენტის შესართავამდე, რომლის შიგნით პოლიზის სლავური რესპუბლიკის პატარა ანკლავი მდებარეობდა; დალმაციის სანაპიროს კუნძულები, კვარნერიდან საბიან-

ჩელოს ნახევარკუნძულამდე: ვეგლია, ჩერსო, არბა, პაგო, ლუნგა, ინკორონატა, ბრაცა, ლისონე, ლეზინა და კურცოლა (ლასტოეო და მელედა რაგუზის (დუბროვნიკი) მფლობელობაში იყო); კოტორის ყურე; იონიის კუნძულები: კორფუ, პაქსი, სან-მარინო (ლევადია), იტაკა, ცეფალონია, ზანტე და ძალიან იზოლირებული ჩერიგო (სიტერი); ალბანეთში მდებარე ოთხი სახმელეთო პუნქტი: ბუტრინტო, პარგა, პრევეზა, ვონიცა; საზღვაო სამფლობელოთა ერთობლიობა ისტრიის (პოლა, კაპოდისტრია), დალმაციის (ზადარი, ტრო, სპლიტი, სებენიკო, კლისა, სინია, ჰერცოგოვინის სანაპირო, დალმაციის კუნძულები), ვენეციის ალბანეთისა (კოტორის ყურე) და ვენეციის ლევანტოს (იონიის 7 კუნძული და თურქული ალბანეთის 4 პუნქტი ხმელეთზე) ოთხი პროვინციისგან შედგებოდა.

ვენეციის რესპუბლიკაში დაახლოებით 3 მილიონი კაცი ცხოვრობდა, ძალაუფლება კი ქალაქის არისტოკრატიის (დაახლოებით 1 200 კაცი) ხელში იყო.

4. გენუის რესპუბლიკა

1789 წელს გენუის რესპუბლიკის წარსული დიდებიდან აღარაფერი იყო შემორჩენილი. "ბრწყინვალე" რესპუბლიკამ თავის იმპერიასთან ერთად დაკარგა პირველობა ზღვაზე, რომელსაც ის ვენეციას ეცილებოდა. რესპუბლიკაში კარგად მხოლოდ პორტი (პირველი იტალიაში) და ბანკები ფუნქციონირებდა.

ნმინდა გიორგის ქალაქი, ნმინდა მარკოზის ქალაქის მსგავსად, არისტოკრატიული რესპუბლიკა იყო. ძალზე მცირერიცხოვან დიდგვაროვანთა ოჯახები 400 000 მოქალაქეზე განუყოფლად ბატონობდა. ვენეციის მსგავსად, გენუაც მხოლოდ პოლიტიკური პრობლემებით იყო დაკავებული: თავისი ნეიტრალიტეტისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება იმ ქვეყნების პირისპირ, რომელთაც მისი დაპყრობა სურდათ (დიდი-ბრიტანეთი, საფრანგეთი, სარდინია, ავსტრია). ამავე დროს, ვენეციისგან განსხვავებით, შეუპოვარი გენუა სულაც არ აპირებდა დროსტარებაში მიევინყებინა საკუთარი დეკადანსი.

1768 ნლიდან კორსიკის დაკარგვის შემდეგ, გენუას მხოლოდ კაპრაიას პატარა კუნძული შემორჩა, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით მისი საზღვრის გასნვრივ მდებარეობდა. აღნიშნული კუნძულის გარდა, კონტინენტამდე შემცირებული გენუის ტერიტორია გადაშლილი იყო ამავე სახელწოდების ყურის გასწვრივ ზღვასა და აპენინების ქედს შორის. ის სამ ნანილად იქნა დაყოფილი: ლევანტოს ტერიტორია (გენუა, რაპალო, სესტრი დი ლევანტო, სპეციის საგრაფო, სარზანი), პონანტის ტერიტორია (ნოვი, სავონა, ალბენგა, სან-რემო, ვენტიმილია), ფინალეს სამარკიზო. სან-რემოსა და ვენტიმილიის ტერიტორიები სახელმნიფოს დანარჩენი ნანილისგან პიემონტის ვინრო ზოლით იყო გამოყოფილი, რომელიც აპენინებიდან ონეილის (ონეგლია) ზღვაზე გასასვლელამდე ჩამოდიოდა. ლუანოს პორტი გენუის ტერიტორიაში შეჭრილ პიემონტის ანკლავს წარმოადგენდა.

5. პარმის საპერცოგო

პარმის, პიაჩენცისა და გუასტალის საპერცოგო, რომელსაც პარმის ბურბონები მართავდნენ, ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ნაწილისგან შედგებოდა: პარმისა და პიაჩენცის და გუასტალის საპერცოგოები. პირველი საპერცოგო გადაჭიმული იყო პოს შუა დინების მარჯვენა ნაპირიდან აპენინების ქედამდე, მეორე საპერცოგო კი პატარა ანკლავი იყო მანტუისა და მოდენის საპერცოგოებს შორის, რომელიც მდინარე პოს ინ ადგილში ემიჯნებოდა, საიდანაც ის ოგლიოსთან შესაერთებლად ჩრდილოეთისკენ უხვევდა.

პარმის, პიაჩენცისა და გუასტალის საპერცოგოში დაახლოებით 400 000 კაცი ცხოვრობდა. ამ საპერცოგოს ძირითადად სოფლის მეურნეობისთვის საკმაოდ ხელსაყრელი ემილიის რეგიონი ეკავა. მის ტერიტორიაზე მხოლოდ ორი მნიშვნელოვანი ქალაქი პარმა (დედაქალაქი) და პიაჩენცა იყო, რომელიც მდინარე პოზე მდებარეობდა. "განათლებული" მარკიზ დი ტილოს ხანგრძლივმა მმართველობამ ამ საპერცოგოს კეთილმყოფელი რეფორმები მოუტანა.

6. მოდენის საპერცოგო

მოდენის საპერცოგო, რომელსაც ესტეს სახლი მართავდა, ცენტრალური იტალიის საშუალო ფართობის სახელმწიფო იყო, სადაც დაახლოებით 350 000 კაცი ცხოვრობდა. მისი ტერიტორია გადაჭიმული იყო პოს მთელ გაყოლებაზე ხმელთაშუა ზღვამდე, და აპენინების ქედის ორივე მხარეზე. ემილიის რეგიონში, ის უშუალოდ პარმის საპერცოგოს აღმოსავლეთით მდებარეობდა.

აღნიშნული საპერცოგო სამი განსხვავებული ნანილისგან შედგებოდა: მოდენის საპერცოგო დედაქალაქით; რეჯოს საპერცოგო, (ერთი დიდი ქალაქით), რომელთანაც მირანდოლის პატარა საპერცოგო იყო გაერთიანებული; და ბოლოს, მასა და კარარას საპერცოგო, რომელიც ხმელთაშუა ზღვისა და აპენინების ქედს შორის იყო განლაგებული.

ჰერცოგ ერკულე III-ს, რომელიც 1789 წელს ამ საპერცოგოს განაგებდა, არ ჰყავდა მამრობითი სქესის მემკვიდრე. ჰერცოგის გარდაცვალების შემდეგ საპერცოგო მისი ქალიშვილის მარია-ბეატრიჩეს ხელში უნდა გადასულიყო, რომელიც ავსტრიის ერცჰერცოგის მეუღლე იყო. ამგვარად, მოდენის საპერცოგო ავსტრიის სახლის მეორად მფლობელობაში გადავიდა.

7. ტოსკანის დიდი საპერცოგო

ტოსკანის დიდი საპერცოგო ცენტრალური იტალიის მოსავლიან რეგიონში, აპენინების ქედსა და ხმელთაშუა ზღვას შორის მდებარეობდა, და არნოსა და ომბრონეს აუზებზე იყო გადაჭიმული. ეს დიდი საპერცოგო, რომელსაც ავსტრიის სახლი მეორადი მფლობელობის ფორმით მართავდა (დიდი ჰერცოგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ავსტრიის სახლის მემკვიდრეობით მიღებულ სახელმნიფოთა მმართველი) ისტორიულად ფლორენციის, პიზისა და სიენის სამი ყოფილი რესპუბლიკისგან შედგებოდა. ზემოაღნიშნული სამი ქალაქი დიდი საპერცოგოს უმნიშვნელოვანეს ქალაქებს წარმოადგენდა, განსაკუთრებით კი მისი დედაქალაქი ფლორენცია. ამავე დროს, სხვა ქალაქების დიდი აღმავლობაც აღინიშნებოდა: პისტოია, პრატო (საფეიქრო მრეწველობა), განსაკუთრებით კი ლივორნო, ახლად შექმნილი პორტით, რომელმაც პიზა შეაენიროვა და ცენტრალური იტალიის ყველაზე აქტიური ნავსადგური გახდა.

ტოსკანის მმართველის, იმპერატორ ფრანციისკ I-ის გარდაცვალების შემდეგ (1765ნ.), ტახტზე მისი ვაჟი ლეოპოლდი ავიდა (1765-1790ნნ.), რომელიც ფლორენციას 1789 წელს განაგებდა. იგი იყო განათლებული მთავარი, რომელიც თავისი სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ აღმავლობაზე ზრუნავდა. 1789 ნელს ტოსკანა იტალიის აყვავებულ და "მონინავე" მხარეს წარმოადგენდა.

დიდი საპერცოგოს შემადგენლობაში შედიოდა საკუთრივ ტოსკანა (ფლორენციის, პიზისა და სიენის ძველი ტერიტორიები), რომელსაც დაემატა ლუკას რესპუბლიკაში შეჭრილი პიეტრასანტას ანკლავი და პარმის, მოდენისა და გენუის ტერიტორიებს შორის მდებარე ლუიჯიანის ანკლავები (პონტრემოლი და ფივიცანო). მის ტერიტორიაზე აგრეთვე პიომბინოს სამთავრო და ტოსკანის ციხე-სიმაგრეები (ორივე სიცილიის მეფის სამფლობელო) მდებარეობდა. ამავე დროს, დიდი ჰერცოგი პიომბინოს მთავრის სიუზერენი იყო, რადგან მას ელბის კუნძულის ნანილი ეკუთვნოდა (დასავლეთი ნანილის ორი მესამედი) და პორტო-ფერაიოში გარნიზონი ჰყავდა.

8. ლუკას რესპუბლიკა

1789 ნლის ლუკას რესპუბლიკა, რომელსაც "ტოსკანის ბაღნარს" უნოდებდნენ, მდინარე არნოს ქვემო დინებაზე მდებარე აყვავებულ პატარა სახელმნიფოს წარმოადგენდა. მას ჰქონდა ზღვაზე გასასვლელი "სარკმელი" (ვიარეჯო), რომელიც ტოსკანის პიეტრასანტას ანკლავში იყო შეჭრილი.

ამ რესპუბლიკამ გენუასთან, ვენეციასთან და სან-მარინოსთან ერთად, სხვა იტალიური რესპუბლიკებისგან განსხვავებით, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე ადგილობრივი თუ უცხოელი მთავრების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდნენ, გადარ-

ჩენა შეძლო საერთო მოვლენების პირისპირ. რესპუბლიკის დასაბამიდანვე დემოკრატიულმა კონსტიტუციამ, 1556 წელს ოლიგარქიის მიმართულებით ცვლილება განიცადა. აღნიშნული დროიდან, რესპუბლიკას არისტოკრატიის 200 წარმომადგენელი მართავდა. მისი მოსახლეობა დაახლოებით 120 000 კაცისგან შედგებოდა.

9. პიომბინოს სამთავრო

პიომბინოს სამთავრო ორი განსხვავებული ნაწილისგან შემდგარი პატარა სახელმწიფო იყო:

– ტოსკანის ბრწყინვალე საჰერცოგოს ტერიტორიაზე შეჭრილი პიომბინოს სამთავრო ხმელეთზე, პიომბინოს პორტის გარშემო იყო გადაჭიმული, სადაც 25 000 კაცი ცხოვრობდა;

– ელბის კუნძულის დასავლეთის ორი მესამედი პორტო-ფერაიოს გარშემო;

1789 წელს სამთავრო ბუონკომპანის სახლის მფლობელობაში იმყოფებოდა. მისი კონტინენტური ნაწილი ორივე სიცილიის სამეფოს ვასალი იყო, ხოლო ელბის კუნძულის ნაწილი ტოსკანის ბრწყინვალე საჰერცოგოსი, რომელსაც პორტო-ფერაიოში თავისი გარნიზონი ჰყავდა განლაგებული.

10. ორივე სიცილიის სამეფო

ორივე სიცილიის სამეფო ორი განსხვავებული ნაწილისაგან შედგებოდა:

– ნეაპოლის ან კონტინენტური სიცილიის სამეფო, რომელსაც ზოგჯერ შუქურის პირაქეთა (ფაროს კონცხი) დომენს უწოდებდნენ;

– სიცილიის (პალერმო), იგივე კუნძულის სიცილიის სამეფო, რომელსაც ზოგჯერ შუქურის გაღმა დომენს უწოდებდნენ. ორივე სიცილიის სამეფო იტალიის ნახევარკუნძულის ყველაზე დიდი, მაგრამ ყველაზე ჩამორჩენილი სახელმწიფო იყო, რომელსაც პაპის ოლქის სამხრეთი ნახევარი ეკავა. რამდენიმე გამონაკლისის გარდა (კამპანია, პალერმოსა და კატანიის დაბლობები), სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მწირი იყო და ჩვეულებისამებრ არისტოკრატიის მფლობელობაში მყოფი ნაკლებად ვარგისი დიდი ფეოდალური მამულებისგან (ლატიფუნდია) შედგებოდა. იქ კვლავაც იყო შენარჩუნებული ფეოდალური რეჟიმი. მის ტერიტორიაზე დაახლოებით 6 მილიონი კაცი ცხოვრობდა, 5 მილიონი კონტინენტურ ნაწილში, 1 მილიონი კი კუნძულზე. აღნიშნული ეპოქისთვის, სამეფოს დედაქალაქი ნეაპოლი მეტად მჭიდროდ იყო დასახლებული (400 000 კაცი), მაგრამ ქალაქს აქტიურობა აკლდა და მისი მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბეში ცხოვრობდა. განმანათლებელთა იდეებმა, რომელთა გავრცელებასაც ტანუჩიმ შეუნყო ხელი, ნეაპოლელთა მცირე ნაწილი მიიზიდა.

ორივე სიცილიის სამეფო ორი განსხვავებული მმართველობის ერთეულად იყო დაყოფილი, ვიცე-მეფე პალერმოში მეფეს წარმოადგენდა, რომლის რეზიდენცია ნეაპოლში იყო განლაგებული;

ა) ნეაპოლის სამეფო (პირაქეთა დომენი);

თავის მხრივ, ის ორ ნაწილად იყო დაყოფილი:

– საკუთრივ ნეაპოლის სამეფო 12 საინტენდანტოდ იქნა დანაწევრებული: კაზერტას პროვინცია (ნეაპოლი), პირაქეთა სამთავრო (სალერნო), პირიქითა სამთავრო (აველინო), მოლიზე (კამპო-ბასო), პირაქეთა აბრუცი (ჩიეტი), პირიქითა აბრუცი (აკუილეა), კაპიტანტე (ფორჯია), ტერა დი ბარი, ტერა დ'ოტრანტო, ბაზილიკატა (პოტენცა), პირაქეთა კალაბრია (კოზენცა), პირიქითა კალაბრია (რეჯო);

– ტოსკანის სამფლობელოები (ციხე-სიმაგრეების ან გარნიზონების ტერიტორია), რომელიც დაყოფილი იყო კონტინენტზე არსებული ციხე-სიმაგრეებისა (ორბეტელო, მონტე-არჯენტარიო, მონტე-ფილიპო, ტელამონე, პორტო-სანსტეფანო) და ელბის კუნძულის აღმოსავლეთი მესამედის ნაწილად (პორტოლანგონე).

ნეაპოლის სამეფოში პაპის ოლქის ორი დომენი იყო შეჭრილი: ბენევენტო პირიქითა სამთავროში და პონტე-კორვო კაზერტაში.

ბ) სიცილიის სამეფო (პირიქითა შუქურის დომენი)

ის სამ ოლქად იყო დაყოფილი: ვალე დი მაცარა (პალერმო), ვალე დი დემონე (მესინა), ვალე დი ნოტო (ნოტო). მის მფლობელობაში აგრეთვე შედიოდა იონიის, ეგადის, პანტელერიისა და ლამპიონეს კუნძულები.

III. იტალია რევოლუციის ქარცეცხლში (1789-1815წწ.)

საფრანგეთის რევოლუცია იყო ის მოვლენა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა, როგორც იტალიის, ასევე მთელი ევროპის საზოგადოებაზე. ახალმა რევოლუციურმა იდეებმა მაშინვე გამოხმაურება პპოვა იტალიაში, რომლის მიმართაც მოსახლეობის ნაწილი განსაკუთრებულად კეთილგანწყობილი იყო, რადგან ბევრ იტალიურ სახელმწიფოში "განათლებული დესპოტების" (სიუზერენები თუ მინისტრები) მიერ დაწყებულმა რეფორმისტულმა მოძრაობამ, ხალხი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის შეამზადა. ამავე დროს, საფრანგეთში განვითარებულმა მოვლენებმა იტალიურ სახელმწიფოთა მმართველები ძალზე შეაშფოთა, რომლებიც ყველა ხერხს მიმართავდნენ მათ სახელმწიფოებში მსგავსი იდეების გავრცელების სანინააღმდეგოდ.

მეორე გაღიმწყვეტი ელემენტი, რომელმაც "იტალიის" ნახევარკუნძულის მღელვარება გამოინვია, 1796 წელს საფრანგეთის მიერ წამოწყებული "იტალიის" კამპანია იყო ავსტრიის წინააღმდეგ, რომელშიც საფრანგეთის ჯარებს გენერალი ბონაპარტი ედგა სათავეში, რომელმაც დიდი გამარჯვებები მოუტანა საფრანგეთს. არ ივინყებდა რა თავის კორსიკულ და გენუის ნარმომავლობას, საფრანგეთის ჯარების გამარჯვებების შემდეგ, ბონაპარტი სიმპათიით განენყო იტალიაში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობის მიმართ. ამასთანავე, იგი იტალიაში პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლაზე ფიქრობდა თავისი და საფრანგეთის ინტერესების სასარგებლოდ.

თავდაპირველად, საფრანგეთის გავლენა "მომმე რესპუბლიკების" აღორძინებაში გამოვლინდა, რომელიც ფრანგული ინსტიტუტების მიბაძვით იქმნებოდა და თავის აპოგეას 1799 წელს მიაღნია. მას შემდეგ, რაც ნაპოლეონი პირველი კონსული, შემდეგ კი იმპერატორი გახდა, მან თავის ნებაზე შეცვალა იტალიის ტერიტორიული მოწყობა, რომელმაც 1800-1814 ნლების პერიოდი მოიცვა, და საფრანგეთის მსგავსად, ამ უკანასკნელს მონარქიის სახე მისცა. კონტინენტური იტალიის ტერიტორია საბოლოოდ სამ ბლოკად იქნა დაყოფილი:

– იტალიის ჩრდილო-დასავლეთი საფრანგეთის იტალია გახდა;
– იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთი იტალიის სამეფო გახდა;
– იტალიის სამხრეთი ნეაპოლის სამეფოდ იქცა.

1. იტალიის ჩრდილო-დასავლეთი

ა) სარდინია და პიემონტი

კონსერვატიული სულისკვეთების მქონე სარდინიის მეფე, ვიტორიო-ამედე III მტრულად იყო განწყობილი საფრანგეთის რევოლუციის მიმართ. პროვანსისა (მომავალში ლუი XVIII) და არტუას (მომავალში შარლ X) გრაფების სიმამრი, იგი სიამოვნებით იღებდა თავის სამეფოში რევოლუციას გამოქცეულ ემიგრანტებს.

1792 წელს იგი საფრანგეთის წინააღმდეგ შექმნილ ავსტრია-პრუსიის კოალიციას შეუერთდა. 1792 წელს საფრანგეთის ჯარებმა საოია და ნიცის საგრაფოს (ტანდის საგრაფოს გარდა) უდიდესი ნაწილი დაიკავეს. 1792 წლის 27 ნოემბერს საფრანგეთმა **საოიის საგრაფოს** ანექსია განახორციელა. 1793 წლის 31 იანვარს კონვენტმა საფრანგეთისთვის **ნიცის საგრაფოს** მიერთება დაამტკიცა (ტანდის საგრაფოს გარდა).

1794 წლის აპრილში ფრანგებმა სარდინიის ჯარს პიემონტამდე დაახევინეს, რის შემდეგაც ტანდის საგრაფო (ტანდი, ბრიგის საგრაფო, საორჯი) დე ფაქტო საფრანგეთს შეუერთდა. ამ დროიდან, სარდინიის მეფე ფაქტობრივად მხოლოდ პიემონტსა და სარდინიის კუნძულს განაგებდა.

1796 წლის 21 აპრილს "იტალიის არმიის" მთავარსარდალმა ბონაპარტმა, სარდინიის ჯარები მონდოვიში დაამარცხა. საფრანგეთსა და სარდინიას შორის ჩერაზკოში დაზავება მოხდა, რომელსაც 1796 წლის 15 მაისს პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმონერა მოყვა. ამ ხელშეკრულების თანახმად, სარდინიამ უარი თქვა **სავოიისა და ნიცის საგრაფოებზე საფრანგეთის სასარგებლოდ.**

1798 წლის 6 დეკემბერს სარდინიის მეფე კვლავ ეჭვმიტანილი იქნა რუსეთთან და ავსტრიასთან თანამშრომლობაში, რის შედეგადაც გენერალ ჟუბერის ჯარებმა პიემონტი დაიპყრეს. 8 დეკემბერს **მეფემ ოფიციალურად უარი თქვა პიემონტზე** და თავი სარდინიის კუნძულს შეაფარა. ამ უარმა პიემონტში იურიდიული ვაკუუმი შექმნა.

პიემონტელ პატრიოტებს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა ან მეზობელ ციზალპურ (იგივე ლიგურიის) რესპუბლიკასთან გაერთიანება სურდათ. 1799 წლის იანვარში დირექტორიამ იმპერატიულად უკუაგდო იტალიის რომელიმე რესპუბლიკასთან გაერთიანების შესაძლებლობა, მაგრამ პიემონტელებს დამოუკიდებლობისა ან საფრანგეთთან მიერთების არჩევანის საშუალება დაუტოვა.

1799 წლის 16 თებერვალს საეჭვო ვითარებაში ჩატარებული პლებისციტით, **პიემონტის საფრანგეთთან მიერთება გადაწყდა,** და იქ დროებითი ადმინისტრაცია დაინიშნა.

სარდინიის მეფე მხოლოდ კუნძულს განაგებდა და ამგვარი ვითარება 1814 წლამდე გაგრძელდა.

აღნიშნულ დროს, ფრანგები შვეიცარიისა და იტალიის საქმეებში ჩარევას აგრძელებდნენ და ინტრიგებითა თუ დაშინებით ხელს უწყობდნენ იქ მოძმე რესპუბლიკების აღმოცენებას. ამგვარმა აქტიურობამ მეორე კოალიციის შექმნა გამოიწვია, დიდ-ბრიტანეთსა (რომელსაც არ შეუწყვეტია სამხედრო მოქმედებანი), ახლად შემოერთებულ რუსეთსა და ავსტრიას შორის. 1799 წლის მარტში კონტინენტზე სამხედრო მოქმედებები განახლდა.

ავსტრია-რუსეთის კოალიციურმა ჯარებმა საფრანგეთის ჯარები დაამარცხეს, რის შემდეგაც ამ უკანასკნელებმა დატოვეს როგორც პიემონტი, ასევე იტალიის დანარჩენი ნაწილი. ახალი ოკუპანტები პიემონტელ პატრიოტებს ავიწროებდნენ და სარდინიის მეფეს პიემონტში დაბრუნება აუკრძალეს.

ხელისუფლების საოავეში მოქცეულმა (1799 წლის ნოემბერი) ეგვიპტიდან დაბრუნებულმა ბონაპარტმა 1800 წლის გაზაფხულიდან იტალიაზე იერიში განაახლა. მარენგოში (1800 წლის 18 ივნისი) მისმა გამარჯვებამ ფრანგებს კვლავ გაუხსნა დასაბრუნებელი გზა იტალიაში, რომლებმაც პიემონტი დაიკავეს და იქ ახალი დროებითი ადმინისტრაცია დააყენეს.

ბონაპარტს ახლიდან უნდა გადაეწყვიტა 1799 წელს ანექსირებული პიემონტის საკითხი, რომელიც კოალიციის გამარჯვების შედეგად ცამეტი თვის მანძილზე ისევ "სარდინიის გახდა". მას შეეძლო უგულებელყო 1799 წელს ჩატარებული პლებისციტის შედეგები, მაგრამ მან პიემონტის საფრანგეთისთვის შენარჩუნება გადაწყვიტა, რაც სტრატეგიული (ის ალპებზე გასასვლელს უზრუნველყოფდა), გეოპოლიტიკური (ის ავსტრიის ვენეციის საგრაფოსთან ნონასწორობას უზრუნველყოფდა) და ეკონომიკური (ის მდიდარი იყო საფრანგეთისთვის საჭირო სოფლის მეურნეობის ნანარმით: ბრინჯი, თუთის ხის ფოთლები მეაბრეშუმეობისთვის) მიზეზებით იყო გამონვეული.

ზემოაღნიშნულის განხორციელებით ბონაპარტმა, როგორც პიემონტელთა დიდი ნაწილის, ასევე ციზალპური რესპუბლიკის ხელისუფალთა უკმაყოფილება გამოინვია. 1800 წელს მილანელთა კომპენსაციისთვის ბონაპარტმა პიემონტს (კვლავ საფრანგეთის მფლობელობაში მყოფი) ნავარა ჩამოართვა (სეზიასა და ტიჩინოს შორის მდებარე რეგიონი) და ის ციზალპურ რესპუბლიკას გადასცა.

1801 წელს პიემონტი ექვს სამხედრო პრეფექტურად დაიყო: ერიდანი, მოგვიანებით პო (ტურინი), მარენგო (ალესანდრია), ტანარო (ასტი), სეზია (ვერჩელი), დუარია (ივრეა) და სტურა (კონი).

1802 წლის 10 ივნისს ბონაპარტმა პიემონტს ჩამოართვა ონეილის (ონეგლია) ზღვაზე გასასვლელი "სარკმელი" და ლოანოს ანკლავი, რომელიც ლიგურიის რესპუბლიკას დაუთმო.

1802 წლის 11 სექტემბერს იტალიელთა იმედებისა და ევროპის საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგოდ, ბონაპარტმა ოფიციალურად დაამტკიცა საფრანგეთისთვის პიემონტის მიერთება.

1801 წლის აპრილში შექმნილი ექვსი სამხედრო პრეფექტურა ახალ ექვს ფრანგულ დეპარტამენტად გადაკეთდა:

– ერიდანი, მოგვიანებით პო: ტურინი, პინეროლი, სუზა;
– მარენგო: ალესანდრია, ბობიო, კაზალი, ტორტონა, ვოგერა;
– ტანარო: ასტი, აკუი, ალბა;
– სეზია: ვერჩელი, ბიელა, სანტია;
– დუარია: ივრეა, აოსტა, ჩივასო;
– სტურა: კონი, მონდავიო, სალუცო, საველიანო.

1805 წლის 6 ივნისს ლიგურიის რესპუბლიკა საფრანგეთის იმპერიას შეუერთდა და ამგვარად, პიემონტს საბოლოოდ გაუჩნდა ბუნებრივი გასასვლელი ზღვაზე.

ლიგურიის რესპუბლიკის ანექსია სამი ახალი დეპარტამენტის შექმნაში აისახა: მონტენოტი (საგონა), გენუა (გენუა), აპენინები (ჩიავარი). ამ დაყოფამ ცვლილებები შემოიტანა პიემონტის დეპარტამენტებად დაყოფაში. ტანაროს დეპარტამენტი გაუქმდა და მარენგოს (ასტის დეპარტამენტი), სტურასა (ალბას დეპარტამენტი) და მონტენოტის (აკუის დეპარტამენტი) დეპარტამენტებს შორის გადანაწილდა. მარენგოს დეპარტამენტმა გენუის დეპარტამენტს ბობიოს, ტორტონისა და ვოგერის ოლქები დაუთმო.

აღნიშნული ცვლილებების შემდეგ პიემონტის, ლიგურიისა და ნიცის დეპარტამენტებად დაყოფა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

– პო: ტურინი, პინეროლი, სუზა;
– მარენგო: ალესანდრია, ასტი, კაზალი;
– სეზია: ვერჩელი, ბიელა, სანტია;
– დუარია: ივრეა, აოსტა, ჩივასო;
– სტურა: კონი, ალბა, მონდოვი, სალუცო, საველინო;
– მონტენოტი: საგონა, აკუი, ჩევა, პორტო-მორისი;
– გენუა: გენუა, ბობიო, ნოვი, ტორტონა, ვოგერა;
– აპენინები: ჩიავარი, ბარდი, სარცანა;
– ზღვის ალპები: ნიცა, პუჟე-ტენიე, სან-რემო.

ახლად შექმნილი პიემონტ-ლიგურიის ტერიტორიული ერთობლიობა ამგვარი სახით 1814 წლამდე საფრანგეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, და "საფრანგეთის იტალიის" ყველაზე ძველსა და ყველაზე ძლიერ ელემენტს წარმოადგენდა.

1814 წლის გაზაფხულზე იტალია ანტიფრანგულმა კოალიციამ დაიპყრო. საფრანგეთის ჯარებმა, ისევე როგორც სამოქალაქო ადმინისტრაციამ, იტალიის ტერიტორია დატოვა. ნაპოლეონის დამარცხებამ შესაძლებელი გახადა 1814 წლის 20 მაისს მეფე ვიტორიო-ემანუელ I-ის ტურინში დაბრუნება. სამეფო აღდგენილ იქნა.

1814 წლის 30 მაისის პარიზის ხელშეკრულების თანახმად, **საფრანგეთმა სარდინიის სამეფოს პიემონტი, ნიცის საგრაფო და სავოიის საგრაფო დაუბრუნა**, შამბერისა და ანესის გარდა, სავოიის საგრაფოს ჩრდილოეთით მდებარე რამდენიმე კომუნა (კარუეი) კი ჟენევის კანტონს გადაეცა.

"ასი დღის" შუალედის შემდეგ, 1815 წელს ვენის კონგრესმა **სარდინიის სამეფოს აღდგენა დაამტკიცა** და 1790 წელს არსებულ ტერიტორიაზე მეტიც გადასცა. ამ დროიდან სარდინიის სამეფო შემდეგი ტერიტორიებისგან შედგებოდა:

– **სარდინია და ნიცის საგრაფო** 1790 წლის მდგომარეობით;
– **სავოია** 1790 წლის ტერიტორიულ ფარგლებში, ჟენევისთვის გადაცემული რამდენიმე კომუნის გარდა;
– **პიემონტი** 1790 წლის ტერიტორიულ ფარგლებში, ნავარის რეგიონის ჩათვლით, რომელიც 1801 წელს ციზალპურ რესპუბლიკას გადაეცა;
-**გენუის რესპუბლიკის ტერიტორია** 1790 წლის ტერიტორიულ ფარგლებში, კერძოდ კი ლიგურიის სანაპირო და კაპრაიას კუნძული;
– მონაკოს სამთავროს სიუზერენობა.

სამეფო ათ გენერალურ საინტენდანტოდ დაიყო: ტურინი, კონი, ალესანდრია, ნავარა, აოსტა, ნიცა, გენუის საჰერცოგო, საოიის საჰერცოგო, კალიარი და სასარი.

ბ) გენუა

1789 წლის 30 ნოემბერს დამფუძნებელი კრების გადაწყეტილებით, კორსიკის მცხოვრებლები საფრანგეთის მოქალაქეები გახდნენ მათ მიერ გამოხატული ნების თანახმად, და აქედან გამომდინარე, დადგინდა გენუის მიერ კუნძულის შესაძლებელი გამოსყიდვის მუხლის გაუქმება, რომელიც 1768 წელს უფლებების გადაცემის დროს იყო დადგენილი. ამგვარად, საბოლოოდ გადაწყდა კორსიკის საფრანგეთისთვის მიერთება. კორსიკელები სხვა ფრანგების მსგავსად ფრანგები გახდნენ.

გენუის რესპუბლიკის არისტოკრატიული მთავრობა თავისი ბუნებიდან გამომდინარე, წინააღმდეგობას უწევდა საფრანგეთის რევოლუციის იდეებს. 1796 წლის ნოემბერში ჩრდილოეთ იტალიაში საფრანგეთის ჯარების გამარჯვების შემდეგ, ბონაპარტმა მიიჩნია, რომ მისთვის აუცილებელი იყო მისასვლელი ჰქონოდა გენუის პორტში, რისთვისაც იქ შემწყნარებელი ხელისუფლება ესაჭიროებოდა.

1797 წლის მაის-ივნისში საფრანგეთის წარმომადგენლის ფეპულტის მიერ წაქეზებული "დემოკრატთა" აჯანყება ჩახშობილი იქნა ოლიგარქიული ხელისუფლების მიერ მდაბიო ხალხის დახმარებით. ბონაპარტმა გენუის სენატს კონსტიტუციის დემოკრატიზაციის საკითხი დაუყენა. 1797 წელს შემუშავებული კონსტიტუციის თანახმად, გენუის ძველი რესპუბლიკა **ლიგურიის რესპუბლიკად** გადაკეთდა, რამაც საავჭრო და საფინანსო ბურჟუაზიას ხელისუფლებაში შეღწევის საშუალება მისცა.

"ცამეტი თვის" პერიოდის განმავლობაში (1799 წლის მაისი – 1800 წლის ივნისი) ლიგურიის რესპუბლიკა ნახევარკუნძულის დანარჩენი ნაწილის მსგავსად, ფრანგების ნინააღმდეგ აჯანყდა. ქალაქი გენუა, რომელშიც გენერალი მასენა ავსტრიის ჯარების მიერ იყო გარშემორტყმული, საფრანგეთის ჯარების წინააღმდეგობის უკანასკნელ პუნქტს წარმოადგენდა. გენერალმა მასენამ კაპიტულაცია მხოლოდ 4 ივნისს გამოაცხადა. მოგვიანებით, პირველმა კონსულმა ბონაპარტმა, ხელახლა დაიკავა რესპუბლიკა და იქ ლიგურიის რესპუბლიკა აღადგინა.

1802 წლის 10 ივნისის პარიზის შეთანხმებით, საფრანგეთმა, რომელიც 1800 წლიდან დროებითი რეჟიმის ქვეშ პიემონტს კვლავ განაგებდა (1799 წლის პირველი ეფემერული ანექსიის შემდეგ) **ლიგურიის რესპუბლიკას ნეგლიოს ზღვაზე გასასვლელი ფანჯარა და ლოანოს ანკლავი დაუთმო.**

ზემოაღნიშნულის საპასუხოდ, **ლიგურიის რესპუბლიკამ საფრანგეთს კაპრაიას კუნძული დაუთმო,** რომელიც ამ უკანასკნელმა ელბის კუნძულის მმართველობასთან გააერთიანა.

ბონაპარტის მიერ უფლებამოსილებით აღჭურვილმა სოლიჩეტიმ, კიდევ ერთხელ გამოაქვეყნა ლიგურიის რესპუბლიკის ახალი დემოკრატიული კონსტიტუცია. ეს უკანასკნელი ბურჟუაზიას ხელისუფლებაში მისვლის შესაძლებლობას აძლევდა. ამავე კონსტიტუციით შემოღებული იქნა ცნობილი დოჟის წოდება სახელმწიფოს მეთაურისთვის.

1803 წელს განახლდა ომი საფრანგეთსა და ინგლისს შორის. საფრანგეთის მიერ დანყებულმა საზღვაო ბლოკადამ, რომელიც გენუასაც შეეხო, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა რესპუბლიკის ეკონომიკური ცხოვრება, საიდანაც გამოსავალს გენუა საფრანგეთის ბაზარზე შეღწევაში ხედავდა. მეორე მხრივ, ბონაპარტი,

რომელიც ნაპოლეონ I, ფრანგებისა და იტალიის მეფე გახდა, იტალიის ნახევარკუნძულზე არსებული რესპუბლიკური მმართველობის ფორმების გაუქმებაზე ფიქრობდა.

1805 წლის 6 ივნისს **ლიგურიის რესპუბლიკა საფრანგეთთან იქნა მიერთებული,** რასაც მასთან პიემონტის მიერთებაც მოჰყვა.

1815 წელს ვენის კონგრესმა იტალიის სამეფო ტახტები აღადგინა, რომელიც ნაპოლეონის ბობოქარი ეპოქის დროს დაამხო. ყოფილი რესპუბლიკები, რომელიც ბევრისთვის სანატრელი ლუკმა იყო, არ იქნა აღდგენილი (მხოლოდ სან-მარინომ მოახერხა გადარჩენა).

აღნიშნულ ფარგლებში, **გენუის ყოფილი რესპუბლიკა სარდინიის სამეფოს მფლობელობაში გადავიდა,** რომელიც ამიერიდან ამ უკანასკნელის საზღვაო ფასადს წარმოადგენდა გენუის საპერცოგოს სახელით.

გ) პარმა

პარმის ჰერცოგმა ფერდინანდმა, დონ ფოლიპეს ვაჟმა და ესპანეთის მეფის კარლოს IV-ის ბიძაშვილმა (ამავე დროს სიძემ), რომელიც პარმას, პიაჩენცასა და გუასტალას 1765 წლიდან განაგებდა, 1796 წლის ქარცეცხლიან პერიოდში თავისი სამფლობელოს გადარჩენა მოახერხა. 1800 წლის ზაფხულში, მარენგოში გამარჯვების შემდეგ, საფრანგეთის ჯარებმა საპერცოგოს ტერიტორია დაიკავეს. აღნიშნულ დროს, ბონაპარტი ახლად აღდგენილი ციზალპური რესპუბლიკის გაფართოებას პარმის შემოერთებით აპირებდა. ამავე დროს, საფრანგეთის მოკავშირე ესპანეთი, პარმის ბურბონთა მეშვეობით, ამ ბობოქარი პერიოდის გამოყენებას ცდილობდა ცენტრალურ იტალიაში თავისი გავლენის სფეროს გასაზრდელად.

1800 წლის 1 ოქტომბერს სან-ილდეფონსოში დადებული პირველი ხელშეკრულების თანახმად, საფრანგეთი და ესპანეთი პარმის ჰერცოგის სამფლობელოს 1-დან 1,2 მილიონ მცხოვრებამდე გაზრდისა და ჰერცოგისთვის მეფის ტიტულის მინიჭების შესახებ შეთანხმდნენ. იტალიაში მის ხელში უნდა გადასულიყო ტოსკანა ან პაპის ლეგატს დაქვემდებარებული სამი პროვინცია ან იტალიის რომელიმე სხვა "დიდი სახელმწიფო". აღნიშნულის სანაცვლოდ, საფრანგეთი ესპანეთისგან ლუიზიანას მიიღებდა.

თუმცა 1801 წლის გაზაფხულზე ვითარება შეიცვალა. 21 მარტს არანხუესში საფრანგეთსა და ესპანეთს შორის ახალი ხელშეკრულება დაიდო, რომელიც შემდეგს ითვალისწინებდა:

– პარმის ჰერცოგის ვაჟი, კარლოსი ტოსკანის მეფე უნდა გამხადიყო (ამ ტერიტორიას მოგვიანებით ეტრურია ეწოდა), რომელიც დიდ ჰერცოგ ფერდინანდს (ჰაბსბურგი) უნდა დაეთმო;

– ამის სანაცვლოდ, **პარმის ჰერცოგს თავის საპერცოგოზე უარი უნდა ეთქვა საფრანგეთის სასარგებლოდ.**

პარმის ჰერცოგმა უარი თქვა ტახტიდან გადადგომაზე. ესპანეთის დაჟინებითი მოთხოვნით ბონაპარტმა მას თავისი საპერცოგო სამუდამოდ დაუტოვა, თუმცა ფრანგი რეზიდენტის მმართველობის ქვეშ. ჰერცოგის გარდაცვალების შემდეგ საპერცოგო საფრანგეთს უნდა დაბრუნებოდა.

1802 წლის 9 ოქტომბერს ჰერცოგ ფერდინანდის გარდაცვალებას საფრანგეთის მიერ **პარმის საპერცოგოს ოკუპაცია და საბოლოო ანექსია მოჰყვა.** მიუხედავად ჰერცოგის ვაჟის ლუიჯი I ეტრურიელის დაუყოვნებლივი მოთხოვნისა, ბონაპარტმა საპერცოგოს საკითხი გაურკვეველად დატოვა 1808 წლამდე, რადგან იგი დიდხანს ყოყმანობდა ამ ქვეყნის მომავლის თაობაზე, რომელიც ამგვარად, დროებითი მმართველის დაქვემდებარების ქვეშ ე.წ. სარეზერვო ტერიტორიად იქცა.

1806 წლის მარტში **გუასტალის პატარა საპერცოგო პარმასა და პიაჩენცას გამოეყო,** ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მიზნით. ის იმპერატორ ნაპოლეონის დას, პოლინა ბორგეზეს გადაეცა მფლობელობაში. 1806 წლის ივლისის თვეშივე, პოლინამ გუასტალაში ცხოვრებას პარიზში ყოფნა არჩია და ეს საპერ-

ცოგო თავის ძმას, იტალიის მეფეს, ნაპოლეონს მიჰყიდა და მხოლოდ ჰერცოგის წოდება დაიტოვა.

1808 წლის 30 მაისს საფრანგეთის მიერ ეტრურიის სამეფოს ანექსიისთანავე, საიმპერატორო დეკრეტის თანახმად, **პარმისა და პიაჩენცის საჰერცოგო საფრანგეთის იმპერიის საერთო რეჟიმში იქნა ინტეგრირებული** და ის ტაროს დეპარტამენტად გადაკეთდა:

– ტარო: პარმა, ბორგო, სან დონინო, პიაჩენცა.

1814 წლის გაზაფხულზე დასრულდა საფრანგეთის ყოფნა პარმაში. 1814 წლის 11 აპრილს ფონტენბლოში ნაპოლეონის მიერ ტახტიდან პირველი გადადგომის შემდეგ, ამ უკანასკნელმა ავსტრიასთან, პრუსიასთან და რუსეთთან ფონტენბლოს ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმად, გადაწყდა მისი და მისი მეუღლის, მარია-ლუიზას ბედი.

პარმისა და პიაჩენცის საჰერცოგოს კვლავ შეუერთდა გუასტალის საჰერცოგო, რომელიც მარია-ლუიზას სასარგებლოდ იქნა აღდგენილი. აღნიშნული საჰერცოგო მარია-ლუიზას მფლობელობაში მისი სიცოცხლის მანძილზე გადავიდა, და მას ასევე იმპერატორის წოდება შეუნარჩუნდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, საჰერცოგო ამ უკანასკნელის ვაჟის, რომის პატარა მეფის, კარლო-ფრანცისკოს ხელში უნდა გადასულიყო. ეს დებულებები დამტკიცებული იქნა "ასი დღის" ეპიზოდის შემდეგ, 1815 წლის 9 ივნისის ვენის კონგრესის საბოლოო აქტით.

დ) ტოსკანა, მოგვიანებით ეტრურია

იოსებ II-ის გარდაცვალების (1790წ.) შემდეგ, რომელსაც გვარის გამგრძელებელი არ ჰყავდა, მისი ძმა დიდი ჰერცოგი პეტერ-ლეოპოლდი (იმპერატორი ლეოპოლდ II) მეფობისთვის ვენაში გაემგზავრა, და ტოსკანის ტახტზე თავისი უმცროსი ვაჟი, ფერდინანდ III დატოვა. ამ უკანასკნელმა გადარჩენა მოახერხა 1796 წელს ბონაპარტის მიერ წარმოებული ქარ-ცეცხლიანი კამპანიის დროს, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთს ტოსკანის ლივორნოს პორტი ჰქონდა დაკავებული.

საფრანგეთის ჯარების მიერ რომისა (1798წ.) და ნეაპოლის (1799წ.) ოკუპაციამ არასაკმარისი გახადა ტოსკანის, პაპის მარკესა და უმბრიის შემოერთებული წარმოებული ვაჭრობა. ბონაპარტმა ავსტრიასთან სამხედრო მოქმედებების განახლების საბაბით (1799წ.) მაშინვე განახორციელა დიდი საჰერცოგოს ოკუპაცია 1799 წლის მარტში. ფერდინანდ III ვენაში გაიქცა, მაგრამ ბონაპარტმა მომავლის თადარიგი დაიჭირა და ტოსკანაში დროებითი რეჟიმის დამყარებით დაკმაყოფილდა.

"ცამეტი თვის" პერიოდი (1799 წლის მაისი – 1800 წლის ივნისი) ნახევარკუნძულზე ავსტრია-რუსეთის კოალიციის გამარჯვებით, ტოსკანაში საფრანგეთის რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებებით, ფლორენციაში ფერდინად III-ის დროებითი დაბრუნებითა და მარენგოში (1800 წლის ივნისი) ფრანგების კონტრშეტევით აღინიშნა, რომელსაც მაშინვე დიდი საჰერცოგოს ხელახალი ოკუპაცია მოჰყვა. მშვიდობის მოლოდინში, პირველმა კონსულმა ბონაპარტმა იქ დროებითი მმართველობა შემოიღო.

ტოსკანის ბედის გადასაწყვეტად, 1801 წლის თებერვალსა და მარტს შორის საფრანგეთმა სამი ხელშეკრულება დადო: ლუნევილში ავსტრიასთან (9 თებერვალი), არანხუესში (21 მარტი) ესპანეთთან და ფლორენციაში (28 მარტი) ორივე სიცილიის სამეფოსთან.

ლუნევილში გადაწყდა, რომ **დიდ ჰერცოგს უარი უნდა ეთქვა ტოსკანასა და ელბის კუნძულის დასავლეთი ნაწილის სიუზერენობაზე**, და ისინი საფრანგეთის განკარგულებაში უნდა გადაეცა (თავად დიდი ჰერცოგი ზალცბურგში გაემგზავრა გასამეფებლად).

არანხუესში გადაწყდა, რომ:

– **ტოსკანა პარმის ჰერცოგის ვაჟის, ინფანტ ლუი-კარლოსის ხელში უნდა გადასულიყო**, რომელსაც ტოსკანის მეფის წოდება მიენიჭებოდა (მოგვიანებით ეტრურიის);

– ბუონკომპანის სახლისთვის ჩამორთმეული **ელბის კუნძულის დასავლეთი ნაწილის ორი მესამედი** საფრანგეთს უნდა შენარჩუნებოდა;

– **პიომბინოს სამთავრო** ასევე ჩამოერთვა მის მთავარს, რომელიც მას ორიეე სიცილიის მეფის სიუზერენობის ქვეშ მართავდა და კომპენსაციად ტოსკანა გადაეცა.

ფლორენციაში გადაწყდა, რომ ორივე **სიცილიის სამეფოს საფრანგეთისთვის** უნდა დაეთმო:

– **ელბის კუნძულის აღმოსავლეთი ნაწილის მესამედი და ტოსკანის ციხე-სიმაგრეები;**

– **პიომბინოს სამთავროს სიუზერენობა,** რომელიც საფრანგეთმა შვიდი დღით ადრე ტოსკანას მიუერთა.

ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად, ტოსკანის ტერიტორია, რომელიც წინათ ჰაბსბურგების დიდ საჰერცოგოს, ლუკას რესპუბლიკის, პიომბინოს სამთავროსა და ნეაპოლის სამეფოს (ელბის კუნძულის ნაწილი, ციხე-სიმაგრეები) შორის იყო დაყოფილი, ამ დროიდან ბურბონების სამეფოს, ლუკას რესპუბლიკასა და საფრანგეთს შორის გადანაწილდა (ხელახლა გაერთიანებული ელბის კუნძული დროებითი მმართველობით აღიჭურვა და მას ციხე-სიმაგრეები დაემატა).

უკვე ეტრურიად წოდებული (ანტიკური ხანის გავლენა) სამეფოს ახალი სიუზერენის რეზიდენცია ესპანეთში იყო განლაგებული. 1801 წელს სიუზერენი ფლორენციაში პარიზის გავლით ჩავიდა, რაც ბონაპარტის მოთხოვნით გაკეთდა, რადგან აღნიშნული ფაქტი მისთვის საფრანგეთის რესპუბლიკასა და ბურბონებს შორის მორიგების სიმბოლოს წარმოადგენდა.

1802 წლის 9 ოქტომბერს პარმის ჰერცოგის გარდაცვალებას, საფრანგეთის მიერ საჰერცოგოს დაპყრობა მოჰყვა. გარდაცვლილის ვაჟს, ეტრურიის მეფე ლუიჯი I-ს იმედები გაუცრუვდა საჰერცოგოს სამეფოსთან გაერთიანებასთან დაკავშირებით. ამის სანაცვლოდ, ბონაპარტმა მას ტოსკანის ციხე-სიმაგრეები დაუთმო, რომელიც სამუდამოდ ტოსკანასთან (ეტრურია) იქნა მიერთებული.

1803 წლის 27 მაისს ლუი I-ის გარდაცვალებას მისი ქვრივის მარია-ლუიზას რეგენტობა მოჰყვა, რომელიც თავისი არასრულწლოვანი ვაჟის, ლუი II-ის სახელით მართავდა.

ახალ იმპერატორ ნაპოლეონ I-ს თავისი ოჯახისთვის სუვერენული ტერიტორიების გადაცემა სურდა. 1805 წლის 7 ივნისს მან თავისი დის, ელიზას და მისი მეუღლის, ფელიქს ბაჩიოჩისათვის, ლუკას რესპუბლიკა სამთავროდ გადააკეთა და **ეტრურიას პიომბინოს ყოფილი სამთავრო ჩამოართვა ლუკას სამთავროსთვის მისაერთებლად,** რომელიც ლუკასა და პიომბინოს სამთავრო გახდა.

მარია-ლუიზას რეგენტობის სუსტი მმართველობის მანძილზე შესაძლებელი გახდა ფლორენციაში იტალიის "იაკობინელთა" მიღება, ხოლო ლივორნოში ინგლისური ნანარმის შემოტანა, რასაც ნაპოლეონი არამეგობრულ პოლიტიკად მიიჩნევდა.

აღნიშნული ვითარებისთვის წერტილის დასასმელად, ნაპოლეონმა ესპანეთის მეფის ფავორიტის, მინისტრ გოდოის ამბიციები გამოიყენა, რომელსაც პორტუგალიაში შეღწევა და იქ სამეფოს შექმნა სურდა. ნაპოლეონი შეუდგა კიდეც ამ მიზნების ხორცშესხმას, მაგრამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ფონტენბლოს ხელშეკრულებით (1807 წლის 27 ოქტომბერი) პორტუგალია სამ ნაწილად უნდა დაყოფილიყო: ჩრდილოეთი ნაწილი, მინიოსა და დუროს შორის, დედაქალაქით პორტოში, შემონახული იყო ეტრურიის სამეფოს დედოფალ მარია-ლუიზასა და მისი ვაჟის, ლუიჯი II-თვის, რომელიც ჩრდილოეთ ლუზიტანიის მეფე უნდა გამხდარიყო. აღნიშნულის სანაცვლოდ, **ეტრურიის მეფემ თავისი სამეფო საფრანგეთს დაუთმო.** 1807 წლის ნოემბერში ლუიჯი II-სა და მის დედას, ეტრურიის დატოვება სთხოვეს, სადაც დროებითი მმართველობა იქნა შემოღებული.

1808 წლის 24 მაისს სენატუს-კონსულტის გადაწყვეტილებით, რომელიც 30 მაისის დეკრეტით იქნა დამტკიცებული, **ეტრურია საფრანგეთთან იქნა მიერთებული,** და ის სამ ახალ დეპარტამენტად დაიყო:

– არნო: ფლორენცია, მოდილიანა, პისტოია;

– ხმელთაშუა ზღვის: ლივორნო, არეცო, ვოლტერა, პიზა;
– ომბრონე: სიენა, გროსეტო, მონტეპულჩანო.

ლუნიჯიანისა (პონტრემოლი, ფივიცანო) და პიეტრასანტას ტოსკანური ანკლავები აპენინების დეპარტამენტს შეუერთდა და იქ ახალი პონტრემოლის დეპარტამენტი შეიქმნა.

თავისი დის საამებლად, რომელიც უმაყოფილო იყო ლუკას მცირე ტერიტორიაზე სიუზერენობით, ნაპოლეონმა 1809 წლის 2 მარტს მას **ტოსკანის დიდი ჰერცოგის წოდება** უბოძა (მეუღლის გარეშე). ელიზას ტოსკანის სამი დეპარტამენტის შეზღუდული მეთვალყურეობის უფლება გადაეცა პარიზზე დაქვემდებარებით. ამავე დროს, აღნიშნული დეპარტამენტები იურიდიულად და ადმინისტრაციულად, საფრანგეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა.

1809 წლის 7 აპრილის დეკრეტით, ელბის კუნძული თავისი შემოგარენით იმპერიის საერთო რეჟიმს დაექვემდებარა და საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის ფრანგულ დეპარტამენტთან იქნა მიერთებული, რომლისგანაც ახალი ოლქი შეიქმნა.

1814 წლის აპრილში ტოსკანაში ფრანგების მმართველობა დასრულდა და ქვეყანას იმპერატორის კომისრები მართავდნენ დიდი საჰერცოგოს აღდგენის მოლოდინში. დიდი ჰერცოგი ფერდინანდი, რომელიც 1791 წლიდან 1799 წლამდე ფლორენციას, 1802 წლიდან 1805 წლამდე ზალცბურგს და 1806 წლიდან 1814 წლამდე ვიურტცბურგს განაგებდა, 1815 წელს ტოსკანაში გასამეფებლად დაბრუნდა.

ტოსკანის დიდი საჰერცოგო მის სასარგებლოდ იქნა აღდგენილი ლუიჯიანის (პონტრემოლი და ფივიცანო) ანკლავების ჩათვლით. ამიერიდან ის გამოყოფილი იქნა მასა-კარარას (ამ პატარა საჰერცოგოს ტოსკანის სამფლობელოები გადაეცა), პიეტრასანტის ანკლავებისა და ტოსკანის ციხე-სიმაგრეებისგან. 1814 წელს ნაპოლეონისთვის გადაცემული **ელბის კუნძული 1815 წელს დიდ საჰერცოგოს გადაეცა.** 1815 წელს თავის უფლებებში აღდგენილმა პიომბინოს მთავარმა თავისი **სამთავრო ტოსკანის დიდ ჰერცოგს მიჰყიდა.**

ამგვარად აღდგენილი დიდი საჰერცოგო ხუთ პროვინციას მოიცავდა, რომელსაც დანაყოფები ეწოდა: ფლორენცია, არეცო, სიენა, გროსეტო და პიზა (ამ უკანასკნელის დაქვემდებარებაში სამი ანკლავი იყო).

ე) ლუკა

ბონაპარტის ჯარების მიერ იტალიის ოკუპაციის შედეგად, ლუკას პატარა, სუსტი რესპუბლიკა ოკუპაციის ქვეშ აღმოჩნდა. 1799 წლის 25 იანვარს გენერალმა სერურიემ რესპუბლიკას ფრანგული მოდელის მიხედვით შექმნილი "დემოკრატიული" კონსტიტუცია მოიახვია თავს, რომლის მიზანსაც ძველი ოლიგარქიული რესპუბლიკის მომძე რესპუბლიკად გარდაქმნა წარმოადგენდა გენუის მსგავსად. "ცამეტი თვის" ეპიზოდს საფრანგეთის ჯარების უკანდახევა მოჰყვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი კონსტიტუცია არ ამოქმედებულა და ძველი ინსტიტუტები აღდგენილ იქნა

ფრანგების დაბრუნების შემდეგ (1800 წლის ივნისი) ბონაპარტის ნდობით აღჭურვილმა სალიჩეტიმ, 1801 წელს ლუკას რესპუბლიკა ხელმეორედ აღჭურვა დემოკრატიული კონსტიტუციით.

1805 წლს ფრანგების იმპერატორად კურთხეულმა ნაპოლეონმა იტალიის ნახევარკუნძულის რესპუბლიკური ფორმის მმართველობის გაუქმება გადაწყვიტა.

მეორე მხრივ, ნაპოლეონი თავისი ოჯახის წევრებისთვის ევროპაში სიუზერენთა წოდებების გადაცემას ცდილობდა. 1805 წლის 7 ივნისს **ლუკას რესპუბლიკა სამთავროდ გადაეცოდა** ფელიქს და ელიზა (ნაპოლეონის და) ბაჩიოჩების სასარგებლოდ. პიომბინოს ყოფილი სამთავრო ეტრურიას გამოეყო და ლუკასთან იქნა მიერთებული ლუკასა და პიომბინოს სამთავროში გასაერთიანებლად. ეს უკანასკნელი ორი განსხვავებული ტერიტორიისგან იყო შემდგარი, რომელიც ეტრურიის სამეფოსგან ზღვისპირეთის ზოლით იყო გამოყოფილი.

1806 წლის მარტში იტალიის სამეფომ, რომელსაც ვენეციის რეგიონი დაემატა, დათმო მასა და კარარას ყოფილი საჰერცოგო (ძველი მოდენის საჰერ-

ცოგოს დაქვემდებარებაში მყოფი), რომელიც ლუკასა და პიომბინოს სამთავროსთან იქნა მიერთებული.

1809 წელს ლუკას და პიომბინოს მთავარი, ელიზა ბაჩიოჩი დაქერივდა და გარდაცვლილი მეუღლის ნაცვლად ტოსკანის საპერცოგოს მმართველი გახდა, თუმცა ტოსკანა ადმინისტრაციულად საფრანგეთის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა და ლუკასა და პიომბინოს სამთავროსგან გამოყოფილი იყო.

1814 წლის გაზაფხულზე დიდმა ჰერცოგმა თავდაპირველად ფლორენცია, შემდეგ კი ლუკა დატოვა. **ლუკასა და პიომბინოს სამთავრო ნაპოლეონის პოლიტიკური სისტემის დაშლის შედეგად გაქრა.** 1815 წელს ის ამგვარად იქნა დაყოფილი:

– ლუკას ყოფილი რესპუბლიკა ლუკას საპერცოგოდ გადაკეთდა ეტრურიის ყოფილი მეფის ლუიჯი II, პარმის ბურბონის ლუი-კარლოსის სასარგებლოდ, რომელსაც ამ საპერცოგოს მართვა შესთავაზეს.

– **მასა და კარარას** საპერცოგო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა და ის მუდმივ მფლობელობაში მარია-ბეატრიჩე ესტეს გადაეცა, რომელიც მოდენის ჰერცოგის ფრანცისკო IV-ის დედა იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ საპერცოგო მოდენის მფლობელობაში უნდა გადასულიყო;

– **პიომბინოს სამთავროს** ყოფილი კონტინენტური ტერიტორია მთავარ ბუონკომპანის დაუბრუნდა, მაგრამ მან ის ტოსკანას მიჰყიდა.

ვ) საფრანგეთის იტალიური ტერიტორიები

1799 წლიდან 1814 წლამდე, ფრანგი რევოლუციონერების მიერ წინათ ნაქადაგები ბუნებრივი საზღვრების თეორიის საპირისპიროდ, საფრანგეთი თანდათან იტალიის ჩრდილო-დასავლეთის ანექსიას შეუდგა ტურინიდან რომამდე. საფრანგეთის იმპერიის გაუგონარი ზრდისთვის ახსნის მოძებნა შეიძლებოდა ნაპოლეონის მზარდი ავტორიტარიზმისა და ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლით კონტინენტური ბლოკადის გამოყენებით. ანექსირებული ტერიტორიები ფრანგული მოდელის მიხედვით დეპარტამენტებად დაიყო, რომელიც იმპერიის კანონმდებლობით, მეთოდებითა და მმართველი პერსონალით იმართებოდა.

1799 წლიდან 1809 წლამდე საფრანგეთის იტალიური ტერიტორიების ჩამოყალიბება ამგვარად გამოიყურებოდა:

– პიემონტი (6 დეპარტამენტი), 1799-1802 წლებში;

– ლიგურია (3 დეპარტამენტი), 1805 წელს პიემონტისა და ლიგურიის ტერიტორია რვა დეპარტამენტამდე იქნა გაზრდილი: პო, მარენგო, სეზია, დუარია, სტურა, მონტენოტე, გენუა, აპენინები;

– პარმა 1802 წელს (1 დეპარტამენტი, 1808 წელს: ტაროს დეპარტამენტი);

– ტოსკანა 1808 წელს (3 დეპარტამენტი: არნო, ხმელთაშუა ზღვის, ომბრონე), 1809 წელს მას ელბის კუნძული დაემატა.

ამავე დროს, 1808 წლიდან ურთიერთობები საფრანგეთსა და პაპის ოლქს შორის დაიძაბა. 1808 წლის აპრილში ნაპოლეონმა თავის იტალიის სამეფოს მარკეს პაპის ოლქის პროვინცია მიუერთა.

შექმნილი მდგომარეობის დასასრულებლად 1809 წლის 7 მაისის შენბრუნის დეკრეტით, ნაპოლეონმა **პაპის ოლქის დარჩენილ ნაწილზე საფრანგეთის ანექსია დააკანონა** (კერძოდ, რომი, ლაციუმი და უმბრია).

1810 წლის 17 თებერვალს სენატუს-კონსულტის გადაწყვეტილებით, 1809 წელს საფრანგეთის მიერ ანექსირებული პაპის ოლქი ორ ფრანგულ დეპარტამენტად დაიყო:

– რომი (იგივე ტიბროსი): რომი, ფროზინონე, რიესი, ტივოლი, ველეტრი, ვიტერბო;

– ტრაზიმენი: სპოლეტო, ფოლინიო, პერუჯა, ტოდი.

რომი იმპერიის მეორე ქალაქად იქნა გამოცხადებული, მემკვიდრე პრინცს რომის მეფის ტიტული უნდა ეტარებინა, არქიეპისკოპოს კამბასერესს კი იქ ოფიციალური რეზიდენცია უნდა ჰქონოდა.

1810 წლის დასაწყისში თავისი აპოგეის პერიოდში, საფრანგეთის იტალიური ტერიტორიები 14 დეპარტამენტს მოიცავდა. აღნიშნული ტერიტორიები გადაშლილი იყო ხმელთაშუა ზღვის გასწვრივ, ალპებიდან ნეაპოლის სამეფოს საზღვრებამდე, რომელიც ლუკას სამთავროთი სრულდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამთავრო ძალზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საფრანგეთთან, ის მაინც მისგან იურიდიულად გამოყოფილი რჩებოდა.

იტალიის ამ ნაწილში, სარდინია კვლავ სარდინიის მეფის ხელში რჩებოდა, რომლის რეზიდენცია ინგლისის ფლოტის მფარველობის ქვეშ, კალიარიში იყო განლაგებული.

საფრანგეთის იტალიური ტერიტორიები 1814 წელს ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, ბევრ ყოფილ მფლობელს შორის გადანაწილდა, გენუისა და ლუკას რესპუბლიკების გარდა.

ელბის კუნძულს განსაკუთრებული ხვედრი ხვდა წილად. 1814 წლის 11 აპრილის ნაპოლიონის მიერ ტახტიდან პირველი გადადგომის შემდეგ, ამ უკანასკნელმა ავსტრიასთან, პრუსიასთან და რუსეთთან ფონტენბლოს ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმად, გადაწყდა ნაპოლეონისა და მისი მეუღლის, მარიალუიზას ბედი. ელბის კუნძული თავისი შემოგარენით ელბის სამთავროდ იქნა შეცვლილი და მუდმივ მფლობელობაში გადაეცა ნაპოლეონს, ამ უკანასკნელის სიუზერენიტეტის ქვეშ. ნაპოლეონს იმპერატორის წოდება შეუნარჩუნდა.

1815 წლის 9 ივნისის "ასი დღის" ეპიზოდის შემდეგ, ვენის კონგრესის საბოლოო აქტით, ელბის სამთავრო გაუქმდა და ის ამგვარად განაწილდა

– **ელბის კუნძული და მისი შემოგარენის უდიდესი ნაწილი ტოსკანასთან იქნა მიერთებული;**

– **კაპრაიას პატარა კუნძული სარდინიის სამეფოსთან იქნა მიერთებული** (გენუის მემკვიდრის სახით, რომლის მფლობელობაშიც ის იმყოფებოდა).

2. იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთი

1796 წლის გაზაფხულიდან საფრანგეთის ჯარების მთავარსარდლის, ბონაპარტის მიერ წარმოებული იტალიური კამპანია სარდინიელებისა და ავსტრიელების წინააღმდეგ იყო მიმართული და ის კუნძულზე ცვლილებების საფუძველი გახდა. ნაპოლეონის სამხედრო წარმატებებმა ჩრდილოეთ იტალიის ბევრ სახელმწიფოში რევოლუციებს შეუწყო ხელი. თავად ნაპოლეონი, რომელსაც თავისი გენუური წარმომავლობა გაახსენდა, მიიჩნევდა, რომ მის ინტერესებში შედიოდა ჩრდილოეთ იტალიის პოლიტიკური გაერთიანების პროცესში ჩარევა, რაც მას დასაყრდენს შეუქმნიდა პირადი ამბიციებისთვის დირექტორიის პირისპირ.

ა) მილანი და მანტუა, მოგვიანებით ტრანსპადანი

1796 წლის გაზაფხულზე მილანის საჰერცოგომ გულთბილად მიიღო გენერალ ბონაპარტის ფრანგული არმია, რომელმაც ავსტრიელები გააძევა. მილანისა და ლომბარდიის ლიბერალური წრეებიდან გამოსული "პატრიოტები" ბონაპარტში განმანთავისუფლებელს ხედავდნენ, რომელსაც უნარი შესწევდა იტალიის გაერთიანებისთვის ხელი შეეწყო, რაზეც ისინი ოცნებობდნენ.

1796 წლის ზაფხულიდან ბონაპარტმა ლომბარდიაში გენერალური ადმინისტრაცია დააყენა, რომელიც დროებით ავსტრიის ტერიტორიებს განაგებდა. მილანელ პატრიოტებს ბოლონიის ცისპადანური რესპუბლიკის მსგავსად, რესპუბლიკის გამოცხადება სურდათ, მაგრამ დირექტორიის ყოყმანის გამო (აზრები გაიყო), ბონაპარტმა მაშინვე არ უპასუხა მათ მისწრაფებებს.

მხოლოდ 1796 წლის დეკემბერში გამოცხადებულ იქნა **ტრანსპადანის რესპუბლიკა,** დედაქალაქით მილანში, რომელიც პირველ ყოვლისა, მილანისა და მანტუის ყოფილი საჰერცოგოების საფუძველზე შეიქმა. 1797 წლის მარტში ფრანგული ოკუპაციის შემდეგ, ქალაქები ბერგამო, ბრესია და კრემონა ვენეციის მეურვეობის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ამ ქალაქების ხელისუფალნი ტრანსპადანის რესპუბლიკასთან მათ მიერთებას მოითხოვდნენ. ბონაპარტმა ამ ქალაქების მცხოვ-

რებთა სურვილი შეისმინა და დადგენილება გამოიტანა მათი ტრანსპადანის რესპუბლიკასთან მიერთების თაობაზე.

1797 წლის მაისში ციზპადანის რესპუბლიკის ხელისუფალთათვის თავისი ძალაუფლების საჩვენებლად, რომელიც განთავისუფლებას ცდილობდა, ბონაპარტმა მას რეჯოსა და მოდენის პროვინციები ჩამოაშორა და ისინი ტრანსპადანის რესპუბლიკას მიუერთა, რომელსაც იგი უკეთ აკონტროლებდა.

ბ) *მოდენა და პაპის ლეგატს დაქვემდებარებული პროვინციები, მოგვიანებით ციზპადანი.*

1793 წელს პაპი საფრანგეთის წინააღმდეგ შექმნილ ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდა. იტალიაში ბონაპარტის წარმატებულ კამპანიას საფრანგეთის ჯარების მიერ ფერარისა და ბოლონიის პაპის ლეგატს დაქვემდებარებული ტერიტორიების ოკუპაცია მოჰყვა, რის შემდეგაც 1796 წელს პაპი იძულებული გახდა ბოლონიაში საზავო ხელშეკრულებისთვის მოწერა ხელი.

აღნიშნულის შემდეგ, ბოლონიამ მაშინვე თავი **ბოლონიის რესპუბლიკად** გამოაცხადა, მისი კონსტიტუცია კი საფრანგეთის მოდელის მიხედვით იქნა შემუშავებული. ქალაქის სენატის მიერ დანიშნულ ხუნტას კონსტიტუციის შემუშავება დაევალა, მაგრამ ის მხოლოდ სექტემბერში მიიღეს და არასოდეს ამუშავებულა.

პატრიოტთა აჯანყებამ რეჯოში (1796 წლის აგვისტო) ბონაპარტს მოდენის საპერეგოოს ოკუპაციის საშუალება მისცა, რომელიც მისმა ჰერცოგმა დატოვა. 1796 წლის ოქტომბერში ბონაპარტმა მხარი დაუჭირა მოდენისა და რეჯოს ეფემერული რესპუბლიკების გამოცხადებას. ბონაპარტმა ბოლონიაში კონგრესი მოინვია, რომელმაც 1796 წლის ოქტომბრის მინურულს ციზპადანის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა, რომელშიც მოდენის საპერეგოო და პაპის ლეგატს დაქვემდებარებული ბოლონია და ფერარა შევიდა.

1796 წელს რეჯოში ახლად მოწვეული კონგრესის გადაწყვეტილებით, ციზპადანის რესპუბლიკა იტალიის გაერთიანების საფუძველი უნდა გამხდარიყო. კონგრესმა მიიღო სამფეროვანი დროშა (მწვანე-თეთრი-წითელი), ამოქმედდა კონსტიტუცია. ბოლონიას საკუთარი კონსტიტუციის შემოღება სურდა, მაგრამ აღმოცენებულ უთანხმოებათა გამო, ბონაპარტმა კონგრესის ჩატარება მოდენაში გადაწყვიტა (1797 წლის იანვარი). კონსტიტუციის შემუშავება მარტის თვეში დასრულდა, ის ქვეყნის დაყოფას ათ დეპარტამენტად ითვალისწინებდა.

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, პაპის ოლქმა ტოლენტინოში (1797 წლის 19 თებერვალი) სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმად, დამტკიცდა ავინიონის, ვენესენის საგრაფოსა და **პაპის ლეგატს დაქვემდებარებული** ფერარისა და ბოლონიის **დაკარგვა**. პაპის მიერ აღნიშნულისგან თავის არიდების შემდეგ, ბონაპარტმა მოითხოვა და მიაღწია კიდეც დამატებით, **რომანიის ციზპადანის რესპუბლიკისთვის** გადაცემას.

საბოლოოდ, 1797 წლის მაისში ბონაპარტმა ციზპადანის რესპუბლიკას რეჯოსა და მოდენის პროვინციები ჩამოართვა და ისინი ტრანსპადანის რესპუბლიკას მიუერთა.

გ) ვენეცია

საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისიდანვე, ვენეცია გულთბილად იღებდა ემიგრანტებს და ქალაქი ჩვეულებისამებრ, მუდმივი ინტრიგების ადგილს წარმოადგენდა. 1796 წლიდან იტალიაში ბონაპარტის გამარჯვების დროიდან, რესპუბლიკა მისი კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა და ქალაქიდან ემიგრანტები გააძევა. თუმცა რევოლუციონერი გენერალი ბონაპარტი, რომელიც წარმოშობით გენუიდან იყო, თავიდანვე მტრულად განეწყო არისტოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, რომელსაც იგი ძველი ნესრიგის განსახიერებად მიიჩნევდა. საკუთარი ამბიციების განსახორციელებლად, არსებული კონფლიქტის მიღმა, ბონაპარტი ავსტრიასთან შეთანხმებას ცდილობდა. ეს უკანასკელი შეშფოთებული იყო საფრანგეთის ექსპანსიით ჩრდილოეთ იტალიაში, რომელსაც ის თითქმის ერთი საუკუნე მისთვის შემონახულ "სანადირო ადგილად" მიიჩნევდა. საჭირო იყო

კომპენსაციის მონახვა, რაც ვენეციის ხარჯზე უნდა მომხდარიყო, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ავსტრიისთვის სასურველ ობიექტს წარმოადგენდა.

1797 წლის მარტში ვენეციისკენ მიმავალმა საფრანგეთის ჯარებმა ქალაქები ბერგამო, ბრეშია და კრემონა დაიკავეს, რის შემდეგაც ეს ქალაქები ვენეციის მეურვეობის წინააღმდეგ აჯანყდნენ. მათმა ხელისუფლებამ ტრანსპადანის რესპუბლიკასთან მიერთება მოითხოვა. ბონაპარტმა მათი მოთხოვნები შეისმინა და ცალმხრივად დაადგინა ამ ქალაქების **ტრანსპადანის რესპუბლიკასთან მიერთება,** რაც ავსტრიისთვის კომპენსაციად გადასაცემი ტერიტორიის მოცულობას ამცირებდა.

საფრანგეთის ჯარების მიერ საკუთრივ ავსტრიული ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ, იმპერატორმა სამშვიდობო ხელშეკრულების დადება მოითხოვა. 1797 წლის 18 აპრილს ლეობენში წინასწარ მოლაპარაკებებს მოენერა ხელი, რომელიც ვენეციის ჩამორთმევას ითვალისწინებდა ამ უკანასკნელის ფრთხილი ნეიტრალიტეტის მიუხედავად. ხმელეთზე მდებარე ტერიტორიები ბონაპარტის მიერ ჩაფიქრებულ მომავალ იტალიურ რესპუბლიკებს შორის უნდა განანილებულიყო, ადასა და ოგლიოს შორის. ავსტრიის მფლობელობაში უნდა გადასულიყო იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონი (ვენეციის რესპუბლიკის ტერიტორია, ისტრიისა და დალმაციის დამატებით). ამ ტერიტორიებს ავსტრია მილანის საგრაფოსა და ნიდერლანდზე უარის თქმის საკომპენსაციოდ მიიღებდა. ვენეციის რესპუბლიკამ, რომელიც მხოლოდ ქალაქამდე და იონიის კუნძულებამდე იქნა დაყვანილი, კომპენსაციად წინათ პაპის ლეგატს დაქვემდებარებული სამი პროვინცია მიიღო (ბოლონია, ფერარა, რომანია).

ამავე დროს, ვერონის აჯანყებამ (ვერონის აღდგომა), და საფრანგეთსა და ვენეციას შორის მომხდარმა ლიდოს საზღვაო ინციდენტმა, ბონაპარტს ამ რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონისა და ქალაქ ვენეციის (15 მაისი) დაპყრობის საბაბი მისცა.

1797 წლის 18 ოქტომბერს კამპო ფორმიოში საფრანგეთსა და ავსტრიას შორის სამშვიდობო ხელშეკრულება იქნა დადებული. ლეობენის ხელშეკრულებით გათვალისწინებულის გარდა, გადაწყდა ვენეციის მთლიანად დაშლა.

– ციზალპური რესპუბლიკის ძმადგენლობაში ოფიციალურად იქნა შეყვანილი ბერგამოს, ბრეშიისა და კრემონის საგრაფოები, რომელიც გაზაფხულიდან ვენეციისგან იქნა გამოყოფილი. ამ ტერიტორიებს ადიჯეს დასავლეთით მდებარე ვენეციის ტერიტორიის დარჩენილი ნანილი (ვერონისა და ლენიანოს გამოკლებით) დაემატა;

– ავსტრიას გადაეცა ქალაქი ვენეცია და ადიჯეს აღმოსავლეთით მდებარე ხმელეთის სამფლობელოები (დამატებით, ვერონა და ლენიაგო), ვენეციის ისტრია, დალმაცია, დალმაციის კუნძულები და კოტორის ყურე;

– საფრანგეთმა მიიღო იონიის კუნძულები და თურქეთის ალბანეთის ხმელეთზე მდებარე ოთხი სახმელეთო პუნქტი.

დ) ციზალპური, შემდგომში იტალიის რესპუბლიკა, მოგვიანებით იტალიის სამეფო

1797 წლის გაზაფხულზე გამარჯვებულმა გენერალმა ბონაპარტმა, რომელმაც ავსტრია აიძულა ლეობენის წინასწარი მოლაპარაკებებისთვის მოეწერა ხელი, თავისი პრესტიჟი გამოიყენა იტალიის საკუთარი შეხედულებისამებრ გარდასაქმნელად დირექტორიის აზრის გაუთვალისწინებლად, რომელმაც აღნიშნულზე უარის თქმა ვერ გაბედა.

1797 წლის ივლისში ნაპოლეონმა ტრანსპადანის რესპუბლიკის ნაცვლად ციზალპური რესპუბლიკა დაფუძნა. იმავე თვის მიწურულს, მან ციზალპურ რესპუბლიკას ციზპადანის დარჩენილი ნანილი მიუერთა (ბოლონიის, ფერარისა და რომანიის პაპის ლეგატს დაქვემდებარებული ტერიტორიები).

ახალი რესპუბლიკა, რომლის დედაქალაქიც მილანი გახდა, სახელმწიფოს საწყისს წარმოადგენდა, რომელსაც იტალიელები უნდა გაეერთიანებინა ძველი

პოლიტიკური სტრუქტურების გაუმჯობესებით. თავისი დაარსების დასაწყისში ის შემდეგი პროვინციებისგან შედგებოდა:

– ყოფილ ტრანსპადანის რესპუბლიკაში შემავალი მილანის, მანტუის, ბერგამოს, ბრეშიას, კრემონის, მოდენის, რეჯოს პროვინციები;

– ყოფილ ციზალპურ რესპუბლიკაში შემავალი ბოლონიის, ფერარისა და რომანიის პროვინციები.

ფრანგებმა ციზალპური რესპუბლიკა თანმიმდევრობით ორი კონსტიტუციით აღჭურვეს, მაგრამ რეალურად ძალაუფლება მათ ხელში იყო (თავდაპირველად ბონაპარტის, შემდეგ კი მისი სამოქალაქო და სამხედრო მემკვიდრეების ხელში).

ვალტელინის მცხოვრებლები მათი გრაუბიუნდელი მმართველების წინააღმდეგ აჯანყდნენ და ნაპოლეონის შუამავლობა მოითხოვეს, რომელმაც 1797 წელს განკარგულება გასცა ციზალპური რესპუბლიკისთვის ვალტელინის, ბორმიოსა და ჩიავენის მიერთების შესახებ.

შემდგომში, 1797 წლის ოქტომბერში კამპო-ფორმიოში დამტკიცებული იქნა ციზალპური რესპუბლიკისთვის **ბერგამოს, ბრეშიისა და კრემონის პროვინციების გადაცემა, რომელსაც ადიჯეს დასავლეთით მდებარე ვენეციის ტერიტორიების დარჩენილი ნაწილი დაემატა.**

მოდენის ჰერცოგმა, რომელმაც თავისი სახელმწიფოები დაკარგა ავსტრიისაგან კომპენსაციად ბრიგჰაუსი მიიღო.

"ცამეტი თვის" პერიოდის განმავლობაში (1799 წლის მაისი – 1800 წლის ივნისი) მოხდა საფრანგეთის ჯარების ევაკუაცია ციზალპური რესპუბლიკიდან, რამაც ავსტრიელთა დაბრუნება და მილანელი პატრიოტების დევნა გამოიწვია. აღნიშნულს შემდგომში პირველი კონსულის, ბონაპარტის იტალიაში დაბრუნება და ავსტრიელთა დამარცხება (მარენგოში) მოჰყვა, რის შემდეგაც ციზალპური რესპუბლიკა აღდგენილ იქნა.

1800 წლის სექტემბერში ციზალპურ რესპუბლიკას ნავარა მიემატა, რომელიც ბონაპარტმა პიემონტის პროვინციისგან (კვლავ საფრანგეთის გახდა) გამოყო.

1801 წლის 9 თებერვალს ლუნევილის ხელშეკრულებით, დასრულდა საომარი მდგომარეობა საფრანგეთსა და ავსტრიას შორის. ციზალპური რესპუბლიკა ოფიციალურად იქნა აღიარებული და ავსტრიამ ამის გარდა, მას დაუთმო:

– ვერონა და მასთან ახლოს მდებარე ტერიტორია, და დამატებით ლენიანო, ადიჯეს მარცხენა ნაპირზე;

– პოლეზინე (წარსულში ვენეციის რეგიონი ქვემო ადიჯესა და ქვემო პოს შორის).

1801 წლის მაისში ციზალპური რესპუბლიკა ფრანგულ მოდელზე, 14 დეპარტამენტად დაიყო: ადა (სონდრიო), აგონია (ნავარა), ლარიო (კომო), ოლონა (მილანი), სერიო (ბერგამო), მელა (ბრეშია), ზემო პო (კრემონა), მინჩო (მანტუა), ადიჯე (ვერონა), კროსტოლო (რეჯო), პანარო (მოდენა), ქვემო პო (ფერარა), რენო (ბოლონია) და რუბიკონი (ჩეზენა).

ბონაპარტს ციზალპური რესპუბლიკის მმართველობის რეორგანიზაცია სურდა მისი უკეთ დამორჩილებისთვის. მან ცენტრალიზებული კონსტიტუცია მოამზადებინა, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტის არსებობას ითვალისწინებდა და 1802 წლის იანვარში ლიონში ციზალპური რესპუბლიკის წარმომადგენელთა საბჭო მოიწვია. საბჭოზე მიღებული იქნა კონსტიტუცია, ხოლო ბონაპარტი პრეზიდენტად იქნა არჩეული, რომელმაც ქვეყნის სახელი **იტალიის რესპუბლიკით** შეცვალა, რითაც მის მცხოვრებლებს ილუზია შეუქმნა, რომ მათი რესპუბლიკა იტალიის გაერთიანების სათავეს წარმოადგენდა. მელზი დ'ერილი ვიცე-პრეზიდენტი გახდა.

რესპუბლიკის მთავრობამ ქვეყნის მმართველობის უნიფორმიზაცია მოახდინა და ფრანგული მოდელის მიბაძვით, რესპუბლიკა სხვადასხვა ნაწილებად დაყო.

საფრანგეთის რესპუბლიკის იმპერიად გარდაქმნის პირდაპირი შედეგი იყო ის, რომ იტალიის რესპუბლიკა 1805 წლის მარტში სამეფოდ გადაიქცა, რომლის მეფედაც 17 მარტს პარიზში, ნაპოლეონ პირველი იქნა გამოცხადებული. მისი მეფობის შემდეგ, საფრანგეთისა და იტალიის სამეფო გვირგვინი უნდა განცალკევებულიყო.

1805 წლის 26 მაისს ნაპოლეონი მილანში ჩავიდა და მეფედ ეკურთხა. 7 ივნისს მან ვიცე-სამეფო დააფუძნა ეუენი დე ბოგარნეს სასარგებლოდ, რითაც იტალიელებს იმედები გაუცრუა, რადგან მათი აზრით, ამ პატივს მელზი დ'ერილი იმსახურებდა. ამ უკანასკნელმა სანაცვლოდ სამეფოს კანცლერის წოდება მიიღო.

ახლად შექმნილ სამეფოში, რომელშიც 3,8 მილიონი კაცი ცხოვრობდა, ინსტიტუტებისა და მმართველობის მეთოდების გაფრანგულება ხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციის შემადგენლობის უმრავლესობა იტალიელებით იყო დაკომპლექტებული. მილანში ბევრი ძეგლი დაიდგა და ქალაქი ახალი ინსტიტუტებით აღიჭურვა, როგორც ეს სამეფოს დედაქალაქს შეეფერებოდა.

1805 წლის შემოდგომაზე, განახლდა სამხედო მოქმედებანი ავსტრიასთან. აუსტერლიცში გამარჯვების შემდეგ, ნაპოლეონმა ავსტრიას პრესბურგის (ბრატისლავის) (1805 წლის 26 დეკემბერი) ხელშეკრულებაზე ხელის მონერა აიძულა. სხვა გადანყვეტილებების გარდა, **ავსტრიამ საფრანგეთს დაუთმო კამპო-ფორმიოსა** და ლუნევილის ხელშეკრულებით მიღებული **ვენეციური სამფლობელოები (ვენეცია, ისტრია, დალმაცია და კოტორი)**, რომელიც საფრანგეთმა იტალიას გადასცა.

ეუენ დე ბოგარნე ვენეციის რეგიონის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა და დროებით თავის ცხრა ძველ პროვინციას ინარჩუნებდა: პადუა, ვისენტინი, ვერონა, ბელუნე, ტრევიზოს მოსაზღვრე ოლქი, ფრიული, ისტრია, დალმაცია.

ამ დროიდან კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად იტალიის სამეფოში იქნა მოქცეული.

1806 წლის მარტში **მასა და კარარას ძველი პატარა საპერცოგო** მოდენასთან ერთად **იტალიის სამეფოში** იქნა შეყვანილი, შემდეგ კი ამ უკანასკნელს გამოეყო ლუკასა და პიომბინოს სამთავროს გასაფართოებლად. ამგვარად, იტალიის სამეფომ ტირენის ზღვაზე გასასვლელი დაკარგა.

1806 წლის მაისში პრესბურგის (ბრატისლავის) შეთანხმებით ვენეციის ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონი ადმინისტრაციულად იტალიის სამეფოს შეუერთდა შვიდი ახალი დეპარტამენტის სახით: ბაკილიონე (ვიჩენცა), ბრენტა (პადუა), ადრიატიკა (ვენეცია), პიავი (ბელუნე), ტალიამენტო (ტრევიზო), პაცერიანო (უდინე), ისტრია (კოპერი).

დალმაცია არ იქნა დაყოფილი დეპარტამენტებად და მას გენერალური პროვედიტორი მართავდა, რომლის რეზიდენცია ზადარში იყო განლაგებული. კოტორის ყურის ოკუპაცია ვერ განხორციელდა რუსეთისა და ჩერნოგორიის ძლიერი წინააღმდეგობის გამო.

აღნიშნული დროიდან იტალიის სამეფო 21 დეპარტამენტს მოიცავდა.

1806 წლის ივლისში პოლინა ბორგეზემ თავისი ძმის, ნაპოლეონისგან იმავე ნელს მიღებული **პატარა გუასტალის საპერცოგო იტალიის სამეფოს მიპყიდა.**

1807 წლის 7 ივლისს ხელი მოენერა ტილზიტის სამშვიდობო ხელშეკრულებას საფრანგეთსა და რუსეთს შორის, რომლის თანახმად, **რუსეთმა იტალიის სამეფოს კოტორის ყურე გადასცა.** ტრიესტის ტერიტორია, რომელიც პრესბურგის (ბრატისლავის) ხელშეკრულების თანახმად, ავსტრიის მფლობელობაში რჩებოდა, სახმელეთო კავშირს აფერხებდა იტალიის ვენეციასა და ისტრიას შორის. 1807 წლის 10 ოქტომბრის ფონტენბლოს განმარტებითი აქტით, **ავსტრიამ იტალიას იზონცოს მარჯვენა ნაპირი დაუთმო მონფოლკონეს პატარა საგრაფოს სანაცვლოდ** (იტალიური ანკლავი, რომელიც პრესბურგში ავსტრიამ დათმო). აღნიშნულს შედეგად ავსტრიის ტერიტორიების შემცირება მოპყვა.

მეორე მხრივ, დე ფაქტო სახმელეთო უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, ფრანგებმა პაპის მლობელობაში მყოფი მარკე (ანკონა, ურბინო) დაიკავეს.

1808 წლის 30 იანვარს დალმაციის სამხედრო გუბერნატორმა, გენერალმა მარმონმა დეკრეტის ძალით, **რაგუზის (დუბროვნიკი) რესპუბლიკა გააუქმა და ის იტალიურ დალმაციას** მიუერთა.

1808 წლის 2 აპრილს სენ-კლუს საიმპერატორო დეკრეტით, პაპის მფლობელობაში მყოფი **მარკე იტალიის სამეფოსთან** იქნა გაერთიანებული, რომლისგა-

ნაც მეტოროს (ანკონა), მუზონესა (მაცარეკატა) და ტრონტოს (ფერმო) სამი დეპარტამენტი შეიქმნა.

ამგვარად, იტალიის სამეფო უკვე 24 დეპარტამენტს მოიცავდა.

ვაგრამში ავსტრიაზე კვლავ გამარჯვებულმა საფრანგეთმა მას შენბრუნის ხელშეკრულებაზე (1809წლის 14 ოქტომბერი) ხელის მონერა აიძულა, რომლის თანახმად, ავსტრიამ საფრანგეთს მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაუთმო ილირიაში: კარინთიის ნახევარი, კრაინა, ტრიესტი, ავსტრიის ისტრია, ხორვატიის ნაწილი.

იმავე დღეს, ნაპოლეონმა იტალიის სამეფოსგან გამოყო **იზონცოს მარჯვენა ნაპირის ნაწილი** (დაპყრობილი 1807 წელს), **იტალიის ისტრია, დალმაცია და კოტორის ყურე,** მათი ზემოაღნიშნულ პროვინციებთან მისაერთებლად და ამგვარად, ამ უკანასკნელთა საფუძველზე საფრანგეთის იმპერიის ილირიული პროვინციების შესაქმნელად.

იტალიის სამეფოს დეპარტამენტთა რაოდენობა ისტრიის დეპარტამენტის დაკარგვის შემდეგ 23-მდე იქნა დაყვანილი.

1810 წლის 28 თებერვალს საფრანგეთსა და ბავარიას შორის ხელმოწერილი პარიზის ხელშეკრულების თანახმად, საფრანგეთის მიერ დაკავებული გერმანული ტერიტორიების სანაცვლოდ, **ბავარიამ იტალიის სამეფოს ტრენტინო და სამხრეთი ტიროლი** (ბოცენის ჩრდილოეთით მდებარე ზოლამდე) დაუთმო. ნაპოლეონმა ამ ტერიტორიებს გრაუბიუნდენში მდებარე რეზუნსის ბარონის სამფლობელო დაუმატა, რომელიც მან შენბრუნის ხელშეკრულებით ავსტრიას დაუთმო (სარეზერვო ტერიტორიის სახით). აღნიშნული ტერიტორიებისგან ზემო ადიჯეს დეპარტამენტი შეიქმნა (ტრენტო), რის შედეგადაც იტალიის სამეფოს დეპარტამენტთა რაოდენობამ კვლავ 24-ს მიაღწია.

1814 წლის აპრილში ნაპოლეონის ევროპის დამლას, ფრანგების უკანდახევა და იტალიის სამეფოს გაუქმება მოჰყვა. 1815 წლის 9 ივნისის ვენის კონგრესის საბოლოო აქტით, გადაწყდა:

– **ავსტრიისთვის ტრენტოსა და ტიროლის სამხრეთი ნაწილის დაბრუნება;**
– **შვეიცარიას რეზუნსის ბარონის მამული გადაეცა;**
– **სარდინიის სამეფოს ნავარის პროვინცია დაუბრუნდა;**
– **აღდგენილ იქნა მოდენისა და გუასტალის (პარმაში) საპერცოგოები;**
– **პაპის ლეგატს დაქვემდებარებული (ბოლონია, ფერარა, რომანია) და პაპის დაქვემდებარებაში მყოფი მარკეს პროვინცია პაპის ოლქს დაუბრუნდა,** რომელიც თავის მხრივ, აღდგენილ იქნა.

იტალიის სამეფოს დარჩენილი ნაწილი (ლომბარდია, ვენეცია) ლომბარდია-ვენეციის სამეფოდ გადაკეთდა, რომელიც ავსტრიის იმპერიასთან პირადი უნიით იქნა დაკავშირებული, მაგრამ ადმინისტრაციულად ამ უკანასკნელს გამოეყო, და ახალი გერმანიის კონფედერაციის მიღმა დარჩა.

აღნიშნულ სამეფოში იმპერატორი ვიცე-მეფით იყო წარმოდგენილი, რომლის საზაფხულო რეზიდენცია მილანში, ზამთრისა კი ვენეციაში იყო განლაგებული. იტალიური ენა იქ ოფიციალურად გამოიყენებოდა და ადმინისტრაციაც იტალიელების ხელში იყო. ლომბარდია-ვენეციის სამეფო ორ ოლქად და ჩვიდმეტ გამგებლობად იქნა დაყოფილი:

– მილანის ოლქი (ან ლომბარდიული პროვინციები): მილანის, კომოს, სონდრიოს (ვალტელინა), პავიის, ლოდის, ბერგამოს, ბრეშიის, კრემონისა და მანტუის გამგებლობები;

– ვენეციის ოლქი (ან ვენეციური პროვინციები): ვენეციის, პადუის, ვიჩენცოს, ვეერონის, როვიგოს (პოლეზინე), ტრევიზოს, ბელუნისა და უდინეს (ფრიული) გამგებლობები.

3. იტალიის სამხრეთი

თუკი საფრანგეთის რეეოლუცია კეთილგანწყობით იქნა მიღებული ორივე სიცილიის "განათლებულ" წრეებში, სამეფო ოჯახი თავიდანვე მტრულად განეწყო მის მიმართ. ეს განწყობა კიდევ უფრო გაძლიერდა საფრანგეთის მეფისა და დედოფლის საჯარო შეურაცხყოფის შემდეგ (მეფე ფერდინანდ IV ლუი XVI-ის

შორეული ბიძაშვილი, ხოლო დედოფალი მარია-კაროლინა ჰაბსბურგელი, მარია-ანტუანეტას და იყო).

ორივე სიცილიის სამეფო 1793 წელს საფრანგეთის წინააღმდეგ შექმნილ კოალიციას შეუერთდა. სამხედრო ოპერაციებისგან მოშორებით ყოფნას, სამეფოსთვის შედარებით ნაკლები დანაკარგით ვითარებიდან გამოსვლა მოჰყვა. გამარჯვებულმა საფრანგეთმა პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულების (1796 წლის 10 ოქტომბერი) თანახმად, ორივე სიცილიის სამეფოს ფინანსური კონტრიბუცია დააკისრა.

1798 წლის თებერვალში ორივე სიცილიის სამეფოსთვის შეურაცხმყოფელი, გაუგონარი მოვლენა მოხდა: რომში გამოცხადდა რომის რესპუბლიკა და პაპი საფრანგეთში იქნა დეპორტირებული.

1798 წლის ივნისში რომის რესპუბლიკამ ორივე სიცილიის სამეფოს ბენევენტოსა და პონტე-კორვოს თავისი ანკლავები მიპყიდა.

1798 წლის ნოემბერში ორივე სიცილიის სამეფომ ავსტრიისა და დიდი ბრიტანეთის რჩევით, რომის რესპუბლიკა დაიპყრო რომის პაპის აღდგენის მიზნით. 1798 წლის დეკემბრიდან საფრანგეთის ჯარებმა გენერალ შამპიონეს მეთაურობით ნეაპოლის ჯარები დაამარცხეს და მათმა კონტრშეტევამ ისინი ნეაპოლის კარამდე მიიყვანა. მეფემ და სამეფო კარმა ნეაპოლს შეაფარეს თავი.

დირექტორიის მითითებით, სამოქალაქო კომისარს, ფეპულტს სამეფო უნდა შეენარჩუნებინა, მაგრამ გენერალმა შამპიონემ საქმე სხვაგვარად შემოატრიალა. მან ნეაპოლი დაიკავა და ნეაპოლიტანელი იაკობინელები შეაგულიანა, რომლებმაც 1799 წლის 26 იანვარს პართენონის (იგივე ნეაპოლის) რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს. ეს უკანასკელი მეტად რევოლუციური კონსტიტუციით აღიჭურვა.

"ცამეტი თვის" პერიოდი (1799 წლის მაისი – 1800 წლის ივნისი), რომლის დროსაც ფრანგებმა ავსტრიასა და რუსეთს იტალიაში დროებით დაუთმეს ადგილი, გამოიხატა ნეაპოლში ფრანგული ჯარების უკან დახევით (1799 წლის მაისი), ორივე სიცილიის სამეფოს აღდგენითა და მეფისა და სამეფო კარის იქ დაბრუნებით, რესპუბლიკელთა წინააღმდეგ რეპრესიებით, ნეაპოლის ჯარების მონანილეობით საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში (რომლებიც დამარცხდნენ), და საბოლოოდ, სამეფოს შენარჩუნებაში.

1801 წლის 29 მარტს ფლორენციის ხელშეკრულებით, საფრანგეთსა და ორივე სიცილიის სამეფოს შორის მშვიდობა აღსდგა. რუსეთის იმპერატორის ჩარევით, ოფიციალურად იქნა აღდგენილი ორივე სიცილიის სამეფო, მაგრამ სამეფომ საფრანგეთს **ტოსკანის ციხე-სიმაგრეები და ელბის კუნძულის ნეაპოლიტანური ნაწილი** (აღმოსავლეთი მესამედი) დაუთმო. ამას გარდა, სამეფომ საფრანგეთს პიომბინოს სამთავროზე სიუზერენიტეტის უფლებები გადასცა, რომლის მთავარსაც ის ჩამოერთვა. ბონაპარტმა აღნიშნული სამთავრო ეტრურიის ახალ სამეფოს მიუერთა.

1802 წლის ივნისში საფრანგეთის ჩარევით, რომელიც პაპის მოთხოვნებს უჭერდა მხარს, ორივე სიცილიის სამეფომ პაპის ოლქს ბენევენტო და პონტე-კოვეო გადასცა.

1805 წლის სექტემბერში ორივე სიცილიის სამეფო საფრანგეთის წინააღმდეგ შექმნილ კოალიციას შეუერთდა. აუსტერლიცში გამარჯვების შემდეგ, ნაპოლეონმა შენბრუნნში "ნეაპოლის სამეფოს მმართველობის შენყვეტა" დაადგინა. ფრანგებმა ორივე სიცილიის სამეფო დაიპყრეს და ნეაპოლში შევიდნენ. მეფესა და სამეფო კარს კვლავ მოუხდა ნეაპოლის დატოვება და პალერმოში თავის შეფარება.

1806 წლის 30 მარტს ნაპოლეონმა ნეაპოლის მეფედ თავისი ძმა, ჟოზეფი დასვა. ბურბონები მხოლოდ სიცილიაზე მეფობდნენ ინგლისის საზღვაო ფლოტის მფარველობით. ისინი ამაოდ ცდილობდნენ თავიანთი სამეფოს ნახევარკუნძულზე მდებარე ტერიტორიის დაბრუნებას.

ახალი მეფე ჟოზეფი შეეცადა იქამდე ძალზე ჩამორჩენილი ქვეყნის კანონმდებლობისა და ადმინისტრაციის მოდერნიზაციას. მან ფეოდალური რეჟიმი გააუქმა, მაგრამ ამ გადაწყვეტილების განხორციელება ნელი ტემპით მიმდინარეობდა. იტალიის სამეფოს მოდელით, მან კონსტიტუცია შეიმუშავა, რომელიც მხოლოდ 1808

წელს იქნა გამოცხადებული. მან ასევე ადმინისტრაციული და სასამართლო ინსტიტუტების რეფორმა ჩაატარა.

1806 წელს ნეაპოლის სამეფოს პროვინციების (საინტენდანტო) ადმინისტრაციულ დაყოფაში მცირე ცვლილება იქნა შეტანილი. ქალაქი ნეაპოლი ახალ საინტენდანტოთ გარდაიქმნა და ტერა დი ლაბურეს (სამხრეთი იტალიის ძველი პროვინცია, კამპანია) გამოეყო; პირიქითა აბრუცი დაიყო I და II პირიქითა აბრუცად; მოლიზე (ან კამპობასოს პროვინცია) კაპიტანტეს საინტენდანტოში იქნა ინტეგრირებული.

ამგვარად, ნეაპოლის სამეფო 13 საინტედანტოდ დაიყო: ნეაპოლი, ტერა დი ლაბურე (სანტა მარია მაჯორე, მოგვიანებით კაზერტა), პირაქეთა სამთავრო (სალერნო), პირიქითა სამთავრო (აველინო), პირაქეთა აბრუცი (ჩიეტი), პირიქითა აბრუცი (ტერამო), II პირიქითა აბრუცი (აკუილეა), კაპიტანტე (ფოჯა), ტერა დი ბარი (ბარი), ტერა დ'ოტრანტე (ლეჩე), ბაზილიკატა ან მატერა (პოტენცა), პირაქეთა კალაბრია (კოზენცა), პირიქითა კალაბრია (მონტელეონე).

ამავე დროს, ბენევენტოსა და პონტე-კორვოს ანკლავები ნეაპოლის სამთავროში აგრძელებდნენ არსებობას, მაგრამ 1806 წლის ივნისიდან ისინი სუვერენული სამთავროები გახდნენ ტალეირანისა (ბენევენტო) და ბერნადოტის (პონტე-კორვო) სასარგებლოდ.

1808 წლის ივნისში ნაპოლეონმა თავისი ძმა, ნეაპოლის მეფე ჟოზეფი, ესპანეთის ტაზტზე დასვა, ხოლო მისი ადგილი ბერგის ყოფილმა დიდმა ჰერცოგმა, იოაკიმ მიურატმა დაიკავა.

1810 წლის აგვისტოში მეფე იოაკიმის მეორე ვაჟი, პრინცი მიურატი, პონტე-კორვოს მთავარი გახდა, ხოლო ბერნადოტმა შვედეთის სამეფოს პრინცის ტიტული მიიღო. დიდი ხნის განმავლობაში ნაპოლეონის ერთგულმა მხარდამჭერმა, მისმა სიძემ იოაკიმ მიურატმა, საკუთარი ტახტის გადარჩენის (ნაპოლეონის ვარსკვლავის ჩასვენების შემყურემ) იმედით, თავის მტრებთან მოლაპარაკებები გამართა. 1814 წელს მან ავსტრიასთან, შემდეგ კი დიდ ბრიტანეთთან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. დათმო რა საფრანგეთის ინტერესები, ის კოალიციას შეუერთდა, რომელმაც მას ეჟენი დე ბოარნეს იტალიურ ჯარებზე შეტევა უბრძანა.

1814 წლის ივნისში ისარგებლა რა ნახევარკუნძულზე გამეფებული ანარქიით, მიურატმა ბენევენტო და პონტე-კორვო დაიპყრო, რომელიც ნეაპოლის სამეფოს მიუერთა.

1814-1815 წლების ზამთრის განმავლობაში ვენის კონგრესმა მიუხედავად ლუი XVIII-ის პროტესტისა, მიურატის ნეაპოლის ტახტზე დატოვებას თანხმობა მისცა. თუმცა 1815 წლის მარტში საფრანგეთში ნაპოლეონის დაბრუნების შემდეგ, მიურატი კვლავ ფრანგულ ბანაკს შეუერთდა და რიმინის დეკლარაციით, იტალიის გაერთიანების სურვილი გამოხატა. იგი მაისის თვეში დამარცხდა და ტახტიდან იქნა ჩამოგდებული.

ვენის კონგრესის ფინალური აქტით (1815 წლის 9 ივნისი), ნეაპოლის სამეფო სიცილიის ბურბონების დინასტიას დაუბრუნდა, რომლებმაც თავისი რეზიდენცია აღადგინეს ნეაპოლში.

ორივე სიცილიის სამეფო აღდგენილ იქნა, მაგრამ მან პაპის ოლქს ბენევენტო და პონტე-კორვო დაუბრუნა. მან აგრეთვე საბოლოოდ უარი თქვა ტოსკანის ძველ სამფლობელოებზე (ელბის კუნძულის მესამედი, ციხე-სიმაგრეები, სიუზერენობა პიომბინოზე). სამეფო ადმინისტრაციულად გაერთიანდა ნეაპოლისა და სიცილიის სამეფოს შორის ტრადიციული გაყოფის გაუქმებით.

IV. იტალია ავსტრიის გავლენის ქვეშ (1815-1860წწ.)

1815 წელს რევოლუციისა და ნაპოლეონის ბობოქარი პერიოდის დასასრულს, იტალიამ უფრო ტრადიციული სტრუქტურა დაიბრუნა. უფლებააყრილმა სიუზერენებმა თავისი სამფლობელოები კვლავ დაიბრუნეს, მაგრამ გარკვეული ცვლილებებით. ამის საპირისპიროდ, სამი არისტოკრატიული რესპუბლიკა არ იქნა აღდგენილი, რადგან შექმნილმა ვითარებამ უპირატესობა მონარქიულ ხელისუფ-

ლებას მიანიჭა: ვენეცია ავსტრიას, გენუა სარდინიის მეფეს, ხოლო ლუკა, პარმის ბურბონებს გადაეცა. ეს უკანასკნელნი პარმაში დამკვიდრნენ შემდგომში მარია-ლუიზასთვის ადგილის დასათმობად.

ავსტრია ნახევარკუნძულზე გაბატონდა: ის პირდაპირ განკარგავდა ლომბარდია-ვენეციასა და პარმას, მეორად მფლობელობაში ტოსკანასა და მოდენას იმ დახმარების ნყალობით, რომელიც მან პაპობას გაუწია, და აგრეთვე ბურბონებთან დადებული დახმარების შეთანხმებებით. მეტერნიხის სისტემამ, რომელიც წონასწორობის შენარჩუნებასა და სტაბილურობაზე ზრუნვას ითვალისწინებდა, ნაპოლეონის სისტემა შეცვალა. ავსტრიამ იოლად ჩაახშო ნეაპოლის (1822ნ.), ემილიისა და რომანიის აჯანყებები (1831-1833 ნლები).

ამავე დროს, 1848-1849 ნლებში პოლიტიკურმა მღელვარებამ თავად იტალიაში, საფრანგეთში, შემდეგ კი ცენტრალური ევროპის მოვლენებმა, ვენეციაში, მილანში, პარმაში, მოდენაში, ფლორენციასა და რომში რევოლუციები გამოიწვია. სარდინიის ავბედით ომს ავსტრიის წინააღმდეგ statu quo ante-ს აღდგენა მოჰყვა ტერიტორიული ცვლილებების გარეშე.

1815 ნელს პოლიტიკურ ასპექტში იტალიური ერი შემდეგნაირად იქნა დაყოფილი:

– **სარდინიის** სამეფო სავოიის სახლის სასარგებლოდ იქნა აღდგენილი. მის შემადგენლობაში შევიდა სარდინია, პიემონტის რეგიონი და გენუის რესპუბლიკის ტერიტორია კაპრაიას კუნძულთან ერთად. იტალიის ფარგლებს გარეთ მის მფლობელობაში ნიცა და საავოია იყო;

– საფრანგეთმა კორსიკის კუნძული შეინარჩუნა (იხ. საფრანგეთი);

– აღდგენილი მონაკოს სამთავრო სარდინიის ვასალი გახდა (იხ. მონაკო);

– ჰელვეციის კონფედერაციამ თავისი იტალიური ტერიტორიები შეინარჩუნა (ტესინის კანტონი, ვალე, პოჩიავენო) ვალტელინის ტერიტორიის გარდა, რომელიც საბოლოოდ იქნა დაკარგული (იხ. შვეიცარია);

– ავსტრიამ კვლავ თავის იმპერიაში ჩართო ტრენტოს, სამხრეთი ტიროლის, ტრიესტისა და ისტრიის რეგიონები, რომელიც გერმანიის ახალ კონფედერაციაში შეიყვანა;

– ავსტრიის იმპერატორის მფლობელობაში მყოფი **ლომბარდია-ვენეციის** სამეფო (ვენეციის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რეგიონი), რომელიც გერმანიის კონფედერაციის გარეთ იყო დარჩენილი და მილანის, მანტუის, ვალტელინისა და ასევე ყოფილი ვენეციური ლომბარდიის, ვენეციის რეგიონებსა და მდინარე პოს ჩრდილოეთით მდებარე პაპის ლეგატს დაქვემდებარებულ ფრაგმენტს მოიცავდა;

– იმპერატორის ქალიშვილის, მარია-ლუიზასთვის ბოძებული **პარმისა** და პიაჩენცას საპერცოგო, რომელსაც გუასტალა დაემატა;

– ავსტრიის სახლის მეორად მფლობელობაში მყოფი მოდენის საპერცოგო, ავსტრიისა და ესტეს სახლის მემკვიდრეს ფრანჩესკო IV-ს გადაეცა (გარდაცვლილი ერკულე III ესტეს შვილიშვილი);

– საგრძნობლად გაზრდილი **მასა** და **კარარას** საპერცოგო, რომელიც მოდენას გამოეყო, მუდმივ მფლობელობაში გადაეცა პერცოგის მეუღლე-დედას, მარია-ბეატრიჩე ესტეს;

– პარმის ბურბონების ხელში გადასული **ლუკას** საპერცოგო, მასა და კარარასა და პიომბინოს გარეშე;

– ავსტრიის სახლის მეორად მფლობელობაში მყოფი **ტოსკანის** დიდი საპერცოგო პონტრემოლისა და ფივიცანოს ანკლავებით (აღნიშნული დროიდან, მასა და კარარასა და პიეტრასანტას რკალით გამოეყო) ფერდინანდ III ჰაბსბურგელს დაუბრუნდა. დიდ საპერცოგოს პიომბინო (რომელიც 1815 ნელს უფლებებში აღდგენილმა მისმა მთავარმა ბუიკომპანიმ ტოსკანას მიჰყიდა), ტოსკანის ციხე-სიმაგრეები და ელბის კუნძული დაემატა;

– სან-მარინოს რესპუბლიკა ცვლილებების გარეშე დარჩა (იხ. სან-მარინო);

– 1796 წლამდე არსებულ ფარგლებში აღდგენილი პაპის ოლქი, პოს ჩრდილოეთით მდებარე პაპის ლეგატებს დაქვემდებარებული ფრაგმენტის გარდა, მაგრამ ბენევენტოსა და პონტე-კორეოს ანკლავებით. იტალიის გარეთ პაპის ოლქმა ავინიონი და ვენესენის საგრაფო (იხ. ვატიკანი) დაკარგა;

– ბურბონების სასარგებლოდ აღდგენილი **ორივე სიცილიის** სამეფო, რომლებმაც საბოლოოდ დაკარგეს ტოსკანა, ელბის კუნძულის მესამედი ნაწილი და სიუზერენიტეტი პიომბინოზე.

1. სარდინიის სამეფო

1814 წლის მაისში ტურინში დაბრუნებულმა მეფე ვიტორიო-ემანუელე I-მა ძველი სამეფოს ყველა ინსტიტუტი აღადგინა. 1820 წელს მეფემ უარი თქვა სარდინიის შეიარაღებული მოძრაობის მხარდაჭერაზე (სავოია-კარინიანის მთავრის, კარლო-ალბერტის ინიციატივით) ნეაპოლის რევოლუციისა და მილანის ამბოხებისთვის და 1821 წელს ტახტიდან გადადგა თავისი ძმის კარლო-ფელიჩეს სასარგებლოდ. ამ უკანასკნელმა ათი წლის მანძილზე სარდინიის ტერიტორიაზე არსებული წესრიგი შეინარჩუნა მკაცრი ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გატარებით იტალიის ნაციონალისტური მოძრაობების მიმართ, რომელიც ავსტრიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

1821 წელს სამეფოში, რომლის ფართობი დაახლოებით 75 000 კმ²-ს, ხოლო მოსახლეობა ოთხ მილიონზე მეტ კაცს შეადგენდა, ტერიტორიული მოწყობის რეორგანიზაცია ჩატარდა, ის ათ საინტენდანტოდ დაიყო: ტურინი, კონი, ალესანდრია, ნავარა, აოსტა, ნიცა, გენუის საჰერცოგო, სავოიის საჰერცოგო, კალიარი, სასარი.

1831 წელს კარლო-ფელიჩეს გარდაცვალების შემდეგ, სარდინიის ტახტი მისმა ბიძაშვილმა კარლო-ალბერტომ (ათი წელი იყო გადასახლებაში) დაიკავა. დიდი ხნის განმავლობაში იგი თავისი ნინამორბედის ნეიტრალიტეტის პოლიტიკას იხარჩუნებდა იტალიის საგაფიცვო მოძრაობების მიმართ. ამავე დროს, მეფე სამეფოს მმართველობის რეფორმასა (სასამართლო რეფორმა, ადგილობრივი მმართველობა) და ეკონომიკის მოდერნიზაციას შეუდგა (აგრარული რეფორმა, პირველი სარკინიგზო გზების გაყვანა და სხვ.)

1842 წელს სამეფო ადმინისტრაციულად 14 გენერალურ საინტენდანტოდ იქნა დაყოფილი: ტურინი, შამპერი, ანესი, ნავარა, ვერჩელი, კონი, ალესანდრია, ნიცა, სავონა, გენუა, კალიარი, ნუორო, სასარი.

1848 წელს პოლიტიკურმა მღელვარებამ თავად იტალიაში, საფრანგეთში, შემდეგ კი ცენტრალურ ევროპაში მომხდარმა მოვლენებმა იტალიის სხვადასხვა ქალაქებში რევოლუციები გამოიწვია. სარდინიის მეფე ცდილობდა შექმნილი მდგომარეობა იტალიის გაერთიანების სასარგებლოდ გამოეყენებინა და ნახევარკუნძულიდან ავსტრიელები გაეძევებინა. ნავარენთან (1849 წლის მარტი) ავსტრიის ჯარებთან (მათ გენერალი რადეცკი ედგა სათავეში) დამარცხების შემდეგ, მეფე ტახტიდან გადადგა თავისი ვაჟის, ვიტორიო-ემანუელე II-ის სასარგებლოდ. ამგვარად, სარდინია ბოლო მომენტში გარკვეული ტერიტორიის დაკარგვას გადაურჩა.

სარდინიის მფარველობით, მონაკოს მთავრის წინააღმდეგ აჯანყებულმა მანტონისა და როკბეერის მოსახლეობამ ეს ქალაქები თავისუფალ ქალაქებად გამოაცხადა.

სარდინიის ახალი მეფე სამეფოს კონსტიტუციის ძალით მართავდა, რომელმაც ქვეყანაში აბსოლუტიზმს მოუღო ბოლო. გონიერმა და პოლიტიკური გამჭრიახობის მქონე მეფემ, იტალიელი პატრიოტების იმედებს კონკრეტული სახე მისცა, რომლებიც შეძრწუნებულნი იყვნენ 1848 წლის რევოლუციების შემდეგ სხვა ქვეყნებში განვითარებული მოვლენებით.

1848 წელს პაპმა პიუს IX-მ ნაციონალისტებს იმედები გაუცრუა. ამ დროიდან, სარდინიის სამეფო (ერთადერთი, რომელიც მთლიანად არ იყო ავსტრიის მიერ დამორჩილებული) ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელიც შეიძლებოდა იტალიის ერთიანობის საფუძველი გამხდარიყო. მეფემ მთავრობაში გრაფი კავური მიიწვია, რომელმაც ათი წლის განმავლობაში ქვეყნის მოდერნიზაცია დაასრულა, გაზარდა სარდინიის ჯარის ქმედითუნარიანობა და თავისი დიპლომატიური ნიჭით იტალიის გაერთიანება განახორციელა, რომლის ჭეშმარიტი სულისჩამდგმელიც იგი გახდა. ამ მიზნის მისაღწევად, მან ნაპოლეონ III-ის გადამწყვეტი დახმარება მიიღო ყირიმის ომში მონაწილეობით (1853-1856წწ.), შემდეგ კი საფრანგეთის სიუზერენის სიმპათიის მოპოვება მოახერხა იტალიის გაერთიანების საკითხთან დაკავშირებით.

1858 წლის პლომბიერის შეხვედრის დროს, საფრანგეთმა იტალიას თავისი დახმარება აღუთქვა სამეფოს გაფართოების საქმეში (აპენინების ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები), რის სანაცვლოდაც იტალიას საფრანგეთისთვის ნიცა და სავოია უნდა გადაეცა. ცენტრალური იტალია (ტოსკანა, უმბრია, მარკე) სხვა სამეფოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო, ორივე სიცილია კვლავ უცვლელად დარჩებოდა, პაპი კი მხოლოდ წმინდა პეტრეს ანტიკურ სამშობლოს შეინარჩუნებდა. სარდინია სათავეში ჩაუდგებოდა კონფედერაციაში გაერთიანებულ ოთხ იტალიურ სახელმწიფოს.

1859 წლის სექტემბერში ავსტრიასთან ომი გაჩაღდა. ივნისის თვეში მაჟანტასა და სოლფერინოში საფრანგეთ-სარდინიის გამარჯვებებს თაეიანთი სიუზერენების წინააღმდეგ, მოსახლეობის აჯანყება მოჰყვა პარმაში, მოდენაში, ბოლონიასა და ფლორენციაში.

იმპერატორმა ნაპოლეონ III-მ, ვილაფრანკოში (12 ივლისი) ავსტრიის იმპერატორ ფრანც-იოსებთან ნინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე გაფორმებული ციურიხის ხელშეკრულებით (1859 წლის 10 ნოემბერი), **ავსტრიამ საფრანგეთს ლომბარდია** (მანტუის გარდა) დაუთმო, რომელიც ამ უკანასკნელმა მაშინვე სარდინიას გადასცა. ლომბარდიისა და ვენეციის რეგიონებს შორის საზღვარი მინჩოსთან იქნა გავლებული (მანტუის ზევით), ავსტრიას კი "ოთხკუთხედის" ციხესიმაგრეები დარჩა (ვერონა, პესკიერა, მანტუა, ლენიანო).

ზემოაღნიშნული ხელშეკრულება იტალიის კონფედერაციის შექმნას ითვალისწინებდა პაპით სათავეში, რომლის წევრიც სარდინია უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის არასოდეს განხორციელებულა წინმსწრები მოვლენების გამო.

ამგვარად, სარდინიის სამეფოს პროვინციათა რიცხვმა 22-ს მიაღწია 14 გენერალური საინტენდანტოსთვის ძველი დელეგაციებიდან ცხრიდან რვის მიერთებით: მილანი, სონდრიო, კომო, ბერგამო, ბრეშია, პავია, ლოდი და კრემონი.

პროვინციების რაოდენობა 17-მდე იქნა დაყვანილი ზოგიერთი პატარა პროვინციის გაუქმებით: ტურინი, ნავარა, კონი, ალესანდრია, გენუა, ნიცა, შამბერი, ანესი, კალიარი, სასარი, პავია, მილანი, კომო, სონდრიო, ბერგამო, ბრეშია, კრემონი.

ტოსკანისა და ემილიის მოსახლეობამ (პარმა, მოდენა, პაპის ლეგატს დაქვემდებარებული ტერიტორიები) უარი თქვა მმართველობის ძველი წესის დაბრუნებაზე და იტალიის ერთიანობა გამოაცხადა. 1860 წლის 12 მარტს დასახელებულ ქალაქებში ჩატარებული პლებისციტით, დამტკიცდა **მათი სარდინიის სამეფოსთან გაერთიანება.**

მეორე მხრივ, ტურინის ხელშეკრულების (1860 წლის 24 მარტი) თანახმად, **საფრანგეთმა** გაწეული დახმარების სანაცვლოდ, სარდინიისგან **სავოიის საჰერცოგოსა და ნიცის საგრაფოს** მიღებას მიაღწია პლებისციტის ჩატარების პირობით. პლებისციტი 15 და 16 აპრილს ნიცაში, ხოლო 21 და 22 აპრილს სავოიაში გაიმართა, რომლის თანახმად, მათი საფრანგეთისთვის გადაცემა იქნა დამტკიცებული. ამავე დროს, ნიცის საგრაფოში სარდინიას მეფის "სანადირო ტერიტორიების" სახით, ალპების ქედები დარჩა (ტანდისა და ბრიგის კომუნები, ზღვის ალპების ქედები, მდინარეების ვეზუზისა და ტინეს ნაპირებთან).

ამგვარად, საფრანგეთისთვის გადაცემული ორი პროვინციის დათმობით სარდინიის პროვინციების რაოდენობა 17-დან 31-მდე გაიზარდა. (საფრანგეთისთვის გადაცემული ნიცის საგრაფო ამავე სახელწოდების სარდინიის პროვინციას გამოეყო, რომელსაც სახელი გადაერქვა და პორტ-მორისი ეწოდა. მას აგრეთვე დარჩა ემილიისა და ტოსკანის 16 პროვინცია).

– ემილიის რეგიონი: პარმის საფუძველზე შექმნილი 2 პროვინცია (პარმისა და პიაჩენცის საპერცოგოები), მოდენის საფუძველზე შექმნილი 2 პროვინცია (მოდენისა და რეჯოს საპერცოგოები), პაპის ოლქის საფუძველზე შექმნილი 4 პროვინცია (ბოლონიის, ფერარის, რავენისა და ფორლის პაპის ლეგატზე დაქვემდებარებული ტერიტორიები);

– ტოსკანის რეგიონი: მოდენის საფუძველზე შექმნილი 1 პროვინცია (მასა და კარარას საპერცოგო), ტოსკანის საფუძველზე შექმნილი 7 პროვინცია (ლუკას საპერცოგო, ფლორენციის, ლივორნოს, პიზის, არეცოს, სიენისა და გროსეტოს ოლქები).

1860 წლის "ათასთა" (გარიბალდი) ექსპედიციის შემდეგ, რომელსაც ნეაპოლის მიმართულებით ძლევამოსილი სვლა მოჰყვა (ფრანჩესკო II-მ ნეაპოლი დატოვა 1860 წლის სექტემბერში), ორივე სიცილიის სამეფოს მოსახლეობამ 1860 წელს ხმა მისცა **სარდინიის სამეფოსთან გაერთიანებას**, რომელიც 1860 წლის 17 ოქტომბერს განხორციელდა.

აღნიშნულ დროს, სხვა პლებისციტები ჩატარდა უმბრიასა და პაპის ოლქის მარკეს პროვინციაში, რომლის თანახმად, ამ ტერიტორიებმა **სარდინიის სამეფოსთან** (1860 წლის 17 დეკემბერი) გაერთიანება გამოაცხადეს. **ბენევენტოსა და პონტე-კორვოს პაპის ანკლავებიც სარდინიის სამეფოში იქნა შეყვანილი.**

ამგვარად, სარდინიის სამეფო 31-დან 59 პროვინციამდე გაიზარდა, პაპის 6 და ორივე სიცილიის 22 პროვინციის შემოერთების შედეგად:

– პაპის ოლქი: ანკონა, მაჩერატა, ასკოლი, ურბინო და პესარო, პერუჯა, ბენევენტო;

– ორივე სიცილია: ნეაპოლი, კაზერტა, სალერნო, აველინო, კამპო-ბასო, ჩიეტი, ტერამო, აკუილეა, ფოჯა, ბარი, ლეჩე, პოტენცა, კოზენცა, კატანძარო, რეჯო, მესინა, პალერმო, ტრაპანი, აგრიჯენტო, კალტანისეტა, სირაკუზა, კატანია.

2. ლომბარდია-ვენეციის სამეფო

1815 წლის 16 აპრილს ავსტრიის მიერ გამოცხადებული ლომბარდია-ვენეციის სამეფო ნახევარი საუკუნის მანძილზე მხოლოდ იმპერიის დანამატს წარმოადგენდა, და მისი ერთადერთი დამსახურება გერმანიის კონფედერაციაში არყოფნა იყო. სამეფო ავსტრიის მკაცრ რეჟიმს იყო დაქვემდებარებული, სადაც დამოუკიდებლობის მცდელობაც კი მკაცრად იხშობოდა მეტერნიხის მიერ. სამეფოში გაუქმებული იყო ძველი იტალიის სამეფოს ინსტიტუტები.

ლომბარდია-ვენეციას ავსტრიის იმპერატორის წარმომადგენელი ვიცე-მეფე მართავდა, რომელიც კანცლერ მეტერნიხის მთავრობის დასაყრდენი იყო იტალიის დამორჩილების საქმეში. ამავე დროს, სამეფო ეკონომიკურად ძალზე განვითარებული იყო და სარდინიის სამეფოსთან ერთად იტალიის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

ლომბარდია-ვენეციის სამეფოს მიწა-წყალი 45 000კმ² შეადგენდა, დაახლოებით 5 მილიონი მცხოვრებით, რომლის ტერიტორიის 20 000კმ², 2,5 მილიონი მოსახლეობით მილანის გამგებლობას ეკუთვნოდა, 25 000კმ², 2,5 მილონი მოსახლეობით კი ვენეციისას. ის ჩვიდმეტ ადმინისტრაციულ ერთეულად იყო დაყოფილი:

– მილანის გამგებლობა (ან ლომბარდიის პროვინციები): მილანის, კომოს, სონდრიოს (ვალტელინა), პავიის, ლოდის, ბერგამოს, ბრეშიის, კრემონისა და მანტუის ადმინისტრაციული ერთეულები;

– ვენეციის გამგებლობა (ან ვენეციის პროვინციები): ვენეციის, პადუის, ვიჩენცის, ვერონის, როვიგოს (პოლეზინე), ტრევიზოს, ბელუნისა და უდინეს ადმინისტრაციული ერთეულები.

1848 წლის რევოლუციურმა მოვლენებმა, განსაკუთრებით კი მეტერნიხის მთავრობის ჩამოგდებამ, დიდი გამოძახილი ჰპოვა ლომბარდია-ვენეციის სამეფოში. 18 მარტს მილანში აჯანყებამ იფეთქა, სადაც მმართველობა დროებითმა მთავრობამ აიღო ხელში. 22 მარტს იგივე ვენეციაში განმეორდა და მანინმა მოსახლეობას დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა. სამეფოს ყველა ქალაქი ერთი მეორის მიყოლებით აჯანყდა.

სარდინიის მეფე კარლო-ალბერტო ავსტრიის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა, მაგრამ მისმა დამარცხებამ ნავარაში (1849 წლის მარტი) ბოლო მოუღო იტალიელთა იმედებს და აჯანყება ჩახშობილი იქნა. ვენეცია, რომელმაც თავი რესპუბლიკად გამოცხადა, ავსტრიას 25 აგვისტომდე უწევდა წინააღმდეგობას. ქვეყანას ახალი რეპრესიები დაატყდა თავს.

1859 წელს ავსტრიასა და საფრანგეთს შორის ომი ავსტრიის დამარცხებით დასრულდა მაჟანტასა და სოლფერინოში (ივნისი). ციურიხში დადებული ხელშეკრულებით (1859 წლის 10 ნოემბერი), **ავსტრიამ საფრანგეთს ლომბარდია** დაუთმო (მანტუის გარდა), რომელმაც ის **მაშინვე სარდინიის სამეფოს** გადასცა. ლომბარდიასა და ვენეციას შორის საზღვარი მინჩოსთან იქნა გავლებული, ავსტრიას კი "ოთხკუთხედის" ციხე-სიმაგრეები დარჩა (ვერონა, პესკიერა, მანტუა, ლენიაგო). მილანის გუბერნიას 9-დან 8 ადმინისტრაციული ერთეული ჩამოერთვა. ლომბარდია-ვენეციის სამეფოს დედაქალაქი ვენეციაში იქნა გადატანილი და მასში მხოლოდ 9 ადმინისტრაციული ერთეული დარჩა (ვენეციის 8 და მანტუის ერთი ადმინისტრაციული ერთეული).

3. პარმის საჰერცოგო

პარმისა და პიაჩენცის საჰერცოგო, რომელსაც 1814 წლიდან ისევ გუასტალა დაემატა, ნაპოლეონის მეუღლის მარია-ლუიზას სასარგებლოდ იქნა აღდგენილი, პარმის ბურბონები კი ლუკაში გადავიდნენ. პოს მარცხენა ნაპირზე მდებარე საჰერცოგოს რამდენიმე ნანილი ლომბარდია-ვენეციას გადაეცა.

საჰერცოგო, რომლის ფართობი 6 200კმ² შეადგენდა, დაახლოებით 450 000 მცხოვრებით, შემდეგნაირად დაიყო: პარმის საჰერცოგო (3 პროვინცია), პიაჩენცის საჰერცოგო (2 პროვინცია), და ცალკე, გუასტალის საჰერცოგო (1 პროვინცია). 1814 წლის აპრილში დადგინდა, რომ მარია-ლუიზას გარდაცვალების შემდეგ მისი შთამომავლები პარმაში იბატონებდნენ. ვენის კონგრესის ფინალური აქტით (1815 წლის 9 ივნისი), კვლავ იქნა დასმული მარია-ლუიზას მემკვიდრეობის საკითხი. საჭირო იყო საერთო შეთანხმების გამონახვა სახელმწიფოებს შორის. 1817 წლის 10 ივნისის პარიზის ხელშეკრულებით დადგინდა, რომ მარია-ლუიზას გარდაცვალების შემდეგ საჰერცოგო "ესპანეთის ინფანტას მარია-ლუიზას, მისი ვაჟის ინფანტ ლუი-კარლოსისა და მათი შთამომავლების" საკუთრებაში გადავიდოდა, ე. ი. პარმის ბურბონთა სახლის ხელში, რომელიც ლუკაში ბატონობდა.

1831 წლის თებერვალში მოდენის, ბოლონიის, რომანიისა და უმბრიის მსგავსად, პარმაში დანყებული რევოლუციის შედეგად, მარია-ლუიზა გაძევებული იქნა თავისი საჰერცოგოდან. მოგვიანებით, იგი უფლებებში აღდგენილ იქნა ავსტრიის ჯარის მეშვეობით.

1847 წლის ნოემბერში მარია-ლუიზა გარდაიცვალა. 1847 წლის 17 დეკემბერს დადებული ხელშეკრულებების თანახმად, პარმის ბურბონი **ლუი-კარლოსი**, ეტრურიის ყოფილი მეფე ლუი II (1803-1807წწ.), რომელიც რევოლუციის შედეგად განდევნილი იქნა ლუკას საჰერცოგოდან, **პარმის ჰერცოგი კარლო II გახდა.**

აღნიშნულთან დაკავშირებით, **გუასტალა** კვლავ იქნა **გამოყოფილი პარმისგან** და ის საბოლოოდ შევიდა **მოდენის საჰერცოგოს** შემადგენლობაში. **ლუკა ტოსკანასთან** იქნა მიერთებული, **ტოსკანამ კი პონტრემოლის ანკლავი** დაუთმო პარმას, მიუხედავად იმისა, რომ მის მცხოვრებთ ტოსკანელებად დარჩენა სურდათ.

კარლო II, ეტრურიის ყოფილი მეფე ლუი II, რომელიც 1807 წელს ნაპოლეონმა ფლორენციიდან გააძევა, ყოფილი ჰერცოგი ლუი-კარლოსი ასევე ექსორიაქმნილი ლუკადან რევოლუციის შედეგად, 1848 წლის დასაწყისში რევოლუციის მიზეზით კიდევ ერთხელ იქნა გაძევებული პარმიდან. პარმა სარდინიას გადაეცა. 14 მარტს, კარლო II ტახტიდან გადადგა თავისი ვაჟის, კარლო III-ის სასარგებლოდ. ეს უკანასკნელი პარმაში (1849 წლის მაისი) ავსტრიის მფარველობის ქვეშ დაბრუნდა. 1854 წელს იგი ტახტზე მისმა ვაჟმა რობერტომ შეცვალა.

1859 წელს საფრანგეთ-სარდინიის გამარჯვებას პარმიდან ჰერცოგ რობერტოს გაქცევა მოჰყვა, საჰერცოგოში კი დროებითი მმართველობა იქნა შემოღებული. ციურიხის ხელშეკრულებით (10 ნოემბერი) გათვალისწინებული იყო საჰერცოგოს იტალიის ძველ კონფედერაციაში აღდგენა, რომლის სათავეში პაპი უნდა ჩამდგარიყო, მაგრამ ეს პოლიტიკური გეგმა არასოდეს განხორციელებულა.

12 მარტს ჩატარებული პლებისციტის შემდეგ, 1860 წლის 19 მარტს **პარმის საჰერცოგო სარდინიის სამეფოსთან გაერთიანდა.**

4. ლუკას საჰერცოგო

1815 წლის 9 ივნისის ვენის კონგრესის ფინალური აქტით დადგინდა, რომ ლუკას სამთავრო (ძველი რესპუბლიკის ფარგლებში) საჰერცოგოთი უნდა შეცვლილიყო, ეტრურიის ყოფილი დედოფლის, ინფანტა მარია-ლუიზასა და მისი ვაჟის, ლუი-კარლოსის, ეტრურიის ყოფილი მეფის, ლუი II-ის სასარგებლოდ.

პარმის ბურბონთა სახლის ჰერცოგმა ლუი-კარლოსმა ვერ შეძლო პარმის საჰერცოგოს დაბრუნება, რადგან 1814 წელს ის იმპერატორ ნაპოლეონის მეუღლეს მარია-ლუიზასა და მის შთამომავლებს გადაეცა. თუმცა 9 ივნისის ფინალური აქტით, კვლავ დღის წესრიგში დადგა ინფანტა მარია-ლუიზასთვის პარმის საჰერცოგოს გადაცემის საკითხი. ნათელი იყო, რომ პარმის ბურბონები შეიძლებოდა აღნიშნული საჰერცოგოს მემკვიდრეები გამხდარიყვნენ, რადგან გადაწყდა, რომ ლუკას საჰერცოგო (რომელიც მათ სულ ახლახან მიიღეს) ტოსკანის დიდი ჰერცოგის ხელში უნდა გადასულიყო პარმის ბურბონთა გადაშენების შემთხვევაში და მაშინაც თუკი ისინი "სხვა ადგილზე დაფუძნდებოდნენ".

მართალაც, 1817 წლის 10 ივნისის პარიზის ხელშეკრულებით, გათვალისწინებული იყო მარია-ლუიზას გარდაცვალების შემდეგ პარმის საჰერცოგოს "ესპანეთის ინფანტა მარია-ლუიზასთვის, მის ვაჟიშვილ ინფანტ ლუი-კარლოსისთვის და მათი შთამომავლებისთვის" ანუ პარმის ბურბონთა სახლისთვის გადაცემა.

ოცდაათი წლის მანძილზე პატარა საჰერცოგო მშვიდად ცხოვრობდა, მაგრამ 1840 წლის მიწურულს, იტალია მთლიანად მოიცვა ლიბერალურმა განწყობილებებმა და ავსტრიისა და მისი პროტეჟეების წინააღმდეგ გამოსვლებმა.

1847 წლის სექტემბერში ლუკაში რევოლუციამ იფეთქა მმართველობის ლიბერალიზაციისთვის. ჰერცოგი ლუკადან გაიქცა, მეამბოხეებმა კი ტოსკანასთან გაერთიანება მოითხოვეს. 5 ოქტომბერს ლუი-კარლოსმა ტახტზე უარი თქვა **და ლუკას საჰერცოგო ტოსკანის დიდ ჰერცოგს მიჰყიდა.** მან მხოლოდ ჰერცოგის წოდება დაიტოვა.

ორი თვის შემდეგ, დეკემბრის თვეში მარია-ლუიზა ავსტრიელი გარდაიცვალა, და პარმის ბურბონმა ლუი-კარლოსმა პარმაზე გაბატონება შეძლო კარლოს II-ის სახელით. **ლუკას გადაცემა ტოსკანისთვის** საბოლოოდ გადაწყდა.

აღნიშნული დროიდან ლუკას საჰერცოგო, ტოსკანას პროვინციის სახით შეუერთდა.

5. მასა და კარარას საჰერცოგო

1815 წლის 9 ივნისს მასა და კარარას საჰერცოგო ერცჰერცოგ ფერდინანდის მეუღლის, მოდენის ჰერცოგის მარია-ბეატრიჩე ესტეს ხელში გადავიდა, რომელმაც ის თავის ვაჟს, ფრანც IV ავსტრიელ-ესტეს გადასცა.

მასა და კარარას საჰერცოგო, რომელიც მარია-ბეატრიჩემ (დედა) 1743 წელს მზითევში მისცა მოდენის ჰერცოგს, მოდენასთან ერთად ციზპადანის რესპუბ-

ლიკას (1796წ.), შემდეგ კი ციზალპურ რესპუბლიკას (1797წ.) გადაეცა. 1805 წელს აღნიშნული საპერცოგო იტალიის სამეფოს ხელში გადავიდა, შემდეგში კი მას გამოეყო (ძველი მოდენას საპერცოგოსთან ერთად) ლუკასა და პიომბინოს სამთავროს ტერიტორიის გაფართოებისთვის.

მარია-ბეატრიჩეს მოდენაში უნდა ებატონა, მაგრამ მან ადგილი თავის ვაჟს, ფრანც IV-ს დაუთმო, მასა და კარარას საპერცოგო მას კომპენსაციის სახით მუდმივ მფლობელობაში გადაეცა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ის მოდენის საპერცოგოს უნდა დაბრუნებოდა. მასა და კარარას საპერცოგო, რომელიც მარია-ბეატრიჩემ მიიღო, საგრძნობლად გაიზარდა ადრინდელთან შედარებით ტოსკანის საიმპერიო სამფლობელოების შემოერთებით (ტოსკანის ლუნიჯიანის პროვინციას ჩამოერთვა), რომელიც ამ **პატარა საპერცოგოს ტოსკანის დიდმა ჰერცოგმა დაუთმო.** ის აპენინების ქედამდე იყო გადაჭიმული და პონტრემოლისა და ფივიცანოს (ამ უკანასკნელის აღმოსავლეთით) ანკლავებს შორის იყო განლაგებული.

1829 წელს ჰერცოგი ქალის გარდაცვალების შემდეგ, **მასა და კარარას საპერცოგო მოდენის საპერცოგოსთან იქნა გაერთიანებული.**

6. მოდენის საპერცოგო

ვენის კონგრესის ფინალური აქტით (1815 წლის 9 ივნისი), მოდენის საპერცოგო თავისი შემადგენელი ნაწილებით (მოდენა, რეჯო და მირანდოლა) აღდგენილ იქნა და ავსტრიის ერცჰერცოგ ფერდინადისა და მარია-ბეატრიჩე ესტეს ვაჟს, ფრანც IV ავსტრიელ-ესტეს გადაეცა. თუმცა ამ უკანასკნელს არ გადაეცა მასა და კარარას ძველი საპერცოგო დედის სიცოცხლის მანძილზე.

6 000კმ²-ის ფართობისა და დაახლოებით 400 000 მცხოვრებისგან შემდგარი საპერცოგო მოდენასა და რეჯოს საპერცოგოებად იყო დაყოფილი.

1829 წელს მარია-ბეატრიჩეს გარდაცვალების შემდეგ, **მასა და კარარას საპერცოგო საბოლოოდ გაერთიანდა მოდენის საპერცოგოსთან** და ის მისი მესამე პროვინცია გახდა.

1831 წლის თებერვალში რევოლუციის დაწყებასთან დაკავშირებით, ჰერცოგი დედაქალაქიდან გააძევეს (რევოლუციამ იფეთქა ემილიაში, რომანიასა და უმბრიაშიც). იგი უფლებებში ავსტრიის ჯარის მეშვეობით იქნა აღდგენილი.

1847 წლის დეკემბერში ნაპოლეონის ყოფილი მეუღლის მარია-ლუიზას გარდაცვალებამ, რომელიც პარმას განაგებდა, რეგიონის სახელმწიფოთა გადანაწილება გააიოლა. აღნიშნულ ფარგლებში **მოდენის საპერცოგომ მიიღო:**

– პარმის საპერცოგოსგაგან გუასტალის პატარა საპერცოგო;

– ტოსკანის დიდი საპერცოგოსგან ფივიცანოს ანკლავი.

1848 წლის დასაწყისში საფრანგეთსა და ცენტრალურ ევროპაში განვითარებულმა მოვლენებმა იტალიაში მღელვარება გამოიწვია. ფრანც IV-ის ვაჟი, ჰერცოგი ფრანც V, რევოლუციის შედეგად მოდენიდან იქნა გაძევებული. მოდენა სარდინიას შეუერთდა. ჰერცოგი ფრანც V მოდენაში (1849 წლის მაისი) ავსტრიის მფარველობით დაბრუნდა.

1859 წელს საფრანგეთ-სარდინიის გამარჯვებას მაჟანტაში (4 ივნისი) მოდენის ჰერცოგის გაქცევა მოჰყვა, საპერცოგოში კი დროებითი მმართველობა იქნა შემოღებული. ციურიხის ხელშეკრულებით (10 ნოემბერი), გათვალისწინებული იყო საპერცოგოს იტალიის კონფედერაციაში აღდგენა, რომლის სათავეშიც პაპი უნდა ჩამდგარიყო, მაგრამ ეს პოლიტიკური გეგმა არასოდეს განხორციელებულა.

12 მარტის პლებისციტის შემდეგ, **მოდენის საპერცოგო 1860 წლის 19 მარტს სარდინიის სამეფოს შეუერთდა.**

7. ტოსკანის დიდი საპერცოგო

იმპერატორ ფრანც I-ის ძმა, დიდი ჰერცოგი ფერდინანდი, რომელიც ფლორენციას 1791 წლიდან 1799 წლამდე განაგებდა, ზალცბურგში, შემდეგ კი ვიურცბურგში გამგზავრებამდე, 1815 წლის ივნისში ტოსკანაში საბატონოდ ჩამოვიდა. დიდი საპერცოგო მის სასარგებლოდ იქნა აღდგენილი ავსტრიის სახლის მეორადი

მემკვიდრეობის სტატუსით. მასში კვლავ შევიდა ლუნიჯიანის ანკლავები (პონტრემოლი და ფიციდანო), რომელიც ამ დროიდან მასა და კარარას სასარგებლოდ იქნა შემცირებული და პიეტრასანტას ანკლავი ტოსკანის ციხე-სიმაგრეებთან ერთად. ელბის კუნძული, რომელიც 1814 წელს იმპერატორ ნაპოლეონის ხელში გადავიდა, 1815 წელს დიდ საჰერცოგოს დაუბრუნდა. 1815 წელს უფლებებში აღდგენილმა პიომბინოს მთავარმა თავისი სამთავრო ტოსკანის დიდ ჰერცოგს მიჰყიდა.

ამგვარად აღდგენილი დიდი საჰერცოგო, რომლის ფართობი 28 000კმ²-ს მოითვლიდა, მოსახლეობა კი დაახლოებით 1,2 მილიონი კაცს შეადგენდა, ხუთი პროვინციისგან შედგებოდა; ფლორენცია, არეცო, სიენა, გროსეტო და პიზა (ამ უკანასკნელში სამი ანკლავი შედიოდა). აღნიშნულ ტერიტორიებს ლივორნო (გორგონას კუნძულთან ერთად) და პორტო-ფერაიო (ელბის კუნძული და შემოგარენი, სარდინიული კაპრაიას გარეშე) დაემატა. მოგვიანებით, ეს ორი ოლქი გაერთიანდა და ლივორნოს პროვინციად გადაკეთდა.

ფერდინანდ III-ის გარდაცვალების შემდეგ (1824წ.), იგი ტახტზე მისმა ვაჟმა, ლეოპოლდ II-მ შეცვალა. ეს უკანასკნელი ლიბერალური პოლიტიკის გატარებას შეეცადა ვენის კაბინეტის შეზღუდულ ფარგლებში და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას შეუდგა (პირველი სარკინიგზო გზები, ამოსაშრობი სამუშაოების დაწყება და სხვ.).

1847 წლის ოქტომბერში ლუკას ჰერცოგმა ლუი-კარლოსმა, რომელიც სექტემბერში რევოლუციის შედეგად ტახტიდან იქნა ჩამოგდებული, **თავისი საჰერცოგო ტოსკანის დიდ ჰერცოგს მიჰყიდა.**

1847 წლის დეკემბერში მარია-ლუიზას (პარმის ჰერცოგი) გარდაცვალების შემდეგ, ლუკა საბოლოოდ იქნა მიერთებული ტოსკანის რეგიონთან. აღნიშნულის სანაცვლოდ, **ტოსკანამ პარმის საჰერცოგოს პონტრემოლი, მოდენის საჰერცოგოს კი ფივიცანო დაუთმო,** მისი მოსახლეობის სურვილის საწინააღმდეგოდ.

ამგვარად, ლუკას საჰერცოგო ტოსკანის მეშვიდე პროვინცია გახდა.

1847 წლის გაზაფხულიდან პაპ პიუს IX-ის მიბაძვით, დიდმა ჰერცოგმა ლეოპოლდმა საზოგადოებრივი ცხოვრების ლიბერალიზაცია დაიწყო. ფლორენციაში პოლიტიკური მღელვარება გაძლიერდა, რომელიც შეგულიანებული იყო მთელ იტალიაში მიმდინარე მოვლენებით. 1848 წლის 15 თებერვალს დიდმა ჰერცოგმა საჰერცოგო კონსტიტუციით აღჭურვა და ლიბერალურ მთავრობას მოუხმო. თუმცა 1849 წლის 16 თებერვალს ფლორენცია რესპუბლიკად გამოცხადდა, დიდმა ჰერცოგმა კი თავი პაპთან, გაეტაში შეაფარა, რომელიც თავის მხრივ, რომის ტახტიდან იქნა ჩამოგდებული

დიდი ჰერცოგი 1849 წლის მაისში ავსტრიის ჯარის დახმარებით უფლებებში აღადგინეს. 1850 წლის 21 სექტემბრის დეკრეტით, კონსტიტუცია შეჩერებული იქნა sine die. დიდმა ჰერცოგმა თავისი ლიბერალური წარსული დაივიწყა და ავსტრიის მხარდაჭერით მკაცრი რეპრესიები ჩაატარა.

1859 წლის ივნისში ავსტრიაზე საფრანგეთ-სარდინიის გამარჯვებას მაჟანტასა და სოლფერინოში, კვლავ მოჰყვა დიდი ჰერცოგის, ლეოპოლდ II-ის გაქცევა, რომელმაც თავი ვენას შეაფარა. 21 ივნისს მან უარი თქვა ტახტზე თავისი ვაჟის, ფერდინანდ IV-ის სასარგებლოდ, საჰერცოგოში კი დროებითი მმართველობა იქნა შემოღებული.

ციურიხის ხელშეკრულებით (1859 წლის 10 ნოემბერი), დასრულდა სამხედრო მოქმედებანი ავსტრიასა და საფრანგეთ-სარდინიის კოალიციას შორის. ხელშეკრულება ითვალისწინებდა იტალიის კონფედერაციის შექმნას პაპით სათავეში. მასში უნდა გაერთიანებულიყვნენ სარდინიის მეფე, ავსტრიის იმპერატორი (ვენეციასთან დაკავშირებით), უფლებებში აღდგენილი ტოსკანის დიდი ჰერცოგი, სხვა სიუზერენი მთავრები და ორივე სიცილიის მეფე. აღნიშნული გეგმა ვერ იქნა განხორციელებული.

1860 წლის 12 მარტს ჩატარებული პლებისციტის შემდეგ, **ტოსკანის დიდი საჰერცოგო სარდინიის სამეფოსთან იქნა მიერთებული** (1860 წლის 22 მარტი), რის შედეგად სარდინიის სამეფოს შვიდი ახალი პროვინცია შეემატა.

8. ორივე სიცილიის სამეფო

1815 წლის ივნისში პალერმოში 1806 წლიდან გახიზნული მეფე ფერდინანდ IV ნეაპოლში დაბრუნდა და თავისი ორმაგი სამეფოს კონტინენტურ ნაწილზე გამეფდა. მან უარი თქვა თავის პრეტენზიაზე ტოსკანის ციხე-სიმაგრეების, ელბის კუნძულის აღმოსავლეთი ნაწილის მესამედისა და პიომბინოს სიუზერენობასთან დაკავშირებით.

1816 წელს მეფემ, რომელსაც სიცილიისთვის (1812წ.) ინგლისელების მიერ ბოძებული კონსტიტუციის თავიდან მოშორება სურდა, ორივე სამეფოს ადმინისტრაციის შერწყმა ერთ გაერთიანებულ სამეფოში დეკრეტით დაადგინა, რის შედეგადაც გაქრა მრავალსაუკუნოვანი ისტორიული განსხვავება ნეაპოლსა და სიცილიას შორის. აღნიშნული გაერთიანების სიმბოლური გამოხატვისთვის, მეფე ფერდინანდ IV, რომელიც იქამდე ნეაპოლისა და სიცილიის მეფის ორმაგ ტრადიციულ წოდებას ატარებდა (კუნძულს იგი ფერდინანდ III-ის სახელით ფლობდა), ორივე სიცილიის მეფე, ფერდინანდ I გახდა.

ორივე სიცილიის ახალი სამეფო, რომლის ფართობიც 120 000კმ² შეადგენდა, დაახლოებით 8 მილიონი მოსახლეობით, 22 საინტენდანტოდ დაიყო, მოლიზეს ოლქის აღდგენით მიურას 13 საინდენდანტო 15-მდე გაიზარდა, ხოლო პირიქითა კალაბრიის დაყოფით სიცილიის 3 რეგიონი 7 საინტენდანტოდ დაიყო:

– 15 საინტენდანტო კონტინენტურ ნაწილზე: ნეაპოლი, ტერა დი ლაბურე (კაზერტა), პირაქეთა სამთავრო (სალერნო), პირიქითა სამთავრო (აველინო), პირაქეთა აბრუცი (ჩიეტი), პირაქეთა აბრუცი I (ტერამო), პირიქითა აბრუცი II (აკუილეა), მოლიზე (კამპო-ბასო), კაპიტანტე (ფოჯა), ტერა დი ბარი (ბარი), ტერა დ'ოტრანტო (ლეჩე), ბაზილიკატა (პოტენცა), პირაქეთა კალაბრია (კოზენცა), პირიქითა კალაბრია I (რეჯო), პირაქეთა კალაბრია II (კატანზარო).

– სიცილიის 7 საინტენდანტო: მესინა, პალერმო, ტრაპანი, ჯირჯენტი, (დღეს აგრიჯენტო), კალტანისეტა, სირაკუზა (შეიცვალა ნოტოთი 1873 წელს).

ავსტრიის თანხმობით, მეფემ ნინა საუკუნის მეორე ნახევარში ტანუჩის მიერ დანყებული რეფორმების გატარება გააგრძელა. რეპრესიები თავს დაატყდა ლიბერალურ ნრეებსა და მეფე იოაკიმ მიურატის ყოფილ მომხრეებს. სამეფოში საიდუმლო საზოგადოებები და იატაკქვეშა ოპოზიცია გაჩნდა.

1820 წლის ივლისში მადრიდში სახელმწიფო გადატრიალების გამოცხადებას (რევოლუციონერებს სურდათ მეფე აეძულებინათ 1812 წლის კონსტიტუცია აემოქმედებინა) სამეფოში ამბოხება მოჰყვა კონსტიტუციის მოთხოვნით, რომლის მიღებაც ფერდინანდ I-ს აიძულეს.

თუმცა 1821 წლის იანვარში ლეიბახში (ლიუბლიანა) შეკრებილმა "საღვთო კავშირმა" ფერდინანდ I-ის მხარდაჭერა გადაწყვიტა, რომელიც ადგილზე დაბრუნდა და რეგენტობა თავის ვაჟს ფრანცისკოს გადასცა, რომელსაც ლიბერალიზაციის მოძრაობის დასრულება სურდა. სამეფოში გაგზავნილმა ავსტრიის ჯარმა ნეაპოლიტანელები დაამარცხა და იქ ძველი წესრიგი აღადგინა.

1825 წელს ფრანცისკო I-მა მამისგან მემკვიდრეობით სამეფო ტახტი მიიღო. მან აღარ გააგრძელა თავისი რეგენტობის დროს (1820წ.) დანყებული ლიბერალური ცვლილებები და მამის ავტორიტარული პოლიტიკა განაგრძო, რომლის მიმდევარიც 1830 წლიდან თავად მისი ვაჟი, ფერდინანდ II გახდა.

1848 წლის იანვარში პალერმოში აჯანყებულთა მთავრობამ ხელთ იგდო ძალაუფლება და მთელი კუნძული მოიცვა. მარტის თვეში ბურბონთა უფლებების დაკარგვა გამოცხადდა. მოგვიანებით, აჯანყება ნეაპოლსაც მოედო. შეშინებულმა ფერდინანდ II-მ კონსტიტუციის ამოქმედებაზე თანხმობა მისცა. სულ მალე, ამ უკანასკნელმა შვეიცარიის ჯარების დახმარებით, ნეაპოლზე კონტროლი კვლავ დაიბრუნა. სექტემბრის თვეში მან სიცილია დაიკავა და მესინა დაბომბინა, რომელსაც რევოლუციონერები აფარებდნენ თავს (rebomba). 1849 წლის მაისში სიცილია მთლიანად იქნა დაპყრობილი. ფერდინანდ II-მ sine die კონსტიტუციის მოქმედება შეაჩერა.

1859 წელს ფერდინანდ II ტახტზე მისმა ვაჟმა ფრანცისკო II-მ შეცვალა. ორივე სიცილიის სამეფო დროებით იტალიის გაერთიანებისთვის მოძრაობის მიღმა

აღმოჩნდა. 1860 წლის მაისში "ნითელპერანგიანთა" სათავეში მყოფმა გარიბალდიმ პალერმო დაიკავა, მოგვიანებით კი მთელი სიცილია. აგვისტოს თვეში, გარიბალდიმ სრუტე გადალახა და მოსახლეობა აამხედრა. 1860 წლის 6 სექტემბერს ფრანცისკო II-მ ნეაპოლი დატოვა და გაეტაში გაემგზავრა. გარიბალდიმ ნეაპოლი დაიკავა. (7 მაისი). სარდინიის მეფე ვიტორიო-ემანუელე თავისი ჯარებით სამეფოსკენ გაემართა. იგი გარიბალდის შეხვდა და მასთან ერთად 7 ნოემბერს ნეაპოლში შევიდა.

1860 წლის ოქტომბრიდან ორივე სიცილიის სამეფოს მოსახლეობამ პლებისციტით ხმა მისცა **სარდინიის სამეფოსთან შეერთებას**, რომელიც 1860 წლის 17 დეკემბერს განხორციელდა.

სამეფოს 22 საინტენდანტო იტალიის პროვინციებად შეიცვალა. სიცილიის 7 პროვინცია უცვლელად დარჩა. კონტინენტური ნაწილის 15 პროვინცია ერთით იქნა გაზრდილი, შემდეგი ცვლილებების განხორციელებით:

– ტერა დი ლაბურე, რომელსაც პაპის პონტე-კორვოს ანკლავი დაემატა, კაზერტას პროვინცია გახდა;

– ბენევენტოს პროვინცია პაპის ყოფილი ბენევენტოს მმართველობისა და პირიქითა სამთავროს ნაწილის საფუძველზე შეიქმნა;

– პირიქითა სამთავრო, რომლის ნაწილი ბენევენტოს სამთავროს გადაეცა, აველინოს პროვინცია გახდა;

– დანარჩენ 14 პროვინციას ტერიტორიული თვალსაზრისით, ცვლილებები არ განუცდია. ისინი პროვინციებად გადაკეთდნენ თავისი დედაქალაქების სახელწოდებების მიხედვით.

V. გაერთიანებული იტალია (1860-1920წწ.)

1. იტალიის ერთიანობის ფაქტობრივი დასრულება (1860-1870წწ.)

1860 წლის ნოემბერში საოიის სახლმა მეფე ვიტორიო-ემანუელე II-ის გონიერი და გაბედული პოლიტიკის წყალობით, მისი დროშის ქვეშ იტალიის ნახევარკუნძულის მნიშვნელოვანი ნაწილის გაერთიანება მოახერხა.

სარდინიის სამეფოს ფართობმა 230 000კმ²-ს მიაღწია, მოსახლეობამ კი დაახლოებით 22 მილიონი კაცი შეადგინა. აღნიშნული დროიდან მისი ტერიტორია 59 პროვინციას მოიცავდა.

ვიტორიო-ემანუელემ ტურინში სარდინიის სამეფოს ძველი და ახალი პროვინციების წარმომადგენლებისგან შემდგარი პარლამენტი შეკრიბა. 1861 წლის 17 მარტს ამ სამეფოს ოფიციალურად **იტალიის სამეფო** ეწოდა. მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა დედაქალაქის რომში გადატანა, მაგრამ საკითხის გადაჭრამდე ტურინი დროებით კვლავ დედაქალაქად დარჩა.

სამეფოს შემადგენლობაში a priori არ შესულა ისეთი სადავო რეგიონები, როგორიც იყო ერთი საუკუნის მანძილზე საფრანგეთის ხელში გადასული კორსიკა, საფრანგეთისთვის ახლად გადაცემული ნიცა, შვეიცარიის მიერთებული იტალიური ხეობები და ტრენტო, ტრიესტი და გორიცია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გერმანიის დაქვემდებარებაში იყო ("საღვთო რომის იმპერია" (გერმანელი ერის) (შემდგომში გერმანიის კონფედერაცია). ახალი სამეფოს შემადგენლობაში შევიდა იტალიური ტერიტორიები პაპის ოლქის ნაწილისა (რომის გარშემო) და ავსტრიის ვენეციის რეგიონის გარდა.

იტალიის სამეფომ ორი პრიორიტეტული ამოცანა დაისახა მიზნად: იტალიის ერთიანობის დასრულება და ისტორიულად განცალკევებული პროვინციების ჰარმონიული გაერთიანება.

პირველი ამოცანის გადაჭრა რთული იყო, რადგან პაპი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა კათოლიკურ ერებში. ნაპოლეონ III-მ, რომელმაც ბევრი გააკეთა იტალიის ერთიანობისთვის, ვერ გაბედა საზოგადოებრივი აზრის უკმაყოფილების გამოწვევა. მან როგორც დიპლომატიური, ისე სამხედრო მხარდაჭერით, ხელი შეუწყო პაპობის დროებით გაბატონებას რომზე. მეორე მხრივ, ვენეციის რეგიო-

ნისა და მანტუის განთავისუფლება მხოლოდ ავსტრიასთან ახალი ომის დაწყებით იყო შესაძლებელი.

სამეფოს სხვადახსვა ნაწილების გასაერთიანებლად ძალისხმევა მიმართული იყო კანონების სფეროსა და ადმინისტრაციის გათანაბრებისთვის. მიღებული იქნა ეკონომიკური ზომები სამხრეთის ჩრდილოეთის განვითარების დონესთან დაახლოებისთვის (შეძლებისდაგვარად).

ახალი ტერიტორიული კონფიგურაციის შიგნით, სარდინიის სამეფოს ძველი დედაქალაქი ტურინი, ცენტრიდან ძალზე მოშორებული იყო. გამოიკვეთა დედაქალაქის რომში გადატანის სურვილი, რომელიც დიდი პრესტიჟით სარგებლობდა თავისი დიადი წარსულისა და მდებარეობის გამო (ნახევარკუნძულის ცენტრში), რაც დედაქალაქის როლს იდეალურად შეეფერებოდა. თუმცა ის რომის პაპის ხელში იყო, რომელსაც საფრანგეთის ჯარები იცავდნენ. საჭირო იყო დალოდება. აღნიშნულ ვითარებაში, რომაული საკითხის გადაჭრამდე, ფლორენციას თავისი მნიშვნელობითა და მდებარეობით (აგრეთვე ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა) შეეძლო დროებით დედაქალაქის ადგილი დაეკავებინა.

1864 წლის 15 სექტემბერს პარიზში ხელმოწერილი საფრანგეთ-იტალიის შეთანხმებით, იტალიამ ვალდებულება აიღო არ გამოეყენებინა ძალა პაპის ოლქის წინააღმდეგ. აღნიშნულის სანაცვლოდ, საფრანგეთს თავისი ჯარები ორი წლის ვადაში უნდა გაეყვანა, დედაქალაქის გადატანის გამოცხადების თარიღიდან. 1864 წლის 11 დეკემბერს ფლორენცია იტალიის სამეფოს ახალი დედაქალაქი გახდა.

რომის ანექსიის პერსპექტივა გადაიდო და სამეფომ მთელი ძალისხმევა ვენეციის რეგიონის დაბრუნებისკენ მიმართა. ამ დროისათვის პრუსიასა და ავსტრიას შორის მეტოქეობა ძალზე გამწვავდა დანიის საჰერცოგოების საქმესთან დაკავშირებით. იტალია ბისმარკის პრუსიას დაუახლოვდა და როდესაც 1866 წლის ივნისში პრუსიასა და ავსტრიას შორის ომი გაჩაღდა, იტალია ამ კონფლიქტში პრუსიის მხარეზე გამოვიდა.

მიუხედავად ავსტრიასთან ორი დამარცხებისა (კუსტოცაში, ხმელეთზე და ლისამი, ზღვაზე), იტალიამ ისარგებლა პრუსიის მიერ ავსტრიის დამარცხებით სადოვაში (3 ივლისი).

1866 წლის 24 აგვისტოს ვენაში საფრანგეთსა და ავსტრიას შორის დადებული შეთანხმებით, **ავსტრიამ საფრანგეთს ლომბარდია-ვენეციის** (ვენეცია და მანტუა) პროვინციები დაუთმო, შემდგომში მათი იტალიისთვის გადაცემის მიზნით, ავსტრიასა და იტალიას შორის მშვიდობის აღდგენისა და ლომბარდია-ვენეციის მცხოვრებლების თანხმობის (სათანადო კონსულტაციების შემდეგ) პირობით.

ავსტრიასა და იტალიას შორის 1866 წლის 3 ოქტომბერს ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულებით, ავსტრია დათანხმდა იტალიისთვის ლომბარდია-ვენეციის პროვინციების გადაცემას.

1866 წლის 19 ოქტომბერს ვენეციაში ხელმოწერილი ოქმის თანახმად, **საფრანგეთმა იტალიას ვენეციის რეგიონი და მანტუა გადასცა.** 21-22 ოქტომბრის კონსულტაციების შემდეგ, 1866 წლის 4 ნოემბრის სამეფო დეკრეტით, ტურინში დამტკიცდა **ვენეციის რეგიონისა და მანტუის იტალიასთან გაერთიანება.**

ამგვარად, იტალიის სამეფოს პროვინციათა რაოდენობა 59-დან 68-მდე გაიზარდა ვენეციის რეგიონის 8 პროვინციის შემოერთებით: ვენეცია, ვერონა, ვიჩენცა, ბელუნო, პადუა, ტრევიზო, როვიგო, უდინე და მანტუა.

საფრანგეთ-პრუსიის 1870 წლის ომმა იტალიის გაერთიანებისთვის ხელსაყრელი პირობები შექმნა. ნაპოლეონ III-მ საომარი მოქმედებების დაწყებასთან დაკავშირებით პაპის ოლქში განლაგებული ჯარები გამოიწვია. იტალიის არმიამ ეს უკანასკნელნი დაამარცხა და 1870 წლის სექტემბერში რომი დაიკავა. 1870 წლის 2 ოქტომბერს **რომაელებმა იტალიის გაერთიანებას მისცეს ხმა,** რაც 8 ოქტომბერს იქნა დამტკიცებული. 1870 წლის 23 დეკემბერს სამეფოს დედაქალაქი რომში გადაიტანეს. პაპი თავის ვატიკანის სასახლეში ჩაიკეტა.

1871 წლის 13 მაისს იტალიის სამეფოში ხმა მისცეს გარანტიების კანონს, რომლის თანახმად, პაპის სიუზერენიტეტის აღიარების გარეშე, მას მიენიჭა

სიუზერენის პატივი, ხელშეუხებლობა იტალიური სასამართლოების წინაშე და დალეგაციის უფლება, მისი წარმომადგენლების დიპლომატიური იმუნიტეტით.

რომის (ლაციუმი) პროვინციის მიერთებით, იტალიის სამეფოს ფართობმა 287 000კმ² მიაღწია, მოსახლეობამ კი დაახლოებით 27 მილიონი კაცი შეადგინა. აღნიშნული დროიდან, ეს სამეფო 17 რეგიონად დაყოფილ 69 პროვინციისგან შედგებოდა:

– პიემონტი: ტურინი, ნავარა, ალესანდრია, კონი;

– ლომბარდია: მილანი, სონდრიო, კომო, ბერგამო, ბრეშია, პავია, კრემონა, მანტუა;

– ლიგურია: გენუა, პორტ-მორისი;

– ვენეცია: ვენეცია, ვერონა, ვიჩენცა, ბელუნო, პადუა, როვიგო, ტრევიზო, უდინე;

– ემილია: ბოლონია, პიაჩენცა, პარმა, რეჯო, მოდენა, ფერარა, რავენა, ფორლი;

– მარკე: ანკონა, მაჩერატა, ასკოლი, პეზარო;

– ტოსკანა: ფლორენცია, მასა, ლუკა, ლივორნო, პიზა, არეცო, სიენა, გროსეტო;

– ლაციუმი: რომი:

– აბრუცი: ტერამო, აკუილეა, ჩიეტი:

– მოლიზე: კამპო-ბასო;

– კამპანია: ნეაპოლი, კაზერტა, ბენევენტო, სალერნო, აველინო;

– აპულია: ფოჯა, ბარი, ლეჩე;

– ბაზილიკატა: პოტენცა;

– კალაბრია: კოზენცა, კატანძარო, რეჯო;

– სიცილია: პალერმო, მესინა, კატანია, სირაკუზა, აგრიჯენტო, კალტანისეტა, ტრაპანი;

– სარდინია: კალიარი, სასარი.

ამგვარად, იტალიის გაერთიანება დასრულებული იქნა, რომელსაც იტალიელი პატრიოტების აზრით, აკლდა მხოლოდ ნიცა და კორსიკა (საფრანგეთის შემადგენლობაში) და ასევე ტრენტოს რეგიონი, ტრიესტი, გორიცია, ისტრია და დალმაცია (ავსტრიის შემადგენლობაში).

2. იტალიის სამეფო (1870-1915წწ.)

იტალიის ერთიანობის მიღწევის შემდეგ სამეფოს გაერთიანების საკითხი წამოიჭრა, რომელიც ურთულესი ამოცანა იყო ნახევარკუნძულის ძალზე ძველი დაყოფისა და იმ მნიშვნელოვანი ეკონომიკური განვითარების დონის განსხვავებიდან გამომდინარე, რომელიც ჩრდილოეთ (დინამიკური სოფლის მეურნეობა და მრეწველობის სწრაფი განვითარება) და სამხრეთ (ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა, (ლატიფუნდიები), თითქმის არარსებული მრეწველობა, მასობრივი ემიგრაცია ევროპის სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ამერიკაში) იტალიას შორის.

1878 წელს ვიტორიო-ემანუელე II-ის გარდაცვალების შემდეგ, იგი ტახტზე მისმა ვაჟმა უმბერტო I-მა (1878-1900წწ.), შემდეგ კი მისმა შვილიშვილმა ვიტორიო-ემანუელე III-მ (1900-1946წწ.) შეცვალა. ქვეყანას ცვალებადი უმრავლესობიდან გამოსული პარლამენტარები მართავდნენ (თავდაპირველად, 1880-იან წლებში კავურის (დეპრეტისი) მემკვიდრე, ზომიერი მემარჯვენე ტენდენციის მხარდამჭერები, შემდგომში, 1890-იან წლებში "ტრანსფორმიზმის" (გრიზპი), XX საუკუნის დასაწყისში კი ჯოლიტის გამწონასწორებელი პოლიტიკის მომხრეები).

1881 წელს საფრანგეთის მიერ ტუნისის დაპყრობის შემდეგ, რომელიც იტალიის ინტერესთა სფეროში შედიოდა, რადგან იქ ძალზე ბევრი იტალიელი ცხოვრობდა, ორ ქვეყანას შორის ვითარება დაიძაბა. საფრანგეთსა და იტალიას შორის კრიზისის გაღრმავებასთან დაკავშირებით, იტალია გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს დაუახლოვდა და მათთან სამთა ალიანსში შეეიდა, რომელიც საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.

1885 წელს იტალიამ ერითრეა დაიპყრო, მაგრამ 1896 წელს მძიმე მარცხი განიცადა (ადუა) აბისინაში (ეთიოპია) თავისი პროტექტორატის დამყარების მცდელობისას.

ტუნისთან დაკავშირებული მარცხის შემდეგ, იტალიამ ტრიპოლისა და თურქული ბენღაზის პროვინციების ხელში ჩაგდება მოინდომა. 1911 წლის ნოემბერში მან თურქეთს ომი გამოუცხადა, და ადვილად დაიკავა ტრიპოლი, ხოლო დეკემბრის თვეში ბენღაზიც. თუმცა იტალიამ ვერ შეძლო ქვეყნის სიღრმეში შეღწევა. დარდანელის სრუტესთან ახლოს გამართული საზღვაო ბრძოლის შედეგად, იტალიელებმა დოდეკანესის თურქული კუნძულები დაიკავეს, მაგრამ ამ კუნძულების მოსახლეობამ საბერძნეთთან მიერთება მოითხოვა.

იგრძნო რა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე "ქარიშხლის" მოახლოება, თურქეთმა 1912 წლის 18 ოქტომბერს ლოზანაში სასწრაფოდ მოაწერა ხელი სამშვიდობო ხელშეკრულებას. **იტალიის ხელში ტრიპოლისა და ბენღაზის პროვინციები** და აგრეთვე დოდეკანესის არქიპელაგი (ეს უკანასკნელი დროებით) გადავიდა. იტალიამ ვალდებულება აიღო თურქეთისთვის არქიპელაგის დაბრუნების თაობაზე ტრიპოლის პროვინციაში ბრძოლების დასრულების შემდეგ. ხანგრძლივმა ამბოხებებმა **იტალიას დოდეკანესის შენარჩუნების საშუალება მისცა** (იხ. საბერძნეთი).

3. პირველი მსოფლიო ომი და მისი შედეგები (1915-1920ნნ.)

პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებისას იტალიამ კონფლიქტში ჩარევისგან თავი ძეიკავა, თუმცა ამას მისი სამთა კავშირის (გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მხარეზე) წევრობის სტატუსი ითვალისწინებდა. მან ფრთხილი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა აირჩია იმ საბაბით, რომ საფრანგეთი არ იყო ომის ნამომწყები მხარე.

მართლაც, იტალია ამ დიდი ომიდან სარგებელს ელოდა ავსტრიის (უნგრეთისაც კი (ფიუმე)) მიერ მითვისებული ("ირიდენტული მინები") მინების დასაბრუნებლად (ტრენტო, ტრიესტი, გორიცია, ისტრია, დალმაცია). 1914 წლის შემოდგომაზე, იტალიის თავის მხარეზე გადმოსაბირებლად ავსტრია-უნგრეთმა გერმანიის დაჟინებული მოთხოვნით, ამ ქვეყანას ტრენტინოსა და იზონცოს მარჯვენა ნაპირის გადაცემა შესთავაზა, მაგრამ ამას გარდა, იტალია სამხრეთი ტიროლის ნანილს მოითხოვდა ნაპოლეონის მიერ დადგენილ ზოლამდე (1810 წლიდან), რომელიც ჩრდილოეთით ბოლცანოსა და მთლიანად გორიციისა და გრადიშკას საგრაფოზე გადიოდა.

ანტანტის ნევრები (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი) ლონდონის პაქტის თანახმად, იტალიას შემდეგ ტერიტორიებს დაპირდნენ: ტრენტო და სამხრეთი ტიროლი მთლიანად, კანალთალი, გორიციისა და გრადიშკას საგრაფო, ტრიესტი, ისტრია და კრაინის ფრაგმენტი ფიუმეს (რიეკა) გარეშე, დალმაციის ჩრდილოეთი ნახევარი ზადართან ერთად, მაგრამ სპლიტის გარეშე, ცრესის, ლუსინოს, პაგის, ლისას, ლასტოვოს და პალაგრუჯას კუნძულები, ქალაქი ვლორა საზანოსთან ერთად, დოდეკანესის საბოლოოდ გადაცემა. 1915 წლის მაისში იტალია მოკავშირეების მხარეზე ომში ჩაება.

კონფლიქტი ხანგრძლივი და გამანადგურებელი აღმოჩნდა იტალიისთვის, ისევე როგორც ომში მონაწილე სხვა მეომარი ქვეყნებისთვის. იტალიას ავსტრია-უნგრეთთან ბრძოლა ფრონტის გადაშლილ ხაზზე მოუწია, სადაც ის სირთულეებს წაწყდა და მოკავშირეთა სამხედრო დახმარებას საჭიროებდა. ავსტრია საბოლოოდ იქნა დამარცხებული და 1918 წლის 3 ნოემბერს ვილა ჯიუსტიში (პადუა) ხელი მოწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას.

სამშვიდობო მოლაპარაკებების მსვლელობისას მოკავშირეები განწყობილნი იყვნენ 1915 წლის ლონდონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაპირებების შესასრულებლად, მაგრამ აშშ-მ, რომელსაც მოლაპარაკებებზე ამ ქვეყნის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი წარმოადგენდა (ესწრებოდა პარიზის მოლაპარაკებებს) ვითარება გაართულა. პრეზიდენტმა თავიდანვე უარი განაცხადა წინასწარ ხელმოწერილი ხელშეკრულებების გათვალისწინებაზე. "თოთხმეტი პუნქტის" (1918

ნლის 8 იანვარი) შესახებ თავის გამოსვლაში მან დააზუსტა, რომ იტალიას ტერიტორიები ეროვნებათა პრინციპის შესაბამისად უნდა მიეღო.

თუკი ტრენტი და ტრიესტი ნამდვილად იტალიური იყო, სხვა მოთხოვნილი ტერიტორია უფრო სადავო (გორიცია, ისტრია), და ზოგიერთი, აშკარად არა იტალიური (სამხრეთი ტიროლი) იყო. რაც შეეხებოდა დალმაციას, რომელსაც იტალიის მხარე ვენეციის მემკვიდრეობის სახელით მოითხოვდა (რეალურად იტალიური მხოლოდ რამდენიმე პორტი იყო: სებენიკო, ზადარი, სპლიტი), თავისი ბატონობის პერიოდშიც კი ავსტრიამ იქ იტალიური ელემენტის გაჩენას შეუწყო ხელი მოსახლეობის დემოგრაფიული აღწერისას, ხორვატების უპირატესობისთვის ხელის შესაშლელად. ამჯერად, ეროვნებათა პრინციპის შესაბამისად, იტალიამ რიეკის (იტ. ფიუმე) პორტი მოითხოვა, რომელსაც მას ლონდონის ხელშეკრულებით არ დაპირებიან.

მოლაპარაკებები ხანგრძლივი და მძიმე აღმოჩნდა, რამაც იტალიაში სამთავრობო კრიზისი გამოიწვია. საბოლოოდ, იტალიამ, რომელმაც ბევრი მოითხოვა, გარკვეული ტერიტორიები მიიღო, მაგრამ მოსალოდნელზე ნაკლები, რასაც ქვეყანაში უკმაყოფილება მოჰყვა.

სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით (1919 წლის 10 სექტემბერი), იტალიამ ავსტრიისგან ქალაქი ტრიესტი, გორიციისა და გრადიშკას საგრაფო, ტრენტო, სამხრეთი ტიროლი, კანალტალი და ტარვიზიო მიიღო. ამ სამი უკანასკნელი ტერიტორიის (გერმანიის გაელენის ქვეშ მყოფი) მისაკუთრება ეროვნებათა პრინციპის საპირისპიროდ განხორციელდა, რომელსაც გამარჯვებული სახელმწიფოები ხმამაღლა ამტკიცებდნენ. საქმე ეხებოდა იტალიის წინასწარ დაკმაყოფილებას ჩრდილოეთში, რადგან მოკავშირეებმა წინასწარ გაითვალისწინეს მოსალოდნელი სირთულეები საზღვრების დადგენის პროცესში იტალიასა და სერბეთის, ხორვატიისა და სლოვენიის სამეფოს შორის.

ამავე დროს, აღნიშნული ხელშეკრულებით, **ავსტრიამ უარი თქვა ისტრიაზე, კრაინის დასავლეთ ნაწილსა და ჩრდილოეთ დალმაციაზე,** რომელიც სადავო რჩებოდა იტალიასა და სერბეთ-ხორვატია-სლოვენიას (სხს-ს) შორის.

იგივე მოხდა ქალაქ რიეკასთან დაკავშირებით, რომელზეც უნგრეთმა უარი თქვა ტრიანონის ხელშეკრულებით (1920 წლის 4 ივნისი).

მოკავშირეებზე ზენოლის მოსახდენად, რომლებიც უარს ამბობდნენ რიეკის (ფიუმე) იტალიისთვის გადაცემაზე, პატრიოტმა პოეტმა დ'ანუნციომ თავის მომხრეებთან ერთად ქალაქი დაიკავა და 1919 წლის სექტემბერში **კვარნერის იტალიური რეგენტობა გამოაცხადა.** ამ უკანასკნელში შედიოდა ქალაქი, სუჩაკის სლავური გარეუბნით და ტერიტორია, რომელიც მას ისტრიასთან აკავშირებდა (რომელიც პოეტის აზრით იტალიისთვის უნდა გადაეცათ).

კონფლიქტის მანძილზე, იტალიელები ვლორაში ჩამოსხდნენ, ლონდონის პაქტით დაპირებული ტერიტორიის დასაპატრონებლად. 1920 წელს ალბანელები აჯანყდნენ და იტალიელები გააძევეს. ტირანის იტალია-ალბანეთის ხელშეკრულებით (1920 წლის 2 აგვისტო), **იტალიამ უარი თქვა ვოლოსკაზე და მხოლოდ საზენოს კუნძული** (ვლორის ყურის შესასვლელთან) შეინარჩუნა.

ძალზე მძიმე მოლაპარაკებების შედეგად, 1920 წლის ნოემბერში იტალიასა და სერბეთის, ხორვატიისა და სლოვენიის სამეფოს შორის ხელი მოეწერა რაპალოს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, **იტალიას მთლიანად გადაეცა ისტრია და კრაინის ნაწილი** ვოლოსკამდე კვარნერის ყურის სიღრმეში, რომელიც ლონდონის პაქტით გათვალისწინებულზე უფრო დიდი ტერიტორია იყო.

რიეკა, სუსაკი და ვოლოსკასთან მათი დამაკავშირებელი ტერიტორიული ზოლი **თავისუფალ ქალაქად გადაკეთდა** ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ.

აღნიშნულის გარდა, იტალიამ მიიღო მხოლოდ **ცრესის, ლუსინოს, ლასტოვოსა და პალაგრუჟის კუნძულები** და ასევე **ზადარის ანკლავი დალმაციის სანაპიროზე.** იტალიამ ვალდებულება აიღო ჩერნოგორიის დამოუკიდებლობის მხარდაჭერაზე (მეფე ვიტორიო-ემანუელ III ჩერნოგორიის მეფის ნიკოლაის სიძე იყო). 1920 წლის დეკემბერში იტალიამ ძალის გამოყენებით ფიუმედან (რიეკა)

დ'ანუნციო და მისი მომხრეები გააძევა, რის შემდეგაც ქალაქი ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ მოექცა.

1920 წლის მიწურულს იტალიის ფართობმა 310 000კმ²-ს მიაღწია (ამას გარდა, დოდეკანესის კუნძული 2 500²), ხოლო მისი მოსახლეობა დაახლოებით 40 მილიონ კაცს შეადგენდა. ამ დროიდან, იტალია თითქმის მთლიანად მოიცავდა იტალიის ნახევარკუნძულის ტერიტორიას და ამეტებდა კიდეც მას კრაინის სანაპიროს მხრიდან. ამას გარდა, მას ევროპაში ზღვის იქითა ტერიტორიებიც ჰქონდა, და აგრეთვე კოლონიებიც: ადრიატიკისა (ზადარის და ცრესის, ლუსინოს, ლასტოვოს, პალაგრუჯის, სეზანოს კუნძულები), და ეგეოსის ზღვაზე (დოდეკანესი).

როგორც მეტროპოლია, ის 18 რეგიონსა და 74 პროვინციას მოიცავდა, რაც განხორციელდა:

– XIX საუკუნის მიწურულს აბრუცისა და მოლიზეს ორი რეგიონის გაერთიანებით ერთ აბრუცის რეგიონად;

– ორ ოლქში შემავალი 5 ახალი პროვინციის შემოერთებით:

– ვენეცია (ტრენტოს მხარე): ტრენტო, ბოცანო;

– ტრიესტი და ისტრია: გორიცია, ტრიესტი, პოლა.

VI. თანამედროვე იტალია (1920 წლიდან დღემდე)

1. მუსოლინის პერიოდის იტალია (1922-1943წწ.)

მიუხედავად ომში გამარჯვებისა, იტალია ამ კონფლიქტის მძიმე შედეგების წინაშე აღმოჩნდა: ადამიანური დანაკარგი, ეკონომიკური კრიზისი, დიდი უმუშევრობა, ნაციონალისტების ფრუსტრაცია. ქვეყანა გამოსვლების ტალღამ მოიცვა (გაფიცვები, სოციალური უკმაყოფილება), რამაც მუსოლინის (სოციალისტი, რომელიც ულტრანაციონალისტად გადაიქცა) ფაშისტურ მოძრაობას სოციალისტების წინააღმდეგ მკაცრი ქმედებების განხორციელების საბაბი მისცა.

ქვეყნის ზომიერი შეხედულებების მქონე წრეები, რომლებიც შეშინებულნი იყვნენ აჯანყებების მოზღვავებით, მუსოლინის იმ ადამიანად მიიჩნევდნენ, რომელსაც შეეძლო ამ პროცესის შეჩერება. "რომზე მარშის" შედეგად (1922 წლის 27 ოქტომბერი), მეფემ პარლამენტის თანხმობით მუსოლინის ხელისუფლების სათავეში მოუხმო.

ოცი წლის მანძილზე მუსოლინი ქვეყანას მონარქიული ფასადის შენარჩუნებით მართავდა და პირველ ხანებში პარლამენტარიზმის პატივისცემის შთაბეჭდილებას ქმნიდა. თუმცა 1925 წლიდან მისმა მმართველობამ დიქტატორული სახე მიიღო ("ფაშისტური კანონები").

საგრძნობლად ზღუდავდა რა საჯარო თავისუფლებას (ოპოზიციონერთა მკვლელობები, კუნძულებზე გადასახლებები), მუსოლინი ცდილობდა ქვეყნის მოდერნიზაციასა (დიდი მშენებლობები) და ეკონომიკის განვითარებას, ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვას (სოციალური კანონები), რასაც შედეგად უმუშეერობის გაქრობა და მუსოლინისთვის გარკვეული სახალხო მხარდაჭერა მოჰყვა.

1922 წლის მიწურულიდან სამხრეთი ტიროლის გაიტალიურების დასაჩქარებლად, მუსოლინის ახალმა მთავრობამ ბოლცანოსა და ტრენტოს ორი პროვინცია ერთში გააერთიანა, რომელმაც მათი რეგიონის სახელწოდება მიიღო (ტრენტოს ვენეცია).

ამგვარად, იტალია 18 რეგიონად დაყოფილ 73 პროვინციისგან შემდგარ ქვეყანას წარმოადგენდა.

1923 წელს იტალიამ ვენეციის შემადგენლობაში, ერთ დიდ ფრიულის პროვინციაში, გორიციისა და უდინეს პროვინციები გააერთიანა. ამგვარად. იტალიის პროვინციების რაოდენობამ 72 შეადგინა, რომელიც 18 რეგიონად იყო დაყოფილი.

1914 წლის 27 იანვრის რომის ხელშეკრულებით, რომელიც იტალიასა და სხს-ს შორის იქნა ხელმოწერილი, გაუქმდა რიეკის თავისუფალი ქალაქის სტატუსი, და ის შემდეგნაირად იქნა გადანაწილებული:

– იტალიამ რიეკა და ვოლოსკასთან მისი დამაკავშირებელი სანაპირო ტერიტორიის ზოლი მიიღო;

– სხს-ს სამეფომ სუჩაკის სლავური ფრაგმენტი მიიღო, რომელიც თავის ხორვატია-სლავონიის პროვინციას მიუერთა.

აღნიშნულის შედეგად, იტალია კვლავ 73 პროვინციისგან შემდგარი, 18 რეგიონად დაყოფილი ქვეყანა გახდა.

1926 წელს იტალიის მთავრობამ 19 ახალი პროვინცია შექმნა ზოგიერთი დიდი პროვინციის დაყოფის შედეგად.

პიემონტის რეგიონში 3 პროვინცია შეიქმნა:

– აოსტა, ტურინის პროვინციას გამოეყო;

– ვერჩელი, ნავარის პროვინციას გამოეყო;

– ასტი, ალესანდრიის პროვინციას გამოეყო.

ლიგურიაში 2 პროვინცია შეიქმნა:

– სავონა, გენუის პროვინციას გამოეყო;

– სპეცია, ასევე გენუის პროვინციას გამოეყო.

ამავე დროს, პორტო-მორისის პროვინციამ სახელი შეიცვალა და იმპერია გახდა.

ლომბარდიაში ერთი პროვინცია შეიქმნა:

– ვარესე, კომოს პროვინციას გამოეყო.

ტოსკანაში ერთი პროვინცია შეიქმნა:

– პისტოია, ფლორენციის პროვინციას გამოეყო.

უმბრიაში ერთი პროვინცია შეიქმნა:

– ტერნი, პერუჯის პროვინციას გამოეყო.

ლაციუმში 4 პროვინცია შეიქმნა:

– ვიტერბო, რომის პროვინციას გამოეყო;

– ფროზინონე, რომისა და კაზერტის პროვინციებს გამოეყო;

– ლატინა, რომისა და კაზერტის პროვინციებს გამოეყო;

– რიესი, პერუჯისა და აკუილეის პროვინციებს გამოეყო.

აბრუცის რეგიონში 1 პროვინცია შეიქმნა:

– პესკარა, ტერამოსა და ჩიეტის პროვინციებს გამოეყო.

აპულიაში 2 პროვინცია შეიქმნა:

– ტარანტო, ლეჩეს გამოეყო;

– ბრინდიზი, ლეჩესა და ბარის პროვინციებს გამოეყო.

ბაზილიკატას რეგიონში, რომელსაც ლუკანია ეწოდა 1 პროვინცია შეიქმნა:

– მატერა, პოტენცას გამოეყო.

სიცილიაში 2 პროვინცია შეიქმნა:

– რაგუზა (დუბროვნიკი) სირაკუზის პროვინციას გამოეყო:

– ენა, კატანიისა და კალტანისეტას პროვინციებს გამოეყო.

სარდინიაში 1 პროვინცია შეიქმნა:

– ნუორო, კალიარისა და სასარის პროვინციებს გამოეყო.

აღნიშნული დროიდან იტალია 92 პროვინციისა და 18 რეგიონისგან შემდგარ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

1927 წლის იანვარში იტალიის მთავრობამ ხელახლა დაყო ვენეციის რეგიონი (პროვინცია) ბოლცანოსა (ბოცენი) და ტრენტოს ორ პროვინციად. ასევე ხელახლა დაიყო ფრიულის პროვინცია და აღდგენილი იქნა გორიციის პროვინცია, რომლის ტერიტორია შემცირდა 1920 წელთან შედარებით. ადელსბერგის (პოსტუმია) რეგიონი ტრიესტის პროვინციას შეუერთდა.

ამგვარად, იტალიის ტერიტორია 94 პროვინციასა და 18 რეგიონს მოიცავდა.

მუსოლინის მთავრობამ, რომელსაც ეკლესიის მხარდაჭერა ესაჭიროებოდა, პაპთან კომპრომისი შეიმუშავა. ლატერანოს შეთანხმებით (1929 წლის 12 თებერვალი), **იტალიის სამეფომ პაპის ტახტს ქალაქი ვატიკანი დაუთმო მთლიანი სუვერენიტეტით**, რომელიც პატარა სახელმწიფოდ იქცა, და პაპს ოფიციალურად გადაეცა დროებითი სიუზერენის პრეროგატივები.

ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანში 44 ჰექტარ ფართობზე 750 კაცი ცხოვრობდა. მასში შედიოდა:

– ვატიკანის სასახლე და ბაღები, სადგურითა და ფოსტით;

– ვატიკანის წმინდა პეტრეს, სანტა-მარია მაჯორეს, სან-ჯოვანი ინ ლატერანოსა და წმინდა პავლეს "კედლებს მიღმა" დიდი ბაზილიკები;

– შენობები ქალაქ რომში;

– რომის სოფელში კასტელ განდოლფოს სასახლე.

ამავე დროს, რომი იტალიის დედაქალაქად დარჩა.

1935-1936 წლებში იტალიამ ეთიოპია დაიპყრო. ეთიოპიის საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოების მიერ იტალიის დაგმობისა და ერთა ლიგის მიერ სანქციების მიღების გამო, იტალია, რომელსაც ამ დრომდე კარგი ურთიერთობები ჰქონდა დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებთან, გერმანიას დაუახლოვდა, სადაც ერთი წლით ადრე ხელისუფლების სათავეში ჰიტლერი მოვიდა. იტალიამ მხარი დაუჭირა გერმანიას, რომელიც ესპანეთის სამოქალაქო ომში ფრანკისტებს ეხმარებოდა. 1937 წლის 6 ნოემბერს მან ხელი მოაწერა პაქტს გერმანიასა და იაპონიასთან, რომელიც "ღერძის" (რომი-ბერლინი) პოლიტიკის ამოსავალი წერტილი გახდა და ამ დროიდან, გავლენას ახდენდა იტალიაში განვითარებულ მოვლენებზე.

მუსოლინიმ აგრესიულ პოლიტიკას მიმართა დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მიმართ. მაგალითად, თავის საჯარო გამოსვლებში, იგი რეგულარულად მოიხსენიებდა საფრანგეთისგან მისთვის სავოიის, ნიცის, კორსიკის, ტუნისისა და ჯიბუტის დათმობას.

ალბანეთში აპმედ ზოგუს ხელისუფლებაში მოსვლისთანავე (1925 წელი), თავდაპირველად რესპუბლიკის პრეზიდენტის (1918წ.), შემდეგ კი მეფე ზოგუ I-ის რანგში, იტალია ფინანსურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევდა ალბანეთს და ამგვარად, ეს უკანასკნელი იტალიის ფაქტობრივ ვასალად იქცა. 1939 წლის 7 აპრილს მუსოლინიმ, რომელსაც შურს ჰგვრიდა ჰიტლერის წარმატებები, ალბანეთი დაიკავა და ის იტალიას მიუერთა, რომლის მეფე აგრეთვე ალბანეთის მეფე გახდა. მუსოლინიმ ალბანეთში ფაშისტური ინსტიტუტები დააფუძნა. სულ მალე, ქვეყახა კოლონიზაციისა და იტალიზაციის ობიექტად იქცა.

ალბანელების ახალ რეჟიმთან შესაგუებლად იტალია მათ "დიდი ალბანეთის" შექმნას დაპირდა, რომელშიც შევიდოდნენ საბერძნეთსა (საბერძნეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორია) და იუგოსლავიის კოსოვოში მცხოვრები მათი ძმები. ამგვარად, იტალიელები ალბანეთს მათი ექსპანსიის სანყისად მიიჩნევდნენ საბერძნეთის მიმართულებით.

1939 წლის სექტემბერში მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას, მუსოლინიმ ჰიტლერისგან ომში დაუყოვნებლივი ჩაბმის გადავადებას მიაღწია, იმ საბაბით, რომ მისი ჯარი ამისათვის არ იყო სათანადოდ მომზადებული. 1940 წლის 10 ივნისს, მას შემდეგ, რაც გერმანიამ საფრანგეთის ჯარების დეზორიენტაცია მოახდინა, იტალიამ საფრანგეთს ომი გამოუცხადა, მაგრამ მცირე წარმატებას მიაღწია, და მხოლოდ მანტონის დაკავება შესძლო.

1940 ნელს საბერძნეთის ნინააღმდეგ დაწყებულმა შეტევამ იტალიას საკუთარი საქმეების გამოკეთების შესაძლებლობა მისცა, მაგრამ ის დამარცხდა და საბერძნეთის არმიამ კორჩისა და არგირო კასტროს ალბანური რეგიონებიც კი დაიკავა.

1941 წელს ჰიტლერმა იტალიის დასახმარებლად იუგოსლავია დაიპყრო. ეს უკანასკნელი ცალმხრივად იქნა დაშლილი ჰიტლერის მიერ, იტალია კი მიიწვიეს მოპოვებული ნადავლიდან თავისი წილის მისაღებად.

1941 წლის 3 მაისს იტალიამ მიიღო **კრაინის სამხრეთი ნახევარი ლიუბლიანით** (გერ. ლეიბახი), **ხორვატიის ფრაგმენტი** (დელნიცე და სუჩაკი), **კრკისა (ხორვატია) და არბის კუნძულები, ჩრდილოეთი დალმაცია სპლიტთან ერთად, ლისის, კორჩულისა და მელედის კუნძულები და ასევე კოტორის ყურე.**

ფაქტობრივად, იტალია "ღერძის" ქვეყნების მიერ აღდგენილი ჩერნოგორიის მფარველი გახდა. სავოიის სახლის მთავარს, სპლიტის ჰერცოგს, თეორიულად ხორვატიაში უნდა ებატონა (ტომისლავ II).

იტალიურ ალბანეთს ულსინი, გუსინე, კოსოვო და მეტოხია დაემატა.

ლიუბლიანის ახალი პროვინციის შექმნით, იტალიის (ზღვის იქითა) ტერიტორია 95 პროვინციასა და 18 რეგიონს მოიცავდა.

ამავე დროს, ჩრდილოეთ აფრიკაში იტალიისა და გერმანიის ძალები მარცხს განიცდიდნენ. მათ ლიბია, შემდეგ კი ტუნისი დაკარგეს. 1943 წლის ივლისში ტუნისიდან მომავალი ანგლო-ამერიკული ძალები სიცილიაზე გადავიდნენ. 24 ივლისს ფაშისტურმა საბჭომ მუსოლინი დაამხო, რომელიც მეფემ მარშალ ბადოლიოს მეშვეობით დააკავა.

2. იტალიის სამეფოს დასასრული და ომის შედეგები (1943 წლიდან დღემდე)

მეფემ ბადოლიოს უხმო ახალი მთავრობის ჩამოსაყალიბებლად, რომელმაც ანგლო-ამერიკელებთან მოლაპარაკებები გამართა. 1943 წლის 8 სექტემბერს საზავო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, იმ დროს, როდესაც გერმანელებმა ჩრდილოეთი იტალია დაიკავეს ფრონტის ხაზამდე, რომელიც რომის სამხრეთით გადიოდა.

12 სექტემბერს მუსოლინი გერმანულმა დესანტმა ტყვეობისგან გაანთავისუფლა. 15 სექტემბერს მუსოლინიმ მილანში იტალიის სოციალური რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა გერმანიის მფარველობის ქვეშ.

მან თავისი მთავრობის რეზიდენცია გარდის ტბის ნაპირზე, სალოში გადაიტანა.

მოგვიანებით, 1943 წლის 8 სექტემბრის დაზავების შემდეგ, მიუხედავად მუსოლინის პროტესტისა, ჰიტლერმა ჩრდილოეთი დალმაცია ხორვატიას, კოტორის ყურე კი ჩერნოგორიას დაუბრუნა.

ასევე 1943 წლიდან ჰიტლერმა გერმანიის რაიხს ტრენტინოს რეგიონი, სამხრეთი ტიროლი და ბელუნოს პროვინცია მიუერთა ალპენვორლანდის სამხედრო ზონის სახელწოდებით. ოქტომბერში მან ასევე გერმანიის რაიხს გორიციის, ტრიესტის, პოლის, რიეკისა და ლიუბლიანის იტალიური პროვინციები მიუერთა Adriatisches Kustenland (ადრიატიკის სანაპიროს) სამხედრო ზონის სახელწოდებით.

1943 წლის 16 ოქტომბერს ნეაპოლში განლაგებულმა იტალიის მეფის მთავრობამ გერმანიას ომი გამოუცხადა. 1944 წლის ივნისში მოკავშირეებმა რომი დაიკავეს, 1945 წლის გაზაფხულიდან კი ჩრდილოეთი იტალია. 1945 წლის აპრილში მუსოლინი პარტიზანებმა სიკვდილით დასაჯეს.

გერმანელებისგან განთავისუფლებულ ქვეყანას ქრისტიან-დემოკრატთა და მემარცხენე პარტიების დროებითი გაერთიანება მართავდა, ალჩიდო დე გასპერის ხელმძღვანელობით.

მუსოლინის რეჟიმთან სამეფო სახლის კომპრომისების გამო, მემარცხენე პარტიებმა მონარქიული რეჟიმის ყოფნა-არყოფნის საკითხი ნამოჭრეს. 1946 წლის 9 მაისს მეფე ვიტორიო-ემანუელ III ტახტიდან გადადგა თავისი ვაჟის, უმბერტო II-ის სასარგებლოდ.

1946 წლის 2 ივნისს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულმა რეფერენდუმმა 54%-ით ხმა მისცა რესპუბლიკური რეჟიმის დამყარებას (სამხრეთში უმრავლესობა მონარქიის შენარჩუნების მომხრე იყო). 12 ივნისს მეფე უმბერტო II ემიგრაციაში გაემგზავრა ტახტზე უარის თქმის გარეშე. ამავე დროს, ალჩიდო დე გასპერიმ იტალიის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა, რის შემდეგაც, ახალი რესპუბლიკური კონსტიტუციის შემოსაღებად დამფუძნებელი ასამბლეა იქნა მოწვეული.

1946 წლის 15 მაისს სიცილიის რეგიონი განსაკითრებული სტატუსის მქონე ავტონომიური რეგიონი გახდა.

იტალიამ უარი უთხრა ავსტრიას მის მოთხოვნებზე სამხრეთ ტიროლთან დაკავშირებით. 1946 წლის 5 სექტემბრის ავსტრია-იტალიის შეთანხმების თანახმად, სამხრეთ ტიროლს ავტონომია მიენიჭა გერმანული ენის გამოყენებით,

ავსტრიამ კი მეთვალყურეობის უფლება მოიპოვა, რომელიც მისთვის საერთაშორისო დონეზე იყო აღიარებული ამ რეგიონში. 6 სექტემბერს იტალიამ ტრენტინოს ვენეციის ყოფილი რეგიონისგან ტრენტინო-ალტო-ადიჯეს განსაკუთრებული სტატუსის მქონე ოლქი შექმნა.

სამშვიდობო მოლაპარაკებების შემდეგ, 1947 წლის 10 თებერვალს იტალიამ პარიზის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმად, დამტკიცებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის შედეგად გამარჯვებული ქვეყნების მიერ შემოტანილი ტერიტორიული ცვლილებები.

იტალიამ საფრანგეთს ალპების ქედზე მდებარე რამდენიმე ტერიტორია დაუთმო: სენისა და ჟენევრის მთების ფრაგმენტები და 1860 წელს იტალიისთვის დატოვებული ტერიტორიები (**ტენდა, ბრიგი და ვეზუბისა და ტინეს ქედები**). აღნიშნული გადაცემა ტენდისა და ბრიგისთვის 1947 წლის 12 ოქტომბერს იქნა რატიფიცირებული. ვალე დ'აოსტას ავტონომიური სტატუსით უნდა ესარგებლა ფრანგული ენის გამოყენებით.

იუგოსლავიის სასარგებლოდ იტალიამ უარი თქვა **კრაინაზე, გორიციის საგრაფოს აღმოსავლეთ ნაწილზე** (თავად ქალაქი ორად იქნა გაყოფილი), **ისტრიაზე, რიეკაზე, დალმაციაზე, კოტორზე და დალმაციის კუნძულებზე.**

აკავშირებდა რა იუგოსლავიას იტალიასთან, ტრიესტი და მისი კორიდორი, კოპერი და მისი უკანა მხარე თავისუფალ ტერიტორიად ჩამოყალიბდა გაეროს კონტროლქვეშ და ის ორ ზონად დაიყო: ზონა A-ს ანგლო-ამერიკელები მართავდნენ, რომელშიც ტრიესტი და მისი კორიდორი შედიოდა, ზონა B კი იუგოსლავიის ადმინისტრაციის ქვეშ იმყოფებოდა და კოპერსა და მის უკანა მხარეს მოიცავდა.

იტალიამ ალბანეთში ყოველგვარ ქმედებებზე უარი თქვა და საბერძნეთს დოდეკანესის კუნძულები დაუბრუნა.

ტრიესტის, რიეკის, პოლისა და ლუბიანის 4 პროვინციის დაკარგვით, იტალიის ტერიტორია 17 რეგიონად დაყოფილ 91 პროვინციას მოიცავდა.

1948 წლის 26 თებერვალს სარდინიის რეგიონი სპეციალური სტატუსის მქონე ავტონომიური ოლქი გახდა. იმავე დღეს, აოსტის პროვინცია სპეციალური სტატუსის მქონე ვალე დ'აოსტის ახალი ავტონომიური რეგიონი გახდა. ამ დროიდან, იტალია 91 პროვინციასა და 18 რეგიონს მოიცავდა.

1954 წლის 5 ოქტომბრის ლონდონის მემორანდუმით, **ტრიესტის თავისუფალი ტერიტორია დაიშალა და დაიყო**: ზონა A (ტრიესტი) იტალიასთან იქნა მიერთებული, ზონა B კი იუგოსლავიასთან, რომელმაც მისი ჩრდილოეთი ნაწილი (კოპერი) სლოვენიას გადასცა, სამხრეთი ნაწილი კი ხორვატიას.

გარანტირებული იქნა სლოვენიის A ზონაში და იტალიის B ზონაში დასახლებულ ეროვნულ უმცირესობათა უფლებები.

1946 წლიდან დღემდე, რესპუბლიკური იტალია საპარლამენტო დემოკრატიის ქვეყანაა, განონასწორებული პოლიტიკური გარემოთი მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის. 1980 წლამდე მის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქრისტიან-დემოკრატები დომინირებდნენ, ვიდრე ქვეყანა მნვავე პოლიტიკურმა კრიზისმა არ მოიცვა (გამოწვეული კორუფციული საქმეებით), რასაც პოლიტიკური გარემოს შეცვლა მოჰყვა.

დღეისათვის, ქვეყნის აქამდე ჩამორჩენილი ეკონომიკა სწრაფი ტემპებით ვითარდება იმდენად, რომ ეწევა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს. გარკვეული განონასწორება სამხრეთშიც შეინიშნება, სადაც მრეწველობის განვითარება დაიწყო.

1957 წლის 25 მარტს იტალია იყო ერთ-ერთი იმ სახელმწიფოთაგანი, რომელმაც რომის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ამ ხელშეკრულების თანახმად, შეიქმნა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, საბაჟო კავშირი და ეკონომიკური თანამშრომლობის ჩანასახი ნევრ ქვეყნებს შორის.

1963 წლის 31 იანვარს იულიის ვენეციის რეგიონს (ყოფილი ტრიესტი და ისტრია) უდინეს პროვინცია შეემატა და ის ფრიული-ვენეცია-იულიის განსაკუთრებული სტატუსის მქონე ავტონომიური რეგიონი გახდა. ამ დროიდან, იტალიის

ტერიტორია 92 პროვინციასა და 19 რეგიონს მოიცავდა, რომელთაგან 5 განსაკუთ-რებული სტატუსით სარგებლობდა.

1965 წელს აბრუცის რეგიონიდან კამპობასოს პროვინციის გამოყოფით მოლიზეს ახალი რეგიონი შეიქმნა. ამ დროიდან, იტალია 92 პროვინციისა და 20 რეგიონისგან შედგებოდა.

1968 წლის თებერვალში ფრიული-ვენეცია-იულიის რეგიონში პორდენონეს 1 ახალი პროვინცია შეიქმნა, რომელიც უდინეს გამოეყო.

1969 წელს განსაკუთრებული სტატუსის არმქონე 15 რეგიონმა გარკვეული პოლიტიკური პრეროგატივები მიიღო (ასამბლეები), რისი მეშვეობითაც, ისინი ცალკე პოლიტიკური ერთეულები გახდნენ.

1970 წელს მოლიზეში იზერნიის ახალი პროვინცია შეიქმნა, რომელიც კამპო-ბასოს პროვინციას გამოეყო. ამგვარად, იტალიის პროვინციათა რაოდენობამ 94, ხოლო რეგიონებმა 20 შეადგინა.

1971 წლიდან დღემდე იტალიაში 9 ახალი პროვინცია შეიქმნა:

– 2 პიემონტში: ბიელა, ვერბანო-კუზიო-ოცოლა;
– 2 ლომბარდიაში: ლეჩე, ლოდი;
– 1 ემილია-რომანიაში: რიმინი;
– 1 ტოსკანაში: პრატო:
– 1 სარდინიაში: ორისტანო;

ამგვარად, იტალიამ თავისი პროვინციების მაქსიმუმს მიაღწია: 20 რეგიონში გადანანილებული 103 პროვინცია.

1993 წლის 1 იანვარს იტალია ახალი ევროკავშირის წევრი გახდა, რომელმაც ევროპის ძველი გაერთიანება შეცვალა. აღნიშნული ორგანო გარკვეულწილად პოლიტიკური კონფედერაციის თვისებების მატარებელია, რომელსაც იტალიამ თავისი სუვერენიტეტის გარკვეული ატრიბუტები გადასცა.

კვიპროსი

ზოგადი მონაცემები

რესპუბლიკური სახელმწიფო: კვიპროსის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ტესოს პაპადოპულოსი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი, წარმომადგენლობითი პალატა
დედაქალაქი: ნიკოზია
ადმინისტრაციული დაყოფა: 6 ოლქი: ნიკოზია, ლარნაკა, ლამასოლი, პაფოსი, კირენია, ფარმაგუსტი.
ფართობი: 9250კმ^2, აქედან 36% ჩრდილოეთით (დაახლოებით 3 350კმ^2) დაკავებული აქვთ თურქეთს; მოსახლეობა: 770 000 კაცი, აქედან 200 000 თურქეთის მიერ დაკავებულ ზონაში ცხოვრობს; სიმჭიდროვე: 83კაცი ერთ კმ^2-ზე
ენა: ახალი ბერძნული; უმცირესობისთვის თურქული
რელიგია: 80% მართმადიდებლები; 18% მუსლიმები.
ფულის ერთეული: კვიპროსის გირვანქა

შენიშვნები

მართალია კუნძული კვიპროსი გეოგრაფიულად დასავლეთ აზიის ნაწილია, მაგრამ მას ყოველთვის ევროპას მიაკუთვნებდნენ თავისი ისტორიის, მოსახლეობის და ცივილიზაციის წყალობით. ამ ნაშრომში მისი განხილვა მით უფრო იმიტომ მოხდა, რომ მისი კანდიდატურა წაყენებულია ევროპის კავშირში გაწევრიანებაზე, რაც ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო სავსებით მისაღებად ჩაითვალა, თანაც ამ სახელმწიფოს ევროკავშირში მიღების პროცესი დაწყებულია.

1974 წლიდან კვიპროსის რესპუბლიკის ჩრდილოეთი ნაწილი დაკავებული აქვს თურქეთს და ის მოწყვეტილია ცენტრალურ მთავრობას. თურქეთმა დაკავებულ ტერიტორიაზე "ჩრდილოეთ თურქეთის რესპუბლიკა" გამოაცხადა, რომელიც თვითონ თურქეთის გარდა არც ერთ სახელმწიფოს არ უღიარებია.

კვიპროსის რესპუბლიკის გარდა, კუნძულზე განთავსებულია ორი სამხედრო ბაზა დეკელია და აკროტორი, რომლებიც დიდი ბრიტანეთის სრულ განკარგულებაშია.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. კვიპროსის მოკლე ისტორია

1. ბერძნული, მაგრამ პოლიტიკურად ყველასთვის სასურველი კუნძული

ანტიკური ხანიდან მოყოლებული ბერძნული ცივილიზაცია ზღვაში იყო გაშლილი. ზღვის ხალხად მიჩნეული ბერძნები ხმელთაშუა ზღვას ყოველთვის თვლიდნენ მათი სამფლობელოების დამაკავშირებლად და ბუნებრივია, რომ ამ ზღვის აღმოსავლეთით მრავალი კუნძული დაიკავეს.

კვიპროსი ჩვ.წ.აღ-მდე II ათასწლეულის ბოლოდან ბერძნებს ეკავათ და ბერძნული ცივილიზაცია იქ 3000 წელია არსებობს, სხვა მრავალრიცხოვანი დომინაციების მიუხედავად.

ასურეთის, ეგვიპტის, სპარსეთის ბატონობის შემდეგ, ჩვ.წ.აღ.- მდე 333 წელს კვიპროსი ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში შევიდა, შემდეგ პტოლემეთა სახელმწიფოს შემადგენლობაში და ეგვიპტის ნაწილი იყო ჩვ.წ.აღ.-მდე 58 წლამდე,

სანამ რომის დაპყრობა მოხდებოდა. აქედან მოყოლებული ის რომის იმპერიის პროვინცია **კვიპროსი** გახდა, მისი ადმინისტრაციული ცენტრი იყო სალამისი (დღეევანდელ ფამაგუსტთან ახლოს), შემდეგ ის რამდენიმე საუკუნის მანძილზე ბიზანტიის იმპერიას ეკუთვნოდა.

მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, 1191 წელს კვიპროსი რიჩარდ ლომაგულმა დაიპყრო და 1192 წელს იერუსალიმის სამეფო დინასტიას, ლუზინიანებს მიჰყიდა, რომელიც **კვიპროსის ახალ სამეფოს** სამი საუკუნის მანძილზე მართავდა. კუნძული მჭიდროდ იყო დაკავშირებული იერუსალიმის სამეფოსთან (პირადული უნიით) და ლათინური ციივილიზაციისა და ქრისტიანობის ბასტიონს წარმოადგენდა, მის საბოლოო დაკარგვამდე 1291 წლამდე; მაგარამ ამ დაკარგვას კვიპროსის პორტების კომერციული მოღვაწეობოსათვის არაფერი დაუკლია. კვიპროსის მეფეების ძალისხმევის მიუხედავად კუნძულის ლათინიზაცია ვერ მოხერხდა, ის ბოლომდე "ბერძნული" დარჩა.

1489 წელს რეგენტობის 14 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, კვიპროსის დედოფალმა ეკატერინე კორნარომ, ვენეციელმა დიდგვაროვანმა, ბოლო მეფის ჯოვანი ლუზინიანის ქვრივმა თავისი სამეფო ვენეციას მიჰყიდა რომელიც მას 1571 წლამდე ფლობდა; ამის შემდეგ კუნძული ოსმალებმა დაიპყრეს. მდგომარეობა 1789 წელსაც უცვლელი იყო.

2. კვიპროსი 1789 წელს

კვიპროსი საკმაოდ დიდი კუნძულია ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით, რომელზეც ორი პარალელური ქედი გადის, ხოლო მათ შორის გადაშლილია ცენტრალური დაბლობი, მესაორიის ეაკე, მეტად ხელსაყრელი სოფლის მეურნეობისათვის, აქვე მდებარეს დედაქალაქი ნიკოზია.

ანტკური პერიოდიდან კვიპროსზე საბადოების დამუშავებას ეწეოდნენ (კვიპროსი "სპილენძს" ნიშნავს), ის აგრეთვე დასავლეთ ევროპასთან დამაკავშირებელი ხაზი იყო და მისი პორტები მეტად აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. ამას ემატებოდა კარგად განვითარებული მეთევზეობა და ზღვაოსნობა, რადგან კუნძულზე მცხოვრები ბერძნები ტრადიციულად ოსმალეთის იმპერიას ამარაგებდნენ ზღვაოსნობისათვის აუცილებელი მასალით: გემებითა და ეკიპაჟებით.

იმ პერიოდში კვიპროსის მოსახლეობა 100 000 კაცს უდრიდა, რომლებიც ძირითადად ბერძნები იყვნენ, მაგრამ ოსმალეთის ბატონობის დაწყებიდან იქ თურქები დასახლდნენ.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით კვიპროსი ოსმალეთის ნანილს შეადგენდა და მის ფაშალიკს წარმოადგენდა, ადმინისტრაციული ცენტრი იყო ნიკოზია, დამოკიდებული კუნძულების დიდ ვილაითზე, რომელსაც კაპიტანი-ფაშა განაგებდა, მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა თურქეთზე დამოკიდებულ კუნძულებზე, საბერძნეთის ზოგიერთ სანაპირო რეგიონზე და მცირე აზიაზე.

კუნძული სამ საჯაყად იყო დაყოფილი: ნიკოზია, კირენია, პაფოსი.

II. სტრატეგიული პოზიციის არასტაბილურობა (1789 წლიდან დღემდე)

1. თურქეთის კვიპროსი (1789-1878)

ევროპის სანაპიროებს დაშორებულ კვიპროსს არც რევოლუციური და ნაპოლეონის ეპოქის არეულობები, არც ბალკანეთზე ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ მიმართული ნაციონალისტური განნყობანი შეეხება და არც თვითონ განუცდია XIX საუკუნეში მნიშვნელოვანი ცვლილებები.

1840 წელს ოსმალეთის იმპერიის რეფორმების ფარგლებში (ტანზიმატი), მთელი იმპერია 36 ვილაითად დაიყო.

თურქეთის კუნძლები, მათ შორის კვიპროსიც კუნძულების ვილაიეთში დაჯგუფდა, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი იყო როდოსი და სადაც აღარ შედიოდა კონტინენტის ნანილები.

2. ბრიტანეთის კვიპროსი (1878-1960)

ინდოეთის მფლობელ დიდ ბრიტანეთს დიდი ხნის მანძილზე სურდა საყრდენი პუნქტები ჰქონოდა ინდოეთისკენ მიმავალ საზღვაო გზაზე, განსაკუთრებით კი სუეცის არხის გახსნის შემდეგ (1879).

ბალკანეთის კრიზისის მოგვარებაში შეტანილი დადებითი როლის საფასურად, 1878 წლის 4 ივნისის ხელშეკრულებით **დიდმა ბრიტანეთმა თურქეთისაგან იჯარით მიიღო კუნძული კვიპროსი.** იურიდიულად კუნძული თურქეთის რჩებოდა, მაგრამ ადმინისტრირებას მას დიდი ბრიტანეთი გაუწევდა, რომელიც პორტას ყოველწლიურ გადასახადს გადაუხდიდა; ინგლისს არ შეეძლო იჯარის თავისუფლად დათმობა, რადგან საფრანგეთი ყიდვის უფლებას ფლობდა.

კუნძული ექვს ოლქად დაიყო: ნიქოზია, ლარნაკა, ლიმასოლი, პაფოსი, კირენია და ფამაგუსტი: ამგვარი დაყოფა დღესაც ძალაში რჩება.

1881 წელს დიდმა ბრიტანეთმა პირველი აღწერა ჩაატარა, რომლის მიხედვითაც კუნძულზე 186 000 კაცი ცხოვრობდა, აქედან 137 000 ბერძენი (74%) და 45 000 თურქი (24%).

1914 წლის 5 ნოემბერს თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის შემდეგ **დიდმა ბრიტანეთმა კვიპროსის ანექსირება მოახდინა,** რის შემდეგაც მან პორტას ყოველწლიური გადასახადი შეუწყვიტა. თურქეთმა ეს ანექსია მხოლოდ სევრის (1920 წლის 10 აგვისტო) და ლოზანის (1923 წლის 24 ივლისი) სამშვიდობო ხელშეკრულებებით აღიარა.

1925 წლის 1 მაისს კუნძული კვიპროსი ბრიტანეთის გვირგვინის კოლონია გახდა. კუნძულზე ბრიტანეთის გამოჩენისთანავე ადგილობრივმა ბერძნებმა საბერძნეთთან შეერთება მოითხოვეს და იონიის კუნძულების პრეცედენტს იშველიებდნენ (1864 წელი). მაგრამ დიდ ბრიტანეთს პასუხად ის იურიდიული ფიქცია მოჰყავდა, რომლის მიხედვითაც კუნძული თურქეთს ეკუთვნოდა.

1914 წლიდან ეს არგუმენტი მოძველდა და ოციანი წლებიდან ბერძნებმა თავიანთი მოთხოვნა განაახლეს. 1931 წელს ადგილი ჰქონდა ამბოხს, რომელსაც მხარს მართლმადიდებური ეკლესია უჭერდა, მაგრამ ის ბრიტანელებმა ჩაახშვეს და 1940 წლამდე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს.

საგანგებო მდგომარეობის მოხსნისთანავე ბერძენმა მოსახლეობამ განაახლა თავის მოთხოვნა საბერძნეთთან შეერთების თაობაზე და მათი საიდუმლო ორგანიზაცია (EOKA) ტერორიზმსაც მიმართავდა კუნძულის მომავლის შესაცვლელად.

შეერთებული შტატების ჩარევით დიდმა ბრიტანეთმა, საბერძნეთმა და თურქეთმა 1959 წლის თებერვალში ხელი მოაწერეს ციურიხის შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც **გადაწყდა შექმნილიყო კვიპროსის დამოუკიდებული რესპუბლიკა,** დაცულიყო თურქეთის და საბერძნეთის ინტერესები და დიდი ბრიტანეთის კუთვნილებაში დარჩენილიყო სამხედრო ბაზები. რესპუბლიკა ერთა თანამეგობრობის წევრი ხდებოდა.

3. კვიპროსის რესპუბლიკა (1960 წლიდან დღემდე)

1960 წლის 16 აგვისტოს **კუნძული კვიპროსის რესპუბლიკა** გახდა, პრეზიდენტად არჩეული იქნა მაკარიოსი. მიუხედავად ამისა მრავალი კვიპროსელი საბერძნეთთან შეერთების მომხრე იყო.

ახალი ხელისუფლება თითქმის მთელ კუნძულზე ვრცელდებოდა, **ორი სამხედრო ბაზის დეკელიასა და აკროტირის გამოკლებით** (250კმ^2), **რომლებზეც დიდმა ბრიტანეთმა სრული დამოუკიდებლობა შეინარჩუნა.**

საბერძნეთის ხელისუფლებაში "პოლკოვნიკების" მოსვლამ (1976) კვიპროსში საბერძნეთთან შეერთების იდეა გამოაცოცხლა. მას შემდეგ რაც მაკარიოსმა ბერძენი ოფიცერ-ინსტრუქტორების ჯარიდან გაძევება მოითხოვა იგი 1974 წლის 15 ივლისს სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ჩამოაგდეს. თურქეთმა თავისი ჯარი გამოაგზავნა და კუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი, 3 350კმ^2 დაიკავა და სამხრეთს სადემარკაციო ხაზით გამოეყო, რომელიც მორფუდან ფარგუსტამდე

გადიოდა და ნიკოზიას ორად ჰყოფდა. ორ ნაწილს შორის მოსახლეობის გადასვლა-გადმოსვლა დაიწყო.

გაერო-მ კუნძულის ორად გაყოფა დაგმო, მაგრამ ამის მიუხედავად თურქეთმა 1975 წლის 13 თებერვალს თავის ზონაში **კვიპროსის თურქეთის ფედერაციული სახელმწიფო გამოაცხადა, რომელიც თურქეთთან იყო შეერთებული.**

1983 წლის 15 ნოემბერს თურქეთის მხარის მთავრობამ გამოაცხადა **"ჩრდილოეთი კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკა"**, ოფიციალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ თურქეთმა აღიარა.

აქედან მოყოლებული, არსებული მდგომარეობა კუნძულის გაერთიანების იმედს იძლევა. თუ კუნძულის სამხრეთი ნაწილი, რომელიც აგრძელებს ჩრდილოეთი ნაწილის დაბრუნების მოთხოვნას, ეკონომიურ აღმავლობას განიცდის (ტურიზმი, საბანკო საქმიანობა), თურქული ნაწილი თურქეთის დახმარების მიუხედავად ეკონომიკურად უძლურია.

1990 წლის 4 ივლისს კვიპროსმა თავისი კანდიდატურა ევროკავშირში გაერთიანებაზე წააყენა.

ლატვია

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: ლატვიის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ვალდის ზატლერსი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი, სეიმი.
დედაქალაქი: რიგა; 26 ოლქი.
ფართობი: 64 500კმ²; **მოსახლეობა:** 2,7 მილიონი კაცი; **სიმჭიდროვე:** 42 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენა: ლატვიური; რუსული – მოსახლეობის 34%-თვის.
რელიგია: ლუთერანობა; კათოლიკობა; მართლმადიდებლობა რუსულ მოსახლეობაში.
ფულის ერთეული: ლატი.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ლატვიის მოკლე ისტორიული ნარკვევი

1. რეგიონული არჩევანი პოლონეთს, შვედეთსა და რუსეთს შორის

ლატვიელებით დასახლებული ქვეყანა (რომელიც მხოლოდ XX საუკუნეში გახდა ლატვია) ბალტიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა, ესტონეთსა (ჩრდილოეთით) და ლიტვას (სამხრეთით) შორის.

ლატვიელთა წინაპრები, ლივები, ფინურ-უგორულ ხალხს მიეკუთვნებოდნენ, რომლებიც ამ რეგიონში ძვ. წ. აღ. II საუკუნეში დასახლდნენ. ისინი სხვა ბალტიური ხალხის, კურმების მეზობლად ცხოვრობდნენ, რომლებიც უფრო სამხრეთით დასახლდნენ (მომავალი კურლანდია). XIII საუკუნის დასაწყისში ეს ხალხები, ესტონელების მსგავსად, სახარებას იყვნენ ნაზიარები და კოლონიზებული პორტ-გლეევის რაინდთა მიერ (რიგაში დაფუძნებული გერმანელ რაინდთა ორდენი, რომელიც შემდგომში ტევტონთა ორდენს შეუერთდა).

XVI საუკუნის დასაწყისში ლუთერანულ რეფორმას მღელვარება მოჰყვა, რითაც **პოლონეთმა ისარგებლა და ლივონია დაიპყრო.** ამ დროს, ტევტონთა ორდენის რაინდთა უკანასკნელმა დიდმა მეთაურმა გოთარ კეტლერმა თავის სასარგებლოდ კურლანდიის საჰერცოგოს სეკულარიზაცია მოახდინა, რომელიც პოლონეთის სიუზერენიტეტის ქვეშ მოექცა.

1629 წელს **შვედეთმა ლივონია დაიპყრო** დაუგავპილსის გარშემო მდებარე ნაწილის გარდა, შიდა ლივონია კი კვლავ **პოლონეთის** მფლობელობაში **დარჩა.** 1710 წელს ლივონია **რუსეთის მეფემ, პეტრე პირველმა დაიპყრო.** 1721 წელს ეს გამარჯვება ნიშტადტის სამშვიდობო ხელშეკრულებით იქნა დამტკიცებული. 1737 წელს კეტლერების სახლის უკანასკნელი ჰერცოგი გარდაიცვალა, მაგრამ მისმა ქვრივმა, დედოფალმა ანა ივანოვნამ, საჰერცოგო თავის ფავორიტს, ბირონს უწყალობა. 1740 წელს ანა ივანოვნას გარდაცვალების შემდეგ ბირონი შერისხულ იქნა, თუმცა 1763 წელს მან თავისი საჰერცოგო დაიბრუნა.

1772 წლის 25 ივლისის სანკტ-პეტერბურგის ხელშეკრულების საფუძველზე ავსტრია, პრუსია და რუსეთი პოლონეთის პირველ განაწილებას შეუდგნენ.

აღნიშნულ ფარგლებში, **რუსეთმა ლივონიის პოლონური სავოევოდოს** (შიდა ლივონია) **ანექსირება მოახდინა** სხვა სავოევოდოებთან ერთად, რომელთა ერთობლიობიდან ვიტებსკის რუსული პროვინცია შეიქმნა.

2. ლატვია 1789 წელს

1789 წელს ტერმინი ლატვია არავითარ პოლიტიკურ რეალობას არ ასახავდა. XX საუკუნეში ამ სახელწოდებით ცნობილი ქვეყანა, აღნიშნულ ეპოქაში გადანაწილებული იყო ლივონიის რუსულ პროვინციასა (ვიტებსკის) და კურლანდიის საჰერცოგოს შორის.

დასავლეთით ლივონიას ბალტიის ზღვა ეკვროდა, რომელიც ამ ადგილზე რიგის ყურეს ქმნიდა. მას ჩრდილოეთით ესტონეთი, აღმოსავლეთით რუსეთი, სამხრეთით კი კურლანდია ესაზღვრებოდა. ეს უკანასკნელი ხმელეთის ფართო ზოლს წარმოადგენდა, რომელიც მდინარე დაუგავას მარცხენა ნაპირს (სამხრეთით) მიუყვებოდა. დაუგავა მას ლივონიისგან ყოფდა. თავად ლივონიას, სამხრეთით ლიტვის დიდი საჰერცოგო (პოლონეთის სამეფოსთან პირად კავშირში მყოფი სახელმწიფო) ესაზღვრებოდა.

აღნიშნული ტერიტორია სანაპიროზე გადაშლილ ფართო დაბლობს წარმოადგენდა სასოფლო სამეურნეო სავარგულებითა და ტყეებით, რომელზეც მდინარეები მიედინებოდა. იქ ნაკლებად იყო განვითარებული ქალაქების ქსელი: რიგა, ჰანზის ძველი ქალაქი, ვენტსპილე, ელგავა, დაუგავპილსი. თუკი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ბალტიკური წარმომავლობის იყო, წარჩინებულთა ნრე ძველი ტევტონთა ორდენის რაინდებიდან გამოსული გერმანელებისგან შედგებოდა. სწორედ ამ უკანასკნელთა ხელში იყო მართვის სადაველები.

1789 წელს ლატვიელი ხალხის (ძველი ლივები და კურშები) პოლიტიკური გადანაწილება ამგვარად გამოიყურებოდა:

– **ლივონიის რუსული პროვინცია,** დედაქალაქი რიგა, რომლის სამხრეთი ნაწილი ლატვიელებით, ჩრდილოეთი ნაწილი კი ესტონელებით იყო დასახლებული;

– **ვიტებსკის რუსული პროვინცია,** დედაქალაქი ვიტებსკი;

– **კურლანდიისა და სემიგალიის საჰერცოგო,** დედაქალაქი ელგავა, რომელიც ბირონის სამფლობელოს წარმოადგენდა პოლონეთის სიუზერენიტეტის ქვეშ.

II. რთული გზა დამოუკიდებლობისკენ (1789 წლიდან დღემდე)

1. 1789 წლიდან დამოუკიდებლობამდე (1918-1920ნნ.)

1795 წლის 24 ოქტომბრის სანკტ-პეტერბურგის ხელშეკრულებით ავსტრია, პრუსია და რუსეთი, პოლონეთის მესამე გადანაწილებით მის სრულ გაქრობას შეუდგნენ.

აღნიშნულ ფარგლებში, სხვა ანექსირებულ ტერიტორიებთან ერთად **კურლანდიის საჰერცოგო რუსეთის იმპერიაში იქნა შეყვანილი.** კურლანდიის ჰერცოგის, ბირონის ვაჟმა საჰერცოგოზე თავისი უფლებები რუსეთის სამეფო გვირგვინს მიჰყიდა.

კურლანდიისგან ამავე სახელწოდების ახალი რუსული პროვინცია შეიქმნა, რომლის დედაქალაქიც ელგავა გახდა. ამ დროიდან, ლატვიელებით დასახლებული მიწები რუსეთის შემადგენლობაში შევიდა და ლივონიის, კურლანდიისა და ვიტებსკის პროვინციებს შორის გადანაწილდა. ერთი საუკუნისა და საუკუნის მეოთხედის მანძილზე ლატვიელები რუსეთის შემადგენლობაში რჩებოდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლატვიურ ენაზე ლიტერატურისა და პრესის აღმავლობას, გერმანელ დიდგვაროვანთა წრისგან განსხვავებული, ეროვნული იდენტურობის თვითშეგნება მოჰყვა ლივონიაში, რომელიც ასევე ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ ძველი პოლონური საეკლესიოდან გამოსული მნიშვნელოვანი უმცირესობა კათოლიკე იყო, მაშინ როდესაც წარჩინებულთა ნრე ლუთერანებს მიეკუთვნებოდა. მაგრამ საუკუნის მიწურულს იმპერიაში შემავალი ყველა არარუსული პროვინციის მსგავსად, ლივონია და კურლანდია რუსიფიკაციის მკაცრი პოლიტიკის პირისპირ აღმოჩნდა. ადმინისტრაციაში რუსული ენა დაინერგა, რომელმაც ტარტუს უნივერსიტეტში გერმანული ენა შეცვალა (მართალია ეს უნი-

ვერსიტეტი ესტონეთში მდებარეობდა, მაგრამ მას დიდი გავლენა ჰქონდა ორივე პროვინციაზე).

რუსეთის იმპერიაში შემავალი ტერიტორიების მსგავსად, ლივონია და კურლანდია 1914 წელს პირველ მსოფლიო ომში იქნა ჩათრეული. 1915 წელს გერმანელებმა კურლანდიის ოკუპაცია განახორციელეს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის 3 მარტს რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ გერმანიასთან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ამ ხელშეკრულების თანახმად, **რუსეთმა უარი თქვა ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, მათ შორის ლივონიისა და კურლანდიის პროვინციებზე.** მან ასევე უარი თქვა ფინეთზე, რუსეთის პოლონეთზე და სხვ.

რუსეთს მხოლოდ ვიტებსკის გუბერნიაში გაერთიანებული შიდა ლივონია დარჩა.

გერმანული უმრავლესობისგან შემდგარმა ეროვნულმა საბჭომ, რომელიც ესტონეთისა და ლივონიის გერმანელების ინიციატივით შეიკრიბა, 1918 წლის 13 აპრილს ბალტიკუმის საჰერცოგოს შექმნის სურვილი გამოთქვა, რომელშიც ესტონეთი, ლივონია და კურლანდია უნდა შესულიყო, პრუსიის მეფის მმართველობის ქვეშ.

ბერლინის ხელისუფლებამ აღნიშნული მოთხოვნის უგულებელყოფით **"ბალტიისპირეთის ქვეყნებში"** მხოლოდ ესტონეთი და ლივონია (ეს უკანასკნელი რიგის ოლქამდე იქნა დაყვანილი) შეიყვანა. კურლანდია და რიგის ოლქი დროებით გერმანიასთან იქნა მიერთებული.

ამავე დროს, იატაკქვეშეთში ლატვიის ეროვნული საბჭო შეიქმნა.

1918 წლის ნოემბერში გერმანელთა დამარცხებამ ლატვიელებს საკუთარი ბედის განკარგვის შესაძლებლობა მისცა. 18 ნოემბერს ლატვიის ეროვნულმა საბჭომ **დამოუკიდებლობა და ლატვიის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა,** რომლის მიზანიც ლატვიელთა გაერთიანება იყო (ლივონიის სამხრეთი ნაწილი, შიდა ლივონიადა კურლანდია).

ლივონიის გერმანულმა მოსახლეობამ დამოუკიდებლობის გამოცხადებას იარაღით გაუწია წინააღმდეგობა. გერმანელთა და ბოლშევიკთა ჯარებისგან მომდინარე მღელვარებათა პერიოდის მინურულს, 1920 წლის 11 აგვისტოს ლატვიასა და რუსეთს შორის რიგის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. ამ ხელშეკრულებით, **რუსეთმა:**

– აღიარა ლატვიის დამოუკიდებლობა;

– ლატვიას დაუთმო შიდა ლივონიის (აბრენის რეგიონი) ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიული ზოლი.

2. 1920 წლიდან დღემდე

1922 წლის 15 თებერვალს დამოუკიდებელმა ლატვიამ ლიბერალური და დემოკრატიული კონსტიტუცია მიიღო. კონსტიტუციის თანახმად, ოთხი პროვინციის შექმნა დადგინდა: ვიძემი (ლივონია), ზემგალია (სემიგალია), ლატგალია, კურზემი (კურლანდია).

ქვეყანამ აგრარული რეჟიმი სიღრმისეულად შეცვალა (გაუქმდა დიდი დომენები) და ომით განადგურებული სამრეწველო პოტენციალი აღადგინა.

1934 წლის მაისში ქვეყანაში დიქტატურა დამყარდა, რომელიც დიდი ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე შედეგებს მოჰყვა.

გერმანიისა და საბჭოთა კავშირის საშიში პოზიციის პირისპირ, ლატვია, ბალტიისპირეთის ორი ქვეყნის მსგავსად, რომლებთანაც მას თავდაცვის ხელშეკრულება აერთიანებდა, ნეიტრალიტეტის შენარჩუნების გზებს ეძებდა. მიუხედავად ამისა, 1939 წლის აგვისტოს გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ხელმონერილი საიდუმლო პაქტი სსრკ-ის ორბიტაში ლატვიის მოქცევას ითვალისწინებდა.

1939 წლის 10 ოქტომბერს პოლონეთის განადგურების შემდეგ, საბჭოთა კავშირმა ლატვიას ვენტსპილეს სამხედრო ბაზები დაათმობინა, სანაპიროს ფრაგმენტითა და ლიეპაიათი.

შემდგომში, 1940 წლის 15-დან 17 ივნისამდე საბჭოთა ჯარებმა ლატვია დაიპყრეს, ორი ბალტიისპირეთის ქვეყნის მსგავსად. 5 აგვისტოს კომუნისტთა ყრილობამ **ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკის** შექმნა გამოაცხადა და მისი სსრკ-თან **შეერთება მოითხოვა.** 6 აგვისტოს მოსკოვმა ეს ანექსია დაამტკიცა.

ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკამ 1920 წელს რუსეთისგან ჩამორთმეული ტერიტორია ხელახლა გადასცა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას.

1941 წლის ივლისში ლატვია გერმანელთა ჯარების მიერ იქნა ოკუპირებული. 1942 წელს გერმანიამ ოსტლანდის გენერალური კომისარიატი შექმნა დედაქალაქით რიგაში, რომელიც ოთხ ოლქად დაიყო: ესტონეთი (ტალინი), ლატვია (რიგა), ლიტვა (კაუნასი), ბელორუსი (მინსკი).

1944 წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირმა ლატვია ხელახლა დაიპყრო და იქ **ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკა აღადგინა.**

ორმოცდახუთი წლის მანძილზე, ლატვია იძულების წესით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა მოკავშირე რესპუბლიკის სახით. ქვეყანა ეკონომიკურად და პოლიტიკურად საბჭოთა კავშირში იქნა ინტეგრირებული. რუსების მასობრივ დასახლებას ლატვიაში რუსული მოსახლეობის 40%-მდე გაზრდა მოჰყვა, მარგამ ლატვიელებში კვლავაც უცვლელი რჩებოდა დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა.

საბჭოთა რეჟიმის დანგრევის შემდეგ, 1990 წლის 4 მაისს ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკა **ლატვიის რესპუბლიკა** გახდა, რასაც პლურალიზმის აღდგენა მოჰყვა.

1991 წლის 3 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმში დამოუკიდებლობას მოსახლეობის 70% მისცა ხმა, რის შემდეგაც რიგის პარლამენტმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამგვარად, **ლატვია დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა.**

ლატვია დასავლეთ ევროპას დაუახლოვდა და ევროკავშირში გასაწევრიანებლად თავისი კანდიდატურა წამოაყენა. 2002 წლის 12 დეკემბერს მისი კანდიდატურა მიღებული იქნა. 2004 წლის 1 მაისიდან ლატვია ევროკავშირის წევრია.

ლიტვა

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: ლიტვის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ვალდას ადამკუსი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი, სეიმი.
დედაქალაქი: ვილნიუსი.
ადმინისტრაციული დაყოფა: 44 ოლქი.
ფართობი: 65 200კმ²; **მოსახლეობა:** 3,7 მილიონი კაცი; **სიმჭიდროვე:** 57 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენები: ლიტვური; ეროვნული უმცირესობა ლაპარაკობს რუსულ ან პოლონურ ენებზე.
რელიგია: კათოლიკობა.
ფულის ერთეული: ლიტასი.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ლიტვის მოკლე ისტორიული ნარკვევი

1. პოლონეთთან გაერთიანებიდან რუსეთის გაბატონებამდე (XIV-XVIIIსს.)

ლიტველები ინდო-ევროპული წარმომავლობის ხალხი იყო, რომელიც გვიან დასახლდა (ჩვ. წ, ალ. VIს.) იმ მიწაზე (სლავების შემოჭრის დროს), რომელიც ლიტვის სახელით არის ცნობილი.

XIII საუკუნეში ლიტველების კოლონიზაციის მცდელობა პორტ-გლევისა და ტევტონთა ორდენის რაინდებსაც ჰქონდათ. დასავლეთიდან ტევტონთა ორდენის, აღმოსავლეთიდან კი რუსების შემოტევის შესასუსტებლად, ლიტველები იაგელონების დინასტიისა და **ლიტვის სახელმწიფოს** (დედაქალაქი ვილნიუსი) დამაარსებლის გედიმინასის (1316-1341წწ.) გარშემო გაერთიანდნენ. მათ ქრისტიანული წარწმუნოება მიიღეს, შეძლეს უკრაინული ტერიტორიების (კიევი), ვოლინისა და პოდოლიის დაპყრობა და XV საუკუნეში შავ ზღვამდეც კი მივიდნენ.

საუკეთესო ნინააღმდეგობის განევის საშუალება ზემოაღნიშნული შემოტევების პირისპირ, გახდა 1386 წელს დიდი ჰერცოგის, იაგელონის ქორწინება პოლონეთის დედოფალ იადვიგასთან, რის შემდეგაც დიდი ჰერცოგი პოლონეთში ლადისლას IIის სახელით გამეფდა. ეს ფაქტი პოლონეთისა და ლიტვის გაერთიანების ათვლის ნერტილი გახდა, რომელიც საბოლოოდ 1569 წლის ლიუბლინის უნიით დასრულდა. ამ უნიის საფუძველზე პოლონეთი და ლიტვა ერთი სახელმწიფო, "რესპუბლიკა" გახდა, რომელსაც ერთპალატიანი პარლამენტი და საკოეევოდოებისგან შემდგარი ტერიტორიული მოწყობა ჰქონდა. ამგვარ გარემოებაში, უკრაინული ტერიტორიები უნიის პოლონურ ნაწილთან იქნა მიერთებული.

დიდმა ჰერცოგმა ლიტვის ტერიტორიულ მოწყობას საბოლოო სახე მისცა, კერძოდ კი მასში შეევიდა: **სამოჟიტის საჰერცოგო, ვილნიუსის, ტროკის, ნოვოგრადის, ბრესტ-ლიტოვსკის, მინსკის, მსტისლავის, ვიტებსკისა და პოლოცკის საკოეევოდოები. ლივონიის საკოეევოდო** (ადმ. ცენტრი დაუგავპილსი) ლიტვისა და პოლონეთის საერთო მფლობელობაში იყო, ისევე როგორც **კურლანდიის საჰერცოგოს სიუზერენობა.**

აღნიშნულ მიწებში ორი პრუსიული ანკლავიც შედიოდა: ტაუროგენი სამოჟიტში და სერეი ტროკის საკოეევოდოში.

საკუთრივ ლიტველები ძირითადად სამოჟიტის საჰერცოგოსა და ტროკის სავოევოდოში იყვნენ დასახლებულნი. ისტორიის შემთხვევითობით მოხდა ისე, რომ დიდი საჰერცოგოს ტერიტორია, როგორც ლიტველებით, ასევე პოლონელებისა და ბელორუსების მნიშვნელოვანი რაოდენობით იყო დასახლებული.

ამ დროიდან ლიტვა ორი საუკუნის მანძილზე პოლონეთის მძიმე ხვედრს იზიარებდა (იხ. თავი პოლონეთი).

ლიტვის დიდი საჰერცოგო შერყეული იყო პოლიტიკური ინსტიტუტების სისუსტით (არჩევითი მონარქია, პარლამენტში liberum veto-ს გამუდმებული გამოყენება), რაც ძლიერ სახელმწიფოთა ჩარევასა და მეზობელ სახელმწიფოთა მხრიდან ამ ტერიტორიის დაპყრობის სურვილს იწვევდა.

1772 წელს პოლონეთის სამეფოში მეამბოხეთა ჯგუფების გამოსვლების შემდეგ, სანკტ-პეტერბურგის 25 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე ავსტრია, პრუსია და რუსეთი პოლონეთის პირველ გადანაწილებას შეუდგა, რასაც შედეგად გარკვეული ტერიტორიების ჩამორთმევა მოჰყვა:

რუსეთმა პოლონეთის სამეფოს ლიტვურ ნაწილში შემდეგი ტერიტორიების ანექსირება მოახდინა:

– **ლივონიის სავოევოდო** (საერთო პოლონეთისა და ლიტვისთვის);
– **პოლოცკის სავოევოდოს ჩრდილოეთი ნახევარი** (დიუნის ჩრდილოეთით);
– **ვიტებსკის სავოევოდო თითქმის მთლიანად;**
– **მსტისლავის სავოევოდო;**
– **მინსკის სავოევოდოს აღმოსავლეთი მეხუთედი** (დნეპრის აღმოსავლეთით).

2. ლიტვა 1789 წელს

1789 წელს ლიტვის დიდი საჰერცოგო კვლავ პოლონეთის სამეფოს ორიდან ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, კერძოდ, სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ნახევარს. დასავლეთით მას პოლონეთი, აღმოსავლეთით კი რუსეთი ესაზღვრებოდა. ლიტვის ტერიტორია გადაჭიმული იყო ბალტიის ზღვიდან ჩრდილოეთით, თურქეთის ხერსონისა და მოლდოვას ბესარაბიის საზღვრებამდე სამხრეთით.

ლიტვის ტერიტორია ძირითადად ფართო დაბლობს წარმოადგენდა, რომელიც ხელსაყრელი იყო სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, და მას საკმაოდ ხშირი მდინარეთა ქსელი ჰქონდა: დიუნი, ნემანი, დნეპრის ზემო აუზი. ქვეყანაში ნაკლებად განვითარებული საქალაქო ქსელი იყო: ვილნიუსი, მინსკი, ბრესტ-ლიტოვსკი, ნოვოგრადი.

1772 წელს რუსეთის მიერ ტერიტორიების პირველი ჩამორთმევის შემდეგ, ლიტვის დიდი საჰერცოგო 1789 წელს შემდეგ პროვინციებამდე იქნა დაყვანილი:

– სამოჟიტის საჰერცოგო;
– ვილნიუსის, ტროკის, ბრესტ-ლიტოვსკის, მინსკის (დასავლეთი 4/5) სავოევოდოები, ვიტებსკის პატარა დარჩენილი ნაწილი და პოლოცკი (სამხრეთი ნახევარი).
– პოლონეთთან ერთად კურლანდიის საჰერცოგოს სიუზერენობა.

II. ლიტვა რუსეთის მეურვეობის ქვეშ და დამოუკიდებლობა (XVIII-XXსს.)

1. 1789 წლიდან ლიტვის გაქრობამდე (1795წ.)

1772 წლის პირველი გადანაწილების შემდეგ, პოლონელებმა პოლიტიკური ინსტიტუტების სწრაფი რეფორმირების აუცილებლობა გაიცნობიერეს. 1791 წლის ახალ კონსტიტუციას რუსეთის პროტესტი მოჰყვა, რომელიც 1793 წლის 23 იანვრის შეთანხმებით, პრუსიასთან ერთად პოლონეთის მეორე გადანაწილებას შეუდგა. ამ ფარგლებში, **რუსეთმა** ლიტვის შემდეგი ტერიტორიების ანექსირება განახორციელა:

– **პოლოცკის სავოევოდოს სამხრეთი ნახევარი** (დიუნის სამხრეთით);

– ვიტებსკის სავოევოდოს დარჩენილი ნაწილი;
– მინსკის სავოევოდოს დასავლეთის ოთხი მეხუთედი (დნეპრის დასავლეთით);
– ნოვოგრადის სავოევოდოს აღმოსავლეთი მესამედი;
– ბრესტ-ლიტოვსკის სავოევოდოს აღმოსავლეთი მესამედი.

ამავე დროს, პოლონეთში მოპოვებული ტერიტორიების სანაცვლოდ, პრუსიამ რუსეთს სამოყიტის ტერიტორიაზე შეჭრილი ტაუროგენის პატარა სენიორია დაუთმო.

ამგვარად, ლიტვის დიდი საპერცოგო შემდეგ პროვინციებამდე იქნა დაყვანილი: სამოყიტის საპერცოგო, ვილნიუსის, ტროკის, ნოვოგრადის (დასავლეთი ორი მესამედი), ბრესტ-ლიტოვსკის (დასავლეთი ორი მესამედი) სავოევოდოები და საერთო სიუზერენობა კურლანდიის საპერცოგოზე.

1794 წელს პოლონელები აჯანყდნენ, მაგრამ მათი აჯანყება ჩახშობილ იქნა. 1795 წლის 24 ოქტომბერს სანკტ-პეტერბურგის ხელშეკრულების საფუძველზე ავსტრია, პრუსია და რუსეთი პოლონეთის მესამე გადანაწილებით, მის სრულ გაქრობას შეუდგნენ. ლიტვის უკანასკნელი მიწები სამ ძლიერ სახელმწიფოს შორის გადანაწილდა.

რუსეთმა შემდეგი ტერიტორიები მიიღო:

– სამოყიტის საპერცოგო, ნემანის სამხრეთით მდებარე სამკუთხედის გარდა;
– ვილნიუსის სავოევოდო;
– ტროკის სავოევოდოს აღმოსავლეთი ნახევარი (ნემანის აღმოსავლეთით);
– ნოვოგრადის სავოევოდოს დასავლეთი ორი მესამედი;
– ბრესტ-ლიტოვსკის სავოევოდოს დასავლეთი ორი მესამედი (ბუგის დასავლეთით მდებარე ფრაგმენტის გარდა).

პრუსიას შემდეგი ტერიტორიები ერგო:

– ნემანის სამხრეთით მდებარე სამოყიტის სამკუთხედი;
– ტროკის სავოევოდოს (სუვალკისა და ბელისტოკის რეგიონები) დასავლეთი ნახევარი (ნემანის დასავლეთით).

ავსტრიამ ბუგის დასავლეთით მდებარე ბრესტ-ლიტოვსკის სავოევოდოს ფრაგმენტის ანექსია განახორციელა.

ამგვარად, ლიტვა პოლიტიკური გეოგრაფიის რუკიდან გაქრა, დარჩნენ მხოლოდ ლიტველები, რომელთა უმრავლესობა გადანაწილდა კაუნასის, ვიტებსკისა და ვილნას რუსულ პროვინციებს შორის და ახალ აღმოსავლეთ პრუსიაში.

2. 1795 წლიდან ლიტვის აღდგენამდე (1918წ.)

იენაში ნაპოლეონის ჯარებთან პრუსიის დამარცხების შემდეგ, 1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულების თანახმად, პრუსიას 1795 ნელს მისთვის გადაცემული ლიტვური მიწები ჩამოერთვა და ისინი ამგვარად გადანაწილდა:

– სამოყიტის სამკუთხედი და სუვალკი ვარშავის დიდ საპერცოგოს დაუბრუნდა;
– ბელისტოკის ოლქი რუსეთს გადაეცა.

1815 წლის 9 ივნისის ვენის კონგრესის ფინალური აქტის საფუძველზე, ვარშავის დიდი საპერცოგო გაქრა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ის შეყვანილ იქნა რუსეთის იმპერიაში, როგორც პოლონეთის სამეფო, რომელიც შეზღუდული ავტონომიით სარგებლობდა.

აღნიშნული დროიდან ძველი ლიტვის ტერიტორია მთლიანად რუსეთის მმართველობის ქვეშ მოექცა, რამაც ერთი საუკუნე გასტანა.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსები ლიტველთა რუსიფიკაციას შეუდგნენ. ისინი რუსებად მიიჩნევდნენ ლიტვის ძველ ტერიტორიაზე მცხოვრებ ბელორუსებს, ხოლო საკუთრივ კათოლიკე ლიტველები პოლონელებთან იყვნენ გაიგივებულნი.

1831 წელს ლიტველები პოლონელებთან ერთად აჯანყდნენ, რადგან ამ უკანასკნელებთან ერთად რუსეთის რეპრესიებს (მასობრივი გადასახლებები) განიცდიდნენ. 1840 წელს ლიტვაში რუსული კანონების ამოქმედება დაინყო. 1863 ნელს ლიტველები კვლავ აჯანყდნენ პოლონელებთან ერთად, რასაც ახალი რეპრესიები მოჰყვა. აიკრძალა როგორც პოლონური ენის გამოყენება, რომელზეც ლიტვის ელიტა ლაპარაკობდა, ასევე ლიტვური დამწერლობაც.

საუკუნის მინურულს, რუსიფიკატორულ პოლიტიკას საპასუხოდ ლიტვური ლიტერატურის აღორძინება მოჰყვა, რასაც თან ახლდა ლიტველებში ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლება.

სნორედ ამგვარ პირობებში იფეთქა პირველმა მსოფლიო ომმა, რომელშიც ლიტველები მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის მეფის ჯარებთან ერთად. 1915 წლის სექტემბრიდან ლიტვის ტერიტორია გერმანელების მიერ იქნა ოკუპირებული, რომლებიც ხელს უნყობდნენ ლიტვური სეპარატიზმის გაღვივებას.

რუსეთის რევოლუციის შემდეგ, 1917 ნლის სექტემბერში ლიტვის კონგრესმა ლიტვის სამეფოს შექმნა გამოაცხადა. 1918 ნლის 6 თებერვალს **ლიტვის დამოუკიდებლობა იქნა გამოცხადებული.**

1918 ნლის 3 მარტს ბოლშევიკურმა მთავრობამ გერმანიასთან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას მოანერა ხელი. ამ ხელშეკრულებით, **რუსეთმა უარი თქვა ბალტიისპირეთის ქვეყნებზე (ლიტვის ჩათვლით)**, ფინეთზე, რუსეთის პოლონეთზე და სხვ.

1918 ნლის 11 ივლისს ლიტვის კრებამ სამეფოს გვირგვინი ვიურტემბერგის სახლის შთამომავალს, ჰერცოგ გედიმინას ურახს შესთავაზა, რომელსაც მინდაუგას II-ის სახელი უნდა ეტარებინა.

1918 ნლის 2 ნოემბრის გერმანიის დამარცხების შემდეგ, ჰერცოგმა გედიმინასმა უარი თქვა სამეფო გვირგვინზე. **ლიტვაში რესპუბლიკა იქნა გამოცხადებული.** გადასაწყვეტი რჩებოდა საზღვრების საკითხი.

3. პირველი დამოუკიდებელი ლიტვა (1918-1940ნნ.)

1919 ნლის 19 ივნისის ვერსალის ხელშეკრულების თანახმად, **ქალაქი მემელი (კლაიპედა) და მისი ტერიტორია**, რომელიც პრუსიის ხელში იყო, მაგრამ ნანილობრივ ლიტველებით იყო დასახლებული, **თავისუფალი ტერიტორია გახდა** ერთა ლიგის პასუხისმგებლობის ქვეშ. რაც შეეხება ლიტვას, ის რუსეთისა და პოლონეთის ანტაგონისტური დაპირისპირების თეატრად იქცა.

1919 ნლის იანვარში ვილნიუსი ბოლშევიკთა ძალებმა იგდეს ხელთ და იქ საბჭოთა რეჟიმი დაამყარეს, რომელიც იმავე ნლის შემოდგომაზე დამარცხებულ იქნა ნაციონალისტების მიერ. 1920 ნლის გაზაფხულზე ვილნიუსზე პოლონეთის შეტევისა და რუსეთის კონტრშეტევის შემდეგ, 12 ივლისს რუსეთმა და ლიტვამ მოსკოვის ხელშეკრულებას მოანერეს ხელი, რომლის თანახმად, **რუსეთმა ლიტვის არსებობა აღიარა**, რომელიც ისტორიულ დედაქალაქ ვილნიუსსა და მის მიმდებარე ტერიტორიას მოიცავდა (ცენტრალური ლიტვა).

ამავე დროს, პოლონეთი მისთვის ვილნიუსის დაბრუნებას მოითხოვდა, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას პოლონელები შეადგენდნენ.

9 ოქტომბრის გადატრიალების შედეგად, პოლონელმა გენერალმა ზელიგოვსკიმ ვილნიუსი დაიკავა და იქ პლებისციტის ჩატარება გამოაცხადა, პოლონეთისთვის ქალაქის მიერთების მიზნით.

1922 ნლის იანვარში პოლონეთის ოკუპაციის პირობებში ჩატარებულმა პლებისციტმა, რომელიც ერთა ლიგის კონტროლის გარეშე ჩატარდა, ლიტველთა პროტესტის მიუხედავად, ვილნიუსი პოლონეთს მიაკუთვნა. კაუნასი დროებით ქვეყნის დედაქალაქი გახდა.

1923 ნლის 15 მარტს ერთა ლიგის საბჭომ პოლონეთისთვის ვილნიუსის გადაცემა დაამტკიცა.

1923 ნლის თებერვალში მოკავშირეთა ჯარებმა კლაიპედას მათ მიერ ოკუპირებული ტერიტორია დატოვეს. ლიტვამ ამ ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა. ამ

უკანასკნელს ვილნიუსის დაკარგვის გამო, რევანშის აღება სურდა. 1924 წლის 8 მაისს ერთა ლიგის საბჭომ ეს ანექსია დაამტკიცა და **კლაიპედა ლიტვის დიდი პორტი გახდა.** ამ ტერიტორიას ავტონომიის სტატუსი უნდა მიეღო.

ახალი ლიტვის ფართობი 55 900კმ²-ს, მოსახლეობა კი დაახლოებით 2,2 მილიონ კაცს შეადგენდა.

ჩრდილოეთით ლიტვას ლატვია ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთით და სამხრეთით პოლონეთი, სამხრეთ-დასავლეთით კი გერმანული აღმოსავლეთი პრუსია. ლიტვა ძველი ტერიტორიებით იქნა შემოფარგლული: სამოჟიტი, ტროკის ძველი საკოეკოდოს ჩრდილოეთი ნახევარი, ვილნიუსის საკოეკოდოს ჩრდილო-დასავლეთი მეოთხედი (ქალაქის გარდა), მემელის (კლაიპედას) ძველი პრუსიული ტერიტორია.

ვილნიუსის საკითხმა და ეკონომიკური ხასიათის პრობლემებმა ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა შექმნა, რომელსაც 1926 წელს ვოლდემარასმამ (რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრი) და სმეტონამ მოუღეს ბოლო. მათ ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმი დაამყარეს. 1922 წელს სმეტონამ თავისი ძველი პარტნიორი ჩამოიშორა და თავად აიღო ხელში ხელისუფლების სადავეები.

გერმანიისა და საბჭოთა კავშირის საშიში პოზიციის პირისპირ, ლიტვა სხვა ორი ბალტიისპირეთის ქვეყნის მსგავსად, რომლებთანაც მას თავდაცვის შეთანხმება აერთიანებდა, ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას ცდილობდა.

1939 წლის 22 მარტს ჰიტლერის ულტიმატუმს შედეგად მოჰყვა ლიტვისთვის **მემელის (კლაიპედა) ტერიტორიის** დაბრუნების ბრძანება. გერმანიამ აღნიშნული ტერიტორია დაიპყრო და მისი ხელახალი **ანექსია** ცალმხრივი წესით მოახდინა.

ამგვარად, ლიტვის ფართობი 53 250კმ²-მდე იქნა დაყვანილი.

1939 წლის აგვისტოს გერმანიისა და საბჭოთა კავშირის პაქტი ფარულად ითვალისწინებდა ლიტვის გერმანიის ორბიტაში მოხვედრას. თუმცა სექტემბერში, პოლონეთში გერმანიისთვის მიკუთვნებული ტერიტორიების საკომპენსაციოდ, რომელიც საიდუმლო პროტოკოლით გათვალისწინებულზე მნიშვნელოვანი იყო, ლიტვა საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში მოექცა.

პოლონეთის განადგურების შემდეგ, 1939 წლის 10 ოქტომბერს საბჭოთა კავშირმა ლიტვას სამხედრო ბაზები დაათმობინა, რომლის სანაცვლოდ, **ლიტვამ ქალაქი ვილნიუსი დაიბრუნა** და მასთან ერთად, ჩრდილო-სამხრეთისკენ მიმართული ფართო ტერიტორიული ზოლი.

ქვეყნის ფართობი ერთბაშად 55 77კმ²-მდე გაიზარდა.

1940 წლის 15-დან 17 ივნისამდე საბჭოთა ჯარებმა ბალტიისპირეთის ორი სხვა ქვეყნის მსგავსად, ლიტვა დაიპყრეს. 1940 წლის 3 აგვისტოს კომუნისტურმა ყრილობამ **ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა** და მისი სსრკ-თან შეერთება მოითხოვა, რომელიც 6 აგვისტოს მოსკოვმა დაამტკიცა.

4. ანექსირებული ლიტვა (1940-1990ნნ.)

ამგვარად, ლიტვა ბალტიისპირეთის ორი სხვა რესპუბლიკის მსგავსად, საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკა გახდა.

1941 წლის ივლისში ლიტვა გერმანელთა ჯარების მიერ იქნა ოკუპირებული. 1942 წელს გერმანიამ იქ **ოსტლანდის გენერალური კომისარიატი** შექმნა, დედაქალაქით რიგაში, რომელიც 4 გენერალურ ოლქად დაიყო: ესტონეთი (ტალინი), ლატვია (რიგა), ლიტვა (კაუნასი), ბელორუსი (მინსკი).

აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, ლიტვის ტერიტორია მცირედით იქნა გაზრდილი სამხრეთ-აღმოსავლეთით ბელორუსის საზიანოდ.

1944 წელს საბჭოთა კავშირმა ლიტვა ხელახლა დაიპყრო. ნოემბერში **ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკა** აღდგენილი იქნა. ვილნიუსი ლიტვის დედაქალაქი გახდა.

შეინარჩუნა რა 1940 და 1942 წელს მიღებული ტერიტორიები, **ლიტვამ მემელის (კლაიპედა) ტერიტორიაც** მიიერთა. ამგვარად, მან იმ ტერიტორიულ კონფიგურაციას (65 200კმ²) მიაღწია, რომელსაც დღესაც ინარჩუნებს.

1944 წლიდან 1990 წლამდე ლიტვა ხანგრძლივი დროით და მყარად იქნა ინტეგრირებული საბჭოთა სისტემაში.

1949 წლიდან საბჭოთა რუსეთმა ძველი აღმოსავლეთი პრუსიის ჩრდილოეთი ნაწილის (კალინინგრადის ოლქი, ყოფილი კენინსბერგი) ანექსირება მოახდინა. ამგვარად, ლიტვა ამ ახალ ოლქსა და რუსეთის დანარჩენ ნაწილს შორის იქნა მოქცეული.

ქვეყნის საბჭოური რეჟიმის საპირისპიროდ, 1988 წელს ლიტვაში ნაციონალისტური მოძრაობა, საიუდისი შეიქმნა.

5. მეორე დამოუკიდებელი ლიტვა (1990 წლიდან დღემდე)

აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმის ნგრევის შემდეგ, საიუდისის დამოუკიდებლობისთვის მოძრაობამ 1990 წლის 24 თებერვლის არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა. 11 მარტს ვილნიუსის პარლამენტმა **ლიტვის დამოუკიდებლობა** გამოაცხადა და ის კვლავ დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა.

დამოუკიდებლობის აღნიშნული გამოცხადებას დროის მცირე მონაკვეთში საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა. თუმცა 1991 წლის ივლისამდე საბჭოთა ხელისუფლება ძალის გამოყენებით შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია ლიტვის გამოყოფისთვის.

საბოლოოდ, რუსეთში კომუნისტური რეჟიმის ნგრევამ ლიტვას მოპოვებული თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობა მისცა. მან შეძლო დასავლეთთან დაახლოების პოლიტიკის განხორციელება, რაც ევროკავშირში მისი კანდიდატურის წარდგენაში გამოიხატა.

2002 წლის 12 დეკემბერს ლიტვის კანდიდატურა მიღებული იქნა, 2004 წლის 1 მაისს ის ევროკავშირის წევრი გახდა.

ლიხტენშტაინი

ზოგადი ცნობები

მონარქიული სახელმწიფო: ლიხტენშტაინის სამთავრო (შვეიცარიასთან ეკონომიკურ კავშირში მყოფი).
სუვერენი: ლიხტენშტაინის სახლის მთავარი, ჰანს ადამ II.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი, ლანდტაგი.
დედაქალაქი: ვადუცი; **11 თემი:** ვადუცი, ტრიზენი, ბალცერსი, ტრიზენ-ბერგი, შაანი (სადგური), პლანკენი, ეშენი, მაუერნი, გამპრინი, რუგელი, შელენბერგი.
ფართობი: 160კმ²; **მოსახლეობა** 31 000 კაცი; **სიმჭიდროვე:** 194 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენა: გერმანული; ლაპარაკობენ ასევე ვალზერულ დიალექტზე (ვალეზური წარმოშობის გერმანული დიალექტი).
რელიგია: კათოლიკეები 80%, პროტესტანტები 7%.
ფულის ერთეული: შვეიცარიული ფრანკი.

შენიშვნა: 1789 წლიდან დღემდე, ლიხტენშტაინის სამთავრო ანდორასა და სან-მარინოსთან ერთად მიეკუთვნება იმ სამ ევროპულ სახელმწიფოთა რიცხვს, რომელსაც ტერიტორია და პოლიტიკური რეჟიმი არ შეუცვლია. სამაგიეროდ, სხვა ქვეყნებთან მისი პოლიტიკური კავშირები ევროპაში მიმდინარე მოვლენების შესაბამისად იცვლებოდა.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ლიხტენშტაინის მოკლე ისტორიული ნარკვევი

1. სათავეებიდან ლიხტენშტაინის გრაფთა დამკვიდრებამდე

ვორარლბერგი, რაინის ზემო დინების მარჯვენა ნაპირზე მდებარე პატარა ალპური რეგიონი (დაახლოებით 3 000კმ), რომელსაც ჩრდილოეთით კონსტანცის ტბა, აღმოსავლეთით არლბერგის მასივი (რომელიც მას ტიროლისგან ყოფდა), სამხრეთით კი შვეიცარიული გრაუბიუნდენის ლიგა ესაზღვრებოდა, ძირითადად შვიდი სენიორიისაგან შედგებოდა (ჰონეკი, ბრეგენცი, სონენბერგი, მონფორი, დორნბირნი, ფელდკირხი, ბლუდენცი). 1365 წლიდან ეს სენიორიები თანდათან ავსტრიის ხელში გადადიოდა, რომელთაც ჰაბსბურგების სამფლობელოებში შეჭრილი ან ნახევრად შეჭრილი საეკლესიო ტერიტორია, წმინდა-გეროლდის რეზიდენცია და ჰოენემების გრაფთა მლობელობაში მყოფი სამი პატარა ტერიტორია (ჰოენემების საგრაფო, შელენბერგის სენიორია და ვადუცის საგრაფო) დაემატა.

ავსტრიის დიდმა ვასალებმა, ლიხტენშტაინის გრაფებმა, ჰოენემების გრაფებისგან შელენბერგის სენიორია (1699წ.), შემდეგ კი ვადუცის საგრაფო (1712წ.) შეიძინეს. 1719 წელს იმპერატორმა კარლ VI-მ ამ ორი ტერიტორიის გაერთიანებით ლიხტენშტაინის სამთავრო შექმნა, რომელიც იმპერატორის უშუალო მმართველობით სარგებლობდა და 1723 წლიდან ლიხტენშტაინის მთავრები რეგენსბერგის საიმპერიო პარლამენტის სხდომებს ესწრებოდნენ.

2. სამთავრო 1789 წელს

ლიხტენშტაინის სამთავრო "საღვთო რომის იმპერიიდან" (გერმანელი ერის) გამოსული შვაბიის ოლქის პატარა სამთავრო იყო. ის რაინის მარჯვენა ნაპირზე

კონსტანცის ტბის ზევით (ბოდანი), გრაუბიუნდენის ლიგის, ავსტრიული ვორარლ-ბერგისა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის მდებარეობდა.

სამთავროს დედაქალაქი პატარა ქალაქი ვადუცი იყო. ქვეყანაში ძალიან კარგად იყო განვითარებული სოფლის მეურნეობა. მისი ფართობი დაახლოებით 160კმ²-ს, მოსახლეობა კი 4 000 კაცს შეადგენდა. მთავრის რეზიდენცია ჩვეულებისამებრ ვენაში ან მის ავსტრიულ სამფლობელოში იყო განლაგებული.

II. დამოუკიდებლობის მიღწევა

1. 1789 წლიდან დამოუკიდებლობამდე (1866წ.)

აუსტერლიცში ავსტრიის დამარცხების შემდეგ (1805წ.), იმპერატორმა ნაპოლეონმა ავსტრიისა და პრუსიის გავლენისგან შუა გერმანიის განთავისუფლება და მისი საფრანგეთისადმი მიმხრობა გადაწყვიტა. ამ მიზნით, 1806 წლის იელისში მან რაინის კონფედერაცია შექმნა, დედაქალაქით ფრანკფურტში, რომელიც თექვსმეტი დამფუძნებელი ნევრისგან შედგებოდა. ამ უკანასკნელთ კონფედერაციის მფარველის, ნაპოლეონის ზრახვების ხელშეწყობა ევალებოდათ ევროპის რეორგანიზაციის საქმეში.

კონფედერაციაში გაწევრიანებულ დიდ გერმანულ სახელმწიფოებს ნაპოლეონმა შუამავლის როლი დააკისრა კონფედერაციის ტერიტორიაზე შემოჭრილ ან მოსაზღვრე სახელმწიფოთა მასში გასაერთიანებლად. ლიხტენშტაინის სამთავრო ავსტრიისგან იზოლირებული აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა 1805 წლის დეკემბერში ბავარიას ტიროლი და ვორარლბერგი გადასცა. ის იძულებული გახდა შედიაციის (ბავარიის მეფის სასარგებლოდ) მძიმე კანონს დამორჩილებოდა.

აღსანიშნავია, რომ ავსტრიის გრაფი, პრესბურგის ხელშეკრულების ერთ-ერთ მთავარ მომრიგებლად იოანე I-ს მიიჩნევდა, რომლის საქმიანობით ნაპოლეონიც კმაყოფილი იყო. იგი ჯეროვნად აფასებდა მთავრის პიროვნულ თვისებებს. სწორედ ნაპოლეონის კეთილგანწყობამ მთავარს თავისი სამთაეროს შენარჩუნების შესაძლებლობა მისცა.

ამგვარად, **ლიხტენშტაინის სამთავრო რაინის კონფედერაციის** ერთ-ერთ დამფუძნებელ წევრად იქცა, რომელშიც ის მთავართა კოლეგიის სხდომებს ესწრებოდა. აღნიშნული ფაქტით მან ყოველგვარი კავშირი განყვიტა აგონიაში მყოფ "საღვთო რომის იმპერიასთან" (გერმანელი ერის).

ლეიენის საგრაფოსთან ერთად, ლიხტენშტაინის საგრაფო კონფედერაციის ერთ-ერთ ყველაზე პატარა ნევრს წარმოადგენდა. მისი ფართობი კონფედერაციის ტერიტორიის 135 000კმ-დან 160კმ²-ს შეადგენდა, მოსახლეობა კი 7,5 მილიონი კაციდან მხოლოდ 5 000 კაცს.

ლაიფციგში კოალიციური ძალების მიერ ფრანგების ჯარების დამარცხებას, გერმანიაზე საფრანგეთის გავლენის დაკარგვა მოჰყვა, რის შედეგადაც 1813 წლის ნოემბერში რაინის კონფედერაცია დაიშალა.

ვენის კონგრესზე გერმანიის რეორგანიზაცია ავსტრიის შეხედულებისამებრ გადაწყდა. "საღვთო რომის იმპერია" (გერმანელი ერის" არ იქნა აღდგენილი, მაგრამ ის გერმანიის კონფედერაციით შეიცვალა (1815 წლის 8 ივნისი), რომელიც თითქმის იმავე საზღვრებს მოიცავდა. კონფედერაციის დედაქალაქი ფრანკფურტი გახდა, მისი მართვის უფლება კი ავსტრიის იმპერატორს გადაეცა.

ლიხტენშტაინის სამთავრო, რომელიც ავსტრიის იმპერატორთან მისი მთავრის კავშირების წყალობით მედიაციის აქტს გადაურჩა, **გერმანიის კონფედერაციაში** იქნა შეყვანილი.

ფრანკფურტის პარლამენტის (70 ხმა) პლენარულ სხდომებზე ლიხტენშტაინის სამთავრო ერთი ხმის უფლებით სარგებლობდა, მცირე ასამბლეაში (17 ხმა) კი ის ერთ საეკლესიო ხმას ორ ჰოჰენცოლერნთან, ვალდეკთან, ორ ლიპსთან, ორ როისთან და ჰეს-ჰომბურგთან (მე-5 კურია) იყოფდა.

1851 წელს ლიხტენშტაინმა ავსტრიასთან სავაჭრო და საბაჟო შეთანხმებას მოაწერა ხელი.

შიდაგერმანული კონფლიქტის დასრულებით, რომელმაც პრუსია და მისი მოკავშირეები ავსტრიას, ბავარიასა და მათ მოკავშირეებს დაუპირისპირა, დადებულ იქნა პრაღის ხელშეკრულება (1866 წლის 23 აგვისტო), რომლის თანახმად, გერმანული კონფედერაციის დაშლა და გერმანიის გავლენის სფეროდან ავსტრიის ჩამოშორება გადაწყდა.

პრუსიის მეფე ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციას ჩაუდგა სათავეში (მაინის ჩრდილოეთით), რომლიდანაც გაყვანილი იქნა სამხრეთ გერმანიის სახელმწიფოები. ამგვარად, **ლიხტენშტაინი** გერმანიასთან ყოველგვარი კავშირისგან **დამოუკიდებელი** გახდა.

ისტორიული კავშირებისა და გეოგრაფიული სიახლოვის გამო ლიხტენშტაინმა ავსტრიასთან ეკონომიკური კავშირი გააძლიერა.

2. 1866 წლიდან დღემდე

1871 წლის იანვარში, საფრანგეთზე პრუსიის გამარჯვების შემდეგ, ვერსალში გერმანიის იმპერია იქნა გამოცხადებული. ის ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციის ძველი სტრუქტურების მიხედვით ჩამოყალიბდა და მასში სამხრეთ მაინის გერმანული სახელმწიფოები გაერთიანდნენ (ავსტრია მისი შემადგენლობიდან გაყვანილ იქნა).

ლიხტენშტაინის სამთავრო გერმანიის ახალი იმპერიის მიღმა დარჩა. რჩებოდა რა თეორიულად დამოუკიდებელი, რეალურად, ის ავსტრიის ეკონომიკურ სფეროში არსებობდა, რომელთანაც დინასტიური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვ. მჭიდრო კავშირები ჰქონდა.

პირველი მსოფლიო ომის მიწურულს, სამთავრო ავსტრიასთან კავშირით გამოწვეულ სირთულეებს შეეჯახა, რადგან ეს უკანასკნელი სამხედრო ასპექტში დამარცხებული (1918წ.) და პოლიტიკურად განადგურებული იყო (1919-1920წწ.).

ხელმძღვანელობდა რა მხოლოდ საკუთარი ინტერესებით, ლიხტენშტაინის სამთავრომ შვეიცარიისკენ იბრუნა პირი, რომელიც მასთან საფოსტო კავშირში (1921წ.), შემდეგ კი საბაჟო კავშირში (1923წ.) შესვლას დასთანხმდა.

ამავე დროს (1921წ.), სამთავრო დემოკრატიული კონსტიტუციით აღიჭურვა (სახალხო წარმომადგენლობით).

მთელი XX საუკუნის მანძილზე ლიხტენშტაინის სამთავრომ თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ბედი შვეიცარიას დაუკავშირა. რომელიც ამასთანავე, მის დიპლომატიურ კავშირსაც უზრუნველყოფდა იმდენად, რომ ის ზოგჯერ "შვეიცარიის 23-ე კანტონად" წარმოჩნდებოდა (დღეს "24-ე"– იურას კანტონის შექმნიდან).

დღეისათვის ბუკსის (შვეიცარია) საერთაშორისო რკინიგზა ფელდკირხში (ავსტრია), რომელიც სამთავროს ტერიტორიაზე გადის და მის ექსპლუატაციას კვლავ ავსტრიის რკინიგზა ახორციელებს, ავსტრიასთან ძველი კავშირის ერთადერთი გადმონაშთია.

1989 წლის ნოემბრიდან მთავრის, ჰანს ადამ II-ის ტახტზე ასვლა გარკვეული ცვლილებებისა და შვეიცარიის პირისპირ მეტი დამოუკიდებლობის პოლიტიკით აღინიშნა. გაეროში შესვლითა (1990წ.) და თავისი კანდიდატურის ნამოყენებით ევროპის თანამეგობრობაში (1992წ.), ლიხტენშტაინი შვეიცარიას გაემიჯნა, რაც ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირების განყვეტის შესაძლებელ პერსპექტივას უხსნის გზას.

ლუქსემბურგი

ზოგადი ცნობები

მონარქიული სახლემწიფო: ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო.
სიუზერენი: დიდი ჰერცოგი ჰენრიხი, ნასაუ-ვაილბურგის სახლის შთამომავალი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: დეპუტატთა პალატა.
დედაქალაქი: ლუქსემბურგი; 12 კანტონი: ლუქსემბურგი, კაპელენი, მერში, კლერვო, დიკირხი, პეტანჟი, ვიანდენი, ვილცი, ეხტერნახი, გრევენმახერი, რემიხი.
ფართობი: 2 600კმ²; მოსახლეობა: 400 000 კაცი; სიმჭიდროვე: 154 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენა: ოფიციალური ენა ლუქსემბურგული ან მოზელის ფრანკული (შუა გერმანული დიალექტი); ლაპარაკობენ აგრეთვე ფრანგულ (ადმინისტრაციული ენა) და გერმანულ ენებზე.
რელიგია: კათოლიკობა.
ფულის ერთეული: ლუქსემბურგული ფრანკი (ბელგიურ ფრანკთან ერთად); ევრო 2002 წლიდან.

I სათავეებიდან 1789 წლამდე. ლუქსემბურგის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. ლუქსემბურგის დაარსება ავსტრიის მეურვეობის ქვეშ (963-1789წწ.)

ჩვ. წ. აღ. დასაწყისში ვრცელი ტყის რეგიონი, რომელიც არდენის პლატოსა და მოზელის ხეობას შორის იყო გადაჭიმული ტრირების (გალური ნარმოშობის ტომი, რომელიც ძვ. წ. აღ. 54 წელს იულიუს ცეზარმა დაიპყრო) დომენს ნარმოადგენდა (დედაქალაქი ტრირი). აღნიშნული დროიდან ის **ბელგია I**-ის რომაულ პროვინციაში იქნა შეყვანილი, შემდეგ კი მეროვინგების ავსტრაზიასა და კაროლინგების ლოთარინგიაში. 936 წელს არდენის საგრაფო სახლის შთამომავალმა ზიქფრიდმა ლუტცელბურგის (ლუქსემბურგის) კოშკი ააგო და ლუქსემბურგის საგრაფო დააარსა.

ლუქსემბურგის ცნობილი სახლის ხელში გადასვლის (1247-1441წწ.) შემდეგ, რომელმაც ბოჰემიას მეფეები, გერმანიას კი იმპერატორები მისცა, ლუქსემბურგი 1354 წელს საჰერცოგო გახდა და 1441 წელს ბურგუნდიის ვალეზიელ ჰერცოგთა დომენში შევიდა. 1477 წელს **ის ავსტრიის სახლთან იქნა მიერთებული,** 1512 წელს კი ბურგუნდიის ოლქში შეიყვანეს. 1548 წელს ლუქსემბურგის საჰერცოგო ნიდერლანდის 17 პროვინციის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც აუგსბურგის პრაგმატული სანქციით იყო გაერთიანებული. 1556 წელს **ლუქსემბურგი ესპანეთის ნაწილს** (ფილიპე II) **შეერწყა** სხვა 16 პროვინციასთან ერთად, რომელიც კარლ მეხუთის მემკვიდრეობას ნარმოადგენდა. ლუქსემბურგი იმ ათი პროვინციის შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც 1579 წლის განხეთქილების დროს კათოლიკობის და ესპანეთის მეფის ერთგული დარჩა.

აღნიშნული ეპოქის ლუქსემბურგს დღევანდელ საჰერცოგოზე მეტი ფართობი ეკავა, რადგან ის დასავლეთით ბელგიის ლუქსემბურგს, სამხრეთით კი მონტმედისა და ტიონვილის მცირე ტერიტორიებს მოიცავდა. იყო რა იზოლირებული ესპანეთის ნიდერლანდის დარჩენილი ნაწილისგან ლიეჟის საეპისკო-

პოსოთი, ის დიდ ერთგულებას იჩენდა ჰაბსბურგებისადმი და სხვა დაუცხრომელი პროვინციებისგან მეტად განსხვავდებოდა.

პირენეების ხელშეკრულების (1659წ.) თანახმად, ლუქსემბურგმა საფრანგეთს მონმემედი და ტიონვილი დაუთმო. შემდგომში, შიმეის საგრაფოს ვასალობის საბაბით, რომელიც თავად მეცის საეპისკოპოსოს ვასალი იყო, 1681 წელს ლუქსემბურგი ლუი XIV-ის მიერ დანყებული გართიანების მცდელობის საგანი გახდა, მაგრამ ის მაინც ესპანეთს დაუბრუნდა რიუსვიკის ხელშეკრულებით (1694წ.). უტრეხტის (1713წ.) ხელშეკრულების თანახმად, ლუგსემბურგი ესპანეთის ნიდერლანდის იმ დომენთა რიცხვში შევიდა, რომელიც ესპანეთის ბურბონებმა ავსტრიას დაუთმეს.

1785 წლის იანვარში თავისი დომენის უკეთ მართვის მიზნით, იმპერატორმა იოსებ II-მ ბავარიის პფალცის კურფიუსტთან მიუნხენის ხელშეკრულებას მოანერა ხელი. ბავარიისა და ფრანკონიის პფალცის სანაცელოდ მან კურფიუსტს ავსტრიის ნიდერლანდი დაუთმო, ნამიურისა (საფრანგეთს დაუტოვა) და ლუქსემბურგის გარდა, რომელიც ზალცბურგის არქიეპისკოპოსს გადაეცა ამ უკანასკნელის მიერ ავსტრიისთვის გადაცემული საარქიეპისკოპოსოს სანაცვლოდ.

პრუსიის მეფის ფრიდრიხ II-სა და ცვაიბრიუკენის ჰერცოგის (კურფიურსტის მემკვიდრე) ერთობლივმა პროტესმა აღნიშნული გარიგება ჩაშალა.

1787 წლის 1 იანვარს იმპერატორმა ედიქტი გამოსცა, რომელიც ნიდერლანდის ადმინისტრაციულ რეფორმას ითვალისწინებდა (მისი უნიფიკაციის მიზნით ავსტრიის ცამეტიდან ერთ-ერთ სამმართველოდ). ისითოეული პროვინციის ტრადიციული ინსტიტუტები გაუქმდა.

2. ლუქსემბურგი 1789 წელს

დასავლეთით ლიეჟის საეპისკოპოსოს, ჩრდილოეთით ლიმბერგის ავსტრიული საპერცოგოს, აღმოსავლეთით ტრირის საეპისკოპოსოსა და სამხრეთით საფრანგეთის ლოთარინგიით შემოსაზღვრული ლუქსემბურგი (დედაქალაქი ლუქსემბურგი), 1789 წელს სამხრეთ ნიდერლანდსა და ბურგუნდიის საიმპერიო ოლქში იყო ჩართული და ავსტრიის სამფლობელოში შედიოდა. ავსტრიის ნიდერლანდის პროვინციების მსგავსად ლუქსემბურგს საკუთარი მმართველობა ჰქონდა, მაგრამ ის ბრიუსელში განლაგებულ ნიდერლანდის საერთო მმართველობაზე იყო დაქვემდებარებული.

ლუქსემბურგის საპერცოგო არდენების მასივში მოზელსა და მეზს შორის იყო გადაჭიმული. ის მეტწილად ტყით დაფარული პლატოებისგან შედგებოდა. ეს იყო მძიმე კლიმატის მქონე რეგიონი, ნაკლებად ხელსაყრელი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, მისი სამხრეთი ზოლის გარდა (მოზელის აუზი). სამაგიეროდ მის ტერიტორიაზე მადანი მოიპოვებოდა. თავისი ადგილმდებარეობით ლუქსემბურგი ორი ენის გამყოფ ხაზს წარმოადგენდა: ქვეყნის დასავლეთი ნანილი ფრანგულენოვანი, აღმოსავლეთი ნანილი კი გერმანულენოვანი იყო. ლუქსემბურგის ციხე-სიმაგრე სამხედრო თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იყო.

II. ანექსიასა და დამოუკიდებლობას შორის (1789 წლიდან დღემდე)

1. 1789 წლიდან 1815 წლამდე

1789 წლის ივლისში ლუქსემბურგი ათი პროვინციიდან ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც ავსტრიის ნინააღმდეგ ამბოხებაში მონანილეობა არ მიიღო. ავსტრიის ხელისუფლებამ უკან დაიხია.

1790 წლის ნოემბერში ლუქსემბურგი ავსტრიისთვის პლაცდარმს წარმოადგენდა ნიდერლანდის ხელახალი დაპყრობისთვის.

1792 წლის აპრილში საფრანგეთმა უნგრეთისა და ბოჰემიის მეფეს ომი გამოუცხადა, რომელიც ავსტრიის ნიდერლანდის სიუზერენი იყო. 1792 წლის ნოემბერში ფრანგებმა ნიდერლანდი დაიპყრეს.

საფრანგეთმა ლუქსემბურგის პირველი ანექსია მოახდინა (1793 წლის მარტი). ამავე დროს, ავსტრიელების შეტევამ ფრანგებს ავსტრიის ნიდერლანდის დატოვება აიძულა.

1794 წლის ივნისიდან საფრანგეთმა ხელახლა მოახდინა აღნიშნული ტერიტორიების ოკუპაცია, მაგრამ რეანექსიის გარეშე.

1795 წლის 31 აგვისტოს ოფიციალური ანექსიის დალოდების გარეშე, კონვენტმა ბელგიური ტერიტორიების (ნიდერლანდი, ლიეჟი, სტაველოტ-მალმედი, ბუიონი) ცხრა დეპარტამენტად დაყოფა გადაწყვიტა. აღნიშნულ ფარგლებში **ლუქსემბურგის საპერცოგო ორ დეპარტამენტს შორის გადანაწილდა:**

– მისი ჩრდილოეთი რკალი ურტის (ლიეჟი) დეპარტამენტთან იქნა მიერთებული;

– საპერცოგოს უდიდესი ნაწილისგან **ტყის დეპარტამენტი** შეიქმნა,

ადმინისტრაციული ცენტრით ლუქსემბურგში, რომელიც ოთხ ოლქად დაიყო: (ლუქსემბურგი, ბიტბურგი, დიკირხი, ნევშატო); ამ დეპარტამენტის მოსახლეობა 250 000 კაცს შეადგენდა.

1795 წლის 1 ოქტომბერს **ლუქსემბურგი**, ავსტრიის ნიდერლანდის შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიების მსგავსად, **მეორედ იქნა ანექსირებული საფრანგეთის მიერ,** რომელიც ავსტრიამ კამპო-ფორმიოს (1797 წლის ოქტომბერი) ხელშეკრულებით დაამტკიცა.

ამ დროიდან, ლუქსემბურგი ოცი წლის განმავლობაში საფრანგეთის ხვედრს იზიარებდა ტყის დეპარტამენტის სახით.

2. 1815 წლიდან გაყოფამდე (1831/1839წწ.)

1815 წლის 31 მაისის ვენის ხელშეკრულებით, **გაერთიანებული ნიდერლანდის ახალმა მეფემ,** ვილჰელმ I-მა (ორან-ნასაუს სახლი) უარი თქვა ნასაუს სამფლობელოებზე პრუსიის სასარგებლოდ; ამის საპასუხოდ, ძლიერმა სახელმწიფოებმა **მას ლუქსემბურგი გადასცეს, რომელიც დიდი საპერცოგო გახდა.** ლუქსემბურგი მეფის პირად მფლობელობაში უნდა გადასულიყო, გაერთიანებული ნიდერლანდის სამეფოსგან განცალკევებულად.

ლუქსემბურგის გერმანიის კონფედერაციაში შეყვანამ ნიდერლანდის მეფე მალე ამ კონფედერაციის წევრი გახადა. ფრანკფურტის დიეტის პლენარულ სხდომებზე (70 ხმა), მეფეს სამი ხმა ჰქონდა, მცირე ასამბლეებში (17 ხმა) კი ერთი ხმა.

ამავე დროს, **პრუსიამ ნიდერლანდის მეფეს** სხვადასხვა ტერიტორიები დაათმობინა, მათ შორის **ბიტბურგის** ოლქი, რომელიც ლუქსემბურგს ჩამოერთვა და ქვემო რაინის პრუსიულ პროვინციას მიუერთდა.

1816 წლის მაისში ნიდერლანდის მეფემ უარი თქვა მისთვის და მისი მემკვიდრეებისთვის ლუქსემბურგის პირად სამფლობელოდ მიჩნევაზე. მეფემ ის თავისი სამეფოს ჩვეულებრივ პროვინციად აქცია, რომლის დეპუტატებიც გენერალური შტატების ასამბლეებს უნდა დასწრებოდნენ.

ლუქსემბურგის დიდი საპერცოგო კვლავ გერმანიის კონფედერაციის შემადგენლობაში რჩებოდა, რაც მას **ნიდერლანდურსა და გერმანულ** ორმაგ სტატუსს ანიჭებდა. აღნიშნულ ფაქტს აძლიერებდა ის გარემოება, რომ ლუქსემბურგის ციხე-სიმაგრე კონფედერაციის გამაგრებული ადგილი გახდა, სადაც პრუსიული (3/4-ით) და ნიდერლანდური (მეოთხედი) გარნიზონები იყო განლაგებული. ლუქსემბურგის მოსახლეობის ნაწილი 1830 წლის აგვისტოს რევოლუციას შეუერთდა, რომელიც სამხრეთის პროვინციებმა (მომავალი ბელგია) დაიწყეს 1815 წელს მათი ჩრდილოეთის პროვინციებთან ძალისმიერი გაერთიანების გამო.

1830 წლის 28 ოქტომბერს ბელგიის დროებითმა მთავრობამ ლუქსემბურგი ბელგიის ნაწილად გამოაცხადა.

1831 წლის 20 იანვრის პროტოკოლით, საფრანგეთ-ინგლისის ინიციატივით ლონდონში შეკრებილმა ძლიერმა სახელმწიფოებმა ნიდერლანდის სამეფოს 1790 წლის გაერთიანებული პროვინციების საზღვრამდე შემოფარგვლა გადაწყვიტეს

ლუქსემბურგის დამატებით; სამეფოს დარჩენილი ნაწილისგან ბელგიის სამეფო უნდა შექმნილიყო.

1831 წლის თებერვალში ბელგიის კონგრესმა, რომელსაც ლიმბურგისა და ლუქსემბურგის დეპუტატები ესწრებოდნენ (ქალაქების მაასტრიხტისა და ლუქსემბურგის გარდა, საიდანაც გარნიზონებმა მათ გასვლას შეუშალეს ხელი), უარი თქვა 20 იანვრის პროტოკოლის დამტკიცებაზე ლიმბურგისა და ლუქსემბურგის შენარჩუნების მიღწევის მიზნით.

1831 წლის 26 იანვარს ბელგიის ახალმა მეფემ ლეოპოლდ I-მა (საქსონია-კობურგის) ძლიერ სახელმწიფოებთან "თვრამეტი მუხლის" ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმად ძლიერი სახელმწიფოები ლუქსემბურგის ბელგიისთვის გადაცემას ითვალისწინებდნენ, ხოლო ლიმბურგი კომპენსაციის საგანი უნდა გამხდარიყო ბელგიასა და ნიდერლანდს შორის შეთანხმების ფარგლებში.

მაგრამ ნიდერლანდის მეფემ უარი თქვა "თვრამეტი მუხლის" ხელშეკრულებაზე. მან ბელგია დაიპყრო და ანტვერპენი იგდო ხელთ. ბელგიამ საშველად საფრანგეთს მოუხმო, რომელიც თავის მხრივ, ჩაერია შექმნილ კონფლიქტში. აღნიშნული კონფლიქტი ახალი "ოცდაოთხი მუხლის" შეთანხმებით (1831 წლის 20 ოქტომბერი) მოგვარდა, რომლის თანახმად ლიბერგი და ლუქსემბურგი სათითაოდ ბელგიასა და ნიდერლანდს შორის განაწილდა.

აღნიშნულ ფარგლებში **ლუქსემბურგი ამგვარად განაწილდა:**

– მისი დასავლეთი ნაწილი (ფრანგულენოვანი ნაწილი, არლონით) **ლუქსემბურგის ბელგიური პროვინცია** გახდა, ადმინისტრაციული ცენტრი არლონი;

– მისი აღმოსავლეთი ნაწილი (გერმანულენოვანი ნაწილი) **ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს** ნიდერლანდურ პროვინციად დარჩა. ადმინისტრაციული ცენტრი ლუქსემბურგი.

ბელგიის ლუქსემბურგი კონფედერაციიდან გამოვიდა, ხოლო ნიდერლანდის ლიმბურგი იქ კომპენსაციის სახით შევიდა.

ნიდერლანდის მეფემ ხელშეკრულების დამტკიცებაზე კვლავ უარი თქვა და ბელგიამ დროებით თითქმის მთლიანად შეინარჩუნა ლუქსემბურგი და ლიმბურგი (ქალაქების მაასტრიხტისა და ლუქსემბურგის გარდა, იქ გარნიზონის ყოფნის გაძო).

1838 ნლის მარტში ნიდერლანდის მეფე "ოცდაოთხი მუხლის" ხელშეკრულებას დასთანხმდა 1839 ნლის 19 აპრილის ლონდონის ხელშეკრულებით. განანილება 1831 ნლის ხელშეკრულების მიხედვით განხორციელდა.

ბელგიის ლუქსემბურგი (4 400 კმ² და მოსახლეობის 3/5) საბოლოოდ ბელგიის სამეფოს პროვინცია გახდა (იხ. ბელგია).

ნიდერლანდის ლუქსემბურგი (2 600 კმ² და მოსახლეობის 2/5) ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოდ დარჩა, გერმანიის კონფედერაციაში ჩართული ნიდერლანდის სამეფოს სამფლობელო; ნიდერლანდის ლიმბურგისგან განსხვავებით, რომელიც ჩვეულებრივი პროვინცია გახდა, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, რომელიც ნიდერლანდისგან ბელგიით იყო გამოყოფილი, მეფემ სამეფოს ადმინისტრაციისგან განსხვავებლი ადმინისტრაციით აღჭურვა.

3. 1939 წლიდან დამოუკიდებლობამდე

1941 ნლიდან ახალმა მეფემ, ჰერცოგმა ვილჰელმ II-მ ლუქსემბურგს კონსტიტუცია უბოძა. 1842 ნელს ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო ზოლვერაინში გაერთიანდა. 1848 ნელს დიდი საჰერცოგო ახალი, უფრო ლიბერალური კონსტიტუციით აღიჭურვა.

გერმანიის კონფედერაცია, რომლის შემადგენელი ნაწილი ლუქსემბურგიც იყო 1866 ნლის აგვისტოში დაიშალა. ნიდერლანდის მეფემ ვილჰელმ III უარი თქვა ლუქსემბურგის შესვლაზე ჩრდილოეთ გერმანიის ახალ კონფედერაციაში. ლუქსემბურგის ციხე-სიმაგრეში პრუსიელთა ყოფნით დაღლილი მეფე იმპერატორ ნაპოლეონ III-ის წინადადებას დასთანხმდა ლუქსემბურგის გაყიდვასთან დაკავში-

რებით, რომელსაც კომპენსაციის მიღება სურდა 1866 წელს პრუსიის ტერიტორიის გაზრდის გამო.

პირველ ხანებში პრუსიის კანცლერმა ბისმარკმა თანხმობა მისცა ამ საიდუმლო შესყიდვას, მაგრამ შემდგომში რიკსდაგში ინტერპელაციისა და საზოგადოებრივი ზეწოლის შედეგად, უარი თქვა ამ შეთანხმებაზე.

1867 წლის 11 მაისის ლონდონის ხელშეკრულებით, საფრანგეთი იძულებული გახდა უარი ეთქვა ლუქსემბურგის შეძენაზე. მან მხოლოდ ლუქსემბურგის ციხესიმაგრის დაშლას და მის პრუსიული გარნიზონისგან განთავისუფლებას და დიდი საჰერცოგოსთვის ნეიტრალიტეტის გამოცხადებას მიაღწია 1831 წელს ბელგიისთვის დადგენილი პირობების თანახმად.

4. 1890 წლიდან დღემდე

1890 წლის 30 ნოემბერს ვილჰელმ III-ის გარდაცვალებას ტახტზე მისი ქალიშვილის, ვილჰელმინას ასვლა მოჰყვა. ლუქსემბურგი სალიკურ კანონს იცავდა და ამიტომ დიდი საჰერცოგოს ტახტი ნილად ხვდა მის ბიძაშვილს, ადოლფ ნასაუს, ვალრამინის შტოს წარმომადგენელს (1866 წელს ამ შტოს პრუსიამ ნასაუს საჰერცოგო ჩამოართვა).

ამგვარად, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო ნიდერლანდისგან დამოუკიდებელი გახდა.

1907 წლის აპრილში ადოლფის ვაჟმა, დიდმა ჰერცოგმა ვილჰელმ IV-მ, რომელსაც თავად არ ჰყავდა მამრობითი სქესის მემკვიდრე, ტახტის მემკვიდრეობითობის კანონი შეცვალა, რამაც მის ქალიშვილს, მარია-ადელაიდას 1912 წლის თებერვალში ტახტზე მამის შეცვლის საშუალება მისცა.

1914 წლის აგვისტოში გერმანიამ შელახა, როგორც ლუქსემბურგის, ასევე ბელგიის ნეიტრალიტეტი. დიდი ჰერცოგი ქალის მარია-ადელაიდას სიმბოლური ნინააღმდეგობის შემდეგ (მან გერმანელებს პატარა ეტლით გადაუღობა დედაქალაქის შესასვლელი), იგი თავის კოლმარ-ბერგის კოშკში ჩაიკეტა ზედამხედველობის ქვეშ.

ეჭვმიტანილ იქნა რა გერმანიის ხელშეწყობაში, გამარჯვებულთა მიმართ არაკეთილგანწყობასა და ქვეყანაში მიმდინარე არეულობებში, მარია-ადელაიდამ 1919 წლის 14 იანვარს ტახტზე უარი თქვა თავისი უმცროსი დის, შარლოტას სასარგებლოდ.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მოლაპარაკებებზე ბელგიამ ლუსემბურგის მიერთება მოითხოვა (მისი "ალზას-ლოთარინგია"), მაგრამ ლუქსემბურგელები სხვაგვარად ფიქრობდნენ. 1919 წლის 28 სექტემბერს ჩატარებული პლებისციტით დიდმა უმრავლესობამ თავისი დინასტიისადმი ერთგულება და დამოუკიდებლობის ნება გამოხატა. ამავე დროს, 66%-ის სურვილს საფრანგეთთან ეკონომიკური კავშირი წარმოადგენდა. ამ დროიდან, ლუქსემბურგელთა დამოუკიდებლობა კითხვის ქვეშ აღარ დამდგარა.

1921 წლის 21 ივლისს საფრანგეთმა უარი თქვა ეკონომიკურ კავშირზე ბელგიის უკმაყოფილების თავიდან ასარიდებლად და ლუქსემბურგს ამ უკანასკნელისკენ შემობრუნებისკენ უბიძგა. **ლუქსემბურგი ბელგიასთან ეკონომიკურ კავშირში შევიდა.**

საფრანგეთი ლუქსემბურგის ძირითადი სარკინიგზო ქსელის ექსპლუატაციის ისტორიული უფლების დაბრუნებით (გიომ-ლუქსემბურგის ქსელი) დაკმაყოფილდა. აღნიშნულ უფლებას ის 1871 წლამდე თავისი აღმოსავლეთის კომპანიისთვის იყენებდა, რომელიც მას გერმანიამ ჩამოართვა. ამ დროიდან ლუქსემბურგის სარკინიგზო ქსელის ექსპლუატაცია ალზას-ლოთარინგიის ფრანგული ქსელის ხელში გადავიდა.

პირველი მსოფლიო ომისგან განსხვავებით, ლუქსემბურგმა თავიდან ვერ აიცილა მეორე მსოფლიო ომი. 1940 წლის მაისიდან გერმანიის ჯარებმა ლუქსემბურგის ოკუპაცია მოახდინეს. დიდმა ჰერცოგმა შარლოტამ, ლონდონს შეაფარა თავი, მისი მთავრობა კი კანადაში გაიხიზნა.

1940 წლის 2 აგვისტოს **ლუქსემბურგი გერმანიის რაიხმა მიიერთა,** რომელსაც ბელგიის ლუქსემბურგის რამდენიმე გერმანულენოვანი თემი დაემატა.

გერმანიის მიერ ორგანიზებულ 1941 წლის 10 ოქტომბრის პლებისციტით, რომელშიც ხმის მიცემისგან 97%-მა შეიკავა თავი, ლუქსემბურგელებმა მასობრივად უარი თქვეს ანექსიის უარყოფაზე.

1945 წლის 14 აპრილს ამერიკის ჯარებმა ლუქსემბურგი გაანთავისუფლეს, დიდი ჰერცოგი შარლოტა თავის დედაქალაქში დაბრუნდა და **ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს აღდგენას შეუდგა.**

1948 წელს ლუქსემბურგმა თავის ნეიტრალიტეტზე უარი თქვა და **ბენელუქსში** შევიდა, რომელიც ნიდერლანდის, ბელგიისა და ლუქსემბურგის ეკონომიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა. 1957 წელს ლუქსემბურგი ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ექვსიდან ერთ-ერთი დამფუძნებელი ნევრი გახდა.

აღნიშნული დროიდან დიდი საჰერცოგო ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში დაფუძნდა, რომლის ზოგიერთი ინსტიტუტი ლუქსემბურგის დედაქალაქში იქნა განლაგებული. მან ასევე თავისი ეკონომიკური კეთილდღეობის წყაროები გაზარდა მოხმარების სფეროს განვითარებით (საბანკო სექტორი).

2000 წლის სექტემბერში დიდმა ჰერცოგმა იანმა, ტახტზე დედამისი შეცვალა (1964ნ.), რომელიც თავისი ვაჟის დიდი ჰერცოგის, ჰენრიხის სასარგებლოდ ტახტიდან გადადგა.

მაკედონია

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: მაკედონიის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ბრანკო კრვენკოვსკი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი, ეროვნული ასამბლეა.
დედაქალაქი: სკოპიე.
ადმინისტრაციული დაყოფა: 30 ოლქი
ფართობი: 25 700კმ²; **მოსახლეობა:** 2 მილიონი კაცი; **სიმჭიდროვე:** 78 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენა: მაკედონიური, სლავური ენა; მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობა (25%) ალბანურ ენაზე ლაპარაკობს.
რელიგია: მართლმადიდებლები 65%, მუსლიმანები 30%.
ფულის ერთეული: დინარი.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. მაკედონიის მოკლე ისტორიული ნარკვევი

1. ალექსანდრე დიდიდან ოსმალთა ბატონობამდე (ძვ. წ, აღ. 336 წლიდან 1789 წლამდე)

მაკედონია ისტორიაში ცნობილია როგორც არგეადების დინასტიის წარმომადგენლის, ფილიპე I-ის სამეფო, რომელმაც ძვ. წ. აღ. 338 წელს საბერძნეთი დაიპყრო. ამგვარად, მაკედონელები ბერძნების, ილირიელებისა და თრაკიელების ძველი აღრევიდან წარმოშობილ ხალხს წარმოადგენდნენ. საბერძნეთის ქალაქებთან მეზობლად მდებარე მაკედონია თანდათან ელინური გავლენის ქვეშ მოექცა, თუმცა მან თავისი მონარქიული ინსტიტუტები შეინარჩუნა. თებესში ბერძნულ ყაიდაზე აღზრდილმა მეფე ფილიპემ და მისმა ვაჟმა ალექსანდრე დიდმა, რომელიც არისტოტელეს მონაფე იყო, ქვეყანა იმ ბერძნულ სამყაროში მოაქციეს, რომელზედაც ბატონობდნენ. ალექსანდრეს (336-323წწ.) ეპოპეამ ბერძნებისა და მაკედონელების ერთიანობა განამტკიცა.

ამ ბრწყინვალე პერიოდის შემდეგ მაკედონიის ისტორია მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიისგან ბევრად არ გამოირჩეოდა. ანტიგონიდების მმართველობის ქვეშ მაკედონია **ელინურ სამეფოს** წარმოადგენდა, რომელიც ძვ. წ. აღ. 146 წელს **რომის პროვინცია** გახდა, ჩვ. წ. აღ. 395 წლიდან კი ის აღმოსავლეთი რომის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

VI საუკუნეში დაინყო სლავების შემოსევები, რომლებიც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ხანგრძლივი დროით დაფუძნდნენ. IX საუკუნეში მაკედონია **ბულგარეთის იმპერიაში იქნა შეყვანილი**, მისი მოსახლეობა კი სახარებას ბერძნული წესით ეზიარა. ბიზანტიის მიერ ბულგარეთის ხელახალი დაპყრობის შემდეგ, მაკედონია ბულგარეთის უკანასკნელი იმპერიის ცენტრად იქცა, რომელსაც იმპერატორი სამუილი (980-1014წწ.) მართავდა და თავისი დედაქალაქი ოხრიდში დააფუძნა, 1018 წლიდან კი მაკედონიაც ბიზანტიელთა ხელში გადავიდა.

XIII საუკუნეში მაკედონია სალონიკის ეფემერულ ლათინურ სამეფოს (1204-1224წწ.) წარმოადგენდა, რომელიც მონფერეტოს მმართველის, ბონიფაციუსის ხელში იმყოფებოდა. შემდგომში, ის კვლავ ბიზანტიის ხელში გადავიდა, ბულგარეთის შუალედური ბატონობით (1230-1246წწ.), რის შემდეგაც მაკედონია სერბებმა

დაიპყრეს და დუშანის იმპერიას შეუერთეს, რომელმაც უსკიუპში (დღევანდელი სკოპიე) თავი სერბთა და ბერძენთა იმპერატორად გამოაცხადა. XIV საუკუნის მინურულს, მაკედონია ოსმალებმა დაიპყრეს, რომელთა ხელში ის 1789 წელსაც იყო.

2. მაკედონია 1789 წელს

მაკედონია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე ევროპული თურქეთის გეოგრაფიულ რეგიონს (62 000 კმ²) წარმოადგენდა, რომელიც ჩრდილო-დასავლეთით ეგეოსის ზღვის სანაპიროს ესაზღვრებოდა. თესალიით, ალბანეთით, ბოსნიით, სერბეთითა და თრაკიით გარშემორტყმული მაკედონია, ბისტრიცის, ვარდარისა და სტრუმის აუზებზე იყო გადაშლილი.

პატარა გადამკვეთი ქედი მაკედონიას ორ ნაწილად ყოფდა: ზემო ან ჩრდილოეთი მაკედონია (ოხრიდი, უსკიუპი, მონასტირი) მთიან რეგიონი იყო, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა სლავები იყვნენ (სერბები და ბულგარელები) და ქვემო ან სამხრეთი მაკედონია (სალონიკი, კავალა), რომლის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი დაბლობს ეკავა და მეტწილად ბერძნებით იყო დასახლებული. თურქები მეტწილად ქალაქებში იყვნენ მოსახლეობდნენ, თუმცა ისინი სოფლებშიც ცხოვრობდნენ, სადაც XIV საუკუნიდან ანატოლიიდან ჩამოსულთა კოლონიები დაფუძნდა. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ალბანელებით, ისლამიზირებული ავტოხტონური მოსახლეობით (ბულგარელი პომაკები) იყო დასახლებული.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ნაკლებად ხელსაყრელი რეგიონი (დაბლობის გარდა) საკომუნიკაციო გზაჯვარედინს წარმოადგენდა და ქალაქ სალონიკში დიდი მნიშვნელობის პორტი ჰქონდა.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, მაკედონია მხოლოდ პოლიტიკური ერთეული იყო. ის რუმელიის დიდი ვილაიეთის ნაწილი იყო, რომელშიც სალონიკის, უსკიუპის, ოხრიდისა და კიუსტენდილის ვილაიეთები შედიოდა.

II. მაკედონელი ხალხის მძიმე ხვედრი (1789 წლიდან დღემდე)

1. თურქეთის მაკედონია (1789-1913 წწ.)

დასავლეთ ევროპის მშფოთვარე კერებისგან მოშორებულ მაკედონიას არ შეხებია რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქის ბობოქარი მოვლენები.

მიუხედავად ამისა, მთელი XIX საუკუნის მანძილზე მაკედონია საწადელ ობიექტს წარმოადგენდა მეზობელი ბულგარეთის, სერბეთის, საბერძნეთისა და რუმინეთისთვის. აღნიშნული ქვეყნები მაკედონიაში კულტურული გავლენისთვის (სასკოლო და რელიგიური) ბრძოლაში ჩაებნენ. თითოეული მათგანი გარკვეულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან კონფესიური გაერთიანებით და მის დაქვემდებარებაში მყოფი სკოლების მეშვეობით, თავისი ტერიტორიული მოთხოვნების განსახორციელებლად ქვეყნის მოსახლეობის რაც შეიძლება დიდი ნაწილის მიზიდვას ცდილობდა.

ამ მეტოქეობის პირისპირ, აღნიშნული საუკუნის შუა ხანებში, მაკედონიური ლიტერატურისა და კულტურის აღორძინება დაინყო, რომელსაც საუკუნის მინურულს komitadjis-ები ეყრდნობოდნენ თავიანთ ბრძოლაში.

1840 წელს ოსმალთა იმპერიის რეფორმირების პოლიტიკის ფარგლებში, თურქეთის მთელი ტერიტორია 36 ვილაიეთად იქნა დაყოფილი, რომელთაგან 15 ევროპულ ნაწილში მდებარეობდა. მაკედონია დაყოფილი იქნა სალონიკის (ქვემო მაკედონია და თესალია), რუმელიის, ადმინისტრაციული ცენტრი მონასტირი (შუა მაკედონია და ზემო ალბანეთი) და უსკიუპის (ზემო მაკედონია) ვილაიეთებს შორის.

1877 წელს კოსოვოს ვილაიეთი (ადმინისტრაციული ცენტრი პრიშტინა) შეიქმნა, რომელიც ნაწილობრივ ჩრდილოეთ მაკედონიასაც მოიცავდა.

1870 წლის მარტიდან ბულგარელებმა რუსეთის დახმარებით ბულგარეთის საეგზარქოსოს დაარსებას მიაღწიეს, რომელიც ფანარის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს გამოეყო და სლავური ტიპის ავტოკეფალური ეკლესია გახდა. მისი იურისდიქცია იმპერიაში შემავალ ყველა ბულგარელზე ვრცელდებო-

და და ზემო მაკედონიის მართლმადიდებელთა უმრავლესობა ამ ეკლესიის მრევლი გახდა, მაშინ როდესაც ქვემო მაკედონიის მოსახლეობა (ბერძნული უმრავლესობით) საბერძნეთის საპატრიარქოს ერთგული დარჩა.

1878 წლის 3 მარტის სან-სტეფანოს ხელშეკრულებით, რომელმაც ნერტილი დაუსვა 1877 წლდან მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომს, საიდანაც თურქეთი დამარცხებული გამოვიდა, რუსეთმა თურქეთს დიდი ტერიტორიის გადაცემა მოსთხოვა, რომლისგანაც რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი დიდი ბულგარეთი უნდა შექმნილიყო.

ბულგარეთის საეგზარქოსოს რელიგიურ გავლენაზე დაყრდნობით, **ახალმა ბულგარეთმა მაკედონიის უდიდესი ნაწილი მოიცვა** (ოხრიდის ტბის დასავლეთით გამავალ ზოლამდე, რომელიც სამხრეთში კასტორიამდე ჩამოდიოდა, შემდეგ კი სალონიკის ყურეს უერთდებოდა და ამგვარად, ბულგარეთის ზღვაზე გასასვლელ პატარა "ფანჯარას" აძლევდა ვარდარის შესართავთან). თურქეთს მხოლოდ ქვემო მაკედონიის სამხრეთი ნახევარი (თესალიის მახლობლად), ქალაქი სალონიკი და ხალკიდიკის ნახევარკუნძული დარჩა.

სან-სტეფანოს ხელშეკრულება ბალკანეთზე შექმნილ წონასწორობას რუსეთის სასარგებლოდ არღვევდა, რამაც დიდი ბრიტანეთისა და ავსტრია-უნგრეთის ხმამაღალი პროტესტი გამოიწვია. კანცლერმა ბისმარკმა ბერლინში ძლიერ სახელმწიფოთა კონგრესი მოიწვია, რომელმაც 1878 წლის ივლისში ახალი ხელშეკრულება შეიმუშავა.

ამ ხელშეკრულების თანახმად, სან-სტეფანოს ხელშეკრულებით განსაზღვრული დიდი ბულგარეთი ოთხ ნაწილად იქნა დაყოფილი, თურქეთმა სან-სტეფანოს ხელშეკრულების თანახმად გადაცემული ტერიტორიების დიდი ნაწილი დაიბრუნა, მათ შორის **მთლიანად მაკედონია, რომელიც დარჩა ან ხელახლა თურქული გახდა.**

1893 წელს ბულგარეთის მხარდაჭერით, მაკედონელმა ნაციონალისტებმა შიდა მაკედონიის რევოლუციური ორგანიზაცია შექმნეს, რომელმაც მაშინვე ტერორისტულიქმედებები დაიწყო ოსმალთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

1903 წლის აგვისტოში მონასტირის ვილაიეთში აჯანყებამ იფეთქა, რომლის შედეგად კრუშევოს ეფემერული რესპუბლიკა იქნა გამოცხადებული. ერთ თვეში აჟანყება თურქულმა ჯარებმა ჩაახშეს.

აღნიშნულ რეპრესიებს ევროპის საზოგადოებრივი აზრის გამოცოცხლება მოჰყვა. 1903 წლის ოქტომბერში მიურცტეგში იმპერატორების, ნიკოლოზ II-ისა და ფრანც-იოსების შეხვედრის შემდეგ, დაიწყო ნესრიგის აღდგენის საერთაშორისო ოპერაცია ხუთი ძლიერი სახელმწიფოს ჟანდარმერიის კონტიგენტის გაგზავნით (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი). თითოეული კონტინგენტი მაკედონიის განსაზღვრულ სექტორში მოქმედებდა.

1912 წლის 13 მარტის საიდუმლო შეთანხმებით, სერბეთი და ბულგარეთი პორტის (დასუსტებულ იტალიასთან უშედეგო ბრძოლაში) წინააღმდეგ საერთო კონფლიქტის შედეგებზე შეთანხმდნენ. ამ შეთანხმებით, სერბეთი კოსოვოსა და ნოვი პაზარის სანჯაყს მიიღებდა, ბულგარეთი კი მდ. სტრუმის აღმოსავლეთით მდებარე მაკედონიას. მაკედონიის უდიდესი ნაწილი რეზერვში რჩებოდა (სახელმწიფო ან ავტონომიური რეგიონი), მაკედონიის გადანაწილების შემთხვევაში (რუსეთის იმპერატორის არბიტრაჟით), სერბეთს მხოლოდ მისი ჩრდილოეთით მდებარე ზოლი შეეძლო მოეთხოვა (სტრუმის შესართავთან ოხრიდის ჩრდილოეთით მდებარე ზოლი), ბულგარეთი კი დარჩენილ ნაწილს მიიღებდა.

ამავე დროს, საბერძნეთს, ბულგარეთს, სერბეთსა და ჩერნოგორიას შორის შექმნილმა ბალკანურმა ლიგამ 1912 წლის ოქტომბერში თურქეთს ომი გამოუცხადა.

დამარცხებულმა თურქეთმა ლონდონის ხელშეკრულებით (1913 წლის 30 მაისი), ენოს-მიდიის საზღვართან მდებარე ყველა ევროპული პროვინცია დათმო. ამგვარად, **თურქეთის ბატონობისგან განთავისუფლებული მაკედონია გამარჯვებულთა შორის გასაყოფი რჩებოდა.**

2. მაკედონიის გადანაწილებიდან მის დამოუკიდებლობამდე (1913-1991 წწ.)

1913 წლის 30 ივნისს ბულგარეთი, რომელიც ამაოდ ცდილობდა მთელი მაკედონიის ხელში ჩაგდებას ომში თავისი ძალისხმევის სანაცვლოდ, მოულოდნელად თავს დაესხა თავის ყოფილ მოკავშირეებს. 31 ივლისს დამარცხებული ბულგარეთი იძულებული გახდა 10 აგვისტოს ბუქარესტის ხელშეკრულებაზე მოეწერა ხელი.

ამ ხელშეკრულების თანახმად, მაკედონია ბულგარეთს, სერბეთსა და საბერძნეთს შორის იქნა გადანაწილებული:

– **ბულგარეთმა მხოლოდ "პირინის" მაკედონია მიიღო,** კერძოდ, სტრუმის შუა და მესტოს ზემო ხეობები, სტრუმიცის რკალით;

– **სერბეთმა ჩრდილოეთი მაკედონია მიიღო** პრესპის ტბის ზოლიდან სტრუმიცის რკალამდე, ქალაქებით: სკოპიე, ველესი, ოხრიდი და მონასტირი;

– **საბერძნეთმა სამხრეთი მაკედონია მიიღო** ზემოაღნიშნული ზოლის სამხრეთით, რომელშიც სტრუმიცისა და მესტის ქვემო ხეობები შედიოდა, ისევე როგორც ქალაქები: კასტორია, ფლორინა, სალონიკი, სერე და კავალა.

აღნიშნული დროიდან სამხრეთი მაკედონია, რომელიც ძირითადად ბერძნებით იყო დასახლებული, საბერძნეთს (იხ. საბერძნეთი) საბოლოოდ შეუერთდა. "პირინის" მცირე მაკედონია გართულებების გარეშე ბულგარეთის სამეფოში გაერთიანდა. ამავე დროს, ჩრდილოეთი მაკედონია, რომელიც სერბეთში იქნა მოქცეული ამ უკანასკნელისთვის ეროვნულ უმცირესობათა რეგიონს წარმოადგენდა, რადგან იქ მცხოვრებ მაკედონელთა უმრავლესობა თავს უფრო ახლოს ბულგარეთთან გრძნობდა, და მათი მზერა სწორედ ამ ქვეყნისკენ იყო მიმართული.

პირველი მსოფლიო ომის დროს, სერბული მაკედონია მრავალ შეტაკებათა თეატრად იქცა. ანტანტის ქვეყნებმა იქ "ალმოსავლეთის" ფრონტი გახსნეს გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და ბულგარეთის წინააღმდეგ, რომლებმაც სერბები და ჩერნოგორიელები დაამარცხეს.

1918 წლიდან **სერბეთის მაკედონია,** როგორც მთლიანად სერბეთი, **სერბების, ხორვატებისა და სლოვენების (სხს) სამეფოს ნაწილი გახდა.**

1919 წლის 27 ნოემბრის ნეილის ხელშეკრულების თანახმად, ბულგარეთმა სხვა ტერიტორიებს შორის, ამ სამეფოს სტრუმიცას მაკედონიური რკალი გადასცა.

ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ პერიოდში, სერბეთის მაკედონიას არ მოუპოვებია განსაკუთრებული სტატუსი, რომელიც მის თვითმყოფადობას აღიარებდა. ამის საპირისპიროდ, სერბეთის ხელისუფლება მაკედონელთა "სერბიზაციას" ცდილობდა.

სერბებსა და სხვა ეთნიკური თემის წევრთა შორის მომხდარი მძიმე დაპირისპირების შემდეგ, 1929 წლის ოქტომბერში მეფე ალექსანდრემ, ქვეყნის უნიფორმიზაცია გადაწყვიტა, იუგოსლავიის **სამეფოს** სიმბოლური სახელწოდებით.

1931 წელს ძველი ისტორიული რეგიონების ადგილზე ცხრა ბანოვინა (ამას გარდა, ცალკე ბელგრადის ოლქი) შეიქმნა, რომელიც მდინარეების სახელწოდებებს ატარებდა.

აღნიშნულ ფარგლებში, მაკედონია ვარდარის ბანოვინა გახდა, ადმინისტრაციული ცენტრით სკოპიეში.

ამავე დროს, ბულგარელებმა, რომლებიც მაკედონიის ხელში ჩაგდების იმედს არ კარგავდნენ, იქ ფარული აგიტაცია დაიწყეს ჩარევის მიზეზის მოლოდინში.

ზემოაღნიშნულმა გარემოებამ თავი იჩინა იუგოსლავიის დამარცხების შემდეგ იტალიის, გერმანიისა და ბულგარეთის ჯარებთან, როდესაც 1941 წლის 22 აპრილს პიტლერმა ამ ქვეყნის დაშლა გადაწყვიტა.

ამ დაშლის ფარგლებში, ბულგარეთმა **იუგოსლავიის მაკედონიის უდიდესი ნაწილის** ანექსია მოახდინა ოხრიდის ტბამდე, ქვეყნის **დასავლეთი ტერიტორიული ზოლი** კი იტალიის ალბანეთს ხვდა ნილად.

1941 წლის 4 ივლისს ასევე დამარცხებულმა და ოკუპირებულმა **საბერძნეთმა ბულგარეთს ფლორინის ტერიტორია და სტრუმის** აღმოსავლეთით მდებარე

საბერძნეთის მაკედონია დაუთმო. აღნიშნული დროიდან, მაკედონია ბულგარეთს, საბერძნეთსა და იტალიის ალბანეთს შორის იქნა გადანაწილებული.

1944 წლის შემოდგომიდან ბულგარეთმა, რომელმაც საბჭოთა კავშირის ზენოლით ბანაკი შეიცვალა, საბერძნეთსა და იუგოსლავიას დე ფაქტო 1941 წელს ანექსირებული ტერიტორიები აღუდგინა.

1946 წლის 31 იანვარს იუგოსლავიის კონსტიტუციით იუგოსლავიის ფედერალური მონყობა გადაწყდა, რომელიც ექვსი რესპუბლიკისა და ორი ავტონომიური ოლქისგან უნდა შემდგარიყო. მას ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ პერიოდში შექმნილ უთანხმოებათა გამოსნორებისთვის უნდა შეეწყო ხელი. უმრავლეს შემთხვევაში, რესპუბლიკები ეთნიკური კრიტერიუმის მიხედვით ჩამოყალიბდა, რომელიც იუგოსლავიის მაკედონიისთვისაც იქნა გამოყენებული, რადგან მაკედონელები სერბებისგან განსხვავდებოდნენ და ბულგარელებთან უფრო ახლოს იყვნენ.

მაკედონია, დედაქალაქი სკოპიე (უსკიუპი) ახალი ფედერაციული იუგოსლავიის ექვსიდან ერთ-ერთი რესპუბლიკა გახდა.

მისი ტერიტორია 1913 წლის სერბეთის მაკედონიას მოიცავდა, რომელიც სტრუმიცის რკალითა და ძველი კოსოვოს (ჩერნოგორიის) სამხრეთი პუნქტით გაიზარდა და ამგვარად, მისმა ფართობმა 26 000 კმ² შეადგინა.

1947 წლის 10 თებერვლის პარიზის ხელშეკრულების თანახმად (სხვა მუხლებს შორის), **ბულგარეთმა** იუგოსლავიის (მაკედონიის რესპუბლიკა) **სასარგებლოდ უარი თქვა ჩრდილოეთ მაკედონიასა და სტრუმიცის რკალზე,** საბერძნეთის კი ფლორენა და აღმოსავლეთი მაკედონიის ტერიტორია დაუბრუნა.

ამგვარად, მაკედონიის საზღვრები საბოლოოდ იქნა დადგენილი. იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენლობაში მაკედონია იყო სახელმნიფო, რომელიც გარკვეული ავტონომიით სარგებლობდა კომუნისტური პარტიის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიც ყველა მექანიზმს აკონტროლებდა და მთელი იუგოსლავიის მსგავსად მარშალ ტიტოს რკინის ხელით იმართებოდა.

ფედერაციის შიგნით მაკედონია ღარიბი რესპუბლიკა იყო, რომელიც დანარჩენი ქვეყნის ეკონომიკური დახმარებით სარგებლობდა. მაკედონიის დასავლეთი ნაწილი კვლავაც ალბანელთა მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობით იყო დასახლებული.

3. თანამედროვე მაკედონია (1991 წლიდან დღემდე)

ტიტოს გარდაცვალებამ (1980 წლის 2 მაისი) და კომუნისტური რეჟიმების ნგრევამ ცენტრალურ ევროპაში, იუგოსლავიის ზოგიერთ ქვეყანას დამოუკიდებლობის მოთხოვნის საშუალება მისცა.

1991 წლის 8 სექტემბრის რეფერენდუმით, **მაკედონიამ იუგოსლავიის ფედერაციისგან გამოყოფა გადაწყვიტა.** 17 სექტემბერს **მაკედონიის რესპუბლიკის** შექმნა გამოცხადდა, რასაც საბერძნეთთან დავა მოჰყვა, რომელიც უარს ამბობდა (მომავალში ბერძნული მაკედონიის მოთხოვნის შიშით) ამ სახელმწიფოს აღიარებაზე და მის სახელწოდებას სადავოს ხდიდა.

1992 წლის 6 იანვრის კონსტიტუციით ახალი ქვეყანა დემოკრატიული რეჟიმით აღიჭურვა. 1993 წლიდან მაკედონიაში გაეროს ჯარების განლაგებამ ქვეყანას საბერძნეთთან დავის თავიდან აცილების საშუალება მისცა, რომელმაც ბლოკადის სახე მიიღო (1994 წლის თებერვალი, 1995 წლის ოქტომბერი), მაგრამ კონფლიქტში აღარ გადაზრდილა. 1995 წლის შემოდგომიდან საბერძნეთთან დავის საკითხი გადაწყდა. მაგრამ 1998 წელს მაკედონია მრავალრიცხოვანი ალბანელი ლტოლვილის მადესტაბილიზებელი ჩამოსვლის პირისპირ (1998წ.) აღმოჩნდა. აღნიშნული ვითარება სირთულეებს უქმნის ქვეყნის მომავალს.

მალტა

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: მალტის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ედი ფენეხ ადამი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი, წარმომადგენელთა პალატა.
დედაქალაქი: ვალეტა; 6 რეგიონი: შიდა პორტი, გარე პორტი, სამხრეთ-აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის რეგიონები, გოცო და კომინო.
ფართობი: 316კმ²; მოსახლეობა: 370 000 კაცი; სიმჭიდროვე: 1 170 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენა: მალტური, არაბულთან, სიცილიურთან, ინგლისურთან და ფრანგულთან შერეული სემიტური ენა; ინგლისური.
რელიგია: კათოლიკობა.
ფულის ერთეული: მალტის გირვანქა.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. მალტის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. ნანატრი მიწა (ძვ. წ. აღ. 218-1789წწ.)

კართაგენის ძველი სამფლობელო მალტის (მელიტა) არქიპელაგი ძვ. წ. აღ. 218 წელს რომაელთა ხელში გადავიდა, რომლებმაც ის სიცილიის პროვინციას მიუერთეს. ბიზანტიის ხელში გადასვლის შემდეგ, 870 წელს ის არაბებმა, 1090 წელს კი სიცილიის ნორმანებმა დაიპყრეს.

ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მალტა სიცილიის მფლობელობაში იმყოფებოდა. მან გადაიტანა ანჟუელთა, არაგონელთა ბატონობა, 1516 წელს კი ის კარლოს V-ს ხვდა ნილად.

1530 წელს კარლოს V-მ (ქვემეხის ყოველწლიური გადასახადის სანაცვლოდ) მალტა იერუსალიმის წმინდა-იოანეს ჰოსპიტალიერებს დაუთმო, რომლებიც თურქებმა როდოსიდან განდევნეს. ამ დროიდან ორდენმა, რომელსაც ჩვეულებისამებრ "მალტის" ორდენს უწოდებდნენ, მალტის არქიპელაგზე თავისი რეზიდენცია დაიფუძნა სიცილიის სიუზერენიტეტის ქვეშ. დიდი მეტრის (არჩევითი სუვერენი) რეზიდენცია ვალეტაში (დედაქალაქი) იქნა განლაგებული და არქიპელაგი ორდენის პირდაპირი მმართველობის ქვეშ მოექცა, რომელიც იქ ფლოტსაც განაგებდა.

2. მალტის არქიპელაგი

სიცილიის სამხრეთით 100კმ-ში და აფრიკის ჩრდილოეთით 250კმ-ში მდებარე მალტის კუნძული სამი ძირითადი კუნძულისგან შედგებოდა: მალტა, გოცო და კომინო (რამდენიმე პატარა კუნძულთან ერთად). მალტის ნიადაგი ძალიან მწირი, მაგრამ კარგად დამუშავებული იყო. მოსახლეობა ძირითადად სავაჭრო და საზღვაო საქმიანობით იყო დაკავებული. მალტის კუნძული მნიშვნელოვან პორტს წარმოადგენდა.

მალტის რაინდებმა ვალეტა და მისი მიმდებარე ტერიტორია ძლიერ სამხედრო საფორტიფიკაციო ადგილად აქციეს, რამაც მისი პოზიცია ორ საუკუნე ნახევრის განმავლობაში მიუდგომელი გახადა.

II. ბრიტანეთის ბატონობიდან დამოუკიდებლობამდე

1. 1789 წლიდან 1814 წლამდე

დიდგვაროვანთა პრივილეგიების გაუქმებამ (1789 წლის აგვისტო) და რევოლუციონერთა მიერ კათოლიკური ეკლესიის დევნამ, რთულ მდგომარეობაში ჩააყენა მალტის ორდენის ინტერესები საფრანგეთში და მნიშვნელოვნად შელახა ამ ქვეყნის ტრადიციული გავლენა ორდენის შიგნით.

1797 წლის ივლისში დიდი მეტრის, როჰანის გარდაცვალების შემდეგ, რაინდების მიერ პირველად იქნა არჩეული გერმანელი მთავარი, ბარონი ჰომპეში. ამ უკანასკნელმა შეცდომა დაუშვა, როდესაც ორდენის მფარველად მართლმადიდებელი იმპერატორი, პაველ I აღიარა, რასაც შედეგად საფრანგეთის გაღიზიანება მოჰყვა.

გენერალმა ბონაპარტმა კამპო-ფორმიოს (1797 წლის ოქტომბერი) სამშვიდობო ხელშეკრულებით, ხელთ იგდო ადრე ვენეციის მფლობელობაში მყოფი იონიის კუნძულები. ბონაპარტს ხმელთაშუა ზღვაზე საფრანგეთის გავლენის გაზრდა სურდა, რისთვისაც მან დირექტორია ეგვიპტეში ექსპედიციის მონყობაში დაარწმუნა. ამ ექსპედიციის ჩატარებისას გადაწყდა მალტის ოკუპაცია.

ორ დღეში (1798 წლის 10-11 ივნისი), საფრანგეთის საზღვაო ექსპედიციამ არქიპელაგი დაიპყრო და **დიდმა მეტრმა მაშინვე საფრანგეთს დაუთმო მალტაზე სუვერენიტეტი.**

ბონაპარტმა არქიპელაგზე 12-დან 19 ივნისამდე დაპყო, დანიშნა სამხედრო გუბერნატორი (გენერალი ვობუა) და სამოქალაქო კომისარი (რენო დე სენ– ჟან დ'ანჟელი). მალტა ოფიციალურად არ გამხდარა საფრანგეთის დეპარტამენტი, მაგრამ არქიპელაგი კანტონებად დაიყო და ფრანგული ინსტიტუტები იქნა შემოღებული. ბონაპარტი ეგვიპტეში გაემგზავრა.

1798 წლის სექტემბრიდან ეგვიპტეში ფრანგების ნარუმატებლობის შემდეგ, ინგლისელებმა, მალტელების მხარდაჭერით, ხელთ იგდეს არქიპელაგი, ვალეტის გამაგრებული დასახლების გარდა, სადაც ვობუა ორწლიან ალყამი მოექცა.

რაინდებმა დიდ მეტრად იმპერატორი პაველ I აირჩიეს, რომელმაც მაშინვე არქიპელაგის დაბრუნება მოითხოვა.

1800 წლის სექტემბერში გენერალმა ვობუამ კაპიტულაცია გამოაცხადა. ინგლისელებმა "ორივე სიცილიის მეფის სახელით" ოფიციალურად ხელთ იგდეს მალტა.

1800 წლის დეკემბერში ორივე სიცილიის სამეფო მალტის საფრანგეთთან დაახლოებას შეუდგა. ამ დროს, დიდმა ბრიტანეთმა არქიპელაგი თავისი პროტექტორატის ქვეშ მოაქცია.

1802 წლის 25 მარტს საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ამიენში სამშვიდობო ხელშეკრულებას მოანერეს ხელი. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი დებულება **მალტის არქიპელაგის წმინდა-იოანეს ჰოსპიტალიერთა ორდენისთვის გადაცემას ითვალისწინებდა,** მისი დამოუკიდებლობა და ნეიტრალიტეტი კი ექვსი ძლიერი სახელმწიფოს მიერ უნდა ყოფილიყო გარანტირებული (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ავსტრია, პრუსია, ესპანეთი).

ინგლისელთა ინიციატივით, 1802 წლის 15 ივნისს მალტის ეროვნულმა კონგრესმა **დეკლარაცია გამოაქვეყნა, რომლიც დიდი ბრიტანეთის მეფეს არქიპელაგის "სუვერენ მმართველად" აღიარებდა.** ინგლისელებმა უარი თქვეს არქიპელაგის დატოვებაზე და მისი ორდენისთვის გადაცემაზე. აღნიშნული უარი 1803 წლის მაისში საფრანგეთთან ომის განახლების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

2. 1814 წლიდან დღემდე

ვენის კონგრესზე ნაპოლეონზე გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა, რომლებსაც ევროპის რეორგანიზაცია ევალებოდათ, გადაწყვიტეს აღარ აღედგინათ საეკლესიო სახელმწიფოები. მალტის ორდენს თავაზიანად უარი ეთქვა მალტის არქიპელაგის გადაცემაზე. პარიზის პირველი ხელშეკრულების (1814 წლის 30 მაისი) ხელმოწერისას, დაზუსტებულ იქნა (მე-7 მუხ.), რომ "მალტის კუნძული და

მისი მიმდებარე ტერიტორია ბრიტანეთის მეფის მფლობელობასა და სუვერენიტეტის ქვეშ უნდა გადასულიყო."

არქიპელაგი ბრიტანეთის კოლონია გახდა, რომელსაც ბრიტანელი გუბერნატორი მართავდა.

აღნიშნული დროიდან, მალტის არქიპელაგი 150 წლის მანძილზე დიდი ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ მოექცა, რომელმაც ის საზღვაო ბაზად აქცია, 1869 წლიდან კი უმნიშვნელოვანეს პორტში შესასვლელად ინდოეთისკენ მიმავალ გზაზე.

1921 წელს დიდმა ბრიტანეთმა მალტა კონსტიტუციით აღჭურვა, რომლის საფუძველზე საპარლამენტო წარმომადგენლობა იქნა შემოღებული. თანდათან მალტაზე ნაციონალური მოძრაობა განვითარდა.

1947 წელს მეორე მსოფლიო ომში გამოვლენილი გმირობის სანაცვლოდ მალტა ავტონომიური მმართველობით (self-governement) აღიჭურვა.

1964 წლის 21 სექტემბერს არჩევნებში დამოუკიდებლობის მომხრე მალტელი ნაციონალების გამარჯვების შემდეგ, **დიდმა ბრიტანეთმა მალტის არქიპელაგს დამოუკიდებლობა უბოძა,** რომელიც ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრად დარჩა და სუვერენად ინგლისის დედოფალი (პირადი უნია) შეინარჩუნა.

1974 წლის 13 დეკემბერს **მალტის არქიპელაგი რესპუბლიკა გახდა** და ამავე დროს, ის ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრად დარჩა.

1990 წელს მალტამ თავისი კანდიდატურა ნამოაყენა ევროპის თანამეგობრობაში გასანევრიანებლად, რომელზეც თანხმობა 2002 წელს იქნა მიღებული. 2004 წლის 1 მაისს მალტა ევროპის თანამეგობრობის წევრი გახდა.

იერუსალიმის დავრდომილთა თავშესაფრის (ორდენის წარმოშობის საწყისი) 900 წლის აღსანიშნავად, 1998 წლის 5 დეკემბერს **მალტის რესპუბლიკამ 99 წლის ვადით მალტის ორდენს მთლიანი სუვერენიტეტი გადასცა ვალეტასთან ახლოს მდებარე სენტ-ანჟის ფორტზე** "საერთაშორისო, ჰუმანიტარული და კულურული საქმიანობის განსახორციელებლად." ამგვარად, არქიპელაგის დაკარგვიდან ორასი წლის შემდეგ, ორდენი კვლავ გახდა მალტის კუნძულის პატარა ნაწილის სუვერენი.

მალტის ორდენი

ზოგადი ცნობები

მონარქიული სახელმწიფო: იერუსალიმის წმინდა-იოანეს მალტისა და როდოსის სამხედრო და დავრდომილთა თავშესაფრის სუვერენული ორდენი, ან უბრალოდ მალტის ორდენი (არჩევითი მონარქია).
სუვერენი: მთავარი და დიდი მეტრი, ენდრიუ ბერტი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: არ არსებობს; მთავარი ირჩევა სახელმწიფო საბჭოს მიერ; სუვერენული საბჭო ორდენის მართვას აღასრულებს.
დედაქალაქი: რომი, ვია კონდოტის სასახლეში; ორდენის მფლობელობაში მყოფი ტერიტორიები: რომში, ვილა მალტა ავენტინოს მთაზე; მალტაზე, სენტ-ანჟის ფორტი (ვალეტის მახლობლად).
ფართობი: 0,02კმ²; მოსახლეობა: 11 500 წევრი (მსოფლიოში)
ენა: იტალიური.
რელიგია: კათოლიკობა.
ფულის ერთეული: ეკიუ (ესკუდო).

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. მალტის ორდენის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. იერუსალიმის ჰოსპიტალიერები მალტაში (1098-1789წწ.)

იერუსალიმის წმინდა-იოანეს რელიგიური, სამხედრო და ჰოსპიტალიერთა ორდენი, რომელიც დღეისათვის უფრო ცნობილია "მალტის ორდენის" სახელით, დაარსებული იქნა 1123 წელს იერუსალიმის სამეფოში, თავშესაფრის შენობის გარშემო. აღნიშნული თავშესაფარი თავად **იერუსალიმში** 1098 წელს იქნა დაფუძნებული წმინდა ადგილების მოსანახულებლად ჩამოსული პილიგრიმების მიღებისა და მოვლისთვის.

სენ-ჟან-დ'აკრის აღების შემდეგ (1291წ.), წმინდა მიწიდან გაძევებულმა ჰოსპიტალიერებმა (დავრდომილთა თავშესაფრის ბერებმა) **კვიპროსის**, შემდეგ კი **როდოსის** კუნძულს შეაფარეს თავი (1309წ.), საიდანაც 1522 წელს ისინი თურქებმა განდევნეს.

ორდენმა ძალიან მალე საკომანდოროები დააფუძნა დასავლეთის ქვეყნებში და ტამპლიერთა ორდენის (ამ დროისათვის აღარ არსებობდა) მემკვიდრეობის ნაწილიც მიიღო. თუმცა 1540 წელს ინგლისის მეფემ, ჰენრი VIII-მ ხელთ იგდო ორდენის ქონება და მისი დიდი მონასტერი გააუქმა ინგლისში.

როდოსის დაკარგვის საკომპენსაციოდ კარლოს V-მ 1530 წელს მალტის არქიპელაგი (ქვემეხის ყოველწლიური გადასახადის სანაცვლოდ) იერუსალიმის წმინდა-იოანეს ჰოსპიტალიერებს გადასცა.

აღნიშნული დროიდან ორდენი, რომელსაც ჩვეულებისამებრ "მალტისას" უწოდებდნენ, არქიპელაგზე დაფუძნდა სიცილიის სიუზერენობის ქვეშ. დიდმა მეტრმა (არჩევითი სუვერენი) თავისი რეზიდენცია ვალეტაში (დედაქალაქი) განალაგა და არქიპელაგი ორდენის პირდაპირი მმართველობის ქვეშ მოექცა. ორდენმა ვალეტა და მისი შემოგარენი გამაგრებულ სამხედრო საფორტიფიკაციო ადგილად აქცია, რამაც ორ საუკუნე ნახევრის მანძილზე მისი პოზიციები შეუვალი გახადა. ამას გარდა, ორდენს ანგარიშგასაწევი ფლოტი ჰყავდა ხმელთაშუა ზღვაზე, რომელიც მას თურქებისთვის და ბერბერებისთვის წინააღმდეგობის გაწევის საშუალებას აძლევდა. მან ასევე თავისი წელილი შეიტანა ლეპანტეს (1571წ.) გამარჯვებაში.

"საღვთო რომის იმპერიაში" (გერმანელი ერის) ორდენს სრული სუვერენიტეტი ჰქონდა მინიჭებული თავის დომენებზე, და ის ნამდვილ საეკლესიო სახელმწიფოს წარმოადგენდა.

2. მალტის ორდენი 1789 წელს

მალტის ორდენი სამი კლასის წარმომადგენლებისგან შედგებოდა: სასულიერო პირები, რომლებიც რელიგიურ სამსახურს აღასრულებდნენ, კათოლიკური დასავლეთ ევროპის დიდგვაროვანთა ნრიდან გამოსული რაინდები და უბრალო ხალხის წარმომადგენლები, საჭურველთმტვირთველები, რომლებიც ჯარისკაცებად ან სანიტრებად მსახურობდნენ. ორდენს სათავეში რაინდების მიერ უვადოდ არჩეული დიდი მეტრი ედგა.

დასავლეთის ქვეყნებში ორდენი შვიდ პროვინციად – "ენებად" იყო დაყოფილი: საფრანგეთი, ოვერნი, პროვანსი, იტალია, არაგონი, კასტილია-ლეონი-პორტუგალია, გერმანია (დასაბამიდან რვა პროვინცია არსებობდა ინგლისთან ("ენა") ერთად, მაგრამ ის 1540 წელს დაიშალა). თითოეულ პროვინციას ორდენის "დამცველი" მართავდა, რომელსაც მისი საბაიოებისა და დიდი მონასტრების ზედამხედველობა ევალებოდა.

ორდენი სუვერენული იყო **მალტასა და გერმანიაში.** მალტაზე ორდენს არქიპელაგზე სუვერენიტეტი ჰქონდა (იხ. მალტა). არქიპელაგის დედაქალაქი ასევე ორდენის დედაქალაქს და დიდი მეტრის რეზიდენციას წარმოადგენდა.

გერმანიაში ორდენი მის მფლობელობაში მყოფი დომენების სუვერენი იყო და 'საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) ერთ-ერთ საეკლესიო სახელმწიფოს წარმოადგენდა, დედაქალაქით ჰაიტერშაიმში (ბრისგაუ), სადაც გერმანიის "ენის" "დამცველის" რეზიდენცია იყო განლაგებული. ეს უკანასკნელი იქ საეკლესიო მთავრის რანგში იქნა აყვანილი, რომელიც თავისი დომენების სუვერენი იყო. იგი ერთი ხმის უფლებით სარგებლობდა ზემო რაინის ოლქში და ასევე ერთი ხმა ჰქონდა რეგენსბურგის დიეტის მთავართა კოლეგიაში.

II. მალტის დაკარგვიდან ტერიტორიის გარეშე სუვერენიტეტამდე

1. 1789 წლიდან 1822 წლამდე

დიდგვაროვანთა პრივილეგიების გაუქმებამ (1789 წლის აგვისტო) და რეეოლუციონერთა გამოსვლებმა კათოლიკური რელიგიის წინააღმდეგ, საფრთხეში ჩააგდო ორდენის ინტერესები საფრანგეთში და ძალზე შელახა ამ ქვეყნის ტრადიციული გავლენა ორდენზე.

1797 წლის ივლისში დიდი მეტრის, როჰანის გარდაცვალების შემდეგ, რაინდებმა პირველად აირჩიეს გერმანელი მთავარი, ბარონი ჰომპეში, რომელმაც შეცდომა დაუშვა, როდესაც ორდენის მფარველად იმპერატორი პავლე I აღიარა, რამაც საფრანგეთის გაღიზიანება გამოინვია.

ეგვიპტეში მიმავალმა საფრანგეთის ექსპედიციამ ბონაპარტის მეთაურობით არქიპელაგი ორ დღეში (1798 წლის 10-11 ივნისი) დაიპყრო, რის შემდეგაც **დიდმა მეტრმა საფრანგეთს მაშინვე დაუთმო თავისი სუვერენიტეტი მალტაზე.**

1798 წელს (სექტემბრიდან) ეგვიპტეში ფრანგების მარცხის შემდეგ, მალტელების მიერ მხარდაჭერილმა ინგლისელებმა ხელთ იგდეს არქიპელაგი, ვალეტის გამაგრებული დასახლებების გარდა, რომელიც მხოლოდ 1800 წლის სექტემბერში დაეცა. ინგლისელები "ორივე სიცილიის მეფის სახელით" მალტას ოფიციალურად დაეპატრონენ. 1798 წელს რაინდებმა რუსეთის იმპერატორი, პავლე I დიდ მეტრად აირჩიეს, რომელმაც მაშინვე არქიპელაგის რესტიტუცია მოითხოვა.

1801 წელს მალტაზე დაბრუნების მოლოდინში, ორდენი დროებით რომში დაფუძნდა.

1802 წლის 25 მარტს საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ამიენში სამშვიდობო ხელშეკრულებას მოანერეს ხელი. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი დებულება

წმინდა-იოანეს ჰოსპიტალიერთა ორდენისთვის მალტის არქიპელაგის გადაცემას ითვალისწინებდა. თუმცა ფაქტობრივად, დიდ ბრიტანეთს ის ორდენისთვის არასოდეს გადაუცია.

1803 წლის 25 თებერვლის საიმპერიო პროტოკოლით, მალტის ორდენი, ტევტონთა ორდენთან და მაინცის არქისაეპისკოპოსოსთან ერთად, "საღვთო რომის იმპერიაში" (გერმანელი ერის) შემავალი **ერთადერთი დარჩენილი საეკლესიო სახელმწიფო იყო, რომელიც არ იქნა სეკულარიზებული.** ის რამდენიმე საეკლესიო ტერიტორიითაც კი გაფართოვდა.

1806 წლის ივლისში ნაპოლეონმა რაინის ახალი კონფედერაციის წევრ სახელმწიფოებს კონფედერაციაში არშესულ სახელმწიფოთა ქონების მედიაცია შესთავაზა. **ბადენის დიდმა საჰერცოგომ ჰაიტერშაიმის სამთავროს სეკულარიზაცია და ანექსია მოახდინა,** რომელიც ორდენის რეზიდენცია იყო გერმანიაში, ისევე როგორც მის დომენებში მდებარე ორდენის დანარჩენი მიწებისა. იგივე მოხდა ვიუტენბერგთან (1805 წლის დეკემბრიდან) და ბავარიასთან (1808წ.) დაკავშირებით. ამ დროიდან, ორდენს აღარსად ჰქონდა სუვერენობა.

1814-1815 წლებში, მიუხედავად ორდენის მოთხოვნებისა, მისი ლეგიტიმური უფლებები არ იქნა აღდგენილი არც მალტის არქიპელაგზე და არც გერმანიის დომენებზე.

2. 1822 წლიდან დღემდე

1822 წელს **ორდენის სუვერენული ხასითი** ვერონის შეთანხმების მიერ იქნა აღიარებული. 1831 წელს მალტის სუვერენული ორდენი საბოლოოდ დამკვიდრდა რომში. ამ დროიდან, მას სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი მიენიჭა: დიდი მეტრის სასახლის ექსტერიტორიულობა, დიპლომატიური წარმომადგენლობა, ფულის ერთეული, მარკები და სხვ.

ამ დროიდან, პირვანდელი მოწოდების შესაბამისად, ორდენი დავრდომილთა მოვლის თავის ძირითად საქმიანობას შეუდგა, რომელიც მან მთელ მსოფლიოში განავითარა.

1998 წლის 5 დეკემბერს იერუსალიმის დავრდომილთა თავშესაფრის 900 წლისთავის აღსანიშნავად, **მალტის რესპუბლიკამ 99 წლის ვადით მალტის ორდენს სრული სუვერენიტეტი უბოძა ვალეტასთან მდებარე სენტ-ანეის ფორტზე** "თავისი საერთაშორისო, ჰუმანიტარული და კულტურული საქმიანობის განსახორციელებლად." ამგვარად, არქიპელაგის დაკარგვიდან ორასი წლის შემდეგ, ორდენმა კვლავ მოიპოვა სუვერენობა მალტის კუნძულის პატარა ნანილზე.

მოლდოვა

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: მოლდოვას რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ვლადიმირ ვორონინი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა; ერთპალატიანი პარლამენტი, ასამბლეა.
დედაქალაქი: კიშინიოვი.
ადმინისტრაციული დაყოფა: 10 ოლქი.
ფართობი: 33 700კმ²; **მოსახლეობა:** 4, 4 მილიონი კაცი; **სიმჭიდროვე:** 130 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენა: მოლდოვური (რუმინული, რომლის დამწერლობას კირილიცა უდევს საფუძვლად); ერთი ეთნიკური უმცირესობა თურქულზე, მეორე კი უკრაინულზე ლაპარაკობს.
რელიგიები: მართლმადიდებლობა; მუსლიმანური უმცირესობა.
ფულის ერთეული: მოლდოვური ლეი.

შენიშვნები

მოლდოვას სახელით ცნობილი ქვეყანა, რომელიც მოლდოველებით იყო დასახლებული, ეპოქების მიხედვით, ორი მოსაზღვრე რეგიონის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ორივე რეგიონი შავი ზღვის სანაპირზე მდებარეობდა.

– მოლდოვას სამთავროს ცენტრალური რეგიონი, დედაქალაქი იასი, აღმოსავლეთ კარპატების ქედსა და მდინარე პრუტის გაყოლებას შორის მდებარეობდა;

– ოდესლაც ბესარაბიის სახელით ცნობილი რეგიონი, ძირითადად მდინარე დნესტრსა და პრუტს შორის იყო გადაშლილი, მაგრამ მასში ასევე პრუტის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიული ზოლი შედიოდა.

XIX საუკუნის შუა ხანიდან პირველი რეგიონი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მოლდოვას სამთავროს ძირითად ტერიტორიას წარმოადგენდა რუმინეთს შეერწყა, რომლისთვისაც ამ სამთავროს სახელწოდებამ ყოველგვარი პოლიტიკური მნიშვნელობა დაკარგა მიუხედავად გეოგრაფიული მნიშვნელობის შენარჩუნებისა.

აღნიშნულის საპირისპიროდ, XX საუკუნეში მეორე რეგიონმა პოლიტიკური თვალსაზრისით მოლდოვას სახელწოდება აღადგინა საბჭოთა ხელისუფლების ზეწოლის ქვეშ, რომელსაც უკრაინისგან მისი გამორჩევა სურდა.

თანამედროვე მოლდოვა მეორე რეგიონის უდიდეს ნაწილს მოიცავს, რომელსაც წინათ ბესარაბიას უწოდებდნენ. ისტორიულად ის მისი მემკვიდრეა. აღნიშნული თავი ბესარაბიის გეოგრაფიულ რეგიონს, ისტორიას განიხილავს, რომელიც დღეს პოლიტიკურად (მისი უდიდესი ნაწილი) მოლდოვას რესპუბლიკით არის წარმოდგენილი.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ბესარაბიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. ბესარაბია მოლდოვასა და თურქეთს შორის (XIV-XVIIIსს.)

ბესარაბია, რომელიც დაკიის იმპერიის ყოფილი ნაწილი იყო გოთების, ჰუნების, ავარების, პაჭანიკების, კუმანებისა და თათრების შემოსევების შემდეგ,

XIV საუკუნეში მეზობელ რეგიონში დაფუძნებულ (მოლდოვა, პრუტსა და კარპატებს შორის) **მოლდოვას მთავართა ბატონობის ქვეშ მოექცა.**

ორჯერ დამარცხებული მოლდოვა (1456წ, შემდეგ 1484წ.) იძულებული გახდა პორტის ვასალობა ეღიარებინა. განთავისუფლების უკანასკნელი მცდელობის შემდეგ, 1538 წელს მოლდოვა საბოლოოდ გახდა პორტის მოხარკე.

აღნიშნულ დროს, **თურქეთმა თავის იმპერიას ბესარაბიის სამხრეთი** ნაწილი (ბუჯაკი) **მიუერთა** და ამგვარად, მოლდოვას შავ ზღვაზე გასასვლელი გადაუკეტა. ამ დროიდან ბესარაბია თითქმის სამი საუკუნის მანძილზე ორ ნაწილად იქნა დაყოფილი: მოლდოვურ და თურქულ ნაწილებად.

2. ბესარაბია 1789 წელს

ბესარაბია 46 000კმ² ფართობის მქონე ვრცელი რეგიონი იყო, რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთით დნესტრი (რომელიც მას პოდოლიისა და ხერსონისგან ყოფდა), სამხრეთ-დასავლეთით პრუტი (რომელიც მას საკუთრივ მოლდოვისგან ყოფდა), სამხრეთით კი დუნაის შესართავი და შავი ზღვა ესაზღვრებოდა.

აღნიშნული ქვეყანა ძირითადად ვაკეს წარმოადგენდა ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე კარპატების ქედის განტოტებათა გარდა. მისი მთიანი ნაწილი ტყით იყო დაფარული, სადაც მესაქონლეობას მისდევდნენ. ქვეყნის უდიდესი ნაწილის ალუვიურ მდელოებზე სასოფლო სამეურნეო საკარგულები იყო გადაშლილი, რომელზეც მოჰყავდათ მარცვლეული, თამბაქო, ყურძენი და სხვ. საქალაქო ქსელი რამდენიმე ქალაქით შემოიფარგლებოდა: კიშინიოვი (მთავარი ქალაქი), ბენდერი, ბელგოროდი (დნესტრზე) და იზმაილი (დუნაიზე). მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მოლდოველები (რუმინელები) შეადგენდნენ. ქალაქებში ასევე რამდენიმე ებრაული თემი, ხოლო სოფლებში გაგაუზები (თურქულ ენაზე მოლაპარაკე ბულგარელები) ცხოვრობდნენ.

1789 წელს ბესარაბია პოლიტიკურად ორ ხანილად იყო დაყოფილი:

– ჩრდილოეთი ნაწილი (საკუთრივ **ბესარაბია**) მოლდოვას სამთავროს ნაწილს შეადგენდა და პორტის მოხარკე იყო. მისი ფართობი 22 000კმ² აღწევდა, ძირითადი ქალაქები კი კიშინიოვი, ბელცი და ხოტინი იყო;

– სამხრეთი ნაწილი (**ბუჯაკი**) ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა. მისი ფართობი 24 000კმ²-ს აღწევდა, ძირითადი ქალაქები კი ბენდერი, ბელგოროდი და იზმაილი იყო.

II. რუსეთსა და რუმინეთს შორის. დამოუკიდებლობა

1. 1789 წლიდან რუსეთის მიერ ანექსიამდე (1812წ.)

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოლდოვას სამთავრო (ისევე როგორც ვლახეთის სამთავრო) თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო უნებლიედ დაღმავალი თურქეთისა და აღმავალი რუსეთის ანტაგონისტური პოლიტიკის სამიზნედ იქცა.

საფრანგეთის ინიციატივით 1806 წელს თურქეთმა ზედმეტად რუსოფილად მიჩნეული მოლდოვას (ასევე ვლახეთის) "გოსპოდარი" (ბატონი) გადააყენა. ამის საპასუხოდ, რუსეთი პორტის წინააღმდეგ ომში ჩაება (1806 წლის ნოემბერი) და მოლდოვას ოკუპაცია მოახდინა. ნაპოლეონი ტილზიტში, შემდეგ კი ერფურტში იმპერატორს ნეიტრალიტეტს დაპირდა მის ბალკანეთის საქმეებში. თუმცა საფრანგეთის პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებებით შეშფოთებულმა ალექსანდრე I-მა 1811 წელს თურქეთთან კონფლიქტის დასრულება გადაწყვიტა. საბოლოოდ, 1812 წლის 28 მაისს ბუქარესტში სამშვიდობო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.

რუსეთმა დუნაის სამთავროები დატოვა, მაგრამ ამის სანაცვლოდ **თურქეთმა მას მთლიანად დაუთმო ბესარაბია** (რეგიონი პრუტსა და დნესტრს შორის), კერძოდ:

– **თურქული ნაწილი** (ბუჯაკი), საკუთრივ თურქეთში შემავალი სამხრეთი ნაწილი;

– **მოლდოვური ნაწილი** (პრუტის აღმოსავლეთით), სამთავროში შემავალი ჩრდილოეთი ნაწილი, რომელზეც პორტას სიუზერენობა ჰქონდა; ამის სანაცვლოდ რუსეთმა მოლდოვას ფულადი კომპენსაცია გადაუხადა.

ამ დროიდან, რუსეთსა და მოლდოვას შორის საზღვარი მდინარე პრუტთან იქნა გავლებული, ხოლო რუსეთსა და თურქეთს შორის დუნაის შესართავის ჩრდილოეთ შენაკადთან (კილია).

რუსეთის ბესარაბიის ახალი პროვინცია, ადმინისტრაციული ცენტრი კიშინიოვი, ექვსი ოლქისაგან შედგებოდა: ხოტინი, ბელცი, კიშინიოვი, ბენდერი, ბელგოროდი და იზმაილი.

2. 1812 წლიდან ბესარაბიის მეორე გადანაწილებამდე (1856წ.)

1828 წლის აპრილში რუსეთმა დუნაის სამთავროების ბედის გადასაწყვეტად თურქეთს ომი გამოუცხადა. 1829 წელს ედირნეს ხელში ჩაგდების შემდეგ, რუსებმა თურქებს სამშვიდობო ხელშეკრულებისთვის ხელის მოწერა აიძულეს.

1829 წლის 14 სექტემბრის ანდრიანოპოლის (ედირნე) ხელშეკრულებით, დუნაის სამთავროები რეალურად ავტონომიური გახდა რუსეთის კონტროლქვეშ. ამას გარდა, თურქეთმა **რუსეთს დუნაის შესართავი** დაუთმო, რომელიც ამ უკანასკნელმა **ბესარაბიის** თავის პროვინციას მიუერთა.

ორ იმპერიას შორის საზღვარი დუნაის შესართავის სამხრეთ შენაკადამდე (ნმინდა-გიორგი) იქნა გადაწეული.

პალესტინის წმინდა ადგილების დაცვის საკითხთან დაკავშირებით რუსეთ-საფრანგეთის კამათის შემდეგ, რომელიც ვერ იქნა მოგვარებული შეთანხმებით, 1853 წლის ივნისში რუსეთმა ხელმეორედ დაიპყრო მოლდოვა. 1853 წლის ოქტომბერში პორტამ ომი გამოუცხადა რუსეთს. სულ მალე, თურქეთს საფრანგეთი და ინგლისი შეუერთდა (1854 წლის მარტი). ყირიმის ომი, რომელიც რუსეთის მარცხით დასრულდა, 1856 წლის 30 მარტის პარიზის ხელშეკრულების ხელმონერით დასრულდა.

ამ ხელშეკრულების სხვა მუხლებს შორის, რომელიც დუნაის სამთავროებზე რუსეთის გავლენის შემცირებას ისახავდა მიზნად, რუსეთს შემდეგი ტერიტორიები უნდა დაეთმო:

– **თურქეთისთვის დუნაის შესართავი;**

– **მოლდოვისთვის ბესარაბიის სამხრეთი ნაწილი**, ფართო ზოლი ქვემო პრუტის გასნვრივ და დუნაის კილიას შენაკადი, ასევე ბესარაბიის სანაპიროს უდიდესი ნაწილი, რომელიც მოლდოვას ზღვაზე გასვლის შესაძლებლობას აძლევდა.

მოლდოვისთვის გადაცემული ნაწილის ფართობი 12 000კმ²-ს შეადგენდა, რუსეთის ბესარაბიის ფართობი კი 34 000კმ²-მდე იქნა დაყვანილი, 800 000 კაცი მოსახლეობით.

დუნაის შესართავი სილისტრიის თურქულ ვილაიეთთან იქნა მიერთებული, ბესარაბიისთვის გადაცემული ნაწილიდან კი კაულის, ბელგოროდისა და იზმაილის მოლდვის ოლქები შეიქმნა.

3. 1856 წლიდან რუმინეთის მიერ ანექსიამდე (1920წ.)

ბესარაბიის მეორე განანილება ხანმოკლე აღმოჩნდა.

1866 წლიდან გაერთიანებულმა მოლდოვამ და ვლახეთმა ოფიციალურად დაუთმეს ადგილი რუმინეთის სამთავროს. 1877 წლის აპრილში ეს უკანასკნელი რუსეთის მხარეს ომში ჩაება პორტისგან დამოუკიდებლობის მიღწევის მიზნით. პლევნაში დამარცხებული თურქეთი (1878 წლის იანვარი) იძულებული გახდა 1878 წლის 3 მარტს ხელი მოეწერა სან-სტეფანოს ხელშეკრულებისთვის.

ამ ხელშეკრულების თანახმად, პორტის მიერ გადაცემული დუნაის შესართავისა და ჩრდილოეთი დობრუჯას სანაცვლოდ, **რუმინეთმა რუსეთს 1856 წელს მიღებული სამხრეთი ბესარაბია ხელმეორედ გადასცა.**

აღნიშნული გადაცემა 1878 წლის ივლისში ბერლინის ხელშეკრულებით დამტკიცდა. ამგვარად, ბესარაბია კვლავ რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, რომლის ერთ-ერთ გუბერნიასაც ის წარმოადგენდა.

სწორედ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1914 წელს ბესარაბიამ პირველ მსოფლიო ომში მიიღო მონაწილეობა, მაშინ როდესაც მასთან ძალზე ახლოს მყოფი რუმინეთი 1916 წლამდე ფრთხილ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა.

ნიკოლოზ II-ის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ (1917 წლის თებერვალი), ბესარაბია აჯანყებათა მსხვერპლად იქცა, რომელსაც ადგილი ჰქონდა, როგორც დამოუკიდებლობის მოპოვებისა და უკრაინასთან მიერთების მომხრეებსა, ასევე რუსეთის რევოლუციის მომხრეებსა და მონინააღმდეგეებს შორის.

ბესარაბიის რუმინელებმა მოლდოვას ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დააფუძნეს, რომელმაც 1917 წლის 2 დეკემბერს რუსეთის ფარგლებში **მოლდოვას დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა.** ეს რესპუბლიკა ბესარაბიის ტერიტორიას მოიცავდა.

ამავე დროს, რუსეთში რევოლუციური მოვლენები ვითარდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოლდოვას ასამბლეამ 1918 წლის 27 მარტს რუსეთისგან **მოლდოვას** (ბესარაბიის) **დამოუკიდებლობა გამოაცხადა.** მოლდოვას ახლად შექმნილმა რესპუბლიკამ რუმინეთის ჯარს კომუნისტებისგან მისი დაცვისკენ მოუწოდა.

1918 წლის 9 აპრილს იმავე ასამბლეამ **ბესარაბიის რუმინეთთან მიერთება გამოაცხადა.** ეს გაერთიანება რუსეთმა არ აღიარა.

1919 წლის 24 იანვარს რუმინეთის პარლამენტმა დიდი რუმინეთის შექმნა გამოაცხადა, რომლის შემადგენელ ნაწილსაც ბესარაბია წარმოადგენდა.

1920 წლის 28 ოქტომბერს პარიზში დამტკიცებულ იქნა **ბესარაბიის რუმინეთთან გაერთიანება** საფრანგეთის, დიდი-ბრიტანეთის, იტალიისა და იაპონიის მიერ. აღნიშნული ფაქტი რუსეთმა გააპროტესტა. აშშ-მ უარი თქვა "რუსეთის თანხმობის გარეშე" განხორციელებული გაერთიანების დამტკიცებაზე.

დიდი რუმინეთის შემადგენლობაში ბესარაბია ცხრა დეპარტამენტს მოიცავდა: ხოტინი (ხოტინი), სოროკი, ბალტა (ბელცი), ორეშტიე, ლაპუზნა (ადმინისტრაციული ცენტრი კიშინიოვი) ტიგინა (ბენდერი), ჩეტატა ალბა (ბელგოროდი), იზმაილი.

4. რუმინეთის ბესარაბია და პატარა საბჭოთა მოლდოვა (1920-1940წწ.)

აღნიშნული დროიდან ბესარაბიის რუმინელები თავიანთ ძმებთან რუმინეთის სამეფოში გაერთიანდნენ. ამ უკანასკნელთაგან განცალკევებული დარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც დნესტრის (მარცხენა ნაპირი) აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ და არ იყვნენ შეყვანილი რუსეთის ბესარაბიის გუბერნიაში, მაგრამ პოდოლიისა და ხერსონის (ყოფილი თურქული იედიზანი) გუბერნიების დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ.

დნესტრის მარცხენა ნაპირის ამ რეგიონში, სხვადასხვა ერებისთვის გარკვეული ავტონომიის მინიჭების პოლიტიკის ფარგლებში, 1924 წლის 12 ოქტომბერს საბჭოთა კავშირმა **მოლდოვას ავტონომიური რესპუბლიკა** შექმნა (დედაქალაქი ბალტა). მისი ფართობი 13 000კმ²-ს შეადგენდა და ის რუმინელებით დასახლებულ რეგიონებს მოიცავდა. თუმცა ეს ავტონომიური რესპუბლიკა უკრაინაში შედიოდა.

ამავე დროს, საბჭოთა კავშირი, რომელსაც ბესარაბიის დაკარგვა არ უღიარებია, მის დასაბრუნებლად შესაფერის შემთხვევას ეძებდა.

1939 წლის 23 აგვისტოს გერმანია-საბჭოთა კავშირის საიდუმლო პაქტზე დართული პროტოკოლი გერმანიის ნეიტრალიტეტს ითვალისწინებდა ბესარაბიის საბჭოთა მმართველობასთან დაკავშირებით.

1940 წლის 26 ივნისს ისარგებლა რა დასავლეთის ფრონტის გახსნის ჩაშლით, რამაც პოტენციური დასაყრდენი გამოაცალა რუმინეთს, საბჭოთა კავშირმა ბუქარესტს ულტიმატუმით მიმართა, რომელშიც ის მისთვის ბესარაბიის (და ჩრდი-

ლოეთი ბუკოვინის) გადაცემას მოითხოვდა. 28 ივნისს რუმინეთი ამ ულტიმატუმს დანებდა, რის შედეგაც ბესარაბია კვლავ საბჭოთა კავშირმა მიიერთა.

1940 წლის 1 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა ბესარაბია ორ ნაწილად გაყო:

– უკიდურესი ჩრდილოეთი (ხოტინის გარშემო) და სამხრეთი მესამედი (ბელგოროდისა და იზმაილის დეპარტამენტი, ასევე კაულის დეპარტამენტის ნახევარი) უკრაინის ფედერაციულ რესპუბლიკასთან იქნა მიერთებული;

– ცენტრალური ბესარაბიის ორი მესამედი (27 000კმ²) მოლდოვას ყოფილ ავტონომიურ რესპუბლიკასთან (დედაქალაქ ბალტას ჩათვლით) გაერთიანდა მოლდოვას ახალი ფედერაციული რესპუბლიკის (დედაქალაქი კიშინიოვი) შესაქმნელად, რომელიც მთლიანად საბჭოთა კავშირში გაერთიანდა.

5. მოლდოვას "დიდი" საბჭოთა რესპუბლიკა (1940-1991წწ.)

1941 წლის ივნისში გერმანიის ბანაკში გადასულმა რუმინეთმა საბჭოთა კავშირს ომი გამოუცხადა. 1941 წლის ივლისიდან კოალიციური ჯარების წინსვლამ, რუმინეთს 1940 წლის ივნისში დაკარგული ტერიტორიების, მათ შორის ბესარაბიის დაბრუნების საშუალება მისცა. ბესარაბია მთლიანად რუმინეთის ხელში გადავიდა.

ხოტინის დეპარტამენტი, რომელიც ისტორიულად ბესარაბიის ნაწილი იყო, ამ უკანასკნელს გამოეყო და ბუკოვინის დიდ პროვინციასთან გაერთიანდა, რომელიც ამ გარემოებასთან დაკავშირებით იქნა შექმნილი რუმინეთის მიერ.

რაც შეეხება მოლდოვას ფედერაციული რესპუბლიკის დნესტრისპირეთის ნაწილს, ის ახალ დიდ დნესტრისპირეთში (პოდოლია, დნესტრსა და ბუგს შორის) გაერთიანდა, რომელიც ასევე ანექსირებული იქნა რუმინეთის მიერ განსაკუთრებული სტატუსით.

ამავე დროს, ომის მსვლელობა შეიცვალა. საბჭოთა ჯარების შეტევამ რუმინეთი აიძულა 1944 წლის 12 სექტემბერს მოსკოვში საზავო ხელშეკრულებისთვის მოეწერა ხელი, რომლის თანახმად მან დნესტრისპირეთი, ჩრდილოეთი ბუკოვინა და ბესარაბია დატოვა, რომლის ხელახალი ანექსიაც საბჭოთა კავშირმა მაშინვე მოახდინა. ბესარაბია მოლდოვას რესპუბლიკას შორის გადანაწილდა 1940 წლის 1 აგვისტოს დადგენილ საზღვრებში.

1947 წლის 10 თებერვალს პარიზში ხელმონერილი ხელშეკრულების თანახმად, რუმინეთმა ოფიციალურად უარი თქვა ბესარაბიაზე საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.

ამ დროიდან, მოლდოვას მოკავშირე რესპუბლიკა რუსიფიკატორული პოლიტიკის სამიზნედ იქცა: ოფიციალური ენა რუსული, კირილიცას გამოყენების აუცილებლობა, რუსული და უკრაინული კოლონიების დაფუძნება და სხვ.

თუმცა ოთხმოციანი წლების მიწურულს, საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებამ საბჭოთა მოლდოვაში აფეთქებები გამოიწვია. 1989 წლის 31 აგვისტოს რესპუბლიკამ ოფიციალურად აღადგინა სახელმწოფო ენად რუმინული.

1990 წლის 23 ივნისს მოლდოვას ფედერაციულმა რესპუბლიკამ თავისი სუვერენიტეტი გამოაცხადა.

19 აგვისტოს გაგაუზის რეგიონი ავტონომიური რესპუბლიკა გახდა (1 800კმ², 200 000 კაცი, დედაქალაქი კომრატი).

3 სექტემბერს მოლდოვას რესპუბლიკის დნესტრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ნაწილმა, რომელიც ამ დროისთვის უმეტესად რუსებით იყო დასახლებული, დნესტრისპირეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა (5 000კმ², 800 000 კაცი, დედაქალაქი ტირასპოლი).

6. მოლდოვას დამოუკიდებელი რესპუბლიკა (1991 წლიდან დღემდე)

1991 წლის 27 აგვისტოს მოლდოვას რესპუბლიკამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ ახალი სახელმწიფოს ფართობი დაახლოებით 34 000²-ს შეადგენდა და ის 40 ოლქად დაიყო. ქვეყნის მოსახლეობის (4 მილიონზე მეტი კაცი)

2/3 მოლდოველები იყვნენ. ამავე დროს, მოსახლეობის ნაწილმა რუმინეთთან გაერთიანება მოითხოვა.

რუმინეთთან ხელახალი გაერთიანების საპირისპიროდ, 1991 წლის 1 დეკემბერს **გაგაუზისა და დნესტრისპირეთის რესპუბლიკებმა** მოლდოვასაგან თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რასაც სამოქალაქო ომის დაწყება მოჰყვა.

აღნიშნულ პერიოდში, 1991 წლის 21 დეკემბერს მოლდოვა დსთ-ში (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) განევრიანდა, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის მემკვიდრე უსახურ კონფედერაციულ ორგანოს წარმოადგენდა.

1992 წლის 21 ივლისს რუსეთ-მოლდოვას შეთანხმების თანახმად, **დნესტრისპირეთის რესპუბლიკა მოლდოვას რესპუბლიკის განსაკუთრებული სტატუსის მქონე ოლქი გახდა.** ამავე დროს, მას თვითგამორკვევის უფლება მიენიჭა მოლდოვას რესპუბლიკის რუმინეთთან გაერთიანების შემთხვევაში.

რაც შეეხება **გაგუზის რესპუბლიკას,** ის კვლავ ავტონომიური ოლქი გახდა მოლდოვას შემადგენლობაში. მისი განსაკუთრებული სტატუსი 1995 წლის 5 მარტს მოსახლეობაში ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე იქნა რატიფიცირებული.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, დნესტრისპირეთის მოსახლეობა უკმაყოფილო დარჩა 1992 წლის რუსეთ-მოლდოვას შეთანხმებით და 1995 წლის დეკემბერში დიდი უმრავლესობით, დამოუკიდებლობისკენ მიმართული კონსტიტუციის შილება ძოითხოვა. უთახხძოება ძოლდოვასთახ დღესაც არსებობს.

1998 წლის დეკემბერში ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად, 40 ოლქი 10 დეპარტამენტად იქნა შეცვლილი.

მონაკო

ზოგადი ცნობები

მონარქიული სახელმწიფო: მონაკოს სამთავრო, საფრანგეთის მფარველობის ქვეშ.
სუვერენი: პრინცი ალბერტ II, გრიმალდებიდან წამოსული პოლინიაკების სახლი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ეროვნული საბჭო; მთავრობის მეთაური არის სახელმწიფო მინისტრი, მაღალი თანამდებობის ფრანგი მოხელე.
დედაქალაქი: მონაკო; **შვიდი უბანი:** მონაკო, მონტე-კარლო, ლა-კონდამინი, ფონტვეიეი, რეკუარი, ლარვოტო.
ფართობი: 2კმ²; **მოსახლეობა:** 30 000 კაცი; **სიმჭიდროვე:** 15 000 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენა: ფრანგული; ლაპარაკობენ ასევე მონეგასკურ ენაზე (ლიგურიული დიალექტი).
რელიგია: კათოლიკობა: კათოლიციზმი სახელმწიფო რელიგიაა.
ფულის ერთეული: ევრო; ფრანკი 2001 წლამდე.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. მონაკოს მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. გრიმალდებიდან გოიონ-მატინიონებამდე (XIV-XVIIIსს.)

რომის ორბიტაში მოქცევამდე მონაკოს ტერიტორია (კლდე და მისი შემოგარენი) თავდაპირველად ფინიკიის, შემდეგ კი საბერძნეთის კოლონია იყო. XII საუკუნეში მონაკო გენუის რესპუბლიკის სიუზერენიტეტის ქვეშ მოექცა.

XIV საუკუნეში სამთავრო გენუის არისტოკრატიის წევრის, გრიმალდების საგვარეულოს ხელში გადავიდა. მისი ტერიტორია მოიცავდა მონაკოს კლდესა და აღმოსავლეთით მდებარე სანაპიროს (როკბიერი და მანტონი). გენუის ამბიციების პირისპირ, მონაკოს მთავრები ჯერ ესპანეთის (1524 წლის ბურგოსის ხელშეკრულება), შემდეგ კი საფრანგეთის (1641 წლის პერონის ხელშეკრულება) მფარველობის ქვეშ გადავიდნენ.

1731 წელს გრიმალდების სახლის მმართველობა შეწყდა და სამთავრო ნორმანდიული წარმომავლობის გოიონ-მატინიონის საგვარეულოს ხელში გადავიდა, რომელმაც გრიმალდების სახელი და გერბი აღადგინა.

2. მონაკო 1789 წელს

მონაკოს სამთავრო ნიცის საგრაფოში (სარდინიის მეფეთა საკუთრება) შეჭრილ პატარა სახელმწიფოს წარმოადგენდა. ის გადაჭიმული იყო ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მონაკოდან მანტონამდე, საიდანაც გენუის რესპუბლიკას ესაზღვრებოდა. აღნიშნულ დროს, სამთავრო კვლავ საფრანგეთის სიუზერენიტეტის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ როკბიერი (მთლიანად) და მანტონი (ნანილობრივ) სარდინიის მეფის ვასალი იყო.

1789 წელს მთავარი ონორე III, საფრანგეთის ერთგული მოკავშირე იყო, რომლის ჯარში მან იმსახურა კიდეც. ამავე დროს, მას დიდი სამფლობელოები ჰქონდა საფრანგეთში (ვალანტინუა, ტორინი, ვიკ-სიურ-სერი და სხვ.). ქვეყნის სიღარიბის გამო, მთავარი ხშირად თავის სხვა სამფლობელოებში ცხოვრობდა.

II. საფრანგეთსა და სარდინიას შორის (1789 წლიდან დღემდე)

1. საფრანგეთის მიერ ანექსია (1793-1814 წწ.)

საფრანგეთის ჯარების ინტერვენციასთან დაკავშირებული ნიცის რევოლუციური მოვლენების ზეგავლენით, 1793 წლის იანვარში მონაკოს მოსახლეობა თავისი მთავრის წინააღმდეგ აჯანყდა და **მონაკოს** ეფემერული **რესპუბლიკის** შექმნა გამოაცხადა, რომელმაც მისი საფრანგეთთან მიერთება მოითხოვა.

1793 წლის თებერვალში კონვენტმა **მონაკოს სამთავროს საფრანგეთთან მიერთება გადაწყვიტა და ის** მანტონის ოლქის ზღვის-ალპების დეპარტამენტში იქნა შეყვანილი. 1794 წლის თებერვალში ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი მონაკოში გადაიტანეს.

მონაკოს მთავარს არასოდეს ჰქონია მტრული დამოკიდებულება რევოლუციური საფრანგეთის მიმართ, ამიტომაც კონვენტმა მას პირადად შეუნარჩუნა ჩვეულებრივი მოქალაქის უფლებები.

1805 წლის ივლისში საფრანგეთთან ლიგურიის რესპუბლიკის მიერთების შემდეგ, ამ რესპუბლიკის უკიდურესი დასავლეთი ნაწილი ზღვის-ალპების დეპარტამენტთან იქნა შერწყმული და ის სან-რემოს ოლქი გახდა. აღნიშნულმა ცვლილებამ მონაკოს ოლქის გაქრობა და მისი ნიცის ოლქში შეყვანა გამოიწვია.

ნაპოლეონის იმპერიის დაცემის შემდეგ, გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა **მონაკოს მთავარი თავის უფლებებში აღადგინეს.** 1814 წლის 30 მაისს მონაკოს მთავარმა, ლუი XVIII-გან საფრანგეთის მფარველობის შეცვლას მიაღწია.

1814 წლის ივნისში მთავარმა კვლავ საკუთრებაში მიიღო თავისი დომენი. აღდგა ძველი ინსტიტუტები და იტალიური კვლავ ოფიციალური ენა გახდა. მონაკოს მთავარმა ვენის კონგრესის მეშვეობით მანტონსა და როკბიერზე სარდინიის უფლებების გაუქმებაც შეძლო.

2. სარდინიის სიუზერენიტეტი (1815-1861 წწ.)

"ასი დღის" მოვლენებმა ძლიერ სახელმწიფოებს საფრანგეთის წინააღმდეგ ზომების მიღება აიძულა. 1815 წლის 20 ნოემბრის ხელშეკრულებით, გადაწყდა საფრანგეთის მფლობელობაში მყოფი მონაკოს გადაცემა სარდინიის სიუზერენიტეტის ქვეშ.

1816 წლის ნოემბერში სარდინიამ მონაკოს მთავრის ვასალიტეტის განახლებას მიაღწია როკბიერსა (მთლიანად) და მანტონზე (ნაწილობრივ). შემდგომში ვასალიტეტის განახლება დავიწყებას მიეცა.

1817 წლის ნოემბერში სტუპინიჯის ხელშეკრულების თანახმად, მონაკოს მთავარმა სარდინიის მეფის სიუზერენობა აღიარა. სარდინიის სამხედრო ქვედანაყოფს გარნიზონი უნდა ჰყოლოდა მონაკოში, სამთავრო კი სარდინიის ეკონომიკურ სისტემაში იქნა შეყვანილი. 1847 წლის ნოემბერში მანტონელთა ეკონომიკურ მოთხოვნებს ამბოხება მოჰყვა მანტონსა და როკბიერში, რომელიც საფრანგეთის რევოლუციურმა მოვლენებმა მეტად გაამძაფრა.

1848 წლის მარტში მანტონი და როკბიერი თავისუფალ ქალაქებად გამოცხადდა სარდინიის მეფის მფარველობის ქვეშ, რომელმაც ამ ქალაქების სურვილი გაითვალისწინა. ორივე ქალაქი საერთო ასამბლეით, დიდი საბჭოთი აღიჭურვა. 1848 წლის აპრილიდან მოლაპარაკებები დაიწყო სამთავროს სარდინიისთვის მიყიდვის თაობაზე, მაგრამ მთავრის მოთხოვნებისა და საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო, ეს მოლაპარაკებები ჩაიშალა.

1849 წელს სარდინიის სხვა მცდელობები ზემოაღნიშნული ორი თავისუფალი ქალაქის მიერთებასთან დაკავშირებით, ასევე ჩაიშალა ავსტრიის მტრული პოზიციის გამო.

1854 წელს მანტონის მოულოდნელი ხელში ჩაგდების მცდელობა მთავრის ვაჟმა, შარლ დე ვალანტინუამ ჩაშალა. ეს უკანასკნელი სარდინიელებმა დააპატიმრეს კიდეც და მისი განთავისუფლება საფრანგეთის ჩარევის შედეგად მოხერხდა.

1860 წლის აპრილში პარიზის ყოველგვარი მითითებების გარეშე, ნიცის საგრაფოს დროებითმა ადმინისტრაციამ ორივე თავისუფალი ქალაქი (მანტონი, როკბიერი) ნიცაში გამართული პლებისციტით შემოიერთა. 15 აპრილს ამ ქალაქებმა საფრანგეთთან მიერთებას მისცეს ხმა.

3. საფრანგეთის მფარველობა (1861 წლიდან დღემდე)

1861 წლის 2 თებერვლის ხელშეკრულებით, მონაკოს მთავარმა საფრანგეთს თავისი უფლებები მიჰყიდა ორ თავისუფალ ქალაქზე, **მანტონსა** და **როკბიერზე**. მონაკო სარდინიისგან ყოველგვარი კავშირისგან განთავისუფლდა. საფრანგეთმა უარი თქვა პროტექტორატზე და სამთავროს მხოლოდ მისი ტერიტორიის მფარველობას დასთანხმდა. ამ დროიდან, სამთავროს საზღვრები მონაკოსა და მისი შემოგარენით იქნა შემოფარგლული.

პოლიტიკური რიგის აღნიშნულ მფარველობას 1865 წელს (9 ნოემბრის შეთანხმება) სამთავროს საფრანგეთის ეკონომიკურ სივრცეში ჩართვის გადაწყვეტილება მოჰყვა.

ამ დროიდან, მონაკოს სამთავრომ, რომელიც კვლავ დამოუკიდებელი იყო, პირდაპირ დაუკავშირა თავისი ბედი საფრანგეთს. 1863 წლის თებერვალში სამთავროში კაზინო გაიხსნა, რომელიც მისი გამდიდრების სანინდარი გახდა. 1866 წელს დაარსებული იქნა ქალაქი მონტე-კარლო, რომელიც ზამთრის ტურიზმის ადგილი გახდა.

1949 წლის მაისში ტახტზე მთავრის, რენიე III-ის ასვლით, სამთავროს სუვერენიტეტი პოლინიაკების სახლის ხელში გადავიდა. რენიე III-ის მმართველობის პერიოდში სამთავროს ეკონომიკური განვითარება დაჩქარდა, მისი ფართობი (ზღვისთვის ჩამორთმეული ფონტვიეის უბანი) გაიზარდა და მაქსიმალური ურბანიზაცია განხორციელდა (ნიცა-ვენტიმილიას სარკინიგზო გვირაბის გაყვანა).

ნიდერლანდი

ზოგადი ცნობები

მონარქიული სახელმწიფო: ნიდერლანდის სამეფო.
სუვერენი: დედოფალი ბეატრიქსI, ორან-ნასაუს სახლი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: გენერალური შტატები. პირველი პალატა პროვინციების შტატების (თითოეული პროვინციის ასამბლეები) წარმომადგენლებით, მეორე კი საყოველთაო პირდაპირი კენჭისყრით არჩეული დეპუტატებით არის დაკომპლექტებული.
დედაქალაქი: ამსტერდამი, მაგრამ ქალაქი ჰაი არის სამეფო და სამთავრობო რეზიდენცია.
ადმინისტრაციული დაყოფა: 12 პროვინცია: ჩრდილოეთი ჰოლანდია (ამსტერდამი), სამხრეთი ჰოლანდია (ჰააგა), ზელანდია (მიდელსბურგი), უტრეხტი, გელდერლანდი (არნემი), ოვერეისე (ზვოლე), ფრიზი (ლეუვარდენი), გრონინგენი, დრენთე (ასენი), ჩრდილოეთი ბრაბანტი (ჰერტოგენბოსი), ლიმბურგი (მაასტრიხტი), ფლევოლანდი (ლელეისტადი).
ფართობი: 34 000კმ² (41 500 ზღვის ვინრო ყურისა და წყლის შიდა დინებების ჩათვლით); მოსახლეობა: 15 მილიონი კაცი: სიმჭიდროვე: 450 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენა: ნიდერლანდური; ფრიზში აგერეთვე ფრიზულ ენაზე ლაპარაკობენ.
რელიგიები: კათოლიკეები 30%, პროტესტანტები 25%, რელიგიის გარეშე 40%; ისტორიულად დომინანტური რელიგიაა პროტესტანტიზმი, რომლის მიმდევარიც ქვეყნის სიუზერენია.
ფულის ერთეული; გულდენი; ევრო 2002 წლიდან.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ნიდერლანდის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. რომიდან ბურგუნდიის სახლამდე (I-XVსს.)

რომის იმპერიის უკიდურეს ჩრდილოეთში მდინარეების, მეზსა და რაინს (**ქვემო გერმანიის** პროვინცია) შორის ბატავები ცხოვრობდნენ, რაინის პირიქითა მხარე კი ფრიზებით (გერმანული წარმომავლობის ხალხი) იყო დასახლებული, რომლებიც რომის მოკავშირეები გახდნენ.

V საუკუნეში ამ ტერიტორიაზე ფრანკები გამოჩნდნენ, რომლებმაც ფრიზების წინააღმდეგობის მიუხედავად, ეს მხარე დაიპყრეს. თუმცა სულ მალე, აღნიშნული ტერიტორია კარლოს დიდის იმპერიის ნაწილი გახდა. ვერდენის შეთანხმებით (843წ.) გათვალისწინებული გადანაწილების დროს, გერმანიის სამეფოში გაერთიანებამდე (ქვემო ლოთარინგიის საჰერცოგო), ეს რეგიონი ლოთარინგიის სამეფოს უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილს წარმოადგენდა.

IX-X საუკუნეებში ნორმანდიელთა შემოსევებს ქვეყნის გაპარტახება და მისი ნაწილებად დაშლა მოჰყვა, რამაც გზა გაუხსნა ფეოდალური სისტემის ჩამოყალიბებას. სწორედ ამ დროს, რეგიონში სენიორულ სახელმწიფოთა გარკვეული რაოდენობა გაჩნდა:

– **გელდერლანდის** საგრაფო, შემდგომში საჰერცოგო: ზემო გელდერლანდი (მეზის ზემო დინების გაყოლებით), ზიუტფენის საგრაფო (ისელის მარჯვენა ნაპირზე რაინის ჩრდილოეთით), ბეტუვი ნიმეგთან ერთად (მეზსა და რაინს შორის) და ველიუვე (ისელიდან ზეიდერზეემდე);

– **ჰოლანდიის** საგრაფო რაინს, ვაალსა და მეზს შორის მდებარეობდა, ჩრდილოეთით ის ზეიდერზეემდე აღნევდა, სამხრეთში კი ზელანდიასაც მოიცავდა.

1299 წელს ამ საგრაფომ მემკვიდრეობით ჰაინაუტი მიიღო და მეტად გაფართოვდა შელდასა და სამბრას შორის;

– **უტრეხტის** საეპისკოპოსო, რომელიც VII საუკუნეში ფრიზების ევანგელიზაციის მიზნით დაარსდა, XIV საუკუნეში მხოლოდ ქალაქ უტრეხტის გარშემო მყოფ ტერიტორიას აკონტროლებდა (ქვემო საეპისკოპოსო), და ასევე ზეიდერზეეს აღმოსავლეთით (და ისელის ჩრდილოეთით) მდებარე ოვერეისეს (იგივე ზემო საეპისკოპოსო) ტერიტორიას;

– **ფრიზი** წარმოადგენდა ფრიზების ქვეყნის იმ დარჩენილ ნაწილს, რომლის დამოუკიდებლად შენარჩუნება მათ შეძლეს: ფრიზი, გრონინგი და დრენთე, მდინარე ემსის აღმოსავლეთით, აღმოსავლეთი ფრიზი. ფრიზები "ზვიდი საზღვაო ქვეყნის კავშირში" გაერთიანდნენ, რომელმაც XIV საუკუნის დასაწყისამდე იარსება.

2. ბურგუნდიის გამარჯვება (XVს.)

სნორედ ზემოაღნიშნულ ვითარებაში, ქვეყანაში ბურგუნდიის სახლმა მოიკიდა ფეხი. ფლანდრიისა (1384ნ.) და უმცროსი შტოს მეშვეობით, ბრაბანტის (1404ნ.) ხელში ჩაგდების შემდეგ, ამ სახლმა **ჰაინაუტი** და **ჰოლანდია** დაიპყრო.

ამგვარად, ჰერცოგ-ფილიპე კეთილის მფლობელობაში ამ რეგიონის ბევრი პროვინცია შევიდა, განსაკუთრებით, მის სამხრეთ ნაწილში. რაც შეეხება ამ რეგიონის სამხრეთ ნაწილს (დღევანდელი ნიდერლანდი), ჰერცოგის საკუთრებაში მხოლოდ ჰოლანდია და ზელანდია იყო. მისი დომენები ორ გეოგრაფიულ ერთეულად იყო დაყოფილი: "პირიქითა ტერიტორიები" (ბურგუნდია, ფრანშ-კონტე) და "პირაქეთა ტერიტორიები" (ფლანდრია, ბრაბანტი, ენო, არტუა, პიკარდია, ლუქსემბურგი, ლიმბურგი, ჰოლანდია).

ფილიპე კეთილის ვაჟმა, შარლ გულადმა (ბურგუნდიისა და ფლანდრიის ბრძანებელი) მამის ბურგუნდიულ დომენს მხოლოდ გელდერლანდის საჰერცოგო და მისი შემოგარენი მიამატა (1473ნ.).

3. ნიდერლანდის გაერთიანებიდან ჩრდილოეთის გამოყოფამდე (XVIს.)

შარლ გულადის ქალიშვილმა, მარიამ ბურგუნდიელმა მემკვიდრეობით მამის ქონება მიიღო, მაგრამ გელდერლანდი დაკარგული იქნა იქ მომხდარი აჯანყების შედეგად. მარიამ ბურგუნდიელმა დარჩენილი მემკვიდრეობის შენარჩუნება იმპერატორის ვაჟთან, მაქსიმილიან ავსტრიელთან ქორწინებით შეძლო. რეგიონი ავსტრიის სახლის გავლენის სფეროში მოექცა.

მარიამის შვილიშვილმა, კარლოს V-მ (წარმოშობით გენტიდან) ავსტრიის სახლის დაქვემდებარებაში არმყოფი ქვეყნები დაიპყრო და ნიდერლანდიც მათ რიცხვში მოაქცია.

რაც შეეხება **ფრიზს** (ლეუვარდენი), ის 1523 წელს კარლოს V-ს გადაეცა.

1528 წელს უტრეხტის ეპისკოპოსმა, გელდერლანდის ჰერცოგთან ომის შემდეგ, თავისი უფლებები კარლოს V-ს გადასცა. ამ უკანასკნელის მფლობელობაში **უტრეხტი** და **ოვერეისე** გადავიდა.

ფრიზის ორმა პროვინციამ, გრონინგმა და დრენთემ კარლოს V-ს მოუხმო, რომელმაც 1536 წელს ისინი ჰაბსბურგების დომენებს მიუერთა და **გრონინგის** ერთ პროვინციაში გააერთიანა.

1477 წელს ბურგუნდიის გავლენის სფეროდან გამოსული **გელდერლენდის** საჰერცოგო, 1543 წელს კარლოს V-მ კვლავ ხელთ იგდო ძალის გამოყენებით.

ამ დროიდან, ნიდერლანდის ჩვიდმეტი პროვინცია (ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე) ერთიან ტერიტორიად ჩამოყალიბდა, რომელიც 1548 წელს ბურგუნდიის ოლქში ("საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) ერთ-ერთი ოლქი) გაერთიანდა. 1549 წელს კარლოს V-მ ამ პროვინციებს მემკვიდრეობითი უფლება შინანიჭა და ისინი საერთო ინსტიტუტებით აღჭურვა. თითოეულ პროვინციაში კარლოს V ლეიტენანტით, შტატგალტერით იყო წარმოდგენილი. ამავე დროს, რეფორმამ ბო-

ლო მოულო ქვეყნის ერთიანობას. ზემოაღნიშნულით კარლოს V ნიდერლანდს დაუპირისპირდა. 1555 წელს მან ნიდერლანდი თავის ვაჟს, ფილიპე II-ს გადასცა.

ფილიპე II რეფორმას ძალით დაუპირისპირდა და ასამბლეებისგან განთავისუფლებას შეეცადა, რასაც დიდგვაროვანთა (ვილჰელმ I, ორანის მთავარი) ნინააღმდეგობა, შემდეგ კი აჯანყება მოჰყვა მრავალრიცხოვანი გამწვავებებით. 1579 წელს ფილიპე II-ის წარმომადგენელმა, ალესანდრო ფარნეზემ ათი სამხრეთი პროვინცია (რომელიც კათოლიკური იყო) ჩრდილოეთის შვიდი პროვინციისგან გამოყო, რომელიც ბრძოლას აგრძელებდა. არასის უნიას სამხრეთში, რომლის საფუძველზე სამხრეთი პროვინციები ესპანეთს დაუბრუნდა, ჩრდილოეთმა უტრეხტის უნიით უპასუხა, და ამგვარად, გამოყოფის პროცესში ჩაერთო. ჩრდილოეთი ფილიპე II-ს გამოეყო (1581წ.) და შვიდი პროვინცია გააერთიანა, რის საფუძველზეც ახალი სახელმწიფო, **გაერთიანებული პროვინციები** შეიქმნა. 1609 წელს ესპანეთის დაქვემდებარებაში მოქცევამდე ("თორმეტწლიანი დაზავება"), შეერთებული პროვინციები აღიარებულ იქნა ძლიერი სახელმწიფოების მიერ.

4. გაერთიანებული პროვინციები (XVII-XVIIIსს.)

ამგვარად, გაჩნდა ახალი სახელმწიფო, რომელიც დაახლოებით დღევანდელი ნიდერლანდის სამეფოს ტერიტორიას მოიცავდა. **შეერთებული პროვინციები** შემდეგი პროვინციებისგან შედგებოდა: გელდერლანდი, ჰოლანდია, ზელანდია, უტრეხტი, ფრიზი, ოვერეიესი, გრონინგი. ამ პროვინციებს დრენთეს (ასენი) მოკავშირე ტერიტორია დაემატა, რომელიც არ იყო დაქვემდებარებული, მაგრამ არ ჰქონდა პოლიტიკური ძალაუფლება.

1621 წელს ესპანეთსა და შეერთებულ პროვინციებს შორის ომი განახლადა. ომი ხელსაყრელი გამოდგა ნიდერლანდელებისთვის, რომლებმაც სასწრაფოდ დადეს ესპანეთთან სეპარატიული სამშვიდობო ხელშეკრულება.

1648 წელს მიუნსტერში ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულებით, შეერთებულმა პროვინციებმა ზემო გელდერლანდი დაკარგეს, ქალაქ არნემთან და ვენლოს ციხე-სიმაგრესთან ერთად. თავის მხრივ, ესპანეთმა დათმო **ფლანდრიის ჩრდილოეთი საზღვარი** შელდის მარცხენა ნაპირზე (სლიუსთან და ჰიულსტთან ერთად), **ბრაბანტის ჩრდილოეთი ნახევარი** (ბრედასთან და ჰერტოგენბოსთან ერთად) და **ანკლავი ლიმბურგში** (მდინარე მეზზე), რომელიც მარცხენა ნაპირის მაასტრიხტსა და მარჯვენა ნაპირის ფოლკემონის (ვალკენბურგის) სენიორიას მოიცავდა.

მოპოვებული ტერიტორიები (ე. წ. გენერალიტეტის ქვეყნები) ძირითადად კათოლიკეებით იყო დასახლებული და გენერალური შტატების დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. მათ არ ჰქონდათ პოლიტიკური უფლებები და ისინი შვიდი შეერთებული პროვინციის საეთო მფლობელობაში იმყოფებოდნენ.

ვესტფალიის ხელშეკრულებით (1648წ.), შეერთებული პროვინციები ხელისმომწერი მხარეების მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქნა აღიარებული, რომელიც აღარ შედიოდა "საღვთო რომის იმპერიაში" (გერმანელი ერის).

აღნიშნული დროიდან, შეერთებული პროვინციები აქტიურ პოლიტიკას ახორციელებდნენ, რასაც საუკუნის მიწურულს კონფლიქტებში მათი ჩართვა მოჰყვა. ამ კონფლიქტებიდან შეერთებულმა პროვინციებმა უტრეხტისა (1713წ.) და რაშტადტის (1714წ.) ხელშეკრულებათა საფუძველზე, ესპანეთის საზიანოდ მცირე ტერიტორიული სარგებელი მიიღეს: **მონფორის** სენიორია და **ვენლოს** ციხე-სიმაგრე, მაასტრიხტის ქვემოთ, მეზის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ორი ანკლავი.

ამავე დროს, 1715 წლის იანვარში ანტვერპენში ხელმოწერილი ხელშეკრულებით ("საგუშაგოები"), შეერთებულმა პროვინციებმა საფრანგეთის პირისპირ ავსტრიის ნიდერლანდის რვა ქალაქში გარნიზონის განლაგების უფლება მოიპოვეს: ნამიური, დორნიკი, მენენი, არნეტონი, იპრი, ენოკე, ვეურნე და დენდერმონდე.

1780 წლიდან ქვეყანა განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. თავდაპირველად, ავსტრიის ნიდერლანდის ახალმა სიუზერენმა, იმპერატორმა იოსებ II-მ თავისი ჩრდილოელი მეზობლის მიერ წამოყენებული მოთხოვნებისაგან განთავისუფლება

გადანყვიტა; 1781 წელს ძალისმიერი გადატრიალების შედეგად, იმპერატორმა რვა საგუშაგოს ნიდერლანდური გარნიზონი ჩამოაშორა; 1785 ნელს იოსებ I I-ის მიერ ანტვერპენის ბლოკადის ფორსირების მცდელობის შემდეგ, ომი ბოლო მომენტში იქნა თავიდან აცილებული, რის შემდეგაც კომპრომისი მოინახა ფონტენბლოს ხელშეკრულების ხელმონერით: შეერთებულმა პროვინციებმა უარი თქვეს „საგუშაგოებზე" და იმპერატორს **ლილოსა და ლიფენსბურკის** ფორტები დაუთმეს შელდაზე, მაგრამ ანტვერპენის პორტში შესასვლელი დახურული დარჩა.

აღნიშნულ წარუმატებლობებს, რომელსაც თან ერთვოდა ეკონომიკური სტაგნაცია, პატრიოტთა პარტიის შექმნა მოჰყვა, რომელიც ამტკიცებდა, რომ წარსული კეთილდღეობის დაბრუნება შესაძლებელი იყო მხოლოდ რესპუბლიკურ ინსტიტუტებთან დაბრუნებით.

1786 წელს შტატგალტერი ვილჰელმ V გაძევებულ იქნა და მან თავი ზემო გელდერლანდს (1713 წელს პრუსიის ხელში გადავიდა) შეაფარა, სადაც თავისი ცოლის ძმის, ფრიდრიხ II-ის მხარდაჭერა მიიღო. ამ უკანასკნელმა სამხედრო ძალა გამოყენა რევოლუციის ჩასახშობად და შტატგალტერი უფლებებში აღადგინა (17875.). მრავალმა პატრიოტმა საფრანგეთს შეაფარა თავი.

II. შეერთებული პროვინციები 1789 წელს

1789 წელს შეერთებული პროვინციები კონფედერაციული სტრუქტურის მქონე რესპუბლიკას წარმოადგენდა, რომელშიც გაერთიანებული იყო:

1) – შვიდი სათავე პროვინცია, რომელსაც ხელთ ეპყრა ძალაუფლება:

– ზემო გელდერლანდის დაკარგვის შემდეგ შემორჩენილი გელდერლანდის საპერცოგო (არნემი);

– ჰოლანდიის საგრაფო (ამსტერდამი) ზეიდერზეეს სამხრეთით, რომელიც ყველაზე აყვავებულ პროვინციას წარმოადგენდა, ხოლო მისი ადმინისტრაციული ცენტრი ამსტერდამი, შეერთებული პროვინციების დედაქალაქიც იყო.

– ზელანდიის საგრაფო (მიდელბურგი);

– უტრეხტის საგრაფო (უტრეხტი);

– ფრიზის სენიორია (ლეუვარდენი);

– ოვერეისეს სენიორია (ზვოლე);

– გრონინგის სენიორია (გრონინგი).

2) – დრენთეს მოკავშირე და მფარველობის ქვეშ მყოფი ტერიტორია, რომელიც დაქვემდებარებაში არ იმყოფებოდა, მაგრამ არ ჰქონდა პოლიტიკური ძალაუფლება.

3) – "გენერალიტეტის" ტერიტორიები: ნიდერლანდის ფლანდრია, ბრაბანტი, ლიმბურგი (მაასტრიხტი, ფოლკემონი, მონფორი, ვენლო), შვიდი პროვინციის მფლობელობაში მყოფი დაქვემდებარებული ტერიტორიები.

ამავე დროს, ჩრდილოეთ ბრაბანტში უცხოური ანალავი იყო განლაგებული, გრავენმტაინის სენიორია, რომელიც რაინის პფალცგრაფის სამფლობელოს წარმოადგენდა.

თითოეულ პროვინციაში საკანონმდებლო ხელისუფლება პროვინციების შტატების ხელში იყო, რომელიც მრჩეველსა (სამოქალაქო საქმეები) და შტატგალტერს (სამხედრო საქმეები) ირჩევდა. პროვინციების შტატები თავიანთ წარმომადგენლებს ნიძნავდნენ გენერალურ შტატებში, რომელიც თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრს (მთავრობის მეთაური) და რესპუბლიკის სამხედრო მეთაურს, შტატგალტერს ირჩევდა.

ვილჰელმ I-ისა და მისი ვაჟის მიერ გაწეული სამსახურის პატივსაცემად, შტატგალტერს, როგორც პროვინციულ, ასევე ფედერალურ დონეზე, XVI I საუკუნეში ტრადიციისამებრ ორან-ნასაუს სახლიდან ირჩევდნენ. ამ სახლის გავლენა, რომელიც სოფლის პროვინციებს ეყრდნობოდა, "ქალაქის" პროვინციებს (ჰოლანდია, ზელანდია) დაუპირისპირდა, სადაც სავაჭრო ბურჟუაზია სამოქალაქო საქმეებით დაკავებულ მთავრობის მეთაურს უჭერდა მხარს. შტატგალტერებმა დიდი ხნის

განმავლობაში შეძლეს თავისი გავლენის შენარჩუნება, კერძოდ კი ვილჰელმ III-ის "მეფობამდე", რომელიც მარიამ II-ზე ქორწინებით ინგლისის მეფე გახდა (1689წ.). ვილჰელმ II-მ შეერთებული პროვინციები თავის სამეფოს მიაბა.

ვილჰელმ II-ის გარდაცვალების (1702წ.) შემდეგ, მისი შემკვიდრე არ იქნა აღიარებული გენერალური შტატების მიერ. შტატგალტერის თანამდებობა გაუქმებულ იქნა 1747 წლამდე. ამ დროს, ლუი XV-ის ჯარების შემოჭრის საშიშროების ნინაშე მდგარმა გენერალურმა შტატებმა, შტატგალტერის თანამდებობა აღადგინეს და ვილჰელმ IV შვიდი პროვინციისა და რესპუბლიკის შტატგალტერად აირჩიეს. ეს თანამდებობა ორან-ნასაუს სახლს მემკვიდრეობით უნდა გადასცემოდა, რაც ტიტულის გარეშე, შტატგალტერს თითქმის მონარქად აქცევდა. მას ჰქონდა ბრნყინვალე კარი ჰააგაში და იგი მატრიმონიალურ კავშირებს ამყარებდა ევროპის სხვადასხვა სამეფო კართან. 1789 წელს ვილჰელმ IV-ის ვაჟმა, ვილჰელმ V-მ მამის თანამდებობა მემკვიდრეობით მიიღო.

XVII საუკუნე შეერთებული პროვინციებისათვის ოქროს ხანად იქცა. ქვეყანაში შესანიშნავად იყო განვითარებული სოფლის მეურნეობა, მესაქონლეობა, თევზჭერა, საფეიქრო მრეწველობა, გემთმშენებლობა, სავალუტო ბირჟები, ბანკები, სახმელეთო და საზღვაო ვაჭრობა. ამ უკანასკნელის აყვავებას ანტვერპენის გავლენის დაცემამ შეუნყო ხელი, რომლისკენ მისასვლელი გზა შეერთებულმა პროვინციებმა დაბლოკეს, როგორც ქვემო შელდის ორივე ნაპირის მეპატრონემ. ქვეყნის მთავარმა ქალაქმა ამსტერდამმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

ამგვარად, ქვეყანა საზღვაო იმპერიად იქცა ესპანეთისა და პორტუგალიის საზიანოდ.

XVIII საუკუნეში ქვეყნის ნელი უკუსვლა დაინყო, როგორც საზღვაო ასპექტში, სადაც ინგლისმა მას საზღვაო იმპერიის უდიდესი ნანილი დააკარგინა, ასევე ქვეყნის შიგნით, რადგან გაჩნდა ნარმოების სხვა ადგილებიც (ინგლისი, საფრანგეთი), რომელიც კონკურენციას უწევდა მის ეკონომიკურ საქმიანობას. ამასთან ერთად, თავი იჩინეს განხეთქილებებმაც.

ამავე დროს, შეერთებული პროვინციები დასაბამიდანვე რელიგიური და ინტელექტუალური თავისუფლების კერად რჩებოდა, რომელიც დაჩაგრულ უმცირესობათა (ებრაელები, პროტესტანტები) თავშესაფარი იყო. იქ დაბრკოლების გარეშე შესაძლებელი იყო წიგნებისა და გაზეთების გამოცემა და არასოდეს იდევნებოდა თავისუფალი აზრი.

III. 1789 წლიდან ნიდერლანდის სამეფოს შექმნამდე (1815წ.)

1. შეერთებული პროვინციების დასასრული (1789-1795წ.)

სნორედ დროის ზემოაღნიშნულ მონაკვეთში საფრანგეთში რევოლუციამ იფეთქა, რომლის გამოძახილმა ოცდახუთი წლის მანძილზე მთელი ევროპა მოიცვა. ნიდერლანდელმა პატრიოტებმა მხარი დაუჭირეს რევოლუციურ მოძრაობას, რომელმაც თავის მხრივ, მხარი დაუჭირა მათ მიზნებს. 1794 წლიდან ავსტრიის ნიდერლანდის დაპყრობის შემდეგ, საფრანგეთის ჯარებმა შეტევა შეერთებული პროვინციების მიმართულებით გააგრძელეს და ის 1795 წლის დასაწყისში იგდეს ხელთ. ახალი შტატგალტერი გაძევებულ იქნა და მან თავი ინგლისს შეაფარა. 3 თებერვალს პატრიოტებმა, რომელთაც ხელთ იგდეს ძალაუფლება **ბატავიის რესპუბლიკის** შექმნა გამოაცხადეს. მათ ქვეყნის ინსტიტუტების დაფუძნება ფრანგული მოდელის მიხედვით სურდათ.

2. ბატავიის რესპუბლიკა (1795-1806წ.)

ახალმა ხელისუფლებამ შეწყვიტა საფრანგეთთან შექმნილი საომარი მდგომარეობა. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი განეული დახმარებისთვის საზღაურს ელოდა. 1795 წლის 16 მაისს ჰაიაგის ხელშეკრულებით, ფინანსური კონტრიბუციის გარდა, **ბატავიის რესპუბლიკამ საფრანგეთს ნიდერლანდის ფლანდრია** (შელდის მარცხენა ნაპირი) **და მაასტრიხტის, ვენლოსა და ლიმბურგის** (მონფორტი) ნი-

დერლანდური ანკლავები დაუთმო. ამას გარდა, აღდგა თავისუფალი მიმოსვლა შელდზე და საფრანგეთმა ფლისინგენში გარნიზონის განლაგების უფლება მიიღო. ამგვარად, ქვეყანა საფრანგეთის სატელიტი, ე. წ. "მოძმე რესპუბლიკა" გახდა.

1796 წლის მარტში ახალი კონსტიტუციის შემუშავების მიზნით არჩეული წარმომადგენლებისაგან შემდგარი საგანგებო ასამბლეა შეიკრიბა. ნოემბერში მომზადებული პროექტით, რომელსაც ფედერალიზმის ძლიერი ელფერი დაჰკრავდა, ტრადიციული პროვინციები შენარჩუნდა, მათ მხოლოდ სახელწოდება შეეცვალათ და დეპარტამენტები ეწოდათ. აღნიშნული პროექტი განსხვავებული მიზეზების გამო, კამათის ობიექტი გახდა, როგორც ფედერალისტების, ასევე უნიტარისტების მხრიდან. 1797 წლის 8 აგვისტოს ჩატარებული პლებისციტით, პროექტი უარყოფილ იქნა ხმის მიმცემთა 4/5-ით.

სექტემბერში ახალი პროექტის შესამუშავებლად კვლავ შეიკრიბა საგანგებო ასამბლეა. უნიტარისტებმა საფრანგეთის მხარდაჭერა მიიღეს, და 1798 წლის 22 იანვრის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ისინი ასამბლეას ჩაუდგნენ სათავეში. 23 აპრილს საეჭვო ვითარებაში ჩატარებული პლებისციტით, კონსტიტუციის ახალი პროექტი, რომლის შემუშავება მარტში დასრულდა, უდიდესი უმრავლესობით მიიღეს. მარტის თვეში ბევრი ფედერალისტი თავიდან იქნა მოშორებული.

ახალი კონსტიტუცია რესპუბლიკის რვა დეპარტამენტად დაყოფას ითვალისწინებდა და ამგვარად, აბსოლუტურად ცვლიდა ტრადიციულ საზღვრებს: ემსი (ლეუვარდენი), ძველი ისელი (ზვოლე), რაინი (არნემი), ტექსელი (ალკმარი), ამსტელი (ამსტერდამი), დელფტი (დელფტი), დომელი (ჰერტოგენბოსი), შელდა და მეზი (მიდელბურგი).

საფრანგეთთან ხელმონერილი 1801 წლის 24 აგვისტოს პარიზის ხელშეკრულებით, იულიხის მემკვიდრე **ბავარიამ, ბატავიის რესპუბლიკას რავენშტაინის სენიორია დაუთმო,** ისევე როგორც ბერგენ-ოპ-ზომის, ვინენდალისა და სანმიხელ-გესტელის თავისი ბატავიის დომენები.

1801 წლის სექტემბერში ბატავიის რესპუბლიკაში გაუთავებელი ამბოხებების შემდეგ, პირველმა კონსულმა ბონაპარტმა ამ ქვეყნის კონსტიტუციის შეცვლა ავტორიტარული წესით გადანყვიტა მეტი ფედერალიზმის მიმართულებით.

აღნიშნულ ფარგლებში, ბატავიის რესპუბლიკა ადმინისტრაციულად ცხრა დეპარტამენტად იქნა რეორგანიზებული ძველი პროვინციების საზღვრებში: ჰოლანდია (ჰააგა), ზელანდია (მიდელბურგი), უტრეხტი, გელდერლანდი (არნემი), ოვერეისე, (ზვოლე), ფრიზი (ლეუვარდენი), გრონინგი, დრენთე (ასენი), ბრაბანტი (ჰერტოგენბოსი).

მოგვიანებით, ცხრა დეპარტამენტი ათამდე იქნა გაზრდილი ჰოლანდიის დეპარტამენტის ორად დაყოფის შედეგად: ამსტელი (ამსტერდამი), მეზი (ჰააგა).

1805 წლის დასაწყისში იმპერატორმა ნაპოლეონმა ქვეყანაში ახალი ავტორიტარული კონსტიტუცია შემოიღო, რომელიც პარიზში ბატავიის ელჩის, სხიმელპენინკის მიერ იყო შემუშავებული. ამ უკანასკნელისათვის აღდგენილ იქნა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ფართო უფლებებით.

3. ჰოლანდიის სამეფო (1806-1810ნნ.)

ბატავიის ხელისუფალთა და იმპერატორ ნაპოლეონს შორის ურთიერთობათა დაძაბვამ, ამ უკანასკნელს ბატავიის რესპუბლიკის საფრანგეთისადმი უფრო მეტად დაქვემდებარება გადაანყვეტინა. 1806 წლის 24 მაისს ნაპოლეონმა განკარგულება გასცა ბატავიის რესპუბლიკის **ჰოლანდიის სამეფოდ** გარდაქმნის შესახებ. ეს სამეფო ნაპოლეონმა თავის ახალგაზრდა ძმას ლუის გადასცა, რომელიც მეფე ლუი I გახდა. იმპერატორი იმედოვნებდა, რომ ლუი I მისი პოლიტიკის მორჩილი გამტარებელი იქნებოდა.

ახალი მეფე ძალიან თავშეკავებულად იქნა მიღებული ჰოლანდიელების მიერ მისი საზეიმო შემოსვლის დროს ჰააგაში (25 ივნისი), შემდეგ კი ამსტერდამში, რომელშიც მან თავისი რეზიდენცია განალაგა. მაგრამ მეფე სერიოზულად მოეკიდა ახალ მოვალეობებს და თავის ქვეშევრდომთა პატივისცემა დაიმსახურა მის

უბრწყინვალესობასთან, იმპერატორ ნაპოლეონთან ურთიერთობების გაფუჭების სანაცვლად. ლუი I-მა უკმაყოფილებით მიიღო კონტინენტური ბლოკადა დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, რომელიც სამეფოს ეკონომიკურ საქმიანობას აყენებდა ზიანს. ამისდა მიუხედავად, ჰოლანდია, როგორც ნაპოლეონისეული სისტემის ნაწილი, იძულებული გახდა პრუსიის წინააღმდეგ ნამონყებულ ომში მიეღო მონაწილეობა. ამ ომში სამეფოს მიერ გაღებული წვლილი უმნიშვნელო იყო, რის გამოც ნაპოლეონმა უარი უთხრა ლუი I-ს ვესტფალიაზე, რომელსაც ეს უკანასკნელი მოითხოვდა.

უთანხმობის დასასრულებლად ნაპოლეონმა თავისი ძმისათვის კომპენსაციის მიცემა გადაწყვიტა. 1807 წლის 11 ნოემბერს ფონტენბლოს ხელშეკრულებით: **– ჰოლანდიამ საფრანგეთს ქალაქი ფლესინგი დაუთმო,** რომელიც 1808 წლის 21 იანვარს შელდის ფრანგულ დეპარტამენტთან იქნა მიერთებული;

– საფრანგეთმა ჰოლანდიას დაუთმო:

– ოსტფრიზის (აღმოსავლეთი ფრიზი) სამთავრო, რომელიც პრუსიამ ტილზიტში დათმო;

– იევერის სენიორია, რომელიც რუსეთმა ტილზიტში დათმო;

– კნიპჰაუზენის სენიორია (იევერის ტერიტორიაზე შეჭრილი), რომელიც მის სიუზერენს ბენტინკს ჩამოერთვა.

საფრანგეთის მიერ გადაცემული სამი ტერიტორიიდან ჰოლანდიის მეთერთმეტე დეპარტამენტი, აღმოსავლეთი ფრიზი (აურიხი) შეიქმნა.

უთანხმოება ძმებს შორის წლების მანძილზე გაგრძელდა. თავის ქვეშევრდომებზე ზრუნვით დაკავებულმა მეფე ლუიმ, უარი თქვა ძმის შემოთავაზებაზე ბერგის დიდი საჰერცოგოს სანაცვლოდ ზელანდიისა და ბრაბანტის გადაცემაზე. ამ დიდი საჰერცოგოს დიდი ჰერცოგის ტიტულს საფრანგეთის მეურვეობის ქვეშ, ლუი I-ის უფროსი ვაჟი (მცირეწლოვანი), ლუი-ნაპოლეონი ატარებდა.

სურდა რა ინგლისის წინააღმდეგ მონყობილი ბლოკადის გაძლიერება, ნაპოლეონმა წინსელა გააგრძელა და საფრანგეთის ჯარით ზელანდიისა და ბრაბანტის ოკუპაცია მოახდინა.

შემდგომში, იმ საბაბით, რომ "საფრანგეთის კონსტიტუციური პრინციპის თანახმად, რაინის ტალვეგი საფრანგეთის იმპერიის საზღვარს წარმოადგენდა", პარიზის 1810 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით, ნაპოლეონმა ჰოლანდიას თავისი საზღვრის ვაალამდე გადმოტანა აიძულა. ამგვარად, **ჰოლანდია იძულებული გახდა საფრანგეთისათვის ზელანდია** (მთლიანად), **ჰოლანდიის ბრაბანტი** და **ვაალის მარცხენა ნაპირის გელდერლანდი დაეთმო.**

24 აპრილს ზელანდიისა და დონის მარცხენა ნაპირის ჰოლანდიის ბრაბანტისაგან დე-ნეთის ფრანგული დეპარტამენტის ორი ოლქი (მიდელბურგი, ბრედა), ხოლო დონის მარჯვენა ნაპირის ბრაბანტისა და ვაალის მარცხენა ნაპირის გელდერლანდისაგან ბუშ-დიუ-რაინის ახალი ფრანგული დეპარეტამენტი შეიქმნა (ჰერტოგენბოსი, ეინდხოვენი, ნიმეგი).

15 მაისს ზელანდია დე-ნეთს გამოეყო ახალი ფრანგული დეპარტამენტის, ბუშ-დ'ესკოტის (შელდა) შესაქმნელად (მიდელბურგი, გესი, ზორიკზეე).

4. საფრანგეთის იმპერიასთან მიერთება (1810-1813ნნ.)

ზემოაღნიშნული დროიდან ურთიერთობებმა ორ ძმას შორის დრამატული ხასიათი მიიღო. 1 ივლისს იმ დროს, როდესაც საფრანგეთის ჯარები ამსტერდამს უახლოვდებოდნენ, მეფე ლუი I ტახტიდან გადადგა თავისი ვაჟის, ბერგის დიდი ჰერცოგის, ლუი-ნაპოლეონის სასარგებლოდ და ფარულად დატოვა ქვეყანა.

9 ივლისს რამბუიეს დეკრეტით, იმპერატორმა ნაპოლეონმა **ჰოლანდია საფრანგეთის იმპერიას მიუერთა.** დიდი ხაზინადარი ლებრუნი ხანგრძლივი დროით გაგზავნილ იქნა ამსტერდამში იმპერატორის გენერალური ლეიტენანტის რანგში. ამსტერდამი იმპერიის მესამე ქალაქად იქნა გამოცხადებული.

13 დეკემბრის დეკრეტით, ძველი ჰოლანდიის სამეფო "ფრანგულ ყაიდაზე", დეპარტამენტებად დაიყო.

1810 წლის აპრილ-მაისიდან შექმნილი ბუშ-დ'ესკოტისა და ბუშ-დიუ-რაინის ორი დეპარტამენტის გარდა, ივლისში ანექსირებული ჰოლანდიის დარჩენილი ნაწილისაგან შვიდი ფრანგული დეპარტამენტის შექმნა გადაწყდა;

– ბუშ-დე-ლა-მეზი (ყოფილი მეზი): ჰაგა, ბრიელი, დორდეხტი, ლეიდენი, როტერდამი;

– ზეიდერზეე (ყოფილი ამსტელი): ამსტერდამი, ალკმარი, ამერსფორტი, ჰარლემი, ჰორნი, უტრეხტი;

– ზემო ისელი (ყოფილი გელდერლანი): არნემი, ტილი, ზიუტფენი;

– ბუშ-დ'ისელი (ყოფილი ოვერისე): ზვოლე, ალმელო, დევენტერი;

– ფრიზი: ლეუვარდენი, სნეკი, ჰერენვენი;

– დასავლეთი ემსი (ყოფილი გრონინგი): გრონინგი, აპინგედამი, ასენი, ვინხოტენი;

– აღმოსავლეთი ემსი (ყოფილი აღმოსავლეთი ფრიზი): აურიხი, ემდენი, იეეერი.

ზემოაღნიშნული დაყოფა დაახლოებით შეესაბამებოდა ჰოლანდიის დეპარტამენტების ნინა დაყოფას. გამონაკლისს მხოლოდ სამი ტერიტორია წარმოადგენდა:

– უტრეხტის ყოფილი დეპარტამენტი ზეიდერზეეს ფრანგულ დეპარტამენტთან იქნა მიერთებული;

– დრენთეს დეპარტამენტი დასავლეთი ემსის დეპარტამენტთან იქნა მიერთებული;

– გელდერლანდის დეპარტამენტი (ზემო ისელი) აღარ შედიოდა ვაალეს დეპარტამენტში.

საფრანგეთის იმპერიაში ჩართვა სამხედრო სამსახურში განვევაში (ფრანგული ჯარის მოსამარაგებლად), სიღატაკესა და გაზრდილ უმუშევრობაში გამოიხატა. ლაიპციგში საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, ფრანგ ხელისუფალთა წინააღმდეგ სახალხო აჯანყების საშიშროების ნინაშე, ლებრუნმა 1813 წლის 14 ნოემბერს ამსტერდამი დატოვა. 30 ნოემბერს უკანასკნელი შტატგალტერის ვილჰელმ V-ის ვაჟი, პრინცი ვილჰელმი შევენინგში ჩავიდა. იგი ამსტერდამში 2 დეკემბერს შევიდა და ნიდერლანდის სიუზერენი პრინცის ტიტული მიიღო. სწორედ ამ დროს, პრუსიელებმა ქვეყნის ტერიტორია დაიკავეს.

IV. ნიდერლანდის სამეფო (1815 წლიდან დღემდე)

1. სამეფოს შექმნა (1814-1815ნნ.)

1814 წლის 30 მაისს ნაპოლეონზე გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა პარიზის პირველ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომლის თანახმად საფრანგეთი 1792 წლის 1 იანვარს დადგენილ საზღვრებს დაუბრუნდა, რამდენიმე შესწორებით. ავსტრიამ აღარ მოისურვა თავისი ნიდერლანდური სამფლობელოების დაბრუნება და ლიეჟის საეპისკოპოსო აღარ იქნა აღდგენილი. სამხრეთი ნიდერლანდის ფრანგების ამბიციებისაგან თავის დაღნევის საუკეთესო საშუალებად მოკავშირეებმა მისი ნიდერლანდის (ჩრდილოეთი) სიუზერენი პრინცისათვის გადაცემა მიიჩნიეს.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების სეპარატიული და საიდუმლო მუხლების თანახმად, რომელსაც მოკავშირეებმა მოაწერეს ხელი, დადგინდა, რომ ზღვას შორის მდებარე ტერიტორიები (საფრანგეთისა და მეზის საზღვრები) ნიდერლანდის პრინცს უნდა გადასცემოდა, ხოლო მეზის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ტერიტორიები, ამ უკანასკნელსა და მის მეზობლებს შორის შეთანხმების საგანი უნდა გამხდარიყო. 1814 წლის 21 ივლისს ვილჰელმი დასთანხმდა აღნიშნულ პრინციპს.

1815 წლის 16 მარტს პრინცმა ვილჰელმმა გენერალურ შტატებს თავისი გადაწყვეტილება გამოუცხადა ნიდერლანდის მეფის ტიტულის მიღების თაობაზე. იგი ჩრდილოეთის და სამხრეთის პროვინციებზე უნდა გამეფებულიყო, რომელიც ნიდერლანდის გაერთიანებული სამეფო უნდა გამხდარიყო. ძლიერმა სახელმწიფოებმა აღიარეს ვილჰელმის ახალი ნოდება.

1815 წლის 31 მაისს ვენის ხელშეკრულებით, რომელსაც ნიდერლანდის ახალმა მეფემ ვილჰელმ I-მა და ოთხმა ძლიერმა სახელმწიფომ (დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, პრუსია, რუსეთი) მოაწერა ხელი, გადაწყდა, რომ გაერთიანებული ნიდერლანდის სამეფო შემდეგი ძველი ტერიტორიებისაგან უნდა შემდგარიყო: **შეერთებული პროვინციები, ავსტრიის ნიდერლანდი, ლიეჟის საეპისკოპოსო, სტაველოტისა და მალმედის სააბატოები, პრუსიის ყოფილი გელდერლანდის დასავლეთი ნახევარი** (მეზის მარცხენა ნაპირზე).

ამავე დროს, ნიდერლანდის გაერთიანებულ სამეფოს ჩამოეჭრა 1814 წლის მაისში საფრანგეთისთვის დატოვებული ნამიურისა და ჰაინაუტის რამდენიმე კანტონი და პრუსიისთვის გადაცემული პიტბურგის ოლქი და რამდენიმე კანტონი (სენ-ვიტი, ეიპენი, როლდიუკი, აუბელი, მალმედი).

ვენის კონგრესმა აღიარა ბუიონის უკანასკნელი ჰერცოგის უფლებები თავისი საჰერცოგოს დაბრუნების თაობაზე, რომელიც ჰერცოგმა მაშინვე ნიდერლანდს მიჰყიდა.

ამავე კონგრესზე დადგენილ იქნა, **რომ ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოდ** გარდაქმნილი ძველი საჰერცოგო, რომელიც ავსტრიის ნიდერლანდის ერთადერთი ძველი ელემენტი იყო და მომავალ გერმანიის კონფედერაციაში უნდა შესულიყო, ნიდერლანდის მეფეს პირად მფლობელობაში გადაეცემოდა მემკვიდრეობით, გერმანულ მინებზე პრუსიის სასარგებლოდ უარის თქმის საკომპენსაციოდ.

"ასი დღის" ეპიზოდის შემდეგ, კოალიციაში შემავალმა სახელმწიფოებმა საფრანგეთს მეორე პარიზის ხელშეკრულება (1815 წლის 20 ნოემბერი) წარუდგინეს, რომელიც პირველზე ნაკლებად ხელსაყრელი იყო, და საფრანგეთს სხვადასხვა ტერიტორიები დაეკარგინა. აღნიშნულ ფარგლებში, **საფრანგეთმა გაერთიანებულ ნიდერლანდს ფილპვილი, მარიენბურგი** და მოსაზღვრე კანტონები დაუთმო, რომელიც მას 1814 წელს დარჩა.

ნიდერლანდის გაერთიანებული სამეფოს ფართობი 65 000კმ²-ს, მოსახლეობა კი 6 მილიონ კაცს შეადგენდა. ის თვრამეტ პროვინციად იყო დაყოფილი:

– ისტორიულ საზღვრებში აღდგენილი ცხრა ჩრდილოეთის პროვინცია, რომელიც ყოფილ შეერთებულ პროვინციებს შეესატყვისებოდა: ჰოლანდია (ამსტერდამი), ზელანდია (მიდელბურგი), უტრეხტი (უტრეხტი), გელდრე (არნემი), ოვერეისე (ზვოლე), ფრიზი (ლეუვარდენი), გრონინგი (გრონინგი), დრენთე (ასენი)

ჩრდილოეთი ბრაბანტი (ჰერტოგენბოსი), რომელსაც პრუსიის მიერ გადაცემული ზემო გელდრეს ნანილი მიუერთდა; ჰოლანდიის ფლანდრია ზელანდიასთან იქნა მიერთებული;

– სამხრეთის ცხრა პროვინციამ ფრანგულ დეპარტამენტებად დაყოფის წესი შეინარჩუნა, რომელიც ბელგიურ ტერიტორიას შეესატყვისებოდა: დასავლეთი ფლანდრია (ბრიუგე), აღმოსავლეთი ფლანდრია (გენტი), ანტვერპენი (ანტვერპენი), სამხრეთი ბრაბანტი (ბრიუსელი), ჰაინაუტი (მონსი), ნამიური (ნამიური), ლიეჟი (ლიეჟი), ლიმბურგი (მაასტრიხტი), ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო.

1816 წლის მაისში ნიდერლანდის მეფემ უარი თქვა მისთვის და მისი შთამომავლებისათვის ლუქსემბურგის პირად სამფლობელოდ მიკუთვნებაზე და ის თავისი სამეფოს რიგით პროვინციად აქცია. ამავე დროს, ლუქსემბურგი გერმანიის კონფედერაციის შემადგენლობაში რჩებოდა. 1817 წლის მარტში ფრანკფურტის შეთანხმებით, მეფე დასთანხმდა ქალაქ ლუქსემბურგის გერმანიის კონფედერაციის გამაგრებულ ადგილად გადაქცევაზე, რომლის გარნიზონი 3/4 პრუსიული იყო.

განსხვავებული წარსულის მქონე პროვინციების გაერთიანებამ კონსტიტუციის მიღების საჭიროება წარმოშვა. ამ კონსტიტუციით დამტკიცებული იყო აბსოლუტური თანასწორობა ჩრდილოეთისა და სამხრეთის პროვინციებს შორის. სამეფოში იყო ორი დედაქალაქი, ჰაგა და ბრიუსელი. გენერალური შტატები ორ პალატად იქნა დაყოფილი, პირველ პალატას მეფე ნიშნავდა, მეორე კი პროვინციების შტატების წარმომადგენლებისაგან იყო შემდგარი.

2. ბელგიის გამოყოფა (1830/1839ნნ.)

სამხრეთის ცხრა პროვინციის მოსახლეობის უმრავლესობა ფრანგულენოვანი და კათოლიკური იყო, რომელიც დიდ კმაყოფილებას არ გამოთქვამდა ნიდერლანდურ ენაზე მოლაპარაკე და პროტესტანტული უმრავლესობით დასახლებული ჩრდილოეთის პროვინციებთან გაერთიანებასთან დაკავშირებით. ფლამანდიელებიც კი, რომელთა მიერთება მეფეს გამართლებულად მიაჩნდა ლინგვისტური მიზეზების გამო, უკმაყოფილონი იყვნენ რელიგიურ საკითხებში ხელისუფლების ჩარევით.

1830 წლის აგვისტოში ფლამანდიელები ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდნენ და ადგილზე დროებითი მთავრობა დააყენეს, რომელმაც გამოყოფა გადაწყვიტა. მან განაცხადა (ოქტომბერი), რომ ლუქსემბურგი ბელგიური ტერიტორიის ნაწილს შეადგენდა და მომავალი ბელგიისათვის მონარქიული რეჟიმი აირჩია (ნოემბერი).

საფრანგეთისა და ინგლისის ინიციატივით ლონდონში შეკრებილმა ძლიერმა სახელმწიფოებმა, 1830 წლის 20 დეკემბერს **ნიდერლანდის გაერთიანებული სამეფოს** დაშლა გადაწყვიტეს და, 1831 წლის 20 იანვრის პროტოკოლით, საზღვრები დაადგინეს ორ ტერიტორიულ ერთეულს შორის:

– ამ დროიდან **ნიდერლანდის** სამეფო ყოფილი შეერთებული პროვინციების საფუძველზე უნდა შექმნილიყო 1790 წელს დადგენილ საზღვრებში, რომელსაც ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო დაემატებოდა (ის ისევ გერმანიის კონფედერაციის შემადგენლობაში რჩებოდა);

– **ბელგიის** ახალი სამეფო ყოფილი ნიდერლანდის გაერთიანებული სამეფოს დარჩენილი ნაწილისაგან უნდა შექმნილიყო.

მას შემდეგ რაც ბელგიის კონგრესმა ლუქსემბურგის დატოვების წინაღაღება უკუაგდო და ახალმა მეფემ ლეოპოლდ I-მა ბელგიის სამეფო გვირგვინზე თანხმობის მისაცემად უფრო ხელსაყრელი პირობები მოითხოვა, ძლიერმა სახელმწიფოებმა 1831 წლის 26 ივნისს მასთან "თვრამეტი მუხლის" ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომლის თანახმად ლუქსემბურგი ბელგიას გადაეცა, ხოლო ლიმბურგი ნიდერლანდსა და ბელგიას შორის შეთანხმების ფარგლებში, კომპენსაციის საგანი უნდა გამხდარიყო.

ნიდერლანდის მეფემ უარი თქვა "თვრამეტი მუხლის" ხელშეკრულებაზე, დაიპყრო ბელგია და ხელთ იგდო ანტვერპენი. ბელგიამ დახმარებისათვის საფრანგეთს მიმართა, რომელიც თავის მხრივ, შექმნილ ვითარებაში ჩაერია. კონფლიქტი დასრულდა ახალი შეთანხმებით (1831 წლის 20 ოქტომბერი), "ოცდაოთხი მუხლის" ხელშეკრულებით, რომლის თანახმად ლიმბურგი და ლუქსემბურგი ორ ნაწილად იქნა გაყოფილი:

– **ლიმბურგის დასავლეთი ნაწილი** (მეზის მარცხენა ნაპირი) ლიმბურგის ბელგიური პროვინცია გახდა, ადმინისტრაციული ცენტრით ჰასელტში;

– **ლუქსემბურგის დასავლეთი ნაწილი** (ფრანგულენოვანი ნაწილი) ლუქსემბურგის ბელგიური პროვინცია გახდა, ადმინისტრაციული ცენტრით არლონში;

– **ლიმბურგის აღმოსავლეთი ნაწილი** (მეზის მარჯვენა ნაპირი, რომელიც მაასტრიხტში მარცხენა ნაპირზე გადადიოდა) ლიმბურგის ნიდერლანდური პროვინცია გახდა, ადმინისტრაციული ცენტრით ლუქსემბურგში.

ბელგიის ლუქსემბურგის გერმანიის კონფედერაციიდან გამოსვლის შემდეგ, ნიდერლანდის ლიმბურგი იქ კომპენსაციის სახით იქნა შეყვანილი, მაასტრიხტისა და ვენლოს გარდა, რომელიც ბატავიის ძველი ტერიტორიები იყო.

თავდაპირველად, ნიდერლანდის მეფემ უარი თქვა ხელშეკრულების დამტკიცებაზე და ბელგიამ დროებით თითქმის მთლიანად შეინარჩუნა ლიმბურგი და ლუქსემბურგი ორი ქალაქის, მაასტრიხტისა და ვენლოს გარდა, იქ განლაგებული ნიდერლანდური გარნიზონის მიზეზით.

1838 წლის მარტში ნიდერლანდის მეფე დასთანხმდა "ოხდაოთხი მუხლის" ხელშეკრულების ხელმოწერას. გადანანილება ამ ხელშეკრულების თანახმად განხორციელდა.

ამ დროიდან **ნიდერლანდის სამეფო** თორმეტი პროვინციისაგან შედგებოდა:

– ჩრდილოეთის ცხრა პროვინცია, რომელიც ათამდე იქნა გაზრდილი 1830 ნელს ჰოლანდიის პროვინციის ორ ნანილად დაყოფის შედეგად: ჩრდილოეთი ჰოლანდია (ამსტერდამი), სამხრეთი ჰოლანდია (ჰააგა), ზელანდია (მიდელბურგი), უტრეხტი (უტრეხტი), გელდერლანდი (არნემი), ოვერეისე (ზვოლე), ფრიზი (ლეუვარდენი), გრონინგი (გრონინგი), დრენთე (ასენი), ჩრდილოეთი ბრაბანტი (ჰერტოგენბოსი);

– მეზის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ლიმბურგის საჰერცოგო (მაასტრიხტი), რომელიც სამეფოს რიგითი პროვინცია გახდა, მაგრამ შეყვანილ იქნა გერმანიის კონფედერაციაში;

– ლიმბურგის დიდი საჰერცოგო (ლუქსემბურგი), რომელიც ნიდერლანდის მეფემ ცალკე ადმინისტარციით აღჭურვა, ასევე გერმანიის კონფედერაციაში იქნა შეყვანილი.

ნიდერლანდის სამეფოს ფართობი 35 400კმ²-მდე იქნა დაყვანილი, მისმა მოსახლეობამ კი 2 750 000 კაცი შეადგინა.

ბელგიის გამოყოფამ ნიდერლანდის სამეფოს 1815 წლამდე არსებული მთლიანობა დაუბრუნა: ერთი ენა, პროტესტანტიზმის პირველობა. ლუქსემბურგის გამოკლებით, ნიდერლანდის მოსახლეობას კვლავ გაუჩნდა ერთი ერისადმი მიკუთვნების გრძნობა, რომელიც ქვეყანაში დამკვიდრებული სამეფო დინასტიის გარშემო იყო გაერთიანებული.

XIX საუკუნეში ბევრი სხვა ევროპული ქვეყნის მსგავსად ნიდერლანდმა ევოლუცია განიცადა: წინსვლა დემოკრატიის მიმართულებით (1848 წელს ვილჰელმ II-მ ქვეყანას საპარლამენტო კონსტიტუცია უბოძა), ეკონომიკის მნიშვნელოვანი განვითარება.

3. ლუქსემბურგის გამოყოფა (1890წ.)

1866 ნელს ავსტრია-პრუსიის ომის შემდეგ, საიდანაც გამარჯვებული პრუსია გამოვიდა, გერმანიის კონფედერაცია დაიშალა. ლუქსემბურგის დიდმა ჰერცოგმა, მეფე ვილჰელმ III-მ, უარი თქვა ჩრდილოეთი გერმანიის ახალ კონფედერაციაში შესვლაზე. ლუქსემბურგის ციხე-სიმაგრეში პრუსიელთა ყოფნით დაღლილმა მეფემ, გადაწყვიტა უარი არ ეთქვა იმპერატორ ნაპოლეონ II-ის შემოთავაზებაზე ლუქსემბურგის გაყიდვასთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელს, კომპენსაციის მიღება სურდა 1866 ნელს პრუსიის ტერიტორიის გაზრდის გამო.

პირველ ხანებში, პრუსიის კანცლერმა ბისმარკმა თანხმობა მისცა ლუქსემბურგის საიდუმლო გადაცემას, მაგრამ პარლამენტში ინტერპელაციისა და საზოგადოებრივი აზრის მიერ ამ საკითხის წამოჭრის შემდეგ, მან ეს გარიგება ჩაშალა.

1867 ნლის 11 მაისის ლონდონის ხელშეკრულებით, საფრანგეთი იძულებული გახდა უარი ეთქვა ლუქსემბურგის შეძენაზე. მან მხოლოდ ლუქსემბურგის ციხე-სიმაგრის დემონტაჟსა (რომელიც პრუსიული გარნიზონისაგან განთავისუფლადა) და დიდი საჰერცოგოს ნეიტრალურად გამოცხადებას მიაღნია იმავე პირობით, როგორც ეს 1831 ნელს ბელგიისთვის იქნა განსაზღვრული.

1890 ნლის 23 ნოემბერს ნიდერლანდის მეფის, ვილჰელმ III-ის გარდაცვალების შემდეგ, სამეფო ტახტზე მისი ქალიშვილი, ვილჰელმინა ავიდა. ლუქსემბურგი სალიკურ კანონს იცავდა და დიდი საჰერცოგოს ტახტი ვილჰელმის ბიძაშვილს, ადოლფ ნასაუს გადაეცა, რომელსაც ნასაუს საჰერცოგო პრუსიამ 1866 ნელს ჩამოართვა.

ლუქსემბურგის დიდი საპერცოგო ნიდერლანდის სამეფოს გამოეყო, და ეს უკანასკნელი თერთმეტ პროვინციამდე იქნა დაყვანილი 32 800კმ² ფართობით.

4. თანამედროვე ნიდერლანდის სამეფო

ლუქსემბურგის გამოყოფის შედეგად ნიდერლანდი ტერიტორიულად ერთიანი სახელმწიფო გახდა (1919 წელს ბელგიური მხარის მოთხოვნების მიუხედავად შელდის მარცხენა ნაპირის გადაცემასთან დაკავშირებით), რომლის საზღვრები დღემდე უცვლელი დარჩა. პირველი მსოფლიო ომის დროს ქვეყანას ნეიტრალიტეტი ჰქონდა გამოცხადებული.

1918 წელს მჭიდროდ დასახლებული ქვეყნის მოსახლეობის ზრდის პირისპირ, ზეიდერზეე ზღვას გამოსტაცეს ჯებირისა და შიდა ზღვის ეტაპობრივი ამოშრობით. იგივე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ზელანდიის კუნძულებთან მდებარე ზღვის ვინრო ყურესთან დაკავშირებით.

1940 წელს ნიდერლანდი გერმანიის ჯარების მიერ იქნა ოკუპირებული და იქ დროებით, გერმანიის რაიხკომისარიატი განთავსდა. ქვეყნის დედოფალი ლონდონში გაიხიზნა. ნიდერლანდი 1945 წლის მაისში იქნა განთავისუფლებული, რის შემდეგაც დედოფალი ჰააგაში დაბრუნდა.

1987 წლის 1 იანვარს ნიდერლანდი კვლავ თორმეტი პროვინციისაგან შემდგარი ქვეყანა გახდა ფლევილანდის ახალი პროვინციის (ადმინისტრაციული ცენტრი ლელეისტადი) შექმნის შედეგად, რომლის ფართობმა 1 400კმ²-ს, მოსახლეობამ კი 400 000 კაცი შეადგინა. აღნიშნული პროვინცია პოლდერებისაგან შეიქმნა, რომელიც ისელმერში (ყოფილი ზეიდერზეე) ზღვას გამოსტაცეს.

რას გულისხმობს სახელწოდება ნიდერლანდი

გეოგრაფიული თვალსაზრისით, ტერმინი ნიდერლანდი (Nederland) ისტორიის მანძილზე სხვადასხვა პროვინციების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ეს პროვინციები ყოველთვის საფრანგეთის ჩრდილოეთით და გერმანიის დასავლეთით მდებარეობდა.

ბურგუნდიელთა ბატონობის პერიოდში რეგიონი ცნობილი იყო "პირაქეთა ქვეყნის" სახელწოდებით, "პირიქითა ქვეყნის" საპირისპიროდ, რომელიც ჰერცოგთა მფლობელობაში მყოფი პროვინციებისაგან შედგებოდა (ბურგუნდია და ფრანშ-კონტე). ტერმინი ნიდერლანდი (ქვემოთ მდებარე ქვეყანა) XVI საუკუნეში გაჩნდა ჰაბსბურგების ბატონობასთან ერთად, "ზევით მდებარე ქვეყნის" საპირისპიროდ, რომელიც ავსტრიის სახლის ალპურ მემკვიდრეობით სამფლობელოებს წარმოადგენდა.

1578 წლიდან 1795 წლამდე აღნიშნული ტერმინი მხოლოდ სამხრეთი პროვინციების აღსანიშნავად გამოიყენებოდა, ჩრდილოეთის პროვინციებს კი შეერთებული პროვინციები ეწოდა. 1795 წლიდან 1814 წლამდე ეს ტერმინი გაქრა. 1814 წლიდან 1830 წლამდე ის კვლავ გაჩნდა პროვინციათა ახალი ერთიანობის გამოსახატავად. 1830 წლიდან დღემდე, ბელგიის გამოყოფის გამო, ტერმინი ნიდერლანდი მხოლოდ ჩრდილოეთის პროვინციების აღსანიშნავად გამოიყენება.

წინამდებარე თავში ძირითადად ჩრდილოეთი პროვინციებია განხილული (დღევანდელი ნიდერლანდის სამეფო), სამხრეთი პროვინციები უფრო დანერილებით განხილულია თავებში ბელგია და ლუქსემბურგი.

ჰოლანდია თუ ნიდერლანდი?

ტერმინი "ჰოლანდია" ხშირად გამოიყენებოდა "ნიდერლანდის" აღსანიშნავად, "ჰოლანდიური" კი "ნიდერლანდურის" ნაცვლად. აღნიშნული მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ჰოლანდია ნიდერლანდური პროვინციებიდან ყველაზე მდიდარი იყო. ის ყოველთვის ქვეყნის გულს, მის სასიცოცხლო ძალათა ცენტრს, მთავარ რეგიონს წარმოადგენდა, სადაც განლაგებული იყო ქვეყნის პოლიტიკური ხელისუფლება და მისი ინტელექტუალური ძალების კერა.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჰოლანდია მხოლოდ ისტორიული (ჰოლანდიის საგრაფო) და ადმინისტრაციული (დღევანდელი ჰოლანდიის ორი პროვინცია) კომპლექსის ნაწილს წარმოადგენდა იმ პოლიტიკური ერთიანობიდან, რომელსაც შეერთებული პროვინციები ეწოდებოდა 1579 წლიდან 1795 წლამდე, ბატავიის რესპუბლიკა 1795 წლიდან 1806 წლამდე, ჰოლანდიის სამეფო 1806 წლიდან 1810 წლამდე და ნიდერლანდი 1815 წლიდან.

თუკი შესაძლებელია აღნიშნული ტერმინის მოშველიება ხელოვნებასთან და სულიერებასთან დაკავშირებულ სფეროებში, უმჯობესი იქნებოდა ისტორიულ, ადმინისტრაციულ თუ ტერიტორიულ ასპექტში ამ ორი ტერმინის ზუსტი გამოყენება, რადგან ისინი განსხვავებულ რეალობას აღნიშნავს.

ნორვეგია

ზოგადი ცნობები

მონარქიული სახელმწიფო: ნორვეგიის სამეფო.
სიუზერენი: მეფე ჰერალდ V, შლესვიგ-ჰოლშტაინ-ზონდერბურგ-გლიუკსბურგის სახლი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: სტორტინგი, დაყოფილია ორ პალატად: ზედა პალატა (ლაგტინგი), ქვედა პალატა (ოდელსტინგი).
დედაქალაქი: ოსლო.
ადმინისტრაციული დაყოფა: 19 საგრაფო: ოსლო, აკერშუსი (ოსლო), ესტფოლდი (მოსი), ჰედმარკი (ჰამარი), ოპლანდი (ლილეჰამერი), ბუსკერუდი (დრამენი), ვესტფოლდი (ტენსბერგი), ტელემარკი (შიენი), ეუსტაგდერი (არენდალი), ვესტაგდერი (კრისტიანსანი), როგალანდი (სტავანგერი), ჰორდალანდი (ბერგენი), სოგნ-ოგ-ფიურანე (ჰერმანსვერკი), მერე-ოგ-რამსდალი (მოლდე), სერ-ტრენეგალი (ტრონჰეიმი), ნორდ-ტრენეგალი (სტეინკიერი), ნორდლანდი (ბუდე), ტრომსი (ტრომსე), ფინმარკი (ვადსე).
ნორვეგიის დაქვემდებარებაში მყოფი ევროპის კუნძულები: სვალბარდის კუნძულები (შპიცბერგენი), იან მაიენის კუნძული.
ფართობი: 324 000კმ² (აქედან 17 000 ზღვის ყურეები და ნყლის შიდა დინებები).
ენა: ნორვეგიული, ორი ვარიანტით: ბუკმოლი (უფრო გავრცელებული) და ნინორკი.
რელიგია: პროტესტანტები (ლუთერანები) 88%-მდე.
ფულის ერთეული: ნორვეგიული კრონა.

I. სათავეებიდან 1789 ნლამდე. ნორვეგიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. ოლაფ I-დან დანიასთან გაერთიანებამდე (900-1789ნნ.)

ვიკინგებით დასახლებული პატარა სამეფოებად დაყოფილი ნორვეგია ("ჩრდილოეთის გზა"), დაახლოებით 900 ნელს გაერთიანდა. სნორედ ამ დროს, ნორვეგიამ პირველი ბრნყინვალე პერიოდი განელო: ზღვის იქითა ტერიტორიების ექსპანსია, ოლაფ I-ის, განსაკუთრებით კი ოლაფ II-ის (ნმინდა ოლაფი, 1016-1028ნნ) მეფობა. ანარქიის პერიოდის (XI-XII სს.) შემდეგ, ნორვეგიამ კვლავ შეძლო გაერთიანება XIII-XIV საუკუნეებში.

დინასტიურ გარემოებათა გამო, ნორვეგია შვედეთთან ერთად დანიის მეფის ბატონობის ქვეშ მოექცა კალმარის უნიის (1397-1523ნნ.) საფუძველზე. გერმანიის მხრიდან ნამოსული საშიშროების ნინააღმდეგ შექმნილი კალმარის უნია განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო დანიისთვის. სულ მალე, დანია შვედების წინააღმდეგობას ნაანყდა. გუსტავ ვასას მეთაურობით მომხდარი აჯანყების შემდეგ, 1523 ნელს შვედეთმა საბოლოოდ განყვიტა კავშირი კალმარის უნიასთან. დანიის მეურვეობის ქვეშ მხოლოდ ნორვეგია აღმოჩნდა.

ამ დროიდან, საბოლოოდ იქნა გადანყვეტილი ნორვეგიის ბედი: მიუხედავად მისი ნინააღმდეგობისა, ის მხოლოდ თეორიულად რჩებოდა ცალკე სამეფოდ, ფაქტობრივად კი ნორვეგია დანიის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. გაითავისა რა დანიური ენა და ადათ-ნესები, ნორვეგიული ელიტა XVI საუკუნის შუა ხანებში

დანიის მსგავსად, ლუთერანიზმში გადავიდა. ნორვეგიის დანიისადმი დაქვემ-დებარებას 1658 წელს შვედეთის სასარგებლოდ მისი ორი ტერიტორიის დაკარგვა მოჰყვა: სამხრეთით ბოჰუსი (ყურე), აღმოსავლეთით კი იომტლანდი.

2. ნორვეგია 1789 წელს

1789 წელს ნორვეგია სკანდინავიის ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილის მთელ სიგრძეზე გადაშლილი დიდი სამეფო იყო. მისი ფართობი 320 000კმ²-ს აღწევდა, მოსახლეობა კი დაახლოებით 700 000 კაცს შეადგენდა. ნორვეგია ბარენცის (ჩრდილო-აღმოსავლეთი), ნორვეგიის (ჩრდილოეთით), ჩრდილოეთის (დასავლეთით) ზღვებსა და სკაგერაკის სრუტეს შორის იყო განლაგებული. შვედეთისგან (აღმოსავლეთით) მას სკანდინავიური ალპების გრძელი ქედი ჰყოფდა.

ნორვეგია მაღალი პლატოების ქვეყანას წარმოადგენდა, რომლის ციცაბო კლდეები და შთამბეჭდავი ფიორდები ზღვაში ეშვებოდა. ტყეებით დაფარულ ქვეყანას მისი განედისთვის დამახასიათებელი ცივი და მკაცრი კლიმატი ახასიათ-დებოდა, თუმცა ამ კლიმატს მის ნაპირებთან გამავალი გოლსტრიმის დინება არბილებდა. ნორვეგიის რელიეფი და კლიმატი სოფლის მეურნეობის განვითარე-ბისთვის არახელსაყრელი იყო, და აქედან გამომდინარე, მისი ნამდვილი სიმდიდრე თევზჭერა დ ხე-ტყის დამუშავება იყო. მოსახლეობის სიმცირის გამო, საქალაქო ქსელი ნაკლებად იყო განვითარებული.

აღნიშნულ დროს, ნორვეგია კვლავ პირადი უნიით დანიასთან იყო დაკავშირებული. 1789 წელს ქვეყანა ისევ დანიის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, თუმცა სახელმწიფო ინსტიტუტების უნიფიკაციის გამო, ნორვეგიამ დანიისგან ფაქტობრივი ავტონომია მოიპოვა, რომლის სიმბოლოც კრისტიანსანში (დედა-ქალაქი) განლაგებული ვიცე-მეფის რეზიდენცია იყო.

სამეფო ოთხ საბაიოდ იქნა დაყოფილი: აკერშუსი (კრისტიანსანი), კრის-ტიანსანდი (არენდალი), ბერგენი და ტრონჰეიმი.

აღსანიშნავია, რომ 1789 წლიდან დღემდე, ნორვეგიის სამეფოს გარე საზღვრე-ბი უცვლელი დარჩა. ცვლილებები მხოლოდ სამეფოს სხვა ტერიტორიულ ერთეუ-ლებთან გამაერთიანებელმა (ან პირიქით) კავშირებმა განიცადა, ისევე როგორც ზღვის იქითა ტერიტორიებმა.

II. დამოუკიდებლობის ძიებაში (1789 წლიდან დღემდე)

1. 1789 წლიდან სამეფოს დამოუკიდებლობამდე (1905წ.)

ნაპოლეონის ეპოქის კონფლიქტების დროს, ნორვეგია დანიასთან ერთად საფრანგეთთან ალიანსში შევიდა, რამაც ის 1814 წელს დამარცხებულთა ბანაკში მოახვედრა.

ამავე დროს, შვედეთი იძულებული გახდა რუსეთისთვის ფინეთი დაეთმო. შვედეთის მემკვიდრე პრინცი, კარლ-იანი (ბერნადოტი) ანტი-ფრანგულ კოა-ლიციაში გაერთიანების სანაცვლოდ ნორვეგიის მიღებას მოელოდა, რომელსაც, მისი აზრით, ფინეთის დაკარგვის კომპენსაცია შეეძლო. 1812 წელს კოალიციაში გაერთიანების თანხმობა მას ფორმალურად ნორვეგიის გადაცემის შესაძლებ-ლობას აძლევდა.

1813 წელს შვედეთის მიერ დამარცხებულმა დანიამ, 1814 წლის 14 იანვრის კილის ხელშეკრულებით, **შვედეთს ნორვეგიის სამეფო დაუთმო,** რომლის სანაცვლოდ შვედეთის პომერანია მიიღო.

თავის მხრივ, კონფლიქტის დასაწყისიდან დანიისგან იზოლირებული ნორვეგია დამოუკიდებლობის იდეით განიმსჭვალა და მის მოსაპოვებლად ხელსაყრელ გარემოებას ელოდა. 1814 წლის 17 მაისს ეისვოლდში შეკრებილმა ნორვეგიის ასამბლეამ **ნორვეგიის სამეფოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა,** ხმა მისცა კონსტიტუციას და მეფედ ყოფილი ვიცე-მეფე, დანიის პრინცი კრისტიან-ფრედე-რიკი აირჩია.

ნაპოლეონზე გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს ნორვეგიის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. შვედეთის პრინცმა-რეგენტმა, კარლ-იანმა ნორვეგიის სამეფოს ხელში ჩაგდების მიზნით ომი დაიწყო, რომელიც მას კილის ხელშეკრულებით ჰქონდა მიკუთვნებული.

მეფე კრისტიან-ფრედერიკმა სამეფო გვირგვინზე უარი თქვა და 1814 წლის 4 ნოემბერს მოსის შეთანხმებით, **ნორვეგიის სამეფო პირადი უნიის საფუძველზე შვედეთის სამეფოს შეუერთდა.** ორ ქვეყანას შორის საერთო ელემენტი მხოლოდ მეფე და საგარეო საქმეთა სამინისტრო იყო.

შვედეთმა ვალდებულება იკისრა არ დაერღვია ორი სამეფოს ადმინისტრაციული დაყოფა (რაც მან შეასრულა), და ნორვეგია ეისვოლდის კონსტიტუციაზე დამყარებული ნამდვილი ავტონომიით უზრუნველყო. კრისტიანსანში მეფე გენერალ-გუბერნატორით იყო წარმოდგენილი.

ნორვეგიის შიდა დაყოფა 17 საგრაფოდ იქნა რეორგანიზებული: აკერშუსი (კრისტიანია), სმოლენენი, ჰედმარკი, კრისტიანსანი, ბუსკერუდი, იალსბერგი-დალეურვიგი, ბრადსბერგი, ნედესი, ლისტერი-და-მანდალი, სტავანგერი, სამხრეთ ბერგენი, ჩრდილოეთ ბერგენი, რომსდალი, სამხრეთ ტრონჰეიმი, ჩრდილოეთ ტრონჰეიმი, ნორდლანდი (ბუდე), ფინმარკენი (ტრომსე).

აღნიშნული საუკუნის მანძილზე, საგრაფოთა რაოდენობა 19-მდე იქნა გაზრდილი კრისტიანიაში საქალაქო პრეფექტურის, შემდეგ კი ტრომსეს საგრაფოს შექმნით, რომელიც ნორდლანდისა და ფინმარკენის საგრაფოებს შორის იქნა განლაგებული.

ამავე დროს, ნორვეგიელები უკმაყოფილონი იყვნენ შვედეთთან გაერთიანებით, რომელსაც მთელი ტერიტორიის გაერთიანება სურდა, მაშინ როდესაც ნორვეგიის მოსახლეობა დაჟინებით ცდილობდა თავისი თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ქვეყანაში ჩამოყალიბდა დამოუკიდებლობისოვის მებრძოლი მოძრაობა, რომელიც ნორვეგიის დიდი წარსულის ხსოვნაზე იყო დაფუძნებული. დაიწყო ეროვნული კულტურის აღმავლობა (ლიტერატურა და მუსიკა), შეიქმნა საკუთარი ენა, ნინორიკი (ახალი-ნორვეგიული), რომელიც გლეხკაცურ დიალექტზე იყო დაფუძნებული და დანიურ ენასთან მონათესავე, ბოკმოლის ენას უპირისპირდებოდა.

ამავე დროს, XX საუკუნეში ნორვეგიამ საგრძნობლად განავითარა თავისი ეკონომიკა, განსაკუთრებით კი სანაოსნო საქმიანობა (გემთმშენებლობა, საზღვაო ვაჭრობა) და არ სურდა შეედეთთან მიღწეულის განანილება.

2. დამოუკიდებლობიდან (1905წ.) დღემდე

კრისტიანიის მთავრობის მიერ ნორვეგიის საკონსულო სამსახურის შექმნის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, შვედეთის მეფის მიერ ვეტოს დადების შემდეგ, ნორვეგიის ასამბლეამ (სტორტინგი) 1905 წლის 7 ივნისს **ნორვეგიის სამეფოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.** 31 აგვისტოს კარლოვაცის (კარლშტადტი) ხელშეკრულებით, შვედეთი ნორვეგიის დამოუკიდებლობის მიღებას დასთანხმდა.

13 ნოემბერს ჩატარებული პლებისციტით, ნორვეგიელებმა თავისი არჩევანის რატიფიცირება შთამბეჭდავი უმრავლესობით დაამტკიცეს და თანხმობა მისცეს მონარქიული რეჟიმის შენარჩუნებას. ნორვეგიის ახალმა სამეფომ (დამოუკიდებელი), სამეფო ტახტზე დანიის მეფის, ფრედერიკ VIII-ის ვაჟი, პრინცი კარლი იხმო, რომელიც ტახტზე ჰოკონ VII-ის სახელით ავიდა.

პირველი მსოფლიო ომის დროს, ნორვეგიის მიერ გამოცხადებულმა ნეიტრალიტეტმა მას თავიდან ააცილა კონფლიქტში ჩარევა, თუმცა ამით ქვეყნის საზღვაო საქმიანობა ძალზე დაზარალდა. ნორვეგიის სავაჭრო ფლოტმა მძიმე დანაკარგები განიცადა.

მეორე მხრივ, ნორვეგიის ჩრდილოეთით, ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში მდებარე შპიცბერგენის (სვალბორდი) არქიპელაგი (62 000კმ²), რომელიც შპიცბერგენის და თეთრი კუნძულების, მეფე-კარლის, იმედისა და დათვის კუნ-

ძულებისგან შედგებოდა, დიდი ხნის განმავლობაში უგულებელყოფილი იყო მკაცრი კლიმატის გამო. მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში იქ ქვანახშირის საბადო იქნა აღმოჩენილი. ამ დროიდან, ნორვეგიამ თავისი უფლებები ნარადგინა ზემოაღნიშნულ არქიპელაგსა და კუნძულებზე.

ისარგებლა რა სსრკ-თან ბარენცის ზღვაში საზღვრების დიპლომატიური მოგვარებით, 1925 წლის 9 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, **ნორვეგიამ შპიცბერგენის არქიპელაგი დაიმტკიცა.**

ამ არქიპელაგზე ნორვეგიის სუვერენიტეტი 1925 წლის 14 აგვისტოდან იქნა დამყარებული.

აღნიშნული დროიდან, ნორვეგიამ იმ კონფიგურაციას მიაღწია, რომელიც დღესაც არის შენარჩუნებული. ქვეყნის დედაქალაქის სახელწოდება კრისტიანია 1925 წლიდან ოსლოთი (1624 წელს ხანძრის შედეგად განადგურებული ქალაქი) შეიცვალა.

მიუხედავად ნეიტრალიტეტისა, 1940 წლის აპრილიდან ნორვეგია ჰიტლერის მიერ იქნა ოკუპირებული. დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის კონტრშეტევა (აპრილი-ივნისი) ნარვიკზე სწრაფად დასრულდა. ომის მსვლელობის განმავლობაში ნორვეგია ოკუპირებული რჩებოდა, მეფე და მთავრობა კი ლონდონში გაიხიზნენ.

ამ დროიდან მოყოლობული, ნორვეგია თავის დამოუკიდებელ არსებობას განაგრძობდა. მან ორჯერ თქვა უარი (1972წ. და 1994წ.) ევროპის თანამეგობრობაში გაერთიანებაზე.

ქვეყნის 19 საგრაფოდ დაყოფა უცვლელი დარჩა, შეიცვალა მხოლოდ რამდენიმე სახელწოდება: ქალაქი ოსლო, აკერშუსი, ესტფოლდი (ყოფილი სმოლენენი), ჰედმარკი, ოპლანდი (ყოფილი კრისტიანსანი), ბესკერუდი, ვესტფოლდი (ყოფილი იარლსბერგი და ლეურვიგი), ტელემარკი (ყოფილი ბრადსბერგი), ეუსტაგდერი (ყოფილი ნედენსი), ვესტაგდერი (ყოფილი ლისტერი და მანდალი), როგალანდი (ყოფილი სტავანგერი), ჰორდლანდი (ყოფილი სამხრეთი ბერგენი), სოგნე-ფიორდე (ყოფილი ჩრდილოეთი ბერგენი), მერე-რამსდალი (ყოფილი რამსდალი), სამხრეთი ტრონდელაგი (ყოფილი ჩრდილოეთი ტრონჰეიმი), ნორდლანდი, ტრომსი, ფინმარკი.

პოლონეთი

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: პოლონეთის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ლეხ კაჩინსკი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ორპალატიანი პარლამენტი, სეიმი და სენატი.
დედაქალაქი: ვარშავა.
ადმინისტრაციული დაყოფა: 16 სავოევოდო: მაზოვეცკი (მაზოვია), ადმინისტრაციული ცენტრი ვარშავა; ვარმინსკო-მაზურსკი (მაზურია-ვარმია), ადმინისტრაციული ცენტრი ოლშტინი; პოდლასკი (პოდლახია), ადმინისტრაციული ცენტრი ბელისტოკი; ლიუბლინსკოე, ადმინისტრაციული ცენტრი ლიუბლინი; პოდკარპასკი (დაბალი კარპატები), ადმინისტრაციული ცენტრი ჟუშევი; სვეტოკშისკი, ადმინისტრაციული ცენტრი კელცე; მალოპოლსკი (მცირე პოლონეთი), ადმინისტრაციული ცენტრი კრაკოვი; ლოძკი, ადმინისტრაციული ცენტრი ლოძი; სლასკი (სილეზია), ადმინისტრაციული ცენტრი კატოვიცე; ოპოლსკი, ადმინისტრაციული ცენტრი ოპოლე; დოლნოსლაკი (ქვემო სილეზია), ადმინისტრაციული ცენტრი ვროცლავი; ველკოპოლსკი (დიდი პოლონეთი), ადმინისტრაციული ცენტრი პოზნანი; ლიუბსკო, ადმინისტრაციული ცენტრი ზელენა-გურა; ზახოდნიო-პომორსკი (დასავლეთი პომერანია), ადმინისტრაციული ცენტრი შეცინი; პომორსკი (პომერანია), ადმინისტრაციული ცენტრი გდანსკი; კუიავსკო პომორსკი (პომერანია-კუიავა), ადმინისტრაციული ცენტრი ბიდგოშჩი.
ფართობი: 312 700კმ²; მოსახლეობა: 38, 7 მილიონი კაცი; სიმჭიდროვე: 124 კაცი ერთ კმ-ზე.
ენა: პოლონური (სლავური ენა).
რელიგია: კათოლიკობა.
ფულის ერთეული: ზლოტი.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. პოლონეთის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. სათავეებიდან პიასტების სახლის გადაშენებამდე (1370წ.)

ჩვ. წ. აღ. პირველ ათასწლეულში იმ რეგიონში, სადაც დღეს თანამედროვე პოლონეთი მდებარეობს, აღმოსავლეთიდან მოსული სლავური წარმოშობის ხალხები დასახლდნენ: პოლონელები დიდ პოლონეთში (პოზნანია), ვისლიანები მცირე პოლონეთში (კრაკოვის რეგიონი), მაზოვიები ვარშავის რეგიონში, სლეზანიები სილეზიაში, ობოტრიტები და პომერანიები ბალტიის ზღვის სანაპიროზე.

პოლონეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება X საუკუნიდან იღებს დასაბამს, როდესაც ზემოაღნიშნული ხალხები პოლიანებიდან გამოსული პიასტების სახლის წარმომადგენელმა, ჰერცოგ მეშკო I-მა (960-992წწ.) გააერთიანა. 966 წელს ჰერცოგმა ქრისტიანობა მიიღო და ჩამოყალიბების პროცესში მყოფ **პოლონეთის საჰერცოგოში** ახალი რელიგია გაავრცელა. პოლონეთის საჰერცოგომ მალე დიდი და მცირე **პოლონეთის, სილეზიის, მაზოვიის, კუიავის, პომორიესა და პომერანიის** ტერიტორიები მოიცვა.

ჰერცოგ მეშკო I-ის ვაჟმა, ბოისლავ I-მა მამაცმა მამის დაწყებული საქმე გააგრძელა. 1000 წელს მან გნეზნოს საარქიეპისკოპოსო (პირდაპირ მიერთებული რომთან) დააფუძნა და 1025 წელს პოლონეთის პირველი მეფე გახდა. ამ წოდებამ

იგი გერმანელ იმპერატორთა ბატონობისგან გაანთავისუფლა და პაპის პირდაპირი მფარველობის ქვეშ მოაქცია. ამას გარდა, მან გარკვეული პერიოდის განმავლობაში ლაუზიცი (პოლ. ლუჟიცა), ბოჰემია და მორავია დაიპყრო. მისმა ვაჟმა მეშკო II-მ ხელახლა ხელთ იგდო აღნიშნული ტერიტორიები და გერმანიის სიუზერენობას დასთანხმდა.

ზემოაღნიშნულს აშლილობის ხანგრძლივი პერიოდები მოჰყვა, რომლის დროსაც პოლონეთის ერთიანობა კითხვის ქვეშ დადგა, როგორც შიდა უთანხმოებათა, ისე პიასტების სახლის სხვადასხვა მემკვიდრეებს შორის ძალაუფლების გაუთავებელი განაწილების გამო. 1079 წელს პოლონეთმა დროებით სამეფოს სტატუსი დაკარგა (ბოლესლავ II-ის ეკლესიიდან განკვეთა), თუმცა 1295 წელს მან მეფის გვირგვინი დაიბრუნა. ერთიანობის არქონა რეალური ძალაუფლების გახლეჩაში გამოიხატა, რამაც მეზობელთა ამბიციებს შეუნყო ხელი და სილეზიასა და პომერანიაში გერმანელთა დაფუძნება მოჰყვა.

XIII საუკუნეში **სილეზია** პატარა სამთავროებად დაიშალა და თანდათან მეფის სიზერენობის ქვეშ მოექცა, რასაც მისი "საღვთო რომის იმპერიაში" შესვლა მოჰყვა.

XIV საუკუნეში პოლონეთმა გაერთიანება მოახერხა პიასტების სახლის უკანასკნელი წარმომადგენლის, კაზიმეჟ დიდის მეფობის (1333-1370წწ.) დროს. 1349 წელს კაზიმეჟ დიდმა პოლონეთის სამეფო **გალიციის** (გალიციის უკრაინული სამთავრო) **მიერთებით** გაზარდა. ამავე დროს, მისი მეფობის დროს სილეზია მთლიანად იქნა მიერთებული ბოჰემიასთან (1355წ.), ხოლო **პომერანია და პომორიე ტევტონთა ორდენს ხვდა ნილად.**

2. 1370 წლიდან ლიუბლინის უნიამდე (1569წ.)

კაზიმეჟი ტახტზე მისმა ძმისშვილმა, ანჟუს სახლის შთამომავალმა ლუდვიგ I-მა შეცვალა (კაზიმეჟის მემკვიდრედ იქნა გამოცხადებული), რომელიც ამ დროისთვის უნგრეთს განაგებდა. ეს უკანასკნელი ტახტზე მისმა ქალიშვილმა, დედოფალმა იადვიგამ შეცვალა 1382 წელს. 1386 წელს იადვიგა ცოლად გაჰყვა ლიტვის დიდ ჰერცოგს ლადისლას იაგელონს, რამაც ნიადაგი შეამზადა **პოლონეთსა და ლიტვას შორის ხანგრძლივი კავშირისათვის** და პოლონეთის სამეფოს გაფართოებას შეუნყო ხელი. თავდაპირველად საქმე მხოლოდ პირად უნიას ეხებოდა, რომელიც 1401 წელს იქნა დამტკიცებული იადვიგას გარდაცვალების შემდეგ ვილნიუსის ხელშეკრულებით. ამგვარად, ლიტვის ნანილის მმართველობა იადვიგას ოჯახის ნევრის ხელში უნდა გადასულიყო, რომელსაც დიდი ჰერცოგის ტიტული უნდა ეტარებინა.

1410 წელს პოლონელმა, უკრაინელმა და ლიტველმა რაინდებმა ტანენბერგში ტევტონთა ორდენის რაინდები სასტიკად დაამარცხეს. ლიტვამ 1398 წელს დაპყრობილი სამოუიტი მიიერთა და შავი ზღვის სანაპიროებს მიაღწია თათრების დამარცხების შემდეგ. 1466 წელს ტორუნის ხელშეკრულებით, დასრულდა ტევტონთა ორდენის ნინააღმდეგ წარმოებული ცამეტწლიანი ომი. **პოლონეთმა პომორიე და ვარმია მიიღო** (რამაც მას ბალტიის ზღვაზე გასასვლელი დაუბრუნა) და ტევტონთა პრუსიისა და ქალაქ გდანსკის (გერ. დანციგი) სიუზერენი გახდა. ამავე დროს, პოლონეთმა თურქების მიერ ჩამორთმეული **შავი ზღვის მოსაზღვრე პროვინციები** დაკარგა: ბუჯაკი 1484 წელს და ხერსონი (თურქ. იედიზანი) 1526 წელს.

XV-XVI საუკუნეები პოლონეთისთვის ოქროს ხანად იქცა. იაგელონთა დინასტიის სუვერენები გარკვეულ ხანს ბოჰემიასა და უნგრეთზე ბატონობდნენ და დიდი გავლენა ჰქონდათ მთელ რეგიონში. ამ პერიოდში ქვეყანაში მოხდა ლიტერატურის (ლიტერატურის გამოჩენა პოლონურ ენაზე), მეცნიერებისა (კოპერნიკი) და ხელოვნების (იტალიის გავლენა, რასაც რომთან კავშირმა შეუნყო ხელი) დიდი აღმავლობა. 1561 წელს **პოლონეთმა ლივონია დაიპყრო** და კურლანდიის საჰერცოგოზე სიუზერენობას მიაღწია.

იაგელონთა დინასტიის უკანასკნელმა წარმომადგენელმა, სიგიზმუნდ-ავგუსტინმა **ლიუბლინის უნია** (1569წ.) დააფუძნა, რომელმაც პოლონეთ-ლიტვის ორხე-

ლისუფლებიანობა დაამყარა: ერთი სუვერენი, საერთო სეიმი, ორი სახელმწიფო საკუთარი კანონებისა და ადათ-ნესების შენარჩუნებით. უნიასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დროს, ლიტვის დიდი საჰერცოგოს სამხრეთი ნანილის (ვოლინია, პოდოლია) დიდგვაროვნებმა ეს უკანასკნელი დატოვეს **პოლონეთის სამეფოში გასაერთიანებლად.**

3. 1569 წლიდან პოლონეთის პირველ განაწილებამდე (1772წ.) და 1789 წლამდე

XVI საუკუნის მიწურულს იაგელონთა უკანასკნელი წარმომადგენლის სიგიზმუნდ-ავგუსტინის (1572წ.) გარდაცვალებას უმეფობის სამწლიანი პერიოდი მოჰყვა პოლონეთის პრიმატით. მონარქია არჩევითი გახდა, სუვერენებს ხშირად უცხოეთში ეძებდნენ. 1596 წელს ვარშავა სამეფოსა და დიდი საჰერცოგოს ერთადერთი დედაქალაქი გახდა და კრაკოვი და ვილნიუსი შეცვალა. XVII საუკუნე პოლონეთში აშლილობით აღინიშნა, რამაც ქვეყანა შვედეთის, რუსეთისა და თურქეთის სამიზნედ გახადა. პოლონეთმა **ლივონიისა და სმოლენსკის უდიდესი ნაწილი** დაკარგა, ისევე როგორც სიუზერენობა პრუსიის საჰერცოგოზე, მაგრამ მან თავისი ტერიტორიის ძირითადი ნანილის შენარჩუნება შეძლო. ამავე დროს, პოლონეთის სამეფო მისი მეზობელი პრუსიისა და რუსეთის გაძლიერებასთან ერთად დიდი ხნით იქნა დასუსტებული.

XVIII საუკუნეში ქვეყანაში პოლიტიკური არასტაბილურობა წესად იქცა, ყოველი სუვერენის შეცვლასთან დაკავშირებული კრიზისების გამო. მდგომარეობა განსაკუთრებით პოლონეთის მემკვიდრეობისთვის ომის დროს (1733-1738წ.) გამწვავდა, როდესაც ერთმანეთს სტანისლას ლესჩინსკისა და ავგუსტინ III-ის ინტერესები შეეჯახა. ვითარებას ასევე liberum veto-ს ხშირი გამოყენება არაულებდა, რომელიც თითეულ დიდგვაროვანს (პრივილეგია) სეიმის ფუნქციონირების შეჩერების საშუალებას აძლევდა. უკანასკნელი მეფე, სტანისლას-ავგუსტინ პონიატოვსკი (1764-1795წ.) ინსტიტუტების რეფორმირებას შეეცადა, მაგრამ იგი დიდგვაროვანთა კოალიციის (ბარის კონფედერაცია (1768წ.)), წინააღმდეგობას ნაანყდა. აღნიშნული კონფედერაციის ჩამოყალიბებას შედეგად მეზობელ ძლიერ სახელმწიფოთა ინტერვენცია მოჰყვა. კონფედერაციის დიდგვაროვანთა აჯანყებას მეზობელ ძლიერ სახელმწიფოთა მიერ პოლონეთის ოკუპაცია მოჰყვა. თურქეთზე რუსეთის მნიშვნელოვანი გამარჯვებით შეშფოთებულმა პრუსიის მეფემ ავსტრიას მასთან ერთად პოლონეთის მიწების ანექსიისკენ უბიძგა, რითაც რუსეთის ექსპანსიის პირისპირ კომპენსაციის მიღება სურდა. ამგვარად, სანკტ-პეტერბურგის 1772 წლის 25 ივლისის ხელშეკრულებით, პრუსიამ რუსეთის იმპერატორი პოლონეთის პირველ განაწილებაზე დაიყოლია სამი ძლიერი სახელმწიფოს სასარგებლოდ (პრუსია, ავსტრია, რუსეთი).

ზემოაღნიშნულ განაწილებამდე ადმინისტრაციული თვალსაზრისით პოლონეთის შემადგენლობაში შემდეგი ტერიტორიები შედიოდა:

– ვარმიის საეპისკოპოსო (ერმლანდი), რომელიც აღმოსავლეთი პრუსიის ტერიტორიაზე იყო შეჭრილი;

– პომორიეს, მარიენბურგის, კულმის, ინოვროცლავის, პლოცკის, გნეზნოს, პოზნანის, ბრესტის, ლეშიცის, რავის, კალიშის, სერაძის, მაზოვიის, პოდლახიის, სანდომეჟის, კრაკოვის, ლიუბლინის, ხელმის, ვოლინიის, პოდოლიის, კიევის (ქალაქის გარეშე), ბრატისლავის საეოეეოდოები.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიებს დაემატა ლივონიის საეოეეოდო (ადმინისტრაციული ცენტრი დაუგავპილსი) და კურლანდიის საჰერცოგოს სიუზერენობა ლიტვის დიდ საჰერცოგოსთან ერთად.

პირველი განანილების ფარგლებში, საკუთრივ პოლონეთს შემდეგი ტერიტორიები უნდა დაეთმო:

– **პრუსიისთვის: ვარმიის საეპისკოპოსო, პომორიეს, კულმისა და მარინენბურგის** საეოეეოდოები (ქალაქების ტორუნისა და გდანსკის გარდა), **გნეზნოსა**

და პოზნანის სავოევოდოების ჩრდილოეთი ნახევარი, ინოვროცლავის სავოევოდოს დასავლეთი ნახევარი;

– ავსტრიისთვის: კრაკოვის სავოევოდოს სამხრეთი ნახევარი (ქალაქის გარეშე) ვისლის სამხრეთით, სანდომეჟის სავოევოდოს სამხრეთი მესამედი (აგრეთვე ვისლის სამხრეთით); ასევე ბელსკისა და წითელი რუსეთის სავოევოდოები, პოდოლიის სავოევოდოს დასავლეთი ნაწილი (ზბრუჩის დასავლეთით);

– რუსეთისთვის: ლივონიის სავოევოდო (მფლობელობაში ლიტვასთან ერთად).

აღნიშნულ ტერიტორიებს ლიტვის მიერ გადაცემული (იხ. ლიტვა) ტერიტორიები დაემატა. პოლონეთის სამეფო (პოლონეთი+ლიტვა), რომლის ფართობი დაახლოებით 750 000კმ²-ს აღწევდა, 520 000კმ²-მდე შემცირდა.

II. პოლონეთი 1789 წელს

მიუხედავად 1772 წელს განხორციელებული პირველი ტერიტორიული დათმობებისა, 1789 წელს პოლონეთი აღმოსავლეთ ევროპის დიდ ევროპულ სახელმწიფოდ რჩებოდა, რომლის ტერიტორია ბალტიის ზღვიდან შავ ზღვასთან ახლოს მდებარე რეგიონებამდე იყო გადაშლილი.

ამ ვრცელ ტერიტორიულ მთლიანობას არაფერი ჰქონდა ერთგვაროვანი. მის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ პოლონელები, გერმანელები, ლიტველები და რუსები. ეს იყო დაბლობებისგან შემდგარი ტერიტორია ბუნებრივი საზღვრების გარეშე, ბალტიის ზღვის გარდა, რომელიც შავ ზღვაში ჩამდინარე დნეპრის, ბუგისა და დნესტრის ზემო აუზებსა და ბალტიის ზღვის მიმართულებით მიმდინარე დუნაის, ნემანისა და ვისლის აუზებს მოიცავდა. მემამულეთა დიდი სამფლობელოებისა და ვრცელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მქონე პოლონეთში ძალიან სუსტად იყო განვითარებული საქალაქო ქსელი (ვარშავა, კრაკოვი, ტორუნი). გეოგრაფიული თვალსაზრისით, საკუთრივ პოლონეთი (დედაქალაქი ვარშავა), პოლონეთ-ლიტვის ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნახევარს მოიცავდა, კერძოდ: გდანსკს, დიდ პოლონეთს (პოზნანი), მაზოვიას (ვარშავა), მცირე პოლონეთს (კრაკოვი), პოდლახიას (სედლცე), ვოლინიასა (როვნო) და პოდოლიას (კამენეცი).

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, საკუთრივ პოლონეთი შემდეგ ტერიტორიებს მოიცავდა:

– ქალაქები, გდანსკი და ტორუნი;

– საოვევოდოები: ინოვროცლავი (აღმოსავლეთი ნახევარი), პლოცკი, გნეზნო და პოზნანი (სამხრეთი ნახევარი), ბრესტი, ლუშიცა, რავა, კალიში, სერაძი, მაზოვია, სანდომეჟი (ჩრდილოეთი 2/3), კრაკოვი (ჩრდილოეთი ნახევარი), ლიუბლინი, ხელმი, ვოლინია, პოდოლია (მცირედ ჩამოჭრილი დასავლეთით), კიევი (ქალაქის გარეშე), ბრატისლავი.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიებს კურლანდიის საჰერცოგო დაემატა, რომელიც პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის საჰერცოგოს საერთო სიუზერენობის ქვეშ იმყოფებოდა.

საკუთრივ პოლონური ტერიტორიების გარდა, პოლონეთის სამეფოში აგრეთვე ლიტვის სავოევოდოები შედიოდა (იხ. ლიტვა).

III. 1789 წლიდან პოლონეთის გაქრობამდე (1795წ.)

1. 1789 წლიდან პოლონეთის მეორე განაწილებამდე (1793წ.)

ქვეყნის პირველი განანილების შემდეგ, პოლონელებმა პოლიტიკური ინსტიტუტების რეფორმირების აუცილებლობა გაიცნობიერეს. "დიდი სეიმის" (1778-1792წწ.) მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაო 1791 წლის კონსტიტუციის შემუშავებით დასრულდა, რომელმაც მემკვიდრეობითი მონარქია დააფუძნა,

liberum veto გააუქმა და ხელისუფლების დაყოფა და რელიგიური შემწყნარებლობა დაადგინა.

ამ კონსტიტუციის გამოქვეყნებას ეკატერინე II-ის პროტესტი მოჰყვა, რომელიც იარაღის ძალით ჩაერია შექმნილ ვითარებაში. პოლონეთსა და პრუსიას შორის ფორმალური ალიანსის მიუხედავად (პრუსიას გდანსკის ხელში ჩაგდება სურდა), ამ უკანასკნელმა რუსეთს პოლონელთა დამარცხების საშუალება მისცა. პრუსიამ პოლონეთის ახალი განაწილების დროს, რომელზეც ნიდერლანდებით დაკავებული ავსტრია არ იყო მიწვეული, თავისი ნაწილი მიიღო.

1793 წლის 23 იანვრის შეთანხმებით, **პრუსიამ პოლონეთის შემდეგი ტერიტორიები მიიერთა:**

– გდანსკისა და ტორუნის ტერიტორიები ქალაქებთან ერთად;

– პოზნანის, გნეზნოსა და ინოვროცლავის სავოევოდოების დარჩენილი ნაწილი;

– პლოცკის, რავის, ლეშიცის, კალიშისა და სერაძის სავოევოდოები;

– კრაკოვის სავოევოდოს ჩრდილო-დასავლეთი რკალი.

ლიტვის დიდი საჰერცოგოსთვის ჩამორთმეული ტერიტორიების გარდა (იხ. ლიტვა), **რუსეთმა პოლონეთის შემდეგი ტერიტორიები მიიერთა:**

– კიევისა და ბრატისლავის სავოევოდოები;

– ვოლინიის სავოევოდოს აღმოსავლეთი მესამედი;

– პოდოლიის სავოევოდოს დარჩენილი ნაწილი (ბბრუჩის აღმოსავლეთით).

პოლონეთის სამეფოს (პოლონეთი+ლიტვა) ფართობი დაახლოებით 220 000კმ²-მდე იქნა დაყვანილი:

2. 1793 წლიდან მესამე განაწილებამდე და პოლონეთის გაქრობამდე (1795წ.)

შექმნილი მდგომარეობით შეურაცხყოფილი პოლონელები კოსტიუშკოს მეთაურობით აჯანყდნენ (1794წ.), მაგრამ აჯანყება ჩახშობილ იქნა რუსეთისა და პრუსიის მიერ.

1795 წლის 24 ოქტომბერს სანკტ-პეტერბურგის ხელშეკრულებით, პრუსიას, ავსტრიასა და რუსეთს შორის განაწილებული პოლონეთი მთლიანად გაქრა.

ლიტვის დიდი საჰერცოგოსთვის ჩამორთმეული ტერიტორიების გარდა, **პრუსიამ პოლონეთის შემდეგი ტერიტორიები მიიერთა:**

– კრაკოვის სავოევოდოს ჩრდილოეთი მეოთხედი;

– მაზოვიის სავოევოდოს ჩრდილოეთი სამი მეოთხედი;

– პოდლახიის სავოევოდოს ჩრდილოეთი ნახევარი (მდინარე ბუგის ჩრდილოეთით);

ლიტვის დიდი საჰერცოგოსთვის ჩამორთმეული ტერიტორიის ნაწილის გარდა, **ავსტრიამ პოლონეთის შემდეგი ტერიტორიები მიიერთა:**

– ხელმის სავოევოდოს დასავლეთი ნაწილი (ბუგის დასავლეთით);

– ლიუბლინის სავოევოდო;

– მაზოვიის სავოევოდოს სამხრეთი მეოთხედი:

– სანდომეჟის სავოევოდოს ჩრდილოეთი ორი მესამედი (ვისლის ჩრდილოეთით);

– კრაკოვის სავოევოდოს მესამედის შუა ნაწილი, ქალაქთან ერთად.

ლიტვის დიდი საჰერცოგოსთვის მრავალი ტერიტორიის ჩამორთმევის გარდა, **რუსეთმა პოლონეთის შემდეგი ტერიტორიები მიიერთა:**

– ვოლინიის სავოევოდოს დასავლეთი ორი მესამედი;

– ხელმის სავოევოდოს აღმოსავლეთი ნახევარი (ბუგის აღმოსავლეთით).

IV. 1795 წლიდან პოლონეთის აღორძინებამდე (1919წ.)

1. 1795 წლიდან ვარშავის დიდი საჰერცოგოს შექმნამდე (1807წ.)

პოლონეთის სახელმწიფოს გაქრობამ ვერ ჩაახშო პოლონელი ერის მისწრაფება პოლონეთის სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით. თუკი პრუსია ახალი პოლონური ტერიტორიების გერმანიზაციას შეუდგა, თავისი პრინციპებისადმი ერთგული ავსტრია, პატივს სცემდა გალიციის ახალ ქვეშევრდომთა პარტიკულარიზმს. რუსეთის ახალი იმპერატორი ალექსანდრე I, რომლის მთავრობაში პოლონელი არისტოკრატებიც შედიოდნენ, რუსეთთან მიერთებულ პოლონურ ტერიტორიებზე ლიბერალურ პოლიტიკას ატარებდა. პრუსიისა და ავსტრიის წინააღმდეგ უცხოეთში (საფრანგეთში) პატრიოტთა ლეგიონები იქმნებოდა, რომელთა ქმედებასაც ამ უკანასკნელთა აზრით, პოლონეთის აღორძინებისთვის უნდა შეეწყო ხელი.

იენაში გამარჯვების შემდეგ (1806 წლის ოქტომბერი), ნაპოლეონმა პრუსიის დასუსტება გადაწყვიტა და პრუსიის სუვერენიტეტის ქვეშ პყოფი პოლონური ტერიტორიების დროებითი ადმინისტრაციის სათავეში პოლონელები დააყენა, საფრანგეთის არმიის კონტროლქვეშ. პოლონელებმა დიდი ენთუზიაზმით მიიღეს პოლონეთის განმანთავისუფლებელი, რომელიც თავადაც სიმპათიას იჩენდა (იმპერატორის პირადი კავშირი გრაფ, მარია ვალევსკასთან) იმ მიზნის მიმართ, რომელიც მის პოლიტიკურ მიზნებსაც შეესატყვისებოდა.

რუსეთთან და პრუსიასთან დადებული 1807 წლის (7-9 ივლისი) ტილზიტის ხელშეკრულებით, ნაპოლეონმა **ვარშავის დიდი საჰერცოგო** შექმნა (სახელწოდება პოლონეთი არ იქნა აღდგენილი რუსეთის გაღიზიანების თავიდან არიდების მიზნით), რომლის ყველა შემადგენელი ნანილი **პრუსიის სამეფოს ჩამოერთვა:**

– **კიულმერლანდი და ნეთზეს ოლქის სამხრეთი ნახევარი** (მიღებული პირველი განაწილების დროს (1772წ.));

– **სამხრეთი პრუსია** (მეორე განანილებიდან მიღებული ტერიტორიები (1793წ.)) **თავისუფალ ქალაქად გადაქცეული გდანსკის გარდა;**

– **ახალი სილეზია და ახალი აღმოსავლეთი პრუსია,** ამ უკანასკნელისათვის რუსეთის მიერ მიერთებული ბელისტოკის გარდა (მესამე გახანილებიდან მიღებული ტერიტორიები (1795წ.)).

2. ვარშავის დიდი საჰერცოგო (1807-1814წ.)

ახალი სახელმწიფო (დედაქალაქი ვარშავა), რომლის ფართობი 104 000კმ²-ს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობა 2,5 მილიონ კაცს აღწევდა, მჭიდროდ იყო ინტეგრირებული ნაპოლეონის სისტემაში. დიდი საჰერცოგოს ერთგულებაში დარწმუნებულმა ნაპოლეონმა საქსონიის მეფეს, რომელიც თავის მხრივ, მისი ვასალი იყო რაინის კონფედერაციაში (დიდი საჰერცოგო ჯერ ისევ არ იყო შესული მის შემადგენლობაში), დიდი ჰერცოგოს ტახტი მემკვიდრეობითობაში გადასცა.

პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტში (სამოქალაქო კოდექსის შემოღება) საფრანგეთისადმი დაქვემდებარებული (ფრანგი ყოვლისშემძლე რეზიდენტის მიერ მმართველობის გაკონტროლება) დიდი საჰერცოგოს ტერიტორიალური მოწყობაც ფრანგული მოდელის მიხედვით ექვს დეპარტამენტად იყო დაყოფილი, რომელსაც პრეფექტები ედგათ სათავეში. თავის მხრივ, დეპარტამენტები ოლქებად დაიყო, რომელთა მართვა სუპრეფექტებს ჰქონდათ დაკისრებული: ვარშავა, კალიში, პოზნანი, ბიდგოშჩი, ლომჟა.

1809 წელს ვაგრამის გამარჯვების შემდეგ, იმპერატორმა ნაპოლეონმა ავსტრიას მძიმე პირობები წაუყენა 14 ოქტომბრის შენბრუნის (იგივე ვენის) სამშვიდობო ხელშეკრულებით. აღნიშნულ ფარგლებში, **ავსტრიას ვარშავის დიდი საჰერცოგოსთვის უნდა დაეთმო:**

– **დასავლეთი გალიციის ტერიტორია,** მიღებული მესამე განანილებიდან (1795წ.);

– **ზამოსცის ოლქი,** ჩამორთმეული გალიციის სამეფოსთვის პირველი განაწილების დროს (1772წ.).

ამ ტერიტორიების მიერთებით დიდი საჰერცოგოს ფართობი დაახლოებით 157 000კმ²-მდე გაიზარდა, მოსახლეობამ კი 4 მილიონ კაცს მიაღწია.

1810 წლის 17 აპრილის დეკრეტით, 1809 წელს მიღებული ტერიტორიები ოთხ დეპარტამენტად დაიყო: რადომი, კრაკოვი, სედლცე, ლიუბლინი.

ამ დროიდან, ვარშავის დიდი საჰერცოგო ათ დეპარტამენტისგან შედგებოდა. დიდმა საჰერცოგომ თავისი არსებობა ვეღარ გააგრძელა ნაპოლეონის ჯარების დამარცხების შემდეგ.

3. მეოთხე განაწილებიდან (1815წ.) პოლონეთის აღორძინებამდე (1919წ.)

1813 წლის 28 თებერვლის რუსეთ-პრუსიის კალიშის ხელშეკრულებით, რომლის თანახმად პრუსია შეეყვანილ იქნა ანტიფრანგულ კოალიციაში გადაწყდა, რომ პრუსიის ტერიტორია 1806 წლისთვის არსებულ ტერიტორიულ ფარგლებში უნდა აღდგენილიყო, ხოლო რუსეთს პრუსიის მფლობელობაში არსებული პოლონეთის უდიდესი ნაწილი უნდა გადასცემოდა, რომლის სანაცვლოდაც პრუსია კომპენსაციას მიიღებდა.

პრუსიასა და რუსეთს შორის 1815 წლის 3 მაისს ხელმონერილი ხელშეკრულებით, რომელიც ვენის კონგრესის საბოლოო აქტით იქნა დამტკიცებული, **ვარშავის დიდი საჰერცოგო გადანაწილებულ იქნა პრუსიასა და რუსეთს შორის** (პოლონეთის მეოთხე განაწილება).

პრუსიამ მიიღო კიულმერლანდი, ნეთზეს ოლქი, პოზნანია, ტორუნი და ყოფილი დიდი პოლონეთის საჰერცოგოს ტერიტორიის ფრაგმენტები. ამას გარდა, მან ყოფილი თავისუფალი ქალაქი გდანსკი მიიღო.

რუსეთმა მიიღო დიდი საჰერცოგოს დარჩენილი ნაწილი, კერძოდ კი ახალი სილეზია, სამხრეთი პრუსიის უდიდესი ნაწილი (კრაკოვის გარშემო არსებული მცირე ტერიტორიის გარდა) **და ახალი აღმოსავლეთი პრუსია.**

ავსტრიის დასაკმაყოფილებლად, **ქალაქი კრაკოვი და მისი მიმდებარე ტერიტორია** (ვისლის მარცხენა ნაპირზე) **კრაკოვის რესპუბლიკა** გახდა სენატის მმართველობის ქვეშ. ის პოლონეთის სუვერენიტეტის უკანასკნელ ნაგლეჯს წარმოადგენდა და ამასთანავე პრუსიის, ავსტრიისა და რუსეთის საერთო მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა.

რუსეთის მიერ მიღებული დიდი საჰერცოგოს ნაწილი **პოლონეთის სამეფო გახდა** (ხშირად კონგრესის პოლონეთს უწოდებდნენ), რომლის მეფის ტიტულიც რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრემ მიიღო. ეს სამეფო დიდი ავტონომიით სარგებლობდა: მეფისნაცვალი (მეფის ძმა, კონსტანტინე), სეიმი, პოლონური ენის ოფიციალური გამოყენება.

ტერიტორიული თვალსაზრისით, პოლონეთის სამეფო რვა სავოევოდოდ დაიყო: კრაკოვი (ადმინისტრაციული ცენტრი კელცე), კალიში, სანდომეჟი, ლიუბლინი, პოდლახია (ადმინისტრაციული ცენტრი სედლცე), მაზოვია (ადმინისტრაციული ცენტრი ვარშავა), პლოცკი, ავგუსტოვი.

1830 წლის რევოლუციური მოვლენების გავლენით, პოლონელები აჯანყდნენ და 1831 წელს რუსეთის იმპერატორისთვის პოლონეთის მეფის ტიტულის ჩამორთმევა დაადგინეს. ამავე წლის სექტემბერში რუსეთმა აჯანყება ჩაახშო. პოლონელებმა ყოველგვარი ავტონომია დაკარგეს და მძიმე რეპრესიების ქვეშ მოექცნენ ("ვარშავაში ნესრიგია გამეფებული," აცხადებდა რუსი გენერალი პაშკევიჩი). ბევრმა პატრიოტმა საფრანგეთს შეაფარა თავი.

1836 წელს პოლონეთის სამეფოს სავოევოდოები საერთო სამართალს დაქვემდებარებულ გუბერნიებად იქცნენ.

1844 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულებით, რუსეთის პოლონური ტერიტორიები რვიდან ხუთამდე შემცირდა: ვარშავა, რადომი, ლიუბლინი, პლოცკი, ავგუსტოვი.

გალიციაში ამბოხებების შემდეგ, საყოველთაო აჯანყებისკენ მონოდებას 1846 წლის 22 თებერვალს კრაკოვის მოსახლეობამაც დაუჭირა მხარი, მაგრამ მალე ავსტრიელებმა იქ წესრიგი აღადგინეს. ამავე წლის 6 ნოემბერს, სხვა ძლიერ მფარველ სახელმწიფოებთან შეთანხმებით (პრუსია, რუსეთი), ავსტრიამ კრაკოვის რესპუბლიკის ანექსია მოახდინა და ის თავის გალიციის გუბერნიას მიუერთა.

ამგვარად, პოლონეთი მთლიანად იქნა განანილებული ავსტრიას, პრუსიასა და რუსეთს შორის, რომელთა ხვედრს ის პირველ მსოფლიო ომამდე ინანილებდა.

1863 წელს რუსეთის მიერ მითვისებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პოლონელები კვლავ აჯანყდნენ რუსეთის ხელისუფალთა წინააღმდეგ, მაგრამ აჯანყება ჩახშობილ იქნა. ადმინისტრაცია მთლიანად იქნა რუსიფიცირებული. პოლონეთის რუსული გუბერნიები (პროვინციები) ათამდე იქნა გაზრდილი: ვარშავა, ლიუბლინი, სედლეცი, პეტროკოვი, რადომი, სუვალკი, ლომჟა, კალიში, პლოცკი, კელცე.

1875 წელს რუსეთის შიგნით, პოლონეთის ოფიციალური სახელწოდება გაქრა, ყოფილი პოლონეთის სამეფოს ამიერიდან "ვისლის რეგიონი" ეწოდებოდა.

მთელი XIX საუკუნის მანძილზე რუსეთის პოლონელები რეპრესიებს განიცდიდნენ, რომელიც მათ ამბოხებასთან ერთად მძაფრდებოდა, მაგრამ რეპრესიები მხოლოდ აძლიერებდა იმ ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს, რომელიც ავსტრიასა და პრუსიაში მათგან განცალკევებულ ძმებთან გაერთიანებაზე ოცნებობდა.

აღნიშნული სულისკვეთება ეყრდნობოდა იმ ბურჯს, რომელსაც კათოლიკური ეკლესია წარმოადგენდა (თავის მხრივ, დევნილი რუსეთის ხელისუფლების მიერ). პოლონელი ხალხის ერთიანობისკენ სწრაფვა ლიტერატურისა (მიცკევიჩი) და ხელოვნების (შოპენი) უდიდეს აღმავლობაში გამოიხატა, რომლის წარმომადგენლები ხშირად უცხოეთს აფარებდნენ თავს. რუსეთი პოლონური ენის გამოყენებას ენინააღმდეგებოდა და ყველა საშუალებით ქვეყნის რუსიფიკაციას ცდილობდა.

თავის მხრივ, პოლონური მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, პრუსიაც მის მფლობელობაში მყოფი პოლონური ნანილის გერმანიზაციასა და იქ გერმანული კოლონიების დაფუძნებას ცდილობდა.

მიუხედავად კრაკოვის 1846 წლის კრიზისისა, მხოლოდ ავსტრია სთავაზობდა თავის პოლონელებს (გალიციაში) უფრო ხელსაყრელ პირობებს: კათოლიკე პოლონელები არ გახდნენ ასიმილაციის სამიზნე, ჰაბსბურგების იმპერია ტრადიციისამებრ ყოველთვის პატივს სცემდა მის იმპერიაში შემავალ ხალხთა პარტიკულარიზმს, გალიციის სეიმში პოლონელი დიდგვაროვნები დომინირებდნენ. ქვეყანაში პოლონურ ენას ოფიციალური სტატუსი ჰქონდა, ხოლო კრაკოვისა და ლვოვის უნივერსიტეტები პოლონური კულტურის კერას წარმოადგენდა, რომელსაც ხშირად რუსეთსა და პრუსიაში მცხოვრები პოლონელები სტუმრობდნენ. ზოგიერთ პოლონელს რეგულარულად მაღალი თანამდებობები ეკავა ვენის სამთავრობო ინსტიტუტებში.

პირველმა მსოფლიო ომმა პოლონელები ორ მტრულ ბანაკად გაყო. ზოგიერთი პოლონელი (პილსუცკი) პოლონეთის აღორძინების ძირითად დაბრკოლებას რუსეთში ხედავდა და ცენტრალურ ძლიერ სახელმწიფოებს (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი) ეყრდნობოდა. სხვები (პადერევსკი) კი პრუსიას მუდმივ მტრად, გერმანიზაციის მკაცრ გამტარებლად მიიჩნევდნენ და ანტანტის ქვეყნებს (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი) ეყრდნობოდნენ.

1915 წლიდან პოლონეთი ავსტრია-გერმანიის ოკუპაციის ქვეშ მოექცა: ვარშავის გერმანული სამხედრო ადმინისტრაცია, ლიუბლინის ავსტრიული სამხედრო ადმინისტრაცია.

1916 წლის 5 ნოემბერს ცენტრალურმა ძლიერმა სახელმწიფოებმა ახალი **პოლონეთის სამეფო** შექმნეს, რომელიც რუსეთის პოლონეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე იქნა დაფუძნებული (სუვალკის რკალის გარდა). ამ სახელმწიფოს სუვერენი ჰაბსბურგების სახლის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. ცენტრალურმა ძლიერმა სახელმწიფოებმა თავი აარიდეს ახლად შექმნილი პოლონეთის სამეფოში საკუთარი პოლონური მინების მიერთებას.

1918 წლის 3 მარტს რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ გერმანიასთან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმად რუსეთმა უარი თქვა ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, ფინეთზე, რუსეთის პოლონეთზე და სხვ.

1917 წლის რუსეთის რევოლუციამ ანტანტის სახელმწიფოები ყოველგვარი თავშეკავებისგან გაანთავისუფლა პოლონელთა მისწრაფეფების მიმართ. 1917 წლის ივნისში საფრანგეთში პოლონური არმია შეიქმნა.

1918 წლის 8 იანვარს "თოთხმეტი პუნქტის" თავის გამოსვლაში, ამერიკელმა პრეზიდენტმა მე-13 პუნქტი პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენას მიუძღვნა, რომელშიც უდავოდ უნდა შესულიყო პოლონური მიწები და მას ზღვაზე გასასვლელი უნდა ჰქონოდა. პოლონეთის აღორძინების პრინციპი სამშვიდობო მოლაპარაკებათა დასაწყისშივე გაზიარებულ იქნა გამარჯვებულ სახელმწიფოთა მიერ.

V. თანამედროვე პოლონეთი (1919 წლიდან დღემდე)

1. პოლონეთის პირველი რესპუბლიკა (1919-1939წწ.)

ვარშავისა და პარიზის კომიტეტები, რომელიც ყოფილი რუსული პოლონეთის ტერიტორიაზე ("კონგრესის") შეიქმნა, დროებითი მმართველობის ქვეშ გაერთიანდა. ეს კომიტეტები ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა ახალი ტერიტორიების, როგორც დასავლეთით და სამხრეთით, ასევე აღმოსავლეთით გაზრდის განსაზღვრავად პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. 20 თებერვალს მიღებული ახალი კონსტიტუციის თანახმად, **პოლონეთი რესპუბლიკა გახდა,** მის პრეზიდენტად კი პილსუდსკი იქნა არჩეული.

1919 წლის 28 იანვარს გერმანიასა და გამარჯვებულ ქვეყნებს შორის ხელი მოეწერა ვერსალის ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებში **გერმანიამ** (პრუსია) **პოლონეთს** შემდეგი ტერიტორიები დაუთმო:

– **პოზნანი,** უკიდურესი დასავლეთის გარდა;

– **დასავლეთი პრუსია** (პომორიე), მისი დასავლეთი ნაწილის გარდა (შნაიდმახი), აღმოსავლეთი ნაწილი (მარიენვერდენი) და გდანსკის ტერიტორია;

– **აღმოსავლეთი პრუსიის ფრაგმენტი** (ძელძოოს ტერიტორია).

გდანსკის ტერიტორია ერთა ლიგას გადაეცა იქ მის კონტროლქვეშ თავისუფალი ქალაქის შესაქმნელად.

პოლონეთის მიერ მოთხოვნილ ტერიტორიებზე მოსახლეობის სურვილის დასადგენად მოკლე ვადაში პლებისციტი უნდა ჩატარებულიყო ალენშტაინში (პოლ. ოლშტინი) (აღმოსავლეთი პრუსიის სამხრეთი ნახევარი), მარიენვერდენში (კვიძინი) (დასავლეთი პრუსიის უკიდურესი აღმოსავლეთი) და ზემო სილეზიაში (ამავე სახელწოდების საგუბერნატოროს აღმოსავლეთი სამი მეოთხედი), მაგრამ აღნიშნული ტერიტორიები დროებით გერმანიის სუვერენიტეტის ქვეშ დარჩა.

1919 წლის 10 სექტემბერს ავსტრიასა (ყოფილი ცისლაიტანიის სახელით) და გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის სენ-ჟერმენის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ავსტრიამ პოლონეთს ძველი გალიციის დასავლეთი ნაწილი დაუთმო. ამას გარდა, **ავსტრიამ უარი თქვა:**

– **გალიციის აღმოსავლეთ ნაწილზე,** რომელიც დავის საგანი იყო პოლონეთსა და უკრაინას შორის. ამ ტერიტორიას მოკავშირეებმა მის ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარე ბუკოვინის პატარა ფრაგმენტი დაამატეს (კოლომეა, იქ ზალეშიკის რკინიგზის მთლიანად ჩასართველად);

– **ავსტრიის სილეზიის აღმოსავლეთ ნახევარზე** (ჩეშნი-ტეშინი), რომელიც პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის დავის საგანი იყო.

ახალი პოლონეთის საზღვრების დადგენის რთული პროცესი

ზემოაღნიშნულ ეტაპზე პოლონეთი იმ ტერიტორიებისგან შედგებოდა, რომელიც გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა მას უპირობოდ მიაკუთვნეს. "კონგრესის" პოლონეთი, პოზნანია, პომორიე, დასავლეთი გალიცია. პოლონეთი დამატებით ტერიტორიებს მოითხოვდა ჩრდილოეთით (ოლშტინი, მარიენვერდერი), აღმოსავ-

ლეთით (ცენტრალური ლიტვა, ბელორუსი, აღმოსავლეთი გალიცია) და სამხრეთ-დასავლეთით (ზემო სილეზია, ჩეშნი-ტეშინი). ამ ტერიტორიების გამო პოლონეთს მეზობელ ქვეყნებთან ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული. მოკავშირეებმა კონფლიქტში არბიტრის როლი იტვირთეს პოლონეთის საზღვრების საბოლოოდ დადგენის მიზნით.

1919 წლის ნოემბერში ანტანტის ქვეყნების უმაღლესმა საბჭომ აღმოსავლეთი გალიციისთვის ავტონომიის მინიჭება გადაწყვიტა. ის პოლონეთის მმართველობის ქვეშ უნდა გადასულიყო 25 წლის ვადით, ხოლო ამ ვადის ამონურვის შემდეგ მის სტატუსს ერთა ლიგა გადახედავდა.

1919 წლის 8 დეკემბერს ლორდ კარზონმა, რომელსაც მოკავშირეებმა პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვრის დადგენა დააკისრეს, კონგრესის პოლონეთის პირიქითა მხარის გარდა, სასაზღვრო ზოლში ბელოსტოკიც შეიყვანა, მაგრამ მის გარეთ დატოვა აღმოსავლეთი გალიციის უდიდესი ნაწილი.

1920 წლის 17 ივნისს ოლშტინისა და მარიენვერდერის ტერიტორიებისთვის პლებისციტი იქნა ჩატარებული. პლებისციტში მონაწილე დიდმა უმრავლესობამ არჩევანი პრუსიის სასარგებლოდ გააკეთა. 11 ივლისს ამ ტერიტორიების პრუსიისთვის შენარჩუნება გადაწყდა.

ამავე დროს, ჩესნი-ტეშინთან დაკავშირებით პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის შეურიგებელი პოზიციის პირისპირ, ამ ტერიტორიების ბედი მხოლოდ მოკავშირე ქვეყნების კონფერენციებისა და ელჩების არბიტრაჟით იქნა მოგვარებული 1920 წლის 28 ივლისს.

ჩეშნი-ტეშინის სილეზია ორ ქვეყანას შორის იქნა გაყოფილი:

– აღმოსავლეთი ნაწილი ქალაქ ჩეშნი-ტეშინთან ერთად **პოლონეთს გადაეცა;**

– აღმოსავლეთი ნაწილი ფრედეკთან, ბოჰუმენთან და ჩეშნი-ტეშინის სადგურთან ერთად ჩეხოსლოვაკიას გადაეცა მისთვის სწრაფი სარკინიგზო კავშირის უზრუნველსაყოფად (კოშიცე-ბოჰუმენის ხაზი), რომელიც მორავიას სლოვაკეთთან აკავშირებდა.

გერმანიის დამარცხების შემდეგ, ცენტრალური ლიტვა (ვილნიუსის გარშემო), ბელორუსის დასავლეთი პროვინციები და ვოლინია, პოლონეთისა და რუსეთის ანტაგონისტური ამბიციების ასპარეზად იქცა.

1919 წელს რუსების წინსვლას (ვილნიუსის აღება), პოლონელთა შეტევა მოჰყვა, მაგრამ რუსები კონტრშეტევაზე გადავიდნენ (1920 წლის გაზაფხული), რასაც პოლონელთა მხრიდან ახალი კონტრშეტევა მოჰყვა. საბოლოოდ, კონფლიქტი 1920 წლის 7 ოქტომბერს პოლონეთსა და ლიტვას შორის სუვალკიში დადებული ხელშეკრულებით დასრულდა. ლიტვას **ცენტრალური ლიტვის** დასავლეთი ნახევარი დარჩა ვილნიუსითა და მისი შემოგარენით, ხოლო ამ რეგიონის **აღმოსავლეთი ნაწილი პოლონეთს** გადაეცა.

9 ოქტომბერს ძალის გამოყენებით, პოლონელმა გენერალმა ზელიგოვსკიმ ვილნიუსი დაიკავა და იქ პლებისციტის ჩატარება მოითხოვა პოლონეთისთვის ამ ქალაქის მიერთების მიზნით.

1920 წლის შემოდგომაზე პოლონელებმა შეტევა განაახლეს, რომლის შემდეგაც, 1920 წლის 18 ოქტომბერს პოლონეთსა და რუსეთს შორის საზავო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.

1921 წლის 18 მარტის რიგის ხელშეკრულებით, **პოლონეთმა რუსეთს ჩამოართვა ბელორუსის დასავლეთი მესამედი, ქალაქები ბრესტ-ლიტოვსკი, გროდნო, პინსკი და თითქმის მთელი ვოლინია.** ამ დროისათვის არ იყო გადაწყვეტილი ვილნიუსისა და აღმოსავლეთი გალიციის ბედი.

ზემო სილეზიაში მრავალრიცხოვანი გამოსვლების გამო, პლებისციტი დაგვიანებით, 1921 წლის 20 მარტს ჩატარდა. პლებისციტში მონაწილეთა 60%-მა პრუსიასთან დარჩენას მისცა ხმა. მოკავშირეები სხვა შედეგებს მოელოდნენ და ამიტომაც, ტერიტორიის გადანაწილება პრუსიასა და პოლონეთს შორის გადაწყვიტეს.

ახალი შეტაკებების პირისპირ (1920 წლის მაისი) გაერთიანებული ერები საკითხის განხილვას შეუდგა და საზღვარი დაადგინა. **პოლონეთს გადაეცა** ზემო

სილეზიის ტერიტორიის მეოთხედი და მოსახლეობის ორი მეხუთედი, კერძოდ: ზემო სილეზიის **აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით** (ლიუბლინეცი, კატოვიცე, რიბნიკი, პლესი) მდებარე ნაწილები.

აღნიშნული საზღვარი 1921 წლის 19 ოქტომბრის ელჩების კონფერენციაზე იქნა დამტკიცებული.

1922 წელს პოლონური ოკუპაციისა და ერთა ლიგის ყოველგვარი კონტროლის გარეშე ვილნიუსში (ვილნო) ჩატარებული პლებისციტით, ქალაქი და მისი მიმდებარე ტერიტორია ლიტველთა პროტესტის მიუხედავად, პოლონეთს გადეცა.

1923 წლის 15 მარტს ერთა ლიგის საბჭომ **პოლონეთისთვის ვილნიუსის გადაცემა** დაამტკიცა.

ამავე დროს, 18 მარტს ჩატარებულ ელჩების კონფერენციაზე გადაწყდა **პოლონეთისთვის მთელი აღმოსავლეთი გალიციის გადაცემა.** 1922 წელს პოლონეთის სეიმის მიერ ამ პროვინციისთვის ავტონომიის მინიჭების დაპირება არასოდეს შესრულებულა.

ამგვარად, პოლონეთმა თავის საბოლოო საზღვრებს მიაღწია ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ პერიოდში. ის გახდა დიდი ქვეყანა, 388 500კმ² ფართობითა და 27 მილიონ კაცზე მეტი მოსახლეობით, საიდანაც დაახლოებით 10 მილიონი კაცი არ იყო პოლონელი (2 მილიონი გერმანელი და დაახლოებით 8 მილიონი ბელორუსი, უკრაინელი და სხვ.).

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, პოლონეთი 17 სავოევოდოდ იქნა დაყოფილი:

– ცენტრალური ნაწილი: ვარშავა, ლოძი, კელცე, ლიუბლინი, ბელოსტოკი;

– აღმოსავლეთით: ვილნო (ვილნიუსი), ნოვოგროდეკი, პოლეზია (ბრესტ-ლიტოვსკი), ვოლინია (ლუცკი);

– დასავლეთით: პოზნანია (პოზნანი), პომორიე (ტორუნი), სილეზია (კატოვიცე);

– სამხრეთით: კრაკოვი, ლვოვი (ყოფილი ლემბერგი), სტანისლავოვი, ტერნოპოლი.

ახალი სახელმწიფოსთვის უმთავრეს ამოცანას იმ პროვინციების გაერთიანებაზე ზრუნვა წარმოადგენდა, რომელიც ნინათ სხვადასხვა იმპერიების შემადგენლობაში შედიოდა. 1921 წლის 17 მარტის კონსტიტუციით (რომელიც საფრანგეთის კონსტიტუციის ასლს წარმოადგენდა), შემოღებულ იქნა საპარლამენტო რეჟიმი, მაგრამ ქვეყანა მალე პოლიტიკური არასტაბილურობის მსხვერპლი გახდა, რომელსაც თან ერთვოდა ეკონომიკური კრიზისიც. შექმნილმა ვითარებამ, 1926 წლის მაისში მარშალ პილსუდსკის ხელისუფლების სათავეში ჩადგომისა და ავტორიტარული რეჟიმის დამყარების საშუალება მისცა, რომლის არსებობა მეორე მსოფლიო ომამდე გაგრძელდა.

1938 წელს ისარგებლა რა მიუნხენის შეთანხმებებით, რომლის თანახმად, ჩეხოსლოვაკიას გერმანიის რაიხის სასარგებლოდ სუდეტების ტერიტორია ჩამოერთვა, **პოლონეთმა** იმავე დღეს ულტიმატუმით მიმართა ჩეხოსლოვაკიას, რომლის საფუძველზეც, 2 ოქტომბერს ამ უკანასკნელის შემადგენლობაში 1920 წელს გადასული **ჩეშნი-ტეშინის სილეზიის ნაწილის აღმოსავლეთი ნახევრის** (ბოჰუმენი, ჩეშნი-ტეშინის სადგური) ანექსია მოახდინა. ამგვარად, ანექსირებული ტერიტორია (1000კმ²) პოლონეთის სილეზიის საოეკვოდოსთან იქნა მიერთებული.

ამ ანექსიით პოლონეთის ფართობმა 389 500კმ2-ს მიაღწია, მისმა მოსახლეობამ კი დაახლოებით 35 მილიონ კაცს მიაღწია.

1939 წელს პოლონეთი რეალური საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ოფიციალურად, ჰიტლერის გერმანიას კარგი ურთიერთობები ჰქონდა "პოლკოვნიკთა" ავტორიტარულ რეჟიმთან, რომელიც ქვეყანაში პილსუდსკის გარდაცვალების (1935წ.) შემდეგ დამყარდა.

ამავე დროს, ჰიტლერს უარი არ უთქვამს 1919 წელს დაკარგული პროვინციების დაბრუნებაზე, კერძოდ კი იმ პროვინციებზე, რომელიც გერმანული მოსახლეობით იყო დასახლებული. გდანსკის თავისუფალი ქალაქის გარდა, აღნიშნული მოთხოვნა პოლონეთის პოზნანიასა და დასავლეთ პრუსიას ეხებოდა,

რომელიც აღმოსავლეთ პრუსიას (გერმანული ტერიტორია) რაიხის დანარჩენი ტერიტორიისგან ყოფდა.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მოსკოვში ხელმოწერილი 1939 წლის 23 აგვისტოს პაქტის საიდუმლო მუხლი პოლონეთის ორ ქვეყანად დაშლას ითვალისწინებდა. გამყოფი სასაზღვრო ზოლი დაახლოებით ნარევთან, ვისლასთან და სანთან უნდა გავლებულიყო.

1939 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში გერმანელებმა პოლონეთის საზღვარი გადალახეს და თავიანთი გავლენის ზონა დაიკავეს, მათ ის გადალახეს კიდეც მდინარე ბუგამდე. თავის მხრივ, საბჭოთა კავშირმაც იგივე გააკეთა "უკრაინელებისა და ბელორუსების დაცვის მიზნით."

პოლონეთის მეხუთე გადანაწილება

1939 წლის 12 ოქტომბერს გერმანია და სააბჭოთა კავშირი ცალმხრივი წესით, პოლონეთის მეხუთე გადანაწილებას შეუდგა. ქვეყანა სამ ნაწილად იქნა დაყოფილი. პირველი ორი ნაწილი გერმანიას ხვდა წილად (188 000კმ², 21 მლნ. კაცი, რომელთაგან 12 მლნ. კაცი პირველ ნაწილში, 9 მილიონი კაცი კი მეორე ნაწილში ცხოვრობდა), ხოლო მესამე ნაწილი საბჭოთა კავშირს (201 500კმ², 14 მლნ. კაცი) გადაეცა.

დასავლეთით, **პოლონეთის პირველი ნაწილი რაიხთან იქნა მიერთებული,** რომელიც შემდეგ ტერიტორიებს მოიცავდა:

– **დძელძოვოს (გერ. სოლდაუ) რეგიონი და სუვალკის ტერიტორია,** რომელიც აღმოსავლეთ პრუსიასთან იქნა მიერთებული;

– პომორიე, რომელიც გდანსკთანთან და ელბინგისა და მარიენვერდერის (კვიძინი) ტერიტორიებთან ერთად გდანსკი-დასავლეთი პრუსიის პროვინცია უნდა გამხდარიყო;

– **პომორიე,** რომელიც გდანსკისა და მარიენვერდენის (კვიძინი) ტერიტორიებთან ერთად გდანსკისა და დასავლეთი პრუსიის პროვინციაში უნდა გაერთიანებულიყო;

– **აღმოსავლეთ პრუსიასა და ვისლის დინებას შორის მდებარე რეგიონი,** რომელიც საძრეთ პრუსიის პროვინცია გახდა;

– **პოლონეთის სილეზია,** რომელიც ზემო სილეზიის პროვინციებთან იქნა მიერთებული.

მეორე ნაწილში პოლონეთის საგენერალგუბერნატორო განლაგდა, რომელიც რაიხის სატელიტ ერთეულს წარმოადგენდა, დედაქალაქით კრაკოვში. ის შემდეგი ძველი საავეოდოებისგან შედგებოდა: **კრაკოვი, ვარშავის სამხრეთი ნახევარი, კელცე, ლიუბლინი, დასავლეთი ლვოვის ნახევარი.**

თავად საგენერალგუბერნატორო ოთხ ოლქად იყო დაყოფილი: კრაკოვი, რადომი, ვარშავა, ლიუბლინი.

აღმოსავლეთით **საბჭოთა კავშირმა პოლონეთის მესამე ნაწილის ანექსია მოახდინა,** რომელიც შემდეგ ტერიტორიებს მოიცავდა:

– **ბელისტოკის, ნოვოგრუდეკისა და პოლეზიის სავოევოდოები,** რომელიც ბელორუსის რესპუბლიკასთან იქნა მიერთებული;

– **ვოლინიის, ტერნოპოლისა** და **სტანისლავოვის სავოევოდოები** და **ლვოვის** სავოევოდოს აღმოსავლეთი ნახევარი, რომელიც უკრაინის რესპუბლიკასთან იქნა მიერთებული;

– **ვილნოს (ვილნიუსის) სავოევოდოს აღმოსავლეთი ორი მესამედი** ბელორუსთან იქნა მიერთებული;

– **ვილნოს (ვილნიუსის) სავოევოდოს დასავლეთი ორი მესამედი ქალაქთან ერთად საბჭოთა კავშირმა მაშინვე ლიტვის რესპუბლიკას დაუთმო,** რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ დამოუკიდებელი იყო.

2. დაშლილი პოლონეთი (1939-1945ნნ.)

კიდევ ერთხელ, პოლონეთი რუკიდან წაიშალა. მისი მოსახლეობა ორმა გამარჯვებულმა ქვეყანამ გაუსაძლის მდგომარეობაში ჩააყენა. საბჭოთა ხელისუფლებამ პოლონელები მასობრივად გადაასახლა ციმბირსა და ყაზახეთში, ხოლო ტყვედ ჩავარდნილ პოლონელ ოფიცერთა უმრავლესობა დახვრეტილ იქნა (1940 წლის მაის-აპრილის ხოცვა-ულეტა). თავის მხრივ, გერმანელებმა პოლონური პროვინციები გერმანიზაციის პოლიტიკას დაუქვემდებარეს, რასაც რაიხიდან წამოსული ახალი კოლონისტების დაფუძნება მოჰყვა. პოლონური ელიტის წარმომადგენლები დახვრიტეს, ზოგი კი საკონცენტრაციო ბანაკებში გაუშვეს.

ლონდონში გადასახლებაში მყოფი პოლონეთის მთავრობა (გენერალი სიროსკი) ჩამოყალიბდა. ქვეყნის გარეთ პოლონური ჯარები შეიქმნა, რომლებიც ომში მოკავშირეთა მხარეს იბრძოდნენ.

1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანელთა შეტევის შემდეგ, გერმანიის ჯარები ღრმად შეიჭრნენ ბელორუსსა და უკრაინის ტერიტორიაზე.

1941 წლის 1 აგვისტოს **ჰიტლერმა პოლონეთის საგენერალგუბერნატოროს** (იქამდე უკრაინასთან მიერთებული) **აღმოსავლეთი გალიცია მიუერთა,** რომელიც საგენერალგუბერნატოროს მეხუთე ოლქი გახდა (ადმინისტრაციული ცენტრი ლემბერგი (ლვოვი)).

ამავე დროს, **ჰიტლერმა გერმანიის რაიხს შემდეგი ტერიტორიები მიუერთა:**

– ბელისტოკ-გროდნო-ლომჟის ოლქი, რომელიც იქამდე ბელორუსთან იყო მიერთებული;

– მთავარი საგენერალგუბერნატოროსგან გამოყოფილი ყოფილი გალიციისა (ბიალა) **და ყოფილი პოლონეთის** (ბეზდეჟი) **ფრაგმენტები,** რომელიც დიდი ზემო სილეზიის ახალ პროვინციასთან იქნა მიერთებული.

საბჭოთა ჯარების მიერ პოლონეთის ნაწილის დაბრუნებისთანავე 1944 წლის ივლისში საბჭოთა კავშირის მიერ ლიუბლინში პოლონეთის დროებითი მთავრობა, ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი შეიქმნა, რომელსაც სათავეში კომუნისტი ბერუტი ჩაუდგა.

1944 წლის აგვისტოში იმ დროს, როდესაც საბჭოთა ჯარებმა აღმოსავლეთი პოლონეთი დაიბრუნეს და ვარშავის გარეუბნებს მიაღწიეს (პრაღა, ვისლის პირაქეთა), ვარშავაში დიდი აჯანყება დაიწყო, რომელმაც ცხრა კვირა გასტანა. გერმანელებმა აჯანყების ჩახშობა 200 000 კაცის განადგურების ფასად მოახერხეს. ამ დროს საბჭოთა ჯარები ვისლის მეორე ნაპირზე იყვნენ დაბანაკებული.

თეირანის კონფერენციაზე (1943 წლის ნოემბერი), საბჭოთა კავშირმა მოკავშირეებს ყოფილი კურზონის ზოლის გასწვრივ მდებარე პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრის პრინციპი მიაღებინა, რომელიც პოლონეთისთვის ოდერზე მდებარე გერმანია-პოლონეთის საზღვრით იყო კომპენსირებული. 1945 წლის 8 თებერვალს იალტის შეთანხმებებით **პოლონეთის რესპუბლიკის აღდგენა** დამტკიცდა და კურზონის ზოლის შექმნა იქნა რატიფიცირებული საბჭოთა საზღვრის ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ პოლონეთის მომავალი დასავლეთი საზღვრის საკითხის განხილვა გადაიდო.

3. პოლონეთის მეორე რესპუბლიკა (1945 წლიდან დღემდე)

პოტსდამის კონფერენციაზე (1945 წლის 2 აგვისტო), **გერმანიაზე გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა მას "დროებით"** გერლიცის ოდერ-ნაისეს ზოლის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიები ჩამოართვეს, კერძოდ: **აღმოსავლეთი პრუსია, 1919 წელს შენარჩუნებული დასავლეთი პრუსიის ფრაგმენტები და პოზნანის ნაწილი, აღმოსავლეთი პომერანია** (ოდერის მარჯვენა ნაპირი), **ოდერის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ბრანდებურგის ნაწილი, თითქმის მთელი სილეზია** (გერლიცის ნაისეს მარცხენა ნაპირზე მდებარე დასავლეთი ტერიტორიის გარდა) **და საქსონიის უკიდურეს დასავლეთში მდებარე ფრაგმენტი;** ზემოაღნიშნულს აგრეთვე ყოფილი თავისუფალი ქალაქი გდანსკი დაემატა.

აღნიშნული რეგიონები ოფიციალურად პოლონური ადმინისტრაციის ქვეშ მოექცა აღმოსავლეთი პრუსიის ჩრდილოეთი ნაწილის გარდა, რომელიც საბჭოთა ადმინისტრაციის ქვეშ იმყოფებოდა. თავიდანვე, პოლონეთის ხელისუფლება ამ ტერიტორიაზე ისე მოქმედებდა (მოსკოვის თანხმობით) თითქოს ეს რეგიონები უკვე პოლონეთს ეკუთვნოდა.

გერმანელები მასობრივად იქნენ გადასახლებულნი ამ რეგიონებიდან (3,5 მლნ. კაცი, რომელთაც ადრე გაქცეულთა 3,5 მლნ. კაცი დაემატა), პოლონელები იქ ხანგრძლივი დროით დამკვიდრნენ, განსაკუთრებით პოლონელებით დასახლებულ საბჭოთა კავშირისთვის გადაცემულ ძველ პოლონურ რეგიონებში.

1945 წლის 16 ოქტომბერს სსრკ-მა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმებით, პოლონეთ-რუსეთის ახალი საზღვარი დაადგინა, რომელიც დაახლოებით კურზონის ზოლზე გადიოდა. **ამგვარად, საბჭოთა კავშირმა ომამდელი ძველი პოლონეთის შემდეგი ტერიტორიები მიიერთა: ვილნიუსის სავოევოდო, პოლეზია, ნოვოგრუდეკის სავოევოდო, ვოლინია და აღმოსავლეთი გალიცია.**

1945 წლის 6 ოქტომბერს საბჭოთა კავშირმა **პოლონეთს მდინარე ოდერის შესართავის მარცხენა ნაპირზე მდებარე შჩეცინის პორტი და მისი შემოგარენი გადასცა.**

1947 წლის იანვარში გაყალბებული არჩევნების შემდეგ, პოლონეთი დე ფაქტო **"სახალხო რესპუბლიკა"** გახდა "დემოკრატიული ბლოკით" სათავეში, რომელიც მუშათა (კომუნისტური) და სოციალისტური პარტიებისგან შედგებოდა. 1948 წელს ორივე პარტია გაერთიანდა.

1949 წლის 17 აგვისტოს დადგინდა აღმოსავლეთი პრუსიის განაწილება ჩრდილოეთით მაზურეკის ტბებზე გამავალი მარჯვენა ზოლით ფრიშეზ ჰაფამდე. **ამგვარად, პოლონეთმა საბოლოოდ მიიღო ოლშტინი, კვიძინი, მარიენბურგი და ელბინგი,** რაც 1920 წელს პლებისციტით მიღებულ ტერიტორიებს აღემატებოდა. ჩრდილოეთი ნაწილი კენინგსბერგთან (კალინინგრადი) ერთად საბჭოთა "ობლასტი" გახდა, რომელიც რუსეთის რესპუბლიკასთან იქნა მიერთებული.

საერთო ჯამში, პოლონეთმა საბჭოთა კავშირს 180 000კმ² დაუთმო, ხოლო გერმანიიდან და გდანსკიდან 104 000კმ² მიიღო. ამგვარად, პოლონეთის ტერიტორიის ფართობმა 313 000კმ²-ს მიაღწია, დაახლოებით 25 მილიონი კაცი მოსახლეობით.

1950 წლის 28 იენისს დროებითი ადმინისტრაციის ქვეშ მყოფი ტერიტორიები პოლონეთში გაერთიანდა და სავოევოდოებად დაიყო.

ამ დროიდან, პოლონეთი 49 სავოევოდოდ დაიყო და თითოეული სავოევოდო თავისი ადმინისტრაციული ცენტრის სახელნოდებას ატარებდა: შჩეცინი, კოშალინი, გდანსკი, ელბლაგი, ოლშტინი, სუვალკი, ბელისტოკი, ლომჟა, ოსტროლეკა, ცეხანუვი, ტორუნი, ბიდგოშჩი, პილა, გორჟოვ ველიკოპოლსკი, პოზნანი, კონინი, ვლოცლავეკი, პლოცკი, ვარშავა, სედლეცი, ბიალა პოდლიასკა, ხელმი, ლიუბლინი, რადომი, სკერნევიცე, ლოძი, პეტკრუვ-ტრიბულანსკი, სერაძი, კალიში, ლეშნო, ზელენა გურა, ცელინა გურა, ლეგნიცა, ეროცლავი, ვალბჟიხი, ოპოლე, ჩენსტოხოვა, პშეშისლი, კრაკოვი, ბელსკო-ბიალა, ნოვი სონჩი, კროსნო.

1945 წლიდან 1989 წლამდე პოლონეთმა საბჭოთა კავშირის სატელიტ სახელმწიფოთა ხვედრი გაიზიარა: კომუნისტური ხელისუფლების ყოვლისშემძლეობა, გეგმიანი ეკონომიკა, ეკლესიის დევნა, თავისუფლების არარსებობა, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ვარშავის პაქტში განევრიანება.

ქვეყანაში რეგულარულად ხდებოდა გამოსვლები (1956წ., 1970წ.), რომელსაც ხელისუფლება ახშობდა. კათოლიკური ეკლესია იმდენად გავლენიანი იყო პოლონეთში, რომ ხელისუფლება ვერ ბედავდა მასთან პირდაპირ შეტაკებას და ის კომუნისტური რეჟიმის პასიური წინააღმდეგობის ბასტიონად იქცა.

70-იანი წლების მიწურულს ქვეყანაში წინააღმდეგობის მუშათა მოძრაობები გააქტიურდა. ამავე დროს, წმინდა პეტრეს ტახტზე პოლონელი კარდინალის, კრაკოვის არქიეპისკოპოსის კაროლ ვოიტილას არჩევამ, რომელიც რომის პაპი გახდა იოანე-პავლე I I-ის სახელით, პოლონეთის ეკლესიას დიდი საგარეო მხარდაჭერა მოუტანა.

80-იანი წლები "სოლიდარნოსტის" დამოუკიდებელი მოძრაობის ბრძოლით აღინიშნა, რომელსაც გდანსკის მუშა, ლეხ ვალენსა ჩაუდგა სათავეში. მან შეძლო დაბრკოლებების გადალახვა (საომარი მდგომარეობა, "სოლიდარნოსტის" აკრძალვა, დაპატიმრებები) და 1989 წლის არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა.

1989 წლის 30 დეკემბერს მიღებული ახალი კონსტიტუციით, პოლონეთში პლურალისტული დემოკრატიის რესპუბლიკური რეჟიმი დამყარდა.

აღნიშნული დროიდან ახალ პოლონეთში, სადაც 1990 წელს ლეხ ვალენსა პრეზიდენტად იქნა არჩეული, დასავლეთ ევროპასთან დაახლოების პროცესი დაინყო. ქვეყანამ მთელი ძალისხმევა თავისი ეკონომიკის მოდერნიზაციისაკენ მიმართა.

1998 წელს პოლონეთის სავოევოდოების რიცხვი 16-მდე გაიზარდა.

პოლონეთმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა ევროკავშირში შესასვლელად. მისი კანდიდატურა 2002 წლის 12 დეკემ ბერს იქნა მიღებული, 2004 წლის 1 მაისს კი პოლონეთი ევროკავშირში შევიდა.

სილეზია

1789 წელს სილეზია ჩრდილო-აღმოსავლეთი გერმანიის რეგიონს წარმოადგენდა, რომელიც ოდერის ზემო აუზს მოიცავდა. ჩრდილოეთით მას ბრანდენბურგი, აღმოსავლეთით მცირე პოლონეთი, დასავლეთით საქსონიის ლაუზიცი (ლუჟიცა), სამხრეთით კი ბოჰემია და მორავია ესაზღვრებოდა.

რეგიონის უდიდესი ნაწილი დაბლობს ეკავა, რომელიც ძალიან ხელსაყრელი იყო სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. სილეზია აგრეთვე მდიდარი იყო სასარგებლო წიაღისეულის საბადოებით (ქვანახშირი, მინერალები), რამაც რეგიონი მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად აქცია. მკვიდრი მოსახლეობის, პოლონელების გარდა რეგიონის სამხრეთში ჩეხები, პრუსიულ ნაწილში კი პრუსიული კოლონიები დამკვიდრნენ.

თავდაპირველად პოლონელებით დასახლებული სილეზიის ტერიტორია თანდათან ნაწილებად იშლებოდა და პოლონეთს შორდებოდა. XI I საუკუნიდან ის სხვადასხვა საპერცოგოებად დაიყო, რომლებიც დამოუკიდებელნი გაბდნენ. 1327 ნლიდან ყველა საპერცოგომ, ორის გარდა (შვაიდნიტცი და იაუერი) ბოჰემიის მეფის (იოპან ბრმა) სიუზერენობა აღიარა. ბოჰემიის მეფის ვაუმა, კარლ IV-მ ქორწინების შედეგად 1353 წელს ორი დარჩენილი საპერცოგო მიიღო. ამგვარად, მთელი სილეზია ბოჰემიასთან გაერთიანდა 1355 ნლის პრაგმატული სანქციის თანახმად.

თითქმის სუვერენული საპერცოგოები დროთა განმავლობაში ბოჰემიის მეფეთა სიუზერენიტეტის ქვეშ მოექცნენ, XVI I საუკუნეში უკანასკნელი ტერიტორიებიც იქნა მისაკუთრებული. 1526 წელს სილეზია ავსტრიის სახლის მფლობელობაში გადავიდა, ვიდრე 1742 წელს მარია-ტერეზა იძულებული არ გახდა მისი უდიდესი ნაწილი (აგრეთვე გლატცის საგრაფო) პრუსიისთვის დაეთმო.

1789 წელს პოლიტიკური ვითარება ამგვარად გამოიყურებოდა:

– სილეზიის პრუსიული საპერცოგო (40 000კმ²), დედაქალაქი ვროცლავი ორ ნაწილად იყო დაყოფილი: ქვემო სილეზია ჩრდილოეთით (ვროცლავი), რომელიც რვა საპერცოგოსა ან სამთვაროსგან შედგებოდა (ვროცლავი, ელსი ლიგნიცა, იაუერი, გლოგაუ, ზაგანი, გროშენი); ზემო სილეზია სამხრეთით (რატიბორი), რვა საპერცოგოსა ან სამთავროსგან შედგებოდა (რატიბორი, ოპოლე ბრიგი, შვაიდნიცი, მიუნსტერბერგი, ნაისე (ნანილობრივ), კრნოვი, ოპავა (ნანილობრივ), ამ ტერიტორიებს გლოძკოს ბოჰემიის საგრაფო დაეშატა;

– სილეზიის ავსტრიული საპერცოგო (5 000კმ²), დედაქალაქი ოპავა, დაყვანილ იქნა ჩესკი-ტეშინის სამთავროსა (ჩესკი-ტეშინის ოლქი) და ოპავის, კრნოვისა და ნაისეს სამთავროთა ნანილებამდე.

1824 წელს პრუსიის სამეფო ადმინისტრაციულად რვა პროვინციად დაიყო. პრუსიის სილეზია აღნიშნული რვა პროვინციიდან ერთ-ერთს წარმოადგენდა, რომელიც სამ სამმართველოდ დაიყო: ვროცლავი (შუა სილეზია), ლიგნიცა (ქვემო სილეზია), ოპოლე (ზემო სილეზია).

1867 წლის 28 ივნისის კომპრომისის თანახმად, ავსტრიის იმპერია ორ ნაწილად გაიყო, ავსტრიის სილეზია (ოპავისა და ჩესკი-ტეშინის ოლქები) ავსტრია-უნგრეთის ახალი იმპერიის ავსტრიული ნაწილის (ციზლაიტანია) 17-დან ერთ-ერთ ქვეყანას წარმოადგენდა.

1919 წელს ვერსალის ხელშეკრულებით, გერმანიამ პრუსიის სახელით:

– ახალ ჩეხოსლოვაკიას სილეზიისთვის ჩამორთმეული ჰლუსინის ტერიტორია დაუთმო (300 კმ², 48 000 კაცი), რომელიც პრუსიის მიერ 1742 წელს მიერთებულ ოპავის სამთავროს ჩრდილოეთ ნაწილს მოიცავდა;

– დროებით შეინარჩუნა ზემო სილეზიის სამმართველოს დარჩენილი ნაწილი, მაგრამ ამ ტერიტორიაზე მოკლე ვადაში პლებისციტი უნდა ჩატარებულიყო აღნიშნული სამმართველოს აღმოსავლეთ სამ მეოთხედთან დაკავშირებით, რომელსაც გერმანია და პოლონეთი მოითხოვდნენ.

იმავე 1919 წელს სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით, ავსტრიამ ციზლაიტანიის სახელით: – ახალ ჩეხოსლოვაკიას ავსტრიის სილეზიის დასავლეთი ნაწილი (ოპავის ოლქი) დაუთმო;

– უარი თქვა სილეზიის ყოფილ აღმოსავლეთ ნაწილზე (ჩესკი-ტეშინის ოლქი), რომელიც სადავო ტერიტორია იყო პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის. ჩესკი-ტეშინის საკითხთან დაკავშირებით პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის შეურიგებელი პოზიციის პირისპირ, ამ ტერიტორიების ბედი მხოლოდ 1920 წელს გადაწყდა. სილეზიის ჩესკი-ტეშინი ორ ქვეყანას შორის გაიყო:

– აღმოსავლეთი ნაწილი, ქალაქ ჩესკი-ტეშინთან ერთად პოლონეთს გადაეცა;

– დასავლეთი ნაწილი ფრიდეკთან, ბოჰუმენთან და ჩესკი-ტეშინის სადგურთან ერთად ჩეხოსლოვაკიას გადაეცა მისთვის სწრაფი სარკინიგზო მიმოსვლის უზრუნველსაყოფად (კოშიცე-ბოჰუმენის), რომელიც მორავიას სლოვაკეთთან აკავშირებდა.

ახალი არეულობების ძემდეგ, რომელიც ხელს უშლიდა ზემო სილეზიაში გათვალისწინებული პლებისციტის ჩატარებას, ის საბოლოოდ მაინც შედგა 1921 წელს. მიცემულ ხმათა 60%-მა პრუსიას დაუჭირა მხარი. შედეგებმა ვერ გაამართლეს გამარჯვებული ქვეყნების მოლოდინი, რის შემდეგაც ამ უკანასკნელებმა სილეზიის გაყოფა გადაწყვიტეს გერმანიასა (პრუსია) და პოლონეთს შორის.

ახალი შეტაკებების პირისპირ, ერთა ლიგამ საზღვარი დაადგინა, რომლის თანახმად პოლონეთში სილეზიის ტერიტორიის მეოთხედი და მოსახლეობის ორი მესამედი შევიდა, კერძოდ, ზემო სილეზიის აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ნაწილები (ლუბინეცი, კატოვიცე, რიბნიკი, პჩინია); ამ ტერიტორიისგან პოლონეთის სილეზიის სავოევოდო შეიქმნა.

ამ დროიდან სილეზია სამ ქვეყანას შორის განაწილდა:

– ჩეხოსლოვაკია: ოპავა, ჰლუცინი, ჩესკი-ტეშინის ნახევარი;

– პოლონეთი: ჩესკი-ტეშინის ნახევარი, ზემო სილეზიის აღმოსავლეთი მეოთხედი;

– გერმანია (პრუსია): ქვემო სილეზია, ზემო სილეზიის სამი მეოთხედი.

1922 წლის პლებისციტით, ზემო სილეზიის პრუსიული ნაწილის დარჩენილმა მოსახლეობამ მისი ზემო სილეზიის პროვინციად გადაკეთება

გადაწყვიტა (ადმინისტრაციული ცენტრი ოპოლე), რომელიც ქვემო სილეზიისაგან იყო გამიჯნული (ადმინისტრაციული ცენტრი ეროცლავი).

1938 წელს მიუნხენის შეთამხმებებით, ჩეხოსლოვაკია იძულებული გახდა ოპავის სილეზია გერმანიის რაიხისთვის დაეთმო ჰლუცინის ჩათვლით, რომელიც სუდეტების (ადმინისტრაციული ცენტრი ლიბერეკი) ახალ გერმანულ პროვინციასთან იქნა მიერთებული.

ზემოაღნიშნულის გარდა, პოლონეთის ულტიმატუმის თანახმად, ჩეხოსლოვაკია იძულებული გახდა პოლონეთისთვის 1920 წელს ჩეხოსლოვაკიის ხელში გადასული სილეზიის ჩესკი-ტეშინის აღმოსავლეთი ნახევარი (ბოჰუმენი, ჩესკი-ტეშინის სადგური) დაეთმო; დათმობილი ტერიტორია სილეზიის პოლონურ სავოევოდოსთან იქნა მიერთებული.

1939 წლის მარტში, 1938 წელს ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში დარჩენილი ჩესკი-ტეშინის სილეზიური ნაწილი (დასავლეთი მეოთხედი ფრიდეკთან ერთად) გერმანიის რაიხმა მიიერთა ბოჰემია-მორავიის დარჩენილ ტერიტორიასთან ერთად, რომელიც პროტექტორატის ფარგლებში იქნა მიერთებული.

1939 წლის ოქტომბერში პოლონეთის განაწილების ფარგლებში, ჰიტლერმა გერმანიის რაიხს პოლონეთის ყოფილი ზემო სილეზია და ჩესკი-ტეშინის სილეზიის პოლონური ნაწილი მიუერთა.

1941 წელს ზემო სილეზია დიდ ზემო სილეზიად შეიცვალა სუდეტების პროვინციისთვის ჩამორთმეული ჰლუსინის ტერიტორიის, ყოფილი გალიციის (ბიალა) ფრაგმენტებისა და ყოფილი პოლონეთის (ბენძინი) მიერთების შედეგად.

1945 წელს გერმანიაზე გამარჯვებულმა ქვეყნებმა ჩეხოსლოვაკია აღადგინეს. 21 იენისს აღდგა 1920 წლის ივლისს დადგენილი საზღვარი. ამგვარად, ოპავის სილეზია ჰლუსინთან ერთად და სილეზიის ჩესკი-ტეშინის დასავლეთი ნახევარი ჩეხოსლოვაკიას დაუბრუნდა.

1945 წლის აგვისტოში პოტსდამის კონფერენციაზე, გერმანიაზე გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს "დროებით" გერმანიისთვის გერლიცის ოდერ-ნაისეს აღმოსავლეთ ზოლზე მდებარე ტეროტორიები ჩამოერთვათ. აღნიშნულ ფარგლებში, გერმანიის სილეზია თითქმის მთლიანად (გერლიცის ნაისეს მარცხენა ნაპირზე მდებარე მცირე ტერიტორიის (დასავლეთით) გარდა), პოლონეთის ადმინისტრაციის ქვეშ მოექცა. 1949 წელს სილეზიის დასავლეთით მდებარე მცირე ტერიტორია (გერლიცის ნაისეს მარცხენა ნაპირზე) ახალი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საქსონიის მიწასთან იქნა მიერთებული.

1950 წელს პოლონეთმა საბოლოოდ მიიერთა პრუსიის სილეზია, რომლის საფუძველზე შეიქმნა კატოვიცეს (კატოვიცი), ოპოლეს (ოპელნი), ვროცლავის (ბრესლაუ) და ნანილობრივ ზელენა გურას (გრიუნბერგი) პოლონური სავოევოდოები.

აღნიშნული დროიდან, სილეზია სამ სახელმწიფოს შორის გადანაწილდა:

– საქსონიის მიწა (გდრ): ქვემო სილეზიის დასავლეთი ტერიტორია;

– ჩეხოსლოვაკია: ოპავა, ჰლუსინი, ჩესკი-ტეშინის ნახევარი;

– პოლონეთი: ჩესკი-ტეშინის ნახევარი, ზემო სილეზია, ქვემო სილეზია.

სილეზიის გერმანელები გაძევებულ იქნენ და ისინი მასობრივად გერმანიაში გადავიდნენ (გფრ). 1993 წელს ჩეხოსლოვაკიის ყოფილი სილეზია ახალი ჩეხეთის შემადგენელი ნაწილი გახდა.

გალიცია

გალიციის ისტორიული სახელწოდება გალიჩის სამთავროდან მომდინარეობს, ქალაქიდან, რომელიც დნესტრის ზემო დინებაზე მდებარეობდა. XI საუკუნეში ის დამოუკიდებელ ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა, მაგრამ XIII საუკუნეში ვლადიმირის მთავრის დაქვემდებარებაში გადავიდა, რომელიც მეზობელ ვოლინიაში შეჭრილი ტერიტორია იყო მომავალი ქალაქის, ლვოვის გარშემო. სწორედ აღნიშნულ პერიოდში ამ ტერიტორიამ გალიციისა და ვლადიმირის სამეფოს სახელი მიიღო, ვიდრე 1349 წელს პოლონეთის მეფეს, კაზიმეჟ დიდს არ დაემორჩილა, რამაც ოთხ საუკუნეზე მეტხანს გასტანა.

გალიციის სახელით ცნობილი ქვეყანა 1772 წლიდან პოლონეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი გახდა. მისი დასავლეთი ნაწილი მცირე პოლონეთის სახელით ცნობილ რეგიონში შედიოდა, აღმოსავლეთი ნაწილი კი დასავლეთ უკრაინის რეგიონში; დასავლეთით ამ ტერიტორიებს ზემო ვისლაზე მდებარე ოსვენციმისა და ზატორის საპერეგოგოები ემატებოდა.

ჩრდილო-დასავლეთით გალიცია ვისლის ზემო დინებით იყო შემოსაზღვრული, ჩრდილო-აღმოსავლეთით ბუგით, აღმოსავლეთით ზბრუჩის ზემო დინებით, სამხრეთით კი კარპატების ქედით, საიდანაც ის ჩრდილოეთ ფერდობს ქმნიდა.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, 1772 წელს ეს რეგიონი გადაჭიმული იყო კრაკოვის, სანდომეჟის, ბელსკის, დასავლეთ უკრაინისა და პოდოლიის პოლონურ სავოევოდოებზე.

გალიცია სოფლის მეურნეობისთვის ხელსაყრელი ვრცელი დაბლობების ქვეყანა იყო, რომელიც თითქმის მთლიანად ვაკეს ეჭირა კარპატების მიმდებარე ტერიტორიის გარდა, ის ასევე მდინარეთა მდიდარი ქსელით გამოირჩეოდა: ვისლა, სანი, ბუგი, დნესტრი, პრუტი და სხვ. მის მთიან ზოლში მადნეული, მარილი და მინერალური წყლები მოიპოვებოდა. იქ ნაკლებად იყო განვითარებული საქალაქო ქსელი: ლვოვი, ვადოვიცე, პშემისლი, ტარნოვი, კოლო.

გალიცია მეტწილად პოლონელებით იყო დასახლებული, მის დასავლეთ ნაწილში კი უკრაინელები ცხოვრობდნენ.

1772 წელს პოლონეთის პირველი განაწილების დროს, ავსტრიამ შემდეგი ტერიტორიები მიიერთა:

– კრაკოვის სავოევოდოს სამხრეთი ნახევარი (ქალაქის გარეშე) ვისლის სამხრეთით;
– სანდომეჟის სავოევოდოს სამხრეთი მესამედი ვისლის სამხრეთით;
– ბელსკის სავოევოდო;
– დასავლეთი უკრაინის სავოევოდო;
– პოდოლიის სავოევოდოს დასავლეთი ნაწილის ტერიტორია ზბრუჩის დასავლეთით.

ზემოაღნიშნული რეგიონებისგან ავსტრიამ გალიციისა და ვლადიმირის სამეფო შექმნა, დედაქალაქი ლვოვი, რომელიც "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) საზღვრებს გარეთ მდებარე ავსტრიის სახლის ახალი სამფლობელო გახდა. ახალი სამეფო თვრამეტ ოლქად დაიყო, რომელიც ჩვეულებისამებრ თავისი ადმინისტრაციული ცენტრის სახელს ატარებდა: ლვოვი, ვადოვიცე, ბოხნია, იასლო, ტარნოვი, ხანოკი, სამბორი, პშემისლი, უეშუვი, ზლოჩეკი, ჩორტკოვი, (ადმინისტრაციული ცენტრი ზალეშჩიკი).

1777 წელს ბუკოვინა გალიციასთან იქნა მიერთებული და ამგვარად, ის გალიციის მე-19 ოლქი გახდა (ადმინისტრაციული ცენტრი ჩერნოვცი).

1795 წელს პოლონეთის მესამე განაწილების დროს ავსტრიამ შემდეგი ტერიტორიები მიიერთა:

– მცირე პოლონეთის დარჩენილი ჩრდილოეთი ნაწილი (ვისლის მარცხენა ნაპირზე), კერძოდ: კრაკოვის სავოევოდოს ჩრდილოეთი ნახევარი და სანდო-

მეეის საოვევოდოს ჩრდილოეთი ნაწილის ორი მესამედი (ვისლის ჩრდილოეთით);

– დასავლეთ უკრაინის დარჩენილი ჩრდილოეთი ნაწილი, კერძოდ: ლიუბლინის საოვევოდო და ხოლმის საოვევოდოს დასავლეთი ნახევარი;

– ბუგის მარცხენა ნაპირზე მდებარე მაზოვიის, პოდლახიისა და ბრესტ-ლიტოვსკის ნაწილები.

დასავლეთ გალიციის (რეალურად ჩრდილოეთის) სახელის ქვეშ გაერთიანებული აღნიშნული ტერიტორიები "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) გარეთ მდებარე ავსტრიულ პროვინციას წარმოადგენდა, რომელშიც ქალაქები კრაკოვი (ადმინისტრაციული ცენტრი) და ლიუბლინი შედიოდა.

1809 ნელს ავსტრიამ ვარშავის დიდ საჰერცოგოს 1795 ნელს მოპოვებული დასავლეთი გალიციის პროვინცია დაუთმო, ისევე როგორც 1772 ნლის ანექსიიდან მიღებული ჟამოჩის ოლქი.

1810 ნელს ავსტრიამ რუსეთს ტერნოპოლის ოლქი და გალიციისა და ვლადიმირის სამეფოსთან მოსაზღვრე რამდენიმე ოლქი დაუთმო.

1815 ნელს რუსეთმა ავსტრიას დაუბრუნა ტარნოპოლის ოლქი და 1810 ნელს მიღებული რამდენიმე მოსაზღვრე ოლქი. ავსტრიამ უარი თქვა ყოველგვარ პრეტენზიაზე დასავლეთ გალიციასთან დაკავშირებით, რომელიც რუსეთს გადაეცა, კრაკოვის ახალი პატარა რესპუბლიკის გარდა (პოლონეთის სუვერენიტეტის უმნიშვნელო რელიქვია ავსტრიის, პრუსიისა და რუსეთის მფარველობის ქვეშ).

ამგვარად, გალიციისა და ვლადიმირის სამეფო ავსტრიის სამფლობელოების ნანილი გახდა გერმანიის ახალი კონფედერაციის მიღმა.

1818 ნელს ავსტრიამ გერმანიის კონფედერაციის შემადგენლობაში ოსვენციმისა და ზატორის თავისი პოლონური საპერცოგოები შეიყვანა, რომელიც ამავე დროს, მის გალიციის პროვინციაში შედიოდა.

1846 ნელს გალიციაში მომხდარი არეულობების შემდეგ, სხვა მფარველ სახელმწიფოებთან (პრუსია, რუსეთი) შეთანხმებით, ავსტრიამ კრაკოვის რესპუბლიკა მიიერთა და ის გალიციის სამმართველოში შეიყვანა, სადაც კრაკოვი მე-20 ოლქად იქნა შეყვანილი.

4 მარტის კონსტიტუციით ავსტრიის იმპერიაში ადმინისტრაციული ცენტრალიზაცია იქნა შემოღებული, რომელიც 21 გაერთიანებულ "სამეფო გვირგვინის ქვეყნებში" განხორციელდა.

1849 ნელს ბუკოვინა გალიციას გამოეყო, რათა "სამეფო გვირგვინის ქვეყნების" ერთ-ერთ ნევრად (21-დან) შესულიყო, გალიციის დარჩენილი ნანილი უკვე იყო ამ ქვეყნების შემადგენელი ნანილი.

ბუკოვინას ჩამოშორებული გალიცია 17 ოლქად დაიყო, რომელიც ჩვეულებისამებრ ადმინისტრაციული ცენტრის სახელნოდებას ატარებდა: ლვოვი, ვადოვიცე, სანდეკი, სამბორი, პშემისლი, ზლოჩევი, ტარნოპოლი, ჟოლკიევი, ბუენი, სტანისლავუვი, სტრი, კოლომეა, კრაკოვი, ჩორტკოვი (ადმინისტრაციული ცენტრი ზალეშჩიკი).

1867 ნლის ავსტრია-უნგრეთის კომპრომისის დროს, გალიცია ახალი ორმაგი მონარქიის ავსტრიულ ნანილის (ციზლაიტანია) ხელში გადავიდა.

1918 ნლის ნოემბერში პირველ მსოფლიო ომში ავსტრია-უნგრეთის დამარცხების შემდეგ, აღმოსავლეთი გალიციის მოსახლეობა (სანის აღმოსავლეთით) აჯანყდა და დასავლეთ უკრაინის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა.

1919 ნლის იანვარში დასავლეთ უკრაინის რესპუბლიკამ უკრაინის ახალ რესპუბლიკასთან მიერთება მოითხოვა.

სექტემბრის თვეში ავსტრიამ:

– პოლონეთს დასავლეთი გალიცია (სანის დასავლეთით) დაუთმო;

– უარი თქვა აღმოსავლეთ გალიციაზე (სანის აღმოსავლეთით), რომელიც დავის საგანი იყო პოლონეთსა და უკრაინას შორის; მოკავშირეებმა აღმოსავლეთ გალიციას ჩრდილოეთი ბუკოვინის ფრაგმენტი მიუმატეს გალიციის ტერიტორიაზე კოლომეა-ზალეშჩიკის რკინიგზის ხაზის გასატარებლად.

1919 წლის ნოემბერში ანტანტის საბჭომ 25 წლის ვადით, პოლონეთის მმართველობის ქვეშ აღმოსავლეთი გალიციისთვის ავტონომიის მინიჭება გადაწყვიტა. რეგიონის მომავალი ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ერთა ლიგას უნდა გადაეწყვიტა.

1923 წელს დებატების მიწურულს, ელჩების კონფერენციაზე გადაწყდა პოლონეთისათვის აღმოსავლეთი გალიციის გადაცემა.

პოლონეთის ხელში საბოლოოდ გადასული გალიცია 4 სავოევოდოსგან შედგებოდა: კრაკოვი, ლვოვი, ტარნოპოლი, სტანისლავოვი.

1939 წელს პოლონეთის მეხუთე განაწილების დროს, მდინარე სანის დასავლეთით მდებარე აღმოსავლეთი გალიცია (კერძოდ, კრაკოვის სავოევოდო და ლვოვის სავოევოდოს დასავლეთი ნახევარი) გერმანიის ხელში გადავიდა, რომელმაც ის შემდეგნაირად დაყო:

– ლვოვის სავოევოდოს დასავლეთი ნაწილი და კრაკოვის სავოევოდოს უდიდესი ნაწილი (ქალაქთან ერთად) პოლონეთის საგენერალგუბერნატოროს (გერმანიის მმართველობის ქვეშ მყოფი ახალი ტერიტორიული ერთეული, დედაქალაქით კრაკოვში) შემადგენლობაში შევიდა. ამ სავოევოდოების გაერთიანებით კრაკოვის ოლქი შეიქმნა;

– კრაკოვის სავოევოდოს დასავლეთი ზოლი (ბელიცის რეგიონი) გერმანიაში, ზემო სილეზიის პრუსიულ პროვინციაში იქნა შეყვანილი;

სანის აღმოსავლეთით მდებარე აღმოსავლეთი გალიცია, კერძოდ კი ლვოვის სავოევოდოს აღმოსავლეთი ნახევარი (ქალაქები, ლვოვი და პშემისლი) და ტარნოპოლი და სტანისლავუვი საბჭოთა კავშირმა მიიერთა და უკრაინის რესპუბლიკასთან გააერთიანა.

1941 წელს ჰიტლერმა გალიცია პოლონეთის საგენერალგუბერნატოროს მიუერთა, სადაც ის გალიციის ახალი ოლქი გახდა, ადმინისტრაციული ცენტრით ლვოვში.

1944 წელს საბჭოთა კავშირმა აღმოსავლეთი გალიციის ხელახალი ანექსია განახორციელა სანის საზღვრამდე (1939 წლის საზღვარი).

1945 წელს გალიცია ოფიციალურად გაიყო დასავლეთ ნაწილად, რომელიც პოლონეთის გახდა და აღმოსავლეთ ნაწილად, რომელიც საბჭოთა კავშირის ხელში გადავიდა და უკრაინასთან იქნა მიერთებული. საზღვარი ამ ორ ნაწილს შორის მარჯვენა ზოლზე იქნა გავლებული, 1939 წლის საზღვრის უფრო აღმოსავლეთით, რის შედეგადაც პშემისლი პოლონეთის შემადგენლობაში დარჩა.

პოლონეთის დასავლეთი გალიცია შემდეგ ტერიტორიებს მოიცავდა: ბელსკი (აღმოსავლეთი ნახევარი ვადოვიცესთან ერთად), კრაკოვი, ტორუნი, ჟუშევი, პშემისლი, ნოვი-სინჩი (ყოფილი სანდეკი), კროსნო (ყოფილი სანოკი).

უკრაინის აღმოსავლეთი გალიცია შემდეგ პროვინციებს (ობლასტი) მოიცავდა: ლვოვი (იგივე ლვივი), ტარნოპოლი (იგივე ტერნოპოლი), ივანო-ფრანკოვსკი (ყოფილი სტანისლავუვი).

1991 წელს ლვოვის, ტერნოპოლისა და ივანო-ფრანკოვსკის სამი გალიციური პროვინცია ახალი უკრანის რესპუბლიკის პროვინცია გახდა.

პორტუგალია

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: პორტუგალიის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ანიბალ კავაკო სილვა.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი, ეროვნული კრება.
დედაქალაქი: ლისაბონი.
ადმინისტრაციული დაყოფა: 5 რეგიონი და 18 ოლქი:
– ჩრდილოეთი რეგიონი, პორტუ (5 ოლქი): ბრაგა, ბრაგანსა, პორტუ, ვიანა დუ კაშტელუ, ვილა რეალი;
– ცენტრალური რეგიონი, კოიმბრა (6 ოლქი): ავეირუ, კასტელო ბრანკუ, კოიმბრა, გუარდა, ლეირია, სეტუბალი;
– ვალე-დუ-ტეჟუს (ტახოს) ლისაბონის რეგიონი: ლისაბონი, სანტარემი, სეტუბალი;
– ალენტეჟუს რეგიონი, ევორა (3 ოლქი): ბეჟა, ევორა, პორტალეგრი;
– ალგარვის რეგიონი, ფარუ (1 ოლქი): ფარუ.
ზემოაღნიშნულს ემატება ზღვის იქითა ტერიტორიები: აზორის არქიპელაგი (პონტა დელგადა) და მადეირის კუნძული (ფუნშალი).
ფართობი: 92 000კმ², საიდანაც 88 900 კონტინენტურ პორტუგალიაზე, 2 300 აზორის არქიპელაგზე და 800 მადეირის კუნძულზე მოდის;
მოსახლეობა: 10 მილიონი კაცი: სიმჭიდროვე: 109 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენა: პორტუგალიური.
რელიგია: კათოლიკობა.
ფულის ერთეული: ესკუდო, ევრო 2002 წლიდან.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. პორტუგალიის მოკლე ისტორიული მომოხილვა

1. ლუზიტანიიდან პორტუგალიამდე (ძვ. წ. აღ. II საუკუნიდან 1789 წლამდე)

ძველ ანტიკურ ხანაში იბერიელი ტომებით, ლუზიტანიელებით დასახლებული პორტუგალია, ძვ. წ. აღ. II საუკუნეში რომაელებმა დაიპყრეს და ის პირიქითა ესპანეთის პროვინციაში გააერთიანეს, ლუზიტანიის (დღევანდელი ესპანეთის ესტრემადურა) პროვინციის შექმნამდე.

ჩვ. წ. აღ. V საუკუნიდან იბერიის ნახევარკუნძულის დანარჩენი ნაწილის მსგავსად ქვეყანა სვევებმა, ვანდალებმა და ვესტგოთებმა დაიპყრეს. VIII საუკუნეში ქვეყანა კორდოვის ომაიანთა დინასტიის ხალიფების, ტაიფების სამეფოებისა და მაროკოს ალ-მორავიელთა დინასტიის მმართველთა ძალაუფლებას დაემორჩილა.

ამავე დროს, დღევანდელი პორტუგალიის ჩრდილოეთი ნაწილი მდინარეების მინიოსა და დორუს შორის VIII საუკუნეში ქრისტიანებმა დაიბრუნეს, ისევე როგორც დღევანდელი ესპანეთის (გალისია, ასტურია, ლეონი და სხვ.) ჩრდილოეთი რეგიონები.

XI საუკუნის მიწურულს, ტერიტორიების დაბრუნებისთვის წარმოებულ ომში კასტილიის მეფისთვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევისთვის, ბურგუნდიის ორმა კაპეტინგმა მთავარმა, ძმებმა რაომონდმა და ანრიმ მეფისგან საკუთრებაში მამულები მიიღეს. პირველ ძმას გალისია, მეორეს კი მინიოსა და დორუს შორის მდებარე თავისუფალი რეგიონი და დორუს სამხრეთით განთავისუფლებული რე-

გიონი ხვდა წილად. ანრიმ **პორტუგალიის გრაფის** წოდება მიიღო. ამ უკანასკნელის ვაჟი, ალფონს I 1339 წელს **პორტუგალიის პირველი მეფე** გახდა. მან დაიბრუნა ტერიტორია მდინარე ტეჟუმდე, მაგრამ უფრო სამხრეთით ალ-მოჰადების წინააღმდეგობას წაანყდა. მეფის შთამომავლებმა სამხრეთის მიმართულებით ქვეყნის განთავისუფლების საქმე გააგრძელეს და XIII საუკუნის შუა ხანებში ალგარვის განთავისუფლება შეძლეს.

აღნიშნული დროიდან კონტინენტური პორტუგალიის ფარგლებმა იმ კონფიგურაციას მიაღწია, რომელიც დღემდე არის შენარჩუნებული.

1383 წელს ბურგუნდიის სახლის უკანასკნელი მეფის, ფერდინანდ I-ის გარდაცვალების შემდეგ, სამეფო გვირგვინი მისი სიძის ხუან I კასტილიელის ხელში უნდა გადასულიყო, მაგრამ დამოუკიდებლობის დაკარგვის შიშით, პორტუგალიელებმა გარდაცვლილი მეფის უკანონო ვაჟი, ჟუან (ავიშელი) აირჩიეს, რომელიც 1385 წელს პორტუგალიის მეფე ჟუან I გახდა.

სნორედ ავიშების სახლის მეფობის (1385-1580წწ.) პერიოდში პორტუგალიამ ზღვის იქითა ტერიტორიების ექსპანსია დაიწყო, მეფე ჟუან I-ის უმცროსი ვაჟის, ჰენრიხ ნავიგატორის მონდომებით: სეუტის აღება (1415წ.), მადეირის (1418წ.) და აზორის (1431წ.), მწვანე კონცხის, კოტ-დ'ორუს, მეორედ კეთილი იმედის კონცხისა და სხვა კუნძულების აღმოჩენა.

პორტუგალიამ განსაკუთრებით გაითქვა სახელი ახალი მინების დაპყრობაში. ერთი საუკუნის განმავლობაში (1480-1580წწ.), რომელიც ქვეყნისთვის ოქროს ხანად იქცა, პორტუგალიამ ფეხი მოიკიდა ბრაზილიაში, აფრიკაში, აღმოსავლეთ ინდოეთში და ახლოს მივიდა ჩინეთთან (მაკაო) და იაპონიასთან. ლისაბონი ქვეყნის იმპერიიდან წამოსული სიმდიდრის განაწილების სახელგანთქმულ ადგილად იქცა.

1578 წელს ქვეყანაში მეორე კრიზისი ახალგაზრდა მეფის სებასტიანის მემკვიდრის გარეშე გარდაცვალებამ გამოიწვია (დაიღუპა ქსარ-ელ-ქებირის ბრძოლაში). სხვადასხვა პრეტენდენტებს შორის ორწლიანი ბრძოლის შემდეგ, ესპანეთის მეფე ფილიპე II, პორტუგალიის მეფე გახდა. სამოცი წლის მანძილზე (1580-1640წწ.) ესპანეთთან დინასტიური კავშირი დამყარდა, რომელიც ესპანეთის წინააღმდეგ წარმატებული აჯანყებით დასრულდა და ბრაგანსის პერცოგი პორტუგალიის მეფე, ჟუან IV გახდა.

"ესპანური" პერიოდის განმავლობაში პორტუგალიის პოზიციები ჰოლანდიელების მიერ იქნა შერყეული, რომელთაც ხელთ იგდეს მისი ზოგიერთი კოლონია. 1640 წელს პორტუგალიამ ნანილობრივ დაიბრუნა თავისი იმპერია, მაგრამ ძველი დიდების გარეშე აღმოჩნდა. 1703 ნლის მეტუენის ხელშეკრულებით, პორტუგალიამ თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ბედი ინგლისს დაუკავშირა.

ამ დროიდან პორტუგალიამ ევროპის სცენაზე მოკრძალებული ადგილი დაიკავა. ამავე დროს, ჟოზე I-ის (1750-1777წწ.) მეფობის პერიოდში პორტუგალიის მმართველობა "განათლებული" მინისტრის, მარკიზ დე პომბალის ხელში აღმოჩნდა, რომელმაც სახელი გაითქვა მინისძვრით (1755წ.) დანგრეული ლისაბონის რეკონსტრუქციით. მან ასეკე სამეფოს მართვის გარკვეული მოდერნიზაცია განახორციელა.

2. პორტუგალიის სამეფო 1789 წელს

იბერიის ნახევარკუნძულზე მდებარე ორი სამეფოდან პორტუგალიას ყველაზე მცირე ტერიტორია ეკავა. მისი ფართობი 89 000კმ²-ს, მოსახლეობა კი დაახლოებით 2 700 000 კაცს შეადგენდა. ეს ქვეყანა არ შედიოდა ევროპის ნამყვან სახელმწიფოთა რიგებში, მაგრამ ის დიდი ერთგვაროვნებით გამოირჩეოდა, რომელიც მისი, როგორც ერის ჩამოყალიბების სიძველიდან მომდინარეობდა.

ატლანტიკის ოკეანესა და ესპანეთის პლატოებს შორის მდებარე პორტუგალია სამ ბუნებრივ რეგიონად იყო დაყოფილი:

– მინიოსა და დორუს შორის, ძალიან მთიანი ნანილი, რომელიც მეტად არახელსაყრელი იყო სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის;

– დორუსა და ტეჟუს შორის, უფრო აყვავებული მთიანი რეგიონი, რომელშიც კარგად იყო განვითარებული სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები;

– ტეჟუს სამხრეთით "ხმელთაშუა ზღვის" რეგიონი, რომელიც მეტწილად დაბლობზე იყო გადაშლილი, მაგრამ მკაცრი კლიმატით ხასიათდებოდა. ეს რეგიონი მარილის საბადოებისა და კორპის მუხის სამფლობელოდ ითვლებოდა.

კოლონიალური დომენის დიდი ნაწილის დაკარგვის შემდეგ, პორტუგალია მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ (ეკონომიკური თვალსაზრისით) იქცა, რომელიც ძირითადად ლისაბონის (დედაქალაქი) პორტის ვაჭრობითა და სოფლის მეურნეობის რესურსებით (ვაზი), თევზჭერითა და მარილის საბადოებით ცხოვრობდა, ისევე როგორც თავისი ძირითადი კოლონიის, ბრაზილიის ინტენსიური ექსპლუატაციით.

ტერიტორიული თვალსაზრისით, კონტინენტური პორტუგალია ექვს ისტორიულ პროვინციად (XVს.) იყო დაყოფილი. თითოეულ პროვინციას მეფის წარმომადგენელი, კორეხიდორი ედგა სათავეში:

– დორუსა და მინიოს შორის: პორტუ, ბრაგა, პენაფიელი, გიმარაინში, ვიანა;

– ტრაშ-უუ-მონტიში: ბრაგანსა, მირანდა, მონკორვუ, ვილა რეალი;

– ბეირა: კოიმბრა, არგანილი, აველირუ, ფეირა, ვიზეუ, ლამეგუ, პინიელი, ტრანკოზუ, გუარდა, ლინარესი, კაშტელუ ბრანკუ;

– ესტრემადურა: ლისაბონი, ტორეს-ვარდასი, კასტანეირა, ალენკერი, ლეირა, ალკობასა, ტომარი, შან დი კოსა, სანტარენი, სეტუბალი;

– ალენტეჟუ: ევორა, ბეჟა, ორიკი, ვილა-ვისოზა, ელვაში, პორტალეგრი, კრატუ, ავიში;

– ალგარვის სამეფო: ფარუ, ტავირა, ლაგუში.

ზემოაღნიშნულს მადეირისა და აზირის კუნძულები ემატებოდა.

II. თანამედროვე პორტუგალია (1789 წლიდან დღემდე)

1. 1789 წლიდან მონარქიის გაუქმებამდე (1910წ.)

1792-1795 წლების ევროპული კონფლიქტის პერიოდში პორტუგალიელებმა საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის მკაფიო არჩევანი ვერ გააკეთეს. 1795 წლის ივლისიდან საფრანგეთსა და ესპანეთს შორის მორიგების საფუძველზე, პორტუგალიაზე თავდასხმა და ამით ინგლისის ინტერესებისთვის ზიანის მიყენება გადაწყდა. 1801 წლის გაზაფხულზე ესპანეთი პორტუგალიას დაესხა თავს და დაამარცხა ("ფორთოხლების ომი").

ბადახოსის 6 ივნისის ხელშეკრულებით, **პორტუგალიამ ესპანეთს ოლივენსის ოლქი დაუთმო.**

საფრანგეთსა და ინგლისს შორის კვლავაც მერყევი პოზიციის დაკავების გამო, პორტუგალიამ 1806 წლის მიწურულს ნაპოლეონის მიერ გადაწყვეტილი კონტინენტური ბლოკადის ამოქმედება დაადგიანა ინგლისის წინააღმდეგ. 1807 წლის ივლისში ამ საკითხთან დაკავშირებით, ნაპოლეონმა პორტუგალიას მუქარის ნოტა გაუგზავნა, რომელსაც აგვისტოში ულტიმატუმი მოჰყვა. 1807 წლის 27 ოქტომბერს ფონტენბლოში დადებული იქნა პორტუგალიის გაყოფის ხელშეკრულება საფრანგეთსა და ესპანეთს შორის (ეს ხელშეკრულება არასოდეს გამოყენებულა).

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით, პორტუგალია სამ ნაწილად უნდა დაყოფილიყო:

– დორუსა და მინიოს შორის მდებარე პროვინცია ჩრდილოეთი ლუზიტანიის სამეფო უნდა გამხდარიყო, რომელიც ეტრურიის მეფეს, ლუიჯი II-სა და მის დედას უნდა გადასცემოდა (ამ უკანასკნელთ ფლორენცია უნდა დაეტოვებინათ);

– ალენტეჟუსა და ალგარვის პროვინციები სამხრეთი ლუზიტანიის სამემკვიდრეო სამთავრო უნდა გამხდარიყო ესპანეთის მინისტრის, გოდოის სასარგებლოდ;

– სამი ცენტრალური პროვინცია (ტრაშ-უუ-მონტიში, ბეირა, ესტრემადურა) სეკვესტრში უნდა მოხვედრილიყო (სარეზერვო ტერიტორიები) მათი საკითხის გადაწყვეტამდე.

1807 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში საფრანგეთის არმიამ ჯიუნოტის მეთაურობით პორტუგალია დაიპყრო და 30 ნოემბერს ლისაბონში შევიდა, რომელიც წინა დღით სამეფო ოჯახმა დატოვა (დედოფალი მარიამი და რეგენტი ჟუანი) და ბრაზილიას შეაფარა თავი.

თუმცა ფრანგებმა პორტუგალიის შენარჩუნება ვერ შეძლეს, რომლის დატოვებაც ჟიუნოტს იძულებით მოუხდა (1808 წლის აგვისტო), მაშინ როდესაც ინგლისის საექსპედიციო კორპუსი (ვილსლეი, ბერესფორდი) იქ დიდი ხნით დამკვიდრდა და ფრანგების შემოტევებს იგერიებდა (1809 წლის გაზაფხული, 1810 წლის ზაფხული).

1814-1815 წლებში ვენის კონგრესმა ბრაზილია ასოციირებულ სამეფოდ ცნო და კეთილგანწყობის გარემოში პორტუგალიისთვის ბრაგანსის გადაცემა და **ოლივენსასა დაბრუნებაც კი გადაწყვიტა. ესპანეთმა უარი თქვა ოლივენსას დაბრუნებაზე,** ხოლო ძლიერმა სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს მისი ამ საკითხზე დათანხმება.

პორტუგალია ბრაზილიის დანამატად იქცა მეფე ჟუან V-ის დამოკიდებული რეგენტობით (1816 წლიდან), რომელიც ბრაზილიაში დარჩა.

1820 წლის აგვისტოს ლიბერალურმა ამბოხებამ მეფე ჟუან VI აიძულა პორტუგალიასა და ბრაზილიას შორის არჩევანი გაეკეთებინა. 1821 წელს იგი ლისაბონში დაბრუნდა თავისი სამეფოს მმართველობის სადავეების ხელში ასაღებად, მისი ვაჟი პედრუ კი რეგენტად დარჩა ბრაზილიაში.

1822 წელს მეფის გამგზავრებით უკმაყოფილო ბრაზილიამ რეგენტ პედრუს დაუჭირა მხარი, რომელმაც თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და იმპერატორად ეკურთხა (ოქტომბერი).

1823 წელს კორტესების მიერ გადაწყდა სამეფოს თორმეტ პროვინციად ახალი დაყოფა, აზორისა და მადეირის კუნძულების ჩათვლით. თითოეულ პროვინციას სათავეში მეფის მიერ დანიშნული გენერალური მმართველი უნდა ჩადგომოდა, პროვინციები კი თავის მხრივ, ოლქებად (camarcas) უნდა დაყოფილიყო: ზემო მინიო (ვიანა, ბრაგა), ქვემო მინიო (პორტუ, პენაფიელი, გიმარაინში), ტრაშ-უჟ-მონტიში (ბრაგანსა, ვილა რეალი), ზემო ბეირა (ლამეგუ, ვიზეუ), აღმოსავლეთი ბეირა (გუარდა, კასტელო ბრანკუ), ზღვის ბეირა (კოიმბრა, ავეირუ), ზემო ესტრემადურა (ლეირია, ტომარი), ქვემო ესტრემადურა (ლისაბონი, ალენკერი, ანგრა, პონტა-დელგადა, ორტა), ზემო ალენტეჟუ (ევორა, პორტალეგრი), ქვემო ალენტეჟუ (ბეჟა, სეტუბალი), ალგარვი (ფარო), მადეირა.

თუმცა ცოტა ხნის შემდეგ მომხდარმა კონსერვატიულმა კონტრრევოლუციამ კონსტიტუციის ამოქმედება შეაჩერა, კერძოდ კი ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული რეორგანიზაცია.

1832 წლის კანონით, რომელშიც 1835 წელს შესწორებები იქნა შეტანილი, საჯარო ადმინისტრაციული დაყოფა 17 ოლქად იქნა გადანაწილებული (აგრეთვე პორტუგალიას მიერთებული აზორისა და მადეირის კუნძულები), რომელიც უკვე არსებულ ძველ პროვინციებს დაემატა:

– მინიო: ბრაგა, პორტუ, ვიანა;
– ტრაშ-უჟ-მონტიში: ბრაგანსა, ვილა რეალი;
– ბეირა: კოიმბრა, ავეირუ, კასტელუშ ბრანკუ, გუარდა, ვიზეუ;
– ესტრემადურა: ლისაბონი, ლეირია, სანტარენი;
– ალენტეჟუ: ევორა, ბეჟა, პორტალეგრი;
– ალგარვი: ფარუ.

1835 წლიდან თითოეულ ოლქს მეფის მიერ დანიშნული გუბერნატორი ედგა სათავეში საერთო საბჭოსთან ერთად.

XIX საუკუნის პირველი ნახევარი პორტუგალიაში აღინიშნა, როგორც დინასტიური, ასევე პოლიტიკური არასტაბილურობით. მდგომარეობა საუკუნის მეორე ნახევარში გაუმჯობესდა, და პორტუგალიამ ბრაზილიის დაკარგვის შემდეგ მთელი ძალისხმევა აფრიკისკენ მიმართა. პორტუგალიის ამბიციები აფრიკაში დიდი იმპერიის შექმნასთან დაკავშირებით, ანგოლასა და მოზამბიკს შორის მდებარე რეგიო-

ნების ოკუპაციით, დიდი ბრიტანეთის ინტერესებს შეეჯახა, რომელმაც 1890 წელს პორტუგალია აიძულა უარი ეთქვა თავის მიზნებზე.

ამ უარმა მონარქიის პრესტიჟი დასცა და ქვეყანა რესპუბლიკელთა გამოსვლების პირისპირ აღმოჩნდა. 1906 წლიდან ქვეყანა ანტიმონარქიულმა ამბოხებებმა შეარყია, რომელიც 1908 წლის თებერვალში მეფე კარლუშ I-სა და მემკვიდრე პრინცის, ლუიშ-ფილიპუს მკვლელობით დასრულდა. ახალგაზრდა მეფემ, მანუელ II-მ ვერ შეძლო მონარქიის სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის შემობრუნება.

1920 წლის 5 ოქტომბერს სამხედრო სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, **რესპუბლიკა იქნა გამოცხადებული,** ხოლო მეფემ ქვეყანა დატოვა.

2. პორტუგალიის რესპუბლიკა (1910 წლიდან დღემდე)

რესპუბლიკური პერიოდის დასაწყისი პოლიტიკური არასტაბილურობის კლიმატით აღინიშნა, რომელსაც თან ახლდა დემოკრატიული და სამხედრო დიქტატურის მონაცვლეობა.

1926 წელს შეიქმნა სეტუბალის ახალი ოლქი, რამაც კონტინენტური პორტუგალიის ოლქების რაოდენობა 18-მდე გაზარდა (ეს რაოდენობა დღესაც შენარჩუნებულია).

აღნიშნულ პერიოდში ხელისუფლების სათავეში მოსულმა მარშალმა კორმონამ, 1928 წელს თავის მთავრობაში ქვეყნის ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად ეკონომისტ სალაზარს მოუხმო. სალაზარმა დაკისრებულ საქმეს ნარმატებით გაართვა თავი და 1932 წელს იგი მთავრობის მეთაური გახდა. მან ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა და მთავრობის მეთაურის თანამდებობა 1968 წლამდე შეინარჩუნა.

1933 წლის კონსტიტუციამ, რომელმაც **"ახალი სახელმწიფო"** დააფუძნა, ქვეყანა კორპორატიული სტრუქტურებით აღჭურვა. ტერიტორიული თვალსაზრისით, პროვინციები აღდგენილი იქნა, როგორც ადმინისტრაციული ერთეულები და ამავე დროს, ქვეყნის 18 ოლქად დაყოფის სისტემა შენარჩუნდა.

1959 წელს კონსტიტუციის გადასინჯვასთან დაკავშირებით, პროვინციები კვლავ გაუქმდა, როგორც ადმინისტრაციული ერთეულები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პორტუგალიის კოლონიებში დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დაიწყო, მაგრამ პორტუგალია დიდი სამხედრო ძალისხმევის ფასად, თავგამოდებით ცდილობდა თავისი კოლონიალური იმპერიის შენარჩუნებას.

1974 წლის აგვისტოში გენერალ სპინოლის თაოსნობით დაწყებულმა "მიხაკების რევოლუციამ" "ახალი სახელმწიფოს" პერიოდი დაასრულა და პორტუგალიაში **დემოკრატიული რესპუბლიკა** იქნა აღდგენილი.

აღნიშნულ პერიოდს მოპყვა ბრძოლა რევოლუციურ და რეფორმისტულ ფრაქციებს შორის, რომელშიც ზომიერი პოლიტიკის მომხრეებმა გაიმარჯვეს. 1976 წლის კონსტიტუციამ დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტები შემოიღო.

ამ დროიდან პორტუგალია ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევას შეუდგა. ამ მიმართულებით განხორციელებულმა წინსვლამ, 1986 წლის 1 იანვარს პორტუგალიას ევროპის თანამეგობრობაში გაწევრიანების შესაძლებლობა მისცა.

რუმინეთი

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: რუმინეთის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ტრაიან ბაზესკუ.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ორპალატიანი პარლამენტი, ასამბლეა და სენატი.
დედაქალაქი: ბუქარესტი.
ადმინისტრაციული დაყოფა: 40 ოლქი და დედაქალაქი: ალბა (ალბა იულია), არადი, არჯესი (პიტეშტი), ბაკეუ, ბიჰორი (ორადია), ბისტრიცა-ნესეუდი (ბისტრიცა), ბოტოშანი, ბრაშოვი, ბრაილა, ბუზეუ, კალარაში, კარაშ-სევერინი (რეზინა), კლუჟი (კლუჟ-ნაპოკა), კონსტანცა, კოვაზნა (სფინტუ-გეორგე), დამბროვიცა (ტარგოვიშტე), დოლჟი (კრაიოვა), გალაცი, გეორგიუ, გორჟი (ტარგუ ჟიუ), ჰარგიტა (მერკურია-ჩუკი), ჰუნედუარა (დეეა), იალომიცა (სლობოძეა), იასი, მარამურეში (ბაია მარე), მეხედინცი (დრობეტა-ტურნუ-სევერინი), მურეში (ტარგუ მურეში), ნამტზი (პიატრა-ნამტზი), ოლტი (სლატინა), პრაჰოვა (პლოიეშტი), სატუ მარე, სალაჟი (ზალეუ), სიბიუ, სუჩავა, ტელეორმანი (ალექსანდრია), ტიმოში (ტიმიშოარა), ტულჩა, ვალჩა (რამნიკუ ვალჩა), ვასლუი, ვრანჩა.
ფართობი: 237 500 $კმ^2$; მოსახლეობა: 22,8 მილიონი კაცი; სიმჭიდროვე: 96 კაცი ერთ $კმ^2$-ზე.
ენა: რუმინული (ლათინური წარმომავლობის ენა); ეროვნული უმცირესობა ლაპარაკობს უნგრულზე.
რელიგიები: მართლმადიდებლობა (დაახლოებით 87%); კათოლიკური და პროტესტანტული უმცირესობა.
ფულის ერთეული: ლეი.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. რუმინული ტერიტორიების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. სათავეებიდან ოსმალთა მიერ დაპყრობამდე (XVს.)

აზიური ნარმოშობის დაკიელები დიდი ხნის წინ კარპატების ქედსა და დუნაის ქვემო დინების ჩრდილოეთით დასახლდნენ. ძვ. წ. აღ. I საუკუნეში დაკია ძლიერი სამეფო გახდა, რომელმაც სულ მალე საფრთხე შეუქმნა რომის იმპერიას, გახდა რა მისი მეზობელი ამ მდინარის სამხრეთით. იმპერატორმა ტრაიანემ სამეფო (ჩვ. წ. აღ. 101-106წწ.) დაიპყრო და მისგან დაკიის პროვინცია შექმნა, სადაც რომის ბატონობა 271 წლამდე გაგრძელდა.

სწორედ აღნიშნულ პერიოდში, რომის კოლონიური მფლობელობის ქვეშ მოქცეულმა დაკიელებმა, დიდი ხნით შეისისხლხორცეს რომაული ადათ-წესები და ლათინური ენა, რომელიც შემდგომში მათი საკუთარი ენის საფუძველი გახდა.

III საუკუნიდან XI საუკუნემდე დაკია რიგრიგობით დაიპყრეს გოთებმა, ჰუნებმა, ავარებმა, ბულგარელებმა, პაჭანიკებმა, კუმანებმა და თათრებმა. დაკიის მოსახლეობამ გადარჩენა მოახერხა, ზოგიერთმა კი კარპატების რეგიონებს შეაფარა თავი (ტრანსილვანია).

XIII საუკუნეში ტრანსილვანია უნგრეთმა დაიპყრო, მისი მოსახლეობის რუმინული ნაწილი კი მოლდოვასა და ვლახეთში ხელახლა დამკვიდრდა. თავდაპირველად უნგრელების ბატონობის ქვეშ მყოფმა ორმა აღნიშნულმა რეგიონმა მომდევნო საუკუნეში თავისუფლება მოიპოვა და მართლმადიდებელ სამთავროებად

იქცა, რომელსაც ადგილობრივი მთავრები, ვოევოდები განაგებდნენ: 1330 წლიდან ბასარაბი ვლახეთში, 1359 წლიდან ბოგდანი – მოლდოვაში.

XIV საუკუნე ორივე სამთავროსთვის აყვავებისა და კულტურის აღორძინების (საეკლესიო არქიტექტურა, ფერწერა) ბრწყინვალე პერიოდით აღინიშნა. თუმცა საუკუნის მიწურულს, თურქეთის სახით, ახალი მტერი გამოჩნდა.

2. ოსმალთა სიუზერენიტეტი (XV-XVIIIსს.)

1418 წელს თურქეთმა ვლახეთს **დობრუჯა** ჩამოართვა და ის ოსმალთა პროვინციად აქცია. 1419 წელს **ვლახეთი პორტას მოხარკე გახდა.** 1456 წელს **მოლდოვამ იგივე ხვედრი გაიზიარა.** 1484 და 1538 წლების ორი აჯანყების შემდეგ, თურქეთმა **ბუჯაკის** ანექსია მოახდინა (სამხრეთი ბესარაბია), რამაც მას შავ ზღვაზე მუდმივი გასასვლელი მისცა, რომელთანაც მისასვლელი დუნაის სამთავროებისთვის დაკეტილი იყო.

ამ დროიდან, პორტას მოხარკე ორი სამთავრო ამ უკანასკნელის ორბიტაში მოექცა. ეს სამთავროები თურქეთის შემადგენლობაში პირდაპირ არ შედიოდნენ, რადგან იქ არ იყვნენ ფაშები და არ არსებობდა თურქული ინსტიტუტები, ისევე როგორც მეჩეთები. ამასთანავე, აღნიშნული სამთავროები ოსმალთა იმპერიის ნაწილს შეადგენდნენ (ფართო გაგებით), რადგან მათ არ ჰქონდათ საკუთარი საგარეო პოლიტიკა, მაო ტერიტორიაზე თურქული გარნიზონები იყო განლაგებული (ბრაილას, გეორგიუსა და ტურნუს არამუსულმანი ვლახები ძველ თურქეთში) და ისინი ხარკს იხდიდნენ. პორტა განსაკუთრებით სამთავროების შიდა საქმეებში ერეოდა, კერძოდ კი 1771 წლიდან ბოიარების მიერ არჩეული ვოევოდები "გოსპოდარებით" შეიცვალნენ (ჩვეულებისამებრ ფანარიოტები), რომელთაც სამი წლის ვადით სულთანი ირჩევდა.

1526 წლიდან **ტრანსილვანია** უნგრეთის მეურვეობისგან განთავისუფლდა და ისიც **პორტის მოხარკე გახდა,** ადგილობრივი მთავრების მმართველობის ქვეშ. ამგვარი ვითარება 1691 წლამდე გაგრძელდა, ვიდრე ტრანსილვანია ავსტრიის ჯარების მიერ არ იქნა დაპყრობილი. ავსტრიელთა გამარჯვება პორტამ 1699 წელს აღიარა. 1765 წლამდე ტრანსილვანია ავსტრიის სახლის ვასალი სამთავრო იყო, შემდგომში კი ის **უნგრეთის სამეფოსთან** იქნა მიერთებული, რომლის იმპერატორმა ტრანსილვანიის დიდი ჰერცოგის ტიტული მიიღო.

1718 (პაჟაროვეცის ხელშეკრულება) და 1739 წლებს (ბელგრადის ხელშეკრულება) შორის, მცირე ვლახეთი დროებით ვლახეთის სამთავროსგან იქნა ჩამოშორებული და ის ავსტრიის სახლის სახელმწიფოთა სამხედრო ადმინისტრაციის ქვეშ მოექცა.

1768 წელს დაწყებულ რუსეთ-თურქეთის ომში გამარჯვებულმა რუსეთმა დუნაის სამთავროების ოკუპაცია განახორციელა. მოვლენათა განვითარებით შეშფოთებულმა ავსტრიამ ბუკოვინის (ზემო მოლდოვა) რამდენიმე მცირე ტერიტორია დაიკავა და თავისი შუამავლობა შესთავაზა, რომელიც ქუჩუკ-ყაინარჯის (1774 წლის იულისი) სამშვიდობო ხელშეკრულებით დასრულდა. ზავის თანახმად, რუსეთმა დუნაის სამთავროებზე მეთვალყურეობის უფლება მოიპოვა.

1775 წლის მაისში ინტერვენციის ფასად და მოლდოვას გოსპოდარის პროტესტის მიუხედავად, **ავსტრიამ თურქეთს ბუკოვინა დაათმობინა,** მოლდოვას საზარალოდ.

II. რუმინული ტერიტორია 1789 წელს

სახელწოდება რუმინეთი XIX საუკუნეს მიეკუთვნება, რომელიც 1789 წელს არავითარ პოლიტიკურ რეალობას არ ასახავდა. თუმცა არსებობდნენ რუმინელები, ან მოლდავო-ელახები, რომლებიც ჰომოგენურად იყვნენ დასახლებულნი სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის სხვადასხვა ტერიტორიაზე:

– უნგრეთის სამეფოში: ტრანსილვანია, ბანატი და უნგრეთის რამდენიმე მედიე (იხ. უნგრეთი)

– ავსტრიის სახელმწიფოებში: ბუკოვინა; (იხ. ავსტრია)
– პოლონეთის სამეფოში: პოდოლია; (იხ. პოლონეთი)
– თურქეთის იმპერიაში: ბუჯაკი და დობრუჯა; (იხ. თურქეთი)
– პორტას მოხარკე მოლდოვასა და ვლახეთის "დუნაის" სამთავროები.

წინამდებარე თავი მხოლოდ ზემოაღნიშნული ორი სამთავროს ისტორიას განიხილავს და რუმინეთით გააგრძელებს.

მოლდოვას სამთავრო, დედაქალაქი იასი (60 000კმ², მოსახლეობა 1 მილიონი კაცი) გადაშლილი იყო კარპატების ქედსა და დნეპრის ზემო და შუა დინებებს შორის, რომელიც პრუტისა (ტერიტორიის უდიდესი ნაწილი) და სერეტის (თითქმის მთლიანად) გაყოლებაზე მდებარე ტერიტორიებს მოიცავდა. სამთავროს დასავლეთი ნაწილი, კარპატების გასნვრივ ტყით იყო დაფარული, ხეობების გასწვრივ, კარპატების გაყოლებაზე მდებარე აღმოსავლეთი ნაწილი უფრო მეტად იყო ხელსაყრელი სოფლის მეურნეობისა (მარცვლეული კულტურები, მევენახეობა) და მესაქონლეობის განვითარებისთვის.

ვლახეთის სამთავრო, დედაქალაქი ბუქარესტი (75 000კმ², მოსახლეობა 1 400 000 კაცი), გადაშლილი იყო კარპატების ქედსა და დუნაის ქვემო დინებას შორის, "რკინის კარიდან" (დუნაის ვინრო გასასვლელი კარპატებსა და ბალკანებს შორის) დუნაის შესართავამდე. მოლდოვას მსგავსად, არსებობდა კონტრასტი მადნეულითა და მინერალური წყაროებით მდიდარ ტყიან ნაწილსა და სოფლის მეურნეობისთვის ხელსაყრელ (ნოყიერი ნიადაგი) დუნაიში ჩამავალი ხეობებისგან შემდგარ სამხრეთ ნაწილს შორის. ჩვეულებისამებრ, განასხვავებდნენ მცირე ვლახეთს (იგივე ოლტენია), რომელიც მდინარე ოლტის დასავლეთით მდებარეობდა და დიდ ვლახეთს შორის (იგივე მუნტენია), რომელიც ოლტის გასნვრივ აღმოსავლეთით მდებარეობდა.

1789 წელს 1739 წლიდან ხელახლა გაერთიანებული ვლახეთი ორ ტერიტორიულ ერთეულად დაყოფილ 17 ოლქს მოიცავდა:

– მცირე ვლახეთი (ოლტენია), 5 ოლქი: მეჰედინცი, ოლჟი, რომანაცი, ვალჩა, გორჟი;

– დიდი ვლახეთი (მუნტენია), 12 ოლქი: ტელეორმანი, ვლასკა, ილფოვი, იალომიცა, ბრაილა, რამნიკუ სარატი, ბუზეუ, პრაჰოვა, დიმბროვიცა, მუსჩელი, არჯესი, ოლტი.

თავის მხრივ, მოლდოვა ორ ტერიტორიულ ერთეულად დაყოფილი 18 ოლქისგან შედგებოდა:

– საკუთრივ მოლდოვა, 13 ოლქი: პუტნა, ტეკუჩი, კოვურლუი, ბაკაუ, ფალჩუ, ტუტოვა, ნიამტი, რომანი, ვასლუი, იასი, ბაია, ბოტოშანი, დოროჰოი;

– ბესარაბია (პრუტის მარცხენა ნაპირი), 5 ოლქი: ლაპუზნა, ორჰეი, ბალტი (ბელცი), სოროკი, ხოტინი.

III. 1789 წლიდან რუმინეთის აღზევებამდე (1861წ.)

1. 1789 წლიდან რუსეთ-თურქეთის კონდომინიუმამდე (1829წ.)

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოლდოვასა და ვლახეთის ორი სამთავრო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, დაღმავალი თურქეთისა და აღმავალი რუსეთის ანტაგონისტური პოლიტიკის სამიზნედ იქცა.

საფრანგეთის შემთავაზებით, 1806 წელს თურქეთმა მოლდოვასა და ვლახეთის მთავრები ("გოსპოდარები") გადააყენა, რომლებიც ზედმეტად რუსოფილებად იყვნენ მიჩნეულნი. რუსეთმა ამ ფაქტს პორტას ნინაალმდეგ ომის დაწყებით უპასუხა (1806 წლის ნოემბერი) და სამთავროების ოკუპაცია განახორციელა. ნაპოლეონი ტილზიტში, შემდეგ კი ერფურტში, რუსეთის იმპერატორს საფრანგეთის ნეიტრალიტეტს დაპირდა ბალკანეთის საქმეებში. თუმცა 1811 წელს საფრანგეთის პოლიტიკის ცვლილებებით შეშფოთებულმა ალექსანდრე I-მა, თურქეთთან კონფლიქტის დასრულება გადანყვიტა. საბოლოოდ, 1812 წლის 28 მაისს ბუქარესტში ხელი მოენერა სამშვიდობო ხელშეკრულებას.

რუსეთმა დუნაის სამთავროები დატოვა, რის სანაცვლოდ **თურქეთმა რუსეთს მთლიანი ბესარაბია დაუთმო** (პრუტსა და დნესტრს შორის მდებარე რეგიონი), კერძოდ:

– თურქული ნაწილი (ბუჯაკი), სამხრეთი ნახევარი, რომელიც საკუთრივ თურქეთში შედიოდა;

– **მოლდოვას ნაწილი** (პრუტის აღმოსავლეთით), სამთავროს სამხრეთი ნაწილი, რომელსაც თურქეთი სიუზერენიტეტით განაგებდა; აღნიშნულთან დაკავშირებით, რუსეთმა მოლდოვას ზარალი აუნაზღაურა.

ამგვარად, მოლდოვას სამთავროს ტერიტორია პრუტამდე იქნა დაყვანილი; მან 5 ოლქი და 22 000კმ² ფართობი დაკარგა. მისი ოლქების რაოდენობა 13-მდე შემცირდა, ხოლო ტერიტორიამ 38 000კმ² შეადგინა.

1821 წელი დუნაის სამთავროებში ორი აჯანყებით აღინიშნა. 23 იანვარს ოლტენიაში სახალხო აჯანყებამ იფეთქა. ვლადიმირესკუს მეთაურობით აჯანყებულებმა ბუქარესტი დაიკავეს (მარტი), და ამგვარად, ჩამოიშორეს, როგორც თურქეთის სიუზერენობა, ასევე ფანარიოტთა რეჟიმი.

პარალელურად, სურდა რა მართლმადიდებელთა განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისგან, ალექსანდრე იპსილანტიმ, ვლახეთის ყოფილი მთავრის ვაჟმა, რომელიც ოდესაში განლაგებული ფილიკი ჰეტაირიას საზოგადოების (ბერძნული) წევრი იყო, 22 თებერვალს მოლდოვას აჯანყებისკენ მოუწოდა, პელოპონესის აჯანყებულთათვის დახმარების მიზნით.

ერთი მხრივ, იპსილანტის მოწოდება არ იქნა შესმენილი მოლდოვას რუმინელთა მიერ და იგი იძულებული გახდა მცირე ჯარით დაკმაყოფილებულიყო; მეორე მხრივ, მან ვერ მიიღო რუსეთისგან მოსალოდნელი მხარდაჭერა. ამავე დროს, აჯანყების ორივე მეთაური ერთმანეთში ვერ რიგდებოდა, რასაც მაისის თვეში იპსილანტისა და ვლადიმირესკუს სიკვდილით დასჯა მოჰყვა. ოსმალთა არმიამ აჯანყება სამ თვეში ჩაახშო (მაისი-ივლისი).

რუმინელმა ბოიარებმა, რომლებმაც აჯანყებაში მონაწილეობა არ მიიღეს, 1822 წელს სულთანისგან ადგილობრივი მთავრების აღდგენასა და პოლოტიკური ცხოვრებიდან ბერძენთა გამოთიშვას მიაღწიეს.

ისარგებლა რა პორტას სირთულეებით საბერძნეთში, რუსეთმა 1826 წლის ოქტომბერში თურქეთს ბელგოროდის (გერ. აკერმანი) შეთანხმებაზე მოაწერინა ხელი, რომლის თანახმად:

– თურქეთს დუნაის სამთავროები უნდა დაეტოვებინა;

– ბოიარებს შვიდი წლის ვადით მთავრები ("გოსპოდარები") უნდა აერჩიათ;

– აღნიშნული არჩევა პორტისა და რუსეთის ორმაგი თანხმობით უნდა განხორციელებულიყო, რაც სამთავროების სტატუსს ცვლიდა და პორტის უბრალო მოხარკეობიდან ისინი დე ფაქტო რუსეთ-თურქეთის კონდომინიუმის ქვეშ უნდა მოქცეულიყვნენ.

ნავარენის ბრძოლას (1827 წლის ოქტომბერი) თურქეთსა და ევროპის ძლიერ სახელმწიფოებს შორის კავშირის განყვეტა მოჰყვა საბერძნეთის საკითხთან დაკავშირებით. 1828 წლის აპრილში დუნაის სამთავროების ბედის გადასაწყვეტად რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. ანდრიანოპოლის ხელში ჩაგდების შემდეგ, რუსეთმა თურქებს სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა აიძულა. 1829 წლის 14 სექტემბრის ხელშეკრულებით, კონფლიქტი დასრულდა და თურქეთმა:

– რუსეთს დუნაის შესართავი დაუთმო;

– დატოვა ვლახეთის სამი სამხედრო ანკლავი: ბრაილა, გეორგიუ და ტურნუ;

– **დათანხმდა მოლდოვასა და ვლახეთში, რომელიც იურიდიულად კვლავ თურქეთს ეკუთვნოდა,** მუდმივად არჩეული მთავრების მმართველობას **რუსეთის მფარველობის ქვეშ.**

2. 1829 წლიდან ორი სამთავროს გაერთიანებამდე (1858წ.)

ანდრიანოპოლის ხელშეკრულების თანახმად, 1830 წელს დასრულებული ორგანული რეგლამენტების (კონსტიტუციების) შესაბამისად, თითოეული სამთავრო ადგილობრივი ადმინისტრაციით აღიჭურვა: მუდმივად არჩეული მთავარი, გენერალური ასამბლეა, დეპარტამენტებად დაყოფა პრეფექტებით სათავეში (დეპარტამენტები ძველი ოლქების ტერიტორიული მოდიფიკაციის გარეშე არსებობდა).

ახალი კონსტიტუციები 1831 წლის ივლისში ვლახეთში, ხოლო 1832 წლის იანვარში მოლდოვაში შეევიდა ძალაში. 1834 წლის იანვარში ორივე სამთავროს მთავრები პორტისა და რუსეთის მიერ ტახტზე იქნენ აყვანილნი.

ევროპაში მომხდარმა რევოლუციებმა მოლდოვაშიც ჰპოვა გამოძახილი, სადაც 1848 წლის მარტში გამოსვლები დაიწყო. ამბოხებები სამ დღეში იქნა ჩახშობილი. 1848 წლის ივნისში მთავარი იძულებული გახდა რევოლუციას მიმხრობოდა. რუსებმა და თურქებმა სამ თვეში (ივლისი-სექტემბერი) ვლახეთის მოძრაობა ჩაახშეს.

1849 წლის 1 ივლისის ბალტა-ლიმანის შეთანხმებით, რუსეთმა და თურქეთმა ახლიდან შემოიღეს მთავრების ("გოსპოდარების") შვიდი წლით არჩევა, გაუქმდა ასამბლეები, რომელიც მთავრების მიერ არჩეული დივანით შეიცვალა.

მას შემდეგ რაც რუსეთ-საფრანგეთის უთანხმოება პალესტინის წმინდა ადგილების მფარველობასთან დაკავშირებით არ იქნა მოგვარებული შეთანხმებით, 1853 წლის ივნისში რუსეთმა ახლიდან დაიპყრო მოლდოვა. 1853 წლის ოქტომბერში პორტამ ომი გამოუცხადა რუსეთს. თურქებს მალე საფრანგეთი და ინგლისი შეუერთდა (1854 წლის მარტი). ყირიმის ომი, რომლიდანაც რუსეთი დამარცხებული გამოვიდა, დასრულდა 1856 წლის 30 მარტის ხელშეკრულებით.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით დასრულდა რუსეთის პროტექტორატი დუნაის სამთავროებზე, რომლებიც იურიდიულად კვლავ თურქეთს ეკუთვნოდა. ამ სამთავროების სტატუსის მოდიფიკაცია ძლიერ სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო კონფერენციაზე უნდა გადაწყვეტილიყო. ამას გარდა, **რუსეთს უნდა დაეთმო:**

– თურქეთისთვის დუნაის შესაროავი;

– **მოლდოვასთვის ბესარაბიის სამხრეთი ნაწილი,** ფართო ზოლი ქვემო პრუტის და დუნაის კილიას შენაკადის გასხვრივ ბესარაბიის სანაპიროს უდიდესი ნაწილით, რამაც მოლდოვას ზღვაზე გასასვლელი მისცა.

მოლდოვასთვის გადაცემულმა ნაწილმა კაულის, ბოლგრადისა და იზმაილის სამი დეპარტამენტი შეადგინა. ამ ტერიტორიულმა დათმობამ 12 000კმ²-ს მიაღწია, რომელმაც მოლდოვა 16 დეპარტამენტამდე გაზარდა 50 000კმ² ფართობით.

1857 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ჩატარებულმა ახალი ასამბლეების არჩევნებმა, მოლდოვასა და ვლახეთში გამარჯვება უნიონისტებს მოუტანა. დეკემბრის თვეში ორივე ასამბლეამ ხმა მისცა მონარქიული რეჟიმით აღჭურვილი, გაერთიანებული და დამოუკიდებელი რუმინეთის პრინციპს.

პარიზის ხელშეკრულების საპირისპირო გადაწყვეტილებებმა ნაპოლეონ III-ს კონფერენციის მოწვევა აიძულა (1858 წლის მაისი), რომელიც 1858 წლის 7 აგვისტოს პარიზის შეთანხმებით დასრულდა და მონახული იქნა კომპრომისი.

მოლდოვასა და ვლახეთის ორ გაერთიანებულ სამთავროს ცალ-ცალკე უნდა ჰყოლოდა ადგილობრივი თავადი, მთავრობა და არჩევითი ასამბლეა. ამასთანავე, ამ სამთავროების განკარგულებაში ფოკშანიში განლაგებული საერთო კომისია იქნებოდა.

3. 1858 წლიდან რუმინეთის აღზევებამდე (1861წ.)

მოლდოველები და ვლახები უკმაყოფილონი დარჩნენ ორი სამთავროს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების აკრძალვის გამო.

აღნიშნული აკრძალვისთვის გვერდის ასავლელად, მოლდოვასა (1859 წლის 5 იანვარი) და ვლახეთის (1859 წლის 24 იანვარი) ასამბლეებმა ერთსულოვნად ერთი მთავარი, ალექსანდრე კუზა აირჩიეს.

ხანგრძლივი თავის არიდების შემდეგ, პორტამ სამთავროების საერთო არჩევნები (1861 წლის 20 ნოემბერი) საბოლოოდ აღიარა და დროებითი ადმინისტრაციული გაერთიანება (შეზღუდული მთავრის გარდაცვალების დროით). 1861 წლის 23 დეკემბერს გამოცხადდა, როგორც სამთავროების გაერთიანება **რუმინეთის სამთავროს სახელით,** ისე ორივე ასამბლეის გაერთიანება.

IV. 1861 წლიდან დიდი რუმინეთის შექმნამდე (1920წ.)

1. 1861 წლიდან რუმინეთის სამეფოდ გადაქცევამდე (1881წ.)

კეთილი განზრახვებით აღტკინებულმა რუმინეთის ახალმა მთავარმა ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომელმაც იგი დიდი ძალაუფლებით აღჭურვა. მთავარი მაშინვე შეუდგა ღრმა რეფორმების გატარებას, რომელიც გამიზნული იყო რუმინეთის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკური სტრუქტურების მოდერნიზაციისთვის. თუმცა სნრაფმა ცვლილებებმა, რომელიც ბევრ პრივილეგიას შეეხო, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

1866 წლის 11 თებერვალს მთავარი ალექსანდრე კუზა სახელმწიფო გადატრიალების გამო იძულებული გახდა ტახტზე უარი ეთქვა.

ნაპოლეონ III-მ შუამავლის როლი იკისრა კუზას შემცვლელის მოსაძებნად, რომელიც უცხოელი მთავარი უნდა ყოფილიყო, იმისათვის რომ ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა დაჯგუფებათა მაღლა დამდგარიყო. 1866 წლის 11 მაისს საერთო ეროვნულმა ასამბლეამ მთავარი კარლ ჰოეპენცოლერნ-ზიგმარინგენი (ზიგმარინგენის უკანასკნელი მთავრის ვაჟი) რუმინეთის მთავრად აირჩია, კაროლ I-ის სახელით.

1866 წლის 1 ივლისის კონსტიტუციამ, რომელიც 11 ოქტომბერს თურქეთის მიერ იქნა მოწონებული, რუმინეთის ახალი სამთავროს შექმნა დააკანონა, რომელიც პორტის მოხარკედ დარჩა. ის მთავრობითა და ორპალატიანი პარლამენტით აღჭურვა.

რუმინეთის ახალი სამთავრო, დედაქალაქით ბუქარესტში 125 000კმ² ფართობზე იყო გადაშლილი და მის ტერიტორიაზე დაახლოებით 4 500 000 კაცი ცხოვრობდა. ის 33 დეპარტამენტად იქნა დაყოფილი: 17 ვლახეთისა და 16 მოლდოვას დეპარტამენტი (13 საკუთრივ მოლდოვასი და 3 სამხრეთი ბესარაბიის).

თუმცა აღნიშნული კონფიგურაცია მალე შეიცვალა. ბულგარელთა აჯანყებამ (1876 ნლის აპრილი), რომელიც თურქეთმა სასტიკად ჩაახშო, რუსეთსა და თურქეთს შორის ომი (1877 ნლის აპრილი) გამოიწვია. რუმინეთი ომში რუსეთის მხარეს ჩაება პორტასგან დამოუკიდებლობის მიღწევის მიზნით. 1877 ნლის 9 მაისს რუმინეთმა ცალმხრივად გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა. პლევნაში დამარცხებული თურქეთი (1878 ნლის იანვარი), იძულებული გახდა 1878 ნლის 3 მარტს სან- სტეფანოს ხელშეკრულებისთვის მოეწერა ხელი, რომლის თანახმად, დიდი ბულგარეთი შეიქმნა.

ამ ხელშეკრულების ფარგლებში, **რუმინეთმა:**

– რუსეთს 1856 ნელს მიღებული **სამხრეთი ბესარაბია დაუბრუნა;**

– **თურქეთისგან დუნაის შესართავი და ჩრდილოეთი დობრუჯა** (ტულჩა, კონსტანცა) მიიღო კონსტანცის სამხრეთ ნანილში 10კმ-ით გადასულ ზოლამდე; ბულგარეთმა სამხრეთი დობრუჯა მიიღო.

ამავე დროს, სან-სტეფანოს ხელშეკრულებამ, რომელიც ზედმეტად ხელსაყრელი იყო რუსეთისა და მისი ბულგარელი პროტეჟესთვის, ავსტრია-უნგრეთისა და დიდი ბრიტანეთის პროტესტი გამოიწვია. ბერლინში შეკრებილმა ძლიერ სახელმწიფოთა კონგრესმა, რომელიც 1878 ნლის 13 ივლისს ახალი ხელშეკრულებით დასრულდა, ბულგარეთი საგრძნობლად შეავინროვა.

სან-სტეფანოს ხელშეკრულებით მიღებული ტერიტორიების გარდა, **რუმინეთმა ბერლინში დადებული ხელშეკრულებით, სამხრეთი დობრუჯას (მანგალია)**

ჩრდილოეთი ნაწილი მიიღო, ბულგარეთს კი მხოლოდ მისი სამხრეთი ნაწილი შეუნარჩუნდა ("ოთხკუთხედი").

სერბეთსა და რუმინეთს შორის დუნაის შუა დინებაზე "რკინის კართან" მდებარე ადა-კალეს (ნეუ-ორშოვას ფორტი) პატარა კუნძული, თურქული გარნიზონის მიერ იქნა ოკუპირებული და დუნაის ორ სამთავროთაგან არც ერთს არ გადაეცა. ბერლინის ხელშეკრულებაში მივიწყებული ადა-კალეში პორტას შეუნარჩუნდა, თუმცა ამ დროიდან, ის მისგან ძალიან მოშორებული იყო.

აღნიშნული დროიდან რუმინეთის ტერიტორიამ 131 000კმ²-ს მიაღწია. ის 32 დეპარტამენტისგან შედგებოდა: 17 ვლახეთის, 13 საკუთრივ მოლდოვას და 2 დობრუჯის (ტულჩა, კონსტანცა).

რუმინეთი იმედგაცრუებული აღმოჩნდა დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით, რადგან ძლიერი სახელმწიფოები წინასწარ პირობად იქ კონსტიტუციის მე-7 მუხლის გაუქმებას მოითხოვდნენ, რომელიც არამართლმადიდებლებისთვის (მუსლიმანები და ებრაელები) რუმინეთის მოქალაქეობის მიღებასა და მინაზე საკუთრებას კრძალავდა.

1880 წლის თებერვალში რუმინეთის მთავრობამ კონსტიტუციის მე-7 მუხლში შესწორება შეიტანა ებრაელების მიმართ, რის შემდეგაც ძლიერმა სახელმწიფოებმა დე იურე **რუმინეთის სამთავროს დამოუკიდებლობა** აღიარეს.

1881 წლის 10 მაისს რუმინეთის სამთავრო **რუმინეთის სამეფო** გახდა, რომლის მეფედ კაროლ I იქნა გამოცხადებული.

2. 1881 წლიდან დიდი რუმინეთის შექმნამდე (1920წ.)

ახალ სამეფოში დამყარებულმა მშვიდობამ საგრძნობლად შეუწყო ხელი ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებას: სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, კომუნიკაციის ქსელები, ნავთობის საბადოების ექსპლუატაცია. ქვეყნის დედაქალაქი განვითარდა და თანამედროვე იერსახე შეიძინა. ის იქცა ადგილად, სადაც ფრანგული კულტურის დიდი გავლენა იგრძნობოდა (ბალკანების "პატარა პარიზი"), კერძოდ, დედოფალ ელისაბედის ხელშეწყობით, რომელიც ცნობილი ფრანგულენოვანი პოეტი ქალი იყო, კარმენ სილვას ფსევდონიმით.

თუმცა ოსმალთა იმპერიის დაღმასვლას ნაციონალისტური ამბიციების გამძაფრება მოჰყვა. ბალკანები ახალი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

თავდაპირველად რუმინეთმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა 1912 წლის ოქტომბრის კონფლიქტში თურქეთსა და ბალკანეთის ლიგას (სერბეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი და ჩერნოგორია) შორის. სამაგიეროდ, ის 1913 წლის 30 ივნისის კონფლიქტში ჩაება ბულგარეთსა და მის ყოფილ მოკავშირეებს შორის.

აღნიშნული კონფლიქტი 1913 წლის 10 აგვისტოს ბუქარესტის ხელშეკრულებით დასრულდა, რომლის თანახმად, ხელშეკრულების სხვა მუხლებს შორის, **ბულგარეთმა სამხრეთი დობრუჯას "ოთხკუთხედი" რუმინეთს დაუთმო.**

ამ დროიდან რუმინეთის ტერიტორიამ 139 000კმ²-ს მიაღწია, 7 მილიონი კაცი მოსახლეობით, 34 დეპარტამენტითა და "ოთხკუთხედით", რომლისგან დუროშტორისა (სილისტრია) და კალიაკრას ორი დეპარტამენტი შეიქმნა.

1914 წლის პირველი მსოფლიო ომის დასაწყისშივე, რუმინეთმა ამ კონფლიქტში რუმინული მოსახლეობის ერთი სკიპტრის ქვეშ გაერთიანების შესაძლებლობა დაინახა. რუმინეთის გარეთ, რუმინელები დასახლებულნი იყვნენ ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთში (ბესარაბია). ამ იმპერიების ძლიერება რუმინეთს ხელს უშლიდა დედა სამშობლოსთან აღნიშნული ტერიტორიების მიერთება მოეთხოვა, მით უფრო, რომ მეფე კაროლი იმპერატორ ვილჰელმის შორეული ბიძაშვილი იყო, და სამთა კავშირთან საიდუმლო ალიანსის ხელშეკრულებასაც კი მოაწერა ხელი.

კონფლიქტის დასაწყისში, რუმინეთი ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა და გახლეჩილი იყო გერმანოფილ სუვერენსა და ანტანტის მიმართ კეთილგანწყობილ საზოგადოებრივ აზრს შორის. რუმინეთს ორივე ბანაკი ეფერებოდა და მთავრობის მეთაურმა ბრატიანუმ ფსონს აუწია.

საბოლოოდ, ცენტრალური იმპერიების დასუსტების წინაშე დამდგარმა რუმინეთმა, არჩევანი ანტანტის სასარგებლოდ გააკეთა და 1916 წლის 17 აგვისტოს საიდუმლო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმად მას ბუკოვინას, ტრანსილვანიას, ბანატსა და საკუთრივ უნგრეთის აღმოსავლეთ ნაწილს (ტისას აღმოსავლეთით) დაპირდნენ, ანტანტის მხარეზე ათ დღეში მონანილეობის მიღების სანაცვლოდ. 1916 წლის 27 აგვისტოს რუმინეთი ომში ჩაება, საიდანაც 1916 წლის ნოემბერში ის დამარცხებული გამოვიდა ცენტრალურ სახელმწიფოთა მიერ. სამეფო კარმა და მთავრობამ იასის შეაფარა თავი რუსული არმიის მფარველობის ქვეშ, იმ დროს, როდესაც ქვეყნის უდიდესი ნაწილი ოკუპირებული იყო. დაკარგა რა რუსეთის მხარდაჭერა, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, რუმინეთი იძულებული გახდა 9 დეკემბერს საზავო ხელშეკრულება მოეთხოვა.

რუსეთის მეურვეობისგან განთავისუფლებულმა ბესარაბიამ (1917 წლის დეკემბერი და 1918 წლის მარტი), რუმინეთის ჯარებს კომუნისტური ძალების წინააღმდეგ დახმარება სთხოვა (მარტი). 1918 წლის 9 აპრილს **ბესარაბიის ასამბლეამ რუმინეთთან გაერთიანება გამოაცხადა.**

ამავე დროს, ცენტრალურმა ძლიერმა სახელმწიფოებმა რუმინეთს ბუქარესტის 1918 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაზე მოაწერინეს ხელი, რომლის თანახმად, რუმინეთმა:

– **ავსტრია-უნგრეთს** თითქმის უწყვეტი ტერიტორიული ზოლი (170 სოფელი) **დაუთმო** კარპატების ქედის გასწვრივ, "რკინის კარიდან" (ორშოვა) რუმინეთ-რუსეთისა და ავსტრიის ყოფილ ტრიპლექსამდე;

– **ბულგარეთს სამხრეთი დობრუჯა დაუბრუნა,** კერძოდ, 1913 წელს მოპოვებული "ოთხკუთხედი" და აგრეთვე, 1878 წელს მოპოვებული სამხრეთი დობრჯის ჩრდილოეთი ნახევარი (მანგალია);

– **უარი თქვა ჩრდილოეთ დობრუჯაზე** დუნაის შესართავამდე, რომელზეც გერმანიის, ავსტრიისა და ბულგარეთის კონდომინიუმი დანესდა. ამგვარად, რუმინეთმა დაკარგა თავისი სანაპირო, ბესარაბიის გარდა და მხოლოდ ეკონომიკური დერეფანი შეინარჩუნა კონსტანცაში.

თუმცა შემდგომში, კონფლიქტმა არახელსაყრელი მიმართულება მიიღო ცენტრალური ძლიერი სახელმწიფოებისთვის. ავსტრია-უნგრეთის დაშლის პირისპირ მდგარმა ყოფილი ორმაგი მონარქიის რუმინელებმა სხვადასხვა კრებებში დაიწყეს გაერთიანება.

1918 წლის 28 ნოემბერს ბუკოვინის რუმინელები ჩერნოვციში შეიკრიბნენ და **ბუკოვინის რუმინეთთან გაერთიანება გამოაცხადეს.**

1 დეკემბერს ტრანსილვანიის, ბანატისა და უნგრეთის აღმოსავლეთი მედიების რუმინელები ალბა იულიაში (კარლსბურგი) შეიკრიბნენ და **რუმინეთთან ტრანსილვანიის, ბანატისა და უნგრეთის აღმოსავლეთი მედიების გაერთიანება გამოაცხადეს.**

14 დეკემბერს რუმინეთის მეფე ფერდინანდმა თანხმობა მისცა რუმინეთთან ზემოაღნიშნული პროვინციების გაერთიანებას. 1919 წლის 24 იანვარს რუმინეთის პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა **დიდი რუმინეთის** შექმნას, რომელშიც შევიდა 1916 წლამდე არსებული რუმინეთი, ბესარაბია, ბუკოვინა, ტრანსილვანია, ბანატი და უნგრეთის აღმოსავლეთი მედიები.

რჩებოდა მხოლოდ ამ პროგრამისთვის თანხმობის მიცემა მომავალ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე.

პოლაპარაკებების დასაწყისში, რუმინეთის მიმართ სიმპათია არსებობდა გამარჯვებულ სახელმწიფოთა მხრიდან ძველი მოკავშირეობის გამო, რასაც ემატებოდა ის ფაქტი, რომ ტერიტორიული მოთხოვნები მიმართული იყო დამარცხებული (ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი) ან რევოლუციის (რუსეთი) მსხვერპლი ქვეყნების მიმართ.

1916 აგვისტოს ხელშეკრულება, რომელიც არ იქნა მიღებული პრეზიდენტ ვილსონის მიერ, მაინც გახდა შემდგომ მოლაპარაკებათა საფუძველი. რუმინელთა

მოთხოვნები მიღებული იქნა, მაგრამ მთელ რიგ პუნქტებში მონაწილეებმა შეზღუდვები დაანესეს.

1919 წლის 10 სექტემბრის სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით, ყოფილი ციზლაიტანიის სახელით მომქმედმა ავსტრიამ, **რუმინეთს ბუკოვინას საპერცოგო დაუთმო,** რომლის საფუძველზე ხუთი რუმინული დეპარტამენტი შეიქმნა: ჩერნოვცი, სტროჟინეცი, რადუცი, კიმპოლუნგი და სუჩავა.

1919 წლის 27 ნოემბრის ნეილის ხელშეკრულებით, **ბულგარეთმა რუმინეთს მთლიანად დაუბრუნა** 1918 წელს **ჩამორთმეული სამხრეთი დობრუჯა.** ჩრდილოეთი დობრუჯის დაბრუნებით რუმინეთს ოთხი დეპარტამენტი შეემატა: ტულჩა, კონსტანცა, კალიაკრა და დუროსტორი.

1920 წლის 4 ივნისის ტრიანონის ხელშეკრულებით, ყოფილი ტრანსილვანიის სახელით, **უნგრეთმა რუმინეთს ისტორიული ტრანსილვანია, საკუთრივ უნგრეთის აღმოსავლეთი მედიების ნაწილი** (მარამურეში, უგოში, სატმარი, ბიპორი და არადი) **და ბანატის აღმოსავლეთი ნაწილის ორი მესამედი** (კრასო-სორენის **მედიე და ტემეშისა და ტორონტალის მედიების ნაწილი) დაუთმო.**

აღნიშნული ტერიტორიებისგან 23 დეპარტამენტი შეიქმნა:

– ტრანსილვანიის 16 დეპარტამენტი: ჰონედოარა, სიბიუ, ფაგარაში, ბრაშოვი, ტრეი სკაუნე, მერკურია-ჩუკი, ტარნავა მიკა, ტარნავა მარე, ალბა, ტურდა, მურეში, კლუჟი, ნესუდი, სომეში, სალაში;

– 4 "უნგრული" დეპარტამენტი: მარამურეში, სატუ მარე, ბიჰორი, არადი;

– ბანატის 3 დეპარტამენტი: სევერინი, ტიმიშ-ტორონტალი, კარაში.

1920 წლის 28 ოქტომბერს პარიზში საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, იტალიამ და იაპონიამ **ბესარაბიის რუმინეთთან გაერთიანება** დაამტკიცეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ბოლშევიკურმა რუსეთმა პროტესტი გამოხატა, აშშ-მ კი უარი თქვა ამ ანექსიის დამტკიცებაზე, რომელიც "რუსეთის თანხმობის გარეშე" იქნა განხორციელებული.

ბესარაბიის მიერთებამ რუმინეთს 9 დეპარტამენტი შემატა: ხოტინი, სოროკა, ბალტი, ორჰეი, ლაპუზნა, ტიგინა, კული, ჩეტატე ალბა, იზმაილი.

ამგვარად, დიდი რუმინეთის ფართობმა დაახლოებით 300 000კმ²-ს მიაღწია, 15 500 000 კაცი მოსახლეობით, რომლიდანაც რუმინელები მხოლოდ 70%-ს შეადგენდნენ. მათ გარღა ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ უნგრელი, გერმანელი (ტრანსილვანია და ბანატი), ებრაული, უკრაინული (ბუკოვინას ჩრდილოეთი ნაწილი) და ბულგარული ეროვნული უმცირესობები.

დიდ რუმინეთში 71 დეპარტამენტი მედიოდა: ვლახეთის 17, მოლდოვას 13, ბუკოვინის 5, ბესარაბიის 9, დობრუჯის 4, ბანატის 3, ყოფილი უნგრეთის 4 და ტრანსილვანიის 16 დეპარტამენტი.

V. თანამედროვე რუმინეთი (1920 წლიდან დღემდე)

1. 1920 წლიდან მეორე მსოფლიო ომში რუმინეთის მონაწილეობამდე (1941წ.)

დუნაის პატარა კუნძულის, ადა-კალეს ბედი, რომელიც კვლავაც იურიდიულად თურქეთს ეკუთვნოდა, რადგან მისი საკითხის განხილვა ბერლინში (1878წ.) გამორჩათ ბუქარესტში (1913წ.) და სევრში (1920წ.), 1923 წლის 24 ივლისის ლოზანას ხელშეკრულებით მოგვარდა. **თურქეთმა ოფიციალურად გადასცა რუმინეთს ადა-კალეს კუნძული.**

ამ დროიდან, რუმინეთმა მაქსიმალურ ფართობს მიაღწია და თავისი ეკონომიკის ინტენსიურ განვითარებას შეუდგა აგრარული რეფორმის გატარებითა (1921წ.) და დასავლეთ ევროპის კაპიტალის ქვეყანაში მოზიდვით.

1921 წლიდან რუმინეთი, ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიასთან ერთად მცირე ანტანტის წევრი გახდა, რომელიც საფრანგეთის მხარდაჭერით შექმნილ პოლიტიკურ და სამხედრო ალიანსს წარმოადგენდა გამარჯვებულ ქვეყნებზე რევანშის ასაღებად.

პოლიტიკურ ასპექტში, რუმინეთი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილის ჰარმონიზაციას ადმინისტრაციული ცენტრალიზმით ცდილობდა, რომელიც საპარლამენტო რეჟიმით იყო შერბილებული, რასაც შედეგად ეროვნულ უმცირესობათა უკმაყოფილება მოჰყვა, რომელთა უფლებები ყოველთვის არ იყო დაცული.

ზემოაღნიშნულს დროთა განმავლობაში სხვადასხვა სახის სირთულეებიც დაერთო:

– დინასტიური: მეფე ფერდინანდის უფროსი ვაჟი კაროლი 1925 წელს იძულებული გახდა ტახტზე უარი ეთქვა სულიერი მდგომარეობის გამო, და 1927 წელს იგი ტახტზე მისმა საკუთარმა ვაჟმა მიხაილ (ექვსი წლის ბავშვი) შეცვალა, მაგრამ 1930 წელს ძალისმიერი გადატრიალების შედეგად, კაროლმა ხელახლა ხელთ იგდო სამეფო ტახტი კაროლ II-ის სახელით;

– ეკონომიკური: 1930 წლის კრიზისის გამო რუმინეთი უფრო მეტად გახდა გერმანიისგან დამოკიდებული;

– პოლიტიკური, საპარლამენტო სირთულეებისა და ფაშისტური სულისკვეთების პარტიის (რკინის გვარდია) შექმნის გამო, რომელსაც იტალია და გერმანია უჭერდა მხარს;

– ტერიტორიული, რადგან მისი მეზობლები (სსრკ, უნგრეთი, ბულგარეთი) რომელთაც საშველად ქვეყნის ეროვნული უმცირესობები უხმობდა, შესაფერის მომენტს ელოდნენ დაკარგული პროვინციების დასაბრუნებლად.

სწორედ ამგვარ რთულ ვითარებაში რუმინეთი მეორე მსოფლიო ომის პირისპირ აღმოჩნდა, რომელშიც თავიდანვე ნეიტრალიტეტს ამოფარება სურდა.

ამავე დროს, 1939 წლის 23 აგვისტოს გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტზე დართული საიდუმლო პროტოკოლი გერმანიის ნეიტრალიტეტს ითვალისწინებდა სსრკ-ის მიერ ბესარაბიისა და ჩრდილოეთი ბუკოვინის დაპყრობასთან დაკავშირებით.

ისარგებლა რა დასავლეთის ფრონტის დაშლით, რამაც რუმინეთი პოტენციური მხარდაჭერის გარეშე დატოვა, 1940 წლის 26 ივნისს საბჭოთა კავშირმა ბუქარესტს ულტიმატუმი გაუგზავნა, რომელშიც ნაბრძანები იყო მისთვის ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინას გადაცემა. 28 ივნისს რუმინეთმა უარი თქვა წინააღმდეგობაზე და სსრკ-ს **ბესარაბია და ჩრდილოეთი ბუკოვინა** (ჩერნოვცისა და სტორიჟინეცის დეპარტამენტები) და მოლდოვაში ტერიტორიის ფრაგმენტი (ჰერტა) დაუთმო.

რუმინეთი 71 დეპარტამენტიდან 60-მდე იქნა დაყვანილი.

1940 წლის 30 აგვისტოს გერმანია-იტალიის ბელვედერის (ვენის) მეორე არბიტრაჟით, რუმინეთსა და უნგრეთს შორის მოლაპარაკებები ჩაიშალა, **რუმინეთს უნგრეთისთვის ტრანსილვანიისა და საკუთრივ უნგრეთის ჩრდილოეთი ნაწილი უნდა დაებრუნებინა**, რომელიც 1920 წელს იყო ანექსირებული, კერძოდ, ტრანსილვანიის 8 დეპარტამენტი: ტრეი-სკაუნე, ჩუკი, ოდორხრეი, მურეში, კლუჟი, ნესუდი, სალაში და 3 "უნგრული" დეპარტამენტი: მარამურეში, სატუ მარე და ბიჰორი (ამ უკანასკნელის ნახევარი).

რუმინეთის 60 დეპარტამენტი 50-მდე იქნა დაყვანილი.

ისარგებლა რა შექმნილი ვითარებით, ბულგარეთმა ულტიმატუმის სახით "ოთხკუთხედის" დაბრუნება მოითხოვა. 1940 წლის 7 სექტემბერს კრაიოვას ხელშეკრულებით, **რუმინეთმა ბულგარეთს სამხრეთი დობრუჯის "ოთხკუთხედი" დაუბრუნა** (კალიაკრისა და დუროსტორის ორი დეპარტამენტი).

რუმინეთის დეპარტამენტთა რიცხვი 50-დან 48-მდე შემცირდა.

რუმინეთის მიერ ამგვარი მსხვერპლის გაღებით, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა მეფე კაროლ II-მ, რომელიც უსამართლოდ გახდა ამ უკანდახევის პასუხისმგებელი, ტახტზე უარი თქვა თავისი ვაჟის სასარგებლოდ (მიხაი I), და ქვეყანა დატოვა. ამ დროიდან, თითქმის მთელი ძალაუფლება გენერალ ანტონესკუს ხელში გადავიდა, რომელსაც მხარს „რკინის გვარდია" უჭერდა. მან ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა (იგი თავს კონდუკატორს უწოდებდა) და "ღერძის" ქვეყნებს დაუახლოვდა.

2. რუმინეთი მეორე მსოფლიო ომში (1941-1945ნნ.)

გერმანიის ბანაკში გადასული რუმინეთი 1941 წელს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაება. 1941 წლის ივლისიდან კოალიციური ჯარების წინსვლამ სსრკ-ის წინააღმდეგ, რუმინეთს 1940 წლის ივნისში ამ უკანასკნელის მიერ ჩამორთმეული ტერიტორიების დაბრუნების შესაძლებლობა მისცა: **ბესარაბია, ჩრდილოეთი ბუკოვინა, ჰერტის მოლდოვური პატარა ტერიტორია.**

ამას გარდა, ჰიტლერმა **რუმინეთს დნესტრისპირეთის მმართველობა გადასცა** (სამხრეთი პოდოლია, დნესტრსა და ბუგს შორის), რომელიც უკრაინას ჩამოერთვა და დე ფაქტო და დე იურეც კი, რუმინეთის ხელში გადაეცა.

რუმინეთმა ბესარაბიისა და დნესტრისპირეთისგან ავტონომიური პროვინციები შექმნა.

რუმინეთის შემადგენლობაში ასევე "დიდი ბუკოვინა" (ავტონომიური) შედიოდა, რომელიც საკუთრივ ბუკოვინის 5 დეპარტამენტისა და დოროჰეის მოლდოვურ და ხოტინის ბესარაბიულ დეპარტამენტებს მოიცავდა.

თუმცა ომის მსვლელობამ მიმართულება შეიცვალა. საბჭოთა ჯარების იერიშმა რუმინეთი აიძულა 1944 წლის 12 სექტემბერს მოსკოვში სამშვიდობო ხელშეკრულებისთვის მოეწერა ხელი, რომლის თანახმად რუმინეთი ომში საბჭოთა კავშირის მხარეზე უნდა გადასულიყო და შემდეგი ტერიტორიები დაეთმო: **დნესტრისპირეთი, ბესარაბია, ჩრდილოეთი ბუკოვინა და პერტის მოლდოვური ტერიტორია, რომელიც მაშინვე საბჭოთა კავშირის მიერ იქნა რეანექსირებული.**

ამავე დროს, ზემოაღნიშნული საზავო ხელშეკრულება ბელვედერის არბიტრაჟის გაუქმებასა და რუმინეთისთვის 1940 წელს გადაცემული ჩრდილოეთი ტრანსილვანიისა და საკუთრივ უნგრეთის ჩრდილოეთი ნაწილის დაბრუნებას ითვალისწინებდა, რაც შემოდგომაზე უნდა განხორციელებულიყო.

საზავო ხელშეკრულება ბულგარეთისთვის დობრუჯის "ოთხკუთხედის" შენარჩუნებას ითვალისწინებდა.

1946 წელს რუმინეთის დეპარტამენტები გაუქმდა და ისინი 18 რეგიონად შეიცვალა:

– დობრუჯა: დობრუჯის 1 რეგიონი (კონსტანცა);

– ვლახეთი: ბუქარსეტის, გალაცის, პლოეშტის, არჯესის (პიტეშტი) და ოლტენის (კრაიოვა) 5 რეგიონი;

– მოლდოვა: ბარლადის, იასის, ბაკეუსა და სუჩაკის 4 რეგიონი;

– ტრანსილვანია: ბრაშოვის, ტარგუ მურეშის, კლუჟისა და ჰონედოარას (ალბა იულია) 4 რეგიონი;

– "უნგრეთი": მარამურეშის (სატუ მარე), კრისანისა (ორადია) და არადის 3 რეგიონი;

– ბანატი: ბანატის (ტიმიშოარა) 1 რეგიონი.

აღნიშნულ დროს საბჭოთა არმიის მიერ ოკუპირებულ რუმინეთში ვითარება სწრაფად იცვლებოდა. 1945 წლის ივნისიდან სსრკ-მ დემოკრატიული მთავრობა პროსაბჭოური მთავრობით შეცვალა.

პარალელურად, 1947 წლის 10 თებერვალს პარიზში ხელმოწერილი ხელშეკრულებებით, ოფიციალურად დადგინდა უნგრეთისა და რუმინეთის საზღვრები.

უნგრეთმა რუმინეთის სასარგებლოდ უარი თქვა 1940 წლის აგვისტოში განხორციელებულ საკუთრივ უნგრეთისა და ჩრდილოეთი ტრანსილვანიის ანექსირებულ ტერიტორიებზე.

რუმინეთმა უარი თქვა:

– სსრკ-ის სასარგებლოდ ბესარაბიაზე, ჩრდილოეთ ბუკოვინისა და ჰერტის მოლდოვურ ტერიტორიაზე, რომელიც სსრკ-ის მიერ 1940 წლის ივნისში იყო ანექსირებული და ჩამორთმეული 1941 წლის ივლისში;

– ბულგარეთის სასარგებლოდ სამხრეთ დობრუჯას "ოთხკუთხედზე", რომლის ოკუპაცია რუმინეთმა 1940 წლის სექტემბერში განახორციელა.

ამ დროიდან რუმინეთმა თავისი ტერიტორიის იმ კონფიგურაციას მიაღწია, რომელიც დღესაც არსებობს (237 500კმ² ფართობი, დაახლოებით 16 მილიონი კაცი (აღნიშნული დროისათვის)).

ქვეყნის მართვაში კომუნისტების მზარდი ჩარევის პირისპირ, მეფე მიხაი 1947 წლის 30 დეკემბერს ტახტიდან გადადგა. მონარქია გაუქმდა და იმავე დღეს, **რუმინეთი სახალხო (კომუნისტურ) რესპუბლიკად გამოცხადდა.**

3. რესპუბლიკური რუმინეთი (1948 წლიდან დღემდე)

1948 წლიდან რუმინეთი საბჭოთა კავშირის სატელიტი ქვეყანა გახდა და განევრიანდა იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ინსტიტუტებში, რომელიც აღმოსავლეთის ბლოკში შემავალ ქვეყნებს აერთიანებდა: ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო და ვარშავის პაქტი.

1952 წლის 24 სექტემბრის კონსტიტუციური კანონის თანახმად, ტირგუ მურეშის რეგიონი, რომელიც სეკლერებით იყო დასახლებული, ავტონომიურ რეგიონად გადაკეთდა (მურეშ მადიარი), რომელსაც უნგრული ენის გამოყენების საშუალება მიეცა.

1958 წლის 24 სექტემბრის ახალი კანონით, რუმინეთის ზოგიერთი რეგიონის საზღვრები შეიცვალა, მათი რიცხვი 18-დან 17-მდე შემცირდა ორი რეგიონის გაუქმებით და ბუქარესტის (დედაქალაქი) რეგიონის შექმნით.

გაუქმდა არადისა (გადანაწილდა ორადიასა და ბანატს შორის) და ბარლანდის (გადანაწილდა იასის, ბაკეუსა და გალაცს შორის) ორი რეგიონი. მარამურეშის ადმინისტრაციული ცენტრი სატუ მარედან ბაია მარეში, ხოლო ჰონედუარას ადმინისტრაციული ცენტრი ალბა იულიადან დეკვაში იქნა გადატანილი.

1959 წელს სეკლერების ავტონომიურმა რეგიონმა, რომელსაც 1960 წლიდან უბრალოდ მურეში ეწოდებოდა, ცვლილებები განიცადა და დასავლეთ ნაწილში გაფართოვდა კლუჟისა და ბრაშოვის რეგიონების საზიანოდ, თუმცა ბრაშოვს ამ რეგიონის ძლიერი უნგრული (სეკლერების) გავლენის ქვეშ მყოფი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი გადაეცა. ამ ცვლილებამ ავტონომიური რეგიონის უნგრული მოსახლეობის უმრავლესობა 77%-დან 62%-მდე შეამცირა. 1965 წლის 21 აგვისტოს კონსტიტუციამ მურეშის სეკლერთა ავტონომიური რეგიონის სტატუსი გააუქმა.

1958 წლიდან რუმინეთმა საბჭოთა ჯარების მიერ მისი ტერიტორიის დატოვებას მიაღწია. სამოციან წლებში გეორგიუ-დეის, შემდეგ კი ჩაუშესკუს პრეზიდენტობის პერიოდში, რუმინეთმა გარკვეულ ავტონომიას მიაღწია აღმოსავლეთის ბლოკთან მიმართებაში, როგორც საგარეო, ისე ეკონომიკის სფეროში (მასობრივი ინდუსტრიალიზაცია).

რუმინეთის შედარებითი ავტონომიურობა მხოლოდ ქვეყნის შიდა საკითხების მიმართ იყო დაშვებული. რუმინეთი მკაცრად მართლმადიდებლურ კომუნისტურ სახელმწიფოდ რჩებოდა, რომელიც დროთა განმავლობაში ჩაუშესკუს დიქტატურისკენ იხრებოდა. ამავე დროს, ქვეყნის მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა.

1968 წლის 16 თებერვლის კანონით გაუქმდა რეგიონებად დაყოფა და აღდგენილი იქნა დეპარტამენტები. ამ დროიდან რუმინეთი 40 ოლქისგან შედგებოდა და ამას გარდა, ბუქარესტის (დედაქალაქი) ოლქისგან, წინამდებარე თავის დასაწყისში მითითებულის მიხედვით.

აღმოსაჯლეთ ევროპაში განვითარებულმა მოვლენებმა რუმინეთშიც ჰპოვა გამოხმაურება. 1989 წლის 22 დეკემბერს რევოლუციამ ჩამოაგდო და სიკვდილით დასაჯა პრეზიდენტი ჩაუშესკუ. **თეორიულად რუმინეთი კვლავ დემოკრატიული** და პლურალისტული **რესპუბლიკა გახდა,** მაგრამ გარკვეული დროის მანძილზე ძველი კომუნისტები იქ ძალაუფლებას ინარჩუნებდნენ.

მხოლოდ 1996 წლის ნოემბერში საკანონმდებლო და საპრეზიდენტო (ემილ კონსტანტინესკუს არჩევა) არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვების შემდეგ, რუმინეთმა რეალურად იპოვა თავისი ადგილი ევროპის დემოკრატიული სახელმწიფოების გვერდით. მან თავისი კანდიდატურა წარადგინა ევროკავშირში შესასვლელად, რომელიც მიღებული იქნა 2002 წლის 12 დეკემბერს 2007 წლისთვის რუმინეთის ამ გაერთიანებაში გასანევრიანებლად.

ბუკოვინა

ბუკოვინა ("წითელი ტყე") მოლდოვას სამთავროს უკიდურესი ჩრდილოეთის პროვინციას წარმოადგენდა, რომელიც 1538 წლიდან პორტას მოხარკე იყო. ეს იყო მაღალი ხეობების რეგიონი (დნესტრი, პრუტი, სერეტი), რომლის ფართობი 10 500კმ²-ს შეადგენდა. ის კარპატების ჩრდილოეთ ქედს ებჯინებოდა. სამხრეთითა და დასავლეთით ბუკოვინა ტყეებითა და მდელოებით დაფარულ ტყიან რეგიონს წარმოადგენდა; ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით ის სოფლის მეურნეობისთვის ხელსაყრელ მაღალი დაბლობების რეგიონი იყო. წარმოადგენდა რა პოლონეთს, მოლდოვასა და უნგრეთს შორის დამაკავშირებელ რეგიონს, ბუკოვინა ჩრდილოეთით უკრაინელებით, სამხრეთით კი რუმინელებით იყო დასახლებული. ორივე მოსახლეობა აღრეული იყო რეგიონის ცენტრალურ ნაწილში, სადაც მისი დედაქალაქი ჩერნოვცი მდებარეობდა.

ბუკოვინა ხუთი მოლდოვური ოლქისგან შედგებოდა: სუჩავა, კამპულუნგი, (კიმპოლუნგი), რადაუტი, სტროროჟინეცი და ჩერნაუტი (ჩერნოვცი).

1775 წელს ავსტრიამ პორტას ბუკოვინა დაათმობინა, რომლის მართვასაც ის, როგორც მოლდოვას სიუზერენი ანხორციელებდა. 1777 წლიდან ის გალიციასთან იქნა მიერთებული და მისი ერთ-ერთი ოლქი, ჩერნოვცი გახდა. ბანატის მსგავსად, ავსტრია ბუკოვინის კოლონიზაციას შეუდგა და მის ტერიტორიაზე გერმანული კოლონისტები დაასახლა.

1848 წელს ბუკოვინის რუმინელებმა ოფიციალურად მოითხოვეს მათი პარტიკულარიზმის აღიარება. 1849 წელს იმპერატორმა ფრანც-იოსებმა მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა და ბუკოვინა საჰერცოგოს რანგში აიყვანა. ბუკოვინას საჰერცოგო გალიციისგან გამოყოფილ საიმპერატორო გვირგვინის ტერიტორიად იქცა.

საჰერცოგო, დედაქალაქით ჩერნოვცი, სამ ოლქად იქნა დაყოფილი: ჩერნოვცი, სერეტი-და-სუჩავა და ვასკუცი-და-ვიზიჩი.

1867 წელს ავსტრია-უნგრეთის კომპრომისის ფარგლებში, ბუკოვინის საჰერცოგო ორმაგი ახალი მონარქიის ავსტრიულ ნაწილთან (ციზლაიტანია) იქნა მიერთებული.

1918 წლის ნოემბერში ავსტრია-უნგრეთის დაშლასთან დაკავშირებით, ჩერნოვციში შეკრებილმა ასამბლეამ, რომელშიც უკრაინელების გარდა მთელი ქვეყნის მოსახლეობა იყო წარმოდგენილი, რუმინეთთან ბუკოვინის გაერთიანება გამოაცხადა.

1919 წელს ავსტრიამ რუმინეთს ბუკოვინის საჰერცოგო დაუთმო, ჩრდილოეთ საზღვარზე პოლონეთისთვის გადაცემული მცირე ფრაგმენტის გარდა, თავისთვის პოლონურ ტერიტორიაზე კოლომეა-ზალეშჩიკის რკინიგზის შესანარჩუნებლად.

ახალი რუმინეთის შემადგენლობაში ბუკოვინა ხუთი დეპარტამენტით შევიდა: ჩერნოვცი, სტროროჟინეცი, რადაუტი (რადუცი), კამპულუნგი (კიმპოლუნგი), სუჩავა.

1940 წლის ივნისში საბჭოთა ულტიმატუმის თანახმად, რუმინეთმა სსრკ-ს უკრაინელებით დასახლებული ჩრდილოეთი ბუკოვინას ნახევარი დაუთმო, რომელიც 1 აგვისტოს სსრკ-მ უკრაინას მიუერთა. დათმობილი ტერიტორია დაახლოებით ჩერნოვცისა და სტროროჟინეცის ორ დეპარტამენტს შეესაბამებოდა.

1941 ივლისიდან გახდა რა გერმანიის მოკავშირე, რუმინეთმა დაიბრუნა 1940 წლის ივნისში დაკარგული ტერიტორიები, მათ შორის ჩრდილოეთი ბუკოვინა, რომელიც კვლავ რუმინული გახდა.

1944 წლის სექტემბერში მოსკოვის საზავო ხელშეკრულების თანახმად, რუმინეთმა ჩრდილოეთი ბუკოვინა დატოვა; რომელიც მაშინვე სსრკ-თან (უკრაინა) იქნა მიერთებული.

1947 წლის თებერვალში პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულებებით დამტკიცებული ბუკოვინის გაყოფა უკრაინასა და რუმინეთს შორის, დღესაც ძალაშია.

ტრანსილვანია

1789 წელს ტრანსილვანიის დიდი საპერცოგო ავსტრიის სახლის დომენთა შორის ყველაზე უკიდურეს აღმოსავლეთ ტერიტორიას წარმოადგენდა. ის უნგრეთის სამეფო გვირგვინთან იქნა მიერთებული და ისტორიული გარემოებებიდან გამომდინარე, გარკვეული ავტონომიით სარგებლობდა.

ტრანსილვანია (დაახლოებით 60 000კმ² ფართობი, მოსახლეობა 1 200 000 კაცი) "ტყეების გადაღმა" (უნგრეთიდან დანახული) მთიან პლატოს წარმოადგენდა და კარპატების სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე კუთხეში იყო მოქცეული (აღმოსავლეთი კარპატები, ტრანსილვანიის ალპები), რომელიც მას მოლდოვასა და ვლახეთისგან ყოფდა (ბიჰორის დასავლეთით მდებარე მცირე მასივი მას უნგრეთის ვაკეს აშორებდა). ტრანსილვანიას გარს ერტყმოდა ტისა და მისი სამოშის შენაკადის ზემო დინებები, ისევე როგორც მაროში და ოლტი.

დიდი საპერცოგოს კონტინენტური კლიმატი ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობისა და მესაქონლეობის განვითარებას, მაგრამ ქვეყნის ყველაზე დიდი სიმდიდრე საბადოები იყო (ძვირფასი მეტალი, ქვანახშირი, მარილი). იქ კარგად იყო განვითარებული საქალაქო ქსელი (კლაუსენბურგი, ალბა იულია, სიბიუ, ბრაშოვი, ვასარელი), რაც კარგად ასახავდა ტრანსილვანიის მოსახლეობის არაერთგვაროვნებას: უნგრელები, სეკლერები (საზღვართან ახლოს მცხოვრები დაუდგენელი წარმომავლობის უნგრელები), საქსონელები, ელახები.

შედიოდა რა დაკიის სამეფოს შემადგენლობაში (რაც ასახავს რუმინელი ხალხის ნარმომავლობას), რომელიც 105 წელს ტრაიანეს მიერ იქნა დაპყრობილი, ტრანსილვანია სხვადასხვა შემოსევების (გოთები, ჰუნები, ავარები) ასპარეზად იქცა. 1004 წელს უნგრეთის მეფემ, იშტვან I-მა ქვეყნის ტერიტორია უნგრეთს მიუერთა. XI საუკუნეში ამ რეგიონის აღმოსავლეთში სეკლერები დასახლდნენ. XII საუკუნეში უნგრეთის მეფემ, გეიზა II-მ ქვეყნის ასათვისებლად გერმანული კოლონიები (საქსონელები) მოიხმო, რომლებიც შვიდ კოლონიად, გამაგრებულ ბურგებად დანაწილდნენ (აქედან მომდინარეობს "შვიდი კოშკის" სახელწოდება), სადაც მათ მინაზე მონოპოლია იგდეს ხელთ. XIII საუკუნეში უნგრელები ტრანსილვანიის დასავლეთ ნაწილში დასახლდნენ.

1526 წელს უნგრეთის ტრანსილვანიის მემკვიდრეობითობასთან დაკავშირებით, ერთმანეთს ავსტრიის იმპერატორი ფერდინანდი და ტრანსილვანიის მმართველი იანოშ ზაპოლი შეეჯახნენ. ამ უკანასკნელმა ტრანსილვანია პორტას მოხარკე ქვეყნად აქცია, რომელიც ამგვარად, იმპერატორის მიერ 1570 წლიდან იქნა აღიარებული. ამ ეპოქაში სამთავროს შემადგენლობაში ისტორიული ტრანსილვანიის რეგიონი შედიოდა და ამას გარდა, "უნგრეთის ნაწილები", რომელიც ტისასა და ბიჰორის ქედს შორის მდებარე უნგრეთის ვაკის ნაწილს შეესაბამებოდა. ტრანსილვანიის მთავრები დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდნენ, რომელიც ხშირად უნგრეთის ნინააღმდეგ იყო მიმართული.

1687-1691 წლებში თურქეთის ნინააღმდეგ ავსტრიის ნარმატებების შემდეგ, იმპერატორმა ტრანსილვანია დაიბრუნა. "უნგრეთის ნაწილები" უნგრეთის სამეფოს დაუბრუნდა. ისტორიულმა ტრანსილვანიამ საკუთარი ინსტიტუტები შეინარჩუნა და უნგრეთისგან გამოყოფილად არსებობდა. 1764 წელს ხორვატიაში, სლავონიასა და ბანატში დიდი ხნის ნინ ამოქმედებული საზღვრების სისტემა ტრანსილვანიასაც შეეხო, და მისი საზღვრების გასწვრივ პოლკები განლაგდა. 1765 წელს უკანასკნელი ადგილობრივი მთავრის გარდაცვალების შემდეგ, სამთავრო დიდ საპერცოგოდ გადაკეთდა.

ტერიტორიული თვალსაზრისით, 1789 წლის ტრანსილვანია სამ სამოქალაქო და ერთ სამხედრო ნაწილად იყო დაყოფილი:

1) უნგრელების ტერიტორია, ადმინისტრაციული ცენტრი კლასემბურგი (ქვეყნის დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი), 11 მედიეს მოიცავდა: შიდა სოლნოკი (სამოშ-უივარი), გარე სოლნიკი (ზილაპი), კრასნა (სომლიო), დობოკა (სეკი), კლაუსენბურგი, კოკელბურგი (ებესფალვა), ზემო ვაისენბურგი (ფიურსტენბურგი), ქვემო ვაისენბურგი (ალბა იულია (კარლსბურგი)), ტორდა, ზარანდი (ალტენბურგი) და ჰუნიადი (ნადი ენიედი); დამატებით კეკერანისა და ფეგერაშის ორი ოლქი;

2) სეკლერების ტერიტორია, ადმინისტრაციული ცენტრი მაროშ ვასარელი, რომელიც 5 ოლქს მოიცავდა: უდვარელი, ჰარომშეკი, ჩიკი, მაროში, არანიოში;

3) საქსონელების ტერიტორია, ადმინისტრაციული ცენტრი ჰერმანშტადტი (სამხრეთით მდებარე), 9 კანტონს და 2 ოლქს მოიცავდა: ჰერმანშტადტი, შესბურგი, მედიაში, მიულენბახი, გროს-შენკი, რაისმარკტი, რეპზი, ლაისკირჰენი, სას-ვაროში; ბრაშოვისა და ბისტრიცას ოლქები;

4) ტრანსილვანიის სამხედრო საზღვრების საგენერალიტეტო, ადმინისტრაციული ცენტრი ჰერმანშტადტი, რომელიც 5 ოლქს (ლეგიონს) მოიცავდა: სეკლერების პირველი ლეგიონი (სეკლენბურგი), სეკლერების მე-2 ლეგიონი (კერდი-ვასარელი), სეკლერების ჰუსართა ლეგიონი (შეპში-სენტ-გეორგი), ვლახების პირველი ლეგიონი (ორლატი), ვლახების მე-2 ლეგიონი (ნესეუდი).

სამხედრო საზღვრების საგენერალიტეტო ავსტრიის სამხედრო ხელმძღვანელობას ექვემდებარებოდა. ტრანსილვანიის სამი საქმოქალაქო ტერიტორია იმპერატორის წარმომადგენლის, გუბერნატორის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა, რომლის რეზიდენცია ჰერმანშტადტში იყო განლაგებული. სამივე ტერიტორია შიდა ავტონომიით სარგებლობდა, რომელიც კლაუსენბურგის დიეტით იყო წარმოდგენილი. ამ ძირითადად არისტოკრატიულ და საქალაქო დიეტში სამი ეროვნების წარმომადგენლები იყნენ შეკრებილნი: უნგრელები, სეკლერები და საქსონელები.

მიუხედავად იმისა, რომ ვლახები (რუმინელები) ტრანსილვანიის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენდნენ, ისინი არ იყვნენ წარმოდგენილნი დიეტში. დიეტი არისტოკრატიული ორგანო იყო და ვლახეთის დიდგვაროვნები (მაგ. ჰუნიადები) მასობრივად უნგრელდებოდნენ უნგრეთისა და ტრანსილვანიის გაერთიანების პერიოდში, და ამგვარად, ვლახებს ყოველგვარ წარმომადგენლობას ართმევდნენ დიეტში.

1849 წელს ტრანსილვანია უნგრეთს გამოეყო და ის სამეფო გვირგვინის ქვეყანა გახდა.

1851 წელს დუნაის სამთავროთა გაძლიერების შედეგად, თურქეთის მხრიდან ძალადობის საშიშროება შენელდა, რის შემდეგაც იმპერიაში პირველ რიგში გაუქმდა ტრანსილვანიის "სამხედრო საზღვრები." სამხედრო ზონები სამოქალაქო ტრანსილვანიას დაუბრუნდა.

ამავე დროს, ტრანსილვანია ხუთ ოლქად იქნა რეორგანიზებული: ზაპენლანდი, კლაუსენბურგი, ალბა იულია, დესი, მაროშ ვასარელი.

1853 წელს ტრანსილვანია კვლავ იქნა რეორგანიზებული, და ამჯერად ის ათ ოლქად დაიყო: ჰერმანშტადტი, ბორში, ბისტრიცა, კლაუსენბერგი, ბრაშოვი, სალად-სომლიო, მაროშ ვასარელი, დესი, უდვარელი.

1860 წელს ტრანსილვანიას უნგრეთის სასარგებლოდ, საბოლოოდ ჩამოერთვა 1836 წელს დაკარგული და 1849 წელს დაბრუნებული ზილაჰის ოლქი (გარე სოლნოკის, კრასნასა და ზარანდის სამი მედიე და კეკარის ოლქი). ამგვარად, ტრანსილვანიის ფართობი დაახლოებით 55 000 კმ²-მდე იქნა დაყვანილი.

1867 წლის ივნისის ავსტრია-უნგრეთის კომპრომისის თანახმად, ტრანსილვანია ახალი ორმაგი მონარქიის უნგრულ მხარეს მიაკუთვნეს. ამგვარად, ქვეყანამ საბოლოოდ დაკარგა ავტონომია და უნგრეთის სამეფოს შეერწყა.

გაუქმდა ასევე კლაუსენბურგის დიეტი და ტრანსილვანია მადიარიზაციის მცდელობის ობიექტად იქცა.

ტრანსილვანიის შიდა დაყოფა უნგრული მოდელის მიხედვით 15 მედიედ იქნა გადანაწილებული: ჰუნეადი, ჰერმანშტადტი (სებეში), ფეგერაში, კრონშტადტი (ბრაშოვი), ჰარომსეკი, ჩიკი, უდვარელი, კოკელბურგი (კიშკუკულო), ნად კუკულო, ალსო ფეჰერი, ტორდა-არანიოში, ტორდა-მაროში, კლაუსენბურგი (კოლოშვარი), ბისტრიცა ნესეუდი, სოლნოკ-დობოკა; აღნიშნულ ტერიტორიებს სილადის მედიე (ზილაჰის ყოფილი ოლქი) დაემატა, რომელიც 1860 წელს იქნა შემოერთებული.

ზემოაღნიშნულ დროს, მთლიანობაში დაახლოებით 2 100 000 მცხოვრებიდან, მედიებში შედიოდა სკუთრივ ისტორიული ტრანსილვანია, სადაც 1 200 000 რუმინელი, 575 000 მადიარი (უნგრელები და სეკლერები) და 235 000 საქსონელი ცხოვრობდა. ყოველგვარ ძალაუფლებას მოკლებულ რუმინელებში დროთა განმავლობაში, ირედენტიზმი გავრცელდა მეზობელი რუმინეთის მიმართ.

1918 წლის მარცხის შემდეგ, რომელსაც ავსტრია-უნგრეთის დაშლა მოჰყვა, უნგრეთის რუმინელები 1 დეკემბერს ალბა იულიაში (კარლსბურგი) ასამბლეაზე შეიკრიბნენ, რომელმაც რუმინეთთან ტრანსილვანიის, ბანატისა და საკუთრივ უნგრეთის აღმოსავლეთი მედიების გაერთიანება გამოაცხადა. ამ გაერთიანებას 14 დეკემბერს რუმინეთის მეფემ, ფერდინანდ I-მა მისცა თანხმობა, და ის 1919 წლის 24 იანვარს ბუქარესტის პარლამენტის მიერ იქნა დამტკიცებული.

1919 წლის 8 იანვარს ტრანსილვანიაში მცხოვრები საქსონელები მედიაში ასამბლეაზე შეიკრიბნენ და რუმინეთთან ერთად ტრანსილვანიის გაერთიანებაში შეეიდნენ. მხოლოდ ტრანსილვანიაში მცხოვრები უნგრელები და სეკლერები იბრძოდნენ უნგრეთთან დარჩენისთვის.

1920 წლის 4 ივნისის ტრიანონის ხელშეკრულებით, უნგრეთმა რუმინეთს მთელი ისტორიული ტრანსილვანია დაუთმო (1867 წლის 15 მედიე და დამატებით, 1860 წელს მიღებული სილადი).

ახალი რუმინეთის შემადგენლობაში ტრანსილვანიამ 16 დეპარტამენტი შეადგინა, რომელიც მცირედით განსხვავდებოდა ძველი 16 მედიისგან: ჰუნედოარა, სიბიუ (ჰერმანშტადტი), ფეგერაში, ბრაშოვი, ტრე-სკაუნე, ჩუკი, ოდორჰეი (უდვარელი), ტარნავა მიკა (ნადი კუკული), ალბა (ალსო ფეჰერი), ტორდა (ტორდა-არანიოში), კლუჟი (კლაუსენბურგი), ნესეუდი, (ნასოდი), სომეში (სოლნოკ-დობოკა), სალაჟი (სილადი).

რუმინელების გვერდით აღნიშნულ ტერიტორიაზე საქსონელები, სეკლერები და უნგრელების მცირე რაოდენობა ცხოვრობდა, რომელებიც რუმინიზაციის ინტენსიური პოლიტიკის ქვეშ მოექცნენ.

1940 წლის აგვისტოში გერმანია-იტალიის არბიტრაჟით, გადაწყდა ტრანსილვანიისა და ძველი აღმოსავლეთი მედიების გადანაწილება უნგრეთსა და რუმინეთს შორის:

– ჩრდილოეთი ნაწილი (43 500კმ²) უნგრეთს დაუბრუნდა, რომელშიც შედიოდა ტრანსილვანიის ტრეი-სკაუნეს (ჰარომსეკი), ჩუკის (ჩიკი), ოდორჰეის (უდვარელი), მურეშის (სოლნოკ-დობოკა), სალაჟის (სილადი), ნესეუდის (ნესუდი), კლუჟის (კოლოშვარი) რვა დეპარტამენტი და უნგრეთის მარამურეშისა (მარამაროში) და სატუ მარეს (სეტმარი) დეპარტამენტები; ამას გარდა, ბიჰორის ნაწილიც;

– სამხრეთი ნაწილი (59 500კმ²), რომელიც "აღმოსავლეთი მედიების" რვა დარჩენილი ტრანსილვანიის დეპარტამენტისა და რუმინული ბანატისგან შედგებოდა, რუმინეთს გადაეცა.

ამგვარად, უნგრეთის შემადგენლობაში შევიდა საქსონური ბისტრიცისა და სეკლერთა ორი რეგიონი, მაგრამ რუმინეთმა შეინარჩუნა სიბიუსა (ჰერმანშტადტი) და ბრაშოვის (კრონშტადტი) საქსონური რეგიონები.

1944 წლის სექტემბერში რუმინეთმა ჩრდილოეთი ტრანსილვანია მიიღო. ამგვარად, ტრანსილვანია გაერთიანდა, მაგრამ 1945 წლიდან (სტალინის არბიტრაჟი) რუმინეთმა სეკლერებისთვის ავტონომიის მინიჭების ვალდებულება აიღო. აღნიშნული გაერთიანება 1947 წელს იქნა დამტკიცებული.

სეკლერების რეგიონი (მურეშ მადიარი), რომელიც სეკლერებით იყო დასახლებული, 1952 წელს ავტონომიურ რეგიონად გადაკეთდა (უნგრული ენის გამოყენებით). 1965 წელს ეს ავტონომია გაუქმდა.

1968 წელს რუმინეთი 42 დეპარტამენტად იქნა რეორგანიზებული. ამ დროიდან ტრანსილვანიის ტერიტორია ათ დეპარტამენტს შეესატყვისებოდა: ჰუნედოარა (დივა), ალბა (ალბა იულია), კლუჟ (კლუჟ-ნაპოკა), სიბიუ, ბრაშოვი, ჰაგიტა (მიერკურია-ჩუკი), კოვასნა (სფინტუ გეორგი), მურეში (ტარგუ მურეში), ბისტრიცა ნესეუდი (ბისტრიცა), სალაჟი (ზალა).

რუსეთი

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: რუსეთის ფედერაცია.
პრეზიდენტი: დმიტრი მედვედევი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ორპალატიანი პარლამენტი,– ზედა პალატა, ფედერაციის საბჭო, რომელშიც სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულია ნარმოდგენილი და ქვედა პალატა, დუმა, რომელშიც დეპუტატები პირდაპირი საყოველთაო კენჭისყრის წესით არიან არჩეულები.
დედაქალაქი: მოსკოვი.
ადმინისტრაციული დაყოფა: 89 "ფედერაციის სუბიექტი," რომელიც დაყოფილია 21 რესპუბლიკას, 6 ტერიტორიას (მხარე), 49 რეგიონს, 1 ებრაელთა ავტონომიურ რეგიონს, 10 ავტონომიურ ოლქსა და 2 ფედერაციულ ქალაქს შორის:

ა) 21 რესპუბლიკა:

– ევროპულ ნაწილში: ადიღე (მაიკოპი), ბაშკირეთი (უფა), დაღესტანი (მაჰაჩყალა), თათრეთი (ყაზანი), ინგუშეთი (ნაზრანი), კარელია (პეტროზავოდსკი), კომი (სიქტივკარი), მარეთი (იოშქოროლა), მორდვეთი (სარანსკი), უდმურტეთი (იჟევსკი), ყაბარდო-ბალყარეთი (ნალჩიკი), ყალმუხეთი (ელისტა), ყარაჩაი-ჩერქეზეთი (ჩერკასკი), ჩეჩნეთი (გროზნო), ჩრდილოეთ ოსეთი (ვლადიკავკაზი), ჩუვაშეთი (ჩებოქსარი);

ბ) 6 ტერიტორია:

– ევროპულ ნაწილში: კრასნოდარი, სტავროპოლი;
– აზიურ ნაწილში: ალტაი, ზღვისპირეთი (ვლადივოსტოკი), კრასნოიარსკი, ხაბაროვსკი;

გ) 49 რეგიონი:

– ევროპულ ნაწილში: არხანგელსკი, ასტრახანი, ბელგოროდი, ბრიანსკი, ვლადიმირი, ვოლგოგრადი, ვოლოგდა, ვორონეჟი, იაროსლავლი, ივანოვო, კალინინგრადი (ყოფილი კენინსბერგი), კალუგა, კიროვი, კოსტრომა, ლენინგრადი (სანკტ-პეტერბურგი), ლიპეცკი, მოსკოვი, მურმანსკი, ნიჟნი-ნოვგოროდი, ნოვგოროდი, ორიოლი, ორენბურგი, პენზა, პერმი, ულიანოვსკი, რიაზანი, როსტოვი, სამარა, სარატოვი, სმოლენსკი, ულიანოვსკი, ტამბოვი, ტულა, ტვერი, ფსკოვი;

დ) 1 ებრაელთა ავტონომიური ოლქი (აზიაში): ბირობიჯანი;

ე) 10 ავტონომიური ოლქი:

– ევროპულ ნაწილში: კომი-პერმელთა (კუდიმკარი);
– აზიურ ნაწილში: აჩინსკის ბურიატთა, დასავლეთ ორდინსკის ბურიატთა, ევენთა, იამალ-ნენთა, ნენთა, ტაიმირის, ჩუკოტკის, ხანტი-მანსის;

ვ) 2 ფედერაციული ქალაქი: მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი.

ფართობი: 17 075 400კმ², საიდანაც 4 577 000კმ² ევროპულ ნაწილში; **მოსახლეობა:** 150 მილიონი კაცი; **სიმჭიდროვე:** 9 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენები: რუსული; ლაპარაკობენ აგრეთვე სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე და დიალექტებზე, რომელთა შორის ბელორუსული და უკრაინული ენებია (ევროპულ ნაწილში).
რელიგიები: მართლმადიდებლობა: კათოლიკური ან უნიატური, პროტესტანტული, მუსულმანური, ებრაული უმცირესობა.
ფულის ერთეული: რუბლი.

შენიშვნა: რუსეთი და თურქეთი კონტინენტური ევროპის ის ორი ქვეყანაა, რომელთაც ერთდროულად ტერიტორიები აქვს, როგორც ევროპაში, ასევე აზიაში. თუკი თურქეთს ბოსფორის სრუტესთან აზიისგან ბუნებრივი გამყოფი ხაზი აქვს, იგივე არ ითქმის რუსეთზე, რომელსაც არა აქვს ზღვის გრძელი სრუტე უდავო გეოგრაფიული საზღვრის აღსანიშნავად.

გეოგრაფების უმრავლესობას საზღვარი ევროპულ და აზიურ რუსეთს შორის გაპყავს ურალის მთების ქედიდან სამხრეთისკენ ამავე სახელწოდების მდინარის გაყოლებაზე, რომელიც კასპიის ზღვაში ჩაედინება და ამ ზღვიდან კავკასიის ქედის ზოლზე, რომელიც შავი ზღვით სრულდება.

ევროპულ და აზიურ რუსეთს შორის უფრო თავისუფალ საზღვრად შეიძლება მიჩნეულ იქნეს თეთრი ზღვიდან ჩრდილოეთ დვინაზე, ვოლგასა და დონზე გამავალი გამყოფი ხაზი, რომელიც აზოვის ზღვით სრულდება. აღნიშნული ხაზის დასავლეთით მდებარე ტერიტორიები აშკარად ევროპულ ნაწილს მიეკუთვნება, მის აღმოსავლეთით მდებარე კი აზიის ტერიტორიას განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, ტერიტორიული ევოლუციის განხილვისას, წინამდებარე თავი ხშირად რუსეთის იმ რეგიონების აღწერით შემოიფარგლება, რომელიც ზემოაღნიშნული საზღვრის დასავლეთით მდებარეობს.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. რუსეთის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. სათავეებიდან მონღოლთა ბატონობის დასასრულამდე (1480წ.)

ჩვ. წ. აღ. დასაწყისში, იმ რეგიონების სამხრეთი ნაწილი, რომელიც დღეს რუსეთის შემადგენელი ნაწილია, სკვითებისა და სარმატების სამფლობელო იყო. ჰუნების, ავარებისა და ხაზარების მიერ გაჩანაგებული რეგიონები V საუკუნეში აღმოსაელეთი სლავების დასახლების ადგილად იქცა, რომლებიც იქ მეტნაკლებად გაერთიანებულ ტომებად დამკვიდრნენ და პირველი ქალაქები დააფუძნეს: კიევი, ნოვგოროდი, სმოლენსკი და სხვ.

თავად **რუსეთის** ისტორიის დასაწყისად შეიძლება მიჩნეულ იქნეს 862 წელი, როდესაც ნოვგოროდში პირველი რიურიკი (სკანდინავიელი) ვარიაგების (იგივე რუსების) ტომის დიდ მთავრად იქნა არჩეული. 882 წელს მისმა ნათესავმა ოლეგმა ხელთ იგდო ძალაუფლება კიევში და X საუკუნის დასაწყისში კიევისა და ნოვგოროდის ორი სამთავრო გააერთიანა, რომელიც **კიევის რუსეთის** დიდი **იმპერიის** ჩანასახად იქცა.

980 წელს კიევის რუსეთის სამთავროს ტახტი წმინდა ვლადიმირის ხელში გადავიდა (970 წლიდან იგი ნოვგოროდის მთავარი იყო), რომელმაც კონსტანტინოპოლის იმპერატორის, ბასილ II-ის დასთან ქორწინებით, თავის ხალხთან ერთად ქრისტიანობა მიიღო. მან **კიევის რუსეთი ბალტიის** ზღვიდან **შავ ზღვამდე** გაზარდა. ვლადიმირის გარდაცვალების შემდეგ ეს უზარმაზარი იმპერია გადანაწილდა.

ამ ეპოქაში რუსული სამთავროები დაშლისა და მეტოქეობის მიუხედავად (კიევისა და ვლადიმირის დიდი სამთავროები, მოსკოვის დიდი სამთავრო), ეკონომიკური, სავაჭრო და კულტურული აღმავლობის კერებს წარმოადგენდნენ, რომლებიც ქალაქების გარშემო ვითარდებოდნენ: კიევი, ვლადიმირი, სუზდალი, განსაკუთრებით კი ნოვგოროდი, ჰანზის ქალაქი, რომელსაც ინტენსიური ვაჭრობა ჰქონდა დასავლეთთან.

1223 წელს, შემდეგ კი 1237 წელს, ეს რეგიონები მონღოლებმა დაიპყრეს და რუსები ვასალურ მდგომარეობაში ჩააყენეს. ამ მდგომარეობამ ორ საუკუნე ნახევარი გასტანა. ამავე დროს, მონღოლთა სიუზერენობა ფართო ავტონომიას აძლევდა ადგილობრივ მთავრებს. მონღოლები მხოლოდ გადასახადის გადახდითა და ჯარების გამოყვანით კმაყოფილდებოდნენ. 1328 წელს დედაქალაქი კიევიდან მოსკოვში იქნა გადატანილი. 1480 წელს რუსებმა მონღოლთა უღლისგან განთავისუფლებას მიაღწიეს ივანე III-ის (1462-1505წწ.) მეფობის დროს, რომელიც მოსკოვის დიდი მთავარი იყო და **რუსეთის** ხელახალი გაერთიანება შეძლო.

2. 1480 წლიდან პეტრე დიდის ტახტზე ასვლამდე (1689წ.)

ივანე III-ის რუსეთი კვლავ ბალტიის ზღვიდან შავი ზღვის მისადგომებამდე გადაიშალა. მასში გაერთიანებული იყო **მოსკოვის, ნოვგოროდის, რიაზანის** და სხვ. სამთავროები, მაგრამ დასავლეთის მცირე ნაწილი (სმოლენსკი, კიევი, პოლტავა) ლიტველთა ხელში გადავიდა.

ივანე IV მრისხანის ხანგრძლივი მეფობის პერიოდი რუსეთის აღმავლობით აღინიშნა, რომელიც ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ივანე IV-მ **ყაზანისა** და **ასტრახანის** მონღოლთა სახანოები დაიპყრო, რამაც რუსეთს კასპიის ზღვაზე გასასვლელი მისცა. რუსეთის ხელში ყირიმისა და ციმბირის სახანოებიც გადავიდა. ივანე IV-მ მხოლოდ ყირიმის სამხრეთ ნაწილზე გაბატონება ვერ შეძლო, რომელიც თურქ ოსმალთა მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა.

ივანე მრისხანეს ვაჟმა, თეოდორე I-მა (1584-1598წ.) არხანგელსკის რეგიონი დაიპყრო. იგი რიურიკთა დინასტიის უკანასკნელი ნარმომადგენელი იყო. მის გარდაცვალებას ე. წ. "აშლილობის ხანის" პერიოდი მოჰყვა (ბორის გოდუნოვის, ორი ცრუ დიმიტრის, თეოდორე II-ის, ვასილ შუისკის ბრბოქარი მეფობის პერიოდები).

აღნიშნული არეულობები, რომელმაც მტრულად განწყობილი შვედეთისა და პოლონეთის ინტერვენციას შეუწყო ხელი, 1613 წელს რომანოვების პირველი მეფის, მიხეილის ტახტზე ასვლით დასრულდა. მან ქვეყნის საფუძვლები გაამყარა, შვედეთისთვის **კარელიისა** და **ინგრიის** (ფინეთის ძველი პროვინცია) შეწირვით, რომლის სანაცვლოდ შვედეთმა მას ნოვგოროდი დაუბრუნა, და პოლონეთისთვის **სმოლენსკისა** და **დასავლეთი რუსეთის** მცირე ტერიტორიის დათმობით.

მიხეილის ვაჟმა ალექსეიმ (1645-1676წ.) უკრაინის აღმოსავლეთი ნაწილი დაიბრუნა ქალაქ კიევთან ერთად (1654წ.).

შემდგომში, ორი ნაკლებად ბრნყინვალე მეფობის შემდეგ (თეოდორ III, ივანე V), 1689 წელს სამეფო ტახტზე პეტრე დიდი აეიდა, რომელმაც რუსეთი სწრაფად შეიყვანა ევროპაში.

3. პეტრე დიდისა და მისი მემკვიდრეების რუსეთი (1689-1789წ.)

პეტრე დიდის მეფობამ (1689-1725წ.) რუსეთი ტერიტორიულად გაზარდა და დასავლეთის ძლიერ სახელმწიფოებთან დაახლოვა. პეტრე დიდმა ქალაქი სანკტ-პეტერბურგი დააფუძნა (1703წ.), რომელიც ევროპისკენ მიმართულ დედაქალაქად იქცა. მან სიღრმისეული რეფორმები გააატარა არმიასა და მმართველობაში, შექმნა საზღვაო ფლოტი და საფუძვლები მრეწველობის განვითარებისთვის, დიდგვაროვნებში ძალით დანერგა დასავლური ცხოვრების წესი.

იგი წინ აღუდგა უკრაინის (მაზეპა) გამოყოფის მცდელობას და ომი ჰქონდა შვედეთთან, რომელსაც **კარელია, ინგრია, ესტონეთი** და **ლივონია** (1721წ.) ჩამოართვა.

პეტრე დიდის გარდაცვალების შემდეგ, მისი ძალისხმევით გაზრდილი რუსეთის ტერიტორია დიდ გუბერნიებად დაიყო, რომელიც XVIII საუკუნეში თავად პეტრემ დააფუძნა: არხანგელსკი, ასტრახანი, ვორონეჟი, კიევი, ნიჟნი-ნოვგოროდი, სანკტ-პეტერბურგი, სმოლენსკი, ყაზანი, ესტონეთი, კარელია, ლივონია და რუსეთის აზიურ ნაწილში, ციმბირი.

პეტრეს მემკვიდრეებმა გააგრძელეს მის მიერ დაწყებული საქმე. დედოფალმა ელისაბედმა (1741-1762წ.) გაზარდა ევროპული რუსეთის ტერიტორია ფინეთის რამდენიმე მცირე ტერიტორიის შემოერთებით ფრედერიკსჰამნისა და ვილარმშტანდის (1743წ.) გარშემო.

ეკატერინე II-მ (1762-1796წ.) დაწყებული რეფორმები დაასრულა. იგი (ანჰალტ-ცერბსტის გერმანელი მთავრის ქალიშვილი) დიდ სიუზერენად, "განათლებულ დესპოტად" იქცა, რომელიც თავისი იმპერიის განახლებაზე ზრუნავდა. საგარეო პოლიტიკის ასპექტში ეკატერინე II-მ რუსეთი ევროპულ ერებს დაუახლოვა თავისი ექსპანსიონისტური მიზნებით პოლონეთისა და თურქეთის მიმართულებით.

1772 წელს პოლონეთის სამეფოში სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის შეტაკებების შემდეგ ავსტრია, პრუსია და რუსეთი სანკტ-პეტერბურგის 25 ივლისის ხელშეკრულებით, პოლონეთის პირველ განაწილებას შეუდგნენ, რომელსაც შედეგად პოლონეთის გარკვეული ტერიტორიების მითვისება მოჰყვა.

რუსეთმა პოლონეთისგან მიიღო (ლიტვის ნაწილი):

– **ლივონიის სავოევოდო** (როგორც პოლონეთში, ასევე ლიტვაში);

– **პოლოცკის სავოევოდოს ჩრდილოეთი ნახევარი** (დიუნის ჩრდილოეთით);

– **ვიტებსკის სავოევოდო თითქმის მთლიანად;**

– **მსტისლავის სავოევოდო;**

– **მინსკის სავოევოდოს აღმოსავლეთი მეოთხედი** (დნეპრის აღმოსავლეთით).

ზემოაღნიშნული ტერიტორიებიდან ვიტებსკის ახალი რუსული პროვინცია შეიქმნა.

რუსეთის ჯართან სასაზღვრო ინციდენტის შემდეგ, საფრანგეთისა და თავისი ვასალის, ყირიმის ხანის წაქეზებით, თურქეთმა 1768 წელს რუსეთს ომი გამოუცხადა. ამ უკანასკნელმა სამთავროები დაიკავა, რის შემდეგაც სამხედრო ოპერაციები შეანელა პოლონეთის პირველ განაწილებასთან დაკავშირებით. თუმცა შემდგომში დაიპყრო თურქული ტერიტორია და ვარნაში სულთანი აღყაში მოაქცია.

ავსტრიის ჩარევის შემდეგ, 1774 ნლის 21 ივლისს ხელი მოეწერა ქუჩუკ-ყაინარჯის სამშვიდობო ხელშეკრულებას. რუსეთმა ოტომანთა იმპერიის ტერიტორიებისა და დუნაის სამთავროების დატოვების ვალდებულება აიღო, რის სამაგიეროდაც თურქეთმა:

– **რუსეთს კიმბურნის** (დნეპრის შესართავთან), **აზოვის** (დონის შესართავთან), **ქერჩისა და იანი-კალეს (ყირიმში) და ზაპოროჟიეს სანაპიროს ტერიტორია** (სანაპირო კუთხე ბუგსა და დნეპრს შორის) **დაუთმო;**

– **უარი თქვა ყირიმის სახანოს სიუზერენობაზე,** რომელიც თეორიულად დამოუკიდებელი გახდა, მაგრამ რუსეთის ინტრიგების სამიზნედ იქცა;

– აღიარა რუსეთისთვის დუნაის სამთავროებზე კონტროლის უფლება (მოლდოვა და ვლახეთი), ისევე როგორც ოსმალთა იმპერიაში შემავალ ქრისტიანებზე მეურვეობის უფლება. შემდგომში, რუსეთმა ხელშეკრულების აღნიშნული მუხლი თურქეთის საქმეებში ჩასარევად გამოიყენა.

1775 წელს თავისი იმპერიის მმართველობის რაციონალიზაციის მიზნით, ეკატერინე II-მ ტერიტორიული მმართველობის სიღრმისეული რეფორმა ჩაატარა. რუსეთი 50 გუბერნიად დაიყო (თითოეულ გუბერნიაში 300 000-დან 400 000-მდე კაცი ცხოვრობდა), რომელიც თავის მხრივ, ოლქებად იქნა დაყოფილი (20 000-დან 30 000-მდე სული მოსახლე). თითოეული გუბერნატორი მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიას საგუბერნატორო საბჭოს დახმარებით მართავდა.

აღნიშნული 50 გუბერნია 43 ევროპულ და 7 აზიურ გუბერნიად დაიყო:

– ევროპულ ნაწილში: ესტონეთი (ტალინი), ლივონია (რიგა), ინგრია (სანკტ-პეტერბურგი), ვიტებსკი, მოგილიოვი, ფსკოვი, ჩერნიგოვი, კიევი, პოლტავა, ეკატერინოსლავი, ხერსონი, დონის კაზაკთა მხარე (ჩერკასკი), ხარკოვი, კურსკი, ვორონეჟი, ორიოლი, ტულა, კალუგა, სმოლენსკი, ტვერი, ნოვგოროდი, ვიბორგი, ოლენეცი, არხანგელსკი, ვოლოგდა, იაროსლავლი, კოსტრომა, ვლადიმირი, მოსკოვი, ნიჟნი-ნოვგოროდი, რიაზანი, ტამბოვი, პენზა, სარატოვი, სიმბირსკი, ყაზანი, პერმი, უფა, ორენბურგი, სამარა, ასტრახანი, სტავროპოლი;

– აზიურ ნაწილში: ტობოლსკი, ტომსკი, ენისეისკი, ირკუტსკი, იაკუტსკი, ბაიკალისპირეთი, ზღვისპირეთი.

ეკატერინე II მოპოვებულმა უპირატესობამ არ დააკმაყოფილა, მას შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპიროს ხელში ჩაგდება სურდა. ყირიმის სახანოში შიდა აშლილობის ხელშეწყობით, 1779 წელს მან ამ ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა და იქ მისდამი ერთგული ხანი დასვა.

1784 ნლის 8 იანვრის ანდრიანოპოლის (ედირნე) შეთანხმებით, **თურქეთმა რუსეთის მიერ ყირიმის სახანოს ანექსია აღიარა** (ყირიმი, ტავრია, ყუბანი),

რომლის თანახმად, ტავრიისა (ვოლგა-დონის დასავლეთით) და ყუბანის (აღნიშნული ზოლის აღმოსავლეთით) ორი ახალი რუსული გუბერნია შექმნა.

II. რუსეთი 1789 წელს

1789 წელს რუსეთი ევროპის კონტინენტის ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. ის იყო უზარმაზარი ქვეყანა, რომელსაც ტერიტორიები ჰქონდა, როგორც ევროპულ, ასევე აზიურ ნაწილში (ჩრდილოეთ ამერიკაშიც კი, ალიასკა). მიუხედავად სიდიდისა, მისი ტერიტორია ძალზე ნაკლებად იყო დასახლებული. ევროპული რუსეთის 20 მილიონამდე მცხოვრები დაახლოებით 4 მილიონ კმ²-ზე ცხოვრობდა.

ევროპული რუსეთის ტერიტორია ვრცელ ვაკეს წარმოადგენდა, რომელიც გადაჭიმული იყო თეთრი ზღვიდან შავ ზღვამდე, ბალტიის ზღვიდან პოლონეთის დაბლობებამდე (რომლისგანაც მას დნეპრი ყოფდა) და ურალის მთებამდე. ურალის ქედის იქით აზიური რუსეთი მდებარეობდა. დასაბამიდან კონტინენტური სახელმწიფო, რუსეთი საუკუნეთა მანძილზე ფართოვდებოდა დასავლეთისა და სამხრეთისკენ, დასავლეთ ევროპისა და თბილი ზღვებისკენ.

ევროპული რუსეთი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რეგიონი იყო, დიდი ფეოდალური სამფლობელოებით, სადაც ყმა გლეხები ცხოვრობდნენ. ამ რეგიონს რამდენიმე დიდი მდინარე რწყავდა (ონეგა, დნეპრი, დონი, ვოლგა). საქალაქო ქსელი იქ ნაკლებად იყო განვითარებული: სანკტ-პეტერბურგი, ნოვგოროდი, მოსკოვი, ნიჟნი-ნოვგოროდი, კიევი.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, 1775 წლის რეფორმის თანახმად, რუსეთი 45 ევროპულ და 7 აზიურ გუბერნიად იყო დაყოფილი, რომელსაც შემდგომში ახლად მოპოვებული ტერიტორიები დაემატა. 45 ევროპული გუბერნია შემდეგი ტერიტორიებისგან შედგებოდა: ესტონეთი (ტალინი), ლივონია (რიგა), ინგრია (სანკტ-პეტერბურგი), ვიტებსკი, მოგილიოვი, ფსკოვი, ჩერნიგოვი, კიევი, პოლტავა, ეკატერინოსლავლი, ტავრია, ყუბანი, ხერსონი, დონის კაზაკთა მხარე (ჩერკასკი), ხარკოვი, კურსკი, ვორონეჟი, ორიოლი, ტულა, კალუგა, სმოლენსკი, ტვერი, ნოვგოროდი, ვიბორგი, ოლენეცი, არხანგელსკი, ვოლოგდა, იაროსლავლი, კოსტრომა, ვლადიმირი, მოსკოვი, ნიჟნი-ნოვგოროდი, რიაზანი, ტამბოვი, პენზა, სარატოვი, სიმბირსკი, ყაზანი, ვიატკა, პერმი, უფა, ორენბურგი, სამარა, ასტრახანი, სტავროპოლი.

III. 1789 წლიდან ვენის კონგრესის დასკვნამდე (1815წ.)

1. 1789 წლიდან ტილზიტის სამშვიდობო ხელშეკრულებამდე (1807წ.)

ეკატერინე II-მ "ყირიმში მოგზაურობის" დროს, სადაც სევასტოპოლი სტამბოლის პორტად იყო წარმოჩენილი, აშკარად გამოამჟღავნა თავისი მიზნები ოსმალთა იმპერიის საზიანოდ. 1787 წლის სექტემბერში თურქეთსა და რუსეთს შორის სამხედრო მოქმედებანი განახლდა. 1788 წლის თებერვალში ავსტრია რუსეთს შეუერთდა.

თურქეთზე გამარჯვების შემდეგ, 1791 წლის აგვისტოში ავსტრია კონფლიქტიდან სისტოვის სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე გამოვიდა. ავსტრიისგან მიტოვებულმა რუსეთმა ყურადღება კვლავ პოლონეთს მიაპყრო, და იძულებული გახდა უარი ეთქვა ოსმალთა იმპერიის განაწილების გეგმებზე.

1791 წლის დეკემბრის იასის სამშვიდობო ხელშეკრულებით, რუსეთი მცირედით დაკმაყოფილდა. მან **თურქეთს ხერსონი** (ყირიმის სახანო) ჩამოართვა ოჩაკოვის პორტთან ერთად (და სულ მალე, 1794 წელს ოდესის პორტიც). ამგვარად, რუსეთ-თურქეთის საზღვარი ბუგიდან დნესტრამდე იქნა დაყვანილი.

ანექსირებული ტერიტორია რუსეთის ხერსონის გუბერნიასთან იქნა მიერთებული.

პირველი განაწილების შემდეგ, პოლონელებმა მმართველობის რეფორმების აუცილებლობა გაიცნობიერეს. 1791 წელს ახალი კონსტიტუციის გამოქვეყნებას ეკატერინე II-ის პროტესტი მოჰყვა, რომელიც შექმნილ ვითარებაში იარაღის გამოყენებით ჩაერთო. პოლონეთსა და პრუსიას შორის ოფიციალური ალიანსის მიუხედავად, ამ უკანასკნელმა პოლონელთა განადგურება დაუშვა და თავისი წილი მიიღო პოლონეთის დანაწილებაში, რომელზეც ნიდერლანდებით დაკავებული ავსტრია არ იყო მიწვეული.

1793 წლის 23 იანვრის შეთანხმებით, რუსეთმა პოლონეთის შემდეგი ტერიტორიების ანექსია მოახდინა:

– საკუთრივ პოლონეთს ჩამოართვა: კიევისა და ბრატისლავის სავოევოდოები, ვოლინიის სავოევოდოს აღმოსავლეთი მესამედი, პოდოლიის სავოევოდოს (რომელიც პოლონეთმა 1772 წელს არ დაუთმო) **დარჩენილი ნაწილი** (ზბრუჩის დასავლეთით); **ლიტვას ჩამოართვა: პოლოცკის სავოევოდოს სამხრეთი ნახევარი** (დიუნას სამხრეთით), **მინსკის სავოევოდოს დასავლეთი ოთხი მეოთხედი** (დნეპრის დასავლეთით), **ნოვოგრუდოკის სავოევოდოს აღმოსავლეთი მესამედი, ბრესტ-ლიტოვსკის სავოევოდოს აღმოსავლეთი მესამედი.**

აღნიშნული ტერიტორიების მიმატებამ გაზარდა კიევის გუბერნია, შეიქმნა სამი ახალი გუბერნია: მინსკი, ვოლინია (როვნო), პოდოლია (კამენეცი). ამგვარად, ევროპული რუსეთის გუბერნიათა რაოდენობამ 48-ს მიაღწია.

მიუხედავად პოლონეთის ტერიტორიების მიღებისა, პრუსიამ რუსეთს სამოჟიტიეს საპერცოგოში მდებარე ტაუროგენის პატარა ანკლაევ (ამ დროისათვის ისევ პოლონური ტერიტორია) დაუთმო.

1793 წელს ანჰალტ-ცერბსტის უკანასკნელი მთავრის გარდაცვალების შემდეგ (მას მემკვიდრე არ ჰყავდა), **ეკერის სენიორია** (ოლდენბურგის მოსაზღვრე) სამემკვიდრეო მამულად გარდაცვლილი მთავრის დას, რუსეთის იმპერატორ, **ეკატერინე II-ს** ხვდა წილად.

საკუთარი ხვედრით შეურაცხყოფილი პოლონელები კოსტიუშკოს მეთაურობით აჯანყდნენ (1794 წლის მაისი), მაგრამ ის პრუსიამ და რუსეთმა სასტიკად ჩაახშეს. **რუსეთმა შემდეგი ტერიტორიების ანექსია მოახდინა:**

– საკუთრივ პოლონეთში: ვოლინიის სავოევოდოს დასავლეთი ორი მესამედი, ხოლმის სავოევოდოს სამხრეთი ნახევარი (ბუგის აღმოსავლეთით):

– ლიტვაში: სამოჟიტიეს საპერცოგო (ნემანის სამკუთხედის გარდა), **ვილნიუსის სავოევოდო** (იგივე ვილნო), **ტროკის სავოევოდოს** (ნემანის აღმოსავლეთით) **სამხრეთი ნახევარი, ნოვოგრუდოკის სავოევოდოს დასავლეთი ორი მესამედი, ბრესტ-ლიტოვსკის სავოევოდოს დასავლეთი ორი მესამედი;**

– კურლანდიისა და სემიგალიის (დედაქალაქი ლელგავა) **საპერცოგო,** პოლონეთის ვასალი სახელმწიფო, რომელზე უფლებებიც ჰერცოგმა რუსეთის სამეფო გვირგვინს მიჰყიდა.

ამ ანექსიამ გაზარდა ვოლინიის რუსული გუბერნიის ტერიტორია, შეიქმნა ოთხი ახალი რუსული გუბერნია: კურლანდია (ლელგავა), კოვნო, ვილნო, გროდნო. ამგვარად, ევროპული რუსეთის გუბერნიათა რაოდენობა 52-მდე გაიზარდა.

განმანათლებელთა ფილოსოფოსებით გატაცებულ ეკატერინე II-ს, რომელსაც მიმოწერა ჰქონდა დიდროსთან და დალამბერთან, თავზარი დასცა საფრანგეთის რევოლუციამ. იგი ზიზღით უყურებდა ახალ ხელისუფლებას და მას "იაკობინურად" მიიჩნევდა. მაგრამ საფრანგეთისგან შორს მყოფმა იმპერატორმა ეკატერინემ, რომელიც თურქეთისა და პოლონეთის საქმეებით იყო დაკავებული, თავი შეიკავა ომში ჩაბმისგან.

ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ (1796წ.), მისმა ვაჟმა, რუსეთის ახალმა იმპერატორმა პავლე I-მა, უფრო აგრესიული პოზიცია დაიკავა საფრანგეთის მიმართ და მის წინააღმდეგ შექმნილ მეორე კოალიციას შეუერთდა. პავლე I-ის სამხედრო ძალებმა (სუვოროვის არმია) დიდად შეუწყვეს ხელი 1799 წლის საფრანგეთის დამარცხებას.

1797 წლის ოქტომბერში კამპო-ფორმიოს ხელშეკრულებით, საფრანგეთმა ვენეციის დაშლილი რესპუბლიკიდან თავისი წილი მიიღო ვენეციური ლევანტოს

პროვინციის სახით, რომელიც იონიის შვიდი კუნძულისა და ალბანეთში ოთხი სახმელეთო ტერიტორიისგან შედგებოდა.

ბონაპარტმა რუსეთისა და თურქეთის უკმაყოფილება გამოიწვია მალტის კუნძულის ((1798ნ.), იმავე სახელწოდების ორდენის საკუთრება) აღებით, რომელიც პავლე I-ის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და ეგვიპტის დაპყრობით, რომელიც ოსმალთა იმპერიის სამფლობელო იყო. 1789 წლის ოქტომბრისა და 1799 წლის მარტს შორის ამ ორმა მოკავშირემ საფრანგეთს იონიის კუნძულები და ოთხი ხმელეთზე მდებარე ტერიტორია ჩამოერთვა.

რუსეთ-თურქეთის შეთანხმებით (1800 წლის ივნისი), ყოფილი ვენეციური ლევანტო ამგვარად იქნა განაწილებული:

– **იონიის კუნძულები** შვიდი გაერთიანებული კუნძულის რესპუბლიკა გახდა, პორტის მოხარკე ფედერალური სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე თურქული გარნიზონები განლაგდა, რუსეთს კი მასზე კონტროლის უფლება გადაეცა;

– ხმელეთის ოთხი ტერიტორია თურქეთმა მიიერთა ავტონომიის მინიჭების დაპირებით.

1802 წლის ივნისში შეუერთდა რა ამიენის სამშვიდობო ხელშეკრულებას, თურქეთმა უარი თქვა **იონიის შვიდი კუნძულის რესპუბლიკის** სიუზერენობაზე, რომელიც თეორიულად დამოუკიდებელი გახდა, ფაქტობრივად კი **რუსეთის პროტექტორატის ქვეშ** მოექცა.

შეთქმულების შედეგად, პავლე პირველის მკვლელობამ ((1801 წლის მარტი) გზა გაუხსნა საფრანგეთთან მშვიდობის აღდგენას (1801 წლის ოქტომბერი). პავლე I-ის ვაჟი, ალექსანდრე I დაეხმარა საფრანგეთს გერმანიის ტერიტორიულ დაშლაში (1802-1803ნნ.). მაგრამ 1805 წელს იგი ავსტრია-პრუსიის ახალ კოალიციას შეუერთდა საფრანგეთის წინააღმდეგ.

ავსტრია-რუსეთის ჯარებზე აუსტერლიცში გამარჯვების შემდეგ, პრესბურგის (ბრატისლავა) სამშვიდობო ხელშეკრულებით (1805 წლის დეკემბერი), ნაპოლეონმა ავსტრიას რიგი ტერიტორიების დათმობა აიძულა. ამ ფარგლებში ავსტრიამ საფრანგეთს ვენეციური დალმაცია და კოტორის ყურე (იტალიის სამეფოსთვის გადასაცემად) დაუთმო. მაგრამ საფრანგეთის ჯარებმა დალმაციის ოკუპაცია დააგვიანეს და კოტორამდე ვერ ჩავიდნენ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

ამგვარი ვითარების პირისპირ, 1806 წლის მარტში **ავსტრიის წარმომადგენელმა კოტორში რუსეთს კოტორის ყურე გადასცა,** რომელიც დე ფაქტო ზღვის-იქითა დომენად იქცა.

ოთხი თვის უნაყოფო მცდელობების შემდეგ (1806 წლის მაისი-სექტემბერი), საფრანგეთმა უარი თქვა კოტორზე.

ამ დროს საფრანგეთსა და რუსეთს შორის ომი მიმდინარეობდა. ამ უკანასკნელის საფრანგეთის მიერ ეილაუსა (1807 წლის თებერვალი) და ფრიდლანდში (1807 წლის ივნისი) დამარხცების შემდეგ, ნაპოლეონმა 1807 წლის 7 ივლისს რუსეთს ტილზიტის ხელშეკრულებაზე მოანერინა ხელი, რომელიც დიდი ზომიერებით გამოირჩეოდა, რადგან ნაპოლეონს ალექსანდრე I თავის მოკავშირედ სურდა გაეხადა. ამ ხელშეკრულებით, **რუსეთმა საფრანგეთს დაუბრუნა** (ჰოლანდიისთვის გადასაცემად) პრუსიულ ოსტფრიზთან მოსაზღვრე **ევერის** სენიორია, რომელიც ორ დღეში იმავე მიზნებისთვის იქნა გადაცემული;

– **ნაპოლეონს დაუთმო იონიის კუნძულები და ოთხი სახმელეთო ტერიტორია ალბანეთში.** ნაპოლეონმა ამ ტერიტორიების ხელახალი ოკუპაცია განახორციელა და იქ დროებითი ადმინისტრაცია დანიშნა, სარეზერვო ტერიტორიების სახით.

ამავე დროს, **რუსეთმა კოტორის ყურის დატოვების ვალდებულება აიღო,** რომელიც მთლიანად ინტეგრირებული იქნა იტალიის სამეფოში.

აღნიშნულის საპირისპიროდ, 1807 წლის 9 ივლისის პრუსიასთან დადებული ტილზიტის ხელშეკრულებით, ნაპოლეონმა დიდი სიმკაცრე გამოიჩინა ამ ქვეყნის მიმართ. რიგი ტერიტორიული დათმობების გარდა, **პრუსია იძულებული გახდა** რუსეთისთვის ბელოსტოკის ოლქი დაეთმო, რომელიც მის ახალ აღმოსავლეთ

პრუსიის პროვინციას ჩამოერთვა და რუსეთის გროდნოს გუბერნიასთან იქნა მიერთებული.

2. 1807 წლიდან ვენის კონგრესის დასკვნამდე (1815წ.)

საფრანგეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, იმპერატორი ალექსანდრე თავისი ექსპანსიონისტური მიზნების განხორციელებას შეუდგა ჩრდილო-დასავლეთისა (ფინეთი) და სამხრეთ-დასავლეთის (დუნაის სამთავროები) მიმართულებით.

ტილზიტში, ნაპოლეონმა რუსეთს საიდუმლო თანხმობა მისცა ამ უკანასკნელისთვის მეტად სასურველი ფინეთის ტერიტორიის დაპყრობაზე, რომელიც შვედეთის სამფლობელოს წარმოადგენდა. ეს უფლება ერფურტის შეხვედრაზე (1808 წლის ოქტომბერი) იქნა დამტკიცებული. 1808 წლიდან რუსეთმა ფინეთი დაიპყრო და მისი ოკუპაცია მოახდინა. ამ დანაკარგის პასუხისმგებლად მიჩნეული შვედეთის მეფე გუსტავ IV, 1809 წლის მარტში ტახტიდან იქნა ჩამოგდებული. შვედეთის რიკსდაგი, რომელიც ამ დროს ხელისუფლებას აღასრულებდა, საფრანგეთთან და რუსეთთან მშვიდობის დამყარებას შეეცადა.

1809 წლის 17 სექტემბერს ფრიდრიხსჰამის (ხამინა) რუსეთთან დადებული ხელშეკრულებით, **შვედეთმა რუსეთს ფინეთის დიდი საჰერცოგო და ლაპონიის ტერიტორიის ნაწილი დაუთმო.**

რუსეთმა ფინეთის დიდი საჰერცოგოსთვის (დედაქალაქი ტურკუ) ავტონომიური სახელმწიფოს სტატუსის მინიჭების ვალდებულება აიღო, რომელთანაც ის პირადი უნიის საფუძველზე იქნებოდა გაერთიანებული (რუსეთის იმპერატორი დიდი ჰერცოგის ტიტულს მიიღებდა) და ის პარლამენტით, მთავრობითა და საკუთარი არმიით იქნებოდა აღჭურვილი.

ფინეთმა რუსეთს ექვსი ახალი პროვინცია შემატა: ტურკუ, ჰელსინკი, ბორგო, კუოპიო, ვასა, ოულუ.

ამავე დროს, ვაგრამში გამარჯვების შემდეგ, იმპერატორმა ნაპოლეონმა 1809 წლის 14 ოქტომბერს ავსტრია აიძულა შონენბრუნის (იგივე ვენის) ხელშეკრულებისთვის მოენერა ხელი, რომელიც ამ უკანასკნელს ძალზე მძიმე პირობებში აყენებდა.

საფრანგეთის სასარგებლოდ მრავალი ტერიტორიული დათმობების გარდა (იგივე ვარშავის დიდი საჰერცოგოსთვის), ავსტრიამ ვალდებულება აიღო სამხედრო ხარჯების საკომპენსაციოდ რუსეთისთვის 400 000 სული მოსახლისგან შემდგარი ტერიტორია გადაეცა.

1810 წლის 9 მარტის ლვოვის ხელშეკრულებით, **ავსტრიამ რუსეთს ტერნოპოლი და რამდენიმე მოსაზღვრე ოლქი დაუთმო,** რომელიც მისი გალიციის სამეფოსგან იქნა გამოყოფილი.

1811 წელს 1721 და 1743 წლებში რუსეთის მიერ ანექსირებული კარელიისა და ფინეთის ნაწილები (ვიბორგის გუბერნია) ფინეთის დიდ საჰერცოგოსთან გაერთიანდა.

რაც შეეხება დუნაის სამთავროებს, იქ თურქეთმა საფრანგეთის ინიციატივით, 1806 წელს მოლდოვასა და ვლახეთის გოსპოდარები გადააყენა, რომლებიც ზედმეტად რუსოფილებად იყვნენ მიჩნეულნი. ამ ფაქტს რუსეთმა 1806 წელს ომით უპასუხა და დუნაის სამთავროები დაიპყრო. ნაპოლეონმა ტილზიტში, შემდეგ კი ერფურტში, რუსეთის იმპერატორს ნეიტრალიტეტი აღუთქვა ბალკანეთის საქმეებში. მაგრამ 1811 წელს საფრანგეთის პოლიტიკის შეცვლით შეშფოთებულმა ალექსანდრემ თურქეთთან კონფლიქტის დასრულება გადანყვიტა. საბოლოოდ, 1812 წლის 28 მაისს ბუქარესტში ხელი მოენერა სამშვიდობო ხელშეკრულებას.

რუსეთმა დუნაის სამთავროები დატოვა და დახმარებაზე უარი უთხრა სერბეთის მთავარს ყარაგიორგის. ამის საპასუხოდ, **თურქეთმა რუსეთს მთელი ბესარაბია დაუთმო** (რეგიონი პრუტსა და დნესტრს შორის), კერძოდ:

– **ბუჯაკი,** რომელიც ოსმალეთის იმპერიის პირდაპირ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა;

– მოლდოვას ბესარაბიის ნაწილი, რომელსაც პორტა როგორც მოლდოვას სუვერენი განაგებდა. ამ ტერიტორიისთვის რუსეთმა თურქეთს კომპენსაცია გადაუხადა.

ბესარაბია, ადმინისტრაციული ცენტრით კიშინიოვში, რუსეთის ახალი პროვინცია (გუბერნია) გახდა.

1811 წელს ევროპის მიმართ ნაპოლეონის ამბიციებით შეშფოთებულმა იმპერატორმა ალექსანდრემ საფრანგეთთან ალიანსი განწყვიტა. 1812 წელს ნაპოლეონმა რუსეთის კამპანია დაიწყო. მიუხედავად მოსკოვამდე მიღწევისა, ეს სამხედრო ოკუპაცია ადამიანთა მძიმე დანაკარგის ფასად განხორციელდა.

საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, ზოგიერთმა ქვეყანამ საფრანგეთთან ალიანსი უარყო და რუსეთისკენ შემოტრიალდა. 1813 წლის 28 თებერვალს რუსეთ-პრუსიის ხელშეკრულებით, პრუსია ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდა. გადაწყდა, რომ გამარჯვების შემდეგ, რუსეთი წინათ პრუსიის კუთვნილ პოლონეთის უდიდეს ნაწილს მიიღებდა, რის სანაცვლოდაც პრუსიას კომპენსაცია გადაეცემოდა.

რუსეთსა და პრუსიას შორის ხელმოწერილი 1815 წლის 3 მაისის ხელშეკრულებით, რომელიც ვენის კონგრესის საბოლოო აქტით იქნა დამტკიცებული, **ვარშავის დიდი საჰერცოგო პრუსიასა და რუსეთს შორის გადანაწილდა:**

– რუსეთმა ახალი სილეზია, სამხრეთი პრუსიის უდიდესი ნაწილი (კრაკოვის გარშემო მდებარე მცირე ტერიტორიის გარდა) **და ახალი აღმოსავლეთი პრუსია მიიღო.**

რუსეთის მიერ მიღებული დიდი საჰერცოგოს ნაწილი **პოლონეთის სამეფო გახდა** (რომელსაც ჯერ ისევ "კონგრესის" პოლონეთს უწოდებდნენ), რომლის მეფის ტიტული ალექსანდრე I-მა მიიღო. ეს სამეფო დიდი ავტონომიით სარგებლობდა: მეფისნაცვალი (მეფის ძმა, კონსტანტინე), სეიმი, პოლონური ენის ოფიციალური გამოყენება.

ტერიტორიული თვალსაზრისით, პოლონეთის სამეფო (დედაქალაქი ვარშავა) რვა სავოევოდად იყო დაყოფილი: კრაკოვი (ადმინისტრაციული ცენტრი კელცე), კალიში, სანდომეჟი, ლიუბლინი, პოდლახია (ადმინისტრაციული ცენტრი სედლცე), მაზოვია (ადმინისტრაციული ცენტრი ვარშავა), პლოცკი, ავგუსტოვი.

ამავე დროს, ვენის ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით (იმავე დღის), **რუსეთმა ავსტრიას დაუბრუნა 1810 წელს რუსეთისთვის გადაცემული ყოფილი გალიციის რამდენიმე ოლქი და ტერნოპოლის ოლქი.**

IV. 1815 წლიდან საიმპერატორო რეჟიმის დამხობამდე (1917წ.)

1. რუსეთი 1815 წელს

რუსეთი გაძლიერებული გამოვიდა იმ ბობოქარი პერიოდიდან, რომელიც 1815 წელს დასრულდა. მან სრულყოფილად მიიღო მონაწილეობა ევროპის სამხედრო, პოლიტიკურ და დიპლომატიურ საკითხებში და ახალი საღვთო კავშირის წევრი გახდა, რომელიც ევროპის სუვერენთა მიერ ახალი შესაძლებელი არეულობების თავიდან აცილების მიზნით შეიქმნა. ამ დროიდან, რუსეთმა იმ რანგს მიაღწია, რომელიც შემდგომში აღარ შეუცვლია.

ტერიტორიული თვალსაზრისით, განვლილმა პერიოდმა რუსეთს ფინეთის, პოლონეთის ნაწილის, ლიტვის, ბესარაბიისა და შავი ზღვის ტერიტორიების დაუფლების შესაძლებლობა მისცა. დასავლეთით პრუსიასთან და ავსტრიასთან პირდაპირი კონტაქტით შეზღუდულმა რუსეთმა, თავისი ევროპული ამბიციები სამხრეთ-დასავლეთზე, ოსმალთა იმპერიაზე გადაიტანა, რომელიც თანდათან "ევროპის ავადმყოფად" იქცა. პორტას მიერ დაპყრობილი მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი იყო და ზოგიერთი სლავური ერი რუსეთს განმანთავისუფლებელი მისიის მატარებლად მიიჩნევდა, რომელსაც ძლიერი სახელმწიფოს როლი შეეძლო ეკისრა. თუმცა მისი ამბიციები სხვა ძლიერი ქვეყების ინტერესებს ეჯახებოდა, პირველ რიგში კი ავსტრიისას.

1815 წელს რუსეთი ადმინისტრაციულად ამგვარად იყო დანაწევრებული:

ა) საკუთრივ რუსეთის იმპერია, დედაქალაქი სანკტ-პეტერბურგი, 52 ევროპულ გუბერნიად იყო დაყოფილი (აზიური გუბერნიების მხედველობაში მიუღებლად):

ესტონეთი (ტალინი), ლივონია (რიგა), კურლანდია (ლელგავა), ინგრია (სანკტ-პეტერბურგი), კოვნო, ვილნო, გროდნო, ვიტებსკი, მოგილიოვი, ფსკოვი, ჩერნიგოვი, მინსკი, ვოლინია (ჟიტომირი), პოდოლია (კამენეცი), კიევი, პოლტავა, ეკატერინოსლავლი, დონის კაზაკთა მხარე (ჩერკასკი), ხარკოვი, კურსკი, ვორონეჟი, ორიოლი, ტულა, კალუგა, სმოლენსკი, ტვერი, ნოვგოროდი, ოლენეცი (პეტროზავოდსკი), არხანგელსკი, ვოლოგდა, იაროსლავლი, კოსტრომა, ვლადიმირი, მოსკოვი, ნიჟნი-ნოვგოროდი, რიაზანი, ტამბოვი, პენზა, სარატოვი, სიმბირსკი, ყაზანი, ვიატკა, პერმი, უფა, ორენბურგი, სამარა, ასტრახანი, სტავროპოლი.

ბ) ფინეთის დიდი საპერცოგო, დედაქალაქი ჰელსინგროფი (ჰელსინკი), 7 გუბერნიად იყო დაყოფილი: აბო (იგივე ტურკუ), ბორგო, ვასა, ვიბორგი, კუოპიო, ნილანდი, ოულუ.

გ) პოლონეთის სამეფო, დედაქალაქი ვარშავა, 8 გუბერნიად იყო დაყოფილი:

აუგუსტოვი, კალიში (კელცე), კრაკოვი, ქალაქის გარეშე, ლიუბლინი, მაზოვია (ვარშავა), პლოცკი, პოდლახია (სედლცე), სანდომეჟი.

2. 1815 წლიდან პარიზის კონგრესამდე (1856ნ.)

1821 წელს დუნაის სამთავროებში ორი ამბოხება მოხდა (მოლდოვა და ვლახეთი). რუსეთის მხარდაჭერის უქონლობის გამო, თურქეთმა ორივე აჯანყება სამ თვეში ჩახშო.

ისარგებლა რა თურქეთის სიძნელეებით საბერძნეთში, 1826 წლის ოქტომბერში რუსეთმა თურქეთი აიძულა ბელგოროდის შეთანხმებისათვის მოწერა ხელი. ამ შეთანხმების თანახმად:

– თურქეთმა დუნაის სამთავროები დატოვა;

– დუნაის სამთავროების გოსპოდარები, რომლებიც ხელახლა იქნენ არჩეულნი ბოიართა მიერ რუსეთისა და თურქეთის ორმაგი დაქვემდებარების ქვეშ მოექცნენ. ეს სამთავროები დე ფაქტო რუსულ-თურქულ კონდომინიუმს დაემორჩილნენ;

– თურქეთმა რუსეთს სერბეთის ახალი სამთავროს საქმეების გაკონტროლების უფლება მისცა.

1825 წლის დეკემბერში ალექსანდრე I მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი ტახტზე მისმა ძმამ, აბსოლუტიზმის იდეების მიმდევარმა ნიკოლოზ I-მა შეცვალა. მან მაშინვე ჩაახშო დეკაბრისტების აჯანყება, ოფიცერთა ჯგუფისა, რომელთაც რუსეთში კონსტიტუციური რეჟიმის დამყარება და სამეფო ტახტზე ალექსანდრე I-ის ძმის, კონსტანტინეს ასვლა სურდათ.

საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი საბერძნეთის დასახმარებლად გაეშურნენ, რომელიც მეჰმედ-ალის ბატონობის პირისპირ აღმოჩნდა. ნავარენის საზღვაო ბრძოლას ამ ქვეყნების თურქეთთან კავშირის განყვეტა მოჰყვა. 1829 წელს ედირნეს დაპყრობის შემდეგ, რუსეთმა თურქეთი აიძულა 1829 წლის 14 სექტემბერს ხელი მოეწერა ანდრიანოპოლის ხელშეკრულებისთვის, რომლის თანახმად, თურქეთმა:

– **რუსეთს დუნაის შესართავი დაუთმო.** ხსენებული დროიდან, ორ ქვეყანას შორის საზღვარი დუნაის შესართავის სამხრეთ შტომდე (წმინდა-გიორგი) იქნა გადატანილი;

– თანხმობა განაცხადა გოსპოდარების მუდმივი ვადით არჩევაზე და იურიდიულად თურქული სამთავროების **რუსეთის მფარველობის** ქვეშ მოქცევაზე;

– აღიარა საბერძნეთის სამთავროსა და სერბეთის ავტონომიები.

1831 წლის 24 მარტს ფინეთის სამთავროს ტერიტორია რვა გუბერნიად იქნა რეორგანიზებული, და თითოეულ გუბერნიას ადმინისტრაციული ცენტრის სახელწოდება მიეცა: ოულუ, ვასა, ტურკუ, ნილანდი ან ჰელსინკი, ვიბორგი, კუოპიო, წმინდა-მიხეილი, ტავასტეჰუსი.

1831 წელს პოლონელები რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდნენ. აჯანყება იმავე წლის სექტემბერში იქნა ჩახშობილი, რის შემდეგადაც პოლონელებმა თავისი ავტონომია დაკარგეს. 1836 წელს პოლონეთის სამეფოს რვა საავოევოდო რუსულ გუბერნიებად გადაკეთდა და საერთო სამართალს დაექვემდებარა.

1844 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულებით, პოლონეთის სამეფოს გუბერნიები რვიდან ხუთამდე შემცირდა: ვარშავა, რადომი, ლიუბლინი, პლოცკი, აუგუსტოვი.

რუსეთ-საფრანგეთის უთანხმოება წმინდა ადგილების მფარველობის საკითხთან დაკავშირებით ვერ იქნა მოგვარებული მოლაპარაკებებით, 1853 წლის ივნისში რუსეთმა მოლდოვა დაიპყრო. პორტამ რუსეთს ომი გამოუცხადა და სულ მალე სულთანს საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი შეუერთდა (1854 წლის მარტი). სამხედრო ოპერაციები ყირიმში გაიმართა, საიდანაც რუსეთი დამარცხებული გამოვიდა. ყირიმის ომი 1856 წლის 30 მარტის ხელშეკრულებით დასრულდა.

აღნიშნული ხელშეკრულებით დასრულდა რუსეთის პროტექტორატი დუნაის სამთავროებზე, რომლებიც ისევ პორტას მოხარკეებად იქცნენ. რუსეთი იძულებული გახდა შემდეგი ტერიტორიები დაეთმო;

– თურქეთისთვის დუნაის შესართავი;

– მოლდოვას სამთავროს სამხრეთ ბესარაბიის ნაწილი (ფართო ზოლი პრუტის დინების გაყოლებით და დუნაის კილიას შენაკადამდე).

3. 1856 წლიდან ცარიზმის დამხობამდე (1917წ.)

ახალმა იმპერატორმა, ალექსანდრე II-მ, რომელმაც ტახტზე გარდაცვლილი მამა შეცვალა, გაბედული რეფორმების პოლიტიკის გატარება დაიწყო (ყირიმის ომის დასრულებისთანავე), რამაც მას სახელი გაუთქვა, როგორც "განმანთავისუფლებელ" მეფეს: 1861 წელს მთელ ქვეყანაში ბატონყმობის გაუქმება, ძირეული აგრარული რეფორმა, ადმინისტრაციული რეფორმები, ეკონომიკის აღმავლობისთვის დახმარების გაწევა (ბანკების, მრეწველობის, რკინიგზის და სხვ. განვითარება).

1859-1864 წლებში ალექსანდრე II-მ დაასრულა ალექსანდრე I-სა და ნიკოლოზ II-ის მიერ დაწყებული ექსპანსია კავკასიის ქედის ორივე მხარეს და საბოლოოდ დაამარცხა კავკასიის დაუმორჩილებელი ტომები: კავკასიის კაზაკთა მხარე და ჩერქეზეთის დარჩენილი ნაწილი. ამ დროიდან, რუსეთი მთლიანად განაგებდა კავკასიის ევროპულ ტერიტორიას, ისევე როგორც ამ ქედის პირიქითა მხარეს მდებარე აზიურ ტერიტორიებს.

ჩერქეზეთის დარჩენილი ნაწილის შემოერთებამ გაზარდა ყუბანის პროვინცია, შეიქმნა ორი გუბერნია, რომელიც აღმოსავლეთ ჩერქეზეთს მოიცავდა: თერგის (ვლადიკავკაზი) და დაღესტნის (დერბენტი, შემდგომში ემირ ხან–შურა). ამგვარად, რუსეთის ევროპული ნაწილის გუბერნიათა რაოდენობამ 54-ს მიაღწია, პოლონეთისა და ფინეთის გუბერნიების ჩაუთვლელად.

1863 წელს პოლონელები კვლავ აჯანყდნენ რუსეთის ხელისუფალთა წინააღმდეგ, მაგრამ აჯანყება ისევ იქნა ჩახშობილი. რეპრესიების სახით, რუსეთში შემავალი პოლონეთის ტერიტორიის ადმინისტრაცია მთლიანად იქნა რუსიფიცირებული. პოლონეთის რუსულ გუბერნიათა რაოდენობა ათამდე გაიზარდა: ვარშავა, კალიში, კელცე, ლიუბლინი, ლომჟა, პეტროკოვი, პლოცკი, რადომი, სედლცე, სუვალკი.

1875 წელს რუსეთის შიგნით ოფიციალურად გაქრა პოლონეთის სახელწოდება, და პოლონეთის ყოფილ სამეფოს "ვისლის რეგიონად" მოიხსენიებდნენ.

1876 წლის აპრილში თურქებმა სასტიკად ჩაახშეს ბულგარელთა აჯანყება, რასაც რუსეთსა და თურქეთს შორის (1877 წლის აპრილი) ომის დაწყება მოჰყვა. რუმინეთი ომში რუსეთის მხარეს ჩაება თურქეთისგან თავისი დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით.

პლევნაში დამარცხებულმა თურქეთმა (1878 წლის იანვარი), 3 მარტს სანსტეფანოს ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ამ ხელშეკრულების თანახმად, სხვა

მუხლებს შორის, და თურქეთისთვის ჩამორთმეული ტერიტორიების გარდა, **რუმინეთმა რუსეთს 1856 წელს მიღებული სამხრეთი ბესარაბია დაუბრუნა.**

ამგვარად, რუსეთის ტერიტორიამ იმ კონფიგურაციას მიაღწია, რომელსაც ის პირველი მსოფლიო ომით გამონვეულ გადატრიალებებამდე ინარჩუნებდა.

ევროპულ რუსეთში 64 გუბერნია შედიოდა (რუსეთის პოლონეთის ჩათვლით, რომელიც უკვე ინტეგრირებული იყო, მაგრამ ფინეთის გარეშე). მისი ფართობი 5 270 000კმ²-ს აღწევდა, რომელსაც ფინეთის 380 000კმ² ემატებოდა, მთლიანად ევროპული ნაწილის ფართობი კი 5 650 000კმ²-ს აღწევდა, სადაც მთლიანობაში 90 მილიონი კაცი ცხოვრობდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის ეკონომიკამ სწრაფი ტემპებით დაიწყო განვითარება, რაც სხვა ევროპულ სახელმწიფოთა დაწვევის მცდელობა იყო მრავალსაუკუნოვანი ჩამორჩენილობიდან თავის დასაღწევად. სწორედ ამ საუკუნის მიწურულს რუსეთის იმპერიამ ლიბერალური პოლიტიკის მიმართ ტრადიციულად მტრული პოზიციის გადალახვით, შეძლო ევროპის ქვეყნებთან დაახლოება (ალიანსი საფრანგეთთან, საზღვაო შეთანხმება დიდ ბრიტანეთთან) მათი კაპიტალის ქვეყანაში მოსაზიდად. თუმცა იმპერატორ ალექსანდრე I I-ის მიერ წამოწყებული პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ლიბერალიზაცია ამ ქვეყნის ტრადიციულ ხელისუფალთა წინააღმდეგობას შეეჯახა: ეკლესია, მფლობელთა კლასი.

ქვეყანაში სხვადასხვა სადავო მიმართულების მოძრაობა გაჩნდა, ზოგიერთი მათგანი მხოლოდ პოლიტიკური ასპექტით იფარგლებოდა (კონსტიტუციონალისტთა მოძრაობები), სხვები კი ტერორისტული აქტებით რევოლუციისაკენ მოუნოდებდნენ. 1881 წელს იმპერატორი მოკლული იქნა. მისი მემკვიდრე ალექსანდრე I I I ბევრად რეპრესიული პოლიტიკის გატარებას შეუდგა, როგორც რუსეთის მეამბოხეთა, ისე იმპერიის პერიფერიაში არსებულ ნაციონალ-სეპარატისტულ მოძრაობათა მიმართ (რუსიფიკაციის პოლიტიკა).

თუკი რუსეთი აქტიურობას იჩენდა საგარეო პოლიტიკაში, უჭერდა რა მხარს სლავების სახელმწიფოთა ჩამოყალიბებას, რომლებიც თანდათან პორტასგან დამოუკიდებელნი ხდებოდნენ, ის მძიმედ ეგუებოდა მცირე დიპლომატიურ წარუმატებლობასაც კი ავსტრია-უნგრეთის ამბიციებთან დაკავშირებით.

1878 წელს რუსეთი იძულებული გახდა შეემცირებინა თავისი ამბიციები ბერლინის კონგრესზე და მცირე ბულგარეთის შექმნით დაკმაყოფილებულიყო (მისი პროტეჟე). ის ასევე შეეგუა ბოსნია-ჰერცოგოვინაში ავსტრია-უნგრეთის ექსპანსიონიზმს. ამასთანავე, რუსეთის სხვა ორმა პროტეჟემ, სერბეთმა და ჩერნოგორიამ (ამ კონგრესსზე) მოახერხეს ოსმალთა მეურვეობისგან განთავისუფლება.

რუსეთ-იაპონიის ომი (1904-1905წწ.), რომელიც ამ ორი ქვეყნის ანტაგონისტური ამბიციების შეჯახებამ გამოიწვია უკიდურესი აღმოსავლეთის საკითხთან დაკავშირებით, გამანადგურებელი აღმოჩნდა რუსეთისთვის. ამ დამარცხებით რუსეთმა ევროპაში დაკარგა სამხედრო სფეროში ძლიერი სახელმწიფოს პრესტიჟი. რაც შეეხება ნიკოლოზ I I-ის საიმპერიო რეჟიმს, ის ამ ომიდან განადგურებული გამოვიდა ქვეყანაში მუდმივი ტერორისტული აქტების პირისპირ. 1905 წლის პირველი რევოლუცია ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო.

1908 წელს რუსეთისთვის მეტად არასასიამოვნო ფაქტი მოხდა, როდესაც ავსტრია-უნგრეთმა ბოსნია-ჰერცეგოვინის ანექსია განახორციელა. აღნიშნული უსიამოვნება მეტ-ნაკლებად კომპენსირებული იქნა ოსმალთა სიუზერენობისგან ბულგარეთის თავის დაღნევით.

სწორედ ამგვარ არახელსაყრელ პირობებში ალიანსების სისტემის შესაბამისად (სამთა ანტანტა), რომლის ნევრიც რუსეთი იყო, 1914 წელს ის გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ ომში ჩაება. დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის იმპერიაში შემავალი ეროვნული უმცირესობები მორჩილად იბრძოდნენ რუსულ ჯარში. სამხედრო წარუმატებლობებსა და ომით გამონვეულ გაუსაძლის პირობებს

1917 წელს რუსეთში ორი რევოლუცია მოპყვა, რომლებმაც ეს ქვეყანა დიდი ხნით გამოიყვანა მნყობრიდან.

V. 1917 წლიდან საბჭოთა კავშირში შესვლამდე (1922წ.)

1. 1917 წლიდან ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო ხელშეკრულებამდე (1918წ.)

1917 წლის მარტში რუსეთის პირველმა რევოლუციამ იფეთქა, რომელმაც ცოტა ხანში მეფეს ტახტიდან გადადგომა აიძულა, ოფიციალურად მისი ძმის მიხეილის სასარგებლოდ. მაისის თვიდან, ქვეყნის მართვის სადავეები სოციალისტი კერენსკის ხელში გადავიდა. მან ომის გაგრძელება თავის დასავლეთელ მოკავშირეებთან ერთად გადაწყვიტა, მაგრამ საბჭოების ყრილობის პირისპირ აღმოჩნდა, რომელიც გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან დაუყოვნებლივი მშვიდობის დამყარების მომხრე იყო.

სექტემბრის თვეში **რუსეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.**

1917 წლის ნოემბერში ბოლშევიკებმა (კომუნისტი რევოლუციონერები) ლენინის მეთაურობით, რევოლუცია დაიწყეს. ისინი ხელისუფლებას დაეუფლნენ, რის შემდეგაც დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ: არმიის დაშლა, კონტრრევოლუციური მოძრაობები, შიმშილი, სიღატაკე, გაფიცვები.

პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური სირთულეების პირისპირ, იმპერიაში შემავალმა ეროვნულმა უმცირესობებმა ხმა აიმაღლეს და ცდილობდნენ ქვეყნის დეზორგანიზაცია საკუთარი დამოუკიდებლობის მისაღწევად გამოეყენებინათ.

1917 წლის 20 ნოემბერს კიევში შეკრებილმა რადამ, რუსეთისგან ავტონომიური და საკუთარი მთავრობის მქონე **უკრაინის ნაციონალური რესპუბლიკა შექმნა.**

25 დეკემბერს რუსეთის რევოლუციური მთავრობის მხარდაჭერით, უკრაინის ბოლშევიკებმა ხარკოვში **უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკა** გამოაცხადეს.

1918 წლის 22 იანვარს კიევის ნაციონალისტურმა მთავრობამ **უკრაინის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა** გამოაცხადა.

ბესარაბიის რუმინელებმა მოლდოვას ნაციონალ-დემოკრატიული პარტია დააფუძნეს, რომელმაც 1917 წლის 2 დეკემბერს რუსეთის ფარგლებში **მოლდოვას დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამოაყალიბა.**

ამავე დროს, რუსეთში რევოლუციური მოვლენები გრძელდებოდა. ისარგებლა რა რუსეთში განვითარებული მოვლენებით, 1918 წლის 27 მარტს მოლდოვას კრებამ **მოლდოვას** (ბესარაბია) **დამოუკიდებლობა** გამოაცხადა. მან რუმინეთის ჯარებს დახმარება სთხოვა კომუნისტებისგან თავდაცვის მიზნით.

1918 წლის 9 აპრილს იმავე კრებამ **ბესარაბიის რუმინეთთან** გაერთიანება გამოაცხადა, რომელიც რუსეთმა არ აღიარა.

1917 წლის 6 დეკემბერს ფინეთის კონსერვატიულმა მთავრობამ **ფინეთის დამოუკიდებლობა** გამოაცხადა, რომლის სტატუსი ჯერ ისევ დასადგენი რჩებოდა.

თავდაპირველად, 1918 წლის 2 იანვარს ლენინის მთავრობამ **ცნო ფინეთის დამოუკიდებლობა,** მაგრამ ფინეთი მეზობელი რუსეთის მიერ ინსპირირებული ბოლშევიკური რევოლუციის პირისპირ აღმოჩნდა, რომელმაც ჰელსინკი მოიცვა. ვასაში გახიზნულმა ფინეთის მთავრობამ გერმანიის ჯარს მოუხმო აჯანყების ჩასახშობად (1918 წლის მარტი-აპრილი).

1917 წლის 26 დეკემბერს ყირიმმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. შემდგომში, ის რუსეთმა საბოლოოდ შეინარჩუნა.

1917 წლის სექტემბერში ლიტვის კონგრესმა ლიტვის სამეფოს შექმნა გამოაცხადა, ხოლო 1918 წლის 16 თებერვალს **ლიტვის დამოუკიდებლობა გამოცხადდა.**

აღმოჩნდა რა ომის დასრულების აუცილებლობის წინაშე, რუსეთში შექმნილი აურაცხელი პრობლემების მოსაგვარებლად, ლენინის მთავრობამ 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო ხელშეკრულებას მოანერა ხელი.

ამ ხელშეკრულების თანახმად, **რუსეთმა ევროპაში უარი თქვა უკრაინაზე, "კონგრესის" პოლონეთზე, ლიტვაზე, კურლანდიაზე, ლივონიაზე, ესტონეთსა და ფინეთზე.**

ამავე დროს, **ყირიმი** უკრაინას გამოეყო და **რუსეთის რესპუბლიკასთან იქნა მიერთებული.**

მხოლოდ ერთი ხელშეკრულებით, რომელიც უდავოდ დრამატულ პირობებში იქნა ხელმონერილი, რუსეთმა დაკარგა ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თავისი ექსპანსიონისტური პოლიტიკით მოპოვებული ერცელი ტერიტორიები დასავლეთისა და სამხრეთის საზღვრებთან.

2. 1918 წლიდან საბჭოთა კავშირში შესვლამდე (1922წ.)

1918 წლის 12 მარტს რუსეთის დედაქალაქი პეტროგრადიდან (სანკტ-პეტერბურგი) მოსკოვში იქნა გადატანილი.

1918 წლის 25 მარტს მინსკში განლაგებულმა ბელორუსის ეროვნულმა კრებამ **ბელორუსის დამოუკიდებლობა გამოაცხადა,** მაგრამ ეს გადაწყვეტილება დროებით უშედეგო აღმოჩნდა.

ქვეყნის დაშლის პირისპირ და მომავალი პრობლემების თავიდან არიდების მიზნით, ბოლშევიკური მთავრობა იძულებული გახდა, მართალია მხოლოდ გარეგნულად, კეთილგანწყობა გამოეჩინა მის ქვეყანაში მცხოვრებ მთელ რიგ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ, რომელთაც ავტონომიის მიღება სურდათ. 1918 წლის 10 ივლისს მიღებული კონსტიტუციის თანახმად, რუსეთი ფედერაციული რესპუბლიკა, **რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა გახდა.** რუსეთის ცარიზმის მაცენტრალიზებელი პოლიტიკის საპირისპიროდ, კონსტიტუცია (თეორიულად) ავტონომიას აძლევდა მის მსურველ ეროვნულ უმცირესობებს.

თუმცა რუსეთში სეპარატისტული მოძრაობები გრძელდებოდა, მაშინ როდესაც საბჭოთა რუსეთის მთავრობამ შეტევა დაიწყო დაკარგული პროვინციების დასაბრუნებლად.

1919 წლის 1 იანვარს **ბელორუსის საბჭოთა რესპუბლიკა** იქნა გამოცხადებული, რომელიც რუსეთს გამოეყო და თავის ტერიტორიაზე ბელორუსთა გაერთიანება სურდა.

1919 წლის 14 მარტს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ჩარკოვში კვლავ **უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის** შექმნა გამოაცხადა, რომელსაც უკრაინელი კომუნისტი, რაკოვსკი ჩაუდგა სათავეში. ამ რესპუბლიკას კიევის ეროვნული მთავრობა დაუპირისპირდა, რომელიც უკრაინის ტერიტორიის დაბრუნებას რუსი თეთრგვარდიელების ან უკრაინელი ნაციონალისტების მეშვეობით აპირებდა.

ლენინის მთავრობას კონტრრევოლუციონერთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლა ხელისშემშლელი გარემოებების გარეშე სურდა ენარმოებინა. მან რუსეთის ყოფილი იმპერიის არარუსული პროვინციების დაბრუნებისთვის ბრძოლა შეანელა და მთელი ძალისხმევა რუსეთის მიერ ყოველთვის რუსულად მიჩნეულ პროვინციებისკენ (ბელორუსი, უკრაინა) მიმართა. ვერ მიაღწია რა მათ დაბრუნებას რუსეთის შემადგენლობაში, ბოლშევიკურმა მთავრობამ იქ საბჭოთა მთავრობების დასმა გადაწყვიტა.

ამის პარალელურად, ბოლშევიკური მთავრობა მეტ-ნაკლებად აღიარებულ ავტონომიას აძლევდა სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობებს, რუსეთში ავტონომიური რესპუბლიკების ან ზოგიერთი რეგიონისგან უბრალოდ ავტონომიური პროვინციების შექმნით.

1919 წლის 23 მაისს **უფის რეგიონი ბაშკირეთის ავტონომიური რესპუბლიკა გახდა** (დედაქალაქი უფა) რუსეთის შემადგენლობაში.

1920 წლის 20 იანვარს ჩრდილო კავკასიის რეგიონში **დაღესტნისა** (დედაქალაქი ბუი-ნაკი) და **მთის** (დედაქალაქი ვლადიკავკაზი) რესპუბლიკები შეიქმნა.

1920 წლის 2 თებერვალს ესტონეთსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა ტარტუს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად **რუსეთმა აღიარა ესტონეთის დამოუკიდებლობა** 1918 წლის საზღვრებში და მას რუსეთის აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარე ორი მცირე ტერიტორია დაუთმო: **ნარვის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ტერიტორია და იზბორსკის ოლქი.**

1920 წლის 27 მაისს ყაზანის რეგიონი **ყაზანის თათართა ავტონომიურ რესპუბლიკად** იქნა გამოცხადებული (დედაქალაქი ყაზანი), რუსეთის შემადგენლობაში.

1920 24 ივნისს ყაზანის მახლობლად ჩუვაშეთის ავტონომიური პროვინცია შეიქმნა, ადმინისტრაციული ცენტრი ჩებოქსარი.

1920 წლის 12 ივლისს რუსეთსა და ლიტვას შორის ხელი მოეწერა მოსკოვის ხელშეკრულებას, რომლის თანახმად **რუსეთმა აღიარა ლიტვის დამოუკიდებლობა** (ის ვილნიუსს მოიცავდა).

1920 წლის 11 აგვისტოს რუსეთსა და ლატვიას შორის ხელი მოეწერა რიგის ხელშეკრულებას, რომლის თანახმად **რუსეთმა აღიარა ლატვიის დამოუკიდებლობა და მას ლივონიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიული ზოლი დაუთმო.**

1920 წლის 26 აგვისტოს შეიქმნა **კაზაკთა ავტონომიური რესპუბლიკა**, რომლის უდიდესი ფართობი აზიურ ნანილში მდებარეობდა კასპიის ზღვისა და ჩინეთის სინკიანგის მისადგომებთან, მაგრამ ამ ტერიტორიის უკიდურესი დასავლეთი, მდინარე ურალის დასავლეთით, გეოგრაფიულად ევროპას მიეკუთვნებოდა.

ფინელები აღმოსავლეთ კარელიას (რუსეთის) მოითხოვდნენ. **რუსეთმა** მათ უარი უთხრა ამ ტერიტორიის დაბრუნებაზე, მაგრამ სანაცვლოდ, 1920 წლის 14 ოქტომბრის ტარტუს ხელშეკრულებით, **პეტსამოს ტერიტორია დაუთმო,** რამაც ფინეთს დიდ ჩრდილოეთში ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში მისცა გასასელელი.

1920 წლის 4 ნოემბერს სამი ავტონომიური ოლქი შეიქმნა: ჩერემისის (მარეთი), ადმინისტრაციული ცენტრი იოშქაროლა, ვოტიაკების (უდმურტეთი), ადმინისტრაციული ცენტრი იჟევსკი, ყაზანის რეგიონში ყალმუხეთის, ადმინისტრაციული ცენტრი ელისტა (კასპიის ზღვის სანაპიროზე).

რუსეთსა და პოლონეთს შორის არსებული ხანგრძლივი კონფლიქტის შემდეგ, 1921 წლის 18 მარტს რიგის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რომლის თანახმად, **პოლონეთმა ბელორუსის საზიანოდ, ამ უკანასკნელის დასავლეთი ნაწილის მესამედისა და უკრაინის საზიანოდ,** თითქმის მთელი ვოლინიის **ტერიტორიის ანექსია მოახდინა.**

1921 წლის 22 აგვისტოს შეიქმნა კომის ავტონომიური პროვინცია, ადმინისტრაციული ცენტრი უსტ-სისოლსკი (სიქტივკარი), ევროპული რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილში.

1921 წლის 1 სექტემბერს შეიქმნა ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური პროვინცია, ადმინისტრაციული ცენტრი ნალჩიკი, კავკასიონის მისადგომებთან.

თურქეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით, 1921 წლის 18 სექტემბერს რუსეთის რესპუბლიკამ ყირიმი **ყირიმის თათართა ავტონომიური რესპუბლიკის** რანგში აიყვანა, დედაქალაქი სიმფეროპოლი.

1922 წლის 27 ივნისს შეიქმნა ყარაჩაი-ჩერქეზეთის (1928 წლის 30 აპრილს მას სახელწოდება შეეცვალა და ჩერქეზეთი გახდა), ადმინისტრაციული ცენტრი ბატალპაშინსკი, კავკასიონის მისადგომებთან.

1922 წლის 27 ივლისს შეიქმნა ყუბანის ჩერქეზთა (იგივე ადიღეთი) ავტონომიური პროვინცია, ადმინისტრაციული ცენტრი მაიკოპი, ჩრდილოეთ კავკასიაში.

1922 წლის 30 ნოემბერს შეიქმნა ჩეჩნეთის ავტონომიური პროვინცია, ადმინისტრაციული ცენტრი გროზნო, კავკასიონის მისადგომებთან.

VI. 1922 წლიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე (1991წ.)

1. სსრკ მისი შექმნიდან (1922წ.)

1919 წლიდან ბელორუსი და უკრაინა საბჭოთა მთავრობების მიერ იმართებოდა, მოსკოვის მსგავსად. 1922 წლის მარტიდან კავკასიის პირიქითა რეგიონები (რომელიც ჩვენი მიმიხილვის მიღმა დგას), საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკაში გაერთიანდნენ.

1922 წელს კონტრრევოლუციურ ძალებზე საბოლოო გამარჯვებითა და სხვადასხვა ერების სეპარატისტული მცდელობების აღმოფხვრით (ფინეთისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა გარდა), ლენინის მთავრობა ქვეყნის ხელახალ გაერთიანებას შეუდგა.

იქიდან გამომდინარე, რომ ხალხთა პოლიტიკური ნების გამოხატვა რევოლუციური პროგრამის ნაწილს წარმოადგენდა და საჭირო იყო ბელორუსული და უკრაინული პარტიკულარიზმის შეხამება, ქვეყნის გაერთიანება ფედერალური ფორმით იქნა გადაწყვეტილი. მოსკოვი ცდილობდა პოლიტიკური რეჟიმის იდენტურობით ესარგებლა (საბჭოთა კომუნიზმი), რათა დე ფაქტო მმართველობის ერთიანი ფორმა შემოეღო.

1922 წლის 30 დეკემბერს "საკავშირო ხელშეკრულებით" რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკამ ბელორუსის, უკრაინისა და სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებთან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ) ჩამოაყალიბა, რომელსაც სხვაგვარად საბჭოთა კავშირსაც უწოდებდნენ.

აღნიშნული კავშირი საერთო სფეროებს მოიცავდა (თავდაცვა, საგარეო საქმეები, ტრანსპორტი და სხვ.) და აგრეთვე საერთო ინსტიტუტებით იყო აღჭურვილი: კავშირის საბჭო, ეროვნებათა საბჭო, პრეზიდიუმი. ოფიციალური ინსტიტუტების პარალელურად, სსრკ-ის ყველაზე მყარ საფუძველს კომუნისტური პარტია წარმოადგენდა.

ამგვარად, ყველა სფეროში დაკავებული დომინანტური ადგილით (მოსახლეობა, ფართობი, ეკონომიკა და სხვ.), კომუნისტური პარტიის წამყვანი როლით, ლენინის მთავრობით, მოსკოვის ფაქტორით, რომელიც ერთსა და იმავე დროს საბჭოთა კავშირისა და რუსეთის დედაქალაქი და ასევე ორივე პოლიტიკური ერთეულის რეზიდენცია იყო, რუსეთი ბევრად დომინირებდა საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა სახელმწიფოებზე. აქედან გამომდინარე, 1922 წლის დასაწყისიდან 1990-იან წლებამდე ბუნებრივი გახდა სსრკ-ს ძველ რუსეთთან გაიგივება, რასაც თავად რუსებიც მიმართავდნენ და რასაც შემდგომში ჩვენც გავაკეთებთ.

ტერიტორიული თვალსაზრისით, სსრკ-ს დასავლეთი საზღვარი (რომელიც ჩვენი განხილვის საგანია), კავშირის სამი ევროპული ქვეყნის ერთობლიობას წარმოადგენდა, კერძოდ კი ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე: რუსეთი, ბელორუსი, უკრაინა. აღნიშნული ტერიტორია 1914-1918 წლების კონფლიქტის შემდგომი მრავალი შოკისა და სხვადასხვა ხელშეკრულებათა შედეგი იყო.

ამავე დროს, ფინეთმა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა) დამოუკიდებლობა მიიღეს. აღდგენილმა პოლონეთმა ბელორუსის დასავლეთი ნაწილი, ვოლინია და აღმოსავლეთი გალიცია (დროებითი მდგომარეობა ამ უკანასკნელისთვის) მიიღო. ჩეხოსლოვაკიის ხელში კარპატისპირეთის უკრაინა გადავიდა, რუმინეთმა კი ბუკოვინა და ბესარაბია იგდო ხელთ (სამი უკანასკნელი რეგიონი ძირითადად უკრაინელებით იყო დასახლებული).

თავისი შექმნის დროს სსრკ-ს ფართობი 19 750 000კმ²-ს აღწევდა, საიდანაც 4 350 000კმ² ევროპულ ნაწილზე მოდიოდა. მისი მოსახლეობა ევროპულ ნაწილში დაახლოებით 100 მილიონ კაცს შეადგენდა.

თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაში შეიძლებოდა ავტონომიური რეგიონები შესულიყო, ავტონომიური რესპუბლიკის (ფართო ავტონომია) ან ავტონომიური ოლქის (შეზღუდული ავტონომია) ფორმით, სადაც დაცული იყო ზოგიერთი ეროვნული უმცირესობის პარტიკულარიზმი. სსრკ-ს შექმნის დროს მდგომარეობა ამგვარად გამოიყურებოდა:

– რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა: ხუთი ავტონომიური რესპუბლიკა ევროპაში (დაღესტანი, მთის, ბაშკირეთი, ყაზანის თათრების, ყირიმის თათრების), რომელსაც კაზაკთა მხარის მცირე ნაწილი ემატებოდა; ცხრა ავტონომიური ოლქი ევროპაში (კომი, ჩუვაშეთი, ვოტიაკების (უდმურტეთი), ჩერემისი (იგივე მარეთი), ყალმუხები, ჩეჩნეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩერქეზეთი, ყუბანის ჩერქეზები (იგივე ადიღები);

– ბელორუსის რესპუბლიკა;

– უკრაინის რესპუბლიკა.

ზემოაღნიშნული რესპუბლიკებისა და ავტონომიური რეგიონების გარდა, ევროპული ნაწილის რუსეთი 37 ოლქად იყო დაყოფილი: კარელია (პეტროზავოდსკი), არხანგელსკი, ვოლოგდა, ველიკი-უსტიუგი, პეტროგრადი (1914 წლიდან სანკტ-პეტერბურგის ახალი სახელწოდება, 1924 წლიდან ლენინგრადი), ფსკოვი, ტვერი, ჩერეპოვეცი, იაროსლავლი, მოსკოვი, სმოლენსკი, ვიტებსკი, მოგილიოვი, კალუგა, ტულა, ორიოლი, ბრიანსკი, რიაზანი, ტამბოვი, კურსკი, ვორონეჟი, ყუბანი (კრასნოდარი), სტავროპოლი, ასტრახანი, ნოვოჩერკასკი, ცარიცინი (1925 წელს სტალინგრადით შეიცვალა), სარატოვი, პენზა, სამარა, ორენბურგი, სიმბირსკი, ნიჟნი-ნოვგოროდი, ვლადიმირი, ივანოვო, კოსტრომა, ვიატკა.

2. 1923 წლიდან გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტამდე (1939წ.)

პირველი მსოფლიო ომის შედეგად ძირფესვიანად გაჩანაგებული ქვეყანა, რომელსაც შემდგომში სამოქალაქო ომი, რევოლუციით გამონვეული არეულობები, ეკონომიკური და სოციალური დეზორგანიზაცია, მოგვიანებით კი სტალინის (1924 წელს მან ლენინი შეცვალა) მიერ დანყებული პოლიტიკური წმენდა, ხოცვა-ჟლეტა და მოსახლეობის ნაწილის გადასახლება მოჰყვა, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. სწორედ ამგვარ პირობებში საბჭოთა კავშირს ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ პერიოდში ძნელად სამართავი ქვეყანა უნდა მოენესრიგებინა, როგორც თავისი ფართობით, ისევე კლიმატით, რასაც გარკვეული დროის განმავლობაში თან ერთვოდა დასავლეთის ქვეყნების შეურიგებელი პოზიცია.

თავისი შექმნის დღიდან 1939 წლამდე სსრკ-ს ევროპული საზღვრები არ შეცვლილა. სამაგიეროდ, ის ზრდიდა თავისი აზიური ნაწილის ტერიტორიას და განუწყვეტლივ ცვლიდა მისი ევროპული ნაწილის შემადგენლობას.

1923 წლის 25 ივლისს რუსეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში კარელიის ოლქი **კარელიის ავტონომიური რესპუბლიკის** რანგში იქნა აყვანილი, დედაქალაქი პეტროზავოდსკი.

1923 წლის 19 დეკემბერს რუსეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში ვოლგის გერმანელთა თემი (სარატოვის რეგიონი), რომელიც 1918 წლიდან ვოლგის ტერიტორიაზე განსაკუთრებულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა (1761 წელს ეკატერინე II-მ იქ გერმანული კოლონისტები დაასახლა), **ვოლგის ავტონომიური რესპუბლიკის** რანგში აიყვანეს, დედაქალაქი პოკროვსკი.

1924 წლის 7 ივლისს **მთის ავტონომიური რესპუბლიკა** ინგუშეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ორი ავტონომიური რეგიონით შეიცვალა.

1924 წლის 12 ოქტომბერს უკრაინის შემადგენლობაში, სსრკ-მ დნესტრის მარცხენა ნაპირზე **მოლდოვას ავტონომიური რესპუბლიკა შექმნა,** დედაქალაქი ბალტა.

1924 წლის 27 ოქტომბერს რუსეთის აზიურ ნაწილში **უზბეკეთი,** დედაქალაქი ტაშკენტი და **თურქმენეთი,** დედაქალაქი აშხაბადი, რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკას გამოეყნენ და სსრკ-ს მე-5 და მე-6 წევრი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები გახდნენ.

1924 და 1926 წლებს შორის **რუსეთმა ბელორუსს აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარე რამდენიმე ტერიტორია დაუთმო** პოლოცკის, ვიტებსკის, მოგილიოვისა და გომელის გარშემო. ამ დათმობამ რუსეთს ვიტებსკისა და მოგილიოვის ორი ოლქი დააკარგვინა.

1925 წლის 21 აპრილს ჩუვაშეთის ავტონომიური რეგიონი **ჩუვაშეთის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაიქმნა.**

1929 წლის 5 დეკემბერს აზიაში ტაჯიკეთი უზბეკეთს გამოეყო და **ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გახდა,** დედაქალაქი სტალინაბადი (ყოფილი დუშანბე), ანუ სსრკ-ს მე-7 ნევრი.

1930 წლის 10 იანვარს ევროპული ნაწილის რუსეთის შემადგენლობაში ყაზანის რეგიონში მორდვეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა, ადმინისტრაციული ცენტრი სარანსკი. 1934 წლის 20 დეკემბერს ის **მორდვეთის ავტონომიური რესპუბლიკის** რანგში იქნა აყვანილი.

1934 წლის 15 იანვარს რუსეთის ევროპული ნაწილის შემადგენლობაში ინგუშეთისა და ჩეჩნეთის ორი ავტონომიური ოლქი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ერთ ავტონომიურ ოლქში გაერთიანდა.

1934 წლის 28 დეკემბერს ევროპული ნაწილის რუსეთის შემადგენლობაში ვოტიაკების (უდმურტების) ავტონომიური ოლქი **უდმურტეთის ავტონომიურ რესპუბლიკად ჩამოყალიბდა.**

1935 წლის 22 ოქტომბერს რუსეთის ევროპული ნაწილის შემადგენლობაში ყალმუხეთის ავტონომიური ოლქი **ყალმუხეთის ავტონომიური რესპუბლიკის** რანგში იქნა აყვანილი.

1936 წლის 5 დეკემბერს კომის, ჩერემისის (მარეთის), ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ხუთი ავტონომიური ოლქი **კომის, მარეთის, ყაბარდოს, ჩრდილოეთ ოსეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკების** რანგში იქნა აყვანილი.

იმავე 1936 წლის 5 დეკემბერს აზიურ ნაწილში (ევროპულ ნაწილში ყაზახეთის მცირე ნაწილი მდებარეობდა), ყაზახეთისა და ყირგიზეთის ორი ავტონომიური რესპუბლიკა რუსეთს გამოეყო და სსრკ-ს შემადგენლობაში მე-8 და მე-9 ნევრად შევიდა როგორც ყაზახეთის, დედაქალაქი ალმა-ატა და ყირგიზეთის, დედაქალაქი ფრუნზე (ბიშკეკი) **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები.**

ასევე 1936 წლის 5 დეკემბერს აზიურ ნაწილში სამხრეთ კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სამ ახალ სოციალისტურ რესპუბლიკად დაიშალა: **საქართველო,** დედაქალაქი თბილისი, **სასომხეთი,** დედაქალაქი ერევანი, **აზერბაიჯანი,** დედაქალაქი ბაქო. ამ დროიდან სსრკ-ს შემადგენლობაში უკვე 11 რესპუბლიკა შედიოდა.

მეორე მსოფლიო ომამდე, 1939 წლის დასაწყისში სსრკ-ს ევროპული ნაწილის შემადგენლობა ამგვარად გამოიყურებოდა:

– რუსეთის რესპუბლიკა თხუთმეტ ავტონომიურ რესპუბლიკასთან (კარელია, კომი, ბაშკირეთი, ყაზანის თათრების, უდმურტეთი, მარეთი, ჩუვაშეთი, მორდვეთი, ვოლგის გერმანელების, ყირიმის თათრების, ყალმუხეთი, დაღესტანი, ყაბარდო, ჩრდილოეთ ოსეთი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი) და ორ ავტონომიურ ოლქთან ერთად ევროპულ ნაწილში (ჩერქეზეთი, ადიღე).

– ბელორუსის რესპუბლიკა;

– უკრაინის რესპუბლიკა, ავტონომიურ რესპუბლიკასთან ერთად (მოლდოვა);

– ყაზახეთის რესპუბლიკა.

3. 1939 წლიდან გერმანიასთან კავშირის გაწყვეტამდე (1941წ.)

სტალინის აზრით, ჰიტლერის გერმანიის საგარეო პოლიტიკა თავისი აგრესიული ხასიათით მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროით საფრთხეს უქმნიდა სსრკ-ს, რომელიც ჯერ არ იყო მზად მისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. თავდაცვის მიზნით, სტალინმა თავდაპირველად დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებთან (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) დაკავშირება გადაწყვიტა, მაგრამ ამ უკანასკნელთა მხრიდან დამთმობლობამ ცენტრალურ ევროპაში ჰიტლერის ქმედებების მიმართ, მას სტრატეგიის შეცვლა და გერმანიასთან კავშირის ძიება გადაანყვეტინა. მეორე მხრივ, გერმანიის მიერ ბოჰემია-მორავიის სრული ანექსიის შემდეგ (1939 წლის მარტი), სტალინი მიხვდა, რომ ჰიტლერი გაჩერებას არ

აპირებდა და რომ მომავალში საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი იძულებული გახდებოდნენ ომი დაეწყოთ გერმანიასთან, რომელშიც საბჭოთა კავშირიც უნდა ჩართულიყო ამ უკანასკნელებთან მოკავშირეობის შემთხვევაში. ჰიტლერი კეთილგანწყობით შეხვდა სსრკ-თან ალიანსს, რადგან აღნიშნული დროისათვის ის მას ორ ცეცხლშუა მოხვედრას ააცილებდა თავიდან.

1939 წლის 23 აგვისტოს მოსკოვში ხელმოწერილი თავდაუსხმელობის პაქტით, ორ ქვეყანას შორის ალიანსი გაფორმდა. ამ ხელშეკრულების საიდუმლო მუხლები პოლონეთის ორ ნაწილად გაყოფას ითვალისწინებდა, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი რუსეთს უნდა დაბრუნებოდა. მეორე მხრივ, გარანტირებული იყო გერმანიის ნეიტრალიტეტი ფინეთზე, ესტონეთზე, ლიტვაზე და ბესარაბიაზე (რუმინეთის) სსრკ-ს ბატონობის პირისპირ, ლატვია გერმანიის დაქვემდებარებაში უნდა გადასულიყო.

1939 წლის 1 სექტემბრიდან გერმანიის არმიის მიერ პოლონეთში დაწყებულ ომს პოლონეთის არმიის სწრაფი დამარცხება მოჰყვა. საბჭოთა კავშირმა სამხედრო ძალით ამ ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი დაიკავა. ამავე დროს, მოსკოვმა 28 სექტემბერს ესტონეთის სამხედრო ბაზები დაათმობინა ბატილსკში და დაგესა და ესლის კუნძულებზე.

საბოლოოდ, გერმანიის არმია პოლონეთში საიდუმლო შეთანხმებით გათვალისწინებულზე შორს წავიდა (მივიდა ბუგამდე, თავდაპირველად გათვალისწინებულ ნარევ-ვისლა-სანის ზოლის მაგიერ), რის სანცვლოდაც გადაწყდა ლატვიის სსრკ-ს გავლენის სფეროში მოქცევა. აღნიშნულის შედეგად, 1939 წლის 10 ოქტომბერს საბჭოთა კავშირმა გერმანიისგან შემდეგი ტერიტორიების დათმობას მიაღწია:

– ლატვიაში ვენტპილსისა და ლიეპაიას სამხედრო ბაზები;

– ლიტვაში სამხედრო ბაზები, რომლის სანაცვლოდ საბჭოთა კავშირმა ლიტვას **ვილნიუსის სავოევოდოს დასავლეთი ნაწილის მესამედი** დაუთმო, ქალაქთან ერთად (პოლონეთის თავისი ნაწილიდან).

1939 წლის 12 ოქტომბერს გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა პოლონეთი გაინაწილეს. აღნიშნულ ფარგლებში, საბჭოთა კავშირმა პოლონეთის აღმოსავლეთი ნაწილის მესამედის ანექსია მოახდინა, კერძოდ:

– ბელორუსს მიუერთა: **ბელისტოკის, ნოვოგრუდოკისა და პოლეზიის სავოევოდოები და ვილნიუსის სავოევოდოს აღმოსავლეთი ნაწილის მესამედი;**

– უკრაინას მიუერთა: **ვოლინიის, ტერნოპოლისა და სტანისლავოვის სავოევოდოები და ლვოვის სავოევოდოს აღმოსავლეთი ნახევარი** (სამი ჩამოთვლილი ტერიტორია ყოფილი აღმოსავლეთი გალიციის შემადგენლობაში შედიოდა).

სურდა რა ლენინგრადის (სანკტ-პეტერბურგი) შიდა ტერიტორიის გაფართოება, რომელიც ძალიან ახლოს იყო ფინეთის საზღვართან, საბჭოთა კავშირმა 1939 წლის 12 ოქტომბერს ამ უკანასკნელს კარელიის ყელთან 3 000კმ²-ის ტერიტორიის გადაცემა შესთავაზა (ფინეთის ყურესა და ლადოგის ტბას შორის), რომლის სანაცვლოდ ჩრდილოეთი კარელიის 30 000კმ²-ის ტერიტორიის გადაცემას დაპირდა. ფინეთმა უარი თქვა შემოთავაზებულ გარიგებაზე.

1939 წლის 30 ნოემბერს საბჭოთა ჯარებმა ფინეთი დაიპყრეს, რომელიც გმირული ომის შედეგად დამარცხდა ("ზამთრის ომი").

1940 წლის 12 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებით, **ფინეთი იძულებული გახდა საბჭოთა კავშირისთვის დაეთმო:**

– **სამხრეთი კარელია** (ბიორკო, ვიბორგი), რის შედეგად ფინეთი 1721 წლის საზღვარს დაუბრუნდა;

– **სალის ტერიტორია** ჩრდილოეთი კარელიის საზღვრის გასწვრივ (რამაც მურმანსკის რკინიგზას დააშორა);

– **პეტსამოს აღმოსავლეთით მდებარე პატარა ტერიტორია,** ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში;

– 99 წლიანი იჯარით ხანკოს ნახევარკუნძულის ფინეთის ყურეში შესასვლელი, იქ საზღვაო ბაზის შესაქმნელად.

1940 წლის 1 აპრილს აღნიშნული ტერიტორიები ვიბორგისა და კარელიის ყელის გარდა, კარელიის ავტონომიურ რესპუბლიკასთან იქნა მიერთებული, რომელიც სსრკ-ს წევრი, **კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა** გახდა (რუსეთისგან განცალკევებულად).

ისარგებლა რა საფრანგეთის დამარცხებით, რამაც რუმინეთს პოტენციური მხარდაჭერა დააკარგვინა, საბჭოთა კავშირმა 1940 წლის 26 ივნისს ამ უკანასკნელს ულტიმატუმი წამოუყენა, რომელსაც რუმინეთი 28 ივნისს დაემორჩილა და სსრკ-ს **ჩრდილოეთი ბუკოვინა** (ჩერნატუსა და სტოროჟინეცის რუმინული დეპარტამენტები) **და მთლიანი ბესარაბია** დაუთმო.

1940 წლის 1 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა:

– უკრაინას ჩრდილოეთი ბუკოვინა, ბესარაბიის უკიდურესი ჩრდილოეთი (ხოტინის რეგიონი) და ბუჯაკი (სამხრეთი ბესარაბიის მესამედი) გადასცა;

– უკრაინას ჩამოართვა ყოფილი მოლდოვას ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთი ნახევარი (დნესტრის გაყოლებით), ახლად დაპყრობილი ბესარაბიის ცენტრალური ორი მესამედისთვის ამ ტერიტორიის მისაერთებლად, რომლისგანაც ახალი მოლდოვას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უნდა შექმნილიყო, დედაქალაქი კიშინიოვი. ეს ტერიტორია უკრაინისგან იქნა გამოყოფილი და სსრკ-ს ნევრი გახდა;

– უკრაინას ავტონომიის მინიჭების გარეშე ყოფილი მოლდოვას ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნახევარი (ბალტის რეგიონი) მიუერთა.

ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში 1940 წლის 15 დან 17 ივნისამდე საბჭოთა ჯარებმა ესტონეთი, ლატვია და ლიტვა დაიპყრეს და იქ კომუნისტური რეჟიმების დამყარება მოინდომეს. 21 ივლისს (ესტონეთი), 3 აგვისტოს (ლატვია), 5 აგვისტოს (ლიტვა), თითოეული ქვეყნის კომუნისტურმა ყრილობამ ისინი საბჭოთა რესპუბლიკებად გამოაცხადა და სსრკ-ში მათი გაერთიანება მოითხოვა. 6 აგვისტოს მოსკოვმა აღნიშნული გაერთიანება დაამტკიცა: ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკა, რომელიც იქამდე დამოუკიდებელი იყო, სსრკ-ს ნევრ **ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკებად** გადაიქცა.

ამავე დროს, 1920 **წელს რუსეთისთვის ჩამორთმეული ტერიტორია ლიტვის ახალმა საბჭოთა რესპუბლიკამ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას დაუბრუნა.**

ამ დროიდან სსრკ-ს შემადგენლობაში რვა მოკავშირე რესპუბლიკა შედიოდა ევროპაში: რუსეთი, ბელორუსი, უკრაინა, კარელია-ფინეთი, მოლდოვა, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა; ჩამოთვლილ რესპუბლიკებს ყაზახეთის უკიდურესი დასავლეთი ნაწილი ემატებოდა.

4. 1941 წლიდან პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულებებამდე (1947წ.)

დასავლეთში და აღმოსავლეთში გამარჯვებულმა ჰიტლერმა, რომელიც ძალზე მტრულად იყო განწყობილი, როგორც კომუნიზმის, ისე სლავური სამყაროს მიმართ, რომლის სიმბოლოსაც საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა, თავისი ჯარები დაპყრობილი ბალკანეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით წარმართა. 1941 წლის 22 ივნისს გერმანიამ დიდი მასშტაბის შეტევა განახორციელა სსრკ-ზე, მისმა ჯარებმა სწრაფად ნაიწიეს ბელორუსსა და უკრაინაში.

ისარგებლა რა გერმანელთა შეტევით, 1941 წლის 27 ივნისს **ფინეთმა** ომი დაიწყო სსრკ-თან. მან ხელახლა მოახდინა 1940 წელს დათმობილი ტერიტორიების ოკუპაცია და ანექსია: **სამხრეთი კარელია, სალის ტერიტორია, პეტსამოს აღმოსავლეთით მდებარე ფრაგმენტი.**

1941 წლის ივნისში რუმინეთი გერმანიის ბანაკში შეეიდა და სსრკ-თან ომში ჩაება. კოალიციური ჯარების წინსვლამ ამ უკანასკნელის წინააღმდეგ, რუმინეთს 1941 წლის ივლისიდან სსრკ-თვის 1940 წელს გადაცემული ტერიტორიების დაბრუნების საშუალება მისცა: **ბესარაბია, ჩრდილოეთი ბუკოვინა და ხერტის პატარა მოლდოვური ტერიტორია.**

ამას გარდა, ჰიტლერმა რუმინეთს დნესტრისპირეთის მმართველობა გადააბარა (სამხრეთი პოდოლია, დნესტრსა და ბუგს შორის), რომელიც უკრაინას ჩამოერთვა და დე ფაქტო (შეიძლება ითქვას, დე იურეც კი) რუმინეთმა მიიერთა.

1941 წლის 1 აგვისტოს ჰიტლერმა **პოლონეთის საგენერალგუბერნატოროს** აღმოსავლეთი გალიცია ჩამოართვა, **რომელიც 1939 წლიდან უკრაინასთან იყო მიერთებული.**

მეორე მხრივ, ჰიტლერმა **გერმანიის რაიხს ბელისტოკ-გროდნო-ლომჟის ოლქი მიუერთა,** რომელიც 1939 წლიდან ბელორუსში შედიოდა.

რეპრესიების სახით იმ ხალხის მიმართ, რომელიც შეიძლებოდა კეთილგანწყობით შეხვედროდა გერმანელთა შემოჭრას, 1941 წლის 28 სექტემბერს რუსეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი **ვოლგის გერმანელთა ავტონომიური რესპუბლიკა** გაუქმდა. მისი ტერიტორია სარატოვისა და სტალინგრადის (ვოლგოგრადი) რუსულ რეგიონებს შორის გადანაწილდა. აღნიშნულ რესპუბლიკაში მცხოვრები გერმანელები ციმბირში გადაასახლეს.

სამხედრო შეტევა, რომლის დასრულებასაც ჰიტლერი სწრაფად იმედოვნებდა, იმ სიძნელეებს შეეჯახა, რომელიც 1812 წელს უკვე შეხვდა ნაპოლეონს: უზარმაზარი მანძილები, ტერიტორიაში გარკვეული მტრის დაუღალაობა. ყოველივეს ემატებოდა ფრონტის გაშლა (ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე) და მოულოდნელი წინააღმდეგობა, რომელსაც გერმანიის არმია წაანყდა ფინელ, უნგრელ, სლოვაკ და რუმინელ მოკავშირეებთან ერთად ლენინგრადისა და მოსკოვის გარშემო და ვოლგაზე (სტალინგრადის ალყა) ბრძოლების დროს.

1942 წელს სსრკ-ს ოკუპირებულ და ფრონტის უკანა ხაზზე განლაგებულ ტერიტორიებზე გერმანიამ შექმნა:

– **ოსტლანდის გენერალური კომისარიატი,** დედაქალაქი რიგა, რომელიც ოთხ ოლქად დაიყო: ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ბელორუსი;

– **უკრაინის გენერალური კომისარიატი,** დედაქალაქი როვნო, რომელიც ექვს ოლქად დაიყო: ვოლინია, ჟიტომირი, კიევი, ნიკოლაევი, დნეპროპეტროვსკი, ყირიმი (მაშინვე გამოირიცხა იმავე სახელწოდების ნახევარკუნძული).

1942 წლის მინურული გერმანია-საბჭოთა კავშირის ომში ცვლილებებით აღინიშნა. 1943 წლიდან გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა მთლიანად უკან დაიხიეს ფრონტის ხაზიდან. 1944 წელს საბჭოთა ჯარებმა მთელი აღმოსავლეთი ევროპა დაიკავეს და 1945 წლის დასაწყისში გერმანიაში შეიჭრნენ.

1943 წელს რუსეთის შემადგენლობაში დაიშალა **ყალმუხეთის ავტონომიური რესპუბლიკა,** რადგან მის მოსახლეობას მტერთან თანამშრომლობაში დასდეს ბრალი. იგივე განმეორდა ჩერქეზეთთან დაკავშირებით.

1944 წლის 23 თებერვალს რუსეთის შემადგენლობაში დაიშალა **ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა,** რადგან მის მოსახლეობას გერმანიასთან თანამშრომლობაში დაედო ბრალი და ის ციმბირში გადაასახლეს. 1944 წლის ივნისში საბჭოთა ჯარების შეტევამ ფინეთი აიძულა მოსკოვის სამშვიდობო ხელშეკრულებისათვის მოეწერა ხელი. ამ სამშვიდობო ხელშეკრულების დალოდების გარეშე, საბჭოთა კავშირმა 1941 წლის ივლისში დაკარგული ტერიტორიების რეანექსია მოახდინა, კერძოდ: **სამხრეთი კარელიის, სალის ტერიტორიისა და პეტსამოს აღმოსავლეთით მდებარე ფრაგმენტის,** რომელსაც 1920 წელს გადაცემული **პეტსამოს ტერიტორია** დაემატა. აღნიშნული ტერიტორიები კვლავ რუსეთს მიუერთდა.

1944 წლის სექტემბერში საბჭოთა ჯარების შეტევის შედეგად აღდგენილ იქნა **ბელორუსისა და უკრაინის რესპუბლიკები.** რუმინეთი იძულებული გახდა მოსკოვში 12 სექტემბერს ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებისთვის, რომლის თანახმად მან დატოვა **დნესტრისპირეთი, ბესარაბია და სამხრეთი ბუკოვინა,** რომელიც **მაშინვე სსრკ-თან იქნა მიერთებული.** ამავე დროს, **საბჭოთა კავშირმა აღმოსავლეთი ბუკოვინის ხელახალი ანექსია განახორციელა.**

1944 წლის ნოემბერში სსრკ-მ ხელახლა დაიპყრო ბალტიისპირეთის სამი ქვეყანა. აღდგენილი იქნა ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის (ამ უკანასკნელში ვილნიუსიც შეეიდა) სოციალისტური **რესპუბლიკები.**

1945 წლის 11 მაისს აღდგენილ იქნა ჩეხოსლოვაკია. ძირითადად უკრაინელებით დასახლებული კარპატისპირეთის უკრაინა უნგრეთს ჩამოერთვა, რომელმაც ის 1939 წელს დაიპყრო და დროებით ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი.

1945 წლის 29 ივნისის ხელშეკრულებით, **ჩეხოსლოვაკიამ კარპატისპირეთის უკრაინა სსრკ-ს დაუთმო,** რომელმაც ის უკრაინის რესპუბლიკას მიუერთა ახალი კარპატისპირეთის რეგიონის (ობლასტი), ადმინისტრაციული ცენტრი უშგოროდი, შესაქმნელად.

პოტსდამის კონფერენციაზე (1945 წლის 2 აგვისტო), გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა "დროებით" გერმანიას ოდერ-ნისის ზოლის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიები ჩამოართვეს. ამ ტერიტორიებს შორის აღმოსავლეთ პრუსიის ჩრდილოეთი ნახევარი სსრკ-ს მმართველობის ქვეშ იქნა მოქცეული.

1945 წლის 16 აგვისტოს მოსკოვის პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმებით, ორ ქვეყანას შორის ახალი საზღვარი დადგინდა. **საბჭოთა კავშირმა ომამდელი ძველი პოლონეთისგან შემდეგი ტერიტორიები მიიერთა:**

– ვილნიუსის საოვოვოდო (ქალაქისა და შემოგარენის გარეშე), **პოლეზია, ნოვოგრუდოკის საოვოვოდო,** რომელიც ბელორუსთან იქნა მიერთებული;

– ვოლინიის, ტერნოპოლისა და სტანისლავოვის საოვოვოდოები და ლვოვის (აღმოსავლეთი გალიცია) **საოვოვოდოს აღმოსავლეთი ნახევარი,** რომელიც უკრაინას მიუერთდა.

1945 წლის 25 სექტემბერს რუსეთის შემადგენლობაში ყირიმის თათართა ავტონომიური რესპუბლიკა გაუქმდა. თათრები ციმბირში გადაასახლეს გერმანიასთან თანამშრომლობის ბრალდებით. ყირიმი პირდაპირ რუსეთთან იქნა მიერთებული (ის რუსეთის რეგიონი (ობლასტი) გახდა).

1947 წლის 10 თებერვლის პარიზის სხვადასხვა ხელშეკრულებებით, დამტკიცებულ იქნა სსრკ-თვის სამხრეთი კარელიის, სალის, პეტსამოს, კარპატისპირეთის უკრაინისა და ბესარაბიის გადაცემა.

5. 1947 წლიდან სსრკ-ს დაშლამდე (1991წ.)

1949 წლის 17 აგვისტოს ხელშეკრულებით, პოლონეთმა და საბჭოთა კავშირმა ყოფილი **აღმოსავლეთი პრუსიის ტერიტორია გაინაწილეს. საბჭოთა კავშირმა ამ ტერიტორიის ჩრდილოეთი ნახევრის ანექსია მოახდინა** (კენინსბერგი, ტილზიტი, ინსტერბურგი), რომელიც რუსეთთან იქნა მიერთებული და დანარჩენი რუსეთისგან ბალტიისპირეთის რესპუბლიკებითა და ბელორუსით იზოლირებული, კალინინგრადის (ყოფილი კენინსბერგი) ოლქი გახდა.

აღნიშნულ დროს, საბჭოთა კავშირის ფართობი ევროპულ ნაწილში მაქსიმალურად გაიზარდა, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისამდე იქნა შენარჩუნებული. ამ დროიდან, რუსებით დასახლებული ყველა ტერიტორია ("ველიკო რუსები", ბელორუსები, უკრაინელები) საბჭოთა კავშირის ფარგლებში გაერთიანდა. ამას გარდა, სსრკ-ს შემადგენლობაში რუსეთის imperium-ის შედეგად, რუსებმა ნაწილობრივ უცხო ტერიტორიების კოლონიზაცია მოახდინეს: ბალტიისპირეთის, ბელორუსის რესპუბლიკები, კალინინგრადის პრუსიული ანკლავი.

სსრკ-ს ფართობმა 22 402 000კმ²-ს მიაღწია, საიდანაც 5 571 000კმ² ევროპულ ნაწილს ეკავა. მისი მოსახლეობა მთლიანობაში დაახლოებით 180 მილიონ კაცამდე გაიზარდა.

ამ ტერიტორიულ ექსპანსიას ევროპაში სსრკ-ს პოლიტიკური გავლენაც დაემატა, რომელიც ამ კონტინენტის აღმოსავლეთის მცირე ნაწილზე გაბატონებიდან მომდინარობდა, სადაც საბჭოთა საოკუპაციო ჯარებმა 40-იანი წლების მინურულს მოძმე კომუნისტური რეჟიმები დაამყარეს, რომელსაც ის პოლიტიკური (კომინტერნი), სამხედრო (ვარშავის პაქტი) თუ ეკონომიკური (ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო) ორგანიზაციების მეშვეობით მართავდა.

ამგვარად, სსრკ დაახლოებით ნახევარი საუკუნის მანძილზე ზესახელმწიფოს როლში გამოდიოდა აშშ-ს პირისპირ, რომელთანაც მას ყველა სფეროში მეტოქეო-

ბის განეცა სურდა, და ზოგჯერ ამაში წარმატებასაც აღნევდა. ორ ზესახელმწიფოს შორის დაპირისპირებამ სულ მალე ცივი ომის სახე მიიღო, რომელიც განსაკუთრებით ევროპაში იგრძნობოდა, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ეს კონტინენტი ორ მტრულ ბანაკად გაიყო.

1954 წლის 25 თებერვალს უკრაინის რუსეთთან "შეერთების" 300 წლისთავის აღსანიშნავად, ამ უკანასკნელმა უკრაინას **ყირიმის რეგიონი დაუთმო.**

1956 წლის 16 ივლისს **კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა** კარელიის ავტონომიური რესპუბლიკის რანგამდე იქნა დაქვეითებული, რომელმაც აღნიშნული რესპუბლიკის ადგილი დაიკავა რუსეთის შემადგენლობაში.

1957 წლის 9 იანვარს რუსეთის შემადგენლობაში აღდგენილი იქნა **ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და ჩერქეზეთის ავტონომიური რესპუბლიკები,** და მოხდა იქ მცხოვრები ხალხების რეაბილიტაცია. ამავე დროს, აღდგენილ იქნა ყალმუხეთის ოლქი, რომელიც 1958 წლის 29 ივლისიდან **ყალმუხეთის ავტონომიური რესპუბლიკა** გახდა.

ამ დროს, ევროპული ნაწილის რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა შემდეგ ტერიტორიებს მოიცავდა:

– საკუთრივ რუსეთის რესპუბლიკა, რომელიც 37 ოლქისგან (ობლასტი) შედგებოდა: არხანგელსკი, ასტრახანი, ბელგოროდი, გორკი (ყოფილი ნიჟნი-ნოვგოროდი), დონის როსტოვი, ვლადიმირი, ვოლოგდა, ვორონეჟი, იაროსლავლი, ივანოვო, კალინინგრადი (ყოფილი კენინსბერგი), კალინინი (ყოფილი ტვერი), კალუგა, კიროვი (ყოფილი ვიატკა), კოსტრომა, კრასნოდარი, კუიბიშევი, (ყოფილი სამარა), კურსკი, ლიპეცკი, ლენინგრადი, მოსკოვი, მურმანსკი, ნოვგოროდი, ორენბურგი, ორიოლი, პენზა, რიაზანი, სმოლენსკი, სტალინგრადი (ყოფილი ცარიცინი, ვოლგოგრადი 1961 წლის შემდეგ), სტავროპოლი, სარატოვი, ტამბოვი, ტულა, ულიანოვსკი (ყოფილი სიმბირსკი), ფსკოვი;

– 14 ავტონომიური რესპუბლიკა: კარელია, კომი, ბაშკირეთი, ყაზანის თათრების, უდმურტეთი, მარეთი, ჩუვაშეთი, მორდვეთი, ყალმუხეთი, დაღესტანი, ყაბარდო, ჩრდილოეთ ოსეთი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი, ჩერქეზეთი;

– ერთი ავტონომიური რეგიონი: ადიღე.

ევროპული ნაწილის საბჭოთა კავშირი შემდეგი ტერიტორიებისგან შედგებოდა: რუსეთი, ბელორუსი, უკრაინა, მოლდოვა, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა.

1958 წლიდან 1990 წლამდე სსრკ-ს შიდა შემადგენლობა და გარე საზღვარი უცვლელი დარჩა. ეს იყო "ტერორის წინასწოროობის" ეპოქა (ბირთვული საშიშროება), როდესაც ორი ზესახელმწიფოს დაპირისპირებამ ევროპა უმოქმედობაში ჩააგდო, კერძოდ კი საბჭოთა კავშირში, სადაც იხშობოდა ნებისმიერი პოლიტიკური თუ ტერიტორიული ცვლილების სურვილი. იგივე ხდებოდა საბჭოთა კავშირის სატელიტ ქვეყნებში (ბუდაპეშტის, პრაღის კრიზისები).

გაუთავებელი შეიარაღება, საბჭოთა ეკონომიკის მზარდი გაუმართაობა, საბჭოთა ჯარების აეღანეთის ომში ჩაბმა, თავისუფალი იდეების გავრცელება (მიუხედავად რეპრესიული პოლიტიკისა) და საბჭოთა ხალხის თავისუფლებისკენ სწრაფვა უკეთესი მომავლისა და ტოტალიტარიზმის მარყუჟებიდან თავის დაღნევისთვის, რომელიც სამოც წელზე მეტ ხანს სტანჯავდა ადამიანებს, 80-იანი წლების მოძრაობაში გადაიზარდა. გორბაჩოვის მიერ დაწყებულმა "გლასნოსტმა" და "პერესტროიკამ" სსრკ-ში მცხოვრებ ხალხებს იმედი ჩაუსახა, განსაკუთრებით კი რუსეთის ფედერაციაში შემავალ სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობებსა და რუსეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს. ლიბერალიზაციამ აგრეთვე ხელი შეუწყო ევროპის ქვეყნებში ადგილობრივი რეჟიმების წინააღმდეგ არსებული ოპოზიციური მოძრაობების გააქტიურებას.

თანდათან რუსეთში, ისევე როგორც სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებში, პოლიტიკურმა პლურალიზმმა თავისი ადგილი დაიკავა, რომელმაც კითხვის ქვეშ დააყენა კომუნისტური პარტიის პრიმატი. 1989 წლის საპარლამენტო არჩევნებში რუსეთში რეფორმატორულმა ოპოზიციამ გაიმარჯვა. 1990 წლის დასაწყისში მუნიციპალურ არჩევნებში დიდ ქალაქებში დემოკრატმა კანდიდატებმა გაიმარჯვეს, კერძოდ,

მოსკოვსა და ლენინგრადში (რომელმაც 1991 წელს თავისი ძველი სახელი, სანკტ-პეტერბურგი დაიბრუნა).

1990 წლის მაისი ქვეყნისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირის მეთაურად გორბაჩოვის არჩევის წინ, რომელსაც კავშირის სიღრმისეული შეცვლა სურდა მის შესანარჩუნებლად (მას კვლავ სეპარატისტთა ინტრიგები ემუქრებოდა), 29 მაისს რუსეთის პარლამენტმა ნაციონალისტად გარდაქმნილი, ძველი კომუნისტი ბორის ელცინი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩია. ამგვარად, დამყარდა ორხელისუფლებიანობა, რომელიც პირველად 1922 წლიდან ერთმანეთს საბჭოთა კავშირსა და რუსეთს ანცალკევებდა. 1990 წლის 12 ივნისს რუსეთმა ხმა მისცა **რუსეთის სუვერენიტეტს.**

აღნიშნული დროის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სხვა წევრმა სახელმწიფოებმა შექმნილი ვითარება გამოიყენეს (უღლის შესუსტება) და საბჭოთა კავშირისგან განთავისუფლების პროცესი დაიწყეს.

1990 წლის 24 თებერვლის არჩევნებში ლიტვაში დამოუკიდებლობისთვის მოძრაობამ (საიუდისი) გაიმარჯვა. 1990 წლის 11 მარტს ვილნიუსის პარლამენტმა **ლიტვის დამოუკიდებლობა** გამოაცხადა, რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა და სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოვიდა.

დამოუკიდებლობის გამოცხადება იმ პროცესის პირველ მოქმედებად იქცა, რომელსაც თანდათანობით სსრკ-ს დაშლა მოჰყვა. თუმცა 1991 წლის ივლისამდე საბჭოთა ხელისუფლება ძალის გამოყენებით შეეცადა ნინააღმდეგობა გაენია ლიტვის გამოყოფისთვის.

1990 წლის 4 მაისს ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკა **ლატვიის რესპუბლიკად** გამოაცხადდა და ქვეყანამ პლურალიზმი აღადგინა.

1991 წლის 3 მარტის რეფერენდუმში მონაწილეთა 70%-მა დამოუკიდებლობას მისცა ხმა. 1991 წლის 21 აგვისტოს რიგის პარლამენტმა ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამგვარად, ლატვია კვლავ **დამოუკიდებელი რესპუბლიკა** გახდა და სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოვიდა.

ესტონეთში 1990 წლის 5 მაისს **ესტონეთის რესპუბლიკა** გამოცხადდა და ქვეყანამ პლურალიზმი აღადგინა.

1991 წლის 3 მარტს რეფერენდუმში მონაწილეთა უდიდესმა უმრავლესობამ დამოუკიდებლობას მისცა ხმა. 1991 წლის 20 აგვისტოს **ესტონეთი კვლავ დამოუკიდებელი რესპუბლიკა** გახდა და სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოვიდა.

1990 წლის 23 ივნისს **მოლდოვას** რესპუბლიკამ თავისი **სუვერენიტეტი გამოაცხადა. მოლდოვას რესპუბლიკამ** დამოუკიდებლობა გამოაცხადა და სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოვიდა.

რუსეთის მსგავსად, რომელმაც 1990 წლის ივნისში თავისი სუვერენიტეტი გამოაცხადა, 1991 წლის 24 აგვისტოს **უკრაინის რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.**

ბელორუსმაც 1990 წლის 27 ივლისს სუვერენიტეტის დეკლარაცია მიიღო, ხოლო 1991 წლის 25 აგვისტოს **დამოუკიდებლობა გამოაცხადა.**

1991 წლის აგვისტოს თვის მინურულს, რუსეთის გარდა, საბჭოთა კავშირში შემავალი ევროპული ნაწილის წევრები კავშირის შემადგენლობიდან გავიდნენ. ამგვარად, ის ცარიელ ნიჟარად იქცა, გორბაჩოვი კი პრეზიდენტად ჯარების გარეშე.

1991 წლის 8 დეკემბერს მინსკში შეკრებილმა რუსეთის, ბელორუსის და უკრაინის რესპუბლიკების პრეზიდენტებმა სსრკ-ს დაშლა გამოაცხადეს, რომლის ადგილი ძალზე სუსტი სადავეების მქონე კონფედერაციამ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ (დსთ) დაიკავა.

VII. რუსეთის ფედერაცია (1991 წლიდან დღემდე)

ყოფილი საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ, რუსეთს ნელ-ნელა ახლიდან უნდა ესწავლა დემოკრატიული პოლიტიკისა და ლიბერალური ეკონომიკური სისტემის ფარგლებში ცხოვრება. სამოცდაათნლიანი საბჭოთა რეჟიმის შემდეგ,

ცხოვრების წესის შეცვლა დიდ სიძნელეებს შეეჯახა, რომელიც პოლიტიკურ აშლილობაში (ჩეჩნეთი, 1993 წლის პროკომუნისტური სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა), ეკონომიკურ და საფინანსო კრიზისებში, მაფიის ამოქმედებაში, უმუშევრობის ზრდასა და რუსეთის მოსახლეობის სიღატაკეში გამოიხატა.

ტერიტორიული თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირის სხვა ყოფილი რესპუბლიკებისგან გამოყოფილი რუსეთი უზარმაზარ ქვეყნად დარჩა, რომლის ფართობი საბჭოთა კავშირის 76%-ს შეადგენდა (82% ევროპაში), მის მცხოვრებთა რაოდენობა კი ყოფილი სსრკ-ს მოსახლეობის ნახევარზე მეტს აღწევდა.

რუსეთის შიდა ადმინისტრაციული მონყობა, რომელიც მას საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით ერგო, ძირითადად შენარჩუნდა. რუსეთი კვლავაც ფედერაციას წარმოადგენდა თავისი რეგიონებით (ობლასტი) საკუთრივ რუსული მიწებისთვის და ავტონომიური რესპუბლიკებითა და ავტონომიური ტერიტორიებით მის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისთვის.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ბალტიის ზღვაზე მდებარე კალინინგრადის რუსული ოლქი პოლონეთსა და ლიტვას შორის მდებარე ანკლავად იქცა, რომელსაც დედა სამშობლოსგან ლიტვა და ბელორუსი ყოფდა. ამავე დროს, ევროპული რუსეთის ნაწილში რამდენიმე შიდა ტერიტორიული ცვლილება მოხდა 1950-იანი წლებში არსებულ მდგომარეობასთან მიმართებაში:

– 1991 წელს ადიღეს ავტონომიური რეგიონი **ადიღეს ავტონომიური რესპუბლიკის რანგში იქნა აყვანილი**, დედაქალაქი მაიკოპი;

– 1992 წლის დეკემბერში ინგუშეთი ჩეჩნეთს გამოეყო და რუსეთის შემადგენლობაში **ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა გახდა**, დედაქალაქი ნაზრანი;

– კრასნოდარისა და სტავროპოლის რეგიონები (ობლასტები) **ავტონომიურ მხარეებად შეიცვალა** რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

მოსკოვმა და სანკტ-პეტერბურგმა ფედერაციული ქალაქების სტატუსი მიიღეს.

2000 წლის დასაწყისში რუსეთის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ვლადიმირ პუტინმა რუსეთის ტერიტორიის შვიდ ფედერაციულ რეგიონად დაყოფის განკარგულება გამოსცა (მათი უფლებამოსილებები არ არის კარგად განსაზღვრული, რადგან რეფორმა რეალურად ჯერ არ ამოქმედებულა):

– ცენტრალური რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი მოსკოვი: მოსკოვის ოლქი, სმოლენსკი, ტვერი, ბრიანსკი, კალუგა, იაროსლავლი, კურსკი, ორიოლი, ტულა, რიაზანი, ვლადიმირი, ივანოვო, კოსტრომა, ბელგოროდი, ვორონეჟი, ლიპეცკი, ტამბოვი;

– ჩრდილო-დასავლეთის რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი სანკტ-პეტერბურგი: ლენინგრადის ოლქი (სანკტ-პეტერბურგი), ფსკოვი, ნოვგოროდი, ვოლოგდა, არხანგელსკი, მურმანსკი, კარელიისა და კომის რესპუბლიკები;

– ვოლგის რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი ნიჟნი-ნოვგოროდი: ნიჟნი-ნოვგოროდის ოლქი, პენზა, სარატოვი, ულიანოვსკი, სამარა, ორენბურგი, კიროვი, პერმი; მორდვეთის, ჩუვაშეთის, მარეთის, თათრების, უდმურტების, ბაშკირეთის რესპუბლიკები;

– ჩრდილო კავკასიის რეგიონი, ადმინისტრაციული ცენტრი დონის როსტოვი: როსტოვის ოლქი, ვოლგოგრადი, ასტრახანი; კრასნოდარისა და სტავროპოლის ავტონომიური ტერიტორიები; ყალმუხეთის, ადიღეთის, ყარაჩაევო-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ინგუშეთის, ჩეჩნეთის, დაღესტანის რესპუბლიკები;

– ურალის (ეკატერინბურგი), ციმბირის (ნოვოსიბირსკი) და უკიდურესი აღმოსავლეთის (ხაბაროვსკი) სამი აზიური ოლქი.

საბერძნეთი

ზოგადი მონაცემები

რესპუბლიკური სახელმწიფო: საბერძნეთის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: კაროლოს პაპულიასი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ვოული, ერთპალატიანი პარლამენტი.
დედაქალაქი: ათენი
ადმინისტრაციული დაყოფა: 9 რეგიონი, 52 ნომი (დეპარტამენტი), 147 ეპარქია (ოლქი):

– ცენტრალური საბერძნეთი (ათენი), შედგება 7 ნომისგნ: ატიკა და პირეი (პირეი), ევბეა (ქალკისი), ბეოტია (ლივადიონი), ფოკიდა (ამფისა), ეტოლია და აკარნანია (მესოლონია), ეერითანია (კარპენისიონი), ფტიოტიდა (ლამია);

– პელოპონესი (პათრაიკოსი), შედგება 7 ნომისაგან: აქაია (პათრაიკოსი), ელიდა (პირგოსი), მესენია (კალამე), ლაკონიკე (სპარტა), არკადია (ტრიპოლისი), არგოლიდა (ნაფპლიონი), კორინთია;

– თესალია (ლარისა), შედგება 4 ნომისგან: ლარისა, ტრიკალა, მაგნესია (ეოლოსი), კარდიცა;

– ეპირი (იანინა), შედგება 4 ნომისგან: იანინა, არტა, პრეეზა, თესპროთია (ილუმენიცა);

– მაკედონია (სალონიკი), შედგება 13 ნომისგან: სალონიკი, პიერია (კატერინი), კოზანი, გრევენა, კასტორია, ფლორინა, ემათია (ვერია), პელა, კილკისი, სერე, დრამა, კავალა, ქალკიდიკი (პოლიიროსი);

– თრაკია (ალექსანდრუპოლისი), შედგება 3 ნომისგან: ეეროსი (ალექსანდრუპოლისი), როდოპი (კომოტინი), ქსანტი;

– იონიის კუნძულები (კერკირა), შედგება 4 ნომისგან: კერკირა, ლეფკადასი, კეფალონია (არგოსტოლიონი), ზაკინთოსი;

– ეგეოსის ზღვის კუნძულები (როდოსი), შედგება 5 ნომისგან: ლესბოსი (მიტილენი), ხიოსი, სამოსი, კიკლადები (ერმუპოლისი), დოდეკანესი (როდოსი);

– კრეტა (პერაკლიონი), შედგება 4 ნომისგან: პერაკლიონი, ლასითიონი (აიოს-ნიკოლაოსი), რეთიმნონი, ხანია.

ამას ემატება ათენის ნომი (დიდი ათენი).
ფართობი: 132 000კმ, აქედან 25 000 კუნძულზე მოდის;
მოსახლეობა: 10 მილიონი კაცი; სიმჭიდროვე: 75 კაცი ერთ კმ-ზე.
ენა: თანამედროვე ბერძნული
რელიგია: მართლმადიდებლები 97%, დანარჩენი 3% განსხვავებული აღმსარებლობისაა.
ფულის ერთეული: დრაჰმი; 2002 წლიდან ევრო

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. საბერძნეთის მოკლე ისტორია

1. ანტიკური ხანა

ძვ. წ. აღ-ით XI საუკუნის დასაწყისში საბერძნეთის ნახევარკუნძულზე დორიელები დასახლდნენ, რითაც დასრულდა ბერძენი ხალხის თვითმყოფობის ჩამოყალიბება, რომლებმაც შემდგომში ბრწყინვალე ცივილიზაცია შექმნეს. VIII საუკუნიდან VI საუკუნემდე ბერძნების კოლონიები ყალიბდებოდა მთელ ხმელთაშუა ზღვაზე და შავ ზღვაზე, ხოლო ზოგიერთ ქალაქში დემოკრატიის პირველი ნიშნები ჩნდებოდა.

V საუკუნე ბერძნული დასახლებების კლასიკური პერიოდია, განსაკუთრებით ათენისთვის (პერიკლეს საუკუნე), ის დაიწყო სპარსეთთან მედგარი დაპირისპირებით და დასრულდა სპარტასთან ათენის დამაცხებით (პელოპონესის ომები).

ძვ. წ. აღ-ით IV საუკუნეში მაკედონელებთან დამარცხების შემდეგ, ბერძნები ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში გაერთიანდნენ (336-323); ძველი საბერძნეთი ანტიგონიდების გავლენის ქვეშ მოექცა, ძვ.წ. აღ-ით 27 წელს ის რომის იმპერიის პროვინცია აქაია გახდა (ადმინისტრაციული ცენტი კორინთი).

ჩვ.წ. აღ-ით IV საუკუნეში მკვეთრად გამოიკვეთა ბერძნების თვითმყოფობა, V საუკუნეში კი, როდესაც დაემხო დასავლეთის რომის იმპერია მათ დამოუკიდებლობა მოიპოვეს. აღმოსავლეთის რომის იმპერია, იგივე ბიზანტია ათი საუკუნის განმავლობაში არსებობდა და ამ პერიოდის მანძილზე ხშირი იყო ექსპანსიისა და უკან დახევის ფაზები ოსტგოთების, ლანგობარდების, სლავების და თურქების შემოსევებისგან გამომდინარე.

2. შუა საუკუნეები და თანამედროვე პერიოდი

1204 წელს მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა კონსტანტინოპოლის აღებით და ლათინთა იმპერიის დამყარებით დასრულდა (1204-1261), ამან ძველ საბერძნეთში ლათინური სახელმწიფოების ნარმოშობა განაპირობა: თესალონიის სამეფო, ათენის საპერცოგო, აქაიას სამთავრო (პელოპონესი), ბერძნები დარჩნენ ნიკეაში, ეპირში, ვენეციამ მიიღო მნიშვნელოვანი პრივილეგიები და გაძლიერდა კრეტაზე და სხვა ბერძნულ კუნძულებზე. პარალელურად, ჯვაროსნებმა დაიპყრეს კვიპროსი და იქ ლათინური სამეფო დააარსეს, რომელიც სამი საუკუნის მანძილზე არსებობდა.

XIII საუკუნის ბოლოს იმპერიის მნიშვნელოვანი ნაწილი ბერძნების ხელში იყო, მაგრამ XIV საუკუნეში იმპერია ჩრდილოეთით სლავების გავლენის ქვეშ მოექცა, სამხრეთით თურქების, რომლებმაც საბოლოოდ გადალახეს სრუტეები და ხანგრძლივად დაფუძნდნენ ანდრინოპოლისში (1365 წ.).

XV საუკუნის შუა პერიოდში ბერძნები საბოლოოდ დამარცხდნენ კონსტანტინოპოლში (1453), რის შემდეგაც ოსმალებმა მთელი რიგი კუნძულები დაიპყრეს (კვიპროსი, ლესბოსი, ხიოსი, როდოსი). ვენეციის კრეტა (კანდანოსი) 1669 წელს დაიკარგა.

პოუაროვეცის ზავმა (1718 წ.) ერთი საუკუნით გაყინა პოზიციები.

II. ბერძნული სივრცე 1789 წელს

1789 წელს საბერძნეთი მხოლოდ გეოგრაფიული ცნება იყო. ამ ერს, რომელსაც ანტიკურ ეპოქაში ასეთი ბრწყინვალე ცივილიზაცია ჰქონდა, 1453 წლიდან მოყოლებული არ გააჩნდა ერთიანი სახელმწიფო.

1789 წელს საბერძნეთი, ძველი საბერძნეთის ვიწრო გაგებით, ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო. რაც შეეხება უფრო ფართო გაგებით ბერძნებით დასახლებულ სხვა მხარეებს, ისინი ძალიან არათანაბრად იყო გადანაწილებული ორ ქვეყანას შორის:

– ვენეციის რესპუბლიკა იონიის შვიდ კუნძულს ფლობდა;

– ოსმალეთის იმპერია ბერძნებით დასახლებულ შემდეგ ზონებს ფლობდა: თრაკიას, სამხრეთ მაკედონიას, ეპირს (სამხრეთი ალბანეთი), თესალიას, პელოპონესს, ეტოლიას, აკარნანიას, ატიკას, მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროს, დოდეკანესს, კრეტას, კვიპროსს, ასევე რამდენიმე პატარა კუნძულს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით.

ბერძნებით დასახლებული ზონები მეტწილად ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით მდებარეობდა, რაც მათ აერთიანებდა; არანაყოფიერ ნიადაგიან რეგიონებში ძირითადად ვაზი და ზეთისხილი ხარობდა, ისინი ზღვასთან ახლოს მდებარეობდა რაც ბერძნებთან მჭიდრო კავშირებს განაპირობებდა. რაც შეეხება მოსახლეობას, მათი ძირითადი პროფესია მეზღვაურობა იყო და ისინი თურქეთის საზღვაო ეკიპა-

ეებს აკომპლექტებდნენ. იმ საოცარ ქალაქებთან შედარებით, რომლებიც ანტიკურ პერიოდში არსებობდა, ბერძნული ქალაქების როლი უმნიშვნელო იყო, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ქალაქს (კონსტანტინოპოლი, სალონიკი, ალექსანდრია).

1. ვენეციის აღმოსავლეთი პროვინცია

იონიის კუნძულები ოთხ სახმელეთო პუნქტთან ერთად ვენეციის აღმოსავლეთ პროვინციას წარმოადგენდა, რომელიც მისი საყრდენი ძალა იყო ხმელთაშუა ზღვაში. არქიპელაგი შვიდი კუნძულისგან შედგებოდა:

– კერკირა, ადმინისტრაციული ცენტრი კერკირა, მცირე აზიის კუნძულებით – ფანო, ვიდო, მერლერა;

– პაქსოსი, ადმინისტრაციული ცენტრი პორტო-გაი, მცირე კუნძულით ანტიპაქსოსი;

– ლევკადასი, ადმინისტრაციული ცენტრი ლევკადასი;

– ითაკა, ადმინისტრაციული ცენტრი ვათი, მცირე კუნძულებით კალამე, კასტორა;

– კეფალონია, ადმინისტრაციული ცენტრი არგოსტოლიონი;

– ზაკინთოსი, ადმინისტრაციული ცენტრი ზაკინთოსი, სტროფადესის მცირე კუნძულებით

– და ეგეოსისი ზღვაში სხვა ტერიტორიებისგან უკვე მეტად დაშორებული:

– კიტირა, ადმინისტრაციული ცენტრი კიტირა, მცირე კუნძულით ანდიკიტირა;

– თურქეთის ალბანეთის ოთხი სახმელეთო პუნქტი: ბუტრინტი, პარგა, პრევეზა, ვონიცა.

მთლიანად ამ პროვინციას ვენეციის სახელით მართავდა "ზღვის გენერალური პროვედიტორი", რომლის რეზიდენცია კერკირაში მდებარეობდა და რომელიც სრული უფლებებით იყო აღჭურვილი.

2. ოსმალეთის იმპერია

როგორც აღინიშნა, იონიის კუნძულების გამოკლებით, საბერძნეთი ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა.

ბერძნებით დასახლებული რეგიონები სამ ვილაიეთში იყო გადანაწილებული:

– რუმელიის ვილაიეთი, ადმინისტრაციული ცენტრი მონასტირი: სანჯაყები კავალა, სალონიკი, მონასტირი, იანინი, ტრიკალა, ლევკადა;

– პელოპონესის ვილაიეთი, ადმინისტრაციული ცენტრი ტრიპოლისი;

– ჯეზაირის კუნძულების ვილაიეთი, ადმინისტრაციული ცენტრი გალიპოლი: სმირნი, სპორადები, ევბეა, კიკლადები, კრეტა, საბერძნეთის ზოგიერთი სანაპირო (დარდანელი, აკარნანია), აგრეთვე კვიპროსი.

ზოგიერთი ბერძნული დასახლება იქ განსაკუთრებულ პოლიტიკურ ერთეულებს ქმნიდა, რომლებიც პორტაზე იყო დამოკიდებული: ათონის მთის რესპუბლიკა – მონასტერი (სადაც არა მარტო ბერძნული მონასტრები, არამედ სერბიული, ბულგარული, რუმინული და რუსული მონასტრებიც იყო), სულიოტების მხარე სამხრეთ ალბანეთში.

ბოლოს, ბერძენ ხალხს იმპერიის მუსლიმურ მოსახლეობაში პრივილეგერებული პოზიცია ეკავა, რაც განპირობებული იყო ფანარის პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური როლით, სადაც ბერძნების ელიტა ცხოვრობდა, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა იმპერიაში, ხოლო მისი რელიგიური ხელმძღვანელი, პატრიარქი მართავდა ყველა მართლმადიდებელს, ბერძენსა თუ სხვა ეროვნებისას, დამოკიდებულს პორტაზე.

III. 1789 წლიდან საბერძნეთის სამეფოს შექმნამდე (1830 წელი)

მორეს აჯანყების შემდეგ და 1820-იანი წლების დასაწყისამდე, კონსტანტინოპოლზე დამოკიდებული ბერძნული სამყარო ერთგვარად მიძინებული იყო და

იქ არ იგრძნობოდა იმ მოვლენების გავლენა, რომლებიც ასე აფორიაქებდა ევროპას. სამაგიეროდ, ამ ორომტრიალში ჩართული იონიის კუნძულები აღ-მოჩნდა.

1. იონიის კუნძულების ცვალებადი ბედი (1797-1817)

ლეობენის წინასწარ მოლაპარაკებებზე (1797 წლის აპრილი), რომლის დროსაც ბოლო მოეღო საფრანგეთსა და ავსტრიას შორის საომარ მოქმედებებს, გადაწყდა იონიის კუნძულები ვენეციის რესპუბლიკას დარჩენოდა. მაგრამ 15 მაისს ბონაპარტის მიერ ვენეციის აღებამ ფრანგებს უბიძგა ივნისში კერკირაზე გადამსხდარიყვნენ, რადგან ბონაპარტი ამ კუნძულებით იყო დაინტერესებული.

საფრანგეთსა და ავსტრიას შორის სამშვიდობო ზავი 1797 წელს გაფორმდა კამპო-ფორმიოში. იქ გადაწყდა ვენეციის სამფლობელოების დანაწილება და **საფრანგეთმა მიიღო იონიის კუნძულები და თურქეთის ალბანეთის ოთხი სახმელეთო პუნქტი,** რომლებიც საფრანგეთის რესპუბლიკას შეუერთდა. მან ისინი სამ დეპარტამენტად დაყო:

– კერკირა, ადმინისტრაციული ცენტრი კერკირა: კერკირა, პაქსი, ფანო, მერლერა, ვიდო, ანტიპაქსი; ხმელეთზე: ბუტრინტი და პარგა;

– ითაკა, ადმინისტრაციული ცენტრი არგოსტოლი: კეფალონია, ლევკასი, ითაკა, კალამე, კასტორა; ხმელეთზე: პრევეზა და ვონიცა;

– ეგეოსის ზღვა, ადმინისტრაციული ცენტრი ზაკინთოსი: ზაკინთოსი, სტროფადესის კუნძულები, კიტირა, ანდიკიტირა.

ეგეოსის ზღვაში მხოლოდ კიტირა და ანდიკიტირა მდებარეობდა, ამ დეპარტამენტებისთვის მიცემული სახელწოდება ნაპოლეონის ექსპანსიური გეგმების მაჩვენებელი იყო.

ბონაპარტის ეგვიპტის ექსპედიციაში გაგზავნით, რომელმაც გზად მალტა აიღო, საფრანგეთმა ერთდროულად თურქეთი და რუსეთი გაანაწყენა.

ეს ორი სახელმწიფო საფრანგეთის წინააღ.მდეგ გაერთიანდა და ერთობლივი საზღვაო ექსპედიციით ორ თვეში (1798 წლის ოქტომბერ-ნოემბერი) შვიდიდან ექვსი კუნძული და ოთხი სახმელეთო პუნქტი დაიკავეს; კერკირა 1799 წლის მარტში დაეცა.

იონიის კუნძულების ბედის გადასაწყვეტად მოლაპარაკებები ერთ წელიწადს გაგრძელდა და 1800 წლის მარტში რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა:

– **შვიდი გაერთიანებული კუნძულის რესპუბლიკის შექმნას;** ეს სახელ-მწიფო პორტაზე იქნებოდა დამოკიდებული, მაგრამ სამოქალაქო და სამხედრო კონტროლის უფლება რუსეთსაც ენიჭებოდა.

– **თურქეთისთვის ოთხი სახმელეთო პუნქტის გადაცემას,** რომელიც ვალდებულებას იღებდა თითოეული პუნქტი მის ნარმომადგენელს ემართა და მოსახლეობის ადათ-წესები დაეცვა.

ახალ რესპუბლიკას სტამბოლში შემუშავებული კონსტიტუცია ჰქონდა, ეს კონ-ფედერაცია იყო, რომელსაც 12 წევრიანი სენატი მართავდა: სამი წევრი კერკირა-დან იყო, სამი ზაკინთოსიდან, ორი ლევკადასიდან, ერთიც მონაცვლეობით იქნე-ბოდა პაქსიდან და ითაკადან.

1801 წლის ივლისში რუსეთის ჯარის წასვლის შემდეგ კეფალონიამ და ითაკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ზაკინთოსი კი ინგლისელებს ჩაბარდა.

ამიენის ზავით (1802 წლის მარტი) საფრანგეთმა ოფიციალურად აღიარა შვიდი გაერთიანებული კუნძულის რესპუბლიკის არსებობა. თურქეთი დაეთანხმა ამ ზავს (1802 წლის ივნისი) და უარი თქვა რესპუბლიკის სიუზერენობაზე, რომელიც ამიერიდან მხოლოდ რუსეთის პროტექტორატის ქვეშ რჩებოდა.

1806 წლის დეკემბერში რუსეთმა რესპუბლიკას ახალი კონსტიტუცია მიაღებინა და მართვა ხუთ ხელმძღვანელს ჩააბარა.

ტილზიტის ზავი, რომლითაც 1807 წლის ივლისში დასრულდა საფრანგეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირება, მოიცავდა საიდუმლო მუხლებს, რომელთა

მიხედვითაც იონიის კუნძულები იმპერატორ ნაპოლეონის მფლობელობაში გადადიოდა.

1807 წლის აგვისტოდან სექტემბრამდე ფრანგებმა შვიდი კუნძული დაიკავეს სახმელეთო პუნქტ პარგასთან ერთად; დანარჩენი სამი კუნძულის დაუფლება მათ ვერ მოახერხეს.

ნოემბერში ნაპოლეონმა კუნძულებისთვის მათი დროებითი სტატუსის შენარჩუნება გადაწყვიტა და ე.წ. "რეზერვის" ქვეყანად გამოაცხადა. ნაპოლეონმა იქ სრული უფლებებით აღჭურვილი გენერალ-გუბერნატორი დანიშნა, რომლის თანაშემწეც იქნებოდა იმპერატორის კომისარი, რომლის კომპეტენციაში შეედოდა საშოქალაქო საკითხები და მათ ადგილობრივ სენატთან შეთანხმებით გადაწყვეტდა.

1809 წლის ოქტომბრიდან 1810 წლის აპრილამდე ინგლისელებმა თანმიმდევრულად დაიკავეს ზაკინთოსი, კეფალონია, ითაკა, კიტირა და ლევკადასი. ფრანგებს მხოლოდ კერკირა, პაქსი და პარგა დარჩათ.

1814 წლის ივნისში ინგლისელებმა პაქსისა და პარგას შემდეგ კერკირა აიღეს.

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ 1815 წლის 5 ნოემბერს პარიზის ხელშეკრულების მიხედვით, რომელსაც ხელი გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა მოაწერეს, გადაწყდა, რომ **გაერთიანებული იონიის კუნძულების სახელმწიფო** ოთხი სახმელეთო პუნქტის გარეშე, რომლებიც საბოლოოდ თურქეთს დარჩა, დიდი ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ მოექცეოდა და მისი წარმომადგენელი ლორდი-უმაღლესი კომისარი იქნებოდა.

1817 წლის მაისში ამ უკანასკნელმა იონიის კუნძულებს მიანიჭა ქარტია, რომელიც რესპუბლიკის ავტონომიას ზღუდავდა. რეჟიმი კვლავ არისტოკრატული იყო ხუთწევრიანი სენატით, რომელშიც თითოეული კუნძულის წარმომადგენელი შედიოდა (კერკირა, კეფალონია, ზაკინთოსი, ლევკასი), სამ კუნძულს პაქსის, ითაკას და კიტირას ერთი საერთო წარმომადგენელი ჰყავდა. სენატს რესპუბლიკის ხელმძღვანელი თავმჯდომარეობდა, მაგრამ ძალაუფლება ლორდი-უმაღლესი კომისრის ხელში იყო.

შეზღუდული სუვერენიტეტის მიუხედავად იონიის კუნძულების რესპუბლიკა სამაგალითო იყო კონტინენტზე მცხოვრები ბერძნებისთვის, რომელთაც ოსმალეთის ბატონობისგან განთავისუფლების სურვილი კლავდათ.

2. ბერძნების გამოღვიძება (1821-1830)

1820-იანი წლები გადამწყვეტი აღმოჩნდა ბერძენი ხალხისთვის. პელოპონესი პორტას წინააღმდეგ აჯანყდა. იმპერიაში მცხოვრებმა ბერძნებმა დაინახეს, რომ ოსმალეთის უღლისგან განთავისუფლების შესაძლებლობა ეძლეოდათ, რომ ევროპელები სიმპათიით იყვნენ განმსჭვალული ამ მცირერიცხოვანი ხალხის მიმართ, ერთნი (ინგლისელები, ფრანგები) ანტიკური საბერძნეთის ბრწყინვალეებიდან გამომდინარე, მეორენი (რუსები) რელიგიური ერთიანობის და გეოპოლიტიკური ინტერესების გამო.

1891 წლის აპრილიდან პელოპონესი ხელახლა აჯანყდა თურქეთის წინააღმდეგ და შემოდგომისთვის მისი მთელი ტერიტორია განთავისუფლებული იყო. 1821 წლის დეკემბერში ეპიდავრისში დამფუძნებელი კრება შეიკრიბა და 1822 წლის 1 იანვარს მიღებული იქნა საბერძნეთის პირველი კონსტიტუცია, 13 იანვარს კი **საბერძნეთის დამოუკიდებლობა** გამოცხადდა, მთავრობის რეზიდენციად მესოლონია დასახელდა; ამ გადაწყვეტილებას პელოპონესის ბერძნები არ დაეთანხმნენ და მას სხვა მთავრობა დაუპირისპირეს. ამას ფრაქციებს შორის დაპირისპირების პერიოდი მოჰყვა, რაც პორტამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა.

ბერძნების გახშირებულ აჯანყებებთან გასამკლავებლად თურქეთის სულტანმა ეგვიპტის ფაშას მეჰმედ-ალის მოუხმო და 1824 წლის 16 იანვრის შეთანხმებით მას პელოპონესისა და კრეტის ფაშალიკები დაუთმო. 1825 წლის თებერვალში მეჰმედ-ალიმ პელოპონესზე თავისი ჯარები გადასვა და ნახევარკუნძული დაიკავა. ამის შემდეგ, ეპირში განლაგებულმა თურქეთის ჯარებმა დაიკავეს მესოლონია (1826 წლის აპრილი) და ათენი (ივნისი).

ამავე პერიოდში ევროპის სახელმწიფოების ინტერესი საბერძნეთის მიმართ გაძლიერდა და 1826 წლის აპრილში დიდმა ბრიტანეთმა და რუსეთმა სანკტ-პეტერბურგში ხელი მოაწერეს ოქმს, რითაც სულთანს კომპრომისს სთავაზობდნენ, რაც გულისხმობდა ოსმალეთის იმპერიაში საბერძნეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნას.

არსებულ უთანხმოებას რომ ბოლო მოღებოდა 1827 წლის 1 მაისს ტრეზენში შეკრებილმა ახალმა დამფუძნებელმა კრებამ ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომელიც პრეზიდენტის (შვიდი წლის ვადით) და დეპუტატთა პალატის არჩევას ითვალისწინებდა.

პარალელურად, დიდი ბრიტანეთი საფრანგეთს დაუკავშირდა, სადაც საზოგადოებრივი აზრი აშკარად ბერძნების სასარგებლოდ იხრებოდა იმ მიზნით, რომ არ მიეცათ რუსეთისთვის მოქმედების თავისუფლება, რომელსაც პორტასთან გარკვეული უპირატესობები ჰქონდა (1826 წლის ოქტომბრის აკერმანის კონვენცია). 1827 წლის 6 ივლისს ლონდონში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი), რომელიც ოსმალეთის იმპერიაში საბერძნეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნას ითვალისწინებდა.

1828 წლის აპრილში რუსეთმა თურქეთს ომი გამოუცხადა და 1829 წლის აგვისტოში დაამარცხა. 14 სექტემბერს ანდრიანოპოლისში რუსეთსა და თურქეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სულთანი აღიარებდა **პორტაზე დამოკიდებულ საბერძნეთის სამთავროს.**

IV. საბერძნეთის სამთავროს შექმნა და გაძლიერება (1830-1913)

1. სამეფოს პირველი ნაბიჯები (1830-1835)

1830 წლის 3 თებერვლის ლონდონის ხელშეკრულებამ დააკონკრეტა, რომ შეიქმნა **საბერძნეთის სამეფო,** რომელიც კვლავ პორტაზე დამოკიდებული რჩებოდა და მის მეფეს სამი სახელმწიფო აირჩევდა.

მისი ტერიტორიული შემადგენლობა შემდეგნაირი იქნებოდა:

- პელოპონესი;
- ლივადია (ატიკა, ბეოტია, ეტოლია, აკარნანია);
- კიკლადების არქიპელაგი;
- ჩრდილოეთი სპორადების არქიპელაგი.

მთლიანად ფართობი იქნებოდა 49 000კმ, მოსახლეობა 800 000 კაცი, ანუ ბერძენთა საერთო რაოდენობის მესამედი.

ამას მაშინათვე მოჰყვა "დიადი იდეის" გაჩენა სამეფოსთვის სტამბოლამდე მდებარე ბერძნების ყველა ახალი თუ ყოფილი ტერიტორიის შეერთებაზე.

1832 წლის სექტემბერში მოკლეს საბერძნეთის პირველი სახელმწიფოს მეთაური კაპო ისტრია. თავიდან სამმა სახელმწიფომ მომავალ მეფედ ლეოპოლდ საქსენ-კობურგი წარადგინეს, რომელიც თავიდან დათანხმდა ამ შეთავაზებას, მაგრამ შემდეგ ბელგიაში მეფობა არჩია.

1832 წლის 7 მაისის შეთანხმებით არჩევანი ბავარიის პრინც ოტონზე შეჩერდა, რომელიც მცირენლოვანი იყო და მხოლოდ 1835 წლის 1 ივნისს გამეფდა.

1832 წლის ივლისში საკომპენსაციო თანხის მიღების შემდეგ, თურქეთმა **საბერძნეთის სამეფოს დამოუკიდებლობა მიანიჭა.**

გარდა ამისა, სამოსის მოსახლეობამ, რომელიც თურქეთის ხელისუფლებას ათი წლის განმავლობაში ებრძოდა, უარი მიიღო საბერძნეთის სამეფოსთან შეერთებაზე. სამაგიეროდ 1832 წლის 11 დეკემბერს, მათ იმას მიაღწიეს, რომ იმპერიის შემადგენლობაში

სამოსი დამოუკიდებელი სამთავრო გამხდარიყო, რომლის მთავარიც პორტას მიერ დასახელებული ქრისტიანი მთავარი იქნებოდა, სამთავროს ეყოლებოდა საპარლამენტო წარმომადგენლობა და ყოველივე ამის გარანტი საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი იქნებოდნენ.

1833 წლის თებერვალში მეფე ოტონი ნეაპოლში დასახლდა, ხოლო საბერძნეთის მმართველობას რეგენტი ახორციელებდა (ბავარიელი).

რეგენტმა სამეფო ათ პროვინციად (ნომად) დაყო: ატიკა-და-ბეოტია (ათენი), ფტიოდია-და-ფოსიდია (ლამია), ევბეა (ქალკისი), აკარნანია-და-ეტოლია (მესოლონია), არგოლიდა-და-კორინთია (ნაფპლიონი), აქაია-და-ელიდა (პათრაიკოსი), არკადია (ტრიპოლიცა), მესენია (კალამე), ლაკონია (სპარტა), კიკლადები (ერმუპოლისი).

1835 წლის ივლისში მეფე ოტონი სრულწლოვან ასაკში გამეფდა და საბერძნეთის სამეფოს დედაქალაქი ათენში გადაიტანა.

2. საბერძნეთის განვითარება და გაფართოება (1835-1864)

1836 წელს 30 დეპარტამენტად დაყოფილი საბერძნეთი 1838 წელს 24 დეპარტამენტად დაიყო:

– საბერძნეთი: ეტოლია (მესოლონია), აკარნანია (ამფილოკიონი), ევრითანია (ოიქალია), ფოსიდია (ამფისა), ფტიოტიდა (ლამია), ატიკა (ათენი), ბეოტია (ლივადიონი);

– პელოპონესი: არგოლიდა (ნაფპლიონი), ჰყდრა (ჰიდრა), კორინთია (სიკიონი), აქაია (პათრაიოიკოსი), კინოთია (კალავრიტა), ელიდა (პირგოსი), ტრიფილონია (კიპარისია), მესენია (კალამე), მანტინეა (ტრიპოლიცა), კორინთია (კატერინა), ლაკედემონია (სპარტა), ლაკონია (არიოპოლისი);

– კუნძულები: ევბეა (ქალკისი), თინოსი-და-ანდროსი (თინოსი), ნაქსოსი-და-პაროსი (ნაქსოსი), სირინა (ერმუპოლისი), თერა (თერა)

1845 წელს საბერძნეთი დაუბრუნდა 1833 წლის ადმინისტრაციულ დაყოფას და ათ ნომად დაიყო.

გარდა ამისა, 1840 წელს თურქეთში განხორციელდა იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის რეფორმა, რომლის მიხედვითაც 36 ვილაიეთი შეიქმნა. ამ ჩარჩოში თურქეთს დაქვემდებარებული კუნძულები (სპორადები, დოდეკანესი) კუნძულების ვილაიეთში დაჯგუფდა, ადმინისტრაციული ცენტრი იყო როდოსი, რომელშიც აღარ შედიოდა ხმელეთის ნაწილები.

1841 წლის ივნისში მეჰმედ-ალი გახდა ეგვიპტის მემკვიდრე პორტას სიუზერენობის ქვეშ, მაგრამ მას უარი უნდა ეთქვა სირიაზე და საბერძნეთისთვის დაებრუნებინა კუნძული კრეტა, რომლისგანაც მან ახალი ვილაიეთი შექმნა და არ გააერთიანა კუნძულების ვილაიეთში.

1862 წლის ოქტომბერში პოლიტიკურმა ტრიუმვირატმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა, ქვეყნიდან გააძევა მეფე ოტონი და რეგენტთა საბჭო დააარსა, ხოლო სამი სახელმწიფო ახალი ნეფის კანდიდატურის ძებნას შეუდგა.

13 ივლისს ლონდონში ხელმოწერილ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, რომელიც დაიდო ძლიერ სახელმწიფოებს, საბერძნეთსა და დანიას შორის, საბერძნეთის მეფე გეორგ I-ის სახელით გახდა დანიის პრინცი ვილჰელმი, მეფე კრისტიან IX-ის მეორე ვაჟი. იგი სამეფო ტახტზე 31 ოქტომბერს ავიდა ათენში.

გეორგ I-ის გამეფებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად **დიდმა ბრიტანეთმა საბერძნეთს იონიის კუნძულები დაუთმო**, რაც ემთხვეოდა 5 ოქტომბერს იონიის პარლამენტის გაცხადებულ ნებას. გადაცემა 1864 წლის 28 მაისს განხორციელდა.

ამის შემდეგ საბერძნეთის ფართობი 2 000 კმ-ით გაიზარდა, მოსახლეობას დაემატა 200 000 კაცი. იონიის კუნძულებმა სამეფოში სამი ახალი ნომი შეადგინა: კერკირა-და-პაქსოსი (კერკირა), ლევკადასი-ითაკა-და-კეფალონია (არგოსტოლი), ზანთოსი-და-ანდიკიტირა (ზანთოსი). სამეფოს ნომების რაოდენობა ცამეტამდე გაიზარდა.

3. საბერძნეთის ექსპანსია თურქეთის ხარჯზე (1878-1913)

იმის გამო, რომ საბერძნეთი არ მონაწილეობდა 1876-1878 წლების ბალკანეთის კონფლიქტში, მან საფრანგეთის მხარდაჭერით მიაღწია, რომ ბერლინის კონგრეს-

ზე თესალიისა და ეპირის საკითხების განხილვისას მის სასარგებლოდ მირებულიყო გადაწყვეტილება საბერძნეთ-თურქეთის საზღვართან დაკავშირებით.

ბერძნები ეპირში პორტასა და ალბანელების წინააღმდეგობას წააწყდნენ.

1881 წლის მაისში ევროპის სახელმწიფოებმა აიძულეს თურქეთი **საბერძნეთისთვის დაეთმო თესალიის პროვინცია და ეპირის მცირე სამხრეთი ნაწილი (არტა)**

ამ გადაცემის შემდეგ სამეფოს დაემატა 14 000კმ და მისი ფართობი 51 000-დან 65 000კმ-მდე გაიზარდა, მოსახლეობას დაემატა დაახლოებით 800 000 კაცი. ამან სამეფოში სამი დამატებითი ნომი შეადგინა: არტა, ტრიკალა და ლარისა; საბერძნეთს 16 ნომი გაუხდა.

1895 წელს კრეტაზე პორტას წინააღმდეგ აჯანყდნენ; საბერძნეთი აჯანყებულებს სამხედრო ძალით ეხმარებოდა; 1897 წლის აპრილში საბერძნეთსა და თურქეთს შორის უმი დაიწყო. საბერძნეთი დამარცხდა და ევროპის ძლიერი სახელმწიფოების ჩარევით 4 დეკემბერს სტამბოლში ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებდა **საბერძნეთის მხრიდან თურქეთისთვის** რამდენიმე უმნიშვნელო **ტერიტორიულ გადაცემას** თესალიასა და მაკედონიის საზღვარზე.

ამასობაში კრეტამ, რომელიც იურიდიულად კვლავ თურქეთზე იყო დამოკიდებული, მიაღწია იმას, რომ ევროპის სახელმწიფოების გარანტიით მის ადმინისტრირებას განახორციელებდა ქრისტიანი უმაღლესი კომისარი; ეს მეფის მეორე ვაჟი, პრინცი გეორგი უნდა ყოფილიყო.

1900 წლის 1 იანვრიდან საბერძნეთი 26 ნომად დაიყო:

– პელოპონესი: კორინთია, აქეა (პათრაიკოსი), ელიდა (პირგოსი), მესენია (კალამე), ლაკონია (სპარტა), არკადია (ტრიპოლიცა), არგოლიდა (ნაფპლიონი);

– საკუთრივ საბერძნეთი: ათენი, ატიკა (პირეი), ბეოტია (ლივადიონი), ფოსიდია (ამფისა), ეტოლია (მესოლონია), აკარნანია (ამფილოკიონი), ევრითანია (კარპენისიონი), ფტიოდია (ლამია), ევბეა (ქალკისი);

– თესალია და ეპირი: ლარისა, ტრიკალა, კარდიცა, მაგნისი (ვოლოსი), არტა;

– იონიის კუნძულები: კერკირა, ლევკადასი, კეფალონია (არგოსტოლი), ზაკინთოსი;

– ეგეოსის ზღვაში: კიკლადები (ერმუპოლისი).

1908 წლის 12 ოქტომბერს კრეტის ასამბლეამ ისარგებლა ბალკანეთის კრიზისით, რაც გამოწვეული იყო ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინის ანექსირებითა და ბულგარეთსა და თურქეთს შორის კავშირის განყვეტით და გამოაცხადა Enosis-ი, ანუ **კრეტის საბერძნეთთან შეერთება.**

8 000 კმ და ოთხი ნომის დამატებით საბერძნეთის ფართობი 73 000 კმ-მდე გაიზარდა და მას 30 ნომი გაუხდა. მაგრამ ევროპის დიდი სახელმწიფოები მოერიდნენ თურქეთის განაწყენებას და უარი თქვეს ამ კავშირის დამტკიცებაზე.

მეორე მხრივ, იტალიას თვალი ეჭირა თურქეთის ტრიპოლიტანიაზე. ტრიპოლისა და ბენგჰაზის დაკავების შემდეგ, იტალიელები ზღვით გაემართნენ დარდანელისკენ და 1912 წლის მაისში დოდეკანესის კუნძულები დაიკავეს. 17 ივნისს გამართულმა პლებისციტმა უჩვენა, რომ ამ კუნძულების მოსახლეობა საბერძნეთთან შეერთებას უჭერდა მხარს, თუმცა იტალიას განსხვავებული გეგმები ჰქონდა.

ბალკანეთის მოახლოებული კრიზისიდან გამომდინარე, თურქეთი ცდილობდა მოქმედების თავისუფლება ჰქონოდა და 18 ოქტომბერს ლოზანაში ხელი მოაწერა იტალიასთან შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც გარდა ტრიპოლიტანიისა, **თურქეთი იტალიას დროებით უთმობდა დოდეკანესის არქიპელაგს,** ხოლო ტრიპოლიტანიის სრულად დაუფლების შემდეგ იტალიას თურქეთისთვის დოდეკანესი უნდა დაებრუნებინა.

1912 წლის 24 ნოემბერს სამოსის ასამბლეამ გადაწყვეტილება მიიღო **სამოსის საბერძნეთთან შეერთების თაობაზე.** 1913 წლის 15 მარტს საბერძნეთმა კუნძულზე თავისი ჯარები გადასხა და სამოსის შემოერთება დაამტკიცა.

თურქეთის შესუსტებამ რეგიონის სხვა სახელმწიფოებსაც აღუძრა მადა. საბერძნეთმა, ბულგარეთმა, სერბიამ და ჩერნაგორიამ ევროპული ნადავლის გასაყოფად ბალკანეთის ლიგა შექმნეს (1912 წლის მარტი-ოქტომბერი).

ბალკანეთის ლიგასა და თურქეთს შორის კონფლიქტი, რომელიც 1912 წლის 8 ოქტომბერს დაიწყო, თურქეთისთვის დამანგრეველი აღმოჩნდა. საბერძნეთის არმიამ ჩრდილოეთისკენ წაიწია და 8 ნოემბერს სალონიკი დაიკავა, 1913 წლის 28 მარტს კი იანინა. 30 მაისის ლონდონის შეთანხმებით **თურქეთმა:**

– **საბერძნეთს დაუთმო კუნძული კრეტა;**

– **უარი თქვა თავის კუნძულებზე ეგეოსის ზღვაში და ევროპის კონტინენტის იმ პროვინციებზე, რომლებიც ენო-მიდიას ზოლის დასავლეთით მდებარეობდა** (აღმოსავლეთი თრაკია); ამ ტერიტორიების ბედი ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს.

ათონის მთის მონასტრის რესპუბლიკის სპეციფიკურობაც დიდმა სახელმწიფოებმა აღიარეს; ის საბერძნეთის შემადგენლობაში ავტონომიური სტატუსით შევიდა.

1913 წლის 30 ივნისს ბულგარეთი, რომელიც ამაოდ ითხოვდა მთელ ჩრდილოეთ მაკედონიას, უეცრად თავის მოკავშირეებს დაუპირისპირდა. შერბებმა ბერძნებმა და თურქებმა ადრიანოპოლისი (ედირნე) დაიკავეს და 31 ივლისს ბულგარეთი დაამარცხეს.

10 აგვისტოს ბუქარესტში გაფორმდა ზავი ბულგარეთსა და მის დამმარცხებელ სახელმწიფოებს შორის. **საბერძნეთმა მიიღო:**

– **სამხრეთი მაკედონია** (ფლორინა, ედესა, სალონიკი, ათონის მთა, კავალა), ჩრდილოეთი მაკედონია სერბიამდე;

– **ეპირი** (სამხრეთი ალბანეთი), თუმცა უარი მიიღო ჩრდილოეთ ეპირზე (კორიცი, გირიკასტრო).

29 სექტემბერს სტამბოლში დაიდო სამშვიდობი ხელშეკრულება თურქეთსა და მასზე გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის. **საბერძნეთმა მიიღო თურქეთის კუნძულები ეგეოსის ზღვაში:** თასოსი, სამოთრაკი, ლემხოსი, ლესბოსი, ხიოსი, სამოსი, იკარია; ვერ მიიღო მხოლოდ იმბროსი და ტენედოსი, რომლებიც თურქეთის მფლობელობაში დარჩა, როგორც დარდანელთან ძალიან ახლოს მდებარე; ასევე დოდეკანესის კუნძულები, რომელთა ანექსირებაც იტალიამ 1912 წელს მოახდინა.

ამის შემდეგ საბერძნეთის სამეფოს ფართობი 115 000 კმ-მდე, მოსახლეობა კი 5 მილიონ კაცამდე გაიზარდა. ახალი 23 ნომის დამატების შემდეგ, მას 49 ნომი ჰქონდა:

– მაკედონია: კავალა, დრამა, სერე, სალონიკი, ქალკიდიკი, კიკლოსი, პელა, ფლორინა, კასტორია, კოზანი, ვერია, კატერინი, გრევენა;

– ეპირი: იანინა, იღუმენიცა, პრევეზა;

– ეგეოსი: ლესბოსი, ხიოსი, სამოსი;

– კრეტა: კანდანოსი, რეთიმნონი, ჰერაკლიონი, აიოს-ნიკოლაისი.

ყველა ბერძნის ერთ სამეფოში გაერთიანების "დიადი იდეის" განსახორციელებლად გადამწყვეტი ნაბიჯი გადაიდგა. სამეფოს გარეთ მხოლოდ ის ბერძნები დარჩნენ, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ ეპირში (შეერთებული ალბანეთთან), თრაკიაში (შეერთებული ბულგარეთთან და თურქეთთან), ფანარში და მცირე აზიის სანაპიროზე (შეერთებული თურქეთთან), დოდეკანესზე (შეერთებული იტალიასთან) და კვიპროსზე (თურქეთის კუთვნილება, თუმცა ადმინისტრირებას დიდი ბრიტანეთი უნევდა).

V. თანამედროვე საბერძნეთი (1914 წლიდან დღემდე)

1. პირველი მსოფლიო ომი და მისი შედეგები (1914-1924)

1914 წელს საბერძნეთი ნეიტრალიტეტს იცავდა, მაგრამ მეფე კონსტანტინეს (გერმანოფილი) და მის მთავრობას, რომელიც ანტანტას ემხრობოდა, განსხვა-

ვებული პოზიციები ჰქონდათ. ამას პოლიტიკური კრიზისი მოყვა, რომელსაც სალონიკში მყოფი მოკავშირეები აღვივებდნენ. ისინი იქ 1915 წელს ჩავიდნენ ვენეზელოსის თანხმობით, რომელიც მეფემ მაშინვე დაითხოვა.

1915 წელს ლონდონში ანტანტასა და იტალიას შორის დაიდო ხელშეკრულება იმ მიზნით, რომ ეს უკანასკნელი ომში ჩართულიყო ცენტრალური სახელმწიფოების წინააღმდეგ. ეს ხელშეკრულება დოდეკანესის იტალიისთვის საბოლოო მინიჭებას ითვალისწინებდა, თუმცა მისი მოსახლეობა საბერძნეთთან შეერთებას უჭერდა მხარს.

1916 წლის ოქტომბერში მოკავშირეებმა ვენეზელოსის მთავრობა აღიარეს, რომელიც სალონიკსა და კრეტაზე იყო განთავსებული და ათენის ხელისუფლებას უპირისპირდებოდა. 1916 წლის დეკემბერში ათენში მომხდარი არეულობების შემდეგ, 11 ივნისს მოკავშირეებმა აიძულეს მეფე კონსტანტინე გადამდგარიყო და ტახტი უფროსი ვაჟის ნაცვლად, უმცროს ალექსანდრე I გადაეცა. 27 ივნისს ვენეზელოსი მთავრობის თავმჯდომარე გახდა და ომი გამოუცხადა ცენტრალურ სახელმწიფოებს.

კონფლიქტის დასრულების შემდეგ გამარჯვებულები პარიზში შეიკრიბნენ სამშვიდობო მოლაპარაკებებზე იმისთვის, რომ დამარცხებული ქვეყნებისთვის თავისი პირობები წაეყენებინათ და შესაბამისი ტერიტორიული ცვლილებები განეხორციელებინათ.

1919 წლის 27 ნოემბრის ნეილის შეთანხმებით, **ბულგარეთმა საბერძნეთს დაუთმო დასავლეთი თრაკიის მიმდებარე ტერიტორია,** ბულგარეთის სანაპირო რეგიონი, რომელიც როდოპის ქედსა და მესტასა და მარიცას ქვემო დინებებს შორის მდებარეობდა, ქალაქების ქსანტოსი, კომოტინი და ალექსანდრუპოლისი ჩათვლით.

თავის მხრივ, 1920 წლის 10 აგვისტოს დადებული სევრის ხელშეკრულებით **ოსმალეთის იმპერია საბერძნეთს უთმობდა:**

– **აღმოსავლეთ თრაკიას,** მარიცადან შავი ზღვის სანაპიროებამდე, ანდრინოპოლთან, ლულებურგაზთან, ენეზთან და მეჯიდიესთან ერთად, მაგრამ დაიტოვა:

  – თრაკიის უკიდურესი აღმოსავლეთი (სტამბოლი და მისი უშუალო მისადგომები);

  – დარდანელის სრუტის და მარმარილოს ზღვის ვინრო ზოლი;

– **კუნძულები იმროსი და თენედოსი;**

– **აიდინის ვილაიეთი** მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე, აზიაში ბერძნებით დასახლებული ცენტრალური ზონა; ეს ბოლო ანექსია დროებითი იყო. ის ძალაში პლებისციტამდე იქნებოდა, რომელიც ხუთი წლის ვადაში უნდა ჩატარებულიყო.

ეს ხელშეკრულება მუსტაფა ქემალის (შემდგომში ათათურქი) ნაციონალისტურმა პარტიამ გააპროტესტა.

უბედური შემთხვევის შედეგად მეფე ალექსანდრეს გარდაცვალებასა და არჩევნებში ვენეზელოსის დამარცხებას (ნოემბერი) გადასახლებიდან მეფე კონსტანტინეს დაბრუნება მოყვა, რომელიც 1920 წლის 19 დეკემბერს ხელახლა ავიდა ტახტზე.

1920-1921 წლებში მცირე აზიაში ანკარის მიმართულებით ოკუპირებული ზონების გაფართოების გამო, საბერძნეთის არმია იძულებული გახდა მუსტაფა ქემალის კონტრშეტევების შემდეგ უკან დაეხია (1922 წლის აგვისტო), დაეტოვებინა აიდინი (სექტემბერი) და აღმოსავლეთი თრაკია (1922 წლის ოქტომბერი).

1923 წლის 24 ივლისის ლოზანის ხელშეკრულებით, რომელიც თურქეთსა და დიდ სახელმწიფოებს შორის გაფორმდა **საბერძნეთს თურქეთისთვის უნდა დაებრუნებინა:**

– **აღმოსავლეთი თრაკია** მარიცას საზღვრამდე და თვით ანდრინოპოლამდე და ყარააღაჩამდე, რითაც იჭრებოდა აღმოსავლეთის სარკინიგზო გზა (აღმოსავლე-

თის ექსპრესი), რომელიც სოფიადან ალექსანდრუპოლისამდე და სტამბოლამდე მიდიოდა საბერძნეთის ტერიტორის გავლით;

– კუნძულები იმროსი და თენედოსი;

– აიდინის ვილაიეთი.

იტალიას დაუკანონდა სუვერენიტეტი დოდეკანესზე.

გარდა ამისა, თანამედროვე ისტორიაში პირველად მოხდა მოსახლეობის ფართომასშტაბიანი გაცვლა: 40 000 საბერძნეთში მცხოვრებ თურქსა და აღმოსავლეთ თრაკიასა და მცირე აზიაში მცხოვრებ 1 300 000 ბერძენს შორის.

1923 წელს საბერძნეთის ფართობი 129 000კმ-ის ტოლი იყო, მას 51 ნომი გაუხდა, მას შემდეგ რაც 1913 წელს განსაზღვრულ 49 ნომს დასავლეთი თრაკიის სამი ნომი დაემატა: ევროსი (ალექსანდრუპოლისი), როდოპი (კომოტინი), ქსანთოსი და გაერთიანდა ორი ნომი ეტოლია და აკარნანია.

1922 წლის კრიზისმა მეფე კონსტანტინე I-ის მეორედ გადადგომა გამოიწვია, მისი ვაჟის გეორგ II-ის სასარგებლოდ (1922 წლის სექტემბერი). პოლიტიკური კლასის ერთი ნაწილი რესპუბლიკელი გახდა. 1924 წლის აპრილში გამართული პლებისციტის შედეგად საბერძნეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.

2. მეორე მსოფლიო ომი და მისი შედეგები (1935 წლიდან დღემდე)

საკანონმდებლო არჩევნებში მონარქისტების გამარჯვებამ 1935 წლის ნოემბერში ახალი პლებისციტის ჩატარება გამოიწვია, რის შედეგადაც მონარქია აღდგა; საბერძნეთი ხელახლა გახდა სამეფო და მეფე გეორგი II ტახტის დასაკავებლად დაბრუნდა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას საბერძნეთმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, მაგრამ მუსოლინიმ, რომელსაც ჰიტლერის ნარმატებები შურდა, საბერძნეთის დაპყრობა გადაწყვიტა; ალბანეთის ტერიტორიის დაკავების შემდეგ, 1940 წლის ოქტომბერში ფაშისტურმა იტალიამ საბერძნეთს შეუტია; ბერძნებმა იტალიელები უკუაგდეს და ჩრდილოეთი ეპირი დაიკავეს; მუსოლინიმ საშველად გერმანიის ჯარებს მოუხმო. მათ საბერძნეთი 1941 ხლის 27 აპრილს მთლიანად დაიკავეს; მეფემ თავი კუნძულ კრეტას შეაფარა, რომელიც 20 მაისს აიღეს.

1941 ხლის 4 ივლისს თავისი მარცხის შემდეგ **საბერძნეთი იძულებული გახდა დაეთმო:**

– იტალიის ალბანეთისთვის ეპირის ჩრდილო-დასავლეთი რეგიონი პარგას ჩათვლით;

– ბულგარეთისთვის ფლორინა, დასავლეთი თრაკია, საბერძნეთის მაკედონია სტრუმას აღმოსავლეთით, კუნძულები თასოსი და სამოთრაკი.

იტალიასა და ბულგარეთის მიერ დაკავებული ტერიტორიები საბერძნეთმა 1944 ლლის შემოდგომაზე დაიბრუნა. 1947 ხლის 10 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით ბულგარეთისა და იტალიის საზღვრები განისაზღვრა; მათ მოსაზღვრე ქვეყნებს დაუთმეს ტერიტორიები. ამ ჩარჩოში:

– ბულგარეთმა საბერძნეთს დაუბრუნა 1941 ხელს ანექსირებული ტერიტორიები, **კერძოდ ფლორინა, აღმოსავლეთი მაკედონია, დასავლეთი თრაკია და კუნძულები თასოსი და სამოთრაკი;**

– იტალიამ საბერძნეთს დაუბრუნა ჩამურია (tchamourie);

– იტალიამ საბერძნეთს დაუთმო დოდეკანესის არქიპელაგი, მთავარ კუნძულ როდოსთან ერთად; ამ არქიპელაგს საბერძნეთს დიდი ხნის მანძილზე პირდებოდნენ, მაგრამ 1912 ხლიდან იტალიას ეკავა; გადაცემა 1948 ხლის 31 იანვარს განხორციელდა.

საბერძნეთის ფართობმა 132 000 კმ-ს მიაღწია, რაც დღემდე არ შეცვლილა, მას 52 ნომი გაუხდა მას შემდეგ, რაც დოდეკანესი (როდოსი) დაემატა. ამჯერად საბერძნეთს ბოლოდ კუნძული კვიპროსი აკლდა, რომელსაც დიდი ბრიტანეთი ფლობდა.

მეფე გეორგი II ქვეყანაში 1946 ხლის პლებისციტის შემდეგ დაბრუნდა 1947-1949 ხლების ზეროოდში კომუნისტების მიმხრეებმა ეპირში აჯანყება მოაწყეს.

1967 წლის 21 აპრილს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად "პოლკოვნიკთა რეჟიმი" დამყარდა და მეფე კონსტანტინე I-მ 1967 წლის დეკემბერში ქვეყანა დატოვა. 1973 წლის იანვარში მთავრობის მეთაურმა პოლკოვნიკმა პაპადოპულოსმა **საბერძნეთის რესპუბლიკა** გამოაცხადა.

1974 წლის 23 ივლისს კვიპროსის კრიზისის შემდეგ პოლკოვნიკთა რეჟიმი დაეშახ და საბერძნეთში საპარლამენტო დემოკრატია დამყარდა. 8 დეკემბრის რეფერენდუმით მონარქია გაუქმდა.

1979 წლის 28 მაისს საბერძნეთმა ევროპის თანამეგობრობაში გაწევრიანების კომუნიკეს მოაწერა ხელი, რაც 1981 წლის 1 იანვარს განხორციელდა.

საბერძნეთის კუნძულები

ტერიტორიული თვალსაზრისით საბერძნეთის კუნძულები ათ ნაწილად შეიძლება დაიყოს:

1. **იონიის კუნძულები**, შვიდი კუნძული, ადმინისტრაციული ცენტრი კერკირა, სადაც დაჯგუფებულია კერკირა, პაქსოსი, ლევკადასი, ითაკე, კეფალონია, ზაკინთოსი, გეოგრაფიულად დაშორებული, მაგრამ პოლიტიკურად დაკავშირებული კიტირა.

ისინი 1789 წელს ვენეციას ეკუთვნოდა, 1797 წელს საფრანგეთს, 1800 წელს რუსეთს, 1807 წელს ისევ **საფრანგეთს**, 1815 წელს დიდ ბრიტანეთს, 1864 წელს საბერძნეთს.

2. **კუნძული კრეტა**, ადმინისტრაციული ცენტრი ჰერაკლიონი;

1789 წელს ეკუთვნოდა თურქეთს, 1824 წელს ეგვიპტეს, 1841 წელს თურქეთს, 1908 წელს საბერძნეთს.

3. **კიკლადების** არქიპელაგი, ადმინისტრაციული ცენტრი ერმუპოლისი, რომელშიც დაჯგუფებულია კუნძულები ატიკასა და კრეტას შორის, კერძოდ სიროსი, კეა, ანდროსი, თინოსი, მიკონოსი, დელოსი, პაროსი, ნაქსოსი, ამორგოსი, იოსი, ფოლეგანდროსი, სიკინოსი, სერიფოსი, კითნოსი.

1789 წელს თურქეთს ეკუთვნოდა, 1830 წელს საბერძნეთს.

4. **დასავლეთი სპორადების** არქიპელაგი: იდრა, სპეცე, ეგინა.

1789 წელს თურქეთს ეკუთვნოდა, 1830 წელს საბერძნეთს.

5. **კუნძული ევბეა.**

1789 წელს თურქეთს ეკუთვნოდა, 1830 წელს საბერძნეთს.

6. **ჩრდილოეთი სპორადების** არქიპელაგი, რომელიც აჯგუფებს კუნძულებს სკიროსს, სკოპელოს და სკიათოსს.

1789 წელს თურქეთს ეკუთვნოდა, 1830 წელს საბერძნეთს.

7. **თრაკიის კუნძულები**, რომლებიც ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს: თასოსი, სამოთრაკი, იმროსი, თენედოსი, ლემნოსი.

თასოსი 1789 წელს თურქეთს ეკუთვნოდა, 1878 წლის მარტში ბულგარეთს, 1913 წელს საბერძნეთს, 1941 წელს ბულგარეთს, 1947 წელს საბერძნეთს.

სამოთრაკი 1789 წელს თურქეთს ეკუთვნოდა, 1913 წელს საბერძნეთს, 1941 წელს ბულგარეთს, 1947 წელს საბერძნეთს.

ლემნოსი თურქეთს ეკუთვნოდა 1789 წელს, საბერძნეთს 1913 წელს.

იმროსი და თენედოსი 1789 წელს თურქეთს ეკუთვნოდნენ, 1920 წელს საბერძნეთს, 1923 წელს თურქეთს.

8. **აღმოსავლეთის კუნძულები**, რომლებიც მცირე აზიის სანაპიროზე მდებარეობს: ლესბოსი, ხიოსი, სამოსი, იკარია.

ლესბოსი, ხიოსი და იკარია 1789 წელს თურქეთს ეკუთვნოდა, 1913 წელს საბერძნეთს.

სამოსი 1789 წელს თურქეთს ეკუთვნოდა, 1832 წელს პორტაზე დამოკიდებული სამთავრო იყო, 1912 წელს საბერძნეთს გადაეცა.

9. **სამხრეთი სპორადების** არქიპელაგი, იგივე **დოდეკანესი** (12 კუნძული), ადმინისტრაციული ცენტრი როდოსი, სინამდვილეში 14 კუნძულისგან

შედგება: როდოსი, კოსი, კალიმნოსი, ლეროსი, პათმოსი, ტილოსი, ნისიროსი, ხალკი, კასოსი, კარპათოსი, ლიპსოსი, ასტიპალეა, სიმი და აღმოსავლეთით არქიპელაგს დაშორებული კასტელორიზონი (მეიისტი).

1789 წელს თურქეთს ეკუთვნოდა, 1912 წელს იტალიას და 1947 წელს საბერძნეთს.

10. კუნძული **კვიპროსი**, ადმინისტაციული ცენტრი ნიქოზია, დიდი კუნძული, რომელიც გეოგრაფიულად უფრო აზიას ეკუთვნის, მაგრამ მისი ისტორია და ცივილიზაცია მას საბერძნეთთან და ევროპასთან აკავშირებს.

1789 წელს თურქეთს ეკუთვნოდა, 1878 წელს თურქეთს ბრიტანეთის ადმინისტრაცით, დიდ ბრიტანეთს 1914 ნელს, 1960 წელს დამოუკიდებელი იყო, 1975 ნლიდან ორ ნაწილად არის გაყოფილი (საბერძნეთის და თურქეთის).

სან-მარინო

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: სან-მარინოს რესპუბლიკა.
პრეზიდენტები: დიდი საბჭოს მიერ ექვსი თვის ვადით არჩეული ორი კაპიტანი-რეგენტი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი, დიდი გენერალური საბჭო.
დედაქალაქი: სან-მარინო.
ფართობი: 60კმ²; **მოსახლეობა:** 26 000 კაცი; **სიმჭიდროვე:** 433 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენა: იტალიური.
რელიგია: კათოლიკობა.
ფულის ერთეული: ევრო, იტალიური ლირა 2001 წლამდე.

შენიშვნა: 1789 წლიდან დღემდე, სან-მარინოს რესპუბლიკა ანდორასა და ლიხტენშტაინთან ერთად, ერთ-ერთი იმ სამი სახელმწიფოთაგანია, რომელსაც არ შეუცვლია არც ტერიტორია და არც პოლიტიკური რეჟიმი.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. სან-მარინოს მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ლეგენდის მიხედვით, სან-მარინო დაარსებული იქნა ჩვ. წ. აღ. IV საუკუნეში წმინდა მარინოს მიერ (ქვის მთლელი, წარმოშობით დალმაციიდან). ქალაქი, რომელიც მის სახელს ატარებს რიმინის სამხრეთით, ტიტანის მთის კალთებზე იყო გადაშლილი. XIII საუკუნეში ის **სან-მარინოს რესპუბლიკად** (ზოგჯერ ტიტანის რესპუბლიკასაც უწოდებდნენ) ჩამოყალიბდა, ხოლო XIV საუკუნეში ურბინოს მომავალი ჰერცოგების, მონტეფელტრეს სენიორების მფარველობის ქვეშ მოექცა.

სან-მარინოს ხელში ჩაგდება მალატესტებსა და ბორჯიებს სურდათ, მაგრამ რესპუბლიკამ თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება მოახერხა და 1600 წელს კონსტიტუციით აღიჭურვა, რის შედეგადაც ის უძველესი რესპუბლიკა გახდა მსოფლიოში არსებულ რესპუბლიკებს შორის.

1739 წელს კარდინალი ალბერონი პაპის რომანიის პროვინციის ლეგატი, რომლის ტერიტორიაშიც სან-მარინოს რესპუბლიკა იყო შეჭრილი, ძალის გამოყენებით სან-მარინოს მიერთებას შეეცადა. 1740 წელს მისი ზრახვები პაპმა კლიმენტი XII-მ გამოააშკარავა.

II. ქვეყნის შენარჩუნება ბობოქარ პერიოდებში (1789 წლიდან დღემდე)

1789 წელს იტალიის არმიის მთავარსარდალმა ბონაპარტმა რესპუბლიკის მთლიანობის უზრუნველსაყოფად სან-მარინოში მეცნიერი მონჟი მიავლინა და მიესალმებოდა რესპუბლიკურ სულისკვეთებას, რომელსაც სან-მარინო საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებდა. ნაპოლეონმა რესპუბლიკას ტერიტორიის გაზრდაც შესთავაზა, რაზეც ამ უკანასკნელმა ფრთხილი უარით უპასუხა. მოგვიანებით, იტალიის მეფემ ნაპოლეონ I-მა პატივი მიაგო სან-მარინოს

დამოუკიდებლობას, რომლის ტერიტორიაც რუბიკონის იტალიურ დეპარტამენ-ტში იყო შეჭრილი.

1815 წელს სან-მარინო ვენის კონგრესს შეუერთდა. 1849 წელს იტალიის სახელმწიფოებიდან გაძევებული გარიბალდის მიღებით, რესპუბლიკამ შეძლო 1860 წელს გვერდი აეარა იტალიის გაერთიანების მოძრაობისთვის. 1862 წლის 22 მარტს მან ხელი მოაწერა მეგობრობის ხელშეკრულებას იტალიის ახალ სახელმწიფოსთან, რომლის მფარველობის ქვეშ ის მოექცა აღნიშნული დროიდან.

1943 წელს რესპუბლიკის ნეიტრალიტეტს პატივს სცემდნენ გერმანიის ჯარები, იმ დროს, როდესაც იტალიის ნახევარი მათ მიერ იყო ოკუპირებული. სან-მარინომ ბევრი ლტოლვილი შეიფარა.

იტალიასთან დადებული მეგობრული ხელშეკრულება რეგულარულად ახლდება, რის შედეგადაც სან-მარინო მთლიანად არის ჩართული იტალიის ეკონომიკურ სივრცეში, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურად ის სუვერენულია. აღნიშნულის სიმბოლოა 1992 წელს სან-მარინოს გაეროში მიღება.

საფრანგეთი

ზოგადი მონაცემები

რესპუბლიკური სახელმწიფო: საფრანგეთის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ნიკოლა სარკოზი
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ორი პალატა, ეროვნული ასამბლეა და სენატი.
დედაქალაქი: პარიზი.
ადმინისტრაციული დაყოფა: 22 რეგიონი და 96 დეპარტამენტი:

– ალზასი, ადმინისტრაციული ცენტრი სტრასბურგი, იყოფა ორ დეპარტამენტად:
  – ქვემო რაინი (67): სტრასბურგი, ჰაგენაუ, მოლსჰაიმი, საავერნი, სელესტა, ვისემბურგი
  – ზემო რაინი (68): კოლმარი, ალტკირში, გებვილერი, მიულუზი, რიბოვილე, ტანი

– აქვიტანია, ადმინისტრაციული ცენტრი ბორდო, იყოფა ხუთ დეპარტამენტად:
  – დორდონი (24): პერიგე, ბერჟერაკი, ნონტრონი, სარლა–ლა–კანედა
  – ჟირონდი (33): ბორდო, ბლეი, ლანგონი, ლესპარ-მედოკი, ლიბურნი
  – ლანდები (40): მონ-დე-მარსანი, დაქსი
  – ლო-ე-გარონა: (47): აჟენი, მარმანდი, ნერაკი, ვილენევ-სურ-ლი
  – ატლანტიკის პირენე: (64): პო, ბაიონი, ოლორონ-სენტ-მარი

– ოვერნი, ადმინისტრაციული ცენტრი კლერმონ-ფერანი, იყოფა ოთხ დეპარტამენტად:
  – ალიერი (03): მულენი, მონტლუსონი, ვიში
  – კანტალი (15): ორიაკი, მორიაკი, სენ-ფლური
  – ზემო ლუარა (43): ლე პუვ-ენ-ველაი, ბრიუდი, ისენჟო
  – პუი-დე-დომი (63): კლერმონ-ფერანი, ამბერი, ისუარი, რიომი, ტიერი

– ქვემო ნორმანდია, ადმინისტრაციული ცენტრი კანი, იყოფა სამ დეპარტამენტად:
  – კალვადოსი (14): კანი, ბაიე, ლიზიე, ვირი
  – მანში (50): სენ-ლო, ავრანში, შერბური, კუტანსი
  – ორნი (61): ალანსონი, არჟანტანი, მორტან-ო-პერში

– ბურგონი, ადმინისტრაციული ცენტრი დიჟონი, იყოფა ოთხ დეპარტამენტად:
  – კოტ-დ'ორი (21): დიჟონი, ბონი, მონბარდი
  – ნიევრი (58): ნევერი, შატო-შინონი, კლამესი, კოსნ-კურ-სურ-ლუარი
  – სონა და ლუარა (71): მაკონი, შალონ-სურ-სონი, შაროლი, ლუანი
  – იონი (89): ოერი, ავალონი, სანსი

– ბრეტანი, ადმინისტრაციული ცენტრი რენი, იყოფა ოთხ დეპარტამენტად:
  – კოდ-დ'არმორი (22): სენ-ბრიეკი, დინანი, გენგამპი, ლანიონი
  – ფინისტრერი (29): კიმპერი, ბრესტი, შატოლენი, მორლექსი
  – ილი-და-ვილენი (35): რენი, ფუჟერი, რედონი, სენ-მალო
  – მორბიანი (56): ვანი, ლორიანი, პონტივი

– სანტრ-ვალ-დე-ლუარა, ადმინისტრაციული ცენტრი ორეანი, იყოფა ექვს დეპარტამენტად:
  – შერი (18): ბურჟი, სენტ-ამანდ-მონტრონი, ვირზონი
  – ერი და ლუარა (28): შარტრი, შატოდუნი, დრექსი, ნოჟან-ლე-როტრუ
  – ინდრი (36): შატორუ, ლე ბლანი, ლა შატრი, ისუდუნი
  – ინდრი და ლუარა (37): ტურე, შინონი, ლოში
  – ლუარ-და შერი (41): ბლუა, რომორანტენ-ლანტენეი, ვანდომი
  – ლუარე (45): ორლეანი, მონტარჟი, პიტივიერი
– შამპან-არდენი, ადმინისტრაციული ცენტრი შალონ-ან-შამპანი, იყოფა ოთხ დეპარტამენტად:
  – არდენი (08): შარლეველ-მეზიერი, რეტელი, სედანი, ვუზიერი
  – ობი (10): ტროვი, ბარ-სურ-ობი, ნოჟან-სურ-სენი
  – მარნი (51): შალონ-ან-შამპანი, ეპერნეი, რემსი, სენტ-მენეულდი, ვიტრი-ლე-ფრანსუა
  – ზემო მარნი (52): შომონი, ლანგრე, სენ-დიზიე
– კორსიკა, ადმინისტრაციული ცენტრი აჟაკსიო, იყოფა ორ დეპარტამენტად:
  – სამხრეთი კორსიკა (2ა): აჟაკსიო, სარტენი
  – ზემო კორსიკა (2ბ): ბასტია, კალვი, კორტი
– ფრანშ-კოხტე, ადმინისტრაციული ცენტრი ბეზანსონი, იყოფა ოთხ დეპარტამენტად:
  – დუ (25): ბეზანსონი, მონბელიარი, პონტარლიე
  – იურა (39): ლონს-ლე-სოლნიე, დოლი, სენ-კლოდი
  – ზემო სონა (70): ვეზული, ლური
  – ბელფორის ტერიტორია (90): ბელფორი
– ზემო ნორმანდია, ადმინისტრაციული ცენტრი რუანი, იყოფა ორ დეპარტამენტად:
  – ერი (27): ევრე, ლეზანდელი, ბერნეი
  – სენ-მარტიმი (76): რუანი, დიეპი, ჰავრი
– ილ-დე-ფრანსი, ადმინისტრაციული ცენტრი პარიზი, იყოფა რვა დეპარტამენტად:
  – ესონი (91): ევრი, ეტამპი, პალეზო
  – ო-დე-სენა (92): ნანტერი, ანტონი, ბულინ-ბილანკური
  – პარიზი (75): პარიზი
  – სენა-ე-მარნი (77): მელუნი, ფონტენებლო, მო, პროვენი, ტორსი
  – სენა-სენ-დენი (93): ბობინი, ლა რენსი, სენ-დენი
  – ვალ-დე-მარნი (94): კრეტელი, ლ'ეი-ლე-როზი, ნოჟენ-სურ-მარნი
  – ვალ-დ'უაზი (95): პონტუაზი, არჟანტეი, მონმორენსი
  – იველინი (78): ვერსალი, მანტ-ლა-ჟოლი, რამბუიე, სენ-ჟერმენ-ან-ლეი
– ლანგედოკ-რუსილიონი, ადმინისტრაციული ცენტრი მონპელიე, იყოფა ხუთ დეპარტამენტად:
  – ოდი (11): კარკასონი, ლიმუ, ნარბონი
  – გარი (34): ნიმი, ალე, ლე ვიგანი
  – ერო (34): მონპელიე, ბეზიერი, ლოდევი
  – ლოზერი (48): მანდი, ფლორაკი
  – აღმოსავლეთი პირენე (66): პერპინიანი, სერე, პრადი
– ლიმუზენი, ადმინისტრაციული ცენტრი ლიმოჟი, იყოფა სამ დეპარტამენტად:
  – კორეზი (19): ტული, ბრივ-ლა-გაიარდი, უსელი
  – კრეზი (23): გერე, ობუსონი
  – ზემო ვიენი (87): ლიმოჟი, ბელაკი, როშეშუარი

– ლოტარინგია, ადმინისტრაციული ცენტრი მეცი, იყოფა ოთხ დეპარტამენტად:
  – მერტი და მოზელი (54): ნანსი, ბრიეი, ლუნევილი, ტული
  – მეზი (55): ბარ-ლე-დუკი, კომერსი, ვერდენი
  – მოზელი (57): მეცი (ქალაქი+სოფელი), ბულეი-მოზელი, შატო-სალენი, ფორბახი, საარბურგი, სარგემინი, ტიონვილი (აღმოსავლეთს+დასავლეთი)
  – ვოგესები (88): ეპინალი, ნევშატო, სენ-დიე
– სამხრეთი პირენე, ადმინისტარციული ცენტრი ტულუზა, იყოფა რვა დეპარტამენტად:
  – არიეჟი (09): ფუა, პამიე, სენ-ჟირონი
  – ავეირონი (12): როდეზი, მილო, ვილეფრანშ-დე-რიუერგი
  – ჟერი (32): ოში, კონდომი, მირანდი
  – ზემო გარონა (31): ტულუზა, მურე, სენ-გოდენი
  – ზემო პირენე (65): ტარბი, არჟელე-გაზო, ბანიერე-დე-ბიგორი
  – ლო (46): კაორი, ფიჟაკი, გურდონი
  – ტარნი (81): ალბი, კასტრი
  – ტარნი და გარონა (82): მონტობანი, კასტელსარაზენი
– ჩრდილოეთი პა-დე-კალე, ადმინისტრაციული ცენტრი ლილი, იყოფა ორ დეპარტამენტად:
  – ნორი (59): ლილი, ავესნი-სურ-ელპი, კამბრე, დუე, დანკერკი, ვალენსიენ
  – პა დე კა ლე (62): არა, ბეთენი, ბულონ-სურ-მერ, კალე, ლანსი, მონტრეილი, სენტ-ომერი
– პეი-დე-ლა-ლუარა, ადმინისტრაციული ცენტრი ნანტი, იყოფა ხუთ დეპარტამენტად:
  – ლუარა-ატლანტიკი (44): ნანტი, ანსენი, შატობრიანი, სენ-ნაზერი
  – მენ-ე-ლუარა (49): ანჟერი, შოლე, სომური, სეგრე
  – მაიენი (53): ლავალი, შატო-გონტიე, მაიენი
  – სარტი (72): ლე მანი, ლა ფლეში, მამერი
  – ვანდე (85): ლაროშ-სურ-იონი, ფონტენეი-ლე-კომტი, ლე საბლ-დ'ოლონი
– პიკარდია, ადმინისტრაციული ცენტრი ამიენი, იყოფა სამ დეპარტამენტად:
  – ესნი (02): ლონი, შატო-ტიერი, სენ-კენტენი, სუასონი, ვერვენი
  – უაზა (60): ბოვე, კლერმონი, კომპიენი, სანდი
  – სომა (80): ამიენი, აბევილი, მონდიდიე, პერონი
– პუატუ-შარანტი, ადმინისტრაციული ცენტრი პუატიე, იყოფა ოთხ დეპარტამენტად:
  – შარანტი (16): ანგულემი, კონიაკი, კონფოლანი
  – ზღვისპირა–შარანტი (17): ლა როშელი, ჟონზაკი, როშფორი, სენტი, სენ-ჟან-დ'ანჟელი
  – დე-სევრი (79): ნიორი, ბრუსუირი, პარტენეო
  – ვიენა (86): პუატიე, შატოლერო, მონმორიონი
– პროვანს-ალპ-კოტ დ'აზური, ადმინისტრაციული ცენტრი მარსელი, იყოფა ექვს დეპარტამენტად:
  – ზემო პროვანსის ალპები (04): დინ-ლე-ბენი, ბარსელონეტი, კასტელანი, ფორკალკიე
  – ზღვისპირა ალპები (06): ნიცა, გრასი
  – ბუშ-დუ-რონა (13): მარსელი, ექს-ან-პროვანსი, არლი, ისტრი
  – ზემო ალპები (05): გაპი, ბრიანსონი
  – ვარი (83): ტულონი, ბრინიოლი, დრაგინიანი
  – ვოკლუზი (84): ავინიონი, აპტი, კარპანტრა

– რონას ალპები, ადმინისტრაციული ცენტრი ლიონი, იყოფა რვა დეპარტამენტად:
  – ენი (01): ბურჯ-ან-ბრესი, ბელეი, უექსი, ნანტუა
  – არდეში (07): პრივა, ლარჟანტიერი, ტურნონ-სურ-რონი
  – დრომი (26): ვალანსი, დი, ნიონი
  – ზემო-სავოია (74): ანესი, ბონევილი, სენ-ჟულიენ-ან-ჟენევუა, ტონონ-ლე-ბენი
  – იზერი (38): გრენობლი, ლა ტურ-დიუ-პენი, ვიენა
  – ლუარა (42): სენტ-ეტიენი, მონბრიზონი, რანი
  – რონა (69): ლიონი, ვილეფრანშ-სულ-სონ
  – სავოია (73): შამბერი, ალბერვილი, სენ-ჟან-დე-მორიენი

ამას ემატება ევროპის ფარგლებს გარეთ ოთხი ზღვის იქითა დეპარტამენტი (გვადელუპა, გვიანა, მარტინიკი, რეუნიონი), ორი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული (მაიოტი, სენ-პიერი-და-მიკელონი) და ოთხი ზღვის იქითა ტერიტორია (ახალი კალედონია, საფრანგეთის პოლინეზია, უოლისი და ფუტუნა, საფრანგეთის მიწები სამხრეთით და ანტარკტიდაში).

ფართობი: 551 000 კმ² (544 000 კმ² კადასტრის მონაცემებით, ტბები, მყინვარები, შესართავები აქედან გამორიცხულია); მოსახლეობა: 62 მილიონი კაცი; სიმჭიდროვე: 108 კაცი ერთ კმ²-ზე.

ენა: ფრანგული; ლაპარაკობენ აგრეთვე ფლამანდიურად საფრანგეთის ფლანდრიაში, ლოტარინგიულად (გერმანული დიალექტი) მოზელში, ალზასურად (გერმანული დიალექტი) ალზასში, ნისარდიულად (იტალიური დიალექტი) ზღვისპირა ალპებში, კორსიკულად (იტალიური დიალექტი) კორსიკაში, პროვანსულად პროვანსში, კატალონიურად აღმოსავლეთ-პირენეებში, ბასკურად ატლანტიკის პირენეის დასავლეთით, ბრეტონულად (კელტური დიალექტი) ბრეტანში.

რელიგიები: კათოლიკური; უმცირესობა პროტესტანტი, ებრაელი და მუსლიმია.

ფულის ერთეული: ფრანგული ფრანკი; 2002 წლიდან ევრო.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. საფრანგეთის მოკლე ისტორია

1. გალია, სათავეებიდან დასავლეთის რომის იმპერიის დასასრულამდე (476)

პოლიტიკური სივრცე, რომელსაც დღეს საფრანგეთს უწოდებენ, ჩვ. წ. აღ-მდე II ათასწლეულის ბოლოს სხვადასხვა ხალხებს ეკავა: იბერებს სამხრეთ-დასავლეთში (აკვიტანია), ლიგურებს ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე, კელტებს ცენტრალურ ნაწილში (სენასა და გარონას შორის). ჩვ. წ. აღ-მდე 600 წლიდან ამ ტერიტორიაზე ბერძნები ჩნდებიან და აარსებენ მარსელს (მასალია), შემდეგ თავის კოლონიებს ხმელთაშუა ზღვის დასავლეთით. ბოლოს, ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნეში, ბელგიელები (კელტების განშტოება) სახლდებიან ქვეყნის ჩრდილოეთით. ყველა ამ ხალხს, ბერძნების გამოკლებით რომაელები გალებს უწოდებდნენ, მათ ქვეყანას კი **ტრანსალპური გალიას** ციზალპური გალიისგან განსხვავებით, რომელიც ასევე გალებით იყო დასახლებული და იყო ერთი მხრივ არნოსა და რუბიკონს შორის და მეორე მხრივ ალპების გაყოლებაზე მდებარეობდა.

დიდი ხნის მანძილზე მარსელელი ბერძნები რომთან ალიანსში იყვნენ, კარგად იცავდნენ მათ ინტერესებს და უზრუნველყოფდნენ იბერიის ნახევარკუნძულზე რომის სამფლობელოებისაკენ მიმავალი გზების უსაფრთხოებას. მაგრამ ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნეში რომაელებს რამდენჯერმე მოუხდათ მარსელელების დაცვა გალებისაგან და საბოლოოდ ისინი ტრანსალპური გალიის სამხრეთით დამკვიდრ-

დნენ და იქ ძვ. წ. აღ-ით 121 წელს **რომაული პროვინცია** (დღევანდელი პროვანსი) დაარსეს, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას აღმოსავლეთი პირენეედან ლემანის ტბამდე, გადიოდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე და რონას ქვემოთ დაბლობზე.

ძვ. წ. აღ-ით 58 წელს ცეზარმა ტრანსალპური გალიის რომაული პროვინციის მართვა იკისრა და 57-დან 52 წლამდე დარჩენილი გალია დაიპყრო (ვერსენჟეტორიქსის დამარცხება ალეზიაში). 51 წლიდან ცეზარმა ყოფილი თავისუფალი გალია სამ ნაწილად დაყო: **ბელგიური გალია** რენსა და სენას შორის, **კელტური გალია** სენას, გარონასა და ზემო რენს შორის, **აკვიტანია**, გარონასა და პირენეებს შორის; ძველი *Provincia* ამ დაყოფაში არ შესულა. ძვ. წ. აღ-ით 27 წელს, ავგუსტუსმა შეცვალა გალიის დაყოფა: *Provincia* **ნარბონე** გახდა, **აკვიტანია** მდინარე ლუარამდე გაიზარდა, შემცირებული კელტური გალია გახდა **ლიონე** და **ბელგია** ყოფილი კელტური გალიის აღმოსავლეთი ნაწილით გაიზარდა.

ასეთი დაყოფა დაახლოებით სამი საუკუნე გაგრძელდა და ამ პერიოდში თანდათან ხორციელდებოდა გალიის რომანიზაცია, იბადებოდა ახალი გალორომანული ცივილიზაცია, რომელშიც ორივე მხარის ღირსებების შერწყმა ხდებოდა. ჩვ. წ. აღ-ით 300 წლისათვის გალია ორ დიოცეზად იყო დაყოფილი:

– **გალების დიოცეზი**, დაყოფილი 10 პროვინციად: ბელგია I (ტრირი) და ბელგია II (რემსი), გერმანია I (მაინცი), გერმანია II (კიოლნი), ლიონე I (ლიონი), ლიონე II (რუანი), ლიონე III (ტური) და ლიონე IV (სანსი), სეკანე (ბეზანსონი), ალპები (მუტიერი);

– **ვიენუას დიოცეზი**, დაყოფილი 7 პროვინციად: ვიენუაზი (ვიენი), აკვიტანია I (ბურჟი) და აკვიტანია II (ბორდო), ნო

მან კათოლიკური რწმენა აირჩია (ვესტგოთებმა და ბურგონებმა არიანელობა მიიღეს) და კონსტანტინოპოლის იმპერატორისგან კონსულის ტიტული მიიღო, რამაც გალო-რომანების ელიტისა და დამპყრობელი ფრანკების მშვიდობიან თანაცხოვრებას შეუწყო ხელი (შერწყმის მოლოდინში).

მემკვიდრეობის სახელით სამეფო სისხლის შთამომავლებს შორის ტერიტორიების დანაწილება ფრანკების მიერ შემოღებული ჩვეულება იყო. მეროვინგების მეფობის სამი საუკუნის მანძილზე განუწყვეტლივ იცვლებოდა ყოფილი გალია, რომელსაც უკვე **საფრანგეთს** უწოდებდნენ ფრანკების გავლენით (გაცილებით მცირერიცხოვანი, ვიდრე გალო-რომანები და რომელთაც ძალაუფლება ეპყრათ); მემკვიდრეობების მიღების მიხედვით ის ხან გაერთიანებული, ხან დანაწევრებული იყო; ყოფილ გალიაში თანდათან წარმოიქმნა დიდი ტერიტორიული ერთეულები: ჩრდილო-დასავლეთით **ნოისტრია** ლუარადან მეზამდე, **ავსტრაზია** უფრო აღმოსავლეთისკენ, მეზსა და რაინს შორის, ასევე **აკვიტანია და ბურგუნდია.** უფრო მეტიც, მეროვინგების მეფობის პერიოდის დასასრულისკენ, როდესაც ფრანკთა მეფეების ძლიერება შესუსტდა, ბრეტონები თითქმის დამოუკიდებელნი გახდნენ, ვასკონები (იგივე ბასკები) ხანგრძლივი ვადით პირენეების მეორე მხარეს დასახლდნენ, შეიერთეს აკვიტანიის ერთი ნაწილი, რომელიც **გასკონია** გახდა, ვესტგოთები **სეპტიმანიაში** დარჩნენ.

751 წელს პიპინ მოკლემ ავსტრაზიის მაიორდომის კარლოს მარტელის ვაჟმა, ავსტრაზიის გვირგვინი მოიპოვა, ნოისტრია შეიერთა და სამეფო ტახტი პიპინიდების დინასტიას (იგივე კაროლინგები) გადასცა. მისმა ვაჟმა, კარლოს დიდმა თავისი ხანგრძლივი მეფობის პერიოდში (768-814) შექმნა იმპერია, რომელიც დღევანდელი საფრანგეთის საზღვრებს სცილდებოდა; თავისი ძმის კარლომანის გარდაცვალების შემდეგ (771) მან ქვეყანა გააერთიანა, დაიპყრო ლანგობარდია, ბავარია, საქსონია (ელბამდე), ესპანეთის მარკა (ებრამდე), გახდა პაპის სახელმწიფოების პროტექტორატი (თითქმის სიუზერნი) და რომში პაპს ლეონ III-ს თავი დასავლეთის ახალ იმპერატორად აკურთხებინა (800).

ასეთი დიდი იმპერია მეტად რთული სამართავი იყო, ამიტომაც კარლოს დიდმა თავის სიცოცხლეში ის მის ვაჟებს გადაუნაწილა; მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი ვაჟი, ლუი გულმონყალე იძულებული გახდა იგივე გაეკეთებინა; ეს დაყოფები მუდმივი დავის საგანი გახდა, მათგან ერთი, ვერდენის დაყოფა (843) ყველაზე ცნობილია. ამ დროს ბოლო მოეღო დასავლეთის დიდი იმპერიის ფიქციას. შარლ მელოტს **დასავლეთი ფრანკთა სახელმწიფო** ერგო (მეზის დასავლეთით), ლუდვიგ გერმანელს **აღმოსავლეთი ფრანკთა სახელმწიფო** (რაინის აღმოსავლეთით), მეზსა და რაინს შორის მდებარე ტერიტორია, გაზრდილი ნიდერლანდით, ბურგუნდიის ნაწილით, დასავლეთი ჰელვეციით, იტალიის იმპერატორის ტიტულთან ერთად, ნილად ხვდა ლოტარს, ამიტომაც მას **ლოტარინგია** ეწოდა. ვერდენის ზავმა დასაბამი მისცა ორი განსხვავებული და მეტოქე ერის **ფრანგებისა** და გერმანელების წარმოშობას. დანაწილებული ლოტარინგია 870 წლიდან აღარ არსებობდა.

მეროვინგებისა და კაროლინგების მეფობის პერიოდში რომაულ პერიოდთან შედარებით უკანა პლანზე გადავიდა სახელმწიფოს იდეა. ადგილი ჰქონდა დაუსრულებელ ტერიტორიულ გადანაწილებას, თანდათან სუსტდებოდა კაროლინგების ძალაუფლება, X საუკუნიდან სარაზენების და ნორმანების შემოსევები დაიწყო; 911 წელს ნორმანებმა დაიპყრეს პროვინცია, რომელიც **ნორმანდია** გახდა. მინების მემკვიდრეობითობის კონცეფცია ხელს უწყობდა ძალაუფლების დაქუცმაცებას მეფის ხელისუფლების წარმომადგენლების და გრაფების საზიანოდ. როდესაც კაროლინგების ბოლო წარმომადგენელი გარდაიცვალა, სამეფო დიდი ხნის მანძილზე სამფლობელოებად დაქუცმაცებული დარჩა.

3. საფარანგეთი პირველი კაპეტინგების დროს (987-1180)

სამეფო ძალაუფლების კაპეტინგების ხელში გადასვლას ცოტათი უსწრებდა გერმანიაში ოტო I დიდის გამეფება (962), რომელმაც პაპს თავი იმპერატორად

აკურთხებინა. მის იმპერიაში აღარ შედიოდა საფრანგეთი. ეს კაროლინგების იმ ერის დასასრულს ნიშნავდა, როდესაც საფრანგეთი და გერმანია ერთი მთელის ნაწილები იყვნენ და მათ ერთი ოჯახიდან გამოსული ფრანკთა დინასტიები მართავდნენ. ამიერიდან ორივე ერი განსხვავებულ განვითარებას იწყებდა.

987 წლიდან 1789 წლამდე კაპეტინგები, შემდეგ მათი შემცვლელები ვალუები და ბურბონები თავის მთავარ მისიად საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე ძალაუფლების აღდგენა-გაძლიერებას თვლიდნენ, გერმანელების საზიანოდ (საღვთო რომის იმპერია) მის ტერიტორიულ გაფართოებას, ფეოდალური სისტემიდან სამეფოს ნელ-ნელა გამოყვანას და საფრანგეთისგან ჰომოგენური სახელმწიფოს შექმნას.

987 წელს ჰუგო კაპეტის საფრანგეთის მეფედ გახდომის შემდეგ, საფრანგეთის სამეფოს საზღვრები დაახლოებით ისეთი იყო, როგორც ვერდენის ზავით (843) განისაზღვრა და 880 წელს რიბემონტის დაყოფით დამტკიცდა. მას ჩრდილო-დასავლეთით ჩრდილოეთის ზღვა და ლამანში ესაზღვრებოდა, დასავლეთით ატლანტიკის ოკეანე, სამხრეთ-დასავლეთით პირენეები, ხოლო სამხრეთით ხმელთაშუა ზღვა, რაც შეეხება აღმოსავლეთის საზღვარს, ეს ბუნებრივი საზღვარი არ იყო და საუკუნეების მანძილზე მრავალი პრეტენზიის მიზეზი გახდა.

ამ საზღვარს, რომელიც საფრანგეთს დიდი ხნის განმავლობაში იმპერიისაგან გამოჰყოფდა ტრადიციულად **„ოთხი მდინარის“ ზოლი** ენოდება: **შელდა, მეზი, სონა და რონა.** ჰუგო კაპეტის დროს საფრანგეთის სამეფოს საზღვარი 400 000 კმ²-ს შეადგენდა.

ამასთანავე, 987 წელს სამეფოს მფლობელობაში შედიოდა მხოლოდ **ორლეანის, ეტამპის, სანლის, შატელენი დე პუასის, მონტრეი-სურ-მერის და ატინის საგრაფოები,** ასევე სამეფო სასახლე პარიზში და რამდენიმე სააბატო, რომელთა ერთობლიობა ოგიუსტ ლონგონის სიტყვებით ძლივს შეადგენდა 6 800 კმ²-ს. ის ძალიან უფერულად გამოიყურებოდა მეფის ვასალების სამფლობელოების ფონზე:

– **ფლანდრიის** საგრაფო, რომლის ტერიტორია ზღვასა და შელდას შორის მდებარეობდა, ჰქონდა დიდი ქალაქები და მისი სიუზერენობის ქვეშ იმყოფებოდა ბულონის, გუინის და სენ-პოლის საგრაფოები;

– **ბურგუნდიის** საჰერცოგო, რომელიც ლანგრის ზეგანსა და ლუარასა და სონას შორის იყო მოქცეული, მისი სიუზერენობის ქვეშ იყო ოგზერის, ნევერის, სანსის, შალონის, მაკონის, ოგზუას საგრაფოები, სემიურ-ან-ბრიონესა ლა ბოუეს სამფლობელოები;

– **აკვიტანიის** საჰერცოგო, რომელიც შედგებოდა გიენის, სენტონეეს და პუატუსგან, მდებარეობდა ლუარას, ჟირონდსა და დორდონს შორის, მისი სიუზერენობის ქვეშ იყო ანჟუს, ანგულემის, ლა მარშის, ოვერნის, ჟევოდანის და ველეის საგრაფოები, ლიმოჟის, ტუარის, ტურენის, შატელეროლის სავიკომტოები და ა. შ;

– **გასკონიის** საჰერცოგო, რომელიც მდებარეობდა პირენეებიდან ჟირონდამდე, მისი სიუზერენობის ქვეშ იყო ასტარაკის, არმანიაკის, ფეზანსაკის, პარდიაკის, ორის, ბიგორის, კომენჟის, კუზერანის საგრაფოები, დაქსის, ბეარნის, კასტელონის, ლომანის, მარსანის, ლაბურის, სულის, სენ-სევერის სავიკომტოები და ა. შ.

– **ტულუზის** საგრაფო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ტულუზენი, კერსი და ალბიჟუა, მისი სიუზერენობის ქვეშ იყო ფუას, კარკასონის, ფენუიედის საგრაფოები, ალბისა და ლოტრეკის სავიკომტოები;

– **რუერგის** საგრაფო, რომელზეც მიერთებული იყო გოტის სამარკიზო, უზეს საგრაფო და რომელიც მაგელონის საგრაფოს, აგდეს, ბეზიერის, მინერვუას, ნარბონეს, ნიმის სავიკომტოების სიუზერენი იყო;

– **ნორმანდიის** საჰერცოგო, რომელიც ლამანშედან კუესნონამდე იყო გადაჭიმული და მისი სიუზერენობის ქვეშ იყო ეუს, ევრეს, ბელემის ალანსონის, მორტენის საგრაფოები;

– **ბლუა და შარტრის** საგრაფო, რომელიც იყო საგრაფოების დუნუას, ტურენის, სომურის, სანსერის სიუზერენი;

– **შამპანის** საგრაფო, რომელიც მდიდარი იყო თავისი ტრუაიასა და პროვენის ბაზრობებით; მისი ტერიტორია მოიცავდა ტერიტორიას ესნიდან არმანსონამდე, მისი სიუზერენობის ქვეშ იყო ბრიენის, ულშის, როსნეის საგრაფოები;

– **ანჟუს** საგრაფო, რომელშიც გაერთიანებული იყო ტურენის და ბერის ნაწილი, ლუდუნუა და სენტის საგრაფო;

– **ბრეტანის** საგრაფო, რომლის სიუზერენობის ქვეშ იყო ლეონის, კორნუელის, ნანტის, პანტიევრის საგრაფოები.

კაპეტინგების პირველი მეფეების უმთავრესი ამოცანა ასეთი ძლიერი მეზობელი ვასალების დასუსტება იყო: მათ სასწრაფოდ უნდა განემტკიცებინათ თავიანთი პოზიციები და გაფანტული ნაწილების შეკრების ხარჯზე გაეფართოებინათ სამეფო დომენები. ამისათვის მათ სიცოცხლეშივე აღიარეს მემკვიდრეებად პირველშობილი ვაჟები, რომლებიც აქტიურად სარგებლობდნენ სიუზერენის პრეროგატივით და ნებისმიერი შემთხვევის დროს თავიანთი ვასალების საქმეებში ერეოდნენ.

თავიდან გაძლიერების პროცესი ძალიან ნელა მიდიოდა, რადგან მეფის მიერ შეძენილი ზოგიერთი სამფლობელო შემდგომში დადგენილი სამემკვიდრეო ადათის მიხედვით მათ უმცროს ძმებზე გადადიოდა, ჰუგო კაპეტის ვაჟმა რობერტ I ღვთისმოშიშმა (996-1031) შეიერთა **დრეს, პარიზის, მელუნის** საგრაფოები, ასევე ბურგუნდიის საჰერცოგო, რომელიც ანრი I-ის უმცროს ძმას გადაეცა. მან, რობერტ II-ის ვაჟმა შეიერთა **სანსის** საგრაფო, მისმა შვილმა ფილიპ I-მა **საფრანგეთის ვექსენი, გატინე და ბურჟის** სავიკომტო. რაც შეეხება ლუი VI სქელს, ფილიპე I-ის ვაჟს, ის იმით დაკმაყოფილდა, რომ მეფის სამფლობელო იმ მინებით გაზარდა, რომლებიც მის ტერიტორიებს კვეთდა: **კორბეის საგრაფოთი, მონტლერის, შატოფორის და შევრეზის სამფლობელოებით.**

ლუი VII უმცროსმა (1137-1180), ლუი VI-ის შვილმა, წარმატებულად დაინყო მეფობა: მან ალიენორ აკვიტანიელზე იქორწინა და მეუღლის მზითვით მნიშვნელოვნად გაზარდა მეფის სამფლობელო, რომელიც პუატურ სენტონჟე, ანგუმუა, გუიენი, გასკონი, პერიგორი, ლიმუზენი და მარშისგან შედგებოდა. მაგრამ მეფე ნინდაუხედავად მოიქცა, როდესაც 1152 წელს ღალატის გამო ცოლს გაშორდა. ალიენორზე მაშინათვე იქორწინა ანრი პლანტაგენეტმა, რომელიც ფლობდა ნორმანდიას, ანჟუას, მენს, ტურენს; ხოლო ორი წლის შემდეგ ინგლისის ტახტზე ავიდა. ამგვარად, მეფეს ძლიერი ვასალი დაუპირისპირდა, რომელიც მის პირველობას საფრთხეს უქმნიდა. უფრო მეტიც, ბარსელონის გრაფმა (რუსილიონის ჩათვლით პირენეების ჩრდილოეთით) 1177-1180 ნლებში საფრანგეთის გავლენის სფეროსგან თავის დაღნევა მოახერხა, გადავიდა რა არაგონის მეფეების მხარეს. სამხრეთით შემცირებული საფრანგეთის სამეფო აღმოსავლეთით გაიზარდა, ფორეზის საგრაფო საფრანგეთს შეუერთდა.

4. კაპეტინგების ბოლო წარმომადგენლების მიერ განხორციელებული გაერთიანება (1180-1328)

1180 ნელს ფილიპე II ოგიუსტის მოსვლის პერიოდში სამეფო დომენს მნიშვნელოვანი ტერიტორიული შენაძენები არ ჰქონია. მისი ვასალი ანრი II პლანტაგენეტი კი პირდაპირ თუ არაპირდაპირ, საფრანგეთის ნახევარს ფლობდა (220 000 კმ²) ინგლისისა და ირლანდიის ჩაუთვლელად და სამეფო გვირგვინს მუდმივად საფრთხეს უქმნიდა.

მაგრამ ფილიპე ოგიუსტი ძლიერი მეფე გამოდგა. ფლანდრიის გრაფის ძმისშვილზე დაქორწინების შემდეგ, უსიამოვნო მოულოდნელობების მიუხედავად მემკვიდრეობის მოლოდინი **ამიანის, კლერმონან-ბოვეზის, ბომონის საგრაფოების, ვალუასა და ვერმანდუას** მილებით დაგვირგვინდა. მან 1189 ნელს დაქვრივებულ ალიენორასა და მის ვაჟებს შორის ნარმოქმნილი უთანხმოებით ისარგებლა და როგორც სიუზერენი პლანტაგენეტების საშინაო საქმეებში ჩაერია და **ნორმანდიის, ანჟუას, მენის, ტურენის, ლიმუზენის, პერიგორის და პუატუს** და სენტონჟეს ნაწილის მიერთებას მიაღწია, ხოლო ინგლისის მეფეს კონტინენტზე

მხოლოდ მნიშვნელოვანად შემცირებული სამფლობელო დაუტოვა. ბოლოს მან **მელანის და ალანსონის საგრაფოები, ოვერნის მინა** და რამდენიმე მცირე სამფლობელო მოიპოვა. მისი მეფობის პერიოდში მან სამეფო დომენი გააოთხმაგა.

ეს მნიშვნელოვანი შენაძენი მისმა მემკვიდრეებმა შეავსეს და განამტკიცეს. მისმა ვაჟმა ლუი VIII-მ თავისი ხანმოკლე მეფობის პერიოდში (1223-1226) პუატუს და სენტონჟეს მიერთება დაასრულა, **დაიპყრო პონტე, პერში, მარში და ტუარსე**, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ტულუზის გრაფების მემკვიდრეობის მიღება (1226) (რომელიც შემდგომში ალბიგოელებთან ჯვაროსნულ ომში დაკარგა), **კერძოდ კარკასონის სავიკომტოსი, ტულუზის საგრაფოსი, ნარბონეს საპერ-ცოგოსი, ალბიგუასა და კერისის.** მაგრამ ლუი VIII ის მეფეა, რომელმაც მამულების დროებითი გასხვისება და ხაზის შეწყვეტის შემთხვევაში მათი სამეფო ტახტისთვის გადაცემა შემოიღო; ამგვარად პოლიტიკამ ხანგრძლივი ვადით შეაფერხა სამეფოს გაერთიანება: ნმინდა ლუის ძმებმა ამ გზით მიიღეს არტუა (რობურმა), პუატუ და ოვერნი (ალფონსმა), ანჟუ და მენი (შარლმა).

ლუი VIII-ის უფროსმა ვაჟმა ლუი IX ნმინდამ სამეფოს მხოლოდ მცირე ტერიტორია შემატა: **მაკონის საგრაფო, კლერმონ-ან-ბოვეზი, მორტენი და დომფრონი.** მაგრამ მან სამეფო დომენი ტერიტორიების გაცემის საფასურად განამტკიცა ორი ზავის ხელმოწერით, რაც ხშირად საყვედურის საბაბი იყო: ეს არაგონის მეფესთან დადებული კორბეის ზავი იყო (1258), რომელმაც ლანგედოკიის და პროვანსის სიუზერენობაზე თქვა უარი, მაგრამ საფრანგეთს ყველა უფლება დაათმობინა კატალონიასა და რუსილიონზე; ასევე პარიზის შეთანხმება ინგლისის მეფესთან(1295), რომელმაც საფრანგეთის მიერ დაპყრობილ მინებზე უარი თქვა, მაგრამ მას ლიმუზენი, კერსი, პერიგონი დაათმობინა.

ფილიპე III-მ (1270-1285), ნმინდა ლუის ვაჟმა სამეფოს შეუერთა **პუატუ, ოვერ-ნი, ტულუზის საგრაფო**, რომლის ნაწილი – კომტა ვენესენის საგრაფო საბოლოოდ გადავიდა პაპების მფლობელობაში (1274). თავისი უფროსი ვაჟის (ფილიპე ლამაზის) შამპანისა და ნავარის ერთადერთ მემკვიდრე ჟანაზე ქორწინებით, ის სამეფოსთვის მათ მიერთებას აპირებდა.

ფილიპე IV ლამაზმა (1285-1314) **შამპანი და ნავარა** სამეფო დომენს მიუერთა. ინგლისის ნინააღმდეგ ბრძოლისას მას მის ორ მოკავშირესთან – ფლანდრიისა და ბარის გრაფებთან დაპირისპირება მოუხდა. ეს უკანასკნელი დატუსაღების შემდეგ, მხოლოდ მაშინ განთავისუფლდა, როცა მეზის მარცხენა სანაპიროზე მდებარე თავის სამფლობელოზე საფრანგეთის სიუზერენობა აღიარა. ამგვარად საფრანგეთის საზღვარმა მეზზე გადინაცვლა. ფლანდრიაში ომმა ფილიპ ლამაზს საშუალება მისცა პირველი შენაძენები გაეკეთებინა (**ლილი, დუე, ბეტუნი**). გარდა ამისა, მან მოიპოვა **შარტრის საგრაფო, ბოჟანსის სამფლობელო** და ქალაქი **ლიონი**, მოსაზღვრე ლიონესთან ერთად. ბოლოს, ფილიპი ვივიერის საეპისკოპოსოს სიუზერენი გახდა, რის შემდეგაც ვივარე საფრანგეთის გავლენის სფეროში მოექცა.

1328 წელს კაპეტინგების დინასტიის შეწყვეტისას, საფრანგეთის სამეფო თავის საზღვარებში საკმაოდ განმტკიცებული იყო.

ერთი მხრივ აღმოსავლეთის საზღვარი იმპერიის საზიანოდ სულ უფრო ფართოვდებოდა. მან მეზზე, რონაზე გადაიწია და გადასცა კიდეც მათ: ფლანდრიაში მოპოვებული იყო ლილი, დუე, ორში, აღმოსავლეთით ბარუა, შემდეგ ლიონე, ვივარე, ბოლოს აღსანიშნავია პროვანსზე სიუზერენობა, რომელიც ნიკამდე ვრცელდებოდა.

მეორე მხრივ, სამეფო დომენმა ნელ-ნელა შეიერთა სამფლობელოების დიდი ნაწილი. მხოლოდ ოთხი დიდი სამფლობელო გადარჩა: ბურგუნდია, რომელსაც სამეფო ოჯახის უმცროსი ხაზი მართავდა და მეფის ერთგული იყო, გიენი და ინგლისის გასკონი, ფლანდრია და ბრეტანი.

ბოლოს, სამეფო ადმინისტრაციის გაძლიერება ყველა სფეროში (კანონმდებლების მიერ შემოღებული იურიდიული კორპუსი, საბაიოები, რომლებიც მეფის სახელით აღასრულებდნენ სამართალს), მეფის სიუზერენობას სულ უფრო

ამძიმებდა, იგი მუდმივად ერეოდა თავისი ვასალების საქმეებში და საფუძველს უყრიდა საფრანგეთში თანამედროვე სახელმწიფოს სტრუქტურებს.

5. ვალუების საფრანგეთი (1328-1589)

ფილიპ ლამაზის სამივე ვაჟი ლუი X, ფილიპ V, შარლ IV ვაჟი მემკვიდრის გარეშე გარდაიცვალა, ამის გამო სამეფო 1328 წელს ფილიპ VI ვალუას, ბოლო მეფის ბიძაშვილს გადაეცა.

სალიკურ კანონზე დაფუძნებული ეს გადაცემა თავიდან დადებითად შეფასდა. ფილიპმა კომპრომისის საშუალებით მოაგვარა ნავარისა და შამპანის საკითხი, რომელიც ფილიპ ლამაზის ქვრივის, დედოფალ ჟანას ქონება იყო: შამპანი საფრანგეთს დარჩა, **ნავარა** და მასზე დამოკიდებული მინები (**კოტანტენი, მორტენი, ბომონი, ევრე და ა. შ.**) დედოფალს სრულ მფლობელობაში დაუბრუნდა. თავიდან ინგლისის მეფემ ედუარდ III-მ 1329 წელს პატივი მიაგო ფილიპს, როგორც თავის სიუზერენს გიენმი. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, კონტინენტის მის მინებზე მეფის მოხელეების საქმიანობით გაღიზიანებულმა, საფრანგეთის ტახტზე პრეტენზია განაცხადა, როგორც ფილიპ ლამაზის შვილიშვილმა (დედამისის იზაბელის მხრიდან). 1337 წელს მან ომი დაიწყო. ეს ასწლიანი ომის დასაწყისი იყო (1337-1453). ინგლისის პირველ ნარმატებებს (ეკლუზი 1340 წელს, კრესი 1346) დიდი ტერიტორიული დანაკარგები არ მოჰყოლია: 1347 წელს დაიკარგა **კალე**. ფილიპ VI-ის გარდაცვალების შემდეგ (1350) ომის მიუხედავად სამეფო გაიზარდა: სამეფო დომენს შეემატა **მონპელიე და** დოფინე (1349), რომელიც იმპერიას ეკუთვნოდა და ვიენუას დოფინმა, რომელსაც მემკვიდრე არ ჰყავდა იმ პირობით გაყიდა, რომ მეფის უფროსი ვაჟის კუთვნილება გახდებოდა.

ამას პუატიუს დაკარგვა მოჰყვა (1356), რაც დამანგრეველი აღმოჩნდა, რადგან ჟან II კეთილი დატყვევებული იქნა. ბრეტანის ზავით (1360) საფრანგეთი ინგლისს კალეს, პონტიეს, პუატუს, ლიმუზენს, პერიგონს, კერსის, რუერგს და აჟენეს უთმობდა. 1361 წელს ბურგუნდია საფრანგეთს დაუბრუნდა პირველი დინასტიის ხაზის შეწყვეტის შემდეგ, მაგრამ მაშინვე ფილიპ გაბედულს, მეფის მეოთხე ვაჟს და ბურგუნდიის მეორე დინასტიის ფუძემდებელს გადაეცა.

ჟან კეთილის ვაჟმა, შარლ V ბრძენმა (1364-1380) მამამისის მიერ დაკარგული თითქმის მთელი მინების დაბრუნება მოახერხა; ინგლისელებმა მხოლოდ კალე და გიენის ნაწილი შეინარჩუნეს. თუ მეფეს ფლანდრიის გრაფისთვის უნდა დაეთმო **ლილი, დუე და ორში** მისი ძმის ფილიპ გაბედულის და გრაფის ქალიშვილის მარგარიტას ქორწინების გამო, სანაცვლოდ იგი **ოქსერის საგრაფოს, ლიმოჟის ოლქს** ღებულობდა და კონფისკაციას უკეთებდა ნავარის მეფის შარლის **ნორმანდიულ მინებს,** შერბურის გამოკლებით, რომელიც ამ უკანასკნელმა ინგლისელებს გადასცა. მისი გარდაცვალებისას პოლიტიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებული იყო.

სამაგიეროდ, მისი ვაჟის შარლ VI (1380-1422) მეფობის პერიოდში, როდესაც ის 1392 წლიდან შეიშალა, საფრანგეთს მძიმე გამოცდების გაევლა მოუხდა:

– მეფის ბიძებმა ხელში აიღეს ძალაუფლება, რაც მეფის ძმამ, ლუი ორლეანელმა გააპროტესტა და რასაც სამოქალაქო ომი მოჰყვა (არმანიაკებსა და ბიურგინიონებს შორის);

– გაძლიერდა ბურგუნდიის სახლი, ვალუების უმცროსი შტო, რომელმაც ბევრი სამფლობელო შეიძინა ნიდერლანდში, ასევე საღვთო რომის იმპერიაში, რის გამოც ის სამეფო სახლის მეტოქედ ითვლებოდა;

– ინგლისელებმა გამარჯვებას მიაღწიეს აზინკურში (1415), რაც გზას უხსნიდა ინგლისელების ხანგრძლივ ყოფნას საფრანგეთში; ინგლისის მეფე ჰენრი V, შარლ VI-ის სიძე სამეფოს შიდა ომებში ერეოდა და ტრუის ხელშეკრულებით (1420) იმას მიაღწია, რომ მისი ვაჟი, მომავალი ჰენრი VI საფრანგეთის ტახტს მემკვიდრედ აღიარებინა, კანონიერი მემკვიდრე დოფინ შარლის ნაცვლად.

შარლ VI-ის გარდაცვალების შემდეგ, საფრანგეთის მეფედ თავი ორმა პიროვნებამ გამოაცხადა, ახალგაზრდა ჰენრიმ, რომელსაც მხარს ინგლისი, ბურგუნ-

დიის, ლოტარინგიის და ბრეტანის ჰერცოგები უჭერდნენ და დოფინმა შარლმა, უკვე შარლ VI I-მ, რომელსაც საფრანგეთის სამხრეთის ნახევარი სენიორები ემხრობოდნენ; ამ უკანასკნელისთვის სიტუაცია წამგებიანი ჩანდა, მაგრამ ჟანა დ'არკმა აანთო ფრანგთა გულები, მოიპოვა მთელი რიგი გამარჯვებები, განდევნა ინგლისელები და რემსში შარლი მეფედ აკურთხებინა. 1435 წელს შარლ VII-მ ზავი დადო ბურგუნდიის ჰერცოგთან ფილიპ კეთილთან, ჩამოაშორა იგი ინგლისთან ალიანსს, მაგრამ ამისთვის იძულებული გახდა დაეთმო **მაკონის და ოქსერის საგრაფოები, არტუა, ბულონი, პონტიე, ბარ-სურ-სენა, მონდიდიე, პერონი.**

საკომპენსაციოდ შარლ VI I-მ სამეფო დომენს შეუერთა **დიუას და ვალანტინუას საგრაფოები, მოახდინა არმანიაკის საგრაფოს და დოფინეს კონფისკაცია,** რომელიც მის ვაჟს, დოფინ ლუის ჩამოერთვა. ბოლოს, კასტილიონთან გამარჯვების შემდეგ (1453) დაიკავა **გიენი** და ინგლისელებს კონტინენტზე მხოლოდ კალე დარჩათ.

ლუი XI (1461-1483) თავისი მეფობის პერიოდში ცდილობდა ბოლო მოელო დიდ ფეოდალების პრეტენზიებისთვის, განსაკუთრებით ბურგუნდიის ბოლო ჰერცოგ შარლ გულადს ავიწროებდა. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ნანსის ალყის დროს (1477), იგი შეეცადა ხელში ჩაეგდო ბურგუნდიის საგრაფოების დიდი ნაწილი. მაქსიმილიან ავსტრიელთან ომის შემდეგ, რომელმაც ჰერცოგის ერთადერთი მემკვიდრე მარია შეირთო, 1482 წელს კონფლიქტი გარიგებით დასრულდა: ლუი XI შეინარჩუნა **ბურგუნდიის საჰერცოგო** და **სომის ქალაქები.** ბურგუნდიის საგრაფოები (ფრანშ-კონტე, ამპირი), ასევე ფლანდრია, არტუა, ოქსერი, მაკონი, ბარ-სურ-სენა და სალენსი გადაწყდა, რომ მაქსიმილიანისა და მარიას შვილის მარგარიტას მზითვი იქნებოდა, რომელიც დოფინ შარლის საცოლე იყო.

გარდა ამისა, ანუუს სახლის ხაზის შენყვეტის შემდეგ ლუი XI-მ სამეფო დომენს **ანუუ, მენი, პროვანსი** მიუერთა. ბოლოს, 1475 წელს რუსიონი და სარდანი მიიმატა, მაგრამ ეს ბოლო მონაპოვრები საბოლოო არ იყო.

მისმა ვაჟმა შარლ VI I I-მ (1483-1498) ბრეტანის ჰერცოგ ქალ ანაზე თავისი ქორწინებით **ბრეტანის საფრანგეთთან შეერთება** განახორციელა. სანაცვლოდ მან უარი თქვა არტუაზე, ფრანშ-კონტეზე, შაროლეზე, რომლებიც მაქსიმილიანს დაუბრუნდა, რუსიონზე და სერდანზე, რომლებიც არაგონის მეფეს დაუბრუნდა. ანუუს სახლის მემკვიდრეობამ მას უფლებები მისცა ნეაპოლის სამეფოზე, რომელიც დაიპყრო (1494-1495), მაგრამ ვერ შეინარჩუნა.

მისმა ბიძაშვილმა ორლეანის უმცროსი შტოს წარმომადგენელმა ლუი XI I-მ (1498-1515), რომელმაც იგი შეცვალა, ბრეტანთან კავშირი განამტკიცა, როცა შარლ VI I I-ის ქვრივი ანა შეირთო. ნეაპოლზე პრეტენზიებს მილანსა და ასტიზე პრეტენზიები დაუმატა (ის ლუი ორლეანელის შვილიშვილი იყო, რომელმაც მილანის ძველი ჰერცოგის ოჯახის წარმომადგენელი ვალენტინა ვისკონტი შეირთო) და იტალიაში საბრძოლველად გაემგზავრა, მაგრამ თავისი ბიძაშვილივით დიდი წარმატება არ ჰქონია.

ფრანსუა I-ის მეფობისას (1515-1547), რომელიც მილანეს შეერთების ბოლო მცდელობით და კარლ V-სთან ომებით აღინიშნა, სამეფო ტახტს ბურბონების სამფლობელოს უმეტესი ნაწილი დაუბრუნდა, რომელიც ღალატის გამო კონეტაბლს ჩამოერთვა: **მარში, ბურბონე, ოვერნი, ფორეზი, ბოჟოლე, დომბი;** ამავე პერიოდში მოხდა ბრეტანის საფრანგეთთან საბოლოო მიერთება (1532). მისი ვაჟის ანრი I I-ის მეფობის დროს (1547-1559) **კალე, სამ საეპისკოპოსოსთან ერთად** (მეცი, ტული, ვერდენი) საფრანგეთს დაუბრუნდა.

რელიგიურმა ომებმა, რომლებმაც თოთხმეტი წლის განმავლობაში გაანადგურა საფრანგეთი, ქვეყნის ტერიტორიული მდგომარეობა უცვლელი დატოვა, მეფე ფრანსუა II (1559-1560) შოტლანდიის მეფე გახდა მარიამ სტუარტზე დაქორწინების შემდეგ, მაგრამ ეს იმედის მომცემი კავშირი მეფის ნაადრევი სიკვდილის გამო დაირღვა. მისი ძმის შარლ IX-ის მეფობის დროს (1560-1574) საფრანგეთმა მემკვიდრეობით მიიღო **სალუსის სამარკიზო** (1564); ანუუს ჰერცოგმა, მეფის ძმამ თავი პოლონეთის მეფედ აარჩევინა, მაგრამ არჩევისთანავე საფრანგეთში დაბრუნება და განთავისუფლებული ტახტის დაკავება მოუხდა ანრი I I I-ის სახე-

ლით (1574-1589). მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, სალუსის სამარკიზო სავოიის ჰერცოგმა მიიერთა. ანრი III-ის უმემკვიდროდ გარდაცვალების შემდეგ, 1589 წელს ტახტი მისმა ბიძაშვილმა ანრი ბურბონმა, ნავარის მეფემ დაიკავა, რომელმაც ოპოზიციის განიარაღების მიზნით უარი თქვა პროტესტანტობაზე და ანრი IV-ის სახელით გამეფდა.

6. საფრანგეთი ბურბონების დროს (1589-1789)

ანრი IV-ის მეფობის პერიოდში (1589-1610) საფრანგეთმა 1601 წელს ლიონში მოაგვარა თავისი უთანხმოება სავოიის ჰერცოგთან: მან უარი თქვა **სალუსის სამარკიზოზე**, რომელიც სავოიას დაუტოვა, სანაცვლოდ მისგან მიიღო **ბრესი, ბუჟეი, ვალრომეი, ჟექსი** და **შატო-დოფინი**; მეორე მხრივ, ანრი IV-ემ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1607 წელს ბურბონების სამფლობელო, რომელიც მისი პირადი საკუთრება იყო (**ალანსონი, ვანდომი, ლიმოჟი, პერიგოსი, როდეზი, ალბრე, ფუა, ბიგორი, ბეარნა, ქვემო ნავარა** [ნავარის სამეფო], და ა. შ.), სამეფო ტახტს დაუბრუნდა.

ამგვარად სამეფოში ბოლო დიდი სამფლობელო გაქრა და მომავალში მეფის აბსოლუტიზმის გაძლიერებისას საფრანგეთში აღარ არსებობდა სამეფოსა და სამეფო დომენს შორის განსხვავება, აქედან მოყოლებული მეფე ქვეყნის მთელი ტერიტორიის სუვერენული მფლობელი გახდა.

ამის შემდეგ, ორი საუკუნის განმავლობაში საფრანგეთის მეფეებს ორი მთავარი საზრუნავი ჰქონდათ:

– შეენარჩუნებინათ სამეფოს მთლიანობა და ჩაეხშოთ წარჩინებულთა მცირე მცდელობაც კი სამფლობელოებზე დაკარგული სუვერენიტეტის დასაბრუნებლად; ამგვარი პოლიტიკა, რომელიც ფრონდის პერიოდში დაიწყო აბსოლუტიზმით დამთავრდა;

– სამეფოს უსაფრთხოება უზრუნველეყოთ თავდაცვითი თუ თავდასხმითი ომებით,.

საფრანგეთის სამეფოს ბუნებრივი საზღვრები, ზღვები და მთები მას შემოტევებისაგან იცავდა. მაგრამ ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით მდებარე ველები ქვეყნის სუსტი ნერტილი იყო და მას შეიარაღებული თავდასხმებისგან ვერ იცავდა. XVI საუკუნეში კარგად გამოჩნდა თუ რა დამანგრეველი ძალა ჰქონდა ერთ პიროვნებაში (კარლ V) ან ერთ ოჯახში (ჰაბსბურგები) ესპანეთისა და იმპერიის ძალების გაერთიანებას.

სწორედ ამგვარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად საფრანგეთი საზღვრების გარნიზონებით გაძლიერებას, ხშირად კი თავდასხმასაც მიმართავდა (ომები, ალიანსები გერმანელ მთავრებთან). ის ასევე ცდილობდა პარიზიდან რაც შეიძლება შორს გადაეწია ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის საზღვრები; მოსაზრება-საზღვარი რაინს გადასცდენოდა მხოლოდ ჩანასახის მდგომარეობაში იყო (ეს თეორია მხოლოდ რევოლუციის პერიოდში გამოიკვეთა).

სწორედ ამ მიზნით საფრანგეთი ლუი XIII-ის მეფობის დროს იმპერატორის წინააღმდეგ ოცდაათწლიან ომში ჩაება პროტესტანტი მთავრების გვერდით. ამ ომის დროს, რომელშიც ესპანეთიც მონაწილეობდა, 1636 წელს კიდევ ერთხელ და ბოლოჯერ მოხდა ქვეყანაში ჩრდილოეთიდან შეჭრა (ესპანელების, რომლებიც სამხრეთ ნიდერლანდს ფლობდნენ), რომელიც საბოლოოდ იქნა მოგერიებული. 1631 წლიდან სავოია იძულებული იყო პიემონტში **პინიეროლი** დაეთმო. მეორე მხრივ, ისარგებლა რა ლოტარინგიის ჰერცოგის ინტრიგით მეფის ძმა გასტონ ორლეანელთან, კარდინალ რიშელიემ მისი მიწები დააყადაღებინა და 1632 წელს ლოტარინგიამ **კლერმონ-ან-არგონის საგრაფო, სტენეი, დუნი, იამეცი** დათმო. თავისი მეფობის ბოლო პერიოდში, 1642 წელს ლუი XIII-მ მდინარე მეზზე **სედანისა** და **რიოკურის სუვერენული სამთავროები** ბუიონის ჰერცოგს ჩამოართვა, რადგან იგი ხუთი მარტის შეთქმულებაში იქნა ჩათრეული.

ოცდაათწლიანი ომი ლუი XIV-ის მცირეწლოვნობის პერიოდში დასრულდა ვესტფალიის ზავებით (1648). ამ ზავებით საფრანგეთს **სამი საეპისკოპოსო**

დაუმტკიცდა, რითაც მან ალზასის დიდი ნაწილი მიიღო: **ზემო და ქვემო ალზასის სალანდგრაფო, ზუნდგაუ, ათი თავისუფალი ქალაქის** პრეფექტურა, კერძოდ, ლანდაუ, ვისემბურგი, ჰაგენაუ, როსპაიმი, ობერნე, სელესტა, კოლმარი, კაიზერსბერგი, ტურკჰაიმი, მიუნსტერი, ასევე რაინის მარჯვენა სანაპიროზე **ფილიპსბურგი და ძველი ბრიზახი.** ალზასის ეს სამფლობელოები ურთიერთკავშირში რჩებოდა საღვთო რომის იმპერიის სხვა სამფლობელოებთან, რისი გათვალისწინების ვალდებულებაც ლუი XIV-მ ითავა. ესენი იყო: თავისუფალი ქალაქი სტრასბურგი, მიულუზის რესპუბლიკა, სტრასბურგის და ბაზელის საეპისკოპოსოები, მიურბახის, მიუნსტერის ლურეს და ანდლაუს საabატოები, პეტიტ-პიერის და ჰანაუს საგრაფოები და ა. შ. მაგრამ ეს ზავები ამტკიცებდა საფრანგეთის ჩარევის უფლებას საღვთო რომის იმპერიის საქმეებში.

ესპანეთთან ომი ცოტა ხანს ისევ გაგძელდა. ის 1659 წელს დასრულდა პირენეს ზავით: ესპანეთს საფრანგეთისთვის უნდა დაეთმო **რუსილიონი და სერდანის ნაწილი, არტუას დიდი ნაწილი** (არასი, ბაპომი, ჰესდენი, ლანსი, ბეტუნი, სენ-პოლი, ტერუანი), ერის, სენტ-ომერის ასევე ფლანდრიაში **გრაველინის, ბურბურგის,** ენოში **კესნუას, ავესნის, ფილიპვილს და მარიენბურგის,** ლუქსემბურგში **დამვილერს, მონმედის და ტიონვილის** გამოკლებით.

რაც შეეხება ლოტარინგიას მან 1661 წელს საფრანგეთს დაუთმო **ფლასბურგი, საარბურგი და სიერკი,** 1663 წელს **კი მარშალი.** საფრანგეთს თვალი ეჭირა ამ მხარეზე, რადგან ის მას ახლად მიღებული ალზასისგან ჰყოფდა.

1678-1679 წლებში რევოლუციური ომების და შემდეგ ჰოლანდიასთან ომის დასრულების შემდეგ, ესპანეთმა საფრანგეთს დაუთმო **ფრანშ-კონტე, არტუას ოლქი, ფლანდრიის სხვადასხვა ქალაქი** (ბერგი, ფურნე, იპრი, ჰოპერინგი, ვარნტონი, ბაიელი, ტურნე, ლილი, დუე), **ენოს ქალაქები** (ვალენსიენი, კამბრე, მობეჟი), **ნამიურის ქალაქები** (შარლემონი). ფილიპსბურგი გაიცვალა **ფრიბურგ-ან-ბრისგაუში.** შაროლე ბურგუნდიის ძველი მიწა, რომელიც ავსტრიისთვის იყო გადაცემული, 1684 წელს საფრანგეთს დაუბრუნდა (კონდეს მთავრების სამფლობელო საბოლოოდ მეფეს 1761 წელს დაუბრუნდა).

ამის შემდეგ საფრანგეთის ამბიციები გაიზარდა და „მიერთების" პოლიტიკის დრო დადგა, რომელსაც ლუი XIV მშვიდობიანად ახორციელებდა. ამგვარად ანექსირებული იქნა: კურტრე, ლუქსემბურგი, ბიჩი, საარლუი, საარბრიუკენი, ნანსი, ლუნევილი, პონტ-ა-მუსონი, სენ-მიშელი, მონბელიარდი, სტრასბურგი (ქალაქი და საეპისკოპოსო) და ა. შ. მაგრამ 1681 წელს ანექსირებული **სტრასბურგის** და სხვა რამდენიმე ქალაქის გარდა, ეს ტერიტორიები რისვიკის ზავით (1697) ძველ მფობელებს დაუბრუნდა, რითაც აუგსბურგის ლიგის ომს ბოლო მოეღო. ასევე ორანის სამთავრო, რომელიც 1559 წლიდან ჰოლანდიის შტატჰალტერებს ეკუთვნოდათ (ორან-ნასაუს სახლი) და რომელიც 1672 წელს ლუი XIV-მ შეიერთა თავის მფლობელს დაუბრუნდა.

იმავე პერიოდში (1696), საფრანგეთს სავოიისთვის უნდა დაებრუნებინა პინეიროლი.

ბოლოს, 1713/1714 წლებში დასრულდა ესპანეთის მემკვიდრეობაზე ომი, რომლის დროსაც მოხუცი ლუი XIV თავის ევროპელ მეტოქეებს დაუპირისპირდა და ესპანეთის გვირგვინი მის შვილიშვილს, ანჟუს ჰერცოგს გადაეცა.

უტრეხტის ზავით (1713), საფრანგეთი ნიდერლანდს უთმობდა მენენს, ტურნეს, იპრს, დიქსმუდს, პეპერინგს, ვარნტონს და ფურნეს. დოფინის მიწები (ბარდონეში, ულქსი, ეგზილი, ფენესტრელი, შატო-დოფინი) სავოიას გადაეცა, რომელმაც სანაცვლოდ დათმო **უბეი.** ბოლოს, საფრანგეთმა საბოლოოდ დათმო **ორანის სამთავრო.**

რაშტადტის ზავით (1714) საფრანგეთმა ალზასის მფლობელობის გარანტია მიიღო ლანდაუს ჩათვლით, მაგრამ დააბრუნა კელი, ძველი ბრიზახი და ფრიბურგი.

ლუი XIV-ის მეფობისას (1715-1774) საფრანგეთმა რევოლუციამდელი ბოლო ორი შენაძენი მოიპოვა.

1725 წელს ლუი XV მარია ლეშჩინსკაზე დაქორწინდა, რომელიც პოლონეთის (1704-1709) და მომავალი (1733-1738) მეფის სტანისლას ლეშჩინსკის შვილი იყო და პოლონეთის მემკვიდრეობისთვის ომში სიმამრის მხარეს იბრძოდა.

1738 წელს სტანისლასმა უარი თქვა პოლონეთის ტახტზე და სანაცვლოდ სამუდამო მფლობელობაში მიიღო ლოტარინგიის და ბარის საჰერცოგოები, რომლებიც მას ლოტარინგიის ჰერცოგმა ფრანსუა-ეტიენმა დაუთმო. მას ცოლად ჰყავდა მარია-ტერეზა ავსტრიელი და მომავალში იმპერატორი გახდა ფრანსუა I-ის სახელით, იგი მეფობდა ტოსკანაში, სადაც შეწყდა მედიჩების ხაზი. მისი გარდაცვალების შემდეგ საჰერცოგოები საფრანგეთს უნდა დაბრუნებოდა. მართლაც, 1766 წელს როდესაც იგი გარდაიცვალა ლოტარინგია და ბარი საფრანგეთს შეუერთდა.

მეორე მხრივ, გენუის ყოფილი სამფლობელო კუნძული კორსიკა, რამდენიმე წლის მანძილზე გენუის წინააღმდეგ იყო აჯანყებული. მან ბუნტის ჩასახშობად საფრანგეთს მოუხმო. 1768 წელს გენუის რესპუბლიკამ უარი თქვა თავის სუვერენიტეტზე და კორსიკა საფრანგეთს მიჰყიდა (ნაპოლეონ ბონაპარტის დაბადებამდე ერთი წლით ადრე).

ამ პერიოდში საფრანგეთმა რევოლუციურ ძერებამდე ცოტა ხნით ადრე თავისი საბოლოო გეოგრაფიული კონტურები მიიღო.

II. საფრანგეთი 1789 წელს. ძლიერი სახელმწიფოს პორტრეტი

XVIII საუკუნის დასასრულს საფრანგეთის სამეფო ევროპის კონტინენტის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო იყო. მისი ფართობი დაახლოებით 530 000 კმ^2-ს შეადგენდა, მოსახლეობა კი 27 მილიონ კაცს. საფრანგეთი მოიცავდა სენას, ლუარას, გარონას და რონას აუზებს. მისი ტერიტორია თითქმის დღევანდელის შესაბამისი იყო, რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავებით; მას აკლდა სავოია და ნიცის საგრაფო, მის ტერიტორიაზე ბევრი ანკლავი ან ნახევრად ანკლავი იყო, ჩრდილო-აღმოსავლეთით (სალმი, ზაარვერდენი, მონბელიარი, მიულჰაუზი), სამხრეთ-დასავლეთით (ლივია), სამხრეთ-აღმოსავლეთით (ავინიონი, კომტა ვენესენი); ასევე მასაც ჰქონდა თავისი ანკლავები გერმანიის ტერიტორიაზე (ლანდაუ) და ავსტრიის ნიდერლანდში (ფილიპვილი, მარიემბურგი).

ეს ძლიერი სახელმწიფო იყო, რომლის მოსახლეობის რაოდენობა ევროპის მოსახლეობის მეხუთედს შეადგენდა, მისი ტერიტორია ჰომოგენური იყო და საზღვრებზე განლაგებული თავისი სამხედრო შემადგენლობით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მთელს ევროპაზე. მისი ეკონომიკა აღმავლობას განიცდიდა, მაგრამ საფრანგეთი მაინც სოფლის მეურნეობის ქვეყანად რჩებოდა თავისი ნაყოფიერი მიწებით. პირველ ნაბიჯებს დგამდა მრეწველობა (მაღაროები, მანუფაქტურული წარმოება) მაგრამ ხშირად შევიწროებული იყო კორპორაციებისგან; სუსტად განვითარებული საკომუნიკაციო სამუალებები, ახლად განვითარებული საგზაო ქსელის მიუხედავად, კეტავდა სივრცეს და ეკონომიკის აღმავლობას აფერხებდა. აღმავლობას განიცდიდა კოლონიური ვაჭრობა, რაც საზღვაო აქტივების გაძლიერებას და მნიშვნელოვანი პორტების შექმნას უწყობდა ხელს ატლანტიკის ოკეანეზე.

ურბანული ქსელი საკმაოდ მჭიდროდ იყო და სხვადასხვა ტიპის ქალაქებს აჯგუფებდა. სამეფოს გულში პარიზი, რომლის მოსახლეობაც 500 000-ს აღწევდა, სამეფო კარისა და საეკლესიო ღირსების გარდა, დიდი დედაქალაქის ყველა ატრიბუტს ფლობდა; ვერსალი, თავისი 30 000 მცხოვრებით სამეფო ძალაუფლებისა და ფუნქციების არეალში შედიოდა. საპორტო საქმიანობის წყალობით ძლიერდებოდა საზღვაო ქალაქები: ბორდო (120 000 მცხოვრები), ნანტი (80 000 მცხოვრები), მარსელი (100 000 მცხოვრები), ასევე რუანი, ჰავრი, ლაროშელი. ისეთი სამრეწველო და სავაჭრო ქალაქები, როგორებიც იყო ლიონი, დიჟონი, მეცი, ტური, პუატიე, ტულუზა, მონპელიე და ა.შ. პროვინციულ დედაქალაქებს წარმოადგენდნენ,

ხანდახან თავისი პარლამენტი ან უნივერსიტეტი ჰქონდათ, რაც მათ დამატებით მნიშვნელობას ანიჭებდა.

ბოლოს, საფრანგეთი ბრწყინვალე ცივილიზაციის კერას წარმოადგენდა, ის ევროპაში სინათლის შემტანი იყო თავისი ლიტერატურით, ხელოვნებით და ტექნიკით. დიდი იყო მისი ინტელექტუალური პოტენციალი; მისი ფილოსოფოსები და მწერლები ყველგან დიდ ინტერესს ინვევდნენ, ისევე როგორც არქიტექტორები, ხელოვნები და ხელოსან-მწარმოებლები თავისი მაღალხარისხოვანი ნაკეთობებით.

საუკუნეების მანძილზე მიღწეულ ამგვარ ერთიანობას ჰომოგენური ადმინისტრაციული სტრუქტურები არ გააჩნდა. სამხედრო, ადმინისტრაციული, სამართლებრივი, ფინანსური, რელიგიური თვალსაზრისით ტერიტორიული დაყოფა განსხვავებული იყო. ცნება „პროვინცია" მხოლოდ რელიგიური კუთხით იხმარებოდა.

სამხედრო თვალსაზრისით, სამეფო 33 ძალიან არათანაბარი სიდიდის ოლქად იყოფოდა: ილ-დე-ფრანსი (პარიზი), პიკარდია (ამიენი), ორლეანი (ორლეანი), მენი (ლა მანი), ანჟუ (ანჟერი), ტურენი (ტური), პუატუ (პუატიე), ონი (ლاروშელი), ბერი (ბურჟი), ნივერნე (ნევერი), ნორმანდია (რუანი), შამპანი (ტრუა), ბრეტანი (რენე), ბურგუნდია (დიჟონი), ლიონე (ლიონი), ბურბონე (მულენი), ოვერნი (კლერმონ-ფერანი), მარში (გერე), სენტონჟი (სენტი), ლიმუზენი (ლიმოჟი), გიენი და გასკონი (ბორდო), ბეარნი (პო), ლანგედოკია (ტულუზა), ფუა (ფუა), დოფინე (გრენობლი), პროვანსი (ექსი), რუსილიონი (პერპინიანი), ფრანშ-კონტე (ბეზანსონი), ალზასი (სტრასბურგი), ფლანდრია და ენო (ლილი), ლოტარინგია და ბარუა (ნანსი), კორსიკა (აჟაკსიო), არტუა (არსი); რასაც საჭიროა დაემატოს 7 პატარა განსაკუთრებული ოლქები: პარიზი, ბულონ-სურ-მერი, სედანი, ჰავრი, სომური, ტული, მეტცი და ვერდენი.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, სამეფო საინტენდანტოებად ან საგენერალოებად იყოფოდა შემდეგი პრინციპის მიხედვით:

– 21 საინტენდანტო (ან საგენერალო) სადაც გადასახადებს მეფის ხელისუფლება ანესებდა: ამიენი, ბორდო, ბურჟი, კანი, შალონ-სურ-მარნი, ლიმოჟი, ლიონი, ორლეანი, პარიზი, პუატიე, რიომი, რუანი, ტური, მულენი, სუასონი, გრენობლი, მონტობანი, ალანსონი, ლა როშელი, ოში, ბაიონ-ე-პო;

– 4 საინტენდანტო (5 საგენერალო) სადაც პროვინციის ხელისუფლება კენჭისყრის და გადასახადების განაწილების უფლებას ინარჩუნებდა: ლანგედოკია (2 საგენერალო ტულუზა და მონპელიე), ბურგუნდია (დიჟონი), ბრეტანი (რენი), პროვანსი (ექსი);

– 8 საინტენდანტო რომლებიც ლუი XIV-ის მეფობის პერიოდიდან ანექსირებულ მხარეებს ეკუთვნოდა: სამი საეპისკოპოსო (მეცი), ბეზანსონი, ლილი, ნანსი, ვალანსიენი, პერპინიანი, სტრასბურგი, კორსიკა.

სამართლებრივი თვალსაზრისით და „პოლიტიკურადაც" (ძველი რეჟიმის ასამბლეებს ამ კუთხით მცირე ძალაუფლება ჰქონდათ), საფრანგეთი 13 პარლამენტის იურისდიქციებად იყოფოდა: პარიზის (მარტო ის სამეფოს ნახევარს მოიცავდა), ტულუზის, გრენობლის, ბორდოსი, დიჟონის, რუანის, ექსის, რენის, პოსი, მეცის, დუეს, ბეზანსონის, ნანსის. ამას ემატებოდა 4 სუვერენული საბჭო, რომლებიც უმაღლესი სასამართლოს როლს ასრულებდა: არტუა (არასი), რუსილიონი (პერპინიანი), ალზასი (კოლმარი), კორსიკა (ბასტია).

III. რევოლუციური საფრანგეთი (1789-1799)

1. რევოლუცია მონარქიის დროს (1789-1792)

1789 წლის 5 მაისს სამეფოში შექმნილი ფინანსური კრიზისის გადასაჭრელად ვერსალში გენერალური შტატები შეიკრიბა: ეს იმ ოცდახუთწლიანი პერიოდის დასაწყისი იყო, რომელმაც ჯერ საფრანგეთი და შემდეგ თითქმის მთელი ევროპა შეძრა.

1789 წლის 4 აგვისტოს ღამით საფრანგეთში წოდებრივი პრივილეგიები გაუქმდა, მოისპო ფეოდალური-აბსოლუტისტური ურთიერთობა; უცხოელ მთავრებს

(კერძოდ გერმანელებს) არასუვერენულ სამფლობელოებზე თავიანთი უფლებები გაუუქმდათ; ამ განკარგულებამ, რომელიც ვესტფალიის ზავების დებულებებს ენინააღმდეგებოდა იმპერატორის მიმართ გერმანელ მთავართა პროტესტი გამოინვია.

უცველი მხოლოდ საფრანგეთში ანკლავირებული ტერიტორიების სტატუსები დარჩა: ზაარვერდენის, სალმის, ფილიპსბურგის, მიულუზის, მონბელიარდის, ავინიონის და ვენესენის.

1789 წლის 10 ოქტომბერს დამფუძნებელ კრებაზე გამოცხადდა, რომ ამიერიდან მეფის ტიტული იქნებოდა „ფრანგთა მეფე", „საფრანგეთისა და ნავარის მეფის" ნაცვლად ; ეს იმას ნიშნავდა, რომ მეფედ კურთხევა ხალხის ნებით და არა ღვთიური უფლებით მოხდებოდა.

1789 წლის 30 ნოემბერს დამფუძნებელმა კრებამ ჩათვალა, რომ კორსიკის მოსახლეობამ ნათლად გამოხატა თავის ნება გამხდარიყო ფრანგი და გააუქმა მუხლი, რომლის მიხედვითაც გენუის რესპუბლიკას კუნძულის გამოსყიდვა შეეძლო, რის შემდეგაც კორსიკა საბოლოოდ შეუერთდა საფრანგეთს, კორსიკელები კი ჩვეულებრივი მოქალაქეები გახდნენ.

საფრანგეთის მრავალფეროვანი ადმინისტრაციული დაყოფა დიდი ხნის მანძილზე არახელსაყრელად მიიჩნეოდა, ამიტომაც გაერთიანების საკითხი დადგა. 1789 ნლის სექტემბერში დამფუძნებელმა კრებამ რეფორმის შემსნაელელი კომისია შექმნა.

1789 ნლის 11 ნოემბერს გადაწყდა ქვეყნის ტერიტორია მხოლოდ დეპარტამენტებად დაყოფილიყო, რომლებიც თავის მხრივ ოლქებად დაიყოფოდა.

1790 ნლის 4 მარტს წყალობის სიგელის საფუძველზე, ხანგრძლივი დებატების შემდეგ გადაწყდა, რომ დეპარტამენტები (რაოდენობა 83) ძველი პროვინციების ფარგლებში ჩაჯდებოდა; ისინი მდინარეებისა და მთების სახელნოდებებს მიიღებდნენ. მათი სია ასეთი იყო :

ძველი პროვინცია	დეპარტამენტი	ადმინისტრაციული ცენტრი და ოლქების ადმინისტრაციული ცენტრი
ფლანდრია(1დეპ)	ჩრდილოეთი	დუე, ავენსი, ბერგი, კამბრე, ლილი, ჰაზებრუკი, კესნოი, ვალანსიენი
არტუა (1დეპ)	პა-დე-კალე	არასი, ბაპომი, ბეტუნი, კალე, სენ-პოლი, ბულონი, მონტრეი, სენტ-ომერი
პიკარდია 1დეპ)	სომი	ამიენი, აბეევილი, დულანსი, მონდიდიე, პერონი
ნორმანდია(5დეპ)	კალვადოსი	კანი, ბაიე, ფალეზი, ლიზიე, ვირი, პონ-ლ'ევეკი
	ერი	ევრე, ბერნეი, ლუვიე, ვერნეი, ლეზ ანდელი, პონტ-ოდემერი
	მანში	კუტანსი, ავრანში, კარანტანი, სენ-ლო, შერბური, მორტენი, პერიე, ვალონი
	ორნი	ალანსონი, არჟანტანი, ბელემი, დომფრონი, ლეგლი, მორტანი
	ქვემო სენა	რუანი, კანი, კოდებეკი, დიპი, გურნეი, მონტივილიე, ნეფშატელი
ილ-დე-ფრანსი (5 დეპ)	ესნი	ლანი, შატო-ტიერი, შონი, სუასონი, სენ კანტენი, ვერვენი

	უაზი	ბოვე, ბრეტეი, შომონი, კლერმონი, კომპიენი, კრეპი, გრანდვილიერი, ნუაიონი, სანლი
	პარიზი	პარიზი, ბურგ-ლა-რენი, სენ-დენი
	შენ-ე-მარნი	მელუნი, მო, ნემური, პროვენი, როზუაი
	შენ-ე-უაზი	ვერსალი, კორბეი, ეტამპი, გონესი, მანტი, მონფორი, პონტუაზი, სენ-ჟერენი
შამპანი (4 დეპ)	არდენი	მეზიერი, გრანპრე, რეტელი, როკრუა, სედანი, ვუზიერი
	ობი	ტრუა, არსი-სურ-ობი, ბარ-სურ-სენა, ერვი, ნოჟან-სურ-სენა
	მარნა	შალონი, ეპერნეი, რემსი, სეზანი, სენ-მენეული, ვიტრი-ლე-ფრანსუა
	ზემო მარნა	შომონი, ბურბონი, ბურმონი, ჟუანვილი, ლანგრე, ვასი
ლოთარინგია(4დეპ)	მერტი	ნანსი, ბლამონი, შატო-სალენი, დიეზი, ლუნევილი,პონტ-ა-მუსონი, ზარებურგი, ტული, ვეზელიზი, ვიკ-სურ-სელი
	მეზი	ბარი, კლერმონი, კომერსი, ეტენი, ვერდენი, გონდრეკური, სენ-მიიელი, სტენეი
	მოზელი	მეცი, ბიჩი, ბულეი, ბრიეი, ლონგვი, მორანჟი, სარელუი, სარეგემინი, ტიონვილი
	ვოგეზები	ეპინალი, ბრუიერი, დარნეი, ლამარში, მირეკური, ნევშატო, რამბერვილერი, რემირემონი, სენ-დიე
ალზასი (2 დეპ)	ქვემო რაინი	სტრასბურგი, ბენფელდი, ჰაგენაუ, ვისემბურგი
	ზემო რაინი	კოლმარი, ალტკირხი, ბელფორი
ბრეტანი (5 დეპ)	კოტ-დუ-ნორი	სენ-ბრიეკი, ბრონსი, დინანი, გენგამპი, ლამბალი, ლანიონი, ლუდეკი, პონტრიე, როსტრენანი
	ფინისტერი	კემპერი, ბრესტი, კარე, შატოლენი, ლანდერნო, ლესნევანი, მორლე, პონკრუა, კენპერლე
	ილ-ე-ვილენი	რენი, ბენი, დოლი, ფუჟერე, ლა გერში, მონფორტი, რედონი, სენ-მალო, ვიტრე
	ქვემო ლუარა	ნანტი, ანსენი, ბლენი, შატობრიანი, კლისონი, გერანდი, მაშეკული, პემბეფი, საგენეი

	მორბიანი	ვანი, ორეი, ჰენებონი, ჟოსლინი, ლა როშ-ბერნარი, ლა ფუე, პლიორმელი, პონტივი, როშფორი
მენი (2 დეპ)	მეიენი	ლავალი, შატო-გონტიე, კრონი, ერნე, ევრონი, მეიენი, ვილენი
	სარტი	ლე-მანსი, შატო-დუ-ლუარი, ფრესნეი-ლე-ვიკომტი, ლა ფერტე-ბერნარი, ლა ფლეში,მამერი, საბლე,სენ-კალე,სილე-ლი-გიომი
ანჟუ (1 დეპ)	მეიენ-ე-ლუარა	ანჟერი, ბოჟე, შატონეფი, შოლე, სენ-ფლორანი, სომური, სეგრე, ვიიერი
ტურენი (1 დეპ)	ინდრ-ე- ლუარა	ტური, ამბუაზი, შატო-რენო, შინონი, ლანჟე, ლოში, პრეილი
ორლეანე (3 დეპ)	ერ-ე-ლუარა	შარტრი, შატონეფ-ან-ტიმერე, შატოდუნი, დრექსი, ჟანვილი, ნოჟან-ლე-როტრუ
	ლუარე	ორლეანი, ბოჟანსი, ბუაკომენი, ჟიანი, მონტარჟი, ნეეილი, პიტივიე
	ლუარ-ე-შერი	ბლუა, მერი, მონდუბლო, რომორანტენი, სენტ-ენიანი, ვანდომი
ბერი (2 დეპ)	შერი	ბურჟი, ობინი, შატომელანი, ლინიერი, სენტ-ამანი, სანკუენი, სანსერი, ვიერზონი
	ინდრი	შატორუ, არჟანტონი, შატილიონი,

-ეუენი, ლა შატრი, ლე ბლანი |
ნიევრნე (1 დეპ)	ნიევრა	ნეეერი, შატო-ბინონი, კლამეცი, კორბინი, კოსნე, დესიზი, ლა ჭარიტე, მულენ-ასფილბერი, სენ-პიერ-ლე-ბუტიე
ბურგუნდია (4 დეპ)	ენი	ბურგი, ბელეი, შატილიონი, ფექსი, მონტბელიარი, სანტენა, პონ-დე-ეი, სენ-ვალერიენი, ტონერი
	კოტ-დ'ორი	დიჟონი, ბონი, ლენ-დეუკი, ბეონი, შატილიონ-სურ-სენი, ნიტ-სურ-ტონერი, სენ-ფონ-დე-ლეონსი, სენ-ჟორჟ-ან-ლეონ
	[illegible]	[illegible]
	[illegible]	[illegible]
ბურგუნდია (1 დეპ)	[illegible]	[illegible]

ფრანშ-კონტე (3დეპ)	დუბსი	ბეზანსონი, ბომ-ლე-დამი, ორნანი, პონტარლიე, კინჟეი, სენ-იპოლიტი
	ზემო სონა	გრეი, ვეზული, შამპლიტი, ჟუსეი, ლური, ლუქსეი
	იურა	დოლი, ლონს-ლე-სონიე, პოლინი, სალენი, არბუა, ორჟელე, სენ-კლოდი
პუატუ (3 დეპ)	დე-სევრი	ნიორი, შატილონი, მელი, პარტენეი, სენ-მექსანი, ტუარი
	ვანდე	ფონტენეი-ლე-კომტი, შალანი, მონტეგუ, ლა შატენიერე, ლა-როშ-სურ-იონი, ლე-საბლ-დ' ოლონი
	ვიენი	პუატიე, შატელერო, სიერეი, ლუდუნი, ლუზინიანი, მონმორილონი
ონი და სენტონჟი (1 დეპ)	ქვემო შარანტი	სენტე, ლა როშელი, მარენე, მონლიე, პონსი, როშფორი, სენ-ჟან-დ'ანჟელი
ანგუმუა (1 დეპ)	შარანტი	ანგულემი, ბარბეზიე, კონიაკი, კონფოლანი, ლა როშფუკო, რუფეკი
მარში (1 დეპ)	კრეზი	გერე, ობუსონი, ბურგანეფი, ბუსაკი, ევო, ფელეტენი, ლა სუტერენი
ლიმუზენი (2 დეპ)	კორეზი	ტული, ბრივი, უსელი, უზერში
	ზემო ვიენი	ლიმოჟი, ბელაკი, ლე დორა, სენ-ჟუნიანი, სენ-ლეონარდი, სენ-ირიექსი
ოვერნი (2 დეპ)	კანტალი	სენ-ფლური, ორილაკი, მორიაკი, მურა
	პუი-დე-დომი	კლერმონი, ამბერი, ბესი, ბილომი, ისუარი, მონტეგიუ, რიომი, ტიერი
ლიონე (1 დეპ)	რონ-ე-ლუარა	ლიონი, კამპან დე ლიონი, მონბრიზონი, როანი, სენ-ეტიენი, ვილეფრანშ-სურ-სონი
გიენი (8 დეპ)	ავეირონი	როდეზი, ობენი, მილო, მურ-დე-ბარეზი, სენტ-აფრიკი, სენ-ჟენიეზი, სოვ-ტერი, სევერაკ-ლე-შატო, ვილეფრანშ-დე-რუერგი
	დორდონი	პერიგიო, ბელვე, ბერჟერაკი, ექსიდეილი, მონტინიაკი, მუსიდანი, ნონტრონი, რიბერაკი, სარლა

	ჟერი	ოში, კონდომი, ლ'ისლ-ჟურდენი, ლეკტური, ლომბეზი, მირანდი, პლეზანსი
	ჟირონდი	ბორდო, ბაზა, ბურგი, კადილაკი, ლეპარი, ლიბურნი, ლა რეოლი
	ლანდი	მონ-დე-მარსანი, დაქსი, ტარტა, სენ-სევერი
	ლო	კაორი, ფიჟაკი, გურდონი, ლოზერტი, მონტობანი, სენ-სერე
	ლო-ე-გარონა	აჟანი, კასტელჟალუ, ლოზუნი, მარმანდი, მონფლანკენი, ნერაკი, ტონენი, ვალანს-დ'აჟანი, ვილანეევი
	ზემო პირენე	ტარბი, არჟელე, ბანიერე, ლაბარტ-დე-ნესლე, ვიკი
ბეარნი (1 დეპ)	ქვემო პერენე	პო, მულეონი, ოლორონი, ორტეზი, სენ-პალე, უსტარიცი
ფუა (1 დეპ)	არიეჟი	ფუა, მირეპუა, სენ-ჟირონი, ტარასკონი
რუსილიონი(1დეპ)	აღმოსავლეთი პირენე	პერპინიანი, სერე, პრადი
ლანგედოკია(8დეპ)	არდეში	პრიეა, ობენა, ჟუაიეზი, ტურნონი
	ოდი	კარკასონი, კასტელნოდარი, ლაგრასი, ლიმუ, ნარბონი, კილანი
	გარი	ნიმი, ალე, უზე, ბოკერი, პონ-სენტ-ესპრი, სენტ-იპოლიტი, სომიერი, ლე ვიგანი
	ზემო გარონა	ტულუზა, კასტელსარაზენი, გრენადა, მურე, რეველი, რიე, სენ-გოდანი, ვილეფრანში
	ერო	მონპელიე, ბეზიერი, ლოდევი, სენ-პონი
	ზემო ლუარა	ლე პუი, ბრიუდი, მონისტროლი
	ლოზერი	მანდი, ფლორაკი, ლანგონი, მარვეჟოლი, მეირუე, სენ-შელი, ვილფორი
	ტარნი	კასტრი, ალბი, გაიაკი, ლაკონი, ლავორი
დოფინე (3 დეპ)	ზემო ალპები	შორჟი, ბრიანსონი, ემბრუნი, გაპი, სერი
	დრომი	შაბეი, დი, კრესტი, მონტელიმარი, ნიონი, ორანი, რომანი, ვალანსი
	იზერი	მუარანი, გრენობლი, ლა-ტურ-დუ-პენი, სენ-მარსელენი, ვიენი

პროვანსი (3 დეპ)	ქვემო ალპები	დინი, ბარსელონეტი, კასტელანი, ფორკალკიე, სისტერონი
	ბუშ-დუ-რონი	ექსი, აპტ/პერტუი, არლი, მარსელი, სალონი/მარტიგი, ტარასკონი
	ვარი	ტულონი, ბარჟოლი, ბრინიოლი, დრაგინიანი, ფრეჟუ, გრასი, იერი, სენ-მაქსიმენი, სენ-პოლ-პრე-ფანსი
კორსიკა (1 დეპ)	კორსიკა	პიევ-დ'ორეცა, აჟაკსიო, ბასტია, სერვიონი, კორტე, ილ-რუსი, ლა-პორტა-დ'ამპუნიანი, ოლეტა, ტალანო, ვიკო

1791 წლის 11 სექტემბერს დამფუძნებელმა კრებამ ორ დეპარტამენტს სახელი შეუცვალა: პარიზი გახდა სენის დეპარტამენტი, ხოლო მეიენი-ე-ლუარა მენი-ე-ლუარა.

რევოლუციას დაპირისპირებული ევროპა

საფრანგეთის რევოლუციური მოვლენები სწრაფად აისახა პაპის ტერიტორიების მოსახლეობაზე პროვანსში (ავინიონი, კომტა ვენესენი). 1790 წლის 12 ივნისს ავინიონის დროებითმა მთავრობამ საფრანგეთთან შეერთებას უყარა კენჭი. ვინაიდან დამფუძნებელ კრებას გაკეთებული ჰქონდა განცხადება იმის თაობაზე, რომ ექსპასიონისტური მიზნები არ ამოძრავებდა, ამ თხოვნის მისაღებად ხანგრძლივი დებატები გახდა საჭირო; საბოლოოდ, 1791 წლის 12 სექტემბერს **საფრანგეთმა ავინიონი და კომტა ვენესენი შეიერთა.**

ავინიონმა და კომტას სამხრეთმა ახალი ოლქი (ავინიონი) შეადგინა ბუშ-დე-რონის დეპარტამენტში; ხოლო კომტა ვენესანის ჩრდილოეთ ნაწილმა (კარპანტრა) დრომის დეპარტამენტში ახალი ოლქი შეადგინა.

1790-1791 წლების განმაელობაში რევოლუციური მოვლენები თავისი გზით ვითარდებოდა: მოხდა სამღვდელოების ქონების კონფისკაცია (1790 წლის 21 აპრილი) და ნაციონალიზაცია; ფედერაციის დღესასწაულზე (1790 წლის 14 ივლისი) ლუი XVI-მ კონსტიტუციაზე ერთგულების ფიცი დადო, რითაც დაამტკიცა რევოლუციური ცვლილებები. იყო მეფის ვარენში გაქცევის წარუმატებელი მცდელობა, რის შემდეგაც მეფესა და საზოგადოებას შორის ბზარი გაჩნდა; განხორციელდა ემიგრირებულთა ქონების კონფისკაცია.

ევროპის სამეფოები თავიდან გულგრილად, ერთგვარი კმაყოფილებითაც შეხვდნენ რევოლუციას, რადგან თვლიდნენ, რომ ის ხანგრძლივად დაასუსტებდა საფრანგეთს. დიდი ბრიტანეთი ამაში დამსახურებულ სასჯელს ხედავდა ამერიკის დამოუკიდებლობის ომის მხარდაჭერისთვის და თვლიდა, რომ ეს საფრანგეთის საზღვაო ვაჭრობას შეაფერხებდა, რომელიც დიდ კონკურენციას უწევდა ინგლისს. აღმოსავლეთის სახელმწიფოები (რუსეთი, პრუსია) ამაში პოლონეთის დანანევრების შესაძლებლობას ხედავდნენ საფრანგეთის წინააღმდეგობის განეევის გარეშე.

მაგრამ მეფის ძალაუფლებაზე გახშირებულმა შეტეევებმა, რასაც შეიძლება მათი ქვეყნის მოსახლეობაზეც მოეხდინა გავლენა, ანტირელიგიურმა მონოდებებმა და მეფის ოჯახისკენ მიმართულმა მუქარებმა საბოლოოდ შეაშფოთა სუვერენები, რომელთაც ლუი XVI ფარულად სთხოვდა შველას.

1792 წლის გაზაფხულზე იმპერატორი ლეოპოლდ II მისმა ვაუმა ფრანსუა II-მ შეცვალა, რომელიც უფრო მეომარი ხასიათის იყო და მან პრუსიასთან კოალიცია შექმნა. 1792 წლის 20 აპრილს საფრანგეთმა ომი გამოუცხადა „უნგრეთისა და ჩეხიის მეფეს", ამით მას უნდოდა ეჩვენებინა, რომ საღვთო რომის იმპერიასთან ომს არ აპირებდა და იმედოვნებდა, რომ გერმანელ სუვერენებს კონფლიქტში მონაწილეობის მიღებას გადააფიქრებინებდა.

საფრანგეთის არმიის არაორგანიზებულობით გართულებული სამხედრო ოპერაციები, რადგან მას ემიგრაციისა თუ დაპატიმრების მიზეზით აღარ ჰყავდა ძველი მეთაურები, თავიდან ნარუმატებლად მიმდინარეობდა და საფრანგეთში ავსტრია-პრუსიის ჯარები შეიჭრნენ. საქმის ამგვარმა შემობრუნებამ საზოგადოება გააღიზიანა, რაც ბრაუნშვაიგის მანიფესტით კიდევ უფრო გამწვავდა, ის პარიზში 1792 წლის 1 აგვისტოს გამოქვეყნდა და ქალაქის განადგურების მუქარას შეიცავდა თუ მეფის ოჯახს საფრთხე დაემუქრებოდა. ამას სექტემბერში ტერორის დაწყება და 1792 წლის 21 სექტემბერს მონარქიის დამხობა მოჰყვა.

2. რესპუბლიკა კონვენტის პერიოდში (1792-1795)

როდესაც საფრანგეთში თავისი ხანგრძლივი არსებობის პერიოდში პირველად რესპუბლიკური რეჟიმი დამყარდა, იღბალი საფრანგეთის არმიისკენ შემოტრიალდა და მან ვალმთან პრუსიელები დაამარცხა (20 სექტემბერი), რამაც მას კონტრ-შეტევებისკენ გაუხსნა გზა, რის შემდეგაც პრუსიისა და ავსტრიის ჯარებმა უკან დაიხიეს.

ამ პერიოდიდან პარიზის რევოლუციურ ხელისუფლებაში დებატები დაიწყო იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გავრცელებულიყო რევოლუციური იდეები საფრანგეთის არმიის მიერ დაბრუნებულ ტერიტორიებზე: ანექსიის გზით თუ რესპუბლიკური სახელმწიფოების შექმნით, სადაც საფრანგეთის ტიპის ინსტიტუტები იქნებოდა.

ანექსიის სასარგებლოდ ვრცელდებოდა თეორია ბუნებრივი საზღვრების შესახებ, რომლის მიხედვითაც საფრანგეთს რაინითა და ალპებით შემოსაზღვრული სივრცე უნდა დაეკავებინა. „მოძმე რესპუბლიკების" შექმნის სასარგებლოდ ვრცელდებოდა აზრი, რომ საფრანგეთი „განთავისუფლებულ ხალხებს" ვერ მისცემდა ბედნიერებას ისე, თუ თავს არ მოახვევდა ძირითადად მათთვის არასასურველ დომინაციას. ორივე ფორმა გარემოებების მიხედვით დიდი ხნის განმავლობაში ენაცვლებოდა ერთმანეთს.

რევოლუციური საფრანგეთის პირველი დაპყრობები

ბუნებით მეტად კონსერვატორმა სარდინიის მეფემ, სიამოვნებით მიიღო ის ფრანგი ემიგრანტები, რომლებიც რევოლუციას გამოექცნენ. ასევე ის ავსტრია-პრუსიის ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდა. 1792 წლის სექტემბერში საფრანგეთის ჯარებმა მარშალ მონტესკიუს მეთაურობით სავოია დაიკავა.

1792 წლის 27 ნოემბერს **საფრანგეთმა სავოია შეიერთა.** ის საფარნგეთის 84-ე დეპარტამენტი გახდა მონბლანის სახელწოდებით (შამბერი, ანესი, კარუჟი, კლუზი, მუტიერი, სენ-ჟან-დე-მორიენი, ტონონი).

აქედან მოყოლებული საფრანგეთს 84 დეპარტამენტი ჰქონდა.

იმავე მიზეზებით, 1792 წლის სექტემბერში საფრანგეთის ჯარებმა გენერალ ანსელმის მეთაურობით ნიცის საგრაფოს უმეტესი ნაწილი (ტანდეს საგრაფოს გამოკლებით, რომელიც სარდინიის ჯარებს ეკავა) დაიკავეს. 1793 წლის 13 იანვარს კონვენტმა გამოსცა დეკრეტი **საფრანგეთთან ნიცის საგრაფოს ანექსიის თაობაზე**; ეს დეკრეტი ტანდეს საგრაფოზე არ ვრცელდებოდა.

1793 წლის 4 თებერვალს კონვენტმა გადაწყვიტა, რომ ნიცის საგრაფო საფრანგეთის 85-ე დეპარტამენტი უნდა გამხდარიყო, ზღვისპირა ალპების სახელწოდებით (ნიცა, პუჟე-ტენიე, მანტონი).

ამის შემდეგ, საფრანგეთს 85 დეპარტამენტი გაუხდა.

მეორე მხრივ, მონაკოს სამთავროს მცხოვრებნი ნიცაში განვითარებული მოვლენების გავლენით თავიანთი მთავრის წინააღმდეგ აჯანყდნენ და მონაკოს რესპუბლიკა გამოაცხადეს, რომელმაც საფრანგეთთან შეერთება მოითხოვა. 1793 წლის 14 თებერვალს კონვენტმა დეკრეტი გამოსცა **მონაკოს საფრანგეთთან შეერთების** და მისი ზღვისპირა ალპების დეპარტამენტში გაერთიანების შესახებ.

ბოლოს, გენერალ კუსტინის მეთაურობით წარმოებული შეტევების შემდეგ, 1792 წლის შემოდგომაზე შესაძლებელი გახდა რაინის მარცხენა სანაპიროს დაკავება, კერძოდ ლანდაუსი ბიგენში. 1792 წლის ნოემბრიდან მოყოლებული,

ბერგცაბერნის მოსახლეობა ცვაიბრიუკენის ჰერცოგს აუჯანყდა და საფრანგეთთან შეერთებას ითხოვდა. 1793 წლის 14 თებერვალს კონვენტმა გამოსცა დეკრეტი **ცვაიბრიუკენის გარშემო მდებარე 32 კომუნისა და ბერგცაბერნის საფრანგეთისთვის მიერთების თაობაზე**, რაც ლანდაუსა და ალზასის დარჩენილ ნაწილს შორის არსებული ტერიტორიის შევსებას უზრუნველყოფდა; ეს კომუნები მოზელისა და ქვემო რაინის დეპარტამენტებს შეუერთდა.

ავსტრიის ნიდერლანდზე საფრანგეთის შეტევის შემდეგ, (1792 წლის ნოემბერი), 1792 წლის 2 დეკემბერს ის მთლიანად ოკუპირებული იქნა. ამ ქვეყნის მოსახლეობის სურვილის მიუხედავად, რომელსაც საფრანგეთისგან განსხვავებული რესპუბლიკის შექმნა სურდა, კონვენტმა, რომელიც შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე ბუნებრივ საზღვრებს მიემხრო, გადაწყვიტა, რომ რაინის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ქვეყნები საფრანგეთის კუთვნილება უნდა გამხდარიყო.

1793 წლის 1-30 მაისის შუალედში მიღებული 15 დეკრეტით, მთელი ბელგია (ავსტრიის ნიდერლანდი, ლიეჟის საეპისკოპოსო, სტავლო-მალმედის სააბატო, ბუიონის საჰერცოგო), პლებისციტის გარეშე, ნაწილ-ნაწილ მიუერთდა საფრანგეთს, დაენიშნა დროებითი ადმინისტრაცია, თუმცა არ გაერთიანებულა დეპარტამენტში. პარალელურად, ავსტრიელების შეტევამ ფრანგები აიძულა ბელგია დაეტოვებინათ (ავსტრიის ნიდერლანდი), სადაც ძველი რეჟიმი აღდგა.

გარდა ამისა, სასურსათო ბლოკადით იძულებულმა სალმის მოსახლეობამ საფრანგეთისა შეერთება მოითხოვა და 1793 წლის 2 მარტს ვოგეზებში ანკლავირებული ზემო სალმი, იგივე **სალმის სამთავრო**, რომელიც სალმ-სალმის მთავარს ეკუთვნოდა, **საფრანგეთს შეუერთდა** და ვოგეზების დეპარტამენტში გაერთიანდა.

იმავე პერიოდში, **ზაარვერდენის საგრაფო**, ნასაუ-ვაილბურგის მთავრის სამფლობელო, **საფრანგეთის მიერ იქნა ანექსირებული**; ის ქვემო რაინის დეპარტამენტს მიუერთდა. ასევე, **კრეჰანგის** (კრიხინგენი) **საგრაფო**, ვიდრუნკელის გრაფის სამფლობელო და **ფილიპსბურგის** სამფლობელო, პესენ-დარმშტადტის ლანგრაფის სამფლობელო, **საფრანგეთს შეუერთდა** და მოზელის დეპარტამენტში გაერთიანდა.

მეორე მხრივ, იმპერატორისათვის ომის გამოცხადების შემდეგ, საფრანგეთმა 1792 წლის 30 აპრილს დაიკავა პორანტრუი, ბაზელის საეპისკოპოსოს დედაქალაქი. პორანტრუიში შეკრებილმა ეროვნულმა ასამბლეამ განაცხადა, რომ ეპისკოპოსი-მთავარი თავის უფლებებს კარგავდა და იქმნებოდა ახალი რესპუბლიკა, რომელშიც ბაზელის საეპისკოპოსოს სამფლობელოების „გერმანული" ნაწილი შევიდოდა; საეპისკოპოსოს „ჰელვეციური" ნაწილი ხელუხლებელი რჩებოდა.

ამ რესპუბლიკაში გამეფებული ანარქიის გამო, კონვენტმა ასამბლეის ახალი კრება მოინვია და 1793 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით **ბაზელის რესპუბლიკა საფრანგეთს შეუერთდა**, რაც 23 მარტს კონვენტმა დაამტკიცა.

ყოფილმა რესპუბლიკამ საფრანგეთის 86-ე დეპარტამენტი შეადგინა მონტერიბლის სახელწოდებით (პორანტრუი, დელემონი).

ბოლოს, გენერალ კუსტინის ჯარებმა 1792 წლის ოქტომბერში გერმანული რაინის მარცხენა სანაპირო დაიკავეს ლანდაუდან ბინგენამდე. მისი გავლენით ამ ტერიტორიაზე 19 დეკემბერს მაინცის რესპუბლიკა გამოცხადდა. 1793 წლის 21 მარტს მაინცში გამართულ შეკრებაზე კენჭი ეყარა ამ რესპუბლიკის საფრანგეთთან შეერთებას. ამ სურვილის საპასუხოდ, 30 მარტს კონვენტმა გადაწყვიტა საფრანგეთისთვის მაინცის რესპუბლიკის შეერთება. მაგრამ იმავე პერიოდში, ავსტრიელების შეტევამ ეს გადაწყვეტილება გააცამტვერა; რაინის მარცხენა სანაპიროს გერმანული მხარე, 32 ანექსირებული კომუნის გამოკლებით, ძველ რეჟიმს დაუბრუნდა.

1793 წლის 25 ივნისის დეკრეტით შეიქმნა საფრანგეთის 87-ე დეპარტამენტი, ვოკლუზის სახელწოდებით, რომელშიც შედიოდა:

– პაპის ყოფილი ტერიტორიები ავინიონსა და კომტა ვენესენში;
– სოლ-დუ-ვოკლუზის კანტონი, ჩამოშორებული ქვემო-ალპებს;
– ორანის ოლქი და სენ-მარსელენ-ან-ვიენუას კომუნა, ჩამოშორებული დრომს;
– აპტის ოლქი, ჩამოშორებული ბუშ-დუ-რონს.

20 აგვისტოს ეს დეპარტამენტის ოთხ ოლქად დაიყო: ავინიონის, ორანის, კარპანტრას და აპტის.

საფრანგეთს ამის შემდეგ 87 დეპარტამენტი გაუხდა.

ტულონის აჯანყების შემდეგ, 1793 წლის 27 იელისს ვარის დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრი გრასში გადავიდა.

1793 წლის 11 აგვისტოს ნამოჭრილი უკმაყოფილების ჩასახშობად კონვენტმა გადაწყვიტა კორსკის დეპარტამენტის ორ დეპარტამენტად გაყოფა:

– გოლო (ბასტია, კალვი, კორტე);

– ლიამონი (აჟაკსიო, სარტენი, ვიკო);

ასევე, ლიონის აჯანყების ჩახშობა რომ გაადვილდებოდა, კონვენტის წარმომადგენლებმა 1793 წლის 12 აგვისტოს გადაწყვიტეს რონ-ე-ლუარას დეპარტამენტი ორად გაყოფილიყო:

– რონა (ლიონი, ვილეფრანში);

– ლუარა (მონბრიზონი, როანი, სენტ-ეტიენი).

ამის მერე საფრანგეთს 89 დეპარტამენტი გაუხდა.

1793 წლის 10 ოქტომბერს საფრანგეთის ჯარებმა გენერალ კუსტინის მეთაურობით მონბელიარდის სამთავრო დაიკავეს და 11 ოქტომბერს **საფრანგეთმა მონბელიარდის სამთავროს ანექსირება მოახდინა**, რომელიც ვიურტემბერგის ჰერცოგს ეკუთვნოდა და ის ზემო სონის დეპარტამენტს მიუერთა.

1793 წელი სავსე იყო ქვეყნისათვის დრამატული მოვლენებით: მეფის სიკვდილით დასჯა (21 იანვარი), დიდ ბრიტანეთის ომში ჩაბმა, ვენდენის აჯანყება, ტერორის დამყარება.

1794 წელს ამ მოვლენებმა კულმინაციას მიაღწია: რობესპიერის სიკვდილი (28 ივლისი), გაზაფხულის ბოლოს გახშირებული სიკვდილით დასჯები (დიდი ტერორი). ამას შედარებით წყნარი პერიოდი მოჰყვა (თერმიდორული გადატრიალება), რომელიც საბრძოლო ოპერაციებში საფრანგეთის ყველა ფრონტზე გამარჯვებებს დაემთხვა.

1794 წლის აპრილში მას შემდეგ რაც ფრანგებმა სარდინიის ჯარები უკუაგდეს პიემონტში, ტანდეს საგრაფო *de facto* შეუერთდა საფრანგეთის ზღვისპირა ალპების დეპარტამენტს.

საფრანგეთის შეტევა ფლერუსთან გამარჯვებით დამთავრდა (1794 წლის 26 ივნისი), რამაც შესაძლებელი გახადა ბელგიის ხელახლა დაკავება. მისი ხელახალი ანექსირება კონვენტს მაშინათვე არ დაუმტკიცებია, მას მხოლოდ დროებითი მთავრობა დაუნიშნა.

გარდა ამისა, საფრანგეთს დაკავებული ჰქონდა რაინის გერმანული მარცხენა სანაპირო, ამჯერად ბატავიის რესპუბლიკის საზღვრამდე. ამ რეგიონის შეერთებაც მაშინათვე არ მომხდარა ; მას 1794 წლის 14 ნოემბერიდან დროებითი მთავრობა დაენიშნა. გერმანული მხარეების ბედის გადაწყვეტის საკითხზეც ორი აზრი არსებობდა: ანექსია ან მოძმე რესპუბლიკის შექმნა.

საფრანგეთმა ფეხი მოიკიდა რაინის მარცხენა სანაპიროზე

1795 წლის 5 აპრილს ბაზელში საფრანგეთსა და პრუსიას შორის შეთანხმებას მოეწერა ხელი, რომლის მიხედვითაც **პრუსია საფრანგეთს უთმობდა** თავის სამფლობელოებს რაინის მარცხენა სანაპიროზე (**გელდრენი, მერსი და კლევეს ნახევარი**) და ის პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ფარულად აღიარა საფრანგეთისთვის რაინის მარცხენა სანაპიროს დათმობა.

საფრანგეთსა და საღვთო რომის იმპერიას შორის მშვიდობის აღდგენის შემდეგ პრუსიას კომპენსაციები მარჯვენა სანაპიროზე უნდა მიეღო,.

1794-1795 წლების ზამთარში საფრანგეთის არმიამ გააგრძელა შეტევა შეერთებული პროვინციების მიმართულებით და ხელი შეუწყო მათ ბატავიის რესპუბლიკად გადაქცევას.

1795 წლის 16 მაისის ჰაგის ხელშეკრულებით **საფრანგეთმა ბატავიის რესპუბლიკა აიძულა მისთვის ჰოლანდიის ფლანდრია დაეთმო** (შელდას მარცხენა

სანაპირო). ასევე ბატავიის ანკლავები **მაასტრიხტი, ვენლო და ჰოლანდიის ლიმბურგი** (მონფორტი). ეს ტერიტორიები ბელგიის პროვინციებს შეუერთდა.

1795 წლის 28 აგვისტოს ხელშეკრულებით **ჰესენ-კასელის ლანდგრაფი საფრანგეთს** თავის სამფლობელოებს **უთმობდა** (**სენ-გოარს, რაინფელსს**) რაინის მარცხენა სანაპიროზე, მარჯვენა სანაპიროზე სამომავლო კომპენსაციის გათვალისწინებით.

მეორე მხრივ, 1795 წლის 31 აგვისტოს ბელგიის პროვინციების ოფიციალური ანექსიის დაცდის გარეშე, კონვენტმა გამოსცა დეკრეტი მათი ცხრა დეპარტამენტად დაყოფის შესახებ:

– ლი: ბრიუგე, კურტრე, ფიურნი, იპრი;
– შელდა: გენტი, ოდენარდე, ლ'ეკლუზი, ტერმონდე;
– ჟემაპე: მონსი, შარლერუა, ტურნე;
– დე-ნეთი: ანტვერპენი, მეხელენი, ტურნჰუტი;
– დილი: ბრიუსელი, ლუვენი, ნიველი;
– ქვემო-მეზი: მაასტრიხტი, ჰასელტი, რურემონდი;
– ურტე: ლიეჟი, ჰუი, მალმედი;
– სამბრ-ე-მეზი: ნამიური, დინანი, მარში, სენ-ჰუბერტი;
– ფორე: ლუქსემბურგი, ბიტბურგი, დიკირხი, ნევშატო.

ფლანდრიამ ლისა და შელდას დეპარტამენტები შეადგინა, ენომ ჟემაპეს დეპარტამენტი, ბრაბანტმა დე-ნეთის და დილის, ლუქსემბურგმა ფორეს; ნამიურმა, ლუქსემბურგის აღმოსავლეთმა და ჩრდილოეთმა, ლიეჟის საეპისკოპოსომ, სტავლო-მალმედის სააბატომ, ლიმბურგმა, ვენლომ და მაასტრიხმა სამი დეპარტამენტი შეადგინა: ქვემო მეზი, ურტე, სამბრა და მეზი.

1795 წლის 1 ოქტომბრის დეკრეტით, **საფრანგეთმა ბელგიის 9 დეპარტამენტი შეიერთა.**

საფრანგეთს 98 დეპარტამენტი გაუხადა.

გარდა ამისა, 13 ოქტომბერს ვარის დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრი გრასიდან ბრინიოლში გადავიდა.

ბოლოს, 26 ოქტომბერს **ბუიონის საპერეგო** თავის მხრივ **შეუერთდა საფრანგეთს** და არდენის, ფორეს და სამბრა-და-მეზის დეპარტამენტებში გადანაწილდა.

3. საფრანგეთის ექსპანსია დირექტორიის დროს (1795-1799)

თერმიდორული გადატრიალების შედეგად დამყარებული ხელისუფლება 1795 წლის გაზაფხულზე ხალხის ფენებში დანყებულ მღელვარებებს უნდა გამკლავებოდა (ჟერმინალისა და პრერიალის აჯანყებები), ასევე რუაიალისტთა გამოსვლებსაც. ზომიერი პოლიტიკის გატარების მიზნით მან ახალი კონსტიტუცია შეიმუშავა (III ნლის კონსტიტუცია), რომლითაც 1795 წლის 28 ოქტომბერს დირექტორიის რეჟიმი დამყარდა.

ჩრდილოეთით გამარჯვებულმა ფრანგებმა პრუსიასთან და ბატავიის რესპუბლიკასთან ზავის დადების შემდეგ, სამხედრო ძალები ავსტრიისა და მის მოკავშირე სარდინიის სამეფოსკენ მიმართეს, ჯერ აღმოსავლეთისაკენ (გერმანიის არმია), შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, იტალიაში მოქმედი არმიის გენერალ მთავარსარდლად კი ნაპოლეონ ბონაპარტი დაინიშნა. ბონაპარტის გენია მალე გამომჟღავნდა; მან მოვლენათა განვითარება შეიცვალა და იტალია საფრანგეთის გამარჯვებების მთავარ სცენად აქცია.

ბონაპარტის პირველი გამარჯვებები

ბონაპარტის არმიის მონდოვისთან გამარჯვების შემდეგ (1796 წლის 21 აპრილი). სარდინიის მეფემ 28 აპრილს დაზავება მოითხოვა. 1796 წლის 15 მაისის პარიზის ხელშეკრულებით სარდინია კონფლიქტს გამოეთიშა და **საფრანგეთის სასარგებლოდ** ოფიციალურად თქვა უარი **სავოიაზე და ნიცისა და ტანდეს საგრაფოებზე.**

ვიურტემბერგის პერცოგი და ბადენის მარკგრაფი ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდნენ. საფრანგეთის ჯარების მიერ მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ ამ მთავრებმა ზავი მოითხოვეს.

1796 წლის 7 აგვისტოს პარიზის ხელშეკრულებით **ვიურტემბერგის პერცოგმა საფრანგეთს** ოფიციალურად **დაუთმო** თავისი ფრანგული სამფლობელოები ალზასში (**პორბურგი და რიკევირი**), ბურგუნდიაში (**ბლამონი, კლემონი, ერიკური, შატელი**), მიღებული 1789 წლის 4 აგვისტოს, ასევე **მონბელიარდის სამთავრო**, ანექსირებული 1793 წლის 11 ოქტომბერს.

1796 წლის 22 აგვისტოს პარიზის ხელშეკრულებით **ბადენის მარკგრაფმა საფრანგეთს** ოფიციალურად **დაუთმო** რაინის მარცხენა სანაპიროს თავისი სამფლობელოები: **ბენჰაიმის** სამფლობელო ალზასში, **როდემახენი და პესპრინგი** ლუქსემბურგში, **სპონჰაიმის საგრაფოს ნახევარი** (კირხბერგი, ბირკენფელდი).

ამ ორ მთავარს კომპენსაცია მარჯვენა სანაპიროზე უნდა მიეღო, საფრანგეთსა და საღეთო რომის იმპერიას შორის მშვიდობის დამყარების შემდეგ.

საფრანგეთის გამარჯვებებიდან გამომდინარე (ანკონეს აღება) მოლაპარაკებების შემდეგ, საეკლესიო სახელმწიფოებმა 1797 წლის 19 თებერვალს ტოლანტინოში საფრანგეთთან სამშვიდობო ზავს მოანერეს ხელი, რომლის მიხედვითაც **პაპი საფრანგეთისთვის ავინიონისა და კომტა ვენესენის გადაცემას აღიარებდა.**

მეორე მხრივ, 1797 წლის 28 თებერვალს მონბელიარდის ყოფილი სამთავროს ტერიტორია, რომელიც 1793 წლიდან ფრანგული იყო და ზემო სონის დეპარტამენტს შეუერთდა, მას ჩამოშორდა და მონტერიბლის დეპარტამენტში გაერთიანდა, სადაც მე-3 ოლქი გახდა.

1797 წლის 28 აპრილს ვარის დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრი ბრილიონიდან დრაგინიანში გადავიდა.

გამარჯვებებით აღნიშნული ორწლიანი სამხედრო კამპანიების შემდეგ, გენერალმა ბონაპარტმა ავსტრია აიძულა ლეობანში ხელი მოეწერა ნინასნარი შეთანხმებებისათვის, რომელიც 1797 წლის 18 ოქტომბერს კამპო-ფორმიოს ზავით დამტკიცდა.

ამასობაში, ბონაპარტმა ვენეციის რესპუბლიკა დაამარცხა (1797 წლის მაისი), რომელიც მოგვიანებით მისი განაწილების თაობაზე ავსტრიას შეუთანხმდა.

კამპო-ფორმიოს ზავით **ავსტრია საფრანგეთის სასარგებლოდ უარს ამბობდა ავსტრიის ნიდერლანდზე** და ფარულად **ფალკენშტაინის საგრაფოზე ფრიკტალში** და აღიარებდა საფრანგეთის უფლებას რაინის მარცხენა სანაპიროს სამფლობელოების სრულ ანექსირებაზე ნეტ-რერის ზოლამდე, იმ პირობით, რომ რატიფიკაცია გერმანიის სახელმწიფოების სამშვიდობო კონგრესზე მოხდებოდა.

გარდა ამისა, **ვენეციის დანაწილებისას საფრანგეთმა მიიღო** ვენეციის ლევანის პროვინცია, კერძოდ, **იონიის შვიდი კუნძული** (კერკირა პაქსი, ლეფკასი, ითაკე, კეფალონია, ზაკინთოსი და კიტირა) და **ალბანეთის ოთხი სახმელეთო პუნქტი** (ბრუტრინტი, პარგა, პრეევზა, ეონიცა).

ამიერიდან საფრანგეთთან შეერთებული ვენეციის ეს ყოფილი პროვინცია, სამ დეპარტამენტად დაიყო, რომლებიც კანტონებად იყოფოდა:

– კერკირა: კერკირა, პაქსი, ფანო, მერლერა, ვიდო, ანტიპაქსო, ბუტრინტო, პარგა;

– ითაკე: არგოსტო, ლიონი, კეფალონია, ლევკადა, კალამე, კასტრონი, მეგაზინი, პრეევზა და ვონიცა;

– ეგეოსის ზღვა: ზაკინთოსი, სტროფადესები, კიტირა, ანდიკიტირა.

ამის მერე საფრანგეთს 101 ევროპული დეპარტამენტი გაუხდა, აქედან 98 „მეტროპოლიის".

იტალიაში გამარჯვებული ბონაპარტი, სადაც მან თავის უფლებამოსილებას გადაამეტა და მშვიდობის პირობებზე პერსონალურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა დირექტორიასთან შეუთანხმებლად, რომელიც უფრო მეტად გერმანიაში ტერიტორიული გაფართოებით იყო დაინტერესებული, პარიზში დიდების შარავანდედით შემკული დაბრუნდა. ჩრდილოეთი იტალიის თავის ყაიდაზე გადაკეთების შემდეგ, მან დირექტორია შვეიცარიის დაკავების აუცილებლობაში დაარწმუნა, ეკონო-

მიკური (სიმდიდრე) და სტრატეგიული (საფრანგეთ-იტალიის გზების კონტროლი) მოსაზრებებიდან გამომდინარე.

1797 წლის 18 დეკემბერს **საფრანგეთმა** ბაზელის საეპისკოპოსოს „ჰელვეციური" ნაწილი და **მონსეველიერის** „გერმანული" ანკლავი **შეიერთა**, ყველაფერი ერთად მონ-ტერიბლის ფრანგულ დეპარტამენტს შეუერთდა.

ყველა აღიარებდა, რომ რაინის მარცხენა სანაპირო საფრანგეთს ეკუთვნოდა და მან 1797 წლის შემოდგომაზე გადანყვიტა მისი საბოლოო სტატუსი განესაზღვრა. თავიდან, 1797 წლის სექტემბერში გენერალ ოშის მხარდაჭერით, რომელიც საოკუპაციო ჯარებს ხელმძღვანელობდა, რაინის პატრიოტებმა რაინს აქეთა რესპუბლიკა გამოაცხადეს. მაგრამ ნოემბერში ოშის გარდაცვალების შემდეგ, მათი იმედები გაცრუვდა, რადგან დირექტორიამ ბუნებრივი საზღვრების მიზეზით რაინზე საფრანგეთის საზღვრების გადანევა მოისურვა.

1797 წლის დეკემბერში **რაინს აქეთა რესპუბლიკა საფრანგეთმა შეიერთა.**

1798 წლის 23 იანვარს ის ოთხ ფრანგულ დეპარტამენტად დაიყო:

– რერი: აახენი, კიოლნი, კრეფელდი, კლევე;
– რაინ-ე-მოზელი: კობლენცი, ბონი, ზიმერნი;
– მონ-ტონერი: მაინცი, შპაიერი, კაიზერსლაუტერნი, ცვაიბრიუკენი;
– ზაარი: ტრირი, პრუმი, ზაარბრიუკენი, ბირკენფელდი.

ეს ოთხი დეპარტამენტი ფრანგ კომისარს (რუდლერი) ექვემდებარებოდა, რომლის რეზიდენციაც მაინცში იყო.

საფრანგეთს ახლა უკვე 105 ევროპული და 102 მეტროპოლიის დეპარტამენტი ჰქონდა.

მეორე მხრივ, რევოლუციურმა საფრანგეთმა 1792 წლიდან საბაჟო ბლოკადა დაუწესა მიულუზის რესპუბლიკის ანკლავს, რომელმაც ვეღარ გაუძლო ამგვარ ეკონომიკურ ზენოლას და მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით 1798 წლის 4 იანვარს სურვილი გამოთქვა საფრანგეთთან ძეერთებაზე. 1798 წლის 29 იანვარს **მიულუზის რესპუბლიკა საფრანგეთს შეუერთდა**; ის ზემო-რაინის დეპარტამენტში გაერთიანდა.

1798 წლის 7 თებერვალს **ქალაქი ბიენი**, ფრანგების მიერ დაკავებული 6 თებერვალს **საფრანგეთს შეუერთდა**, რომელმაც ის მონ-ტერიბლის დეპარტამენტში გააერთიანა.

ამავე დროს, საფრანგეთის არმიამ, ენევა დაიკავა. 1798 წლის 15 აპრილს მისმა მოსახლეობამ ხმა მისცა საფრანგეთთან შეერთებას. 26 აპრილს, **ენევის რესპუბლიკა საფრანგეთს შეუერთდა.**

დირექტორია მეორე კოალიციის პირისპირ

კონტინენტზე მშვიდობის დამყარების შემდეგ, ომს მხოლოდ დიდი ბრიტანეთი აგრძელებდა, გენერალი ბონაპარტი კი თავისი ამბიციების შესაფერის მისიას ეძებდა. ის ძალიან ახალგაზრდა იყო იმისათვის, რომ დირექტორიაში მჯდარიყო (თანაც საფრანგეთი არ იყო მომნიფებული სახელმწიფო გადატრიალებისთვის), ამიტომ ტალეირანის პირით გაავრცელა ეგვიპტეში ექსპედიციის აუცილებლობის იდეა, რომელიც საფრანგეთს საშუალებას მისცემდა ის საქონელი (ბამბა, შაქარი) შემოეტანა, რომელიც ანტილიის კუნძულების დაკარგვის შემდეგ აკლდათ; თანაც ამით ინგლისელებს ინდოეთისაკენ მოუჭრიდნენ გზას და ამ მხარეების დასაპყრობად გასამგზავრებელ ბაზას შექმნიდნენ. დირექტორიის ზოგიერთი წევრი ამაში გენერლის მოშორების საშუალებას ხედავდა, რომელიც თანდათან სულ უფრო ამბიციური ხდებოდა.

ეგვიპტისაკენ მიმავალ გზაზე, გენერალმა ბონაპარტმა 10 ივნისს კუნძული მალტა დაიკავა. 1798 წლის 11 ივნისს **მალტის ორდენის ხელმძღვანელმა საფრანგეთს მალტის არქიპელაგი დაუთმო.** ეს არქიპელაგი დეპარტამენტებად არ დაუყვიათ.

გარდა ამისა, 1798 წლის 25 აგვისტოს ენევის ტერიტორია და მონბლანის დეპარტამენტს ჩამოშორებული შაბლე და ფოსინი, ეექსის ოლქი, რომელიც ენის

დეპარტამენტს ჩამოშორდა გაერთიანდა ახალ ფრანგულ დეპარტამენტში ლემანის სახელწოდებით (ჟენევა, ბონეეილი, ტონონი).

საფრანგეთს 106 ევროპის და 103 მეტროპოლიის დეპარტამენტი გაუხდა.

სარდინიის მეფე ხელახლა იქნა ეჭვმიტანილი ავსტრიასა და რუსეთთან შეთქმულებაში, ამიტომაც 1798 წლის 6 დეკემბერს საფრანგეთის არმია გენერალ ჟუბერის მეთაურობით პიემონტში შეიჭრა. 8 დეკემბერს მეფემ ოფიციალურად თქვა უარი პიემონტზე და კუნძულ სარდინიაზე გადასახლდა.

სარდინიის მეფის მიერ პიემონტზე უარის თქმის შემდეგ ამ პროვინციაში იურიდიული სიცარიელე შეიქმნა. დირექტორიამ მას უარი უთხრა იტალიასთან შეერთებაზე, მაგრამ არჩევანი დაუტოვა დამოუკიდებლობასა და საფრანგეთთან შეერთებას შორის. 1799 წლის 8-დან 16 თებერვლამდე გამართულ პლებისციტში (საეჭვო ვითარებაში), **პიემონტმა ხმა მისცა საფრანგეთთან შეერთებას,** რომელმაც მას დროებითი ადმინისტრაცია დაუნიშნა.

რადგან ბონაპარტმა ერთდროულად რუსეთი (მალტის აღება, რომლის პროტექტორი იყო პავლე I) და თურქეთი გაანაწყენა (ექსპედიცია ეგვიპტეში), რუსეთ-თურქეთის ფლოტმა დაიწყო მოქმედება საფრანგეთის იონიის კუნძულებიდან გასაძევებლად. 1799 წლის 3 მარტს ხუთთვიანი ალყის შემდეგ საფრანგეთმა კუნძული კერკირა დათმო.

ამ პერიოდში, ფრანგები შეეიცარიისა და იტალიის საქმეებში ჩარევას აგრძელებდნენ და ინტრიგებისა და შანტაჟის საშუალებით გენუაში, რომში, ნეაპოლში, ლოზანასა და სხვაგან ახალი რესპუბლიკების წარმოქმნას ცდილობდნენ. ასეთმა მოქმედებებმა მეორე კოალიციის შექმნა გამოიწვია, რომელშიც დიდი ბრიტანეთი, რუსეთი და ავსტრია გაერთიანდნენ. საომარი მოქმედებები კონტინენტზე 1799 წლის მარტში განახლდა.

ავსტრია-რუსეთის კოალიციამ საფრანგეთის ჯარები მთელს იტალიაში დაამარცხა (1799 წლის აპრილ-აგვისტო), გენუის გამოკლებით, გააძევა ფრანგები იქედან და მოპოვებული ტერიტორია დაიკავა. ბონაპარტმა იგრძნო, რომ მისი დრო დადგა და 9 ოქტომბერს ეგვიპტიდან საფრანგეთში დაბრუნდა.

ამასობაში, საფრანგეთის არმიამ შეეიცარიაში რუსეთის ჯარები დაამარცხა, რომლებიც ჰელვეციის რესპუბლიკიდან მის განდევნას ცდილობდნენ. რუსეთი ანტიფრანგული კოალიციიდან გამოვიდა, რამაც საფრანგეთი შემოსეეისაგან იხსნა.

საფრანგეთი ბონაპარტში თავის მხსნელს ხედავდა, რომელიც მტრებისგან დაიფარავდა. 1799 წლის 9 ნოემბერს (18 ბრიუმერი), ბონაპარტმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა და ძალაუფლება მოიპოვა.

IV. ნაპოლეონის საფრანგეთი (1799-1815)

1. კონსულობის პერიოდი (1799-1804)

ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, ნაპოლეონ ბონაპარტმა საკუთარ გეგმებს მოარგო კონსტიტუცია, კონსულობის პერიოდში, ძალაუფლების დემოკრატიული დაყოფის საფარქვეშ, მთელი ძალაუფლების კონცენტრირება თავის პიროვნებაში მოახდინა: საკანონმდებლო ხელისუფლება დაქუცმაცდა სხვადასხვა საპარლამენტო ასამბლეაში, რომლებიც ნეიტრალიზებული იყო, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება მოსაჩვენებლად სამ კონსულს შორის განანილდა, რეალურად კი მას მხოლოდ პირველი კონსული, თვით ბონაპარტი აღასრულებდა.

საფრანგეთი, რომლის პირველი კონსული ბონაპარტი იყო, 1789 ნელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. ბუნებრივი საზღვრების თეორიამ საბოლოდ გაიმარჯვა და უცხო სახელმნიფოების ანკლაევი ნარსულს ჩაბარდა.

ნიცის საგრაფოსა და სავოიის ანექსირების შემდეგ ქვეყნის საზღვარი უკვე ალპებზე გადიოდა ხმელთაშუა ზღვიდან ლემანის ტბამდე. ჟენევაც საფრანგეთის შემადგენლობაში იყო. შედარებით ჩრდილოეთით, სურათი უფრო გაურკვეველი იყო, ნეეშატელის სამთავრო იმ პერიოდისთვის უცხო ტერიტორიად რჩებოდა,

მაგრამ შეერთებული იყო ბიენი და ბაზელის საეპისკოპოსო. რაინი ბატავიის რესპუბლიკამდე საზღვრის ნიშნული იყო, მეზი ზელანდიამდე საზღვარს აღნიშნავდა, ხოლო შელდას სამხრეთი სანაპირო ბელგიური და რაინს აქეთა პროვინციების ანექსირების შემდეგ, ბატავიის რესპუბლიკისთვის თავსმოხვეულ საზღვრებს.

გარდა ამისა, გაქრა ის ანკლავები, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე არსებობდა: ავინიონი, კომტა ვენესენი, მონბელიარდი, მიულუზი, სალმი, ზაარ-ვერდენი და ფილიპსბურგი. საფრანგეთი ტერიტორიულად ჰომოგენურ ქვეყნად იქცა და რეგიონული და ადგილობრივი ახალი ინსტიტუტები ერთგვაროვანი გახდა.

თავისი ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ, პირველმა კონსულმა საფრან-გეთს ინსტიტუტებში ავტორიტარული და მაცენტრალიზებელი რეფორმა გაატარა. ამ ფარგლებში 1800 წლის 17 თებერვლის კანონით დეპარტამენტებში დაინიშნენ პრეფექტები და პრეფექტის მოადგილეები, ცენტრალური ხელისუფლე-ბის უშუალო ნარმომადგენლები დეპარტამენტებსა და ოლქებში. დეპარტა-მენტების ტერიტორიული მოცულობა თითქმის არ შეცვლილა, სამაგიეროდ მნიშვნელოვნად შეიცვალა თითოეული დეპარტამენტის შიგა დაყოფა.

დეპარტამენტი	პრეპექტურა და ქვე-პრეფექტურები
ენი	ბურგი, ბელეი, ნანტუა, ტრევუ
ესნი	ლანი, შატო-ტიერი, სენ-კანტენი, სუასონი, ვერვენი
ალიერი	მულენი, განა, მონტლუსონი, ლა პალისი
ქვემო ალპები	დინი, ბარსელონეტი, კასტელანი, ფორკალკიე, სისტერონი
ზემო ალპები	გაპი, ბრიანსონი, ემბრუნი
ზღვისპირა ალპები	ნიცა, მონაკო, პუჟე-ტენიე
არდეში	პრივა, ლარჟანტიერი, ტურნონი
არდენი	მეზიერი, რეტელი, როკრუა, სედანი, ვუზიერი
არიეჟი	ფუა, პამიე, სენ-ჟირონი
ობი	ტრუა, არსი-სურ-ობი, ბარ-სურ-ობი, ბარ-სურ-სენა, ნოჟან-სურ-სენა
ოდი	კარკასონი, კასტელნოდარი, ლიმუ, ნარბონე
ავეირონი	ორდეზი, ესპალიონი, მილო, სენტ-აფრიკი, ვილეფრანშ-დე-რუერგი
ბუშ-დუ-რონი	ექსი, მარსელი, ტარასკონი
კალვადოსი	კანი, ბაიე, ფალეზი, ლიზიე, პონ-ლ'ევეკი, ვირი
კანტალი	ორილიაკი, მორიაკი, მურა, სენ-ფლუ
შარანტი	ანგულემი, ბარბეზიე, კონიაკი, კონფოლანსი, რუფეკი
ქვემო შარანტი	სენტი, ჟონზაკი, მარენი, როშფორი, ლა როშელი, სენ-ჟან-დ'ანჟელი
შერი	ბურჟი, სენტ-ამანდი, სანსერი
კორეზი	ტული, ბრივი, უსელი
კოტ-დ'ორი	დიჟონი, ბონი, შატილონ-სურ-სენა, სემურ-ან-ოგზუა
კოტ-დუ-ნორი	სენ-ბრიეკი, დინანი, გენგამი, ლანიონი, ლუდეკი
კრეზი	გერე, ობუსონი, ბურგანეფი, ბუსაკი

დორდონი	პერიგე, ბერჟერაკი, ნონტრონი, რიბერაკი, სარლა
დუბსი	ბეზანსონი, ბომ-ლე-დამი, პონტარლიე, სენ-იპოლიტი
დრომი	ვალანსი, დი, მონტელიმარი, ნიონი
დილი	ბრიუსელი, ლუვერნი, ნიველი
შელდა	განდი, ოდენარდი, ეკლო, ტერმონდი
ერი	ევრე, ლეზანდელი, ბერნეი, ლუვიე, პონტ-ოდემერი
ერი და ლუარა	შარტრი, შატოდუნი, დრე, ნოჟან-ლე-როტრუ
ფინისტერი	კემპერი, ბრესტი, შატოლენი, მორლე, კემპერლე
ფორე	ლუქსემბურგი, ბიტბურგი, დიკირხი, ნევშატო
გარი	ნიმი, ალე, უზესი, ლე ვიგანი
ზემო-გარონა	ტულუზა, მურე, სენ-გოდანი, ვილეფრანშ-დე-ლურაგე
ჟერი	ოში, კონდომი, ლეკტური, ლომბეზი, მირანდი
ჟირონდი	ბორდო, ბაზასი, ბლეი, ლესპარი, ლიბურნი, ლა რეოლი
გოლო	ბასტია, კალვი, კორტი
ერო	მონპელიე, ბეზიერი, ლოდევი, სენ-პონი
ილ-ე-ვილენი	რენი, ფუჟერი, მონფორტი, რედონი, სენ-მალო, ვიტრე
ინდრი	შატორუ, ისუდუნი, ლე ბლანი, ლა შატრი
ინდრ-ე-ლუარა	ტური, ძინოხი, ლოძი
იზერი	გრენობლი, ლა ტურ-დუ-პენი, სენ-მარსელენი, ვიენი
ჟემაპე	მონსი, შარლერუა, ტურნე
იურა	ლონს-ლე-სონიე, დოლი, პოლინი, სენ-კლოდი
ლანდი	მონ-დე-მარსანი, დაქსი, სენ-სეერი
ლემანი	ჟენევა, ბონეევილი, ტონონი
ლიამონი	აჟაკსიო, სარტენი, ვიკო
გუარ-ე-შერი	ბლუა, რომორანტენი, ვანდომი
ლუარა	მონბრიზონი, როანი, სენტ-ეტიენი
ზემო ლუარა	ლე პუი, ბრიუდი, ისენჟო
ქვემო ლუარა	ნანტი, ანსენი, შატობრიანი, პემბეფი, სავენეი
ლუარე	ორლეანი, ჟიანი, მონტარჟი, პიტიეე
ლო	კაორი, ფიჟაკი, გურდონი, მონტობანი
ლო-ე-გარონა	აჟანი, მარმანდი, ნერაკი, ვილენეე-სურ-ლო
ლოზერი	მანდი, ფლორაკი, მარჟეოლი
ლი	ბრუჟი, კურტრე, ფურნე, იპრი
მენ-ე-ლუარა	ანჟერი, ბოჟე, ბოპრო, სომიური, სეგრე
მანში	კუტანსი, ავრანში, მორტენი, სენ-ლო, ვალონი
მარნა	შალონი, ეპერნეი, რემსი, სენ-მენეული, ვიტრი-ლე-ფრანსუა
ზემო მარნა	შომონ-ან-ბასინი, ლანგრე, ვასი

მეიენი	ლავალი, შატო-გონტიე, მეიენი
მერტი	ნანსი, შატო-სალენი, ლუნევილი, ზაარბურგი, ტული
მეზი	ბარ-სურ-ორნენ, კომერსი, მონმედი, ვერდენი
ქვემო მეზი	მაასტრიხტი, ჰასელტი, რურემონდი
მონ-ბლანი	შამბერი, ანესი, მუტიერი, სენ-ჟან-დე-მორიენი
მონ-ტონერი	მაინცი, ცვაიბრიუკენი, კაიზერსლაუტერნი, შპაიერი
მორბიანი	ვანი, ლორიანი, პლიორმელი, პონტიევი
მოზელი	მეცი, ბრიეი, ზაარგემონი, ტიონბილი
დე-ნეთი	ანტვერპენი, მეხელენი, ტურნჰუტი
ნიევრი	ნევერი, კლამესი, კოსნა, შატო-შინონი
ნორდი	დუე, ავესნი, ბერგი, კამბრე, ჰაზებურკი, ლილი
უაზი	ბოვე, კლერმონი, კომპიენი, სანლი
ორნე	ალანსონი, არჟანტანი, დომფრონი, მორტანი
ურტი	ლიეჟი, ჰიუი, მალმედი
პა-დე-კალე	არასი, ბეტუნი, ბულონი, მონტრეი, სენტ-ომერი
პუა-დე-დომი ქვემო პირენე	კლერმონ-ფერანი,ამბერი, ისუარი, რიომი, ტიერი პო, ბაიონი, მულეონი,ოლოროონი,ორტეზი
ზემო პირენე	ტარბი, არჟელე, ბანიერეს-დე-ბიგორი
აღმოსავლეთი პირენე	პერპინიანი, სერე, პრადა
ქვემო რაინი	სტრასბურგი, ბარი, სავერნე, ვისემბურგი
ზემო რაინი	კოლმარი, ალტკირხი, ბელფორი, დელემონტი, პორანტრუი
ღაინი-ე-მოზელი	კობლენცი, ბონი, ზიმერნი
რონა	ლიონი, ველეფრანშ-სურ-სონა
რერი	აახენი, კლევე, კიოლნი, კრეფელდი
შამბრ-ე-მეზი	ნამიური, დინანი, მარში, სენტ-უბერი
ზემო სონა	ვეზული, გრეი, ლური
შონ-ე-ლუარა	მაკონი, ოტუნი, შალონ-სურ-სონა, შაროლი, ლუანი
ზაარი	ტრირი, ზაარბრიუკენი, ბირკენფელდი, პრუმი
შარტი სენა	ლე მანი, ლა ფლეში, მამერი, სენ-კალე პარიზი, სენ-დენი, სო
შენ-ე-მარნა	მელუნი, კულომიე, ფონტენებლო, მო, პროვენი
შენ-ე-უაზი	ვერსალი, კორბეი, ეტამპი, მანტი, პონტუაზი
ქვემო სენა	რუანი, დიპი, ჰავრი, ნეფშატელი, ივეტო
დე-სევრი	ნიორი, მელი, პარტენეი, ტუარი
სომი	ამიენი, აბეევილი, დულანსი, მონდიდიე, პერონი
ტარნი	კასტრი, ალბი, გალიაკი, ლავორი
ვარი	დრაგინიანი, ბრინიოლი, გრასი, ტულონი
ვოკლუზი	ავინიონი, აპტი, კარპანტრა, ორანი
ვანდე	ფონტენეი-ლე-კომტი, მონტეგუ, ლე-საბლ-დ'ოლონი
ვიენი	პუატიე, შატელერო, სივრეი, ლუდუნი, მონმორიონი
ზემო ვიენი	ლიმოჟი, ბელაკი, როშეშუარი, სენტ-ირიექსი
ვოგეზები	ეპინალი, მირეკური, ნეფშატო, რემირემონი, სენ-დიე
იონი	ოქზერი, ავალონი, ჟუანი, სანსი, ტონერი

1800 წელს მარსელი ბუშ-დუ-რონის დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრი გახდა ექსის ნაცვლად, ალბი ტარნის დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრი გახდა კასტრის ნაცვლად.

პირველმა კონსულმა ევროპაში სიტუაცია გამოასწორა

1800 წლის გაზაფხულზე პირველმა კონსულმა ბონაპარტმა გერმანიასა და იტალიაში შეტევები განაახლა ავსტრიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ: მან თვითონ იკისრა იტალიაში მოქმედი არმიის ხელმძღვანელობა, ნახევარკუნძულზე 1799 წელს დაკარგული პოზიციების დასაბრუნებლად და იქედან ავსტრიის ჯარების გასაძევებლად.

1800 წლის 18 ივნისს მარენგოსთან გამარჯვებამ ფრანგებს გზა გაუხსნა, რომლებმაც ხელახლა დაიკავეს პიემონტი და კვლავ დაამყარეს დროებითი ფრანგული ადმინისტრაცია. ამას გარდა აღსდგა სიზალპური რესპუბლიკა.

1800 წლის სექტემბერს ბონაპარტმა **საფრანგეთის პიემონტს ნოვარე ჩამოაშორა და სიზალპურ რესპუბლიკას შეუერთა.**

მარენგოსთან გამარჯვებას საფრანგეთსა და ავსტრიას შორის საბრძოლო ოპერაციების შეწყვეტა მოჰყვა. 1801 წლის 9 თებერვალს ამ ორ ქვეყანაში შორის ლუნევილის ზავით მშვიდობა აღსდგა.

ამ ხელშეკრულებამ კამპო-ფორმიოს ზავის დებულებები დაამტკიცა; მან შესაძლებელი გახადა გერმანიის საკითხის საბოლოო მოგვარება; ამჯერად იმპერატორმა ვალდებულება აიღო რომის საღვთო იმპერიის სახელით საფრანგეთისთვის რაინის მარცხენა სანაპირო დაეთმო და ამ მინების მფლობელი მემკვიდრე მთავრები მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიებით დაეკმაყოფილებინა, საეკლესიო დომენებისა და თავისუფალი ქალაქების ხარჯზე.

მისი პირობების თანახმად **ავსტრია:**

– ამჯერად ოფიციალურად **საფრანგეთს უთმობდა ფალკენშტაინის საგრაფოს,** რომელიც პფალცში მდებარეობდა მარცხენა სანაპიროზე;

– **საფრანგეთს უთმობდა** ბრისგაუს მეორადი მფლობელობის და პელეციის რესპუბლიკისთვის შემდგომი გადაცემის პირობით **ფრიკტალს** და ორ ქალაქს რაინის მარცხენა სანაპიროზე, **ლაუფენბურგს და რაინფელდენს;**

– უარს ამბობდა ტოსკანიის მეორედ მფლობელობაზე, რის შედეგადაც ის ბურბონ-პარმის სახლს გადაეცემოდა;

– ტოსკანიის თავისი მეორადი მფლობელობის სახელით უარს ამბობდა კუნძულ ელბის დასავლეთის ორ მესამედზე (პორტო-ფერაიო), რომლის სუზერენიც პიომბინოს მთავარი იყო, თუმცა მან ეს სამფლობელო დაკარგა, რომელიც ასევე ბურბონ-პარმის სახლს გადაეცა.

1801 წლის 8 მარტს გამოსული კანონით რაინის ოთხი დეპარტამენტი (რერი, რაინი და მოზელი, მონ-ტონერი, ზაარი) „საფრანგეთის ტერიტორიის ნაწილად" გამოცხადდა და ამიერიდან საერთო სამართალს უნდა დაქვემდებარებოდა.

მეორე მხრივ, არანხუესის ზავით (1801 წლის 21 მარტს) საფრანგეთსა და ესპანეთს შორის მშვიდობა მყარდებოდა. მისი დებულებების მიხედვით:

– **პარმის საჰერცოგო საფრანგეთს** უნდა **გადასცემოდა,** ჰერცოგი ფერდინანდი უნდა გადამდგარიყო, ხოლო მისი ვაჟი ლუი ტოსკანიაში უნდა გამეფებულიყო, რომელსაც ეტრურის სამეფო დაერქმეოდა. მაგრამ ჰერცოგმა უარი თქვა გამეფებაზე და ბონაპარტმა უფლება მისცა ემართა თავისი საჰერცოგო თავისი სიცოცხლის მანძილზე, მისი სიკვდილის შემდეგ კი ის საფრანგეთს გადაეცემოდა;

– **კუნძულ ელბის დასავლეთის ორი მესამედი** (პორტო-ფერაიო), ლუნევილის ხელშეკრულებით ბურბონ-პარმის სახლისთვის გადაცემული, ტოსკანიას უნდა ჩამოშორებოდა და **საფრანგეთის გამხდარიყო.**

ბოლოს, ფლორენციის ზავით (1801 წლის 28 მარტი), საფრანგეთსა და ორ-სიცილიას შორის მშვიდობა აღდგა. ამ ხელშეკრულებით **ორივე სიცილიის სამეფო საფრანგეთს სრულ მფლობელობაში უთმობდა კუნძულ ელბის** აღმოსავლეთ ნაწილის მესამედს (პორტო-ლონგონე); ის უარს ამბობდა

პიომბინოს სამთავროს სიუზერენობაზე, რომელიც ბონაპარტმა ეტრურის ახალ სამეფოში გააერთიანა.

კუნძული ელბა საფრანგეთის სუვერენიტეტის ქვეშ გაერთიანდა და დროებითი ადმინისტრაცია დაენიშნა.

1801 წელს ლა მანშის პრეფექტურა კუტანსიდან სენ-ლოში გადავიდა. გარდა ამისა, სენ-პოლ-სურ-ტერნუაზი პა-დე-კალეში შექმნილი ახალი ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი გახდა.

ბონაპარტმა ევროპა გარდაქმნა

ლუნევილის ზავის ხელის მოწერის შემდეგ, რაც შესაძლებელს ხდიდა საფრანგეთ-გერმანიის საკითხების საბოლოო მოგვარებას, ბონაპარტმა ძირითადი შეთანხმების გარეშე დაინყო ხელშეკრულებების დადება შუა გერმანიის იმ მნიშვნელოვან მთავრებთან, რომლებთან ურთიერთობის შენარჩუნებასაც აპირებდა. ამგვარ რეალობაში, ავსტრიის შესასუსტებლად ის ხელს უწყობდა პრუსიასა და ცენტრალური და სამხრეთი გერმანიის დიდ სახელმწიფოებს; ამ მეტად ტრადიციულ პოლიტიკაში, მთავარი როლი ბავარიას უნდა შეესრულებინა.

1801 წლის 24 აგვისტოს საფრანგეთმა და ბავარიამ პარიზის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომლის პირობებიც 1803 წლის 25 თებერვლის საიმპერატორი დეკრეტით დამტკიცდა.

ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი მნიშვნელოვანი ტერიტორიების საკომპენსაციოდ, ბავარია გარკვეულ ტერიტორიებს თმობდა; ბავარია საფრანგეთს რაინის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ტერიტორიებს უთმობდა, კერძოდ: **მარცხენა სანაპიროს პფალცს, იულიხს, ზიმერნს, ველდენცს, ლაუტერეკს, ლაუტერნს, ცვაიბრიუკენს, ბირკენფელდს, სპონჰაიმს, ბიშვილერს, რიბოპიერს, პეტიტპიერს.**

ცხრანლიანი ომის შემდეგ საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ამიენის ზავს მოაწერეს ხელი (1802 წლის 25 მარტი), რომლის მიხედვითაც საფრანგეთი:

– **უარს ამბობდა კუნძულ მალტაზე,** რომელიც 1798 წელს იყო ანექსირებული, მაგრამ 1800 წლიდან მთლიანად ინგლისელებს ეკავათ; ისინი ვალდებულებას იღებდნენ ის წმინდა იოანეს ჰოსპიტალიერების ორდენისთვის გადაეცათ;

– **უარს ამბობდა იონიის კუნძულებზე და ოთხ სახმელეთო პუნქტზე ალბანეთში,** აღიარებდა შვიდი გაერთიანებული კუნძულის რესპუბლიკას, რომელიც 1800 წელს შეიქმნა თურქეთისა და რუსეთის ერთობლივი მეურვეობის ქვეშ.

1802 წელს ჩრდილოეთის პრეფექტურა დუედან ლილში გადავიდა.

1802 წლის 20 მაისს საფრანგეთმა და ვიურტემბერგმა ხელი მოაწერეს პარიზის ხელშეკრულებას, რომლის დებულებებიც 1803 წლის 25 თებერვლის საიმპერატორო დეკრეტით დამტკიცდა.

იმ მრავალი ტერიტორიის სანაცვლოდ, რომლებსაც ვიურტემბერგი ხელშეკრულების მიხედვით ღებულობდა, **ვიურტემბერგს საფრანგეთისთვის უნდა გადაეცა** თავისი ტერიტორიები რაინის მარცხენა სანაპიროზე, კერძოდ: **ალზასში ჰორბურგი და რიკვირი,** ბურგუნდიაში **ბლამონტი, კლემონი, ერიკური, შატელო,** აგრეთვე **მონბელიარდის სამთავრო.**

მეორე მხრივ, 1802 წლის 23 მაისის პარიზის ხელშეკრულებით **პრუსია ადასტურებდა საფრანგეთისთვის გელდრენის საჰერცოგოს** (ზემო გელდრენი), **მერსის სამთავროს და კლევეს საჰერცოგოს დასავლეთის ნახევრის გადაცემას.**

სანაცვლოდ, პრუსიას რაინის მარჯვენა სანაპიროზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ეკლესიებისა და ქალაქების ტერიტორიების ანექსირების უფლება ეძლეოდა.

1802 წლის 25 მაისს ბონაპარტმა ვალეს მოსახლეობის მოთხოვნა დააკმაყოფილა ის ჰელვეციის რესპუბლიკას ჩამოაშორა და ვალეს რესპუბლიკა შექმნა. **რისთვისაც საფრანგეთმა ჰელვეციის რესპუბლიკას დაუთმო ფრიქტალი,** რომელიც ადრე ბრისგაუს ეკუთვნოდა, ორი ტყის ქალაქი **ლაუფენბურგი და რაინფელდენი,** 1801 წლის თებერვალში ავსტრიისგან მიღებული ყველა ტერიტორია.

1802 წლის 10 ივნისს პარიზში ხელმონერილი შეთანხმების მიხედვით, **საფრანგეთი ლიგურიის რესპუბლიკას უთმობდა პიემონტის ტერიტორიებს ონეილის „ფანჯარას“ და ლოანოს ანკლავს.**

ამის სანაცვლოდ **ლიგურიის რესპუბლიკა საფრანგეთს კუნძულ კაპრაიას** უთმობდა, რომელიც კუნძულ ელბას დროებით ადმინისტრაციას შეუერთდა.

1802 წლის 26 აგვისტოს სენატუს-კონსულტის გადანყვეტილებით **კუნძული ელბა ოფიციალურად** საფრანგეთის რესპუბლიკის ტერიტორიას **მიუერთდა,** სპეციალური სტატუსი მიენიჭა მასზე დაქვემდებარებულ კუნძულებთან კაპრაია, პიანოზა და მონტე-კარლოსთან ერთად; გენერალურმა კომისარმა იქ პრეფექტის ადგილი დაიკავა.

1802 წლის 11 სექტემბერს **საფრანგეთმა ოფიციალურად შეიერთა პიემონტი,** თუმცა მის მოსახლეობას იტალიის რესპუბლიკასთან შეერთება სურდა. 1801 წლის აპრილში დაარსებული ექვსი სამხედრო პრეფექტურა, ექვსი ახალი ფრანგული დეპარტამენტი გახდა, კერძოდ:

– ერიდანი, მოგვიანებით პო: ტურინი, პინიეროლე, სუზი;
– მარენგო: ალექსანდრია, ბობიო, კასალი, ტორტონე, ვოგერა;
– ტანარო: ასტი, აკვი, ალბე;
– სეზია: ვერსეი, ბიელა, სანტია;
– დუარი: ივრე, აოსტა, კივასო;
– სტურა: კონი, მონდოვი, სალუცო, სავილიანო.

ამის შემდეგ საფრანგეთს 108 დეპარტამენტი გაუხდა.

1802 წლის 9 ოქტომბერს პარმის ჰერცოგის ფერდინადის გარდაცვალების შემდეგ **პარმის საჰერცოგოს საფრანგეთთან შეერთება** განხორციელდა; მას დროებითი ადმინისტრაცია დაუნესდა, რომელიც ერცელდებოდა პარმაზე, პიაჩენცაზე, გუასტალაზე.

ჰერცოგის ვაჟი, ეტრურის მეფე ლუი I, იმედოვნებდა, რომ პარმას თავის სამეფოს შეუერთებდა. კომპენსაციის ნიშნად საფრანგეთმა **ეტრურიას (ტოსკანიას) ტოსკანიის შემოგარენი დაუთმო.**

1803 წლის 25 თებერვალს რეცესიით გერმანიის ტერიტორიული მონყობა შეიცვალა. დამტკიცდა, რომ ამიერიდან საფრანგეთი ყველა გერმანულ ტერიტორიას ფლობდა რაიხის მარცხენა სანაპიროზე ჰელვეციის რესპუბლიკის საზღვრიდან ბატავიის საზღვრამდე: რეცესიის შემდეგ თავისი სამფლობელოები ჩამოერთვათ მემკვიდრეობით მთავრებს, ეკლესიებსა და თავისუფალ ქალაქებს მარცხენა სანაპიროზე, ხოლო აღნიშნული მთავრები კომპენსაციებს მარჯვენა სანაპიროზე მიიღებდნენ.

გარდა ამისა, **ჰელვეციის ახალი კონფედერაცია საფრანგეთს დაპის დაბლობს უთმობდა.**

1803 ნელს დიუნკერკი ბერგით შეიცვალა, რომელიც ჩრდილოეთის დეპარტამენტის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი გახდა.

1802 ნელს დიდ ბრიტანეთთან ამიენში დადებული ზავი მხოლოდ შესვენება იყო. ინგლისელები უკმაყოფილონი იყვნენ საფრანგეთის შეეიცარიაზე ზენოლის, პიემონტის ანექსირების და საფრანგეთის ზღვაზე გააქტიურების გამო. ბონაპარტი, თავის მხრივ დიდ ბრიტანეთს საყვედურობდა, რომ ამიენის ზავის პირობების შესაბამისად მალტა არ დატოვა, რომ გულღიად ღებულობდა ფრანგ ემიგრანტებს და ხელს არ უშლიდა ბონაპარტის კრიტიკას არც პარლამენტში და არც ბრიტანულ პრესაში.

საომარი მოქმედებები 1803 ნლის მაისში განახლდა. დიდი ბრიტანეთის მიერ ზღვაზე მიღებული ზომების საპასუხოდ, ბონაპარტმა სასწრაფოდ დაიკავა ჰანოვერი, რომლის სუვერენიც დიდი ბრიტანეთის მეფე იყო და შეაჩერა ინგლისური საქონელი მის მიერ გაკონტროლებულ კონტინენტის პორტებში. 1803 ნლიდან მან ინგლისში გადასვლისთვის მზადება დაინყო.

1804 ნელს დე-სევრის ადმინისტრაციული ცენტრი ბრესუირიდან ტუარში გადავიდა.

2. საფრანგეთის იმპერია ახალი ევროპის არბიტრი (1804-1807)

1804 წლის 18 მაისს პირველი კონსული ნაპოლეონ ბონაპარტი საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ I გახდა. **საფრანგეთის რესპუბლიკა საფრანგეთის იმპერიად გამოცხადდა.** ტიტულის შეცვლისა და მამრობითი ხაზით მემკვიდრეობის დანესების გარდა ბევრი არაფერი შეცვლილა, საფრანგეთის ინსტიტუტები უცვლელი დარჩა.

მომხდარი ცვლილება ნაპოლეონის მიერ ძალაუფლების სრულად ხელში ჩასაგდებად განხორციელებული ბოლო ნაბიჯი იყო, თუმცა 1802 წლის პლებისციტით ის მუდმივმოქმედ კონსულად იქნა არჩეული. რომაულ მოდელზე მეტად ნაპოლეონი კაროლინგების მოდელისკენ გადაიხარა, მას ევროპის გარდაქმნა სურდა, სადაც სახელმწიფოები საფრანგეთის იმპერიის და რაღა თქმა უნდა მისი პიროვნების გარშემო დაჯგუფდებოდა. კარლოს დიდი, როგორც ძლიერი მეომარი და ევროპის დიდი იმპერიის მმართველი მისთვის ღირსეული მაგალითი იყო.

გარდა ამისა, საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი ფრანც II, შევიწროებული 1803 წლის დეკრეტით, არ მოტყუვდა. ამგვარ გადაწყვეტილებაში მან მომავლის საფრთხე დაინახა და 1804 წლის 11 აგვისტოდან თავისი მემკვიდრეობით სახელმწიფოებისათვის ის იწოდებოდა როგორც ავსტრიის იმპერატორი ფრანც I, რათა აღნიშნული სახელმწიფოები და თავისი საიმპერატორო ღირსება ტერიტორიების მიტაცების ყოველგვარი მცდელობისაგან დაეცვა.

1804 და 1805 წლები ბრიტანეთის კუნძულებზე თავდასხმისთვის მზადებაში გავიდა; კონტინენტზე მუქარით დამძიმებულ მშვიდობის ატმოსფეროში საფრანგეთისთვის დიპლომატიური მდგომარეობა უარესდებოდა ახალი იმპერატორის ამბიციების გამო, რომელსაც ევროპის სამეფო ოჯახები ახალი იმპერატორის „ოჯახის ხევრად“ არ აღიარებდნენ. ევროპის უნდობლობა და ძიძი ნაპოლეონის მიმართ გამართლებული იყო ევროპაში განვითარებული მოვლენებით: იტალიის სამეფოს შექმნა და საფრანგეთის მიერ ლიგურიის რესპუბლიკის შთანთქმა.

ნარმოშობით კორსიკელი ნაპოლეონი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა იტალიის ბედის მიმართ. მან ცისპადანური და ტრანსპადანური რესპუბლიკები დააარსა, რომლებიც მოგვიანებით სიზალპურ რესპუბლიკაში გააერთიანა, დედაქალაქად გამოაცხადა მილანი, რომლის ტერიტორიებიც გაზარდა და მისი ინტერესების დამცველი გახდა; 1802 წლის იანვარში კი ლიონში პრკრებილ ასამბლეას ამ რესპუბლიკის პრეზიდენტად გამოაცხადებინა თავი, ხოლო ქვეყანას იტალიის რესპუბლიკა უწოდა.

1804 წელს საფრანგეთის იმპერატორად გახდომის შემდეგ, მას იტალიის რესპუბლიკის გარდაქმნა მონარქიულ სახელმწიფოდ სურდა, თავიდან მისი ძმის ჟოზეფის სასარგებლოდ; მისი უარის შემდეგ კი თავის სასარგებლოდ. 1805 წლის მარტში იტალიის რესპუბლიკა იტალიის სამეფოდ გამოცხადდა, **ნაპოლეონი იტალიის მეფე გახდა.** მაისში ის ტახტზე ავიდა, ივნისში თავისი გერი იოგენე ბოარნე მეფისნაცვალად დანიშნა.

მეორე მხრივ, დიდი ბრიტანეთის მიერ დაწესებული ბლოკადის გამო ეკონომიურად შევიწროებული ლიგურიის სახელმწიფო, საფრანგეთისკენ შებრუნდა. 1805 წლის 6 ივნისს **საფრანგეთმა ლიგურიის რესპუბლიკა შეიერთა,** რომელმაც საფრანგეთის სამი ახალი დეპარტამენტი შეადგინა:

მონტენოტე: სავონა, აკვი, სევა, პორტ-მორისი;

გენუა: გენუა, ბობიო, ნოვი, ტორტონე, ეოგერა;

აპენინი: კიავარი, ბარდი, სარზანე.

ყოფილი ლიგურიის რესპუბლიკის უკიდურეს დასავლეთი (ვინტიმილე და სან რემო) ნანილი მას ჩამოშორდა და ზღვისპირა ალპების ახალი ოლქი შეადგინა სანრემოს სახელნოდებით, რომელმაც მონაკოს ოლქი შეცვალა (ის კი ნიცის ოლქში გაერთიანდა).

გარდა ამისა, შეიცვალა პიემონტის დეპარტამენტებად დაყოფა: ტანარის დეპარტამენტი გაუქმდა და მისი სამი ოლქი მარენგოს, სტურასა და მონტენოტეს

შორის გადანაწილდა. მარენგოს დეპარტამენტმა გენუის დეპარტამენტს თავისი ოლქები ბობიო, ტორტონე და ვოგეირა დაუთმო.

ამ ცვლილებების შემდეგ, პიემონტ-ლიგურია-ნიცის დეპარტამენტებად დაყოფა შემდეგნაირად იყო:

– პო: ტურინი, პინიეროლი, სიუზე;
– მარენგო: ალექსანდრია, ასტი, კასალი;
– სეზია: ვერსეი, ბიელა, სანტია;
– დუარი: ივრე, აოსტა, კივასო;
– სტურა: კონი, ალბე, მონდოვი, სალუცო, სავილიანო;
– მონტენოტე: სავონა, აკვი, სევა, პორტ-მორისი;
– გენუა: გენუა, ბობიო, ნოვი, ტორტონე, ვოგერა;
– აპენინი: კიავარი, ბარდი, სარზანე;
– ზღვისპირა ალპები: ნიცა, პუჟე-ტენიერი, სანრემო.

სამი ლიგურიული დეპარტამენტის შექმნით და ტანაროს გაუქმებით საფრანგეთს 110 დეპარტამენტი გაუხდა.

საფრანგეთი ავსტრიას ამარცხებს

1805 წლის აგვისტოში ნაპოლეონმა დროებით უარი თქვა ინგლისზე თავდასხმაზე და თავისი არმია გერმანიაში ვენის მიმართულებით წაიყვანა; 1805 წლის 2 დეკემბერს აუსტერლიცთან მან ავსტრიისა და რუსეთის კოალიციური ჯარები დაამარცხა და ვენა დაიკავა.

1805 წლის შემოდგომით ნაპოლეონმა პრუსიას უშედეგოდ შესთავაზა ალიანსი, რომლის საფასური 1803 წელს საფრანგეთის მიერ დაკავებული ჰანოვერი იქნებოდა. პრუსია რუსეთს დაუახლოვდა და ავსტრიის იმპერატორთან თავისი წარგზავნილი გაუშვა, რომელმაც ვენას აუსტერლიცის ბრძოლის შემდეგ მიაღწია და ნაპოლეონის წინაშე წარსდგა.

გამარჯვებულმა ნაპოლეონმა პრუსიის წარმომადგენელი აიძულა 1805 წლის 15 დეკემბერს ხელი მოენერა შენბრუნის ზავისთვის, რომლის მიხედვითაც ჰანოვერის ძალდატანებით მიღების შემდეგ **პრუსია საფრანგეთს უთმობდა ნეშატელის სამთავროს, ანსბახის სამარკგრაფოს და კლევეს საპერცოგოს ოლქს** (რაინის მარჯვენა სანაპიროზე).

16 დეკემბერს შენბრუნის საიდუმლო შეთანხმებით **საფრანგეთმა ბავარიას ანსბახის სამრკგრაფო გადასცა**, რის სანაცვლოდაც **ბავარიამ საფრანგეთს ბერგის საჰერცოგო დაუთმო.**

საფრანგეთს „სარეზერვო ტერიტორიები" გაუჩნდა (მარჯვენა სანაპიროს კლევე, ბერგი, ნეშატელი), რომლებსაც მომავალში ან შეიერთებდა, ან მის მიერ არჩეულ მთავრობას გადასცემდა.

გარდა ამისა, 1805 წლის 20 დეკემბერს **ბადენის საერცჰერცოგომ საფრანგეთს დაუთმო კელი და მისი ტერიტორია**, რომელიც სტრასბურგის წინ, რაინის მარჯვენა სანაპიროს პლაცდარმი იყო.

ბოლოს, 1805 წლის 26 დეკემბერს პრესბურგის ზავით მშვიდობა აღდგა საფრანგეთსა და ავსტრიას შორის. საფრანგეთს ტერიტორიული სარგებელი პირდაპირი გაგებით არ მიუღია, ავსტრიის დანაკარგები სხვადასხვა გერმანულ სახელმწიფოს (ბავარია, ვიურტემბერგი, ბადენი) და იტალიას შორის გადანაწილდა.

1806 წელს სელესტა ჩანაცვლდა ბარით, რომელიც ქვემო რაინის დეპარტამენტის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი გახდა.

1806 წლის 12 მარტს მაინცის ხელშეკრულებით **ნასაუ-უზინგენის მთავარმა საფრანგეთს ქალაქი კასტელი დაუთმო**, რაინის მარჯვენა სანაპიროს პლაცდარმი მაინცის პირდაპირ.

გარდა ამისა, ნაპოლეონმა დამარცხებული ევროპის რეორგანიზაცია იმგვარად მოახდინა, რომ მისი მართვა გაადვილებოდა. ამ პერსპექტივით მან სხვადასხვა სამთავრო თავის ძმებს, დებს და მასთან დაახლოებულ რამდენიმე პირს გაუნაწილა.

1806 წლის თებერვლიდან მისი ძმა ჟოზეფი, ნაპოლეონის ახალი მეფე მეფობას თავის ახალ სამეფოში შეუდგა, თუმცა კუნძულის ტერიტორია (სიცილია) მას არ ექვემდებარებოდა, იქ თავს სიცილიელი ბურბონები აფარებდნენ ინგლისის ფლოტის პროტექტორატის ქვეშ.

1806 წლის 15 მარტს ნაპოლეონმა **საფრანგეთს ჩამოაშორა კლევეს საჰერცოგოები** (რაინის მარჯვენა სანაპირო) **და ბერგი**, მიღებული 1805 წლის დეკემბერში და ისინი თავის სიძეს იოაკიმ მიურატს გადასცა, რომელიც **ბერგის და კლევის ჰერცოგი** და საღვთო რომის იმპერიის მთავარი გახდა (1806 წლის ივლისიდან ბერგის დიდი ჰერცოგი).

1806 წლის 30 მარტს ნაპოლეონმა **საფრანგეთს პატარა საჰერცოგო გუასტალა ჩამოაშორა** და **სუვერენული საჰერცოგოს** რანგში აამაღლა, თავისი დის პოლინის სასარგებლოდ. იგი არ იყო ვალდებული ამ საჰერცოგოში ეცხოვრა და 1806 წლის ივლისში ის თავის ძმა ნაპოლეონს, როგორც იტალიის მეფეს მიჰყიდა.

1806 წლის 1 აპრილს ნაპოლეონმა **საფრანგეთს ნეუშატელის სამთავრო ჩამოაშორა**, რომელიც 1805 წელს ჰქონდა მიღებული და თავისთან დაახლოებულ პირს, მარშალ ბერტიეს გადასცა **სუვერენული სამთავროს** ტიტულით.

1806 წლის 24 მაისს ნაპოლეონმა ბატავიის რესპუბლიკა **ჰოლანდიის სამეფოდ** გადააკეთა, თავისი ძმა ლუის სასარგებლოდ, რომელიც მისი სუვერენი გახდა.

პაპი უარს ამბობდა იმაზე, რომ ჟოზეფ ბონაპარტი ნეაპოლის მეფედ ელიარებინა. ნაპოლეონი გაჯიუტდა და 1806 წლის ივნისში პაპის ოლქს ორი ანკლავი ჩამოაშორა (ნეაპოლის სამეფოში) **ბენევენი და პონტე-კორვო**, ისინი საფრანგეთთან გააერთიანა და გადასცა ტალეირანს (ბენევენი) და ბერნადოტს (პონტე-კორვო), **სუვერენული სამთავროების ტიტულით.**

ევროპის რეორგანიზაციის პერსპექტივით, 1806 წლის ივლისში ნაპოლეონმა რაინის კონფედერაცია შექმნა, რომელშიც ის 16 სუვერენი გააერთიანა (მათი რიცხვი 1808 წელს 39-ს უდრიდა), რომლებიც აღარ იყვნენ ავსტრიისა და პრუსიის გავლენის ქვეშ და საფრანგეთის იმპერატორს ექვემდებარებოდნენ, ნაპოლეონმაც კონფედერაციის პროტექტორობა იკისრა.

საფრანგეთი პრუსიას ამარცხებს

1806 წლის 8 ოქტომბერს საფრანგეთსა და პრუსიას შორის დაპირისპირება განახლდა. 14 ოქტომბერს პრუსიელები იენასთან და აუერშტადტთან დამარცხდნენ.

ორან-ნასაუს მთავარმა პრუსიის მხარე დაიკავა. ნაპოლეონი არ დაელოდა კონფლიქტის მოგვარებას და 1806 წლის 23 ოქტომბრის დეკრეტით კონფისკაცია გაუკეთა ამ მთავრის ბოლო სამფლობელოებს (**დორტმუნდი, კორვეი, ფულდე**) **და ისინი თავის მფლობელობაში დაიტოვა, როგორც სარეზერვო ტერიტორიები.**

პრუსიის დამარცხების შემდეგ მისი სუვერენი და არმია აღმოსავლეთ პრუსიაში გამაგრდნენ, ხოლო ნაპოლეონმა ბერლინი დაიკავა. იგი აგრეთვე აგრძელებდა ბრძოლას რუსეთთან, რომელიც თავის მხრივ ეიღაუსთან (1807 წლის 8 თებერვალი) და ფრიდლანდთან (14 ივნისი) დამარცხდა რის შემდეგაც ნაპოლეონმა 1807 წლის ივლისში რუსეთსა და პრუსიას თავს მოახვია ზავი ტილზიტში შეხვედრის დროს.

ტილზიტში დადებული ზავების მიხედვით პრუსია მნიშვნელოვან ტერიტორიებს კარგავდა, გაუქმდა ჰესენის საკურფიურსტო, ბრაუნშვაიგის საჰერცოგო, ორან-ნასაუს სახლის სამფლობელოები და წარმოიქმნა ორი ახალი სახელმწიფო ვესტფალიის სამეფო და ვარშავის საერცჰერცოგო.

1807 წლის 7 ივლისს რუსეთთან ხელშეკრულების დადებისას ნაპოლეონმა რუსეთის მიმართ ზომიერება გამოიჩინა, რადგან სურდა ალექსანდრე I თავის მოკავშირედ ექცია. ამ ხელშეკრულებით **რუსეთი:**

– **საფრანგეთს გადასცემდა ჰოლანდიისთვის მიკუთვნების მიზნით იაფერის სამფლობელოს**, რომელიც პრუსიის ოსტფრიზამდე აღწევდა;

– ნაპოლეონს უთმობდა იონიის კუნძულებს და მათ ოთხ საყრდენ პუნქტს ალბანეთში, რომლებიც ნაპოლეონმა დაიკავა და მათ სარეზერვო ტერიტორიების ტიტული მიანიჭა.

გარდა ამისა, **რუსეთი ვალდებული იყო დაეტოვებინა კოტორის ყურე**, რომელიც მთლიანად იტალიის სამეფოს შეუერთდა.

სამაგიეროდ, 1807 წლის 9 ივლისს პრუსიასთან ზავის გაფორმებისას ნაპოლეონი ამ ქვეყნის მიმართ დაუნდობელი აღმოჩნდა და ტერიტორიების ნახევარი ჩამოართვა, კერძოდ ელბის მარცხენა სანაპიროზე.

იმ ტერიტორიების გარდა, რომლებსაც რუსეთს უთმობდა (ბიალისტოკის ოლქი), ვარშავის ახალ საერცჰერცოგოს (ახალი აღმოსავლეთი პრუსია, სამხრეთი პრუსია, ნეტცეს ოლქის ნახევარი, ახალი სილეზია, ტორნის და კულმის ტერიტორიები), მომავალ ვესტფალიის სამეფოს (ძველი მარკა, მაგდებურგის საჰერცოგოს ნახევარი, მასნფელდი, ჰოენშტაინი, ჰალენშტადტი, მინდენი, რავენსბერგი, ჰილდესჰაიმი, პადენბორნი, ჰერფორდი, კედლინბურგი, აიხსფელ-დი, გოსლარი, ნორდჰაუზენი, მიულჰაუზენი, გრიუბენჰაგენი), ახალ თავისუფალ ქალაქ დანციგს, **პრუსიას ნაპოლეონისთვის უნდა გადაეცა:**

– კოტბუსის ოლქი;

– ოსნაბრიუკის სამთავრო თავისი ანკლავ ვიდენბრიუკით, რომელიც 1805 წელს ჰანოვერისაგან ჰქონდა მიღებული;

– ოსტფრიზის სამთავრო;

– ლინგენის და ტეკლემბურგის საგრაფოები, მარკის საგრაფო, ლიპშტადტზე სუვერენიტეტით (განაწილებული ლიპეს დეტმოლდთან);

– მიუნსტერის სამთავრო და კაპენბერგის საპრევო, 1803 წელს მედიაციის აქტს დაქვემდებარებული;

– ლუნებურგის და ბრემენის საჰერცოგოები, ჰოიასა და დიფოლცის საგრაფოები, ვერდენის სამთავრო და კალენბერგის საჰერცოგოს ჩრდილოეთი ნაწილი (ჰანოვერი), მიღებული 1805 წელს ჰანოვერისაგან;

– ბაიროითის სამარკგრაფო თავისი ანკლავ კაულსდორფით თიურინგიაში;

– ლაუენბურგის საჰერცოგო, მიღებული ჰანოვერისაგან 1805 წელს;

– ერფურტის საბაიო და მისი სამი ანკლავი (**ბლანკენჰაიმი, ქვემო კრანისფელდი, მიულჰაიმი**), დაქვემდებარებული მედიაციის აქტს 1803 წელს.

მეორე მხრივ, 1806 წლის ოქტომბერში ანექსირებული ორან-ნასაუს მთავრის ბოლო სამფლობელოების გარდა, ტილზიტის ზავით ნაპოლეონის გადასაწყვეტი ხდებოდა ჰესენის კურფიურსტის ბედი (ჰესენ-კასელი), ისევე როგორც ბრაუნშვაიგის ჰერცოგისა, რომელთაც თავიანთი სამფლობელოები დაკარგეს.

1807 წლის 22 ივლისს საქსონიასა და საფრანგეთს შორის ხელმონერილი შეთანხმების, **ნაპოლეონი საქსონიას უთმობდა კოტბუსის ოლქს.** სანაცვლოდ, **სარეზერვო ტერიტორიების ტიტულით საქსონია ნაპოლეონს უთმობდა ბარბის საგრაფოს, გამერნის და ზანგერსჰაუზენის საბაიოებს და საქსონიის მანფელდის ერთ ნაწილს.**

1807 წლის 18 აგვისტოს ტუილრის დეკრეტით ნაპოლეონმა **ვესტფალიის სამეფო** შექმნა; მისი შემადგენლობა 1807 წლის 1 სექტემბრის დეკრეტით განისა-ზღვრა. ეს ახალი სახელმწიფო შედგებოდა პრუსიის ტერიტორიებისგან, ბრაუნ-შვაიგის ჰერცოგის თითქმის ყველა სამფლობელოსგან, ჰესენ-კასელის საკურფიურსტოს უმეტესი ნაწილისგან (ჰერს-ფელდი, ქვემო ჰესენი, ზიგენჰაინი, ზემო ჰესენი, შაუმბურგი, ჰესენის ჰოიასა და დიფოლცის ფრაგმენტებისაგან), ჰესენ-დარმშტადტის მიერ დათმობილი ფოლკსმარკენის საბაიოსაგან, რიტბერგის და შტოლბერგის საგრაფოებისგან (მედიაციის შემდეგ).

ნაპოლეონმა მას შემდეგი სარეზერვო ტერიტორიები გადასცა: ბარბის საგრაფო, გამერნის და ზანგერსჰაუზენის საბაიოები, საქსონიის მანფელდის ნაწილი, რომელიც საქსონიამ ივლისში დათმო.

გარდა ამისა, იმავე პერიოდში ნაპოლეონმა სარეზერვო ტერიტორიების ტიტულით პირად მფლობელობაში დაიმტკიცა:

– **ტედინგსჰაუზენის საბაიო**, რომელიც ბრაუნშვაიგს ეკუთვნოდა და ჰანოვერს შეუერთდა;
– **ჰანაუს საგრაფო** (რამდენიმე საბაიოს გამოკლებით), **შმალკალდეს სამფლობელო და ქვემო კატცენელენბონგენის საგრაფო**, რომელიც ჰესენ-კასელს ეკუთვნოდა.

1807 წლის 11 ნოემბერს ფონტენებლოს ხელშეკრულებით **ჰოლანდიის სამეფომ საფრანგეთს დაუთმო ქალაქი ფლესინგი** (ზელანდია). სამაგიეროდ, **ნაპოლეონმა ჰოლანდიას გადასცა** პრუსიისგან ტილზიტში მიღებული **ოსტფრიზის სამთავრო**, რუსეთისაგან ტილზიტში მიღებული **იაფერის სამფლობელო**, რასაც იაფერში ანკლავირებული კნიპჰაუზენის სამფლობელო დაემატა.

1807 წლის 15 ნოემბერს გამოცხადდა ვესტფალიის ახალი სამეფოს კონსტიტუცია. ამ გარემოებასთან დაკავშირებით, **ნაპოლეონმა ვესტფალიას** დაუთმო შემდეგი სარეზერვო ქვეყნები:

– **ოსნაბრიუკის სამთავრო, ვიდენბრიუკის ანკლავთან ერთად**, მიღებული პრუსიის ჰანოვერისაგან;
– **კორვეის სამთავრო**, ჩამორთმეული ორან-ნასაუს მთავრისთვის;
– **შმალკალდეს სამფლობელო** მიღებული ჰესენ-კასელისაგან.

3. საფრანგეთის იმპერიის აპოგეა (1808-1811)

1808 წლის 21 იანვრის პარიზის ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც საფრანგეთსა და ბერგის საერცჰერცოგოს შორის დაიდო, **ბერგმა საფრანგეთს** დაუთმო **ქალაქი** და **სიმაგრე ვეზელი**. რის ნაცვლადაც **ნაპოლეონმა ბერგის** საერცჰერცოგოს შემდეგი სარეზერვო ტერიტორიები **დაუთმო**:

– **ლინგენის და ტეკლემბურგის საგრაფოები, მარკის საგრაფო** ლიპშტადტთან ერთად, **მიუნსტერის სამთავრო** კაპენბერგის **საპრეფოსთან** ერთად, რომელიც 1807 წელს პრუსიამ დათმო;
– **ქალაქი დორტმუნდი**, რომელიც 1806 წელს ორან-ნასაუს მთავარს ჩამოერთვა.

ნაპოლეონმა ამას დაუმატა ლიმბურგის და რედას საგრაფოები.

იმავე დღეს, 21 იანვარს სენატუს-კონსულტით, **ნაპოლეონმა საფრანგეთის** იმპერიის საერთო რეჟიმში რაინისა და შელდას მარჯვენა სანაპიროზე განლაგებული ოთხი ქალაქი **გააერთიანა**;

– **კელი**, მიღებული 1805 წლის დეკემბერში, მიერთებული ქვემო რაინის დეპარტამენტის სტრასბურგის ოლქთან;
– **კასტელი**, მიღებული 1806 წლის მარტში, მიერთებული მონ-ტონერის დეპარტამენტის მაინცის ოლქთან;
– **ვეზელი**, მიღებული იმავე დღეს, მიერთებული რერის დეპარტამენტის კლევეს ოლქთან;
– **ფლესინგი**, მიღებული 1807 წლის ნოემბერში, მიერთებული შელდას დეპარტამენტის ეკლოს ოლქთან.

საფრანგეთი პირველად გადასცდა რაინის საზღვარს, მაგრამ არც თუ ისე მყარად.

ამ ცვლილების შემდეგ, ნაპოლეონმა რეზერვში დაიტოვა შემდეგი ტერიტორიები:

– პრუსიისგან მიღებული ჰანოვერი, კერძოდ ლუნებურგის, ლაუენბურგის და ბრემენის საჰერცოგოები, ჰოიასა და დიფოლცის საგრაფოები, ვერდენის სამთავრო, კალენბერგის საჰერცოგოს ჩრდილოეთი ნანილი, ისევე როგორც ბრაუნშვაიგისგან მიღებული ტრედინვსჰაუზენის საბაიო;
– პრუსიისგან მიღებული ერფურტის საბაიო და მასზე დაქვემდებარებული ტერიტორიები,;
– პრუსიისგან მიღებული ბაიროითის სამარკგრაფო და მისი ანკლავი კაულსდორფი თიურინგიაში;

– ჰანაუს საგრაფო და ჰესენ-კასელისგან მიღებული ქვემო კატცენე-ლენბონგენი;

– ორან-ნასაუსგან მიღებული ფიულდეს სამთავრო;

– პრუსიისგან მიღებული იონიის კუნძულები და ოთხი სახმელეთო პუნქტი ალბანეთში.

ეტრურია არ იყო მეგობრულად განწყობილი ნაპოლეონის მიმართ, მან ფლორენციაში გულღიად მიიღო იტალიის „იაკობინელები" (რესპუბლიკელები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მონარქიას ნახევარკუნძულზე), ხოლო ლივორნოში ინგლისური საქონელი. შემდეგ, 1807 წლის ნოემბერში დედოფალი მარი-ლუიზა და მისი ვაჟი ლუი II ეტრურიიდან გააძევეს, სადაც დროებითი მთავრობა დაინიშნა.

1808 წლის 24 მაისს სენატუს-კონსულტით, რომლის გადაწყვეტილებაც 30 მაისს იმპერატორის დეკრეტით დამტკიცდა, ეტრურია საფრანგეთს შეუერთდა, რომელმაც მისგან სამი დეპარტამენტი შექმნა:

– არნო: ფლორენცია, არეცო, მოდილიანა, პისტოია;

– ხმელთაშუა ზღვა: ლივორნო, ვოლტერა, პიზა;

– ომბრონე: სიენა, გროსეტო, მონტეპულციანო.

ტოსკანის ანკლავები ლუნიჯიანე და პიეტრასანტა აპენინის დეპარტამენტს შეუერთდა, სადაც ახალი ოლქი შეიქმნა პონტრემოლის სახელწოდებით.

იმავე დღეს, **საფრანგეთმა პარმის საპერეგო და პიაჩენცა** იმპერიის საერთო რეჟიმში **შეიყვანა**; ეს საპერეგო საფრანგეთის დეპარტამენტი გახდა:

– ტარო: პარმა, ბორგო, სან დონინო, პიაჩენცა.

საფრანგეთს ამის შემდეგ 114 დეპარტამენტი გაუხადა.

საფრანგეთის იმპერიის ზრდასთან ერთად, ნაპოლეონი სულ უფრო მეტად ერეოდა ევროპის საქმეებში. 1808 წლის აპრილში მან ერთპიროვნულად ჩამოაშორა პაპის ოლქს გარკვეული ტერიტორიები და ისინი თავის იტალიის სამეფოს შეუერთა. 1808 წლის მაისში მან ბაიონნში ესპანეთის მეფე კარლ IV და მისი ვაჟი ფერდინანდი ჩაიყვანა, რომლებიც ერთმანეთს ედავებოდნენ ტახტს, აიძულა გადამდგარიყვნენ და ივნისში თავისი ძმა ჟოზეფი ესპანეთის მეფედ დაინიშნა, რომელსაც ნეაპოლში იოაკიმ მიურატი შეცვლიდა.

1808 წლის 8 სექტემბრის შეთანხმებით, **პრუსიამ საფრანგეთს** 1807 წელს გამორჩენილი **მაგდებურგის ციტადელი დაუთმო**, რადგან ის ელბის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა. ნაპოლეონმა ციტადელზე **საფრანგეთ-ვესტფალიის ორმაგი სუვერენიტეტი დააწესა.**

1808 წლის 21 ნოემბერს მონტობანის ბურჟუაზიის დასანყნარებლად ახალი ფრანგული დეპარტამენტი შეიქმნა:

– ტარნი და გარონა: მონტობანი, კასტელსარაზენი, მუასაკი.

ამის შემდეგ საფრანგეთის დეპარტამენტების რიცხვმა 115-ს მიაღწია.

თავისი დის ელიზას გულის მოსაგებად 1809 წლის 2 მარტს ნაპოლეონმა იგი **ტოსკანიის ერცჰერცოგად** დანიშნა, ტოსკანიის სამ დეპარტამენტზე მას შეზღუდული უფლებები ჰქონდა (და პარიზს ექვემდებარებოდა). ყველაფრის მიუხედავად ისინი იურიდიულად საფრანგეთის იმპერიის ნაწილად რჩებოდა.

1809 წლის 7 აპრილის დეკრეტით კუნძული ელბა მასზე დაქვემდებარებული ტერიტორიებით იმპერიის საერთო რეჟიმს დაექვემდებარა და ხმელთაშუა ზღვის დეპარტამენტს შეუერთდა, რომლეშიც ახალი ოლქი შეადგინა.

საფრანგეთსა და რომის პაპს შორის ურთიერთობები დაძაბული იყო. იმპერატორი მისგან მხარდაჭერას ითხოვდა, პაპი კი ამაოდ აპროტესტებდა მისი ტერიტორიების დაუსრულებელ დაქუცმაცებას.

ამ სიტუაციისთვის ბოლოს მოსაღებად ნაპოლეონმა 1809 წლის 17 მაისს შენბურნის დეკრეტით **საეკლესიო სახელმწიფოების ოლქი საფრანგეთს შეუერთდა.**

საფრანგეთი კიდევ ერთხელ ამარცხებს ავსტრიას

ავსტრია შეეცადა ესპანეთში საფრანგეთის წარუმატებლობით ესარგებლა და 1809 წლის დასაწყისში საომარი მოქმედებები განაახლა. ნაპოლეონმა ვაგრამთან

გამარჯვების შემდეგ, 1809 წლის 14 ოქტომბერს შენბრუნში ხელმოწერილი ზავით ავსტრიას მეტად მძიმე პირობები მოახვია თავს.

ვარშავის საერცჰერცოგოსთვის დათმობილი დასავლეთი გალიციის გარდა, **ავსტრია საფრანგეთს უთმობდა:**

– სარეზერვო ტერიტორიის ტიტულით, შემდგომში ბავარიისთვის გადასაცემად, **ინის (ინფიერტელის) ოლქს, ჰაუზრუკფირტელის დასავლეთის ნახევარს და ზალცბურგის საჰერცოგოს** (ზალცბურგი, ბერხტესგადენი, ვინდიშ მარტაი);

– **გორიციისა და გრადიშკას საგრაფოს ოლქს** (იზონცოს მარცხენა სანაპირო), **მოლფანკონეს საგრაფოს, ტრიესტს, ისტრიის სამარკგრაფოს, კრაინას, კარინტიის დასავლეთის ნახევარს და სავას მარჯვენა სანაპიროზე ხორვატიის სამეფოს.**

იმავე დღით დათარიღებული დეკრეტით (14 ოქტომბერი), ნაპოლეონმა **იტალიის თავის სამეფოს ჩამოაშორა იზონცოს მარჯვენა სანაპიროზე მდებარე გორიციის და გრადიშკას საგრაფოს ნაწილი, იტალიის ისტრია, დალმაცია, დუბროვნიკი და კოტორი და ისინი საფრანგეთის იმპერიას მიუერთა.**

ავსტრიის მიერ დათმობილმა და იტალიის სამეფოს ჩამოშორებულმა ტერიტორიების მეორე ნაწილმა **საფრანგეთის იმპერიის ილირული პროვინციები** შეადგინა, რომლის დედაქალაქიც იყო ლეიბახი და ჰყავდა დროებითი მთავრობა.

1809 წლის 25 დეკემბრის დეკრეტით, ილირიული პროვინციები დროებით ცხრა სამოქალაქო საინტენდანტოდ დაიყო (თავის მხრივ ოლქებად დაყოფილი): გორიცია, ვილაკი, ლეიბახი, ტრიესტი, რიეკა, კარლოვაცი, ზადარი, სპლიტი, დუბრონიკი, რასაც დაემატა ხორვატიის სამხედრო საინტენდანტო, რომელიც მოიცავდა საფრანგეთის მიერ ანექსირებულ სამხედრო საზღვრებს, სადაც ფრანგები სამხეღრო ადმინისტრაციის განსაკუთრებულ სისტემას ინარჩუნებდნენ.

ამის შემდეგ საფრანგეთის დეპარტამენტების რიცხვი 115-ს უდრიდა 10 საინტენდანტოსთან ერთად.

1810 წლის 14 იანვარს პარიზში დადებული ხელშეკრულების მიხედვით, **ნაპოლეონმა ვესტფალიას დაუთმო ექსკლუზიური სუვერენიტეტი მაგდებურგის ციტადელზე და ჰანოვერზე.**

ჰანოვერის რეალურად გადაცემის დროს ნაპოლეონმა რეზერვში დაიტოვა ლაუენბურგის საჰერცოგო (33 000 სული) ნოიჰაუს ანკლავთან ერთად.

გერმანიაში თავისი გავლენის სრულყოფის მიზნით ნაპოლეონმა გადაწყვიტა ბერგისა და ვესტფალიის შემდეგ ფრანგული მოდელის ყაიდაზე გამოჭრილი მესამე სახელმწიფოს შექმნა,.

1810 წლის 16 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, რომელიც იმპერატორსა და დალბერგის მთავარს შორის დაიდო, მაინცის საარქიეპისკოპოსო საეროდ გადაკეთდა და გახდა ფრანკფურტის საერცჰერცოგო, მთავარპრიმატის სასარგებლოდ.

ფრანკფურტის ახალმა საერცჰერცოგომ ნაპოლეონს რეგენსბურგის სამთავრო დაუთმო; პასუხად, ნაპოლეონმა ფრანკფურტის საერცჰერცოგოს რეზერვში დატოვებული ჰანაუ დაუთმო, რამდენიმე ანკლავირებული საბაიოს გამოკლებით (ბობენჰაუზენი, დორჰაიმი, ჰენკელსჰაიმი, მიუნცენბერგი, ორტენბერგი, როდჰაიმი) **და ფულდე,** ჰერბშტაინისა და მიხელაუს ანკლავირებული საბაიოების გარდა.

გარდა ამისა, 1810 წლის 17 თებერვლის სენატუს-კონსულტით, 1809 წელს საფრანგეთის მიერ ანექსირებული საეკლესიო სახელმწიფოები ორ ფრანგულ დეპარტამენტად დაიყო:

– რომის ან ტიბროსის: რომი, ფროსიონე, რიეტი, ტივოლი, ველეტრი, ვიტერბე;

– ტრასიმენის: სპოლეტა, ფოლინიო, პერუზა, ტოდი.

რომი იმპერიის მეორე ქალაქად გამოცხადდა, იმპერიის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო რომის მეფის ტიტულის მატარებელი.

საფრანგეთი ახლა უკვე 117 დეპარტამენტს და 10 საინტენდანტოს ითვლიდა.

გარდა ამისა, 1810 წლის 28 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, რომელიც საფრანგეთსა და ბავარიას შორის დაიდო, **ნაპოლეონმა ბავარიას დაუთმო:**

– 16 თებერვალს ფრანკფურტის საერცჰერცოგოსგან მიღებული **რეგენსბურგის სამთავრო;**

– **ბაიროითის სამარკგრაფო თავის ანკლავ კაულსდორფთან ერთად;**

– **ზალცბურგის საჰერცოგო, ბერხტესგადენთან ერთად** (მაგრამ ვინდიშმარტაის გარეშე, რომელიც საფრანგეთმა დაიტოვა), **ინფიერტელი და ჰაუზრუკფირტელის ნახევარი,** რეზერვში დატოვებული ტერიტორიები, მიღებული ავსტრიისგან 1809 წლის ოქტომბერში.

სანაცვლოდ, იტალიის სამეფოსთვის, ვიურცბურგის საერცჰერცოგოსთვის ან ვიურტემბერგისთვის გადაცემული ან გადასაცემი ტერიტორიების გარდა, **ბავარია საფრანგეთს უთმობდა აღმოსავლეთ ტიროლს.** ვინდიშ მატრაისთან მიერთებული ეს მცირე ტერიტორია, საფრანგეთის ილირიული პროვინციების ვილაკის საინტენდანტოს შეუერთდა.

ინგლისის წინააღმდეგ მიმართული ბლოკადის გადაძლიერებლად, 1810 წლის 16 მარტის პარიზის ხელშეკრულებით, ნაპოლეონმა თავის ძმა ლუის მოსთხოვა მისი სამეფოს საზღვარი ვაალში გადაეწია.

ამ ფაქტის გამო, **ჰოლანდიამ საფრანგეთს დაუთმო ზელანდია მთლიანად, ჰოლანდიის ბრაბანტი და გელდრენი ვაალის მარცხენა სანაპიროზე.**

1810 წლის 24 აპრილს ექს-ჰოლანდიურმა ზელანდიამ და ბრაბანტმა ორი ახალი ოლქი შეადგინა (მიდელბურგი, ბრედა) საფრანგეთის დე-ნეთის დეპარტამენტში, ხოლო ექს-ჰოლანდიურმა ბრაბანტმა დონის მარჯვენა სანაპიროზე და გელდრენმა ვაალის მარცხენა სანაპიროზე საფრანგეთის ახალი დეპარტამენტი შეადგინა:

– ბუშ-დუ-რაინი: ჰერტოგენსბოჰი, აინდჰოვენი, ნიმეგი.

საფრანგეთს უკვე 118 დეპარტამენტი და 10 საინტენდანტო გაუხდა.

1810 წლის 8 მაისის ხელშეკრულებით, **ნაპოლეონმა ვიურცბურგის საერცჰერცოგოს დაუთმო მიხელაუ,** ფულდეს ყოფილი საბაიო.

1810 წლის 11 მაისის ხელშეკრულებით **ნაპოლეონმა ჰესენ-დარმშტადტს დაუთმო** ყოფილი ანკლავირებული საბაიოები (**ბობენჰაუზენი, დორჰაიმი, ჰენკაულსჰაიმი, მიუნცენბერგი, ორტენბერგი და როდჰაიმი**) ჰანაუში და ფულდეს ყოფილი საბაიო **ჰერბშტაინი.**

გარდა ამისა, 1810 წლის 15 მაისს ზელანდია დე-ნეთის დეპარტამენტს ჩამოშორდა და ახალი ფრანგული დეპარტამენტი შექმნა:

– ბუშ-დე-შელდა: მიდელბურგი, გოესი, ზირიკზე.

საფრანგეთს 119 დეპარტამენტი და 10 საინტენდანტო გაუხდა.

1810 წლის 1 ივლისს ქვემო შარანტის დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრი სენტიდან ლა როშელში გადავიდა.

საფრანგეთის ბოლო ტერიტორიული შენამატები

მეორე მხრივ, ჰოლანდიის მეფე ლუის გაქცევის შემდეგ 1810 წლის 9 ივლისის რამბუიეს დეკრეტით, ნაპოლეონმა **საფრანგეთს ჰოლანდიის სამეფოს დარჩენილი ნაწილი შეუერთა** და ამ უკანასკნელს დროებითი მთავრობა დაუნიშნა. ამსტერდამი იმპერიის მესამე ქალაქად გამოცხადდა.

ნაპოლეონს სურდა სრული კონტროლი ჰქონოდა სიმპლონის გზაზე, რომელიც პარიზსა და მილანს აკავშირებდა და რომლის გაყვანაც საფრანგეთის მიერ იყო დაფინანსებული.

1810 წლის 12 ნოემბრის ფონტენებლოს დეკრეტით, **საფრანგეთმა შეიერთა ვალესანის რესპუბლიკა,** რომელიც საფრანგეთის ახალი დეპარტამენტი გახდა:

– სიმპლონი: სიონი, ბრიგე, სენ-მორისი.

საფრანგეთს 120 დეპარტამენტი და 10 საინტენდანტო გაუხდა.

1810 წლის 13 დეკემბრის დეკრეტით, ივლისში ანექსირებული ჰოლანდია შვიდ ახალ დეპარტამენტად დაიყო:

– ბუშ-დე-ლა-მეზი: ჰააგა, ბრილე, დორდრეხტი, ლეიდე, როტერდამი.

– ზუიდერზე: ამსტერდამი, ალკმარი, ამერსფორტი, ჰარლემი, ჰურნი, უტრეხტი;

– ზემო ისელი: არნჰემი, ტილი, ზუტფენ;
– ბუშ-დე-ლ'ისელი: ზვოლე, ალმელო, დევენტრი;
– ფრიზი: ლეუვარდენი, სნეკი, ჰერენვენი;
– დასავლეთი ემსი: გრონინგი, აპინგედამი, ასენი, ვინსხოტენი;
– აღმოსავლეთი ემსი: აურიხი, ემდენი, იეფერი.

გარდა ამისა, ინგლისის საწინააღმდეგო ბლოკადის გასაძლიერებლად 1810 წლის 13 დეკემბრის სენატუს-კონსულმა გადაწყვიტა **საფრანგეთს შეეერთებინა** ვეზერ-ლუნებურგის ზოლის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე გერმანიის ქვეყნები; ამ ანექსიის შედეგად:

– **სალმ-სალმის და სალმ-კიმბურგის სამთავროები**, აგრეთვე ჰანზის თავისუფალი ქალაქები **ბრემენი, ჰამბურგი, ლიუბეკი** მთლიანად გაერთიანდა საფრანგეთთან;

– იმპერიაში გაერთიანდა **ოლდენბურგის საჰერცოგო** ეუტენის და რატეკაუს ნაწილის გამოკლებით;

– იმპერიაში გაერთიანდა **არენბერგის საჰერცოგო** ლიპეს მარცხენა სანაპიროზე მდებარე რეკლინგსჰაუზენის საგრაფოს გამოკლებით;

– **ბერგის საერცჰერცოგოს** მთლიანად ჩამოეჭრა **ემსის დეპარტამენტი** და **რაინის დეპარტამენტის ნაწილი** ლიპეს (მარჯვენა სანაპიროს) ჩრდილოეთით;

– **ვესტფალიის სამეფოს** ჩამოეჭრა ბრემენის საპერცოგო და ვერდენის სამთავრო, ლუნებურგის საჰერცოგოს მეხუთედი, საგრაფოები ჰოია და დიფოლცი, ოსნაბრიუკის სამთავრო, რავენსბერგის საგრაფო და მინდენის სამთავროს უმეტესი ნაწილი (ვეზერის მარცხენა სანაპირო). ის მთელი **ჩრდილოეთი ვესტფალიის დეპარტამენტი იყო, თითქმის მთელი ვეზერის დეპარტამენტი და ქვემო ელბის დეპარტამენტის მესამედი;**

– იმპერიაში გაერთიანდა **რეზერვში** დატოვებული ლაუენბურგი, ნოიჰაუს ანკლავით, რომელიც ელბის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა.

გერმანიის ანექსირებული ქვეყნები სამ ახალ ფრანგულ დეპარტამენტად დაიყო:

– ზემო ემსი: ოსნაბრიუკი, მიუნსტერი, შტაინფურტი, ლინგენი, მინდენი;
– ბუშ-დუ-ვეზერი: ბრემენი, ბრემელეე, ნიენბურგი, ოლდენბურგი;
– ბუშ-დუ-ლ'ელბი: ჰამბურგი, ლუბეკი, ლუნებურგი, შტადე.

რის შემდეგაც საფრანგეთს 130 დეპარტამენტი და 10 საინტენდანტო გაუხდა.

1811 წლის აპრილში ზემო ემსის დეპარტამენტის გაყოფის შემდეგ ლიპეს ახალი ფრანგული დეპარტამენტი შეიქმნა. ორი დეპარტამენტი ასე გადანაწილდა:

– ლიპე: მიუნსტერი, ნოიენჰაუზი, რეეზი, შტაინფურტი;
– ზემო ემსი: ოსნაბრიუკი, ლინგენი, მინდენი, კუაკენბრუკი.

ამას გარდა, 1811 წლის 4 აპრილს ერთ დეპარტამენტად გაერთიანდა კორსიკის ორი დეპარტამენტი:

– კორსიკა: აჟაკსიო, ბასტია, კალვი, კორტე, სარტენე.

ბოლოს, 1811 წლის 15 აპრილს ილირიული პროვინციების სამოქალაქო საინტენდანტოების რიცხვი ცხრიდან ექვსამდე შემცირდა:

– კარინტია: ვილაკი, ლიენცი;
– კრაინა: ლეიბახი, ადელსბერგი, ნოიშტადტი;
– ისტრია: ტრიესტი, გორიცია, კაპოდისტრია, როვინიო;
– სამოქალაქო ხორვატია: კარლოვაცი, რიეკა, სენი;
– დალმაცია: ზადარი, შიბენიკი, სპლიტი, ხვარი, მაკარსკა;
– დუბროვნიკი და კოტორი: დუბროვნიკი, კოტორი, კორკულა.

ამას სამხედრო ხორვატიის უცვლელი საინტენდანტო ემატებოდა.

1811 წელს ვანდეში, ლაროშ-სურ-იონმა ფონტენეი-ლე-კომდი შეცვალა და პრეფექტურა გახდა; მონტეგიუს ოლქი გაუქმდა.

საფრანგეთს უკვე 130 დეპარტამენტი და 7 საინტენდანტო ჰქონდა. თუ არ ჩავთვლით კატალონიის დეპარტამენტებს, რომლებიც საფრანგეთის მიერ იყო ადმინისტრირებული, მაგრამ არასდროს შეერთებია მას *de jure*. საფრანგეთის

იმპერიამ თავის აპოგეას მიაღწია: ის გადაჭიმული იყო ლუბეკიდან ჰენდეიმდე და ბრესტიდან რომამდე, მისი ფართობი დაახლოებით 800 000 კმ²-ს შეადგენდა და 44 მილიონ მცხოვრებს ითვლიდა.

4. საფრანგეთის იმპერიის შესუსტება და კრახი (1811-1814)

1811 წელს როდესაც რომის პატარა მეფე, ნაპოლეონისა და ერცჰერცოგ მარილუიზას ვაჟი დაიბადა, რითაც საფრანგეთისა და ავსტრიის ალიანსი განმტკიცდა, გადასალახი სირთულეების მიუხედავად იმპერატორი ძალიან იმედიანად უყურებდა მომავალს: ესპანეთში არ ნყდებოდა წინააღმდეგობა; რუსეთის მეფესთან ალიანსი სულ უფრო უიმედო ხდებოდა, რადგან იგი თავს მოტყუებულად თვლიდა საფრანგეთის დიპლომატიური სვლების გამო.

ამ პერიოდში საფრანგეთის იმპერია, რომელიც უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული, თვლიდა, რომ დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ კონტინენტური ბლოკადის გასაძლიერებლად ჰომოგენური ერთიანობის შექმნა იყო საჭირო, ერთიანი ადმინისტრაციის ქვეშ. კაროლინგების მოდელს ახლა რომაული მოდელი არჩიეს, როცა პროვინციები უშუალოდ ერთგული და კომპეტენტური ფუნქციონირების საშუალებით იმართებოდა.

ესპანეთში სამხედრო მოქმედების გასააქტიურებლად 1812 წლის 26 იანვრის დეკრეტით, საფრანგეთთან შეერთების გარეშე, კატალონია ესპანეთს ჩამოშორდა და საფრანგეთის ადმინისტრაციის ქვეშ ოთხ დეპარტამენტად დაიყო: მონსერია (ბარსელონა), ბუშ-დე-ლ'ებრი (ლერიდა), ტერი (ხერონა), სეგრი (პუისერდა).

არანის ველი საფრანგეთს შეუერთდა.

1812 წელს ლა მანშის დეპარტამენტში შერბურის ახალი ოლქი შეიქმნა; ასევე სენა და უაზის დეპარტამენტში შეიქმნა რამბუიეს ოლქი.

1812 წელს იმპერიის სიმყარე რუსეთში კამპანიის დანყებასთან ერთად შეირყა, რომელიც მარცხით დამთავრდა. მან იმპერიის სამხედრო ძალებისა და იმპერატორის პრესტიჟს საბედისწერო დარტყმა მიაყენა; უფრო მეტიც, ამ მარცხის მერე საფრანგეთს ყველაზე ერთგული მოკავშირეებიც კი განუდგნენ.

1813 ნლის 7 მარტს გაერთიანდა კატალონიური ბუშ-დე-ლ'ებრისა და მონსერიის, ასევე ტერისა და სეგრის დეპარტამენტები.

1813 ნელი მნიშვნელოვანი უკან დახევის ნელი იყო: დიდი არმიის ნარჩენების უკუქცევა, მოკავშირეების განდგომა, რაინის კონფედერაციის დაშლა, ავსტრიასთან საომარი მოქმედებების განახლება პრაღის კონგრესის შემდეგ (აგვისტო), ნაპოლეონის დამარცხება კოალიციური ჯარების მიერ (ლაიპციგი), ფრანგი სამოქალაქო მოხელეების მიერ დაკავებული პოსტების მიტოვება გერმანიაში, ჰოლანდიაში, იტალიაში, ილირიულ პროვინციებში და ა. შ. დეკემბრის დასაწყისში ოცწლიანი ექსპანსიის პერიოდი დასრულდა.

1813 წლის 11 დეკემბერის ვალენსიის ხელშეკრულების მიხედვით, მეფე ფერდინანდ VII აღდგენილი იქნა ესპანეთის ტახტზე, რომელიც ჟოზეფმა მიატოვა.

გაუქმდა საფრანგეთის რეჟიმი კატალონიაში და **არანის ველი ესპანეთს დაუბრუნდა.**

1814 ნლის გაზაფხულზე კოალიციური ჯარების საფრანგეთში შეჭრის შემდეგ საფრანგეთის არმია საბოლოოდ დამარცხდა და 6 აპრილს იმპერატორი გადადგა. ის გადასახლებაში გაემგზავრა კუნძულ ელბაზე, რომელიც მას როგორც სუვერენული სამთავრო შეუნარჩუნდა და მეფე ლუი XVIII პარიზში დაბრუნდა წინაპართა ტახტის დასაკავებლად.

5. ასი დღის პერიოდი და ორი რესტავრაცია (1814-1815)

ახალი მეფის უპირველესი მოვალეობა იყო საფრანგეთის სამეფოს თავისი ტერიტორიული საზღვრები დაბრუნებოდა, ნაპოლეონის დამმარცხებელ ქვეყნებთან შეთანხმების შემდეგ. საფრანგეთის რევოლუციის და ნაპოლეონის მიერ გატარებული ცელილებების გაუქმებას, 1789 ნლის მდგომარეობის აღდგენა უნდა მოყოლოდა, მაგრამ ბურბონების დაბრუნების უზრუნველსაყოფად მოკავშირე

სახელმწიფოები დათანხმდნენ ტერიტორიულ გაზრდას, რომელიც დაახლოებით 1 მილიონ მცხოვრებს მოიცავდა, ანკლავებისა და საოიის ჩათვლით.

1814 წლის 30 მაისში ხელი მოეწერა პარიზის ხელშეკრულებას, რომელიც საფრანგეთსა და გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის (ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, პრუსია, რუსეთი) დაიდო. **საფრანგეთი აღდგენილი იქნა 1792 წლის 1 იანვრის საზღვრებში**, შემდეგი განხორციელებული ცვლილებებით:

– ჟემაპეს დეპარტამენტში კანტონები **დური, მერბ-ლე-შატო, ბომონი** და **შიმეი შენარჩუნდა** და ჩრდილოეთის დეპარტამენტს შეუერთდა;

– სამბრა და მეზის დეპარტამენტში კანტონები **ვალკური, ფლორენი, ბორენი** და **ჟედინი შენარჩუნდა** და არდენის დეპარტამენტს შეუერთდა;

– ზაარის დეპარტამენტში კანტონები **ზაარბრიუკენი, არნევალი, აგრეთვე ლებახის ნაწილი შენარჩუნდა** და მოზელის დეპარტამენტს შეუერთდა;

– ქვემო რაინისა და მონ-ტონერის დეპარტამენტში რამდენიმე კომუნა შენარჩუნდა (ანექსირებული 1793 წლის თებერვალში) იმისათვის, რომ ლანდაუ საფრანგეთს შეერთებოდა; შენარჩუნებული იქნა კანტონები **ვისემბუგი** და **ბერგცაბერნნი**; გარდა ამისა კელი ბადენის საერცჰერცოგოს დაუბრუნდა;

– ზემო რაინის დეპარტამენტი თავის 1792 წლის საზღვრებს დაუბრუნდა: **შენარჩუნებული იქნა მონბელიარდის** ყოფილი სამთავროს ტერიტორია, მაგრამ დუბის დეპარტამენტს შეუერთდა, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი გახდა მონბელიარდი, რომელმაც სენ-იპოლიტი შეცვალა; ბაზელის ყოფილი საეპისკოპოსოს ტერიტორია შვეიცარიას დაუთმეს;

– დუბის დეპარტამენტში მცირე ტერიტორია საფრანგეთს გადაეცა;

– ლემანის დეპარტამენტში კანტონი **ფრანჟი** და **სენ-ჟულიენის, რაინერის, ლა სორის დეპარტამენტების ნაწილი საფრანგეთმა შეინარჩუნა**;

– ყოფილი უცხოური ანკლავები **კრეანჟი, ზაარვერდენი, ფილიპსბურგი, სალმი, მიულჰაუზი, ავინიონი, კომტა ვენესენი, აგრეთვე** მონბელიარდის **სამთავრო საფრანგეთმა შეინარჩუნა.**

საფრანგეთის მიერ მიტოვებული ტერიტორიები ბელგიაში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, ვალეში, საოიაში, ნიცაში, პიემონტში, სარდინიაში, იტალიაში, ილირიაში, იონიის კუნძულებზე, გამარჯვებული ქვეყნების არბიტრაჟს გადაეცა. საიდუმლო მუხლებით დაზუსტდა, რომ ჰოლანდია რომელსაც ორანნასაუს სახლი მართავდა, მიიღებდა ბელგიას, რომ გერმანია აღადგენდა უფლებებში ყოფილ მფლობელებს ან ზარალს აუნაზღაურებდა დიდ სახელმწიფოებს, რომ შვეიცარია პელეციურ სახელმწიფოებს მიიღებდა, რომ სარდინიაში შევიდოდა დათმობილი საოიის ნაწილი, ნიცა, პიემონტი, გენუის ყოფილი რესპუბლიკა და ა. შ.

ვენაში გერმანულ კონგრესზე შეკრებილ სახელმწიფოებს (1814 წლის სექტემბერი- 1815 წლის ივნისი) უფრო ზუსტად უნდა განესაზღვრათ მომავალი ევროპის სახელმწიფოების სია და საზღვრები. მოლაპარაკებები გაინელა, მაგრამ კუნძულ ელბადან ნაპოლეონის დაბრუნებამ, ძალაუფლების ხელახლა მოპოვებამ (1815 წლის მარტ-ივნისის ასდღიანი პერიოდი), ვატერლოოსთან მისმა დამარცხებამ (18 ივნისი), კონგრესის მუშაობის დასრულება დააჩქარა; კონგრესზე გადაწყდა საფრანგეთის უფრო მკაცრად დასჯა, რომელმაც გულთბილად მიიღო „უზურპატორი"; ამჯერად ნაპოლეონს ყველა ტიტული ჩამოერთვა და გადასახლებული იქნა ბრიტანეთის წმინდა ელენეს კუნძულზე.

ამ პერიოდის შემდეგ, მეფე მეორედ დაბრუნდა პარიზში; ახალი მოლაპარაკებები 1815 წლის 19 ნოემბერს დასრულდა საფრანგეთსა და სარდინიას შორის დადებული ხელშეკრულებით და 1815 წლის 20 ნოემბრის (მეორე) პარიზის ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს აწერდნენ საფრანგეთი, ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, პრუსია, რუსეთი და რომელიც უფრო მკაცრი იყო საფრანგეთის ტერიტორიის საკითხის გადაწყვეტისას.

1815 წლის 19 ნოემბერის ხელშეკრულებით, **საფრანგეთი სარდინიას უთმობდა:**

– **მის მიერ შენარჩუნებულ საოიის ნაწილს;**

– მონაკოს სამთავროზე სიუზერენობას;

1815 წლსი 20 ნოემბრის ხელშეკრულებით **საფრანგეთი უთმობდა:**

– **ახალ გაერთიანებულ ნიდერლანდს ფილიპვილს, მარიემბურგს, კანტონებს ენოსა და ნამიურს,** რომლებიც 1814 წელს საფრანგეთს შეუნარჩუნეს; საფრანგეთი უარს ამბობდა ბუიონის საპერცოგოს სიუზერენობის ყველა უფლებაზე;

– **პრუსიას ზაარის შუა დაბლობს** (ზაარბრიუკენი, ზაარლუი);

– **ავსტრიას ლაუტერის მარცხენა სანაპიროზე მდებარე საფრანგეთის ტერიტორიას** (ლანდაუ, ბერგცაბერნი);

– შვეიცარიას კომუნებს **ვერსუა, პრენი; დიდი საკომექსი,** რაც ხმელეთით ერთმანეთთან აკავშირებდა ჟენევასა და დანარჩენ შვეიცარიას.

ჟექსი თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადდა, იმისათვის, რომ მისი სოფლის მეურნეობის პროდუქტები იოლად მოხვედრილიყო ჟენევის ბაზარზე; ადმინისტრაციულად ის ენის დეპარტამენტს შეუერთდა და ჟექსი ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი გახდა.

საფრანგეთის ფართობი 537 000 კმ^2-ზე დავიდა, მოსახლეობა შეადგენდა 30 მილიონ კაცს. 1790 წელს შემოღებული დეპარტამენტებად დაყოფა არ შეცვლილა. ახლა მას 86 დეპარტამენტი ჰქონდა: 83 დეპარტამენტი 1790 წლიდან არსებობდა, რასაც ემატებოდა 1 დეპარტამენტი რონ-ე-ლუარას გასაორმაგებლად და 1790 წლის შემდეგ შექმნილი 2 დეპარტამენტი (ვოკლუზი, ტარნი-და-გარონა).

V. საფრანგეთი XIX საუკუნეში (1815-1914)

1. მონარქიული საფრანგეთი (1815-1870)

ბოლო ათწლეულის განმავლობაში უზომოდ გაზრდილი საფრანგეთის ტერიტორია, რესტავრაციის პერიოდში ტრადიციულ ჩარჩოებს დაუბრუნდა. ახლა საფრანგეთის ჩამოყალიბება თითქმის დასრულებული იყო და მან უკვე საბოლოო გეოგრაფიული კონტურები (ჰექსა-გონი) მიიღო.

ფრანგი მეფეების მიერ რვა საუკუნის მანძილზე განხორციელებული ტერიტორიული ზრდა ანკლავების შეერთებით დასრულდა, რასაც აქამდე ეროვნულ ძემკვიდრეობაზე უფლებების გახუხრელი დაცვა აფერხებდა.

ტერიტორიული ექსპანსიის ნებისმიერი მცდელობა ახლა უკვე სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგობას აწყდებოდა; ბელგია ნიდერლანდის სუვერენს გადაეცა, საფრანგეთის შვეიცარია ახალ კონფედერაციაში გაერთიანდა. შესაძლებელი მხოლოდ საავოიისა და ნიცის დაბრუნება ჩანდა.

რეჟიმები იცვლებოდა (რესტავრაცია, იულისის მონარქია, II რესპუბლიკა, მეორე იმპერია), საფრანგეთის ტერიტორია კი 1860 წლამდე უცვლელი რჩებოდა. სამაგიეროდ სახე იცვალა ქვეყანამ, გაჩნდა სამრეწველო რევოლუციის მნიშვნელოვანი ნიშნები, განსაკუთრებით 1840 წლიდან. ნელ-ნელა გაღვივდა აზრი, რომ საფრანგეთი სხვა გზითაც შეიძლება გამდიდრდეს და არა მხოლოდ ახალი ტერიტორიების დაპყრობის საშუალებით.

1816 წელს ბუშ-დუ-რონის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი ტარასკონი არლით შეიცვალა.

1824 წელს ჩრდილოეთის დეპარტამენტში ვალანსიის ახალი ოლქი შეიქმნა.

1855 წელს სენტ-ეტიენმა მონბრიზონი შეცვალა, რომელიც ლუარის დეპარტამენტის ადმინისტარციული ცენტრი იყო.

1857 წელს მიულუზმა შეცვალა ალტკირში, რომელიც ზემო რაინის დეპარტამენტის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. შოლემ შეცვალა ბოპრეო, რომელიც მენი-და-ლუარას დეპარტამენტის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი იყო.

იმპერატორ ნაპოლეონ III-მ, როგორც კი პოზიციები გაიმაგრა, საგარეო პოლიტიკა გააააქტიურა მისი წინამორბედი მეფეებისაგან განსხვავებით, მით უმეტეს, რომ საფრანგეთი 1815 წლის შემდეგ წელში გაიმართა, ხოლო ევროპის კონსერვატიული რეჟიმები სერიოზულად შეირყა 1848 წლის რევოლუციის შემდეგ.

ბიძის, ნაპოლეონ I-ის მსგავსად, ნაპოლეონ III განსაკუთრებულ მზრუნველობას იტალიის მიმართ იჩენდა, რომელიც მისი წინაპრების აკვანი იყო. უფრო მეტიც, გადასახლების პერიოდში იგი იტალიის საიდუმლო საზოგადოების წევრი იყო: ეს ლიბერალური მრწამსის საზოგადოება იყო და მიზნად ისახავდა არსებული რეჟიმის დამხობას, ე. ი. ჰაბსბურგების პირდაპირი თუ არაპირდაპირი ბატონობის დასასრულს ნახევარკუნძულზე (სარდინიის გამოკლებით) და მისი პოლიტიკური ერთიანობის დამყარებას.

საფრანგეთის იმპერატორად გახდომის შემდეგ, მან მხარი დაუჭირა სარდინიის მეფის მიერ წამოწყებულ დიპლომატიურ და შემდეგ სამხედრო მოქმედებებს. სარდინიის მეფე ვიქტორ-ემანუელი და მისი მინისტრი კავური ცდილობდნენ დამყარებულიყო იტალიის ერთიანობა სარდინიის სახელმწიფოს გარშემო. 1859 წელს საფრანგეთი ავსტრიის წინააღმდეგ კონფლიქტში ჩაება და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მაჯენტასა და სოლფერინოსთან მიღწეულ გამარჯვებებში (1859 წლის ივნისი), რის შემდეგაც სარდინიამ მილანის საგრაფო მიიღო, რასაც იტალიის გაერთიანებისთვის მოძრაობის დაწყება მოჰყვა (1859-1870).

აღმოჩენილი დახმარების საკომპენსაციოდ და მიცემული დაპირებების შესაბამისად, 1860 წლის 24 მარტს ტურინის ხელშეკრულებით **სარდინიამ საფრანგეთს დაუთმო:**

– **სავოია** მთლიანად;

– **ნიცის საგრაფო**, ალპების უღელტეხილის გამოკლებით (ტენდეს და ბრიგის კომუნები, ვეზუბის და ტინეის ქედები), რომლებიც სარდინიამ დაიტოვა.

ოღონდ ამ გადანყვეტილებაზე თავისი აზრი მოსახლეობას პლებისციტით უნდა გამოეხატა.

ნაპოლეონ III-მ პირობა დადო, რომ სარდინიასთან 1815 წელს დადებული სამხედრო ნეიტრალიტეტის მუხლს დაიცავდა, რომელიც შაბლეს, ფოსინის, საფრანგეთის ჟენევუას ეხებოდა.

პლებისციტი ნიცის საგრაფოში 1860 წლის 15-16 აპრილს გაიმართა და სავოიაში 1860 წლის 21-22 აპრილს, რითაც მათი გადაცემა დამტკიცდა.

1860 წლის 12 ივნისს მიღებული კანონის თანახმად მარტ-აპრილში დათმობილი ტერიტორიები სამი ფრანგული დეპარტამენტი გახდა, ორი სავოიის და ერთი ნიცის:

– სავოია: შამბერი, ალბერვილი, მუტიერი, სენ-ჟან-დე-მორიენი;

– ზემო სავოია: ანესი, ბონნევილი, სენ-ჟულიენი, ტონონი;

– ზღვისპირა ალპები: ნიცა, გრასი, პუუე-ტენიერი.

გრასის ოლქი ვარის დეპარტამენტს ჩამოშორდა, იმისთვის, რომ ახალი დეპარტამენტი გაზრდილიყო (ამ ცხრილების შემდეგ, მდინა ვარი ამავე სახელწოდების დეპარტამენტის საზღვრებს მიღმა დარჩა).

საფრანგეთის დეპარტამენტების რაოდენობა 89-მდე გაიზარდა, ფართობმა 551 000 $км^2$ შეადგინა.

ეკონომიკური ძვრების შემდეგ, მონაკოს ორმა ქალაქმა მანტონმა და როკემბურგმა 1848 წლის მარტში თავი თავისუფალ ქალაქებად გამოაცხადა, სარდინიის მეფის პროტექტორატის ქვეშ. 1860 წლის აპრილში პარიზიდან მიღებული ყოველგვარი მითითებების გარეშე, ნიცის საგრაფოს დროებითმა მთავრობამ ეს ორი ქალაქი პლებისციტის პერიმეტრში შეიყვანა; ამ ქალაქებმა ხმა მისცეს შეერთებას.

1861 წლის 2 თებერვალს მონაკოს მთავარმა საფრანგეთს მიჰყიდა თავისი უფლებები **მანტონზე და როკებრუნზე** და მათი **საფრანგეთთან შეერთების** შემდეგ ისინი ზღვისპირა ალპების დეპარტამენტში გაერთიანდნენ.

საფრანგეთმა მონაკოს პოლიტიკური მფარველობა მიანიჭა, რაც სამთავროს ოლქებზეც ვრცელდებოდა (მონაკო და მონტე-კარლო).

1862 წლის დეკემბერში **ეექსის გზა, რუსის ფორტთან და დაპის დაბლობის დასავლეთის ნახევართან ერთად** (რომელიც 1814 წელს შვეიცარიის კუთვნილება გახდა) **საფრანგეთს დაუბრუნდა**, ნუარმონის ფერდობების ნაწილის სანაცვლოდ.

1868 წელს სენ-ნაზერმა შეცვალა სავენეი, რომელიც ქვემო ლუარას დეპარტამენტის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი იყო.

იტალიის ერთიანობის მხარდაჭერამ საფრანგეთს ახალი ტერიტორიები შემატა.

იმავე მიზნით, ნაპოლეონ III-მ გადაწყვიტა გერმანიის ერთიანობისთვის ბრძოლაში ჩართულიყო, რომელსაც ამჯერად პრუსიის მეფე და მისი კანცლერი ბისმარკი ანარმოებდნენ ავსტრიის წინააღმდეგ, რომელსაც პირიქით, გერმანიაში გერმანიის კონფედერაციის დროს არსებული statut quo-ს შენარჩუნება სურდა.

საფარანგეთის იმპერატორს მხარდაჭერის საკომპენსაციოდ სურდა მიეღო ტერიტორიები 1814 წლის საზღვრებზე (ზაარის დაბლობი, ლანდაუ), ბავარიის პფალცი და განსაკუთრებით ლუქსემბურგი. მაგრამ „გასამრჯელო" გვიან იქნა მოთხოვნილი, პრუსიის სადოვასთან გამარჯვების შემდეგ. ბისმარკმა ყველა ზომა იხმარა, რომ გარიგება არ შემდგარიყო.

პრუსიის ორპირობამ საფრანგეთის დიდი პროტესტი გამოიწვია, რასაც 1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყება მოჰყვა, რომლის საბაბიც გახდა ესპანეთის ტახტზე ჰოენცოლერნის კანდიდატურის დასახელება. 2 სექტემბერს საფრანგეთი სედანთან დამარცხდა, ხოლო ნაპოლეონ III დაატუსაღეს. 1870 წლის 4 სექტემბერს პარიზში რესპუბლიკა გამოცხადდა.

2. რესპუბლიკური საფრანგეთი (1870-1914)

რესპუბლიკური მთავრობა შეეცადა ბრძოლა განეგრძო, მაგრამ სუსტი სამხედრო მომზადების, პარიზის ალყის, პარიზის კომუნის აჯანყების გამო იძულებული გახდა სამშვიდობო მოლაპარაკებებზე წასულიყო. მშვიდობა 1871 წლის 20 მაისის ფრანკფურტის ზავით დამყარდა.

საფრანგეთმა გერმანიას დაუთმო თითქმის მთელი ალზასი და ლოტარინგიის ნაწილი, კერძოდ:

– **ზემო რაინის დეპარტამენტი,** კანტონების **ბელფორტის, დელეს, ჟირომანის, ფონტენის** უმეტესი ნაწილის და მასეკოს ნაწილის გამოკლებით;

– **ქვემო რაინის დეპარტამენტი** მთლიანად;

– კანტონი **შერმეკი** და **ზალეს** უმეტესი ნაწილი, რომლებიც ვოგეზების დეპარტამენტს ჩამოეჭრა;

– **საარბურგის** და **შატო-სალინის ოლქები,** რამდენიმე ფრაგმენტის გამოკლებით, რომლებიც მერტის დეპარტამენტს ჩამოეჭრა;

– **მოზელის დეპარტამენტი, ბრიეის ოლქის გამოკლებით.**

ზემო რაინის ჩამოჭრილმა ტერიტორიებმა მცირე „ბელფორის ტერიტორია" შეადგინა და ერთი ოლქი შექმნა, რომელსაც პრეფექტის მოვალეობის შემსრულებელი გენერალური ადმინისტრატორი მართავდა.

მერტის დეპარტამენტის დარჩენილი მცირე ფრანგული ნაწილი და ბრიეის ოლქი, რომელიც მოზელის დეპარტამენტს ჩამოშორდა, ახალ დეპარტამენტში გაერთიანდა:

– მერტი-და-მოზელი: ნანსი, ბრიეი, ლუნევილი, ტული.

სამი დეპარტამენტის დაკარგის შემდეგ, რასაც მეოთხის გადაკეთება დაემატა (მერტი გახდა მერტი-და-მოზელი), საფრანგეთის დეპარტამენტების რაოდენობა 86-ზე დავიდა, რასაც ბელფორის ტერიტორია ემატებოდა და მისმა ფართობმა შეადგინა 528 000 კმ², მოსახლეობამ დაახლოებით 37 მილიონი კაცი.

ალზას-ლოტარინგიის დაკარგვას ფრანგები მძიმედ განიცდიდნენ; დაკარგული პროვინციების მოსახლეობის ნაწილმა საფრანგეთის ტერიტორიაზე ცხოვრება არჩია. პატრიოტიზმის ეს გრძნობა რევანშის სურვილს ბადებდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების იმედით, ხოლო გერმანია, სადაც გაერთიანების პროცესი დასრულდა ფრანგებისათვის მტრის ხატად იქცა. გარკვეული პერიოდის მანძილზე საფრანგეთი კოლონიურ პოლიტიკას აძლიერებდა ზღვის იქითა ტერიტორიების დაპყრობით, რაც მას სიმდიდრეს, ენერგიას და თავის რნმენას მატებდა.

1880 წლის 2 აპრილს სენის დეპარტამენტის ორი ქვე-პრეფექტურა სენ-დენი და სო გაუქმდა, შესაბამისი ოლქები დარჩა და მათ უშუალოდ დეპარტამენტის პრეფექტი მართავდა.

ევროპის სახელმწიფოების სულ უფრო მზარდი დაპირისპირება (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი) როგორც დიპლომატიურ, ისე ეკონომიკურ ასპარეზზე, შეიარაღების ზრდა, ახალი ალიანსების შექმნა (სამმაგი ანტანტა, სამთა კავშირი), მეტოქეობა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, რომელიც ოსმალეთის მეურვეობისაგან განთავისუფლდა, ფართომასშტაბიანი კონფლიქტის წარმოშობის პირობებს ქმნიდა, რომელიც დაიწყო კიდეც 1914 წლის ივლისში, მას შემდეგ რაც სარაევოში 28 ივნისს ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ფრანც-ფერდინანდი მოკვლეს.

VI. საფრანგეთი XX საუკუნეში (1914 წლიდან დღემდე)

1. პირველი მსოფლიო ომი და მისი შედეგები (1914-1919)

მსოფლიო კონფლიქტში საფრანგეთმა დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, ბელგიის, სერბიის და ჩერნოგორიის მხარე დაიკავა, რომელთაც მოგვიანებით იტალია (1915), რუმინეთი (1916) და შეერთებული შტატები შეუერთდნენ (1917). მოკავშირეებმა დაამარცხეს გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი. კონფლიქტი ხანგრძლივი (1914-1918), განსაკუთრებულად მომაკვდინებელი (8,5 მილიონი დაღუპული, აქედან 1,35 მოდიოდა საფრანგეთზე) და დამანგრეველი იყო (გაჩანაგებული რეგიონები, ჩამკვდარი ეკონომიკური მოღვანეობა, მორალური კრიზისი).

ეროპის კონფლიქტში შეერთებული შტატების პირველად ჩარევამ და მისმა გადამწყვეტმა დახმარებამ, განაპირობა ის, რომ მას მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა გამარჯვების შემდეგ, 1919 ნლის გაზაფხულზე პარიზში გამართულ სამშვიდობო მოლაპარაკებებზე; მისმა პრეზიდენტმა ვუდროვ ვილსონმა ევროპის სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი ისტორიული უფლებები უარყო და ევროპაში განხორციელებული ტერიტორიული ცვლილებების ღროს წინ ნამოსნია ეროვნულობის პრინციპი.

საფრანგეთმა რეალური წინააღმდეგობის გარეშე დაიბრუნა 1871 წელს დათმობილი ალზას-ლოტარიანგია, მაგრამ პოლიტიკური წრეების მიერ ჩამოყალიბებული სხვა ტერიტორიული მოთხოვნები (1814 ნლის საზღვრები) უარყოფილი იქნა საბჭოს თავმჯდომარის ჟორჟ კლემანსოს მსარდაჭერით.

1919 წლის 28 ივნისის ვერსალის საზავო ხელშეკრულებით **გერმანიამ საფრანგეთს გადასცა „იმპერიის მიწა“ ალზას-ლოტარინგია**, 1871 ნელს გადაცემისას არსებულ ზუსტ საზღვრებში.

საფრანგეთისთვის სხვა უფრო მნიშვნელოვანი ტერიტორიების ანექსირებაზე უარის საკომპენსაციოდ, მას ეკონომიკური შეღავათები მიანიჭეს ზაარის გერმანულ ტერიტორიაზე და გერმანიის რაინს აქეთა ტერიტორიაზე, რომელსაც ადმინისტრირებას გამარჯვებული ქვეყნები უწევდნენ.

საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა ალზას-ლოტარინგიაში ის ეკონომიკური და სოციალური შეღავათები შეენარჩუნებინა, რომლებიც გერმანიის რეჟიმის ღროს არსებობდა (რაც ქვეყნის ადმინისტრაციული გაერთგვაროვნების რესპუბლიკურ პრინციპს ეწინააღმდეგებოდა) და არ დააბრუნა 1871 ნლამდე არსებული მდგომარეობა დეპარტამენტთან დაკავშირებით. გერმანიის მმართველობის პერიოდში შექმნილი ქვემო ალზასის, ზემო ალზასის და ლოტარინგიის ოლქები, ყოველგვარი ტერიტორიული ცვლილებების გარეშე სამი ახალი ფრანგული დეპარტამენტი გახდა.

– ქვემო რაინი: სტრასბურგი, სტრასბურგ-კამპანი, ვისემბურგი, ჰაგენაუ, სავერნე, მოლსჰაიმი, ერშტაინი, სელესტა;

– ზემო რაინი: კოლმარი, კოლმარ-კამპანი, რიბოვილე, გებვილერი, რანი, მიულუზი, ალტკირში;

– მოზელი: მეცი, მეც-კამპანი, ტიონვილი, ბულეი, ფორბახი, საარგემინი, შატო-სალენი, საარბურგი.

ამ ცვლილებების შემდეგ საფრანგეთს 89 დეპარტამენტი გაუხდა, რასაც ბელფორის ტერიტორია ემატებოდა და ფართობმა შეადგინა 551 000 კმ². ალზასლოტარინგიის დემოგრაფიული შენამატის მიუხედავად (1,7 მილიონი), საფრანგეთის მოსახლეობამ 39 მილიონი კაცი შეადგინა, როცა 1914 წელს ის 39,5 მილიონს უდრიდა.

2. ორ ომს შორის პერიოდი (1919-1939)

გამარჯვებით გამონვეული ეიფორიის გავლის შემდეგ, საფრანგეთს დიდი ძალისხმევა დასჭირდა ომით განადგურებული რეგიონების აღსადგენად, ეკონომიკის მოდერნიზაციისათვის, ფინანსური გაძლიერებისა და ომით მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად. ადრე აყვავებულ, სტაბილური ვალუტის მქონე ქვეყანას, რამდენიმე ფინანსური კრიზისის გადატანა მოუხდა, რამაც ფრანკის სიმყარე შეარყია.

1922 წელს, ბელფორის ტერიტორია, საერთო სამართლის მიხედვით დეპარტამენტი გახდა, რომელიც მხოლოდ ერთი ოლქისაგან შედგებოდა. საფრანგეთს ახლა უკვე 90 დეპარტამენტი ჰქონდა.

ბიუჯეტის ეკონომიისათვის და ფულის კურსის გასამყარებლად, პუანკარეს მთავრობამ 1926 წლის 10 სექტემბერის კანონ-დეკრეტით გააუქმა 106 ოლქი და შესაბამისი ქვე-პრეფექტურა. შექმნა 3 ახალი ოლქი: მონბარი კოტ-დ'ორში, ლანგონი ჟირონდში, კავალიონი ვოკლუზში. 90 დეპარტამენტის სია შემდეგია:

დეპარტამენტი და ოლქები	გაუქმება
ენი: ბურგი, ბელეი, ნანტუა	ტრეეუ
სნი: ლანი, სენ-კენტენი, სუასონი, ვერვენი	შატო-ტიერი
ალიე: მულენი, ლაპალისი, მონლუსონი	განა
ქვემო ალპები: დინი, ბარსელონეტა, ფორკალკიე ზემო ალპები: გაპი, ბრიანსონი	კასტელანი, სისტერონი ემბრუნი
ზღვისპირა ალპები: ნიცა, გრასი	პუჟე-ტენიე
არდეში: პრივა, ლარჟანტიერი, ტურნონი	–
არდენი: მეზიერი, რეტელი, ვუზიერი	როკრუა, სედანი
არიეჟი: ფუა, სენ-ჟირონი	პამიერი
ობი: ტრუა, ბარ-სურ-ობი, ნოჟან-სურ-სენა	არსი, ბარ-სურ-სენა
ოდე: კარკასონი, ლიმუ, ნარბონე	კასტელნოდარი
ავეირონი: როდეზი, მილო, ვილეფრანშ-დე-რუერგი	ესპალიონი, სენტ-აფრიკი
ბუშ-დუ-რონი, მარსელი, ექსი, არლი	–
კალვადოსი: კანი, ბაიე, ლიზიე, ვირი	ფალეზი, პონ-ლ'ევეკი
კანტალი: ორილიაკი, მორიაკი, სენ-ფლური	მიურა
შარანტი: ანგულემი, კონიაკი, კონფოლანი	ბარბეზე, რუფეკი
ქვემო შარანტი: ლა როშელი, ჟონზაკი, როშფორი, სენტი	მარენი, სენ-ჟან-დ'ანჟელი
შერი: ბურჟი, სენტ-ამანდ-მონტრონი	სანსერი
კორეზი: ტული, ბრივ-ლა-გაიარდი	უსელი
კორსიკა: აჟაკსიო, ბასტია, კორტე, სარტენი	კალვი
კოტ-დ'ორი: დიჟონი, ბონი, მონბარდი	შატილიონი, სემური
კოტ-დუ-ნორი: სენ-ბრიეკი, დინანი, გენგამპი, ლანიონი	ლუდეაკი
კრეზი: გერე, ობუსონი	ბურგანეფი, ბუსაკი
დორდონი: პერიგე, ბერჟერაკი, ნონტრონი, სარლა	რიბერაკი
დუბსი: ბეზანსონი, მონბელიარდი, პონტარლიე	ბომ-ლე-დამი

დრომი: ვალანსი, დე, ნიონი	მონტელიმერი
ერი: ევრე, ბერნეი, ლეზ ანდელი	ლუვიერი, პონტ-ოდემერი
ერი და ლუარა: შარტრი, შატოდუნი, დრექსი	ნიუან-ლე-როტრუ
ფინისტერი: კიმპერი, ბრესტი, შატოლენი, მორლე	კიმპერლე
გარდი: ნიმი, ალე, ლე ვიგანი	უზესი
ზემო გარონა: ტულუზა, სენ-გოდენი	მურე, ვილეფრანში
ჟერი: ოში, კონდომი, მირანდი	ლეკტური, ლომბეზი
ჟირონდი: ბორდო, ბლეი, ლანგონი, ლიბურნი	ლეპსარი, ლა რეოლი
ერო: მონპელიე, ბეზიერი	ლოდევი, სენ-პონი
ილი-ე-ვილენი: რენი, ფუჟერი, რედონი, სენ-მალო	მონფორტი, ვიტრე
ინდრი: შატორუ, ლე ბლანი, ლა შატრი	ისუდუნი
ინდრი და ლუარა: ტური, შინონი	ლოში
იზერი: გრენობლი, ლატურ-დუ-პენი, ვიენი	სენ-მარსელენი
იურა: ლონ-ლე-სოლნიე, დოლი, სენ-კლოდი	პოლინი
ლანდი: მონ-დე-მარსანი, დაქსი	სენ-სევერი
ლუარ-ე-შჰერი : ბლუა, ვანდომი	რომორანტენი
ლუარა: სენტ-ეტიენი, მონბრისონი, რანი	–
ზემო ლუარა: ლე ჰუა, ბრიუდი	ისინჟო
ქვემო ლუარა: ნანტი, შატობრიანი, სენ-ნაზერი	ანსენი, პემბეფი
ლუარე: ორლეანი, მონტარჟი	ჟიანი, პიჭივიე
ლოტ: კაორი, ფიუკაკი, გურდონი	–
ლოტ-ე-გარონა: აჟანი, მარმანდი, ვილენევ-სურ-ლოტ	ნერაკი
ლოზერი: მანდი, ფლორაკი	მარვეჟოლი
მენ-ე-ლუარა: ანჟერი, შოლე, სომური, სეგრე	ბოუე
მანში: სენ-ლო, ავრანში, შერბური, კუტანსი	მორტენი, ვალონი
მარნა: შალონ-სურ-მარნი, ეპერნეი, რემსი, ვიტრი-ლე-ფრანსუა	სენტ-მენეული
ზემო მარნა: შომონი, ლანგრე, სენ-დიზიე	–
მეიენი: ლავალი, მეიენი	შატო-გონტიე
მერტ-ე-მოზელი: ნანსი, ბრიეი, ლუნევილი	ტული
მეზი: ბარ-ლე-დუკი, კომერსი, ვერდენი	მონმედი
მორბიანი: ვანი, ლორიანი, პონტივი	პლოერმელი
მოზელი: მეცი, ბულეი, შატო-სალენი, ფორბაჰი, მეც-კამპანი, ზაარბურგი, ზაარგემინი, ტიონვილი	–
ნიევრა: ნევერი, შატო-შინონი, კლამესი	კოსნი
ნორდი: ლილი: ავესნი, კამბრე, დუე, დიუნკერკი, ვალენსიენი	ჰაზებრუკი
უაზი: ბოვე, კომპიენი, სანლი	კლერმონი
ორნი: ალანსონი, არჟანტანი	დომფრონი, მორტანი
პა-დე-კალე: არასი, ბეტუნი, ბულონი, მონტრეი, სენტ-ომერი	სენ-პოლ-სურ-ტერნუაზი
პუი-დე-დომი: კლერმონ-ფერანი, ისუარი რიომი, ტიერი	ამბერი
ქვემო-პირენე: პო, ბაიონი, ოლორონ-სენტ-მარი	მოლეონი, ორტეზი
ზემო პირენე: ტარბი, ბანიერეს-დე-ბიგორი	არჟელე-გაზოს
აღმოსავლეთი პირენე: პერპინიანი, სერე, პრადი	–
ქვემო რაინი: სტრასბურგი, ერშტაინი, ჰაგენაუ, მოლსჰა-იმი, საავერნე, სტრასბურგ-კამპანი, სელესტა, ვისემბურგი	–

ზემო რაინი: კოლმარი, ალტკირპი, კოლმარ-კამპანი, გებვილერი, მულუზი, რიბოვილე, ტანი	–
რონა: ლიონი, ვილეფრანშ-სურ-სონა	–
ზემო სონა: ვეზული, ლური	გრეი
სონ-ე-ლუარა: მაკონი, ოტუნი, შალონ-სურ-სონა, შაროლი	ლუანი
სარტი: ლე მანი, ლა ფლეში, მამერსი	სენ-კალე
სავოია: შამბერი, ალბერვილი, სენ-ჟან-დე-მორიენი	მუტიერი
ზემო სავოია: ანესი, ბონევილი, ტონონი	სენ-ჟულიენი
სენა: პარიზი	–
ქვემო სენა: რუანი, დიპი, ჰავრი	ნევშტალი, ივეტო
სენ-ე-მარნი: მელუნი, მო, პროვენი	კულომიე, ფონტენებლო
სენ-ე-უაზი: ვერსალი, კორბეი, პონტუაზი, რამბუიე	ეტამპი, მანტი
დე-სევრი: ნიორი, პარტენეი	ბრესუირი, მელი
სომი: ამიენი, აბევილი, მონდიდიე, პერონი	დულანსი
ტარნი: ალბი, კასტრი	გალიაკი, ლავორი
თარნ-ე-გარონა:მონტობანი, კასტელსარაზენი	მუასაკი
ვარი: დრაგინიანი, ტულონი	ბრინიოლი
ვოკლუზი: ავინიონი, კარპანტრა, კავალიონი	ორანი
ვანდე: ლაროშ-სურ-იონი, ფონტენეი-ლე-კომტი, ლე-საბლ-დ'ოდონი	მონტეგიუ
ვიენი: პუატიე, შატელერო, მონტმორილიონი	სივრეი, ლუდუნი
ზემო ვიენი: ლიმოჟი, ბელაკი, როშეშუარი	სენტ-ირიექსი
ვოგეზები: ეპინალი, ნევშატო, სენ-დიე	მირეკური, რემირემონი
იონი: ოქსერი, ავალონი, სანსი	ჟუანი, ტონერი
ბელფორი (ტერიტორა): ბელფორი	–

1933 წლის 27 ივლისს აღდგენილი იქნა ჟექსის და სენ-ჟულიენ-ანჟენეევუას ოლქები (ზემო სავოია).

ასევე 1933 წელს აპტმა შეცვალა კავაიონი, რომელიც ვოკლუზის დეპარტამენტის ოლქის ადმინისტარციული ცენტრი იყო.

1934 წელს კოლმარ-ვილი და კოლმარ-კამპანის ოლქები კოლმარის ერთ ოლქად გაერთიანდა.

1930-იან წლებში საფრანგეთს დიდი სირთულეების გადატანა მოუხდა, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარეობდა და რამაც ქვეყანაში გაკოტრებებისა და უმუშევრობის ტალღა გამოინვია. ამის ფონზე 1936 წელს საფრანგეთში სახალხო ფრონტის მთავრობა მოვიდა, ხოლო ევროპის სხვა ქვეყნებში ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ საპარლამენტო დემოკრატიის რეჟიმი და მემარჯვენე თუ მემარცხენე სულისკვეთების ტოტალიტარული რეჟიმები.

საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი დიდი ომით დაზარალებულ ცენტრალური ევროპის ქვეყნებს ეხმარებოდნენ; მათ რომელთა ტერიტორიულ მთლიანობას და თვით არსებობასაც სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა ჰიტლერის ახალი გერმანიის მხრიდან მისი ექსპანსიონისტური პოლიტიკიდან გამომდინარე. როდესაც 1938 წელს ჩეხოსლოვაკიასთან დაკავშირებით მათ ეს ვერ მოახერხეს, თავისი დახმარება პოლონეთს აღუთქვეს და როდესაც 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია იქ შეიჭრა, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩაებნენ.

3. მეორე მსოფლიო ომი და მისი შედეგები (1939-1947)

გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მიერ პოლონეთის გადანაწილების შემდეგ, 1940 წლის გაზაფხულზე ჰიტლერმა თავისი არმია დასავლეთისაკენ მიმართა, რითაც საფრანგეთ-ბრიტანეთის ჯარები დააბნია, ამასობაში კი იტალია საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჩაება.

რესპუბლიკურმა მთავრობამ რომელიც ვიშიში განთავსდა მარშალ პეტენს სრული უფლებები მიანიჭა და იქ ახალი რეჟიმი დაამყარა, ხოლო ლონდონში გენერალ დე გოლის ინიციატივით წინააღმდეგობის მოძრაობა ყალიბდებოდა.

გერმანიის გამარჯვების შემდეგ საფრანგეთმა ორ კაპიტულანტურ ზავს მოაწერა ხელი: ერთს გერმანიასთან 1940 წლის 22 ივნისს და მეორეს იტალიასთან 24 ივნისს.

ამ ზავების მიხედვით **საფრანგეთი ორ ზონად გაიყო,** რომლებიც ერთმანეთისაგან სადემარკაციო ხაზით იყო გაყოფილი. ის იწყებოდა ბელეგარდ-სურ-ვალსერინიდან, გადიოდა ჩრდილოეთით სალენ-ლე-ბენზე, დასავლეთით უხვევდა პარეი-ლე-მონიალისკენ, შემდეგ დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთით ლომისკენ და ბოლოს, სნორი ხაზით გადიოდა პირენეზე, ხოლო პუატიესა და ბორდოს ოკუპირებულ ზონაში აქცევდა:

– **ოკუპირებული ზონა** ჩრდილოეთით და დასავლეთით: 304 000 კმ² (ტერიტორიის 55 %) და 26 მილიონი კაცი (67 %), სულ 42 დეპარტამენტი მთლიანად და 17 ნანილობრივ (13 გერმანელებს ეკავათ და 4 იტალიელებს);

– **თავისუფალი ზონა** სამხრეთით: 247 000 კმ² (ტერიტორიის 45%) და 14 მილიონი კაცი (33%), 34 მთლიანად და 17 ნანილობრივ თავისუფალი დეპარტამენტი.

იტალიას მხოლოდ მანტონი და კარეის დაბლობი ეკავა, რუაიას დაბლობების ფრანგული ნანილი, ლარშის ყელის დასავლეთი, ბრიანსონის სიმაღლეები (ცაბერტონი) და ბორიეხისა და ტარანტეხის დაბლობები.

კრინციპში ქვეყანას საფრანგეთის მთავრობა მართავდა, მაგრამ ოკუპირებულ ზონაში ოკუპანტები მოქმედების თავისუფლებას ზღუდავდნენ.

უფრო მეტიც, ჰიტლერმა ზავის პირობები დაარღვია და ნორისა და პა-დე-კალეს დეპარტამენტები ბელგიის გერმანულ კომისარიატს შეუერთა.

ჰიტლერს სურდა, როგორც ეს ბევრჯერ სხვაგანაც გააკეთა, გაეუქმებინა ვერსალის ხელშეკრულება და მან ***de facto***, ცალმხრივად, გერმანიის რაიხს შეუერთა:

– 1940 წლის 7 ივლისს **ზემო რაინის და ქვემო რაინის დეპარტამენტები;**

– 1940 წლის 30 ნოემბერს **მოზელის დეპარტამენტი.**

1940 წლის 14 ნოემბერს აღდგენილი იქნა სენ-მენუელდის დეპარტამენტი.

ვიშის რეჟიმი პროვინციებად დაყოფის ადრინდელი ფორმის აღდგენის მომხრე იყო, რომელიც რევოლუციამ დეპარტამენტებად დაყოფით შეცვალა და 1941 წელს გამოცემული კანონით 18 რეგიონული პრეფექტურა შექმნა, რაც შემდგომი რეგიონული დეცენტრალიზაციის შესავალი იყო, მაგრამ, რომელიც არ განხორციელებულა. ეს რეგიონალური პრეფექტურები შემდეგი იყო:

1) ოკუპირებულ ზონაში (12 რეგიონი):

– პარიზი: სენა, სენ-ე-მარნა, სენა-და-უაზა;

– რუანი: ქვემო სენა, ერი, ორნი, კალვადოსი, მანში;

– ლილი: ნორი, პა-დე-კალე;

– ლანი : ესნი, არდენი, უაზა, სომი ;

– შალონ-სულ-მარნა; მარნა, ობი, ზემო მარნა;

– ნანსი : მერტ-ე-მოზელი, მეზი, ვოგესები ;

– დიჟონი: კოტ-დ'ორი, იონი, ნიევრი, ზემო სონა, ბელფორის ტერიტორია, დუბსი: იურას, ენის, სონა-და-ლუარას, ალიეს ოკუპირებული ნანილები;

– ორლეანი: ლუარე, ერი-და-ლუარი; ლუარ-ე-შერის ოკუპირებული ნანილები, შერი;

– ანჟერი: მენ-ე-ლუარა,სარტი, მაიენი, ქვემო ლუარა; ინდრ-ე-ლუარას ოკუპირებული ნაწილები;

– რენი: ილი-და-ვილენი, კოტ-დუ-ნორი, ფინისტერი, მორბიანი;

– პუატიე : დე-სევრი, ვანდე, ქვემო შარანტი ; ვიენის, შარანტის, დორდონის ოკუპირებული ნაწილები ;

– ბორდო : ჟირონდის, ლანდების, ქვემო პირენეს ოკუპირებული ნაწილები ;

2) თავისუფალ ზონაში (6 რეგიონი) :

– ტულუზა : ზემო გარონა, ტარნი, ტარნ-ე-გარონა, ლო, ლო-ე-გარონა, ჟერი, ზემო პირენე, არიეჟი ; ჟირონდის, ლანდების, ქვემო პირენეს თავისუფალი ნაწილები ;

– ლიმოჟი : ზემო ვიენი, კორეზი, კრეზი, ინდრი ; შერის, ლუარ-ე-შერის, ინდრ-ე-ლუარას, ვიენის, შარანტის, დორდონის თავისუფალი ნაწილები ;

– კლერმონ-ფერანი : პუი-დე-დომი, კანტალი, ზემო ლუარა ; ალიეს თავისუფალი ნაწილები ;

– ლიონი : რონა, საგოია, ზემო საგოია, იზერი, დრომი, არდენი, ლუარა ; სონ-ე-ლუარას, იურას, ენის თავისუფალი ნაწილები ;

– მარსელი : ბუშ-დუ-რონა, ვარნი, ზღვისპირა ალპები, კორსიკა, ქვემო ალპები, ზემო ალპები, ვოკლუზი, გარი ;

– მონპელიე : ერო, ავეირონი, ლოზერი, ოდი, აღმოსავლეთი პირენე.

1941 წლის 4 სექტემბერს ქვემო შარანტი ზღვისპირა შარანტად გადაკეთდა.

1942 წლის 1 ივნისს აღდგა ძმდეგი ოლქები : ამბერი (პუი-დე-დომი), არეელ-გაზო (ზემო პირენე), ბრესუირი (დე-სევრი), კასტელანი (ქვემო ალპები), შატო-გონტიე (მაიენი), შატო-ტიერი (ენა), კლერმონი (უაზა), ისუდუნი (ინდრი), ლესპარი (ჟირონდი), ლოდევი (ერიო), ლუანი (სონ-ე ლუარა), მორტანი (ორნი), მიურე (ზემო გარონა), ნერაკი (ლო-ე-გარონა) პამიე (არიეჟი), პიტივიე (ლუარე), სედანი (არდენი), ისენჟო (ზემო-ლუარა).

1942 წლის 8 ნოემბერს ჩრდილოეთ აფრიკაში ინგლის-ამერიკის ჯარების გადასხმის საპასუხოდ, გერმანიამ 11 ნოემბერს საფრანგეთის თავისუფალი ზონა დაიკავა, ხოლო იტალიელებმა თავისი საოკუპაციო ზონა გააფართოვეს, საფრანგეთი მთლიანად დაკავებული აღმოჩნდა :

– იტალიელებმა ორი საგოია, ზემო ალპები, ზღვისპირა ალპები და კორსიკა, აგრეთვე იზერისა და ქვემო ალპების ფრაგმენტები ;

– დასარჩენი ტერიტორია გერმანელებმა.

1943 ნლის სექტემბერში იტალიის კაპიტულაციის შემდეგ გერმანიის ჯარებმა იტალიის ყოფილი საოკუპაციო ზონა დაიკავეს.

1943 ნლის 26 ნოემბრისა და 6 დეკემბრის კანონებით აღდგენილი იქნა შემდეგი ოლქები : ანსენი (ქვემო ლუარა), კალვი (კორსიკა), ლოში (ინდრი და ლუარა), მანტი (სენა და უაზა), ნოჟან-ლე-როტრი (ერი და ლუარი), რომორანტენი (ლუარ-ე-შერი), სენ-ჟან-დ'ანჟელი (ზღვისპირა შარანტი), ტული (მერტ-ე-მოზელი), უსელი (კორეზი).

1944 წლის 6 ივნისს ნორმადიაში და 1944 ნლის 15 აგვისტოს პროვანსში, მოკავშირეებმა ჯარები გადმოსხეს და ნელ-ნელა შეავიწროვეს გერმანელები. მარშალი პეტენი გერმანელებმა ძალით წაიყვანეს ზიგმარინგენში (25 აგვისტო), ხოლო წინააღმდეგობის მოძრაობის დროებითი მთავრობა გენერალ დე გოლის ხელმძღვანელობით ალჟირიდან პარიზში გადავიდა (12 აგვისტო).

1944 წლის ნოემბრიდან 1945 ნლის თებერვლამდე 1940 ნელს ანექსირებული **ლოტარინგია და ალზასი** განთავისუფლდა **და საფრანგეთს დაუბრუნდა.**

დასავლეთის ფრონტი 1945 ნელის 8 მაისს გერმანიის კაპიტულაციით დასრულდა.

პარიზის ხელშეკრულებით (1946 ნლის 10 ოქტომბერი), რომლის რატიფიცირებაც იტალიამ 1947 ნლის 10 თებერვალს მოახდინა, **იტალია საფრანგეთს უთმობდა:**

– **პეტი-სენ-ბერნარის ყელის მცირე ტერიტორიას**, რომელიც სავოიის დეპარტამენტს შეუერთდა;
– **მონ-სენის ზეგანს**, რომელიც სავოიის დეპარტამენტს შეუერთდა;
– **სოფელ კლავიერს**, რომელიც ზემო ალპების დეპარტამენტს შეუერთდა ;
– **ტანდე, ბრიგე და ვეზუბის და ტინეს ქედებს**, რომლებიც ზღვისპირა ალპების დეპარტამენტს შეუერთდა ; 1947 წლის 12 ოქტომბერს ჩატარებულმა პლებისციტმა ეს ბოლო გადაცემა დაამტკიცა.

4. თანამედროვე საფრანგეთი (1947 წლიდან დღემდე)

1947 წელს საფრანგეთმა ის ტერიტორიული კონფიგურაცია მიიღო, რომელიც დღემდე აქვს. მისი მოსახლეობა მხოლოდ 40,5 მილიონ კაცს შეადგენდა (დღეს 62 მილიონია). მისი უპირველესი ამოცანა ეკონომიკის აღდგენა, შემდეგ განახლებული ტექნოლოგიების სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგებში დანერგვა იყო. სოფლებიდან ქალაქში მოსახლეობის მასობრივი გადასახლების შემდეგ, საფრანგეთი რამდენიმე ათწლეულში ძლიერი ქალაქების ქვეყანა გახდა.

1955 წლის 18 იანვარს ქვემო სენის დეპარტამენტი ზღვისპირა დეპარტამენტი გახდა. 1957 წლის 9 მარტს ქვემო ლუარის დეპარტამენტი ატლანტიკის-ლუარის დეპარტამენტი გახდა.

1957 წლის 25 მარტს საფრანგეთი ერთ-ერთი იყო იმ ექვსი ქვეყნიდან, რომლებმაც ხელი მოანერეს რომის შეთანხმებას წევრ ქვეყნებს შორის ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის, საბაჟო კავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობის შექმნას.

1964 წლის 4 მარტის დეკრეტით მეტროპოლიის ტერიტორია 21 ადმინისტრაციულ რეგიონად დაიყო და თითოეულში რამდენიმე დეპარტამენტი შევიდა, რომელსაც რეგიონის ერთი პრეფექტი ჰყავდა :

– ალზასი (სტრასბურგი) : ქვემო რაინი, ზემო რაინი ;
– აკვიტანია (ბორდო) : დორდონი, ჟიროდი, ლანდები, ლო-ე-გარონა, ქვემო პირენე ;
– ოვერნი (კლერმონ-ფერანი) : ალიე, კანტალი, ზემო ლუარა, პუი-დე-დომი ;
– ბურგუნდია (დიჟონი) : კოტ დ'ორი, ნიევრი, სონა-და-ლუარა, იონი ;
– ბრეტანი (რენი) : კოტ-დუ-ნორი, ფინისტერი, ილ-ე-ვილენი, მორბიანი ;
– სანტრი (ორლეანი) : შერი, ერ-ე-ლუარა, ინდრი, ინდრ-ე-ლუარა, ლუარ-ე-შერი, ლუარე ;
– შაპმან-არდენი (შალონ-სულ-მარნა): ობი, არდენი, მარნა, ზემო მარნა;
– ფრანშ-კონტე (ბეზანსონი) : დუ, იურა, ზემო სონა, ბელფორის ტერიტორია ;
– ილ დე ფრანსი (პარიზი) : სენა, სენ-ე-მარნი, სენ-ე-უაზი ;
– ლანგედოკ-რუსილიონი (მონპელიე) : ოდი, გარი, ერო, ლოზერი, აღმოსავლეთი პირენე ;
– ლიმუზენი (ლიმოჟი) : კორეზი, კრეზი, ზემო ვიენი ;
– ლოთარინგია (მეცი) : მერტი-და-მოზელი, მეზი, მოზელი, ვოგეზები ;
– სამხრეთი პირენე (ტულუზა) : არიეჟი, ავერონი, ზემო გარონა, ჟერი, ლო, ზემო პირენე, ტარნი, ტარნი-და-გარონა ;
– ნორ-პა-დე-კალე (ლილი) : ნორი, პა-დე-კალე ;
– ქვემო ნორმანდია (კანი) : კალვადოსი, მანში, ორნი ;
– ზემო ნორმანდია (რუანი) : ერი, ზღვისპირა-სენა ;
– ლუარას მხარე (ნანტი) : ატლანტიკის ლუარა, მენ-ე-ლუარა, მაიენი, სარტი, ვანდე ;
– პიკადია (ამიენი) : ესნი, უაზა, სომი ;
– პუატუ-შარანტი (პუატიე) : შარანტი, ზღვისპირა შარანტი, დე-სევრი, ვიენი ;
– პროვანს-ალპ-კოტ-დ'აზურ-კორსიკა (მარსელი) ; ქვემო ალპები, ზემო ალპები. ზღვისპირა ალპები, ბუშ-დუ-რონა, კორსიკა, ვარი, ვოკლუზი ;

– რონა-ალპები (ლიონი) : ენი, არდეში, დრომი, იზერი, ლუარა, რონა, სავოია, ზემო-სავოია.

1968 წლის 1 იანვარს, მას შემდეგ რაც ამოქმედდა 1964 წლის 10 ივლისის კანონი, სენისა და სენ-ე-უაზის ორმა დეპარტამენტმა ადგილი დაუთმო 7 ახალ დეპარტამენტს :

– პარიზის ოლქი, მოგვიანებით დეპარტამენტი (ქალაქი-დეპარტამენტი) ;
– ზემო სენა : ნანტერი, ანტონი, ბულონ-ბილანკური ;
– სენა-სენ-დენი : ბობინი, ლე რენსი ;
– ვალ-დე-მარნა : კრეტეი, ლ'ეი-ლე-როზი, ნოჟან-სურ-მარნა ;
– ვალ-დ'უაზა : პონტუაზი, არჟანტენი, მონტმორენსი ;
– იველინი : ვერსალი, მანტი, რამბუიე, სენ-ჟერმენ-ან-ლეი ;
– ესონი : ევრი, ეტამპი, პალეზო.

საფრანგეთს 95 დეპარტამენტი გაუხდა,

1969 წლის 10 ოქტომბერს ქვემო პირენეს დეპარტამენტი ატლანტის პირენეს დეპარტამენტი გახდა.

1970 წლის 9 იანვარს კორსიკის დეპარტამენტი პროვანს-ალპ-კოტ-დ'აზურის რეგიონს ჩამოშორდა და კორსიკის რეგიონ-დეპარტამენტი გახდა.

ამის შემდეგ საფრანგეთს 22 რეგიონი გაუხდა.

1970 წლის 13 აპრილს ქვემო ალპების დეპარტამენტი ალპების ზემო პროვანსი გახდა.

1974 წლის ივნისში ერშტაინის ოლქი (ქვემო რაინი) გაუქმდა.

1974 წლის 4 დეკემბერს ტულონმა შეცვალა დრაგინიანი და ვარის ადმინისტრაციული ტერიტორია გახდა. ამ დეპარტამენტში შეიქმნა ახალი ოლქი ბრინიოლი.

1975 წლის 15 მაისს კორსიკის დეპარტამენტი ორ დეპარტამენტად გაიყო :

– სამხრეთი კორსიკა : აჟაკსიო, სარტენი ;
– ზემო კორსიკა : ბასტია, კალვი, კორტე.

ამის შემდეგ საფრანგეთს 96 დეპარტამენტი გაუხდა.

1988 წლის 26 აპრილს შეიქმნა ფონტენბლიეს ახალი ოლქი სენ-ე-მარნის დეპარტამენტში.

1990 წლის 27 თებერვალს კოტ-დუ-ნორის დეპარტამენტი კოტ-დ'არმონის დეპარტამენტი გახდა.

1993 წლის 1 იანვარს 1992 წლის 7 თებერვალს დადებული მაასტრიხტის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ, საფრანგეთი ახალი **ევროპის კავშირის** თორმეტ წევრთაგან ერთ-ერთი გახდა. ახალი კავშირის 12 წევრი ქვეყანა იყო : გერმანია, ბელგია, დანია, ესპანეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, პორტუგალია, დიდი ბრიტანეთი და ჩრდილოეთ ირლანდია.

1995 წლის 1 იანვარს მას სამი ახალი სახელმწიფო შეუერთდა : ავსტრია, შვედეთი და ფინეთი.

სავოია

1789 წელს სავოიის საპერცოგო სარდინიის სამეფოს ოთხი შემადგენელი ნაწილიდან ერთ-ერთი იყო. დასავლეთით მას ესაზღვრებოდა რონა, ჩრდილოეთით ლემანი, აღმოსავლეთით ალპები, სამხრეთით დოფინე (ბრიანსონი). ის შვიდი პროვინციისაგან შედგებოდა, აქედან ექვსის სახელწოდება სხვადასხვა დაბლობს შეესაბამებოდა : შაბლე, ფოსინი, ჟენევა, საკუთრივ სავოია, ტატერნეზი, მორიენი, მეშვიდე იყო კარუჟი, რომელიც ჟენევის პირდაპირ მდებარეობდა და დაარსებული იყო იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელისათვის მეტოქეობა გაეწია.

სავოია თავიდან საგრაფო იყო, შემდეგ საპერცოგო გახდა (1416) და აქედან აიღო სათავე სავოიას დინასტიამ. ტერიტორიების ჩრდილოეთით გაფართოების შემდეგ (ჟენევა, ვოდი, ვალე), მოგვიანებით კი დასავლეთით

(ბესი, ბუეი), სავოიის სახლს საფრანგეთისა და შვეიცარიის ექსპანსიასთან მოუხდა დაპირისპირება, რის შედეგადაც მან დაკარგა ტერიტორიები და მიუბრუნდა იტალიას, სადაც მე-XI საუკუნიდან მოყოლებული ფლობდა სამფლობელოებს (ტურინი) და გაფართოება დაიწყო პიემონტის, ასტის, მონფერას, დასავლეთი ლომბარდიის მიმართულებით. 1562 წლიდან დედაქალაქი შამბერიდან ტურინში გადავიდა.

სავოიის საჰერცოგო ყოველთვის საფრანგეთის მუქარის ქვეშ იმყოფებოდა და ყოველი ახალი ანექსიის შემდეგ მუდმივად მცირდებოდა ტერიტორიულად და ფრანგული პროვინცია ხდებოდა იტალიურ სამყაროში. 1714 წელს მას იტალიის მეფის ტიტული ჰქონდა, რომელიც 1720 წელს სარდინიით ჩაანაცვლა, რითაც დინასტიის გაიტალიელება დასრულდა. სავოიის საჰერცოგოს დარჩა მწირი, მთიანი ტერიტორიები, სუსტად განვითარებული სოფლის მეურნეობით და მისი მოსახლეობა იძულებული იყო საარსებო საშუალება ქვეყნის გარეთ ეძებნა.

1792 წლის სექტემბერში სავოიაში საფრანგეთის ჯარები შეიჭრნენ გენერალ მონტესკიუს მეთაურობით. ოქტომბერში, საფრანგეთის ზეწოლით შამბერში ასამბლეა შეიკრიბა და საფრანგეთთან შეერთება მოითხოვა. 27 ნოემბერს კონვენტმა ეს მოთხოვნა მიიღო და სავოიის საფრანგეთთან შეერთების რატიფიცირება მოახდინა.

ის მოხბლანის დეპარტამენტი გახდა და შვიდ ოლქად დაიყო: შამბერი, ანესი, კარუჟი, ტონონი, კლუზი, მუტიერი და სენ-ჟანი.

1798 წლის აპრილში ჟენევის რესპუბლიკა საფრანგეთს შეუერთდა. კარუჟი, შაბლე და ფოსინი მონბლანის დეპარტამენტს ჩამოეჭრა და ჟენევის ტერიტორიას და ექვსის მხარეს მიუერთდა (რომელიც ენს ჩამოეჭრა), რათა ახალი ფრანგული დეპარტამენტი ლემანი (ჟენევა, ბონევილი, ტონონი) შექმნილიყო.

1814 წლის მაისში საფრანგეთმა სარდინიის სამეფოს დაუბრუნა სავოია გარდა:

– თექვსმეტი კომუნისა, რომელთაგან კარუჟი, ჟენევასთან ახლოს მდებარეობის გამო მას დარჩა;

– ანესის ოლქები და შამბერი, რომლებიც საფრანგეთს დარჩა.

ამ გადანყვეტილებით სავოია ორად იყოფოდა, რაც სავოიელების აღშფოთებას იწვევდა.

1815 წლის ნოემბერში ასდღიანი ეპიზოდის შემდეგ საფრანგეთმა სარდინიას სავოიის ის ნაწილი დაუბრუნა, რომელიც 1814 წელში მან დაიტოვა.

შვეიცარიის ნეიტრალიტეტი შაბლეზე, ფოსინზე, ჟენევაზე გავრცელდა, რომელთა სამხედრო ოკუპაციის უფლება შვეიცარიას იმ შემთხვევაში ჰქონდა თუ სარდინია ომში ჩართული აღმოჩნდებოდა.

ამის შემდეგ სავოია გაერთიანდა, ის სარდიინის სამეფოში გენერალური საინტენდანტო იყო, რომელიც რვა პროვინციისგან შედგებოდა: საკუთრივ სავოია (შამბერი), ზემო სავოია (ოპიტალე), კარუჟი (სენ-ჟულიენი), რომელმაც დაკარგა თავისი ყოფილი ადმინისტრაციული ცენტრი, შაბლე (ტოტნონი), ფოსინი (ბონევილი), ჟენევა (ანესი), ტარანტეზი (მუტიე), მორიენი (სენ-ჟანი).

1816 წლის მარტში სარდინიის მცირე თავისუფალი ეკონომიკური ზონა ჟენევის ტერიტორიის საზღვართან შეიქმნა.

1837 წელს კარუჟის პროვინცია გაუქმდა. სავოია ორ გენერალურ საინტენდანტოდ გადაკეთდა: ანესი (ჟენევუა, შაბლე, ფოსინი) და შამბერი (სავოია, ზემო სავოია, ტარანტეზი, მორიენი).

1860 წლის მარტში ავსტრიასთან ომში საფრანგეთის მიერ სარდიინისათვის გაწეული დახმარების სანაცვლოდ, სარდინიამ საფრანგეთს სავოია და ნიცის საგრაფო დაუთმო. სავოიაში 21 და 22 აპრილს ჩატარებული პლებისციტის შემდეგ, ხმების დიდი უმრავლესობით გადაცემა დამტკიცდა.

ნაპოლეონ III-მ განაცხადა, რომ ის სარდიინისათვის 1815 წელს თავსმოხვეულ სამხედრო ნეიტრალიტეტის იმ მუხლს დაიცავდა, რომელიც შაბლეს,

ფოსინის და ჟენევას ეხებოდა და რომლებიც ფრანგული გახდა. მან ცალმხრივად გააფართოვა თავისუფალი ზონა, რომელიც უკვე შაბლეზე, ფოსინიზე და საფრანგეთის ჟენევის ჩრდილოეთზე ვრცელდებოდა.

საოიამ ხელახლა შეადგინა ორი ფრანგული დეპარტამენტი: საოიის (შამბერი, ალბერვილი, მუტიე, სენ-ჟანი) და ზემო საოიის (ანესი, სენ-ჟულიენი, ბონევილი, ტონონი).

1919 წლის ივნისში ჟენევის გარშემო მდებარე ექვსისა და საოიის თავისუფალი ზონები გაუქმდა. გარდა ამისა, საფრანგეთის მთავრობამ გააუქმა ნაპოლეონ III-ის მიერ შექმნილი დიდი თავისუფალი ზონა. ბოლოს, შვეიცარია ერთა ლიგაში შევიდა და გაუქმდა ნეიტრალური სამხედრო ზონა (შაბლე, ფოსინი, ჟენევუა).

შვეიცარიამ გააუქმა ჟენევის გარშემო მდებარე მცირე თავისუფალი ზონები. ამას ხანგრძლივი იურიდიული კონფლიქტი მოჰყვა ჰაგის სასამართლოში, რომლის დასრულების შემდეგაც მცირე თავისუფალი ზონები აღდგა.

1947 წლის თებერვალში იტალიამ საფრანგეთს ზოგიერთი სასაზღვრო ტერიტორია დაუთმო, რომელთა შორის იყო საოიასთან მიერთებული მონსენის პლატო.

1964 წელს საფრანგეთმა „რეგიონული ოლქები" შექმნა, მოგვიანებით რეგიონები ორ დეპარტამენტად დაიყო. მიუხედავად მისი სურვილისა საკუთარი რეგიონი ჰქონოდა, საოია (ორი დეპარტამენტი) რონა-ალპების რეგიონში (8 დეპარტამენტი) გაერთიანდა.

ნიცა

1789 წელს წელს ნიცის საგრაფო სარდინიის შემადგენელი ოთხი სახელმწიფოდან ერთ-ერთი იყო. ის გადაჭიმული იყო ვარის აუზზე და ესაზღვრებოდა უბეის (საფრანგეთის საკუთრება 1713 წლიდან), პროვანსს, სარდინიის პიემონტს, რომლისგანაც მას ალპები ჰყოფდა და მონაკოს სამთავროს. მისი ზღვაზე გასასვლელი (ნიცა) ძალიან ვინრო იყო, რადგან ვარსა და მონაკოს მიწებს შორის მდებარეობდა, რომელიც ზღვაზე გასასვლელის უმეტეს ნაწილს ფლობდა; ვარის შუა დინებაზე ნიცის საგრაფო მის მარჯვენა სანაპიროზე გადადიოდა.

ნიცის საგრაფო პროვანსის ყოფილი აღმოსავლეთი ნაწილი, 1388 წელს გრაფ ამადეო VIII საოიელს გადაეცა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ნეაპოლის მემკვიდრეობის გამო წარმოქმნილი დაპირისპირება დედოფალ ჟანას, ლუი ანჟუელსა და შარლ დურასს შორის. 1579 წელს საოიის ჰერცოგმა ნიცის საგრაფო ტენდეს საგრაფოთი გაზარდა.

1789 წელს ნიცა მოშორებული იყო ევროპაში განვითარებულ მოვლენებს, რადგან მეზობელი პროვანსისგან პოლიტიკურად იყო გამოყოფილი, მეზობელი ტურინისაგან კი ფიზიკურად, ალპების ქედის გამო; მისი მოსახლეობა უგულებელყოფდა როგორც იტალიურს, ასევე ფრანგულს და მხოლოდ ადგილობრივ დიალექტზე საუბრობდა; ტენდეს ძნელადსავალი გზა, რომელიც ნიცას პიემონტთან აკავშირებდა, მხოლოდ 1780 წელს გაუმჯობესდა.

ნიცას მეტად მწირი სოფლის მეურნეობა ჰქონდა, საერთოდ არ გააჩნდა ეკონომიკური წარმოება, მაგრამ თავისი ზღვის კლიმატით თანდათან იზიდავდა მდიდარ უცხოელ დამსვენებლებს, განსაკუთრებით ინგლისელებს. მისი მოსახლეობა დაახლოებით 100 000 კაცს უდრიდა და მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი ჰქონდა — ნიცა, 20 000 მცხოვრებით.

საფრანგეთის ჯარებმა გენერალ ანსელმის მეთაურობით, ნიცის საგრაფოს უმეტესი ნაწილი 1792 წლის სექტემბერში დაიკავეს; სარდინიის ჯარი მხოლოდ ტენდეს საგრაფოში დარჩა. გენერალი ხელს უწყობდა საფრანგეთთან შეერთების მსურველთა მოძრაობას და 1792 წლის ნოემბერში გამართული პლებისციტის შედეგების შემდეგ, 1793 წლის 31 იანვარს კონვენტმა ნიცის საგრაფოს საფრანგეთთან შეერთების გადაწყვეტილება მიიღო. ის

საფრანგეთის 85-ე დეპარტამენტი გახდა, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი გახდა ნიცა.

1793 წლის თებერვალში მონაკოს სამთავრო ანექსირებული იქნა საფრანგეთის მიერ და შეყვანილი ზღვისპირა ალპების დეპარტამენტში.

1794 წლის აპრილში მას შემდეგ რაც ფრანგებმა სარდინიის ჯარები უკუაგდეს პიემონტში, ტენდეს საგრაფო საფრანგეთის ზღვისპირა ალპების დეპარტამენტს შეუერთდა.

1805 წლის ივნისში საფრანგეთის მიერ ანექსირებული იქნა ლიგურიის რესპუბლიკა და ამ რესპუბლიკის უმეტესმა ნაწილმა სამი ახალი დეპარტამენტი შეადგინა, ხოლო მისი უკიდურესი დასავლეთი ნაწილი ზღვისპირა ალპების დეპარტამენტში გაერთიანდა და სან-რემოს ოლქი შეადგინა. ამავე დროს, გაუქმდა მონაკოს ოლქი, რადგან იგი ნიცის ოლქში შეეიდა.

ზღვისპირა ალპების დეპარტამენტი ამის მერე სამი ოლქისაგან შედგებოდა : ნიცა, პიუჟე-ტენიერი და სან-რემო.

1814 წლის მაისში საფრანგეთმა სარდინიის სამეფოს ზღვისპირა ალპების დეპარტამენტი დაუბრუნა. ოღონდ მას მონაკოს სამთავროს ტერიტორია ჩამოაჭრა, რომელიც მის მთავარს დაუბრუნა.

ყოფილი გენიუს რესპუბლიკის ტერიტორიაც სარდინიას მიეკუთვნა, რომელმაც მისგან გენუის საინტენდანტო შექმნა მისი უკიდურესი დასავლეთი ნაწილის გამოკლებით, რომელიც ნიცის საინტენდანტოს შეუერთდა.

1793-1815 წლებში შემოღებული ფრანგული ენა ნიცაში და ტინეს დასავლეთ ტერიტორიებზე ეროვნულ ენად გამოცხადდა. მაგრამ სარდინიამ უპირატესობა გენუის პორტს მიანიჭა, ნიცის პორტის საზიანოდ, რითაც ხელი შეუწყო ნიცის საგრაფოს ეკონომიკურ სტაგნაციას.

1858 წლის ივლისში გამართულ შეხვედრაზე სარდინიისათვის დახმარების სანაცვლოდ კაეური ნაპოლეონ III-ს სავოიის გადაცემას დაპირდა, მაგრამ ნიცის ბედი გაურკვეველი დარჩა.

საიდუმლო შეთანხმების მიხედვით (1859 წლის იანვარი) სარდინიის მეფე გამარჯვების შემთხვევაში ვალდებული იყო საფრანგეთისათვის გადაეცა სავოია და ნიცა.

1860 წლის მარტში ავსტრიის წინააღმდეგ ომში საფრანგეთის დახმარების საკომპენსაციოდ სარდინიამ საფრანგეთს ნიცის პროვინცია (სავოიასთან ერთდ) დაუთმო, პლებისციტის გამართვის პირობით. ალპების ქედი სარდინიას დარჩა, ოფიციალურად როგორც მეფე ვიქტორ-ემანუელის სანადირო ტერიტორია, სინამდვილეში სარდინიის გენერალურმა შტაბმა ეს ტერიტორია მეფეს სტრატეგიული მიზნებით მოსთხოვა.

1860 წლის 15 და 16 აპრილს ჩატარებული პლებისციტით დამტკიცდა საფრანგეთისათვის ნიცის მიერთება. მან გრასის ოლქთან ერთად, რომელიც ვარს ჩამოეჭრა, ზღვისპირა ალპების დეპარტამენტი შეადგინა, რომელიც სამი ოლქისაგან შედგებოდა: ნიცა, გრასი და პიუჟე-ტენიე.

1861 წლის თებერვალში მონაკოს მთავარმა საფრანგეთს ქალაქები მენტონა და როკბიიერი დაუბრუნა, რომლებიც ზღვისპირა ალპების დეპარტამენტში გაერთიანდა.

1926 წელს რამდენიმე ოლქის გაუქმებაზე მიღებული დეკრეტის მიხედვით პიუჟე-ტენიეს ოლქი გაუქმდა. ზღვისპირა ალპების დეპარტამენტის შემადგენლობაში ამიერიდან მხოლოდ ორი ოლქი, ნიცა და გრასი შედიოდა.

1947 წლის თებერვალში იტალიამ საფრანგეთს 1860 წელს სარდინიისათვის გადაცემული ტერიტორიები დაუთმო: ტენდი, ლა ბრიგი, ტინესა და ვეზიუბის ქედები. 1947 წლის ოქტომბერში ამ ტერიტორიებზე მონყობილმა პლებისციტმა ეს გადაცემა დაამტკიცა. ისინი ზღვისპირა ალპებში გაერთიანდა.

სერბეთი

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: სერბეთის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ბორის ტადიჩი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი, ნაციონალური ასამბლეა
დედაქალაქი: ბელგრადი.
ადმინისტრაციული დაყოფა 29 ოლქი:
– საკუთრივ სერბეთი (ბელგრადი), 17 ოლქი ქალაქ ბელგრადთან ერთად: ბორი, ბრანიცევო (პაჟაროვეცი), იაბლანიცა (ლესკოვაცი), კოლუმბარა (ვალევო), მაცვა (შაბაცი), მორდვიცა (ჩაჩაკი), ნიშავა (ნიცი), პაცინია (ვრანე), პიროტი, პოდუნავლე (სმედერევო), პომორავლე (იაგოდინა), როჟინა ((კრუშევაცი), რასკა (კრალევო), სუმადია (კრაგუევაცი), ტოპლიცა (პროკუპლე), ზაეჩარი, ზლატიბორი (უჟიცე);
– ვოევოდინა (ნოვი სადი), 7 ოლქი: ცენტრალური ბანატი (ზრენიანინი), ჩრდილოეთი ბაჩკა (სუბოტიცა), ჩრდილოეთი ბანატი (კიკინდა), სამხრეთი ბაჩკა (ნოვი-სადი), სამხრეთი ბანატი (პანჩევო), სირმია (სრემსკა მიტროვიცა), დასავლეთი ბაჩკა (სომბორი);
– კოსოვო-მეტოხია (პრიშტინა), 5 ოლქი: კოსოვო (პრიშტინა), კოსოვო პომორავლე (გნილანე), კოჟოვსკა მიტროვიცა, პეჩი, პრიზრენი.
ფართობი: 102 200 კმ²; მოსახლეობა: 10, 6 მილიონი კაცი, რომელთაგან:
– სერბეთი: 88 400 კმ² (საკუთრივ სერბეთი: 56 000, ვოივოდინა: 21 500, კოსოვო-მეტოხია: 10 900); მოსახლეობა: 10 მილიონი კაცი (საკუთრივ სერბეთში: 5,8 მილიონი კაცი, ვოევოდინაში: 2 მილიონი კაცი, კოსოვო-მეტოხიაში: 2,2 მილიონი კაცი); სიმჭიდროვე: 113 კაცი ერთ კმ²-ზე;
ენები: სერბული; ვოევოდინაში ეროვნული უმცირესობა უნგრულად ლაპარაკობს, ხოლო კოსოვოში ალბანურად.
რელიგიები: მართლმადიდებლობა; კათოლიკური და მუსლიმანური უმცირესობები.
ფულის ერთეული: დინარი სერბეთში; კონვერტირებადი ევრო კოსოვოში.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. სერბეთის მოკლე ისტორიული ნარკვევი

1. სათავეებიდან სერბეთის პირველ დამოუკიდებლობამდე (1180წ.)

ჩვენი წელთაღრიცხვის გარდამტეხ მომენტში, დღეისათვის სერბეთის სახელით ცნობილი ტერიტორია, ყოველ შემთხვევაში, დუნაის სამხრეთით მდებარე მისი ტერიტორიის ძირითადი ნაწილი (ჩრდილოეთ ნაწილთან დაკავშირებით იხ. უნგრეთი), **მეზიის** რომაული პროვინციის ნაწილი იყო, შემდგომში კი ზემო მეზიისა, რომის აღმოსავლეთ იმპერიაში (ბიზანტიის) გაერთიანებამდე.

კავკასიური წარმომავლობის სლავი ხალხი, სერბები, IV საუკუნეში საქსონიაში (ლაუზიცი) დამკვიდრნენ. VII საუკუნეში მათ ეს მხარე დაიპყრეს და იქ რეციის სამთავრო შექმნეს, სადაც (ბიზანტიის სიუზერენიტეტის ქვეშ) X საუკუნემდე დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ. აღნიშნულ ეპოქაში ისინი ბულგარელთა, შემდეგ კი კვლავ ბერძენთა ბატონობის ქვეშ მოექცნენ.

2. პირველი სერბეთი (1180-1459წწ.)

1180 წელს რეციის დიდი ბატონის, სტეფანე ნიემანიას მმართველობის დროს, ეს სამთავრო ბიზანტიისაგან დამოუკიდებელი გახდა. შემდგომში ის გაფართოვდა და კოსოვოს, ზეტასა (1189წ.) და პიროტის რეგიონი მიიერთა. ამგვარად, წარმოიშვა **სერბეთის** სამთავროს სახელწოდება. სტეფანე ნიემანიას უფროსი ვაჟი, პირველად 1217 წელს სტეფანე I-ის სახელით მეფედ ეკურთხა პაპის ლეგატის მიერ, ხოლო მეორედ 1221 წელს მისი უმცროსი ძმის, ბერის, წმინდა სავას მიერ (სერბეთის მომავალი წმინდა მფარველი) და ამჯერად, ბერძნული (მართლმადიდებლური) წესით. 1219 წელს სერბეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია გამოაცხადა (პეჩის საპატრიარქო).

XIII საუკუნეში სერბეთი სამეფო გახდა, ხოლო XIV საუკუნეში სტეფანე დუშანის მეფობის დროს, **სერბეთის დიდ იმპერიად** იქცა. დუშანმა თავისი მმართველობა ჰერცეგოვინაზე, მაკედონიაზე, ეპირზე და თესალიაზე გაავრცელა. ამ ექსპანსიას თან ახლდა სერბეთის კულტურული აღმავლობა, რომელიც მრავალი მონასტრის აგებაში გამოიხატა.

დუშანის გარდაცვალების შემდეგ სერბეთი მრავალ სამთავროდ დაიშალა. 1389 წელს კოსოვის (კოსოვო პოლიე) ბრძოლაში სერბეთის ჯარები თურქებმა დაამარცხეს, რომლებმაც ქვეყანას თავისი მმართველობა მოახვიეს თავს. 1459 წელს თურქეთმა წინააღმდეგობის გამწევი უკანასკნელი სერბული სამთავრო (სმედერევო) დაიპყრეს (ბელგრადის გარდა, რომელიც მხოლოდ 1521 წელს დაეცა), რის შემდეგაც ისინი მრავალი საუკუნის განმავლობაში სერბეთის მოსახლეობაზე (ჩერნოგორიის გარდა) გაბატონდნენ.

3. სერბები ოსმალთა უღლის ქვეშ (1459-1789წწ)

დიდი ხნის მანძილზე თურქები, რომლებიც გამარჯვებებით გზას ჩრდილოეთისკენ იკვალავდნენ (ხორვატია, უნგრეთი, ტრანსილვანია და სხვ.), ძალზე დიდ ძალას წარმოადგენდნენ იმისათვის, რომ სერბებს მათგან განთავისუფლება ეცადათ. თუმცა უკვე XVI საუკუნის მიწურულიდან სერბები დროდადრო აჯანყებების მოწყობას ცდილობდნენ. თურქების მიერ ვენის მეორე ალყის შემდეგ (1683წ.), ავსტრიამ ტერიტორიების ხელახალი დაპყრობის ხანგრძლივი მოძრაობა დაიწყო, 1688 წელს მან ბელგრადი დაიპყრო, შემდეგ კი ძველი სერბეთისკენ (კოსოვო) გაემართა, რასაც თურქების წინააღმდეგ სერბების აჯანყება მოჰყვა. თუმცა თურქების კონტრშეტევამ ავსტრიის ჯარებს ჩრდილოეთისკენ დახევა აიძულა. ამ დროს, ათი ათასობით კაცისგან შემდგარმა სერბულმა კოლონიამ, სერბეთის პატრიარქით სათავეში, თავი შეაფარა ძველ სერბეთს სლავონიაში, კარლოვაცისა (სადაც პატრიარქი განლაგდა) და ნეუზაცის გარშემო და სირმიასა და ბანატს.

1717 წელს ავსტრიელთა ახალი შეტევის შემდეგ, მთავარმა იოჰანმა ბელგრადი ხელახლა დაიპყრო. 1718 წელს პაუროვეცის სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, ავსტრიელებმა თავიანთ სამფლობელოებს სერბეთის ჩრდილოეთი (მცირე ვლახეთთან ერთად) მიუერთეს. თუმცა **სებეთის ავსტრიული სამეფოს** არსებობა ხანმოკლე აღმოჩნდა. ახალი ომის შემდეგ, 1739 წლის ბელგრადის სამშვიდობო ხელშეკრულებით, ეს სამეფო კვლავ თურქეთს გადაეცა.

II. სერბეთი 1789 წელს

1739 წლიდან სერბეთი ოფიციალურად აღარ არსებობდა. ამავე დროს, ოსმალთა იმპერიაში სერბეთის გეოგრაფიული რეგიონი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა სერბებისგან შედგებოდა, დუნაის სამხრეთით იყო გადაჭიმული, დუნაის შენაკადის მორავის აუზზე. ეს იყო მთიანი რეგიონი, კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობით, მაგრამ ნაკლებად ურბანიზებული: ბელგრადი და სმედერევო დუნაიზე.

ოსმალთა იმპერიის გარეთ, 1690-1694 წლებიდან სერბული კოლონიები არსებობდნენ, რომლებიც ავსტრიის სამხედრო ზონის საზღვრებთან ხორვატიაში, სლავონიაში, სირმიასა და ბანატში იყვნენ დასახლებული.

III. 1789 წლიდან სერბეთის დამოუკიდებლობამდე (1878წ.)

1. 1789 წლიდან პორტის ვასალის, სერბეთის სამთავროს შექმნამდე (1830წ.)

ევროპის რეგიონებისგან მოშორებით მყოფ სერბეთს ნაკლებად შეეხო იქ მომხდარი რევოლუციური გადატრიალებებისა და ნაპოლეონის მმართველობის ხანა.

1801 წელს პორტის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებული იანიჩარების მიერ ბელგრადის ფაშას მკვლელობის შემდეგ, ბელგრადის ფაშალიკში ანარქია სუფევდა. აჯანყებულმა იანიჩარებმა იქ ტერორი დაამყარეს. 1804 წლის 2 თებერვალს ღორების ვაჭრის, "შავი გიორგის" იგივე ყარაგიორგის მეთაურობით, სერბები აჯანყდნენ.

1806 წლის 30 ნოემბერს ბელგრადის აღებამ აჯანყების სრული გამარჯვება აჩვენა. **ყარაგიორგიმ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და იგი სერბეთის მთავარი გახდა. სერბეთი ბელგრადის ფაშალიკსა და ნოვი პაზარის, კრუშევაცისა და ვიდინის ექვს ოლქს (ბელგრადის ფაშილაკის მოსაზღვრე) მოიცავდა.**

ამ დროს რუსეთმა მოლდოვისა და ვლახეთის სამთავროების გამო თურქეთთან ომი დაიწყო. რუსეთის იმპერატორმა მაშინვე დაუჭირა მხარი სერბების აჯანყებას. 1807 წლის იელისში ყარაგიორგიმ რუსეთთან შეთანხმებას მოაწერა ხელი, რომლის საფუძველზე სამთავრო ამ უკანასკნელის **პროტექტორატის ქვეშ უნდა მოქცეულიყო.**

1812 წლის მაისში რუსეთმა თურქეთთან ბუქარესტის სამშვიდობო ხელშეკრულება დადო, რის შემდეგაც სერბები ბედის ანაბარად იქნენ მიტოვებულნი. 1813 წლის ოქტომბერში **თურქეთმა თავისი მმართველობა აღადგინა სერბეთზე,** რასაც ყარაგიორგის გაქცევა მოჰყვა.

1815 წელს ფაშას მიერ ჩატარებული ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, სერბეთი კვლავ აჯანყდა. 11 აპრილს მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ასევე ღორების ვაჭარი, მთავარი (კნიაზი) მილოშ ობრენოვიჩი. ივლისის თვიდან ბელგრადის ფაშალიკი აჯანყებამ მოიცვა.

1815 წლის ნოემბერში ბელგრადის ფაშამ მილოშ ობრენოვიჩი სერბთა უმაღლეს მთავრად აღიარა სულთანის სიუზერენობის ქვეშ. მილოშ ობრენოვიჩის ძალაუფლება **ბელგრადის ფაშალიკით შემოიფარგლა** (24 000კმ²), რის შედეგადაც იგი მხოლოდ ბელგრადის ფაშას თანაშემწე გახდა.

1817 წლის ნოემბერში სერბეთის კრებამ მილოშ ობრენოვიჩი მემკვიდრეობით მთავრად აღიარა, მაგრამ სულთანი ამ გადაწყვეტილებას არ დასთანხმდა.

1826 წლის ოქტომბრის აკერმანის (ბელგოროდი) შეთანხმებით, პორტამ რუსეთისთვის სერბეთის საქმეებში ჩარევის უფლება აღიარა.

1828 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ანდრიანოპოლის (ედირნე) სამშვიდობო ხელშეკრულებით (1829 წლის სექტემბერი) სერბეთის ავტონომია იქნა დამტკიცებული.

1830 წლის 12 დეკემბერს სულთანმა მილოშ ობრენოვიჩი სერბეთის მემკვიდრე მთავრად აღიარა. **სერბეთი პორტის მოხარკე სამთავრო გახდა.** ბელგრადის ფაშა, რომელსაც თავისი გარნიზონები შვიდ ციხე-სიმაგრეში (მათ შორის ბელგრადის) შეუნარჩუნდა, სამთავროს შიდა საქმეებში აღარ უნდა ჩარეულიყო. დაპირების თანახმად, სამთავრო ყარაგიორგის დროინდელ საზღვრებში უნდა აღდგენილიყო.

2. 1830 წლიდან სერბეთის დამოუკიდებლობამდე (1878წ.)

აღნიშნული დროიდან, ძლიერ სახელმწიფოთა მიერ სერბეთის რეალურ სახელმწიფოდ აღიარებას (მიუხედავად იმისა, რომ ის თურქეთის ვასალად რჩებო-

და), რეგიონის საქმეებში მისი როლის გაზრდა მოჰყვა. სერბეთმა ნამყვანი ადგილი დაიკავა ავსტრიასა და რუსეთს შორის გავლენისთვის ბრძოლაში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე პოლიტიკური და ეკონომიკური კონტროლის დასაწესებლად. ამავე დროს, ობრენოვიჩებისა და ყარაგეორგის შთამომავალთა ტახტზე მონაცვლეობამ ქვეყანა დაასუსტა, რაც ჩვეულებისამებრ, დრამატულად ხდებოდა.

ფაშების თავშეკავების გამო მეზობელი ექვსი ოლქის გადაცემასთან დაკავშირებით, მილოშ ობრენოვიჩმა ეს ოლქები თავად დაიკავა. 1833 წლის მაისში **პორტამ ამ ექვს ოლქზე სერბეთის უფლებები აღიარა.** სერბეთის ტერიტორია 24 000-დან 37 000კმ²-მდე იქნა გაზრდილი, ხოლო მისმა მოსახლეობამ დაახლოებით 700 000 მიაღწია. სერბეთის დედაქალაქი ბელგრადი იყო, მაგრამ მთავრის რეზიდენცია კრაგუევაცში იყო განლაგებული. ქვეყანა 17 ოლქად იქნა დაყოფილი: ბელგრადი, ალექსინაცი, შაბაცი, კრაეევაცი, კრაგუევაცი, კრაინა, კრუშევაცი, უშჩე, პოდრინე, პოჟარევაცი, რუდნიკი, სმედერევო, ჩაჩაკი, ჩუპრია, ჩერნარკა, ვალევო, იაგოდინა.

1839 წლის ივნისში მთავარი მილოში ტახტიდან გადადგა, რომელიც ჯერ მისმა უფროსმა ვაჟმა მილანმა, შემდეგ კი უმცროსმა ვაჟმა მიხეილმა დაიკავა. 1842 წელს ეს უკანასკნელი ტახტიდან ძალით იქნა ჩამოგდებული, რის შემდეგაც ეროვნულმა კრებამ (სკუპჩინა) ყარაგიორგის ვაჟი, მთავარი ალექსანდრე აიყვანა ტახტზე. ამ უკანასკნელმა ქვეყანაში თანამედროვე საჯარო ინსტიტუტების შემოღება სცადა (კანონები, ადმინისტრაცია, სკოლები და უნივერსიტეტები, არმია).

1858 წლის დეკემბერში ძალისმიერმა გადატრიალებამ მთავარ ალექსანდრეს გაქცევა აიძულა. იგი ტახტზე ყოფილმა მთავარმა მილოშ ობრენოვიჩმა შეცვალა, ხოლო მილოშის გარდაცვალების შემდეგ (1860 წლის სექტემბერი), ტახტი მისმა ვაჟმა, მიხეილმა დაიკავა. 1868 წელს მიხეილი მოკლულ იქნა, ხოლო მთავრის ტახტი მისი ბიძაშვილის, მილან IV-ის ხელში გადავიდა.

1867 წლის აპრილში ბელგრადში მომხდარი 1862 წლის ინციდენტის შემდეგ, ძლიერ სახელმწიფოთა ჩარევითა და ხანგრძლივ მოლაპარაკებათა შედეგად, პორტამ შვიდი სერბული ციხე-სიმაგრე დატოვა.

1875 წელს ბოსნია-ჰერცეგოვინაში თურქეთის წინააღმდეგ მომხდარ აჯანყებას, მასში სერბეთისა და ჩერნოგორიის მონაწილეობაც მოჰყვა. თურქეთის მიერ ამ უკანასკნელთა დამარცხების შემდეგ, რუსეთი ომში ჩაება (1877 წლის აპრილი) და თავის მხრივ, თურქეთი (ალევნას აღება 1877 წლის დეკემბერში) დაამარცხა.

რუსეთის სტამბოლისკენ წასვლის პერსპექტივამ თურქეთს სამშვიდობო ხელშეკრულების მოთხოვნა აიძულა, რომელიც 1878 წლის 3 მარტს სან-სტეფანოში იქნა დადებული.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულება დიდი დამოუკიდებელი ბულგარეთის შექმნას ითვალისწინებდა, ოხრიდის ტბიდან შავი ზღვის ნაპირებამდე, რუმინეთისა და ჩერნოგორიის ტერიტორიის გაზრდასა და **სერბეთის უმნიშვნელო გაფართოებას ნიშის რეგიონამდე.**

დიდი ბრიტანეთისა და ავსტრიის აზრით, სან-სტეფანოს ხელშეკრულება ბალკანეთზე წონაწორობას არღვევდა რუსეთისა და მისი პროტეჟეს, ბულგარეთის სასარგებლოდ. კანცლერმა ბისმარკმა ბერლინში ძლიერ სახელმწიფოთა კონგრესი მოიწვია, რომელზეც 1878 წლის 13 ივლისს ახალი ხელშეკრულება იქნა წარმოდგენილი.

სან-სტეფანოს ხელშეკრულებით, დიდი ბულგარეთი სამ ნაწილად დაიყო (ბულგარეთის ვასალი სამთავრო, თურქეთში შემავალი ავტონომიური აღმოსავლეთი რუმელია, თურქეთისთვის დატოვებული მაკედონია). ამავე დროს, სერბეთის ტერიტორია სან-სტეფანოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე **მეტად იქნა გაზრდილი: სერბეთმა თურქეთისგან პიროტის, ნიშის, ტოპლიცისა და ვრანეს ოლქები მიიღო,** რის შედეგადაც მისი ოლქების რაოდენობამ 21-ს მიაღწია, 48 000კმ² ფართობითა და დაახლოებით 1,8 მილიონი კაცი მოსახლეობით.

ზემოაღნიშნულის გარდა, **სერბეთის სამთავრო დამოუკიდებელი გახდა** და პორტასთან ყოველგვარი კავშირი განყვიტა. ძლიერმა სახელმწიფოებმა სერბე-

თის დამოუკიდებლობა აღიარეს. თუმცა ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინისა და ნოვი პაზარის სანჯაყის ოკუპაციამ სერბეთის გაფართოება შეაჩერა, რომელსაც ოსმალეთის ამ პროვინციების ხელში ჩაგდება სურდა.

და ბოლოს, დუნაის კალაპოტში (რკინის კარები) სერბეთსა და რუმინეთს შორის მდებარე ადა-კალეს პატარა კუნძული (ნოვი ორშოვას ფორტი) არც ერთ ამ ორ სამთავროს არ გადაეცა. ეს პატარა კუნძული ხელშეკრულებაში გამორჩათ და ამიტომაც, ის თურქეთს შეუნარჩუნდა.

IV. სერბეთის სამთავრო, მოგვიანებით სამეფო (1878-1918წწ.)

1. 1878 წლიდან ბალკანეთის მეორე ომის დასასრულამდე (1913წ.)

1881 წლის 28 ივნისს სერბეთმა ავსტრია-უნგრეთთან საიდუმლო პოლიტიკური ალიანსის შეთანხმებას მოაწერა ხელი. ამ შეთახმებას ასევე დაემატა სავაჭრო და ბელგრადი-სალონიკის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის შეთანხმებები. სერბეთი ავსტრია-უნგრეთისკენ გადაჭრით შემობრუნდა, რადგან ის გულაცრუებული იყო ბულგარეთისთვის რუსეთის უპირატესი მხარდაჭერით.

1882 წლის 6 მარტს მთავარი მილანი ავსტრიისა და ძლიერ სახელმწიფოთა მხარდაჭერით **სერბეთის მეფე, მილან I გახდა.** ქვეყანა **სერბეთის სამეფოს** რანგში იქნა აყვანილი.

ბულგარეთთან არსებულმა ბევრმა სასაზღვრო პრობლემამ და ავსტრია-უნგრეთის მხარდაჭერამ, რომელიც უკმაყოფილო იყო ბულგარეთის მიერ აღმოსავლეთი რუმელიის ანექსიით, მეფე მილანს ამ უკანასკნელთან ომის დაწყებისკენ უბიძგა 1885 წლის ნოემბერში.

ბულგარელების გამარჯვების შემდეგ, 1886 წლის 8 მარტს ხელი მოეწერა ბუქარესტის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელმაც სერბეთსა და ბულგარეთს შორის statu quo ante bellum აღადგინა.

ბულგარეთის წინააღმდეგ გამაროულმა ავბედითმა ომმა, შემდეგ კი სამეფო ოჯახში არსებულმა შიდა უთანხმოებებმა საზოგადოებრივ აზრში ამ უკანასკნელის დისკრედიტაცია გამოიწვია. 1888 წელს კენჭი ეყარა აშკარა საპარლამენტო ხასიათის მქონე კონსტიტუციას, რომელიც მეფის უფლებამოსილებებს ზღუდავდა. 1889 წლის თებერვალში მეფე მილანი ტახტიდან გადადგა, 6 მარტს მილანის ვაჟი, ალექსანდრე I მეფედ იქნა გამოცხადებული.

სამეფო ოჯახში უთანხმოებები გრძელდებოდა (მეფე მილანი ბელგრადში დაბრუნდა და თავის ვაჟს სამეფო კვერთხს ედავებოდა). სკანდალის დასასრულებლად ჯარმა ჩარევა გადაწყვიტა. 1903 წლის 29 მაისს მეფე ალექსანდრე სამხედროების მიერ იქნა მოკლული. 15 ივნისს ყოფილი მთავრის, ალექსანდრე ყარაგიორგევიჩის ვაჟი, პეტრე ყარაგეორგიევიჩი სერბეთის მეფე, პეტრე I გახდა. მისმა პოლიტიკამ რუსოფილური და ავსტროფობული ორიენტაცია მიიღო.

თურქეთის დასუსტებამ რეგიონის სახელმწიფოთა მადა გააღვივა. ევროპული ნადავლის გასაყოფად (1912 წლის მარტი-ოქტომბერი) საბერძნეთს, ბულგარეთს, სერბეთსა და ჩერნოგორიას შორის ბალკანური ლიგა შეიქმნა.

1912 წლის 8 ოქტომბერს თურქეთთან დაწყებული კონფლიქტი გამანადგურებელი აღმოჩნდა ამ უკანასკნელისთვის. 1913 წლის 30 მაისის ლონდონის ხელშეკრულებით, თურქეთს უნდა დაეთმო კრეტა და ენოს-მიდიის ზოლის დასავლეთით მდებარე მთელი ტერიტორია. მან ევროპაში მხოლოდ სტამბოლი და ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების მომიჯნავე რეგიონი შეინარჩუნა.

30 ივნისს ბულგარეთი, რომელიც ამაოდ ითხოვდა ომში თავისი ძალისხმევის სანაცვლოდ მაკედონიას, მოულოდნელად თავს დაესხა მოკავშირეებს. 31 ივლისს ბულგარეთი სერბებთან, ბერძნებთან და თურქებთან (თურქეთმა ამით ისარგებლა ედირნეს დასაბრუნებლად) ბრძოლაში დამარცხდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბულგარეთს ომის შედეგების გადატანა მოუხდა.

1913 წლის 1 აგვისტოს ბუქარესტში სამშვიდობო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. ბულგარეთმა მხოლოდ აღმოსავლეთი მაკედონიის მცირედი ნაწილი (ე.წ.

პირინი) და დასავლეთი თრაკია მიიღო. მაკედონიის დარჩენილი ნაწილი გაყოფილ იქნა საბერძნეთსა (სამხრეთი ნაწილი მიიერთა ფლორინით, ედესით, სალონიკითა და კავალით) და **სერბეთს შორის** (მას ჩრდილოეთი და ცენტრალური ნაწილი ერგო სკოპიეს, ველეშტას, ოხრიდსა და მონასტირთან ერთად). ამას გარდა, **სერბეთს კოსოვო და მეტოხიის** (პრიზრენი) **ნაწილი გადაეცა,** რომელიც ჩერნოგორიასთან იქნა განანილებული. მან ასევე **ნოვი პაზარის სანჯაყის** (ქალაქთან ერთად) ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მიიერთა. ეს სანჯაყიც ჩერნოგორიასთან იქნა განანილებული. ამავე დროს, იტალიისა და ავსტრია-უნგრეთის დაუინებული მოთხოვნით, ძლიერმა სახელმწიფოებმა 29 ივლისს ალბანეთის სუვერენულ სამთავროდ გარდაქმნის გადაწყვეტილება მიიღეს. სერბეთს, რომელსაც ჩრდილოეთი ალბანეთი ჰქონდა ოკუპირებული, მეორეჯერ ეთქვა უარი ადრიატიკის ზღვაზე გასასვლელის მიღებაზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, სერბეთმა თავისი ფართობის გაორმაგება (86 000 კმ²) შეძლო, მისი მოსახლეობა კი 1,2 მილიონი კაცით გაიზარდა.

2. 1913 წლიდან სამხრეთი სლავების სამეფოში გაერთიანებამდე (1918წ.)

ზემოაღნიშნული ომის დასრულებისთანავე ევროპის საზოგადოებრივ აზრში არსებობდა იმის შეგრძნება, რომ ეს მხოლოდ პირველი ეტაპი იყო და რომ ბალკანეთში გამოვლენილი ანტაგონისტური ამბიციები ახალი კონფლიქტის დანყებას მოასწავებდა. ავსტრია – უნგრეთის მიერ დამცირებული სერბეთის მეფე პეტრე I (წარსულში ფრანგული ჯარის ოფიცერი) მხოლოდ რევანშზე ფიქრობდა. იგი ანტანტის (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი) ძლიერ სახელმწიფოებს დაუახლოვდა.

1914 წლის 28 ივნისს სარაევოში ავსტრიის ტახტის მემკვიდრე, ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი მოკლეს. 28 ივლისს მკვლელობიდან ერთი თვის შემდეგ, ავსტრია-უნგრეთმა, რომელიც მომხდარში სერბეთის ხელისუფლებას ადანაშაულებდა, სერბეთს ომი გამოუცხადა. სულ მალე საომარი მდგომარეობა ყველა ძლიერმა ევროპულმა ქვეყანამ გამოაცხადა.

1915 წლის ოქტომბრიდან გერმანელთა, ავსტრიელთა და ბულგარელთა სამხედრო ძალების შეტევის შედეგად სერბეთი დამარცხდა. 1916 წლის იანვრიდან მეფემ, მთავრობამ და ჯარმა კერკირას შეაფარეს თავი. სერბეთი ცენტრალური იმპერიების მიერ იქნა ოკუპირებული, მისი არმიის დარჩენილი ნაწილი კი ბრძოლის გასაგრძელებლად აღმოსავლეთის ფრონტს (სალონიკი) შეუერთდა.

ომის მსელელობის პროცესშივე, ანტანტის ძლიერმა სახელმწიფოებმა, გამარჯვების შემთხვევაში, ავსტრია-უნგრეთის დამლაზე დაინყეს ფიქრი. ავსტრია-უნგრეთი ძლიერი ტრადიციული კათოლიკური სახელმწიფო იყო, რომელიც თავისი შემადგენლობით დაბრკოლებას უქმნიდა ერების პრინციპზე დამყარებულ პოლიტიკურ გადანანილებას.

ამგვარი პერსპექტივით მოკავშირეებმა ხელი შეუნყვეს ზოგიერთების იმედებს სამხრეთი სლავების გაერთიანებასთან დაკავშირებით (სლოვენები, ხორვატები და სერბები). ეს გაერთიანება (ისტორიის, რელიგიის, კულტურის განსხვავებიდან გამომდინარე) იუგოსლავიის სახელმწიფოს შექმნით უნდა დამთავრეულიყო, რომელიც ევროპის ამ ნანილში გერმანიის ჰეგემონიას დაასრულებდა.

იუგოსლავიის შექმნის საქმეში პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი 1917 წლის 11 ივლისს გადაიდგა კერკირას პაქტის ხელმონერით სერბეთის საბჭოს თავჯდომარის პიშტიჩსა და სპლიტის ყოფილ მერს, ტრუმბიჩს შორის. ამ პაქტში აღნიშნული იყო, რომ სერბები, ხორვატები და სლოვენები ერთი ხალხი იყო, რომელიც ომის დასასრულს ყარაგეორგიევიჩის სკიპტრის ქვეშ უნდა გაერთიანებულიყო. თუმცა ტრუმბიჩი მხოლოდ ხორვატულ ემიგრაციას ნარმოადგენდა.

1918 წლის აპრილში რომში ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში შემავალი ერების კონგრესი ჩატარდა, რომელზეც სერბული დინასტიის ქვეშ სამხრეთი სლავების სახელმწიფოს შექმნა გადაწყდა.

3 ივნისს მოკავშირეები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე თავს იკავებდნენ ავსტრია-უნგრეთის დეზინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით, ერთობლივი დეკლარაციით გამოვიდნენ (ლოიდ ჯორჯი, კლემანსო) "თავიანთ სიმპათიებთან დაკავშირებით ჩეხებისა და იუგოსლაველების თავისუფლებისკენ სწრაფვის მიმართ."

29 ოქტომბერს ზაგრების დიეტმა ხორვატია-სლავონიის სამეფოს დამოუკიდებლობა და სამხრეთი სლავების მომავალ სამეფოსთან მისი გაერთიანება გამოაცხადა.

13 ნოემბერს პოდგორიცაში შეკრებილმა ჩერნოგორიის კრებამ ხმა მისცა მეფე ნიკოლაის გადაყენებასა და მომავალ იუგოსლავიის სამეფოსთან გაერთიანებას.

ზემოაღნიშნული მოვლენები მეტწილად თავად სერბეთის რეგენტ ალექსანდრეს მიერ იყო ინსპირირებული. 1918 წლის 1 დეკემბერს მან **სერბების, ხორვატებისა და სლოვენების** (სხს) სამეფოს შექმნა გამოაცხადა, რომლის მიზანიც მისი ტახტის გარშემო სამხრეთი სლავების გაერთიანება იყო. ახალი სამეფო სერბეთის, ჩერნოგორიის, ხორვატია-სლავონიის, სლოვენიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის საფუძველზე შეიქმნა.

სერბეთი მთლიანად იქნა შეყვანილი ამ სამეფოში. ის ამ სამეფოს მთავარი პროვინცია გახდა, რომელიც 1919 წელს ნოემბერში მცირეოდენად გაიზარდა ბულგარეთის პატარა ტერიტორიების შემოერთებით იმგვარად, რომ მისმა ფართობმა 95 700 $км^2$-ს მიაღწია.

V. ახალი იუგოსლავია (1918-1941 წწ.)

1. სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფო (1918-1929 წწ.)

დასადგენი რჩებოდა ახლად შექმნილი სამეფოს საზღვრები. ნოემბრის თვიდან იტალიელებმა გორიციის, ტრიესტის, ისტრიისა და დასავლეთი კრაინას სამხედრო ოკუპაცია განახორციელეს. ისინი მოითხოვდნენ ლონდონის ხელშეკრულებით (1915 წლის აპრილი) მოკავშირეთა მიერ დაპირებულ ტრიესტს, ისტრიასა და ჩრდილოეთ დალმაციას, ისევე როგორც რიეკასა (იტ. ფიუმე) და მის მიმდებარე ტერიტორიას.

1919 წლის გაზაფხულზე პარიზში კონფერენციების ჩასატარებლად გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მათ დამარცხებული ქვეყნებისთვის სამშვიდობო ხელშეკრულებები უნდა წარედგინათ და განესაზღვრათ ომის შედეგებიდან გამომდინარე ტერიტორიული ცვლილებები.

მრავალ შეთანხმებათა დადების პროცესში თანდათან ზუსტდებოდა სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფოს (სხს) საზღვრები.

1919 წლის 10 სექტემბრის სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით, ავსტრიამ ყოფილი სიზლაიტანიის სახელით **სხს-ს სამეფოს დაუთმო:**

– **შტირიის სამხრეთი მესამედი** (მიურის სამხრეთით) **მარიბორთან ერთად, მაგრამ რადკერსბურგის გარეშე;**

– **კრაინა** თითქმის მთლიანად, მაგრამ მისი დასავლეთი ნაწილი სადავო გახდა იტალიასა და სხს-ს სამეფოს შორის; ამავე დროს, კრაინას ფრაგმენტი (ვაისენფელსი, ფიუზინე), სავას სათავესთან იტალიას გადაეცა;

– **მიესტალი,** კარინთიის აღმოსავლეთი ნაწილი ((გერ. დრაობურგი) დრავოგრადის რეგიონი), ამას გარდა, კარინთიასა და კრაინას გამყოფი ქედის სამხრეთ ზოლზე მდებარე კარინთიის კიდევ ერთი ფრაგმენტი;

– **სამხრეთი დალმაცია** და მასში შემავალი კუნძულები;

– ბოსნია-ჰერცეგოვინაზე ავსტრია-უნგრეთის კონდომინიუმის თავისი ნაწილი;

– **უარი თქვა დასავლეთ კრაინაზე, ისტრიასა და ჩრდილოეთ დალმაციაზე,** რომელიც იტალიასა და სხს-ს სამეფოს შორის დავის საგანი იყო;

– დროებით შეინარჩუნა კლაგენფიურტის აუზი (კარინთიის სამხრეთ-აღმოსავლეთი მეოთხედი), მაგრამ 1920 წელს იქ პლებისციტი უნდა ჩატარებულიყო,

რომელსაც მოსახლეობისთვის (გერმანელები და ვენდები) არჩევანის გაკეთების საშუალება უნდა მიეცა ავსტრიასა და სხს-ს სამეფოს შორის.

1919 წლის 27 ნოემბრის ნეილის ხელშეკრულებით, **ბულგარეთმა სხს-ს სამეფოს ტიმაკის** (ქვემო დინების მარჯვენა ნაპირი), **ცარიბროდის, ბოსილეგრადისა** (ზემო სტრუმაზე) **და სტრუმიცას რკალი** (მაკედონია) **დაუთმო.**

1920 წლის 4 ივნისის ტრიანონის ხელშეკრულებით, **უნგრეთმა ყოფილი ტრანსლაიტანიის სახელით სხს-ს სამეფოს დაუთმო:**

– ხორვატია-სლავონიის სამეფო;

– საკუთრივ უნგრეთის ტერიტორიები, კერძოდ:

– **აიზენბურგის** (ვაცი) მედიეს **სამხრეთი ფრაგმენტი,** რომელსაც **პრეკომურიესაც** უწოდებდნენ, და სლოვენებით იყო დასახლებული;

– **ზალას** მედიეს **ნაწილი,** რომელსაც **მეჯიმურიესაც** უწოდებდნენ, და ხორვატებით იყო დასახლებული;

– მდინარე დრავას ჩრდილოეთით მდებარე **სომოდის** მედიეს **ორი ფრაგმენტი** (ზდალა და გოლა);

– **ბარანიას** მედიეს **სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე** (დრავასა და დუნაის შორის მდებარე რკალი);

– დუნაისა და ტისას შორის მდებარე **ბაჩ-ბოდროგის (ბაჩკა-ტოპოლა)** მედიეს ძირითადი ნაწილი (უნგრეთს ამ მედიეს მხოლოდ ჩრდილოეთი მეხუთედი დარჩა);

– **ბანატის დასავლეთი მესამედი,** ე. ი. ტორონტალის მედიეს სამხრეთი ნახევარი და ტემეშის მედიეს სამხრეთი მეოთხედი;

– **ბოსნია-ჰერცეგოვინაზე** თავისი კონდომინიუმის ნაწილი;

– **უარი თქვა ქალაქ რიეკაზე (იტ. ფიუმე) და მის ტერიტორიაზე,** რომელიც დავის საგანი იყო იტალიასა და სხს-ს სამეფოს შორის. 1919 წლიდან ქალაქი რიეკა პოეტმა დანუნციომ და მისმა მომხრეებმა (arditi) დაიკავეს. დანუნციომ იქ კვარნერის (იტალიურად კარნერო, ადრიატიკის ზღვის ყურე, რომლის სიღრმეშიც ქალაქი რიეკა მდებარეობს) იტალიური რეგენტობა გამოაცხადა.

კარინთიაში პლებისციტის ჩატერების მიზნით კლაგენფიურტის აუზი მოკავშირეთა მიერ ორად იქნა გაყოფილი: ზონა I (ბლაიბურგი, ფიოკლემარკტი) და ზონა II პირველი ზონის ჩრდილოეთით.

1920 წლის 10 ოქტომბერს ზონა I-ში ჩატარებული პლებისციტით, უმრავლესობამ (60%) ავსტრიასთან დარჩენას მისცა ხმა. მოკავშირეებმა ავსტრიისთვის კლაგენფიურტის აუზის (მთლიანად) დატოვება გადაწყვიტეს.

1920 წლის 20 ნოემბერს მძიმე მოლაპარაკებების შედეგად, იტალიასა და სხს-ს სამეფოს შორის რაპალოს ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რომლის თანახმად:

– იტალიას გადაეცა დასავლეთი კრაინა (იდრიით და პოსტოინით), ისტრია მთლიანად, კრესის, ლუსინოს, ლასტოვოსა და პალაგრუჟას კუნძულები, ისევე როგორც ქალაქი ზადარი მასთან უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიებით ანკლავის სახით;

– ქალაქი რიეკა სუჩაკის სლავური გარეუბნითა და ვოლოსკასთან დამაკავშირებელი ზოლით თავისუფალი ქალაქი გახდა ერთა ლიგის კონტროლქვეშ. ჯოლიტის იტალიურმა მთავრობამ 1920 წლის დეკემბერში დანუნციო რიეკადან გააძევა.

ამგვარად, სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფომ (დედაქალაქი ბელგრადი), თითქმის საბოლოო ფართობს მიაღწია (ამას გარდა, მისი ტერიტორია მცირედიდ იქნა გაზრდილი 1922–1924 წლებში). აღნიშნული დროისათვის სხს-ის სამეფოს ფართობმა 249 000კმ² შეადგინა, მოსახლეობამ კი 12 მილიონ კაცს მიაღწია.

სხს-ის სამეფო იმ პროვინციებისგან შედგებოდა, რომელიც ისტორიულ საფუძველზე დამყარებულ გეოგრაფიულ ერთეულებს წარმოადგენდა, რომელთა საბოლოო ადმინისტრაციული დაყოფა არ იყო დასრულებული:

– სერბეთი: 95 700კმ² და 4 100 000 მცხოვრები; სერბეთის ყოფილი სამეფო და ბულგარეთის მიერ დათმობილი ტერიტორიები;

– ჩერნოგორია: 9 700კმ² და 200 000 მცხოვრები; ყოფილი სამეფო;

– ბოსნია-ჰერცეგოვინა: 51 200კმ² და 1 900 000 მცხოვრები; ავსტრია-უნგრეთის ყოფილი კონდომინიუმი;

– ხორვატია-სლავონია: 43 200კმ² და 2 700 000 მცხოვრები; ყოფილი სამეფო და შომოდისა და მეჯიმურიეს ფრაგმენტები;

– დალმაცია: 13 200კმ² და 600 000 მცხოვრები; ავსტრიის ყოფილი დალმაციის პროვინცია, იტალიისთვის გადაცემული ზადარისა და კუნძულების გამოკლებით;

– კრაინა და კარინთია: 16 200კმ² და 1 100 000 მცხოვრები; ძველი კრაინა (დასავლეთი ნაწილის გარდა), კარინთიის ფრაგმენტები, შტირიის მესამედი და პრეკომურიე;

– ბანატი: 9 800კმ² და 600 000 მცხოვრები;

– ბაჩკა: 9 900კმ² და 800 000 მცხოვრები; ბაჩკა და ბარანია.

თუკი ამ ქვეყანამ თავისი საზღვრების საბოლოო დადგენას მიაღწია, ქვეყნის ერთიანობის საკითხი მოსაგვარებელი რჩებოდა. სერბეთში შემავალი ხალხები დიდი ხნის განმავლობაში განცალკევებით ცხოვრობდნენ, რის შედეგადაც მათ შორის ადათ-წესების, რელიგიებისა და კულტურათა განსხვავება არსებობდა.

1921 წლიდან სხს-ის სამეფო ჩეხოსლოვაკიასთან და რუმინეთთან ერთად მცირე ანტანტის შემადგენლობაში შევიდა, რომელიც საფრანგეთის მხარდაჭერით შექმნილ პოლიტიკურ და სამხედრო ალიანსს წარმოადგენდა (დამარცხებული ქვეყნების რევანშისთვის მოსამზადებლად).

ამავე დროს, 1921 წლის აგვისტოში ასაკოვანი მეფე, პეტრე I გარდაიცვალა, რომელიც ტახტზე მისმა ვაჟმა, პრინცმა რეგენტმა ალექსანდრემ შეცვალა, ალექსანდრე I-ის სახელით.

სამეფოს დამფუძნებელი კრების შიგნით ძალიან მალე, თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ ცენტრალიზმის მომხრეებსა, რომელთაც სათავეში სერბი პაშიჩი ედგა და ფედერალიზმის მომხრეებს შორის, ხორვატი რადიჩით სათავეში.

ამ განსხვავებების გამო, რადიჩის ხორვატულმა გლეხთა პარტიამ დებატებზე უარი თქვა და გზა გაუხსნა ცენტრისტული კონსტიტუციის მიღებას ე. წ. ვიდოვ-დანს, რომელსაც 1921 წლის 28 ივნისს ეყარა კენჭი. ეს კოსტიტუცია ხორვატებმა მაშინვე არ აღიარეს.

კონსტიტუციის თანახმად, სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფო ცენტრისტული საპარლამენტო მონარქია გახდა. ამ დროიდან, მიუხედავად ისტორიული პროვინციების დატოვებისა, ქვეყნის რეალურ ადმინისტრაციულ საფუძველს 33 რეგიონი წარმოადგენდა.

1922 წელს კოტორის ყურე გამოყოფილ იქნა დალმაციის პროვინციისგან და ის ჩერნოგორიასთან იქნა მიერთებული.

1922 წლის 6 დეკემბერს ელჩთა კონფერენციაზე გადაწყდა **სხს-ის სამეფოსთვის ალბანეთის მიერ წმინდა-ნაუმის მონასტრისა** (ოხრიდსა და პრესპას შორის) **და მირდიტების რეგიონის** (პრიზრენთან მოსაზღვრე) გადაცემა. იტალიასა და სხს-ის სამეფოს შორის ხელმონერილი 1924 წლის 27 იანვრის რომის ხელშეკრულებით, რიეკას თავისუფალი ქალაქი ამგვარად იქნა განაწილებული:

– ქალაქი რიეკა ვოლოსკასთან დამაკავშირებელი ტერიტორიული ზოლით იტალიასთან იქნა მიერთებული;

– **სუჩაკის სლავური გარეუბანი სხს-ის სამეფოსთან იქნა მიერთებული,** რომელიც
იუგოსლავიის დიდი პორტი გახდა.

2. იუგოსლავიის სამეფო (1929-1941წწ.)

1928 წლის ივნისში ეროვნული კრების სხდომის მსვლელობისას დეპუტატი რადიჩი ჩერნოგორიის დეპუტატმა მოკლა, რასაც დიდი არეულობა მოჰყვა. 1929 წლის იანვარში მეფე ალექსანდრე I-მა ეროვნული კრება დაშალა და კონსტიტუ-

ციის მოქმედება შეაჩერა. ქვეყნის რეჟიმი დიქტატორული გახდა, 3 ოქტომბერს შეიცვალა სახელმწიფოს სახელწოდება და მას **იუგოსლავიის სამეფო** ეწოდა.

1931 წელს ახალი კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო ქვეყნის გაძლიერებული ცენტრალიზაცია, რომელიც ძველი ისტორიული პროვინციების გაქრობასა და სამეფოს ცხრა ბანოვინად ახალ დაყოფას ითვალისწინებდა. აღნიშნულს ბელგრადის ოლქი (ცალკე) დაემატა, რომელიც ნაწილობრივ მდინარეების სახელების მატარებელ ძველ პროვინციებს მოიცავდა.

შეიქმნა შემდეგი ბანოვინები:

– ბელგრადის ოლქი (500კმ²): ბელგრადი და მისი შემოგარენი;

– დუნაის ოლქი (31 500კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი ნოვი-სადი: სერბეთის ბარანია, ბაჩკა და ბანატი, სირმია, სერბეთის ჩრდილოეთი ნაწილი;

– სავა (40 500კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი ზაგრები (გერ. აგრამი): ხორვატია და სლავონია (სამხრეთი ფრაგმენტის გარდა);

– დრავა (10 500კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი ლიუბლიანა: კრაინა და პრეკომურიე;

– დრინა (28 000კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი სარაევო: სლავონიის სამხრეთი ფრაგმენტი, ბოსნია-ჰერცეგოვინის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, სერბეთის დასავლეთი ნაწილი;

– მორავა (25 500კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი ნიში: სერბეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი;

– ვრბასი (19 000კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი ბანია ლუკა: ბოსნია-ჰერცეგოვინის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი;

– ზღვისპირეთის ზოლი (20 000კმ), ადმინისტრაციული ცენტრი სპლიტი: დალმაცია (დუბროვნიკის სანაპიროს გარდა), ბოსნია-ჰერცეგოვინის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი;

– ვარდარი (37 000კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი სკოპიე: სერბეთის სამხრეთი ნაწილი;

– ზეტა (31 000კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი ცეტინე: ჩერნოგორია, დუბროვნიკის სანაპირო, ბოსნია-ჰერცეგოვინის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, სერბეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი.

1934 წლის 9 ოქტომბერს მეფე ალექსანდრე I მოკლულ იქნა მარსელში ხორვატიის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი საიდუმლო ორგანიზაციის მიერ. მოკლული მეფის ადგილი მისმა მცირეწლოვანმა ვაჟმა პეტრე II-მ დაიკავა მთავარი პავლეს რეგენტობის ქვეშ.

მომდევნო წლებში, დასავლეთის ქვეყნების უკანა პლანზე გადაწევის გამო, იუგოსლავია იძულებული გახდა გერმანიასა და იტალიას დაახლოებოდა.

1939 წლის აგვისტოში ხორვატთა ნაგვიანები დაკმაყოფილებისთვის პეტრე II-მ დიდი ავტონომიური ხორვატული ბანოვინა შექმნა პარლამენტით ზაგრებში, რომელშიც 1931 წლის ბანოვინების საფუძველზე დაარსებული ხორვატებით დასახლებული ტერიტორიები შევიდა. ხორვატული ავტონომიური ბანოვინა მოიცავდა სავასა და მთლიანად სანაპირო ზოლის ბანოვინებს, ვრბასის, დრინასა (სამხრეთი სლავონია) და ზეტას (დუბროვნიკის სანაპირო) ბანოვინების ფრაგმენტებს.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას იუგოსლავიამ კონფლიქტისგან თავის შორს დაჭერა მოახერხა. თუმცა 1941 წლის დასაწყისში იტალიელები სირთულეების ნინაშე აღმოჩნდნენ საბერძნეთში, რის შემდეგაც ჰიტლერმა იუგოსლავიას სამთა პაქტში (გერმანია, იტალია, იაპონია) გაერთიანება მოსთხოვა. 1941 წლის 25 მარტს რეგენტი პავლე ბოლოს და ბოლოს ამ პაქტს შეუერთდა, მაგრამ იგი მაშინვე იქნა ტახტიდან გადმოგდებული.

ჰიტლერმა იუგოსლავიის დაპყრობა გერმანიის, იტალიისა და ბულგარეთის ჯარებით გადაწყვიტა. 22 აპრილს იუგოსლავია დამარცხდა, ჰიტლერი კი მუსოლინისთან ერთად ქვეყნის დაშლას შეუდგა.

VI. დიდი იუგოსლავიის დაღუპვა და აღორძინება (1941-1991წწ.)

1. სერბეთი გერმანიის უღელქვეშ (1941-1944წწ.)

დაშლილი იუგოსლავიის სამეფო შემდეგნაირად იქნა განაწილებული:

– **სერბეთის** სახელმწიფო (51 000კმ²) გერმანელების მიერ იქნა ოკუპირებული და 1878 წლის ბერლინის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საზღვრებამდე დაყვანილი. მას ასევე დააკლდა ბულგარეთის მიერ მიერთებული აღმოსავლეთი მორავიის ოლქი (პიროტი, ვრანე);

– სერბეთის **ბანატი** (10 000კმ²), რომელიც თეორიულად სერბეთთან იყო მიერთებული, მაგრამ გერმანიის პროტექტორატის ქვეშ მოექცა, რომელსაც XVIII საუკუნეში დასახლებული კოლონისტები, "ბანატელი შვაბები" მართავდნენ (ჰიტლერს ამ ტერიტორიისთვის პრინც იოჰანის სახელმწიფოს სახელის დარქმევა სურდა).

– **ხორვატიის** სამეფო (99 000კმ²), რომელიც ისტორიული ხორვატია-სლავონიის (რიეკას გარდა), ბოსნია-ჰერცეგოვინისა და ისტორიული დალმაციის სამხრეთი ნაწილისგან შედგებოდა, მთავარი უსტაშის, ანტე პაველიჩის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა;

– **ჩერნოგორია** (16 000კმ²) იტალიის პროტექტორატის ქვეშ 1914 წლის საზღვრებამდე იქნა დაყვანილი. მას დაემატა 1913 წელს სერბეთისთვის გადაცემული ნოვი პაზარის სანჯაყის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, მაგრამ ჩამოერთვა მეტოხიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ფრაგმენტი (იპეკი, დიაკოვა), გუსინეს ტერიტორია და ასევე ულცინის პორტი;

– **ბულგარეთმა** მიიღო ტიმაკის ტერიტორია, აღმოსავლეთი მორავიისა (პიროტი, ვრანე) და მაკედონიის დიდი ნაწილი ოხრიდის ტბამდე, რის შედეგადაც მის ფართობს 28 000კმ² დაემატა;

– **უნგრეთმა** კვლავ თავის მფლობელობაში მიიღო 1920 წელს მის შემადგენლობაში შემავალი (ბანატის გარდა) ტერიტორიები: ბაჩკა, ბარანიის კუთხე, მეჯიმურიე და პრეკომურიე, რის შედეგადაც მის ფართობს 12 000კმ² დაემატა;

– **გერმანიის** რაიხმა სლოვენიის ჩრდილოეთი ნაწილის ოკუპირება მოახდინა (დრავის ბანოვინა) აღმოსავლეთ-დასავლეთი ზოლის ჩრდილოეთით, რომელიც ლიუბლიანის (გერ. ლეიბახი) ჩრდილოეთით გადადიოდა, რის შედეგადაც მისი ფართობი 10 000კმ²-ით გაიზარდა;

– **იტალიამ** სლოვენიის სამხრეთი ნაწილის (ლიუბლიანასთან ერთად), დელნიცეს ხორვატული ტერიტორიის, სუჩაკის, კრკისა და რაბის კუნძულებისა და ჩრდილოეთი დალმაციის (1915 წლის ლონდონის პაქტის საზღვრებში ტროგირი და სპლიტი დაემატა) ანექსია განახორციელა. მან ასევე მიიერთა ვისის, კორჩულასა და მილნას კუნძულები და კოტორის ყურე, რის შედეგადაც მისი ფართობი 11 000კმ²-ით გაიზარდა;

– **იტალიის ალბანეთმა** მიიღო ულცინის, გუსინესა და მეტოხიის ტერიტორიები, კოსოვო და ასევე დასავლეთი მაკედონიის მცირე ნაწილი, რის შედეგადაც მისი ფართობი 12 000კმ²-ით გაიზარდა.

ზემოაღნიშნული ცვლილებების ფონზე **პატარა სერბეთის** აღდგენა (51 000კმ², 3,8 მილიონი კაცი) **მიმდინარეობდა, რომელიც ბერლინის კონგრესის მიერ დადგენილი ძველი სერბეთისგან შედგებოდა. მას ნოვი პაზარის სანჯაყის ნახევარი დაემატა, მაგრამ ბულგარეთის მიერ ანექსირებული პიროტი ჩამოერთვა. თეორიულად მის ტერიტორიას სერბეთის ბანატი დაემატა,** რომელიც რეალურად სერბეთს ჩამოერთვა და ის გერმანიის კონტროლქვეშ ბანატის გერმანული კოლონიების ("შვაბები") მიერ იმართებოდა.

გერმანიის ჯარების მიერ ოკუპირებულ ამ სერბეთს, 1941 წლის აგვისტოდან გენერალი ნედიჩი მართავდა საოკუპაციო ხელისუფლების კონტროლქვეშ.

ანექსიები, ოკუპაციები, გერმანიის, იტალიის, უნგრეთისა თუ ბულგარეთის პროტექტორატები, ისევე როგორც უსტაშის რეჟიმი ხორვატიაში, წინააღმდეგობის მოძრაობებს შეეჯახა, რომელთა სათავეში გენერალი მიხაილოვიჩი (მონარქისტი) და პარტიზანი ტიტო იდგა (კომუნისტი). ამ უკანასკნელმა ხელთ იგდო მოძრაობის სადავეები.

ტიტოს მიერ იაიცეში (ბოსნია) განლაგებულმა ეროვნული განთავისუფლების კომიტეტმა 1943 წლის ნოემბერში ფედერალური სტრუქტურა მიიღო და მომავალი ფედერალური სახელმწიფოს პრინციპი შეიმუშავა ომის წინა წლებში არსებული ანტაგონიზმის თავიდან ასაცილებლად.

1944 წლის ნოემბერში საბჭოთა ჯარებმა ბელგრადი გაანთავისუფლეს, ისევე როგორც მთლიანად იუგოსლავიის ტერიტორია, რომელიც რეალურად ტიტოს პარტიზანების ხელში იყო. დასავლეთის სახელმწიფოთა თანხმობით (ისინი მხარს აღარ უჭერდნენ მონარქიის დამყარებას) ტიტო ხელისუფლების სათავეში მოექცა.

2. დიდი ფედერალური და კომუნისტური იუგოსლავია (1945-1991 წწ.)

1945 წლის 29 ოქტომბერს იუგოსლავიის მონარქია გაუქმდა, რის შემდეგაც ტიტომ **იუგოსლავიის რესპუბლიკა** გამოაცხადა.

1946 წლის 31 იანვარს მიღებული ახალი კონსტიტუციით დამტკიცდა ექვსი რესპუბლიკისა და ორი ავტონომიური პროვინციისგან შემდგარი იუგოსლავიის (კომუნისტური) ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. ქვეყნის დედაქალაქი ბელგრადი გახდა, მაგრამ თითოეული რესპუბლიკა საკუთარი ინსტიტუტებით აღიჭურვა.

იუგოსლავიის ექვს რესპუბლიკად და ორ ავტონომიურ რეგიონად დაყოფა ორმაგ მიზანს ემსახურებოდა:

– შეძლებისდაგვარად ისეთი სახელმწიფოების შექმნა, რომელიც იუგოსლავიის დიდ ერებს შეესატყვისებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიქმნა მაკედონია, სერბეთი, ხორვატია და სლოვენია და a contrario, თავის ისტორიულ საზღვრებში აღდგენილ იქნა ბოსნია-ჰერცეგოვინა მიუხედავად იმისა, რომ ის ხალხთა მოზაიკას წარმოადგენდა, რადგან ეთნიკურ საფუძველზე მისი დაშლა დიდ სასაზღვრო სირთულეებს შექმნიდა;

– სერბი ხალხის მძიმე ტვირთის შემსუბუქება, რაც ჩერნოგორიის აღდგენაში გამოიხატა, რომელსაც წარსულში სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესი ჰქონდა და ორი ავტონომიური პროვინციის კოსოვო-მეტოხიისა და ვოევოდინას შექმნა, რომელიც სხვადასხვა ეთნიკური წარმომაელობის მოსახლეობის არსებობით იყო გამართლებული (ალბანელები კოსოვო-მეტოხიაში, უნგრელები ვოევოდინაში).

ამგვარად, ბულგარეთთან, უნგრეთთან და იტალიასთან სამშვიდობო ხელშეკრულებების ხელის მოწერამდე, რომელსაც საზღვრები უნდა დაედგინა, იუგოსლავია ამგვარად იქნა დანანილებული:

– **სერბეთის** რესპუბლიკა, დედაქალაქი ბელგრადი, საკუთრივ სერბეთისა და კოსოვო-მეტოხიისა და ვოივოდინას ორი ავტონომიური პროვინციისგან შედგებოდა;

– **ხორვატიის** რესპუბლიკა, დედაქალაქი ზაგრები, ძველი ისტორიული ხორვატია-სლავონიისგან (ჩამოერთვა სირმია), რიეკასგან, ისტორიული დალმაციისგან (დუბროვნიკთან ერთად, მაგრამ კოტორის გარეშე) შედგებოდა. ეს რესპუბლიკა ბარანიის, მეჯიმურიესა და ისტრიის მიერთებას მოითხოვდა;

– **სლოვენიის** რესპუბლიკა, დედაქალაქი ლიუბლიანა, დრავის ძველი ბანოვინისგან შედგებოდა და პრეკომურიეს, გორიციის, ტრიესტისა და დასავლეთი კრაინის მიერთებას მოითხოვდა;

– **ბოსნია-ჰერცეგოვინას** რესპუბლიკა, დედაქალაქი სარაევო, თავის ისტორიულ ფარგლებში იქნა აღდგენილი (ავსტრია-უნგრეთის კონდომინიუმი). ამავე დროს, მან სუჩურაის "ფანჯარა" დაკარგა.

– **ჩერნოგორიის** რესპუბლიკა, დედაქალაქი პოდგორიცა 1914 წლის ფარგლებში იქნა აღდგენილი. მას ჩამოერთვა მეტოხია, მაგრამ კოტორის ყურე და ჰერცეგოვინის სუჩურაის "ფანჯარა" დაემატა.

– **მაკედონიის** რესპუბლიკა, დედაქალაქი სკოპიე (უშკუბი) 1913 წელს სერბეთის მიერ ხელში ჩაგდებულ მაკედონიას შეესაბამებოდა. მას სტრუმიცას რკალი (1920ნ.) და კოსოვოს სამხრეთით მდებარე მცირე ტერიტორია დაემატა.

რაც შეეხება სერბული წარმოშობის დასახლებას, ხორვატიის, ბოსნია-ჰერცეგოვინისა და ჩერნოგორიის სერბებს, ისინი აღარ იქნენ შეყვანილი **სერბეთის რესპუბლიკაში,** რომელმაც ასევე მაკედონიაც დაკარგა. სერბეთის ეს რესპუბლიკა (88 000კმ²), დედაქალაქით ბელგრადში (რომელიც ფედერაციის დედაქალაქიც იყო), საკუთრივ სერბეთისა და ვოივოდინისა და კოსოვო-მეტოხიის ორი ავტონომიური რეგიონისგან იყო შემდგარი:

ა) **საკუთრივ სერბეთი** (56 000კმ²): ბერლინის კონგრესით დადგენილ საზღვრებში, რომელიც გაიზარდა ნოვი პაზარის სანჟაკის ჩრდილოეთი ნახევრით (მოპოვებული 1913წელს) და 1919 წელს ხელში ჩაგდებული ბულგარეთის მცირე ტერიტორიებით (ტიმაკი, ბოსილეგრადი, ცარიბროდი);

ბ) **ვოივოდინა** (21 000კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი ნოვი-სადი: სერბეთის ბანატი, ბაჩკა და სირმია;

გ) **კოსოვო-მეტოხია** (11 000კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი პრიშტინა: კოსოვო (სამხრეთი ნაწილის გარდა) და მეტოხია.

ტიტოს აზრით, ვოივოდინაში უნგრელების, კოსოვო-მეტოხიაში კი ალბანელების არსებობა, ამ ორი რეგიონისთვის ავტონომიის მინიჭებას ამართლებდა, რაც სერბეთის ტვირთს ამსუბუქებდა იუგოსლავიის ფედერაციის შიგნით.

ჩერნოგორია კვლავ იქნა აღდგენილი, როგორც ფედერაციაში შემავალი ექვსიდან ერთ-ერთი რესპუბლიკა, დედაქალაქით პოდგორიცაში (შემდგომში მას ტიტოგრადი ეწოდა).

1947 წლის 10 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებებით, ბულგარეთის, უნგრეთისა და იტალიის ახალი საზღვრები იქნა დადგენილი, რომლებმაც მოსაზღვრე ქვეყნებს სხვადასხვა ტერიტორიები დაუთმეს. აღნიშნულ ფარგლებში

– **ბულგარეთმა იუგოსლავიას** 1941 წელს ახექსირებული ტერიტორიები **დაუთმო** კერძოდ, **ტიმაკი** და **აღმოსავლეთი მორავია** (პიროტი, ვრანე), რომელიც სერბეთს გადაეცა. ყოფილი სერბეთის **ჩრდილოეთი მაკედონია** ამ დროიდან მაკედონიის რესპუბლიკა გახდა;

– **უნგრეთმა იუგოსლავიას** დაუთმო 1941 წელს ანექსირებული ტერიტორიები, კერძოდ, **ბაჩკა** (ვოივოდინას გადაეცა), **ბარანია** და **მეჯიმურიე** (ხორვატიას გადაეცა), **პრეკომურიე** (სლოვენიას გადაეცა);

– **იტალიამ იუგოსლავიას გორიციის** ყოფილი საგრაფო (თავად ქალაქის გარეშე, მაგრამ მის კასტანავიცას გარეუბანთან ერთად) და **დასავლეთი კრაინა** (ტრიესტზე მაღლამდგომ კრასის პლატომდე) დაუთმო, რომელიც სლოვენიას გადაეცა, **ისტრია** (ტრიესტის ტერიტორიის გარდა), **რიეკა, ზადარი** და **ცრესის, ლუსინოს, ლასტოვოსა** და **პალაგრუჟას** კუნძულები ხორვატიას გადაეცა.

ჩრდილოეთი დალმაცია, რომელიც 1941 წელს იტალიამ დაიკავა, 1943 წლიდან ჰიტლერმა ხორვატიას გადასცა.

ტრიესტის თავისუფალი ტერიტორია გაეროს კონტროლქვეშ მოექცა, რადგან მას ერთდროულად იტალიაც და იუგოსლავიაც მოითხოვდა. ის ორ ზონად იქნა დაყოფილი: ზონა A (ტრიესტი და მისი იტალიასთან დამაკავშირებელი კორიდორი) ანგლო-ამერიკელების მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა, ზონა B-ს კი (კოპერი, ნოვიგრადი) იუგოსლაველები მართავდნენ.

1954 წლის 5 ოქტომბრის ლონდონის მემორანდუმის თანახმად, **ტრიესტის თავისუფალი ტერიტორია** დაშლილი და განაწილებული იქნა. ზონა A (ტრიესტი და მისი კორიდორი) იტალიასთან იქნა მიერთებული, ზონა B (კოპერი, ნოვიგრადი) **იუგოსლავიასთან** იქნა მიერთებული, რომელმაც ის ორ ნაწილად გაყო: ჩრდი-

ლოეთი ნაწილი (კოპერი) სლოვენიას შეუერთდა, რომლითაც მან ზღვაზე გასასვლელი მიიღო, სამხრეთი ნაწილი (ნოვიგრადი) ხორვატიას შეუერთდა.

იუგოსლავიის ფართობმა 256 000კმ²-ს მიაღწია (დაახლოებით 17 მილიონი კაცი) და ის ამგვარად იქნა განაწილებული: 88 000 სერბეთი (21 000 ვოევოდინა, 11 000 კოსოვო), 57 000 ხორვატია, 20 000 სლოვენია, 51 000 ბოსნია-ჰერცეგოვინა, 14 000 ჩერნოგორია, 26 000 მაკედონია.

ამ დროიდან იუგოსლავია გახდა სახელმწიფო, რომელიც ექვს რესპუბლიკას გარკვეულ პოლიტიკურ ავტონომიას ანიჭებდა და კომუნისტური პარტიის ყოვლისშემძლეობით იყო გაზომიერებული. კომუნისტური პარტია ყველა მექანიზმს აკონტროლებდა, მარშალი ტიტო კი ფედერაციას რკინის ხელით მართავდა. რესპუბლიკები, მათ შორის სერბეთიც, გარკვეული ეკონომიკური ავტონომიით სარგებლობდნენ თითოეული რესპუბლიკის ეკონომიკური სტრუქტურებისთვის დაწესებული თვითმმართველობის რეჟიმის ფარგლებში.

ფედერაციის შიგნით სერბეთი ყველაზე დასახლებულ და ეკონომიკურად ძლიერ რესპუბლიკას წარმოადგენდა, მაგრამ მიუხედავად მისი ცენტრალური ადგილისა და სხვებზე დომინირების სურვილისა, მისი პოლიტიკური ჰეგემონია ომამდელ პერიოდთან შედარებით ნაკლები იყო.

თავიდანვე ტიტოს იუგოსლავია საბჭოთა კავშირისთვის ნაკლებად ხელსაყრელი პარტნიორი იყო. 1948 წელს განხეთქილებამ იჩინა თავი. იუგოსლავია გაძევებული იქნა კომინტერნიდან და აღმოსავლეთის ბლოკთან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება დაიწყო. მოგვიანებით ის მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობას შეუერთდა. სხვა კომუნისტური ქვეყნებისგან განსხვავებით მისი ურთიერთობები დასავლეთთან უფრო ღია იყო.

1974 წელს მუდმივ პრეზიდენტად არჩეული ტიტო, 1980 წლის მაისში გარდაიცვალა. იგი კოლეგიურმა თავჯდომარეობამ შეცვალა, თუმცა ასევე თავი იჩინა ზოგიერთი რესპუბლიკის ნაციონალისტურმა მისწრაფებებმა (ხორვატია, სლოვენია).

აღნიშნული დროის მანძილზე, კოსოვო-მეტოხიაში დაწყებულმა ალბანიზაციის პროცესმა (მიუხედავად იმისა, რომ ის სერბეთის ბურჯი და სულიერების ცენტრი იყო) პირველი არეულობა გამოიწვია, რომელიც მომავალი დაუნდობელი შეტაკებების მომასწავებელი გახდა, რაზეც სერბეთმა პროვინციაში პირდაპირი მმართველობის შემოღებით უპასუხა. 1990 წლის 2 ივლისს კოსოვოს პროვინციის კრებამ **კოსოვოს რესპუბლიკა** გამოაცხადა. ის მაშინვე იქნა დაშლილი ბელგრადის მიერ, რომელმაც პროვინციაში საგანგებო მდგომარეობა შემოიღო.

თავად სერბეთში, 1989 წელს პრეზიდენტად დიდი სერბული ნაციონალიზმის მხარდამჭერად მოვლენილი ყოფილი კომუნისტი, სლობოდან მილოშევიჩი იქნა არჩეული. 1990 წლის 28 სექტემბერს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელმაც თეორიულად დემოკრატიული რეჟიმი დააფუძნა, მაგრამ ამავე დროს, **ვოივოდინასა და კოსოვო-მეტოხიის ავტონომია გააუქმა.**

VII. თანამედროვე იუგოსლავია (1991 წლიდან დღემდე)

1989-1990 წლებიდან ევროპის კომუნისტური რეჟიმების ნგრევამ იუგოსლავიის ზოგიერთ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის შესაძლებლობა მისცა. ეს ქვეყნები არაკომუნისტური ხელისუფლებებით აღიჭურვნენ და სერბეთს დაუპირისპირდნენ, რომელიც ამ დროიდან ფედერალურ ხელისუფლებას აკონტროლებდა.

თანმიმდევრობით, **სლოვენიამ** (1991 წლის 25 ივნისი), **მაკედონიამ** (1991 წლის 8 სექტემბრის რეფერენდუმი), **ხორვატიამ** (1991 წლის 8 ოქტომბერი) და **ბოსნია-ჰერცეგოვინამ** (1991 წლის დეკემბერი) იუგოსლავიის ფედერაცია დატოვეს და დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. 1992 წლის 1 მარტის რეფერენდუმით, **ჩერნოგორიამ** ფედერაციაში დარჩენა გადაწყვიტა.

აღნიშნული დროიდან, **იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა სერბეთისა და ჩერნოგორიის** ორ რესპუბლიკამდე იქნა დაყვანილი, ხოლო მისი ფართობი შემცირდა და 102 200კმ² გახდა, დაახლოებით 10 მილიონი მცხოვრებით.

სერბეთმა ხორვატიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში მცხოვრები სერბების მხარდაჭერა დაიწყო, რომლებიც ამ ორი ქვეყნის მთავრობას აუჯანყდნენ. ხორვატიის სერბული დისიდენტობა დიდწილად დამორჩილებულ იქნა 1995 წელს, საბოლოოდ კი 1998 წელს. ამ მარცხმა აჯანყების წამქეზებლის, სერბეთის პრესტიჟი დასცა.

ბოსნიის სერბებმა, სერბეთთან გაერთიანების დაულოდებლად, სამ წელზე მეტი ხნის ომის შედეგად, დეიტონის შეთანხმებებით, 1995 წლის ნოემბერში თავისი თვითმყოფადობის აღიარებას მიაღწიეს, რამაც მათ ბოსნიის სერბული რესპუბლიკის შექმნის შესაძლებლობა მისცა ბოსნია-ჰერცეგოვინას კონფედერაციაში.

1990 წლის კონსტიტუციის თანახმად, 1996 წლის დეკემბერში მილოშევიჩს პრეზიდენტის პოსტი უნდა დაეტოვებინა, თუმცა მან ამ თანამდებობაზე ერთ-ერთი თავისი ახლობელის, მილან მილუტინოვიჩის არჩევას შეუწყო ხელი. ამის სანაცვლოდ, 1997 წლის ივლისში მილოშევიჩმა თავი იუგოსლავიის ფედერაციის პრეზიდენტად აარჩევინა.

ამგვარად, მილოშევიჩს თავისი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა მიეცა მხოლოდ სერბეთთან გაიგივებულ იუგოსლავიაში, რადგან 1997 წლის ოქტომბერში ჩერნოგორიამ ახალი პრეზიდენტი, მილო დჯუკანოვიჩი აირჩია, რომელსაც თავისი ქვეყნისთვის სერბეთისგან მეტი დამოუკიდებლობა სურდა. 1999 წლის გაზაფხულზე კოსოვოში მომხდარმა მოვლენებმა, რომლის დროსაც ნატოს სამხედრო ძალებმა სერბეთზე იერიში მიიტანეს, ჩერნოგორიის ხელისუფლებას სერბეთისგან ჩამოშორება და დასავლეთთან დაახლოება გადაანყვეტინა.

სერბეთში რეპრესიები გაძლიერდა ალბანელი (80%-მდე) სეპარატისტების წინააღმდეგ კოსოვოში, რომელიც 1999 წლის მარტში ეთნიკური ნმენდის ომში გადაიზარდა, რასაც კვლავ მოჰყვა ნატოს სამხედრო ჩარევა კოსოვოსა და სერბეთის დანარჩენი ნაწილის საჰაერო დარტყმების სახით. 1999 წლის ივნისში ზემოაღნიშნული მოვლენები სამხედრო ოკუპაციითა და გაეროს მიერ კოსოვოს სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელში აღებით დასრულდა.

დაბომბვებისგან ძალზე დაზარალებულმა და საერთაშორისო ასპარეზზე იზოლაციაში დარჩენილმა სერბეთმა 2000 წლის შემოდგომაზე თავიდან მოიშორა მილოშევიჩის ზღვარგადასული მთავრობა. იუგოსლავიის პრეზიდენტად ოპოზიციის კანდიდატი, ვოისლავ კოსტუნიცა იქნა არჩეული, რომელმაც თავისი წინამორბედის პოლიტიკას ბოლო მოუღო და დასავლეთთან ნორმალიზაციის პოლიტიკის გატარების გზას დაადგა.

თუმცა 2001 წლის 22 აპრილს ჩერნოგორიაში ჩატარებულმა საკანონმდებლო არჩევნებმა გამარჯვება (მოსალოდნელზე მცირე) სერბეთისგან გამოყოფის მომხრეებს მოუტანა და ამგვარად, იუგოსლავიის შესაძლებელ აფეთქებას გაუხსნა გზა.

2002 წლის 14 მარტს ბელგრადში ხელი მოენერა სერბეთ-ჩერნოგორიის შეთანხმებას, რომელიც იუგოსლავიის "სერბეთისა და ჩერნოგორიის" ახალ სახელმწიფოდ შეცვლას ითვალისწინებდა სამი წლის ვადით. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, სერბეთსა და ჩერნოგორიას არჩევანი უნდა გაეკეთებინა განცალკევებასა ან ინტეგრაციას შორის. ამ შეთანხმებამ მიიღო სამი პარლამენტის, სერბეთის, ჩერნოგორიისა და ფედერალურის თანხმობა. ის ითვალისწინებდა ერთადერთი ფედერალური ასამბლეის შექმნასა და ორი სახელმწიფოს ეკონომიკის განცალკევებას. ჩერნოგორიამ ფულის ერთეულად ევრო მიიღო.

2003 წლის 5 თებერვალს იუგოსლავია ოფიციალურად გახდა **სერბეთი და ჩერნოგორია** ("სერბეთისა და ჩერნოგორიის სახელმწიფო"). თუმცა იუგოსლავიის სახელმწიფოს შენარჩუნების ამ უკანასკნელმა მცდელობამ ვერ შეძლო ჩერნოგორიელთა უმრავლესობაში არსებული სეპარატისტული განწყობილების შეკავება.

გარდამავალი სამი წლის ვადის დასასრულს, ჩერნოგორიაში ჩატარებულმა 2006 წლის 21 მაისის რეფერენდუმმა დამოუკიდებლობის მსურველთა უმრავ-

ლესობა გამოავლინა. 2006 წლის ივნისის დასაწყისში სერბეთი და ჩერნოგორია დაიშალა. ამავე წლის 5 ივნისს ბელგრადის პარლამენტმა თავის მხრივ, სერბეთის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა.

ამგვარად, სერბეთი 1918 წლის მდგომარეობამდე და უნიტარულ რესპუბლიკამდე იქნა დაყვანილი. ამასთანავე, მან შეინარჩუნა ვოევოდინასა და კოსოვო-მეტოხიის ორი ავტონომიური პროვინცია. თუმცა ამ უკანასკნელ პროვინციაში, რომელიც 1999 წლიდან ნატოს ძალების მიერ იყო ოკუპირებული, ალბანელთა დიდ უმრავლესობაში ძლიერი სეპარატისტული განწყობილება გამოავლინა, რაც პროვინციის დამოუკიდებლობის გამოცხადების* საშიშროებას ქმნის. ევროკავშირი კეთილგანწყობას იჩენს აღნიშნულის მიმართ, მაგრამ რუსეთი დღემდე თავის ვეტოს უპირისპირებს ალბანელთა დამოუკიდებლობის მიღების სურვილს.

*2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს სამოქალაქო ხელისუფლებამ ცალმხრივი წესით პროვინციის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს დამოუკიდებლობა მყიფეა, რადგან თუკი ის მაშინვე აღიარა აშშ-მ და ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი), ის კატეგორიულად იქნა უარყოფილი სერბეთის მიერ, რომელსაც მხარს უჭერს რუსეთი, ჩინეთი და ევროპის სხვა სახელმწიფოები (ესპანეთი).

სლოვაკეთი

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: სლოვაკეთის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ივან გასპაროვიჩი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი, ეროვნული საბჭო.
დედაქალაქი: ბრატისლავა.
ადმინისტრაციული დაყოფა: 8 რეგიონი (კრაი): ბრატისლავა, ტრნავა, ტრენჩინი, ნიტრა, ზილინა, ბანსკა ბისტრიცა, პრეშოვი, კოშიცე.
ფართობი: 49 000კმ²; **მოსახლეობა:** 5, 4 მილიონი კაცი; **სიმჭიდროვე:** 110 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენა: სლოვაკური (სლავური ენა).
რელიგია: კათოლიკობა.
ფულის ერთეული: სლოვაკური კრონა.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. სლოვაკური ტერიტორიების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. სლოვაკები უნგრეთის მეურვეობის ქვეშ

ჩვენი ნელთაღრიცხვის დასაწყისში სლოვაკეთი კელტებით იყო დასახლებული, რომლებიც სულ მალე მარკომანებმა გააძევეს. ამ უკანასკნელთა ადგილი IV საუკუნეში კიდებმა დაიკავეს. სლავური წარმოშობის სლოვაკები ამ ტერიტორიაზე VI საუკუნიდან დასახლდნენ. IX საუკუნის დასაწყისში რეგიონი თავდაპირველად დიდი მორავიის, შემდეგ კი უნგრეთის მეურვეობის ქვეშ მოექცა.

სლავური მოსახლეობის მიუხედავად, აღნიშნული ტერიტორია XIV საუკუნიდან უნგრეთის დანარჩენი ნაწილის მსგავსად, მედიების სისტემით იმართებოდა, რომელსაც სათავეში უნგრელი ან გერმანელი დიდგვაროვნები ედგნენ. მხოლოდ გლეხობა აგრძელებდა სლოვაკურ ენაზე (სლავური ენა) ლაპარაკს. აღნიშნული დროიდან, ამ რეგიონმა მეზობელ კარპატისპირეთის ოლქთან ერთად **ზემო უნგრეთის** სახელწოდება მიიღო.

1412 წელს სიგიზმუნდ ლუქსემბურგელმა, რომელიც ქორწინების შედეგად უნგრეთის მეფე გახდა, პოლონეთის მეფე ლადისლასს პოპრადისა და ჰერნადის ხეობებში მდებარე ზირცის მედიეს ცამეტი "საქსონური" ქალაქი უნყალობა, რომელიც ამ დროიდან მცირე პოლონურ ანკლავებად იქცა (პოპრადი, ნოიდორფი, ვალენდორფი და სხვ.) უნგრეთის სამეფოს შემადგენლობაში.

1526 წელს თურქების გამარჯვების შემდეგ, უნგრეთის ტერიტორია გადანაწილდა. ზემო უნგრეთი მთლიანად შეყვანილ იქნა უნგრეთის ნაწილში, რომელიც ფერდინანდ ავსტრიელის ძალაუფლების ქვეშ მოექცა. 1536 წლიდან თურქების მიერ დაპყრობილი ბუდის ნაცვლად, დუნაიზე მდებარე ქალაქი პრესბურგი (ამ დროისათვის სლოვაკებით ნაკლებად დასახლებული) უნგრეთის დედაქალაქი გახდა.

პოლონეთის პირველი განაწილების დროს (1772 წლის 5 აგვისტო), 1412 წელს პოლონეთისათვის ბოძებული ზირცის მედიეს ცამეტი საქსონური ქალაქი უნგრეთმა დაიბრუნა, და მათგან ზირცის მედიეს გარეთ (პალატინის დაქვემდებარებაში) ცალკე ოლქი შექმნა.

1784 წელს უნგრეთის დედაქალაქი პრესბურგიდან ბუდაში იქნა გადატანილი, სადაც ხელისუფლების ორგანოები განთავსდა (პალატინი, სამეფისნაცვლოს საბჭო). ამავე დროს, დიეტის სხდომები კვლავ პრესბურგში იმართებოდა.

2. სლოვაკური ტერიტორიები 1789 წელს

უნგრეთის სამეფოს შემადგენლობაში შეყვანილი სლოვაკური რეგიონი მთის ხეობების ნაწილზე იყო გადაშლილი, რომელიც კარპატებიდან დუნაისა და ტისისკენ ჩამოედინებოდა: ვაგი, ნიტრა, გრანი, იპოი, რუმავა, ჰერნადი, ბოდროგი. ჩვეულებისამებრ, ამ ხეობების დაბლობზე გასასვლელი სლოვაკური დასახლების საზღვარს და უნგრულის დასაწყისს აღნიშნავდა. აღნიშნული ხეობები ძალიან ნაყოფიერი და ხელსაყრელი იყო სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის განვითარებისათვის. შუა საუკუნეებიდან იქ სამთო საბადოების ექსპლუატაციას ენეოდნენ.

უნგრეთის შემადგენლობაში, 1789 წელს სლოვაკეთი არ წარმოადგენდა ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს. ამასთანავე, არსებობდა სლავი ხალხი, სლოვაკები, რომლებიც ჰომოგენურად იყვნენ დასახლებულნი კარპატების (ტატრები, ბეშკიდები) დასავლეთი ნაწილის სამხრეთ ფერდობზე. აღნიშნული ტერიტორია და მისი მეზობელი კარპატისპირეთის ოლქი (უკრაინელები) ამ დროს ზემო უნგრეთად წოდებული ტერიტორიის შემადგენლობაში იყო. უნგრეთის ფარგლებში სლოვაკეთს დაახლოებით შემდეგი ტერიტორია ეკავა:

– პირაქეთა დუნაის ოლქში: პრესბურგის (ნაწილობრივ), ნიტრის, ტრენჩინის, ბარსის (ნაწილობრივ, ტურჩანსკი სვეტი მარტინის, არვისა და ლიპტაუს მედიები;

– ტისის პირიქითა ოლქში: სპიშსკის (ცამეტი საქსონური ქალაქის გარდა), ღიერის (ნაწილობრივ), შაროშის, ზემპლონის მედიები, რომელსაც საქსონიის ცამეტი ქალაქი დაემატა განსაკუთრებული სტატუსით.

II. სლოვაკი ხალხის მშფოთვარე ცხოვრება (1789 წლიდან დღემდე)

1. 1789 წლიდან ჩეხოსლოვაკიაში გაერთიანებამდე (1918-1920წწ.)

სლოვაკურ ტერიტორიებს არ შეხებია რევოლუციისა და ნაპოლეონის პერიოდის ბობოქარი მოვლენები. სლოვაკი გლეხები დროდადრო ჯანყდებოდნენ (1831 წლის გლეხთა აჯანყება) გერმანიზციის მცდლობის წინააღმდეგ.

1848 წლის გაზაფხულზე უნგრეთის რევოლუციის გავლენით, ამ ქვეყნის ეროვნულმა უმცირესობებმა სამეფოს შემადგენლობაში ავტონომია მოითხოვეს. 10 მაისს ამ ფაქტთან დაკავშირებით ლიპტოვსკი მიკულაშში სლოვაკეთის ასამბლეა შეიკრიბა, მაგრამ მის მოთხოვნებს, რომელიც ვენისაკენ იყო მიმართული გამოძახილი არ მოჰყოლია.

სლოვაკები, ვენის მთავრობას უნგრეთში ძალაუფლების დაბრუნებაში დაეხმარნენ, მაგრამ სანაცვლოდ ვერაფერი მიიღეს და სამეფოს შემადგენლობაში დარჩნენ. 1852 წლის იანვარში ხუთ ოლქად ახლად დაყოფილი სლოვაკები უნგრეთის შემადგენლობაში შეიყვანეს. ამ ხუთი მედიედან ორი სლოვაკური იყო:

–პრესბურგის ოლქი: ზემო ნიტრის, არვა-ტურჩანსკი სვეტი მარტინის, ბარშის, ლიპტოვსკი მიკულაში, ტრენჩინის მედიები;

–კოშიცეს ოლქი: სპიშსკის, ღიერის, შაროშის, ზემპლენის მედიები.

1867 წლის 28 ივნისის კომპრომისის საფუძველზე, ავსტრიის იმპერიის ახალი ადმინისტრაციული რეორგანიზაციით, სლოვაკეთი დუალისტური მონარქიის უნგრულ ნაწილში (ტრანსლაიტანია) იქნა შეყვანილი.

ამ დროიდან, უნგრეთის მთავრობის მიერ დაწყებულ მადიარიზაციის პოლიტიკას ბევრი სლოვაკის იმიგრაცია მოჰყვა. სლოვაკებში გაძლიერდა ეროვნული იდენტურობის შეგნება (აბატი გლინკა), ზოგიერთმა კი (ჰოდზა) ჩეხებთან გაერთიანებაზე დაიწყო ფიქრი.

პირველი მსოფლიო ომის დროს, უნგრეთში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები ჩვეულებისამებრ ლოიალურად იყვნენ განწყობილი მონარქიის მიმართ. ამ დროს, ჩეხი ნაციონალისტების ხელმძღვანელები (მასარიკი, ბენეში), რომლებიც ლონდონსა და პარიზში იყვნენ გახიზნულები, ანტანტის სახელმწიფოებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ გამარჯვების შემდეგ ავსტრია-უნგრეთის ჩრდილოეთი

სლავების სახელმწიფოს შექმნის თაობაზე, რომელშიც ბოჰემია, მორავია და სლოვაკეთი უნდა გაერთიანებულიყო. სლოვაკი სტეფანეკი ჩეხ ნაციონალისტებს შეუერთდა. 1916 წელს ამ საკითხთან დაკავშირებით პარიზში ჩეხოსლოვაკიის ეროვნული საბჭო შეიქმნა.

მასარიკს, ბენეშსა და სტეფანეკს შორის ხელმოწერილი პიტსბურგის შეთანხმებით (1918 წლის მაისი), სლოვაკეთს ავტონომია უნდა მიეღო მომავალი ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში.

1918 წლის შემოდგომაზე ავსტრია-უნგრეთის ჯარების დამარცხებამ იმპერიის დაშლის იმედი გააჩინა. 30 ოქტომბერს ტურჩანსკი-სვეტი-მარტინში შეკრებილმა სლოვაკეთის ეროვნულმა საბჭომ უნგრეთისაგან გამოყოფასა და ახალი ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში ბოჰემია-მორავიასთან გაერთიანებას დაუჭირა მხარი.

თუმცა სლოვაკების ნაწილი ძნელად ეგუებოდა მეტად განვითარებული ბოჰემია-მორავიასთან გაერთიანებას, რომელსაც დომინანტური როლი ექნებოდა ახლად შექმნილ სახელმწიფოში. სლოვაკეთის დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით პარიზში ჩასული აბატი გლინკა მასარიკის თხოვნით იქიდან გააძევეს. **სლოვაკეთი ინტეგრირებულ იქნა ახალ ჩეხოსლოვაკიაში**, რომლის საზღვრების დადგენა ხელშეკრულებებით უნდა გადაწყვეტილიყო.

1920 წლის 4 ივნისის ტრიანონის ხელშეკრულებით, ყოფილი ტრანსლაიტანიის სახელით უნგრეთმა **ჩეხოსლოვაკიას დაუთმო პრესბურგის, ბარშის, ნიტრის, ტრენჩინის, ტუროშის, ლიპტოვსკი მიკულაში, ალშო-კუბინის, ზოლიომის,, სპიშსკის, შაროშისა და უნგის** (მთლიანად) **მედიები, ისევე როგორც რაბის** (დიერი), **კომარნოს, გრანის, ჰონტის, ნოგრადის, დიერის, ტორნა ნა დაშკის, ზემპლინისა და ბერეგის მედიების ნაწილები.**

სლოვაკებით დასახლებული მედიების გარდა, ომში გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა უნგრეთს უნგრელებით დასახლებული მედიების გადაცემაც აიძულეს, რაც შემდეგი მიზეზებით იყო გამოწვეული:

– დაბლობზე მდებარე ტერიტორიული ზოლით ერთმანეთისაგან განცალკევებული სლოვაკური ხეობების ერთმანეთთან დაკავშირების აუცილებლობა (სარკინიგზო კავშირი);

– ჩეხოსლოვაკიისათვის დუნაიზე დიდი საპორტო ქალაქის გადაცემის ნება. ამ ქალაქად არჩეულ იქნა პრესბურგი, რომელსაც სახელი გადაერქვა და ის ბრატისლავა გახდა. ქალაქი გერმანელებითა და უნგრელებით იყო დასახლებული, სლოვაკები მხოლოდ ქალაქის გარეუბანში ცხოვრობდნენ;

– ბუნებრივი საზღვრის გავლების სურვილი ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთს შორის, იქ სადაც ამის შესაძლებლობა იქნებოდა. ეს უნდა ყოფილიყო დუნაი, პრესბურგიდან იპოის შესართავამდე, შემდეგ კი იპოის ქვემო დინების გაყოლებით. ამავე დროს, დუნაის საზღვარი პრესპურგზე გადადიოდა, რის შედეგად ჩეხოსლოვაკიამ ამ ქალაქის გარეუბანი (პეტრზალკა) მიიღო, რომელიც მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა.

1920 წლის 28 ივლისს ელჩების კონფერენციის თანახმად, **ჩეხოსლოვაკიამ პოლონეთს არვის** (ორავა) **მედიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი და ზირცის მედიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი გადასცა.**

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის შემადგენლობაში (140 000კმ², 13 600 000 მცხოვრები), სლოვაკეთი დიდ რეგიონს წარმოადგენდა 49 000კმ² ფართობითა და 3 000 000 მცხოვრებით. თუმცა 1918 წლის მაისში დაპირებული შიდა ავტონომია არ იყო მინიჭებული.

კარპატისპირეთის ოლქი, რომელიც სლოვაკეთის აღმოსავლეთით უკრაინელებით იყო დასახლებული და აქედან გამომდენარე უკრაინას უნდა მიერთებოდა "დროებით" ახალ ჩეხოსლოვაკიასთან იქნა მიერთებული.

2. 1920 წლიდან სლოვაკეთის პირველ დამოუკიდებლობამდე (1939წ.)

პრაღაში დემოკრატიული რეჟიმის დამყარების შემდეგ, რომელიც ზოგადად ბევრ სხვა ქვეყანასთან შედარებით უკეთ იცავდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, გარდაუვალად თავი იჩინა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცენტრალიზმმა ჩეხების სასარგებლოდ, რომლებიც უფრო მრავალრიცხოვანი და მდიდრები იყვნენ. ამ ფაქტმა სლოვაკები აამხედრა, მათ რიგებში იზრდებოდა სლოვაკეთის დამოუკიდებლობის მომხრეთა რიცხვი.

1928 წელს სლოვაკეთსა და სუბკარპატულ უკრაინას შორის საზღვარი, რომელიც მდინარე უნგის გასწვრივ მდებარეობდა, მცირედით იქნა გადაწეული (სლოვაკეთის საზიანოდ) ამ უკანასკნელისათვის უნგრული ხეობის მთლიანად გადასაცემად.

ჰიტლერის მიერ გამხნევებული ბოჰემია-მორავიის გერმანელები გერმანიასთან გაერთიანებას მოითხოვდნენ. მიუნჰენის კონფერენციაზე, 1938 წლის 1 ოქტომბერს გადაწყდა გერმანიისათვის ბოჰემია-მორავიის გერმანული რეგიონების (სუდეტების ტერიტორია) გადაცემა, რომელსაც დაემატა **გერმანიისათვის ენგერაუს** (პეტრზალკა) **გარეუბნის დათმობა** (პრესბურგთან ახლოს დუნაის მარჯვენა ნაპირზე), რომელიც სლოვაკეთს ჩამოერთვა.

2 ოქტომბერს **პოლონეთმა** თავის მხრივ, ჩეხოსლოვაკიის სილეზიის ჩესკიტეშინისა და დამატებით, **სლოვაკეთისათვის ჩამორთმეული სპიშკის ძველი მედიის ფრაგმენტის** (იავორიცე) **ანექსია მოახდინა.**

6 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ სლოვაკეთს 1918 წელს დაპირებული ავტონომია მისცა, რომელიც სლოვაკებს მიუხედავად მათი მოთხოვნებისა მანამდე არასოდეს ჰქონიათ. სლოვაკეთი მთავრობითა და პარლამენტით აღიჭურვა. სლოვაკეთის ახალი მეთაური ტისო, პრაღის მიერ უნგრეთთან მოლაპარაკებების წარმოებისათვის იქნა დანიშნული საზღვრის დაზუსტებასთან დაკავშირებით, რომელსაც ეს უკანასკნელი გერმანიის მხარდაჭერით ითხოვდა.

უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის გამართული მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა, საკითხი გერმანია-იტალიის არბიტრაჟით მოგვარდა.

1938 წლის 2 ნოემბერს ბელვედერის (ვენა) არბიტრაჟით, ჩეხოსლოვაკიამ უნგრეთს დაუბრუნა სამხერეთი **სლოვაკეთისა და კარპატისპირეთის ოლქის საზღვრის გაყოლებაზე არსებული ტერიტორიული ზოლი** (12 000კმ² ფართობით და უმეტესწილად უნგრელებით დასახლებული).

აღნიშნული ფაქტით სლოვაკეთმა თავისი ტერიტორიის თითქმის მესამდი დაკარგა ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქებით როგორიც იყო კომარნო, რიმასომბატი (სომავსკა-სობოტა) და კოშიცე.

ავტონომიური სლოვაკეთი კონფლიქტში შევიდა პრაღის მთავრობასთან, რომელმაც ტისო გადააყენა. ამ უკანასკნელმა გრმანიასთან შეთანხმებით, 1939 წლის 14 მარტს **სლოვაკეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა,** გერმანიის მფარველობის ქვეშ. მეორე დღესვე ჰიტლერმა პრაღას სლოვაკეთის დამოუკიდებლობის აღიარება აიძულა და თავისი პროტექტორატი დაამყარა ბოჰემია-მორავიაზე. აღნიშნული ფაქტიდან ერთი დღის შემდეგ, უნგრეთმა კარპატისპირეთის უკრაინა დაიპყრო.

31 მარტს **უნგრეთმა კარპატისპირეთის ოლქის თავის ახალ პროვინციას ძალის გამოყენებით მიუერთა 20კმ²-ის სიგანის სლოვაკური ტერიტორია,** უკრაინული საზღვრის გასწვრივ.

ახალი სლოვაკეთი წარმოადგენდა რესპუბლიკას, რომლის ფართობი 37 500კმ²-ს, ხოლო მოსახლეობა 2 500 000 კაცს შეადგენდა. მისი დედაქალაქი ბრატისლავა (პრესბურგი) იყო. სახელმწიფოს სისუსტემ და მისმა თავდაცვის შეთანხმებებმა ის გერმანიის სატელიტად აქციეს.

3. თანამედროვე სლოვაკეთი (1939 წლიდან დღემდე)

გერმანიასთან დადებული 1939 წლის 21 ნოემბრის ხელშეკრულებით, სლოვაკეთმა პოლონეთს (ოკუპირებული) 1920 და 1938 წელს მისთვის გადაცემული **ორავისა** (იაბლონკა) **და ზირცის ტერიტორიები** ჩამოართვა.

1941 წლის ივნისში სლოვაკეთი სსრკ-ს წინააღმდეგ ომში იქნა ჩათრეული. 1944 წლის აგვისტოში სლოვაკეთის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება მოხდა. 1945 წლის მარტსა და აპრილში ქვეყანა საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს.

1945 წლის 11 მაისს **სლოვაკეთი გაქრა და ადგილი დაუთმო ჩეხოსლოვაკიის მეორე რესპუბლიკას,** რომელიც კვლავ უნიტარული სახელმწიფო გახდა და დე ფაქტო აღადგინა 1920 წლის საზღვრები.

1945 წლის 21 ივნისის პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის შეთანხმებით **ჩეხოსლოვაკიამ პოლონეთს დაუთმო ორავისა და სპისშკის ფრაგმენტები,** რომელიც 1920 წელს პოლონეთს გადაეცა და 1939 წელს კვლავ ჩეხოსლოვაკიის ხელში გადავიდა.

1945 წლის 29 იანვრის ხელშეკრულებით, ჩეხოსლოვაკიამ სსრკ-ს კარპატის-პირეთის უკრაინა დაუთმო. საზღვარი 1928 წელს არსებულის მიხედვით იქნა აღდგენილი. ამგვარად, **სლოვაკეთმა 20კმ²-იანი ტერიტორიული ზოლი დაიბრუნა, რომელიც 1939 წელს მას უნგრეთმა ჩამოართვა.**

სლოვაკეთი მხოლოდ გეოგრაფიულ ერთეულად იქცა და ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში სამ რეგიონს მოიცავდა: დასავლეთი სლოვაკეთი, ადმინისტრაციული ცენტრი ბრატისლავა (პრესბურგი); ცენტრალური სლოვაკეთი, ადმინისტრაციული ცენტრი ბანსკა ბისტრიცა (ნოი ზოლი); აღმოსავლეთი სლოვაკეთი, ადმინისტრაციული ცენტრი კოშიცე.

1947 წლის 10 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, **უნგრეთმა** დე იურე **ჩეხოსლოვაკიას დაუბრუნა 1938 წელს ანექსირებული სლოვაკური ტერიტორიის ზოლი.** აღნიშნულს დაემატა (ოროშვარი) ხიდის სათავე (პეტრზალკა), რომელიც დუნაიზე, ბრატისლავასთან ახლოს მდებარეობდა.

ამ დროიდან, სლოვაკეთი ორმოც ნელზე მეტხანს მეორე ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში არსებობდა.

1968 წლის გაზაფხულის მოვლენების შემდეგ, რომელიც ევროპის კომუნისტური ბლოკის მიერ იქნა ჩახშობილი, 1968 წელს "ნორმალიზებულმა" ჩეხოსლოვაკიამ ახალი ფედერაციული კონსტიტუცია მიიღო, რომელიც 1969 წლის 1 იანვარს უნდა შესულიყო ძალაში.

ამგვარად, სლოვაკეთი თავისი მთავრობითა და პარლამენტით აღიჭურვა.

1989 წელს ჩეხეთსა და სლოვაკეთში ("ხავერდოვანი რევოლუცია") კომუნისტური რეჟიმის დასრულების შემდეგ, სლოვაკეთის ნაწილმა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დაიწყო. სლოვაკეთში საკანონმდებლო არჩევნებში დამოუკიდებლობის მომხრე პარტიის გამარჯვების შემდეგ, 1992 წლის 2 ივნისს დადებულ იქნა გაყოფის შეთანხმება ორი რესპუბლიკის მთავრობებს შორის, რომლის რატიფიკაცია პარლამენტებმა ივლისში მოახდინეს, ფაქტობრივად კი მომდევნო წლის 1 იანვარს.

1993 წლის 1 იანვარს ჩეხეთ-სლოვაკეთის გაყოფის შედეგად, **სლოვაკეთი** კვლავ **დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.**

1996 წლის ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად, სლოვაკეთის რეგიონთა რაოდენობა 3-დან 8-მდე გაიზარდა, რომელიც თავისი ადმინისტრაციული ცენტრის სახელწოდებას ატარებდა: ბრატისლავა (პრესბურგი), ტრნავა (ნადისომბატი), ტრენჩინი (ტრენსენი), ნიტრა (ნოიტრა), ზილინა, ბანსკა ბისტრიცა (ნოი სოლი), პრეშოვი (ეპერეში), კოშიცე (კასა).

სლოვაკეთმა თავისი კანდიდატურა ნამოაყენა ევროკავშირში შესასვლელად, რომელიც მიღებულ იქნა 2002 წლის 12 დეკემბერს. 2004 წლის 1 მაისს სლოვაკეთი ევროკავშირში შევიდა.

კარპატისპირეთის უკრაინა

კარპატისპირეთის უკრაინა თანამედროვე სახელწოდებაა, რომელიც 1789 წელს არ აღნიშნავდა არავითარ სახელმწიფოს თუ პროვინციას. თუმცა არსებობდა სლავი ხალხი, უკრაინელები, რომლის უდიდესი ნაწილი პირქითა კარპატებში ცხოვრობდა. ამ ხალხის მხოლოდ მცირე ნაწილი, უნგრეთის სამეფოს შემადგენლობაში, პირაქეთა კარპატების ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის სამხრეთ ფერდობზე იყო დასახლებული. აღნიშნული რეგიონი და მეზობელი სლოვაკეთის რეგიონი ამ ეპოქაში ზემო უნგრეთის სახელწოდებით იყო ცნობილი.

კარპატისპირეთის უკრაინა გადაშლილი იყო ტისის ზემო აუზის ჩრდილოეთ ნაწილზე: ტისის ზემო დინება, უჟის, ლატორიცის, ბორშავის, რიეკის, ტერობლისა და ტარის ხეობათა შენაკადები. ამ ტერიტორიაზე ბევრი უკრაინელი ცხოვრობდა, რომელიც სხვა მოსახლეობასთან შედარებით (უნგრელები და გერმანელები) უმრავლესობას წარმოადგენდა. რეგიონს ჰქონდა ვინრო გასავლელი, რომელიც გალიციასთან (ლვოვი) და ბუკოვინასთან (ჩერნოვცი) დაკავშირების საშუალებას იძლეოდა. ამ რეგიონის ძირითად სიმდიდრეს ხეტყის დამუშავება წარმოადგენდა, რომელიც კარპატისპირეთის უკრაინას დამატებით ეკონომიკურ შემოსავალს აძლევდა უნგრეთის დაბლობთან ერთად.

ჰაბსბურგთა ტრადიციული შემნყნარებლობის ფარგლებში იმპერიაში შემავალი სხვადასხვა ხალხების მიმართ, კარპატისპირეთის უკრაინულმა მოსახლეობამ საუკუნეების მანძილზე თავისი იდენტურობის შენარჩუნება მოახერხა, რომელსაც მეტად შეუწყო ხელი 1649 წელს ამ რეგიონისათვის უნიატური ეკლესიის (რომთან დაკავშირებული) შექმნამ.

უნგრეთის შიგნით, კარპატისპირეთის ოლქი მოიცავდა დაახლოებით უშგოროდისა (უნგვარი) და ბერეგის (ეს უკანასკნელი ნაწილობრივ), უგოშჩისა და მარამურეშის (ნაწილობრივ) მედიებს.

1918 წლის შემოდგომაზე ავსტრია-უნგრეთის ჯარების დამარცხების შემდეგ, ორი მეტოქე უკრაინული ეროვნული კომიტეტი შეიკრიბა, ერთი ლუბოვნაში (სლოვაკეთის საზღვარი), რომელიც დამოუკიდებლობას ითხოვდა, ხოლო მეორე უშგოროდში, რომელიც ავტონომიას მოითხოვდა უნგრეთის შემადგენლობაში. მაგრამ ჩეხი მეთაური მასარიკი უკრაინელ მეთაურს, ზატკოვიჩს დაუკავშირდა, რომელმაც ახალ ჩეხოსლოვაკიასთან გაერთიანება მოითხოვა.

1920 წლის 4 ივნისის ტრიანონის ხელშეკრულებით, უნგრეთმა ჩეხოსლოვაკიას დაუთმო უჟგოროდის (მთლიანად), ბერეგის (ნაწილობრივ), უგოშჩისა და მარამურეშის (ორი უკანასკნელი მედიე რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის გადანაწილდა) უკრაინული მედიები.

ეროვნებათა პრინციპის თანახმად, აღნიშნული მედიები უკრაინას უნდა გადასცემოდა, მაგრამ ის 1919 და 1921 წლებში გაპარტახებული იყო შეიარაღებული ბრძოლით სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის. მოკავშირეებს არ სურდათ რისკის გაწევა და ამ რეგიონის მეზობელ უნგრეთთან დატოვება, რომელიც თავად იყო კომუნისტური რევოლუციის მსხვერპლი.

ამას გარდა, კარპატისპირეთის ოლქის ჩეხოსლოვაკიისათვის გადაცემა ხელსაყრელი იყო, რადგან ეს უკანასკნელი რუმინეთის მეზობელი გახდებოდა და ამგვარად, მცირე ანტანტის ორ ღერძს დაუკავშირებდა, რომლზე დაყრდნობით საფრანგეთს თავისი ევროპული პოლიტიკის განხორციელება სურდა.

ჩეხოსლოვაკიამ კარპატისპირეთის უკრაინა "დროებით" მიიღო, რომელსაც ავტონომიას შეპირდა და, მასარიკის განცხადებით დაელოდებოდა უკრაინისათვის მის გადაცემას.

1921 წელს კარპატისპირეთის უკრაინამ (12 500 კმ², 600 000 კაცი) მართლაც მიიღო გარკვეული ავტონომია (უკრაინული სკოლები, სამხრეთში კი უნგრული). სლოვაკეთთან მისი გამყოფი საზღვარი მდინარე უჟის მარჯვენა

ნაპირის გაყოლებაზე გადიოდა, ამ რეგიონის დედაქალაქი უჟგოროდი (უნგვარი) გახდა.

1928 წელს სლოვაკეთსა და უკრაინას შორის საზღვარი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მცირედით იქნა გადანეული დასავლეთით, მისთვის მთლიანად უჟის ხეობის დასატოვებლად.

1938 წლის 6 ოქტომბერს მიუნხენის შეთანხმებების გადაწყვეტილებათა თანახმად, ჩეხოსლოვაკიამ კარპატისპირეთის ოლქს 1921 წელს არსებულზე დიდი ავტონომია მიანიჭა, ხოლო ამ პროვინციამ კარპატისპირეთის უკრაინის სახელწოდება მიიღო. ამ დროიდან ის ავტონომიური მთავრობითა (ვოლოშინით სათავეში) და ასამბლეით აღიჭურვა.

1938 წლის 2 ნოემბრის ბელვედერის (ვენის) არბიტრაჟით, ჩეხოსლოვაკიამ უნგრეთს აღუდგინა ტერიტორიების გრძელი ზოლი სამხრეთ სლოვაკეთისა და კარპატისპირეთის ოლქის გასნვრივ. ამ ტერიტორიის მოსახლეობის უმრავლესობა უნგრელებით იყო დასახლებული. ამ გადაცემით კარპატისპირეთის უკრაინაში უნგრეთის ხელში აღმოჩნდა უშგოროდი, ბერეგოვო, მუნკაში და ჩოპი. კარპატისპირეთის ოლქის დედაქალაქი ჰუსტში იქნა გადატანილი. მისი ფართობი 12 000 კმ²-მდე იქნა დაყვანილი, ხოლო მოსახლეობა 400 000 კაცამდე.

1939 წლის 14 მარტს ისარგებლა რა სლოვაკეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებით, პრელატმა ვოლოშინმა კარპატისპირეთის ოლქის დამოუკიდებლობა გამოაცხადა უკრაინის კარპატების სახელით.

15 მარტს ჰიტლერთან შეთანხმებით, უნგრეთმა დაიპყრო კარპატისპირეთის ოლქი, ხოლო 16 მარტს მისი უნგრეთთან მიერთების განკარგულება გამოსცა.

23 მარტს უნგრეთმა ავტონომია უბოძა ამ რეგიონს, რომელმაც კარპატალიას (კარპატისპირეთი) სახელწოდება მიიღო.

31 მარტს უნგრეთმა ძალის გამოყენებით ახალ კარპატისპირეთს სლოვაკეთის 20კმ-იანი ტერიტორიული ზოლი მიუერთა ძველი საზღვრის დასავლეთით.

7 აპრილს უნგრეთმა კარპატისპირეთს ტერიტორიული ფრაგმენტები ჩამოაჭრა (ნადისოლოში, ტეცე) და ისინი თავის ძირითად ტერიტორიას მიუერთა.

1941 წლის ივნისში უნგრეთი სსრკ-ს წინააღმდეგ ომში ჩაება. 1945 წლის მარტ-აპრილში, კარპატისპირეთის ოლქი, როგორც მთლიანად უნგრეთი, საბჭოთა ჯარების მიერ იქნა ოკუპირებული.

1945 წლის 11 მაისს აღდგენილ იქნა ჩეხოსლოვაკია. კარპატისპირეთის ოლქი კვლავ ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში შევიდა, მაგრამ ის სტალინისათვის სასურველ ტერიტორიას წარმოადგენდა.

1945 წლის 29 ივნისის ხელშეკრულებით, ჩეხოსლოვაკიამ სსრკ-ს კარპატისპირეთის ოლქი დაუთმო. საბჭოთა კავშირმა ის უკრაინის ფედერაციულ რესპუბლიკას გადასცა, რომელშიც მისგან კარპატისპირეთის (ადმინისტრაციული ცენტრი უშგოროდი) ახალი პროვინცია (ობლასტი) შეიქმნა.

სსრკ-სა და უნგრეთს შორის არსებული სამხრეთი საზღვარი 1929 წლის საზღვრამდე იქნა დაყვანილი, რამაც ამ პროვინციაში უნგრული ეროვნული უმცირესობა შეიყვანა, რომელიც გარკვეული ავტონომიით სარგებლობდა (სკოლები, უნივერსიტეტი უშგოროდში, გაზეთები). სლოვაკეთთან არსებული დასავლეთი საზღვარი 1928 წლის საზღვრამდე იქნა დაყვანილი.

1947 წლის 10 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, უნგრეთმა უარი თქვა კარპატისპირეთის უკრაინაზე სსრკ-ს სასარგებლოდ.

1991 წელს უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით (24 აგვისტო), კარპატისპირეთი უკრაინის რესპუბლიკის ახალი პროვინცია გახდა.

სლოვენია

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: სლოვენიის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: დანილა ტიურკი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ეროვნული ასამბლეა, საკანონმდებლო პალატა, სახელმწიფო საბჭო, საკონსულტაციო პალატა.
დედაქალაქი: ლიუბლიანა.
ადმინისტრაციული დაყოფა: 8 რეგიონი და დამატებით "დიდი ლუბლიანა": პრიმორსკა (სანაპირო), ორი ადმინისტრაციული ცენტრით, ნოვა გორიცა (ახალი გორიცა) და კოპერი (კაპოდისტრია); გორენსკა (ზემო კრაინა), ადმინისტრაციული ცენტრი კრანი (კრაინბურგი); ნოტრანსკო (შიდა კრაინა), ადმინისტრაციული ცენტრი ცერკნიცა (ზირკნიცი), დოლენსკა (ქვემო კრაინა), ადმინისტრაციული ცენტრი ნოვო მესტო (რუდოლფშვერტი); ბელა კრაინა (თეთრი სასაზღვრო ზოლი), ადმინისტრაციული ცენტრი ჩრნომელი (ჩერნემბლი); სტაერსკა (შტირია), ორი ადმინისტრაციული ცენტრით, მარიბორი (მარბურგი) და ცელე (სილი); კოროსკა (კარინთია), ადმინისტრაციული ცენტრი სლოვენ გრადეცი (ვინდიშგრეცი); პრეკომურიე (პრეკომურიე), ადმინისტრაციული ცენტრი მურსკა სობოტა.
ფართობი: 20 250კმ^2; მოსახლეობა: 2 მილიონი კაცი; სიმჭიდროვე: 99 კაცი ერთ კმ^2-ზე.
ენა: სლოვენური; ეროვნული უმცირესობები ლაპარაკობენ იტალიურ (კაპოდისტრიის რეგიონი) ან უნგრულ (პრეკომურიე) ენებზე.
რელიგია: კათოლიკობა.
ფულის ერთეული: ტოლარი.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. სლოვენური ტერიტორიების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. სათავეებიდან ჰაბსბურგების მმართველობამდე (1282წ.)

ტერიტორია, რომელიც დღეს სლოვენიას წარმოადგენს, სლავების შემოსევებამდე, **რომის იმპერიის** (დაყოფილი ვენეციის, ნორიკის, ზემო პანონიისა და დალმაციის პროვინციებს შორის), შემდეგ კი **ოსტგოთების სამეფოს** შემადგენლობაში შედიოდა.

VI საუკუნის მიწურულს ამ ტერიტორიაზე სლავური წარმოშობის ხალხი, სლოვენები დასახლდნენ და VII საუკუნეში პირველი სლავური სახელმწიფო, **კარანტანიის საპერცოგო** დააფუძნეს (ძირითადად თანამედროვე კარინთიის ტერიტორიაზე). 745 წელს ავარების მხრიდან თავდასხმის შიშით, სლოვენები ბავარიის სიუზერენიტეტის ქვეშ მოექცნენ, 788 წელს კი **ბავარიის ფრანკთა სამეფოში** გაერთიანდნენ, რის შედეგადაც ისინი **კარლოს დიდის** იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ (ფრიულის სამარკიზო).

X საუკუნეში ეს რეგიონი უნგრელებმა დაიპყრეს (900-955წწ.), შემდეგ კი ის "საღვთო რომის იმპერიაში" იქნა შეყვანილი, სადაც კრაინის (იტ. კარნიოლი) მარკას (ადმინისტრაციული ცენტრი კრაინბურგი) წარმოადგენდა, ხოლო ამ ტერიტორიის სამხრეთი ნაწილი ლანგომბარდებზე დაქვემდებარებული ისტრიის სამარკიზოს შემადგენელი ნაწილი გახდა. აღნიშნულ ეპოქაში რეგიონმა ნაწილობრივად გერმანიზაცია განიცადა, განსაკუთრებით ქალაქებმა.

სულ მალე, ფეოდალური მოძრაობის შედეგად დაშლილი რეგიონი ავსტრიის ჰერცოგების, ბაბენბერგების ხელში გადავიდა, რომლებმაც 1192 წელს შტირია, 1233 წელს კი კრაინა იგდეს ხელთ. თუმცა ბაბენბერგთა სახლის ბატონობა 1246 წელს დასრულდა. ინტრიგების მეშვეობით ბოჰემიის მეფე ოტოკარი ამ სამფლობელოს მემკვიდრე გახდა, რომელიც 1269 წელს კარინთიის შემოერთებით მეტად გაიზარდა. რუდოლფ ჰაბსბურგმა, რომელიც 1273 წლიდან იმპერატორი გახდა, ამ სამფლობელოების ჩამორთმევას მიაღწია და ისინი 1282 წელს საკუთარი სახლის სამფლობელოებს მიუერთა. სწორედ ამ დროს **სლოვენებით დასახლებული მიწების** უდიდესი ნაწილი **ჰაბსბურგთა ბატონობის** ქვეშ მოექცა.

2. სლოვენები ჰაბსბურგების მმართველობის ქვეშ (1282-1789ნნ.)

1286 წელს კარინთია ხელახლა იქნა დაკარგული ტიროლის გრაფის სასარგებლოდ, 1336 წელს კი ამ სახლის უკანასკნელი მამრობითი სქესის წარმომადგენლის გარდაცვალების შემდეგ, კვლავ იქნა დაბრუნებული. ჰაბსბურგებმა, რომლებმაც 1382 წელს ადრიატიკის ზღვის სანაპიროებს მიაღწიეს (ტრიესტი მათ მხარეზე გადავიდა ვენეციისგან თავის დაღწევის მიზნით), 1456 წელს ხელთ იგდეს **ცელეს საგრაფო,** და 1500 წელს მემკვიდრეობით მიიღეს **გორიციისა და გრადისკის** საგრაფოები, ისევე როგორც **ისტრიის** (მიტერბურგი) სამარკგრაფო.

ამავე დროს, სლოვენთა მცირე ნაწილი პრეკომურიეს გადაღმა, უნგრეთის სამეფოში იყო დასახლებული. 1526 წელს ისინიც ჰაბსბურგების ბატონობის ქვეშ მოექცნენ, როდესაც ფერდინანდ ავსტრიელმა თავისი ცოლისძმის (იაგელონთა სახლის წარმომადგენელი), უნგრეთის მეფის ლუდვიგ II-ის მემკვიდრეობა მიიღო, რომელიც თურქების წინააღმდეგ მოჰაჩის ბრძოლაში გარდაიცვალა.

აღნიშნული დროიდან, ავსტრიის სახლის სახელმწიფოებსა (კრაინა, კარინთია, გორიცი და გრადისკა) და უნგრეთის სამეფოს შორის გადანაწილებული სლოვენები დაახლოებით **ოთხი საუკუნის მანძილზე ჰაბსბურგების სახლის ხვედრს იზიარებდნენ.**

II. სლოვენები 1789 წელს

დღეისათვის სლოვენიის სახელით ცნობილი ქვეყანა, 1789 წელს ავსტრიის სახლის სხვადასხვა სამფლობელოებს შორის იყო განაწილებული:

– კრაინის საჰერცოგო, დედაქალაქი ლეიბახი (ლიუბლიანა), სავის ზემო აუზზე მდებარეობდა, რომელიც თანამედროვე სლოვენიის ცენტრალურ ნაწილს ნარმოადგენს;

– გორიციისა და გრადისკის საჰერცოგო, დედაქალაქი გორიცი, იზონცოს შუა აუზზე იყო გადაშლილი;

– შტირიის საჰერცოგოს სამხრეთი ნაწილი, დედაქალაქი გრაცი, დრავის შუა აუზზე იყო გადაჭიმული;

– უნგრეთის სამეფოს ფრაგმენტი, პრეკომურია ვაზის (ეიზენბურგი) უნგრულ მედიეში იყო შეყვანილი, რომელიც რაბის ზემო დინებასა და ქვემო პრეკომურიეს შორის მდებარეობდა.

სლოვენთა ეროვნული უმცირესობები აგრეთვე კარინთიის სამხრეთ ნაწილსა და ტრიესტის რეგიონში ცხოვრობდნენ.

უნგრული ფრაგმენტის გარდა, სლოვენია გადაჭიმული იყო ავსტრიის სახლის სამემკვიდრეო ტერიტორიებზე, რომელიც "საღვთო რომის იმპერიაში" (გერმანელი ერის) შემავალი ძველი "გერმანული" სამფლობელოებისგან შედგებოდა (ავსტრიის ოლქი). ჰაბსბურგები იქ კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიებს ფლობდნენ. კრაინის საჰერცოგოში, სავის ზემო დინების გაყოლებაზე, ორი საეკლესიო ანკლავი შედიოდა: ბრიქსენის ეპისკოპოსის მფლობელობაში მყოფი ველდეს (ბლედი) სენიორია და ფრიზინგის ეპისკოპოსის მფლობელობაში მყოფი ლაკას სენიორია. კრაინაში აგრეთვე არსებობდა გერმანელებით დასახლებული პატარა კუნძული გოტში (კოჩევიე). აღნიშნული ქვეყანა გადაშლილი იყო დრავის

შუა და სავის ზემო აუზებზე, ისტრიის კარსტის პლატოზე, რომელიც მას ხმელთაშუა ზღვისგან ყოფდა და ბოლოს, იზონცოს აუზზე. მდინარის აუზებზე მდებარე ტერიტორია ძალიან ხელსაყრელი იყო სოფლის მეურნეობისა და მესაქონლეობის განვითარებისთვის, მაშინ როდესაც კარსტული პლატოს ტერიტორია უწყლობის გამო დაუმუშავებელი და ნაკლებად დასახლებული იყო. კრაინა მნიშვნელოვან გზაზე მდებარეობდა, რომელიც ვენას ტრიესტის ავსტრიულ პორტთან აკავშირებდა. კათოლიკე და არსებული რეჟიმის მომხრე სლოვენები ჰაბსბურგთა ბატონობას იოლად ეგუებოდნენ, რომლებიც პატივს სცემდნენ მათ ტრადიციებს, იმგვარად, რომ მათ ხშირად "სლავურად მოლაპარაკე ავსტრიელებად" მიიჩნევდნენ.

III. 1789 წლიდან ავსტრიის ბატონობის დასასრულამდე (1918წ.)

1. 1789 წლიდან საფრანგეთის მიერ დაპყრობამდე (1809წ.)

თითოეულ საპერცოგო და საგრაფო საკუთარი ინსტიტუტებით იყო აღჭურვილი, რომელთა გაერთიანებასაც 13 მმართველობად იოსებ II ამაოდ ეცადა თავისი მეფობის (1789-1790წწ.) დროს. სლოვენთა ტერიტორიები დროებით გადანაწილდა ავსტრიის ქვემო მმართველობასა (შტირია, კარინთია, კრაინა) და გორიციის, გრადისკასა და ტრიესტის მმართველობას შორის.

ბრძოლის ელვიდან მოშორებით მყოფმა სლოვენებმა პირველ ხანებში თავიდან აიცილეს რევოლუციური გადატრიალებების ხანა. 1797 წელს ავსტრიამ ვენეციის მაგივრად ვენეციის რესპუბლიკის ძველი ტერიტორია (იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონი, მონფალკონეს, ისტრიისა და დალმაციის სამფლობელოები) დაიქვემდებარა, რომელიც სლოვენურ რეგიონებს ესაზღვრებოდა.

1803 წლის 25 თებერვლის საიმპერიო პროტოკოლის თანახმად, რომელიც გერმანიის რეორგანიზაციას ითვალისწინებდა, საეკლესიო სახელმწიფოთა თითქმის სრული სეკულარიზაცია გადაწყდა.

აღნიშნულ ფარგლებში, **ავსტრიამ თავის სასარგებლოდ** ველდესისა (ბრიქსენის სამფლობელო) და ლაკის (ფრიზინგის სამფლობელო) **სეკულარიზაცია მოახდინა**, რომელიც მისი კრაინის საპერცოგოს ტერიტორიაზე იყო შეჭრილი.

საიმპერიო პროტოკოლით რატისბონის (რეგენსბურგი) რჩეულთა კრების მთავართა კოლეგიას ხმათა რაოდენობა 100-დან 131-მდე გაეზარდა, 18 ძალადაკარგული ხმის გაუქმებითა და 49 ახალი ხმის მიმატებით. შტირიამ, კარინთიამ და კრაინამ, ავსტრიას სამი დამატებითი ხმა მოუტანა.

აუსტერლიცში ავსტრიაზე საფრანგეთის გამარჯვების შემდეგ, პრესბურგის 1805 წლის 26 დეკემბრის ხელშეკრულებით, ავსტრიის მფლობელობაში მყოფი სლოვენთა რეგიონები ხელუხლებელი დარჩა. ხელშეკრულება იტალიის სამეფოსთვის ავსტრიის მიერ 1797 წელს მითვისებული ვენეციური ტერიტორიების (ვენეცია, მონფალკონე, ისტრია, დალმაცია) გადაცემით შემოიფარგლა.

ტრიესტის ტერიტორია ავსტრიის საკუთრებაში დარჩა და ამგვარად, გარკვეულ ხარვეზს ქმნიდა უკვე იტალიურ ვენეციასა (ვენეციის რესპუბლიკის ტერიტორია) და ისტრიას შორის. 1807 წლის 10 ოქტომბერს ფონტენბლოს განმარტებითი აქტით, აღნიშნული ხარვეზის შესავსებად, ავსტრიამ იტალიის სამეფოს **იზონცოს მარჯვენა ნაპირი გადასცა** (გამოეყო გორიციისა და გრადისკას საგრაფოს) და სანაცვლოდ **მონფალკონეს პატარა საგრაფო მიიღო.**

ამგვარად, გორიციის საგრაფო დროებით ორ ნაწილად გაიყო: იზონცოს მარჯვენა ნაწილი ავსტრიას შეუნარჩუნდა.

2. ილირიული პროვინციები (1809-1813წწ.)

ვაგრამში საფრანგეთის გამარჯვების შემდეგ, იმპერატორმა ნაპოლეონმა შენბრუნის ხელშეკრულებით (1809 წლის 14 ოქტომბერი), ავსტრიას ახალი ტერიტორიების გადაცემა მოსთხოვა. დიდი ცვლილებები სლოვენებით დასახლებულ რეგიონებსაც შეეხო.

ავსტრიამ ნაპოლეონს დიდი ტერიტორიები **დაუთმო,** რომელთა შორისაც კრაინის საპერცოგო და გორიციის საგრაფოს დარჩენილი ნაწილი (იზონცოს მარცხენა ნაპირი) და ამგვარად, ავსტრიის სლოვენ ქვეშევრდომთა უდიდესი ნაწილი საფრანგეთის სიუზერენიტეტის ქვეშ მოექცა.

სლოვენური პროვინციების გარდა, ავსტრიამ ნაპოლეონს აგრეთვე კარინთიის დასავლეთი ნახევარი დაუთმო, ტრიესტი, ავსტრიის ისტრია და სავის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ხორვატია.

ნაპოლეონმა თავისი იტალიის სამეფოსგან გამოყო გორიციისა და გრადისკის იზონცოს მარცხენა ნაპირზე მდებარე საგრაფოს ნაწილი, იტალიის ისტრია, რაგუზა (დუბროვნიკი) და კოტორი და ისინი ავსტრიის მიერ გადაცემულ სამფლობელოებს დაუმატა საფრანგეთის იმპერიის **ილირიის პროვინციების შესაქმნელად,** რომელიც სლოვენი მოსახლეობის შუაგულში, ლიუბლიანის (გერ. ლეიბახი) გარშემო იყო კონცენტრირებული.

ილირიის სახელწოდების გამოყენება ერთგვარი ქედის მოხრა იყო ანტიკური მოდისადმი და სლოვენთა და ხორვატთა მოსახლეობაში პარტიკულარიზმის გამოღვიძებას ისახავდა ნიზნად, რომელიც მიჩქმალული იყო ჰაბსბურგების იმპერიის ფარგლებში.

ილირიის პროვინციები სლოვენური რეგიონების გორიციისა და ლიუბლიანის საინტენდანტოებს შეესატყვისებოდა ფრანგული ადმინისტრაციის მიერ დროებით შექმნილ ცხრა საინტენდანტოში.

1811 წლის 15 აპრილს ილირიულ საინტენდანტოთა რაოდენობა ექვსამდე იქნა დაყვანილი: კარინთია (ვილაჰი), კრაინა (ლიუბლიანა), ისტრია (ტრიესტი), სამოქალაქო ხორვატია (კარლოვაცი), დალმაცია (ზადარი), რაგუზა და კოტორი (რაგუზა), რომელსაც სამხედრო ხორვატია დაემატა.

სლოვენებით დასახლებული ზონები იქ კრაინასა (რომელიც იმავე სახელწოდების ძველი საპერცოგოს საზღვრებში იქნა აღდგენილი) და ისტრიის (რომელშიც შევიდა გორიციისა და გრადისკის ძველი საპერცოგოები, მონფალკონე, ტრიესტი და ვენეციური ისტრია) საინტენდანტოებს შორის გადანაწილდა.

3. ავსტრიის მმართველობის აღდგენა (1813-1918წწ.)

1813 წლის აგვისტოში ნაპოლეონის მოწინააღმდეგე კოალიციურმა ჯარებმა ილირიის პროვინციების ოკუპაცია მოახდინეს, რომელიც ფრანგმა მმართველებმა დატოვეს. ავსტრიამ დროებით ამ პროვინციების მართვა იკისრა **ილირიის სამეფოს** სახელით, მათი საკითხის საბოლოო მოგვარების მოლოდინში.

1815 წლის ივნისში ვენის კონგრესმა ავსტრიას დაუმტკიცა:

– **ძველი მემკვიდრეობითი სამფლობელოების დაბრუნება,** რომელთა შორისაც იყო **კარინთია, კრაინა, გორიცი და გრადისკა, ტრიესტი, ავსტრიული ისტრია** და სხვ. აღნიშნული ტერიტორიები, რომელიც ნინათ "საღვთო რომის იმპერიაში" (გერმანელი ერის) შედიოდა, გერმანიის ახალი კონფედერაციის შემადგენელი ნაწილი გახდა;

– ვენეციური მემკვიდრეობის გადაცემა იონიის კუნძულების გარდა; ეს ტერიტორიები გერმანიის კონფედერაციის მიღმა დარჩა.

1816 წლის აგვისტოში საიმპერიო რესკრიპტის თანახმად, ილირიის პროვინციების რეორგანიზაცია განხორციელდა. ამ დროიდან, ილირიის სამეფო მხოლოდ თეორიულ სახელწოდებად იქცა, ხოლო მასში შემავალი პროვინციები ავსტრიის იმპერიის ჩვეულებრივი სტატუსით შეიცვალა.

ილირიის სამეფო ორი პროვინციისგან შედგებოდა: ლიუბლიანა (ლიუბლიანის, ნოვი სადის (გერ. ნოიშტადტის), პოსტონიის, ვილაჰის, კლაგენფიურტის ოლქები) და ტრიესტი (გორიციისა და ისტრიის ოლქები, ტრიესტის თავისუფალი ქალაქი).

ავსტრიის იმპერიაში სლოვენები შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებს შორის გადანაწილდნენ:

– ლიუბლიანის (გერ. ლეიბახი) ილირიული პროვინცია: ლიუბლიანის, ნოვი სადის, პოსტონიისა და ნაწილობრივ კლაგენფიურტის ოლქები;

– ტრიესტის ილირიული გუბერნია: მარიბორისა (გერ. მარბურგი) და ცელეს ოლქები;

– დუნაისპირეთის უნგრული ოლქი: ვასას (გერ. აიზენბურგი) მედიე.

1849 წლის მარტში ეროვნული სულისკვეთების საპასუხოდ, რომელმაც 1848 წელს იმპერიის სამხრეთ ნაწილში იჩინა თავი, ავსტრიის მთავრობამ ილირიის სამეფოს სახელწოდება გააუქმა, მისი ტერიტორია კი სამ ნაწილად დაყო: კარინთია, კრაინა და ზღვისპირეთი (ტრიესტი, ისტრია, გორიცია).

1867 წლის 28 ივნისის კომპრომისით, რომლის თანახმად ავსტრიის იმპერია ორ, ავსტრიულ და უნგრულ ნაწილად გაიყო, სლოვენებით დასახლებული ტერიტორიები წილად ხვდა ორმაგი მონარქიის ავსტრიულ ნაწილს (ციზლაიტანია), პრეკომურიეს ოლქის გარდა, რომელიც უნგრული ნაწილის (ტრანსლაიტანია) მფლობელობაში გადავიდა.

IV. იუგოსლავიური პერიოდი (1918-1990წწ.)

1. იტალიასა და იუგოსლავიას შორის გაყოფილი სლოვენები (1918-1941წწ.)

პირველი მსოფლიო ომის დროს სლოვენები გულგრილნი დარჩნენ პანსლავური პროპაგანდის მიმართ და მათი იმპერატორისადმი ბოლომდე ლოიალურობა შეინარჩუნეს.

მიუხედავად ამისა, სლოვენურ ელიტაში ილირიზმის სახელით გარკვეული დაახლოება მოხდა ხორვატებსა და სერბებთან, რამაც სლოვენი აბატი კოროშეცი 1917 წლის 1 ივლისს მათთან კორფუს (კერკირა) პაქტის ხელის მოწერაზე მიიყვანა. ამ პაქტით გათვალისწინებული იყო ომის დასრულების შემდეგ სამხრეთი სლოვენების გაერთიანება.

დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ ავსტრია-უნგრეთის დაშლასთან დაკავშირებით, მოკავშირეებმა ეს საკითხი მხოლოდ 1918 წლის გაზაფხულზე გადანყვიტეს და სერბული ბირთვის გარშემო სამხრეთი სლავების გაერთიანებას შეუწყეს ხელი.

1918 წლის 26 ოქტომბერს ზაგრების ეროვნულმა საბჭომ, აბატ კოროშიცის თავჯდომარეობით, რომელიც იმპერიის სლოვენებს, ხორვატებსა და სერბებს წარმოადგენდა, ავსტრია-უნგრეთისგან სლავური სამხრეთი ტერიტორიების გამოყოფა გამოაცხადა, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სამხრეთ სლავების სამეფოში მათ გასაერთიანებლად.

გამარჯვების შემდეგ, 1918 წლის 1 დეკემბერს სერბეთის პრინცმა-რეგენტმა ალექსანდრემ სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა (სხს) სამეფოს შექმნა გამოაცხადა, რომლის მიზანიც ევროპის სამხრეთ სლავთა გაერთიანება იყო. ამ გაერთიანების ღერძს სერბები, ხორვატები და სლოვენები წარმოადგენდნენ.

თუკი სერბეთი და ხორვატია ადმინისტრაციულ ერთეულებს შეადგენდა, სლოვენია აღნიშნულ დრომდე მხოლოდ გეოგრაფიული დასახელება იყო, რომლისთვისაც აუცილებელი იყო ზუსტი საზღვრების დადგენა მომავალი სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს.

1919 წლის 10 სექტემბრის სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით, ავსტრიამ ყოფილი ციზლაიტანიის სახელით ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ქვეყნებს დიდი ტერიტორიები დაუთმო. სლოვენებით დასახლებულ მიწებთან დაკავშირებით:

1) ავსტრიამ სერბეთის, ხორვატიისა და სლოვენიის სამეფოს დაუთმო:

– **შტირიის სამხრეთი მესამედი,** რადკენსბურგის გარეშე, მაგრამ მარიბორთან (გერ. მარბურგი) ერთად (გერმანელებით დასახლებული);

– **კრაინა,** თითქმის მთლიანად, მაგრამ მისი დასავლეთი ნაწილი იტალიასა და სხს-ს სამეფოს შორის დავის საგანი იყო;

– **მიესტალი,** კარინთიის აღმოსავლეთი ფრაგმენტი (დრაუბურგის გარშემო) და ამას გარდა, კარავანკენის ქედის ზოლის სამხრეთით მდებარე სამხრეთი კარინთიის ფრაგმენტი;

2) **ავსტრიამ იტალიას დაუთმო გორიციისა და გრადისკის საგრაფო და ქალაქი ტრიესტი,** ისევე როგორც სავის სათავესთან მდებარე **კრაინის მცირე ფრაგმენტი** (ვაისენფელსი/ფიუზინე);

3) **ავსტრიამ უარი თქვა დასავლეთ კრაინაზე,** რომელიც დავის საგანი იყო იტალიასა და სხს-ს სამეფოს შორის.

4) **ავსტრიამ დროებით კლაგენფიურტის აუზი შეინარჩუნა** (კარინთიის სამხრეთ-აღმოსავლეთი მეოთხედი), მაგრამ 1929 წელს იქ პლებისციტი უნდა ჩატარებულიყო რათა მოსახლეობას თავისი არჩევანი გაეკეთებინა ავსტრიასა და სხს-ს სამეფოს შორის.

1920 წლის 4 იანვრის ტრიანონის ხელშეკრულებით, უნგრეთმა ყოფილი ტრანსლაიტანიის დიდი ტერიტორიები დაუთმო არსებულ და ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სახელმწიფოებს.

სლოვენებით დასახლებულ მიწებთან დაკავშირებით, **უნგრეთმა სხს-ს სამეფოს პრეკომურიე** და ვასის (გერ. აისენბურგი) მედიეს სამხრეთი ნაწილი დაუთმო.

კარინთიაში პლებისციტის ჩასატარებლად მოკავშირეებმა კლაგენფიურტის აუზი ორ ზონად დაჰყვეს: I ზონა (ბლაიბერგი, ველკერმარკი) და II ზონა (პირველი ზონის ჩრდილოეთით).

1920 წლის 10 ოქტომბერს I ზონაში ჩატარებული პლებისციტით, უმრავლესობამ ავსტრიასთან დარჩენას მისცა ხმა ხმათა 60%-ით, რის შემდეგაც მოკავშირეებმა კლაგენფიურტის აუზის ავსტრიისთვის დატოვება გადაწყვიტეს.

1915 წლის აპრილის ლონდონის პაქტის თანახმად, გადაწყდა იტალიის ომში მონაწილეობა ანტანტის მხარეზე. აღნიშნული პაქტი იტალიას დასავლეთი კრაინის ნაწილის (კარსტის პლატოზე მდებარე იდრიასთან ერთად, მაგრამ ედელსბერგის (პოსტონია) გარეშე, სავისა და ადრიატიკის ზღვის წყლების გამყოფ ზოლამდე) ხელში ჩაგდების პერსპექტივას აძლევდა.

ზემოაღნიშნული სტრატეგიული საზღვარი, რომელიც იტალიაში მცხოვრებ სლოვენურ მოსახლეობას მოიცავდა აღმოსავლეთით იქნა გადატანილი ადელსბერგის ჩათვლით, იტალიასა და სხს-ს შორის საიდუმლო შეთანხმებით, რომლის სანაცვლოდ იტალიას მხარდაჭერა უნდა შეეწყვიტა ჩერნოგორიის დინასტიისთვის.

იტალიასა და სხს-ს შორის ხელმოწერილი 1920 წლის 20 ნოემბრის ხელშეკრულებით, **დასავლეთი კრაინა** იდრიითა და ადელსბერგით **იტალიის ხელში გადავიდა.**

ამგვარად, სლოვენები შემდეგ ქვეყნებში გადანაწილდნენ:

– მათი უმრავლესობა სერბეთის, ხორვატიისა და სლოვენიის სამეფოში იყო დასახლებული, და ასევე ძველ ავსტრიულ ან უნგრულ პროვინციებში, რომელიც კრაინისა და კარინთიის ახალ იუგოსლავიურ პროვინციაში გაერთიანდა;

– იტალიის სამეფოში სლოვენები ძველი გორიციის საგრაფოსა და დასავლეთი კრაინის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, რომელიც გორიციის ახალ იტალიურ პროვინციაში იყო გაერთიანებული;

– ავსტრიის რესპუბლიკაში კარინთიაში მცხოვრები სლოვენები ამავე სახელწოდების პროვინციაში დარჩნენ.

1923 წელს იტალიამ გორიციის პროვინცია გააუქმა და ის უდინეს პროვინციას მიუერთა ფრიულის დიდი პროვინციის შესაქმნელად.

1927 წელს იტალიამ ფრიულის პროვინციის ხელახალი დაყოფა განახორციელა და გორიციის პროვინცია აღადგინა, რომელიც 1920 წელთან შედარებით უფრო მცირე ტერიტორიას მოიცავდა. ედელსბერგის (პოსტონია) რეგიონი ტრიესტის პროვინციასთან იქნა მიერთებული.

სერბებსა და სხვა ეროვნებებს შორის მომხდარი სერიოზული შეტაკებების შემდეგ, მეფე ალექსანდრე I-მა ქვეყნის სტანდარტიზაციის განკარგულება გამოსცა, რომელიც **იუგოსლავიის სამეფო** გახდა (1929წ.).

1931 წელს ძველმა ისტორიულმა რეგიონებმა ცხრა ახალ ბანოვინას დაუთმო ადგილი, რომელიც ნაწილობრივ ძველ პროვინციებს შეესატყვისებოდა და მდინარეების სახელებს ატარებდა.

აღნიშნულ ფარგლებში, კარინთიისა და კრაინის ძველი პროვინცია დრავის (ადმინისტრაციული ცენტრი ლეიბახი/ლიუბლიანა) ბანოვინად გადაკეთდა.

1938 წლის მარტში ანშლუსის შემდეგ, კარინთიის სლოვენები გერმანიის რაიხის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ.

2. დაშლილი სლოვენია (1941-1946წწ.)

გერმანიის, იტალიისა და ბულგარეთის ჯარების მიერ იუგოსლავიური არმიის დამარცხების შემდეგ, 1941 წლის 22 აპრილს ჰიტლერმა იუგოსლავიის დაშლა გადაწყვიტა.

დრავის ბანოვინა (სლოვენია) სამ ნაწილად დაიყო:

– **სამხრეთი ნაწილი,** ლიუბლიანის ჩრდილოეთით გამავალი დასავლეთ-აღმოსავლეთი ზოლის სამხრეთით, **იტალიას გადაეცა,** რომელმაც ამ ტერიტორიისგან ლიუბიანის იტალიური პროვინცია შექმნა;

– **ჩრდილოეთი ნაწილი,** ზემოაღნიშნული ზოლის ჩრდილოეთით, **გერმანიას გადაეცა,** რომელმაც ის მიუერთა:

– შტირიის პროვინციას, ქვემო შტირიისა ან სამხრეთი შტირიის სახელით (შტირიის ძველი ნაწილი (მარიბორი, ცელე)), ისევე როგორც ძველი კრაინიდან მომავალი ტერიტორიული ზოლი;

– კარინთიის პროვინციას, ზემო კრაინის ან სამხრეთი კრაინის სახელით, ძველი კრაინის უდიდესი ნაწილი (ასლინგი, კრაინბერგი);

– **პრეკომურიე კვლავ უნგრეთს გადაეცა.**

1943 წლის 8 სექტემბრის საზავო ხელშეკრულებით, იტალიამ მოკავშირეებთან სამხედრო მოქმედებანი შეწყვიტა და მიუხედავად მუსოლინის სალოს რესპუბლიკის პროტესტისა, **ჰიტლერმა გერმანიის რაიხს** სხვადასხვა იტალიური ტერიტორიები **მიუერთა,** მათ შორის **ლიუბიის პროვინცია,** რომელიც ადრიატიკის სანაპიროს სამხედრო ზონაში იქნა მოქცეული.

პრეკომურიეს სლოვენთა გამოკლებით, სლოვენები ხელახლა იქნენ გაერთიანებულნი რაიხში, თუმცა პირობები მეტად განსხვავდებოდა 1918 წლამდე არსებულისგან (და კიდევ უფრო მეტად 1803 წლამდე არსებულისგან).

3. სლოვენია, იუგოსლავიის ნეკრი სახელმწიფო (1946-1991წწ.)

1943 წლიდან იუგოსლავია ფარულად იქნა აღდგენილი ფედერაციული ფორმით ტიტოს ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის მიერ, რომელიც ტიტოს კომუნისტურმა ძალებმა იასიში დააფუძნეს. ტიტოს ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ პერიოდში ცენტრალიზაციით გამოწვეული ანტაგონიზმის განახლების თავიდან აცილება სურდა.

1946 წლის იანვრის კონსტიტუციამ ახალი იუგოსლავიის ფედერაციული სტრუქტურა დაამტკიცა.

სლოვენია პირველად გამოჩნდა სახელმწიფოს რანგში, **სლოვენიის ფედერაციული რესპუბლიკა,** დედაქალაქი ლეიბახი/ლიუბლიანა. აღნიშნულ დროს სლოვენიის ტერიტორია კრაინისა და კარინთიის ძველ პროვინციას (დრავის ბანოვინა) შეესატყვისებოდა, რომელსაც პრეკომურიე დააკლდა.

1947 წლის 10 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, იტალიისა და უნგრეთის ახალი საზღვრები დადგინდა, რომლებმაც სხვადასხვა ტერიტორიები დაუთმეს მოსაზღვრე ქვეყნებს.

აღნიშნულ ფარგლებში, უნგრეთმა იუგოსლავიას პრეკომურიე დაუთმო, რომელიც სლოვენიის რესპუბლიკაში შევიდა.

იტალიამ იუგოსლავიას (სლოვენიის რესპუბლიკას) დაუთმო გორიცის ძველი საგრაფო (ქალაქის გარეშე, მაგრამ კასტანიავიცის გარეუბნით) და დასავლეთი კრაინა (კარნიოლი), ტრიესტზე მაღლა მდგომი კარსტის პლატომდე.

ქალაქი ტრიესტი, მისი იტალიასთან დამაკავშირებელი ტერიტორიული ზოლი და კოპერის რეგიონი ტრიესტის თავისუფალი ტერიტორია გახდა გაეროს კონტროლქვეშ.

1954 წლის 5 ოქტომბრის ლონდონის მემორანდუმით, ტრიესტის თავისუფალი ტერიტორია დაშლილ და გაყოფილ იქნა. ზონა ა) (ტრიესტი და მისი კორიდორი) იტალიამ შემოიერთა, ზონა ბ) (კოპერი, ჩიტანოვა) იუგოსლავიამ მიიერთა და ის ორ ნაწილად გაყო.

ბ ზონის სამხრეთი ნაწილი (ჩიტანოვა) ხორვატიულ ისტრიასთან, ხოლო ამ ზონის ჩრდილოეთი ნაწილი (კოპერი) სლოვენიის რესპუბლიკასთან გაერთიანდა. ამ უკანასკნელმა ზღვაზე გასასვლელი ფანჯარა მიიღო კაპოდისტრიის (კოპერი) პორტთან და რკინიგზასთან ერთად, რომელიც მას ქვეყნის დარჩენილ ნაწილთან აკავშირებდა.

ამგვარად, სლოვენიამ 20 250კმ² ფართობითა და 1 500 000 კაცი მოსახლეობით, თავის საბოლოო ტერიტორიულ ფართობს მიაღწია. იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენლობაში სლოვენია იყო სახელმწიფო, რომელიც გარკვეული ავტონომიით სარგებლობდა. თუმცა ის კომუნისტური პარტიის კონტროლქვეშ იმყოფებოდა, რომელიც მარშალ ტიტოს რკინის ხელით ყველა მექანიზმს აკონტროლებდა (როგორც მთლიანად იუგოსლავიას).

ფედერაციის შემადგენლობაში, სლოვენია არცთუ მდიდარი და აყვავებული რესპუბლიკა იყო, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების მოტივებს ზრდიდა.

სლოვენთა ეროვნული უმცირესობები ავსტრიის კარინთიასა და იტალიაში (ფრიული და ტრიესტის რეგიონი) აგრძელებდნენ ცხოვრებას.

V. დამოუკიდებელი სლოვენია (1991 წლიდან დღემდე)

ტიტოს გარდაცვალებამ (1980 წლის მაისი) და კომუნისტური რეჟიმების ნგრევამ ევროპაში (1989-1990წწ.) იუგოსლავიის ზოგიერთ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მოთხოვნისკენ უბიძგა.

1990 წლის აპრილში სლოვენიაში თავისუფალი არჩევნები ჩატარდა. იმავე წლის ივლისში ასამბლეამ დამოუკიდებლობისკენ მიმართული დეკლარაცია მიიღო.

1990 წლის 23 დეკემბერს ჩატარებული რეფერენდუმით 88%-მა დამოუკიდებლობის სასარგებლოდ მისცა ხმა.

1991 წლის 25 ივნისს სლოვენია იუგოსლავიის ფედერაციას გამოეყო და დემოკრატიული რეჟიმით აღჭურვილი სლოვენიის რესპუბლიკა (დამოუკიდებელი) გახდა. ხანმოკლე ომის შემდეგ (26 ივნისი–18 ივლისი) იუგოსლავია მისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას დათანხმდა.

აღნიშნული დროიდან, სლოვენიამ პირველად თავისი არსებობის მანძილზე, რეალურად შეძლო დამოუკიდებლად არსებობა. მან ძალზე სწრაფად შეცვალა დასავლეთთან ურთიერთობები, რომელიც მისი მტკიცე მხარდამჭერი გახდა კერძოდ, ავსტრიასა და იტალიასთან. სლოვენიამ ევროკავშირში შესვლის სურვილი გამოთქვა, რის შემდეგაც 2002 წლის 12 დეკემბერს მისი კანდიდატურა მიღებულ იქნა. 2004 წლის 1 მაისს სლოვენია ევროკავშირში შევიდა.

ილირიის პროვინციები

ტერმინი ილირია არაზუსტი სახელწოდებაა, რომელიც რომაულ ეპოქას განეკუთვნება. ის დუნაისა და ადრიატიკის ზღვას შორის მდებარე ტერიტორიებს მოიცავდა, უფრო ზუსტად კი ადრიატიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ტერიტორიებს. დიდი ხნის მანძილზე ილირია პოლიტიკური თვალსაზრისით არაფერს წარმოადგენდა, ინტელექტუალურ ასპექტში კი იქ სამხრეთ ევროპის სლავთა ლიტერატურა განვითარდა, რომლის კერა რაგუზა (დუბროვნიკი) იყო.

ტერიტორიები, რომელიც 1809 წლიდან 1813 წლამდე ილირიის პროვინციების სახელით იყო ცნობილი, შუა საუკუნეებიდან ოთხად იყო დაყოფილი:

– ავსტრიის სახლის სახელმწიფოები: კრაინა (კარნიოლი), კარინთია, გორიცია, ტრიესტი, ისტრია;

– უნგრეთის სამეფო გვირგვინი, რომელიც ასევე ავსტრიასაც ეკუთვნოდა: ხორვატია-სლავონია;

– ვენეციის რესპუბლიკა: მონფალკონე, ისტრია, დალმაცია, კოტორის ყურე და კუნძულები;

– რაგუზისა და პოლძის რესპუბლიკები.

1797 წლის ოქტომბრიდან კამპო-ფორმიოს ხელშეკრულებით, ვენეციის რესპუბლიკა საფრანგეთის (რომელმაც იონიის კუნძულები მიიღო), ციზალპურ რესპუბლიკასა (რომელმაც ყოფილი ვენეციის რესპუბლიკის დასავლეთი ნაწილი მიიღო) და ავსტრიას (რომელმაც ყოფილი ვენეციის რესპუბლიკის აღმოსავლეთი ნაწილი და ისტრია, დალმაცია და კოტორის ყურე მიიღო) შორის გადანაწილდა.

1801 წლის ლიუნევილის სამშვიდობო ხელშეკრულებით დამტკიცებული დებულებები 1805 წლის პრესბურგის (ბრატისლავა) სამშვიდობო ხელშეკრულებით შეიცვალა, რომლის თანახმად, იმპერატორმა ნაპოლეონმა ავსტრიული ნაწილი (აღმოსავლეთი ვენეცია, ისტრია, დალმაცია, კოტორი) დაიპყრო ამ უკანასკნელის თავისი იტალიის სამეფოსთვის მისაერთებლად ფრანგული ჯარების ოკუპაციის ქვეშ. აღნიშნული ოკუპაცია რუსეთისა და ჩერნოგორიის მტრულ პოზიციას შეეჯახა, რამაც კოტორის დაკავებას ხელი შეუშალა, და ირიბად რაგუზის ოკუპაციას, შემდეგ კი მის ანექსიას შეუწყო ხელი (1808 წლის იანვარი).

ვაგრამში ახალი გამარჯვების შემდეგ, ნაპოლეონმა ავსტრიას შენბრუნის სამშვიდობო ხელშეკრულებაზე (1809 წლის 14 ოქტომბერი) ხელის მოწერა აიძულა, რომლის თანახმად მან სხვა ტერიტორიებს შორის ავსტრიას დასავლეთი კარინთია (ვილაპის ოლქი), კრაინა, გორიცისა და გრადისკის საგრაფო (იზონცოს მარცხენა ნაპირზე), ტრიესტი, ისტრიის სამარკგრაფო, სავის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ხორვატიის ნაწილი ჩამოართვა.

1809 წლის 14 ოქტომბრის დეკრეტით, იტალიის სამეფოსგან იზონცოს მარჯვენა ნაპირზე მდებარე გორიციისა და გრადისკის საგრაფო, იტალიური ისტრია, დალმაცია, რაგუზა და კოტორი (რომელიც საბოლოოდ 1807 წელს იქნა ოკუპირებული) გამოიყო საფრანგეთის იმპერიის ილირიის პროვინციებად წოდებულ ტერიტორიებთან მისაერთებლად.

მიზნები, რომელმაც ნაპოლეონს ამ ნაბიჯის გადადგმისკენ უბიძგა სტრატეგიული და ეკონომიკური ხასიათისა იყო: ილირიის პროვინციებს უწყვეტი კავშირი უნდა უზრუნველეყო თურქეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით, და ამავე დროს, გზა უნდა გადაეკეტა ცენტრალური ევროპისკენ მიმავალი ინგლისის კონტრაბანდული გზისთვის.

ანტიკური ხანისადმი თაყვანისცემის გარდა, ილირიის სახელწოდება მიზნად ისახავდა ამ პროვინციებში სლოვენურ და ხორვატიულ მოსახლეობაში სლავური პარტიკულარიზმის გაღვივებას, რომელიც ავსტრიის მეურვეობის ქვეშ მიჩქმალული იყო და ხელი უნდა შეეწყო ნაპოლეონის მიზნებისთვის.

თუმცა აღნიშნული პროვინციები არ იყო ერთგვაროვნად დასახლებული, რადგან იქ ცხოვრობდნენ გერმანელები, კარინთიასა და კრაინაში და იტალიელები, გორიციაში, ტრიესტში, ისტრიასა და დალმაციაში, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობას მაინც სლავები (სლოვენები და ხორვატები) შეადგენდნენ. მიუხედავად ფრანგული ადმინისტრაციისა (მეტად სლავოფილურად განწყობილი), შექმნილმა ვითარებამ ილირიის პროვინციები სლავური გავლენის ქვეშ მოაქცია, რომლის სიმბოლოსაც ძალზედ სლავური ქალაქის ლიუბლიანის (გერ. ლეიბახი) დედაქალაქად არჩევა მოწმობდა. ინტელექტუალთა მოძრაობამ "ილირიზმის" სახელით (სლოვენებისა და ხორვატთა გაერთიანება) იქ თავისი დასაყრდენი ჰპოვა.

1809 წლის 25 დეკემბრის დეკრეტით, ილირიის პროვინციები გენერალ-გუბერნატორის (მარშალი მარმონი) მმართველობის ქვეშ მოექცა, რომლის რეზიდენცია ლიუბლიანაში იყო განლაგებული. პროვინციები დროებით ცხრა სამოქალაქო საინტენდანტოდ დაიყო, რომელიც იმპერიის დანარჩენ დეპარტამენტთა ეკვივალენტს წარმოადგენდა: გორიცია, ვილაპი, ლიუბლიანა, ტრიესტი, კარლოვაცი (გერ. კარლშტადტი), ფიუმე, ზადარი, სპალატო, რაგუზა.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიებს ხორვატიის სამხედრო საინტენდანტო დაემატა, რომელიც სავის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ავსტრიის სამხედრო საზღვრების ნაწილს მოიცავდა. საფრანგეთმა ამ ტერიტორიის ანექსია მოახდინა, სადაც ფრანგებმა ავსტრიელთა ბატონობიდან შემორჩენილი თვითმმართველობის (zadrugas) სასაზღვრო სისტემის შესარჩუნება გადაწყვიტეს.

1809 წლის ოქტომბერში შენბრუნში, ავსტრიამ საფრანგეთს სხვა ტერიტორიებს შორის ასევე ზალცბურგის საპერცოგო (ზალცბურგი, ბერშტესგადენი, ვინდიში, მატრეი) დაუთმო, რომლის საკითხი ნაპოლეონმა გადაუჭრელად დატოვა.

აღნიშნულ ფარგლებში, საფრანგეთმა ბავარიის საპერცოგოს ზალცბურგის საპერცოგო დაუთმო, ვინდიშ/მატრეის ტერიტორიის გარდა, რომელიც საფრანგეთმა დაიტოვა. ბავარიამ საფრანგეთს დაუთმო აღმოსავლეთი ტიროლი (პუსტეცი) ტობლახის შესასვლელის აღმოსავლეთით. ორი აღნიშნული ტერიტორია (აღმოსავლეთი ტიროლი და ვინდიშ/მატრეი) გაერთიანდა და ილირიის პროვინციების ვილაპის საინტენდანტოსთან იქნა მიერთებული.

ამგვარად, ილირიის პროვინციებმა თავის აპოგეას მიაღწიეს 55 000 კმ² ფართობითა და დაახლოებით 1 500 000 კაცი მოსახლეობით.

1811 წლის 15 აპრილის დეკრეტით, ილირიის პროვინციების რაოდენობა ექვსამდე იქნა დაყვანილი და ისინი ოლქებად დაიყო:

– კარინთია: ვილაპი, ლენცი;
– კრაინა: ლეიბახი (ლიუბლიანა), ადელსბერგი, ნოიშტადტი (ნოვო-სადი);
– ისტრია: ტრიესტი, გორიცი, კაპოდისტრია (კოპერი), როვინგო;
– სამოქალაქო ხორვატია: კარლსტადტი (კარლოვაცი), ფიუმე (რიეკა), სენი;
– რაგუზა და კოტორი: რაგუზა, კოტორი, ლეშნიცა, მაკარსკა.

აღნიშნულ ტერიტორიებს სამხედრო ხორვატია (კარლოვაცი) უცვლელად დაემატა.

ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლმა კოალიციურმა ძალებმა ილირიის პროვინციები დაიპყრეს (1813 წლის აგვისტო). ოკუპაცია რაგუზის აღებით დასრულდა (1814 წლის იანვარი) ოთხთვიანი ალყის შემდეგ. ავსტრიელებს ილირიის პროვინციების მართვა მშვიდობის დამყარებამდე დაეკისრათ.

უკრაინა

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: უკრაინის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ვიქტორ იუშენკო.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი.
დედაქალაქი: კიევი.
ადმინისტრაციული დაყოფა: 1 ავტონომიური რესპუბლიკა, ყირიმი (ადმინისტრაციული ცენტრი სიმფეროპოლი) და 24 რეგიონი: კარპატისპირეთი (ადმინისტრაციული ცენტრი უჟგოროდი), ჩერნოვიცი (ან ჩერნოვცი (ბუკოვინა)), ტერნოპოლი (ან ტარნოპოლი), რივნე (ან როვნო), ვოლინი (ადმინისტრაციული ცენტრი ლუცკი), ჟიტომირი (ან ზიტომირი), ხმელნიცკი (ან პროსკუროვი), კიევი, ვინიცა, ჩერკასკი, კიროვოგრადი, ოდესა, მიკოლაევი, (ან ნიკოლაიევი), ჩერნიგი (ან ჩერნიგოვი), სუმი, პოლტავა, დნიპროპეტროვსკი (ან დნეპროპეტროვსკი), ხერსონი, ზაპაროჟიე, ხარკივი (ან ხარკოვი), დონეცკი, ლუჰანსკი (ან ლუგანსკი).
ფართობი: 603 700კმ²; **მოსახლეობა:** 52 მილიონი კაცი; **სიმჭიდროვე** 86კაცი ერთ კმ2-ზე.
ენები: უკრაინული; ლაპარაკობენ აგრეთვე რუსულად.
რელიგიები: მართლმადიდებლობა, კათოლიკური ან უნიატური უმცირესობა.
ფულის ერთეული: გრივნა.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. უკრაინის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. კიევის იმპერიიდან პოლონეთსა და რუსეთს შორის განაწილებამდე (IX — XIII სს.)

ჩვ. წ. აღ. დასაწყისში რეგიონი, რომელიც დღეს უკრაინის ტერიტორიას წარმოადგენს, სკვითებითა და სარმატებით იყო დასახლებული. ისინი გოთებმა და ჰუნებმა დაიპყრეს, რომელნიც არ დამკვიდრებულან ამ მხარეში. XI I საუკუნეში აღნიშნულ რეგიონში ხანგრძლივი დროით სლავები დასახლდნენ.

IX საუკუნის მიწურულს, კიევის რეგიონში სკანდინავიიდან მოსული ვარიაგები (რუსები) დამკვიდრნენ და იქ დიდი იმპერია შექმნეს. XI საუკუნიდან ამ რეგიონების სამხრეთი ნაწილი პაჭანიკებმა, შემდეგ კი კუმანებმა დაიპყრეს, ხოლო უკრაინელი რუსების მცირე ნაწილი ზემო ტისაზე (პირიქითა კარპატები) დასახლდა და უნგრეთის სამეფოში მოექცა.

XIII საუკუნიდან თათრებმა (ან მონღოლები) ხელთ იგდეს უკრაინის ჩრდილოეთი ნაწილი. ამავე დროს, ლიტველები ქვეყნის დასავლეთ ნაწილს (ვოლინია, პოდოლია), XIV საუკუნეში კი კიევს დაეუფლნენ, ხოლო პოლონელებმა უკრაინის უკიდურესი დასავლეთი (გალიცია) დაიპყრეს.

XIV საუკუნის მიწურულს უკრაინა უნგრეთმა (დასავლეთით მდებარე მცირე ნაწილი), პოლონეთმა და ლიტვამ (1386 წელს ორივე ხალხი გაერთიანდა) (დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი) და თათრებმა (სამხრეთი და აღმოსავლეთ ნაწილები) გადაინაწილეს.

XV და XVI საუკუნეებში რუსებმა თავისი ბატონობა ჩრდილოეთ ნაწილზე გაავრცელეს, კაზაკებმა აღმოსავლეთ ნაწილზე (დნეპრის კლანკი), თურქებმა შავი ზღის სანაპირო დაიპყრეს და ყირიმის თათრები დაიმორჩილეს, პოლონე-

ლებმა დასავლეთ ნაწილში მოიკიდეს ფეხი, სადაც მათ მართლმადიდებელ უკრაინელთა ნაწილი კათოლიკობის მიღებაზე დაითანხმეს (1439 წლისა და 1596 წლის უნიები) აღმოსავლური მართლმადიდებლური ადათ-წესის შენარჩუბით (უკრაინული ან უნიატური ეკლესია). XVII საუკუნეში **რუსებმა** კაზაკები დაიმორჩილეს და 1654 უკრაინის უდიდესი ნაწილის ბრძანებლები გახდნენ.

1764 წელს ეკატერინე II-მ კაზაკთა უკანასკნელი გეტმანი დაითხოვა. დაკარგეს რა პრივილეგიები, 1775 წელს კაზაკები მთლიანად მოექცნენ რუსეთის იმპერიაში.

1772 წელს პოლონეთის პირველი განაწილების დროს, ნაწილობრივ უკრაინელებით დასახლებული გალიცია ავსტრიას გადაეცა.

1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, დამარცხებულმა თურქეთმა 1774 წელს რუსეთს დნეპრისა და დონის შესართავებთან მდებარე ნავსაყუდლები დაუთმო, ისევე როგორც კიმბურნის, ქერჩისა და იანი-კალეს ნავსაყუდლები ყირიმში და ზაპოროჟიეს სანაპიროს ტერიტორია (ბუგსა და დნეპრს შორის მდებარე კუთხე). ამავე დროს, თურქეთმა უარი თქვა ყირიმის სახანოს სიუზერენობაზე, რომელიც თეორიულად დამოუკიდებელი გახდა, მაგრამ ფაქტობრივად რუსეთის ჩარევას დაემორჩილა.

1775 წელს ბუკოვინა (პორტის მოხარკე მოლდოვას სამთავროს ჩრდილოეთი ნაწილი), რომლის მოსახლეობის ნახევარს უკრაინელები შეადგენდნენ, სულთანმა ავსტრიას გადასცა.

2. უკრაინის ტერიტორია 1789 წელს

1789 წელს უკრაინა ("სასაზღვრო რეგიონი") არავითარ პოლიტიკურ რეალობას არ წარმოადგენდა. საქმე ეხებოდა მხოლოდ გაურკვეველ დასახელებას, რომელიც რუსეთის იმპერიის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას მოიცავდა. თუმცა არსებობდა უკრაინელი ხალხი, რუსების სლავური განშტოება, რომელსაც ნლების მანძილზე ძირითად ფუძეს მონღოლთა, პოლონელ-ლიტველთა, კაზაკთა და თურქთა შემოსევები აშორებდა. ამ შტოს გამაერთიანებელი უკრაინული ენა იყო.

უკრაინელებით დასახლებული ტერიტორიები გადაჭიმული იყო კარპატების ქედიდან დონის რეგიონამდე, დნეპრის ზემო აუზიდან შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპირობეზე. მაღალი კარპატებისა (დასავლეთი) და ყირიმის მთების (სამხრეთით) გარდა, ეს იყო ძირითადად ვრცელი ნაყოფიერი დაბლობების ტერიტორია (პურის ბელელი), რომელიც მოიცავდა დნესტრის, ბუგის, ქვემო დნეპრის აუზებსა და დონის აუზის ნაწილს.

1789 წელს უკრაინელებით დასახლებული ტერიტორიების პოლიტიკური დაყოფა (მთლიანად ან ნაწილობრივ) ამგვარად გამოიყურებოდა:

– კარპატისპირეთის ოლქი ტისას ზემო აუზის რეგიონს წარმოადგენდა, რომელიც ავსტრიის სახლს დაქვემდებარებულ უნგრეთის სამფლობელოში იყო შეყვანილი: უუგოროდისა და უგოშჩის მიწები, ბერეგისა და მარამაროშის ნახევარი;

– გალიცია და ბუკოვინა, რომელიც გალიციის სამეფოს შეადგენდა, 1772 წლიდან ავსტრიის სახლის ახალ სამეფო გვირგვინს ეკუთვნოდა და 19 ოლქად იყო დაყოფილი;

– ვოლნია, პოდოლია და საკუთრივ უკრაინის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი (დნეპრის მარჯვენა ნაპირი) პოლონეთის სამეფოში შედიოდა: ვოლინიის (როვნო), პოდოლიის, (კამენეცი), კიევის (ქალაქის გარეშე) და ბრატისლავის საგუბერნიოები;

– საკუთრივ უკრაინის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი (დნეპრის მარცხენა ნაპირი), კაზაკთა რეგიონი და ყირიმი რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო: ჩერნიგოვის, პოლტავის, კიევის, ხარკოვის, ეკატერინოსლავლის, ხერსონის, ტავრიის, ყუბანის, დონის კაზაკთა მხარის გუბერნიები;

– ბუჯაკი და ხერსონი, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს ქმნიდა დუნაისა და ბუგს შორის, ოსმალთა იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო და სილისტრიის დიდი ვილაიეთის ორ სანჯაყს შეადგენდა;

II. უკრაინა რუსეთის მეურვეობის ქვეშ (1789 წლიდან დღემდე)

1. 1789 წლიდან უკრაინის რესპუბლიკის შექმნამდე (1918წ.)

ეკატერინე II-ის მიზნებს ოსმალთა იმპერიის საზარალოდ, 1787 სექტემბერს სამხედრო მოქმედებების განახლება მოჰყვა თურქეთსა და რუსეთს შორის. ავსტრია ამ უკანასკნელს 1788 წლის თებერვალში შეუერთდა.

საფრანგეთსა და პოლონეთში განვითარებული მოვლენებით შეშფოთებულმა ავსტრიამ, 1791 წელს თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რის შემდეგაც ავსტრიის მიერ მიტოვებულმა რუსეთმა თავისი ყურადღება კვლავ პოლონეთზე გადაიტანა და დედოფალმა ეკატერინემ თურქეთთან კონფლიქტის დასრულება გადანყვიტა.

1791 წლის 9 დეკემბრის იასის სამშვიდობო ხელშეკრულებით, რუსეთი მცირედით დაკმაყოფილდა. რუსეთმა **ხერსონის** ანექსია (მცირე თათრეთი) განახორციელა **ოჩაკოვის** პორტთან ერთად (1799 წელს ოდესა). ამგვარად რუსეთ-თურქეთის საზღვარმა ბუგიდან დნესტრამდე გადაინია.

პოლონეთში მიმდინარე კონსტიტუციური რეფორმის მცდელობის პირისპირ, რუსეთი (იარაღით ხელში) პრუსიასთან ერთად პოლონეთის საქმეებში ჩაერია 1792 წელს. 1793 წლის 23 იანვრის შეთანხმებით, ორივე ქვეყანა პოლონეთის მეორე განანილებას შეუდგა.

ლიტვის დიდ საპერცოგოში მდებარე ტერიტორიების გარდა, რუსეთმა საკუთრივ **პოლონეთის ტერიტორიების ანექსია** მოახდინა;

– **კიევისა და ბრაცლავის სავოევოდოები;**

– **ვოლნიის სავოევოდოს აღმოსავლეთი მესამედის ნაწილი;**

– **პოდოლიის სავოევოდოს დარჩენილი ნაწილი** (ზბრუჩის აღმოსავლეთით);

პოლონეთის უკანასკნელი მღელვარების შემდეგ, 1795 წლის 24 ოქტომბრის სანკტ-პეტერბურგის ხელშეკრულებით, პოლონეთი მთლიანად გაქრა, ხოლო მისი ტერიტორია პრუსიას, ავსტრიასა და რუსეთს შორის განანილდა.

ლიტვის დიდი საპერცოგოს ტერიტორიების გარდა, **რუსეთმა პოლონეთს ჩამოართვა:**

– **ვოლინიის სავოევოდოს დასავლეთი ნაწილის ორი მესამედი;**

– **ხოლმის სავოევოდოს აღმოსავლეთი ნახევარი** (ბუგის აღმოსავლეთით).

უკრაინულ რეგიონებს, ცენტრალური ევროპისგან მეტად მოშორებით, აღმოსავლეთ ნანილში მდებარეობის გამო პირდაპირ არ შეხებია რევოლუციური და ნაპოლეონის ეპოქები. თუმცა რეგიონი არაპირდაპირ განიცდიდა რუსეთის ამბიციების შედეგებს თურქეთის საზარალოდ.

დუნაის სამთავროებთან დაკავშირებული დავის გამო, 1806 წლის ნოემბერში რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს და აღნიშნული სამთავროები დაიკავა. ხუთი წლის შემდეგ საფრანგეთთან საომარი მოქმედებების დანყების საშიშროების წინაშე, იმპერატორმა ალექსანდრემ თურქეთთან კონფლიქტის დასრულება გადანყვიტა. 1812 წლის 20 მაისს ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას.

თურქეთმა რუსეთს მთლიანი ბესარაბია დაუთმო (რეგიონი პრუტსა და დნესტრს შორის) კერძოდ:

– **თურქული ნაწილი**, რომელიც პირდაპირ ოტომანთა იმპერიას ექვემდებარებოდა;

– **მოლდოვას ნაწილი**, რომლის მიმართაც პორტა კვლავ მოლდოვას სიუზერენად გამოდიოდა, რუსეთმა მოლდოვას ფინანსური ზარალი აუნაზღაურა.

ამგვარად, რუსეთ-თურქეთის საზღვარმა პრუტიდან დუნაის შესართავის ჩრდილოეთ შტომდე (კილია) გადაიწია.

1812 წელს აღნიშნული ხელშეკრულების მინურულს, **უკრაინული მიწები** ერთი საუკუნის მანძილზე არათანაბარად გადანანილდა;

– ავსტრიას შორის, რომლის მფლობელობაში დასავლეთი ნანილი გადავიდა: გალიცია, კარპატისპირეთის ოლქი, ბუკოვინა (იხ. ავსტრია);

– რუსეთს შორის, რომლის ხელში აღმოსავლეთი ნანილი გადავიდა: საკუთრივ უკრაინა, კაზაკთა მხარე, ვოლინია, პოდოლია, ყირიმი, ტავრია, ხერსონი, ბუჯაკი (იხ. რუსეთი).

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთი ახლად დაპყრობილ უკრაინულ რეგიონებს ითვისებდა, რომელიც იმპერიისთვის დიდად მომგებიან ტერიტორიებს წარმოადგენდა: ნაყოფიერი მიწები ("შავმიწა ნიადაგი"), რომელიც იმპერიისთვის პურის ბელლად და ხელსაყრელი ექსპორტის ნყაროდ იქცა; კოლონიზაციისთვის ხელსაყრელი სივრცე, სადაც, როგორც რუსები, ასევე უცხოელები (კერძოდ, გერმანელები) დასახლდნენ; ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაცია (ქვანახშირი, რკინა), რომელიც საუკუნის მეორე ნახევარში რკინიგზის საშუალებით მოხმარების ადგილებზე გადაჰქონდათ; იმპერიის ახალი საზღვაო ფასადი შავ ზღვაზე, სადაც რუსეთმა სამხედრო (სევასტოპოლი) და სავაჭრო (ოდესა) პორტები ააგო, რომელთაც შეეძლოთ ხელი შეეწყოთ მისი შეტევითი ჩარევისთვის თურქეთში და ასევე გავლენა მოეხდინათ ბალკანეთში მცხოვრებ ხალხებზე.

ავსტრიას დაქვემდებარებულ ნანილებში (გალიცია, კარპატისპირეთის ოლქი, ბუკოვინა) უკრაინულმა ნაციონალიზმმა უფრო იოლად ჰპოვა გამოხატვის საშუალება. თუკი ამ რეგიონებში უკრაინელი გლეხობა სოციალურად პოლონელი და უნგრელი დიდგვაროვნების მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა, იქ ოფიციალურად არსებობდა უნიატური ეკლესია (ავსტრიულ კათოლიციზმთან ჰარმონიაში), ამ რეგიონის ქალაქები კი (განსაკუთრებით ლვოვი) ინტელექტუალურ და კულტურულ კერებად იქცნენ, სადაც კარგად იყო შემონახული უკრაინელი ერის ადათ-ნესები და ტრადიციები.

1914 ნელს დასავლეთ ნანილში მცხოვრები უკრაინელები პირველ მსოფლიო ომში ავსტრიის ჯარების მხარეზე იბრძოდნენ, აღმოსავლეთი ნანილის უკრაინელები კი რუსეთის არმიის მხარეზე.

ისარგებლა რა რუსეთში 1917 ნლის თებერვლის რევოლუციით, 1917 ნლის 15 მარტს კიევში უკრაინის რადა შეიკრიბა უკრაინელი ნაციონალისტების მიზნების ხორცშესასხმელად.

1917 ნლის 20 ნოემბერს რადამ კიევში რუსეთისგან დამოუკიდებელი უკრაინის **ეროვნული რესპუბლიკის** დაარსება გამოაცხადა, რომელიც საკუთარი მთავრობით აღიჭურვა.

25 დეკემბერს უკრაინის ბოლშევიკებმა რუსეთის რევოლუციური მთავრობის მხარდაჭერით, ხარკოვში უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს.

1918 ნლის 22 იანვარს კიევის ნაციონალისტურმა მთავრობამ **უკრაინის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.**

2. საბჭოთა უკრაინა (1918-1941 წწ.)

1918 ნლის 9 თებერვალს უკრაინის ნაციონალისტურმა მთავრობამ გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან (ცალ-ცალკე) ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას მოანერა ხელი, რომლის თანახმად "კონგრესის პოლონეთის" საზღვრის მიღმა, **დასავლეთი უკრაინის საზღვარი** ბელორუსსა და გალიციას შორის პრუუანიტარნოგრადის ზოლზე დაფიქსირდა. ამას გარდა, ავსტრია-უნგრეთმა აღმოსავლეთი გალიციისთვის ავტონომიის მინიჭების პირობა დადო.

ყირიმი უკრაინას გამოეყო და ის რუსეთის რესპუბლიკას შეუნარჩუნდა.

1918 ნლის ნოემბერში გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარების კაპიტულაციის შემდეგ, აღმოსავლეთი გალიცია და რუსეთის ყოფილი უკრაინა ბრძოლის ველად გადაიქცა პოლონეთს, ბოლშევიკებს, რუს თეთრგვარდიელებს, უკრაინელ ნაციონალისტებსა და მოკავშირე ჯარებს შორის.

აღმოსავლეთი გალიციის უკრაინული მოსახლეობის აჯანყების შემდეგ, 1918 ნლის 9 ნოემბერს ლვოვში დასავლეთ უკრაინის რესპუბლიკა გამოცხადდა, რომელშიც უნდა გაერთიანებულიყო აღმოსავლეთი გალიცია, ჩრდილოეთი ბუკოვინა და კარპატისპირეთის ოლქი.

1919 წლის გაზაფხულზე პოლონელებმა ხელთ იგდეს აღმოსავლეთი გალიცია, რუსმა ბოლშევიკებმა ცენტრალური უკრაინა, ხოლო რუსმა თეთრგვარდიელებმა აღმოსავლეთი და სამხრეთი უკრაინის ოკუპაცია მოახდინეს. კიევი ხელიდან ხელში გადადიოდა. ქვეყანა ქაოსსა და ომის უბედურებებში ჩაეფლო.

1919 წლის 14 მარტს უკრაინელმა კომუნისტმა რაკოვსკიმ ხარკოვში უკრაინის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა, რომელიც უკრაინულ ნაციონალურ რეჟიმს დაუპირისპირდა.

1919 წლის 10 სექტემბრის სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით, ყოფილი ციზლაიტანიის სახელით, ავსტრიამ (სხვა ბევრ ტერიტორიას შორის) უარი თქვა:

– **აღმოსავლეთ გალიციაზე**, რომელსაც ერთმანეთს პოლონეთი და უკრაინა ედავებოდნენ;

– **ბუკოვინაზე**, რომელიც მთლიანად რუმინეთს გადაეცა; მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთი ნაწილი უკრაინელებით იყო დასახლებული.

1919 წლის დეკემბერში ნაციონალისტებზე გამარჯვების შემდეგ, უკრაინის საბჭოთა მთავრობამ ქვეყნის დედაქალაქი ხარკოვში გადაიტანა.

1920 წლის 4 იენისის ტრიანონის ხელშეკრულებით, ყოფილი ტრანსლაიტანიის სახელით, უნგრეთმა **ჩეხოსლოვაკიას კარპატისპირეთის ოლქი დაუთმო**, კერძოდ: უკრაინული უნგვარი (მთლიანად), ბერეგის (ნაწილობრივ), უგოშჩის და მარმაროშის მედიები (ეს ორი უკანასკნელი მედიე რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის გაიყო).

ჩეხოსლოვაკიამ კარპატისპირეთის ოლქის "დროებითი" ოკუპაცია მოახდინა, იქ ავტონომიის დამყარების დაპირებით, მომავალში მისი უკრაინისთვის გადასაცემად.

1921 წლის 18 მარტს ბოლშევიკურ რუსეთსა და პოლონეთს შორის ხანგრძლივი კონფლიქტის შემდეგ, ხელი მოეწერა რიგის ხელშეკრულებას, რუსული ტერიტორიების გარდა, **პოლონეთმა უკრაინას თითქმის მთლიანი ვოლნია ჩამოართვა.** აღმოსავლეთი გალიციის ბედი კვლავაც გადაუწყვეტელი რჩებოდა.

1922 წლის 30 დეკემბერს სამოკავშირეო ხელშეკრულების თანახმად, **უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკა რუსეთის, ბელორუსისა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ერთად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში შევიდა.**

ამ დროიდან უკრაინის რესპუბლიკა სსრკ-ის ხვედრს იზიარებდა.

1923 წლის 18 მარტს ელჩების კონფერენციაზე გადაწყდა **აღმოსავლეთი გალიციის პოლონეთისთვის გადაცემა** მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსახლეობის უმრავლესობას უკრაინელები შეადგენდნენ (იხ. პოლონეთი).

ამგვარად, უკრაინამ (დედაქალაქი, ხარკოვი) ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ პერიოდში საბოლოო საზღვრებს მიაღწია. მისმა ფართობმა 450 000 კმ²-ი, ხოლო მოსახლეობამ დაახლოებით 30 მილიონი კაცი შეადგინა.

უკრაინის ტერიტორია გადაჭიმული იყო დნესტრიდან (რომელიც მას რუმინეთისგან ყოფდა) დონამდე და ბუგისა და დნეპრის ქვემო აუზებს მოიცავდა. ის შედგებოდა პოდოლიის, კიევის, ჩერნიგოვის სამხრეთი მესამედი ნაწილის, პოლტავის, ხარკოვის, ეკატერინოსლავლის, ხერსონისა და ტავრიის ყოფილი რუსული პროვინციებისგან.

უკრაინული მოსახლეობა კვლავ გაფანტული იყო სამ სხვადასხვა ქვეყანაში: პოლონეთი (აღმოსავლეთი გალიცია), ჩეხოსლოვაკია (კარპატისპირეთის ოლქი) და რუმინეთი (ბუკოვინა).

დნესტრის მარცხენა ნაპირზე უკრაინის ტერიტორიაზე 1924 წლის 12 ოქტომბერს საბჭოთა კავშირმა **მოლდოვას ავტონომიური რესპუბლიკა შექმნა**, დედაქალაქი ბალტა, რომელიც ამავე დროს, **უკრაინის დაქვემდებარებაში იყო.**

1932 წელს უკრაინა კვლავ იქნა დაყოფილი პროვინციებად (ობლასტი): ხარკოვი, კიევი, ეკატერინოსლავლი (ან დნეპროპეტროვსკი), ოდესა, ვინიცა.

1934 წლის 21 იანვარს უკრაინის დედაქალაქი ხარკოვიდან კიევში იქნა გადატანილი.

ისარგებლა რა 1939 წლის 19 მარტს სლოვაკეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებით, კარპატისპირეთის ოლქის (1938 წლიდან კარპატისპირეთის უკრაინა) ავტონომიური მთავრობის მეთაურმა, პრელატმა ვოლოშინმა ამ ავტონომიური რეგიონის **დამოუკიდებლობა გამოაცხადა კარპატების უკრაინის** სახელით.

თუმცა 1939 წლის 15 მარტს უნგრეთმა ჰიტლერთან შეთანხმებით, **კარპატისპირეთის ოლქი დაიპყრო** და 16 მარტს მისი ანექსია მოახდინა.

1939 წლის 23 აგვისტოს მოსკოვში ხელმოწერილი გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტის საიდუმლო მუხლი ორ ქვეყანას შორის პოლონეთის განანილებას ითვალისწინებდა.

სექტემბრის ელვისებური ომის შემდეგ, რომელშიც პოლონეთი დამარცხდა, 12 სექტემბერს გერმანია და სსრკ პოლონეთის მეხუთე განანილებას შეუდგნენ.

აღნიშნულ ფარგლებში, საბჭოთა კავშირმა ამ ქვეყნის **აღმოსავლეთი მესამედის** ანექსია განახორციელა. მის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს შორის **უკრაინასთან ვოლინიის, ტერნოპოლის, სტანისლავოვის სავოევოდოები და ლვოვის საეოევოდოს აღმოსავლეთ ნახევარი** გაერთიანდა.

ისარგებლა რა საფრანგეთის დამარცხებით, რამაც რუმინეთი პოტენციური მხარდაჭერის გარეშე დატოვა, 1940 წლის 26 ივნისს საბჭოთა კავშირმა რუმინეთს ულტიმატუმი გაუგზავნა, რომელსაც ეს უკანასკნელი 28 ივნისს დაემორჩილა, რის შედეგადაც, **საბჭოთა კავშირმა რუმინეთისგან მიიღო:**

– **ჩრდილოეთი ბუკოვინა** (ჩერნოვცისა და სტორროჟინეცის რუმინული დეპარტამენტები);

– **მთლიანი ბესარაბია,** რომელიც რუსეთმა 1918-1920 წლებში რუმინეთს დაუთმო;

1940 წლის 1 აგვისტოს რუსეთმა:

– **უკრაინას გადასცა ჩრდილოეთი ბუკოვინა, ჩრდილოეთი ბესარაბიის უდიდესი ნანილი** (ხოტინის რეგიონი) **და ბუჯაკი,** იგივე ბესარაბიის სამხრეთი მესამედი აკერმანის (ბელგოროდი), იზმაილის რუმინული დეპარტამენტები და კაულის რუმინული დეპარტამენტის ნანილი;

– **უკრაინას ჩამოართვა ყოფილი მოლდოვას ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთი ნანილის ნახევარი** (დნესტრის გაყოლებით) და ის ახლად დაპყრობილი ბესარაბიის ცენტრალური ნანილის ორ მესამედს მიუერთა მოლდოვას ახალი მოკავშირე რესპუბლიკის შესაქმნელად, დედაქალაქით კიშინიოვში. ეს რესპუბლიკა უკრაინას გამოეყო და საბჭოთა კავშირის ცალკე ნევრი გახდა;

– **ავტონომიის მინიჭების გარეშე უკრაინას მიუერთა ყოფილი მოლდოვას ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნანილის ნახევარი (ბალტის რეგიონი).**

3. უკრაინა გერმანიის რეჟიმის ქვეშ (1941-1944წწ.)

1941 წლის ივნისში გერმანიის მხრიდან სსრკ-ზე შეტევის განხორციელების შემდეგ, რუმინეთი მაშინვე გერმანელთა ბანაკში გადავიდა.

1941 წლის ივლისიდანვე გერმანული ჯარების წინსვლამ, რომლებმაც უკრაინა დაიპყრეს, რუმინეთს შესაძლებლობა მისცა 1940 წლის ივნისში საბჭოთა კავშირისთვის **გადაცემული მინების ხელახალი ანექსია მოეხდინა.** ამგვარად, უკრაინას ჩამოერთვა ჩრდილოეთი ბუკოვინა, ხოტინისა და ბუჯაკის რეგიონი.

ამას გარდა, ჰიტლერმა **რუმინეთს გადასცა** ძველი უკრაინული ტერიტორია: **პოდოლიის სამხრეთი ნანილის ორი მესამედი,** დნესტრსა და ბუგს შორის. აღნიშნული ტერიტორია რუმინეთის მიერ იქნა **ანექსირებული დნესრისპირეთის სახელით.**

1941 წლის 1 აგვისტოს ჰიტლერმა აღმოსავლეთი გალიცია (უკრაინული 1939 წლიდან) თავის პოლონეთის საგენერალგუბერნატოროს მიუერთა.

1942 წელს გერმანიამ უკრაინის გენერალური კომისარიატი დააფუძნა, დედაქალაქი როვნო, რომელიც ექვს ნაწილად დაიყო: ვოლინია (ადმინისტრაციული ცენტრი როვნო), რომელთანაც რუმინეთისთვის არგადაცემული ჩრდილოეთი პოდოლიის მესამედი იქნა მიერთებული, ჟიტომირი, კიევი, ნიკოლაევი, დნეპროპეტროვსკი, ყირიმი (ადმინისტრაციული ცენტრი მელიტოპოლი). ყირიმის ოლქში მაშინვე არ შესულა ამავე სახელწოდების ნახევარკუნძული.

ამ კომისარიატში არ შეეიდა პოლონეთისა და რუმინეთის საგენერალგუბერნატოროსთვის გადაცემული დასავლეთ ნაწილში მდებარე ტერიტორიები და არც ჩრდილო-აღმოსავლეთი უკრაინის ტერიტორიები (ჩერნიგოვი, ხარკოვი), რომელიც სამხედრო ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში დარჩა.

გერმანელი ოკუპანტებისთვის უკრაინა ნედლეულის წყაროს წარმოადგენდა, რომლის ექსპლოატაციას ისინი მაშინვე შეუდგნენ თავის სასარგებლოდ. ზოგიერთი ანტიკომუნისტი თუ ნაციონალისტი უკრაინელი ღიად გადავიდა გერმანიის მხარეზე.

4. თანამედროვე უკრაინა (1944 წლიდან დღემდე)

საბჭოთა კავშირის ჯარებმა **უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკა** აღადგინეს. რუმინეთი იძულებული გახდა 1944 წლის 12 სექტემბერს მოსკოვში საზავო ხელშეკრულებისთვის მოეწერა ხელი, რომლის თანახმად, მან დატოვა **დნესტრისპირეთი, ჩრდილოეთი ბუკოვინა, ბესარაბია**, რომელიც მაშინვე რეანექსირებული იქნა საბჭოთა კავშირის მიერ და **უკრაინას გადაეცა**. ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირმა აღმოსავლეთი გალიციაც მიიერთა სანის საზღვრამდე.

1945 წლის 12 მაისს ჩეხოსლოვაკია აღდგენილი იქნა. უნგრეთისთვის ჩამორთმეული კარპატისპირეთის ოლქი დროებით ამ ქვეყანასთან იქნა მიერთებული.

1945 წლის 29 ივნისის ხელშეკრულებით, ჩეხოსლოვაკიამ კარპატისპირეთის ოლქი საბჭოთა კავშირს გადასცა, რომელიც მან თავის უკრაინის რესპუბლიკას მიუერთა და მისგან ახალი პროვინცია (ობლასტი) კარპატისპირეთი შეიქმნა, ადმინისტრაციული ცენტრით უჟგოროდში.

1945 წლის 16 აგვისტოს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით, გალიცია ოფიციალურად იქნა გაყოფილი დასავლეთ, რომელიც პოლონეთის გახდა და აღმოსავლეთ ნაწილებად, რომელიც საბჭოთა კავშირს გადაეცა (**უკრაინის რესპუბლიკას**). ორ ნაწილს შორის გამავალი საზღვარი მარჯვენა სასაზღვრო ზოლზე იქნა გავლებული, 1939 წელს არსებულის უფრო აღმოსავლეთით და ამჯერად, ქალაქი პშემისლი პოლონეთს დარჩა (მის გარეუბნებზე გამავალი სასაზღვრო ზოლი).

აღმოსავლეთი გალიციისგან უკრაინის სამი ახალი პროვინცია შეიქმნა:

ლვოვი, ტერნოპოლი, ივანო-ფრანკოვსკი (ყოფილი სტანისლავსკი).

1947 წლის 10 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, უნგრეთმა უარი თქვა **კარპატისპირეთის ოლქზე**, რუმინეთმა კი **ჩრდილოეთ ბუკოვინასა და ბესარაბიაზე საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.**

ჩრდილოეთი ბუკოვინა უკრაინას გადაეცა, ბესარაბია კი უკრაინისა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის გადანაწილდა 1940 წლის 1 აგვისტოს დადგენილ საზღვრებში.

ამგვარად, უკრაინის ფართობმა 577 000კმ²-ს მიაღწია. ამ დროიდან მისმა ტერიტორიამ პირველად მოიცვა ის რეგიონები, რომელიც უკრაინული მოსახლეობით იყო დასახლებული.

მიუხედავად საბჭოთა კავშირის წევრობისა, 1945 წლიდან, უკრაინამ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ გაერში ერთი წარმომადგენლობითი ადგილი მიიღო.

1945 წლიდან 1990 წლამდე უკრაინა სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად არსებობდა და აღნიშნული პერიოდის მანძილზე რუსიფიკატორული პოლიტიკის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რომელიც უკრაინის კულტურული პარტიკულარიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

1945 წლის 25 თებერვალს უკრაინის რუსეთთან "შეერთების" 300 წლისთავის აღსანიშნავად, ამ უკანასკნელმა მას ყირიმის ოლქი (ობლასტი) დაუთმო (27 000კმ²), რამაც უკრაინის ფართობი 604 00კმ²-მდე გაზარდა. აღნიშნული დროიდან უკრაინა 25 რეგიონად დაიყო: კარპატისპირეთი (უჟგოროდი), ჩერნიგოვი, სტანისლავი, ლვოვი (ან ლვივი), ტერნოპოლი, როვნო, ვოლინია, ჟიტომირი, პროსკუროვი, კიევი, ვინიცა, ჩერკასკი, კიროვოგრადი, ოდესა, ნიკოლაევი, ჩერნიგოვი, სუმი, პოლტავა, დნეპროპეტროვსკი, ხერსონი, ყირიმი (სიმფეროპოლი), ზაპოროჟიე, დონეცკი, ლუგანსკი.

80-იანი ნლების მიწურულს საბჭოთა კავშირში პოლიტიკური ვითარების ევოლუციამ ცენტრიდანული ძალების გამოჩენას შეუწყო ხელი. რუსეთის მაგალითისამებრ, რომელმაც 1990 ნლის ივნისში საბჭოთა კავშირიდან გასელას მისცა ხმა, 1990 ნლის 26 ივნისს უკრაინამ თავისი სუვერენიტეტი გამოაცხადა, რასაც უკრაინის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა.

1991 ნლის 21 დეკემბერს უკრაინა ფორმალურად დსთ-ში განევრიანდა.

1992 ნლის 29 აპრილს ყირიმში შეკრებილმა პარლამენტმა ცალმხრივი ნესით, ყირიმის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას რუსები შეადგენდნენ.

ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკა ძალიან მალე სირთულეებს შეეჯახა ეკონომიკის სფეროში, რომელიც ორი ერთდროული მიზეზით იყო გამოწვეული: საბაზრო ეკონომიკისკენ სწრაფი გარდამავალი პერიოდი და მჭიდრო და ძველი კავშირების გაწყვეტა რუსეთის ფედერაციასთან.

აღნიშნულს პოლიტიკური სირთულეებიც დაერთო: აზრთა სხვაობა ახალ რუსეთთან ყირიმის ავტონომიის შესაძლო სტატუსთან და სევასტოპოლში განლაგებული შავი ზღვის ფლოტის განაწილებასთან დაკავშირებით.

ამგვარად, უკრაინა ბელორუსისაგან განსხვავებით, გაბედულად ჩაერთო დასავლეთ და ცენტრალურ ევროპასთან დაახლოების პოლიტიკაში, რომელსაც უნარი შესწევს რუსეთის ფედერაციასთან მისი კავშირების შესუსტების კომპენსირებისა.

უნგრეთი

ზოგადი მონაცემები

რესპუბლიკური სახელმწიფო: უნგრეთის რესპუბლიკა
პრეზიდენტი: ლასლო სოლიომი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთი პალატა, ეროვნული კრება.
დედაქალაქი: ბუდაპეშტი
ადმინისტრაციული დაყოფა: 19 მედიე, რასაც ემატება დედაქალაქი ბუდაპეშტი, როგორც ცალკე ადმინისტრაციული ერთეული,: ბაჩ-კიშკუნი (კეჩკემეტი), ბარანია (პეჩი), ბეკეში (ბეკეშ-ჩაბა), ბორშოდ-აბაუი-ზემპლენი (მიშკოლცი), ჩონგრადი (სეგედი), ფეიერი (სეკეშფეხერვარი), დიერ-შოპრონი (დიერი), ჰაიდუ-ბიჰარი (დებრეცენი), ხებეში (ეგერი), სოლნოკი (სოლნოკი), კომარომ ესტერგომი (ტატაბანია), ნოგრადი (შალგოტარიანი), პეშტი (ბუდაპეშტი), შომოდი (კაპოშვარი), საბოლჩ-სატმარი (ნირედჰაზა), ტოლნა (სეკსარდი), ვაში (სომბატჰეი), ვესპრემი (ვესპრემი), ზალა (ზალაეგერსეგი).
ფართობი: 93 000კმ²; **მოსახლეობა:** 10,3 მილიონი კაცი; **სიმჭიდროვე:** 111 კაცი ერთ კმ².
ენა: უნგრული (ფინურ-უნგრული ენა).
რელიგია: კათოლიკური (დაახლოებით 66%), პროტესტანტული (დაახლოებით 25%).
ფულის ერთეული : ფორინტი.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. უნგრეთის მოკლე ისტორია

1. მადიარების მოსვლა (896)

ქრისტიანული ერის დაარსებისში უნგრეთის ვრცელი დაბლობი კელტებით იყო დასახლებული. ჩვ.წ. აღ-ით IX საუკუნეში რომაელებმა მისი დასავლეთი ნაწილი დაიპყრეს დუნაის დასავლეთით და თავის ახალ პროვინცია **პანონიაში** გააერთიანეს. ჩვ.წ.აღ-ით II საუკუნეში იმპერატორმა ტრაიანმა დუნაის აღმოსავლეთით **დაკია** დაიპყრო, რომელიც 274 წლამდე რომის იმპერიის შემადგენლობაში იყო.

უნგრეთის დაბლობს დროებით ჰუნები დაეპატრონენ, შემდეგ ავარები, რომლებიც კარლოს დიდმა დაამარცხა. IX საუკუნის დასასრულს **უნგრელები** (ან მადიარები), ფინელ-უნგრელები ურალიდან, იქ 896 წლიდან დასახლდნენ არპადთა გვარის წარმომადგენლის მეთაურობით და დღემდე იქ ცხოვრობენ.

2. არპადთა მეფობა (896-1301)

X საუკუნის პირველ ნახევარში უნგრელები მძარცველურ ომებს აწარმოებდნენ დასავლეთში, მაგრამ საბოლოოდ ისინი დამკვიდრდნენ უნგრეთის დაბლობზე, რომლის გამყოფი საზღვარი კარპატებზე გადიოდა.

მეფე იშტვან I-მა ნამდვილი ქრისტიანული სამეფო დააარსა (1000), იგი პაპისა და იმპერატორის მხარდაჭერით სარგებლობდა. თავისი **უნგრეთის სამეფოსგან**, რომელიც უნგრეთის დაბლობსა და ტრანსილვანიას მოიცავდა, მან მედიეებად დაყოფილი ერთგვაროვანი სახელმწიფო შექმნა საკუთარი კანონებითა და პოლიტიკური ინსტიტუტებით (სენატი, პფალცგრაფი) ; ეს დაყოფა დღესაც არ შეცვლილა. ამ პერიოდიდან უნგრეთი ქრისტიანულ ევროპაში მნიშვნელოვანი ძალა გახდა.

1102 წელს უნგრეთის მეფე პირადული უნიით **ხორვატია-სლავონიის** მეფე გახდა. გარდა ამისა, არპადების პერიოდიდან უნგრეთში დაიწყო არაუნგრელი

მოსახლეობის ჩასახლება: სლოვაკებისა და ხორვატების გარდა ესენი იყვნენ რუმინელები, გერმანელები, საქსები და ა.შ..

1222 წელს ოქროს ბულის გადანყვეტილებით მეფე ანდრე II იძულებული გახდა ქვეყნის დიდგვაროვნებისთვის გარკვეული უპირატესობები მიენიჭებინა: თავისუფლება, მეფის გადაწყვეტილების გაკრიტიკების, დიეტის მოწვევის უფლება. 1241-1242 წლებში სამეფოს თათრები შეესივნენ. უნგრეთმა შეძლო გაეძლო ამ მძიმე გამოცდისათვის.

3. არპადების ხაზის შეწყვეტიდან ჰაბსბურგების მოსვლამდე (1301-1526)

არპადების დინასტიის მეფობის შეწყვეტის შემდეგ უმეფობის პერიოდი დაიწყო, რომელიც იქამდე გაგრძელდა, სანამ რომის პაპ ბონიფაცი VIII-ის მხარდაჭერით არ გამეფდა ნეაპოლის სამეფოს ანჟუს დინასტიის წარმომადგენელი კარლ-ალბერტი (13080).

1387 წელს სიგიზმუნდ ბოჰემიელი, იმპერატორ კარლ IV-ის შვილი და მარია ანჟუელის მეუღლე, ბოჰემიის მეფედ გახდომამდე უნგრეთის მეფე (1419 წელს) და იმპერატორი (1420 წელს) იყო. 1437 წელს იგი მისმა სიძემ იმპერატორ ალბრეხტ ჰაბსბურგელმა შეცვალა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ (1439), უნგრელებმა ტახტი პოლონეთის მეფე ლადისლას III იაგელონელს შესთავაზეს, რომელიც დათანხმდა და უნგრეთის მეფე გახდა. ამ პერიოდში უნგრეთს თურქები შეესივნენ და მეფე ლადისლასი 1444 წელს ბრძოლაში დაიღუპა. ქვეყნის ხარჩინებული პირი იანოშ ჰუნიადი რეგენტი გახდა; მან თურქები ბელგრადთან შეაჩერა (1456), ხოლო მისი ვაჟი მატიაშ ჰუნიადი 1458 წლიდან 1490 წლამდე უნგრეთის მეფე იყო. მისი ბრწყინვალე მეფობის დროს აღინიშნა ქვეყნის ადმინისტრაციის გაძლიერება, ხელოვნებისა და ჰუმანისტური იდეების აღმავლობა, ტერიტორიული დაპყრობები (მორავია, სილეზია, ლაუზიცი).

ბოლოს, 1490 წელს იგი მეფე ლადისლას VI იაგელონელმა შეცვალა, რომელიც 1470 წლიდან ჩეხიის მეფე იყო, 1516 წელს მისი შვილი ლაიოშ II გახდა უნგრეთის და ჩეხიის მეფე და ფერდინანდ ავსტრიელის და შეირთო ცოლად, ფერდინანდ ავსტრიელი კი ლაიოშ II-ის დაზე დაქორწინდა.

4. ჰაბსბურგების მეფობა (1526-1789)

1526 წელს თურქების წინააღმდეგ მოჰაჩის ბრძოლაში ლაიოშ II იაგელონის დაღუპვის შემდეგ, ჩეხიაში მის ნაცვლად მისი სიძე ფერდინანდ I გამეფდა, რაშიც მას პრაღის, უნგრეთის და პრესბურგის დიეტები დაეხმარა. მაგრამ მოჰაჩის ბრძოლაში გამარჯვებულმა სულეიმან დიდებულმა უნგრეთის დიდი ნაწილი დაიკავა, ხოლო გუბერნატორმა იან ზაპოლიმ მოახერხა მეფე გამხდარიყო მეტოქე დიეტის მხარდაჭერით, რომელიც სეკეშფეხერვარში მუშაობდა.

ორი დაპირისპირებული მხარის ბრძოლის პერიოდში სულეიმანმა აიღო ბუდა (1529) და დაპყრობილი ტერიტორიები თურქეთის ვილაიეთად აქცია (1549). უნგრეთი ერთ საუკუნეზე მეტ ხანს სამ ნაწილად იყო დაყოფილი:

– **უნგრეთის სამეფოდ**, დედაქალაქი იყო პრესბურგი, წარმოადგენდა ავსტრიის სახლის მფლობელობას, რომელშიც შედიოდა ზემო უნგრეთი, დასავლეთი უნგრეთი, რომელიც ავსტრიის სამფლობელოებს და ხორვატიას ესაზღვრებოდა;

– **თურქეთის უნგრეთად**, დედაქალაქი ბუდა, პორტას საკუთრება, რომელშიც შედიოდა უნგრეთის დაბლობი და სლავონია;

– **ტრანსილვანიის სამთავროდ**, რომელიც პორტას დაქვემდებარებული სხვადასხვა ადგილობრივი მთავრის სამფლობელო იყო.

1683 წლიდან 1697 წლამდე იოგენე სავოიელის მეთაურობით, ავსტრიის ჯარებმა თურქეთის უნგრეთი და ტრანსილვანია დაიბრუნეს. კარლოვიცის ზავით (1699) ავსტრიას სლავონია და უნგრეთი დაუბრუნდა, ბანატისა და სირმიის სამხრეთი ნაწილის გამოკლებით, რომლებიც მხოლოდ პოჟარევაცის ზავის დადების შემდეგ დაბრუნდა (1718). 1687 წელს ხელახლა დაკავებულმა ტრან-

სილვანიამ ავტონომიის სტატუსი შეინარჩუნა (1691), მაგრამ ტრანსილვანიის მთავრად უნგრეთის მეფე ითვლებოდა.

მთავარმა იოგენემ ხორვატიის, სლავონიის, ბანატის და შემდგომში ტრანსილვანიის ახალ საზღვარზე სამხედრო საზღვრების რეჟიმი დაანესა (დადგენილი XVI საუკუნეში), რის შემდეგაც იქ გლეხი-ჯარისკაცები დასახლდნენ იმისათვის, რომ თურქების შემოსევები აღეკვეთათ; დაბლობის დაცარიელებული რეგიონები (ბანატი, ბაჩკა) ახალი კოლონიებით შეივსო (სერბები, გერმანელები).

ამ პერიოდიდან უნგრეთი ჰაბსბურგების ერთგული გახდა (მარია-ტერეზიას მხარდაჭერა 1741 წელს), ამ ერთგულებას კი სუვერენები სამეფო ინსტიტუტების ხელშეუხებლობით პასუხობდნენ. ეს მდგომარეობა 1848 წლის რევოლუციამდე გაგრძელდა. ავსტრიის სუვერენი, უნგრეთის მეფე 1687 წლიდან მემკვიდრეობითი ტიტულის მატარებელი, სამეფოში წარმოდგენილი იყო უნგრეთის პფალცგრაფის მიერ, რომელსაც პრესბურგში დიეტი ირჩევდა. პრესბურგში შეკრებილი უნგრეთის დიეტი ორპალატიანი იყო: ზედა პალატა, რომელიც მაგნატებისგან შედგებოდა და ქვედა პალატა, რომელიც მოქალაქეებისგან შედგებოდა.

იმპერატორმა იოზეფ I I-მ, ისარგებლა პოლონეთში მომხდარი პოლიტიკური არეულობებით და 1770 წელს დაეუფლა სპიშსკას მედიეს 13 «საქსონურ» ქალაქს, რომლებიც 1412 წელს უნგრეთმა გადასცა პოლონეთს. პოლონეთის პირველი განაწილების დროს, რის შესახებაც გადაწყვეტილება სანკტ-პეტერბურგში იქნა მიღებული 1772 წლის 5 აგვისტოს და 1773 წლის 18 სექტემბერს განხორციელდა, **სპიშსკას მედიეს ცამეტი საქსონური ქალაქი პოლონეთმა უნგრეთს დაუბრუნა.** ისინი ხელახლა აღარ გაერთიანებულა მედიეში, არამედ პირდაპირ უნგრეთის პფალცში შევიდა.

1799 წელს იმპერატორმა მარია-ტერეზიამ გაითვალისწინა უნგრელების მოთხოვნა, გააუქმა სამოქალაქო ბახატის გახსაკუთრებული სტატუსი და ის უნგრეთის სამეფოში გააერთიანა, სადაც სამი მედიე შეიქმნა: კრასო (ლუგოჟი), ტიმიში (ტიმიშოარა) და ტორონტალის (ხადიკერეკი).

გარდა ამისა, ქალაქი რიეკა და მისი ტერიტორია (corpus separatum), რომელიც 1776 წელს ტრიესტს ჩამოეჭრა და ხორვატიას მიუერთდა, 1779 წელს ხორვატიას ჩამოშორდა და უნგრეთს შეუერთდა, სადაც განსაკუთრებული ოლქის სტატუსი მიიღო.

1799 წელს უნგრეთის დედაქალაქი პრესბურგიდან ბუდაში გადავიდა, სადაც ხელისუფლების ორგანოებიც განთავსდნენ, მხოლოდ დიეტმა განაგრძო პრესბურგში მუშაობა.

იოზეფ II-ის მეფობა (1780-1790) დიდი ადმინისტრაციული რეფორმებით ხასიათდება; ამ პერიოდში მისი სამფლობელოები ცამეტ გუბერნიად დაიყო და თითოეულს თავისი მმართველი ჰყავდა.

ამ ფარგლებში უნგრეთმაც ერთი გუბერნია შეადგინა, მისი დიეტი გაუქმდა, ადმინისტრაციაში ლათინური და უნგრული გერმანულით შეიცვალა, მედიები ათ ოლქში დაჯგუფდა და თითოეულს ხელისუფლების მიერ დანიშნული მმართველი ჰყავდა.

ეს რეფორმა, რომელსაც უნგრელების დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, 1790 წლამდე გაგრძელდა და იმპერატორ ლეოპოლდ II-ის მოსვლის შემდეგ შეიცვალა.

II. უნგრეთის სამეფო 1789 წელს

უნგრეთის სამეფო ცენტრალური ევროპის მნიშვნელოვან პოლიტიკურ მთლიანობას წარმოადგენდა; მისი ფართობი დაახლოებით 322 000კმ²-ს შეადგენდა, მოსახლეობა კი თითქმის 9 მილიონ კაცს. ის ავსტრიას ეკუთვნოდა, მაგრამ არ შედიოდა საღვთო რომის იმპერიაში და ოთხ ნაწილად იყოფოდა:

– საკუთრივ უნგრეთის სამეფო (220 000კმ², 6 500 000 კაცი), რომელიც შუა დუნაის და მისი შესართავების დიდ დაბლობზე მდებარეობდა;

– ხორვატია-სლავონიის სამეფო (42 000კმ², 1 000 000კაცი), რომელიც ძირითადად დრავისა და სავის ქვემო დინებების გაყოლებაზე მდებარეობდა ;

– ტრანსილვანიის დიდი საჰერცოგო (60 000კმ², 1 200 000 კაცი), მდებარე კარპატების სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში;

– ტიმიშოარას ბანატი (ბანის სამფლობელო), (28 500კმ², 300 000 კაცი), რომელიც დუნაის შუა დინებასა და ტისას ქვემო დინებას შორის და მურეშის ქვემო დინებასა და ტრანსილვანიის ალპების სამხრეთ ნანილში მდებარეობდა.

საკუთრივ უნგრეთის სამეფო გადაჭიმული იყო დიდ დაბლობზე, რომელსაც ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა ჩრდილოეთი კარპატები, აღმოსავლეთით ბიჰარის ზეგანი, რომელიც მას ტრანსილვანიისგან ყოფდა, სამხრეთით დუნაი და დრავა, დასავლეთით იულიუსის ალპები.

აქ ბუნება კონტრასტულია, ბევრია დიდი დაბლობი, სადაც ერთმანეთს ენაცვლება ნაყოფიერი მინები და ჭაობები, ხოლო მთიანი ადგილები დაფარულია ტყეებით. დაბლობში ძირითადად უნგრელები ცხოვრობდნენ, ეროვნული უმცირესობანი კი (გერმანელები, სლოვაკები, ვლახები) მთებში იყვნენ თავმოყრილნი, რაც შეეხება უნგრეთის დაბლობის სამხრეთ ნანილს, აქ მოსახლეობა ძალიან შერეული იყო ახლო წარსულის კოლონიური პოლიტიკიდან გამომდინარე. მარცვლეული კულტურები, მევენახეობა, მესაქონლეობა, ხე-ტყის დამუშავება, უნგრეთის სოფლის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა იყო, ხოლო ქალაქებში მხოლოდ სუსტად განვითარებული სავაჭრო ქსელი არსებობდა.

ტრანსილვანია მთიანი რეგიონი იყო კარპატების სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში (აღმოსავლეთით კარპატები, ტრანსილვანიის ალპები); ეს მთები მას მოლდოვასა დ ვლახეთისგან ჰყოფდა, ბიჰარის ზეგანი მას უნგრეთის დაბლობს აშორებდა. მის ტერიტორიაზე გაედინებოდა მდინარეები ტისა, სამოში, მაროში და ოლტი.

აქ კონტინენტური ჰავაა, ამიტომაც ამ რეგიონში განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა, მაგრამ მის ძირითად სიმდიდრეს მაინც საბადოების სიმრავლე წარმოადგენდა (ძვირფასი ლითონები, მარილის საბადოები); კარგად იყო განვითარებული ქალაქების ქსელი (კლუჟი, ალბა იულია, სიბიუ, ბრაშოვი), სადაც მრავალი ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ : უნგრელები, ვლახები და ა.შ..

ტიმიშოარა იგივე ბანატი ჭაობებით დაფარული ერცელი, დაბლობი რეგიონი იყო; რეგიონის ძირითადი საქმიანობას სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა, ძირითადი საზრუნავი თურქებისგან თავდაცვა იყო. აღმოსავლეთი ნანილი მდიდარი იყო საბადოებით და ტრანსილვანიას ესაზღვრებოდა.

მას შემდეგ რაც თურქეთისგან ხელახლა მოიპოვა ბანატი, ავსტრიამ იქ შვარცვალდიდან, ლოთარინგიიდან, ლუქსემბურგიდან და პფალციდან ნამოსული გერმანელების კოლონიები დაასახლა; ისინი დაჯგუფებულნი იყვნენ სოფლებში, სადაც ბანატის აღმოსავლეთით რუმინელებთან ერთად ცხოვრობდნენ და ბანატის დასავლეთით სერბებთან ერთად.

ტერიტორიული თვალსაზრისით უნგრეთის სამფლობელოები შემდეგნაირად იყო დაყოფილი:

1) **უნგრეთის სამეფო**, რომელიც 46 მედიესგან შედგებოდა და ოთხ ოლქად იყოფოდა:

– დუნაის აქეთა ოლქი (ტრნავა): პეშტის 13 მედიე, ბაჩი (ბაია), ნოგრადი (ბალაშა დიარმატი), შოლი (ბანსკა ბისტრიცა), ჰონტი (შაგი), ესტერგომი, ბარში (კრემნიცა), ნიტრა, პრესბურგი, ტრენჩინი, ტურჩანსკი სვეტი მარტინი, ორავა (ალშო-კუბინი), ლიპტოვსკი მიკულაში;

– დუნაის იქეთა ოლქი (კოსეგი): მოშონის 11 მედიე, შოპრონი, დიერი, კომარომი, სეკეშფეჰერვარი, ვესპრემი (სომბატჰეი), ვაში, ზალა (ზალა-ეგერსეგი), შომოდი (კაპოშვარი), ტოლნა (სეკსარდი), ბარანია (პეჩი);

– ტისას აქეთა ოლქი (პრეშოვი): სპიშკას 10 მედიე, რიმავსკა სობოტა, ჰეევში (ეგერი), ბორშოდი (მიშკოლცი), ტორნანადაშკა, აბაუი (კოშიცე), შაროშპატაკი, ზემპლენი (შატორალია-უიჰეი), უნგვარი, ბერეგოვო;

– ტისას იქეთა ოლქი (დებრეცენი): მარამურეშის 12 მედიე (სიგეტვარი), უგოჩი (ნადისელეში), სატმარი (სატუმარე), საბოლჩი (ნადიკალო), ბიჰარი (ორადია), ბეკეში (დიულა), ჩონგრადი (სეგედინი), ჩანადაპაცა (მაკო), არადი (ბოროშ იენე), კრასო (ლუგოჟი), ტიმიში (ტიმიშოარა), ტორონტალი (ნადიკერეკი).

2) **ხორვატია-სლავონიის სამეფო** (დამოკიდებული ზაგრების დიეტზე), დაყოფილი 6 მედიედ (იხ. თავი ხორვატია).

3) **ტრანსილვანიის დიდი საჰერცოგო** (დამოკიდებული კლუჟის დიეტზე), დაყოფილი 3 მხარედ:

– უნგრელების მხარე, ადმინისტრაციული ცენტრი კლუჟი (ქვეყნის დასავლეთი და ჩრდილო დასავლეთი), შედგებოდა 11 მედიესგან: შიდა სოლნოკი (სამოშ უივარი), გარე სოლნოკი (სალეჟი), კრასნა (შომლიო), დიბოკა (სეკი), კლუჟი, ტირნავა მიკე (ებეშფალვა), ზემო მოშონი (ალბა იულია), ტურდა, ზარანდი (ალტენბურგი) და ჰუნედოარა;

– სეკლერების მხარე, ადმინისტრაციული ცენტრი ტირგუ მურეში, რომელიც მოიცავდა 5 ოლქს: ოდორჰეი, ტრასკეუ, მერკურია ჩუკი, მურეში, ტურდა;

– საქსების მხარე, ადმინისტრაციული ცენტრი სიბიუ, რომელიც სამხრეთში მდებარეობდა და შედგებოდა 9 კანტონისგან და 2 ოლქისგან: სიბიუ, შესბურგი, მედიაში, მიულჰენბახი, გროსშენკი, რაისმარკტი, რეპ�ე, ლაისკირხენი, სასვაროშის კანტონებისგან და ბრაშოვის და ბისტრიცას ოლქებისგან.

4) **სამხედრო საზღვრები** (დამოკიდებული ავსტრიის არმიაზე), დაყოფილი 6 საგენერალოდ:

– ხორვატია: 3 საგენერალო შეერთებული ხორვატიის კარლოვაც-ვარაჟდინ-ბანთან, დედაქალაქი ზაგრები, რომელშიც რვა დანაყოფი შედიოდა;

– სლავონიის საგენერალო, დედაქალაქი პეტერვარდაინი, რომელშიც სამი დანაყოფი შედიოდა;

– ბანატის საგენერალო, დედაქალაქი ტიმიშოარა, რომელშიც ხუთი დანაყოფი შედიოდა.

– ტრანსილვანიის საგენერალო, დედაქალაქი სიბიუ, რომელშიც 5 დანაყოფი შედიოდა.

სამოქალაქო ტრანსილვანიის სამი მხარე იმპერატორის წარმომადგენელ გუბერნატორს ექვემდებარებოდა, რომლის რეზიდენციაც კლუჟში მდებარეობდა; მათ შიდა ავტონომია ჰქონდათ, რაც კლუჟის დიეტის მუშაობაზე აისახებოდა; ამ დიეტში სამი ერის წარმომადგენლები შედიოდნენ არისტოკრატული ფენიდან: უნგრელები, სეკლერები, საქსები.

ვლახები (რუმინელები), რომლებიც ტრანსილვანიის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენდნენ არ იყვნენ წარმოდგენილნი დიეტში. დიეტში მხოლოდ არისტოკრატები შედიოდნენ, ვლახების არისტოკრატია კი უნგრეთ-ტრანსილვანიის უნიის დროს უნგრელებად დაეწერა და ამით ვლახებს ყოველგვარი წარმომადგენლობა დააკარგვინა დიეტში.

ბანატი ამ პერიოდში იყოფოდა სამოქალაქო ბანატად, რომელიც დამოკიდებული იყო ვენის გრაფების პალატაზე და სამხედრო ბანატად (სამხედრო საზღვრები). მოგვიანებით, 1772 წელს სამოქალაქო ბანატი უნგრეთში გაერთიანდა.

III. 1789 წლიდან ავსტრია-უნგრეთის კომპრომისამდე (1867)

1. 1789 წლიდან 1848 წლის რევოლუციამდე

ნაპოლეონის ეპოქაში უნგრეთი შორს იყო ბრძოლის ველებისგან და პოლიტიკური ძვრებისგან და ამიტომაც მას ტერიტორიული ცვლელებები არ შეხებია.

მაგრამ, ვაგრამთან გამარჯვების შემდეგ, იმპერატორმა ნაპოლეონმა ავსტრიას თავს მოახვია შენბრუნის ზავი (1809 წლის 14 ოქტომბერი). სხვა გადაცემულ ტერიტორიებთან ერთად **ავსტრიამ ნაპოლეონს დაუთმო უნგრეთის ოლქი რიეკა და სამხრეთი ხორვატიის ნახევარი**, კერძოდ ხორვატიის ის ნაწილი,

რომელიც მდინარე სავას მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა; ეს ტერიტორიები საფრანგეთში ილირიულ პროვინციებს შეუერთდა.

ეს გადაცემა ხანგრძლივი არ ყოფილა. 1813 წლის აგვისტოში კოალიციურმა ჯარებმა ნაპოლეონს ილირიული პროვინციები ჩამოართვეს. 1815 წლის ივნისში ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით: **ხორვატიის სამეფოს სამხრეთი ხორვატია დაუბრუნდა, ხოლო რიეკას (ფიუმე) ოლქი უნგრეთს გადაეცა.**

1836 წელს ტრანსილვანიამ უნგრეთს სალეჟის ოლქი დაუთმო, რომელიც ტრანსილვანიის უნგრელების მხარეს ჩამოეჭრა.

2. 1848 წლიდან 1867 წლის კომპრომისამდე

საფრანგეთში განვითარებული მოვლენების გამოძახილით 1848 წლის 15 მარტს უნგრეთში ლიბერალური რევოლუცია მოხდა, რომელსაც კოშუტი ხელმძღვანელობდა და რომელიც ახალ კონსტიტუციას ითხოვდა. ეროვნული ასამბლეა იმ დროს პეშტში მუშაობდა და არა პრესბურგში. ამ კონსტიტუციით უნგრეთისა და ტრანსილვანიის გაერთიანება გამოცხადდა.

უნგრელების ამ ჰეგემონურ ნებას ნინ აღუდგა უნგრეთის სამეფოს უმცირესობა: ხორვატებმა 25 მარტს (ზაგრების დიეტი), სლოვაკებმა 10 მაისს (ლიპტოვსკი-მიკულაშის ასამბლეა), ბანატისა და ბაჩკას სერბებმა 13 მაისს (კარლოვაცის ასამბლეა), უკუაგდეს უნგრელების პრეტენზიები და ვენას უნგრეთისგან დამოუკიდებლობა მოსთხოვეს.

1849 წლის მარტის კონსტიტუციით, რომელიც ავსტრიის იმპერიისთვის შვარცენბერგის მთავარმა შეიმუშავა, შემოღებული იქნა ადმინისტრაციული ცენტრალიზაცია, რომელიც იმპერიის 18 ქვეყანაზე ვრცელდებოდა და რომლის მიხედვითაც უნგრეთი მასზე დამოკიდებულ ყველა ტერიტორიას კარგავდა.

14 აპრილს დებრეცენში თავშეფარებულმა უნგრეთის რევოლუციურმა დიეტმა უნგრეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

13 აგვისტოს უნგრეთმა ველარ გაუძლო რუსეთის შემოტევებს და კაპიტულაცია გამოაცხადა.

1849 წლის ნოემბერში მარტის კონსტიტუციის შესაბამისად, უნგრეთი ავსტრიის გვირგვინის ქვეშ გაერთიანდა ერთ-ეროი შემავალი საჰელმწიფოს სტატუსით. მან მასზე დამოკიდებული ტერიტორიები დაკარგა:

– ხორვატია-სლავონია გაზრდილი უნგრეთის სანაპიროთი (ფიუმე), რომელიც ავსტრიას დაექვემდებარა ;

– ტრანსილვანია გაზრდილი სელაჟის ოლქით (დაკარგული 1836 წელს), რომელიც ასევე ავსტრიის იმპერიაში გაერთიანდა.

საკუთრივ უნგრეთს ჩამოეჭრა:

– უნგრეთის სანაპირო ოლქი (ფიუმე), რომელიც ხორვატია-სლავონიას მიუერთდა;

– სელაჟის ოლქი, რომელიც ტრანსილვანიას მიუერთდა;

– სირმიის სლავონური ოლქით გაზრდილი ბაჩის, კრასოს, ტიმიშოარას და ტორონტალის ოლქები ახალ გაერთიანებას სერბეთ-ბანატ-ტიმიშოარას საკოეოდოს ქმნიდნენ, რომელიც ავსტრიის იმპერიას ექვემდებარებოდა.

ახალი უნგრეთის პროვინცია 1779 წლის საზღვრებს დაუბრუნდა და მას 43 მედიე გაუხდა.

1852 წლის იანვარში 43 მედიე ხუთ ოლქში დაჯგუფდა, რომელთა ხელმძღვანელებსაც ვენის ცენტრალური ხელისუფლება ნიშნავდა; მედიეების ასამბლეები გაუქმდა:

– პეშტის ოლქი: 9 მედიე – ბორშოდი, ჰეევში, სოლნოკი, ესტერგომი, იასი, კუმანია, პესტ-პილიში, პეშტ-შოლტი, სეკეშფეჰერვარი, ჩონგრადი;

– პრესბურგის ოლქი : 11 მედიე – პრესბურგი, ზემო ნიტრა, ქვემო ნიტრა, ტრენჩინი, მარტინი, ლიპტოვსკი-მიკულაში, ბარში, შოლი, ნოგრადი, ჰონტი, კომარომი ;

– შოპრონის ოლქი: 9 მედიე – შოპრონი, მოშონი, დიერი, ვაში, ვესპრემი, სელაჟი, ტოლნა, ბარანია, შომოდ – სპიშსკა, დიომრიო, შაროშპატაკი, უნგვარი, ზემპლენი, აბაუი, ტარნა, ბერეგოვო, მარამურეში;

– ორადიას ოლქი: 6 მედიე – სატუმარე, საბოლჩი, ზემო ბიჰარი, ქვემო ბიჰარი, არადი, ბეკეშ-ჩანადი.

შიდა დეცენტრალიზაციის ახალი პოლიტიკის ფარგლებში, 1860 წლის ოქტომბრის სიგელით, იმპერატორმა ფრანც-იოზეფმა აღადგინა თავისი პროვინციების ძველი კონსტიტუციები.

აქედან გამომდინარე, აღდგა უნგრეთის დიდი დიეტი და უნგრული მედიეების ავტონომია. უფრო მეტიც, უნგრეთმა დაიბრუნა 1849 წელს ჩამოშორებული მედიეების ნაწილი, კერძოდ:

– ტრანსილვანიის მიერ დაბრუნებული სელაჟის ოლქი; მან შექმნა სელაჟის მედიე გაზრდილი სატმარის მედიეთი;

– ბაჩის, ტორონტალის, ტიმიშოარას და კრასოს მედიეები, სერბია-ბანატ-ტიმიშოარას სავოევოდოს გაუქმების შემდეგ (სირმია დაუბრუნდა ხორვატის სლავონიას).

სამაგიეროდ ფიუმეს მედიე ხორვატია-სლავონიის შემადგენლობაში დარჩა; ეს პროვინცია და ტრანსილვანია უნგრეთისგან განცალკევებული აღმოჩნდა.

1861 წელს გამოქვეყნებული იმპერატორის განკარგულებით ვენაში ფედერალური პარლამენტი შეიქმნა, რომელში მონაწილეობაზეც უნგრეთმა (ისევე როგორც ჩეხიამ) უარი თქვა, რის შემდეგაც მისი წარმომადგენლობა შემცირდა. 1865 წლიდან მდგომარეობიდან გამოსავლის საპოვნელად ვენასა და ბუდას შორის მოლაპარაკებები დაიწყო. 1866 წლის მოვლენებმა, რომლებმაც ავსტრია გერმანიას ჩამოაშორა, ავსტრიის ხელისუფლება აიუძულა უნგრეთთან საერთო ენა გამოენახა.

IV. 1867 წლიდან უნგრეთის დაშლამდე (1920)

1. 1867 წლიდან ბოსნია-ჰერცეგოვინას ანექსირებამდე (1908)

1867 წლის 28 ივნისს ავსტრიასა და უნგრეთს შორის დადებული კომპრომისი მეტად მნიშვნელოვანი შეთანხმება იყო. ავსტრიის იმპერატორმა აღიარა უნგრელი ერი, დათანხმდა იქ მეფედ კურთხევას, დაამტკიცა უნგრეთში არსებული რეჟიმი (ორპალატიანობა, პარლამენტის წინაშე მინისტრების პასუხისმგებლობა) და დაუბრუნა ძველი დამოკიდებული ტერიტორიები. სანაცვლოდ უნგრეთმა უარი თქვა დამოუკიდებლობაზე და აღიარა ავსტრიასა და უნგრეთს შორის საერთო ინტერესების არსებობა.

უნგრეთის სამეფო ნახევრად დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა დაკავშირებული ავსტრიის მონარქიასთან პირადული უნიით, ავსტრიის იმპერატორი უნგრეთის მეფეც იყო და ამ ორ სახელმწიფოს სამი საერთო სამინისტრო ჰქონდა (საგარეო საქმეთა, სამხედრო და ფინანსთა).

უნგრეთის სამეფო შედგებოდა საკუთრივ უნგრეთისგან, ტრანსილვანიისგან, ხორვატია-სლავონიისგან. მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა ხორვატია-სლავონიის და ბანატის სამხედრო საზღვრები. დუნაის შენაკადი ლაიტა ის მდინარე იყო, რომელიც ავსტრია-უნგრეთის საზღვარს ავლებდა ვენასა და ბუდას შორის, შესაბამისად უნგრეთს ეწოდა ტრანსლაიტანია და ავსტრიას ცისლაიტანია.

უნგრეთის ფართობი 324 000 კმ² გახდა, მოსახლეობამ შეადგინა 15 მილიონი კაცი (1869 წლის აღწერით), მაგრამ ის მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, ეს იყო უმცირესობის პრობლემა. უნგრელები მხოლოდ 5 400 000 იყვნენ (აქედან 4 800 000 უნგრეთში, 600 000 ტრანსილვანიაში), სლავები 4 700 000 (3 000 000 უნგრეთში, 1 700 000 ხორვატია-სლავონიაში), მაგრამ იყვნენ გერმანელებიც 1 800 000 (1 600 000 უნგრეთში, 200 000 ტრანსილვანიაში), რუმინელები 2 600 000 (1 400 000 უნგრეთში, 1 200 000 ტრანსილვანიაში) და 600 000 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ამგვარად ტრანსილვანიაში

უნგრელები უმცირესობას წარმოადგენდნენ და დომინანტური პოზიციის შესანარჩუნებლად მათ დიდი ეთნიკური ნინააღმდეგობა უნდა დაეძლიათ,.

1868 წლის ნოემბერში ხორვატების პროტესტის გამო, რომელთაც არ სურდათ უნგრეთის დომინაციის ქვეშ ყოფნა და 1102 წლის Pacta Conventa-ს შესაბამისად, უნგრეთმა ხორვატია-სლავონიასთან უნგრულ-ხორვატიული კომპრომისი დადო, რომლის მიხედვითაც ხორვატია-სლავონიის სამეფოს ავტონომია ენიჭებოდა და ზაგრებში აღარ უქმდებოდა ორი ინსტიტუტი – ბანის თანამდებობა და დიეტი.

ამასთანავე, ოფიციალური დოკუმენტების გაყალბებით, უნგრეთმა ხორვატია-სლავონიას ჩამოაჭრა ფიუმე და მისი უშუალო მისადგომები თავის ტერიტორიას მიუერთა, რომლისგანაც მნიშვნელოვანი საზღვაო პორტი შექმნა.

უნგრეთ-ხორვატიის კომპრომისის შედეგად უნგრეთის სამეფოს უხდებოდა 65 მედიე, ხორვატია - სლავონიის გამოკლებით:

– დუნაის აქეთა უნგრეთი: 13 მედიე, პეშტ-პილიშ-შოლტ-კიშ-კუნი, ბაჩი, ნოგრადი, ზიოიმო, ჰონტი, ესტერგომი, ბარში, ნიტრა, პოსონი (პრესბურგი), ტრენჩინი, ტურჩანსკი სვეტი მარტინი, არვა, ლიპტოესკი მიკულაში;

– დუნაის იქეთა უნგრეთი: 11 მედიე, შოპრონი, მოშონი, დიერი, კომარომი, ვესპრემი, სეკეშფეხერვარი, ვაში, ზალა, შომოდი, ტოლნა, ბარანია;

– ტისას აქეთა უნგრეთი : 9 მედიე, სეპეში, დიომრო, ჰევეში, ბორშოდი, ტარნა, აბაუი, შაროშპატაკი, ზემპლენი, უნგენი ;

– ტისას იქეთა უნგრეთი : 17 მედიე, ბერეგოვო, მარამურეში, უჟი, სატმარი, საბოლჩი, კრასნა, ბიჰარი, არადი, ჩანადი, ჩონგრადი, ტორონტალი, ტიმიში, კრასო, სევერინი, ჰაიდუ, სოლნოკი, ბეკეში ;

– ტრანსილვანია : 15 მედიე, ჰუნიადი, სიბიუ, ფეგერაში, ბრაშოვი, ტრანსკაუნი, მერკურია ჩუკი, ოდორჰეი, კიშ კიოროში, ტირნავა-მიკე, ალშო-ფეჰერი, ტურდა, ტურდა-მურეში, კლუჟი, ბისტრიცა ნესეუდი, სოლნოკ-დიბოკა.

ამას ემატებოდა ფიუმეს ოლქი.

შემდგომში მათი რაოდენობა 63-მდე დავიდა, როცა გაერთიანდა აბაუი და ტარნა, კრასო და სევერინი.

1872 წელს სერბიის მხრიდან შესუსტდა თურქების მუქარა და უნგრეთის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად **ავსტრიამ გააუქმა ბანატის სამხედრო საზღვრები** ; ძათი ტერიტორიები ბანატის სამოქალაქო მედიეებს შეუერთდა.

გარდა ამისა, იმავე წელს ორი დაძმობილებული ქალაქი ბუდა და პეშტი ერთ ქალაქად გაერთიანდა, რომელიც გახდა დედაქალაქი ბუდაპეშტი.

1878 წელს რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ (1876-1878). ბერლინის კონგრესზე გადაწყდა, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინას თურქული პროვინციები ადმინისტრაციული და სამხედრო თვალსაზრისით ავსტრია-უნგრეთს დაექვემდებარებოდა.

იმავე წელს, თურქეთიდან მომდინარე მუქარის შესუსტების შედეგად, **ავსტრიამ გააუქმა ხორვატია და სლავონიის სამხედრო საზღვრები**, რომლებიც ხორვატია-სლავონიის სამეფს შეუერთდა.

2. 1908 წლიდან უნგრეთის დანაწევრებამდე (1920)

ავსტრიას დიდი ხნის მანძილზე ეჭირა თვალი ბოსნია-ჰერცეგოვინაზე,

მაგრამ ვერ უპირისპირდებოდა ორბენოვიჩების დინასტიას, რომელიც ძალიან ავსტროფილი იყო. 1903 წელს მისმა უეცარმა შეცვლამ კარაგეორგევიჩებით, რომლებიც რუსოფილები იყვნენ, ყველანაირი უხერხულობა მოხსნა.

ამასთანავე, ახალგაზრდა თურქთა რევოლუციამ, რომელმაც 1908 წელს იფეთქა, გამოინვია თურქეთის პარლამენტის მონვევა, სადაც იმპერიის ყველა პროვინციის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, ბოსნია-ჰერცეგოვინას ჩათვლით, რაც ავსტრიის მიზნებში არ ჯდებოდა.

1908 წლის 6 ოქტომბერს **ავსტრია-უნგრეთმა გამოსცა დეკრეტი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსირების შესახებ**, რომელიც ავსტრიისა და უნგრეთის კონდომინიუმი გახდა და ორმაგი მონარქიის ორივე ნანილისგან განსხვავებული ადმინისტრაცია ჰქონდა.

1914 წლის 28 ივნისს ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი მეუღლესთან ერთად სარაევოში მოკლეს სერბების დაკვეთით, ბოსნია-ჰერცეგოვინაში ოფიციალური ვიზიტის დროს. ამ მკვლელობამ პირველი მსოფლიო ომი გამოიწვია.

ამ ომში ავსტრია-უნგრეთმა გერმანიის მხარე დაიჭირა; მათ მალე შეუერთდა თურქეთი, მოგვიანებით კი ბულგარეთი. ავსტრია-უნგრეთი ორ ფრონტზე იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, 1915 წელს კი იტალიის წინააღმდეგ მესამე ფრონტი გაიხსნა.

ორივე მონარქიის არმიაში გაერთიანებული სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ძირითადად კეთილსინდისიერად იბრძოდნენ ავსტრიის მხარეს, მაგრამ კონფლიქტის ხანგრძლივობამ, ცხოვრების უმძიმესმა პირობებმა და სასტიკმა ბრძოლებმა, საბოლოო ჯამში ეროვნული თვითგამორკვევის საკითხი დააყენა.

1916 წლის 17 აგვისტოს დადებული საიდუმლო ხელშეკრულებით ანტანტა რუმინეთს დაპირდა ბუკოვინას, ტრანსილვანიას, ბანატს და უნგრეთის ნაწილს (ტისას მარცხენა სანაპირო, დებრეცენის და მისი შემოგარენის გამოკლებით), თუკი ის ათი დღის ვადაში მის მხარეზე გადავიდოდა.

რუმინეთი ომში 1916 წლის 27 აგვისტოს ჩაება და დამარცხდა. რუსეთის მხარდაჭერის დაკარგვის შემდეგ (ოქტომბრის რევოლუცია), ის იძულებული გახდა გამარჯვებულებთან მოლაპარაკებაზე წასულიყო.

1918 წლის 7 მაისის ბუქარესტის ხელშეკრულებით, სხვა მუხლებთან ერთად მიღებული იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ **რუმინეთი უნგრეთს დაუთმობდა კარპატების გაყოლებაზე მდებარე ტერიტორიის ზოლს**, დუნაიდან (ორშოვა) რუმინეთ-რუსეთ-ავსტრიის ყოფილ სამმაგ პუნქტამდე. ეს ტერიტორიები ტრანსილვანიის მედიეებს შეუერთდა.

დამარცხებულმა ავსტრია-უნგრეთმა იარაღი 1918 წლის 3 ნოემბერს დაყარა ვილა ჯიუსტიში (პადუა).

ამავე პერიოდში უნგრეთის უმცირესობამ, რომელიც ომის პერიოდში მონარქიის მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი, იგრძნო რა მონარქიის დასასრული მომავალზე დაინყო ფიქრი.

26 ოქტომბერს ზაგრების ეროვნულმა საბჭომ, შემდეგ კი ზაგრების დიეტმა ხორვატია-სლავონიის უნგრეთისგან გამოყოფა და იუგოსლავიის მომავალ სახელმნიფოსთან შეერთება გამოაცხადა.

30 ოქტომბერს უნგრეთის სლოვაკები შეიკრიბნენ ტურჩანსკი-სვეტი მარტინის ასამბლეაში და მოითხოვეს ჩეხია-მორავიასთან შეერთება.

16 ნოემბერს ბუდაპეშტში უნგრეთის მონარქიის დაშლა დ უნგრეთის **რესპუბლიკის** შექმნა გამოცხადდა.

1 დეკემბერს ალბა იულიაში ტრანსილვანიის რუმინელების ასამბლეამ, რომელშიც აგრეთვე აღმოსავლეთ უნგრეთში და ბანატში მცხოვრები უნგრელები მონაწილეობდნენ, მოითხოვა რუმინელებით დასახლებული უნგრეთის ყველა ტერიტორიის რუმინეთთან შეერთება.

დასავლეთის მედიეებში მცხოვრებმა გერმანელებმა მოითხოვეს ავსტრიასთან შეერთება; 7 დეკემბერს მატერსბურგში გამოცხადდა ჰაინცელანდის ეფემერული რესპუბლიკა, რომელიც სასწრაფოდ დაამხო უნგრეთის არმიამ.

1919 წლის 8 იანვარს ტრანსილვანიის საქსებმა თავის მხრივ მოითხოვეს რუმინეთთან შეერთება.

საბჭოთა მაგალითით შეგულიანებულმა მოსახლეობამ ბუდაპეშტში რევოლუციური მიძრაობა წამოიწყო; 1919 წლის 21 მარტს **უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა** გამოცხადდა.

მაგრამ უნგრეთის ჯარებმა ადმირალ ჰორტის მეთაურობით და რუმინეთისა და ჩეხიის ჯარების დახმარებით ჩაახშვეს კომუნისტური მოძრაობა და 1 აგვისტოს საბჭოთა რესპუბლიკამ ადგილი დუთმო ზომიერ რეპუბლიკას.

1920 წლის 1 მარტს იანვარში არჩეულმა ასამბლეამ **უნგრეთის სამეფო** აღადგინა და ადმირალი ჰორტი რეგენტად დანიშნა მეფის არჩევის საკითხის გადაწყვეტამდე.

V. თანამედროვე უნგრეთი (1920 წლიდან დღემდე)

1. უნგრეთის სამეფო (1920-1946)

მოკავშირე სახელმწიფოებმა ავსტრია-უნგრეთის დასარული გამოაცხადეს და გადაწყვიტეს მთელი სიმკაცრით გამოეყენებინათ ეროვნულობის პრინციპი.

უნგრეთის ტერიტორია შემცირდა (ისევე როგორც ავსტრიის). მას არა მარტო მკვეთრად ალოგენური რეგიონები ჩამოშორდა, არამედ შერეული მოსახლეობით დასახლებული რეგიონებიც; უნგრელებით დასახლებული მთებთან მდებარე ტერიტორიის ზოლი მეზობელ ქვეყნებს გადაეცა.

მოკავშირეები თვლიდნენ, რომ მათ საშუალო სიდიდის სახელმწიფოები უნდა შეექმნათ, რომელთაც იოლად გააკონტროლებდნენ.

ამ მიზნით მათ ხელი შეუწყვეს ჩეხოსლოვაკიის (ბოჰემია, მორავია, სლოვაკია, კარპატისპიტეთი), დიდი რუმინეთის (მოლდავეთი, ვლახეთი, ბუკოვინა, ტრანსილვანია, ბანატი) და იუგოსლავიის (სერბია, ჩერნოგორია, ხორვატია, სლოვენია, დალმაცია, ბოსნია-ჰერცეგოვინა) შექმნას.

ამ ქვეყნების წარმომადგენლების მიმართ გამარჯვებულები კეთილად იყვნენ განწყობილნი, ხოლო დამარცხებულ ქვეყნებს ისეთი ხელშეკრულებები თავს მოახვიეს, რომელთა მიღებაშიც მათ მონანილეობა არ მიუღიათ.

ტრიანონის 4 ივნისის ხელშეკრულებით **უნგრეთმა ავსტრიას დაუთმო**

"ბურგენლანდი", მოშონის მედიეების დასავლეთი მხარე, ადმინისტრაციული ცენტრის გარეშე, შოპრონი თავისი ადმინისტრაციული ცენტრით, ვაში ადმინისტრაციული ცენტრის გარეშე;

– ჩეხოსლოვაკიას პრესბურგის მედიეები, ბარში, ნიტრა, ტრენჩინი, ტურჩანსკი სვეტი მარტინი, ლიპტოვსკი მიკულაში, არვა, ზვოლენი, სპიშსკა, შაროშპატაკი, დიერის ორივე ნანილი, კომარომი, ესტერგომი, პონტი, ნოგრადი, დიომრო, აბაუი-ტორნა, ზემპლენი, ბერეგოვო, უნგენი, და მარამურეში (ეს ორი უკანასკნელი ჩეხოსლოვაკიასა და რუმინეთს შორის გადანანილდა);

– რუმინეთს უჟის და მარამურეშის მეორე ნანილი, ისტორიული ტრანსილვანია მთლიანად, ტიმიშის და ბანატის ნანილი, აგრეთვე სატუ-მარეს, ბიჰარის და არადის უმეტესი ნანილი;

– სერბეთ-ხორვატია-სლოვენიის სამეფოს (სხს) ხორვატის-სლავონია, ვაშის მედიეს ფრაგმენტი (პრეკომურიე), ზალა (მედიმურიე), შომოდი და ბარანია, ბაჩის უმეტესი ნანილი, ტორონტალის და ტიმიშის დარჩენილი ნანილი, ასევე ავსტრია-უნგრეთის კონდომინიუმის თავისი ნილი ბოსნია-ჰერცეგოვინაზე.

ბოლოს, **უნგრეთმა უარი თქვა ქალაქ ფიუმეზე და მის მისადგომებზე,** რომელიც იტალიასა და სხს-ს სამეფოს შორის დავის საგანი იყო.

ამის შემდეგ, უნგრეთის ფართობი 325 000-დან 93 000 კმ²-ზე დავიდა, მოსახლეობა 21 მილიონიდან 8 მილიონამდე შემცირდა; მან 4000კმ² და 400 000 მცხოვრები ავსტრიას დაუთმო, 62 000კმ² და 3 600 000 მცხოვრები ჩეხოსლოვაკიას, 102 000კმ² და 5 000 000 მცხოვრები რუმინეთს, 63 000კმ² და 4 000 000 მცხოვრები სხს-ს სამეფოს, 1 000კმ² და 50 000 მცხოვრები ფიუმეს დარჩა.

დაახლოებით 3 000 000 უნგრელი უნგრეთის სამეფოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა: 1500 000 რუმინეთში, 750 000 ჩეხოსლოვაკიაში, 500 000 სხს-ს სამეფოში.

მის მიმართ ჩადენილ უსამართლობას უნგრეთი ძალიან ენერგიულად აპროტესტებდა.

1921 წლის მარტსა და ოქტომბერში მეფე კარლი ორჯერ შეეცადა უნგრეთის ტახტის დაუფლებას. ადმირალი-რეგენტი ჰორტი მისთვის ხელის შეშლას ცდილობდა. უნგრეთი სამეფო გახდა მეფის გარეშე, რომელსაც ესკადრილიის არმქონე ადმირალი მართავდა.

რაც შეეხება ბურგენლანდს, პარიზის კონფერენციაზე ავსტრიამ დააყენა წინადადება მის ზონაში პლებისციტის ჩატარების თაობაზე, მაგრამ უნგრეთში

განვითარებული რევოლუციური მოვლენების გამო (ბოლშევიკური რეჟიმი), მოკავშირეებმა უნგრეთის პროტესტის მიუხედავად, პლებისციტის გარეშე გადანვიტეს ბურგენლანდის ავსტრიასთან შეერთება (ტრიანონი, 1920 წლის ივნისი). როდესაც ავსტრიის არმია შოპრონში შევიდა მას ქალაქის მოსახლეობა დაუპირისპირდა.

1921 წლის 3 ოქტომბერს ავსტრია-უნგრეთის პროტოკოლით, ქალაქი და მისი შემოგარენი მედიაციის აქტით გამარჯვებულ სახელმწიფოებს გადაეცა. 13 ოქტომბერს იტალიის ინიციატივით ვენეციაში გადაწყდა მოკლე ვადებში გამართულიყო პლებისციტი შოპრონთან და მის გარშემო მდებარე რვა კომუნასთან დაკავშირებით.

14-15 დეკემბერს პლებისციტი ჩატარდა და მონაწილეთა 65%-მა უნგრეთთან შეერთებას მისცა ხმა. 1922 წლის 1 თებერვალს **ქალაქი შოპრონი და მისი უშუალო შემოგარენი უნგრეთს დაუბრუნდა.**

უნგრეთს 25 მედიე გაუხდა: დიერ-მოშონ-პოსონი, კომარომ-ესტერგომი, შოპრონი, ვაში, ვესპრემი, ფეიერი, ზალა, შომოდი, ტოლნა, ბარანია, პეშტ-პილიშ-შოლტ-კიშ-კუნი, ბაჩი, ჩონგრადი, არად-ჩანად-ტორონტალი, ბეკეში, იასსოლნოკი, ბიჰარი, ჰაიდუ, სატუ-მარე-ბერეგოვო, საბოლჩი, ზემპლენი, აბაუი-ტორნა, ბორშოდ-დიემრო-კიშ-ჰონტი, ჰევეში, ნოგრად-ჰონტი.

თავის შემცირებულ ტერიტორიაზე უნგრეთი ორ ომს შორის პერიოდში გარკვეული წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობდა, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური თვალსაზრისით; დიდ ომში გამარჯვებული სახელმწიფოები მას ფხიზლად ადევნებდნენ თვალს, რომლებმაც მის წინააღმდეგ მცირე ანტანტაც კი შექმნეს, რომელშიც შედიოდა ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი და იუგოსლავია. უნგრეთი არ კარგავდა რევანშის აღების და დიდებული წარსულის დაბრუნების იმედს. გერმანიის სათავეში ჰიტლერის მოსვლამ მისი რწმენა გააძლიერა, რადგან მას გამარჯვებულების მიმართ იგივე გრძნობები ჰქონდა.

გერმანიის მუქარას ჩეხოსლოვაკიამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და 1938 წლის ოქტომბერში იძულებული გახდა გერმანიისათვის (სუდეტები) და პოლონეთისათვის (სილეზიის ნაწილი) მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაეთმო.

უნგრეთი ცდილობდა ჩეხოსლოვაკიის დასუსტებით ესარგებლა და 1920 წელს დათმობილი ტერიტორიები დაებრუნებინა, მით უმეტეს, რომ ჰიტლერი უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის არსებული ტერიტორიული დავის მოგვარების საკითხს კურირებდა.

მოლაპარაკებები წარუმატებლად დამთავრდა, ორივე მხარემ გერმანია-იტალიის არბიტრაჟს მიმართა. 1938 წლის 2 ნოემბერს ვენაში მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, **ჩეხოსლოვაკია უნგრეთს უბრუნებდა იმ ტერიტორიულ ზოლს, რომელიც სლოვაკია კარპატისპირეთის სამხრეთ საზღვარს შიუყვებოდა,** ძირითადად უნგრელებით იყო დასახლებული (750 000 უნგრელი 900 000-დან), მოიცავდა 12 000კმ²-ს და სადაც შედიოდა ქალაქები კომარომი, რიმავსკა-სობოტა, უნგვარი, მინკაჩი.

ამგვარად, უნგრეთის ფართობი 93 000-დან 105 000კმ²-მდე გაიზარდა, მოსახლეობა 9 200 000-დან 10 100 000-მდე.

უნგრეთმა ისარგებლა სლოვაკეთის დამოუკიდებლობით (14 მარტი) და გერმანიის მიერ ბოჰემია-მორავია დაპყრობით (15 მარტი) და მოახდინა **კარპატისპირეთის ოლქის ანექსირება,** რომელიც 1938 წლის არბიტრაჟმა ჩეხოსლოვაკიას მიაკუთვნა. უნგრეთის ტერიტორიას 12 000კმ² და 400 000 მცხოვრები შეემატა; მისი ფართობი გახდა 117 000კმ², მოსახლეობამ 10 500 000 კაცი შეადგინა.

1939 წლის 23 მარტს მან ანექსირებულ ტერიტორიას მიანიჭა შიდა ავტონომია და სახელწოდება *კარპატალია.*

გარდა ამისა, სტალინის ზეწოლით და ჰიტლერის თანხმობით რუმინეთმა საბჭოთა კავშირს ბესარაბია და ჩრდილოეთი ბუკოვინა დაუთმო.

ჰიტლერი აიძულებდა რუმინეთს უნგრეთისა და ბულგარეთისათვის სხვადასხვა ტერიტორია დაეთმო.

მოლაპარაკებებს წარმატება არ მოჰყოლია, 1940 წლის 30 აგვისტოს ვენაში ჩატარებული გერმანია-იტალიის განმეორებითი არბიტრაჟით **რუმინეთს უნგრეთისთვის უნდა დაეთმო ტრანსილვანიის ჩრდილოეთი ნაწილი** და 1920 წელს ანექსირებული **საკუთრივ უნგრეთის ტერიტორია**, კერძოდ, ტრანსილვანიის მედიეები ტრაი-სკაუნი, მერკურია ჩუკი, ოდორჰეი, მურეში, კლუჟი, ბისტრიცა-ნესეუდი, სომეში, სელაჟი და "უნგრეთის" მედიეები მარამურეში, სატუ-მარე, ბიჰარი (ნაწილობრივ).

ამგვარად, უნგრეთმა დაიბრუნა უნგრული რეგიონები, საქსონური რეგიონი ბისტრიცა და სეკლერების რეგიონი კარპატები სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში; მას მთლიანობაში შეემატა 43 500კმ² და 2 200 000 მცხოვრები (აქედან 1 100 000 უნგრელი, 900 000 რუმინელი, 100 000 გერმანელი). უნგრეთის ფართობმა შეადგინა 160 000კმ², მოსახლეობამ 12 700 000 კაცი.

1941 წლის აპრილში იუგოსლავიაში გერმანიისა და ბულგარეთის გამარჯვების შემდეგ, ჰიტლერმა იუგოსლავიის დაშლა გადაწყვიტა

ამ ფარგლებში **უნგრეთმა** მიიღო უნგრეთის ყველა ტერიტორია იუგოსლავიისთვის დათმობილი 1920 წელს, კერძოდ **ბაჩკა, ბარანიის კუთხე, მედიმურიე, პრეკომურიე**, იგივე 12 000კმ² ფართობი და 1 200 000 კაცი და უნგრეთის ფართობი 172 000კმ² გახდა, მოსახლეობა კი 14 000 000კაცი.

ამგვარ შენაძენს თავისი ფასი ჰქონდა. უნგრეთი ვალდებული იყო 1941 წლის ივნისში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაბმულიყო.

1944 წლის ოქტომბერში რეგენტმა ჰორტმა მოახერხა ალიანსიდან გამოსვლა და საბჭოთა კავშირთან დაზავება, მაგრამ იგი გერმანელებმა დააკავეს და უნგრეთი აიძულეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ებრძოლა. 1945 წლის 4 აპრილს უნგრეთი საბჭოთა კავშირის ხელში აღმოჩნდა.

სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებამდე უნგრეთი ***de facto*** დაუბრუნდა ტრიანონის ხელშეკრულებით განსაზღვრულ საზღვრებს.

2. უნგრეთის რესპუბლიკა (1946 წლიდან დღემდე)

1946 წლის 1 თებერვალს უნგრეთის ასამბლეამ **უნგრეთის რესპუბლიკა** გამოაცხადა.

1947 წლის 10 თებერვალს პარიზში ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას დამარცხებული ქვეყნების საზღვრებთან დაკავშირებით. უნგრეთი შეუბრალებლად დააბრუნეს 1920 წლის ტრიანონის ხელშეკრულებით განსაზღვრულ საზღვრებში. **უნგრეთმა დაუთმო:**

– **ჩეხოსლოვაკიას 1938 წელს ანექსირებული ტერიტორიის ზოლი**, სლოვაკიის სამხრეთი საზღვრის გაყოლებაზე; ამას დაემატა სლოვაკიის პლაცდარმი დუნაის მარჯვენა სანაპიროზე, ბრატისლავას პირდაპირ;

– **საბჭოთა კავშირს კარპატისპირეთის ოლქი**, რომელიც უკრაინის რესპუბლიკას შეუერთდა;

– **რუმინეთს 1940 წელს ანექსირებული ტერიტორიები;**

– **იუგოსლავიას 1941 წელს ანექსირებული ტერიტორიები**, კერძოდ ბაჩკა, ბარანია, მედიმურიე, პრეკომურიე.

200 000 უნგრელი გამოდევნეს სლოვაკიიდან, უნგრეთიდან გადაასახლეს 40 000 სლოვაკი.

კომუნისტებმა თანდათან ჩაიგდეს ხელში ძალაუფლების სადაოები (1948 წლის მარტი). 1949 წლის 18 აგვისტოს **უნგრეთი სახალხო რესპუბლიკა** და საბჭოთა კავშირის თანამგზავრი ქვეყანა გახდა.

1956 წლის 23 ოქტომბერს ბუდაპეშტში მომხდარი ანტიკომუნისტური აჯანყება საბჭოთა არმიამ ჩაახშო (4 ნოემბერი).

1984 წლიდან უნგრეთი 19 დეპარტამენტად (მედიე) დაიყო. ეკონომიკური ლიბერალიზაციის, პოლიტიკური პრულალიზმის განახლების შემდეგ, 1989 წლის

23 ოქტომბერს კონსტიტუციაც შეიცვალა, დამყარდა დემოკრატიული რეჟიმი და უნგრეთი ხელახლა გადაიქცა **უნგრეთის რესპუბლიკად.**

ამის შემდეგ უნგრეთი დასავლეთისკენ არის ორიენტირებული, განსაკუთრებით ავსტრიის, გერმანიის და იტალიისკენ და 1994 წელს თავისი კანდიდატურა ევროპის თანამეგობრობაში განევრიანებაზე დააყენა. დღეს იქ ეკონომიკა ძალიან სწრაფად ვითარდება.

სამხედრო საზღვრები

მას შემდეგ, რაც იოგენე სავოიელმა ავსტრიის არმიის სათავეში ყოფნის დროს 1699 წელს თურქებზე გაიმარჯვა, ხოლო 1718 წელს 1526 წელს დაკარგული პროვინციები დაიბრუნა, ყველაფერი უნგრეთის სამეფოს როდი გადასცა, არამედ სამხედრო ადმინისტრაციის ქვეშ ფართო ზოლი შეინარჩუნა, რომელშიც ხორვატია, სლავონია, ბანატი, ტრანსილვანიიდან ჩამოჭრილი სასაზღვრო რეგიონები შედიოდა, რათა თურქეთის არმიის შესაძლებელი თავდასხმების მოსაგერიებლად ძლიერი ბასტიონი შექმნილიყო.

ეს ტერიტორიები იქ განლაგებულ მრავალ დანაყოფთან ერთად ექვსი გენერლის მიერ იმართებოდა; სამი გენერალი ხორვატიაში მართავდა (კარლოვაცი, ვარაჟდინი, ხორვატიის ბანატი), ერთი სლავონიაში (პეტერვარდაინი), ერთი ბანატში (ტიმიშოარა), ერთიც ტრანსილვანიაში (სიბიუ). 1809 ნლიდან 1813 წლამდე კარლოვაცის საგენერალგუბერნატორო საფრანგეთს ეკუთვნოდა (ილირიული პროვინციები), რომელმაც მას ადმინისტრაციული და სამხედრო მონყობა შეუნარჩუნა.

სამხედრო საზღვრები დასახლებული იყო სოფლის თემებში გაერთიანებული გლეხი-ჯარისკაცებით (ზადრუგას), ისინი არც ერთ სენიორს არ ექვემდებარებოდნენ, მაგრამ თუ ავსტრიის არმიას დასჭირდებოდა მობილიზაციისათვის მზად იყვნენ. ადგილობრივ მოსახლეობას თანდათან ემატებოდნენ საზღვრის მეორე მხრიდან გადმოსული სერბები და ბოსნიელები.

როდესაც XIX საუკუნეში თურქეთი საშიშროებას აღარ წარმოადგენდა სამხედრო საზღვრები გაუქმდა: 1851 წელს ტრანსილვანიის, 1872 წელს ბანატის, 1878 წელს ხორვატიისა და სლავონიის.

ფინეთი

ზოგადი მონაცემები

რესპუბლიკური სახელმწიფო: ფინეთის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ტარჯა ჰალონენი.
დედაქალაქი: ჰელსინკი
ადმინისტრაციული დაყოფა: 12 პროვინცია (ლიანა)-უდენმანი (ჰელსინკი), ტურკ-პორი (ტურკუ), ალანდ-აპვენანმა (მარიანჰამინა), ჰიამენი (ჰიამენი), კიმენი (კოუვოლა), მიკელი (მიკელი), პოხიოს-კარიალა (იოენსუუ), კუოპიო (კუოპიო), ვასა (ვაასა), კესკი-სუომო (იუვიასკიულია), ოულუ (ოულუ), ლაპი (როვანიემი).
ალანდის პროვინციას (არქიპელაგი ბალტიის ზღვაში) განსაკუთრებული სტატუსი აქვს.
ფართობი: 338 000კმ^2; **მოსახლეობა:** 5 მილიონი კაცი; **სიმჭიდროვე:** 15 კაცი ერთ კმ^2-ზე.
ენა: ფინური (93%), შვედური (6% ალანდის კუნძულებზე და დასავლეთ სანაპიროზე) და საამური.
რელიგია: ლუთერანები 88%.
ფულის ერთეული: ფინური მარკა; 2002 წლიდან ევრო.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ფინეთის მოკლე ისტორია

1. რუსებსა და შვედებს შორის ბრძოლა გავლენის მოსაპოვებლად (XII-XVIII საუკუნეები)

ფინეთი ("ჭაობების ქვეყანა"), ბოტნიის ყურის აღმოსავლეთით მდებარეობს. ფინეთი თავიდან საამებით იყო დასახლებული, შემდეგ ჩვ. ნთ. აღ-ის დასაწყისში ფინელებით, მოგვიანებით კი იქ ვიკინგები ჩნდებიან.

1150-1300 წლების პერიოდში ის თანდათან მოექცა შვეციის გავლენის ქვეშ: თავდაპირველად ბოტნიის ყურის ნაპირები (ქალაქი აბოს, იგივე ტურკუ, დაარსება), შემდეგ ქვეყნის შუა ნაწილი, სადაც შვედებს რუსების გავლენა დახვდათ. 1293 წელს დაარსდა ვიბორგი; 1323 წელს ფინეთის შვედური საპერცოგო აღიარა რუსეთმა და განხორციელდა ტერიტორიების დანაწილება: შვედეთის ფინეთმა შეადგინა ქვეყნის დღევანდელი ფართობის მესამედი, სამხრეთით ბოტნიის ყურიდან ფინეთის ყურემდე.

1581 წელს ფინეთი დიდი საპერცოგო გახდა და იქ ქვეყნის ცხოვრებას შვეციის მაღალი წრეები განაგებდნენ. XVII-XVIII საუკუნეებში მიმდინარეობდა რუსეთთან ბრძოლები. 1617 წელს კარელიითა და ინგრიით გაზრდილი შვედეთი მათ 1721 წელს კარგავს და იძულებულია ვიბორგიც დათმოს, შემდეგ 1743 წელს მან ფინეთის კიდევ ერთი ნაწილი დაკარგა სამხრეთ-აღმოსავლეთით, რამაც რუსეთს საშუალება მისცა უფრო ფართოდ გაეჭრა თავისი "ფანჯარა" ზღვაზე.

2. ფინეთი 1789 წელს

ფინეთის დიდი საპერცოგო შვეციის სამეფოს ექვემდებარებოდა. ეს იყო გაშლილი ქვეყანა 360 000კმ^2-ზე გაშლილი ქვეყანა მხოლოდ 500 000 მცხოვრებით, ის მდებარეობდა ბოტნიის ყურის აღმოსავლეთ სანაპიროს, შვეციის ლაპლანდიასა და რუსეთის კარელიას შორის. დაფარული იყო გრანიტის დაბლობებით, ტბებითა და ტყეებით, ძალიან ცივი კლიმატით. აქედან გამომდინარე, იქ ძალიან სუსტად

იყო განვითარებული სოფლის მეურნეობა, რაც მესაქონლეობით, მეთევზეობით და განსაკუთრებით ხე-ტყის დამუშავებით იყო კომპენსირებული.

1789 წელს ფინეთის დიდ საჰერცოგოს აღარ ჰქონდა განსაკუთრებული ავტონომია შვეციის სამეფოში; ის სხვადასხვა ისტორიულ ოლქად იყო დაყოფილი: ფინეთის (აბო), სატაკუნდას და კარელიის საჰერცოგოებად, ნილანდის, ტავასტლანდის (ჰელსინგფორსი), საავოლას, აღმოსავლეთი ბოტნიის, ალანდის კუნძულების საგრაფოებად.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, შვედი მმართველების რეზიდენციები მდებარეობდა აბოში (ტურკუ), ჰელსინგფორსში (ჰელსინკი), ბორგოში, კუოპიოში, ვასაში და ულეაბორგში (ულუ).

II. ფინური ენის განმტკიცება (1789 წლიდან დღემდე)

1. 1789 წლიდან დამოუკიდებლობამდე (1917)

რევოლუციის ეპოქაში მომხდარ ევროპულ ძვრებს, შემდეგ ნაპოლეონის ეპოქას დიდი ხნის მანძილზე ფინეთზე გავლენა არ მოუხდენია, ის ბრძოლის ველისაგან შორს მდებარეობდა და ნეიტრალურ შვედეთს ექვემდებარებოდა.

ამასთანავე, რუსეთის უშუალო მეზობელი ფინეთი მისთვის მეტად სასურველი ტერიტორია იყო. ნაპოლეონს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს კეთილგანწყობის მოპოვება სურდა და ამიტომ ტილზიტში (1807 წლის ივლისი) რუსეთს ფარულად მისცა ფინეთზე გალაშქრების უფლება.

1808 წელს რუსეთი ფინეთში შეიჭრა. შვეციის მეფე გუსტავ IV-ს ბრალი დასდეს ფინეთის დაკარგვაში და 1809 წელს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ტახტიდან გადმოაგდეს. შვეციის დიეტმა ხელისუფლების აღსრულება იკისრა და საფრანგეთთან და რუსეთთან მშვიდობის დამყარებას შეეცადა.

1809 წლის 17 სექტემბერს, ფრიდრიხსჰამის (ჰამინა) ხელშეკრულებით **შვეციამ რუსეთს დაუთმო ფინეთის დიდი საჰერცოგო** და ლაპლანდიის ტერიტორიის ნაწილი.

რუსეთმა ფინეთის დიდ საჰერცოგოს, დედაქალაქი აბო, ავტონომია მიანიჭა და მასთან მხოლოდ პირადული უნიით იყო დაკავშირებული (რუსეთის იმპერატორი ერცჰერცოგი გახდა), რომელსაც ჰყავდა თავისი დიეტი და საკუთარი არმია, მართავდა გუბერნატორი, ჰქონდა თავისი კანონმდებლობა, ოფიციალური ენა იყო შვედური, ხოლო ფინური ჩვეულებრივ გამოიყენებოდა.

რუსეთის მიერ 1721 და 1743 წლებში ანექსირებული **კარელიისა და ფინეთის ნაწილები** 1811 წელს **ფინეთის დიდ საჰერცოგოში გაერთიანდა**. მისი ფართობი 378 000კმ² გახდა.

1812 წელს, დიდი საჰერცოგოს დედაქალაქი აბოდან ჰელსინგფორსში გადავიდა.

1831 წლის 24 მარტს, ფინეთი რვა გუბერნიად (ლეონი) დაიყო, რომლებიც ადმინისტრაციული ცენტრების სახელებს ატარებდა: ულეაბორგი (ულუ), ვასა, აბო (ტურკუ), ნილანდი ან ჰელსინგფორსი (ჰელსინკი), ვიბორგი (ვიიპური), კუოპიო, მიკელი, ტავასტეჰუსი (ჰამეენლინნა).

თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთი ფინეთის პოლიტიკურ და კულტურულ ავტონომიას იცავდა. ამასთანავე, რუსეთი ხელს უწყობდა ფინური ენის გაძლიერებას იმისთვის, რომ მოეშორებინა შვედური კულტურის გავლენა. სწორედ ამით დაიწყო ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება, რაც შვედურ კულტურასთან და რუსულ დომინაციასთან დაპირისპირებაში გამოიხატა.

საუკუნის ბოლოს, რუსეთმა გადაწყვიტა თავის სამფლობელოებში რუსიფიკაციის პოლიტიკა გაეტარებინა. 1899 წლის 15 თებერვლის მანიფესტით სანკტ-პეტერბურგის მთავრობამ გააუქმა ფინეთის არმია და ადმინისტრაციულ ენად რუსული დაანესა.

რუსეთმა მასზე დამოკიდებული ფინეთი პირველ მსოფლიო ომში ჩაითრია.

როდესაც რუსეთში რევოლუციამ იფეთქა, ახალი რუსეთისათვის თავისი ბედის დაკავშირება მხოლოდ რევოლუციურ უმცირესობას სურდა.

ფინეთის კონსერვატიულმა მთავრობამ კი ჩათვალა, რომ უნდა ესარგებლა ამ მოვლენით და რუსეთს გამოჰყოფოდა. 1917 წლის 6 დეკემბერს, მან **ფინეთის დამოუკიდებლობა** გამოაცხადა, თუმცა მისი სტატუსის საკითხი გადასანყვეტი დარჩა.

2. დამოუკიდებელი ფინეთი (1917 წლიდან დღემდე)

1918 წლის 2 იანვარს ლენინის მთავრობამ აღიარა ფინეთის დამოუკიდებლობა. მაგრამ ფინეთს მოუხდა მეზობელი რუსეთის ნაქეზებით დაწყებულ ბოლშევიკურ რევოლუციასთან დაპირისპირება, რომელმაც ჰელსინკი მოიცვა; მთავრობამ თავი ვაასას შეაფარა და საშველად გერმანიის არმიას მოუხმო.

1918 წლის ოქტომბერში **ფინეთმა** ვერ გაუძლო გერმანიის ზეწოლას. **სამეფოდ** გამოცხადდა და ტახტი ჰესენის მთავარს ფრიდრიხ-კარლს შესთავაზა.

ჰესენის მთავარის ფინეთში გამეფებას ხელი გერმანიის დამარცხებამ შეუშალა (ნოემბერი). 1918 წლის დეკემბერში არჩეულმა დიეტმა, 1919 წლის ივლისში კენჭი უყარა ახალ კონსტიტუციას. ფინეთი რესპუბლიკა გახდა.

ახლა უნდა განსაზღვრულიყო საზღვრები რუსეთთან.

ფინელები აღმოსავლეთ კარელიას ითხოვდნენ. ამაზე რუსეთმა უარი განაცხადა და აღმოსავლეთ კარელიაში მხოლოდ პლებისციტის ჩატარებას დათანხმდა, რაც არასოდეს განხორციელებულა.

ამ უარის სანაცვლოდ, ტარტუს ხელშეკრულებით, რომელიც 1920 წლის 14 ოქტომბერს დაიდო, რუსეთმა **ფინეთს დაუთმო პეტსამოს ტერიტორია** (10 000კმ^2.), რაც ფინეთს გასასელელს აძლევდა დიდ ჩრდილოეთში, ბარენცის ზღვაზე.

ამის შემდეგ ფინეთის ფართობმა შეადგინა 388 000კმ^2.

გარდა ამისა, შვეციამ ისარგებლა ფინეთის დამოუკიდებლობით და 1919 წელს ალანდის კუნძულების მიერთება მოითხოვა, რომელიც 1809 წელს დათმო, როგორც ფინეთის ნაწილი, თუმცა ის შვედებით იყო დასახლებული.

ამ მოთხოვნის საპასუხოდ, 1920 წლის ივნისში, ფინეთმა ალანდის კუნძულებს ფართო ავტონომია მიანიჭა: დამოუკიდებელი პარლამენტი, შვედურის ექსკლუზიური გამოყენება, ფინელებისთვის იქ ჩასახლების აკრძალვა.

შედეგად, ერთა ლიგამ ჩათვალა, რომ მოსახლეობის უფლებები დაცული იყო და 1921 წლის 26 ივნისს უარყო შვედების მოთხოვნა და მხარი დაუჭირა არსებულ სიტუაციას. იმავე წლის ოქტომბერში, საერთაშორისო კონვენციით გადაწყდა, რომ ალანდის კუნძულები ნეიტრალური ტერიტორია გახდებოდა.

ორ ომს შორის პერიოდი ფინეთისთვის ეკონომიკური აღმავლობის ხანა იყო, რამაც ის სკანდინავიის სხვა ქვეყნებთან დააახლოვა. მაგრამ სტალინი არ აპირებდა მთელ ფინეთზე ან თუნდაც მის ნაწილზე უარის თქმას. 1939 წლის 23 აგვისტოს გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტი, ორი საიდუმლო მუხლით ითვალისწინებდა გერმანიის ჩაურევლობას ფინეთში საბჭოთა ინტერვენციის შემთხვევაში.

1939 წლის 12 ოქტომბერს საბჭოთა კავშირმა, რომელიც ცდილობდა გაეფართოებინა ლენინგრადის უკანა მხარე, შესთავაზა ფინეთს 3 000კმ^2-ის დათმობა (ბიორკო), სანაცვლოდ ფინეთი მიიღებდა 30 000კმ^2-ს ჩრდილოეთ კარელიაში. ფინეთმა უარი თქვა ამ შეთავაზებაზე.

1939 წლის 30 ნოემბერს საბჭოთა ჯარები ფინეთში შეიჭრნენ და გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად ფინეთი დამარცხდა ("ზამთრის ომი").

ამის შემდეგ, 1940 წლის 12 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებით **ფინეთს საბჭოთა კავშირისათვის უნდა დაეთმო:**

– **სამხრეთი კარელია** (ბიორკო, ვიბორგი), რის შემდეგაც ამ სექტორში ფინეთი 1721 წლის საზღვრებს უბრუნდებოდა;

– **სალას ტერიტორია** ჩრდილოეთი კარელიის საზღვრის გაყოლებაზე, რაც საზღვარს მურმანსკის რკინიგზას აშორებდა;

– **პეტსამოს აღმოსავლეთით მცირე ტერიტორია,** ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეზე;

– **პანკოს ნახევარკუნძული** ფინეთის ყურეში შესასვლელთან, სანაოსნო ბაზის შესაქმნელად.

ფინეთი შეეცადა გამოეყენებინა გერმანიის ომი და 1941 წლის 27 ივნისს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაება. მან ხელახლა დაიკავა და შეიერთა 1940 წლის მარტში დათმობილი ტერიტორიები: **სამხრეთი კარელია, სალას ტერიტორია, პეტსამოს აღმოსავლეთის ნაწილი.**

მაგრამ 1944 წლის ივნისში საბჭოთა არმიის შეტევების შემდეგ, ფინეთმა 19 სექტემბერს ხელი მოაწერა მოსკოვში საზავო ხელშეკრულებას. სამშვიდობო ხელშეკრულებების დაცდის გარეშე, **საბჭოთა კავშირმა ხელახლა შეიერთა** 1940 წელს ანექსირებული და 1941 წლის ივლისში დაკარგული ფინეთის ტერიტორიები, რასაც დაუმატა **პეტსამოს ტერიტორია.** საზღვაო ბაზა **ჰანკოდან პორკალაში იქნა გადატანილი.**

1947 წლის 10 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით ფინეთმა უარი თქვა ამ ტერიტორიებზე.

ფინეთმა დაკარგა ყინულოვან ოკეანეზე გასასვლელი და მისი ფართობი გახდა 338 000კმ². რომელიც დღესაც უცვლელია. ის დაყოფილია 12 პროვინციად.

ფინეთში დემოკრატიული რეჟიმი შენარჩუნდა და ის დიდი ხნის განმავლობაში ფრთხილ პოლიტიკას აწარებდა თავის ძლიერ საბჭოთა მეზობელთან.

1954 წლის 26 იანვარს, **საბჭოთა კავშირმა აღადგინა პორკალას სანაოსნო ბაზა.**

1995 წლის იანვარში ფინეთი ევროპის საბჭოს წევრი გახდა.

Finnois ou Finlandais

ეს ორი ტერმინი ერთმანეთის სინონიმი არ არის:

– **Finlandais** გამოხატავს იმას, რასაც კავშირი აქვს ფინეთის სახელმწიფოსთან; **Les finlandais,** ფინეთში მცხოვრებნი არიან მათი წარმომავლობის მიუხედავად;

– **Finnois** გამოხატავს იმას, რაც კავშირშია ფინეთის ძველ ხალხთან, მათ კულტურასთან; **Le finnois** ფინელების მშობლიური ენაა და წამოსულია ფინურ-უნგრული ენების ჯგუფიდან (ფინური, ლაპონური, ესტონური, უნგრული).

ფინლანდიზაცია (La finlandisation)

ფინეთის დელიკატური მდგომარეობა თავის მეზობელ საბჭოთა კავშირთან მიმართებაში ცივი ომის პერიოდში (1947-1989) საფუძვლად უდევს ნეოლოგიზმს, რომელიც გამოხატავს იმ ქვეყნის მდგომარეობას, რომელიც არც საბჭოთა ბლოკზე იყო დამოკიდებული (არ იყო ვარშავის ხელშეკრულების წევრი ქვეყანა) და არც კომუნისტური ხელისუფლება ჰყოლია, მაგრამ მიუხედავად ამისა, იძულებული იყო შეეზღუდა თავისი საგარეო პოლიტიკა ძლიერი მეზობლის გამუდმებული მუქარის გამო.

ამ სიტუაციას ბოლო მოეღო საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ (1989-1990), ამან კი შესაძლებლობა მისცა ფინეთს გაერთიანებულიყო ევროპის კავშირში.

ეს ტერმინი უკუაგდეს ფინელებმა, რადგანაც მიაჩნიათ, რომ ის შეურაცხყოფს მათ ღირსებას

შვედეთი

ზოგადი ცნობები

მონარქიული სახელმწიფო: შვედეთის სამეფო.
სუვერენი: მეფე კარლ XVI გუსტავი, ბერნადოტის სახლი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი, რიკსდაგი.
დედაქალაქი: სტოკჰოლმი.
ადმინისტრაციული დაყოფა, 24 საგრაფო: სტოკჰოლმი (სტოკჰოლმი), უპსალა (უპსალა), სედერმანლანდი ან სედერმანია (ნიუაჩოპინგი), ვესტმანლანდი ან ვესტმანია (ვესტეროსი), ვერმლანდი ან ვარმია (კარლსტადი), ერებრუ (ერებრუ), კომპარბერგი (ფალუნი), ეელებორგი (ეევლე), ოსტერიოტლანდი ან ოსტერგოთია (ლინჩიოპინგი), კალმარი (კალმარი), იონჩიოპინგი (იონჩიოპინგი), კრუნუბერგი (ვეკშე), ბლეკინგე (კარლსჰაიმნი), სკარაბორგი (მარიესტადი), კრისტიანსტადი (კრისტიანსტადი), მალმეჰუსი (მალმე), გოტლანდი (ვისბიუ), ვესტერნორლანდი (ჰერნიოსანდი), იმტლანდი (ესტერსუნდი), ვესტერბოტენი (უმეო), ნორბოტენი (ლულეო).
ფართობი: 450 000კმ² (საიდანაც 38 000კმ² სრუტე და შიდა დინებებია);
მოსახლეობა: 8, 6 მილიონი კაცი; სიმჭიდროვე: 19 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენა: შვედური.
რელიგია: პროტესტანტები (ლუთერანები) 95%-მდე.
ფულის ერთეული: შვედური კრონა.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. შვედეთის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. სათავეებიდან გუსტავ ვასას გამეფებამდე (1523წ.)

დასაბამიდანვე სკანდინავიური ტომებით დასახლებული შვედეთი დაახლოებით 1000 წელს გაერთიანდა, როდესაც მეფე ოლაფ კონუნგმა **შვედეთი** და **გოთია** შეაერთა. მან ქვეყანაში ქრისტიანობა გაავრცელა და შვედეოის მეფის ტიტული მიიღო. 1150 წლიდან 1300 წლამდე **ფინეთის** დაპყრობით, შვედეთი თავის პირველ გაფართოებას შეუდგა.

დაახლოებით 1250 წელს დაარსდა ქალაქი სტოკჰოლმი.

1397 წელს შვედეთი ნორვეგიასთან ერთად კალმარის უნიაში გაერთიანდა, რომელშიც დანია დომინირებდა. თუმცა გაერთიანება არ იყო უღრუბლო და შვედეთმა ის პირველად 1439 წელს დატოვა, შემდეგ კი საბოლოოდ, 1523 წელს გუსტავ I ვასას ინიციატივით, რომელმაც შვედეთს დამოუკიდებლობა და საკუთარი დინასტია დაუბრუნა.

2. შვედეთის გაბრწყინება ვასების მეფობის პერიოდში (1523-1654წ.)

დანიელების გაძევების შემდეგ, გუსტავ ვასამ მემკვიდრეობითი მონარქია დააფუძნა და რეფორმას მიემხრო (საეკლესიო სიმდიდრის ხელში ჩაგდებით). გუსტავ ვასამ და მისმა მემკვიდრეებმა დანიასთან, პოლონეთთან და რუსეთთან დაპირისპირების შედეგად ნარმატებით განახორციელეს შვედეთის სამეფო გვირგვინის დომენების გაფართოება.

შვედეთმა ჩრდილოეთი მინები დაიპყრო (ლაპონია და ბოტნიის შემოგარენი), ისევე როგორც ესტონეთი, რომელიც პორტ-გლეევის რაინდებს ჩამოართვა.

პოლონეთთან ომის შემდეგ, შვედეთმა გეზი ბალტიის ზღვაზე გაბატონებისკენ აიღო. გუსტავ II ადოლფ დიდისა და მისი მემკვიდრეების მეფობის დროს შვედეთმა დაიპყრო ინგრია და რუსეთის კარელია (1617წ.), პოლონეთის გლივონია (1629წ.), დანია-ნორვეგიის ემბლანდისა და ჰერიედალის პროვინციები გოტლანდისა და ესელის კუნძულებთან ერთად (1645წ.).

შვედეთის მიმართ კეთილგანწყობილმა საფრანგეთმა ამ უკანასკნელს 1629 წელს ალიანსი შესთავაზა. შვედეთმა დიდი წარმატებით მიიღო მონაწილეობა ოცდაათწლიან ომში, რამაც მას 1648 წელს პირაქეთა პომერანიის, რიუგენისა და შჩეცინის დაპყრობის საშუალება მისცა, ისევე როგორც ვისმარის, პელის, ნოიკლოსტერის მეკლემბურგული მიწების და ბრემენისა და ვერდენის საჰერცოგოებისა (საეპისკოპოსოები). თავის მხრივ, ამ ტერიტორიების ხელში ჩაგდებით შვედეთის მეფეები საუკუნე-ნახევრის განმავლობაში "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) პრინცები გახდნენ.

3. შვედეთის დიდება და დეკადანსი (1654-1789წწ.)

ვასების დინასტიის უკანასკნელმა შთამომავალმა, დედოფალმა კრისტინამ ("ჩრდილოეთის ამაზონი"), 1654 წელს სამეფო ტახტზე უარი თქვა თავისი ბიძაშვილის, ცვაიბრიუკენის (დასავლეთი გერმანია) მთავრის სასარგებლოდ, რომელიც შვედეთის მეფე კარლ X გუსტავი გახდა.

კარლ X გუსტავმა ანექსიონისტური პოლიტიკა გააგრძელა და დანიასთან ახალი ომის შედეგად, 1658 წელს შვედეთმა სკანია და ბლეკინგეს, ჰალანდისა და ბოჰუსის დანიური პროვინციები დაიპყრო.

საუკუნე-ნახევრის პერიოდი შვედეთისთვის მისი ძლიერების აპოგეად იქცა, რომელმაც დაღმასვლა იწყო კარლ XII-ის მეფობის (1697-1718წწ.) დროს რუსეთის, დანიის, პოლონეთისა და პრუსიის გაერთიანებული შეტევების შედეგად.

"ჩრდილოეთის ომი" (1700-1721წწ.), საიდანაც გმირულად მებრძოლი შვედეთი საბოლოოდ მაინც დამარცხებული გამოვიდა, მას ყველგან პოზიციების დათმობად დაუჯდა. 1719 წელს შვედეთს ბრემენისა და ვერდენის დათმობა მოუხდა, 1720 წელს პირაქეთა პომერანიის სამხრეთი ნახევრის, 1721 წელს კარელიის, ინგრიის, ესტონეთისა და ლივონიის ნაწილის, ხოლო 1743 წელს ფინეთის ნაწილისაც.

ამავე დროს, ქვეყანა ხშირმა დინასტიურმა განხეთქილებებმა დაასუსტა, რაც მამრობითი სქესის მემკვიდრის არარსებობის მიზეზით იყო გამოწვეული: ჰესე-კასელის სახლი 1720 წელს, ჰოლშტაინ-გოტორპის სახლი 1751 წელს. ქვეყნის დაღმასვლას XVIII საუკუნის მანძილზე მიმდინარე შიდა უთანხმოება აორმაგებდა მტრისათვის დათმობილი მიწების ძალით ჩამორთმევის მომხრეებსა ("ქუდები") და მშვიდობიანი პოლიტიკისა და ეკონომიკური განვითარების მომხრეებს ("ჩაჩები") შორის.

II. შვედეთის სამეფო 1789 წელს

1789 წელს შვედეთი დიდ სამეფოს წარმოადგენდა, რომელიც სკანდინავიის ნახევარკუნძულის უდიდეს ნაწილს მოიცავდა, ნორვეგიის მიერ ოკუპირებული დასავლეთით მდებარე მცირე ნაწილის გარდა. შვედეთს, რომლის ფართობი 450 000 კმ²-ს შეადგენდა, მოსახლეობა კი დაახლოებით 2 მილიონ კაცს აღწევდა, აღმოსავლეთით გარს ერტყა ბოტნიის ყურე და ბალტიის ზღვა, სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით დანიური სრუტეები, დასავლეთითა და ჩრდილოეთით მას ნორვეგია ესაზღვრებოდა, რომლისგანაც შვედეთს საკანდინავიური ალპების გრძელი ქედი ყოფდა.

ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი დიდ პლატოებს, ხოლო სამხრეთი ნაწილი დაბლობებს ეკავა. შვედეთის მკაცრი კლიმატი ნაკლებად ხელსაყრელი იყო სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. ქვეყნის რესურსების ძირითად წყაროს ხე-ტყის გადამუშავება (ტერიტორიის ნახევარზე მეტი ტყით იყო დაფარული) და

მრეწველობა წარმოადგენდა, რომელიც მადნეულის დიდი მარაგის არსებობასთან იყო დაკავშირებული.

აღნიშნულ დროს, შვედეთის სამეფო გვირგვინი შემდეგი დომენებისგან შედგებოდა:

1) **შვედეთის სამეფო** (2 000 000 მცხოვრები), დედაქალაქი სტოკჰოლმი, რომელიც შემდეგ პროვინციებს მოიცავდა:

ა) საკუთრივ შვედეთის სამეფო: უპლანდი (უპსალა და სტოკჰოლმი), სუდერმანია (ნიუაჩოპინგი), ნერისი (ერებრუ), ვესტმანლანდი (ვესტეროსი), დალეკარლი (ჰედემურა);

ბ) გოთიის სამეფო: ოსტგოთია (ლინჩიოპინგი), სმოლანდი (კალმარი), ვესტგოთია (გეტებორგი), ვარმია (კარლსტადი), სკანია (მალმე), დალია, ბოჰუსი, ჰალანდი, ბლეკინგე, ელანდისა და გოტლანდის კუნძულები;

გ) ნორლანდი: ისტრიკლანდი (იფლე), ჰელსინგლანდი, ჰერიედალი, მედელპადი, ემტლანდი, ონგერმანელვენი (ჰერნიოსანდი), ვესტერბოტენი;

დ) ლაპონია, დაყოფილი ექვს ოლქად: ტორნიო, ლულეო, პიტეო, უმეო, აოსეელა, ემტლანდი.

2) **ფინეთის დიდი საპერცოგო** (500 000 მცხოვრები), რომელიც შემდეგი პროვინციებისგან შედგებოდა: საკუთრივ ფინეთის, სატაკუნდისა და კარელიის საპერცოგოები, ნილანდის, ტავასლანდის, საოლისა და ოსტრობოტნიის საგრაფოები, ალანდის კუნძულები;

3)"**საღვთო რომის იმპერიაში**" (გერმანელი ერის) შემავალი **გერმანული სამფლობელოები:** შვედეთის პომერანია, დედაქალაქი სტრალსუნდი, რომელიც პირაქეთა პომერანიის ჩრდილოეთი ნახევრისგან იყო შემდგარი; რუგენისა და პელის კუნძულები, ვისმარისა და ნოიკლოსტერის ზღვისპირა ანკლავები; შვედეთის მეფეს პომერანიის სახელით, ერთი ხმა ჰქონდა ქვემო საქსონიის ოლქში, ისევე როგორც საერო ადგილი რატისბონის (რეგენსბურგი) საიმპერატორო დიეტის პრინცთა კოლეგიაში.

III. 1789 წლიდან ნორვეგიის ანექსიამდე (1814 წ.)

1. ფინეთის დაკარგვა (1809წ.)

აღნიშნულ პერიოდში შვედეთი დასუსტებული ქვეყანა იყო იმ ბრწყინვალე ხანასთან შედარებით, რომელიც მან წინა საუკუნეში განვლო. ის მეორეხარისხოვან სახელმწიფოთა რანგში გადავიდა და საფრანგეთთან ალიანსში (კვლავ ძალაში რჩებოდა) შეხვდა რევოლუციას. თავდაპირველად გუსტავ III-ის ინიციატივით, რომელსაც ევროპის გაერთიანება სურდა ლუი XVI-ის მხარდასაჭერად, შვედეთი მკაცრ კონტრრევოლუციურ პოლიტიკას ატარებდა, მაგრამ მეფის მკვლელობის შემდეგ, მისი ვაჟის გუსტავ IV-ის ტახტზე ასვლას უფრო ნეიტრალური პოზიციის დაკავება მოჰყვა. ალიანსი რესპუბლიკურ საფრანგეთთან განახლდა.

1803 წლის თებერვალში გერმანიაში საიმპერიო რეცესით განხორციელებულ ცვლილებებს ირიბ შედეგად, შვედეთის მხრიდან **მეკლემბურგ-შვერინის** საპერცოგოსთვის **ვისმარის, ნოიკლოსტერის ანკლავებისა და პელის კუნძულის** დაბრუნება მოჰყვა, 1903 ან 2003 წელს შესაძლებელი შესყიდვის შეთანხმების პირობით.

თუმცა გერმანიის საქმეებში საფრანგეთის მზარდმა ჩარევამ შვედეთსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობები გააფუჭა. 1805 წლის 31 ოქტომბერს შვედეთი ავსტრია-რუსეთის კოალიციას შეუერთდა და საფრანგეთს ომი გამოუცხადა. გამარჯვებულმა საფრანგეთმა 1807 წლის დასაწყისში შვედეთის პომერანია დაიკავა, მაგრამ მისი ანექსია მაშინვე არ მოუხდენია.

შვედეთი საფრანგეთის მტერი გახდა. ამიტომაც, ნაპოლეონმა ტილზიტში (1807 წლის ივლისი) რუსეთს ფინეთის დაპყრობის ფარული თანხმობა მისცა. 1808 წელს რუსეთმა ფინეთი დაიპყრო და მისი ოკუპაცია განახორციელა. ინგლისის ბანაკში გადასვლის შემდეგ, შვედეთმა საფრანგეთის ჯარების იერიში გადაიტანა.

დასდეს რა ბრალი ფინეთის დაკარგვაში, მეფე გუსტავ IV 1809 წლის მარტში ტახტიდან ჩამოაგდეს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად. ქვეყნის პარლამენტმა ლიბერალური შინაარსის ახალი კონსტიტუცია შეიმუშავა (ივნისი) და საფრანგეთსა და რუსეთთან მშვიდობის დამყარებას შეეცადა.

1809 წლის 17 სექტემბერს რუსეთთან დადებული ფრიედერიკშმანის (ჰამინა) ხელშეკრულების თანახმად, **შვედეთმა რუსეთს ფინეთი და ლაპონიის ტერიტორიის ნაწილი დაუთმო.** რუსეთმა ვალდებულება იკისრა ამ ტერიტორიებისგან ფინეთის დიდი საჰერცოგო შეექმნა, სადაც დაცული იქნებოდა ფინური პარტიკულარიზმი (ფინური ენის გამოყენება).

ახალი კონსტიტუცია შვედეთის სამეფოს ადმინისტრაციულ რეორგანიზაციას ითვალისწინებდა, რომელიც 24 საგრაფოდ უნდა დაყოფილიყო, და ზოგჯერ ძველ პროვინციებსაც მოიცავდა:

- **საკუთრივ შვედეთი** (8 საგრაფო):
  - სტოკჰოლმი: ყოფილი უპლანდისა და სუდერმანიის ნაწილი;
  - უპსალა: ყოფილი უპლანდიის ნაწილი;
  - ვესტეროსი: ყოფილი ვესტმანიის (ვესტმანლანდი) ნაწილი;
  - ნიუაჩოპინგი: ძველი სუდერმანიის ნაწილი;
  - ერებრუ: ყოფილი ნერისისა და ვესტმანიის ნაწილი;
  - კარლსტადი: ყოფილი ვარმია;
  - გელდებორგი: ყოფილი გესტრიკლანდი და ჰელსინგლანდი;
- **გოთია** (12 საგრაფო):
  - ლინჩიოპინგი: ყოფილი ოსტერგოთია;
  - კალმარი: სმოლანდის ყოფილი ნაწილი;
  - იონჩოპინგი: სმოლანდის ყოფილი ნაწილი;
  - კრონობერგი (ვექშე): სმოლანდის ყოფილი ნაწილი;
  - ბლეკინგე (კარლსკრონა);
  - სკარაბორგი (მარიესტადი): ვესტგოთიის ყოფილი ნაწილი;
  - ეკლებორგი (ვენერსბორგი): დალიისა და ვესტგოთიის ყოფილი ნაწილები;
  - გეტებორგი (გოტემბურგი) და ბოჰუსი: ბოჰუსი და დალიისა და ვესტროგოთიის ყოფილი ნაწილები;
  - ჰალმსტადი: ყოფილი ჰალანდი;
  - კრისტიანსტადი; სკანიის ყოფილი ნაწილი;
  - გოტლანდი (ვისბიუ);
- **ნორლანდი** (4 საგრაფო);
  - ნორბოტენი (პიტეო): ვესტრობოტნიისა და ლაპონიის ყოფილი ნაწილები;
  - ვესტერბოტენი (უმეო): ვესტერბოტნიისა და ლაპონიის ყოფილი ნაწილები;
  - ვესტერნორლანდი (ჰერნესანდი): ყოფილი მედელპადი და ანგერმანია;
  - ემტლანდი (ესტერლანდი): ყოფილი ემტლანდი და ჰერიედალი.

2. ნორვეგიის ხელში ჩაგდება (1814წ.)

1810 წლის 6 იანვრის პარიზის ხელშეკრულებით, საფრანგეთსა და შვედეთს შორის მშვიდობა აღდგა. საფრანგეთმა მთლიანად დაუბრუნა შვედეთს პომერანია, რის სანაცვლოდაც ის კონტინენტურ ბლოკადას შეუერთდა.

სუდერმანიის ჰერცოგი 1809 წელს ტახტზე ავიდა კარლ XIII-ის სახელით, მაგრამ მას მემკვიდრე არ ჰყავდა და ამიტომაც, მის მემკვიდრედ აუგუსტენბურგის ჰერცოგი იქნა არჩეული.

1810 წლის მაისში ჰერცოგის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, იმავე წლის აგვისტოში პარლამენტმა მემკვიდრე პრინცად პონტე-კორვოს მთავარი, მარშალი ბერნადოტი აირჩია, რომელიც პრინცი კარლ-იანი გახდა.

მოვიანებით, შეეჯახა რა შვედეთის მხრიდან პირობის შეუსრულებლობას, რომელიც ოფიციალურად საფრანგეთის მოკავშირეობდა, ინგლისის ნინააღმდეგ

ომში იყო ჩართული და ამავე დროს, კონტრაბანდას უშვებდა გეტებორგსა (შვედეთი) და სტრასლუნდში (პომერანია), საფრანგეთმა 1812 წელს პომერანია დაიკავა. შვედეთმა ბანაკი შეიცვალა და მიუხედავად ოფიციალური დაპირებისა, რომლის თანახმად, მას ნორვეგია მშვიდობიანად უნდა მიეღო ფინეთის სანაცვლოდ, ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდა.

ამ კარდინალური ცვლილების შემდეგ, შვედეთმა 1813 წელს საფრანგეთის მოკავშირე დანიაზე მიიტანა იერიში და დაამარცხა.

1814 წლის 14 იანვრის კილის ხელშეკრულებით, **დანიამ შვედეთს ნორვეგიის სამეფო დაუთმო, ხოლო შვედეთმა თავის მხრივ, დანიას შვედეთის პომერანია გადასცა.**

ამგვარად, შვედეთმა საბოლოოდ თქვა უარი გერმანიაში საკუთარ ინტერესებზე და თავისი ტერიტორია სკანდინავიის ნახევარკუნძულზე გაბატონებით გააფართოვა. თუმცა 1812 წლის ალიანსის შედეგად, ფინეთი საბოლოოდ იქნა დაკარგული.

ნორვეგიას სულაც არ სურდა შვედეთის დაქვემდებარებაში ყოფნა. ქვეყნის მოსახლეობის ნება 1814 წელს დამოუკიდებლობის დეკლარაციის, ახალი კონსტიტუციის მიღებასა და ახალი მეფის, კრისტიან-ფრედერიკის არჩევაში გამოიხატა. თუმცა ნორვეგიამ თავისი ნება ვერ განახორციელა ძლიერ სახელმწიფოთა პოზიციისა და შვედეთის რეგენტის კარლ-იანის შეუპოვრობის პირისპირ, რომელმაც ქვეყნის ხელში ჩასაგდებად ომი გააჩაღა.

1814 წლის 4 ნოემბერის მოსის შეთანხმებით, **ნორვეგიის სამეფო შვედეთის სამეფოსთან პირადი უნიის საფუძველზე გაერთიანდა.**

ორივე სამეფოს გაერთიანებით 770 000კმ²-ის მქონე დიდი სამფლობელო ჩამოყალიბდა, რომელიც მხოლოდ 3 500 000 კაცით იყო დასახლებული.

IV. შვედეთი 1814 წლიდან დღემდე

1. 1814 წლიდან ნორვეგიის დაკარგვამდე (1905წ.)

1814 წლიდან დღემდე, შვედეთი მკაცრი ნეიტრალიტეტის წყალობით, როგორც შიდა, ისე საგარეო კონფლიქტების გარეშე არსებობდა. 1809 წლის დღესაც მომქმედი კონსტიტუცია მყარ პოლიტიკურ სტაბილურობას უზრუნველყოფს. შვედეთმა მოახერხა თავიდან აეცილებინა ევროპის სისხლიანი ომები.

ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას თან ახლდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეკონომიკის აღმავლობა და საგარეო ვაჭრობის გაზრდა, რომელიც შვედეთის ხე-ტყის, მადნის საბადოებისა და ასევე სამრეწველო პროდუქციის ხარისხით გახდა შესაძლებელი.

ტერიტორიული თვალსაზრისით, XX საუკუნეში სამი საკითხი კვლავ საბოლოოდ გადაუწყვეტელი რჩებოდა: შვედეთის ძველი გერმანული სამფლობელოების მომავალი, ნორვეგიის საკითხი, რომელიც მძიმედ იტანდა შვედეთის ბატონობას და ალანდის კუნძულების ბედი, რომელიც რუსეთის მფლობელობაში იყო, როგორც ფინეთის დანარჩენი ნანილი, მაგრამ თითქმის მთლიანად შვედებით იყო დასახლებული.

1903 წლის ივნისში შვედეთმა უარი თქვა ვისმარის, ნოიკლოსტერისა და პელის შესაძლებელ გამოსყიდვაზე, რომელიც 1803 წლის მეკლემბურგ-შვერინის უფლებების გადაცემის შეთანხმებით იყო გათვალისწინებული.

XX საუკუნეში ნორვეგიის ავტონომიური სამეფოს მნიშვნელოვანმა ეკონომიკურმა განვითარებამ და კულტურის აღმავლობამ (ლიტერატურა) ახალი ბიძგი მისცა მისი მოსახლეობის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას (ჩამორთმეული 1814წ.).

ნორვეგიის საკონსულო სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით, კრისტიანის მთავრობის გადაწყვეტილებაზე შვედეთის მეფის მიერ ვეტოს დადების შემდეგ, 1905 წლის 7 ივნისს ნორვეგიის ასამბლეამ **ნორვეგიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.**

1905 წლის 31 აგვისტოს კარლსტადის ხელშეკრულებით, შვედეთი იძულებული გახდა ნორვეგიის დამოუკიდებლობა ეღიარებინა. გამოყოფამ უსისხლოდ ჩაიარა.

2. 1905 წლიდან დღემდე

1905 წელს ნორვეგიის გამოყოფის შემდეგ შვედეთმა იმ ტერიტორიულ ფარგლებს მიაღწია, რომელიც დღესაც ძალაშია.

შვედეთი პირველი მსოფლიო ომის დროს ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა.

ამავე დროს, შვედეთმა ისარგებლა რა ფინეთის მიერ დამოუკიდებლობის მიღებით (1917 წლის დეკემბერი), რომელიც რუსეთის რევოლუციის შედეგად გახდა შესაძლებელი, 1919 წელს შვედეთისთვის ალანდის კუნძულების გადაცემა მოითხოვა, რომელიც 1809 წელს ფინეთთან ერთად დათმო (მიუხედავად იმისა, რომ ალანდის კუნძულები შვედებით იყო დასახლებული).

ახალმა ფინეთმა დარტყმა აირიდა 1920 წლის ივნისიდან ალანდის კუნძულებისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებით (ავტონომიური პარლამენტი, შვედური ენის ექსკლუზიური გამოყენება, ფინელებისთვის იქ დასახლების აკრძალვა).

აღნიშნულის შედეგად, 1921 წლის 26 ივნისს ერთა ლიგის საბჭომ შვედეთის მოთხოვნა უარყო და მხარი არქიპელაგის ფართო ავტონომიას დაუჭირა.

შვედეთის სამეფომ საბოლოო შიდა მონყობას მიაღწია ქალაქ სტოკჰოლმის პრეფექტურის შექმნის გარდა, რომელიც 1809 წლიდან უცვლელად დარჩა. ამავე დროს, საგრაფოებმა (ლენები) გარკვეულ შემთხვევაში, პირვანდელი სახელწოდებები დაიბრუნეს:

– შვედეთი: სტოკჰოლმი (ქალაქი და სოფელი), უპსალა, სუდერმანია (ყოფილი ნიუაჩოპინგი), ვესტმანია (ყოფილი ვესტერესი), ვარმია (ყოფილი კარლსტადი), ერებრუ, კოპარბერგი (ყოფილი სტორა-კოპარბერგი), გეფლებორგი;

– გოთია: ოსტროგოთია (ყოფილი ლინჩიოპინგი), კალმარი, იონჩოპინგი, კრონინბერგი, ბლეკინგე, სკარაბორგი, ევლებორგი, გოტებორგი და ბოჰუსი, ჰალანდი (ყოფილი ჰალმსტადი), კრისტიანსტადი, მალმეჰუსი (ყოფილი მალმე), გოტლანდი;

ნორლანდი: ნორბოტენი, ვესტერბოტენი, ვესტერნორლანდი, ემტლანდი.

1940 წლიდან 1945 წლამდე, შვედეთი ერთ-ერთ იმ იშვიათ ქვეყანას წარმოადგენდა, რომელმაც მეორე მსოფლიო კონფლიქტის მიღმა დარჩენა მოახერხა.

ცივი ომის დასრულების შემდეგ, რომლის დროსაც ევროპა დიდი ხნის მანძილზე ორად იყო გახლეჩილი, შვედეთმა 1991 წელს უარი თქვა თავის ტრადიციულ ნეიტრალიტეტზე და თავისი კანდიდატურა ევროპის თანამეგობრობაში გასაწევრიანებლად წარადგინა. მისი განევრიანება 1995 წლის 1 იანვარს განხორციელდა.

შვეიცარია

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: შვეიცარიის კონფედერაცია (იგივე ჰელვეციის კონფედერაცია), ფედერალური სახელმწიფო.
პრეზიდენტი: არჩეულია ერთი წლის ვადით თანასწორთა შორის შვიდი წევრისგან შემდგარი ფედერალური საბჭოს მიერ (მთავრობა).
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ორპალატიანი ფედერაციული ასამბლეა, ეროვნული საბჭო, რომლის წევრები მთელ შვეიცარიას წარმოადგენენ და კანტონთა საბჭო, რომელშიც თითოეული კანტონი ორ დელეგატს აგზავნის.
დედაქალაქი: ბერნი.
პოლიტიკური და ადმინისტრაციული დაყოფა, 23 კანტონი: ციურიხი, ბერნი, ლუცერნი, ური (ალტდორფი), შვიცი, უნტერვალდენი, დაყოფილი ორ ნახევარ-კანტონად: ნიდვალდენი (სტანსი) და ობვალდენი (ზარნენი); გლარუსი, ცუგი, ფრიბური, ზოლოთურნი, ბაზელი, დაყოფილია ორ ნახევარ-კანტონად: ბაზელ-ვილი და ბაზელ-კამპანი (ლისტალი); შაფჰაუზენი, აპენცელი, დაყოფილია ორ ნახევარ-კანტონად: შიდა-აპ-როდი (აპენცელი) და გარე-აპ-როდი (ჰერიზაუ); სანკტ-გალენი, გრაუბიუნდენი (კური), აარგაუ (აარაუ), ტურგაუ (ფრაუნფელდი), ტესინი (ბელინცონა), ვო (ლოზანა), ვალე (სიონი), ნევშატელი, ჟენევა, იურა (დელემონი).
ფართობი: 41 300კმ², საიდანაც 1 300კმ² ტბებს უჭირავს; მოსახლეობა: 7 მილიონი კაცი; სიმჭიდროვე: 170 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენა: სამი ოფიციალური (გერმანული 63%, ფრანგული 19%, იტალიური 8%); ერთი ნაციონალური, მაგრამ არაოფიციალური ენა (რეტორომანული 0,6%); შვეიცარიის გერმანულენოვანი მოსახლეობის უმრავლესობა სვიცერთუჩის დიალექტზე ლაპარაკობს; რეტორომანული ენა დაყოფილია საკუთრივ რეტორომანულ (რაინის ზემო ხეობები) და ლადინურ ენებად (ანგადინი).
–გერმანულენოვანი კანტონები: ციურიხი, ლუცერნი, ური, შვიცი, უნტერვალდენი, ცუგი, ზოლოთურნი, შაფჰაუზენი, ბაზელი, აპენცელი, სანკტ-გალენი, აარგაუ, ტურგაუ.
–ფრანგულენოვანი კანტონები: ვო, ნევშატელი, ჟენევა, იურა.
–იტალიურენოვანი კანტონი: ტესინი.
–ფრანგულ-გერმანული ბილინგვური კანტონები: ფრიბური და ვალე (ფრანგულენოვანი უმრავლესობა), ბერნი (გერმანულენოვანი უმრავლესობა).–გერმანულ-რეტორომანულ-იტალიური სამენოვანი კანტონი: გრაუბიუნდენი.
რელიგია: კათოლიკები 46%, პროტესტანტები 40%.
"კათოლიკური კანტონები": ლუცერნი, ური, შვიცი, უნტერვალდენი, გლარუსი (შერეული), ცუგი, ფრიბური, ზოლოთურნი, შიდა-აპ-როდი, სანკტ-გალენი, გრაუბიუნდენი, ტესინი, ვალე, იურა.
"პროტესტანტული კანტონები": ციურიხი, ბერნი, გლარუსი (შერეული), ბაზელი, შაფჰაუზენი, გარე-აპ-როდი, აარგაუ, ტურგაუ, ვო, ნევშატელი, ჟენევა.
ზემოაღნიშნულ საკითხში არსებული ტრადიცია ზოგჯერ მცდარია; მაგალითად, ჟენევის ისტორიულად პროტესტანტულ კანტონში დღეისათვის კათოლიკური უმრავლესობა ცხოვრობს.
ფულის ერთეული: შვეიცარიული ფრანკი.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. შვეიცარიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. სათავეებიდან კონფედერაციის შექმნამდე (1291წ.)

რომაული დაპყრობის ეპოქაში (ძვ. წ. აღ. 57წ.), თანამედროვე შვეიცარიის ტერიტორია დასავლეთით ჰელვეტების, აღმოსავლეთით კი რეტების (კელტური წარმოშობის ხალხები, რომლებიც ამ ადგილებში დაახლოებით ძვ. წ. აღ. II საუკუნეში დამკვიდრნენ) მიერ იყო დასახლებული. ჰელვეტები **ზემო გერმანიის** რომაულ პროვინციაში, ხოლო რეტები **რეციის** რომაულ პროვინციაში დასახლდნენ.

ჩვ. წ. აღ. V საუკუნეში ქვეყანა დასავლეთიდან ბურგუნდიელებმა, აღმოსავლეთიდან კი ალემანებმა დაიპყრეს. ფრანკებმა რეგიონი მას შემდეგ დაიპყრეს, რაც 496 წელს ალემანები, 532 წელს კი ბურგუნდიელები დაამარცხეს. 614 წელს სანკტ-გალენის სააბატო დაარსდა. კარლოს დიდის იმპერიის საბოლოო დაყოფის შემდეგ (888წ.), რომლის შემადგენლობაში ალემანები და ბურგუნდიელები შედიოდნენ, ალემანები გერმანიის სამეფოს (ალემანიის საჰერცოგო), ბურგუნდიელები კი ტრანსიურას ბურგუნდიის სამეფოს შემადგენლობაში შევიდნენ, ამ უკანასკნელის "საღვთო რომის იმპერიაში" (1032წ.) გაერთიანებამდე.

აღნიშნულ ეპოქაში და მომდევნო ორი საუკუნის მანძილზე, შვეიცარია მრავალ ფეოდალურ სამფლობელოდ დაიყო. ზოგიერთი მათგანი საეკლესიო სამფლობელო იყო, ზოგი კი მემკვიდრეობით სახლთა რიცხვს განეკუთვნებოდა. მათ შორის იყო ცერინგენების სახლი (1127-1228წწ.), რომელმაც ხანმოკლე დროით გაიბრწყინა, ასევე კიბურგების, ვერდენბერგების, მონფორების, ტოგენბურგების, ლენცბურგების, გრუიერების, ნეუვშატელის, განსაკუთრებით კი ჰაბსბურგების სახლი. XIII საუკუნეში ჰაბსბურგების სახლმა იმდენად დიდი გავლენა მოიპოვა, რომ მემკვიდრეობით კიბურგების სახლი (რომელიც თავად ცერინგების სახლის მემკვიდრე იყო) მიიღო, ხოლო ამ სახლის წარმომადგენელმა როდოლფმა 1273 წელს საიმპერატორო ტახტი დაიკავა.

2. 1291 წლიდან XIII კანტონის კონფედერაციის შექმნამდე

სწორედ ჰაბსბურგების სახლის პრეტენზიების წინააღმდეგ, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა იმპერატორის მიერ 1231 და 1240 წლებში ურისა და შვიცის თავისუფალი ადამიანებისთვის ნაბოძები უფლებები უშუალო მმართველობა, **ურის, შვიცისა და უნტერვალდენის** მიწების წარმომადგენლებმა გრუტელის (1291წ.) შეთქმულება მოაწყვეს. ეს იყო პირველი **"მუდმივი" ალიანსი** კონფედერაციის ისტორიაში.

1309 წელს ლუქსემბურგის იმპერატორმა ჰენრი VII-მ უნტერვალდენს უშუალო მმართველობა უბოძა და ამგვარად, სამი ტერიტორიის მცხოვრებთა პრივილეგიები აღიარა. ეს ალიანსი "საღვთო რომის იმპერიაში" იქნა დამტკიცებული.

პირველ კანტონებს თანდათან თავიანთი მთავრების წინააღმდეგ აჯანყებული ქალაქები უერთდებოდნენ: პირველ რიგში ლუცერნი, რომლის კონფედერაციაში გაერთიანებამ 1332 წელს მნიშვნელოვნად გაზარდა კონფედერატთა ტერიტორია, ხოლო ამ კანტონების გამაერთიანებელი ტბა "ოთხი კანტონის (ტყის) ტბა გახდა; შემდგომში კონფედერაციაში **ციურიხი** (1351წ.), **გლარუსი და ცვიგი** (1352წ.) და ასევე **ბერნი** (1353წ.) გაერთიანდა. ამგვარად, საუკუნისა და საუკუნის მეოთხედის მანძილზე კონფედერაციაში შემავალ კანტონთა რაოდენობამ რვას მიაღწია ("ძველი კანტონები"), რამაც მისი ტერიტორია საგრძნობლად გაზარდა. ამასთანავე, ხუთ სოფლის კანტონს, სადაც ყველა თავისუფალი ადამიანი მოქალაქე იყო – შვიცი, ური, უნტერვალდენი, გლარუსი, ცვიგი, სამი ქალაქის კანტონი დაუპირისპირდა – ლუცერნი, ციურიხი, ბერნი არისტოკრატიული მმართველობით, რომელიც უფრო დასახლებული და მდიდარი იყო. ამ უკანასკნელთ ტყის კანტონებმა პირველობა დაუთმეს.

XV საუკუნე რვა შვეიცარიული კანტონისთვის ექსპანსიის პერიოდი გახდა. ისინი თავს საკმარისად ძლიერად გრძნობდნენ იმისათვის, რომ თავიანთ მეზობლებთან ომი ეწარმოებინათ (საფრანგეთი, სავოია, მილანი, ავსტრიის სახლი). ამ

ომებისა და სასურველი მემკვიდრეობის (ტოგენბერგი, გრუიერი) პროცესში, მათ თავისი ტერიტორია ვასალური საბაიოებით გააფართოვეს, რომელიც ერთი, რამდენიმე ან ყველა კანტონის ქვეშევრდომი იყო.

ამავე დროს, კონფედერატები დაქვემდებარებული ტერიტორიებისა (რომლებიც კონფედერაციის პარლამენტის სხდომებს ესწრებოდნენ) ან "მოკავშირე მიწების" (რომლებიც პარლამენტის სხდომებს არ ესწრებოდნენ) მხარდაჭერით აღიჭურვნენ: აპენცელი, სანკტ-გალენი (ქალაქი და საბატო), ბიენი, მიულუზი, ბაზელის საეპისკოპოსოს სამხრეთი ნაწილი, ვალე, გრაუბიუნდენის ლიგები.

თავად კონფედერაციის ტერიტორია ხუთი ახალი კანტონის შემოერთებით გაიზარდა: **ფრიბური** და **ზოლოთურნი** (1481წ.), **ბაზელი** და **შაფჰაუზენი** (1501წ.) და ბოლოს, **აპენცელი** (რომელიც 1411 წელს უბრალო მოკავშირე ტერიტორიიდან, 1513 წელს მთლიანად კონფედერაციის წევრი გახდა).

1513 წლიდან კონფედერაციის შემადგენლობაში ცამეტი კანტონი შედიოდა და ამგვარმა მდგომარეობამ სამი საუკუნე გასტანა, საფრანგეთის რევოლუციასთან დაკავშირებულ ბობოქარ მოვლენებამდე.

1499 წლიდან (ბაზელის ხელშეკრულება) კონფედერაციას აღარ აღუდგენია "საღვთო რომის იმპერიის" სამართლებრივი და ფისკალური მმართველობა, რაც მისი ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მაჩვენებელი იყო და სამართლებრივი დამოუკიდებლობის პრელუდიად იქცა, რომელიც მხოლოდ საუკუნე-ნახევრის შემდეგ გახდა შესაძლებელი (1648წ.).

3. 1513 წლიდან 1789 წლამდე

მეომარი სულის მქონე შვეიცარიელები უყოყმანოდ ებრძოდნენ ერთმანეთს და თავიანთ მეზობლებს. მარინიანში საფრანგეთის ჯარებთან დამარცხების (1515წ.) შემდეგ, რომელსაც სათავეში ფრანსუა I ედგა, შვეიცარიელებმა პოლიტიკა შეცვალეს და 1516 წელს საფრანგეთთან მუდმივ სამშვიდობო ხელშეკრულებას მოანერეს ხელი, რომელიც ამგვარად, დიდი ხნის განმავლობაში მათი ძლიერი მოკავშირე გახდა. ამ დროიდან, მათ უარი თქვეს ევროპულ კონფლიქტებში უშუალო მონაწილეობაზე და ევროპის ჯარისკაცებით უზრუნველყოფას დასჯერდნენ. კათოლიკე ჯარისკაცებს კათოლიკე მთავრების სამსახურში, ხოლო პროტესტანტ ჯარისკაცებს პროტესტანტი მთავრების სამსახურში აგზავნიდნენ.

სამაგიეროდ, შვეიცარიაში კონფლიქტებმა იფეთქა ზოგიერთი სხვა ევროპული ქვეყნის მსგავსად, რაც რეფორმაციის შემოღებით იყო განპირობებული და 1531 წელს აღნიშნული სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმონერით დასრულდა. ხელშეკრულების თანახმად კანტონების დაყოფა განხორციელდა: შვიდი კანტონი კათოლიკური (ური, შვიცი, უნტერვალდენი, ლუცერნი, ცუგი, ფრიბური, ზოლოთურნი), ოთხი პროტესტანტული (ციურიხი, ბერნი, ბაზელი, შაფჰაუზენი), ორი კი შერეული (გლარუსი, აპენცელი) დარჩა.

მეორე მხრივ, ჰელვეციის სახელმწიფომ (კონფედერაცია და მოკავშირე მიწები) ტერიტორიულ სრულყოფას საკოიისგან ვოსა და ბაბლეს ნაწილის (1531წ.) ჩამორთმევით მიაღწია. 1581 წელს ჟენევა კონფედერაციის შემადგენლობაში ბოლო კანტონად შევიდა.

ვესტფალიის ხელშეკრულებებით (1648წ.), დამტკიცებულ იქნა ზემოაღნიშნული ფაქტი. ამ ხელშეკრულებების თანახმად, შვეიცარია "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) შემადგენლობიდან გამოვიდა და ევროპის შემდგომ კონფლიქტებში მისთვის ნეიტრალიტეტი იქნა გარანტირებული.

XVIII საუკუნეში შვეიცარიაში სიმშვიდემ დაისადგურა. შვეიცარიელები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შეუდგნენ და ამავე დროს, თავისი ჯარისკაცების უცხოეთში გაგზავნის პოლიტიკას აგრძელებდნენ.

II. ჰელვეციის სახელმწიფო 1789 წელს

1789 წელს შვეიცარიის კონფედერაცია და მისი "მოკავშირე მიწები" ძალიან განსხვავებულ წარმონაქმნს წარმოადგენდა, რომელიც მცირე ტერიტორიაზე

არაერთგვაროვანი სტატუსის მქონე ტერიტორიების მოზაიკას აერთიანებდა: ქალაქის თუ სოფლის კანტონები, ასოცირებული თუ "მოკავშირე მინები", კერძო თუ საჯარო საბაიოები, რესპუბლიკები თუ სამთავროები.

ტერიტორიული თვალსაზრისით, ჰელვეციის სახელმწიფოში გაერთიანებული იყო "ძალიან საიმედო კანტონები", მისი დაქვემდებარებული (ან "მოკავშირე მინები") ტერიტორიები და მათ დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორიული სუბიექტები.

ა) ცამეტი კანტონი და მათ დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორიები

1. ცამეტი კანტონი და მათ დაქვემდებარებაში მყოფი განსაკუთრებული ტერიტორიული სუბიექტები

– ციურიხი: ქალაქი ციურიხი, დაქვემდებარებული საბაიოები, ორი თავისუფალი ვასალი ქალაქი (შტაინი-რაინზე, ვინტერტური);

– ბერნი: ქალაქი ბერნი, შიდა საბაიოები, გერმანული საბაიოები (აარგაუ), ფრანგული ტერიტორიები (ვო), ოთხი თავისუფალი ვასალი ქალაქი (ბრუგი, ლენცბურგი, აარაუ, ზოფინგი);

– ლიუცერნი: ქალაქი ლუცერნი, დაქვემდებარებული საბაიოები, ორი თავისუფალი ვასალი ქალაქი (ზემპახი, ზურზე), სანკტ-ურბენის სააბატო;

– ური: ურის ტერიტორია, ლევანტინის დაქვემდებარებული ტერიტორია, ურზერენის თავისუფალი ხეობა;

– შვიცი: შვიცის ტერიტორია, ციურიხის ტბის ხუტორები, კუსნახტისა და მარშის ვასალი ტერიტორიები, აინზიედელნის ტყის ტერიტორია;

– უნტერვალდენი: ობ დემ ვალდის ხეობა, ნიდ დემ ვალდის ხეობა;

– ცუგი: ცუგის ტერიტორია, დიდი დაქვემდებარებული საბაიოები;

– გლარუსი: გლარუსის ტერიტორია, ვერდენბერგის დაქვემდებარებული საგრაფო;

– ბაზელი: ქალაქი ბაზელი, ბაზელის ტერიტორია;

– ფრიბურგი: ქალაქი ფრიბურგი, დაქვემდებარებული საეკლესიო მრევლი და სამფლობელოები;

– ზოლოთურნი: ქალაქი ზოლოთურნი, დაქვემდებარებული საბაიოები;

– შაფჰაუზენი: ქალაქი შაფჰაუზენი, დაქვემდებარებული საბაიოები;

– აპენცელი: შიდა როდი, გარე როდი.

2. სხვადასხვა კანტონისთვის საერთო ოცდასამი საბაიო

– რაინთალის სამფლობელო, საერთო რვა ძველი კანტონისა და აპენცელისათვის;

– ზარგანისა და ტურგაუს ორი სამფლობელო და "ზემო თავისუფალი საბაიოები," საერთო რვა კანტონისთვის;

– "ქვედა თავისუფალი საბაიოები," ბადენის საგრაფო და ბრემგარტენის, მელინგენისა და რაპერსვილის სამი ქალაქი, საერთო ციურიხისთვის, ბერნისთვის და გლარუსისთვის;

– უტნახის, გასტერისა და გამის სამი სამფლობელო, საერთო შვიცისა და გლარუსისთვის;

– ბელინცონის, რივიერისა და ვალ ბლენიოს სამფლობელოები, საერთო ურისთვის, შვიცისთვის და ნიდვალდენისთვის;

– ლოკარნოს, ვალ მაჯის, ლუგანოსა და მენდრიზიოს სამფლობელოები, საერთო ყველა კანტონისთვის აპენცელის გარდა;

– შვარცენბურგის, მორატის, გრანდზონისა და ეშალენის სამფლობელოები, საერთო ბერნისა და ფრიბურგისთვის.

3. ტყის კანტონების მფარველობის ქვეშ მყოფი ორი თავისუფალი ტერიტორია

– ენგელბერგის სააბატო;
– გერზაუს დაბა.

ბ) თერთმეტი "მოკავშირე მიწა" (ან ასოცირებული)

1. სამი "მოკავშირე მიწა" (დიეტის სხდომებზე დამსწრები)

– სანკტ-გალენის სააბატო ორ ნაწილად იყო დაყოფილი: ღვთის სახლის ქვეყანა (ტერიტორია) და ტონენბერგის საგრაფო. ღვთის სახლის ქვეყნის აბატი "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) ძველი მთავარი იყო და კვლავაც ამ ტიტულს ინარჩუნებდა; მას რამდენიმე სენიორია ჰქონდა იმპერიაში (ალგაუ და ბრიზგაუ);

– ქალაქი სანკტ-გალენი;

– ქალაქი ბიენი, ბაზელის ეპისკოპოსის ნომინალური სამფლობელო, რომელიც ფაქტობრივად დამოუკიდებელი იყო.

2. რვა "მოკავშირე მიწა" (დიეტზე არდამსწრები)

– გრაუბიუნდენის სამი ლიგა ("ზემო რეციის სამი მუდმივი ლიგის რესპუბლიკა"), რომელიც მონაცვლეობით ატარებდა დიეტის სხდომებს ილანცში, კურსა და დავოსში;

– ზემო (ან ნაცრისფერი) ლიგა, ადმინისტრაციული ცენტრი ილანცი: ნინა რაინი, უკანა რაინის დასავლეთი ნაწილი; დისანტის აბატი-მთავარი ამ ლიგის წევრი იყო;

– ღვთის სახლის ("კაზა დეი") ლიგა, ადმინისტრაციული ცენტრი კური: რაინის ხეობა, უკანა რაინის აღმოსავლეთი ნაწილი, ანგადინი;

– ათი იურისდიქციის ლიგა, ადმინისტრაციული ცენტრი დავოსი: დავოსისა და პრეტიგაუს რეგიონი;

– დაქვემდებარებული ტერიტორიები: ბორმიოს (ან ეორმსი), ვალტელინისა და ჩიაველნის სამფლობელოები;

– ჰალდენშტაინის თავისუფალი სენიორია რაინზე (კურის ქვედა დინებაზე), სამი ლიგის მფარველობის ქვეშ;

– გრაუბიუნდენში, ავსტრიის სახლმა ანკლავი, რეზუნცის ბარონის მამული შეინარჩუნა, რომელიც ნაცრისფერი ლიგის შემადგენლობაში შედიოდა და შვეიცარიის სახელმწიფოს ეკუთვნოდა. კურის ეპისკოპოსი, "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) მთავარი, რომლის რეზიდენცია ქვედა რაინზე ფურსტენაუში იყო განლაგებული, აღნიშნულ ბარონის მამულში მცირე ტერიტორიას (5 000 სული) ფლობდა, რომელიც ნაცრისფერ ლიგაში შედიოდა. და ბოლოს, ინზე გერმანული ანკლავი, დიტრიხშტაინის მთავრის დომენი, ტარასპის სენიორია მდებარეობდა, რომელიც გრაუბიუნდენისგან დამოუკიდებელი იყო და "საღვთო რომის იმპერიის" შემადგენლობაში შედიოდა (ავსტრიის ოლქი)).

– ვალეს რესპუბლიკა: ზემო ვალეს რესპუბლიკა, ქვემო ვალეს დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორია;

– ქალაქი მიულუზი, მხოლოდ პროტესტანტული კანტონების მოკავშირე (საფრანგეთის ალზასის ტერიტორიაზე შეჭრილი ანკლავი);

– ნეშატელის სამთავრო, რომელიც 1707 წლიდან პრუსიის მეფის მფლობელობაში გადაიდა, დაყოფილი იყო ნეშატელისა და ვალენგენის საგრაფოს სუვერენიტეტის ქვეშ;

– ქალაქი ჟენევა და ჟენევის რესპუბლიკა, რომელსაც შვეიცარიული ტერიტორიისგან ლემანის ტბის (ვერსუა) სანაპირო ნაწილი ყოფდა, და საფრანგეთის მფლობელობაში იყო;

– ბაზელის საეპისკოპოსო თავისი შვეიცარიული ნაწილით: ვალ-მუტიე, ერგელი, ბელელეი, ნეუვევილი; ბაზელის ეპისკოპოსის რეზიდენცია პორანტრუიში იყო განლაგებული და ზემოაღნიშნული ტერიტორიებით კონფედერაციის მოკავშირე, და "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) წევრი იყო პორანტრუის, სანკტ-იურსანის, დელემონის, არლშაიმის, შილინგენისა და იდშტაინის ტერიტორიებით.

ჰელვეციის სახელმწიფო (კონფედერაცია და "მოკავშირე მიწები") მთლიან ტერიტორიას მოიცავდა, საფრანგეთის ალზასში შეჭრილ ქალაქ მიულუზის, საფრანგეთსა და საოიას შორის შეჭრილ ჟენევისა (ხუთი მცირე ნაწილი) და ზოლოთურნის კანტონის ორი მცირე ნაწილის გარდა. ეს უკანასკნელი ძირითად ტერიტორიას ბაზელის საეპისკოპოსოს გერმანული ნაწილით იყო გამოყოფილი. შვეიცარიის ტერიტორიაზე შეჭრილი იყო ინზე მდებარე ტარასპის გერმანული ანკლავი და ლუგანოს ტბაზე განლაგებული კამპიონეს მილანური (ავსტრიის) ანკლავი.

შვეიცარიული კანტონები და მისი "მოკავშირე მიწები" სუვერენულ სახელმწიფოებად გამოიყურებოდნენ. დიეტზე განხილული საერთო საქმეები რამდენიმე თემით შემოიფარგლებოდა: საერთო საბაიოები. საფრანგეთთან ალიანსი. კათოლიკურ და პროტესტანტულ კანტონებს შორის მტრული განწყობა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით იჩენდა თავს. პოლიტიკური თვალსაზრისით, 1789 წელს შვეიცარიაში ერთიანობა არ არსებობდა.

შვეიცარია მაღალმთიანი ხეობების ქვეყანა იყო (ალპური მასივის დასავლეთი ნაწილი, იურას ნაოჭა მთები) მცირე ზომის დაბლობებით ("შვეიცრიული პლატო"). მისი მდინარეები ოთხი მიმართულებით მიედინებოდა: ჩრდილოეთის ზღვა (რაინი, რეისი, აარე, სარინი), დასავლეთ ხმელთაშუა ზღვა (რონა), ადრიატიკის ზღვა (ტიჩინო, პოში ჩამდინარე), შავი ზღვა (დუნაიში ჩამავალი ინი).

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით (დასავლეთი ალპების ქედის ზოლი), რასაც თან ერთვოდა პოლიტიკური პარტიკულარიზმი და მისი მოსახლეობის რელიგიური და ლინგვისტური განსხვავება, შვეიცარია მაინც ახერხებდა შედარებითი სიმშვიდის შენარჩუნებას. განმანათლებელთა საუკუნეში შვეიცარია გამოწვევა იყო რაციონალისტებისთვის, რომლებიც მხოლოდ ბუნებრივ საზღვრებზე, ზნე-ჩვეულებების, გონებისა და სულის სტანდარტიზაციაზე ოცნებობდნენ.

42 000კმ²-ის ფართობზე (კონფედერაცია და "მოკავშირე მიწები") შვეიცარიაში 1 800 000 კაცი ცხოვრობდა, საიდანაც 950 000 კაცი კანტონებში, 350 000 კაცი ხელქვეით ტერიტორიებზე და 500 000 კაცი "მოკავშირე მიწებზე".

1789 წლის შვეიცარია აყვავებულ ქვეყანას წარმოადგენდა, სადაც განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა და ასევე სხვადასხვა სახის ხელოსნობა (საფეიქრო მრეწველობა, საათების წარმოება და სხვ.), რის გამოც ქვეყანას სიმდიდრისა და კეთილდღეობის რეპუტაცია ჰქონდა.

III. 1789 წლიდან შვეიცარიის საბოლოო ტერიტორიულ მოწყობამდე

1. 1789 წლიდან ჰელვეციის რესპუბლიკის შექმნამდე (1798წ.)

ნეიტრალიტეტის პოლიტიკის წყალობით, კონფედერატები დიდი ხნის განმავლობაში იმ კონფლიქტის მიღმა რჩებოდნენ, რომელმაც რევოლუციური საფრანგეთი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს დაუპირისპირა, ხოლო ბრძოლის ველი გერმანიასა და იტალიაში იყო გადატანილი.

თუმცა კონფლიქტის მზარდმა რადიკალიზაციამ, რომელსაც თან ერთვოდა ახალი იდეების გავრცელების სურვილი საფრანგეთის რევოლუციონერთა მხრიდან, შვეიცარიელთა ცხოვრების წესზე ხანგრძლივი გავლენა იქონია.

აღნიშნული პირველ რიგში კონფედერაციის მოკავშირეს, ბაზელის ეპისკოპოსს შეეხო, რომელსაც 1792 წლიდან საფრანგეთმა მისი ტერიტორიების გერმანული

ნაწილი ჩამოართვა (იხ. "გამქრალი სახელმწიფოები"); თუმცა ამ გაძარცვას შვეიცარიული ნაწილი გადაურჩა.

1797 წელს ჰელვეციის სახელმწიფოს სხვა ნაწილში, ბორმიოს, ვალტელინოსა და ჩიავენის საბაიოებმა, რომელთაც გრაუბიუნდენი გადასახადებით ახრჩობდა, გენერალ ბონაპარტის ლომბარდიაში განხორციელებული გადატრიალებით ისარგებლეს და ამ უკანასკნელს მფარველობა სთხოვეს. ბონაპარტმა გრაუბიუნდენს სამი საბაიოდან ერთი თავისუფალი კანტონის შექმნა ურჩია, რომელიც გრაუბიუნდენის მეოთხე ლიგა უნდა გამხდარიყო. უარის მიღების შემდეგ, 1797 წელს ბონაპარტმა ციზალპურ რესპუბლიკას **ბორმიოს, ვალტელინოსა და ჩიავენის** სამი საბაიო ჩამოართვა.

იტალიაში პოზიციების გამყარების შემდეგ, ბონაპარტმა დირექტორიის წევრი როიბელი შვეიცარიის საქმეებში ჩარევაში დაარწმუნა. შვეიცარია ბონაპარტს ფინანსური (ქვეყნის სავარაუდო სიმდიდრე) და სტრატეგიული (საფრანგეთსა და იტალიას შორის კავშირი, პიემონტი ჯერ კიდევ არ იყო საფრანგეთის) თვალსაზრისით აინტერესებდა. ამ საქმეში ბონაპარტი კანტონების არისტოკრატთა წინააღმდეგ მებრძოლ პატრიოტებს ეყრდნობოდა, რომლებიც პარიზში ცეზარ დელა არპითა და ბარონ ბოქსით იყვნენ წარმოდგენილნი და დირექტორიის კეთილგანწყობით სარგებლობდნენ.

1797 წლის დეკემბრიდან **საფრანგეთმა** დასაწყისისთვის **ბაზელის შვეიცარიული საეპისკოპოსოს ნაწილი** (ვალ-მუტიე, ბელელეი, ერგელი, ნეკვეილი) დაიპყრო, რომელიც მონ-ტერიბლის ფრანგულ დეპარტამენტს მიუერთა (1793 წლიდან საეპისკოპოსოს გერმანული ნაწილს შეადგენდა); ბაზელის ეპისკოპოსს მთლიანად ჩამოერთვა თავისი დომენები.

1798 წელს შვეიცარიაში დიდი ცვლილებები მოხდა.

თავდაპირველად, 24 იანვარს ბერნის წინააღმდეგ აჯანყებულმა მცხოვრებლებმა ლოზანაში **ლემანის რესპუბლიკის** შექმნა გამოაცხადეს.

29 იანვარს ქალაქ **მიულუზის** მოსახლეობის მიერ 4 იანვარს ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, ეს ქალაქი საფრანგეთს შეუერთდა და ზემო რაინის ფრანგულ დეპარტამენტთან გაერთიანდა.

1798 წლის **6** თებერვალს ფრანგებმა ბიენის ოკუპაცია მოახდინეს. 7 თებერვალს ქალაქის საბჭომ **ბიენის საფრანგეთთან გაერთიანება** გადაწყვიტა და ის მონ-ტერიბლის დეპარტამენტთან გააერთიანა.

თებერელის თვიდან მოყოლებული საფრანგეთის ჯარები შვეიცარიის ტერიტორიის თანმიმდევრულ ოკუპაციას ახდენდნენ. 16 მარტს არმიის მეთაურმა, გენერალმა ბრიუნმა შვეიცარიის კონფედერაციისა და სამი "მოკავშირე მინის" სამ რესპუბლიკად გარდაქმნის განკარგულება გასცა:

– **რონის რესპუბლიკა,** დედაქალაქი ლოზანა, 5 დეპარტამენტი: ლემანი (ვო), სარინი და ბრუა (ფრიბურგი), ობერლანდი, ვალე, ტესინი (იტალიური ტერიტორიები);

– **ჰელვეციის რესპუბლიკა,** დედაქალაქი ციურიხი, 12 კანტონი: ბაზელი, აარგაუ, ტურგაუ, შაფჰაუზენი, ციურიხი, სანკტ-გალენი, აპენცელი, ზარგასი, ლიუცერნი, ზოლოთურნი, ბერნი;

– **ტელის რესპუბლიკა,** დედაქალაქი ლიუცერნი, რომელშიც ცენტრალური შვეიცარიის პატარა კანტონები იყო გაერთიანებული.

ამ გადაწყვეტილებას შვეიცარიის ერთიანობის მომხრეთა მძაფრი პროტესტი მოჰყვა, რომელთაც პარიზში ოქსი და არპი უჭერდნენ მხარს (ისინი პარიზში თავისი შეხედულების დამტკიცებას ცდილობდნენ).

2. ჰელვეციის რესპუბლიკა (1798-1803ნნ.)

ფრანგი კომისრის, ლეკარლიეს ინიციატივით აარგაუში შეკრებილმა დამფუძნებელმა კრებამ 1798 წლის 12 აპრილს "ერთიანი და განუყოფელი" **ჰელვეციის რესპუბლიკის** შექმნა გამოაცხადა, რომელიც ლოზანაში (დედაქალაქი) არსებულ ხუთი წევრისგან შემდგარ დირექტორიას უნდა ემართა.

რესპუბლიკის შემადგენლობაში ძველი კონფედერაციის ტერიტორია და "მოკავშირე მინები" შევიდა, გარდა:

– ციზალპურ რესპუბლიკასთან მიერთებული ჩიავენის, ბორმიოსა და ვალტელინოსი;

– საფრანგეთთან მიერთებული ბაზელის საეპისკოპოსოსა და მიულუზისა;

– შექმნის პროცესში მყოფი ჟენევისა;

– პრუსიის მეფის დაქვემდებარებაში მყოფი ნევშატელის სამთავროსი.

ქვეყნის პირველი დაყოფა 22 კანტონად სწრაფად იქნა შეცვლილი. ჰელვეციის რესპუბლიკა 19 პოლიტიკურად თანასწორუფლებიან კანტონად დაიყო, თითოეულ კანტონს პრეფექტი მართავდა.:

– ცხრა კანტონი, რომელიც (დაახლოებით) ძველ პოლიტიკურ ერთეულებს მოიცავდა: ციურიხი, ლიუცერნი, ბაზელი, ფრიბური (თავდაპირველად სარინი და ბროკი ეწოდებოდა), ზოლოთურნი, შაფჰაუზენი, ვალე, რეცია (გრაუბიუნდენი), ტურგაუ;

– ოთხი კანტონი, რომელიც ბერნის ძველი ტერიტორიის დაშლის შედეგად შეიქმნა: ბერნი, აარგაუ, ობერლანდი, ვო;

– დაყოფიდან ან ძველი ტერიტორიების გაერთიანებიდან შექმნილი ექვსი კანტონი: ვალდშტეტენი (ურის, ცვიგის, უნტერვალდენისა და ცუგის გაერთიანება), ბადენი (ბადენის საგრაფოსა და თავისუფალ საბაიოთა გაერთიანება), სენტისი (აპენცელისა და ჩრდილოეთი სანკტ-გალენის გაერთიანება), ლინთი (გლარუსის, სამხრეთი სანკტ-გალენისა და შეიცის მარშის გაერთიანება), ბელინცონა (ლევანტინოს, ბლენიოს, რივიერისა და ბელინცონის გაერთიანება), ლუგანო (ვალ მაჯას, ლუკარნოს, ლუგანოსა და მენდრიზიოს გაერთიანება).

ამავე დროს, გრაუბიუნდენმა (რეცია) უარი განაცხადა ჰელვეციის რესპუბლიკაში გაერთიანებაზე. ცენტრალური შვეიცარიის კანტონები გაერთიანებას მხოლოდ შეიარაღებული ნინააღმდეგობის განვეის შემდეგ დაემორჩილნენ.

საფრანგეთის ჯარების მიერ ჟენევის ოკუპაციის შემდეგ, ქალაქის მოსახლეობამ 15 აპრილს ხმა მისცა **ჟენევის საფრანგეთთან გაერთიანებას**. ჟენევის ტერიტორია შაბლესა და ფოსინის (მონ-ბლანის დეპარტამენტს ჩამოერთვა) და ვალეს ტერიტორიას (ენს ჩამოერთვა) აერთიანებდა, რომლის საფუძველზეც ლემანის (ადმინისტრაციული ცენტრი ჟენევა) ფრანგული დეპარტამენტი უნდა შექმნილიყო.

საკონსტიტუციო რეჟიმი, რომლითაც შვეიცარიის რესპუბლიკა იმართებოდა, მეზობელი საფრანგეთიდან იყო გადმოტანილი, რომელიც ამ დრმდე შვეიცარიაში არსებულ მრავალსაუკუნოვან განსხვავებულ ტრადიციებს უპირისპირდებოდა. ძალიან მალე ქვეყანაში ორმაგი ოპოზიცია გაჩნდა: ძველი კონფედერაციული რეჟიმის დამცველებისა და ქალაქის ბურჟუაზიის გარკვეული წარმომადგენლებისა, რომლებიც იყვნენ რა კმაყოფილნი რეჟიმით, მას ძალიან ცენტრალიზებულ ხასიათს საყვედურობდნენ, რასაც თან ერთვოდა უცხოეთიდან იმპორტირებული სისტემის მიმართ გულისწყრომა. ამ დროიდან, შვეიცარია მუდმივი შიდა ომების მსხვერპლად იქცა.

ამასთანავე, 1799 წლის მარტიდან სექტემბრამდე საფრანგეთის ჯარების წინააღმდეგ ავსტრია-რუსეთის კოალიციური ჯარების ინტერვენციამ ეჭვს ქვეშ დააყენა ჰელვეციის რესპუბლიკის არსებობა, რომლის გადარჩენა გენერალ მასენას ციურიხთან (სექტემბერი) გამარჯვების წყალობით გახდა შესაძლებელი.

1800 წლის ივნისში გრაუბიუნდენი საბოლოოდ შეუერთდა ჰელვეციის რესპუბლიკას მე-19 კანტონად.

ისარგებლა რა ვალეს მოსახლეობის უკმაყოფილებით იმ სისასტიკესთან დაკავშირებთან, რომელიც საფრანგეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციიდან მომდინარეობდა, პირველმა კონსულმა ბონაპარტმა, საფრანგეთ-იტალიის გზის უკეთესი გაკონტროლებისთვის, 1802 წლის 25 მაისს **ჰელვეციის რესპუბლიკისგან ვალეს გამოყოფის** განკარგულება გასცა. ამგვარად, კანტონების რაოდენობა 18-მდე შემცირდა და ვალეს რესპუბლიკა დაფუძნდა, რომელიც საფრანგეთის, შვეიცარიისა და იტალიის რესპუბლიკების მფარველობის ქვეშ მოექცა.

აღნიშნულის საპირისპიროდ, **საფრანგეთმა ჰელვეციის რესპუბლიკას ფრიკტალი დაუთმო**, რომელიც ბრიზგაუს ჩამოართვა, ისევე როგორც რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე ორი ე.წ. ტყის ქალაქი (**ლაუფენფურგი და რაინფელდენი**). ეს ტერიტორიები საფრანგეთმა ავსტრიისგან მიიღო (მოდენის გრაფისთვის) 1801 წლის თებერვალში ლუნევილის სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად. ფრიკტალი და ორი ტყის ქალაქი აარგაუს კანტონთან იქნა მიერთებული.

ხელისუფლების სადაველების ხელში ჩაგდების შემდეგ (1799წ.), პირველ კონსულ ბონაპარტს, შვეიცარიის სხვადასხვა დაპირისპირებული პარტიები შუამდგომლობას სთხოვდნენ. 1802 წლის აგვისტოში ბონაპარტმა საფრანგეთის საოკუპაციო ჯარები შვეიცარიიდან განზრახ გაიყვანა, რასაც მაშინვე ფედერალისტების ამბოხება მოჰყვა შვეიცარიის მთავრობის წინააღმდეგ.

სექტემბერში ბონაპარტი ორი პარტიის მიერ მოთხოვნილ შუამავლობას დასთანხმდა. საფრანგეთის ჯარებმა შვეიცარიის ხელახალი ოკუპაცია განახორციელეს (ოქტომბერი). შვეიცარიის დეპუტატთა ადმინისტრაციული საბჭო პარიზში ახალი კონსტიტუციის განსახილველად შეიკრიბა.

3. ნაპოლეონის პერიოდის ჰელვეციის კონფედერაცია (1803-1815წწ.)

პარიზში შეკრებილი ადმინისტრაციული საბჭოს დებატების სწრაფი დასრულების მიზნით, ნაპოლეონმა 1803 წლის 19 თებერვალს მას მედიაციის აქტი წარუდგინა, რომლის თანახმად ჰელვეციის კონფედერაცია აღადგინა, თავად კი მედიატორის როლში გამოვიდა.

შვეიცარია კვლავ ახალი ფედერაციული კონსტიტუციით აღიჭურვა. ქვეყნის მართვა პარლამენტის დახმარებით ლანდმანს (აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური შვეიცარიულ კანტონებში) დაეკისრა. ყოველ ნელინდს პარლამენტი ექვსიდან ერთ-ერთ კანტონში უნდა შეკრებილიყო (ფრიბური, ბერნი, ზოლოთურნი, ბაზელი, ლიუცერნი, ციურიხი), რომლის ბურგომისტრიც ერთი წლის ვადით ლანდმანად უნდა აერჩიათ.

ახალი კონფედერაცია 19 კანტონისგან შედგებოდა:

– ცამეტი ისტორიული კანტონი: ციურიხი, ბერნი, ლიუცერნი, ური, შვიცი, უნტერვალდენი, გლარუსი, ცუგი, ფრიბური, ზოლოთურნი, ბაზელი, შაფჰაუზენი, აპენმცელი;

– ექვსი ახალი კანტონი: აარგაუ, ტურგაუ, სანკტ-გალენი, გრაუბიუნდენი, ტესინი, ვო.

ქალაქი შტაინი შაფჰაუზენს გადაეცა, ენგელბერგი უნტერვალდენს, გერსაუ შვიცს, მორატი ფრიბურს, შვარცენბურგი ბერნს.

ექვსი ახალი კანტონი ამგვარად ჩამოყალიბდა:

– ტურგაუ: ძველი სამფლობელო;

– ტესინი: ირის ლევანტინი და იტალიური საბაიოები;

– ვო: სამხრეთ-დასავლეთი ბერნის სამფლობელოები და გრადსონისა და ეშალენის საბაიოები;

– აარგაუ: ქვემო აარაუს ბერნის სამფლობელოები, თავისუფალი საბაიოები, ქალაქები ბრემგარტენი და მელინგენი, ბადენის საგრაფო, ფრიკტალი, ლაუფენბურგი და რაინფელდენი;

– გრაუბიუნდენი: ძველი ლიგა, იტალიის რესპუბლიკისთვის გადაცემული იტალიური საბაიოების გარდა, დამატებით ტარასპის სენიორია და ფიურსტენაუს ტერიტორია (კურის საეპისკოპოსო), რომლის სეკულარიზაცია ოფიციალურად 1803 წლის 25 თებერვალს მოხდა;

– სანკტ-გალენი: ქალაქი და ძველი ტერიტორია, ტოგენბურგი, რაინთალი, გამსი, ზარგანსი, გასტერი, უტზნახი, რაპერსვილი, საქსის ციურიხის საბაიოები და ეერდენბერგის გლარუსის საგრაფო.

25 თებერვლის საიმპერიო პროტოკოლის თანახმად, **ტარასპის** სენიორია (დიტრიხშტაინის მთავრის) და **ფიურსტენაუს** ტერიტორია (კურის ეპისკოპოსის) ჰელვეციის კონფედერაციას გადაეცა ((გრაუბიუნდენის კანტონი). ამ დროიდან, გრაუბიუნდენში ერთადერთი სადავო სტატუტის მქონე ტერიტორია, რეზუნსის ბარონს ეკუთვნოდა, რომელიც კვლავ ავსტრიის სახლის მფლობელობაში რჩებოდა.

კონფედერაციამ საფრანგეთს ვოს იურაზე მდებარე **დაპის ხეობა დაუთმო.**

ამგვარად, ათი წლის განმავლობაში შვეიცარიაში მშვიდობამ დაისადგურა მისი მედიატორის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ.

1805 წლის დეკემბერში **პრუსიამ საფრანგეთს ნეშატელის სამთავრო დაუთმო** (იხ. "გამქრალი სახელმწიფოები").

შენბრუნის სამშვიდობო ხელშეკრულებით (1809 წლის ოქტომბერი), **ავსტრიამ ნაპოლეონს** გარკვეული ტერიტორიები **დაუთმო.** მათ შორის **რეზუნსის** ბარონის მამული იყო, რომელიც შემონახული ტერიტორია გახდა, მაგრამ კვლავაც გრაუბიუნდენის ნაწილს წარმოადგენდა.

1810 წლის თებერვალში პარიზის ხელშეკრულების გვერდის ავლით, რომლის თანახმად ბავარიამ იტალიის სამეფოს ტრენტო და სამხრეთი ტიროლის ნახევარი დაუთმო, **ნაპოლეონმა იტალიას რეზუნსის ბარონის მამული გადასცა.**

1810 წლის ოქტომბერში კონტინენტური ბლოკადის ფარგლებში, იტალიის ჯარებმა ტესინის კანტონის ოკუპაცია განახორციელეს.

მეორე მხრივ, ნოემბერში ვალეს რესპუბლიკა ანექსირებულ იქნა საფრანგეთის მიერ.

საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, 1813 წლის ნოემბერში იტალიამ თავისი ჯარები ტესინიდან გაიყვანა. დეკემბრის თვეში საფრანგეთისკენ მიმავალმა ავსტრიელებმა თავისი ჯარები შვეიცარიის ტერიტორიაზე გაატარეს. ფრანგების მიერ მიტოვებული ბაზელის ძველი საეპისკოპოსო, ნეშატელი, ჟენევა და ვალე, ავსტრიის მიერ იქნა ოკუპირებული. შვეიცარიაში ყველგან ძველი რეჟიმები აღდგა. 29 დეკემბერს ციურიხში შეკრებილმა პარლამენტმა მედიაციის აქტი გააუქმა.

ნეშატელის სამთავრო პრუსიის მეფეს, რეზუნსის ბარონის მამული კი ავსტრიას დაუბრუნდა.

მედიაციის აქტის გაუქმებამ გზა გაუხსნა დავას ძველ (რომლებიც თავიანთი ტერიტორიების დაბრუნებას მოითხოვდნენ) და ახალ კანტონებს შორის (რომელთაც თავიანთი დამოუკიდებლობის დაცვა ჰქონდათ გადაწყვეტილი). 1814 წლის მარტში ძლიერმა სახელმწიფოებმა შვეიცარიის 19 კანტონად დაყოფა ხელშეუხებლად გამოაცხადეს და ბერნს ვოსა და აარგაუს დაკარგვის საკომპენსაციოდ ბაზელის ძველი საეპისკოპოსოს შვეიცარიული ნაწილი შესთავაზეს (რომელიც არ იქნა აღდგენილი). ყოველივე ბერნის მოსახლეობის პროტესტის მიუხედავად განხორციელდა, რომლის უმრავლესობა კათოლიკე და ფრანგულენოვანი იყო და პროტესტანტული და გერმანულენოვანი ბერნის დაქვემდებარებაში ყოფნა არ სურდა.

IV. თანამედროვე კონფედერაცია (1815 წლიდან დღემდე)

1. კონფედერაციული შვეიცარია (1815-1848წწ.)

ჟენევამ, ნეშატელმა და ვალემ შვეიცარიის პარლამენტისგან კონფედერაციაში კანტონების სახით შესვლას მიაღწიეს.

იმ გავლენის წყალობით, რომელიც რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ზე მის მოძღვარს, ცეზარ დე ლა არპს ჰქონდა, ვენის კონგრესმა **კანტონების სახით ჟენევის, ნეშატელისა და ვოს კონფედერაციაში შესვლა** ცნო (1815 წლის ივნისი).

ტერიტორიული თვალსაზრისით, კონგრესმა შემდეგი შესწორებები მიიღო:

– **ქალაქი მიულუზი საფრანგეთს დარჩა, ბორმიოს, ვალტელინოსა და ჩიავენ**ის იტალიური საბაიოები კი ლომბარდია-ვენეციის სამეფოს გადაეცა;

– **დაპის ხეობა შვეიცარიას დაუბრუნდა** (ვოს კანტონი);

– **რეზუნსის ბარონის მამული ავსტრიამ შვეიცარიას დაუთმო** (გრაუბიუნ-დენის კანტონი);

– **ბაზელის ძველი საეპისკოპოსო (შვეიცარიული და გერმანული ნაწილები) შვეიცარიას გადაეცა** (ბერნის კანტონი), რაინის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ანკლავების გარდა (შილინგენი, იდშტაინი), რომელიც ბადენის დიდ საპერცოგოს დარჩა; არლშაიმის ოლქი ასევე **შვეიცარიას გადაეცა** (ბაზელის კანტონი);

– **ჟენევის საზღვართან მდებარე თექვსმეტი საოიოის თემი, მათ შორის კარუჟი, სარდინიამ შვეიცარიას დაუთმო** (ჟენევის კანტონი).

შვეიცარიის მოთხოვნით, ვენის 1815 წლის 20 მარტის დეკლარაციის თანახმად, ძლიერმა სახელმწიფოებმა კონფედერაციის ნეიტრალიტეტი აღიარეს.

1815 წლის 7 აგვისტოს ციურიხის პარლამენტმა 22 კანტონს შორის ახალი ფედერალური პაქტი მიიღო: მედიაციის აქტით შექმნილ 19 კანტონს ჟენევის, ვალესა და ნეშატელის სამი ახალი კანტონი დაემატა. ამ უკანასკნელს შვეიცარიული კანტონისა და პრუსიის მეფესთან პირად უნიაში მყოფი სამთავროს ორმაგი სტატუსი ჰქონდა.

კონფედერაცია სუვერენული და ფედერალური კანტონებისგან შედგებოდა, და თითოეულ მათგანს კანცლერი ედგა სათავეში პარლამენტის მხარდაჭერით. ნამყვანი კანტონები, რომლებიც ყოველ ორ წელინადში უნდა ერთმანეთს შენაცვლებოდნენ სამამდე იქნა დაყვანილი: ბერნი, ლუცერნი და ციურიხი.

"ასი დღის" მონაკვეთში ლუი XVIII-ის საფრანგეთი იძულებული გახდა 1814 წელს ხელმოწერილ ხელშეკრულებაზე ნაკლებად მომგებიანი სამშვიდობო ხელშეკრულება გაეფორმებინა.

პარიზის მეორე ხელშეკრულებით (1815 წლის 20 ნოემბერი), **საფრანგეთმა შვეიცარიას ვერსუას, პრენისა და გრან-საკონექსის კომუნები დაუთმო,** რომელიც ჟენევის კანტონთან იქნა მიერთებული, რამაც ამ უკანასკნელს მვეიცარიის დახარჩენ ტერიტორიასთან გაერთიანების საშუალება მისცა.

ამ შენაძენით დასრულდა შვეიცარიის ტერიტორიული მოწყობა, რომელსაც მცირე შესწორებების გამოკლებით, თაეისი გარე საზღვარი აღარ შეუცვლია.

შვეიცარიის ნეიტრალიტეტი საზეიმოდ იქნა გარანტირებული ხელმომწერ ძლიერ სახელმნიფოთა მიერ და ის სარდინიის საოიოის ჩრდილოეთ ნაწილზეც ვრცელდებოდა (შაბლე, ფოსინი და საოიოის ჟენევის მასივი), რომლის სამხედრო ოკუპაციის უფლებაც შვეიცარიას სარდინიის მხრიდან კონფლიქტის შემთხვევაში ჰქონდა.

ორიოდე გამონაკლისის გარდა, კანტონები შიდა საერთო ადმინისტრაციას დაექვემდებარა; ორ გამონაკლისს უნტერვალდენისა და აპენცელის კანტონები წარმოადგენდა, რომელიც ძველი ისტორიული მიზეზებიდან გამომდინარე ორ ნახევარ-კანტონად დაიყო: ნიდვალდენი და ობვალდენი უნტერვალდენისთვის და შიდა როდი და გარე როდი აპენცელისთვის.

1831 წელს ქალაქების პრივილეგიებთან დაკავშირებით სოფლის მოსახლეობის აჯანყების შედეგად, ორი სხვა კანტონიც ორად დაიყო:

–ბაზელის საკითხის გადასაწყვეტად, ლიესტალში შეკრებილმა კრებამ სოფლის ქალაქისგან გამოყოფა გადაწყვიტა;

–შვიცის საკითხის გადასაწყვეტად, გარე ოლქები ლახენში შეიკრიბა, სადაც მათი შიდა ოლქებს შორის გადანაწილება გადაწყდა.

1833 წელს შვიცის კანტონმა თავისი ერთიანობა აღადგინა. ბაზელის კანტონმა ოფიციალურად ორ ნახევარ-კანტონად დაყოფა გამოაცხადა: ბაზელ-ვილი (ქალაქი და რამდენიმე დაქვემდებარებული კომუნა) და ბაზელ-კამპანი (დარჩენილი ნაწილი, დედაქალაქით ლიესტალში).

1830 წლიდან შვეიცარიის მთავრობა რადიკალ ანტიკლერიკალთა ხელში აღმოჩნდა, რომელთაც შვეიცარიაში ეკლესიის გავლენის შემცირება სურდათ. აარგაუს მონასტრების გაუქმების საქმემ (1841 წლის იანვარი) გამოაცოცხლა

ტრადიციული კამათი კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის, რასაც მღელვარება მოჰყვა.

1845 წლის 11 დეკემბერს რეაქციული ალიანსი – ზონდერბენდი შეიქმნა, რომელიც ფედერალური პაქტის წინააღმდეგი იყო. ზონდერბენდში შვიდი კათოლიკური კანტონი გაერთიანდა: ლიუცერნი, ური, შვიცი, უნტერვალდენი, ცუგი, ფრიბური და ვალე.

1847 წლის 20 ივლისს ფედერალურმა პარლამენტმა ზონდერბენდი დაშლილად გამოაცხადა, როგორც პაქტთან შეუთავსებელი. ნოემბერში ომმა 25 დღე გასტანა და შვიდი კათოლიკური კანტონის მარცხით დასრულდა. ამ დამარცხებას პაქტის გადახედვა მოჰყვა მეტი ცენტრალიზაციის მიმართულებით.

1848 წლის 1 მარტს საფრანგეთში განვითარებული მოვლენების გავლენით, ნეშატელის რესპუბლიკელებმა **პრუსიის მეფესთან ნეშატელის კავშირის განყვეტა** და რესპუბლიკის დაფუძნება გამოაცხადეს. პრუსიის მეფემ უარი განაცხადა ამ ძალისმიერი გადატრიალების აღიარებაზე

2. ფედერალური შვეიცარია (1848 წლიდან დღემდე)

1848 წლის 12 სექტემბერს **შვეიცარიის კონფედერაციამ** ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომელმაც ის რეალურად და საბოლოოდ ფედერალურ სახელმწიფოდ აქცია. მიუხედავად კონფედერაციის შენარჩუნებისა – ამ დროისთვის უკვე მცდარი სახელწოდება – შვეიცარიაში ფედერალური ინსტიტუტების უზენაესობა იქნა აღიარებული (ფედერალური საბჭო და ორი პალატა, ფედერალური სასამართლო), რომელიც შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში განლაგდა. აღნიშნული კონსტიტუცია დღესაც მოქმედია.

1856 წლის სექტემბერში ნეშატელის როიალისტები რესპუბლიკური რეჟიმის ძალით დამხობას შეეცადნენ, მაგრამ ისინი დააპატიმრეს. პრუსიის მუქარის შემდეგ, რომელსაც სამთავროს დაბრუნება ჯარების დახმარებით სურდა, ნაპოლეონ II-ის შუამავლობით, 1857 წლის 26 მაისს ხელი მოეწერა პარიზის ხელშეკრულებას: როიალისტი ტუსაღების განთავისუფლების სანაცვლოდ, **პრუსიის მეფემ უარი თქვა თავის უფლებებზე ნეშატელის სამთავროზე.** ამ დროიდან, პრუსიამ ნეშატელი სხვა 21 კანტონის მსგავსად, შვეიცარიულ რესპუბლიკად და კანტონად აღიარა.

1860 წელს ისარგებლა რა სარდინიის სავოიის საფრანგეთისთვის გადაცემით, შვეიცარიამ თავისთვის შაბლეს, ფოსინისა და ფრანგული ჟენევის (მასივი) მიერთება მოითხოვა, მაგრამ ნაპოლეონ III-მ ეს მოთხოვნა უარყო და ჩამოთვლილი რეგიონების სამხედრო ნეიტრალიტეტის შეთანხმების ხელშეუხებლობით შემოიფარგლა.

ამავე დროს, ნაპოლეონ III ცალმხრივი წესით სარდინიის მცირე თავისუფალი ეკონომიკური ზონის გაფართოებას დათანხმდა (შეიქმნა 1816 წელს ჟენევის გარშემო) მთლიანად შაბლესა და ფოსინისთვის, და ასევე ფრანგული ჟენევის (მასივი) ჩრდილოეთი ნაწილისთვის.

1862 წლის დეკემბერში **შვეიცარიამ** ნუარმონტის ფერდობზე მდებარე მცირე ტერიტორიების სანაცვლოდ **საფრანგეთს რუსის გზაზე მდებარე გექსი და დაპის ხეობის დასავლეთი ნახევარი დაუთმო.**

ამ დროიდან შვეიცარია, რომელმაც თავისი შიდა კონფლიქტები დააცხრო (ბერნის იურას გარდა), ძირითადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას შეუდგა, რამაც ერთ საუკუნეში შვეიცარია ღარიბი მთიანი ქვეყნიდან აყვავებულ სახელმწიფოდ აქცია მრენველობის ხარისხის, განსაკუთრებით კი საბანკო ქსელის განვითარების წყალობით. ყოველივემ კონფედერაცია თავშესაფრის ქვეყნად აქცია, რასაც მისი სამხედრო ნეიტრალიტეტის პოლიტიკა უწყობდა ხელს, რომელსაც ყოველთვის აღიარებდნენ (1870, 1914, 1940 წწ.).

ერთა ლიგაში შვეიცარიის განევრიანების შემდეგ შაბლეს, ფოსინისა და ფრანგული ჟენევის სამხედრო ნეიტრალიტეტი გაუქმდა. ვერსალის ხელშეკრულებით (1919 წლის 28 ივნისი), ასევე გათვალისწინებული იყო ჟენევის

გარშემო არსებული მცირე ეკონომიკური ზონების გაუქმება. 1860 წელს საფრანგეთმა დიდი ეკონომიკური ზონა გააუქმა.

ავსტრიის დამარცხების შემდეგ, ამ ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა პრობლემებმა ლიხტენშტაინის სამთავრო შვეიცარიისკენ შემოაბრუნა, რომელიც მასთან საფოსტო (1921წ.), შემდეგ კი საბაჟო კავშირში (1923წ.) შესვლას დათანხმდა.

შვეიცარიამ ეჭვქვეშ დააყენა 1919 წლის ჟენევის მცირე თავისუფალი ეკონომიკური ზონების გაუქმება. 1933 წლის 1 დეკემბერს ხანგრძლივი იურიდიული კონფლიქტის დასასრულს ჰააგის სასამართლოს არბიტრაჟით, ტერიტეს შეთანხმებით აღნიშნული ზონები აღდგენილ იქნა.

იურას საკითხი (ბაზელის ძველი საეპისკოპოსო, რომელიც 1815 წელს ბერნს ძალით მიუერთეს, ფრანგულენოვანი მოსახლეობისგან შედგებოდა, რომლის უმრავლესობა კათოლიკე იყო) მოუგვარებელი რჩებოდა მიუხედავად ერთსაუკუნოვანი მივინყებისა. მაგრამ XX საუკუნის შუა წლებში საკითხმა მოულოდნელად კვლავ იჩინა თავი.

1950 წლის ოქტომბერში ბერნის კანტონში კენჭისყრის შედეგებით ოფიციალურად დადგინდა იურას მოსახლეობის იდენტურობა (ფრანგულენოვანი და კათოლიკური უმრავლესობა), რომელიც სათავეს ბიენისა და ბაზელის ძველი საეპისკოპოსოდან იღებდა.

1970 წლის ბერნმა იურას მოსახლეობას თვითგამორკვევის უფლება მისცა.

1974 წლის ივნისში ექვს ფრანგული შვეიცარიის ოლქში ჩატარებული კენჭისყრით, უმრავლესობამ გამოყოფას მისცა ხმა, რომლის წინააღმდეგ მხოლოდ **პორანტრუის, დელემონისა და ფრანშ-მონტანის** სამი ოლქი გამოვიდა. იმ ოლქებისაგან, რომელთაც ხმა მისცეს გამოყოფას, იურას ახალი კანტონი შეიქმნა, რომელსაც 1975 წელს ახალი კენჭისყრის შედეგად, **მუტიეს** რამდენიმე თემი დაემატა.

1978 წლის 24 სექტემბერს **იურას კანტონი** (შვეიცარიის 23-ე კანტონი) შეიქმნა, დედაქალაქი დელემონი.

აღნიშნული დროიდან, შვეიცარიამ იმ შიდა სტრუქტურულ მოხყობას ძიაღნია, რომელიც დღესაც ძალაშია. ნეიტრალიტეტის გამო შვეიცარიამ უარი თქვა საერთაშორისო ალიანსებში განევრიანებაზე (გაერო, ნატო, ევროკავშირი). ეკონომიური განვითარების პოლიტიკა შვეიცარიას ხელს არ უშლის თავის ტერიტორიაზე ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის მიღებაში, რომელსაც ამ ქვეყნის ნეტრალიტეტი იზიდავს.

მოქალაქეთა კენჭისყრით გამოხატული ნების თანახმად, 2002 წლის სექტემბერში შვეიცარია გაეროს 190-ე ნევრი ქეეყანა გახდა.

ჩერნოგორია

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: ჩერნოგორიის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ფილიპ ვუიანოვიჩი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ერთპალატიანი პარლამენტი, ფედერალური ასამბლეა.
დედაქალაქი: პოდგორიცა.
ადმინისტრაციული დაყოფა: 21 კომუნა.
ფართობი: 13 800²; მოსახლეობა: 620 000 კაცი; სიმჭიდროვე: 45 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენები: სერბული; ეროვნული უმცირესობა ალბანურ ენაზე ლაპარაკობს.
რელიგიები: მართლმადიდებლობა; მუსლიმანური უმცირესობა.
ფულის ერთეული: კონვერტირებადი ევრო.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ჩერნოგორიის მოკლე ისტორიული ნარკვევი

1. სათავეებიდან ჩერნოგორიის აღმოცენებამდე (XIVს.)

დღეისათვის ჩერნოგორიის სახელით ცნობილი ქვეყანა **ილირიის** შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც ძვ. წ. აღ. II საუკუნეში რომის მიერ იქნა ანექსირებული. თავდაპირველად ის დალმაციის რომაულ პროვინციაში მოექცა, შემდეგ კი აღმოსავლეთ რომის იმპერიაში. ჩვ. წ. აღ. VII საუკუნის დასაწყისში სლავები (სერბების მსგავსი წარმომავლობის) დიდი ხნით დუკლიაში (შემდგომში ზეტა) დასახლდნენ. XI საუკუნეში პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფო, **ზეტას** სამთავრო შეიქმნა, რომელიც შემდგომში რეციასთან იქნა მიერთებული.

ჩერნოგორია XIV საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა, იმ დროს როდესაც სერბები თურქებმა დაიპყრეს (1389 ნლის კოსოვო პოლიეს ბრძოლა). ორი დინასტიის მმართველობის მანძილზე (ბალხიდები, ჩერნოიევიჩები) მთებში გახიზნულმა ჩერნოგორიის მოსახლეობამ თურქეთის პირისპირ თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება მოახერხა. აღნიშნული დროიდან ჩერნოგორიელებს თურქების წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუნყვეტიათ, რომლებმაც ვერასოდეს მოახერხეს ამ რეგიონის სრული დამორჩილება.

თუმცა XIVს-ის. მინურულს დაკარგულ იქნა ზეტა, ხოლო ჩერნოგორიელებმა შავი მთის დასავლეთით დაიხიეს.

2. ჩერნოგორიელების თავშესაფარი (1389-1789ნნ.)

დიდი ხნის მანძილზე თურქები, რომლებიც გამარჯვებებით გზას ჩრდილოეთისკენ იკვალავდნენ (ხორვატია, უნგრეთი, ტრანსილვანია და სხვ.), იმდენად მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ, რომ სერბები მათთვის წინააღმდეგობის გაწევას ვერ ბედავდნენ. თუმცა XIV საუკუნის მინურულიდან ისინი დროდადრო აჯანყებების მოწყობას ცდილობდნენ.

ამ დროის განმავლობაში, ჩერნოგორიელებმა "შავ მთაზე" ახალ დედაქალაქად მთებში გადაკარგული ცეტინე აირჩიეს. 1516 ნლიდან ჩერნოგორია საეკლესიო სახლემნიფო გახდა, რომლის ეპისკოპოსი-მთავარი (ვლადიკა), ცეტინეს მართლმადიდებელი მიტროპოლიტი, თავდაპირველად არჩეულ იქნა, ხოლო 1697 ნლიდან ეპისკოპოსი მემკვიდრეობით ნიეგოშის სახლიდან, ბიძიდან ძმისწულზე გადადიო-

და. ყოველი ეპისკოპოსი გადრდაცვალების წინ ერთ-ერთ ძმისწულს ნიშნავდა, რომელიც მისი აზრით, ამ პატივს იმსახურებდა.

1711 წელს რუსეთის მეფემ, პეტრე პირველმა ეპისკოპოს-მთავართან დანილო I-თან თურქების წინააღმდეგ ალიანსი შეკრა. ამ დროიდან ჩერნოგორია რუსეთის დიპლომატიური და ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობდა.

II. ჩერნოგორია 1789 წელს

ჩერნოგორიის სამთავრო, დედაქალაქით ცეტინეში ილირიის მთიან სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც მდებარეობდა იქ სადაც დინარიული ალპები ბალკანების მთებს ემიჯნება. ის ორ რეგიონს მოიცავდა: შავი მთა (მონტენეგრო ან ჩერნოგორია) ვენეციური კოტორის ყურის ზევით (მუდმივი დავის საგანი) და ბერდა (უფრო სილრმეში ხმელეთზე). ორივე რეგიონს ერთმანეთისგან ფართო ღრმული ყოფდა, რომელზეც შკოდერის ტბაში ჩამდინარე, პატარა მდინარე ზეტა მიედინებოდა. ეს ქვეყანა ძალზე ღარიბი იყო (სუსტად განვითარებული სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა მთებში).

ამ დაუზუსტებელი საზღვრების მქონე მართლმადიდებელ ქვეყანაში 40 000-მდე კაცი ცხოვრობდა. აღნიშნული პერიოდის ევროპელები გაურკვეველ მდგომარეობაში იყვნენ ჩერნოგორიის სტატუსთან დაკავშირებით, რადგან თუკი სულთანს ის თავისად მიაჩნდა, ჩერნოგორიის მთავარი ხმამაღლა აცხადებდა თავისი დამოუკიდებლობის შესახებ.

III. 1789 წლიდან ჩერნოგორიის აღიარებულ დამოუკიდებლობამდე (1878წ.)

ევროპის რეგიონებისგან მოშორებით მდებარე ჩერნოგორიას ნაკლებად შეეხო იქ მომხდარი რევოლუციური გადატრიალებებისა და ნაპოლეონის მმართველობის ხანა.

1797 წელს ვენეციური სამფლობელოების დაშლის გამოცხადების შემდეგ, ჩერნოგორიის მთავარმა კოტორის ყურის უკიდურეს სამხრეთში მდებარე ქალაქი ბუდავა დაიკავა, მაგრამ იძულებული გახდა ის კვლავ ავსტრიისთვის დაებრუნებინა.

1799 წელს ოფიციალური ფირმანით, სულთანმა სელიმმა ხანმოკლე პერიოდით აღიარა, რომ " ჩერხოგორიელები არასოდეს ყოფილან ბრხყინვალე პორტის ქვეშევრდომები."

1806 წელს ვენეციის, შემდეგ კი ავსტრიის მფლობელობაში მყოფი კოტორის ყურე, დალმაციის დარჩენილი ნაწილის მსგავსად, პრესბურგის (ბრატისლავა) სამშვიდობო ხელშეკრულებით, იტალიას უნდა გადასცემოდა. ოთხთვიანი ბრძოლების დასასრულს (1806 წლის მაის-სექტემბერი), რუსულ საექსპედიციო კორპუსთან გაერთიანებულმა ჩერნოგორიელებმა საფრანგეთის ჯარებს ამ ტერიტორიის დაკავებაში შეუშალეს ხელი. ტილზიტის სამშვიდობო ხელშეკრულებით (1807 წლის ივლისი), რუსებმა და ჩერნოგორიელებმა კოტორის ყურიდან დაიხიეს, რომელიც იტალიის სამეფოში იქნა შეყვანილი 1809 წელს საფრანგეთის ხელში გადასვლამდე.

1813 წლის ოქტომბერში ფრანგების მიერ კოტორის ყურის დატოვების შემდეგ (კოტორის გარდა, რომელიც მხოლოდ დეკემბერში დანებდა), ჩერნოგორიის წარმომადგენელთა კრებაზე, მთავარმა პეტრე I-მა 1813 წლის ოქტომბერში **ჩერნოგორიისა და კოტორის ყურის გაერთიანება გამოაცხადა.**

თუმცა 1814 წლის მაისში მოკავშირე სახელმწიფოთა გადაწყვეტილებების შესაბამისად, ავსტრიის ჯარებმა კოტორის ყურე დაიკავეს, რომელიც **ჩერნოგორიას გამოეყო და ავსტრიის დალმაციასთან გაერთიანდა.**

ეპისკოპოსმა-მთავარმა პეტრე II-მ (1830-1851ნნ.), რომელიც ამავე დროს, დიდი ეპიკური პოეტიც იყო, თავისი ხალხის გმირული ისტორია აღწერა. იგი თავის ქვეყანაში თანამედროვე ინსტიტუტების შემოღებას (სენატის შექმნა) ცდილობდა. 1841 წელს მისი მმართველობის დროს, ავსტრიასთან შეთანხმებით, ავსტრია-ჩერნოგორიის საზღვარი საბოლოოდ იქნა დადგენილი.

1851 წელს პეტრე II ტახტზე ახალმა თავადმა დანილო II-მ შეცვალა, რომელმაც ეპისკოპოსად კურთხევაზე უარი განაცხადა და 1852 წელს ჩერნოგორიის სენატს პოლიტიკური და საეკლესიო ხელისუფლების დაყოფის პრინციპი მიაღებინა. აღნიშნული დროიდან ტახტის მემკვიდრეობითობა მამაკაცის ხაზით უნდა გაგრძელებულიყო.

1859 წელს პორტაში აკრედიტირებულმა ძლიერ სახელმწიფოთა ელჩებისგან შემდგარმა საერთაშორისო კომისიამ თურქეთ-ჩერნოგორიის საზღვარი დაადგინა.

ჩერნოგორია, რომლის ფართობი დაახლოებით 4 000კმ²-ს შეადგენდა 120 000 კაცი მოსახლეობით, შავ მთასა (ცეტინე) და ბერდას მოიცავდა, რომელსაც ერთმანეთთან ძალზე დაზიანებული დაბლობი აკავშირებდა ორი თურქული რკალით, ჩრდილოეთით ჰერცეგოვინას დაქვემდებარებაში არსებული ნიკშიცი, სამხრეთით კი ალბანეთის დაქვემდებარებაში არსებული პოდგორიცა. ჩერნოგორია ოთხ დეპარტამენტად დაიყო: ჩერნიცა, კატუნი, გლუბოტიცა და გლისკოპოლი.

1860 წელს დანილო II-ის მკვლელობის (კოტორთან) შემდეგ, იგი ტახტზე მისმა ძმისწულმა ნიკოლაი I-მა შეცვალა. 1862 წელს ძლიერ სახელმწიფოთა მიერ თურქეთის ახალი შეტევის შეჩერების შემდეგ, ჩერნოგორია იძულებული გახდა თურქეთის სიუზერენობა ეცნო 8 სექტემბრის ცეტინეს ხელშეკრულებით. სამაგიეროდ, ალბანეთის შკოდერის ხელშეკრულებით, ჩერნოგორიამ თურქეთისგან ბარის პორტის სარგებლობის უფლება მიიღო (საგარეო ვაჭრობისთვის პორტო-ფრანკოს სახით).

1876 წლიდან ისარგებლა რა ბოსნია-ჰერცეგოვინაში არსებული მღელვარებით და აჯანყებით ბულგარეთში, ჩერნოგორიამ თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები განაახლა. 1877 წელს რუსეთის ჩარევას (ბალკანეთის პირველი ომი) თურქების მარცხი მოჰყვა, რომლებმაც 1878 წლის 3 მარტს ოსმალთა იმპერიისთვის ძალზე არახელსაყრელ სან-სტეფანოს სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

აღნიშნული ხელშეკრულება დიდი ავტონომიური ბულგარეთის შექმნას ითვალისწინებდა ოხრიდის ტბიდან შავი ზღვის ნაპირებამდე, სერბეთის გაფართოებასა და ჩერნოგორიის საგრძნობ გაზრდას, რომელმაც თურქეთის **შემდეგი ტერიტორიების ანექსია განახორციელა:**

– **ჩრდილო-დასავლეთით** (ნიკშიცი) ჰერცეგოვინას ხარჯზე;

– **ჩრდილო-აღმოსავლეთით** ნოვი-პაზარის სანჯაყის ხარჯზე, რომლისაგან თურქეთმა მხოლოდ სერბეთის გასწვრივ მდებარე ვიწრო ზოლი შეინარჩუნა:

– **სამხრეთით** კვლავ ალბანეთის ხარჯზე, ზღვასთან მისასვლელი ბარისა და სპიშის პორტები (კვლავ ჩერნოგორიის ხელში გადასული).

1878 წლის 13 ივლისის სან-სტეფანოს ხელშეკრულება ბერლინის ხელშეკრულებამ შეცვალა, რომლის თანახმად, სან-სტეფანოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული **ჩერნოგორიის** გაფართოება საგრძნობლად შემცირდა.

– **ჩრდილო აღმოსავლეთით** მან მისი მოსაზღვრე ტერიტორიის მხოლოდ ვიწრო ზოლი შეინარჩუნა, სან-სტეფანოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნოვი პაზარის სანჯაყის საზიანოდ, რომელიც კვლავ თურქეთის ვიწრო ზოლთან იქნა გაერთიანებული ნოვი პაზარის სანჯაყის აღსადგენად (სამართლებრივად თურქული, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით ავსტრია-უნგრეთის მიერ ოკუპირებული).

– **სამხრეთ-აღმოსავლეთით მან მხოლოდ მცირე ნაწილი შეინარჩუნა** (გათვალისწინებულიდან);

– **სამხრეთით მას სპიში ჩამოერთვა,** რომელიც ავსტრიამ თავის დალმაციის პროვინციას მიუერთა. თუმცა ჩერნოგორიამ ბარის პორტი შეინარჩუნა, რომელსაც ძლიერმა სახელმწიფოებმა სხვადასხვა ტერიტორიები დაუმატეს. ამავე

დროს, უცხოეთის სამხედრო ფლოტს ბარისა და ჩერნოგორიის ტერიტორიულ წყლებში შესვლა აეკრძალა. ავსტრიულ კრეისერს ხელშეკრულების ეს მუხლი უნდა დაეცვა.

და ბოლოს, ძლიერმა სახელმწიფოებმა, თურქეთის ჩათვლით, **ჩერნოგორიის დამოუკიდებლობა** აღიარეს, რის შემდეგაც ცეტინეში ამ სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლობები გაიხსნა. აღნიშნული დროიდან ქვეყნის ფართობმა 9 000 კმ²-ს, ხოლო მოსახლეობამ დაახლოებით 200 000 კაცი შეადგინა.

IV. ჩერნოგორიის სამთავრო, მოგვიანებით სამეფო (1878-1918წწ.)

1. 1878 წლიდან ბალკანეთის მეორე ომის დასასრულამდე (1913წ.)

თურქეთი გადავადების საშუალებებს იყენებდა ჩერნოგორიის სამხრეთით მდებარე ტერიტორიების გადაცემის საკითხში (ალბანელებს წინააღმდეგობის განევისთვის ამხნევებდა). ამიტომაც, ძლიერმა სახელმწიფოებმა საზღვაო ძალების ერთობლივი დემონსტრირება მოაწყეს ულსინის პორტთან, რის შედეგადაც **თურქეთმა ჩერნოგორიას ულსინი** დაუთმო ზემოაღნიშნული ტერიტორიების სანაცვლოდ.

ამ დრომდე იზოლაციაში მყოფი ჩერნოგორია გარე სამყაროსთვის გაიხსნა თავისი ვაჭრობის განვითარებით (ბარის პორტის განვითარება), ხოლო მისმა მთავარმა ავტორიტეტი აიმაღლა თავისი ქალიშვილების დაქორწინებით, როგორც სერბეთისა და იტალიის მემკვიდრეობით მთავრებზე, ისე რუსეთის დიდ მთავრებზე.

1908 წლის ოქტომბერში ავსტრიელებმა ბოსნია-ჰერცეგოვინას ანექსიით ცალმხრივად დაარღვიეს ბერლინის ხელშეკრულება, რის შემდეგაც ჩერნოგორიამ ბარის საზღვაო ნეიტრალიტეტის ხელშეკრულების მუხლისგან განთავისუფლება გადანყვიტა. იტალიური და ფრანგული ესკადრების გამოჩენამ ეს გადანყვეტილება ძალზე სნრაფად დაამტკიცა.

1910 წლის 28 აგვისტოს საკუთარი მმართველობის იუბილესთან დაკავშირებით, მთავარმა ნიკოლაი I-მა მეფის ტიტული მიიღო. ამ დროიდან სამთავრო **ჩერნოგორიის სამეფო** გახდა.

თურქეთის დასუსტება რეგიონის სახელმწიფოებში მისი ტერიტორიების ხელში ჩაგდების სურვილს იწვევდა. ნადავლის გასაყოფად საბერძნეთმა, ბულგარეთმა, სერბეთმა და ჩერნოგორიამ ბალკანური ლიგა შექმნეს (1912 წლის მარტი-ოქტომბერი). 1912 წლის 8 ოქტომბერს დაწყებული კონფლიქტი თურქეთისთვის გამანადგურებელი აღმოჩნდა. 1913 წლის 10 აგვისტოს ბუქარესტის ხელშეკრულებით, დასრულდა ბალკანეთის მეორე ომი.

ამ ხელშეკრულებით **ჩერნოგორიამ თურქეთისგან ნოვი პაზარის სანჯაყის ნახევარი მიიღო**, მეორე ნახევარი კი სერბეთმა მიიერთა. ამას გარდა, **ჩერნოგორიამ მიიღო მეტოხიის ნახევარი პეჩთან ერთად, დიაკოვა და თურქეთის ყოფილ ალბანეთში შეჭრილი გუსინეს ტერიტორია.** ჩერნოგორიამ თითქმის გაორმაგა თავისი ტერიტორია.

აღნიშნულის სამაგიეროდ, ჩერნოგორიას ძლიერ სახელმწიფოთა ზეწოლით ახალი დამოუკიდებელი ალბანეთისთვის აპრილში დაკავებული ქალაქი შკოდერი უნდა დაებრუნებინა.

2. 1913 წლიდან სამხრეთ სლავების სამეფოში გაერთიანებამდე (1918წ.)

ზემოაღნიშნული ომის დასრულებისთანავე ევროპის საზოგადოებრივი აზრი მიიჩნევედა, რომ ეს მხოლოდ პირველი ეტაპი იყო და ბალკანეთში გამოვლენილი ანტაგონისტური ამბიციები ახალი კონფლიქტის დაწყებას მოასნავებდა.

1914 წლის 28 ივნისს სარაევოში ავსტრიის ტახტის მემკვიდრე, ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი მოკლეს. 28 იელისს მკვლელობიდან ერთი თვის შემდეგ,

ავსტრია-უნგრეთმა, რომელიც მომხდარში სერბეთის ხელისუფლებას ადანაშაულებდა, სერბეთს ომი გამოუცხადა. სულ მალე საომარი მდგომარეობა ყველა ძლიერმა ევროპულმა სახელმწიფომ გამოაცხადა.

1914 წლის ზაფხულიდან ჩერნოგორია პირველ მსოფლიო ომში სერბეთის მხარეს ჩაება. 1915 წლის შემოდგომიდან ქვეყანაში ავსტრიის ჯარების შეჭრის პირისპირ, მეფე ნიოლაიმ 1916 წელს პარიზს შეაფარა თავი. 1918 წელს ბალკანეთის განთავისუფლების შემდეგ სერბებმა, ჩერნოგორიის კრება მოიწვიეს პოდგორიცაში სერბული არმიის ზედამხედველობით, რომელზეც გადაწყდა მეფე ნიკოლაის ტახტიდან გადაყენება (1918 წლის 26 ნოემბერი) და **ჩერნოგორიის გაერთიანება ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სამხრეთი სლავების ახალ სამეფოსთან** (1 დეკემბრიდან სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფო). ჩერნოგორია ახალი სამეფოს ჩვეულებრივ პროვინციად იქცა.

ჩერნოგორიის დამოუკიდებლობის მომხრეები (მწვანეები) რომელთაც მეფე ნიკოლაი უჭერდა მხარს, 1919 წელს ახალი სამეფოს მომხრეთა (თეთრები) მიერ იქნენ დამარცხებულნი.

V. იუგოსლავიის ჩერნოგორია (1918-2006წწ.)

1. სამხრეთი სლავების სამეფოს პერიოდი (1918-1941წწ.)

ამ დროიდან ჩერნოგორიის როლი ისტორიულ პროვინციამდე იქნა დაყვანილი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სერბების, ხორვატებისა და სლოვენების ახალ სამეფოში.

1920 წელს სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფო (დედაქალაქი ბელგრადი) თითქმის საბოლოოდ ჩამოყალიბდა თავის ფარგლებში. მისმა ფართობმა 249 000კმ² შეადგინა, მოსახლეობამ კი 12 მილიონ კაცს მიაღწია.

ეს სამეფო იმ პროვინციებისგან შედგებოდა, რომლებიც ისტორიულ საფუძველზე დაფუძნებულ გეოგრაფიულ ერთეულებს წარმოადგენდნენ, მაგრამ, საბოლოო ადმინისტრაციული დაყოფა არ იყო დასრულებეული:

– სერბეთი: 95 700კმ² და 4 100 000 მცხოვრები; სერბეთის ყოფილი სამეფო და ბულგარეთის მიერ დათმობილი ტერიტორიები;

– ჩერნოგორია: 9 700კმ² და 200 000 მცხოვრები; ყოფილი სამეფო;

– ბოსნია-ჰერცეგოვინა: 51 200კმ² და 1 900 000 მცხოვრები; ავსტრია-უნგრეთის ყოფილი კონდომინიუმი;

– ხორვატია-სლოვენია: 43 200კმ² და 2 700 000 მცხოვრები; ყოფილი სამეფო და შომოდისა და მეჯიმურიეს ფრაგმენტები;

– დალმაცია: 13 200კმ² და 600 000 მცხოვრები; ავსტრიის ყოფილი დალმაციის პროვინცია, იტალიისთვის გადაცემული ზადარისა და კუნძულების გამოკლებით;

– კრაინა და კარინთია: 16 200კმ² და 1 100 000 მცხოვრები; ძველი კრაინა (დასავლეთი ნაწილის გარდა), კარინთიის ფრაგმენტები, შტირიის მესამედი და პრეკომურიე;

– ბანატი: 9 800კმ² და 600 000 მცხოვრები;

– ბაჩკა: 9 900კმ² და 800 000 მცხოვრები; ბაჩკა და ბარანია.

თუკი ამ ქვეყანამ თავისი საზღვრების საბოლოო დადგენას მიაღწია, ქვეყნის ერთიანობის საკითხი მოსაგვარებელი რჩებოდა. სერბეთში შემავალი ხალხები დიდი ხნის განმავლობაში განცალკევებით ცხოვრობდნენ, რის შედეგადაც მათ შორის ადათ-წესების, რელიგიებისა და კულტურათა განსხვავება არსებობდა.

1922 წელს კოტორის ყურე გამოყოფილი იქნა დალმაციის პროვინციისგან და ჩერნოგორიასთან იქნა მიერთებული.

1928 წლის ივნისში ეროვნული კრების სხდომის მსვლელობისას დეპუტატი რადიჩი ჩერნოგორიის დეპუტატმა მოკლა, რასაც დიდი არეულობა მოჰყვა. 1929 წლის იანვარში მეფე ალექსანდრე I-მა ეროვნული კრება დაშალა და კონსტი-

ტუციის მოქმედება შეაჩერა. ქვეყნის რეჟიმი დიქტატორული გახდა, 3 ოქტომბერს სახელმწიფოს სახელწოდება შეიცვალა და მას **იუგოსლავიის სამეფო ეწოდა.**

1931 წელს ახალი კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო ქვეყნის გაძლიერებული ცენტრალიზაცია, რომელიც ძველი ისტორიული პროვინციების გაქრობასა და სამეფოს ცხრა ბანოვინად ახალ დაყოფას ითვალისწინებდა. აღნიშნულს ბელგრადის ოლქი (ცალკე) დაემატა, რომელიც ნაწილობრივ მდინარეების სახელების მატარებელ ძველ პროვინციებს მოიცავდა. შეიქმნა შემდეგი ბანოვინები:

– ბელგრადის ოლქი (500 კმ²): ბელგრადი და მისი შემოგარენი;

– დუნაის ოლქი (31 500 კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი ნოვი-სადი; სერბეთის ბარანია, ბაჩკა და ბანატი, სირმია, სერბეთის ჩრდილოეთი ნაწილი:

– სავა (40 500 კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი ზაგრები: ხორვატია და სლავონია (სამხრეთი ფრაგმენტის გარდა);

– დრავა (10 500 კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი ლიუბლიანა: კრაინა და პრეკომურიე;

– დრინა (28 000 კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი სარაევო: სლავონიის სამხრეთი ფრაგმენტი, ბოსნია-ჰერცეგოვინას ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, სერბეთის დასავლეთი ნაწილი;

– მორავა (25 500 კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი ნიში: სერბეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი;

– ვრბასი (19 000 კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი ბანია ლუკა: ბოსნია-ჰერცეგოვინას ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი;

– ზღვისპირეთის ზოლი (20 000 კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი სპლიტი: დალმაცია (დუბროვნიკის სანაპიროს გარდა), ბოსნია-ჰერცეგოვინას სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი;

– ვარდარი (37 000 კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი სკოპიე: სერბეთის სამხრეთი ნაწილი;

– ზეტა (31 000 კმ²), ადმინისტრაციული ცენტრი ცეტინე: ჩერნოგორია, დუბროვნიკის სანაპირო, ბოსნია-ჰერცეგოვინას სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, სერბეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი.

1934 წლის 9 ოქტომბერს მეფე ალექსანდრე I მოკლულ იქნა ხორვატიის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი საიდუმლო ორგანიზაციის მიერ. მოკლული მეფის ადგილი მისმა მცირეწლოვანმა ვაჟმა პეტრე II-მ დაიკავა მთავარი პავლეს რეგენტობის ქვეშ.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას იუგოსლავიამ კონფლიქტისგან თავის შორს დაჭერა მოახერხა. თუმცა 1941 წლის დასაწყისში იტალიელები სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ საბერძნეთში, რის შემდეგაც ჰიტლერმა იუგოსლავიას სამთა პაქტში (გერმანია, იტალია, იაპონია) გაერთიანება მოსთხოვა. 1941 წლის 25 მარტს რეგენტი პავლე ბოლოს და ბოლოს ამ პაქტს შეუერთდა, მაგრამ იგი მაშინვე იქნა ტახტიტან გადმოგდებული.

ჰიტლერმა იუგოსლავიის დაპყრობა გერმანიის, იტალიისა და ბულგარეთის ჯარებით გადაწყვიტა. 22 აპრილს იუგოსლავია დამარცხდა, ჰიტლერი კი მუსოლინისთან ერთად ქვეყნის დაშლას შეუდგა.

2. ჩერნოგორია იტალიის პროტექტორატის ქვეშ (1941-1944 წწ.)

დაშლილი იუგოსლავიის სამეფო შემდეგნაირად გადანაწილდა:

– **სერბეთის** სახელმწიფო (51 000 კმ²) გერმანელების მიერ იქნა ოკუპირებული და 1878 წლის ბერლინის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საზღვრებამდე შემცირდა. მას ასევე დააკლდა ბულგარეთის მიერ მიერთებული აღმოსავლეთი მორავიის ოლქი (პიროტი, ვრანე);

– სერბეთის **ბანატი** (10 000 კმ²), რომელიც თეორიულად სერბეთთან იყო მიერთებული, მაგრამ გერმანიის პროტექტორატის ქვეშ იქნა მოქცეული, რომელ-

საც XVIII საუკუნეში დასახლებული კოლონისტები "ბანატელი შვაბები" მართავ-დნენ (ჰიტლერს ამ ტერიტორიისთვის პრინც იოჰანის სახელმწიფოს დარქმევა სურდა);

– **ხორვატიის** სამეფო (99 000კმ²), რომელიც ისტორიული ხორვატია-სლავონიის (რიეკას გარდა), ბოსნია-ჰერცეგოვინისა და ისტორიული დალმაციის სამხრეთი ნაწილისგან შედგებოდა, მთავარი უსტაშის, ანტე პაველიჩის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა;

– **ჩერნოგორია** (16 000კმ²), იტალიის პროტექტორატის ქვეშ 1914 წლის საზღვრებამდე იქნა დაყვანილი. მას დაემატა 1913 წელს სერბეთისთვის გადაცემული ნოვი პაზარის სანჯაყის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, მაგრამ ჩამოერთვა მეტოხიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ფრაგმენტი (იპეკი, დიაკოვა), გუსინეს ტერიტორია და ასევე ულცინის პორტი;

– **ბულგარეთმა** მიიღო ტიმაკის ტერიტორია, აღმოსავლეთი მორავიისა (პიროტი, ვრანე) და მაკედონიის დიდი ნაწილი ოხრიდის ტბამდე, რის შედეგადაც მის ფართობს 28 000კმ² დაემატა;

– **უნგრეთმა** კვლავ თავის მფლობელობაში მიიღო 1920 წელს მის შემადგენლობაში შემავალი (ბანატის გარდა) ტერიტორიები: ბაჩკა, ბარანიის კუთხე, მეჯიმურიე და პრეკომურიე, რის შედეგადაც მის ფართობს 12 000კმ² დაემატა;

– **გერმანიის რაიხმა** სლოვენიის ჩრდილოეთი ნაწილის ოკუპირება მოახდინა (დრავის ბანოვინა) აღმოსავლეთ-დასავლეთი ზოლის ჩრდილოეთით, რომელიც ლიუბლიანის (გერ. ლეიბახი) ჩრდილოეთით გადადიოდა, რის შედეგადაც მისი ფართობი 10 000,კმ²-ით გაიზარდა;

– **იტალიამ** სლოვენიის სამხრეთი ნაწილის (ლიუბლიანასთან ერთად), დელნიცეს ხორვატული ტერიტორიის, სუჩაკის, კრკისა და რაბის კუნძულებისა და ჩრდილოეთი დალმაციის (1915 წლის ლონდონის პაქტის საზღვრებში ტროგირი და სპლიტი დაემატა) ანექსია მოახდინა. მან ასევე მიიერთა ვისის, კორჩულასა და მილნას კუნძულები და კოტორის ყურე, რის შედეგადაც მისი ფართობი 11 000კმ²-ით გაიზარდა;

– **იტალიის ალბანეთმა** მიიღო ულცინის, გუსინესა და მეტოხიის ტერიტორიები, კოსოვო და ასევე დასავლეთი მაკედონიის მცირე ნაწილი, რის შედეგადაც მისი ფართობი 12 000კმ²-ით გაიზარდა.

ჩერნოგორია იტალიის პროტექტორატის ქვეშ იქნა აღდგენილი. გარდაცვლილი მეფის ნიკოლაი I-ის ქალიშვილის, იტალიის დედოფლის ელენეს თხოვნით, დუჩეს ჩერნოგორიის სამეფოს აღდგენა ჰქონდა გადაწყვეტილი. 1941 წლის 12 ივლისს ცეტინეში შეკრებილმა ჩერნოგორიის ეროვნულმა კრებამ **ჩერნოგორიის სამეფოს აღდგენა გამოაცხადა.** არსებითად, მისი ტერიტორია 1941 წლის ფარგლებში იქნა აღდგენილი. ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩერნოგორიას დაემატა 1913 წელს სერბეთისთვის გადაცემული ნოვი პაზარის სანჯაყის ნახევარი, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთში მან დაკარგა მეტოხიის (იპეკი, დიაკოვა) ფრაგმენტი და გუსინეს ტერიტორია, სამხრეთში კი ულცინის პორტი. სამივე ჩამოთვლილი ტერიტორია იტალიის ალბანეთს გადაეცა. ჩერნოგორიის ტერიტორია 15 200კმ²-ს, ხოლო მოსახლეობა 435 000 კაცს შეადგენდა.

კოტორის ყურე იტალიის პირდაპირ მმართველობაში გადავიდა, რომელმაც ის დაშლილი იუგოსლავიისგან ჩამორთმეულ ჩრდილოეთ დალმაციას მიუერთა.

დუჩემ სამეფო გვირგვინი მეფე ნიკოლაის შვილიშვილს, მთავარ მიხეილს შესთავაზა, შემდეგ კი პეტროვიჩ-ნეგოშების სახლის სხვა წევრებს, მაგრამ ყველამ უარი თქვა ამ შეთავაზებაზე. ამგვარად, ჩერნოგორიას ცეტინეში განლაგებული იტალიელი უმაღლესი კომისარი მართავდა, მაშინ როდესაც ქვეყნის უდიდესი ნაწილი იუგოსლაველი პარტიზნების ხელში იყო.

1943 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, იტალიელთა ღალატის შემდეგ, ჩერნოგორიაში მმართველობის სადავეები გერმანელების ხელში გადავიდა, მაგრამ მათ ვერ

შეძლეს იქ დიდი ხნით ფეხის მოკიდება. 1941 წელს იტალიის ხელში გადასული კოტორის ყურე კვლავ ჩერნოგორიასთან იქნა მიერთებული.

3. დიდი ფედერალური და კომუნისტური იუგოსლავიის პერიოდი (1945-1991წწ.)

1945 წლის 29 ოქტომბერს იუგოსლავიის მონარქია გაუქმდა, რის შემდეგაც ტიტომ **იუგოსლავიის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა.**

1946 წლის 31 იანვარს მიღებული ახალი კონსტიტუციით დამტკიცდა ექვსი რესპუბლიკისა და ორი ავტონომიური პროვინციისგან შემდგარი იუგოსლავიის (კომუნისტური) ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. ქვეყნის დედაქალაქი ბელგრადი გახდა, მაგრამ თითოეული რესპუბლიკა საკუთარი ინსტიტუტებით აღიჭურვა.

იუგოსლავიის ექვს რესპუბლიკად და ორ ავტონომიურ რეგიონად დაყოფა ორმაგ მიზანს ემსახურებოდა:

– შეძლებისდაგვარად ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც იუგოსლავიის დიდ ერებს შეესატყვისებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიქმნა მაკედონია, სერბეთი, ხორვატია და სლოვენია, და **a contrario**, თავის ისტორიულ საზღვრებში აღდგენილი იქნა ბოსნია-ჰერცეგოვინა მიუხედავად იმისა, რომ ის ხალხთა მოზაიკას წარმოადგენდა, რადგან ეთნიკურ საფუძველზე მისი დაშლა დიდ სასაზღვრო სირთულეებს შექმნიდა;

– სერბი ხალხის მძიმე ტკივილის შემსუბუქება, რაც ჩერნოგორიის აღდგენაში გამოიხატა, რომელსაც ნარსულში სრულიად განსხვავებული ცხოვრების ნესი ჰქონდა და ორი ავტონომიური პროვინციის კოსოვო-მეტოხიისა და ვოევოდინას შექმნა, რომელიც სხვადასხვა ეთნიკური ნარმომავლობის მოსახლეობის არსებობით იყო გამართლებული (ალბანელები კოსოვო-მეტოხიაში, უნგრელები ვოევოდინაში)

ამგვარად, ბულგარეთთან, უნგრეთთან და იტალიასთან სამშვიდობო ხელშეკრულებების ხელის მონერამდე, რომელსაც საზღვრები უნდა დაედგინა, იუგოსლავია შემდეგნაირად იქნა დანანილებული:

– **სერბეთის** რესპუბლიკა, დედაქალაქი ბელგრადი, საკუთრივ სერბეთისა და კოსოვო-მეტოხიისა და ვოევოდინას ორი ავტონომიური პროვინციისგან შედგებოდა;

– **ხორვატიის** რესპუბლიკა, დედაქალაქი ზაგრები, ძველი ისტორიული ხორვატია-სლოვენიისგან (ჩამოერთვა სირმია), რიეკისგან, ისტორიული დალამციისგან (დუბროვნიკთან ერთად, მაგრამ კოტორის გარეშე) შედგებოდა. ეს რესპუბლიკა ბარანიის, მეჯიმურიესა და ისტრიის მიერთებას მოითხოვდა.

– **სლოვენიის** რესპუბლიკა, დედაქალაქი ლიუბლიანა, დრავის ძველი ბანოვინისგან შედგებოდა და პრეკომურიეს, გორიციის, ტრიესტისა და დასავლეთი კრაინის მიერთებას მოითხოვდა;

– **ბოსნია-ჰერცეგოვინას** რესპუბლიკა, დედაქალაქი სარაევო, თავის ისტორიულ ფარგლებში იქნა აღდგენილი (ავსტრია-უნგრეთის კონდომინიუმი). ამავე დროს, მან სუჩურაის "ფანჯარა" დაკარგა;

– **ჩერნოგორიის** რესპუბლიკა, დედაქალაქი პოდგორიცა 1914 წლის ფარგლებში იქნა აღდგენილი. მას ჩამოერთვა მეტოხია, მაგრამ კოტორის ყურე და ჰერცეგოვინას სუჩურაის "ფანჯარა" დაემატა;

– **მაკედონიის** რესპუბლიკა, დედაქალაქი სკოპიე (უშკუბი) 1913 წელს სერბეთის მიერ ხელში ჩაგდებულ მაკედონიას შეესაბამებოდა. მას სტრუმიცას რკალი (1920წ.) და კოსოვოს სამხრეთით მდებარე მცირე ტერიტორია დაემატა.

ჩერნოგორია კვლავ იქნა აღდგენილი, როგორც ფედერაციაში შემავალი ექვსიდან ერთ-ერთი რესპუბლიკა, დედაქალაქით პოდგორიცაში (შემდგომში მას ტიტოგრადი ეწოდა).

ამჯერად ჩერნოგორიის ტერიტორია 1914 წელს არსებულის მიხედვით იქნა აღდგენილი. მას მეტოხიის ნანილი (პეჩთან ერთად) დააკლდა, რომელიც კოსოვოს

სერბულ ავტონომიურ რეგიონს გადაეცა, მაგრამ მან გუსინეს პატარა ტერიტორია შეინარჩუნა და კოტორის ყურე შემოიერთა. ჩერნოგორიის ფართობმა 13 800კმ²-ს მიაღწია, და აღნიშნული ტერიტორიული კონფიგურაცია დღესაც შენარჩუნებულია.

იუგოსლავიის ფართობმა 256 000კმ²-ს მიაღწია, ხოლო მისმა მოსახლეობამ დაახლოებით 17 მილიონი შეადგინა. ეს ფართობი შემდეგნაირად იქნა გადანაწილებული: სერბეთი 88 000 (21 000 ვოივოდინა, 11 000 კოსოვო), 57 000 ხორვატია, 20 000 სლოვენია, 51 000 ბოსნია-ჰერცეგოვინა, 14 000 ჩერნოგორია, 26 000 მაკედონია.

ამ დროიდან იუგოსლავია გახდა სახელმწიფო, რომელიც ექვს რესპუბლიკას გარკვეულ პოლიტიკურ ავტონომიას ანიჭებდა და რომელიც კომუნისტური პარტიის ყოვლისშემძლეობით იყო შერბილებული. კომუნისტური პარტია ყველა მექანიზმს აკონტროლებდა, მარშალი ტიტო კი ფედერაციას რკინის ხელით მართავდა. რესპუბლიკები, მათ შორის სერბეთიც, გარკვეული ეკონომიკური ავტონომიით სარგებლობდნენ თითოეული რესპუბლიკის ეკონომიკური სტრუქტურებისთვის დანესებული თვითმმართველობის რეჟიმის ფარგლებში.

4. პატარა იუგოსლავიაში სერბეთთან გაერთიანებული ჩერნოგორია (1991-2006წწ.)

1989-1999 წლებიდან ევროპის კომუნისტური რეჟიმების ნგრევამ იუგოსლავიის ზოგიერთ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის შესაძლებლობა მისცა. ეს ქვეყნები არაკომუნისტური ხელისუფლებებით აღიჭურვნენ და სერბეთს დაუპირისპირდნენ, რომელიც ამ დროიდან ფედერალურ ხელისუფლებას აკონტროლებდა.

თანმიმდევრობით **სლოვენიამ** (1991 წლის 25 ივნისი), **მაკედონიამ** (1991 წლის 8 სექტემბრის რეფერენდუმი), **ხორვატიამ** (1991 წლის 8 ოქტომბერი) და **ბოსნია-ჰერცეგოვინამ** (1991 წლის დეკემბერი) იუგოსლავიის ფედერაცია დატოვეს და დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. 1992 წლის 1 მარტის რეფერენდუმით, **ჩერნოგორიამ** ფედერაციაში დარჩენა გადაწყვიტა.

აღნიშნული დროიდან, **იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა სერბეთისა** და **ჩერნოგორიის** ორ რესპუბლიკამდე იქნა დაყვანილი, ხოლო მისი ფართობი შემცირდა და 102 200კმ² შეადგინა, დაახლოებით 10 მილიონი მცხოვრებით.

სერბეთმა ხორვატიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში მცხოვრები სერბების მხარდაჭერა დაიწყო, რომლებიც ამ ორი ქვეყნის მთავრობებს აუჯანყდნენ. ხორვატიის სერბული დისიდენტობა დიდწილად დამორჩილებული იქნა 1995 წელს, საბოლოოდ კი 1998 წელს. ამ მარცხმა აჯანყების წამქეზებლის, სერბეთის პრესტიჟი დასცა.

ბოსნიის სერბებმა, სერბეთთან გაერთიანების დაულოდებლად სამ წელზე მეტი ხნის ომის შედეგად, დეიტონის შეთანხმებებით, 1995 წლის ნოემბერში თავისი თვითმყოფადობის აღიარებას მიაღწიეს, რამაც მათ ბოსნიის სერბული რესპუბლიკის შექმნის შესაძლებლობა მისცა ბოსნია-ჰერცეგოვინას კონფედერაციაში.

1990 წლის კონსტიტუციის თანახმად, 1996 წლის დეკემბერში მილოშევიჩს პრეზიდენტის პოსტი უნდა დაეტოვებინა, თუმცა მან ამ თანამდებობაზე ერთ-ერთი თავისი ახლობლის, მილან მილუტინოვიჩის არჩევას შეუნყო ხელი. ამის სანაცვლოდ, 1997 წლის ივლისში მილოშევიჩმა თავი ფედერაციის პრეზიდენტად აარჩევინა. ამგვარად, მილოშევიჩს თავისი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა მიეცა მხოლოდ სერბეთთან გაიგივებულ იუგოსლავიაში, რადგან 1997 წლის ოქტომბერში ჩერნოგორიამ ახალი პრეზიდენტი, მილო დეუკანოვიჩი აირჩია, რომელსაც თავისი ქვეყნისთვის სერბეთისგან მეტი დამოუკიდებლობა სურდა. 1999 წლის გაზაფხულზე კოსოვოში მომხდარმა მოვლენებმა, რომლის დროსაც ნატოს სამხედრო ძალებმა სერბეთზე იერიში მიიტანეს, ჩერნოგორიის ხელისუფლებას სერბეთისგან ჩამოშორება და დასავლეთთან დაახლოება გადააწყვეტინა.

2001 წლის 22 აპრილს ჩერნოგორიაში ჩატარებულმა საკანონმდებლო არჩევნებმა სერბეთისგან დამოუკიდებლობის მომხრეებს (მოსალოდნელზე ნაკლები რაოდენობა) გამარჯვება მოუტანა, რამაც გზა გაუხსნა იუგოსლავიის დაშლას.

2002 წლის 14 მარტს ბელგრადში ხელი მოეწერა სერბეთისა და ჩერნოგორიის შეთანხმებას, რომელიც სამი წლის ვადით იუგოსლავიის "სერბეთისა და ჩერნოგორიის" ახალ სახელმწიფოდ შეცვლას ითვალისწინებდა. ამ ვადის ამონურვის შემდეგ სერბეთსა და ჩერნოგორიას არჩევანი უნდა გაეკეთებინა განცალკევებასა და ინტეგრაციას შორის. ამ შეთანხმებამ სერბეთის, ჩერნოგორიისა და ფედერალური პარლამენტების თანხმობა მიიღო. აღნიშნული შეთანხმებით, გათვალისწინებული იყო ერთადერთი ფედერალური ასამბლეის შექმნა და ორი სახელმწიფოს ეკონომიკის განცალკევება. ჩერნოგორიამ ფულის ერთეულად ევრო მიიღო.

2003 წლის თებერვალში **იუგოსლავია ოფიციალურად გახდა სერბეთი და ჩერნოგორია** ("სერბეთისა და ჩერნოგორიის სახელმწიფო").

VI. ჩერნოგორიის რესპუბლიკა (2006 წლიდან დღემდე)

იუგოსლავიის სახელმწიფოს შენარჩუნების ამ უკანასკნელმა მცდელობამ ვერ შეაჩერა სეპარატისტული გრძნობები ჩერნოგორიელთა უმრავლესობაში.

სამწლიანი გარდამავალი ვადის მინურულს, 2006 წლის 21 მაისს ჩერნოგორიელებმა დამოუკიდებლობას მისცეს ხმა. სერბეთისა და ჩერნოგორიის სახელმწიფო დაიშალა და 2006 წლის 3 ივნისს **ჩერნოგორიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდა.** ამგვარად, ქვეყანამ დაიბრუნა 1918 წელს დაკარგული დამოუკიდებლობა.

კოტორის ყურე

კოტორის ყურის რეგიონი 1420 წლიდან ვენეციის საზღვაო პროვინცია იყო, რომელსაც ვენეციის ალბანეთი ეწოდებოდა. ის კოტორის ყურის ცენტრში მდებარეობდა, რომელიც ციცაბო ხაპირებს შორის მოქცეული სამი აუზისგან შემდგარ შესანიშნავ შიდა ზღვას წარმოადგენდა და ვინრო გასასვლელებით ქალაქ კოტორთან (ბოლო აუზის უკიდურეს ნაწილში) იყო დაკავშირებული. პროვინცია მთიან ფერდობებამდე იყო გადაჭიმული, რომელიც ყურეს მეზობელი ქვეყნებისგან ყოფდა: თურქეთის ჰერცეგოვინა ჩრდილო-დასავლეთით, ჩერნოგორია აღმოსავლეთით, თურქეთის ალბანეთი სამხრეთით. ჩერნოგორიისთვის ის ერთსა და იმავე დროს ბუნებრივ გასასვლელსა და შურის აღმძვრელ საგანს წარმოადგენდა.

ამ პროვინციაში 30 000-მდე ადამიანი (ბოკები) ცხოვრობდა, რომელთა უმრავლესობა სლავები, კათოლიკე ან მართლმადიდებელი იყო. თეორიულად პროვინციას ვენეციიდან დანიშნული პროვიდორი მართავდა, მაგრამ პროვინციის მოსახლეობა კარგად იყენებდა ჩერნოგორიის შეუპოვრობიდან მომდინარე საშიშროებას, რის გამოც ვენეციისგან მუდმივად ჰქონდა შიდა თავისუფლება.

1797 წელს კამპო-ფორმიოს ხელშეკრულებით, კოტორის ყურე ავსტრიას გადაეცა და ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ის ავსტრიის დალმაციის ახალ პროვინციასთან იქნა მიერთებული.

1805 წელს კოტორის ყურე დალმაციის მსგავსად საფრანგეთს გადაეცა, რომელსაც იტალიის ახალ სამეფოსთან მისი მიერთება ჰქონდა გადაწყვეტილი, რომლის სუვერენიც ნაპოლეონი იყო. საფრანგეთის ჯარებმა კოტორის დაკავება დააგვიანეს, რადგან ავსტრიის წარმომადგენელმა ის რუსეთს გადასცა. საფრანგეთს რუსეთის საექსპედიციო კორპუსთან მოუხდა შეჯახება, რომელსაც ჩერნოგორიის ჯარები უმაგრებდა ზურგს. ოთხთვიანი ბრძოლების მინურულს, საფრანგეთმა უარი თქვა კოტორის ყურის სიუზერენობაზე, რომელიც de facto რუსეთის მფლობელობაში გადავიდა.

1807 წლის ტილზიტის სამშვიდობო ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო კოტორის ყურის საფრანგეთისთვის დაბრუნება. რუსეთ-ჩერნოგორიის სამხედრო ძალებმა უკან დაიხიეს და ეს ყურე იტალიის დალმაციასთან იქნა მიერთებული, რომელიც მისი ერთ-ერთი ოლქი გახდა.

1809 წელს კოტორის ყურე საფრანგეთის იმპერიის ილირიის ახალ პროვინციებთან იქნა მიერთებული, რომელშიც მან ყველაზე სამხრეთით მდებარე ოლქი შეადგინა (დუბროვნიკის (იტ. რაგუზა) საინტენდანტოს სუბდივიზიონში).

1813 წლიდან ფრანგებმა კოტორის ყურე დატოვეს, თავად ქალაქის გარდა, რომლის კაპიტულაცია დეკემბერში მოხდა. ჩერნოგორიის ეპისკოპოსმა-მთავარმა, რომელმაც ხელი შეუწყო ამ ტერიტორიიდან ფრანგების გაძევებას, კოტორისა და ჩერნოგორიის მოსახლეობის წარმომადგენელთა კრებას ჩერნოგორიისა და კოტორის ტერიტორიის გაერთიანების დადგენილება გამოატანინა.

1814 წლიდან კოტორის ყურე ავსტრიას გადაეცა და ავსტრიის დალმაციასთან იქნა მიერთებული. ჩერნოგორიელებმა უკან დაიხიეს თავიანთ სამთავროში.

ერთი საუკუნის მანძილზე კოტორის ყურე დალმაციის ხვედრს იზიარებდა. 1867 წელს ის ავსტრიის (სიზლაიტანია) ყველაზე წამყვანი სამხრეთი პუნქტი გახდა იმპერიის განაწილებაში, რომელიც ავსტრია-უნგრეთის კომპრომისით იყო განხორციელებული.

1878 წელს ბერლინის კონგრესზე, ავსტრიამ სპიშის პორტი მიისაკუთრა, რომელიც მან კოტორის რკალს შეუერთა. აღნიშნულით ავსტრიამ კოტორის ყურე ჩერნოგორიის საზღვაო "ფანჯარას" ჩამოაშორა, რომლის დატვირთვაც ბარის პორტმა (და ასევე ულცინის პორტმა 1880 წელს) მიიღო.

1920 წელს რაპალოს ხელშეკრულებით, კოტორის ყურე სერბეთის, ხორვატიისა და სლოვენიის სამეფოს გადაეცა. 1922 წელს ის დალმაციას გამოეყო და ჩერნოგორიასთან იქნა მიერთებული.

1941 წელს კოტორის ყურე ჩერნოგორიისგან იქნა გამოყოფილი (რომელიც იტალიის პროტექტორატი გახდა) და იტალიას გადაეცა. ადმინისტრაციული თვალსაზრისით ის ჩრდილოეთ დალმაციასთან იყო მიერთებული, რომელიც აღნიშნულ პერიოდში ასევე იტალიას ეკუთვნოდა. 1943 წელს ჰიტლერმა კოტორის ყურე ჩერნოგორიას მიაკუთვნა, რომელიც თავად გერმანიის პროტექტორატი გახდა.

1946 წელს კოტორის ყურე საბოლოოდ გადაეცა ჩერნოგორიას.

ჩეხეთი

ზოგადი ცნობები

რესპუბლიკური სახელმწიფო: ჩეხეთის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: ვაცლავ კლაუსი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: ორპალატიანი პარლამენტი, დეპუტატთა პალატა და სენატი.
დედაქალაქი: პრაღა.
ადმინისტრაციული დაყოფა, შვიდი რეგიონი (კრაი) და დედაქალაქი პრაღა: ცენტრალური ბოჰემია (პრაღა), სამხრეთი ბოჰემია (ჩეშკე ბუდეიოვიცე (ბუდეიისი)), დასავლეთი ბოჰემია (პლზენი), ჩრდილოეთი ბოჰემია (უსტი ნად ლაბემი (აუსიგი)), აღმოსავლეთი ბოჰემია (გრადეკ კრალოვე (კენიგრაცი)), სამხრეთი მორავია (ბრნო (ბრიუნი)), ჩრდილოეთი მორავია (ოსტრავა (მერიშ ოსტრაუ)).
ფართობი: 79 000კმ²; **მოსახლეობა:** 10, 3 მილიონი კაცი; **სიმჭიდროვე:** 130 კაცი ერთ კმ²-ზე.
ენა: ჩეხური (სლავური ენა).
რელიგიები: კათოლიკური უმრავლესობა, პროტესტანტული უმცირესობა.
ფულის ერთეული: ჩეხური კრონა.

I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ბოჰემია-მორავიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1. სათავეებიდან ლუქსემბურგის სახლის გაბატონებამდე (1310წ.)

ჩვენი წელთაღრიცხვის დასანყისში ბოჰემია კელტებით იყო დასახლებული, რომლებიც მალე გერმანული წარმოშობის ხალხმა, მარკომანებმა გააძევეს. ამ ტერიტორიაზე სლავური წარმოშობის ხალხები ჩეხები (VIს.), შემდეგ კი მორავიელები (VIIს.) დასახლდნენ. VII საუკუნეში ფრანკ სამომ იქ დროებით პირველი უნიტარული სახელმწიფო შექმნა.

VIII საუკუნეში **ჩეხებმა ერთიანი საპერცოგო შექმნეს,** რომელიც პრშემისლების დინასტიის მემკვიდრე გახდა. IX საუკუნის დასანყისში **დიდი მორავიის სამეფო** შეიქმნა, რომელშიც ხანმოკლე დროით სლოვაკეთი და ბოჰემია შედიოდა, მაგრამ უნგრელების შემოტევის გამო ეს სამეფო გაქრა იმავე საუკუნის მინურულს.

X საუკუნეში ბოჰემიის ჰერცოგის, წმინდა ვენცესლასის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყანა გერმანიის მეფეთა სიუზერენიტეტს დაექვემდებარა.

XI საუკუნის შუა ხანებში **ბოჰემიამ მორავიის ანექსია განახორციელა,** რომელიც ამის შედეგად სამარკგრაფო გახდა და თავისი ბედი ბოჰემიას დაუკავშირა.

1086 წელს **ბოჰემია სამეფო გახდა,** რომელიც თავდაპირველად არჩევითი მონარქია, 1230 წელს კი მემკვიდრეობითი მონარქია გახდა. პრშემისლების დინასტიის უკანასკნელი მემკვიდრის გარდაცვალების შემდეგ (1306წ.), მეფის გვირგვინი არჩევითი გახდა და სწრაფად გადავიდა ჰაბსბურგების სახლის ხელში. შემდგომში ის ლუქსემბურგის სახლმა მიისაკუთრა, რომელიც მას 1437 წლამდე განაგებდა.

2. ლუქსემბურგის სახლის მმართველობა (1319-1437წწ.)

ბოჰემია გაბრწყინდა ლუქსემბურგის სახლის მმართველობის პერიოდში. იან I-ის (ბრმა) მეფობის დროს, ბოჰემიამ ზემო ლაუზიცი (ლუჟიცა) დაიპყრო და თავისი

სიუზერენობა სილეზიის საჰერცოგოების უდიდეს ნაწილზე (1335წ.) დაამყარა. პირველი დაპყრობილი ტერიტორია საქსონიის იყო და ელბისა და ნეისეს შორის მდებარეობდა, მეორე კი ოდერის ზემო აუზზე იყო განლაგებული.

იან I-ის ვაჟმა, იმპერატორმა კარლ IV-მ (ბოჰემიის მეფე) გააფართოვა თავისი სახელმწიფოები სილეზიისა და ქვემო ლაუზიცის დარჩენილი ტერიტორიების მიერთებით (1370წ.). ამას გარდა, "საღვთო რომის იმპერიის" ფარგლებში, საიმპერატორო არჩევნების წესების დადგენის დროს (1356 წლის ოქროს ბულა), კარლ IV-მ განკარგულება გამოსცა ბოჰემიის სამეფოს პირველი საერო წევრობის თაობაზე შვიდ ამომრჩეველთა კოლეგიაში. აღნიშნულ პერიოდში, ბოჰემია-მორავიაში გაიზარდა, როგორც გერმანელ დიდგვაროვანთა, ისე გლეხთა დასახლება, რომლებიც იქ ქვეყნის ასათვისებლად ჩადიოდნენ.

კარლ V-ის მეფობის დროს, პრაღა გარკვეული დროით იმპერიის დედაქალაქად იქცა. მას ჰქონდა საარქიეპისკოპოსო (1344წ.) და უნივერსიტეტი (1348წ.).

ვენცესლას IV-ის (1378-1419წწ.) მეფობის დროს, ბოჰემია მღელვარებამ მოიცვა, რომელიც იან ჰუსის რეფორმატორული მოძრაობის გავლენით იყო გამოწვეული. იან ჰუსის კოცონზე დაწვას (1415წ.) ქვეყანაში რევოლუციური ამბოხება მოჰყვა. 1419 წელს ჰუსიტებმა კათოლიკე დიდგვაროვნებს პირველი დეფენესტრაცია მოუწყვეს პრაღის კოშკში. ვენცესლასის ძმა, ახალი მეფე სიგიზმუნდი, ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის უნაყოფო მცდელობის შემდეგ, რელიგიურ კომპრომისს კომპაქტატს დასთანხმდა, რომელიც 1433 წელს ბაზელის საეკლესიო ტაძრის დადგენილებით შემუშავდა.

3. 1437 წლიდან ავსტრიის სახლის დამკვიდრებამდე (1526წ.)

მეფე სიგიზმუნდის გარდაცვალებას (1437წ.) აჯანყებები და იმპერატორ ალბერტ ჰაბსბურგელის ორწლიანი მეფობა მოჰყვა, რომელიც უტრაკვისტი ჩეხი დიდგვაროვნის, გიორგი პოდიბრადის მეფობამ შეცვალა (1458-1471წწ.). ეს უკანასკნელი ტახტზე პოლონეთის იაგელონთა სახლის ორმა მეფემ შეცვალა, ლადისლას II-მ (1471-1516წწ.) და ლუდვიგ II-მ (1516-1526წწ.), რომელიც ასევე უნგრეთის მეფე იყო.

ჰაბსბურგებმა სასურველი კავშირები გააბეს იაგელონებთან: კარლ V-ის უმცროსმა ძმამ ფერდინანდმა ცოლად შეირთო ლუდვიგ II-ის და ანა, ლუი II-ის მეუღლე მარია კი კარლ მეხუთისა და ფერდინანდის და იყო. 1526 წელს ლუდვიგ II მოჰაკის ბრძოლის დროს გარდაიცვალა სულეიმან ბრწყინვალის თურქებთან ბრძოლაში. ფერდინანდმა ბოჰემიის სამეფო გვირგვინი მიიღო (ისევე როგორც უნგრეთის). ბოჰემია თითქმის ოთხი საუკუნე ჰაბსბურგების მფლობელობაში გადავიდა.

4. ბოჰემიის სამეფო გვირგვინი, ჰაბსბურგების სახლის სამფლობელო (1526-1789წწ.)

ავსტრიის სახლის პირველი სამი სუვერენის მეფობის დროს, ფერდინანდ I, მაქსიმილიან II და რუდოლფ II, ბოჰემია-მორავიის ცხოვრება მშვიდად მიედინებოდა. რუდოლფ II პრაღაში დაფუძნდა (1582-1612წწ.), რომელიც გარკვეული დროით იმპერიის ქალაქად იქცა. ამავე დროს, ქვეყანაში პროტესტანტიზმმა მოიკიდა ფეხი, რომელიც ხელისუფლების ტოლერანტობით სარგებლობდა: "ჩეხური სარწმუნოება" ლუთერანიზმსა და უტრაკვიზმს შორის კომპრომისს წარმოადგენდა.

მატიასის მეფობის დროიდან, რომელიც ტახტზე ფერდინანდ II-მ შეცვალა (1618წ.), კათოლიციზმის აღდგენის სულისკვეთება გაჩნდა. პრაღის მეორე დეფენესტრაციის დროს (1618წ.), პროტესტანტების მიერ სამეფოს ორი გენერალ-ლეიტენანტის მკვლელობამ კოცონს ცეცხლი შეუნთო.

ოცდაათწლიანმა ომმა (1618-1648წწ.) გერმანია, შემდეგ კი ევროპა მოიცვა. 1619 წელს ბოჰემიის პარლამენტმა ფერდინანდ II-ს უფლებები ჩამოართვა და მის ნაცვლად ტახტზე პფალცის კურფიურსტი, კალვინისტი ფრედერიკ V ავიდა. 1620 წელს ფერდინანდ II-მ იგი თეთრ მთასთან ბრძოლის დროს დაამარცხა, რის შემდეგაც ფრედერიკ V ქვეყნიდან გაიქცა ("ზამთრის მეფე"). ბოჰემიას ძლიერი რეპ-

რესიები დაატყდა თავს: ყოველგვარი ავტონომიის დაკარგვა, კანცელარიის ვენაში გადატანა, ვენიდან მართული პროვინციების (პარლამენტი და ადგილობრივი ხელისუფლება) გერმანელ დიდგვაროვანთა ხელში გადასვლა, ამ დრომდე არჩევითი მონარქიის ავსტრიის სახლის მიერ მემკვიდრეობითად გამოაცხადება, კონტრ-რეფორმის განხორციელება.

გერმანიაში ომით გამონვეულმა უბედურებებმა 1635 წელს იმპერატორი ფერდინანდი აიძულა **საქსონიის ამომრჩეველისთვის ორივე ლაუზიცი (ლუჟიცა) დაეთმო.**

კონფლიქტი დასრულდა ვესტფალიის ხელშეკრულებების ხელმოწერით (1648წ.). ამ კონფლიქტის შედეგად ბოჰემია-მორავიამ დიდი ზარალი განიცადა და ჰაბსბურგებისგან ძალზე დამოკიდებული გახდა.

ერთი საუკუნის შემდეგ, უკანასკნელმა ისტორიულმა მოვლენამ (ავსტრიის მემკვიდრეობისთვის ომმა (1740-1748წწ.)), ბოჰემიის სამეფო გვირგვინის ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია. დასანყისშივე, მეფე ფრიდრიხ II-ის მიერ დამარცხებული დედოფალი (მომავალი იმპერატორი), მარია-ტერეზა გადანყვეტილებებს დაემორჩილა: ბრესლაუს (ვროცლავი) სამშვიდობო ხელშეკრულებით (1742წ.), მან **პრუსიას სილეზიის უდიდესი ნაწილი დაუთმო** (ჩესკი-ტეშინის სამთავროებისა (მთლიანად) და ნანილობრივ ტროპაუს გარდა), **ისევე როგორც გლატცის** (კლოძკო) **საგრაფო** (ბოჰემიის). მიუხედავად შემდგომი ძალისხმევისა, მარია-ტერეზამ ეს ტერიტორიები ვეღარ დაიბრუნა.

განმანათლებელთა იდეებით გამსჭვალულმა იოსებ II-მ თავისი მეფობის პერიოდში (1780-1790წწ.), მისდამი დაქვემდებარებულ სახელმწიფოებში სხვადასხვა სფეროს რეფორმა განახორციელა. ადმინისტრაციული თვალსაზრისით, მას ამ სახელმწიფოთა გაერთიანება სურდა მსგავსი ინსტიტუტებით აღჭურვილი ცამეტი საგუბერნატოროს შექმნით: ერთი მხრივ, მორავია და მეორე მხრივ, სილეზია ამ ცამეტი გუბერნიიდან ორი უნდა გამხდარიყო. ამ რეფორმამ პროვინციების მტრული განწყობა გამოიწვია, რაც მათ პარტიკულარიზმთან იყო დაკავშირებული. რეფორმის გატარება იოსებ II-ის ეაჟის, ფრანც II-ის ტახტზე ასელისთანავე შენყდა.

II. ბოჰემია-მორავია 1789 წელს

ავსტრიის სახლის სამფლობელოებში ბოჰემიის სამეფო, მორავიის სამარკგრაფო და სილეზიის საჰერცოგო (ამ უკანასკნელის ფართობი შემცირდა 1742 წელს), გავრცელებული გამოთქმით, ბოჰემიის სამეფო გვირგვინის ან ნნინდა ვენცესლასის ქვეყნებს წარმოადგენდა.

ბოჰემია (53 000კმ²) ელბის ზემო აუზზე მდებარე პლატო იყო, მისი ტერიტორია დახურულ რომბს ("ოთხკუთხედი") ჰგავდა, რომელსაც სამ მხარეს გარს ერტყა მთების ქედები (გოლიათთა მთები ჩრდილო-აღმოსავლეთით, მეტალის მთები ჩრდილო-დასავლეთით, ბოჰემიის ტყე (მთები) სამხრეთ-დასავლეთით). მესამე მხარე, სამხრეთ-დასავლეთით (მორავიის მთები) უფრო სუსტ ბარიერს ქმნიდა, რომელიც მას მორავიისგან ყოფდა. ბოჰემიის დედაქალაქი პრაღა მდინარე მოლდუზე (ვლტავა) მდებარეობდა, რომელიც ელბას უერთდებოდა.

მორავია (21 000კმ²) საშუალო სიმაღლის მთების რეგიონი იყო, რომელიც ძირითადად მდინარე მარშის (მორავა) აუზს მოიცავდა (დუნაის მარცხენა ნაპირის შენაკადი). დასავლეთით, მორავიის მთები მას ბოჰემიისგან, ხოლო მცირე კარპატები უნგრეთისგან (აღმოსავლეთით) ყოფდა.

ავსტრიის სილეზია (5 000კმ²) ძველი სილეზიის რამდენიმე სამხრეთი ფრაგმენტისგან შედგებოდა, რომელიც 1742 ნლიდან ავსტრიას დარჩა. ჩრდილოეთით ის გადაჭიმული იყო ოდერისა და ვისლის გამყოფ ზონაზე და იოლად გადასავალ ზღურბლზე ("მორავიის კარი"), რომელიც მორავიაში შესვლის შესაძლებლობას იძლეოდა.

ამ ტერიტორიების ჩეხური მოსახლეობის ერთგვაროვნება თანდათან პრუშემისლების დინასტიის დროს დანყებული გერმანელთა კოლონიების დასახლებით შე-

იცვალა, რომელიც ლუქსემბურგელების ბატონობის დროსაც გაგრძელდა და ოცდაათნლიანი ომის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. ამგვარად, გერმანელები ბოჰემიის მოსახლეობის მესამედს, მორავიის მოსახლეობის მეოთხედს და ავსტრიის სილეზიის მოსახლეობის ნახევარს შეადგენდნენ. ბოჰემიაში გერმანელები თანაბრად იყვნენ დასახლებულნი ეგერის (ხები), კარლსბადის (კარლოვი ვარი), აუსიგის (უსტი ნად ლაბემი), რაიხენბერგის (ლიბერეცი), ტრაუტენაუს (ტრუტნოვო) და კრიუმაუსა (მორავსკა– ტრებოვა) და ზნაიმის (ზნოიმო) გარშემო. პრაღის მოსახლეობის უმრავლესობა გერმანელებისგან შედგებოდა.

მთლიანობაში ბოჰემიის ტერიტორიაზე დაახლოებით 4 000 000 კაცი ცხოვრობდა.

ბოჰემიის სამეფო გვირგვინის ტერიტორიები ერთსა და იმავე დროს ცივი და მოსავლიანი იყო, განვითარებული სოფლის მეურნეობითა და მესაქონლეობით. მის ნიაღში მრავლად მოიპოვებოდა სამთო და მინერალური (წყლები) ნიაღისეული, რაც დიდად უწყობდა ხელს რეგიონში მრეწველობის განვითარებას (მინის წარმოება). ბოჰემიის ბევრი ქალაქი აყვავებულ ცენტრებს წარმოადგენდა, მაგრამ პრაღა განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი საქმიანობის აღმავლობით, ძველი უნივერსიტეტით (1348წ.) და მონუმენტური იერსახით.

ტერიტორიული თვალსაზრისით, ბოჰემიის სამეფო გვირგვინის ტერიტორიები ამგვარად იყო დაყოფილი:

– ბოჰემიის სამეფო, დედაქალაქი პრაღა, პრაღის საკაპიტნოსა და 16 ოლქისგან შედგებოდა: რაკონიტცი (შლანი), კენიგრაცი, ბერაუნი, ბიუნცლაუ, ბიდშოვი (ჟიტშინი), ჰრუდიმი, ცალსაუ, ტაბორი, ბუდვეისი, პრაშინი (პისეკი), კლატაუ, პლზენი, ელბოგენი, სატცი, ლაიტმერიცი;

– მორავიის სამარკგრაფო, დედაქალაქი ბრუნი (ბრნო), 6 ოლქისგან შედგებოდა: ბრუნი, იგლაუ, ზნაიმი, ჰრუდიმი, ოლომოუცი, პრერაუ (ვაისკირხენი);

– სილეზიის საჰერცოგო, დედაქალაქი ტროპაუ (ოპავა), შემცირებული ტეშინის სამთავრომდე და ტროპაუს, იეგენდორფისა და ნეისეს ნაწილებამდე. ის ორი ოლქისგან შედგებოდა: ტროპაუ (ოპავა), ტეშინი (გამოყოფილი მერიმ ოსტრაუს მორავიის რკალით).

ბოჰემიის სამეფო გვირგვინი "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) შემადგენლობაში შედიოდა. აქედან გამომდინარე, ავსტრიის სახლის მეთაურს საარჩევნო ქუდი ჰქონდა. როგორც ბოჰემიის მეფეს, მას ასევე ეკუთვნოდა ერთი ადგილი რეგენსბურგის საიმპერატორო საბჭოს დიეტში.

III. ავსტრიის ბოჰემია-მორავია (1789-1918წწ.)

1. 1789 წლიდან ავსტრია-უნგრეთის კომპრომისამდე (1867წ.)

ავსტრიის სახლის სახელმწიფოთა შუაგულში მდებარე ბოჰემია-მორავიას პირდაპირ არ შეხებია ნაპოლეონის ეპოქის ბობოქარი დღეები. 1804 წელს ის ავსტრიის ახალ იმპერიაში იქნა შეყვანილი, რომელიც იმპერატორმა ფრანცმა თავისი სამფლობელოების გასაერთიანებლად შექმნა. 1806 წელს "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანული ერის) გაქრობამ, იმპერატორს იმპერიის ელექტორატის წამყვანი როლი დააკარგინა.

1815 წლის ივნისში ბოჰემიის სამეფო გვირგვინის ტერიტორიები გერმანიის კონფედერაციაში შევიდა, რომელიც ახალ გერმანულ ტერიტორიულ გაერთიანებას წარმოადგენდა ავსტრიის იმპერატორით სათავეში.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში თავი იჩინა ეროვნული თვითმყოფადობის გამოღვიძებამ, ინტელექტუალთა ჯგუფის "წამქეზებლების" (ლინგვისტები, მწერლები და ისტორიკოსები) ზეგავლენით, რომელთა შორის გამოირჩეოდა "ჩეხი ერის მამა" პალაცკი. ამ მოძრაობის მიზანი ავსტრიის იმპერიაში ჩეხეთის ავტონომიის ჩამოყალიბება იყო. აღნიშნული განსაკუთრებით ეკონომიკურად აყვავებულ ბოჰემია-მორავიაში შეიმჩნეოდა, რომელიც იმპერიის წამყვან სამრეწველო ოლქად ყალიბდებოდა.

ამავე დროს, პრაღაში იმპერიაში შემავალ სლავთა კონგრესი შეიკრიბა, რომლის მიზანიც სლავების უფლებათა დაცვა წარმოადგენდა. ვენის მთავრობამ ჯარის გამოყენებით დაშალა კონგრესი (1848 წლის ივნისი).

1849 წლის მარტში, 1848 წლის ეროვნული სულისკვეთების აღმავლობის საპასუხოდ, ავსტრიამ ცენტრალიზებული სისტემა შემოიღო, რომლის თანახმად, სამეფო გვიგვინის 18 ტერიტორია შეიქმნა (Kronlœnder): ამ ტერიტორიებიდან სამი ბოჰემიის იყო: ბოჰემია (პრაღა), მორავია (ბრნო), სილეზია (ტროპაუ). აღნიშნულს ოცი წლის განმავლობაში რეაქციული პოლიტიკის გატარება მოჰყვა.

2. 1867 წლიდან ავსტრიის ბატონობის დასასრულამდე (1918წ.)

იტალიასთან (1859წ.), შემდეგ კი პრუსიასთან (სადოვა 1866წ.) ავსტრიის დამარცხებამ ვენის ხელისუფლების დასუსტება გამოიწვია, რომელიც უნგრელების ფარული წინააღმდეგობის ჩაცხრომას ცდილობდა და ამავე დროს, მათთან ერთად იმპერიის მართვის ტვირთს ინაწილებდა.

1867 წლის 28 ივნისის კომპრომისით, რომელსაც ავსტრიამ და უნგრეთმა მოანერეს ხელი, ბოჰემიის უფლებები არ ულიარებიათ, თუმცა ის ძველი სამეფო იყო და უნგრეთთან თანაბარი უფლებები ჰქონდა, რაც მისთვის ავტონომიის მინიჭების საფუძველს ქმნიდა. ბოჰემიის სამეფო გვირგვინის სამმა ტერიტორიამ ახალი დუალისტური მონარქიის ავსტრიული ნახევრის (ციზლაიტანია) ჩვიდმეტიდან სამი ტერიტორია შეადგინა.

მართლმსაჯულების მხრიდან ამგვარი უარით შეურაცხყოფილმა ჩეხებმა ციზლაიტანიის პარლამენტში თავისი ნარმომადგენლები აღარ გაგზავნეს.

თუმცა იმპერატორი ფრანც-იოსები პიროვნულად მტრულად არ იყო განწყობილი ჩეხების მოთხოვნების მიმართ. 1871 წლის სექტემბერში იმპერატორის ინიციატივით, ბოჰემიის დიეტმა ძირითადი უფლებები შეიმუშავა, რომელთა საფუძველზე შეთავაზებულ იქნა ურთიერთობების დამყარება ბოჰემია-მორავიასა და დანარჩენ ციზლაიტანიას შორის (1867 წელს უნგრეთისთვის აღიარებული უფლებების მსგავსად).

აღნიშნული მცდელობა 1871 წლის ნოემბერში ჩაიშალა ბოჰემია-მორავიის გერმანელთა, უნგრეთისა და გერმანიის იმპერიის ზენოლის ქვეშ.

ამგვარად, ბოჰემიის სამეფო ვვირვვინის ტერიტორიები ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში (ციზლაიტანია) სამ ტერიტორიად დაყოფილი დარჩა:

ბოჰემია, დედაქალაქი პრაღა, რომელიც 14 ოლქად დაიყო: პრაღა, პრაღის რეგიონი, ბუდეეისი, პისეკი, ეგერი, შაცა, ლაიტმერიტცი, ბუნცლაუ, კენიგრაცი (გრადეც-კრალოვე), პრუდიმი, ჟილინა, ცასლაუ, ტაბორი;

– მორავია, დედაქალაქი ბრნო, რომელიც 7 ოლქად დაიყო: ბრნო, ბრნოს რეგიონი, ოლომოუცი, ნოვე-მესტო, ზნომო, ჰრადიში, იგლაუ;

– სილეზია, დედაქალაქი ოპავა (ტროპაუ), ორ ოლქად დაიყო: ოპავა, ჩესკიტეშინი.

ამ დროიდან, ჩეხების ინტელექტუალთა ნრეებში გაყოფა მოხდა ძველ ჩეხებსა (ავსტროსლავიზმის (პაცკის გავლენით) ლოიალობის ფარგლებში) და ახალგაზრდა ჩეხებს (გამოყოფის, ჩეხეთის დამოუკიდებლობის მომხრეები (მოძრაობა "სოკოლი")) შორის.

1882 წლიდან მოხელეთათვის აუცილებელი გახდა ორი ენის, გერმანულისა და ჩეხურის ცოდნა. პრაღის უნივერსიტეტშიც ბილინგვიზმი დამკვიდრდა. ჩეხეთის მოძრაობა აღორძინებას განიცდიდა კულტურის სფეროში, რომელიც ნიადაგს ამზადებდა ჩეხების პოლიტიკური ავტონომიისათვის.

პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში ჩეხმა ხალხმა მონარქიისადმი ლოიალობა გამოიჩინა და იმპერიაში შემავალი სხვა ხალხების მსგავსად, ამ კონფლიქტის შედეგად მძიმე განსაცდელი გადაიტანა.

1915 წლიდან პარიზსა და ლონდონში ჩეხეთის ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელები (მასარიკი, ბენეში) დამკვიდრნენ, რომლებსაც ანტანტის გამარჯვებით ბოჰემიის დამოუკიდებლობის მიღნევა სურდათ. ისინი გაგებით მიიღეს

ფრანგ ინტელექტუალთა წრეებში (ერნესტ დენი). 1916 წელს ნაციონალისტმა ჩეხებმა პარიზში სლოვაკების წარმომადგენელთან, სტეფანეკთან ერთად ჩეხოსლოვაკიის ეროვნული საბჭო შექმნეს.

1917 წლის დეკემბერში კლემანსომ თანხმობა მისცა ჩეხური არმიის შექმნას, რომელიც 1918 წელს მოკავშირეთა ჯარებს შეუერთდა.

აღნიშნული დროის მანძილზე, იმპერატორი კარლ I, რომელმაც ტახტზე ფრანც-იოსები შეცვალა, ამაოდ ცდილობდა რეალური ავტონომიის მინიჭებას იმპერიაში შემავალი სლავებისთვის ფედერალური სახელმწიფოს ფარგლებში, რომლის შემადგენელი ნაწილი გაერთიანებული ბოჰემია-მორავია და სლოვაკეთი უნდა გამხდარიყო.

ცენტრალური სახელმწიფოების დამარცხებას ავსტრია-უნგრეთის დაქუცმაცება მოჰყვა. 1918 წლის 8 ოქტომბერს ვაშინგტონში, შემდეგ კი 28 ნოემბერს პრაღაში, მასარიკმა ახალი სახელმწიფოს, **ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის** შექმნა გამოაცხადა. ეს სახელმწიფო ბოჰემია-მორავიისა და სლოვაკეთის (ყოფილი ზემო უნგრეთი) საფუძველზე უნდა შექმნილიყო, რომლის საზღვრები და ცხოვრების პირობები მომავალ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე უნდა გადაწყვეტილიყო.

IV. თანამედროვე ბოჰემია-მორავია (1918 წლიდან დღემდე)

1. პირველი ჩეხოსლოვაკია (1918-1939წწ.)

1919 წლის გაზაფხულზე პარიზში სამშვიდობო მოლაპარაკებები გაიმართა, რომელზეც დამარცხებული ქვეყნები არ იქნენ მოწვეული. სამაგიეროდ, იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც დამარცხებულთა ადგილი დაიკავეს საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება მიეცათ. დამარცხებულ ქვეყნებთან ხუთ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.

1919 წლის 28 ივნისის ვერსალის ხელშეკრულებით, **გერმანიამ** პრუსიის სახელით **ჩეხოსლოვაკიას ოლშინის ტერიტორია დაუთმო,** რომელიც 1742 წელს პრუსიის მიერ ანექსირებულ ტროპაუს (ოპავის) სამთავროს ჩრდილოეთ ნაწილს შეესაბამებოდა.

1919 წლის 10 სექტემბრის სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით, **ავსტრიამ** ყოფილი ციზლაიტანიის სახელით:

– ჩეხოსლოვაკიას დაუთმო ბოჰემიის, მორავიისა და ავსტრიის სილეზიის დასავლეთი ნახევარი (ოპავა), ისევე როგორც ქვემო ავსტრიის ორი ტერიტორიული ფრაგმენტი (პირველი ზნოიმოს სამხრეთით, მეორე გმიუნდის დასავლეთით);

– უარი თქვა ავსტრიის სილეზიის აღმოსავლეთ ნახევარზე (ჩესკი-ტეშინი) – რომელსაც ერთმანეთს პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია ედავებოდა.

პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის შეურიგებელი პოზიციის გამო ჩესკი-ტეშინთან დაკავშირებით, ამ ტერიტორიის საკითხის მოგვარება მხოლოდ ელჩების კონფერენციაზე მოხერხდა 1920 წლის ივლისში.

სილეზიის ჩესკი-ტეშინი ორ ქვეყანას შორის გაიყო:

– აღმოსავლეთი ნაწილი, ქალაქ ჩესკი-ტეშინთან **ერთად პოლონეთს გადაეცა;**

– დასავლეთი ნაწილი, ჩესკი-ტეშინის სადგურთან და ბოჰუმენთან (ოდერბერგი) და ფრიდეკთან ერთად **ჩეხოსლოვაკიას გადაეცა,** რამაც ამ უკანასკნელს სარკინიგზო ხაზით (კოშიცე-ბოჰუმენი) მორავიასა და სლოვაკეთთან დაკავშირების საშუალება მისცა.

აღნიშნული დროიდან ბოჰემია, მორავია და ყოფილი ავსტრიის სილეზიის უდიდესი ნაწილი ახალი ჩეხოსლოვაკიის ნაწილი გახდა. ამ სახელმწიფოს ფართობი 140 000კმ²-ს, ხოლო მოსახლეობა 13 600 000 კაცს შეადგენდა, საიდანაც 52 000კმ² და 6 700 000 კაცი ბოჰემიაში, 22 000კმ² და 2 700 000 კაცი მორავიაში, 4 500 000კმ² და 700 000 კაცი ჩეხოსლოვაკიის სილეზიაში (ოპავა, ჰლუსინი, ჩესკი-ტეშინის ნახევარი).

1920 წელს სახელმწიფო საფრანგეთის მოდელით შექმნილი კონსტიტუციით აღიჭურვა. ჭეშმარიტად დემოკრატიული რეჟიმის მქონე ჩეხოსლოვაკიამ (რაც არც ისე ხშირი იყო ცენტრალურ ევროპაში) რუმინეთთან და იუგოსლავიასთან ერთად მონანილეობა მიიღო მცირე ანტანტაში (საფრანგეთის მხარდაჭერით შექმნილი თავდაცვითი ალიანსი). ამასთანავე, ქვეყნის შიგნით ეროვნულ უმცირესობათა საკითხი მოუგვარებელი რჩებოდა; გერმანელები ბოჰემია-მორავიაში, უნგრელები და უკრაინელები სლოვაკეთში. განსაკუთრებული ანტაგონიზმი არსებობდა ჩეხებსა და სლოვაკებს შორის, რომელმაც მალე იჩინა თავი. ბოჰემია-მორავიაში მცხოვრები გერმანელები არ იქნენ დაშვებულნი 1919 წლის პლებისციტში მონანილეობის მისაღებად იმ მოტივით, რომ ბოჰემია-მორავია წარმოადგენდა იმ გეოგრაფიულ ერთობლიობას, რომელიც აუცილებელი იყო ახალი ჩეხოსლოვაკიის აყვავებიისა და უსაფრთხოებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკამ ცნო გერმანელთათვის ეროვნული უმცირესობის უფლებები, რომელიც შესაძლებელია უკეთ იყო დაცული სხვა ქვეყნებთან შედარებით, ისინი მაინც უარს ამბობდნენ ამ სახელმწიფოსადმი მიკუთვნებაზე.

აღნიშნულს (1938 წლის მარტი) შედეგად ბოჰემია-მორავიის უდიდესი ნაწილის რაიხის ტერიტორიით გარშემორტყმა მოჰყვა, "სუდეტების" გერმანელთა ნრეებში ამ ტერიტორიის რაიხში შეყვანას აცხადებდნენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანელთა მუქარის პირისპირ, 1938 წლის 29 სექტემბერს მიუხხენში მუსოლინის შუამავლობით კონფერენციაც შეიკრიბა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ოთხი ძლიერი სახელმწიფო (გერმანია, იტალია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი), ჩეხოსლოვაკიის გარდა.

კონფერენციაზე გადაწყდა, რომ 1 ოქტომბერს **ჩეხოსლოვაკიას გერმანიისთვის "სუდეტების" ტერიტორია** (29 000კმ²) **უნდა გადაეცა**, რომელიც ბოჰემიასა (კრუმაუ, ხები, კარლსბადი (კარლოვი ვარი), შაცა, აუსიგი (უსტი ნად ლაბემი), რაიხენბერგი (ლიბერეცი), ტრაუტენაუ) და მორავიას (მერიმ ტრიუბაუ, ნოიტიტშაინი) გამოეყო, ტროპაუს (ოპავა)) სილეზიასთან ერთად (ჰლუსის ჩათვლით). აღნიშნული ტერიტორიებიდან სუდეტების ახალი გერმანული პროვინცია შეიქმნა, დედაქალაქი რაიხხბერგი (ლიბერეცი).

30 სექტემბრის პოლონეთის ულტიმატუმის თანახმად, **ჩეხოსლოვაკიამ 2 ოქტომბერს პოლონეთს 1920 წელს შენარჩუნებული ჩესკი-ტეშინის სილეზიის ნახევარი დაუთმო**, ბოჰუმენთან და ჩესკი-ტეშინის სადგურთან ერთად, მაგრამ ფრიდეკის გარეშე (1 000კმ²).

ბოჰემია-მორავია-სილეზიის ტერიტორია 79 000-დან 49 000კმ²-მდე იქნა დაყვანილი.

2. ბოჰემია-მორავიის პროტექტორატი (1939-1945წწ.)

ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევით (სიტყვიერი), ჰიტლერმა მოიშველია რა ფუჭი ისტორიული და გეოპოლიტიკური მსჯელობები, 15 მარტს პრეზიდენტ ჰაშას **ჩეხოსლოვაკიის დაშლა**, სლოვაკეთისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება და **ბოჰემია-მორავიის გერმანიის რაიხში შესვლა აიძულა პროტექტორატის ფორმით.** ჩეხოსლოვაკიის მთავრობა (ბენეში) ლონდონში გაიხიზნა.

მეორე მსოფლიო ომის დასანყისშივე, ჰიტლერი სტალინთან ერთად პოლონეთის მეხუთე გადანაწილებას შეუდგა (1939 წლის 19 ოქტომბერი). ჰიტლერმა გერმანიის რაიხს მიუერთა **პოლონეთის მიერ 1920 და 1938 წლებში ანექსირებული ჩესკი-ტეშინის სილეზიის ნაწილი**, რომელიც გერმანიის სილეზიასთან იქნა მიერთებული.

1941 წელს ჰლუსინისა და ჩესკი-ტეშინის სილეზია (1938 წელს ჩეხოსლოვაკიის ხელში დარჩენილი ფრაგმენტის გარდა) დიდი-ზემო-სილეზიის გერმანულ პროვინციასთან გაერთიანდა.

ბოჰემია-მორავია მკაცრი საოკუპაციო რეჟიმის ქვეშ მოექცა: უნივერსიტეტების დახურვა, საევალდებულო მუშაობა გერმანიისთვის, დეპორტაციები და სხვ. ამასთანავე, თავისი მდებარეობის გამო (ცენტრალური), 1945 წლამდე ბოჰემია-მორავია ბრძოლებს გადაურჩა.

ომის დასასრულს ჩეხებმა შური იძიეს (პოტსდამის კონფერენციაზე გამარჯვებულ სახელმწიფოთა თანხმობით) და გერმანელები ძალით გააძევეს სუდეტებიდან. ამგვარად, გერმანული ეროვნული უმცირესობის საკითხი ძალზე უხეში ფორმით გადაიჭრა.

3. მეორე ჩეხოსლოვაკია (1945-1992წწ.)

1945 წლის 11 მაისს გერმანიაზე გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა **ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა აღადგინეს** 1920 წლის საზღვრებში. 1945 წლის ივნისში ჩეხოსლოვაკიამ კარპატისპირეთის ოლქი დაკარგა. ბოჰემია-მორავია-სილეზია კვლავ ჩეხოსლოვაკიის ძირითადი შემადგენელი ნაწილი გახდა (ახალი უნიტარული რესპუბლიკა). 1945 წლის 21 ივნისს აღდგენილ იქნა 1920 წლის ჩეხეთ-პოლონეთის საზღვარი.

ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში ბოჰემია-მორავია შვიდ რეგიონს მოიცავდა: ცენტრალური ბოჰემია (პრაღა), სამხრეთი ბოჰემია (ბუდეიოვიცე), დასავლეთი ბოჰემია (პლზენი), ჩრდილოეთი ბოჰემია (უსტი), აღმოსავლეთი ბოჰემია (ჰრადეც კრალოვე), სამხრეთი მორავია (ბრნო), ჩრდილოეთი მორავია (ოსტრავა).

თავდაპირველად, 1946 წელს ქვეყანაში დემოკრატიული რეჟიმი აღდგა, მაგრამ კომუნისტების დიდი მონაწილეობით, რომელთაც მხარს უმაგრებდა საბჭოთა კავშირთან ფორმალური ალიანსი და ადგილზე საბჭოთა საოკუპაციო ჯარების ყოფნა.

1948 წლის თებერვალში "პრაღაზე იერიშით", კომუნისტებმა გაზარდეს თავიანთი გავლენა ხელისუფლებაზე. 9 მაისს ახალი კონსტიტუციით **სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა**, ხოლო ივნისში ბენეშმა ადგილი კომუნისტ გოტვალდს დაუთმო.

ოცი წლის განმავლობაში ქვეყანა საბჭოთა კავშირის სატელიტი სახელმწიფო იყო, ვარშავის პაქტისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი.

1968 წლის გაზაფხულზე ახალი კომუნისტური მმართველობა რეჟიმის შერბილებას რეფორმების პროგრამის მიღებით შეეცადა. ეს მცდელობა ჩახშობილი იქნა 1968 წლის აგვისტოში ევროპის კომუნისტური ბლოკის ძალთა მიერ, ქვეყანაში ძველი კომუნისტური რეჟიმი აღდგა.

1968 წლის ოქტომბერში "წესრიგში მოყვანილმა" ჩეხოსლოვაკიამ ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომელიც 1969 წლის 1 იანვარს ძალაში უნდა შესულიყო. ახალი **ჩეხეთ-სლოვაკეთი** ფედერალური სახელმწიფო იყო, რომელიც ორი რესპუბლიკისგან შედგებოდა: ბოჰემია-მორავია, დედაქალაქი პრაღა; სლოვაკეთი, დედაქალაქი ბრატისლავა (პრესბურგი).

ბოჰემია-მორავიას მთავრობა და პარლამენტი ჰყავდა.

ინტელექტუალთა ნრეების ინიციატივით ქვეყანაში საპროტესტო მოძრაობა დაიწყო (ვაცლავ ჰაველის მონაწილეობით).

ისარგებლა რა საერთაშორისო გარემოცვით, ჩეხეთ-სლოვაკეთმა 1989 წელს ბოლო მოუღო კომუნისტურ რეჟიმს ("ხავერდოვანი რევოლუცია"). 29 ნოემბერს კონსტიტუციამ ცვლილებები განიცადა პლურალიზმისა და არჩევნების წესის მიმართულებით. 29 დეკემბერს ვაცლავ ჰაველის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევამ **დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიისკენ** შემობრუნება დაადასტურა.

4. ჩეხეთი (1993 წლიდან დღემდე)

თავისუფლების დაბრუნებისთანავე, სლოვაკეთის ნაწილმა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დაიწყო. სლოვაკეთში არჩევნებში დამოუკიდებლობის მომხრეთა პარტიამ გაიმარჯვა. 1992 წლის 2 ივნისს ორი რესპუბლიკის მთავრობებს შორის გაყოფის შეთანხმება დაიდო, რომლის რატიფიცირება პარლამენტში ივლისში შედგა, ხოლო ძალაში მომდევნო წლის 1 იანვარს შევიდა.

1993 წლის 1 იანვარს **ჩეხეთ-სლოვაკეთის გაყოფით**, პირველად საუკუნეების მანძილზე, ბოჰემია-მორავია მარტო გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჩეხეთი (ან ჩეხეთის რესპუბლიკა).

ამ ახალ ქვეყანას მნიშვნელოვანი ეკონომიკური უპირატესობა ჰქონდა და ის მტკიცედ დაადგა დასავლეთთან დაახლოების გზას: ნატოში გაწევრიანება, პარტნიორობა დასავლეთ ევროპასთან, კანდიდატურის წამოყენება ევროკავშირში შესასვლელად. მისი კანდიდატურა მიღებული იქნა ევროკავშირის მიერ 2002 წლის 12 დეკემბერს. 2004 წლის 1 მაისს ჩეხეთი ევროკავშირში შევიდა.

ბოჰემია-მორავია, ჩეხეთის რესპუბლიკა თუ ჩეხეთი?

ისტორიული ტერმინი, რომელიც ჩეხეთის ტერიტორიას აღნიშნავს ბოჰემია-მორავიაა, რაც მის დუალისტურ წარმომავლობაზე მიგვანიშნებს (ბოჰემია ჩეხურად წარმოითქმის ჩესკი (Tchesky), მორავია კი აღნიშნავს მორავიელ ძმებს, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ). 1918 წლამდე ამ ტერიტორიას ხშირად, უბრალოდ ბოჰემიის სახელით მოიხსენიებდნენ.

1918 წელს იმ ფაქტის სიმბოლური აღნიშვნისთვის, რომ ახალი ქვეყანა ორი ერის, ჩეხებისა და სლოვაკებისგან არის წარმოქმნილი, შეიქმნა ნეოლოგიზმი, ჩეხოსლოვაკია. ამ ქვეყნის შიგნით, აღნიშნულ დროს ტერმინს სლოვაკეთი, სლოვაკური ნაწილის აღსანიშნავად იყენებდნენ, რომელიც ძველი უნგრეთიდან მომდინარეობდა.

1939 წელს სლოვაკური ნაწილი გამოიყო და, ბუნებრივია სლოვაკეთი ეწოდა. ჩეხურმა ნაწილმა, რომელიც რაიხში ძალით იქნა შეყვანილი, ისტორიული სახელწოდება, ბოჰემია-მორავია დაიბრუნა ("გერმანული კეთილხმოვნების").

ჩეხოსლოვაკია 1945 წელს იქნა აღდგენილი და 1969 წელს ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკა გახდა.

1993 წელს, როდესაც ორი ფედერაციული რესპუბლიკა ერთმანეთს გამოეყო, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, სლოვაკთა ქვეყანას სლოვაკეთი ეწოდა.

ჩეხეთს აღარ აღუდგენია ძველი ისტორიული სახელწოდება ბოჰემია-მორავია, რომელიც ზოგიერთისთვის ცუდი მოგონება იყო (გერმანიის პროტექტორატი), მაგრამ აღნიშნული სახელწოდება პერსონა გრატად შემორჩა ბროლის წარმოებას. ლოგიკურია, რომ გამოყენებული იქნა ტერმინი ჩეხეთი, ჩეხების ქვეყანა. 1990 წლის დასაწყისიდან ისტორიკოსები და გეოგრაფები ამ ტერმინს იყენებენ.

თუმცა უცნაურ მიზეზთა გამო პრესაში, შემდეგ კი ახალი ამბების გადაცემებში, გაჩნდა ჩეხეთის რესპუბლიკის გამოყენების ჩვევა, ტერმინისა, რომელიც ძნელად მოსანელებელია და ისეთივე შეუსაბამოა, როგორც მაგალითისთვის ყველაფერთან დაკავშირებით საფრანგეთის ნაცვლად საფრანგეთის რესპუბლიკის, ან იტალიის ნაცვლად, იტალიის რესპუბლიკის ტერმინის გამოყენება. დავუტოვოთ ეს თავსატეხი ხელშეკრულებებზე მომუშავე დიპლომატებს.

კარგ ფრანგულზე, ჩეხების ქვეყანა ჩეხეთი უნდა იყოს, როგორც სლოვაკების ქვეყანა სლოვაკეთია, სლოვენებისა სლოვენია, ხორვატებისა ხორვატია და ა. შ.

ჩეხოსლოვაკია

ტერმინი ჩეხოსლოვაკია XX-საუკუნეში გაჩნდა.

ცენტრალური ევროპის სლავი ხალხები (ჩეხები, მორავიელები და სლოვაკები) გვიან შუა საუკუნეებში ძალზე განსხვავებულ პოლიტიკურ გარემოში ცხოვრობდნენ. ძალზე ადრე გაერთიანებულმა ჩეხებმა და მორავიელებმა სამეფო შექმნეს, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე იარსება. რაც შეეხება სლოვაკებს, ისინი X საუკუნიდანვე უნგრეთის სამეფოში იყვნენ შეყვანილნი. 1526 წელს სამივე მათგანი ავსტრიის სახლის მმართველობის ქვეშ მოექცა, მაგრამ განსხვავებული სახით: ფერდინანდ II-მ მემკვიდრეობით ორი განსხვავებული სამეფო გვირგვინი მიიღო, ბოჰემიისა და უნგრეთის. აღნიშნული მდგომარეობა 1918 წლამდე გაგრძელდა, რამაც ჩეხებისა და სლოვაკებისგან საერთო წარმომავლობის ხალხი ჩამოაყალიბა, მსგავსი ენით, მაგრამ განსხვავებითაც: ისტორია, ცხოვრების წესი, კულტურა, რელიგია.

სწორედ უცხოეთში, ლონდონსა და პარიზში, 1915 წელს ორმა პოლიტიკოსმა მასარიკმა და ბენეშმა შეძლო ჩეხოსლოვაკიის საკითხით მოკავშირეთა დაინტერესება. 1916 წელს მათ პარიზში ჩეხოსლოვაკიის ეროვნული საბჭო შექმნეს.

მასარიკმა და ბენეშმა პიტსბურგში ხელი მოაწერეს შეთანხმებებს (1918 წლის მაისი) გადასახლებაში მყოფ სლოვაკ ლიდერთან სტეფანიკთან. შეთანხმებები ჩეხეთ-სლოვაკეთის შექმნას ითვალისწინებდა, რომლის შემადგენლობაშიც სლოვაკეთს ავტონომიის სტატუსით უნდა ესარგებლა.

ანტანტის პოლიტიკურ წრეებში ჩეხოსლოვაკიის შექმნას გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევდნენ ომის შემდგომ ევროპაში გერმანიისა და უნგრეთის დასასუსტებლად და იქ საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის როლის გასაზრდელად.

ავსტრია-უნგრეთის ჯარების დაშლის შემდეგ, 1918 წლის 18 ოქტომბერს ვაშინგტონში, 28 ოქტომბერს კი პრაღაში, მასარიკმა იმპერიისგან ბოჰემია-მორავიის გამოყოფა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა. ახალი სახელმწიფო ორი პოლუსის გარშემო, ბოჰემია-მორავიისა და სლოვაკეთის (სლოვაკებით დასახლებული უნგრული მედიები) ირგვლივ უნდა შექმნილიყო.

30 ოქტომბერს ტუროშ-სენ-მარტინში (ტურჩანსკი-სვეტი-მარტინი) შეკრებილმა სლოვაკეთის ეროვნულმა საბჭომ თავის მხრივ, უნგრეთისგან სლოვაკეთის გამოყოფა და ბოჰემია-მორავიასთან გაერთიანება გამოაცხადა ახალ ჩეხოსლოვაკიაში.

ჩეხოსლოვაკია ოფიციალურად შეიქმნა. დასაზუსტებელი რჩებოდა საზღვრების საკითხი.

ვერსალისა და სენ–ჟერმენის (1919წ.) ხელშეკრულებებით ჩეხეთის ნაწილისთვის, ტრიანონის ხელშეკრულებით (1920წ.) სლოვაკეთის ნაწილისთვის და ასევე დამატებით, ელჩების კონფერენციებით (1920წ.) დადგინდა ამ ქვეყნის საზღვრები (იხ. ჩეხეთი, სლოვაკეთი).

განხორციელებულ ცვლილებათა საფუძველზე, ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიამ 140 500კმ², მისმა მოსახლეობამ კი 13 600 000 კაცი შეადგინა:

– ბოჰემია (პრაღა): 52 000კმ² და 6 650 000 კაცი:

– მორავია (ბრნო): 22 500კმ² და 2 650 000 კაცი;

– სილეზია (ოპავა): 4 500კმ² და 700 000 კაცი: – კარპატისპირეთის ოლქი (უნგვარი): 12 500კმ² და 600 000 კაცი.

ამ ახალ ქვეყანასთან დაკავშირებით, ბევრი შენიშვნის მიცემა შეიძლებოდა:

1) მოკავშირეების მიერ ხმამაღლა აფიშირებული ეროვნებათა პრინციპი უგულებელყოფილ იქნა ჩეხოსლოვაკიის საზღვრების დადგენისას. ბოჰემია-მორავიის ჩეხებმა ისტორიული საზღვრების შენარჩუნება შეძლეს ("ოთხკუთხედის" გარშემო მდებარე მთის ქედები) სტრატეგიულ მიზეზთა გამო.

სლოვაკეთსა და კარპატისპირეთის ოლქის სამხრეთი საზღვარი ძირითადად უნგრელებით დასახლებულ რეგიონებს მოიცავდა, მაგრამ აღნიშნული გაკეთდა იმისათვის, რომ ჩეხოსლოვაკიას დუნაიზე გასასვლელი (ბრატისლავა) მისცემოდა (ბუნებრივი მდინარის საზღვარი (დუნაი-იპოი)) და სლოვაკეთისა და კარპატისპირეთის ოლქის გამოყოფილი ხეობებისთვის საკომუნიკაციო ზოლის შესაქმნელად მთების მისადგომთან.

2) ამგვარად, 3 მილიონი გერმანელით (ძირითადად დასახლებული ბოჰემიასა და მორავიაში) და 750 000 უნგრელით (სლოვაკეთსა და კარპატისპირეთის ოლქში), ჩეხოსლოვაკია წარმოჩნდა სახელმწიფოდ, რომელსაც აკლდა ეროვნული ერთიანობა, მითუმეტეს, რომ ეროვნული უმცირესობები ნოსტალგიით შეჰყურებდნენ დედა სამშობლოს (ავსტრიას, გერმანიას, უნგრეთს), რომლისგანაც ისინი თვითნებურად განაცალკევეს.

3)კარპატისპირეთის ოლქი, რომელიც უკრაინელებით იყო დასახლებული ჩეხოსლოვაკიის მიერ არ იყო a priori მოთხოვნილი. მოკავშირეებმა, რომელთაც არ სურდათ მისი გადაცემა არც უნგრეთისთვის და არც უკრაინისთვის, რომელიც სერიოზული აჯანყებების მსხვერპლი გახდა, ის ჩეხოსლოვაკიას მიაკუთვნეს, რომელმაც კარპატისპირეთის ოლქი "დროებითი სახით მიიღო უკრაინის უფლებების აღდგენამდე". ჩეხოსლოვაკია ამ ტერიტორიას შიდა ავტონომიას დაპირდა.

1938 წლის მიუნხენის კონფერენციაზე ჩეხოსლოვაკიას გერმანიისთვის "სუდეტების" (29 000კმ²) ტერიტორიის გადაცემა მოსთხოვეს, რომელიც ბოჰემიის, მორავიისა და ტროპაუს სილეზიისგან (მთლიანად) იქნა გამოყოფილი და ასევე სლოვაკეთს ენგერაუს (პეტზალკა) გარეუბანი (პრესბურგთან) გამოეყო.

პოლონეთის ულტიმატუმის თანახმად, 2 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიამ პოლონეთს ზირცის მედიეს ფრაგმენტი (იავორნიკი) დაუთმო, რომელიც სლოვაკეთს გამოეყო, ისევე როგორც 1929 წელს ჩეხოსლოვაკიის ხელში დარჩენილი სილეზიის ნაწილის ნახევარი (1 000კმ²).

30 000კმ²-ის დაკარგვით, ჩეხოსლოვაკიის ფართობი 110 500კმ²-მდე იქნა დაყვანილი.

1938 წლის 2 ნოემბრის ბელვედერის არბიტრაჟით, ჩეხოსლოვაკიამ უნგრეთს სლოვაკეთსა და კარპატისპირეთის ოლქის საზღვრის გაყოლებაზე მდებარე უწყვეტი ტერიტორიული ზოლი დაუთმო, რომლის ფართობი 12 000კმ²-ს შეადგენდა და ძირითადად უნგრელებით იყო დასახლებული.

ამგვარად, ჩეხოსლოვაკიის ფართობი 98 500კმ²-მდე იქნა დაყვანილი.

1939 წლის 14 მაისს სლოვაკეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, რომელიც გერმანიასთან სამხედრო ალიანსში გაერთიანდა.

იმავე დღეს, კარპატისპირეთის ოლქის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, უკრაინის კარპატების სახელით.

1939 წლის 15 მარტს მიუნხენის ვალდებულებათა (სიტყვიერი) დარღვევით, ჰიტლერმა პრეზიდენტ ჰაშას ჩეხოსლოვაკიის დაშლა, სლოვაკეთისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება და გერმანიის რაიხში ბოჰემია-მორავიის (პროტექტორატის რეჟიმის ქვეშ) შესვლა უბრძანა.

იმავე დღეს, უნგრეთის არმიამ კარპატისპირეთის ოლქი დაიპყრო და 16 მარტს უნგრეთმა ამ უკანასკნელის ანექსია განახორციელა.

სამ დღეში, გაქრა ჩეხოსლოვაკიის დარჩენილი ნაწილი, რომელიც გაყოფილ იქნა გერმანიას (49 000კმ²), სლოვაკეთის რესპუბლიკასა (37 500კმ²) და უნგრეთს (12 000კმ²) შორის.

1945 წლის მაისში მოკავშირეებმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა 1919 წლის საზღვრებში აღდგინეს.

ამავე დროს, 1945 წლის 29 ივნისის ხელშეკრულებით, ჩეხოსლოვაკიამ საბჭოთა კავშირს კარპატისპირეთის ოლქი დაუთმო, რომელიც უკრაინასთან იქნა მიერთებული.

აღდგენილი ჩეხოსლოვაკიის ფართობმა 128 000კმ² შეადგინა. ის კვლავ უნიტარული რესპუბლიკა გახდა და ორ რეგიონად დაიყო: ცენტრალური ბოჰემია (პრაღა), სამხრეთი ბოჰემია (ბუდვეისი), დასავლეთი ბოჰემია (პლზენი), ჩრდილოეთი ბოჰემია (უსტი ნად ლაბემი), აღმოსავლეთი ბოჰემია ((გრადეკ-კრალოვე), სამხრეთი მორავია (ბრნო), ჩრდილოეთი მორავია (ოსტრაუ), დასავლეთი სლოვაკეთი (ბრატისლავა), ცენტრალური სლოვაკეთი (ბანსკა ბისტრიცა), აღმოსავლეთი სლოვაკეთი (კოშიცე).

1947 წლის 10 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, უნგრეთმა ჩეხოსლოვაკიას ოფიციალურად დაუბრუნა 1938 წელს ანექსირებული სლოვაკეთის ტერიტორიული ზოლი, რომელსაც ასევე დაემატა (ოროშვარი) დუნაის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ხიდის თავი (პეტრზალკა), პრესბურგის (ბრატისლავა) მახლობლად.

1946 წლის მაისიდან საკანონმდებლო არჩევნებში საზოგადოებრივმა აზრმა კომუნისტებისადმი მხარდაჭერა გამოხატა. მთავრობის სათავეში კომუნისტი გოტვალდი მოექცა. 1948 წლის 25 თებერვალს ხალხის ზენოლით, ბენეში დასთანხმდა კომუნისტების უმრავლესობით დაკომპლექტებული მთავრობის ჩამოყალიბებას. მაისის თვეში ჩეხოსლოვაკია ოფიციალურად გახდა კომუნისტური რესპუბლიკა.

1969 წლის 1 იანვრის ახალი კონსტიტუციის თანახმად, ჩეხოსლოვაკია ოფიციალურად გახდა ფედერაციული სახელმწიფო, ჩეხეთ-სლოვაკეთი, რომელიც ორი სახელმწიფოსგან შედგებოდა:

– ბოჰემია-მორავია (ან ჩეხეთი), დედაქალაქი პრაღა, 79 000კმ² ფართობით, რომელიც ძველ ბოჰემიას, მორავიასა და ჩეხეთის სილეზიას მოიცავდა;

– სლოვაკეთი, დედაქალაქი ბრატისლავა (პრესბურგი), 49 000კმ² ფართობით.

თითოეულ სახელმწიფოს თავისი მთავრობა და პარლამენტი ჰყავდა. ფედერაციის დედაქალაქად პრაღა იქნა არჩეული.

"ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ, 1989 წლის 29 ნოემბერს ფედერალურმა პარლამენტმა გააუქმა კომუნისტური პარტიის წამყვანი როლი. ჩეხეთ-სლოვაკეთი ისევ დემოკრატიული სახელმწიფო გახდა.

კომუხისტური რეჟიმის დასასრულიდან, სლოვაკეთის ნაწილმა ისევ დაიწყო ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის.

1992 წლის 20 ივნისს დაიდო გაყოფის შეთანხმება, რომელიც ივლისში ორივე სახელმწიფოს პარლამენტმა დაამტკიცა.

1993 წლის 1 იანვარს ჩეხეთ-სლოვაკეთი დაიშალა და ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაუთმო ადგილი: ჩეხეთსა და სლოვაკეთს.

ხორვატია

ზოგადი მონაცემები

რესპუბლიკური სახელმწიფო: ხორვატიის რესპუბლიკა.
პრეზიდენტი: სტიპ მესიჩი.
საპარლამენტო წარმომადგენლობა: დეპუტატთა პალატა (საბორი); რეგიონების პალატა.
დედაქალაქი: ზაგრები
ადმინისტრაციული დაყოფა: 21 (Zupanijas), რასაც ემატება ქალაქი ზაგრები: ზაგრები, ვარაჟდინი, მედიმურიე, კოპრივნიცა-კრიჟევეცი, ბიელოვარ-ბილოგორა, ვიროვიტიცა-პოდრავინა, სლავონსკა-პოჟეგა, სლავონსკი ბროდ-პოსავინა, ოსიეკ-ბარანია, ვუკოვარსრიემ, კოტორი, სისაკ-მოსლავინა, კარლოვაცი, პრიმორიე-გორსკი, ისტრია, ლიკა-სენი, კრაპინა-ზაგორიე, ზადარი, შიბენიკ-კნინი, სპლიტ-დალმაცია, დუბროვნიკ-ნერეტვა.
ფართობი: 56 500კმ^2; **მოსახლეობა:** 4,8 მილიონი კაცი; **სიმჭიდროვე:**85 მცხოვრები ერთ კმ^2-ზე.
ენა: ხორვატული (სერბულ-ხორვატული, ლათინური ანბანი);
რელიგია: 78% კათოლიკე; 12% მართლმადიდებელი.
ფულის ერთეული: ლა კუნა.

I სათავეებიდან 1789 წლამდე. ხორვატიის მოკლე ისტორია

1. სათავეებიდან უნგრეთთან შეერთებამდე (1102)

დღევანდელი ხორვატიის ტერიტორია რომის იმპერიის ნაწილი იყო (გადანაწილებული ზემო პანონიისა და დალმაციის პროვინციებს შორის); იმპერიის განაწილებისას, რომელიც თეოდოსიუსმა განახორციელა 395 წელს, ის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა, გამყოფი ხაზი ხორვატიას აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა; შემდეგ ის **ოსტგოთების სამეფოს** ნაწილი იყო სლავების შემოსევამდე.

ხორვატების წინაპრები სლავური ტომები იყვნენ, ისინი VII საუკუნეში ხორვატიასა და დალმაციაში დასახლდნენ. IX საუკუნეში მათ მიიერთეს **სლავონია**, ასევე სლავებით დასახლებული რეგიონი. მცირე ხნით ფრანკების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდნენ, რომლისგანაც IX საუკუნის შუა პერიოდში განთავისუფლდნენ, ტრპიმირ I-ის დროს, (ხორვატიის ჰერცოგი 845-864 წლებში). 925 წელს, ტომისლავ I-ის დროს (ხორვატიის ჰერცოგი 845-864 წლებში). 925 წელს ტომისლავ I-ის დროს (910-928), ხორვატია **სამეფო** გახდა და 1042 წელს **ბოსნია** შეიერთა, 1060 წელს კი ბიზანტიისგან **დალმაციის** სამეფო მიიღო. იმავე წელს სპლიტის კონსილიუმის გადაწყვეტილებით საბოლოოდ მოიკიდა ფეხი კათოლიკურმა რელიგიამ.

ხორვატიის ბოლო მეფე, პეტრე ვაშიცი 1097 წელს დაიღუპა უნგრელებთან ბრძოლის დროს და 1102 წელს **უნგრეთის** მეფე პირადული უნიით **ხორვატიის** მეფე გახდა. ხორვატიამ ავტონომია შეინარჩუნა, მის სათავეში ბანი იდგა, თავისი დიეტი (საბორი) და პრინციპში დამოუკიდებელი ჯარი ჰყავდა. აქედან მოყოლებული, თითქმის რვა საუკუნის განმავლობაში რამდენიმე ხანმოკლე დაშორების გარდა, ხორვატიის ბედი დამოკიდებული იყო უნგრეთთან.

2. 1102 წლიდან ხორვატია-სლავონიის დანაწევრებამდე (1526)

XII საუკუნის დასაწყისიდან **ბოსნიამ** დამოუკიდებლობა მოიპოვა, რომელიც რამდენჯერმე დაკარგა და საბოლოოდ 1463-1490 წლებში აღიდგინა.

1202 წელს ვენეციამ შეიერთა ზადარი, შემდეგ 1205 წელს დუბროვნიკი და დალმაციის სანაპიროს მოსაზღვრე კუნძულები.

1342 წლიდან ხორვატია, სლავონია და დალმაცია ერთ სამეფოდ გაერთიანდნენ უნგრეთის გვირგვინის ქვეშ. მაგრამ 1409 წელს უნგრეთის მეფემ ლადისლასმა **დალმაცია** ვენეციას მიჰყიდა.

1466 წელს საპორტო ქალაქი რიეკა იმპერატორმა ფრიდრიხ III-მ დაიპყრო და ავსტრიის სამფლობელოებს მიუერთა.

3. 1526 წლიდან გაერთიანებამდე (1699)

1526 წელს მოჰაჩის ბრძოლის შემდეგ, სადაც თურქებთან შეტაკებისას უნგრეთის მეფე ლაიოშ II დაიღუპა, უნგრეთი, ხორვატია და სლავონია ფერდინანდ I ავსტრიელის ხელში გადავიდა, რომელმაც 1527 წელს თავისი მეტოქე იან ზაპოლი, ტრანსილვანიის პფალცგრაფი დაამარცხა, მაგრამ ამ უკანასკნელს მხარს სულთანი სულეიმან დიდებული უჭერდა, რის გამოც მან მოახერხა გამხდარიყო უნგრეთის მეფე (1529) უნგრეთის ნანილში (ბუდა), ხორვატიაში და მთელ სლავონიაში — რომლებიც დაპყრობილი ჰქონდა თურქეთს.

ხორვატია დიდი ხნის განმავლობაში **ორ ნაწილად იყო გაყოფილი:**

– ხორვატიის უმეტესი ნანილი დედაქალაქ ზაგრებთან ერთად უნგრეთის სამეფოს შემადგენელ ნანილად რჩებოდა, სუვერენები იყვნენ ჰაბსბურგები;

– ხორვატიის მეორე ნანილი, აღმოსავლეთისკენ, მთელ სლავონიასთან ერთად იან ზაპოლის სუვერენიტეტის ქვეშ იყო, მისი გარდაცვალების შემდეგ კი 1541 წელს ოსმალეთის იმპერიაში გაერთიანდა.

სნორედ ამის შემდეგ შეიქმნა ხორვატიაში პირველი სამხედრო სასაზღვრო პუნქტები თურქეთის საზღვრებზე თვალყურის სადევნებლად.

4. 1699 წლიდან 1789 წლამდე

XVII საუკუნის დასასრულს, კარლოვიცის ზავით ავსტრიამ მიიღო ხორვატიის თურქული ნაწილი, სლავონიის უმეტესი ნანილი სამხრეთის ორი ფრაგმენტის გამოკლებით, რომლებიც მხოლოდ პაჟარევაცის ზავით მიიღო (1718). **ხორვატია-სლავონია** ავსტრიის გამგებლობის ქვეშ **გაერთიანდა.** შეიქმნა სლავონიის სამხედრო საზღვრები, ხორვატიისა კი ახალი საზღვრის შესაბამისად გადაკეთდა.

ხორვატიისა და სლავონიის სამოქალაქო ადმინისტრაცია უნგრეთს ექვემდებარებოდა, ხოლო სამხედრო საზღვრები ავსტრიის არმიის უშუალო ადმინისტრაციის ქვეშ რჩებოდა. 1699 წლამდე არსებული საზღვრის დარჩენილი ნანილი, სამხედრო ხორვატიის ნანილი კუთხეს ქმნიდა ბოსნიასა და დრავას შორის — სამოქალაქო ხორვატიასა და სლავონიას შორის.

1776 წელს დედოფალმა მარია-ტერეზიამ ქალაქი რიეკა და მისი უშუალო ტერიტორია (corpus sepazatum) ჩამოაშორა ტრიესტის ადმინისტრაციას და ხორვატიას გადასცა, იქ უნგრეთის პორტის შესაქმნელად.

1779 წელს რიეკა ხორვატიას ჩამოშორდა და უშუალოდ შეუერთდა უნგრეთს.

იოზეფ II-ის მეფობისას ავსტრიის სახლის მთელ სამფლობელოებში, მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული რეფორმები გატარდა, რითაც ეს სამფლობელოები 13 ერთგვაროვან გუბერნიად დაიყო. ამ ფარგლებში ხორვატია - სლავინიამ შექმნა გუბერნია, რომელსაც თავისი მმართველი ჰყავდა.

ეს რეფორმა 1790 წელს გაუქმდა მეფე ლეოპოლდ II-ის მოსვლის შემდეგ.

II. ხორვატია 1789 წელს

ხორვატიისა და სლავონიის ორი სამეფო ავსტრიის ორი სამფლობელო იყო და ორივე უნგრეთის შემადგენლობაში შედიოდა წმინდა იშტვანის გვირგვინის დაქვემდებარებაში.

ხორვატიის სამეფოს ტერიტორია ადრიატიკის სანაპირო ზოლზე იყო გადაჭიმული (რიეკა) დრავას შუანელამდე და მოიცავდა საავას შუანელს. სლავონიის სამეფო გრძელი ზოლი იყო სავისა და დრავის მარჯვენა ნაპირებს შორის.

ხორვატიის სამეფო იყო მთიან რეგიონს წარმოადგენდა, ხოლო სლავონია დაბლობი და ხშირად ჭაობიანი, დუნაის დიდი დაბლობის ნანილი იყო, ორივე მხარეში მეტად ხელსაყრელი პირობები არსებობდა სოფლის მეურნეობისა და მესაქონლეობის განვითარებისათვის, ჰქონდათ რამდენიმე საეაჭრო ქალაქი (ზაგრები, კარლოვაცი, ოსიეკი), რომლებიც ერთმანეთთან და ნავსადგურ რიეკასთან ავსტრიის ადმინისტრაციის მიერ დაარსებული სატრანსპორტო გზების ქსელით იყო დაკავშირებული.

ხორვატიასა და სლავონიის გაყოლებაზე გადიოდა საზღვარი, რომელიც ავსტრიის სახელმწიფოებს ოსმალეთის იმპერიისაგან ყოფდა. მათ სასაზღვრო ტერიტორიებს პირდაპირ ადმინისტრირებას ავსტრიის არმია უნევდა და ამ ტერიტორიებზე გლეხი-ჯარისკაცები ცხოვრობდნენ (უმეტესად სერბები), რომლებიც თავმოყრილნი იყვნენ განსაკუთრებულ თემებში (Zadrugas).

ხორვატიის სამეფოს ფართობი (დედაქალაქი ზაგრები) დაახლოებით 26 000კმ²-ს შეადგენდა, საიდანაც 13 000კმ² სამოქალაქო ადმინისტრაციას ექვემდებარებოდა, 13 000კმ² კი სამხედრო ადმინისტრაციას. სლავონიის სამეფოს ფართობი (დედაქალაქი ოსიეკი) მოიცავდა 16 000კმ²-ს, აქედან 10 000კმ² სამოქალაქო ადმინისტრაციის, 6 000კმ² კი სამხედრო ადმინისტრაციის ქვეშ იყო. ორივე სამეფოს მოსახლეობა 1 მილიონ კაცს უდრიდა. რადგან ისინი უნგრეთის გვირგვინს ექვემდებარებოდნენ, საღვთო რომის იმპერიაში არ შედიოდნენ.

სამოქალაქო ხორვატია სამ ოლქად იყოფოდა: ზაგრები, ვარაჟდინი, კრიჟევცი.

სამხედრო ხორვატია, ადმინისტრაციული ცენტრი კარლოვაცი სამ სამხედრო ოლქად იყოფოდა:

– კარლოვაცის სამხედრო ოლქი ოთხი დანაყოფისაგან შედგებოდა: გოსპიჩი, ოტოჩატი, ოგულინი, სლუნი;

– ვარაჟდინის სამხედრო ოლქი ორი დანაყოფისაგან: კრიჟევცი, სენ-ჟორჟი;

– ხორვატიის ბანის სამხედრო ოლქი ორი დანაყოფისაგან: ხორვატიის I პოლკი (გლინა), ხორვატიის II პოლკი (პეტრინია).

სამოქალაქო სლავონია სამ ოლქად იყოფოდა: ვიროვიტიცა (ადმინისტრაციული ცენტრი ოსიეკი), პოსეგა, სირმია (ადმინისტრაციული ცენტრი ვუკოვარი).

სამხედრო სლავონია, ადმინისტრაციული ცენტრი პეტერვარადინი, სლავონია-სირმიის საამხედრო ოლქს შეადგენდა და სამი დანაყოფი ჰქონდა: ბროდი (ვინკოვცი), გრადიშკა, პეტერვარადინი.

ქალაქი და პორტი რიეკა განსაკუთრებული ოლქი იყო (corpus sepazatum) და უნგრეთის ადმინისტრაციას ექვემდებარებოდა. მეორე მხრივ, აქვე უნდა აღინიშნოს თურქეთის ხორვატია, თურქეთის ბოსნიის უკიდურესი დასავლეთი, რომელიც მდინარეებს უნასა და ვრბას შორის მდებარეობდა.

და ბოლოს, ხორვატებით დასახლებული ზონები არსებობდა ისტრიაში, თურქეთის ჰერცეგოვინაში, ვენეციის დალმაციაში, დუბროვნიკის რესპუბლიკაში და უნგრეთის სამხრეთით.

III. 1789 წლიდან უნგრეთთან კავშირის დასასრულამდე

1. 1789 წლიდან უნგრეთისაგან პირველ გამოყოფამდე (1849)

1788 წელს ავსტრია-რუსეთის მიერ თურქეთის წინააღმდეგ დანყებულ ომს სასურველი შედეგები არ მოჰყოლია თურქების გაფთრებული წინააღმდეგობის გამო. ვინაიდან ავსტრიას უნდოდა პოლონეთში მოსალოდნელ მოვლენებთან დაკავშირებით მოქმედების თავისუფლება ჰქონოდა, 1791 წლის 4 აგვისტოს ხელი მოაწერა თურქეთთან სისტოვას ზავს.

თურქეთმა დუნაიზე მდებარე ქალაქ ძველი ორშოვას გარდა ავსტრიას დაუთმო უნას ოლქი (ცეტინის და დრეზნიკის სიმაგრეები), ე. ი. თურქეთის ხორვატიის დასავლეთი ნანილი (ბოსნია). ავსტრიამ ეს ოლქი ხორვატიის სამხედრო საზღვრებს შეუერთა.

საფრანგეთის რევოლუციით ევროპაში გამოწვეულმა ტერიტორიულმა ცვლილებებმა და ნაპოლეონის ერამ დიდი ხნით ჩამოაშორა ეს მხარეები უნგრეთის გვირგვინს.

ვაგრამთან გამარჯვების შემდეგ, იმპერატორმა ნაპოლეონმა ავსტრიას თავს მოახვია შენბრუნის ზავი (1809 წლის 14 ოქტომბერი), რომლის მიხედვითაც მან ავსტრიას ნაართვა ახალი პროვინციები.

ბავარიის მიერ დათმობილი ზალცბურგის და ინფირტელის გარდა, ავსტრიამ ნაპოლეონს დაუთმო სხვადასხვა ტერიტორია (კრაინა, კარინტიის ნახევარი, ტრიესტი, ისტრია), რომელთა შორის იყო **ხორვატიის სამეფოს სამხრეთის ნახევარი** (სავის მარჯვენა სანაპიროზე) **და რიეკას განსაკუთრებული ოლქი.**

იმავე დღეს, ნაპოლეონმა იტალიას ჩამოაჭრა იტალიის ისტრია, დალმაცია, დუბროვნიკი და კოტორი, რათა ისინი ზემოთ ჩამოთვლილი ტერიტორიებისათვის შეერთებინა და საფრანგეთის იმპერიის ილირიული პროვინციები შეექმნა, დროებით დაყოფილი ცხრა სამოქალაქო და ერთ სამხედრო საინტენდანტოდ.

სავის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ხორვატიამ რიეკასა და კარლოვაციის სამოქალაქო საინტენდატოები და ხორვატიის სამხედრო საინტენდანტო შეადგინა.

1811 წლის 15 აპრილის დეკრეტით, რომელიც ილირიულ პროვინციებთან დაკავშირებით გამოიცა, სამოქალაქო საინტენდანტოების რიცხვი ექვსამდე შემცირდა.

ამ ფარგლებში, სამოქალაქო ხორვატიის ახალი საინტენდანტო, ადმინისტრაციული ცენტრი კარლოვაცი შეიცავდა კარლოვაცის და რიეკას ყოფილ დროებით საინტენდანტოებს, რასაც დაემატა ავსტრიის ყოფილი ისტრია და კუნძულები კრკი, ცრესი, ლოშინი, რაბე.

სამხედრო ხორვატია, ადმინისტრაციული ცენტრი კარლოვაცი, უცვლელი დარჩა.

1813 წლის აგვისტოში ნაპოლეონის წინააღმდეგ გაერთიანებულმა ძალებმა დაიკავეს ფრანგების მიერ დატოვებული ილირიული პროვინციები; მათზე პასუხისმგებლობა დროებით ავსტრიამ იკისრა და ილირიის სამეფო უწოდა.

1815 წელს ვენის კონგრესმა ავსტრიას დაუმტკიცა ეს პროვინციები, რომელთა შორისაც იყო **1809 წელს ანექსირებული ხორვატია და რომელიც ხელახლა შეუერთდა ხორვატიის სამეფოს.**

1816 წლის აგვისტოში საიმპერიო დეკრეტით ავსტრიის სახლის სამფლობელოები გადაჯგუფდა.

ხორვატიის და სლავონიის სამეფოების სამოქალაქო ნაწილები, თითოეული ავსტრიის იმპერიის პროვინცია გახდა, დამოკიდებული უნგრეთის სამეფოზე და არ შედიოდა გერმანიის კონფედერაციის საზღვრებში, კერძოდ:

– სამოქალაქო ხორვატია: სამი ოლქი – ზაგრები, ვარაჟდინი, კრიჟევცი;

– სამოქალაქო სლავონია: სამი ოლქი – ვიროვიტიცა, პოსეგა, სირმია; სამხედრო საზღვრები შემდეგნაირად დაიყო:

– კარლოვაც-ვარაჟდინის და ხორვატიის ბანის გაერთიანებული სამხედრო ოლქი: 8 პოლკი, ადმინისტრაციული ცენტრი-ზაგრები;

– სლავონიის სამხედრო ოლქი: 5 პოლკი და 1 ბატალიონი, ადმინისტრაციული ცენტრი პეტერვარდაინი.

და ბოლოს, რიეკას რეგიონი (რიეკა, ბაკარი, პორტო-რე, ნოვი) გახდა განსაკუთრებული ოლქი, ე.წ. უნგრეთის სანაპირო.

1848 წლის მარტში უნგრეთის ლიბერალური რევოლუციის ჰეგემონისტური მცდელობების საპასუხოდ, 25 მარტს ზაგრების დიეტმა ხორვატიის ბანად იელაჩიჩი აირჩია, რომელმაც გამოაცხადა **ხორვატია-სლავონიის უნგრეთისგან დამოუკიდებლობა და ავსტრიისადმი თავისი ერთგულება.**

იელაჩიჩის ხორვატიის ძალები იმპერატორს ეხმარებოდა უნგრეთში ძალაუფლების დაბრუნებაში. ამ უკანასკნელმა დამარცხების შემდეგ მასზე დაქვემდებარებული სხვადასხვა ტერიტორია დაკარგა.

1848 წლის მარტის კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად, რომელიც უპირატესობას იმპერიის ცენტრალიზაციას ანიჭებდა **ხორვატია, სლავონია და რიეკა გამოეყვნენ უნგრეთის სამეფოს** და "იმპერიის ქვეყნებად" გამოცხადდნენ (Kronland), რომელთაც ადმინისტრირებას ხორვატიის ბანი გაუწევდა.

სირმია ჩამოშორდა სლავონიას და ახლად შექმნილ სერბია-ბანატი-ტემეშვარის ახალ საოვეოდოს შეუერთდა.

სამოქალაქო ხორვატია ახლა უკვე ოთხი ოლქისაგან შედგებოდა: ზაგრები, ვარაჟდინი, კრიჟევცი, რიეკა. სამოქალაქო სლავონიაში ორი ოლქი დარჩა: ვიროვიტიცა, პოსეგა.

სამხედრო საზღვრები უცვლელი დარჩა.

2. 1849 წლიდან საბოლოო გამოყოფამდე (1918)

1860 წლის ოქტომბერში უნგრეთმა თავისი მეურვეობა აღადგინა 1849 წელს ჩამოშორებულ ტერიტორიებზე.

სერბია-ბანატ-ტემეშვარის **საოვეოდო გაუქმდა** და **სირმია სამოქალაქო სლავონიას დაუბრუნდა.**

1867 წლის ივნისში ავსტრიის იმპერიის ორად გახლეჩის შემდეგ, **ხორვატია და სლავონია,** მათი პროტესტის მიუხედავად, **უნგრეთის ნაწილში მოხვდნენ** (ტრანსლაიტანია) ავსტრია-უნგრეთის ახალი იმპერიის ფარგლებში.

სამაგიეროდ, დალმაცია უნგრეთის მოთხოვნების მიუხედავად ცისლაიტანიაში შეკავდა.

1868 წლის ნოემბერში 1102 წლის შეთანხმებაზე დაყრდნობით (*Pacta Conventa*), უნგრეთმა ხორვატია-სლავონიასთან სამედიატორო შეთანხმება გააფორმა, რომლითაც მათ ავტონომიას აღიარებდა უნგრეთის სამეფოს შემადგენლობაში, უნარჩუნებდა ბანის მმართველობას და ზაგრების დიეტს, ასევე ხორვატიული ენის გამოყენების უფლებას.

ამასთანავე, ოფიციალური დოკუმენტების გაყალბებით, **უნგრეთმა ხორვატია-სლავონიის სამეფოს ჩამოაშორა საპორტო ქალაქი რიეკა** და პირდაპირ უნგრეთს მიუერთა.

1878 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის კონფლიქტის შემდეგ, ბერლინის კონგრესზე გადწყდა, რომ თურქეთის ნაწილობრივ ხორვატებით დასახლებული პროვინციები ბოსნია და ჰერცოგოვინა, 30 წლის ვადით ავსტრია-უნგრეთის მიერ იქნებოდა ადმინისტრირებული და ოკუპირებული.

თურქეთის მუქარის განეიტრალების შემდეგ, უნგრეთმა იმპერატორ ფრანც-იოზეფს გააუქმებინა **ხორვატიისა** და **სლავონიის სამხედრო საზღვრები** და ეს ტერიტორიები ხორვატია-სლავონიას დაუბრუნდა.

მოხდა ხორვატია-სლავონიის რეორგანიზაცია, რომელიც 8 სამოქალაქო ოლქად დაიყო: ზაგრები, მორდუს-რიეკა, ქალაქ რიეკას გარეშე (ადმინისტრაციული ცენტრი ოგულინი), ლიკა-კრვაბა (ადმინისტრაციული ცენტრი გოსპიჩი), ვარაჟდინი, ბელოვარი, ვიროვიტიცა (ადმინისტრაციული ცენტრი ოსიეკი), პოსეგა, სირმია (ადმინისტრაციული ცენტრი ვუკოვარი).

იმპერატორ ფრანც-იოზეფის ხორვატებისადმი "ღალატი" (1867) უნგრეთის მხარდაჭერის აშკარა ტენდენცია, ხორვატების გულაცრუების მიზეზი გახდა. ამასთანავე, ზოგიერთი სულიერი ლიდერი (ეპისკოპოსი შტროსმაიერი) სერბებთან დაახლოების მომხრე იყო, მიუხედავად იმ განსხვავებებისა, რომელიც რელიგიაში (კათოლიკობა ხორვატიაში, მართლმადიდებლობა სერბიაში), ანბანში (ლათინური ხორვატიაში, კირილიცა სერბიაში) და ისტორიულ კულტურაში (დასავლეთის ხორვატიაში, აღმოსავლეთის სერბიაში) არსებობდა.

ზაგრების უნივერსიტეტი, დიაკოვოში ეპისკოპოსის რეზიდენცია, სადაც შტროსმაიერი ცხოვრობდა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში"ილირიული" იდეის გავრცელების კერებად იქცნენ, რაც სამხრეთით სლავების გაერთიანებას გულისხმობდა.

1914 წელს ხორვატები პირველ მსოფლიო ომში ჩაებნენ; ისინი ავსტრია-უნგრეთის არმიაში იყვნენ გაერთიანებული.

"დიდი ილირიის" სახელით სერბებისა და სლოვენების დაახლოება კორფუს პაქტის ხელმოწერით გამოიხატა (1917 წლის ივლისი), რასაც რომში მიღებული გადაწყვეტილება მოჰყვა (1918 წლის აპრილი) სამხრეთ სლავების სახელმწიფოს შექმნაზე, რომლის მართვაც სერბიულ დინასტიას ეკისრებოდა.

1918 წლის 26 ოქტომბერს ავსტრია-უნგრეთის დამარცხების შემდეგ, ზაგრების ეროვნულმა კონგრესმა, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ სლოვენები, ხორვატები, ავსტრია-უნგრეთის სერბები, გააკეთა განცხადება ავსტრია-უნგრეთიდან გამოყოფისა და სამხრეთის სლავების ახალი სამეფოს შექმნის თაობაზე. 29 ოქტომბერს ზაგრების დიეტმა ხორვატია-სლავონიის დამოუკიდებლობა და მისი მომავალ სამხრეთის სლავების სამეფოსთან შეერთება გამოაცხადა.

ნოემბერში პოდგორიცაში გამართულ ასამბლეაზე გაერთიანების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, 1918 წლის 1 დეკემბერს სერბიის რეგენტმა მთავარმა გამოაცხადა სერბების, ხორვატების, სლოვენების სამეფოს (სხს-SCS), რომლის მიზანსაც წარმოადგენდა სამხრეთის სლავების გაერთიანება სერბიის, ხორვატიის, სლოვენიის და ბოსნია-ჰერცოგოვინას ბაზაზე.

იტალიამ ისტრია და ჩრდილოეთი დალმაცია მოითხოვა, რომელსაც მას ლონდონის ხელშეკრულების გაფორმებისას დაჰპირდნენ (1915 წლის აპრილი), ასევე მას პრეტენზია ჰქონდა რიეკაზე, თუმცა ეს საკითხი აღნიშნული ხელშეკრულებიდან ამოღებული იყო.

IV. თანამედროვე ხორვატია (1918 წლიდან დღემდე)

1. ხორვატია სამხრეთ სლავების სამეფოში (1918-1941)

პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნები სამშვიდობო ხელშეკრულების მუხლების განსასაზღვრად და ტერიტორიული ცვლილებების განსახორციელებლად პარიზში შეიკრიბნენ.

სერბების, ხორვატების, სლოვენების ახალი სამეფოს საზღვრები ნელ-ნელა დაზუსტდა სხვადასხვა ხელშეკრულების საფუძველზე.

1919 წლის 10 სექტემბრის სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით, ყოფილი ცისლაიტანიის სახელით, ავსტრიამ ტერიტორიების დიდი რაოდენობა უკვე არსებულ ან ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სახელმწიფოებს დაუთმო.

ხორვატებით დასახლებული ტერიტორიებიდან, **ავსტრიამ:**

– სხს-ს სამეფოს დაუთმო სამხრეთი დალმაცია და მისი კუნძულები, ასევე თავისი მონაწილეობა ბოსნია ჰერცოგოვინაზე ავსტრია-უნგრეთის კონდომინიუმში.

1920 წლის 4 ივნისის ტრიანონის ხელშეკრულებით, ყოფილი ტრანსლაიტანიის სახელით უნგრეთმაც თავის მხრივ ბევრი ტერიტორია დაუთმო უკვე არსებულ ან ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სახელმწიფოებს.

ხორვატებით დასახლებული ტერიტორიებიდან, **უნგრეთმა:**

– სხს-ს სამეფოს დაუთმო ხორვატია-სლავონიის სამეფო მთლიანად, საკუთრივ უნგრეთის ოლქები (ზალა, შომოდი, ბარანია, ბაჩკა), ასევე თავისი მონაწილეობა ავსტრია-უნგრეთის კონდომინიუმში ბოსნია-ჰერცოგოვინასთან დაკავშირებით.

– უარი თქვა ქალაქ რიეკაზე და მის ტერიტორიაზე, რომლებიც იტალიისა და სხს-ს დავის საგანი იყო. ქალაქი 1919 წლიდან პოეტ ანუნციოს სამეფოს პროვინცია იყო.

ხორვატია-სლავონია გაიზარდა მედიმურიეთი გაზრდილი ხორვატია-სლავონია სხს-ს პროვინცია გახდა, რომელსაც ბაჩკა ეწოდა.

1920 წლის ნოემბერში, იტალიასა და სხს-ს სამეფოს შორის დადებული რაპალოს ხელშეკრულებით, იტალიამ მიიღო მთელი ისტრია, კუნძულები ცრესი, ლუსინი, ლასტოვო, პელაგრუზი, ქალაქი ზადარი თავისი შემოგარენით, რომელიც

ანკლავს ქმნიდა **დალმაციის იმ ნაწილში, რომელიც სხვა დარჩენილ კუნძულებთან ერთად სხს-ს სამეფოს მიეკუთვნა.**

ქალაქი რიეკა თავისი სლავური შემოგარენით სუშაჩით და სანაპირო ზოლით ვოლოსკათი (კვარნერის სრუტეში) თავისუფალი ქალაქი გახდა, რომელსაც ერთა ლიგა აკონტროლებდა.იტალიის მთავრობამ ჯიოლიტის მეთაურობით დეკემბრის თვესი ქალაქიდან ანუნციო გააძევა.

1924 სლის 27 იანვრის რომის ხელშეკრულებით, რომელსაც იტალიამ და სხს-ს სამეფომ მოაწერეს ხელი, გაუქმდა რიეკას თავისუფალი ქალაქის სტატუსი და **რიეკა გადანაწილდა:**

– იტალიაზე, რომელმაც მიიღო რიეკა და სანაპირო ზოლი ვოლოსკა;

– **სხს-ს სამეფოზე, რომელმაც მიიღო სლავური გარეუბანი სუშაჩი** და ის ხორვატია-სლავონიის პროვინციას მიუერთა.

ძალიან მალე გამოვლინდა ახალ სამეფოში გაერთიანებული ხალხების თავისებურებები, რამაც ერთიანობის იდეა დაჩრდილა, რომელიც სამეფოს შექმნისას პრევალირებდა. სერბები ცდილობდნენ თავის სასარგებლოდ მოეხდინათ ქვეყნის ადმინისტრაციისა და ეკონომიკის ცენტრალიზაცია. რამდენიმე სერიოზული დაპირისპირების შემდეგ, რომელიც სერბებსა და თანამეგობრობის სხვა წევრებს შორის მოხდა, მეფე ალექსანდრემ 1929 ნლის ოქტომბერში გამოსცა დეკრეტი ქვეყნის გაერთგვაროვნებაზე და მას სიმბოლურად **იუგოსლავიის სამეფო** ეწოდა.

1931 წელს ძველმა ისტორიულმა რეგიონებმა ადგილი დაუთმო ცხრა პროვინციას (რასაც ბელგრადის განცალკეევებული ოლქი ემატებოდა), რომლებიც მდინარეების სახელებს ატარებდა.

ამ ჩარჩოში ხორვატია-სლავონიის ყოფილი პროვინცია სავის პროვინცია გახდა, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი იყო ზაგრები, ბარანია და სირმია დუნაის პროვინციას შეუერთდა, ადმინისტრაციული ცენტრი ნოვი-სადი. სლავონიის ცენტრალური ნანილი შეუერთდა დრინის პროვინციას, ადმინისტრაციული ცენტრი სარაევო.

ხორვატიაში ჩამოყალიბდა ხორვატი უსტაშების ნაციონალისტური მოძრაობა, რომელიც ტერორიზმს მიმართავდა და 1934 ნლის 9 ოქტომბერს, მარსელში თავდასხმა მოაწყო იუგოსლავიის მეფე ალექსანდრეზე, რასაც მისი სიკვდილი მოპყვა.

1939 ნლის აგვისტოში, ხორვატების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ახალგაზრდა მეფემ პეტრე II-მ ხორვატიის დიდი ავტონომიური პროვინციალ შექმნა, რომელსაც ზაგრებში თავისი პარლამენტი ჰყავდა და სადაც ხორვატებით დასახლებული ყველა მხარე იყო წარმოდგენილი: სავის პროვინცია და სანაპირო ზოლი, ვრბასის, დრინას პროვინციების ნანილი (სამხრეთი სლავონია), ასევე ცეტის პროვინცია (დუბროვნიკის რესპუბლიკის ყოფილი ტერიტორია).

მეორე მსოფლიო ომის დანყების პირველ ეტაპზე, იუგოსლავიამ არც თუ იოლად მოახერხა განზე გადგომა, მაგრამ 1941 ნლის 25 მარტს რეგენტ პავლეს მიერ გერმანიასთან ხელმონერილი ალიანსი ორ დღეში ეჭვქვეშ დადგა სახელმნიფო გადატრიალებით პავლე მოიშორეს.

2. ხორვატიის დამოუკიდებელი სახელმწიფო (1941-1945)

საბერძნეთში შექმნილი სირთულეების გამო, ჰიტლერმა გერმანიის ჯარები გაგზავნა იტალიელების დასახმარებლად, რომლებმაც გზად იუგოსლავიის არმია დაამარცხეს. 1941 ნლის 22 აპრილს, ჰიტლერმა მუსოლინისთან ერთად **იუგოსლავიის დაშლა** გადაწყვიტა.

ამ პერსპექტივით, 10 აპრილს ხორვატიის სამეფო (ანუ ხორვატიის დამოუკიდებელი სახელმნიფო) გამოცხადდა, რომლის მმართველადაც დაინიშნა უსტაშების ხელმძღვანელი, ანტე პაველიჩი. ტახტი სპლიტის ჰერცოგს (ტომისლავ II), საკოიელ მთავარს შესთავაზეს, რომელსაც ის არასოდეს დაუკავებია.

ხორვატიის ახალი სამეფო შედგებოდა:

– **ხორვატია-სლავონიის** ისტორიული ოლქისაგან, რიეკას, სუშაჩის და დელნიცეს ოლქის გამოკლებით;

– 1908-1911 წლებში არსებული ისტორიული **ბოსნია-ჰერცეგოვინისგან;**

– **დალმაციის სამხრეთის ნახევარისაგან,** სპლიტისაგან კოტორის ყურეში.

მისი ფართობი შეადგენდა 99 000კმ²-ს, მოსახლეობა 6,3 მილიონ კაცს. უნდა აღინიშნოს, რომ შომოდი და მედიმურიე უნგრეთს დაუბრუნდა (ბარანიასა და ბაჩკას მსგავსად);

– სუშაჩი და დელნიცე, კუნძულები კრკი, რაბი, ჩრდილოეთი დალმაცია (1915 წლის ლონდონის ხელშეკრულების ფარგლებში), კუნძულები კორკულე, ვიცი, კოტორის ყურე მიეკუთვნა იტალიას.

სამეფოს დედაქალაქი გადატანილ იქნა ბანიალუკაში, რომელიც უფრო ცენტრში მდებარეობდა, ვიდრე ზაგრები.

უსტაშების ხელისუფლებამ დიქტატურა დაამყარა და ცდილობდა სერბების, ადგილობრივი მოსახლეობის (ებრაელები, ბოშები) განადგურებას. ისინი ძალიან მალე შეიარაღებულ იატაკქვეშა წინააღმდეგობას შეეჯახნენ.

1943 წლის 8 სექტემბრის საზავო ხელშეკრულებით იტალია წყვეტდა მტრულ დამოკიდებულებას მოკავშირე სახელმწიფოებთან, და გარკვეული წრეების პროტესტის მიუხედავად, ჰიტლერმა ხორვატიას მიაკუთვნა იტალიის დალმაცია მთლიანად.

3. ხორვატიის რესპუბლიკა ტიტოს იუგოსლავიის შემადგენლობაში (1946-1991)

1943 წლის ნოემბრიდან განთავისუფლების ეროვნული საბჭოს მიერ, რომელიც იაიცეში დააფუძნეს ტიტოს კომუნისტურმა ძალებმა, იუგოსლავია ხელახლა შედგა ფედერაციული ფორმით. თიტოს ამით სურდა თავიდან აეცილებინა ორ ომს შორის ცენტრალიზაციის გამოწვეული დაპირისპირების განახლება. 1946 წლის იანვარში მიღებულმა კონსტიტუციამ ახალი იუგოსლავიის ფედერალური სტრუქტურა დაამტკიცა.

ხორვატია ფედერაციაში ჩართული რესპუბლიკა გახდა, დედაქალაქი ზაგრები. ის შედგებოდა:

– ისტორიული **ხორვატიისაგან,** დუბროვნიკის ჩათვლით და კოტორის გარეშე;

– **შომოდი, მედიმურიე და ბარანიისაგან,** რომლებიც უნგრეთს უნდა დაებრუნებინა.

1947 წლის 10 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით იტალიისა და უნგრეთის ახალი საზღვრები დადგინდა, რომლებმაც სხვადასხვა მეზობელ ქვეყანას დაუთმეს ტერიტორიები.

ამ ჩარჩოში **უნგრეთმა დაუთმო იუგოსლავიას** ხორვატიის რესპუბლიკა, **შომოდი, მედიმურიე, ბარანიას კუთხე.**

იტალიამ დაუთმო იუგოსლავიას ხორვატიის რესპუბლიკა, **ისტრია** (ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის გარდა), **რიეკა, კუნძულები და დალმაციის იტალიური პორტი** (ზადარი, ცრესი, ლასტოვო, პალაგრუა).

ტრიესტის თავისუფალი ტერიტორია, გაერო-ს კონტროლის ქვეშ, შეიცავდა შერეული მოსახლეობის ზონებს, სადაც იტალიელები, სლოვენები და ხორვატები ცხოვრობდნენ.

1954 წლის 5 ოქტომბრის მემორანდუმით, **ტრიესტის თავისუფალი ტერიტორია დაიშალა** და გადანაწილდა. ზონა ა (ტრიესტი და მისი დერეფანი) მიეკუთვნა იტალიას, ზონა ბ (კოპერი, ნოვიგრადი) მიეკუთვნა იუგოსლავიას, რომელმაც ის ორ ნაწილად გაყო. ჩრდილოეთი ნაწილი (კოპერი) სლოვენიის რესპუბლიკას გადაეცა, ხოლო **სამხრეთი ნაწილი** (ნოვიგრადი) **ხორვატიის რესპუბლიკას მიეკუთვნა.**

4. ხორვატიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა (1991 წლიდან დღემდე)

ტიტოს გარდაცვალებამ (1980 წლის მაისი) და ევროპაში კომუნისტური რეჟიმების დამხობამ (1989-1990) იუგოსლავიის ზოგიერთ რესპუბლიკას საშუალება მისცა დამოუკიდებლობა მოეთხოვა.

1990 წლის 22 აპრილის და 6 მაისის თავისუფალ არჩევნებში ნაციონალისტებმა, დამოუკიდებლობის მომხრეებმა გაიმარჯვეს. 30 მაისს მათი კანდიდატი ფრანიო ტუდიმანი ჯერ ისევ ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს.

1991 წლის გაზაფხულიდან ქვეყანაში არეულობები დაიწყო; მარტში სერბებით დასახლებული რეგიონი კრაინა რესპუბლიკას გამოეყო. ივნისში შეიარაღებულმა კონფლიქტმა იფეთქა იუგოსლავიის ფედერაციასთან; კრაინა და სლავონია მაშინვე დაიკარგა; კრაინა კრაინის სერბულ რესპუბლიკად. გამოცხადდა

1991 წლის 8 ოქტომბერს ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ **ხორვატია იუგოსლავიის ფედერაციას გამოეყო** და **ხორვატიის რესპუბლიკა**, დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

1995 წლის აგვისტოში, ხორვატიამ კრაინა და სლავონიის დასავლეთი ნაწილი დაიბრუნა. 1998 წელს კი აღმოსავლეთი ნაწილი (სირმია), რის შემდეგაც, მისი ფართობი მოიცავს ყოფილ ფედერაციულ რესპუბლიკაში შემავალი ხორვატიის რესპუბლიკის ტერიტორიას.

ხორვატიის რესპუბლიკა ორიენტირებულია დასავლეთ ევროპისკენ და დააყენა თავისი კანდიდატურა ევროპის კავშირში გაერთიანებაზე.

დალმაცია

1789 წელს დალმაცია ვენეციის რესპუბლიკის ერთ-ერთი საზღვაო პროვინცია იყო, რომელიც ადრიატიკის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა. მისი ერთი ნაწილი კონტინენტის ნაწილი იყო, მეორე კუნძულების მწკრივს წარმოადგენდა:

– კონტინენტის ნაწილი (9 000კმ², დაახლოებით 180 000 სული) გადაჭიმული იყო ზადარიდან ნარენდას ყურემდე; ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა სამხედრო ხორვატია, აღმოსავლეთით თურქეთის ბოსნია და ჰერცოგოვინა, სამხრეთით დუბროვნიკის რესპუბლიკა, რომლისგანაც მას თურქეთის ტერიტორიის ზოლი ჰყოფდა კლეკის გაყოლებაზე;

– კუნძულების ნაწილი (2 000კმ², დაახლოებით 50 000 მცხოვრები) თითქმის 500 კილომეტრზე იყო გადაჭიმული: კრკი, ცრესი, ლოშინი, რაბი, პაგი, ბრაჩი, ვისი, ხვარი, კორჩულა.

ვენეციამ დალმაციაში ფეხი 1202 წლიდან მოიკიდა ზადარის აღებით. 1420 წლიდან პროვინციის მთელი სანაპირო ვენეციის ხელში იყო. მისი სუვერენიტეტის გაფართოება დინარის ალპებამდე 1699 წელს დასრულდა.

ვენეციის დოჟი, რომელიც დალმაციის ჰერცოგის ტიტულს ატარებდა, პროვინციაში წარმოდგენილი იყო სრული უფლებებით აღჭურვილი პროვედიტორით, რომლის რეზიდენციაც ზადარში მდებარეობდა.

კამპო-ფორმიოს ზავით (1797 წლის ოქტომბერი) ავსტრიამ მიიღო დალმაცია და კოტორის ყურე (გამოყოფილი დუბროვნიკის რესპუბლიკით), რომლებიც დალმაციის ერთ პროვინციაში გააერთიანა. მან ზადარს სრული უფლებებით აღჭურვილი გენერალური გუბერნატორი დაუნიშნა.

პრესბურგის ზავით (1805 წლის დეკემბერი), ავსტრიამ დალმაცია დათმო, რომელიც იმპერატორმა ნაპოლეონმა თავის იტალიის სამეფოს გადასცა.

1806 წლის თებერვლის ბოლოს დალმაცია, კოტორის ყურის გამოკლებით, დაკავებული იქნა. მარტში ავსტრიამ კოტორი რუსეთს გადასცა. ვიცე-მეფემ გენერალურ პროვედიტორად დანდოლო დანიშნა, რომლის კომპეტენციებშიც სამოქალაქო საკითხები შედიოდა. გენერალი მარმონტი სამხედრო საკითხებს განაგებდა და უშუალოდ ექვემდებარებოდა ნაპოლეონსა და ვიცე-მეფეს.

1806 წლის დეკემბერში დალმაცია ოთხ ოლქად დაიყო: ზადარი, სპლიტი, შიბენიკი, მაკარსკა. თითოეულ ოლქს სპეციალური ნარგზავნილი მართავდა.

1809 წლის ოქტომბერში ნაპოლეონმა იტალიის სამეფოს ჩამოაშორა იტალიის ისტრია, დალმაცია, დუბროვნიკი და კოტორის ყურე, იმისთვის, რომ

ისინი ავსტრიისგან მიღებული პროვინციებისთვის მიეერთებინა და საფრანგეთის იმპერიის ილირიული პროვინციები შეექმნა.

ნაპოლეონის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალები ილირიულ პროვინციებში შეიჭრნენ (1814 წლის აგვისტო). დალმაციის ოკუპაცია დუბროვნიკის აღებით დამთავრდა (1814 წლის იანვარი).

ვენის კონგრესზე (1814-1815) დალმაცია ავსტრიას მიეკუთვნა.

1816 წლის აგვისტოში საიმპერიო დეკრეტით გადაწყდა ავსტრიის პროვინციის რეორგანიზაცია, რომელშიც დაჯგუფდა დალმაცია, დუბროვნიკი, კოტორი და ეწოდა დალმაციის სამეფო.

დალმაციის სამეფო ოთხი ოლქისგან შედგებოდა: ზადარი, სპლიტი, დუბროვნიკი და კოტორი (ან ალბანეთი). ორი ოლქი, ზადარი და სპლიტი ყოფილი ვენეციის დალმაციის ტერიტორიას შეესაბამებოდა, კუნძულების კრკის, ტრესის, ლოშინის გამოკლებით, რომლებიც ილირიის სამეფოს შეუერთდა და კუნძულ კორჩულას გარდა, რომელიც დუბროვნიკს შეუერთდა, ორი ოლქი დუბროვნიკი და კოტორი ყოფილი დუბროვნიკის რესპუბლიკის ტერიტორიას (რასაც დაემატა კუნძული კორჩულა) და ყოფილი ვენეციის ალბანეთის პროვინციას მოიცავდა.

1867 წლის ივნისში ავსტრია-უნგრეთის შეთანხმების შედეგად ავსტრიის იმპერია ორ ნაწილად დაიყო და დალმაცია მოხვდა ავსტრია-უნგრეთის ახალი იმპერიის ავსტრიის ნახევარში (ცისლაიტანია).

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რაპალოს ხელშეკრულებით (1920 წლის ნოემბერი), ავსტრიის დალმაცია სერბია-ხორვატია-სლოვენიის სამეფოს პროვინცია გახდა, ქალაქ ზადარის და მასთან ერთად კუნძულების ცრესის, ლოშინის, ლასტოვოს, პელაგრუზის გამოკლებით.

1922 წელს, კოტორის ყურე ჩამოშორდა დალმაციის პროვინციას და ჩერნოგორიას შეუერთდა.

1931 წელს დალმაციის ყოფილი პროვინცია სანაპირო ოლქში გაერთიანდა (ადმინისტრაციული ცენტრი სპლიტი), აქ არ შევიდა დუბროვნიკის ყოფილი ოლქი, რომელიც ზეტას ოლქში გაერთიანდა (ადმინისტრაციული ცენტრი ცეტინე) და კუნძულები კრკი და პაგი, რომლებიც სავის ოლქს შეუერთდა (ადმინისტრაციული ცენტრი ზაგრები).

1939 წლის აგვისტოში ყოფილი დალმაცია მთლიანად შევიდა ხორვატიის დიდ ავტონომიურ ოლქში, კოტორის ყურის გამოკლებით (არა ხორვატიული ნაწილი).

1941 წლის აპრილში იუგოსლავიის დაშლის შედეგად:

– კუნძულები კრკი და რაბი, ჩრდილოეთი დალმაცია-სპლიტამდე, კუნძულები ვისი, კორჩულა, მელედა, ასევე კოტორის ყურე იტალიას მიეკუთვნა;

– დარჩენილი დალმაცია (კუნძულები პაგი, ბრაჩი, ხვარი, სპლიტის სახმელეთო პუნქტი, ხორვატიის ახალ სამეფოს მიეკუთვნა (ხორვატია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, სამხრეთი დალმაცია).

1943 წლის სექტემბერში ჰიტლერმა ხორვატიას იტალიის დალმაცია გადასცა.

1946 წლის იანვარში დალმაცია თავის ისტორიულ საზღვრებში აღდგა, დუბროვნიკის ტერიტორიით, მაგრამ კოტორის ყურის გარეშე.

ასე ჩამოყალიბებული დალმაცია შეუერთდა ხორვატიის ფედერაციულ რესპუბლიკას, და მისი სამხრეთი ნაწილი გახდა. აქედან მოყოლებული, ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ხორვატიასთან.

III ნაწილი

გამქრალი სახელმწიფოები

1789 – 2004 წლებს შორის არსებულ პერიოდში ამ სახელმწიფოებს ხანმოკლე, ზოგიერთს კი ხანგრძლივი არსებობა ჰქონდა.

ამ ნაწილში გამოყენებული შემოკლებები:

–სრინ: "საღვთო რომის იმპერიის" წევრი 1789;
–სდ: 1803 წლის 25 თებერვლის საიმპერიო დადგენილება.

აალენი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი აალენი, შვაბიის იურაში, მდინარე კოხერზე მდებარეობდა. სდ-ით ის ვიურტემბერგს გადაეცა.

აახენი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ოდესღაც იმპერატორთა კურთხევის ქალაქი, სავაჭრო გზაჯვარედინი იყო რაინის გერმანიასა და ნიდერლანდს შორის. აახენი მნიშვნელოვან სავაჭრო ადგილს წარმოადგენდა. სდ-ით ის საფრანგეთს გადაეცა.

ანკონა (რესპუბლიკა) –> ვატიკანი.

ანაჰლტი (საპერცოგო და სამთავრო, სრინ) –> გერმანია.

ანსპაჰი (სამარკგრაფო, სრინ) –> გერმანია.

არენბერგი (საპერცოგო, სრინ) –> გერმანია.

ასპერმონტ-ლინდენი (გრაფი,სრინ) ასპრემონტ-ლინდენის გრაფის მფლობელობაში იყო რეკჰაიმის საგრაფო მაასტრიხტთან ახლოს. სდ-ით საგრაფო საფრანგეთს გადაეცა, გრაფმა კომპენსაციად შვაბიაში მდებარე ბაინდტის სააბატო მიიღო, რომელიც საგრაფოდ გადაკეთდა. 1806 წელს ბაინდტის გრაფი ვიურტენბერგის დაქვემდებარებაში გადავიდა.

აუერსპერგი (მთავარი, სრინ) – აუერსპერგის მთავარი, კარინთიის დიდი მარშალი, რომლის უშუალო მფლობელობაში თენგენის საგრაფო იყო, შაფჰაუზენის ჩრდილოეთით, ჰეგაუში მდებარეობდა. 1806 წელს მედიაციის აქტით საგრაფო ბადენის დიდმა ჰერცოგმა მიიღო.

აუგსბურგი (საეპისკოპოსო, სრინ) – აუგსბურგის საეპისკოპოსოს მოსახლეობა დაახლოებით 70 000 კაცს შეადგენდა. მისი ძირითადი ტერიტორია გადაშლილი იყო ლეხის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქ აუგსბურგიდან (მის ჩაუთვლელად) ალპების ქედებამდე, ისევე როგორც დუნაისა და ლეხის შენაკადებით შექმნილ კუთხეში შეჭრილ ტერიტორიებამდე, რომელთა შორის იყო დილინგენი (დუნაიზე), სადაც ეპისკოპოსის რეზიდენცია მდებარეობდა. სდ-ით აუგსბურგის საეპისკოპოსო ბავარიას გადაეცა.

აუგსბურგი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – მდინარე ლეხზე მდებარე ქალაქი აუგსბურგი მნიშვნელოვანი სავაჭრო და საბანკო ადგილი იყო. სდ-ით დაცული ქალაქი, 1805 წელს ბავარიის მიერ იქნა ანექსირებული.

ბადენი (სამარკგრაფო, სრინ, შემდგომში დიდი საპერცოგო) –> გერმანია

ბაინდტი (სააბატო, სრინ) – შვაბიაში, ვაინგარტენისა და რავენსბურგის ჩრდილოეთით მდებარე ბაინდტის ქალთა სააბატო. სდ-ით სააბატო ასპერმონტ-ლინდენის გრაფს გადაეცა.

ბაზელი (საეპისკოპოსო, სრინ) – ბაზელის საეპისკოპოსო, დედაქალაქი პორანტრუი, გადაჭიმული იყო იურას ქედის გასწვრივ, დუნაიდან რაინამდე, ალზასიდან ბიენის ტბამდე.

აყვავებული ვაჭრობითა (პორტი და ხიდი რაინზე) და უნივერსიტეტით ცნობილი ქალაქი ბაზელი, დროთა განმავლობაში ეპისკოპოსს გამოეყო. საბოლოოდ ურთიერთობის განყვეტა გერმანიის კონფედერაციაში ბაზელის შესვლისა (1501ნ.) და მისი რეფორმაციაზე (1527ნ.) გადასვლის დროს მოხდა, რასაც ეპისკოპოსის პორანტრუიში გამგზავრება მოჰყვა. ამ უკანასკნელმა თავის ტერიტორიებზე კათოლიციზმის დასაცავად ყველაზე სამხრეთით მდებარე საკუთარი პროვინციები კათოლიკურ კანტონებთან გააერთიანა (1580ნ.).

ბაზელის საეპისკოპოსოს შვეიცარიული ნაწილი ფრანგულნოვან ვალ-მუტიეს, ბელელეის, ერგელისა და ნეეევილის საბაიოებს მოიცავდა. ეპისკოპოსის სუვერენიტეტი ქალაქ ბიენზე მხოლოდ ნომინალური იყო. ამ ტერიტორიებისთვის, ბაზელის ეპისკოპოსი ჰელვეციური კონფედერაციის მოკავშირე გახდა.

გერმანული ნაწილი შემდეგ ტერიტორიებს მოიცავდა:

– ანჟუას (პორანტრუი), სენტ-იურსანის, დელემონისა და ფრანშ-მონტანის ფრანგულენოვანი ტერიტორიები; ვალ-მუტიესა და ზოლოთურნის კანტონებს შორის მდებარე მონტსეველიეს ფრანგულენოვანი ანკლავი;

– ლაუფონისა და არლესჰაიმის გერმანულენოვანი ტერიტორიები და ასევე რაინის მარჯვენა ნაპირზე მდებარე შილინგენისა და იდშტაინის გერმანულენოვანი ანკლავები; ბაზელის ეპისკოპოსი-მთავარის რეზიდენცია ჩვეულებისამებრ პორანტრუიში "იურას პატარა ათენში" იყო განლაგებული. იგი საფრანგეთთანაც იყო დაკავშირებული რეგულარულად განახლებადი ალიანსით.

საფრანგეთში განვითარებული მოვლენების გამო, თავის ქვეშევრდომთა მღელვარებით შეშფოთებულმა ბაზელის ეპისკოპოსმა-მთავრმა 1790 წელს იმპერატორს მფარველობა სთხოვა. ამ უკანასკნელმა მას 1791 წლის მარტში ბრიზგაუდან ავსტრიული კორპუსი გამოუგზავნა ნესრიგის დასამყარებლად. საეპისკოპოსოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარების განლაგებამ, რაც ფორმალურად 1780 წლის ალიანსს ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთსა და ბაზელს შორის, საფრანგეთს ინტერვენციის საბაბი მისცა. საფრანგეთის მიერ ავსტრიისთვის ომის გამოცხადების შემდეგ, ფრანგულმა ჯარებმა გენერალ კიუსტინის მეთაურობით, 1792 წლის 30 აპრილს პორანტრუი დაიკავეს. ეპისკოპოსმა-მთავარმა ბიენს შეაფარა თავი.

1792 წლის 19 დეკემბერს საფრანგეთის ინიციატივით პორანტრუიში შეკრებილმა ეროვნულმა ასამბლეამ ეპისკოპოსი-მთავრისთვის უფლებების ჩამორთმევა და რორასიის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა, რომლის ტერიტორია საეპისკოპოსოს გერმანულ ნაწილს მოიცავდა, რაინის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ორი ანკლავისა (შილინგენი და იდშტაინი) და მონტსეველიეს ანკლავის გარდა. ეპისკოპოსს მხოლოდ აღნიშნული გერმანული ტერიტორიები დარჩა.

ძალიან მალე, ამ რესპუბლიკაში პოლიტიკური ცხოვრების დეზორგანიზატორული ანარქიის პირისპირ, კონვენტმა იქ თავისი ნარმომადგენლები გააგზავნა, რომლებმაც ინტრიგები გააბეს საფრანგეთის სასარგებლოდ რესპუბლიკის მისაერთებლად. 1793 წლის 7 მარტს ახალმა ასამბლეამ ხმა მისცა საფრანგეთისთვის ამ რესპუბლიკის მიერთებას. ეს გადაწყვეტილება კონვენტმა 23 მარტს დამტკიცა. ყოფილი რესპუბლიკისგან მონტ-ტერიბლის (ადმინისტრაციული ცენტრი პორანტრუი) ორი ოლქისგან შემდგარი დეპარტამენტი შეიქმნა: პორანტრუი (23 000 სული მოსახლე) აჟუასთან ერთად და ფრანშ-მონტანი; აგრეთვე დელემონის დეპარტამენტი (17 000 სული მოსახლე) ბირსისა და სორნის ხეობებით.

ბაზელის საეპისკოპოსოს შვეიცარიული ტერიტორიები დროებითი რეგენტობის მდგომარეობაში აღმოჩნდა, კონსტანცაში ეპისკოპოსის გაქცევის შემდეგ.

1797 წელს დირექტორიის მიერ გადაწყვეტილი შვეიცარიის ოკუპაციის პრელუდიად, საფრანგეთმა ბაზელის საეპისკოპოსოს (ვალ-მუტიე, ბელელეი, ერგელი, ნეკილი) შვეიცარიული ნაწილის ოკუპაცია, შემდეგ კი ანექსია მოახდინა, ისევე როგორც მონტსეველიეს "გერმანული" ანკლავისა, რომელიც მაშინვე მონტ-ტერიბლის დეპარტამენტთან იქნა მიერთებული. 1798 წლის 6 თებერვალს ფრანგებმა ბიენი დაიკავეს. 7 თებერვალს ქალაქის საბჭომ ხმა მისცა ბიენის საფრანგეთთან გაერთიანებას. ქალაქი მონტ-ტერიბლთან იქნა მიერთებული.

სდ-ით, ბაზელის საეპისკოპოსო რაინის მარჯვენა ნაპირზე (შილინგენი და იდშტაინი) მდებარე უკანასკნელი დომენები ბადენის ამომრჩეველს გადაეცა.

ბამბერგი (საეპისკოპოსო, სრინ) – 200 000 მცხოვრებისგან შემდგარი ბამბერგის საეპისკოპოსოს ტერიტორია მოიცავდა მაინის ზემო დინების გასნვრივ მდებარე კომპაქტურ ტერიტორიას ბამბერგის გარშემო (დედაქალაქი), კრონაჰს, ფორშაიმსა და ზელბახის პფალცში მდებარე ანკლავს (ვილსეკი).

სდ-ით, ბამბერგის საეპისკოპოსო თითქმის მთლიანად ბავარიას გადაეცა, პრუსიისთვის გადაცემული რამდენიმე ფრაგმენტის (ანსპახი) გარდა.

ბასენჰაიმი (გრაფი, სრიწ) – ბასენჰაიმის გრაფის მფლობელობაში შედიოდა ანდერნახთან მდებარე ოლბრუკის სენიორია. სდ-ით სენიორია საფრანგეთს

გადაეცა, ხოლო გრაფმა ამის საკომპენსაციოდ, ჰეგბახის სააბატო მიიღო შვაბიაში მდებარე მიეტინგენისა და ზიულინგენის სოფლების გარდა. 1806 წელს ჰეგბახი მედიაციის აქტით ვიურტენბერგს გადაეცა.

ბატავია (რესპუბლიკა) –> ნიდერლანდი

ბავარია (საარჩევნო საპერცოგო, სრინ, შემდგომში სამეფო) –> გერმანია

ბაიროითი (სამარკგრაფო, სრინ) –> გერმანია

ბენევენტო (სამთავრო) – ლომბარდიის დიდი საპერცოგოს უსახური მემკვიდრის, ბენევენტოს სამთავროს მცირე ტერიტორია, IX საუკუნიდან პაპის ანკლავი იყო ნეაპოლის სამეფოში, უფრო ზუსტად კი პირიქითა სამთავროს ნეაპოლიტანურ საინტენდანტოში.

1806 წლის ივნისში რომის პაპის პრეტენზიების საპასუხოდ, რომელიც უარს ამბობდა ნაპოლენის ძმის, ჟოზეფის ნეაპოლის მეფედ კურთხევაზე, თუკი ეს უკანასკნელი პაპობისადმი ვასალურ დამოკიდებულებას არ აღიარებდა, ნაპოლეონმა, რომელმაც თავის დიდ მოხელეებს დიდგვაროვნობა უბოძა, პაპის ოლქს ბენევენტო ჩამოართვა (ასევე პონტე-კორვო) და ის სუვერენულ სამთავროდ აქცია ტალეირანის სასარგებლოდ.

ბენევენტოს სამთავრო რეალურად სუვერენული იყო ნაპოლეონის მიერ დადგენილ საზღვრებში. ტალეირანმა ბენევენტოში თავისი პირადი წარმომადგენელი (დე ბეერი) გააგზავნა, სამთავროში ნაპოლეონის კოდექსი შემოიღო, ფრანგული ენა სამთავროს ოფიციალური ენა გახადა, აღადგინა ძეგლები და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი, შარლ-მორისი არასოდეს ჩასულა ბენევენტოში, ის მისდამი დიდ ინტერესს იჩენდა.

1814 წლის ივნისში მიურატმა ბენევენტო დაიპყრო და ის ნეაპოლის სამეფოს მიუერთა. 1815 წლის ივნისში ბენევენტო პაპის ტახტმა დაიბრუნა.

ბენტჰაიმი (გრაფი, სრინ) – ბენტჰაიმ-ბენტჰაიმის გრაფის მფლობელობაში შედიოდა ამავე სახელწოდების საგრაფო და შტაინფიურტის პატარა საგრაფო. ორივე საგრაფო ვესტფალიის ჩრდილო-დასავლეთით და მიუნსტერის ჩრდილო-დასავლეთით ვეხტზე მდებარეობდა. 1753 წლიდან ერაფმა ბენტჰაიმის საგრაფო ჰანოვერის ამომრჩეველს მისცა გირაოდ, რომელმაც ცალმხრივი წესით მისი ანექსია მოახდინა. სდ-ით, ბენტჰაიმის საგრაფო მის გრაფს დაუბრუნდა. 1806 წელს ორივე საგრაფო ბერგის დიდი ჰერცოგის დაქვემდებარებაში გადავიდა.

ამ გრაფების სხვა შტოს მფლობელობაში ვესტფალიაში, ემსის სათავესთან მდებარე ბენტჰაიმ-ტეკლენბურგ-რედას სენიორია იყო. 1808 წელს სენიორია ბერგის დიდი ჰერცოგის დაქვემდებარებაში გადავიდა.

ბერხტესგადენი (პრევოს რეზიდენცია, სრინ) –> გერმანია

ბერგი (დიდი საჰერცოგო) –> გერმანია

ბოირონი (სააბატო, სრინ) – შვაბიაში მდებარე ბოირონის სააბატო დუნაის დინების ზევით, ზიგმარინგენთან მდებარეობდა. სდ-ით, სააბატო პოეპნცოლერნ-ზიგმარინგენის მთავრის მფლობელობაში გადავიდა

ბიბერახი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი ბიბერახი შვაბიაში, რისზე იყო განლაგებული. სდ-ით, ის ბადენის მარკგრაფს, ხოლო 1806 წელს ვიურტემბერგს გადაეცა.

ბიენი (თავისუფალი ქალაქი) – ქალაქი ბიენი შვეიცარიაში, ამავე სახელწოდების ტბაზე მდებარეობდა და 1789 წელს ჰელვეციური კონფედერაციის "მოკავშირე კანტონს" წარმოადგენდა. 1528 წელს ის ბაზელის ეპისკოპოსის მეურვეობისგან განთავისუფლდა და რეფორმაციას შეუერთდა. 1798 წელს საფრანგეთმა ქალაქის ანექსია განახორციელა.

ბოლონია (რესპუბლიკა) –> იტალია (მოდენა და პაპის ლეგატს დაქვემდებარებული ტერიტორიები)

ბოპფინგენი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი ბოპფინგენი ეგერის დინების ზევით, ნერდლინგენთან მდებარეობდა. სდ-ით, ის ბავარიას გადაეცა.

ბუიონი (საჰერცოგო) –> ბელგია

ბრემენი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) –> გერმანია

ბრეტცენჰაიმი (სამთავრო, სრიწ) – ბეტცენჰაიმის საგრაფო 1790 წელს სამთავრო გახდა. ის შეიქმნა ნაიზე მდებარე ბრეტცენჰაიმის სენიორიისგან და ვინცენჰაიმისაგან, რომელიც ბავარიის პფალცის მთავარმა კარლ-თეოდორმა კიოლნის ამომრჩეველისგან თავისი უკანონო ვაჟისთვის შეიძინა. სდ-ით, სამთავრო საფრანგეთს გადაეცა, მთავარმა კი მის სანაცვლოდ სააბატო და ქალაქი ლინდაუ მიიღო, რომელიც კონსტანცის ტბაზე მდებარე კუნძულს წარმოადგენდა. 1804 წელს მთავარმა თავისი ახალი სამთავრო ავსტრიას დაუთმო ბოჰემიასთან გამეშვეობითებული მიწების სანაცვლოდ.

ბრიზგაუ (სალანდგრაფო, სრიწ) –> გერმანია, ავსტრია

ბრიქსენი (საეპისკოპოსო, სრიწ) – ბრიქსენის საეპისკოპოსო, რომელშიც 25 000 კაცი ცხოვრობდა, გადანაწილებული იყო სამხრეთ ტიროლს (ბრიქსენი, ზემო ვალ დი ფასა, გადერთალი, ტაუფერერთალი), აღმოსავლეთ ტიროლსა (ანრასი) და კრაინაში (ბლედი), სავის ზემო აუზზე მდებარე ტერიტორიებზე. ტიროლის გრაფი-მთავარის რანგში, იმპერატორს ამ საეპისკოპოსოში თავისი დომენი ჰქონდა. სდ-ით, ბრიქსენის საეპისკოპოსო მთლიანად ავსტრიას გადაეცა.

ბრაუნშვაიგი (საპერცოგო, სრიწ) –> გერმანია

ბუხაუ (სააბატო, სრიწ) – ბუხაუს ქალთა სააბატო ფედერის ტბის მახლობლად, შვაბიაში ამავე სახელწოდების ქალაქს, ჰაბსბურგების ზაულგაუს საბაიოსა და შუსენრიდის სააბატოს შორის იყო განლაგებული. ბუხაუს სააბატოს მფლობელობაში იყო სტრასბერგის საბაიო, რომელიც შმუტერზე (დუნაის მარცხენა ნაპირის შენაკადი) ზიგმარინგენის ზევით მდებარეობდა.

სდ-ით, ბუხაუს სააბატო ტორნ-უნდ-თაქსისის მთავარს გადაეცა.

ბუხორნი (საიმპერიო ქალაქი, სრიწ) – ქალაქი ბუხორნი (დღეს ფრიდრიხსჰაფენი) კონსტანცის ტბის ნაპირზე მდებარეობდა. სდ-ით ის ბავარიას გადაეცა.

კასტელი (საგრაფო, სრიწ) – კასტელის საგრაფო ზემო პფალცში, შვარცემბერგთან მდებარეობდა. მის მფლობელობაში აგრეთვე შედიოდა დუნაის მარცხენა ნაპირზე მდებარე პატარა დომენი, ულმის ზევით.

ციზალპური, შემდგომში **იტალიის** (რესპუბლიკა) –> იტალია

ცისპადანი (რესპუბლიკა) –> იტალია (მოდენა და პაპის ლეგატს დაქვემდებარებული ტერიტორიები)

სიზრენანი (ფრ.) (პირაქეთა რაინის) (რესპუბლიკა) –> გერმანია (მაინცი), საფრანგეთი

შური (საეპისკოპოსო, სრიწ) – შურის საეპისკოპოსო, რომელიც ნინათ საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა, 1789 წელს შემცირებულ იქნა (5 000 კაცი). ის ქვედა რაინზე ფიურსტენაუს გარშემო მდებარეობდა, სადაც ეპისკოპოსის რეზიდენცია იყო განლაგებული. სდ-ით, შურის საეპისკოპოსო ჰელვეციის რესპუბლიკას გადაეცა.

კიოლნი (საარჩევნო საარქიეპისკოპოსო, სრიწ) –> გერმანია

კონსტანცი (საეპისკოპოსო, სრიწ) – კონსტანცის საეპისკოპოსო ამავე სახელწოდების ტბაზე მდებარე სამი ტერიტორიისგან შედგებოდა: მეერსბურგი (ეპისკოპოსის რეზიდენცია), რაიხენაუ და ბოჰლინგენი, და დამატებით კონცენბერგის სენიორია. ის გამოყოფილი იყო დუნაის ზემო დინებით (ტიუტლინგენთან ახლოს), მისი მოსახლეობა 10 000 კაცს შეადგენდა. მასში აგრეთვე შედიოდა ტიურგოვისა და ბადენის საგრაფოში მდებარე რამდენიმე გამეშვეობითებული საბაიო შვეიცარიის სიუზერენიტეტის ქვეშ (არბონი, ციურცახი და სხვ.)

კორნელიმიუნსტერი (სააბატო, სრიწ) – კორნელიმიუნსტერის სააბატო რენანიაში (დასავლეთ გერმანიის რეგიონი) აახენთან ახლოს მდებარეობდა. სდ-ით, სააბატო საფრანგეთს გადაეცა.

კორვეი (საეპისკოპოსო, სრიწ) – 1783 წელს სეკულარიზებული კორვეის ძველი სააბატო, მთავრის სააბატოს რანგში იქნა აყვანილი. ის შუა ვეზერზე იყო განლაგებული პადერბორნისა და ბრიუნსვიკის საპერცოგოს შორის. სპ-ით, ის ნასაუ-დილენბურგის მთავარს გადაეცა (ორან-ნასაუს შტო).

კურლანდია (საპერცოგო) –> ლატვია

კრაკოვი (რესპუბლიკა) –> პოლონეთი

კრუი-სოლრი (ჰერცოგი, სრინ) –ჰერცოგ კრუი-სოლრის მფლობელობაში იყო რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე მენგენის საგრაფო. სდ-ით, საგრაფო საფრანგეთს გადაეცა, ხოლო ჰერცოგმა სანაცვლოდ ლიპეს მარჯვენა ნაპირზე მდებარე დიულმენის საგრაფო მიიღო (მიუნსტერის საეპისკოპოსოსგან შექმნილი), რომელიც კრუი-დიულმენის საჰერცოგო გახდა. 1806 წელს საჰერცოგო არენბერგის ჰერცოგის დაქვემდებარებაში გადავიდა.

გდანსკი (ფრ., გერ. დანციგი) (თავისუფალი ქალაქი) –პომერელიეს (მცირე პომერანია) საჰერცოგოს ყოფილი დედაქალაქი, 1350 წლიდან ჰანზის ქალაქი გახდა. 1454 წელს გდანსკი პოლონეთს შეუერთდა ვასალი სახელმწიფოს ფორმით. ის საკუთარი კონსტიტუციით იყო აღჭურვილი (გდანსკის ადათები). 1772 წელს გდანსკი დანარჩენი პოლონეთისგან იზოლირებული აღმოჩნდა პრუსიის მიერ პოლონეთის პირველი განაწილებიდან მიღებული ტერიტორიების გამო. 1793 წელს გდანსკი პრუსიამ მიიერთა და ქალაქი დასავლეთ პრუსიის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი გახდა.

1807 წელს პრუსიამ ქალაქი ნაპოლეონს დაუთმო, რომელმაც ის თავისუფალ ქალაქად, გდანსკის რესპუბლიკად აქცია საფრანგეთის მფარველობის ქვეშ (1813 წლამდე). შემდგომში გდანსკი კვლავ დასავლეთ პრუსიის ადმინისტრაციული ცენტრი გახდა 1815 წლიდან 1824 წლამდე, და ხელახლა 1878 წლიდან. მისი მოსახლეობის 90%-ს გერმანელები შეადგენდნენ. გდანსკი პრუსიის დიდ პორტად იქცა (გემთმშენებლობა).

ვერსალის ხელშეკრულებით, იმის გამო რომ გდანსკი ძირითადად გერმანელებით იყო დასახლებული, მაგრამ ამავე დროს, აღდგენილი პოლონეთისთვის ზღვაზე გასასვლელი უნდა უზრუნველეყო, გდანსკი კვლავ თავისუფალი ქალაქი გახდა ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ.

1919 წელს გდანსკის ტერიტორია (1 900კმ², 325 000 კაცი) სამჯერ გაიზარდა 1454-1793 წლებისა და 1807-1813 წლების თავისუფალ ქალაქებთან შედარებით. აღმოსავლეთით მან ნოგატამდე მიაღწია და უფრო მეტად გაიზარდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ამის სანაცვლოდ, მასში სანაცვლოდ, მასში აღარ შედიოდა ჰელის (როგორც 1793 წლამდე) ნახევარკუნძული და მას მხოლოდ ფრიხ ნერუნგის მცირე ნაწილი დარჩა. თავისუფალი ქალაქი კვლავ მოსაზღვრე ანკლავად იქცა, როგორც გერმანიის, ისე აღმოსავლეთი პრუსიისა და პოლონეთისთვის, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ზღვაზე გასასვლელი "კორიდორი" იყო.

1920 წლის 9 ნოემბრის ხელშეკრულებით, დაზუსტდა ქალაქის სტატუსი და მისი კავშირები პოლონეთთან. ქალაქი ერთა ლიგის მმართველობისა და მფარველობის ქვეშ მოექცა, რომელმაც იქ უმაღლესი კომისარი გააგზავნა. თავისუფალ ქალაქს საკუთარი მთავრობა და პარლამენტი ყავდა, რომელიც გერმანულ სპეციფიკურობას უზრუნველყოფდა. ამავე დროს, ქალაქი პოლონეთის საბაჟო პერიმეტრში იქნა მოქცეული, რომელიც გენერალური კომისრის მიერ იყო წარმოდგენილი. პოლონეთს დაეკისრა ქალაქის დიპლომატიური წარმომადგენლობით, პოლონური ფოსტით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით კი პორტისა და რკინიგზის მართვა.

მიუხედავად ამისა, ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ პერიოდში პოლონელებმა გდანსკის მეზობლად პორტი ააგეს (პოლონეთის ტერიტორიაზე), რამაც ამ ქალაქის სტაგნაცია გამოიწვია. 1933 წლიდან ნაციონალ-სოციალისტების ხელში გადასულმა თავისუფალი ქალაქის მთავრობამ გერმანიასთან გაერთიანება მოითხოვა, რაც 1939 წლის 1 სექტემბერს განხორციელდა მეორე მსოფლიო ომის გამოცხადების დღეს.

1945 წლიდან გდანსკი პოლონეთთან იქნა მიერთებული და ის ამ ქვეყნის დიდ პორტად იქცა.

დე-პონ-ბირკენფელდი (საჰერცოგო, სრინ) –> გერმანია

ორივე სიცილია (სამეფო) –> იტალია

დიტრიხშტაინი (მთავარი, სრინ) – კარინთიის ავსტრიული საჰერცოგოს დიდი ღვინის მწდის, მთავარ დიტრიხშტაინის მფლობელობაში 1686 წლიდან გრაინბიუნ-

დენში, ინაზე მდებარე ტარასპის სენიორია შედიოდა, რომელიც მოგვიანებით სამთავრო გახდა. სდ-ით, სამთავრო ჰელვეციის კონფედერაციას გადაეცა, რის სანაცვლოდ მთავარმა კონსტანცის ტბის მახლობლად, შვაბიაში მდებარე ნოირავენსბურგის გამეშვეობითებული სააბატო მიიღო, რომელიც სანკტ-გალენის აბატის კუთვნილება იყო. 1804 წელს მთავარმა ის ავსტრიას მიჰყიდა.

დინკელსბული (საიმპერიო ქალაქი, სრინ) –ქალაქი დინკელსბული ვერნიცზე, ფრანკონიაში მდებარეობდა. სდ-ით, ის ბავარიას გადეცა, რომელმაც ქალაქი პრუსიას დაუთმო.

დორტმუნდი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ოდესღაც ჰანზის ქალაქი, რომელიც რენანიაში, რურსა და ლიპეს შორის მდებარეობდა, სავაჭრო და სამრეწველო ქალაქი იყო. სდ-ით, ის ორან-ნასაუს მთავარს გადაეცა.

ედელშტეტენი (სააბატო, სრინ) – ედელშტეტენის ქალთა სააბატო შვაბიაში, ბურგაუში იყო განლაგებული. სდ-ით, ედელშტატენის სააბატო ლინის მთავარს გადაეცა.

აიხშტედტი (საეპისკოპოსო, სრინ) – აიხშტედტის საეპისკოპოსო, რომელშიც დაახლოებით 60 000 სული მოსახლე ცხოვრობდა, ქალაქ აიხშტედტის (დედაქალაქი) გარშემო ალტმულის გაყოლებით მდებარე ტერიტორიისა და ასევე ანსპახის სამარკგრაფოში შეჭრილი ხუთი საბაიოსგან იყო შემდგარი: ზანდზი, ვერნფელს-სპალტი, აბენბერგი, არბერგ-ორნბაუ, ვარბერგ-ჰერიედანი. სდ-ით, აიხშტედტის საეპისკოპოსო შემდეგნაირად იყო გაყოფილი:

– უდიდესი ნაწილი ქალაქთან ერთად, ტოსკანის დიდი ჰერცოგის, ზალცბურგის ამომრჩევლის დომენი იყო;

– ანსპახის სამარკგრაფოში შეჭრილი ხუთი საბაიო (ზანდზი, ვერნფელს-სპალტი, აბენბერგი, არბერგ-ორნბაუ, ვარბერგ-ჰერიედანი) ბავარიას ეკუთვნოდა.

ელბა (სამთავრო) –> საფრანგეთის იტალია

ელხინგენი (სააბატო, სრინ) – ელხინგენის სააბატო შვაბიაში დუნაიზე, ულმის ქვემოთ მდებარობდა. სდ-ით, ელხინგენის სააბატო ბავარიას გადაეცა.

ელვანგენი (პრეკოს რეზიდენცია, სრინ) – ელვანგენის პრეკოს რეზიდენციის მფლობელობაში იყო იაგსტის ზემო ხეობაში მდებარე ტერიტორია, რომელსაც ამავე სახელწოდების პრეკოს მფლობელობაში მყოფი ქალაქი ერტყა გარს. სდ-ით, ელვანგენის სააბატო ვიურტენბერგს გადაეცა.

ელტენი (სააბატო, სრინ) – ელტენის სააბატო რაინთან ახლოს, კლევის საჰერცოგოში იყო განლაგებული. სდ-ით, სააბატო პრუსიას გადაეცა.

ერბახი (საგრაფო, სრინ) – ერბახის საგრაფო, რომელიც ამავე სახელის გრაფების სამფლობელო იყო, დარმშტადტის აღმოსავლეთით, ქვემო მაინისა და ქვემო ნეკარს შორის იყო გადაშლილი. 1806 წელს საგრაფო ჰესენ-დარმშტადტის დაქვემდებარებაში გადავიდა.

ესენი (სააბატო, სრინ) – ესენის ქალთა სააბატო რურზე მდებარეობდა. სპ-ით, სააბატო პრუსიას გადაეცა.

ესლინგენი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი ელსინგენი ნეკარზე, შტუტგარტის ზევით მდებარეობდა. სდ-ით, ის ვიურტემბერგის დაქვემდებარებაში გადავიდა.

ესტერჰაცი (მთავარი) – იმპერატორთა სამსახურში მყოფმა უნგრელ დიდგვაროვანთა ოჯახის წარმომადგენელმა, მთავარმა ესტერჰაცმა 1803 წელს ლინის მთავრისგან ედელშტეტენის სააბატო იყიდა შვაბიაში, რომელიც ამ უკანასკნელმა სდ-ით მიიღო. 1806 წელს ედელშტეტენი ბავარიის დაქვემდებარებაში გადავიდა.

პაპის ოლქი (იგივე რომის, იგივე პაპის) (მონარქია) –> ვატიკანი

იონიის კუნძულების გაერთიანებული სახელმწიფოები (რესპუბლიკა) –> საბერძნეთი

ეტრურია (სამეფო) –> იტალია

ფიუმე (თავისუფალი ქალაქი) – ფიუმე (რიეკა სლავურად) ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, კვარნერის ყურის სიღრმეში განლაგებული საპორტო ქალაქი იყო. 1789 წელს ის უნგრული სანაპიროს ძირითად ქალაქს წარმოადგენდა, რომელიც

ვიწრო საზღვაო ფასადი იყო სამოქალაქო ხორვატიას, ავსტრიის ისტრიასა და ხორვატიის სამხედრო საზღვრებს შორის. ლუიზენშტრასეს სახელად წოდებული გზა მას კარლშტადთან (კარლოვაცი) და აგრამთან (ზაგრები) აკავშირებდა. ფიუმეს პირდაპირ, ყურეში მდებარე კრკისა და ცრესის კუნძულები, ვენეციას ეკუთვნოდა.

დიდი ხნის განმავლობაში აკუილეის პატრიარქის დაქვემდებარებაში მყოფი ფიუმე, 1466 წელს ავსტრიის სახლის საკუთრებაში გადავიდა, იმპერატორ ფრიდრიხ III-ის მიერ მისი შესყიდვის შემდეგ. მდებარეობდა რა "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) მიღმა, 1719 წელს ის პორტო-ფრანკოს წარმოადგენდა და გარკვეულ აღმავლობას განიცდიდა XVIII საუკუნეში. ფიუმე ბუნებრივი გასასვლელი იყო უნგრეთისთვის. თავად ქალაქი, რომელშიც დაახლოებით 3 000 კაცი ცხოვრობდა, იტალიურად მოლაპარაკე მოსახლეობისგან შედგებოდა, მაგრამ მისი გარეუბანი ხორვატებით იყო დასახლებული. ქალაქი და მასთან უშუალოდ მდებარე ტერიტორია (corpus separatum) ხორვატიის სამეფოს არ ეკუთვნოდა, მაგრამ ის ცალკე ოლქს წარმოადგენდა, რომელიც ადმინისტრაციულად უნგრეთთან იყო მიერთებული. 1809 წელს ქალაქი საფრანგეთს (ილირიის პროვინციები) ეკუთვნოდა, 1815 წელს კი ის ავსტრიამ დაიბრუნა. 1816 წელს უნგრეთის სამეფო გვირგვინის შემადგენლობაში, ქალაქი ფიუმე და მისი რეგიონი კვლავ ცალკე ოლქი გახდა, რომელიც ხორვატიის სამეფოსგან გამოყოფილი იყო და პირდაპირ უნგრეთის პალატინის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა 1849-დან 1868 წლამდე არსებული პერიოდის გამოკლებით, მაშინ როდესაც ქალაქი დროებით ხორვატიული გახდა.

1868 წლიდან ფიუმე ტრანსლაიტანიის დიდი პორტი გახდა, რომლსაც საზღვაო ინდუსტრია ჰქონდა განვითარებული (გემთმშენებლობა, ნაღმები). ის იყო უნგრეთ-ხორვატიის საზღვაო კომპანიის სათავო სადგური, რომელიც ციზლაიტანიის ტერიტორიის გვერდის ავლით ბუდაპეშტს რკინიგზით უკავშირდებოდა (ბუდაპეშტი-ზაგრები-კარლოვაცი-ფიუმე).

1919 წელს ქალაქი იტალიასა და ახალ იუგოსლავიას შორის დავის საგანი გახდა.

1919 წლის 12 სექტემბერს პოეტმა გაბრიელე დ'ანუნციომ თავის მომხრეებთან ერთად (ardili) ქალაქი ფიუმე დაიპყრო და იქ კვარნერის იტალიის რეგენტობა გამოაცხადა (პატარა სახელმწიფო, რომელშიც შედიოდა ფიუმე, სუჩაკი და ვოლოსკასთან დამაკავშირებელი ტერიტორია, მის სილრმეში მდებარე ფრაგმენტებთან ერთად). პოეტმა იქ კორპორაციული სულისკვეთების (ფაშიზმის პირველსახე) რეჟიმი დაამყარა.

1920 წლის ნოემბერში იტალიასა და სხს-ს შორის კომპრომისი გამოინახა: ქალაქი ფიუმე სუჩაკის სლავურ გარეუბანთან და ვოლოსკასთან დამაკავშირებელ ზღვისპირა ტერიტორიასთან ერთად ერთა ლიგის კონტროლქვეშ, თავისუფალი ქალაქი გახდა. ქალაქის ტერიტორია კვარნერის იტალიის რეგენტობას შეესაბამებოდა, რომელიც შემცირებული იყო სანაპირო ზოლიდან ფიუმესა და ვოლოსკას შორის. 25 დეკემბერს იტალიის ახალმა მთავრობამ (ჯოლიოტი) ქალაქი დაბომბა დ'ანუნციოს იქიდან გასაძევებლად.

1922 წლის მარტში ძალის გამოყენებით, ფიუმეს თავისუფალი ქალაქის მთავრობა ფაშისტური გახდა მუსოლინის ხელისუფლების სათავეში ჩადგომამდე (ოქტომბერი).

1924 წლის იანვარში ქალაქი დაიშალა და ამგვარად დაიყო:

– ქალაქი ფიუმე და ვოლოსკასთან დამაკავშირებელი ზოლი იტალიას გადაეცა;

– სუჩაკის გარეუბანი სხს-ს სამეფოს ხელში გადავიდა.

იტალიასთან გაერთიანებამ ნეგატიური როლი ითამაშა კერძო პორტის საქმიანობაში (ქვეყნის სილრმეში მდებარე), მაშინ როდესაც იუგოსლავიელებმა სუჩაკის პორტი (პორტო-ბაროსი) განავითარეს.

ფრანკფურტი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქვემო მაინის დინებაზე, სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე მდებარე ქალაქ მაინის-ფრანკფურტს საუკეთესო ადგი-

ლი ეკავა ცენტრალურ გერმანიაში. ის მოიცავდა ქალაქის გარშემო მდებარე ძირითად ტერიტორიას და მაინცის საეპისკოპოსოსა (მარჯვენა ნაპირი) და ნასაუს ტერიტორიას შორის შეჭრილ პატარა ანკლავს.

XIII საუკუნის შუა ხანებიდან ის თავისუფალი ქალაქი გახდა და 1356 წლიდან (ოქროს ბულა) იმპერატორთა არჩევისა და კურთხევის პრივილეგია ხვდა წილად: საქმე ეხებოდა საპაპო მდგომარეობას, რადგან რატისბონში (რეგენსბერგი) იმართებოდა დიდგვაროვანთა კრება, ხოლო ვენა იმპერატორის რეზიდანცია იყო.

ქალაქი სავაჭრო და საბანკო პატარა რესპუბლიკა იყო, 100კმ² ფართობითა და დაახლოებით 40 000 მცხოვრებით, რომელსაც სენატი და ბურგომისტრი მართავდა.

სპ-ით, ქალაქი ფრანკფურტი ექვს დაცულ ქალაქთა რიცხვში შედიოდა. მან თავისი ძირითადი ტერიტორია შეინარჩუნა ქალაქის ირგვლივ, მაგრამ ნასაუს სასარგებლოდ პატარა ანკლავი დაკარგა.

1806 წლის 12 ივლისს მაინცის არქიეპისკოპოსმა, რომელიც რაინის კონფედერაციის პრიმასი-მთავარი გახდა, ფრანკფურტის თავისუფალი ქალაქი დაიქვემდებარა და ის თავის საარქიეპისკოპოსოში შეიყვანა. პრიმასმა-მთავარმა იქ თავისი რეზიდენცია გადაიტანა.

1815 წლის შემდეგ -> გერმანია

ფრანკფურტი (დიდი საპერეგო) -> გერმანია

ფრიდბერგი (საბურგრაფო, სრინ) – ფრიდბერგის საბურგრაფო, რომელიც ფრანკფურტის ჩრდილოეთით ზემო ჰესენში მდებარეობდა, ამავე სახელწოდების განერბინატის (სენიორების ლიგა) მფლობელობაში იყო. 1806 წელს ის ჰესენ-დარმშტადტს დაექვემდებარა.

ფრიდბერგი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ფრიდბერგი ზემო ჰესენზე, ფრანკ-ფურტის ჩრდილოეთით მდებარეობდა. სდ-ით, ის ჰესენ-დარმშტადტის ლანდ-გრაფს გადაეცა.

ფრიზინგი ან ფრაიზინგენი (საეპისკოპოსო, სრინ) – ფრიზინგის საეპის-კოპოსო, რომლის მოსახლეობა 20 000 კაცს შეადგენდა, დიდ ტერიტორიაზე იყო გადაშლილი, იზერის გასწვრივ მიუნხენის ქვევით, ქალაქ ფრიზინგთან ერთად. ამ საეპისკოპოსოს სხვა მცირე ნაწილები ზემო ბავარიაში (იზენი), აღმოსავლეთ ტიროლში (ინიხენი), ზემო ავსტრიაში (ვაიდჰოფენი), სავის ზემო აუზზე (ლაკი ან ბიშფლაკი), განსაკუთრებით კი ბავარიისა და ტიროლის საზღვრებთან მდებარე ვერდენფელსის (გარმიშ-პარტენკირხენი, მიტენვალდი) საგრაფოში იყო განლაგე-ბული. სდ-ით, ფრიზინგის საეპისკოპოსო ამგვარად დაიყო:

– უდიდესი ნაწილი (ფრიზინგი, იზენი, ვერდენფელსი) ბავარიას გადაეცა;

– ვაინდჰოფენის, ინიხენისა და ლაკის ანკლავები ავსტრიას გადაეცა.

ფიუგერი (გრაფები და მთავარი, სრინ) – აუგსბურგის ცნობილ ფეიქართა ოჯახიდან გამოსულმა გრაფებმა, რომლებიც იმპერატორის ბანკირები გახდნენ, დიდგვაროვნობის ტიტული და სუვერენული დომენები მიიღეს, რის შემდეგაც ისინი სამ შტოდ გაიყვნენ: კირხბერგ-ვაისენჰორნის შტო, რომლის მფლობე-ლობაში იყო კირხბერგის საგრაფო, ვაისენჰორნის სენიორია (ულმის სამხრეთით ილერზე), პფაფენჰოვენის სენიორია (ცურზამზე, დონაუვორთის სამხრეთით) და სხვ; გლეტის შტო, რომლის მფლობელობაში იყო გლეტი, ობენდორფი (დონაუვორ-ტის სამხრეთით), კირხაიმი (აუგსბურგის დასავლეთით) და სხვ; ბაბენჰაუზენის შტო, რომელმაც 1803 წელს მთავრის ტიტული მიიღო. მის საკუთრებაში იყო ბაბენჰაუზენი, დიეტენჰაიმი და სხვ. (ილერთან ახლოს).

ფულდი (საეპისკოპოსო, სრინ) – ფულდის საეპისკოპოსო (1752 წელს სეკულარიზებული ძველი სააბატო), რომლის მოსახლეობა 90 000 კაცს შეადგენდა, ამავე სახელწოდების მდინარეზე, ზემო ჰესენის რეგიონში იყო განლაგებული.

სდ-ით, საეპისკოპოსო ნასაუ-დილენბურგის მთავარს გადაეცა (ორან-ნასაუს შტო).

ფიურსტენბერგი (სამთავრო, სრინ) –> გერმანია

გაგაუზი (რესპუბლიკა) –> მოლდოვა

გეჰემი (სენიორია, სრინ) – მიუნსტერის საეპისკოპოსოს ტერიტორიაზე შეჭრილი ბარონ ბემელბურგის სამფლობელო, გეჰემის სენიორია, ქალაქ ბორკენთან ახლოს მდებარეობდა. 1806 ნელს ის ზალმ-კირბურგის დაქვემდებარებაში გადავიდა.

ჟენუა (რესპუბლიკა) –> იტალია

ჟენევა (რესპუბლიკა) – 1789 ნელს ჟენევის რესპუბლიკა ჰელვეციის კონფედერაციის მოკავშირე პატარა სახელმწიფო იყო, რომლის მოსახლეობა 30 000 კაცს აღწევდა. ის ლემანის ტბის დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. ჟენევის რესპუბლიკა ხუთ მცირე ნაწილად იყო დაყოფილი: ქალაქი ჟენევა და პერეის მცირე ნაწილი (ორიეე ნაწილი რონაზე მდებარეობდა და შეჭრილი იყო საფრანგეთსა და სარდინიის სავოიის ტერიტორიაზე), ჟიუსის ნაწილი (სავოიის ტერიტორიაზე შეჭრილი), ტბაზე მდებარე გენტჰოდის ნაწილი (საფრანგეთის ტერიტორიაზე შეჭრილი), ასევე ტბაზე მდებარე სელინის ნაწილი (ბერნის ეოს ტერიტორიაზე შეჭრილი). ჟენევა ვაჭრობისა და განათლების დიდი ცენტრი იყო, რომელიც საათების წარმოების კერად ითვლებოდა.

შუა საუკუნეებში ჟენევა საეპისკოპოსო სამფლობელო იყო, შემდეგ კი ის ჟენევის გრაფთა ხელში გადავიდა, რომელთა მმართველობა 1410 ნელს დასრულდა. 1524 ნელს ის სავოიის ხელში გადავიდა. სწორედ აღნიშნულ დროს ჟენევა განთავისუფლდა და ბერნისა და ფრიბურის კანტონებთან გაერთიანდა. ქალაქი აღტაცებით შეხვდა რეფორმას და კალვინიზმის "რომად" იქცა.

1798 ხლის დასაწყისში საფრანგეთის ჯარებმა მთლიანი შვეიცარიის მსგავსად ჟენევის ოკუპაცია მოახდინეს. ფრანგები ხელს უწყობდნენ ხალხის მოთხოვნებს, და 15 აპრილს ჟენეველებმა ხმა მისცეს ჟენევის რესპუბლიკის საფრანგეთთან მიერთებას.

ჟენევის ტერიტორია შაბლესთან და ფოსინისთან ერთად გაერთიანდა, რომელიც მონტ-ბლანის დეპარტამენტსა (კარუჟის, ტონონისა და კლუზის ოლქები) და გექსის ოლქს გამოეყო (ეს უკანასკნელი ენის ოლქს გამოეყო) ლემანის ახალი დეპარტამენტის შესაქმნელად, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი ჟენევა გახდა. 1813 ნლის დეკემბერში ფრანგების დამარცხებას, ფრანგ ხელისუფალთა მიერ ჟენევის დატოვება მოჰყვა, რის შემდეგაც ავსტრიელებმა ქალაქის ოკუპაცია მოახდინეს.

1815 ნლის ივნისში ქალაქი ჟენევა, ნეშატელისა და ვალეს მსგავსად, ახალ კანტონად იქნა მიღებული ჰელვეციის კონფედერაციაში.

გენგენბახი (სააბატო, სრინ) – გენგებახის სააბატო ორტენაუში კინციგზე, ოფენბურგის მახლობლად მდებარეობდა. სდ-ით, გენგებახის სააბატო ბადენის მარკგრაფს გადაეცა.

გენგებახი (საიმპერიო ქალაქი) – ქალაქი გენგებახი ორტენაუში, კინციგზე მდებარეობდა. სდ-ით, ის ბადენის მარკგრაფს გადაეცა.

გერნროდე (სააბატო, სრინ) – გერნროდეს ქალათა სააბატო ანჰალტის სახლის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე იყო შეჭრილი და მის მფლობელობაში იმყოფებოდა. სდ-ით, სააბატოს სეკულარიზაცია განხორციელდა, ანჰალტის სახლის შემადგენლობაში.

გინგენი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი გინგენი ბრენცზე, შვაბიის იურაში მდებარეობდა. სდ-ით, ის ვიურტემბერგს გადაეცა.

გიმბორნი (სენიორია, სრინ) – გიმბორნის სენიორია, რომელიც ვალმოდენის გრაფის დომენი იყო ბერგის მხარეში, კიოლნის აღმოსავლეთით იყო განლაგებული. 1806 ნელს მედიაციის აქტით, ის ბერგის დიდმა ჰერცოგმა მიიღო.

გმუნდი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი გმუნდი რეიმსზე მდებარეობდა. სდ-ით, ის ვიურტემბერგს გადაეცა.

გოსლარი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) –ჰარცის ჩრდილოეთით მდებარე გოსლარი ძველი სამთო-სამრეწველო ქალაქი იყო. სდ-ით, ის პრუსიამ მიიღო.

გრაუბიუნდენი (სამი ლიგის რესპუბლიკა) – გადანაწილებული იყო რაინის ზემო აუზს (ჩრდილოეთის ზღვაში ჩამდინარე), ინის ზემო ხეობასა (მავ ზღვაში ჩამდინარე) და მოეზის, მეზისა და პოჩიავენის მთის ხეობებს (ადრიატიკის ზღვაში

ჩამდინარე) შორის. ამ ტერიტორიაზე სამ ენაზე (გერმანული, იტალიური, რეტო-ტომანული) ლაპარაკობდნენ და იქ ორი რელიგიური აღმსარებლობა (კათოლიკური და პროტესტანტული) არსებობდა. 1789 წელს გრაუბიუნდენი (სამი ლიგის კავშირი) ჰელვეციის კონფედერაციის რესპუბლიკაში მხოლოდ მოკავშირე ტერიტორიის სახით შედიოდა.

უფლის სახლის ლიგაში, რომელიც დასაბამს 1396 ნლიდან იღებდა, გაერთიანებული იყო რაინის ხეობის გლეხთა თემები. მის შემადგენლობაში ასევე შედიოდა ზემო რაინის აღმოსავლეთი ნახევარი, ანგლანდი (ენის ხეობის შვეიცარიული ნაწილი) და მერისა და პოჩიავენის იტალიური ხეობები. მისი დედაქალაქი კური იყო.

ზემო ლიგა ან ნაცრისფერი ლიგა (გლეხთა სამუშაო პერანგის ფერის მიხედვით), რომელიც 1424 წელს იქნა დაფუძნებული, აბატი მთავრის, დისენტისის გარშემო იყო გაერთიანებული. მასში შედიოდა ზემო რაინის თემები, ქვემო რაინის თემები, ქვემო რაინის დასავლეთი ნახევარი და მეზის იტალიური ხეობა. მისი დედაქალაქი ილანცი იყო.

ათი იურისდიქციის ლიგაში (1436 წელს დაარსებული) გაერთიანებული იყო პრეტიგაუს თემები და დავოსის (მისი დედაქალაქი) რეგიონი.

1471 წელს სამივე ლიგის წარმომადგენლებმა ვაცეროლში, გრაუბიუნდენის ცენტრში, ერთმანეთს მუდმივი კავშირი აღუთქვეს. "ზემო რეციის სამი მუდმივი ლიგის რესპუბლიკა ან ნაცრისფერი ლიგები," მონაცვლეობით რეგულარულად ატარებდა რჩეულთა კრებებს ილანცში, კურსა და დავოსში.

1512 წელს სამმა ლიგამ ვალტელინოს, ბორმიოსა და ჩიავენის იტალიური სამფლობელოები დაიპყრო და ისინი დაქვემდებარებულ ტერიტორიებად აქცია, რომელიც 1797 ნლამდე შეინარჩუნა (1620 ნლიდან 1639 ნლამდე ნყვეტით ვალტელინოსთვის).

1798 წელს ციზალპური რესპუბლიკის მიერ ოავის ქვეშევრდომთა დაბრუნების შემდეგ, გრაუბიუნდენი ჰელვეციის რესპუბლიკის რეციის კანტონი გახდა, 1803 ნელს კი გრაუბიუნდენის კანტონი ახალ კონფედერაციაში.

გუასტალა (საპერცოგო) –> იტალია, საფრანგეთი

გიუტენცელი (სააბატო, სრინ) – გიუტენცელის ქალთა სააბატო შვაბიაში, როტზე, ოშენჰაუზენის მახლობლად მდებარეობდა. სდ-ით, გიუტენცელის სააბატო ტერინგის გრაფმა მიიღო.

ჰამბურგი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) –> გერმანია

ჰანოვერი (ელექტორატი, სრინ, შემდგომში სამეფო) –> გერმანია

ჰეგბახი (სააბატო, სრინ) – ჰეგბახის ქალთა სააბატო შვაბიაში, ბიბერახის ჩრდილოეთით იყო განლაგებული. სდ-ით, ჰეგბახის სააბატო ამგვარად გადანაწილდა:

– უდიდესი ნაწილი სააბატოსთან ერთად ბასენჰაიმის გრაფმა მიიღო;

– მიტინგენისა და ზულნინგენის სოფლები პლატენბერგის გრაფმა მიიღო.

ჰაილბრონი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი ჰაილბრონი ნეკარის შუა დინებაზე მდებარეობდა. სდ-ით, ის ვიურტენბერგს გადაეცა.

ჰელვეციის (რესპუბლიკა) –> შვეიცარია

ჰერფორდი (სააბატო, სრინ) – ჰერფორდის ქალთა სააბატო რავენსბერგის პრუსიულ საგრაფოში იყო განლაგებული. სდ-ით, ის პრუსიას გადაეცა.

ჰესენი (სალანდგრაფო, სრინ, შემდგომში ელექტორატი და დიდი საჰერცოგო) –> გერმანია

ჰილდესჰაიმი (საეპისკოპოსო, სრინ) – ჰილდესჰაიმის საეპისკოპოსოში მის დასელის ანკლავთან ერთად, დაახლოებით 70 000 კაცი ცხოვრობდა. ის ჰარცის ჩრდილოეთ ფერდობთან ბრაუნშვაიგის საჰერცოგოს ორ ტერიტორიას შორის იყო განლაგებული. სდ-ით, საეპისკოპოსო პრუსიის მეფემ მიიღო.

ჰოჰენლოე (სამთავრო, სრინ) –ჰოენლოეს სამთავრო სხვადასხვა ნაწილად იყო დაყოფილი (ბარტენშტაინი, შილინგსფიურტი, ნოიენშტაინი და სხვ.) და იაგსტის გაყოლებაზე (ნეკარის შენაკადი) მდებარეობდა. მასში ასეჰვე შედიოდა სხვა ტერიტორიაში შეჭრილი ორი საბაიო (შილინგსფიურტი და კირხბერგი). მთავარ ჰოენლოე-ბარენშტაინის მფლობელობაში იყი ალზასში მდებრე ობერბრონის

გამეშვეობითებული სენიორია, რომელიც სდ-ით, საფრანგეთს გადაეცა. ამ სენიორიის სანაცვლოდ მთავარმა ვიურტენბერგისა და ᲰᲐᲚᲢᲔᲜᲑᲔᲠᲒᲫᲢᲐᲢᲔᲜᲘᲡ საბაიოები ლაუტენბახი, იაქსბერგი და ბრაუნსბახი მიიღო. 1806 წელს მედიაციის აქტით, სამთავრო ვიურტენბერგის დაქვემდებარებაში გადავიდა შილინგსფიურტისა და კირხბერგის ანკლავების გარდა, რომელიც ბავარიამ მიიღო.

ᲰᲝᲰᲔᲜᲪᲝᲚᲔᲠᲜᲘ (სამთავროები, სრინ) –> გერმანია

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ (სამეფო) –> ნიდერლანდი

ᲘᲠᲡᲔ (სააბატო, სრინ) – ირსეს სააბატო შვაბიაში ვერტახზე (ლეხის შენაკადი) მდებარეობდა, კაუფბოირენის ქვევით. სდ-ით, ირსეს სააბატო ბავარიას გადაეცა.

ᲘᲖᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ (სამთავრო და გრაფები, სრინ) – ზემო იზემბურგის საგრაფოში შემავალი დომენები ორი ნაწილისგან იყო შემდგარი: საკუთრივ საგრაფო (ბირშტაინი, მერჰოლცი, ბუდინგენი, ვეხტერსბახი) ფრანკფურტის აღმოსავლეთით, ნიდერსა და კინციგს შორის და ოფენბახის სენიორია (ოფენბახი, ნოი-იზემბურგი), ამ ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით. აღნიშნული მიწები განანილებული იყო იზემბურგ-ბირშტაინის მთავარსა და იზემბურგ-ბედინგენ-ვეხტერსბახისა და მეერჰოლცის გრაფებს შორის.

1806 წელს იზემბურგ-ბირშტაინის მთავრის ნათესაურმა კავშირმა დალბერგთან, რომელიც რაინის ახალი კონფედერაციის პრიმასი-მთავარი იყო და ასევე ნაპოლეონის ერთგული მხარდამჭერი გერმანიაში, მთავარს თავისი სამთავროს გადარჩენის შესაძლებლობა მისცა, რომელიც კონფედერაციის წევრი გახდა. მედიაციის აქტით, მთავარის დაქვემდებარებაში გადავიდა სამი გრაფის მფლობელობაში მყოფი საგრაფოები და ამ დროიდან, მისი დომენი იზემბურგის სამფლობელოს მთლიანად მოიცავდა. 1813 წელს სამთავრო ნაპოლეონის წინააღმდეგ გაერთიანებული კოალიციის ხელში მოექცა და ბარონ შტაინის მიერ შექმნილი ცენტრალური სამმართველოს მიერ იმართებოდა. 1816 წელს მედიაციის აქტით, ის ᲰᲔᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ხელში გადავიდა. ᲰᲔᲡᲔᲜ-ᲙᲐᲡᲔᲚᲘᲡ საგვარეულომ ზემო იზემბურგის ნახევარი საგრაფო მიიერთა (ბირშტაინი, ვეხტერსბახი, და მეერჰოლცი); ᲰᲔᲡᲔᲜ-ᲓᲐᲠᲛᲨᲢᲐᲓᲢᲘᲡ საგვარეულოს ხელში კი სამთავროს მეორე ნანილი (ბუდინგენი) და ოფენბახის სენიორია გადავიდა.

ᲘᲡᲜᲘ (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი ისნი ალგაუში, კონსტანცის ტბის მახლობლად მდებარეობდა. სდ-ით, ის კადტის გრაფმა მიიღო.

ᲘᲝᲤᲔᲠᲘ (სენიორია, სრინ) –> გერმანია (ოლდენბურგი)

ᲙᲐᲘᲖᲔᲠᲰᲐᲘᲛᲘ (სააბატო, სრინ) – კაიზერჰაიმის სააბატო შვაბიაში, დონაუვორთის ჩრდილოეთით იყო განლაგებული. სდ-ით, კაიზერჰაიმის სააბატო ბავარიის ხელში გადავიდა.

ᲙᲐᲣᲤᲑᲝᲘᲠᲔᲜᲘ (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი კაუფბოირენი ზემო ბავარიაში, მდინარე ვერტახზე მდებარეობდა. სდ-ით, ის ბავარიამ მიიღო.

ᲙᲐᲣᲜᲘᲪ-ᲠᲘᲢᲑᲔᲠᲒᲘ (მთავარი, სრინ) – მარია-ტერეზა ავსტრიელის ყოფილი ცნობილი კანცლერის, კაუნიცის მთავრის მფლობელობაში რიტბერგის პატარა სენიორია იყო ვესტფალიაში, რომელიც ემსის შესართავთან იყო განლაგებული. 1807 წელს რიტბერგის სენიორია მედიაციის აქტით ვესტფალიის სამეფოს გადაეცა.

ᲙᲔᲛᲞᲢᲔᲜᲘ (სააბატო, სრინ) – კემპტენის მამაკაცთა სააბატო შვაბიაში დიდ ტერიტორიას მოიცავდა, რომელიც გადაშლილი იყო ილერის ზემო აუზზე (გარს ერტყა სააბატოს ქალაქს). სდ-ით, კემპტენის სააბატო ბავარიას გადაეცა.

ᲙᲔᲛᲞᲢᲔᲜᲘ (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი კემპტენი შვაბიაში, ილერზე მდებარეობდა. სდ-ით, ის ბავარიამ მიიღო.

ᲙᲜᲘᲰᲰᲐᲣᲖᲔᲜᲘ (სენიორია, სრინ) –> გერმანია

ᲙᲔᲜᲘᲒᲡᲔᲒᲘ (საგრაფოები, სრინ) – კენიგსეგის გრაფების მფლობელობაში ორი საგრაფო იყო შვაბიაში: აულენდორფი შუსენზე და როტენფელსი ილერზე. 1804 წელს როტენფელსი ავსტრიამ იყიდა, აულენდორფი კი მედიაციის აქტით ვიურტენბერგს გადაეცა.

კრუშეეო (რესპუბლიკა) –> მაკედონია

ლეიენი (საგრაფო, სრიწ, შემდგომში სამთავრო) – ლეიენის გრაფის სამფლობელო ორი სუვერენული ტერიტორიისგან შედგებოდა: ბლისკასტელის სენიორია ცვაიბრიუკენის პფალცში და ჰოენგეროლდზეკის საგრაფო ორტენაუში. სდ-ით, გრაფმა ანაზღაურების სანაცვლოდ, ბლისკასტელის სენიორია დაკარგა, რომელიც საფრანგეთს გადაეცა.

1806 წელს გრაფის ნათესაურმა კავშირმა დალბერგთან, რაინის კონფედერაციის პრიმას-მთავართან და ნაპოლეონის ერთგულ მხარდამჭერთან გერმანიაში, მას თავისი სახელმწიფოს გადარჩენის საშუალება მისცა (ჰოენგეროლდზეკი), რომელიც კონფედერაციის წევრ სამთავროს რანგში იქნა აყვანილი. 1813 წელს სამთავრო ნაპოლეონის წინააღმდეგ გაერთიანებული კოალიციის ხელში გადავიდა, რომელიც ბარონ შტაინის მიერ შექმნილი ადმინისტრაციული სამმართველოს მიერ იმართებოდა. 1814 წელს სამთავრო დროებით ავსტრიის ხელში გადავიდა, რომელმაც 1818 წელს ის ბადენის დიდ ჰერცოგს დაუთმო.

თურნ-უნდ-თაქსისი (სამთავრო, სრიწ) –> გერმანია

ლემანის (რესპუბლიკა) –> შვეიცარია

ლოიტკირხენი (საიმპერიო ქალაქი, სრიწ) – ქალაქი ლოიტკირხენი (ან ლოიტკირხი) მდინარე ილერის მახლობლად, შვაბიაში მდებარეობდა. სდ-ით, ის ბავარიას გადაეცა.

ლოიტკირხერ ჰაიდი (საიმპერიო სოფლების ლიგა, სრიწ) – ლოიტკირხერ ჰაიდის ლიგა 39 საიმპერიო სოფლისგან შედგებოდა. ის შვაბიაში მდებარეობდა და მას იმპერატორის ბალი მართავდა, რომლის რეზიდენცია გებრატცჰოფენში იყო განლაგებული. სდ-ით, ის ბავარიას გადაეცა.

ლიეჟი (საეპისკოპოსო, სრიწ) –> ბელგია

ლინი (საგრაფო, სრიწ) – ლინის მთავარი, რომელიც სასულგანთქმული მეომარი და განათლებული ადამიანი იყო, ფილიპვილთან მდებარე ფანიოლის სენიორიას ფლობდა, რომელიც 1770 წელს ლინის სუვერენული საგრაფო გახდა. სდ-ით, საგრაფო საფრანგეთთან იქნა მიერთებული, ხოლო გრაფმა სანაცვლოდ ბურგაუში, შვაბიაში მდებარე იდელშტეტენის ქალთა ააბატო მიიღო, რომელიც მან მაშინვე ესტერჰაცის მთავარს მიჰყიდა.

ლიგურიის (რესპუბლიკა) –> იტალია (გენუა)

ლიმბურგ-შტირუმი (გრაფი, სრიწ) – ლიმბურგის გრაფთა მოკრძალებული შთამომავლის, ლიმბურგ–შტირუმის გრაფის მფლობელობაში ბერგის მხარეში მდებარე ამავე სახელწოდების საგრაფო იყო, ისევე როგორც ობერშტაინის გამეშვეობითებული სენიორია აიფელში და სხვადასხვა გამეშვეობითებული ტერიტორიები ნიდერლანდში. სდ-ით, ობერშტაინის სენიორია საფრანგეთს გადაეცა, გრაფმა კი სანაცვლოდ ყოველწლიური რენტა მიიღო. 1808 წელს ლიმბურგ-შტირუმის საგრაფო მედიაციის აქტით, ბერგის დიდ ჰერცოგს გადაეცა.

ლიმპურგი (საგრაფო, სრიწ) – გრაფ პიუკლერის მფლობელობაში იყო შვაბიაში, მდინარე კოხერზე მდებარე ლიმპურგის საგრაფო (დედაქალაქი გელდორფი). 1806 წელს მედიაციის აქტით, საგრაფო ვიურტემბერგს გადაეცა.

ლინანგი ან ლაინინგენი (სამთავრო, სრიწ) – ლინანგის სამთავრო მანჰაიმის დასავლეთით, რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე პფალცში მდებარეობდა. ლინანგის მთავარი ამ ტერიტორიების ნახევარს ფლობდა დიურკჰაიმთან ერთად, სადაც მისი რეზიდენცია იყო განლაგებული. მას ეკუთვნოდა ასევე დახსბურგისა (დაბო) და ვაიპერშაიმის გამეშვეობითებული ალზასური სენიორიები. ლინანგის მეორე ნახევარი განანილებული იყო ლინანგ-ვესტერბურგის გრაფსა (გრიუნშტედტი და ვესტერბურგის საგრაფო ლანის ზემო აუზში) და ლინანგ-გიუნტერსბლუმისა და ლინანგ-ჰაიდერსჰაიმის გრაფებს შორის.

სპ-ით, სამთავრო საფრანგეთს გადაეცა. მთავარმა სანაცვლოდ ლინანგის ახლად შექმნილი სამთავრო მიიღო, დედაქალაქით ვალდურნში, რომელიც მაინს, ტაუბერსა და ნეკარს შორის მდებარეობდა და შემდეგი ტერიტორიებისგან შედგებოდა:

– მილტენბერგის, ამორბახისა და ბიშოფსჰაიმი-ტაუბერზე მაინცის ძველი საბაიოები, რომელიც აშაფენბურგის სამთავროს სამხრეთ ნახევარს შეადგენდა (მაინის სამხრეთით);

– გრიუნსფელდის, ლაუდის არტჰაიმისა და რიტბერგის ვიურტემბერგის ძველი საბაიოები;

– ბოქსბერგისა და მოსბახის ძველი პფალცის საბაიოები;

– ამორბახისა და გერლახსჰაიმის გამეშვეობითებული სააბატოები.

ლინანგ-ვესტერბურგის გრაფმა თავისი დანაკარგის სანაცვლოდ ბილიგჰაიმისა და ნაიდენაუს მაინცის ძველი საბაიოები მიიღო. 1806 წელს ლინანგი და ბილიგჰაიმისა და ნაიდენაუს სენიორიები მედიაციის აქტით ბადენის დიდ ჰერცოგს გადაეცა.

ლინდაუ (სააბატო, სრინ) – ლინდაუს ქალთა სააბატო შვაბიაში, ტერიტორიული იურისდიქციის გარეშე, კონსტანცის ტბაზე იმავე სახელწოდების ქალაქ-კუნძულზე (თავისუფალი ქალაქი) იყო განლაგებული. სდ-ით ლინდაუს სააბატო ბრეტცენჰაიმის მთავარს გადაეცა.

ლინდაუ (საიმპერიო ქალაქი, სრინ) –ქალაქი ლინდაუ კონსტანცის ტბაზე მდებარე კუნძულზე იყო განლაგებული. სდ-ით, ქალაქი ბრეტცენჰაიმის მთავარს გადაეცა.

ლიპე (სამთავრო და საგრაფო, სრინ) –> გერმანია

ლობკოვიცი (მთავარი, სრინ) – ლობკოვიცის მთავრის მფლობელობაში იყო ვიდენის ჩრდილოეთით, ზემო პფალცში მდებარე სტერნშტაინის (ნოიშტადტი-ვალდნააბზე) საგრაფო. 1806 წელს მედიაციის აქტით, ის ბავარიას გადაეცა.

ლევენშტაინ-ვერტჰაიმი (მთავარი და გრაფი, სრინ) – ლევენშტაინ-ვერტ-ჰაიმის მთავარი და ამავე სახელწოდების გრაფი საზიაროდ ფლობდნენ ლევენშტაინსა (ჰაილბრონთან ახლოს მდებარე ვიურტემბერგის გამეშვეობითებული მიწა) და ვერტჰაიმის (შუა მაინის გაყოლებაზე მდებარე მიწა) საგრაფოებს. ამას გარდა, მთავარს ეკუთვნოდა პუტლანგის (პუტლინგენი) საგრაფო (გამეშვეობითებული მიწა ზარელოუსა და ზარბრიუკს შორის) და უშუალო სიახლოვეში მდებარე შარფენეკის სენიორია, ლინდაუსთან ახლოს. მის მფლობელობაში ასევე იმყოფებოდა კობლენცის დასავლეთით, იფელში მდებარე გამეშვეობითებული ვირნებურგი. სდ-ით, პუტლანგი, შარფენეკი და ვირნებურგი საფრანგეთს გადაეცა. ამის სანაცვლოდ მთავარმა როტენფელსის ვიურტემბურგის ძველი საბაიოები მიიღო, ხოლო გრაფმა სანაცვლოდ ფროიდენბერგის ვიურტენბერგის საბაიო მიიღო.

ლომბარდია-ვენეცია (სამეფო) –> იტალია, ავსტრია

ლუც-კოსვარემი (ჰერცოგი, სრინ) – ლუც-კოსვარემის ჰერცოგის მფლობელობაში იყო ორი დომენი ავსტრიის ნიდერლანდში, რომელთა შორის ნიელის საგრაფო (სადავო სიახლოეში). მიუხედავად ამისა, სდ-ით, მას მაინც აუნაზღაურდა ზარალი დაკარგული ტერიტორიების გამო, რაინასა და ვოლბეკის საბაიოების სახით, რომელიც მიუნსტერის საეპისკოპოსოს საფუძველზე შეიქმნა და რაინა-ვოლბეკის სამთავრო გახდა. 1806 წელს მიდიაციის აქტით, აღნიშნული სამთავრო ბერგის დიდ ჰერცოგს გადაეცა.

ლიუბეკი (საეპისკოპოსო, სრინ) – ლიუბეკის საეპისკოპოსოში დაახლოებით 20 000 მოსახლე იყო. ის ჰოლშტაინში შეჭრილი ორი ტერიტორიისგან შედგებოდა: ოიტენი, ეპისკოპოსის რეზიდენცია და ტრავეს დინებასთან ახლოს მდებარე რატეკაუ. ლიუბეკის ეპისკოპოსი ევანგელისტი იყო. 1773 წელს გოტორპ-ოიტენის სახლის წარმომადგენელმა, ლიუბეკის ეპისკოპოსმა ასევე ოლდენბურგის ჰერცოგის მემკვიდრეობითი ტიტული მიიღო. სდ-ით, ლიუბეკის საეპისკოპოსო ამგვარად განაწილდა:

– უდიდესი ნაწილი ოლდენბურგის ჰერცოგს გადაეცა (რომელიც თავად იყო ეპისკოპოსი);

– ტრავეს, ბალტიის ზღვასა და მინელსდორფის ტბას შორის მდებარე ტერიტორია ქალაქ ლიუბეკს გადაეცა.

ლიუბეკი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) –> გერმანია

ლუკა (რესპუბლიკა, შემდგომში საპერცოგო) –> იტალია
ლუკა და პიომბინო (რესპუბლიკა) –> იტალია
მაინოტესი (რესპუბლიკა) –> საბერძნეთი
მასა და კარარა (საპერცოგო) –> იტალია
მაინცი (საარქიეპისკოპოსო, სრინ) –> გერმანია
მაინცი (რესპუბლიკა) –> გერმანია
მეკლემბურგი (საპერცოგოები, შემდგომში დიდი საპერცოგოები) –> გერმანია
მემელი (კლაიპედა) (თავისუფალი ტერიტორია) –> ლიტვა
მემინგენი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი მემინგენი შვაბიაში, ილერთან მდებარეობდა. სდ-ით, ის ბავარიას გადეცა.
მანტონი (თავისუფალი ქალაქი) –> მონაკო
მეტერნიხი (გრაფი, სრინ) – 1789 წელს გრაფ მეტერნიხის (მომავალი ავსტრიის კანცლერის მამა) მფლობელობაში იყო ტრევის ელექტორატის ტერიტორიაზე შეჭრილი ვინებურგისა და ბაილშტაინის სენიორიები. სპ-ით, სენიორიები საფრანგეთს გადაეცა, ხოლო გრაფმა სანაცვლოდ, შვაბიაში მდებარე ოქსენჰაუზენის სააბატო მიიღო, ტანჰაიმის თავისი საბაიოს გარდა.
1806 წელს ოქსენჰაუზენი ვიურტენბერგმა მიიერთა.
მოდენა (საპერცოგო) –> იტალია
მოლდოვა (სამთავრო) რუმინეთი
ათოსის მთა (რესპუბლიკა) –> საბერძნეთი
ჩერნოგორია (სამთავრო, შემდგომში რესპუბლიკა) –> სერბეთი და ჩერნოგორია
მულჰაუზენი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – მულჰაუზენი ტურინგიაში, მდინარე უნსტრუტზე მდებარეობდა. სდ-ით, ის პრუსიას გადაეცა.
მულჰაუზი (რესპუბლიკა) – ილზე მდებარე მულჰაუზის რესპუბლიკა თავდაპირველად საიმპერიო ქალაქი იყო, XV საუკუნეში შვეიცარიის კანტონებთან შეერთებამდე. 1468 წელს ჰაბსბურგებმა მისი დამოუკიდებლობა აღიარეს რეფორმაზე გადასულამდე. 1789 წელს ის ჰელვეციის კონფედერაციის ერთ-ერთი მოკავშირე ტერიტორია გახდა. XVIII საუკუნის შუა ხანებიდან მულჰაუზი საფეიქრო მრეწველობის (ბამბა, შალი) ცენტრად იქცა, რომლის ფერადი ქსოვილები ("ინდური") კარგი რეპუტაციით სარგებლობდა. 1798 წელს ხანგრძლივი საბაჟო ბლოკადის შემდეგ, ის საფრანგეთს შეუერთდა.
მიუნსტერი (საეპისკოპოსო, სრინ) – მიუნსტერის საეპისკოპოსო, რომელშიც 350 000 კაცი ცხოვრობდა "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანული ერის) ყველაზე დიდი საეკლესიო სახელმწიფო იყო. მისი ტერიტორია თითქმის მთლიანად მოიცავდა ემსის აუზს და ორ ნაწილად იყო დაყოფილი: ზემო საეპისკოპოსო (სამხრეთით) ქალაქ მიუნსტერის გარშემო და ქვედა საეპისკოპოსო (ჩრდილოეთით) ქალაქების, მეპენისა და კლაპენბურგის გარშემო. ორივე ტერიტორიას ერთმანეთთან ემსის გაყოლებით არსებული ვიწრო ტერიტორიული ზოლი აკავშირებდა. აღნიშნულს ემატებოდა ჰანოვერის ჰოიის საგრაფოში შეჭრილი ტვისტინგენის მცირე ტერიტორია.
სდ-ით, მიუნსტერის საეპისკოპოსო ამგვარად განაწილდა:
–ქალაქი მიუნსტერი და ოლფენ-ზეპერად-კაკელსბეშ-ჰედინშელ-გიშინკ-ნოტელნ-ჰულშოფენ-ნანჰოლდ-ნინბორგ-ულტენბროკ-გრიმელ-შენფელდ-გრეევენის ზოლის მარჯვნივ, ემსის გაყოლებაზე ჰოპშტერნის შენაკადთან გაერთიანებამდე მდებარე საეპისკოპოსოს ნაწილი პრუსიას გადაეცა;
– ვეხტისა და კლოპენბურგის საბაიოები ოლდენბურგის ჰერცოგს გადაეცა;
– მეპენის საბაიო არენბერგის ჰერცოგს გადაეცა;
– დიულმენის საბაიოს დარჩენილი ნაწილი კროის ჰერცოგს გადაეცა;
– ბევერგერენისა (ან რაინა) და ვოლბეკის საბაიოების დარჩენილი ნაწილი ლუც-კოსვარენის ჰერცოგს გადაეცა;
ბოხოლტისა და აჰაუს საბაიოების 2/3 ზალმ-ზალმს გადაეცა, ხოლო 1/3 ზალმ-კირბურგს გადაეცა; შემდგომში ეს ტერიტორიები ხელახლა უნდა გადანაწილებულიყო;

– ჰორშტმარის საბაიოს დარჩენილი ნანილი ზალმის რეინგრაფს გადაეცა.

ნეაპოლი (სამეფო) –> იტალია

ნეაპოლის (რესპუბლიკა) –> იტალია

ნასაუ (სამთავროები, სრინ, შემდგომში საჰერცოგო) –> გერმანია

ნერესჰაიმი (სააბატო, სრინ) – ნერესჰაიმის სააბატო შვაბიაში, ელვანგენის პრეკოს რეზიდენციის სამხრეთით მდებარეობდა. სდ-ით, ნერესჰაიმის სააბატო თურნ-უნდ-თაქსისის მთავარს გადაეცა.

ნესელროდე (გრაფი, სრინ) – ნესელროდეს გრაფის მფლობელობაში იყო ვიდრიუნკელის (რაინის მარჯვენა ნაპირი) საგრაფოში შეჭრილი რაიხენშტაინის სენიორია და ასევე ბურგფრეისა და მეხენიხის სენიორიები იულიხში (დასავლეთი გერმანია). სდ-ით, ორივე სენიორია საფრანგეთს გადაეცა, ხოლო გრაფმა სანაცვლოდ ნლიური რენტა მიიღო. 1806 ნელს მედიაციის აქტით, რაიხენშტაინი ნასაუ-უზინგენის ჰერცოგმა მიიღო.

ნევშატელი (სამთავრო) 1789 ნელს ნევშატელის სამთავრო 800კმ² ფართობისა და 40 000 მცხოვრებისგან შემდგარი პატარა სახელმნიფო იყო, რომელიც იურას აღმოსავლეთ ფერდობზე, ამავე სახელწოდების ტბის დასავლეთ ნაპირზე მთების ქედამდე იყო გადაშლილი. ეს იყო მკაცრი კლიმატის მქონე ქვეყანა, მდელოებითა და ტყეებით დაფარული, ნაკლებად განვითარებული სოფლის მეურნეობით. თუმცა ნევშატელში კარგად იყო განვითარებული ხელოსნობა, კერძოდ კი საათების წარმოების მრენველობა. ჟენევასთან ერთად ნევშატელი საათების ნარმოების ერთ-ერთ კერად ითვლებოდა.

სამთავრო ორ მომიჯნავე ტერიტორიად იყო დაყოფილი: ნევშატელის სუვერენიტეტი (ნევშატელი, ლანდერონი, ბუში, ვალ-დე-ტრავერი) და ვალანგენის საგრაფო (ვალანგენი, ვალ-დე-რუზი, ლოკლი, შო-დე-ფონდი).

1395 წელს სამთავრო ნევშატელის გრაფთა სახლის კუთვნილება იყო, რომელიც შემდგომში სხვადასხვა პრეტენდენტთა დავის საგნად იქცა. 1504 ნლამდე ის ბადენ-ოხბერგის მარკგრაფების ხელში იყო, შემდეგ „კი ქორწინებით ორლეანლონგვილის სახლის ხელში გადავიდა მისი მმართველობის დასასრულამდე 1707 ნელს. თავისი ძლიერი მეზობლის შიშით, მეფე ლუი XIV-ს თავისი „კანდიდატის, მთავარ კონტის არჩევა სურდა, მაგრამ სამოთავრო პრუსიის მეფეს ერგო, რომელიც ორან-ნასაუს სახლის ძველი უფლებების გაურკვეველი მემკვიდრე იყო, თუმცა მეტად შესაბამის კანდიდატად გამოიყურებოდა (ნევშატელი პროტესტანტული იყო) და ამავე დროს, იგი შორს მყოფი სუვერენი იყო. ამგვარად, პრუსიის მსგავსად, ნეკშატელის სამთავროც "საღვთო რომის იმპერიის" მიღმა დარჩა. XIV საუკუნის მინურულიდან ის ჰელვეციის კონფედერაციის მოკავშირე ქვეყანა გახდა.

1789 ნელს სამთავრო ჰელვეციის რესპუბლიკის გარეთ დარჩა, და შვეიცარიის დამოუკიდებელ ტერიტორიად იქცა.

1805 ნლის დეკემბერში აუსტერლიცში გამარჯვების შემდეგ, პრუსია იძულებული გახდა ჰანოვერის მიღების პირობით, იმპერატორ ნაპოლეონისთვის ნევშატელის სამთავრო, კლევის საჰერცოგო და ანსპახის სამარკგრაფო დაეთმო. მას დაეკისრა ამ ტერიტორიების გადაცემა მის მიერ არჩეული მთავრებისთვის. 1806 ნლის 1 აპრილს ნაპოლეონმა ნევშატელის სამთავრო მარშალ ბერტიეს გადასცა. როგორც სუვერენი, მარშალი ბერტიე არასოდეს ჩასულა ამ სამთავროში, რომლის მართვა ინტენდანტს, ბარონ დე ლესპერუტს დაეკისრა.

1813 წლის დეკემბერში საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, ბარონმა დე ლესპერუტმა და ფრანგებმა ნევშატელის სამთავრო დატოვეს, რომელიც კოალიციურმა ძალებმა პრუსიას დაუბრუნეს. 1815 ნელს ნევშატელის სამთავრო ჰელვეციის კონფედერაციაში ახალ კანტონად იქნა მიღებული. ამავე დროს, მის მთავრად პრუსიის მეფე დარჩა (პირადი უნია), რაც ორაზროვან ვითარებას ქმნიდა და მომავალი გართულებების წყარო გახდა.

1848 ნლის 1 მარტს საფრანგეთში განვითარებული მოვლენების საპასუხოდ, შვეიცარიელი რადიკალების მიერ მხარდაჭერილმა ნევშატელის რესპუბლიკელებმა, პრუსიის მეფესთან ნევშატელის კავშირის განყვეტა და რესპუბლიკის დამ-

ყარება გამოაცხადეს. აღნიშნული ცვლილება შვეიცარიამ კეთილგანწყობით მიიღო, ხოლო პრუსიის მეფემ ის უარყო.

1856 წლის სექტემბერში ნეშატელის მონარქისტები ძალის გამოყენებით რესპუბლიკური რეჟიმის წინააღმდეგ გამოვიდნენ. მათ ხელთ იგდეს ქალაქი ლოკლი და ნეშატელის კოშკი. სულ მალე, ისინი ციხეში აღმოჩნდნენ. 1857 წლის დასაწყისში, პრუსიის მეფის მუქარის შემდეგ, რომელიც ძალის გამოყენებით სამთავროს დაბრუნებას აპირებდა, შვეიცარიამ თავისი ჯარების მობილიზება დაიწყო. ნაპოლეონ III-ის ინიციატივითა და შუამავლობით, კონფლიქტი პარიზის (1857 წლის 26 მაისი) ხელშეკრულებით დასრულდა, რომლის თანახმად, ტყვეთა განთავისუფლებისა და გადასახლებული მონარქისტების დევნის შეწყვეტის სანაცვლოდ, პრუსიის მეფეს უარი უნდა ეთქვა ნეშატელის სიუზერენობაზე, რომელიც საბოლოოდ გახდა რესპუბლიკა შვეიცარიის 21 კანტონის მსგავსად.

ნიდერმიუნსტერი (ააბატო, სრინ) – ნიდერმიუნსტერის ქალთა ააბატო რატისბონში (რეგენსბურგი) მდებარეობდა. სდ-ით, ააბატო მაინცის არქიეპისკოპოს-ამომრჩეველს გადაეცა.

ნერდლინგენი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი ნერდლინგენი მდინარე ეგერზე, რისის დაბლობზე მდებარეობდა. სდ-ით, ის ბავარიამ მიიღო.

ნორდჰაუზენი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი ნორდჰაუზენი ჰარცის სამხრეთით მდებარეობდა. სდ-ით, ის პრუსიამ მიიღო.

ნიურენბერგი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – მდინარე პეგნიცზე მდებარე ქალაქი ნიურენბერგი, შუა საუკუნეებიდან ხელოვნების, ხელოსნობისა და ვაჭრობის აყვავებული ადგილი იყო. 1801 წელს ის პირველად იქნა ანექსირებული პრუსიის მიერ, შემდგომში სდ-ით, ის კვლავ თავისუფალი ქალაქი გახდა, მაგრამ 1806 წელს ის ბავარიამ მიიერთა.

ობერმარხტალი (�აბატო, სრინ) – ობერმარხტალის (ან მარხტალი) ააბატო შვაბიაში, ფედერის ტბიდან დუნაიმდე (ელხინგენის ზევით) იყო გადაჭიმული. სდ-ით, ობერმარხტალის ააბატო თურნ-უნდ-თაქსისის მთავარს გადაეცა.

ობერმიუნსტერი (ააბატო, სრინ) – ობერმიუნსტერის ქალთა �აბატო რატისბონში (რეგენსბურგი) მდებარეობდა (ტერიტორიული უფლების გარეშე). სდ-ით, ააბატო მაინცის არქიეპისკოპოსმა–ამომრჩეველმა მიიღო.

ოქსენჰაუზენი (ააბატო, სრინ) – ოქსენჰაუზენის ააბატო შვაბიაში, მდინარე როტერზე იყო განლაგებული, ბიბერახისა და მემინგენის ნახევარ გზაზე. სდ-ით, �აბატო ამგვარად გადანაწილდა:

– უდიდესი ნაწილი (ხუთი საბაიო) ააბატოსთან ერთად, გრაფ მეტერნიხს გადაეცა;

– ტანჰაიმის საბაიო შესბერგის გრაფმა მიიღო.

ოდენჰაიმის და ბრუქსალის კაპიტული – ოდენჰაიმის პრევოს რეზიდენცია და ბრუქსალის კაპიტული (ტერიტორიული სუვერენიტეტის გარეშე) რენანიაში მდებარეობდა. მიუხედავად ამისა, მათი მფლობელი ფაქტობრივად სპირის ეპისკოპოსი, სუვერენი მთავარი იყო. სდ-ით, ეს ტერიტორიები ბადენის მარკგრაფს გადაეცა.

ეტინგენი (სამთავრო, სრინ) – ეტინგენ-სპილბერგისა და ეტინგენ-ვალერშტაინის სამთავროები ზემო პფალცში იყო განლაგებული. ეტინგენ-ვალერშტაინის მთავარი ეტინგენ-ბალდერნის შტოს მემკვიდრედ იყო აღიარებული, რომლის მმართველობა 1799 წელს დასრულდა. აღნიშნული დროიდან, მთავარი ასევე ფლობდა დაქსტულის სენიორიას, რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე პფალცში. სდ-ით, მთავარმა დაკარგა ეს სენიორია, რომელიც საფრანგეთს გადაეცა. მის სანაცვლოდ მან სხვადასხვა გამეშვეობითებული �აბატოები მიიღო შვაბიაში. 1806 წელს მიდიაციის აქტით, ორივე სამთავრო ბავარიამ მიიღო.

ოფენბურგი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი ოფენბურგი მდინარე კინციგზე ორტენაუში იყო განლაგებული. ის ორტენაუს ცენტრს წარმოადგენდა. სდ-ით, ის ბადენის მარკგრაფს გადაეცა.

ოლდენბურგი (საჰერცოგო, სრინ, შემდეგში დიდი საჰერცოგო) –> გერმანია

ორტენბურგი (საგრაფო, სრინ) – ორტენბურგის საგრაფო ქვემო ბავარიის ტერიტორიაზე იყო შეჭრილი, პასაუსთან ახლოს. 1805 წელს გრაფმა ბავარიის უშუალო სიახლოვეში მდებარე მინა ამ უკანასკნელს გადასცა, რომლის სანაცვლოდ მან ბავარიული მამულები მიიღო.

ოსნაბრიუკი (საეპისკოპოსო) – ოსნაბრიუკის საეპისკოპოსო, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 120 000 კაცს შეადგენდა, ჰასის (ემსის შენაკადი) ზემო აუზზე იყო გადაშლილი, რომელიც ქალაქ ოსნაბრიუკს ერტყა გარს. ამ საეპისკოპოსოს განსაკუთრებულობა იმით გამოიხატებოდა, რომ ის მონაცვლეობით იყო კათოლიკე და ლუთერანი ეპისკოპოსების ხელში. სდ-ით, საეპისკოპოსო ინგლისის მეფეს, ჰანოვერის ამომრჩეველს გადაეცა.

ოშტაინი (გრაფი, სრინ) – ოშტაინის გრაფის მფლობელობაში იყო მილენდონკის სენიორია, რომელიც იულიხისა და კიოლნის ელექტორატს შორის მდებარეობდა. სდ-ით, სენიორია საფრანგეთს გადაეცა, ხოლო გრაფმა სანაცვლოდ შვაბიაში მდებარე გამეშვეობითებული ბუქსჰაიმის სააბატო მიიღო, რომელიც სენიორიად გადაკეთდა. 1806 წელს მედიაციის აქტით, ბუქსჰაიმი ბავარიას გადაეცა.

ოტობოირენი (სააბატო, სრინ) – ოტობოირენის სააბატო შვაბიაში, მემინგენის მახლობლად მდებარეობდა. სდ-ით, სააბატო ბავარიას გადაეცა.

პადერბორნი (საეპისკოპოსო, სრინ) – პადერბორნის სააბატო, რომელშიც დაახლოებით 60 000 კაცი ცხოვრობდა, ლიპეს შესართავთან იყო განლაგებული. სდ-ით, საეპისკოპოსო პრუსიის მეფემ მიიღო.

პაპენჰაიმი (საგრაფო, სრინ) – პაპენჰაიმის საგრაფო ამავე სახელის გრაფთა სამფლობელო იყო, რომელიც აიქშტედტის ზევით, ალტმულზე მდებარეობდა. 1806 წელს მედიაციის აქტით ის ბავარიას გადაეცა.

პარმა (საჰერცოგო) –> იტალია

პართენონის (რესპუბლიკა) –> იტალია

პასაუ (საეპისკოპოსო, სრინ) – პასაუს საეპისკოპო, რომელშიც 60 000 მცხოვრები იყო მთლიანი ტერიტორიისგან შედგებოდა, რომელიც ქალაქ პასაუს გარშემო (დუნაიზე) და ილცის აუზზე მდებარეობდა. სდ-ით, პასაუს საეპისკოპოსო ამგვარად გადანაწილდა:

– ქალაქი და ინისა და ილცის შენაკადების აქეთ მდებარე ტერიტორია ბავარიას გადაეცა;

– ამ შენაკადების იქით მდებარე ტერიტორია ტოსკანის დიდ ჰერცოგს, ზალცბურგის ამომრჩეველს გადაეცა.

გაერთიანებული ნიდერლანდი (სამეფო) –> ნიდერლანდი, ბელგია

პეტერსჰაუზენი (სააბატო, სრინ) – პეტერსჰაუზენის სააბატო შვაბიაში, რაინის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა ქალაქ კონსტანცის მახლობლად. სდ-ით, სააბატო ბადენის მარკგრაფმა მიიღო.

პფულენდორფი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი პფულენდორფი შვაბიაში, ზიგმარინგენის სამხრეთით მდებარეობდა. სდ-ით, ის ბადენის მარკგრაფს გადაეცა.

პიომბინო (სამთავრო) –> იტალია

პლეტენბერგი (გრაფი, სრინ) – პლეტენბერგის გრაფის მფლობელობაში იყო ვიტენისა და ეისის სენიორიები ლიმბურგში. სდ-ით, სენიორიები საფრანგეთს გადაეცა, რომელთა სანაცვლოდ გრაფმა შვაბიაში მდებარე ჰეგბახის სააბატოსთვის ჩამორთმეული მიტინგენისა და ზულნინგენის სოფლები მიიღო, რომელიც სენიორიებად გადაკეთდა. 1806 წელს მედიაციის აქტით, აღნიშნული სენიორიები ვიურტენბერგმა მიიღო.

პოლიძა (პელეშაცი) (რესპუბლიკა) – 1789 წელს პოლიძას პატარა რესპუბლიკა მოსორის მთაზე იყო განლაგებული, რომელიც დალმაციის სანაპიროს ალმისის სიმაღლიდან გადაჰყურებდა. რესპუბლიკა იმ კუთხეში იყო მოქცეული, საიდანაც მდინარე ჩეტინა იღებდა სათავეს.

ამ რესპუბლიკას ხშირად "სლავურ სან-მარინოს" უნოდებდნენ (დედაქალაქი გატა). მიუხედავად იმისა, რომ ის დალმაციის ვენეციური პროვინციის ტერიტო-

რიაზე იყო შეჭრილი, ის ვენეციისგან ავტონომიური იყო და 1647 წლიდან ამ უკანასკნელს ხარკს უხდიდა.

პოლიძა არისტოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა, რომელსაც დიდგვაროვანთა ასამბლეის მიერ ერთი წლით არჩეული გრაფი მართავდა. მისი ტერიტორია თორმეტ სოფლად (საგრაფოდ) იყო დაყოფილი და თითოეულ სოფელს "პატარა" გრაფი მართავდა. რესპუბლიკაში 5 000 კაცი ცხოვრობდა.

1807 წლის ივნისში ზღვიდან შემოსული რუსეთ-ჩერნოგორიის რაზმის მხარდაჭერით, რესპუბლიკის მოსახლეობა იტალიის წინააღმდეგ აჯანყდა. მისი ტერიტორია დალმაციაში განლაგებული საფრანგეთის ჯარების მიერ იქნა ოკუპირებული. 18 ივნისს დალმაციის გენერალურმა პროვედიტორმა დანდოლომ პოლიძას რესპუბლიკის პრივილეგიების გაუქმება გამოაცხადა, რის შემდეგაც ის იტალიის დალმაციასთან იქნა მიერთებული.

პონტე კორვო (სამთავრო) – პონტე-კორვოს მცირე ტერიტორია XVI საუკუნიდან პაპის ანკლავს წარმოადგენდა ნეაპოლის სამეფოში. ადმინისტრაციულად რომის სოფელთან გაერთიანებული პონტე-კორვო ტერა დი ლაბორეს ნეაპოლიტანურ საინტენდანტოს ტერიტორიაზე იყო შეჭრილი.

1806 წლის ივნისში პაპ პიუს VI-ის პრეტენზიების საპასუხოდ, რომელიც უარს ამბობდა ნაპოლეონის ძმის, ჟოზეფის ნეაპოლის მეფედ კურთხევაზე თუკი ეს უკანასკნელი პაპობის ვასალობას არ ცნობდა, ნაპოლეონმა, რომელიც თავის ერთგულებს კეთილშობილთა ტიტულებს ურიგებდა, პაპის ოლქს პონტე-კორვოს ანკლავი ჩამოართვა (ბენევენტოს მსგავსად) და ის სუვერენულ სამთავროდ გადააკეთა ბერნადოტის სასარგებლოდ.

1810 წლის აგვისტოში ბერნადოტმა, რომელიც შვედეთის სამეფოს პრინცი გახდა, უარი თქვა პონტე-კორვოს სამთავროზე, რომელიც ნაპოლეონმა ნეაპოლის მეფის მეორე ვაჟს, ლუსიენ მიურატს გადასცა.

1814 წელს ისარგებლა რა ნაპოლეონის მარცხით, რომელმაც მიურატს თავისი სამეფოს საქმეების მართვა დაავალა, ამ უკანასკნელმა ხელთ იგდო პონტე-კორვო და ის ნეაპოლის სამეფოს მიუერთა.

1815 წლის ივნისში პონტე-კორვო ისევ პაპის ტახტს გადაეცა.

მოლდოვასა და ვლახეთის გაერთიანებული სამთავროები (სამთავროები) –> რუმინეთი

შეერთებული პროვინციები (რესპუბლიკა) –> ნიდერლანდი

პრუმი (სააბატო, სრინ) – პრუმის სააბატო აიფელის მასივში, გეროლშტაინის დასავლეთით მდებარეობდა. პრუმის აბატი ტრირის არქიეპისკოპოსი-ამომრჩეველი (პირადი უნია 1576 წლიდან) იყო. სდ-ით, პრუმის სააბატო საფრანგეთს გადაეცა.

პრუსია (სამეფო,სრინ) –> გერმანია

კადტი (გრაფი, სრინ) – კადტის გრაფის მფლობელობაში ვიკერადტისა და შვანენბერგის სენიორიები იყო, რომელიც რაინის მარცხენა ნაპირზე, იულიხის და კიოლნის ელექტორატს შორის მდებარეობდა. სდ-ით, აღნიშნული სენიორიები საფრანგეთს გადაეცა. გრაფმა ზარალის ანაზღაურებისთვის ქალაქი ისნი და წმინდა გიორგის სააბატო მიიღო, რომელიც ამ ქალაქში მდებარეობდა. მედიაციის აქტით, 1806 წელს ეს ტერიტორიები ვიურტემბერგს გადაეცა.

კვარნერი (იტალიის რეგენტობა) –> გამქრალი ქვეყნები (ფიუმე)

კედლინბურგი (სააბატო, სრინ) – კედლინბურგის ქალთა სააბატო ჰარცთან, სალის შენაკადთან, მდინარე ბოდეზე მდებარეობდა. სდ-ით, სააბატო პრუსიას გადაეცა.

რაგუზა (რესპუბლიკა) – რაგუზის ანტიკურ რესპუბლიკას (დუბროვნიკი სლავურად) ზოგჯერ "სლავურ ვენეციას" უნოდებდნენ. 1358 წლიდან ის ვენეციისგან დამოუკიდებელი საზღვაო რესპუბლიკა იყო, ხოლო 1458 წლიდან პორტის მოხარკე. ის გაერთიანებული იყო იტალიასთან, სლავურ ბალკანეთთან და ოსმალთა იმპერიასთან.

რესპუბლიკა კათოლიციზმის ბასტიონად ითვლებოდა. რაგუზამ ვენეციისგან პოლიტიკური ინსტიტუტები (სენატი, ათთა საბჭო, რექტორის ყოველთვიური

არჩევა), ფლორენციისგან კულტურული გავლენა (ლათინურისა და იტალიურის გამოყენება, ფერნერა) მიიღო. ამავე დროს, თავისი მოსახლეობით ის სლავური რჩებოდა და ილირიის სლავური ლიტერატურის აკვანს წარმოადგენდა. მისი პოლიტიკური ხაზი არავის წყენაში გამოიხატებოდა (ყველა მეზობლისთვის საჩუქრების დარიგება) თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და მისი პორტის საქმიანობის ფუნქციონირებისთვის.

რესპუბლიკის ტერიტორია დალმაციის სანაპიროზე იყო გადაშლილი ნარენტის ყურიდან (მის ჩაუთვლელად), რომელიც ვენეციის დალმაციას ეკუთვნოდა, კოტორის ყურემდე (მის ჩაუთვლელად), რომელიც ვენეციის ალბანეთს ეკუთვნოდა. რაგუზის ტერიტორია საბოინჩელოს ნახევარკუნძულსა და ლასტოვოსა და მელედას კუნძულებს მოიცავდა. მეზობელი ვენეციის მხრიდან რაგუზის ხელში ჩაგდების სურვილის შიშით, რაგუზამ 1718 წელს თურქეთს (პაჟაროვეცის სამშვიდობო ხელშეკრულება) კლეკისა (რაგუზასა და დალმაციას შორის) და სუტორინის (რაგუზასა და კოტორის ყურეს შორის) ხეობების გასწვრივ მდებარე ორი ტერიტორიული ზოლი დაუთმო, რომელიც რაგუზას მის ძლიერ მეზობლისგან აშორებდა და თურქეთს ჰერცეგოვინასთან გაერთიანებულ ორ "ფანჯარას" უქმნიდა.

1789 წელს რაგუზის ტერიტორია დაახლოებით 1 000კმ²-ს შეადგენდა, მისი მოსახლეობა კი 30 000 კაცს აღნევდა.

1806 წლის მაისში რაგუზის რესპუბლიკა ოკუპირებულ იქნა კოტორისკენ მიმავალი დალმაციის ფრანგული ჯარების მიერ. ფრანგებმა იქ იმპერიის კომისარი გააგზავნეს რესპუბლიკის მთავრობის გასაკონტროლებლად

1808 წლის 30 იანვარს დალმაციის სამხედრო გუბერნატორმა გენერალმა მარმონმა, რაგუზის რესპუბლიკის არსებობის შეწყვეტის ბრძანება გასცა. 1808 წლის მარტში ის იტალიის სამეფოთან, 1809 წელს საფრანგეთის იმპერიის ილირიულ პროვინციებთან, ხოლო 1815 წელს ავსტრიულ დალმაციასთან იქნა მიერთებული.

რეგენსბურგი (საეპისკოპოსო, სრინ) – რეგენსბურგის (რატისბონი) საეპისკოპოსო დაახლოებით 9 000 მოსახლისგან შედგებოდა და დუნაის მარცხენა ნაპირზე, ქალაქ რატისბონის პირდაპირ მდებარე 3 მცირე ტერიტორიას მოიცავდა: დონაუშტაუფისა (ეპისკოპოსის რეზიდენცია) და ვორთის სენიორიები, რომელიც მდინარის ნაპირზე იყო განლაგებული, ჰოჰენბურგის სენიორია, რომელიც უფრო მოშორებით, ზემო პფალცსა და ნოიბერგის სამთავროს შორის იყო განლაგებული. სდ-ით, საეპისკოპოსო ამგვარად განაწილდა:

– დონაუშტაუფის სენიორია მაინცის არქიეპისკოპოს-ამომრჩეველს გადაეცა;

– ვორთისა და ჰოჰენბურგის სენიორია ქალაქ რეგენსბურგთან იქნა მიერთებული რეგენსბურგის სამთავროს შესაქმნელად.

რეგენსბურგი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი რეგენსბურგი ღუნაიზე, პაპობის "მუდმივი" შეკრების ადგილი იყო. სდ-ით, ის მაინცის არქიეპისკოპოს-ამომრჩეველს გადაეცა.

რორასიის (ფრ.) (რესპუბლიკა) –> გამქრალი ქვეყნები (ბაზელი)

რავენსბურგი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი რავენსბურგი მდინარე შუსენზე, კონსტანცის ტბის მახლობლად იყო განლაგებული. სდ-ით, ის ბავარიამ მიიღო.

რეხტერნ-ლიმპურგი (გრაფი, სრინ) – რეხტერნ-ლიმპურგის გრაფის მფლობელობაში იყო სპეკფელდის სენიორია ფრანკონიაში. 1806 წელს მედიაციის აქტით, ის ბავარიას გადაეცა.

რაიპოლტსკირხენი (სენიორია, სრინ) – რაიპოლტსკირხენის სენიორია, რომელიც ჰუნდსრიურკში კაიზერსლაუტერნის ჩრდილოეთით მდებარეობდა, ჰილესჰაიმისა და პარკშტაინ-იზემბურგის (პფალცის კურფიუსტის, კარლ-თეოდორის უკანონო ქალიშვილი) გრაფების საზიარო მფლობელობაში იყო. სდ-ით, სენიორია საფრანგეთს გადაეცა, ხოლო გრაფებმა სანაცვლოდ წლიური რენტა მიიღეს.

როისი (სამთავრო და საგრაფოები, სრინ) –> გერმანია, ტურინგია

როიტლინგენი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი როიტლინგენი შვაბიის იურაში, ზემო ნეკარის მახლობლად იყო განლაგებული. სდ-ით, ის ვიურტენბერგს გადაეცა.

როდანიკული (რონის, ფრ.) (რესპუბლიკა) –> შვეიცარია

რიდეზელი (ბარონი, სრინ) – გრაფ რიდეზელის მფლობელობაში იყო ზემო ესენზე მდებარე ლაუტერბახის, შტოკჰაუზენის, მოზისა და ფრაინშტაინაუს სენიორიები. 1806 წელს მედიაციის აქტით სენიორიები ესენ-დარმშტადმა მიიღო.

რინეკი (საგრაფო, სრინ) – რინეკის პატარა საგრაფო მაინის შუა დინების მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა და ნოსტიციის სახლის მფლობელობაში იყო. 1806 წელს მედიაციის აქტით, ის მაინცის არქიეპისკოპოსს გადაეცა.

როგენბურგი (სააბატო, სრინ) – როგენბურგის სააბატო შვაბიაში, კრუმბახის დასავლეთით მდებარეობდა. მისი ტერიტორია ბიბერსა და გუნცს (დუნაის შენაკადები) ემიჯნებოდა. სდ-ით, სააბატო ბავარიას გადეცა.

რომის (რესპუბლიკა) –> ვატიკანი

როკბიერი (თავისუფალი ქალაქი) –> მონაკო

როტი (სააბატო, სრინ) – როტის სააბატო შვაბიაში, მემინგენის დასავლეთით მდინარე როტზე მდებარეობდა. სდ-ით, როტის სააბატო ვარტემბერგის გრაფს გადაეცა.

როტენბურგი-ტაუბერზე ((საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი როტენბურგი ქვემო ფრანკონიაში, მდინარე ტაუბერზე იყო განლაგებული. სდ-ით, ის ბავარიას გადაეცა.

როტენმიუნსტერი (სააბატო, სრინ) – როტენსმიუნსტერის ქალთა სააბატო შვაბიაში, როტვაილის სამხრეთით, მდინარე ნეკარზე მდებარეობდა. სდ-ით, როტენმიუნსტერის სააბატო ვიურტემბერგის ჰერცოგმა მიიღო.

როტვაილი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი როტვაილი ზემო ნეკარზე მდებარეობდა. სდ-ით, ის ვიურტემბერგს გადაეცა.

სან-ბლეზი (სააბატო, სრინ) – სან-ბლეზის მამაკაცთა სააბატო, რომელიც ბრიზგაუში, მდინარე ალბაზე (რაინის მარცხენა ნაპირის შენაკადი) მდებარეობდა, არ იმყოფებოდა უშუალო მფლობელობაში, მაგრამ მისი აბატი ბონდორფის საგრაფოს სუვერენი იყო, რომელიც ვრცელ ტერიტორიას წარმოადგენდა და გადაშლილი იყო აღმოსავლეთისკენ ბარისა (ფიურსტენბერგების დომენი) და შტუჰლინგენის სალანდგრაფოებსა (ასევე ფიურსტენბერგების დომენი) და შაფჰაუზენის შვეიცარიულ კანტონს შორის. სდ-ით, ბონდორფის სააბატო მალტის ორდენს გადაეცა.

სან-ემერანი (სააბატო, სრინ) – სან-ემერანის სააბატო რეგენსბურგში მდებარეობდა და ტერიტორიული უფლება არ ჰქონდა. სდ-ით, სააბატო მაინცის არქიეპისკოპოს-ამომრჩეველს გადაეცა.

სანკტ-გალენი (სააბატო, სრინ) – 1789 წელს სანკტ-გალენის სააბატო შვეიცარიაში ჰელვეციის კონფედერაციის მოკავშირე ქვეყანა იყო. კონსტანცის ტბის მახლობლად მდებარე სააბატო ორ ნაწილად იყო დაყოფილი: ღვთის სახლის მხარე (ძველი ტერიტორია) და ტოგენბურგის საგრაფო. მისი აბატი "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) მთავარი იყო და აღნიშნულ დროს, იგივე ტიტულს ატარებდა. აბატის მფლობელობაში ასევე იმყოფებოდა იმპერიაში შემავალი გამეშვეობითებული სენიორიები, ალგაუსა (განსაკუთრებით ნოი-რავენსბურგის სააბატო) და ბრიზგაუში. 1789 წელს სანკტ-გალენის სააბატო შვეიცარიის რესპუბლიკაში გაერთიანდა.

სანკტ-გალენი (თავისუფალი ქალაქი) – 1789 წელს შვეიცარიაში, მდინარე შტაინახზე მდებარე ქალაქი სანკტ-გალენი, ჰელვეციის კონფედერაციის მოკავშირე ქვეყანა იყო. XVI I საუკუნეში ის სანკტ-გალენის აბატის მეურვეობისგან განთავისუფლდა. 1789 წელს ის შვეიცარიის რესპუბლიკასთან გაერთიანდა.

ისნის სანკტ-გეორგენი ((სააბატო, სრინ) – სანკტ-გეორგენის სააბატო შვაბიაში, ისნიზე მდებარეობდა, ტერიტორიული უფლების გარეშე. სდ-ით, სააბატო კადტს გადაეცა.

სან-ულრიხი და სან-აფრა (სააბატო, სრინ) – სან-ულრიხისა და სან-არფის სააბატო შვაბიაში, ქალაქ აუგსბურგში მდებარეობდა. სდ-ით, სააბატო ბავარიას გადაეცა.

ზალმი (სამთავროები და საგრაფოები, სარეინგრაფო, სრინ) –> გერმანია

ზალმანსვაილერი ან ზალემი (სააბატო, სრინ) – ზალმანსვაილერის სააბტო შვაბიაში, კონსტანცის ტბის მახლობლად, უბერლინგენის თავისუფალ ქალაქსა (მერსბურგის საეპისკოპოსო ტერიტორია) და ჰაილიგენბერგის საგრაფოს (ფიურსტენბერგების სამფლობელო) შორის იყო განლაგებული. სააბატოს მფლობელობაში შემდეგი დომენები შედიოდა: ოსტრახის საბაიო (ჰაილიგენბერგის საგრაფოს ჩრდილოეთით), შტეტენის ტერიტორია (დუნაიზე ზიგმარინგენის ზევით) და შემერბერგის ტერიტორია (რისზე ბიბერახის ქვევით).

სპ-ით, ზალმანსვაილერის (ან ზალემი) სააბატო ამგვარად გადანაწილდა:

– საკუთრივ ზალმანსვაილერის ტერიტორია ბადენის მარკგრაფმა მიიღო;

– ოსტრახის საბაიო და შემერბერგის სენიორია თურნ-უნდ-თაქსისის მთავარს ხედა წილად;

– შტეტენის მონასტერი ჰოენცოლერნ-ჰეხინგენმა მიიღო.

ზალცბურგი (საარქიეპისკოპოსო) –> გერმანია

სამოსი (სამთავრო) –> საბერძნეთი

სარდინიის (სამეფო) –> იტალია

საქსონია (საარჩევნო საპერცოგო, სრინ, შემდგომში სამეფო) –> გერმანია

საქსონია (ვაიმარი, კობურგი, გოთა და სხვ.) (საპერცოგოები, სრინ) –> გერმანია (ტურინგია)

ზაინ-ალტენკირხენი (საგრაფო, სრინ) –> გერმანია (ბაიროუთი და და ანსპახი)

ზაინ-ჰახენბურგი (საგრაფო, სრინ) – ზაინ-ჰახენბურგის საგრაფო ზიგის ხეობაში, ბერგსა და ნასაუს შორის იყო განლაგებული. საგრაფო 1636 წელს ზაინის ძველი საგრაფოს გაყოფის შედეგად შეიქმნა. ის ალტენკირხენსა (რომელიც ცოტა ხანში ანსპახის მარკგრაფმა მიიღო) და ჰახენბურგს შორის (რომელიც ქორწინების შედეგად კირხბერგის ბურგრაფების ხელში გადავიდა) იქნა გაყოფილი. 1799 წელს უკანასკნელი ბურგრაფის გარდაცვალების შემდეგ (მემკვიდრე არ დაუტოვებია), ზაინ-ახენბურგის საგრაფო ნასაუ-ვაილბურგის მთავრის ხელში გაღავიდა, რომელიც გარდაცვლილი ბურგრაფის დის მეუღლე იყო.

ზაინ-ვიტგენშტაინი (მთავარი, სრინ) – ზაინ-ვიგტენშტაინის მთავრის მფლობელობაში იყო ვიტგენშტაინისა და ბერლებურგის საგრაფო, რომელიც ზემო ესენში, ლანის სათავეესთან მდებარეობდა და ასევე პომბურგის სენიორია ბერგის ტერიტორიაზე. 1806 წელს მედიაციის აქტით, საგრაფო პესენ-დარმშტადტს გადაეცა, ხოლო ჰომბურგის სენიორია ბერგის დიდმა ჰერცოგმა მიიღო.

შესბერგი (გრაფი, სრინ) – შესბერგის გრაფის მფლობელობაში იყო კერპენისა და ლომერზუმის სენიორიები იულიხში. სდ-ით, სენიორიები საფრანგეთმა მიიღო, რომლის სანაცვლოდ გრაფმა შვაბიაში, ოქსენჰაუზენის სააბატოსთვის ჩამორთმეული ტანჰაიმის საბაიო (ვინტერიდენის სოფლის გარეთ) მიიღო, რომელიც სენიორიად გადაკეთდა. 1806 წელს მედიაციის აქტით, ტანჰაიმი ვიურტენბერგს გადაეცა.

შენბორნი (გრაფი, სრინ) – შენბორნის გრაფის მფლობელობაში შვარცენბერგის მახლობლად, ზემო პფალცში მდებარე ვიზენტჰაიდის სენიორია იყო. 1806 წელს მედიაციის აქტით, ის ბავარიამ მიიღო.

შენბურგი (მთავრები და გრაფები, სრინ) – შენბურგის მთავრებისა და გრაფების მფლობელობაში იყო, საქსონიის ამმრჩევლის სიუზერენიტეტის ქვეშ მყოფი ვალდენბურგის საგრაფო და გლაუხაუსა და არტენშტაინის სენიორიები, რომელიც ზემო საქსონიაში მულდეს დინების გასწვრივ, ცვიკაუს ჩრდილოეთით მდებარეობდა. 1806 წელს აღნიშნული სამფლობელოები მედიაციის აქტით, საქსონიის მეფემ მიიღო.

შენთალი (სააბატო, სრინ) – შენთალის სააბატო შვაბიაში, ჰოენლოეს ტერიტორიაზე, მდინარე იაგსტზე იყო განლაგებული. სდ-ით, ეს სააბატო ვიურტემბერგის ჰერცოგმა მიიღო.

შაუსენრიდი (ააბატო, სრინ) – შაუსენრიდის ააბატო შვაბიაში შუსენის სათავესთან, ბიბერახის სამხრეთითა და ფედერის ტბის მახლობლად იყო განლაგებული.

შვებიშ-ჰალი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი ჰალი მდინარე კოხერზე მდებარეობდა. სდ-ით, ის ვიურტენბერგს გადაეცა.

შვარცბურგი (სამთავროები, სრინ) –> გერმანია (ტურინგია)

შვარცენბერგი (სამთავრო, სრინ) – შვარცენბერგის სამთავრო ორი ნაწილისგან შედგებოდა: შვარცენბერგის სამთავრო ზემო პფალცში და კლეტგაუს სალანდგრაფო ზემო რაინზე შაფჰაუზენის მეზობლად. 1806 წლის ივლისში მთავრის სახელმწიფოები მედიაციის აქტით, ბავარიასა (შვარცენბერგი) და ბადენის დიდ ჰერცოგს გადაეცა (კლეტგაუ).

შვაინფიურტი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი შვაინფიურტი ქვემო ფრანკონიაში მაინის მარჯვენა ნაპირზე იყო განლაგებული. სდ-ით, ის ბავარიას გადაეცა.

შვიდი გაერთიანებული კუნძული (რესპუბლიკა) –> საბერძნეთი

სერბეთი, ხორვატია, სლოვენია (სამეფო) –> სერბეთი და ჩერნოგორია

სერბეთი (სამთავრო, შემდგომში სამეფო) –> სერბეთი და ჩერნოგორია

ზინცენდორფი (გრაფი, სრინ) – ავსტრიის გაბედული მეჯინიბეთუხუცესის, გრაფ ზინცენდორფის მფლობელობაში იყო ანდერნახთან ახლოს, რაინზე მდებარე რაინეკის ბურგრავიატი. სდ-ით ბურგრავიატი საფრანგეთს გადაეცა, რომლის სანაცვლოდ გრაფმა შვაბიაში ტანჰაიმის საბაიოსთვის ჩამორთეული (თავად ჩამორთმეული ოქსენჰაუზენის ააბატოსთვის) ვინტერიდენის სოფელი მიიღო. 1806 წელს მედიაციის აქტით, ვინტერიდენი ბავარიამ მიიღო.

ზეფლინგენი (ააბატო, სრინ) – ზეფლინგენის ქალთა ააბატო შვაბიაში, დუნაიზე (ულმის მოშიჯნავე) მდებარეობდა. სდ-ით, ააბატო ბავარიას გადეცა.

ზოლმსი (სამთავრო, სრინ) –ზოლმსის სახლის სამთავრო ან საგრაფო ოთხ შტოდ იყო განაწილებული (ბრაუენფელსი, ჰოენზოლმსი, რედელჰაიმი, ლაუბახი). ის ლანსის დინებაზე მდებარეობდა და ორ ნაწილად იყო გაყოფილი (ბრაუენფელსი, ჰოენზოლმსი, გრაიფენშტაინი გისენის დასავლეთით, ჰუნგენი, გრუნინგენი, ლიხი, ლაუბახი აღმოსავლეთით). 1806 წელს მედიაციის აქტით, სამთავროს დასავლეთ ნაწილში მდებარე მინები ნასაუს გრაფმა მიიღო, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მინები ჰესენ-დარმშტადტის დიდ ჰერცოგს გადაეცა.

სულიოტი (რესპუბლიკა) –> საბერძნეთი

სპაიერი (საეპისკოპოსო, სრინ) – სპაიერის საეპისკოპოსო, რომლის მოსახლეობა 30 000 კაცისგან შედგებოდა, რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა და სამ ნაწილიდ იყო გაყოფილი: ერთი სპაიერის გარშემო (ქალაქის გარეშე), მეორე დაიდესჰაიმის გარშემო, ხოლო მესამე კირვაილერის გარშემო. მასში ასევე შედიოდა რაინის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ფილიპსბურგისა და ბრუქსალის (ეპისკოპოსის რეზიდენცია) დიდი ტერიტორია. ამას გარდა, როგორც ვისემბურგის პრევო და მთავარი, ეპისკოპოსის მფლობელობაში საფრანგეთის სიუზერენიტეტის ქვეშ, რაინცაბერნი, ლაუტერბურგი და დანი იმყოფებოდა. სდ-ით, სპაიერის საეპისკოპოსო ამგვარად გადანაწილდა:

– რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე ტერიტორიები საფრანგეთს გადაეცა;

– რაინის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ტერიტორიები ბადენის მარკგრაფის მფლობელობაში გადავიდა.

სპაიერი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – სპაიერი რაინის შუა დინებაზე (მარცხენა ნაპირი) მდებარეობდა. სდ-ით, ის საფრანგეთმა მიიღო.

შტადიონი (გრაფი, სრინ) – ავსტრიის სახლის სამსახურში მყოფი ცნობილი დიპლომატისა და მინისტრის, გრაფ შტადიონის მფლობელობაში იყო ბავარიაში მდებარე ტანჰაუზენის სენიორია და შტადიონსა და შვაბიაში მდებარე ვარტჰაუზენის სენიორიები (დუნაისთან ახლოს, ულმის ზევით). 1806 წელს მედიაციის აქტით, ტანჰაუზენი ბავარიამ მიიღო, ვარტჰაუზენი და შტადიონი კი ვიურტემბერგმა.

სტაველოტი და მალმედი (ააბატო, სრინ) –> ბელგია

შტერნბერგი (გრაფი, სრინ) – ძველი ფრანკონიური სახლის (დომენები ჰქონდა ბოჰემიაში) წარმომადგენელმა, გრაფმა შტერნბერგმა 1780 წელს მანდერშაიდის უკანასკნელი გრაფისგან მემკვიდრეობით მიიღო აიფელში მდებარე გეროლშტაინისა და ბლანკენჰაიმის საგრაფოები. სდ-ით, აღნიშნული საგრაფოები საფრანგეთს გადაეცა, რომლის სანაცვლოდ გრაფს შვაბიაში მდებარე შუსენრიდისა და ვაისენაუს სააბატოები დაეთმო. 1804 წელს გრაფმა ვაისენაუ ავსტრიას მიჰყიდა. 1806 წელს მედიაციის აქტით, შუსენრიდი ვიურტენბერგმა მიიღო.

შტოლბერგი (გრაფები, სრინ) – შტოლბერგ-ვერნიგეროდეს გრაფების მფლობელობაში იყო ჰარცში მდებარე შტოლბერგისა (საქსონიის ამომრჩევლის სიუზერენიტეტის ქვეშ) და ვერნიგეროდეს საგრაფოები (პრუსიის მეფის სიუზერენიტეტის ქვეშ). შტოლბერგ-ვერნიგეროდეს უმცროსი შტოს მფლობელობაში აგრეთვე ტაუნუსში მდებარე კენიგშტაინის საგრაფო იყო. შტოლბერგის გრაფების საერთო მფლობელობაში ლუქსემბურგში მდებარე როშფორის საგრაფო იყო, რომელიც სდ-ით დაკარგული იქნა, მაგრამ სანაცვლოდ, გრაფებმა ნლიური რენტა მიიღეს. 1806 წელს მედიაციის აქტით, კენიგშტაინი ჰესენ-დარმშტადტს გადაეცა. 1806 წელს მედიაციის აქტით, შტოლბერგი და ვერნიგეროდე საქსონიის მეფემ მიიღო, ვიდრე 1807 წელს ვესტფალიას არ დაუთმო.

სტრასბურგი (საეპისკოპოსო, სრინ) – სტრასბურგის საეპისკოპოსო რაინის მარჯვენა ნაპირზე მდებარე საიმპერიო მამულებისგან (20 000 მცხოვრები) შედგებოდა (ორტენაუში მდებარე ობერკირხისა და ოპენაუს გარშემო მდებარე ტერიტორია და ბრიზგაუში, ეტენჰაიმის გარშემო მდებარე ტერიტორია). მასში ასევე საფრანგეთის დომენები შედიოდა, რომელიც ათი საბაიოსგან შედგებოდა საფრანგეთის მეფის სიუზერენიტეტის ქვეშ (ზავერნი (ეპისკოპოსის რეზიდენცია)), დახშტაინი, კოხერსბერგი, ვანტცენაუ, შირმეკი, ბენფელდი, მარკოლსჰაიმი, რუფახი, ზულცი, ეგისჰაიმი).

სდ-ით, საეპისკოპოსოს რაინის მარცხენა ნაპირი (ალზასში) მედიაციის აქტით, დიდი ხნით ბადენის მარკგრაფის (მარჯვენა ნაპირის ორი ტერიტორია, ობერკირხი და ეტენჰაიმი) ხელში გადავიდა.

ჩეხოსლოვაკია (რესპუბლიკა) –> ჩეხეთი

ტელიგოვიენის (ვილჰელმ ტელის) –> შვეიცარია

ტევტონთა (ორდენი, სრინ) – ტევტონთა ორდენის დიდი მეთაური (წმინდა გერმანული წარმომავლობის ორდენი, რომელიც ჯვაროსნული ლაშქრობიდან (1128ნ.) იღებდა დასაბამს თავისი სამფლობელოებისთვის სასაულიერო სუვერენი მთავრის რანგში იყო აყვანილი. მისი რეზიდენცია მარგენტჰაიმში, ორდენის დედაქალაქში (ფრანკონიაში) იყო განლაგებული.

ორდენის დომენები მთელ "საღვთო რომის იმპერიაში" (გერმანელი ერის) იყო გაფანტული და თორმეტ საბაიოდ იყო დაყოფილი: ფრანკონია, ალზასი და ბურგუნდია, ავსტრია, ადიჯე, კობლენცი, ალტენჰესენი (ბელგიაში), ვესტფალია, ლოთარინგია, საქსონია, ტიურინგია, უტრეხტი.

აღნიშნულ სამფლობელოებს შორის აღსანიშნავია ფრანკონიასა და შვაბიაში მდებარე რამდენიმე ტერიტორია: "მარგენტჰაიმის სამთავროს" გარდა, რომელიც ტაუბერის შუა დინებაზე მდებარეობდა; მნიშვნელოვანი ტერიტორია ნეკარის მარჯვენა ნაპირზე იყო განლაგებული ნეკარზულმისა და გუნდელსჰაიმის ქალაქებთან, აგრეთვე ელვანგენის ტერიტორია, სადაც პრეგოს რეზიდენცია იყო განლაგებული სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვართან, ქალაქ კაპფენბურგთან ერთად, ტერიტორია ულმის აღმოსავლეთით ქალაქ ბოლინგენთან ერთად, ეილინგენის ჩრდილოეთით ბრიზგაუში მდებარე ტერიტორია ობერხახინგენის დაბასთან ერთად, ტერიტორია ზემო შვაბიაში, ფიურსტენბერგის სამთავროსა და შაფჰაუზენის შვეიცარიულ კანტონს შორის მდებარე ტერიტორია ბლიუმენფელდთან ერთად, კონსტანცის ტბის მოსაზღვრე ტერიტორია, ბლიუმენფელდთან ახლოს, შტოკახთან ახლოს მდებარე ტერიტორია ჰოენფელსის დაბასთან ერთად და ბოლოს, ბუხაუს ტერიტორია ალტსჰაუზენის დაბასთან ერთად.

სდ-ით, ტევტონთა ორდენმა რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე ტერიტორიების დაკარგვის სანაცვლოდ, ავსტრიის შვაბიაში მდებარე კაპიტულები, სააბატოე-

ბი და ვორარლბერგთან გამეშვეობითებული მონასტრები მიიღო, ისევე როგორც აუგსბურგის, კონსტანცისა და შვაბიის გამეშვეობითებული ეპარქიები, მაგრამ უშუალო ტერიტორიული მოგების გარეშე.

ეკმულში (1809 წლის 22 აპრილი) თავისი გამარჯვების მეორე დღეს, ნაპოლეონმა რეგენსბურგის დეკრეტს (24 აპრილი) მოაწერა ხელი, რომლის თანახმად, მან ორდენის სუვერენიტეტი გააუქმა რაინის კონფედერაციაში. ერცჰერცოგი ორდენის მეთაური გახდა პრესბურგში (ბრატისლავა) (1805 წ.). ორდენის ქონება კონფედერაციის სხვადასხვა წევრებმა მიითვისეს.

ტორენი (სააბატო, სრინ) – ტორენის ქალთა სააბატო ზემო მეზზე, რურემონდთან ახლოს მდებარეობდა.

ტიბერიის (რესპუბლიკა) –> ვატიკანი

ტერინგი (გრაფი, სრინ) – ბავარიის მონადირთუხუცესის, გრაფ ტერინგის მფლობელობაში გრონსფელდის საგრაფო იმყოფებოდა, რომელიც ავსტრიის ლიმბურგის ტერიტორიაზე იყო შეჭრილი. სდ-ით, საგრაფო საფრანგეთს გადაეცა, ხოლო გრაფმა მის სანაცვლოდ, შვაბიაში მდებარე გიუტენცელის სააბატო მიიღო. 1806 წელს მედიაციის აქტით, გიუტენცელი ვიურტენბერგს გადაეცა.

ტოსკანა (დიდი საჰერცოგო) –> იტალია

დნესტრისპირეთი (რესპუბლიკა) –> მოლდოვა

ტრანსპადანი (რესპუბლიკა) –> იტალია

ტრაუნი (გრაფი, სრინ) – ავსტრიის სამსახურში მყოფი ცნობილ სამხედროთა ოჯახის წარმომადგენლის, გრაფ ტრაუნის მფლობელობაში იყო შვაბიაში, ლინდაუს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ეგლოფის საგრაფო. 1806 წელს მედიაციის აქტით, საგრაფო ვიურტემბერგმა მიიღო.

ტრენტო (საეპისკოპოსო, სრინ) –150 000 მცხოვრებისგან შემდგარი ტრენტოს სააბატო ადიჯეს შუა აუზზე იყო გადაშლილი. სდ-ით, ტრენტოს სააბატო ავსტრიას გადაეცა.

ტრირი (საარქიეპისკოპოსო, სრინ) –> გერმანია

ტრიესტი (თავისუფალი ტერიტორია) –> იტალია, სლოვენია, ხორვატია

უბერლინგენი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი უბერლინგენი კონსტანცის ტბის პირას იყო განლაგებული. სდ-ით, ის ბადენის მარკგრაფს გადაეცა.

ულმი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – დუნაის მარცხენა ნაპირზე მდებარე ულმი მნიშვნელოვანი სამხედრო პოზიციის მქონე ქალაქი იყო. სდ-ით, ის ბავარიას გადაეცა.

საბჭოთა კავშირი ან სსრკ (რესპუბლიკა) –> რუსეთი

ურსბერგი (სააბატო, სრინ) – შვაბიაში მდებარე ურსბერგის სააბატო კრუმბახის აღმოსავლეთით, მდინარე მინდელზე იყო განლაგებული. სდ-ით, ურსბერგის სააბატო ბავარიამ მიიღო.

ვლახეთი (სამთავრო) –> რუმინეთი

ვალე, შემდგომში ვალეზანის (რესპუბლიკა) – 1789 წელს ვალე 5 000კმ² ფართობის მქონე პატარა ალპურ რესპუბლიკას წარმოადგენდა, რომელიც შვეიცარიის შემადგენელი ნაწილი იყო, როგორც კონფედერაციის მოკავშირე სახელმწიფო. მისი ტერიტორია მოიცავდა რონის ზემო ხეობას სანკტ-მორისამდე, შემდეგ კი მხოლოდ რონის მარცხენა ნაპირს სანკტ-მორისიდან ლემანის ტბამდე. მისი დედაქალაქი სიონი იყო.

ქვემო ვალე ზემო ვალეს ქვეშევრდომი საბაიო იყო, რომლის წინააღმდეგაც ის დრო და დრო ჯანყდებოდა. მთლიანად ვალეს მოსახლეობა დაახლოებით 50 000 კაცს შეადგენდა და ყველანი კათოლიკეები იყვნენ.

ვალე ტრანსიურის ბურგუნდიის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო. XI და XII საუკუნეების ფეოდალურმა დაქუცმაცებამ სიონის ეპისკოპოსს ზემო ვალეში მამულების ხელში ჩაგდების შესაძლებლობა მისცა, სავოიის გრაფი კი ქვემო ვალესკენ მიიწევდა. ეპისკოპოსი მთის გლეხთა ("ათთა") თემებს შეუერთდა სავოიელთა ამბიციებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. XV საუკუნის დასაწყისში ამ თემებიდან შვიდმა (ათიდან): კონში, ბრიგი, ვიეჟი, რარონი, ლოეში, ზიერი და სიონი ფედერაციული რესპუბლიკა შექმნა სიონის ეპისკოპოსით სათავეში.

აღნიშნული თემები ოთხ ტყის კანტონთან (1473ნ.) და ბერნთან გაერთიანდნენ (1475ნ.) და 1475 წელს სავოიის ქვემო ვალე დაიპყრეს (მარტინი, სენ-მორისი, ეგლი), რომელიც მათი ქვეშევრდომი გახდა.

1529 წელს ზემოაღნიშნული კანტონები კონფედერაციაში გაერთიანდნენ ბერნის ექსპანსიისთვის წინააღმდეგობის განვევის მიზნით, 1536 წელს მათ სავოიის ჰერცოგის მფლობელობაში მყოფი შაბლე დაიკავეს, მაგრამ 1564 წელს იძულებულნი გახდნენ მისი უდიდესი ნაწილი დაებრუნებინათ, და მხოლოდ აღმოსავლეთი შაბლე (რონის მარცხენა ნაპირი მონტეიდან ტბამდე) შეინარჩუნეს. 1627 წელს მათ ეპისკოპოსს მისი დროებითი ძალაუფლება ჩამოართვეს და ოლიგარქიული რესპუბლიკა შექმნეს, რომელიც 1789 წელს კვლავ არსებობდა.

სტრატეგიული მდებარეობის გამო, რომელიც საფრანგეთს ციზალპურ რესპუბლიკასთან აკავშირებდა (პიემონტი ჯერ კიდევ არ იმყოფებოდა საფრანგეთის მმართველობის ქვეშ), ვალე გენერალ ბონაპარტისთვის ინტერესს წარმოადგენდა. 1789 წლის თებერვალში საფრანგეთის ჯარებმა გენერალ ბრიუნის მეთაურობით ჰელვეციის ტერიტორია დაიპყრეს.

1789 წლის მარტში ვალე დეპარტამენტად გადაკეთდა და ოთხ სხვა დეპარტამენტთან ერთად როდანიკულ (რონის) რესპუბლიკაში იქნა შეყვანილი: ზარინ-ებრუაე (ფრიბური), ლემანი (ვო), ობერლანდი, ტესინი (იტალიური საბაიოები). 1789 წლის აპრილში ვალე ახალი შვეიცარიის რესპუბლიკის 19-დან ერთ-ერთ კანტონს წარმოადგენდა, ადმინისტრაციული ცენტრით სიონში. ამავე დროს, ზემო ვალეს დიდი კმაყოფილებით არ მიუღია შვეიცარიის რესპუბლიკაში გაერთიანება.

1799 წლის ივნისში ისარგებლეს რა ავსტრია-რუსეთის კოალიციური ჯარების შეტევით საფრანგეთის წინააღმდეგ, ზემო ვალეს მცხოვრებლები ამ უკანასკნელის წინააღმდეგ აჯანყდნენ. ფრანგებმა ხელახლა იგდეს ხელთ ვალე და მისი ოკუპაცია განახორციელეს.

პირველი კონსული ბონაპარტი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა საფრანგეთ-იტალიის გზის გაკონტროლებას. ისარგებლა რა იმ გარემოებით, რომ ვალეს მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა სამხედრო საოკუპაციო რეჟიმის მიმართ, 1802 წლის 25 მაისს ნაპოლეონმა ვალეს შვეიცარიის რესპუბლიკიდან გამოყოფის ბრძანება გასცა და მისგან ვალეზანის რესპუბლიკა შექმნა, რომელიც საფრანგეთის, შვეიცარიისა და იტალიის რესპუბლიკების საერთო მფარველობის ქვეშ იქნა მოქცეული.

ვალეზანის (ფრ.) რესპუბლიკის მმართველი დიდი ბალი იყო, რომლის რეზიდენცია სიონში (დედაქალაქი) იყო განლაგებული. პირველი კონსული მაშინვე შეუდგა სიმპლონის გზის მშენებლობას, რომელსაც საბოლოო კავშირი უნდა დაემყარებინა პარიზსა და მილანს შორის. 1810 წელს საგზაო სამუშაოების დასრულება საფრანგეთს ძალზე ძვირი დაუჯდა (მხოლოდ თავისი სახსრებით), რომლის ხარჯები პრინციპში, საფრანგეთსა და ვალეს შორის უნდა განანილებულიყო.

მოგვიანებით, იტალიის მეფე, იმპერატორი ნაპოლეონი, რომელსაც ამ გზაზე თავისი სუვერენიტეტის დამყარება სურდა, ამაოდ სთავაზობდა ვალეს ხელისუფალთ რონის მარცხენა ნაპირის გადაცემას ლემანიდან ბრიგამდე. 1810 წლის 12 ნოემბრის ფონტენბლოს დეკრეტით, ნაპოლეონმა ვალეზანის რესპუბლიკა საფრანგეთს მიუერთა, რომელიც სიმპლონის ფრანგული დეპარტამენტი გახდა. 1813 წელს საფრანგეთის წარუმატებლობების შემდეგ, ფრანგებმა სიმპლონის დეპარტამენტი დატოვეს, რომლის ოკუპაცია ავსტრიელებმა მოახდინეს. 1815 წლის ივნისში ვალე, ნეშატელისა და ჟენევის მსგავსად, ახალ კანტონად იქნა მიღებული ჰელვეციის კონფედერაციაში.

ვარშავა (დიდი საჰერცოგო) –> პოლონეთი

ვენეცია (რესპუბლიკა) –> იტალია

ვალდბურგი (საგრაფო, სრინ) – ვალდბურგის საგრაფო შვაბიაში, შუსენის მახლობლად მდებარეობდა (დედაქალაქი ვალდზი). საგრაფო იმპერიის შტალმაისტერების, ტრუქსეს-ვალდბურგის მთავართა სამფლობელოს წარმოადგენდა. 1806 წელს მედიაციის აქტით, საგრაფო ვიურტემბერგს გადაეცა.

ვალდეკი (სამთავრო, სრინ) –> გერმანია

ვანგენი (საიმპერიო ქალაქი, სრიწ) – ქალაქი ვანგენი ალგაუში, მდინარე არგენზე კონსტანცის ტბის მახლობლად მდებარეობდა. სდ-ით, ის ბავარიას გადაეცა.

ვარტენბერგი (გრაფი, სრიწ) – ვარტენბერგის გრაფის მფლობელობაში იყო ამავე სახელწოდების სამფლობელო რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე პფალცში. სდ-ით, საგრაფო საფრანგეთს გადეცა, მის სანაცვლოდ გრაფმა შვაბიაში მდებარე როტის სააბატო მიიღო. 1806 წელს მედიაციის აქტით, როთი ვიურტემბერგს გადაეცა.

ვალ დერ შტადტი (საიმპერიო ქალაქი, სრიწ) – ქალაქი ვაილი მდინარე ვიურმზე, შტუტგარტის დასავლეთით მდებარეობდა. სდ-ით, ის ვიურტემბერგს გადაეცა.

ვაინგარტენი (სააბატო, სრიწ) – შვაბიაში მდებარე ვაინგარტენის სააბატო ტეტნანგის ჰაბსბურგების საგრაფოს, ვალდბურგის საგრაფოსა და ქალაქ რავენსბურგს შორის მდებარეობდა. ამ სააბატოს მფლობელობაში იყო ჰაბსბურგების ეორარლბერგის ტერიტორიაზე შეჭრილი ბლიუმენეკის სენიორია, რომელშიც სანგეროლდის სააბატო იყო განლაგებული.

სდ-ით, ვაინგარტენის სააბატო და მასზე დაქვემდებარებული ბლიუმენეკის (ეორარლბერგი) სენიორია ნასაუ-დილენბურგის (ორან-ნასაუ) მთავარს გადაეცა.

ვაისენაუ (სააბატო, სრიწ) – ვაისენაუს სააბატო შვაბიაში, კონსტანცის ტბის მახლობლად, ქალაქების ბუხორნსა (დღეს ფრიდრიხსჰაფენი) და რავენსბურგს შორის მდებარეობდა. სდ-ით, ვაისენაუს სააბატო პრუსიამ მიიღო.

ვერდენი (სააბატო, სრიწ) – ვერდენის სააბატო მდინარე რურზე, ბერგის ჩრდილოეთით მდებარეობდა. სდ-ით, სააბატო პრუსიას გადაეცა.

ვესტფალია (სამეფო) –> გერმანია

ვეტენჰაუზენი (პრევოს რეზიდენცია, სრიწ) – ვეტენჰაუზენის პრევოს რეზიდენცია შვაბიაში, გიუნცბურგის სამხრეთით, მდინარე კემლახზე მდებარეობდა. სდ-ით, საპრევო ბავარიამ მიიღო.

ვეცლარი (საიმპერიო ქალაქი, სრიწ) – ზემო ჰესენში, მდინარე ლანზე მდებარე ვეცლარი "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანული ერის) სასამართლოს რეზიდენცია იყო. სდ-ით, ის მაინცის არქიეპისკოპოს-ამომრჩეველს გადაეცა.

ვიდ-რიუნკელი (მთავარი, სრიწ) – ვიდ-რიუნკელის მთავრის მფლობელობაში იყო რაინის მარჯვენა ნაპირზე კობლენცის ჩრდილოეთით მდებარე ვიდისა და ქვემო იზემბურგის საგრაფოები, რიუნკელის სენიორია ლანის გაყოლებაზე, ისევე როგორც კრეჰანგეს (კრიხინგენი) საგრაფო ლოთარინგიაში ზარეგმინესთან ახლოს. სდ-ით, კრეჰანგეს საგრაფო საფრანგეთს გადაეცა, რომელმაც 1793 წლიდან მისი ანექსია მოახდინა, გრაფმა სანაცვლოდ ალტენვიდისა და ნოირბურგის საბაიოები (კიოლნის ელექტორატის რაინის მარჯვენა ნაპირის დომენებიდან) მიიღო. 1806 წელს მედიაციის აქტით, მთავრის დომენები ამგვარად გადანაწილდა:

– ლანის მარჯვენა ნაპირზე მდებარე რიუნკელის ნახევარი ბერგის დიდმა ჰერცოგმა მიიღო;

– ლანის მარცხენა ნაპირზე მდებარე რიუნკელის ნახევარი, ვილდისა და ქვემო იზემბურგის საგრაფოები, ალტენვიდისა და ნოირბურგის საბაიოები ნასაუს ჰერცოგს გადაეცა.

ვილდენბურგი (სენიორია, სრიწ) – ჰატცფელდის გრაფის სამფლობელო, ვილდენბურგის სენიორია ბერგის მხარეში, კიოლნის აღმოსავლეთით იყო განლაგებული. 1806 წელს მედიაციის აქტით, ის ბერგის დიდმა ჰერცოგმა მიიღო.

ვიმპფენი (საიმპერიო ქალაქი, სრიწ) – ქალაქი ვიმპფენი ნეკარის შუა დინებაზე იყო განლაგებული. სდ-ით, ის ბადენს გადაეცა და მაშინვე ჰესენ-დარმშტადტს დაუბრუნდა.

ვინდსჰაიმი (საიმპერიო ქალაქი, სრიწ) – ქალაქი ვინდსჰაიმი ქვემო ფრანკონიაში, აიშზე მდებარეობდა. სდ-ით, ის ბავარიას გადაეცა, რომელმაც 1803 წელს ქალაქი პრუსიას გადასცა.

ვისემბურგი (პრევოს რეზიდენცია, სრიწ) – ვისემბურგის საპრევო ალზასში, კაიზზე (რაინის შენაკადი) მდებარეობდა. მისი მიწები საფრანგეთის მეფის

სიუზერენობიდან მომდინარეობდა და ამგვარად, პრევო (სპაიერის ეპისკოპოსი) სუვერენი იყო.

სდ-ით, პრევოს რეზიდენცია საფრანგეთმა მიიღო.

ვისემბურგი-ნორდგაუზე (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი ვისემბურგი ფრანკონიაში, რეცატზე მდებარეობდა. სდ-ით, ის ბავარიამ მიიღო, ხოლო 1803 ნელს ქალაქი პრუსიას გადაეცა.

ვორმსი (საეპისკოპოსო, სრინ) – ვორმსის საეპისკოპოსო, რომელშიც 16 000 მცხოვრები იყო, რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე ხუთი პატარა ტერიტორიისგან შედგებოდა: ვორმსის გარშემო (ქალაქის გარეშე), დირენშტაინისა და ნოი ლაინინგენის ტერიტორიები, ორი ტერიტორია რაინის მარცხენა ნაპირზე და ლაუპერტჰაიმის ტერიტორია. სდ-ით, ვორმსის საეპისკოპო ამგვარად გადანაწილდა:

– რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე ტერიტორიები საფრანგეთს გადაეცა;

– რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე ტერიტორიები, ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფმა მიიღო.

ვორმსი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ვორმსი რაინის შუა დინებაზე (მარცხენა ნაპირი) მდებარეობდა. სდ-ით, ის საფრანგეთს გადაეცა.

ვიურტემბერგი (საპერცოგო, სრინ, შემდგომში სამეფო) –> გერმანია

ვიურცბურგი (საეპისკოპოსო, სრინ, შემდგომში დიდი საპერცოგო) –> გერმანია

იუგოსლავია (სამეფო, შემდგომში რესპუბლიკა) –> სერბეთი და ჩერნოგორია

ზელი (საიმპერიო ქალაქი, სრინ) – ქალაქი ზელი მდინარე ჰარმერსბახზე (კინციგის შენაკადი) ორტენაუში მდებარეობდა. სდ-ით, ის ბადენის მარკგრაფმა მიიღო.

ცვაიფალტენი (სააბატო, სრინ) – ცვაიფალტენის სააბატო შვაბიაში, დუნაის მარცხენა ნაპირზე, ობერმახტალის პირდაპირ მდებარეობდა. სდ-ით, სააბატო ვიურტემბერგის ჰერცოგს გადაეცა.

IV

დანართი

"საღვთო რომის იმპერია"

გერმანიის "საღვთო რომის იმპერია", ან უმჯობესი იქნებოდა გამოგვეყენებინა ტერმინი "საღვთო რომის იმპერია" გერმანელი ერისა (Heillgcs Rocmischcs Rcich Deutscher Nation) 1789 წელს სხვადასხვა ხალხებით დასახლებულ ვრცელ ტერიტორიას წარმოადგენდა ცენტრალურ ევროპაში. მისი ფართობი 660 000 კმ² შეადგენდა, ხოლო მოსახლეობა დაახლოებით 28-დან 30 მილიონამდე კაცს აღწევდა.

გეოგრაფიული თვალსაზრისით, ის გადაჭიმული იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე, ბალტიის ზღვიდან (ლიუბეკი) ადრიატიკის ზღვამდე (ტრიესტი) და დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე, ჩრდილოეთის ზღვიდან (ოსტანდი) პოლონეთისა (ჩესკი ტეშინი) და უნგრეთის (პრესბურგი) დაბლობებამდე.

მისი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი გერმანელებით დასახლებულ ტერიტორიებს მოიცავდა აღსანიშნავი გამონაკლისების გარდა, როგორიც იყო პრუსია, შლეზვიგი, ალზასი, ჰელვეციის კონფედერაციის გერმანული ქვეყნები და ბანატის, ტრანსილვანიისა და ვოლგის ტერიტორიაზე მცხოვრები გერმანელები.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა გერმანელთა პრიმატი "საღვთო რომის იმპერიაზე" (გერმანელი ერის), მასში ბევრი სხვა არაგერმანელი ხალხიც შედიოდა: ჰოლშტაინის დანიელები, ნიდერლანდის ფლამანდიელები და ვალონები, მონბელიარის, თუ ბაზელის საეპისკოპოსოს ფრანგები, ტრენტინოს, გორიციის თუ ტრიესტის იტალიელები, ფრანკონიის თუ კრაინის სლოვენები, ბოჰემია-მორავიის ჩეხები და მორავიელები, ლუჟიცის სერბები.

"საღვთო რომის იმპერია" (გერმანელი ერის) მკაფიოდ განსაზღვრულ ფარგლებში იყო მოქცეული: ბალტიის ზღვა, ჰოლშტაინის შლეზვიგთან გამყოფი საზღვარი, შავი ზღვა, შეერთებული პროვინციების მომცველი საზღვარი, კელავ ჩრდილოეთის ზღვა, საფრანგეთის სამეფოს, ჰელვეციის კონფედერაციის, ვენეციის რესპუბლიკის საზღვრები, ხორვატიის, შემდეგ უნგრეთის სამეფოთა და პოლონეთის სამეფოს საზღვრები.

მოიცავდა რა ცენტრალური ევროპის საკმაოდ დიდ ნაწილს, ის გეოგრაფიულად ძალზე განსხვავებული რეგიონებისგან შედგებოდა: ალპების მთები და ბოჰემიის პერიმეტრი, ჩრდილოეთის დიდი დაბლობები, სამრენველო ხეობები (რაინი, დუნაი) და სხვ. დასავლეთით იქ კარგად განვითარებული საქალაქო ქსელი არსებობდა (ნიდერლანდი, რაინის ხეობა), აღმოსავლეთით კი უფრო მეჩხერი (ჰანოვერი, ბერლინი, პრაღა, ვენა, მიუნხენი, აუგსბურგი).

"საღვთო რომის იმპერია" (გერმანელი ერის) თავს კარლოს დიდის მემკვიდრედ და აქედან გამომდინარე, დასავლეთის რომის იმპერიის მემკვიდრედ მიიჩნევდა. ამასთანავე, ის პირდაპირი მემკვიდრე იყო ვერდენის შეთანხმმით გათვალისწინებული განაწილებისა და მისი სამიდან ორი სამეფოსგან იღებდა დასაბამს: ლოთარინგია და გერმანია; ფრანკთა სამეფო საბოლოოდ იქნა გამოყოფილი. კარლოს დიდის უკანასკნელი შთამომავლის გარდაცვალების შემდეგ ((911ნ.), საიმპერატორო გვირგვინი არჩევითი გახდა.

რეალურად "საღვთო რომის იმპერია" (გერმანელი ერის) ოტონ I-მა (საქსონიის სახლის წარმომადგენელი) დაიფუძნა, რომელმაც ჯერ მეფის (936ნ.), შემდეგ კი იმპერატორის ტიტული მიიღო 962 წელს. მან და მისმა მემკვიდრეებმა ლოთარინგია, ბოჰემია და იტალია იმპერიაში შეიყვანეს. საიმპერატორო ტახტზე ერთმანეთს სხვადასხვა სახლი ენაცვლებოდა, ისე რომ ვერ მოხერხდა "საღვთო რომის იმპერიისგან" (გერმანელი ერის) (რომელიც თანდათან გერმანიამდე იქნა დაყვანილი ბურგუნდიის, იტალიის, პროვანსის, ჩრდილოეთი ნიდერლანდის, შვეიცარიის, ალზასისა და ლოთარინგიის დაკარგვით) გამართული, ცენტრალიზებული ხელისუფლების მქონე სახელმწიფოს შექმნა.

მართლაც, სხვა სამეფო სახლების საპირისპიროდ, რომლებიც თანდათან თავის ვასალთა ფეოდალურ ძალაუფლებას ამცირებდნენ, გერმანელი იმპერატორები პაპობის ხრიკების მუდმივ სამიზნეს წარმოადგენდნენ, რომელიც გერმანელ იმპე-

რატორებსა და მათ ვასალებს უპირატესობაში ედავებოდა. ამ უკანასკნელებმა თავად მოახერხეს ძლიერი სახელმწიფოების შექმნა და მეტ სიუზერენიტეტს მოითხოვდნენ იმპერატორებისგან.

საიმპერატორო ტახტზე საქსონიის სახლი ფრანკონიის (1024-1125წწ.), შვაბიის, ჰოეჰნშტაუფენის (1138-1254წწ.) დინასტიებმა შეცვალეს, შემდგომში, დიდი უმეფობის ხანის შემდეგ, საიმპერატორო ტახტი პირველად ავსტრიის სახლმა დაიკავა (1273-1308წწ.). ამ სახლის მემკვიდრე ლუქსემბურგის სახლი გახდა, რომლის წარმომადგენელიც კარლოს IV იყო. მან ოქროს ბულით (1356წ.) საიმპერიო ხელისუფლების არჩევის წესები გამოსცა. ამ დროიდან, იმპერატორი შვიდი ამომრჩევლისგან შემდგარ კოლეგიას უნდა აერჩია:

– მაინცის არქიეპისკოპოსი, გერმანიის დიდი კანცლერი; – კიოლნის არქიეპისკოპოსი, იტალიის დიდი კანცლერი;
– ტრირის არქიეპისკოპოსი, გალიის დიდი კანცლერი;
– ბოჰემიის მეფე, დიდი მერიქიფე;
– რაინის პფალცგრაფი, დიდი სენეშალი;
– ბრანდებურგის მარკგრაფი, დიდი კამერგერი;
– საქსონიის ჰერცოგი, დიდი მარშალი.

1438 წლიდან ხანმოკლე შეწყვეტის (1742-1745წწ) გარდა, იმპერატორს ყოველთვის ჰაბსბურგთა სახლიდან ირჩევდნენ და ამგვარად, დე იურე არჩევით სისტემაში დე ფაქტო მემკვიდრეობითობა იქნა შემოღებული. თუმცა იყო მცდელობები, რომელიც ხელს უშლიდა "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) ერთიანობას: XVI საუკუნის რეფორმაცია, რომელმაც ის ორ ნაწილად გაყო, ოცდაათწლიანი ომი, რომელმაც ის XVII საუკუნეში გააჩანაგა და ხანგრძლივი დროით გერმანიის საქმეებში საფრანგეთის ჩარევა გამოიწვია, შემდგომში პრუსიის აღმავლობა XVIII საუკუნეში, რომელიც ავსტრიის სახლს პირველობას ედავებოდა იმპერიის მიგნით.

აღნიშნული მოვლენები ჰაბსბურგების სახლს ხელს უშლიდა "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) თანამედროვე სახელმწიფოდ გარდაქმნის საქმეში. 1789 წელს იმპერია 1 200 მთავრისგან შემდგარ კონგლომერატს წარმოადგენდა, რომელთაც სუვერენებად გახდომის პრეტენზია ჰქონდათ, მათ შორის იყო 294 სახელმწიფო (80 საეკლესიო, 163 საერო, 51 თავისუფალი ქალაქი), რომელიც საიმპერიო რჩეულთა კრებაზე ერთმანეთს ედავებოდა.

1789 წელს "საღვთო რომის იმპერია" (გერმანელი ერის) არ იყო სახელმწიფო იმ გაგებით, რომელსაც ჩვენ დღეს ამ სიტყვას ვანიჭებთ. ის იყო ძალზე მყიფე კონფედერაცია, რომელიც წლების განმავლობაში მხოლოდ ძალის გამოყენებით ინარჩუნებდა სიცოცხლეს. მისი წევრები ერთმანეთს ეომებოდნენ და დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდნენ, კავშირებს აბამდნენ ან პირდაპირ თავს ესხმოდნენ იმპერიის გარეთ მდებარე სახელმწიფოებს. ამავე დროს, ზოგიერთ სახელმწიფოს (საკმაოდ დიდს) ძლიერი პოზიციები ჰქონდა, როგორც იმპერიაში, ისე მის გარეთ (ავსტრია, პრუსია, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი).

აღნიშნული იმპერია რთულ, მოუქნელ და არაეფექტურ ინსტიტუტს წარმოადგენდა, რომელიც ოთხ დიდ დედაქალაქს შორის იყო განაწილებული: ვენა (იმპერატორის რეზიდენცია), ფრანკფურტი (არჩევნების დედაქალაქი), რატისბონი (საიმპერიო დიეტის ადგილი), ვეტცლარი (სასამართლოს რეზიდენცია).

წინამდებარე ნაშრომი დეტალურად არ განიხილავს 1 200-დან 1 300-მდე სუვერენი მთავრის მოღვაწეობას. ჩვენ შევეხებით მხოლოდ რატისბონის დიეტში წარმოდგენილ სუვერენებს.

დიეტში ისინი სამ კოლეგიად იყვნენ დაყოფილი. თითოეული კოლეგია ცალკე იღებდა გადაწყვეტილებებს.

ა. საარჩევნო კოლეგია (8 ხმა)

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ოქროს ბულის თანახმად, შვიდი ამომრჩეველი იქნა დადგენილი: მაინცი, კიოლნი, ტრირი, ბოჰემია, რაინის პფალცი, ბრანდებურგი,

საქსონია. XVI საუკუნის რეფორმაციამ ისინი ორ ბანაკად გაყო: ოთხი კათოლიკური (მაინცი, კიოლნი, ტრირი, ბოჰემია), სამი პროტესტანტული (რაინის პფალცი, ბრანდენბურგი, საქსონია).

ოცდაათწლიანი ომის დროს, კალვინისტი რაინის პფალცგრაფი იმპერატორის წინააღმდეგ გამოვიდა და მხარი დაუჭირა ბოჰემიის სამეფო გვირგვინის ჩეხთა აჯანყებას. დამარცხებულ გრაფს იმპერატორმა საარჩევნო ქუდი ჩამოართვა და ის კათოლიკე ბავარიის ჰერცოგს გადასცა. თუმცა ვესტფალიის ხელშეკრულებებით (1648წ.), პფალცგრაფმა თავისი "ქუდი" დაიბრუნა მთავარხაზინადარის ტიტულიდან გამომდინარე, ბავარიის პერცოგმა კი თავისი ქუდი შეინარჩუნა. ამგვარად. კოლეგია რვა კაცისგან შედგებოდა, ხუთი კათოლიკე და სამი პროტესტანტი ამომრჩევლისგან.

1692 წელს განეული მხარდაჭერისთვის, იმპერატორმა ბრაუნშვაიგ-ლუნებურგის ჰერცოგს ჰანოვერის ამომრჩევლის ტიტული უბოძა (ახალი ელექტორატი, რომელიც დიეტმა მხოლოდ 1708 წელს მიიღო). ამ დროს, ცხრა ამომრჩეველი იყო, ხუთი კათოლიკე და ოთხი პროტესტანტი. 1777 წელს ბავარიის სახლის მმართველობის მიწურულს, პფალცგრაფი ასევე ბავარიის ჰერცოგი გახდა. ამომრჩეველთა რიცხვი ისევ რვამდე იქნა დაყვანილი: ხუთი კათოლიკური (მაინცი, კიოლნი, ტრირი, ბოჰემია, ბავარია) და სამი პროტესტანტული (ბრანდენბურგი, საქსონია, ჰანოვერი).

რელიგიურ მრწამს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან კათოლიკური უმრავლესობა ჰაბსბურგთა სახლის წარმომადგენლის რეგულარულ არჩევას უწყობდა ხელს (თავად ბოჰემიის მეფე და ამომრჩეველი). აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება საქსონიის ამომრჩეველთა მაგალითის მოყვანა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში კათოლიკეები იყვნენ (პერსონალურად) პოლონეთის ტახტზე ასვლის მიზნით. მათ პატივი ჰქონდათ ეტარებინათ ევანგელიკური კორპუსის (პროტესტანტული) მეთაურის წოდება, რომელიც ყოველი არჩევნების დროს "პროტესტანტულ კენჭისყრას" ატარებდა.

ბ. მთავართა კოლეგია (100 ხმა)

მთავართა კოლეგია ორ სკამად იყო დაყოფილი, 94 მამაკაცთა ხმა (ინდივიდუალური) და 6 საეკლესიო ხმა (კოლეგიალური).

1. საეკლესიო სკამი

საეკლესიო სკამი 33 მამაკაცისა და 2 საეკლესიო ხმისგან შედგებოდა. თითქმის ყველა ხმა კათოლიკური იყო ლიუბეკისა (ევანგელიკური) და ოსნაბრიუკის (მონაცვლე კათოლიკურსა და ლუთერანულს შორის) ეპისკოპოსთა ხმების გამოკლებით. სია შემდეგი ამომრჩევლებისგან შედგებოდა:

ზალცბურგის არქიეპისკოპოსი, ბეზანსონის არქიეპისკოპოსი, ტევტონთა ორდენის დიდი მეთაური, ბამბერგის ეპისკოპოსი, ვიურცბურგის ეპისკოპოსი, ვორმსის ეპისკოპოსი, აიხშტადტის ეპისკოპოსი, სპაიერის ეპისკოპოსი, სტრასბურგის ეპისკოპოსი, კონსტანცის ეპისკოპოსი, აუგსბურგის ეპისკოპოსი, ჰილდესჰაიმის ეპისკოპოსი, პადერბორნის ეპისკოპოსი, ფრაზინგის ეპისკოპოსი, რატისბონის ეპისკოპოსი, პასაუს ეპისკოპოსი, ტრენტის ეპისკოპოსი, ბრიქსენის ეპისკოპოსი, ბაზელის ეპისკოპოსი, ლიეჟის ეპისკოპოსი, ოსნაბრიუკის ეპისკოპოსი, მიუნსტერის ეპისკოპოსი, ლიუბეკის ეპისკოპოსი, კურის ეპისკოპოსი, ფულდის ეპისკოპოსი, კემპტონის აბატი, ელვანგენის პრევო, მალტის ორდენის დიდი მეტრი, ბერხტერსგადენის პრევო, ვისემბურგის პრევო, პრუმის აბატი, სტაველოტ-მალმედის აბატი, კორვეის ეპისკოპოსი, შვაბიის პრელატთა სკამი, რაინის პრელატთა სკამი.

2. საერო სკამი

საერო სკამი 61 მამაკაცთა და 4 სამრევლო ხმისგან შედგებოდა და ამგვარად გამოიყურებოდა:

ავსტრიის ერცჰერცოგი, ბურგუნდიის ჰერცოგი, ბავარიის ჰერცოგი, მაგდებურგის ჰერცოგი, ლაუტერნის პფალცგრაფი, ნოიბურგის პფალცგრაფი, ბრემენის ჰერცოგი, ცვაიბრიუკენის პფალცგრაფი, ველდენცის პფალცგრაფი, ლაუტერეკის პფალცგრაფი, საქსონია-ვაიმარის ჰერცოგი, საქსონია-აიზენახის ჰერცოგი, საქსონია-კობურგის ჰერცოგი, საქსონია-გოთის ჰერცოგი, საქსონია-ალტენბურგის ჰერცოგი, ბრანდებურგ-კულმბახ-ბაიროუთის მარკგრაფი, ბრანდენბურგ-ანსპახის მარკგრაფი, ბრაუნშვაიგ-გრიუბენჰაგენის ჰერცოგი, ბრაუნშვაიგ-კალენბერგის ჰერცოგი, ბრაუნშვაიგ-ვოლტენბიუტელის ჰერცოგი, ალბერშტადტის მთავარი, პირაქეთა პომერანიის ჰერცოგი, პირიქითა პომერანიის ჰერცოგი, ვერდენის ჰერცოგი, მეკლემბურგ-შვერინის ჰერცოგი, მეკლემბურგ-გუსტორფის ჰერცოგი, ვიურტემბერგის ჰერცოგი, ჰესენ-კასელის ლანდგრაფი, ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფი, ბადენ-ბადენის მარკგრაფი, ბადენ-დურლახის მარკგრაფი, ბადენ-ჰოხბერგის მარკრაფი, ჰოლშტაინ-გლიუკშტადტის ჰერცოგი, ჰოლშტაინ-გოტორპის ჰერცოგი, საქსონია-ლაუენბურგის ჰერცოგი, მინდენის მთავარი, საოიის ჰერცოგი, ლოიხტენბერგის ლანდგრაფი, ანჰალტის მთავრები, ჰენებერგის გრაფი-მთავრები, შვერინის მთავარი, კამინის მთავარი, რატცებურგის მთავარი, ჰერსფელდის მთავარი, მონბელიარის გრაფი-მთავარი, არენბერგის ჰერცოგი, ჰოენცოლერნის მთავარი, ლობკოვიცის მთავარი, ზალმის მთავარი, დიტრიხშტაინის მთავარი, ნასაუ-ჰადამარის მთავარი, ნასაუ-დილენბურგის მთავარი, აუერსპერგის მთავარი, ოსტფრიზის მთავარი, ფიურსტენბერგის მთავარი, შვარცენბერგის მთავარი, ლიხტენშტაინის მთავარი, ტურ-ე-ტაქსის მთავარი, შვარცბურგის მთავარი, შვაბიის გრაფთა კოლეგია, ვეტერავიის გრაფთა კოლეგია, ფრანკონიის გრაფთა კოლეგია, ვესტფალიის გრაფთა კოლეგია.

ზოგიერთ სამეფო და სამთავრო სახლს, რომლის ხელში მრავალი სამფლობელო იყო ამ საერო სკამზე ბევრი ხმა ჰქონდა:

–ჰამბურგი, 2 ხმა (ავსტრია, ბურგუნდია);

–ვიტელსბახი, 8 ხმა (ბავარია, ლაუტერნი, ზიმერნი, ნოუბურგი, ცვაიბრიუკენი, ველდენცი, ლაუტერეკი, ლოიხტენბერგი);

–ბრანდენბურგ-პრუსიის ჰოენცოლერნი, 6 ხმა (მაგდებურგი, ალბერშტადტი, პირიქითა პომერანია, მინდენი, კამინი, ოსტფრიზი);

–ჰანოვერი, 6 ხმა (ბრემენი, სელი, გრიუბენჰაგენი, კალენბერგი, ვერდენი, ლაუენბურგი);

– დანია, 2 ხმა (გლიუკშტადტი, გოტორპი);

–ბადენის ზერინგენი, 3 ხმა (ბადენი, დიურლახი, ჰოხბერგი);

– ვიურტემბერგი, 2 ხმა (ვიურტემბერგი, მონბელიარი);

–მეკლემბურგ-შვერინი, 3 ხმა (შვერინის ჰერცოგი, გიუსტორფი, შვერინის მთავარი);

–ანსპახი, ბაიროუთი, 2 ხმა (ანსპახი, ბაიროუთი).

კონფესიური თვალსაზრისით 65 ხმა ამგვარად იყო გადანაწილებული:

– 1 მონაცვლე ხმა: ვესტფალიის გრაფთა სამრევლო ხმა;

– 22 კათოლიკური ხმა: 2 ავსტრიის, 8 ბავარიის პფალცის, საოიის, არენბერგის, ჰოეჰნცოლერნის, ლობკოვიცის, ზალმსის, დიტრიხშტაინის, აუერსპერგის, ფიურსტენბერგის, შვარცენბერგის, ლიხტენშტაინის, ტურნ-უნდ-ტაქსისის ხმები, შვაბიის გრაფთა სამრევლო ხმები;

– 42 ევანგელიკური ხმა:

დანარჩენი სამრევლო ხმები (2 საეკლესიო და 4 საერო) ამგვარად იყო შედგენილი:

ა) შვაბიის პრელატთა ფრთა

ზალმანსვაილერის, ვაინგარტენის, ოქსენჰაუზენის, ელხინგენის, ირსის, ურსპერგის, კაიზერჰაიმის, როგენბურგის, როთის, ვაისენაუს, შუსენრიდის, ობერმახტალის, პეტერსჰაუზენის, ვეტენჰაუზენის, ცვიფალტენის, გენგენბახის, ნერესჰაი-

მის, ისნის აბატები, ჰეგბახის, გიუტენცელის, როტენმიუნსტერის, ბაინდტის, ზეფ-ლინგენის ქალთა კათოლიკური მონასტრების აბატები.

ბ) რაინის პრელატთა ფრთა

კობლენცის ტევტონთა ბალი, ოდენჰაიმის პრეკო და ბრუკსალის კაპიტული (სპაიერი), სან-ემერანის აბატი, ნიდერმიუნსტერის აბატი, ობერმიუნსტერის აბატი (სამივე რეგენსბურგში), კედლინბურგის აბატი, ვერდენის აბატი, კორნე-ლიმიუნსტერის აბატი, სენ-ულრიხისა და სან-აფრის აბატები, განდერსჰაიმის აბატი.

გ) ვეტერავიის გრაფთა კოლეგია

ზოლმსის მთავრები და გრაფები (ბრაუენფელსი, ჰოენზოლმსი, რედელჰაიმი, ლაუბახი), ნასაუს მთავრები და გრაფები (უზინგენი, ვაილბურგი, საარბრიუკენი), იზემბურგის მთავრები და გრაფები (ბირშტაინი, ბუდინგენი, მერპოლცი, ვეხტერსბახი), შტოლბერგის გრაფები (გედერნი და ორტენბერგი, შტოლბერგი, ვერნიგეროდე), ზაინ-ვიტგენშტაინის მთავრები და გრაფები (ბერლებურგი, ვიტ-გენშტაინი), ზალმის გრაფები (ვილდები და რეინგრაფები), ლინანგის მთავრები და გრაფები (არტენბერგი, ჰაიდესჰაიმი), ვესტერბურგის გრაფი, შენბურგის გრაფი, კრეანგის გრაფი (ვიდ-რიუნკელი), პლაუენ როისის გრაფი, ორტენბურგის გრაფი.

დ) შვაბიის გრაფთა კოლეგია

ჰაილიგენბერგის გრაფი (ფიურსტენბერგი), ბუხაუს აბატი, ალშაუზენის გრაფი (ალზასისა და ბურგუნდიის ტევტონი ბალი), ეტინგენის მთავარი, მონფორის გრა-ფი (ავსტრია), ჰელფენშტაინის გრაფი (პფალცი), კლეტგაუს გრაფი (შვარცენ-ბერგი), კენიგსეგის გრაფი, ვალდბურგის გრაფი, ებერშტაინის გრაფი (ბადენი), ჰოენგეროლდზეკის სენიორი (ლეიენი), ფიუგერის გრაფები, ჰოენემის სენიორი (ავსტრია), ეგლოფის სენიორი (ტრაუნი), ბონდორფის გრაფი (სანკტ-ბლეზის

(პერსონალისტი), რაინეკის სენიორი (ზინცენდორფი), ფაგნოლესის გრაფი (ლინის მთავარი).

გ. თავისუფალი ქალაქების კოლეგია (51 ხმა)

თავისუფალ ქალაქთა კოლეგია ორი ფრთისა და 51 ხმისგან შედგებოდა: რაინის სკამი (14 ხმა), შვაბიის სკამი (37 ხმა).

1. რაინის ფრთა

კიოლნი, ახენი, ლიუბეკი, სპაიერი, ფრანკფურტი-მაინზე, გოსლარი, ბრემენი, ჰამბურგი, მიულჰაუზენი, ნორდჰაუზენი, დორტმუნდი, ფრიდბერგი, ვეტცლარი.

2. შვაბიის ფრთა

რეგენსბურგი, აუგსბურგი, ნიურენბერგი, ულმი, ელსინგენი, როიტლინგენი, ნერდლინგენი, როტენბურგი-ტაუბერზე, შვებიშ ჰალი, როტვაილი, უბერლინგენი, ჰაილბრონი, შვებიშ გმუნდი, მემინგენი, ლანდაუ, დინკელსბული, ბიბერახი, რავენსბურგი, შვაინფიურტი, კემპტენი, ვინდსჰაიმი, კაუფბოირენი, ვაილ დერ შტადტი, ისნი, პფულენდორფი, ოფენბურგი, ლოიტკირხენი, ვიმპფენი, ვისემბურგ-ნორდგაუში, გინგენი, გენგებახი, ცელი, ბუხორნი, აალენი, ბუხაუ, ბოპფინგენი.

კონფესიური თვალსაზრისით 51 ქალაქი ამგვარად იყო დაყოფილი:

–13 კათოლიკური ქალაქი: კიოლნი, აახენი, როტვაილი, უბერლინგენი, შვებიშ გმუნდი, ვაილ დერ შტადტი, ვანგენი, პფულენდორფი, ოფენბურგი, გენგებახი, ცელი, ბუხჰორნი, ბუხაუ;

–5 შერეული ქალაქი: აუგსბურგი, დინკელსბული, ბიბერახი, რავენსბურგი, კაუფბოირენი;

–33 პროტესტანტული ქალაქი: დანარჩენი.

რეგიონალური თვალსაზრისით "საღვთო რომის იმპერია" (გერმანელი ერის) კარლ მეხუთის მეფობიდან ათ ოლქად იყო დაყოფილი: ოთხი კათოლიკური (ბავარია, ავსტრია, ბურგუნდია, ქვემო რაინი), ოთხი შერეული (ფრანკონია, ზემო რაინი, შვაბია, ზემო საქსონია), ორი პროტესტანტული (ქვემო საქსონია, ზემო საქსონია).

ა. ავსტრიის ოლქი

ავსტრიის არქიეპისკოპოსი, შტირიის, კარინთიისა და კრაინის ჰერცოგები, გორიციის გრაფები ტრიესტთან, ტიროლთან და ავსტრიის შვაბიასთან ერთად (ყველა ავსტრიის შემადგენლობაში), ტრენტის ეპისკოპოსი, ბრიქსენის ეპისკოპოსი, ავსტრიის ტევტონთა ორდენის ბალი, ტარასპის სენიორი (დიტრიხშტაინი).

ბ. ბურგუნდიის ოლქი

ბრაბანტის ჰერცოგი, ჰაინაუტის, ფლანდრიის, ნამიურის გრაფები, ლუქსემბურგის, ლიმბურგის, გელდერნის ჰერცოგები, ანვერის მარკიზი, მეხელენისა და დორნიკის სენიორები (ყველა ავსტრიის შემადგენლობაში).

გ. საარჩევნო ან ქვემო რაინის ოლქი

მაინცის ამომრჩეველი, ტრირის ამომრჩეველი, კიოლნის ამომრჩეველი, ბავარიის პფალცის ამომრჩეველი, თურნ-უნდ-თაქსისის მთავარი, კობლენცის ტევტონთა ბალი, ბელშტაინის სენიორი (ნასაუ), ქვემო-იზემბურგის გრაფი (ტრირი), ვესტფალიის ჰერცოგი, რეკლინგსჰაუზენის გრაფი, ერფურტის ბალი (სამივე კიოლნში), რაინეკის ბურგრაფი.

დ. ზემო რაინის ოლქი

1. საეკლესიო მთავართა ფრთა

ვორმსის ეპისკოპოსი, სპაიერის ეპისკოპოსი, ვისემბურგის პრეეო (სპაიერი), სტრასბურგის ეპისკოპოსი, ბაზელის ეპისკოპოსი, ფულდის ეპისკოპოსი, მალტის დიდი მეტრი ჰაიტერსჰაიმში, პრიუმის აბატი (ტრირი), ოდენპაიმისა და ბრუკსალის კაპიტულის პრეეო (სპაიერი).

2. საერო მთავართა ფრთა

ზიმერნის, ლაუტერნის, ველდენცისა და ლაუტერეკის გრაფები, ცვაიბრიუკენის ჰერცოგი (ყველა პფალცში), ჰესენ-კასელის ლანდგრაფი, ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფი, ჰერსფელდის მთავარი (ჰესენ-კასელი), სპონპაიმის გრაფი (ბადენი), ნომენი ლოთარინგიაში (ჰაბსბურგების პერსონალისტური ხმები), ზალმის მთავარი, ვაილბურგის, უზინგენისა და საარბრიუკენის გრაფები იდშტაინისა და ოტვაილერის სენიორები (ხუთიევ ნასაუში), ზოლმს-ბრაუნფელსის გრაფი, იზემბურგ-ბირშტაინის გრაფი.

3. გრაფთა და სენიორთა ფრთა

ჰანაუ-მიუნცენბერგი (ჰესენ-კასელი), ჰანაუ-ლიხტენბერგი (ჰესენ-დარმშტადტი), ჰოენზოლმსი, რედელჰაიმი და ლაუბახი (სამიევ ზოლმსში), კენიგშტაინი და ვეტერავია (მაინცი და შტოლბერგი), ბუდინგენი, ვეხტერსბახი და მერპოლცი (სამი იზემბურგში), გრეჰვაილერის ვილდები და რაინგრაფები, გრიუმბახი, დაუნი, ლინანგ-დაქსბურგი და ვესტერბურგი (ორივე ლინანგში), მიუნცფელდენი, (ტრირი და ნასაუ-უზინგენი), ვიტგენშტაინი და ბერლებურგი (ორივე ზაინ-ვიტგენშტაინზე), ფალკენშტაინი (ავსტრია), რაიპოლტსკირხენი, კრეანგი (ვიდ-რიუნკელი), ვარტენბერგი, ბრეტცენჰაიმი-ნაეზე (კიოლნი), დაქსტული (ეტინგენ-ბალდერნი), ოლბრიუკი (ბასენჰაიმი).

4. თავისუფალი ქალაქების ფრთა

ვორმსი, სპაიერი, ფრანკფურტი-მაინზე, ფრიდბერგი, ვეტცლარი.

ე. შვაბიის ოლქი

1. საეკლესიო მთავართა ფრთა

კონსტანცის ეპისკოპოსი, აუგსბურგის ეპისკოპოსი, ელვანგენის პრეეო, კემპტენის აბატი.

2. საერო მთავართა ფრთა

– ვიურტემბერგის ჰერცოგი, ბადენის, დიურლახისა და ჰოხბერგის მარკგრაფები (სამიევ ბადენში), ჰეხინგენი და ზიგმარინგენი (ჰოეპნცოლერნი) მთავრები, ლანდაუს აბატი, ბუხაუს აბატი, ტენგენის გრაფი (აუერსპერგი), ჰაილიგენბერგის გრაფი (ფიურსტენბერგი), ეტინგენის გრაფი, ზულცისა და კლეტგაუს გრაფი (შვარცენბერგი), ვადუცისა და შელენბერგის გრაფი (ლიხტენშტაინი), შერისა და ეგლინგენის სენიორი (თურ-უნდ-თაქსისი).

3. პრელატთა ფრთა

ზალმანსვაილერის, ვაინგარტენის, ოქსენჰაუზენის, ელხინგენის, ურსპერგის, კაიზერჰაიმის, როგენბურგის, როტის, ვაისენაუს, შუსენრიდის, ობერმახტალის, პეტერსჰაუზენის, ვეტენჰაუზენის, ცვაიფალტენის, გენგებახის, ნერესჰაიმის, ისნის აბატები, ჰეგბახის, გიუტენცელის, როტენმიუნსტერის, ბაინდტისა და შეფლინგენის აბატები.

4. გრაფების და სენიორების ფრთა

ალქსხპაუზენი (ალზასისა და ბურგუნდიის ტევტონთა ბალი), ტეტნანგი და ლანგენარგენი (ავსტრია), ეტინგენ-ბალდერნი, შტუპლინგენი, ბაალი და მეზკირხი (სამივე ფიურსტემბერგში), ვიზენსშტაიგი და მინდელჰაიმი (ორივე ბავარიაში), კინციგერტალი, ეტინგენ-ვალერშტაინი, ტრუქსეს-ზაილ-ვუერცახი და ვოლფეგ-ვალდზი (ორივე ვალდბურგში), როტენფელსი და აულენდორფი (ორივე კენიგ-ზეგში), გუნდელფინგენი, ებერშტაინი (ბადენი), ფიუგერ მარქსი, ჰანსი და იაკობი, ჰოენემსი (ავსტრია), იუსტინგენი (ვიურტემბერგი), ბონდორფი (სანკტ-ბლეზის აბატი), ეგლოფი (ტრაუნი და აბენსბერგი), ტანჰაუზენი (შტადიონი), ჰოენგე-როლდსეკი (ლეიენი).

5. თავისუფალი ქალაქების ფრთა

აუგსბურგი, ულმი, ესლინგენი, როიტლინგენი, ნერდლინგენი, შვებიშ ჰალი, უბერლინგენი, როტვაილი, ჰაილბრონი, შვებიშ გმუნდი, მემინგენი, ლანდაუ, დინკელსბული, ბიბერახი, რავენსბურგი, კემპტენი, კაუფბოირენი, ვაილ დერ შტადტი, ვანგენი, ისნი, ლოიტრიკხენი, ვიმპფენი, გინგენი, პფულენდორფი, ბუხჰორნი, ალენი, ბოპფინგენი, ბუხაუ, ოფენბურგი, გენგებახი, ცელი.

ვ. ბავარიის ოლქი

1. საეკლესიო ფრთა

ზალცბურგის არქიეპისკოპოსი, ფრიზინგის ეპისკოპოსი, რატისბონის ეპისკო-პოსი, პასაუს ეპისკოპოსი, ბერხტესგადენის პერვო, სან-ემერანის აბატი, ნიდერ-მიუნსტერის აბატი, ობერმიუნსტერის აბატი (სამივე რატისბონიდან).

2. საერო ფრთა

ბავარიის ჰერცოგი, ნოიბურგის გრაფი (პფალცი), ზიულბახის გრაფი (პფალცი), ლოიხტენბერგის ლანდგრაფი (ბაავარია), სტერნშტაინ-ნააბზეს გრაფი (ლობკოვიცი), ჰაგის გრაფი (ბავარია), ორტენბურგის გრაფი, შტაუფენჰრენ-ფელის გრაფი (პფალცი), ობერზულცბურგის გრაფი (ბავარია), ჰოენვალდეკის გრაფი (ბავარია), ბრაიტენეკის გრაფი (ბავარია), ქალაქი რატისბონი.

ზ. ფრანკონიის ოლქი

1. საეკლესიო ფრთა

ბამბერგის ეპისკოპოსი, ვიურცბურგის ეპისკოპოსი, აიხშტედტის ეპისკოპოსი, მერგენტჰაიმის ტევტონთა ორდენის დიდი მეთაური.

2. საერო მთავრების ფრთა

ბაიროუთის მარკგრაფი (ბრანდენბურგი), ანსპახის მარკგრაფი (ბრანდენბურ-გი), ჰენენბერგის გრაფი (საარჩევნო საქსონია), ჰენებერგის გრაფი (საჰერცოგო საქსონია), ჰენებერგის გრაფი (ჰესენ-კასელი), ჰოენლანდსბერგის მთავარი, ლევენშტაინ-ვერტჰაიმის მთავარი, ჰოჰენლოე-ვალდენბურგის მთავარი.

3. გრაფების ფრთა

ჰოენლოე-ნოინშტაინი, კასტელი, ვერტჰაიმი, რაინეკი-სპესარტში (ნოშტიტცი), ერბახი, ლიმპურგი, ზაინსჰაიმი (შვარცენბერგი), რაიხელსბერგი (შენბრუნი), ვისენტჰაიდი (შენბრუნი), ველსპაიმი (ვიურტემბერგი), ჰაუზენი (ბრანდენბურგი).

4. თავისუფალი ქალაქების სკამი

ნიურენბერგი, როტენბურგი-ტაუბერზე, ვინდზჰაიმი, შვაინფიურტი, ვისემ-ბურგი-ნორდგაუზე.

თ. ზემო საქსონიის ოლქი

საქსონიის ამომრჩეველი, ბრანდენბურგის ამომრჩეველი, საქსონია-ვაიმარის ჰერცოგი, საქსონია-აიზენახის ჰერცოგი, საქსონია-კობურგის ჰერცოგი, საქსონია გოთის ჰერცოგი, საქსონია-ალტენბურგის ჰერცოგი, კერფიურტის მთავარი (საარჩევნო საქსონია), პრაქეთა პომერანიის ჰერცოგი (შვედეთი), პრიქითა პომერანიის ჰერცოგი (ბრანდენბურგი), კამინის მთავარი (ბრანდენბურგი), ანჰალტის მთავარი, კედლინბურგის აბატი, გერნროდეს აბატი (ანჰალტი), ვალკენრიდის კაპიტული (ბრაუნშვაიგი), შვარცბურგ-რუდოლფშტადტის მთავარი, შვარცბურგ-ზონდერსჰაუზენის მთავარი, მანსფელდის გრაფი (ბრანდენბურგი და საქსონია), ჰოენშტაინის გრაფი (ჰანოვერი და ბრანდენბურგი).

ი. ქვემო საქსონიის ფრთა

მაგდებურგის ჰერცოგი (ბრანდენბურგი), ბრემენის, ცელის, გრიუბენჰაგენის, კალენბერგის, ლაუენბურგის ჰერცოგები (ხუთივე ჰანოვერში), ბრაუნშვაიგ-ვოლფენბიუტელის ჰერცოგი, ალბერშტადტის მთავარი (ბრანდენბურგი), შვერინისა და გუსტორფის ჰერცოგები (ორივე მაკლემბურგ-შვერინში), ჰოლშტაინ-გლიუკშტადტისა და გოტორპის ჰერცოგები (ორივე დანიაში), ჰილდესჰაიმის ეპისკოპოსი, ლიუბეკის ეპისკოპოსი, შვერინის მთავარი (მაკლემბურგ-შვერინი), რატცებურგის მთავარი (მეკლემბურგ-შტრელიცი), ბლანკენბურგის მთავარი (ბრაუნშვაიგ-ვოლფენბიუტელი), რანტცაუს გრაფი (დანია), ლიუბეკის, გოსლარის, მიულჰაუზენის, ნორდჰაუზენის, ჰამბურგის, ბრემენის ექვსი თავისუფალი ქალაქი.

კ. ვესტფალიის ოლქი

მიუნსტერის ეპისკოპოსი, კლევის ჰერცოგი (ბრანდენბურგი), იულრიხის ჰერცოგი (პფალცი), პადერბორნის ეპისკოპოსი, ლიეჟის ეპისკოპოსი, ოსნაბრიუკის ეპისკოპოსი, ვერდენის ეპისკოპოსი (ჰანოვერი), მინდენის მთავარი (ბრანდენბურგი), კორვეის ეპისკოპოსი, სტაველოტ-მალმედის აბატი, ვერდენის აბატი, კორნელიმიუნსტერის აბატი, ესენის აბატი, თორენის აბატი , ჰერფორდის ნინამძღვარი, ჰადამარისა და დილენბურგის მთავრები (ნასაუ), ოსტფრიზის ჰერცოგი (ბრანდენბურგი), მოირსის მთავარი (ბრანდენბურგი), ოლდენბურგის ჰერცოგი, ვიდის გრაფი, ზაინ-ალტენკირხენისა და ჰახენბერგის გრაფი (ჰანოვერი და კირხბერგი), შაუმბურგის გრაფი (ჰესენ-კასელი), შაუმბურგ-ლიპეს გრაფი, ლიპე-დეტმოლდის მთავარი, ბენტჰაიმის გრაფი (ჰანოვერი), ბენტჰაიმ-შტაინფიურტის გრაფი, ტეკლემბურგის გრაფი (ბრანდებურგი), ჰოის, სპილბერგისა და დიპჰოლცის გრაფი (სამივე ჰანოვერში), ვირნებურგის გრაფი (ლეევენშტაინ-ვერტჰაიმი), რიტბერგის გრაფი (კაუნიტცი), პირმონტის გრაფი (ვალდეკი), გრონსფელდის გრაფი მაასტრიხტთან ახლოს (ტერინგი), რეკჰაიმის გრაფი (ასპრემონტი), ანჰოლტი-ძველ-ისელზე (ზალმ-ზალმი), ვინებურგისა და ბერშტაინის სენიორები (მეტერნიხი), ჰოლაპელის გრაფი (ანჰალტ-ბერნბურგი), ვიტენის სენიორი (პლეტენბერგი), ბლანკენჰაიმისა და გეროლშტაინის გრაფები (ორივე ლიმპურგში), გეპმენის სენიორი (ლიმბურგ-შტირუმი), გიმბორნისა და ნოიშტადტის სენიორი (ვალმოდენი), ვიკერადტის სენიორი (კანდტი), მილენდონკის სენიორი (ოლშტაინი), რაიხენშტაინის სენიორი (ნესელროდე), კერპენ-ეფტზეს სენიორი (არენბერგი), შლაიდენის გრაფი (არენბერგი), ჰალერმუნდეს გრაფი (პლატენი, პერსონალისტი), კიოლნის, აახენისა და დორტმუნდის სამი თავისუფალი ქალაქი.

ლ. ოლქების სიაში არშეტანილი ნევრები

ბოჰემიის მეფე (ავსტრია), მორავიის მარკგრაფი, სილეზიის ჰერცოგი, ლაუზიცის მარკგრაფი, ჰანოვერის ამომრჩეველი, ბეზანსონის არქიეპისკოპოსი, სავოიის ჰერცოგი, მონბელიარის მთავარი (ვიურტემბერგი), ზასენბურგის გრაფი

(არენბერგი), ლანდსკრონის სენიორი (ნეესელროდე), ჰამბურგის სენიორი (ზაინ-ვიტგენშტაინი), ჰელფენშტაინის გრაფი (პფალცი), მონფორტის გრაფი (ავსტრია), სან-ულრიხისა და სან-არფის აბატები აუგსბურგში, ბოირენის, შენტჰალის, ოტ-ბოირენის, ელტენის აბატები, განდერსჰაიმის, ედელშტეტენის აბატები, დიკის სენიორი (ზალმ-რაიფერსჰიდტი), იევერის სენიორი (ანჰალტ-ცერბსტი), კნიპჰაუ-ზენის სენიორი და სხვ.

იმპერიის რაინდთა სამი ოლქი, დიდგვაროვნები:

–შვაბიის ოლქი, ხუთი კანტონი: დუნაი, ჰეგაუ-ალგაუ-ბოდანი, ნეკარ-შვარცვალდი-ორტენაუ, კოხერი, კრაიხგაუ;

–ფრანკონიის ოლქი, ექვსი კანტონი: ოდენვალდი, შტაიგერვალდი, გებურგი, ალტმული, ბაუნახი, რენი-და-ვერა;

–ფრანკონიის ოლქი, სამი კანტონი: ზემო რაინი, შუა რაინი, ქვემო რაინი.

განერბინატები (ფრიდბერგი, გელნჰაუზენი) და თავისუფალი ქალაქები (ლოუტკირხენი, ჰაიდი, გოქსჰაიმი, ზენფელდი).

ათნლიანი ომის მიწურულს, რევოლუციურმა საფრანგეთმა "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) მთავარი სუვერენებისგან რაინის გერმანიის მარ-ცხენა ნაპირის ტერიტორიაზე გაბატონებას მიაღწია, რასაც ხანგრძლივი ვაჭრობა მოჰყვა იმ მემკვიდრე მთავრებისთვის ზარალის ანაზღაურების გამო, რომელთაც რაინის მარცხენა ნაპირზე ჰქონდათ დომენები. შემუშავებული პრინციპი შემდეგ-ში მდგომარეობდა:

– რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) გერმანული მიწები (მემკვიდრეობითი დომენები, საეკლესიო ტერიტორიები და თავისუფალი ქალაქები) საფრანგეთს გადაეცა;

– რაინის მარჯვენა ნაპირზე მდებარე საეკლესიო მიწები თითქმის მთლიანად იქნა სეკულარიზებული და ანაზღაურების გარეშე ჩამოერთვა ეკლესიის სუვერე-ნებს (მაინცის ელექტორატისა და ორი სამხედრო ორდენის გარდა (ტევტონთა და მალტის);

– რაინის მარჯვენა ნაპირზე მდებარე თავისუფალი ქალაქების უდიდესმა ნაწილმა (ექვსის გარდა) საიმპერიო სტატუსი დაკარგა;

– მხოლოდ მემკვიდრეობით მთავრებს, რომელთაც რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე მიწები დაკარგეს, ზარალი ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მიწებით აუნაზღაურდათ, ყველაზე ხშირად ყოფილი საეკლესიო დომენებისა და ყოფილი თავისუფალი ქალაქების ტერიტორიების ხარჯზე;

– რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე რაინდთა საიმპერიო მიწები არ იქნა ანაზღაურებული.

მორიგებათა დასკვნები, რომელიც 1801-1802 წლების რიგი ხელშეკრულებე-ბით იქნა დაკონკრეტებული საფრანგეთსა და გერმანელ სუვერენებს (მთავრები) შორის, 1803 წლის 25 თებერვლის საიმპერიო პროტოკოლით დამტკიცდა. მასში ჩამოთვლილი იყო სუვერენთათთვის მიკუთვნებული კომპენსაციები (იხ. დეტა-ლურად გერმანიასა და ავსტრიაში და აგრეთვე "გამქრალ სახელმნიფოებში").

საქმე ეხებოდა "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) მნიშვნელოვან ცვლილებას, რადგან ამ უკანასკნელმა 66 000კმ² ფართობი დაკარგა, ანუ თავისი ტერიტორიის 10% და დაახლოებით 4 მილიონი კაცი, ანუ თავისი მოსახლეობის 13%. აღნიშნული მსხვერპლი ადვილად იქნა გაღებული გერმანელი სუვერენების მიერ, რადგან მათ (ავსტრიის გამოკლებით) დიდი კომპენსაცია მიიღეს რაინის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ტერიტორიების ხარჯზე, რამაც გაზარდა კიდეც მათი სამფლობელოები.

ამგვარად, "საღვთო რომის იმპერია" (გერმანელი ერის) ბურგუნდიისა და რაინის ორი ოლქის შერწყმის შედეგად (ძალზე შემცირებული) რვა ოლქამდე იქნა დაყვანილი.

საარჩევნო კოლეგია ათი წევრისგან შედგებოდა ტრირისა და კიოლნის გაქ-რობით, მაგრამ ოთხი ახალი წევრის გამოჩენით: ზალცბურგი, ბადენი, ვიურტემ-ბერგი, ჰესენ-კასელი.

იმპერიის კონფესიონალური შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

–ოთხი კათოლიკური: მაინცი, ბოჰემია, ბავარიის პფალცი, ზალცბურგი;

– ექვსი პროტესტანტული: საქსონია, ბრანდენბურგი, ჰანოვერი, ბადენი, ვიურტემბერგი, ჰესენ-კასელი.

შექმნილი მდგომარეობა საფრთხეს უქმნიდა საიმპერიო გვირგვინის მუდმივობას ავსტრიის სახლისთვის.

მთავართა კოლეგია 100-დან 131 ხმამდე გაიზარდა 18 ხმის გაქრობით, რომელსაც ვადა ამოეწურა ან საფრანგეთმა (ან შვეიცარიამ) იგდო ხელთ:

ბეზანსონი, ვორმსი, ბაზელი, ლიეჟი, კური, პრუმი, სტაველოტ-მალმედი,

შვაბიის პრელატთა სკამი, რაინის პრელატთა სკამი, ბურგუნდია, ლაუტერნი, ზიმერნი, ცვაიბრიუკენი, ველდენცი, ლაუტერეკი, სავოია, მონბელიარი.

49 ახალი ხმის შექმნით მისი შემადგენლობა ამგვარად გამოიყურებოდა:

ავსტრია (ჰაბსბურგი), ზემო-ბავარია (ვიტელსბახი), შტირია (ჰაბსბურგი), მაგდებურგი (ბრანდენბურგი), ზალცბურგი (ლოთარინგია-ტოსკანა), ქვემო ბავარია (ვიტელსბახი), რატისბონი (მაინცის ამომრჩეველი), ზულბახი (ვიტელსბახი), ტეუტონთა ორდენი, ნოიბურგი (ვიტელსბახი), ბამბერგი (ვიტელსბახი), ბრემენი (ჰანოვერი), მიზნის სამარკგრაფო (საარჩევნო საქსონია), ბერგი (ვიტელსბახი), ვიურცბურგი (ვიტელსბახი), კარინთია (ჰაბსბურგი), აიხშტედტი (ლოთარინგია-ტოსკანა), კობურგი (საქსონია-კობურგი), ბრიუქსალ-სპაიერი (ბადენი), გოთა (საქსონია-კობურგი), ეტენჰაიმ-სტრასბურგი (ბადენი), ალტენბურგი (საქსონია-ალტენბურგი), კონსტანცა (ბადენი), ვაიმარი (საქსონია-ვაიმარი), აუგსბურგი (ვიტელბახი), აიზენახი (საქსონია-აიზენახი), ჰილდესჰაიმი (ბრანდენბურგი), ანსპახი (ბრანდენბურგი), პადერბორნი (ბრანდენბურგი), ბაიროუთი (ბრანდენბურგი), ფრიზინგი (ვიტელსბახი), ვოლფენბიუტელი (ბრაუნშვაიგი), ტურინგია (საარჩევნო საქსონია, ვაიმარი და კობურგი), ცელე (ჰანოვერი), პასაუ (ვიტელსბახი), კალენბერგი (ჰანოვერი), ტრენტი (ჰაბსბურგი), გრიუბენჰაგენი (ჰანოვერი), ბრიქსენი (ჰაბსბურგი), ალბერშტადტი (ბრანდენბურგი), კრაინა (იტ. კარნიოლი) (ჰაბსბურგი), ბადენი, ტიროლი (ვიურტემბერგი), დიურლახი (ბადენი), ლიუბეკი (ოლდენბურგი), ვიურტემბერგი, ჰანაუ (ჰესენ-კასელი), გლიუკშტადტი (დანია), ფიულდე (ორანნასაუ), გოტორპი (დანია), კემპტენი (ვიტელსბახი), შვერინის საპერცოგო (მეკლემბურგ-შვერინი), ელვანგენი (ვიურტემბერგი), გუსტროვი (მეკლემბურგ-შვერინი), მალტის ორდენი, დარმშტადტი (ჰესენ-დარმშტადტი), პირაქეთა პომერანია (შვედეთი), პლენი (დანია), პირიქითა პომერანია (ბრანდენბურგი), ბრზგაუ (მოდენა), ლაუენბურგი (ჰანოვერი), კორვეი (ორან-ნასაუ), მინდენი (ბრანდენბურგი), მიხნის საბურგრაფო (საარჩევნო საქსონია), ლიბტენბერგი (ვიტელსბახი), ანჰალტი, ჰენებერგი (ყველა საქსონიის), შვერინის სამთავრო (მეკლემბურგ-შვერინი), კამინი (ბრანდენბურგი), რატცებურგი (მეკლემბურგ-სტრელიცი), ჰერსფელდი (ჰესენ-კასელი), ტიროლი (ჰაბსბურგი), ტიუბინგი (ვიურტემბერგი), კერფიურტი (საარჩევნო საქსონია), არენბერგი, ზალმი (ზალმ-ზალმი), დიტრიხშტაინი, ჰადამარი (ორან-ნასაუ), ცვაიფალტენი (ვიურტემბერგი), დილენბურგი (ნასაუ-დიტცი), აუერსპერგი, სტარკენბურგი (ჰესენ-დარმშტადტი), ოსტფრიზი (ბრანდენბურგი), ფიურსტენბერგი, შვარცენბერგი, ორტენაუ (მოდენა), აშაფენბურგი (მაინცის ამომრჩეველი), აიქსფელდი (ბრანდენბურგი), ბლანკენბურგი (ბრაუნშვაიგი), შტარგარდი (მეკლემბურგ-სტრელიცი), ერფურტი (ბრანდენბურგი), უზინგენი (ნასაუ-უზინგენი), ვაილბურგი (ნასაუ-ვაილბურგი), ზიგმარინგენი (ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენი), კირბურგი (ზალმ-კირბურგი), ბარი-შტუპლინგენი (ფიურსტენბერგი), კლეტგაუ (შვარცენბერგი), ბუხაუ (თურ-უნდ-თაქსისი), ვალდეკი, ლევენშტაინ-ვერტჰაიმი, ეტინგენ-სპილბერგი, ეტინგენ-შილინგფიურსტი, ჰოენლოე-ვალდენბურგ-ბარტენშტაინი, იზემბურგ-ბირშტაინი, კაუნიცრიტბერგი, როის-პლაუენ-გრაიცი, ლინანგი, ლინ-ედელშტატენი, ლუც-ვოლბეკი, შვაბიის გრაფთა კოლეგია, ვეტერავიის გრაფთა კოლეგია, ფრანკონიის გრაფთა კოლეგია, ვესტფალიის გრაფთა კოლეგია.

აღნიშნულ 131 ხმას შორის დიდი რაოდენობა ახალი გერმანიის დიდ სახელმწიფოებში იყო კონცენტრირებული, რომელიც საიმპერიო დადგენილებით იქნა მიღებული ზარალის ანაზღაურების საფუძველზე ან მისი არარსებობის შემთხვევაში, ხმათა სანაცვლოდ. მაგალითად, 10 ამომრჩეველს 64 და დამატებით 2 მონაცვლე ხმა ჰქონდა:

– ჰაბსბურგი-ავსტრია, 7 ხმა: ავსტრია, შტირია, კარინთია, ტრენტი, ბრიქსენი, კრაინა, ტიროლი;

– ვიტელსბახი-ბავარია, 13 ხმა: ზემო ბავარია, ქვემო ბავარია, ზიულცბახი, ნოიბურგი, ბამბერგი, ბერგი, ვიურტცბურგი, აუგსბურგი, ფრიზინგი, პასაუ, კემპტენი, ლოიხტენბერგი, მინდელჰაიმი;

– მაინცი, 2 ხმა: რატისბონი, აშაფენბურგი;

– ზალცბურგი, 3 ხმა: ზალცბურგი, აიხშტადტი, ბერხტესგადენი

– საარჩევნი საქსონია, 3 ხმა: მიზნის სამარკგრაფო, მიზნის საბურგრაფო, კერფიურტი; 2 მონაცვლე ხმა: ტიურინგი, ჰენებერგი;

– ბრანდენბურგი, 13 ხმა: მაგდებურგი, ჰიდელსჰაიმი, ანსპახი, პადერბორნი, ბაიროუთი, ალბერშტადტი, მიუნსტერი, პირიქითა პომერანია, მინდენი, კამინი, ოსტფრიზი, აიქსფელდი, ერფურტი;

– ჰანოვერი, 8 ხმა: ბრემენი, ცელი, კალენბერგი, გრიუბენჰაგენი, ოსნაბრიუკი, ვერდენი, ლაუენბურგი, გეტინგი;

– ბადენი, 6 ხმა: ბრიუქსალ-სპაიერი, ეტენჰაიმ-სტრასბურგი, კონსტანცა, ბადენი, დურლახი, ჰოხბერგი;

– ვიურტემბერგი, 5 ხმა: ტეკი, ვიურტემბერგი, ელვანგენი, ტიუბინგენი, ცვაიფალტენი;

– ჰესენ-კასელი, 4 ხმა: ჰანაუ, კასელი, ჰერსფელდი, ფრიტცლარი.

კონფესიური თვალსაზრისით მთავართა კოლეგია 77 პროტესტანტულ, 53 კათოლიკურ და 1 მონაცვლე ხმად იყო განაწილებული.

თავისუფალი ქალაქების კოლეგია ექვსამდე იქნა დაყვანილი (ყველა პროტესტანტული):

ჰამბურგი, ბრემენი, ლიუბეკი, ფრანკფურტი-მაინზე, აუგსბურგი, ნიურნბერგი.

1805 წლის დეკემბერში პრესბურგის ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლით, რომლის თანახმად საფრანგეთსა და ავსტრიას შორის მშვიდობა იქნა აღდგენილი დადგინდა, რომ ბევრი ტერიტორიების დათმობის სანაცვლოდ, ავსტრიას თავის სახელმწიფოებში ზალცბურგის ელექტორატი უნდა შეეყვანა. ზალცბურგის ამომრჩეველი (იმპერატორის ძმა, ტოსკანის ყოფილი ჰერცოგი ფერდინანდ III) ვიურტემბერგში გადავიდა (ბავარიამ დათმო), და ვიურტემბერგის ელექტორატად გადაკეთდა, რომელმაც საარჩევნო კოლეგიაში ზალცბურგის ყოფილი ელექტორატის ადგილი დაიკავა.

1806 წლის 22 ივლისს რაინის ახალი კონფედერაციის ოფიციალური გამოცხადებიდან ათი დღის შემდეგ, რომელშიც ნაპოლეონის მფარველობით შუა გერმანიის თექვსმეტი სახელმწიფო გაერთიანდა, ნაპოლეონმა გამოაცხადა, რომ აღარ ცნობდა "საღვთო რომის იმპერიას" (გერმანელი ერის) და გერმანიის იმპერატორს დასკვნების გასაკეთებლად 10 აგვისტომდე მისცა ვადა. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, იგი ავსტრიის დაპყრობას აპირებდა.

1806 წლის 6 აგვისტოს გერმანიის იმპერატორმა ფრანც II-მ (ავსტრიის იმპერატორი ფრანც I) "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) დაშლა გამოაცხადა.

მოძმე რესპუბლიკები

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კვლავ გაჩნდა ინტერესი ანტიკური ხანის საგანძურისადმი, მოდაში შემოვიდა ბერძენი და ლათინური ავტორების მოშველიება, განმანათლებელთა გავლენით კი ზოგიერთებმა ეგალიტარისტული საზოგადოების დამყარებაზე დაიწყეს ოცნება, რომელიც პრივილეგიებს გააუქმებდა და ანტიკურ ღირებულებებს აღადგენდა. ამ უკანასკნელს ბერძნულ ქალაქებსა და რომის რესპუბლიკას მიაწერდნენ, რომელსაც იმდროინდელ ევროპაში არსებულ უთანასწორობასა და უუფლებობას უპირისპირებდნენ.

საფრანგეთის რევოლუციამ, განსაკუთრებით მონარქიის გაუქმების შემდეგ (1792წ.), ძველი რესპუბლიკების მიბაძვის ნება გამოავლინა (ათენის მოქალაქეობა და რომაული gravitas). ამ რესპუბლიკების სამართლიანობისა და თანასწორობის იდეები სწრაფად გავრცელდა ევროპის "განათლებულ" ადამიანთა გონებაში.

საფრანგეთის ჯარების გამარჯვებამ, მის მიერ გაჩაღებულმა ან მხარდაჭერილმა რევოლუციებმა, სხვადასხვა ადგილებში ხელისუფლების სათავეში "პატრიოტები" მოიყვანა, რომლებმაც დიდი ერის (საფრანგეთი) "მოძმე" რესპუბლიკები შექმნეს. ისინი ფრანგი რევოლუციონერების მიერ გატარებული პრინციპებით ხელმძღვანელობას ცდილობდნენ (ქვეყნის ერთიანობა, კონსტიტუცია, კანონმდებლობა, დეპარტამენტებად დაყოფაც კი).

ამგვარად, 1792 წლიდან 1810 წლამდე ევროპაში აღმოცენდა, იარსება და გაქრა ფრანგული მოდელის მიხედვით შექმნილი რეჟიმი, რომლებიც საფრანგეთის შეხედულებისამებრ იქმნებოდა და ეს უკანასკნელი ნებისმიერ მომენტში ერეოდა ამ რესპუბლიკების საქმეებში, ზოგჯერ კი მათ თავისი სამოქალაქო თუ სამხედრო წარმომადგენლებით მართავდა.

მაინცის რესპუბლიკა (1792 წლის ნოემბერი – 1793 წლის მარტი), რომლის დედაქალაქი მაინცი იყო თავის გარშემო შემოიკრიბა ალზასში, რაინზე და ნაეზე მდებარე გერმანული ტერიტორიები. ოთხთვიანი არსებობის შემდეგ, რესპუბლიკამ საფრანგეთთან გაერთიანება გადაწყვიტა, მაგრამ ავსტრიის შეტევამ ძველი წესრიგი აღადგინა.

რორასიის რესპუბლიკა (1792 წლის დეკემბერი – 1793 წლის მარტი), დედაქალაქი პორანტრუი, ბაზელის საეპისკოპოსოს გერმანულ ნაწილში იქნა გამოცხადებული: აუუა (პორანტრუი), დელემონი, სენტ-იურსანი, ფრანშ-კონტე, ლაფონი, არლესჰაიმი. დაახლოებით ოთხი თვის შემდეგ ის საფრანგეთის მიერ იქნა ანექსირებული, რომელმაც მისგან მონტ-ტერიბლის დეპარტამენტი შექმნა.

მონაკოს რესპუბლიკა (1793 წლის იანვარ-თებერვალი), დედაქალაქი მონაკო, მთავრის წინააღმდეგ ამბოხების შედეგად შეიქმნა. მომდევნო თვეში საფრანგეთმა მისი ანექსია მოახდინა.

ბატავიის რესპუბლიკა (1795 წლის თებერვალი – 1806 წლის მაისი), დედაქალაქი ამსტერდამი, შეერთებული პროვინციების მემკვიდრე იყო და აღნიშნული პროვინციებიდან უნიტარული სახელმწიფო ჩამოაყალიბა. ბატავიის რესპუბლიკამ ყველაზე დიდხანს იარსება მოძმე რესპუბლიკებს შორის, მაგრამ საფრანგეთში განვითარებული მოვლენების მიხედვით სამი კონსტიტუცია გამოიცვალა (1798წ., 1801წ., 1805წ.). 1806 წლის მაისში მისი ადგილი ჰოლანდიის სამეფომ დაიკავა.

ბოლონიის რესპუბლიკა (1796 წლის ივნისი-ოქტომბერი), დედაქალაქი ბოლონია, ბოლონიისა და ფერარის პაპის ლეგატზე დაქვემდებარებულ ტერიტორიებს მოიცავდა. ის ბონაპარტის მიერ ამ ტერიტორიების ოკუპაციის შემდეგ გაჩნდა და ხუთი თვის შემდეგ ციზპადანის რესპუბლიკასთან გაერთიანდა.

მოდენისა და რეჯოს რესპუბლიკა (1796 წლის ოქტომბერი), დედაქალაქი მოდენა, ბონაპარტის მოდენის საპერცოგოში შეჭრის შედეგად წარმოიშვა. სულ მალე ის ციზპადანის რესპუბლიკაში გაერთიანდა.

ციზპადანის რესპუბლიკა (1796 წლის ოქტომბერი – 1797 წლის ივლისი), დედაქალაქი მოდენა, ბოლონიის ტერიტორიასა და მოდენის საპერცოგოს

აერთიანებდა. მის შემადგენლობაში შედიოდა მოდენის, რეჯოსა და მასა და კარარის პროვინციები. 1797 წლის თებერვალში რესპუბლიკის ტერიტორიას რომანიის პაპის ლეგატზე დაქვემდებარებული პროვინცია შეემატა, რომელიც პაპმა ტოლენტოში დათმო. 1797 წლის მაისში რესპუბლიკამ მოდენისა და რეჯოს პროვინციები დაკარგა, რომელიც ბონაპარტმა ტრანსპადანის რესპუბლიკას გადასცა. 1797 წლის ივლისში ის ახალ ციზალპურ რესპუბლიკასთან გაერთიანდა.

ტრანსპადანის რესპუბლიკა (1796 წლის დეკემბერი – 1797 წლის ივლისი), დედაქალაქი მილანი, ბონაპარტის მიერ იქნა შექმნილი დირექტორიის თავის არიდების შემდეგ (ზაფხულიდან რეგიონი ლომბარდიის გენერალური ადმინისტრაციით აღიჭურვა). დასაწყისში ის მილანისა და მანტუის ავსტრიის ყოფილი საპერცოგოებისგან შედგებოდა. 1797 წლის მარტში რესპუბლიკის ტერიტორია ბერგამოს, ბრეშიისა და კრემონის პროვინციების მიერთებით გაიზარდა, რომლებიც ვენეციის წინააღმდეგ აჯანყდნენ. 1797 წლის მაისში ბონაპარტმა რესპუბლიკას გადასცა ციზპადანის რესპუბლიკისთვის ჩამორთმეული მოდენისა და რეჯოს პროვინციები. 1797 წლის ივლისის დასაწყისში, ბონაპარტმა ის ციზალპურ რესპუბლიკად შეცვალა.

ანკონის რესპუბლიკა (1797 წლის ივნისი – 1798 წლის თებერვალი), დედაქალაქი ანკონა, ანკონის პაპის ტახტის მარკის ტერიტორიას მოიცავდა, რომელიც პაპის ლეგატის წინააღმდეგ ამბოხების შედეგად შეიქმნა. რვა თვის შემდეგ ის რომის ახალ რესპუბლიკას შეუერთდა.

ლიგურიის რესპუბლიკა (1797 წლის ივნისი – 1805 წლის ივნისი), დედაქალაქი გენუა, არისტოკრატიული რესპუბლიკისთვის ბონაპარტის მიერ დადგენილი დემოკრატიზაციის შედეგად გაჩნდა, ამ რესპუბლიკის მიერ ამბოხების ჩახშობის შემდეგ. ის ძველი რესპუბლიკის ტერიტორიას მოიცავდა. 1805 წლის ივნისში ლიგურიის რესპუბლიკა საფრანგეთთან იქნა მიერთებული.

ციზალპური რესპუბლიკა (1797 წლის ივლისი – 1802 წლის იანვარი), დედაქალაქი მილანი, ტრანსპადანის რესპუბლიკის საფუძველზე შეიქმნა 1797 წლის ივლისის დასაწყისში. ივლისის მიწურულს მან ციზალპური რესპუბლიკაც შთანთქა. 1797 წლის ოქტომბერში ბონაპარტმა მისი ტერიტორია გრაუბიუნდენისთვის ჩამორთმეული ვალტელინით, ბორმიოსათი და ჩიავენით გაზარდა. ამავე დროს, ვენეციისგან ნადავლის სახით (მისი დაშლის დროს), რესპუბლიკამ ადიჯეს დასავლეთით მდებარე ანტიკური რესპუბლიკის დარჩენილი ტერიტორია მიიღო. 1800 წლის სექტემბერში მან საფრანგეთისგან (პიემონტი) ნავარის პროვინცია მიიღო. 1802 წლის იანვარში მან იტალიის რესპუბლიკას დაუთმო ადგილი.

რაინის პირაქეთა (რაინის დასავლეთით მდებარე) **რესპუბლიკა** (1797 წლის სექტემბერ-ნოემბერი), დედაქალაქი მაინცი, რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე გერმანული ტერიტორიებისგან შედგებოდა, ალზასიდან ბატავიის საზღვრამდე. ის რესპუბლიკად გენერალ ოშის მხარდაჭერით გამოცხადდა, რომელსაც რეგიონის მმართველობა ჰქონდა დაკისრებული. თუმცა დირექტორიამ არ აღიარა რესპუბლიკა, რადგან მას საფრანგეთის საზღვრის გაკვეთა რაინზე სურდა. გენერალ ოშის გარდაცვალებას ამ რესპუბლიკის გაუქმება მოჰყვა, რომლის ანექსია საფრანგეთმა ნოემბერში განახორციელა.

ლემანის რესპუბლიკა (1798 წლის იანვარი-მარტი), დედაქალაქი ლოზანა, ბერნის ხელისუფალთა წინააღმდეგ ვოს მოსახლეობის აჯანყების შედეგად გაჩნდა. მარტში ის რორასიის (რონის) რესპუბლიკას მიუერთდა.

რომის ან ტიბერიის რესპუბლიკა (1798 წლის თებერვალი – 1799 წლის მაისი), დედაქალაქი რომი, საფრანგეთის არმიის ინტერვენციის შედეგად გაჩნდა, რომელიც ამბოხებას მოჰყვა. მის შემადგენლობაში შედიოდა ლაციუმი, კასტროს, სპოლეტოსა და ბენევენტოს საპერცოგოები და პაპის ლეგატზე დაქვემდებარებული ურბინო და პესარო. მას მაშინვე შეუერთდა ანკონის რესპუბლიკა. 1798 წლის ივნისში რესპუბლიკამ ბენევენტო და პონტე-კორვო ორივე სიცილიის სამეფოს მიჰყიდა. 1799 წლის მაისში რომის რესპუბლიკა იძულებული გახდა ადგილი დაეთმო რომის პაპის აღდგენილი ძალაუფლებისთვის.

რონისა (ფრ. როდანიკული), დედაქალაქი ლოზანა და **ჰელვეციის**, დედაქალაქი ციურიხი და **ტელის** (ფრ. ტელიგოვიენის) **რესპუბლიკები** (1798 წლის მარტი-აპრილი) გენერალ ბრიუნის ბრძანებით შეიქმნა, რომელიც საფრანგეთის საოკუპაციო ჯარებს მეთაურობდა. ერთი თვის შემდეგ, სამივე რესპუბლიკა ჰელვეციის რესპუბლიკაში გაერთიანდა.

ჰელვეციის რესპუბლიკა (1798 წლის აპრილი – 1803 წლის თებერვალი), დედაქალაქი ლოზანა, ჰელვეციის კონფედერაციის ყოფილ ტერიტორიას მოიცავდა, გრაუბიუდდენის გამოკლებით, რომელმაც უარი თქვა მასში შესვლაზე. მის შემადგენლობაში შედიოდა ციზალპურ რესპუბლიკაში გადასული ჩიავენა, ბორმიო და ვალტელინა, საფრანგეთის მიერ ანექსირებული ჟენევა, ბიენი, მალმიუზი და ბაზელის საეპისკოპოსო და პრუსიის მეფისთვის დატოვებული ნეშატელი. 1803 წლის ივნისში რესპუბლიკას გრაუბიუნდენიც შეუერთდა. 1802 წლის მაისში ბონაპარტმა ჰელვეციის რესპუბლიკისგან ვალე გამოეყო, რომელიც ვალეზანის (ვალეს) რესპუბლიკა გახდა, მაგრამ ამის საკომპენსაციოდ, ფრიკტაილი და ტარასპი გადასცა. 1803 წლის თებერვალში რესპუბლიკამ ახალ შვეიცარიის კონფედერაციას დაუთმო ადგილი, რომლის მედიატორიც ბონაპარტი უნდა გამხდარიყო (ის უკვე აღარ იყო "მოძმე" რესპუბლიკა).

ლუკას რესპუბლიკა (1799 წლის იანვარი – 1805 წლის ივნისი), დედაქალაქი ლუკა, ამავე სახელწოდების ძველი არისტოკრატიული რესპუბლიკის საფუძველზე შეიქმნა, მისი დემოკრატიზაციის შედეგად საფრანგეთის მიერ რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ. 1805 წლის ივნისში მან ადგილი დაუთმო ლუკასა და პიომბინოს სამთავროს.

პართენონის ან **ნეაპოლიტანიის** (1799 წლის იანვარი-მაისი) **რესპუბლიკა**, დედაქალაქი ნეაპოლი, გამოცხადებული იქნა გენერალ შამპიონეს წაქეზებით, ორივე სიცილიის სამეფოს კონტინენტურ ნაწილში (ნეაპოლი). მაისის თვეში მან სიცილიის ბურბონებს დაუთმო ადგილი.

იტალიის რესპუბლიკა (1802 წლის იანვარი-1805 წლის მარტი), დედაქალაქი მილანი, ტერიტორიული ცვლილებების გარეშე ციზალპური რესპუბლიკის მემკვიდრე გახდა. ის აღიჭურვა მაცენტრალიზებელი და ავტორიტარული კონსტიტუციით, რესპუბლიკის პრეზიდენტით (თავად ბონაპარტი), 1805 წლის მარტში მან იტალიის ახალ სამეფოს დაუთმო ადგილი, რომლის სუვერენი ნაპოლეონი გახდა.

ვალეს რესპუბლიკა (ფრ. ვალეზენის) (1802 წლის მაისი – 1810 წლის ნოემბერი), დედაქალაქი ზიონი, ჰეელვეციისგან გამოყოფილი ვალესგან (კანტონი) შედგებოდა. რესპუბლიკა საფრანგეთის, ჰელვეციისა და იტალიის რესპუბლიკების საერთო მფარველობის ქვეშ იქნა მოქცეული. მოძმე რესპუბლიკებს შორის ის ყველაზე გვიან შეიქმნა და 1810 ნელს საფრანგეთის იმპერიასთან იქნა მიერთებული.

N. B. ე. წ. "ცამეტი თვის" (1799 წლის მაისი – 1800 წლის ივნისი) პერიოდში, ავსტრია-რუსეთის შეტევის გამო, რაც საფრანგეთის მტრების მიერ იტალიის ნახევარკუნძულის დროებით დაპყრობაში გამოიხატა, ციზალპური, ლიგურიისა და ლუკას რესპუბლიკები გაუქმდა. შემდგომში, პირველი კონსულის ჯარების შეტევის შემდეგ, ეს რესპუბლიკები კვლავ იქნა აღდგენილი.

ნაპოლეონის სარეზერვო ტერიტორიები

გენერლისა და სახელმწიფო მოღვაწის (1796-1815წწ.) რანგში ყოფნის პერიოდში, ნაპოლეონ ბონაპარტი ევროპული პოლიტიკის ცვალებადობის წინაშე იდგა. გაბატონების, ევროპის საქმეებში ნებისმიერ მომენტში ჩარევის მტკიცე გადაწყვეტილება, ინგლისის დასამარცხებლად კონტინენტური ბლოკადის დროს გამოჩენილი შეუპოვრობა, ის შეურიგებლობა, რომელსაც მის მიმართ ევროპის ქვეყნების სამეფო კარი იჩენდა, ნაპოლეონს კონტინენტზე გაუთავებელი ომების წარმოება აიძულა.

ნაპოლეონის სამხედრო გენიამ და ჯარების მომზადების დონემ, რომელსაც იგი ედგა სათავეში, დიდი ხნის განმავლობაში შესაძლებელი გახადა ამ კონფლიქტებიდან მისი გამარჯვებულად გამოსვლა. აღნიშნული ნაპოლეონს შესაძლებლობას აძლევდა ყოველი ახალი სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ სულ უფრო მეტი ტერიტორია მოეპოვებინა.

დაპყრობილი ტერიტორიები ზრდიდა საფრანგეთისა და მისი გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფოების ტერიტორიებს და აგრეთვე გამიზნული იყო ნაპოლეონის ერთგულ თანამზრახველთა საკომპენსაციოდ.

ამავე დროს, სამშვიდობო ხელშეკრულებების დადებისას, ნაპოლეონმა დროთა განმავლობაში ჩვევად გაიხადა საფრანგეთისთვის (პირველი კონსულის რანგში), მოგვიანებით კი იმპერატორად გახდომის შემდეგ, პირადად თავისთვის, ზოგიერთი ტერიტორიების მიკუთვნება, რომელსაც იგი თავისი შეხედულებისამებრ იყენებდა. ამგვარად მოპოვებულ ტერიტორიებს ე. წ. სარეზერვო ტერიტორიები ეწოდა.

პროვინციები, მცირე ტერიტორიული ერთეულები, რომელსაც ნაპოლეონი მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროით მოლოდინის პოზიციაში ტოვებდა, მას საშუალებას აძლევდა ქმედითი გავლენა მოეხდინა მოსაზღვრე სახელმწიფოთა სუვერენებზე, რომელთაც იგი მათი ხელში ჩაგდების პერსპექტივას აძლევდა, თუკი ეს უკანასკნელნი მისი შეხედულებისამებრ იმოქმედებდნენ.

სარეზერვო ტერიტორიების საბოლოო ხვედრთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მოლოდინში, ნაპოლეონი მათ პარიზიდან ჩამოსული კომისრების მეშვეობით მართავდა და დროებით ამ უკანასკნელთ ფინანსური შემოსავლითაც უზრუნველყოფდა ხოლმე.

სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 1801 წლიდან 1813 წლამდე ზოგიერთმა ტერიტორიამ გარკვეული დროით სარეზერვო ტერიტორიის ხვედრი გაიზიარა.

ფრიკტალი (რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე ბრიზგაუს ნაწილი ბაზელის ზევით) და **ლაუფენბურგისა** და **რაინფელდენის** ორი ტყის ქალაქი (აგრეთვე რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე)

– აღნიშნული ტერიტორიები 1801 წლის 9 თებერვლის ლიუნევილის ხელშეკრულებით ავსტრიამ საფრანგეთს დაუთმო;

– 1802 წლის 25 მაისს ეს ტერიტორიები შვეიცარიის რესპუბლიკას დაუბრუნდა ვალეს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გახდომის სანაცვლოდ.

ტოსკანა (დიდი საჰერცოგო)

– 1801 წლის 9 თებერვალს ლიუნევილის ხელშეკრულებით, ტოსკანა ავსტრიამ საფრანგეთს დაუთმო, მისი პარმის ჰერცოგის, ესპანეთის "ინფანტისთვის" გადასაცემად (პარმის-ბურბონთა უმცროსი შტო);

– 1801 წლის 25 მარტს არანხუესის ხელშეკრულებით, ტოსკანა პარმის პერცოგის ვაჟს (ეტრურიის მომავალი მეფე ლუიჯი I) დაუბრუნდა პარმის საპერცოგოს საფრანგეთისთვის გადაცემის სანაცვლოდ.

პარმა, პიაჩენცა და გუასტალა (საპერცოგო)

– 1801 წლის 21 მარტს არანხუესის ხელშეკრულებით, აღნიშნული ტერიტორიები მისმა ჰერცოგმა საფრანგეთს დაუთმო ტოსკანის სანაცვლოდ (ეტრურია), რომელიც მისმა ვაჟმა მიიღო (პარმის ჰერცოგმა უარი თქვა თავისი საპერცოგოს დათმობაზე, ნაპოლეონი დასთანხმდა მისი გარდაცვალების დალოდებას პარმის ხელში ჩასაგდებად);

– 1802 წლის ოქტომბერში პარმის ჰერცოგი გარდაიცვალა. საპერცოგო საფრანგეთის განკარგულებაში მყოფი სარეზერვო ტერიტორია გახდა;

– 1806 წლის 30 მარტს გუასტალის საპერცოგო პარმის საპერცოგოს გამოეყო მისი ნაპოლეონის დის, პოლინასთვის გადაცემის მიზნით, რომელმაც 1806 წლის ივლისში საპერცოგო ნაპოლეონს, იტალიის მეფეს მიჰყიდა საპერცოგოს იტალიის სამეფოში გასაერთიანებლად;

– 1808 წლის 30 მაისს პარმის საპერცოგო (პარმა და პიაჩენცა) საფრანგეთის იმპერიაში გაერთიანდა (ტაროს დეპარტამენტი).

ტოსკანის ციხე-სიმაგრეები (ხუთი ნეაპოლიტანური სახმელეთო ტერიტორია ტოსკანის სანაპიროზე)

– 1801 წლის 28 მარტს ფლორენციის ხელშეკრულებით, აღნიშნული ტერიტორიები ორივე სიცილიის სამეფომ საფრანგეთს დაუთმო სარეზერვო ტერიტორიების სახით;

– 1802 წლის ოქტომბერში ეს ტერიტორიები ეტრურიას (ტოსკანა) დაუბრუნდა მისთვის პარმის საპერცოგოს დათმობაზე უარის თქმის საკომპენსაციოდ, რომელიც ჰერცოგის გარდაცვალების შემდეგ ვაკანტური გახდა.

ელბის კუნძულის დასავლეთი ნაწილი (კუნძულის ორი მესამედი), პონტო ფერაიოს გარშემო:

– 1804 წლის 21 მარტს არანხუესის ხელშეკრულებით, აღნიშნული ტერიტორია (პიომბინოს მთავრის სამფლობელო ტოსკანის სიუზერენიტეტის ქვეშ) ტოსკანას გამოეყო და საფრანგეთს სარეზერვო ტერიტორიის სახით გადაეცა.

ელბის კუნძულის აღმოსავლეთი ნაწილი (კუნძულის ერთი მესამედი), პორტო ლონგონეს გარშემო:

– 1801 წლის 28 მარტს ფლორენციის ხელშეკრულებით, აღნიშნული ტერიტორია ორივე სიცილიის სამეფომ საფრანგეთს გადასცა სარეზერვო ტერიტორიის სახით.

კაპრაია (კუნძული)

– 1802 წლის 10 ივნისს პარიზის ხელშეკრულებით, კაპრაია ლიგურიის რესპუბლიკამ საფრანგეთს დაუთმო სარეზერვო ტერიტორიის სახით, კონტინენტზე ტერიტორიული მოგების სანაცვლოდ.

ელბის კუნძულის არქიპელაგი (ელბა და მისი შემოგარენი, დამატებით კაპრაია)

– 1801 წლის მარტსა და 1802 წლის ივნისში ელბის კუნძულის არქიპელაგი სარეზერვო ტერიტორია გახდა;

– 1809 წლის 7 აპრილს არქიპელაგი საფრანგეთის იმპერიაში იქნა შეყვანილი (ხმელთაშუა ზღვის დეპარტამენტი).

ნევშატელი (სამთავრო)

– 1805 წლის 15 დეკემბერს შენბრუნის ხელშეკრულებით, ნევშატელი პრუსიამ ნაპოლეონს დაუთმო სარეზერვო ტერიტორიის სახით, დიდი ბრიტანეთისთვის ჩამორთმეული ჰანოვერის კომპენსაციის სანაცვლოდ;

– 1806 წლის 1 აპრილს ნეუშატელი საფრანგეთის იმპერიასთან გაერთიანდა (ხმელთაშუა ზღვის დეპარტამენტი). ნაპოლეონმა ნეუშატელი მარშალ ბერტიეს დაუთმო, რომელიც ნეუშატელის სიუზერენი მთავარი გახდა.

კლევე (საჰერცოგო), რაინის მარცხენა ნაპირის ნაწილი

–1805 წლის 15 დეკემბერს შენბრუნის ხელშეკრულებით, კლევე პრუსიამ "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) მთავარს გადასცა, რომელიც ნაპოლეონმა დანიშნა, დიდი ბრიტანეთისთვის ჩამორთმეული ჰანოვერის კომპენსაციის სანაცვლოდ;

–1806 წლის 15 მარტს ბერგთან ერთად კლევე მარშალ მიურატს გადაეცა, რომელიც ბერგისა და კლევეს ჰერცოგი და "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) მთავარი გახდა (1806 წლის 12 ივლისს ბერგის დიდი ჰერცოგი).

ბერგი (საჰერცოგო)

1805 წლის 16 დეკემბერს შენბრუნის ხელშეკრულებით, ბავარიამ ბერგი "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) მთავარს დაუთმო, რომელიც ნაპოლეონის მიერ იქნა დანიშნული, ანსპახის სამარკიზოს საკომპენსაციოდ (რომელიც იქამდე პრუსიამ ბავარიას დაუთმო დიდი ბრიტანეთისთვის ჩამორთმეული ჰანოვერის საკომპენსაციოდ);

–1806 წლის 15 მარტს ბერგი კლევესთან ერთად მარშალ მიურატს გადაეცა, რომელიც ბერგისა და კლევეს ჰერცოგი და "საღვთო რომის იმპერიის" მთავარი გახდა (1806 წლის 12 ივლისს ბერგის დიდი ჰერცოგი).

ტიროლი (მთავრის საგრაფო) ჩრდილო–დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ზოლის სამხრეთით მდებარე მცირე ტერიტორია ტიროლ/ შვეიცარია/ იტალიის ტრიპლექსიდან მადონა დი კამპილიომდე, ტრენტისა და ვალე ზუგანის საპრეფექტო

–1805 წლის 26 დეკემბერს პრესბურგის (ბრატისლავა) ხელშეკრულებით, ავსტრიამ ტიროლის საგრაფო ბავარიას დაუთმო, ისევე როგორც მთლიანად მთავრის საგრაფო;

–1805 წლის 27 დეკემბერს ნაპოლეონის წერილი ბავარიის ამომრჩეველისადმი, რომელშიც ნაპოლეონი ტიროლის სარეზერვო ტერიტორიად გადაქცევას აპირებდა მისი იტალიის სამეფოსთან შესაძლო მიერთების მიზნით;

–1806 წლის 25 მაისს მიუნხენის ხელშეკრულებით, ტიროლის მთავრის საგრაფო საბოლოოდ გადაეცა ბავარიას, რომელმაც ის თავის ტიროლის პროვინციას მიუერთა.

დორტმუნდი (ქალაქი)

– 1806 წლის 23 ოქტომბერს ნაპოლეონმა დორტმუნდი საიმპერიო დეკრეტით ორან-ნასაუს მთავარს ჩამოართვა და ის სარეზერვო ტერიტორიად შემოინახა;

– 1808 წლის 21 იანვარს პარიზის ხელშეკრულებით, დორტმუნდი ბერგის დიდ საჰერცოგოს დაუბრუნდა, ამ უკანასკნელის მიერ ვეზელის ციხე-სიმაგრის საფრანგეთისთვის დათმობის სანაცვლოდ.

კორვეი (სამთავრო)

– 1806 წლის 23 ოქტომბრის საიმპერიო დეკრეტით, ნაპოლეონმა კორვეი ორან-ნასაუს მთავარს ჩამოართვა და ის სარეზერვო ტერიტორიად შემოინახა;

–1807 წლის 15 ნოემბერს კონსტიტუციის გამოცხადებასთან დაკავშირებით, კორვეი ვესტფალიის სამეფოს დაუბრუნდა.

ფიულდე (სამთავრო) ჰერბშტაინისა და მიხელაუს საბაიოთა გამოკლებით

– 1806 წლის 23 ოქტომბერის საიმპერიო დეკრეტით, ნაპოლეონმა ფიულდე ორან-ნასაუს მთავარს ჩამოართვა და ის სარეზერვო ტერიტორიად შემოინახა;

– 1810 წლის 16 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, ფიულდე ფრანკფურტის ახალ დიდ საჰერცოგოს გადაეცა.

ჰერბშტაინი (ფიულდეს დაქვემდებარებაში მყოფი საბაიო, შეჭრილი ჰესენ-დარმშტადტის ტერიტორიაზე)

– 1806 წლის 23 ოქტომბერის საიმპერიო დეკრეტით, ნაპოლეონმა ჰერბშტაინი ორან-ნასაუს მთავარს ჩამოართვა და ის სარეზერვო ტერიტორიად შემოინახა;

– 1810 წლის 11 მაისის პარიზის ხელსეკრულებით, ჰერბშტაინი ჰესენ-დარმშტადტის დიდ საჰერცოგოს დაუბრუნდა.

მიხელაუ (ფიულდეს დაქვემდებარებაში მყოფი საბაიო, შეჭრილი ვიურტემბერგის ტერიტორიაზე)

– 1806 წლის 23 ოქტომბრის საიმპერიო დეკრეტით, ნაპოლეონმა მიხელაუ ორან-ნასაუს მთავარს ჩამოართვა და ის სარეზერვო ტერიტორიად შემოინახა;

– 1810 წლის 8 მაისის პარიზის ხელშეკრულებით, მიხელაუ ვიურტემბერგის დიდ ჰერცოგს დაუბრუნდა.

იეგერი (სენიორია)

– 1807 წლის 7 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, რუსეთმა იეგერი საფრანგეთს დაუბრუნა ჰოლანდიის სამეფოსთვის გადასაცემად;

– 1807 წლის 11 ნოემბრის ფონტენბლოს ხელშეკრულებით, იეგერი ჰოლანდიის სამეფოს გადაეცა.

იონიის (კუნძულები), ალბანეთში მდებარე ხუთი სახმელეთო ტერიტორიით

– 1807 წლის 7 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით (საიდუმლო მუხლები), რუსეთმა კუნძულები ნაპოლეონს გადასცა, რომელმაც ისინი სარეზერვო ტერიტორიად შემოინახა.

კოტბიუსი (პრუსიის ოლქი, შეჭრილი საარჩეკნო საქსონიის ტერიტორიაზე)

– 1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, პრუსიამ კოტბიუსი ნაპოლეონს გადასცა საქსონიის მეფისთვის გადასაცემად

– 1807 წლის 22 ივლისის დრეზდენის შეთანხმებით, კოტბიუსი საქსონიის მეფეს გადაეცა ქვემოთ მოყვანილი სხვადასხვა ტერიტორიების სანაცვლოდ.

ძველი მარში, ელბის მარცხენა ნაპირის ნახევარზე მდებარე **მაგდებურგი** (საჰერცოგო), **ზაალე** (ოლქი), **მანსფელდი** (საგრაფო) პრუსიის ნახევარი ნაწილი, **ჰოენშტაინი** (საგრაფო), **ალბერშტადტი** (სამთავრო), **მინდენი** (სამთავრო), **რავენსბერგი** (საგრაფო), **პილდენსპაიმი** (სამთავრო), **პადერბორნი** (სამთავრო), **ერფორდი** და **კედლინბურგი** (ყოფილი სააბატოები), **აიხსფელდი ტრეფიურტთან** ერთად (საბაიო), **გოსლარი, ნორდჰაუზენი** და **მიულჰაუზენი** (ქალაქები), **გრიუბენჰაგენი ელბინგეროდეს** ანკლავთან ერთად (საჰერცოგო), **კალენბერგის** (საჰერცოგო) სამხრეთის ერთი მესამედი (გეტინგი); ყველა ჩამოთვლილი ტერიტორია პრუსიას ეკუთვნოდა

– 1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, პრუსიამ ზემოაღნიშნული ტერიტორიები ნაპოლეონს დაუთმო, სარეზერვო ტერიტორიების სახით 1807 წლის 1 სექტემბრის საიმპერიო დეკრეტით, ჩამოთვლილი ტერიტორიები ვესტფალიას გადაეცა.

ოსტფრიზი (სამთავრო)

– 1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, პრუსიამ ოსტფრიზი ნაპოლეონს დაუთმო, სარეზერვო ტერიტორიის სახით.

–1807 წლის 11 ნოემბრის ფონტენბლოს ხელშეკრულებით, ოსტფრიზი ჰოლანდიის სამეფოს გადაეცა.

ოსნაბრიუკი (სამთავრო) ვიდენბრიუკის ანკლავთან ერთად

–1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, პრუსიამ ოსნაბრიუკი ნაპოლეონს დაუთმო სარეზერვო ტერიტორიის სახით;

–1807 წლის 15 ნოემბერს ვესტფალიის სამეფოში კონსტიტუციის გამოცხადებასთან დაკავშირებით, ოსნაბრიუკი ამ უკანასკნელს გადაეცა.

მიუნსტერი (სამთავრო), **კაპენბერგი** (პრევოს რეზიდენცია), **ლინგენი** (საგრაფო), **ტეკლიმბურგი** (საგრაფო), **მარკი** (საგრაფო) **ლიპშტადტზე** თანასუ-ეერენიტეტით; ყველა აღნიშნული ტერიტორია პრუსიას ეკუთვნოდა;

–1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, ზემოაღნიშნული ტერიტორიები პრუსიამ ნაპოლეონს დაუთმო სარეზერვო ტერიტორიების სახით;

–1808 წლის 21 იანვრის პარიზის ხელშეკრულებით, ჩამოთვლილი ტერიტორიები ბერგის დიდ ჰერცოგს გადაეცა ამ უკანასკნელის მიერ საფრანგეთისთვის ვეზელის ციხე-სიმაგრის გადაცემის სანაცვლოდ.

ლიუნებურგი (საპერცოგო), **ბრემენი** (საპერცოგო), **ჰოია** (საგრაფო), **დიპჰოლცი** (საგრაფო), **ვერდენი** (სამთავრო), **კალენბერგის** (საპერცოგო) ჩრდილოეთი ნაწილის ორი მესამედი (ჰანოვერი): ყველა ჩამოთვლილი ტერიტორია პრუსიას ეკუთვნოდა

–1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, პრუსიამ აღნიშნული ტერიტორიები ნაპოლეონს დაუთმო ჰანოვერის სარეზერვო ტერიტორიების სახით;

–1810 წლის 14 იანვრის პარიზის ხელშეკრულებით, ჩამოთვლილი ტერიტორიები ვესტფალიას დაუბრუნდა.

ლაუენბურგი (საპერცოგო) ელბის მარჯვენა ნაპირზე მდებარე **ნოიჰაუზის** ანკლავთან ერთად

–1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, პრუსიამ ლაუენბერგი ნაპოლეონს დაუთმო ჰანოვერის სარეზერვო ტერიტორიების სახით;

–1810 წლის 13 დეკემბრის სენატუს-კონსულტით, ლაუენბურგი საფრანგეთის იმპერიაში იქნა შეყვანილი (ელბის შესართავის დეპარტამენტი).

ბაიროუთი (სამარკგრაფო)

–1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, პრუსიამ ბაიროუთი ნაპოლეონს დაუთმო სარეზერვო ტერიტორიის სახით;

–1810 წლის 28 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, ბაიროუთი ბავარიას გადაეცა.

ერფურტი (საბაიო) **ბლანკენჰაიმის, ქვემო კრანიფელდისა** და **მიულბერგის** სამ ანკლავთან ერთად (იგივე უნტერგლაიხენის საგრაფო)

–1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, პრუსიამ აღნიშნული ტერიტორიები ნაპოლეონს დაუთმო სარეზერვო ტერიტორიების სახით; ერფურტის ცნობილი შეხვედრისას (1808 წლის 27 სექტემბერი – 14 ოქტომბერი) ნაპოლეონმა თავისთან მთელი ევროპის ხელისუფალნი მიიღო.

ქვემო ჰესენი (სამთავრო), **ჰერსფელდი** (სამთავრო), **ზიგენჰაინი** (საგრაფო) მის ტერიტორიაზე შეჭრილი **პლესის** სენიორიითა და **ზემო ჰესენით** (სამთავრო) **ჰესენ-კასელის** ნაწილში, **ჰოიისა** და **დიპჰოლცის** (საგრაფოები) ფრაგმენტები, **ნაუმბურგი, ფრიტცლარი, ნოიშტადტი** და **ამენიბურგი** (საბაიოები), **გელნჰაუზენი** (ქალქი), **ჰოლცჰაუზენი** (სოფელი); ყველა ჩამოთვლილი ტერიტორია ჰესენ-კასელს ეკუთვნოდა

–1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, ნაპოლეონმა აღნიშნული ტერიტორიები ჰესენ-კასელს ჩამოართვა სარეზერვო ტერიტორიების სახით;

–1807 წლის 1 სექტემბრის საიმპერიო დეკრეტით, ჩამოთვლილი ტერიტორიები ვესტფალიას გადაეცა.

შმალკალდი (სენიორია)

– 1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, ნაპოლეონმა შმალკალდენი ჰესენ-კასელს ჩამოართვა სარეზერვო ტერიტორიის სახით;

–1807 წლის 15 ნოემბერს ვესტფალიის სამეფოს კონსტიტუციასთან დაკავშირებით, შმალკალდენი ვესტფალიას გადაეცა.

ჰანაუ (საგრაფო) ბობენჰაუზენის, დორჰაიმის, ჰენკელსჰაიმის, მიუნცენბერგის, ორტენბერგისა და როდჰაიმის საბაიოების გარდა

–1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, ნაპოლეონმა ჰანაუ ჰესენ-კასელს ჩამოართვა სარეზერვო ტერიტორიის სახით;
–1810 წლის 16 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, ჰანაუ ფრანკფურტის ახალ დიდ საჰერცოგოს გადაეცა.

ბობენსჰაუზენი, დორჰაიმი, ჰენკელსჰაიმი, მუნცენბერგი, ორტენბერგი და როდჰაიმი (ჰანაუს დაქვემდებარებაში მყოფი ჰესენ-კასელის ტერიტორიაზე შეჭრილი საბაიოები)
–1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, ნაპოლეონმა აღნიშნული ტერიტორიები ჰესენ-კასელს ჩამოართვა სარეზერვო ტერიტორიების სახით;
–1810 წლის 11 მაისის პარიზის ხელშეკრულებით, ჩამოთვლილი ტერიტორიები ჰესენ-კასელს დაუბრუნდა.

ქვემო კატცენელენბოგენი (საგრაფო)
–1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, ნაპოლეონმა აღნიშნული ტერიტორია ჰესენ-კასელს ჩამოართვა სარეზერვო ტერიტორიის სახით;
–1807 წლის 1 სექტემბრის საიმპერიო დეკრეტით, ქვემო კატცენელენბოგენი ვესტფალიის სამეფოს დაუბრუნდა.

ბრაუნშვაიგი (საჰერცოგო), ქვემო ვეზერზე მდებარე ტედინგსჰაუზენის საბაიოს გარდა
– 1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, ნაპოლეონმა ბრაუნშვაიგი მიიღო სარეზერვო ტერიტორიის სახით;
–1807 წლის 1 სექტემბრის საიმპერიო დეკრეტით, ბრაუნშვაიგი ვესტფალიას დაუბრუნდა.

ტედინგსჰაუზენი (საბაიო), ბრაუნგშვაიგის დაქვემდებარებაში მყოფი
1807 წლის 9 ივლისის ტილზიტის ხელშეკრულებით, ნაპოლეონმა საბაიო საჰერცოგოს ჩამოართვა სარეზერვო ტერიტორიის სახით;
–1810 წლის 14 იანვრის პარიზის ხელშეკრულებით, ტედინგსჰაუზენი ვესტფალიის სამეფოს დაუბრუნდა.

ბარბი (საგრაფო), **გამერნი** და **ზანგერსჰაუზენი** (საბაიოები), **მანსფელდი** (საგრაფო) საქსონიის ნაწილის ნასყიდი
–1807 წლის 22 ივლისის დრეზდენის შეთანხმებით, საქსონიის სამეფომ ჩამოთვლილი ტერიტორიები ნაპოლეონს დაუთმო სარეზერვო ტერიტორიების სახით, კოტბუსის ოლქის სანაცვლოდ;
–1807 წლის 1 სექტემბრის საიმპერიო დეკრეტით, აღნიშნული ტერიტორიები ვესტფალიას დაუბრუნდა.

მაგდებურგი ელბის ტალვეგის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ციხე-სიმაგრე შემოგარენით (გამორჩენილი ტილზიტის ხელშეკრულებით)
–1808 წლის 8 სექტემბრის პარიზის ხელშეკრულებით, პრუსიამ მაგდებურგი ნაპოლეონს დაუთმო, რომელმაც ის საფრანგეთ-ვესტფალიის სუვერენიტეტის ქვეშ მოაქცია;
–1810 წლის 14 იანვრის პარიზის ხელშეკრულებით, მაგდებურგის ფრანგული ნაწილი ვესტფალიას დაუბრუნდა.

ინვირტელი (ისნის ნაწილი), **ჰაუსრუკვიერტელი** (დასავლეთი ნაწილი), **ზალცბურგი** (საჰერცოგო), ტიროლში მდებარე ვინდიშ მატრაის ანკლავის გარდა: ყველა ჩამოთვლილი ტერიტორია ავსტრიას ეკუთვნოდა
–1809 წლის 14 ოქტომბრის შენბრუნის ხელშეკრულებით, ავსტრიამ აღნიშნული ტერიტორიები ნაპოლეონს დაუთმო სარეზერვო ტერიტორიების სახით;
–1810 წლის 14 იანვრის პარიზის ხელშეკრულებით, ფრანგული ნაწილი ვესტფალიას დაუბრუნდა.

ვინდიშ მატრაი (ტიროლში მდებარე ზალცბურგის ანკლავი)

1809 წლის 14 ოქტომბრის შენბრუნის ხელშეკრულებით, ავსტრიამ ის ნაპოლეონს დაუთმო სარეზერვო ტერიტორიის სახით;

–1810 წლის 28 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, ვინდიშ მატრაი ბავარიას დაუბრუნდა.

რეცუნზი (ბარონის მამული, გრაუბიუნდენში მდებარე ავსტრიული ანკლავი)

1809 წლის 14 ოქტომბრის შენბრუნის ხელშეკრულებით, ავსტრიამ ის ნაპოლეონს დაუთმო სარეზერვო ტერიტორიის სახით

–1810 წლის 28 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, რეცუნზი იტალიის სამეფოსთან იქნა მიერთებული (ზემო ადიჯეს დეპარტამენტი).

რატისბონი (რეგენსბურგი) (სამთავრო)

1810 წლის 16 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, ფრანკფურტის ახალმა ჰერცოგმა ის ნაპოლეონს დაუთმო სარეზერვო ტერიტორიის სახით;

–1810 წლის 28 თებერვლის პარიზის ხელსეკრულებით, რატისბონი (რეგენსბერგი) ბავარიას დაუბრუნდა.

1810 წლის თებერვლის მიწურულს, იმპერატორ ნაპოლეონის განკარგულებაში სარეზერვო ტერიტორიების სახით დატოვებული იყო იონიის კუნძულები (ინგლისის საზღვაო ფლოტის სამიზნე), ერფურტის საბაიო და მისი სამი ადგილმამული და რაინზე მდებარე ქვემო კატცენელენბოგენის საგრაფო.

რაინის კონფედერაცია

პრესბურგის (ბრატისლავა) ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ (1810 წლის დეკემბერი), იმპერატორმა ნაპოლეონმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა ავსტრიის დასუსტება და ავსტრიისა და პრუსიის (ამ უკანასკნელმა თავისი ტერიტორია ჩრდილოეთით ჰანოვერის ხარჯზე გაზარდა) გაელენისგან განთავისუფლებული შუა გერმანია (ცენტრსა და ჩრდილოეთში) შექმნა.

ერთი მხრივ, ნაპოლეონმა პრუსიის მიერ გადაცემული კლევესა (რაინის მარჯვენა ნაპირზე) და ბავარიის მიერ გადაცემული ბერგის საპერცოგოები ერთ, კლევესა და ბერგის საპერცოგოში გააერთიანა (1806 წლის მარტი), რომლის მართვაც მან თავისი დის მეუღლეს, იოაკიმ მიურატს გადასცა. ამგვარად, ეს უკანასკნელი "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანული ერის) მთავარი გახდა. ახლად შექმნილი საპერცოგო პრუსიის პირისპირ, საფრანგეთის პირველი დამცველი ზონა გახდა, რომელიც ამ დროისთვის რაინის საზღვრით შემოიფარგლებოდა.

მეორე მხრივ, ნაპოლეონი ცენტრალური და სამხრეთი გერმანიის ტერიტორიული მდგომარეობის რადიკალურ გამარტივებას აპირებდა, იქ მხოლოდ საფრანგეთისადმი ერთგულ სახელმწიფოთა შეზღუდული რაოდენობის შენარჩუნებით. აღნიშნულ ტერიტორიებს მიეკუთვნებოდა ბავარია, ვიურტენბერგი, ბადენი, ბერგისა და კლევის საპერცოგო და მაინცის საარქიეპისკოპოსო, რომლსაც სათავეში ედგა გერმანიაში ნაპოლეონის ერთგული ადამიანი. საჭირო იყო იქ რამდენიმე მნიშვნელოვანი სახელმწიფოს შენარჩუნება, რომლის ერთგულება ეჭვსგარეშე უნდა ყოფილიყო.

სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არჩევანი გაკეთდა ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფზე, ნასაუსა და ზალმის მთავრებსა და არენბერგის პერცოგზე.

მეორე მხარეს აღმოჩნდნენ ჰესენ-კასელის ამომრჩეველი და ორან-ნასაუს მთავარი, პრუსიის გავლენის ქვეშ ყოფნის მიზეზით და ფიურსტენბერგის, შვარცენბერგის, თურ-უნდ-თაქსისისა და ლინინგის მთავრები, ავსტრიის გავლენის ქვეშ ყოფნის მიზეზით. მიუხედავად მათი მნიშვნელობისა, ისინი ესტვერპლის როლში გამოვიდნენ 1806 წლის გაზაფხულზე პარიზში ჩატარებული მორიგების დროს, რომელზეც საფრანგეთის მხარე ტალეირანით იყო წარმოდგენილი იმპერატორ ნაპოლეონის მუდმივ კონტროლქვეშ.

იმპერატორის "კეთილგანწყობის" ნყალობით, ზოგიერთმა უღიმღამო მთავარმა გადარჩენა მოახერხა ძალზე სუბიექტურ მიზეზთა გამო, მაგალითად, პრესბურგში (დეკემბერი) ნაპოლეონზე შესანიშნავი შთაბეჭდილების მოხდენა (ლიხტენშტაინის მთავარი), იმპერატორის მეუღლის, ჟოზეფინას ოჯახთან ძველი ურთიერთობები (მთავარი ჰოენცოლერნ-ზიგმარინგენი), ნათესური კავშირი დალბერგის ამომრჩეველთან (იზემბერგის მთავარი და ლეიენის პერცოგი) ან მიურატის დისწულთან ქორწინება (მთავარი ჰოენცოლერნ-ჰეხინგენი).

1806 წლის 12 ივლისის ძირითადი აქტით, რომელსაც ორმხრივად საფრანგეთმა და თითოეულმა მომავალმა ნევრმა სახელმწიფომ (16 ნევრი) მოაწერა ხელი, რაინის კონფედერაცია (Rheinbund) შეიქმნა.

რაინის კონფედერაცია იმპერატორ ნაპოლეონის პატრონაჟისა (რომელიც მისი პროტექტორი გახდა) და მაინცის არქიეპისკოპოს-ამომრჩეველის, დალბერგის მეთაურობის ქვეშ მოექცა.

ფედერალურ დიეტზე, რომლის სესიები ფრანკფურტში უნდა გამართულიყო, თექვსმეტი ნევრი ორ კოლეგიად გაიყო: მეფეთა და მთავართა კოლეგია. ამ კოლეგიების შემადგენლობა ამგვარად გამოიყურებოდა:

მეფეთა კოლეგია (ექვსი ნევრი):

– მაინცის არქიეპისკოპოსი, კოლეგიის თავჯდომარე, რომელმაც პრიმასი-მთავრის წოდება მიიღო, უკეთილშობილესის ტიტულით;

– ბავარიისა და ვიურტემბერგის ორი მეფე;

– ბადენის დიდი ჰერცოგი;
– ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფი და ბერგისა და კლევეს ჰერცოგი, რომელმაც დიდი ჰერცოგის წოდება მისი სამეფო უდიდებულესობის ტიტულით მიიღო;

მთავართა კოლეგია (ათი წევრი)

– ნასაუ-უზინგენის მთავარი, კოლეგიის თავჯდომარე, რომელიც ჰერცოგის რანგში იქნა აყვანილი;
– არენბერგის ჰერცოგი;
– ზალმ-ზალმისა და კირბურგის ორი მთავარი;
– ჰოენცოლერნ-ჰეხინგენისა და ჰოენცოლერნ ზიგმარინგენის ორი მთავარი;
– იზემბურგ-ბირშტაინისა და ლიხტენშტაინის ორი მთავარი;
– ლეიენის გრაფი, რომელიც მთავრის რანგში იქნა აყვანილი.

კონფედერაციაში 7 500 000 კაცი ცხოვრობდა, დაახლოებით 130 000კმ² ფართობზე. მისი დედაქალაქი მაინის ფრანკფურტზე იყო განლაგებული. ის იყო თავისუფალი ქალაქი, რომელიც გარემოების გამო პრიმას-მთავარს გადაეცა, სადაც მან თავისი რეზიდენცია გადაიტანა.

1806 წლის 1 აგვისტოს კონფედერაციის წევრებმა "საღვთო რომის იმპერიისგან" სამუდამოდ გამოყოფა გამოაცხადეს. კონფედერაციის წევრები ერთმანეთში ტერიტორიების გამორკვევას შეუდგნენ და დაიქვემდებარეს მათ სამფლობელოებში ან მათი დომენების საზღვართან მდებარე კონფედერაციაში არშესული სახელმწიფოები. ამავე დროს, დადგინდა, რომ ამგვარად დაქვემდებარებულ დომენებზე მთავრებს შეუნარჩუნდებოდათ საკუთარი და ფეოდალური უფლებები.

ნაპოლეონის აზრით, ძირითადი პირობა, რომელსაც იგი შესაფერის გარემოებაში გამოიყენებდა, 63 000 კაცისგან შემდგარი სამხედრო კონტინგენტის შექმნაში მდგომარეობდა, რომელიც კონფედერაციის წევრებს მის განკარგულებაში უნდა ჰყოლოდათ. 200 000 კაცისგან შემდგარი კონტინგენტის პარალელურად, რომლის გამოყენების ვალდებულებაც ნაპოლეონმა პირადად იკისრა "გერმანიის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად," კონფედერაციის წევრებს იგი შემდეგი რაოდენობის კონტიგენტით უნდა უზრუნველყოთ:
– ბავარია: 30 000 კაცი;
– ვიურტემბერგი: 12 000 კაცი;
– ბადენი: 8 000 კაცი;
– ბერგი: 5 000 კაცი;
– ჰესენ-დარმშტადტი: 4 000 კაცი;
– დანარჩენი წევრები მთლიანად: 4 000 კაცი.

ამასთანავე, რაინის კონფედერაცია მზად იყო შემდგომში გერმანიის ახალი წევრების მისაღებად.

1806 წლის 1 აგვისტოს კონფედერაციის თექვსმეტი წევრის მიერ "საღვთო რომის იმპერიიდან" (გერმანელი ერის) გამოსვლის აქტის შემდეგ, იმპერატორმა ფრანც II-მ მისი დაშლა გამოაცხადა.

ნაპოლეონს არ განუხორციელებია პრიმასი-მთავრის მიერ 4 აგვისტოს წარდგენილი ფუნდამენტური სტატუსის გეგმა ძირითადი აქტით გათვალისწინებულის შესაბამისად, რომელსაც კონფედერაციული ინსტიტუტების ფუნქციონირება უნდა განესაზღვრა. ნაპოლეონი არ აპირებდა წევრ-სახელმწიფოთა შიდა საქმეებში ჩარევას, მას მხოლოდ მათ საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა და სამხედრო კონტინგენტის გამოყენება სურდა კონფლიქტის შემთხვევაში.

მე-17 წევრი: მიუხედავად ავსტრიის იმპერატორთან ნათესაური კავშირისა, ვიურტემბერგის ამომრჩეველი, ტოსკანის დიდი ჰერცოგი ფერდინანდ III, რომელიც 1803 წლის თებერვალში ზალცბურგში, შემდეგ კი 1805 წლის დეკემბერში ვიურტემბერგში გადავიდა, 1806 წლის 25 დეკემბერს კონფედერაციაში განევრიანდა, რომელშიც მას მეფეთა კოლეგიაში ჰქონდა ადგილი. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, იგი ვიურტემბერგის დიდი ჰერცოგის რანგში იქნა აყვანილი და მან პროტექტორის განკარგულებაში 2 000 კაცისგან შემდგარი კონტინგენტი გამოიყვანა.

მე-18 წევრი: 1806 წლის 11 დეკემბრის პოზნანის ხელშეკრულებით, ამომრჩეველი, რომელიც საქსონიის მეფე გახდა, კონფედერაციაში განევრიანდა, სადაც მას მეფეთა კოლეგიაში ჰქონდა ადგილი. მან ვალდებულება აიღო 20 000 კაცი ჰყოლოდა პროტექტორის განკარგულებაში.

მე-19 წევრიდან 23-მდე: 15 დეკემბერს პოზნანის მეორე ხელშეკრულებით, საქსონიის ხუთი ჰერცოგი (საქსონია-ვაიმარი-აიზენახი, საქსონია-კობურგ-ზაალფელდი, საქსონია-გოთა-ალტენბურგი, საქსონია-მაინინგენი, საქსონია-ჰილდბურგჰაუზენი) კონფედერაციაში განევრიანდა, რომელშიც მათ მთავართა კოლეგიაში ჰქონდათ ადგილები. მათ პროტექტორის განკარგულებაში 20 000 კაცის გამოყვანის ვალდებულება აიღეს.

24-დან 35-დე წევრამდე: 1807 წლის 18 აპრილის ვარშავის ხუთი ხელშეკრულებით, კონფედერაციაში თორმეტი ახალი მთავარი განევრიანდა, რომელთაც ადგილები ჰქონდათ მთავართა კოლეგიაში. საქმე ეხებოდა შემდეგ წევრებს:

– ანჰალტ-ბერნბურგის ჰერცოგი და ანჰალტ-დასაუსა და ანჰალტ-გეტჰენის ორი მთავარი, რომლებიც ჰერცოგების რანგში იქნენ აყვანილნი (მთლიანობაში 700 კაცისგან შემდგარი კონტინგენტი);

– ვალდეკის მთავარი (400 კაცი);

– ლიპე-დეტმოლდის მთავარი და შაუმბურგ-ლიპეს გრაფი, რომლებიც მთავრების რანგში იქნენ აყვანილნი (მთლიანობაში 650 კაცისგან შემდგარი კონტინგენტი);

– შვარცბურგ-რუდოლშტადტის და შვარცბურგ-ზონდერსჰაუზენის ორი მთავარი (მთლიანობაში 650 კაცი);

– როისის ოთხი მთავარი (მთლიანობაში 400 კაცი): როის-გრაიცის მთავარი (უფროსი შტო), როის-შლაიცის, როის-ელბერსდორფისა და როის-ლობენშტაინის სამი მთავარი (უმცროსი შტო, რომელსაც მხოლოდ ერთი ხმა ჰქონდა მთავართა კოლეგიაში).

36-ე წევრი: ოფიციალური შექმნის დღიდანვე (1807 წლის 18 აგვისტო), ვესტფალიის ახალი სამეფო, რომლის მეფე ჟერომი ნაპოლეონის ძმა იყო, კონფედერაციაში განევრიანდა, რომელშიც სუვერენს მეფეთა კოლეგიაში ჰქონდა ადგილი. სამეფომ პროტექტორი 25 000 კაცისგან შემდგარი კონტინგენტით უზრუნველყო.

37-ე წევრი: 1808 წლის 18 თებერვალს მეკლემბურგ-შტრელიცის ჰერცოგი კონფედერაციაში განევრიანდა (მთავართა კოლეგია) და მასში 400 კაცისგან შემდგარი კონტიგენტი შეიყვანა.

38-ე წევრი: 1808 წლის 22 მარტს მეკლემბურგ-შვერინის ჰერცოგი თავის მხრივ, კონფედერაციაში განევრიანდა (მთავართა კოლეგია) და მასში 1 900 კაცისგან შემდგარი კონტინგენტი შეიყვანა.

39-ე წევრი: 1808 წლის 14 ოქტომბრის ერფურტის ხელშეკრულებით, ოლდენბურგის ჰერცოგი რაინის კონფედერაციაში შესული უკანასკნელი წევრი იყო. მან კონფედერაციაში 800 კაცისგან შემდგარი კონტიგენტი შეიყვანა. მას მთავართა კოლეგიაში ჰქონდა ადგილი.

1810 წლის 16 თებერვლის პარიზის ხელშეკრულებით, მაინცის საარქიეპისკოპოსოს რეორგანიზაცია და სეკულარიზაცია განხორციელდა, რომელიც ფრანკფურტის დიდ საჰერცოგოდ გადაკეთდა დალბერგის სასარგებლოდ. ეს უკანასკნელი დიდი ჰერცოგი გახდა და კვლავაც სათავეში ედგა კონფედერაციას.

ამგვარად, კონფედერაციის ტერიტორიის ფართობი 350 000კმ²-ს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობა 14 500 000 კაცს აღწევდა. ის 39 სუვერენს შორის იყო განაწილებული, მაგრამ მხოლოდ 38 სახელმწიფოსგან შედგებოდა 1806 წლის აგვისტოში ორი საჰერცოგოს გაერთიანების შედეგად. კონფედერაციის სამხედრო კონტინგენტი 120 000 კაცს აღემატებოდა.

მეფეთა კოლეგია ცხრა წევრისგან შედგებოდა:

–ბავარიის, ვიურტემბერგის, საქსონიისა და ვესტფალიის ოთხი მეფე;

–ბადენის, ბერგის, ფრანკფურტის, ჰესენ-დარმშტადტისა და ვიურცბურგის ხუთი დიდი ჰერცოგი.

მთავართა კოლეგია ოცდაათი წევრისგან შედგებოდა:

– ნასაუ-უზინგენის, არენბერგის ჰერცოგები, ხუთი საქსონიის ჰერცოგი, სამი ანჰალტის ჰერცოგი, მეკლემბურგისა და ოლდენბურგის ორი ჰერცოგი;

– ნასაუ-ვაილბურგის ჩვიდმეტი მთავარი, ჰოენცოლერნის ორი მთავარი, ზალმის ორი მთავარი, იზემბურგის, ლიხტენშტაინის, ლეიენის, ვალდეკის მთავრები, ლიპეს ორი მთავარი, შვარცბურგის ორი მთავარი, როისის ოთხი მთავარი.

ამავე დროს, ორ კოლეგიად დაყოფა თეორიულ ხასიათს ატარებდა, რადგან რჩეულთა კრება არ ჩატარებულა დიდ წევრ-სახელმწიფოთა წინააღმდეგობისა (რომელთაც დამოუკიდებლად ყოფნა სურდათ) და ამ საკითხის მიმართ ნაპოლეონის უყურადღებობის გამო, რომელმაც ჩაურევლობა გადაწყვიტა.

კონფედერაციის გარეთ დარჩა მხოლოდ ავსტრია, პრუსია, შვედეთის პომერანია, დანიის ოლშტაინი, სამი ჰანზის ქალაქი, ჰოლანდიისთვის გადაცემული გერმანული ტერიტორია (იეფერი, ოსტფრიზი) და იმპერატორ ნაპოლეონის სარეზერვო ტერიტორიები (ლაუენბერგი, ერფურტი, კატცენელენბოგენი).

1810 წლის 13 დეკემბერს ინგლისის წინააღმდეგ ბლოკადის გაძლიერების მიზნით, ნაპოლეონმა საფრანგეთს ჰოლანდია, ოლდენბერგი, სამი ჰანზეური ქალაქი, ზალმის ორი სამთავრო, არენბერგი და ლაუენბერგი მიუერთა და ამას გარდა, ბერგის დიდი საჰერცოგოსა და ვესტფალიის სამეფოს ნაწილი.

ამგვარად, რაინის კონფედერაციამ დაახლოებით 35 000კმ²ფართობი და 1 000 000 ქვეშევრდომი დაკარგა. ის 35 წევრამდე იქნა დაყვანილი არენბერგისა და ოლდენბურგის საჰერცოგოებისა და ზალმ-ზალმისა და ზალმ-კირბურგის სამთავროების გაქრობით.

1813 წელს საფრანგეთის პრესტიჟის დაკარგვამ ესპანეთში შექმნილი სირთულეებისა და რუსეთში წარუმატებელი კამპანიის გამო, საფრანგეთის მტრები დარაზმა. პრუსიამ ბანაკი შეიცვალა და გერმანიის სახელმწიფოებს საფრანგეთთან ალიანსის განყვეტისკენ უბიძგა.

მაკლემბურგის ორმა ჰერცოგმა და ანჰალტის სამმა მთავარმა კონფედერაცია დატოვა და საფრანგეთის წინააღმდეგ შექმნილ კოალიციაში გაერთიანდა. კონფედერაციის წევრთა რიცხვი 30-მდე შემცირდა.

ლაიპციგის ბრძოლამდე, 1813 წლის 8 ოქტომბრის რიდის ხელშეკრულებით, რომელსაც კოალიციის წევრებმა მოაწერეს ხელი, ბავარიამ დატოვა კონფედერაცია და საფრანგეთისგან პირი იბრუნა, სამეფო გვირგვინისა და ტერიტორიული მონაპოვრის შენარჩუნების დაპირების სანაცვლოდ.

26 ოქტომბერს ვიუტემბერგის დიდმა ჰერცოგმა თავის მხრივ, დატოვა კონფედერაცია, რომელიც 28 წევრამდე ჩამოვიდა.

კონფედერაციის დაშლა ფრანგების გერმანიიდან წასვლამ დააჩქარა. 1813 წლის 4 ნოემბერს კოალიციურმა ძალებმა მისი დაშლა გამოაცხადეს.

ნოემბრის თვეში პრუსიასთან და ავსტრიასთან ხელშეკრულებების ხელმონერის პროცესში: საქსონია-ვაიმარი (1 ნოემბერი), ვიურტემბერგი (2 ნოემბრის ფიულდეს ხელშეკრულება), ორი ლიპე (5 ნოემბერი), ბადენი (20 ნოემბრის ფრანკფურტის ხელშეკრულება), ნასაუ (23 ნოემბრის ფრანკფურტის ხელშეკრულება), ჰესენ-დარმშტადტი (ასევე), საქსონია-კობურგი (29 ნოემბერი) კონფედერაციის წევრებმა ნელ-ნელა კონფედერაციის რიგების დატოვება დაიწყეს.

მომაკვდავ კონფედერაციაში მხოლოდ საქსონიისა და ვესტფალიის მეფეები, ბერგისა და ფრანკფურტის დიდი ჰერცოგები, იზემბურგისა და ლეიენის მთავრები დაჩნენ. ზოგი მათგანი დააპატიმრეს ან თავიანთი სამფლობელოებიდან გააძევეს, მათი დომენები კი კოალიციურმა ძალებმა სეკვესტრს დაუქვემდებარეს. ამგვარად, კონფედერაცია დიდების გარეშე გაქრა.

გარემოებათა კარნახით, გერმანიისთვის უცხო სუვერენის მიერ შექმნილმა კონფედერაციამ ვეღარ იარსება თავისი დამფუძნებლის დამარცხების შემდეგ. ამავე დროს, კონფედერაციამ ხელი შეუწყო Kleistatterci-ის შუა საუკუნეების სისტემასთან გერმანიის კავშირის გაწყვეტას და საშუალო ფართობის მქონე სახელმწიფოთა გაჩენას, რამაც გერმანიის გაერთიანება ათწლეულებით შეაჩერა.

გერმანიის კონფედერაცია

ნაპოლეონის სისტემის დამლამ გერმანიაში საფრანგეთის წინააღმდეგ კოალიციაში გაერთიანებულ ძლიერ სახელმწიფოებს მისი მონყობის სხვა ფორმის განხილვისკენ უბიძგა.

ამ მხრივ, ორმა საპირისპირო ტენდენციამ იჩინა თავი:

– მოძრაობა, რომელიც გერმანიის ერთიანობას მოითხოვდა, გერმანელ ინტელექტუალთა და "განათლებულთა" წრეში იყო გავრცელებული, რაშიც მათ პრუსია (ბარონი შტაინი) და მეტ-ნაკლებად, ავსტრიაც უჭერდა მხარს. ამ უკანასკნელს მიაჩნდა, რომ რევოლუციიური საფრანგეთის, შემდეგ კი ნაპოლეონის ეპოქის დროიდან დაწყებული გამარტივების პროცესი, სხვა ერების მსგავსად, გერმანიის ერთიან ერად ჩამოყალიბებით უნდა დასრულებულიყო (ან ძლიერ ფედერაციულ სახელმწიფოდ მაინც).

– არსებობდა აგრეთვე გერმანიის დიდ სახელმწიფოთა სუვერენების აზრი, რომელიც 1813 წელს ხელმონერილ ხელშეკრულებებს ეფუძნებოდა. აღნიშნული მოსაზრება ერთსა და იმავე დროს, სუვერენთა დომენების (ძველი თუ ახალი) სუვერენიტეტსა და "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) გაქრობის შემდეგ მიღწეული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ითვალისწინებდა.

ზესახელმწიფოებრივი ძალაუფლების მიუღებლობა საზოგადოებრივი აზრის შეურაცხყოფა იქნებოდა, მაგრამ "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) უბრალო რესტავრაციის ჰიპოთეზა პრუსიისა და ავსტრიის მიერ იქნა უკუგდებული, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ გერმანიაში შემდეგ მიზეზთა გამო:

– პრუსიას არ სურდა ზემოაღნიშნულის განხორციელება, რადგან ის წინააღმდეგი იყო ავსტრიის სახლის პირველობის აღდგენის;

–ავსტრიას თავის მხრივ, იგივეს გაკეთება არ სურდა რადგან ეშინოდა, რომ 1803 წელს ამომრჩეველთა კოლეგიაში კონფესიური უმრავლესობის შეცვლას მისთვის საიმპერიო ტახტის დაკარგვა შეეძლო პრუსიის სასარგებლოდ;

– ორივე ძლიერ სახელმწიფოს სხვა გადარჩენილ სახელმწიფოებთან ერთად იმპერიის აღდგენა არ სურდა, რადგან ამას მთავრების მოთხოვნები მოჰყვებოდა დომენებთან დაკავშირებით, რომელიც მათ 1806 წელს მედიაციის აქტით მიიღეს. აღნიშნულს ასევე 1803 წელს მედიაციის აქტით შექმნილი საეკლესიო ადგილებისა თუ თავისუფალი ქალაქების მოთხოვნები მოჰყვებოდა, რაც პრუსიისა და ავსტრიის მინების დაყოფას გამოიწვევდა.

ევროპის ტერიტორიული რეორგანიზაციისთვის ვენის კონგრესზე შეკრებილმა გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა ზემოაღნიშნული საკითხიც განიხილეს, მაგრამ მოლაპარაკებები გაჭიანურდა ნაპოლეონის ელბის კუნძულიდან დაბრუნების შემდეგ, რამაც ბევრი ადამიანი ააღელვა. იმის შიშით, რომ სამხრეთ გერმანია ისევ საფრანგეთის გავლენის ქვეშ მოექცეოდა, სასწრაფოდ შუალედური გამოსავალი გამოინახა, რომელსაც პარტიკულარიზმის დაკმაყოფილება შეეძლო საკმაოდ სუსტი კონფედერაციის შექმნით.

1815 წლის 8 ივნისის ფედერალური აქტით, შეიქმნა გერმანიის კონფედერაცია, რომელიც საბოლოოდ 1820 წლის 15 მაისის ფინალური აქტით იქნა დამტკიცებული.

ახალი კონფედერაციის გარე საზღვრები თითქმის მთლიანად ემთხვეოდა ყოფილი "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) საზღვრებს, ლიეჟის ძველი საეპისკოპოსოსა და ავსტრიის ნიდერლანდის მნიშვნელოვანი ტერიტორიის ჩამოჭრის გარდა. ამგვარად, "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) მსგავსად, ზოგიერთი სუვერენი (ავსტრია, პრუსია, ნიდერლანდი, დიდი ბრიტანეთი) მასში მხოლოდ თავისი სამფლობელოების ნანილით შევიდა, მეორე ნანილი კი (ჩვეულებისამებრ უფრო დიდი) კონფედერაციის გარეთ დატოვა.

შექმნის მომენტში კონფედერაციის ფართობი 632 000კმ²-ს შეადგენდა და მასში 30 მილიონი კაცი ცხოვრობდა. ის შემდეგი სახელმწიფოებისგან შედგებოდა:

– ავსტრიის იმპერია თავისი "საიმპერიო" პროვინციებით: ავსტრია, ზალცბურგი, ტიროლი და ვორარლბერგი, შტირია, კარინთია, კარნიოლე (კრაინა), გორიცია, ტრიესტი და ავსტრიის ისტრია, ბოჰემია, მორავია და ავსტრიის სილეზია;

– პრუსიის (პრუიისა და პოზნანიის პროვინციების გარდა), ბავარიის, საქსონიის, ჰანოვერის ((დიდი ბრიტანეთის მეფის), ვიურტემბერგის, დანიის (მხოლოდ ჰოლშტაინისა და ლაუენბურგის საჰერცოგოები) და ნიდერლანდის (მხოლოდ ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო) შვიდი სამეფო;

– ჰესენ-კასელის ელექტორატი;

– ბადენის, ჰესენ-დარმშტადტის, ოლდენბურგის, საქსონია-ვაიმარის, მეკლემბურგ-შვერინისა და მეკლემბურგ-შტრელიცის ექვსი დიდი საგრაფო;

– ნასაუ-უზინგენის, ნასაუ-ვაილბურგის, ბრაუნშვაიგის, საქსონია-გოთა-ალტენბურგის, საქსონია-კობურგ-ზაალფელდის, საქსონია-მაინინგენის, საქსონია-ჰილდბურგჰაუზენის, ანჰალტ-დესაუს, ანჰალტ-ბერნბურგისა და ანჰალტ-გეტჰენის ათი საჰერცოგო;

– ლიპე-დეტმოლდის, შაუმბურგ-ლიპეს, ვალდეკის, შვარცბურგ-რუდოლშტადტის, შვარცბურგ-ზონდერსჰაუზენის, როის-გრაიცის (უფროსი შტო), ერთ ხმაში გაერთიანებული (მლაიცი, ებერსდორფი, ლობენშტაინი) სამი როისის (უმცროსი შტო), ჰოენცოლერნ-ჰეხინგენის, ჰოენცოლერნ-ზიგმარინგენისა და ლიხტენშტაინის ათი სამოთავრო;

– ფრანკფურტის, ლიუბეკის, ბრემენისა და ჰამბურგის ოთხი თავისუფალი ქალაქი.

მთავრებს, რომელთაც 1806 წელს მედიაციის აქტით მიწები გადაეცათ, კონფედერაციამ აღნიშნული დომენები დაუბრუნა და პრივილეგიები და პოლიტიკური უფლებები შეუხარჩუნა.

გერმანიის კონფედერაციის საბოლოო მიზანს უსაფრთხოების, დამოუკიდებლობისა და მის შემადგენლობაში მყოფი სხვადასხვა სახელმწიფოთა ერთიანობის შენარჩუნება ნარმოადგენდა.

ამ მიზნისთვის კონფედერაციის დიეტის რეზიდენციად ფრანკფურტი იქნა არჩეული, რომლის თავმჯდომარე ავსტრიის იმპერატორი, ვიცე-თავმჯდომარე კი პრუსიის მეფე იყო. დიეტი, რომლის პირველი შეკრება 1816 წლის 5 ნოემბერს გაიმართა, მთავრების ან ნევრ-სახელმწიფოთა წარმომადგენლებისგან იყო შემდგარი, ყოველგვარი საარჩევნო წარმომადგენლობის გარეშე. მის ერთადერთ მიზანს ფედერალური საქმეების მართვა წარმოადგენდა: სარჩელების განხილვა ნევრებს შორის, კონფედერაციის საგარეო პოლიტიკა, ფედერალური ჯარების სამხედრო მოწყობა. საკონსტიტუციო საქმეები ან ომისა თუ მშვიდობის მილების გადაწყვეტილება 70 ხმისგან შემდგარ პლენარულ შეკრებებზე განიხილებოდა. მიმდინარე საქმეები მცირე (ან ჩვეულებრივი) შემადგენლობის შეკრებებზე განიხილებოდა, სადაც ხმათა რაოდენობა 17-მდე იყო შემცირებული. ორივე შეკრების შემადგენლობა მოგვიანებით უფრო დეტალურად იქნება განხილული.

გერმანიის კონფედერაციას მზადყოფნაში 500 000 კაცისგან შემდგარი ფედერალური არმია ჰყავდა, რომელიც თავდაცვით ხასიათს ატარებდა და თავიდანვე თავის განკარგულებაში სამი ციხე-სიმაგრე (მაინცი, ლანდაუ, ლუქსემბურგი) ჰქონდა, რომელიც შემდგომში ხუთამდე გაიზარდა და რამშტადტისა და ულმის ციხე-სიმაგრეთა მიმატებით. არმია ათი კორპუსისგან შედგებოდა, რომელიც შემდეგნაირად იყო დაყოფილი: I, II, III (ავსტრია), IV, V, VI (პრუსია), VII (ბავარია), VIII (ვიურტემბერგი, ბადენი, ჰესენ-დარმშტადტი), IX (ჰანოვერი, ბრაუნშვაიგი, ჰოლშტაინი, ორი მეკლემბურგი, ოლდენბურგი, სამი ჰანზის ქალაქი).

დარჩენილი პატარა სახელმწიფოები სარეზერვო ძალას წარმოადგენდნენ.

1816 წლის მარტში ნასაუ-უზინგენის უკანასკნელი ჰერცოგის უშთამომავლოდ გარდაცვალებას საბოლოოდ, ორი საჰერცოგოს გაერთიანება მოჰყვა ერთ ნასაუს საჰერცოგოში, ნასაუ-ვაიბურგის ჰერცოგის სიუზერენიტეტის ქვეშ.

აღნიშნული ცვლილებების შემდეგ, ფრანკფურტის დიეტში ასამბლეათა ხმების შემადგენლობა ამგვარად იყო განაწილებული:

პლენარული ასამბლეა (70 ხმა):

– 6 ტერიტორია ოთხი ხმით: ავსტრია, პრუსია, ბავარია, საქსონიის სამეფო, ჰანოვერი, ვიურტემბერგი;

– 5 ტერიტორია სამი ხმით: ბადენი, ჰესენ-კასელი, ჰესენ-დარმშტადტი, ჰოლშტაინი, ლუქსემბურგი;

– 3 ტერიტორია ორი ხმით: ბრაუნშვაიგი, მეკლემბურგ-შვერინი, ნასაუ;

– 25 ტერიტორია ერთი ხმით: ერთი თითოეულს.

მცირე შემადგენლობის ასამბლეა (17 ხმა)

– 11 ტერიტორია ერთი საერო ხმით: ავსტრია, პრუსია, ბავარია, საქსონიის სამეფო, ჰანოვერი, ვიურტემბერგი, ბადენი, ჰესენ-კასელი, ჰესენ-დარმშტადტი, ჰოლშტაინი, ლუქსემბურგი;

– 28 ტერიტორია ერთმანეთში ექვს საეკლესიო ხმას იყოფდა, რომელიც ექვს კურიად იყო განაწილებული თითოეულისთვის ერთი ხმით:

–პირველი კურია: საქსონია-ვაიმარი, საქსონია-გოთა, საქსონია-კობურგი, საქსონია-მაინინგენი, საქსონია-ჰილდბურგჰაუზენი;

–მე-2 კურია: ბრაუნშვაიგი, ნასაუ;

–მე-3 კურია: მეკლემბურგ-შვერინი, მეკლემბურგ-შტრელიცი;

–მე-4 კურია: ოლდენბურგი, ანჰალტ-დესაუ, ანჰალტ-გეტჰენი, ანჰალტ-ბერნბურგი, შვარცბურგ-რუდოლშტადტი, შვარცბურგ-ზონდერსჰაუზენი;

–მე-5 კურია: ჰოენცოლერნ-ჰეხინგენი, ჰოენცოლერნ-ზიგმარინგენი, ლიხტენშტაინი, ლიპე-დეტმოლდი, შვარცბურგ-ლიპე, ვალდეკი, როის-გრაიცი, როისის სამი უმცროსი შტოს საერთო ხმა, ჰესენ-ჰომბურგი;

–მე-6: ფრანკფურტი, ლიუბეკი, ბრემენი, ჰამბურგი.

1818 წლის 6 აპრილის პროტოკოლით, ავსტრიამ გერმანიის კონფედერაციაში თავისი გალიციის სამეფოს აუშვიცისა და ზატორის პოლონური საჰერცოგოები შეიყვანა.

საქსონია-გოთა-ალტენბერგის სახლის მმართველობის დასასრულმა (1825 წლის თებერვალი) გზა გაუხსნა საქსონური საჰერცოგოების ტერიტორიულ ცვლილებებს. აღნიშნულს ვაკანტური საჰერცოგოს (1826 წლის ნოემბერი) საამ სხვა საჰერცოგოს შორის განაწილება მოჰყვა, რომელიც საქსონია-მაინინგენ-ჰილდბურგჰაუზენის, საქსონია-კობურგ-გოთისა და საქსონია-ალტენბურგის საჰერცოგოები გახდნენ.

გერმანიის კონფედერაცია 38 წევრამდე იქნა დაყვანილი.

1825 წელს როისის უმცროსი შტოს შიგნით ლობენშტაინის შტოს მმართველობის დასასრულს, ამ სამთავროს ებერსდორფის სამთავროსთან შერწყმა მოჰყვა, რომელიც როის-ებერსდორფ-ლობენშტაინი გახდა. ორიეე სამთავრო როის-შლაიცის სამთავროსთან ერთად ფედერალურ დიეტზე ერთი საერთო ხმით იყო წარმოდგენილი, კონფედერაციის წევრთა რაოდენობა უცვლელი დარჩა.

1825 წლის 8 ივნისის ბერლინის შეთანხმებით, ბენტინკის გრაფმა კნიპჰაუზენის სენიორ სუვერენად თავის აღიარებას მიაღწია. 1826 წლის 9 მარტის ფედერალური აქტით, კნიპჰაუზენის სენიორია გერმანიის კონფედერაციის შემადგენლობაში იქნა მიღებული. თუმცა მას საკუთარი ხმა არ ჰქონდა დიეტში და ოლდენბურგის დიდი ჰერცოგით იყო წარმოდგენილი.

1830 წლის აგვისტოს ბელგიის რევოლუციის შემდეგ, რომელიც გაერთიანებული ნიდერლანდის სამეფოს ორ, ბელგიისა და ნიდერლანდის სამეფოდ გაყოფით დასრულდა, 1831 წლის 20 ოქტომბერს ძლიერმა სახელმწიფოებმა ოცდაოთხი მუხლის ხელშეკრულებას მოანერეს ხელი, რომლის თანახმად, დადგინდა ლიმბურგისა და ლუქსემბურგის პროვინციების გაყოფა.

ლუქსემბურგის აღმოსავლეთი ნაწილი (ლუქსემბურგი) ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოდ (ნიდერლანდის მეფის სამფლობელო) და გერმანიის კონფედერაციის წევრად დარჩა.

ლუქსემბურგის დასავლეთი ნაწილი (არლონი) ლუქსემბურგის ბელგიური პროვინცია გახდა და ამგვარად, გერმანიის კონფედერაციის შემადგენლობიდან გამოვიდა.

ლიმბურგის დასავლეთი ნაწილი (ჰასელტი) ლიმბურგის ბელგიური პროვინცია გახდა.

ლიმბურგის აღმოსავლეთი ნაწილი (მაასტრიხტი) ლიმბურგის ნიდერლანდურ პროვინციად დარჩა, მაგრამ გერმანიის კონფედერაციაში შევიდა ბელგიის ლუქსემბურგის გასვლის საკომპენსაციოდ.

1847 წელს ანჰალტ-გეტჰენის შტოს მმართველობის მიწურულს, ანჰალტ-გეტჰენის საჰერცოგო ანჰალტ-დესაუს საჰერცოგოს ხელში გადავიდა. ანჰალტ-გეტჰენის საჰერცოგო ცალკე ტერიტორიალურ ერთეულად დარჩა, რის შედეგად კონფედერაციის წევრთა რაოდენობას ცვლილება არ განუცდია.

1848 წლის საფრანგეთის რევოლუციას გერმანიაში გაერთიანების მოთხოვნები მოჰყვა. 12 ივლისს გერმანიის კონფედერაციის დიეტმა თავისი უფლებამოსილება დამფუძნებელ პარლამენტს გადასცა, რომელიც 18 მაისს ფრანკფურტში შეიკრიბა და იმპერიის შექმნა გამოაცხადა. იმპერიის ვიკარიატი დროებით ერცჰერცოგ იოსებს გადაეცა.

პრუსიის მეფემ ფრიდრიხ-გუსტავ IV-მ უარი თქვა (1849 წლის 28 აპრილი) საიმპერატორო გვირგვინზე, რომელიც მას პარლამენტმა მიანიჭა (28 მარტი). ეს უკანასკნელი შტუტგარტში გადავიდა, სადაც ის ავსტრიის ჯარების მიერ იქნა დაშლილი (ივნისი). 20 დეკემბერს ერცჰერცოგმა ჰანსმა ვიკარიატზე უარი თქვა.

1849 წლის 7 დეკემბრის შეთანხმებით, ჰოჰენცოლერნ-ჰეხინგენისა და ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენის მთავრები ტახტიდან ერთდროულად გადადგნენ მათი შორეული ნათესავის, პრუსიის მეფის სასარგებლოდ. ორი გაერთიანებული სამთავრო პრუსიის სამეფოს ახალი პროვინცია გახდა.

გერმანიის კონფედერაციის წევრთა რაოდენობა 36-მდე შემცირდა.

1850 წლის სექტემბერში ავსტრიამ გერმანიის კონფედერაციის რეაქტივაციის განკარგულება გასცა. პრუსია, რომელიც ამაოდ ეცადა ფეხი მოეკიდა მცირე გაერთიანებაში (ფრანკფურტის პარლამენტი), იძულებული გახდა 28 ნოემბერს თანხმობა მიეცა ამ კონფედერაციაში შესვლაზე.

1853 წელს როისის უმცროსი შტოს ებერსდორფ-ლობენშტაინის მმართველობის მიწურულს, როის-ებერსდორფ-ლობენშტაინის სამთავრო როის-შლაიცის სამთავროსთან გაერთიანდა, როის-გერის სახელით. ამ შტოსთვის მიკუთვნებული საერთო ხმით კოხფედერაციის წევრთა რაოდენობა არ შეცვლილა.

ამის საპირისპიროდ, 1847 წლამდე განცალკევებული ანჰალტ-დესაუსა და ანჰალტ-გეტჰენის საჰერცოგოები ერთ ანჰალტ-გეტჰენის საჰერცოგოდ გაერთიანდა. ამგვარად, გერმანიის კონფედერაციის წევრთა რაოდენობა 35-მდე იქნა დაყვანილი.

1854 წლის 13 აპრილის შეთანხმებით, ოლდენბურგის დიდმა საჰერცოგომ მედიაციის აქტით, ენიჰაუზენის სენიორია მიიღო. ეს უკანასკნელი დიეტში დიდი ჰერცოგით იყო წარმოდგენილი, დიეტის შემადგენლობა არ შეცვლილა.

1863 წელს ანჰალტ-ბერნბურგის შტოს მმართველობის მიწურულს, ანჰალტ-ბერნბურგის საჰერცოგო გაქრა და ანჰალტ-დესაუს საჰერცოგოსთან გაერთიანდა, რომელიც ანჰალტის საჰერცოგო გახდა.

გერმანიის კონფედერაციის წევრთა რაოდენობა 34-მდე იქნა დაყვანილი.

ავსტრია-პრუსიის მიერ დანიაზე გამარჯვების შემდეგ, 1864 წლის 30 ოქტომბრის ვენის ხელშეკრულებით, დანიამ ავსტრიასა და პრუსიას შლეზვიგის, ჰოლშტაინისა და ლაუენბერგის საჰერცოგოები დაუთმო. ორი უკანასკნელი საჰერცოგო კონფედერაციის წევრად დარჩა, მაგრამ მათი ხმები შეჩერებული იქნა.

1866 წლის მარტში ჰესენ-ჰომბურგის ლანდგრაფის მემკვიდრის გარეშე გარდაცვალებას მისი ჰესენ-დარმშტადტთან პერსონალური უნიით გაერთიანება მოჰყვა. ამგვარად, დიეტის შემადგენლობა უცვლელი დარჩა.

პრუსიამ გერმანიის კონფედერაციის რეფორმა გამოაცხადა მასში ავსტრიის პირველობის საწინააღმდეგოდ, და ჰოლშტაინის ავსტრიული ადმინისტრაცია

დაადანაშაულა. 1866 წლის 14 ივნისს კონფედერაციის უმრავლესობამ ხმა მისცა ფედერალური არმიის მობილიზაციას პრუსიის წინააღმდეგ.

1866 წლის 23 აგვისტოს პრაღის ხელშეკრულებით, რომელიც ავსტრია-პრუსიის ომში ავსტრიის დამარცხებას მოჰყვა, ეს უკანასკნელი გერმანიის კონფედერაციის დაშლას დათანხმდა და პრუსიას გერმანიის რეორგანიზაციაზე მისცა თანხმობა, საიდანაც ის გაყვანილი იქნა.

24 აგვისტოს გერმანიის კონფედერაციის დიეტზე ავსტრიამ კონფედერაცია დაშლილად გამოაცხადა.

აღნიშნული თარიღით დასრულდა ავსტრიის ბატონობა, რომელმაც გერმანიაში პრუსიის ბატონობას მისცა დასაბამი.

ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაცია და გერმანიის იმპერია (II რაიხი)

ვენის კონგრესიდან (1815ნ.) მოყოლებული, გერმანია კონფედერაციის (გერმანიის) რეჟიმის ქვეშ არსებობდა, რომელიც საკმაოდ სუსტი ორგანიზმი იყო და თავის წევრებს, განსაკუთრებით კი მის ყველაზე ძლიერებს, ავტონომიური პოლიტიკის გატარების საშუალებას აძლევდა. მეტერნიხის სისტემა ავსტრიის უპირატესობას უზრუნველყოფდა მით უფრო, რომ ის არსებული სტრუქტურის გარანტის როლში გამოდიოდა, რომელიც პატარა სახელმწიფოებს აკმაყოფილებდა.

ამის საპირისპიროდ, პრუსია ამბიციური ძლიერი სახელმწიფოს როლში გამოდიოდა, რომელიც გერმანიის გაერთიანებისკენ მიისწრაფოდა, რისი ნათელი დადასტურებაც ცოლვერაინი (საბაჟო გაერთიანება გერმანიის კონფედერაციის სახელმწიფოებს შორის, რომელიც გერმანიის გაერთიანებას მოწმობდა (1834-1867ნნ.)). თუმცა პრუსიის მეფემ, ფრიდრიხ-გუსტავ IV-მ ვერ განახორციელა თავისი მცდელობა ესარგებლა 1848 წლის არეულობებით მცირე გერმანიის სათავეში ჩასადგომად (ერფურტის პარლამენტი, 1850 წლის მარტი) და ავსტრიის წინაშე ოლმუცში "უკან დაიხია" (1850 წლის ნოემბერი). დამცირებული პრუსია რევანშისთვის ემზადებოდა.

გრაფ ბისმარკის სულისუფლებაში მოსვლამ (1862 წლის სექტემბერი) და მისმა მოქნილმა პოლიტიკამ დანიური საპერცოგოების საქმესთან დაკავშირებით (1836-1866ნნ.), პრუსიას საბოლოოდ შესაძლებლობა მისცა ავსტრიის ადგილი დაეკავებინა გერმანიის კონფედერაციის სათავეში.

პრუსია და ავსტრია კონდომინიუმით ინაწილებდნენ დანიის საპერცოგოების მართვას (1864 წლის აგვისტო), გერმანიის კონფედერაციის წევრებში კი აზრი გაყოფილი იყო ამ საპერცოგოების მომავალთან დაკავშირებით. ბისმარკი ნებისმიერ შემთხვევას იყენებდა ავსტრიის გასაღიზიანებლად, როგორც ოლშტაინის მართვასთან, ისე კონფედერაციის რეფორმასთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც მან რადიკალური მოთხოვნები ნამოაყენა (1866 წლის აპრილი). ამგვარად, ბისმარკმა 1866 წლის ივნის-ივლისის კონფლიქტის პირობები შექმნა, რომელშიც მან სრული გამარჯვება მოიპოვა ავსტრიასა და მის მოკავშირეებზე.

1866 წლის 10 ივნისს პრუსიამ გერმანიის კონფედერაციიდან ავსტრიის გაყვანა გამოაცხადა. 14 ივნისს პრუსიის მიერ ოლშტაინის ავსტრიული ჯარების გაძევების საპასუხოდ, გერმანიის კონფედერაციამ კენჭი უყარა ავსტრიის წინააღმდეგ ფედერალური კონტიგენტების მობილიზაციას. პრუსიამ განაცხადა, რომ მისი აზრით, კონფედერაცია უკვე დაშლილი იყო.

საფრანგეთის შესაძლებელი ინტერვენციის თავიდან ასარიდებლად, პრუსია ივლისის თვიდანვე საფრანგეთს შემდეგ პუნქტებზე შეუთანხმდა: საფრანგეთის თანხმობის სანაცვლოდ, ავსტრიის გერმანიის ძირითადი ნაწილიდან გაძევებისა და გერმანიაში პრუსიის გაფართოებაზე, პრუსიამ ვალდებულება აიღო დაეცვა საქსონიის სამეფოს უფლებები, თავისი გავლენა შეემცირებინა მაინის ჩრდილოეთით მდებარე სახელმწიფოებზე და პლებისციტი ჩაეტარებინა შლეზვიგის მოსახლეობაში.

საფრანგეთი წინასწარვე დასთანხმდა პრუსიის მიერ ჰანოვერის, საარჩევნო ჰესენის, ნასაუსა და ფრანკფურტის ანექსიას.

1866 წლის 23 აგვისტოს პრაღის ხელშეკრულების თანახმად, პრუსიასა და ავსტრიას შორის სამხედრო მოქმედებანი დასრულდა. ამ უკანასკნელმა

– რატიფიკაცია გაუკეთა გერმანიის კონფედერაციის დაშლას;

– დათანხმდა გერმანიის რეორგანიზაციას, საიდანაც ის გაძევებული იქნა;

– პრუსიას თანხმობა მისცა მაინის ჩრდილოეთით უფრო მჭიდრო გაერთიანების ჩამოყალიბებაზე შესაბამისი ტერიტორიული ცვლილებების განხორციელების შემდეგ, საქსონიის სამეფოს გარდა;

– დათანხმდა მაინის სამხრეთით სხვა გაერთიანების ჩამოყალიბებაზე (საიდანაც ავსტრია გაძევებული იყო).

24 აგვისტოს აუგსბურგში გერმანიის კონფედერაციის უკანასკნელი სხდომა ჩატარდა, რომელზეც ავსტრიამ მონაწილეებს გერმანიის კონფედერაციის დაშლა გამოუცხადა.

პრუსიამ ჰანოვერის, საარჩევნო ჰესენის, ნასაუსა და ფრანკფურტის ანექსია განახორციელა. მან განაცხადა, რომ პრუსიის "პოლონური" და პოზნანის პროვინციები მომავალ კონფედერაციაში უნდა შესულიყო.

ჩრდილოეთ გერმანიის სახელმწიფოთა ნინასწარი გაერთიანება 18 აგვისტოს ბერლინის ხელშეკრულებით განხორციელდა. გაერთიანების საქმე ზემო ჰესენისა (3 სექტემბერი) და საქსონიის სამეფოს (21 ოქტომბერი) განევრიანებით დასრულდა.

პრუსიამ მაინის სამხრეთით მდებარე გერმანულ სახელმწიფოებთან ფარული საიდუმლო სამხედრო ალიანსების შეკვრით, ნანილობრივ გვერდი აუარა საფრანგეთის ვეტოს გერმანიის სრულ გაერთიანებასთან დაკავშირებით.

1867 წლის 9 თებერვალს პრუსიის მიერ შემუშავებული ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციის შექმნის გეგმა მის შემადგენლობაში შემავალ სახელმწიფოთა მთავრობების მიერ იქნა დამტკიცებული. კონსტიტუციის მისაღებად ბერლინში დამფუძნებელი პარლამენტი შეიკრიბა.

ძველ კონფედერაციაში შემავალ 34 ნევრიდან 1866 ნელს ახალ კონფედერაციაში მხოლოდ 22 ნევრი ითვლებოდა:

– გერმანიის ოლქის სამი ნევრის გარიცხვა: ავსტრია, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი;

– პრაღაში დადაგენილი სამი ნევრის არმონანილეობა: ბავარია, ვიურტემბერგი, ბადენი;

– ექვსი ნევრის გაქრობა: ჰანოვერი, საარჩევნო ჰესენი, ჰესენ-ჰომბურგი, ოლშტაინი, ნასაუ, ფრანკფურტი.

ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციის ნევრთა რაოდენობა 22-ს შეადგენდა, თუმცა რეალურად ის 21 სახელმწიფოსა და ერთ მესამედს მოიცავდა, რადგან ჰესენ-დარმშტადტი ახალ კონფედერაციაში მხოლოდ მაინის ჩრდილოეთით მდებარე სამი პროვინციით (ზემო ჰესენი) იყო შესული. კონფედერაცია შემდეგ ნევრებს აერთიანებდა:

– ორი სამეფო: პრუსია და საქსონია;

– ხუთი დიდი საჰერცოგო: ჰესენ-დარმშტადტი, მეკლემბურგ-შვერინი, მეკლემბურგ-შტრელიცი, ოლდენბურგი, საქსონია-ვაიმარი-აიზენახი;

– ხუთი საჰერცოგო: ანჰალტი, ბრაუნშვაიგი, საქსონია-კობურგ-გოთა, საქსონია-მაინინგენი, საქსონია-ალტენბურგი;

– შვიდი სამთავრო: ლიპე-დეტმოლდი, შაუმბურგ-ლიპე, ვალდეკი, შვარცბურგ-ზონდერსჰაუზენი, შვარცბურგ-რუდოლშტადტი, როის-გრაიცი, როის-შლაიცი;

– სამი თავისუფალი ქალაქი: ლიუბეკი, ბრემენი და ჰამბურგი.

ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციის ტერიტორიის ფართობი 425 000კმ²-ს შეადგენდა და მასში 30 მილიონი კაცი ცხოვრობდა, საიდანაც 24 მილიონი კაცი მხოლოდ პრუსიაში, 2 მილიონი საქსონიის სამეფოში, 3 მილიონი კი დანარჩენ სახელმწიფოებში. ახალი კონფედერაციის დედაქალაქად ბერლინის არჩევა გერმანიის სიმძიმის ცენტრის პრუსიისკენ გადაადგილებაზე მიანიშნებდა.

რაც შეეხება შიდა მექანიზმებს, ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაცია მისი წინამორბედისგან განსხვავდებოდა იმით, რომ მასში გერმანიის ფედერალიზაციისკენ მიმართული საერთო ინსტიტუტები გაჩნდა: ფედერაციის კანცლერი, რომელიც პრეზიდენტის აქტებს ხელმონერით ადასტურებდა, საერთო ეროვნება,

საერთო წარმომადგენლობები უცხოეთში, ფედერაციული კანონმდებლობა, საერთო საზღვაო და სახმელეთო ჯარი.

ამას გარდა, ტრადიციული ფედერაციული საბჭოს (ბუნდესრატი) გვერდით, რომელიც სიუზერენებით იყო წარმოდგენილი, არსებობდა სახელმწიფოებზე მაღლა მდგომი საყოველთაო არჩევნებით არჩეული პარლამენტი (რაიხსტაგი), რომელშიც პრუსია, თავისი დემოგრაფიული მნიშვნელობის გამო, კონტროლის მექანიზმით იყო უზრუნველყოფილი.

რაც შეეხება ფედერაციის საბჭოს, მისი შემადგენლობა ძველი კონფედერაციის ფრანკფურტის დიეტისგან იყო გადმოღებული: თითოეულ სახელმწიფოს შენარჩუნებული ჰქონდა მასში არსებული ხმა, შემდეგი ორი გამონაკლისის გარდა:

–პრუსიის ხმათა რაოდენობა ოთხიდან ჩვიდმეტამდე გაიზარდა თავისი ძველი ხმებისთვის ჰანოვერის ოთხი, ოლშტაინის სამი, საარჩევნო ჰესენის სამი, ნასაუს ორი და ფრანკფურტის ერთი ხმის დამატებით;

– ჰესენ-დარმშტადტი სამიდან ერთ ხმამდე იქნა დაყვანილი, რადგან ის კონფედერაციაში მხოლოდ თავისი სამი პროვინციით იყო შესული;

ფედერაციის საბჭოს შემადგენლობა (43 ხმა) შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

– ერთი სახელმწიფო ჩვიდმეტი ხმით (პრუსია);

– ერთი სახელმწიფო ოთხი ხმით (საქსონია);

– ორი სახელმწიფო ორი ხმით (ბრაუნშვაიგი, მეკლემბურგ-შვერინი);

– თვრამეტი სახელმწიფო ერთი ხმით (დანარჩენი სახელმწიფოები).

პრაღის ხელშეკრულების დამატებითი პირობებით, მაინის სამხრეთით მდებარე ქვეყნებს აგრეთვე შესთავაზეს სამხრეთ გერმანიის კონფედერაციის შექმნა, მაგრამ აღნიშნული არასოდეს განხორციელებულა სხვა გერმანულ სახელმწიფოთა მხრიდან ბავარიისადმი უნდობლობის გამო.

1867 წლის ივლისში მაინის საზღვარი გადალახულ იქნა წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, საბაჟო ფედერაციული საბჭოსა და პარლამენტის შექმნით, რომლის შემადგენლობაში კონფედერაცია და მაინის სამხრეთით მდებარე გერმანული სახელმწიფოები შევიდნენ.

1870 წლის ივლისში მაინის სამხრეთით მდებარე სამმა სახელმწიფომ კონფედერაცია მათთან საიდუმლო სამხედრო ალიანსის შეკვრის ღირსად ჩათვალა და საფრანგეთის წინააღმდეგ ძლევამოსილ ომში მიიღო მონაწილეობა.

1870 წლის 15-დან 25 ნოემბრამდე პრუსიასთან ვერსალსა და ბერლინში ხელმოწერილი ხელშეკრულებებით, ბავარიისა და ვიურტემბერგის სამეფოები, ბადენისა და ჰესენ-დარმშტადტის დიდი საჰერცოგოები თავისი მთელი ტერიტორიით ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციაში განეერიანდნენ.

ბავარიის მეფემ ლუდვიგ II-მ დიდი თავშეკავება გამოიჩინა თავისი სიუზერენიტეტის ნაწილზე უარის თქმასთან დაკავშირებით. ლუდვიგ II ბისმარკმა იზოლაციაში მოაქცია მისი მტრული პოზიციის გამო და ფორმალური სახის გარკვეული პრივილეგიები უწყალობა:

– ვიტელსბახის სამემკვიდრეოდ გადაცემა (შემდეგ საიმპერიო ტახტის) ჰოეჰნცოლერთა მმართველობის დასასრულის (მემკვიდრის გარეშე დარჩენა) შემთხვევაში;

– ბავარიისთვის საკუთარი ფოსტისა და რკინიგზის შენარჩუნება;

– უცხოეთში განსაკუთრებული წარმომადგენლობა და მიუნხენში უცხოელ მინისტრთა აკრედიტაცია;

– ფედერაციის საბჭოში დამატებითი ხმა (ექვსი ოთხის ნაცვლად) ბავარიისთვის მეორე რანგის მინიჭებისთვის;

– ბავარიული არმიის ავტონომია (საკუთარი ნუმერაცია) ფედერაციის არმიაში.

აღნიშნული დროიდან კონფედერაციის წევრთა რაოდენობამ 25-ს მიაღწია.

ფედერაციული საბჭოს ხმათა რაოდენობა 43-დან 58-მდე გაიზარდა შემდეგი ხმების დამატებით:

– ბავარიის ექვსი ხმა (ფრანკფურტში ოთხი ხმის ნაცვლად);

– ვიურტემბერგის ოთხი ხმა;

– ბადენის დიდი საჰერცოგოს სამი ხმა;

– ჰესენ-დარმშტადტის ოთხი დამატებითი ხმა, რომელმაც ფრანკფურტის დიეტს თავისი სამი ხმა დაუბრუნა, მისი ორი სამხრეთი პროვინციის კონფედერაციაში ჩართვის შედეგად.

რაც შეეხება კონფედერაციის პარლამენტს (რაიხსტაგი), თავისი მიკუთვნების პრინციპით –ერთი დეპუტატი 100 000 კაცზე, ის აშკარად პრუსიის უპირატესობას გამოხატავდა. 382 ადგილიდან პრუსიას 236, ბავარიას 48, საქსონიის სამეფოს 23, ვიურტემბერგის სამეფოს 17, ბადენს 14, ჰესენ-დარმშტადტს 9, მეკლემბურგ-შვერინის დიდ საჰერცოგოს 6, საქსონია-ვაიმარს 3, ოლდენბურგის დიდ საჰერცოგოს 3, ბრაუნშვაიგის საჰერცოგოს 3, ჰამბურგს 3, საქსონია-მინინგენის საჰერცოგოს 2, საქსონია-კობურგის საჰერცოგოს 2, ანჰალტის საჰერცოგოს 2, და დარჩენილ სახელმწიფოებს თითო-თითო ხმა.

1870 წლის 10 დეკემბერს კონფედერაციის პარლამენტმა გერმანიის იმპერიის (Deutsches Reich) დაფუძნებას მისცა ხმა.

1871 წლის 18 იანვარს ვერსალში, პრუსიის მეფე ვილჰელმ I გერმანიის იმპერატორად (Deutsches Kaiser) იქნა გამოცხადებული გერმანიის სიუზერენ მთავართა კრების მიერ.

გერმანიის ახალი იმპერია, II რაიხი მხოლოდ ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციის გაგრძელებას წარმოადგენდა, რომლის ყველა ინსტიტუტი შენარჩუნებული იყო და მხოლოდ სახელწოდება იქნა შეცვლილი.

1871 წლის 10 მაისის ფრანკფურტის ხელშეკრულებით, დამტკიცდა საფრანგეთის მიერ გერმანიისთვის ალზასისა (ბელფორის გარდა) და ლოთარინგიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის გადაცემა.

გადმოცემულ ტერიტორიას ალზას-ლოთარინგია ეწოდა და ის არცერთ გერმანული სახელმწიფოსთვის არ მიუკუთვნებიათ, რადგან იმპერიის პირდაპირი მმართველობის ქვეშ მყოფი იმპერიის საერთო მიწა (Reichsland) გახდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ალზას-ლოთარინგია არ იყო წარმოდგენილი ფედერაციის საბჭოში. 1874 წლიდან დაშვებული იქნა ამ ტერიტორიიდან 15 დეპუტატის გაგზავნა ბერლინის პარლამენტში.

1871 წელს გერმანიის იმპერიის ტერიტორიის ფართობი 540 000კმ² -ს შეადგენდა, სადაც 41 მილიონი კაცი ცხოვრობდა. მან 1918 წლის ნოემბრამდე იარსება.

ძირითადი დიპლომატიური აქტების ქრონოლოგია ტერიტორიული შედეგებით 1789 წლიდან დღემდე

ხელშეკრულებების პირობებისა და შედეგებისთვის იხილეთ ამ ხელშეკ-რულებებთან დაკავშირებული ქვეყნები

პოლონეთის განაწილებები და თურქეთის ომი

1791 წლის 4 აგვისტო — **სისტოვას ხელშეკრულება** ავსტრია-თურქეთი
1791 წლის დეკემბერი — **იასის ხელშეკრულება** რუსეთი-თურქეთი
1793 წლის 23 იანვარი — **პრუსია-რუსეთის შეთანხმება** — პოლონეთის მე-2 განაწილება
1795 წლის 24 ოქტომბერი — **სანკტ-პეტერბურგის ხელშეკრულება** პრუსია-ავსტრია-რუსეთი – მე-3 განაწილება

პირველი კოალიციის ომი (1792წ.)

1795 წლის 5 აპრილი — **ბაზელის ხელშეკრულება** საფრანგეთი-პრუსია
1795 წლის 16 მაისი — **ჰააგის ხელშეკრულება** საფრანგეთი-ბატავიის რესპუბლიკა
1796 წლის 15 მაისი — **პარიზის ხელშეკრულება** საფრანგეთი-სარდინია
1796 წლის 7 აგვისტო — **პარიზის ხელშეკრულება** საფრანგეთი-ვიურტემბერგი
1796 წლის 22 აგვისტო — **პარიზის ხელშეკრულება** საფრანგეთი-ბადენი
1797 წლის 19 თებერვალი — **ტოლენტოს ხელშეკრულება** საფრანგეთი – პაპის ტახტი
1797 წლის 18 ოქტომბერი — **კამპო-ფორმიოს ხელშეკრულება** საფრანგეთი - **ავსტრია**

მეორე კოალიციის ომი (1799წ.)

1801 წლის 9 თებერვალი — **ლიუნევილის ხელშეკრულება** საფრანგეთი-ავსტრია
1801 წლის 21 მარტი — **არანხუესის ხელშეკრულება** საფრანგეთი-ესპანეთი
1801 წლის 28 მარტი — **ფლორენციის ხელშეკრულება** საფრანგეთი-ორიენ-სიცილიის სამეფო
1801 წლის 6 ივნისი — **ბადახოსის ხელშეკრულება** ესპანეთი-პორტუგალია
1801 წლის 24 აგვისტო — **პარიზის ხელშეკრულება** საფრანგეთი-ბავარია
1802 წლის 25 მარტი — **ამიენის ხელშეკრულება** საფრანგეთი-დიდ ბრიტანეთი
1802 წლის 20 მაისი — **პარიზის ხელშეკრულება** საფრანგეთი-ვიურტემბერგი
1802 წლის 23 მაისი – **პარიზის ხელშეკრულება** საფრანგეთი-პრუსია
1803 წლის 25 თებერვალი — **ძირითადი საიმპერიო დადგენილება**

მესამე კოალიციის ომი (1805წ.)

1805 წლის 15 დეკემბერი — **შენბრუნის ხელშეკრულება** საფრანგეთი-პრუსია
1805 წლის 16 დეკემბერი **შენბრუნის საიდუმლო შეთანხმება** საფრანგეთი-ბავარია

1805 წლის 26 დეკემბერი — პრესბურგის ხელშეკრულება საფრანგეთი-ავსტრია
1806 წლის 12 ივლისი — რაინის კონფედერაციის სახელმწიფოთა ხელშეკრულება პარიზში, საფრანგეთი-თექვსმეტი გერმანული სახელმწიფო – რაინის კონფედერაციის შექმნა

მეოთხე კოალიციის შექმნა (1806წ.)

1806 წლის 4 ნოემბერი — საიმპერატორო დეკრეტი ჰესენ-კასელის გაქრობა
1807 წლის 7 ივლისი — ტილზიტის ხელშეკრულება საფრანგეთი-რუსეთი
1807 წლის 9 ივლისი — ტილზიტის ხელშეკრულება საფრანგეთი-პრუსია
1807 წლის 22 ივლისი — დრეზდენის ხელშეკრულება საფრანგეთი-საქსონია
1807 წლის 18 აგვისტო — ტიულრის დეკრეტი – ვესტფალიის სამეფოს შექმნა
1807 წლის 11 ნოემბერი — ფონტენბლოს ხელშეკრულება საფრანგეთი-ჰოლანდია
1808 წლის 21 იანვარი — პარიზის ხელშეკრულება საფრანგეთი-ბერგი

საფრანგეთის ექსპანსია იტალიაში

1808 წლის 2 აპრილი — სენ-კლუს დეკრეტი პაპის მარკეს ანექსია იტალიის მიერ
1808 წლის 24 მაისი — სენატუს-კონსულტი – ეტრურიის (ტოსკანა) ანექსია საფრანგეთის მიერ
1809 წლის 17 მაისი — შენბრუნის დეკრეტი – საფრანგეთის მიერ რომისა და უმბრიის ანექსია

მე-5 კოალიციის ომი (1809წ.)

1809 წლის 24 აპრილი — რატისბონის დეკრეტი – ტევტონთა ორდენის გაუქმება
1809 წლის 17 სექტემბერი — ფრედერიკშამნის ხელშეკრულება შვედეთი-რუსეთი
1809 წლის 14 ოქტომბერი შენბრუნის ხელშეკრულება (ან ვენის) საფრანგეთი-ავსტრია
1810 წლის 14 იანვარი — პარიზის ხელშეკრულება საფრანგეთი-ვესტფალია
1810 წლის 16 თებერვალი — პარიზის ხელშეკრულება საფრანგეთი-მაინცის არქიეპისკოპოსი
1810 წლის 28 თებერვალი — პარიზის ხელშეკრულება საფრანგეთი-ბავარია
1810 წლის 16 მარტი — პარიზის ხელშეკრულება საფრანგეთი-ჰოლანდია
1810 წლის 19 მარტი — ლემბერგის ხელშეკრულება ავსტრია-რუსეთი

საფრანგეთის ექსპანსია ევროპაში

1810 წლის 9 ივლისი — რამბუიეს დეკრეტი - ჰოლანდიის ანექსია
1810 წლის 12 ნოემბერი - ფონტენბლოს დეკრეტი - ვალეს ანექსია
1810 წლის 13 დეკემბერი — სენატუს-კოსულტი — არენბერგის, ზალმის, ოლდენბურგის, ჰანზის ქალაქების და ბერგისა და ვესტფალიის ნანილების ანექსია
1812 წლის 26 იანვარი — საიმპერატორო დეკრეტი – კატალონიის საფრანგეთთან ადმინისტრაციული მიერთება
1812 წლის 28 მაისი — ბუქარესტის ხელშეკრულება რუსეთი-თურქეთი

მეექვსე კოალიციის ომი (1813წ.)

1813 წლის 2 დეკემბერი — ფრანკფურტის ხელშეკრულება ჰესენ-კასელი - ძლიერი სახელმწიფოები
1814 წლის 14 იანვარი -- კილის ხელშეკრულება შვედეთი-დანია
1814 წლის 30 მაისი -- პარიზის ხელშეკრულება საფრანგეთი-გამარჯვებული სახელმწიფოები

1814 წლის 3 ივნისი — **პარიზის ხელშეკრულება** ავსტრია-ბავარია
1815 წლის 3 მაისი — **ვენის ხელშეკრულება** ავსტრია-რუსეთი
1815 წლის 18 მაისი — **პრესპურგის ხელშეკრულება** პრუსია-საქსონია
1815 წლის 31 მაისი — **ვენის ხელშეკრულება** ნიდერლანდი-ძლიერი სახელმწიფოები
1815 წლის 8 ივნისი — **ვენის ფედერალური აქტი** – გერმანიის კონფედერაციის შექმნა
1815 წლის 9 ივნისი — **ვენის კონგრესის ფინალური აქტი**
1815 წლის 23 სექტემბერი — **პარიზის ხელშეკრულება** პრუსია-ჰანოვერი
1815 წლის 23 სექტემბერი — **პარიზის შეთანხმება** პრუსია-დანია
1815 წლის 5 ნოემბერი — **პარიზის ხელშეკრულება** ძლიერ სახელმწიფოთა-შორისი- იონიის კუნძულები
1815 წლის 19 ნოემბერი - **პარიზის ხელშეკრულება** საფრანგეთი-სარდინია
1815 წლის 20 ნოემბერი — **პარიზის ხელშეკრულება** საფრანგეთი-გამარჯვებული სახელმწიფოები
1816 წლის 14 აპრილი — **მიუნჰენის ხელშეკრულება** ავსტრია-ბავარია
1816 წლის 30 ივნისი — **ფრანკფურტის ხელშეკრულება** პრუსია-ჰესენი-დარმშტადტი
1817 წლის 9 აპრილი — **ფრანკფურტის შეთანხმება** პრუსია-ოლდენბურგი
1819 წლის 20 იელისი — **ფრანკფურტის გენერალური დადგენილება**

წმინდა ალიანსის პერიოდი

1826 წლის 15 ნოემბერი - **ჰილდბურგჰაუზენის განაწილების აქტი** საქსონიის საჰერცოგოებზე
1829 წლის 14 სექტემბერი — **ანდრიანოპოლის ხელშეკრულება** რუსეთი-თურქეთი
1830 წლის 3 თებერვალი — **ლონდონის ხელშეკრულება** – საბერძნეთის შექმნა
1831 წლის 20 იანვარი — **ლონდონის პროტოკოლი** – ბელგიის შექმნა
1831 წლის 20 ოქტომბრის – **ოცდაოთხი მუხლის ხელშეკრულება** – ბელგია-ნიდერლანდის განაწილება
1849 წლის 7 დეკემბერი — **შეთანხმება** პრუსია-ჰოჰენცოლერნი
1856 წლის 30 მარტი — **პარიზის ხელშეკრულება** რუსეთი-გამარჯვებული სახელმწიფოები
1857 წლის 26 მაისი – პარიზის ხელშეკრულება პრუსია-შვეიცარია
1858 წლის 7 აგვისტო — **პარიზის შეთანხმება** – მოლდოვასა და ვლახეთის გაერთიანება

იტალიისა და გერმანიის გაერთიანებების პერიოდი

1859 წლის 10 ნოემბერი – **ციურიხის ხელშეკრულება** ავსტრია-საფრანგეთი და საფრანგეთი-სარდინია
1860 წლის 24 მარტი – **ტურინის ხელშეკრულება** საფრანგეთი-სარდინია
1863 წლის 14 ნოემბერი - **ლონდონის შეთანხმება** – იონიის კუნძულები
1864 წლის 30 ოქტომბერი – **ვენის ხელშეკრულება** – დანია-პრუსია- ავსტრია
1866 წლის 18 აგვისტო – **ბერლინის ხელშეკრულება** – ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციის შექმნა
1866 წლის 23 აგვისტო – **პრაღის შეთანხმება** – პრუსია-ავსტრია
1866 წლის 24 აგვისტო – **ვენეციის შეთანხმება** – საფრანგეთი-იტალია
1866 წლის 19 ოქტომბერი – ვენეციის ოქმი საფრანგეთი-იტალია
1867 წლის 18 ივნისი – **ვენის კომპრომისი** – ავსტრია-უნგრეთი
1871 წლის 18 იანვარი – **ვერსალის პროკლამაცია** – გერმანიის იმპერიის შექმნა
1871 წლის 20 მაისი – **ფრანკფურტის ხელშეკრულება** – საფრანგეთი-გერმანია

ბალკანეთის ომების პერიოდი

1878 წლის 3 მარტი — სან-სტეფანოს ხელშეკრულება რუსეთი-თურქეთი
1878 წლის 4 ივნისი — ხელშეკრულება დიდი ბრიტანეთი-თურქეთი
1878 წლის 13 ივლისი — ბერლინის ხელშეკრულება ძლიერ სახელმწიფოთაშორისი
1905 წლის 31 აგვისტო — კარლშტადტის ხელშეკრულება შვედეთი–ნორვეგია– ნორვეგიის დამოუკიდებლობა
1908 წლის 5 ოქტომბერი - ტირნოვოს პროკლამაცია — ბულგარეთის გაერთიანება და დამოუკიდებლობა
1908 წლის 6 ოქტომბერი — ვენის საიმპერიო დეკრეტი ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსია
1912 წლის 18 ოქტომბერი — ლოზანის ხელშეკრულება იტალია–თურქეთი
1913 წლის 30 მაისი — ლონდონის ხელშეკრულება თურქეთი-სხვა ძლიერი სახელმწიფოები
1913 წლის 10 აგვისტო — ბუქარესტის ხელშეკრულება ბულგარეთი-გამარჯვებული ქვეყნები
1913 წლის 29 სექტემბერი — სტამბოლის ხელშეკრულება თურქეთი-გამარჯვებული ქვეყნები
1913 წლის 17 დეკემბერი — ფლორენციის პროტოკოლი - ალბანეთის შექმნა

პირველი მსოფლიო ომი

1915 წლის 6 სექტემბერი — სოფიის შეთანხმება ბულგარეთი-თურქეთი
1918 წლის 3 მარტი — ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება გერმანია-რუსეთი
1918 წლის 7 მაისი — ბუქარესტის ხელშეკრულება რუმინეთი-გამარჯვებული ქვეყნები
1919 წლის 28 ივნისი — ვერსალის ხელშეკრულება გერმანია-გამარჯვებული ქვეყნები
1919 წლის 10 სექტემბერი — სენ-ჟერმენის ხელშეკრულება ავსტრია-გამარჯვებული ქვეყნები
1919 წლის 27 ნოემბერი — ნეილის ხელშეკრულება ბულგარეთი-გამარჯვებული ქვეყნები
1920 წლის 2 თებერვალი — ტარტუს ხელშეკრულება რუსეთი-ესტონეთი
1920 წლის 4 ივნისი — ტრიანონის ხელშეკრულება უნგრეთი-გამარჯვებული ქვეყნები
1920 წლის 12 ივლისი — მოსკოვის ხელშეკრულება რუსეთი-ლიტვა
1920 წლის 10 აგვისტო — სევრის ხელშეკრულება თურქეთი-გამარჯვებული ქვეყნები
1920 წლის 11 აგვისტო — რიგის ხელშეკრულება რუსეთი-ლატვია
1920 წლის 7 ოქტომბერი სუვალკის შეთანხმება - პოლონეთი-ლიტვა
1920 წლის 14 ოქტომბერი — ტარტუს ხელშეკრულება რუსეთი-ფინეთი
1920 წლის 20 ნოემბერი — რაპალოს ხელშეკრულება — იტალია-იუგოსლავია
1921 წლის 18 მარტი — რიგის ხელშეკრულება პოლონეთი-რუსეთი
1921 წლის 6 დეკემბერი — ლონდონის ხელშეკრულება დიდი ბრიტანეთი-ირლანდია
1922 წლის 30 დეკემბერი — საკავშირო ხელშეკრულება - სსრკ-ს შექმნა
1923 წლის 24 ივლისი — ლოზანის ხელშეკრულება თურქეთი-გამარჯვებული ქვეყნები
1924 წლის 27 იანვარი რომის ხელშეკრულება იტალია-იუგოსლავია
1929 წლის 12 თებერვალი — ლატრანის შეთანხმებები იტალია-პაპის ტახტი - ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანის შექმნა

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი

1938 წლის 13 მარტი — პროკლამაცია - ავსტრიის ანექსია

1938 წლის 1 ოქტომბერი — **მიუნხენის ხელშეკრულება** სახელმწიფოთაშორისი-ჩეხოსლოვაკია
1938 წლის 2 ნოემბერი — **ბელვედერის არბიტრაჟი** უნგრეთი-ჩეხოსლოვაკია

მეორე მსოფლიო ომი

1939 წლის 12 ოქტომბერი — გერმანია-რუსეთის **შეთანხმებები** – პოლონეთის განანილება
1940 წლის 12 მარტი — **მოსკოვის ხელშეკრულება** სსრკ-ფინეთი
1940 წლის 30 აგვისტო — **ბელვედერის არბიტრაჟი** უნგრეთი-რუმინეთი
1940 წლის 7 სექტემბერი — **კრაიოვას ხელშეკრულება** ბულგარეთი-რუმინეთი
1941 წლის 22 აპრილი – **დეკრეტი** — იუგოსლავიის განაწილება
1945 წლის 29 ივნისი — **ხელშეკრულება** რუსეთი-ჩეხოსლოვაკია
1945 წლის 16 აგვისტო — **მოსკოვის შეთანხმებები** პოლონეთი -სსრკ
1947 წლის 10 თებერვალი — **პარიზის ხელშეკრულება** იტალია-გამარჯვებული სახელმწიფოები
1947 წლის 10 თებერვალი — **პარიზის ხელშეკრულება** უნგრეთი-გამარჯვებული სახელმწიფოები
1947 წლის 10 თებერვალი — **პარიზის ხელშეკრულება** რუმინეთი-გამარჯვებული სახელმწიფოები
1947 წლის 10 თებერვალი — **პარიზის ხელშეკრულება** — ბულგარეთი-გამარჯვებული სახელმწიფოები
1947 წლის 10 თებერვალი — **პარიზის ხელშეკრულება** ფინეთი-გამარჯვებული სახელმწიფოები
1949 წლის 17 აგვისტო — **ხელშეკრულება** პოლონეთი-სსრკ
1954 წლის 5 ოქტომბერი — **ლონდონის მემორანდუმი** – ტრიესტის ტერიტორიის განანილება

თანამედროვე პერიოდი

1959 წლის თებერვალი — **ციურიხის შეთანხმებები** დიდი ბრიტანეთი-საბერძნეთი-თურქეთი-კვიპროსი
1991 წლის 8 დეკემბერი — **მინსკის ხელშეკრულება** სსრკ-ს დსთ-ით შეცვლა
1995 წლის 14 დეკემბერი — **პარიზის ხელშეკრულება** – ბოსნია-ჰერცოგოვინა

მონარქია თუ რესპუბლიკა?

ანტიკური ხანიდან მოყოლებული თუკი არისტოტელეს ნაშრომს "პოლიტიკას" მოვიშველიებთ, ადამიანები ყოველთვის კამათობდნენ ქალაქის მმართველობის სხვადასხვა ფორმებზე. მიუხედავად მონარქიული მმართველობის ხანგრძლივი დომინირებისა (ეგვიპტე, მესოპოტამია, აღმოსავლეთის ქვეყნები, საბერძნეთი და ძველი იტალია, გალია და სხვ.), სწორედ ანტიკურ ეპოქაში პირველად გაბრწყინდა რესპუბლიკური მმართველობის ფორმა, თავდაპირველად საბერძნეთის კლასიკურ ქალაქებში (პირველ რიგში ათენი და სპარტა), შემდგომში კართაგენის ქალაქებსა, და განსაკუთრებით რომში.

რომის გასოცარი აღმავლობა, რომელიც ხმელთაშუა ზღვის მთელ სამყაროზე დომინირებდა, შიდა უთანხმოებების მიზეზი გახდა, რომელმაც რესპუბლიკის ნგრევა დააჩქარა და ერთი ადამიანის, იმპერატორ ავგუსტუსის პრინციპატით შეიცვალა, რომელმაც მონარქიული მმართველობის ფორმა დაანესა.

დასავლეთ რომის იმპერიის დაცემამ ევროპაში ასპარეზი ბარბაროსთა ტომებს დაუთმო, რომელთაც ის დაიპყრეს. ამ ტომებში პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლება სამხედრო მეთაურების ხელში იყო, იმპერიული პრინციპი კი მხოლოდ კონსტანტინოპოლში აგრძელებდა არსებობას, ხმელთაშუა ზღვის სამყაროს აღმოსავლეთ ნაწილში. ამგვარად, გვიანი შუა საუკუნეების ევროპა მრავალ ტერიტორიულ ერთეულად დაიშალა, რომელიც მონარქიული მმართველობის წესით იმართებოდა, რესპუბლიკური მმართველობის ფორმა კი გაქრა.

კარლოს დიდის მიერ დასავლეთში საიმპერიო ძალაუფლების აღდგენის შემდეგ, ძალაუფლება კვლავ გადანაწილდა სხვადასხვა მეფეებსა, ჰერცოგებსა, გრაფებსა და სხვათა შორის. ფეოდალური სისტემის დამკვიდრებამ ბევრ ქვეყანაში ხელი შეუწყო ამ ცვლილებებს. ოტონ დიდმა საიმპერიო ძალაუფლება კიდევ ერთხელ აღადგინა, მაგრამ იგი მხოლოდ გერმანიით, ბურგუნდიითა და იტალიით (ჩრდილოეთში) შემოიფარგლა, სადაც მას ფეოდალთა ამბიციებთან მოუხდა შეჯახება.

აღნიშნულ დროს ქალაქები აღმავლობას განიცდიდნენ სავაჭრო ქალაქების განვითარებით ფლანდრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში, განსაკუთრებით კი იტალიაში. მდიდარი ქალაქები თავის სასარგებლოდ იყენებდნენ პოლიტიკურ ცვლილებებს მთავრებისგან დამოუკიდებლობის მისაღებად და რესპუბლიკურ მმართველობას ირჩევდნენ, აღადგენდნენ რა მმართველობის იმ ფორმას, რომელიც სამუდამოდ გაუქმებულად იყო მიჩნეული.

შუა საუკუნეების ბოლო ნახევარში გაჩნდა დიდი სახელმწიფოები, რომელთა სუვერენებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება, რომელიც იქამდე ფეოდალი სენიორების ხელში იყო. სხვადასხვა ქვეყნებში (საფრანგეთი, ინგლისი, ფლანდრია და სხვ.) სამეფო თუ საჰერცოგო ხელისუფლება თავისი ძალაუფლებისადმი ქალაქების დამორჩილებას ახერხებდა, მაშინ როდესაც იტალიის ქალაქებში ფრაქციებს შორის ბრძოლები ხშირად ანტიკური რომის მსგავსად, ერთი ადამიანის მიერ რესპუბლიკური ხელისუფლების დამხობით სრულდებოდა, რომლის ხელშიც ქალაქის ხელისუფლება გადადიოდა.

1789 წელს ევროპაში ძირითადად მონარქიული მმართველობის ფორმა არსებობდა: უმეტეს შემთხვევაში, მემკვიდრეობითი მონარქია საერო მთავრებისთვის; მუდმივი მონარქია საეკლესიო სახელმწიფოთა გარკვეული რაოდენობისთვის (არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, აბატები), რომელიც "საღვთო რომის იმპერიაში" (გერმანელი ერის) შედიოდა; არჩევითი მონარქია გერმანიის იმპერატორისთვის ("საღვთო რომის იმპერია" (გერმანელი ერის)), პაპისთვის (პაპის ოლქი) და პოლონეთის მეფისთვის.

ევროპაში ასევე რესპუბლიკების გარკვეული რაოდენობა არსებობდა, ზოგიერთი მათგანი ძველი იყო, ზოგიც კი ახალი. ამ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა მცირე საქალაქო პოლიტიკურ ერთეულებს ("საღვთო რომის იმპერიის" 51 ქალაქი,

მიულუზი, ბიენი, ჟენევა, ვალე, სანკტ-გალენი, გდანსკი, ლუკა, რაგუზა), იშვიათად სოფლის (სან-მარინო, პელეშაცი, სული (სულიოტები)). თავისი ძლიერებითა და ფართობით აღნიშნული ერთეულებისგან გამოყოფილად არსებობდნენ შეერთებული პროვინციები, XIII კანტონის კონფედერაცია, გრაუბიუნდენი, ვენეცია და გენუა.

რესპუბლიკებისთვის საერთო დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ისინი არისტოკრატთა მიერ იმართებოდნენ, რომელთაც დიდი ხნის მანძილზე ძალაუფლება ეპყრათ ხელთ მოქალაქეთა საზიანოდ. აღნიშნულიდან გამონაკლისს მხოლოდ შვეიცარია და შეერთებული პროვინციები წრმოადგენდა, რომელიც ხშირად გადმონაშთად გამოიყურებოდა, რომელიც ტრადიციის ნყალობით არსებულ მდგომარეობას ინარჩუნებდა და მეზობელი მთავრების შურს იწვევედა.

ჩრდილოეთ ამერიკის მეამბოხეთა მაგალითით, რომელთაც 1787 წელს ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა შექმნეს და მიუხედავად სამხრეთი ნიდერლანდის მოსახლეობის დამარცხებისა 1790 წელს ბელგიის გაერთიანებულ სახელმწიფოთა რესპუბლიკის შექმნასთან დაკავშირებით, რესპუბლიკურმა იდეამ 1792 ნელს რევოლუციურ საფრანგეთში ჰპოვა თავისი გამოხატულება.

პირველად ანტიკური ხანიდან მოყოლებული (XVII საუკუნეში ინგლისში კრომველის რესპუბლიკის ხანმოკლე პერიოდის გარდა) ევროპის ნამყვანმა სახელმწიფომ დიდი ხნით რესპუბლიკური მართველობის ფორმა მიიღო შიდა აშლილობისა და უცხო ქვეყანასთან ომის პირობებში. საფრანგეთმა რევოლუციური იდეები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გაავრცელა, სადაც მისი გავლენით "მოძმე რესპუბლიკები" იქმნებოდა, რომლებიც თავად "დიდი ერის" (იხ. "მოძმე რესპუბლიკები") მაგალითით იყვნენ შთაგონებულნი.

აღნიშნული ვითარება იმ დროამდე გაგრძელდა, ვიდრე ნაპოლეონმა ანტიკური პერიოდის იმპერატორ ავგუსტუსის მიბაძვით, საფრანგეთი საიმპერიო რეჟიმით (1804ნ.) არ შეცვალა. რამდენიმე ხნის შემდეგ, იგივე ბედი ეწია ევროპის რამდენიმე რესპუბლიკას, რომელთაც საფრანგეთთან მიერთება არა სურდა. ამგვარად, "დიდი იმპერიის" ეპოქაში სულ რამდენიმე რესპუბლიკა გადარჩა: ჰელვეციის, სან-მარინოს, გდანსკის (დანციგი) და ათონის- მთის.

ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, ვენის კონგრესზე (1815ნ.) მონარქიის პრინციპმა გაიმარჯვა. ნმინდა ალიანსის სიუზერენებმა მინიმუმამდე დაიყვანეს მონარქიულ ევროპაში არსებული რესპუბლიკები. სამი იმპერიის, თხუთმეტამდე სამეფოს, გარკვეული რაოდენობის სუვერენული დიდი საჰერცოგოების, სამთავროებისა და საჰერცოგოების პირისპირ, რესპუბლიკების რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელი იყო: ჰელვეციის კონფედერაცია (ერთადერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო), ფრანკფურტი, ჰამბურგი, ბრემენი, ლიუბეკი, კრაკოვი, სან-მარინო და ათონის-მთა.

აღნიშნულმა მდგომარეობამ მთელი XIX საუკუნე გასტანა ორი აღსანიშნავი გამონაკლისის გარდა. საფრანგეთმა ორჯერ მიიღო რესპუბლიკური რეჟიმი, პირველად ხანმოკლე პერიოდით II რესპუბლიკის დროს (1848-1852ნ.), შემდეგ კი უფრო ხანგრძლივი პერიოდით III რესპუბლიკის დროს (1870-1940ნ.) და ასევე ესპანეთმა (1873-1874ნ.). თუმცა ევროპის სხვა რესპუბლიკური მოძრაობები, რომლებმაც ევროპაში 1848 ნელს იჩინეს თავი, ძალის გამოყენებით იქნენ ჩახშობილნი, რისი მაგალითიცაა 1815 ნელს კრაკოვისა და ფრანკფურტის პატარა რესპუბლიკების გაუჩინარება.

თუმცა XIX საუკუნეში ახალი სახელმწიფოებიც გაჩნდა, მაგრამ ევროპის ძლიერ სახელმწიფოებს, რომლებმაც ამ ახლად შექმნილ სახელმწიფოებს რეკომენდაცია გაუწიეს, ბუნებრივად მიაჩნდათ მათი მონარქიული რეჟიმით აღჭურვა: საბერძნეთი, ბელგია, რუმინეთი, სერბეთი, ბულგარეთი, ნორვეგია, ალბანეთი (ორი უკანასკნელი XX საუკუნეში). აღნიშნულ სახელმწიფოთა სიუზერენები ევროპის სამეფო ოჯახებიდან იყვნენ არჩეულნი, რომლებიც უცხონი იყვნენ ამ ქვეყნებისთვის, მაგრამ იქ არსებულ ფრაქციებზე მაღლა იდგნენ.

XX საუკუნეში რევოლუციებთან და გამანადგურებელ კონფლიქტებთან დაკავშირებით, რესპუბლიკურმა პრინციპმა კვლავ გაიმარჯვა. რევოლუციები მოხდა პორტუგალიაში (1910წ.), რუსეთში (1917წ.), გერმანიასა და ავსტრიაში (1918წ.), თურქეთში (1923წ.), ალბანეთში (1925-1928წწ., შემდეგ 1946წ.), საბერძნეთში (1924-1935წწ., შემდეგ 1973წ.), ესპანეთში (1936-1947წწ.), შემდგომში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ისლანდიაში (1944წ.), იუგოსლავიაში (1945წ.), იტალიაში, უნგრეთში, ბულგარეთში (1946წ.), რუმინეთში (1947წ.), ირლანდიაში (1949წ.), კვიპროსსა (1960წ.) და მალტაზე (1974წ.).

მსოფლიო ომებთან დაკავშირებული რესპუბლიკური პრინციპის გამარჯვება, აშშ-ს გადამწყვეტი გავლენა და გარკვეულნილად საფრანგეთისაც, 1919 წელს პარიზში რესპუბლიკური რეჟიმის არჩევანით დასრულდა (რომელიც უფრო "თანამედროვედ" გამოიყურებოდა) ქვეყნების დიდი უმრავლესობისთვის: ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა. მხოლოდ იუგოსლავიამ, რომელიც გამარჯვებული ქვეყნების მოკავშირის, სერბეთის მეფის ფიგურის გარშემო შეიქმნა, მმართველობის მონარქიული ფორმა შეინარჩუნა.

თუმცა გარკვეულ ადგილებში მონარქიული იდეა კეთილგანწყობით სარგებლობდა. ამგვარად, როდესაც 1941 წელს იუგოსლავია დაიშალა მისმა მემკვიდრე ქვეყნებმა იტალიის გავლენით, არჩევანი მონარქიულ რეჟიმებზე შეაჩერეს (ხორვატია, ჩერნოგორია); იგივე მოხდა ესპანეთში, სადაც 1975 წელს გენერალ ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ, 1947 წლიდან თეორიულად მონარქიულმა ესპანეთმა მეფე აირჩია, რომელიც სხვა რესპუბლიკურ სახელმწიფოთა მეთაურებზე უფრო "თანამედროვედ" და დემოკრატად მიაჩნდათ.

ზოგადად ევროპაში დღეს არსებულ მონარქიებში ისეთივე დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმებია (ზოგჯერ მეტადაც), როგორც კონტინენტის ბევრ რესპუბლიკურ სახელმწიფოშია. მონარქიის იდეა, რომელიც ერთ დროს დაეინყებას მიეცა (განსაკუთრებით საფრანგეთში, რომელმაც თავისი სიუზერენი 1870 წელს დაამხო) ბევრი ევროპელის გონებაში სიცოცხლისუნარიანია, რომლებიც მას ტირანიასთან ან დიქტატურასთან არ აიგივებენ.

წინამდებარე წიგნში აღწერილი 46 ქვეყნიდან (2001წ.) 13 მონარქიულია. თუკი ევროკავშირის თხუთმეტ ქვეყანას შევხედავთ, შვიდ მათგანში მონარქიული რეჟიმია, რკაში კი რესპუბლიკური. როგორც ჩანს, მონარქიული იდეა არც იმდენად მოძველებულია, ხომ არ გახდება ის მომავლის იდეა?

ბუნებრივი საზღვრები

ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, გეოგრაფიული პეიზაჟის ბუნებრივი დაბრკოლებები (ზღვები, მდინარეები და მთების ქედები) ტერიტორიებს შორის დემარკაციის პრივილეგირებულ ზოლად გამოიყენებოდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ორი მიზეზი არსებობდა:

– სასაზღვრო ზოლები ძალიან იოლად ამოსაცნობი იყო და მათზე მყარი და უდავო მიჯნები იყო გავლებული, რომელსაც სანაპირო ზოლზე მდებარე სახელმწიფოები აღიარებდნენ;

– თავად სასაზღვრო ზოლები ხშირად ძალზე ძნელად გადასალახავი საზღვრები იყო და მტრის შემოტევის წინააღმდეგ სახელმწიფოებისთვის ბუნებრივ თავდაცვით საზღვარს ქმნიდნენ.

ანტიკური ეპოქის ამის ყველაზე ცნობილი მაგალითია რომის იმპერიის ჩრდილოეთი საზღვრები, რომელიც უმეტესწილად რაინსა და დუნაის შორის გადიოდა. ორივე მდინარე ძნელად გადასალახავად ითვლებოდა (მათი ზემო დინების კუთხის გარდა, სადაც ეს მდინარეები ძალზე ვიწროა დაბრკოლების შესაქმნელად) და რომაელები ამ ხარვეზს ხმელეთის თავდაცვითი ზოლით ავსებდნენ.

შუა საუკუნეებში ტერიტორიების პოლიტიკურმა დანაწევრებამ და საკუთარი სამფლობელოების არსებობის კონცეფციის ტრიუმფმა, შექმნა იმგვარი ვითარება, როდესაც ბუნებრივი სასაზღვრო ზოლები უგულებელყოფილი იყო, რასაც შედეგად სხვა ტერიტორიებზე შეჭრა მოჰყვა. ბევრი მთავარი სასაზღვრო ზოლებით გადაკვეთილ ტორიტორიებს მართავდა ისე, რომ მათ ყურადღებას არ აქცევდა.

სწორედ თანამედროვე ეპოქაში დიდი სახელმწიფოების შექმნით, რომელთაც ჰომოგენური ტერიტორიების ფლობაა სურთ, კვლავ გაჩნდა ინტერესი ბუნებრივი საზღვრების მიმართ, რომელიც თავისი სტრატეგიული მდებარეობით ქვეყნებისთვის დიდ მნიშვნელობას იძენს და მათ სიძლიერესა და აყვავებას უწყობს ხელს.

ბუნებრივი საზღვრების მიმართ ინტერესი განსაკუთრებით XVIII საუკუნეში გამოიკვეთა განმანათლებელთა და განათლებული დესპოტიზმის გავლენით, რომელიც მყარი და რაციონალურად მართული სახელმწიფოს იდეას ქადაგებდა. აღნიშნული იდეა დიდ ინტერესს ინვევდა დიპლომატებსა და სამხედრო პირებში მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნეში ნაციონალისტური მისწრაფებები საზღვრების ზედმეტად რაციონალურ კონცეფციას დაბრკოლებას უქმნიდა.

მდინარეები

ევროპის დიდი მდინარეები, როგორც უწინ ასევე დღეს, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ საზღვრების დადგენაში.

მდინარე **რაინი**, რომელიც ძირითად როლს ასრულებდა რომაულ ეპოქაში, შუა საუკუნეებში გერმანიის მდინარე გახდა, მაშინ როდესაც თეორიული საზღვარი საფრანგეთსა და "საღვთო რომის იმპერიას" შორის დიდი ხნის მანძილზე უფრო დასავლეთით, შელდისა და მეზის ზოლზე გადიოდა.

მხოლოდ XVII საუკუნეში საფრანგეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის დაწყებით, რაინი ამ უკანასკნელის სამიზნე გახდა: ლუი XIV-ს "თავისი ცხენების რაინში დაბანის" ხმა ესმოდა და დაჟინებით ცდილობდა ალზასის დაპყრობას, რომელიც ვესტფალიის სამშვიდობო ხელშეკრულებაში იყო მონიშნული. საფრანგეთი რომაულ გალიასთან უნდა გაიგივებულიყო და რაინი მისი უკიდურესი საზღვარი უნდა გამხდარიყო.

აღნიშნული კონცეფცია საფრანგეთის რევოლუციის დროს იქნა დასრულებული, როდესაც დირექტორიაში "ბუნებრივი საზღვრების" თეორიამ "მოძმე რესპუბლიკების" თეორიაზე გაიმარჯვა. პირველმა კონსულმა ბონაპარტმა ეს თეორია გაითავისა და 1803 წლის დადგენილებით "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) საზღვარი რაინის ტალვეგამდე მიიყვანა. მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარე ტერიტორიები საფრანგეთმა ან ჰელვეციის რესპუბლიკამ მიიღო. შემ-

დგომში, ნაპოლეონმა აღნიშნული პრინციპი დაარღვია ჰოლანდიისა და ჩრდილო-დასავლეთი გერმანიის ანექსიით.

XIX საუკუნეში გერმანიის დამპყრობლური იდეოლოგიის მომხრეები "გერმანიის რაინთან" დაბრუნებას ქადაგებდნენ, რომლებმაც იარაღის ძალით შესძლეს რაინი საფრანგეთთან ყოველგვარი კონტაქტისგან მოეწყვიტათ 1871 წლიდან 1918 წლამდე. ამ დროიდან რაინმა საზღვრის როლი მიიღო.

დღეს რაინი მშვიდად მიედინება ჯერ შვეიცარიის შიგნით, სადაც საზღვარს ქმნის ამ უკანასკნელსა და ლიხტენშტაინს შორის, შემდეგ ავსტრიაში გადადის (ვორარლბერგი) და ბაზელამდე მიედინება შვეიცარიასა და გერმანიას შორის, ოთხი მცირე ტერიტორიის ჩათვლით: გერმანული ქალაქი კონსტანცი რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე ანკლავია, შვეიცარიული ქალაქები შტაინი-რაინზე და შაფჰაუზენი შემოგარენთან ერთად რაინის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ანკლავებია, და ბოლოს, შვეიცარიული ქალაქის ბაზელის ნაწილი, რომელიც ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული ("პატარა ბაზელი").

ბაზელის შემდეგ რაინი საზღვარს ქმნის საფრანგეთსა და გერმანიას შორის ლაუტერბურგამდე, სადაც ის ჭეშმარიტად გერმანული მდინარეა ნიდერლანდის ტერიტორიაზე დინების შენყვეტამდე.

მდინარე **მეზი** ერთ დროს საზღვრის როლს ასრულებდა (თეორიულად) საფრანგეთსა და იმპერიას შორის. საფრანგეთის მეფეების განუწყვეტელმა დაპყრობებმა ამ მდინარეს ეს დანიშნულება საბოლოოდ დააკარგვინეს, 1766 წელს საფრანგეთთან ლოთარინგიის საპერეგოს მიერთებით. დღეისათვის და უკვე 1839 წლიდან, მეზი მხოლოდ მცირე მონაკვეთზე ქმნის სასაზღვრო ზოლს ბელგიასა და ნიდერლანდს შორის, იწყებს რა დინებას ბელგიის ლიმბურგსა (მარცხენა ნაპირი) და ნიდერლანდის ლიმბურგის (მარჯვენა ნაპირი) სამხრეთ ნაწილს შორის, იმ განსხვავებით, რომ ნიდერლანდური ქალაქი მაასტრიხტი იქ მარცხენა ნაპირზე ანკლავს ქმნის.

მდინარე **რონა**, რომელსაც ლიონის ზევით **სონის** შენაკადი ავსებდა, ასევე ერთ დროს საფრანგეთსა და იმპერიას შორის საზღვარს ქმნიდა. აღნიშნული საზღვარი, რომელიც იმპერიის მარჯვენა ნაპირზე (ლიონელები, ვივარები) რკალებით იყო განყვეტილი, შუა საუკუნეების მიწურულს საფრანგეთის ექსპანსიის გამო რონასა და ალპებს შორის გაუქმდა, მიუხედავად იმისა, რომ უნინ რონის მენავეები ჯერ კიდევ მარჯვენა ნაპირს სამეფოდ, ხოლო მარცხენა ნაპირს იმპერიად მიიჩნევდნენ.

უფრო ზევით, ორი საუკუნე ნახევრის მანძილზე რონა საზღვარს ქმნიდა საფრანგეთსა და საოიას შორის, ლემანის ტბიდან გამოსვლიდან სენტ-ჟენიქს-სიურ-გიერსამდე, საზღვარი გიერსის იქით გადიოდა. 1860 წლის საოიის ანექსიამ ეს როლი გააუქმა. დღესაც რონა საზღვარს ქმნის საფრანგეთსა და შვეიცარიას შორის მხოლოდ ლემანის ტბის გადაკვეთაზე. მდინარე დუ რამდენიმე ადგილას საზღვარს ქმნის საფრანგეთსა (ფრანშ-კონტე) და შვეიცარიას შორის (ნევშატელი).

იტალიაში მხოლოდ პო და მისი მარცხენა ნაპირის შენაკადები, გარკვეულ დროს სასაზღვრო ზოლის როლს ასრულებდნენ.

მდინარე **პო** ზემო დინების შემდეგ პიემონტში მიედინებოდა, პავიის ქვემოთ ის გამყოფ ზოლს წარმოადგენდა მილანისა და ვენეციის ჩრდილოეთით მდებარე (მარცხენა ნაპირი) სახელმწიფოებსა და სამხრეთით მდებარე პარმის, მოდენისა და ფერარის სახელმწიფოებს შორის (მარჯვენა ნაპირი). გამონაკლისი იყო მხოლოდ მარცხენა ნაპირზე მდებარე მანტუის სამარკიზო, რომელსაც ტერიტორიული ზოლი ჰქონდა მარჯვენა ნაპირზე და მარჯვენა ნაპირზე მდებარე ფერარის საპერეგო, რომელსაც ასევე ტერიტორიული ზოლი ჰქონდა მარცხენა ნაპირზე.

ბონაპარტმა აღნიშნული საზღვარი 1797 წელს გააუქმა, როდესაც ციზპადანისა და ტრანსპადანის რესპუბლიკები გაერთიანა ციზალპური რესპუბლიკის შესაქმნელად. პო საზღვარს ქმნიდა მხოლოდ პავიიდან გუასტალამდე, ჩრდილოე-

თით ციზალპურ რესპუბლიკასა (მოგვიანებით იტალიის სამეფო) და სამხრეთით პარმას (მოგვიანებით საფრანგეთის იტალია) შორის.

1815 წლის შემდეგ და 1859-1866 წლებში პომ კვლავ დაიბრუნა საზღვრის მნიშვნელობა ჩრდილოეთით ლომბარდია-ვენეციასა და სამხრეთით პარმას, მოდენასა და პაპის ოლქს შორის. ამ პრინციპიდან გამონაკლისს მხოლოდ მარჯვენა ნაპირზე მდებარე მანტუის ძველი ტერიტორიული ზოლი წარმოადგენდა, რომელიც ლომბარდია-ვენეციის მფლობელობაში გადავიდა.

მდინარე **სეზია** დიდი ხნის მანძილზე საზღვარი იყო პიემონტის რეგიონსა და მილანის საპერეოგოს შორის, მაგრამ XVIII საუკუნეში მან ტეჩინოს დაუთმო ეს როლი, როდესაც იმპერატორმა ნავარის რეგიონი სარდინიის მეფეს დაუთმო, რომელიც ნელ-ნელა ტერიტორიებს აგროვებდა და ამასთან დაკავშირებით განაცხადა: "მილანის სახელმწიფოს მე ფურცელ-ფურცელ ვჭამ".

მდინარე **ადა** კომოდან კრემამდე, შემდეგ კი მდინარე **ოგლიო** მილანთან, აღმოსავლეთ საზღვარს ქმნიდა ვენეციისა და მანტუის პირდაპირ.

რაც შეეხება მდინარე **ადიჯეს**, ის დიდი ხნის განმავლობაში არავითარ სასაზღვრო როლს არ ასრულებდა და მშვიდად მიედინებოდა ვენეციის სახელმწიფოების ტერიტორიაზე. კამპო-ფორმიოს სამშვიდობო ხელშეკრულების (1797წ.) დადების დროიდან, ადიჯე გამქრალი ბრწყინვალე რესპუბლიკის (ვენეცია) მინების გამყოფი ზოლი გახდა, რომლის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ნაწილი (სამხრეთ-დასავლეთით) ციზალპურმა რესპუბლიკამ მიიღო, ხოლო მარცხენა ნაპირზე მდებარე მინები (ჩრდილო-აღმოსავლეთით) ავსტრიას ხვდა წილად. აღნიშნული სასაზღვრო ზოლი 1805 წელს გაქრა (პრესბურგი), როდესაც ვენეციის რეგიონი კვლავ იტალიის სამეფოსთან გაერთიანდა.

გარდას ტბიდან მომდინარე პატარა მდინარე **მინჩო** 1815 წლიდან 1859 წლამდე შიდა ადმინისტრაციულ საზღვარს ქმნიდა ლომბარდია-ვენეციის სამეფოს ლომბარდიულ და ვენეციურ ნაწილებს შორის. 1858 წლიდან 1866 წლამდე ის საზღვარს ქმნიდა იტალიასა და ავსტრიას შორის ამ საზღვრის წაშლამდე.

ევროპის კონტინენტის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთში მდინარე **მარიცა**, რომელიც სათავეს ბულგარეთის ტერიტორიაზე იღებდა, ეგეოსის ზღვაში ჩაედინებოდა და ქვემო დინებით საზღვარს ქმნიდა ანდრიანოპოლიდან ზღვამდე, 1913 წლიდან 1919 წლამდე ბულგარეთსა და თურქეთს შორის (ნაწილობრივ 1913 წლიდან 1915 წლამდე, მთლიანად 1915 წლიდან 1919 წლამდე), შემდეგ კი საბერძნეთსა და თურქეთს შორის, 1919 წლიდან დღემდე.

მდინარე დუნაი და მისი შენაკადები, როგორც უნინ, ასევე დღესაც ბუნებრივი საზღვრის როლს ასრულებენ.

თავად **დუნაი**, რომელსაც ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რომაულ ეპოქაში, შემდგომში საზღვარს ქმნიდა ქვემო დინებით სავასთან შერწყმის ადგილიდან შავ ზღვამდე. რაც შეეხება ზემო დინებას, ის გერმანულ და უნგრულ ტერიტორიებში იქნა მოქცეული.

დუნაის ქვემო დინების ნაწილი თავდაპირველად ჩრდილოეთი საზღვრის როლს ასრულებდა ბიზნატიის იმპერიისთვის, შემდგომში ბულგარეთის იმპერიისა და სერბეთისთვის და ბოლოს, ოსმალთა იმპერიისადმი დაქვემდებარებული ელადეთისა და უნგრეთისთვის. დუნაიმ ნაწილობრივ დაკარგა აღნიშნული როლი, როდესაც XIV საუკუნეში თურქეთმა უნგრეთის დიდი ნაწილი დაიპყრო, მაგრამ 1718 წელს ის კვლავ დაიბრუნა, როდესაც ავსტრიამ თურქები უნგრეთიდან და ხორვატიიდან გააძევა.

ამ დროიდან, დუნაის ქვემო დინება მუდმივად საზღვრის როლს ასრულებდა, რომელიც განსხვავებული იყო ზემო დინების ნაწილში, სავის შენაკადიდან რკინის კარამდე ან ქვემო დინების ნაწილში, რკინის კარიდან შავ ზღვამდე.

– ზემო დინების ნაწილი 1739 წლიდან უნგრეთსა (ავსტრიის) და თურქეთს შორის საზღვარს ქმნიდა, როდესაც ავსტრია იძულებული გახდა 1718 წელს დაპყრობილი მცირე სერბეთი დაებრუნებინა. 1830 წლიდან 1919 წლამდე ის

სერბეთსა და უნგრეთს შორის საზღვარს აღნიშნავდა. 1919 წლის შემდეგ, იუგოსლავიის მიერ ბანატის ნაწილის ანექსიის დროიდან, მხოლოდ დუნაის ქვემო დინების ნაწილი კვლავ ასრულებდა საზღვრის როლს, ამჯერად რუმინეთსა (რომელმაც ბანატის მეორე ნაწილის ანექსია მოახდინა) და იუგოსლავიას შორის;

– დუნაის ქვემო დინების ნაწილი განუწყვეტლივ ასრულებდა საზღვრის როლს თავდაპირველად თურქეთსა და მის მოხარკე ვლახეთის სამთავროს შორის, ისევე როგორც 1718 წლიდან 1739 წლამდე თურქეთსა და ავსტრიას (მცირე ვლახეთი) შორის, რკინის კარიდან ოლტის შენაკადამდე, შემდგომში კი რუმინეთსა და თურქეთს შორის, და ბოლოს, 1878 წლიდან რუმინეთსა და ბულგარეთს შორის.

1919 წლიდან დუნაი ასევე საზღვრის როლს ასრულებდა თავის შუა დინებაზე პრესბურგსა (ბრატისლავა) და გრანს (ეზტეგრომი), სამხრეთით უნგრეთსა და ჩრდილოეთით ჩეხოსლოვაკიასა ან სლოვაკეთს შორის.

აღნიშვნის ღირსია ასევე დუნაის რამდენიმე შენაკადი. 1815 წლიდან **ინი** თავის ქვემო დინებაში და მისი **ზალცახის** შენაკადი, საზღვარს ქმნიდა ბავარიასა და ავსტრიას შორის. **მარში** (მორავა) თავის ზემო დინებაში ავსტრიასა და უნგრეთს შორის საზღვარს აღნიშნავდა, შემდგომში, 1919 წლიდან დღემდე ის საზღვარს წარმოადგენს ავსტრიასა (ან გერმანიის 1938 წლიდან 1945 წლამდე) და ჩეხოსლოვაკიას ან სლოვაკეთს შორის.

დიდი ხნის განმავლობაში მდინარე **სავა** ქვემო დუნაის მსგავს როლს ასრულებდა. 1718 წლიდან 1908 წლამდე ის საზღვარს აღნიშნავდა ავსტრიის ხორვატიასა და ბოსნიას შორის, 1919 წლამდე კი საზღვარს ხორვატიასა და სერბეთს შორის. იუგოსლავიის შექმნამ სავას აღნიშნული როლი დააკარგვინა, რომელიც მან კვლავ დაიბრუნა 1919 წელს ამ უკანასკნელის დაშლის შემდეგ. რაც შეეხება სავის შენაკადს **დრინას,** ის საზღვარს აღნიშნავდა სერბეთსა და ბოსნიას შორის მათ გაერთიანებამდე.

პრუტი დუნაის მარცხენა ნაპირის უკანასკნელი დიდი შენაკადია. 1812 წლიდან 1919 წლამდე ის საზღვარს აღნიშნავდა მოლდოვასა, შემდეგ კი ერთი მხრივ, რუმინეთსა და მეორე მხრივ, რუსეთს შორის, 1856-1878 წლების გამოკლებით (ქვემო დინებაზე). 1947 წლიდან პრუტმა კვლავ მიიღო საზღვრის დანიშნულება რუმინეთსა და მოლდოვას შორის (საბჭოთა, შემდგომში დამოუკიდებელი).

უფრო აღმოსავლეთით, შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარე **დნესტრი,** ბესარაბიის აღმოსავლეთი საზღვრის როლს ასრულებდა იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი არ იყო შესული რუსეთის (ან საბჭოთა) სახელმწიფოში: 1812 წლამდე, შემდგომში 1919 წლიდან 1942 წლამდე, და ბოლოს, ნაწილობრივ 1991 წლიდან. შავ ზღვაში ჩამდინარე **დნეპრი** და ბალტიის ზღვაში ჩამდინარე **დიუნა** 1795 წლამდე ქვემო დინების ნახევარზე საზღვარს აღნიშნავდა პოლონეთსა და რუსეთს შორის. კასპიის ზღვაში ჩამდინარე მდინარე **ურალი,** რომელიც შეიძლება არ აღნიშნავდეს პოლიტიკურ საზღვარს ზოგადად, ამაეე სახელწოდების მთების ქედთან ერთად, მიჩნეულია საზღვრად რუსეთის ევროპული ნაწილისა და ევროპის კონტინენტს შორის.

მდინარე **ვისლა** ზემო დინებაზე, საზღვარს აღნიშნავდა ავსტრიის გალიციასა და პოლონეთს შორის (დამოუკიდებელი თუ რუსეთის) 1772 წლიდან 1795 წლამდე, შემდგომში, 1809 წლიდან 1919 წლამდე. მდინარე **ოდერი** და მისი შენაკადი **გერლიცის ნეისე** 1945 წლიდან საზღვარს ქმნიდა გერმანიასა და პოლონეთს შორის. მდინარე **ელბა** 1807 წლიდან 1815 წლამდე იმ საზღვარს აღნიშნავდა, რომლის დასაალეთით ნაპოლეონმა პრუსიას მისი კუთვნილი ტერიტორიები ჩამოართვა.

ევროპის კონტინენტის მეორე ბოლოში, იბერიის ნახევარკუნძულზე მდინარე **მინიო** თავის ქვემო დინებაზე საზღვარს ქმნიდა პორტუგალიასა და ესპანეთის გალისიას შორის, მაშინ როდესაც პორტუგალიის მეორე ბოლოში მდინარე **გუადიანა** ასევე საზღვარს აღნიშნავდა პორტუგალიასა და ესპანეთის ანდალუზიას შორის.

მთები

ევროპის მთის ქედები ყოველთვის ქმნიდა ბუნებრივ საზღვარს იმ აშკარა დაბრკოლებებით, რომელიც ხელს უშლიდა ადამიანების, ვაჭრობის, განსაკუთრე-

ბით კი ჯარების მიმოსვლას. ისინი აგრეთვე ხშირად ავლებდნენ საზღვარს კლიმატის, მცენარეულობასა და სხვ. შორის და ამგვარად, მონანილეობას იღებდნენ ბუნების მრავალფეროვნების შექმნაში, რომელშიც სხვადასხვა ხალხები ყალიბდებოდნენ. ანტიკური ხანიდან მთებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ტერიტორიების განანილებაში.

ამავე დროს, მთის ქედები არაა ერთადერთი კონფიგურაციის: ზოგიერთი "გადაულახავია," სხვები ძალზე ადვილად გადასავალია. ზოგი ვიწროა, სხვები კი ვრცელი და დიდი დასახლებისთვის ხელსაყრელი. სნორედ ამიტომ, კონტინენტზე ახალი ხალხების შემოჭრის მანძილზე, ზოგიერთი მთა ბუნებრივი დასახლების ადგილი გახდა.

ამგვარად, თუკი ზოგიერთი მთა ხალხებს შორის გამყოფს წარმოადგენდა, სხვები პირიქით, მისი ქედების ორივე მხრიდან დასახლების ადგილად იქცა, რაც მთის ორივე მხარეს დასახლებულ ხალხებს ხელს არ უშლიდა ურთიერთობებში. სწორედ ამგვარად, სხვადასხვა ადგილებში მთის მოსახლეობა გაჩნდა, რომლის ცხოვრების წესი მას სხვა მთის მოსახლეობასთან აახლოვებდა და დაბლობზე მცხოვრებ ხალხებს უპირისპირებდა.

ზემოაღნიშნულის შედეგად, საუკუნეთა განმავლობაში ევროპაში სახელმნიფოები მთის ქედების ზოლთან ერთმანეთს ესაზღვრებოდა ისე, რომ მღელვარებას არ ინვევედა. მხოლოდ XVIII საუკუნიდან "რაციონალური" აზროვნების პროგრესთან და გეოგრაფიის აღმაელობასთან ერთად, კანცელარიებში საზღვრებისა და მთების დამთხვევაზე დაიწყეს ფიქრი (რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო). თუმცა ფაქტები ჯიუტია, და თუ ერთ შემთხვევაში, აღნიშნულმა მსოფლმხედველობამ გაიმარჯვა, მეორე შემთხვევაში, ადამიანთა რეალურმა ცხოვრებამ მას მარცხი განაცდევინა.

დიდ ბრიტანეთში **ჩევიოტ-ჰილსის** მთები ყოველთვის საზღვარს აღნიშნავდა ინგლისსა და შოტლანდიას შორის 1707 ნლამდე, შემდგომში კი ადმინისტრაციულ საზღვრად იქცა.

პირენეების ქედი ძნელად გადასავალი მთების ნაწილს შეადგენდა ორი საზღვაო კიდეს გარდა. ბუნებრივია, რომ დიდი ხნის განმავლობაში პირენეების ქედი სხვადასხვა ხალხებს შორის გამყოფი ზოლი იყო (რომლებმაც ერთმანეთს მხარი უბრუნეს), ერთადერთ გამონაკლისს ამ წესიდან წარმოადგენდნენ სნორედ ის ხალხები, რომლებიც ზემოაღნიშნულ კიდეში ცხოვრობდნენ: ბასკები და ატლანტიკის სანაპიროს მხრიდან ნავარელები, ხმელთაშუა ზღვის მხრიდან კატალონიელები.

თუკი ბასკები ძალზე ადრე განცალკევდნენ ორ პოლიტიკურ ერთეულად ბიდასოას ორივე მხარეს, ნავარელები 1512 ნლამდე ერთ სამეფოში ცხოვრობდნენ, რომელიც ზემო ნავარასა და ქვემო ნავარას აერთიანებდა რონსევოს ხეობის ჩრდილოეთით. აღნიშნულ დროს კასტილიამ ზემო ნავარა დაიპყრო და მთის ზოლით ის ქვემო ნავარისგან გამოყო, მხოლოდ ეს უკანასკნელი იქნა შენარჩუნებული ნავარის მეფეების მიერ (ალბერტის სახლი). შემდგომში, ეს ტერიტორია ბურბონთა სახლს გადაეცა, შემდეგ კი საფრანგეთის სამეფო გვირგვინს (1607ნ.), რომლის მეფეები ამ დროიდან საფრანგეთისა და ნავარის მეფის ტიტულს ატარებდნენ.

ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე რუსიონი (ჩრდილოეთით) დიდი ხნის განმავლობაში პირენეების სამხრეთით მდებარე ბარსელონის (კატალონია) საგრაფოსთან საერთო ხვედრს იზიარებდა. პირენეების ხელშეკრულებით ის ბარსელონის საგრაფოს საბოლოოდ მხოლოდ 1659 ნელს გამოეყო. აღნიშნული დროიდან, ქედის ზოლი საფრანგეთსა (ჩრდილოეთით) და ესპანეთს (ან ანდორას) შორის საზღვარია სამხრეთით, ორი მნიშვნელოვანი გამონაკლისის გარდა: არანის ხეობა გარონის სათავესთან, რომელიც გეოგრაფიულად ჩრდილოეთისკენ არის მიმართული, ესპანეთს ეკუთვნის; ზემო სერდანი (ფონ-რომე, ბურგ-მადამი) სამხრეთისკენ არის მიმართული, მაგრამ 1659 ნლიდან საფრანგეთის შემადგენელი ნანილია.

ვოგეზები, რომელიც ძველი მასიკია და საშუალო სიმაღლისაა ოიოად გადასალახავია. თუკი მათი ქედი დიდი ხნიდან ლოთარინგიის საჰერცოგოს ალზასის სენიორიისგან ყოფდა (ასევე ფრანგულენოვან ტერიტორიებს დასავლეთით და

გერმანულენოვან ტერიტორიებს აღმოსავლეთით), ის არ წარმოადგენდა მკაფიო პოლიტიკურ საზღვარს, და ამიტომაც, საფრანგეთსა და იმპერიას შორის საზღვარი იმ ორ მდინარეზე გადიოდა, რომელიც მას გარს ერტყა: მეზი, შემდეგ პო, მოგვიანებით კი რაინი. მხოლოდ 1871 წელს ამ ქედმა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური როლი შეიძინა, როდესაც გერმანიამ მისი მეშვეობით საფრანგეთთან საზღვარი გაავლო, რომელიც 1918 წელს გაქრა.

იურა, თავისი გრძელი, წყვეტილი ქედებით იოლად გადასალახავია და ნაკლებად ასრულებს საზღვრის როლს, თუ არ ჩავთვლით მხოლოდ რიზუს მთის ქედზე მდებარე მორეზიდან ჟიუინამდე ტერიტორიას. ამასთანავე, მისი ქედის ზოლი მოქცეულია საფრანგეთის (კოლონიდან მორეზამდე) და შვეიცარიის ტერიტორიაზე, სადაც იურა ქმნის ქვეყნის ერთ (ორიდან) ძირითად ქედს.

შუა ევროპის უმთავრესი მასივი ალპები, რკალისებრ ქედს ქმნის, რომელიც გენუიდან ვენეციამდე და ჩერნოგორიამდე არის გადაჭიმული. ამ ქედის სიგანე მრავალი განშტოებებით, მას საშუალებას აძლევს ვრეცელი მთის რეგიონები მოიცვას, რომელიც სხადასხვაგვარად არის დასახლებული. ამავე დროს, ის რთული ტერიტორიული ერთიანობაა, რომელიც ზოგჯერ საზღვარსაც აღნიშნავს და მასზე ქედთან მოსაზღვრე ბევრი მთის სახელმწიფოა განლაგებული.

ალპების ქედის დასავლეთ ნაწილზე (დღეისათვის საფრანგეთსა და იტალიას შორის) მრავალრიცხოვანი ხეობების არსებობა ყოველთვის ქმნიდა ორ ფერდობს შორის ვაჭრობის შესაძლებლობას. ის გარს ერტყმოდა იტალიის პიემონტს და მას ლიგურიისგან, პროვანსისგან და სავოიისგან ყოფდა.

ამ ქედის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში არგენტერადან გენუამდე, ის დიდი ხნის განმავლობაში საზღვრის როლს ასრულებდა პიემონტის (სავოიარდის, შემდგომში სარდინიის) რეგიონსა და გენუის რესპუბლიკას შორის. 1805 წლიდან ის მხოლოდ ადმინისტრაციული საზღვრია.

თუკი არგენტერადან სენ-ბერნარამდე ალპების ქედის ზოლი ყოველთვის კულტურულ საზღვარს აღნიშნავდა, მას ხშირად პოლიტიკური სახელმწიფოები ემეზობლებოდა. ნიცის საგრაფო პიემონტის რეგიონთან (და სავოიასთან) შუა საუკუნიდან 1860 წლამდე იყო მიერთებული (შუალედით 1793 წლიდან 1814 წლამდე). უბაი (ბარსელონეტი) პიემონტის რეგიონთან 1713 წლამდე იყო მიერთებული, დოფინეს პროვინცია სალუცოსა და პინეროლოზე დროებით გაიზარდა. ვალე დ'აოსტა, რომელიც წინათ სავოიას ეკუთვნოდა და ბრიანსონის ხუთიდან სამი ფერდობი, რომელიც ოდესღაც დოფინესი იყო (ექსილი, ბობიო, შატოდოფენი), სადაც აღმოსავლეთ ფერდობზე ფრანგულად ლაპარაკობდნენ, იმ ეთნიკურ კავშირზე მოწმობს, რომელიც ყოველთვის აერთიანებდა მთის მცხოვრებთ ქედის ორივე მხარეს.

სნორედ სავოიის ჰერცოგი ("ალპების კარისკაცი") ძალზე ადრე შეუდგა იტალიის ფერდობზე მდებარე მიწების დაპყრობას და შუა საუკუნეების მინურულიდან იგი თითქმის მთელი პიემონტის რეგიონის მბრძანებელი გახდა. უბაის ხელში ჩაგდებით და ნიცის სახელმწიფოთა მიერთებით, ეს მიწები ალპების ქედს სამ ადგილას ესაზღვრებოდა, დოფინესა და პროვანსის ორივე მხარეს. აღნიშნული ვითარება საბოლოოდ 1860 წელს დასრულდა (1947 წელს ნიცის ყოფილი ზემო როიასთვის) იმ დროს, როდესაც ჰერცოგები (1720 წელს სარდინიის მეფეები გახდნენ) საბოლოოდ მოექცნენ იტალიური გაელენის ქვეშ და სავოიელებთან კავშირები შეასუსტეს (ამ უკანასკნელთ ფრანგებად გახდომა სურდათ). რაც შეეხება გარიბალდის მშობლიურ ქალაქ ნიცას, აღნიშნულ ეპოქაში იტალიისადმი თუ საფრანგეთისადმი მიკუთვნება ძალზე გაურკვეველი იყო.

ალპების ქედის ცენტრალური ნაწილი იმდენად გაიზარდა, რომ მთის ხალხის შეფარება შეძლო. ეს ხალხი შვეიცარიელები იყვნენ, რომელთა ქვეყანა მხოლოდ მთებისგან შედგებოდა, ცენტრალური ალპების გარდა, ის გადაჭიმული იყო აღმოსავლეთ იურაზე და ვიწრო დაბლობის ზოლზე ("შვეიცარიის პლატო"), რომელიც მათ ერთმანეთისგან ყოფდა. შვეიცარია მეზობელ ავსტრიასთან ერთად, იმ სახელმწიფოთა ტიპს წარმოადგენდა, რომელიც ბუნებრივი საზღვრე-

ბის თეორიას ეწინააღმდეგებოდა, რომლის მიხედვით, ქვეყნები ყოველთვის ქედის ზოლის ერთ მხარეზე უნდა ყოფილიყო განლაგებული.

შვეიცარიაში, რომელიც მაღალი ხეობების ქვეყანაა, მდინარეები სხვადასხვა ზღვებისკენ მიემართება: რაინი (ჩრდილოეთის ზღვა), ინი (შავი ზღვა), ტეჩინო (ადრიატიკის ზღვა), რონა (ხმელთაშუა ზღვა). თუმცა შვეიცარიის ხეობების დანაწევრებამ და მისმა მდებარეობამ (სხვადასხვა ცივილიზაციების გადაკვეთის წერტილი) იმგვარი ვითარება შექმნა, რომ დასავლეთში იქ ფრანგულად ლაპარაკობენ, ცენტრალურ ნაწილში გერმანულად, აღმოსავლეთში იტალიურად და რეტორომანულად სამხრეთ-აღმოსავლეთში. მაგრამ მთის ხალხის მეამბოხე სულისკვეთებამ იმ მთავრების მიმართ, რომელთაც მათი დამორჩილება სურდათ, ოთხენოვანი ერი ჩამოაყალიბა, რომელიც მთებზეა დასახლებული და ბუნებრივი საზღვრებით სარგებლობს.

ამასთანავე, უკიდურესი სამხრეთით მდებარე ქედის ზოლზე, ლემანის ტბიდან რაიხენის ხეობამდე (იქ სადაც ეს ქედი უფრო ძნელად გადასავალია), ცენტრალური ალპების ქედი ქმნის საზღვარს თავდაპირველად შვეიცარიასა და საფრანგეთს შორის, შემდეგ იტალიასთან, რომელთანაც საზღვარი სამ ადგილას წვეტილია, სადაც შვეიცარია იტალიის სამხრეთ ფერდობზე გადადის: სიმპლონის უღელტეხილებიდან (ვალე დი ვერდო), სენ-გოტარდიდან სენ-ბერნარდენიდან (ტეჩინო) და ბერნინადან (ვალე დი პოჩიავო) ჩამომავალი ხეობები.

იგივე მდგომარეობაა ალპების ქედის აღმოსავლეთ ნაწილში. თანამედროვე ავსტრია, რომელშიც ყოფილი ავსტრიის იმპერიის გერმანელთა უმრავლესობაა გაერთიანებული, მოიცავს მთის რეგიონებსა და მაღალ ხეობებს, რომელთა წყლის დინებები სხვადასხვა მიმართულებით მიედინება: რაინი (ვორარლბერგი) ჩრდილოეთის ზღვისკენ, ინი (ტიროლი) დუნაის ზემო დინებისკენ (რომელიც თავის მხრივ, რწყავს ზემო და ქვემო ავსტრიას), მიური (შტირია) და დრავა (კარინთია) ქვემო დუნაისკენ. აღნიშნულს სამხრეთი ტიროლი აკლია, რომელიც ასევე გერმანელებით არის დასახლებული და მისი წყლები (ადიჯე) პოსკენ მიედინება, რომელიც 1919 წელს ჩამოერთვა.

თუკი ალგეური და ბავარიული ალპების ქედი მასივის ჩრდილოეთით ყოველთვის აღნიშნავდა საზღვარს ბავარიის პიემონტსა (დღეისათვის გერმანიის) და ავსტრიის ტიროლს შორის, მხოლოდ 1919 წლიდან რეტიული ალპების ქედის ზოლი (სამხრეთით) საზღვარს ქმნიდა ავსტრიასა და იტალიას შორის. ამ უკანასკნელმა პარიზის სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს საზღვრის განევას მიაღწია ბრუნსერამდე, ეროვნებათა პრინციპის უარყოფით, რადგან მან გერმანელებით დასახლებული სამხრეთი ტიროლი მიიერთა.

აღნიშნულ ეპოქაშივე, კარავანკენის უმნიშვნელო ქედი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში საზღვარს აღნიშნავდა ავსტრიის კარინთიის პროვინციასა და კრაინას შორის, საზღვრად გადაიქცა ავსტრიასა და იუგოსლავიას შორის (დღეისათვის სლოვენია). ამ შემთხვევაში, საზღვარი მრავალსაუკუნოვან კავშირებს წყვეტდა (კრაინა ავსტრიის მფლობელობაში იყო შუა საუკუნეებიდან), მაგრამ ის ეროვნებათა პრინციპს არ არღვევდა.

და ბოლოს, ალპური მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე დინარიული ალპების ქედი, რომელიც პარალელურად დალმაციის მხარეზეა გადაშლილი, ძალზე მკაფიო საზღვარს ქმნიდა დალმაციასა (ხმელთაშუა ზღვის კლიმატითა და მცენარეულობით) და ბოსნია-ჰერცეგოვინას (უფრო კონტინენტური) შორის. ის ყოველთვის საზღვრის როლს ასრულებდა ხორვატიის, იტალიის, ავსტრიის, საფრანგეთის და კვლავ ავსტრიის დალმაციასა და თურქეთის ბოსნიას შორის. 1908 წლიდან აღნიშნული საზღვარი უბრალო ადმინისტრაციულ საზღვრად იქცა, თავდაპირველად ავსტრია-უნგრეთის ფარგლებში 1908 წლიდან 1919 წლამდე, შემდეგ იუგოსლავიის, 1919 წლიდან 1941 წლამდე და 1945 წლიდან 1991 წლამდე, ხორვატიის 1941 წლიდან 1945 წლამდე. მხოლოდ 1991 წელს იუგოსლავიის დაშლასთან ერთად, ის კვლავ საზღვრად იქცა, ამჯერად დამოუკიდებელ ხორვატიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინას შორის.

ესპანეთში მესეტის დიდ ცენტრალურ პლატოს (კასტილია და ლეონი) ჩრდილოეთით **კანტაბრიის** მთები ერტყმის, რომელიც მას ასტურიისგან ყოფს. ჩრდილო-აღმოსავლეთით მას **იბერიის** მთები ესაზღვრება, რომელიც მას არაგონისგან გამოყოფს, ცენტრში კი მას სიერა დე გუადარამა კვეთს, რომელიც საზღვარს აღნიშნავს ძველსა და ახალ კასტილიას შორის. ესპანეთის გაერთიანების დროიდან, რომელიც XVI საუკუნეში დასრულდა, აღნიშნული მთები მხოლოდ ადმინისტრაციულ საზვარს აღნიშნავდა.

იტალიაში **აპენინების** ქედი დიდი ხნის განმავლობაში საზღვარის როლს ასრულებდა, რომელიც 1860 წელს ჩამოერთვა იტალიის გაერთიანებასთან დაკავშირებით. აპენინების ქედის ზოლი, რომელიც ნახევარკუნძულის ტირინეისა და ადრიატიკის ფერდობებად იყოფოდა, საზღვარს აღნიშნავდა ერთი მხრივ, პარმის, მოდენისა და პაპის ლეგატს დაქვემდებარებულ ტერიტორიებს შორის (ჩრდილო-აღმოსავლეთი) და მეორე მხრივ, გენიუს რივიერის, მასა-კარარისა და ტოსკანის რეგიონს (სამხრეთ-დასავლეთი) შორის. უფრო სამხრეთით, ის მხოლოდ ადმინისტრაციული საზღვრის როლს ასრულებდა, რადგან პაპის ოლქი და ნეაპოლის სამეფო საუკუნეების მანძილზე მას ესაზღვრებოდა. აღნიშნული ადმინისტრაციული საზღვრის როლი დღესაც ძალაში რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძული მთიანია, მასზე ყველგან ეინრო მდელოებია, რომელიც მათ გამყოფ ქედებს შორის არის მოქცეული. ამ ქედებს შორის სამი მათგანი განსაკუთრებით იმსახურებს ყურადღებას.

ბალკანეთის მთების ქედი, რომელიც რკალივით გადის რკინის კარიდან (დუნაი) შავ ზღვამდე: დასავლეთით ის საზღვარს ქმნის სერბეთსა და ბულგარეთს შორის (თურქეთი 1878 წლამდე); თავის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში ის ბულგარეთშია შეჭრილი, მაგრამ გარკვეულ დროს, ის საზღვარს აღნიშნავდა ბულგარეთსა და აღმოსავლეთ რუმელიას შორის.

როდოპის მთების ქედი, რომელიც ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთი სანაპიროს პარალელურად გადის, საზღვარს აღნიშნავდა საბერძნეთის დასავლეთ თრაკიასა (თურქეთის 1913 წლამდე) და ბულგარეთს შორის. მის აღმოსავლეთ ნაწილში (მარიცისაკენ) ის აღარ იყო საკმაოდ მაღალი დაბრკოლების შესაქმნელად და ბევრ ადგილას ბულგარეთის ტერიტორიას ესაზღვრებოდა (1913-1919წწ. და 1941-1945წწ.), როდესაც ეს უკანასკნელი ეგეოსის ზღვამდე გადიოდა.

პინდის მთების ქედი, რომელიც ჩრდილო-სამხრეთისკენ არის მიმართული იონიის ზღვის პარალელურად, არასოდეს ყოფილა საზღვარი, თანამედროვე ეპოქაში ის მხოლოდ შიდა საზღვარს ნარმოადგენდა თავდაპირველად, ეპირსა და სამხრეთ მაკედონიას შორის თურქეთის შიგნით, 1913 წლის შემდეგ კი საბერძნეთში.

კონტინენტის მეორე ბოლოში, სკანდინავიის ნახევარკუნძულზე, **სკანდინავიური ალპების** გრძელი ქედი საუკუნეების მანძილზე ბუნებრივ საზღვარს ქმნიდა ატლანტიკისკენ შემობრუნებულ ნორვეგიასა და ბოტნიის ყურისკენ მიბრუნებულ შვედეთს შორის. ის ყოველთვის საზღვარს აღნიშნავდა ამ ორ სამეფოს შორის. თუმცა აღნიშნული როლი შემცირებული იყო ორი პერიოდის მანძილზე, როდესაც ორივე სამეფო პირადი უნიით იყო გაერთიანებული: 1397-1536 წლები (კალმარის უნია, დანიასთან ერთად) და 1814-1905 წლებში.

ევროპის შუაგულში მთების სხვა მნიშვნელოვანი სისტემაა ის მთები, რომელიც ბოჰემია-მორავიის "ოთხკუთხედს" ერტყმის: ჩრდილო-აღმოსავლეთით **სუდეტების** მთები, ჩრდილო-დასავლეთით **მადნის** მთები, სამხრეთ-დასავლეთით **ბოჰემიის** ტყე, სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩეხეთ-მორავიის **ბორცვები**. აღნიშნული მთების სისტემა მეტ-ნაკლებად ანცალკევებს ჩეხეთის ბოჰემია-მორავიას გერმანული ტერიტორიებისგან: სილეზია და საქსონია ჩრდილოეთით, ბავარია დასავლეთით, ავსტრია სამხრეთით, რამაც პირველ ათასწლეულში სლავების დაფუძნება გააიოლა გერმანულ რეგიონში. ამავე დროს, ბოჰემია-მორავიაში სლავთა დამკვიდრებას შუა საუკუნეებში მნიშვნელოვანი გერმანული კოლონიზაცია შეენაცვლა, კერძოდ, ამ მთების შიდა კიდის გაყოლებაზე, ანუ ბოჰემია-მორავიის პერიმეტრზე.

მთების აღნიშნული სისტემა ყოველთვის საზღვრის როლს ასრულებდა ბოჰემია-მორავიისთვის (შემდგომში ჩეხოსლოვაკიისა და ჩეხეთისთვის), ნანილობრივ ჩრდილოეთით და დასავლეთით, როდესაც ბოჰემია-მორავია ავსტრიას ეკუთვნოდა, ზოგჯერ კი მთლიანად, თავისი დამოუკიდებლობის პერიოდებში. ერთადერთი ინტერვალი 1938 წლიდან 1945 წლამდე იყო, როდესაც ჰიტლერმა სუდეტები დაიპყრო, შემდგომში კი ბოჰემია-მორავიის დარჩენილი ნანილი.

ევროპის უკანასკნელი მთების ქედი **კარპატებია,** რომელიც გარს ერტყმის უნგრეთის დაბლობსა და ბრატისლავას დუნაის რკინის კარამდე. კარპატების ქედი ბევრ ადგილას საკმაოდ განიერია, ამიტომაც მასზე ბევრი მოსახლეობაა, რომელიც ხშირად განსხვავდება უნგრეთის დაბლობის მოსახლეობისგან: ზემო უნგრეთის სლოვაკები, სეკლერები, საქსონელები და ტრანსილვანიის რუმინელები.

საუკუნეების მანძილზე კარპატების ქედის ბუნებრივი საზღვრი უნგრეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრის როლს ასრულებდა (ან თურქეთის უნგრეთის 1526 წლიდან 1697 წლამდე) პოლონეთის, მოლდოვის, ელახეთისა და თურქეთის პირისპირ. ამავე დროს, 1772 წლიდან გალიციის, შემდეგ კი ბუკოვინის ანექსიამ მას ეს როლი დააკარგინა ჩრდილოეთით. თუმცა აღნიშნული საზღვარი, როგორც ვნახეთ, არ ქმნიდა ეთნიკურ საზღვარს, რომლის შიგნით დასახლება არ იყო მხოლოდ უნგრული.

ამგვარად, როდესაც პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა ავსტრია-უნგრეთის გაქრობა გადაწყვიტეს, ისინი მკაცრად მოექცნენ ახალ უნგრეთს. ეროვნებათა პრინციპის სახელით, ამ უკანასკნელს კარპატების ქედის ზოლის განსვრივ მდებარე მთის რეგიონები ჩამოერთვა, ჩრდილოეთით ჩეხოსლოვაკიისა, ხოლო სამხრეთითა და აღმოსავლეთით რუმინეთის სასარგებლოდ.

აღნიშნული დროიდან, კარპატების ქედის ზოლი საზღვარს მხოლოდ მის ჩრდილოეთ ნანილში ქმნიდა, სადაც ის სანყის წერტილს აღნიშნავდა პოლონეთსა (ჩრდილოეთით) და ჩეხოსლოვაკიას (სამხრეთით) შორის 1919 წლიდან 1939 წლამდე, ასევე სლოვაკეთსა და უნგრეთის კარპატისპირეთის ოლქს შორის 1939 წლიდან 1945 წლამდე, ჩეხოსლოვაკიასა (შეცვლილი სლოვაკეთით 1993 ნელს) და საბჭოთა კარპატისპირეთს შორის (შემდგომში უკრაინის) 1945 წლიდან დღემდე.

ევროპის აღმოსავლეთით მდებარე ორ ქედს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან გეოგრაფიული თვალსაზრისით, ის ამ კონტინენტის საზღვარს აღნიშნავს: ურალისა და კავკასიის მთები.

ჩრდილო-სამხრეთისკენ მიმართული **ურალის მთები** ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანიდან მდინარე ურალის დინებამდეა გადაჭიმული, რომელიც საზღვარს კასპიის ზღვამდე აგრძელებს. ტრადიციულად, ურალის მთები ევროპული ნანილის რუსეთს აზიური ნანილის რუსეთისაგან ყოფს და ამგვარად, ევროპის აღმოსავლეთ საზღვარს აღნიშნავს.

კავკასიის მთები, რომელიც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდეა გადაჭიმული, ასევე ევროპასა და აზიას შორის საზღვარს აღნიშნავს, ყოფს რა რუსეთს (ჩრდილოეთით) იმ ქვეყნებისგან (სამხრეთით), რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მის შემადგენლობაში შედიოდნენ, თუმცა დღეისათვის დამოუკიდებელნი არიან: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი.

ზღვები

ზღვები ევროპის სახელმწიფოებს შორის საზღვარს მხოლოდ სრუტეებით (პა დე კალე, ერეზენდი, ირლანდიის ზღვა, ბონიფაჩო), ყურეებით (ბოტნიის, ფინეთის) ან ჩაკეტილი ზღვებით (ბალტიის, ადრიატიკის, ეგეოსის) აღნიშნავენ. ამავე დროს, ისინი უდიდეს როლს ასრულებენ თავად კონტინენტის საზღვრების დადგენაში: არქტიკა, ატლანტიკის ოკეანე, გიბრალტარი, ხმელთაშუა ზღვა, მარმარილოს ზღვა, ბოსფორი, შავი ზღვა, კასპიის ზღვა.

სხვადასხვა სახის უცნაურობები, ადგილობრივი თავისებურებანი და ანეკდოტები

ჩვენი ნაშრომის სახუმარო ტალღაზე დასრულებისთვის გთავაზობთ განხილული პერიოდის სახელმწიფოებთან, ადამიანებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის უცნაურობებს, ადგილობრივ თავისებურებებსა და ანეკდოტებს

ჯიბის სახელმწიფოები

თუკი 1789 წელს ევროპაში დიდი სახელმწიფოების გვერდით საკმაოდ ბევრი ძალზე მცირე ზომის სახელმწიფო არსებობდა, ორი საუკუნის განმავლობაში კონტინენტზე მიმდინარე ტერიტორიულმა ცვლილებებმა ისინი თითქმის ყველა გააქრო. ლიხტენშტაინი, სან-მარინო, მონაკო, ანდორა, ვატიკანი და მალტა (რესპუბლიკა და ორდენი), ის უკანასკნელი პატარა სახელმწიფოებია, რომელიც დღევანდელ ევროპაში კვლავაც არსებობს. ჩამოთვლილი სახელმწიფოები ძველი პოლიტიკური ტრადიციების მატარებელია, რომელიც თანამედროვე პოლიტიკური სახელმწიფოების გაჩენის შედეგად ყველგან გაქრა.

ლიხტენშტაინი მემკვიდრეობითი მთავრების ბოლო პატარა სახელმწიფო იყო, რომელიც 1806 წლამდე "საღვთო რომის იმპერიაში" (გერმანელი ერის) "ფუთფუთებდა." საკითხავია, იცნობიერებს კი ლიხტენშტაინის მოსახლეობა იმ ფაქტს, რომ მისი სახელმწიფოს გადარჩენა გამარჯვების შარავანდედით მოცული ერთი ადამიანის, რომლის სახელიც მთელ ევროპას შიშის ზარს სცემდა, ნაპოლეონის წყალობით გახდა შესაძლებელი?

ლიხტენშტაინი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით შეეიცარიის რესპუბლიკასა და ვორარლბერგის პროვინციას შორის იყო განლაგებული, რომელიც პრესბურგის ხელშეკრულებით ბავარიას გადაეცა. თუმცა 1806 ნელს ნაპოლეონმა ცენტრალური გერმანიის დიდი სახელმწიფოების გაფართოება არჩია, მათ მეზობლად მდებარე პატარა საბელმწიფოთა საზიანოდ. აღნიშნულ კონტექსტში, ლიხტენშტაინი, ლოგიკიდან გამომდინარე, ბავარიას უნდა შთაენთქა.

1805 ნლის დეკემბერში პრესბურგის მოლაპარაკებების დროს, ავსტრიის სრულუფლებიან წარმომადგენელს, ლიხტენშტაინის მთავარს, ბედმა გაუღიმა და აღნიშნულ გარემოებაში მან ნაპოლეონის დიდი მონონება დაიმსახურა. ამ უკანასკნელის განკარგულებით, ლიხტენშტაინის მთავარი, როგორც ჰაბსბურგთა ერთგული მსახური, შექმნის პროცესში მყოფი რაინის კონფედერაციის ნევრთა შორის ყოფნის პატივს იმსახურებდა. როგორც ცნობილია, მდინარე რაინი დღესაც გარს უვლის ლიხტენშტაინის სამთავროს.

სან-მარინო იტალიის ნახევარკუნძულზე მდებარე იმ ერთ-ერთ საქალაქო რესპუბლიკათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელიც ძალზე აყვავებული იყო შუა საუკუნეებში, ვიდრე თითქმის მთლიანად არ გაქრა ერთი მთავრის ტირანიის ქვეშ. სან-მარინოს ტერიტორიის სიმცირემ, ამბიციების არქონამ და "რესპუბლიკურმა შემართებამ", მას თავისი სუვერენიტეტის სამჯერ შენარჩუნების შესაძლებლობა მისცა: 1739 წელს პაპის ტახტის პირისპირ, 1806 ნელს ნაპოლეონის იტალიის პერიოდში და 1860 ნელს იტალიის გაერთიანებასთან დაკავშირებული საერთო მოძრაობის პირისპირ.

რაც შეეხება მონაკოს, ის სწორედ უკანასკნელი იყო იმ იტალიურ სამთავროთა შორის, რომელიც შუა საუკუნეების მინურულს გაბედული ადამიანის მმართველობის ქვეშ შეიქმნა. რევოლუციური საფრანგეთის მიერ სამთავროს ანეუსიის შემ-

დეგ, 1815 წელს მან აღდგენა მოახერხა და 1860 წელს თავისი გეოგრაფიული მდებარეობით (შეჭრილი ნიცის საგრაფოში, რომელიც ამ დროს უკვე საფრანგეთს ეკუთვნოდა) ისარგებლა ახალი იტალიის სამეფოში გაერთიანების თავიდან ასარიდებლად.

ანდორა თავის მხრივ, დასავლეთის პატარა ფეოდალურ სახელმწიფოთა შორის უკანასკნელი იყო, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე სიუზერენიტეტით (ორმაგითაც კი) სარგებლობდა ფაქტობრივი ავტონომიის შესანარჩუნებლად. რევოლუციური ეპოქისთვის დრომოჭმული სტატუსი ანდორისთვის ხელსაყრელი გამოდგა, რომლის მოსახლეობამ ნაპოლეონს რევოლუციონერთა მიერ გაუქმებულ საფრანგეთის სიუზერენიტეტთან მიერთება მოსთხოვა.

მიუხედავად 1993 წლის ახალი კონსტიტუციისა, რომელმაც შუა საუკუნეებიდან მომდინარე ინსტიტუტები შეცვალა და სამთავროსგან "თანამედროვე" სახელმწიფო შექმნა, ორი მთავრის სახელმწიფოს მეთაურად შენარჩუნება, ანდორის წინა საუკუნეების ისტორიული უნყვეტობის შენარჩუნებას მოწმობს.

ვატიკანი, რომელიც ფორმალურად 1919 წელს შეიქმნა, პიპინ მოკლესა და კარლოს დიდის მემკვიდრეა, რომელთაც სულიერი პირველობის უზრუნველსაყოფად სურდათ, რომ პაპი დროებით არც ერთი სუვერენისგან არ ყოფილიყო დამოკიდებული. აღნიშნული ტრადიცია ორჯერ დარღვა (1809-1814წწ. და 1870-1929წწ.), მაგრამ დღეისათვის ის აღდგენილია და პაპობის გავლენის მატერიალური საფუძველია.

რაც შეეხება მალტას, რესპუბლიკა ჯვაროსნული ლაშქრობების დროს აღმოცენებული რაინდთა უძველეს ორდენთა ერთ-ერთი ტერიტორიული, ხოლო მალტის ორდენი მისი რელიგიური და სულიერი (ჰოსპიტალიერთა) მემკვიდრეა. წინათ მალტის ორდენი ჭეშმარიტ პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობდა და საერო მთავრებისთვის ანგარიშგასაწევი ძალა იყო.

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე სამი პოლიტიკური ერთეული, რომელიც თავად სხვა პოლიტიკური ტრადიციების მემკვიდრეა და დღეისათვის დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღარ წარმოადგენს:

– ჰამბურგისა და ბრემენის ქალაქ-სახელმწიფოები, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის, ჰანზის ლიგის უკანასკნელი გადარჩენილი ქალაქებია, რომელიც შუა საუკუნეებში ატლანტიკის ოკეანიდან რუსულ სტეპებამდე გადაშლილ სავაჭრო ქალაქების რიცხვს მიეკუთვნებოდა;

– ათონის მთის ბერ-მონაზონთა რესპუბლიკა, რომელიც საბერძნეთში იყო მოქცეული, საეკლესიო სახელმწიფოთა ტრადიციის უკანასკნელი წარმომადგენელია (საეპისკოპოსოები, სააბატოები, პრევოს რეზიდენციები). საეკლესიო სახელმწიფოები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ევროპის პოლიტიკურ ისტორიაში.

კონფესიონალური დიქოტომია

ქრისტიანულ დასავლეთში ჩვ. წ. აღ. პირველ საუკუნეებში გაჩენილი მწვალებლობის აღმოფხვრის შემდეგ, მყარი კონფესიონალური ერთიანობა დამყარდა. XVI საუკუნეში გაჩენილი პროტესტანტული რელიგიები აშლილობისა და გახლეჩის სერიოზულ ფაქტორად იყო მიჩნეული იმ ქვეყნებში, სადაც ისინი გავრცელდა. სწორედ ამ ფაქტით აიხსნება (თუმცა გამართლება არა აქვს) იმ ეპოქის რელიგიური ომები. შექმნილი ვითარება გადაწყდა, როგორც გერმანიაში, ასევე შვეიცარიაში თითოეული სახელმწიფოსთვის (ან კანტონი) ერთადერთი რელიგიის შემოღების პრინციპით. აღნიშნულ სფეროში ორი უცნაურობა არსებობდა, გერმანიაში 1789 წელს და მეორე, რომელიც 1918 წლამდე გაგრძელდა.

ოსნაბრიუკის მთავრის საეპისკოპოსოში, რომელიც კათოლიკეებსა და ლუთერანებს შორის იყო გაყოფილი, პოლიტიკური ძალაუფლება მონაცვლეობით ხან კათოლიკე ეპისკოპოსის, ხან კი ლუთერახელი ეპისკოპოსის ხელში იყო 1803 წელს ამ სახელმწიფოს გაქრობამდე.

საქსონიის ამომრჩეველი ავგუსტ I თავის დროზე ლუთერის ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე მომხრეთაგანი იყო ეკლესიისა და იმპერატორის წინააღმდეგ ბრძო-

ლაში. მისი შთამომავლები ხმამაღლა მოითხოვდნენ ევანგელიკური პარტიის მეთაურის რანგს "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) ინსტიტუტებში, რომელიც კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის იყო განანილებული, მაშინ როდესაც საქსონიის ელექტორატი cujus regio ejus regio-ს პრინციპით, ლუთერანულ ბლოკად იყო ჩამოყალიბებული. თუმცა XVI I საუკუნის მიწურულს, პოლონეთის მეფედ არჩევისთვის, ამომრჩეველმა კათოლიკობა მიიღო. მათი მემკვიდრეები ორი საუკუნის განმავლობაში კათოლიკეებად დარჩნენ და ამავდროულად, ლუთერანულ ქვეყანას მართავდნენ და გერმანულ ინსტიტუტებში ევანგელიკური პარტიის ხელმძღვანელობას აგრძელებდნენ.

ონომასტიკური უცნაურობანი

ქვეყნების ოფიციალურ სახელწოდებებში ჩვენ შეგვიძლია ამოვიკითხოთ ისეთი ტერმინები, როგორიცაა შეერთებული პროვინციები (ნიდერლანდის პროვინციები), შეერთებული შტატები (ამერიკის, ბრაზილიის და სხვ.), გაერთიანებული სამთავროები (მოლდოვა და ვლახეთი), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბევრმა პროვინციამ, სახელმწიფომ თუ სამთავრომ, საერთო პოლიტიკური ბედის თავისუფალი გადაწყვეტილება მიიღო.

ინგლისელებმა, რომლებიც არასოდეს აკეთებენ რაიმეს სხვების მსგავსად, გადაწყვიტეს გაერთიანებული სამეფოს სახელწოდება მხოლობით რიცხვში დაეწერათ (დიდი ბრიტანეთი და ირლანდია), რაც სემანტიკური აბსურდია, რადგან გაერთიანება ბევრი და არა ერთი ელემენტის არსებობას გულისხმობს. თუმცა ირლანდიელებს, შოტლანდიელებისა და უელსის მცხოვრებთა მსგავსად, ინგლისთან გაერთიანება დიდი სიხარულით არ მიუღიათ.

XVIII საუკუნეში ფრანგი რევოლუციონერების მიერ მოძმე რესპუბლიკების შექმნის სურვილი ანტიკური ხანისკენ შემობრუნების მოდა იყო. სნორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით, აღდგენილი იქნა ძველი ხალხების სახელწოდებები (ბელგიელები, ბატავები, რორები, ჰელვეტები, ლიგურიელები და სხვ.)

სხვა რესპუბლიკებმა გეოგრაფიული სახელები აირჩიეს რომაული ეპოქის ციზალპიისა და ტრანსალპიის გალების მსგავსად, გაჩნდა ციზპადანის, ტრანსპადანის, ციზალპური და ციზრაინის რესპუბლიკები, თითქოსდა რომი კელავაც მსოფლიო პოლიტიკის ცენტრი იყო.

თუკი ციზპადანისა და ციზალპური რესპუბლიკების სახელწოდებები მოცემული დროის პოლიტიკურ გეოგრაფიას შეესაბამებოდა (ბოლონიიდან ციზპადანი პოს აქეთა მხარეს მდებარეობდა, მილანიდან კი ციზალპიის რესპუბლიკა ალპების აქეთა მხარეს იყო განლაგებული), ტერმინი ტრანსპადანი გეოპოლიტიკურად აბსურდული იყო, რადგან მისი დედაქალაქის გადასახედიდან (მილანი), ეს რესპუბლიკა პოს აქეთ და არა იქით მდებარეობდა.

რაც შეეხება ტერმინს ციზრენანია, თუკი მისი გაგება ლოგიკური თვალსაზრისით შესაძლებელია, რადგან რესპუბლიკა მაინციდან რაინის აქეთა მხარეს მდებარეობდა, გერმანელთა უმრავლესობას ის უცნაურად მოეჩვენებოდა, რადგან ის ამ მდინარის მეორე მხარეს, გერმანიის ცენტრალურ ნაწილში ცხოვრობდა. ეს ტერმინი სიმბოლურად ამ მოძმე რესპუბლიკის საფრანგეთისადმი დაქვემდებარებას მიანიშნებდა, რაც ფრანგ გენერალს, ოშს სურდა, რომლისთვისაც მსოფლიოს ცენტრს პარიზი წარმოადგენდა.

ამომრჩევლის წოდება ყოველთვის ძალზე სასურველი იყო "საღვთო რომის იმპერიაში" (გერმანელი ერის), პრესტიჟის, გავლენისა და პოლიტიკური გამორჩენის გამო. 1356 წელს ამომრჩეველთა რაოდენობა შვიდით, ხოლო 1789 წელს რვით შემოიფარგლებოდა.

1803 წლის საიმპერიო დადგენილებით, ოთხი ახალი ამომრჩეველი შეირჩა: დიდი ჰერცოგი ფერდინანდი (ტოსკანის) ზალცბურგისთვის, ვიურტემბერგის ჰერცოგი, ბადენის მარკგრაფი, ჰესენ-კასელის ლანდგრაფი. მიიღეს რა აღნიშნული ტიტული, მათ არასოდეს მიუღიათ არჩევნებში მონაწილეობა, რადგან

"საღვთო რომის იმპერიამ" (გერმანელი ერის) ეს გადაწყვეტილება იმპერატორზე სამი წლით გვიან მიიღო.

ყველაზე უცნაური შემთხვევა ჰესენ-კასელის ამომრჩეველთან არის დაკავშირებული. 1806 წელს ნაპოლეონმა მას თავისი სახელმწიფოები ჩამოართვა, რომელიც 1814 წელს დაიბრუნა. ამ უკანასკნელს ამბიცია ჰქონდა, რომ ვენის კონგრესი მას მეფედ აღიარებდა. თუმცა კონგრესმა უარი თქვა მისთვის ამ ტიტულის მინიჭებაზე. არაფრად აგდებდა რა დიდი ჰერცოგის ტიტულს, რომლის მიღებაც მას იოლად შეეძლო (რითაც თავის ჰერმანშტადტის ნათესავს დააკმაყოფილებდა), მან ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ძველი ამომრჩევლის ტიტული არჩია მიუხედავად იმისა, რომ "საღვთო რომის იმპერია" (გერმანელი ერის) აღარ არსებობდა, ხოლო მისი ადგილი გერმანიის კონფედერაციამ დაიკავა, რომლის მემკვიდრეობითი მართვა ავსტრიის სახლის ხელში იყო.

1815 წლიდან მის გაქრობამდე 1866 წელს, ჰესენ-კასელს ამომრჩევლები არჩევნების გარეშე მართავდნენ.

ზღვის პირას მდებარე მშვენიერი ქალაქი რაგუზა, რომელიც დღეისათვის თავისი სლავური სახელწოდებით, დუბროვნიკით არის ცნობილი, თავისდა უნებურად რესტავრაციის დროს მოდაში არსებული ნეოლოგიზმიდან მომდინარეობს და დღეს მივიწყებულიც იქნებოდა, ედმონ როსტანდს მისი სახელი თავის პიესაში, "ეგლიონი" ("პატარა არნივი") რომ არ უკვდავეყო. საქმე ეხება ზმნას "რაგუზე".

ნაპოლეონთან დაახლოებულმა მარშალმა მარმონმა, რომელიც 1806 წელს დალმაციის გენერალ-გუბერნატორი იყო, რაგუზის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას ბოლო მოუღო. 1808 წელს მარშალმა იმპერატორისგან რაგუზის ჰერცოგის ტიტული მიიღო, რომელსაც 1814 წელს უღალატა (როგორც სხვებმა). მისი ტიტული გამოყენებულ იქნა ზმნის "რაგუზეს" სანარმოებლად, რომელიც ზმნა "ტრაირის" (ღალატის) სინონიმი გახდა. სწორედ ზემოაღნიშნულ პიესაში (სხვა საქმესთან დაკავშირებით), ეგლიონი მარმონს ცნობილი გამოთქმით მიმართავს:

– ღალატიღა გაკლიათ! (გამოყენებულია ზმნა "რაგუზე")

არარეალური ინსტიტუტების შექმნის ხელოვნება

1806 წელს ნაპოლეონმა რაინის კონფედერაცია შუა გერმანიაში მისი გავლენის უზრუნველსაყოფად შექმნა. თეორიულად კონფედერაცია ორ პალატად დაყოფილ – მეფეთა და მთავართა კოლეგია – ფედერალურ დიეტს უნდა ემართა, რომლის ადგილსამყოფელი მაინის ფრანკფურტში უნდა ყოფილიყო განლაგებული. ყოველი ახალი წევრის მიღებისას (16 წევრიდან 1806 წელს, კონფედერაციის წევრთა რაოდენობამ 39-ს მიაღწია 1808 წელს) ზედმიწევნით დაზუსტებული იყო ახალი წევრის ადგილი შესაბამის კოლეგიაში.

თავისი არსებობის შვიდი წლის მანძილზე ამ კონფედერაციის დიეტი არ შეკრებილა, რადგან ის მხოლოდ პოლიტიკურ, განსაკუთრებით კი სამხედრო ინსტრუმენტს წარმოადგენდა ევროპაში ნაპოლეონის ჰეგემონისტური მიზნების განხორციელებისთვის. ფრანკფურტი ცარიელ ნიჟარად დარჩა და იძულებული იყო გერმანიის კონფედერაციის დასასრულს დალოდებოდა იმისათვის, რომ საპარლამენტო ცხოვრებით დამტკბარიყო 1815 წლიდან 1866 წლამდე.

მოხეტიალე სუვერენები

თუკი დღეისათვის არსებული ტენდენციის თანახმად, მემკვიდრეობითი სუვერენები ხალხთან, ერთან, ქვეყანასთან არიან გაიგივებულნი, რომლის ერთიანობის სიმბოლოს გამომხატველებად ისინი გვევლინებიან, წარსულში ყოველთვის ასე არ ხდებოდა. სხვადასხვა პოლიტიკური გარემოებები ზოგიერთ მთავარს სკიპტრის შეცვლას აიძულებდა, რაც ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე ხდებოდა, ოღონდ მმართველობის გაგრძელების შესაძლებლობა ყოფილიყო.

აღნიშნულის მაგალითებს XVIII საუკუნეში ვხვდებით, როდესაც სტანისლას ლესჩინსკიმ პოლონეთის სამეფო გვირგვინი ლოთარინგიის სამეფო გვირგვინში გაცვალა, ლოთარინგიის ჰერცოგმა, ფრანც-ერიხმა ლოთარინგია ტოსკანისთვის მიატოვა იმპერატორად არჩევამდე, სავოიის ჰერცოგი, ვიტორიო-ამედეო

სარდინიაში გაქცევამდე სიცილიას განაგებდა, ესპანეთის მეფის ფილიპე V-ის უფროსმა ვაჟმა, დონ კარლოსმა 1731 წელს პარმის ტახტი მიიღო, რომელიც 1738 წელს ორივე სიცილიის სამეფოს ტახტში გაცვალა, 1759 წელს მადრიდში მეფედ დაბრუნებამდე და სხვ.

XIX საუკუნის დასაწყისში, 1803 წლის საიმპერიო დადგენილება სხვადასხვა სამთავრო ტახტის გადანაცვლების საფუძველი გახდა. გერმანელ პატარა სუვერენთა გარკვეულმა ნანილმა, რომელსაც რაინის მარცხენა ნაპირზე ჰქონდა სამფლობელოები, ახალი სახელმწიფოები მიიღო ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ძველ და ახალ ქვეშევრდომთა აზრის გაუთვალისწინებლად.

ამ ფენომენის საილუსტრაციოდ, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ შეუქცევადი იყო, ორი სუვერენის მაგალითი გამოდგება.

ტოსკანის დიდი ჰერცოგი, ფერდინანდ III ჰაბსბურგთა სახლის წარმომადგენელი და იმპერატორ ფრანც II-ის უმცროსი ძმა იყო, რომელიც 1790 წლიდან ფლორენციას განაგებდა. 1799 წელს ბონაპარტმა მას მისი სახელმწიფოები ჩამოართვა. 1801 წლიდან იგი იძულებული გახდა ტოსკანაზე უარი ეთქვა, და 1803 წელს საიმპერიო დადგენილებით, კომპენსაციად ზალცბურგის ელექტორატი მიეღო. 1805 წელს ახალი გადაადგილება მოხდა. იგი იძულებული გახდა ზალცბურგი თავისი ძმისთვის დაეთმო და ვიურტემბერგი ემართა, თავდაპირველად როგორც ამომრჩევლს, 1806 წლიდან კი როგორც დიდ ჰერცოგს. მას ალბათ გარკვეული სინანული უნდა ეგრძნო თავისი ძმის მიმართ, რადგან 1806 წლის სექტემბერში იგი პირველი იყო სუვერენთა შორის, რომელიც რაინის კონფედერაციაში (ნაპოლეონის ინსტრუმენტი) შევიდა მისი შექმნის შემდეგ და ერთ-ერთი უკანასკნელი, რომელმაც მისი რიგები 1813 წელს დატოვა. ამ ფაქტს, 1815 წელს ფერდინანდისთვის ფლორენციაში დასაბრუნებლად ხელი არ შეუშლია. იგი კეკლავაც მშვიდად მართავდა ტოსკანას თითქოს არაფერი მომხდარიყო.

რაც შეეხება ეტრურიის მეფის ლუიჯი I-ის ვაჟს, მან ზემოაღნიშნულ მოხეტიალე ცხოვრებას საინტერესო მემკვიდრეობითი შტრიხი შეპმატა. პარმის ჰერცოგ ფერდინანდის შვილიშვილი, ეს ბურბონი 1803 წლიდან ეტრურიას (ტოსკანას) ლუიჯი II-ის სახელით განაგებდა თავისი დედის რეგენტობის დროს, რადგან იგი ამ დროს მცირეწლოვანი იყო. 1807 წელს ნაპოლეონმა იგი ფლორენციიდან გააძევა და მის ლუზიტანიის მეფედ დასმას გეგმავდა ლუიძ I-ის სახელით (პორტუგალიის ჩრდილოეთი რეგიონი, რომლის დედაქალაქი პორტო იყო), პოლტუგალიაში საფრანგეთის უსიამოვნებების მხედველობაში მიუღებლად. 1815 წელს ფერდინანდ III-მ ტოსკანა დაიბრუნა, მისი ბაბუის პარმის საჰერცოგო კი სარეზერვო ტერიტორიად დარჩა იმპერატორის მეუღლის, მარია-ლუიზასათვის. ფერდინანდისთვის ლუკას საჰერცოგო შეიქმნა, რომელსაც იგი კარლო-ლუიჯის სახელით განაგებდა. 1847 წელს მარია-ლუიზას გარდაცვალების შემდეგ, მან ოთხი თვით პარმაში დაბრუნება შეძლო კარლო II-ის სახელით.

ფულის შოვნის ხელოვნება მცირე დანახარჯებით

როდესაც ნაპოლეონი ფრანგების იმპერატორი და იტალიის მეფე გახდა, მან თავისი ოჯახის წევრების ევროპის სამეფო თუ სამთავრო ტახტებზე დასმაზე დაიწყო ზრუნვა: ჟოზეფს ნეაპოლი (შემდეგ ესპანეთი), ლუის ჰოლანდია, ჟერომს ვესტფალია, ელიზას ლუკა და პიომბინო, კაროლინას (და მის მეუღლეს იოაკიმ მიურატს) კლევე და ბერგი, შემდგომში კი ნეაპოლი გადაეცა. ნაპოლეონთან ნაჩხუბებულ ლუსიენს არაფერი ხვდა წილად.

რაც შეეხება პოლინას, რომლის უდარდელობა და ფუქსავატობა კარგად იყო ცნობილი მისი ძმისთვის, მან 1806 წლის მარტში მხოლოდ გუასტალის პატარა საჰერცოგო მიიღო, რომელიც ამ მიზნისთვის პარმის საჰერცოგოს გამოეყო (1802 წელს ის საფრანგეთის მფლობელობაში გადავიდა). პარიზული ცხოვრების დიდმა მოტრფიალემ, პოლინა ბორგეზემ, რომელსაც გუასტალაში ცხოვრებით თავი არ შეუნუხებია, თავისი საჰერცოგო თავიდან მოიშორა და ის ოთხი თვის შემდეგ თავის ძმას მიჰყიდა, როგორც იტალიის მეფეს. პოლინა დაკმაყოფილდა გუასტალის ჰერცოგის საპატიო ტიტულით, რომელიც მას დეკორაციულად მიაჩნდა. ეს იყო

ძალზე ხელსაყრელი ოპერაცია პოლინასთვის, რაც შესაძლებელი გახდა მისი ძმის შემნყნარებლობის გამო, რომელიც დას ყველა კაპრიზს უსრულებდა.

ელიზა ბონაპარტმა, ფელიქს ბაჩიოჩის მეუღლემ, 1805 წლის ივნისში ნაპოლეონისგან ლუკას ძველი რესპუბლიკა და პიომბინოს სამთავრო მიიღო, რომელიც ელიზასა და მის მეუღლეს ლუკასა და პიომბინოს მთავრების სახელით უნდა ემართა.

ელიზა ბაჩიოჩიმ აღნიშნული სამთავრო ძალზე პატარად ჩათვალა და დაჟინების ძალით, 1809 წელს თავისი ძმისგან გარკვეული უფლებამოსილება მოიპოვა (თუმცა ძალზე შეზღუდული). საქმე ეხებოდა უფლებებს ტოსკანაზე, რომელიც 1808 წელს საფრანგეთის გახდა. ელიზამ ტოსკანის დიდი ჰერცოგის ტიტული მიიღო, მაგრამ ეს უფლებამოსილება პერსონალური იყო და მის მეუღლეს ამ შემთხვევაში, უფლებები არ გააჩნდა.

ამბობენ, რომ როდესაც ახალმა ჰერცოგმა თავისი კარი ლუკადან ფლორენციაში გადაიტანა, იგი საზღვარზე ლუკას მთავრის, თავისი მეუღლის მარცხნივ იჯდა ბერლინაში (რადგან ლუკას ტერიტორიაზე მეუღლის ტიტული საკუთარი ცოლის ტიტულს აღემატებოდა), მაგრამ ამ უკანასკნელმა ჰერცოგს თავისი ადგილი დაუთმო საზღვარზე, რადგან ტოსკანის ტერიტორიაზე ელიზას საპატიო ადგილი შეეფერებოდა.

საზღვარი საზღვარია

როგორც ცნობილია, 1815 წელს "საღვთო რომის იმპერია" (გერმანელი ერის) არ იქნა აღდგენილი და მისი ადგილი გერმანიის კონფედერაციამ დაიკავა. ტრადიციის ძალა იმდენად მნიშვნელოვანი გამოდგა (კონფედერაციის დასავლეთი საზღვრის გარდა, სადაც საჭირო გახდა სიღრმისეული ცვლილებების განხორციელება ლაუტერბურგთან და ბაზელის შემოგარენთან მდებარე ვეზელის საზღვრის ხელახალი დადგენა), რომ გერმანიის კონფედერაციის გარე საზღვარი ძველი "საღვთო რომის იმპერიის" (გერმანელი ერის) საზღვარზე იქნა გავლებული.

ისტრიაში აღნიშნული საზღვარი 1789 წელს ვენეციის ისტრიას (დასავლეთი ორი მესამედი) იმპერიისგან გამოყოფდა, ხოლო ავსტრიის ისტრია (აღმოსავლეთი მესამედი) ამ უკანასკნელში იყო მოქცეული. 1815 წელს ავსტრიამ ვენეციის სამფლობელოები დაიპყრო და ვენეციის რეგიონი ლომბარდიასთან გააერთიანა ლომბარდია-ვენეციის რეგიონის შესაქმნელად. თავის მხრივ, ვენეციის ყოფილი ისტრია ადმინისტრაციულად ვენეციის რეგიონს გამოეყო და ავსტრიის ვენეციასთან ერთ ტერიტორიულ ერთეულად ჩამოყალიბდა ისტრიის ოლქის შესაქმნელად (ილირიის ავსტრიული სამეფო). თუმცა გერმანიის კონფედერაციას მხედველობაში არ მიუღია ეს გაერთიანება და 1815 წლიდან 1866 წლამდე მისი საზღვარი ავსტრიის მიერ განხორციელებულ დაყოფას უგულებელყოფდა და ისტრიის ოლქის შუა ნაწილამდე გადიოდა.

1866 წელს ჩრდილოეთ გერმანიის ახალმა კონფედერაციამ პრაღის ხელშეკრულების პირობების თანახმად, პრუსიის მეფის მემკვიდრეობითი მმართველობის ქვეშ მაინის ჩრდილოეთით, გერმანული ტერიტორიები გააერთიანა. თუკი ბავარია, ვიურტემბერგის საჰერცოგო და ბადენი ყოველგვარი დავის გარეშე გამოირიცხა, ჰესენ-დარმშტადტის საჰერცოგო დელიკატურ პრობლემას ქმნიდა, რადგან თუკი მისი სამიდან ორი პროვინცია (ჰესენ-რენანი, სტარკენბურგი) მაინის სამხრეთით იყო განლაგებული, მესამე (ჰესენ-კასელი) მაინის ჩრდილოეთით მდებარეობდა.

ზემოაღნიშნულისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ჰესენ-დარმშტადტი ახალ კონფედერაციაში მხოლოდ ზემო ჰესენით შევიდა და ამგვარმა ვითარებამ 1870 წლამდე გასტანა, დიდი საჰერცოგოს დარჩენილი ნაწილის კონფედერაციაში გაერთიანებამდე. დღესაც მღელვარებას იწვევს იმის წარმოდგენა თუ რა დღეში ჩავარდებოდა დიდი ჰერცოგი, თუკი მართლაც შეიქმნებოდა (გათვალისწინებული იყო) მაინის სამხრეთით მდებარე კონფედერაცია, ორ კონფედერაციას შორის ომის გაჩაღების შემთხვევაში.

თანამედროვე თავისებურებანი

ჩვენი კარტეზიანული გონება ისურვებდა, რომ დღევანდელი ტერიტორიული მდგომარეობა ძალზე გამჭვირვალე და მოწესრიგებული ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ორი საუკუნის მანძილზე ევროპამ ამ მიმართულებით ბევრს მიაღწია, არსებობს რამდენიმე ტერიტორიული შეუსაბამობა, რომელიც ისტორიული ტვირთიდან მომდინარეობს, მაგრამ წინააღმდეგობაში მოდის ტერიტორიულად რაციონალური ევროპის ცნებასთან.

კლაივანზერტალის პატარა ხეობა ტიროლს ეკუთვნის, მაგრამ ალპების ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს და ბავარიისკენ არის შემოტრიალებული. ამგვარად, პოლიტიკურად ის ავსტრიას ეკუთვნის, თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისით, გერმანიის სივრცეშია შეყვანილი.

ვალე ლივინიო შვეიცარიისკენ (გრაუბიუნდენი) შემოტრიალებული პატარა იტალიური მთის მასივია. პოლიტიკურად ის იტალიას ეკუთვნის, მაგრამ ეკონომიკურად შვეიცარიასთან არის დაკავშირებული.

მსგავსი ვითარებაა კამპიონე დ'იტალიასთან დაკავშირებით, რომელიც იტალიური ანკლავია ტესინის კანტონის ტერიტორიაზე, ლუგანოს ტბის ნაპირზე და თავისი კაზინოთი არის ცნობილი.

ლივიის ანკლავი, რომელმაც 1659 წელს ესპანეთის შემადგენლობაში დარჩენა შეძლო იმ მოტივით, რომ ქალაქი იყო, ხოლო სერდანში საფრანგეთისთვის მხოლოდ სოფლები უნდა გადაეცათ, დღეს კატალონიის ფესერალიტეტთან არის მიერთებული, თუმცა საფრანგეთის აღმოსავლეთ პირენეებში არის შეჭრილი. კატალონიის ძირითადი ტერიტორიიდან დაახლოებით ორ კილომეტრში მდებარე ამ ანკლავს, პიგსერდასთან ნეიტრალური გზა აერთიანებს, რომელიც 1980 წლიდან დიდი ხიდით გადადის მდინარე რაურსა და ვილფრანშის რკინიგზაზე ტურ დე კაროლამდე და ეროვნულ გზამდე (20), რაც ესპანელებს, ფრანგების ტერიტორიის გადაულახავად, ლივიაში აღმოჩენის შესაძლებლობას აძლევს. ამგვარად, ყველა საკუთარ სახლშია!

და ბოლოს, ბაარლ-დიუკი (ბაარლ-ჰერტოგი) ნიდერლანდში მდებარე პატარა ბელგიური ანკლავია (17კმ²) ბრედის სამხრეთით, ის ბელგიის ძირითადი ტერიტორიიდან დაახლოებით სამ კილომეტრშია განლაგებული. ბაარლ-დიუკი ქალაქ ბაარლ-ნასაუს ემიჯნება, რომელიც მის ნიდერლანდურ წარმომობაზე მიგვანიშნებს.

შეთანხმებული გეოგრაფიული დასახელებების სია

Aachen (გერმანია), Aix-la-Chapelle (ფრ.), Axminster (ინგ.), Aquisgran (ესპ.), Aquisgrana (იტ.) აახენი
Abbazia -> Opatija ოპატია
Abo -> Turku ტურკუ
Adelsberg -> Postonia პოსტონია
Adije (მდინარე, იტალია), Etsch (გერ.) ადიჯე
Aix-la-Chapelle > Aachen აახენი
Akkerman -> Bielgorod ბელგოროდი
Alba-Julia (რუმინეთი), Carlsbourg) (ფრ.), Karlsburg (გერ.), Gyulafehervar (უნგრ.) ალბა- იულია
Alexandroupolis (საბერძნეთი), Dedeagatch (თურქ.) ალექსანდრუპოლისი
Allenstein -> Olsztyn ოლშტინი
Altshol -> Zvolen ზვოლენი
Andrinople -> Edirne ედირნე
Antivari -> Bar ბარი
Antwerpen (ბელგია, ნიდერ., გერ.), Anvers (ფრ.) Anversa (იტ), Anberes (ესპ.) ანტვერპენი
Arba -> Rab რაბი
Argyrocastro -> Gjirokastër გიროკასტრა
Athène -> Athine ათენი
Athine (საბერძნეთი), Athéne (ფრ.), Athens (ინგ.), Athen (გერ.), Atene (იტ.) ათენი
Auschwitz -> Oswiecim ოსვენციმი
Aussig -> Usti nad Labem უსტი-ნად-ლაბემი
Axios -> Vardar ვარდარი
Baia Mare (რუმინეთი), Nagybanya (უნგრ.) ბაია
Bakar (ხორვატია), Buccari (იტ.), ბაკარი
Balaton (ტბა, უნგრეთი), Plattensee (გერ.) ბალატონი
Bâle -> Basel ბაზელი
Banska Bystrica (სლოვაკეთი), Neushol (გერ.), Beszetercebanya (უნგრ.) ბანსკა-ბისტრიცა
Bar (იუგოსლავია), Antivari (იტ.) ბარი
Basel (შვეიცარია, გერ.), Bâle (ფრ.), Basle (ინგ.), Basilea (იტ.) ბაზელი
Bern (შვეიცარია, გერ.), Berne (ფრ., ინგ.) Berna (იტ.) ბერნი
Bielgorod (უკრაინა), Akkerman (გერ.), Cetatea Alba (რუმ.) ბელგოროდი
Bitola (მაკედონია), Monastir (თურქ.), Bitolj (სერბ.) ბიტოლა
Bled (სლოვენია), Veldes (გერ.) ბლედი
Bohumin (ჩეხეთი), Oderberg (გერ.) ბოჰუმენი
Bois-le-Duc ->'s Hertogenbosch ჰერტოგენბოსი

Bologne -> Bolonia ბოლონია
Bolonia (იტალია), Bologne (ფრ., ინგ.) ბოლონია
Bolzano (იტალია), Bologne (ფრ.), Bozen (გერ.) ბოლცანო
Botzen -> Bolzano ბოლცანო
Brac (ხორვატია), Brazza (იტ.) ბრაჩი
Brasov (რუმინეთი), Cronstadt (ფრ.), Kronstadt (გერ.), Brasso (უნგრ.) ბრაშოვი
Bratislava (სლოვაკეთი), Presbourg (ფრ.), Presseburg (გერ.), Poszony (უნგრ.) ბრატისლავა
Braunschweig (გერმანია.), Brunswick (ფრ.) ბრაუნშვაიგი
Brazza -> Brac ბრაჩი
Brême -> Bremen ბრემენი
Bremen (გერმანია), Brême (ფრ.), Brema (ესპ., იტ.) ბრემენი
Breslau -> Wroclaw ვროცლავი
Bressanone (იტალია), Prixen (ფრ., გერ.) ბრესანონე
Brixen -> Bressanone ბრესანონე
Brno (ჩეხეთი), Bruna (ფრ., ინგ.) ბრნო
Bromberg -> Bydgoczsz ბიდგოშჩი
Bruges -> Brugge ბრიუგე
Brugge (ბელგია, ნიდერ.), Bruges (ფრ., ინგ.), Brügge (გერ.), Brujas (ესპ.) ბრიუგე
Bruneek -> Brunico ბრუნიკო
Brunn -> Brno ბრნო
Brunswuick -> ბრაუნშვაიგი
Bruxelles (ბელგია, ფრ.), Brussel (ნიდერ.), Brussels (ინგ.), Brüssel (ესპ.), Bruselas (იტ.) ბრიუსელი
Buccari -> Bakar ბაკარი
Buda (უნგრეთი), Bude (ფრ.), Ofen (გერ.), ბუდაპეშტის ძველი დასახელება პეშტთან გაერთიანებამდე
Bude -> Buda ბუდა
Budweis -> Ceske Budejovice ჩესკე-ბუდეევიცე
Bydgoczsz (პოლონეთი), Bromberg (ფრ., გერ.) ბიდგოშჩი
Canterbury (დიდი ბრიტანეთი) Cantorbéry (ფრ.) კენტერბერი
Cantorbéry -> Cantrbery კენტერბერი
Capodistria -> Koper კოპერი
Carlowitz -> Sremski Karlovci კარლოვცი
Carlsbad -> Karlovy Vary კარლოვი-ვარი
Carsbourg Alba Julia ალბა-იულია
Carlstadt -> Karlovac კარლოვაცი
Cassovie -> Kosice კოშიცე
Cattaro -> Kotor კოტორი
Celje (სლოვენია), Cilly (ფრ.), Cilli (გერ.) ცელე
Cernauti -> Tchernivtsi ჩერნოვცი
Ceske Budejovice (ჩეხეთი), Budweis (გერ.) ჩესკე- ბუდეევიცე
Cesky Tesin (ჩეხეტი), Teschen (გერ.) ჩესკი-ტეშინი
Cheb (CexcTi), Eger (გერ.) ხები
Chemnitz (გერმანია), Karl-Marx- Stadt კარლ-მარქს-შტადტი (1949-1990წწ.)

Cherso -> Cres ცრესი
Chomutov (ჩეხეთი), Komotau (გერ.) ხომუტოვი
Cristiania -> Oslo ოსლო
Chur (შვეიცარია, გერ.) Coire (ფრ.), Loira (იტ.) შური
Cieszyn (პოლონეთი), Teschen (გერ.) ტეშინი
Cilly -> Celje ცელე
Cinq-Eglise -> Pecs პეკი
Citanova -> Novigrad ნოვოგრადი
Clèves -> Kleve კლევე
Cluj (რუმინეთი), Klausenbourg (ფრ.), Klausenburg (გერ.), Koloszvar (უნგრ.) კლუჟი
Coblence -> Koblenz კობლენცი
Coire -> Clur შური
Cologne -> Köln კიოლნი
Coni -> Cunco კუნეო
Constance -> Konstanz კონსტანცი
Constantinople -> Istanbul სტამბოლი
Copenhague -> Kobevhavn კოპენჰაგენი
Cordoba (ესპანეთი), Cordoue (ფრ.), Cordova (იტ.) კორდოვა
Cordoue -> Cordoba კორდოვა
Corfou -> Kerkira კერკირა
Cossovie -> Kossovo კოსოვო
Courtrai -> Kortrujk კორტრეიკი
Cracovie -> Krakow კრაკოვი
Cres (ხორვატია), Cherso (იტ.) ცრესი
Cronstadt (რუმინეთი) -> Brasov ბრაშოვი
Cuneo (იტალია), Coni (ფრ.) კუნეო
Curzola -> Korcula კორჩულა
Czernovitz -> Tchernovtsi ჩერნოვცი
Czestochowa (პოლონეთი), Tschenstochau (გერ.) ჩენსტოხოვა
Dagoe -> Hümaa ჰიიუმაა
Dantzig -> Gdansk გდანსკი
Danube -> (მდინარე, ფრ., ინგ.), Donau (გერ.), Duna (უნგრ.), Dunaj (სლოვაკ.), Dunav (სლოვ.-ხორ..,), Dunarea (რუმ.), Dunaï (რუს.), Dambio (ესპ., იტ.) დუნაი
Daugava (მდინარე, ლატვია), Düna (გერ.), Dvina (რუს.) დაუგავა
Daugavpils (ლატვია), Dounabourg (ფრ.), Dünaburg (გერ.), Dvinsk (რუს.) დაუგავპილსი
Dedeagath-> Alexandroupolis ალექსანდრუპოლისი
Delémont (შვეიცარია, ფრ.), Delsberg (გერ.) დელემონი
Den Haag (ნიდერლანდი), La Haye (ფრ.), The Hague (ინგ.), Haag (გერ.), La Haya (ესპ.), L'Aia (იტ.) ჰააგა
Deux-Ponts -> Zweibrücken ცვაიბრიუკენი
Dorpat -> Tartu ტარტუ
Douvres -> Dover დუვრი
Dover (დიდი ბრიტანეთი), Douvres (ფრ.) დუვრი
Draubourg -> Dravograd დრავოგრადი

Dravograd (სლოვენია), Draoubourg (ფრ.), Drauburg (გერ.) დრავოგრადი
Dubrovnik (ხორვატია), Raguse (ფრ.), Ragusa (გერ., იტ.) დუბროვნიკი
Dulcigno -> Ulcinj ულცინი
Dunabourg -> Daugavpils დაუგავპილსი
Dunkerque (საფრანგეთი), Dunkerk (ნიდერ.), Dunkirk (ინგ.), Dünkirchen (გერ.), Dunquerque (ესპ.) დიუნკერკი
Durazzo -> Durrës დურესი
Durrës (ალბანეთი), Durazzo (იტ.) დურესი
Dvina -> Daugava დაუგავა
Dzeldzowo (პოლონეთი), Soldau (გერ.) დზიალდოვო
Édinbourg -> Edinborough ედინბურგი
Edinborough (დიდი ბრიტანეთი), Edimbourg (ფრ.), Edinburgh (გერ.), Edimburgo (ესპ.,იტ.) ედინბურგი
Edirne (თურქეთი), Andrinople (ფრ.), Hadrianopolis (ბერძ.) ედირნე
Eger (ჩეხეთი) -> Cheb ხები
Eisack -> Isarco იზარკო
Eisenbourg -> Vas ვასა
Elseneur -> Helsingør ჰელსინგორი
Engerau -> Petrzalka პეტროვიცე
Erlau -> Eger (უნგრეთი) ხები
Eszek -> Osijek ოსიეკი
Esztergom (უნგრეთი) , Gran (გერ.) ეშტერგომი
Etsch > Adige ადიჯე
Evros -> Maritza მარიცა
Fertö -> Neusiedlersee ნეიზიდლერი
Firenze (იტალია), Florence (ფრ. ინგ.), Florenz (გერ,) Flprencia (ესპ.) ფლორენცია
Fiume -> Rijeka რიეკა
Flessingue -> Vlissingen ვლისინგენი
Florence -> Firenze ფლორენცია
Francfort ->Frankfurt ფრანკფურტი
Frankfurt (გერ,), Francfor (ფრ.), Francoforte (იტ.) ფრანკფურტი
Freiburg (გერმანია და შვეიცარია), Frobourg (ფრ.), Friburgo (ესპ., იტ.) ფრეიბურგი
Freisingen ან **Freising** (ავსტრია), Frisingue (ფრ.) ფრეიზინგი
Fribourg ->Freiburg ფრეიბურგი
Frizingue -> Freizingen ფრეიზინგი
Fünfkirchen -> Pecs პეკი
Gand ->Gent გენტი
Gdansk (პოლონეთი), Danzig (ფრ.), Dantzick (ძვ. ფრ.), Danzig (გერ., ინგ.), Danzica (იტ.) გდანსკი
Gdingen ->Gdynia გდინია
Gdynia (პოლონეთი), Gdingen (გერ.) გდინია
Gêne -> Genova გენუა
Genève (შვეიცარია, ფრ.), Geneva (ინგ.), Genf (გერ.), Ginevra (იტ.), Ginebra (ესპ.) ჟენევა
Genova (იტალია), Gênes (ფრ.), Genua (გერ.), Genova (ესპ.) გენუა

Gent (ბელგია, ნიდერ., გერ.), Gand (ფრ.), Ghent (ინგ.), Gante (ესპ.) გენტი
Gjirokaster (ალბანეთი), Argycastro (ბერძ.) გიროკასტრა
Glatz -> Klodzko კლოძკო
Goettingue -> Göttingen გეტინგენი
Goritz -> Goricia გორიცია
Gorizia (იტალია), Goritz (ფრ., ინგ.), Görlz (გერ.), Gorica (სლოვ.) გორიცია
Gorki -> Nijni Novgorod ნიჟნი-ნოვგოროდი
Goteborg (შვედეთი), Gothenbourg (ფრ.), Gotheburg (გერ.) გეტებორგი
Gothenbourg-> Gøteborg გეტებორგი
Göttingen (გერმანია), Gœttingue (ფრ.) გეტინგენი
Gottschee -> Kocevje კოშიცე
Groningen (ნიდერლანდი), Groningue (ფრ.) გრონინგენი
Groningue -> Groningen გრონინგენი
Grosswardein -> Oradea ორადია
Grünberg -> Zielona Gora ზელენა-გურა
Györ (უნგრეთი), Raab (all.) რაბი
Gyulafehervar -> Alba Julia ალბა-იულია
Hamburg (გერმანია), Hambourg (ფრ), Amburgo) (იტ.) ჰამბურგი
Hannover (გერმანია.), Hanovre (ფრ.), Hanover (ინგ.) ჰანოვერი
Hanovre->Hannover ჰანოვერი
Helsingfors -> . Helsinki ჰელსინკი
Helsigor (დანია), Elseneur (ფრ.), Elsinor (ესპ.) ჰელსინგერი
Helsinki (ფინეთი), Helsigfors (შვედ.) ჰელსინკი
Hermannstadt -> Sibiu სიბიუ
's Hertogenbosch (ნიდერლანდი), Bois-le-Duc (ფრ.) ჰერტოგენბოსი
Hiimaa (ესტონეთი), Dagœ (გერ.) ჰიიუმაა
Hlucin (ჩეხეთი), Hultschin (გერ.) ჰლუცინი
Hradec Kralove (ჩეხეთი), Kœniggratz (გერ.) გრადეც-კრალოვე
Hltschin -> Hlucin ჰლუცინი
Hvar (ხორვატია), Lesina (იტ.) ხვარი
Idria -> Idrija იდრია
Idrija (სლოვენია), Idria (გერ., იტ.)) იდრია
Ielgava (ლატვია), Mitahu (გერ.) იელგავა
Innichen -> San Candido სან-კანდიდო
Isarco (მდინარე, იტალია), Eisack (გერ.) იზარკო
Isonzo -> Soca იზონცო
Istanbul (თურქეთი), Constantinople (ფრ), Konstantinopel (გერ.), Constantinopla (ესპ.), Constantinopoli (იტ.); სტამბოლი
სინამდვილეში სტამბოლი მხოლოდ კონსტანტინოპოლის უბანია, ისევე როგორც ბეიოღლი, გალატა და სხვ.
Jægerndorf -> Krnov კრნოვი
Jülich (გერმანია)), Juliers (ფრ.), იულიხი
Juliers -> Jülich იულიხი
Kalinine ->Tver ტვერი
Kaliningrad (რუსეთი), Kœnigsberg (გერ.) კალინინგრადი
Karl-Marx-Sdadt -> Chemnitz კარლ-მარკს-შდადტი
Karlovac (ხორვატია), Carlstadt (ფრ.), Karlstadt (გერ.) კარლოვაცი

Karlovy Vary (ჩეხეთი), Carsbad (ფრ.), Karsbad (გერ.) კარლოვი-ვარი
Kassa -> Kosice კოშიცე
Kaunas (ლიტვა), Kaunen (გერ..) Kowno (პოლ.), Kovno (რუს.) კაუნასი
Kerkyra (საბერძნეთი), Corfou (ფრ.), Corfu (ინგ.), Korfu (გერ.), Corfù (იტ.) კერკირა
Klaipeda (ლიტვა), Memel (გერ.) კლაიპედა
Kleve (გერმანია.), Clèves (ფრ.) კლეევე
Klodzko (პოლონეთი), Glatz (ფრ., გერ.) კლოძკო
København (დანია), Copenhague (ფრ.), Copenhagen (ინგ.), Kopenhagen (გერ.) კოპენჰაგენი
Koblenz (გერმანია), Coblence (ფრ., ინგ.), Coblenza (იტ.) კობლენცი
Kocevje (სლოვენია), Gottschee (გერ.) კოჩევიე
Kœniggratz -. Hradec Kralove ჰრადეკ-კრალოვე
Köln (გერმანია), Cologne (ფრ., ინგ.), Colonia (იტ.) კიოლნი
Komarom (უნგრეთი), **Komarno** (სლოვაკეთი), Komom (გერ.) კომარნო
Komorn-> Komarom, Komarno კომარომი, კომარნო
Komotau -> Chomutov ხომუტოვი
Konstanz (გერმანია). Constance (ფრ), Constaza (ესპ.), Costanza (იტ.) კონსტანცა
Koper (სლოვენია), Capodisria (იტ.) კოპერი
Korcë (ალბანეთი), Koritza (ბერძ.) კორჩა
Korcula -> Korcè კორჩულა
Korktrijk (ბელგია, ნიდერ.), Courtrai (ფრ., ინგ.) კორტრეიკი
Kosice (სლოვაკეთი), Cassovie (ფრ.), Kaschau (გერ.), Kassa (უნგრ.) კოშიცე
Kossovo (იუგოსლავია), Cossovie (ფრ.) კოსოვო
Koszeg (უნგრეთი), Guns (გერ.) გუნცი
Kotor (იუგოსლავია), Cattaro (იტ., ფრ., გერ.) კოტორი
Kouibychev -> Samara სამარა
Kovno -> Kaunas კაუნასი
Krajn (სლოვენია), Krainbourg (ფრ.), Krainburg (გერ.) კრანი
Krakow (პოლონეთი), Cracovie (ფრ.), Crakow (ინგ.), Krakau (გერ,), Cracovia (ესპ., იტ.) კრაკოვი
Krk (ხორვატია), Veglia (იტ.) კრკ
Krnov (ჩეხეთი), Jægerdorf (გერ.) კრნოვი
Kwarner (ხორვატია), Quarnero (ფრ., იტ., გერ.) კვარნერი
Kwidzyn (პოლონეთი), Marienwerder (გერ.) კვიძინი
Lagosta -> Lastovo ლასტოვო
La Haye -> Den Haag ჰააგა
Lastovo (ხორვატია), Lagosta (იტ.) ლასტოვო
Laybach -> Ljubljana ლიუბლიანა
Lefkada (საბერძნეთი), Leucad ან Sainte-Maure (fr.) ლეფკადა
Legnica (პოლონეთი), Lienitz (გერ.) ლეგნიცა
Leiden (ნიდერლანდი), Leyde (ფრ.), Leyden (ესპ.), Leida (იტ.) ლეიდენი
Lemberg -> Lviv ლვოვი
Leningrad -> Saint-Petersbourg სანკტ-პეტერბურგი
Lesina -> Hvar ხვარი
Leucade-> Lefcada ლეფკადა

Leuven (ბელგია, ნიდერ.), Louvain (ფრ.), Löven (გერ.), Lovaina (ესპ.), Lovanio (იტ.) ლეუვენი
Leyde->Leiden ლეიდენი
Libau -> Liepaja ლიეპაია
Liberec (ჩეხეთი), Reichenberg (გერ.) ლიბერეცი
Liège (ბელგია, ფრ.), Luik (ნიდერ.), Lüttich (გერ.), Lieja (ესპ.), Liegi (იტ.) ლიეჟი
Liegnitz -> Legnica ლეგნიცა
Liepaia (ლატვია) Libau (გერ.) ლიეპაია
Lille (საფრანგეთი.), Rijssel (ნიდერ.), Lila (ესპ.), Lilla (იტ.) ლილი
Liptovski Sveti Mikulas (სლოვაკეთი), Liptoszentmiklos (უნგრ.) ლიპტოვსკი- მიკულაში
Lisboa (პორტუგალია), Lisbonne (ფრ.), Lissabon (გერ.), Lisbona (ესპ., იტ.) Lisbon (ინგ.) ლისაბონი
Lisbonne-> Lisboa ლისაბონი
Lissa -> Viz ვისი
Litmannstsdt -> Lodz ლოძი
Livorno (იტალია), Livourne (ფრ.) Leghom (ინგ.), Liorna (ესპ.) ლივორნო
Livourne -> Livorno ლივორნო
Ljubljana (სლოვენია), Laybach (გერ.), Lubiana (იტ.) ლიუბლიანა
Lodz (პოლონეთი), Litmannstadt (გერ.) ლოძი
London (დიდი ბიტანეთი), Londres (ფრ., ესპ.) Londra (ესპ.) ლონდონი
Londres -> London ლონდონი
Louvain -> Leuven ლეუვენი
Lucerne -> Luzern ლუცერნი
Luzern (შვეიცარია), Lucerne (ფრ,. ინგ.), Lucerna (ესპ., იტ.) ლუცერნი
Lviv (უკრაინა), Lemberg (ფრ., გერ.), Leopol (რუმ.), Lvov (რუს.), Lwow (პოლ.) ლვოვი
Lvov -> Lviv ლვოვი
Mærisch Ostrau -> Moravska Ostrava მორავკა
Mainz (გერმანია), Mayence (ფრ., ინგ.), Maguncia (ესპ.), Magonza (იტ.) მაინცი
Malines -> Mechelen მეჰელენი
Marbourg (სლოვენია) -> Maribor მარიბორი
Marianske Lazne (ჩეხეთი), Marienbad (გერ.) მარიანსკე-ლაზნე
Maria Theresiopel -> Subotica სუბოტიცა
Maribor (სლოვენია), Marbourg (ფრ.), Marburg (გერ.) მარიბორი
Marienbad -> Marianske Lazne მარიანსკე-ლაზნე
Marienwerder -> Kwidzin კვიძინი
Maritza (მდინარე, ბულგარეთი/საბერძნეთი), Evros (ბერძ.) მარიცა
Maros -> Mures მურეში
Maros Vasarely -> Targu Mures ტარგუ-მურეში
Mayence -> Mainz მაინცი
Mechelen (ბელგია, ნიდერ.), Malinas (ფრ., ინგ.), Malinas (ესპ.) მეხელენი
Memel -> Klaipeda კლაიპედა
Meran -> Merano მერანო
Merano (იტალია), Meran (გერ.) მერანო

Mitau -> Ielgava იელგავა
Mittersbourg -> Pazin პაზინი
Moldau -> Vltava ვლტავა
Molotov -> Perm პერმი
Monastir -> Bitola ბიტოლა
Mons (ბელგია, ფრ.), Bergen (ნიდერ.), მონსი
Moravska Ostrova (ჩეხეთი), Mœrisch Ostrau (გერ.) ოსტრავა
Moscou (რუსეთი), Moscou (ფრ.), Moscow (ინგ.), Moskau (გერ.), Moscu (ესპ.), Moska (იტ.) მოსკოვი
Moson (უნგრეთი), Wieselbourg (ფრ.), Wieselburg (გერ.), Wieselberg (გერ.) მოშონი
München (გერმანია), Munich (ფრ,. ინგ.), Monaco (იტ.) მიუნხენი
Munich -> München მიუნხენი
Mures (მდინარე, რუმინეთი), Maros (უნგრ.) მურეში
Nagybanya -> Baia mare ბაია
Nagiszeben -> Sibiu სიბიუ
Nagyszombat -. Trnava ტრნავა
Nagyvarad -> Oradea ორადეა
Naples -> Napoli ნეაპოლი
Napolie (იტალია), Naples (ფრ., ინგ.), Neapel (გერ.), Napoles (ესპ.) ნეაპოლი
Narenta - > Neretva ნერეტვა
Neisse (მდინარე, გერ.), Nysa (პოლ.) ნეისე
Neuchâtel (შვეიცარია, ფრ.), Neiunburg (გერ.) ნეშატელი
Neusiedlersee (ტბა), Fertö (hongr.) ნეიზიდლერი
Neusohl -> Banska Bistrica ბანსკა-ბისტრიცა
Neutra -> Nitra ნიტრა
Nijmegen (ნიდერლანდი), Nimègue (ფრ.), Nimega (ესპ., იტ.) ნიმეგი
Nijni Novgorod (რუსეთი) Gorki (1932-1990წწ.) ნიჟნი-ნოვგოროდი
Nimègue -> Nijmegen ნიმეგი
Nitra (სლოვაკეთი), Neutra (გერ.), Nytra (უნგრ.) ნიტრა
Novigrad (ხორვატია), Cittanova (იტ,), ნოვიგრადი
Nuremberg-> Nürnberg ნიურნბერგი
Nüremberg (გერმანია), Nuremberg (ფრ.), Norimberga (იტ.) ნიურნბერგი
Nysa-> Neisse ნეისე
Oder (მდინარე, გერ.), Odra (პოლ.) ოდერი
Oderberg -> Bohumin ბოჰუმენი
Odra -> Oder ოდერი
Œdenbourg -> Sopron შოპრონი
Œsel -> Saaremaa საარემაა
Ofen -> Buda ბუდა
Olmutz -> Olomouc ოლომოუცი
Olomouc (ჩეხეთი), Olmutz (ფრ.), Olmütz (გერ.) ოლომოუცი
Olsztyn (პოლონეთი), Allenstein (გერ.) ოლშტინი
Opatja (ხორვატია), Abbazia (იტ., ფრ.) ოპატია
Opava (ჩეხეთი), Tropau (გერ.) ოპავა
Opole (პოლონეთი), Oppolen (გერ.) ოპოლე
Opppeln -> Opole ოპოლე

Oradea (რუმინეთი), Grosswardein (გერ.), Nagyvarad (უნგრ.) ორადია
Osijek (ხორვატია), Esseg (გერ.), Eszek (უნგრ.) ოსიეკი
Oslo (ნორვეგია) Christiania ოსლო, ქრისტიანია 1925 წლამდე
Oswiecim (პოლონეთი), Auschitz (გერ.) ოსვენციმი
Oulu (ფინეთი), Ulcaborg (შვედ.) ოულუ
Ouskoub -> Skopje სკოპიე
Padoue-> Padova პადუა
Padova (იტალია), Padoue (ფრ.), Padua (ესპ.) პადუა
Passarowitz -> Pozarevac პოჟარევაცი
Pazin (ხორვატია), Mittersbourg (ფრ.), Mittersburg (გერ.), Pisino (იტ.) პაზინი
Pec (იუგოსლავია), Peja (ალბან.), Ipek (ტურქ.) პეჩი
Pecs (უნგრეთი), Cinque-Eglises (ფრ.), Funfkirchen (გერ.) პეჩი
Pelagosa -> Pelagruz პელაგიის კუნძულები
Perm (რუსეთი), Molotov (1940-1957წწ.) პერმი
Peterwardein -> Petervaradin პეტერვარადინი
Petrograd -> Saint-Pétersbourg სანკტ-პეტერბურგი
Petervaradin (იუგოსლავია), Peterwardein (გერ.), Petervarad (უნგრ.) პეტერვარადინი
Petrzalka (სლოვაკეთი). Engerau (გერ.), Poszonyligetfalu (უნგრ.) პეტროვიცე
Philippopolis -> Plovdiv პლოვდივი
Piacenza (იტალია), Plaisence(ფრ.) პიაჩენცა
Pignerolo ->Pinerol პინეროლო
Pilzen-> Plzen პლზენი
Pinerolo (იტალია), Pignerol (ფრ.) პინეროლო
Plaisance-> Piacenza პიაჩენცა
Plattensee -> Balaton ბალატონი
Pless-> Pszcyna პშჩინა
Plovdiv (ბულგარეთი), Philippopolis(ფრ., ბერძ.) პლოვდივი
Plzen (ჩეხეთი), Pilsen (ფრ., გერ.) პლზენი
Pogoritza (იუგოსლავია), Titograd (1945-1991წწ.) პოდგორიცა
Pola -> Pula პულა
Porrentruy (შვეიცარია, ფრ.), Pruntrut (გერ.) პორანტრუი
Posen -> Poznan პოზნანი
Postonja (სლოვენია), (გერ.) Adelsberg (იტ.) პოსტოინა
Pozarevac (იუგოსლავია), Passarowitz (ფრ., გერ.) პოჟარევაცი
Poznan (პოლონეთი), Posen **(გერ.) პოზნანი**
Prague-> Praha პრაღა
Praha (ჩეხეთი), Prague (ფრ., ინგ.), Prag (გერ.), Praga (ესპ., იტ.) პრაღა
Presbourg -> Bratislava ბრატისლავა
Pszcinia (Pologne), Pless (გერ.) პშჩინა
Pula (ხორვატია), Pola (ფრ., იტ., გერ.) პულა
Quarnero -> Kvarner კვარნერი
Raab -> Györ რაბი
Raab (ხორვატია), Arba (იტ.) რაბი
Raguse -> **Dubrovnik** დუბროვნიკი
Ratisbonne -> Regensburg რეგენსბურგი
Regensburg (რეგენსბურგი), Ratisbonne (ფრ.) Ratisbona (იტ.) რეგენსბურგი

Reichenberg -> Liberec ლიბერეცი
Reval -> Tallinn ტალინი
Rijeka (ხორვატია), Fiume (იტ., ფრ., გერ.) რიეკა
Rimaska Sobota (სლოვაკეთი), Rimaszombat (უნგრ.) რიმავსკა-სობოტა
Rimaszombat -> Rimaska Sobota რიმავსკა-სობოტა
Roma (იტალია.), Rome (ფრ., ინგ.), Rom (გერ.) Roma (ესპ.) რომი
Rome-> Roma რომი
Saarbrüken (გერმანია), Sarrebruck (ფრ.) საარბრიუკენი
Saaremaa (ესტონეთი), Œsel (გერ.) საარემაა
Saarluis (გერმანია), Sarrelouis (ფრ.) საარლუი
Sainte-Maure -> Lefkada ლეფკადა
San-Marin -> San Marino სან-მარინო
Saint-Petersbourg (რუსეთი). Petrograd (1914-1924წწ.), Leningrad (1924-1991წწ.) სანკტ-პეტერბურგი
Saint-Sébaetien -> San Sebastian სან-სებასტიანი
Saluces-> Saluzzo სალუცო
Saluzzo (იტალია), Saluces (ფრ.) სალუცო
Samara (რუსეთი), Koutbichev (1935-1991წწ.) სამარა
San Candido (იტალია), Innichen (გერ.) სან-კანდიდო
San Marino (**რეს.**), Saint-Marin (ფრ.) სან-მარინო
San Sebastian (**ესპანეთი**), Saint-Sébastien (**ფრ.**) Donostia (**ბასკ.**) **სან-სებასტიანი**
Saragosse => Zaragosa სარაგოსა
Sarrelouis -> Saarlouis საარლუი
Satu Mare (**რუმინეთი**), Szatmar (**გერ., უნგრ.**) **სატუ-მარე**
Schœssbourg-> Sighisoara სიგიშოარა
Schaffhausen (შვეიცარია, გერ.) Schaffhouse (ფრ.) Sciaffusa (იტ.) შაფჰაუზენი
Scutari (ალბანეთი) -> Shkoder შკოდერი
Scutari (თურქეთი) -> Uskudar შკოდერი
Sebenico -> Sibenik შებენიკი
Semlin -> Zemun ზემუნი
Sesto Pusteria (იტალია), Sixten (ფრ., გერ.) სესტო-პუსტერია
Sixten -> Sesto Pusteria სესტო-პუსტერია
Shkoder (ალბანეთი), Scutari (ფრ., გერ.) შკოდერი
Sibenik (ხორვატია), Sebenico (ფრ., იტ., გერ.) შებენიკი
Sibiu (რუმინეთი), Hermannstadt (გერ.) Nagyszeben (უნგრ.) სიბიუ
Sighisoara (რუმინეთი), Schœssbourg(ფრ.) Schässburg (გერ.), Segesvar (უნგრ.) სიგიშოარა
Sillein -> Zilina ზელინა
Sion (შვეიცარია, ფრ.), Sitten (გერ.) სიონი
Skopje (მაკედონია), Ouskoub (თურქ.) სკოპიე
Soca (მდინარე, სლოვენია), Isonzo (იტ.) იზონცო
Soldau -> Dzeldzowo ძიალდოვო
Soleur -> Solothurn ზოლოთურნი
Solothurn (შვეიცარია, გერ..), Soleur (ფრ.) ზოლოთურნი
Sopron (უნგრეთი), Œdenbourg (ფრ.)), Œdenburg (გერ.)) შოპრონი
Spalato -> Split სპლიტი

Speier (გერმანია), Spire (ფრ.), Spira (იტ.), Espira (ესპ.) შპაიერი
Spire -> Speier შპაიერი
Spis (სლოვაკეთი), Zips (ger.), Szepes (უნგრ.) ზირცი
Sremski Karlovci (იუგოსლავია), Carlowitz (ფრ.), Karlowitz (გერ.) კარლოვაცი
Stalingrad -> Volgograd ვოლგოგრადი
Steinamanger -> Sombethely სომბატჰეი
Stettin -> Szczecin შჩეცინი
Strouma (მდინარე, ბულგარეთი/საბერძნეთი), სტრუმა
Strymon -> Strouma **სტრუმა**
Subotica (იუგოსლავია), Maria Theresiopel (გერ.) Szabadka (უნგრ.) სუბოტიცა
Sudau -> Suwalki სუვალკი
Suwalki (პოლონეთი), Sudau (გერ.) სუვალკი
Szabadka -> Subotica სუბოტიცა
Szatmar -> Satu Mare სატუ-მარე
Szczecin (პოლონეთი), Stettin (ფრ., გერ.) Stettino (იტ.) შჩეცინი
Szombathely (უნგრეთი), Steinamanger (გერ.) სომბატჰეი
Tallinn (ესტონეთი), Reval (გერ.) ტალინი
Tammersfors -> Tampere ტამპერე
Tammersfors (ფინეთი), Tampere (შვედ.) ტამპერე
Targu Mures (რუმინეთი), Maros Vasarely (უნგრ.) ტარგუ-მურეში
Tarnopol -> Tarnow ტარნუვი
Tarnow (პოლონეთი), Tarnopol (ფრ., იტ.) ტარნუვი
Tartu (ესტონეთი), Dorpat (გერ.) ტარტუ
Tarvis -> Tarvisio ტარვიზიო
Tarvisio (იტალია), Tarvis (ფრ., გერ.) ტარვიზიო
Tchernivtsi (უკრაინა), Czernowitz (გერ.), Cernauti (რუმ.) ჩერნოვცი
Temesvar -> Timisoara ტიმიშოარა
Teschen -> Cieszyn ან Cesky Tesin ჩესკი-ტეშინი
Teiss -> Tisza ტისა
Thorn -> Torun ტორუნი
Temesvar -> Timisoara (რუმინეთი), Temesvar (ფრ., უნგრ.) Temesburg (გერ.) ტიმიშოარა
Tisza (მდინარე, უნგრეთი), Theiss (გერ.) ტისა
Titograd -> Podgoritza პოდგორიცა
Tolmin (სლოვენია), Tolmein (გერ.), Tolmino (იტ.) ტოლმინი
Torino (იტალია), Turin (ფრ., ინგ., გერ.) ტურინი
Torun (პოლონეთი), Thorn (ფრ., გერ.) ტორუნი
Tournai (ბელგია, ფრ.), Doornik (ნიდერ.) ტურნე
Trencin (სლოვაკეთი), Trentschin (გერ.), Trencsen (უნგრ.) ტრენჩინი
Trentschin -> Trencin ტრენჩინი
Trento (იტალია), Trente (ფრ.), Trient (გერ.) ტრენტო
Trier (გერმანია), Trèves (ფრ.), Treviri (იტ.), Treveris (ესპ.) ტრიერი
Trieste (იტალია), Triest (გერ.), Trst (სლოვ.-ხორვატ.) ტრიესტი
Trnava (სლოვაკეთი), Tumau (გერ.), Nagyszombat (უნგრ.) ტრნავა
Troppau ->Opava ოპავა

Tsaritsyne -> Volgograd ვოლგოგრადი
Tschenstochau -> Czestochowa ჩესტოშოვა
Tübingen (გერმანია), Tubingue (ფრ.) ტიუბინგენი
Tubingen -> Tübingen ტიუბინგენი
Turcansky Sveti Martin (სლოვაკეთი), Turoc Szent Martin (უნგრ.) ტურჩანსკი-სვეტი-მარტინი
Turin -> Torino ტურინი
Turku (ფინეთი), Abo (შვედ.) ტურკუ
Turoc Szent Martin -> Turcansky Sveti Martin ტურჩანსკი-სვეტი-მარტინი
Tver (რუსეთი), Kalinine (1931-1990წწ.) ტვერი
Tyrnau -> Trnava ტრნავა
Ulcinj (იუგოსლავია), Dulcigno (იტ.) ულსინი
Uleaborg -> Oulu ოულუ
Uskudar (თურქეთი), Scutari (ფრ., იტ.) შკოდერი
Usti nad Labem (ჩეხეთი), Aussig (გერ.) უსტი
Vac (უნგრეთი), Waitzen (გერ.) ვაცი
Valona -> Vlorë ვლორა
Vardar (მდინარე, მაკედონია/საბერძნეთი)), Axios (ბერძ.) ვარდარი
Varsovie ->Warszava ვარშავა
Vas (უნგრეთი), Eisenbourg (ფრ.), Eisenburg (გერ.) ვაცი
Veglia -> Krk კრკ
Veldes -> Bled ბლედი
Venezia (იტალია), Venise (ფრ.), Venice (ინგ.), Venedig (გერ.), Venecia (ესპ.) ვენეცია
Venise -> Venezia ვენეცია
Ventspils (ლატვია), Vindau (გერ.) ვენტსპილსი
Vercell -> Vercelli ვერჩელი
Vercelli (იტალია), Vercell (ფრ.) ვერჩელი
Viborg -> Viipuri ვიბორგი
Vienne ((ავსტრია) -> Wien ვენა
Viipuri (ფინეთი), Viborg (შვედ.) ვიბორგი
Vilna -> Vilnius ვილნიუსი
Vilnius (ლიტვა), Wilno (პოლ.), Wilna (გერ.), Vilna (რუს.) ვილნიუსი
Vindau -> Ventspils ვენტსპილსი
Viz (ხორვატია), Lissa (it.) ვისი
Vlissingen (ნიდერლანდი), Flessingue (ფრ.) ფლისინგენი
Vlöre (Albanie), Valona (it.) ვლორა
Vltava (მდინარე, ჩეხეთი), Moldau (ფრ., იტ.) ვლტავა
Volgograd (რუსეთი), Tsaritsyne (1925წლამდე), Stalingrad (1925-1961წწ.) ვოლგოგრადი
Waitzen -> Vac ვაცი
Warszawa (პოლონეთი), Varsovie (ფრ.), Warsaw (ინგ.), Warschau (გერ.), Varsavia (იტ.) Varsovia (ესპ.) ვარშავა
Wieselbourg -> Moson მოშონი
Wien (ავსტრია), Vienne (ფრ.), Vienna (ინგ., იტ.), Viena (ესპ.) ვენა
Wilno -> Vilnius ვილნიუსი
Wroclaw (პოლონეთი), Breslau (გერ.) ვროცლაი

Zadar (ხორვატია), Zara (იტ., ფრ., გერ.) ზადარი
Zara-> Zadar ზადარი
Zaragoza (ესპანეთი), Saragosse (ფრ.), Saragozza (იტ.) სარაგოსა
Zemun (იოუგოსლავია), Semlin (გერ.), Zimony (უნგრ.) ზემუნი
Zielona Gora (პოლონეთი), Grünberg (გერ.) ზელენა-გურა
Zilina (სლოვაკეთი), Sillein (გერ.) , Zsolna (უნგრ.) ზელინა
Zips -> Spis სპიში
Znaim -. Znomo ზნოიმო
Znomo (ჩეხეთი), Znaim (გერ.) ზნოიმო
Zvolen (სლოვაკეთი), Altsohl (გერ.), Zolyom (უნგრ.) ზვოლენი
Zweibrücken (გერმანია), Deux-Ponts (ფრ.) ცვაიბრიუკენი

სარჩევი

შესავალი 7

ნაწილი I – ევროპის ტერიტორიული ცვლილებების ქრონოლოგია (1789 წლიდან დღემდე) 11

1789-1791 – ტრადიციული ევროპა 13
1791-1799 –ევროპა და საფრანგეთის რევოლუცია 16
1800-1815 – ევროპა ნაპოლეონის ეპოქაში 19
1815-1871 – ნაციონალისტური ევროპა 23
1871-1920–ძლიერ სახელმწიფოთა ევროპა 28
1920-1945–ევროპა ტოტალიტარიზმის პირისპირ 32
1945 წლიდან დღემდე — დანაწილებული და კვლავ გაერთიანებული ევროპა 37

ნაწილი II – დღეს არსებული სახელმწიფოები 41

ავსტრია 43
ზოგადი მონაცემები 43
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ავსტრიის მოკლე ისტორიული ნარკვევი 44
1. ჰაბსბურგების დინასტიის გაძლიერება დუნაიზე (1282 წელი) 44
2. 1282 წლიდან ჩეხეთისა და უნგრეთის მემკვიდრეობამდე (1526 წელი) 44
3. 1526 წლიდან 1789 წლამდე 45
II. ავსტრია 1789 წელს. ევროპის მნიშვნელოვანი სახელმწიფო 48
1. საღვთო რომის იმპერიის ქვეყნები 49
2. ქვეყნები, რომლებიც საღვთო რომის იმპერიაში არ შედიოდნენ 50
3. ტოსკანიის მეორადი მფლობელობა 50
III. 1789 წლიდან ავსტრიის იმპერიის გამოცხადებამდე (1804) 50
1. 1789 წლიდან საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმამდე (1792) 50
2. 1792 წლიდან კამპო-ფორმიოს ზავამდე (1797) 51
3. 1797 წლიდან ავსტრიის იმპერიის გამოცხადებამდე (1804) 52
IV. 1804 წლიდან ავსტრიის აპოგეამდე (1815) 54
1. 1804 წლიდან საღვთო რომის იმპერიის დასასრულამდე (1806) 54
2. 1806 წლიდან შენბრუნის ზავამდე (1809) 55
3. 1809 წლიდან ავსტრიის ძლიერების აღდგენამდე (1815) 56
V. 1815 წლიდან ავსტრია-უნგრეთად გახდომამდე (1867) 58
1. 815 წლიდან 1848 წლის რევოლუციებამდე 58
2. 1848 წლიდან 1867 წლის კომპრომისამდე 59
VI. 1867 წლიდან ავსტრია უნგრეთის დაშლამდე (1918/1919) 61
1. 1867 წლიდან ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსირებამდე (1908) 61
2. 1908 წლიდან ავსტრია-უნგრეთის დაშლამდე (1919) 62
VII. თანამედროვე ავსტრია (1919 წლიდან დღემდე) 64
1. ავსტრიის პირველი რესპუბლიკა (1919-1938) 64
2. ავსტრიის შეყვანა გერმანულ რაიხში (1938-1945) 64
3. ავსტრიის მეორე რესპუბლიკა (1945 წლიდან დღემდე) 65

ალბანეთი 71
ზოგადი *მონაცემები* 71
I. სათავეებიდან 1789 წლამდე.
ალბანეთის მოკლე ისტორიული ნარკვევი 71
1. დაპყრობილი მინა 71
2. ალბანეთი 1789 წელს 72
II. ალბანეთის თვითმყოფობის დადგენის
სირთულეები (1789 წლიდან დღემდე) 72
1. 1789 წლიდან ალბანეთის ჩამოყალიბებამდე (1912) 72
2. ალბანეთის სამთავრო (1913-1924) 74
3. ალბანეთის რესპუბლიკა, მოგვიანებით კი
ზოგუს სამეფო (1925-1939) 75
4. ანექსირებული ალბანეთი (1939-1945) 75
5. კომუნისტური ალბანეთი (1946-1992) 76
6. თანამედროვე ალბანეთი (1992 წლიდან დღემდე) 76

ანდორა 77
ზოგადი *მონაცემები* 77
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ანდორის მოკლე
ისტორიული ნარკვევი 77
II. ანდორა საფრანგეთსა და ესპანეთს შორის
(1790 წლიდან დღემდე) 77

ბელგია 79
ზოგადი *მონაცემები* 79
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ბელგიური პროვინციების
მოკლე ისტორია 79
1. რომიდან ბურგუნდების სახლამდე (I-XV საუკუნეები) 79
2. ბურგუნდიული დაპყრობის პერიოდი (XV საუკუნე) 80
3. ნიდერლანდის გაერთიანებიდან ჩრდილოეთი ნაწილის
გამოყოფამდე (XVI საუკუნე) 80
4. ესპანეთის სამხრეთი ნიდერლანდი (XVII საუკუნე) 81
5. ავსტრიის სამხრეთი ნიდერლანდი (XVIII საუკუნე) 82
II. ბელგიის სივრცე 1789 წელს 83
1. ავსტრიის ნიდერლანდი 83
2. ლიეჟის საეპისკოპოსო 83
3. სტავლოსა და მალმედის სააბატოები 83
4. ბუიონის საჰერცოგო 83
III. 1789 წლიდან ბელგიის სამეფოს ჩამოყალიბებამდე (1830) 84
1. ავსტრიის ნიდერლანდის დასასრული (1789-1795) 84
2. საფრანგეთთან მიერთება (1795-1814) 84
3. ნიდერლანდის სამეფოსთან შეერთება (1814-1830) 85
IV. ბელგიის სამეფო (1830 წლიდან დღემდე) 87
1. ბელგიის დაბადება (1830-1839) 87
2. ბელგია თანამედროვე პერიოდში (1839 წლიდან დღემდე) 88

ბელორუსი 91
ზოგადი *მიონაცემები* 91
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. თეთრი რუსეთის მოკლე ისტორია 91
1. თეთრი რუსეთი ლიტვის გავლენის
ქვეშ (XIII-XVIII საუკუნეები) 91
2. ბელორუსული სივრცე 1789 წელს 92
II. რუსეთის მიერ დაპყრობა (XIX-XX საუკუნეები) 92

1. 1789 წლიდან ბელარუსის შექმნამდე (1919 წელი) 92
2. ბელორუსია (1919 წლიდან დღემდე) 93

ბოსნია-ჰერცეგოვინა 95
ზოგადი მიონაცემები 95
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ბოსნია-ჰერცეგოვინას მოკლე ისტორია 95
1. სათავეებიდან ოსმალების ბატონობამდე (1463 - 1482) 95
2. ოსმალეთის ბატონობა (1463/1482-1789) 95
II. ბოსნია-ჰერცეგოვინა 1789 წელს 96
III. თურქეთის ბოსნია-ჰერცეგოვინა (1789-1878) 96
1. 1789 წლიდან სამხედრო ლენური სისტემის გაუქმებამდე (1837) 96
2. 1837 წლიდან ავსტრია-უნგრეთის ჩარევამდე (1878) 97
IV. ავსტრია-უნგრეთი ბოსნია-ჰერცეგოვინაში (1878-1919) 98
1. ბოსნია-ჰერცეგოვინა ავსტრია-უნგრეთის ადმინისტრაციის დროს (1878-1908) 98
2. ავსტრია-უნგრეთთან მიერთებული ბოსნია-ჰერცეგოვინა (1908-1919) 98
V. იუგოსლავიის ბოსნია-ჰერცეგოვინა (1919-1991) 99
1. პირველი იუგოსლავური პერიოდი (1919-1941) 99
2. ხორვატიული პერიოდი (1941-1945) 100
3. მეორე იუგოსლავიური პერიოდი (1945-1991) 100
VI. დამოუკიდებელი ბოსნია-ჰერცეგოვინა (1991 წლიდან დღემდე) 101

ბულგარეთი 102
ზოგადი მიონაცემები 102
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ბულგარეთის მოკლე ისტორია 102
1. სათავეებიდან ბიზანტიის დაპყრობამდე (1018) 102
2. ბიზანტიის ბატონობიდან ოსმალეთის ბატონობამდე (1018-1789) 102
II. ბულგარეთი 1789 წელს 103
III. 1789 წლიდან ბულგარეთის სამეფოს დაარსებამდე (1908) 103
1. 1789 წლიდან ბულგარეთის სამთავროს ჩამოყალიბებამდე (1878) 103
2. დამოკიდებელი სამთავროდან ბულგარეთის დამოუკიდებელ სამეფომდე (1878-1908) 105
IV. დამოუკიდებელი ბულგარეთი (1908 წლიდან დღემდე) 106
1. 1908 წლიდან მეორე ბალკანური ომის დარეგულირებამდე (1913 წ) 106
2. 1913 წლიდან პირველ მსოფლიო ომის შედეგებამდე (1919) 107
3. 1919 წლიდან მეორე მსოფლიო ომის შედეგებამდე (1947) 108
4. თანამედროვე ბულგარეთი (1974 წლიდან დღემდე) 109

გერმანია 111
ზოგადი მიონაცემები 111
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. გერმანიის მოკლე ისტორია 112
ა. გერმანიის ზოგადი ისტორია 112
1. სათავეებიდან გერმანელი ერის საღთო რომის იმპერიის დაარსებამდე (962 წელი) 112
2. 962 წლიდან დიდი უმეფობის ხანის დასრულებამდე (1273) 113
3. 1273 წლიდან ვესტფალიის ზავამდე (1648) 114
4. ვესტფალიის ზავი და მისი შედეგები (1648-1789) 116
ბ. გერმანიის სახელმწიფოების ისტორია 117

1. ავსტრია. იხ. თავი ავსტრია 117
2. პრუსია 117
3. ბავარია-პფალცი 119
4. ვიურტემბერგი 120
5. ბადენი 120
6. ჰოენცოლერნი 121
7. ფიურსტენბერგი 121
8. თორნ – უნდ - ტაქსი 121
9. ბაიროითი და ანსბახი.... 121
10. საქსონიის საკურფიურსტო 122
11. თიურინგია 122
12. ანჰალტი 123
13. შვედეთის პომერანია 123
14. მეკლენბურგი....123
15. ჰოლშთაინი იხ. ქვემოთ ოლდენბურგი და თავი დანია 124
16. ოლდენბურგი....124
17. ჰანოვერი 124
18. ბრაუნშვაიგ-ვოლფენბიუტელი....125
19. ლიპე....125
20. ვალდეკი 125
21. ჰესენი 126
22. ნასაუ 126
23. არენბერგი....127
24. სალმი....127
25. მაინცი 128
26. კიოლნი 128
27. ტრირი....128
28. ზალცბურგი და ბერხტესგადენი 128
29. ვიურვცბურგი 128
30. ჰანზის ქალაქები 128
31. სხვა სახელმწიფოები 129
II. გერმანია 1789 ნელს. სხვადასხვა სახელმწიფოს მდგომარეობა....129
1.ავსტრია. იხ. თავი ავსტრია 129
2. პრუსია 129
3. ბავარია-პფალცი და ცვაიბრიუკენი....130
4. ვიურტემბერგი....131
5. ბადენი....132
6. ჰოენცოლერნი 133
7. ფიურსტენბერგი....133
8. თორნ – უნდ- ტაქსი 133
9. ბაიროითი და ანსბახი 134
10. საქსონიის საკურფიურსტო 134
11. თიურინგია 135
12. ანჰალტი 136
13. შვედეთის პომერანია 137
14. მეკლენბურგი....137
15. ჰოლშთაინი იხ. თავი დანია....138
16. ოლდენბურგი....138
17. ჰანოვერი 138
18. ბრაუნშვაიგი 139
19. ლიპე....139
20. ვალდეკი 139
21. ჰესენი 140

22. ნასაუ 141
23. არენბერგი 142
24. სალმი 142
25. მაინცი 143
26. კიოლნი 144
27. ტრირი 144
28. ზალცბურგი და ბერხტესგადენი 144
29. ვიურცბურგი 145
30. ჰანზის ქალაქები 145
31. სხვა სახელმწიფოები 145
III. გერმანია რევოლუციურ ორომტრიალში (1789-1815)
სხვადასხვა სახელმწიფოს ევოლუცია 146
1. ავსტრია იხ. თავი "ავსტრია" 147
2. პრუსია 147
3. ბავარია პფალცი და ცვაიბრიუეკნი, მოგვიანებით ბავარია 152
4. ვიურტემბერგი 157
5. ბადენი 160
6. ჰოენცოლერნი 163
7. ფიურსტენბერგი 164
8. თორნ- უნდ-ტაქსი 164
9. ბაიროითი და ანსბახი იხ. პრუსია 165
10. საქსონიის საკურფიურსტო 165
11. თიურინგია 166
12. ანჰალტი 166
13. შვედეთის პომერანია 167
14. მეკლენბურგი 167
15. ჰოლშთაინი იხ. თავი დანია 167
16. ოლდენბურგი 167
17. ჰანოვერი 168
18. ბრაუნშვაიგი 169
19. ლიპე და ვალდეკი 170
20. ჰესენი 170
21. ნასაუ 172
22. არენბერგი 175
23. სალმი 175
24. მაინცი, მოგვიანებით ფრანკფურტის დიდი საპერცოგო 176
25. კიოლნი და ტრირი 178
26. ზალცბურგი და ბერხტესგადენი 179
27. ვიურცბურგი 179
28. ჰანზის ქალაქები 180
29. სხვა სახელმწიფოები 180
30. ბერგი 181
31. ვესტფალია 183
IV. გერმანია, გერმანული კონფედერაციის არსებობის
პერიოდში. (1815-1866) სხვადასხვა სახელმწიფოს ევოლუცია 185
1. ავსტრია იხილე თავი ავსტრია 186
2. პრუსია 186
3. ბავარია 192
4. ვიურტემბერგი 193
5. ბადენი 193
6. ჰოენცოლერნი 194
7. საქსონიის სამეფო 194
8. თიურინგია 195
9. ანჰალტი 196

10. მეკლენბურგი...197
11. ჰოლშტაინი იხ. ზემოთ პრუსია და თავები დანია, ავსტრია 197
12. ოლდენბურგი....197
13. ჰანოვერი....198
14. ბრაუნშვაიგი, ლიპე და ვალდეკი....199
15. ჰესენი 199
16. ნასაუ....201
17. ჰანზის ქალაქები და თავისუფალი ქალაქი ფრანკფურტი 201
V. პრუსიის გერმანია (1866-1918). გერმანული ერის დაბადება 202
1. ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციიდან გერმანიის იმპერიამდე (1866-1817) 202
2. გერმანიის იმპერია (1871-1918) 204
VI. გერმანია ორ ომს შორის პერიოდში (1919-1939). ეკონომიკური კრიზისიდან იდეოლოგიურ კრიზისამდე 206
1. ე.წ. ვაიმარის საპარლამენტო რესპუბლიკა (1919-1933) 206
2. ჰიტლერის გერმანია მერე მსოფლიო ომის წინ (1933-1939) 209
VII. გერმანია და მეორე მსოფლიო ომი (1939-1945). III რაიხის დროებითი მონაპოვარი 210
1. ექსპანსია (1939-1942)....210
2. დამარცხებიდან კაპიტულაციამდე (1942-1945)....212
VIII. თანამედროვე გერმანია (1945 წლიდან დღემდე). დაყოფიდან გაერთიანებამდე 213
1. ომის შედეგები გერმანიაში (1945-1949)....213
2. ბლოკებს შორის განანილებული გერმანია (1949-1990)....216
3. გაერთიანებული გერმანია (1990 წლიდან დღემდე)....219

დანია 220

ზოგადი მონაცემები....220
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. დანიის მოკლე ისტორია 220
1. სათავეებიდან ოლდენბურგის დინასტიის მოსვლამდე (1448)....220
2. ოლდენბურგების მეფობა 1789 წლამდე....220
II. დანია 1789 წელს 221
III. 1789 წლიდან ნორვეგიის დაკარგვამდე (1814/1815)....222
IV. 1815 წლიდან შლეზვიგ-ჰოლშტაიდის დაკარგვამდე (1864) 223
1. ომის პირველი ნიშნები (1839-1863)....223
2. საჰერცოგოების ომი (1863-1864) 224
V. 1864 წლიდან დღემდე 224
1. საჰერცოგოების დაკარგვიდან ჩრდილოეთი შლეზვიგის დაბრუნებამდე (1864-1920)....224
2. თანამედროვე პერიოდი (1920 წლიდან დღემდე) 225

დიდი ბრიტანეთი და ჩრდილოეთი ირლანდია....226

ზოგადი მონაცემები....226
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. დიდი ბრიტანეთის მოკლე ისტორია 227
1. სათავეებიდან უილიამ ნორმანდიელის მიერ ინგლისის დაპყრობამდე (1066) 227
2. 1066 წლიდან ტიუდორების მოსვლამდე (1485 წელი) 228
3. 1485 წლიდან გაერთიანებული სამეფოს ჩამოყალიბებამდე (1707) 229
4. დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო (1707-1789)....230
II. დიდი ბრიტანეთი 1789 წელს....231

III. 1789 წლიდან ჰანოვერის დაკარგვამდე (1837) 232
1. 1789 წლიდან ვენის კონგრესის შედეგებამდე (1815) 232
2. 1815 წლიდან ჰანოვერის დაკარგვამდე (1837) 234
IV. 1837 წლიდან ირლანდიის გამოყოფამდე (1921) 235
1. 1837 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე (1914) 235
2. 1914 წლიდან ირლანდიის გამოყოფამდე (1921) 235
V. თანამედროვე დიდი ბრიტანეთი (1921 წლიდან დღემდე) 236

ესპანეთი 238

ზოგადი მონაცემები 238
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ესპანეთის მოკლე ისტორია 239
1. სათავეებიდან არაბების ბატონობამდე (711 წელი) 239
2. 711 წლიდან რეკონკისტას დასრულებამდე (1492) 239
3. 1492 წლიდან ბურბონების გამეფებამდე (1700) 240
4. ბურბონების ესპანეთი (1700-1789) 240
II. ესპანეთი 1789 წელს 241
III. 1789 წლიდან საფრანგეთის ჩარევის დასრულებამდე (1813) 242
1. 1789 წლიდან ესპანეთის ტახტზე ჟოზეფ ბონაპარტეს ასვლამდე (1808) 242
2. 1808 წლიდან ბურბონების მეფობის აღდგენამდე (1813) 242
IV. 1813 წლიდან მეორე რესპუბლიკის შექმნამდე (1931) 243
1. 1813 წლიდან ბურბონების მეორე გადადგომამდე (1868) 243
2. 1868 წლიდან ბურბონების მონარქიის მეორედ აღდგენამდე (1874) 244
3. 1874 წლიდან მეორე რესპუბლიკის დამყარებამდე (1931) 244
V. თანამედროვე ესპანეთი (1931წლიდან დღემდე) 245
1. მეორე რესპუბლიკა (1931-1936) 245
2. სამოქალაქო ომი და ფრანკისტული სახელმწიფო (1936-1947) 245
3. სამეფო მეფის გარეშე (1947-1975) 245
4. ბურბონების დაბრუნება (1975 წლიდან დღემდე) 246

ესტონეთი 247

ზოგადი მონაცემები 247
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ესტონეთის მოკლე ისტორია 247
1. ტევტონური ორდენიდან პეტრე დიდამდე 247
2. ესტონეთი 1789 წელს 247
II. რუსული გზა დამოუკიდებლობისაკენ (1789 წლიდან დღემდე) 248
1. 1789 წლიდან დამოუკიდებლობამდე (1918/1920) 248
2. 1920 წლიდან დღემდე 249

ვატიკანი 250

ზოგადი ცნობები 250
I. საფუძვლებიდან 1789 წლამდე. პაპის ოლქის მოკლე ისტორია 251
1. სათავეებიდან პაპის ოლქის შექმნამდე (756წ.) 251
2. 756 წლიდან პაპების ავინიონში დამკვიდრებამდე (1308წ.) 251
3. 1308 წლიდან 1789 წლამდე 252
II. პაპის ოლქი 1789 წელს 252
1. პაპის ოლქის იტალიური ტერიტორიები 252
2. პაპის ოლქის პროვანსალური ტერიტორიები 253
III. 1789 წლიდან პაპის ოლქის დასასრულამდე (1870წ.) 253

1. 1789 წლიდან რომის რესპუბლიკის გამოცხადებამდე (1789წ.).....253
2. 1789 წლიდან საფრანგეთის მიერ რომის ანექსიამდე (1809წ.).....254
3. 1809 წლიდან იტალიის სამეფოს მიერ რომის ანექსიამდე (1870).....255
IV. 1870 წლიდან დღემდე.....256
1. 1870 წლიდან ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანის შექმნამდე (1929წ.).....256
2. ქალაქი-სახელმწიფო ვატიკანი (1929 წლიდან დღემდე).....256

თურქეთი.....257

ზოგადი ცნობები.....257
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. თურქეთის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.....257
1. სათავეებიდან თურქეთის მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე (1453წ.).....257
2. ოტომანთა იმპერია ევროპაში (1453-1789წ.).....258
II. თურქეთი 1789 წელს.....259
III. 1789 წლიდან ბერლინის კონგრესამდე (1878წ.).....260
1. 1789 წლიდან ბესარაბიის დაკარგვამდე (1812წ.).....260
2. 1812 წლიდან მცირე საბერძნეთის დაკარგვამდე (1830წ.).....262
3. 1830 წლიდან ბერლინის კონგრესამდე (1878წ.).....263
IV. 1878 წლიდან თანამედროვე თურქეთის ჩამოყალიბებამდე (1923წ.).....265
1. 1878 წლიდან ბულგარეთისა და ბოსნია-ჰერცეგოვინას დაკარგვამდე (1908წ.).....265
2. 1908 წლიდან ბალკანეთის მეორე ომის დასასრულამდე (1913წ.).....268
3. 1913 წლიდან ლოზანის ხელშეკრულების დადებამდე (1923წ.).....269
V. თანამედროვე თურქეთი (1923 წლიდან დღემდე).....270

ირლანდია.....272

ზოგადი ცნობები.....272
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ირლანდიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.....272
1. შიდა უთანხმოებებიდან ინგლისის ბატონობამდე (1171წ.).....272
2. ირლანდია 1789 წელს.....273
II. თანამედროვე ირლანდია (1789 წლიდან დღემდე).....274
1. 1789 წლიდან ირლანდიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე (1921წ.).....274
2. თანამედროვე ირლანდია (1921 წლიდან დღემდე).....275

ისლანდია.....276

ზოგადი ცნობები.....276
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ისლანდიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.....276
1. ნორვეგიასა და დანიას შორის (1264-1356წ.).....276
2. ისლანდია 1789 წელს.....276
II. თანამედროვე ისლანდია (1789 წლიდან დღემდე).....277
1. 1789 წლიდან ისლანდიის სამეფოს შექმნამდე.....277
2. უნიიდან დამოუკიდებლობამდე (1944წ.).....277

იტალია 278

ზოგადი ცნობები 278
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. იტალიის მოკლე ისტორიული ნარკვევი 279
1. სათავეებიდან დასავლეთ რომის იმპერიის დაცემამდე (476წ.) 279
2. 476 წლიდან ახალი იტალიის სახელმწიფოთა აღმოცენებამდე (XIVს.) 280
3. პრინციპატების ხანა (XIV-XVსს.) 284
4. ესპანეთის ბატონობა იტალიაში (XVI-XVIIსს.) 287
5. იტალია ავსტრიასა და ესპანეთს შორის (XVIIIს.) 291
II. იტალია 1789 წელს 296
1. სარდინიის სამეფო 298
2. მილანისა და მანტუის საჰერცოგოები 298
3. ვენეციის რესპუბლიკა 299
4. გენუის რესპუბლიკა 300
5. პარმის საჰერცოგო 300
6. მოდენის საჰერცოგო 301
7. ტოსკანის დიდი საჰერცოგო 301
8. ლუკას რესპუბლიკა 301
9. პიომბინოს სამთავრო 302
10. ორივე სიცილიის სამეფო 302
III. იტალია რევოლუციის ქარცეცხლში (1789-1815წ.) 303
1. იტალიის ჩრდილო-დასავლეთი 303
2. იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთი 312
3. იტალიის სამხრეთი 317
IV. იტალია ავსტრიის გავლენის ქვეშ (1815-1860წ.) 319
1. სარდინიის სამეფო 321
2. ლომბარდია-ვენეციის სამეფო 323
3. პარმის საჰერცოგო 324
4. ლუკას საჰერცოგო 325
5. მასა და კარარას საჰერცოგო 325
6. მოდენის საჰერცოგო 326
7. ტოსკანის დიდი საჰერცოგო 326
8. ორივე სიცილიის სამეფო 328
V. გაერთიანებული იტალია (1860-1920წ.) 329
1. იტალიის ერთიანობის ფაქტობრივი დასრულება (1860-1870წ.) 329
2. იტალიის სამეფო (1870-1915წ.) 331
3. პირველი მსოფლიო ომი და მისი შედეგები (1915-1920წ.) 332
VI. თანამედროვე იტალია (1920 წლიდან დღემდე) 334
1. მუსოლინის პერიოდის იტალია (1922-1943წ.) 334
2. იტალიის სამეფოს დასასრული და ომის შედეგები (1943 წლიდან დღემდე) 337

კვიპროსი 340

ზოგადი ცნობები 340
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. კვიპროსის მოკლე ისტორია 340
1. ბერძნული, მაგრამ პოლიტიკურად ყველასთვის სასურველი კუნძული 340
2. კვიპროსი 1789 წელს 341
II. სტრატეგიული პოზიციის არასტაბილურობა (1789 წლიდან დღემდე) 341

1. თურქეთის კვიპროსი (1789-1878)....341
2. ბრიტანეთის კვიპროსი (1878-1960)....342
3. კვიპროსის რესპუბლიკა (1960 წლიდან დღემდე) 342

ლატვია 344

ზოგადი ცნობები 344
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ლატვიის მოკლე ისტორიული ნარკვევი 344
1. რეგიონული არჩევანი პოლონეთსა, შვედეთსა და რუსეთს შორის 344
2. ლატვია 1789 წელს 345
II. რთული გზა დამოუკიდებლობისკენ (1789 წლიდან დღემდე)....345
1. 1789 წლიდან დამოუკიდებლობამდე (1918/1920წწ.) 345
2. 1920 წლიდან დღემდე 346

ლიტვა 348

ზოგადი ცნობები 348
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ლიტვის მოკლე ისტორიული ნარკვევი 348
1. პოლონეთთან გაერთიანებიდან რუსეთის გაბატონებამდე (XIV-XVIIსს.) 348
2. ლიტვა 1789 წელს 349
II. ლიტვა რუსეთის მეურვეობის ქვეშ და დამოუკიდებლობა (XVIII-XXსს.)....349
1. 1789 წლიდან ლიტვის გაქრობამდე (1795წ.)....349
2. 1795 წლიდან ლიტვის აღდგენამდე (1918წ.) 350
3. პირველი დამოუკიდებელი ლიტვა (1918-1940წწ.)....351
4. ანექსირებული ლიტვა (1940-1990წწ.) 352
5. მეორე დამოუკიდებელი ლიტვა (1990 წლიდან დღემდე)....353

ლიხტენშტაინი 354

ზოგადი ცნობები 354
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ლიხტენშტაინის მოკლე ისტორიული ნარკვევი 354
1. სათავეებიდან ლიხტენშტაინის გრაფთა დამკვიდრებამდე....354
2. სამთავრო 1789 წელს 354
II. დამოუკიდებლობის მიღწევა 355
1. 1789 წლიდან დამოუკიდებლობამდე (1866წ.)....355
2. 1866 წლიდან დღემდე 356

ლუქსემბურგი 357

ზოგადი ცნობები 357
I სათავეებიდან 1789 წლამდე. ლუქსემბურგის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 357
1. ლუქსემბურგის დაარსება ავსტრიის მეურვეობის ქვეშ (963-1789წწ.)....357
2. ლუქსემბურგი 1789 წელს....358
II. ანექსიასა და დამოუკიდებლობას შორის (1789 წლიდან დღემდე)....358
1. 1789 წლიდან 1815 წლამდე....358
2. 1815 წლიდან გაყოფამდე (1831/1839წწ.)....359
3. 1939 წლიდან დამოუკიდებლობამდე....360
4. 1890 წლიდან დღემდე 361

მაკედონია 363

ზოგადი ცნობები 363
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. მაკედონიის მოკლე ისტორიული ნარკვევი 363
1. ალექსანდრე დიდიდან ოტომანთა ბატონობამდე (ძვ. წ, აღ. 336 წლიდან 1789 წლამდე) 363
2. მაკედონია 1789 წელს 364
II. მაკედონელი ხალხის მძიმე ხვედრი (1789 წლიდან დღემდე) 364
1. თურქეთის მაკედონია (1789-1913წწ.) 364
2. მაკედონიის გადანაწილებიდან მის დამოუკიდებლობამდე (1913-1991წწ.) 366
3. თანამედროვე მაკედონია (1991 წლიდან დღემდე) 367

მალტა 368

ზოგადი ცნობები 368
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. მალტის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 368
1. ნანატრი მიწა (ძვ. წ. აღ. 218-1789წწ.) 368
2. მალტის არქიპელაგი 368
II. ბრიტანეთის ბატონობიდან დამოუკიდებლობამდე 369
1. 1789 წლიდან 1814 წლამდე 369
2. 1814 წლიდან დღემდე 369

მალტის ორდენი 371

ზოგადი ცნობები 371
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. მალტის ორდენის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 371
1. იერუსალიმის ჰოსპიტალიერები მალტაში (1098-1789წწ.) 371
2. მალტის ორდენი 1789 წელს 372
II. მალტის დაკარგვიდან ტერიტორიის გარეშე სუვერენიტეტამდე 372
1. 1789 წლიდან 1822 წლამდე 372
2. 1822 წლიდან დღემდე 373

მოლდოვა 374

ზოგადი ცნობები 374
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ბესარაბიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 374
1. ბესარაბია მოლდოვასა და თურქეთს შორის (XIV-XVIIსს.) 374
2. ბესარაბია 1789 წელს 375
II. რუსეთსა და რუმინეთს შორის. დამოუკიდებლობა 375
1. 1789 წლიდან რუსეთის მიერ ანექსიამდე (1812წ.) 375
2. 1812 წლიდან ბესარაბიის მეორე გადანაწილებამდე (1856წ.) 376
3. 1856 წლიდან რუმინეთის მიერ ანექსიამდე (1920წ.) 376
4. რუმინეთის ბესარაბია და პატარა საბჭოთა მოლდოვა (1920-1940წწ.) 377
5. მოლდოვას "დიდი" საბჭოთა რესპუბლიკა (1940-1991წწ.) 378
6. მოლდოვას დამოუკიდებელი რესპუბლიკა (1991 წლიდან დღემდე) 378

მონაკო 380

ზოგადი ცნობები 380
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. მონაკოს მოკლე ისტორიული მიმოხილვა 380

1. გრიმალდებიდან გოიონ-მატინიონებამდე (XIV-XVIIსს.) 380
2. მონაკო 1789 წელს 380
II. საფრანგეთსა და სარდინიას შორის (1789 წლიდან დღემდე) 381
1. საფრანგეთის მიერ ანექსია (1793-1814წწ.) 381
2. სარდინიის სიუზერენიტეტი (1815-1861წწ.) 381
3. საფრანგეთის მფარველობა (1861 წლიდან დღემდე) 382

ნიდერლანდი 383

ზოგადი ცნობები 383
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ნიდერლანდის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 383
1. რომიდან ბურგუნდიის სახლამდე (I-XVსს.) 383
2. ბურგუნდიის გამარჯვება (XVს.) 384
3. ნიდერლანდის გაერთიანებიდან ჩრდილოეთის გამოყოფამდე (XVIს.) 384
4. გაერთიანებული პროვინციები (XVII-XVIIIსს.) 385
II. შეერთებული პროვინციები 1789 წელს 386
III. 1789 წლიდან ნიდერლანდის სამეფოს შექმნამდე (1815წ.) 387
1. შეერთებული პროვინციების დასასრული (1789-1795წწ.) 387
2. ბატავიის რესპუბლიკა (1795-1806წწ.) 387
3. ჰოლანდიის სამეფო (1806-1810წ.) 388
4. საფრანგეთის იმპერიასთან მიერთება (1810-1813წ.) 389
IV. ნიდერლანდის სამეფო (1815 წლიდან დღემდე) 390
1. სამეფოს შექმნა (1814-1815წ.) 390
2. ბელგიის გამოყოფა (1830/1839წ.) 392
3. ლუქსემბურგის გამოყოფა (1890წ.) 393
4. თანამედროვე ნიდერლანდის სამეფო 394

ნორვეგია 396

ზოგადი ცნობები 396
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ნორვეგიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 396
1. ოლაფ I-დან დანიასთან გაერთიანებამდე (900-1789წწ.) 396
2. ნორვეგია 1789 წელს 397
II. დამოუკიდებლობის ძიებაში (1789 წლიდან დღემდე) 397
1. 1789 წლიდან სამეფოს დამოუკიდებლობამდე (1905წ.) 397
2. დამოუკიდებლობიდან (1905წ.) დღემდე 398

პოლონეთი 400

ზოგადი ცნობები 400
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. პოლონეთის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 400
1. სათავეებიდან პიასტების სახლის გადაშენებამდე (1370წ.) 400
2. 1370 წლიდან ლიუბლინის უნიამდე (1569წ.) 401
3. 1569 წლიდან პოლონეთის პირველ განაწილებამდე (1772წ.) და 1789 წლამდე 402
II. პოლონეთი 1789 წელს 403
III. 1789 წლიდან პოლონეთის გაქრობამდე (1795წ.) 403
1. 1789 წლიდან პოლონეთის მეორე განაწილებამდე (1793წ.) 403
2 1793 წლიდან მეოთხე და მესამე განაწილებამდე და პოლონეთის გაქრობამდე (1795წ.) 404
IV. 1795 წლიდან პოლონეთის აღორძინებამდე (1919წ.) 405

1. 1795 წლიდან ვარშავის დიდი საპერცოგოს შექმნამდე (1807ნ.)....405
2. ვარშავის დიდი საპერცოგო (1807-1814ნნ.)....405
3. მეოთხე განაწილებიდან (1815ნ.) პოლონეთის აღორძინებამდე (1919ნ.)....406
V. თანამედროვე პოლონეთი (1919 წლიდან დღემდე)....408
1. პოლონეთის პირველი რესპუბლიკა (1919-1939ნნ.)....408
2. დაშლილი პოლონეთი (1939-1945ნნ.)....412
3. პოლონეთის მეორე რესპუბლიკა (1945 წლიდან დღემდე)....412

პორტუგალია....420

ზოგადი ცნობები....420
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. პორტუგალიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა....420
1. ლუზიტანიიდან პორტუგალიამდე (ძვ. წ. აღ. II საუკუნიდან 1789 წლამდე)....420
2. პორტუგალიის სამეფო 1789 წელს....421
II. თანამედროვე პორტუგალია (1789 წლიდან დღემდე)....422
1. 1789 წლიდან მონარქიის გაუქმებამდე (1910ნ.)....422
2. პორტუგალიის რესპუბლიკა (1910 წლიდან დღემდე)....424

რუმინეთი....425

ზოგადი ცნობები....425
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. რუმინული ტერიტორიების მოკლე ისტორიული მიმოხილვა....425
1. სათავეებიდან იტომანთა მიერ დაპყრობამდე (XVს.)....425
2. ოტომანთა სიუზერენიტეტი (XV-XVIIIსს.)....426
II. რუმინული ტერიტორია 1789 წელს....426
III. 1789 წლიდან რუმინეთის აღზევებამდე (1861ნ.)....427
1. 1789 წლიდან რუსეთ-თურქეთის კონდომინიუმამდე (1829ნ.)....427
2. 1829 წლიდან ორი სამთავროს გაერთიანებამდე (1858ნ.)....429
3. 1858 წლიდან რუმინეთის აღზევებამდე (1861ნ.)....429
IV. 1861 წლიდან დიდი რუმინეთის შექმნამდე (1920ნ.)....430
1. 1861 წლიდან რუმინეთის სამეფოდ გადაქცევამდე (1881ნ.)....430
2 1881 წლიდან დიდი რუმინეთის შექმნამდე (1920ნ.)....431
V. თანამედროვე რუმინეთი (1920 წლიდან დღემდე)....433
1. 1920 წლიდან მეორე მსოფლიო ომში რუმინეთის მონაწილეობამდე (1941ნ.)....433
2. რუმინეთი მეორე მსოფლიო ომში (1941-1947ნნ.)....435
3. რესპუბლიკური რუმინეთი (1948 წლიდან დღემდე)....436

რუსეთი....442

ზოგადი ცნობები....442
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. რუსეთის მოკლე ისტორიული მიმოხილვა....443
1. სათავეებიდან მონღოლთა ბატონობის დასასრულამდე (1480ნ.)....443
2. 1480 წლიდან პეტრე დიდის ტახტზე ასვლამდე (1689ნ.)....444
3. პეტრე დიდისა და მისი მემკვიდრეების რუსეთი (1689-1789ნნ.)....444
II. რუსეთი 1789 წელს....446
III. 1789 წლიდან ვენის კონგრესის დასკვნამდე (1815ნ.)....446

1. 1789 წლიდან ტილზიტის სამშვიდობო ხელშეკრულებამდე (1807ნ.) 446
2. 1807 წლიდან ვენის კონგრესის დასკვნამდე (1815ნ.) 449
IV. 1815 წლიდან საიმპერატორო რეჟიმის დამხობამდე (1917ნ.) 450
1. რუსეთი 1815 წელს 450
2. 1815 წლიდან პარიზის კონგრესამდე (1856ნ.) 451
3. 1856 წლიდან საიმპერატორო რეჟიმის დაცემამდე (1917ნ.) 452
V. 1917 წლიდან საბჭოთა კავშირში შესვლამდე (1922ნ.) 454
1. 1917 წლიდან ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო ხელშეკრულებამდე (1918ნ.) 454
2. 1918 წლიდან საბჭოთა კავშირში შესვლამდე (1922ნ.) 455
VI. 1922 წლიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე (1991ნ.) 457
1. სსრკ მისი შექმნიდან (1922ნ.) 457
2. 1923 წლიდან გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტამდე (1939ნ.) 458
3. 1939 წლიდან გერმანიასთან კავშირის გაწყვეტამდე (1941ნ.) 459
4. 1941 წლიდან პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულებებამდე (1947ნ.) 461
5. 1947 წლიდან სსრკ-ს დაშლამდე (1991ნ.) 463
VII. რუსეთის ფედერაცია (1991 წლიდან დღემდე) 465

საბერძნეთი 467

ზოგადი ცნობები 467
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. საბერძნეთის მოკლე ისტორია 467
1. ანტიკური ხანა 467
2. შუა საუკუნეები და თანამედროვე პერიოდი 468
II. ბერძნული სივრცე 1789 წელს 468
1. ვენეციის აღმოსავლეთი პროვინცია 469
2. ოსმალეთის იმპერია 469
III. 1789 წლიდან საბერძნეთის სამეფოს შექმნამდე (1830 წელი) 469
1. იონიის კუნძულების ცვალებადი ბედი (1797-1817) 470
2. ბერძნების გამოღვიძება (1821-1830) 471
IV. საბერძნეთის სამთავროს შექმნა და გაძლიერება (1830-1913) 472
1. სამეფოს პირველი ნაბიჯები (1830-1835) 472
2. საბერძნეთის განვითარება და გაფართოება (1835-1864) 473
3. საბერძნეთის ექსპანსია თურქეთის ხარჯზე (1878-1913) 473
V. თანამედროვე საბერძნეთი (1914 წლიდან დღემდე) 475
1. პირველი მსოფლიო ომი და მისი შედეგები (1914-1924) 475
2. მეორე მსოფლიო ომი და მისი შედეგები (1935 წლიდან დღემდე) 477

სან-მარინო 480

ზოგადი ცნობები 480
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. სან-მარინოს მოკლე ისტორიული მიმოხილვა 480
II. ქვეყნის შენარჩუნება ბობოქარ პერიოდებში (1789 წლიდან დღემდე) 480

საფრანგეთი 482

ზოგადი ცნობები 482
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. საფრანგეთის მოკლე ისტორია 485
1. გალია, სათავეებიდან დასავლეთის რომის იმპერიის დასასრულამდე (476) 485
2. საფრანგეთის ჩამოყალიბება (476-987) 486

3. საფარანგეთი პირველი კაპეტინგების დროს (987-1180) 487
4. კაპეტინგების ბოლო წარმომადგენლების მიერ
განხორციელებული გაერთიანება (1180-1328) 489
5. ვალუების საფრანგეთი (1328-1589) 491
6. საფრანგეთი ბურბონების დროს (1589-1789) 493
II. საფრანგეთი 1789 წელს. ძლიერი სახელმწიფოს პორტრეტი 495
III. რევოლუციური საფრანგეთი (1789-1799) 496
1. რევოლუცია მონარქიის დროს (1789-1792) 496
2. რესპუბლიკა კონვენტის პერიოდში (1792-1795) 503
3. საფრანგეთის ექსპანსია დირექტორის დროს (1795-1799) 506
IV. ნაპოლეონის საფრანგეთი (1799-1815) 509
1. კონსულობის პერიოდი (1799-1804) 509
2. საფრანგეთის იმპერია ახალი ევროპის არბიტრი (1804-1807) 516
3. საფრანგეთის იმპერიის აპოგეა (1808-1811) 520
4. საფრანგეთის იმპერიის შესუსტება და კრახი (1811-1814) 525
5. ასი დღის პერიოდი და ორი რესტავრაცია (1814-1815) 525
V. საფრანგეთი XIX საუკუნეში (1815-1914) 527
1. მონარქიული საფრანგეთი (1815-1870) 527
2. რესპუბლიკური საფრანგეთი (1870-1914) 529
VI. საფრანგეთი XX საუკუნეში (1914 წლიდან დღემდე) 530
1. პირველი მსოფლიო ომი და მისი შედეგები (1914-1919) 530
2. ორ ომს შორის პერიოდი (1919-1939) 531
3. მეორე მსოფლიო ომი და მისი შედეგები (1939-1947) 534
4. თანამედროვე საფრანგეთი (1947 წლიდან დღემდე) 536

სერბეთი 541

ზოგადი ცნობები 541
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. სერბეთის მოკლე
ისტორიული ნარკვევი 541
1. სათავეებიდან სერბეთის პირველ
დამოუკიდებლობამდე (1180ნ.) 541
2. პირველი სერბეთი (1180-1459ნნ.) 542
3. სერბები ოტომანთა უღლის ქვეშ (1459-1789ნნ) 542
II. სერბეთი 1789 წელს 542
III. 1789 წლიდან სერბეთის დამოუკიდებლობამდე (1878ნ.) 543
1. 1789 წლიდან პორტის ვასალის, სერბეთის სამთავროს
შექმნამდე (1830ნ.) 543
2. 1830 წლიდან სერბეთის დამოუკიდებლობამდე (1878ნ.) 543
IV. სერბეთის სამთავრო, მოგვიანებით სამეფო (1878-1918ნნ.) 545
1. 1878 წლიდან ბალკანეთის მეორე ომის
დასასრულამდე (1913ნ.) 545
2. 1913 წლიდან სამხრეთი სლავების სამეფოში
გაერთიანებამდე (1918ნ.) 546
V. ახალი იუგოსლავია (1918-1941ნნ.) 547
1. სერბების, ხორვატებისა და სლოვენების
სამეფო (1918-1929ნნ.) 547
2. იუგოსლავიის სამეფო (1929-1941ნნ.) 549
VI. დიდი იუგოსლავიის დაღუპვა და
აღორძინება (1941-1991ნნ.) 551
1. სერბეთი გერმანიის უღელქვეშ (1941-1944ნნ.) 551
2. დიდი ფედერალური და კომუნისტური
იუგოსლავია (1945-1991ნნ.) 552
VII. თანამედროვე იუგოსლავია (1991 წლიდან დღემდე) 554

სლოვაკეთი **557**

ზოგადი ცნობები 557
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. სლოვაკური ტერიტორიების მოკლე ისტორიული მიმოხილვა 557
1. სლოვაკები უნგრეთის მეურვეობის ქვეშ 557
2. სლოვაკური ტერიტორიები 1789 წელს 558

II. სლოვაკი ხალხის მშფოთვარე ცხოვრება (1789 წლიდან დღემდე) 558
1. 1789 წლიდან ჩეხოსლოვაკიაში გაერთიანებამდე (1918-1920წწ.) 558
2. 1920 წლიდან სლოვაკეთის პირველ დამოუკიდებლობამდე (1939წ.) 560
3. თანამედროვე სლოვაკეთი (1939 წლიდან დღემდე) 561

სლოვენია **564**

ზოგადი ცნობები 564
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. სლოვენური ტერიტორიების მოკლე ისტორიული მიმოხილვა 564
1. სათავეებიდან ჰაბსბურგების მმართველობამდე (1282წ) 564
2. სლოვენები ჰაბსბურგების მმართველობის ქვეშ (1282-1789წწ.) 565
II. სლოვენები 1789 წელს 565
III. 1789 წლიდან ავსტრიის ბატონობის დასასრულამდე (1918წ.) 566
1. 1789 წლიდან საფრანგეთის მიერ დაპყრობამდე (1809წ.) 566
2. ილირიული პროვინციები (1809-1813წწ.) 566
3. ავსტრიის მმართველობის აღდგენა (1813-1918წწ.) 567
IV. იუგოსლავიური პერიოდი (1918-1990წწ.) 568
1. იტალიასა და იუგოსლავიას შორის გაყოფილი სლოვენები (1918-1941წწ.) 568
2. დაშლილი სლოვენია (1941-1946წწ.) 570
3. სლოვენია, იუგოსლავიის წევრი სახელმწიფო (1946-1991წწ.) 570
V. დამოუკიდებელი სლოვენია (1991 წლიდან დღემდე) 571

უკრაინა **574**

ზოგადი ცნობები 574
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. უკრაინის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 574
1. კიევის იმპერიიდან პოლონეთსა და რუსეთს შორის განაწილებამდე (IX — XIII წწ.) 574
2. უკრაინის ტერიტორია 1789 წელს 575
II. უკრაინა რუსეთის მეურვეობის ქვეშ (1789 წლიდან დღემდე) 576
1. 1789 წლიდან უკრაინის რესპუბლიკის შექმნამდე (1918წ.) 576
2. საბჭოთა უკრაინა (1918-1941წწ.) 577
3. უკრაინა გერმანიის რეჟიმის ქვეშ (1941-1944წწ.) 579
4. თანამედროვე უკრაინა (1944 წლიდან დღემდე) 580

უნგრეთი **582**

ზოგადი ცნობები 582
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. უნგრეთის მოკლე ისტორია 582

1. მადიარების მოსელა (896) 582
2. არპადთა მეფობა (896-1301) 582
3. არპადების ხაზის შენყვეტიდან ჰაბსბურგების მოსელამდე (1301-1526) 583
4. ჰაბსბურგების მეფობა (1526-1789) 583
II. უნგრეთის სამეფო 1789 წელს 584
III. 1789 წლიდან ავსტრია-უნგრეთის კომპრომისამდე (1867) 586
1. 1789 წლიდან 1848 წლის რევოლუციამდე 586
2. 1848 წლიდან 1867 წლის კომპრომისამდე 587
IV. 1867 წლიდან უნგრეთის დაშლამდე (1920) 588
1. 1867 წლიდან ბოსნია-ჰერცეგოვინას ანექსირებამდე (1908) 588
2. 1908 წლიდან უნგრეთის დანანევრებამდე (1920) 589
V. თანამედროვე უნგრეთი (1920 წლიდან დღემდე) 591
1. უნგრეთის სამეფო (1920-1946) 591
2. უნგრეთის რესპუბლიკა (1946 წლიდან დღემდე) 593

ფინეთი 595

ზოგადი ცნობები 595
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ფინეთის მოკლე ისტორია 595
1. რუსებსა და შვედებს შორის ბრძოლა გავლენის მოსაპოვებლად (XII-XVIII საუკუნეები) 595
2. ფინეთი 1789 წელს 595
II. ფინური ენის განმტკიცება (1789 წლიდან დღემდე) 596
1. 1789 წლიდან დამოუკიდებლობამდე (1917) 596
2. დამოუკიდებელი ფინეთი (1917 წლიდან დღემდე) 597

შვედეთი 599

ზოგადი ცნობები 599
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. შვედეთის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 599
1. სათავეებიდან გუსტავ ვასას გამეფებამდე (1523 წ.) 599
2. შვედეთის გაბრწყინება ვასების მეფობის პერიოდში (1523-1654 წ.) 599
3. შვედეთის დიდება და დეკადანსი (1654-1789 წ.) 600
II. შვედეთის სამეფო 1789 წელს 600
III. 1789 წლიდან ნორვეგიის ანექსიამდე (1814 წ.) 601
1. ფინეთის დაკარგვა (1809 წ.) 601
2. ნორვეგიის ხელში ჩაგდება (1814 წ.) 602
IV. შვედეთი 1814 წლიდან დღემდე 603
1. 1814 წლიდან ნორვეგიის დაკარგვამდე (1905 წ.) 603
2. 1905 წლიდან დღემდე 604

შვეიცარია 605

ზოგადი ცნობები 605
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. შვეიცარიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 606
1. სათავეებიდან კონფედერაციის შექმნამდე (1291 წ.) 606
2. 1291 წლიდან XIII კანტონის კონფედერაციის შექმნამდე 606
3. 1513 წლიდან 1789 წლამდე 607
II. ჰელვეციის სახელმწიფო 1789 წელს 607
A. ცამეტი კანტონი და მათ დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორიები 608
1. ცამეტი კანტონი და მათ დაქვემდებარებაში მყოფი განსაკუთრებულიტერიტორიული სუბიექტები 608

2. სხვადასხვა კანტონისთვის საერთო ოცდასამი საბაიო.....608
3. ტყის კანტონების მფარველობის ქვეშ მყოფი ორი
თავისუფალი ტერიტორია.....609
ბ. თერთმეტი "მოკავშირე მიწა" (ან ასოციირებული) 609
1. სამი "მოკავშირე მიწა" (დიეტის სხდომებზე დამსწრები).....609
2. რვა "მოკავშირე მიწა" (დიეტზე არდამსწრები).....609

III. 1789 წლიდან შვეიცარიის საბოლოო
ტერიტორიულ მონყობამდე.....610
1. 1789 წლიდან ჰელვეციის რესპუბლიკის შექმნამდე (1798ნ.) 610
2. ჰელვეციის რესპუბლიკა (1798-1803ნ.).....611
3. ნაპოლეონის პერიოდის ჰელვეციის
კონფედერაცია (1803-1815ნ.) 613
IV. თანამედროვე კონფედერაცია (1815 წლიდან დღემდე).....614
1. კონფედერაციული შვეიცარია (1815-1848ნ.).....614
2. ფედერალური შვეიცარია (1848 წლიდან დღემდე).....616

ჩერნოგორია 618

ზოგადი ცნობები.....618
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ჩერნოგორიის მოკლე
ისტორიული ნარკვევი 618
1. სათავეებიდან ჩერნოგორიის აღმოცენებამდე (XIVს.) 618
2. ჩერნოგორიელების თავშესაფარი (1389-1789ნ.) 618
II. ჩერნოგორია 1789 წელს.....619
III. 1789 წლიდან ჩერნოგორიის აღიარებულ
დამოუკიდებლობამდე (1878ნ.).....619
IV. ჩერნოგორიის სამთავრო, მოგვიანებით
სამეფო (1878-1918ნ.).....621
1. 1878 წლიდან ბალკანეთის მეორე ომის დასასრულამდე (1913ნ.) 621
2. 1913 წლიდან სამხრეთ სლავების სამეფოში
გაერთიანებამდე (1918ნ.) 621
V. იუგოსლავიის ჩერნოგორია (1918-2006ნ.).....622
1. სამხრეთი სლავების სამეფოს პერიოდი (1918-1941ნ.).....622
2. ჩერნოგორია იტალიის პროტექტორატის ქვეშ (1941-1944ნ.) 623
3. დიდი ფედერალური და კომუნისტური იუგოსლავიის
პერიოდი (1945-1991ნ.) 625
4. პატარა იუგოსლავიაში სერბეთთან გაერთიანებული
ჩერნოგორია (1991-2006ნ.).....626
VI. ჩერნოგორიის რესპუბლიკა (2006 წლიდან დღემდე).....627

ჩეხეთი 629

ზოგადი ცნობები.....629
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ბოჰემია-მორავიის მოკლე
ისტორიული მიმოხილვა 629
1. სათავეებიდან ლუქსემბურგის სახლის
გაბატონებამდე (1310ნ.) 629
2. ლუქსემბურგის სახლის მმართველობა (1319-1437ნ.).....629
3. 1437 წლიდან ავსტრიის სახლის დამკვიდრებამდე (1526ნ.) 630
4. ბოჰემიის სამეფო გვირგვინი, ჰაბსბურგების სახლის
სამფლობელო (1526-1789ნ.).....630
II. ბოჰემია-მორავია 1789 წელს 631
III. ავსტრიის ბოჰემია-მორავია (1789-1918ნ.) 632
1. 1789 წლიდან ავსტრია-უნგრეთის კომპრომისამდე (1867ნ.) 632

2. 1867 წლიდან ავსტრიის ბატონობის დასასრულამდე (1918წ.) 633
IV. თანამედროვე ბოჰემია-მორავია (1918 წლიდან დღემდე) 634
1. პირველი ჩეხოსლოვაკია (1918-1939წწ.) 634
2. ბოჰემია-მორავიის პროტექტორატი (1939-1945წწ.) 635
3. მეორე ჩეხოსლოვაკია (1945-1992წწ.) 636
4. ჩეხეთი (1993 წლიდან დღემდე) 636

ხორვატია 641

ზოგადი მონაცემები 641
I. სათავეებიდან 1789 წლამდე. ხორვატიის მოკლე ისტორია 641
1. სათავეებიდან უნგრეთთან შეერთებამდე (1102) 641
2. 1102 წლიდან ხორვატია-სლავონიის დანაწევრებამდე (1526) 641
3. 1526 წლიდან ხელახლა გაერთიანებამდე (1699) 642
4. 1699 წლიდან 1789 წლამდე 642
II. ხორვატია 1789 წელს 642
III. 1789 წლიდან უნგრეთთან კაუშირის დასასრულამდე 643
1. 1789 წლიდან უნგრეთისაგან პირველ გამოყოფამდე (1849) 643
2. 1849 წლიდან საბოლოო გამოყოფამდე (1918) 645
IV. თანამედროვე ხორვატია (1918 წლიდან დღემდე) 646
1. ხორვატია სამხრეთ სლავების სამეფოში (1918-1941) 646
2. ხორვატიის დამოუკიდებელი სახელმწიფო (1941-1945) 647
3. ხორვატიის რესპუბლიკა ტიტოს იუგოსლავიის შემადგენლობაში (1946-1991) 648
4. ხორვატიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა (1991 წლიდან დღემდე) 648

ნაწილი III – გამქრალი სახელმწიფოები 651

ნაწილი IV – დანართი 681

საღვთო რომის იმპერია 683
მოძმე რესპუბლიკები 695
ნაპოლეონის სარეზერვო ტერიტორიები 698
რაინის კონფედერაცია 705
გერმანიის კონფედერაცია 709
ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაცია და გერმანიის იმპერია (II რაიხი) 714
ძირითადი დიპლომატიური აქტების ქრონოლოგია ტერიტორიული შედეგებით 1789 წლიდან დღემდე 718
მონარქია თუ რესპუბლიკა? 723
ბუნებრივი საზღვრები 726
სხვადასხვა სახის უცნაურობები, ადგილობრივი თავისებურებანი და ანეკდოტები 735
შეთანხმებული გეოგრაფიული დასახელებების სია 742

სარჩევი 755
რუკების სარჩევი 774

რუკების სარჩევი

ევროპა 1789 775
ევროპა 1812 776
ევროპა 1819 777
ევროპა 1914 778
ევროპა 1924 779
ევროპა 1942 780
ევროპა 1949 781
ევროპა 2004 782
ჩრდილოეთ გერმანია 1789 783
სამხრეთ გერმანია 1789 783
ჩრდილოეთ გერმანია 1789.
ეკლესიის მიწები და იმპერიის
თავისუფალი ქალაქები 784
სამხრეთ გერმანია 1789.
ეკლესიის მიწები და იმპერიის
თავისუფალი ქალაქები 784
გერმანია 1803 785
გერმანია 1808 786
გერმანია 1811 787
გერმანია 1819 788
გერმანია 1871 789
გერმანია 1949/2004 790
საბერძნეთი 791
შეერთებული პროვინციები და
ნიდერლანდი 1789-1813 792
შეერთებული პროვინციები და
ნიდერლანდი 1789-1813 793
ნიდერლანდი, ბელგია და
ლუქსემბურგი 1814-2004 794
ნიდერლანდი, ბელგია და
ლუქსემბურგი 1814-2004 795
საფრანგეთი 1789-1799 796
საფრანგეთი 1789-1799 797
საფრანგეთი 1799-1808 798
საფრანგეთი 1799-1808 799
საფრანგეთი 1808-1814 800
საფრანგეთი 1808-1814 801
საფრანგეთი 1814-2004 802
საფრანგეთი 1814-2004 803
იტალია 1789-1797 804
იტალია 1789-1797 805
იტალია 1797-1805 806
იტალია 1797-1805 807
იტალია 1805-1814 808
იტალია 1805-1814 809
იტალია 1814-1860 810
იტალია 1814-1860 811
იტალია 1860-2004 812
იტალია 1860-2004 813
შვეიცარია 814
შვეიცარია 815
ცენტრალური და ბალკანეთის
ევროპა 1789 816
ცენტრალური და ბალკანეთის
ევროპა 1807 817
ცენტრალური და ბალკანეთის
ევროპა 1812 818
ცენტრალური და ბალკანეთის
ევროპა 1819 819
ცენტრალური და ბალკანეთის
ევროპა 1881 820
ცენტრალური და ბალკანეთის
ევროპა 1914 821
ცენტრალური და ბალკანეთის
ევროპა 1924 822
ცენტრალური და ბალკანეთის
ევროპა 1942 823
ცენტრალური და ბალკანეთის
ევროპა 1949 824
ცენტრალური და ბალკანეთის
ევროპა 2004 825


ჩრდილოეთ
ყინულოვანი
ოკეანე
ისლანდია
(დან.)
ფარერის კუნძულები
(დან.)
ბოტანიკის ყ.
(დ.ბ.)
ატლანტიკის ოკეანე
ჩრდილოეთის
ზღვა
დიდ ბრიტანეთი
და ჩრ. ირლანდია
ლა მანში
ანგლო ნორმანდია
(დ.ბ.)
ნორვეგია
(დან.)
ბალტიის ზღვა
ბალტიის ყურე
ფინეთი
ბორგენჰოლმი
(დან.)
ბელგია
ნიდერლანდები
ინგლისი
ირლანდია
(ინ.)
ბავარია
ავსტრიის
ავსტრიის
საბერძნეთი
ფრანგეთი
ფრანგეთი
ფრეიბურგი
ფრეიბურგი
ბერნი
ბერნი
ბერნ


ჩრდილოეთ
ყინულოვანი
ოკეანე
ისლანდია
ფარერის კ-ბი
შოტლანდიის კ-ბი
ნორვეგია (სნ)
ბალტიის ზღვა
ფინეთი
ბალტიკური
ჩრდილოეთის ზღვა
ატლანტიკის ოკეანე
დიდი ბრიტანეთი
და ჩრ. ირლანდია
ლა მანში
ანგლო-ნორმანდიი
კ-ბი (ფ.-ბრიტ.)
ინგლისი
ირლანდია
ბელგია
ნიდერლანდები
ლუქსემბურგი
ბელორუსი
ლიტვა
ლატვია
ესტონეთი
ფინეთის ყურე
ბალტიის ზღვა
ბერლინი
ვარშავა
ბრესლავი
ბონი
ფრანკფურტი
ბავარია
ავსტრია
ბუდაპეშტი
ბუქარესტი
ბულგარეთი
ბელგრადი
ზაგრები
ბოსნია
ალბანეთი
ბერლინ


ჩრდილოეთ
ყინულოვანი
ოკეანე
ისლანდია(დან.)
ატლანტიკის ოკეანე
ჩრდილოეთის
ზღვა
დიდ ბრიტანეთი
ირლანდია
ლამანში
ნორმანდიის ქ.პი
(ფ.-პარმ.)
ნორვეგია
ბალტიის ზღვა
ბალტიის უბერე
ბალტიის ზღვა
ინგლისი
ბელგია
ნიდერლანდი
ბავარია
ავსტრია
ბოემია
ბავარია
ბოემია
ბელგია
ბავარია
ბოემია
ბავარია
ბოემია
ბავარია
ბოემ


ჩრდილოეთ
ყინულოვანი
ოკეანე
ირლანდია
(დან.)
ფაროს კ-ბი
(დან.)
შეტლანდიის კ-ბი
(ფ. ბ.)
ატლანტიკის ოკეანე
ჩრდილოეთის
ზღვა
დიდი ბრიტანეთი
ირლანდია
ირლანდიის კ-ბი
(ლ. ბ.)
ლა მანში
ნიდერლანდი
ბელგია
საფრანგეთი
ბალტიკის ზღვა
ბალტიკის ყურე
ფინეთი
ნორვეგია
ბერლინი
ინგლისი
ლონდონი
ბერლინი
ბონი
ბელგია
ბრიუსელი
ანტვერპენი
ბონი
ბერლინი
ბონი
ბერლინი
ბონი
ბერლინ


ჩრდილოეთ
ყინულოვანი
ოკეანე
ისლანდია(დან.)
ატლანტიკის ოკეანე
ჩრდილოეთის
ზღვა
ირლანდია
დიდი ბრიტანეთი
ლა მანში
ნორვეგია
ბალტიის ზღვა
ფინეთი
ლიტვა
ლატვია
ბელორუსია
პოლონეთი
გერმანია
ბელგია
ნიდერლანდი
ინგლისი
ფრანგეთი
ავსტრია
ჩეხოსლოვაკია
ბავარია
ალპები
ბალკანეთი
ბულგარეთი
ალბანეთი
ესპანეთი
პორტუგალია
ბალეარის კ-ები
ხმელთაშუა ზღვა
ადრიატიკის ზღვა
ტირანის ზღვა
ბალტიკის ზღვა
ეგეოსის ზღვა
ბლაკი ზღვა
ბალკანეთი
ბალკანეთი
ბალკანეთი


ჩრდილოეთ
ყინულოვანი
ოკეანე
ისლანდია
(დან.)
ფარერის (ქ.პი)
შოტლანდიის
ქ.პი
ატლანტიკის ოკეანე
ჩრდილოეთის
ზღვა
ნორვეგია
ბალტიის ზღვა
ფინეთი
ბოთნიის ყურე
ბოთნიის ზღვა
ფინეთი
ოთხი ზღვა
ინგლისი
(დიდ.ბრიტ.)
ირლანდია
ჩრდილოეთი ირლანდია
ნიდერლანდი
ბელგია
ლიუქსემბურგი
ლამანში
ანგლო-ნორმანდია
(დ.ბრიტ.)
საფრანგეთი
ესპანეთი
პორტუგალია
ბალეარის ქ.პი
ხმელთაშუა ზღვა
ალბანეთი
ბულგარეთი
ბალკანეთი
ბალკანეთი
ეგეოსი ზღვა
ბალეარის ზღვა
ბალეარის ზღვა
ბალტა
(ფ.ბრიტ)
ბალტიკის ზღვა
ბალტიკის ზღვა
ბალტიკის ზღვა


ჩრდილოეთ
ყინულოვანი
ოკეანე
ისლანდია
ფარერის კ.-ი
(დანია)
ბერმუდის
კ.-ი (დ. ბრ.)
ატლანტიკის ოკეანე
ჩრდილოეთის
ზღვა
ირლანდია
ინგლისის
არხი
ანგლო-ნორმანდიის
კ.-ი (დ. ბრიტ.)
ლა მანში
ბალტიის ზღვა
ნორვეგია
ფინეთი
ზ.ს.ს.ტ
ბალტიის ზღვა
ბელგია
ლუქსემბურგი
ნიდერლანდები
ინგლისი
ბ.ს.ტ
ბ.ს.ტ
ჩეხოსლოვაკია
ავსტრია
ბავარია
ბ.ს.ტ
ფრანგეთი
ალპები
ალბანეთი
ესპანეთი
ბალეარის კ.-ი
ხმელთაშუა ზღვა
ბალეარის
ზღვა
ბ.ს.ტ
ბ.ს.ტ
ბ.ს.ტ


ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე
ისლანდია
ფარერის კ-ბი (დან)
შოტლანდიის კ-ბი (დ.ბ.)
ნორვეგია
ბალტიის ზღვა
ესტონეთი
ლიტვა
ლატვია
ბელორუსი
ჩრდილოეთის ზღვა
დანია
ირლანდია
დიდ ბრიტანეთი
ჩრ.-ირლანდია
ნიდერლანდი
გერმანია
ლუქსემბურგი
ბელგია
ინგლისის არხი
ნორმანდიის კ-ბი (ნ.-ბ.)
ატლანტიკის ოკეანე
საფრანგეთი
შვეიცარია
ავსტრია
ჩეხეთი
სლოვაკია
უკრაინა
მოლდავეთი
რუმინეთი
ბულგარეთი
ადრიატიკის ზღვა
იტალია
ესპანეთი
პორტუგალია
ბალეარის კ-ბი
ხმელთაშუა ზღვა
ტირანის ზღვა
სიცილია
იონიის ზღვა
ეგეოსის ზღვა
თურქეთი
შავი ზღვა


ჩრდილოეთ ზღვა
ჰოლშტაინი
ბალტიკისპირეთი
ბალტიკისპირა შვეიცარია
ჰანოვერი (დ.-ბ.)
პრუსია
ანჰალტი
საქსონია
ბრაუნშვაიგი
ბელგია
ნიდერლანდი
ავსტრიის ნიდერლანდი
ბოემია
ბავარია
ავსტრია
ფრანკფურტი
ფრანკფურტ-ონ-მაინი
ფრანკფურტ-ონ-ოდერი
ბერლინი
ბრანდენბურგი
ანსბაკი
ბაიროიტი
ბამბერგი
ბადენ-ბადენ
ბადენ
ბაიერნ
ბონი
ბრემენი
ბრუნსვიკი
ბუტბუსი
ბოლონია
ბოლონიელ-ბოლონიელ
ბოლონიელ-ბოლონიელ
ბოლონიელ-ბოლონიელ


ჩრდილოეთის ზღვა
ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ
ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲡᲐᲕᲩᲠᲓᲔᲑᲘᲡᲘ
ᲛᲐᲜᲢᲣᲐ
ᲛᲘᲚᲐᲜᲘ
ᲞᲐᲠᲛᲐ
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ
ᲞᲠᲣᲡᲘᲐ
ᲠᲔᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕ


ჩრდილოეთის ზღვა
ინგლისი
ირლანდია
ბელგია
ნიდერლანდები
ბავარია
ბადენ-ვიურტემბერგი
ელზასი
ლოტარინგია
ბერეტანი
ნორმანდია
ბურგუნდია
ანჟუ
ბოლონიანი
ბოლონიანი
ბოლონიანი


ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ 1808
ᲠᲘᲠᲘᲢᲐᲜᲘᲐ
ᲞᲠᲣᲡᲘᲐ
ᲞᲝᲚᲜᲔᲗᲘ
ᲞᲝᲚᲜᲔᲗᲘ
ᲞᲝᲚᲜᲔᲗᲘ


ჩრდილოეთის ზღვა
ბალტიკის ზღვა
ინგლისი
ნორვეგია
ბერლინი
ბრემენი
ბრაუნშვაიგი
ბონაბრიუკი
ბონი
ბოლონია
ბავარია
ბადენ
ბელგია
ბასელი
ბაიერნი
ბაიროიტი
ბამბერგი
ბაიერნი
ბერლინი
ბოლონია
ბონი
ბოლონია
ბოლონია
ბოლონია


ჩრდილოეთის ზღვა
ბალტიკის ზღვა
ბერლინი
ულტრეხტი
ბრაუნშვაიგი
ანჰალტი
ბადენი
ბავარია
ბელგია
ავსტრია
იტალია
შვეიცარია
ლიტვა
ბალტიკური ზღვა
ტაძრობრივი საუერცოგო
ბერლინი
ბრესლავი
ბოლცანი
ბრესანონი
ინსბრუკი
ლინცი
ზალცბურგი
ბაზელი
ბადენ-ბადენი
ფრაიბურგი
ულმი
ბამბერგი
ნიურნბერგი
ბაიროიტი
ბაიერნი
ბონნი
ბრემენი
ბოლონია
ბერლინი
ბრესლავი
ბოლცანი
ინსბრუკი
ბრესანონ


ჩრდილოეთის ზღვა
ბალტიკის ზღვა
ინგლისი
ნიდერლანდები
ბელგია
ლუქსემბურგი
ფრანგეთი
ალზას-ლოთარინგია
ბავარია
ბადენ
ვიურტემბერგი
ავსტრია
ბოჰემია
ბერლინი
ბრანდენბურგი
ბრაუნშვაიგი
ანჰალტი
ოლდენბურგი
ბრემენი
ჰამბურგი
ანოვერი
ბიელეფელდი
ბონი
ბონნი
ბერლინი
ბრესლავი
ბოზენი
ბოლცანი
ბოლონია
ბორდო
ბუენოს-აირესი
ბუქარესტი
ბუდაპეშტი
ბუფალო
ბურგოსი
ბურგუნდია
ბურსა
ბუენოს-აირესი
ბუქარეს


ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘ
ᲠᲐᲘᲜᲘ
ᲗᲘᲣᲠᲘᲜᲒᲘᲐ
ᲒᲐᲓᲔᲜᲘ
ᲕᲘᲣᲠᲢᲔᲛᲑᲔᲠᲒᲘ
ᲡᲐᲥᲡᲝᲜᲘᲐ
ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ
ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ
ᲑᲠᲐᲜᲓᲔᲑᲣᲠᲒᲘ
ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ
ᲡᲐᲥᲡᲝᲜᲘᲐ-ᲐᲜᲰᲐᲚᲢᲘ
ᲡᲐᲥᲡᲝᲜᲘᲐ
ᲠᲔᲜᲘᲡᲘ
ᲠᲔᲜᲘᲡ-ᲞᲤᲐᲚᲪᲘ
ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲔᲗᲘ
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ 1949 ᲓᲐ 2003 ᲬᲚᲔᲑᲘ


ჩერნოგორიე
ადრიატიკის ზღვა
ალბანეთი
მაკედონია
ბულგარეთი
შავი ზღვა
მარმარილოს ზღვა
ეგეოსი
ეგეოსის ზღვა
ციცილია
ლიბანი
ბეიტა
ეგეოსი
ეგეოსი
ეგეოსი

ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲘ 1789-1813ᲬᲬ.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲑᲘ 1789 ᲬᲔᲚᲡ [ ] + [ ] + [ ]

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲗ	1789Წ.-ᲓᲔᲙ. 1810Წ. ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲘᲡ ᲓᲔᲙ. 1810-1813ᲬᲬ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ
ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲗ	1789Წ.-ᲛᲐᲠᲢ. 1810Წ. ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲘᲡ ᲛᲐᲠᲢ. 1810-1813ᲬᲬ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲤᲚᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲛᲑᲣᲠᲒᲘ	1789-1795ᲬᲬ. ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲘᲡ 1795-1813ᲬᲬ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ
ᲠᲐᲕᲔᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ	1789-1801ᲬᲬ. ᲑᲐᲕᲐᲠᲘᲘᲡ 1801Წ.-ᲓᲔᲙ. 1810Წ. ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲘᲡ ᲓᲔᲙ. 1810-1813ᲬᲬ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ
ᲤᲚᲘᲡᲘᲜᲒᲔᲜᲘ	1789-1807ᲬᲬ. ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲘᲡ 1807-1813ᲬᲬ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ
ᲝᲡᲢᲤᲠᲘᲖᲘ	1789-1807ᲬᲬ. ᲞᲠᲣᲡᲘᲘᲡ 1807Წ.-ᲓᲔᲙ. 1810Წ. ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲘᲡ ᲓᲔᲙ. 1810-1813ᲬᲬ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ
ᲘᲔᲕᲔᲠᲘ	1789-1793ᲬᲬ. ᲐᲜᲰᲐᲚᲢ-ᲖᲔᲠᲑᲡᲢᲘᲡ 1793-1807ᲬᲬ. ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ 1807Წ.-ᲓᲔᲙ. 1810Წ. ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲘᲡ ᲓᲔᲙ. 1810-1813ᲬᲬ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ
ᲙᲜᲘᲰᲐᲣᲖᲔᲜᲘ	1789-1807ᲬᲬ. ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ 1807Წ.-ᲓᲔᲙ. 1810Წ. ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲘᲡ ᲓᲔᲙ. 1810-1813ᲬᲬ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲘ (ᲐᲕᲡᲢᲠ.)	1789-1793ᲬᲬ. ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ 1793-1813ᲬᲬ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ
ᲚᲘᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲝ	1789-1793ᲬᲬ. ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ 1793-1813ᲬᲬ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ
ᲡᲢᲐᲕᲔᲚᲝᲢ-ᲛᲐᲚᲛᲔᲓᲘᲡ ᲡᲐᲐᲑᲐᲢᲝ	1789-1793ᲬᲬ. ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ 1793-1813ᲬᲬ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ
ᲑᲣᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲰᲔᲠᲪᲝᲒᲝ	1789-1793ᲬᲬ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲕᲐᲡᲐᲚᲘ 1793-1813ᲬᲬ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ

1813 ᲬᲔᲚᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲝᲓᲐ.


ჩრდილოეთის ზღვა
ზეიდერზეე
ფრიზის პროვინცია
გრონინგენის პროვინცია
დრენთეს პროვინცია
ოვერეისელ პროვინცია
ფლანდრიის პროვინცია
ბრაბანტის პროვინცია
ანტვერპენის პროვინცია
ლიეჟის პროვინცია
ლუქსემბურგი
ნამიურის პროვინცია
ჰაინაუტის პროვინცია
ამსტერდამი
უტრეხტი
ჰააგა
როტერდამი
ლეოვარდენი
ასენი
ზვოლე
ენსხედე
ალმელო
ბოლანდიის პროვინცია
ზელანდიის პროვინცია
ბელგია
ბელგია
ბელგ

ნიდერლანდი, ბელგია და ლუქსემბურგი 1814-2004 წ.წ.

ნიდერლანდის სამეფო	1814-2004წწ.
ზემო გელდერლანდი	1814-1815წწ. პრუსიის 1815-2004წწ. ნიდერლანდის
აღმოსავლეთ ლიმბურგი	1814-1830წწ. ნიდერლანდის 1830-1831წწ. ბელგიის 1831-2004წწ. ნიდერლანდის
დასავლეთ ლიმბურგი და დასავლეთ ლუქსემბურგი	1814-1830წწ. ნიდერლანდის 1830-2004წწ. ბელგიის
ბრაბანტი, ფლანდრია, ენო, ნამიური და ლიეჟი	1814-1830წწ. ნიდერლანდის ბელგიის
ბუიონის საჰერცოგო	1814-1815წწ. ჰერცოგის (სამფლობელო) 1815-1830წწ. ნიდერლანდის 1830-2004წწ. ბელგიის
ფილიპვილი, მარიემბურგი და სამხრეთი საზღვარი	1814-1815წწ. საფრანგეთის 1815-1830წწ. ნიდერლანდის 1830-2004წწ. ბელგიის
აღმოსავლეთ ლუქსემბურგი (საერცჰერცოგო)	1814-1830წწ. ნიდერლანდის 1830-1831წწ. ბელგიის 1831-1890წწ. ნიდერლანდის 1890-2004წწ. ლუქსემბურგის
ეიპენი და მალმედი	1814-1815წწ. ნიდერლანდის 1815-1919წწ. პრუსიის 1919-1940წწ. ბელგიის 1940-1944წწ. გერმანიის 1944-2004წწ. ბელგიის
ახალი პოლდერები (ფლევოლანდი 1987 წლიდან)	

გაერთიანებული ნიდერლანდის სამეფო 1815 წელს.



ნიდერლანდის სამეფო 2004 წელს



ბელგიის სამეფო 2004 წელს

ლუქსემბურგის დიდი საერცჰერცოგო 2004 წელს

სამივე სახელმწიფოს საზღვარი 2004 წელს


ჩრდილოეთის ზღვა
ბელგია
ნიდერლანდი
ინგლისი
ირლანდია
ფლანდრიის პროვინცია
ანტვერპენის პროვინცია
ბრაბანტის პროვინცია
ჰაინაუტის პროვინცია
ნამიურის პროვინცია
ლიეჟის პროვინცია
ლიმბურგის პროვინცია
ლუქსემბურგი
ბელგიის ლუქსემბურგი
ჩრდილოეთ ბრაბანტის პროვინცია
ზელანდიის პროვინცია
ფრისლანდიის პროვინცია
ოვერეიესელ პროვინცია
გელდერლანდის პროვინცია
უტრეხტის პროვინცია
ფლევოლანდია
ეიესელმერის ყურე
ფრანგეთი
ბრიუსელი
ანტვერპენი
ბრიუგე
გენტი
ანტვერპენი
ლიეჟი
ნამიური
ლუქსემბურგი
ამსტერდამი
ეინდჰოვენი
ტილბურგი
ბრედა
ზოლი
ზვოლე
ენსხედე
ალკმარი
ჰაგა
როტერდამი
ფლისინგენი
ზელანდია
ბელგია

საფრანგეთი 1789-1799

- საფრანგეთი 1789წ.
- ავინიონი და კომტა-ვენესენი (პაპის ტერიტორიები, 1791წ. საფ.)
- სავოია (სარდინია, 1792წ. საფ.)
- ნიცის საგრაფო (სარდინია, 1793წ. საფ.)
- პფალცის 32 კომუნა, ზაარვერდენი, კრეანუი, ფილიპსბურგი, ზემო სალმი, ჰორბურგი და რიკვაირი, რურის რესპუბლიკა, მონაკო (1793 საფ.)
- მონბელიარდი (ვიურტ., 1793 საფ.)
- ავსტრიის ნიდერლანდი, ლიეჟი, სტავლო, ბუიონი (1793/1795 საფ.)
- ნიდერლანდის ფლანდრია, ვენლო, მაასტრიხტი (ნიდერ., 1795წ საფ.)
- ბაზელის საეპისკოპოსოს ჰელვეციური ნაწილი (საეპის., 1797წ. საფ.)
- რაინისაქეთა რესპ. (1797წ. საფ.)
- ჟენევა და მიულუზი (რესპ., 1798წ. საფ.)
- პიემონტი (სარდინია, 1799წ. საფ.)

1. ფილიპვილი
2. მარიენბურგი
3. ზაარვერდენი
4. ფილიპსბურგი
5. ლანდაუ
6. ზემო-სალმი
7. ჰორბურგი, რიკ.
8. მიულუზი
9. მონბელიარდი
10-11 ბაზელის საეპისკოპოსო
12. ჟენევა
13. მონაკო


ჩრდილოეთის ზღვა
დიდი ბრიტანეთი
ლა მანში
ატლანტიკის ოკეანე
ესპანეთი
ხმელთაშუა ზღვა
ბელგია
ლუქსემბურგი
ბრიუსელი
ანტვერპენი
ბელგია
ბელგიის სამეფო
ნიცა
ბერნი
ჟენევა
ბაზელი
ბადენი
ბავარია
ბოლონია
ბორდო
ბიარიცი
ბაიონა
ანდორა
ტულუზა
ბარბელონა
ბარბელონა
ბალეარი
ბალეარი
ბალეარი

საფრანგეთი 1799-1808

საფრანგეთი 1799წ. (პიემონტი, მეორე ანექსია 1802წ)

ნოვარე (საფ. 1800 რაინს აქეთა მხარე) ონეილი და ლოანო (საფრ., 1802 ლიგურიის)

ფრიქტალი (ბრისგაუსი, 1801 საფრ., 1802 ჰელვეცია)

პარმა (ჰერცოგის, 1801 / 1802 საფრ.)
2/3 კუნძული ელბა (პიომბინო - ტოსკ., 1801 საფრ.)
1/3 კუნძული ელბა (ნეაპოლის, 1801 საფრ.)

ტოსკანიის რეზიდ. (ნეპოლის, 1801წ. საფ., 1802წ. ტოსკ.) კაპრაია (ლიგურიის, 1802წ. საფრ.)

ლიგურიის რესპ. (1805 წ. საფრ.)

ნევშატელი (პრუს., 1805წ საფრ., 1806წ. ბერდიერის)
კლევე (მარჯვენა სანაპირო) (პრუს., 1805წ. საფრ., 1806წ. მიურატის)
ბერგი (ბავარიის, 1805წ. საფრ., 1806წ. მიურატის)

კელი (ბადენის, 1805წ. საფრ.)
კასტელი (ნასაუსი, 1806წ. საფრ.)
ფლესინგენი (ბატავიის, 1807წ. საფრ.)
ვეზელი (პრუსიოს, 1806წ. ბერგის, 1808წ. საფრ.)
გუასტალა (პარმას, 1801 / 1802 საფე., 1806წ. პოლინ ბონაპარტის, შემდეგ იტალიას)

ოსტფრიზი (პრუსიის, 1807წ. საფრ. შემდეგ ჰოლანდიის)
იეფერი (რუსეთის, 1807წ. საფრ. შემდეგ ჰოლანდიის)

ოსნაბრიუკი (პრუსიის, 1807წ. ნაპოლეონის, შემდეგ ვესტფალიის)
შმალკალდე (ჰესენის, 1807წ. ნაპოლეონის, შემდეგ ვესტფალიის)
კორვეი (ორან-ნასაუსი, 1806წ. ნაპოლეონის, შემდეგ ვესტფალიის)

ლინგენი, ტეკლემბურგი, მარკა, მიუნსტერი (პრუსიის, 1807წ. ნაპოლეონის, 1808წ. ბერგის)
დორტმუნდი (ორან-ნასაუსი, 1806წ. ნაპოლეონის, 1808წ. ბერგის)

ჰანოვერი, ლაუენბურგი, ბაიროითი, ერფრუტი(პრუსიის, 1807წ. ნაპოლეონის)
ჰანაუ, ქვემო-კატცელენბონგენი(ჰესენის, 1807წ ნაპოლეონიის)
ფიულდე (ორან-ნასაუს, 1806წ. ნაპოლეონის)


ჩრდილოეთის ზღვა
დიდი ბრიტანეთი
ლონდონი
ფლისინგენი
ანტვერპენი
ბრიუსელი
ლილი
ლიეჟი
ლუქსემბურგი
ბერლინი
ბონი
ბაიერეთი
ბავარია
ბადენ
ბაზელ
ბერნ
ბოლონია
ბორდო
ბიარიცი
ბიენ
ბერლინი
ბრესლავი
ბუენოს-აირესი
ბუენოს-აირესის რესპუბლიკა
ბუსტალ
ბურგოსი
ბურგუნდია
ბუქარესტი
ბუდაპეშტი
ბულონი
ბოლონია
ბორბონ
ბოსტონ
ბოსფორი
ბოსნია
ბოსტონ
ბეთლეჰემ
ბეთანია
ბეთელ
ბეთანია
ბეთელ
ბეთანია
ბეთელ

საფრანგეთი 1808-1814

- საფრანგეთი 1808წ.
- ეტრურია (1808 საფრ.)
- ეკლესიის ტერიტორიები (1809 საფ.)
- ჰანაუ, ფიულდე (ნაპოლეონის, 1810წ. ფრანქფურტის)
  ბაიროითი (ნაპოლეონის, 1810წ. ბავარიის)
  1/2 ჰანოვერი (ნაპოლეონის, 1810წ. ვესტფალიის)
- სამხრეთი ჰოლანდია (ჰოლ. 1810წ. გაზაფხულზე საფრანგეთის)
- ჰოლანდიის დარჩენილი ნაწილი (1810წ. ზაფხული საფრანგეთის)
- არენბერგი, სალმი, ოლდენბურგი, ბრემენი, ჰამბურგი
  ლიუბეკი, ბერგის ნაწილი, ვესტფალიის ნაწილი (1810წ. დასასრულს საფრანგეთის)
- 1/2 ჰანოვერი, ლაუენბურგი (ნაპოლეონის, 1810წ. დასას. საფრ.)
- ერფურტი, ქვემო კატცელენბონგენი (ნაპოლეონის)
- ვალე (1810წ. საფრ.)
- ვალ დ'არანი (ესპანეთი, 1812წ. საფრ., 1813წ. ესპ.)
- კატალონია (ესპ., 1812-1813 საფრ. ადმინისტრაცია)
- „დიდი იმპერიის" 130 დეპარტამენტის საგარეო საზღვრები (1811-1813)

(რუკის მიღმა: ილირიის პროვინციები, ზალცბურგის, ბერხტესგადენის, ინფირტელის, რეგენსბურგის რეზერვში დატოვებული ტერიტორიები)


ჩრდილოეთის ზღვა
დიდი ბრიტანეთი
ლონდონი
ლა მანში
ამსტერდამი
ბელგია
ანტვერპენი
ბრიუსელი
ბრიუგი
ბრიუსელი
ლილი
ლიეჟი
ლიუქსემბურგი
ბონი
ბერლინი
ბავარია
ბადენ
ბაზელ
ბერნი
ბელფორი
ბესანსონ
ბორდო
ბიარიცი
ბაიონა
ბიენ
ბოლ
ბურგენ
ბურგენ
ბურგენ

საფრანგეთი 1814- 2004

საფრანგეთი 1814წ.

ფილიპვილი, მარიენბურგი, ბუიონი (საფრ., 1815 ნიდერლ.)
ზაარლუი, ზაარბრიუკენი (საფრ., 1815 პრუსიის)
ლანდაუ (საფრ., 1815 ბავ.)

შამბერი, ანესი (საფრ., 1815 სარდინია, 1860 საფრ.)

სავოიას დარჩენილი ნაწილი, ნიცის უმეტესი ნაწილი (სარდ., 1860 საფრ.)

მენტონი, როკენბურგი (მონაკოსი, 1861 საფრ.)

ალზას-ლოთარინგია (საფრ., 1871 გერმ., 1919 საფე., 1940 გერმ., 1944 საფრ.)

ტენდე, მერკანტურის უღელტეხილი, შაბერტონი, მონ-სენი (სარდინია, 1946წ.)

ანდორა, მონაკო (მფარველობის ქვეშ მყოფი სამთავროები)

საფრანგეთის საგარეო საზღვრები 2004წ.


ჩრდილოეთის ზღვა
დიდი ბრიტანეთი
ლონდონი
ამსტერდამი
ბრიუსელი
ანდი
ლილი
ლიეჟი
ლა მანში
ბეიონი
ბორდო
ტულუზა
ანდორა
ესპანეთი
ხმელთაშუა ზღვა
ელბა
კორსიკა

იტალია 1789 - 1797

- პიემონტი და სარდინია
- სავოია, ნიცა (სარდ. 1792/1797წწ. საფრან.)
- გენუის რესპუბლიკა კაპრაიასთან ერთად
- მილანის სახელმწიფო, მანტუის რეგიონი (ავსტ. 1796 ტრანსპად., 1797 ციისპად.)
- ვალტელონი, ბორმიო, ჩიავენა (გრაუბიუნდენი, 1797წ. ციზალპ.)
- ბერგამოს(რეს.), ბრეშიას(რეს.) ვერონის(რეს.) (ვენ., 1797წ. ციზალპ.)
- ვენეციის რესპუბლიკა (ავსტრ. 1797წ.)
- პარმა გუასტალასთან ერთად
- მოდენა (1796წ. - ციზპად., 1797წ. ციზალპ.)
- ლუკას რესპუბლიკა
- ტოსკანა, ლუნიჯიანასა და პიეტრასანტასთან ერთად
- პიომბინო ელბის კუნძულის 2/3-ით
- პაპის ოლქი ბენევენტოთი და პონტე-კორვო
- ანკონის მარკა (პაპის ოლქის, 1796წ. ანკონის რეს.)
- პაპის ლეგატის მმართველობის ქვეშ მყოფი პროვინციები, რომანია (პაპის ოლქის, 1796/1797წ. ციზპად.)
- ორივე სიცილიის სამეფო, ციხე-სიმაგრეებით, ჯიგლიო, პიანოზა, ელბის კუნძულის 1/3
- პატარა სახელმწიფოები: მონაკო (1793წ.), სან-მარინო, რაგუზა, პოლიძა.

1. მონფალკონე
2. გუასტალა
3. ლუნიჯიანა
4. პიეტრასანტა


ალპების ტბ.
ალბანეთის ტბ.
ბელუნი
ბაიერნი
ტრენტინო
ტიროლი
ბოლცანი
ინსბრუკი
ბავარია
ბაიერნი
ბოლონია
ბოლონია
ბოლონია

იტალია 1797 - 1805

- სარდინია
- პიემონტი (სარდ., 1799წ. შემდეგ საფრან. 1802წ.)
- ლიგურიის რესპუბლიკა
- ციზალპური რესპუბლიკა (1802წ. იტალიის რეს.)
- ნავარა (პიემონტის, 1800 ციზალაპური რეს-ის.)
  პოლეზინე (ავსტრ., 1801წ. ციზალპური რეს-ის.)
- ავსტრიის ვენეცია და დაქვემდებარებული ტერიტორიები
- პარმა (1802წ. საფრან.)
- ლუკას რესპუბლიკა
- ტოსკანა (1801წ.)
- პიომბინო (1801 ეტრურიის კონტინენტური ტერ., ელბის კუნძულის 2/3 საფრანგეთის)
- პაპის ოლქი (1798 - 1799წწ. რომის რეს.)
- ანკონის რეს. (1798წ. რომის, შემდეგ პაპის ოლქის)
- ორივე სიცილიის სამეფო
- პატარა სატრანსფერო ტერიტორიები:
  - ონეილი და ლოანო (საფრან., 1802წ. ლიგურ.)
  - კაპრაია (ლიგურ., 1802წ. საფრან.)
  - ელბის კუნძულის 1/3, პიანოზა (ორივე სიცილიის სამ., 1801წ. საფრან.)
  - ტოსკანის ციხე-სიმაგრეები, ჯიგლიო (ორივე სიცილიის სამ., 1801წ. საფრან., 1802წ. ეტრურ.)
- პარატა სახელმწიფოები: სან-მაინო, რაგუზა, პოლიძა

1. მონფალკონე
2. გუასტალა
3. ლუნიჯიანა
4. პიეტრასანტა


ტრენტო
ბოლზანო
ვენეციის რეს.
ბელუნო
გორიცი
ტრიესტი
ალბანეთი
ადრიატიკის ზღვა
ზადარი
ალბანეთი
ალბანეთი
ბალკანეთი
ბალკანეთი
ბალკ

იტალია 1805-1814

სარდინიის სამეფო

საფრანგეთის იტალია 1805 წელს

პარმა, ეტრურია (1808 წ. საფრან.)

პაპის ოლქი (1809 წ. საფრან.)

} საფრანგეთის იტალია 1810-1814 წწ.

ლუკასა და პიომბინოს სამთავრო

მაცა-კარარა (იტ., 1806წ. ლუკის)

იტალიის სამეფო 1805 წელს

ვენეცია (ავსტრ., 1806წ. იტალია)

იტალიის სხვა ტერიტორიული მონაპოვარი
- 1806: გუასტალა (პარმის, შემდეგ პოლინა ბორგეზესი)
- 1808: პაპის ოლქის სასაზღვრო რეგ. (იგივე რომის პაპის)
- 1810: ტრენტინო, სამხრეთ ტიროლის 1/2 (ძვ. ბავარიის)

} იტალია 1810-1814წწ.

ვენეციის დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორიები:
-მონფალკონე (ავსტრ. 1806წ., იტალ. 1807წ. ავსტრ., 1809წ. საფრან.)
-იზონცოს მარჭვენა ნაპირი (ავსტ. 1807წ. იტალ., 1809წ. საფან.)
-ისტრია, დალმაცია, კოტორი (ავსტრ., 1806წ. იტალ., 1809წ. საფრან.)

იტალიის საზღვარზე საფრანგეთის ტერიტორიული მონაპოვარი:
- კარინთიის 1/2, კარნიოლე, ტრიესტი, ხორვატიის 1/2 (ავსტრ., 1809წ საფრან.)
-ვალე (რეს., 1810წ. საფრან.)

} ილირიის პროვინციები 1809-1814წწ.

ნეაპოლის სამეფო

სიცილიის სამეფო

პატარა სახელმწიფოები:
-სან-მარინო (რეს.)
-პელეშაცის ნახ. კუნძ. (იტ. პოლიძა)(რეს., 1806წ. იტალ., 1809წ. საფრანგ.)
-რაგუზა (რეს., 1808წ. იტ., 1809წ. საფრან.)
ბენევენტო (პაპის ოლქის, 1806წ. ტალეირანის)
-პონტე-კორვო (პაპის ოლქის, 1806წ. ბერნადოტის)

სამი იტალიური სახელმწიფოს საზღვრები 1810-1814წწ.: საფრანგეთი, იტალია, ნეაპოლი.

1. მონფალკონე 2. გუასტალა 3. მაცა-კარარა 4. პიეტრასანტა


ბერლინი
ბელგია
ბავარია
ბადენ
ბელგია
ბოლონია
ბოლზანი
ბერონა
ბენეტია
ბენუა
ბორეტა
ბოსნია
ბრანდენბურგ
ბრანდენ
ბერონა
ბენეტია
ბენუა
ბოლონია
ბოლზანი
ბოსნია
ბორეტა
ბოსნია
ბრანდენ
ბენეტია
ბენუა
ბოლონია
ბოლზანი
ბოსნია
ბორეტა
ბოსნია

იტალია 1814-1860

პიემონტი და სარდინია

სავოია (შამბერისა და ანენსის გარდა) ნიცა

შამბერი, ანენსი (საფრან. 1815წ. სარდ.)

} სარდინიის სამეფო 1815-1860წწ

ლომბარდია, მანტუის გარდა (ავსტრ., 1859წ სარდ.)

ვენეცია, მანტუასთან ერთად (ავსტრ. 1866წ სარდ.)

პარმა (1860წ. სარდ.)
გუასტალა (პარმის, 1847 წლიდან მოდენის, 1860წ სარდ.)

მოდენა (1860 წელს სარდ.)

მაცა-კარარა (1829 წელს მოდენის, 1860 წელს სარდ.)

ტოსკანა (1860 წელს სარდ.)

პონტრემოლი (ტოსკან., 1847წ. პარმის, 1860წ. სარდ.)
ფივიცანო (ტოსკან. 1847წ. მოდენის., 1860წ. სარდ.)
პიეტრასანტა (ტოსკან. 1860წ. სარდ.)

პაპის ოლქი (ლაციუმი)

პაპის ლეგატს დაქვემდებაებული ტერიტორიები, უმბრია, ბენევენტო, პონტე-კორვო, (პაპის ოლქ., 1860წ. სარდ.)

ორივე სიცილიის სამეფო (1860წ. სარდ.)

პატარა სახელმწიფოები:
-მონაკო
-სან-მარინო
-ელბის კუნძული (ნაპოლეონის, 1815წ. ტოსკან., 1860წ სარდ.)
კაპრაიას გარდა (ნაპოლეონის, 1815 წ. სარდ.)

1. გუასტალა
2. პონტრემოლი
3. ფივიცანო
4. პიეტრასანტა


ტრენტო
ბოლზანო
ბელუნო
უდინე
ვერონა
ვენეცია
ტრიესტი
ფიუმე
ზადარი
ადრიატიკის ზღვა
ტურინი
მილანი
ლომბარდია
ვენეტიის
ლიგურიის
ტოსკანის
ანკონა
ნიცა
ბარმა
ბოლონია
ფლორენცია
ტოსკანის
ეკლესიის
ეკლესიის
ეკლესი

იტალია 1860 - 2004

- იტალია 1860 წლიდან 2004 წლამდე (სარდინიის სამეფო 1860-1861წწ.)
- პაპის ოლქი (1870 წ. იტ.)
- ტრენტო, სამხრეთი ტიროლი, გორიცი და მონფალკონე (ავსტრ., 1919წ. იტ., 1943წ. გერ.., 1945წ. იტ.)
- ბელუნო (იტ.. 1943წ., 1945წ. იტ.)
- ისტრია. დასავლეთ სლოვენია, ჩერსო, ზადარი, ლასტოვო (ავსტრ.. 1919წ იტ.. 1945წ იუგ., 1990წ. სლოვაკ./ხორვატ.)
- სამხრეთ სლოვენია, ვეგლია, ჩრდილოეთ დალმაცია, კოტორი (ავსტრ.. 1919წ. იუ., 1941წ. იტ., 1943წ. ხორვატ./გერ., 1945წ იუგოს., 1990წ. სლოვ/ხორვატ.)
- ტრიესტი (ავსტრ.. 1919წ. იტ.. 1945 წელს თავისუფალი ტერიტორია 1954წ. იტ.)
- ფიუმე (ავსტრ., 1919წ რეგენტობა, 1921წ თავისუფალი ქალაქი, 1924წ. იტ., 1945 იუგოს., 1990წ ხორვატ.)
- მონ-სენი. შაბერტონი, მერკანტურის ქედები, ტენდა (იტ., 1946 საფ.)
- პაპის ოლქი: სან-მარინო, ქალაქი ვატიკანი (შეიქმნა 1929 წელს)
- იტალიის საზღვარი 2004 წელს.


ტრენტოს რეგიონი
ბოლზანო
ტრენტი
ბრესჩია
ლიუბლიანა
ბოლონია
ადრიატიკის ზღვა
ტირენის ზღვა
სარდინია
ტარანტო
ნეაპოლი
პალერმო
სიცილია

შვეიცარია

XIII კანტონი 1789 წელს

XIII კანტონის საბაიოები

სანკტ-გალენი, ქალაქი და საabატო, გრაუბიუნდენი } (გაერთიანებული 1798 წელს)

სანკტ-გალენის საბაიოები

ვალტელინა, ბორმიო, ჩიავენა (გრაუბიუნდენის საბაიოები, 1797წ. ციზალპური)

ვალე ასოციირებული სახელმწიფო) } (1798წ. ჰელვ., 1803 რეს., 1810 საფ., 1815 შვეიც.)

ვალეს საბაიო

ბაზელის საეპისკოპოსოს ჰელვეციური ნაწილი, ბიენი (1797წ. საფ., 1815წ შვეიცარიის)

ბაზელის საეპისკოპოსოს გერმანული ნაწილი (1792წ. საფ., 1815 შვეიც.)

ნეშატელის სამთავრო „მოკავშირე მიწა“, 1798 პრუს., 1806წ. ბერტიერის, 1815წ. შვეიც.)

მიულუზი („მოკავშირე მიწა“, 1798წ. საფ.)

ჟენევა (მოკავშირე, 1798წ. საფ., 1815წ. შვეიც.)

ფრიკტალი (ავსტ., 1797წ. მოდენის, 1802წ. შვეიც.)
ტარასპი (დიტრიხშტაინის, 1803წ. შვეიცარიის)
ფიურსტენაუ (კურის საეპისკოპოსო, 1803წ. შვეიცარიის)

რეზუნცი (ავსტ., 1809წ. ნაპოლეონის, 1810წ. იტ., 1815წ. საფ.)
ჟენევის გარეუბანი (საფ. ან სარდ., 1792წ. საფ., 1815წ. შვეიც.)

შვეიცარიის კონფედერაციის დღევანდელი საზღვარი

ლიხტენშტაინის სამთავრო (1920წ, საბაჟო კავშირი)

1789. ჰელვეციის გაერთიანება: + + + + + + + + +

1798. ჰელვეციის რესპუბლიკა: + + + + +

1803. ჰელვეციის კონფედერაცია: + + + +

1815. შვეიცარიის კონფედერაცია: + + + + + + + + +


ბერნის
ფრიბურგი
ბაზელ-ქალაქი
ბაზელ-ოლქი
ბერნის
ფრიბურგის
ბაზელ-ოლქის
ბაზელ-ქალაქის


ბალტიის ზღვა
ჩრდილოეთის ზღვა
ბალტიკური (ზღვა)
ბალტიკური (ზღვა)
ბალტიკური (ზღვა)


ბალტიის ზღვა
ბერლინი
ბრესლავი
ვარშავა
ბიალისტოკი
ბრეს-ლიტოვსკი
ვილნი
ტილზიტი
ბერლინი
ბრანდენბურგი
ბერლინი
ბერლინი
ბერლინ


ბალტიის ზღვა
ჩრდილო-ეთის ზღვა
ბალტიკური ზღვა
(ფინ.)
ბოთნიის ფინეთი
(ფინ.)
ბოთნიის ყურე
(ფინ.)
ბალტიკური ზღვა
(ფინ.)
ბალტიკური ზღვა
(ფინ.)
ბალტიკური ზღვა

ჩრდილო-ეთის ზღვა
ბალტიის ზღვა
ბალტიკური ზღვა
ბორნholmი (დან.)
ბერლინი
ბრესლავი
ბერლინი
ბრომბერგი
ბიალისტოკი
ბრესტ-ლიტოვსკი
ვარშავა
ვილნა
ბანგერი
ბერლინი
ლაბეკი
ლეიპციგი
ბრუნსვიკი
ვროცლავი
ლიუბლინი
ლვოვი
ბრესლავი
ბონნი
ბერლინი
ბრატისლავა
ბუდა
ბუქარესტი
ბელგრადი
ბანია ლუკა
ზაგრები
ტრიესტი
ვენა
ინსბრუკი
ბერნი
ბაზელი
ბოლონია
ბორდო
ბიარიცი
ბილბაო
ბალეარი
ბალეარი
ბალეარი

ბალტიის ზღვა
ბერლინი
ჰამბურგი
ბრემენი
ბრომბერგი
ბერლინი
ბრესლაუ
ლეიპციგი
დრეზდენი
ფრანკფურტი
ნიურნბერგი
ალზენი
ბონა
ბონა
ბერლინი
ბრესლაუ
ბუდაპეშტი
ბალატონი
ბალატონი
ბელგრადი
ბუკარესტი
ბუქარესტი
ბულგარეთი
ბულგარეთი
ბერლინ
ბერლინ
ბერლინ

ბალტიის ზღვა
ჩრდილო-ეთის ზღვა
ბერლინი
ბუდაპეშტი
ბუქარესტი
ვენა
ბელგრადი
ზაგრები
ლონდონი
ეგეოსის ზღვა
ადრიატიკის ზღვა
შავი ზღვა
ავსტრია
უნგრეთი
რუმინეთი
ბულგარეთი
ალბანეთი
ბოსნია
ბელგია
ნიდერლანდები
ინგლისი
ირლანდია
ნორვეგია
ბალტიკური ზღვა
ბალკანეთი
ბალკანეთი
ბალკანეთი


ბალტიის ზღვა
ჩრდილო. ეთის ზღვა
ბერლინი
ბერლინი
ბერლინი


ბალტიის ზღვა
ბერლინი
ლაბაციგი
ფრანკფურტი
ნიურნბერგი
ბრესლავი
ბრნო
ბერლინ-ბრანდენბურგი
ბიდგოშჩი
ბიალენტოკი
ბრეს-ლიტოვსკი
ლიუბლინი
ბრატისლავა
ლოდზი
ბუდაპეშტი
ბელგრადი
ბუკარესტი
ბრაშოვი
ტიმიშოარა
ბანია ლუკა
ზაგრები
ბერლინი
ბრესლავი
ბრნო
ბუდაპეშტი
ბელგრადი
ბუკარესტი
ბრაშოვი
ტიმიშოარა
ბანია ლუკა
ზაგრები
ბანია ლუკა
ბელგრადი
ბუკარესტი
ბრაშოვი
ტიმიშოარა
ბანია ლუკა
ზაგრები


ბალტიის ზღვა
ლიტვა
ბელორუსი
ბერლინი
ჰამბურგი
ბონი
ბრიუსელი
ამსტერდამი
ლონდონი
ბელგია
ნიდერლანდები
ინგლისი
ირლანდია
ინგლისის ზღვა
ფრანკფურტი
ნიურნბერგი
ბავარია
ბონი
ბერლინი
ბიდგოშჩი
ბიალისტოკი
ბრესტ
ლიტოვსკი
ვარშავა
პოზნანი
ბერლინი
ლაიფციგი
ვროცლავი
ლიუბლინი
ლემბერგი (ლვოვი)
კიევი
უკრაინა
ბელორუსი
ბალტიის ზღვა
ჩეხოსლოვაკია
პრაღა
ბრნო
ბრატისლავა
ბუდაპეშტი
ოსტრიეტი
ზალცბურგი
ინსბრუკი
ავსტრია
ბავარია
ბერლინი
ბონი
ბრიუსელი
ამსტერდამი
ლონდონი
ბელგია
ნიდერლანდები
ინგლისი
ირლანდია
ინგლისის ზღვა
ფრანკფურტი
ნიურნბერგი
ბავარია
ბონი
ბერლინი
ბიდგოშჩი
ბიალისტოკი
ბრესტ
ლიტოვსკი
ვარშავა
პოზნანი
ბერლინი
ლაიფციგი
ვროცლავი
ლიუბლინი
ლემბერგი (ლვოვი)
კიევი
უკრაინა
ბელორუსი
ბალტიის ზღვა
ჩეხოსლოვაკია
პრაღა
ბრნო
ბრატისლავა
ბუდაპეშტი
ოსტრიეტი
ზალცბურგი
ინსბრუკი
ავსტრია
ბავარია


ბალტიის ზღვა
ლიტვა
ბელორუსია
გერმაია
პოლონეთი
ჩეხეთი
სლოვაკეთი
ავსტრია
უნგრეთი
სლოვენია
ხორვატია
ბოსნია ჰერცეგოვინა
სერბეთი
ალბანეთი
ბულგარეთი
რუმინეთი
უკრაინა
მოლდოვა
ბელგია
ნიდერლანდები
ლუქსემბურგი
ინგლისი
ირლანდია
ფრანკფურტი
ბერლინი
ჰამბურგი
ვარშავა
ბრესტ-ლიტოვსკი
ბიალისტოკი
ბიდგოშჩი
ბერლინი
ბრნო
ბრატისლავა
ბუდაპეშტი
ბელგრადი
ბუქარესტი
ბუენოს-აირესი
ბრაზილია
ბანგალორი
ბანგალორი
ბანგალორი